

სამოქალაქო საკროცემსო კოდექსის კომენტარი

რჩეული მუხლები



ევროკავშირი
საქართველოსთვის
EU4Business



გერმანიის
თანამშრომლობა
DEUTSCHE ZUSAMMENARBEIT

giz Deutsche Gesellschaft
für Internationale
Zusammenarbeit (GIZ) GmbH

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი

რჩეული მუხლები

თბილისი
2020

ავტორები

ულრიხ ჰაგენლოხი
ბესარიონ ალავიძე
ნინო ბაქაქური
დიანა ბერეკაშვილი
ეკატერინე გასიტაშვილი
მზია თოდუა
ქეთევან მესხიშვილი
პაატა ქათამაძე
ზურაბ ძლიერიშვილი

მთარგმნელები

ლელა მიქიაშვილი
ილია მესხიძე

ენოზრისი რედაქტორები

რიტა ბაინდურაშვილი
ეკა ბუჟიაშვილი

© გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), 2020
© ავტორები, 2020

გამოცემის ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ვებგვერდზე
lawlibrary.info/ge

წინამდებარე გამოცემა შექმნილია ევროკავშირისა და გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროს (BMZ) თანადაფინანსებული პროექტის – „საქართველოს კომერციული სამართლის და პრაქტიკის გაუმჯობესება“ მიერ, რომელსაც გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ) ახორციელებს.

გამოცემის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია ავტორთა ჯგუფი და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკომისიისა, GIZ-ის და გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროს (BMZ) მოსაზრებებს.

1993 წლიდან GIZ-ი (Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit) საქართველოში ხელს უწყობს სამართლისა და იუსტიციის რეფორმების გატარებას. სხვა ღონისძიებებთან ერთად GIZ-ი ზრუნავს იურიდიული ლიტერატურის შექმნასა და სამართლის პოპულარიზაციაზე.



ევროკავშირი
საქართველოსთვის
EU4Business



giz Deutsche Gesellschaft
für Internationale
Zusammenarbeit (GIZ) GmbH

წინასიტყვაობა

საჯარო და პოლიტიკურ დისკუსიებში საპროცესო სამართალი ხშირად ჩრდილში ექცევა. მართლწესრიგის შესახებ საზოგადოების წარმოდგენებში და ცნობიერებაში, ძირითადად, მატერიალურ-სამართლებრივი რეგულაციები დომინირებს. და მაინც: საპროცესო სამართლის გარეშე მატერიალური სამართალი დაემსგავსებოდა თვითმფრინავს, რომელიც ინსტრუქტაჟის, ასაფრენი და დასაფრენი ბილიკების გარეშე ფუნქციონირებს. საპროცესო სამართალი უზრუნველყოფს მატერიალური სამართლის გაცოცხლებას, ამოქმედებას, და, რაც უმთავრესია, მის ფაქტობრივ გამოყენებას სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპების დაცვით. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო ამ ფუნქციას შემდეგნაირად აჯამებს:

„საპროცესო სამართალი ემსახურება კანონის შესაბამის და აქედან გამომდინარე, სწორი გადაწყვეტილების მიღებას, და, რაც მთავარია, ამ კანონიერების ფარგლებში ასევე სამართლიანი გადაწყვეტილების უზრუნველყოფას“ (გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო, 2020 წლის 27 მაისის განჩინება - 2 BvR 2054/19 -).

ფართოდ გავრცელებული შეხედულებების საწინააღმდეგოდ უნდა ითქვას, რომ საპროცესო სამართალი არ წარმოადგენს მხოლოდ მშრალ, ტექნიკურ სამართლებრივ სივრცეს და სასამართლო პროცესების სტრუქტურირების წმინდა ფორმალურ ინსტრუმენტს. პირიქით, საპროცესო სამართალი არის სამართლისა და სამართლიანობის პრაქტიკული განხორციელების ძირითადი საშუალება და ამით, ცოცხალი სამართალი. ამიტომ არ არის გასაკვირი ის გარემოება, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს და გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა სულ უფრო ღრმად ინტერესდება საკითხით, შეესაბამება თუ არა სასამართლოების მიერ საპროცესო სამართლის გამოყენება სამართლებრივი სახელმწიფოს მოთხოვნებსა და პრინციპებს, იმ მოსაზრებების საწინააღმდეგოდ, რომ, თითქოს მატერიალური სამართალი, როგორც ასეთი, საკმარისია სამართლებრივი სახელმწიფოს მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

საპროცესო სამართლის ამგვარი სამართლებრივ-სახელმწიფოებრივი და პრაქტიკული მნიშვნელობის გათვალისწინებით, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებამ (GIZ) და კერძოდ, სამართლის

პროგრამის წარმომადგენლებმა მიიღეს გადაწყვეტილება, ერთი მხრივ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს და თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო კოლეგიის მოსამართლეებთან და მეორე მხრივ, დრეზდენის უმაღლესი სამხარეო სასამართლოს ყოფილ პრეზიდენტთან (რომელსაც მრავალი ერთობლივი პროექტი და მრავალწლიანი თანამშრომლობა აკავშირებს როგორც უზენაესი, ისე თბილისის სააპელაციო სასამართლოების სამოქალაქო საქმეების განმხილველ მოსამართლეებთან) თანამშრომლობით გამოეცათ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი.

ვინაიდან საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ფესვები გერმანულ სამოქალაქო საპროცესო სამართალში უნდა ვეძებოთ, კომენტარის ძირითადი იდეა მდგომარეობდა იმაში, რომ სხვადასხვა სფეროებში, კერძოდ, იქ, სადაც იურიდიული რეგულაციები ან სულ მცირე, საკანონმდებლო მიზნები და იდეები ორივე სამართლებრივ სისტემაში იდენტური ან შედარებადი იქნებოდა, შედარებით ჭრილში წარმოდგენილი ყოფილიყო ქართული და გერმანული სასამართლო პრაქტიკა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ თვით ამ სფეროებშიც კი, ქართული და გერმანული სამართლებრივი სისტემის კონკრეტული რეგულაციები არ არის ერთმანეთის იდენტური. აქედან გამომდინარე, რიგ სამართლებრივ რეგულაციებთან შეუძლებელი იყო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თითოული ინდივიდუალური დებულების პირდაპირ შედარება გერმანულ სასამართლო პრაქტიკასთან. სწორედ ამ მიზეზით, შერჩეულ იქნა მიდგომა, რომლის თანახმადაც გერმანული სასამართლო პრაქტიკა გადმოცემული და დაჯგუფებულია თემატურად (მაგალითად, წარმოდგენილია დაუსწრებელ გადაწყვეტილებასთან, სააპელაციო სასამართლო წარმოებასთან დაკავშირებული თავისებურებები და ა.შ.) და არა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის რომელიმე კონკრეტულ რეგულაციასთან ურთიერთშედარების ჭრილში. აღნიშნული კონცეფციის შესაძლო მინუსები კი დაკომპენსირდა კომენტარისთვის თანდართული ვრცელი და კომპლექსური სარჩევის მეშვეობით.

ზემოთ წარმოდგენილი კონცეფციის შესაბამისად, განხილული და წარმოდგენილი არ არის გერმანიის სასამართლო პრაქტიკა იმ (გერმანიის) სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებებთან დაკავშირებით, რომლებსაც არ უყავს შესატყვისი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში. ეს ანალოგიურად ეხება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის იმ დებულებებსაც, რომლებიც გერმანული საპროცესო სამართლისთვის უცნობია. აღნიშნულის ლოგიკური გაგრძელებაა, რომ (საქართველოს კანონმდებლობისგან ფუდამენტურად განსხვავებუ-

ლი) გერმანული საპროცესო სამართლის ინსტიტუტები, მაგალითად, როგორცაა, საოჯახო სამართალი, ნებაყოფლობითი მართლმსაჯულება, იძულებითი აღსრულების სამართალი და სასამართლო პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებული მთელი რიგი რეგულაციები (სარჩელის წარდგენა, ჩაბარება, წარმოების მომზადება და განხორციელება) და მათთან დაკავშირებული სასამართლო პრაქტიკა გერმანული მხრიდან არ არის წარმოდგენილი წინამდებარე კომენტარში. ქართულ ნაწილში კი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კონკრეტული მუხლების შერჩევასა არჩევანი გაკეთდა იმ ნორმებზე, რომლებიც პრობლემური ან სხვა კუთხით საინტერესო და მნიშვნელოვანია ქართული სამართლებრივი პრაქტიკისთვის.

გერმანული კომენტარი ორიენტირებულია უმაღლესი ინსტანციების სასამართლოების, როგორცაა, უმაღლესი ფედერალური სასამართლოს პრაქტიკა. ვინაიდან წინამდებარე კომენტარი წმინდად პრაქტიკული დანიშნულებისაა, მასში არ არის განხილული და წარმოდგენილი გერმანიის იურიდიულ წრეებსა თუ ნაშრომებში განხილული სამეცნიერო დისკუსიები სადავო საკითხებთან დაკავშირებით და არც გერმანიის სასამართლო გადაწყვეტილებების ღრმა იურიდიული არგუმენტაცია. თუმცა, განსაკუთრებულად მნიშვნელოვან ადგილებში, მეტი თვალსაჩინოობისთვის განთავსებულია ამონარიდები სასამართლო გადაწყვეტილებებიდან, სადაც იკითხება გერმანიის სასამართლოების არგუმენტაცია.

გერმანიის სასამართლოების გადანტევილებები ციტირებულია საქმის სარეგისტრაციო ნომრების და გამოქვეყნებული წყაროების მიხედვით. დაინტერესებულ მკითხველებს ეს შესაძლებლობას აძლევს, გადანყვეტილებებზე ინტერნეტშიც მოიპოვოს წვდომა. გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლოს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები (2000 წლის შემდეგ) იძებნება შემდეგი ლინკის მეშვეობით: <https://juris.bundesgerichtshof.de/cgi-bin/rechtsprechung/list.py?Gericht=bg h&Art=en&Datum=Aktuell&Sort=12288>

ყველაზე მარტივია, მარცხნივ მენიუში „Dokumentsuche“ (ქართულად: დოკუმენტის ძებნა) ველში „Aktenzeichen/ECLI“ (ქართულად: აქტის ნომერი/ ECLI) აქტის ნომრის შეყვანა (მაგალითად : IX ZR 81/17) და შემდეგ ლილაკზე „Suchen“ (ქართულად: ძებნა) დაჭერა. გახნილ ფანჯარაში დააჭირეთ ბმულს სახელით „საქმის ნომრები“. ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილებების კრებული შესაძლებელია შემდეგ ვებგვერდზე იხილოთ (www.bundesgerichtshof.de). მომდევნო მენიუს ნავიგაცია გერმანული ენის ფლობის გარეშე რთულია.

გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) სამართლის პროგრამის დასრულების გამო, სამწუხაროდ, ველარ განხორციელდება კომენტარის (თავდაპირველად გამიზნული) ინტერაქტიული პროექტი მუდმივად განახლებადი ონლაინ-ვერსიის სახით. თუმცა, თუ საქართველოში კომენტარი ჰპოვებს დადებით გამოხმაურებას, ეს შესაძლოა სხვა გამომცემლებისთვის იქცეს ერთგვარ გამონვევად, რათა მათ განაგრძონ და განავითარონ კომენტარის პროექტი და იმუშაონ მის ინტერაქტიულ ონლაინ ვერსიაზე.

დაბოლოს, მინდა კომენტარს ვუსურვო ბევრი დაინტერესებული მკითხველი სტუდენტების, სამართალმცოდნეების, ადვოკატების და მოსამართლეების წრეებიდან და არა მხოლოდ. იმედს ვიტოვებ, რომ წინამდებარე კომენტარი ხელს შეუწყობს და განავითარებს საქართველოში სამოქალაქო საპროცესო სამართლის გამოყენებას სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპების შესაბამისად და იმავდროულად დაეხმარება ქართველ პრაქტიკოსებს, სამომავლოდ საკუთარი პროცესუალური შეცდომების აღმოფხვრაში.

დრეზდენი, ივნისი, 2020 წ.

ულრიხ ჰაგენლოხი

სარჩევი

მე-3 მუხლი	1
ულრის ჰაგენლოხი: მე-3 მუხლის პირველი ნაწილი	1
ულრის ჰაგენლოხი: მე-3 მუხლის მე-2 ნაწილი	17
ქეთევან მესხიშვილი: მე-3 მუხლი	46
მე-4 მუხლი	73
ულრის ჰაგენლოხი	73
ქეთევან მესხიშვილი	89
მე-13 მუხლი	111
ეკატერინე გასიტაშვილი	111
მე-14 მუხლი	141
ეკატერინე გასიტაშვილი	141
მე-15 მუხლი	153
ულრის ჰაგენლოხი	153
ეკატერინე გასიტაშვილი	157
მე-16 და მომდევნო მუხლები	165
ულრის ჰაგენლოხი: მე-16 და მომდევნო მუხლები	168
ეკატერინე გასიტაშვილი: მე-16 მუხლი	173
ეკატერინე გასიტაშვილი: მე-17 მუხლი	179
ეკატერინე გასიტაშვილი: მე-18 მუხლი	181
ნინო ბაქაქური: მე-19 და მე-19 ¹ მუხლი	183
მე-20 მუხლი	188
ულრის ჰაგენლოხი	188
ნინო ბაქაქური	190
21-ე მუხლი	198
ულრის ჰაგენლოხი	198
ნინო ბაქაქური	204
22-ე მუხლი	220
ნინო ბაქაქური	220
23-ე და მომდევნო მუხლი	226
ულრის ჰაგენლოხი: 23-ე და მომდევნო მუხლი	226
ნინო ბაქაქური: 23-ე მუხლი	231
ნინო ბაქაქური: 24-ე მუხლი	233
29-ე და მომდევნო მუხლები	237
ულრის ჰაგენლოხი	241
47-ე მუხლი	256
ულრის ჰაგენლოხი	257
79-ე და მომდევნო მუხლი	271
ულრის ჰაგენლოხი	271
81-ე მუხლი	292

ულრის ჰაგენლოხი	293
83-ე მუხლი	303
ულრის ჰაგენლოხი	305
83¹-ე მუხლი	310
ულრის ჰაგენლოხი	310
84-ე და მომდევნო მუხლი	323
ულრის ჰაგენლოხი	324
86-ე და მომდევნო მუხლი	333
ულრის ჰაგენლოხი	333
88-ე მუხლი	357
ულრის ჰაგენლოხი	357
89-ე და მომდევნო მუხლები	359
ულრის ჰაგენლოხი	360
102-ე მუხლი	381
ულრის ჰაგენლოხი	381
ქეთევან მესხიშვილი	420
103-ე მუხლი	437
ქეთევან მესხიშვილი	437
104-ე მუხლი	465
ქეთევან მესხიშვილი	465
105-ე მუხლი	481
ულრის ჰაგენლოხი	481
ქეთევან მესხიშვილი	539
106-ე მუხლი	554
ქეთევან მესხიშვილი	554
109-ე და მომდევნო მუხლები	577
ულრის ჰაგენლოხი	578
177-ე და მომდევნო მუხლი	587
ულრის ჰაგენლოხი: 177-ე და მომდევნო მუხლი	590
მზია თოდუა: 177-ე მუხლი	608
180-ე მუხლი	633
ულრის ჰაგენლოხი	633
მზია თოდუა	642
188-ე და მომდევნო მუხლი	646
ულრის ჰაგენლოხი	647
191-ე და მომდევნო მუხლები	654
ულრის ჰაგენლოხი: 191-ე და მომდევნო მუხლები	659
დიანა ბერეკაშვილი / პაატა ქათამაძე: 191-ე მუხლი	684
დიანა ბერეკაშვილი / პაატა ქათამაძე: 196-ე და 199-ე მუხლები	719
201-ე მუხლი	741
ბესარიონ ალავიძე	743
203-ე მუხლი	765

ბესარიონ ალავიძე	765
205-ე მუხლი	778
ბესარიონ ალავიძე	779
207-ე მუხლი	785
ბესარიონ ალავიძე	785
დაუსწრებელი გადაწყვეტილების ცნება და ზოგადი დახასიათება	787
ზურაბ ძლიერიშვილი	787
229-ე და მომდევნო მუხლები	793
ულრის ჰაგენლოხი: 299-ე და მომდევნო მუხლები	796
ზურაბ ძლიერიშვილი: 229-ე მუხლი	812
ზურაბ ძლიერიშვილი: 230-ე მუხლი	831
ზურაბ ძლიერიშვილი: 232 ¹ -ე მუხლი	843
ზურაბ ძლიერიშვილი: 233-ე მუხლი	861
ზურაბ ძლიერიშვილი: 241-ე მუხლი	879
ზურაბ ძლიერიშვილი: 242-ე მუხლი	915
243-ე მუხლი	926
ულრის ჰაგენლოხი	926
245-ე მუხლი	939
ულრის ჰაგენლოხი	939
246-ე მუხლი	945
ულრის ჰაგენლოხი	945
249-ე მუხლი	952
ულრის ჰაგენლოხი	952
264-ე მუხლი	968
ულრის ჰაგენლოხი	969
266-ე მუხლი	989
პაატა ქათამაძე	989
364-ე და მომდევნო მუხლები	1011
ულრის ჰაგენლოხი	1014
399-ე და მომდევნო მუხლები	1059
ულრის ჰაგენლოხი	1061
414-ე და მომდევნო მუხლები	1116
ულრის ჰაგენლოხი	1116
421-ე და მომდევნო მუხლები	1120
ულრის ჰაგენლოხი	1123
ანბანური საძიებელი (ქართულ-გერმანული)	1136

მუხლი 3. დისპოზიციურობის პრინციპი

1. მხარეები იწყებენ საქმის წარმოებას სასამართლოში, ამ კოდექსში ჩამოყალიბებული წესების შესაბამისად, სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით. ისინი განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის (განცხადების) შეტანის შესახებ.

2. მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას სარჩელზე, ხოლო მოპასუხეს – ცნოს სარჩელი.

ულრის ჰაბენლუსი.....	1
მე-3 მუხლის პირველი ნაწილი.....	1
მე-3 მუხლის მე-2 ნაწილი.....	17
ქითევეან მისხიშვილი	46
მე-3 მუხლი.....	46

ულრის ჰაბენლუსი მე-3 მუხლის პირველი ნაწილი

ქართული სსკ-დან მოყვანილი ნორმები:

- მე-3 მუხლი
- 248-ე მუხლი (მხარეთა განცხადებების სავალდებულობა), ა.ნ. (აბზაცი ნომერი) 18 და მომდევნო აბზაცები

დისპოზიციურობის პრინციპი

1. გერმანიაში არ გვაქვს ცალკე განსაზღვრება დისპოზიციურობის პრინციპთან დაკავშირებით. თუმცა, ზოგადი მოსაზრებაა, რომ გერმანულ სამოქალაქო საპროცესო სამართალში მოქმედებს დისპოზიციურობის პრინციპი, რაც გვხვდება კიდევ მრავალ საკანონმდებლო რეგულაციაში. ქართული სამოქალაქო საპროცესო სამართლის მსგავსად, დისპოზიციურობის პრინციპი გერმანულ სამართალშიც შეუზღუდავად მოქმედებს წარმოების დაწყებისა და დავის საგნის განსაზღვრისას. სამართალწარმოების პროცესის ფორმირება გერმანულ სამოქალაქო საპროცესო სამართალში, როგორც წესი, მოსამართლის ძირითადი მოვალეობაა. ზოგადი საპროცესო წინაპირობები, როგორცაა მხარედ ყო-

ფნის ან საპროცესო უნარიანობა, სრულად გადის მხარეთა დისპოზიციურობის უფლებამოსილებიდან: გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის § 56-ის მიხედვით*, მათ საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე - მათ შორის, საკასაციო ინსტანციაშიც - მოსამართლე ამონებებს საკუთრი ინიციატივით (იხ. 81-ე მუხლის კომენტარი, ა.ნ. 17).

2. ცალკეული საკითხები:

ა) **შეჯიბრებითობის პრინციპი** ნიშნავს, რომ მხოლოდ მხარეები წყვეტენ, თუ რომელ გარემოებებსა და, მაშასადამე, ფაქტებს წარმოადგენენ, ხოლო სამართლებრივი შეფასება კი სასამართლოს კომპეტენციაა.

აა) სასამართლომ საკუთარი გადაწყვეტილება უნდა დააყრდნოს **მონინააღმდეგე მხარის მიერ წარმოდგენილ მეორე მხარისთვის ხელსაყრელ ფაქტებს ან მტკიცებულების შეფასების ხელსაყრელ შედეგებს** - თუმცა, შეძლებისდაგვარად მას შემდეგ, რაც შესაბამის სამართლებრივ მითითებას გააკეთებს - იმ შემთხვევაშიც კი, თუ სარგებლის მიმღები მხარე ამაზე პირდაპირ არ უთითებს. ამ მიდგომას საფუძვლად უდევს მოსაზრება, რომ მხარე, როგორც წესი, დამატებითი მოთხოვნის ფარგლებში მაინც მიუთითებს მისთვის ხელსაყრელ გარემოებებზე, თუნდაც ეს გამომდინარეობდეს მონინააღმდეგე მხარის მიერ გაკეთებული განმარტებებიდან, ან მტკიცებულებების შეგროვების შედეგიდან (BGH, Urteil vom 29.08.2018 - VII ZR 195/14 - NJW-RR 2018, 1287; BGH, Urteil vom 18.01.2018 - I ZR 15/15 - NJW 2018, 2412; BGH, Beschluss vom 24.03.2015 - VI ZR 179/13 - NJW 2015, 2125). საერთო ჯამში, საქმე გვაქვს შეფასებასთან, რომელიც ითვალისწინებს (სავარაუდო) საპროცესო ქცევის ორივე მხარის ინტერესებს (იხ. მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის კომენტარი, ა.ნ. 52 და მომდევნო აბზაცები), და არა დისპოზიციურობის პრინციპის დარღვევასთან. თუმცა, ამასთანავე გასათვალისწინებელია, რომ მხარის ურთიერთგამომრიცხავი ახსნა-განმარტებები პროცესუალურად დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როცა ამ განცხადებებს შორის არსებობს იერარქიული ურთიერთმიმართება („პირველადი“, „მეორადი“), (BGH, Urteil vom 18.01.2018 - I ZR 15/15 - NJW 2018, 2412; ცალ-ცალკე დავის საგანთან დაკავშირებულ სამართლებრივ შედეგებზე იხ. მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის კომენტარი, ა.ნ. 18 და მომდევნო აბზაცები). გარდა ამისა, დაუ-

* ამასთან დაკავშირებით, დამატებით უნდა აღნიშნოს, რომ გერმანული სამოქალაქო საპროცესო კოდექსი თარგმნილია ინგლისურ ენაზე: https://www.gesetze-im-internet.de/englisch_zpo/index.html.

შეგებელია, როგორც დისპოზიციურობის პრინციპის სამართლებრივი შედეგი, მხარეს თავს მოახვიო მონინაალმდეგის მიერ გაკეთებული მისთვის ხელსაყრელი ახსნა-განმარტება, ან მტკიცებულების შეგროვების მისთვის ხელსაყრელი (თუმცა მის მიერ მიუთითებელი) „დამატებითი პროდუქტი“, რამდენადაც მხარე სადავოდ ხდის მას (BGH, Urteil vom 18.01.2018 - I ZR 15/15 - NJW 2018, 2412; BGH, Urteil vom 23.06.1989 - V ZR 125/88 - NJW 1989, 858).

ბბ) სასამართლო თავისუფალია **სამართლებრივი შეფასებისას**.

მაშასადამე, მხარეებს არ შეუძლიათ - არც ცალკე და არც ერთობლივად - სასამართლოს იძულება, წარმოდგენილი ფაქტობრივი გარემოებები შეამონმოს მხოლოდ ან უპირატესად ერთი განსაზღვრული სამართლებრივი ასპექტის ფარგლებში, ან არ განიხილოს მოთხოვნის უფლების კონკრეტული მატერიალური საფუძველი. განსაკუთრებით მოთხოვნის უფლებათა კონკურენციის პირობებში, მხოლოდ სასამართლოს საქმეა, გადანყვიტოს, თუ რომელი სამართლებრივი ასპექტებით (აგრეთვე, წინდახედულობიდან გამომდინარე, ე.წ. დამატებითი დასაბუთებებით) დაასაბუთებს გადანყვიტილებას, რომლითაც აკმაყოფილებს სარჩელს. როდესაც სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარს ამბობს, სასამართლომ, ამისგან განსხვავებით, უნდა განიხილოს მოთხოვნის უფლების ყველა ის სამართლებრივი საფუძველი, რომლებსაც შეიძლება დააყრდნოს თავისი გადანყვიტილება; მეტიც, ეს უნდა მოხდეს იმისგან დამოუკიდებლად, თუ რომელ სამართლებრივ შეხედულებებს შეეხნენ მხარეები საქმისწარმოებისას (ამასთან დაკავშირებით უფრო დაწვრილებით იხ. მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის კომენტარი, ა.ნ. 11 და მომდევნო აბზაცები). თუმცა, მანამდე საჭიროა, რომ სასამართლომ მხარეებს მიუთითოს იმ სამართლებრივ ასპექტებზე, რომლებიც მხედველობიდან გამორჩა (იხ. მე-4 მუხლის კომენტარი, ა.ნ. 12 და მომდევნო აბზაცები). ეს თემატიკა გარკვეულ მნიშვნელობას იძენს ისეთ საკითხთან მიმართებით, თუ შემონმების რა კომპეტენცია აქვს სპეციალური ტერიტორიული განსჯადობის სასამართლოს (იხ. მე-16 და მომდევნო მუხლების კომენტარი, ა.ნ. 12 და მომდევნო აბზაცები).

თუმცა, სასამართლო პრაქტიკა **მარტივ სამართლებრივ ცნებებს**, რომლებიც სამართალბრუნვის ყველა მონაწილისთვის ნაცნობია (მაგ.: საკუთრებისა და ნასყიდობის ხელშეკრულებები) ისე განიხილავს, **როგორც ფაქტებს** (BGH, Urteil vom 29.07.2014 - II ZR 353/12 - BGHZ 202, 180; BGH, Urteil vom 02.06.1995 - V ZR 304/93 - MDR 1996, 578). როგორც ნესი, ამით მხარე ასრულებს მასზე დაკისრებულ მტკიცების ტვირთს, რო-

დესაც ის შესაბამის კონტექსტში მიუთითებს, რომ ნივთი განსაზღვრული პირის საკუთრებაშია, ან მოწინააღმდეგე მხარისგან შეიძინა. ეს მით უფრო მოქმედებს, თუ მხარეები ერთნაირ პასუხს გასცემენ წინასწარ დასმულ გარკვეულ სამართლებრივ კითხვებს.

სამართლებრივი შეფასებების ეს მბოჭავი ძალა საბოლოოდ მხოლოდ ანაცვლებს მხარის დასაბუთებულ ახსნა-განმარტებას. თუ მხარეთა ახსნა-განმარტებებისგან გამომდინარეობს, რომ წარმოდგენილი სამართლებრივი ურთიერთობა ვერ იარსებებს სამართლებრივი საფუძვლებიდან გამომდინარე (მაგ.: მხარეები ერთხმად განაცხადებენ, რომ მათ დადეს ნასყიდობის ხელშეკრულება ზეპირი ფორმით, რისთვისაც კანონი სანოტარო წესით დამოწმებას ითვალისწინებს), ეს მბოჭავი ძალა არ იქნება სახეზე. აქედან გამომდინარე, მხარეთა ახსნა განმარტება - შესაბამისი სამართლებრივი მითითების შემდეგ - დაუსაბუთებლად უნდა ჩაითვალოს. პასუხი ყოველთვის ერთმნიშვნელოვანი არ არის კითხვაზე, თუ რა მოცულობით უნდა „დადგინდეს უდავოდ“ სამართლებრივი ურთიერთობები იმ შემთხვევაშიც კი, როცა მათი არსებობა ან არარსებობა არაერთმნიშვნელოვანი სამართლებრივი შეფასების შედეგია (იხ.: BGH, Urteil vom 09.05.2017 - XI ZR 314/15 – MDR 2017, 839; BGH, Urteil vom 02.06.1995 - V ZR 304/93 - MDR 1996, 578).

გგ) დისპოზიციურობის პრინციპი არ აბრკოლებს სასამართლოს **პროცესის აქტიურად მართვაში**.

§ 139 GER-ZPO-ს მიხედვით, მოსამართლემ, საჭიროებისამებრ, მხარეებთან ერთად უნდა განიხილოს მათ შორის საქმესა და დავასთან დაკავშირებული ურთიერთობა - როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი კუთხით - და დასვას კითხვები. მოსამართლემ ხელი უნდა შეუწყოს მხარეთა მიერ დროული და სრულყოფილი განმარტებების გაკეთებას ყველა არსებით ფაქტზე; განსაკუთრებით იმას, რომ მხარეებმა განავრცონ არასაკმარისად წარმოდგენილი მითითებები მოყვანილ ფაქტებზე, დაასახელონ მტკიცებულებები და დააყენონ საქმისთვის მნიშვნელოვანი შუამდგომლობები (შდრ. ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით, მე-4 მუხლის კომენტარი, ა.ნ. 12 და მომდევნო აბზაცები). სასამართლოს ეს ვალდებულება საქმისწარმოების ხელშეწყობის მხრივ გავლენას არ ახდენს შეჯიბრებითობის პრინციპზე, ვინაიდან მხარეებს სრული დამოუკიდებლობა აქვთ, რომ გადაწყვიტონ, რა სახით მოახდენენ რეაგირებას მოსამართლის მითითებებზე. განსაკუთრებით, დაურთავენ თუ არა საქმეს იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც მათთვის ხელსაყრელი იქნებოდა მოსამართლის მითითების მიხედვით (შდრ. Greger in: Zöller,

Zivilprozessordnung, 32. Aufl. 2017, Vorbemerkungen zu §§ 128-252 Rn. 10a).

დღ) გერმანიაში მხარეთა დისპოზიციურობის უფლებამოსილება არ ვრცელდება **სასამართლოში მიმდინარე სამართალწარმოების პროცესზე**.

ზოგიერთი კანონისმიერი დებულება - მსგავსად საქართველოში არსებული მდგომარეობისა - მხარეებს უხსნის შესაძლებლობას, რომ საკუთარი წვლილი შეიტანონ საქმისწარმოებაში (მაგ.: შეცვალონ სარჩელი პროცესუალური კანონმდებლობის შესაბამისად გათვალისწინებულ ფარგლებში, გაზარდონ სარჩელის ფარგლები, ან უკან გამოიხმონ ის). ასევე ხდება, როცა საქმე ეხება მხარის შესაძლებლობას, დაეთანხმოს საქმისწარმოებას ზეპირი განხილვის გარეშე (ე. წ. წერილობითი წარმოება; § 128 GER-ZPO – ამონარიდები ციტირებულია მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის კომენტარიდან, ა.ნ. 46). გარდა ამისა, მხარეებს შეუძლიათ, საქმე დაამთავრონ ამასთან დაკავშირებული თანმხვედრი განცხადების გაკეთებით (იხ. 83¹ მუხლის კომენტარი, ა.ნ. 17 და მომდევნო აბზაცები).

ეე) გერმანულ სამოქალაქო საპროცესო კოდექსში დისპოზიციურობის პრინციპზე ვრცელდება გარკვეული **შეზღუდვები**, რაც მომდინარეობს, ნაწილობრივ, საკანონმდებლო დებულებებიდან და, ნაწილობრივ, სასამართლო პრაქტიკიდან. მაგალითად, სავალდებულოა საკანონმდებლო რეგულაციები ხარჯების დაკისრებასთან დაკავშირებით (§ 308 GER-ZPO) (გარკვეული შეზღუდვებით საქმის დამთავრების თანმხვედრი განცხადების შემთხვევაში). ეს ეხება დროებით აღსრულებადობასთან დაკავშირებულ გადანყვეტილებებსაც.

მოსამართლეს აგრეთვე შეუძლია კითხვები დაუსვას მხარეებს (§ 278 Abs. 3, § 139 Abs. 1 GER-ZPO), მოითხოვოს დოკუმენტაციის წარმოდგენა (§ 142 Abs. 1, § 273 Abs. 2 Nr. 5 GER-ZPO), გამოითხოვოს ოფიციალური ინფორმაცია (§ 273 Abs. 2 Nr. 2 GER-ZPO) და მიიღოს გადანყვეტილება ადგილზე დათვალთქმობასა ან ექსპერტიზის დანიშვნაზე (§ 144 Abs. 1 GER-ZPO). თუმცა, **მოსამართლის მიერ საქმის გარემოებების გამორკვევა** უნდა შემოიფარგლოს იმ სფეროებით, რომლებიც მხარეებმა აქციეს დავის საგნად, ასევე, მათ მიერ წარმოდგენილი ფაქტებით. რაც შეეხება დავის საგანს, მის მიმართ შეუზღუდავად მოქმედებს დისპოზიციურობის პრინციპი; განსაზღვრულობის პრინციპი გარკვეულწილად იზღუდება მხოლოდ დავის საგნის მიერ დადგენილ ფარგლებში (ამასთან დაკავშირებით, დაწვრილებით იხ. მე-4 მუხლის კომენტარი, ა.ნ. 2 და მომდევნო აბზაცები). უფრო გასაგები რომ იყოს, გერმანიაში ამ

მხრივ არსებული მდგომარეობა შეიძლება შემდეგნაირად წარმოვიდგინოთ: მხარეები ადგენენ სათამაშო მოედნის ფარგლებს და არიან თამაშის მონაწილეები, ხოლო მოსამართლე, მისთვის სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებულ ფარგლებში, განსაზღვრავს თამაშის მიმდინარეობასა და წესებს ამ მოედანზე.

ვვ) მხარეთა დისპოზიციურობის უფლებამოსილება არაპირდაპირ შეზღუდულია **პროცესის ხელშეწყობის ვალდებულებითაც** (იხ. აგრეთვე 364-ე და მომდევნო მუხლების კომენტარი, ა.ნ. 79 და მომდევნო აბზაცი).

მხარეების მიერ პროცესი აქტიური ხელშეწყობის ვალდებულების ბირთვია § 138 GER-ZPO:

(1) მხარეებმა ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებული ახსნა-განმარტებები უნდა წარმოადგინონ სრულყოფილად და სიმართლის შესაბამისად.

(2) თითოეულმა მხარემ საკუთარი მოსაზრება უნდა წარმოადგინოს მოწინააღმდეგე მხარის მიერ მითითებულ ფაქტებზე;

(3) განმარტებისას არცოდნაზე მითითება დასაშვებია მხოლოდ იმ ფაქტებთან მიმართებით, რომლებიც არც მხარის ქმედებებში შედის და არც მისი აღქმის საგანი იყო.

თუმცა, პროცესის ხელშეწყობის ვალდებულება - თუ არ ჩავთვლით მოწინააღმდეგე მხარის მიერ განსაზღვრული დოკუმენტაციის წარმოდგენას (§§ 421 ff. GER-ZPO) - ვერ შესრულდება გარკვეული იძულებითი საშუალებების გამოყენებით. თუ მხარე არ შეასრულებს აღნიშნულ ვალდებულებას, ეს, კონკრეტული საქმის ვითარებიდან გამომდინარე, გავლენას იქონიებს მოწინააღმდეგე მხარის მიერ ფაქტების წარმოდგენის დასაბუთებულობის ვალდებულების მოცულობაზე (მაგ.: ე.წ. მეორადი მითითების ტვირთის ფარგლებში), ან მოსამართლის მიერ მტკიცებულების შეფასებაზე.

ბ) საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (GEO-ZPO) მე-3 მუხლსა და 248-ე მუხლში წარმოდგენილი **მხარეთა განცხადებების სავალდებულოობა** შეესაბამება გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის §308-ს (GER-ZPO). ამასთან დაკავშირებით, ძირითადად აღიარებენ შემდეგ პრინციპებს:

§ 308 GER-ZPO-ს მიხედვით განსაზღვრული მხარეთა განცხადებების სავალდებულოობა არ შემოიფარგლება სასარჩელო მოთხოვნიდან გამომდინარე პროცესუალური მოთხოვნით (მაგ.: განსაზღვრული ფულადი თანხის გადახდით). ერთიანი მოსაზრებით, მხოჭავი ძალა, § 308 GER-ZPO-ს ტექსტის გარდა, ვრცელდება პროცესუალურ დავის საგანზეც. მა-

შასადამე, ის შედეგება როგორც სარჩელში წარმოდგენილი პროცესუალური მოთხოვნისგან, ასევე ფაქტობრივი ახსნა-განმარტებებისგან, რომლებსაც მოსარჩელე უკავშირებს მის მიერ განსახორციელებელ უფლებას (ე.წ. **ორნაწილიანი დავის საგანი**: BGH, Urteil vom 19.12.1991 - IX ZR 96/91 - BGHZ 117, 1; BGH, Beschluss vom 18.09.2018 - XI ZR 74/17 - juris; BGH, Urteil vom 26.09.2000 - VI ZR 279/99 - NJW 2001, 157). მაშასადამე, გერმანულ საპროცესო სამართალში დავის საგანია არა მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნის უფლება, რომელსაც მოსარჩელე საკუთარ ახსნა-განმარტებებს აფუძნებს, არამედ უფლება, რომლის დაცვასაც ის ითხოვს (კანონიერი ძალის მოქმედების მნიშვნელობასთან დაკავშირებით, უფრო დანვრილებით იხ. მე-10 მუხლის კომენტარი, ა.ნ. 9). მას განსაზღვრავს **სასარჩელო მოთხოვნა**, სადაც დაკონკრეტებულია მოსარჩელის სასურველი სასამართლო გადაწყვეტილება და ის **ფაქტობრივი გარემოებები** (მოთხოვნის უფლების საფუძველი), რომლებსაც იგი უკავშირებს სასურველ სამართლებრივ შედეგს (BGH, Urteil vom 29.06.2006 - I ZR 235/03 - BGHZ 168, 179; BGH, Urteil vom 22.11.2018 - IX ZR 14/18 - juris; BGH, Urteil vom 21.11.2017 - II ZR 180/15 - NJW 2018, 1259; BGH, Urteil vom 26.09.2000 - VI ZR 279/99 - NJW 2001, 157). აქედან გამომდინარე, დავის საგანს განსაზღვრავს მხოლოდ მოსარჩელე, ან, შესაბამისად, მოპასუხე - შეგებებული სარჩელებით (BGH, Beschluss vom 13.09.2018 - I ZB 4/18 - juris), და მოპასუხის შესაგებლებს ვერასდროს ექნება გავლენა დავის საგანზე.

ა) მოთხოვნის ფარგლების სავალდებულოობა იწვევს იმას, რომ ვერ იქნება მიკუთვნებული ვერც მეტი და ვერც გაუთვალისწინებელი, თუმცა, ბუნებრივია (რამდენადაც დავის საგანი გაყოფადია), ყოველთვის შესაძლებელია ნაკლების განსაზღვრა. ამასთან, უმჯობესია, მოსამართლემ ეს წინასწარ მიუთითოს მხარეებს. თუ მოსამართლე, ამისგან განსხვავებით, უბრალოდ სხვაგვარად ჩამოაყალიბებს იმავე შინაარსის მოთხოვნის უფლებას (მაგ.: რათა უფრო გასაგები გახდეს გადაწყვეტილება კანონიერი ძალისა და აღსრულებადობის კუთხით), ეს არ გახლავთ პრობლემა. ბუნებრივია, გაცილებით გონივრული იქნება, სასამართლო სხდომაზე შეეწყოს ხელი, რომ სასარჩელო მოთხოვნა საგნობრივად უფრო გასაგები იყოს.

მაგალითები სასამართლო პრაქტიკიდან:

- როგორც § 244 Abs. 1 GER-BGB რეგულაცია მოწმობს, უცხოურ და ეროვნულ ვალუტაში გამოსატული ფულადი ვალდებულება არ არის ერთი და იგივე. ეს ნიშნავს § 308 Abs. 1 GER-ZPO-ს დარღვევას, რადგან

გადახდის მოთხოვნის უფლება არ დაკმაყოფილდება მოთხოვნილ ვალუტაში (BGH, Urteil vom 07.04.1992 - X ZR 119/90 - WM 1993, 2011).

- პენსიის გადახდის დაკისრება, როდესაც სახეზეა გადახდის მოთხოვნა, რომელიც მიემართება განსაზღვრული ოდენობის კაპიტალის ერთჯერადად გადახდას, ხარისხობრივად სულ სხვა რამაა. მაშასადამე, ეს არის სულ სხვა ნივთის გადაცემა „Aliud“, და არა იმაზე ნაკლების „Minus“, ვიდრე მოთხოვნილი იყო (BGH, Urteil vom 21.07.1998 - VI ZR 276/97 - NJW 1998, 3411).

- მოთხოვნის უფლების დათმობის ან სხვა საპირისპირო შესრულების სანაცვლოდ, ხელიხელში გადახდის დაკისრების გადანყვეტილება უფრო ნაკლებია იმ გადახდის მოთხოვნის მიმართ, რომელიც არ ექვემდებარება განხორციელების შემაფერხებელი შესაგებლის წარმოდგენას. აქედან გამომდინარე, § 308 Abs. 1 Satz 1 GER-ZPO არ ეწინააღმდეგება მსგავსი გადანყვეტილების გამოტანას (BGH, Urteil vom 19.12.1991 - IX ZR 96/91 - BGHZ 117, 1; BGH, Urteil vom 12.05.1958 - II ZR 103/57 - BGHZ 27, 241).

- გადახდის დაკისრების სარჩელის შემთხვევაში, მოსამართლემ შეიძლება მიიღოს გადანყვეტილება, რომელიც მხარეს ათავისუფლებს ვალდებულების შესრულებისგან (OLG Frankfurt, Urteil vom 27.06.1989 - 3 UF 274/88 - FamRZ 1990, 49); ან აღიარებით სარჩელზე გამოიტანოს თანხიდან გამომდინარე შეზღუდული გადანყვეტილება (BGH, Urteil vom 09.04.1992 - IX ZR 304/90 - BGHZ 118, 70).

§ 308 Abs. 1 GER-ZPO დაირღვევა, თუ სასამართლო უარს ეუბნება მხარეს უფლებაზე, რომელიც მოთხოვნილი არ არის (BGH, Urteil vom 29.11.1990 - I ZR 45/89 - NJW 1991, 1683). მხოლოდ ასე შეიძლება - შესაბამისად, § 308 Abs. 1 GER-ZPO დარღვევის საფუძველზე შეტანილი სარჩელით - თავიდან აცილება, რომ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარმა არ შეიძინოს მატერიალურ-სამართლებრივი ძალა.

თუ პირველი ინსტანციის სასამართლომ მხარეს მიანიჭა უფლება, რომელიც არ იყო მოთხოვნილი, და მოსარჩელე სასამართლოს ამ ქმედების წინააღმდეგ მოპასუხის საჩივარზე მეორე ინსტანციაში მოითხოვს უარის თქმას საჩივრის დაშვებაზე, ფაქტობრივად გასწორდება პირველი ინსტანციის პროცესუალური შეცდომა მეორე ინსტანციაში. ვინაიდან საჩივრის დაშვებაზე უარის მოთხოვნაში კონკლუდენტურად ჩადებულია სარჩელის გაზრდა (პირველ ინსტანციაში მოთხოვნის გარეშე მინიჭებული თანხის ოდენობით), ეს აყენებს წინაპირობას, რომ საპროცესო სამართალი ზოგადად ითვალისწინებდეს სარჩელის გაზრდას, როგორც სასარჩელო საგნის შეცვლის სპეციალურ ფორმას მეორე ინსტანციაში საქმი-

სწარმოებისას (BGH, Urteil vom 20.04.1990 - V ZR 282/88 - BGHZ 111, 158; BGH, Urteil vom 29.11.1990 - I ZR 45/89 - NJW 1991, 1683).

§ 308 GER-ZPO-ის დარღვევისას, როგორც წესი, ირღვევა სასამართლო მოსმენის კონსტიტუციურ-სამართლებრივი უფლებაც, Art. 103 Abs. 1 GER-GG-ის მიხედვით (იხ.: Art. 4 Rn. 3 ff., Art. 105 Rn. 31 ff. und Art. 191 ff. Rn. 22), (BGH, Beschluss vom 16.05.2017 - VI ZR 25/16 - MDR 2017, 1076).

ბბ) ხშირად, განსაკუთრებით რთულია შეფასება, თუ რომელი **ფაქტობრივი გარემოებები** უდევს საფუძვლად სასამართლო გადაწყვეტილებას. რაც უნდა გასაგები იყოს ზოგადი პრინციპები, ყოველთვის მარტივად გასამიჯნი როდია, რა უდევს საფუძვლად სასარჩელო მოთხოვნას - სამართლებრივად ერთიანი დავის საგანი, თუ რამდენიმე დავის საგანი.

(1) ეს ფასდება არა მკაცრად ფორმალურად, არამედ „**ბუნებრივი დაკვირვების**“ შედეგად, იმის საფუძველზე, თუ რამდენად ეხება საქმე წარმოდგენილი ფაქტებისას ერთიან მოვლენას (BGH, Urteil vom 14.03.2017 - VI ZR 605/15 - VersR 2017, 822). გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლო ხშირად მიდის დასკვნამდე, რომ დავის საგანი მოიცავს ყველა იმ ფაქტს, რომლებიც, ბუნებრივი (მხარეების გადმოსახედიდან გამომდინარე და ფაქტობრივი გარემოებების არსის გათვალისწინებით) შეფასებისას, განეკუთვნება ფაქტების იმ ერთობლიობას, რის საფუძველზეც სასამართლომ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება (BGH, Urteil vom 22.10.2013 - XI ZR 42/12 - BGHZ 198, 294; BGH, Urteil vom 13.01.2009 - XI ZR 66/08 - NJW-RR 2009, 790; BGH, Urteil vom 25.10.2012 - IX ZR 207/11 - NJW 2013, 188).

დავის საგანი მოიცავს ყველა **მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნის უფლებას**, რომელიც გამომდინარეობს გადაწყვეტილების მისაღებად წარმოდგენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან. ეს მოქმედებს იმის მიუხედავად, წარმოადგინეს თუ არა მხარეებმა ცალკეული ფაქტობრივი გარემოებები, აგრეთვე, იცოდნენ თუ არა იმ ფაქტების შესახებ, რომლებიც არ წარმოუდგენიათ მოსამზადებელ სხდომაზე, და შეეძლოთ თუ არა მათი წარმოდგენა (BGH, Urteil vom 22.10.2013 - XI ZR 42/12 - BGHZ 198, 294; BGH, Urteil vom 19.11.2003 - VIII ZR 60/03 - BGHZ 157, 47; BGH, Urteil vom 13.09.2012 - I ZR 230/11 - BGHZ 194, 314). ამას, თავის მხრივ, მნიშვნელობა აქვს მატერიალური კანონიერების ძალის მოქმედებისთვის (ამასთან დაკავშირებით უფრო დანვრილებით იხ. მე-10 მუხლის კომენტარი, ა.ნ. 9).

რამდენადაც სახეზეა ერთიანი დავის საგანი, სასამართლოს უფლება აქვს, სხვადასხვა (სამართლებრივად არაადამოუკიდებელი) მოთხოვნისგან შემდგარი საერთო მოთხოვნის შემთხვევაში, გადაადგილოს ცალკეული მოთხოვნები, რამდენადაც ის ჯამურ თანხას არ გასცდება; ამასთან, ცალკეულ მოთხოვნებთან დაკავშირებით, § 308 GER-ZPO (სსკ-ის 248-ე მუხლი GEO-ZPO), მას შეუძლია, დაურღვევლად გასცდეს მოთხოვნის ფარგლებს (BGH, Urteil vom 16.11.1989 - I ZR 15/88 - NJW-RR 1990, 997). უნდა განიხილონ თუ არა „საბუღალტრო ანგარიშსწორებისას“ ჯამური მოთხოვნის ფარგლებში წარმოდგენილი ცალკეული მოთხოვნები, როგორც სამართლებრივად დამოუკიდებელი ან, შესაბამისად, არაადამოუკიდებელი, ეს საკითხი მატერიალური სამართლის (და არა სამოქალაქო საპროცესო სამართლის) საგანია. აღნიშნული თემატიკა აქტუალურია გერმანულ სამართალში, განსაკუთრებით, ზიანის ანაზღაურების ცალკეული შესაძლებლობებისას, როდესაც ზიანი ერთიანად დგება (BGH, Urteil vom 23.05.2017 - VI ZR 9/17 – NJW 2017, 2401). ასეთი რამ გვხვდება, როცა საქმე ეხება: უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლების ცალკეულ, ღია მოთხოვნებს (BGH, Urteil vom 27.09.2013 - V ZR 52/12 – NJW 2014, 854), თუმცა არა სახელშეკრულებო პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის მოთხოვნის უფლებას [BGH Urteil vom 30.06.2017 - V ZR 134/16 - BGHZ 215, 157]; კომპენსაციის უფლების ცალკეულ მოთხოვნებს, როდესაც პარტნიორი გამოდის საზოგადოებიდან (BGH, Urteil vom 11.09.2018 - II ZR 161/17 - ZIP 2018, 2267; BGH, Urteil vom 08.12.2015 - II ZR 333/14 - MDR 2016, 470); ან გადასახდელი ღია ვალდებულებების ცალკეულ მოთხოვნებს დასრულებული ფაქტორინგის ხელშეკრულების შემთხვევაში (BGH, Urteil vom 30.06.2017 - V ZR 134/16 - BGHZ 215, 157; BGH, Urteil vom 07.07.1993 - VIII ZR 103/92 - BGHZ 123, 137).

ეს საკითხები მნიშვნელოვანია არა მხოლოდ მხარეთა განცხადებების მბოჭავი ძალის შემთხვევაში, არამედ, უპირველეს ყოვლისა, მოსამართლის მითითების ვალდებულებათა მოცულობასა და ფარგლებთან მიმართებით (იხ. მე-4 მუხლის კომენტარი, ა.ნ. 33 და მომდევნო აბზაცები), კანონიერი ძალის მოქმედებისა და შემდგომ პროცესში ფაქტების წარმოდგენის გამორიცხვისას (იხ. მე-10 მუხლის კომენტარი, ა.ნ. 38 და მომდევნო აბზაცები), სასარჩელო მოთხოვნის განსაზღვრულობასთან დაკავშირებული მოთხოვნებისას (იხ. 177-ე და მომდევნო მუხლის კომენტარი, ა.ნ. 6 და მომდევნო აბზაცები) და ნაწილობრივი გადანყვეტილების დასაშვებობისას, ანდა, შესაბამისად, ნაწილობრივი სარჩელის მიმართ პრო-

ცესუალური მოთხოვნების დროს (იხ. 177-ე და მომდევნო მუხლის კომენტარი, ა.ნ. 16 და 245-ე მუხლის კომენტარი, ა.ნ. 12).

(2) თუ რომელი ფაქტობრივი გარემოებები ქმნის სამართლებრივად ერთიან დავის საგანს და რომელი წინაპირობების არსებობისას გვაქვს რამდენიმე დავის საგანი, ამ საკითხზე გერმანიაში მდიდარი **სასამართლო პრაქტიკა** არსებობს. ქვემოთ წარმოგიდგენთ რამდენიმე მაგალითს.

- **საკუთარი და დათმობილი უფლებიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლებები** ქმნის ცალ-ცალკე დავის საგანს (BGH, Urteil vom 29.11.1990 - I ZR 45/89 - NJW 1991, 1683). აღნიშნული მიდგომა ეფუძნება იმას, რომ ფაქტობრივი გარემოებები, რომლებსაც მივყავართ უფლების სხვადასხვა მატარებლის მოთხოვნის უფლების წარმოშობამდე, ავტომატურად უნდა განსხვავდებოდეს.

- **ერთიანი საკონსულტაციო საუბრის სხვადასხვა განსახილველი საკითხი** (ამ შემთხვევაში: ინვესტიციის განხორციელება) ერთიანი დავის საგანია (BGH, Urteil vom 22.10.2013 - XI ZR 42/12 - BGHZ 198, 294):

„ა)...ინვესტიციის განხორციელების გადანყვეტილებამდე წარმოებულ კონსულტაციები კონსულტაციის პროცესის ბუნებრივად წარმართვის შემთხვევაში, ერთიანი ფაქტობრივი პროცესია, რომელიც ვერ დაიყოფა განმარტებისა და კონსულტაციის ვალდებულების ცალკეულ დარღვევებად, რასაც ინვესტორი ბანკს ედავება (...). ინვესტორის მიერ ზიანის ანაზღაურების პროცესზე არასაკმარისი განმარტებისა და კონსულტაციის გამო სადავოდ ქცეული განმარტებისა თუ კონსულტაციის გარემოებები განიხილება კონსულტაციებთან დაკავშირებული სიტუაციის საერთო პროცესის გათვალისწინებით, კონკრეტული ბრალდებისგან დამოუკიდებლად, რომელიც ეხება განმარტებას, ან კონსულტაციებთან დაკავშირებულ ხარვეზებს... წარმოუდგინეს თუ არა ინვესტორს სათანადო სურათი ინვესტიციის განხორციელებასთან დაკავშირებით, შეიძლება შეფასდეს მხოლოდ კონსულტანტის მიერ მინოდებული სხვადასხვა ინფორმაციის ერთიანი სურათის გაანალიზების საფუძველზე, კონსულტაციის მთლიანი პროცესის გათვალისწინებით...“

სხვადასხვა დავის საგნის არსებობის ვარაუდს, იმის მიხედვით, თუ რომელ ბრალდებას წარადგენს ინვესტორი, შედეგად მოჰყვა არა მხოლოდ ერთიანი ფაქტობრივი გარემოების არაბუნებრივი დანაწევრება: ეს აგრეთვე შეუთავსებელი იქნებოდა კანონიერი ძალის ინსტიტუტის მიერ დასახულ მიზნებთან, როგორცაა სამართლებრივი სტაბილურობა და სამართლებრივი მშვიდობა (BGHZ 123, 30, 34)...

ბ) მხარის მიერ სავალდებულოდ წარმოსადგენი სარჩელთან დაკავშირებული ახსნა-განმარტება, გამომდინარე იქიდან, ვალდებულების რომელ დარღვევას ასაჩივრებს მხარე, სააპელაციო სასამართლოს ვარაუდის საწინააღმდეგოდ, არ ამართლებს განცალკევებული დავის საგნის არსებობის ვარაუდს.

დავის საგნის დადგენისთვის, განმსაზღვრელი მოთხოვნის უფლების სამართლებრივი საფუძველი სცდება იმ ფაქტებს, რომლებიც ავსებს მოთხოვნის უფლების სამართლებრივი საფუძვლის ნორმის დისპოზიციას. მხარეები თავად განსაზღვრავენ ფაქტობრივ გარემოებებს, რომელთა საფუძველზეც სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს (შეჯიბრებითობის პრინციპი). თუმცა, მხოლოდ ამის გამო, სარჩელის აღძვრის საფუძველად ვერ ჩაითვლება ნებისმიერი ფაქტი, რომელიც ობიექტურად გამოდგება მხარის მოთხოვნის უფლების განხორციელების საფუძველად, მაგრამ მოსარჩელე საკუთარი პოზიციის წარმოდგენისას არც კი უთითებს მათზე - მისი გადმოსახედიდან, ეს არც წარმოადგენს აუცილებლობას (BGHZ 117, 1; BGH WM 2012, 2242). მხარეებს არ შეუძლიათ - შეგნებულად ან ქვეცნობიერად - თვითნებურად შეზღუდონ დავის საგანი საკუთარი განცხადების შესაბამისად სტრუქტურირებით (...BGHZ 117, 1...). აქედან გამომდინარე, კანონიერი ძალა მოიცავს ყველა იმ მატერიალურ-სამართლებრივ მოთხოვნის უფლებას, რომლებიც გამომდინარეობს მოთხოვნის ფარგლებში გადაწყვეტილების მისაღებად წარმოდგენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან (BGH WM 2011, 2223; BGH WM 2012, 2242), იმისგან დამოუკიდებლად, წარდგენილი იქნება თუ არა მომხდართან დაკავშირებით ყველა სამართლებრივად არსებითი ფაქტი (BGHZ 117, 1...).

თუ მატერიალური სამართალი, ცალკეული ფაქტობრივი გარემოების დამოუკიდებლად წარმოდგენით, ერთმანეთისგან შესამჩნევად განსხვავებულად წარმოადგენს კონკურირებად მოთხოვნის უფლებებს, რიგ შემთხვევებში შესაძლებელია ამის გათვალისწინება დავის საგნის განსაზღვრისას (BGH NJW 1993, 2173; BGH NJW 1996, 3151). თუმცა, დაარღვია თუ არა ბანკმა განმარტებისა და კონსულტაციის ვალდებულებები, როგორც უკვე აღინიშნა, შეიძლება გაირკვეს მხოლოდ განუყოფელი კონსულტაციის გარემოებათა ერთიანი შეფასებით, ისე რომ, მათ ვერ დავყოფთ დამოუკიდებელ პროცესებად. მართალია, განმარტებასა და კონსულტაციებთან დაკავშირებული სხვადასხვა ნაკლოვანება, საჭიროების შემთხვევაში, ექვემდებარება დამოუკიდებელ მატერიალურ-სამართლებრივ შეფასებას (BGHZ 194, 314) და წარმოშობს ზიანის ანაზღაურების დამოუკიდებელ მოთხოვნის უფლებას (BGH NJW-RR 2012, 111), თუმცა,

რჩება (ფაქტობრივი თვალსაზრისით) ერთიანი ფაქტობრივი პროცესის შემადგენელ ნაწილად...”

- **სამედიცინო მკურნალობის** - ერთი მხრივ, ქირურგიული ჩარევის, ხოლო, მეორე მხრივ, შემდგომი მკურნალობის - დროს დაშვებული შესაძლო შეცდომები ერთიანი დავის საგანია, ვინაიდან ორივე პროცესი ბუნებრივი შეფასებისას უკავშირდება ერთიან მოვლენას, რომელიც ვერ დაიყოფა სამედიცინო მკურნალობისას გადადგმულ ცალკეულ ნაბიჯებად (BGH, Urteil vom 14.03.2017 - VI ZR 605/15 - VersR 2017, 822; მკურნალობისას დაშვებული შეცდომის განმარტების ვალდებულების დარღვევასთან დაკავშირებით იხ.: BGH Urteil vom 05.12.2006 - VI ZR 228/05 - NJW-RR 2007, 414 – ამ გადაწყვეტილებაში ეს საკითხი ღიად არის დატოვებული).

- **კორპორაციულ-სამართლებრივი სარჩელები საერთო კრების გადანყვეტილების გაუქმებისა და ბათილად ცნობის შესახებ** საერთო დავის საგანია, რადგან ეხება საერთო კრების ერთსა და იმავე გადანყვეტილებას და საფუძვლად უდევს ერთი და იგივე ფაქტობრივი გარემოებები (BGH, Urteil vom 22.07.2002 - II ZR 286/01 - BGHZ 152, 1; BGH, Urteil vom 30.06.2015 - II ZR 142/14 - BGHZ 206, 143). ანალოგიური მოქმედებს, როდესაც გვაქვს რომელიმე კავშირის საერთო კრების ან ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის გადანყვეტილებათა წინააღმდეგ მიმართული სარჩელები (BGH, Urteil vom 02.10.2009 - V ZR 235/08 - BGHZ 182, 307; BGH, Urteil vom 16.02.2018 - V ZR 148/17 - NJW-RR 2018, 522).

- თუ მოსარჩელე გადახდის მოთხოვნით აღძრულ სარჩელს, **პირველადი** მოთხოვნის ფარგლებში, საფუძვლად უდებს **ვალდებულებით ურთიერთობებს** და მხოლოდ **დამატებითი მოთხოვნის** ფარგლებში ითხოვს **მორიგებას** ამ ურთიერთობების საფუძველზე, ყველა შემთხვევაში მოცემულია ცალ-ცალკე დავის საგანი, ვინაიდან მორიგება რამდენიმე მოთხოვნის უფლებას ეხება (BGH, Urteil vom 04.07.2014 - V ZR 298/13 - NJW 2014, 3314).

გგ) განსაკუთრებული შემთხვევები სახეზეა, როდესაც გადახდის მოთხოვნა § 253 GER-ZPO (იხ. 177-ე და მომდევნო მუხლის კომენტარი, ა.ნ. 6) კანონისმიერი ძირითადი პრინციპის საწინააღმდეგოდ, გამონაკლისის სახით, არ საჭიროებს **ციფრებში მითითებას**. ეს განსაკუთრებით ეხება მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას, რომლის ოდენობაც დამოკიდებულია სასამართლოს შეფასებაზე. გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლოს პრეიუდიციული გადაწყვეტილება (დაუსწრებელი გადაწყვეტილება 10.10.2002 - III ZR 205/01 - NJW 2002, 3769

[შდრ. გამიჯვნის კუთხით აგრეთვე BGH, Urteil vom 02.02.1999 - VI ZR 25/98 - BGHZ 140, 335]) ამასთან დაკავშირებით ადგენს შემდეგს:

„(1) § 253 Abs. 2 Nr. 2 ZPO, რომელიც ითხოვს კონკრეტულ მითითებას განხორციელებული მოთხოვნის უფლების საგანსა და საფუძველზე, ასევე, განსაზღვრულ განცხადებას, არ ეწინააღმდეგება ციფრების მიუთითებლად წარმოდგენილი სასარჩელო მოთხოვნის დასაშვებობას, რამდენადაც ადგილი აქვს სასამართლოსთვის ფაქტობრივი საფუძველების შეტყობინებას, რათა მათზე დაყრდნობით, შეძლოს დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელება. კითხვაზე, თუ რამდენად მოითხოვს განსაზღვრულობის პრინციპი მასშტაბებზე მითითებას ამ ყველაფრის გათვალისწინებით, სასამართლო პრაქტიკაში არ არსებობს ერთგვაროვანი პასუხი.....

(2) ამ სასამართლო პრაქტიკას ერთგვარი სამართლებრივი დაზუსტება დასჭირდა წინამდებარე საქმის კონსტელაციისთვის მე-VI სამოქალაქო საქმეთა განმხილველი პალატის 1996 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილებით. ამ დაზუსტების მიხედვით, ძალაში რჩება ის, რომ მოსარჩელე, § 253 Abs. 2 Nr. 2 ZPO-ს მიხედვით გათვალისწინებული განსაზღვრულობის მოთხოვნის შესასრულებლად, ვალდებულია, ციფრებში დაუსახელებელი შესრულების მოთხოვნებისას არა მხოლოდ ფაქტობრივ საფუძველებზე მიუთითოს, არამედ შეძლებისდაგვარად ზუსტად აჩვენოს მოთხოვნილი თანხის მასშტაბებიც; ამასთან, უმაღლესმა ფედერალურმა სასამართლომ დაადგინა, რომ სამოსამართლო დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენება არ იზღუდება თანხის მინიმალური ოდენობის მითითებით; მითითებულ მოცულობაზე მეტის დადგენა თავსებადია § 308 Abs. 1 ZPO-სთან, რამდენადაც მოსარჩელე საკუთარი მოთხოვნისთვის არ უთითებს ზედა ზღვარს (vgl. BGHZ 132, 341). ამ მიდგომას იზიარებს გადაწყვეტილების გამომტანი პალატაც.

(3) თუ მოსამართლე უფლებამოსილია, ზოგადი აკრძალვის დაურღვევლად, მხარეს მიაწიოს ის, რაც არ მოუთხოვია და გასცდეს მის წარმოსახვაში არსებულ მასშტაბებს (რაც ვერ ჩაითვლება ზედა ზღვარზე მითითებად), მაშინ დავის საგნის მოცულობაც, რომელიც განსაზღვრავს პროცესუალურ მოთხოვნის უფლებას - სააპელაციო სასამართლოს მოსაზრების საწინააღმდეგოდ - ვერ შეიზღუდება მასშტაბების მითითებით. აქედან გამომდინარე, არ არის მოცემული პირველ ინსტანციაში განხორციელებული (დაფარული) ნაწილობრივი სარჩელის არსებობის ვარაუდის საფუძველი. თუ პირი, ვის საწინააღმდეგოდაც გამოიტანა პირველი ინსტანციის სასამართლომ გადაწყვეტილება, სააპელაციო სასამართლოში შეუცვლელად განხორციელებდა თავის პირველად მოთხოვნას, ვერ

იარსებებდა სანინააღმდეგო სამართლებრივი საფუძველი, რომ არ მიენიჭებინათ მისთვის იმ მოთხოვნის უფლება, რომელიც გასცდებოდა მითითებულ მასშტაბებს. ანალოგიურად უნდა შეფასდეს, როდესაც მოსარჩელე - ამ შემთხვევის მსგავსად - მეორე ინსტანციაში დააფიქსირებს საკუთარ წარმოდგენას უფრო მაღალ ოდენობასთან დაკავშირებით. ის, რომ თითქოს მოსარჩელემ, § 308 Abs. 1 ZPO-ს გათვალისწინებით, საკუთარი მოთხოვნის უფლების ზედა ზღვრი შეზღუდა, არ იკვეთება საქმიდან....“

3. მოსაზრებები საქართველოში არსებულ სამართლებრივ სიტუაციაზე

როგორც შესავალში აღინიშნა, გერმანული სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, ქართულისგან განსხვავებით, არ შეიცავს პირდაპირ საკანონმდებლო ჩანაწერს დისპოზიციურობის პრინციპზე, თუმცა ის მოიაზრება ზეპრინციპად. კიდევ ერთი განსხვავება ის არის, რომ ცალკეულ საკანონმდებლო რეგულაციებში დისპოზიციურობის პრინციპი გერმანულ სამოქალაქო საპროცესო სამართალში უფრო მეტი სიზუსტითაა ჩაშლილი ვიდრე ქართულში.

ეს ფაქტი არაფერს ცვლის, რადგან ქართული სამოქალაქო საპროცესო სამართალი გაჯერებულია ანალოგიური პრინციპებით, რომლებიც მოქმედებს გერმანულ სამართალშიც, გერმანულ მართლწესრიგში განვითარებული პრინციპები კი შეიძლება გადმოვიტანოთ ქართულ სამართალში. აღსანიშნავია, რომ, როგორც ჩანს, საქართველოში არსებობს ანგლო-ამერიკული სამართლის ტენდენციებიც, რომლებიც მიემართება დისპოზიციურობის პრინციპის გავრცელებას სამართალწარმოების ფორმირებაზე სასამართლოში. მსგავსი მოსაზრებები არ შეესაბამება ქართული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის არც კონტინენტურ-ევროპულ სამართალზე ორიენტირებულ კონცეფციას და არც რიგ კონსტიტუციურ-სამართლებრივ მითითებებს. ამ მითითებების მიხედვით - ისევე, როგორც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის პირველი ნაწილის მე-2 წინადადების და 83-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადების შესაბამისად - ხაზგასმულია, რომ სამართალწარმოება უნდა წარიმართოს სამართლიანად და მხარეთა მიერ თანასწორი უფლებებით სარგებლობის საფუძველზე. ამ კონსტიტუციურ-სამართლებრივი ვალდებულების რეალიზება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა სასამართლო საქმისწარმოების **ფარგლებში** შეიზღუდება მხარეთა დისპოზიციურობისა და პროცესის ფორმირების შესაძლებლობები (იხ. მე-4

მუხლის კომენტარი, ა.ნ. 2 და მომდევნო აბზაცები). ამ მიდგომის საწინააღმდეგო ტენდენციამ შესაძლოა წარმოშვას საფრთხე, რომ განსაზღვრულ ეტაპზე ის არ შეესაბამებოდეს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციას, კერძოდ, მე-6 მუხლის პირველ პუნქტს.

უღრის ჰაბენლონი მე-3 მუხლის მე-2 ნაწილი

ქართული სსკ-დან მოყვანილი ნორმები:

- მე-3 მუხლი
- 218-ე მუხლი (მორიგება სასამართლოში) ა.ნ. (აბზაცი ნომერი) 61 და მომდევნო აბზაცები

საპროცესო მოქმედებები, სარჩელის ცნობა, სარჩელზე უარის თქმა, მორიგება

1. სარჩელის ცნობა, სარჩელზე უარის თქმა და სასამართლო საქმის წარმოების ფარგლებში მორიგება (ე.წ. საპროცესო მორიგება) გვხვდება გერმანულ სამოქალაქო პროცესშიც. სასამართლოს გადანყვეტილებას მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობის საფუძველზე ანესრიგებს § 307 GER-ZPO, (პრაქტიკული თვალსაზრისით ნაკლებმნიშვნელოვანი) სასამართლო გადანყვეტილება სარჩელზე უარის თქმასთან დაკავშირებით, მოწესრიგებულია § 306 GER-ZPO-ს მიხედვით. მართალია, საპროცესო მორიგება გვხვდება ბევრ საკანონმდებლო რეგულაციაში (უპირველეს ყოვლისა, მისი, როგორც აღსრულების ქვემდებარე აქტის თვისება მონესრიგებულია § 794 Abs. 1 Nr. 1 GER-ZPO-სა და შემდგომ რეგულაციებში სააღსრულებო დოკუმენტის გაცემასა და იძულებითი აღსრულების წინააღმდეგ სარჩელთან დაკავშირებით), თუმცა კანონი არ განსაზღვრავს მისი ნამდვილობის წინაპირობებსა და კანონიერ ძალას.

სარჩელის ცნობას, სარჩელზე უარის თქმას და საპროცესო მორიგებას საფუძველად უდევს შესაბამისი **საპროცესო მოქმედებები**. აქედან გამომდინარე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის უკეთ გასაგებად, საჭიროა, ზოგადად საპროცესო მოქმედებებთან დაკავშირებული საკითხების განმარტება. სიცხადისთვის უნდა აღვნიშნო, რომ საპროცესო მოქმედებებზე ქვემოთ წარმოდგენილი პრინციპები ძალაშია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა სარჩელის ცნობის, სარჩელზე უარის თქმის და მორიგების ნება ვლინდება **სასამართლო საქმის წარმოების ფარგლებში**, მაშასადამე, სასამართლოში წარმოდგენილი განცხადების ან ზეპირი განხილვის ფარგლებში. თუ მხარეები, სასამართლო განხილვაში არსებული საქმის მიუხედავად, მის გარეშე დადებენ მორიგებას, ან შეთანხმდებიან სარჩელის ცნობასა თუ სარჩელზე უარის თქმის შესახებ, ეს შეთანხმებები იმოქმედებს, როგორც

უშუალოდ მატერიალურ-სამართლებრივი გარიგებები. მსგავს შემთხვევაში, მხარეებმა ცალკე საპროცესო მოქმედებების საშუალებით უნდა მიიღონ საქმის დამთავრებას - მაგალითად, სარჩელის გამოსმობის ფორმით, ან (გერმანიაში, მათ შორის, მსგავს კონსტელაციებში გავრცელებული) ე.წ. ცალმხრივი თუ მხარეთა თანმხვედრი განცხადებით საქმის დასრულებაზე (იხ. 83¹ მუხლის კომენტარი, ა.ნ. 17 და მომდევნო აბზაცები, ასევე, ა.ნ. 21 და მომდევნო აბზაცები). თუ სადავოა მათი მორიგება, სარჩელის ცნობა, ან სარჩელზე უარის თქმა სასამართლოს გარეთ, უპირატეს მდგომარეობაში მყოფმა მხარემ უნდა დაასაბუთოს და, თუ საჭიროა, დაამტკიცოს მითითებული შეთანხმების არსებობა.

2. საპროცესო მოქმედებების ნამდვილობა ფასდება საპროცესო-სამართლებრივი დებულებების შესაბამისად, და არა უშუალოდ მატერიალური სამართლის მიხედვით. ნამდვილობა მოითხოვს საპროცესო ქმედუნარიანობასა და უფლებაუნარიანობას, მოსარჩელედ გამოსვლის უნარიანობას და, საჭიროების შემთხვევაში, წარმომადგენლობით უფლებამოსილებას.

სამართლის დოგმატიკა განასხვავებს ე.წ. **სამართლებრივი ეფექტის გამომწვევ საპროცესო მოქმედებებსა** და იმ საპროცესო მოქმედებას, რომლის მიზანია **სასამართლო გადაწყვეტილების მიღება**. გადაწყვეტილების მიღებაზე მიმართულ საპროცესო მოქმედებებს უნდა მოჰყვეს სასამართლო გადაწყვეტილების ან სხვა სასამართლო ღონისძიების მიღება. მაშასადამე, ისინი რეალიზებისთვის საჭიროებს განსაზღვრულ სასამართლო გადაწყვეტილებას. ამისგან განსხვავებით, სამართლებრივი ეფექტის გამომწვევი საპროცესო მოქმედებები უშუალო გავლენას ახდენს საპროცესო მდგომარეობაზე. ეს განსხვავება, უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია უპირობობისას (იხ. BGH, Urteil vom 27.02.2015 - V ZR 128/14 - NJW 2015, 2425. ამონარიდები ამ გადაწყვეტილებიდან ციტირებულია 79-ე და მომდევნო მუხლის კომენტარში, ა.ნ. 40; OLG Schleswig Beschluss vom 27.02.2017 - 4 U 19/16 - NJW 2018, 638).

გერმანიაში მეტწილად ზოგადად საუბრობენ იმაზე, რომ საპროცესო მოქმედებები არ ექვემდებარება **უკან წაღებას**, ისინი **უცილო** და **უპირობოა**. ეს, ერთი შეხედვით, სრულიად გასაგები ფორმულირება მეტი დაკვირვებისას საკმაოდ ზოგადი ჩანს. კითხვაზე პასუხის გასაცემად, თუ რამდენად საბოლოო, უცილო და უპირობოა საპროცესო მოქმედებები, უნდა ამოვიდეთ შემდეგი ძირითადი პრინციპებიდან:

- საპროცესო მოქმედებების მიმართ არ გამოიყენება **სამოქალაქო-სამართლებრივი დებულებები**, რითაც გამოირიცხება შეცვლა და,

შესაბამისად, უკან წაღება მატერიალური სამოქალაქო სამართლის დებულებებზე დაყრდნობით;

- სამოქალაქო პროცესი საჭიროებს **სტაბილურ საპროცესო-სამართლებრივ საფუძველს** (RG, Urteil vom 02.03.1934 – III 117/33 - RGZ 144, 73). შესაბამისად, საპროცესო სიტუაცია ვერ იქნება დამოკიდებული არაპროგნოზირებადობაზე, რომელიც მომდინარეობს სასამართლოს პასუხიმგებლობისა და გავლენის სფეროს გარედან.

ამგვარად, საპროცესო მოქმედებებისთვის უპირველესად იქ უნდა შეიქმნას სტაბილური სამართლებრივი რესურსი, სადაც მხარეებს **უშუალოდ** შეუძლიათ გავლენის მოხდენა საპროცესო მდგომარეობაზე (როგორც, უპირველეს ყოვლისა, სამართლებრივი ეფექტის მქონე საპროცესო მოქმედებებისას), საპროცესო მოქმედების ფორმირების ეფექტიდან გამომდინარე (vgl. BGH, Urteil vom 27.02.2015 - V ZR 128/14 - NJW 2015, 2425; BGH Beschluss vom 07.03.2013 - IX ZR 64/12 - juris).

ა) საპროცესო მოქმედებების **უპირობობა** საპროცესო სამართლის ზოგადი პრინციპია. მის შედეგად, ბათილია საპროცესო მოქმედება, რომელიც ხორციელდება დაუშვებელი პირობის ფარგლებში. მაშასადამე, ის არ მიიჩნევა უპირობოდ განხორციელებულად (მდრ. BGH, Beschluss vom 26.09.2007 - XII ZB 80/07 - NJW-RR 2008, 85; Greger in: Zöller, Zivilprozessordnung, 32. Aufl. 2017, Vorbemerkungen zu §§ 128-252 Rn. 20). თუმცა, ეს არ მოქმედებს კანონიერი ნდობის საფუძვლებიდან გამომდინარე, ვინაიდან სასამართლო (პროცესუალურად შეცდომით) განსაზღვრული პირობით გააგრძელებს სასამართლო საქმისწარმოებისთვის მოქმედ ვადას, მაგალითად, საჩივრის შეტანასთან დაკავშირებით. ამ შემთხვევაში, მით უფრო მოქმედებს ვადის გაგრძელება, პროცესის მონაწილის დაცვიდან გამომდინარე (BGH, Beschluss vom 01.06.2017 - V ZB 106/16 - NJW-RR 2017, 1145).

უპირობობის პრინციპიდან გამონაკლისები დაიშვება სასამართლო გადაწყვეტილების მიღებაზე მიმართული საპროცესო მოქმედებებისას, როდესაც ამ მოქმედებების ნამდვილობა დამოკიდებულია თვითონ პროცესის მიმდინარეობაზე (ე.წ. **შიდა საპროცესო პირობები**), განსაკუთრებით, სასამართლოს ღონისძიებაზე, რომელსაც მოჰყვება თავისი ან მონაწილემდეგე მხარის საპროცესო მოქმედების წარმატება თუ წარუმატებლობა. მაგალითად:

აა) მეორადი/დამატებითი სარჩელის აღძვრა

მეორადი სარჩელით რამდენიმე სასარჩელო მოთხოვნა ალტერნატიულად (გაუერთიანებლად) ხორციელდება ისე, რომ, ჯამში, მოსარჩელე ითხოვს ერთ სასამართლო გადაწყვეტილებას. ამასთან დაკავშირებით, მოსარჩელემ უნდა წარმოადგინოს პირობები მისთვის სასურველი თანმიმდევრულობით, რაც სავალდებულოა სასამართლოსთვის (BGH, Urteil vom 19.07.2018 - VII ZR 19/18 - MDR 2018, 1109; BGH, Urteil vom 21.11.2017 - II ZR 180/15 - NJW 2018,1259). თუ არ არის მითითებული მსგავსი თანმიმდევრულობა, ამის გაკეთება ნებისმიერ დროს შეიძლება (მათ შორის, საკასაციო ინსტანციაშიც) (BGH, Urteil vom 19.07.2018 - VII ZR 19/18 – MDR 2018, 1109). შესაბამის მოთხოვნის უფლებებზე წარმოდგენილი საფუძვლები შეიძლება შინაარსობრივად ეწინააღმდეგებოდეს ერთმანეთს (BGH, Urteil vom 04.07.2014 - V ZR 298/13 - NJW 2014, 3314). ხშირად ეს ობიექტური სამართალწარმოებისთვის აუცილებელიც არის: მაგალითად, თუ მოსარჩელე ხელშეკრულების ნამდვილობაზე დავისას პირველ რიგში ითხოვს, რომ სასამართლომ დაადგინოს სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა და მხოლოდ მეორადი/დამატებითი მოთხოვნის ფარგლებში ახორციელებს ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას (მეორადი/დამატებითი სარჩელის თავისებურებებზე უფრო დაწვრილებით იხ. ქვემოთ ა.ნ. 34 და მომდევნო აბზაცები).

(1) მეორადი/დამატებითი სარჩელისგან უნდა განვასხვაოთ სარჩელის მეორადი/დამატებითი ან მრავალჯერადი დასაბუთება. ამ უკანასკნელის შემთხვევაში, ერთსა და იმავე სასარჩელო მოთხოვნას საფუძვლად უდევს განსხვავებული ფაქტობრივი ასპექტები, რომლებიც წარმოდგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი ერთიანობიდან გამომდინარე, არ არის ცალკე დავის საგანი (იხ. მე-3 მუხლის პირველი ნაწილის კომენტარი, ა.ნ. 19 და მომდევნო აბზაცები). სარჩელის მეორადი/დამატებითი ან მრავალჯერადი დასაბუთებისას, სასამართლო არ არის შებოჭილი შემონმების კონკრეტული თანმიმდევრულობით, მიუხედავად იმისა, განსაზღვრავს თუ არა მოსარჩელე მას (რის ვალდებულებაც არ აქვს და უმჯობესია, თუ არ გააკეთებს).

მაშასადამე, თუ მოსარჩელე ასაჩივრებს კონსულტაციისას დაშვებულ რამდენიმე შეცდომას - მე-3 მუხლის პირველი ნაწილის კომენტარის 37-ე აბზაცში ამონარიდების სახით ციტირებული გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად (Urteil vom 22.10.2013 - XI ZR 42/12 - BGHZ 198, 294) - სასამართლოს შეუძლია, საკუთარი შეხედულებისამებრ გადაწყვიტოს, კონსულტაციისას დაშვებულ

რომელ (ერთ ან რამდენიმე) შეცდომას დაუდებს საფუძვლად გადანყვეტილებას, რომლითაც დააკმაყოფილებს სარჩელს. როგორც მოსალოდნელია, სასამართლო, გონივრულობიდან გამომდინარე, აირჩევს იმ შეცდომას, რომლითაც ყველაზე მარტივად დაასაბუთებს საკუთარ გადანყვეტილებას; თუ სასამართლოს მტკიცებულებათა შეგროვების გარეშე შეეძლება გადანყვეტილების მიღება კონსულტაციისას დაშვებული რამდენიმე შეცდომიდან ერთ-ერთზე, მან საკუთარი გადანყვეტილება უნდა დააყრდნოს იმ შეცდომას, რომლის დადგენა შესაძლებელია მტკიცებულებათა შეუგროვებლად. სასამართლოს ეს საპროცესო ვალდებულება არის არა მისთვის განსაზღვრული რამე პირობის, არამედ იმ მოთხოვნის შედეგი, რომელიც სასამართლოსგან მოითხოვს მტკიცებულებების შეგროვებას მხოლოდ გადანყვეტილების მისაღებად მნიშვნელოვან ფაქტებზე. თუმცა, ეს კონსტელაცია არ გვექნებოდა მაგალითისთვის წარმოდგენილ კაზუსში, ვინაიდან ამ საქმეში სარჩელი დასაკმაყოფილებელი იქნებოდა (უკვე მტკიცებულების შეუგროვებლად დადგენილი შეცდომის გამო) მტკიცებულების შეგროვების შედეგისგან დამოუკიდებლად, კონსულტაციისას დაშვებულ სხვა შეცდომებზე, რომლებზეც მოსარჩელე უთითებდა.

სასამართლოს მსგავსი კონსტელაციებისას შეიძლება ჰქონდეს უფლება, რომ არ შემოიფარგლოს გარემოებათა კონკრეტული თანმიმდევრობით. მას შეუძლია, საჭიროებისამებრ, ალტერნატიულად დაასაბუთოს, თუ რატომ არის სარჩელი, საბოლოო ჯამში, დასაბუთებული, მოვლენის ნებისმიერი სახით განვითარების შემთხვევაში (თუმცა, ყოველთვის ერთი და იმავე დავის საგნის ფარგლებში). თუ წარმოდგენილ კაზუსში მითითებული იქნებოდა შეცდომებზე, რომლებიც გამორიცხავს ერთმანეთს, ან რომელთა შორისაც არსებობს გარკვეული შიდა ურთიერთდამოკიდებულება, შეიძლება ღიად დარჩენილიყო საკითხი, თუ რომელი შეცდომაა დაშვებული, რადგან სარჩელის დასაკმაყოფილებლად საჭიროა, სულ მცირე, ერთი შეცდომის არსებობა. თუ წარმოდგენილი იქნება, რომ საინვესტიციო მრჩეველმა, პირველი საკონსულტაციო საუბრისას, მხარეს ურჩია სპეკულაციური ინვესტიციის განხორციელება, მიუხედავად იმისა, რომ მოსარჩელეს სურდა უსაფრთხო დაბანდება, მოპასუხე კი ამის საპირისპიროდ ასაბუთებს, რომ მოსარჩელეს თავიდანვე სპეკულაციური ინვესტირება უნდოდა, შეიძლება არარელევანტური იყოს მსჯელობა, დაუშვა თუ არა მრჩეველმა მითითებული შეცდომა. ეს კონსტელაცია გვექნებოდა, თუ საინვესტიციო მრჩეველი შემდგომი საკონსულტაციო საუბრისას გაიგებდა, თუმცა არ გაითვალისწინებდა ფაქტს, რომ

მოსარჩელე ამასობაში ტყუილების მამა გახდა, და არ ურჩევდა კლიენტს, შეეცვალა საინვესტიციო სტრატეგია. შესაბამისად, საინვესტიციო მრჩეველს კონსერვატიული ინვესტორისთვის ან პირველი საკონსულტაციო საუბრისას უნდა ერჩია არასწორად სპეკულაციური ინვესტიციის განხორციელება, ან საამისოდ განწყობილი ინვესტორისთვის (ვივარაუდოთ, რომ ის საკმარისად ინფორმირებული იყო) მეორე საკონსულტაციო შეხვედრისას არ ერჩია საინვესტიციო სტრატეგიის შეცვლა, მიუხედავად ოჯახური მდგომარეობის გრძელვადიანად შეცვლისა. მართალია, ორივე კონსტელაცია ლოგიკურად გამორიცხავს ერთმანეთს, თუმცა, ორივე ასაბუთებს კონსულტაციისას შეცდომის დაშვებას და გამოდგებოდა, რომ სასამართლოს, მტკიცებულებათა შეგროვების გარეშე, ალტერნატიული დასაბუთებით დაეკმაყოფილებინა სარჩელი. გაუგებრობების თავიდან ასაცილებლად, უნდა აღინიშნოს, რომ ეს შეიძლება მხოლოდ მოცემულ კაზუსში მოქმედებდეს, რადგან სახეზეა სარჩელის დაკმაყოფილება კონსულტაციისას დაშვებული შეცდომის გამო (იმისგან დამოუკიდებლად, რა სახის შეცდომასთან გვაქვს საქმე). თუ სარჩელი არ დაკმაყოფილდება, აუცილებელია კონსულტაციისას დაშვებული ყველა მითითებული შეცდომის უარყოფა, ხოლო სადავო ფაქტობრივი გარემოებების მნიშვნელობიდან გამომდინარე, გადანყვეტილების მისაღებად, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლოს მოუწევდა მტკიცებულებების შეგროვება ყველა ამ შეცდომასთან დაკავშირებით.

ზემოთ მოყვანილი მაგალითების მსგავსად, მრავალი კონსტელაცია არსებობს სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის გადანყვეტილებათა შემთხვევაში, როდესაც შესაძლებელია სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა (რის შემდეგაც ღიად უნდა დარჩეს ყველა დანარჩენი მოთხოვნის უფლების სამართლებრივი საფუძველი) ერთადერთი დასაბუთებით, რომელიც ყველა სხვა პოტენციური მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის საპირისპიროა, ან რომლის დროსაც მოცემულია **სარჩელის დაუკმაყოფილებლობის ალტერნატიული** - ზოგ შემთხვევაში ურთიერთგამომრიცხავი - **საფუძვლები**.

თუ, მაგალითად, მოსარჩელე ახორციელებს უფლებას ნასყიდობის ფასის გადახდის მოთხოვნაზე, ხოლო მოპასუხე, ერთი მხრივ, უარყოფს ნასყიდობის ხელშეკრულების დადებას ფასზე შეუთანხმებლობის გამო, მეორე მხრივ, აღნიშნავს, რომ სიფრთხილიდან გამომდინარე, გაასაჩივრა ნასყიდობის ხელშეკრულება მზაკვრულად მოტყუების გამო, და მესამეც: ყოველი შემთხვევისთვის განაცხადებს ნივთის არსებითი ნაკლის მიზეზით ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ, წარმოდგენილი შესაგებლები ლოგიკური თვალსაზრისით გამორიცხავს ერთმანეთს. ხელშეკრულება

ან არ დადებულა - და თუ ასეა, მას ვერც სადავოდ გახდი, შეთანხმებიდან გასვლაზე რომ არაფერი ვთქვათ - ან ნამდვილია, რაც იძლევა შედავების და, თუ ეს არ მოხდება, პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის სამართლებრივად ნამდვილ შესაძლებლობას, ხელშეკრულებიდან სამართლებრივად ნამდვილი გასვლით (რაც ურთიერთგამომრიცხავია). ვინაიდან სახეზეა ერთიანი დავის საგანი (რასაც მხოლოდ მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი ფაქტობრივი გარემოებები განსაზღვრავს) და მოპასუხის ყველა შესაგებელს, მათი არსებობის შემთხვევაში, იმავე შედეგამდე მივყავართ, სასამართლოს თავისუფლად შეუძლია, აირჩიოს, რომელ შესაგებელს (რამდენადაც, სულ მცირე, ერთი შესაგებელი მაინც არის სახეზე) დაუდებს საფუძვლად სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის გადაწყვეტილებას. კერძოდ, მას შეუძლია აირჩიოს: ერთი დასაბუთება; სიფრთხილის მიზნით, დამატებითი დასაბუთება; ან რამდენიმე დასაბუთება; ასევე, მაგალითად, ღიად დატოვოს იმის შეფასება, სამართლებრივად ნამდვილად დაიდო თუ არა ხელშეკრულება; ან, შესაბამისად, რამდენად ნამდვილად განხორციელდა შედავება, თუ ნამდვილი გარეგნის შემთხვევაში ხელშეკრულებიდან ნამდვილი გასვლა მაინც მოხდებოდა. ასეთ დროს, სასამართლო, როგორც წესი, ყველაზე მარტივ დასაბუთებას არჩევს.

თუმცა სასამართლოსთვის ამ შემთხვევაშიც გასათვალისწინებელია ერთი შეზღუდვა: ვინაიდან სახეზეა ერთი შესაგებელი, მაშინ, როდესაც სხვა შესაგებლის არსებობის დადგენა შესაძლებელია მხოლოდ მტკიცებულებათა შეგროვების შედეგად, სასამართლოს არ შეუძლია ამ სხვა შესაგებელთან დაკავშირებით შეაგროვოს მტკიცებულებები. ეს აკრძალვა ამ შემთხვევაშიც გამომდინარეობს მიდგომიდან, რომ მტკიცებულებების შეგროვება შესაძლებელია მხოლოდ იმ პუნქტებთან მიმართებით, რომლებიც არსებითია გადაწყვეტილების მისაღებად. გადაწყვეტილების მიღებისთვის არსებითი ვერ იქნება ფაქტის დადგენა, რამდენადაც ამის გარეშეც განსაზღვრულია, რომ სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს. თუ მოცემულ შემთხვევაში, ნაკლის არსებობიდან გამომდინარე, სამართლებრივად ნამდვილი იქნებოდა ფაქტობრივად დადებული და ამ დროისთვის მოქმედი ხელშეკრულებიდან გასვლა, სასამართლოს არ ექნებოდა უფლება, შეეგროვებინა მტკიცებულებები ხელშეკრულების დადებას ან მის შეცილებათან დაკავშირებით. ნაცვლად ამისა, გადაწყვეტილება ალტერნატიულად საფუძვლად უნდა დადებოდა იმ გარემოებას, რომ არ არის სახეზე ნასყიდობის ფასის გადახდის მოთხოვნის უფლება, ვინაიდან, როგორც ნასყიდობის ფასთან დაკავშირებული შეთანხმების არა-

რსებობის, ისე სამართლებრივად ნამდვილი შედავების შემთხვევაში, გამოირიცხება ნასყიდობის ხელშეკრულების დადების ფაქტი, ან მისი უკუქცევითი ძალის მქონე ბათილობა, ანდა თუნდაც ის, რომ ნასყიდობის ხელშეკრულება მანამდე მოქმედი სახელშეკრულებო ურთიერთობისას ხელშეკრულებიდან გასვლის განცხადებით (რომლის ნამდვილობაც უნდა დადგინდეს სახელშეკრულებო ურთიერთობის არსებობის შემთხვევაში) გადაიზარდა პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის ურთიერთობაში.

(მოკლე შენიშვნა დასასრულს: განსაკუთრებით კომპლექსური სამართლებრივი დავებისას, ამ მექანიზმების რუტინულად ფლობა, ესე იგი, სამართლებრივი დავის მრავალფეროვან რიფებში „მოხდენილად“ ლავირება, სამოსამართლო და საადვოკატო უნარების მნიშვნელოვანი კრიტიკურიუმია. თუ მოსამართლე ან, შესაბამისად, ადვოკატი მოახერხებენ, რომ გამჭრიახი მზერა, საბოლოოდ, ყოველთვის იმ პუნქტისკენ მიმართონ, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება შედეგისთვის (სარჩელის დაკმაყოფილება ან არ დაკმაყოფილება) და, მტკიცებულებათა შეგროვებით, მხოლოდ ამ საქმისთვის რელევანტურ პუნქტებზე დაადგინონ ფაქტები, მოსამართლისა და ადვოკატის მუშაობის ეფექტიანობა შესამჩნევად გაიზრდება. ამასთანავე, სამართლებრივი დავის ხარჯებიც შემცირდება არასაჭირო მტკიცებულებების შეგროვებისგან თავის შეკავებით, ლაკონიური და მიზანზე ორიენტირებული არგუმენტაციით კი გაიზრდება სასამართლო გადანყვეტილებების გამჭვირვალობა).

(2) თუ პირიქით, სახეზეა **სარჩელის დამატებითი ან მრავალჯერადი დასაბუთება**, რომლითაც სასამართლოს, მიუხედავად ფორმალურად ერთიანი სასარჩელო მოთხოვნისა, წარმოდგენილი აქვს ორი **ცალკე დავის საგანი**, მოსარჩელემ უნდა დაასაბუთოს, რა დამოკიდებულება არსებობს ამ ცალკეულ დავის საგნებს შორის, რაც განსაზღვრავს მათ თანმიმდევრობას (BGH, Beschluss vom 24.03.2011 - I ZR 108/09 - BGHZ 189, 56; BGH Urteil vom 21.11.2017 - II ZR 180/15 - NJW 2018, 1259). სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს ეს თანმიმდევრობა და, საჭიროების შემთხვევაში, განმარტებისა და ჩაკითხვის გზით მიაკვლიოს მას. აქედან გამომდინარე, ამ შემთხვევაშიც, ანალოგიური მოქმედებს ისე, როგორც მეორადი სარჩელისას (იხ. ა.ნ. 9 და მომდევნო აბზაცები).

სასამართლო პრაქტიკის ეს პრინციპები გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლოს გადანყვეტილებაში (BGH, Beschluss vom 24.03.2011 - I ZR 108/09 -) წარმოდგენილია შემდეგნაირად:

„სამოქალაქო საპროცესო კოდექსის § 253 Abs. 2 Nr. 2 ZPO-ს მიხედვით, სარჩელი, განსაზღვრული მოთხოვნის გარდა, უნდა შეიცავდეს კონკრეტულ მითითებას დავის საგანსა და განხორციელებული მოთხო-

ენის უფლების საფუძველზე. ამით განისაზღვრება დავის საგანი, დგინდება საქმის სასამართლო განხილვაში არსებობა და კანონიერი ძალის საზღვრები, ასევე განისაზღვრება სასამართლოს გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების საგანი და მოცულობა (§ 308 Abs. 1 ZPO). მსგავსი სიცხადე შედის მოპასუხის დაცვის ინტერესებშიც, ვისთვისაც ამოცნობადი უნდა იყოს, თუ რომელი საპროცესო მოთხოვნის უფლება ხორციელდება მის წინააღმდეგ, რათა შესაბამისად წარიმართოს მისი უფლების დაცვა (BGHZ 154, 342). სარჩელის წესების დაცვით აღძვრა მოითხოვს დავის საგნის ინდივიდუალიზაციას (BGH NJW-RR 2005, 216). ... მოსარჩელემ უნდა უზრუნველყოს რომ დავის საგანი საჭიროებისამებრ იყოს განსაზღვრული. მას არ შეუძლია ამ საქმის სასამართლოსთვის მინდობა. ამაში შედის თანმიმდევრობის დასახელება რამდენიმე დავის საგნის არსებობისას, რის შემდეგაც სასამართლო ამონებს მათ. მოსარჩელე სასამართლოს ვერ გადააბარებს იმ თანმიმდევრობის განსაზღვრას, რომლის მიხედვითაც უნდა განისაზღვროს დამოუკიდებელი მოთხოვნის უფლებები, მოთხოვნის შესაბამისი ოდენობით (BGH NJW 1984, 2346). ანალოგიური უნდა მოქმედებდეს ერთიანი სასარჩელო მოთხოვნის განხორციელებისას, რომელიც გამომდინარეობს რამდენიმე უფლებიდან, ან კონკურენციის სამართლით გათვალისწინებული რამდენიმე მოთხოვნის უფლებიდან, რამდენადაც ის ქმნის სხვადასხვა პროცესულურ მოთხოვნის უფლებას (დავის საგანს) და ვერ განხორციელდება მათი გაერთიანებით. მსგავს შემთხვევაში მოსარჩელემ უნდა დაასახელოს, რა თანმიმდევრობით აპირებს ამ მოთხოვნების განხორციელებას, რომ შეასრულოს § 253 Abs. 2 Nr. 2 ZPO-ს განსაზღვრულობის მოთხოვნა.“

ბბ) დამატებითი გაქვითვები

გაქვითვის მოთხოვნის დამატებით განხორციელება შედავებული სასარჩელო მოთხოვნის წინააღმდეგ, შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო დასაბუთებულად მიიჩნევს სარჩელს (BGH, Beschluss vom 08.05.2018 - XI ZR 538/17 - NJW 2018, 2269).

ამასთან, სასამართლომ მუდმივად უნდა მიაქციოს ყურადღება ფაქტს, რომ გაქვითვის მოთხოვნაზე გადაწყვეტილების მიღება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ მანამდე სასამართლო პოზიტიურად დაადგენს სასარჩელო მოთხოვნის დასაბუთებულობას. სასამართლოს არ აქვს უფლება, არ დააკმაყოფილოს სარჩელი, თუკი მიაჩნია, რომ არსებობს

გაქვითვის მოთხოვნა, იმ არგუმენტით, რომ მისთვის სულერთია, დასაბუთებულია თუ არა სასარჩელო მოთხოვნა; მაშასადამე, სასამართლოს არგუმენტაციით, გაქვითვის მოთხოვნა დასაბუთებულია და, შესაბამისად, სარჩელი - სულერთია როგორ - ყოველთვის წარუმატებელი. მსგავსი გადაწყვეტილებით, მოსამართლე არა მხოლოდ უგულებელყოფდა მისთვის მბოჭავ პირობაზე დამოკიდებულებას, არამედ მიიღებდა გადაწყვეტილებას, რომელსაც აქვს ბუნდოვანი მატერიალური კანონიერი ძალა (იხ. მე-10 მუხლის კომენტარი, ა.ნ. 29 და მომდევნო აბზაცები) (BGH, Urteil vom 05.05.1986 - III ZR 186/84 - juris).

მუდმივი სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, ვინაიდან სასამართლო განიხილავს მხარის მოთხოვნას, ეს მხარეს არ ზღუდავს, რომ განაცხადოს ამ მოთხოვნის (საჭიროების შემთხვევაში დამატებით) **გაქვითვის შესახებ** სხვა სამართლებრივი დავის ფარგლებში. ამის მსგავსად, ზოგადი მოსაზრების მიხედვით, დასაშვებია, რომ დამატებით გასაქვითად წარმოდგენილი მოთხოვნა გახდეს შეგებებული ან, შესაბამისად, დამატებით შეგებებული სარჩელის საგანი (BGH, Urteil vom 11.11.1971 - VII ZR 57/70 - BGHZ 57, 242; BGH, Urteil vom 17.12.1998 - VII ZR 272/97 - NJW 1999, 1179; BGH, Urteil vom 12.01.1994 - XII ZR 167/92 - NJW-RR 1994, 379). ეს სასამართლო პრაქტიკა ეფუძნება მიდგომას, რომ გაქვითვა არ იწვევს გაქვითვის მოთხოვნის წარმოებაში მიღებას.

გგ) დამატებითი შეგებებული სარჩელები

დამატებითი შეგებებული სარჩელები მეტწილად დამოკიდებულია სასარჩელო მოთხოვნის წარმატებაზე, ან მათ წინააღმდეგ მიმართული შესაგებლის წარუმატებლობაზე.

პროცესის შესაბამისად წარმართვის პირობებში, დამატებით შეგებებულ სარჩელს მხარე აღძრავს, როდესაც მოპასუხე განაცხადებს საკუთარი მოთხოვნის უდავო სასარჩელო მოთხოვნის წინააღმდეგ გაქვითვასთან დაკავშირებით, ხოლო თუ სახეზეა გაქვითვის აკრძალვა, აღძრავს შეგებებულ სარჩელს (BGH, Urteil vom 16.04.1986 - VIII ZR 79/85 - BGHZ 97, 351; BGH, Urteil vom 10.07.1961 - VIII ZR 64/60 - MDR 1961, 932). მოპასუხე, გონივრული საფუძვლებიდან გამომდინარე, იმ შემთხვევაშიც აღძრავს დამატებით შეგებებულ სარჩელს, თუ ის - რამდენადაც დადასტურდება მის მიერ სადავოდ გამხდარი ნივთის დაბრუნების მოთხოვნის უფლება, რომელსაც მოსარჩელე საკუთარი სარჩელით ახორციელებს - ითხოვს დასაბრუნებელი ნივთის სასარგებლოდ გაღებული ხარჯების ანაზღაურებას. როგორც უკვე აღინიშნა, შეიძლება დამატებითი შეგებე-

ბული სარჩელის შეტანა იმ პირობითაც დაიშვებოდა, რომ სადავო სასარჩელო მოთხოვნის წინააღმდეგ გაცხადებული მოთხოვნის დამატებითი გაქვითვა, შესაბამისად, „ჰაერში იყოს გამოკიდებული“ სასარჩელო მოთხოვნის არარსებობის გამო.

დ) დამატებითი მოთხოვნა საქმის სხვა სასამართლოსთვის განსახილველად გადაცემის შესახებ

დასაშვებია, რომ მოსარჩელემ განსჯადობის სადავოობისას პირველადი სასარჩელო მოთხოვნა განახორციელოს დავის ძირითადი საგნის ფარგლებში, ხოლო დამატებით, თუ სასამართლო, რომელშიც სარჩელი აღძრა, განაცხადებს, რომ აღნიშნული დავა მის განსჯადობას არ განეკუთვნება, მოითხოვოს დავის სხვა სასამართლოსთვის გადაცემა განსახილველად (vgl. etwa OLG Frankfurt, Beschluss vom 20.06.2018 - 11 SV 27/18 - MDR 2018, 1211). თუმცა, მსგავს შემთხვევაში - სხვა დანარჩენი პრინციპების სანიაღმრედოდ - სასამართლოს არ აქვს უფლება, ცალკე გადაწყვეტილება მიიღოს დავის ძირითადი საგნის ფარგლებში უპირატესად წაყენებულ მოთხოვნაზე, ვინაიდან სასამართლოს ეს გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდოდა. აქედან გამომდინარე, სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს მხოლოდ დამატებით/მეორად მოთხოვნაზე, ერთი მხრივ, ადგენს რა, რომ მისი განსჯადობა არ ვრცელდება ამ დავაზე და, მეორე მხრივ, მოსარჩელის დამატებითი/მეორადი მოთხოვნის საფუძველზე დავას განსახილველად გადასცემს სხვა სასამართლოს.

ე) სამართლებრივი შედეგის დადგომისკენ მიმართული მოქმედებები

საპროცესო მოქმედებები, რომლებიც უშუალო გავლენას ახდენს საქმის პროცესზე (სამართლებრივი შედეგის დადგომაზე მიმართული მოქმედებები), ყოველთვის უპირობოა სამართლებრივი სტაბილურობის ინტერესიდან გამომდინარე. შესაბამისად, არ შეიძლება საჩივრის გამოსხმობა დამოკიდებული იყოს შიდასაპროცესო პირობაზე (BGH, Beschluss vom 26.09.2007 - XII ZB 80/07 - NJW-RR 2008, 85; BGH, Beschluss vom 26.10.1989 - IVb ZB 135/88 - NJW-RR 1990, 67). წინააღმდეგ შემთხვევაში, საჩივრის განსაკუთრებული „შემოქმედებითი“ ნიჭით დაჯილდოებულ ავტორს შეეძლებოდა, საჩივრის გამოსხმობაზე განცხადება შეეტანა, როგორც მეორადი მოთხოვნა - იმ შემთხვევისთვის, თუ მისი საჩივარი წა-

რუმატებელი აღმოჩნდებოდა. ამით ის თავიდანვე აიცილებდა მეორე ინსტანციის სასამართლოს მიერ კანონიერი ძალის მქონე გადაწყვეტილების მიღებას მის წინააღმდეგ. ანალოგიური მოქმედებს იმ საჩივრებთან მიმართებითაც, რომლებსაც მხარე შიდასაპროცესო პირობის გათვალისწინებით წარადგენს (BGH, Beschluss vom 07.03.2013 - IX ZR 64/12 - juris): მაგალითად, იმ პირობით, რომ ეს საჩივარი შინაარსობრივად წარმატებული იქნება. თუმცა, სხვა მხრივ, საჩივრის მოსალოდნელი დაუშვებლობის შემთხვევაში, ყოველთვის უნდა შემოწმდეს, რა სურდა საჩივრის ავტორს: მართლაც პირობებს შორის სამართლებრივი კავშირის დადგენა, თუ მხოლოდ მისი მოტივის დასაბუთება (vgl. BGH, Beschluss vom 07.03.2013 - IX ZR 64/12 – juris).

აგრეთვე დაუშვებელია საჩივარი, რომელიც დამოკიდებულია სასამართლო ხარჯებისგან გათავისუფლების თანხმობაზე (§§ 114 ff. GER-ZPO – ამასთან დაკავშირებით, იხ. 47-ე მუხლის კომენტარი) (BGH, Beschluss vom 03.05.2018 - IX ZB 72/17 – juris; BGH, Urteil vom 10.11.1983 - VII ZR 72/83 - NJW 1984, 1240). თუმცა, ქვემოთ, 52-ე და მომდევნო აბზაცებში უფრო დანვრილებით წარმოდგენილ მოთხოვნას საპროცესო მოქმედებების ფართოდ განმარტების შესახებ შემდეგი მიმართულებით მივყავართ: ეჭვის შემთხვევებში, უნდა ჩავთვალოთ, რომ მხარემ გაასაჩივრა სასამართლოს გადაწყვეტილება (vgl. BGH, Versäumnisurteil vom 25.10.2017 - VIII ZR 135/16 - NJW-RR 2018, 497; BGH, Beschluss vom 30.05.2017 - VIII ZB 15/17 - MDR 2017, 1074; BGH, Beschluss vom 25.09.2007 - XI ZB 6/07 - juris). თუ მაგალითად, მხარე, წესების დაცვით ხელმოწერილ და აპელაციად დასათაურებულ განცხადებაში ითხოვს, რომ „ეს სააპელაციო საჩივარი, პირველ ეტაპზე, უბრალოდ საქმეს დაერთოს“ და, პირველ რიგში, სასამართლომ განიხილოს ამ საჩივართან ერთად წარმოდგენილი შუამდგომლობა სასამართლო ხარჯების გადახდისგან გათავისუფლებაზე, ამ დამატების მიუხედავად, განცხადების სააპელაციო სასამართლოში შემოსვლით, სააპელაციო საჩივარი უპირობოდ შემოტანილად მიიჩნევა (BGH, Beschluss vom 16.12.1987 - IV b ZB 161/87 - NJW 1988, 2046). სასამართლო პრაქტიკაში საჩივრის შეტანას, უმეტეს შემთხვევაში, ისედაც არ უკავშირებენ შუამდგომლობას სასამართლო ხარჯების გადახდისგან გათავისუფლების თაობაზე. ამისგან განსხვავებით, ძირითად შემთხვევებში, თავდაპირველად მხარეები ითხოვენ მხოლოდ სასამართლო ხარჯებისგან გათავისუფლებას, და მხოლოდ მას შემდეგ, რაც სასამართლო დააკმაყოფილებს მას, შეაქვთ საჩივარი საპროცესო ვადის აღდგენის მოთხოვნასთან ერთად (იხ. 264-ე მუხლის კომენტარი, ა.ნ. 36). თუმცა საჩივარი, რომელიც მიბმულია სასამართლო ხარჯების გადახდისგან გათავი-

სუფლების დაკმაყოფილებაზე, ზოგადად არ კვალიფიცირდება, როგორც უპირობო, ვინაიდან ამ საჩივრის საფუძველზე არ იწყება საქმისწარმოება (BGH, Urteil vom 10.11.1983 - VII ZR 72/93 - NJW 1984, 371).

აგრეთვე დაუშვებელია მხარის შეცვლის შუამდგომლობა, როდესაც ეს გარკვეულ პირობაზეა მიბმული (იხ. 84-ე და შემდეგი მუხლის კომენტარები).

ვვ) დამატებითი სასარჩელო მოთხოვნის თავისებურებები

სარჩელის აღძვრის ერთი თავისებურება ის არის, რომ მოსარჩელემ, ზემოხსენებული სამართლებრივი შედეგის დადგომაზე მიმართული საპროცესო მოქმედებებისას დასახელებული საფუძველებიდან გამომდინარე (შდრ. აგრეთვე BGH NJW 2015, 2425), უნდა წარმოადგინოს, სულ მცირე, ერთი უპირობო მოთხოვნა. წინააღმდეგ შემთხვევაში, გარკვეულ პირობაზე იქნება დამოკიდებული, გაიმართება თუ არა საერთოდ საქმისწარმოება სასამართლოში და, მაშასადამე, გადაწყდება თუ არა საქმე სამოქალაქო საპროცესო-სამართლებრივი ურთიერთობის გზით. მსგავსი გაურკვეველი მდგომარეობა ეწინააღმდეგება იმ მიდგომას, რომ სამართლებრივ დავას ესაჭიროება სტაბილური საპროცესო სამართლებრივი საფუძველი. ამიტომაც, დაუშვებელია სარჩელის იმ პირობით აღძვრა, რომ სასამართლო მხარეს გაათავისუფლებს სასამართლო ხარჯების გადახდისგან (BGH NJW-RR 2003, 1558). როგორც 31-ე აბზაცში აღინიშნა საჩივრის შეტანასთან დაკავშირებით, ეჭვის შემთხვევაში, სასამართლომ უნდა ივარაუდოს, რომ მხარის სურვილი არ გახლდათ, საჩივრის წარდგენა (დაუშვებლად) დამოკიდებული ყოფილიყო განსაზღვრულ პირობებზე. რამდენადაც სახეზეა ერთი უპირობო სასარჩელო მოთხოვნა, **დანარჩენი** სასარჩელო მოთხოვნები ზოგადი პრინციპების ფარგლებში შეიძლება დამოკიდებული გავხადოთ განსაზღვრულ შიდასაპროცესო პირობებზე (vgl. auch BGH, Urteil vom 04.07.2014 - V ZR 298/13 - NJW 2014, 3314).

განსაკუთრებით გასაგებადაა წარმოდგენილი შიდასაპროცესო პირობების დასაშვებობის ფარგლები უმაღლესი ფედერალური სასამართლოს ქვემოთ ციტირებულ გადაწყვეტილებაში BGH NJW 1995, 1353 (Urteil vom 14.11.1994 - II ZR 160/93):

„მოსარჩელებმა საქმის სააპელაციო ინსტანციაში განხილვისას, მოპასუხის მიერ პირველ მოთხოვნასთან დაკავშირებით დადებული საკონსულტაციო და საქმიანი დავალების ხელშეკრულებებიდან გამომდინარე

რე, მოთხოვნის უფლებების შემონახვის თანმიმდევრობა დამოკიდებული გახადეს უპირატესი მოთხოვნის უფლებების დამატებით მტკიცების სავალდებულობაზე; მაშასადამე, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ უპირატესი მოთხოვნის უფლებები საჭიროებს მტკიცებულებების დამატებით შეგროვებას, სააპელაციო სასამართლოს, ამ მოთხოვნის უფლებათა გვერდის ავლით, პირველ რიგში, დამატებითი მოთხოვნა უნდა გადაეწყვიტა. ეს დათქმა, რომელიც გაიზიარა სააპელაციო სასამართლომ მხარის მიერ ზიანზე წარმოდგენილი მოთხოვნისას, დაუშვებელი შიდასაპროცესო პირობაა. მართალია, ყოველთვის შეიძლება სასამართლოს მისამართით წარმოდგენილი განცხადებებისა ან შუამდგომლობების განსაზღვრულ პირობებთან დაკავშირება, რათა სასამართლომ გადანყვეტილება მიიღოს მხოლოდ განსაზღვრული შიდასაპროცესო გარემოების დადგომის შემთხვევაში (BGH NJW 1984, 1240; RGZ 157, 369; BayObLGZ 1987, 46....), თუმცა, მისი წინაპირობაა, მხარემ ან მისმა მონინაალმდეგემ წარმოადგინონ სხვა განცხადებაც, ან მიუთითონ იმავე მიმართულების ფაქტობრივ გარემოებებზე, რომლებიც არ უკავშირდება განსაზღვრულ პირობებს და გადანყვეტილების მიღების სტაბილური საფუძველია, თუკი პირობადებული ქმედება, შესაბამისი პირობის არდადგომის შემთხვევაში, ვერ იქნება გადანყვეტილების მიღების საფუძველი. ამ შეზღუდვის გარეშე, შიდასაპროცესო მოვლენაზე დამოკიდებულება მიგვიყვანდა სასამართლო სამართალწარმოებისთვის გაუსაძლის გაურკვევლობამდე, რომელიც დაუშვებელს ხდის მსგავს საპროცესო მოქმედებებს (.....).

ამ პრინციპებს ეწინააღმდეგება საქმის ზეპირი განხილვისას მოსარჩელების მიერ სააპელაციო სასამართლოსადმი წაყენებული პირობა, რომ დამატებით მოთხოვნებზე სასამართლოს მხოლოდ იმ შემთხვევაში მიეღოს გადანყვეტილება, თუ უპირატესი მოთხოვნის უფლებებზე გადანყვეტილების გამოსატანად საჭირო გახდებოდა მტკიცებულებების შეგროვება. ამით მოსარჩელები, საკუთარ სარჩელს ზიანთან დაკავშირებით წარმოდგენილ ყველა მოთხოვნაზე, დამატებით უკავშირებენ კონკრეტულ პირობას, ისე, რომ, არ ტოვებენ არცერთ უპირობო მოთხოვნას, რის გამოც სარჩელი ვერ აკმაყოფილებს დასაშვებობის მოთხოვნას....“

ზზ) განსაკუთრებული პრობლემები საჩივრის განმხილველ ინსტანციაში

განსაკუთრებული პროცესუალური სირთულეები შეიძლება წარმოიშვას, თუ საჩივრის განმხილველ ინსტანციაში წინა ინსტანციისგან განსხვავებულად შეფასდება, რომელი შიდასაპროცესო პირობა დადგა და

რომელი არა. მსგავსი კონსტელაციები საკმაოდ მრავალფეროვანია და ამ შემთხვევაში მათი წარმოდგენა შესაძლებელია მხოლოდ ცალკეული პუნქტების სახით.

თუ, მაგალითად, სააპელაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს სარჩელის მთავარ მოთხოვნას და, ამავდროულად, სრულად ან ნაწილობრივ, ანდა საბოლოო გადაწყვეტილებით დააკმაყოფილებს დამატებით მოთხოვნას, საკასაციო სასამართლომ - რამდენადაც ის მოსარჩელის კასაციის საფუძველზე გააუქმებს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას მთავარ მოთხოვნაზე უარის ნაწილში და საქმეს დააბრუნებს სააპელაციო სასამართლოში - მხოლოდ ამ ნაწილში ახალი გადაწყვეტილების მისაღებად, ძალაში უნდა დატოვოს სასამართლო გადაწყვეტილება დამატებით მოთხოვნასთან მიმართებით, რომელსაც არ ასაჩივრებს კასატორი (BGH, Urteil vom 14.12.1988 - IVa ZR 209/87 - BGHZ 106, 219). თუ სააპელაციო სასამართლო საქმის განმეორებითი შემომწებისას მივა იმ დასკვნამდე, რომ მთავარი მოთხოვნა დასაბუთებულია, ვალდებული იქნება, რომ გადაწყვეტილებაში, რომლითაც დააკმაყოფილა ეს მოთხოვნა, გააუქმოს ის გადაწყვეტილებაც, რომელიც მიიღო დამატებით მოთხოვნასთან დაკავშირებით (BGH, Urteil vom 14.12.1988 - IVa ZR 209/87 - BGHZ 106, 219).

განსაკუთრებით კომპლექსურ კონსტელაციასთან გვაქვს საქმე უმაღლესი ფედერალური სასამართლოს ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში NJW 1996, 2165 (Urteil vom 06.03.1996 - VIII ZR 212/94). (შენიშვნა: ეს გადაწყვეტილება წარმოდგენილი იქნება შედარებით გამარტივებული ფორმით. მაშასადამე, არ იქნება ასახული სააპელაციო ინსტანციაში საქმის განხილვისას დამატებით განსახილველი საკითხი შეგებებული სარჩელის ორ ნაწილად გაყოფასთან დაკავშირებით და შეგებებული სარჩელის გაზრდა). ამ საქმეზე პირველი გადაწყვეტილების მიღებისას, მოპასუხემ შეგებებული სარჩელის აღძვრა პირდაპირ დაუკავშირა სასამართლოს გადაწყვეტილებას. კერძოდ, ის აღძრავდა შეგებებულ სარჩელს, თუ სასამართლო დააკმაყოფილებდა მას იმ დასაბუთებით, რომ სანოტარო აქტები არ შეიცავს აღსრულების ქვემდებარე აქტებს. დამატებით შეგებებული სარჩელი არ არის პრობლემა სამართლებრივი კუთხით, ვინაიდან ის დამოკიდებულია დასაშვებ (მიუხედავად იმისა, რომ ეს სასამართლო პრაქტიკაში უჩვეულოა) შიდასაპროცესო პირობაზე (BGH, Urteil vom 16.12.1964 - VIII ZR 47/63 - BGHZ 43, 28; BGH, Urteil vom 30.05.1956 - IV ZR 30/56 - BGHZ 21, 13; BGH, Urteil vom 06.03.1996 - VIII ZR 212/94 - NJW 1996, 2165). წინა ინსტანციის სასამართლომ სარჩელი მართლაც

დააკმაყოფილა ამ დასაბუთებით და, აქედან გამომდინარე, გადაწყვეტილება უნდა მიეღო ამ საქმეზე აღძრულ შეგებებულ სარჩელზეც. წინა ინსტანციის ეს გადაწყვეტილება გააუქმა სააპელაციო ინსტანციამ, რითაც გაუქმდა დამატებითი შეგებებული სარჩელის დადგომის პირობაც. ამით საფუძველი გამოეცალა წინა ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილებას შეგებებული სარჩელის ნაწილში. მსგავსი კონსტელაციის შემთხვევაში, საქმის წინა ინსტანციაში განსახილველად დაბრუნებისას, უნდა გაუქმდეს წინა ინსტანციის გადაწყვეტილება, ვინაიდან ის ეხება შეგებებულ სარჩელს (BGH, Urteil vom 30.05.1956 - IV ZR 30/56 - BGHZ 21, 13; BGH, Urteil vom 06.03.1996 - VIII ZR 212/94 - NJW 1996, 2165). თუ სააპელაციო ინსტანცია არსებითად გადაწყვეტს საქმეს და უარს იტყვის მოთხოვნის კონკრეტულ პირობაზე დამოკიდებულების არსებობაზე, რაზეც დამოკიდებულია შეგებებული სარჩელის აღძვრა, ამით შეგებებულ სარჩელზე გამოტანილი პირველი ინსტანციის გადაწყვეტილებას საფუძველი გამოეცლება (BGH, Urteil vom 13.01.2017 - V ZR 138/16 - MDR 2017, 812). თუმცა, სამართლებრივი სტაბილურობის საფუძვლებიდან გამომდინარე, კარგი იქნება, თუ ამას გასაგებად გაესმევა ხაზი სასამართლო გადაწყვეტილებაში, ან პირველი ინსტანციის გადაწყვეტილების შესაბამისად გაუქმებისას (BGH, Urteil vom 26.01.2016 - KZR 41/14 - NJW 2016, 2504).

ბ) საპროცესო მოქმედებების ზოგადი **შეუქცევადობა** გამომდინარეობს იქიდან, რომ საპროცესო სამართალი საპროცესო მოქმედებებისთვის არ შეიცავს §§ 119 ff. GER-BGB-ის შესატყვის რეგულაციებს.

(შენიშვნა: სამოქალაქო-სამართლებრივი შეცდომების წესები, დაახლოებით, შეესაბამება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 72-ე და შემდეგი მუხლების დებულებებს) (BGH, Urteil vom 27.05.1981 - IVb ZR 5898/80 - BGHZ 80, 389; BGH, Beschluss vom 14.05.2013 - II ZR 262/08 - NJW 2013, 2686; BSG, Beschluss vom 29.09.2017 - B 13 R 251/14 B - juris). ამასთან, შეუქცევადია კონკრეტული სამართლებრივი შედეგის დადგომისკენ მიმართული საპროცესო მოქმედებები, მათი პროცესის ფორმირების უშუალო ეფექტიდან გამომდინარე (BGH, Urteil vom 27.02.2015 - V ZR 128/14 - NJW 2015, 2425; BGH, Beschluss vom 08.07.2013 - VII ZB 35/12 - juris – სარჩელის გამოსმობასთან დაკავშირებით).

აა) თუმცა, გერმანული სამართლის დოგმატიკურ დისკუსიაში საპროცესო მოქმედებების შეუქცევადობის შესახებ, ხშირად არ არის გათვალისწინებული ფაქტი, რომ საპროცესო მოქმედებების უმრავლესობა მიზნად ისახავს სასამართლო გადაწყვეტილებების მიღებას (უფრო დაზუ-

სტებით დიფერენცირებულია: BGH, Urteil vom 27.02.2015 - V ZR 128/14 - NJW 2015, 2425 [ამონარიდების სახით ციტირებულია 79-ე და მომდევნო მუხლის კომენტარში, ა.ნ. 40).

მსგავსი საპროცესო მოქმედებები, უმეტეს შემთხვევაში, ექვემდებარება მხარის მიერ უკან ნაღებას.

კანონით პირდაპირ გათვალისწინებული კონსტელაციების გარდა (მაგ.: სარჩელისა და საჩივრის გამოხმობა), ეს მოქმედებს პროცესის მართვასა და ფორმირებაზე მიმართული საპროცესო მოქმედებების დროსაც (მაგ.: შუამდგომლობები, რომლებიც მიემართება მტკიცებულებას, სხდომის გადადების მოთხოვნას, საქმეების განცალკევებით განხილვას ან გაერთიანებას, საქმისწარმოების დროებით შეჩერებას, საპროცესო ვადის აღდგენას (სსკ-ის 65-ე და მომდევნო მუხლები), აცილებას და ა.შ.).

თუ რამდენად შესაძლებელია საპროცესო მოქმედების უკან ნაღება, რომელთა საფუძველზეც პროცესის მეორე მხარეს გაუჩნდა გარკვეული კანონიერი ნდობა, მკაცრად დამოკიდებულია კონკრეტულ გარემოებებზე. კანონისმიერი მოწესრიგების კუთხით, უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია ორი რეგულაცია:

§ 128 GER-ZPO ზეპირობის პრინციპი; საქმისწარმოება ზეპირი განხილვის გარეშე

(2) მხარეთა თანხმობით, რომლის უკან ნაღებაც შესაძლებელია მხოლოდ საპროცესო მდგომარეობის არსებითად შევლის შემთხვევაში, სასამართლოს შეუძლია, მიიღოს გადაწყვეტილება საქმის ზეპირი განხილვის გარეშე.

§ 284 GER-ZPO - მტკიცებულების შეგროვება

...მხარეთა თანხმობით, სასამართლოს შეუძლია, შეაგროვოს მტკიცებულებები იმ სახით, რა სახითაც მას ყველაზე შესატყვისად მიაჩნია. თანხმობა შეიძლება ეხებოდეს ცალკეულ მტკიცებულებებს. თანხმობის უკან ნაღება შესაძლებელია მხოლოდ საპროცესო ვითარების არსებითად შეცვლის შემთხვევაში, იმ მტკიცებულებების შეგროვებამდე, რომლებსაც ეხება ეს თანხმობა.

რამდენადაც არ არის სახეზე სპეციალური კანონისმიერი რეგულაციები, ზღვრის გავლების ზოგად კრიტერიუმია ის, თუ რამდენად ირღვევა პროცესის მონაწილე მონინააღმდეგე მხარის დაცვის ღირსი ინტერესი საპროცესო მოქმედების უკან ნაღებით (BGH, Urteil vom 27.02.2015 – V ZR 128/14 - NJW 2015, 2425 მოთხოვნის საკუთარი სახელით წარდგენის

მინიჭებული უფლებამოსილების უკან წაღება, როცა საქმე ეხება სასამართლოში საკუთარი სახელით სხვისი საქმის ნებაყოფლობით წარმოებას [იხ. 79-ე მუხლის კომენტარის პუნქტი 2 ბ)დდ)].

სასამართლო პრაქტიკა უშვებს საქმის დამთავრებაზე მხარის განცხადების „უკან წაღებას“ (იხ. 83¹ კომენტარი, ა.ნ. 17 და მომდევნო აბზაცები, ასევე, ა.ნ. 21 და მომდევნო აბზაცები), რამდენადაც უკან წაღების მომენტისთვის ჯერ არ არის სახეზე არც მეორე მხარის შემხვედრი განცხადება, და არც სასამართლოს გადაწყვეტილება ამ საკითხზე (BGH, Beschluss vom 14.05.2013 - II ZR 262/08 – NJW 2013, 2686; BGH, Urteil vom 07.06.2001 - I ZR 157/98 - NJW 2002, 442). თუ ყურადღებით დავუკვირდებით, ამ შემთხვევაში საქმე ეხება არა საქმის დამთავრებაზე მხარის განცხადების, როგორც საპროცესო მოქმედების „უკან წაღებას“, არამედ პირველად სასარჩელო მოთხოვნაზე დაბრუნებას სასარჩელო საგნის დასაშვები ორმაგი შეცვლით - მაშასადამე, იმ საპროცესო მდგომარეობის შექმნას, რომელიც მხოლოდ ეფექტის კუთხით ჰგავს უკან წაღებას.

ბბ) ზოგადად, შეუქცევადი საპროცესო მოქმედებების უკან წაღება, გამონაკლისის სახით, შეიძლება იყოს სახეზე, თუ მითითებული ნაკლი გზას გაუხსნიდა საქმისწარმოების განახლების შესახებ სარჩელს § 580 GER-ZPO (დაახლოებით იმავეს ამბობს საქართველოს სსკ-ის 421-ე და შემდეგი მუხლები GEO-ZPO) (BGH, Beschluss vom 14.05.2013 - II ZR 262/08 - NJW 2013, 2686; BGH, Beschluss vom 14.01.1991 - NotZ 1/90 - juris). თუ საპროცესო მოქმედებას აქვს ნაკლი, რომელიც კავშირშია საქმისწარმოების განახლების საფუძველთან (მაგ.: სსკ-ის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი), მაშინ უაზრო ფორმალთა იქნებოდა, რომ ჯერ დაველოდოთ კანონიერი ძალის მქონე სასამართლო გადაწყვეტილებას მიღებას და შემდგომ განახლდეს საქმისწარმოება ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგ.

საპროცესო მოქმედების მსგავსი სახით უკან წაღების წინაპირობაა, სახეზე იყოს საქმისწარმოების განახლების არა მხოლოდ ერთი საფუძველი: ამ მომენტისთვის უნდა არსებობდეს საქმისწარმოების განახლების სარჩელის სხვა დანარჩენი პროცესუალური წინაპირობებიც, უპირველეს ყოვლისა, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენი (§ 581 GER-ZPO, Art. 423 Abs. 3 GEO-ZPO) (BGH, Beschluss vom 15.02.1954 - IV ZB 1/54 - BGHZ 12, 284) და დაცული იყოს განცხადების შეტანის ვადა (§ 586 GER-ZPO, Art. 426 GEO-ZPO) (BGH, Beschluss vom 08.07.1960 - IV ZB 201/60 - BGHZ 33, 73). სასამართლოს, მისთვის მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, შეუძლია, შეაჩეროს საქმი-

სწარმოება საპროცესო მოქმედების უკან წაღების შესახებ, მხარის ნაადრევად გაკეთებული განცხადების საფუძველზე.

გ) თუ საპროცესო მოქმედებები არ არის სამართლებრივად ნამდვილი საპროცესო ქმედუნარიანობისა და უფლებაუნარიანობის არარსებობის გამო, მათი დაშვება შესაძლებელია განსაზღვრული წინაპირობების შემთხვევაში (იხ. 81-ე მუხლის კომენტარი, ა.ნ. 18 და მომდევნო აბზაცები).

3. საპროცესო მოქმედებების განმარტებას ენიჭება არსებითი პრაქტიკული მნიშვნელობა.

ამ კუთხით, გერმანიაში დიდ მნიშვნელობას იძენს **საკონსტიტუციო სამართლებრივი გავლენები**. იმისთვის, რომ უფრო გასაგები გახდეს საკონსტიტუციო სამართლის ეს ეფექტი, წარმოგიდგინთ ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკას.

გერმანიის უმაღლესი ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო, მუდმივ სასამართლო პრაქტიკაში, საკონსტიტუციო-სამართლებრივ მოთხოვნის უფლებას ეფექტიან სამართლებრივ დაცვაზე (BVerfG, Beschluss vom 20.06.1995 - 1 BvR 166/93 - BVerfGE 93, 99; BVerfG, Beschluss vom 13.03.2017 - 1 BvR 563/12 - NJW 2017, 1939; BVerfG, Beschluss vom 17.12.2015 - 1 BvR 3164/13 - NJW 2016, 2018) უკავშირებს საკონსტიტუციო სამართლებრივ გარანტიებსა და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპს (გერმანიის ფედერალური კონსტიტუციის Art. 20 Abs. 3 GER-GG). სასამართლო წესით გასაჩივრების გარანტია უზრუნველყოფს არა მხოლოდ მოქალაქეების შესაძლებლობას, რომ მიმართონ სასამართლოს, არამედ სამართლებრივი დაცვის ეფექტიანობასაც, როგორც საკანონმდებლო რეგულაციების, ისე სასამართლოში საქმისწარმოების კონკრეტულად ფორმირებისას.

ა) კანონმდებელს, სასამართლო წესით გასაჩივრების გარანტიის მართლმართლებრივი კონკრეტიზაციისას, უფლება აქვს, მიიღოს რეგულაციები, რომლებიც სამართლებრივი დაცვისთვის სპეციალურ ფორმალურ წინაპირობებს ითვალისწინებს და ამით შემზღუდველად მოქმედებს სამართლებრივი დაცვის მაძიებლის მიმართ (BVerfG, Beschluss vom 20.04.1982 - 2 BvL 26/81 - BVerfGE 60, 253; BVerfG, Beschluss vom 16.06.2016 - 1 BvR 873/15 - ZIP 2016, 1721; BVerfG, Beschluss vom 17.12.2015 - 1 BvR 3164/13 - NJW 2016, 2018). ეს ეხება ფორმის დაცვას, რამდენადაც ემსახურება სამართლებრივ სტაბილურობას და, მაშასადამე, გამოდგება პროცესის ყველა მონაწილისთვის საპროცესო სიტუაციის

სწრაფად და ეჭვგარეშე გასარკვევად (BVerfG, Beschluss vom 17.12.2015 - 1 BvR 3164/13 - NJW 2016, 2018).

თუმცა, მსგავსი საკანონმდებლო შეზღუდვები უნდა შეესაბამებოდეს სამართლებრივ-სახელმწიფოებრივ საპროცესო წესებს და ისეთ ტვირთად არ აწვებოდეს ცალკეულ მოქალაქეს (რომელიც მიმართავს სასამართლოს), რომ შეზღუდვის გამართლება ობიექტურად შეუძლებელი იყოს. ეს მიემართება არა მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოს, არამედ მთლიანად სასამართლო პროცესის ფორმირებას (BVerfG, Beschluss vom 29.10.1975 - 2 BvR 630/73 - BVerfGE 40, 272); თანაც, თანაბრად - როგორც მოსარჩელე მხარის სასამართლოსთვის მიმართვის უფლებას, ისე მოთხოვნას მონინაალმდევე მხარის უფლების დაცვაზე (BVerfG, Beschluss vom 17.12.2015 - 1 BvR 3164/13 - NJW 2016, 2018).

ბ) ეს კონსტიტუციურ სამართლებრივი ვალდებულება ეხება არა მხოლოდ კანონმდებელს, არამედ მოსამართლესაც, საქმის კონკრეტულად წარმართვისას. მოსამართლისთვისაც სავალდებულოა, რომ გაითვალისწინოს ეფექტიანი სამართლებრივი დაცვის ძირითადი უფლების მასშტაბები (BVerfG, Beschluss vom 25.09.2018 - 1 BvR 453/17 - NJW 2018, 3699; BVerfG, Beschluss vom 17.12.2015 - 1 BvR 3164/13 - NJW 2016, 2018) და ისე განმარტოს საპროცესო კანონმდებლობის წესები, რომლებიც უშვებს განმარტების თავისუფლებას, რათა არ ეწინააღმდეგებოდეს ეფექტიანი სამართლებრივი დაცვის მოთხოვნას (BVerfG, Beschluss vom 02.03.1993 - 1 BvR 2149/92 - BVerfGE 88, 118; BVerfG, Beschluss vom 25.09.2018 - 1 BvR 453/17 - NJW 2018, 3699). გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლო (BGH, Urteil vom 21.07.2017 - V ZR 72/16 - ZfIR 2017, 836; vgl. auch BGH, Beschluss vom 13.09.2018 - I ZB 100/17 - juris; BGH, Beschluss vom 16.01.2018 - VIII ZB 61/17 - NJW 2018, 1022) შემდგენაირად აჯამებს მოსამართლის ამ ვალდებულებას:

„სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი მოქალაქისთვის უზრუნველყოფს ეფექტიან სამართლებრივ დაცვას საჯარო ხელისუფლების ქმედებათა წინააღმდეგ; მოქალაქეს აქვს ფაქტობრივად ქმედითი სასამართლო კონტროლის მოთხოვნის უფლება. ეს, ძირითადად, არ გამოორიცხავს სასამართლოში სამართალწარმოების ნორმატიულ მონესრიგებას, რომლის მიხედვითაც, სამართლებრივი დაცვის მოთხოვნის განხორციელება დამოკიდებულია ფორმალური წინაპირობების დაცვაზე. მსგავსმა შეზღუდვებმა არ უნდა უგულებელყოს ეფექტიანი სამართლებრივი დაცვის მიზანი; ეს შეზღუდვები, ამ კუთხით, შესაბამისი, ადეკვატური და რელევანტური უნდა იყოს სამართლებრივი დაცვის საჭიროების მქონე მოქალაქისთვის. სასამართლოებს არ აქვთ უფლება, რომ საპროცესო სა-

მართლებრივი წესების განმარტებისა და გამოყენებისას, შეუსაბამოდ და არაობიექტურად გაართულონ მოქალაქისთვის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული ინსტანციების ხელმისაწვდომობა (BVerfGE 74, 228; BVerfGE 77, 275, 284; BVerfG NJW 2002, 3534).“

გ) საპროცესო მოქმედებების განმარტება ამ კონსტიტუციურ-სამართლებრივ ფონზე, აგრეთვე, სპეციალიზებული სასამართლოების პრაქტიკის შესაბამისად, არ უნდა იყოს დამოკიდებული მხარის მიერ გამოხატული აზრის სიტყვა-სიტყვით გაგებაზე: ის უნდა იკვლევდეს მხარის ნამდვილ ნებას. ამასთან, გასათვალისწინებელია პრინციპი, რომ ეჭვის შემთხვევაში, მხარეს სურს ის, რაც გონივრულია მართლმსაჯულების მასშტაბების გათვალისწინებით და შეესაბამება მხარის კარგად **გააზრებულ ინტერესებს** (BGH, Urteil vom 14.03.2008 - V ZR 16/07 - BGHZ 176, 35; BGH, Beschluss vom 13.09.2018 - I ZB 100/17 - juris; BGH, Beschluss vom 16.01.2018 - VIII ZB 61/17 - NJW 2018, 1022; BGH, Urteil vom 04.12.2015 - V ZR 22/15 – MDR 2016, 512). თუმცა, ეს „ფართოდ განმარტების“ მოთხოვნა შეუზღუდავად არ მოქმედებს, ვინაიდან განმცხადებლის ინტერესები საპროცესო განცხადებების განმარტების მხრივ, განმსაზღვრელია მხოლოდ იმდენად, რამდენადაც თვალსაჩინოა განცხადებლის მომენტისთვის **გამოხატული გარემოებიდან გამომდინარე** (BGH, Urteil vom 04.12.2015 - V ZR 22/15 - MDR 2016, 512). ამასთან, შერჩეული ფორმულირების მიერ გავლენილი საზღვრების გათვალისწინებით, განმსაზღვრელია განმცხადებლის **ობიექტურად გამოხატული ნება** (BGH, Beschluss vom 10.11.2009 - XI ZB 15/09 - NJW-RR 2010, 275).

დ) საპროცესო მოქმედებებისას გამოიყენება **კეთილსინდისიერების პრინციპიც** (BGH, Urteil vom 14.07.2015 - VI ZR 26/14 - BGHZ 206, 219; BGH, Urteil vom 23.10.1990 - VI ZR 105/90 - BGHZ 112, 345; BGH, Urteil vom 03.02.1987 - VI ZR 56/86 - BGHZ 99, 391). მხარის ურთიერთგამომრიცხავი ქცევა (venire contra factum proprium) შეიძლება უტოლდებოდეს უფლების ბოროტად გამოყენებას და, აქედან გამომდინარე, დაუშვებელი იყოს (BGH, Beschluss vom 16.12.2010 - III ZB 100/09 - BGHZ 188, 1; BGH, Beschluss vom 30.04.2009 - III ZB 91/07 - NJW-RR 2009, 1582). თუმცა, ამის წინაპირობაა, რომ ადრინდელი ქცევა საგნობრივად არ შეესაბამებოდეს მოგვიანებით ქცევას და მოწინააღმდეგე მხარის ინტერესები ამასთან დაკავშირებით უპირატესად დაცვის ღირსად მოჩანდეს (BGH, Urteil vom 14.07.2015 - VI ZR 26/14 - BGHZ 206, 219). თუმცა ამავედროულად ხაზგასასმელია, რომ სამართლებრივი სტაბილურობის საფუძველიდან გამომდინარე, რომელსაც განსაკუთრებული წონა აქვს საპროცე-

სო სამართალში, ზოგადი სამოქალაქო საპროცესო სამართლის პრინციპების მსგავსი სახის გარღვევები შეიძლება დაიშვას მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში.

4. სამართლებრივი სიტუაცია **საპროცესო მორიგებისას** (ამონარიდი უმაღლესი ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილებიდან BGH, Urteil vom 14.07.2015 - VI ZR 326/14 - BGHZ 206, 219):

„საპროცესო მორიგებას ორმაგი სამართლებრივი ბუნება აქვს: ერთი მხრივ, ეს არის საპროცესო მოქმედება, რომლითაც მთავრდება სამართლებრივი დავა და რომლის მოქმედებაც განისაზღვრება საპროცესო სამართლებრივი პრინციპების შესაბამისად; გარდა ამისა, ის გახლავთ კერძო-სამართლებრივი გარიგება, რომლის მიმართაც მოქმედებს მატერიალური სამართლის რეგულაციები და რომლითაც მხარეები აწესრიგებენ საკუთარ მოთხოვნის უფლებებსა თუ ვალდებულებებს (BGHZ 164, 190; BGHZ 142, 84; BGHZ 79, 71...). საპროცესო მოქმედება და კერძო გარიგება ერთმანეთისგან განცალკევებულად არ დგას: პროცესუალური ეფექტები და მატერიალურ-სამართლებრივი შეთანხმებები ერთმანეთზე დამოკიდებული (...). საპროცესო მორიგება მხოლოდ მაშინ არის ნამდვილი, თუ სახეზეა მატერიალურ-სამართლებრივი წინაპირობები და შესრულებულია პროცესუალური მოთხოვნები, რომლებიც წაეყენება სამართლებრივად ნამდვილ საპროცესო მოქმედებას. თუ არ არის წარმოდგენილი ერთ-ერთი ამ წინაპირობათაგანი, მაშინ არ გვაქვს სამართლებრივად ნამდვილი საპროცესო მორიგება და, შესაბამისად, არ დადგება პროცესის დამამთავრებელი ეფექტი (.....)“

ა) **საპროცესო მორიგების ამ ორმაგმა ბუნებამ** (vgl. auch BGH, Urteil vom 14.09.2018 - V ZR 267/17 - juris), რომელიც, როგორც აღინიშნა, მოიცავს **მატერიალურ-სამართლებრივ გარიგებასაც და საპროცესო მოქმედებასაც** და მხოლოდ იმ შემთხვევაში ხორციელდება, როცა ნამდვილია ორივე სამართლებრივ გარიგებასთან დაკავშირებული განცხადება (BGH, Urteil vom 19.04.2018 - IX ZR 222/17 - NJW-RR 2018, 1023), შესაძლოა გამოიწვიოს არცთუ უმნიშვნელო პრობლემები. ეს პრობლემები, ერთი მხრივ, იმის შედეგია, რომ საპროცესო მოქმედებები, როგორც წესი, არ ექვემდებარება გამოსხმობას ან შეცილებას (BGH, Urteil vom 23.10.2015 - V ZR 76/14 - NJW 2016, 716; ამასთან დაკავშირებით, უფრო დაწვრილებით იხ. ზემოთ, ა.ნ. 3 და მომდევნო აბზაცები), მაშინ, როდესაც მატერიალურ-სამართლებრივი გარიგებისთვის მოქმედებს სამოქალაქო კოდექსის ზოგადი რეგულაციები ნამდვილობასა და, პირველ რიგში, საცილობასთან დაკავშირებით. მეორე მხრივ, ქმედითი საპროცესო მორიგების შედეგად, პროცესის დამამთავრებელი ეფექტი დგება

უშუალოდ მხარეთა საპროცესო მოქმედებებით - მაშასადამე, სასამართლოს მხრიდან დამატებითი ღონისძიების გატარების გარეშე (განჩინების პირწმინდად აღიარებით ეფექტთან დაკავშირებით, იხ. § 278 Abs. 6 Satz 2 GER-ZPO, შესაბამისად, იხ. OLG Schleswig, Beschluss vom 27.02.2017 - 4 U 19/16 - NJW 2018, 638). აქედან გამომდინარე, გასარკვევია, რა მოხდება, როდესაც სადავოა სამართლებრივად ნამდვილად დაიდო თუ არა საპროცესო მორიგება, ან უკუქცევითი ძალით გაბათილდა თუ არა მისი მატერიალურ-სამართლებრივი ნაწილი შემდგომი აღმჭურველი აქტებით, როგორცაა შეცვლების შუამდგომლობა.

სიფრთხილის კუთხით უნდა აღინიშნოს, რომ ეს კითხვები არ დადგება დღის წესრიგში, თუ საპროცესო მორიგება პოსტფაქტუმ, მხარეთა შეთანხმებით, ქმედით ცვლილებას განიცდის, ან გაუქმდება (BGH, Urteil vom 19.04.2018 - IX ZR 222/17 - NJW-RR 2018, 1023), ანდა ერთ-ერთი მონაწილე მიუთითებს მორიგების საფუძვლის არარსებობასა თუ მოსპობაზე, ვინაიდან ამ შემთხვევაში შენარჩუნდებოდა საპროცესო მორიგების დამამთავრებელი ეფექტი. თუმცა, საპროცესო მორიგება, ზოგადი სამოქალაქო-სამართლებრივი კრიტერიუმების შესაბამისად, შეიძლება შეიცვალოს, გარიგების საფუძვლის მოსპობის პრინციპების მიხედვით. ეს, პირველ რიგში, ასეა იმ შემთხვევაში, თუ ხანგრძლივი სამართლებრივი ურთიერთობისას, განსაკუთრებით, მორიგებაში მონესრიგებული სარჩოს გადახდის მოთხოვნის უფლებებისას, სამართლებრივი საფუძველი შეიცვლება მორიგების დადების შემდეგ. გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლო ამასთან დაკავშირებით შემდეგნაირად მსჯელობს (BGH, Urteil vom 05.09.2001 - XII ZR 108/00 - BGHZ 148, 368):

„ა) არსებობს აზრთა თანხვედრა, რომ საკანონმდებლო ვითარების ცვლილება და ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მასთან გათანაბრებული ნორმის კონსტიტუციურად განმარტება შესაძლებელს ხდის როგორც მორიგებების, ისე სასამართლო გადანყვეტილებების შეცვლას (BGH FamRZ 1990, 1091...).

ბ) სასამართლო პრაქტიკის შეცვლას ლიტერატურა და სასამართლო პრაქტიკის ნაწილი არ მიიჩნევს ამისთვის საკმარის საფუძვლად (...). თუმცა, ეს ასევე ხშირად გათანაბრებულია ფაქტობრივი ურთიერთობების მხოლოდ სამართლებრივი შეფასების შეცვლასთან, რომელიც საფუძვლად უდევს რეგულაციას (...). პალატამ ამ უკანასკნელი შემთხვევებისთვის უკვე მრავალგზის განაცხადა, რომ მხოლოდ სამართლებრივი შეფასების ცვლილებები უკვე ნაცნობ და წარსულ საქმეებზე შეფასებულ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით, არ ამართლებს შეცვლას,

ვინაიდან შეცვლა ემსახურება მხოლოდ გაუმართლებელი პროგნოზის შესწორებას და არა (საჩივრისგან განსხვავებით) შეცდომების აღმოფხვრას (...BGH FamRZ 1990, 981; BGH NJW-RR 1992, 1091)....

გ) საპროცესო მორიგებებისთვის, რომლებიც ეხება ხანგრძლივ ვალდებულებით ურთიერთობებს, გერმანიის უმაღლესმა ფედერალურმა სასამართლომ უკვე მიიღო გადაწყვეტილება, რომ გამყარებული უმაღლესი სასამართლო პრაქტიკის ცვლილებამ შესაძლოა ხარვეზები გამოიწვიოს სახელშეკრულებო შეთანხმებებში. მათი აღმოფხვრა შესაძლებელია სახელშეკრულებო შეთანხმებების ამ ცვლილებებთან შესაბამეობით, გარიგების საფუძვლის მოსპობის პრინციპების მიხედვით. მსგავს შემთხვევებში, შეფასების საფუძველია ის, რომ შეთანხმების დადებისას ორივე მხარის შეცდომა სამართლებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებით, შეიძლება ნიშნავდეს გარიგების საფუძვლის არარსებობას, რამდენადაც შეთანხმება, წინააღმდეგ შემთხვევაში, არ დაიდებოდა ამ სამართლებრივი შეცდომის გარეშე, ან ამ შინაარსით. ანალოგიური მოქმედება, როდესაც მხარეთა გარიგების დადების სურვილი ეფუძნებოდა მათ ერთობლივ მოლოდინს განსაზღვრული სამართლებრივი მდგომარეობის გაგრძელებასთან მიმართებით (BGHZ 58, 355;... BGH FamRZ 1995, 665). განმარტების გზით უნდა გაირკვეს, რა ურთიერთობა დაუდეს მხარეებმა საფუძვლად მათ შორის მიღწეულ შეთანხმებას და რომელი სამართლებრივი სიტუაციიდან გამომდინარეობს ისინი. რამდენად შესაძლებელია და როგორ ამ შეთანხმების შესაბამისობაში მოყვანა შეცვლილ სამართლებრივ მდგომარეობასთან, საჭიროებს შეცვლილი ვითარების გულდასმით შემოწმებას, ორივე მხარის ინტერესების გათვალისწინებით. არ კმარა ის, რომ არსებულ შეთანხმებაზე დარჩენა მხოლოდ ერთ მხარეს არ მოეთხოვება, აუცილებელია, ამავდროულად წარმოდგენილი იყოს, რომ მეორე მხარისთვისაც შესაძლებელია უარის თქმა შეთანხმებაზე (BGHZ 58, 355). აგრეთვე გასათვალისწინებელია, რომ მორიგების ფარგლებში, საერთო ჯამში, შეთანხმებულ წესებს შორის ჯერ კიდევ არსებობს ჯანსაღი ბალანსი.... ამასთან, საქმე უნდა ეხებოდეს სასამართლო პრაქტიკის შეცვლას, რომელიც ქმნის სხვა სამართლებრივ სიტუაციას და ამით შედეგების კუთხით უტოლდება საკანონმდებლო ცვლილებას, ან სამართლებრივი სიტუაციის შეცვლას ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო პრაქტიკის მიერ...”

ბ) დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, კითხვას, დამთავრდა თუ არა სამართლებრივი დავა საპროცესო მორიგებით, პასუხი უნდა გასცეს საპროცესო მორიგებით ფაქტობრივად ან სავარაუდოდ დამთავრებული სამართლებრივი დავის გაგრძელებამ.

გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლო ამასთან დაკავშირებით გთავაზობს შემდეგ მსჯელობას BGHZ 142, 253 (Urteil vom 29.07.1999 - III ZR 272/98):

„სწორია სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების ამოსავალი სამართლებრივი მსჯელობა, რომ დავა, ბათილია თუ არა საპროცესო მორიგება, უნდა გაიმართოს საქმის თავდაპირველი წარმოების გაგრძელების ფარგლებში. ეს მაშინაც მოქმედებს, თუ - როგორც წინამდებარე შემთხვევაში - საქმე ეხება კითხვას, ხომ არ გამოიწვია ერთი მხარის მიერ განხორციელებულმა შეცდომებამ მორიგების უკუქცევითი ძალის მექონე ბათილობა (§ 142 Abs. 1 BGB). ეს მიდგომა შეესაბამება უმაღლესი ფედერალური სასამართლოს პრაქტიკას (მოყოლებული BGHZ 28, 171; შდრ. განსაკუთრებით BGHZ 87, 227...). ამ კუთხით, პირველ რიგში, განმსაზღვრელია მოსაზრება, რომ ბათილ საპროცესო გარიგებას შედეგად არ მოჰყოლია პირველ ინსტანციაში განხილული საქმის დამთავრება. აქედან გამომდინარე, ახალ სარჩელს - რამდენადაც ამ სარჩელით უნდა განხორციელდეს თავდაპირველი საპროცესო მიზანი - დავის საგნის შეუცვლელად დატოვების პირობებში, წინ აღუდგებოდა მხარის შესაგებელი საქმის სხვა სასამართლოს განხილვაში არსებობაზე.“

თუ მოსარჩელე საპროცესო მორიგებას სამართლებრივად ნამდვილად მიიჩნევს და, შესაბამისად, საქმეს (მოპასუხისგან განსხვავებით) დამთავრებულად თვლის, საკუთარი სარჩელი აღიარებითი სარჩელით უნდა შეცვალოს და სასამართლოსგან მოითხოვოს აღიარება, რომ სამართლებრივი დავა დამთავრებულია საპროცესო მორიგებით. თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ საპროცესო მორიგება ნამდვილია, მორიგების პროცესის დამამთავრებელ ეფექტს დაადგენს აღიარებით სარჩელზე მიღებული (და არა შუალედური) გადაწყვეტილებით (§§ 280, 303 GER-ZPO-ს მიხედვით) (BGH, Urteil vom 19.04.2018 - IX ZR 222/17 - NJW-RR 2018, 1023; BGH, Beschluss vom 18.09.1996 - VIII ZB 28/96 - NJW 1996, 3345; BVerwG, Beschluss vom 11.12.2007 - 2 B 86/07 - HFR 2009, 1039) და მოპასუხეს დააკისრებს დარჩენილი ხარჯების გადახდას. თუ სასამართლო ჩათვლის, რომ საპროცესო მორიგება ბათილია, არ დააკმაყოფილებს (აღიარებით) სარჩელს. თუმცა, მოსარჩელისთვის უმჯობესია, რომ აღიარებითი სარჩელის პარალელურად, დამატებით გააგრძელოს მანამდელი სასარჩელო მოთხოვნის განხორციელება, რათა სასამართლომ, თუ ვერ დაადგენს საქმის მორიგების პროცესით დამთავრებას, განიხილოს მოსარჩელის მანამდე არსებული მოთხოვნა. სასამართლოს ამ შემთხვევაში შეეძლება, შუალედური გადაწყვეტილებით (§§ 280, 303 GER-ZPO-ს მი-

ხედვით) დაადგინოს, რომ სამართლებრივი დავა არ დამთავრებულა მორიგებით (BGH, Beschluss vom 18.09.1996 - VIII ZB 28/96 - NJW 1996, 3345; BVerwG, Beschluss vom 11.12.2007 -

2 B 86/07 - HFR 2009, 1039) და გააგრძელოს საქმისწარმოება შუალედური გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ. თუ სასამართლო უარს იტყვის შუალედური გადაწყვეტილების მიღებაზე, მაშინ მან (ამ შემთხვევაში მთავარი და დამატებითი მოთხოვნების განხილვის თანამიმდევრობის დაცვით) საბოლოო გადაწყვეტილებაში (რომელიც მიემართება მორიგებით სამართლებრივი დავის დასრულების აღიარებას) ჯერ უარი უნდა თქვას აღიარებითი სარჩელის დაკმაყოფილებაზე და მხოლოდ ამის შემდეგ განიხილოს არსებითად დამატებითი (ამ შემთხვევაში, უწინდელი) მოთხოვნა.

მსგავსი სახის წარმოება, ფაქტობრივად, იწყება იმ მხარის განცხადებით სხდომის ჩანიშვნაზე, რომელიც არ ეთანხმება მოსაზრებას, რომ მორიგებით დამთავრდა საქმე. ამგვარი შუამდგომლობის საფუძველზე, უნდა გაგრძელდეს საქმისწარმოება და დაინიშნოს ზეპირი განხილვა.

ამ წარმოების ფარგლებში, ჩვეულებრივ, უნდა განხორციელდეს მორიგების საფუძველზე განხორციელებული შესრულებების უკან დაბრუნების მოთხოვნის უფლება; ამის შემდეგ, ახალი სარჩელისთვის, როგორც წესი, მოჭრილია სასამართლოსადმი მიმართვის გზა (BGH, Urteil vom 29.07.1999 - III ZR 272/98 - BGHZ 142, 253).

თუმცა, მხარეების გადასაწყვეტია (რამდენადაც მათ გაუჩნდებათ ეჭვი), მიუთითებენ თუ არა საპროცესო მორიგების პროცესის დამამთავრებელი ეფექტის არარსებობაზე. თუ ორივე მხარე დამთავრებულად მიიჩნევს პროცესს, ახალი სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, სასამართლო ვერ ეტყვის მხარეს უარს სარჩელის წარმოებაში მიღებაზე. ეს ეხება იმ შემთხვევასაც, თუ სასამართლო, რომელიც განიხილავს შემდეგ პროცესს, არ თვლის, რომ სახეზე იყო საპროცესო მორიგების პროცესის დამამთავრებელი ეფექტი (BGH, Urteil vom 29.07.1999 - III ZR 272/98 - BGHZ 142, 253; BGH, Urteil vom 21.11.2013 - VII ZR 48/12 - NJW 2014, 394).

დავა საპროცესო მორიგების **განმარტებასთან** დაკავშირებით არ შეიძლება წარიმართოს (ექვგვარეშე დამთავრებული) საქმის გაგრძელებით; თუმცა, მსგავსი დავის წარმართვა დასაშვებია აღსრულების წინააღმდეგ მიმართული სარჩელის ფარგლებში, § 767 GER-ZPO-ს მიხედვით (იხ. მე-10 მუხლის კომენტარი, ა.ნ. 41 და მომდევნო აბზაცები) (BGH, Urteil vom 04.11.1976 - VII ZR 6/76 - NJW 1977, 583).

განმარტებით აგრეთვე შეიძლება მივიღოთ, რომ საპროცესო მორიგება, რომელიც ბათილია მხოლოდ საპროცესო მოქმედების ნაკლის გამო, ძალაში დარჩეს მატერიალურ-სამართლებრივ ნაწილში (BGH, Urteil vom 24.10.1984 - IVb ZR 35/83 - NJW 1985, 1962).

გ) შესაძლებელია საპროცესო მორიგების გაუქმების პირობით დადება, ვინაიდან **გაუქმების დათქმა** პროცესისთვის დამახასიათებელი დასაშვები პირობაა. თუ საპროცესო მორიგება იდება გაუქმების პირობით, როგორც წესი, უნდა ამოვიდეთ პირობის შემაკავებელი ეფექტიდან. მსგავსი განმარტება ემსახურება სამართლებრივ სტაბილურობას; თუმცა, ამავდროულად, ორივე მხარის ინტერესში შედის, რომ მხარეებმა გაუქმების პირობით დადებული მორიგების სამართლებრივი ეფექტი მხოლოდ მორიგების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ მიიღონ (BGH, Urteil vom 27.10.1983 - IX ZR 68/83 - BGHZ 88, 364; BGH, Urteil vom 19.04.2018 - IX ZR 222/17 - NJW-RR 2018, 1023). თუ ჯერ კიდევ არ ამოქმედებულა მსგავსი კანონიერი ძალა - და ამით არ დამდგარა პროცესის დამამთავრებელი ეფექტი - მხარეებს შეუძლიათ, სასამართლოს მონაწილეობის გარეშე, სამართლებრივად ნამდვილად შეცვალონ გაუქმების ვადა (თუმცა არა ნამდვილობის სხვა წინაპირობები), საპროცესო განმარტების შინაარსის კუთხითაც (BGH, Urteil vom 19.04.2018 - IX ZR 222/17 - NJW-RR 2018, 1023).

გერმანიაში არსებითი პრაქტიკული მნიშვნელობა ენიჭება ამ ე.წ. გაუქმების დათქმით დადებულ მორიგებებს. მათ, უპირველეს ყოვლისა, იმ შემთხვევაში მიმართავენ, როდესაც: სხდომაზე ერთ-ერთი მხარე არ ცხადდება; საჭიროა - განსაკუთრებით, დიდი ორგანიზაციების შემთხვევაში (მაგ.: სადაზღვევო კომპანიები, ადმინისტრაციული ორგანოები) - ორგანიზაციის შიგნით სხვა გადანყვეტილების მიმღები პირების ჩართვა; გასარკვევია მორიგების საგადასახადო-სამართლებრივი შედეგები; ორგანიზაციის შიგნით, მორიგებიდან გამომდინარე, აუცილებელია არაპირდაპირ დაინტერესებული მესამე პირის ჩართვა; ან კიდევ ერთხელ უნდა დამუშავდეს საბუღალტრო დოკუმენტაცია. პირობადებული მორიგება, არცთუ იშვიათად, ემსახურება იმასაც, რომ მხარეს, რომელსაც ჯერ ვერ მიუღია გადანყვეტილება, მიეცეს დრო დასაფიქრებლად და, საჭიროების შემთხვევაში, დამატებითი შიდა კონსულტაციების საწარმოებლად.

დ) § 794 Abs. 1 Nr. 1 GER-ZPO-ს მიხედვით, საპროცესო მორიგება **აღსრულების ქვემდებარე აქტია**. საკმაოდ კომპლექსური მითითებების კონსტელაციებისას, ამ აღსრულების ქვემდებარე აქტებისთვის, ძირითა-

დად, მოქმედებს აღსრულების სამართლის ზოგადი რეგულაციები, როგორც, მაგალითად, სააღსრულებო წარწერის გაცემის, აღსრულების ქვემდებარე აქტის სამართალმემკვიდრეზე გადაწერის და, აგრეთვე (თუმცა, მატერიალური კანონიერი ძალის არარსებობის გამო, გამორიცხვის ეფექტის გარეშე, § 767 Abs. 2 GER-ZPO), იძულებითი აღსრულების წინააღმდეგო სარჩელის შემთხვევაში.

ე) **კეთილსინდისიერების პრინციპმა** (იხ. ზემოთ ა.ნ. 60), რომელსაც ასევე არსებითი მნიშვნელობა აქვს საპროცესო სამართლისთვის, შეიძლება გამოიწვიოს ის, რომ საპროცესო მორიგების დამამთავრებელი ეფექტი, გამონაკლისის სახით, იმ შემთხვევაშიც მივიღოთ, როდესაც ნაკლის შემცველია მორიგების დადებისკენ მიმართული საპროცესო მოქმედებები (BGH, Urteil vom 14.07.2015 - VI ZR 326/14 - BGHZ 206, 219).

5. სარჩელის **ცნობა**, განსხვავებით მორიგებისგან, გერმანულ საპროცესო სამართალში პირწმინდად საპროცესო მოქმედებაა, ორმაგი მატერიალურ-სამართლებრივ-პროცესუალური ბუნების გარეშე. ამას შედეგად მოჰყვება ის, რომ სარჩელის ცნობის ნამდვილობა შეიძლება შეფასდეს მხოლოდ საპროცესო სამართლის მიხედვით და არ არის დამოკიდებული მატერიალურ-სამართლებრივი ნამდვილობის წინაპირობათა არსებობაზე (BGH, Urteil vom 05.04.1989 - IVb 26/88 - BGHZ 107, 142; BGH, Urteil vom 27.05.1981 - IV b 589/80 - BGHZ 80, 389; BGH, Urteil vom 23.10.2015 - V ZR 76/14 - NJW 2016, 716). მით უფრო არაარსებითია, იყო თუ არა დასაბუთებული სასარჩელო მოთხოვნა მატერიალურ-სამართლებრივად (BGH, Urteil vom 27.05.1981 - IV b 589/80 - BGHZ 80, 389).

სარჩელის პროცესუალურად ცნობა შეიძლება იმ კუთხითაც გამოიხატოს, რომ მოპასუხემ სარჩელი ცნოს მოსარჩელის მხრიდან საპირისპირო შესრულების პირობით და ამით დაექვემდებაროს ხელხელში შესრულებიდან გამომდინარე გადაწყვეტილების მიღებას (BGH, Urteil vom 05.04.1989 - IVb 26/88 - BGHZ 107, 142). თუმცა, ამ შემთხვევაში, სასამართლო გადაწყვეტილება სარჩელის ცნობასთან დაკავშირებით შეიძლება § 307 GER-ZPO-ს შესაბამისად მივიღოთ, თუ მოსარჩელე საკუთარ შუამდგომლობას გადაწყვეტილების შინაარსობრივი ნაწილის შესახებ მიუსადაგებს ამ შეზღუდვას, რითაც, თავის მხრივ, აღიარებს მოპასუხის საპირისპირო უფლებას. თუ ეს არ მოხდება, მოპასუხე მაინც შებოჭილია სარჩელის განხორციელებული აღიარებით და სასამართლოს შეუძლია, საკუთარ გადაწყვეტილებაში (რამდენადაც იგი ვერ მივა გადაწყვეტილების უპირობოდ მოპასუხის წინააღმდეგ მიღებამდე) ხელხელში ვალდებულების შესრულების დაკისრებას საქმის გამოკვლევის გარეშე დაუდოს საფუძვლად აღიარებული სამართლებრივი შედეგი. მართალია, სასამა-

რთლოს ეს გადანყვეტილება არ არის მიღებული სარჩელის აღიარების საფუძველზე (§ 307 GER-ZPO-ს მიხედვით), თუმცა იგი ეყრდნობა სამართლებრივად ნამდვილ აღიარებას (იხ: BGH, Urteil vom 05.04.1989 - IVb ZR 26/88 - BGHZ 107, 142).

6. სარჩელზე უარის თქმის საფუძველზე მიღებულ გადანყვეტილებას გერმანიაში მცირე პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. ამ გადანყვეტილებასთან დაკავშირებით, მოქმედებს ზოგადი პრინციპები, რომლებიც წარმოდგენილია სარჩელის ცნობის საფუძველზე მიღებულ სასამართლო გადანყვეტილებებში. სასამართლო პრაქტიკიდან გამომდინარე, აღნიშვნის ღირსია მხოლოდ ის, რომ სარჩელზე უარის თქმა, როგორც საპროცესო მოქმედება, მოიცავს მხოლოდ იმ საპროცესო მოთხოვნის უფლებებს, რომლებიც ჯერ კიდევ განიხილება სარჩელზე უარის თქმის მომენტი-სთვის - მაშასადამე, არა იმ მოთხოვნის უფლებებს, რომლებიც მანამდე გამოირიცხა (BGH, Ergänzungsurteil vom 01.06.2011 - I ZR 80/09 - MDR 2011, 1064).

ქეთევან მესხიშვილი

მე-3 მუხლი

I. ნორმის მიზანი

დისპოზიციურობა სამოქალაქო საქმის წარმოების უაღრესად მნიშვნელოვანი პრინციპია. დისპოზიციურობის პრინციპი გამოხატავს მხარეთა თავისუფალი მოქმედების იმ არეალს, რასაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ეფუძნება. აღნიშნული პრინციპი, უპირველეს ყოვლისა, უზრუნველყოფს მხარეთა უფლებას, **საკუთარ უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად თავად მიმართონ სასამართლოს და დავის საგანიც თავადვე განსაზღვრონ.** მატერიალური სამართალი მხარეებს ანიჭებს გარკვეულ უფლებებს. აღნიშნულ უფლებათა რეალიზაცია მხარეებს წარმოუშობს მოთხოვნის უფლებას. ლეგიტიმური მოთხოვნა, მიუხედავად იმისა, იგი აბსოლუტურია, თუ რელატიური, მეორე მხარის (სხვა პირთა) ვალდებულებას წარმოშობს. ვალდებულების შესრულების კანონით გათვალისწინებული იძულებითი ბერკეტების ასამოქმედებლად კი კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებაა საჭირო. სწორედ ამიტომ მატერიალურ-სამართლებრივ მოთხოვნათა რეალიზების ყველაზე ეფექტური მექანიზმი, როდესაც დავა მოლაპარაკებით, მედიაციით, ან სხვა ნებაყოფლობითი გზით არ მთავრდება, სასამართლოა. შესაბამისად, მხარე სასამართლოსათვის მიმართვის გზით ახდენს იმ უფლებათა განხორციელებას, რომელიც მას მატერილურმა კანონმა მიანიჭა. **თუმცა, მიმართავს, თუ არა მხარე, თავის უფლებათა დასაცავად სასამართლოს, თავად მხარის გადასაწყვეტია.** სამოქალაქო საპროცესო სამართალწარმოება უფლების იძულებით დაცვის მექანიზმს არ იცნობს, რაც სამოქალაქო საპროცესო სამართალში დისპოზიციურობის პრინციპის ერთ-ერთი გამოვლინებაა. დისპოზიციურობის პრინციპთან დაკავშირებით სასამართლომ არაერთგზის განმარტა, რომ დისპოზიციურობის პრინციპი სამოქალაქო საპროცესო სამართალში ნიშნავს მხარეთა თავისუფლებას, განკარგოს თავისი მატერიალური და საპროცესო უფლებები. ამ პრინციპზეა აგებული სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა. **უფლების დასაცავად სასამართლოსათვის მიმართვა თვით დაინტერესებული პირის ნება-სურვილზეა დამოკიდებული. მისი ნების გარეშე არავის აქვს უფლება, მიმართოს სასამართლოს.** მხარეები თვითონ წარუდგე-

ნენ სასამართლოს მტკიცებულებებს. ისინი თვითონ განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები¹.

1. სასამართლოსათვის მიმართვის უფლება

მოთხოვნის მატერიალურ-სამართლებრივი ასპექტი მატერიალური კანონმდებლობით, მაგ. სამოქალაქო კოდექსით, არის უზრუნველყოფილი, ხოლო აღნიშნული მოთხოვნის საპროცესო-სამართლებრივ რეალიზებას საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ახდენს. თუმცა, ამისათვის მნიშვნელოვანია, რომ **პირმა სასამართლოს მიმართოს. სასამართლოსათვის მიმართვა კი საპროცესო კანონმდებლობით, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით უნდა განხორციელდეს. მარტოოდენ უფლების და მის საფუძველზე წარმოშობილი კანონიერი მოთხოვნის არსებობა, სასამართლოში წარმატების მისაღწევად, „საქმის მოსაგებად“ საკმარისი არ არის. აუცილებელია, რომ მატერიალური უფლება საპროცესო კანონით, კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი პროცედურით რეალიზდეს.** მაგალითისათვის, თუ მოსარჩელემ სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხისათვის სესხის საფუძველზე თანხის დაკისრების მოთხოვნით, მარტოოდენ ფაქტი მასზედ, რომ სესხის ხელშეკრულება დადებულია, საკმარისი არ არის. მოსარჩელემ სასამართლოს უნდა წარუდგინოს თანხის გადაცემის მტკიცებულება. თუ მოსარჩელემ სასამართლოს ამგვარი მტკიცებულება ვერ წარუდგინა, კიდევ, რომ რეალურად თანხა გადაცემული იყოს, სასამართლო სარჩელს ვერ დააკმაყოფილებს. ამდენად, მოსარჩელის მატერიალური უფლება სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე სასამართლო წესით ვერ რეალიზდა, ვინაიდან მოსარჩელემ თანხის გადაცემის მტკიცებულება სასამართლოს ვერ წარუდგინა. იგივე შეიძლება ითქვას ისეთ შემთხვევაზე, როდესაც მოსარჩელემ, მართალია, სესხის ხელშეკრულება და თანხის გადაცემის ამსახველი მტკიცებულებაც წარადგინა, თუმცა, მოსარჩელე დანიშნულ დროს სასამართლოში არ გამოცხადდა, რამაც მის წინააღმდეგ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა გამოიწვია, რითაც სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

¹ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 16.07.2018 განჩინება, საქმეზე №ას-598-598-2018

ამდენად, დისპოზიციურობის პრინციპიდან გამომდინარე, მხარე თავად წყვეტს, დაიცვას, თუ არა, თავისი უფლება, ხოლო თუ გადაწყვეტს მისთვის მატერიალური კანონმდებლობით უზრუნველყოფილი უფლების საპროცესო-სამართლებრივ რეალიზებას, აუცილებელია, მანვე საკუთარი უფლებების დასაცავად, სასამართლოს მიმართოს. ამასთან, სასამართლოსათვის მიმართვა მხარემ კანონით დადგენილი წესით უნდა განახორციელოს და სამართალწარმოების პროცესშიც კანონით დადგენილი პროცედურის დაცვით უნდ მიიღოს მონაწილეობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მისთვის მატერიალური კანონმდებლობით მინიჭებული უფლება „უვარგისი“ გახდება, ვინაიდან მიუხედავად ლეგიტიმური და დასაბუთებული უფლების არსებობისა, მისი სარჩელი წარუმატებელი აღმოჩნდება. აღსანიშნავია, რომ სასამართლოსათვის მიმართვის უფლება უზრუნველყოფილია არამხოლოდ მათთვის, ვისი მოთხოვნაც, ობიექტურად, საფუძვლიანი და კანონშესაბამისია, არამედ მათთვისაც, ვინც ფიქრობს, რომ მისი უფლება ან კანონიერი ინტერესი დაირღვა, მიუხედავად იმისა, ობიექტურად, უფლება ან კანონიერი ინტერესი დარღვეულია, თუ არა. სარჩელის საფუძვლიანობა კი საქმის არსებითად განხილვის ეტაპზე მონმდება და საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებაში აისახება.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლო ხელმისაწვდომობა გულისხმობს, რომ სასამართლოსათვის მიმართვის უფლება აქვს ყველას, ვინც ფიქრობს, რომ მისი უფლება ან კანონიერი ინტერესი შეილახა, ან თვლის, რომ უფლება ან დოკუმენტი სადავოა. ამდენად, სარჩელი, თუ ის დასაშვებობის ყველა კრიტერიუმს (სსსკ 178) აკმაყოფილებს, წარმოებაში უნდა იქნეს მიღებული და არსებითად განხილული. მოთხოვნის საფუძვლიანობა და დასაბუთებულობა კი მხარეთა შეჯიბრების საფუძველზე, საქმის არსებითად განხილვის ფარგლებში უნდა შემოწმდეს. სარჩელის მიღებაზე უარის თქმა მარტოოდენ იმ დასაბუთებით, რომ სასარჩელო მოთხოვნას დაკმაყოფილების პერსპექტივა არ გააჩნია, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის კონტექსტში სასამართლო ხელმისაწვდომობის უფლების უხემ დარღვევად შეიძლება ჩაითვალოს².

² *Ashingdane v. the United Kingdom, no.8225/68, Judgement, 28.05.1985*

2. სასამართლო ხელმისაწვდომობის შეზღუდვა

სასამართლოსათვის მიმართვის უფლება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საპროცესო გარანტიაა, თუმცა, აღნიშნული არ ნიშნავს იმას, რომ სასამართლოსათვის მიმართვის უფლება აბსოლუტურია, რომლის შეზღუდვა დაუშვებელია. იმ შემთხვევაში, თუ პირი ამ უფლებას ბოროტად გამოიყენებს, ანუ **სასამართლოს უფლების რეალურად დაცვის მიზნით კი არ მიმართავს, არამედ სასამართლო რესურსის ფუჭად გახარჯვის, მეორე მხარისათვის საპროცესო-სამართლებრივი დისკომფორტის ან სხვა არაკანონიერი მიზნით და ეს აშკარაა**, სასამართლო უფლებამოსილია მისი განცხადება წარმოებაში არ მიიღოს, რაც დეტალურად უნდა იყოს ასახული და მოტივირებული იმ საპროცესო დოკუმენტში, რომლის საფუძველზეც მხარის სასამართლო ხელმისაწვდომობის უფლება შეიზღუდა. ამ მიმართებით აღსანიშნავია, რომ, მართალია, ყველა პირისათვის უზრუნველყოფილია უფლების სასამართლო წესით დაცვა (სსსკ 2.2), თუმცა, კანონის აღნიშნული დანაწესი, ერთი მხრივ, იცავს რა ყველა პირის უფლებას, თავისი კანონიერი ინტერესი სასამართლოს მეშვეობით დაიცვას, მეორე მხრივ, უზრუნველყოფს, **რომ მხარემ აღნიშნული უფლება კანონიერად გამოიყენოს და ისეთ საკითხებზე იდავოს, რომელთა გადაწყვეტა მისი დარღვეული უფლების აღდგენას უზრუნველყოფს.** სასამართლოსათვის მიმართვის უფლების რეალიზებისას სასამართლო თანაბარნილად იცავს ორივე მოდავე მხარის ინტერესებს. ერთი მხარის მიერ სასამართლოსათვის მიმართვის უფლების ბოროტად გამოყენება პირდაპირ ხელყოფს მეორე მხარის უფლებებს, თუნდაც, დავის გაჭიანურების თვალსაზრისით. შესაბამისად, მხარის დაუსრულებელი განცხადებებითა, თუ საჩივრებით ამ შედეგის მიღწევა, სასამართლოს შესაძლებლობებს სცილდება, რითაც მეორე მხარის ინტერესები ილახება³.

სასამართლო ხელმისაწვდომობის უფლების შეზღუდვასთან დაკავშირებით იგივე პოზიციას იკავებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, რომლის განმარტებითაც, დასაშვებია გამონაკლისი „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის“ მე-6 მუხლის პირველი ნაწილით გარანტირებული სამოქალაქო უფლებებისა და ვალდებულებების დასაცავად მომჩივანი მხარის სასამართლო ხელმისაწვდომობის ეფექტური უფლების გამოყენებისას. **სასამართლოსათვის**

³ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 19.09.2011 განჩინება, საქმეზე Nა-1094-1123-2011

მიმართვის უფლების შეზღუდვა შეესაბამება კონვენციის მე-6 მუხლის პირველ ნაწილს, თუ ის ისახავს კანონიერ მიზანს და არსებობს გონივრული თანაფარდობა ამ საშუალების გამოყენებასა და კანონიერ მიზანს შორის⁴.

ამდენად, სასამართლო პრაქტიკა სასამართლო ხელმისაწვდომობის უფლების შეზღუდვას უშვებს, როდესაც საქმე ეხება სასამართლოსათვის მიმართვიანობის ისეთ ფორმებს, როგორცაა **საჩივარი, შუამდგომლობა, განცხადება და ა. შ.** ასეთ შემთხვევაში, თუ სასამართლომ დაადგინა, რომ სასამართლოსათვის მიმართვა სასამართლო ხელმისაწვდომობის ლეგიტიმურ მიზანს, კერძოდ, შელახული, თუ სადავოდ ქცეული უფლების აღდგენა (დადგენას) არ ემსახურება, იგი ასეთ მიმართვებს, საჩივრებს, შუამდგომლობებს, განცხადებებს და ა. შ. **განუხილველად ტოვებს.** თუმცა, საინტერესოა იგივე პრაქტიკის გავრცელება დასაშვებია, თუ არა, სარჩელბთან მიმართებით. ნიშანდობლივია აღინიშნოს, რომ სარჩელის მეშვეობით სასამართლო დავის ინიცირება ხდება, რაც მხარეთათვის სამოქალაქო საპროცესო კოდექსით მინიჭებული უფლებაა (სსსკ 2.2.), თუმცა, სასამართლო ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია, სასამართლოს ან მხარეთა შეთანხმებით დავის განხილვის სხვა ალტერნატიული გზით (მაგ.არბიტრაჟით) გადაუწყვეტელი სამართლებრივი დავის პირობებში. სასამართლო ხელმისაწვდომობის უფლება ქარწყდება მას შემდეგ, რაც დავა სასამართლო (არბიტრაჟის) ნესით უკვე გადაწყვეტილია. **კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება გადასინჯვას აღარ ექვემდებარება, ხოლო კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები - გადახედვას (სსსკ 266).** მაგალითისათვის, თუ არსებობს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება იმავე მხარეებს შორის, იმავე დავაზე და იმავე საფუძვლით, აღნიშნული გარემოება სარჩელის მიღებაზე უარის თქმის, ან მიღებულ სარჩელზე წარმოების შეწყვეტის წინაპირობაა (სსსკ 186.1, „ბ“/273.2)⁵. თუ სარჩელი აღძრულია იმავე მხარეებს შორის, იმავე დავაზე და იმავე საფუძვლით, ასეთ შემთხვევაში, **მოთხოვნის მარტოდენ სამართლებრივი საფუძვლის შეცვლა,** ახალი სარჩელის წარმოებაში მიღების წინაპირობა ვერ გახდება. იმავე მხარეებს შორის სასარჩელო მოთხოვნა ახალ დავად მხოლოდ იმ შემთხვევაში დაკვალიფიცირდება, **თუ მოთხოვნა, ანდა მოთხოვნის ფაქტობრივი საფუძველი განსხვავებულია**⁶. გადაწყვეტილების ნებაყო-

⁴ *Jedamski and Jedamska v. Poland, no.73547/01, Judgement, 26.07.2005*

⁵ *იხ.თბილისის სააპელაციო სასამართლოს 24.11.2014 წ. განჩინება, საქმეზე №2ბ/3520-11*

⁶ *იხ.თბილისის სააპელაციო სასამართლოს 23.07.2018წ. განჩინება, საქმეზე №2ბ/3816-1*

ფლობით აღუსრულებლობა შეცვლილ გარემოებად არ მიიჩნევა და იმავე მხარეებს შორის, იმავე დავაზე და იმავე საფუძვლით დავის ინიცირების შესაძლებლობას არ იძლევა⁷. ასეთ შემთხვევაში კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების კანონით გათვალისწინებული მექანიზმები გამოიყენება. სარჩელის წარმოებაში მიღების დამაბრკოლებელ გარემოებას წარმოადგენს ასევე იმავე დავაზე, იმავე ფაქტობრივ საფუძვლებზე დაყრდნობით და იმავე მხარეებს შორის მიმდინარე დავა, თუმცა, ასეთ შემთხვევაში, თუ სარჩელი მიღებულ იქნა წარმოებაში, მოგვიანებით კი მიმდინარე **დავის არსებობის თაობაზე ფაქტი** გამოვლინდა, აღნიშნული გარემოება სარჩელის განუხილველად დატოვების საფუძველია⁸. იმავე მხარეებმა სხვა სამართალწარმოების დროს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები არ შეიძლება სადავოდ გახადონ. მაგალითისათვის, თუ მოპასუხეს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით თანხა ვალის აღირების ხელშეკრულების საფუძველზე დაეკისრა და გადაწვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა, შემდგომ მოპასუხის მიერ ახალი დავის ინიცირება აღნიშნული ვალის აღირების დოკუმენტის ბათილობის მოთხოვნით საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 266-ე მუხლის კონტექსტში დაუშვებელია.

ამდენად, სასამართლოსათვის სარჩელით მიმართვის უფლება აბსოლუტური არ არის. აღნიშნული საპროცესო-სამართლებრივი შესაძლებლობა მხოლოდ დავის ან სადავოდ ქცეული უფლებისა, თუ კანონით გათვალისწინებული ინტერესის არსებობის შემთხვევაში გამოიყენება. შესაბამისად, კანონით პირდაპირ გათვალისწინებულია, თუ როდის არის გაქარწყლებული სასამართლოსათვის მიმართვის უფლება და აღნიშნულს, პირველ რიგში, მაშინ აქვს ადგილი, **როდესაც დავა უკვე გადაწყვეტილია.** კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების მიმართ კი სანდოობის მაღალი ხარისხი არსებობს. მისი გადასინჯვა მხოლოდ კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებშია შესაძლებელი. კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით მოგვარებულ დავაზე სასამართლოს სამართალწარმოების პროცესის ინიცირების დაშვებით სამართლიანი სასამართლოს უფლება ილახება, ვინაიდან კანონის უზენაესობა სამართლებრივი განჭვრეტადობის პრინციპს ეფუძნება⁹, რაც იმას ნიშნავს, რომ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით

⁷ იხ.თბილისის სააპელაციო სასამართლოს 28.11.2011წ. განჩინება, საქმეზე №2ბ/3562-11

⁸ იხ.თბილისის სააპელაციო სასამართლოს 03.08.2015წ. განჩინება, საქმეზე №2ბ/2351-15

⁹ *Okyay and Others v. Turkey, no.73547/01, Judgement, 26.07.2005*

მონესრიგებული საკითხი აღარ შეიძლება კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს, გარდა შიდა სამართლით მკაცრად განსაზღვრული კრიტერიუმებისა^{10 11}. შესაბამისად, სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევად ითვლება კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გადახედვა (გადასინჯვა), როდესაც ეს შესაძლებლობა კანონიდან პირდაპირ და მკაფიოდ არ გამომდინარეობს¹².

ამდენად, **სასამართლოსთვის ხელმისაწვდომობის უფლება, უფლებისა, თუ კანონიერი ინტერესის ხელყოფის, ასევე უფლებისა, თუ დოკუმენტის სადავოობის შემთხვევაში, გარანტირებულია, ხოლო დასრულებულ ანდა მიმდინარე დავაზე კი იმავე მხარეებს შორის, იმავე საფუძვლით სარჩელის ინიცირება - გამორიცხული**. ასეთი სარჩელის დასაშვებობის შემთხვევაში, მაშინ, როდესაც სასამართლოსათვის სარჩელის დასაშვებობის შემონიშნების დროს უცნობია, დავის მიმდინარეობის ან ამავე დავაზე კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების არსებობის შესახებ, სასამართლო ახლად ინიცირებულ სარჩელზე წარმოებას შეწყვეტს (სსსკ 186.1 „ა“/ 187.2/272 „ბ“), ან სარჩელს განუხილველად დატოვებს (სსსკ 186.1 „ა“/187.2/275, „ე“). ნიშანდობლივია, რომ იმ საპროცესო დოკუმენტიდან, განჩინებიდან, რომლითაც ამავე დავაზე **კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების მოტივით, სარჩელზე წარმოებაწყდება** (სსსკ 272, „ბ“), ან **ამავე დავაზე მიმდინარე დავის არსებობის საფუძვლით, სარჩელი განუხილველად რჩება** (სსსკ 275, „ე“), **მკაფიოდ და არაორაზროვნად უნდა იკითხებოდეს მხარეთა, დავის საგნისა და ფაქტობრივი გარემოებების იდენტიფიკაცია**. შესაბამისად, საქმეში უნდა არსებობდეს **მტკიცებულება**, რომლითაც დასტურდება, რომ ახალი სარჩელის ინიცირება მოხდა იმ დავაზე, **რომელიც უკვე გადაწყვეტილია, ან რომლის განხილვა მიმდინარეობს**. ასეთ მტკიცებულებას, რაღა თქმა უნდა, მოსარჩელე სასამართლოს არ წარუდგენს, შესაბამისად, მეტად სავარაუდოა, რომ აღნიშნული გარემოება სარჩელის წარმოებაში მიღების შემდეგ გამოვლინდეს, რადგან მითითებულ ინფორმაციას სასამართლოს, თანდართული მტკიცებულებებით, როგორც წესი, მოპასუხე წარუდგენს¹³. იმ გარემოებათა აღმოფხვრის შემთხვევაში, რომლებიც საფუძვლად დაედო სარჩელის განუხილველად დატოვებას, დაინტერესებულ პირს უფლება აქვს კვლავ მიმართოს სასამართლოს საერთო წესის დაცვით (სსსკ 278), ხოლო საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სა-

¹⁰ *Brumărescu v. Romania*, no.28342/95, *Judgement*, 28.10.1999

¹¹ *Agrokompleks v. Ukraine*, no.23465/03, *Judgement*, 25.07.2013

¹² *Sovtransavto Holding v. Ukraine*, no.48553/99, *Judgement*, 25.07.2002

¹³ იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 23.07.2018 განჩინება, საქმეზე №2ბ/2545-18

სამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით არ შეიძლება (სსსკ 273.1).

სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის უფლების უზრუნველყოფა თავისთავად არ ნიშნავს იმას, რომ სასამართლოში შეტანილი ყველა სარჩელი, თუ განცხადება დასაშვებია. სარჩელი (განცხადება) უნდა პასუხობდეს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილ ფორმალურ და შინაარსობრივ კრიტერიუმებს (სსსკ 178, 180), წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლო სარჩელის (განცხადების) მიღებაზე უარს იტყვის, რაც სასამართლო ხელმისაწვდომობის უფლების ხელყოფად არ უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან სარჩელში სავალდებულოდ მისათითებელი ფაქტობრივი გარემოებები ისევ და ისევ მოსარჩელის სამართლიანი სასამართლოს უფლების დაცვას ემსახურება. იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო არასრულ სარჩელს მიიღებს და ფაქტობრივი გარემოებების მხარის მიერ არასწორად მითითებისა და მტკიცებულებების არქონის პირობებში განიხილავს საქმეს, მაშინ მხარეს სრულყოფილი სარჩელით სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა იმავე მოთხოვნით, იმავე მხარეებს შორის და იმავე საფუძვლით, აღარ შეეძლება. შესაბამისად, არასრულყოფილი და გაუმართავი სარჩელის წარმოებაში მიღებით და მისი არსებითად განხილვით, მას ერთმევა საკუთარი უფლებისა და კანონიერი ინტერესის ჯეროვანი დაცვის უფლება. აღსანიშნავია, რომ მხარე სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შემთხვევაში, უფლებამოსილია, ხელმეორედ მიმართოს სასამართლოს იმავე სარჩელით, ამასთან, აღმოფხვრას ის ხარვეზი, რაც სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის საფუძველი გახდა. უფრო მეტიც, მხარემ უნდა გაითვალისწინოს, რომ ჯეროვანი სასამართლო სამართალწარმოება მხოლოდ ჯეროვანი სარჩელის პირობებშია შესაძლებელი. შესაბამისად, მას სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის გზით ეძლევა შესაძლებლობა სარჩელი კანონით დადგენილი წესით მოამზადოს, რათა არასრულყოფილი სარჩელი არ გახდეს მისი მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი, რითაც მხარეს სასამართლოსათვის იმავე მოთხოვნით, იმავე საფუძვლითა და იმავე მხარის წინააღმდეგ სარჩელის აღძვრის უფლება ერთმევა¹⁴.

თუმცა, ამავდროულად, საგულისხმოა, რომ სარჩელის მიღებაზე უარის თქმის კრიტერიუმები **პირდაპირ კანონიდან უნდა გამომდინარეობდეს და დაუშვებლად არ უნდა ხელყოფდეს მხარეთა სასამართლო ხელმისაწვდომობის უფლებას.** ამ მიმართებით აღსანიშნავია, რომ სა-

¹⁴ იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 23.07.2018 განჩინება, საქმეზე №2ბ/3993-18

სამართლოსადმი ხელმისაწვდომობის უფლება არ არის აბსოლუტური და იგი შეიძლება დაექვემდებაროს შეზღუდვებს. აღნიშნული გამომდინარეობს იმ დასკვნიდან, რომ სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის უფლება თავისი ბუნებით ექვემდებარება სახელმწიფო რეგულირებას. რეგულაცია შეიძლება განსხვავდებოდეს დროისა და ადგილის მიხედვით, საზოგადოებისა და ინდივიდების რესურსებისა და საჭიროებების საფუძველზე¹⁵, თუმცა, **აღსანიშნავია, რომ შეზღუდვამ პირის სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის უფლება არ უნდა შეამციროს იმდენად ან იმ ფარგლებით, რომ დაირღვეს ძირითადი უფლების არსი.** გარდა ამისა, შეზღუდვა არ იქნება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფის შესაბამისი, თუ იგი არ ემსახურება ლეგიტიმურ მიზანს და თუ გამოყენებულ საშუალებასა და მისაღწევ მიზანს შორის არ იქნება დაცული გონივრული პროპორციულობა¹⁶. აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დადგენილი პრაქტიკით სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლება ირღვევა იმ შემთხვევაშიც, როდესაც **გადაჭარბებულად ფორმალური პროცედურის შედეგად, საჩივარს, მისი ფორმალური მხარის გაუმართაობის გამო დაუშვებლად ცნობენ**^{17 18}.

3. სასამართლოსათვის მიმართვის წინაპირობები

ა. დარღვეული ან სადავოდ ქცეული უფლება

ყოველი პირისათვის უზრუნველყოფილია უფლების სასამართლო წესით დაცვა. საქმის განხილვას სასამართლო შეუდგება **იმ პირის განცხადებით, რომელიც მიმართავს მას თავისი უფლების ან კანონით გათვალისწინებული ინტერესების დასაცავად** (სსსკ 2.1). ამდენად, სასამართლო ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია **სადავოდ ქცეული უფლებისა, თუ კანონიერი ინტერესის დასაცავად**, თუმცა, აქვე აღსანიშნავია ერთი საგამონაკლისო პირობა სასამართლო ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით, კერძოდ, სასამართლო ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია მაშინაც, როდესაც **უფლება, თუ ფაქტი, სადავო კი არ არის, არამედ მხოლოდ სასამართლო წესით დადასტურებას საჭიროე-**

¹⁵ *Golderv. United Kingdom*, no. 4451/70, Judgment 21.02.1975

¹⁶ *Ashingdane v. the United Kingdom*, no. 8225/68, Judgment 28.05.1985

¹⁷ *Sotiris a. Nikos Koutras ATTEE v Greec*, no.3944/98, Judgment 16.11.2000

¹⁸ იმ.საქართველოს უზენაესი სასამართლოს 15.09.2016 განჩინება, საქმეზე №ას-643-614-2016

ბს. ასეთ შემთხვევაში, მხარე სასამართლოს არა სარჩელით კონკრეტული მოპასუხის მიმართ, არამედ განცხადებით მიმართავს (სსსკ 314). მაგალითისათვის, სასამართლოსათვის განცხადებით მიმართვა ხდება უდავო წარმოების წესით განსახილველ დავებზე, როგორცაა, მოქალაქის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება და მოქალაქის გარდაცვლილად გამოცხადება; ქონების უპატრონოდ ცნობა; შვილად აყვანა და ა. შ. (სსსკ 310), ასევე იურიდიული მნიშვნელობის ფაქტის დადგენის შემთხვევაში, ასეთებია, პირთა ნათესაური კავშირის, პირის კმაყოფაზე ყოფნის, მემკვიდრეობის მიღების, მემკვიდრეობის გახსნის ადგილის დადგენა და ა. შ. (სსსკ 312). იმ შემთხვევაში, თუ განცხადების განხილვის ფარგლებში აღმოჩნდება დაინტერესებული პირი, რომელიც პრეტენზიას განაცხადებს განსახილველ განცხადებასთან დაკავშირებით, ან რაიმე ფორმით მიანიშნებს განცხადებით განსახილველი საკითხის სადავოობის თაობაზე, რითაც მისი უფლება არსებითად ილახება, ასეთ პირობებში, განცხადება განუხილველად რჩება და განმცხადებელს განემარტება, რომ მას დავის მოგვარების უფლება საერთო სასარჩელო წესით აქვს (სსსკ 311.2). შესაბამისად, სასამართლომ უდავო წარმოების წესით საქმის განხილვამდე უნდა გამოავლინოს დაინტერესებულ პირთა წრე. დაინტერესებული პირის არსებობა და აღნიშნული პირის მიერ დასადგენ ფაქტთან მიმართ გამოვლენილი მხოლოდ უარყოფითი მოსაზრება აღნიშნული პირის უფლების დარღვევას უკვე არ ნიშნავს და განცხადების განუხილველად დატოვების წინაპირობას არ წარმოადგენს.¹⁹ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 311-ე მუხლზე დაყრდნობით, დავას უფლების შესახებ მაშინ აქვს ადგილი, როდესაც კონკრეტული განმცხადებლისათვის დადგენილი იურიდიული მნიშვნელობის ფაქტი დაინტერესებული პირის უფლებაში იჭრება და მას შესაძლებლობას ართმევს, სრულად და თავისუფლად გამოიყენოს ეს უფლება.²⁰

ბ. უფლებაში აღდგენის ან უფლების დადასტურების იურიდიული ინტერესი

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლის შესაბამისად, სარჩელი შეიძლება აღიძრას უფლებისა თუ სამართლებრივი

¹⁹ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 14.02.2011 წლის განჩინება, საქმეზე №ას-1332-1172-2010

²⁰ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 11.03.2014 წლის განჩინება, საქმეზე №ას-1085-1035-2013

ურთიერთობების არსებობა-არარსებობის დადგენის, დოკუმენტების ნამდვილობის აღიარების ან დოკუმენტების სიყალბის დადგენის შესახებ, თუ მოსარჩელეს აქვს იმის იურიდიული ინტერესი, რომ ასეთი აღიარება სასამართლოს გადანყვეტილებით მოხდეს.

აღიარებითი სარჩელის მოთხოვნა შეიძლება იყოს **დადებითი ან უარყოფითი**, შესაბამისად, სასარჩელო მოთხოვნას შეიძლება წარმოადგენდეს სამართლებრივი ურთიერთობის არსებობის ან არარსებობის დადგენა, დოკუმენტის ნამდვილობის ან სიყალბის დადასტურება. აღიარებითი სარჩელი, თავისი სამართლებრივი ბუნებით, უდავო წარმოების წესით იურიდიული ფაქტის დადგენას გავს, თუმცა, აღიარებითი სარჩელი უდავო წარმოების წესით იურიდიული ფაქტის დადგენისაგან მკვეთრად განსხვავებული საპროცესო სამართლებრივი ინსტიტუტია. **აღიარებითი სარჩელის არსებობის პირობებში არსებობს დავა მხარეებს შორის**. აღიარებითი სარჩელის აღძვრის წინაპირობას მხოლოდ დარღვეული უფლებების ან შელახული ინტერესის არსებობის ფაქტი არ წარმოადგენს. შესაძლებელია, რომ უფლება არც იყოს დარღვეული და არც ინტერესი იყოს შელახული, თუმცა, **აუცილებელია, რომ უფლება, ან დოკუმენტი სადავო იყოს**. შესაბამისად, აღიარებითი სარჩელის აღძვრის ერთ-ერთ წინაპირობას უფლებებისა, თუ სამართლებრივი ინტერესის სადავოობა წარმოადგენს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ფაქტის აღიარების შესახებ მოთხოვნაზე უდავო წარმოების წესით საქმის განხილვის მარეგულირებელი ნორმები მოქმედებს. **შესაბამისად, აღიარებითი სარჩელი უნდა აღძრას საამისოდ უფლებამოსილმა სუბიექტმა და სარჩელზე მოპასუხედ დასახელებული უნდა იყოს ის, ვისთანაც მოსარჩელეს უფლება, თუ სამართლებრივი ინტერესი სადავო აქვს**²¹.

გ. დავის საგნის განსაზღვრა

მხარეების მიერ **დავის საგნის განსაზღვრა** დისპოზიციურობის პრინციპის ერთ-ერთი კონკრეტული გამოვლინებაა. ეს იმას ნიშნავს, რომ სასამართლოს უფლება არ აქვს გასცდეს სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებს, შეცვალოს სარჩელის საგანი და საფუძველი, გაადიდოს სასარჩელო მოთხოვნის ოდენობა²². ამდენად, სასამართლოს როლი სამოქალაქო სამართალწარმოებაში, განისაზღვრება მხარეთა მიერ განსაზღვრული მოთხოვნის საფუძვლიანობის შემოწმებით, მათ მიერვე ნა-

²¹ იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 17.01.2018 განჩინება, საქმეზე №2ბ/6577-13

²² თ.ლილუაშვილი, ვ.ბრუსტალი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, მუხლი 3, გვ.5

რმოდგენილი მტკიცებულებების ფარგლებში. ამ მოსაზრებას საფუძვლად უდევს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლი, რომლის თანახმადაც, სასამართლოს უფლება არა აქვს მიაკუთვნოს თავისი გადაწყვეტილებით მხარეს ის, რაც მას არ უთხოვია, ან იმაზე მეტი, ვიდრე ის მოითხოვდა²³.

როგორც ზემოთ აღინიშნა, სასამართლო უფლებამოსილი არ არის გასცდეს სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებს, შეცვალოს დავის საგანი და საფუძველი, გაადიდოს სასარჩელო მოთხოვნა. **აღნიშნული უფლება, დისპოზიციურობის პრინციპიდან გამომდინარე, მოსარჩელის პრეროგატივაა. სწორედ ის არის უფლებამოსილი სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული წესითა და ფარგლებში საკუთარი სასარჩელო მოთხოვნის მოდიფიცირება მოახდინოს**, მაგალითისათვის, მოსარჩელეს უფლება აქვს, **საქმის წინასწარი სასამართლო განხილვისათვის მომზადების დამთავრებამდე** შეცვალოს სარჩელის საფუძველი ან საგანი, შეავსოს სარჩელში მითითებული გარემოებები და მტკიცებულებები, გაადიდოს ან შეამციროს სასარჩელო მოთხოვნის ოდენობა. საგულისხმოა, რომ სასარჩელო მოთხოვნის ოდენობის გაზრდა სასარჩელო მოთხოვნის დამატებას არ ნიშნავს²⁴. **საქმის წინასწარი სასამართლო განხილვისათვის მომზადების შემდეგ კი სარჩელის საფუძვლის ან საგნის შეცვლა დასაშვებია მხოლოდ მოპასუხის წინასწარი თანხმობით.** სასარჩელო მოთხოვნის ოდენობის გადიდება კი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი საქმის წინასწარი სასამართლო განხილვისათვის მომზადების შემდეგ არ ითვალისწინებს. სარჩელის შეცვლად არ ჩაითვლება მოსარჩელის მიერ სარჩელში მითითებული გარემოებების დაზუსტება, დაკონკრეტება და დამატება, აგრეთვე სასარჩელო მოთხოვნების ოდენობის შემცირება, ან ერთი ნივთის ნაცვლად მეორე ნივთის მიკუთვნება მისთვის, ანდა ამ ნივთის ღირებულების ანაზღაურება (სსსკ 83). დავის საგნის შეცვლად არ ჩაითვლება, თუ სასამართლო, თავისი ინიციატივით, გადაწყვეტილების აღსრულების განსაზღვრულ წესსა და ვადას დაადგენს, ან გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველსაყოფად ზომებს მიიღებს (სსსკ 251). მაგალითისათვის, ქონების ნატურით მიკუთვნების დროს სასამართლო გადაწყვეტილებაში მიუთითებს ამ ქონების ღირებულებაზე, რომელიც უნდა გადახდეს მოპასუხეს, თუ გადაწყვეტილების აღსრულებისას აღნიშნული ქონება მას არ

²³ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 23.09.2013 წლის განჩინება, საქმეზე №ას-395-374-2013

²⁴ იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 30.05.2018 წ. განჩინება №2ბ/1455-18

აღმოაჩნდება (სსსკ 253). ასევე, ისეთი გადაწყვეტილების გამოტანისას, რომელიც მოპასუხეს ავალებს განსაზღვრული მოქმედების შესრულებას, რაც დაკავშირებული არ არის ქონების ან ფულადი თანხების გადაცემასთან, სასამართლოს იმავე გადაწყვეტილებაში შეუძლია მიუთითოს, რომ, თუ მოპასუხე გადაწყვეტილებას არ შეასრულებს დადგენილ ვადაში, მოსარჩელეს უფლება აქვს ეს მოქმედება შეასრულოს მოპასუხისაგან აუცილებელი ხარჯების ანაზღაურებით (სსსკ 254.1).

დ. მოპასუხის განსაზღვრა

დისპოზიციურობის პრინციპის გამოვლინებას წარმოადგენს არამართო მოსარჩელის უფლება, განსაზღვროს დავის საგანი, არამედ გადაწყვეტოს ისიც, თუ ვის მიმართ იქნეს წარდგენილი მოთხოვნა. ამდენად, **დისპოზიციურობა** ასევე გულისხმობს ყოველი პირის შესაძლებლობას, თავად გადაწყვიტოს, ვის მიმართ წარადგინოს პრეტენზია თავისი დარღვეული ან სადავოდ ქცეული უფლების დაცვის შესახებ^{25 26}. სუბსუმციის, ანუ ფაქტობრივი გარემოებების მიმართ სამართლებრივი ნორმის შეფარდება მოიცავს პროცესს, რომლის ფარგლებში უნდა გაეცეს კითხვებს პასუხი: ვინ ითხოვს? რას? ვისგან? რის საფუძველზე? შესაბამისად, **მოთხოვნის საფუძვლიანობის შემოწმება სწორედ დავის საგნის განსაზღვრითა და მოთხოვნაზე პასუხისმგებელი პირის დადგენით იწყება**. თუ სასარჩელო მოთხოვნა აღნიშნულ მოთხოვნაზე პასუხისმგებელი პირის მიმართ არ იქნა წარდგენილი, სარჩელი არ დაკმყოფილდება. სასამართლო უფლებამოსილი არ არის მოსარჩელის მიერ დასახელებული არასათანადო მოპასუხე, **თავისი ინიციატივით**, სათანადო მოპასუხით შეცვალოს. მოსამართლის ამგვარი ქმედება ჩაითვლება მხარის დისპოზიციური უფლების შეზღუდვად, თავად აირჩიოს საკუთარ სასარჩელო მოთხოვნაზე პასუხისმგებელი სუბიექტი (მოპასუხე)²⁷. სასამართლო **მარტოდენ უფლებამოსილია**, შესთავაზოს მოსარჩელეს არასათანადო მოპასუხის სათანადო მოპასუხით შეცვლა. სასამართლოს აღნიშნულ შესაძლებლობასაც, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს, **როგორც სასამართლოს უფლებას, და არა ვალდებუ-**

²⁵ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 23.02.2018წ. განჩინება, საქმეზე №ას-158-158-2018

²⁶ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 29.11.2017წ. განჩინება, საქმეზე №ას-1338-1258-2017

²⁷ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 05.03.2007წ. განჩინება, საქმეზე №ას-368-766-06

ლებას. სათანადო მოპასუხის სტატუსით სამართალწარმოებაში მხარის შემოსაყვანად მოსარჩელის თანხმობაა საჭირო. თუ მოსარჩელე არასათანადო მოპასუხის სათანადო მოპასუხით შეცვლას არ დაეთანხმა, სასამართლო სარჩელს არ დააკმაყოფილებს^{28 29 30 31 32 33}. თუმცა, მოსარჩელის თანხმობითვე, არასათანადო მოპასუხის სათანადო მოპასუხით ჩანაცვლების **ნაცვლად, არასათანადო მოპასუხესთან ერთად, თანამოპასუხედ, სათანადო მოპასუხის ჩართვას, სასამართლო პრაქტიკა არ უშვებს**, ამგვარი საპროცესო-სამართლებრივი რეგულირების არარსებობის გამო³⁴.

ერთადერთი გამონაკლისი, როდესაც სასამართლო მოპასუხეთა წრის შერჩევაში ერევა, სავალდებულო თანამოპასუხეობაა, მაგალითად, როდესაც სარჩელის საგანს საერთო უფლება წარმოადგენს (სსსკ 86 „ა“)³⁵. **ასეთ შემთხვევაში, სახეზეა სავალდებულო თანამონაწილეობა**, ხოლო სავალდებულო თანამონაწილეობის პირობებში, მხოლოდ ერთი ან რამდენიმე თანამონაწილის მიმართ აღძრული სარჩელი ან არ უნდა იქნეს მიღებული წარმოებაში, ან მისი მიღებისა და განსახილველად დაშვების შემთხვევაში, უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ყველა სავალდებულო თანამონაწილის საქმეში ჩართვა³⁶. ამის მაგალითად, შეიძლება დასახელებულ იქნეს სამკვიდრო მასის მემკვიდრედ და მესაკუთრედ ცნობა, რა დროსაც ყველა მემკვიდრე უნდა იქნეს საქმეში ჩართული³⁷, საზიარო უფლების გაუქმება³⁸, როდესაც უფლების მონაწილე ყველა პირი უნდა იყოს მოპა-

²⁸ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 20.11.2016წ. განჩინება, საქმეზე №ას-1169-1099-2015

²⁹ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 04.11.2016წ. განჩინება, საქმეზე №ას-1189-669-2016

³⁰ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 29.07.2016წ. განჩინება, საქმეზე №ას-585-561-2016

³¹ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 27.01.2017 წ. განჩინება, საქმეზე №ას-761-729-2016

³² იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 31.01.2017წ. განჩინება, საქმეზე №ას-777-744-2016

³³ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 17.02.2017წ. განჩინება, საქმეზე №ას-1041-1002-2016

³⁴ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 04.11.2016წ. განჩინება, საქმეზე №ას-698-669-2016

³⁵ თ.ლილუაშვილი, ვ.ხრუსტალი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, მუხლი 86, გვ.156-157

³⁶ იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 03.12.2013წ. განჩინება, საქმეზე №2ბ/2992-13

³⁷ იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 24.02.2015წ. განჩინება, №2ბ/5016-14

³⁸ იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 03.12.2013წ. განჩინება, საქმეზე №2ბ/2992-13

სუხედ დასახელებული და .ა შ. ამასთან, თუ მითითებული გარემოება, კერძოდ, სავალდებულო თანამოპასუხის საქმეში ჩართვის საჭიროება, ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის ეტაპზე გამოვლინდა, აღნიშნული გარემოება, როგორც წესი, ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის პირველ ინსტანციაში დაბრუნების პროცესუალური წინაპირობაა, რათა სავალდებულო თანამოპასუხედ ჩასართავ პირს სამინისტრაციური სასამართლო წარმოების შესაძლებლობა არ მოესპოს³⁹.

4. დისპოზიციურობის პრინციპის სხვა გამოვლინებები

ა. მხარეთა მორიგება

მხარეთა მორიგება დისპოზიციურობის პრინციპის ერთ-ერთი გამოვლინებაა. **მხარეები უფლებამოსილნი არიან თავად განსაზღვრონ** აღსასრულებელი აქტით (განჩინებით) დამტკიცებული **შეთანხმების პირობები** და მორიგების გზით დაასრულონ დავა. მორიგება მხარეთა შეთანხმებაა, შესაბამისად, მიიჩნევა, რომ მორიგება სამოქალაქო სამართლებრივი გარიგებაა, რომელზეც მხარეები ორმხრივად თანხმდებიან და რომელიც სასამართლოს მხრიდან განჩინებით მტკიცდება, რაც მხარეთა შეთანხმებას **სავალდებულოდ შესასრულებელ და იძულებით აღსასრულებელ დოკუმენტად აქცევს**. მხარეებს უფლება აქვთ სამართალწარმოების ნებისმიერ ეტაპზე მორიგდნენ, მათ შორის, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგაც^{40 41}. მხარეთა მორიგება მხარეთა უფლებათა, ამავდროულად აღნიშნული გზით დავის დასრულება სასამართლოს პრიორიტეტია. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით რეგლამენტირებულია, რომ სასამართლომ ყველა ზომა უნდა მიიღოს დავის მორიგების დასრულების მიზნით. მათ შორის, სასამართლო უფლებამოსილია მხარეებს დავის გადაწყვეტის შესაძლო შედეგებზეც მიუთითოს და ამ გზით დავის მორიგებით დასრულების მიზანშეწონილობაში დაარწმუნოს. ასეთ ვითარებაში სასამართლომ მხარეებს შესაძლო სამართლებრივი შედეგები სამოსამართლო ეთიკის იმგვარი და-

³⁹ იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 16.12.2014წ. განჩინება, საქმეზე №2ბ/7888-14

⁴⁰ მ.გოგიშვილი, მ.სულხანიშვილი, ქ.მესხიშვილი და სხვ. „ურთიერთობები სასამართლო სხდომის დარბაზში“, თბილისი, 2010, გვ.28-29

⁴¹ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 11.05.2018წ. განჩინება, საქმეზე №ას-487-487-2018

ცვით უნდა მიაწოდოს, რომ მხარემ სასამართლოს მითითება წინასწარ ჩამოყალიბებულ შეხედულებად, ან „უკვე მიღებულ გადაწყვეტილებად“ არ აღიქვას, რაც დიდწილად, მორიგების მიზნებისათვის, დამაბრკოლებელი ფაქტორი შექმნება აღმოჩნდეს.

მართალია, მორიგება მხარეთა უფლებათა, რომლის გამოყენება მათ სამართალწარმოების ნებისმიერ ეტაპზე შეუძლიათ, თუმცა, აღნიშნული არ ნიშნავს იმას, რომ მათ სრული, აბსოლუტური (შეუზღუდავი) უფლებები აქვთ მორიგების პირობების განსაზღვრის კონტექსტში. მორიგების დადებისას მხარეები სამოქალაქო გარიგების დადების თავისუფლებით სარგებლობენ, თუმცა, გარიგება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს კანონს, ზნეობის ნორმებს და არ უნდა არღვევდეს მესამე პირის ინტერესებს⁴². ამდენად, მორიგების დამტკიცების დროს სასამართლო ამონებს **მხარის ნების თავისუფლებას, აღნიშნული ნების ცნობიერ ხასიათს**, კერძოდ, თუ რამდენად აქვთ მხარეებს მორიგების პირობები და მისი სამართლებრივი შედეგები გაცნობიერებული, ხოლო შემდეგ ადგენს მორიგების გათვალისწინებული პირობების **კანონთან, მორალისა და ზნეობის ნორმებთან შესაბამისობას**. მორიგების დამტკიცების დროს სასამართლოს შემოწმების საგანია ასევე, ხომ არ არღვევს მორიგების აღნიშნული პირობები მესამე პირთა უფლებებს, ან მხარეთა ორმხრივი შეთანხმება მესამე პირს ხომ არ წარმოუშობს რაიმე ვალდებულებას. ასევე ყურადსაღებია ის, რომ მორიგების საგანი (ნივთი, არამატერიალური ქონებრივი სიკეთე) მორიგების დამტკიცების დროისათვის, არ უნდა ექცეოდეს საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის ქვეშ, სხვაგვარად თუ ვიტყვით, **მასზე დადებული არ უნდა იყოს ყადაღა**, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში, იმოქმედებს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 40.2 და 63¹-ე მუხლები, რომლის მიხედვითაც, ბათილია დაყადაღებულ ქონებაზე (მოძრავი, უძრავი) დადებული გარიგება. შესაბამისად, დაყადაღებულ ქონებაზე დადებული **მორიგება ბათილ გარიგებად ჩაითვლება და აღნიშნული აქტის გაუქმების წინაპირობა გახდება**.

ნიშანდობლივია, რომ მორიგების დამტკიცების შედეგად **უქმდება ყველა ის შემაჯამებელი გადაწყვეტილება**, რომელიც მორიგების დამტკიცებამდე სასამართლომ მიიღო, რადგან მხარეთა მორიგება, დამტკიცებული სასამართლოს განჩინებით, არის **ის ერთადერთი აღსასრულებელი სასამართლო აქტი, რომელიც მხარეთა მიერ მორიგების პირობების ნებაყოფლობით შეუსრულებლობის დროს უნდა აღსრუ-**

⁴² იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 09.03.2017წ. განჩინება, საქმეზე №ას-990-953-2016

ლდეს. შესაბამისად, თუ მორიგება პირველი ინსტანციის სასამართლოში მტკიცდება, სარჩელზე წარმოება წყდება, ხოლო თუ მორიგება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში მტკიცდება, ასეთ ვითარებაში, ქვემდგომი სასამართლოს (ების) შემაჯამებელი გადაწყვეტილებები უქმდება და სარჩელზე წარმოება ისე წყდება. დავის მორიგების დამტკიცების საფუძვლით სარჩელზე წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში დავა იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით აღარ დაიშვება. ასევე დაუშვებელია დამტკიცებული მორიგების გასაჩივრება იმ საფუძვლით, რომ მხარემ მორიგება გადაიფიქრა ან გარემოება შეიცვალა, რაც მორიგების დამტკიცებას უძლოდა წინ. მორიგების დამტკიცების თაობაზე გამოტანილი განჩინება კერძო საჩივრით საჩივრდება (სსსკ 420). განჩინების გასაჩივრების წინაპირობა, სწორედ ის ფაქტორებია, რაც მორიგების დამტკიცების დროს სასამართლოს შესამონმმებელი კატეგორიაა, კერძოდ, **გამოვლენილი ნების თავისუფლება, ნამდვილობა, გაცნობიერებული თანხმობა, მორიგების პირობების კანონშესაბამისობა** და ა.შ. და არა **გამოვლენილი ნების გამოთხოვა, პოზიციის შეცვლა და ა.შ.**

მხარეთა მორიგებას ბევრი უპირატესობა აქვს. პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ მხარეთა მორიგებით საქმის დასრულება ნიშნავს, რომ ორივე მხარემ მორიგების აქტში მათთვის ხელსაყრელი პირობები გაითვალისწინეს, მაშინ, როდესაც სასამართლო წესით დავის გადაწყვეტა საქმის ერთი მხარის სასარგებლოდ დასრულებას გულისხმობს. გარდა ამისა, თუ მხარემ მორიგების აქტი კერძო საჩივრით არ გაასაჩივრა, იგი გასაჩივრების 12 დღიანი ვადის გასვლის შემდეგ კანონიერ ძალაში შედის, თუმცა, პრაქტიკაში, უმეტესწილად, მხარეები მორიგების გასაჩივრებაზე იმთავითვე უარს ამბობენ, რაც მორიგების აქტის დაუყოვნებლივ კანონიერ ძალაში შესვლას იწვევს. შესაბამისად, მორიგების გასაჩივრებაზე უარის თქმის პირობებში წარდგენილი კერძო საჩივარი განუხილველად რჩება⁴³. სასამართლოს მიერ დამტკიცებული და კანონიერ ძალაში შესული მორიგება სავალდებულოდ შესასრულებელია და მისი შეცვლის კანონისმიერი მექანიზმი არ არსებობს, გარდა ახლად აღმოჩენილი გარემოების გამო გადაწყვეტილების გაუქმებისა და ბათილობის საფუძვლებისა⁴⁴. მორიგება ხელსაყრელია ასევე სასამართლო ხარჯების შემცირების თვალსაზრისითაც, მაგალითისათვის, თუ მხარეები მოსა-

⁴³ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 05.03.2018წ. განჩინება, საქმეზე საქმე №ას-487-487-2018

⁴⁴ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 18.07.2016წ. განჩინება, საქმეზე საქმე №ას-454-436-2016

მზადებელ სხდომაზე მორიგდნენ, მოსარჩელეს გადახდილი ბაჟი სრულად უკან უბრუნდება, ხოლო მთავარ სხდომაზე მორიგება გადახდილი ბაჟის ნახევრის დაბრუნების წინაპირობაა (სსსკ 49).

მორიგების მიზანშეწონილობის თვალსაზრისით, სასამართლომ არაერთხელ განმარტა, რომ მხარეთა მორიგება მნიშვნელოვანი წინაპირობაა პროცესის ეკონომიურობის, მხარეთა სასამართლო ხარჯების დაზოგვის, დავის სწრაფად გადაწყვეტის და მომავალი დავის თავიდან აცილების თვალსაზრისით. აქედან გამომდინარე, საპროცესო კანონი ამ მეტად მნიშვნელოვანი საპროცესო ინსტიტუტის გამოყენების მიზნით არ ზღუდავს სასამართლოს, ითამამოს აქტიური როლი მხარეთა მორიგებაში და დაარწმუნოს პროცესის მონაწილეები საქმის მორიგებით დასრულების პოზიტიურ შედეგში (სსსკ 217, 218)⁴⁵.

ბ. სარჩელზე უარი

როგორც სარჩელის სასამართლოსათვის მიმართვის უფლებაა დისპოზიციურობის გამოვლინება, ასევე **სარჩელზე უარიც მოსარჩელის დისპოზიციური უფლებაა**, რაც იმას ნიშნავს, რომ მხარეს (მოსარჩელეს) **ნებისმიერ დროს** აქვს უფლება, უარი თქვას თავის სასარჩელო მოთხოვნაზე. მხარე უფლებამოსილია, უარი თქვას, როგორც მთლიან სასარჩელო მოთხოვნაზე, ისე მის ნაწილზე⁴⁶. თუმცა, ნიშანდობლივია, რომ სასამართლომ მოსარჩელისათვის იმ სამართლებრივი შედეგების განმარტება უნდა უზრუნველყოს, რომელიც სარჩელზე უარს სდევს თან. ამასთან, სასამართლომ უნდა დაადგინოს მხარის ნამდვილი ნება, თუ რას ითხოვს იგი და რა სამართლებრივ შედეგს უკავშირებს იგი თავისი პროცესუალური უფლების რეალიზებას. ითხოვს იგი სარჩელზე უარს, თუ სარჩელის გამოსმობას? აცნობიერებს, თუ არა იგი სარჩელზე უარის თქმისა, თუ სარჩელის გამოსმობის სამართლებრივ შედეგებს, და ა. შ. თუ მხარე სხდომის ოქმში სასამართლოს განმარტების შედეგად **გაცნობიერებულად აფიქსირებს თავის ნებას** სარჩელთან დაკავშირებით, შემდეგ მისი არგუმენტი, რომ გადაიფიქრა სარჩელზე უარი, ვერ გაცნობიერა მისი

⁴⁵ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 15.06.2011წ. განჩინება, საქმეზე №ას-903-943-2011

⁴⁶ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 02.03.2012 განჩინება, საქმეზე №ას-47-45-2012

სამართლებრივი შედეგები, ბაჟის განახევრების მოტივით თქვა უარი და ა. შ. მხედველობაში აღარ მიიღება⁴⁷.

სარჩელზე უარი, საპროცესო-სამართლებრივი შედეგების თვალსაზრისით, გულისხმობს იმას, რომ მოსარჩელე თავის სასარჩელო მოთხოვნაზე **საბოლოოდ ამბობს უარს**, რაც სარჩელზე წარმოების შეწყვეტას იწვევს (სსსკ 272, „ბ“), ხოლო თუ სარჩელზე უარი მოსარჩელემ ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში თქვა, აღნიშნული გარემოება ქვედა ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილებების გაუქმებისა და სარჩელზე წარმოების შეწყვეტის წინაპირობაა⁴⁸. სარჩელზე უარის თქმის საფუძვლით შეწყვეტილი საქმის წარმოების შედეგად **მოსარჩელე იმავე დავას იმავე საფუძვლითა და იმავე მოპასუხის წინააღმდეგ ველარ წამოიწყებს** (სსსკ 273.2), ხოლო ასეთი დავის მაინც ინიცირების შემთხვევაში, **სარჩელზე წარმოების შეწყვეტის საფუძველი იარსებებს** (სსსკ 272.„გ“). უნდა აღინიშნოს, რომ სარჩელზე უარის თქმის აბსოლუტური ბუნება თავად ამ ინსტიტუტის არსით აიხსნება, კერძოდ, მსგავსად სარჩელის აღძვრისა, მოსარჩელის სრულ თავისუფლებას წარმოადგენს, მოპასუხეს მოსთხოვოს ან არ მოსთხოვოს ვალდებულების შესრულება და განსხვავებით, მაგალითად, სარჩელის გამომხმობისაგან (სსსკ 83¹ მუხლი), მოსარჩელეს მოპასუხის ყოველგვარი თანხმობის გარეშე შეუძლია განკარგოს კანონით გარანტირებული ზემოხსენებული შესაძლებლობა. სწორედ ამ პოზიციიდან გამომდინარე მიიჩნევა საკასაციო სასამართლო, რომ სარჩელზე უარის თქმის შესახებ შუამდგომლობის განხილვაზე გავლენას ვერ იქონიებს პირის (მოპასუხის) გარდაცვალებისა და მისი უფლებამონაცვლის დადგენის საკითხები. კანონის ამგვარი განმარტება დააკარგვინებს აზრს, როგორც საქმის განხილვის შეჩერების, ისე პროცესის ეკონომიურობის პრინციპებს⁴⁹.

დისპოზიციურობის ფარგლებში გამოვლენილი ნება შეუქცევადია, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ მხარე სარჩელზე ან სააპელაციო (საკასაციო) საჩივარზე განაცხადებს უარს, სარჩელს ცნობს, ან მორიდდება, რის თაობაზეც სასამართლო შესაბამის საპროცესო-სამართლებრივ ღონისძიებას განახორციელებს, **აღნიშნული ნება შემდეგ შეუქცევად სასიათს იძენს**, რაც იმას ნიშნავს, რომ მხარის არგუმენტი იმის შესახებ,

⁴⁷ იხ.საქართველოს უზენაესი სასამართლოს 24.02.2011წ. განჩინება, საქმეზე №ას-1368-1206-2010

⁴⁸ იხ.საქართველოს უზენაესი სასამართლოს 18.07.2011წ. განჩინება, საქმეზე №ას-795-849-2011

⁴⁹ იხ.საქართველოს უზენაესი სასამართლოს 15.09.2017წ. განჩინება, საქმეზე №ას-902-842-2017

რომ სარჩელის ცნობა, სარჩელზე უარი, მორიგება და ა. შ. **გადაიფიქრა, ვერ გააცნობიერა, გარემოება შეიცვალა და ა. შ. მხედველობაში აღარ მიიღება.** ამ მიმართებით აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლით განმტკიცებული დისპოზიციურობის პრინციპი ორიენტირებულია უფლების მქონე სუბიექტის **თავისუფალ ნებაზე**, მხოლოდ საკუთარი შეხედულებისამებრ განკარგოს მისი მატერიალური, თუ საპროცესო უფლებები და **ყოველგვარი რისკი, რომელიც ამ ნორმის ფარგლებში გამოვლენილ ნებას შეიძლება თან სდევდეს, ნების გამომვლენს აწევს.** შესაბამისად, იმაზე მითითება, რომ მხარემ შუამდგომლობის დაკმაყოფილებისა და საქმის წარმოების შეწყვეტის შემდეგ გააცნობიერა სარჩელზე (სააპელაციო საჩივარზე, საკასაციო საჩივარზე) უარის თქმის სამართლებრივი შედეგი, რაშიც იგი შეცდა, არ წარმოშობს სასამართლოს განჩინების გაუქმების ფაქტობრივ საფუძველს.

საპროცესო კანონმდებლობით აღიარებულია რა მხარეთა დისპოზიციურობის პრინციპი – აღძრან სარჩელი, ან უარი თქვან **სარჩელზე**, სასამართლოს ვალდებულებაა ხელი შეუწყოს ამ პრინციპის რეალიზაციას იმგვარად, რომ **მხარეებს მიეცეთ შესაძლებლობა გააცნობიერონ ის სამართლებრივი შედეგები, რაც მათ მიერ განხორციელებულ ქმედებას მოჰყვება.** აღნიშნული მიიღწევა სასამართლოს მხრიდან იმ საპროცესო ნორმებზე მითითებით, რომლებშიც შესაბამისი სამართლებრივი შედეგია მოცემული. ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, ნათელია, რომ სასამართლომ, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, როდესაც მხარე თავის დისპოზიციურ უფლებას იყენებს და სარჩელზე ამბობს უარს, ცნობს სარჩელს, თუ მხარესთან რიგდება, სასამართლო ვალდებულია გამოარკვიოს მხარეთა ნამდვილი ნება, კერძოდ, აცნობიერებენ, თუ არა მხარეები მათ მიერ გამოვლენილი ნების სამართლებრივ შედეგებს. თუ აღნიშნული განმარტება სასამართლომ ჯეროვნად არ განხორციელა, ასეთ შემთხვევაში, შესაძლებელია, მხარის პრეტენზია გაუცნობიერებლად ნების გამოხატვის თაობაზე, გაზიარებულ იქნეს და ის სასამართლოს განჩინება გაუქმდეს, რომლითაც სარჩელზე უარის თქმის გამო საქმის წარმოება შეწყდა⁵⁰.

თუ სასამართლოს **მთავარ სხდომაზე** მოსარჩელე უარს იტყვის სარჩელზე, მოპასუხე ცნობს სარჩელს ან მხარეები მორიგდებიან, სახელმწიფო **ბაჟის ოდენობა ნახევრდება.** თუ სასამართლოს **მთავარ სხდომამდე** მოსარჩელე უარს იტყვის სარჩელზე, მოპასუხე ცნობს სარჩელს

⁵⁰ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 01.07.2013 განჩინება, საქმეზე №ას-484-460-2013

ან მხარეები მორიგდებიან, მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან (სსსკ 49.1, 2). ამდენად, სარჩელზე უარის თქმისას დასაბრუნებელი ბაჟის ოდენობას განსაზღვრავს სამართალწარმოების ეტაპი (მოსამზადებელი სხდომა, მთავარი სხდომა), ხოლო სამართალწარმოების ეტაპის განსაზღვრა კი სასამართლოს უფლებამოსილებაა. თუ წარმოდგენილი წერილობითი მასალები მოსამართლეს აძლევს ვარაუდის საფუძველს, რომ შეიძლება მხარეებმა საქმე მორიგებით დაამთავრონ, მოპასუხემ ცნოს სარჩელი ან მოსარჩელემ უარი თქვას სარჩელზე, აგრეთვე თუ, მოსამართლის აზრით, სასამართლო განხილვისათვის საქმის სათანადოდ მომზადების ინტერესები ამას მოითხოვს, მოსამართლე უფლებამოსილია მხარეთა წერილობითი მასალების მიღებიდან 5 დღის განმავლობაში დანიშნოს მოსამზადებელი სხდომა. ამავე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით კი, თუ არსებობს სასამართლოს მთავარი სხდომის გამართვის წინაპირობები, მოსამართლე უფლებამოსილია მოსამზადებელი სხდომა გადაზარდოს მთავარ სხდომაში. ზემოაღნიშნული ნორმებიდან გამომდინარე, საქმის განხილვისას მოსამზადებელი სხდომის დანიშვნა სასამართლო უფლებამოსილებას წარმოადგენს. აღნიშნულ საკითხს სასამართლო წყვეტს ყოველი კონკრეტული დავის ირგვლივ არსებულ გარემოებათა გათვალისწინებით. შესაბამისად, მოსამზადებელი სხდომის სავალდებულოდ დანიშვნა სასამართლო ვალდებულებათა რიგს არ განეკუთვნება⁵¹.

სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოპასუხის მიერ განეული საადვოკატო მომსახურების ანაზღაურების წინაპირობაა, რაღა თქმა უნდა, კანონით დადგენილი წესითა და ოდენობით (სსსკ 53.1), იგივე წესი ვრცელდება სარჩელზე უარის თქმასთან დაკავშირებითაც. მართალია, ასეთ შემთხვევაში საქმეზე მატერიალურ-სამართლებრივი შედეგი არ მიიღწევა და საქმეზე გადაწყვეტილება არ მიიღება, თუმცა, საქმეზე წარმოების შეწყვეტა, თავისი არსით, ნიშნავს იმას, რომ მოსარჩელე დასახელებული მოპასუხის წინააღმდეგ იგივე მოთხოვნას იმავე საფუძველზე დაყრდნობით ვეღარ აღძრავს. შესაბამისად, აღნიშნული სამართლებრივი შედეგი, პროცესუალური თვალსაზრისით, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას უთანაბრდება და შესაბამისად, მოპასუხის მიერ განეული საადვოკატო ხარჯების ანაზღაურების წინაპირობა ხდება⁵².

⁵¹ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 23.06.2017 განჩინება, საქმეზე №ას-649-605-2017

⁵² იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 18.07.2011წ. განჩინება, საქმეზე №ას-795-849-2011

გ. სარჩელის ცნობა

დისპოზიციურობა, როგორც ნების ავტონომიის საპროცესო გამოხატულება, გულისხმობს პირის უფლებას, თავად გადაწყვიტოს დაიცვას, თუ არა სასამართლო წესით თავისი უფლება, თავად განსაზღვროს, დავის საგანი და დაასახელოს დავაზე პასუხისმგებელი სუბიექტი. მოსარჩელეს შეუძლია ასევე უარი თქვას სარჩელზე. საგულისხმოა, რომ ჩამოთვლილ უფლებათა უმეტესი ნაწილი მოსარჩელისკენაა მიმართული, თუმცა, პირთა თანასწორობაზე დამყარებული სამოქალაქო საპროცესო სამართალი ანალოგიურ პირობებს უქმნის მოპასუხეს და ადგენს მის უფლებას, შეთანხმების შემთხვევაში, **დავა მორიგებით დაასრულოს, მას ასევე შეუძლია ცნოს სარჩელი.** მოპასუხის მიერ **სარჩელის ცნობა**, უფლების განმკარგავი აქტია, რომელიც შეიძლება განხილულ იქნას მხოლოდ მის სამართლებრივ შედეგთან ერთიანობაში. სარჩელის ცნობა შეუქცევადია და მას ამ ნაწილში გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოჰყვება შედეგად, იმდენად, რამდენადაც **სარჩელის ცნობას საფუძვლად ედება პრეზუმფცია, რომ მოპასუხე აღიარებს მის მიმართ წარდგენილ პრეტენზიას და არ აპირებს ამ მოთხოვნისაგან თავდაცვის საპროცესო საშუალების გამოყენებას.**⁵³ ამასთან, ნიშანდობლივია აღინიშნოს, რომ სარჩელის ცნობა უფლებამოსილ წარმომადგენელსაც შეუძლია, თუმცა, აუცილებელია, რომ მას აღნიშნული უფლებამოსილება სპეციალურად ჰქონდეს მინიჭებული საქმეში წარმომადგენილ მინდობილობაში (სსსკ 98)⁵⁴. აღსანიშნავია, რომ ამგვარი უფლებამოსილების არსებობის პირობებში, წარმომადგენლის მიერ სარჩელის ცნობით, რომელიც ამ საპროცესო მოქმედების შედეგების შესახებ ინფორმირებას ადასტურებს, მოპასუხე საკუთარ თავზე იღებს ყველა იმ ნეგატიურ შედეგს, რაც ამ საპროცესო უფლების განკარგვას მოჰყვება⁵⁵. აღსანიშნავია, რომ **სარჩელის ცნობა სარჩელის დაკმაყოფილების უპირობო საფუძველია.** გამონაკლისი, როდესაც სარჩელის ცნობა სარჩელის დაკმაყოფილებას არ იწვევს, სახეზეა, მაშინ, როდესაც სარჩელს, **მატერიალურ-სამართლებრივ მოთხოვნაზე პასუხისმგებელი სუბიექტი არ ცნობს, ან როდესაც სასარჩელო მოთხოვნის საფუძველი საერთო**

⁵³ იხ.საქართველოს უზენაესი სასამართლოს 08.04.2015წ. განჩინება, საქმეზე №ას-64-58-2015

⁵⁴ იხ.საქართველოს უზენაესი სასამართლოს 10.03.2015წ. განჩინება, საქმეზე №ას-1270-1210-2014

⁵⁵ იხ.საქართველოს უზენაესი სასამართლოს 27.05.2016წ. განჩინება, საქმეზე №ას-276-262-2016

უფლებაა, ხოლო მოპასუხედ დასახელებული - რამდენიმე სუბიექტი. შესაბამისად, **მათგან ერთ-ერთის მიერ სარჩელის ცნობა სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი არ არის**⁵⁶. მაგალითად, თუ პირი სადავოდ ხდის მის მიერ მინდობილი პირის მიერ ქონების გასხვისების ნამდვილობას, და შესაბამისად, აღნიშნულ ქონებაზე დადებული გარიგების ბათილობასა და ქონების მესაკუთრედ ცნობას ითხოვს, ასეთ შემთხვევაში, აღნიშნულ სარჩელზე მოპასუხედ დასახელებულ უნდა იქნენ როგორც მინდობილი პირი, ასევე ქონების შემძენი (მყიდველი). მარტოოდენ მინდობილი პირის მიერ სარჩელის ცნობა სარჩელის დაკმაყოფილების წინაპირობა ვერ გახდება. იგივე შეიძლება ითქვას ქონების ყადაღისაგან გათავისუფლების შესახებ სარჩელებზე, რა დროსაც სავალდებულო პირობაა, რომ მოპასუხედ დასახელებულ უნდა იქნეს როგორც მოვალე, ასევე კრედიტორი. ასეთ შემთხვევაში, როგორც წესი, მოვალეები სარჩელს ცნობენ, თუმცა, მარტოოდენ მათი მხრიდან სარჩელის ცნობა სარჩელის დაკმაყოფილებას არ იწვევს⁵⁷.

ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ **სარჩელის ცნობა, ფაქტის აღიარებისაგან** (სსსკ 131). სარჩელის ცნობა სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველია, ხოლო ფაქტის აღიარებით ფაქტის არსებობის თაობაზე სარწმუნო მტკიცებულება იქმნება, რომელსაც შეიძლება დაეყრდნოს, ან არ დაეყრდნოს სასამართლოს გადანყვეტილება⁵⁸. სარჩელის ცნობის შემთხვევაში სასამართლოს აღარ ამონმებს და აფასებს საქმეში არსებულ მტკიცებულებებს. თავის გადანყვეტილებას სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ იგი მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობას აფუძნებს⁵⁹. ფაქტის აღიარების დროს კი მხარე ცნობს მხოლოდ რომელიმე ფაქტობრივ გარემოებას, მაგრამ არა სარჩელს⁶⁰. მხოლოდ ფაქტის აღიარება შეიძლება სარჩელის დაკმაყოფილების მიზნებისათვის საკმარისი არ იყოს. მაგალითად, მოსარჩელემ შეიძლება აღიაროს ვალის აღიარების ხელწერილზე მისი ხელმოწერის ფაქტი, თუმცა, სარჩელის დაკმაყოფილება ხანდაზმულობის საფუძველით გამორიცხოს. კანონი ფაქტის აღიარების გაქარწყლების შესაძლებლობას უშვებს, თუმცა, მხოლოდ ისეთი

⁵⁶ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 31.07.2017წ. განჩინება, საქმეზე №ას-756-707-2017

⁵⁷ იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 21.11.2014 წ. განჩინება, საქმეზე №2ბ/5034-14

⁵⁸ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 14.03.2001წ. განჩინება, საქმეზე №3კ/769

⁵⁹ თ.ლილუაშვილი, ვ.ხრუსტალი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, მუხლი 3, გვ.7

⁶⁰ თ.ლილუაშვილი, ვ.ხრუსტალი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, მუხლი 131, გვ.238

გარემოებების არსებობის პირობებში, როგორცაა შეცდომა, რომელიც აღიარების შემდეგ გახდა ამლიარებლისათვის ცნობილი, ანდა ფსიქიკური, თუ ფიზიკური ზემოქმედება, რომელიც აღიარების დროს მის თავისუფალ ნებას გამოორიცხავდა. მარტოოდენ დაუფიქრებელი, გაუაზრებელი აღიარება, იურიდიული კონსულტაციის გარეშე გაკეთებული აღიარება, როდესაც მხარეს არ ესმოდა აღნიშნული აღიარების სამართლებრივი შედეგები, აღიარების გაქარწყლების წინაპირობას არ წარმოადგენს⁶¹.

დ. სარჩელის გამოხმობა

მართალია, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლში სარჩელის გამოხმობის უფლება ცალკე სახელდებით მოცემული არ არის, თუმცა, **სარჩელის გამოხმობის უფლებაც დისპოზიციურობის პრინციპის გამოვლინებაა, რა დროსაც, მოსარჩელე მის მიერ ინიცირებულ სასარჩელო წარმოებაზე უარს ამბობს, თუმცა, აღნიშნული უარი დროებითი ხასიათისაა და მოსარჩელეს იმავე დავაზე იმავე საფუძვლითა და იმავე მხარის მიმართ სარჩელის ხელახლა აღძვრის უფლებას უტოვებს.** სწორედ აღნიშნული საპროცესო-სამართლებრივი თავისებურება განაპირობებს იმას, რომ სარჩელის გამოხმობას მოპასუხის თანხმობა მხოლოდ **პირველ ინსტანციაში მთავარ სხომამდე არ სჭირდება**, ხოლო პირველ ინსტანციაში მთავარი სხლომიდან მოყოლებული, ნებისმიერ დროს, სარჩელის გამოხმობა მოპასუხე მხარის თანხმობაზეა დამოკიდებული. თუ მოპასუხე არ არის თანახმა, სასამართლომ უნდა განიხილოს და გადაწყვიტოს საქმე⁶². სწორედ სარჩელის გამოხმობის პროცესუალურ არსს გამოხატავს ის სამართლებრივი შედეგი, რაც სარჩელის გამოხმობას სდევს თან, კერძოდ, **სარჩელის გამოხმობის შედეგად სარჩელი განუხილველად რჩება, რაც მხარეს იმავე სარჩელით სასამართლოსათვის კვლავ მიმართვის უფლებას უტოვებს**, რაც არსებითად განსხვავდება, სარჩელზე უარის თქმის საპროცესო-სამართლებრივი ინსტიტუტისაგან, რომლის მიხედვითაც, **სარჩელზე უარის თქმის შედეგად სარჩელზე წარმოება წყდება. ასეთ შემთხვევაში, დავა იმავე მხარეებს შორის იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით დაუშვებელია.** სარჩელზე უარის თქმა მოპასუხის თანხმობაზე დამოკიდებული არ არის. სარჩელის გამოხმობა და სარჩელზე უარის თქმა სამართალწარმოების

⁶¹ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 02.03.2012 განჩინება, საქმეზე №ას-47-45-2012

⁶² იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 22.06.2018 განჩინება, საქმეზე საქმე №ას-431-431-2018

ნებისმიერ ეტაპზეა შესაძლებელი. თუმცა, თუ სარჩელის გამოხმობა ან სარჩელზე უარი ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში ხდება (აპელაცია, კასაცია), აღნიშნული ქმედების საპროცესო-სამართლებრივი შედეგი ყველა იმ სასამართლოს საბოლოო (შემაჯამებელი) გადაწყვეტილების გაუქმებაა, რომელიც სარჩელის გამოხმობამდე იქნა მიღებული.

სარჩელის გამოხმობის შემდეგ შეცვლილი ნება სარჩელის გამოხმობის თაობაზე მხედველობაში არ მიიღება, თუ რაღა თქმა უნდა, გამოვლენილი ნება უცილოდ ან საცილოდ ბათილი არ არის. თუ სარჩელის გამოხმობის შემდეგ გარემოებათა შეცვლამ სარჩელის გამოხმობის თაობაზე ნების შეცვლა განაპირობა, აღნიშნული საფუძვლით კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდება და სარჩელის გამოხმობის თაობაზე განჩინება არ გაუქმდება. აღნიშნული საპროცესო სამართლებრივი შედეგი, პირველ რიგში, განპირობებული იმით, რომ სარჩელის გამოხმობის დროს სარჩელის გამოხმობის ნება ნამდვილი იყო, რომლის კანონშესაბამისობა სასამართლომ შეამოწმა და კანონის შესაბამისად დააკმაყოფილა. კანონიერად მიღებული განჩინების მიმართ მოპასუხე მხარეს კანონიერი ნდობა გააჩნია, ხოლო კანონიერად მიღებული განჩინების გაუქმების შესაძლებლობას საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს. სარჩელის გამოხმობა, კი თავის მხრივ, მოსარჩელეს სასამართლოსათვის ხელახლა მიმართვის უფლებას არ უზღუდავს⁶³. უფრო მეტიც, სარჩელის გამოხმობა მოსარჩელისათვის შესაბამის ინსტანციაში გადახდილი ბაჟის სრულად დაბრუნების წინაპირობაა.

სარჩელის გამოხმობაზე უფლებამოსილი წარმომადგენლის შესაძლებლობა, გამოიხმოს სარჩელი, შემდეგი წესით მოწმდება, კერძოდ, თუ მინდობილობაში წარმომადგენელს სარჩელზე უარის თქმის უფლება მინიჭებული აქვს, სასამართლო იმპლიციტურად თვლის ასევე, რომ აღნიშნულ წარმომადგენელს სარჩელის გამოხმობის უფლებაც აქვს⁶⁴.

ე. გადაწყვეტილების გასაჩივრებაზე უარი

სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრება და ასევე უარი მის გასაჩივრებაზე, ასევე წარმოადგენს მხარის დისპოზიციური უფლების გამოვლინებას, თუმცა, აღსანიშნავია, რომ მხარის უფლება, გაასაჩივროს გადაწყვეტილება, ვრცელდება მის სარეზოლუციო და არა

⁶³ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 16.02.2015 წ. განჩინება, საქმეზე №ას-1312-1250-2014

⁶⁴ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 05.01.2018 განჩინება, საქმეზე საქმე №ა-5252-ა-13-2017

სამოტივაციო ნაწილზე⁶⁵. აღნიშნული დასკვნა ეფუძნება სასამართლოს შეხედულებას მასზედ, რომ გადაწყვეტილების კანონიერი ძალა ვრცელდება მის სარეზოლუციო ნაწილზე, რომელიც სარჩელზე პირდაპირ და ზუსტ პასუხს წარმოადგენს. ამდენად, პირი, სარჩელის შეტანის გზით იცავს რა თავის უფლებას და შელახულ ინტერესებს, სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება იმავდროულად იწვევს მისი პრეტენზიის აღმოფხვრას, ვინაიდან სადავოდ მიჩნეული უფლება მოდავე პირის სასარგებლოდაა დაცული და, შესაბამისად, მხარის იურიდიული ინტერესიც დაკმაყოფილებულია. აღნიშნულ მსჯელობას ამყარებს ის გარემოებაც, რომ გადაწყვეტილების აღსრულებისას **აღსასრულებლად მიექცევა მხოლოდ სარეზოლუციო და არა სამოტივაციო ნაწილი**, თუნდაც ეს უკანასკნელი ადგენდეს რაიმე უფლების ან ვალდებულების არსებობას („სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლი). სასამართლო გადაწყვეტილება მართლმსაჯულების აქტია და მისი სამართლებრივი შედეგები თვით კონსტიტუციითაა რეგლამენტირებული. სასამართლოს აქტები სავალდებულოა ყველა სახელმწიფო ორგანოსა და პირისათვის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. სასამართლო გადაწყვეტილების სავალდებულობა დღის წესრიგში აყენებს მისი აღსრულებადობის უზრუნველყოფის საკითხს. თუ პირი, რომლის მიმართაცაა სასამართლო აქტი გამოცემული, თავისი ნებით არ შეასრულებს ამ გადაწყვეტილებას, კრედიტორის განცხადების საფუძველზე, საქმეში საამისოდ უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო – სააღსრულებო ბიურო ერთვება, რომელიც გადაწყვეტილების აღსრულებას უზრუნველყოფს. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მიხედვით, ეს კანონი აწესრიგებს საერთო სასამართლოების მიერ მიღებული აქტების აღსრულების წესსა და პირობებს. ამავე კანონის მე-20 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სასამართლო გადაწყვეტილებაზე სააღსრულებო წარმოება არ დაიშვება სააღსრულებო ფურცლის გარეშე, **რომელშიც აღსასრულებელი გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილია ასახული⁶⁶**.

გადაწყვეტილების გასაჩივრებაზე უარის შესაძლებლობას სასამართლო პრაქტიკა დისპოზიციურობის პრინციპის გამოვლინებად მიიჩნევს (სსსკ 250). თუ გადაწყვეტილების გამოცხადების შემდეგ მხარე სასამართლოს ან მოწინააღმდეგე მხარეს წერილობითი ფორმით განუცხადე-

⁶⁵ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 17.06.2015 წ. განჩინება, საქმეზე №ას-532-505-2015

⁶⁶ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 07.09.2009 წ. განჩინება, საქმეზე №ას-710-1011-09

ბს უარს სააპელაციო გასაჩივრებაზე, სააპელაციო საჩივარი აღარ დაიშვება (სსსკ 370). მითითებული მუხლის მიხედვით, სააპელაციო საჩივარზე უარის თქმა მხარის უფლებაა. ამ უფლების რეალიზაციას უკავშირდება გარკვეული იურიდიული შედეგი, კერძოდ, მხარე, რომელმაც უარი განაცხადა გასაჩივრებაზე, კარგავს უფლებას, გაასაჩივროს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით. გასაჩივრებაზე უარის თქმა დასაშვებია როგორც გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის, ისე მოტივირებული გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ. გადაწყვეტილების გასაჩივრებაზე უარის თქმის შემთხვევაში, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შედის (სსსკ 264, 1.,„დ“)⁶⁷.

⁶⁷ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 12.03.2015 წ. განჩინება, საქმეზე №ას-55-50-2015

მუხლი 4. შეჯიბრებითობის პრინციპი

1. სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა დადასტურდეს ეს ფაქტები.

2. საქმის გარემოებათა გასარკვევად სასამართლოს შეუძლია, თავისი ინიციატივით მიმართოს ამ კოდექსში გათვალისწინებულ ღონისძიებებს.

ულრის ჰაბენლოსი	73
მე-4 მუხლი.....	73
ქეთევან მისხიშვილი	89
მე-4 მუხლი.....	89

ულრის ჰაბენლოსი

მე-4 მუხლი

ქართული სსკ-დან მოყვანილი ნორმები:

- მე-4 მუხლი
- 83-ე მუხლი

შეჯიბრებითობის პრინციპი, თანაბარი საპროცესო საშუალებები, მითითების ვალდებულებები

1. საქართველოს სსკ-ის მე-4 მუხლის პირველი ნაწილი აკონკრეტებს თავდაპირველად მე-3 მუხლში ნახსენებ შეჯიბრებითობის პრინციპს (იხ. მე-3 მუხლის პირველი ნაწილის კომენტარი, ა.ნ. (აბზაცი ნომერი) 2 და მომდევნო აბზაცები, ასევე, ა.ნ. 43 და მომდევნო აბზაცები).

2. მხარეთა თანაბარი საპროცესო უფლებები და შესაძლებლობები, რომელსაც გერმანულ საპროცესო სამართალში თანაბარი შესაძლებლობების პრინციპსაც (BGH, Beschluss vom 24.03.2011 - I ZR 108/09 - BGHZ 189, 56; BGH, Urteil vom 20.07.2017 - III ZR 296/15 - NJW 2017,

3367) უნოდებენ, განსაკუთრებულად არის ხაზგასმული ქართული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის პირველ ნაწილსა და 83-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველ წინადადებაში. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი, რომელიც შინაარსობრივად ქართული რეგულაციების მსგავსია, სამოქალაქო სამართლის დავებისთვის მხარეებს შორის სამართლიანი ბალანსის დაცვას მოითხოვს (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1993 წლის 27 ოქტომბრის გადაწყვეტილება 1993, 37/1992/382/460 -NJW 1995, 1413).

გერმანიაში მხარეთა თანაბარი შესაძლებლობების პრინციპი, საკონსტიტუციო სამართლის მიხედვით, თანასწორობის პრინციპიდან (გერმანიის ფედ. კონსტიტუცია GER-GG Art. 3 Abs. 1) გამომდინარეობს სამართლებრივი დაცვის მოთხოვნის უფლებასა და სამართლებრივი სახელმწიფოებრიობის პრინციპთან ერთად (Art. 19 Abs. 4, Art. 20 Abs. 1 GER-GG), **სასამართლო მოსმენის მოთხოვნის უფლებისგან** (Art. 103 Abs. 1 GER-GG; იხ. ა.ნ. 3 ბ ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება ამონარიდების სახით 30.09.2018 - 1 BvR 1783/17 - NJW 2018, 3631 [dort unter bb])), და - რამდენადაც სახეზეა შესაბამისი კავშირი - სოციალური სახელმწიფოს პრინციპიდან (BVerfG, Beschluss vom 13.03.1990 - 2 BvR 94/88 - BVerfGE 81, 347; BVerfG, Beschluss vom 26.04.1988 - 1 BvL 84/86 - BVerfGE 78, 104; BVerfG, Beschluss vom 04.10.2017 - 2 BvR 496/17 - juris; BVerfG, Beschluss vom 27.02.2008 - 1 BvR 2588/06 - NJW 2008, 2170). საქართველოსგან განსხვავებით, გერმანულ სამოქალაქო საპროცესო კოდექსში თანაბარი შესაძლებლობების პრინციპი ცალკე არ არის ნახსენები.

3ა. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო (Beschluss vom 30.09.2018 - 1 BvR 1783/17 - NJW 2018, 3631) თანაბარი შესაძლებლობების პრინციპის ფუნქციას შემდეგნაირად აჯამებს:

3ბ. „...ა) თანაბარი საპროცესო შესაძლებლობების პრინციპი სამოქალაქო პროცესში სამართლებრივი სახელმწიფოებრიობისა და, ზოგადად, თანასწორობის გამოხატულებაა და კონსტიტუციურ-სამართლებრივად უზრუნველყოფს მხარეების საპროცესო სტატუსის თანასწორობას მოსამართლის წინაშე. ასევე, მოსამართლემ, კონსტიტუციურ-სამართლებრივად უნდა უზრუნველყოს სასამართლო მოსმენის გარანტიის კუთხით Art. 103 Abs. 1 GG-ის მიხედვით, პროცესის მხარეებისათვის, საპროცესო სამართლის ფარგლებში, თანაბარი შესაძლებლობა, მიუთითონ ყველა იმ გარემოებაზე, რომელიც არსებითია სასამართლო გადაწყვეტილებისთვის და დამოუკიდებლად განახორციელონ შესაგებლები მოწინაა-

ლმდევის მოთხოვნის უფლებების წინააღმდეგ. ამ მიდგომასთან თანხვედრაშია მოსამართლის ვალდებულება, მხარეთა ეს თანასწორობა დაცვას ორივე მხარის მიმართ ობიექტური, სამართლიანი საქმისწარმოებით, მხარეთა ორმხრივი ახსნა-განმარტებების დამუშავებისა და შეფასების მიუკერძოებელი მზადყოფნით, კანონის მიუკერძოებელი გამოყენებითა და სხვა საპროცესო უფლებამოსილებების სწორად შესრულებით (BVerfGE 52, 131...).

ბბ) აქედან გამომდინარე, საჭიროა მოსამართლის წინაშე მხარეთა საპროცესო სტატუსის თანასწორობა და საკუთარი უფლებების განხორციელების თანაბარი შესაძლებლობების მინიჭება მათთვის. ამასთან, თანაბარი საპროცესო შესაძლებლობები უკავშირდება სასამართლო მოსმენის პრინციპს Art. 103 Abs. 1 GG-ის მიხედვით, რაც მხარეთა თანაბარი შესაძლებლობების სპეციალური გამოხატულებაა. როგორც თავდაპირველი საპროცესო უფლება (მდრ. BVerfGE 70, 180), ის ითხოვს, საქმისწარმოებისას, სასამართლომ, საპროცესო მოწინააღმდეგეს სასამართლო გადაწყვეტილების მიღებამდე მოუსმინოს და მოსალოდნელ სასამართლო გადაწყვეტილებაზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობა მისცეს (vgl. BVerfGE 9, 89; BVerfGE 57, 346). მხარის მოსმენა სასამართლო გადაწყვეტილების მიღებამდე შესაძლოა, მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში იყოს ზედმეტი. უფლების დროებითი დაცვის განსაკუთრებული კონსტელაციებისას, შეიძლება უარი ეთქვას მხარის მოსმენას სასამართლო გადაწყვეტილების მიღებამდე, რამდენადაც ეს საფუძველს გამოაცლიდა საქმისწარმოების მიზანს, როგორც მაგალითად: სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ყადაღის დადების საქმისწარმოებისას, წინასწარი პატიმრობის შეფარდებისას, ანდა ბინის ჩხრეკისას (vgl. BVerfGE 70, 180...). ასეთ დროს საკმარისია, სასამართლომ მოგვიანებით მოუსმინოს მხარეს. თუმცა მოგვიანებით მოსმენაზე მითითების წინაპირობა ის არის, რომ სხვაგვარად ხელი შეეშლებოდა დროებითი განკარგულების საქმისწარმოების მიზანს - ამჯერად: სამართლებრივად ნამდვილი დროებითი დაცვა გადაუდებელ შემთხვევებში.

გგ) საქმის ბუნებიდან გამომდინარე, მხარეთა თანაბარი საპროცესო შესაძლებლობების ძირითადი უფლების აქ მოცემული აღქმის კუთხით გაითვალისწინება, აგრეთვე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის განმარტება. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიერ

ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით განსაზღვრული გარანტიები, როგორც ფედერალური კონსტიტუციის კეთილგანწყობის გამოხატულება საერთაშორისო სამართლის მიმართ (vgl. BVerfGE 111, 307; BVerfGE 128, 326), გასათავლისნიებელია ძირითადი უფლებებისა და ფედერალური კონსტიტუციის სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპების განმარტებისას (vgl. BVerfGE 140, 317...). აქედან გამომდინარე, უმაღლესმა ფედერალურმა სასამართლომ გადაწყვიტა, რომ პროცესის წარმართვის კუთხით, რომელიც განსხვავებულ კერძო ინტერესებს ეხება, მხარეთა „თანაბარი შესაძლებლობების“ ცნება ნიშნავს, ყოველ მხარეს მიეცეს გონივრული შესაძლებლობა, საკუთარი საქმე იმ პირობებით წარმოადგინოს სასამართლოს წინაშე, რომელიც მხარისთვის არსებითად საზიანო არ არის მის საპროცესო მონინაალმდეგესთან მიმართებით (vgl. EGMR, Urteil vom 27. Oktober 1993, Nr. 37/1992/382/460, juris)....“.

კონსტიტუციიდან და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციიდან გამომდინარე, ამ პრინციპის დამცველი სასამართლოში საქმისწარმოებისას, შეიძლება იყოს მხოლოდ მოსამართლე, როგორც მესამე სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენელი. მან უნდა უზრუნველყოს თანაბარი შესაძლებლობების პრინციპის რეალიზება საქმის განხილვისას და ის, რომ, პირველ რიგში, დაცული იყოს არა მხოლოდ ფორმალური თანასწორობა მხარეთა საპროცესო სამართლებრივი პოზიციებისას, არამედ, შინაარსობრივი **ბალანსიც**, ანუ „სამართლიანი ბალანსი“ (EGMR, Urteil vom 27.10.1993 - 37/1992/382/460 - NJW 1995, 1413; BAG, Urteil vom 29.10.1997 - AZR 508/96 - BAGE 87, 40) და მათი საპროცესო პოზიციების ფაქტობრივად თანაბარი მნიშვნელობა (BVerfGE 69, 254). უპირველეს ყოვლისა, სოციალურ სამართლებრივ სახელმწიფოში, სადაც განსაკუთრებული სახელმწიფო პასუხისმგებლობა არსებობს საზოგადოებაში სუსტი მოქალაქეების დასაცავად, მაღალი საკონსტიტუციო სამართლებრივი მნიშვნელობა აქვს მოსამართლის ვალდებულებას სამართლიანი საპროცესო ბალანსის უზრუნველსაყოფად ეს განსაკუთრებით მოქმედებს მაშინ, როდესაც სახეზეა სტრუქტურიდან გამომდინარე ერთი მხარის უარეს მდგომარეობაში ჩაყენება.

ამ კონსტიტუციურ-სამართლებრივი ვალდებულების რეალიზება მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, თუ მოსამართლე საქმისწარმოების ბატონ-პატრონად დარჩება სასამართლოში და მისთვის კანონით დანესებული ჩარჩოს ფარგლებში შეძლებს, საკუთარი პასუხისმგებლობით განსაზღვროს საქმისწარმოების მიმდინარეობა და მისი აქტიური ფორმირება. ეს კი ავტომატურად იწვევს **სასამართლოში საქმისწარმოების ფა-**

რგლებში, მხარეთა დისპოზიციურობისა და საქმის განსაზღვრის უფლებამოსილებების საკმაოდ ვიწრო ფარგლები დაწესებას.

3. უკვე წარმოდგენილი ზოგადი ფაქტორების გარდა, რომელსაც გავლენა აქვს სასამართლოში საქმისწარმოების მიმდინარეობაზე, თანაბარი საპროცესო უფლებების პრინციპი, უპირველეს ყოვლისა, **სასამართლოს ხარჯების გადახდისგან გათავისუფლების** პროცედურებზე მოქმედებს (სსკ-ის 47-ე მუხლი). გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ მრავალჯერ გაუსვა ხაზი, რომ ამით უნდა მოხდეს საპროცესო სიტუაციის ფართო დაახლოება, ერთი მხრივ, იმ მხარეს, რომელსაც უკეთესი საშუალებები აქვს და მეორე მხრივ, მსგავსი საშუალებების საჭიროების მქონე მხარეს შორის (იხ. 47-ე მუხლის კომენტარი ა.ნ. 16 და მომდევნო აბზაცები).

თანაბარი საპროცესო შესაძლებლობების პრინციპი პრაქტიკულ მნიშვნელობას მაშინაც იძენს, როცა პროცესის მონაწილე ერთ მხარეს ფაქტის დასამტკიცებლად (რაშიც ის დარწმუნებულია) **სათანადო მტკიცებულებები არ აქვს**, მაგალითად, მონმის არარსებობის გამო (BVerfG, Beschluss vom 27.02.2008 - 1 BvR 2588/06 - NJW 2008, 2170; BGH, Urteil vom 08.07.2010 - III ZR 249/09 - BGHZ 186, 152; BGH, Urteil vom 20.07.2017 - III ZR 296/15 - NJW 2017, 3367; BGH, Urteil vom 12.07.2007 - III ZR 83/06 - NJW-RR 2007, 1690). გარდა ამისა, გერმანულმა სასამართლო პრაქტიკამ მტკიცებულებებთან დაკავშირებული რისკების უჩვეულო ცვლილებისას შეიმუშავა პრინციპები, რომელსაც მტკიცების ტვირთის არმქონე მხარის ე.წ. მეორადი დასაბუთების ტვირთამდე მივყავართ (პირველ რიგში, ე.წ. ნეგატიურ ფაქტებთან დაკავშირებით - იგულისხმება: მტკიცებულება, რომ ფაქტობრივი შედეგი არ დამდგარა) (BGH, Urteil vom 24.03.2010 - XII ZR 175/08 - BGHZ 185, 1; BGH, Beschluss vom 20.06.2017 - VI ZR 505/16 - ZIP 2017, 1492; BGH, Urteil vom 29.11.2016 - X ZR

122/14 - NZBau 2017, 176), ან რომელსაც შედეგად მოჰყვება მტკიცების ტვირთის შემობრუნება ანდა შესაბამისად ზომიერი მოთხოვნები მტკიცებულებების წარმოდგენის მოცულობის მიმართ (მტკიცების ტვირთის შემსუბუქება) (BGH, Urteil vom 11.05.2017 - III ZR 92/16 - BGHZ 215, 44; BGH, Urteil vom 31.05.2017 - VIII ZR 224/16 - NJW 2017, 2285). (დეტალებთან დაკავშირებით იხ. 102-ე მუხლის კომენტარი, ა.ნ. 29 და მომდევნო აბზაცები).

4. თანაბარი შესაძლებლობების პრინციპი ყველაზე დიდ მნიშვნელობას იძენს - სასამართლო მოსმენის უფლებასა (გერმანიის ფედ. კონსტი-

ტუციის Art. 103 Abs. 1 GER-GG) და სამართლიანი სასამართლოს უფლებასთან (Art. 2 Abs. 1 GER-GG i.V.m. Art. 20 Abs. 3 GER-GG) ერთად - **სასამართლოს მითითების ვალდებულებებისა** და ამ ვალდებულებების მასშტაბების განსაზღვრისას. ამით, ერთი მხრივ, თავიდან ავიცილებთ იმას, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება მოულოდნელი არ იყოს მხარეებისთვის, ხოლო, მეორე მხრივ, სასამართლომ ხელში აიღოს საქმის მართვა, რა დროსაც იგი „ტოლ-სწორად“ საუბრობს მხარეებთან და საშუალებას აძლევს მათ, თანაბარი შესაძლებლობების პირობებში მიიღონ მონაწილეობა პროცესში. § 139 GER-ZPO ამასთან დაკავშირებით განსაზღვრავს:

§ 139 GER-ZPO - პროცესის მატერიალურად წარმართვა

(1) სასამართლომ, საჭიროებისამებრ, მხარეებთან ერთად უნდა განიხილოს საქმის ფაქტობრივი სიტუაცია, მათი სადავო ურთიერთობა და დასვას კითხვები. მან ხელი უნდა შეუწყოს მხარეების მიერ დროული და სრულყოფილი განმარტებების გაკეთებას ყველა არსებით ფაქტთან დაკავშირებით, განსაკუთრებით კი - არასაკმარისად მითითებული ფაქტების განვრცობას, მტკიცებულებების დასახელებას და შესაბამისი შუამდგომლობების დაყენებას.

(2) მოსამართლეს უფლება აქვს, რამდენადაც საქმე არ ეხება მხოლოდ დამატებით მოთხოვნას, საკუთარ გადაწყვეტილებას ის გარემოება დაუდოს საფუძვლად, რომელიც მხარეს ამკარად გამორჩა ან არაარსებითად მიიჩნია. ეს შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან ამ ასპექტთან დაკავშირებით მანამდე მიუთითა მხარეს და საკუთარი აზრის დაფიქსირების შესაძლებლობაც მისცა. ანალოგიურად ხდება იმ გარემოებებთან დაკავშირებითაც, რომელთაც სასამართლო მხარეებისგან განსხვავებულად აფასებს.

(3) სასამართლომ მხარეებს ყურადღება უნდა გაამახვილებინოს იმ ეჭვებზე, რომელიც მას საკუთარი ინიციატივით გასათვალისწინებელ პუნქტებთან დაკავშირებით აქვს.

(4) სასამართლომ რაც შეიძლება დროულად უნდა გააკეთოს და საქმეს დაურთოს ამ მუხლით გათვალისწინებული მითითებები. იმის დამტკიცება, რომ მან მართლაც გააკეთა ეს მითითებები, მხოლოდ საქმის მასალების შინაარსის საფუძველზეა შესაძლებელი. საქმის მასალების შინაარსის წინააღმდეგ დასაშვებია მხოლოდ მტკიცებულება გაყალბების თაობაზე.

(5) თუ მხარეს არ შეუძლია, დაუყოვნებლივ გააკეთოს განმარტება სასამართლოს მითითებაზე, სასამართლომ მას, შესაბამისი შუამდგომლო-

ბის საფუძველზე, უნდა განუსაზღვროს ვადა, რომლის განმავლობაშიც მხარე საკუთარ პოზიციას წერილობით მიაწვდის სასამართლოს.

ა) თუ და რა მოცულობით არის დასაშვები სასამართლოს მითითება მხარისთვის, საბოლოო ჯამში, კონკრეტულ შემთხვევაზე დამოკიდებული. არსებობს ზოგიერთი სფერო, სადაც სასამართლოს აქვს მითითების უფლება და არა ვალდებულება. შესაბამისად, გერმანელ მოსამართლეებში არ არსებობს ამასთან დაკავშირებით ბოლომდე ერთგვაროვანი მიდგომა - ზოგი მოსამართლე შედარებით უფრო ხელგაშლილია მითითებებისას, ზოგი კი, პირიქით, შედარებით უფრო მოკრძალებული.

მიუხედავად ამისა, მითითების ვალდებულების მოცულობისათვის შემუშავდა განსაზღვრული კრიტერიუმები. მოსამართლის მიერ მითითების ვალდებულების დარღვევა ნიშნავს **საპროცესო წესების დარღვევას**, რაც ზოგადი პრინციპების შესაბამისად საჩივრდება (BGH, Beschluss vom 29.05.2018 - VI ZR 370/17 - NJW 2018, 3652; BGH, Beschluss vom 29.03.2017 - IV ZR 510/15 - NJW-RR 2017, 672; BGH, Beschluss vom 16.09.2015 - V ZR 8/15 - MDR 2016, 414). თუმცა მხარეს, ამასთან დაკავშირებით, ასევე, შეუძლია კონსტიტუციური სარჩელი შეიტანოს სასამართლო მოსმენის უფლების დარღვევის გამო (Art. 103 Abs. 1 GER-GG). გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო (BVerfG, Beschluss vom 01.08.2017 - 2 BvR 3068/14 - NJW 2017, 3218) ხაზს უსვამს, რომ გერმანიის სსკ-ის § 139 GER-ZPO მონესრიგებული მითითების ვალდებულების ნებისმიერი დარღვევა კონსტიტუციის დარღვევას არ ნიშნავს. გერმანიის ფედერალური კონსტიტუციის Art. 103 Abs. 1 GER-GG არ წარმოშობს სასამართლოს კითხვის დასმის, განმარტებისა და ინფორმირების ყოვლისმომცველ საკონსტიტუციო სამართლებრივ ვალდებულებებს, განსაკუთრებით სასამართლოს სამართლებრივ შეხედულებებთან მიმართებით (BVerfG, Beschluss vom 05.03.2013 - 1 BvR 2457/08 - BVerfGE 133, 143; BVerfG, Beschluss vom 15.05.1984 - 1 BvR 967/83 - BVerfGE 67, 90). საკონსტიტუციო სამართლის მიხედვით გერმანიის ფედერალური კონსტიტუციის Art. 103 Abs. 1 GER-GG შესაბამისად უზრუნველყოფილია ვალდებულებების მხოლოდ ვინრო წრე.

ბ) **გერმანული სასამართლო პრაქტიკის ძირითადი პრინციპები** შეიძლება, შემდეგნაირად შეჯამდეს:

აა) მითითების აუცილებლობა

(1) პრაქტიკული თვალსაზრისით ყველაზე ხშირად დასმული კითხვაა, უნდა გააკეთოს თუ არა, საერთოდ, სასამართლომ სამართლებრივი მითითება და რა მოცულობით იქამდე, სანამ ის მხარის განმარტებას ფა-

ქტებთან დაკავშირებით არასაკმარისად დასაბუთებულად - და ამით პროცესუალურად არაარსებითად - მიიჩნევედეს. ამასთან დაკავშირებით სასამართლო პრაქტიკაში არსებული პრინციპები შეიძლება, შემდეგნაირად შეჯამდეს (ამონარიდი უმაღლესი ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილებიდან BGH, Beschluss vom 13.03.2008 - I ZB 59/07 - NJW 2008, 1742):

„ფედერალური კონსტიტუციის Art. 103 Abs. 1 GG უზრუნველყოფს სასამართლოში სამართალწარმოების მონაწილის უფლებას, საკუთარი პოზიცია გამოხატოს სასამართლო გადაწყვეტილებისთვის საფუძვლად დადებულ ფაქტებთან და სამართლებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებით (BGH NJW 2008, 1742; BVerfGE 86, 133, 144). სასამართლო მოსმენის საკონსტიტუციო სამართლებრივი მოთხოვნის უფლების წინაპირობაა ის, რომ სამართალწარმოების მონაწილეს, სავალდებულო გულმოდგინების გამოვლენის პირობებში, შეეძლოს დანახვა, თუ რა გარემოებები შეიძლება იყოს არსებითი საქმეზე გადაწყვეტილების მისაღებად. სასამართლო დაარღვევს მხარის სასამართლო მოსმენის უფლებას, თუ ის, წინასწარი მითითების გარეშე (§ 139 Abs. 1 ZPO), მხარის ფაქტობრივი გარემოებების წარმოდგენისთვის ისეთ მოთხოვნებს დაანებს, რასაც ვერ ივარაუდებდა აგრეთვე კეთილსინდისიერი და მცოდნე პროცესის მონაწილე, მოცემული მომენტისთვის მიმდინარე პროცესიდან გამომდინარე (BVerfGE 84, 188, 190; BVerfG NJW 2003, 2524; BGH NJW 2008, 1742; BGH FamRZ 2005, 700 f.)“.

ანალოგიური პრინციპები მოქმედებს, როცა საქმე ეხება იმას, თუ რამდენად უფლებამოსილია სასამართლო, მტკიცების ტვირთის მქონე მხარეს, რომელსაც არ დაუმტკიცებია წარმოდგენილი ფაქტები, ისე მოექცეს, როგორც მხარეს, რომელსაც მტკიცებულების წარმოდგენა უნევს (BGH, Beschluss vom 11.04.2018 - VII ZR 177/17 - NJW 2018, 2202; BGH, Beschluss vom 07.03.2013 - I ZR 434/12 - juris). მხარის მიერ მტკიცებულების არ წარმოდგენისას, შესაბამისი მითითების საფუძველზე, მხარეს უნდა მიეცეს შესაძლებლობა დამატებითი მტკიცებულების წარმოდგენისა სადავო ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით.

მითითების ვალდებულება § 139 Abs. 2 GER-ZPO შესაბამისად სახეზეა აგრეთვე, თუ პროცესის მონაწილეს, პროცესის გულმოდგინებით წარმართვის შემთხვევაში, მართალია, უნდა შეემჩნია ფაქტის დაუსაბუთებლობა ან მტკიცებულების არ წარმოდგენა, მაგრამ აშკარად არასწორად შეაფასა საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი სიტუაცია, ან მისი დასაბუთების და, შესაბამისად, მტკიცების ტვირთი (BGH, Urteil vom 27.09.2006 - VIII ZR 19/04 - NJW 2007, 2414). აქედან გამომდინარე, კი

აშკარად ენდო იმას, რომ წერილობით წარმოდგენილი ფაქტობრივი გარემოებები საკმარისი იქნებოდა (BGH, Urteil vom 27.10.1994 - VII ZR 217/93 - BGHZ 127, 254; BGH, Urteil vom 25.06.2002 - X ZR 83/00 - NJW 2002, 3317; BGH, Urteil vom 18.05.1994 - IV ZR 169/93 - NJW-RR 1994, 1085).

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ბევრი გერმანელი მოსამართლე, ზუსტად ამ სფეროებში შედარებით უფრო ხელგამლილია სამართლებრივი მითითებებისას. ამას ორი პრაქტიკული ახსნა აქვს: ერთი მხრივ, შეუძლებელია წინასწარ იმის ყოველთვის საიმედოდ განსაზღვრა, თუ როგორ შეაფასებს საჩივრის განმხილველი ინსტანცია საკუთრივ ამ საკითხს. აქედან გამომდინარე, „სიფრთხილის გამო“ გაკეთებული სამართლებრივი შეფასება გამოდგება საჩივრის განმხილველ ინსტანციაში შესაბამისი - შესაძლოა, წარმატებულიც - შესაგებლების თავიდან ასაცილებლად და ამით, საერთო ჯამში, მეორე ინსტანციაში სამართალწარმოების გასამარტივებლად. მეორე მხრივ, მოსამართლისთვის მომიჯნავე შემთხვევებში, ხშირად მნიშვნელოვნად უფრო მარტივია სამართლებრივი მითითების გაკეთება, ვიდრე მოგვიანებით, გადანყვეტილებაში, დიდი ძალისხმევის შედეგად იმის წარმოდგენა, თუ რა საფუძვლებიდან გამომდინარე არ მიიჩნია საჭიროდ მსგავსი მითითების გაკეთება. ეს ქმნის შთაბეჭდილებას, რომ მოსამართლეს სურდა საქმის გამარტივება და ნაკლებად სამართლიანია პროცესის მონაწილეებთან და მათ რწმუნებულებთან ურთიერთობაში.

მსგავსი მითითების ვალდებულებისგან მოსამართლეს არ ათავისუფლებს ის ფაქტი, რომ **მონინაალმდეგემ** უკვე მიუთითა მხარეს ფაქტობრივი გარემოებების წარმოდგენისას არსებულ დეფიციტზე ან არ წარმოდგენილ მტკიცებულებებზე. მართალია, ამით შესაძლოა, ზედმეტი გახდეს მოსამართლის მიერ დამატებით მითითება, თუმცა, ყველა შემთხვევაში, ეჭვის არსებობისას მოსამართლე უფრო დაზღვეულია და, ზოგადად, უფრო მარტივია, რომ მან სიფრთხილისკენ მიუთითოს მხარეს. ამის გაკეთება ყველა შემთხვევაში მოეთხოვება მოსამართლეს, თუკი აშკარაა, რომ მხარეს საპროცესო მონინაალმდეგის მიერ გამოთქმული ეჭვები ადეკვატურად არ აღუქვამს (BGH, Urteil vom 17.06.2004 - VII ZR 25/03 - NJW-RR 2004, 1247; BGH, Versäumnisurteil vom 07.12.2000 - I ZR 179/98 - NJW 2001, 2548; BGH, Urteil vom 21.01.1999 - VII ZR 269/97 - NJW 1999, 1264).

(2) მოსამართლეს § 139 Abs. 2 GER-ZPO-ის დანაწესი ავალდებულებს, მიუთითოს მხარეს, თუ ის არ იზიარებს ერთ-ერთი მხარის მიერ წა-

რმოდგენილ მხარეთა ერთობლივ სამართლებრივ ხედვას, ან თუ მას სურს საკუთარი გადაწყვეტილების იმ სამართლებრივ ან ფაქტობრივ შეხედულებებზე დაყრდნობა, რომელიც ვერ დაინახეს ან არაარსებითად მიიჩნიეს პროცესის მონაწილეებმა. მითითება აუცილებელია **მოულოდნელი გადაწყვეტილების** თავიდან ასაცილებლად, თუ სასამართლოს სურს, საკუთარ გადაწყვეტილებას საფუძვლად დაუდოს გარემოებები, რომელიც, მართალია, მხარეებმა წარმოადგინეს, მაგრამ თავიდანვე თვალთახედვის მიღმა დარჩა, ან პროცესის მსვლელობისას ჩრდილში მოექცა (BGH, Beschluss vom 16.05.2013 - VII ZR 63/11 - NJW-RR 2013, 969). თუ სასამართლოს შუამდგომლობის იმგვარად განმარტება უნდა, რასაც შედეგად მოჰყვება სარჩელის არ დაკმაყოფილება, ამ შემთხვევაში, მან მოსარჩელეს მინიმუმ მაშინ უნდა მიუთითოს, თუ სასამართლოს განმარტება აუცილებელი არ არის. ამით დაინტერესებულ მხარეს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, განმარტოს საკუთარი განცხადება და საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისობაში მოიყვანოს ის სასამართლოს ეჭვებთან (BGH, Beschluss vom 06.07.2010 VI ZR 177/09 - NJW-RR 2010, 1363). თუმცაღა მითითების ეს ვალდებულება უსაზღვრო არ არის. ყველა შემთხვევაში ის, როგორც სამართლიანი საქმისწარმოების მოთხოვნის გამოხატულება, მაშინ არის სავალდებულო, როდესაც სასამართლოს საკუთარი გადაწყვეტილების დაფუძნება იმ მოსაზრებაზე სურს, რომელიც არ შეიძლება მოსალოდნელი ყოფილიყო კეთილსინდისიერი და ინფორმირებული საპროცესო მონაწილისათვის პროცესის არსებული მიმდინარეობის გათვალისწინებით (BGH, Urteil vom 15.02.2018 - I ZR 243/16 - NJW-RR 2018, 1003; BGH, Urteil vom 17.12.2015 - IX ZR 61/14 - NJW 2016, 1171).

(3) განსაკუთრებით მკაცრია მითითების ვალდებულებები, თუ სასამართლო საკუთარი ფაქტობრივი ქცევით, ან ფართო მითითებით, განსაზღვრული სამართლებრივი ან ფაქტობრივი შეფასების შთაბეჭდილებას ტოვებს და პროცესის შემდგომი მსვლელობისას **უწინდელი მოსაზრებიდან გადახვევა** სურს. იმისათვის, რომ სასამართლომ ანტიკონსტიტუციური მოულოდნელი გადაწყვეტილება აიცილოს თავიდან, მსგავსი კონსტელაციებისას გასაგებად უნდა გაუსვას ხაზი, რომ მხარეებს ნდობა აღარ უნდა ჰქონდეთ სასამართლოს პირველადი სამართლებრივი და ფაქტობრივი შეფასების მიმართ (BVerfG, Beschluss vom 07.02.2018 - 2 BvR 549/17 - MDR 2018, 614; BGH, Beschluss vom 13.12.2016 - VI ZR 116/16 - VersR 2017, 641; BGH, Beschluss vom 03.07.2014 - IX ZR 285/13 - WM 2014, 1786).

(4) თუ პროცესის მონაწილე სასამართლოს მითითებას აშკარად არასწორად გაიგებს, სასამართლო ვალდებულია, გაიმეოროს და დააზუსტოს ის (BGH, Beschluss vom 03.07.2014 - IX ZR 285/13 - WM 2014, 1786).

(5) თუ სააპელაციო სასამართლოს პირველი ინსტანციის სამართლებრივი შეფასებისგან ან მტკიცებულების შეფასებისგან გადახვევა სურს, მან სამართლებრივი შეფასება უნდა გააკეთოს, სულ მცირე, იმ შემთხვევაში, როდესაც, მისი აზრით, აუცილებელია დამატებითი ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების წარმოდგენა (BGH, Beschluss vom 29.05.2018 - VI ZR 370/17 - NJW 2018, 1182; BGH, Beschluss vom 29.03.2017 - IV ZR 510/15 - NJW-RR 2017, 672; BGH, Beschluss vom 13.09.2016 - VI ZR 377/14 - NJW-RR 2017, 535). ამასთან დაკავშირებით დამატებით იხ. 364-ე და მომდევნო მუხლების კომენტარი, ა.ნ. 75 და მომდევნო აბზაცი.

მსგავსი კონსტელაციებისას, როგორც წესი, აუცილებელი არ არის ცალკე სასამართლოს გადაწყვეტილება, თუ პირველი ინსტანციის სასამართლოს სამართლებრივი შეხედულება ან მტკიცებულების შეფასება, რომელიც ხელსაყრელია ერთ-ერთი გამარჯვებული მხარისთვის, იმ ცენტრალურ სადავო პუნქტს წარმოადგენს, რომელსაც აპელანტი ასაჩივრებს. მსგავსი კონსტელაციებისას წინა ინსტანციაში გამარჯვებულმა მხარემ თავიდანვე უნდა ივარაუდოს, რომ სააპელაციო ინსტანციას შეიძლება, პირველი ინსტანციისგან განსხვავებული შეხედულება ჰქონდეს; შესაბამისად მსგავსი გადაწყვეტილება, როგორც წესი, მოულოდნელი ვერ იქნება (BGH, Beschluss vom 13.09.2016 - VI ZR 377/14 - NJW-RR 2017, 535; BGH, Beschluss vom 20.10.2016 - IX ZR 305/14 - ZInsO 2016, 2393; BGH, Beschluss vom 10.07.2012 - II ZR 212/10 - NJW 2012, 3035).

(6) მტკიცებულებების შეგროვების შემდეგ, როგორც წესი, არ არსებობს მტკიცებულების სავარაუდო შეფასებაზე მითითების ვალდებულება. საკმარისია, თუ მხარეებს ექნებათ შესაძლებლობა, მტკიცებულებების შეგროვების შედეგი, § 285 Abs. 1 GER-ZPO-ის შესაბამისად, საქმის ზეპირ განხილვაზე განიხილონ (BGH, Urteil vom 15.04.2016 - V ZR 42/15 - NJW 2016, 3100). ამისგან განსხვავებული შეხედულება თავსებადი არ იქნებოდა პრინციპთან, რომელიც სასამართლოსთვის მხარის მიერ ყველა მტკიცებულების დროულად დასახელებას გულისხმობს. ეს განსაკუთრებით ეხება მოწმის დასახელებას, და არა ეტაპობრივად - იმისდა მიხედვით, თუ როგორი იქნება მოსამართლის მიერ მტკიცებულებების

შეფასების შედეგი (BGH, Urteil vom 15.04.2016 - V ZR 42/15 - NJW 2016, 3100).

ბბ) მითითების განხორციელების სახე:

მითითებებთან დაკავშირებით § 139 GER-ZPO განსაზღვრულ შინაარსობრივ მოთხოვნებს შეიცავს.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება **მითითებების ოქმის სახით ჩანერას** და მათი ამ ფორმით თანდართვას საქმის მასალებზე (§ 139 Abs. 3 GERZPO), რაც, ერთი მხრივ, გამჭვირვალობასა და საპროცესო სამართლებრივ კონტროლს (შემომნება პროცესუალური შეცდომის საფუძველზე) ემსახურება, ხოლო, მეორე მხრივ, თავიდან იცილებს აზრთა სხვადასხვაობას მითითების კონკრეტულ ფორმასთან დაკავშირებით.

მითითების ვალდებულების მიზნის მისაღწევად მითითება **კონკრეტული და გასაგები** უნდა იყოს (BGH, Beschluss vom 03.07.2014 - IX ZR 285/13 - WM 2014, 1786; BGH, Beschluss vom 09.06.2005 - V ZR 271/04 - NJW 2005, 2624; BGH, Urteil vom 25.06.2002 - X ZR 83/00 - NJW 2002, 3317). მითითების ვალდებულების განხორციელება არ ნიშნავს იმას, რომ პროცესის მონაწილეებს დაფარული და ზოგადი ფორმულირებებით თავსატეხი გავუჩინოთ სასამართლოს სავარაუდო მოსაზრებებზე, მაგალითად, მითითებით, მხარეების მიერ ხელშეკრულების ბათილობაზე არ მითითებასთან დაკავშირებით, რომელიც გასაგებად განმარტებული არ არის (BGH, Urteil vom 08.02.1999 - II ZR 261/97 - NJW 1999, 2123). გარდა ამისა, მითითება რაც შეიძლება **დროულად** უნდა გაკეთდეს, რომ მხარეებისთვის, მათი კონკრეტული სიტუაციის გათვალისწინებით, ფაქტობრივად იყოს შესაძლებელი, სასამართლოს გადაწყვეტილების მიღებამდე გამოხატონ საკუთარი პოზიცია კონკრეტულ ფაქტთან დაკავშირებით, რათა ამით საქმის მსვლელობაზე გავლენის მოხდენა შეძლონ (BVerfG, Beschluss vom 01.08.2017 – 2 BvR 3068/14 - NJW 2017, 3218; BGH, Beschluss vom 29.03.2017 - IV ZR 510/15 - NJW-RR 2017, 672; BGH, Beschluss vom 13.09.2016 - VI ZR 377/14 - NJW-RR 2017, 535). სასამართლოს უფლება არა აქვს, დაგვიანებული მითითებით ხელი შეუშალოს მხარეებს წარმოდგენილი ფაქტობრივი გარემოებების დროულად განვრცობაში ან წარმოსადგენი მტკიცებულებების წარმოდგენაში (BVerfG, Beschluss vom 19.05.1992 - 1 BvR 985/91 - BVerfGE 86, 133; BVerfG, Beschluss vom 29.05.1991 - 1 BvR 183/90 - BVerfGE 84, 188; BGH, Beschluss vom 20.10.2016 - IX ZR 305/14 - ZInsO 2016, 2393).

5. ცოტა არაერთგვაროვანია სასამართლო პრაქტიკა კითხვასთან დაკავშირებით, თუ და რამდენად ახდენს გავლენას მოსამართლის მითითების ვალდებულების მასშტაბებსა და მოსამართლის პროცესის ხელშე-

წყობის ვალდებულების ინტენსივობაზე ის ფაქტი, რომ **პროცესზე მხარე წარმოდგენილია ადვოკატით.**

გამოქვეყნებულ გადანყვეტილებებში, რომელიც ამ საკითხს სამართლებრივი დოგმატიკის კუთხით განიხილავს, ზოგადად, უარყოფილია საკითხისადმი განსხვავებული მიდგომის არსებობა, თუმცა ფაქტია, რომ არსებობს გარკვეული ტენდენცია, ნაწილობრივ განსხვავებულ მიდგომასთან დაკავშირებით. ეს ხდება მინიმუმ მაშინ, როცა ადვოკატით წარმოდგენილი მოწინააღმდეგე მხარეადვოკატის გარეშე წარმოდგენილი მოწინააღმდეგე მხარის სისუსტეს იყენებს იმისათვის, რომ მართლსაწინააღმდეგო სარგებელი მიიღოს. როდესაც სახეზეა მსგავსი კონსტელაციები, სასამართლო ვალდებულია, უფრო აქტიური იყოს საქმის განხილვისას, ვინაიდან მხოლოდ სასამართლოს აქტიურობითაა შესაძლებელი მატერიალურ-სამართლებრივად თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა.

გერმანულ სასამართლო პრაქტიკაში აზრთა თანხვედრაა იმასთან დაკავშირებით, რომ მოსამართლის მითითების ვალდებულება, როგორც წესი, ადვოკატით წარმოდგენილი მხარის მიმართაც მოქმედებს (BGH, Urteil vom 27.10.1994 - VII ZR 217/93 - BGHZ 127, 254; BGH, Beschluss vom 03.07.2014 - IX ZR 285/13 - WM 2014, 1786; BGH, Beschluss vom 10.07.2012 II ZR 212/10 - NJW 2012, 3035; BGH, Beschluss vom 08.12.2005 - VII ZR 67/05 - NJW-RR 2006, 524). ეს, ბუნებრივია, იმ შემთხვევებში უფრო მოქმედებს, როდესაც ადვოკატი არასწორად აფასებს სამართლებრივ სიტუაციას (BGH, Urteil vom 27.10.1994 - VII ZR 217/93 - BGHZ 127, 254; BGH, Beschluss vom 03.07.2014 - IX ZR 285/13 - WM 2014, 1786).

შედარებით განსხვავებულ მიდგომებს ვხვდებით, ძირითადად, მითითების შინაარსობრივი განზომილებისა და, საჭიროების შემთხვევაში, აგრეთვე - მითითების ენობრივი ფორმულირებებისას. ადვოკატით წარმოდგენილი მხარის შემთხვევაში უნდა ვივარაუდოთ, რომ ადვოკატისთვის საკმარისია შედარებით მოკლე და იურიდიულად ლაკონური მითითებები, ადვოკატის გარეშე წარმოდგენილი მხარისათვის კი მითითება უფრო მოცულობითი უნდა იყოს. ამასთან, გასათვალისწინებელია იურიდიული აღქმის სავარაუდო მასშტაბებიც.

6. მითითებებისას მოსამართლემ **საზღვრებიც უნდა** გაითვალისწინოს, რომელსაც მას შეჯიბრებითობისა და დისპოზიციურობის პრინციპები (Art. 3 GEO-ZPO) უწესებს, ასევე - მისი, როგორც მოსამართლის ფუნქციიდან გამომდინარე - ნეიტრალურობის ვალდებულება (OLG

Hamm, Urteil vom 20.09.2013 - 1 U 103/12 - IBR 2016, 21; Thüringer Oberlandesgericht, Beschluss vom 20.02. 2017 - 6 W 52/17 - juris).

აქედან გამომდინარე, მოსამართლემ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს იმ ფაქტს, რომ მხარეები თვითონ განსაზღვრავენ დავის საგანს (ამასთან დაკავშირებით, უფრო დაწვრილებით იხ. მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის კომენტარი, ა.ნ. 19 და მომდევნო აბზაცები). მითითებები, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ არის მიმართული დავის საგნის გაზრდისკენ, როგორც წესი, აღარ დაიშვება § 139 GER-ZPO-ის შესაბამისად. ანალოგიური მოქმედებს იმ მითითებების შემთხვევაშიც, რომელიც ერთ მხარეს (როგორც მრჩეველი) აჩვენებს, თუ რა უნდა გააკეთოს მან მოსამართლის აზრით - გარდა § 142 Abs. 1, § 273 Abs. 1 GER ZPO შესაბამისად წარმოსადგენი დოკუმენტაციისა (იხილე მე-3 მუხლის პირველი ნაწილის კომენტარი, ა.ნ. 14). მარტივად რომ ვთქვათ, მოსამართლემ უნდა მიუთითოს მხარეებს, თუ რა აკლია მათ მიერ აქამდე წარმოდგენილ გარემოებებს, თუმცა არ უნდა უთხრას მათ, თუ რისი გაკეთება შეუძლიათ მხარეებს ამ ნაკლის აღმოსაფხვრელად.

ცოტა თავისუფალია ზღვარი, ერთი მხრივ, § 139 GER-ZPO-ს მიერ გავალისწინებული პროცესის გულმოდგინებით წარმართვასა და, მეორე მხრივ, მოსამართლის დაუშვებელ საკონსულტაციო ფუნქციას შორის. განსაკუთრებით კრიტიკულია მითითებები მოთხოვნის განხორციელების შემაფერხებელ შესაგებელზე ან იმ ასპექტებზე, რომელიც, მართალია, საპროცესო სამართლის მიხედვით, ცალკე დავის საგანს წარმოშობს, თუმცა, ფაქტობრივად, მჭიდროდაა საქმესთან დაკავშირებული. თუ მოსამართლე ამ ზღვარს გადააბიჯებს, შეიძლება, დღის წესრიგში მისი მიკერძოებულობის საკითხი დადგეს. ამავ დროს, გერმანულ სასამართლო პრაქტიკაში ხაზგასმულია, რომ - უპირველეს ყოვლისა, მომიჯნავე სფეროებისას - § 139 GER-ZPO-ის მიერ გავლებული ზღვარის ყოველ ობიექტურ დარღვევას, ავტომატურად როდი მივყავართ მოსამართლის მიკერძოებულობის საკითხის დასმამდე. ამასთან დაკავშირებით მეტი დეტალისთვის იხ. 29-ე და მომდევნო მუხლების კომენტარი (განსაკუთრებით ა.ნ. 19 და მომდევნო აბზაცები).

7. საქართველოში არ არსებობს კანონისმიერი მონესრიგება, რომელიც მოსამართლის მითითების ვალდებულებებს იმ ინტენსივობით განსაზღვრავდა, როგორც ამას აკეთებს § 139 GER-ZPO. თუმცა კონსტიტუციისა და ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მიერ დადგენილი ზოგადი ინსტრუქციები მსგავსი, ხოლო ზოგ შემთხვევაში იდენტურია გერმანიაში არსებული რეგულაციებისა. აქედან გამომდინარე, გასათვალისწინებელია საქართველოსთვის § 139

GER-ZPO-ის, სულ მცირე, ძირითადი არსი, რომელიც უმაღლესი ფედერალური სასამართლოს პრაქტიკის თანახმად (BVerfG NJW 2017, 3218) დადგენილია გერმანიის ფედერალური კონსტიტუციის მიერ (შდრ. აგრეთვე ზემოთ ა.ნ. 2 და მომდევნო აბზაცები).

§ 139 GER-ZPO-ის გერმანული კონცეფცია უცხო არ არის ქართული სამოქალაქო საპროცესო კოდექსისათვის. ქართულ კანონში არსებობს მრავალი რეგულაცია, რომელიც მოსამართლის აქტიურ, პროცესის ხელშემწყობ როლს უკავშირდება. აქედან გამომდინარე, თანამიმდევრული მიდგომა იქნებოდა, თუ მოსამართლის მითითებებისას - როგორც ეს სამართლის პრაქტიკაში სულ უფრო მეტად შეინიშნება - მოხდებოდა არა მხოლოდ კონსტიტუციის მიერ დაწესებული მინიმალური სტანდარტის დაკმაყოფილება, არამედ უფრო აქტიური მოსამართლის მოდელისკენ სვლა.

ამის მთავარი წინაპირობაა, რომ მსგავს მიდგომას, სულ მცირე, როგორც პრინციპს, საქმისწარმოების ყველა მონაწილე დაეთანხმოს, უპირველეს ყოვლისა, კი - ადვოკატები. მოვლენების მსგავსი განვითარების კიდევ ერთი წინაპირობაა ისიც, რომ ადვოკატებმა მოსამართლის მიერ პროცესის აქტიურად წარმართვის ის უპირატესობები დაინახონ, რომელსაც ისინი მიიღებენ შედეგად და არ მოახდინონ უსაფუძვლო რეაგირება მოსამართლის მითითებებზე მიკერძოებულობის შუამდგომლობების დაყენებით.

§ 139 GER-ZPO გერმანულ მართლმსაჯულებაში ძალზე მაღალი აღიარებით სარგებლობს პროცესის ყველა მონაწილეს შორის, უპირველეს ყოვლისა, ადვოკატებში. ეს რეგულაცია პროცესის მონაწილეებისთვის თანაბარ სამართლებრივ დაცვას და მათი უფლების ეფექტურ განხორციელებას უზრუნველყოფს. მოსამართლეს, მისი პროფესიული ეთიკის შესაბამისად, გზა ეხსნება მაქსიმალურად სწორი გადაწყვეტილების მისაღებად, ანუ მატერიალური სამართლიანობის რეალიზებისთვის. ადვოკატებს, საქმის გამჭვირვალედ ფორმირებით, შესაძლებლობა ეძლევათ, კონცენტრირებულად (სასამართლოს მიერ რელევანტურად შეფასებულ პუნქტებზე ფოკუსირებით) მართონ საქმე და ამით ეფექტიანად გაანაწილონ საკუთარი შესაძლებლობები. გარდა ამისა, ამით ადვოკატებს იმ პასუხისმგებლობის რისკების შემცირებაც შეუძლიათ, რომელიც მათ ეკისრებათ სამართლებრივი სიტუაციის არასწორად შეფასებისთვის ან საპროცესო კანონმდებლობის დარღვევით საქმისწარმოებისთვის; და როგორც პრაქტიკაში ძალზე სასარგებლოდ წარმოჩინდა -მათ შეეძლებათ უფრო პროფესიონალურად და კონკრეტულად მოემსახურონ კლიე-

ნტებს. ამასთან, კლიენტები გრძნობენ, რომ ისინი სასამართლოსთან და ადვოკატებთან ურთიერთობაში „ერთ იერარქიულ საფეხურზე“ დგანან, როდესაც სასამართლო სავარაუდოდ მოსალოდნელ შეფასებას გადანყვეტილების გამოტანის მომენტამდე საიდუმლოდ კი არ ინახავს, არამედ მხარეები თვალს ადევნებენ სასამართლოს მოსაზრებების ფორმირებისა და გადანყვეტილებების მიღების პროცესს და საჭიროების შემთხვევაში, ამ პროცესის ფორმირებაში მონაწილეობაც შეუძლიათ.

ქართვან მისხიშვილი

მე-4 მუხლი

I. ნორმის მიზანი

სამოქალაქო სამართალწარმოება მხარეთა შეჯიბრებითობის საფუძველზე მიმდინარეობს, რაც იმას ნიშნავს, რომ სამართალწარმოების პროცესს მხარეები ურთიერთშეჯიბრის საფუძველზე წარმართავენ. სამოქალაქო სამართალწარმოების მიზანია არა **ჭეშმარიტების დადგენა, არამედ მხარეთა შეჯიბრის საფუძველზე სასამართლოს დარწმუნება ამ თუ იმ პოზიციის სისწორეში**. შესაბამისად, ამ მიზნით სწორედ მხარეები განსაზღვრავენ მტკიცების საგანში შემავალ გარემოებებს და იმ მტკიცებულებებს, რომლებიც აღნიშნული გარემოებების დადასტურებას ემსახურება. ამ მიმართებით სასამართლოს როლი შეზღუდულია. **შეჯიბრებითობის პრინციპის თანახმად, სასამართლო მხარეებისგან ელის ფაქტებსა და მტკიცებულებებს, რომლის საფუძველზეც იგი იღებს გადაწყვეტილებას. სასამართლოს როლი ფაქტებისა და მტკიცებულებების მოძიების პროცესში შეზღუდულია და ამ მიმართებით მისი ინკვიზიციური უფლებამოსილება მხოლოდ კანონით დაშვებული გამონაკლისების ფარგლებში ხორციელდება.**

შეჯიბრებითობის პრინციპთან დაკავშირებით, საკასაციო პალატამ არაერთგზის აღნიშნა, რომ დემოკრატიული წესწყობილების უმთავრეს ამოცანას მართლმსაჯულების მხარეთა თანასწორობის საწყისზე განხორციელება წარმოადგენს, რაც სამართალში სამართლიანი სასამართლოს კონცეფციითაა დამკვიდრებული და იგი გარანტირებულია არაერთი შიდასახელმწიფოებრივი თუ საერთაშორისო სამართლებრივი აქტით. საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულია რა სასამართლო წესით უფლების დაცვის საყოველთაო პრინციპი, მისი კონკრეტული რეალიზაცია ასახულია საპროცესო კანონმდებლობაში. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 (1) მუხლი ადგენს სამართალწარმოების ისეთ ფუნდამენტურ პრინციპს, როგორცაა შეჯიბრებითობა და განსაზღვრავს, რომ სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებე-

ბი. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. ამ წესისაგან გამონაკლისი (ნორმის მე-2 ნაწილი) გამართლებულია, თუ ეს შესაბამისი საპროცესო მოქმედების მარეგულირებელი ნორმითაა გათვალისწინებული, ასევე, მხარეთა თანასწორობის საყოველთაო უფლების დაცვის მიზანს ემსახურება. შეჯიბრებითობა, როგორც სამართლიანი სასამართლოს ქვაკუთხედი, არა ერთ საპროცესო ნორმაშია გადმოცემული და იგი, ბუნებრივია, მათ შორის მტკიცების ტვირთზე ახდენს გავლენას.¹

შეჯიბრებითობის პრინციპის ნათელსაყოფად, **მნიშვნელოვანია, შეჯიბრებითობისა და დისპოზიციურობის პრინციპის ურთიერთმიმართების დადგენა.** დოქტრინაში დამკვიდრებული შეხედულების მიხედვით, კერძო-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეს აქვს სრული თავისუფლება, საკუთარი შეხედულებისა და სურვილისამებრ კანონმდებლობით მინიჭებულ ფარგლებში განკარგოს თავისი კერძოსამართლებრივი სიკეთე². ამ უფლებამოსილების განხორციელება სამოქალაქო პროცესში სწორედ შეჯიბრებითობის პრინციპით გამოიხატება, რაც შეეხება „დისპოზიციურობის პრინციპის უზენაესობას“, ეს არის სამოქალაქო საქმეზე მოსამართლისათვის მხარეთა ავტონომიურობაში შეჭრის აკრძალვა, რაც, ამავე დროს, მოიცავს მოდავე მხარეებზე პასუხისმგებლობის ტვირთის მნიშვნელოვნად გადატანას.³

შეჯიბრებითობის პრინციპი მოიცავს მხარეთა საქმიანობას მხოლოდ საქმის ფაქტობრივი გარემოებებისა და მტკიცებულებების სფეროში. საკითხის იმის შესახებ, რომ სასამართლო საქმის განხილვას იწყებს მხოლოდ დაინტერესებული პირის მოთხოვნით, ან, რომ სასამართლო მხარეთა მოთხოვნის ფარგლებს არ უნდა გასცდეს და ა. შ. განეკუთვნება არა შეჯიბრებითობის, არამედ დისპოზიციურობის სფეროს.⁴

¹ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 31.07.21076. განჩინება, საქმეზე ას-543-506-2017.

² Schneider, *Über richterliche Ermittlung und Feststellun des Sachverhalts im Civilprozess*, 1888, S.18 ნანახია, ს. ჩაჩავა, *მოთხოვნებისა და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია*, თბილისი, 2011, გვ. 50.

³ Schneider, *Über richterliche Ermittlung und Feststellun des Sachverhalts im Civilprozess*, 1888, S.18 ნანახია, ს.ჩაჩავა, *მოთხოვნებისა და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია*, თბილისი, 2011, გვ. 51.

⁴ თ. ლილუაშვილი, გ.ლილუაშვილი, ვ.ხრუსტალი, ზ.ძლიერიშვილი, „სამოქალაქო საპროცესო სამართალი“ I ნაწილი, თბილისი, 2014, გვ. 90.

1. მხარეთა შეჯიბრების არსი

მხარეთა შეჯიბრების არსი სათავეს იღებს დავის ინიცირების ეტაპიდან, კერძოდ, მხარე სარჩელის აღძვრისას თავად იღებს გადაწყვეტილებას, **თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მის მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები.** სარჩელის დაკმაყოფილების მიზნებისათვის კი აუცილებელია, რომ სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლად მითითებული ფაქტები სათანადო მტკიცებულებებით დასტურდებოდეს და, ამავდროულად, აღნიშნული ფაქტები მოთხოვნას იურიდიულად ამართლებდეს. **შესაბამისად, მოსარჩელე, დიდწილად, თავადაა პასუხისმგებელი იმ შედეგზე, რასაც იგი სასამართლო სამართალწარმოების საფუძველზე ისახავს მიზნად.** იგივე უნდა ითქვას მოპასუხეზე, რომელიც, მართალია, სარჩელის ფარგლებითაა შეზღუდული, თუმცა, იგი თავად იღებს გადაწყვეტილებას, **თუ რა სახის ფაქტებითა და მტკიცებულებებით გააქარწყლოს მის წინააღმდეგ წარდგენილი სასარჩელო მოთხოვნა.** შესაბამისად, იგი თავად წყვეტს, წარმოადგინოს არაკვალიფიციური, თუ კვალიფიციური შედავება, რომელიც, თავის მხრივ, მოთხოვნის შემაფერხებელ ან მოთხოვნის შემწყვეტ შესაგებელში შეიძლება აისახოს.⁵

მხარეთა შეჯიბრში სასამართლოს როლი არსებითია, კერძოდ, **სასამართლო წარმართავს შეჯიბრს და იღებს ზომებს საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტებისა და მტკიცებულებების გამოსავლენად,** თუმცა, სასამართლოს ფუნქცია **მხარეთა შორის შეჯიბრში ჩარევის თვალსაზრისით, მინიმალისტურია.** სასამართლოს ფუნქცია მხარეთა შეჯიბრის წარმართვაა, თანაც იმგვარად, რომ მხარეებს საპროცესო თავდაცვის თანაბარი შესაძლებლობა ჰქონდეთ. ამ ფარგლებში სასამართლო, სადავო ფაქტების გათვალისწინებით, მტკიცების საგანს განსაზღვრავს და საპროცესო, თუ მატერიალური კანონმდებლობის დანაწესებიდან გამომდინარე, მხარეთა შორის მტკიცების ტვირთს ანაწილებს.⁶

ამ მიმართებით მნიშვნელოვანია, საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტება, რომლის მიხედვითაც, მართალია, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებს სასამართლოს უფლებას, საქმის გარემოებათა გასარკვევად ამ კოდექსში გა-

⁵ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 27.11.2015 წლის განჩინება, საქმეზე №ას-1013-956-2015.

⁶ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 10.11.2017 წლის განჩინება, საქმეზე ას-1004-925-2017.

თვალისწინებულ ღონისძიებებს საკუთარი ინიციატივითაც მიმართოს, მაგრამ სამოქალაქო სამართალწარმოების კონტექსტში, რომელიც მთლიანად მხარეთა დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპს ეფუძნება, **სასამართლოს მხრიდან ნებისმიერი ინიციატივის გამოჩენის უფლება ვინც (შეზღუდულად) უნდა იქნას განმარტებული, რაც გულისხმობს, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლოს მხრიდან ინიციატივის გამოჩენის საფუძვლები და აუცილებლობა სასამართლომ ნათლად უნდა დაასაბუთოს.**⁷ ამდენად, სასამართლო პრაქტიკით დადგენილია, რომ მოსამართლის მიერ ინიციატივის გამოჩენა და საკუთარი შეხედულებით სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული ზომების მიღება, ნათელ და არაორაზროვან დასაბუთებას მოითხოვს, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლო უფლებამოსილი არ არის, თუნდაც, დეტალური დასაბუთების პირობებში, საკუთარი ინიციატივით სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ ისეთ ღონისძიებას მიმართოს, რომლის უფლებაც მას სამოქალაქო საპროცესო კოდექსით მინიჭებული არ აქვს, ან როდესაც მინიჭებული აქვს, მაგრამ აღნიშნული საპროცესო სამართლებრივი ქმედება მოსამართლის მხრიდან არა საკუთარი ინიციატივით განხორციელებადი კატეგორიაა. ამ მიმართებით, აღსანიშნავია, რომ დაუშვებელია საპროცესო ნორმების **ფართო ინტერპრეტაცია**, რათა მხარეთა მოლოდინი კანონის დანაწესის შესაბამისი სამართალწარმოების განხორციელებისა და შესაბამისად, „საპროცესო-სამართლებრივი განჭვრეტადობის პრინციპი“ არ დაირღვეს, თუმცა, საპროცესო ნორმათა ბუნდოვანებისა და ორაზროვნების შემთხვევაში, ნორმა მხარის სასარგებლოდ უნდა განიმარტოს⁸ და თანაც ისე, რომ საპროცესო სამართლის ნორმების ფორმალისტური და ამავდროულად, ზედმეტად მოუქნელი მიდგომით, სასამართლოს გულმოდგინების ვალდებულება არ შეილახოს.⁹

შეჯიბრებითობის პრინციპის მეტი თვალსაჩინოების მიზნებისათვის უნდა აღინიშნოს, რომ საქმის იურიდიული მხარის გამორკვევა, სათანადო კანონის მონახვა და შეფარდება სასამართლოს **მოვალეობაა, რადგან იგულისხმება, რომ სასამართლომ (მოსამართლემ) კანონები იცის (jura novit curia).** საქმის ფაქტობრივი გარემოებების (ფაქტები და დამამტკიცებელი საბუთები) გამორკვევა და წარდგენა კი მხარეთა ვალდებულებაა. შეჯიბრების წესი გამოიხატება შემდეგი ფორმულით: თვი-

⁷ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 30.07.2015 წლის განჩინება, საქმეზე №ას-209-196-2015.

⁸ საქმე „გახარია საქართველოს წინააღმდეგ“, 17.01.2017, სტრასბურგი.

⁹ *Bartaia v. Georgia*, no.10978/06, *Judgement*, 26.07.2018

თონ სასამართლო თავისი ინიციატივით არ აგროვებს მტკიცებულებებს, არამედ საქმეს წყვეტს მხოლოდ იმ ფაქტობრივი მასალის მიხედვით, რომელსაც მას მხარეები წარუდგენენ. ეს ნიშნავს, ჯერ ერთი, იმას, რომ საქმის გადაწყვეტის დროს სასამართლოს უფლება არა აქვს იხელმძღვანელოს სხვა, თუნდაც მნიშვნელოვანი მტკიცებულებებით, რადგან ეს მტკიცებულებები ნაჩვენები არ იყო მხარეთა მიერ (*quod non est in actis, non est in mundo* - რაც საქმეში არ არის, არც ქვეყნიერებაზე არსებობს), და მეორე ის, რომ სასამართლო ვალდებულია დაამყაროს თავისი გადაწყვეტილება მხოლოდ იმაზე, რაც მოთხოვნილი (მითითებული) და დამტკიცებული იყო მხარეთა მიერ, თუნდაც ეს ეწინააღმდეგებოდეს მის სინდისს (*Sententia debet fieri secundum allegata et probata et non secundum conscientiam*). ამრიგად, სანამ პროცესში ხდება ფაქტობრივი მასალის მოწოდება, სასამართლო პასიურია, იგი თითქოს უბრალო მაყურებელია მის წინაშე მიმდინარე ბრძოლისა. სასამართლოს აქტივობა იწყება მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი ამა თუ იმ დასკვნისათვის მოწოდებული მასალის შეფასებას შეუდგება.¹⁰

2. მხარეთა თანაბარი მოპყრობის პრინციპი

შეჯიბრებითობის პრინციპის შესაბამისად, სამოქალაქო საპროცესო საქმის წარმოება მხარეთა შეჯიბრების საფუძველზე მიმდინარეობს, რადროსაც ერთმანეთს მხარეები ეჯიბრებიან, ხოლო შეჯიბრების პროცესს, როგორც დამოუკიდებელი არბიტრი, სასამართლო ხელმძღვანელობს. შეჯიბრების პროცესი მხარეთა თანასწორობის საფუძველზე ხორციელდება, რაც სამართლიანი სასამართლოს ერთ-ერთი ფუძემდებლური გარანტიაა¹¹. შეჯიბრების პროცესში მხარეთა თანაბარი უფლება ნიშნავს მათ თანაბარ შესაძლებლობას, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. თუმცა, მხარეთა შეჯიბრების პროცესში მხარეთა თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით სარგებლობის პრინციპი ასევე გულისხმობს კანონით გარანტირებულ ნებისმიერ უფლებას, რომელიც მხოლოდ ერთი მხარის სპეციალურ საპროცესო უფლებას არ წარმოადგენს. მაგალითისათვის, კონკრეტულად ერთი მხრისათვის მინიჭებულ სპეციალურ უფლებას არ წარმოა-

¹⁰ შ. ქურდაძე, ნ. ხუნაშვილი, „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი“, მეორე გამოცემა, თბილისი, 2015 წ. გვ. 100.

¹¹ *Steel and Morris, no. 68416/01, Judgement, 15.05.2005.*

დგენს და ყველა მხარისათვის უზრუნველყოფილია საქმის გაცნობა, ამონაწერების გაკეთება, საქმის ასლების გადაღება, აცილებების გაცხადება, მტკიცებულებების, მათ შორის, ექსპერტთა დასკვნების, სპეციალისტის ცნობების წარდგენა, მტკიცებულებათა გამოკვლევაში მონაწილეობის მიღება, მოწმეებისათვის, ექსპერტებისათვის, სპეციალისტებისათვის შეკითხვების დასმა, შუამდგომლობების გაცხადება, სასამართლოსათვის ზეპირი და წერილობითი ახსნა-განმარტებების მიცემა, იმავე ტიპის საქმეზე სხვა სასამართლო გადაწყვეტილებების წარდგენა, თავიანთი დასკვნებისა და მოსაზრებების გამოთქმა, სასამართლო გადაწყვეტილებებისა და განჩინებების გასაჩივრება, საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე მორიგების აქტის წარდგენა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით მინიჭებული სხვა უფლებებით სარგებლობა (სსსკ 83.1). **ამდენად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით მხარეებისათვის გარანტირებულია საპროცესო უფლებები, თუმცა, მათი განკარგვა, შესაბამისი საპროცესო წესების დაცვით ხორციელდება. ამ საპროცესო წესის დარღვევით, ბუნებრივია, შეჯიბრებითობის პრინციპი ირღვევა, შესაბამისად, საპროცესო უფლებების გამოყენება საპროცესო ნორმების ზედმიწევნით დაცვით უნდა მოხდეს.**¹²

მნიშვნელოვანია, რომ საპროცესო შეჯიბრების დროს სასამართლოს მიერ განხორციელებული უფლებამოსილებებიც **მხარეთა თანაბარი მოპყრობის პრინციპს უნდა ეფუძნებოდეს.** მაგალითისათვის, რა დროსაც მოსამართლე მოსარჩელეს ახსნა-განმარტებისათვის განუსაზღვრავს, იგივე დრო უნდა მისცეს მოპასუხესაც. თუ იგი მოსარჩელეს დამატებითი მტკიცებულების წარმოდგენის შესაძლებლობას მისცემს, უნდა უზრუნველყოს მოპასუხისათვისაც აღნიშნული მტკიცებულების გაცნობისა და საპასუხო უარმყველი ან გამაქარწყლებელი მტკიცებულების წარმოდგენა და ა. შ. აღსანიშნავია, რომ **ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, კონვენციის მე-6 მუხლის კონტექსტში საქმის შემომწებისას, განსაკუთრებულ ყურადღებას, როგორც წესი, სწორედ მხარეთა თანაბარი მოპყრობის პრინციპის დაცვას უთმობს, შესაბამისად, მან არაერთ საქმეში განმარტა, რომ სასამართლოს მსჯელობის საგანია სამოქალაქო სამართალწარმოების მხარეს, მიეცა თუ არა გონივრული შესაძლებლობა, გაცნობოდა და კომენტარები გაეკეთებინა მეორე მხარის მიერ წარმოდგენილ დასკვნებსა და მტკიცებულებებზე; აგრეთვე წარმოედგინა თავისი საქმე იმ პირობებში, რომელიც მას მოწინააღმდეგე**

¹² იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 31.07.2017 წლის განჩინება, საქმეზე ას-543-506-2017 31.

მხარესთან შედარებით არსებითად არახელსაყრელ მდგომარეობაში არ ჩააყენებდა და ა. შ.^{13/14/15}

მხარეთა თანაბარი მოპყრობის პრინციპი წარმოადგენს მხარეთა საქართველოს კონსტიტუციითა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გარანტირებულ უფლებას, ამავდროულად, იგი სასამართლოს ვალდებულებაცაა, რადგან სამოსამართლო ეთიკის კოდექსი იმპერატიულად აწესებს სასამართლოს ვალდებულებას, უზრუნველყოს პროცესის მონაწილეთა კანონის წინაშე თანასწორი მოპყრობის პრინციპის განუხრელი დაცვა.¹⁶ იგივე პრინციპი დაცული და უზრუნველყოფილია მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის წესებითაც.¹⁷

3. მხარეთა ვალდებულება, მიუთითონ ფაქტები და წარმოადგინონ მტკიცებულებები

შეჯიბრებითობის პრინციპიდან გამომდინარე, მხარეები აღჭურვილნი არიან უფლებით, სასამართლოს მიუთითონ საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტები და წარადგინონ მტკიცებულებები, თუმცა, აღნიშნული უფლებით მხარეები სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესითა და ფარგლებში სარგებლობენ. საპროცესო ნორმები, როგორც ფორმალურ წესთა ერთობლიობა, იმ სავალდებულო მოთხოვნებს ადგენს, რომელთა შეცვლა არც სასამართლოს და არც მხარეთა მიხედულებაზე არაა დამოკიდებული. საპროცესო კანონმდებლობა, უფლებებთან ერთად, მხარეებს მოვალეობებსაც აკისრებს, მათი შეუსრულებლობა კი, მხარისათვის არასასურველ სამართლებრივ შედეგს იწვევს. საპროცესო ვალდებულებების არსებობა შეჯიბრებით პროცესში სწორედ მხარეთა უფლებების დაცვის, საპროცესო ეკონომიის პრინციპისა და, საბოლოოდ, სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის გარანტიაა.¹⁸ შესაბამისად, მარტოოდენ ფაქტების მითითება და მტკიცებულებების წარდგე-

¹³ *Ternovskis v. Latvia*, no. №33637/02, *Judgement*, 2014.

¹⁴ *Larin v. Russia*, no. 15034/02, *Judgement*, 2010.

¹⁵ *Bartaia v. Georgia*, no.10978/06, *Judgement*, 26.07.2018.

¹⁶ საქართველოს სამოსამართლო ეთიკის წესები (მუხლი 10) – <http://www.supremecourt.ge/judges-self-governance/judges-ethics-code/>

¹⁷ მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპები და მისი კომენტარები, გვ.40, თბილისი, 2015.

¹⁸ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 18.05.2018 წლის განჩინება, საქმეზე ას-194-194-2018.

ნა სასურველი პროცესუალური შედეგის მისაღწევად საკმარისი არ არის. მაგალითსათვის, როგორც მოსარჩელეა ვალდებული სარჩელში საქმისათვის მნიშვნელოვანი ყველა ფაქტი და მტკიცებულება მიუთითოს, ასევე მოპასუხეა ვალდებული სასარჩელო მოთხოვნის დამაბრკოლებელი ანდა გამომრიცხავი ფაქტები და მტკიცებულებები შესაგებელში ასახოს (მდრ. სსსკ 178, სსსკ 201 მუხლები). მოსარჩელეს უფლება ქვს, საქმის წინასწარი სასამართლო განხილვის მომზადების დამთავრებამდე შეცვალოს სარჩელის საფუძველი ან საგანი, შეავსოს სარჩელში მითითებული გარემოებები და მტკიცებულებები, გაადიდოს ან შეამციროს სასარჩელო მოთხოვნის ოდენობა, რის შესახებაც სასამართლომ მოპასუხეს უნდა აცნობოს (სსსკ 83.2). თუ მოსარჩელემ აღნიშნული უფლებით ისარგებლა, მოპასუხე უფლებამოსილია დაზუსტებული სარჩელის მიხედვით დაზუსტებული შესაგებელი წარადგინოს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლი არეგულირებს შესაგებლის წარდგენის სტანდარტს, რომელიც უნდა განიმარტოს ამავე კოდექსის მე-4 მუხლთან შესაბამისობაში (შეჯიბრებითობა) და იმის მიხედვით, თუ რამდენად არსებითია მოპასუხის შედაგება, შესაძლებელია მისი კვალიფიკაცია, როგორცაა, მაგალითად: ზოგადი, ანუ აბსტრაქტული სახის შედაგება, კვალიფიციური შედაგება და სხვა. მითითებული კვალიფიკაცია, თავისთავად, გავლენას ახდენს მტკიცების ტვირთსა და მტკიცების საგანში შემავალ გარემოებათა წრეზე.¹⁹

საქმის მომზადების დასრულების შემდეგ, საქმის არსებითად განხილვის ეტაპზე **მხარეები შეზღუდულნი არიან**, ახსნა-განმარტებების მოსმენისას წარადგინონ **ახალი მტკიცებულებები ან მიუთითონ ახალ გარემოებებზე**, რომელთა შესახებაც არ ყოფილა მითითებული სარჩელსა, თუ შესაგებელში ან საქმის მომზადების სტადიაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მათ შესახებ თავის დროზე საპატიო მიზეზით არ იყო გაცხადებული. იგივე წესი მოქმედებს **სააპელაციო სასამართლოში** საქმის განხილვისას, სადაც **ახალი ფაქტების მითითება და ახალი მტკიცებულებების დაშვება მხოლოდ კანონით მკაცრად განსაზღვრული საპატიო გარემოებათა** არსებობის შემთხვევაშია შესაძლებელი (სსსკ 380).^{20/21/22}

¹⁹ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 27.11.2015 წლის განჩინება, საქმეზე №ას-1013-956-2015.

²⁰ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 11.05.2018 განჩინება, საქმეზე №ას-490-490-2018.

²¹ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 19.11.2015 განჩინება, საქმეზე №ას-816-767-2015.

ამდენად, მხარეთა მიერ ფაქტების მითითებისა და მტკიცებულებების წარდგენის პროცედურა მკაცრად ფორმალიზებულია, რაც იმას ნიშნავს, რომ აუცილებელია ფაქტები და მტკიცებულებები სასამართლოს კანონით დადგენილი წესითა და პროცედურის დაცვით წარედგინოს. აღნიშნული ფორმალიზმი კანონით მკაცრად განერილია და მისგან გადახვევის საპირწონედ ისეთი დაცვის ღირსი არგუმენტიც ვერ გამოდგება, როგორც საქმეზე ჭეშმარიტების დადგენაა, რადგან აღნიშნული ფორმალიზმის დაცვაც მხარეთა შეჯიბრების ნაწილია, კერძოდ, ვინც ზუსტად დაიცავს კანონით დადგენილ დანაწესს, იმას კანონი, როგორც პროცესუალური შეჯიბრის მონაწილეს, უპირატეს მდგომარეობაში აყენებს. ნიშანდობლივია აღინიშნოს, რომ კანონით დადგენილი ფორმალიზებული პროცედურიდან გამონაკლისის დაშვება მხოლოდ კანონითვე დაშვებულ საგამონაკლისო შემთხვევებშია შესაძლებელი. სამოსამართლო სამართლით საპროცესო სამართლის ნორმათა ფართო განმარტება კი არღვევს მხარეთა პროცესუალური განჭვრეტადობის სტანდარტს და შესაბამისად, პროცესუალური ფორმალიზმისადმი მხარეთა კანონიერი ნდობის პრინციპს. აღნიშნული ვერ გამართლდება ისეთი მაღალი დაცვის ღირსი არგუმენტითაც კი, როგორიცაა მატერიალურ-სამართლებრივად სწორი გადაწყვეტილების მიღება. მაგალითისათვის, თუ მოსარჩელე მოპასუხეს სესხის ხელშეკრულების საფუძველზე გადაცემული თანხის დაბრუნებას სთხოვს, სარჩელი არ დაკმაყოფილდება, თუ მოსარჩელე სარჩელს მოპასუხისათვის თანხის გადაცემის მტკიცებულებას არ დაურთავს. სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება არ გაუქმდება და სარჩელი არ დაკმაყოფილდება, თუ მოსარჩელე თანხის მოპასუხისათვის გადაცემის მტკიცებულებას კანონით დადგენილი წესის დარღვევით, საპატიო გარემოების არარსებობის პირობებში, სააპელაციო სასამართლოში წარადგენს.

4. სარჩელის მიღებაზე უარის თქმა ფაქტებისა და შესაბამისი მტკიცებულებების მიუთითებლობის გამო

მხარეთა ვალდებულებაა სარჩელსა და შესაგებელში ფაქტებისა და მტკიცებულებების მითითება (სსსკ 177.3, სსსკ 178.1. „ე“, „ვ“), თუმცა, მხარეთა უფლებაა განსაზღვრონ, თუ რომელი ფაქტები მიუთითონ, და

²² იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 26.01.2018 განჩინება, საქმეზე Nას-1493-1413-2017.

რომელი მტკიცებულებებით დაადასტურონ აღნიშნული მოთხოვნა (სსსკ 4.1). შესაბამისად, სარჩელის დასაშვებობის მიზნებისათვის, აუცილებელია, რომ მოსარჩელემ სარჩელში მიუთითოს ის ფაქტები, რომელსაც იგი მოთხოვნას აფუძნებს და მტკიცებულებები, რომლითაც იგი აღნიშნულ მოთხოვნებს ადასტურებს. მტკიცებულებათა **საერთოდ არქონის ან დროებით არქონის შემთხვევაში**, მხარე ვალდებულია, ამის შესახებ სარჩელში მიუთითოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, **ფაქტების, ანდა მტკიცებულებების მიუთითებლობა სარჩელის მიღებაზე უარის თქმის საფუძველია (სსსკ 186.1., თ“)**, რადგან იგულისხმება, რომ ასეთ შემთხვევაში, სარჩელი არასრულყოფილად არის წარდგენილი. არასრულყოფილი სარჩელის წარდგენას კი ვერ ამართლებს არგუმენტი მასზედ, რომ მოსარჩელეს უფლება აქვს, საქმის წინასწარი სასამართლო განხილვისათვის მომზადების დამთავრებამდე შეავსოს სარჩელში მითითებული გარემოებები და მტკიცებულებები (სსსკ 83.2). თუ მოსარჩელეს მტკიცებულება არ აქვს ან დროებით არ აქვს და ამის თაობაზე იგი სარჩელში უთითებს, **აღნიშნული გარემოება, მტკიცებულებათა მიუთითებლობისა და დაურთველობის საფუძველით, სარჩელის მიღებაზე უარის თქმის წინაპირობა ვერ გახდება**. ასეთ შემთხვევაში, სასამართლომ სარჩელი წარმოებაში უნდა მიიღოს, რადგან მოსარჩელეს აქვს იმის პროცესუალური შესაძლებლობა, რომ პროცესი მტკიცებულებათა არქონის პირობებშიც მოიგოს, მაგალითისათვის, დაუსწრებელი გადაწყვეტილებით, მოწინააღმდეგე მხარის მიერ იმ ფაქტის აღიარებით, რომელსაც კანონის თანახმად, სპეციალური მტკიცებულების წარდგენა არ სჭირდება, სარჩელის ცნობით და ა. შ. განსხვავებით სარჩელისაგან, სასამართლო მოპასუხის მიერ წარდგენილი შესაგებლის დასაშვებობას არ ამოწმებს და შესაგებლის წარდგენის შემდეგ მოპასუხე შეზღუდულია, მიუთითოს ფაქტებზე ან მტკიცებულებებზე, რაზეც შესაგებელში არასაპატიო მიზეზით არ მიუთითებია (სსსკ 201, 4.5). მოპასუხე დამატებითი ფაქტებისა და მტკიცებულებების წარდგენის უფლებას იძენს მოსარჩელის მიერ სარჩელის დაზუსტების, ფაქტების ანდა მტკიცებულებების დამატებით წარდგენის შემთხვევაში, ანდა საპატიო გარემოებების არსებობის პირობებში, რაც მის მიერ ფაქტების მითითებისა და მტკიცებულებების წარდგენის შესაძლებლობას ობიექტურად გამორიცხავდა (სსსკ 215).

5. მხარეთა უფლება, განსაზღვრონ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი

მხარე ვალდებულია სასამართლოს წარუდგინოს მოთხოვნა, ასევე მიუთითოს მოთხოვნის საფუძველად არსებული ფაქტები და აღნიშნული ფაქტების დამადასტურებელი მტკიცებულებები, ასეთის არსებობის შემთხვევაში. სასამართლოსათვის მიმართვა მხარის უფლებაა. მხარე უფლებამოსილია სასამართლოს ერთი ან რამდენიმე მოთხოვნით მიმართოს, თუმცა, სასამართლოსათვის მიმართვის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია, რომ მოთხოვნა ჩამოაყალიბოს ნათლად, მკაფიოდ და არაორაზროვნად. **ალტერნატიულ მოთხოვნათა წარდგენას საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ უშვებს.** შესაბამისად, მხარე სარჩელის წარდგენამდე უნდა ჩამოაყალიბდეს, თუ რას ითხოვს სასამართლოსგან და რისი მიღწევა სურს მას სასარჩელო წარმოებით. შესაძლებელია, რომ მხარეს უფლებებში აღდგენის რამდენიმე გზა ესახებოდეს, თუმცა, ვერ ყალიბდებოდეს, რომელი მოთხოვნა მიაღწევს სასარჩელო წარმოების წესით წარმატებას, ანუ სახეზე იყოს ე.წ. „მოთხოვნათა კონკურენცია“, „ალტერნატიული მოთხოვნები“. ასეთ შემთხვევაში, მხარემ თავად უნდა განსაზღვროს მითითებული ფაქტები რომელ მოთხოვნას ამართლებს, თუმცა, ამისათვის აუცილებელი არ არის მან მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი მიუთითოს. მოქმედებს პრინციპი, **Jura novit curia**, რომლის მიხედვითაც, მხარე ვალდებულია „სასამართლოს ფაქტები მისცეს“, რადგან იგულისხმება, რომ „სასამართლომ სამართალი იცის“. შესაბამისად, მხარე ვალდებულია არ არის სარჩელში მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი მიუთითოს, მით უფრო, მას არ ევალება, მოთხოვნის განსხვავებული სამართლებრივი საფუძველის პირობებში, მოთხოვნის საფუძველი თავად აირჩიოს. მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველთა კონკურენციის დროს, **უპირატესად გამოსაყენებელი სამართლის ნორმის შერჩევა მოსამართლის კომპეტენციაა,**²³ შესაბამისად, **სამართლებრივი საფუძველის მისადაგება განსახილველი სადავო ურთიერთობისადმი სასამართლოს პრეროგატივაა.**²⁴ მითითებული მსჯელობის ნორმატიული საფუძველი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე და 186-ე მუხლებია, რომელთა მიხედვი-

²³ ს. ჩაჩავა, *მოთხოვნებისა და მოთხოვნის საფუძველების კონკურენცია*, თბილისი, 2011, გვ. 21

²⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 02.06.2017 განჩინება, საქმეზე №ას-317-300-2017

თაც, მოსარჩელემ სარჩელში მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი უნდა მიუთითოს, თუმცა, აღნიშნულის მიუთითებლობა სარჩელის წარმოებაში მიღების წინაპირობა არ არის (სსსკ 178.1, „თ“, სსსკ 186.1, „თ“).

საკასაციო სასამართლომ არაერთ საქმეში განმარტა, რომ სასამართლოს უპირველესი ამოცანაა, დაადგინოს, თუ რას ითხოვს მოსარჩელე მოპასუხისაგან და რის საფუძველზე, ანუ რომელ ფაქტობრივ გარემოებებზე ამყარებს თავის მოთხოვნას. **სასამართლომ მხარის მიერ მიითვებული მოთხოვნის ფარგლებში უნდა მოძებნოს ის სამართლებრივი ნორმა (ნორმები), რომელიც იმ შედეგს ითვალისწინებს, რისი მიღწევაც მხარეს სურს.** ამასთან, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად განხილული ნორმა (ან ნორმები) შეიცავს იმ აღწერილობას (ფაქტობრივ შემადგენლობას), რომლის შემონმებაც სასამართლოს პრეროგატივაა და რომელიც უნდა განხორციელდეს ლოგიკური მეთოდების გამოყენების გზით²⁵, ანუ სასამართლომ უნდა დაადგინოს ნორმაში მოყვანილი აბსტრაქტული აღწერილობა რამდენად შეესაბამება კონკრეტულ ცხოვრებისეულ სიტუაციას და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები.²⁶

თუმცა, ამავედროულად მხარე, რომელიც სასამართლოს მიმართავს, **სულ მცირე, იმ ფაქტობრივ შემადგენლობაზე უნდა უთითებდეს, რომელსაც ესა თუ ის სამართლის ნორმა გვთავაზობს.** აღსანიშნავია, რომ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის რომელიმე ფაქტობრივი წინამძღვრის (სამართლებრივი წინაპირობის) არარსებობა მხარისათვის (მოსარჩელისათვის) სასურველ სამართლებრივ შედეგს (სარჩელის დაკმაყოფილებას) გამორიცხავს.²⁷ ამდენად, შესაძლებელია, მხარემ სახელდებით სარჩელში სამართლის ნორმა არ მიუთითოს, თუმცა, მიითვებული ფაქტები სამართლის ამა თუ იმ ნორმის დისპოზიციით გავთვალისწინებულ შემადგენლობას უნდა ქმნიდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩაითვლება, რომ სარჩელში მიითვებული ფაქტები მოთხოვნას იურიდიულად არ ამართლებს, რაც დაუსწრებელი გადაწყვეტილების რეჟიმშიც კი სარჩელის დაკმაყოფილებას გამორიცხავს. მაგალითისათვის, თუ მოსარჩელე ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულებას (ფასის გადახდას) ითხოვს, მან სარჩელში უნდა მიუთითოს ფაქტები, რომელიც საქართველოს სამოქალაქო კოდე-

²⁵ შ. შმიტი, ჰ.რიჰტერი, „მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესი სამოქალაქო სამართალში“, GIZ, 2013, გვ.9

²⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 02.03.2017 გადაწყვეტილება, საქმეზე ას-664-635-2016

²⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 09.12.2013 გადაწყვეტილება, საქმეზე ნას 15-29-1443-2012

ქსის 477-ე მუხლის შემადგენლობას ქმნის, კერძოდ, მოსარჩელემ უნდა მიუთითოს, რომ ნასყიდობის ხელშეკრულება დაიდო და რომ მას, მასზე დაკისრებული ვალდებულება უკვე შესრულებული აქვს, ხოლო მოპასუხე საპასუხო შესრულებას აყოვნებს, ან მას (მოსარჩელეს) თავად მასზე დაკისრებული ვალდებულება შესრულებული არ აქვს, რადგან მოპასუხეს, ხელშეკრულების მიხედვით, პირველს (წინმსწრებად) უნდა შეესრულებინა ვალდებულება (სსკ 369). მოსამართლე, მითითებული ფაქტობრივი გარემოებების პირობებში, სარჩელის საფუძვლიანობას 477-ე მუხლზე დაყრდნობით ამონიშნავს, მიუხედავად იმისა, მოსარჩელეს სამართლებრივ დასაბუთებაში მუხლი სახელდებით მითითებული აქვს, თუ არა. ამდენად, სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების მიმართ მოთხოვნის დამფუძნებელი სამართლებრივი ნორმის მისადაგება სასამართლოს პრეროგატივაა, თუმცა, მხარის ვალდებულებაა, სარჩელში ფაქტების მითითება და მითითებული ფაქტობრივი გარემოებების შესატყვისი მტკიცებულებებით გამყარება, რაც მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის მიუთითებლობის ან არასწორად მითითების დროსაც კი, მონინააღმდეგის პოზიციისა და საქმეზე მტკიცებულებათა ერთობლიობით გაანალიზებისა და შეჯერების შედეგად, სასამართლოს კვლევისა და იურიდიული შეფასების საგანია^{28/29/30/31}. ამ მიმართებით, განსაკუთრებით აღსანიშნავია შემთხვევა, როდესაც მხარე, მართალია, სამართლებრივ საფუძველს უთითებს, თუმცა, არასწორად. ასეთ შემთხვევაში ისმის კითხვა, არის, თუ არა აღნიშნული გარემოება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი? ზემოგანვითარებული მსჯელობის საფუძვლად არსებული პრაქტიკის ანალიზის შედეგად, რალა თქმა უნდა, არა, რადგან მხარის ვალდებულება სასამართლოსათვის მტკიცებულებებით გამყარებული ფაქტების მიცემა, ხოლო სასამართლოს ვალდებულებაა ფაქტების დადგენის შედეგად სუბსუმციის, ანუ ნორმათშეფარდების პროცესის განხორციელება.³² შესაბამისად, არასწორი სამართლებრივი ნორმის მითითება *a priori* სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის სა-

²⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 14.12.2016 განჩინება, საქმეზე *ნას-493-473-2016*;

²⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 19.05.2016 განჩინება, საქმეზე *ნას-1224-1149-2015*;

³⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 15.07.2016 განჩინება, საქმეზე *ნას-101-97-2016*;

³¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 15.07.2016 განჩინება, საქმეზე *ნას-101-97-2016*;

³² რ. ციპელიუსი, „იურიდიული მეთოდების მოძღვრება“, მე-10 გადაამუშავებული გამოცემა, მიუნხენი, 2006, გვ.113

ფუძველი არაა. ასეთ შემთხვევაში, სასამართლო უფლებამოსილია, სარჩელში მოთხოვნის საფუძველად მითითებული სამართლის ნორმა შეცვალოს და სხვა სამართლის ნორმას დააფუძნოს გადაწყვეტილება, თუმცა, სასამართლოს უფლება, თავად მოიძიოს სარჩელში მითითებული ფაქტების შესატყვისის სამართლის ნორმა, იმგვარად არ უნდა იქნეს გაგებული, რომ **სასამართლოს სამართლის ნორმის შეცვლით, მტკიცების საგანში შემავალი ფაქტების შეცვლის უფლებაც აქვს. არამცდარამც, სასამართლოს მხრიდან სამართლის ნორმის მოძიების ვალდებულება გულისხმობს, მარტოდენ მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტების ფარგლებში და მის საფუძველზე ნორმათშეფარდების პროცესის განხორციელებას.** დოქტრინა სასამართლოს მხრიდან მხარეთა მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების შეცვლა, დამატების შესაძლებლობას არ ითვალისწინებს. მოსამართლე უფლებამოსილი არ არის შეცვალოს ფაქტები.³³ **სასამართლოს მხრიდან სამართლის ნორმის შეცვლით მტკიცების საგანში შემავალი ფაქტობრივი გარემოებების შეცვლა და აღნიშნული ფაქტების კვლევა, სასამართლოს მხრიდან შეჯიბრებითობის პრინციპის ცალსახა დარღვევაა.** მაგალითისათვის, თუ მოსარჩელე გარიგების ბათილობას ითხოვს იმ საფუძველით, რომ იგი მოატყუეს, ანუ მოსარჩელე უთითებს ფაქტს, რომ იგი გარიგების დადების მიზნით, განზრახ შეცდომაში შეიყვანეს, ასეთ შემთხვევაში, სასამართლოს დასკვნა, რომ გარიგება შეცდომის საფუძველზეა ბათილი, ფაქტების იმგვარ ცვლილებას იწვევს, რაც მოსარჩელეს არ მიუთითებია, უფრო მეტიც, სასამართლოს მხრიდან სარჩელში მითითებული ფაქტების მიმართ შეცდომით დადებული გარიგების ნორმის მისადაგება, მაშინ, როდესაც მოსარჩელე სარჩელში მოტყუების მარეგულირებელი ნორმის ამსახველ ფაქტებს აღწერს, მოპასუხეს არათანაბარ პირობებში აყენებს, რადგან მოტყუების ფაქტების ამსახველი სარჩელის წარდგენის პირობებში, მოპასუხე შეცილების ვადის დარღვევაზე უთითებდა (ერთი წელი), თუმცა, ვერ ადასტურებდა, ხოლო სასამართლოს დასკვნამ, რომ გარიგება, როგორც შეცდომით დადებული, ბათილია, მოპასუხეს წაართვა შესაძლებლობა, რომ ერთთვის შეცილების ვადაზე მიეთითებინა, რასაც დაადასტურებდა კიდევ. სწორედ ასეთ (მსგავს) შემთხვევას გულისხმობს საქართველოს უზენაესი სასამართლო, როდესაც განმარტავს, რომ **„მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის შეფასება შედის სასამართლოს კომპეტენციაში და მხარის მიერ არასწორი ნორმატიული სა-**

³³ თ. ლილუაშვილი, გ. ლილუაშვილი, ვ. ხრუსტალი, ზ. ძლიერიშვილი, „სამოქალაქო საპროცესო სამართალი“ I ნაწილი, თბილისი, 2014, გვ. 91

ფუძვლის მითითება არ შეიძლება გახდეს სარჩელზე უარის თქმის საფუძველი, თუმცა სასამართლოს აღნიშნული დისკრეცია უნდა განხორციელდეს იმგვარად, რომ მოპასუხეს არ შეეზღუდოს კონკრეტულ საკითხზე შესაგებლის წარდგენის კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილება. **საქმეზე გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს შეჯიბრებითობის პრინციპის სრულად რეალიზაციის პირობებში...**³⁴ თუ სააპელაციო სასამართლო დავის განხილვისას მიიჩნევს, რომ ამ საქმის მიმართ გამოყენებულ უნდა იქნეს სარჩელში აღნიშნულისაგან განსხვავებული ნორმები და ფაქტობრივი გარემოებები სამართლებრივად განსხვავებულად უნდა შეფასდეს, **მან ასევე უნდა შეაფასოს, გამოიწვევს თუ არა, ამგვარი ცვლილება მეორე მხარის ინტერესების დარღვევას და თუ წარმოიშობა დასაბუთებული ვარაუდი, რომ მოპასუხეს, შეიძლება, შეეზღუდოს შეჯიბრებითობის პრინციპით გათვალისწინებული უფლებამოსილების რეალიზაციის შესაძლებლობა**, საქმე ხელახლა განსახილველად პირველი ინსტანციის სასამართლოში უნდა დაბრუნდეს.³⁵

განსხვავებულია ვითარება, როდესაც მოსარჩელე სარჩელში ასახული ფაქტებით ვერ ადასტურებს სარჩელში მითითებული სამართლის ნორმის დისპოზიციით გათვალისწინებულ შემადგენლობას, **თუმცა, სარჩელში აღნიშნული ფაქტები (შეუცვლელად) აკმაყოფილებს სხვა სამართლის ნორმით გათვალისწინებულ ფაქტობრივ წინაპირობებს**, და მტკიცებულებებით დადასტურების შემთხვევაში, იძლევა სარჩელის დაკმაყოფილების შესაძლებლობას. ისმის კითხვა, ასეთ შემთხვევაში, უფლებამოსილია, თუ არა სასამართლო შეცვალოს სარჩელში მითითებული სამართლებრივი საფუძველი და სარჩელი სხვა სამართლის ნორმაზე დაყრდნობით დააკმაყოფილოს? მაგალითისათვის, მოსარჩელე მოპასუხისათვის, სესხის სახით გადაცემული თანხის დაბრუნებას ითხოვს. მოსარჩელე წარდგენილი მტკიცებულებებით ადასტურებს თანხის გადაცემას, თუმცა, შესაბამისი მტკიცებულებების წარდგენის გზით ვერ ამტკიცებს თანხის გადაცემის საფუძველს, მოცემულ შემთხვევაში სესხის ხელშეკრულების არსებობას. ასეთ ვითარებაში სასამართლოს აქვს დადასტურებული ფაქტობრივი გარემოება მარტოოდენ თანხის გადაცემის თაობაზე, შესაბამისად, ასეთ ვითარებაში, მტკიცების ტვირთი მოპასუ-

³⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მნიშვნელოვანი განმარტება, საქმე №ას-1350-1275-2012

³⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მნიშვნელოვანი განმარტება, საქმე №ას-1350-1275-2012

ხის მხარეზე გადადის, რომელმაც უნდა მიუთითოს თანხის მიღების მიზნობრიობა. იმ შემთხვევაში, თუ ვერც მოსარჩელე დაამტკიცებს თანხის გადაცემის საფუძველს და ვერც მოპასუხე მისი მიღების მიზნობრიობას, თანხა დაბრუნებას უსაფუძვლო გამდიდრების ნორმებზე დაყრდნობით ექვემდებარება³⁶. ამდენად, განსახილველ შემთხვევაში, სარჩელი სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულებას ეფუძნებოდა (სსკ 623), ხოლო სარჩელი შესრულების კონდიქციის მარეგულირებელი ნორმით დაკმაყოფილდა (სსკ 976). ამგვარი პრაქტიკის შენარჩუნების პირობებში, განსაკუთრებით საყურადღებოა, მოპასუხის დაცვის ღირსი ინტერესის გათვალისწინება, რომელსაც ყველა პირობა უნდა შეექმნას მოსარჩელესთან შეჯიბრების უფლების სრულყოფილად რეალიზაციისათვის. თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ თუ მოსარჩელე სესხის სახით გადაცემული თანხის დაბრუნებას ითხოვს, ხოლო მოპასუხე კვალიფიციური შედავების უფლებას არ იყენებს, გადაცემული თანხა სესხად პრეზუმირდება³⁷. შეჯიბრების ქვაკუთხედი, რომ მოპასუხე შესაგებლის წარდგენის გზით სარჩელში მითითებულ ფაქტებსა და არგუმენტებს ეგებება, შეჯიბრების უმთავრეს პრინციპად განიხილება ასევე მოსამართლის როლი, სამართლის შეფარდება მხოლოდ მხარეთა მიერ მითითებული ფაქტების საფუძველზე მოახდინოს, შესაბამისად, თუ სასამართლო მოსარჩელის მიერ მითითებულ სამართლებრივ საფუძველს ისე შეცვლის, რომ აღნიშნული ცვლილება სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების შეცვლას, დაზუსტებას, დამატებას გამოიწვევს, აღნიშნული ფაქტების საწინააღმდეგო შეგებების (რაც შეიძლება შესაგებლის, ან შეგებებული სარჩელის წარდგენის გზით განხორციელდეს) უფლება მოპასუხისათვის გარანტირებული უნდა იყოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სარჩელში მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის მითითება მოსარჩელის უფლებაა, შესაბამისად, მისი მიუთითებლობა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის საფუძველი არ არის. სარჩელში მითითებული ფაქტების სამართლებრივი შეფასება სასამართლოს ვალდებულებაა, ანუ სარჩელში მითითებული ფაქტების შესაბამისი ნორმის მოძებნა და შეფარდება (სუბსუმცია) სასამართლოს ფუნქციაა.³⁸ იმ შემთხვევაში, თუ მხარე სასა-

³⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 25.05.2016 წლის გადაწყვეტილება, საქმეზე ას-74-71-2016.

³⁷ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 19.02.2018 წლის გადაწყვეტილება, საქმეზე ას-1062-1022-2016.

³⁸ ჰ. ბიოლინგი, პ. ლუტრინგჰაუსი, ლ. შატბერაშვილი, „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი“, GIZ, 2005, გვ. 167

რჩელო მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს მიუთითებს, სასამართლო ამგვარი მითითებით შეზღუდული არ არის. **სასამართლო უფლებამოსილია შეცვალოს მოსარჩელის მიერ სარჩელის საფუძვლად მითითებული სამართლებრივი საფუძველი, თუმცა, სამართლებრივი საფუძვლის შეცვლამ სარჩელში მითითებული ფაქტების შეცვლა არ უნდა გამოიწვიოს.** იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო მივა დასკვნამდე, რომ სარჩელი დასაკმაყოფილებელია არა იმ სამართლებრივი საფუძვლით, რასაც მოსარჩლე უთითებს, არამედ სხვა სამართლებრივი საფუძვლით, რაც სარჩელში მითითებული ფაქტების შეცვლას (დაზუსტება, დამატება) იწვევს, ასეთ ვითარებაში, მიზანშეწონილია, მოსამზადებელი სხდომა დაინიშნოს, სადაც სასამართლომ უნდა განმარტოს, სარჩელში მითითებული ფაქტების არასაკმარისობა სარჩელშივე დასახელებული ნორმების გამოყენების მიზნებისათვის, ან სხვა დამატებითი ფაქტების საჭიროება, თუ თვლის, რომ აღნიშნული სასარჩელო მოთხოვნა სამართლის სხვა ნორმაზე დაყრდნობით უნდა შეფასდეს, რა დროსაც მოპასუხეს შეჯიბრების თანაბარი შესაძლებლობა უნდა მიეცეს.

საგულისხმოა, რომ აღნიშნული საპროცესო ქმედების განხორციელებამ და სუბსუმირებადი სამართლის ნორმის შეცვლამ მხარეების მიერ მითითებული ფაქტების შეცვლა იმდენად არ უნდა გამოიწვიოს, რომ სასამართლომ, მხარეთა თანაბარი შეჯიბრების მაღალი სტანდარტის უზრუნველყოფის პირობებშიც, **დაარღვიოს შეჯიბრებითობის პრინციპის მთავარი დებულება, რომლის მიხედვითაც, მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები (სსსკ 4.2).** ნიშანდობლივია აღინიშნოს, რომ სასამართლო პრაქტიკაც ამ მიმართულებით მიდის, კერძოდ, საკასაციო პალატა სიფრთხილით ეკიდება ახალი ფაქტების მითითების თაობაზე სასამართლო ინიციატივას და მიიჩნევს, რომ „სასამართლო ვალდებულია შეამოწმოს სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს, თუ არა, სასარჩელო მოთხოვნას. ამ კითხვაზე პასუხის ძიებისას სასამართლომ უნდა შეამოწმოს სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლად მითითებული ფაქტობრივი გარემოებები რამდენად ექცევა სამართლის, სულ მცირე, ერთი ნორმით მოცემული ფაქტობრივი სიტუაციის ნორმატიული აღწერილობის ქვეშ. იმ შემთხვევაში, თუ შემომნების შედეგად სასამართლო მივა დასკვნამდე, რომ მოთხოვნის საფუძვლად მითითებული ფაქტობრივი გარემოებები სამართლის ნორმის აღწერილობაში არ ექცევა ან კონკრეტული ფაქტები არ არის მითითებული, რაც კონკრეტული ნო-

რმით განსაზღვრული შედეგის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს (სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები იურიდიულად არ ამართლებს მოთხოვნას), მაშინ მოსარჩელეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარი უნდა ეთქვას.³⁹ აღსანიშნავია, რომ **არასაკმარისი ფაქტების მითითება მხარეთა რისკის სფეროდ განიხილება,**⁴⁰ რადგან ივარაუდება, რომ მხარის მოთხოვნის წარმატებულობას მისი მხრიდან საკუთარი ინტერესების კვალიფიციური და სწორი საპროცესო სტრატეგიით დაცვა განაპირობებს.⁴¹ შესაბამისად, სასამართლო შეზღუდულია მხარეთა მიერ მითითებული ფაქტებით და მასში ჩარევა მხარეთა შეჯიბრების უხეში დარღვევაა. აღნიშნული მსჯელობის საფუძველია სამოქალაქო საპროცესო სამართალში მოქმედი პრინციპი, რომლის მიხედვითაც, „**სასამართლო შეზღუდულია ფაქტით და არა სამართლით**“. აღნიშნული სასამართლო პრაქტიკაში გამოხატულებას პოულობს შემდეგნაირად, კერძოდ, სასამართლო შეზღუდულია მხარეთა მიერ მითითებული ფაქტების ერთობლიობით, ხოლო რაც შეეხება სამართლის ნორმების გამოყენებას, სასამართლო, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით, ადგენს თუ რა სამართლებრივი ურთიერთობა არსებობს მხარეთა შორის და ამ ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების საფუძველზე აკმაყოფილებს ან არ აკმაყოფილებს სარჩელს.⁴²

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეჯიბრებითობის პრინციპის მიხედვით, მხარეები თავად განსაზღვრავენ **დავის საგანს**, თავადვე წყვეტენ, თუ **რომელი ფაქტები** მიუთითონ და **რომელი მტკიცებულებებით** დაამტკიცონ მითითებული ფაქტების უტყუარობა (სსსკ 4.1). **სასამართლო მხარეთა მიერ მითითებული ფაქტებით შეზღუდულია.** სასამართლოს უფლება არ აქვს, მხარეს ახალი ფაქტები წარმოადგენინოს. ერთადერთი უფლებამოსილება, რაც სასამართლოს ფაქტებთან მიმართებით გააჩნია, **შეკითხვების დასმის გზით საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტების სრულყოფილად და ზუსტად ჩამოყალიბებაა (სსსკ 222).** რაც შეეხება მტკიცებულებებს, ამ მიმართებით სასამართლოს უფლებამოსილება უფრო ფართოა, კერძოდ, სასამართლოს შეუძლია შესთავაზოს მხარეებს, **წარმოადგინონ დამატებითი მტკიცებუ-**

³⁹ იხ. საქაელველოს უზენაესი სასამართლოს 30.07.2015 წლის განჩინება, საქმეზე №ას-209-196-2015

⁴⁰ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 20.07.2018 წლის განჩინება, საქმეზე, ას-687-687-2018

⁴¹ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 31.07.2017 წლის განჩინება, საქმეზე ას-593-552-2017

⁴² იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 08.06.2018 წლის განჩინება, საქმეზე, ას-1498-1418-2017

ლებები (სსსკ 103.1). მასვე უფლება აქვს, დანიშნოს მოსამზადებელი სხდომა და დაავალოს მხარეებს შეავსონ, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, განმარტონ მათ მიერ წარმოდგენილი წერილობითი მასალები, წინადადება მისცეს მათ, წარმოადგინონ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ნივთები, თუ დოკუმენტები (სსსკ 203.1.ა). მხარეები უფლებამოსილნი არიან, მიუთითონ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი. სასამართლო მხარეთა მიერ მითითებული სამართლებრივი საფუძველი შეზღუდული არ არის. მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველის შეცვლა დასაშვებია მხოლოდ მხარეთა მიერ მითითებული ფაქტების ფარგლებში. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველის ცვლილება მხარეთა მიერ მითითებული ფაქტების დაზუსტება, დაკონკრეტება, ანდა დამატებას იწვევს, აღნიშნული მხარეთა თანაბარი შეჯიბრების პირობებში უნდა განხორციელდეს, ამასთან, ისე, რომ მხარეთა უფლება, თავად განსაზღვრონ მოთხოვნის ფაქტობრივი საფუძველი და მტკიცებულებათა წრე, რომლითაც ისინი აღნიშნულ ფაქტებს ადასტურებენ, არ შეილახოს.

6. სასამართლოს ინკვიზიციურ უფლებათა ფარგლები

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ადგენს, რომ საქმის გარემოებათა გასარკვევად სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით მიმართოს ამ კოდექსში გათვალისწინებულ ღონისძიებებს (სსსკ 4.2). ნიშანდობლივია აღინიშნოს, რომ სასამართლო პრაქტიკა აღნიშნული ნორმის ფართო განმარტებას არ იზიარებს და არ უშვებს სასამართლოს მხრიდან საქმის გარემოებათა გასარკვევად ნებისმიერი იმ საპროცესო ღონისძიების საკუთარი ინიციატივით განხორციელებას, რასაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს. მაგალითისათვის, მხარე უფლებამოსილი არ არის საკუთარი ინიციატივით მოწმე დაკითხოს, საქმეზე დასართავ მტკიცებულებათა წრე განსაზღვროს, სხვა უწყებაში არსებული წერილობითი დოკუმენტი გამოითხოვოს, აღსრულების ბიუროს ფაქტის კონსტატაცია მოსთხოვოს და ა. შ. მითითებული ნორმით მოსამართლეს, მარტოოდენ იმ საპროცესო ღონისძიებათა გატარების შესაძლებლობა ეძლევა, რისი უფლებაც მას, კანონის დანაწესის მიხედვით, საკუთარი ინიციატივით აქვს. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი კი ამომწურავად განსაზღვრავს იმ საპროცესო მოქმედებათა წრეს, რომლის განხორციელების უფლებაც სასამართლოს საკუთარი ინიციატივით აქვს, მაგალითისათვის:

ზოგადი წესის მიხედვით, მტკიცებულებებს სასამართლოს წარუდგენენ მხარეები. სასამართლოს, თავისი ინიციატივით, შეუძლია შესთავაზოს მხარეებს წარმოადგინონ დამატებითი მტკიცებულებები (სსსკ 103.1).

სასამართლოს, თავისი ინიციატივით, შეუძლია ასევე ნივთიერი და წერილობითი მტკიცებულების ადგილზე დათვალიერება, რომლის წარდგენაც სასამართლოში ამა თუ იმ მიზეზის გამო, შეუძლებელია (სსსკ 120).

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ადგენს, რომ მხარის ახსნა-განმარტება მტკიცებულებაა. შესაბამისად, თავად მხარე წყვეტს გამოცხადდეს, თუ არა სასამართლოში და მისცეს, თუ არა, სასამართლოს ახსნა-განმარტება. სასამართლო მხარეს იძულებით ვერ მოიყვანს, თუმცა, სასამართლო უფლებამოსილია, საკუთარ ინიციატივით, სასამართლოში გამოცხადებულ მხარეს დაუსვას შეკითხვები, რომლებიც ხელს შეუწყობს საქმის გადანყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების სრულად და ზუსტად განსაზღვრას, მათ დასადასტურებლად მტკიცებულებათა გამოვლენას და სასამართლოში წარდგენას, მათ უტყუარობის გამორკვევას (სსსკ 128).

წერილობითი მტკიცებულება სასამართლოს, ზოგადი წესის მიხედვით, დედნის სახით წარედგინება. იმ შემთხვევაში, თუ წერილობითი დოკუმენტი სასამართლოს ასლის სახით მიეწოდა, სასამართლო უფლებამოსილია, თავისი ინიციატივით, მხარეს დედნის წარდგენა მოსთხოვოს, ან პირიქით, მხარე, გარკვეული წინაპირობების არსებობისას, დედნის წარდგენისაგან გაათავისუფლოს (სსსკ 135).

ესა თუ ის პირი მოწმედ, მარტოოდენ მხარის შუამდგომლობის საფუძველზე დაიშვება. თუმცა, მოსამართლეს უფლება აქვს, თავისი ინიციატივით მოწმე განმეორებით დაკითხოს (სსსკ 149).

საკუთარი ინიციატივით განსახორციელებელ საპროცესო მოქმედებათა კატეგორიას განეკუთვნება, მოსამართლის უფლება, გარკვეული საპროცესო მოქმედების შესრულებისას, როგორცაა, ადგილზე დათვალიერება, მოწმეთა დაკითხვა, მტკიცებულებათა უზრუნველყოფა, გეგმებისა და გაანგარიშებების შედგენა და ა. შ. **სპეციალისტი მოიწვიოს** (სსსკ 204).

თუ საქმის განხილვასთან დაკავშირებულ საკითხზე მოსამართლეს სპეციალური ცოდნა არ გააჩნია, სასამართლოს შეუძლია, თავისი ინიციატივით, **დანიშნოს ექსპერტიზა** საქმის განხილვის ნებისმიერ სტადიაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული საკითხის განმარტებას არსებითი მნიშვნელობა აქვს საქმის გადანყვეტისათვის და მის გარეშე საქმის

გადანყვეტა შეუძლებელია (სსსკ 162.1). იგივე შესაძლებლობით სარგებლობს სასამართლო **დამატებითი და განმეორებითი ექსპერტიზის დანიშვნის** საჭიროებს შემთხვევაში, რაღა თქმა უნდა, კანონით გათვალისწინებული წინაპირობების არსებობისას (სსსკ 173).

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, სასამართლოს აძლევს უფლებას „წარმართოს საქმის წარმოება“, რაც ნიშნავს იმას, რომ სასამართლო არსებით გავლენას ახდენს საქმის მიმდინარეობასა და პროცესის შედეგზე. სასამართლომ საქმის მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე უნდა უზრუნველყოს, რომ მხარეებმა წარადგინონ განმარტებები და შესაბამისი შუამდგომლობები. სასამართლოს აკისრია ვალდებულება, მისცეს მხარეებს განმარტებები, რომლითაც ისინი გადალახავენ დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპებიდან გამომდინარე სიძნელეებს. შეჯიბრებითობის პრინციპის პარალელურად, სასამართლოს გადაცემული აქვს პროცესის მატერიალური ხელმძღვანელობის უფლებამოსილება. თუმცა, აქ დგება ამ ორი პრინციპის, **მხარეთა შეჯიბრებითობისა და სასამართლოს აქტიურობის პრინციპების პროპორციის საკითხი**. ამიტომაც, შეჯიბრებითობის პრინციპი არ უნდა იქნეს გაგებული, როგორც **სასამართლოს უკიდურესი პასიურობა**,⁴³ თუმცა, სასამართლოს მარტოდენ იმ საპროცესო მოქმედებების განხორციელების შესაძლებლობის უფლება აქვს, რის უფლებასაც მას სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ანიჭებს. ამავდროულად სამოქალაქო საპროცესო კოდექსით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში სასამართლომ უფლებები იმგვარად უნდა განახორციელოს, რომ მხარეთა შეჯიბრების პრინციპი არ დაკნინდეს და მხარეთა შეჯიბრებაზე დაფუძნებული სამოქალაქო სამართალწარმოების პირობებში, „ინკვზიტორი მოსამართლე“ არ მივიღოთ.

საპროცესო სამართლის თეორიაში გამოთქმული შეხედულების მიხედვით, ზოგადად, მართლმსაჯულების განხორციელების **შეჯიბრებითობასა და ინკვიზიციურ ტიპებს შორის განსხვავება საქმის წარმოებისას გამოხატულია სასამართლოს, მოსამართლის როლით**. მხოლოდ მხარეთა შეჯიბრებაზე დაფუძნებული საქმისწარმოებისას, ორივე მხარე - მოსარჩელეც და მოპასუხეც თანაბარ მდგომარეობაში იმყოფებიან, პროცესი დუელის სახეს იღებს, ხოლო სასამართლოს ნეიტრალური პოზიცია უკავია. მოსამართლის ასეთი მდგომარეობა ნიშნავს, რომ **ის არის არბიტრი მხარეთა მიმართ, ის არ იკვლევს არსებულ ჭეშმარიტებას,**

⁴³ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 03.06.2016 წლის განჩინება, საქმეზე №ას-307-294-2015

არ გამოითხოვს და არ გამოიკვლევს მტკიცებულებებს საკუთარი ინიციატივით. მონმეთა დაკითხვა, სხვა მტკიცებულებების გამოთხოვა, პროცესის სხვა მონაწილეთა დაკითხვა მხარეთა მოვალეობას წარმოადგენს. შეჯიბრებითობის საფუძველზე განხორციელებული საქმისწარმოებისას სასამართლო უზრუნველყოფს მხარეთა მიერ სასამართლო პროცესთან დაკავშირებული წესების დაცვას, უსმენს ორივე მხარეს და თავის აზრს მიღებული გადანყვეტილებით გამოხატავს. სასამართლოს ასეთი ნეიტრალური როლისაგან განსხვავდება სასამართლოს ფუნქციები ე.წ. **ინკვიზიციურ პროცესში**. საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრულია, რომ მხარეთა მოვალეობებს, გარკვეული, თუმცა, დიდი დოზით, საკუთარ თავზე იღებს სასამართლო. ეს გამოხატულია სასამართლოს აქტიურობაში, ანუ პასიური არბიტრის როლიდან სასამართლო გადასულია პროცესში აქტიურ მონაწილეობაზე, იმ თვალთახედვით, რომ იგი გამოითხოვს და გამოიკვლევს მტკიცებულებებს, კონტროლს უწევს მტკიცებულებათა შეგროვებას, ხშირად მეტად აქტიურობს იმ მიზნით, რომ მხარეთა შორის მორიგება შედგეს.⁴⁴

მიუხედავად იმისა, პროცესი სრულად შეჯიბრებითი იქნება, თუ ინკვიზიციური, არსებითი მნიშვნელობა მაინც ორ მნიშვნელოვან ფაქტორს ენიჭება, კერძოდ, **მხარეთა თანასწორობის დაცვასა და მოსამართლის კომპეტენტურობას**. ძველ რომაულ სამართალში გაბატონებული პრინციპი - *Lex uno ore omnes alloquitur* („კანონი ყველას ერთნაირად ელაპარაკება“) - ასახვას ჰპოვებს თანამედროვე სამართლებრივ სისტემებში მხარეთა თანასწორუფლებიანობის არსებობაში⁴⁵. კანონი კი მხარეებს მოსამართლის ენით ესაუბრება, ამიტომ მოსამართლემ უნდა იცოდეს სამართალი, უნდა განმარტოს და გამოიყენოს იგი.⁴⁶

⁴⁴ ი. მერებაშვილი, „სასამართლოში სამოქალაქო საქმეთა განხილვისას მხარეთა შეჯიბრებითობისა და მოსამართლეთა აქტიურობის პრინციპების მოქმედება“, მართლმსაჯულება და კანონი, N4(23)09, გვ.19-20

⁴⁵ რ. დეკანოსიძე, „შეჯიბრებითობის პრინციპი და მისი შეზღუდვის შემთხვევები ქართულ სამოქალაქო საპროცესო სამართალში“, თანამედროვე სამართლის ჟურნალი, თბილისი, 2017წ., გვ. 130

⁴⁶ ს. ჩაჩავა, „მოთხოვნისა და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია კერძო სამართალში“, თბილისი, 2010, გვ.48

მუხლი 13. რაიონული (საქალაქო) სასამართლოს განსჯადი სამოქალაქო საქმეები

1. რაიონული (საქალაქო) სასამართლო პირველი ინსტანციით განიხილავს სასამართლოსადმი უწყებრივად დაქვემდებარებულ სამოქალაქო საქმეებს.

2. რაიონული (საქალაქო) სასამართლოს შემადგენლობაში შეიძლება შედიოდეს მაგისტრატი მოსამართლე, რომელიც განიხილავს ამ კოდექსის მე-14 მუხლით გათვალისწინებულ საქმეებს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიაზე არსებულ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში.

3. იმ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, სადაც არ მოქმედებს მაგისტრატი მოსამართლე, აგრეთვე მისი არყოფნის შემთხვევაში, ამ კოდექსის მე-14 მუხლით გათვალისწინებული საქმეები შეიძლება განიხილოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს სხვა მოსამართლემ. (13.07.2006 N 3435)

4. თუ არსებობს ერთმანეთთან დაკავშირებული რამდენიმე სასარჩელო მოთხოვნა, რომელთაგან ერთ-ერთი არ განეკუთვნება მაგისტრატი მოსამართლის განსჯად საქმეს, საქმეს განიხილავს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს სხვა მოსამართლე.

ეკატერინე ბასიტაშვილი

მე-13 მუხლი

I. შესავალი - განსჯადობა, როგორც კონსტიტუციური საპროცესო უფლება

1.1. საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის /საპროცესო უფლებები/ მე-2 ნაწილი სამართლიანი სასამართლოს უფლების განხორციელებისა და პირის უფლების დაცვის კონსტიტუციურ საპროცესო უფლებად ადგენს შემდეგ დებულებას: „ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე“, იდენტური ჩანაწერია „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-3 მუხლის /უფლების სასამართლო წესით დაცვა/ მე-3 ნაწილშიც.

1.2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატამ, რომელიც იმ პირის საჩივარს განიხილავდა, ვისაც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით ეთქვა უარი იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელად ჩარიცხვაზე და სწორედ ეს გადაწყვეტილება იყო გასაჩივრებული, განმარტა: „სასამართლოს, რომელსაც არ გააჩნია საქმის განხილვის იურისდიქცია, არათუ უფლებამოსილია, არამედ ვალდებულიცაა, განაცხადოს ამის შესახებ მაშინაც კი, როდესაც განსჯადობის საკითხს არც ერთი მხარე არ აყენებს ან პროცესის მონაწილე მხარის მოსაზრებები განსჯადობის შესახებ უმართებულოა. **განსჯადობის საკითხი განიხილება არა დისპოზიციურობის, არამედ იმპერატიული მოთხოვნების საფუძველზე, რადგან განსჯადობა საჯარო წესრიგის (order public) შემადგენელი ნაწილია. მომჩივანი იღებს გადაწყვეტილებას დავის წამოწყების შესახებ, თვითონ განსაზღვრავს დავის საგანს [საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლი], თუმცა, მისი ეს უფლება არ არის უალტერნატივო შესაძლებლობა საჩივრის განხილვაზე უფლებამოსილი ორგანოს დასადგენად. განსჯადობის საკითხს ამონმებს სწორედ სასამართლო და დავა განსჯადობის თაობაზე დაშვებულია სასამართლოებს და არა სასამართლოსა და პროცესის მონაწილე მხარეს შორის [საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26. 3 მუხლი].“¹**

1.3. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის პრინციპი მოითხოვს, რომ სასამართლოს ან ტრიბუნალს ჰქონდეს იურისდიქცია, შეამოწმოს ყველა ის ფაქტი და სამართლებრივი საკითხი (კანონმდებლობა), რომელიც მის წინაშე იხილება (*Terra Woningen B.V. v. the Netherlands*, § 52; *Sigma Radio Television Ltd v. Cyprus*, §§ 151-57). ეს იმას გულისხმობს, რომ სასამართლოს/ტრიბუნალს გააჩნდეს უფლებამოსილება, ნაბიჯ-ნაბიჯ შეამოწმოს თითოეული მხარის მიერ წარდგენილი არგუმენტი არსებითად, იმ დათქმით, რომ არც ერთი მათგანის შემოწმება არ იქნება უარყოფილი და გასაგებად (ნათლად) დასაბუთდება ყოველი მხარის მტკიცების გაუზიარებლობის მოტივი.²

¹ იხ. სუსგ # სსკ-1-17, 11.01.2017წ.

² https://www.echr.coe.int/Documents/Guide_Art_6_ENG.pdf- Guide on Article 6 of the European convention on Human Rights – გვ. 34-35.

II. უწყებრივი ქვემდებარეობისა და განსჯადობის ინსტიტუტების გამიჯვნა

2. 1. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით (შემდეგში: სსსკ) განსჯადობა უწყებრივი ქვემდებარეობისგან განსხვავებული ცნებაა და ისინი განცალკევებული ინსტიტუტების სახით, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი თავებით არის მოწესრიგებული. კერძოდ, სსსკ-ის II თავი (მუხლები 11 და 12) განსაზღვრავს სამოქალაქო საქმეების უწყებრივ დაქვემდებარებას სასამართლოსადმი (**Subject-matter Jurisdiction**), რაც იმას ადგენს, თუ რა სახის დავები განიხილება საერთო სასამართლოებში; ხოლო III თავი (მუხლები 13–24) - განსჯადობა (**Court Jurisdiction**) „ანესრიგებს სასამართლოსადმი უწყებრივად ქვემდებარე საქმეების განაწილებას ცალკეული საქმეების მიხედვით“,³ ანუ საერთო სასამართლოების სისტემაში რომელმა სასამართლომ უნდა განიხილოს დავა. **კანონმდებელმა მკაფიოდ განსაზღვრა ჯერ უწყებრივი ქვემდებარეობის, ხოლო შემდეგ განსჯადობის შემონმების საკითხი** და სამართლებრივი ნორმებიც ამ თანმიმდევრობით ასახა სამოქალაქო საპროცესო კოდექსში.

2.2. სასამართლოს უწყებრივი ქვემდებარეობა ანესრიგებს, თუ რა სახის დარღვეული თუ სადავოდ ქცეული უფლების, ასევე, კანონიერი ინტერესის დაცვის მოთხოვნით შეიძლება მიმართოს პირმა საერთო სასამართლოებს, როგორც უწყებას. სსსკ-ის მე-11 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ასეთი დარღვეული თუ სადავოდ ქცეული უფლება, ასევე, კანონიერი ინტერესი შესაძლოა, შეეხებოდეს სამოქალაქო, საოჯახო, შრომის, საადგილმამულო, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებს მოქალაქეებს, მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს, აგრეთვე, იურიდიულ პირებს შორის. ეს ნიშნავს, რომ კერძოსამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი,⁴ ხოლო საჯარო სამართლის იურიდიული პირები სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობენ ისევე, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირები. რაც შეეხება სახელმწიფო და ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებს, ისინი სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობენ ისევე, როგორც კერძო სამართლის იუ-

³ იხ. თენგიზ ლილუაშვილი, ვალერი ხრუსტალი - საქართველოს სამოქალაქო პროცესის კომენტარი, გვ. 29; გამომცემლობა „სანი“, 2004წ.

⁴ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (სსკ) - მე-8 მუხლის პირველი ნაწილი.

რიდიული პირები.⁵

2.3. უწყებრივი ქვემდებარეობის შესახებ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მოწესრიგებამ, კერძოდ, მისმა მე-11 მუხლმა, არაერთი ცვლილება განიცადა იმ სანიმუშო ჩამონათვალის მითითებისას, რომელიც განსაზღვრავს, თუ რა სახის დავები შეიძლება იყოს უწყებრივად მისაღები და განსახილველი საერთო სასამართლოების მიერ. მაგალითად: დასახელებული ნორმის „ზ“ ქვეპუნქტი, 24.06.2004 # 211 განხორციელებული ცვლილებით, შემდეგი რედაქციით ჩამოყალიბდა: „საქმებს რეკეტული ქონების ჩამორთმევისა და სახელმწიფოსათვის გადაცემასთან დაკავშირებით“, დღეის მდგომარეობით კი ფორმულირებულია ასე: „ზ) რეკეტული ქონების, თანამდებობის პირის, „ქურდული სამყაროს“ წევრის/„კანონიერი ქურდის“, ადამიანით მოვაჭრის, ნარკოტიკული საშუალების გავრცელების ხელშემწყობის ან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე ან/და 331¹ მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის მსჯავრდებული პირის ქონების ჩამორთმევისა და სახელმწიფოსათვის გადაცემასთან დაკავშირებულ საქმებს“ (18.04.2018. №2151);

2.3.1 მე-11 მუხლს, 2007 წლის 18 დეკემბერს განხორციელებული ცვლილებით (N5628), „თ“ ქვეპუნქტის სახით დაემატა შვილად აყვანის საქმეები (2008 წლის 1 მაისიდან ამოქმედდა);

2.3.2 რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს ტერიტორიის ნაწილის 2008 წლის აგვისტოს ოკუპაციის საყოველთაოდ ცნობილ გარემოებას დაუკავშირდა საქართველოს პარლამენტის მიერ 2008 წლის 23 ოქტომბერს „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონის (N 431 – III) მიღება და, შესაბამისად, სსსკ-ით მოწესრიგებული საერთო სასამართლოების მიერ უწყებრივად განსახილველ საქმეთა ჩამონათვალისათვის, კერძოდ, მე-11 მუხლისათვის, შემდეგი შინაარსის „ი“ ქვეპუნქტის დამატება: „ოკუპირებულ ტერიტორიებზე აკრძალული ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებისათვის მსჯავრდებულ პირთან დაკავშირებულ პირზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სანქციების გავრცელების საქმებს“ (19.12.2008წ; #797);

2.3.3. სსსკ-ის მე-11 მუხლის „კ“ ქვეპუნქტი, რომელიც საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კომპეტენტურ სამსახურთან არსებული სამედიცინო მედიაციის სამსახურის (შემდგომ – სამედიცინო მედიაციის სამსახური) მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების გამო საქმეებს საერთო სასამართლოებს

⁵ სსკ-ის 24-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილები.

უწყებრივად უქვემდებარებდა, ამოღებულია 2015 წლის 19 თებერვლის ცვლილებით (N 3096 ამოქმედდა გამოქვეყნებიდან მე-60 დღეს). შესაბამისად, ამ სამსახურის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების საქმეები სამოქალაქო წესით საერთო სასამართლოების განხილვას აღარ ექვემდებარება.

2.3.4. საერთო სასამართლოების განსახილველია უწყებრივად შემოქმედებითი ნაწარმოების გავრცელების აკრძალვასთან დაკავშირებული საქმეები, თუ ნაწარმოების გავრცელება ლახავს სხვათა უფლებებს, რაც სსსკ-ის მე-11 მუხლს ახალი, „ლ“ ქვეპუნტის რედაქციით დაემატა 2018 წლის 22 დეკემბერს განხორცილებული ცვლილებით (N4026).

2.3.5. როგორც უკვე აღინიშნა, უწყებრივი ქვემდებარეობის შესახებ სსსკ-ის მე-11 მუხლი არ არის ამომწურავი ჩამონათვალის დამდგენი, რაც დადასტურებულია ამავე ნორმის მე-2 ნაწილით: „კანონით, სასამართლოებს შეიძლება დაექვემდებაროს სხვა კატეგორიის საქმეთა განხილვაც“, ხოლო მე-3 ნაწილის საფუძველზე, ზემოთ ჩამოთვლილ საქმეებს სასამართლოები განიხილავენ, თუ მათი განხილვა, კანონის თანახმად, სხვა ორგანოს კომპეტენციაში არ შედის.

2.3.6. აღსანიშნავია, რომ საერთო სასამართლოების განსახილველია უწყებრივად საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან გამომდინარე საქმეებიც, ასევე, ის საქმეები, რომლებშიც მონაწილეობენ უცხო ქვეყნის მოქალაქეები, მოქალაქეობის არმქონე პირები, სანარმოები და ორგანიზაციები. ეს არის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლით დადგენილი ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპი, რომელიც განსაზღვრავს, რომ „მართლმსაჯულებას სამოქალაქო საქმეებზე ახორციელებს მხოლოდ სასამართლო კანონისა და სასამართლოს წინაშე ყველა პირის თანასწორობის სანყისებზე“.

2.3.7. სსსკ-ის მე-11 მუხლის მე-5 ნაწილი ადგენს, რომ სარჩელის სასამართლო წარმოებაში მიღების შემდეგ, მხარეთა შორის წამოჭრილი დავა არ შეიძლება, განიხილოს რომელიმე სხვა სასამართლომ ან ორგანომ [28.12.2011 N 5667 ამოქმედდა 2012 წლის 1 იანვრიდან]. ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ განმარტა: „თუ მხარეთა შორის წამოჭრილი დავისა და დაწყებული სამართალწარმოების შესახებ ცნობილია ნოტარიუსისათვის, მას არა აქვს უფლება, დავის დასრულებამდე გასცეს სამკვიდრო მონაწილეობა [სსსკ-ის

11-ე მუხლის მეხუთე ნაწილი, „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის მეშვიდე და 46.2-ე მუხლები.⁶

2.4. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის (შემდეგში: სასკ) II თავი (მუხლები 5 და 6) აწესრიგებს განსჯადობას და ამ კოდექსში უწყებრივი ქვემდებარეობა გვხვდება მე-2 მუხლში, რომელიც ადგენს, თუ რა სახის ადმინისტრაციულ საქმეებს განიხილავს სასამართლო. სასკ-ის მე-2 მუხლი სახელდება, როგორც სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეები. დასახელებული ზოგადი ნორმა სანიმუშო (არა ამომწურავი) ჩამონათვალის სახით აწესრიგებს, თუ რა შეიძლება იყოს უწყებრივად სასამართლოს ქვემდებარე (სასკ-ის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ა-დ“ ქვეპუნქტები); ამავე კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილი კონკრეტულ სამართალწარმოებას განსაზღვრავს და ადმინისტრაციული წესით განსჯადად, ანუ ადმინისტრაციული სამართალწარმოების გზით განსახილველად მიიჩნევს მაგალითად, ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსების საქმეს და „ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული პირის არანებაყოფლობითი იზოლაციის საქმეს; მე-3 ნაწილით კი დადგენილია, რომ გარდა მე-2 მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით გათვალისწინებული საქმეებისა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც, ასევე, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარეობს.

2.4.1. ცნება „უწყებრივად დაქვემდებარებული“ სასკ-ის მე-5 მუხლის /რაიონული (საქალაქო) სასამართლოს განსჯადი საქმეები/ პირველ ნაწილში გვხვდება, რომელიც განსჯადობის მეორე თავშია მოთავსებული, კერძოდ: „რაიონული (საქალაქო) სასამართლო პირველი ინსტანციით განიხილავს სასამართლოსადმი უწყებრივად დაქვემდებარებულ ადმინისტრაციულ საქმეებს, გარდა ამ კოდექსის მე-6 მუხლით გათვალისწინებული საქმეებისა“. მხოლოდ სასკ-ის მე-2 მუხლის საფუძველზე უწყებრივი ქვემდებარეობის საკითხის გადაწყვეტის შემდეგ ხდება ამავე კოდექსის მე-5 ნაწილით დადგენილი საგნობრივი განსჯადობის საკითხი აქტუალური.⁷ ერთ-ერთ საქმეზე, რომელიც საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინებით ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა სააპე-

⁶ იხ. სუსგ #ას-1285-1206-2015, 23.05.2016წ.

⁷ იხ. მაია ვაჩაძე, ინგა თოდრია, პაატა ტურავა, ნათია წიკვლაძე - საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის კომენტარი, გვ. 31, გამომცემლობა „დიოგენე“, 2006წ.

ლაციო სასამართლოს, საკასაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ, კასატორის პრეტენზიის პასუხად, განმარტა: „რაც შეეხება სა-აღსრულებო წარმოების პროცესში დაშვებულ შესაძლო ხარვეზებზე კასატორის მითითებას, პალატა, ბუნებრივია, უწყებრივი ქვემდებარეობის წესებიდან გამომდინარე (სსსკ-ის მე-11 მუხლი), ვერ შეაფასებს მათ, რადგანაც სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს მხრიდან პირისათვის ზიანის შესაძლო მიყენების საკითხი ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით განსაზღვრულ ადმინისტრაციულ სამართალწარმოებას დაქვემდებარებულ საქმეს წარმოადგენს და სამოქალაქო საქმის მასალებით დგინდება, რომ ადმინისტრაციული სასამართლოს წარმოებაში იმყოფება კიდეც ამგვარი სარჩელი“ (იხ. სუსგ # ას- 921-861-2017, 28.11.2017წ.). ეს იმას ნიშნავს, რომ **უწყებრივად დავა სასამართლოს განსახილველი იყო, მაგრამ დავის საგნიდან გამომდინარე, ანუ განსჯადობით, საკითხი არა სამოქალაქო, არამედ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით უნდა განხილულიყო.**

2.4.2 „განსჯადობის საკითხზე დავის გადასაწყვეტად პრაქტიკაში ხშირად მიმართავენ სუბორდინაციის თეორიას, რომლის თანახმადაც დავა სამოქალაქო-სამართლებრივია, თუ მხარეებს ერთმანეთის მიმართ თანაბარი უფლებები გააჩნიათ, განსხვავებით საჯარო სამართლისგან, რომლის ერთი მხარე ექვემდებარება მეორეს. თუმცა მხოლოდ ეს თეორია საკმარისი არ არის ზემოხსენებული საკითხის ცალსახად გადასაწყვეტად, რადგან იგი ეწინააღმდეგება საჯარო სამართლებრივი ხელშეკრულების ცნებას, რომელიც სწორედ რომ თანასწორუფლებიან პირებს შორის იდება და მათ შორის არანაირი დაქვემდებარება არ არსებობს. დავა საჯარო სამართლებრივია თუ კერძო სამართლებრივი, ამის გასარკვევად ხშირად იმ სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსის საფუძვლის დადგენა გვეხმარება, საიდანაც მოთხოვნა წარმოიშვა.“⁸ ერთ-ერთ საქმეზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო პალატამ იმსჯელა, რომ ერთ-ერთი მოდავე სუბიექტი თვითმმართველი ერთეული იყო, ხოლო სადავო გარიგების საგანი - მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება; მხარეთა შორის სადავოდ გამხდარი გარიგების დადების სამართლებრივი საფუძველი კი „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარეობდა. დასახელებულ გარემოებათა ერთობლიობით, საკასაციო სასამა-

⁸ იხ. სოფიო მაჭავარიანი - უწყებრივი ქვემდებარეობისა და განსჯადობის პრობლემა საქართველოს საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით, ჟურნალი „მართლმსაჯულება“, # 2, 2007წ; გვ. 200.

რთლოს შეფასებით, მოცემულ სამართალურთიერთობას საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობისათვის დამახასიათებელი ყველა ელემენტი ჰქონდა, რის გამოც არსებობდა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული პირობები დავის ადმინისტრაციულ კატეგორიად მისაჩნევად. შესაბამისად, სასამართლომ განმარტა, რომ: „ამ კატეგორიის საქმის სამოქალაქო სამართალწარმოების პროცედურით განხილვა გამოიწვევს საპროცესო ნორმების ისეთ დარღვევას, რომელიც აუცილებლად განაპირობებს საქმეზე უკანონო გადაწყვეტილების დადგენას, ვინაიდან ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის პრინციპები მკვეთრად განსხვავდება სამოქალაქო სამართალწარმოების პრინციპებისგან, რომელთა გამოყენება მხოლოდ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ და მკაფიოდ განსაზღვრულ საქმეებზეა დასაშვები. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამასთან, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.“ საკასაციო სასამართლოს განჩინებით საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას, მოცემული საქმის, განსჯადობის წესების დაცვით, იმავე სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატისათვის გადაცემის საკითხის გადასაწყვეტად.⁹

2.4.3. სასკ-ის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, „სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავას წყვეტს საკასაციო სასამართლო დასაბუთებული განჩინებით“ (24.06.2005. N1800), რაც იმას ნიშნავს, რომ დასახელებული ნორმა უშვებს სასამართლოთა შორის დავას განსჯადობის შესახებ მაშინ, როდესაც სსსკ-ის 24-ე მუხლით განსჯადობის შესახებ დავა არ დაიშვება.¹⁰ „საქართველოში განსჯადობაზე დავა მხოლოდ ადმინისტრაციული პალატის პრეროგატივაა... რაც ცხადყოფს, რომ ადმინისტრაციული საკასაციო სასამართლო ქმნის ამ მხრივ პრაქტიკას

⁹ იხ. სუსგ # ას-559-530-2015, 30.10.2015 წ. შდრ. სუსგ-ას # ას-292-279-2015, 30.10.2015წ.

¹⁰ იხ. მაია ვაჩაძე, ინგა თოდრია, პაატა ტურავა, ნათია წიკეპლაძე - საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის კომენტარი, გვ. 148, გამომცემლობა „დიოგენე“, 2006წ.

და მის მიერ მიღებული განჩინება სამოქალაქო სასამართლოსათვის სავალდებულოა მაშინ, როცა სამოქალაქო საქმის განმხილველი მოსამართლე ამ მხრივ შეზღუდულია და სსსკ-ის 24-ე მუხლის პრინციპიდან გამომდინარე დავა არ დაიშვება. ხსენებული მუხლი განსჯადობის შესახებ დავას სასამართლოთა შორის დაუშვებლად მიიჩნევს და საქმის მიმღებ სასამართლოს ავალდებულებს, განიხილოს იგი.“¹¹ (სსსკ-ის 24-ე მუხლის კომენტარი იხ. ქვემოთ). ადმინისტრაციულ პროცესში სასამართლოთა შორის განსჯადობაზე დავის შემთხვევაში, საკითხს საკასაციო სასამართლო წყვეტს, რომელიც საბოლოოა და არ საჩივრდება. ხოლო რაც შეეხება ადმინისტრაციულ საქმეებზე სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე წამოჭრილ დავებს, ისინი, ძირითადად, საგნობრივ და დარგობრივ განსჯადობას უკავშირდება. „უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ ადმინისტრაციულ საქმეთა განმხილველ სასამართლოს მეტი შესაძლებლობა აქვს განსჯადი სასამართლოსთვის საქმის გადასაცემად.“¹² ერთ-ერთ საქმეზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ განმარტა, რომ: „ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, განსხვავებით სამოქალაქო სამართალწარმოებისგან, ამკვიდრებს არა მხოლოდ განსჯადი სასამართლოს პრინციპს, არამედ ადმინისტრაციული კანონმდებლობის მნიშვნელოვან პრინციპს - უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღების თაობაზე, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს ადმინისტრაციული ორგანოსათვის კანონმდებლობით მინიჭებულ უფლებამოსილებას... ადმინისტრაციული სასამართლო, განსხვავებით სამოქალაქო სასამართლოსგან, საქმის განსჯადობას ამონიშნავს მოპასუხის მოთხოვნის გარეშეც, თავისი ინიციატივით.“¹³

2.4.4. ასევე, საინტერესოა საკასაციო სასამართლოს განმარტება ერთ-ერთ საქმეზე, რომელშიც სასამართლომ იმსჯელა, რომ მართალია, სასარჩელო მოთხოვნები ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების ფარგლებში განხორციელებული ქმედებების შედეგად წარმოიშვა, მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ დავის საგანი და მასზე რეაგირების ფარგლებში შესრულებული ოპერაციები: ევა-

¹¹ იხ. სოფიო მაჭავარიანი - უწყებრივი ქვემდებარეობისა და განსჯადობის პრობლემა საქართველოს საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით, ჟურნალი „მართლმსაჯულება“, # 2, 2007წ; გვ. 203.

¹² იხ. მაია ვაჩაძე, ინგა თოდრია, პაატა ტურავა, ნათია წკეპლაძე - საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის კომენტარი, გვ. 148, გამომცემლობა „დიოგენე“, 2006წ.

¹³ იხ. სუსგ # ბს-478-451-(გ-09), 28.04.2009წ.

კუატორის გამოცხება, სატრანსპორტო საშუალების სადგომზე გადაყვანა, სადგომზე გაჩერება არ არის სამართალდარღვევა. სასარჩელო მოთხოვნა ეხება თანხის დაკისრებას და სადგომის გამოთავისუფლების დავალებას, მოსარჩელის ინტერესი კი - მომსახურების, სადგომზე დგომის ღირებულების ანაზღაურება და უძრავი ნივთით სათანადოდ სარგებლობაში ხელშეშლის აღკვეთაა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 316-ე, 317-ე მუხლების მიხედვით, ვალდებულება შესაძლოა წარმოიშვას ხელშეკრულებიდან, დელიქტიდან, ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლიდან. საკასაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ „მოცემულ შემთხვევაში სსიპ „N-სა“ და ფიზიკურ პირს შორის დავა არ ეხება შსს-ს და სსიპ-ს შორის დადებული ადმინისტრაციული ხელშეკრულების შესრულებას და სსიპ-თვის დელეგირებული საჯარო უფლებამოსილების განხორციელებას. მოცემულ შემთხვევაში სადავო ურთიერთობა ეხება უკვე განეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურებას. აღნიშნულ მოთხოვნებზე მსჯელობისას, საკითხის არსებითად განმხილველ სასამართლოს, ძირითადად, სწორედ სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი რეგულაციების გამოყენება, დგომის საჭიროების გასვლის შემდეგ წარმოშობილი კერძო-სამართლებრივი სახელშეკრულებო ურთიერთობის შეფასება და მისგან გამომდინარე ვალდებულებებზე მსჯელობა მოუწევს. ამდენად, დავის ძირითადი კომპონენტი კერძო-სამართლებრივია“. ზემოხსენებული სამართლებრივი დასაბუთებით საკასაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ დავა განსჯადობით თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის ქვემდებარე იყო.¹⁴

2.5. ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ როგორც სამოქალაქო, ისე ადმინისტრაციული სამართალწარმოების დროს, პირველ ეტაპზე განსახილველი საქმის/საკითხის უწყებრივი ქვემდებარეობა მონშდება. სასამართლოს უწყებრივად დაქვემდებარებული საქმეების არაამომწურავი ჩამონათვალი კანონმდებელმა თითოეული პირის კონსტიტუციური უფლების განხორციელების უზრუნველსაყოფად გაითვალისწინა, რაც საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლიდან „საპროცესო უფლებები“ გამომდინარეობს (იხ. 1.1 ქვეპუნქტი). ეს კონსტიტუციური პრინციპი ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის [სამართლიანი სასამართლო] განუყოფელი შემადგენელი ნაწილია და ეროვნულ დონეზე ასახულია სსსკ-ის მე-2 მუხლში - უფლების სასამართლო წესით დაცვა [1. ყოველი პირისათვის უზრუნველყოფილია უფლების სასამართლო წესით დაცვა. საქმის განხილვას სასამართლო]

¹⁴ იხ. სუსგ # ბს-431-(გ-19), 16.05.2019წ.

რთლო შეუდგება იმ პირის განცხადებით, რომელიც მიმართავს მას თავისი უფლების ან კანონით გათვალისწინებული ინტერესების დასაცავად. 2. განცხადების მიღებასა და საქმის განხილვაზე უარის თქმა სასამართლოს შეუძლია მხოლოდ ამ კოდექსით დადგენილი საფუძვლებითა და წესით].

2.6. „ქვემდებარეობა სამართლის დარგთაშორისი ინსტიტუტია, რომელიც სხვადასხვა იურისდიქციულ ორგანოთა შორის საქმეების განაწილების მექანიზმის ფუნქციებს ასრულებს. კონსტიტუცია ავალდებულებს კანონმდებელს, შექმნას სამართლებრივი მექანიზმი, რომელიც გამორიცხავს კოლიზიებს სხვადასხვა ორგანოების იურისდიქციას შორის; გამოირიცხავს სხვადასხვა ორგანოების კომპეტენციის გადაკვეთის შემთხვევებს; ისეთ ვითარებას, როდესაც კონკრეტული საქმე არ განეკუთვნება არც ერთ სასამართლო ორგანოს.“¹⁵

2.7. უწყებრივი ქვემდებარეობა სწორედ ის პირველი საკითხია, რომლის საფუძველზეც უნდა გადაწყდეს „განეკუთვნება თუ არა საქმე საერთო სასამართლოებს, შედის თუ არა ამ საქმის განხილვა საერთო სასამართლოების კომპეტენციაში (იურისდიქციაში). მას შემდეგ, რაც ეს საკითხი დადებითად გადაწყდება, წამოიჭრება მეორე საკითხი: რომელმა სასამართლომ უნდა განიხილოს უწყებრივად საერთო სასამართლოებისადმი დაქვემდებარებული კონკრეტული საქმე.“¹⁶ სწორედ ამ საკითხს განსაზღვრავს საპროცესო კოდექსის განსჯადობის ინსტიტუტი.

2.8. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 29-ე მუხლის პირველი ნაწილი ადგენს: „რაიონული (საქალაქო) სასამართლო არის პირველი ინსტანციის სასამართლო, რომელიც მისი განსჯადობისთვის მიკუთვნებულ საქმეს საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით განიხილავს ერთპიროვნულად, ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში – კოლეგიურად, 3 მოსამართლის შემადგენლობით“; 31-ე მუხლის საფუძველზე კი: „რაიონული (საქალაქო) სასამართლოს განსჯადობა, ასევე, მაგისტრატი მოსამართლის განსჯადობა განისაზღვრება კანონით“. შესაბამისად, სსსკ-ის მე-13 მუხლის საფუძველზე რაიონული (საქალაქო) სასამართლო პირველი ინსტანციით განიხილავს სასამართლოსადმი უწყებრივად დაქვემდებარებულ სამოქალაქო საქმეებს, რაც, თავის მხრივ, ამავე კოდექსის მე-11 მუხლის წინა-

¹⁵ იხ. მაია კოპალეიშვილი, ნუგზარ სხირტლაძე, ეკატერინე ქარდავა, პაატა ტურავა (რედ.) - ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, გვ. 36. გამომცემლობა „სიესტა“, 2008წ.

¹⁶ იხ. თენგიზ ლილუაშვილი, ვალერი ხრუსტალი - საქართველოს სამოქალაქო პროცესის კომენტარი, გვ. 29; გამომცემლობა „სანი“, 2004წ.

პირობების შემონმების აუცილებლობაზე მიუთითებს (იხ. 2.2-2.3.5 ქვე-პუნქტები).

2.9. შეთანხმება საქმის განსახილველად არბიტრაჟისათვის გადაცემაზე

2.9.1. სსსკ-ის მე-12 მუხლი განსაზღვრავს, რომ „პირთა თანასწორობაზე დამყარებული კერძო ხასიათის ქონებრივი დავა, რომლის მონესრიგებაც მხარეებს შეუძლიათ ერთმანეთს შორის, მხარეთა შეთანხმებით, შეიძლება, განსახილველად გადაეცეს არბიტრაჟს“. ეს ჩანაწერი 2009 წლის 19 ივნისს განხორციელებული ცვლილების (№1281) შედეგად ჩამოყალიბდა, რაც 2010 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა. უფრო ადრინდელი რედაქციის მიხედვით მე-12 მუხლი /დავის გადაცემა განსახილველად არბიტრაჟისათვის/ შემდეგნაირად იყო ჩამოყალიბებული: „ქონებრივი დავა, მხარეთა შეთანხმებით, შეიძლება გადაეცეს განსახილველად არბიტრაჟს“, რაც უკავშირდებოდა „კერძო არბიტრაჟის შესახებ“ 1997 წლის 17 აპრილს საქართველოს კანონის მიღებას, თუმცა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარებში მითითებულია, რომ კოდექსის მე-12 მუხლსა და დასახელებული კანონის პირველ მუხლს შორის შეუსაბამობა იყო. აღნიშნულ კოლიზიას განაპირობებდა ცნებათა სხვაობა, კერძოდ, კოდექსი „ქონებრივ დავას“, ხოლო კანონი „სამოქალაქო დავას“ უქვემდებარებდა კერძო არბიტრაჟის განხილვას იმ შემთხვევაში, თუ ამაზე მხარეები წერილობით შეთანხმდებოდნენ. თუმცა, სასამართლო პრაქტიკაში საკანონმდებლო კოლიზია საპროცესო კოდექსის სასარგებლოდ უნდა გადაწყვეტილიყო, „ვინაიდან იგი არის სპეციალური კანონი, რომელიც განსაზღვრავს სამოქალაქო დავების განსჯადობასა და განხილვის წესებს. აქედან გამომდინარე მხარეთა შეთანხმებას არაქონებრივი ხასიათის დავების არბიტრაჟში განხილვის შესახებ, არ აქვს სასამართლოსათვის სავალდებულო ძალა და ასეთი დავა შეიძლება განიხილოს სასამართლომ მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა მხარეთა საარბიტრაჟო შეთანხმება.“¹⁷

2.9.2. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-12 მუხლის ამჟამინდელი მონესრიგება (იხ. 2.6 პუნქტი) შეესატყვისება „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის (19.06.2009წ. N 1280 – I ს) მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტში ასახულ არბიტრაჟის უფლებამოსილებას, კერძოდ: არბიტრაჟი

¹⁷ იხ. თენგიზ ლილუაშვილი, ვალერი ხრუსტალი - საქართველოს სამოქალაქო პროცესის კომენტარი, გვ. 27-28; გამომცემლობა „სანი“, 2004წ.

უფლებამოსილია განიხილოს პირთა თანასწორობაზე დამყარებული კერძო ხასიათის ის ქონებრივი დავა, რომლის მოწესრიგებაც ერთმანეთს შორის შეუძლიათ მხარეებს (04.05.2018 N2276 ამოქმედდა 2018 წლის 1 ივლისიდან). მოხმობილი ნორმა პირთა თანასწორობაზე დამყარებული კერძო ხასიათის ქონებრივი დავის მოსაწესრიგებლად განსაზღვრავს, რომ მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ და დავა განსახილველად გადასცენ უწყებრივად არა საერთო სასამართლოებს, არამედ - არბიტრაჟს. ასეთ ვითარებაში მხარეებმა უნდა დაიცვან „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი პროცედურული წესები.

2.9.3. აღსანიშნავია, რომ სასკ-ის 25¹-ე მუხლის, რომელიც სახელშეკრულებო დავების გადაწყვეტის წესს განსაზღვრავს, მე-3 ნაწილის საფუძველზე „ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებული კერძოსამართლებრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე, დავა მხარეთა შეთანხმებით შეიძლება განსახილველად გადაეცეს არბიტრაჟს“. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კერძოსამართლებრივი ხელშეკრულების დადება უშუალოდ საჯაროსამართლებრივი უფლებამოსილებების შესრულებას არ ემსახურება. ასეთ ვითარებაში ადმინისტრაციული ორგანო სამოქალაქო სამართლის სუბიექტია და ხელშეკრულება კერძოსამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე იდება სამოქალაქო კოდექსის საფუძველზე. მისგან გამომდინარე მოთხოვნები და დავები, შესაბამისად, სამოქალაქო კანონმდებლობით გადაწყდება. „ბუნებრივია, ადმინისტრაციული ორგანო არ შეიძლება იყოს შეზღუდული, გამოიყენოს კერძო სამართლის ისეთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტი, როგორცაა კერძო არბიტრაჟი. კერძო არბიტრაჟისთვის მიმართვის აუცილებელი წინაპირობაა მხარეთა შორის შეთანხმება, დავა განიხილოს კერძო არბიტრაჟმა. შესაძლებელია ეს შეთანხმება წინასწარ ჩაიდოს ხელშეკრულებაში, ან კიდევ დავის წარმოშობის შემდეგ იქნას მიღებული ასეთი შეთანხმება.“¹⁸

2.9.4. საკასაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ ერთ-ერთ საქმეზე განმარტა, რომ: „სასამართლო ხელისუფლების ორგანოებს შორის კომპეტენციის განაწილების სისტემა ეფუძნება საერთო იურისდიქციის სასამართლოებისათვის იურიდიული საქმეების უნივერსალური დაქვემდებარების პრინციპებს. შესაბამისად, სასამართლოთა შორის კომპეტენციის გამიჯვნის საკითხს არსებითი მნიშვნელობა ენიჭება როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით. საარბიტრა-

¹⁸ იხ. მაია ვაჩაძე, ინგა თოდრია, პაატა ტურავა, ნათია წკეპლაძე - საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის კომენტარი, გვ. 146; გამომცემლობა „დიოგენე“, 2006წ.

ყო სასამართლოები წარმოადგენენ სპეციალური კომპეტენციის სასამართლოებს სამოქალაქო იურისდიქციის ფარგლებში, რომელსაც ისევე, როგორც საერთო სასამართლოებს, გააჩნიათ საკუთარი უწყებრივი ქვემდებარეობა. ძირითადი კრიტერიუმები, რომელიც განსაზღვრავს საქმის საარბიტრაჟო სასამართლოსადმი ქვემდებარეობას, არის შემდეგი: 1. სადავო სამართალურთიერთობის ხასიათი (რომელიც უნდა გამომდინარეობდეს სამოქალაქო, ადმინისტრაციული ან იმ სახის ურთიერთობიდან, რომელიც უკავშირდება სამენარმეო საქმიანობას); 2. სადავო სამართალურთიერთობიდან გამომდინარე დავა უნდა ატარებდეს ეკონომიკურ ხასიათს; 3. მხარეებისა და მესამე პირების სუბიექტური შემადგენლობა. გარდა ზემოაღნიშნული სამი ძირითადი კრიტერიუმისა, საქმის საარბიტრაჟო სასამართლოსადმი დაქვემდებარებისათვის, სავალდებულოა, დამატებითი კრიტერიუმის, კერძოდ, მხარეთა შორის საარბიტრაჟო შეთანხმების (დათქმის) არსებობა. მხარეთა შორის დადებული საარბიტრაჟო შეთანხმება, როგორც დამოუკიდებელი პირობა, ატარებს არა მატერიალურ-უფლებრივ, არამედ პროცესუალურ ხასიათს, რომლის არარსებობაც საარბიტრაჟო სასამართლოს ართმევს უფლებას, მიიღოს სარჩელი თავის წარმოებაში...“¹⁹

2.10. უწყებრივი ქვემდებარეობისა და განსჯადობის ინსტიტუტებით მოსაწესრიგებელ სფეროთა თვალსაჩინოდ გამიჯვნის მიზნით, ასევე საგულისმოა სსსკ-ის 272-ე მუხლის, რომელიც საქმისწარმოების შეწყვეტის არაამომწურავ (სანიმუშო) ჩამონათვალს განსაზღვრავს, „ა“ ქვეპუნქტის მოხმობა. იგი ადგენს, რომ „საქმე არ უნდა იქნეს განხილული სასამართლოში იმის გამო, რომ კანონის თანახმად მისი განხილვა სხვა უწყების კომპეტენციაში შედის“. მითითებული საპროცესო მოწესრიგების სამართლებრივი შედეგი ამავე კოდექსის მე-11 მუხლით განსაზღვრულ უწყებრივ ქვემდებარეობას უკავშირდება და არა მე-13 მუხლით დადგენილ განსჯადობას, ანუ ისეთ შემთხვევას, როდესაც საქმის განხილვის უფლებამოსილება გააჩნია არა საერთო სასამართლოებს, არამედ, სხვა უწყებას (ორგანოს). მაგალითად, თუ პირმა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიმართა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის რომელიმე ნორმის (მუხლის) კონსტიტუციურობის შემოწმების მოთხოვნით, ასეთი სარჩელი უწყებრივად არა საერთო სასამართლოების, არამედ საკონსტიტუციო სასამართლოს ქვემდებარეა (იხ. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი). შესაბამისად,

¹⁹ იხ. სუსგ # ბს-256-242(კ-07), 25.07.2007წ.

ასეთი სარჩელი არ უნდა მიიღონ საერთო სასამართლოებმა (სსსკ-ის 186-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტი), რადგან უწყებრივად მათ მიერ (საერთო სასამართლოების) მისაღები და განსახილველი არ არის. ხოლო თუ მსგავსი სარჩელის წარმოებაში მიღების შემდეგ, მის მიღებაზე უარის თქმის საფუძველი გამოვლინდება, მაშინ იმის მიხედვით, თუ როგორია ეს საფუძველი, სასამართლო შეწყვეტს საქმისწარმოებას ან სარჩელს განუხილველად დატოვებს (სსსკ-ის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილი). ზემოხსენებულ ჰიპოთეტურ შემთხვევაში, თუ დავუშვებთ, რომ სარჩელის წარმოებაში მიღების შემდეგ მის მიღებაზე უარის თქმის საფუძველი იმ დასაბუთებით გამოვლინდა, რომ სარჩელი უწყებრივად არ ექვემდებარება საერთო სასამართლოს, სასამართლო საქმისწარმოებას შეწყვეტს სსსკ-ის 272-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე. **„სასამართლოს უწყებრივი ქვემდებარეობა (კომპეტენცია, იურისდიქცია) კანონით განსაზღვრულ იმ უფლებამოსილებათა ერთობლიობაა, რომელთა ფარგლებში სასამართლოს შეუძლია მიიღოს და განიხილოს საქმეები.“**²⁰

2.10.1. კიდევ უფრო ნათლად რომ განვიმარტოს, თუ საქმე უწყებრივად ექვემდებარება სასამართლოს, ანუ მისი განხილვა სასამართლოს კომპეტენციას, მაგრამ არა კონკრეტული სასამართლოს განსჯადი, ასეთ შემთხვევაში საქმისწარმოება კი არ უნდა შეწყდეს, არამედ განსჯად სასამართლოს უნდა გადაეგზავნოს საქმე (იხ. ქვემოთ 23-ე მუხლის კომენტარი); ან სათანადო წინაპირობების არსებობისას, შესაძლებელია, რომ არაგანსჯადი სასამართლო განსჯადი გახდეს (იხ. ქვემოთ 21-ე მუხლის მე-2 ნაწილის კომენტარი.)²¹

2.10.2. ერთ-ერთ საქმეზე, რომელიც ჩუქების ხელშეკრულების გაუქმებას ეხებოდა, წარმოება შეწყდა და საქართველოს უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ „მოცემულ შემთხვევაში, საქმისწარმოება შეწყდა არა უწყებრივი ქვემდებარეობის გამო, არამედ იმის გამო, რომ დაუშვებელია საპროცესო უფლებამონაცვლეობა (სსსკ-ის 272-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტი)“. საკასაციო სასამართლოს შეფასებით, განსახილველ შემთხვევაში ჩუქების ხელშეკრულების გაუქმების მოთხოვნის უფლება, მჩუქებლის მძიმე მდგომარეობაში აღმოჩენის გამო, პირადი ხასიათის იყო და იგი მხოლოდ მჩუქებელს შეეძლება ეკუ-

²⁰ იხ. თენგიზ ლილუაშვილი, ვალერი ხრუსტალი - საქართველოს სამოქალაქო პროცესის კომენტარი, გვ. 25; გამომცემლობა „სანი“, 2004წ.

²¹ იხ. თენგიზ ლილუაშვილი, ვალერი ხრუსტალი - საქართველოს სამოქალაქო პროცესის კომენტარი, გვ. 454; გამომცემლობა „სანი“, 2004წ.

თვნივდეს. მითითებული საფუძვლით ჩუქების ხელშეკრულების გაუქმების მიზანი მჩუქებლის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებაა, რათა მან საკუთარი თავის ან მის კმაყოფაზე მყოფი პირების რჩენა შეძლოს. მჩუქებლის გარდაცვალების შემთხვევაში კი, ცხადია, ეს მიზანი ვეღარ მიიღწევა. აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ ზემოხსენებული ქონებრივი უფლება მჩუქებლის სამკვიდროში არ შედის და, შესაბამისად, არც მის მემკვიდრეებზე გადადის (*მოცემულ შემთხვევაში გასათვალისწინებელია ისიც, რომ დასაჩუქრებული მჩუქებლის ერთადერთი პირველი რიგის მემკვიდრეა, ხოლო მჩუქებლის კმაყოფაზე ამა თუ იმ პირის ყოფნის ფაქტი, რომლის რჩენის ვალდებულებაც მჩუქებელს ექნებოდა, საქმის მასალებით არ დასტურდება და მასზე არც მჩუქებელს მიუთითებია*). აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ რადგან მოცემულ შემთხვევაში უფლებამონაცვლეობა მატერიალურ სამართალში არ დაიშვებოდა, დაუშვებელი იყო, ასევე, საპროცესო უფლებამონაცვლეობაც (*იხ. სსსკ-ის 92-ე მუხლი*), რაც განსახილველ სარჩელზე საქმისწარმოების შეწყვეტის საფუძველი გახდა (*სსსკ-ის 272-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტი*).

III. ზემდგომი სასამართლოების ინიციატივით სასამართლოს უწყებრივი ქვემდებარეობისა და კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით საერთაშორისო კომპეტენციის საკითხის შემონმება

3.1. სასამართლოს უწყებრივი ქვემდებარეობის შემონმება, თავისი ინიციატივით, სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებს შეუძლიათ.²² სსსკ-ის 377-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით *„სააპელაციო სასამართლომ უნდა შეამონმოს, ექვემდებარება თუ არა საქმე სასამართლოს უწყებრივად და აქვს თუ არა მას მოცემულ კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით საერთაშორისო კომპეტენცია“*, ხოლო 404-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე *„საკასაციო სასამართლომ უნდა შეამონმოს, ექვემდებარება თუ არა საქმე სასამართლოს უწყებრივად და აქვს თუ არა მას მოცემულ კონკრეტულ საქმეზე საერთაშორისო კომპეტენცია“*. ზემდგომი ინსტანციის სასამართლოები, მხარეთა პრეტენზიის/მითითების არ არსებობის პირობებშიც კი, ვალდებულნი არიან, შეამონმონ განსახილველი საქმის სასამართლოსადმი უწყებრივი ქვემდებარეობა და საერთაშორისო კომპეტენცია კონკრეტულ საქმესთან დაკავ-

²² იხ. თენგიზ ლილუაშვილი, ვალერი ხრუსტალი - საქართველოს სამოქალაქო პროცესის კომენტარი, გვ. 23; გამომცემლობა „სამართალი“, 2007 წ.

ვმირებით. სსსკ-ის 394-ე მუხლი, რომელიც გადანყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლების ამომწურავ ჩამონათვალს გვთავაზობს, „გ“ ქვეპუნტის სახით ადგენს, რომ გადანყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გამოტანილია საქმეზე, რომელიც სასამართლოს უწყებრივად არ ექვემდებარება, ანუ ეს საქმე სასამართლოს არ უნდა განეხილა (იხ. 2.10 ქვეპუნქტი). რაც შეეხება საერთაშორისო კომპეტენციის ფარგლებს, „არ არსებობს ეროვნული სამართლის მიერ წინასწარ დადგენილი რაიმე წესი საერთაშორისო კომპეტენციის შესახებ. თითოეული ქვეყნის სასამართლო თვითონვე წყვეტს საერთაშორისო კომპეტენციის საკითხს და მას იმ ჩარჩოებში განიხილავს, რომელსაც ის მიიჩნევს კომპეტენტურად აღნიშნული დავის განხილვაში. ეს თავისუფლება არც საერთაშორისო სამართლის ნორმებითაა შეზღუდული. სახელმწიფოების ეროვნულ სასამართლოთა საერთაშორისო კომპეტენციის საკითხები, როგორც წესი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსებით რეგულირდება (მაგალითად, გერმანიაში), ანდა სპეციალური კანონებით „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ (მაგალითად, საქართველოში).²³

3.2. „საქართველოს სასამართლოების საერთაშორისო კომპეტენციის (განსჯადობის) შემთხვევებს, აგრეთვე საქართველოს სასამართლოების **განსაკუთრებულ** საერთაშორისო კომპეტენციას განსაზღვრავს საქართველოს კანონი „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ.“²⁴ დასახელებული კანონი განსაზღვრავს, თუ რომელი სამართლებრივი წესრიგი გამოიყენება უცხო ქვეყნის სამართალთან დაკავშირებული საქმის ფაქტობრივი გარემოებების არსებობისას; აგრეთვე - საპროცესო სამართლის იმ ნორმებს, რომლებიც ასეთი საქმისწარმოებისას გამოიყენება. ამასთან, საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ წესებს უპირატესი იურიდიული ძალა აქვთ ამ კანონით განსაზღვრულ წესებთან შედარებით (იხ. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ /შემდგომში - სკს/ საქართველოს კანონის პირველი და მეორე მუხლები).

3.3.1. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონი სტრუქტურულად, შეიძლება ითქვას, რომ ორ ძირითად ნაწილადაა დაყოფილი, კერძოდ: კანონის მატერიალური და საპროცესო ნორმები. კანონის მატერიალური ნორმების ნაწილი მოიცავს: ზოგადი დებულებე-

²³ იხ. ზვიად გაბისონია - ქართული საერთაშორისო კერძო სამართალი, გვ.384-385; გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2006წ.

²⁴ იხ. თენგიზ ლილუაშვილი, ვალერი ხრუსტალი - საქართველოს სამოქალაქო პროცესის კომენტარი, გვ. 24; გამომცემლობა „სამართალი“, 2007 წ.

ბი (თავი I, 1-7 მუხლები); საქართველოს სასამართლოების საერთაშორისო კომპეტენცია (თავი II, 8-20-ე მუხლები); პირები (თავი III, 20-26-ე მუხლები); გარიგებანი (თავი IV, 27-31-ე მუხლები); სანივთო სამართალი (თავი V, 32-34-ე მუხლები); ვალდებულებითი სამართალი. სახელშეკრულებო და კანონისმიერი ურთიერთობები (თავი VI, 35-43-ე მუხლები); საოჯახო სამართალი (თავი VII, 44-54-ე მუხლები); სამემკვიდრეო სამართალი (თავი VIII, 55-56-ე მუხლები). ამავე კანონის თავი IX (57- 73¹-ე მუხლები) განსაზღვრავს საპროცესო ნორმებს, ხოლო თავი X (74-ე მუხლი) - დასკვნით დებულებებს.

3.3.2. ზემოხსენებული კანონის მე-2 თავი საქართველოს სასამართლოების საერთაშორისო კომპეტენციას ეთმობა. „საერთაშორისო სამოქალაქო პროცესში გვაქვს ერთი ინსტიტუტი, რომელსაც კომპეტენცია, უფრო ზუსტად, საქართველოს სასამართლოების საერთაშორისო კომპეტენცია ეწოდება. ეს ინსტიტუტი თავისი შინაარსითა და დანიშნულებით არ განსხვავდება იმისაგან, რასაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი განსჯადობას უწოდებს. მათ შორის განსხვავება მხოლოდ მასშტაბებშია: განსჯადობა მოწოდებულია, განსაზღვროს, თუ სამართლოებისადმი უწყებრივად ქვემდებარე საქმეებიდან საქართველოს კონკრეტულად რომელმა... სასამართლომ უნდა განახორციელოს ეს საქმე; საერთაშორისო კომპეტენცია, ასევე, მოწოდებულია, განსაზღვროს სასამართლოსადმი ქვემდებარე საერთაშორისო დავა რომელი ქვეყნის სასამართლომ (და არა ამა თუ იმ ქვეყნის სასამართლო სისტემიდან რომელმა კონკრეტულმა სასამართლომ) უნდა განიხილოს. ამის შესაბამისად, საქართველოს სასამართლოების საერთაშორისო კომპეტენცია მოწოდებულია, განსაზღვროს, საქართველოს სასამართლოების განსჯადია თუ არა საერთაშორისო ელემენტით დატვირთული საქმე, მაგრამ იგი არ ეხება საქართველოს რომელმა სასამართლომ უნდა განიხილოს ეს საქმე. მას შემდეგ, რაც დადებითად გადაწყდება საკითხი იმის შესახებ, რომ საქმე საქართველოს სასამართლოების განსჯადია, უნდა მოვიშველიოთ ჩვენი შინაგანი სამოქალაქო საპროცესო სამართლის ინსტიტუტი - განსჯადობა, რომელიც გვეტყვის, თუ რომელმა... სასამართლომ უნდა განიხილოს საქართველოს საერთაშორისო კომპეტენციაში შემავალი საქმე.“²⁵

3.3.3. სკს-ის კანონის 8-20-ე მუხლების წინაპირობების კვლევა მნიშვნელოვანია საქმეზე საქართველოს სასამართლოების საერთაშორისო

²⁵ იხ. თენგიზ ლილუაშვილი - საერთაშორისო კერძო სამართალი, გვ.125-126, თბილისი, 2001, გამომცემლობა „ჯისიი“.

კომპეტენციის შესამოწმებლად. დასახელებული კანონის მე-8 მუხლი სახელდებულია როგორც საერთაშორისო კომპეტენციის პრინციპი, რომელიც სამი წინაპირობიდან ერთ-ერთის არსებობის დადასტურების შემთხვევაში მიიჩნევს, რომ გამოვლენილია საქართველოს სასამართლოების საერთაშორისო კომპეტენცია. კერძოდ: „თუ მოპასუხეს საქართველოში აქვს საცხოვრებელი ადგილი, რეზიდენცია ან ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი“ (ასეთ ვითარებაში თითოეული წინაპირობის შემოწმება სასამართლოს ვალდებულებაა), მე-9 მუხლი კი განსაზღვრავს **საერთაშორისო კომპეტენციის შემთხვევების კონკრეტულ ამომწურავ ჩამონათვალს**: საქართველოს სასამართლოებს საერთაშორისო კომპეტენცია აქვთ იმ შემთხვევაში, თუ: ა) მოპასუხე რამდენიმე პირია და ერთ-ერთ მათგანს საცხოვრებელი ადგილი, რეზიდენცია ან ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი საქართველოში აქვს; ბ) ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების ადგილი საქართველოა; გ) სარჩელი ეხება მართლსაწინააღმდეგო ან მასთან გათანაბრებული ქმედებით მიყენებულ ზიანს და ასეთი ქმედების ჩადენა ან ზიანის მიყენება საქართველოში მოხდა; დ) დავა ეხება იმ საწარმოს ფილიალს, რომლის რეზიდენციაც საქართველოშია; ე) მამობის დადგენის ან ალიმენტის გადახდის საქმეებზე ბავშვის ან ალიმენტის მიმღების საცხოვრებელი ადგილი ან ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი საქართველოშია; ვ) სარჩელის საგანია სამემკვიდრეო უფლების დადგენა, სამკვიდრო ქონების გაყოფა და გარდაცვალებისას მამკვიდრებელს საცხოვრებელი ადგილი, ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი ან სამკვიდრო ქონება საქართველოში ჰქონდა. ამავე კანონის მე-10 მუხლი აწესრიგებს **განსაკუთრებულ საერთაშორისო კომპეტენციას და ასეთად მხოლოდ იმ სარჩელებს მიიჩნევს, რომლებიც ეხება:** ა) უძრავ ქონებას, თუ ეს ქონება საქართველოშია; ბ) იურიდიული პირის ან მისი ორგანოს გადაწყვეტილებათა ნამდვილობას ან შეწყვეტას, როცა ამ იურიდიული პირის ან მისი ორგანოს რეზიდენცია საქართველოშია; გ) საქართველოს სასამართლოების ან სხვა ორგანოების მიერ იურიდიული პირების რეგისტრაციას; დ) პატენტის, სავაჭრო ნიშნის ან სხვა უფლების რეგისტრაციას, როცა ამ უფლებათა რეგისტრაცია ან რეგისტრაციის მოთხოვნა საქართველოში განხორციელდა; ე) იძულებითი აღსრულების ღონისძიებებს, როცა მათი მოთხოვნა ან განხორციელება საქართველოში მოხდა.

3.3.4. აღსანიშნავია, რომ საქართველოს საერთო სასამართლოების საერთაშორისო კომპეტენციის შემთხვევების მსგავსად, განსაკუთრებული საერთაშორისო კომპეტენციის სარჩელის დავის საგანიც ამომწურავად

არის მითითებული კანონში. ეს იმას ნიშნავს, რომ უცხო ელემენტით დაცვირთული კერძოსამართლებრივი ურთიერთობის შემოწმებისას, საქართველოს საერთო სასამართლოებს აქვთ იმ კონკრეტული წინაპირობების ჩამონათვალი, რომელიც სასამართლოს საერთაშორისო ან განსაკუთრებული საერთაშორისო კომპეტენციის განსაზღვრის კრიტერიუმებს ეხება და სასამართლოს მიხედულებით, ამ წინაპირობების განვრცობა (გაფართოება) დაუშვებელია.

3.3.5. „საერთაშორისო კომპეტენციის განსაზღვრაში მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის პრინციპის გამოყენება მეტად პრაქტიკულია და მომგებიან პირობებს უქმნის პროცესის ორივე მხარეს. მოპასუხეს თავის საცხოვრებელი ადგილის ქვეყანაში გაუადვილდება თავის დაცვა მაშინ, როდესაც მოსარჩელისათვის გაცილებით ადვილია, პროცესის მოგების შემთხვევაში, მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის ქვეყანაში მოითხოვოს მისი ქონების დაყადაღება და იძულებითი აღსრულება.“²⁶

3.3.6. ერთ-ერთ საქმეზე, რომელიც ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა სააპელაციო სასამართლოს, საკასაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ საქმის დაბრუნების ერთ-ერთ პროცესუალურ საფუძველთან დაკავშირებით იმსჯელა და განმარტა: „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე, სრულყოფილ კვლევას საჭიროებს საქართველოს სასამართლოების საერთაშორისო კომპეტენცია წინამდებარე დავასთან მიმართებით (საერთაშორისო განსჯადობა). საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ კონკრეტულ დავასთან მიმართებით საქართველოს სასამართლოების საერთაშორისო კომპეტენციის დადგენა არის სამართლის და არა ფაქტის საკითხი. ამიტომ აღნიშნული საფუძველით საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოში დაბრუნება ეწინააღმდეგება სამოქალაქო საპროცესო-კოდექსის 385-ე მუხლის მოთხოვნებს. პირველი ინსტანციის სასამართლოში წინამდებარე საქმის განხილვის დროს მხარეებმა სასამართლოს განსჯადობის თაობაზე საკუთარი პოზიციები წარმოადგინეს. მოპასუხეებმა საქართველოს სასამართლოების საერთაშორისო კომპეტენციის არქონის გამო საქმის განუხილველად დატოვება მოითხოვეს ან ინგლისისა და უელსის სასამართლოს მიერ გადანყვეტილების გამოტანამდე, საქართველოს სასამართლოს მიერ საქმის განხილვის შეჩერება..., რასაც არ დაეთანხმა მოსარჩელე. სასამართლოს საერთაშორისო კომპეტენციის საკითხი მსჯელობის საგანი იყო სასამართლოს მთავარ სხდო-

²⁶ იხ. ზვიად გაბისონია - ქართული საერთაშორისო კერძო სამართალი, გვ.384-390; გამომცემლობა „მერიდიანი“ თბილისი, 2006წ.

მაზეც..., თუმცა აღნიშნულ საკითხზე თბილისის საქალაქო სასამართლოს საკუთარი მოსაზრება არ გამოუხატავს. სასამართლომ საქმე არსებითად განიხილა და მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც არ შეიცავს მსჯელობას მისი საერთაშორისო კომპეტენციის შესახებ. საქართველოს სასამართლოს საერთაშორისო კომპეტენციის საკითხი მოპასუხეებმა სააპელაციო სასამართლოშიც დააყენეს... ასეთ პირობებში, სააპელაციო სასამართლოს თავად უნდა გამოეკვლია საერთაშორისო კომპეტენციის საკითხი და სანინააღმდეგო დასკვნამდე მისვლის შემთხვევაში (მოცემულ დავასთან მიმართებაში საქართველოს სასამართლოებს არ აქვთ საერთაშორისო განსჯადობა), დავის წარმოება შეენწყვიტა. საკასაციო სასამართლომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, შეამონმა, ექვემდებარება თუ არა მოცემული საქმე საქართველოს სასამართლოებს უწყებრივად და მიიჩნევს, რომ ამ საქმეთან დაკავშირებით საქართველოს სასამართლოებს აქვთ საერთაშორისო კომპეტენცია. **უცხო ელემენტის შემცველ დავებთან დაკავშირებით საქართველოს სასამართლოები საკუთარი კომპეტენციის დადგენისას ხელმძღვანელობენ „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისი დებულებებით (თუ საერთაშორისო ხელშეკრულება ან შეთანხმება, რომლის ხელშემკვრელი მხარეც არის საქართველო, სხვა რამეს არ ითვალისწინებს).** სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, საქართველოს სასამართლოები განიხილვენ სამოქალაქო საქმეებს, რომლებშიც მონაწილეობენ უცხო ქვეყნის მოქალაქეები, მოქალაქეობის არმქონე პირები, სანარმოები და ორგანიზაციები. ასეთ საქმეებთან მიმართებაში საქართველოს სასამართლოებს საერთაშორისო კომპეტენცია აქვთ მაშინ, თუ მოპასუხის რეზიდენცია ან ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი საქართველოშია. ასეთ საქმეებთან მიმართებაში საქართველოს სასამართლოებს საერთაშორისო კომპეტენცია აქვთ მაშინაც, თუ მოპასუხე რამდენიმე პირია და ერთ-ერთი მათგანის საცხოვრებელი ადგილი, რეზიდენცია ან ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი საქართველოშია. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სასამართლოს სარჩელი მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით წარედგინება, ხოლო თუ საქმეში რამდენიმე მოპასუხეა - ერთ-ერთი მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილი). მოცემულ შემთხვევაში სარჩელი აღძრულია 6 მოპასუხის წინააღმდეგ, რომელთაგან ერთ-ერთ მოპა-

სუხეს - N-ს საცხოვრებელი ადგილი საქართველოში აქვს. შესაბამისად, აღნიშნული საფუძვლით, საქართველოს სასამართლოებს მოცემული დავის მიმართ საერთაშორისო კომპეტენცია გააჩნიათ. საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, საქართველოს სასამართლოებს საერთაშორისო კომპეტენცია იმ შემთხვევაშიც აქვთ, თუ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულების შესრულების ადგილი საქართველოა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ხელშეკრულებიდან გამომდინარე სარჩელები სასამართლოს წარედგინება ხელშეკრულების შესრულების ადგილის ან იმ ადგილის მიხედვით, სადაც ხელშეკრულება უნდა შესრულებულიყო. მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელე მიუთითებს, რომ მან ა. (ბ.) კ-თან დადო დავალებისა და ერთობლივი საქმიანობის, ხოლო მე-5 და მე-6 მოპასუხებთან (ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზე დაფუძნებულ კომპანიებთან) საკუთრების მინდობის ზეპირი ხელშეკრულებები. აქედან დავალების ხელშეკრულების შესრულების ადგილი იყო ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულები, ხოლო ერთობლივი საქმიანობისა და საკუთრების მინდობის ხელშეკრულებების შესრულების ადგილი - საქართველო, რამდენადაც ეს ხელშეკრულებები საქართველოში მდებარე უძრავი ნივთებისა და რეგისტრირებული კომპანიების წილების მართვასა და განკარგვას ეხებოდა. შესაბამისად, ერთობლივი საქმიანობისა და საკუთრების მინდობის ხელშეკრულებების შესრულების ადგილის მიხედვით, საქართველოს სასამართლოებს მოცემული დავის მიმართ საერთაშორისო კომპეტენცია აქვთ. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საკუთრების უფლების სარჩელი, აგრეთვე, ქონების გაყოფასთან, განაწილება და ფლობასთან დაკავშირებული სარჩელი, თუ დავა ეხება უძრავ ნივთებზე, მათ შორის, მიწის ნაკვეთზე უფლებას, შეიძლება სასამართლოში შეიტანო ნივთების ადგილსამყოფელის მიხედვით. საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად კი, საქართველოს სასამართლოებს განსაკუთრებული კომპეტენცია აქვთ იმ სარჩელებზე, რომლებიც საქართველოში არსებულ უძრავ ქონებას ეხება. მოცემულ შემთხვევაში დავის საგანია სამი უძრავი ნივთი: (ა) უ. თ-ი (უძრავი ქონების სარეგისტრაციო № ...) („უ-ი“), ბ) მიწის ნაკვეთი და შენობა-ნაგებობები ლ-ში (საკადასტრო კოდი № ...) („ლ-ო“) და გ) ქ. თბილისში, ფ-ის ქ. №...-ში მდებარე მიწის ნაკვეთი (სარეგისტრაციო №...) („კ-ა“), რომლებიც მდებარეობს საქართველოში. აღნიშნული უძრავი ნივთებისა და მათი რეალიზაციის შედეგად მიღებული მოგების ბენეფიციარ მესაკუთრედ ცნობა, ასევე, საქართველოში და-

ფუძნებული იურიდიული პირების: შპს „პ. ჯ-ას“, შპს „ჯ. კ“-ოს, ს.ს. „ფ. ნ-ას“, შპს „ს. თ. ნ“ - ის აქციებისა და წილების, ასევე მათი რეალიზაციის შედეგად მიღებული მოგების ბენეფიციარ მესაკუთრედ ცნობა (საკუთრებასთან დაკავშირებული მოთხოვნები) მოსარჩელის ძირითადი მოთხოვნებია, რომელთა მართებულობა სხვა მოთხოვნების მართებულობაზეც მოქმედებს. შესაბამისად, აღნიშნულ მოთხოვნებთან დაკავშირებით, ნივთების ადგილსამყოფელიდან გამომდინარე, საქართველოს სასამართლოებს მოცემული დავის მიმართ საერთაშორისო კომპეტენცია აქვთ. რაც შეეხება მოთხოვნებს ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზე დაფუძნებული იურიდიული პირების (მე-5 და მე-6 მოპასუხეების) ბენეფიციარ მესაკუთრედ ცნობის შესახებ, შესაძლოა, მათთან დაკავშირებით სხვა ქვეყნის სასამართლოებს (ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულები ან გაერთიანებული სამეფო) ასევე ჰქონდეთ საერთაშორისო კომპეტენცია, თუმცა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ეს არ წარმოადგენს საქართველოს სასამართლოების საერთაშორისო კომპეტენციის გამორიცხვის საფუძველს. მოცემული კანონის მე-19 მუხლი არეგულირებს ერთი და იმავე სარჩელის თაობაზე ერთსა და იმავე მხარეებს შორის საქართველოსა და უცხო ქვეყანაში სამართალწარმოების მიმდინარეობის შემთხვევებს. კერძოდ, ამ მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს სასამართლო საქმეს წარმოებაში არ მიიღებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ საქმეზე უკვე არსებობს უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის ცნობაც საქართველოში შეიძლება. მოპასუხის მითითებით, გაერთიანებულ სამეფოში მე-5 და მე-6 მოპასუხეებსა და მოსარჩელეს შორის დავა მე-5 და მე-6 მოპასუხეების სარჩელის საფუძველზე დაიწყო 2013 წლის 8 თებერვალს, ხოლო ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზე მოსარჩელემ სარჩელი 2013 წლის 2 აგვისტოს აღძრა. მხარეთა განცხადებით და საქმის მასალებით არ დასტურდება, რომ რომელიმე ზემოაღნიშნულ დავასთან დაკავშირებით უცხო ქვეყნის სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება ან ასეთი გადაწყვეტილება მიღებული ჰქონდა თბილისის საქალაქო სასამართლოში მოსარჩელის მიერ 2014 წლის 22 იანვარს სარჩელის შეტანის დროს. ამრიგად, სარჩელის წარდგენის მომენტისათვის არ არსებობდა და არც ამჟამად არსებობს მე-19 მუხლის მე-2 ნაწილით საქმისწარმოებაში არმიღების საფუძველი. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლის თანახმად, სასამართლოს არჩევის უფლება, თუ საქმე რამდენიმე სასამართლოს განსჯადია, მოსარჩელეს ეკუთვნის. ამრიგად, რაკი უძრავი ქონება, აგრეთვე, სანარმოები საქართვე-

ლოშია, ასევე საქართველო წარმოადგენს ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულებისა და საკუთრების მინდობის ხელშეკრულებების შესრულების ადგილს და ერთ-ერთი მოპასუხის ადგილსამყოფელიც საქართველოშია, ამავე დროს მოსარჩელემ საქართველოს სასამართლოებს მიმართა, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქართველოს სასამართლოებს მოცემულ დავაზე საერთაშორისო კომპეტენცია აქვთ.²⁷ საკასაციო სასამართლოს მითითებული განჩინება ცხადყოფს, თუ როგორ უნდა შემოწმდეს ზემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ, მათივე ინიციატივით, როგორც განსახილველი დავის სასამართლოსადმი უწყებრივი ქვემდებარეობის, ისე საერთაშორისო კომპეტენციის საკითხები თითოეულ კონკრეტულ საქმეზე, როდესაც საქმე უცხო ელემენტის მონაწილეობით არსებულ სადავო კერძოსამართლებრივ ურთიერთობას ეხება.

3.3.7. ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ განსახილველ შემთხვევაში, შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება საქართველოში შესრულდა - დაზარალებული მეზღვაურის მკურნალობის ხარჯები მოპასუხემ საქართველოში ჩაურიცხა დაზარალებულს, შესაბამისად, სკს-ის მე-9 მუხლის „ბ“ პუნქტის საფუძველზე, ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების ადგილი საქართველოა და საქართველოს საერთო სასამართლოებს განსახილველ დავაზე საერთაშორისო კომპეტენცია გააჩნიათ. განსახილველი დავისადმი საქართველოს საერთო სასამართლოების საერთაშორისო კომპეტენციის პრინციპის შემოწმების საკითხი სამართლის საკითხს განეკუთვნება და მხარის მითითების არარსებობის პირობებშიც, მისი შემოწმება სასამართლოს პრეროგატივაა და მისი ინიციატივით ხდება, რაც მხარეთა პროცესუალური თანასწორობის პრინციპის უგულებელყოფად არ მიიჩნევა. საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს დასკვნა, რომ მოცემულ დავაზე საქართველოს სასამართლოს საერთაშორისო კომპეტენცია არ აქვს, რადგან ასეთ შემთხვევაში საქართველოს სასამართლოს სარჩელი წარმოებაში არ უნდა მიეღო ან მისი წარმოებაში არასწორად მიღების შემთხვევაში, განუხილველად უნდა დაეტოვებინა.²⁸

IV. მხარეთა შეთანხმება საერთაშორისო კომპეტენციაზე

4.1. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი ნაწილი განსაზღვრავს, რომ მხარეებს შეუ-

²⁷ იხ. სუსგ # ას-209-196-2015, 30.07.2015წ.

²⁸ იხ. სუსგ # ას-242-242-2018, 30.11.2018წ.

ძლიათ შეთანხმდნენ საქართველოს სასამართლოს საერთაშორისო კომპეტენციაზე იმ შემთხვევაშიც კი, როცა ამ კანონის მე-8, მე-9 და მე-10 მუხლების მიხედვით იგი კომპეტენტური არ არის. ასეთი შეთანხმება უნდა დაიდოს: ა) წერილობით ან სიტყვიერად, წერილობითი დადასტურებით; ბ) საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებისას იმ ფორმით, რომელიც შეესაბამება საერთაშორისო სავაჭრო ჩვეულებებს და რაც მხარეებისათვის ცნობილია ან უნდა ყოფილიყო ცნობილი. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე საქართველოს სასამართლოებს აქვთ საერთაშორისო კომპეტენცია, თუ მოპასუხე სასამართლოს კომპეტენტურობაზე პროტესტის გარეშე თანხმდება პროცესში მონაწილეობას მიუხედავად იმისა, რომ: ა) მოპასუხე წარმოდგენილია ადვოკატის მიერ; ბ) მოსამართლემ შეატყობინა მოპასუხეს პროტესტის განცხადების შესაძლებლობაზე და ეს შეტყობინება დაფიქსირებულია საქმისწარმოების ოქმში. ამავე ნორმის მე-3 ნაწილით მხარეებს შეუძლიათ, შეთანხმდნენ უცხო ქვეყნის სასამართლოს საერთაშორისო კომპეტენციაზე, თუ ერთ-ერთ მათგანს საცხოვრებელი ადგილი, რეზიდენცია ან ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი უცხო ქვეყანაში აქვს. ასეთ შეთანხმებაზე შესაბამისად ვრცელდება ამ მუხლის მე-2 პუნქტი. მე-18 მუხლის მე-4 ნაწილი კი შეთანხმებების ბათილობის (გამომრიცხავ) გარემოებებს განსაზღვრავს, კერძოდ, შეთანხმებები სკს-ის კანონის მე-10-16 მუხლებით გათვალისწინებული კომპეტენციის თაობაზე ბათილია. ასეთ შემთხვევაში ამ მუხლის მე-2 პუნქტი არ გამოიყენება. ამდენად, მხარეთა შეთანხმება გამოირიცხება ისეთ სარჩელებზე, რომლებიც საქართველოს სასამართლოების განსაკუთრებულ საერთაშორისო კომპეტენციას განეკუთვნება (მუხლი 10); პირის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებას და გარდაცვლილად გამოცხადებას ეხება (მუხლი 11); ქორწინებასთან დაკავშირებულ საქმეებზე (მუხლი 12); მშობლებსა და შვილებს შორის პირად ურთიერთობებთან, შვილების წარმოშობასთან, მამობის დადგენასთან და მათთან დაკავშირებულ დავებზე (მუხლი 13); შვილად აყვანის საქმეებზე (მუხლი 14); პირის ქმედუნარიანობის შეზღუდვის საქმეებზე (მუხლი 15); მეურვეობისა და მზრუნველობის საქმეებზე (მუხლი 16).

4.2. სკს-ის კანონის მე-18 მუხლი ისეთ საგამონაკლისო მონესრიგებას წარმოადგენს, რომლის საფუძველზე „საერთაშორისო კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში, მხარეთა შორის დადებული შეთანხმებით სასამართლოების საერთაშორისო განსჯადობის თაობაზე, ერთი მხრივ, რომელიმე ქვეყნის სასამართლო იძენს უფლებამოსილებას, განიხილოს და გადწყვიტოს დავა, თუნდაც მას თავისი კანონმდებლობის თანახმად არ

გააჩნდეს საქმის განხილვაზე კომპეტენცია (პროროგაცია)*, მეორე მხრივ, განსჯადი სასამართლო კარგავს საქმის განხილვაზე კანონით მინიჭებულ უფლებას (დეროგაცია).²⁹ სსკ-ის მე-18 მუხლის პირველი ნაწილი პრაქტიკულად ეხმიანება სსსკ-ის 21-ე მუხლის (ნორმის კომენტარი იხ. ქვემოთ) მოწესრიგებას, რომელიც იმ შემთხვევაში, თუ ერთმნიშვნელოვნად განსჯადი სასამართლო დადგენილი არ არის, მხარეებს აძლევს შესაძლებლობას, სასამართლოს განსჯადობა შეთანხმების გზით დაადგინონ. ასეთი შეთანხმებისთვის კანონმდებელი წერილობით ფორმას მოითხოვს.

4.3 როგორც ზემოთ აღინიშნა, საერთაშორისო კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში პროროგაციის ინსტიტუტი დავის შემთხვევაში მხარეებს შეთანხმების საშუალებას აძლევს ამა თუ იმ ქვეყნის სასამართლოების არჩევის, როგორც მათ შორის წამოჭრილი უთანხმოების გადაწყვეტის საშუალებაზე, რასაც, თავის მხრივ, უკავშირდება დეროგაციის ინსტიტუტის ამოქმედება. ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოს სასამართლოების შიდატერიტორიული განსჯადობის საკითხის შემოწმების ვალდებულება იმ შემთხვევაში წარმოიშვება, თუ საქართველოს საერთო სასამართლოებს საერთაშორისო კომპეტენცია არ გააჩნიათ.³⁰

V. ზემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ განსჯადობის შემოწმება

5.1. სსსკ-ის 377-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, „პირველი ინსტანციის სასამართლოს განსჯადობას სააპელაციო სასამართლო შეამოწმებს მხოლოდ მოპასუხის მოთხოვნით. ასეთი მოთხოვნა დასაშვებია, თუ იგი საქმის პირველ ინსტანციაში განხილვისას იყო წამოყენებული მოპასუხის მიერ, ან თუ არსებობს საპატიო მიზეზი, რის გამოც ასეთი მოთხოვნა ვერ იქნა წინა ინსტანციაში წამოყენებული“. ზემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ საკუთარი ინიციატივით განსახილველი დავის უწყებრივი ქვემდებარეობის შემოწმებისაგან განსხვავებით, თუკი საქმე უწყებრივად სასამართლოს განსახილველია, საკითხი იმის თაობაზე, თუ რომელმა კონკრეტულმა სასამართლომ უნდა განიხილოს საერთო სასამართლოების სისტემაში, მხოლოდ მოპასუხის

²⁹ იხ. ბაკურ ლილუაშვილი - სასამართლოთა საერთაშორისო განსჯადობაზე მხარეთა შეთანხმების სამართლებრივი ბუნება, გვ. 7-21 - “სამართალი და მსოფლიო” /ევროპის უნივერსიტეტის სამართლის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საერთაშორისო სამართლის რეფერირებადი ჟურნალი/- # 6/2017, თბილისი.

³⁰ იქვე.

მოთხოვნით შემოწმდება სააპელაციო სამართალწარმოების სტადიაზე - ისიც იმ პირობით, თუ განსჯადობის საკითხს სადავოდ ხდიდა მოპასუხე ანუ ამაზე პრეტენზია ჰქონდა. ამ გარემოებისაგან განსხვავდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი მეორე შესაძლებლობა, როდესაც მოპასუხემ უნდა დაამტკიცოს, რომ არსებობდა საპატიო მიზეზი, რის გამოც საქმის კონკრეტული სასამართლოს მიერ განსჯადობაზე შედავება პირველი ინსტანციის სასამართლოში ვერ წამოაყენა. „ასეთი მოთხოვნა მოპასუხეს შეუძლია წამოაყენოს მხოლოდ 21-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული პირობების საფუძველზე.“³¹ (სსსკ-ის 21-ე მუხლის კომენტარი იხ. ქვემოთ).

5.2. სსსკ-ის 404-ე მუხლის მე-3 ნაწილის მე-2 წინადადება განსაზღვრავს, რომ: „პირველი ინსტანციის სასამართლოს ტერიტორიულ და საგნობრივ განსჯადობას საკასაციო სასამართლო შეამოწმებს მხოლოდ მოპასუხის მოთხოვნით. ასეთი მოთხოვნა დასაშვებია, თუ იგი საქმის სააპელაციო სასამართლოში განხილვისას იყო წამოყენებული მოპასუხის მიერ, ან თუ არსებობს საპატიო მიზეზი, რის გამოც ასეთი მოთხოვნა ვერ იქნა წამოყენებული სააპელაციო სასამართლოში“.

5.3. სამოქალაქო საპროცესო კოდექსი განსაზღვრავს ზემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ გადაწყვეტილების შემოწმების ფარგლებს, კერძოდ: „სააპელაციო ინსტანციის სასამართლო უფლებამოსილია შეცვალოს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება მხოლოდ იმ ფარგლებში, რასაც მხარეები მოითხოვენ“ (სსსკ-ის 384-ე მუხლი), ხოლო „საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამოწმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში. საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია თავისი ინიციატივით შეამოწმოს საპროცესო დარღვევები, გარდა 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეუბნებში მითითებული ფაქტებისა“. დასახელებული მოწესრიგების მიხედვით, სააპელაციო სასამართლო შეზღუდულია სააპელაციო საჩივრის პრეტენზიით. იგივე ითქმის საკასაციო სამართალწარმოების ეტაპზე კასატორის მიერ წარდგენილ საკასაციო განაცხადზეც, რადგან „საკასაციო საჩივრის ფარგლებში უნდა ვიგულისხმოთ კასატორის საკასაციო მოთხოვნა (გადაწყვეტილების გაუქმება მთლიანად ან ნაწილობრივ).“³² ზემდგომი ინსტანციის სასამართლოებში გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლა მხოლოდ იმ პრეტენზიების

³¹ იხ. თენგიზ ლილუაშვილი, ვალერი ხრუსტალი - საქართველოს სამოქალაქო პროცესის კომენტარი, გვ. 605-609; გამომცემლობა „სანი“, 2004წ.

³² იხ. თენგიზ ლილუაშვილი, ვალერი ხრუსტალი - საქართველოს სამოქალაქო პროცესის კომენტარი, გვ. 646; გამომცემლობა „სამართალი“, 2007 წ.

შემონმების მიხედვით შეიძლება, რასაც მხარე ითხოვს, რადგან დაუშვებელია, შესაბამისად, აპელანტის ან კასატორის მდგომარეობის შებრუნება საუარესოდ.³³ უნდა აღინიშნოს, რომ სააპელაციო სამართალწარმოების ეტაპზე აპელანტის საპრეტენზიო განაცხადის ფარგლების მიხედვით ზემდგომი, ანუ სააპელაციო სასამართლოს ბოჭვა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შემონმებას უკავშირდება (სწორად არის თუ არა დადგენილი ფაქტები; რომელიმე ფაქტი არასწორად დადგენილად ხომ არ მიაჩნია აპელანტს; უკავშირდება თუ არა სააპელაციო პრეტენზია იმას, რომ გარკვეული ფაქტი ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს უნდა დაედგინა და არ დაუდგენია. შესაბამისად, ითხოვს თუ არა აპელანტი სააპელაციო სასამართლოსაგან ფაქტის დადგენას, რადგან ეს მისი, როგორც ფაქტების მომკვლევით და დამდგენი ინსტანციის, სასამართლოს კომპეტენციაა/უფლებამოსილებაა (იხ. სსსკ-ის 377-ე მუხლი)). იგივე უნდა ითქვას საკასაციო სამართალწარმოების ეტაპზე საკასაციო მოთხოვნასთან მიმართებით, რადგან „საკასაციო სასამართლო შებოჭილია კასატორის მოთხოვნით და ვერ გაცდება ამ მოთხოვნის ფარგლებს, მაგრამ იგი არაა შებოჭილი კასატორის მიერ საკასაციო საჩივარში მითითებული კანონის დარღვევებით და ამონმებს გადაწყვეტილებას მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების სწორად გამოყენების თვალსაზრისით... განსხვავებული მდგომარეობაა საპროცესო ნორმების დარღვევის შემონმების მიმართ. საპროცესო ნორმების დარღვევებს სასამართლო შეამონმებს, თუ ამ დარღვევებზე მითითებულია საკასაციო საჩივარში. თავისი ინიციატივით საკასაციო სასამართლოს შეუძლია, შეამონმოს ფაქტები და მტკიცებულებები, რომლებიც საქმეშია...“³⁴

საკასაციო სასამართლო ვალდებულია თავისი ინიციატივით (და არა მხოლოდ მხარეთა მოთხოვნით) შეამონმოს სასამართლოს უწყებრივი ქვემდებარეობა და საერთაშორისო კომპეტენცია, ხოლო განსჯადობის შემონმება მხოლოდ მოპასუხის მოთხოვნის საფუძველზეა შესაძლებელი, ისიც მხოლოდ იმ პირობებში, თუ განსჯადობის დარღვევაზე მან მიმართა სააპელაციო სასამართლოს, ან მოპასუხემ უნდა დაამტკიცოს, რომ მას ჰქონდა საპატიო მიზეზი, რის გამოც ვერ შეძლო განსჯადობის საკი-

³³ იხ. სუსგ-ები: # ას-1185-1105-2017 (ბ), 15.02.2018წ; # ას-1060-980-2017, 10.11. 2017წ; #ას-2-2-2017, 14.07.2017წ.

³⁴ იხ. თენგიზ ლილუაშვილი, ვალერი ხრუსტალი - საქართველოს სამოქალაქო პროცესის კომენტარი, გვ. 662-663; გამომცემლობა „სანი“, 2004წ.

თხის თაობაზე პრეტენზიის წარდგენა სააპელაციო სამართალწარმშობის ეტაპზე.³⁵

VI. პირველი ინსტანციის სასამართლოს განსჯადი საქმეები

6.1. სსსკ-ის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად საერთო სასამართლოების სისტემაში პირველი ინსტანციის სასამართლოებს რაიონული (საქალაქო) სასამართლოები წარმოადგენენ (იხ. 2.8 ქვეპუნქტი), ასევე, პირველი ინსტანციის სასამართლოს შემადგენლობაში შეიძლება, შედიოდეს მაგისტრატი მოსამართლე, რომლის განსჯად სამოქალაქო საქმეებზე სსსკ-ის მე-14 მუხლის კომენტარშია მითითებული.

6.2. სსსკ-ის მე-13 მუხლის მე-3 ნაწილი ისეთ შემთხვევას აწესრიგებს, როდესაც საქართველოს გარკვეულ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში არ მოქმედებს მაგისტრი მოსამართლე ან არ იმყოფება იგი. ასეთ შემთხვევაში მართლმსაჯულების განხორციელების შეფერხების თავიდან ასარიდებლად, კანონმდებელმა განსაზღვრა, რომ სსსკ-ის მე-14 მუხლით მაგისტრატ მოსამართლეთა განსჯადი სამოქალაქო საქმეების განხილვა რაიონული (საქალაქო) სასამართლოს სხვა მოსამართლეს შეუძლია.

6.3. სსსკ-ის მე-13 მუხლის მე-4 ნაწილით კი იმგვარი შემთხვევაა მოწესრიგებული, როდესაც არსებობს ერთმანეთთან დაკავშირებული რამდენიმე სასარჩელო მოთხოვნა, ხოლო მათგან თუდაც ერთ-ერთი მოთხოვნა არ განეკუთვნება მაგისტრატი მოსამართლის განსჯად საქმეს - მაშინ დავას რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლე განიხილავს. ამ დანაწესით კანონმდებელმა განამტკიცა უფლების სასამართლო წესით დაცვისა (სსსკ-ის მე-2 მუხლი) და დისპოზიციურობის პრინციპის (სსსკ-ის მე-3 მუხლი) უზრუნველყოფი გარანტია, განსჯადობის წესების დაცვით საქმის განსახილველად, რადგან ერთმანეთთან დაკავშირებული რამდენიმე სასარჩელო მოთხოვნიდან თუნდაც ერთი მოთხოვნა თუკი განსჯადობით არა მაგისტრატი მოსამართლის განსახილველია, მაშინ სამოქალაქო დავას პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლე, ანუ რაიონული (საქალაქო) სასამართლო განიხილავს. საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევა მნიშვნელოვანია ამავე კოდექსის 182-ე მუხლის კონტექსტშიც, კერძოდ, დასახელებული ნორმით მოსარჩელეს შეუძლია, ერთ სარჩელში

³⁵ იხ. თენგიზ ლილუაშვილი, ვალერი ხრუსტალი - საქართველოს სამოქალაქო პროცესის კომენტარი, გვ. 716-718; გამომცემლობა „სამართალი“, 2007 წ.

გააერთიანოს ამ სასამართლოს განსჯადი რამდენიმე მოთხოვნა ერთი და იმავე მოპასუხის მიმართ, იმისგან დამოუკიდებლად, ეს მოთხოვნები ერთსა და იმავე საფუძვლებს ემყარება თუ - არა. ასეთ ვითარებაშიც, თუკი რამდენიმე მოთხოვნის გაერთიანების შემთხვევაში, ერთ-ერთი მოთხოვნა მაგისტრატი მოსამართლის განსჯადი იქნება, სარჩელს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლე განიხილავს.

6.4. იგივე უნდა ითქვას ისეთ ვითარებაზეც, როდესაც მაგისტრატი მოსამართლე განიხილავს მის განსჯად საქმეს, მაგალითად, ქონებრივ დავას 5000 ლარის ფარგლებში, ხოლო მოპასუხე სსსკ-ის 188-ე მუხლის ნინაპირობების დაცვით აღძრავს შეგებებულ სარჩელს, რომლის მოთხოვნა აღემატება 5000 ლარს ან არაქონებრივი მოთხოვნაა. ასეთ შემთხვევაში კვლავაც სსსკ-ის მე-13 მუხლის მე-4 ნაწილის დანაწესი მოქმედებს და საქმე არა მაგისტრატი, არამედ რაიონული (საქალაქო) სასამართლოს სხვა მოსამართლის განსჯადი გახდება.

მუხლი 14. მაგისტრატ მოსამართლეთა განსჯადი სამოქალაქო საქმეები

მაგისტრატი მოსამართლეები პირველი ინსტანციით განიხილავენ შემდეგ საქმეებს:

ა) ქონებრივ დავებს, თუ სარჩელის ფასი არ აღემატება 5000 ლარს; (07.03.2018. №2035)

ბ) უდავო და გამარტივებული წარმოების საქმეებს, გარდა შვილად აყვანის, აგრეთვე გამარტივებული წესით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის და ქონების უპატრონოდ ცნობის საქმეებისა, თუ მოთხოვნის ან ქონების ღირებულება აღემატება 5000 ლარს; (07.03.2018. №2035)

გ) საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე დავებს, გარდა შვილად აყვანის, მშობლის უფლების ჩამორთმევის, მამობის დადგენის და განქორწინების საქმეებისა, თუ მეუღლეებს შორის არსებობს დავა ბავშვის მიკუთვნების თაობაზე;

დ) ამოღებულია (13.07.2006. №3435 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)

ეკატერინე გასიტაშვილი

მე-14 მუხლი

I. ზოგადი დებულებანი

1.1. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 28-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე განსაზღვრულია, რომ პირველი ინსტანციის, ანუ რაიონული (საქალაქო) სასამართლოს შემადგენლობაში შეიძლება შედიოდნენ მაგისტრატი მოსამართლეები. საქართველოს საერთო სასამართლოების სისტემაში მაგისტრატი მოსამართლის უფლებამოსილების მანდატის შესახებ ზემოხსენებულ ორგანულ კანონში შეტანილმა ცვლილებამ საფუძველი დაუდო საკანონმდებლო ნოვაციის განხორციელებას სამოქალაქო საპროცესო კოდექსშიც და მე-14 მუხლი, რომელიც ადრე აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოებისა და საოლქო სასამართლოების მიერ პირველი ინსტანციით განსჯად საქმეებს განსაზღვრავდა, სრულიად ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა და ეწოდა **მაგისტრატ მოსამა-**

რთლეთა განსჯადი სამოქალაქო საქმეები (23.06.2004წ; № 1740; ამოქმედდა 15.07.2005წ.-დან).

1.2. მაგისტრატი მოსამართლე თავის უფლებამოსილებას ახორციელებს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიაზე არსებულ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში. მაგისტრატი მოსამართლის სამოქმედო ტერიტორიას და რაოდენობას განსაზღვრავს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო თავისი გადაწყვეტილებით. ასევე, მაგისტრატი მოსამართლეების შემადგენლობას რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში განსაზღვრავს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.

1.3. ზემოხსენებული ორგანული კანონის 29-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად მაგისტრატი მოსამართლე საქმეს განიხილავს ერთპიროვნულად, თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ხოლო 31-ე მუხლი ადგენს, რომ მაგისტრატი მოსამართლის განსჯადობა განისაზღვრება კანონით.

II. მაგისტრატ მოსამართლეთა განსჯადი სამოქალაქო საქმეები

2.1. სსსკ-ის მე-14 მუხლი ადგენს მაგისტრატ მოსამართლეთა განსჯად სამოქალაქო საქმეებს, კერძოდ: მაგისტრატი მოსამართლეები პირველი ინსტანციით განიხილავენ შემდეგ საქმეებს: **ა) ქონებრივ დავებს, თუ სარჩელის ფასი არ აღემატება 5000 ლარს /აღსანიშნავია, რომ 07.03.2018. საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილებით (№2035) მაგისტრატ მოსამართლეთა განსჯად სამოქალაქო საქმეებზე დავის საგნის ღირებულების მაქსიმალური ზღვარი 2000 ლარიდან 5000 ლარამდე გაიზარდა/;** **ბ) უდავო და გამარტივებული წარმოების საქმეებს,** გარდა შვილად აყვანის, აგრეთვე გამარტივებული წესით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის და ქონების უპატრონოდ ცნობის საქმეებისა, თუ მოთხოვნის ან ქონების ღირებულება აღემატება 5000 ლარს /07.03.2018. №2035; ამ ცვლილებით დავის საგნის ღირებულება 2000-დან 5000 ლარამდე გაიზარდა/;

გ) საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე დავებს, გარდა შვილად აყვანის, მშობლის უფლების ჩამორთმევის, მამობის დადგენის და განქორწინების საქმეებისა, თუ მეუღლეებს შორის არსებობს დავა ბავშვის მიკუთვნების თაობაზე;

დ) ამოღებულია (13.07.2006. №3435 ამოქმედდა გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს). სსსკ-ის მე-14 მუხლის „დ“ ქვეპუნქტი მაგისტრატ მოსამართლეთა განსჯადად მიიჩნევა შრომის სამართლებრივი ურთიერთობი-

დან წარმოშობილ დავებს /იხ. ნორმის 23.06.2004 წლის რედაქცია/, რაც ამოღებულ იქნა. თუმცა, ეს ცვლილება იმას არ ნიშნავს, რომ შრომით სამართლებრივ დავას საერთოდ აღარ იხილავს მაგისტრატი მოსამართლე. მაშინ, როდესაც ასეთი კატეგორიის დავის საგანი მხოლოდ ქონებრივი მოთხოვნაა (მაგ. პირი ითხოვს მხოლოდ იძულებით განაცდურს ან კომპენსაციას და არ ითხოვს პირვანდელ ან ტოლფას სამუშაოზე აღდგენას) და სარჩელის ფასი არ აღემატება 5000 ლარს, ეს საქმე მაგისტრატი მოსამართლის მიერ განხილვას ექვემდებარება; ¹თუკი შრომითი სამართლებრივი დავის საგანი მხოლოდ ქონებრივი მოთხოვნაა (მაგ. პირი ითხოვს მხოლოდ იძულებით განაცდურს ან კომპენსაციას და არ ითხოვს პირვანდელ ან ტოლფას სამუშაოზე აღდგენას) და სარჩელის ფასი აღემატება 5000 ლარს, ეს საქმე მაგისტრატი მოსამართლის განსჯადი არაა და იგი უნდა განიხილოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს სხვა მოსამართლემ; ისეთ ვითარებაში, როდესაც, გარდა არა უმეტეს 5000 ლარის ქონებრივი მოთხოვნისა, პირი მოთხოვნას სამუშაოზე აღდგენის შესახებაც აყენებს, გამოიყენება სსსკ-ის მე-13 მუხლის მე-4 ნაწილი (ნორმის კომენტარი იხ. ზემოთ) და საქმეს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს სხვა მოსამართლე იხილავს.

2.2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის პირველი მუხლი ადგენს, რომ ეს კოდექსი ანესრიგებს პირთა თანასწორობაზე დამყარებულ კერძო ხასიათის ქონებრივ, საოჯახო და პირად ურთიერთობებს. სსსკ-ის მე-14 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი მაგისტრატი მოსამართლის განსჯადად მიიჩნევს არა ყოველგვარი სახის სამოქალაქო დავას, არამედ - ქონებრივ დავას. რაც შეეხება ქონებრივი დავის მატერიალურ-სამართლებრივ დეფინიციას, იგი იმაში მდგომარეობს, რომ „ქონებრივი დავა არის ქონებრივ სიკეთესთან დაკავშირებული დავა, მიუხედავად იმისა, აღნიშნული სიკეთე მატერიალიზებული ფორმით არსებობს (მინა, შენობა-ნაგებობა, ავტოსატრანსპორტო საშუალება, საყოფაცხოვრებო ნივთები, ძვირფასეულობა, ფული და ა.შ.) თუ არამატერიალიზებული ფორმით (ფასიანი ქაღალდი, სასაქონლო ნიშანი, სამრეწველო ნიმუში და ა.შ.), მთავარია, რომ დავის ობიექტს ქონება ან ქონებასთან დაკავშირებული უფლება წარმოადგენდეს“.² ქონებრივი დავის გამიჯვნა არაქონებრივისაგან მნიშვნელო-

¹ პრაქტიკული რეკომენდაციები სამოქალაქო საპროცესო სამართლის საკითხებზე საერთო სასამართლოების მოსამართლეთათვის- გვ.15; საქართველოს უზენაესი სასამართლოს გამოცემა, 2010წ. თბილისი

² პრაქტიკული რეკომენდაციები სამოქალაქო საპროცესო სამართლის საკითხებზე საერთო სასამართლოების მოსამართლეთათვის- გვ.14-15; საქართველოს უზენაესი სასამართლოს გამოცემა, 2010წ. თბილისი

ვნად არის დამოკიდებული თავად სარჩელში მითითებულ ფაქტებსა და მოსარჩელის (განმცხადებლის) მიერ მოთხოვნის ფორმულირებაზე და არა მხარის ინტერესზე, რაც სასამართლომ უნდა შეაფასოს. „მოთხოვნა მხოლოდ მაშინ არის ქონებრივ-სამართლებრივი, როდესაც ის მნიშვნელოვნად ეხება ეკონომიკური ინტერესების დაცვას“.³

2.3. დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ მაგისტრატი მოსამართლის განსჯადი არ არის: ა) არაქონებრივი დავა ბ) ქონებრივი და მისგან წარმოშობილი არაქონებრივი დავა და პირიქით (ორივე მითითებულ შემთხვევაში გამონაკლისია საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე ის საქმეები, რომლებსაც მაგისტრატი მოსამართლეები იხილავენ სსსკ-ის მე-14 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე)⁴;

2.4. არაქონებრივი დავისაგან ქონებრივი დავის გამიჯვნის დროს, მოსამართლემ რამდენიმე კრიტერიუმით უნდა იხელმძღვანელოს: ა) უნდა დადგინდეს სასარჩელო მოთხოვნა ქონებრივია თუ არაქონებრივი; ბ) მოთხოვნის მატერიალური თუ არამატერიალური ხასიათი, როგორც აღნიშნა, დიდნილადაა დამოკიდებული სასარჩელო მოთხოვნის ფორმულირებაზე და არა მხარის ინტერესზე (იხ. 2.2 პუნქტი); გ) არ აქვს მნიშვნელობა მოთხოვნა რა სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარეობს (მაგ. პატივისა და ღირსების შელახვიდან გამომდინარე პირის მიერ მორალური ზიანის მოთხოვნის შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი არაქონებრივი ხასიათისაა, მისგან გამომდინარე ფულადი კომპენსაციის მოთხოვნა ქონებრივი ხასიათისაა და თუ იგი არ აღემატება 5000 ლარს, დავა მაგისტრატი მოსამართლის განსჯადია)⁵; დ) არაქონებრივ-სამართლებრივია ყველა დავა, რომელიც უკავშირდება მხოლოდ პირის პირად ან მის სოციალურ გარემოსთან დაკავშირებულ უფლებებს ყოველგვარი ეკონომიკური საფუძვლის გარეშე, რაც, ცხადია, მაგისტრატი მოსამართლის განსჯადი არ იქნება.⁶

³ იქვე - გვ.16

⁴ იქვე - გვ.16

⁵ იქვე - გვ.16

⁶ პრაქტიკული რეკომენდაციები სამოქალაქო საპროცესო სამართლის საკითხებზე საერთო სასამართლოების მოსამართლეთათვის- გვ.16-17; საქართველოს უზენაესი სასამართლოს გამოცემა, 2010წ. თბილისი

III. დავის საგნის ფასის განსაზღვრის წესი და სახელმწიფო ბაჟის ოდენობა მაგისტრატის მოსამართლის განსჯად საქმეებზე

3.1. სარჩელის ფასი და დავის საგანი სინონიმებად უნდა იქნეს მიჩნეული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიზნებიდან გამომდინარე.⁷ მაგისტრატის მოსამართლეების განსჯად საქმეებზე სახელმწიფო ბაჟის გაანგარიშებისას მოსამართლე ხელმძღვანელობს სსსკ-ის 39-ე მუხლის *სახელმწიფო ბაჟის ოდენობა/ მე-2 ნაწილით*, რომელიც ადგენს: *„მაგისტრატის მოსამართლის განსჯად საქმეზე სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ყველა ინსტანციის სასამართლოში შეადგენს ამ მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი ოდენობის ნახევარს“*.

3.2. დავის საგნის ღირებულების განსაზღვრის ზოგად წესს ადგენს სსსკ-ის მე-40 მუხლი, რომლის პირველი ნაწილის თანახმად, დავის საგნის ფასს მიუთითებს მოსარჩელე (განმცხადებელი), რაც, თავის მხრივ, სარჩელის აღძვრის ინიციატორის/განცხადების წარმდგენი მხარის დისპოზიციურობის პრინციპის (სსსკ-ის მე-3 მუხლი; *დასახელებული ნორმის კომენტარი ვრცლად იხ. ზემოთ*) ერთ-ერთი გამოხატულებაა, რადგან მოსარჩელე/განმცხადებელი თავად განსაზღვრავს, თუ ვის ედავება, რა საფუძვლით, რა არის დავის საგანი და როგორია მისი ღირებულება (სსსკ-ის 178-ე მუხლი); სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ადგენს, რომ სასამართლო შეზღუდულია მხარის მოთხოვნით და არ არის უფლებამოსილი თავისი გადაწყვეტილებით მხარეს მიაკუთვნოს ის, რაც მას არ უთხოვია, ან იმაზე მეტი, ვიდრე ის მოითხოვდა (სსსკ-ის 248-ე მუხლი). სარჩელის (განცხადების) რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველია მისი ფორმალური გაუმართაობა, რომელიც კონკრეტულ კრიტერიუმებს ადგენს ამომწურავი ჩამონათვალის სახით და მათ შორისაა დავის საგნისა და სარჩელის ფასის მიუთითებლობა, სახელმწიფო ბაჟის გადახდის დოკუმენტის წარუდგენლობა (იხ. სსსკ-ის 183-ე მუხლი);

3.3. აღსანიშნავია, რომ სსსკ-ის მე-40 მუხლი მარტოდენ მხარის პრეოგატივად არ მიიჩნევს დავის საგნის ღირებულების განსაზღვრას, კერძოდ, მისი პირველი ნაწილის მეორე წინადადების თანახმად: *თუ მოსარჩელის მიერ მითითებული ფასი ამკარად არ შეესაბამება სადავო ქონების რეალურ ღირებულებას, დავის საგნის ფასს განსაზღვრავს მოსამართლე სადავო ქონების საბაზრო ღირებულების მიხედვით (13.07.2006. №3435 ამოქმედდა გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)*; ამავე ნორმის მე-2 ნაწილი ისეთ შემთხვევასაც ითვალისწინებს, როდესაც ერთ სარჩელში რა-

⁷ იქვე - გვ.17

მდენიმე სხვადასხვა მოთხოვნა ჩამოყალიბებული (ასეთ ვითარებაში, უნინარესად, უნდა შემონმდეს სსსკ-ის მე-13 მუხლის მე-4 ნაწილის წინაპირობები, რათა დადგინდეს მაგისტრადი მოსამართლის განსჯადობა კონკრეტულ საქმეზე; უფრო ვრცლად იხ. ზემოთ მე-13 მუხლის კომენტარი) და, თუ დადგინდება, რომ საქმე მაგისტრადი მოსამართლის განსჯადია, სარჩელში მითითებული რამდენიმე მოთხოვნის შეჯამების შემდეგ უნდა განისაზღვროს სადავო საგნის ღირებულება; სსსკ-ის მე-40 მუხლის მე-3 ნაწილი, როგორც მხარეების, ისე სასამართლოსთვისაც ადგენს ზოგად წესს, რომ სადავო საგნის შეფასებისას მხედველობაში მიიღება იმ დროს არსებული ფასები, როდესაც შეტანილ იქნა სარჩელი, ხოლო გადაწყვეტილების გასაჩივრებისას – საჩივრის შეტანის დროისათვის არსებული ფასები. სსსკ-ის მე-40 მუხლის მოწესრიგება მნიშვნელოვანია ამავე კოდექსის 41-ე მუხლის გამოსაყენებლად, რომელიც დავის საგნის ფასის განსაზღვრის წესს ადგენს: კერძოდ:

„ 1. დავის საგნის ფასი განისაზღვრება:

ა) ფულის გადახდევინების შესახებ სარჩელისა – გადასახდელი თანხით;

ბ) ნივთის (ქონების) გადაცემის ან მიწოდების შესახებ სარჩელისა – ამ ნივთის (ქონების) საბაზრო ღირებულებით;

გ) ალიმენტის გადახდევინების შესახებ სარჩელისა – ერთი წლის განმავლობაში გადასახდელი თანხების ერთობლიობით;

დ) ვადიანი გასაცემის ან გადასახდელის შესახებ სარჩელისა – არა უმეტეს სამი წლის განმავლობაში გასაცემი ან გადასახდელი თანხების ერთობლიობით;

ე) უვადო ან სამუდამო (გარდაცვალებამდე) გასაცემის ან გადასახდელის შესახებ სარჩელისა – სამი წლის განმავლობაში გასაცემი ან გადასახდელი თანხების ერთობლიობით;

ვ) გასაცემის ან გადასახდელის შემცირების ანდა გადიდების შესახებ სარჩელისა – იმ თანხით, რომლითაც მცირდება ანდა დიდდება გასაცემი ან გადასახდელი, მაგრამ არა უმეტეს ერთი წლის განმავლობაში;

ზ) ქონების ქირავნობის ხელშეკრულების ვადამდე მოშლის შესახებ სარჩელისა – დარჩენილი ვადით, მაგრამ არა უმეტეს სამი წლის განმავლობაში გადასახდელი თანხების ერთობლიობით;

თ) გასაცემის ან გადასახდელის შეწყვეტის შესახებ სარჩელისა – არა უმეტეს სამი წლის განმავლობაში დარჩენილი გასაცემი ან გადასახდელი თანხების ერთობლიობით;

ი) უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების ცნობის შესახებ სარჩელისა – უძრავი ნივთის საბაზრო ღირებულებით;

კ) 4 000 ლარით, თუ ქონებრივ-სამართლებრივ დავაში (საკუთრების ხელყოფა ან სხვაგვარი ხელშეშლა, სამეზობლო დავა და სხვა) შეუძლებელია დავის საგნის ფასის განსაზღვრა.

3.5. სსსკ-ის 41-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე „თუ არაქონებრივ დავასთან ერთად განიხილება მისგან წარმომობილი ქონებრივ-სამართლებრივი დავა, დავის საგნის ფასი განისაზღვრება უფრო მაღალი ღირებულების მოთხოვნის მიხედვით“ (თუმცა, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ასეთი დავა მაგისტრატი მოსამართლის განსჯადი არ არის (იხ. ზემოთ 2.3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი და 2.4 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი).

3.6. სსსკ-ის 41-ე მუხლიდან გამომდინარე, როდესაც მაგისტრატი მოსამართლის განსჯადი საქმის იდენტიფიცირებაა საჭირო, ცხადია, რომ დავის საგნის ფასის განსაზღვრას დიდი მნიშვნელობა აქვს. ამდენად, დავა მაგისტრატი მოსამართლის განსჯადი იქნება, თუ:

ა) ფულის გადახდევინების შესახებ სარჩელის გადასახდელი თანხა არ აღემატება 5000 ლარს;

ბ) ნივთის (ქონების) გადაცემის ან მიწოდების შესახებ სარჩელი, თუ ამ ნივთის (ქონების) საბაზრო ღირებულება არ აღემატება 5000 ლარს (ამ წესით სარჩელის ფასი გამოიანგარიშება იმ შემთხვევაში, როდესაც მხარე უძრავ ნივთზე უფლების დადგენას ითხოვს, ხოლო თუ უფლება დადგენილია და სარჩელით მოთხოვნილია უძრავი ნივთის გამოთხოვა /ვინდიკაციური სარჩელი/ ან ხელშეშლის აღკვეთა /ნეგატორული სარჩელი/ და სხვ., მაშინ სარჩელის ფასი პირობითად 4000 ლარით განისაზღვრება სსსკ-ის 41-ე მუხლის „კ“ ქვეპუნქტის საფუძველზე)⁸;

გ) ალიმენტის გადახდევინების შესახებ სარჩელი, თუ ერთი წლის განმავლობაში გადასახდელი თანხების ერთობლიობა არ აღემატება 5000 ლარს;

დ) ვადიანი გასაცემის ან გადასახდელის შესახებ სარჩელი, თუ არა უმეტეს სამი წლის განმავლობაში გასაცემი ან გადასახდელი თანხების ერთობლიობა არ აღემატება 5000 ლარს;

ე) უვადო ან სამუდამო (გარდაცვალებამდე) გასაცემის ან გადასახდელის შესახებ სარჩელი, თუ სამი წლის განმავლობაში გასაცემი ან გადასახდელი თანხების ერთობლიობა არ აღემატება 5000 ლარს;

ვ) გასაცემის ან გადასახდელის შემცირების ანდა გადიდების შესახებ სარჩელი – იმ თანხით, რომლითაც მცირდება ანდა დიდდება გასაცემი ან

⁸ პრაქტიკული რეკომენდაციები სამოქალაქო საპროცესო სამართლის საკითხებზე საერთო სასამართლოების მოსამართლეთათვის- გვ.18; საქართველოს უზენაესი სასამართლოს გამოცემა, 2010წ. თბილისი

გადასახდელი, მაგრამ არა უმეტეს ერთი წლის განმავლობაში და არ აღემატება 5000 ლარს;

ზ) ქონების ქირავნობის ხელშეკრულების ვადამდე მოშლის შესახებ სარჩელი – დარჩენილი ვადით, მაგრამ თუ არა უმეტეს სამი წლის განმავლობაში გადასახდელი თანხების ერთობლიობა არ აღემატება 5000 ლარს;

თ) გასაცემის ან გადასახდელის შეწყვეტის შესახებ სარჩელი, თუ არა უმეტეს სამი წლის განმავლობაში დარჩენილი გასაცემი ან გადასახდელი თანხების ერთობლიობა არ აღემატება 5000 ლარს;

ი) უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების ცნობის შესახებ სარჩელი, თუ უძრავი ნივთის საბაზრო ღირებულება არ აღემატება 5000 ლარს;

კ) ქონებრივ-სამართლებრივი დავა (საკუთრების ხელყოფა ან სხვაგვარი ხელშეშლა, სამეზობლო დავა და სხვა), სადაც შეუძლებელია დავის საგნის ფასის განსაზღვრა და რა დროსაც სსსკ-ის 41-ე მუხლის პირველი ნაწილის „კ“ ქვეპუნქტის საფუძველზე 4000 ლარით ფასდება დავის საგანი.

ამდენად, მაგისტრატი მოსამართლის განსჯადი ქონებრივი დავების საგნის ღირებულების გამოანგარიშების წესის მიხედვით, თუ ასეთი გამოანგარიშების შედეგად აღმოჩნდა, რომ დავის საგნის ღირებულება 5000 ლარს აღემატება, მაშინ მაგისტრატი მოსამართლე, სსსკ-ის 186-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე, არ მიიღებს სარჩელს, როგორც არაგანსჯადს, თუმცა, იგი ვალდებულია მიუთითოს თავის განჩინებაში, თუ რომელ სასამართლოს (კონკრეტულად დასახელება და მისამართი) უნდა მიმართოს მოსარჩელემ (სსსკ-ის 187-ე მუხლის პირველი ნაწილი). მაგისტრატი მოსამართლის ამ განჩინებაზე დასაშვებია კერძო საჩივრის შეტანა (სსსკ-ის 187-ე მუხლის მესამე ნაწილი).

3.7. მაგისტრატი მოსამართლე, დავის საგნის კატეგორიის, ღირებულებისა და მისი ფასის მიხედვით, მის განსჯად საქმეზე, საპროცესო კანონით დადგენილი წესით იყენებს იმ საგამონაკლისო პროცესუალურ წესებს, რომელთა საფუძველზე შესაძლებელია სასამართლო ხარჯებისაგან გათავისუფლება სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, რაც არ არის ამომწურავი ჩამონათვალი სსსკ-ის 46-ე მუხლის მიხედვით და, სამოქალაქო საპროცესო კოდექსთან ერთად, გამოიყენება „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონი; ასევე, სასამართლოს მიერ სასამართლო ხარჯების გადასახადისაგან მთლიანად ან ნაწილობრივ გათავისუფლების წინაპირობებს ამოწმებს და ღებულობს მოტივირებულ განჩინებას სსსკ-ის 47-ე მუხლის შესაბამისად; სასამართლოს შეუძლია სასამართლო ხარჯების გადახდის გადავადება და მათი ოდენობის შემცირება

მხარეთა ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, რაც სსსკ-ის 48-ე მუხლის მოთხოვნებს ეფუძნება.

IV. მაგისტრატ მოსამართლეთა განსჯადი სამოქალაქო საქმეების განხილვის წესი

4.1. სსსკ-ის 217¹-ე მუხლი განსაზღვრავს მაგისტრატ მოსამართლეთა განსჯადი სამოქალაქო საქმეების განხილვას დაჩქარებული წესით, რაც იმას გულისხმობს, რომ საქმის არსებითი განხილვა იწყება მოსამართლის მიერ საქმეზე მოხსენებით, რომელიც უნდა შეეხებოდეს სადავო ფაქტობრივ გარემოებებს. ამის შემდეგ მოსამართლეს უფლება აქვს, მხარეებს დაუსვას შეკითხვები, რომლებიც ხელს შეუწყობს საქმისათვის მნიშვნელოვან ფაქტობრივ გარემოებათა დადგენას და ამ გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულებების გამოკვლევას.

4.2. საპროცესო კოდექსით მხარეებისთვის გარანტირებულია უფლება, სასამართლოს წინასწარი ნებართვის გარეშე დაუსვან მოწინააღმდეგე მხარეს და მის წარმომადგენელს შეკითხვები სადავო ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით. სასამართლო ნებართვას იძლევა მხოლოდ შეკითხვების დასმის პროცედურის დაწყების თაობაზე. მაგისტრატი მოსამართლის მიერ განსჯადი საქმეებზე მტკიცებულებათა გამოქვეყნება სავალდებულო არ არის. საქმის განხილვა მთავრდება მხარეთა პაექრობითა და რეპლიკით (20.11.2009წ. №2110; ამოქმედდა გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს).

V. ზოგიერთი კატეგორიის სამოქალაქო დავის განსჯადობის მონესრიგება

მაგისტრატ მოსამართლეთა განსჯადი სამოქალაქო საქმეების კომენტირებისას მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, ლაკონიურად აღინიშნოს ცალკეული კატეგორიის სამოქალაქო დავების განსჯადობის თავისებურებების შესახებ.

5.1. მაგისტრატი მოსამართლის განსჯადი უდავო წარმოების საქმეები

5.1.1 სსსკ-ის მე-14 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე მაგისტრატი მოსამართლე პირველი ინსტანციით განიხილავს უდავო წარმოების საქმეებს (გარდა შვილად აყვანისა), თუ მოთხოვნის ღირებულება აღემატება 5000 ლარს. თავის მხრივ, უდავო წარმოების წესი დადგენილია სსსკ-

ის მეექვსე კართ. XXXV თავი (მუხლები 310-311 მუხლები) ზოგად დებულებებს განსაზღვრავს და ითვალისწინებს უდავო წარმოების წესით განსახილველ საქმეთა ამომწურავ ჩამონათვალს. უდავო წარმოებას არასასარჩელო წარმოებას უწოდებენ, რადგან სასარჩელო წარმოებისაგან განსხვავებით, ეს არ არის ისეთი შემთხვევა, როდესაც ერთი პირი მეორეს უყენებს მოთხოვნას, ამ შემთხვევაში არ გამოიყენება სარჩელის ცნობის (მთლიანად/ნაწილობრივ), მორიგებისა და სხვა ისეთი ინსტიტუტები, რომლებიც სასარჩელო წარმოებას ახასიათებს. უდავო წარმოების დროს განმცხადებელი არის პირი, რომელიც თვითონ განსაზღვრავს, თუ რა სახის მოთხოვნას აყენებს, რასაც სამართლებრივად მისთვის სასურველი შედეგის დადგომა უნდა მოჰყვეს კანონით დადგენილი წინაპირობების განსხორციელების, შესაბამისი მტკიცებულებების წარდგენის პირობებში.

5.1.2. სსსკ-ის 310-ე მუხლის საფუძველზე მაგისტრაცი მოსამართლე უდავო წარმოების წესით იხილავს საქმეებს:

ა) იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენის შესახებ (სსსკ-ის თავი XXXVI, 312-316¹ მუხლები);

იურიდიული მნიშვნელობის მქონე ისეთი ფაქტები, რომელთა დადგენაზე დამოკიდებულია მოქალაქეთა და ორგანიზაციათა პირადი ან ქონებრივი უფლებების წარმოშობა, შეცვლა ან მოსპობა. სსსკ-ის 311-ე მუხლის პირველი ნაწილი ადგენს, რომ „უდავო წარმოების წესით საქმეებს სასამართლო განიხილავს ამ კოდექსით დადგენილი წესებით, იმ ცვლილებებისა და დამატებების გათვალისწინებით, რომლებიც გათვალისწინებულია XXXV–XLII თავებით. უდავო წარმოების წესით საქმის განხილვისას სასამართლო იწვევს ამ საქმის განხილვით დაინტერესებულ პირებს. (13.07.2006. №3435 ამოქმედდა გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)“, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრულია, რომ თუ უდავო წარმოების წესით საქმის განხილვისას აღიძვრის დავა ისეთი უფლებების შესახებ, რომლებიც სასამართლოს უწყებრივად ექვემდებარება, სასამართლო განცხადებას განუხილველად დატოვებს და დაინტერესებულ პირებს განუმარტავს, რომ მათ უფლება აქვთ წარადგინონ სარჩელი საერთო საფუძველზე.

ბ) მოქალაქის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებისა და მოქალაქის გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ (სსსკ-ის თავი XXXVII, მუხლები 317-321¹);

გ) ამოღებულია (20.03.2015. №3340 ამოქმედდა 2015 წლის 1 აპრილიდან). „გ“ ქვეპუნქტი, ითვალისწინებდა „მოქალაქის ქმედუწუნაროდ და მებლუდულ ქმედუწარიანად აღიარების შესახებ“ საქმის უდავო წარმოე-

ბის წესით განხილვას, რაც ამოღებულია. აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილება დაუკავშირდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილების (#2/4/532,533 - საკანონმდებლო მაცნეში გამოქვეყნდა 28.10.2014წ.) საფუძველზე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-12 მუხლის /ქმედუნარიანობა/ ახალი რედაქციით ჩამოყალიბებას /ასევე სსკ-ის 58-ე, 58¹-ე, 134-ე, 721-ე, 995-ე, 1172-ე და სხვა მუხლების ახალი რედაქციით მიღებას/, რომელმაც შეზღუდული ქმედუნარიანობის ინსტიტუტი მხარდაჭერის ინსტიტუტით ჩაანაცვლა, შესაბამისად, საპროცესო კოდექსშიც განხორციელდა ცვლილებები და კარით მეშვიდე⁴ პირის შეზღუდულქმედუნარიანად აღიარება და მხარდაჭერის მიმღებად ცნობა, თავით XLIV¹⁰ -პირის შეზღუდულქმედუნარიანად აღიარება - მოწესრიგდა აღნიშნული საკითხი, რაც აღარ განეკუთვნება უდავო წარმოების საქმეს.

დ) დაკარგულ საწარმდგენლო ფასიან ქალაქსა და საორდერო ფასიან ქალაქზე უფლების აღდგენის შესახებ (გამონვევითი წარმოება) - თავი XXXIX (328-336 მუხლები); ასეთ დროს მნიშვნელობა არ აქვს ფასიანი ქალაქით დაცული ქონებრივი სიკეთის ღირებულება აღემატება თუ არა 5000 ლარს.

ე) ქონების უპატრონოდ ცნობის შესახებ, თუ მისი ღირებულება არ აღემატება 5000 ლარს (თავი XL, მუხლები 337-341).

5.1.3. სსკ-ის 310-ე მუხლის “ზ”- შვილად აყვანის შესახებ; “თ” ბავშვის მიტოვებულად აღიარების შესახებ; “ი” ცოცხალ დონორობაზე თანხმობის შესახებ - ქვეპუნქტებში მითითებული საქმეები, მართალია, უდავო წარმოების წესით განიხილება, მაგრამ ისინი არ არის მაგისტრატი მოსამართლის განსჯადი საქმეები.

5.1.4. უდავო წარმოების წესით განიხილება, ასევე, დაკარგული საქმის წარმოების აღდგენა - თავი XLII¹ (მუხლები - 351¹ - 351⁶), მართალია, “კანონმდებელი დუმს დაკარგული საქმის წარმოებასთან დაკავშირებით”, თუმცა, ამ საკითხის მომწესრიგებელი საპროცესო ნორმების შინაარსიდან გამომდინარე, საქმის განხილველი სასამართლო ან მისი უფლებამონაცვლე იხილავს დაკარგული საქმის წარმოების აღდგენის შესახებ განცხადებას, თუ მან გამოიტანა დაკარგულ საქმეზე გადაწყვეტილება (განჩინება) ამ საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ; ხოლო თუ დაკარგული საქმის წარმოება არ არის დამთავრებული, მაშინ განცხადება შეიტანება იმ სასამართლოში, რომლის წარმოებაშიც არის ეს საქმე. შესაბამისად, თუკი, საქმე მაგისტრატი მოსამართლის განსჯადი იყო ან მის წარმოებაშია დაკარგული საქმის თაობაზე განცხადება, მაშინ ის, როგორ

რც საქმის განმხილველი, მიიღებს განცხადებას და გამოიტანს განჩინებას (იხ. სსსკ-ის 351²-ე, 351⁴-ე, 351⁵-ე მუხლები)⁹.

5.2. მაგისტრალი მოსამართლის განსჯადი გამარტივებული წარმოების საქმეები

5.2.1. სსსკ-ის მე-14 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე მაგისტრალი მოსამართლე პირველი ინსტანციით განიხილავს გამარტივებული წარმოების საქმეებს. ამავე კოდექსის მეხუთე კარი ეთმობა გამარტივებულ წარმოებას, რომელშიც შედის თავი XXXIII (მუხლები 292-301) თამასუქისა და ჩეკის თაობაზე აღძრული სარჩელების განხილვა; თავი XXXIV¹ (მუხლები 309¹-309⁷) ლიზინგის საგნის გამცემის მფლობელობაში ლიზინგის საგნის დაბრუნების თაობაზე საქმის განხილვის გამარტივებული წესი); ორივე დასახელებულ შემთხვევაში მნიშვნელობა არ აქვს: ა) ფასიანი ქაღალდის ღირებულებას; ბ) დასაბრუნებელი საგნის ღირებულებას; ამ კატეგორიის საქმეები მაგისტრალი მოსამართლეების განსჯადია.

5.2.2. სამოქალაქო საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე გამარტივებული წარმოებით განიხილება აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ საქმეები (თავი XXXIV², მუხლები 309⁸-309¹⁵; 11.07.2011 წ. ცვლილება # 5286) და ცალკეული დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელები (თავი XXXIV³, მუხლები 309¹⁶-309²¹; 15.12.2010 წ. ცვლილება # 4075). ამ კატეგორიის საქმეები არ განეკუთვნება მაგისტრალი მოსამართლის განსჯადობას.

⁹ პრაქტიკული რეკომენდაციები სამოქალაქო საპროცესო სამართლის საკითხებზე საერთო სასამართლოების მოსამართლეთათვის- გვ.14; საქართველოს უზენაესი სასამართლოს გამოცემა, 2010წ. თბილისი.

მუხლი 15. საერთო განსჯადობა

1. სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით. არასასარჩელო წარმოებისას განსჯადობა განისაზღვრება იმ პირის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, რომლის წინააღმდეგაც მიმართულია განცხადება (საჩივარი).

1¹. სარჩელები (განცხადებები) ამ კოდექსის მე-14 მუხლით გათვალისწინებულ საქმეებზე სასამართლოში შეიტანება მაგისტრატი მოსამართლის სამოქმედო ტერიტორიის მიხედვით, ხოლო იმ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, სადაც არ მოქმედებს მაგისტრატი მოსამართლე – რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში (13.07.2006. №3435 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს).

2. თუ მოპასუხეს არა აქვს საცხოვრებელი ადგილი, სარჩელი განიხილება სასამართლოში საქართველოს ტერიტორიაზე მისი ადგილსამყოფლის მიხედვით, ხოლო თუ მოპასუხის ადგილსამყოფელი უცნობია, მაშინ სარჩელი შეიძლება აღიძრას მისი უკანასკნელი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

ულრის ჰაბენლოხი.....	153
მე-15 მუხლი.....	153
ეკატერინე ბასნიტაშვილი.....	157
მე-15 მუხლი.....	157

ულრის ჰაბენლოხი

მე-15 მუხლი

ქართული სსკ-დან მოყვანილი ნორმები:

- მე-15 მუხლი

საერთო განსჯადობა

საერთო განსჯადობის კანონისმიერი რეგულაციები სადავო წარმოებისას საქართველოსა და გერმანიაში, ძირითადად, მსგავსად არის ფორმირებული. უდავო წარმოებისას [იხ. 243-ე მუხლი ა.ნ. 4] სახეზეა გა-

რკვეული განსხვავებები, რომლებიც ეფუძნება იმას, რომ გერმანიაში უდავო წარმოების მომწესრიგებელი ნორმები არსებითად განსხვავდება საქართველოში არსებული უდავო სამართალწარმოების რეგულაციები-სგან; აღნიშნულ განსხვავებებს წარმოშობს მთელი რიგი სასამართლო უფლებამოსილებებიც, რომლებიც საქართველოში საერთოდ არ შედის სასამართლოს კომპეტენციაში. გარდა ამისა, გერმანიის უდავო სამართალწარმოების მომწესრიგებელ ნორმებში განსაზღვრული საქმეებისთვის არ არსებობს მოპასუხე. ეს ნიშნავს, რომ თვიდანვე გამოირიცხება ტერიტორიული განსჯადობის განსაზღვრა - განსხვავებით სსკ-ის მე-15 მუხლის დანაწესისგან - მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

მნიშვნელოვანი გერმანული დებულებებია:

§ 12 GER-ZPO - საერთო განსჯადობა; ცნება

პირისთვის განსაზღვრული საერთო განსჯადობის სასამართლო პასუხისმგებელია ყველა იმ სარჩელის განხილვაზე, რომლებიც აღიძვრება ამ პირის წინააღმდეგ, თუკი კონკრეტული სარჩელისთვის არ არსებობს სპეციალური განსჯადობის სასამართლო.

§ 13 GER-ZPO - საერთო განსჯადობა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით

პირისთვის საერთო განსჯადობის სასამართლო განისაზღვრება მისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

§ 2 საოჯახო საქმეების საპროცესო კოდექსი

1) რამდენიმე ტერიტორიული განსჯადობის სასამართლოს შემთხვევაში, განსჯადია ის სასამართლო, რომელიც პირველად დაკავდება საქმით.

...

3) სასამართლოს ქმედებები არ ექვემდებარება ბათილობას, მხოლოდ იმიტომ, რომ ის განახორციელა ტერიტორიული განსჯადობის არმქონე სასამართლომ.

§ 122 საოჯახო საქმეების საპროცესო კოდექსი

შემდეგი თანამიმდევრობით ექსკლუზიური განსჯადობა აქვს:

1. სასამართლოს, რომლის ტერიტორიული განსჯადობის ერთეულშიც ერთ-ერთ მეუღლეს, ყველა საერთო არასრულწლოვან შვილთან ერთად, აქვს ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი;

2. სასამართლოს, რომლის ტერიტორიული განსჯადობის ერთეულშიც ერთ-ერთ მეუღლეს, საერთო არასრულწლოვანი შვილების ნაწილთან ერთად, აქვს ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი;

3. სასამართლოს, რომლის ტერიტორიული განსჯადობის ერთეულში მეუღლეებს ბოლოს საერთო ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი ჰქონდათ საქმის წარმოებაში მიღებამდე, რის შემდეგაც ერთ-ერთი მეუღლეთაგანი საცხოვრებლად გადავიდა სხვაგან, თუმცა მისი ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი დარჩა ამ სასამართლოს ტერიტორიული განსჯადობის ერთეულში;

4. სასამართლოს, რომლის ტერიტორიული განსჯადობის ერთეულში მოპასუხეს აქვს თავისი ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი;

5. სასამართლოს, რომლის ტერიტორიული განსჯადობის ერთეულში განმცხადებელს აქვს თავისი ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი;

6....

7...

§ 272 საოჯახო საქმეების საპროცესო კოდექსი, მხარდაჭერის საქმეები

(1) შემდეგი თანამიმდევრობით ექსკლუზიური განსჯადობა აქვს:

1. სასამართლოს, რომელიც განიხილავს მხარდაჭერის საქმეს, რამდენადაც უკვე დაინიშნა მხარდამჭერი;

2. სასამართლოს, რომლის ტერიტორიული განსჯადობის ერთეულში დაინტერესებულ პირს აქვს ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი;

3. სასამართლოს, რომლის ტერიტორიული განსჯადობის ერთეულშიც გამოვლინდა მხარდაჭერის საჭიროება;

4....

მსგავსად ქართული სამოქალაქო საპროცესო სამართლისა, გერმანულ სამართალში საკვანძო მნიშვნელობა ენიჭება საცხოვრებელი ადგილის ცნებას. ის ორივე მართლწესრიგში - შინაარსობრივად თითქმის იდენტურად - უფრო დეტალურად არის განმარტებული (§§ 7 – 11 GER-BGB; სკ-ის მე-20), თუმცა, გერმანული გადმოსახედიდან, ის მაინც საპროცესო-სამართლებრივ ცნებად რჩება. ქართული სამართლის მსგავსად, გერმანულიც ასხვავებს ნებაყოფლობით არჩეულ და სხვისი საცხოვრისიდან გამომდინარე საცხოვრებელ ადგილს. პირველში მოიაზრება ადგილი, რომელიც დაფუძნების მსურველი პირისთვის ცხოვრების მთავარი ადგილსამყოფელია ან, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ცხოვრებისეული ურთიერთობის ძირითადი სივრცე (BGH განჩინება 25.03.1987 - IVb

ARZ 6/87 - NJW-RR 1988, 387). ამაზე მიანიშნებს შესაბამის სარეგისტრაციო სამსახურში რეგისტრაცია. თუმცა, ეს უპირობოდ არ კმარა საცხოვრებელი ადგილის დასადასტურებლად (BGH განჩინება 21.12.1994 - XII ARZ 35/94 - NJW-RR 1995, 507); სხვის საცხოვრისზე დამოკიდებულ საცხოვრებელ ადგილთან გვაქვს საქმე, როდესაც - როგორც არასრულწლოვნების შემთხვევაში (§ 11 GER-BGB; Art. 20 Abs. 2 GEO-ZGB) - პირის საცხოვრებელი ადგილი უკავშირდება მესამე პირის საცხოვრებელ ადგილს.

პატიმრობის მოხდის ადგილი არ წარმოშობს (დამატებით) საცხოვრებელ ადგილს დაფუძნების ნების არარსებობის გამო. თუმცა, საბოლოო ჯამში, ცალკეულ შემთხვევაზეა დამოკიდებული, ჩაითვლება თუ არა საცხოვრებელ ადგილად: თავშესაფარი, სადაც პირი მოთავსდა (OLG Düsseldorf განჩინება NJW-RR 1991, 1411; OLG Düsseldorf განჩინება 29.10.2012 – 3 Sa 5/12 - NJW-RR 2013, 520); ადგილი, სადაც მდებარეობს სასწავლო დაწესებულება, ანდა პირი იღებს განათლებას (OLG Hamm განჩინება 02.05.2001 - 8 WF 27/01 - FamRZ 2002, 54); ან ქალთა თავშესაფარი (BGH, განჩინება 14.12.1994 – XII ARZ 33/94 - NJW 1995, 1224; OLG Karlsruhe, განჩინება 07.05.2009 - 16 WF 61/09 - NJW-RR 2009, 1598. კანონის მიხედვით, პროფესიონალი სამხედროებისთვის გერმანიაში საცხოვრებელ ადგილად ითვლება მათი ლოკაციის ადგილი (§ 9 GER-BGB).

საქართველოს მსგავსად, როდესაც ორივე მშობელს აქვს ბავშვზე ზრუნვის უფლება, ბავშვის საცხოვრებელ ადგილად ითვლება მშობლების საერთო საცხოვრებელი ადგილი (§ 11 GER-BGB; სკ-ის მე-20 მუხლის მე-2 ნაწილი, GEO-ZGB). თუ მშობლებს აქვთ ცალ-ცალკე საცხოვრებელი, მაგრამ ბავშვზე ზრუნვის ერთობლივი უფლება, გერმანიაში ბავშვს აქვს ორმაგი საცხოვრებელი ადგილი (BGH, Beschluss vom 07.07.1967 - IVb ZR 179/67 - BGHZ 48, 228; BGH, Urteil vom 08.03.1995 - XII ZR 165/93 - FamRZ 1995, 728; BGH, Beschluss vom 08.07.1992 - XII ARZ 14/92 - FamRZ 1993, 48).

§ 7 Abs. 3 GER-BGB-ის შესაბამისად, პირი საცხოვრებელ ადგილზე უარს ამბობს, როცა სურს, ბინადრობის გაუქმებით უარი თქვას მასზე. ამაზე მიანიშნებს ამონერა სარეგისტრაციო ორგანოში. თუმცა, მხოლოდ ეს არ კმარა საცხოვრებელ ადგილზე უარის თქმის დასადასტურებლად (მდრ. საცხოვრებელი ადგილის წარმოშობისთვის: BGH, Beschluss vom 21.12.1994 - XII ARZ 35/94 - NJW-RR 1995, 507). საცხოვრებელ ადგილზე ხშირად არ ყოფნა, როგორც წესი, არ კმარა, რომ ვივარაუდოთ ბინადრობის გაუქმება, განსხვავებით ბინის დაცლისგან.

ეკატერინე გასიტაშვილი

მე-15 მუხლი

I. ტერიტორიული განსჯადობის ძირითადი პრინციპები

1.1. სსსკ-ის მე-15 მუხლის საერთო განსჯადობის წესს ადგენს, რასაც ტერიტორიული განსჯადობა ეწოდება. მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა უშუალოდ უკავშირდება თითოეული პირის უფლებას, სასამართლო გზით დაიცვას საკუთარი უფლება თუ კანონიერი ინტერესი. ტერიტორიული განსჯადობა სამ ძირითად პრინციპს ეფუძნება: ა) სარჩელის წარდგენა მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით; ბ) სარჩელის წარდგენა იურიდიული პირის ადგილსამყოფელის მიხედვით; გ) თუ მოპასუხეს არ აქვს საცხოვრებელი ადგილი, სარჩელი განიხილება საქართველოს ტერიტორიაზე მისი ფაქტობრივი ადგილსამყოფელის მიხედვით, ხოლო თუ არც ადგილსამყოფელია ცნობილი, მაშინ სარჩელის წარდგენა შესაძლებელია მოპასუხის უკანასკნელი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

II. საცხოვრებელი ადგილის დეფინიცია

2.1. საცხოვრებელი ადგილის სამართლებრივი დეფინიცია ჩამოყალიბებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (სსკ) მე-20 მუხლში: „1. ფიზიკური პირის საცხოვრებელ ადგილად მიიჩნევა ადგილი, რომელსაც იგი ჩვეულებრივ საცხოვრებლად ირჩევს. პირს შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე საცხოვრებელი ადგილი. 2. არასრულწლოვანის საცხოვრებელ ადგილად ითვლება მშობლის უფლების მქონე მშობლების საცხოვრებელი ადგილი, ხოლო სამეურვეო პირისა - მეურვის საცხოვრებელი ადგილი. 3. პირის საცხოვრებელი ადგილი არ უქმდება, თუ იგი იძულების წესით ან სახელმწიფოებრივი მოვალეობის შესასრულებლად განსაზღვრული ვადით ტოვებს ამ ადგილს“. დღევანდელი მდგომარეობით, შესაძლებელია პირს რამდენიმე საცხოვრებელი ადგილი ჰქონდეს, თუმცა მისი რეგისტრაციის ადგილი შეიძლება იყოს მხოლოდ ერთგან; სწორედ ფიზიკური პირის რეგისტრაციის (აღრიცხვის და არა ჩაწერის, როგორც ადრე იყო) ადგილის მიხედვით არის შესაძლებელი მის წინააღმდეგ სარჩელის (განცხადების) წარდგენა.

2.2. „საცხოვრებელი ადგილი პირის სამოქალაქო-სამართლებრივი იდენტიფიკაციის საშუალებას წარმოადგენს“.¹ სსკ-ის მე-20 მუხლი ეფუძნება საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლს. ეს უკანასკნელი მიმოსვლის თავისუფლებას ადგენს ყველა იმ პირისათვის, ვინც კანონიერად იმყოფება საქართველოს ტერიტორიაზე, რაც, თავის მხრივ, საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევის უფლებასაც გულისხმობს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ სსკ-ის მე-20 მუხლით განსაზღვრული უფლება რამდენიმე საცხოვრებელი ადგილის ქონასთან დაკავშირებით, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, არ გულისხმობს პირის რეგისტრაციას ერთდროულად რამდენიმე ადგილზე. „ასეთი დათქმა უმთავრესად, საჯარო-სამართლებრივი ვალდებულებების განხორციელების საფუძვლებიდან გამომდინარეობს, ვინაიდან გარკვეული საჯარო მიზნის შესასრულებლად, პირს კონკრეტული ჩანერის ადგილი მხოლოდ ერთ მისამართზე უნდა გააჩნდეს“.²

2.3. რაც ჩვენი ტერიტორიის ნაწილის რუსეთის მიერ ოკუპაციას და იძულებით გადაადგილებულ, ანუ ქვეყნის შიგნით დევნილი მოსახლეობის საცხოვრებელ ადგილს უკავშირდება, საკასაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა: „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, იმისათვის, რომ პირი მიჩნეულიყო იძულებით გადაადგილებულად პირად – დევნილად, მას იძულებით, საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ უნდა დაეტოვებინა მუდმივი საცხოვრებელი ადგილი. საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ კანონმდებელი „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონთან მიმართებაში იყენებს ცნებას „მუდმივი საცხოვრებელი ადგილი“ და არა „რეგისტრაციის ადგილი“ ან „საცხოვრებელი ადგილი“. შესაბამისად, დიდი მნიშვნელობა აქვს „საცხოვრებელი ადგილის“, „მუდმივი საცხოვრებელი ადგილისა“ და „რეგისტრაციის ადგილის“ ცნებების გამიჯვნას. საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ საცხოვრებელი ადგილი არის უფრო ფართო მნიშვნელობის, რომლის კონკრეტულ სახეს წარმოადგენს „რეგისტრაციის ადგილი“ და „მუდმივი საცხოვრებელი ადგილი“. თუ პირს შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე საცხოვრებელი ადგილი, ამის საწინააღმდეგოდ, დროის განსაზღვრულ მონაკვეთში პირს შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ერთი რეგისტრაციის ადგილი და მხოლოდ ერთი მუდმივი სა-

¹ იხ. ლადო ჭანტურია - სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, გვ. 205; 2011წ.

² იხ. სერგი ჯორბენაძე, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, ჭანტურია (რედ.), 2017, მუხლი 20, ველი 6.

ცხოვრებელი ადგილი. ამასთან, თუ რეგისტრაციის ადგილს პირი საკუთარი სურვილით ირჩევს, მუდმივი საცხოვრებელი ადგილის ასარჩევად სავალდებულოა პირის ნებასთან ერთად ფაქტობრივად ცხოვრების ფაქტის არსებობა. ამასთან, პირის ნება - დაეფუძნებინა საცხოვრებელი ადგილი - უზრუნველყოფილი უნდა ყოფილიყო ამ ნების დაკმაყოფილების შესაძლებლობით, ე.ი. პირს უნდა ჰქონოდა ბინა, სახლი ან სხვა საცხოვრებელი სადგომი მოცემულ ადგილზე. პირის კონკრეტულ ადგილას მუდმივად ცხოვრების ფაქტი გამოხატული იყო აღნიშნულ ადგილზე ჩვეულებრივი, ყოველდღიური ცხოვრებით, რაც შეიძლება დადასტურებულიყო, მაგ.: გადასახადის გადახდის დამადასტურებელი ქვითრით, საკომლო ჩანაწერით, მუდმივი მაცხოვრებლების აღწერის შედეგებით ან უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული წერილობითი დოკუმენტით, რომ პირი განსაზღვრულ ადგილას წარმოადგენდა მუდმივ მაცხოვრებელს. საკასაციო სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, მუდმივი საცხოვრებელი ადგილი არის პირის მიერ საცხოვრებლად არჩეული ადგილი, საიდანაც იგი, საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ, იძულებული გახდა გადაადგილებულიყო და არ შეეძლო დაბრუნება ამ კანონის პირველ მუხლში ჩამოთვლილი მიზეზების გამო. ამდენად, პირის მიერ საკუთარი ნებით, საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევის პრინციპის საფუძველზე მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დატოვების შემთხვევაში იკარგებოდა დევნილად ცნობის მეორე სავალდებულო პირობა – იძულებით გადაადგილების ფაქტი. საკასაციო სასამართლომ ასევე განმარტა, რომ პირადობის მონმობაში დაფიქსირებული საცხოვრებელი მისამართი ცალსახად არ მიუთითებდა პირის მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე, იმ მოსაზრებიდან გამომდინარე, რომ პირს შეიძლება ჰქონოდა რამდენიმე საცხოვრებელი ადგილი და საკუთარი არჩევანით რეგისტრაცია გაეწეოთ ერთ-ერთი მათგანის მიხედვით, რომელიც შეიძლება არ ყოფილიყო მისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი“.³ ამდენად, ძალზედ დიდ მნიშვნელობას იძენს, თუ ვინ არიან დავის მონაწილე სუბიექტები, როგორია დასადგენ ან შესაფასებელ ფაქტობრივ გარემოებათა შინაარსი.

2.4. როგორც აღნიშნულია 2.2 ქვეპუნქტში, ფიზიკურ პირს მხოლოდ ერთ ადგილზე შეუძლია რეგისტრაცია (აღრიცხვა), რომელსაც თვითონვე აირჩევს (იმ შემთხვევაში, თუ მას რამდენიმე საცხოვრებელი ადგილი აქვს), და ეს უკავშირდება საჯაროსამართლებრივი მონესრიგების მიზნებს. ამის მკაფიო გამოხატულებაა სსსკ-ის ის ნორმები, რომლებსაც კო-

³ იხ. სუსგ # ბს-1896-1849 (კ-10), 09.06.2011წ.

ნკრეტული საპროცესო-სამართლებრივი შედეგი აქვს პირის მატერიალური უფლების განხორციელების გზაზე. თვალსაჩინოებისათვის, უპრიანია რამდენიმე კონკრეტული სამოქალაქო საპროცესო ნორმის მოხმობა:

2.4.1. უნინარესად უნდა აღნიშნოს, რომ სარჩელის (განცხადების) წარმდგენ პირს ევალება მოპასუხის მისამართის - საცხოვრებელი ადგილის მითითება⁴ (სსსკ-ის 178-ე მუხლის პირველი ნაწილის “ბ” ქვეპუნქტი), ისევე, როგორც სარჩელის (განცხადების) და თანდართული დოკუმენტების ასლების მოპასუხისათვის ჩაბარება (სსსკ-ის 184-ე მუხლი); მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიუთითებლობა სარჩელის (განცხადების) რეგისტრაციაზე უარის თქმის ერთ-ერთი საფუძველია (სსსკ-ის 183-ე მუხლის “ბ” ქვეპუნქტი). თუ მოსარჩელის მიერ მითითებული მოპასუხის მისამართი არასწორი აღმოჩნდა, სასამართლო გამოიტანს განჩინებას სარჩელის განუხილველად დატოვებაზე (სსსკ-ის 71-ე მუხლის მე-4 ნაწილი). მხარეებს ევალებათ, სასამართლოს საქმისწარმოების განმავლობაში, თავიანთი მისამართის ცვლილების შესახებ აცნობონ სასამართლოს (სსსკ-ის 76-ე მუხლი);

2.4.2. მხარე, რომელიც შუამდგომლობს სასამართლოს წინაშე ამა თუ იმ პირის მოწმედ დაშვებასა და დაკითხვას, აგრეთვე მისი სასამართლოს მეშვეობით გამოძახებას, ვალდებულია მიუთითოს მოწმის სახელი, გვარი და საცხოვრებელი ადგილი (სსსკ-ის 140-ე მუხლის მე-3 ნაწილი);

2.4.3. რამდენიმე მოპასუხის წინააღმდეგ წარდგენილ სარჩელზე იხ. მე-16 მუხლის (განსაკუთრებული განსჯადობა) კომენტარი;

2.4.4. საგულისხმოა, რომ არა მხოლოდ სამოქალაქო საპროცესო ნორმები, არამედ სამოქალაქო სამართლის მატერიალური ნორმებიც, თავისი სამართლებრივი შედეგით, მჭიდროდ უკავშირდება პირის საცხოვრებელი ადგილის (ადგილსამყოფელის) ცნებას. ასე, მაგალითად: ა) ხელშეკრულების ცალკეული გამონათქვამების განმარტების შემთხვევაში (სსკ-ის 337-ე მუხლი); ბ) ვალდებულების შესრულების ადგილის განსაზღვრის მიზნებისათვის (სსკ-ის 362-ე მუხლი); გ) მოვალის ან კრედიტორის ადგილსამყოფლის შეცვლის შემთხვევაში (სსკ-ის 363-ე მუხლი); დ) ფულადი ვალდებულების შესრულების ადგილის განსაზღვრის დროს (სსკ-ის 386-ე მუხლი); ე) თავდებობის ვალდებულებისაგან გათავისუფლების საფუძვლების შემოწმების დროს (სსკ-ის 904-ე მუხლი); ვ) დისკრიმინაციის აკრძალვის გარემოებების შეფასებისას (სსკ-ის 1153-ე მუ-

⁴ იხ. თენგიზ ლილუაშვილი, ვალერი ხრუსტალი - საქართველოს სამოქალაქო პროცესის კომენტარი, გვ. 33; გამომცემლობა „სამართალი“, 2007წ.

ხლი); ზ) მშობლების განქორწინების შემთხვევაში არასრულწლოვანი ბავშვის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის დროს (სსკ-ის 1201-ე მუხლი); თ) სასამართლოს მიერ შვილად აყვანის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას (სსკ-ის 1242-ე მუხლი); მატერიალური სამართლის ეს ნორმა ფაქტობრივად სასამართლოს ტერიტორიულ განსჯადობას ადგენს; პრაქტიკულად იდენტურია სსსკ-ის 349-ე მუხლი, რომლის საფუძველზე ამ კატეგორიის საქმეების განხილვა მშვილბლის ან შვილად ასაყვანის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით არსებული სასამართლოს განსჯადია; ი) ერთ-ერთი მეუღლის მიერ ბავშვის შვილად აყვანის დროს, როდესაც საჭიროა თანხმობა (სსკ-ის 1247-ე მუხლი); კ) მხარდამჭერის (მხარდამჭერების) დანიშვნის შემთხვევაში (სსკ-ის 1280-ე მუხლი). მატერიალური სამართლის ამ ნორმის გამოსაყენებლად მნიშვნელოვანია სსსკ-ის სპეციალური თავით XLIV11 /პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობა/ განსაზღვრული პროცესუალური ნორმების გამოყენება. სსსკ-ს 363 14 მუხლის მე-2 ტერიტორიულ განსჯადობას ადგენს: „პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის შესახებ განცხადება შეიტანება სასამართლოში ამ პირის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო თუ ეს პირი სამკურნალო დაწესებულებაშია მოთავსებული - სამკურნალო დაწესებულების ადგილმდებარეობის მიხედვით“; ლ) მეურვისა და მზრუნველის მოქმედებათა გასაჩივრების შემთხვევაში (სსკ-ის 1298-ე მუხლი); მ) სამკვიდროს გახსნის ადგილის განსაზღვრის შემთხვევაში (სსკ-ის 1324-1325-ე მუხლები).

2.4.5. ოჯახური დავების განსჯადობა (მუხლი მე-19; ვრცლად კომენტარი იხ. ქვემოთ) ადგენს მეუღლეთა ერთობლივი საცხოვრებელი ადგილის ცნებას, ასევე, უთითებს მოპასუხის საცხოვრებელ ადგილზე. თუ მოპასუხეს ის არ აქვს, მაშინ სარჩელი წარედგინება მოსარჩელის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით;

2.4.6. საქმის განსჯადი სასამართლოსათვის გადაცემის წესი დადგენილია სსსკ-ის 23-ე მუხლით (ვრცლად კომენტარი იხ. ქვემოთ), რომელიც ასევე მიუთითებს მოპასუხის საცხოვრებელ ადგილზე. კერძოდ, ეს ისეთი შემთხვევაა, როდესაც ადრე არ იყო ცნობილი მოპასუხის საცხოვრებელი ადგილი, შემდეგ კი მან საქმის განხილვა მოითხოვა თავისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, რაც განსჯადობის წესების დაცვით, მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით არსებული სასამართლოს კომპეტენციაა.

III. იურიდიული პირის ადგილსამყოფელი

3.1. საგულისხმოა, რომ სსსკ-ის მე-15 მუხლით განსაზღვრული ტერიტორიული განსჯადობა უთითებს, რომ სარჩელის წარდგენა იურიდიული პირის წინააღმდეგ შესაძლებელია არა მხოლოდ მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის, არამედ იურიდიული პირის ადგილსამყოფელის მიხედვითაც.

3.2 იურიდიული პირის რეგისტრაცია სამართლებრივად წარმოშობს ორგანიზაციულ წარმონაქმნს, რომელსაც აქვს საქმიანობის კონკრეტული მიზანი, ასევე, სტრუქტურულად მოწესრიგებული ისეთი მმართველობითი ორგანოების სისტემა, რომელიც მის ფუნქციონირებას უზრუნველყოფს; არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეგისტრაციისათვის ასევე სავალდებულოა მისი ადგილსამყოფელის (იურიდიული მისამართის) დაფიქსირება (სსკ-ის 24-26-ე მუხლები), რაც ერთ-ერთი იმ კლასიკურ რეკვიზიტთაგანია, რომელიც მას პრაქტიკულად სუბსტანციურ არსს განუსაზღვრავს.⁵ „იურიდიული მისამართი იურიდიული პირის ისეთივე აუცილებელი ნიშანია, როგორც სახელწოდება“.⁶

3.3. სამეწარმეო (კომერციული) იურიდიული პირების რეგისტრაციის დროს, “მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე, ერთ-ერთი სავალდებულო პირობაა სანარმოს იურიდიული მისამართის მითითება (“გ” ქვეპუნქტი);

3.4. იურიდიული პირის ერთი ადგილსამყოფელის ცნება მჭიდროდ უკავშირდება როგორც ამ უკანასკნელის, ისე, სხვა პირის უფლების რეალიზებას. სსკ-ის 26-ე მუხლის საფუძველზე 1. იურიდიული პირის ადგილსამყოფლად ითვლება მისი ადმინისტრაციის მდებარეობის ადგილი. იურიდიულ პირს შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ერთი ადგილსამყოფელი (იურიდიული მისამართი). 2. იურიდიული პირის სხვა ადგილსამყოფელი ჩაითვლება მისი ფილიალის ადგილსამყოფლად.

3.5. იურიდიული პირისთვის ერთადერთი იურიდიული მისამართის განსაზღვრა ემსახურება როგორც კერძოსამართლებრივ, ისე საჯარო მონესრიგების მიზნებს.

⁵ იხ. ირაკლი ბურდული/დემეტრე ეგნატაშვილი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, ჭანტურია (რედ.), 2017, მუხლი 26, ველი 1.

⁶ იხ. ირაკლი ბურდული/დემეტრე ეგნატაშვილი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, ჭანტურია (რედ.), 2017, მუხლი 26, ველი 5.

IV. არასასარჩელო წარმოების ზოგიერთი თავისებურებანი

4.1. არასასარჩელო წარმოებისას განცხადება სასამართლოს წარედგინება იმ პირის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, რომლის წინააღმდეგაც შეტანილია განცხადება (საჩივარი). კერძოდ, ეს უკავშირდება უდავო წარმოების წესით და გამარტივებული წარმოებით განსახილველ საქმეებს; ამ შემთხვევაშიც, გასათვალისწინებელია საპროცესო ნორმების კონკრეტული მოწესრიგება. მაგალითად, სსსკ-ის 314-ე მუხლის თანახმად, განცხადება იურიდიული მნიშვნელობის ფაქტის დადგენის შესახებ სასამართლოში შეიტანება განმცხადებლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით და, ეს სრულიად ბუნებრივია, რადგან არასასარჩელო წარმოებაში არ არის მოპასუხე, რომლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვითაც განისაზღვრება ზოგადად განსჯადი სასამართლო (ვრცლად იხ. მე-14 მუხლის კომენტარი - 5.1.1 ქვეპუნქტი).

4.2. განცხადება მოქალაქის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების ან გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ იმ სასამართლოს განსჯადია, რომელიც დაინტერესებული პირის (განმცხადებლის) საცხოვრებელ ადგილას მდებარეობს (სსსკ-ის 317-ე მუხლი);

4.3. პირის განცხადება ქონების უპატრონოდ ცნობის შესახებ იმ სასამართლოს განსჯადია, რომელიც უპატრონოდ საცნობი ქონების (მოდრავი ქონება იგულისხმება, რადგან უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლება მხოლოდ სახელმწიფოზე შეიძლება გადავიდეს) დაუფლების სურვილს გამოთქვამს. თუ ის ფიზიკური პირია, საკუთარი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მიმართავს სასამართლოს, ხოლო თუ იურიდიული პირია - ადგილსამყოფელის (იურიდიული მისამართის) მიხედვით არსებული სასამართლო იქნება განსჯადი.⁷

V. მაგისტრატი მოსამართლეების ტერიტორიული განსჯადობა

5.1. სსსკ-ის მე-15 მუხლის 1¹ ნაწილი ტერიტორიულ განსჯადობას ადგენს, რაც უკავშირდება სარჩელის (განცხადების) შეტანას მაგისტრატი მოსამართლის სამოქმედო ტერიტორიის მიხედვით, ხოლო თუკი რომელიმე ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში არ მოქმედებს მაგისტრატი მოსამართლე, მაშინ სარჩელი (განცხადება) წარედგინება რა-

⁷ იხ. თენგიზ ლილუაშვილი, ვალერი ხრუსტალი - საქართველოს სამოქალაქო პროცესის კომენტარი, გვ. 578; გამომცემლობა „სამართალი“, 2007წ.

იონულ (საქალაქო) სასამართლოს (ვრცლად მაგისტრაცი მოსამართლეების განსჯად საქმეებზე იხ. მე-14 მუხლის კომენტარი).

VI. მოპასუხის საცხოვრებელი ადგილი და ადგილსამყოფელი

6.1. სსსკ-ის მე-15 მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებს ისეთ შემთხვევას, როდესაც მოპასუხეს არ აქვს საცხოვრებელი ადგილი. ასეთ დროს სარჩელი განიხილება საქართველოს ტერიტორიაზე მოპასუხის ადგილსამყოფელის მიხედვით არსებულ სასამართლოში. ამ ჩანაწერით კანონმდებელმა ერთმანეთისაგან გამიჯნა ფიზიკური პირის საცხოვრებელი ადგილი (რეგისტრაციის მისამართი) და მისი ფაქტობრივი ადგილსამყოფელი, რაც, ცხადია, პირის ხანგრძლივი დროით ყოფნას ნიშნავს გარკვეულ ადგილას, რაც „შეიძლება განპირობებული იყოს ამა თუ იმ სამუშაოს შესრულებით, ხანგრძლივი მივლინებით, მკურნალობით და ა.შ.“⁸ აღნიშნული საკითხი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა შემოწმდეს იმ შედეგების მიხედვით, რომელიც განხორციელდება სარჩელში მითითებული გარემოებების პასუხად წარდგენილ შესაგებებელში, რასაც მტკიცების ტვირთის მართებული გადანაწილებით ინდივიდუალურად შეაფასებს მოსამართლე. არც ის არის გამორიცხული, რომ განსჯადობის წესების დაცვით წარმოებაში მიღებულ საქმეში მოპასუხემ შეიცვალოს საცხოვრებელი ადგილი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი), თუმცა ეს არ შეიძლება გახდეს განსჯადობის მიხედვით საქმის სხვა სასამართლოსათვის გადაცემის საფუძველი⁹ (სსსკ-ის 22-ე მუხლი, ვრცელი კომენტარი იხ. ქვემოთ);

6.2. სსსკ-ის მე-15 მუხლის მე-2 ნაწილი იმგვარ შემთხვევასაც აწესრიგებს, როდესაც მოპასუხის არათუ საცხოვრებელი ადგილი, არამედ ადგილსამყოფელიც უცნობია. ასეთ დროს სარჩელი შეიძლება აღიძრას მოპასუხის უკანასკნელი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, რათა არ ხელყონ სარჩელის აღმძვრელი პირის უფლება, ჰქონდეს წვდომა სასამართლო წესით დაცვაზე.

⁸ თენგიზ ლილუაშვილი, ვალერი ხრუსტალი - საქართველოს სამოქალაქო პროცესის კომენტარი, გვ. 35-36; გამომცემლობა „სამართალი“, 2007წ.

⁹ იქვე, გვ. 36.

მუხლი 16. განსაკუთრებული განსჯადობა

1. სარჩელი რამდენიმე მოპასუხის მიმართ სასამართლოს წარედგინება ერთ-ერთი მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

2. ხელშეკრულებიდან გამომდინარე სარჩელები სასამართლოს წარედგინება ხელშეკრულების შესრულების ადგილის ან იმ ადგილის მიხედვით, სადაც ხელშეკრულება უნდა შესრულებულიყო, გარდა ამ მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა.

3. სარჩელი, რომელიც გამომდინარეობს იურიდიული პირის ფილიალის საქმიანობიდან, სასამართლოს წარედგინება მხოლოდ ფილიალის ადგილმდებარეობის მიხედვით.

4. სარჩელები კანონისმიერ ან ანდერძისმიერ მემკვიდრეობასთან დაკავშირებით სასამართლოს წარედგინება მამკვიდრებლის გარდაცვალებამდე მისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. თუ მამკვიდრებელი საქართველოს მოქალაქეა, მაგრამ გარდაცვალების მომენტისათვის იგი საზღვარგარეთ ცხოვრობდა, სასამართლოში სარჩელი შეიძლება აღიძრას საქართველოში მისი უკანასკნელი საცხოვრებელი ადგილის ან სამკვიდრო ქონების ადგილსამყოფლის მიხედვით.

5. სარჩელები, რომლებიც გამომდინარეობს საქართველოს საბანკო დაწესებულებების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, არასაბანკო სადებოზიტო დაწესებულებების - კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტების მიერ დადებული (მათ შორის, ელექტრონული ფორმით დადებული) სესხის (კრედიტის) გაცემის შესახებ ხელშეკრულებიდან, სასამართლოს წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

მუხლი 17. სარჩელის აღძვრა მოპასუხის მიმართ, რომელსაც

საქართველოში არა აქვს საცხოვრებელი ადგილი (ქონებრივი განსჯადობა)

სარჩელი იმ მოპასუხის მიმართ, რომელსაც საქართველოში არა აქვს საცხოვრებელი ადგილი, სასამართლოს შეიძლება წარედგინოს მოპასუხის ქონების ადგილსამყოფლის მიხედვით, ხოლო თუ მოთხოვნა უზრუნველყოფილია რაიმე ნივთით, სარჩელი შეიძლება აღიძრას ამ ნივთის ადგილსამყოფლის მიხედვით.

მუხლი 18. ნივთობრივი განსჯადობა

1. სარჩელი საკუთრების უფლების, ქონების უფლებრივი დატვირთვის ან ასეთი დატვირთვისაგან განთავისუფლების შესახებ, აგრეთვე ქონების გაყოფასთან, განაწილებასა და ფლობასთან დაკავშირებული სარჩელი, თუ დავა ეხება უძრავ ნივთებზე, მათ შორის, მიწის ნაკვეთზე უფლებას, შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში ნივთების ადგილსამყოფლის მიხედვით.

2. ნივთობრივ განსჯადობას განეკუთვნება სარჩელი, რომელიც მიმართულია უძრავი ნივთის მესაკუთრის ან მფლობელის წინააღმდეგ, აგრეთვე სარჩელი, რომელიც აღძრულია უძრავი ნივთის დაზიანების ან ზარალის ანაზღაურების გამო.

მუხლი 19. ოჯახური დავების განსჯადობა

1. სარჩელი ქორწინების შეწყვეტის, ქორწინების ბათილად ცნობის, აგრეთვე ქორწინების არსებობისა თუ არარსებობის დადგენის შესახებ შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში მეუღლეების ერთობლივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. თუ სარჩელის შეტანის დროისათვის ასეთი ადგილი არ არსებობს, მაშინ სარჩელი შეიძლება შეტანილ იქნეს მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო თუ მას არ გააჩნია საცხოვრებელი ადგილი საქართველოში, მაშინ საქმეს განიხილავს სასამართლო მოსარჩელის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

2. თუ მოსარჩელესთან ცხოვრობენ არასრულწლოვანი შვილები, რაც აძნელებს მის გამოცხადებას სასამართლოში მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, საქმე შეიძლება მოსარჩელის თხოვნით გაირჩეს სასამართლოში მისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

3. (ამოღებულია).

4. სარჩელი მამობის დადგენის შესახებ შეიძლება წარდგენილ იქნეს სასამართლოში ბავშვის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

5. სარჩელი ალიმენტის გადახდევინების შესახებ შეიძლება წარდგენილ იქნეს სასამართლოში მოსარჩელის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

მუხლი 19¹. შვილად აყვანის საქმის განსჯადობა

ბავშვის შვილად აყვანის შესახებ სარჩელი შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში მშვილებლის ან გასაშვილებელი ბავშვის ადგილსამყოფლის მიხედვით.

უღრის ჰაბენლონი	168
მე-16 და მომდევნო მუხლები	168
ეკატერინე განიტაშვილი	173
მე-16 მუხლი.....	173
მე-17 მუხლი.....	179
მე-18 მუხლი.....	181
ნინო ბაძაძური	183
მე-19 და მე-19 ¹ მუხლი.....	183

უღრის ჰაბენლონი

მე-16 და მომდევნო მუხლები

საქართველოს სსკ-დან მოყვანილი ნორმები:

- მე-16 მუხლი
- მე-17 მუხლი
- მე-18 მუხლი
- მე-19 მუხლი
- მე-20 მუხლი

სპეციალური განსჯადობები

1. სპეციალური განსჯადობის რეგულაციები საქართველოსა და გერმანიაში სამართლებრივი მიდგომის კუთხით მსგავსად არის მონესრიგებული, თუმცა გარკვეული განსხვავებები არსებობს დეტალებში.

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ გერმანიაში არსებობს მნიშვნელოვანად მეტი რაოდენობის სპეციალური განსჯადობის საქმეები. ამ კატეგორიას განეკუთვნება დელიქტებიც (§ 32 GER-ZPO). გერმანული სამართალი არ იცნობს ქართული სსკ-ის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის შესატყვის დანაწესს. თუმცა, გერმანული სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს, რომ განსაზღვრული წინაპირობებისას, მათ შორის, როდესაც სახეზე არ არის საპროცესო თანამონაწილეების საერთო განსჯადობა, რომელთა წინააღმდეგაც უნდა აღიძრას სარჩელი, საქმის განსჯადი სასამართლო შეიძლება განისაზღვროს სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე (§ 36 GER-ZPO).

წარმოგიდგენთ ამ კანონისმიერი რეგულაციიდან, რომელიც კონფლიქტის სხვა კონსტელაციებისთვისაც ითვალისწინებს განსჯადობის განსაზღვრას სასამართლოს მიერ:

§ 36 GER-ZPO - სასამართლოს მიერ განსჯადობის განსაზღვრა
(1) განსჯად სასამართლოს ადგენს შემდეგი ინსტანციის სასამართლო:

3. თუ სარჩელი აღიძვრება რამდენიმე პირის - როგორც საპროცესო თანამონაწილეების - წინააღმდეგ საერთო განსჯადობით, რომლებსაც საერთო განსჯადობა აქვთ სხვადასხვა სასამართლოში, და თუ სამართლებრივი დავისთვის არ წარმოშობილა საერთო სპეციალური განსჯადობა;

5. თუ ერთ სამართლებრივ დავაზე სხვადასხვა სასამართლო კანონიერი ძალის მქონე განცხადებას გააკეთებს, რომ ეს დავა მათ განსჯადობაში შედის;

6. თუ სხვადასხვა სასამართლო, რომელთაგან ერთი განსჯადი სასამართლოა, კანონიერი ძალის მქონე განცხადებას გააკეთებს, რომ არ არის განსჯადი სასამართლო

ქართული სამართლის მსგავსად, გერმანული სამართალი იცნობს ექსკლუზიურ და არაექსკლუზიურ სპეციალურ სასამართლო განსჯადობებსაც. თუმცა, ამ ორი მართლწესრიგის რეგულაციები დეტალებში მცირედით განსხვავდება ერთმანეთისგან.

მაგალითად, **შესრულების ადგილის** მიხედვით სასამართლო განსჯადობისთვის § 29 Abs. 2 GER-ZPO ითვალისწინებს, რომ შესრულების ადგილთან დაკავშირებული შეთანხმება მხოლოდ იმ შემთხვევაში წარმოშობს განსჯადობას შესრულების ადგილის მიხედვით, თუ ხელშეკრულების მხარეები არიან სავაჭრო სუბიექტები ან საჯარო სამართლის იურიდიული პირები, ანდა საქმე ეხება ე.წ. საჯარო-სამართლებრივ სპეციალურ აქტივებს (საჯარო ბიუჯეტების სამართლებრივად არაადამოუკიდებელი ორგანიზაციული ერთეულები, როგორცაა ე.წ. კომუნალური საწარმოები [მაგ.: სამართლებრივად არაადამოუკიდებელი კომუნალური საწარმოები წყალმომარაგების სფეროში, დასუფთავების სფეროში და ა.შ.]). ეს რეგულაცია უნდა განვიხილოთ შემდეგ საკითხთან კავშირში: § 38 Abs. 1 GER-ZPO-ის მიხედვით, დავის წარმოშობამდე განსჯადობაზე მიღებული შეთანხმება სამართლებრივად ნამდვილია მხოლოდ მაშინ, როცა ხელშეკრულების მხარეები განეკუთვნებიან დასახელებულ პირთა წრეს (იხ. 21-ე მუხლის კომენტარი, ა.ნ. 2 და მომდევნო აბზაცები). მაშასადამე, § 29 Abs. 2 GER-ZPO-მ ხელი უნდა შეუშალოს ამ რეგულაციის ძალის დაკარგვას (რომელიც შეეხება განსჯად სასამართლოსთან დაკავშირებით განსაზღვრული შეთანხმებების დაუშვებლობას) იმ შემთხვევებისთვის, როდესაც სახეზეა არა უშუალოდ განსჯად სასამართლოზე შეთანხმება, არამედ მხარეთა შეთანხმება შესრულების ადგილზე. საქართველოში ეს თემატიკა უშუალოდ არ დგას დღის წესრიგში, ვინაიდან ქართული სამართალი არ იცნობს § 38 Abs. 1 GER-ZPO-ის შესატყვის საკანონო

ნმდებლო რეგულაციას, მაგრამ თუ შესრულების ადგილთან დაკავშირებით შეთანხმება ჩაიდება ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებში, ბევრი რამ მეტყველებს იმის სასარგებლოდ, რომ მსგავსი რეგულაცია კრიტიკულად შეფასდეს სკ-ის 346-ე მუხლი პერსპექტივიდან, ისევე, როგორც უშუალოდ განსჯად სასამართლოსთან დაკავშირებულ შეთანხმებაზე მიმართული ჩანაწერის გაკეთებისას ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებში (იხ. 21-ე მუხლის კომენტარი, ა.ნ. 2 და მომდევნო აბზაცები).

განსხვავებით ქართული სამართლისგან (სსკ-ის 377-ე მუხლის მე-5 ნაწილი), **აპელაციას** გერმანულ სამართალში, ზოგადად, საფუძვლად ვერ დაედება ის, რომ წინა ინსტანციის სასამართლომ არასწორად ივარაუდა საკუთარი განსჯადობის არსებობა (§ 513 Abs. 2 GER-ZPO). ეს მოქმედებს იმისგან დამოუკიდებლად, თუ რა საფუძვლებიდან გამომდინარე მიიჩნია სასამართლომ თავი ამ საქმეზე ტერიტორიული განსჯადობის მქონედ (მაშასადამე, მაშინაც, თუ სასამართლო ვერ შეამჩნევს ამ საქმეზე სხვა სასამართლოს სპეციალურ ექსკლუზიურ განსჯადობას).

2. სპეციალური სასამართლო განსჯადობებისას გერმანიაში ძირითადად ორი კითხვა ისმის:

ა) პირველი: რა წინაპირობები უნდა წაეყენოს **სპეციალური სასამართლო განსჯადობის** დასაბუთებას?

ეს პრობლემატიკა გამომდინარეობს იქიდან, რომ სახეზე უნდა იყოს ნორმის განსაზღვრული წინაპირობები, როგორც სარჩელის დასაშვებობის, ისე მისი დასაბუთებისთვის; გერმანიაში ამ მხრივ **საუბრობენ ორმაგი რელევანტურობის მქონე ფაქტებზე** (რელევანტური დასაშვებობისა და რელევანტური დასაბუთებისთვის). თუ, მაგალითად, ხორციელდება ხელშეკრულებიდან გამომდინარე შესრულების მოთხოვნის უფლება, კითხვა, დაიდო თუ არა ხელშეკრულება, შეიძლება რელევანტური იყოს როგორც ტერიტორიული განსჯადობის დასაბუთების (§ 29 Abs. 1 GER-ZPO; სსკ-ის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილი), ისე სარჩელის დასაბუთებულობის შემთხვევაში. თუ ტერიტორიული განსჯადობისთვის მოვითხოვდით (რაც სავსებით შესაძლებლად მოჩანს კანონისმიერი რეგულაციის ტექსტის მიხედვით), რომ ფაქტობრივად უნდა იყოს სახეზე ნორმის დისპოზიციის ელემენტები - მაშასადამე, ხელშეკრულებით შეთანხმებული შესრულების ადგილი და, აქედან გამომდინარე, ხელშეკრულების დადება - ამით სარჩელის დასაშვებობის ეტაპზე გადმოვიტანდით მატერიალურ-სამართლებრივი შემოწმების ფართო სფეროებს. ამის თაობაზე პოზიტიური ან ნეგატიური გადაწყვეტილებით, ასე თუ ისე, ხშირად არაპირდაპირ გადაწყდებოდა სარჩელის დასაშვებობა-დაუშვებლობის საკითხი.

იმისთვის, რომ თავიდან ავიცილოთ მატერიალურ-სამართლებრივი შემონმების გადმოტანა დასაშვებობის ეტაპზე, გერმანული სასამართლო პრაქტიკა საკმარისად მიიჩნევს, თუ სპეციალური სასამართლო განსჯადობისთვის მხარე **დასაბუთებულად წარმოადგენს** ნორმის წინაპირობებს (BGH, Urteil vom 28.02.1996 - XII ZR 181/93 - BGHZ 132, 105; BGH, Urteil vom 25.11.1993 - IX ZR 32/93 - BGHZ 124, 237; BGH, Beschluss vom 19.02.2002 - X ARZ 334/01 - NJW 2002, 1425; BGH, Urteil vom 29.06.2010 - VI ZR 122/09 - NJW-RR 2010, 1554). მართლაც არსებობს თუ არა წინაპირობები, მოწმდება მხოლოდ დასაბუთებულობის ეტაპზე - საჭიროების შემთხვევაში, მტკიცებულებების შეგროვებით ან მტკიცების ტვირთის განაწილებასთან დაკავშირებული გადანყვეტილებით. თუ დასაბუთებულობის შემონმების ფარგლებში წარმოიშობა რთული ან უმაღლესი სასამართლო პრაქტიკის მიერ ჯერაც გაურკვეველი სამართლებრივი საკითხები, ქვედა ინსტანციის სასამართლოები, ნაწილობრივ, საკმარისად მიიჩნევენ, თუ ისინი დასაბუთებულად ჩათვლიან მოთხოვნას. აგრეთვე ამითაც თავიდან უნდა იქნეს აცილებული, რომ სასამართლომ ჯერ კიდევ დასაშვებობის ეტაპზე გადანყვიტოს რთული ან უმაღლესი სასამართლო პრაქტიკის მიერ ჯერაც გადაუჭრელი მატერიალურ-სამართლებრივი საკითხი.

ბ) მეორე საკვანძო მნიშვნელობის კითხვა ასეთია: არის თუ არა **სპეციალური განსჯადობის მქონე სასამართლოს კომპეტენცია** მხოლოდ იმ მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნის უფლების სამართლებრივი საფუძვლის **შემონმება**, რომელიც წარმოშობს სპეციალური განსჯადობის სასამართლოს მიერ საქმის განხილვის უფლებას, როცა გადანყვეტილების მიღების უფლებამოსილება ე.წ. ფედერაციასა და ფედერაციულ მხარეებს შორის კომპეტენციების განაწილებით - მაშასადამე საგნობრივი კავშირიდან გამომდინარე - ვრცელდება მოთხოვნის უფლების ყველა სამართლებრივ საფუძველზე, რომლებსაც მოიცავს დავის საგანი (იხ. მე-3 მუხლის პირველი ნაწილის კომენტარი, ა.ნ. 19 და მომდევნო აბზაცები).

გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლო, უწინდელი სასამართლო პრაქტიკისგან განსხვავებით (BGH, Beschluss vom 10.12.2002 - X ARZ 208/02 - BGHZ 153, 173), ეყრდნობა იმას, რომ სპეციალური სასამართლო განსჯადობით დასაბუთებული ტერიტორიული განსჯადობა, შესაბამისი საპროცესო რეგულაციების ტექსტის შესაბამისად (შდრ. აგრეთვე სსკ-ის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილი და მე-18 მუხლი), მიმართულია „სარჩელზე“. აქედან გამომდინარე, კანონის ტექსტი ეხება არა მატერია-

ლურ-სამართლებრივ კატეგორიებს, არამედ სარჩელით განხორციელებულ საპროცესო დავის საგანს. თუ ერთიანი საპროცესო მოთხოვნის უფლება ხორციელდება სასამართლოს ტერიტორიული განსჯადობის შესრულების ადგილზე (სსკ-ის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილი), იმ ტერიტორიული განსჯადობის მქონე სასამართლომ, რომელმაც უნდა მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულებიდან გამომდინარე შესრულების მოთხოვნის უფლებაზე, უნდა შეამოწმოს არა მხოლოდ სახელშეკრულებო მოთხოვნები, არამედ ყველა ის მოთხოვნის უფლება, რომლებზეც ვრცელდება დავის საგანი (მაშასადამე, მაგალითად, ხელშეკრულების არარსებობის შემთხვევაში, უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლებები).

გერმანიის უმაღლესმა ფედერალურმა სასამართლომ ეს სამართლებრივი მოსაზრება დაასაბუთა სასამართლო სისტემის შესახებ კანონის ერთ-ერთი რეგულაციის საფუძველზე (§ 17 Abs. 2 GER-GVG), რომლის შესატყვისიც, განსხვავებული სასამართლო სისტემის გამო, არ არსებობს ქართულ კანონმდებლობაში. თუმცა, ამან არ უნდა შეუშალოს ხელი ქართული სსკ-ის განმარტებას გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლოს პრაქტიკის შესაბამისად. საწინააღმდეგო მოსაზრება გაუგებრობას გამოიწვევდა დავის საგნის გაგებისას, ვინაიდან დავის საგანი, შესაბამისი სასამართლოს შეზღუდული შემოწმების კომპეტენციის შემთხვევაში - ზოგადი პრინციპების საწინააღმდეგოდ (შდრ. მე-3 მუხლის პირველი ნაწილის კომენტარი, ა.ნ. 19 და მომდევნო აბზაცები) - დასაბუთებული იქნებოდა სხვადასხვა მოთხოვნის უფლების მატერიალურ საფუძველზე. აქედან გამომდინარე, მატერიალური ძალის მოქმედებასთან დაკავშირებული პრობლემები აისახებოდა (მატერიალურ-სამართლებრივ მოთხოვნის უფლებებზე დანაწევრებულ) სასამართლო გადაწყვეტილებაში, ვინაიდან სასამართლო საკუთარ გადაწყვეტილებაში ერთიანად ვერ განიხილავდა წარმოდგენილ ფაქტობრივ გარემოებებს. გარდა ამისა, ეს, საერთო ჯამში, გამოიწვევდა ორი ცალკე პროცესის გამართვას. შესაბამისად, ვერ უზრუნველყოფდა ეფექტიან სამართლებრივ დაცვას.

ეკატერინე გასიტაშვილი

მე-16 მუხლი

I. ხელმისაწვდომობა სარჩელის წარდგენაზე

1.1. სსსკ-ის მე-16 მუხლის პირველი ნაწილი, შეიძლება ითქვას, მოსარჩელისათვის სასარგებლო ნორმაა, რადგან ხელმისაწვდომ ხდის (აადვილებს) სარჩელის წარდგენას, როდესაც რამდენიმე მოპასუხეა, ისინი სხვადასხვა ადგილას იმყოფებიან და მოსარჩელეს შეუძლია, თვითონ განსაზღვროს, რომელ მათგანს აირჩევს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, რომ სასამართლოს მიმართოს დარღვეული უფლების დასაცავად. ამდენად, განსაკუთრებული განსჯადობის მომწესრიგებელი ნორმის პირველი ნაწილი მოსარჩელეს ანიჭებს უფლებამოსილებას, აირჩიოს სასამართლო ერთ-ერთი მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.¹

II. ხელშეკრულებიდან გამომდინარე სარჩელები

2.1. სსსკ-ის მე-16 მუხლის პირველი ნაწილისაგან განსხვავებით, ამავე მუხლის მეორე ნაწილი ხელშეკრულებიდან გამომდინარე სარჩელების წარდგენას სასამართლოში განსაზღვრავს არა მოსარჩელის შეხედულებით, არამედ: ა) ხელშეკრულების შესრულების ადგილით; და ბ) ადგილით, სადაც ხელშეკრულება უნდა შესრულებულიყო. ორივე შემთხვევაში მოსარჩელემ უნდა მიუთითოს და დაამტკიცოს, თუ სად შესრულდა ხელშეკრულება, ან სად უნდა შესრულებულიყო იგი, რაც, წერილობით ხელშეკრულებასთან შედარებით, უფრო რთულია ზეპირი ხელშეკრულების დროს.

2.2. ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ განმარტა: *“საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის პრეტენზიას საქმის არაგანსჯადი სასამართლოს მიერ განხი-*

¹ იხ. თენგიზ ლილუაშვილი, ვალერი ხრუსტალი - საქართველოს სამოქალაქო პროცესის კომენტარი, გვ. 37; გამომცემლობა „სამართალი“, 2007წ.

ლვის თაობაზე და აღნიშნავს, რომ ამ საკითხს ბანკი, საქმისწარმოების პირველ ეტაპზე, სასამართლოში წარდგენილ შესაგებელში აყენებდა და ითხოვდა საქმის განხილვას თბილისის საქალაქო სასამართლოში, მოპასუხის ადგილსამყოფელის მიხედვით (იხ. შესაგებელი - ს.ფ. 42), ხოლო სააპელაციო საჩივარში ბანკს არ მიუთითებია განსჯადობის საკითხზე (იხ. ს.ფ. 100-108). ასეც რომ არ იყოს, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სარჩელი განხილულია ხელშეკრულების შესრულების ადგილის მიხედვით (სსსკ-ის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილი).²

2.3. ასევე საინტერესოა განსჯადობასთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მსჯელობა და დასკვნები: “განსახილველ შემთხვევაში, კასატორი დავობს არა მასზე დაკისრებული ფულადი ვალდებულების შესრულებაზე, არამედ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომელიც ეხება მხარეთა შორის ზეპირი გარიგებით დაწყებულ სამართლებრივ ურთიერთობას, პროდუქციის მიწოდების ანუ **ხელშეკრულების შესრულების ადგილსა** და თავად კასატორის (მოპასუხის) ადგილსამყოფელს. მხარეთა შორის ართიერთობიდან გამომდინარე, ცალსახაა, რომ კასატორს, რომელიც განსახილველ შემთხვევაში მოვალეა, ფულადი ვალდებულება აქვს შესასრულებელი კრედიტორის (გამყიდველის) წინაშე. საქმის მასალების მიხედვით დადგენილია, რომ მოვალის **ადგილსამყოფელია** ქ. ბათუმი, ხოლო კრედიტორისა - საგარეჯოს რაიონის სოფელი პ. (იხ. ამონაწერები მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ...). პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას კრედიტორს მოვალემ გადაუხადა მიღება - ჩაბარების აქტით განსაზღვრული დავალიანების, როგორც მოწოდებული პროდუქციის ღირებულების ნაწილი, 5000 ლარი, თანხის კრედიტორის საბანკო ანგარიშზე გადარიცხვით (იხ. საგადახდო დავალება #...). სსკ-ის 386-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ფულადი ვალდებულების **შესრულების ადგილის** საეჭვოობისას, ეს ვალდებულება უნდა შესრულდეს კრედიტორის **ადგილსამყოფელის** მიხედვით. მოხმობილი ნორმის მეორე ნაწილი ადგენს: „თუ კრედიტორს აქვს ფულის ჩარიცხვისათვის გამიზნული საბანკო ანგარიში იმ **ადგილას** ან იმ ქვეყანაში, სადაც გადახდა უნდა განხორციელდეს, მოვალეს შეუძლია ამ ანგარიშზე ჩარიცხვით შეასრულოს თავისი ფულადი ვალდებულება, თუ კრედიტორი ამის წინააღმდეგია“. საკასაციო სასამა-

² იხ. სუსგ # ას-1137-1069-2016, 22.01.2016 წ.

რთლოს მიაჩნია, რომ ფულადი ვალდებულების ნაწილი შესრულდა, მიწოდებული პროდუქციის ღირებულებიდან 5000 ლარი გადაიხადეს კრედიტორის - სანარმოს იურიდიული მისამართის მიხედვით. მოვალემ კრედიტორს, მის მიერ ინიცირებული სასარჩელო წარმოების პირველი ინსტანციის სასამართლოში მიმდინარეობისას, სანარმოს საბანკო ანგარიშზე გადაურიცხა თანხის ნაწილი, რითაც არასრულად შეასრულა ფულადი ვალდებულება. ფულადი ვალდებულების ნაწილობრივი შესრულება მიიღო კრედიტორმა - იგი არ ყოფილა ამის წინააღმდეგი - და, ვალდებულების შესრულებული ნაწილის ფარგლებში, შეამცირა კიდევ სასარჩელო მოთხოვნა.... განსახილველ შემთხვევაში, სსკ-ის 477-ე მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე, მოვალის მიერ ფულადი ვალდებულების ნაწილობრივ შესრულება კრედიტორის ადგილსამყოფელის მიხედვით და ამ უკანასკნელის მიერ შესრულების მიღება შეესაბამებოდა მხარეთა ნებას. შესაბამისად, ფაქტობრივად და სამართლებრივად დაუსაბუთებელია კასატორის პრეტენზია სასამართლო დავის განხილვისას საპროცესო ნორმების დარღვევასა და არაგანსჯადი სასამართლოს მიერ საქმის განხილვაზე”.³

2.4. სსსკ-ის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილი ხელშეკრულებიდან გამომდინარე სარჩელების განსაკუთრებული განსჯადობის გამომრიცხველ გარემოებას ადგენს ამავე ნორმის მე-5 ნაწილით. ამ ნაწილის თანახმად, სასამართლოს მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით წარედგინება სარჩელები, რომლებიც გამომდინარეობს საქართველოს საბანკო დაწესებულებების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, არასაბანკო სადებო-ზიტო დაწესებულებების – კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტების მიერ დადებული (მათ შორის, ელექტრონული ფორმით) სესხის (კრედიტის) გაცემის ხელშეკრულებებიდან. აღნიშნული ცვლილება საპროცესო კოდექსში 2018 წლის 7 მარტის კანონით (#2035) განხორციელდა და იმავე წლის 29 მარტიდან ამოქმედდა. სსსკ-ის მე-16 მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, დადგინდა, რომ ნორმაში მითითებული სესხის (კრედიტის) გაცემის ხელშეკრულებიდან გამომდინარე სარჩელების განხილვაზე განსაკუთრებული განსჯადობა აქვს სასამართლოს, რომელიც მდებარეობს მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

³ იხ. სუსგ # ას-648-614-2015, 26.11.2015 წ.; შდრ. ასევე, ას- 862-812-2015, 15.11.2015 წ.

III. იურიდიული პირის ფილიალის საქმიანობიდან გამომდინარე სარჩელები

3.1. სსსკ-ის მე-16 მუხლის მე-3 ნაწილი ადგენს, რომ იურიდიული პირის საქმიანობიდან გამომდინარე სარჩელი მხოლოდ ფილიალის ადგილმდებარეობის მიხედვით არსებული სასამართლოს განსჯადია. იურიდიული პირის ფილიალის ცნება მოცემულია სამოქალაქო კოდექსის 28-ე მუხლში: “1. არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, უცხო ქვეყნის არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფილიალის (წარმომადგენლობის) რეგისტრაცია ხორციელდება მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში. 2. მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრს აწარმოებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო (შემდგომ - მარეგისტრირებელი ორგანო). 3. არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, უცხო ქვეყნის არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფილიალის (წარმომადგენლობის) რეგისტრაცია ხორციელდება ამ კოდექსითა და მენარმე სუბიექტების, უცხო ქვეყნის მენარმე იურიდიული პირის ფილიალის (წარმომადგენლობის) რეგისტრაციისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით”.

3.2. “ფილიალი იურიდიული თვალსაზრისით არის “ერთიანი საწარმოს (იურიდიული პირის) ძირითადი ადგილსამყოფელის არადამოუკიდებელი (მაგრამ მისი შემადგენელი) ნაწილი.⁴ საკასაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ არ დააკმაყოფილა საწარმოს (სააქციო საზოგადოების) საკასაციო საჩივარი და განმარტა: “იურიდიული პირის ფილიალის მონაწილეობა საქმეში დასაშვებია. ამგვარი დასკვნის საფუძველს იძლევა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-3 ნაწილი, რომელიც იურიდიული პირის ფილიალის წინააღმდეგ აღძრული სარჩელის განსჯადობას ადგენს. აღნიშნული მუხლის თანახმად, სარჩელი, რომელიც გამომდინარეობს იურიდიული პირის ფილიალის საქმიანობიდან, სასამართლოს წარედგინება მხოლოდ ფილიალის ადგილმდებარეობის მიხედვით, შესაბამისად, თუ დავა წარმოიშვა იურიდიული პირის ფილიალის როგორც სამენარმეო, ისე სხვა სახის კერძო-სამართლებრივი საქმიანობიდან, იგი საქმის განხილვაში დამოუკიდებლად მონაწილეობს.

⁴ იხ. ირაკლი ბურდული, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, ჭანჭურია (რედ.), 2017, მუხლი 28, ველი 6-7

განსახილველ შემთხვევაში, დავა შეეხებოდა სს „ლ. 1-ის“ მიერ შპს „ა. ი-ის“ საქართველოს ფილიალისათვის განეული მომსახურების საფასურის ანაზღაურებას, ანუ სარჩელი შპს „ა-ის“ საქართველოს წარმომადგენლობის საქმიანობიდან გამომდინარეობდა”.⁵ აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო კოდექსის 28-ე მუხლის კომენტარებისას, ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ “სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლი საპროცესო-სამართლებრივი ინსტიტუტია, რომელიც სპეციალურ განსჯადობას აწესრიგებს. ეს ვერ დაუკავშირდებოდა იმ საკითხის მატერიალურ-სამართლებრივ კონცეფციას, რომლის მიხედვითაც, **“თუ დავა წარმოიშვა იურიდიული პირის ფილიალის, როგორც სამეწარმეო, ისე სხვა სახის კერძოსამართლებრივი საქმიანობიდან, იგი საქმის განხილვაში დამოუკიდებლად მონაწილეობს”**. კომენტარში მოხმობილი და განმარტებულია საკასაციო სასამართლოს სწორედ ზემოხსენებული განჩინება: “აქ უფრო ის არის სავარაუდო, რომ მისი (ფილიალის) მეშვეობით, მხარედ იურიდიული პირი ერთვება, და არა პირიქით, როდესაც ფილიალის ადგილმდებარეობის მიხედვით შეტანილი სარჩელი მიემართება არა ძირითად იურიდიულ პირს, არამედ მხოლოდ წარმომადგენლობას”.⁶

3.3. სსსკ-ის მე-16 მუხლის მე-3 ნაწილით განსაზღვრული განსაკუთრებული განსჯადობა უკავშირდება იურიდიული პირის ფილიალის საქმიანობიდან გამომდინარე სარჩელის წარდგენას ფილიალისავე ადგილმდებარეობის მიხედვით არსებულ სასამართლოში, რაც, ვფიქრობთ, ემსახურება საპროცესო ეკონომიურობისა და მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის მიზნის ეფექტიანად შესრულებას. ასე, მაგალითად, თუკი იურიდიული პირის ადგილსამყოფელი (იურიდიული მისამართი) მდებარეობს ქუთაისში, მისი ფილიალები - თბილისსა და ბათუმში, ხოლო პირს მოთხოვნის უფლება წარმოეშვა იურიდიული პირის ბათუმში მდებარე ფილიალის საქმიანობიდან გამომდინარე, მაშინ განსჯადი იქნება ბათუმის საქალაქო სასამართლო. **“იმისათვის, რომ სარჩელი აღიძრას იურიდიული პირის ადგილსამყოფელის მიხედვით, სავალდებულოა ერთი პირობა: სარჩელი გამომდინარეობდეს იურიდიული პირის ფილიალის (და არა თვითონ იურიდიული პირის) საქმიანობიდან”**.⁷

⁵ იხ. სუსგ # ას-1144-1073-2012, 05.11.2012წ.

⁶ იხ. ირაკლი ბურდული, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, ჭანტურია (რედ.), 2017, მუხლი 28, ველი 11-14.

⁷ იხ. თენგიზ ლილუაშვილი, ვალერი ხრუსტალი - საქართველოს სამოქალაქო პროცესის კომენტარი, გვ. 38; გამომცემლობა „სამართალი“, 2007.

IV. კანონისმიერი ან ანდერძისმიერი მემკვიდრეობიდან გამომდინარე სარჩელები

4.1. განსაკუთრებული განსჯადობაა დაწესებული კანონისმიერ ან ანდერძისმიერ მემკვიდრეობასთან დაკავშირებულ სარჩელებზე. ასეთ შემთხვევაში სარჩელი იმ სასამართლოს განსჯადია, სადაც მამკვიდრებელს ჰქონდა საცხოვრებელი ადგილი (საცხოვრებელი ადგილის განმარტება იხ. მე-15 მუხლის კომენტარში, 2.1-2.3 ქვეპუნქტები). სსსკ-ის მე-16 მუხლის მე-4 ნაწილი ისეთ შემთხვევასაც ადგენს, როდესაც მამკვიდრებელი საქართველოს მოქალაქეა, მაგრამ გარდაცვალების მომენტისათვის საზღვარგარეთ ცხოვრობდა. ასეთ დროს განსჯადი იქნება სასამართლო, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც: ა) მამკვიდრებელს უკანასკნელი საცხოვრებელი ადგილი ჰქონდა; ან ბ) მდებარეობდა სამკვიდრო ქონება. კანონმდებელი ალტერნატიულ განსჯადობას ადგენს ამ დანაწესით.

ეკატერინე გასიტაშვილი

მე-17 მუხლი

ქონებრივი განსჯადობის თავისებურებანი

1.1. ქონება, სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, არის ყველა ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომელთა ფლობა, სარგებლობა და განკარგვა შეუძლიათ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს და რომელთა შექმნაც შეიძლება შეუზღუდავად, თუკი აკრძალული არ არის კანონით, ან არ ეწინააღმდეგება ზნეობრივ ნორმებს (სსკ-ის 147-ე მუხლი). ნივთი შეიძლება იყოს მოძრავი ან უძრავი (სსკ-ის 148-ე მუხლი).

1.2. ქონებრივი განსჯადობა ალტერნატიულ შესაძლებლობას აძლევს მოსარჩელეს, რომ: ა) სარჩელი წარუდგინოს მოპასუხეს, რომელიც საქართველოს მოქალაქეა და საქართველოში არ აქვს საცხოვრებელი ადგილი (იხ. სსკ-ის მე-15 მუხლის პირველი ნაწილის კომენტარი საცხოვრებელი ადგილის შესახებ), თუმცა აქვს ქონება; სწორედ ქონების ადგილსამყოფელის მიხედვით შეიძლება სარჩელის წარდგენა; ბ) თუ მოთხოვნა უზრუნველყოფილია რაიმე ნივთით, მისი ადგილსამყოფელის მიხედვითაც დაიშვება სარჩელის აღძვრა. *“მოთხოვნის რაიმე ნივთით უზრუნველყოფაში აქ, უწინარეს ყოვლისა, იგულისხმება მატერიალურ-სამართლებრივი უზრუნველყოფის საშუალებები (მაგ.: გირაო და იპოთეკა), მაგრამ არ არის გამორიცხული ჯერარაღძრული სარჩელის უზრუნველყოფა და შესაბამისად სარჩელის აღძვრა ასეთი მოპასუხის ყადაღადადებული ქონების ადგილსამყოფელის მიხედვით (192-ე მუხლი)”*.⁸

1.3. ქონებრივი განსჯადობა მოსარჩელეს მეტ-ნაკლებად უადვილებს სარჩელის აღძვრას მოპასუხის კუთვნილი ქონების ადგილსამყოფელის მიხედვით; ქონება შეიძლება იყოს, როგორც მოძრავი, ისე უძრავი. უძრავი ქონების შემთხვევაში, მისი მოპასუხისადმი კუთვნილება და ადგილსამყოფელი ადგილი მოსაძიებელია და ვლინდება იმ პუბლიცირებულ უფლებათა რეესტრით, რომლის მონაცემებიც საჯაროა და ყველასათვის თანაბრად ხელმისაწვდომი. რაც შეეხება მოძრავ ნივთებს (ქონებას), მაგალითად, ინფორმაციის მოძიება იმაზე, რომ ავტოსატრანსპორტო საშუალება მოპასუხეს ეკუთვნის, შესაძლებელია საჯარო სამართლის იუ-

⁸ იხ. თენგიზ ლილუაშვილი, ვალერი ხრუსტალი - საქართველოს სამოქალაქო პროცესის კომენტარი, გვ. 39-40; გამომცემლობა „სამართალი“, 2007.

რიდიული პირის - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურში, თუმცა ეს არ კმარა ქონების ადგილსამყოფელის დასადგენად, რადგან ავტოსატრანსპორტო საშუალების რეგისტრაცია ხორციელდება პირის საცხოვრებელი ადგილისა თუ იურიდიული მისამართის მიუხედავად;

1.4. ისეთი ვითარებაში, როდესაც მოთხოვნა უზრუნველყოფილია რაიმე მოძრავი ნივთით, მაგალითად, დაგირავებულია ნივთი და გამოყენებულია რეგისტრირებული გირავნობა, მნიშვნელოვანია სსკ-ის 258-ე მუხლის დანაწესი, რომლის საფუძველზეც, რეგისტრირებული გირავნობის წარმოშობისათვის გარიგება წერილობითი ფორმით იდება და ამ გარიგებით განსაზღვრული გირავნობის უფლება (გარდა დასახელებული ნორმის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა, რომლის მიხედვითაც, "საგზაო მოძრაობის შესახებ" საქართველოს კანონის 53-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ სატრანსპორტო საშუალებასა და სასოფლო-სამეურნეო მანქანის ტექნიკურ საშუალებაზე რეგისტრირებული გირავნობის წარმოშობისათვის, აუცილებელია გარიგების წერილობითი ფორმით დადება და ამ გარიგებით განსაზღვრული გირავნობის უფლების რეგისტრაცია სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში...) უნდა დარეგისტრირდეს საჯარო რეესტრში. ასეთ ვითარებაში, გირავნობის საგნის მოპასუხისადმი კუთვნილების გარდა, შესაძლოა მაინც გართულდეს გირავნობის საგნის ადგილსამყოფლის განსაზღვრა, რაც მნიშვნელოვანია ქონებრივი განსჯადობისათვის, რადგან რეგისტრირებული გირავნობის შემთხვევაში მოძრავი ნივთის მოგირავნის მფლობელობაში გადაცემა სავალდებულო არ არის (სსკ-ის 258-ე მუხლის პირველი ნაწილის მეორე წინადადება). იმისათვის, რომ მოსარჩელემ განსაზღვროს, თუ რომელი სასამართლო იქნება განსჯადი ქონებით (ნივთით) უზრუნველყოფილი მოთხოვნის სარჩელის მიღებასა და განხილვაზე, უნდა დადგინდეს თვითონ ამ ნივთის ადგილსამყოფელი, რათა ნივთის ადგილსამყოფელის მიხედვით წარედგინოს სარჩელი მოპასუხის წინააღმდეგ.

ეკატერინე გასიტაშვილი

მე-18 მუხლი

ნივთობრივი განსჯადობის თავისებურებანი

1.1. ნივთობრივი განსჯადობა, ქონებრივისაგან განსხვავებით, მხოლოდ უძრავ ნივთებთან (ქონებასთან) დაკავშირებული სარჩელის წარდგენას განსაზღვრავს უძრავი ნივთის ადგილსამყოფელის მიხედვით. უძრავი ნივთის სამართლებრივი ცნება გადმოცემულია სსკ-ის 149-ე მუხლში: *“უძრავ ნივთებს მიეკუთვნება მიწის ნაკვეთი მასში არსებული წიაღისეულით, მიწაზე აღმოცენებული მცენარეები, ასევე, შენობა-ნაგებობანი, რომლებიც მყარად დგას მიწაზე”*.

1.2. სსკ-ის მე-18 მუხლის პირველი ნაწილი ადგენს ნივთობრივი განსჯადობით წარსადგენი სარჩელების ამომწურავ ჩამონათვალს. ესენია სარჩელები: ა) უძრავი ქონების საკუთრების უფლების შესახებ; ბ) უძრავი ქონების უფლებრივი დატვირთვის ან ასეთი დატვირთვისაგან გათავისუფლების შესახებ; გ) უძრავი ქონების (მათ შორის, მიწის ნაკვეთის) გაყოფის, განაწილებისა და ფლობის შესახებ. მითითებული დანაწესი *“ამკვიდრებს აქ ჩამოთვლილი სარჩელების ნივთების ადგილსამყოფელის მიხედვით აღძვრის შესაძლებლობას. ეს ნიშნავს, რომ აღნიშნული სარჩელები შეიძლება აღიძვრას აგრეთვე საერთო განსჯადობის, ე.ი. მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის (ადგილსამყოფელის) მიხედვით, მოსარჩელის არჩევით”*.¹

1.3. საკასაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის ერთ-ერთ განჩინებაში მითითებულია: *“სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 18-ე მუხლი შეიცავს იმ სარჩელების ამომწურავ ჩამონათვალს, რომლებიც შეიძლება აღიძვრას ნივთების ადგილსამყოფელის მიხედვით. აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილი განამტკიცებს ნივთობრივ განსჯადობას მიკუთვნებული სარჩელების ნივთე-*

¹ იხ. თენგიზ ლილუაშვილი, ვალერი ხრუსტალი - საქართველოს სამოქალაქო პროცესის კომენტარი, გვ. 40; გამომცემლობა „სამართალი“, 2007.

ბის ადგილსამყოფლის მიხედვით აღძვრის შესაძლებლობას, რაც ნიშნავს, რომ ეს სარჩელი შეიძლება აღიძრას, აგრეთვე, საერთო-განსჯადობის, ე.ი მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის (ადგილსამყოფლის) მიხედვით, მოსარჩელის არჩევით. განსახილველ შემთხვევაში სარჩელი აღძრულია საერთო განსჯადობის წესების შესაბამისად. საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ მოპასუხეს აღნიშნული საკითხი პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას სადავოდ არ გაუხდია”.²

1.4. სარჩელი ნივთობრივი განსჯადობის საფუძველზე, ანუ უძრავი ნივთის ადგილსამყოფელის მიხედვით, შეიძლება აღიძრას ანა მხოლოდ უძრავი ნივთის მესაკუთრის, არამედ მისი მფლობელის მიმართაც. ამის მაგალითია ე.წ. სავინდიკაციო სარჩელები, როდესაც უძრავი ნივთის მესაკუთრე არამართლზომიერი მფლობელისაგან გამოითხოვს თავის კუთვნილ უძრავ ქონებას (ვინდიცირება);

1.5. ნივთობრივი განსჯადობით აღძრული სარჩელი შეიძლება ასევე უკავშირდებოდეს უძრავი ნივთის დაზიანებას, ან ზარალის ანაზღაურებას.

² იხ. სუსგ # ას-1665-1562-2012, 04.02.2013 წ.

ნინო გაძაძური

მე-19 და მე-19¹ მუხლი

სსკ-ის მე-19 და 19¹ მუხლები უფლებას აძლევს მოსარჩელეს, გადაუხვიოს სსკ-ის მე-15 მუხლით განსაზღვრული საერთო განსჯადობის წესიდან, რომლის თანახმად, სარჩელი სასამართლოში უნდა შეიტანოს მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ასეთი გადახვევის შესაძლებლობა ზოგჯერ განპირობებულია მოსარჩელისათვის შეღავათიანი პირობების შექმნით, მასთან არასრულწლოვანი პირების ცხოვრების გამო, ბავშვის ინტერესებით, სხვა რაიონსა ან ქალაქში მგზავრობის სიძნელეებით და ა.შ.¹

ზემოაღნიშნული მოსაზრებებით არის ნაკარნახევი სსკ-ის მე-19 მუხლის მე-2 ნაწილში ჩამოყალიბებული წესი. ამ წესის შესაბამისად, მართალია, სარჩელი ქორწინების შეწყვეტის, ბათილად ცნობის, ან არსებობა-არარსებობის დადგენაზე, ზოგადად, მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით წარედგინება სასამართლოს, თუმცა, გამონაკლისის სახით, მისი შეტანა შესაძლებელია მოსარჩელის საცხოვრებელი ადგილის მიხედვითაც, თუ მოსარჩელესთან არასრულწლოვანი შვილები ცხოვრობენ და ამის თაობაზე თხოვნით მიმართავს სასამართლოს. ამრიგად, ასეთი სარჩელის მოსარჩელის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით განსახილველად, უნდა არსებობდეს მოსარჩელის შესაბამისი წერილობითი თხოვნა სასამართლოსადმი, იმ ფაქტზე მითითებით, რომ მასთან არასრულწლოვანი შვილები ცხოვრობენ, რაც აძნელებს სასამართლოში გამოცხადებას მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

2018 წლის 25 იანვარს თბილისის საქალაქო სასამართლომ, თავისი განჩინებით საქმეზე #2/1887-18, უარი უთხრა მოსარჩელეს განქორწინებაზე აღძრული სარჩელის წარმოებაში მიღებაზე, იმ საფუძველით, რომ სარჩელი წარდგენილი იყო მოსარჩელის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, განსჯადი სასამართლო კი, მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის შესაბამისად, ზესტაფონის რაიონული სასამართლო გახლდათ.

თბილისის საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ სსკ-ის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ქორწინების შეწყვეტის შესახებ

¹ თ. ლილუაშვილი, ვ. ხრუსტალი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, გვ. 41-42.

სარჩელის სასამართლოში შეტანა შესაძლებელია მეუღლეების ერთობლივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო თუ სარჩელის შეტანის დროისათვის ასეთი ადგილი არ არსებობს, მაშინ მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. მოსარჩელის თხოვნით, სასამართლოში საქმის შეტანა მისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მასთან არასრულწლოვანი შვილები ცხოვრობენ, რაც აძნელებს მის გამოცხადებას ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში. სასამართლომ აღნიშნა, რომ ასეთ გარემოებაზე მოსარჩელეს არ მიუთითებია. შესაბამისად, მისი სარჩელის წარმოებაში მიღების საფუძველი არ არსებობდა.²

თბილისის საქალაქო სასამართლომ, არაგანსჯადობის გამო, მოსარჩელეს სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარი უთხრა 2019 წლის 24 ივნისის განჩინებითაც (საქმე #2/14597-19). აღნიშნულ საქმეში მოსარჩელე, არასრულწლოვანი გოგონას დედა, ითხოვდა, არასრულწლოვნის მამისათვის შეეზღუდათ მშობლის უფლება ბავშვის პასპორტის აღებისა და საზღვარგარეთ გაყვანის ნაწილში, შვილის სრულწლოვანებამდე.

მოსარჩელე განქორწინებულია მოპასუხესთან და უკვე შვიდი წელია ესპანეთის ქალაქ ბარსელონაში ცხოვრობს და მუშაობს. მხარეებს საქართველოში თანაცხოვრების პერიოდში შეეძინათ გოგონა, რომელიც მხარეთა განქორწინების შემდეგ ცხოვრობს თბილისში, მოსარჩელის დედასთან. მოპასუხე არ აძლევს ნებართვას მოსარჩელეს, ზაფხულისა და ზამთრის არდადეგებზე შვილი ესპანეთში წაიყვანოს.

სსკ-ის მე-19 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, მოსარჩელემ მოითხოვა, სარჩელი ბავშვის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით განეხილა თბილისის საქალაქო სასამართლოს. თუმცა თბილისის საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მისი მოთხოვნა და აღნიშნა: სსკ-ის მე-19 მუხლი მოსარჩელეს შესაძლებლობას აძლევს, საერთო განსჯადობის წესს (სსკ-ის მე-15 მუხლი) გადაუხვიოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მასთან არასრულწლოვანი შვილები ცხოვრობენ. შესაბამისად, სსკ-ის მე-19 მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი წესი მოსარჩელეზე ვერ გავრცელდებოდა, ვინაიდან იგი ცხოვრობს ესპანეთში და არასრულწლოვანი შვილი მასთან არ ცხოვრობს. სასამართლომ აღნიშნა, რომ სამოქალაქო კოდექსის მე-20 მუხლის თანახმად, არასრულწლოვნის საცხოვრებელ ადგილად ითვლება მშობლის უფლების მქონე მშობლის საცხოვრებელი ადგილი. მოცემულ შემთხვევაში, მოპასუხე მამის საცხოვრებელი ადგილი არის ქალაქ ქუთა-

² თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 25 იანვრის განჩინება საქმეზე #2/1887-18.

ისში. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ მოსარჩელეს სარჩელით ქუთაისის საქალაქო სასამართლოსთვის უნდა მიემართა.³

სსკ-ის მე-19 მუხლის მე-2 ნაწილზე იმსჯელა თბილისის სააპელაციო სასამართლომაც, თავის 2019 წლის 3 მაისის განჩინებაში საქმეზე #2ბ/1279-2019. ამ საქმეში მოსარჩელემ განქორწინების, არასრულწლოვნის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრისა და აღიმენტიის დაკისრების თაობაზე სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს. მოსარჩელის განმარტებით, მხარეებს ჰყავთ არასრულწლოვანი გოგონა. 2016 წლიდან მოსარჩელე ცხოვრობს აშშ-ში და არასრულწლოვანი შვილი ცხოვრობს მასთან (დედასთან). შესაბამისად, მისი სურვილია, გოგონას საცხოვრებელ ადგილად განისაზღვროს დედის საცხოვრებელი ადგილი აშშ-ში.

თბილისის საქალაქო სასამართლომ მოსარჩელეს უარი უთხრა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე არასრულწლოვნის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის ნაწილში. აღნიშნული განჩინება მან კერძო საჩივრით თბილისის სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-20 მუხლით გათვალისწინებული საცხოვრებელი ადგილის ცნებაზე და აღნიშნა, რომ, ამ მუხლის შესაბამისად, ფიზიკური პირის საცხოვრებელ ადგილად მიიჩნევა ის ადგილი, რომელსაც პირი საცხოვრებლად ირჩევს. ამავდროულად, პირს შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე საცხოვრებელი ადგილი. რაც შეეხება არასრულწლოვნის საცხოვრებელ ადგილს, ასეთად ითვლება მშობლის უფლების მქონე მშობლების საცხოვრებელი ადგილი, ხოლო სამეურვეო პირის საცხოვრებელ ადგილად - მისი მეურვის საცხოვრებელი ადგილი. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელე მუშაობს აშშ-ში და არის საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობის თანამდებობის პირი. სასამართლომ განმარტა „დიპლომატიური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლი, რომელიც აწესებს დიპლომატიურ სამსახურში თანამდებობის პირთა როტაციის წესს, და აღნიშნა, რომ ამ მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, პირის საცხოვრებელი ადგილი არ უქმდება, თუ იგი სახელმწიფოებრივი მოვალეობის შესასრულებლად განსაზღვრული ვადით ტოვებს ამ ადგილს.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ნაწილობრივი უარი სარჩელის მიღებაზე ეფუძნებოდა ბავშვის

³ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 24 ივნისის განჩინება საქმეზე #2/14597-19.

ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი ქვეყნის დადგენას და ამ ქვეყნის იური-სდიქციის გავრცელებას სასარჩელო მოთხოვნაზე, რაც არასწორი იყო: ვენის კონვენციის („დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ“) 31.1 და 37.1 მუხლების შესაბამისად, დიპლომატებსა და მათი ოჯახის წევრებს დიპლომატიური და საკონსულო იმუნიტეტი აქვთ, რაც მოიცავს იმუნიტეტს ადგილსამყოფელი სახელმწიფოს სამოქალაქო იურისდიქციასთან მიმართებითაც. სასამართლომ აღნიშნა, რომ ვინაიდან მოსარჩელე სახელმწიფოებრივი მოვალეობის შესასრულებლად განსაზღვრული ვადით მივლინებულია აშშ-ში, მისი და ოჯახის წევრების ჩვეულებრივ საცხოვრებელ ადგილად მიიჩნევა არა აშშ, ქალაქი ნიუ-იორკი, არამედ საქართველო; მით უმეტეს, რომ დიპლომატიური იმუნიტეტის გათვალისწინებით, აშშ-ის სამოქალაქო და ადმინისტრაციული იურისდიქცია მათზე არ ვრცელდება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატამ მიიჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლომ არასწორად უთხრა უარი მოსარჩელეს ბავშვის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის ნაწილში სარჩელის წარმოებაში მიღებაზე და საქმე ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოს დაუბრუნა.⁴

არასრულწლოვნის ინტერესების დაცვით არის განპირობებული სსკ-ის მე-19 მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილებით გათვალისწინებული შესაძლებლობა - სარჩელები მამობის დადგენასა და ალიმენტის გადახდევინებაზე წარედგინოს ბავშვისა და მოსარჩელის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით; აგრეთვე, სსკ-ის 19¹ მუხლით განსაზღვრული შესაძლებლობა - ბავშვის შვილად აყვანაზე სარჩელი სასამართლოს წარედგინოს მშვილე-ბლის ან გასაშვილებელი ბავშვის ადგილსამყოფლის მიხედვით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ, 2011 წლის 30 სექტემბრის განჩინებით საქმეზე #2/8799-11, დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა, რომ ალიმენტის შესახებ სარჩელი, მისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, განსჯადობით გადასცემოდა ახალციხის რაიონულ სასამართლოს, სსკ-ის მე-19 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად.

აღნიშნულ საქმეში მოსარჩელე ითხოვდა მოპასუხისათვის ალიმენტის დაკისრებას არასრულწლოვანი შვილის სასარგებლოდ. თავდაპირველად მან სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოში შეიტანა, თუმცა სარჩელზე ხარვეზი დადგინდა. ხარვეზის აღმოფხვრის პერიოდში მოსარჩე-

⁴ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 3 მაისის განჩინება საქმეზე #2ბ/1279-2019.

ლემ საცხოვრებელი ადგილი შეიცვლა და ბავშვთან ერთად ახალციხის რაიონში გადავიდა. მისი მოთხოვნის დაკმაყოფილება შესაძლებელი გახდა, ვინაიდან სასამართლოს სარჩელი ჯერ წარმოებაში არ ჰქონდა მიღებული.⁵ სსკ-ის 22-ე მუხლის შესაბამისად, განსჯადობის წესების დაცვით მიღებული საქმე სასამართლომ თვითონ უნდა განიხილოს და არსებითად გადაწყვიტოს, თუნდაც ეს საქმე შემდგომში სხვა სასამართლოს განსჯადი გახდეს (იხ. სსკ-ის 22-ე მუხლის კომენტარი).

დასასრულს უნდა აღინიშნოს, რომ სსკ-ის მე-19 და მე-19¹ მუხლებით გათვალისწინებული დანაწესი არ ართმევს უფლებას მოსარჩელეს, რომ სარჩელი საერთო განსჯადობის მიხედვით (სსკ-ის მე-15 მუხლი) აღძრას მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის სასამართლოში.

⁵ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 30 სექტემბრის განჩინება საქმეზე #2/8799-11.

მუხლი 20. განსჯადობა მოსარჩელის არჩევით

სასამართლოს არჩევის უფლება, თუ საქმე რამდენიმე სასამართლოს განსჯადია, ეკუთვნის მოსარჩელეს.

ულრის ჰაბენლონი	188
მე-20 მუხლი.....	188
ნინო ბაქაძური	190
მე-20 მუხლი.....	190

ულრის ჰაბენლონი

მე-20 მუხლი

სსკ-დან მოყვანილი ნორმები:

- მე-20 მუხლი
- 22-ე მუხლი

სასამართლოს არჩევის უფლება

თუ საქმე რამდენიმე სასამართლოს განსჯადია, როგორც ქართულ ისე გერმანულ საპროცესო სამართალში, მოსარჩელეს უფლება აქვს, აირჩიოს სასამართლო, რომელიც განიხილავს მის სარჩელს (§ 35 GER-ZPO; სსკ-ის მე-20 მუხლი). თუმცა, ეს არ მოქმედებს, როცა ერთ სასამართლოს აქვს ექსკლუზიური სპეციალური განსჯადობა კონკრეტულ საქმეზე: ამ შემთხვევაში გამოირიცხება საქმის განხილვა ნებისმიერ სხვა სასამართლოში და, ამით, მსგავს კონსტელაციებში ობიექტურად წარმოიშობა მხოლოდ ერთადერთი სასამართლო განსჯადობა.

მოსარჩელე, ძირითადად თავისუფალია განსჯადობის არჩევისას. ეს თავისუფლება მიდის უფლების განხორციელების ბოროტად გამოყენების ზღვრამდე (თუმცა, გერმანიაში ეს, პრაქტიკულად, თითქმის არასდროს ხდება) და გულისხმობს ტაქტიკური და საპროცესო საშუალებების სტრატეგიულად გამოყენებასაც (BGH, Beschluss vom 12.09.2013 - I ZB 39/13 - NJW-RR 2014, 886). უფლების ბოროტად გამოყენების საკითხი შესაძლოა უფრო საქართველოში იდგეს დღის წესრიგში, ვინაიდან ქართული სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მოპასუხის მხარეს რამდენიმე საპროცესო თანამონაწილის არსებობისას, მოსარჩელეს აძლევს

სასამართლოს არჩევის შესაძლებლობას (სსკ-ის მე-16 მუხლის პირველი ნაწილი; ამასთან დაკავშირებით იხ. მე-16 და მომდევნო მუხლების კომენტარი, ა.ნ. (აბზაცი ნომერი) 2). აქედან გამომდინარე, სავსებით შესაძლებელია წარმოვიდგინოთ კონსტელაციები, რომელთა დროსაც, განსჯადი სასამართლოს მიზანმიმართული არჩევა ერთ-ერთი (რეგიონის ცენტრიდან მოშორებით მოსახლე) საპროცესო თანამონაწილის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, არსებითად შელახავს სხვა საპროცესო თანამონაწილეთა კანონიერ ინტერესებს.

სასამართლოს არჩევის უფლება ხორციელდება სარჩელის აღძვრით; ეს არჩევანი ვეღარ შეიცვლება საქმისწარმოებაში მიღების შემდეგ § 261 Abs. 3 Nr. 2 GER-ZPO-ის შესაბამისად (ამ რეგულაციის მონესრიგების შინაარსი სსკ-ის 22-ე მუხლის მსგავსია; ე.წ. *perpetuatio fori*) (KG, Beschluss vom 09.05.2016 - 2 AR 18/16 - MDR 2016, 847; OLG Hamm, Beschluss vom 21.10.2011 - 31 SA 72/11 - MDR 2012, 307). დავალიანების გადახდევინების შესახებ საქმის განხილვის გამარტივებული წარმოებისას, გერმანულ სამართალში განსჯადი სასამართლო უნდა შეირჩეს დავალიანების გადახდევინების განცხადებაში (§ 690 Abs. 1 Nr. 5, § 692 Abs. 1, § 696 Abs. 1, § 700 Abs. 2 GER-ZPO). სარჩელის გამოხმობის შემდეგ, შეიძლება ხელახლა განხორციელდეს არჩევის უფლება.

ნინო ბაძაქური

მე-20 მუხლი

I. სასამართლოს არჩევის უფლების არსი

სასამართლოს არჩევა არის მოსარჩელის უფლება, დავა დაიწყოს კონკრეტულ საქმეზე ალტერნატიული განსჯადობის მქონე იმ სასამართლოში, რომელიც ყველაზე მოსახერხებელია მისთვის.

აღნიშნული უფლება განსხვავდება მხარეებისთვის სსკ-ის 21-ე მუხლით უზრუნველყოფილი უფლებისაგან - შეთანხმებით დაადგინონ განსჯადი სასამართლო. შეთანხმებით შესაძლებელია, არაგანსჯადი სასამართლოც განსჯადი გახდეს, სსკ-ის მე-20 მუხლით გარანტირებული უფლება კი მოსარჩელეს მხოლოდ განსჯადი სასამართლოებიდან შერჩევის შესაძლებლობას აძლევს.

ამასთან, სასამართლოს არჩევის უფლება მოქმედებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქმე გვაქვს სასამართლოების ალტერნატიულ განსჯადობასთან - როცა საქმე სხვადასხვა საფუძვლებით თანაბრად რამდენიმე სასამართლოს განსჯადია. ეს უფლება არ მოქმედებს, თუ რომელიმე სასამართლოს კონკრეტულ საქმეზე აქვს ექსკლუზიური სპეციალური განსჯადობა.

II. სასამართლოს არჩევის უფლების არარსებობა საერთო და სპეციალური განსჯადობის კონკურენციისას

როგორც ზემოთ აღინიშნა, სასამართლოს არჩევის უფლება მოსარჩელეს აქვს სასამართლოთა ალტერნატიული განსჯადობის შემთხვევაში, როდესაც სარჩელის განხილვა თანაბრად შეუძლია რამდენიმე სასამართლოს. შესაბამისად, ის არ მოქმედებს განსჯადობის საერთო და სპეციალური წესების კონკურენციის პირობებში.

აღნიშნული საკითხზე მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ¹ თა-

¹ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დანაწესისგან განსხვავებით, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი უშვებს ადმინისტრაციულ საქმეთა განმხილველ სასამართლოებს შორის განსჯადობაზე დავის შესაძლებლობას, რომელზეც საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ

ვის 2018 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში საქმეზე #ბს-813(გ-18).²

ამ საქმეში მოსარჩელემ სასარჩელო განცხადებით მიმართა მცხეთის რაიონულ სასამართლოს. სარჩელი გამომდინარეობდა ხელშეკრულებიდან, რომელიც შეეხებოდა „საკონტრაქტო (პროფესიული) სამხედრო მოსამსახურეების (გარდა ოფიცრებისა) მიერ სამხედრო მოსამსახურის გავლას“. მოსარჩელე ითხოვდა მოპასუხისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრებას მის სასარგებლოდ, ხელშეკრულებების პირობების დარღვევის გამო.

მცხეთის რაიონული სასამართლოს განჩინებით, სსკ-ის მე-15 მუხლის შესაბამისად, სარჩელი, მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, განსჯადობით გადაეგზავნა თელავის რაიონულ სასამართლოს. თელავის რაიონული სასამართლო არ დაეთანხმა მცხეთის რაიონული სასამართლოს მსჯელობას განსჯადობის თაობაზე და ადმინისტრაციული საქმე, ტერიტორიული განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად, გადაუგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს. თელავის რაიონულმა სასამართლომ მიუთითა, რომ მოცემული დავა წარმოშობილი იყო და გამომდინარეობდა მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულებიდან. აღნიშნული ხელშეკრულების მე-8 მუხლის 8.4. პუნქტის თანახმად, ასევე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილიდან და სხვა დანაწესებიდან გამომდინარე, მხარეები შეთანხმდნენ, რომ ამ კონტრაქტის საფუძველზე, „სამხედრო მოსამსახურის“ წინააღმდეგ აღძრული დავების განხილვის განსაკუთრებული განსჯადობა, სამინისტროს არჩევანით, აქვს სასამართლოს, რომელიც მდებარეობს: (ა) სამხედრო მოსამსახურის ბოლო მოსამსახურის ადგილის (სამხედრო ნაწილის ადგილსამყოფელის) მიხედვით; (ბ) საქართველოს თავდაცვის სამინისტროს (მოსარჩელის) ადგილსამყოფელის, როგორც ამ კონტრაქტის შესრულების ერთ-ერთი

საქმეთა პალატა (სასკ-ის 26.2 მუხლი). გამომდინარე იქიდან, რომ განსჯადობის საკითხების გადაწყვეტისას ადმინისტრაციულ დავებში გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, თუ საკითხი განსხვავებულად არ რეგულირდება ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით (სასკ-ის პირველი მუხლის მე-2 ნაწილი), ადმინისტრაციულ საქმეთა განმხილველი სასამართლოები ხშირად განმარტავენ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამის ნორმებს, ხოლო საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას აქვს არაერთი მნიშვნელოვანი განმარტება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის განსჯადობის ნორმებთან დაკავშირებით, რომლებიც საყურადღებოა სამოქალაქო საპროცესო სამართლით დაინტერესებული ყველა პირისათვის.

² საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 26 ოქტომბრის განჩინება #ბს-813(გ-18).

ადგილის მიხედვით; (გ) სამხედრო მოსამსახურის რეგისტრაციის ადგილის მიხედვით.

თელავის რაიონულმა სასამართლომ გამოიყენა სსკ-ის მე-20 და 21-ე მუხლები და განმარტა, რომ მხარეებს შორის კონტრაქტი გაფორმდა თბილისში, ხოლო კონტრაქტის/ხელშეკრულების შესრულების ადგილი - სადაც ბოლოს მსახურობდა მოპასუხე - იყო შეიარაღებული ძალების სახმელეთო ჯარების კონკრეტული ბატალიონის დისლოკაციის ადგილი მცხეთაში. შესაბამისად, კონტრაქტის შესრულების ადგილი და ბოლო სამსახური გახლდათ მცხეთაში მდებარე სამხედრო ნაწილი. სასამართლოს განმარტებით, მოსარჩელემ, კონტრაქტიდან გამომდინარე დავის განსახილველად, მხარეთა წერილობითი შეთანხმების თანახმად, აირჩია და მიმართა სასამართლოს სამხედრო მოსამსახურის ბოლო სამსახურის ადგილის მიხედვით, სადაც უნდა შესრულებულიყო კონტრაქტი და დაირღვა საკონტრაქტო პირობები.

ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ ამ შემთხვევაში, სასამართლოს საქმე უნდა განეხილა არა მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ანუ საერთო, ზოგადი განსჯადობის წესით, არამედ განსჯადობის სპეციალური წესების საფუძველზე. შესაბამისად, თელავის რაიონული სასამართლო არ იყო უფლებამოსილი მოცემული სარჩელის განხილვაზე.

მცხეთისა და თელავის რაიონულ სასამართლოთა განჩინებების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმებით, საკასაციო სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ საქმე განსჯადობით უნდა დაქვემდებარებოდა მცხეთის რაიონულ სასამართლოს, თუმცა მან არ გაიზიარა თელავის რაიონული სასამართლოს მსჯელობა სსკ-ის მე-20 და 21-ე მუხლების თაობაზე.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ სსკ-ის მე-15 მუხლით რეგლამენტირებულია წესები საერთო განსჯადობის შესახებ, რომლებიც ერთნაირად ვრცელდება ნებისმიერ დავაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამავე კოდექსით დადგენილია განსხვავებული წესი.

სსკ-ის მე-16-19¹ მუხლებით დადგენილია განსჯადობის სპეციალური წესები, რომლებიც ამავე კოდექსის მე-15 მუხლით განსაზღვრულ საერთო განსჯადობასთან მიმართებით ექსკლუზიურია (გამომრიცხველი). ეს გულისხმობს, რომ განსჯადობის საერთო და სპეციალურ წესებს შორის კონკურენციის შემთხვევაში, ცალსახა უპირატესობა უნდა მიენიჭოს სწორედ სპეციალური წესების დამდგენ ნორმებს და ტერიტორიულად განსჯადი სასამართლო, განსჯადობის საერთო წესების გამორიცხვით, ამ ნორმების საფუძველზე განისაზღვროს.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის დავა წარმოშობილია ადმინისტრაციული ხელშეკრულების პირობების დარღვევის - მისი ვადამდე შეწყვეტის საფუძველზე. ამის გამო, მოცემული სადავო სამართალურთიერთობა, მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხის მიმართ, უკავშირდებოდა ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას და მისგან გამომდინარეობდა.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ სსკ-ის მე-16 მუხლი განსაზღვრავს განსაკუთრებულ განსჯადობას, რომლის მე-2 ნაწილის თანახმად, ხელშეკრულებიდან გამომდინარე სარჩელები სასამართლოს წარედგინება ხელშეკრულების შესრულების ადგილის ან იმ ადგილის მიხედვით, სადაც ხელშეკრულება უნდა შესრულებულიყო, გარდა ამ მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა.

სასამართლომ აღნიშნა, რომ ხელშეკრულების შესრულების ბოლო ადგილი იყო მცხეთაში მდებარე სამხედრო ნაწილი.

საკასაციო სასამართლომ თელავის რაიონული სასამართლოს მიერ სსკ-ის მე-20 მუხლზე მითითების შესახებ აღნიშნა, რომ ეს მუხლი მოსარჩელეს აძლევს განსჯადი სასამართლოს არჩევის შესაძლებლობას.

სასამართლომ აღნიშნულ მუხლთან მიმართებით განმარტა, რომ მოსარჩელე სასამართლოს არჩევის უფლებით აღიჭურვება იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით კონკრეტული სადავო სამართალურთიერთობის განხილვაზე უფლებამოსილად მიიჩნევა რამდენიმე სასამართლო. სასამართლოს არჩევის უფლება მოსარჩელეს იმ ვითარებაში წარმოეშობა, როდესაც საერთო (ზოგადი) ან სპეციალური განსჯადობის წესების ურთიერთშეპირისპირების შედეგად, ერთი და იმავე საფუძველზე ან ერთგვაროვნად, თანაბრად სპეციალური წესების საფუძველზე, განსჯადად რამდენიმე სასამართლო დადგინდება.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ სსკ-ის მე-20 მუხლით განსაზღვრული სასამართლოს არჩევის უფლება არ არსებობს განსჯადობის საერთო და სპეციალური წესების კონკურენციისას ამ წესებით განსაზღვრულ სასამართლოებს შორის, რადგან სპეციალური წესები ასეთ ვითარებაში ექსკლუზიურია და გამორიცხავს განსჯადი სასამართლოს დადგენას განსჯადობის საერთო წესებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ აღნიშნა: მართალია, თელავის რაიონულმა სასამართლომ მოცემულ დავაზე უფლებამოსილი სასამართლო შედეგობრივად სწორად განსაზღვრა, თუმცა დაუსაბუთებელი იყო მისი მითითება სსკ-ის მე-20 მუხლზე, რადგან ამავე კოდექსის მე-15 მუხლით განსაზღვრულ საერთო გა-

ნსჯადობის წესებსა და მე-16 მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილ სპეციალური განსჯადობის წესებს შორის კონკურენციის არსებობა გამორიცხავს მოსარჩელის მიერ სასამართლოს არჩევის შესაძლებლობას. განსაკუთრებული განსჯადობის წესი მოცემულ სადავო ურთიერთობასთან მიმართებით იმპერატიულად, ყოველგვარი ალტერნატივის გარეშე განსაზღვრავს განსჯად სასამართლოს, რაც სამართლებრივად უსაფუძვლოს, დაუსაბუთებელს ხდის მოსარჩელის სასამართლოსთვის მიმართვას მე-15 მუხლის საფუძველზე. შესაბამისად, გამორიცხავს ასეთ ვითარებაში სასამართლოს არჩევის უფლების არსებობას.

ამგვარად, საკასაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ განსახილველ შემთხვევაში, სსკ-ის 16.2 მუხლით დადგენილი განსაკუთრებული განსჯადობის - როგორც განსჯადობის სპეციალური წესის - გამოყენების საფუძველზე, განსჯადი სასამართლო, ხელშეკრულების შესრულების ადგილის მიხედვით, იყო მცხეთის რაიონული სასამართლო.³

III. სასამართლოს არჩევის უფლება განსაკუთრებული და ნივთობრივი განსჯადობის, ასევე, საერთო და ნივთობრივი განსჯადობის შემთხვევაში

განსაკუთრებული და ნივთობრივი განსჯადობის, ასევე, საერთო და ნივთობრივი განსჯადობის შემთხვევაში სასამართლოს არჩევის უფლებაზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ საინტერესო განმარტება გააკეთა 2011 წლის 25 მარტის გადაწყვეტილებაში (საქმე #2ბ/563-11). ამ საქმეში მან იმსჯელა სასამართლოს არჩევის შესაძლებლობაზე სსკ-ის მე-16 და მე-18, ასევე, მე-15 და მე-18 მუხლებით განსჯადობის შემთხვევაში.⁴

საქმეში დავის საგანი იყო უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა. სარჩელი მიემართებოდა ნივთის იმჟამინდელ მესაკუთრეს და ეხებოდა უძრავ ნივთზე საკუთრების უფლებას. ხელშეკრულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების ადგილსამყოფელი გახლდათ თბილისი. თბილისის საქალაქო სასამართლომ განჩინებით უარი უთხრა მოსარჩელეს სარჩელის მიღებაზე და განუმარტა, რომ მოსარჩელეს სარჩელი რაიონულ სასამართლოში მოპასუხის საცხოვრებელი

³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 26 ოქტომბრის განჩინება #პს-813(გ-18).

⁴ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 25 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე #2ბ/563-11.

ადგილის მიხედვით უნდა წარედგინა. აღნიშნული განჩინება მოსარჩელემ კერძო საჩივრით გაასაჩივრა.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ კერძო საჩივრის განხილვისას არ გაიზიარა თბილისის საქალაქო სასამართლოს მსჯელობა, რომ ამ შემთხვევაში სასამართლოს უნდა გამოეყენებინა განსჯადობის საერთო წესი. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ განსჯადობის საერთო წესების თანახმად (სსკ-ის მე-15 მუხლი), მოსარჩელემ სარჩელი მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით უნდა წარადგინოს, თუმცა, მოცემულ შემთხვევაში კანონი გამონაკლისს ითვალისწინებს და აწესებს, რომ ხელშეკრულებიდან გამომდინარე სარჩელები სასამართლოს წარედგინება ხელშეკრულების შესრულების ადგილის ან იმ ადგილის მიხედვით, სადაც ხელშეკრულება უნდა შესრულებულიყო (სსკ-ის მე-16.2 მუხლი). იმავედროულად, სსკ-ის მე-18 მუხლი ნივთობრივ დავებთან მიმართებით, მოსარჩელეს შესაძლებლობას აძლევს, სარჩელი წარადგინოს მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის ან ქონების ადგილსამყოფელის მიხედვით, როცა დავა ხელშეკრულებიდან არ გამომდინარეობს; თუ დავა სახელშეკრულებო ურთიერთობას ეხება, სარჩელის შეტანა შეიძლება როგორც ხელშეკრულების შესრულების ადგილის, ისე ქონების ადგილსამყოფელის მიხედვით. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, უძრავ ქონებაზე დადებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მოსარჩელეს ჰქონდა ორი სამართლებრივი შესაძლებლობა: სასამართლოსთვის მიემართა (ა) ხელშეკრულების შესრულების ადგილის ან (ბ) უძრავი ნივთის ადგილსამყოფელის მიხედვით. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, როდესაც ხელშეკრულება იდება უძრავი ქონების თაობაზე, აღარ არსებობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ ნორმათა კონკურენცია, ვინაიდან ასეთი ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავას სსკ-ის მე-16 და მე-18 მუხლები ერთნაირად აწესრიგებს: უძრავ ქონებაზე დადებული ხელშეკრულების შესრულების ადგილი ყოველთვის უძრავი ქონების ადგილსამყოფელია. შესაბამისად, უძრავ ქონებასთან მიმართებით, სსკ-ის მე-16 მუხლი ალტერნატიული განსჯადობის წესს არ შეიცავს. ამავე მუხლით გათვალისწინებული შესრულების ადგილი იმთავითვე ხელშეკრულების არსიდან გამომდინარეობს და უძრავი ქონების ადგილსამყოფელს ემთხვევა. თბილისის სააპელაციო სასამართლომ დამატებით აღნიშნა: ამ დავაზე განსჯადი სასამართლო მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვითაც რომ ყოფილიყო განსაზღვრული, თბილისის საქალაქო სასამართლოს - როგორც, სსკ-ის მე-18 მუხლის შესაბამისად, უძრავი ნივთის ადგილსამყოფელის სასამართლოს - სარჩელი მაი-

ნც უნდა მიეღო წარმოებაში, ვინაიდან, უძრავ ნივთებთან მიმართებით მოქმედებს სასამართლოს არჩევის პრინციპი: კერძოდ, ასეთ დროს მხარე უფლებამოსილია, სარჩელი შეიტანოს უძრავი ნივთის ადგილსამყოფელის მიხედვით. ამგვარი უფლების რეალიზაციის საპროცესოსამართლებრივ გარანტიას კი სწორედ სსკ-ის მე-20 მუხლი იძლევა, რომელიც ადგენს, რომ სასამართლოს არჩევის უფლება, თუ საქმე რამდენიმე სასამართლოს განსჯადია, ეკუთვნის მოსარჩელეს. ეს ნიშნავს, რომ მოსარჩელეს უფლება აქვს, მიმართოს სასამართლოს უძრავი ნივთის ადგილსამყოფელის მიხედვით.⁵ ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თბილისის სააპელაციო სასამართლომ გააუქმა თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინება და საქმე იმავე სასამართლოს დაუბრუნა განსახილველად.⁶

IV. სასამართლოს არჩევის უფლების განხორციელება

სასამართლოს არჩევის უფლება ხორციელდება სასამართლოში სარჩელის აღძვრით. სასამართლოს მიერ სარჩელის წარმოებაში მიღების შემდეგ, ეს არჩევანი ველარ შეიცვლება, ვერც მოსარჩელის ინიციატივით და ვერც მხარეთა შეთანხმებით, რადგან ასეთ შემთხვევაში მოქმედებს სსკ-ის 22-ე მუხლით დადგენილი წესი. ამ წესის თანახმად, სასამართლომ განსჯადობის წესების დაცვით წარმოებაში მიღებული საქმე უნდა განიხილოს და არსებითად გადანყვიტოს, თუნდაც ეს საქმე შემდგომში სხვა სასამართლოს განსჯადი გახდეს (იხ. სსკ-ის 22-ე მუხლის კომენტარი).

ეს სიტუაცია განსხვავდება სსკ-ის 21-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ვითარებისგან: 21-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში სარჩელი არაგანსჯადი სასამართლოს წარმოებაშია და შეიძლება ასე დარჩეს, თუ მოპასუხე აღნიშნულ საკითხს არ გააპროტესტებს (იხ. სსკ-ის 21 მუხლის კომენტარი).

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, მოსარჩელეს არჩევანის შეცვლის შესაძლებლობა სარჩელის წარმოებაში მიღების შემდეგაც რჩება, თუკი სარჩელს გამოიხმობს. სსკ-ის 83¹ მუხლის შესაბამისად, მოსარჩელეს უფლება აქვს, გამოიხმოს სარჩელი ისე, რომ უარი არ თქვას თავის მოთხოვნაზე. სარჩელის გამოხმობა დასაშვებია საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე. თუ ეს უფლება ხორციელდება პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის მთავარ სხდომაზე განხილვისას, ან სააპელაციო და სა-

⁵ თ. ლილუაშვილი, გ. ლილუაშვილი, ვ. ხრუსტალი, ზ. ძლიერიშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, I ნაწილი, თბილისი 2014, გვ. 219-221.

⁶ თ. ლილუაშვილი, გვ. 221.

კასაციო წესით განხილვისას, იგი საჭიროებს მოპასუხის თანხმობას. ასეთი თანხმობის არარსებობის შემთხვევაში, სასამართლომ უნდა განიხილოს და გადაწყვიტოს საქმე.

თუ მოსარჩელემ განახორციელა თავისი უფლება და სარჩელი გამოიხმო, მას შეუძლია, ახალი სარჩელი სხვა სასამართლოში აღძრას, რითაც ხელახლა ეძლევა სასამართლოს არჩევის საშუალება.

თუ მოსარჩელე სარჩელს არაგანსჯად სასამართლოში აღძრავს, ხოლო მოპასუხე არ არის თანახმა სარჩელის განხილვაზე არაგანსჯადი სასამართლოს მიერ და სარჩელი რამდენიმე სასამართლოს განსჯადია, სსკ-ის 23.2-ე მუხლის შესაბამისად, მოსარჩელეს ასევე ეძლევა სასამართლოს არჩევის შესაძლებლობა.

საბოლოოდ, ამ უფლების არსი და მნიშვნელობა ის არის, რომ შეიქმნას დამატებითი ხელსაყრელი სამართლებრივი გარანტიები სასამართლოს არჩევის კუთხით - პროცესის იმ მხარისათვის, რომელიც მოითხოვს დარღვეული, ანდა სადავო უფლების სასამართლო წესით დაცვას. ალტერნატიული განსჯადობის წესებში გათვალისწინებულია განსაკუთრებული გარემოებები, რომლებიც უკავშირდება იმ პირთა უფლებებისა და ინტერესების უკეთ დაცვას, რომლებსაც უფლებათა სასამართლო წესით დაცვა სჭირდებათ.⁷

⁷ შ. ქურდაძე, ნ. ხუნაშვილი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მეორე გამოცემა (შევსებული და გადამუშავებული), თბილისი 2015, გვ. 222.

მუხლი 21. შეთანხმება განსჯადობის შესახებ

1. თუ არ არის დადგენილი ერთმნიშვნელოვნად განსჯადი სასამართლო, მაშინ მხარეებს შეუძლიათ შეთანხმების გზით დაადგინონ სასამართლოს განსჯადობა. შეთანხმება ფორმდება წერილობით.

2. არაგანსჯადი სასამართლო შეიძლება განსჯადი გახდეს იმ შემთხვევაშიც, თუ მოპასუხე წინააღმდეგი არ არის, რომ საქმე განიხილოს არაგანსჯადმა სასამართლომ და თანახმაა მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში, ამასთან, თუ მოპასუხე წარმოდგენილი იქნება ადვოკატით ან მიეცემა განმარტება სასამართლოს არაგანსჯადობისა და მისი შედეგების, აგრეთვე იმის შესახებ, რომ მას უფლება აქვს წამოაყენოს შესაგებელი არაგანსჯადობის წინააღმდეგ. სასამართლოს მიერ მოპასუხისათვის ასეთი განმარტების მიცემის შესახებ უნდა აღინიშნოს სასამართლო ოქმში.

ულრის ჰაბენლონი	198
21-ე მუხლი.....	198
ნინო ბაქაძური	204
21-ე მუხლი.....	204

ულრის ჰაბენლონი

21-ე მუხლი

სსკ-დან მოყვანილი ნორმები:

- 21-ე მუხლი

შეთანხმება განსჯადობის შესახებ; საქმის განხილვა არაგანსჯადი სასამართლოს მიერ

1. განსჯადობის შესახებ შეთანხმების გერმანული სამართალი ქართულზე მეტად დიფერენცირებულია. გერმანულ სამოქალაქო საპროცესო სამართალში პირდაპირ არის მონესრიგებული პოტენციური კონფლიქტური სიტუაციები, რაზეც ქართულ სამართალში პასუხის გაცემა შესაძლებელია მხოლოდ ხელშეკრულების სტანდარტული პირობების მონესრიგებული ნორმების ზოგადი პრინციპების მიხედვით (სკ-ის 344-ე

და მომდევნო მუხლები). შესაბამისად, ეს იწვევს უფრო მაღალ სამართლებრივ არასტაბილურობას.

ამონარიდების სახით წარმოგიდგინთ გერმანული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის რეგულაციებს:

§ 38 GER-ZPO - განსჯადობის შესახებ შეთანხმების დასაშვებობა

(1) პირველი ინსტანციის არაგანსჯადი სასამართლო შეიძლება განსჯადი გახდეს მხარეთა პირდაპირი ან უსიტყვო შეთანხმებით, თუ ხელშეკრულების მხარეები არიან სავაჭრო სუბიექტები ან საჯარო სამართლის იურიდიული პირები, ანდა საქმე ეხება სპეციალური სტატუსის მქონე საჯარო-სამართლებრივ აქტივებს.

(2) გარდა ამისა, მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ პირველი ინსტანციის სასამართლოს განსჯადობაზე, რამდენადაც, სულ მცირე, ერთ მხარეს არ წარმოეშობა ქვეყნის შიგნით საერთო განსჯადობის სასამართლოსადმი მიმართვის უფლება. შეთანხმება უნდა დაიდოს წერილობითი ფორმით. ზეპირად დადების შემთხვევაში, საჭიროა მისი წერილობითი ფორმით დადასტურება. თუ ერთ-ერთ მხარეს ქვეყნის შიგნით საერთო განსჯადობის სასამართლოს მოთხოვნის უფლება, ქვეყნის შიგნით შეიძლება აირჩეს მხოლოდ ერთი სასამართლო, სადაც ამ მხარის საქმე განიხილება საერთო განსჯადობის ფარგლებში, ან მხარეს წარმოეშობა სპეციალური განსჯადობის უფლება.

(3) გარდა ამისა, განსჯადობის შესახებ შეთანხმება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როცა ის პირდაპირ და წერილობით დაიდება:

1. დავის წარმოშობის შემდეგ; ან

2. იმ შემთხვევისთვის, თუ: მხარე, ვის წინააღმდეგაც სასარჩელო გზით უნდა განხორციელდეს მოთხოვნის უფლება, ხელშეკრულების დადების შემდეგ გამოიცვლის საცხოვრებელ ადგილს ან ჩვეულებრივ ადგილსამყოფელს, რომელიც გადის ამ კანონის მოქმედების სფეროდან; ანდა მისი საცხოვრებელი ადგილი ან ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი არ იყო ცნობილი სარჩელის შეტანის მომენტისთვის.

§ 40 GER-ZPO - განსჯადობის შესახებ შეთანხმების ბათილობა და დაუშვებლობა

(1) განსჯადობის შესახებ შეთანხმებას არ აქვს კანონიერი ძალა, თუ ის არ ეხება განსაზღვრულ სამართლებრივ ურთიერთობას და ამ ურთიერთობიდან გამომდინარე სამართლებრივ დავას.

(2) შეთანხმება დაუშვებელია, თუ:

1. სამართლებრივი დავა არ ეხება ქონებრივ მოთხოვნის უფლებებს, რომელიც, დავის საგნის ღირებულების მიუხედავად, განსახილველად მიენერება პირველი ინსტანციის სასამართლოებს; ან

2. სარჩელს წარმოეშობა ექსკლუზიური განსჯადობა.

ამ შემთხვევებში, არ წარმოიშობა აგრეთვე არაგანსჯადი სასამართლოს მიერ საქმის განხილვის უფლება დავის ძირითად საგანთან დაკავშირებით.

ზემოთ წარმოდგენილი რეგულაციიდან გამომდინარე, გერმანული სამოქალაქო საპროცესო სამართალი ეფუძნება სასამართლო განსჯადობაზე შეთანხმების აკრძალვას (BGH Urteil vom 06.10.1982 - VIII ZR 210/81 - NJW 1983, 159). ეს მიდგომა ეყრდნობა სამართლიანობის საფუძვლებს (BGH, Urteil vom 02.07.1987 - III ZR 219/86 - BGHZ 101, 271) და მიზნად ისახავს მოპასუხის დაცვას, რომლის წინააღმდეგაც, კანონისმიერი კონცეფციის მიხედვით, მოსარჩელემ უნდა აღძრას სარჩელი მისი საცხოვრებელი ადგილის შესაბამისად (§ 12 GER-ZPO; Art. 15 GEO-ZPO). გარდა ამისა, მან მოპასუხე უნდა დაიცვას უსამართლო სირთულეებისგან უფლების განხორციელებისას.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში კანონი არ კრძალავს შეთანხმებას სასამართლო განსჯადობაზე, **ხელშეკრულების სტანდარტული პირობებისთვის**, რომლებიც შეიცავს სსკ-ის მე-15 მუხლის ძირითადი პრინციპისგან განსხვავებულ შეთანხმებას სასამართლო განსჯადობაზე, საზომი უნდა იყოს სკ-ის 344-ე და მომდევნო მუხლები. ამ კუთხით, შესაძლოა საორიენტაციოდ გარკვეულწილად გამოსადეგი იყოს §§ 38, 40 GER-ZPO-ის ძირითადი იდეა; მით უფრო, თუ საერთო განსჯადობის კანონისმიერმა რეგულაციებმა მოპასუხის უფლებები უნდა დაიცვას ხელშეკრულების „უფრო ძლიერი“ მხარის მიერ ხელყოფისგან, რითაც ის ემსახურება „მომხმარებლის დაცვასაც“.

2. ამასთან დაკავშირებით, გერმანული სამართლის დღის წესრიგში, უპირველეს ყოვლისა, დგას შემდეგი საკითხები:

ა) შეთანხმება სასამართლო განსჯადობაზე შეიძლება ეხებოდეს ტერიტორიულ და საგნობრივ, ან საერთაშორისო განსჯადობას - თუმცა არა სასამართლო წესით გასაჩივრებას (გერმანიაში დამოუკიდებელ ადმინისტრაციულ მართლმსაჯულებასთან დაკავშირებით, იხ: BGH Beschluss vom 07.11.1996 - IX ZB 15/96 – NJW 1997, 328) - ანდა ფუნქციურ განსჯადობას (მაგ.: ინსტანციური განსჯადობა) და საქმეთა განხილვას სასამართლოში.

ბ) უნდა განიმარტოს, რამდენად წარმოშობს სასამართლო განსჯადობაზე შეთანხმება **ექსკლუზიური განსჯადობის უფლებას**, ან უნდა შეიქმნას თუ არა არსებული სასამართლო განსჯადობების პარალელურად დამატებითი განსჯადობა.

სასამართლო პრაქტიკაში ხაზგასმულია, რომ არ არსებობს განსჯადობის შეთანხმებით განსაზღვრული სასამართლოს ექსკლუზიური განსჯადობის პრეზუმფცია (BGH, Urteil vom 05.07.1972 - VIII ZR 118/71 – BGHZ 59, 116; OLG Schleswig, Beschluss vom 02.06.2006 - 2 W 80/06 - NJW 2006, 3360). თუმცა სასამართლო პრაქტიკაში არსებობს ტენდენცია, რომ, სულ მცირე (ზემოთ წარმოდგენილი მსჯელობით დასაშვები), ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებში სასამართლო განსჯადობის შეთანხმებისას, მხარეს, რომელიც იყენებს ამ შესაძლებლობას, როგორც წესი, სასამართლო განსჯადობის ექსკლუზიურობა სურს მხოლოდ **მის წინააღმდეგ** სარჩელის აღძვრისას, მაშინ, როდესაც მის მიერ მოპასუხის წინააღმდეგ აღძრული სარჩელის შემთხვევაში, წარმოიშობა მხოლოდ ერთი დამატებითი არჩევითი სასამართლო განსჯადობა. ამით მოსარჩელეს სარჩელის აღძვრისას კვლავინდებურად შეუძლია აირჩიოს განსჯადი სასამართლო § 35 GER-ZPO-ის შესაბამისად (შესატყვისი რეგულაცია ქართულ სამართალში არის სსკ-ის მე-20 მუხლი) (OLG Hamm Beschluss vom 13.03.2012 - 32 SA 5/12 - MDR 2012, 799; OLG Bamberg, Urteil vom 22.09.1988 - 1 U 302/87 - NJW-RR 1989, 371; so bei Auslandsbezug auch BGH, Urteil vom 05.07.1972 - VIII ZR 118/71 – BGHZ 59, 116). ეს დაახლოებით პასუხობს ხაზს, რომელსაც ადგენს ევროკავშირის დადგენილება სასამართლო განსჯადობასა და სამოქალაქო თუ სავაჭრო საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებების აღიარებასა და აღსრულებაზე (Art. 25 Abs. 1 EuGVVO), ასევე, ლუგანოს კონვენცია (§ 17 Abs. 1 LugÜ) (შდრ. BGH Urteil vom 23.07.1998 - II ZR 286/97 - NJW-RR 1999, 137) სასამართლო განსჯადობის შეთანხმებათა განმარტებებთან დაკავშირებით.

გ) სასამართლო განსჯადობა განისაზღვრება არა განცალკევებულად, არამედ ხშირად როგორც შემდგომ სამართლებრივ გარიგებაზე შეთანხმების ნაწილი. ამიტომ, უნდა განიმარტოს, მხარეების მიერ მის ნამდვილობაზე დავისას ძალაში რჩება თუ არა სასამართლო განსჯადობაზე შეთანხმება **სამართლებრივი გარიგების ბათილობის** შემთხვევაშიც. § 139 GER-BGB-თან დაკავშირებით შემუშავებული პრინციპებიდან გამომდინარე (შესატყვისია სკ-ის 62-ე მუხლისა), ეჭვის შემთხვევაში, ივარაუდება, რომ მხარეებს მაშინაც სურთ (განცალკევებულად თუ განვიხი-

ლავთ, სამართლებრივად ნამდვილი) სასამართლო განსჯადობის შეთანხმების ძალაში დატოვება, როდესაც ბათილია ხელშეკრულების სხვა ნაწილები (BGH Urteil vom 19.01.1960 - VIII ZR 35/59 - WM 1960, 320); იხ. სასამართლო გადაწყვეტილება სამართლებრივად ნამდვილი შეცდომებისას (OLG Stuttgart Urteil vom 08.11.2007 - 7 U 104/07 - MDR 2008, 709), ან სხვა სამართლებრივი გარიგების დადების ფორმის ბათილობისას (OLG München Urteil vom 20.07.1994 - 3 U 2861/94 - OLGR 1995, 117). გერმანული სასამართლო პრაქტიკის ეს ძირითადი პრინციპები ევროპულ დონეზე შეესაბამება § 25 Abs. 5 EuGVVO-ს, რომელიც ადგენს:

§ 25 Abs. 5 EuGVVO

შეთანხმება სასამართლო განსჯადობაზე, რომელიც ხელშეკრულების ნაწილია, უნდა განვიხილოთ, როგორც ხელშეკრულების სხვა პირობებისგან დამოუკიდებელი შეთანხმება.

სასამართლო განსჯადობაზე შეთანხმების კანონიერი ძალა ვერ მიიჩნევა საექვოდ მხოლოდ იმ საფუძველით, რომ თვითონ ხელშეკრულებას არ აქვს კანონიერი ძალა.

დ) გაბატონებული მოსაზრების მიხედვით, **სარჩელის წარმოებაში მიღების შემდეგ**, სასამართლო განსჯადობაზე შეთანხმება ველარ შეცდომის იმ სასამართლოს განსჯადობას, რომლის წარმოებაშიც არის საქმე, ვინაიდან ამას ეწინააღმდეგება § 261 Abs. 3 Nr. 2 GER-ZPO-ის (ე.წ. Perpetuatio fori; შდრ. სსკ-ის 22-ე მუხლი) ამკრძალავი ძალა. წარმოგიდგენთ ამონარიდს მიუნხენის უმაღლესი სამხარეო სასამართლოს გადაწყვეტილებიდან OLG München, Beschluss vom 23.05.2016 - 34 AR 65/16 - NJW-RR 2016, 1532:

„გაბატონებული მოსაზრების შესაბამისად, განსჯადობაზე შეთანხმება, საქმის წარმოებაში მიღების შემდეგ (...), არ წარმოშობს საკითხს თავდაპირველი სასამართლოს განსჯადობის გაუქმებაზე, რომელმაც წარმოებაში მიიღო საქმე. აქედან გამომდინარე, ის არ ამართლებს საქმის სხვა სასამართლოსთვის გადაცემას განსახილველად (უმაღლესი ფედერალური სასამართლოს მუდმივი პრაქტიკა; BGH NJW-RR 2010, 891; BGH NJW 2001, 2477...). ამ კუთხით, განმსაზღვრელია § 261 Abs. 3 Nr. 2 ZPO, რომელიც საჯარო ინტერესების გათვალისწინებით, კერძოდ, სასამართლოების მიერ ერთი და იმავე საქმის მრავალჯერადი განხილვის თავიდან ასაცილებლად, ზღუდავს მხარეთა დისპოზიციურობას. ამ მხრივ, არაფერს ცვლის პროცესის ეკონომიურობის საფუძველები, რაც, ცალკეულ შემთხვევაში, შესაძლოა მეტყველებდეს სამართლებრივი და-

ვის სხვა სასამართლოსთვის გადაცემის სასარგებლოდ. აღნიშნული შეხედულების მიხედვით, უპირატესობით სარგებლობს კანონისმიერი რეგულაცია (BGH NJW-RR 2010, 891; BGH NJW 1965, 585).“

3. არაგანსჯადი სასამართლოს განსჯადობის სსკ-ის 21-ე მუხლი მე-2 ნაწილის შესატყვისი გერმანული დანაწესი:

§ 39 GER-ZPO - არაგანსჯადი სასამართლოს განსჯადობა

პირველი ინსტანციის სასამართლოს განსჯადობა წარმოიშობა აგრეთვე, რამდენადაც მოპასუხე, სასამართლოს არაგანსჯადობაზე მიუთითებლად, მონაწილეობს საქმის არსებით განხილვაში. ეს მიდგომა არ მოქმედებს, ვინაიდან მოსამართლე დაარღვევს მითითების ვალდებულებას § 504-ის მიხედვით (შენიშვნა: მითითების ვალდებულება პირველი ინსტანციის შესაბამისი სასამართლოს არაგანსჯადობასთან დაკავშირებით).

ზემოთ ციტირებული რეგულაციის შესაბამისად, არაგანსჯადი სასამართლოს განსჯადობას გამორიცხავს § 40 Abs. 2 Satz 2 GER-ZPO, რამდენადაც სახეზეა სასამართლოს ექსკლუზიური განსჯადობა. ეს სსკ-ის 21-ე მუხლის მე-2 ნაწილით პირდაპირ არ არის განსაზღვრული, თუმცა, შეიძლება გამომდინარეობდეს ამ მუხლისა და სსკ-ის მე-20 მუხლის პირველი ნაწილიდან - რომელიც, თავის მხრივ, ლოგიკურად უკავშირდება მე-20 მუხლის მე-2 ნაწილს - და სპეციალური განსჯადობების ფუნქციიდან.

არაგანსჯადი სასამართლოს განსჯადობა, როგორც წესი, მოითხოვს, რომ მხარეებმა შუამდგომლობების დაყენებით, § 137 Abs. 1 GER ZPO-ის მიხედვით, ფორმალურად დაიწყონ საქმის ზეპირი განხილვა. ვინაიდან ქართულ სამოქალაქო საპროცესო სამართალში არ არსებობს § 137 Abs. 1 GER-ZPO-ის მსგავსი რეგულაცია, შეიძლება მივიჩნიოთ, რომ არაგანსჯადი სასამართლოს მიერ საქმის განხილვა იწყება იმ მომენტიდან, როდესაც მოპასუხე საქმის განხილვის ფარგლებში, სსკ-ის 217-ე მუხლის შესაბამისად, საკუთარი სამართლებრივი პოზიციის დასაცავად წარმოადგენს შინაარსობრივ მსჯელობას, ისე, რომ მანამდე არ გაუპროტესტებია სასამართლოს განსჯადობის არარსებობა.

წინო ბაქაშური

21-ე მუხლი

I. განსჯადობის შესახებ შეთანხმების დასაშვებობა

საპროცესო სამართალში მხარეთა ნების ავტონომიის ერთ-ერთი თვალსაჩინო გამოვლინებაა სასურველი სასამართლოს განსჯადობაზე შეთანხმების შესაძლებლობა, რომელიც გათვალისწინებულია მსოფლიოს მრავალი ქვეყნის საპროცესო კანონმდებლობით. ასეთი შეთანხმების უფლებას საქართველოში საერთო სასამართლოების განსჯადობასთან დაკავშირებით უზრუნველყოფს სსკ-ის 21-ე მუხლი, ხოლო უცხო ქვეყნის სასამართლოებთან მიმართებით - „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ საქართველოს კანონის“ მე-18 მუხლი.

შეთანხმება განსჯადობის შესახებ მხარეებს აძლევს უფლებას, აირჩიონ, რომელი სასამართლო განიხილავს მათ შორის დავას.

განსჯადობის შეთანხმებით დადგენის მოტივაცია შეიძლება იყოს ის, რომ მხარეთა აზრით, მათ შორის არსებული ან სამომავლოდ წარმოშობილი დავა შესაძლებელია უფრო სწრაფად და კვალიფიციურად განიხილოს შერჩეულმა სასამართლომ.

სახელშეკრულებო განსჯადობის წესის არსებობა შეესაბამება დისპოზიციურობის პრინციპს. სხვა დისპოზიციურ უფლებამოსილებებთან ერთად, მხარეებს უფლება აქვთ, თვითონ განსაზღვრონ განსჯადი სასამართლო, თუ არ არის დადგენილი ერთმნიშვნელოვნად განსჯადი სასამართლო.¹

სასამართლოს განსჯადობაზე შეთანხმებისას წარმოიშობა სადავო საკითხები შეთანხმების შინაარსის, ფორმის, ნამდვილობისა და ძალაში შესვლის თაობაზე. კითხვები ჩნდება ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებში ასეთი შეთანხმების არსებობის მართებულობაზეც: თუ ეს პირობები მოიცავს საერთო განსჯადობის ძირითადი წესისაგან (სსკ-ის მე-15 მუხლი) განსხვავებულ შეთანხმებას სასამართლო განსჯადობაზე, ამ შეთანხმების შეფასებისას სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს სამოქა-

¹ შ. ქურდაძე, ნ. ხუნაშვილი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მეორე გამოცემა (შევსებული და გადამუშავებული), გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2015, გვ. 225.

ლაქო კოდექსის 344-ე და შემდგომი მუხლების დებულებები, იქიდან გამომდინარე, რომ საერთო განსჯადობის დებულებების ძირითადი ფუნქცია, ზოგადად, არის მოპასუხის დაცვა ხელშეკრულების „უფრო ძლიერი“ მხარის მიერ შევიწროებისგან (რითაც ის ასევე ემსახურება „მომხმარებლის უფლებების დაცვის“ მიზანს).

II. შეთანხმების შინაარსი - რომელი განსჯადობა შეიძლება შეთანხმდეს

როცა ვცემთ პასუხს კითხვაზე, თუ რომელი განსჯადობის შეთანხმება შეიძლება, განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს სსკ-ის 21-ე მუხლის პირველ წინადადებაში გამოყენებულ ფრაზაზე „ერთმნიშვნელოვნად განსჯადი სასამართლო“. ეს ნიშნავს, რომ მხარეებს უფლება არ აქვთ, შეთანხმდნენ სხვა სასამართლოს განსჯადობაზე, თუ იმ დავასთან მიმართებით, რომელიც უკვე წარმოიშვა ან შეიძლება წარმოიშვას მათ შორის, კანონით დადგენილია ერთმნიშვნელოვნად განსჯადი სასამართლო.

სამეცნიერო ლიტერატურაში სსკ-ის 21-ე მუხლის აღნიშნული დანაწესი იმგვარად განიმარტება, რომ მხარეთა შეთანხმებით შეიძლება შეიცვალოს ტერიტორიული განსჯადობის მხოლოდ ორი ქვესახე: საერთო განსჯადობა და ალტერნატიული განსჯადობა. რაც შეეხება სსკ-ის მე-16 მუხლით დადგენილ განსაკუთრებულ ტერიტორიულ განსჯადობას (იხ. სსკ-ის მე-16 მუხლის კომენტარი) და სსკ-ის მე-13 და მე-14 მუხლებით დადგენილ გვარეობით განსჯადობას (იხ. სსკ-ის მე-13 და მე-14 მუხლის კომენტარი), ისინი არ იცვლება მხარეთა შეთანხმებით.²

გვარეობითი ანუ, სხვაგვარად, ფუნქციური ან ინსტანციური განსჯადობა გულისხმობს სხვადასხვა ინსტანციის (დონის) სასამართლოებს შორის სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეების განაწილებას (მაგ.: რაიონული სასამართლოს განსჯად საქმეებს ვერ განიხილავს მაგისტრატის მოსამართლე) და იგი იმპერატიულად არის განსაზღვრული კანონით.

მხარეთა შეთანხმება არ დაიშვება დარგობრივ განსჯადობაზეც (მაგ.: ადმინისტრაციული კატეგორიის დავის სამოქალაქო სამართალწარმოების წესების მიხედვით განხილვაზე).

რაც შეეხება განსაკუთრებულ განსჯადობას, იგი უშვებს განსაზღვრული კატეგორიის საქმეთა განხილვას მხოლოდ რომელიმე ერთ, კა-

² თ. ლილუაშვილი, გ. ლილუაშვილი, ვ. ხრუსტალი, ზ. ძლიერიშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, I ნაწილი, თბილისი 2014, გვ. 222.

ნონით ზუსტად განსაზღვრულ სასამართლოში და მისი შეცვლა მხარეთა შეთანხმებით არ შეიძლება. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, განსჯადობის ამ სახეს განსაკუთრებული ენოდება სწორედ იმიტომ, რომ ამ განსჯადობით დადგენილი წესები გამორიცხავს ტერიტორიული განსჯადობის სხვა სახეების (საერთო, ალტერნატიული, სახელშეკრულებო განსჯადობის) გამოყენების შესაძლებლობას. განსაკუთრებული განსჯადობის სამოქალაქო საქმეებზე სასამართლოს არჩევა არ არის დამოკიდებული მოსარჩელის ნებაზე - განსჯადი სასამართლო ზუსტად არის განსაზღვრული (დადგენილი) კანონით. ამ საქმეებიდან გამომდინარე სარჩელების აღძვრა შესაძლებელია მხოლოდ კანონით დადგენილ სასამართლოებში.³

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კანონმდებლობა, შესაბამისი დათქმებით, დასაშვებად მიიჩნევს მხარეთა შეთანხმებით საქართველოს სასამართლოების საერთაშორისო განსჯადობის შეცვლას (იხ. წინამდებარე კომენტარის ნაწილი VII - შეთანხმება საერთაშორისო განსჯადობაზე).

III. ექსკლუზიური თუ დამატებითი განსჯადობა

სასამართლო განსჯადობაზე მხარეთა შეთანხმების არსებობისას, განმარტების საგანი შეიძლება გახდეს საკითხი ამ შეთანხმების სამართლებრივი ბუნების შესახებ. კერძოდ, რომელიმე სასამართლოს განსჯადობაზე შეთანხმება: (ა) არის გამომრიცხავი ბუნების ექსკლუზიურ განსჯადობაზე შეთანხმება, (ბ) თუ წარმოშობს დამატებით განსჯადობასაც, სასამართლოს კანონით გათვალისწინებულ განსჯადობასთან ერთად.

ევროკავშირის რეგულაცია სასამართლო განსჯადობისა და სამოქალაქო და სავაჭრო საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების შესახებ (Art. 25 Abs. 1 EuGVVO), კერძოდ, მისი 25-ე მუხლის პირველი პუნქტი მიუთითებს, რომ:

„თუ მხარეები, რომელთაგან ერთს ან მეტს ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი აქვს წევრ სახელმწიფოში, შეთანხმდებიან, რომ წევრი სახელმწიფოს სასამართლოს ან სასამართლოებს აქვთ კომპეტენცია იმ დავის განსახილველად, რომელიც წარმოიშვა ან შეიძლება წარმოიშვას კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობასთან მიმართებით, აღნიშნულ სასამართლოს ან სასამართლოებს უნდა მიენიჭოთ კომპეტენცია. მსგავსი ფორმით განსაზღვრული კომპეტენცია უნდა ჩაითვალოს როგორც

³ შ. ქურდაძე, ნ. ხუნაშვილი, გვ. 223.

გამომრიცხავი ბუნების (ექსკლუზიური) კომპეტენცია, თუ საწინააღმდეგო არ არის შეთანხმებული“.⁴

იგულისხმება, რომ ასეთი შეთანხმება აწესებს გამომრიცხავ (ექსკლუზიურ) განსჯადობას, თუ შეთანხმების შინაარსიდან საწინააღმდეგო არ დგინდება.

განსხვავებით ევროკავშირის რეგულაციის აღნიშნული მუხლისგან (სხვაგვარად „ბრიუსელის გადამუშავებული რეგულაცია“), ქართული კანონი არ მიუთითებს, თუ რა სახის განსჯადობა იგულისხმება მხარეთა შორის მიღწეულ ასეთ შეთანხმებაში. შესაბამისად, საქართველოს სასამართლოების მიერ ასეთი შეთანხმების შინაარსის განმარტებისას, შეიძლება მსჯელობა ორი სხვადასხვა მიმართულებით განვითარდეს.

კერძოდ, სასამართლომ:

(ა) გაიზიაროს მიდგომა, რომ თუ ხელშეკრულებაში მხარეებმა პირდაპირი მითითებით დაასახელეს კონკრეტული სასამართლო, მაშინ ეს სხვა არაფერია, თუ არა მხარეთა სურვილის გამობატულება, რომ დავა ექსკლუზიურად/გამომრიცხავად გადაწყდეს მხოლოდ შეთანხმებულ სასამართლოში.

ეს მიდგომა შეესაბამება ბრიუსელის გადამუშავებული რეგულაციის ზემოაღნიშნულ დანაწესს.

(ბ) გაიზიაროს პირველი მიმართულების საწინააღმდეგო მიდგომა, რომ თუ მხარეებს სურთ შეთანხმება მხოლოდ ერთ ან რამდენიმე კონკრეტულ სასამართლოზე, როგორც ექსკლუზიური/გამომრიცხავი განსჯადობის მქონე სასამართლოზე, აღნიშნულის შესახებ პირდაპირ, მკაფიოდ და გარკვევით უნდა მიუთითონ ხელშეკრულებაში.

ჯერჯერობით საქართველოს საერთო სასამართლოების პრაქტიკაში ამ საკითხზე განმარტება არ არსებობს.

სასამართლოს განსჯადობაზე მხარეთა ექსკლუზიურ შეთანხმებას განსაკუთრებულ დაცვას ანიჭებს ჰააგის 2005 წლის 30 ივნისის კონვენცია⁵ სასამართლოს შესახებ შეთანხმებების თაობაზე, რომელიც საერთაშორისო ხელშეკრულებაა. იგი ძალაში შევიდა 2015 წლის 1 ოქტომბერს, ევროკავშირის საბჭოს პრეზიდენტის მიერ დამტკიცების აქტის დეპონირებით⁶ და არეგულირებს მხარეთა შეთანხმებებს სასამართლოს ექსკლუზიური განსჯადობის შესახებ.

⁴ Art. 25 Abs. 1 EuGVVO.

⁵ Hague Convention of 30 June 2005 on Choice of Court Agreements, <https://www.hcch.net/en/instruments/conventions/full-text/?cid=98>

⁶ საქართველო არ არის ჰააგის კონვენციის წევრი.

სასამართლოს განსჯადობაზე მხარეთა შეთანხმების ერთ-ერთი სახეა შეთანხმებები, რომლებითაც ერთ მხარეს, როგორც წესი, სურს, რომ სასამართლო განსჯადობის ექსკლუზიურობა მოქმედებდეს მხოლოდ მის წინააღმდეგ სარჩელის აღძვრისას, ხოლო თუ თვითონ შეიტანს მოპასუხის წინააღმდეგ სარჩელს, მას შეთანხმებით წარმოეშვას კიდევ ერთი, დამატებითი, არჩევითი სასამართლო განსჯადობა; ანუ ერთ მხარეს ჰქონდეს ცალმხრივი არჩევანის შესაძლებლობა სარჩელის აღძვრისას განსჯად სასამართლოსა და ხელშეკრულებით შეთანხმებულ სასამართლოს შორის.

ასეთი შეთანხმებები განსჯადობაზე ცალმხრივი არჩევანით (**unilateral optional jurisdiction clauses**) განსაკუთრებით ხშირად გამოიყენება საერთაშორისო ფინანსურ ხელშეკრულებებში.⁷ საერთო სამართლის ქვეყნები მათ ნამდვილად და განხორციელებადად მიიჩნევენ, თუმცა კონტინენტური სამართლის ქვეყნებში (საფრანგეთი, რუსეთის ფედერაცია, ბულგარეთი) შეინიშნება საწინააღმდეგო ტენდენცია - რამდენიმე შემთხვევაში ისინი ბათილად ცნეს.⁸ ასეთი შეთანხმების შინაარსი და ნამდვილობა შესაძლებელია მომავალში საქართველოს სასამართლოს მსჯელობის საგანიც გახდეს, თუმცა ჯერჯერობით სასამართლო პრაქტიკა აღნიშნულ საკითხზე არ არსებობს.

მსგავსი საკითხები შეიძლება დაისვას მაშინაც, როცა საქართველოს სასამართლოები ნყვეტენ უცხო ელემენტის შემცველ დავას და განიმარტება მხარეთა შეთანხმება სასამართლოს კომპეტენციის/განსჯადობის საკითხზე.⁹

მხარეთა შეთანხმებით, შეიძლება ასევე დადგინდეს რამდენიმე სასამართლოს ალტერნატიული განსჯადობა. ასეთი შეთანხმების განმარტებისა და ნამდვილობის საკითხი წამოიჭრა განსჯადობის თაობაზე ადმინისტრაციულ სასამართლოებს შორის დავაში, რომელთან დაკავშირებითაც გადანყვეტილება გამოიტანა საქართველოს უზენაესი სასამარ-

⁷ მსგავსი შეთანხმება დავის საგანი იყო საფრანგეთის საკასაციო სასამართლოში საქმეზე *Madam X v. Banque Privee Edmond de Rothschild, No 11-26.022 (Rothschild)*, სადაც საფრანგეთის საკასაციო სასამართლომ აღნიშნული შეთანხმება ბათილად მიიჩნია.

⁸ Cass civ, 1ère, 25.03.2015, ICH v Crédit suisse, No 13-27264; Russkaya Telefonnaya Kompaniya (RTK) v Sony Ericsson Mobile Communications, The Highest Arbitration Court of the Russian Federation Reporter 2012, No 10; Bulgarian Supreme Court of Cassation, Judgment No 71 in commercial case No 1193/2010, Bulgarian Supreme Court of Cassation (2 September 2011).

⁹ გ. სვანაძე, საერთაშორისო ბიზნესხელშეკრულებების მოლაპარაკება და შედგენა საერთაშორისო ნასყიდობის სამართლის მაგალითზე, ქართული ბიზნესსამართლის მიმოხილვა, IV გამოცემა, თბილისი, 2015, გვ. 38-70.

რთლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ¹⁰ (2018 წლის 26 ოქტომბერი, საქმე #ბს-813(გ-18)¹¹ (იხ. სსკ-ის მე-20 მუხლის კომენტარი).

ამ საქმეში მოსარჩელემ სასარჩელო განცხადებით მიმართა მცხეთის რაიონულ სასამართლოს. სარჩელი გამომდინარეობდა ხელშეკრულებიდან, რომელიც შეეხება „საკონტრაქტო (პროფესიული) სამხედრო მოსამსახურეების (გარდა ოფიცრებისა) მიერ სამხედრო სამსახურის გავლას“. მოსარჩელე ითხოვდა მოპასუხისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრებას მის სასარგებლოდ, ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო.

მცხეთის რაიონული სასამართლოს განჩინებით, სსკ-ის მე-15 მუხლის შესაბამისად, სარჩელი, მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, განსჯადობით გადაეგზავნა თელავის რაიონულ სასამართლოს. თელავის რაიონული სასამართლო არ დაეთანხმა მცხეთის რაიონული სასამართლოს მსჯელობას განსჯადობის თაობაზე და ადმინისტრაციული საქმე, ტერიტორიული განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად, გადაუგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს. თელავის რაიონულმა სასამართლომ მიუთითა, რომ მოცემული დავა წარმოშობილი იყო და გამომდინარეობდა მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულებიდან. აღნიშნული ხელშეკრულების მე-8 მუხლის 8.4. პუნქტის თანახმად, ასევე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილიდან და სხვა დანაწესებიდან გამომდინარე, მხარეები შეთანხმდნენ, რომ ამ კონტრაქტის საფუძველზე, „სამხედრო მოსამსახურის“ წინააღმდეგ აღძრული დავების განხილვის განსაკუთრებული განსჯადობა, სამინისტროს არჩევანით, აქვს სასამართლოს, რომელიც მდებარეობს: (ა) სამხედრო მოსამსახურის ბოლო სამსახურის ადგილის (სამხედრო ნაწილის ადგილსამყოფელის) მიხედვით; (ბ) საქართველოს თავდაცვის სამინისტროს (მოსარჩელის)

¹⁰ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დანაწესისგან განსხვავებით, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი უშვებს ადმინისტრაციულ საქმეთა განმხილველ სასამართლოებს შორის განსჯადობაზე დავის შესაძლებლობას, რომელზეც საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა (სასკ-ის 26.2 მუხლი). გამომდინარე იქიდან, რომ განსჯადობის საკითხების გადაწყვეტისას ადმინისტრაციულ დავებში გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, თუ საკითხი განსხვავებულად არ რეგულირდება ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით (სასკ-ის პირველი მუხლის მე-2 ნაწილი), ადმინისტრაციულ საქმეთა განმხილველი სასამართლოები ხშირად განმარტავენ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამის ნორმებს, ხოლო საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას აქვს არაერთი მნიშვნელოვანი განმარტება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის განსჯადობის ნორმებთან დაკავშირებით, რომლებიც საყურადღებოა სამოქალაქო საპროცესო სამართლით დაინტერესებული ყველა პირისათვის.

¹¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის¹¹ 2018 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე #ბს-813(გ-18).

ადგილსამყოფელის, როგორც ამ კონტრაქტის შესრულების ერთ-ერთი ადგილის მიხედვით; (გ) სამხედრო მოსამსახურის რეგისტრაციის ადგილის მიხედვით.

თელავის რაიონულმა სასამართლომ გამოიყენა სსკ-ის მე-20 და 21-ე მუხლები და განმარტა, რომ მოსარჩელემ, კონტრაქტიდან გამომდინარე დავის განსახილველად, მხარეთა წერილობითი შეთანხმების შესაბამისად, აირჩია და მიმართა იმ სასამართლოს, რომელიც განსაზღვრული იყო სამხედრო მოსამსახურის ბოლო სამსახურის ადგილის მიხედვით, სადაც უნდა შესრულებულიყო კონტრაქტი და სადაც დაირღვა საკონტრაქტო პირობები. შესაბამისად, მას არ ჰქონდა განსჯადობა მოცემულ საქმეზე.

საკასაციო სასამართლო დაეთანხმა თელავის რაიონულ სასამართლოს ამ საქმეზე მისი განსჯადობის არარსებობის საკითხში, თუმცა სამართლებრივ საფუძველს მოკლებულად მიიჩნია და არ გაიზიარა სასამართლოს მხრიდან მითითება სსკ-ის 21 მუხლით განსაზღვრულ განსჯადობის შეთანხმებაზე და აღნიშნული ნორმის გავრცელება ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაზე.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ ადმინისტრაციულ სამართლებრივ დავაში, სამოქალაქო დავისაგან განსხვავებით, განსჯადი სასამართლო დგინდება არა მხარეთა წერილობითი თუ სხვაგვარი შეთანხმებით, არამედ მხოლოდ საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრული წესების გამოყენებით.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სსკ-ის 21-ე მუხლი კერძოსამართლებრივი ბუნებისაა და დამყარებულია მხარეთა თავისუფალ ნებაზე, შეთანხმების გზით დაადგინონ განსჯადი სასამართლო. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებათა გამოყენება ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში კი შესაძლებელია მხოლოდ კონკრეტული საკითხის ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობით განუსაზღვრელობის შემთხვევაში. განსახილველ შემთხვევასთან მიმართებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის პირველი ნაწილით იმპერატიულად არის დადგენილი საქმის განსჯად სასამართლოში წარდგენის აუცილებლობა. რამდენადაც სადავო ადმინისტრაციული სამართალურთიერთობის განხილვაზე უფლებამოსილი სასამართლო დგინდება საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრული განსჯადობის წესების გამოყენებით, განსჯადი სასამართლო ვერ განისაზღვრება მხარეთა ნების შესაბამისად და მათი ურთიერთშეთანხმებით.

ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ როდესაც განისაზღვრება განსჯადი სასამართლო ადმინისტრაციული სახელშეკრულებო ურთიერთობიდან წარმოშობილ დავებთან მიმართებით, ერთი მხრივ, გასათვალისწინებელია მხარეთა მიერ მიღებული შეთანხმება სასამართლოს განსჯადობაზე, რაც ყოველთვის საპროცესო კანონმდებლობის საფუძველზე უნდა დადგინდეს; მეორე მხრივ, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მოპასუხე თანახმაა, საქმე არაგანსჯადმა სასამართლომ განიხილოს, ადმინისტრაციული სასამართლოსთვის ეს თანხმობა არ უნდა იყოს რელევანტური.

IV. სასამართლოს განსჯადობაზე შეთანხმების ნამდვილობა შეთანხმების შემცველი ხელშეკრულების ბათილობისას

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ განჩინებებში საქმეებზე №ა-2135-შ-46-2015 (2015 წლის 26 ოქტომბერი) და №ა-2761-შ-69-2016 (2017 წლის 7 ივლისი) განმარტა, რომ შეთანხმება სასამართლოს საერთაშორისო განსჯადობაზე/კომპეტენციაზე ძირითადი ხელშეკრულებისაგან დამოუკიდებელი და თვითმყოფადი ხელშეკრულებაა, რომლის ნამდვილობა და ძალაში შესვლა წესრიგდება მატერიალური სამართლით, მისი დასაშვებობა/ფორმა და სამართლებრივი შედეგები კი განისაზღვრება შესაბამისი საპროცესო სამართლით.¹² ეს განმარტება თანაბრად ვრცელდება სასამართლოს განსჯადობის შესახებ სსკ-ის 21-ე მუხლით გათვალისწინებულ შეთანხმებებზე.

აღნიშნული განმარტების თანახმად, შეთანხმება სასამართლო განსჯადობის თაობაზე, რომელიც არის ხელშეკრულების ნაწილი, განიხილება, როგორც ამ ხელშეკრულების სხვა ნაწილებისაგან დამოუკიდებელი შეთანხმება.

შესაბამისად, ძირითადი ხელშეკრულების ბათილობა არ იწვევს სასამართლო განსჯადობაზე შეთანხმების ბათილობას. ასეთ შემთხვევაში, შესაძლებელია, ანალოგიით გამოვიყენოთ სამოქალაქო კოდექსის 62-ე მუხლის დანაწესი (გარიგების ნაწილის ბათილობა). ამ დანაწესის თანახმად, გარიგების ნაწილის ბათილობა არ იწვევს მისი სხვა ნაწილების ბა-

¹² საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 26 ოქტომბრის განჩინება საქმეზე #ა-2135-შ-46-2015; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 7 ივლისის განჩინება საქმეზე #ა-2761-შ-69-2016.

თილობას, თუ სავარაუდოა, რომ გარიგება დაიდებოდა ბათილი ნაწილის გარეშეც.

V. მხარეთა შეთანხმება განსჯადობაზე სასამართლოს მიერ სარჩელის წარმოებაში მიღების შემდეგ

სასამართლოს მიერ სარჩელის წარმოებაში მიღების შემდეგ, სასამართლო განსჯადობაზე მხარეთა შეთანხმების დადება ველარ შეცვლის იმ სასამართლოს განსჯადობას, რომლის წარმოებაშიც არის საქმე. ამას კრძალავს სსკ-ის 22-ე მუხლი (იხ. სსკ-ის 22-ე მუხლის კომენტარი).

სსკ-ის 22-ე მუხლი საჯარო ინტერესების გათვალისწინებით, კერძოდ, სასამართლოების მიერ ერთი და იმავე საქმის მრავალჯერადი განხილვის თავიდან ასაცილებლად, ზღუდავს მხარეთა დისპოზიციურობას. ამასთან დაკავშირებით არაფერს ცვლის საპროცესო ეკონომიის პრინციპი, თუნდაც იგი კონკრეტულ შემთხვევაში ამართლებდეს საქმის სხვა სასამართლოსთვის გადაცემას.

VI. არაგანსჯადი სასამართლოს განსჯადად გადაქცევა მხარეთა მოქმედებით

სსკ-ის 21-ე მუხლის მე-2 ნაწილის დანაწესი უშვებს არაგანსჯადი სასამართლოს განსჯადად გადაქცევის შესაძლებლობას, თუ მოპასუხე არ გამოხატავს წინააღმდეგობას საქმის არაგანსჯადი სასამართლოს მიერ განხილვის მიმართ და დათანხმდება მონაწილეობას საქმის განხილვაში. კანონი ითვალისწინებს ორგვარ პირობას მოპასუხის მიერ თანხმობის გამოხატვასთან დაკავშირებით.

თუ მოპასუხე, რომელიც შესაგებელში არ გამოხატავს პროტესტს არაგანსჯადი სასამართლოს მიერ საქმის განხილვის მიმართ, წარმოდგენილი არ არის ადვოკატით, სასამართლოს წარმოეშობა ვალდებულება, მას განუმარტოს სასამართლოს არაგანსჯადობისა და შესაბამისი შედეგების შესახებ; აგრეთვე, ის, რომ მოპასუხეს უფლება აქვს, წამოაყენოს შესაგებელი არაგანსჯადობის წინააღმდეგ. სასამართლოს მიერ მიცემული ასეთი განმარტება უნდა აღინიშნოს კრების ოქმში, რაც გულისხმობს, რომ აღნიშნული განმარტება სასამართლომ მოპასუხეს აუცილებლად სასამართლოს სხდომაზე, საქმის არსებითად განხილვის დაწყებამდე უნდა მისცეს.

სასამართლოს არ წარმოეშობა მოპასუხისათვის ზემოაღნიშნული განმარტების მიცემის ვალდებულება, თუ იგი წარმოდგენილია ადვოკა-

ტი. ასეთ შემთხვევაში, მოპასუხის მიერ სასამართლოსთვის შესაგებლის წარდგენა, თუ მასში პირდაპირ მითითებული არ არის პრეტენზია არაგანსჯადობის შესახებ, გულისხმობს, რომ იგი არ ეწინააღმდეგება საქმის განხილვას არაგანსჯადი სასამართლოს მიერ და თანახმაა, მონაწილეობდეს საქმის განხილვაში.

სსკ-ის 217-ე მუხლის შესაბამისად, მოპასუხეს პროტესტის გამოხატვის უფლება აქვს საქმის არსებითი განხილვის დაწყებამდე. თუ იგი განხილვის დაწყებისას წარმოადგენს ახსნა-განმარტებას, განსჯადობის საკითხის გაუპროტესტებლად, არაგანსჯადი სასამართლოს განსჯადობა იწყება.

არაგანსჯადი სასამართლო ასეთი წესით არ შეიძლება განსჯადი გახდეს, თუ კანონით დადგენილია ერთმნიშვნელოვნად განსჯადი სასამართლო.

VII. შეთანხმება საერთაშორისო განსჯადობაზე (forum selection clause)

მსოფლიოში მიმდინარე საერთაშორისო ეკონომიკური და ბიზნესურთიერთობების სწრაფი და მზარდი განვითარება თავის გავლენას საქართველოზეც ახდენს. შესაბამისად, ქართულ სამართლებრივ სივრცეში, სახელდობრ, კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში, სულ უფრო ხშირია ისეთი ტიპის საერთაშორისო კომერციული თუ ბიზნესხელშეკრულებები, რომლებიც მხოლოდ ქართული სამართლის რეგულირების სფეროს აღარ განეკუთვნება. ქართველ ადვოკატებს, ნოტარიუსებს, კომპანიის იურისტებსა და, ცალკეულ შემთხვევაში, მოსამართლეებსაც სულ უფრო ხშირად უხდებათ ისეთი ტიპის სახელშეკრულებო-სამართლებრივი გარიგებების დადების, მოლაპარაკებების წარმოებისა და შესაბამისი დავის პროცესის თანხლება და წარმართვა, სადაც საჭიროა უცხო ქვეყნის სამართლისა თუ სასამართლოს ფაქტორის გათვალისწინება.¹³ ასეთი კერძო საერთაშორისო ხელშეკრულებების მხარეები ხშირად თანხმდებიან ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავების გადაწყვეტაზე უცხო ქვეყნის ან საქართველოს სასამართლოების მიერ. უცხო ელემენტის შემცველ დავებთან დაკავშირებით, ხელშეკრულებებით შეთანხმებული უცხო ქვეყნის თუ საქართველოს სასამართლოების განსჯადობაზე მსჯელობისას, საქა-

¹³ გ. სვანაძე, საერთაშორისო ბიზნესხელშეკრულებების მოლაპარაკება და შედგენა საერთაშორისო ნასყიდობის სამართლის მაგალითზე, ქართული ბიზნესსამართლის მიმოხილვა, IV გამოცემა, თბილისი 2015 გვ. 38-70.

რთველოს საერთო სასამართლოები ხელმძღვანელობენ საქართველოს კანონით საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ (შემდგომში „სკ“) და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისი დებულებებით (თუ საერთაშორისო ხელშეკრულება ან სახელმწიფოთა შორის შეთანხმება, რომლის ხელშემკვერელი მხარეც არის საქართველო, სხვა რამეს არ ითვალისწინებს).

სსკ-ის 11.4 მუხლის თანახმად, საქართველოს საერთო სასამართლოები განიხილავენ საქმეებს, რომლებიც საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან გამომდინარეობს, ან რომლებშიც მონაწილეობენ უცხო ქვეყნის მოქალაქეები, მოქალაქეობის არმქონე პირები, საწარმოები და ორგანიზაციები. საქართველოს სასამართლოების საერთაშორისო კომპეტენციას განსაზღვრავს საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ საქართველოს კანონის 8-17 მუხლებიც.

ზემოაღნიშნული მუხლები ზოგადად ადგენს საქართველოს სასამართლოს იურისდიქციას უცხო ელემენტის შემცველ დავებზე, თუმცა ყოველი კონკრეტული დავის შემთხვევაში, თავს იჩენს მრავალი პრობლემური სასამართლებრივი საკითხი, რომლებზე პასუხიც შესაძლებელია ცალსახა არ იყოს.

მაგალითად, თუ ქართული კომპანია აშშ-სა ან გერმანიაში დაფუძნებულ კომპანიასთან გააფორმებს კერძოსამართლებრივ ხელშეკრულებას, თავს იჩენს საერთაშორისო სამოქალაქო საპროცესოსამართლებრივი შეკითხვები, რომლებიც ჩნდება ზემოაღნიშნულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული დავის წარმოშობისას. კერძოდ, რომელი ქვეყნის სასამართლოებს აქვთ საერთაშორისო განსჯადობა/კომპეტენცია? მოსარჩელის თუ მოპასუხის? იქნებ ნეიტრალური ქვეყნის? რომელი ქვეყნის სასამართლოებს აქვთ საერთაშორისო პროცესის მიზნებისათვის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების უფლება? სად შეიძლება მათი ცნობა საბოლოო სასამართლო გადაწყვეტილებასთან ერთად და შემდეგ აღსრულება? ეს და კიდევ სხვა შეკითხვები თავის სირთულეებსა და კომპლექსურობას იძენს ე.წ. საზღვრის გადამკვეთი ტრანზაქციების (**cross border transactions**) არსებობისას. კონკრეტული ქვეყნის ადგილობრივი სამართლებრივი სისტემებისგან განსხვავებით, სადაც ყველა შეკითხვას შიდა სამართლებრივი რეგულაციებით გაეცემა პასუხი, საერთაშორისო კონტექსტში არც ისე მარტივია სათანადო პასუხების მოძიება ერთგვაროვანი და უნიფიცირებული სამართლებრივი და სასამართლო სისტემის არარსებობის გამო.¹⁴

¹⁴ იქვე, გვ. 38-70.

საერთაშორისო სამოქალაქო საპროცესო სამართალი იცნობს საერთაშორისო კომპეტენციის რამდენიმე სახეს: დოქტრინა ერთმანეთისაგან განასხვავებს პირდაპირ და ირიბ, საერთაშორისო და ადგილობრივ, საერთო და განსაკუთრებულ, ფაკულტატურ და გამომრიცხავ საერთაშორისო კომპეტენციას.¹⁵

საერთაშორისო კომპეტენციის ცნება აღიარებს ისეთ სახეებს, როგორცაა საერთო და განსაკუთრებული საერთაშორისო კომპეტენცია.

საერთო საერთაშორისო კომპეტენცია კონტინენტური სამართლის ევროპულ ქვეყნებში დაკავშირებულია მოპასუხის საცხოვრებელ ადგილთან/ადგილმდებარეობასთან (*actor sequitur forum rei*). ანალოგიურ მიდგომას ავითარებს სკ-ის მე-8 და მე-9 მუხლები.

საერთაშორისო კომპეტენციის განსაზღვრაში მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის/ადგილსამყოფელის პრინციპის გამოყენება მეტად პრაქტიკულია და მომგებიან პირობებს უქმნის პროცესის ორივე მხარეს. მოპასუხეს თავის საცხოვრებელი ადგილის ქვეყანაში გაუადვილდება თავის დაცვა, მაშინ, როცა მოსარჩელისათვის გაცილებით ადვილია, პროცესის მოგების შემთხვევაში, მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის ქვეყანაში მოითხოვოს მისი ქონების დაყადაღება და იძულებითი აღსრულება.¹⁶

საერთაშორისო სამოქალაქო პროცესში საერთაშორისო კომპეტენციის განსაზღვრისას, ხშირად წარმოიშობა პრობლემა ე.წ. „კონკურირებადი საერთაშორისო იურისდიქციის შესახებ“. ეს იმ დროს ხდება, როდესაც მოდავე მხარეებს კანონმდებლობით ენიჭებათ უფლება, რამდენიმე სახელმწიფოდან თავად ამოირჩიონ მათთვის ყველაზე მომგებიანი ქვეყნის იურისდიქცია. არსებობს ორი სახის კონკურირებადი იურისდიქცია, რომელთაც დოქტრინაში ხშირად კონკურირებად კონფლიქტსაც უწოდებენ: პოზიტიური (მის ყველაზე ცნობილ ფორმად მიჩნეულია ე.წ. „ფორუმ შოპინგი“) და ნეგატიური კომპეტენციური კონფლიქტი.

¹⁵ უფრო დანვრილებით იხილეთ: ზვიად გაბისონია, ქართული საერთაშორისო კერძო სამართალი, 2006; ბაკურ ლილუაშვილი, უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებათა ცნობა და აღსრულება საქართველოში, 2010; ლევან გოთუა, უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებებისა და უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულება, 2010; Svanadze, G. Grundlagen des deutsch-georgischen Anerkennungsrechts, Eine rechtsvergleichende Analyse, 2014; Schack, Internationales Zivilverfahrensrecht, 6. Aufl., 2014.

¹⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 26 ოქტომბრის განჩინება საქმეზე #ა-2135-შ-46-2015.

როდესაც სხვადასხვა ქვეყნის სასამართლოებს მინიჭებული აქვთ საერთაშორისო კომპეტენცია, მოსარჩელე მხარეს უფლება აქვს, კონკურირებად საერთაშორისო იურისდიქციებს შორის აირჩიოს მისთვის უფრო მომგებიანი ქვეყნის იურისდიქცია, ისევე როგორც ქვეყნის შიგნით, სსკ-ის მე-20 მუხლით გარანტირებული უფლებით სარგებლობისას.

საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ საქართველოს კანონის მე-18 მუხლი, სსკ-ის 21.1 მუხლის მსგავსად, აღიარებს სასამართლოს კომპეტენციაზე მხარეთა შეთანხმების შესაძლებლობას. აღნიშნული მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მხარეებს შეუძლიათ, შეთანხმდნენ საქართველოს სასამართლოს საერთაშორისო კომპეტენციაზე, იმ შემთხვევაშიც, როცა ამავე კანონის მე-8, მე-9 და მე-10 მუხლების მიხედვით, იგი კომპეტენტური არ არის; ხოლო მე-3 პუნქტის შესაბამისად, მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ უცხო ქვეყნის სასამართლოს საერთაშორისო კომპეტენციაზე, თუ ერთ-ერთი მათგანს საცხოვრებელი ადგილი, რეზიდენცია ან ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი უცხო ქვეყანაში აქვს.¹⁷

ამ მუხლის თანახმად, ასეთი შეთანხმება უნდა დაიდოს:

- ა) წერილობით ან სიტყვიერად, წერილობითი დადასტურებით;
- ბ) საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებისას - იმ ფორმით, რომელიც შეესაბამება საერთაშორისო სავაჭრო ჩვეულებებს და მხარეებისათვის ცნობილია ან ცნობილი უნდა ყოფილიყო.

სკ-ს მე-18 მუხლის მე-2 პუნქტი, სსკ-ის 21-ე მუხლის მე-2 ნაწილის მსგავსად, ითვალისწინებს მხარეთა მოქმედებით არაგანსჯადი სასამართლოს განსჯად სასამართლოდ გადაქცევის შესაძლებლობასაც. კერძოდ, სკ-ის 18.2 მუხლის თანახმად:

„საქართველოს სასამართლოებს აქვთ საერთაშორისო კომპეტენცია, თუ მოპასუხე სასამართლოს კომპეტენტურობაზე პროტესტის გარეშე თანხმდება პროცესში მონაწილეობას, მიუხედავად იმისა, რომ:

- ა) მოპასუხე წარმოდგენილია ადვოკატის მიერ;
- ბ) მოსამართლემ შეატყობინა მოპასუხეს პროტესტის განცხადების შესაძლებლობაზე და ეს შეტყობინება დაფიქსირებულია საქმისწარმოების ოქმში.“¹⁸

¹⁷ აღნიშნულ საკითხზე დეტალურად იმსჯელა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ თავის 2017 წლის 7 ივლისის განჩინებაში საქმეზე #ა-2761-შ-69-2016, სადაც მას დასჭირდა, განემარტა მხარეთა შეთანხმების შინაარსი ბელგიის სასამართლოს საერთაშორისო კომპეტენციის შესახებ.

¹⁸ საქართველოს კანონი საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ, მუხლი 18.

სკ-ის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული წესის მოქმედება, იმავე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, უცხო ქვეყნის სასამართლოს საერთაშორისო კომპეტენციის დადგენაზეც ვრცელდება.

მნიშვნელოვანია სკ-ის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტი, რომელიც გამორიცხავს საქართველოს სასამართლოების ამ კანონის 10-16 მუხლებით გათვალისწინებული საერთაშორისო კომპეტენციის შეცვლას მხარეთა შეთანხმებით (კანონით, ასეთი შეთანხმება ბათილად ითვლება) და ასეთი კომპეტენციის შეცვლას არც სკ-ის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ფორმით უშვებს (საქმის განხილვაში მოპასუხის მონაწილეობა სასამართლოს კომპეტენციასთან/განსჯადობასთან დაკავშირებული პროტესტის გარეშე).

სკ-ის მე-10 მუხლით დადგენილია საქართველოს სასამართლოების განსაკუთრებული საერთაშორისო კომპეტენცია, რომელიც შეუძლებელია შეიცვალოს მხარეთა შეთანხმებით, ან უცხო ქვეყნის სასამართლოს მიერ ასეთ დავაზე საკუთარი კომპეტენციის დადგენით. აღნიშნულთან დაკავშირებით, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეში განმარტა, რომ სკ-ის მე-10 მუხლში იგულისხმება სწორედ გამომრიცხავი (ექსკლუზიური) საერთაშორისო კომპეტენცია.¹⁹

ასეთი კომპეტენცია არსებობს მხოლოდ იმ სარჩელებზე, რომლებიც ეხება:

- ა) უძრავ ქონებას, თუ ეს ქონება საქართველოშია;
- ბ) იურიდიული პირის ან მისი ორგანოს გადაწყვეტილებათა ნამდვილობას ან შეწყვეტას, როცა ამ იურიდიული პირის ან მისი ორგანოს რეზიდენცია საქართველოშია;
- გ) საქართველოს სასამართლოების ან სხვა ორგანოების მიერ იურიდიული პირების რეგისტრაციას;
- დ) პატენტის, სავაჭრო ნიშნის ან სხვა უფლების რეგისტრაციას, როცა ამ უფლებათა რეგისტრაცია ან რეგისტრაციის მოთხოვნა განხორციელებულია საქართველოში;
- ე) იძულებითი აღსრულების ღონისძიებებს, როცა ეს ღონისძიებები ან მათზე მოთხოვნა განხორციელებულია საქართველოში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თუ საქმე ექცევა საქართველოს სასამართლოების ექსკლუზიური საერთაშორისო იურისდიქციის ქვეშ,

¹⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 26 ოქტომბრის განჩინება საქმეზე #ა-2135-შ-46-2015; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 7 ივლისის განჩინება საქმეზე #ა-2761-შ-69-2016.

დადგება შემდეგი სამართლებრივი შედეგები: (ა) მხარეთა შეთანხმება უცხო ქვეყნის სასამართლოს საერთაშორისო განსჯადობის შესახებ ჩაითვლება ბათილად სკ-ის მე-18.4 მუხლის საფუძველზე; და (ბ) თუ მოსარჩელე მაინც აღძრავს სარჩელს უცხო ქვეყნის სასამართლოში, ხოლო შემდეგ მოისურვებს უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასა და აღსრულებას, საქართველოს უზენაეს სასამართლოს უფლება აქვს, სკ-ის 68.2 მუხლის საფუძველზე უარი თქვას მის ცნობა-აღსრულებაზე.

სკ-ს მე-11-16 მუხლებით გათვალისწინებული საქართველოს სასამართლოების კომპეტენცია, რომლის შეცვლა მხარეთა შეთანხმებით დაუშვებელია, მიემართება საქმეებს ქორწინების, მშობლებსა და შვილებს შორის პირადი ურთიერთობების, შვილების წარმოშობის, მამობის დადგენისა და მასთან დაკავშირებული დავების, შვილად აყვანის, ქმედუნარიანობის შეზღუდვის, მეურვეობისა და მზრუნველობის შესახებ.

როდესაც წარმოებაში მიიღება სარჩელი ქართული მხარის მიერ უცხო მხარესთან გაფორმებული ბიზნესხელშეკრულებიდან წარმოშობილ დავაზე, საქართველოს სასამართლოს, განსჯადობასთან დაკავშირებული საკითხის გადაწყვეტისას, უწევს პასუხის გაცემა ორ მნიშვნელოვან კითხვაზე: (1) აქვს თუ არა საქართველოს სასამართლოს ამ დავასთან მიმართებით საერთაშორისო კომპეტენცია/განსჯადობა? (2) საქართველოს ან უცხო ქვეყნის სასამართლოს კომპეტენციაზე/განსჯადობაზე მხარეთა შეთანხმების შემთხვევაში, ამ შეთანხმების ფორმის, ნამდვილობისა და ძალაში შესვლის საკითხი რომელი ქვეყნის სამართლით უნდა გადაწყდეს? ამაზე განმარტებას იძლევა საქართველოს კანონი კერძო სამართლის შესახებ, რომლის თანახმად, შეთანხმების ფორმის საკითხი სკ-ის მე-18 მუხლის შესაბამისად უნდა გადაწყდეს (აღნიშნულთან მიმართებით მოქმედებს ე.წ. *favor validitatis* პრინციპი), ხოლო ნამდვილობასა და ძალაში შესვლაზე გამოსაყენებელი სამართალი განისაზღვროს სკ-ის 27-ე მუხლის დებულებათა შესაბამისად.²⁰

რაც შეეხება მხარეთა მოქმედებით არაგანსჯადი სასამართლოს განსჯად სასამართლოდ გადაქცევის შესაძლებლობას, უნდა აღინიშნოს, რომ სკ-ის მე-18.2 მუხლი, ამ მხრივ, სსკ-ის 21.2 მუხლისგან ერთგვარად განსხვავებულ რეგულირებას შეიცავს. კერძოდ, ამ მუხლის თანახმად,

²⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 26 ოქტომბრის განჩინება საქმეზე #ა-2135-შ-46-2015; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 7 ივლისის განჩინება საქმეზე #ა-2761-შ-69-2016.

საქართველოს სასამართლოებს მხარეთა მოქმედებით საქმეზე საერთაშორისო კომპეტენცია წარმოეშობათ ორი პირობის კუმულაციურად არსებობისას: (ა) მოპასუხე, რომელიც სასამართლოს კომპეტენტურობაზე პროტესტის გარეშე თანხმდება პროცესში მონაწილეობას, წარმოდგენილი უნდა იყოს ადვოკატით; ბ) მოსამართლემ მას უნდა შეატყობინოს პროტესტის გამოხატვის შესაძლებლობაზე, რაც დაფიქსირდება სხდომის ოქმში.

ამრიგად, სსკ-ის 18.2 მუხლის თანახმად, სასამართლოს ყოველთვის წარმოეშობა ვალდებულება, რომ მოპასუხეს განუმარტოს განსჯადობასთან დაკავშირებით პროტესტის გამოხატვის შესაძლებლობა, როცა საქმე ეხება საქართველოს სასამართლოს საერთაშორისო კომპეტენციის დადგენას. ამავდროულად, სავალდებულოა, ასეთ შემთხვევაში მოპასუხე აუცილებლად წარმოდგენილი იყოს ადვოკატით; მაშინ, როცა სსკ-ის 21.2 მუხლის შესაბამისად, სასამართლოს განმარტების ვალდებულება მხოლოდ იმ მოპასუხის წინაშე წარმოეშობა, რომელსაც ადვოკატი არ ჰყავს. ასეთ დროს, სასამართლოს განსჯადობა მხარეთა მოქმედებით შესაძლებელია მაშინაც წარმოიშვას, თუ მოპასუხე წარმოდგენილი არ არის ადვოკატით.

არსებობს მოსაზრება, რომ მენარმე სუბიექტებს შორის დავისას, სსკ-ის მე-18.2 მუხლიც სსკ-ის 21.2 მუხლის შინაარსით უნდა განიმარტოს, რათა მხარეთა საპროცესო შეჯიბრებითობა სათანადო დონეზე იყოს უზრუნველყოფილი.²¹

მხარეთა მოქმედებით სასამართლოს განსჯადობის საკითხის მოწესრიგებისას, უფრო მკაცრია ბრიუსელის რეგულაცია: ამ დოკუმენტის თანახმად, სასამართლოს საერთოდ არ ევალება, რომ მოპასუხეს შეატყობინოს განსჯადობის თაობაზე პროტესტის გაცხადების შესაძლებლობა და, თუ მხარე ჩაერთვება დავის არსებით განხილვაში, შესაბამისი სასამართლო დაადგენს საკუთარ საერთაშორისო განსჯადობას.²²

²¹ გ. სვანაძე, საერთაშორისო ბიზნესხელშეკრულებების მოლაპარაკება და შედგენა საერთაშორისო ნასყიდობის სამართლის მაგალითზე, ქართული ბიზნესსამართლის მიმოხილვა, IV გამოცემა, თბილისი 2015 გვ. 38-70.

²² Art. 24 EuGVVO.

მუხლი 22. განსჯადობის წესების დაცვით მიღებული საქმის განხილვა

განსჯადობის წესების დაცვით წარმოებაში მიღებული საქმე სასამართლომ უნდა განიხილოს და არსებითად გადაწყვიტოს, თუნდაც ეს საქმე შემდგომში სხვა სასამართლოს განსჯადი გახდეს.

ნინო ბაქაძური

22-ე მუხლი

I. ზოგადი წესი

სასამართლო ვალდებულია, თავისი ინიციატივით შეამოწმოს საქმის განსჯადობა სარჩელის წარმოებაში მიღების სტადიაზე. სსკ-ის 186.1 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი მოსამართლეს ავალდებულებს, არ მიიღოს სარჩელი, თუ საქმე ამ სასამართლოს განსჯადი არ არის.

შესაბამისად, მოსამართლე, რომელსაც არ გააჩნია საქმის განხილვის იურისდიქცია, არათუ უფლებამოსილია, არამედ ვალდებულია, განაცხადოს ამის შესახებ, მაშინაც კი, თუ განსჯადობის საკითხს არცერთი მხარე არ აყენებს.

წარმოების საწყის ეტაპზე განსჯადობის საკითხზე ყურადღების გამახვილებას განაპირობებს სამართალწარმოების წესი, რომლის თანახმად, არაგანსჯადი სასამართლო იქცევა განსჯადად თუ მოპასუხე განსჯადობის საკითხებზე პრეტენზიის წარუდგენლად მონაწილეობს სასამართლო განხილვაში (იხ. სსკ-ის 21-ე მუხლის კომენტარი). აღნიშნულის შესაბამისად, დადგენილია, რომ უწყებრივი ქვემდებარეობისაგან განსხვავებით, რომელსაც სასამართლო თავისი ინიციატივით ამოწმებს საქმის განხილვის ნებისმიერ სტადიაზე, პირველი ინსტანციის სასამართლოს განსჯადობას სააპელაციო სასამართლო შეამოწმებს მხოლოდ მოპასუხის მოთხოვნით (სსკ-ის 377.5 მუხლი).

იგივე წესი ვრცელდება საკასაციო სასამართლოზეც. სსკ-ის 404.3 მუხლის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო პირველი ინსტანციის სასამართლოს ტერიტორიულ და საგნობრივ განსჯადობას მხოლოდ მოპასუხის მოთხოვნით ამოწმებს. თავის მხრივ, ასეთი მოთხოვნა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი საქმის სააპელაციო სასამართლოში განხილვისას იყო წამოყენებული მოპასუხის მიერ, ან თუ არსებობს საპა-

ტიო მიზეზი, რის გამოც ასეთი მოთხოვნა ვერ იქნა წამოყენებული სააპელაციო სასამართლოში.

სსკ-ის მე-20 მუხლთან დაკავშირებით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ კერძო საჩივრის განხილვის ფარგლებში განმარტება გააკეთა 2018 წლის 24 დეკემბრის განჩინებაში (საქმე #ას-869-2018). აღნიშნულ საქმეში, მოსარჩელე იურიდიულმა პირმა სასამართლოში სარჩელი აღძრა ბათუმის მერიისა და მოპასუხე იურიდიული პირის მიმართ და მოითხოვა პირველ და მეორე მოპასუხეებს შორის დადებული მიწის ნაკვეთის სასყიდლიანი აღნაგობის უფლებით გადაცემის ხელშეკრულების მოშლა. ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, სარჩელი დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრეს მოპასუხეებმა. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განჩინებით, მათი საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება გაუქმდა და სარჩელი განუხილველი დარჩა, რაც კერძო საჩივრით გაასაჩივრა მოსარჩელემ.

სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებულ განჩინებას საფუძვლად დაუდო შემდეგი გარემოება: მოპასუხეებს შორის აღნაგობის ხელშეკრულების მოშლის მოთხოვნას მოსარჩელე ამყარებდა ბათუმის მერიის მიერ არათანაბარი პირობების შექმნასა და კონკურენციის წესების დარღვევაზე. ამის გამო, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის შესაბამისად, საქმეზე ერთმნიშვნელოვნად განსჯადი სასამართლო იყო თბილისის საქალაქო სასამართლო.

საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიერ ზემოაღნიშნული საფუძვლით სარჩელის განუხილველად დატოვების კანონიერება და აღნიშნა: ფორმალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით, აღნაგობის მოშლის დავალდებულების მოთხოვნა შეიძლება კიდევაც ემყარებოდეს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დარღვევას, თუმცა ეს გარემოება და ასეთ დავებთან დაკავშირებით დადგენილი განსჯადობის სპეციალური წესი თბილისის საქალაქო სასამართლოს იურისდიქციის შესახებ, არ შეიძლება გახდეს სააპელაციო სამართალწარმოების ეტაპზე სარჩელის განუხილველად დატოვების საფუძველი.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ არასწორად იხელმძღვანელა სსკ-ის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილით, რადგან ამავე კოდექსის 22-ე მუხლის თანახმად, სასამართლომ განსჯადობის წესების დაცვით თავის წარმოებაში

მიღებული საქმე უნდა განიხილოს და არსებითად გადაწყვიტოს, თუნდაც ეს საქმე შემდგომში სხვა სასამართლოს განსჯადი გახდეს. საკასაციო სასამართლოს განმარტებით, მითითებული ნორმა სწრაფი და ეფექტიანი მართლმსაჯულების პრინციპის განმტკიცებაა, რადგანაც მისი მიზანია, სასამართლომ აუცილებლად განიხილოს განსჯადობის დაცვით მიღებული ის სარჩელი, რომელიც, საქმის გარემოებათა შესწავლის შემდგომ, შეიძლება სხვა სასამართლოს განსჯადი აღმოჩნდეს, ტერიტორიული ან განსჯადობის სხვა სპეციალური წესებიდან გამომდინარე; ასევე მის მიზნებს შორისაა სამართალწარმოების გაჭიანურების თავიდან არიდება და მხარეთა შორის წარმოშობილი დავის ან უთანხმოების საბოლოო აღმოფხვრა. შესაბამისად, სააპელაციო სამართალწარმოების ეტაპზე ამ პრინციპის დარღვევა სასამართლოს მხრიდან არ ემსახურებოდა განსჯადობის თაობაზე კანონის მოთხოვნათა დაცვას.¹

II. განსჯადობის შეცვლის დაუშვებლობა უფლებამონაცვლეობისას

სარჩელის აღძვრის შემდეგ, სადავო ან სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი სამართლებრივი ურთიერთობიდან ერთ-ერთი მხარის, მათ შორის, მოპასუხის გასვლის შემთხვევაში (მოქალაქის გარდაცვალება, იურიდიული პირის რეორგანიზაცია, მოთხოვნის დათმობა, ვალის გადაცემა და სხვა), სასამართლო ვალდებულია, საპროცესო უფლებამონაცვლეობის წესების (სსკ-ის 92-ე მუხლი) დაცვით სამართლებრივი ურთიერთობიდან გასული მხარე შეცვალოს უფლებამონაცვლით. თუ საქმის განხილვის პროცესში მხარის უფლებამონაცვლით შეცვლის შედეგად შეიცვლება ტერიტორიული განსჯადობა, იმის გათვალისწინებით, რომ სარჩელი თავდაპირველად განსჯად სასამართლოს წარედგინა, უფლებამონაცვლეობის შედეგად საქმეზე სხვა სასამართლოს განსჯადობის წარმოშობის მიუხედავად, თავდაპირველმა სასამართლომ განსჯადობის წესების დაცვით თავის წარმოებაში მიღებული საქმე უნდა განიხილოს და არსებითად გადაწყვიტოს.

¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 24 დეკემბრის განჩინება საქმეზე #ას-869-2018.

III. განსჯადობის შეცვლა არასათანადო მოპასუხის არსებობის საფუძვლით

თუ სასამართლო თვლის, რომ მოსარჩელემ სათანადო მოპასუხე არ დაასახელა, დაუშვებელია სარჩელის განსჯადობით გადაგზავნა იმ სასამართლოსათვის, რომლის მოქმედების ტერიტორიაზეც იმყოფება სასამართლოს აზრით სათანადო მოპასუხე.

სასამართლო საკუთარი ინიციატივით არასათანადო მხარეს ვერ შეცვლის. სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის უფლება არ ათავისუფლებს სასამართლოს სსკ-ის 85-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვისაგან. ამ მუხლის თანახმად, თუ სასამართლო დაადგენს, რომ სარჩელი აღძრულია არა იმ პირის წინააღმდეგ, რომელმაც პასუხი უნდა აგოს სარჩელზე, მას შეუძლია, მოსარჩელის თანხმობით - და არა საკუთარი ინიციატივით - შეცვალოს თავდაპირველი მოპასუხე სათანადო მოპასუხით.

თუ მოსარჩელე არ არის თანახმა თავდაპირველი მოპასუხის სათანადო მოპასუხით შეცვლაზე, სასამართლო ვალდებულია, განიხილოს საქმე და უარი უთხრას მოსარჩელეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

მეორე მხრივ, თუ მოსარჩელე თანხმობას განაცხადებს თავდაპირველი მოპასუხის სათანადო მოპასუხით შეცვლაზე და საქმეში ჩაბმის შედეგად ახალი მოპასუხე თავისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით განსჯადი სასამართლოსთვის საქმის გადაცემას მოითხოვს, სსკ-ის 23-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სასამართლო ამ მოთხოვნას დააკმაყოფილებს (იხ. სსკ-ის 23-ე მუხლის კომენტარი).

IV. იმ საკითხის განხილვა, რომელიც სცილდება სასამართლოს განსჯადობის ფარგლებს

კომპეტენტური სასამართლო ორგანო საქმის განხილვისას შეიძლება წააწყდეს ისეთ საკითხს, რომელიც სცილდება მისი განსჯადობის ფარგლებს. ამგვარი პრობლემის გადაწყვეტისას, სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს ორი პრინციპით. პირველი აღიარებს სასამართლო კომპეტენციის სისრულეს (მოქმედი სასამართლო - უფლებამოსილი სასამართლო), რომლის თანახმად, საქმის წარმოებაში მიმღებ სასამართლოს ძალუძს, გაერკვეს საქმის განხილვის დროს წამოჭრილ ყველა საკითხში. ამასთანავე, ეს პრინციპი ეწინააღმდეგება ფუნქციების გამიჯვნის პრინციპს, რომლის თანახმად, სამოქალაქო დავების გადამწყვეტი სასამართლო არ არის უფლებამოსილი, რომ ჩაერიოს ადმინისტრაციის საქმიან

ნობაში და, პირიქით, ადმინისტრაციული დავების გადამწყვეტ სასამართლოს არ აქვს სამოქალაქო კანონმდებლობის გამოყენებაში ჩარევის უფლებამოსილება.² ხსენებული ორი პრინციპის შეთავსება იწვევს კომპრომისული გადაწყვეტილებების მიღებას, რომლებიც ქმნის პრეიუდიციული საკითხების თეორიის საფუძველს.³

საქმეთა გარკვეულ კატეგორიებზე დაიშვება სასამართლო აბსოლუტური კომპეტენცია, პრეიუდიციის საკითხი არ წამოიჭრება. ეს ეხება შემთხვევებს, როდესაც დავის გადაწყვეტა საჭიროებს კანონის ან კანონქვემდებარე აქტის განმარტებას. ადმინისტრაციული საქმის განხილვისას, კერძოსამართლებრივი კანონების გამოყენების საჭიროება არ ქმნის პრეიუდიციული საკითხის წამოჭრის საფუძველს.⁴ მართლმსაჯულების ნებისმიერი განშტოების სასამართლო დანესებულება უფლებამოსილია, განმარტოს კანონი ან კანონქვემდებარე აქტი, მათი რეგულირების საგნის და გამომცემი ორგანოს მიუხედავად. საერთო წესის მიხედვით, მთავარი საკითხის გადაწყვეტ მოსამართლეს აქვს უფლება, გადაწყვიტოს საკითხთა მთელი ერთობლიობა. მთავარი საკითხის გადამწყვეტი წყვეტს კერძო საკითხებსაც. ამასთანავე, ზოგიერთ ქვეყანაში (საფრანგეთი) დაიშვება ამ წესისაგან გამონაკლისი, როდესაც განსაკუთრებული იმპერატიული მიზეზები მოითხოვს, რომ დაცული იყოს იურისდიქციის დაყოფა. თუ შესაძლებელია, წამოჭრილი საკითხი გადაჭრას მთლიანად საქმის განმხილველმა მოსამართლემ, დგება წინასწარი საკითხი, ხოლო პრეიუდიციული საკითხი დგება იმ შემთხვევაში, როდესაც საქმის განმხილველი მოსამართლე ვალდებულია, გადადოს საქმის განხილვა სხვა მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე. ითვლება, რომ პრეიუდიციული საკითხი დგება მაშინ, როდესაც წამოჭრილი სიძნელე საკმაოდ სერიოზულია და საქმის დედააზრს ეხება.

პრეიუდიციული საკითხები წარმოიშობა ორ ტიპურ შემთხვევაში: ინდივიდუალური აქტის განმარტებისა და მმართველობის აქტების კანონიერების განსაზღვრისას. საკითხი ინდივიდუალური აქტის განმარტების შესახებ შესაძლოა დაისვას არა მხოლოდ ადმინისტრაციული, არამედ აგრეთვე სამოქალაქო საქმის განხილვისას. ადმინისტრაციული დავების განმხილველი სასამართლო უფლებამოსილია, თავისი კომპეტენციის ფარგლებში შეამოწმოს კერძოსამართლებრივი აქტების შინაარსი და გამოიკვლიოს კერძოსამართლებრივი ურთიერთობები (მაგ.: განმარტოს ხე-

² მ. კოპალეიშვილი, ნ. სხირტლაძე, ე. ქარდავა, პ. ტურავა (რედ.), ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, თბილისი 2008, გვ. 167.

³ იქვე, გვ. 167.

⁴ იქვე, გვ. 167.

ლშეკრულების შინაარსი ან დოკუმენტი საკუთრების უფლების შესახებ). სამოქალაქო დავების განმხილველი სასამართლო კი საქმის განხილვისას შესაძლოა წააწყდეს ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტების განმარტების საჭიროებას.⁵

რაც შეეხება ადმინისტრაციული აქტის კანონიერებას, უდავოა, რომ სამოქალაქო კატეგორიის დავების განმხილველი სასამართლო არ არის უფლებამოსილი, ცნოს რომელიმე ადმინისტრაციული აქტი ბათილად. ასეთი საკითხის წამოჭრის შემთხვევაში, საქმე უნდა გადაეცეს ადმინისტრაციული იურისდიქციის სასამართლოს.⁶ ამასთანავე, ზოგი ავტორის აზრით, აქტის არარად მიჩნევის იურისდიქციით სარგებლობს არა მხოლოდ ადმინისტრაციული, არამედ სამოქალაქო საქმეების განმხილველი მოსამართლეც. ამ უკანასკნელმა, ნებისმიერი ორგანოსა და მოქალაქის მსგავსად, არ უნდა მიიღოს მხედველობაში არარა აქტი. მოსამართლემ არ უნდა გამოაცხადოს იგი არარად, საკმარისია აქტის არარად კონსტატირება.⁷

V. განსჯადობა ე.წ. „კომბინირებული სარჩელის“ შემთხვევაში

ე.წ. „კომბინირებული სარჩელების“ წარდგენის შემთხვევაში, საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში, უფლებამოსილი სასამართლოს დადგენის მიზნით, განსაზღვრავენ ძირითად, თავდაპირველ და მის თანმდევ მოთხოვნას. უფლებამოსილი სასამართლოს დადგენა პროცესის ეკონომიურობის მოსაზრებებიდან გამომდინარე, ძირითადი მოთხოვნის მიხედვით ხდება. ცალკეულ შემთხვევაში, ერთ-ერთი მოთხოვნის ნაწილში საქმისწარმოება შეჩერებულია (სსკ-ის 279-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტი“) მეორე დავის გადაწყვეტამდე, რის შედეგადაც განსხვავებული სამართალწარმოების წესით განიხილება დავა დანარჩენ ნაწილში. თუ არსებობს ერთმანეთთან დაკავშირებული რამდენიმე სასარჩელო მოთხოვნა, რომელთაგან ერთ-ერთი არ განეკუთვნება მაგისტრატი მოსამართლის განსჯადობას, საქმეს განიხილავს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს სხვა მოსამართლე (სსკ-ის 13.4 მუხლი). აღნიშნული ეხება როგორც სამოქალაქო, ისე ადმინისტრაციულ საქმეებს.

⁵ სხირტლაძე, გვ. 167-168.

⁶ სხირტლაძე, გვ. 168.

⁷ ჟ. ვედელი, საფრანგეთის ადმინისტრაციული სამართალი, გამომცემლობა „პროგრესი“, მოსკოვი 1973, გვ. 91, 112-113.

მუხლი 23. საქმის გადაცემა განსჯადი სასამართლოსათვის

1. სასამართლო საქმეს განსახილველად სხვა სასამართლოს გადასცემს, თუ:

ა) მოპასუხე, რომლის საცხოვრებელი ადგილიც წინათ არ იყო ცნობილი, მოითხოვს, რომ საქმე გადაეცეს სასამართლოს თავისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით;

ბ) ერთი ან რამდენიმე მოსამართლის აცილების გამო, ამავე სასამართლოში შეუძლებელია მათი შეცვლა.

2. თუ საქმე რამდენიმე სასამართლოს განსჯადია, იგი გადაეცემა სასამართლოს მოსარჩელის არჩევით.

3. საქმის სხვა სასამართლოში გადაცემის შესახებ სასამართლოს გამოაქვს განჩინება, რომელიც არ გასაჩივრდება.

მუხლი 24. განსჯადობის შესახებ დავის დაუშვებლობა

ერთი სასამართლოდან მეორეში გადაგზავნილ საქმეს წარმოებაში განსახილველად იღებს ის სასამართლო, რომელსაც იგი გადაეგზავნა. დავა სასამართლოებს შორის განსჯადობის შესახებ არ დაიშვება.

უღრის ჰაბენლონი.....	226
23-ე და მოდევნო მუხლი	226
ნინო ბაძაქური	231
23-ე მუხლი	231
24-ე მუხლი	233

უღრის ჰაბენლონი

23-ე და მოდევნო მუხლი

სსკ-დან მოყვანილი ნორმები:

- 23-ე მუხლი
- 24-ე მუხლი

საქმის სხვა სასამართლოსთვის განსახილველად გადაცემა, სავალდებულო ძალა

1. საქმის სხვა სასამართლოსთვის გადაცემის საქართველოში არსებული კანონისმიერი რეგულაციები განსხვავდება გერმანულისგან. გერმანული კანონის შესაბამისი დანაწესია:

§ 281 GER-ZPO - საქმის სხვა სასამართლოსთვის გადაცემა არაგანსჯადი სასამართლოს შემთხვევაში

(1) თუ სასამართლოების ტერიტორიული და საგნობრივი განსჯადობის წესების საფუძველზე დადგინდება, რომ სასამართლო, რომელშიც შევიდა საქმე, არ არის განსჯადი, და შესაძლებელია განსჯადი სასამართლოს განსაზღვრა, მოსარჩელის მოთხოვნის საფუძველზე, სასამართლო მიიღებს განჩინებას, რომლითაც განაცხადებს, რომ ის არ არის განსჯადი და სამართლებრივ დავას განსახილველად გადასცემს განსჯად სასამართლოს. ვინაიდან საქმე ეხება რამდენიმე სასამართლოს განსჯადობას, საქმე გადაეცემა მოსარჩელის მიერ არჩეულ სასამართლოს.

(2) განჩინება არ ექვემდებარება გასაჩივრებას. სამართლებრივი დავა განჩინებაში დასახელებული სასამართლოს წარმოებაში შედის ამ სასამართლოში საქმის მასალების შესვლის დღიდან. განჩინება მხოლოდ ამ სასამართლოსთვის.

(3) არაგანსჯად სასამართლოში საქმისწარმოებისას წარმოქმნილი ხარჯები განიხილება იმ ხარჯების ნაწილად, რომელიც წარმოიშობა განჩინებაში დასახელებულ სასამართლოში საქმისწარმოებისას. მოსარჩელეს დამატებით წარმოშობილი ხარჯების ანაზღაურება უნდა დაეკისროს იმ შემთხვევაშიც, თუ ის გაიმარჯვებს დავის ძირითად საგანთან დაკავშირებული საქმისწარმოებისას.

2. ორივე მართლწესრიგს საერთო აქვს ის, რომ განჩინება საქმის სხვა სასამართლოსთვის გადაცემაზე, კანონის ტექსტის შესაბამისად, არ საჩივრდება და სავალდებულოა. გერმანული სასამართლო პრაქტიკა საქმის სხვა სასამართლოსთვის გადაცემის განჩინებას არ ანიჭებს **სავალდებულო ძალას**, თუ მას ისეთი არსებითი ნაკლი აქვს, რომ შეიძლება ჩაითვალოს თვითნებურად და, შესაბამისად, ანტიკონსტიტუციურად, ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის თანახმად.

მართალია, სასამართლო პრაქტიკის ეს პრინციპები განავითარეს საერთო სასამართლოებმა, თუმცა ის უკავშირდება უმაღლესი ფედერალური სასამართლოს პრაქტიკას. ამ უკანასკნელის მიხედვით, სასამართლო გადაწყვეტილებები ეწინააღმდეგება კონსტიტუციურ-სამართლებრივ თანასწორობის პრინციპს (ფედერალური კონსტიტუციის მე-3 მუხლი), თუ ისინი თვითნებურია და, მაშასადამე, არ არის თავსებადი მართლწესრიგთან (იხ. 264-ე მუხლის კომენტარი, ა.ნ. (აბზაცი ნომერი) 44-ე და მომდევნო აბზაცები).

საერთო სასამართლოები იზიარებენ ძირითად კონსტიტუციურ-სამართლებრივ იდეებს და კითხვაზე, შეიძლება თუ არა განჩინებას საქმის სხვა სასამართლოსთვის განსახილველად გადაცემაზე, გამონაკლისის სახით, არ ჰქონდეს სავალდებულო ძალა, ორიენტირებულია შემდეგ კრიტერიუმებზე (ამონარიდი გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილებიდან BGH NJW-RR 2015, 1016 [Beschluss vom 09.06.2015 – X ARZ 115/15 -]; siehe auch BGH, Beschluss vom 12.04.2018 - IX ZR 66/17 - juris):

„1. საერთო სასამართლოების ფარგლებში განსჯადობასთან დაკავშირებით ნეგატიური კონფლიქტისას (როდესაც ორივე სასამართლო უარყოფს განსჯადობას), როგორც წესი, ის სასამართლო უნდა განისაზღვროს განსჯად სასამართლოდ, რომელსაც პირველი განჩინებით გადაეცა საქმე განსახილველად. ეს მიდგომა გამომდინარეობს 281 Abs. 2 Satz 4 ZPO-ის რეგულაციიდან, რომლის მიხედვითაც, § 281 ZPO-ის საფუძველზე მოცემული განჩინება საქმის სხვა სასამართლოსთვის გადაცემის თაობაზე სავალდებულოა იმ სასამართლოსთვის, რომელსაც ამ განჩინების საფუძველზე გადაეცემა საქმე. განჩინების სავალდებულო ძალა იმ შემთხვევაში ქარწყლდება, თუ ის ვერ შეფასდება § 281 ZPO-ის ფარგლებში მიღებულად, ვინაიდან, მაგალითისთვის, გამოტანილია სამართლებრივი მოსმენის უფლების დარღვევით, ან არ მიუღია კანონის საფუძველზე დანიშნულ მოსამართლეს, ანდა მიღებულია ყოველგვარი კანონისმიერი საფუძვლის გარეშე და, აქედან გამომდინარე, უნდა შეფასდეს თვითნებურად მიღებულად. ამისთვის არ კმარა, რომ განჩინება შინაარსობრივად არასწორი ან ხარვეზიანი იყოს: თვითნებობა სახეზეა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც საქმის სხვა სასამართლოსთვის გადაცემის განჩინება კონსტიტუციის ძირითადი იდეის გონივრული შეფასებისას გასაგები აღარ არის და ამკარად გაუმართლებელია (BGH NJW-RR 2013, 764; BGH NJW-RR 2011, 1364).

2. ამ მასშტაბის დაწესებისას, სამხარეო სასამართლოს განჩინება საქმის სხვა სასამართლოსთვის განსახილველად გადაცემაზე ვერ შეფა-

სდება თვითნებურად მიღებულად, არამედ მას აქვს კანონით გათვალისწინებული სავალდებულო ძალა.

ა) განჩინება საქმის სხვა სასამართლოსთვის განსახილველად გადაცემაზე უნდა შეფასდეს გაუგებრად და აშკარად გაუმართლებლად, თუ სასამართლომ, რომელმაც მიიღო ის, არ გაითვალისწინა ან, უბრალოდ, უგულვებელყო საკუთარი განსჯადობის წარმომშობი ნორმა (BGH NJW 2002, 3634). თუმცა, საქმის სხვა სასამართლოსთვის განსახილველად გადაცემა ყოველთვის თვითნებურ გადაწყვეტილებად ვერ შეფასდება მაშინ, როდესაც განჩინების მიმღები სასამართლო არ განიხილავს საკუთარი განსჯადობის წარმომშობ ნორმას: მას შეიძლება გამოორჩეს ეს ნორმა, ან არასათანადოდ შეაფასოს მისი გამოყენების სფერო. ვინაიდან თვითნებურად შეფასებისთვის არ კმარა ის, რომ განჩინება საქმის სხვა სასამართლოსთვის განსახილველად გადაცემაზე შინაარსობრივად არასწორია ან სხვა ხარვეზს შეიცავს, და ამისთვის საჭიროა დამატებითი გარემოებებიც, რომელთა პირობებშიც მიღებული გადაწყვეტილება აღარ არის გასაგები (BGH NJW-RR 2002, 1498; BGH NJW 2003, 3201)... პალატამ გადაწყვიტა, რომ განჩინება საქმის სხვა სასამართლოსთვის განსახილველად გადაცემაზე, არ უნდა მივიჩნიოთ ბათილად მხოლოდ იმ საფუძველით, რომ განჩინების მიმღებმა სასამართლომ არ შეამოწმა საკუთარი შესაძლო განსჯადობა § 29 ZPO-ის მიხედვით (მითითება: შესატყვისია სსკ-ის მე-16 მუხლი მე-2 ნაწილი). მან საკუთარი ქმედება მაშინდელ დავაზე იმით დაასაბუთა, რომ არსებული გარემოებების გათვალისწინებით, იმ ინტენსივობით არ დამდგარა დღის წესრიგში საკუთარი განსჯადობის შემოწმების საჭიროება (განსაკუთრებით იმიტომ, რომ მხარეებს არ უმსჯელიათ შესრულების ადგილზე), რომ საქმის სხვა სასამართლოსთვის განსახილველად გადაცემის განჩინება არ განვიხილოთ § 281 ZPO-ის საფუძველზე მიღებულ გადაწყვეტილებად (BGH NJW-RR 2011, 1364)....“.

თუ სასამართლოებს შორის არსებობს განსხვავებული აზრი საქმის სხვა სასამართლოსთვის განსახილველად გადაცემის სავალდებულობაზე და, მსგავსი დავის შედეგად, ორივე სასამართლო მიაჩნია, რომ საქმე არ არის მათი განსჯადი, განსჯადი სასამართლო დადგინდება სასამართლო განსჯადობის განსაზღვრაზე მიმართული საქმისწარმოების ფარგლებში (§ 36 Abs. 1 Nr. 6 GER-ZPO; იხ. მე-16 და მომდევნო მუხლების კომენტარი, ა.ნ. 3).

მსგავსი კონსტიტუციურ-სამართლებრივი რეგულაციების გათვალისწინებით, ძირითადად (მათ შორის, საქართველოშიც), შესაძლებელია

უარი ეთქვას საქმის სხვა სასამართლოსთვის განსახილველად გადაცემის განჩინებათა მბოჭავ ძალას, რომლებიც თვითნებურია ზემოთ მოყვანილი კრიტერიუმების მიხედვით. თუმცა, აუცილებელი არ არის ამ მიდგომის რეალიზება, მით უმეტეს, რომ საქართველოში არ არსებობს **§ 36 Abs. 1 Nr. 6 GER-ZPO**-ის მსგავსი რეგულაცია და, აქედან გამომდინარე, გაურკვეველი იქნებოდა, თუ რომელმა სასამართლომ და რომელი ნარმოების ფარგლებში უნდა გადაწყვიტოს სასამართლოებს შორის განსჯადობასთან დაკავშირებული ნეგატიური (როდესაც ორივე სასამართლო უარყოფს საკუთარ განსჯადობას) კონფლიქტი.

წინმო ბაძაძური

23-ე მუხლი

სსკ-ის მე-15 მუხლი განსაზღვრავს საერთო განსჯადობას, რომლის შესაბამისად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. თუ მოპასუხეს არ აქვს საცხოვრებელი ადგილი, 15.2 მუხლის თანახმად, სარჩელი განიხილება საქართველოს ტერიტორიაზე მისი ადგილსამყოფელის მიხედვით, ხოლო თუ მოპასუხის ადგილსამყოფელი უცნობია, მაშინ სარჩელი შეიძლება აღიძრას მისი უკანასკნელი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

თუმცა, შეიძლება მოპასუხეს ჰქონდეს საცხოვრებელი ადგილი, რომელიც მოსარჩელისთვის არ იყო ცნობილი და იცოდა მხოლოდ მისი ადგილსამყოფელი, ან უკანასკნელი საცხოვრებელი ადგილი, რომელიც სარჩელის აღძვრის დროისთვის შეცვლილია.

სწორედ ასეთ შემთხვევებს ითვალისწინებს სსკ-ის 23.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი. იგი საშუალებას აძლევს მოპასუხეს, განმხილველი სასამართლოსგან მოითხოვოს საქმის იმ სასამართლოსთვის გადაცემა, რომელიც, საერთო განსჯადობის წესიდან გამომდინარე, განსჯად სასამართლოდ ითვლება მისი საცხოვრებელი ადგილის შესაბამისად.

აღნიშნული წესი არ მოქმედებს, თუ მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, თავიდან სწორად აღიძრა სარჩელი, მაგრამ მისი წარმოებაში მიღების შემდეგ, ან საქმის განხილვის პერიოდში, მოპასუხემ საცხოვრებელი ადგილი შეიცვალა.

სარჩელის სათანადო კავშირი ტერიტორიასთან სარჩელის წარდგენის მომენტისათვის დგინდება. ამიტომ, გარემოებების, კერძოდ, მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის შემდგომი შეცვლა, განსჯადობის შეუცვლელობის პრინციპის (*perpetuatio fori*) თანახმად, განსჯადობას არ ცვლის. ამიტომ, მოცემულ შემთხვევაზე ვრცელდება სსკ-ის 22-ე მუხლით დადგენილი ზოგადი წესი, რომლის თანახმად, არ შეიძლება სასამართლომ განსჯადობის წესით დაცვით თავის წარმოებაში მიღებული საქმე გადასცეს სხვა სასამართლოს, თუნდაც ეს საქმე შემდგომში სხვა სასამართლოს განსჯადი გახდეს.

სსკ-ის 22-ე მუხლით დადგენილი ზოგადი წესიდან მეორე გამონაკლისია სსკ-ის 23.1 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვითარება, როცა საქმე სასამართლოში მიღებულია განსჯადობის წესების დაცვით,

მაგრამ მისი განხილვისგან ერთი ან რამდენიმე მოსამართლის აცილების გამო, ამავე სასამართლოში შეუძლებელია მათი სხვა მოსამართლეებით ჩანაცვლება.

სსკ-ის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ მოსამართლის (ან კოლეგიური შემადგენლობის) მიერ აცილების ან თვითაცილების შედეგად რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში არ არის სამოქალაქო საქმის განმხილველი სხვა მოსამართლე და შეუძლებელია მათი შეცვლა, სასამართლოს თავმჯდომარე საქმეს უგზავნის **სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარეს**, სხვა რაიონული (საქალაქო) სასამართლოსთვის გადასაცემად.

თუ ასეთი ვითარებაში არსებობს რამდენიმე განსჯადი სასამართლო, სსკ-ის 23.2 მუხლის დანაწესის შესაბამისად, საქმე უნდა გადაეცეს მოსარჩელის მიერ არჩეულ სასამართლოს.

სსკ-ის 23.3 მუხლის დანაწესი, რომ საქმის სხვა სასამართლოში გადაცემის შესახებ სასამართლოს გამოაქვს განჩინება, ერთგვარ წინააღმდეგობაშია სსკ-ის 34.3 მუხლის დანაწესთან, რამდენადაც სსკ-ის 23.3 მუხლი გულისხმობს, რომ საქმის სხვა სასამართლოში გადაცემის განჩინება გამოაქვს იმავე მოსამართლეს ან შემადგენლობას, რომელთა აცილების გამოც მოცემულ სასამართლოში შეუძლებელია მათი შეცვლა. სსკ-ის 34.3 მუხლი კი განსაზღვრავს, რომ ასეთ შემთხვევაში სხვა სასამართლოს საქმეს სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე უგზავნის.

წინმო ბაძაძური

24-ე მუხლი

სასამართლო ვალდებულია, თავისი ინიციატივით შეამოწმოს საქმის განსჯადობა სარჩელის წარმოებაში მიღების სტადიაზე. სსკ-ის 186.1 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი მოსამართლეს ავალდებულებს, არ მიიღოს სარჩელი, თუ საქმე ამ სასამართლოს განსჯადი არ არის.

შესაბამისად, მოსამართლე, რომელსაც არ აქვს საქმის განხილვის იურისდიქცია, არათუ უფლებამოსილი, არამედ ვალდებულია, განაცხადოს ამის შესახებ, მაშინაც კი, როდესაც განსჯადობის საკითხს არცერთი მხარე არ აყენებს. ასეთ შემთხვევაში, მოსამართლემ განჩინებაში, რომლითაც წარმოებაში არ მიიღო სარჩელი, უნდა მიუთითოს, თუ რომელ სასამართლოს უნდა მიმართოს მოსარჩელემ (სსკ-ის 187.1 მუხლი).

არსებობს შემთხვევები, როცა სარჩელის მიღების ეტაპზე არასათანადო განსჯადობის საკითხი ნათლად არ ჩანს და იგი გამოიკვეთება სარჩელის წარმოებაში მიღების შემდეგ. ასეთ დროს, სსკ-ის 187.2 მუხლის შესაბამისად, სასამართლომ წესით განუხილველად უნდა დატოვოს სარჩელი, მაგრამ სარჩელის განუხილველად დატოვების სსკ-ის 275-ე მუხლით განსაზღვრულ საფუძვლებში არაგანსჯადი სასამართლოს წარმოებაში სარჩელის ყოფნა გათვალისწინებული არ არის.

გაუთვალისწინებლობის მიზეზი ნათელი ხდება სსკ-ის 275-ე, 21.2 და 24-ე მუხლების ერთობლივი ანალიზით, რადგან სსკ-ის 21.2 მუხლის თანახმად, არაგანსჯადი სასამართლო შეიძლება განსჯადი გახდეს, თუ: მოპასუხე წინააღმდეგი არ არის, რომ საქმე განიხილოს არაგანსჯადმა სასამართლომ და ეთანხმება საქმის განხილვაში მონაწილეობას; ამასთან, მოპასუხე წარმოდგენილი იქნება ადვოკატით ან მიეცემა განმარტება სასამართლოს არაგანსჯადობასა და მის შედეგებზე, აგრეთვე, უფლებაზე, წამოაყენოს შესაგებელი არაგანსჯადობის წინააღმდეგ. სასამართლოს მიერ მოპასუხისათვის ასეთი განმარტების მიცემა უნდა აღინიშნოს სასამართლო ოქმში (დანვრილებით იხ. სსკ-ის 21-ე მუხლის კომენტარი).

ამრიგად, თუ სასამართლოს განმარტების შემდეგ მოპასუხე განაცხადებს თანხმობას საქმის განხილვაში მონაწილეობაზე, არაგანსჯადი სასამართლო განსჯადი ხდება და მან წარმოებაში მიღებული სარჩელი უნდა განიხილოს.

თუ მოპასუხე არ დათანხმდება ამას, ან წარადგენს შესაგებელს არა-განსჯადობის წინააღმდეგ, საპროცესო ეკონომიის პრინციპიდან გამომდინარე, სამართლებრივად უფრო სწორია, სარჩელის განუხილველად დატოვების ნაცვლად, სასამართლომ საქმე განსჯად სასამართლოს გადაუგზავნოს. ასეთი გადაგზავნა სავალდებულოა მიმღები სასამართლოსათვის, რადგან სსკ-ის 24-ე მუხლის შესაბამისად, ერთი სასამართლოდან მეორეში გადაგზავნილ საქმეს წარმოებაში განსახილველად იღებს ის სასამართლო, რომელსაც იგი გადაეგზავნა. დავა სასამართლოებს შორის განსჯადობის თაობაზე არ დაიშვება.

არაგანსჯადი სასამართლოს მიერ განსჯად სასამართლოში სარჩელის გადაგზავნის ნაცვლად, მისი წარმოებაში არმიღება ან განუხილველად დატოვება მოსარჩელეს ხშირად დამატებით ტვირთს აკისრებს.

ამ მხრივ, ნიშანდობლივია თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 29 ივნისის განჩინება საქმეზე #2ბ/2215-12. აღნიშნულ საქმეში მოსარჩელემ სარჩელი აღძრა გარდაბნის რაიონულ სასამართლოში, თუმცა სასამართლომ სარჩელის მიღებაზე უარი თქვა, რადგან მიიჩნია, რომ ის სასამართლოში შესული იყო განსჯადობის წესების დარღვევით. აღნიშნული განჩინება მოსარჩელემ თბილისის სააპელაციო სასამართლოში კერძო საჩივრით გაასაჩივრა. კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, გარდაბნის რაიონულ სასამართლოში მიმართვამდე, 2012 წლის 10 აპრილს მან სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში, თუმცა, 2012 წლის 17 აპრილის განჩინებით, უარი ეთქვა სარჩელის მიღებაზე. თბილისის საქალაქო სასამართლომ განჩინებაში მიუთითა, რომ სარჩელი წარდგენილი უნდა ყოფილიყო მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, კერძოდ, გარდაბნის რაიონულ სასამართლოში. კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, ორივე სასამართლოს მხრიდან მისი სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შედეგად, დაირღვა სსკ-ის მე-4 (სამოქალაქო საქმეების განხილვისას მართლმსაჯულების განხორციელებაზე უარის თქმის დაუშვებლობა) და მე-2 მუხლებით (უფლების სასამართლო წესით დაცვა) მინიჭებული უფლებები. მან მიუთითა, რომ სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე, მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა, სამი წელი, მთავრდებოდა 2012 წლის მაისში, რის შემდეგაც მას საერთოდ მოესპობოდა შესაძლებლობა, რომ საკუთარი უფლებები და კანონით გათვალისწინებული ინტერესები დაეცვა კანონით დადგენილი წესითა და საფუძვლით.

აღნიშნულ საქმეში, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის დროს 2012 წლის 17 აპრილის განჩინე-

ბით მოსარჩელეს მიუთითა გარდაბნის რაიონული სასამართლოს განსჯადობაზე, თბილისის სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ გარდაბნის რაიონული სასამართლოს შემდგომი უარი სარჩელის წარმოებაში მიღებაზე ეწინააღმდეგებოდა სსკ-ის 24-ე მუხლის დანაწესს, რაც აბსოლუტურ საფუძველს ქმნიდა მისი გაუქმებისთვის.¹

მოცემულ შემთხვევაში, თბილისის სააპელაციო სასამართლომ სსკ-ის 24-ე მუხლი ფართოდ განმარტა და გაავრცელა ისეთ შემთხვევაზეც, როცა საქმე ერთი სასამართლოდან მეორეში არ გადაგზავნილა. თუმცა, აღნიშნული მუხლის შინაარსი უფრო იმაზე მიუთითებს, რომ არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის შეტანისას სასამართლომ სარჩელი განსახილველად განსჯად სასამართლოს გადაუგზავნოს. ამით აღმოიფხვრებოდა ისეთი ვითარების შექმნის ალბათობა, რომელიც აღწერილია ზემოაღნიშნულ საქმეში.

ერთი სასამართლოდან მეორეში სარჩელის განსჯადობით გადაგზავნა არ ნიშნავს, რომ მეორე სასამართლო მას უპირობოდ დასაშვებად ცნობს. ასეთ შემთხვევაში, სსკ-ის 24 მუხლის პირველი წინადადება მიმღებ სასამართლოს გადაგზავნილი სარჩელის წარმოებაში მიღებას მხოლოდ იმ შემთხვევაში ავალდებულებს, თუ სარჩელი, ზოგადად, წარმოებაში მიღების მოთხოვნებს აკმაყოფილებს (გარდა განსჯადობისა).

აღნიშნულ საკითხზე იმსჯელა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ 2016 წლის 4 ივლისის განჩინებაში საქმეზე #2ბ/362-16. ამ საქმეში ბოლნისის რაიონულმა სასამართლომ მოსარჩელეს უარი უთხრა აღიარებითი სარჩელის წარმოებაში მიღებაზე შესაბამისი იურიდიული ინტერესის არარსებობის გამო (სსკ-ის 180-ე მუხლი) და მიუთითა, რომ აღიარებითი სარჩელის ნაცვლად, მას უნდა აღედრძა მიკუთვნებითი სარჩელი. ბოლნისის რაიონული სასამართლოს განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა მოსარჩელემ, სადაც აღნიშნა, რომ თავდაპირველად მას აღძრული ჰქონდა ადმინისტრაციული სარჩელი ადმინისტრაციული აქტებისა და ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობაზე. აღნიშნული სარჩელი ბოლნისის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ დასაშვებად ცნო და წარმოებაში მიიღო, ხოლო მოსარჩელის შუამდგომლობის საფუძველზე, სასარჩელო მოთხოვნა ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ განსჯადობით სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას გადაუგზავნა. შესაბამისად, სარჩელი უკვე წარმოებაში იყო მიღებული და სამოქალაქო საქმეთა კო-

¹ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 29 ივნისის განჩინება საქმეზე #2ბ/2215-12.

ლეგის მიერ წარმოებაში მიღებაზე უარის თქმა უკანონოა სსკ-ის 24-ე მუხლის შესაბამისად.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა კერძო საჩივრის ავტორის მსჯელობა სსკ-ის 24-ე მუხლის თაობაზე და აღნიშნა, რომ ბოლნისის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელის განსჯადობით გადაგზავნა სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში ამ უკანასკნელს არ ავალდებულებს აღნიშნული სარჩელის უპირობოდ დასაშვებად ცნობას.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სარჩელში სავალდებულოდ მისათითებელი ფაქტობრივი გარემოებები ისევ და ისევ მოსარჩელის სასამართლიანი სასამართლოს უფლების დაცვას ემსახურება. თუ სასამართლო წარდგენილ სარჩელს უპირობოდ მიიღებს და მხარის მიერ ფაქტობრივი გარემოებების არასწორად მითითებისა და მტკიცებულებების არქონის პირობებშიც განიხილავს საქმეს, მაშინ მხარეს აღარ ექნება შესაძლებლობა, რომ ხელმეორედ მიმართოს სასამართლოს სრულყოფილი სარჩელით - იმავე მოთხოვნაზე, იმავე მხარეებს შორის და იმავე საფუძვლით. შესაბამისად, არასრულყოფილი და გაუმართავი სარჩელის წარმოებაში მიღებით და არსებითი განხილვით, მას ერთმევა საკუთარი უფლებისა და კანონიერი ინტერესის ჯეროვანი დაცვის შესაძლებლობა. ამასთან, მხარე, სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შემთხვევაში, უფლებამოსილია, ხელმეორედ მიმართოს სასამართლოს იმავე სარჩელით და აღმოფხვრას ხარვეზი, რომელიც სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის საფუძველი გახდა. შესაბამისად, სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმით, მას ეძლევა შესაძლებლობა, სარჩელი კანონით დადგენილი წესით მოამზადოს, რათა არასრულყოფილი სარჩელი არ გახდეს მისი მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე უარის საფუძველი.

რაც შეეხება აღიარებით სარჩელს, სასამართლო მას წარმოებაში მხოლოდ მაშინ მიიღებს, თუ ასეთი აღიარების მიმართ მოსარჩელეს შესაბამისი იურიდიული ინტერესი აქვს. ეს ნიშნავს, რომ მოსარჩელემ უნდა დაადასტუროს მიკუთვნებითი მოთხოვნის არარსებობა და იურიდიული ინტერესის არსებობა მხოლოდ აღიარებითი მოთხოვნის მიმართ, რაც მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ იყო.²

² თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 4 ივლისის განჩინება საქმეზე #2ბ/362-16.

მუხლი 29. საქმის განხილვაში მოსამართლის განმეორებითი მონაწილეობის დაუშვებლობა

1. მოსამართლე, რომელიც მონაწილეობდა საქმის პირველი ინსტანციით განხილვაში, ვერ მიიღებს მონაწილეობას ამ საქმის განხილვაში სააპელაციო ინსტანციის ან/და საკასაციო ინსტანციის სასამართლოში.

2. მოსამართლე, რომელიც მონაწილეობდა საქმის განხილვაში სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში, ვერ მიიღებს მონაწილეობას ამ საქმის განხილვაში პირველი ინსტანციის ან/და საკასაციო ინსტანციის სასამართლოში.

3. მოსამართლე, რომელიც მონაწილეობდა საქმის განხილვაში საკასაციო ინსტანციის სასამართლოში, ვერ მიიღებს მონაწილეობას ამ საქმის განხილვაში სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში ან/და პირველი ინსტანციის სასამართლოში.

მუხლი 30. სასამართლოს შემადგენლობაში ახლო ნათესავების დაშვების აკრძალვა

სამოქალაქო საქმის განმხილველი სასამართლოს შემადგენლობაში არ შეიძლება შედიოდნენ პირები, რომლებიც ერთმანეთის ახლო ნათესავები არიან, ხოლო თუ მათ შორის ასეთი ნათესავები მაინც აღმოჩნდნენ, ისინი უნდა ჩამოაცილონ საქმის განხილვას.

მუხლი 31. მოსამართლის აცილების სხვა საფუძვლები

1. მოსამართლემ არ შეიძლება განიხილოს საქმე ან მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში, თუ ის:

ა) ამ საქმეში თვითონ წარმოადგენს მხარეს, ან მას ამა თუ იმ მხარესთან საერთო უფლებები ან ვალდებულებები აკავშირებს;

ბ) ამ საქმის ადრინდელ განხილვაში მონაწილეობდა მონმედ, ექსპერტად, სპეციალისტად, თარჯიმნად, წარმომადგენლად ან სასამართლო სხდომის მდივნად;

გ) მხარის ან მისი წარმომადგენლის ნათესავია;

დ) პირადად, პირდაპირ ან არაპირდაპირ დაინტერესებულია საქმის შედეგით, ან თუ არის სხვა ისეთი გარემოება, რომელიც ეჭვს იწვევს მის მიუკერძოებლობაში;

ე) იყო მედიატორი იმავე საქმეზე ან ამ საქმესთან არსებითად დაკავშირებულ სხვა საქმეზე.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, ნათესავებად ითვლებიან:

ა) მეუღლე;

ბ) დანიშნული;

გ) პირდაპირი ხაზის ნათესავები;

დ) და-ძმა;

ე) დისშვილები და ძმისშვილები;

ვ) მშობლების და-ძმები;

ზ) დანათესავებულები (მოყვრები);

თ) პირები, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ოჯახური ურთიერთობით არიან დაკავშირებულნი.

მუხლი 32. თვითაცილება

აცილების საფუძვლების არსებობისას მოსამართლე ვალდებულია განაცხადოს თვითაცილება. თვითაცილების შესახებ მოსამართლეს (სასამართლოს) გამოაქვს განჩინება, რომელშიც უნდა მიეთითოს თვითაცილების საფუძველი.

მუხლი 33. მხარეთა განცხადება აცილების შესახებ

მხარეებს შეუძლიათ წერილობით განაცხადონ აცილება. განცხადება აცილების შესახებ მოტივირებულ უნდა იქნეს და გაკეთდეს საქმის წინასწარი სასამართლო განხილვისათვის მომზადების დროს. აცილების თაობაზე შემდგომი განცხადება დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აცილების საფუძველი იმ პირისათვის, რომელიც აცილებას მოითხოვს, ცნობილი გახდა ან წარმოიშვა მთავარი სხდომის დაწყების შემდეგ. ასეთ შემთხვევაში განცხადება აცილების შესახებ დასაშვებია მხარეთა პაექრობამდე.

მუხლი 34. განცხადებული აცილების გადაწყვეტის წესი

1. აცილების განცხადების შემდეგ სასამართლომ (მოსამართლემ) შეიძლება მოუსმინოს მხარეებს, აგრეთვე იმ პირს, რომლის მიმართაც განაცხადეს აცილება.

2. აცილების საკითხს სასამართლო წევრებს ადგილზე მოთათბირებით ან სათათბირო ოთახში.

3. თუ აცილება განუცხადეს მოსამართლეს, რომელიც ერთპიროვნულად განიხილავს საქმეს, აცილების საკითხს წევრებს თვით ეს მოსამართლე. აცილების მიღების ან თვითაცილების შემთხვევაში მოსამართლე საქმეს გადასცემს სასამართლოს თავმჯდომარეს, რომელიც მას განსახილველად გადასცემს სხვა მოსამართლეს. თუ რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში არ არის სამოქალაქო საქმის განმხილველი სხვა მოსამართლე, მაშინ სასამართლოს თავმჯდომარე საქმეს უგზავნის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარეს სხვა რაიონული (საქალაქო) სასამართლოსათვის გადასაცემად.

4. თუ აცილება განუცხადეს კოლეგიური შემადგენლობის ერთ-ერთ მოსამართლეს, ამ მოსამართლის აცილების საკითხს გადაწყვეტენ სხვა დარჩენილი მოსამართლეები ასაცილებელი მოსამართლის დაუსწრებლად. მოსამართლის აცილების წინააღმდეგ ან ასეთი აცილების მხარდასაჭერად ხმების თანაბარი რაოდენობის დროს მოსამართლე აცილებულად ითვლება. ასეთ შემთხვევაში იგი უნდა შეიცვალოს სხვა მოსამართლით.

5. თუ აცილება განუცხადეს კოლეგიური სასამართლოს მთელ შემადგენლობას ან მის უმრავლესობას, აცილების საკითხს წევრებს ამავე სასამართლოს სრული შემადგენლობა ხმების უმრავლესობით. კოლეგიური სასამართლოს მთელი შემადგენლობის ან მისი უმრავლესობის აცილების შემთხვევაში საქმე გადაეცემა ამავე სასამართლოს თავმჯდომარეს, რომელიც საქმეს განსახილველად გადასცემს კოლეგიური სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს პალატის ან სააპელაციო სასამართლოს პალატის მთელი შემადგენლობის აცილების შემთხვევაში საქმე გადაეცემა შესაბამისი სასამართლოს თავმჯდომარეს, რომელიც მას კანონით დადგენილი წესით განსახილველად გადასცემს სხვა შემადგენლობას. თუ სააპელაციო სასამართლოში აცილების მიღებისას ან ამ კოდექსის 29-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში შეუძლებელია მოსამართლეთა ახალი შემადგენლობის შექმნა, საქმე ეგზავნება საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს სხვა სააპელაციო სასამართლოსათვის გადასაცემად.

უღრის ჰაბენლონი

29-ე და მოდევნო მუხლები

სსკ-დან მოყვანილი ნორმები:

- 29-ე მუხლი
- 30-ე მუხლი
- 31-ე მუხლი
- 32-ე მუხლი
- 33-ე მუხლი
- 34-ე მუხლი

მოსამართლის ჩამოცილება და აცილება

1. მოსამართლის ჩამოცილებისა და აცილების წესები გერმანულ და ქართულ სამართალში, ძირითადად, ერთმანეთს ემთხვევა. თუმცა, გერმანული სამართალი, განსხვავებით ქართულისგან, უფრო მკაცრად მიჯნავს, ერთი მხრივ, მოსამართლის საქმის განხილვისგან კანონისმიერ ჩამოცილებას და, მეორე მხრივ, აცილებას ან, შესაბამისად, მიკერძოებულობის შიშის გამო თვითაცილებას. გერმანიაში აცილებულ მოსამართლეს ასევე არ აქვს უფლება, თვითონ მიიღოს გადანყვეტილება აცილების შუამდგომლობის ან თვითაცილების თაობაზე.

2. მოსამართლის ჩამოცილება საქმის განხილვისგან მოწესრიგებულია § 41 GER-ZPO-ში. ჩამოცილების საფუძვლები ძირითადად შეესაბამება ქართული სსკ-ის 31-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“-„გ“ ქვეპუნქტებით მოწესრიგებულ საფუძვლებს. თუმცა - საქართველოსგან განსხვავებით - ნათესაური ურთიერთობა მხარის წარმომადგენელთან არ იწვევს გერმანიაში მოსამართლის ჩამოცილებას საქმის განხილვისგან, მაგრამ შესაძლოა იყოს მიკერძოებულობის საფუძველი (იხ. ქვემოთ ა.ნ. (აბზაცი ნომერი) 24). გერმანიაში ასევე არ არსებობს სსკ-ის 31-ე მუხლის მე-2 ნაწილის „თ“ ქვეპუნქტის მსგავსი დანაწესი.

3. აცილების საფუძვლები გერმანულ სამოქალაქო საპროცესო სამართალში მოწესრიგებულია შემდეგნაირად:

§ 42 GER-ZPO - მოსამართლის აცილება

1. მოსამართლის აცილება შეიძლება როგორც იმ შემთხვევებში, როდესაც ის კანონისმიერი რეგულაციის საფუძველზე უნდა ჩამოცილდეს საქმის განხილვას, ისე მიკერძოებულობასთან დაკავშირებული ეჭვის გამო.

2. აცილება მიკერძოებულობასთან დაკავშირებული ეჭვის გამო ხორციელდება მაშინ, როდესაც არსებული საფუძველი გამოდგება მოსამართლის მიუკერძოებლობის მიმართ უნდობლობის გასამართლებლად.

3. აცილების უფლება, ყველა შემთხვევაში, წარმოეშობა ორივე მხარეს.

ამრიგად, კანონისმიერი ჩამოცილების საფუძვლები, ამავედროულად, აცილების საფუძვლებიც არის. ამას პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსამართლე ვერ შეამჩნევს მის პიროვნებასთან დაკავშირებით არსებულ ჩამოცილების საფუძველს.

ა) § 42 Abs. 3 GER-ZPO-ის ტექსტის მიხედვით, აცილების უფლება აქვთ მხოლოდ მხარეებს. ამასთან, არაარსებითია, საიდან გამომდინარეობს აცილების საფუძველი - ამცილებელი მხარის მიმართ არსებული განსაკუთრებული ურთიერთობიდან, თუ სანინაალმდეგო მხარის მიმართ არსებული განსაკუთრებული ურთიერთობიდან. თუ მოსამართლე შეუსაბამოდ იქცევა მოსარჩელის მიმართ, ამ შემთხვევაში მოპასუხესაც აქვს აცილების შუამდგომლობის დაყენების უფლება. ქალაქ კარლსრუეს უმაღლესი სამხარეო სასამართლო (Beschluss vom 20.09.2004 - 16 WF 99/04 - FamRZ 2005, 1490) განმარტავს:

„მოსამართლის აცილების ინსტიტუტით უზრუნველყოფილია ორივე მხარის ძირითადი უფლების ანალოგიური უფლება კანონისმიერი მოსამართლის მოთხოვნაზე, რათა მხარეები არ აღმოჩნდნენ იმ მოსამართლის ხელში, რომელსაც არ აქვს შესაბამისი ნეიტრალურობა. ცალკეულ შემთხვევაში, შესაძლებელია იმ მოსამართლის აცილება, რომელსაც არ შეუძლია შესთავაზოს მხარეებს მისთვის განსაზღვრული მიუკერძოებლობა. მოსამართლის მიკერძოებულობა ყოველთვის ეხება ორივე მხარეს. შესაბამისი ობიექტური დაკვირვებისას, მხარე, რომელმაც მიიღო სარგებელი მოსამართლის მიკერძოებულობისგან, ასევე დაინტერესებულია ამ მოსამართლის ჩამოცილებით საქმის განხილვისგან. ამ საფუძველიდან გამომდინარე, კანონი § 42 Abs. 3 ZPO-ში ორივე მხარეს ანიჭებს აცილების უფლებას: ერთ მხარეს იმიტომ, რომ თავიდან აიცილოს მონინაალმდეგე მხარის უპირატეს მდგომარეობაში ჩაყენება; და მეორე მხარეს იმიტომ, რომ შეეძლოს თავის დაცვა უპირატეს მდგომარეობაში (...) ჩაყენების უარყოფითი მხარისგან; ამას გარდა, ორივე მხარეს უნდა ჰქონ-

ნდეს ინტერესი, რომ თავიდან აიცილოს შემთხვევა, რომლის დროსაც მონინაალმდევე მხარეს თავდაპირველად შეიძლება გამოჩნდეს აცილების საფუძველი და მოგვიანებით გაასაჩივროს შესაბამისი ინსტანციის საბოლოო გადაწყვეტილება, როგორც პროცესუალური შეცდომა.“

ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო (Beschluss vom 20.07.2007 - 1 BvR 3084/06 - NJW-RR 2008, 72) და უმაღლესი ფედერალური სასამართლო (Beschluss vom 21.06.2018 - I ZB 58/17 - ZInsO 2018, 2554) ხაზს უსვამენ, რომ მოსამართლის ჩამოცილებისა და აცილების წესები ემსახურება გერმანიის ფედერალური კონსტიტუციის Art. 101 Abs. 1 Satz 2 GER-GG-ით (კანონისმიერი მოსამართლის მოთხოვნა) გარანტირებულ მიზანს - ცალკეულ შემთხვევებში უზრუნველყოფილი იყოს გადაწყვეტილების მიმღები მოსამართლის ნეიტრალურობა და დისტანციურობა.

ამ ნორმის მიზნის გათვალისწინებით, §§ 64, 66 GER-ZPO-ის მიხედვით (შდრ. სსკ-ის 88-ე და მომდევნო მუხლები), მხარესთან გათანაბრებულნი არიან დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის მქონე მესამე პირებიც. თუ, გამონაკლის შემთხვევაში, შუალედური საქმისწარმოებაში მონაწილეობენ მესამე პირები - მაგალითად, მოწმე შუალედურ დავაში, რომელიც ეხება ჩვენების მიცემაზე უარის თქმის უფლებას, § 387 GER-ZPO (სსკ-ის 144-ე მუხლის მე-2 წინადადება), ან ექსპერტი აცილების საქმისწარმოებისას § 406 GER-ZPO-ის მიხედვით (სსკ-ის 36-ე მუხლი) - მათაც აქვთ აცილების შუამდგომლობის დაყენების უფლება (OLG Frankfurt, Beschluss vom 28.07.1997 - 17 W 32/96 - OLGR 1997, 305). საქმის განხილვაში არაფორმალურად მონაწილე მესამე პირებს არასდროს აქვთ მოსამართლის აცილების უფლება. ეს მოქმედებს იმ შემთხვევაშიც, თუ მათ აქვთ არსებითი ეკონომიკური ან იდეური ინტერესი საქმესთან დაკავშირებით (შდრ. BVerfG Beschluss vom 19.04.2010 - 1 BvR 626/10 - NJW-RR 2010, 1150, საერთო ინტერესების გარშემო დაზარალებულთა გაერთიანებისთვის). აგრეთვე, რწმუნებულსაც არ აქვს საკუთარი უფლებიდან გამომდინარე აცილების უფლებამოსილება (OLG Rostock, Beschluss vom 31.03.2008 - 1 W 14/08 - OLGR 2009, 350; OLG Karlsruhe, Beschluss vom 27.05.1986 - 12 W 21/86 - NJW-RR 1987, 126); თუმცა მისთვის მინიჭებულ მინდობილობაში შედის კლიენტის სახელით მოსამართლის აცილების უფლებამოსილებაც. ამ მიდგომის შესატყვისია ის, რომ საჩივრის შეტანა შეუძლია მხოლოდ იმ მხარეს, რომელსაც უშუალოდ დააწვება ტვირთად სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილე-

ბა (იხ. 364-ე და მომდევნო მუხლების კომენტარი, ა.ნ. 32 და მომდევნო აბზაცები).

ბ) აცილების შუამდგომლობა მიმართული უნდა იყოს **განსაზღვრულ მოსამართლეზე/მოსამართლეებზე**; მთლიანად სასამართლოს ან მოსამართლეთა ფუნქციურად აღწერილი ჯგუფის (მაგ.: X სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა განმხილველი ყველა მოსამართლის) აცილება დაუშვებელია მაშინ, როდესაც მოსამართლეთა მიკერძოებულობას საფუძვლად დაედება მოსამართლეთა მიკუთვნება განსაზღვრულ სასამართლოსთან (BVerwG, Beschluss vom 29.01. 2014 - 7 C /13 - NJW 2014, 953; BGH, Beschluss vom 04.02.2002 - II ARZ 1/01 - NJW-RR 2002, 789; OLG Oldenburg, Beschluss vom 25.01.2016 - 15 EK 2/16 a - juris). თუ (გამონაკლისის სახით) ხდება ერთი სასამართლოს ყველა მოსამართლის, ან ერთი ფუნქციური ერთეულის ყველა მოსამართლის აცილება იმ საფუძვლებზე დაყრდნობით, რომლებიც, საბოლოო ჯამში, ყველა მოსამართლეს ეხება, დასაშვებია აცილების შუამდგომლობა (ფედერალური ადმინისტრაციული სასამართლო გადანყვეტილება BVerwG, Beschluss vom 29.01.2014 - 7 C /13 - NJW 2014, 953 აცილებაზე, გამომდინარე იქიდან, რომ ყველა მოსამართლე ერთი კონკრეტული კავშირის ნევრია და ამ კავშირის ნევრობა, კონკრეტული საქმის სპეციფიკის გათვალისწინებით, ასაბუთებს მიკერძოებულობის ეჭვს).

თუმცა, აცილების შუამდგომლობები (როგორც სხვა საპროცესო მოქმედებები) უნდა განიმარტოს ფართოდ, საერთო განსაზღვრების შესაბამისად დადგენილი სამართლებრივი დაცვის ინტერესის მიხედვით (იხ. მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის კომენტარი, ა.ნ. 52-ე და მომდევნო აბზაცები). ამიტომაც, განცხადების ტექსტის მიხედვით, სასამართლოს აცილების შუამდგომლობისას უნდა შემოწმდეს, ხომ არ გამომდინარეობს მისგან განსაზღვრული (მაგ.: საქმის განმხილველი) მოსამართლის აცილება (BVerfG NJW 2007, 3771; BGH NJW-RR 2012, 61).

გ) § 45 Abs. 1 GER-ZPO-ის მიხედვით, აცილების შუამდგომლობაზე გადანყვეტილების მიღების უფლებამოსილება აქვს სასამართლოს, რომელსაც განეკუთვნება აცილებული მოსამართლე, თუმცა მისი მონაწილეობის გარეშე. § 45 Abs. 3 GER-ZPO-ში დამატებით გათვალისწინებულია, რომ საქმეზე გადანყვეტილებას იღებს რიგით შემდგომი ინსტანცია, როცა სასამართლო, აცილებული მოსამართლის ჩამოშორების შედეგად, აღარ არის გადანყვეტილებისუნარიანი. ამ დებულებების შედეგად, უზრუნველყოფილია აცილების შუამდგომლობის განმხილველი მოსამართლისთვის საჭირო პროფესიული დისტანცია და ის, რომ აცილებული მოსამართლე არ იქცეს საკუთარი საქმის განმხილველ მოსამართლედ

(BGH, Beschluss vom 02.05.2018 - AnwZ(Brfg) 10/18 - juris; BVerwG, Beschluss vom 29.01. 2014 - 7 C /13 - NJW 2014, 953). სასამართლო პრაქტიკა, ძალზე მჭიდრო წინაპირობების შემთხვევაში, აშკარად დაუშვებელი ან აშკარად კანონის ბოროტად გამოყენებით დაყენებული აცილების (უპირველეს ყოვლისა, იმავე საფუძვლით განმეორებითი აცილების) შუამდგომლობებისას, უშვებს აცილებული მოსამართლის უფლებას, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება აცილების შუამდგომლობაზე (BVerfG, Beschluss vom 20.07.2007 - 1 BvR 3084/06 - NJW-RR 2008, 72; BVerfG, Beschluss vom 20.07.2007 - 1 BvR 2228/06 - BVerfG NJW 2007, 3771; BGH, Beschluss vom 13.06.2018 - IV ZA 5/18 – juris; BGH, Beschluss vom 02.05.2018 - AnwZ(Brfg) 10/18 – juris; BGH, Beschluss vom 06. Juni 2016 - V ZA 35/15 - juris). თუმცა ამის წინაპირობაა, აშკარად იკვეთებოდეს, რომ აცილების შუამდგომლობის დაყენება ხდება საქმისწარმოების გაჭიანურებისთვის, ან მხარეს სურს, მიაღწიოს მიზნებს, რომლებიც არ უკავშირდება საქმისწარმოებას (BVerfG, Beschluss vom 20.07.2007 - 1 BvR 3084/06 - NJW-RR 2008, 72; BGH, Beschluss vom 13.06.2018 - IV ZA 5/18 - juris). თუმცა, ძალიან მაღალია წინაპირობები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს უფლების ბოროტად გამოყენების ვარაუდი (მდრ. აგრეთვე BGH, Beschluss vom 02.05.2018 - AnwZ(Brfg) 10/18 - juris). უმაღლესი ფედერალური სასამართლო ხაზს უსვამს (Beschluss vom 20.07.2007 - 1 BvR 3084/06 - NJW-RR 2008, 72), რომ სასამართლო განსაკუთრებულად ვალდებულია, სრულყოფილად გაითავისოს აცილების შუამდგომლობის შინაარსი და, საქმის შემთხვევაში, ფართოდ განმარტოს ის. სხვაგვარად, მოსამართლე შეიძლება მარტივად გახდეს ბრალდების ადრესატი, რომ ის დასაშვებობის შემონმების მანტიის ქვეშ ამონმებს დასაბუთებულობას და ამით არამართებულად ხდება საკუთარი საქმის მოსამართლე. თუ სასამართლო ამ შემონმებისას გასცდება მისთვის გავლებულ საზღვრებს, შეიძლება წარმოიშვას მიკერძოებულობის ვარაუდის საფუძველი (BVerfG, Beschluss vom 20.07.2007 - 1 BvR 3084/06 - NJW-RR 2008, 72). ხშირად, შეიძლება მხოლოდ ვივარაუდოთ უფლების ბოროტად გამოყენება, როდესაც მხარე რამდენჯერმე დააყენებს აცილების შუამდგომლობას და მას ძირითადად აყრდნობს იმ საფუძვლებზე, რომლებიც სასამართლომ არაარსებითად მიიჩნია წინა გადაწყვეტილებებში.

აცილებულმა მოსამართლემ, § 44 Abs. 3 GER-ZPO-ის მიხედვით, სამსახურებრივი განმარტება უნდა გააკეთოს აცილების საფუძველთან დაკავშირებით. § 44 Abs. 2 GER-ZPO-ის შესაბამისად, ეს სამსახურებრივი განმარტება უნდა ეხებოდეს ფაქტებს, რომლებიც განმცხადებელმა წა-

რმოადგინა აცილების შუამდგომლობის დასასაბუთებლად (BGH, Beschluss vom 28.03.2017 - RiZ (R) 1/15 - NJW-RR 2017, 1021; BGH, Beschluss vom 21.02.2011 - II ZB 2/10 - NJW 2011, 1358). მაშასადამე, აცილებულ მოსამართლეს არ ევალება განმარტების გაკეთება იმაზე, მი-აჩნია თუ არა თავი მიკერძოებულად. სამსახურებრივ განმარტებაში მოსამართლემ უნდა დაიცვას პროფესიული დისტანცია. თუ დაარღვევს მას და არაობიექტურად დაესხმება თავს ამცილებელს, შესაძლოა წარმოიშვას აცილების ახალი საფუძველი. სამსახურებრივი განმარტების გაკეთება ზედმეტია, როცა აცილების შუამდგომლობას საფუძვლად უდევს მხოლოდ ის, რომ მოსამართლე შინაარსობრივად უკვე შეეხო ამ საქმეს (მაგ.: მითითების თაობაზე განჩინებებში ან შუალედურ გადაწყვეტილებებში) (BGH, Beschluss vom 20.11.2017 - IX ZR 80/15 - ZInsO 2018, 547).

ვინაიდან განსჯადობისა და საქმისწარმოების გერმანული რეგულაციები განსხვავდება ქართული სსკ-ის 34-ე მუხლის წესებისგან, თავს შევიკავებ მათი დეტალური ანალიზისგან.

დ) § 42 Abs. 2 GER-ZPO-ის მიხედვით, სახეზეა **მიკერძოებულობის ეჭვი**, რამდენადაც მოცემული საფუძველი გამოდგება მოსამართლის მიუკერძოებლობისადმი არსებული უნდობლობის გასამართლებლად.

ამასთან, მნიშვნელოვანია ის, რომ აუცილებელი არ არის ობიექტურად მოცემული მიუკერძოებლობის არსებობა, საკმარისია, არსებობდეს შესაბამისი ეჭვი; აგრეთვე, წარმოდგენილი საფუძველები გამოსადეგი იყოს მიკერძოებულობის ეჭვის დასასაბუთებლად; მაშასადამე, აუცილებელი არ არის მსგავსი დასკვნის პოზიტიურად მიღება. ამ სამართლებრივ სიტუაციას შესაძლებელია შეესაბამებოდეს სსკ-ის 31-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი, რამდენადაც მასში კანონმდებელი ითხოვს, რომ წარმოდგენილი აცილების საფუძველით კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს მოსამართლის მიუკერძოებლობა. ამის ფონზე, ძირითადად, შესაძლებელი უნდა იყოს გერმანულ სასამართლო პრაქტიკაში განვითარებული პრინციპების ქართულ სამოქალაქო საპროცესო სამართალში გამოყენება.

გერმანული სასამართლო პრაქტიკის ზოგადი სახელმძღვანელო პრინციპის მიხედვით, როდესაც **ამცილებელი მხარის გადმოსახედიდან ყველა გარემოების გონივრული შეფასებისას** არსებობს ეჭვი მოსამართლის მიუკერძოებლობისა და ობიექტურობისადმი, სახეზეა მიკერძოებულობის ეჭვის საფუძველი (BGH, Beschluss vom 07.11.2018 - IX ZA 16/17 - WM 2018, 2289; BGH, Beschluss vom 21.06.2018 - I ZB 58/17 - ZInsO 2018, 2554; BGH, Beschluss vom 17.01.2018 - RiZ 2/16 - juris; BGH, Beschluss vom 28.03.2017 - RiZ (R) 1/15 - NJW-RR 2017, 1021). აქედან

გამომდინარე, მოსამართლემ უარი უნდა თქვას ყველა იმ ქმედებაზე, რომლებმაც შეიძლება წარმოშვას თუნდაც გარეგნული, მოჩვენებითი მიკერძოებულობა (BVerfG, Beschluss vom 18.06.2003 - 2 BvR 383/03 - BVerfGE 108, 122; BGH, Beschluss vom 15.03.2012 - V ZB 102/11 - NJW 2012, 1890).

გერმანული სასამართლო პრაქტიკის მაგალითზე, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა გავაანალიზოთ კითხვა, ქმნის თუ არა მოსამართლე მიკერძოებულობის საფუძველს, როდესაც მხარეს უბიძგებს, მიუთითოს ხანდაზმულობაზე. ამასთან დაკავშირებით, დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ გერმანული სამართალი - ქართულის მსგავსად - ხანდაზმულობას ითვალისწინებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მხარე წარმოადგენს შესაგებელს ამ საკითხზე (§ 214 Abs. 1 GER-BGB; სკ-ის 144-ე მუხლის პირველი ნაწილის). ამასთან დაკავშირებით, უმაღლესი ფედერალური სასამართლო აცხადებს (Beschluss vom 02.10.2003 - V ZB 22/03 - BGHZ 156, 269):

„...განმსაზღვრელია, ამცილებელი მხარის გადმოსახედიდან ყველა გარემოების გონივრული შეფასების შემთხვევაში, არსებობს თუ არა ეჭვის საფუძველი მოსამართლის მიუკერძოებლობისა და ობიექტურობის მიმართ (...BGHZ 77, 70; BGH NJW 1995, 1677, 1679...). მოსამართლის მიუკერძოებლობის კრიტერიუმია მხარეთა თანასწორი მოპყრობა. მოსამართლე ქმნის აცილების საფუძველს, როდესაც, საპროცესო-სამართლებრივი საფუძველის გარეშე, უარს განაცხადებს მხარეთა მიმართ თანაბარი დისტანციის შენარჩუნებაზე და იქცევა ერთ-ერთი მხარის მრჩეველად. პროცესის მატერიალური მართვისას, რაშიც შედის § 139 ZPO-ში გათვალისწინებული მსჯელობები, კითხვები და მითითებები (შდრ. აგრეთვე §§ 136 Abs. 3, 141, 279 Abs. 3 ZPO), მოსამართლემ პატივი უნდა სცეს მხარეთა დისპოზიციურობის უფლებას სადავო ურთიერთობასთან დაკავშირებით და ავტონომიურ უფლებამოსილებას, თვითონ წარმოადგინონ საქმის მასალები. აქედან გამომდინარე, მოსამართლეს ეკრძალება, ხელი შეუწყოს საქმეში დამოუკიდებელი კანონისმიერი ნორმის დამოუკიდებლად შემავსებელი უფლების განმახორციელებელი ან შემწყვეტი შესაგებლების წარმოდგენას (შდრ. § 146 ZPO).

სამოქალაქო კოდექსის კონცეფციის შესაბამისად, ხანდაზმულობა არ ეფუძნება მოთხოვნის უფლების წარმომშობ ნორმის დისპოზიციას და ამით კრედიტორის უფლების არსებობას. ხანდაზმულობის დადგომით, მოვალეს წარმოეშობა საპირისპირო უფლება, კერძოდ, მას შეუძლია, უარი თქვას შესრულებაზე (§ 214 Abs. 1 BGB). საპირისპირო მოთხოვნის

განხორციელება, ხანდაზმულობის შესაგებლის წარდგენა, არის სანივთო სამართლის გარიგების მსგავსი ქმედება (...). მისი განხორციელების წინაპირობაა მოვალის ნების გაფლერება, საბოლოოდ უარი თქვას შესრულებაზე და ეს - ყოველ შემთხვევაში, აზრობრივად - დაასაბუთოს ხანდაზმულობის ვადის გასვლით. ვიდრე ეს მოხდება, არაფერი უდგას წინ კრედიტორის მოთხოვნას შესრულების თაობაზე. ... აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლო ცდება, როდესაც ფიქრობს, რომ პირველი ინსტანციის მოსამართლე მითითებისას შემოიფარგლა მატერიალურ-სამართლებრივი მდგომარეობის გადმოცემით. არადა, ეს პირიქით იყო. პირველი ინსტანციის სასამართლოს პროცესის ხელმძღვანელობითა განკარგულებამ მოპასუხეს თვალი აუხილა იმაზე, რომ შეეძლო, გარიგების მსგავსი ქმედებით, მოსარჩელის საზიანოდ და მისთვის სასიკეთოდ შეეცვალა არსებული, სასამართლოსთვის სავალდებულო სამართლებრივი მდგომარეობა. მსგავსი მითითება მოქმედებს, როგორც მონოდება ხანდაზმულობის შესაგებლის წარმოდგენაზე.

... § 139 Abs. 1 ZPO, საერთო ჯამში, ხაზს უსვამს იმას, რომ სასამართლომ მხარეებთან ღია საუბრის ფარგლებში უნდა განიხილოს გადაწყვეტილების მიღებისთვის არსებითი სამართლებრივი და ფაქტობრივი ასპექტები და ხელი შეუწყოს პროცესის წარმართვას ყოველმხრივ საქმისთვის გამოსადეგად. თუმცა, კანონის ეს დანაწესი რჩება შემდეგი პრინციპის ერთგული: სასამართლოს მოვალეობაში არ შედის ის, რომ კითხვებითა და მითითებებით საქმეში შემოიტანოს მოთხოვნის უფლების ახალი სამართლებრივი საფუძვლები, შესაგებლები, ან შუამდგომლობები, რომლებსაც მხარეების მიერ წარმოდგენილი სადავო ახსნა-განმარტებებისას, სულ მცირე, მინიმუმბა მაინც არ დასდებია საფუძვლად.“

ზემოთ წარმოდგენილ სასამართლო გადაწყვეტილებაში ნახსენები დაძაბულობა, ერთი მხრივ, მოსამართლის მითითების საპროცესო-სამართლებრივ მოთხოვნასა და, მეორე მხრივ, მოსამართლის ნეიტრალიტეტს შორის, მრავალი სასამართლო გადაწყვეტილების განსჯის საგანია. ამ გადაწყვეტილებებში ხაზგასმულია, რომ მოსამართლეს აქვს სამოსამართლო მითითებების გაკეთების ვალდებულება. აქედან გამომდინარე, ის არ წარმოქმნის მიკერძოებულობის ეჭვს, რადგან მისი მითითებები, ერთი მხრივ, მოქცეულია მოსამართლის განმარტების ვალდებულების ფარგლებში და, მეორე მხრივ, საქმეს უკავშირდება; ამასთანავე, განხორციელებულია საკმარისად კორექტულად და სათანადო დისტანციის დაცვით (OLG Hamm, Beschluss vom 29.03.2018 - 1 W 12/18 - juris; OLG Saarbrücken, Beschluss vom 14.02.2008 - 5 W 22/08 - ZMGR 2008, 169; Thüringer Oberlandesgericht, Beschluss vom 20.02.2017 - 6 W 52/17 - juris;

Brandenburgisches Oberlandesgericht, Beschluss vom 30.01.2013 - 1 W 31/12 - juris).

მოსამართლის აცილება, ნორმის მიზნის მიხედვით, არ არის სამართლებრივი მოსაზრებების შემონმების ინსტიტუტი. აქედან გამომდინარე, აზრის დროებით გამოხატვა, რომელიც არ გახლავთ მოსამართლის საბოლოო მოსაზრება, არ წარმოშობს აცილების საფუძველს (OLG Hamm, Beschluss vom 29.03.2018 - 1 W 12/18 - juris; OLG Karlsruhe, Beschluss vom 09.09.2013 - 17 W 16/13 - NJW-RR 2013, 1535; OLG Hamm, Beschluss vom 29.06.2010 - 1 W 51/10 - MDR 2010, 1282). ანალოგიური მოქმედებს მოსამართლის იმ მსჯელობის მიმართაც, რომელიც განმარტავს საქმესთან დაკავშირებულ სიტუაციას ან სთავაზობს მორიგებას და ეს არ არის ხელსაყრელი ერთ-ერთი მხარისთვის (BGH, Beschluss vom 12.10.2011 - V ZR 8/10 - NJW-RR 2012, 61). ასევე არ გახლავთ აუცილებელი, საკუთარი აზრის გამოხატვისას, მოსამართლემ ყოველ ჯერზე გაუსვას ხაზი, რომ ეს მისი დროებითი მოსაზრებაა (OLG München, Beschluss vom 19.05.2003 - 13 U 2149/03 - MDR 2004, 52). მსგავსად შეუსაბამო მატერიალურ-სამართლებრივი მოსაზრებისა, საპროცესო კანონმდებლობის დარღვევა პროცესის ხელმძღვანელობისას, ან სხვა პროცესუალური შეცდომა, ასევე უპირობოდ არ ამართლებს ვარაუდს, რომ მოსამართლე საქმეს აღარ წარმართავს საჭირო მიუკერძოებლობით (BGH, Beschluss vom 12.10.2011 - V ZR 8/10 - juris). თვით სამოსამართლო უფლებამოსილების გადამეტებაც (§ 139 GER-ZPO), ცალკე აღებული, არ ადასტურებს მოსამართლის მიკერძოებულობის ვარაუდს. ამისთვის საჭიროა დამატებითი საფუძვლები, რომლებიც მეტყველებს იმაზე, რომ მოსამართლის ქმედების ხარვეზიანობა ეფუძნება მოსამართლის მიკერძოებულობას (Thüringer Oberlandesgericht, Beschluss vom 20. Februar 2017 - 6 W 52/17 - juris). ასეთ ვარაუდს არ წარმოშობს მატერიალური სამართლის სავარაუდო ან ფაქტობრივი არასწორი გამოყენებაც (მაგ.: მითითებებთან დაკავშირებულ განჩინებებსა ან შუალედურ გადაწყვეტილებებში). განსხვავებულად არის საქმე კანონის აშკარად არასწორად გამოყენების (BGH, Beschluss vom 10.04.2018 - VIII ZR 127/17 - juris) ან ძირითადი უფლებებით დაცული პოზიციებისადმი აგდებული მოპყრობის დროს (OLG Hamm, Beschluss vom 13.11.2018 - 4 WF 251/18 - juris).

ამ შემთხვევაში თავს შევიკავებ ზემოხსენებულ თემასთან დაკავშირებული სასამართლო პრაქტიკის უფრო დაწვრილებით წარმოდგენისგან - არა მხოლოდ იმიტომ, რომ ძალზე მრავალფეროვანია ფაქტობრივი კო-

ნსტელაციები და, აქედან გამომდინარე, არსებობს ზღვა სასამართლო პრაქტიკა ამ საკითხზე, არამედ, უპირველეს ყოვლისა, იმ მიზეზით, რომ მიკერძოებულობის მომწესრიგებელი ნორმები მეტწილად დამოკიდებულია კონკრეტული ქვეყნების სამართლებრივ აზროვნებასა და შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობების სამართლებრივ ტრადიციებზე. აქედან გამომდინარე, ბევრ ვერაფერს მისცემს საქართველოს გერმანული სასამართლო პრაქტიკის დეტალურად წარმოდგენა. თუმცა, მიუხედავად ამისა, მოკლედ მაინც შევეხები ამ საკითხს და წარმოგიდგინთ სისტემური თვალსაზრისით შედგენილი კონსტელაციების არსებით ჯგუფებს:

- **ობიექტურობის მოთხოვნის დარღვევა.**

კონსტელაციათა ეს ჯგუფი პრაქტიკაში ყველაზე ხშირი და მგრძობიარეა. გადანყვეტილებები ამ სფეროში მეტწილად დამოკიდებულია კონკრეტულ შემთხვევასა და ეროვნულ სამართლებრივ აზროვნებაზე. გერმანული სასამართლო პრაქტიკისთვის დამახასიათებელია გარკვეული თავშეკავებულობა; ის მოსამართლეს მარტივად პატიობს მსუბუქ „მოუხერხებლობას“ ან „უხეშობას“, ყოველ შემთხვევაში, როცა ეს ხდება საქმის განხილვის რთულ და დაძაბულ ვითარებაში, ერთჯერადად, და მოსამართლე საერთო შეფასებისას არ არის ცალმხრივი (შეჯამებული სახით იხ.: OLG Stuttgart, Beschluss vom 29.03.2012 - 14 W 2/12 - NJW-RR 2012, 960). თუმცა, როგორც წესი, მიკერძოებულობის ზღვარი დარღვეულია, როდესაც მოსამართლის შეფასებებს არ აქვს კავშირი საქმესთან (შდრ. OLG Frankfurt, Beschluss vom 04.04.2018 - 13 W 8/18 - juris, აცილებულმა მოსამართლემ სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის უკან დაბრუნების შემდეგ განაცხადა, რომ სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილება „სისულელე“).

- მოსამართლის არაპირდაპირი მონაწილეობა სამართლებრივ დავში და/ან არაპირდაპირი ეკონომიკური ან იდეური ინტერესი პროცესის შედეგთან მიმართებით.

უმალლესი ფედერალური სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, მიკერძოებულობის ვარაუდისთვის უპირობოდ საკმარისი არ არის მოსამართლის ნებისმიერი მცირედი ინტერესის არსებობა საქმის მიმართ (BGH, Beschluss vom 17.12.2003 - X ZA 6/03 - juris und BGH, Beschluss vom 29.01.2003 - IX ZR 137/00 - WM 2003, 847 für Mitgliedschaft in Großverein; BayObLG, Beschluss vom 23.01.2002 - 3Z BR 362/01 - ZIP 2002, 1038 მცირე აქციონერისთვის, სააქციო საზოგადოების საქმისწარმოებისას). თუმცა, ამ სფეროშიც დასკვნების გაკეთება მეტწილად დამოკიდებულია ინდივიდუალურ შემთხვევაზე, როგორცაა: იურიდიული

პირის მასშტაბურობა და სტრუქტურა (მაგ.: ერთი მხრივ, გერმანიის ავტომობილთა კლუბის წევრობა, რომელსაც ჰყავს 19 მილიონი წევრი, ხოლო, მეორე მხრივ, 10-კაციანი კავშირის წევრობა), სამართლებრივი დავის სახე, იურიდიული პირის მიზანი და მოსამართლის ჩართულობის ინტენსიურობა ამ კავშირის ორგანიზაციულ სტრუქტურაში.

- განსაკუთრებული პიროვნული და საქმიანი ურთიერთობები.

ამ შემთხვევაში, ერთი მხრივ, გასათვალისწინებელია ის, რომ კანონმდებელმა,

§ 41 Nrn. 2 und 3 GER-ZPO-ისა და, შესაბამისად, სსკ-ის 31-ე მუხლის მე-2 ნაწილის (GEO-ZPO) რეგულაციებში მოსამართლის საქმისგან ჩამოცილების შესახებ მიიღო შეფასებითი გადაწყვეტილებები, რომელთა საპირისპიროდ, სხვა ნათესაური ურთიერთობები, საკანონმდებლო კონცეფციის მიხედვით, არ არის უპირობოდ საკმარისი მოსამართლის მიკერძოებულობისთვის (BGH, Beschluss vom 07.11.2018 - IX ZA 16/17 - WM 2018, 2289); მეორე მხრივ, მჭიდრო და ხანგრძლივი პირადული, პროფესიული, ოჯახური ან სამეზობლო კავშირები, როგორც წესი, წარმოშობს მიკერძოებულობის საფუძველს. თუმცა ამისთვის არ კმარა ის, რომ საჩივარზე გადაწყვეტილების მიმღები მოსამართლე ქორწინებით ან ნათესაურ კავშირშია იმ მოსამართლესთან, რომელმაც მონაწილეობა მიიღო წინა ინსტანციის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებაში (BGH, Beschluss vom 26.08.2015 - III ZR 170/14 - MDR 2016, 49; BGH, Beschluss vom 20.10.2003 - II ZB 31/02 - NJW 2004, 163).

თუმცა ეს შეიძლება სხვაგვარადაც დავინახოთ, რისთვისაც კარგი საფუძველი არსებობს.

ამ თემებთან მიმართებითაც ყველაფერი მეტწილად დამოკიდებულია ცალკეულ შემთხვევებზე. სოფლად ცხოვრების შემთხვევაში არსებული შინაგანი კავშირი, როგორც წესი, განსხვავებულად უნდა შეფასდეს, დიდ ქალაქში არსებულ მრავალბინიან გარემოში ანონიმური ცხოვრებასთან შედარებით. მცირე საყოფაცხოვრებო მაღაზიის მფლობელს, ვისთანაც მყიდველი ხშირად ცვლის სიტყვას, შეიძლება სულ სხვა შინაგანი ურთიერთობა ჰქონდეს მოსამართლესთან, რომელიც მუდმივად ამ მაღაზიაში ყიდულობს საყოფაცხოვრებო ნივთებს, ვიდრე სუპერმარკეტის გამყიდველს (იხ.: zum Ganzen etwa: BGH, Beschluss vom 02.12.2015 - RiZ (R) 1/15 - juris; BGH, Beschluss vom 31.01.2005 - II ZR 394/03 – BGHReport 2005, 1350).

ერთ-ერთ მხარესთან პირადი მტრობის შემთხვევაში, როგორც წესი, უნდა ივარაუდებოდეს მიკერძოებულობა. ამ კონსტელაციისგან განსხვავ-

ვებით, გერმანული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, მოსამართლესა და ერთ-ერთი მხარის რწმუნებულს შორის განსაკუთრებული პირადი ურთიერთობებისას (პოზიტიური იქნება თუ ნეგატიური) ავტომატურად არ არის სახეზე აცილების საფუძველი: როგორც წესი, ეს ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქმისწარმოებისას გამოავლენს მოსამართლე უარმყოფელ ან სიმპათიით განმსჭვალულ დამოკიდებულებას მხარის მიმართ (უარმყოფელი დამოკიდებულებისთვის, იხ. OLG Celle, Beschluss vom 04.12.2006 - 9 W 101/06 - OLGR 2007, 78). გერმანული სასამართლო პრაქტიკის ამ ტენდენციას, სავსებით შესაძლებელია, კრიტიკულადაც შევხედოთ.

მიკერძოებულობის ვარაუდისთვის, ძირითადად, საკმარისია, თუ სახეზეა შესაბამისი ურთიერთობები მხარის რწმუნებულთან (მაგ.: მოსამართლის მეუღლე არის რწმუნებულის ამხანაგობის ადვოკატი (BGH, Beschluss vom 15.03.2012 - V ZB 102/11 - NJW 2012, 1890), ან მუშაობს ერთ-ერთი მხარის რწმუნებულის ამხანაგობის მდივნად) და საპროცესო მონინალმდევე შიშობს, რომ შესაძლოა გამოიხატოს დაუშვებელი გავლენა (BGH, Beschluss vom 21.06.2018 - I ZB 58/17 - ZInSO 2018, 2554).

- **მოსამართლის მონაწილეობა წარსულში საქმის განხილვაში.**

თუ არ არის სახეზე მოსამართლის საქმის განხილვისგან ჩამოცილების კანონისმიერი საფუძველები (მაგ.: სსკ-ის 29-ე მუხლი, 30-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ და „ე“ ქვეპუნქტები), ის, რომ მოსამართლე სამოსამართლო საქმიანობის ფარგლებში წარსულში დაკავებული იყო იმავე საქმის განხილვით, როგორც წესი, არ კმარა მისი მიკერძოებულობის დასადგენად. ამ შემთხვევაშიც, კანონმდებელმა მოსამართლის ჩამოცილების რეგულაციებით მიიღო შეფასებითი გადაწყვეტილებები, რომელთა საპირისპიროდ, მოსამართლის მიერ წარსულში იმავე საქმის განხილვა არ არის უპირობოდ საკმარისი მოსამართლის მიკერძოებულობის სავარაუდებლად. გერმანული სასამართლო პრაქტიკა ამ სფეროში ძალზე ლოგიკურად ეყრდნობა იმას, რომ წარსულში სამოსამართლო საქმიანობისას იმავე საქმის განხილვა, რა სახითაც უნდა ყოფილიყო ეს, ობიექტურობისა და ნეიტრალურობის ვალდებულების მქონე მოსამართლისთვის არ ნიშნავს, რომ შემდგომ პროცესზე ბოლომდე დარჩება მიღებული გადაწყვეტილების ერთგული; მოსამართლეს, საქმისადმი პროფესიონალური მიდგომიდან გამომდინარე, სავსებით შეუძლია, რომ საქმისწარმოების ნებისმიერ ეტაპზე მიუკერძოებლად მიიღოს ახალი გადაწყვეტილება (BGH, Beschluss vom 20.09.2016 - AnwZ (Brfg) 61/15 - NJWRR 2017, 189; BGH, Beschluss vom 18.12.2014 - IX ZB 65/13 - NJW-RR 2015, 444; BGH,

Beschluss vom 27.12.2011 - V ZB 175/11 - MDR 2012, 363). აქედან გამომდინარე, მოსამართლის მიკერძოებულობა, როგორც წესი, არ დგას დღის წესრიგში, რამდენადაც წინა ინსტანციის სასამართლოში საქმის დაბრუნების შემთხვევაში, მოსამართლეს უნევს იმავე საქმის ხელახლა განხილვა (ნარმატებული კონსტიტუციური სარჩელისას, საქმის შესაბამის ინსტანციაში ხელახლა განსახილველად დაბრუნების შემთხვევაში, იხ.: BGH [Strafsenat], Beschluss vom 11.04.2007 - 5 StR 45/02 – juris, დიდი მოცულობით სასამართლო პრაქტიკასთან ერთად).

- **მოსამართლის ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობის ხელშეშლა**, განსაკუთრებით, ნეიტრალურობისა და თანასწორობის მოთხოვნათა დარღვევა.

მოსამართლემ საქმისწარმოებისას უნდა გაამართლოს მისი ნდობაზე დაფუძნებული განსაკუთრებული როლი (BGH, Urteil vom 07.05.2009 - RiZ (R) 1/08 - BGHZ 181, 36). ამას, პირველ ყოვლისა, შეიძლება ჩრდილი მიადგეს, თუ მოსამართლე დაარღვევს მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპს და შეეცდება, „მეორე მხარის ზურგს უკან“ ცალმხრივი კონტაქტი დაამყაროს ერთ-ერთ მხარესთან. ამ კუთხით არსებული ძალზე მოცულობითი სასამართლო პრაქტიკის შეჯამების შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ საქმის ძალზე ხისტი წარმოებაც კი მანამდე არ წარმოშობს მიკერძოებულობის საფუძველს, ვიდრე მოსამართლე აშკარად არ დატოვებს მისთვის მინიჭებულ მოქმედების ფარგლებს და/ან საქმისწარმოების მონაწილის მიმართ აშკარად განსხვავებულად არ გამოიყენებს თავის საპროცესო-სამართლებრივ უფლებამოსილებებს, თვალსაჩინო ობიექტური საფუძვლის გარეშე (შდრ.: KG, Beschluss vom 08.06.2006 - 15 W 31/06 - NJW-RR 2006, 1577; OLG Celle, Beschluss vom 29.04.2002 - 9 W 41/02 - OLGR 2002, 172; OLG Karlsruhe, Beschluss vom 03.04.1998 - 16 WF 25/98 - FamRZ 1999, 445; OLG Brandenburg, Beschluss vom 30.09.1998 - 1 W 32/98 - NJW-RR 1999, 1291).

სამეცნიერო და სასწავლო სფეროში შეტანილ წვლილთან დაკავშირებით, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ორ გადანყვეტილებას, რომლებსაც მოკლედ წარმოგიდგენთ:

BVerfG NJW-RR2010, 1150 (სამეცნიერო განმარტებები):

„საქმისთვის მნიშვნელოვან სამართლებრივ საკითხთან დაკავშირებული სამეცნიერო განმარტებები მიკერძოებულობის საფუძველია (BVerfGE 98, 134; BVerfGE 102, 122; BGH NJW 2002, 2396). საქმის შეფასებისას, მოსამართლისგან მიუკერძოებლობას უნდა მოველოდოთ იმ შემთხვევაშიც, როდესაც მას წარსულში უკვე შეფასებული აქვს გადა-

ნყვეტილების მიღებისთვის არსებითი სამართლებრივი საკითხი (BVerfGE 82, 30. მოსამართლის მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით ეჭვის საფუძველი შეიძლება არსებობდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მისი მოსაზრებების სიახლოვე პროცესის ერთ-ერთი მონაწილის მიერ გაჟღერებულ სამართლებრივ შეფასებასთან, საერთო შეფასებისას, აშკარად თვალშისაცემია და მოსამართლის სამეცნიერო მოღვაწეობა, პროცესის სხვა მონაწილეთა გადმოსახედიდან, ეხმარება პროცესის ამ მონაწილეს (BVerfGE 98, 134).“

BGH NJW 2016, 1022 (Beschluss vom 13.01.2016 - VII ZR 36/14 - Teilnahme an Seminaren; შდრ. აგრეთვე BGH, Beschluss vom 07.11.2018 - IX ZA 16/17 - WM 2018, 2289, für Mitwirkung an einer fachlichen und persönlichen Ehrung):

(სემინარებში მონაწილეობა):

„მოსამართლის მონაწილეობა აქტუალურ სამართლებრივ საკითხებზე გამართულ სემინარებში არ არის მიკერძოებულობის საფუძველი. მოსამართლეთა მონაწილეობა სამეცნიერო ღონისძიებებში ჩვეულებრივი და საყოველთაოდ ნაცნობი მოვლენაა. ის ემსახურება სასამართლო პრაქტიკის წარმოდგენასა და გაცნობას, ასევე, აზრთა ურთიერთგაცვლას ამ და სხვა აქტუალურ პრობლემებსა და მათ მეცნიერულ მიზეზებთან დაკავშირებით. აქედან გამომდინარე, მოსამართლეთა მონაწილეობა მსგავს შეხვედრებსა და სემინარებში და იქ გამოხატული მოსაზრებები, ძირითადად, არ წარმოშობს მათი მიკერძოებულობის საფუძველს.“

ე) მოსამართლის თვითააცილებას § 48 GER-ZPO შემდეგნაირად აწესრიგებს:

§ 48 GER-ZPO - თვითააცილება; აცილება საკუთარი ინიციატივით

აცილების შუამდგომლობის განხილვაზე პასუხისმგებელმა სასამართლომ გადანყვეტილება უნდა მიიღოს იმ შემთხვევაშიც, თუ ეს შუამდგომლობა არ არის შესატყვისი, მაგრამ მოსამართლე თვითააცილებას ითხოვს იმ ურთიერთობიდან გამომდინარე, რომელმაც შეიძლება გაამართლოს ეს, ან სხვა გარემოებებიდან გამომდინარე არსებობს ეჭვი - ხომ არ გამოირიცხება მოსამართლე უკვე კანონის ძალით.

ცოტა დამაბნეველი სათაურისგან განსხვავებით, § 48 GER-ZPO წარმოშობს არ თვითააცილების, არამედ აცილების მოთხოვნით მიმართვის უფლებას. ამ უკანასკნელის წინაპირობა არ არის ის, რომ მოსამართლეს თავი მიაჩნდეს მიკერძოებულად. მას იმ შემთხვევაშიც აქვს საქმისწარმოების დაწყების უფლება, თუ შესაძლებელია, არსებობდეს მიკერძოე-

ბულობის საფუძველი. დაინტერესებულ მოსამართლეს აგრეთვე არ აქვს უფლება, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება თვითაცვილების განცხადებაზე.

თუმცა, უნდა ითქვას, რომ § 48 GER-ZPO-ს არ აქვს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა, ვინაიდან გერმანიაში განვლილ წლებში ამ საკითხზე ცოტა განსხვავებულ მიდგომას ჩაეყარა საფუძველი. თუ მოსამართლეს არ მიაჩნია თავი მიკერძოებულად, თუმცა, მიუხედავად ამისა, სახეზეა (მოსამართლის აზრით მიკერძოებულობის ფარგლებს მიღმა არსებული) განსაკუთრებული ურთიერთობები, მოსამართლე ამ შემთხვევაში არ ირჩევს თვითაცვილების ფორმალურ გზას. ნაცვლად ამისა, ის, არაფორმალურად, საქმის კურსში აყენებს მხარეებს (§ 1036 Abs. 1 GER-ZPO-ში არბიტრებისთვის გათვალისწინებულ რეგულაციაზე დაყრდნობით). განსაკუთრებულ ურთიერთობებთან დაკავშირებით მხარეთა მსგავსი ინფორმირება ხშირად პრევენციულადაც ხორციელდება გერმანული სამართლოების პრაქტიკულ საქმიანობაში; მაგალითად, როდესაც სერიოზულად არ არის სახეზე მიკერძოებულობის საფუძველი, თუმცა, გამჭვირვალობის მიზნებიდან გამომდინარე, კარგია, როდესაც მხარეებმა იციან გარკვეული გარემოებების შესახებ. ამ მიდგომამ გერმანიაში ძალიან გაამართლა, ვინაიდან მოსამართლის აქტიური ღიაობა ემსახურება ნდობის ჩამოყალიბებას და, აქედან გამომდინარე, პრაქტიკაში მხარეები ძალზე იშვიათად მიიჩნევენ მოსამართლის აცვილების საფუძველად.

მუხლი 47. სასამართლო ხარჯების გადასახადისაგან განთავისუფლება სასამართლოს მიერ

1. სასამართლოს, მოქალაქის ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, თუ მოქალაქე დაასაბუთებს სასამართლო ხარჯების გადახდის შეუძლებლობას და სასამართლოს წარუდგენს უტყუარ მტკიცებულებებს, შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ გაათავისუფლოს იგი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისაგან, რის თაობაზედაც მოსამართლეს გამოაქვს მოტივირებული განჩინება.

11. (ამოღებულია).

2. თუ მხარე გადახდისუუნაროა და, საქმის მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, ამ საქმის განხილვაში ადვოკატის მონაწილეობა მიზანშეწონილია, სასამართლოს უფლება აქვს, აღნიშნული მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის 23¹ მუხლით დადგენილ ფარგლებში დანიშნოს ადვოკატი სახელმწიფოს ხარჯზე.

2¹. ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში მოსამართლეს გამოაქვს დასაბუთებული განჩინება და მიმართავს იურიდიული დახმარების სამსახურს ადვოკატის სახელმწიფოს ხარჯზე დანიშვნის მოთხოვნით. ადვოკატის სახელმწიფოს ხარჯზე დანიშვნის წესი და პროცედურა განისაზღვრება „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით. იურიდიული დახმარების სამსახური ვალდებულია შეასრულოს სასამართლოს მიერ გამოტანილი განჩინება ადვოკატის სახელმწიფოს ხარჯზე დანიშვნის შესახებ.

2². იურიდიული დახმარების სახელმწიფოს ხარჯზე განვევისათვის იურიდიული დახმარების სამსახურში დასაქმებული საზოგადოებრივი ადვოკატისა და მონვეული საზოგადოებრივი ადვოკატის შრომის ანაზღაურების წესი განისაზღვრება „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით.

3. ერთი მხარის განთავისუფლება სასამართლო ხარჯების გადახდისაგან მეორე მხარის სასამართლო ხარჯების გადახდის ვალდებულებებზე გავლენას არ ახდენს.

უღრის ჰაბენლონი

47-ე მუხლი

სსკ-დან მოყვანილი ნორმები:

- სსკ-ს 47-ე მუხლი

საპროცესო ხარჯების გადახდისგან გათავისუფლება სასამართლოს მიერ

1. წარმოგიდგენთ გერმანული სამართლის რეგულაციებს, რომლებიც თანხვედრაშია ქართული რეგულაციის სამართლებრივ მიზნებთან:

§ 114 GER-ZPO წინაპირობები

(1) მხარე, რომელსაც პირადი და ეკონომიკური სიტუაციიდან გამომდინარე ან საერთოდ არ შეუძლია, ან მხოლოდ ნაწილობრივ ან განწილვადებით შეუძლია საპროცესო ხარჯების გადახდა, განცხადების საფუძველზე გათავისუფლდება სასამართლო ხარჯების გადახდისგან, რამდენადაც მის მიერ უფლების განხორციელებას ან უფლების დაცვას საკმარისი წარმატების პერსპექტივა აქვს და დაუდევრად არ მოჩანს...

(2) დაუდევრად უნდა შეფასდეს უფლების განხორციელება ან დაცვა, როდესაც მხარე, რომელიც არ ითხოვს სასამართლო ხარჯების გადახდისგან გათავისუფლებას, ყველა გარემოების გონივრული შეფასებისას უარს იტყოდა უფლების განხორციელებაზე ან დაცვაზე, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს უფლების განხორციელების ან, შესაბამისად, დაცვის წარმატების საკმარისი პერსპექტივა.

§ 115 GER-ZPO - შემოსავლისა და ქონების გამოყენება

(1) მხარემ უნდა გამოიყენოს საკუთარი შემოსავალი. შემოსავალში შედის როგორც ფულადი, აგრეთვე სხვა ღირებულნი შემოსავლები. ამას უნდა გამოაკლდეს:

1.(მითითება: აქ წარმოდგენილია მრავალი მითითება გამოთვლის პრინციპებზე და მოყვანილია სოციალური სამართლის კოდექსის საბაზი-

სო მაჩვენებლები, აგრეთვე, § 1610a GER-BGB-ში ჩამოთვლილი „დამატებითი საჭიროებები“, რომლებიც გამომდინარეობს ფიზიკური ან ჯანმრთელობის ზიანისგან და, მეორე მხრივ, რეგულაციები, რომლებიც ითვალისწინებს საცხოვრისისა და გათბობის ხარჯებს)....

3) მხარემ სასამართლო ხარჯების დასაფარად უნდა გამოიყენოს საკუთარი ქონება, რამდენადაც მისგან შეიძლება მოველოდეთ ამას, სოციალური სამართლის კოდექსის მე-12 თავის § 90 მოქმედებს შესაბამისად.

***§ 90 GER-SGB XII - სასამართლო ხარჯების დასაფარად გამოსაყენებელი ქონება**

(1) მხარემ უნდა გამოიყენოს მთლიანი ქონება, რომლის რეალიზებაც შეიძლება.

(2) სოციალური დახმარება არ შეიძლება დამოკიდებული გახდეს მხარის მიერ ქონების გამოყენებაზე ან მის რეალიზებაზე;

1.....(მითითება: აქ წარმოდგენილია მრავალი დებულება, რომელთა მიხედვითაც, მხარე არ არის ვალდებული, სასამართლო ხარჯების დასაფარად გამოიყენოს ის ქონება, რომელიც ემსახურება მისი „არსებობის უზრუნველყოფას“)...

4. სათანადო საყოფაცხოვრებო ნივთებზე; ამასთან გასათვალისწინებელია განმცხადებელი პირის აქამდე არსებული საცხოვრებელი პირობები;

5. საგნებზე, რომლებიც აუცილებელია, პროფესიული სწავლების ან შრომითი ურთიერთობის დასაწყებად ან გასაგრძელებლად;

.....

8. სათანადო მიწის ნაკვეთზე, რომელზეც დგას სახლი და რომელშიც ცხოვრობს განმცხადებელი პირი - მარტო, ან ოჯახის წევრებთან ერთად - და მისი გარდაცვალების შემდეგ ცხოვრება უნდა გააგრძელონ მისი ოჯახის წევრებმა.

9. პატარა ფულად თანხებზე ან სხვა ფულადი ღირებულების მქონე სიკეთეებზე; ამასთან გასათვალისწინებელია განმცხადებელი პირის განსაკუთრებული საგანგებო მდგომარეობა.

(3) გარდა ამისა, სოციალური დახმარება არ შეიძლება დამოკიდებული გახდეს ქონების გამოყენებასა და რეალიზებაზე, რამდენადაც ეს იმ პირისთვის, რომელმაც უნდა გამოიყენოს აღნიშნული ქონება სასამართლო ხარჯების დასაფარად, აგრეთვე, მისი ოჯახის წევრებისთვის, რომლებსთვისაც მას სარჩოს გადახდის ვალდებულება აქვს, შეიძლება დიდ ტვირთად იქცეს. ეს განსაკუთრებით მაშინ იქნებოდა სახეზე, თუ არსებითად

გართულდებოდა ცხოვრების სათანადო დონე, ან სათანადო საპენსიო უზრუნველყოფის შენარჩუნება.

§ 115 Abs. 1 GER-ZPO-ის მიხედვით დასადგენ შემოსავალთან დაკავშირებით, § 115 Abs. 1 Satz 5 GER-ZPO-ის შესაბამისად, ფედერალურ საკანონმდებლო მაცნეში ყოველწლიურად ქვეყნდება ე.წ. სასამართლო ხარჯებისგან გათავისუფლების მაჩვენებლები. ამ მაჩვენებლებით, კანონის მიერ განსაზღვრული გამოთვლის მოდელის შესაბამისად, ვლინდება ის თანხები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული შემოსავალში. ამონარიდების სახით წარმოგიდგენთ რამდენიმე მაგალითს:

2019 წლის პირველი იანვრიდან მოყოლებული, მნიშვნელოვანი თანხები, რომლებიც ... მიხედვით არ არის გათვალისწინებული მხარის შემოსავალში, არის:

1. მხარეებისთვის, რომლებსაც აქვთ შემოსავალი შრომითი საქმიანობიდან223 ევრო;

2. მხარისთვის და მისი მეუღლისთვის ან ცხოვრების თანამგზავრისთვის491 ევრო;

3. ყოველი სხვა პირისთვის, რომელსაც მხარე, სარჩოს გადახდის კანონისმიერი ვალდებულებიდან გამომდინარე, უხდის სარჩოს, ასაკის მიხედვით (272 ევროდან 377 ევრომდე)

116 GER-ZPO - საკუთარი სახელით სხვისი უფლების განხორციელება პროცესზე; იურიდიული პირი; მხარედ ყოფნის უფლებამოსილების მქონე გაერთიანება

განცხადების საფუძველზე სასამართლო ხარჯების გადახდისგან თავისუფლდებიან:

1. მხარე, რომელიც სასამართლო პროცესზე საკუთარი სახელით იცავს სხვა პირის უფლებებს, თუ შეუძლებელია განკარგული ქონების მასიდან ხარჯების დაფარვა და სამართლებრივი დავის საგანში ეკონომიკურად მონაწილე სუბიექტს, ეკონომიკური სიტუაციიდან გამომდინარე, ვერ მოეხერხება სასამართლო ხარჯების დაფარვას;

2. იურიდიული პირი ან მხარედ ყოფნის უფლებამოსილების მქონე გაერთიანება, როდესაც ხარჯების დაფარვა შეუძლებელია როგორც მისი, აგრეთვე სამართლებრივი დავის საგანში ეკონომიკურად მონაწილე სუბიექტის მხრიდან, და თუ უფლების განხორციელებისგან ან დაცვისგან თავშეკავება ეწინააღმდეგება ზოგად ინტერესებს

§ 121 GER-ZPO - ადვოკატის დანიშვნა

(1) თუ სავალდებულოა, რომ მხარე პროცესზე წარმოდგენილი იყოს ადვოკატით, მას დაენიშნება ის ადვოკატი, რომელსაც აირჩევს და რომელიც მზად იქნება, იყოს მხარის წარმომადგენელი პროცესზე.

(2) თუ არ არის სავალდებულო, რომ მხარე პროცესზე წარმოდგენილი იყოს ადვოკატით, მხარეს, მისი მოთხოვნის საფუძველზე, დაენიშნება მისთვის სასურველი ადვოკატი, ამ უკანასკნელის თანხმობის შემთხვევაში, თუკი ადვოკატით წარმომადგენლობა აუცილებლად მოჩანს, ან მოწინააღმდეგე წარმოდგენილია ადვოკატით.

(3) ადვოკატი, რომელიც არ არის საქმის განმხილველი სასამართლოს განსჯადობის ტერიტორიული ერთეულიდან, შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ეს არ წარმოშობს დამატებით ხარჯებს.

(4)

(5) თუ მხარე ვერ მოიძიებს ადვოკატს, რომელიც მზად იქნება, იყოს მისი საპროცესო წარმომადგენელი, მხარის მოთხოვნის საფუძველზე, მას სხდომის თავმჯდომარე დაუნიშნავს ადვოკატს.

ევროპის სამართლის კუთხით უნდა მიეთითოს ევროპის საბჭოს 2003 წლის 27 იანვრის დირექტივაზე 2003/8/EG მხარის სასამართლო ხარჯებისგან გათავისუფლების შესახებ, კერძოდ, სამოქალაქო და სავაჭრო სამართლის კატეგორიის დავებზე, რომლებსაც ევროკავშირის ერთ-ერთი წევრი ქვეყნის მოქალაქე აწარმოებს ევროკავშირის სხვა წევრ ქვეყანაში (გერმანულად შემოკლ. kurz: EU-ProzesskostenhilfeRL).

სასამართლო ხარჯებისგან გათავისუფლების ნებართვის წინაპირობები, კანონმდებლის კონცეფციის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მსგავსია გერმანიასა და საქართველოში.

2. თუმცა გერმანული სამოქალაქო საპროცესო კოდექსი იმ შემოსავალსა და ქონებასთან დაკავშირებით, რომელიც მხარემ უნდა გამოიყენოს სასამართლო ხარჯების დასაფარად, გაცილებით უფრო დეტალურ რეგულაციებს შეიცავს, ვიდრე ქართული სამოქალაქო საპროცესო კოდექსი. თუმცა ეს არ უნდა იყოს ხელშემშლელი ფაქტორი იმისთვის, რომ გერმანული რეგულაციების ძირითადი იდეები (მაგრამ არა ის კონკრეტული ფარგლები, რომლებიც გერმანიაში უმეტესად მნიშვნელოვანწილად სცილდება არსებობის უზრუნველყოფის სოციალური დახმარების სამართლის დონეს), გამოვიყენოთ კითხვაზე პასუხის გასაცემად, „შესწევს თუ არა“ მხარეს ძალა, გადაიხადოს სასამართლო ხარჯები (სსკ-ის 47-ე მუხლი მე-2 ნაწილის პირველი წინადადება). წარმოგიდგინებ დეტალებს გერმანული სამართლებრივი სიტუაციიდან:

ა) რამდენადაც მხარე პროცესის წარმართვისთვის მიიღებს [ან შეუძლია მიიღოს] სასამართლო ხარჯების დაფარვის სადაზღვევო უზრუნველყოფას[ა] (რაც გერმანიაში საკმაოდ გავრცელებულია) იურიდიული დახმარების დაზღვევისგან, ის ვერ გათავისუფლდება სასამართლო ხარჯების გადახდისგან, ვინაიდან სადაზღვევო კომპანიის მიერ ასანაზღაურებელი თანხა შედის სასამართლო ხარჯების დასაფარად გამოსაყენებელ ქონებაში, § 115 Abs. 3 GER-ZPO-ის მიხედვით (სპეციალურ შემთხვევებთან დაკავშირებით, მაგალითად, თანამონაწილეობისას, ან თუ ხარჯები სცილდება სადაზღვევო კომპანიის მიერ ასანაზღაურებელ თანხას, იხ.: LAG Berlin-Brandenburg, Beschluss vom 25.04.2014 - 21 Ta 811/14 - juris). ანალოგიური მოქმედებს, როდესაც სარჩოს გადახდის ვალდებულების მქონე პირმა, სარჩოს გადახდის სამართლის რეგულაციების მიხედვით, ავანსის სახით უნდა გადაუხადოს საჭიროების მქონე პირს საპროცესო ხარჯები (BGH, Beschluss vom 30.03.2011 - XII ZB 212/09 - NJW 2011 1814). ეს, ერთი მხრივ, გამომდინარეობს მეუღლეთა § 1360a Abs. 4 GER-BGB-დან მომდინარე ვალდებულებიდან, რომ ერთმა მეუღლემ, ავანსის სახით - თუმცა არა განქორწინების შემდეგ (BGH, Beschluss vom 12.04.2017 - XII ZB 254/16 - NJW 2017, 1960) - გადაუხადოს მეორეს პიროვნულ საქმეზე სამართლებრივი დავის ხარჯები (მაგრამ არა ბიზნესგარიგების შემთხვევაში), რამდენადაც ეს პასუხობს სამართლიანობის იდეას (BGH, Beschluss vom 25.11.2009 - XII ZB 46/09 - FamRZ 2010, 189). გარდა ამისა, სასამართლო ხარჯების დასაფარად გამოსაყენებელ ქონებაში შედის ზოგადი სარჩოს გადახდის მოთხოვნის ყველა ის უფლება, რომელიც მიმართულია საპროცესო ხარჯების ავანსის სახით გადახდაზე (მაგ.: შვილის სარჩოს გადახდის მოთხოვნის უფლება მშობლის მიმართ (BGHZ 57, 229; BGH FamRZ 2005, 883), აგრეთვე მშობლებისა ცხვილების მიმართ). მოიცავს თუ არა საერთოდ და, თუ მოიცავს, რა შემთხვევებში უნდა გადაიხადოს სარჩოს გადახდის ვალდებულების მქონე პირმა ავანსის სახით პროცესის წარმოების ხარჯები ე.წ. პიროვნულ საქმეებზე, ამის შეფასება შეიძლება მხოლოდ სარჩოს გადახდის ეროვნული კანონმდებლობის - და არა სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის - შესაბამისად. აქედან გამომდინარე, თავს შევიკავებდი ამ თემაზე ძალზე მოცულობითი გერმანული სასამართლო პრაქტიკის წარმოდგენისგან.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის, რომ გერმანიაში მხარის სასამართლო ხარჯების გადახდისგან გათავისუფლება - ცალკეული კონსტელაციის შესაბამისად, უპირველეს ყოვლისა კი ოჯახის წევრების რაოდენო-

ბისა და სხვა სარჩოს გადახდის უფლების მქონე პირების გათვალისწინებით - სავსებით დაიშვება იმ პირების შემთხვევაშიც, რომელთაც საშუალო შემოსავალი აქვთ. აქედან გამომდინარე, საოჯახო საქმეების უდიდესი ნაწილის შემთხვევაში, მხარე თავისუფლდება სასამართლო ხარჯების გადახდისგან. აქტუალური ციფრები 2017 წლისთვის (არსებითი რეგიონული განსხვავებების გათვალისწინებით) - სასამართლო ხარჯებისგან გათავისუფლების პროცენტული მაჩვენებლები - მიუთითებს, რომ სასამართლომ დააკმაყოფილა განმცხადებელთა 33%-ისა და მონინააღმდეგე მხარის 21%-ის მოთხოვნა სასამართლო ხარჯების გადახდისგან გათავისუფლებაზე.

თუმცა, ამავდროულად, საჭიროების მქონე პირებს ეკისრებათ ვალდებულება, რომ განსაზღვრული ოდენობის შემოსავლიდან ყოველთვიურად, განწილვადებით, სრულად ან ნაწილობრივ დააბრუნონ მიღებული თანხა (§ 115 Abs. 2 und 4, § 120 GER-ZPO). მარტივად რომ ვთქვათ, ერთი მხრივ, არსებობს (მათ შორის, სარჩოს გადახდის ვალდებულებებზე დამოკიდებული) დარიცხული შემოსავლის ზედა ზღვარი (დარიცხული შემოსავლის გამოთვლასთან დაკავშირებით იხ. § 115 Abs. 1 GER-ZPO), რომლის გადაცილების შემთხვევაში, მხარე აღარ თავისუფლდება სასამართლო ხარჯებისგან, ხოლო, მეორე მხრივ, არსებობს დარიცხული შემოსავლის ქვედა ზღვარიც, რომლის შემთხვევაშიც მხარე სრულად თავისუფლდება სასამართლო ხარჯებისგან და სახელმწიფო საკუთარ თავზე იღებს საქმისწარმოების მთლიან ხარჯებს. ამ ორ მოცემულობას შორის საკმაოდ ფართო სივრცე რჩება სასამართლო ხარჯებისგან გათავისუფლებისთვის (მაგ.: განწილვადებით გადახდის ვალდებულებისას, დარიცხული შემოსავლის შესაბამისი ოდენობის მიხედვით). თუმცა ეს არ უნდა სცილდებოდეს 48 თვეს (§ 115 Abs. 2 Satz 4 GER-ZPO). ასე რომ, განწილვადებით გადახდის ბრძანებისას სახელმწიფო ხაზინა საბოლოოდ თვითონ ფარავს თანხის იმ ნაწილს, რომელიც 4 წელზე ნაწილდება განწილვადებით გადახდის შემთხვევაში. ამ სისტემის სრულყოფა ხდება განწილვადებით გადახდის შესაბამისობაში მოყვანის რეგულაციებით, შეცვლილი ეკონომიკური მდგომარეობის შემთხვევებში (§ 120a GER-ZPO).

დასადგენი დარიცხული შემოსავლის კონკრეტულ გამოანგარიშებასთან დაკავშირებით, საიდანაც, საბოლოო ჯამში, განისაზღვრება განწილვადებით გადასახდელი ყოველთვიური თანხა, შემუშავებულია ნაწილობრივ ავტომატიზებული ცხრილები.¹

¹ https://www.justiz.nrw.de/BS/broschueren_hilfen/pkh_rechner.xltx

ბ) იურიდიული პირების შემთხვევაში, ასევე, ე.წ. საკუთარი სახელით სხვისი უფლების განხორციელებისას (მაგ.: გადახდისუუნარობის მმართველის ან ანდერძის აღმასრულებლის), სასამართლო ხარჯებისგან გათავისუფლების ეკონომიკური წინაპირობები გამოიყენება მხოლოდ და მხოლოდ § 116 GER-ZPO-ის მიხედვით.

გერმანულ სამართალში არსებული გადახდისუუნარობის მმართველები, რომლებზეც § 116 Nr. 1 GER-ZPO-ში კეთდება აქცენტი, განსხვავდება ქართულ მართლწესრიგში არსებულისგან, რის გამოც ამ საკითხს უფრო დანერჩილებით აღარ შეეხები (იხ.: BGH, Beschluss vom 19.07.2018 - IX ZB 24/16 - NJW 2018, 3188). იურიდიული პირის შემთხვევაში, § 116 Nr. 2 GER-ZPO-ის მიხედვით, მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ამ პირის ეკონომიკური მდგომარეობა, არამედ მასში ეკონომიკურად მონაწილე სუბიექტების საჭიროებაც. ამაში, როგორც წესი, იგულისხმებიან პარტნიორები (BGH, Beschluss vom 10. April 2014 - III ZA 8/14 - juris), მიუხედავად იმისა, არიან თუ არა ვალდებულები, საზოგადოების შიდა სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე, მონაწილეობა მიიღონ სასამართლო ხარჯების დაფარვაში. თუმცა ეს არ მოქმედებს მცირე აქციონერების შემთხვევაში, ვინაიდან მათგან ვერ მოვითხოვთ მონაწილეობას სასამართლო ხარჯების დაფარვაში.

§ 116 Nr. 2 GER-ZPO-ის მიხედვით, საყოველთაო ინტერესებს არ ეწინააღმდეგება, თუ ეკონომიკური საჭიროების მქონე იურიდიული პირი არ გათავისუფლდება სასამართლო ხარჯებისგან. გერმანული სასამართლო პრაქტიკა მუდმივად უსვამს ხაზს იმას, რომ იურიდიულ პირს მხოლოდ მაშინ აქვს მართლწესრიგის მიერ აღიარებული არსებობის უფლება, როცა შეუძლია საკუთარი ძალებით სწრაფვა მიზნებისკენ (BVerfG, Beschluss vom 03.07.1973 - 1 BvR 153/69 - BVerfGE 35, 348; BGH, Beschluss vom 19.10.2017 - IX ZA 16/17 - juris; BGH MDR 2006, 113). აქედან გამომდინარე, ის სასამართლო ხარჯებისგან შეიძლება გათავისუფლდეს მხოლოდ მაშინ, თუ - რაც, ფაქტობრივად, მხოლოდ საქველმოქმედო იურიდიული პირების (მაგ.: განსაზღვრული ფონდების) შემთხვევაში გვხვდება - ხელი შეეშლებოდა იმ დავალებების შესრულებაში, რომელიც ემსახურება საზოგადოებრივ ინტერესებს, ანდა უფლების განხორციელებლობა/დაუცველობა ეხება საზოგადოებისა თუ ეკონომიკური ცხოვრების ფართო წრეებს და გავლენა ექნებოდა სოციალურ ცხოვრებაზე (BVerfG, Beschluss vom 03.07.1973 - 1 BvR 153/69 - BVerfGE 35, 348; BGH, Beschluss vom 19.10.2017 - IX ZA 16/17 - ZInsO 2017, 2538). საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო პროცესი შეიძლება გახდეს სა-

ზოგადოებრივი ინტერესის საგანი, თუ ამით შესაძლებელია იმ საზოგადოების შენარჩუნება, რომელშიც დასაქმებულია ბევრი ადამიანი (BVerfG, Beschluss vom 03.07.1973 – 1 BvR 153/69 - BVerfGE 35, 348), ანდა პროცესი უშუალოდ ეხება მცირე კრედიტორთა დიდ რიცხვს (BGH, Beschluss vom 24.10.1990 - VIII ZR 87/90 - NJW 1991, 703; Sächsisches Landesarbeitsgericht, Beschluss vom 24.05.2007 - 4 Ta 97/07 (8) - juris). ამისგან განსხვავებით, არ კმარა მხოლოდ სწორი გადანყვეტილების ინტერესის არსებობა. ანალოგიური მოქმედებს, როდესაც იურიდიული პირი შეწყვეტს წარმოებას და დაითხოვს თანამშრომლებს (OLG Hamm, Beschluss vom 20.07.1988 - 20 W 16/88 - NJW-RR 1989, 382; Sächsisches Landesarbeitsgericht, Beschluss vom 24. 05.2007 - 4 Ta 97/07 (8) - juris).

ამ პრინციპების გამოყენება, ძირითადად, შესაძლებელია სსკ-ის 47-ე მუხლის მე-2 ნაწილის განმარტების დროსაც. ქართულ მართლწესრიგში ასევე არ არის მიზანშეწონილი (მდრ. სსკ-ის 47-ე მუხლი მე-2 ნაწილის GEO-ZPO), რომ იურიდიულ პირს, რომელსაც ეკონომიკურად არ შესწევს ძალა საკუთრი ხარჯებით აიყვანოს ადვოკატი, ის დაენიშნოს სახელმწიფოს ხარჯზე. ნებისმიერ მართლწესრიგში იურიდიულ პირებს არსებობა შეუძლიათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მათ აქვთ ფინანსური საშუალებები წესდებით გათვალისწინებული დავალებების შესასრულებლად.

გ) იმისათვის, რომ მხარემ სასამართლოს ვერ „გამოსტყუოს“ სასამართლო ხარჯებისგან გათავისუფლება, ან გადანყვეტილება ამ ხარჯებისგან გათავისუფლებაზე მიეხება იმ ქონებრივ მდგომარეობას, რომელიც ეკონომიკურად კავშირშია საქმის წარმოებასთან, **საქმისწარმოების განსაკუთრებულ სიტუაციებში (§ 116 GER-ZPO-ის მონესრიგების სფეროს გარდა)** ითვალისწინებენ არა მოსარჩელის ეკონომიკურ სიტუაციას, არამედ უფლების მატარებელი პირის ეკონომიკური მდგომარეობას, რომელზეც ეკონომიკურ გავლენას ახდენს ეს პროცესი.

ეს შეიძლება მოქმედებდეს სასამართლოში საკუთარი სახელით სხვისი საქმისწარმოებისას, რომელიც გათვალისწინებულია კანონით, ან გარიგების საფუძველზე (იხ. ქვემოთ 79-ე და მომდევნო მუხლის კომენტარის ა. ნ. 18 და მომდევნო აბზაცები და ა. ნ. 22 და მომდევნო აბზაცები) (BGH, Beschluss vom 16.09.1991 - VIII ZR 264/90 - VersR 1992, 594; KG, Beschluss vom 02.08.2007 - 12 W 51/07 - VersR 2008, 557). ანალოგიური მოქმედებს, როცა სახეზეა უფლების დათმობა, საკუთრების მინდობის ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი ურთიერთობები, ან დავის საგანთან დაკავშირებული მოთხოვნის უფლების სხვა სახით დათმობა (KG, Beschluss vom 26.11.2003 - 12 W 272/03 - MDR 2004, 710; OLG

Koblenz, Beschluss vom 30.11.1998 - 5 U 1406/98 - MDR 1999, 831). კანონისმიერი წარმომადგენლობითი ურთიერთობებისას, ყოველთვის გასათვალისწინებელია მხარის და არა კანონისმიერი წარმომადგენლის ეკონომიკური სიტუაცია (BGH, Beschluss vom 19.01.2011 - XII ZB 323/10 - NJW-RR 2011, 937 მხარდამჭერის შემთხვევაში).

3. სასამართლო ხარჯების გადახდისგან გათავისუფლების სამართლებრივი რეგულაციების განმარტებისა და გამოყენებისას გასათვალისწინებელია, რომ ამით უნდა უზრუნველყონ უფლების დაცვის თანაბარი შესაძლებლობის მინიჭების კონსტიტუციურ-სამართლებრივი მოთხოვნა. ეს მიზანი არასოდეს უნდა გამორჩეთ სასამართლოებს თვალთახედვიდან § 114 GER-ZPO-ის განმარტებისას, უპირველეს ყოვლისა კი მაშინ, როდესაც აფასებენ უფლების განხორციელებისა თუ დაცვის **წარმატების პერსპექტივას**. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო (Beschluss vom 14. Februar 2017 - 1 BvR 2507/16 – juris; შინაარსობრივად ძირითადად იდენტურია: Beschluss vom 05.12.2018 - 2 BvR 2257/17 - juris; Beschluss vom 04.09.2017 - 1 BvR 2443/16 - juris) ამასთან დაკავშირებულ მუდმივ სასამართლო პრაქტიკაში აცხადებს:

„გერმანიის ფედერალური კონსტიტუციის მე-3 მუხლის პირველი ნაწილი, მე-19 მუხლი და მე-4 მუხლი, მე-20 მუხლის მე-3 ნაწილთან ერთად, სავალდებულოდ აწესებს ფინანსურად ძლიერი და სუსტი მხარეების მდგომარეობათა მაქსიმალურ დაახლოებას უფლების დაცვისას. კონსტიტუციურ-სამართლებრივი კუთხით, ეჭვებს არ ბადებს, თუ მხარის სასამართლო ხარჯებისგან გათავისუფლება დამოკიდებული იქნება იმაზე, აქვს თუ არა უფლების განხორციელებას ან დაცვას წარმატების საკმარისი პერსპექტივა და უგუნურად ხომ არ მოჩანს ეს. თუმცა, წარმატების პერსპექტივის შემოწმება არ უნდა ემსახუროდეს იმას, რომ თვითონ უფლების განხორციელება ან, შესაბამისად, უფლების დაცვა განიხილონ სასამართლო ხარჯებისგან გათავისუფლების გამარტივებული წარმოების ფარგლებში და ამ წარმოებამ ჩაანაცვლოს საქმის ძირითადი განხილვა (ამ შემთხვევაში, უფლების დროებით დაცვასთან დაკავშირებული განხილვა) (BVerfGE 81, 347). არ შეიძლება რთული, ჯერაც გადაუწყვეტიელი სამართლებრივი და ფაქტობრივი საკითხების გადანყვეტა სასამართლო ხარჯებისგან გათავისუფლების წარმოების ფარგლებში: შესაძლებელი უნდა იყოს მათი პროცესუალურად გადანყვეტა ფინანსურად უძლიერი მხარეების მიერ იმ წარმოების ფარგლებში, რომელშიც მხარეები წარმოდგენილები იქნებიან ადვოკატებით (...).

წარმატების საკმარისი პერსპექტივის შეფასება საერთო სასამართლოს მიერ აყენებს უფლების დაცვის ფაქტობრივი საფუძვლების ცოდნის წინაპირობასაც, რაც, თავის მხრივ, ნიშნავს უფლების დაცვის მაძიებლის მიერ მითითების ვალდებულებების შესრულებას (...). უფლების დაცვის თანაბარი შესაძლებლობების მინიჭების მოთხოვნას შეეწინააღმდეგება ქმედება, თუ ფინანსურად უძლური მხარე არ გათავისუფლდება სასამართლო ხარჯების გადახდისგან მის მიერ უფლების განხორციელების პერსპექტივის არქონის გამო, მიუხედავად იმისა, რომ - თუნდაც მის მითითებებთან დაკავშირებით არსებული ეჭვების შემთხვევაში - სასამართლომ სერიოზულად უნდა გაითვალისწინოს მტკიცებულების შეგროვების ეტაპზე გადასვლა და არ არის სახეზე რამე კონკრეტული და ლოგიკური ხელმოსაჭიდი გარემოება, რომ მტკიცებულების შეგროვება, დიდი ალბათობით, მომჩინის საზიანოდ დასრულდება (...).

გარდა ამისა, არ შეიძლება სასამართლომ მარტივად და გასაგებად შეხედოს გადაწყვეტილების მიღებისთვის არსებით სამართლებრივ საკითხს, რომელიც სადავოა სასამართლო პრაქტიკასა და იურიდიულ ლიტერატურაში, და ის სასამართლო ხარჯებისგან გათავისუფლების საქმისწარმოების ფარგლებში გადანყვიტოს ფინანსურად უძლური მხარის საზიანოდ (BVerfGE 81, 347...).

კონსტიტუციურ-სამართლებრივი სიტუაციის მსგავსების ფონზე, გერმანული სასამართლო პრაქტიკის ეს კრიტერიუმები შესაძლოა ქართული მართლწესრიგისთვის ერთგვარი სახელმძღვანელო იყოს კითხვაზე პასუხის გასაცემად, თუ როდის არის „მიზანშეწონილი“ სსკ-ის 47-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით მხარის გათავისუფლება სასამართლო ხარჯების გადახდისგან.

4. მხარე არ უნდა გათავისუფლდეს სასამართლო ხარჯების გადახდისგან § 114 GER-ZPO-ის მიხედვით, რამდენადაც უფლების განხორციელება ან დაცვა უგუნური ქმედება იქნებოდა. ამის საზომია იმ მხარის ჰიპოთეტური ქცევა, რომელმაც თვითონ უნდა დაფაროს საპროცესო ხარჯები. უმაღლესი ფედერალური სასამართლო შემდეგნაირად მსჯელობს ამაზე (BGH, Beschluss vom 10.08.2017 - III ZA 42/16 - FamRZ 2017, 1943; vgl. auch: BGH, Beschluss vom 11.01.2018 - III ZB 87/17 - FamRZ 2018,601; BGH, Beschluss vom 31.08.2017 - III ZB 37/17 - NJW-RR 2017, 1469):

„უგუნურობა“ განსაკუთრებით მაშინ არის სახეზე, როდესაც რაციონალური, ფინანსურად წელში გამართული მხარე, საპროცესო სიტუაციის ობიექტური და გონივრული შეფასებისას, მსგავსად არ განახორციელებდა საკუთარ უფლებებს (BGH, Beschluss vom 21. November 2013 - III

ZA 28/13; BGH NJW 2010, 3522). გერმანიის ფედერალური კონსტიტუციის მე-3 მუხლის პირველი ნაწილითა და მე-20 მუხლის მე-3 ნაწილით გარანტირებული უფლების დაცვის თანაბარი შესაძლებლობებიდან გამომდინარეობს, რომ ფინანსურად უძლური მხარე უნდა გავაიგივოთ მხოლოდ იმ „ნორმალურ“ მხარესთან, რომელიც გონივრულად ანონ-დანონის საკუთარ საპროცესო პერსპექტივებს და, ამავდროულად, გაითვალისწინებს ხარჯებთან დაკავშირებულ რისკებს (BVerfG NJW 1991, 413; BVerfG NJW 2013, 2013). მხარის სასამართლო ხარჯებისგან გათავისუფლების მიზანი ნამდვილად არ არის ის, რომ საზოგადოების ხარჯზე უზრუნველყონ ფინანსურად უძლური მხარეებისთვის საქმისწარმოების შესაძლებლობა, რასაც არ გააკეთებდა ფინანსურად წელში გამართული მხარე საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი სიტუაციის გონივრულად და სათანადოდ შეფასების შემთხვევაში.“

თუმცა, ამავდროულად უნდა აღინიშნოს, რომ გერმანული სასამართლო პრაქტიკა საკმაოდ მოკრძალებულია, როდესაც საქმე ეხება უგუნურობის ვარაუდს. პრაქტიკაში უგუნურობა ივარაუდება, თუ, მაგალითად, ფინანსურად უძლური მხარე ითხოვს სასამართლო ხარჯებისგან გათავისუფლებას, როდესაც სარჩელს აღძრავს იმ მოპასუხის წინააღმდეგ, რომლის ეკონომიკური მდგომარეობა ცალსახად არ იძლევა მოთხოვნის უფლების დაკმაყოფილების შესაძლებლობას, ყოველ შემთხვევაში, არა სასარჩელო მოთხოვნის სრული ოდენობით. ამით თავიდანვე ყველაფერი იმაზე მეტყველებს, რომ თუ სასამართლო დააკმაყოფილებს სარჩელს, მხარე ხანგრძლივი დროის განმავლობაში ვერ შეძლებს გადაწყვეტილების აღსრულებას, ან მხოლოდ ნაწილობრივ შეძლებს ამას (ამ შემთხვევაში, შესაძლებელია მხარის სასამართლო ხარჯებისგან გათავისუფლება თანხის ამ ნაწილის ფარგლებში) (OLG Karlsruhe, Beschluss vom 29.08.2011 - 9 W 13/11 - ZIP 2012, 494). მაშასადამე, ასეთ დროს, შემონება მოიცავს იმას, იტყოდა თუ არა რაციონალური მოსარჩელე, რომელმაც თვითონ უნდა დაფაროს საპროცესო ხარჯები, თავიდანვე უარს მოთხოვნაზე, ან, სულ მცირე, თანხობრივად ხომ არ შეზღუდავდა ამ მოთხოვნის უფლებას რეალიზებად ოდენობამდე. ასევე უგუნურობა შეიძლება იყოს სახეზე, როდესაც ფინანსურად უძლურ მხარეს სურს რამდენიმე ცალკე პროცესის წარმოება, მიუხედავად იმისა, რომ ხარჯების საფუძვლებიდან გამომდინარე, გონივრული იქნებოდა ცალკე არსებული მოთხოვნის უფლებების ერთი სარჩელის ფარგლებში განხორციელება (BGH, Beschluss vom 21.11.2013 - III ZA 28/13 - JurBüro 2014, 203).

5. ქართულ და გერმანულ სამართლებრივ მდგომარეობას შორის არსებითი განსხვავება ის არის, რომ ეს უკანასკნელი ერთმანეთისგან მიჯნავს მხარის სასამართლო ხარჯებისგან გათავისუფლების გადანყვეტილებასა (§ 114 GER-ZPO) და **სახაზინო ადვოკატის დანიშვნის** გადანყვეტილებას (§ 121 GER-ZPO), მიუხედავად იმისა, რომ, ფაქტობრივად, ორივე გადანყვეტილება, თითქმის ყოველთვის, ერთი განჩინების ფარგლებში მიიღება.

სახაზინო ადვოკატის დანიშვნისას გერმანიაში განსხვავებულია სამართლებრივი სიტუაცია სამოქალაქო სამართლის კატეგორიის დავებზე პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოებში. მეორე ინსტანციის სასამართლოებში სამოქალაქო სამართლის დავების დასაშვებად წარმოება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მხარე წარმოდგენილია ადვოკატით (§ 78 Abs. 1 GER-ZPO, ე.წ. ადვოკატის სავალდებულო მონაწილეობა საქმისწარმოებისას), ისე, რომ სასამართლო ხარჯებისგან გათავისუფლების გადანყვეტილებისას სავალდებულოა სახაზინო ადვოკატის დანიშვნა (§ 121 Abs. 1 GER-ZPO). კითხვა, თუ როდის უნდა დაინიშნოს სახაზინო ადვოკატი იმ კატეგორიის საქმეებზე, რომლებშიც არ არის სავალდებულო ადვოკატის მონაწილეობა, საქართველოსგან განსხვავებით, გერმანიაში დაისმის მხოლოდ სამოქალაქო სამართლის საქმეების განხილვისას პირველ ინსტანციაში (§ 121 Abs. 2 GER-ZPO).

სახაზინო ადვოკატის დანიშვნის წინაპირობები ზოგადად მსგავსია ორივე ქვეყნის მართლწესრიგში, როდესაც საქმე მიდგება კონკრეტული საპროცესო სიტუაციის შეფასებაზე. შემონშების მასშტაბი გერმანიაში კანონის ტექსტის მიხედვით უფრო შეზღუდულია („აუცილებელი“) ვიდრე საქართველოში („მიზანშეწონილი“). თუმცა, სასამართლო პრაქტიკაში განსხვავებები არცთუ ისე დიდია. გერმანიაში აუცილებლობის წინაპირობებს არ წაეყენება გადამეტებული მოთხოვნები, წინააღმდეგ შემთხვევაში, საფრთხე შეექმნებოდა უფლების დაცვის თანაბარი შესაძლებლობების შექმნას, რაც გარანტირებულია საკონსტიტუციო სამართლით, უპირველეს ყოვლისა, თანაბარი საპროცესო შესაძლებლობების საფუძველზე.

ამასთან დაკავშირებით, ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო აცხადებს (BVerfG, Beschluss vom 24.03.2011 - 1 BvR 2493/10 - WuM 2011, 352):

„აა) აუცილებლობა, § 121 Abs. 2 ZPO-ის მიხედვით, ფასდება საქმის მოცულობისა და სირთულის, ასევე, მონაწილეთა უნარის შესაბამისად - ნერილობითი და ზეპირი ფორმით გამოხატონ საკუთარი პოზიცია (vgl. BVerfGE 63, 380). ამასთან, გადამწყვეტია, აიყვანდა თუ არა ფინანსუ-

რად წელში გამართული მხარე ადვოკატს საკუთარი ინტერესების დასაცავად ფინანსურად უძღური მხარის სიტუაციაში და რამდენად გონივრული იქნებოდა ეს მისი მხრიდან. როგორც წესი, ეს ივარაუდება, როდესაც აშკარა დისბალანსია საპროცესო მხარეებს შორის ცოდნისა და უნარების კუთხით (vgl. BVerfG NJW 1997, 2103; BVerfG NJW-RR 2007, 1713...).

ბბ) მართალია, სასამართლომ აუცილებლობის შემონმებისას იხელმძღვანელა ამ მასშტაბებით, თუმცა შემდგომში სათანადოდ არ გაითვალისწინა ეს ფაქტორი. (მათ) კითხვა, აუცილებელია თუ არა მხარე ადვოკატით იყოს წარმოდგენილი, დაიყვანეს მხოლოდ და მხოლოდ დავის საგნის ღირებულებისა და ხარჯებთან დაკავშირებული რისკების ურთიერთმიმართების შეფასებამდე. ამასთან, არცერთმა სასამართლომ ყურადღება არ მიაქცია: ფაქტს, რომ შეფასების მასშტაბს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სახაზინო ადვოკატის დანიშვნის განხილვისას; და საკითხს, ხომ არ არღვევს განსაკუთრებული პიროვნული ურთიერთობები მხარეებს შორის თანაბარი საპროცესო შესაძლებლობების უზრუნველყოფის პრინციპს (BVerfG NJW-RR 2007, 1713).“

ეს პრინციპები შეიძლება ერთგვარი სახელმძღვანელოც იყოს ქართული სასამართლოებისთვის, მით უფრო, რომ, § 121 Abs. 2 GER-ZPO-ის მიხედვით, სამოქალაქო სამართლის დავებზე სახაზინო ადვოკატის დანიშვნამ, როდესაც საპროცესო მონინალმდევე წარმოდგენილია ადვოკატით, უნდა უზრუნველყოს პროცესზე მხარეთა თანაბარი შესაძლებლობების კონსტიტუციით გარანტირებული მოთხოვნა (იხ. მე-4 მუხლის კომენტარი, ა. ნ. 2 და მომდევნო აბზაცები).

გერმანულ სამოქალაქო საპროცესო სამართალში მხარეს, სასამართლო ხარჯებისგან გათავისუფლების შემთხვევაში, შეუძლია აირჩიოს მისი ნდობით აღჭურვილი ადვოკატი. § 121 Abs. 3 GER-ZPO-ის მიხედვით, სახაზინო ადვოკატად მხოლოდ მაშინ შეიძლება დაინიშნოს სხვა ფედერაციულ მინაზე მცხოვრები ადვოკატი, თუ ეს არ წარმოშობს დამატებით ხარჯებს. აქედან გამომდინარე, თუ მსგავს შემთხვევებში მხარე ითხოვს სხვა ფედერაციულ მინაზე მცხოვრები ადვოკატის დანიშვნას, მისი ეს მოთხოვნა დაკმაყოფილდება, ოღონდ „ამ სასამართლოს ტერიტორიული განსჯადობის ერთეულში მცხოვრები ადვოკატების ანაზღაურების პირობებში“ (BGH, Beschluss vom 23.06.2004 – XII ZB 61/04 - BGHZ 159, 370; BGH, Beschluss vom 06.04.2006 - IX ZB 169/05 - NJW 2006, 1881). ანუ, ამ ადვოკატს სახელმწიფო ხაზინიდან დაეფარება მხოლოდ ის ხარჯები, რომლებიც აუნაზღაურდებოდა ამ სასამართლოს ტე-

რიტორიული განსჯადობის ერთეულში მცხოვრებ ადვოკატს. მაშასადამე, მას არ აუნაზღაურდება მგზავრობის დამატებითი ხარჯები. ადვოკატის მიერ გაცხადებულ თანხმობას სასამართლო პრაქტიკა ხედავს იმაში, რომ სხვა ფედერაციულ მიწაზე მცხოვრები ადვოკატი, მიუხედავად დამატებითი ხარჯების ანაზღაურების აკრძალვისა (§ 121 Abs. 3 GER-ZPO), თვითონ მოითხოვს მის დანიშვნას (BGH, Beschluss vom 10.10.2006 - XI ZB 1/06 - NJW 2006, 3783) და ამით, ფაქტობრივად, უარს ამბობს აღნიშნული ხარჯების ანაზღაურებაზე.

6. საპროცესო ხარჯებისგან გათავისუფლებას გერმანულ სამოქალაქო საპროცესო სამართალში, სახაზინო ადვოკატის დანიშვნის გარდა, **შედეგად მოჰყვება** ის, რომ მხარე თავისუფლდება სახელმწიფო ბაჟის გადახდისგან და დანიშნულ ადვოკატს არ შეუძლია მხარისგან ჰონორარის მოთხოვნა (§ 122 GER-ZPO). საპროცესო ხარჯებისგან გათავისუფლება არ ეხება ვალდებულებას, რომელიც გულისხმობს მონინაალმდებისთვის ხარჯების ანაზღაურებას სასამართლო პროცესის წაგების დროს (§ 123 GER-ZPO). არასწორი ინფორმაციის შემთხვევაში, სასამართლომ შეიძლება გააუქმოს საპროცესო ხარჯებისგან გათავისუფლების გადაწყვეტილება (§ 124 GER-ZPO).

7. გასაჩივრების ვადების დაცვასა და პირველადი მდგომარეობის აღდგენის შედეგებზე იხ. 264-ე მუხლის კომენტარი, ა. ნ. 36 და მომდევნო აბზაცები.

მუხლი 79. მხარეები სამოქალაქო პროცესში

1. სასამართლო საქმის განხილვას შეუდგება დაინტერესებული პირების განცხადებით. მხარეებად სასამართლოში შეიძლება გამოვიდნენ ფიზიკური და იურიდიული პირები.

2. კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში მხარეებად შეიძლება იყვნენ ორგანიზაციები, რომლებიც არ არიან იურიდიული პირები.

მუხლი 80. სამოქალაქო საპროცესო უფლებაუნარიანობა

1. საქართველოს ყველა ფიზიკური და იურიდიული პირი აღჭურვილია უნარით, ჰქონდეს სამოქალაქო საპროცესო უფლებები და მოვალეობები (საპროცესო უფლებაუნარიანობა).

2. ფიზიკური პირის საპროცესო უფლებაუნარიანობა წარმოიშობა დაბადების მომენტიდან და შეწყდება მისი გარდაცვალებით.

3. იურიდიული პირის უფლებაუნარიანობა წარმოიშობა რეგისტრაციის მომენტიდან და შეწყდება მისი ლიკვიდაციის რეგისტრაციის მომენტიდან.

უღრის ჰაბენლოხი

79-ე და მომდევნო მუხლი

სსკ-დან მოყვანილი ნორმები:

- 79-ე მუხლი
- მე-80-ე მუხლი

მხარეები, პროცესის წარმართვის უფლებამოსილება, შუალედური გადანყვეტილება

1. საქართველოსა და გერმანიაში მსგავსია სამართლებრივი სიტუაცია მხარედ არსებობის უნარიანობასთან დაკავშირებით.

ა) § 50 Abs. 1 GER-ZPO-ის მიხედვით, მხარედ არსებობის უნარიანობა უკავშირდება სამოქალაქო სამართლებრივ უფლებაუნარიანობას. ის ამით მოიცავს ფიზიკურ პირებსა (§ 1 GER-BGB) და უფლებაუნარიან საზოგადოებებს (§ 14 Abs. 2 GER-BGB), მაშასადამე, უპირველეს ყოვლისა (§ 124 Abs. 1 , § 161 Abs. 2 GER-HGB-ზე შინაარსობრივი მითითებით),

სავაჭრო საზოგადოებებს (ლია სავაჭრო საზოგადოება, კომანდიტური საზოგადოება) და დამატებით (§ 7 Abs. 2 GER-PartGG) პარტნიორულ გაერთიანებებს (თავისუფალი პროფესიების წარმომადგენელთა გაერთიანებებს, რომელთა მიზანია ერთობლივი პროფესიული საქმიანობა). გარდა ამისა, § 50 Abs. 2 GER-ZPO არაუფლებათუნარიან კავშირებს ანიჭებს საპროცესო ქმედუნარიანობას. მსგავსად ქართული სამართლისა (სსკ-ის 79-ე მუხლის მე-2 ნაწილი), მხარედ არსებობის უნარიანობა ბოლომდე არ არის მონესრიგებული გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსშიც, ამ საკითხს არეგულირებს სხვა ორგანიზაციების სამართლებრივ სტატუსთან დაკავშირებული შესაბამისი კანონები. ეს ნაწილობრივ ხორციელდება უშუალოდ უფლებათუნარიანობის მინიჭებით და § 50 Abs. 1 GER-ZPO-თან შინაარსობრივი კავშირის საფუძველზე, ან საპროცესო ქმედუნარიანობის ცალკე წარმოშობით, მაშასადამე, უფლებათუნარიანობის თანადროულად წარმოშობის გარეშე.

კერძო სამართლის იურიდიული პირების პარალელურად (მაგ.: სააქციო საზოგადოებები, ამხანაგობები, ფონდები და უფლებათუნარიანი გაერთიანებები), საპროცესო ქმედუნარიანობა აქვს საჯარო სამართლის ყველა იურიდიულ პირს, უპირველეს ყოვლისა, ყველა კორპორაციასა და დაწესებულებას. ანალოგიური მოქმედებს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის შემთხვევაშიც, ცალკეული ფედერაციული მხარისა თუ ე.წ. სპეციალური სტატუსის მქონე საჯარო-სამართლებრივი აქტივების მიმართ. ამასთან დაკავშირებით, გერმანიაში არსებული სპეციალური რეგულაციები (მაგ.: პოლიტიკურ პარტიებსა (§ 3 GER-PartG) და პროფკავშირებთან (§ 10 GER-ArbGG) მიმართებით), იმდენად მოცულობითია, რომ თითქმის შეუძლებელია მათი ბოლომდე განჭვრეტა.

გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლოს მიერ 2001 წელს მიღებული სახელმძღვანელო გადაწყვეტილების შემდეგ (BGH, Urteil vom 29.01.2001 II ZR 331/00 - BGHZ 146, 341; დამატებით BGH, Beschluss vom 04.12.2008 - V ZB 74/08 - BGHZ 179, 102 საჯარო რეესტრში რეგისტრაციის უნართან დაკავშირებით), ე.წ. **სამოქალაქო სამართლის საზოგადოებებს, რომელთა საქმიანობაც გამოიხატება მესამე პირებთან ურთიერთობაში**, მიენიჭა ნაწილობრივი უფლებათუნარიანობა და, აქედან გამომდინარე, საპროცესო ქმედუნარიანობა. ამ საზოგადოებებში შედის სამოქალაქო სამართლის ის საზოგადოებები, რომელთაც სამოქალაქო ბრუნვაში მონაწილეობით წარმოემობათ საკუთარი უფლებები და ვალდებულებები. მართალია, ამით ეს საზოგადოებები არ იქცევიან იურიდიულ პირებად, თუმცა ისინი ნაწილობრივ დამოუკიდებლები არიან და ხელშეუხებელი რჩება მათი პროცესუალური სტატუსი პარტნი-

ორის ცვლილებისას. გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლოს ზემოხსენებული გადაწყვეტილება ძალზე მოცულობითია და მრავალმხრივ დასაბუთებული. აქედან გამომდინარე, თავს შევიკავებდი მისი დეტალურად წარმოდგენისგან. არსებითი არგუმენტაციის კუთხით, ამ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი თანხვედა ქვემოთ წარმოდგენილი გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილს, რომელიც ეხება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობას.

გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით (BGH, Urteil vom 12.04.2007 - VII ZR 50/06 - BGHZ 172, 63; BGH, Beschluss vom 02.06.2005 - V ZB 32/05 - BGHZ 163, 154; BGH, Urteil vom 24.06.2005 - V ZR 350/03 - NJW 2005, 3146), **ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა** უფლებაუნარიანი გაერთიანებაა *sui generis*, თუმცა მისი უფლებაუნარიანობა არ არის ყოვლისმომცველი: ის შემოიფარგლება სამართლებრივი სფეროს იმ ნაწილებით, სადაც ბინათმესაკუთრეები საერთო საკუთრების მართვის ფარგლებში ერთობლივად იღებენ მონაწილეობას სამართალბრუნვაში. აქედან გამომდინარე, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობას აქვს საპროცესო ქმედუნარიანობაც.

გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლოს (ძალზე მოცულობითად დასაბუთებულ) ფუძემდებლურ გადაწყვეტილებაში (BGHZ 163, 154 (BGH, Beschluss vom 02.06.2005 - V ZB 32/05) საუბარია იმაზეც, რომ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობას აქვს საკუთარი წესდება და, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ კანონის § 10 Abs. 1 Satz 2 GER-WEG მიხედვით, შეუძლია წევრების უფლებებისა და ვალდებულებების შინაარსობრივი სტრუქტურირება. ეს ცდება BGB-ს § 741 ff.-ით მოწესრიგებული ამხანაგობის ფარგლებს (მითითება: შინაარსობრივად ძირითადად მსგავსია ქართული სკ-ის 953-და მომდევნო მუხლებისა) და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობას აახლოებს კავშირთან. ბინათმესაკუთრეთა კრებას ბევრ საკითხზე, განსაკუთრებით, ადმინისტრირებისას, ენიჭება უფლებამოსილება, რომ § 25 Abs. 1 GER-WEG-ის მიხედვით, გადაწყვეტილება მიიღოს ხმათა უმრავლესობით. ის ბინათმესაკუთრეები, რომლებიც არ დაესწრებიან კრებას, ან რომელთა ხმებიც გადაიწონება, უნდა დაემორჩილონ ამ გადაწყვეტილებას. ეს უფლებაუნარიანი კავშირის დამახასიათებელი ნიშანია. კორპორაციასთან სიახლოვე უფრო დიდია, ვიდრე ამას შეიცავს §§ 24, 25 GER-WEG-ის დეტალური ინსტრუქციები ხმის უფლებაზე, გადაწყვეტილებისუნარიანობასა და გადაწყვეტილებათა ოქმის სახით ჩანერაზე. ამას უკვე გვიჩვენებს კანონის განმარტებით ბარათში გავლებული პარალელები კორპორაციებში გადაწყვეტილების

მიღების უფლებასთან დაკავშირებით. ამასთან, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობას აქვს საკუთარი ორგანოები, კერძოდ, ბინათმესაკუთრეთა კრება, ჰყავს მმართველი (BGH, Beschluss vom 20.06.2002 - V ZB 39/01 - BGHZ 151, 164; BGH, Beschluss vom 19.09.2002 - V ZB 30/02 - BGHZ 152, 46) და - თუმცა ნებაყოფლობით - მმართველობითი საბჭო. მმართველი, § 26 Abs. 1 Satz 4 GER-WEG-ის მიხედვით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის განუყოფელი ნაწილია და შეუძლია, ფართოდ განაგოს მათთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობები. ამასთან, ვინაიდან არ არის აუცილებელი მმართველის არჩევა ბინათმესაკუთრეთაგან, საქმე ეხება მესამე პირის მიერ ორგანოს წარმომადგენლობას, კორპორაციულ-სამართლებრივი კატეგორიების მიხედვით (ე.წ. წარმომადგენლობის განევა მესამე პირის მხრიდან), რაც ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობას აახლოებს იურიდიულ პირთან. ამასთან, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა დამოუკიდებელია არა მხოლოდ შესაბამის წევრთა ფონდისგან, რაც უკვე თავის მხრივ უთითებს კორპორაციულ ნიშნებზე, არამედ, როგორც წესი, შეუძლებელია მისი ლიკვიდაცია.

ამ მოსაზრებებიდან გამომდინარე, ლოგიკურია, რომ ქართული სასამართლო პრაქტიკაც საპროცესო ქმედუნარიანობას ანიჭებს მრავალბინიანი სახლის ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობას (ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ კანონის მე-11 მუხლი) და არა ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მესაკუთრეთა ამხანაგობას (ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ კანონის მე-12 მუხლი).

ამისგან განსხვავებით, **თანამემკვიდრებს (§ 2032 GER-BGB; Art. 1334 GEO-ZGB)** უმაღლესი სასამართლო პრაქტიკა არ აღიარებს საპროცესო ქმედუნარიანად (BGH, Beschluss vom 17.10.2006 - VIII ZB 94/05 - NJW 2006, 3715; BGH, Beschluss vom 11.09.2002 - XII ZR 187/00 - NJW 2002, 3389). ამას საფუძვლად უდევს ფაქტი, რომ თანამემკვიდრეობა - განსხვავებით სამოქალაქო სამართლის საზოგადოებებისა (რომელთა საქმიანობა გამოიხატება მესამე პირებთან ურთიერთობაში) ან ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობისგან - არ არის განსაზღვრული ან გამოსადეგი სამართლებრივ ურთიერთობებში მუდმივად მონაწილეობისთვის: ის თავიდანვე მიმართულია საერთო საკუთრებაში არსებული ქონების განაწილებაზე; გარდა ამისა, არ გააჩნია ორგანოები, რომელთა დახმარებითაც შეძლებდა სამართლებრივ ურთიერთობებში შესვლას. აქედან გამომდინარე, „თანამემკვიდრეობი“ არ გახლავთ დამოუკიდებელი, ქმედუნარიანი სამართლებრივი სუბიექტი, ეს არის მხოლოდ ერთმანეთთან სოლიდარულად დაკავშირებულ პირთა ერთობა, რომელსაც ანდერძის საფუძველზე მიენიჭა სპეციალური სტატუსის მქონე ქონება.

ბ) მხარედ არსებობის უნარის მქონე ორგანიზაციების **ქვეორგანიზაციებს**, ძირითადად, არ გააჩნია საპროცესო ქმედუნარიანობა. გამონაკლისია § 3 Abs. 2 GER-PartG, რომელიც შეეხება პოლიტიკური პარტიების უმაღლეს რეგიონულ წარმომადგენლობებს. სასამართლო პრაქტიკა ამ თემატიკას ნაწილობრივ იმით ხსნის, რომ ის დეცენტრალიზებულად სტრუქტურირებული ორგანიზაციის განშტოებებს განიხილავს, როგორც არაუფლებაუნარიან კავშირებს (და ამით § 50 Abs. 2 GER-ZPO-ის მიხედვით, მხარედ არსებობის უნარის მქონედ), რამდენადაც ეს ორგანიზაციები ხანგრძლივი დროის განმავლობაში ასრულებენ დავალებებს საკუთარი სახელით მესამე პირებთან ურთიერთობებში; ასევე, აქვთ კორპორაციული წესები, საერთო სახელწოდება და არ არიან დამოკიდებულნი წევრების ცვლილებაზე (BGH, Urteil vom 19.03.1984 - II ZR 168/83 - BGHZ 90, 331; BGH, Urteil vom 02.07.2007 - II ZR 111/05 - NJW 2008, 69; OLG Saarbrücken, Beschluss vom 24.02.2016 - 5 W 6/16 - ZstV 2017, 22; OLG Stuttgart, Beschluss vom 22.07.2003 - 4 W 32/03 - NJW-RR 2004, 619 საპარლამენტო ფრაქციისთვის; პროფკავშირების ქვეორგანიზაციისთვის იხ. აგრეთვე ჰესენის სამხარეო შრომითი დავების განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილება 17.09.2008 - 9 SaGa 1442/08 - NZA-RR, 2009, 26).

გ) მუდმივად ჩნდება კითხვა, **დაარსების ან ლიკვიდაციის** შემთხვევაში, რა ეტაპიდან წარმოიშობა ან, შესაბამისად, სრულდება, მხარედ არსებობის უნარის მქონე ორგანიზაციის ეს უნარიანობა. ეს, უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია, როდესაც რამდენიმე ეტაპად ხორციელდება დაარსების პროცესი (როგორც, მაგალითად კორპორაციულ სამართალში). ამ ძალზე კომპლექსურ კითხვებს პასუხს სცემს არა სამოქალაქო საპროცესო სამართალი, არამედ შესაბამისი კორპორაციის ფორმასთან დაკავშირებული ეროვნული კანონმდებლობა, რის გამოც ამაზე აქ მხოლოდ მოკლედ ვისაუბრებთ.

გერმანულ კორპორაციულ და ამხანაგობათა სამართალში (შემდგომში - „კორპორაციული სამართალი“) ზოგადად ამოდიან იქიდან, რომ ე.წ. წინარე საზოგადოება წარმოიშობა სამართლებრივად ნამდვილი კორპორაციული ხელშეკრულების, ან ამის ეკვივალენტური აქტის დადებისას. ამ წინარე საზოგადოებასთან დაკავშირებით (როგორცაა, წინარე შპს, წინარე სააქციო საზოგადოება), როგორც იურიდიული პირის შექმნისთვის საჭირო წინარე საფეხურზე, გამოიყენება მოგვიანებითი სამართლებრივი ფორმისთვის მოქმედი სამართლებრივი პრინციპები. ამით წინარე საზოგადოება მხარედ არსებობის უნარიანია სავაჭრო რეესტრში (მენარმე-

თა რეესტრში) რეგისტრაციამდე, როგორც პასიურად, აგრეთვე აქტიურად, რამდენადაც ის მონაწილეობს სამართლებრივ ურთიერთობებში (BGH, Urteil vom 23.10.2006 - II ZR 162/05 - BGHZ 169, 270; BGH, Urteil vom 28.11.1997 - V ZR 178/96 - NJW 1998, 1079; ინდივიდუალურ კონსტიტუციურ სარჩელთან დაკავშირებული საქმისწარმოებისთვის იხ. აგრეთვე: BVerfG, Beschluss vom 14.01.2014 - 1 BvR 2998/11 - NJW 2014, 613). ეს იმ შემთხვევაშიც მოქმედებს, როდესაც დამფუძნებლები უარს იტყვიან დაფუძნების განზრახვაზე და, მაშასადამე, აღარ მოისურვებენ საზოგადოების სამენარმეო რეესტრში რეგისტრაციას (დეტალურად იხ: BGH, Urteil vom 31.03.2008 - II ZR 308/06 - NJW 2008, 2441; აქვე იხ. სამართლებრივი შედეგები სამენარმეო საქმიანობის გაგრძელების შემთხვევაში).

მხარედ არსებობის უნარიანობის დასრულება კორპორაციულ სამართალში, როგორც წესი, მიმდინარეობს ლიკვიდაციის ზოგადი წესების შესაბამისად (BGH, Urteil vom 23.10.2006 - II ZR 162/05 - BGHZ 169, 270; BGH, Urteil vom 31.03.2008 - II ZR 308/06 - NJW 2008, 2441; BGH, Beschluss vom 19.01.2017 - VII ZR 112/14 - ZIP 2017, 493 für limited englischen Rechts). თუმცა გერმანულ სამართალში აღიარებულია, რომ ლიკვიდირებული საზოგადოება, სალიკვიდაციო წარმოების დასრულების შემდეგ, განხილული უნდა იქნას, როგორც აქტიურად მხარედ არსებობის უნარიანი, რამდენადაც ის სასამართლოს გზით განახორციელებს მითითებულ ქონებრივ უფლებას (BGH, Urteil vom 17.10.1994 - II ZR 159/93 - NJW-RR 1995, 1237; BGH, Urteil vom 23.01.1990 - X ZR 75/87 - GRUR 1991, 522). და პირიქით, გამოგონილია საზოგადოების პასიური მხარედ არსებობის უნარიანობა, როდესაც მოსარჩელე დასაბუთებულად მიუთითებს, რომ საზოგადოება, მიუხედავად ფორმალურად დასრულებული ლიკვიდაციისა, კვლავაც ფლობს რეალიზებად ქონებას (BGH, Beschluss vom 20.05.2015 - VII ZB 53/13 - NJW 2015, 2424; BGH, Urteil vom 25.10.2010 - II ZR 115/09 - NJW-RR 2011, 115; BGH, Urteil vom 17.10.1994 - II ZR 159/93 - MDR 1995, 529; იხ. აგრეთვე: BGH, Urteil vom 04.05.2004 - XI ZR 40/03 - BGHZ 159, 94).

დ) ე.წ. **პროცესი საკუთარ თავთან** უცხოა გერმანული სამოქალაქო საპროცესო სამართლისთვის. ამის შედეგია ის, რომ სამოქალაქო სამართლის დავა მთავრდება კანონით, თუ მოგვიანებით მხარეები, რომლებიც ერთმანეთის მონინაალმდეგეები იყვნენ, სამართლებრივად ერთ მხარედ იქცევიან (მაგ.: მხარე გახდება საპროცესო მონინაალმდეგის ერთადერთი მემკვიდრე, ან ისინი ერთმანეთს შეერწყებიან). ამის შემდეგ, როგორც წესი, არ რჩება სივრცე გადანყვეტილებისთვის საპროცესო ხა-

რჯების განაწილებასა და გადახდევინებაზე (BGH, Beschluss vom 07.03.2018 - IV ZR 28/17 - FamRZ 2018, 842; BGH, Beschluss vom 16.12.2010 - Xa ZR 81/09 - NJW-RR 2011, 488; etwas abweichend: BGH, Beschluss vom 15.04.1999 - V ZR 311/97 - NJW-RR 1999, 1152). სასამართლოს მიერ დავის დამთავრებას მოსამართლე საკუთარი ინიციატივით ადგენს დეკლარაციული განჩინებით (შდრ. BGH, Beschluss vom 07.03.2018 - IV ZR 28/17 - FamRZ 2018, 842).

ე) მხარედ არსებობის უფლებაუნარიანობა სასამართლომ საკუთარი ინიციატივით უნდა შეამოწმოს საქმისწარმოების ნებისმიერ ეტაპზე (§ 56 Abs. 2 GER-ZPO). თუ იგი საკუთარ გადაწყვეტილებაში არ დაადგენს პირის მხარედ არსებობის უნარიანობას, ეს მხარე, სასამართლოს ამ გადაწყვეტილების გასაჩივრების შემთხვევაში, განხილული უნდა იქნას მხარედ არსებობის უნარიანად (დეტალებზე იხ. 81-ე მუხლის კომენტარი, ა.ნ. 10 და მომდევნო აბზაცის ნომრები).

2. გერმანული სამოქალაქო საპროცესო სამართალი მოქმედებს პრინციპით, რომ **პროცესის წარმართვის უფლებამოსილება**, როგორც წესი, აქვს მხოლოდ იმ მხარეს, რომელიც ამტკიცებს, რომ არის მის მიერ განხორციელებული პროცესუალური უფლების მფლობელი. პროცესის წარმართვის დასაშვებობის წინაპირობაა ის, რომ მოსარჩელე (მისი პერსპექტივიდან გამომდინარე) ახორციელებს საკუთარ მატერიალურ უფლებას. რამდენად აქვს მას საბოლოოდ ამ საქმეში მოთხოვნის უფლებამოსილება, მაშასადამე, ე.წ. მოსარჩელედ ყოფნის უფლება, არის არა სარჩელის დასაშვებობის, არამედ მისი დასაბუთებულობის საკითხი. შესაბამისად, მისი სარჩელი დაუშვებლად უნდა ცნონ არა იმიტომ, რომ ფაქტობრივად არარსებული უფლების ფლობის შემთხვევაში მხარეს არ აქვს პროცესის წარმართვის უფლებამოსილება, არამედ, თუ სასამართლო დაუსაბუთებლად მიიჩნევს მხარის არსებულ ან მის მიერ დამტკიცებულ მხარედ ყოფნის უფლებამოსილებას.

actio pro socio-თან დაკავშირებული პრინციპები არ გვეუბნება ზემოხსენებული მოსაზრებებისგან განსხვავებულ რამეს. თუ მოსარჩელე ახორციელებს მოთხოვნის უფლებებს, რომლებიც, მისი აზრით, ეკუთვნის **actio pro socio**-ს პრინციპების მიხედვით (BGH, Urteil vom 19.12.2017 - II ZR 255/16 - NJW-RR 2018, 288; BGH, Versäumnisurteil vom 14.05.2013 - II ZR 176/10 - NJW 2013, 2586; BGH, Urteil vom 29.11.2004 - II ZR 14/03 - ZIP 2005, 320), და ეს არ შეესაბამება მატერიალურ-სამართლებრივ მდგომარეობას, მისი სარჩელი დაუშვებლად უნდა ცნონ არა პროცესის წარმართვის უფლებამოსილების არქონის, არამედ მისი დაუსაბუთებლო-

ბის გამო. ამას, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობასთან დაკავშირებით, რომლის დროსაც გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლო უარს ეუბნება ცალკეულ ბინათმესაკუთრეს სხვა ბინათმესაკუთრეების წინააღმდეგ მოთხოვნის უფლების არსებობაზე ბინის ქირის სახელმწიფო შემწეობასთან მიმართებით (BGH, Beschluss vom 20.04.1990 – V ZB 1/90 - BGHZ 111, 148; BGH, Urteil vom 10.02.2017 - V ZR 166/16 - NJW-RR 2017, 844) (შინაარსობრივად, დაახლოებით, შესატყვისია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ კანონის 21-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტი), შედეგად მოჰყვება შემდეგი: თუ, მაგალითად, მოსარჩელე ბინათმესაკუთრე აცხადებს, რომ მეორე ბინათმესაკუთრე მის მიმართაც არის ვალდებული, ბინის ქირის სახელმწიფო შემწეობა გადაუხადოს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობას, მისი სარჩელი დაუსაბუთებელია და, შედეგად, უარი უნდა ეთქვას დაკმაყოფილებაზე მოსარჩელედ ყოფნის არალეგიტიმურობის გამო. თუ ის უთითებს, რომ უფლებამოსილია, განახორციელოს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის (სხვისი) უფლება, მისი სარჩელი დაუშვებელია უკვე პროცესის წარმართვის უფლებამოსილების არქონის გამო (შდრ. actio pro societate-თან დაკავშირებით: BGH, Urteil vom 19.12.2017 - II ZR 255/16 - NJW-RR 2018, 288).

თუმცა არსებობს გამონაკლისები პრინციპისგან, რომელიც გულისხმობს, რომ პროცესის წარმართვის უფლებამოსილება აქვს მხოლოდ მატერიალური მოთხოვნის მფლობელს. ამ გამონაკლისებს გერმანიაში უწოდებენ საკუთარი სახელით სხვისი საქმისწარმოების უფლებამოსილებას სასამართლოში, რომელიც გათვალისწინებულია კანონით ან გარიგებით.

ა) სასამართლოში საკუთარი სახელით სხვისი საქმისწარმოების კანონით გათვალისწინებულ უფლებამოსილებაში შედის საკუთარი სახელით სხვისი უფლების განხორციელების ნორმატიული უფლებამოსილება. ეს შეიძლება იყოს, მაგალითად: ანდერძის აღმასრულებლის უფლებამოსილებები (სკ-ის 1415-ე მუხლი); ნოტარიუსებისა და ანდერძის აღმასრულებლების უფლებამოსილებები (სკ-ის 1495-ე და მომდევნო მუხლები); და გადახდისუუნარობის საქმის მმართველის უფლებამოსილებები. საბოლოოდ, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის § 1011 GER-BGB-დან ან, შესაბამისად, ქართული სკ-ის 173-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადებიდან გამომდინარე, ცალკეული თანამესაკუთრის პროცესის წარმართვის უფლებამოსილება შეიძლება მოვიაზროთ, როგორც სასამართლოში საკუთარი სახელით სხვისი საქმისწარმოების კანონით გათვალისწინებული უფლებამოსილება. და ეს მიუხედავად იმისა, რომ - ყოველ შემთხვევაში, გერმანულ სამართალში - ამაზე სხვა თანამესაკუთრეების

თანხმობის საჭიროების გამო, ის შეიძლება უფრო შერეულ ფორმად მიიჩნეოდეს (იხ. მე-10 მუხლის კომენტარი, ა.ნ. 59). ამის კიდევ ერთი მაგალითია §§ 44 Abs. 2, 45 Abs. 1 GER-VVG-დან (კანონი სადაზღვევო ხელშეკრულების შესახებ) (მსგავსი რეგულაციაა სკ-ის 838-ე მუხლის პირველი ნაწილი) გამომდინარე დამზღვევის უფლებამოსილება, რომელიც სხვა პირისთვის დებს დაზღვევის ხელშეკრულებას, რომ საკუთარი სახელით განახორციელოს ამ ხელშეკრულებით დაზღვეული პირების უფლებები (BGH, Urteil vom 05.04.2017 - IV ZR 360/ - BGHZ 214, 314).

გერმანულ სამართალში ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობას შეუძლია, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით (რამდენადაც ეს ემსახურება ადმინისტრაციული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას), თვითონ შეითავსოს ცალკეული ბინათმესაკუთრის/შემძენის მოთხოვნის უფლება საერთო საკუთრების სათანადოდ აშენებასა და, მაშასადამე, ნარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე საერთო საკუთრებაზე არსებული ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებით (BGH, Urteil vom 12.04.2007 - VII ZR 236/05 - BGHZ 172, 42; BGH, Urteil vom 25.02.2016 - VII ZR 56/13 - NJW 2016, 1575; BGH, Urteil vom 15.01.2010 - V ZR 80/09 - NJW 2010, 933). თუ ეს მოხდება, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობას სამართლებრივი დავისას ექნება ცალკეული მესაკუთრისთვის საკუთარი სახელით საქმისწარმოების კანონით მინიჭებული უფლებამოსილება (BGH, Urteil vom 25.02.2016 - VII ZR 56/13 - NJW 2016, 1575). ამას პირდაპირ შეესატყვისება ე.წ. საკუთარი სახელით სხვისი საქმისწარმოების კანონით განსაზღვრული პასიური უფლებამოსილება, რომლის დროსაც ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა (ნაცვლად მატერიალურ-სამართლებრივი ვალდებულების მქონე ცალკეული ბინათმესაკუთრისა), სასამართლოს გზით ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ კანონის § 10 Abs. 6 Satz 3 Halbsatz 1 GER-WEG-ის მიხედვით, პასუხს აგებს ამხანაგობასთან დაკავშირებული ვალდებულებებისთვის (BGH, Urteil vom 25.02.2016 - VII ZR 56/13 - NJW 2016, 1735).

სასამართლოში საკუთარი სახელით სხვისი საქმისწარმოების კანონით გათვალისწინებული უფლებამოსილების სპეციალურ შემთხვევებს აწესრიგებს გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის § 265 Abs. 2 Satz 1 GER-ZPO (იხ. BGH, Urteil vom 14.09.2018 - V ZR 267/17 – juris, ამონარიდების სახით წარმოდგენილია მე-10 მუხლის კომენტარი, ა.ნ. 58 ბ; BGH, Beschluss vom 02.02.2017 - I ZR 146/16 - MDR 2017, 542).

§ 265 GER-ZPO - დავის საგნის გასხვისება ან დათმობა

(1) საქმის სასამართლო განხილვაში არსებობა არ გამორიცხავს მხარეთა უფლებას, გაასხვისონ სადავო ნივთი, ან დათმონ განხორციელებული მოთხოვნის უფლება.

(2) ნივთის გასხვისებას ან დათმობას არ აქვს გავლენა პროცესზე. უფლებამონაცვლეს არ აქვს უფლება, რომ მოწინააღმდეგის თანხმობის გარეშე გადაიბაროს წინამორბედის საპროცესო უფლებები, როგორც პროცესის ძირითადმა მხარემ, ანდა როგორც მესამე პირმა, მოითხოვოს პროცესში ჩართვა მოსარჩელის ან, შესაბამისად, მოპასუხის ნაცვლად (დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით). თუ უფლებამონაცვლე პროცესში ერთვება, როგორც მესამე პირი, დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე, მაშინ არ გამოიყენება წინამდებარე კანონის § 69.

(3) თუ მოსარჩელემ გაასხვისა ან დათმო ნივთი, ამ შემთხვევაში - რამდენადაც სასამართლოს გადაწყვეტილება უფლებამონაცვლის წინააღმდეგ § 325-ის მიხედვით არ იქნებოდა ნამდვილი - მოპასუხეს შეუძლია მის წინააღმდეგ შესაგებლის წარმოდგენა, რომელიც გულისხმობს, რომ მას აღარ აქვს მოთხოვნის განხორციელების უფლებამოსილება.

ეს, ცოტა არ იყოს, რთულად გასაგები რეგულაცია § 265 Abs. 2 Satz 1 GER-ZPO-ში ამბობს, რომ § 265 Abs. 1 GER-ZPO-ის მიხედვით სადავო მოთხოვნის უფლების დასაშვები განკარგვის მიუხედავად - იგულისხმება სასარჩელო მოთხოვნის დათმობა, ან დავის საგნის საკუთრებაში გადაცემა - ყოფილ მოსარჩელეს, როგორც წესი, უფლება აქვს, სამართლებრივი დავა გააგრძელოს საკუთარი სახელით (ნივთის გასხვისებას ან დათმობას არ აქვს გავლენა პროცესზე). მაშასადამე, ნივთის **გასხვისებას ან დათმობას** არ აქვს უშუალო გავლენა პროცესზე, თუმცა მოსარჩელემ საკუთარი სასარჩელო მოთხოვნა უნდა მიუსადაგოს შეცვლილ მატერიალურ-სამართლებრივ მდგომარეობას (მაგ.: ვინდიკაციური სარჩელისას მოითხოვოს, რომ ნივთი დაუბრუნდეს არა მას, არამედ ახალ მესაკუთრეს; ან, გადახდის მოთხოვნის უფლების დათმობისას, მოითხოვოს, რომ გადახდა განხორციელდეს არა მის, არამედ უფლების ახალი მფლობელის მიმართ) (მდრ. BGH, Urteil vom 07.05.2013 - X ZR 69/11 - BGHZ 197, 196; BGH, Zwischenurteil vom 29.08.2012 - XII ZR 154/09 - NJW 2012, 3642). დავის საგანია ნივთი § 265 Abs. 1 GER-ZPO-ისა და § 325 Abs. 1 GER-ZPO-ის მიხედვით, რამდენადაც მოსარჩელის ან მოპასუხის აქტიურ ლეგიტიმაციას საფუძვლად უდევს ნივთთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობა (BGH, Urteil vom 29.09.2017 - V ZR 19/16 - BGHZ 216, 83; BGH, Beschluss vom 23.08.2001 - V ZB 10/01 - BGHZ 148,

335). ნივთი დავის საგანია განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა განხორციელებული მოთხოვნის უფლება ეკუთვნის მის მესაკუთრეს (BGH, Urteil vom 29. 09.2017 - V ZR 19/16 - BGHZ 216, 83).

§ 325 Abs. 2 GER-ZPO-ით გათვალისწინებული რეგულაციები **კეთილსინდისიერების დაცვასთან** დაკავშირებულ მატერიალურ-სამართლებრივ დებულებას, მაშასადამე, უპირველეს ყოვლისა, § 932 GER-BGB-ს (შესაბამისია სკ-ის 187-ე მუხლი) და § 892 GER-BGB-ს (შესაბამისია სკ-ის 185-ე მუხლი), ავრცელებს კანონიერი ძალის სუბიექტურ მოქმედებაზე (შდრ. BGH, Urteil vom 14.09.2018 - V ZR 267/17 juris, ამონარიდების სახით წარმოდგენილია მე-10 მუხლის კომენტარი, ა.ნ. 58ბ). მარტივად რომ ვთქვათ, ეს, ძირითადად, ნიშნავს, რომ კანონიერი ძალის მოქმედება არ დადგება მოძრავი ნივთის ან მიწის ნაკვეთის კეთილსინდისიერი შემძენის საზიანოდ, რამდენადაც შემძენი კეთილსინდისიერი იყო არა მხოლოდ გამსხვისებლის მატერიალურ-სამართლებრივი უფლებამოსილების, არამედ სარჩელის სამართალწარმოებაში არსებობის კუთხითაც (ე.წ. ორმაგი კეთილსინდისიერება: BGH, Urteil vom 07.05.1991 - VI ZR 259/90 - BGHZ 114, 305; BGH, Urteil vom 14.09.2018 - V ZR 267/17 – juris, ამონარიდების სახით წარმოდგენილია მე-10 მუხლის კომენტარი, ა.ნ. 58ბ). მართალია, ამასთან დაკავშირებული საკითხები საინტერესოა სამართლის დოგმატიკისთვის (შდრ. მაგ.: მიწის რეესტრში ე.წ. სამართალწარმოებაში არსებობის ჩანაწერის გაკეთებაზე: BGH, Beschluss vom 07.03.2013 - V ZB 83/12 - NJW 2013, 2357), თუმცა ამას ნაკლები პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ქართული სამართლის სისტემისთვის, რის გამოც ზედმეტად მიმაჩნია მისი უფრო დანვრილებით განხილვა.

ბ) გერმანული სასამართლო პრაქტიკა, განსაზღვრული წინაპირობების არსებობისას, უშვებს **სასამართლოში საკუთარი სახელით სხვისი საქმისწარმოების შესაძლებლობას გარიგების საფუძველზე**. ამ წინაპირობებს ამონარიდების სახით გთავაზობთ ქვემოთ წარმოდგენილ გადაწყვეტილებაში BGH NJW 2017, 487 (Urteil vom 24.08.2016 - VIII ZR 182/15):

*„გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, გარიგების საფუძველზე სასამართლოში სხვისი საქმისწარმოების უფლებამოსილების წინაპირობაა უფლების მფლობელის მიერ **საქმის მწარმოებლისთვის სამართლებრივად ნამდვილი უფლებამოსილების მინიჭება**, აგრეთვე, ამ უკანასკნელის **დაცვის ღირსი ინტერესის არსებობა** (მითითება: ხაზგასმულია ავტორის მიერ) აღნიშნული უფლების განხორციელებისადმი. ეს სახეზეა, როდესაც სასამართლო გადაწყვეტილე-*

ბას გავლენა აქვს საკუთარ უფლებრივ მდგომარეობაზე და ეს გავლენა შესაძლოა იყოს ეკონომიკურიც (BGHZ 119, 237; BGHZ 125, 196; BGH NJW 2000, 738; BGHZ 145, 165; ...BGH WM 2016, 1302).

საქმის არსებითად გადაწყვეტის ეს წინაპირობები, რომლებიც მოსამართლემ უნდა შეამოწმოს საქმისწარმოების ნებისმიერ ეტაპზე, აგრეთვე, საკასაციო ინსტანციაში (...), არ არის შესრულებული მოცემული დავის შემთხვევაში. აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ მონმე H თანახმაა, რომ მოსარჩელემ წარმართოს პროცესი, და შესაძლოა კონკლუდენტური ქმედებით მიანიჭა მას ეს უფლებამოსილება, მაინც არ არის სახეზე მოსარჩელის დაცვის ღირსი ინტერესი პროცესის წარმართვასთან დაკავშირებით. შეიძლება მოთხოვნის გამყიდველსაც ჰქონდეს სამართლიანი ინტერესი დათმობილი მოთხოვნის სასამართლო გზით განხორციელების მიმართ (მდრ. BGH NJW 1979, 924...). თუმცა მოსარჩელეს მონმე H-თვის საკუთარი უფლებები განხორციელებულგარიგებებთან დაკავშირებით არ მიუყიდა, ისინი გადასცა უსასყიდლოდ.

მოსარჩელის სამართლიანი ინტერესი პროცესის წარმართვასთან დაკავშირებით ასევე არ გამომდინარეობს ... მის მიერ პირველ ინსტანციაში გაუღწერებული მზადყოფნიდან მოსარჩელის შეცვლის მიმართ, რამდენადაც მოპასუხე დათანხმდებოდა ამას. მაშინაც კი, თუ საქმე არ მისულა მხარის შეცვლამდე, რის განზრახვაც მოსარჩელეს ჰქონდა, მის მიერ პროცესის წარმართვის გაგრძელების მხოლოდ ტექნიკური სახის შემსუბუქება ჯერ კიდევ არ წარმოშობს უფლების დაცვის ღირს ინტერესს (მდრ. BGH NJW 2009, 1213).

აა) ამის მიხედვით, აუცილებელი **დაცვის ღირსი ინტერესისთვის** შეიძლება საკმარისი იყოს ეკონომიკური ინტერესის არსებობაც (იხ.: BGH, Urteil vom 29.09.2017 - V ZR 19/16 - BGHZ 216, 83; BGH, Urteil vom 07.03.2017 - VI ZR 125/16 - NJW 2017, 2352; BGH, Urteil vom 24.08.2016 - VIII ZR 182/15 - NJW 2017, 487; BGH, Urteil vom 10.06.2016 - V ZR 125/15 - NJW 2017, 486), თუმცა, გაბატონებული მოსაზრების მიხედვით, ეს უნდა სცდებოდეს პირწმინდად ფინანსურ (მაგ.: მოსალოდნელი საკომისიო, მოგებაში მონაწილეობა) (OLG Hamm, Urteil vom 16.07.2015 - 10 U 38/14 - ErbR 2016, 269), ან მხოლოდ ხარჯებთან დაკავშირებულ ინტერესს (BGH, Urteil vom 03.12.1987 - VII ZR 374/86 - BGHZ 102, 293, აგრეთვე, ამონაგების განაწილებისგან განსხვავების კუთხით). გარიგების საფუძველზე საკუთარი სახელით სხვისი საქმის მწარმოებელს უნდა ჰქონდეს საკუთარი ეკონომიკური ინტერესი ამ საქმესთან დაკავშირებით, რომელიც გამომდინარეობს სამართლებრივი ურთიერთობების სტრუქტურულიდან. მაშასადამე, სასამართლო გადაწყვეტილებას, როგორც

ამას ნაწილობრივ აცხადებს უმაღლესი ფედერალური სასამართლო, გავლენა უნდა ჰქონდეს პროცესის წარმართვის უფლებამოსილების მქონე პირის სამართლებრივ მდგომარეობაზე (BGH, Urteil vom 05.02.2009 - III ZR 164/08 - BGHZ 179, 329; BGH, Urteil vom 10.06.2016 - V ZR 125/15 - NJW 2017, 486). თუმცა, ეს გამიჯვნა ყოველთვის ცალსახად არ არის შესაძლებელი.

დაცვის ღირსი ინტერესი შეიძლება გამოიხატოს იმითაც, რომ საკუთარი სახელით სხვისი საქმის მწარმოებელს უფრო უკეთ შეუძლია პროცესის მართვა, ვიდრე კრედიტორს, ვინაიდან მას მეტი შეხება აქვს საქმესთან (BGH, Urteil vom 03.12.1987 - VII ZR 374/86 - BGHZ 102, 293; BGH NJW, Urteil vom 10.06.2016 - V ZR 125/15 - 2017, 486; BGH, Urteil vom 22.03.2006 - IV ZR 6/04 - NJW-RR 2006, 1091). ამისთვის არ კმარა მხოლოდ ეკონომიკურად და ტექნიკურად გამარტივებული პროცესის წარმართვის ინტერესი (BGH, Urteil vom 03.07.1980 - IVa ZR 38/80 - BGHZ 78, 1; BGH, Urteil vom 24.08.2016 - VIII ZR 182/15 - NJW 2017, 487; BGH, Urteil vom 10.06.2016 - V ZR 125/15 - NJW 2017, 486). საქმესთან სიახლოვე მეტადრე მოცემული უნდა იყოს თვითონ განხორციელებულ უფლებასთან დაკავშირებით. ამასთანავე, გამიჯვნა ცალკეულ შემთხვევაში ყოველთვის გასაგები არ არის.

გერმანულ სასამართლო პრაქტიკაში დაცვის ღირსი ინტერესის არსებობა აღიარებულია ზოგიერთი ტიპური კონსტელაციის შემთხვევაში. ამ კონსტელაციებში შედის, უპირველეს ყოვლისა, ის შემთხვევები, სადაც, ერთი მხრივ, უფლებასა ან საქმესთან დაკავშირებული ფორმალური უფლებამოსილება, ხოლო, მეორე მხრივ, უფლების ფლობის ან განხორციელების სამართლებრივი თუ ეკონომიკური ინტერესი, სულ მცირე, ნაწილობრივ მაინც, გამიჯნულია ერთმანეთისგან. მაგალითად:

- ნებისმიერი სახის მოთხოვნის უზრუნველყოფის გარიგებები (ფიდუციარული მოთხოვნის დათმობა, ფიდუციარული საკუთრების უფლების გადაცემა). მაგალითად, საბანკო კრედიტის უზრუნველსაყოფად ავტომანქანაზე ფიდუციარული საკუთრების უფლების გადამცემი უზრუნველყოფის მოვალე (აღრე მესაკუთრე) უფლებამოსილია, საკრედიტო ინსტიტუტის მიერ შესაბამისი უფლებამოსილების მინიჭების შემთხვევაში, საკუთარი სახელით განახორციელოს ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დაზიანებული ავტომანქანის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა (BGH, Urteil vom 07.03.2017 - VI ZR 12/16 - NJW 2017, 2352). ანალოგიური მოქმედებს, როდესაც უზრუნველყოფის მოვალე, ფიდუციარული საკუთრების უფლების გადაცემის შემდეგ, უზრუნველყოფის კრედიტორის

შესაბამისი უფლებამოსილების საფუძველზე, ნივთის დაბრუნების მოთხოვნის უფლებას განხორციელებს მესამე პირის წინააღმდეგ § 985 GER-BGB-ის მიხედვით (შესაბამისობაშია საქართველოს სკ-ის 172-ე მუხლის პირველ ნაწილთან, GEO-ZGB) (BGH, Urteil vom 12.07.1985 - V ZR 56/84 - WM 1985, 1324; BGH, Urteil vom 05.02.1964 - VIII ZR 156/62 - WM 1964, 426). ვალდებულების უზრუნველსაყოფად საკუთრების გადაცემის ეს პრინციპები, რომლებიც გერმანიაში განვითარებული (და საქართველოსთვის უცხო) სასამართლო პრაქტიკის ნაწილია, მათი ძირითადი იდეიდან გამომდინარე, შეიძლება გამოვიყენოთ რეგისტრირებული გირავნობის ქართულ სამართალშიც, კერძოდ, მოგირავნის მოთხოვნის უფლებებთან მიმართებით, სკ-ის 260¹-ე მუხლის მიხედვით, მის მიერ საკუთრების შექმნის შემთხვევაში; ან საკუთრების მსგავსი დაცვის მოთხოვნის უფლებების დროს, სკ-ის 268-ე მუხლიდან გამომდინარე.

- დათმობილი მოთხოვნების სასამართლოს გზით განხორციელება, რამდენადაც ცედენტს კვლავინდებურად აქვს ინტერესი დათმობილი მოთხოვნის არსებობასა და განხორციელებადობასთან დაკავშირებით (მაგ.: ნაკლის აღმოფხვრის მოთხოვნის უფლებათა დათმობა სახელშეკრულებო ჯაჭვების შემთხვევაში, როგორცაა ლიზინგის ან გენერალური ნარდობის ხელშეკრულები) (Generalunternehmervertrag) (BGH, Urteil vom 23.02.1977 - VIII ZR 312/75 - NJW 1977, 847; BGH, Beschluss vom 11.03.2014 - VIII ZR 31/13 - NJW 2014, 1970). ცედენტს იმ შემთხვევაშიც აქვს დაცვის ღირსი ინტერესი, როდესაც, მოთხოვნის დათმობისას, მთლიანად ან ნაწილობრივ ატარებს მოთხოვნის არსებობის ან განხორციელებადობის რისკს, მაგალითად, როცა პირი ყიდის მოთხოვნას ისე, რომ არ გამოირიცხოს უფლება ნაკლის აღმოფხვრის მოთხოვნაზე (BGH, Urteil vom 03.11.1978 - I ZR 150/76 - NJW 1979, 924; ჩუქების მიზნით განხორციელებული მოთხოვნის უფლების დათმობის გამიჯვნაზე და, აქედან გამომდინარე, ცედენტის ინტერესის გამორიცხვაზე იხ.: BGH, Urteil vom 24.08.2016 - VIII ZR 182/15 - NJW 2017, 487).

- უფლების ფლობისა და გამოყენების ან რისკების მიკუთვნების ატიპური გამიჯვნა, მაგალითად, ისეთ შემთხვევებში, როგორცაა: ლიზინგის ხელშეკრულები (BGH, Urteil vom 07.03.2017 - VI ZR 12/16 - NJW 2017, 2352; OLG Karlsruhe, Urteil vom 02.12.2013 - 1 U 74/13 - NJW 2014, 1392), გამყიდველის პირობადებული საკუთრების ფარგლებში ყიდვა § 449 GER-BGB (შესატყვისი ქართული რეგულაციაა სკ-ის 188-ე მუხლი) (BGH, Urteil vom 07.03.2017 - VI ZR 12/16 - NJW-RR 2017, 2352; BGH, Urteil vom 05.02.1964 - VIII ZR 156/62 - WM 1964, 426), ან სახელის უფლებისა და ინტელექტუალური საკუთრების უფლებების გადაცემა

(BGH, Urteil vom 23.09.1992 - I ZR 251/90 - BGHZ 119, 237; BGH, Urteil vom 19.01.1989 - I ZR 217/86 - NJW-RR 1989, 690). მაგალითად, ლიზინგის მიმღებს ან ავტომანქანის პირობადებული საკუთრებით მყიდველს, ლიზინგის მიმცემის ან, შესაბამისად, პირობადებული საკუთრებით გამყიდველისგან შეიძლება მიენიჭოს უფლებამოსილება, რომ საკუთარი სახელით განახორციელონ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა სასამართლოში ლიზინგის საგნის დაზიანების ან, შესაბამისად, პირობადებული საკუთრებით გაყიდული ავტომანქანის გამო.

ამასთანავე მსურს, გასაგებად მივუთითო, რომ ეს არის არა ამომწურავი, არამედ მაგალითისთვის მოყვანილი ჩამონათვალი, რომელმაც უნდა აჩვენოს, თუ რა მოთხოვნის უფლებებს უყენებს გერმანული სასამართლო პრაქტიკა კანონის საფუძველზე საკუთარი სახელით სხვისი საქმის მწარმოებლის დაცვის ღირს ინტერესს.

ბ) სასამართლო პრაქტიკა, როგორც წესი, ითხოვს, რომ სასამართლოს გზით განხორციელებადი მოთხოვნის უფლება იყოს **დათმობადი**. ამით უნდა უზრუნველყონ, რომ გარიგების საფუძველზე სხვისი საქმის წარმოებაში არ გაიპაროს მოთხოვნის უფლების კანონისმიერი ან სახელშეკრულებო დათმობები (BGH, Urteil vom 10.06.2016 - V ZR 125/15 - NJW 2017, 486; BGH, Urteil vom 10.02.2010 - VIII ZR 53/09 - VersR 2010, 762; BGH, Urteil vom 02.12.2003 - VI ZR 243/02 - NJW-RR 2004, 595). ეს, კანონით პირდაპირ მონესრიგებული, ან ნივთის ბუნებიდან გამომდინარე დათმობის აკრძალვების გარდა, მოქმედებს მაშინაც, როდესაც დათმობა ან გარიგების საფუძველზე სასამართლოში საკუთარი სახელით სხვისი საქმისწარმოება უკავშირდება პიროვნული მონაცემების მართლსაწინააღმდეგო გამჟღავნებას (იხ. BGH, Urteil vom 10.02.2010 - VIII ZR 53/09 - VersR 2010, 762, მოთხოვნის უფლებების დათმობასა და გარიგების საფუძველზე სასამართლოში საკუთარი სახელით სხვისი საქმის წარმოებასთან დაკავშირებით სადაზღვევო წარმომადგენლის საკომისიოს მოთხოვნის უფლებებისას, რომელიც პასუხისმგებელია პირადი დაზღვევების რეალიზაციაზე). გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლო ამ პრინციპიდან უშვებს მთელ რიგ გამონაკლისებს (BGH, Urteil vom 01.03.2014 - V ZR 14/12 - NJW 2013, 1809, მოქმედებისგან თავშეკავების მოთხოვნის უფლებისთვის იხ. სკ-ის 172-ე მუხლის მე-2 ნაწილი; BGH, Urteil vom 12.07.1985 - V ZR 56/84 - NJW-RR 1986, 158 ნივთის უკან დაბრუნების მოთხოვნის უფლებისთვის იხ. სკ-ის 172-ე მუხლის პირველი ნაწილი; BGH, Urteil vom 10.06.2016 - V ZR 125/15 - NJW 2017, 486 მფლობელობის დაცვის მოთხოვნის უფლებისთვის იხ. § 862 GER-

BGB; მიზნობრივი, თუმცა არა მონესრიგების კონკრეტული შინაარსის კუთხით მსგავსია ქართული სკ-ის 161-ე მუხლის პირველი წინადადება), რამდენადაც ამას არ ეწინააღმდეგება გარიგების საფუძველზე საკუთარი სახელით სხვისი საქმის მწარმოებლის მოპასუხის აღიარების ღირსი ინტერესები, მიუხედავად მატერიალურ-სამართლებრივი უფლების დათმობის აკრძალვისა.

გგ) დაუშვებელია გარიგების საფუძველზე სასამართლოში საკუთარი სახელით სხვისი საქმისწარმოება, თუ ამით ილახება **მოპასუხის დაცვის ღირსი ინტერესები**.

ეს სახეზეა, თუ პირს, რომელიც საკუთარი სახელით აწარმოებს სხვის საქმეს სასამართლოში, არ გააჩნია ქონება და, აქედან გამომდინარე, საფრთხეს უქმნის მოპასუხისთვის საპროცესო ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნას (BGH, Urteil vom 24.10.1985 - VII ZR 337/84 - BGHZ 96, 151; BGH, Urteil vom 21.12.1989 - VII ZR 49/89 - NJW 1990, 1117). თუმცა, ამისთვის უპირობოდ არ კმარა ის, რომ სარჩელის აღძვრისას ჯერ კიდევ ფინანსურად გადახდისუნარიანი პირი, რომელიც საკუთარი სახელით აწარმოებს სხვის საქმეს, მხოლოდ მოგვიანებით - მაშასადამე, სამართლებრივი დავის განმავლობაში - დარჩეს ქონების გარეშე (BGH, Urteil vom 29.09.2011 - VII ZR 162/09 - NJW-RR 2011, 1690; BGH, Urteil vom 21.12.1989 - VII ZR 49/89 - NJW 1990, 1117).

ცალკე აღებული, დაცვის ღირსი ინტერესის დარღვევისთვის აგრეთვე არ არის საკმარისი ის, რომ გარიგების საფუძველზე საკუთარი სახელით სხვისი საქმისწარმოების შედეგად შეიძლება გაუარესდეს მოპასუხის მდგომარეობა მტკიცებულებათა წარმოდგენასთან დაკავშირებით (მაგ.: იმით, რომ მატერიალური უფლების მფლობელი არ იქცევა მხარედ და ამით შესაძლებელი გახდება მისი მოწმის სახით დაკითხვა (BGH, Urteil vom 02.10.1987 - V ZR 182/86 - NJW-RR 1988, 126). გარიგების საფუძველზე საკუთარი სახელით სხვისი საქმისწარმოების ეს შესაძლო შედეგი სათანადოდ უნდა გაითვალისწინონ მტკიცებულებათა შეფასებისა და საქმისწარმოების ფარგლებში.

გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლო (Urteil vom 21.12.1989 - VII ZR 49/89 -NJW-RR 1988, 126) ამასთან დაკავშირებით აცხადებს:

„შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ არჩეული საქმისწარმოების სახე (მითითება: იგულისხმება საკუთარი სახელით სხვისი საქმისწარმოება გარიგების საფუძველზე) მიზნად ისახავს, მხარეებს აარიდოს დედისთვის მტკიცებულებათა წარმოდგენის არასახარბიელო სიტუაცია და მას მისცეს მოწმედ დაკითხვის შესაძლებლობა. ეს მიზანი მიიღწევა

იმით, რომ მოსარჩელედ გვევლინება არა თვითონ უფლების მფლობელი, არამედ სხვა პირი, რომელიც გარიგების საფუძველზე საკუთარი სახელით აწარმოებს სხვის საქმეს სასამართლოში (BGH NJW 1972, 1580; BGHZ 94, 117...). მისწრაფება - განსაზღვრული პირი გყავდეს მონმედ - ხშირად განსაზღვრავს პროცესის წარმართვის სახესა და დაინტერესებულ პირთა ქმედებებსაც, ისე, რომ ეს არ იყოს უფლების ბოროტად გამოყენება ან მონინააღმდეგე მხარისთვის მიუღებელი ქმედება. ამ საკითხის შემომნება უმეტესწილად მიემართება მოთხოვნის უფლების დათმობის შემთხვევებს, რათა ცედენტს პროცესში ამ მოთხოვნის უფლების გარშემო ჰქონდეს მონმის სტატუსი (BGH WM 1976, 424; BGH NJW 1980, 991; BGH WM 1985, 613). აქედან გამომდინარე, გარიგების საფუძველზე საკუთარი სახელით სხვისი საქმისწარმოებისას არ შეიძლება მოქმედებდეს განსხვავებული წესი. უფლების მფლობელის (რომელიც სხვა პირს ანიჭებს უფლებამოსილებას) ინტერესი დავის შედეგებთან დაკავშირებით შეიძლება სათანადოდ იქნეს გათვალისწინებული მტკიცებულებათა შეფასების ფარგლებში.“

დ) გარიგების საფუძველზე საკუთარი სახელით სხვისი საქმისწარმოების კიდევ ერთი წინაპირობაა უფლებამოსილების მინიჭება მატერიალური უფლების მფლობელის მიერ. ეს არის საპროცესო მოქმედება, რომლის ნამდვილობა ფასდება სამოქალაქო სამართლის ზოგად პრინციპებზე დაყრდნობით (BGH, Urteil vom 27.02.2015 - V ZR 128/14 - NJW 2015, 2425). უფლებამოსილების მინიჭება პროცესზე - თუ ის არ არის ცალსახა - გასაგებად უნდა გამოიხატოს (BGH, Urteil vom 30.06.1994 - I ZR 32/92 - BGHZ 126, 313; BGH, Urteil vom 03.07.1980 - IVa ZR 38/80 - BGHZ 78, 1; BGH, Urteil vom 24.02.1994 - VII ZR 34/93 - NJW 1994, 2550) და, საჭიროების შემთხვევაში, დამტკიცდეს კიდევ. თუმცა უფლებამოსილების მინიჭება შესაძლებელია კონკლუდენტურადაც (BGH, Urteil vom 21.03.1985 - VII ZR 48/83 - BGHZ 94, 122; BGH, Urteil vom 03.07.2002 - XII ZR 234/99 - NJW-RR 2002, 1377).

შესაძლებელია, სამართლებრივი დავის მიმდინარეობისას გაუქმდეს პროცესის წარმართვის მინიჭებული უფლებამოსილების მატერიალურ-სამართლებრივი ძალა, თუკი უფლების განხორციელებისთვის ჯერ კიდევ აუცილებელია საკუთარი სახელით სხვისი საქმისწარმოების საპროცესო მოქმედებები. რამდენადაც ხსენებული უფლებამოსილება უქმდება საქმის ზეპირი მოსმენის შემდეგ, მას საპროცესო-სამართლებრივად ვერ ექნება გავლენა მოსარჩელის პროცესის წარმართვის უფლებამოსილებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მოპასუხე თანხმდება უარს სარჩელის

დაკმაყოფილებაზე დაუშვებლობის საფუძვლით (BGH, Urteil vom 27.02.2015 - V ZR 128/14 - NJW 2015, 2425). ამით მოპასუხისთვის შესაძლებელი ხდება, მიაღწიოს მატერიალურ-სამართლებრივი ძალის მქონე სასამართლო გადაწყვეტილებას განხორციელებულ მოთხოვნის უფლებაზე. თუ ამას სხვაგვარად შეეხება, მატერიალური უფლების მფლობელს შეეძლება, პროცესის არახელსაყრელი მიმდინარეობისას, თავიდან აიცილოს მისთვის საზიანო გადაწყვეტილება საქმეზე, კერძოდ, იმით, რომ გააუქმოს მესამე პირისთვის მინიჭებული უფლებამოსილება პროცესის წარმოებასთან დაკავშირებით. ამით ის სასამართლოსგან გამოიშორება პროცესულურ გადაწყვეტილებას, რომელსაც არ ექნება მატერიალურ-სამართლებრივი ძალა განხორციელებულ მოთხოვნის უფლებასთან დაკავშირებით, და რომელიც დაუშვებლად ცნობს სარჩელს.

გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლო მინიჭებული უფლებამოსილების გაუქმებასთან დაკავშირებით შემაჯამებლად აცხადებს (Urteil vom 27.02.2015 - V ZR 128/14 – NJW 2015, 2425):

„*bb*) საქმისწარმოების მინიჭებული უფლებამოსილების უკან წაღების ნამდვილობა განისაზღვრება, პირველ რიგში, უფლებამოსილების მატერიალურ-სამართლებრივი საფუძვლების შესაბამისად.

(1) საკუთარი სახელით სხვისი უფლების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების კვალიფიკაცია საპროცესო მოქმედებად (BGH NJW 1989, 1932...) არაფერს ცვლის იმასთან მიმართებით, რომ უფლებამოსილების მინიჭება, არსებობა და მასთან დაკავშირებული ნების არარსებობა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსში უფრო დეტალური რეგულაციის არარსებობის გამო, ძირითადად განიხილება იმ სამართლებრივი სფეროს რეგულაციების შესაბამისად, რომლებსაც განეკუთვნება სადავო უფლება; მაშასადამე, სამოქალაქო პროცესში, როგორც წესი, სამოქალაქო სამართლის რეგულაციების შესაბამისად BGH NJW 2000, 738...).

(a) ...

(b) ... თანხმობაც, ისევე როგორც მინდობილობა (§ 168 Satz 2 BGB [მითითება: შინაარსობრივად მსგავსია ქართული სკ-ის 109-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტი]), ექვემდებარება უკან წაღებას, რამდენადაც კანონისა ან იმ სამართლებრივი ურთიერთობისგან, რომელიც საფუძვლად უდევს მის მინიჭებას, სხვა რამ არ გამომდინარეობს (...). მინიჭებული უფლებამოსილების უკან წაღებადობა მთავრდება მთავარი გარიგების დადებისთანავე (§ 183 Satz 1 BGB [მითითება: შინაარსობრივად ძირითადად მსგავსია სკ-ის 112-ე მუხლი]). აქედან გამომდინარე, რელევანტურია გარიგების სრულყოფილად რეალიზება; რამდენიმე მოქმედებანი სანივთო გარიგებებისას, მინიჭებული უფლებამოსილების უკან წაღება შესაძლებელია

სამართლებრივი გარიგების მოქმედების ბოლო ნაწილის რეალიზებამდე (...).

პროცესის წარმართვის უფლებამოსილების შემთხვევაში, ეს მოქმედება არის უფლების განხორციელება სასამართლოს გზით. ამის მიხედვით, პროცესის წარმართვის უფლებამოსილება მოიცავს არა მხოლოდ სამართლებრივი დავის დაწყებას, არამედ ამ დავის წარმოებასაც. ამის შედეგია ის, რომ პროცესის წარმართვის უფლებამოსილების მატერიალურ-სამართლებრივი ძალის მქონე უკან წაღება შეიძლება სამართლებრივი დავის მიმდინარეობის დროსაც, თუკი უფლების განხორციელებისთვის ჯერ კიდევ საჭიროა საკუთარი სახელით სხვისი საქმის მწარმოებლის საპროცესო მოქმედებები.

(2) ამის მიხედვით, უფლების მფლობელსა და უფლებამოსილებამინიჭებულ პირს შორის ურთიერთობის ფარგლებში, პროცესის წარმართვის უფლებამოსილების მატერიალურ-სამართლებრივად ნამდვილი უკან წაღება ყოველთვის როდი მთავრდება სარჩელის დაუშვებლად ცნობით.

(ა) თუ პროცესის წარმართვის უფლებამოსილების უკან წაღება მოხდება მოპასუხის საქმის ზეპირი მოსმენის შემდეგ, მას საპროცესო-სამართლებრივად ვერ ექნება გავლენა მოსარჩელის პროცესის წარმართვის უფლებამოსილებაზე, რამდენადაც მოპასუხე არ დაეთანხმება სარჩელის დაუშვებლობას დაუშვებლობის საფუძველით. ეს მიდგომა გამომდინარეობს საპროცესო მოქმედებებზე უარის თქმის პრინციპებიდან.

(აა) საპროცესო მოქმედებები, მათი პროცესის ფორმირების ეფექტის გამო, არ ექვემდებარება უკან წაღებას, თუ ისინი, როგორც ე.წ. კონკრეტული სამართლებრივი შედეგის გამომწვევი საპროცესო მოქმედებები, უშუალოდ ახდენს გავლენას საპროცესო სიტუაციაზე, სარჩელის ან საჩივრის გამოხმობის მსგავსად (BGH, Beschluss vom 8. Juli 2013 - VII ZB 35/12, juris...). თუმცა, მესამე პირისთვის პროცესის წარმართვის უფლებამოსილების მინიჭებას არ აქვს პროცესის წარმართვის მსგავსი ფუნქცია: ის უფრო ემსახურება (როგორც, მაგალითად, საპროცესო მინდობილობის მინიჭება) უშუალოდ პროცესთან დაკავშირებული გარემოებების მომზადებას (...).

(ბბ) საპროცესო მოქმედებები, რომელთა წარმატება მხოლოდ სასამართლოს მოქმედების შემდეგ დგება (ე.წ. საპროცესო მოქმედება, რომელიც მიზნად ისახავს კონკრეტული სასამართლო გადაწყვეტილების მიღებას....) და რომლებსაც შეიძლება მივაკუთვნოთ პროცესის წარმართვის უფლებამოსილებაც, განსხვავებით ზემოთქმულისგან, გამომხო-

ბადია, რამდენადაც მათი საშუალებით არ წარმოშობილია მონინაალმდე-
გე მხარის დაცული პოზიცია (...).

დაცულ სამართლებრივ პოზიციას მოპასუხე მხარე იძენს მაშინ, თუ
საქმის ზეპირი მოსმენისას უკვე დააყენებს შუამდგომლობას. შემდეგ სა-
რჩელის გამომხმობა შეიძლება მხოლოდ ამ მხარის თანხმობით (§ 269 Abs.
1 ZPO [მითითება: ქართული სსკ-ის 831-ე მუხლთან შინაარსობრივად თა-
ნხვედრაშია, რამდენადაც მოსარჩელისთვის სარჩელის დაბრუნების სა-
ქმის მთავარი სხდომის დაწყების შემდეგ, აუცილებელია მოპასუხის თა-
ნხმობა]). მაშასადამე, მხოლოდ მოსარჩელის ხელში აღარ არის სასამარ-
თლო გადაწყვეტილების თავიდან აცილება სარჩელის გამომხმობით.....

(ბ) თუ უკან წაღება განხორციელდა დავის ძირითად საგანთან დაკავ-
შირებით მოპასუხის მიერ შესაგებლის წარმოდგენამდე, ამით ხელშეუ-
ხებელი რჩება საკუთარი სახელით სხვისი უფლების განმახორციელებლის
მონინაალმდეგის დაცვის ღირსი ინტერესები. აქედან გამომდინარე, არ
არსებობს საფუძველი, რომ მინიჭებული უფლებამოსილების მატერია-
ლურ-სამართლებრივად ნამდვილ უკან წაღებას უარი ეთქვას საპროცე-
სო-სამართლებრივი მოქმედების ძალის მინიჭებაზე. ეს მოსარჩელეს
ართმევს პროცესის წარმართვის უფლებამოსილებას, იმ შედეგით, რომ
სასამართლო არ დააკმაყოფილებს სარჩელს დაუშვებლობის საფუ-
ძვლით....“

ეე) გარიგების საფუძველზე საკუთარი სახელით სხვისი საქმისწარმო-
ების წინაპირობები კვლავინდებურად სახეზე უნდა იყოს **საქმის ბოლო
ზეპირი მოსმენის დროისთვისაც**. ამ წინაპირობების არსებობა საკუთა-
რი ინიციატივით უნდა შემონმდეს საქმისწარმოების ყველა ეტაპზე,
აგრეთვე საკასაციო ინსტანციაში (BGH, Urteil vom 29.09.2017 - V ZR
19/16 - BGHZ 216, 83; BGH, Urteil vom 19.03.1987 - III ZR 2/86 - BGHZ
100, 217; BGH, Beschluss vom 21.07.2016 - I ZR 190/15 - ZInsO 2016,
1852).

ვვ) თუ არსებობს დავა სარჩელის დასაშვებობასთან დაკავშირებით,
სასამართლოს ამის გადანყვეტა შეუძლია ე.წ. შუალედური გადანყვეტი-
ლებით. შესაბამისი კანონისმიერი რეგულაციები ასე გამოიყურება:

**§ 280 GER-ZPO - ცალკე წარმოება სარჩელის დასაშვებობასთან
დაკავშირებით**

(1) სასამართლოს შეუძლია, დაადგინოს ცალკე განხილვის გამართვა
სარჩელის დასაშვებობასთან დაკავშირებით.

(2) თუ სასამართლო მიიღებს შუალედურ გადანყვეტილებას, ეს უნდა
განვიხილოთ გასაჩივრების შესაძლებლობასთან კავშირში, როგორც სა-

ბოლოო გადაწყვეტილება. თუმცა სასამართლოს, მხარის მოთხოვნის საფუძველზე, შეუძლია დასაშვებობის საკითხი განიხილოს მთავარ სხდომაზე.

§ 303 GER-ZPO - შუალედური გადაწყვეტილება

თუ დავა სარჩელის დასაშვებობაზე მზად არის გადაწყვეტილების მისაღებად, სასამართლოს მისი გადაწყვეტა შეუძლია შუალედური გადაწყვეტილების მიღებით.

ზზ) ყოველი შემთხვევისთვის მინდა აღვნიშნო, რომ გარიგების საფუძველზე საკუთარი სახელით სხვისი საქმისწარმოება არაფერს ცვლის მატერიალური მოთხოვნის უფლებასთან მიმართებით და ასეთი საქმის მწარმოებელმა, აღძრული სარჩელით, ძირითადად უნდა მოითხოვოს **შესრულება მატერიალური უფლების მფლობელის მიმართ**. თუმცა ეს არ მოქმედებს, თუ მას მატერიალური უფლების მფლობელმა მიანიჭა არა მხოლოდ პროცესის წარმართვის უფლებამოსილება, არამედ მოთხოვნის განხორციელების დამატებითი მატერიალურ-სამართლებრივი უფლებამოსილებაც (BGH, Urteil vom 28.06.2018 - I ZR 236/16 - juris; BGH, Urteil vom 15.03.2012 - I ZR 137/10 - MDR 2012, 791). მსგავსი უფლებამოსილების მინიჭება უნდა გამოირკვეს შესაბამისი ახსნა-განმარტების საფუძველზე (BGH, Urteil vom 24.02.1994 - VII ZR 34/93 - BGHZ 125, 196; BGH, Urteil vom 15.03.2012 - I ZR 137/10 - MDR 2012, 791). ვინაიდან **ინკასირების მინიჭებული უფლებამოსილება**, განსხვავებით პროცესის წარმართვის უფლებამოსილებისგან, არის არა საპროცესო მოქმედება, არამედ პირწმინდად მატერიალურ-სამართლებრივი ნების გამოვლენა, მისი არსებობა ვერ შემოწმდება საკუთარი ინიციატივით. ამასთანავე, მისი განმარტებისას გამოიყენება არა საპროცესო მოქმედებებისთვის არსებული პრინციპები (იხ. მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის კომენტარი, ა.ნ. 52 და მომდევნო აბზაცები), არამედ მატერიალურ-სამართლებრივი კრიტერიუმები (BGH, Urteil vom 15.03.2012 - I ZR 137/10 - MDR 2012, 791).

მუხლი 81. სამოქალაქო საპროცესო ქმედუნარიანობა

1. ყველა სრულწლოვანი ფიზიკური პირი და იურიდიული პირი აღჭურვილია უნარით, თავისი მოქმედებით განახორციელოს სასამართლოში საპროცესო უფლებები და შეასრულოს საპროცესო მოვალეობები, აგრეთვე დაავალოს საქმის წარმოება წარმომადგენელს (საპროცესო ქმედუნარიანობა).

2. ფიზიკურ პირთა სრული საპროცესო ქმედუნარიანობა წარმოიშობა 18 წლის ასაკიდან (სრულწლოვანებიდან), ხოლო იურიდიული პირის ქმედუნარიანობა – მისი რეგისტრაციის მომენტიდან. ქმედუნარიანად ითვლება აგრეთვე პირი, რომელიც იქორწინებს 18 წლის ასაკის მიღწევამდე.

3. 7-დან 18 წლამდე არასრულწლოვანთა, აგრეთვე შეზღუდულ ქმედუნარიანად აღიარებულ მოქალაქეთა უფლებებსა და კანონით დაცულ ინტერესებს სასამართლოში იცავენ მათი მშობლები, მშვილებლები ან მზრუნველები. ამასთანავე, სასამართლო ვალდებულია ასეთ საქმეებში ჩააბას თვით არასრულწლოვნებიც.

3¹. თუ მხარდაჭერის მიმღებს სასამართლოს გადაწყვეტილებით დაუნესდა მხარდაჭერა საპროცესო წარმომადგენლობის განახორციელებლად, სასამართლო ვალდებულია ასეთი საქმე განიხილოს მხარდაჭერის მიმღებისა და მისი მხარდაჭერის სავალდებულო მონაწილეობით.

4. თუ არასრულწლოვანს კანონით მინიჭებული აქვს უფლება თვითონ, დამოუკიდებლად განკარგოს თავისი ქონება, დადოს წვრილმანი საყოფაცხოვრებო გარიგებები და ა. შ., მას უფლება აქვს სასამართლოში პირადად დაიცვას თავისი უფლებები და კანონით გათვალისწინებული ინტერესები, იყოს მოსარჩელე, მოპასუხე ან მესამე პირი. სასამართლოს შეუძლია, არასრულწლოვნის შუამდგომლობით ან თავისი ინიციატივით, საქმეში ჩააბას მისი კანონიერი წარმომადგენელიც.

5. მცირეწლოვნის უფლებებსა და კანონით დაცულ ინტერესებს სასამართლოში იცავს მისი კანონიერი წარმომადგენელი – მშობელი, მშვილებელი, მეურვე. სასამართლო უფლებამოსილია კანონიერი წარმომადგენლის შუამდგომლობით საქმეში მცირეწლოვანიც ჩააბას.

[5. მცირეწლოვნის უფლებებსა და კანონით დაცულ ინტერესებს სასამართლოში იცავს მისი კანონიერი წარმომადგენელი – მშობელი, მშვილებელი, მეურვე. სასამართლო უფლებამოსილია, მცირეწლოვნის კანონიერი წარმომადგენლის შუამდგომლობით ან, მცირეწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, საკუთარი ინიციატივით, საქმეში მცირეწლოვანიც ჩააბას. (ამოქმედდეს 2020 წლის 1 ივნისიდან)]

6. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს არასრულწლოვნის და მხარდაჭერის მიმღების უფლებების დასაცავად.

ულრის ჰაგენლოხი

81-ე მუხლი

ქართული სსკ-იდან მოყვანილი ნორმები:

- სსკ-ის 81-ე მუხლი
- სსკ-ის 82-ე მუხლი, ა.ნ. 3 და მომდევნო აბზაცები
- სსკ-ის 363¹⁴ მუხლი, ა.ნ. 10

საპროცესო უნარიანობა

საპროცესო უნარიანობა გერმანიაში - საქართველოს მსგავსად - ესმით, როგორც საპროცესო ქმედუნარიანობა, მაშასადამე, საპროცესო მოქმედებების თვითონ ან დანიშნული წარმომადგენლის მიერ სამართლებრივად ნამდვილად განხორციელების შესაძლებლობა. საპროცესო ქმედუნარიანობის წინაპირობებს გერმანიაში აწესრიგებს §§ 51, 52 GER-ZPO. ამის მიხედვით, მხარეს აქვს საპროცესო ქმედუნარიანობა, თუ მას შეუძლია, დაივალდებულოს თავი ხელშეკრულებების საფუძველზე. შინაარსობრივი კუთხით, ეს უკავშირდება §§ 104 ff. GER-BGB-ში მოწესრიგებულ მატერიალურ-სამართლებრივ დებულებებს ქმედუნარიანობასთან დაკავშირებით.

1. ერთი შეხედვით, ეჭვგარეშეა, რომ დაუშვებელია სარჩელი, რომელიც აღძრულია საპროცესო ქმედუნარიანობის არმქონე მხარის მიერ, ან

მის **წინააღმდეგ**. აქედან გამომდინარე, მას უარი უნდა ეთქვას სარჩელის დაკმაყოფილებაზე ე.წ. სარჩელის დასაშვებობის შესახებ მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებით (მოსარჩელისთვის: BGH, Urteil vom 04.11.1999 - III ZR 306/98 - BGHZ 143, 122; მოპასუხისთვის: BGH, Versäumnisurteil vom 08.12.2009 - VI Z 284/08 – FamRZ 2010, 548).

ა) თუმცა სასამართლოს არ აქვს უფლება, მიიღოს მსგავსი საპროცესო გადაწყვეტილება, რომლითაც, დაუშვებლობის გამო, არ დააკმაყოფილებდა სარჩელს საპროცესო ქმედუნარიანობის არმქონე მოპასუხის **წინააღმდეგ**, რამდენადაც შესაძლებელია, მოსარჩელეს, მისი მოთხოვნით და § 57 Abs. 1 GER-ZPO-ის მიხედვით (დაახლოებით, შეესაბამება ქართული სსკ-ის 82-ე მუხლს), დაენიშნოს ე.წ. საპროცესო მზრუნველი (BGH, Versäumnisurteil vom 08.12.2009 - VI Z 284/08 - FamRZ 2010, 548; BGH, Urteil vom 13.10.1971 - IV ZR 105/70 - VersR 1972, 97). მსგავსი პროცესი წინასწარ უნდა გაიმართოს მოსარჩელის მოთხოვნის საფუძველზე.

ძირითადად, ანალოგიური მოქმედებს საპროცესო ქმედუნარიანობის არმქონე მხარის **მიერ** აღძრული სარჩელის მიმართაც. მართალია, ასეთი მოსარჩელისთვის ვერ დაინიშნება საპროცესო მზრუნველი (§ 57 Abs. 1 GER-ZPO-ის მიხედვით), თუმცა სასამართლო მოსმენის კონსტიტუციურ-სამართლებრივი უფლება (Art. 103 Abs. 1 GER-GG) ითხოვს, რომ საპროცესო ქმედუნარიანობის არმქონე მხარეს მიეცეს სასამართლო საქმისწარმოებაში სამართლებრივად ნამდვილი მონაწილეობის შესაძლებლობა. აქედან გამომდინარე, მას სასამართლო გადაწყვეტილების მიღებამდე უნდა შეეძლოს საპროცესო ქმედუნარიანობის არქონით გამოწვეული შედეგების აღმოფხვრა კანონიერი წარმომადგენლის მიერ პროცესის მართვით (BGH, Beschluss vom 09.11.2010 - VI ZR 249/09 - NJW-RR 2011, 284). თუ მხარეს არ ჰყავს კანონიერი წარმომადგენელი, საჭირო დრო უნდა მიეცეს მის დასანიშნად (BGH, Beschluss vom 09.11.2010 - VI ZR 249/09 - NJW-RR 2011, 284). მაგალითად, საპროცესო ქმედუნარიანობის არმქონე ფიზიკურ პირს, დასწეულების ან უნარების შეზღუდვის შემთხვევაში, მეურვეობის საკითხების განმხილველმა სასამართლომ დაუნიშნოს მზრუნველი (§ 1896 GERBGB). იურიდიული პირის შემთხვევაში, რომელსაც არ აქვს წარმომადგენლობითი ორგანო, შესაძლებელია ასეთი ორგანო მოგვიანებით დაინიშნოს პირველი ინსტანციის სასამართლომ; ძალზე მჭიდრო წინაპირობებისა და საჭიროების არსებობისას, შესაძლებელია საგანგებო გამგეობის, ან საგანგებო მმართველის დანიშვნაც (§ 29 GER-BGB ან ანალოგიურად § 29 GER-BGB).

გადაუდებელი აუცილებლობის დროს, სასამართლოს, § 56 Abs. 2 GER-ZPO-ის შესაბამისად, შეუძლია თავდაპირველად დაუშვას საპროცესო ქმედუნარიანობის არმქონე მხარე და განუსაზღვროს ვადა ამ ნაკლის აღმოფხვრისთვის (შდრ. ქართული სსკ-ის 82-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

ბ) ვინაიდან ქმედუნარიანობის - და ამით საპროცესო ქმედუნარიანობის - შესახებ მოთხოვნების წაყენება დამოკიდებულია ეროვნულ კანონმდებლობაზე, მხოლოდ მოკლედ წარმოგიდგენთ ამ მხრივ არსებულ წინაპირობებს გერმანიაში.

§ 104 GER-BGB-ის მიხედვით, ქმედუნაროა ის, ვისაც:

- არ მიუღწევია რვა წლის ასაკისთვის; ან
- აქვს იმგვარი გონებრივი აშლილობა, რომელიც გამორიცხავს ნების თავისუფლად განსაზღვრას, რადგან ეს მდგომარეობა თავისი ბუნებით არ არის დროებითი.

§ 104 Nr. 2 GER-BGB-ის მიხედვით, თავისუფალი ნების გამოხატვა გამოირიცხება, როდესაც პირს არ შეუძლია საკუთრი ნების ფორმირება არსებული გონებრივი აშლილობისგან დამოუკიდებლად და მოქმედება შესაბამისი შემეცნების მიხედვით. ამასთან, გასათვალისწინებელია, რამდენად შეძლებს ის თავისუფალი გადაწყვეტილების მიღებას დადებითი და უარყოფითი მხარეების ანონ-დანონვის პირობებში, შესაბამისი გარემოებების ობიექტური შეფასებასთან ერთად, და პირიქით, რამდენად ველარ ვისაუბრებთ ნების თავისუფალ ფორმირებაზე (BGH, Beschluss vom 14.03.2017 - VI ZR 255/16 - VersR 2017, 966).

არასრულწლოვნები 8-იდან 18 წლამდე ითვლებიან ქმედუნარიანობა-შეზღუდულ (§§ 110 ff. GER-BGB) და - გარდა რამდენიმე სპეციალური სიტუაციისა (§§ 112, 113 GER-BGB) - საპროცესო ქმედუნარიანობის არმქონე პირებად. სპეციალური წესები მოქმედებს საოჯახო სამართლის სფეროში, როდესაც არასრულწლოვნებს 15 წლის ასაკიდან აქვთ უფლება, ცალკე გაასაჩივრონ საქმეები მშობლის ბავშვზე ზრუნვის შესახებ (§ 60 GER-FamFG).

გ) პრინციპი, რომ საპროცესო ქმედუნარიანობის არმქონე მხარეებს არ შეუძლიათ სამართლებრივად ნამდვილი საპროცესო მოქმედებების შესრულება, ირღვევა იმ სასამართლო პროცესის დროს, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ მიმართულია საპროცესო ქმედუნარობის დადგენაზე. მსგავსი სასამართლო პროცესების დროს ხშირია **საპროცესო ქმედუნარიანობის მოჩვენება** საქმის სააპელაციო ინსტანციაში მისაღებად და განსახილველად. გარდა ამისა, § 1896 GER-BGB (ძირითადად, ქართული სსკ-ის 363¹⁴ მუხლის მსგავსია) ქმედუნარო პირს საპროცესო

ქმედუნარიანობას ანიჭებს იმდენად, რამდენადაც მას, განსაზღვრული წინაპირობების გათვალისწინებით, სამართლებრივად ნამდვილად შეეძლება, მოითხოვოს მხარდამჭერის დანიშვნა.

აა) ეს ნორმატიული რეგულაცია ამყარებს ზოგად საპროცესო-სამართლებრივ პრინციპს, რომლის მიხედვითაც, ეფექტიანი სამართლებრივი დაცვა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სასამართლოს მიერ საპროცესო ქმედუნარიანობის არმქონედ მიჩნეულ მხარეს შეუძლია, აღნიშნული გადაწყვეტილება სამართლებრივად ნამდვილად გაასაჩივროს კანონისმიერი საშუალებებით (BGH, Urteil vom 04.11.1999 – III ZR 306/98 - BGHZ 143, 122; BGH, Beschluss vom 14.03.2017 - VI ZR 255/16 - VersR 2017, 966; BGH, Versäumnisurteil vom 08.12.2009 - VI Z 284/08 - FamRZ 2010, 548). მსგავსი საჩივარი იმ შემთხვევაშიც დასაშვებია, თუ საჩივრის განმხილველი ინსტანცია ეყრდნობა მხარის ობიექტურად არსებულ საპროცესო ქმედუნარიანობას. თუმცა ეს არაფერს ცვლის იმასთან მიმართებით, რომ სარჩელი (და არა საჩივარი) არ უნდა დაკმაყოფილდეს დაუშვებლობის გამო (BGH, Urteil vom 04.11.1999 - III ZR 306/98 - NJW 2000, 289).

ბბ) მსგავსი სახით გამოიყენება ეს პრინციპები, როდესაც სადავოა მხარედ არსებობის უნარიანობა, მხარის სამართლებრივად არსებობა, ანდა მისი კანონიერი წარმომადგენლობა. ამ შემთხვევაშიც, გერმანულ სამოქალაქო საპროცესო სამართალში **საქმის სასამართლოში წარმოების ფარგლებში** (და არა მას შემდეგ, რაც სასამართლო საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებს ამ საქმეზე), ეფექტიანი სამართლებრივი დაცვის საფუძვლებიდან გამომდინარე, უნდა ამოვიდეთ მხარედ არსებობის უნარიანობიდან, რომ მხარე სამართლებრივად არსებობს ან სამართლებრივად ნამდვილად არის წარმოდგენილი პროცესზე კანონიერი წარმომადგენლით (BGH, Beschluss vom 07.06.2018 - V ZB 252/17 - juris; BGH, Beschluss vom 31.05.2010 - II ZB 9/09 - NJW 2010, 3100 – ქვემოთ მოყვანილია ამონარიდების სახით).

საპროცესო ქმედუნარიანობა საჩივრის განხილვის ფარგლებში ივარაუდება მაშინაც, თუ ობიექტურად არარსებული (*ex post* შეფასებისას) ან სხვა საფუძვლებით მხარედ არსებობის უნარიანობის არმქონე მხარე გაასაჩივრებს წინა ინსტანციაში მის წინააღმდეგ გამოტანილ გადაწყვეტილებას საქმეზე, რათა სასამართლომ მიიღოს მისთვის უფრო ხელსაყრელი გადაწყვეტილება; მაშასადამე, მისი ობიექტურად არარსებული მხარედ ყოფნის უნარიანობის გამო, არ იღვწის იმგვარი საპროცესო გადაწყვეტილების მიღებისკენ, რომლითაც მოსამართლე არ დააკმაყოფილებდა სარჩელს დაუშვებლობის გამო (სასარჩელო მოთხოვნის უფლება-

სთან დაკავშირებით მატერიალური სამართლებრივი მოქმედების ძალის გარეშე). უმაღლესი ფედერალური სასამართლო აცხადებს (*Beschluss vom 31.05.2010 - II ZB 9/09 - NJW 2010, 3100*):

„ა) სასამართლო პრაქტიკაში აღიარებულია, რომ პროცესის მონაწილე მხარე, რომლის მხარედ არსებობის უნარიანობაც სადავოა, ამ საკითხის სასამართლოს მიერ გარკვევისთვის მხარედ არსებობის უნარიანად უნდა იქნეს განხილული (*BGHZ 24, 91*;

BGHZ 74, 212;15; BGH ZIP 2008, 2029...). არარსებულ ან სხვა საფუძვლებით მხარედ არსებობის უნარიანობის არმქონე მხარეს შეუძლია, გაასაჩივროს სასამართლო გადაწყვეტილება, რომელიც მიღებულია მის არარსებობასა ან სხვა საფუძვლებით მხარედ არსებობის უუნარობაზე, ანდა ის, რომ წინა ინსტანციის სასამართლომ არასამართლიანად უარყო მისი მხარედ არსებობის უნარიანობა. უმაღლეს ფედერალურ სასამართლოს - განსხვავებით საპროცესო ქმედუნარიანობის საპროცესო წინაპირობის საკითხისგან (*BGHZ 143, 122, 126 ...*) - ჯერაც არ გადაუწყვეტია ერთმნიშვნელოვნად, დასაშვებია თუ არა საჩივარი, რომლითაც მხარედ არსებობის უნარიანობის არმქონე მხარე წინა ინსტანციის მიერ საქმეზე გამოტანილ გადაწყვეტილებას გაასაჩივრებდა იმ მიზნით, რომ სასამართლოს საქმეზე მიეღო მისთვის სასურველი სხვა გადაწყვეტილება (...).

ბ) სააპელაციო სასამართლოს მოსაზრების სანინააღმდეგოდ, არ არსებობს საფუძველი იმისთვის, რომ გამონაკლისის სახით არ დაკმაყოფილდეს მოსარჩელე 1-ის სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა, მოცემული საპროცესო კონსტელაციის გათვალისწინებით.

დავაში მონაწილე ყველა მხარის სამართლებრივი არსებობა - და, შესაბამისად, მხარედ არსებობის უნარიანობა - საპროცესო წინაპირობაა, რომელიც მოსამართლემ საკუთარი ინიციატივით უნდა შეამოწმოს (§ 56 Abs. 1 ZPO) საქმისწარმოების ნებისმიერ ეტაპზე, აგრეთვე, საქმის განხილვისას მაღალ ინსტანციებში. ამის გარეშე სასამართლოს არ აქვს საქმეზე გადაწყვეტილების მიღების უფლება (*BGHZ 159, 94; BGHZ 116, 118*). თუ მხარედ არსებობის უნარიანობის არმქონე მხარე გაასაჩივრებს საქმეზე პირველი ინსტანციის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, საჩივრის განმხილველი ინსტანციის წინაშე ისმის მხარედ არსებობის უნარიანობის საკითხი, იმის მიუხედავად, მომჩივანი მხარედ არსებობის უნარიანობის უფლებას ახორციელებს, თუ უბრალოდ სურს, სასამართლომ საქმეზე მიიღოს მისთვის უფრო ხელსაყრელი გადაწყვეტილება. ამ შემთხვევაში არ აქვს მნიშვნელობა სამართლებრივი დავის მიზანს, რო-

მლის მიღწევაც სურს მხარეს ამ საჩივრით, ვინაიდან არ არის სახეზე მხარის მხარედ არსებობის უნარიანობა, როგორც მხარეთა დისპოზიციურობის საპროცესო წინაპირობა. აქედან გამომდინარე, საჩივრის ავტორი ვერ შეძლებს, მიიღოს საქმეზე სამართლებრივად მბოჭავი ძალის მქონე სასამართლო გადაწყვეტილება (...). თუ სააპელაციო ინსტანციას გაუჩნდება ეჭვი მხარედ არსებობის უნარიანობაზე, საკითხის გასარკვევად, საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებიდან გამომდინარე, სასამართლომ მხარე უნდა განიხილოს მხარედ არსებობის უნარიანად, რასაც შედეგად მოჰყვება საჩივრის დასაშვებობა. მხარედ არსებობის უნარიანობაზე სასამართლო გადაწყვეტილების კვალიფიკაცია საჩივრის დასაბუთებულობასთან დაკავშირებით სათანადოდ ითვალისწინებს მხარედ არსებობის უნარიანობის ბუნებას, როგორც საქმეზე გადაწყვეტილების მიღებისთვის მნიშვნელოვან წინაპირობას მთლიანად სამართლებრივი დავისთვის (...) და იძლევა წინა ინსტანციაში არასწორად მიღებული გადაწყვეტილების პროცესუალურად მარტივად გამოსწორების შესაძლებლობას. ამის საჭიროება, სააპელაციო ინსტანციის მოსაზრების საწინააღმდეგოდ, არსებობს იმ შემთხვევაშიც, თუ საქმეზე გადაწყვეტილება მიიღება არარსებული მხარის სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ და, აქედან გამომდინარე, არ მოჰყვება სამართლებრივი შედეგები (...). ამ საფუძვლიდან გამომდინარე, აღიარებულია, რომ მსგავსი უშედეგო გადაწყვეტილებები შეიძლება გაუქმდეს შესაბამისი საჩივრის შეტანითაც (BGH WM 1994, 1212...)."

განსაკუთრებული პრობლემები იკვეთება, თუ საქმე ეხება იურიდიული პირების წარმოდგენას შესაბამისი ორგანოების მიერ და მათი მხარედ არსებობის უნარიანობას, როდესაც მხარეებს შორის შინაარსობრივი დავა სასამართლოში უკავშირდება იმას, თუ ვინ არის რეალურად წარმომადგენლობითი ორგანო. ეს ეხება, მაგალითად: კორპორატიული სამართლის სარჩელებს საერთო კრების გადაწყვეტილების წინააღმდეგ, ან საერთო კრების გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნით, რომლითაც სააქციო საზოგადოებების შემთხვევაში საჩივრდება გადაწყვეტილებები წარმომადგენლობითი ორგანოების დანიშვნასა ან მათ დათხოვნაზე; ან შესაბამის აღიარებით სარჩელებს კავშირების სამართლის შესახებ.

გერმანული სასამართლო პრაქტიკა გამომდინარეობს იქიდან, რომ მსგავსი კონსტელაციების შემთხვევაში სამართლებრივი დავისას, როდესაც საქმე ეხება იურიდიული პირის წარმოდგენას მისი ორგანოების მიერ - იმისთვის, რომ თავიდან აიცილონ ის, რაც ისედაც ლოგიკურია - არ არის გადამწყვეტი, თუ რომელი ორგანო აღმოჩნდება საბოლოო ჯამში

წარმომადგენელი. მსგავსი დავებისას იურიდიული პირი თითქმის ყოველთვის წარმოდგენილია იმ წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ, რომელიც ამ ორგანოს დანიშვნასა ან დათხოვნაზე საქმეში არსებული გადაწყვეტილების ნამდვილობის შემთხვევაში, იქნებოდა იურიდიული პირის წარმომადგენლობითი ორგანო (BGH, Urteil vom 10.11.1980 - II ZR 51/80 - NJW 1981, 1041; OLG Köln, Urteil vom 15.10.2015 - 18 U 4/15 - juris; Thüringer OLG, Urteil vom 08.01.2014 - 2 U 627/13 - GmbHR 2014, 706; OLG München, Urteil vom 12.12.2013 - 23 U 3331/13 - juris; Brandenburgisches Oberlandesgericht, Urteil vom 03.07.2012 - 11 U 174/07 - juris - für Verein; შდრ. აგრეთვე BGH, Urteil vom 28.02.2005 - II ZR 220/03 - ZIP 2005, 900, რომლის მიხედვითაც, პროცესში მესამე პირებად ჩართული მხარეების (საჭიროების შემთხვევაში სავარაუდო) კანონიერი წარმომადგენლები და მათ მიერ დანიშნული რწმუნებულები უფლებამოსილები არიან, რომ საქმეზე სამართლებრივი ძალის მქონე გადაწყვეტილების მიღებამდე, აწარმოონ დავა სასამართლოში კანონიერ წარმომადგენლობით უფლებამოსილებაზე).

დ) მსგავსად ყველა სხვა საპროცესო წინაპირობისა, მოსამართლემ საქმისწარმოების ნებისმიერ ეტაპზე **საკუთარი ინიციატივით უნდა შეამოწმოს** საპროცესო ქმედუნარიანობის არსებობა § 56 Abs. 1 GER-ZPO მიხედვით (BGH, Urteil vom 04.11.1999 - III ZR 306/98 - BGHZ 143, 122; BGH, Urteil vom 21.11.1996 - IX ZR 148/95 - BGHZ 134, 116; BGH, Beschluss vom 14.03.2017 - VI ZR 255/16 - VersR 2017, 966; BGH, Urteil vom 29.09.2010 - XII ZR 41/09 - NJW 2011, 778, მხარედ არსებობის უნარიანობასთან დაკავშირებით). თუ სახეზეა კონკრეტული ხელმოსაჭიდი პუნქტი, რომ შესაძლოა სახეზე იყოს მხარის საპროცესო ქმედუნარობა, სასამართლომ - ისევე, როგორც მხარედ არსებობის უნარიანობასთან დაკავშირებული ეჭვებისას - საკუთარი ინიციატივით უნდა შეაგროვოს მტკიცებულებები, სამოქალაქო პროცესის მტკიცებულებების შეგროვების ფორმალობისგან დამოუკიდებლად (ე.წ. **თავისუფალი მტკიცებულება**: BGH, Urteil vom 04.11.1999 - III ZR 306/98 - BGHZ 143, 122; BGH, Urteil vom 29.09.2010 - XII ZR 41/09 - NJW 2011, 778; BGH, Urteil vom 09.01.1996 - VI ZR 94/95 - NJW 1996, 1059). მოსამართლე თავისუფალი მტკიცებულების დროს არ არის შებოჭილი სხვა შემთხვევაში მტკიცებულებების შეგროვებისთვის დაწესებული სავალდებულო ფორმებით (ე.წ. სასამართლოს მიერ გარემოებების დადგენა მტკიცებულებების შეგროვების მკაცრი ფორმალური მოთხოვნების დაცვით). მაგალითისთვის, მას, როგორც წესი, უფლება აქვს, წერილობით გამოკითხოს მოწმეები.

თუმცა ეს არაფერს ცვლის იმასთან დაკავშირებით, რომ მოსამართლემ უნდა გაითვალისწინოს ძირითადი საპროცესო-სამართლებრივი პრინციპები (მაგ.: სასამართლო მოსმენის პრინციპი) და ნეიტრალურობის ვალდებულება. აქედან გამომდინარე, სასამართლომ უნდა ამოწუროს შემეცნების ყველა შესაძლო წყარო, მაგრამ მას უფლება არ აქვს, დაინტერესებული პირის თანხმობის გარეშე გასცეს ბრძანება მის მონაწილეობაზე სამედიცინო ექსპერტიზაში (BGH, Versäumnisurteil vom 08.12.2009 - VI Z 284/08 - FamRZ 2010, 548; BGH, Urteil vom 23.02.1990 - V ZR 188/88 - NJW 1990, 1734). დარჩენილი ეჭვი მოსარჩელის საპროცესო ქმედუნარიანობასთან დაკავშირებით მოქმედებს მის საზიანოდ (BGH, Urteil vom 04.11.1999 - III ZR 306/98 - BGHZ 143, 122; BGH, Urteil vom 09.01.1996 - VI ZR 94/95 - NJW 1996, 1059).

2. საპროცესო ქმედუნარიანობის არმქონე პირის მიერ საპროცესო მოქმედებების განხორციელება ძირითადად შეიძლება **ნებადართული** იყოს. ეს სახეზეა, როდესაც, საპროცესო ქმედუნარიანობის არმქონე მოსარჩელეს დაენიშნება საპროცესო წარმომადგენელი § 57 GER-ZPO მიხედვით (მსგავსი რეგულაციაა ქართული სსკ-ის 82-ე მუხლი (GEO-ZPO)), ან მხარისთვის პროცესზე მართვას გადაიბარებს კანონიერი წარმომადგენელი, რომელიც თავიდან არ მონაწილეობდა საქმეში. თუმცა ნებართვა შეიძლება ასევე სახეზე იყოს, როდესაც მხარე მოგვიანებით მოიპოვებს საპროცესო ქმედუნარიანობას (მაგ.: სრულწლოვანი გახდება-), ან აღმოიფხვრება მანამდე არსებული ხელშემშლელი ფაქტორები ნების გამოვლენასთან დაკავშირებით და, შედეგად, დადგება პირის ქმედუნარიანობა (იხ. BGH, Urteil vom 04.11.1999 - III ZR 306/98 - BGHZ 143, 122). სამართლებრივად ნამდვილი ნებართვის წინაპირობა, პირველ რიგში, არის:

ა) უპირველეს ყოვლისა, **ნებართვის** ამოცნობადი **ნების** არსებობა.

ეს ავტომატურად არ ნიშნავს, რომ საქმისწარმოება ამას იქით საპროცესო ქმედუნარიანობის მქონე პირის მონაწილეობით გრძელდება, საპროცესო ქმედუნარიანობის არმქონე პირის მოქმედებებისგან გამიჯვნის გარეშე. საპროცესო ქმედუნარიანობის მქონე პირმა უნდა იცოდეს ადრინდელი საპროცესო მოქმედებების ბათილობის შესახებ ან, სულ მცირე, ვარაუდობდეს მათ ბათილობას. ეს მოქმედებები - საჭიროების შემთხვევაში, პროცესის კონკლუდენტურად გაგრძელებით - მან მესამე პირებისთვის ამოცნობადი უნდა გახადოს და განაცხადოს, რომ მისთვის ისინი მბოჭავია (BGH, Urteil vom 26.03.2003 - IV ZR 222/02 - BGHZ 154, 283). აღნიშნული მიდგომა შეესაბამება გერმანიაში სამოქალაქო-სამართლებრივ თანხმობაზე განვითარებულ სამართლებრივ პრინციპებს,

რომელთა მიხედვითაც, მერყევად ბათილი გარიგებების კონკლუდენტური ქცევით დათანხმების წინაპირობაა, რომ თანხმობის მიმცემმა იცოდეს ბათილობის შესახებ, ან, სულ მცირე, ვარაუდობდეს მას (BGH, Teilurteil vom 09.01.2018 - XI ZR 17/15 - NJW-RR 2018,747; BGH, Urteil vom 17.11.2014 - I ZR 97/13 - MDR 2015, 169; BGH, Urteil vom 22.02.2005 - XI ZR 41/04 - NJW 2005, 1488). კონკლუდენტური თანხმობა სახეზეა მაშინაც, თუ: ერთი მხრივ, ნების გამომხატველს სათანადო გულმოდგინების გამოჩენის პირობებში უნდა ამოეცნო, რომ მისი ქცევა მესამე პირებს უნდა აღექვას, როგორც მანამდე ბათილი მოქმედების შემდგომი მონონება; და, მეორე მხრივ, მიმღებმა ეს ფაქტობრივადაც ასე გაიგო (შდრ. BGH, Urteil vom 07.11.2001 - VIII ZR 13/01 - BGHZ 149, 129; BGH, Urteil vom 02.11.1989 - IX ZR 197/88 - BGHZ 109, 171; BGH Urteil vom 17.11.2014 - I ZR 97/13 - MDR 2015,169).

ბ) თანხმობას - ისევე, როგორც სამოქალაქო სამართალში - აქვს უკუქცევითი ძალა საპროცესო ქმედუნარიანობის არმქონე მხარის მიერ საპროცესო მოქმედების შესრულების მომენტზე (შდრ. თანხმობის გარეშე პროცესის წარმართვასთან დაკავშირებით: BGH, Beschluss vom 10.01.1995 - X ZB 11/92 - BGHZ 128, 280). თუმცა, მისი გამოსატყა ვადაში შეზღუდული საპროცესო მოქმედებებისას (მაგ.: საჩივრის შეტანისას) შესაძლებელია მხოლოდ საჩივრის შეტანისთვის განსაზღვრული ვადის ფარგლებში.

აქედან გამომდინარე, განსაკუთრებული მიდგომა მოქმედებს მინდობილობის გარეშე განხორციელებული ქმედებებისას, რომელთა დროსაც გერმანული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის § 89 Abs. 2 GER ZPO პირდაპირ ითვალისწინებს თანხმობის არსებობას, თუმცა, ბუნებრივია, მისი წინაპირობებისა და სამართლებრივი შედეგების დასახელების გარეშე. ამ წესიდან უმაღლესი ფედერალური სასამართლო ასკვნის, რომ წარმომადგენლის სამართლებრივად ნამდვილი დანიშვნის შემდეგ, შესაძლებელია უწინდელი წარმომადგენლის მინდობილობის გარეშე განხორციელებული ქმედების მონონება საქმის ზეპირი განხილვის დასრულებამდე (BGH, Beschluss vom 10.01.1995 - X ZB 11/92 -BGHZ 128, 280). უკუქცევითი ძალის გამო, არ არის აუცილებელი, თანხმობა გამოიხატოს იმ ვადის ფარგლებში, რომელიც მოქმედებს ნებადართული საპროცესო მოქმედებისთვის (BGH, Beschluss vom 10.01.1995 - X ZB 11/92 - BGHZ 128, 280). უკუქცევითი ძალის არსებობით, პირველ რიგში, აღმოიფხვრება გაშვებული ვადა, ისე, რომ ამისთვის არ არის საჭირო საპროცესო ვადის აღსადგენი შესაბამისი პროცედურების გამართვა (§§ 233 ff. GER-ZPO;

შინაარსობრივად, დაახლოებით, მსგავსია ქართული სსკ-ის 65-ე და მომდევნო მუხლები; იხ. ქვემოთ Art. 264 Rn. 19 ff.) (BGH, Beschluss vom 10.01.1995 - X ZB 11/92 - BGHZ 128, 280).

ყველა საპროცესო მოქმედებისას, მათი განხორციელებისთვის მოქმედი კანონისმიერი ვადები გარკვეულ დროით საზღვრებს აწესებს თანხმობისთვისაც (BGH, Urteil vom 07.06.1990 - III ZR 142/89 - BGHZ 111, 339; BGH, Beschluss vom 16.12.1992 - XII ZB 17/92 - VersR 1993, 1034). წინააღმდეგ შემთხვევაში, თანხმობის უკუქცევითი ძალის შედეგად, სასამართლოში საქმეების განხილვის მხრივ შეიქმნებოდა წარმოუდგენლად არასტაბილური ვითარება და ვადების გაშვებასთან დაკავშირებული ეფექტი, ფაქტობრივად, დაკარგავდა მნიშვნელობას. თუმცა კანონისმიერი ვადის გაშვება ხშირად არ არის საპროცესო ქმედუნარიანობის არმქონე მხარის ბრალეულობა (მაგ.: არასრულწლოვნებიდან გამომდინარე ქმედუნარიანობის შემთხვევაში), რაც ნიშნავს, რომ ვადის გაშვების გამო პირს წარმოეშობა საპროცესო ვადის აღდგენის მოთხოვნის უფლება (BGH, Urteil vom 09.01.2008 - VIII ZR 12/07 – FamRZ 2008, 680; dazu im Einzelnen: Art. 264 Rn. 19 ff.).

გ) საპროცესო ქმედუნარიანობის არმქონე მხარისთვის საპროცესო მოქმედებების ნების დართვა შეიძლება მხოლოდ **საერთო ჯამში** (ან საერთოდ არ შეიძლება); დაუშვებელია ნების ნაწილობრივ დართვა (BGH, Beschluss vom 19.07.1984 - X ZB 20/83 - BGHZ 92, 137). ნებართვის უფლებამოსილების შერჩევითი გამოყენება - მაშასადამე, „მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც განყოფილება“ - არა მხოლოდ სამართლებრივ სტაბილურობას შეუქმნიდა საფრთხეს, არამედ შეუსაბამოდ გახლეჩდა პროცესის წარმართვის სამართლებრივ ერთგვაროვნებას და, საბოლოოდ, საპროცესო ქმედუნარიანობის არმქონე მხარეს უფრო უკეთესად წარმოაჩინდა, ვიდრე საპროცესო ქმედუნარიანობის მქონეს.

3. თუ შეუმჩნეველი დარჩება საპროცესო ქმედუნარიანობა, § 579 Abs. 1 Nr. 4 GER-ZPO მიხედვით, შესაძლებელი ხდება ბათილობის სარჩელის აღძვრა. თუმცა სადავოა, რამდენად მოქმედებს ეს, როცა შეუმჩნეველი რჩება მხარედ არსებობის უნარიანობის არქონა.

მუხლი 83. მხარეთა საპროცესო უფლებები

1. მხარეები სარგებლობენ თანაბარი საპროცესო უფლებებით. მათ უფლება აქვთ, გაეცნონ საქმის მასალებს, გააკეთონ ამონაწერები ამ მასალებიდან, გადაიღონ ასლები, განაცხადონ აცილებანი, წარადგინონ მტკიცებულებანი, მათ შორის, ექსპერტის (საექსპერტო დაწესებულების) დასკვნები, სპეციალისტის ცნობები, მონაწილეობა მიიღონ მტკიცებულებათა გამოკვლევაში, შეკითხვები დაუსვან მონმეებს, ექსპერტებს, სპეციალისტებს, სასამართლოს წინაშე განაცხადონ შუამდგომლობები, მისცენ სასამართლოს ზეპირი და წერილობითი ახსნა-განმარტებანი, წარადგინონ იმავე ტიპის საქმეზე სხვა სასამართლოს გადაწყვეტილებანი, წარადგინონ თავიანთი დასკვნები და გამოთქვან მოსაზრებები საქმის განხილვის დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე, უარყონ მეორე მხარის შუამდგომლობები, დასკვნები და მოსაზრებები, გაასაჩივრონ სასამართლოს გადაწყვეტილებები და განჩინებები, წარადგინონ მორიგების აქტი საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე და ისარგებლონ ამ კოდექსით მათთვის მინიჭებული სხვა უფლებებით.

[1¹. არასრულწლოვანს ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ უფლებებთან ერთად უფლება აქვს, ბავშვის უფლებათა კოდექსის 70-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებულ საკითხებზე მიიღოს ინფორმაცია იმავე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად. (ამოქმედდეს 2020 წლის 1 ივნისიდან)]

2. მოსარჩელეს უფლება აქვს, საქმის წინასწარი სასამართლო განხილვისათვის მომზადების დამთავრებამდე შეცვალოს სარჩელის საფუძველი ან საგანი, შეავსოს სარჩელში მითითებული გარემოებები და მტკიცებულებები, გაადიდოს ან შეამციროს სასარჩელო მოთხოვნის ოდენობა, რის შესახებაც სასამართლომ უნდა აცნობოს მოპასუხეს.

3. საქმის წინასწარი სასამართლო განხილვისათვის მომზადების შემდეგ სარჩელის საფუძვლის ან საგნის შეცვლა დასაშვებია მხოლოდ მოპასუხის წინასწარი თანხმობით. ასეთი თანხმობის შემთხვევაში მოპასუხეს შეუძლია მოითხოვოს სასამართლო სხდომის გადადება სხვა დროისათვის.

4. სარჩელის შეცვლად არ ჩაითვლება მოსარჩელის მიერ სარჩელში მითითებული გარემოებების დაზუსტება, დაკონკრეტება და დამატება, აგრეთვე სასარჩელო მოთხოვნების ოდენობის შემცირება, ან ერთი ნივთის ნაცვლად მეორე ნივთის მიკუთვნება მისთვის, ანდა ამ ნივთის ღირებულების ანაზღაურება.

უღრის ჰაბენლონი

83-ე მუხლი

ქართული სსკ-იდან მოყვანილი ნორმები:

- 83-ე მუხლი
- 381-ე მუხლი, ა.ნ. 12 და მომდევნო აბზაცები

სარჩელის შეცვლა

1. სსკ-ის 83-ე მუხლის მე-2 ნაწილით მოწესრიგებული სარჩელის შეცვლა გაცილებით ვიწროდ არის წარმოდგენილი, ვიდრე გერმანული სა-მოქალაქო საპროცესო კოდექსის შესატყვისი რეგულაცია:

§ 263 GER-ZPO - სარჩელის შეცვლა

მას შემდეგ, რაც სასამართლო წარმოებაში მიიღებს საქმეს, სარჩელის შეცვლა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოპასუხე დათანხმდება ამას, ან სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს საქმისთვის.

§ 264 GER-ZPO - სარჩელის არშეცვლა

სარჩელის შეცვლას არ ნიშნავს, თუ სარჩელის საფუძვლის შეცვლის გარეშე ხდება:

1. ფაქტობრივი და სამართლებრივი მითითებების გავრცობა ან ჩასწორება;
2. სარჩელის ძირითადი ან დამატებითი მოთხოვნების გაზრდა ან შემცირება;
3. სხვა საგნის ან ინტერესის მოთხოვნა მოგვიანებით დამდგარი ცვლილების გამო, ნაცვლად თავდაპირველი მოთხოვნისა.

სააპელაციო ინსტანციისთვის § 533 GER-ZPO შეიცავს სპეციალურ რეგულაციას:

§ 533 GER-ZPO - სარჩელის შეცვლა, გაქვითვის განცხადება, შეგებებული სარჩელი

სარჩელის შეცვლა, გაქვითვის განცხადება და შეგებებული სარჩელი დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ:

1. მონინალმდევე თანახმაა ამაზე, ან სასამართლო საქმისთვის საქიროდ მიიჩნევს;

2. ამას შეიძლება საფუძვლად დაედოს ფაქტები, რომლებსაც სააპელაციო სასამართლომ ისედაც უნდა დააყრდნოს სააპელაციო საჩივართან დაკავშირებული განხილვა და გადაწყვეტილება, § 529 მიხედვით.

1. სარჩელის შეცვლა სახეზეა, როდესაც იცვლება საპროცესო დავის საგანი (იხ. მე-3 მუხლის პირველი ნაწილის კომენტარი, ა.ნ. 19 და მომდევნო აბზაცები). მაშასადამე, ის სახეზეა არა მხოლოდ იმ დროს, როდესაც მოსარჩელე სარჩელით სხვა მოთხოვნას ახორციელებს, არამედ მაშინაც, როცა ერთი და იმავე სასარჩელო მოთხოვნისას ამ მოთხოვნის დასასაბუთებლად წარმოდგენილი ფაქტობრივი გარემოებები ისე იცვლება, რომ, მე-3 მუხლის პირველი ნაწილის კომენტარის ა.ნ. 19-სა და მომდევნო აბზაცებში წარმოდგენილი მსჯელობის მიზნის გათვალისწინებით, იწვევს დავის საგნის შეცვლას. შესაბამისად უნდა გავიგოთ § 264 Nr. 1 GER-ZPO-ც, როდესაც მასში საუბარია მითითებების გავრცობასა და ჩასწორებაზე.

საპროცესო ეკონომიის საფუძვლებიდან გამომდინარე, § 264 Nr. 2 GER-ZPO-ის მიხედვით იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს სასარჩელო მოთხოვნის გავრცობა ან შეზღუდვა არ არის სარჩელის შეცვლა. თუმცა ეს არაფერს ცვლის იმასთან დაკავშირებით, რომ სასარჩელო მოთხოვნის რაოდენობრივი ან საგნობრივი შეზღუდვისას სახეზეა სარჩელის კონკლუდენტურად ნაწილობრივ გამოსხმობა (BGH, Urteil vom 12.05.2016 - I ZR 48/15 - NJW 2017, 78; BGH, Urteil vom 15.03.1990 - I ZR 120/88 - NJW-RR 1990, 1257) და, აქედან გამომდინარე, ის უნდა შემოწმდეს § 269 GER-ZPO-ის შესაბამისად (იხ. 83¹ მუხლის კომენტარი). თუმცა ამ საკითხს არ აქვს სათანადო პრაქტიკული მნიშვნელობა, ვინაიდან, § 267 GER-ZPO მიხედვით, უნდა ვივარაუდოთ, რომ მოპასუხე დათანხმდება სარჩელის შეცვლას, როდესაც საქმის ზეპირ განხილვაზე არ გააპროტესტებს სარჩელის ცვლილებას; ეს სისტემატურად ხდება სარჩელის ნაწილობრივ გამოსხმობისას. აქედან გამომდინარე, გერმანული სასამართლო პრაქტიკა, როგორც წესი, აღარ უღრმავდება § 264 Nr. 2 GER-ZPO-ისა და § 269 GER-ZPO-ის ურთიერთმიმართებას - ის დამატებითი დასაბუთების გარეშე ირჩევს უფრო პრაგმატულ გამოსავალს § 267 GER-ZPO-ის სახით. აქედან გამომდინარე, § 264 Nr. 2 GER-ZPO-ის რეგულაციის შინაარსი პრაქტიკულ მნიშვნელობას უმეტესწილად მაშინ იძენს, როდესაც სასამართლომ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება: საჩივრის შეტანასთან ერთად განხორციელებული სასარჩელო მოთხოვნის მოდიფიკაცია

§ 264 Nr. 2 ZPO-ის გამოყენების სფეროში ექცევა, თუ სახეზეა სარჩელის ცვლილება. ამ შემთხვევაში, ამ ორს შორის გამიჯვნას აქვს პრაქტიკული მნიშვნელობაც, ვინაიდან სარჩელის შეცვლისას საჩივარი აღარ იქნება მიმართული გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში არსებული პრობლემის აღმოფხვრაზე და ამით, როგორც წესი, დაუშვებელი გახდება (უფრო დეტალურად შდრ. 364-ე და მომდევნო მუხლების კომენტარი, ა.ნ. 27 და მომდევნო აბზაცები).

§ 264 Nr. 2 GER-ZPO ეჭვგარეშე მოიცავს სასარჩელო მოთხოვნის გავრცობის იმ შემთხვევებს, რომლებიც არ უკავშირდება წარმოდგენილი ფაქტობრივი გარემოებების ცვლილებებს. სასარჩელო მოთხოვნის მსგავსი პირწმინდად რაოდენობრივი გავრცობა სახეზეა, მაგალითად, იმ შემთხვევაში, როდესაც თავდაპირველი ნაწილობრივი სარჩელი გაფართოვდება და მოიცავს მთლიან თანხას, ან ინფორმაციის გაცემის მოთხოვნის უფლება (მაგ.: შემოსავალსა ან ბრუნვასთან დაკავშირებით) გავრცელდება დროის სხვა მონაკვეთებზეც. სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, § 264 Nr. 2 GER-ZPO-ის გამოყენების სფეროში ექცევა სასარჩელო მოთხოვნის განსაზღვრული ხარისხობრივი ცვლილებებიც (მაგ.: გადახდა ინფორმაციის გაცემის ნაცვლად) (BGH, Beschluss vom 02.06.1969 - II ZB 5/68 - BGHZ 52, 169), შესრულება აღიარების ნაცვლად და პირიქით (BGH, Urteil vom 25.11.1993 - IX ZR 51/93 - NJW 1994, 944). ანალოგიური მოქმედებს § 264 Nrn. 1 და 3 GER-ZPO მიხედვით, როდესაც წინასწარი შენატანის გადახდის სარჩელი გარდაიქმნება მთლიანი თანხის გადახდის სარჩელად, ვინაიდან წინასწარი შენატანის გადახდის მოთხოვნა არის მხოლოდ მთლიანი თანხის გადახდის მოთხოვნის მოდიფიცირებული ფორმა (BGH, Urteil vom 07.05.2015 - VII ZR 145/12 - NJW 2015, 2812; BGH, Urteil vom 08.12.2005 - VII ZR 191/04 - BauR 2006, 414; BGH, Urteil vom 11.11.2004 - VII ZR 128/03 - BauR 2005, 400).

§ 264 Nr. 3 GER-ZPO ეხება სანაცვლო ნივთის ან უფლების განხორციელებას (მაგ.: ზიანის ანაზღაურება თავდაპირველად გამოთხოვილი ნივთის დაღუპვის შემდეგ).

§ 263 GER-ZPO-სა და § 264 GER-ZPO-ს შორის საზღვრი არ არის ყოველთვის გასაგები, თუმცა ამას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა არ აქვს. სასამართლო პრაქტიკაში ეს საკითხი ხშირად პასუხგაუცემელი რჩება, ვინაიდან მსგავსი კონსტელაციებისას სარჩელის მსგავსი შეცვლა, სულ მცირე, შედის საქმის ინტერესში.

2. გერმანულ სამოქალაქო საპროცესო სამართალში ე.წ. მოსარჩელის ნებაზე დამოკიდებული მხარის შეცვლა, როგორც წესი, გაიგება სარჩე-

ლის შეცვლად (BGH, Urteil vom 13.11.1975 - VII ZR 186/73 - BGHZ 65, 264). თუმცა, ამ კუთხით არსებობს გადახვევა § 263 GER-ZPO-სგან, რაზეც უფრო დეტალური მსჯელობა წარმოდგენილია 84-ე და მომდევნო მუხლების კომენტარში (ა.ნ. 8 და მომდევნო აბზაცები).

3. გერმანულ და ქართულ სამართალს შორის ამ კუთხით არსებული განსხვავებული სამართლებრივი სიტუაციის გამო, მხოლოდ მოკლედ უნდა ვახსენო, რომ გერმანული სასამართლო პრაქტიკა, კითხვაზე - უნდა კვალიფიცირდეს თუ არა § 263 GER-ZPO მიხედვით განხორციელებული სარჩელის შეცვლა სარგებლის მომტანად საქმისთვის - გადაწყვეტილებას იღებს, ერთი მხრივ, მოპასუხის დაცვის ღირსი ინტერესების და, მეორე მხრივ, საპროცესო ეკონომიის ასპექტების გათვალისწინებით.

ამასთან, გერმანულ სასამართლო პრაქტიკაში ამ კუთხით დამკვიდრდა ძალზე ხელგაშლილი ტენდენცია და სარჩელის შეცვლა დაიშვება იმ შემთხვევაშიც, როცა ეს გამოდგება შემდგომი სამართლებრივი დავის თავიდან ასაცილებლად (BGH, Urteil vom 30.11.1999 - VI ZR 219/98 - BGHZ 143, 189; BGH, Beschluss vom 27.10.2015 - VIII ZR 288/14 - juris; BGH, Urteil vom 20.03.1981 - V ZR 152/79 - WM 1981, 657). ფაქტობრივად, სარჩელის შეცვლის დასაშვებობისთვის საზღვარი გაივლება მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებული საქმისწარმოების შედეგი ვეღარ გამოიყენება საერთოდ ახალი დავის საგნის შემოღების პირობებში (BGH, Urteil vom 27.09.2006 - VIII ZR 19/04 - NJW 2007, 2414, სააპელაციო ინსტანციისთვის).

§ 268 GER-ZPO-ის მიხედვით, საჩივარს საფუძვლად ვერ დაედება ის, რომ წინა ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში სარჩელის შეცვლა უსაფუძვლოდ იყო ნებადართული. თუ უარყოფილია სარჩელის შეცვლის სარგებლიანობა საქმისთვის, ეს საკასაციო-სამართლებრივად შეიძლება შემონმდეს მხოლოდ დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებისას დაშვებული შეცდომის კუთხით (BGH, Urteil vom 27.09.2006 - VIII ZR 19/04 - NJW 2007, 2414; BGH, Beschluss vom 26.01.2017 - IX ZR 279/14 - juris; BGH, Urteil vom 27 01.2012 - V ZR 92/11 - juris).

4. საქართველოსგან განსხვავებით (სსკ-ის 381-ე მუხლი), გერმანიაში, § 533 GER-ZPO-ის მიხედვით, სარჩელის შეცვლის შესაძლებლობა, როგორც წესი, მოცემულია სააპელაციო ინსტანციაშიც.

სააპელაციო ინსტანციაში საქმისწარმოებისას, უპირველეს ყოვლისა, განმსაზღვრელია, შესაძლებელია თუ არა საერთოდ და რამდენად შესა-

ძლებელია შეცვლილი სარჩელის დაშვებით წარმოებაში არსებული საქმის ფარგლებში დარგობრივი დავის გადაწყვეტა და სხვა მოსალოდნელი სამართლებრივი დავის თავიდან აცილება. აქედან გამომდინარე, სარჩელის შეცვლის სარგებლიანობას საქმისთვის ხელს არ უშლის ის, რომ ამის დაშვების შემთხვევაში, საჭირო გახდება მტკიცებულებების შეგროვება და ამით გაჭიანურდება პროცესის დასრულება. საპროცესო ეკონომიის სასურველი ხედვისას, საქმისთვის სარგებლიანობა შესაძლოა (პირველი ინსტანციის მსგავსად) მხოლოდ იმ შემთხვევაში იყოს უარყოფილი, როდესაც სამართლებრივ დავაში შემოდის საერთოდ ახალი დავის საგანი და მისთვის ვერ გამოიყენებენ მოცემული დროისთვის არსებული საქმისწარმოების შედეგს (BGH, Beschluss vom 20.11.2012 - VIII ZR 57/12 - Grundeigentum 2013, 117; BGH, Urteil vom 27.09.2006 - VIII ZR 19/04 - NJW 2007, 2414). არარელევანტურია ისიც, რომ ამით იკარგება ფაქტების დამდგენი ინსტანცია (BGH, Urteil vom 27.01.2012 - V ZR 92/11 - juris; BGH, Urteil vom 10.01.1985 - III ZR 93/83 - NJW 1985, 1841).

მითითება § 529 GER-ZPO-ზე, ფაქტობრივად, მხოლოდ ნაწილობრივ ზღუდავს სარჩელის შეცვლის დასაშვებობას. წინააღმდეგ შემთხვევაში, სარჩელის დასაშვები შეცვლისას მისი დასაბუთებისთვის წარმოდგენილი ახალი ფაქტები უმეტესწილად უნდა დაიშვას საქმის სააპელაციო ინსტანციაში წარმოებისას (შდრ. მაგ.: OLG Nürnberg, Zwischenurteil vom 04.07.2016 - 14 U 612/15 - MDR 2016, 1112; უფრო დეტალურად იხ. 364 და მომდევნო მუხლის კომენტარი, ა.ნ. 73 და მომდევნო აბზაცები).

5. საკასაციო ინსტანციაში, როგორც წესი, დაუშვებელია სარჩელის შეცვლა კასაციის ფუნქციიდან გამომდინარე (შდრ. § 559 GER-ZPO – BGH, Beschluss vom 06.12.2006 - XII ZR 97/04 - BGHZ 170, 152; BGH, Urteil vom 26.07.2017 - RiZ (R) 3/16 - juris). თუმცა, სასამართლო პრაქტიკა უშვებს გამონაკლისებს, როდესაც, ერთი მხრივ, შეცვლილი მოთხოვნა ეფუძნება სააპელაციო ინსტანციაში დადგენილ ან მხარეთა ურთიერთთანხმობით წარმოდგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და, მეორე მხრივ, არსებითად არ იცვლება სამართლებრივად შესამოწმებელი პროგრამა და არ იზღუდება მოპასუხის საპროცესო უფლებები (BGH, Urteil vom 19.11.2014 - VIII ZR 119/13 - BGHZ 203, 256; BGH, Urteil vom 28.07.2016 - I ZR 22/15 - NJW-RR 2017, 416; BAG, Urteil vom 21.03.2017 - 7 ARZ 222/15 - NZA 2017, 631).

მუხლი 83¹. მოსარჩელის მიერ სარჩელის გამოხმობა

1. მოსარჩელეს უფლება აქვს, გამოიხმოს სარჩელი ისე, რომ უარი არ თქვას თავის მოთხოვნაზე. სარჩელის გამოხმობა დასაშვებია საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე. სარჩელის გამოხმობა პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის მთავარ სხდომაზე განხილვისას, ასევე სააპელაციო და საკასაციო წესით საქმის განხილვისას დასაშვებია მოპასუხის თანხმობით. თუ მოპასუხე არ არის თანახმა, სასამართლომ უნდა განიხილოს და გადაწყვიტოს საქმე.

2. თუ სასამართლო დააკმაყოფილებს მოსარჩელის განცხადებას სარჩელის გამოხმობის შესახებ, მას გამოაქვს განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვებისა და მისი მოსარჩელისათვის დაბრუნების თაობაზე. ასეთ შემთხვევაში მოსარჩელეს დაუბრუნდება მხოლოდ შესაბამისი ინსტანციის სასამართლოში გადახდილი სახელმწიფო ბაჟი. ამასთანავე, მას დაეკისრება მოპასუხის მიერ განეული სასამართლო ხარჯების გადახდა. სააპელაციო ან საკასაციო წესით საქმის განხილვისას სარჩელის გამოხმობის დაკმაყოფილების შემთხვევაში სასამართლო აუქმებს ქვედა ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილებებს.

უღრის ჰაბენლონი

83¹-ე მუხლი

ქართული სსკ-იდან მოყვანილი ნორმები:

- სსკ-ის 83¹ მუხლი

სარჩელის გამოხმობა, მხარის განცხადება დავის დასრულებაზე, ხარჯების ანაზღაურება

1. სსკ-ის 83¹ მუხლით მოწესრიგებული სარჩელის დაბრუნება მოსარჩელისთვის და გერმანულ კანონში მოწესრიგებული **სარჩელის გამოხმობა** (§ 269 GER-ZPO) საწყის ეტაპზე ერთი და იმავე ფუნქციას ასრულებს. განსაზღვრული წინაპირობების არსებობისას, მოსარჩელისთვის შესაძლებელი უნდა იყოს სასამართლო განხილვაში არსებული სარჩელის შედეგების მისთვის იაფი გზით აღმოფხვრა, ისე, რომ ამაზე გავლენა არ იქონიოს სარჩელზე უარის თქმის გადაწყვეტილების მატერიალურ-სამა-

რთლებრივი ძალის მოქმედებამ. გერმანიაში სარჩელის გამომხმობის საკანონმდებლო რეგულაციები, მათ შორის, ასეთია:

§ 269 GER-ZPO - სარჩელის გამომხმობა

(1) მოპასუხის თანხმობის გარეშე სარჩელის გამომხმობა შესაძლებელია მანამდე, სანამ იგი ჩაერთვება საქმის ზეპირ განხილვაში დავის მთავარ საგანთან დაკავშირებით.

(2) სარჩელის გამომხმობა და, რამდენადაც ეს საჭიროა მისი ნამდვილობისთვის, მოპასუხის თანხმობა, უნდა განცხადდეს სასამართლოს წინაშე. სარჩელის გამომხმობა, რამდენადაც ამაზე არ ცხადდება საქმის ზეპირი განხილვისას, ხორციელდება წერილობითი განცხადების საფუძველზე. ეს წერილობითი განცხადება უნდა ჩაბარდეს მოპასუხეს, რადგან სარჩელის გამომხმობის ნამდვილობისთვის აუცილებელია მოპასუხის თანხმობა. თუ მოპასუხე არ დათანხმდება სარჩელის გამომხმობას წერილობითი განცხადების ჩაბარებიდან ორკვირიანი საბოლოო ვადის განმავლობაში, მისი თანხმობა ჩაითვლება მიცემულად, რადგან მოპასუხეს მანამდე მიეთითა ამ შედეგზე.

(3) სარჩელის გამომხმობის შემთხვევაში, სამართლებრივი დავა უნდა მიიჩნიონ სასამართლო განხილვაში აღარარსებულად; მოქმედების ძალას კარგავს ამ საქმეზე უკვე მიღებული, თუმცა ჯერაც ძალაში შეუსვლელი გადაწყვეტილება, ისე, რომ აუცილებელი არ არის, მოსამართლემ მხარეებისთვის გასაგები ფორმით გააუქმოს ის. მოსარჩელე ვალდებულია, დაფაროს სამართლებრივი დავის ხარჯები, რამდენადაც ამ ხარჯებზე სასამართლოს ჯერ არ მიუღია კანონიერი ძალის მქონე გადაწყვეტილება, ან მათი გადახდა, სხვა საფუძველებიდან გამომდინარე, არ უნდა დაეკისროს მოპასუხეს.

რამდენადაც საქმის სასამართლო წარმოებაში მიღებამდე მოისპობა სარჩელის აღძვრის საფუძველი და, შესაბამისად, მოსარჩელე გაიხმობს სარჩელს, ხარჯების ანაზღაურების ვალდებულება განისაზღვრება სამართლიანი შეხედულების მიხედვით, მოცემული მომენტისთვის საქმესა და დავაზე არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით; ეს მოქმედებს იმ შემთხვევაშიც, თუ სარჩელი არ ჩაბარებულა.

(4) ...

(5)...

(6) თუ მოსარჩელე ხელახლა შეიტანს სარჩელს, მოპასუხეს შეუძლია, უარი განაცხადოს საკუთარი პოზიციის გამონატვაზე, სანამ არ აუნაზღაურდება ხარჯები.

ა) სარჩელის გამომხმობა პირწმინდად საპროცესო მოქმედებაა, რომელიც, როგორც წესი, მატერიალურ-სამართლებრივად არ ეხება სასარჩელო მოთხოვნის უფლებას. მაშასადამე, ის კონკლუდენტურად არ მოიცავს თავის პატიების ან მოთხოვნის უფლებაზე უარის თქმის ხელშეკრულების შეთავაზებას BGH, Urteil vom 15.07.1997 - VI ZR 142/95 - NJW 1997, 3019 für Teil-Klagerücknahme). სარჩელის გამომხმობით აღმოიფხვრება მისი სამართლებრივი მოქმედება და მოსარჩელეს ეხსნება გზა ახალი სარჩელის შესატანად. ასე რომ, მას არ უნდა ეშინოდეს უფლების დაკარგვის. § 269 GER-ZPO-ის მიერ დასახელებული წინაპირობების არსებობისას დასაშვებია სარჩელის ნაწილობრივ გამომხმობაც, რამდენადაც გაყოფადია დავის საგანი (შდრ. 83 მუხლის კომენტარი, ა.ნ. 4). სარჩელის გამომხმობისას ძალას კარგავს საქმეზე მანამდე მიღებული სასამართლო გადაწყვეტილება.

მოპასუხის თანხმობაც საპროცესო მოქმედებაა. თუ არ არის სახეზე მოპასუხის სავალდებულო თანხმობა, სარჩელის გამომხმობა ბათილია და სამართლებრივი დავა რჩება წარმოებაში. მოსარჩელეს საქმის სასამართლო განხილვაში არსებობის ცალმხრივად აღმოფხვრა შეუძლია მხოლოდ სარჩელზე უარის თქმით და ამასთან დაკავშირებული სასამართლო გადაწყვეტილებით, § 306 GER-ZPO-ის მიხედვით; თუმცა ამას, განსხვავებით სარჩელის გამომხმობისაგან, აქვს მატერიალურ-სამართლებრივი ძალა.

თუ სარჩელის გამომხმობის ნამდვილობა სადავოა მხარეებს შორის, მსგავსად სხვა დასაშვებობის წინაპირობებთან დაკავშირებული დავისა, სასამართლომ შეიძლება მიიღოს ე.წ. შუალედური გადაწყვეტილება (§§ 280, 303 GER-ZPO) (იხ. 79-ე და მომდევნო მუხლის კომენტარი, ა.ნ. 42). თუმცა მსგავს გადაწყვეტილებას გერმანულ სასამართლო პრაქტიკაში არცთუ დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

ბ) ქართული სამართლისგან განსხვავებით, გერმანულ სამართალში არ არის დაშვებული სასამართლოში შეტანილი წერილობითი განცხადებების დაბრუნება. დოკუმენტაციის შენახვის საფუძვლებიდან გამომდინარე, ყველა ის წერილობითი განცხადება, რომლებიც წარედგინება სასამართლოს, უნდა დარჩეს საქმის მასალებში. შესაბამისად, გერმანული მართლწესრიგისთვის უცნობია ცნება „სარჩელის გამომხმობა“ ქართული გაგებით.

გ) § 269 Abs. 3 Satz 2 GER-ZPO-ის მიხედვით, საქმის წარმოებაში მიღების შემდეგ სარჩელის გამომხმობის სავალდებულო შედეგია სამართლებრივი დავის ხარჯების დაკისრება მოსარჩელისთვის. ამით შესა-

ძლოა მოხდეს კოლიზია ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის ე.წ. პროცესუალურ და მატერიალურ-სამართლებრივ უფლებებს შორის.

აა) ხარჯების ანაზღაურების პროცესუალური მოთხოვნის უფლება ხორციელდება საპროცესო სამართლის შესაბამისად; ის განმსაზღვრელია საპროცესო ხარჯების განაწილებისა და გადახდევინების შესახებ სასამართლო გადაწყვეტილებებში (ე.წ. საპროცესო ხარჯებთან დაკავშირებული ძირითადი გადაწყვეტილება) და ე.წ. საპროცესო ხარჯების განსაზღვრასთან დაკავშირებულ სასამართლო წარმოებაში. ამ განსხვავების უკეთ გასაგებად, მსურს, წინასწარ აღვნიშნო, რომ გერმანიაში საქმისწარმოება საპროცესო ხარჯების განსაზღვრაზე იყოფა ორ საფეხურად.

საპროცესო ხარჯებთან დაკავშირებულ ძირითად გადაწყვეტილებას იღებს მოსამართლე (როგორც წესი, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანისას). მასში მხოლოდ **ზოგადად** განისაზღვრება, თუ რომელმა მხარემ უნდა დაფაროს საპროცესო ხარჯები ან როგორ უნდა განაწილდეს ეს ხარჯები მხარეებს შორის. განსაკუთრებული პრობლემები, რომლებსაც აქ დეტალურად აღარ შევხებით, პირველ რიგში, სახეზეა: როდესაც დავას ჰყავს რამდენიმე საპროცესო თანამონაწილე და შესაძლოა რომელიმე მათგანი დამარცხდეს, სხვა კი გამარჯვებული დარჩეს; ანდა როცა განსხვავებულად მაღალია დავის ღირებულება ცალკეულ საპროცესო თანამონაწილესთან საპროცესო-სამართლებრივ ურთიერთობებში (იხ.: Lahusen/Ritter, JA 2017, 127; Loibl, JA 1998, 56).

ამის შემდეგ, ასანაზღაურებელი ხარჯების ოდენობა დგინდება ცალკე წარმოების (ე.წ. საპროცესო ხარჯების განსაზღვრის შესახებ) ფარგლებში (§§ 103 ff. GER-ZPO). ამისთვის მხარეები სასამართლოს აწვდიან იმ ხარჯების ჩამონათვალს, რომელთა ანაზღაურებაც შესაძლებლად მიაჩნიათ - მაშასადამე, კანონით გათვალისწინებულ საადვოკატო საზღაურს (თუმცა არა კანონით გათვალისწინებული საზღაურის გარდა, დამატებით შეთანხმებულ ჰონორარსაც; BGH, Beschluss vom 24.01.2018 - VII ZB 60/17 - NJW 2018, 1477), მგზავრობის ხარჯებს, სასამართლო ხარჯებს, სასამართლო საქმისწარმოების ფარგლებში გაწეულ/გასაწევ ხარჯებს (მონშეებსა და ექსპერტებთან დაკავშირებული ხარჯები; იხ.: BGH, Beschluss vom 12.09.2018 - VII ZB 56/15 - MDR 2018, 1406), ქსეროასლებსა და მიმონერასთან დაკავშირებულ ხარჯებს (რამდენადაც ჯამურად არ არის დაანგარიშებული), ან კერძო ექსპერტიზის ხარჯებს. სასამართლო, კონკრეტულად „Rechtspfleger“ (§ 21 Nr. 1 GER-RPflG), თითოეულ მხარესთან მიმართებით ამონშებს, თუ რომელი ხარჯები იყო საჭირო

უფლების სათანადოდ განხორციელებისა ან დაცვისთვის (§ 91 GER-ZPO-ის მიხედვით), და ე.წ. საპროცესო ხარჯების განსაზღვრის განჩინებაში მათ ადგენს, როგორც ანაზღაურებად ხარჯებს. თუ საპროცესო ხარჯებთან დაკავშირებულ ძირითად გადაწყვეტილებაში მოხდება საპროცესო ხარჯების კვოტირება, საწყის ეტაპზე თითოეული მხარისთვის იკვლევენ განუულ ხარჯებს, რომლებიც ექვემდებარება ანაზღაურებას; მეორე ეტაპზე კი - ხარჯების კვოტის გათვალისწინებით - მხარის სასარგებლოდ გამოითვლება ნაშთი და ის ასანაზღაურებელ თანხად განისაზღვრება საპროცესო ხარჯების განსაზღვრის განჩინებაში.

ბბ) ამისგან უნდა განვასხვაოთ ხარჯების ანაზღაურების მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნის უფლება.

ასე ეწოდება მოთხოვნის იმ უფლებებს, რომლებიც გამომდინარეობს მატერიალური სამოქალაქო სამართლიდან, თუმცა, შინაარსობრივად მიმართულია მხარის უფლების განხორციელებისა ან დაცვის ხარჯების გადახდაზე/ანაზღაურებაზე. ხარჯების ანაზღაურების ეს უფლება მოიცავს უფლების განხორციელებისა და დაცვის ხარჯებს როგორც სასამართლოს გარეთ, ისე სასამართლოს შიგნით. ამასთან, ძალზე მრავალფეროვანია ხარჯების გადახდის ან ანაზღაურების მსგავსი მატერიალურ-სამართლებრივი ვალდებულების სამართლებრივი საფუძვლები. მხარეებს შეუძლიათ, ხარჯების განაწილებაზე მიაღწიონ შიდა სახელშეკრულებო შეთანხმებას, როგორც, მაგალითად, "Musterverfahren"-ის შემთხვევაში (ერთსა და იმავე სამართლებრივ და ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებული ინდივიდუალური სარჩელების გაერთიანება ერთ საქმისწარმოებად). უფლების განხორციელების ხარჯები შესაძლოა იყოს დელიქტური ქმედებით მიყენებული ზიანის შედეგიც. შესაბამისად, მაგალითად, გერმანიაში, აღიარებულია, რომ დაზარალებულს, ავტოსაგზაო შემთხვევისას, დელიქტიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებათა განხორციელებისთვის, როგორც წესი, უფლება აქვს, აიყვანოს ადვოკატი, და ეს ხარჯები ზიანის ანაზღაურების მატერიალური მოთხოვნის უფლების ნაწილია (დეტალებისთვის, შდრ.: BGH, Urteil vom 08.11.1994 – VI ZR 3/94 - BGHZ 127, 348; BGH, Urteil vom 18.07.2017 - VI ZR 465/16 - VersR 2017, 1282; BGH, Urteil vom 11.07.2017 - VI ZR 90/17 – VersR 2017, 1155; BGH, Urteil vom 10.01.2006 - VI ZR 43/05 - VersR 2006, 521, საკუთარ მზღვეველთან ავტოსაგზაო შემთხვევიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლებების განხორციელებაზე). ძირითადად, ანალოგიური მოქმედებს სახელშეკრულებო ზიანის ანაზღაურების უფლებებთან მიმართებითაც (BGH, Urteil vom 23.10.2003 - IX ZR 49/02 - NJW 2004, 444). გარდა ამისა, ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილე-

ბიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებები (BGH, Urteil vom 07.05.2015 – III ZR 304/14 - BGHZ 205, 260) ან - როგორც „გაფრთხილების ხარჯები“ (შდრ. § 97a GER-UrhG) - დაცულ საავტორო უფლებებში ჩარევიდან გამომდინარე, შეიძლება მოიცავდეს უფლების განხორციელებისთვის განუყოფელი ხარჯების ანაზღაურებას, როგორც შედეგს, რომელიც მიენერება დამდგარ ზიანს.

გგ) საპროცესო და მატერიალურ-სამართლებრივი ხარჯების ანაზღაურების უფლებათა ეს თანაარსებობა, გადამკვეთ სფეროებში (მაგ.: სამართლებრივი დავის ხარჯებისას), ქმნის განსაზღვრულ კონფლიქტურ სიტუაციებს. ძირითადად, საქმე ეხება შემდეგ კითხვებს:

- მოისპობა თუ არა სამართლებრივი დაცვის საჭიროება (ხარჯების ანაზღაურების მატერიალურ-სამართლებრივ მოთხოვნის უფლებაზე დაფუძნებული) სარჩელისთვის, რომელიც შეეხება უფლების განხორციელებისა ან დაცვის ხარჯების ანაზღაურებას, ვინაიდან უფრო მარტივია საპროცესო ხარჯების განსაზღვრასთან დაკავშირებული საქმისწარმოება?

- რა მოხდება, თუ ორივე მოთხოვნის უფლება შინაარსობრივად ეწინააღმდეგება ერთმანეთს (მაგ.: მოსარჩელეს, სარჩელის გამოხმობის შემთხვევაში, იქნება სამართლებრივი დავის ხარჯების დაფარვის პროცესუალური ვალდებულება, თუმცა მოპასუხე გადააცილებს ვალდებულების შესრულების ვადას და, აქედან გამომდინარე, უფლების განხორციელების ხარჯები მოსარჩელისთვის იქნება ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებით მიმდგარი ზიანი) და, მაშასადამე, თუ ცალკე აღებულად იარსებებდა ხარჯების ანაზღაურების მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნის უფლება?

უმალლესი ფედერალური სასამართლო ეყრდნობა იმას, რომ საპროცესო ხარჯების განსაზღვრასთან დაკავშირებული საქმისწარმოება, ძირითადად, უფრო მარტივია და ამით, როგორც წესი, არ არის სახეზე სამართლებრივი დაცვის საჭიროება მავალდებულებელი სარჩელისთვის (BGH, Urteil vom 24.04.1990 - VI ZR 110/89 - BGHZ 111, 168). იმ საფუძვლებიდან გამომდინარე, რომლებიც, საბოლოო ჯამში, მომდინარეობს კანონიდან საადვოკატო ანაზღაურების შესახებ და აქ დეტალურად არ იქნება წარმოდგენილი, უმალლესი ფედერალური სასამართლო არ მიიჩნევს უფრო მარტივ გზად სარჩელის გამოხმობის შემდეგ ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნას § 269 Abs. 3 GER-ZPO მიხედვით. ამით ხარჯების განსაზღვრის შუამდგომლობის ნაცვლად, სარჩელის გამოხმობის შედეგად დასრულებულ საქმეზე უშვებს ცალკე სარჩელის აღძვრის შესა-

ძლებლობას ვალდებულების შესრულების შესახებ (BGH, Urteil vom 18.04.2013 - III ZR 156/12 - BGHZ 197, 147). თუ ცალკეულ შემთხვევაში (გამონაკლისის სახით) საქმე არ მივა სასამართლო გადაწყვეტილებამდე ხარჯების დაფარვის პროცესუალურ ვალდებულებასთან დაკავშირებით, შეუზღუდავად არის შესაძლებელი მავალდებულებელი სარჩელის შეტანა, რომელიც ეფუძნება ხარჯების ანაზღაურების მატერიალურ-სამართლებრივ მოთხოვნის უფლებას (BGH, Urteil vom 10.10.2017 - VI ZR 520/16 - NJW 2018, 402).

ხარჯების ანაზღაურების პროცესუალური და მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნის უფლებათა შინაარსობრივი ურთიერთშინააღმდეგობებისას, უმაღლესი ფედერალური სასამართლო, სარჩელის გამომხმობის შემდეგ (§ 269 Abs. 3 GER-ZPO) საპროცესო ხარჯების განაწილებისა და გადახდევინების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, ძირითადად, ამოდის ხარჯების ანაზღაურების პროცესუალური მოთხოვნის შინაარსობრივი უპირატესობიდან (BGH, Urteil vom 10.10.2017 - VI ZR 520/16 - NJW 2018, 402; BGH, Urteil vom 16.02.2011 - VIII ZR 80/10 - NJW 2011, 2368; განსხვავდება ქვემოთ ა.ნ. 17 და მომდევნო აბზაცებში ნარმოდგენილი ხარჯების განაწილებისა და გადახდევინების შესახებ სასამართლო გადაწყვეტილებისგან § 91a GER-ZPO მიხედვით: BGH, Urteil vom 22.11.2001 - VII ZR 405/00 - NJW 2002, 680). ამას უმაღლესი ფედერალური სასამართლო ძირითადად ასაბუთებს იმით, რომ სარჩელის გამომხმობმა მოსარჩელემ ნებაყოფლობით მოირგო დამარცხებულის როლი. შესაბამისად, მან საბოლოოდ უნდა აგოს პასუხი - უცვლელად დარჩენილი ფაქტობრივი გარემოებების პირობებში - მისი საპროცესო მოქმედების ხარჯების სამართლებრივ შედეგებზე. ამასთან დაკავშირებით არაფერს ცვლის § 269 Abs. 3 Satz 2 2. Halbsatz GER-ZPO, ვინაიდან ეს რეგულაცია ეხება მხოლოდ ხარჯების ანაზღაურების პროცესუალურ უფლებებს და სახელშეკრულებო შეთანხმებებს ხარჯების სხვაგვარ განაწილებაზე (BGH, Beschluss vom 14.06.2010 - II ZB 15/09 - NJW-RR 2010, 1476, პროცესში მესამე პირად ჩართული მხარის სასამართლოს გარე ხარჯებთან დაკავშირებით; BGH, Beschluss vom 06.07.2005 - IV ZB 6/05 - NJW-RR 2005, 1662). სარჩელის გამომხმობის ეს გადაწყვეტილება არაფერს ცვლის იმასთან მიმართებით, რომ, მართალია, ხარჯების პროცესუალური ანაზღაურების კანონისმიერმა რეგულაციებმა შეიძლება გავლენა იქონიოს ზიანის მატერიალურ-სამართლებრივ ანაზღაურებაზე (BGH, Urteil vom 24.04.1990 - VI ZR 110/89 - BGHZ 111, 168; BGH, Urteil vom 09.03.1976 - VI ZR 9875 - BGHZ 66, 112), თუმცა ხარჯების ანაზღაურების მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნის უფლება, ძირითა-

დად, შეიძლება გასცდეს ხარჯების ანაზღაურების პროცესუალურ უფლებას (BGH, Urteil vom 24.04.1990 - VI ZR 110/89 - BGHZ 111, 168; BGH, Urteil vom 15.05.1985 - IVb ZR 33/84 - BGHZ 94, 316). ხშირია შემთხვევები, როდესაც რთულია ამ ორის ბოლომდე გამიჯვნა ერთმანეთისგან.

2. გერმანიაში, როგორც დისპოზიციურობის პრინციპის გამოხატულებას, იცნობენ **მხარეთა თანმხვედრ განცხადებას საქმის დამთავრებაზე** (მართალია, კანონით არ არის მოწესრიგებული, თუმცა § 91a GER-ZPO განსაზღვრავს, როგორც წინაპირობას).

§ 91a GER-ZPO - საქმის დამთავრების ხარჯები

(1) თუ საქმის ზეპირი განხილვისას მხარეები წერილობითი განცხადების წარმოდგენით, ან სასამართლოს კანცელარიაში გაკეთებული საოქმო ჩანანერით, ერთხმად განაცხადებენ სამართლებრივი დავის დამთავრებაზე, სასამართლო, სამართლიანი შეხედულების საფუძველზე, განჩინების გამოტანით იღებს გადაწყვეტილებას საპროცესო ხარჯების დაკისრების შესახებ, მოცემული დროისთვის საქმისა და დავის მდგომარეობის გათვალისწინებით. ანალოგიური მოქმედებს, თუ მოპასუხე მოსარჩელის მიერ დავის დამთავრებაზე გაკეთებულ განცხადებას არ უპასუხებს განცხადების ჩაბარებიდან ორკვირიანი საბოლოო ვადის განმავლობაში, რადგანაც მოპასუხეს მანამდე მიეთითა მსგავსი ქმედების შედეგებზე.

(2) ...

ა) ორივე მხარის სამართლებრივი დავის დამთავრებისკენ მიმართულ (თანმხვედრ) პროცესუალურ განცხადებებს შედეგად მოჰყვება ის, რომ მთავრდება საქმისწარმოება დავის ძირითად საგანთან დაკავშირებით; საქმე წარმოებაში რჩება მხოლოდ საპროცესო ხარჯებთან დაკავშირებით (BGH, Urteil vom 08.02.1989 - IVa ZR 98/87 - BGHZ 106, 359; BGH, Urteil vom 23.11.1966 - VIII ZR 160/64 - NJW NJW 1967, 564). მხარეებს ნებისმიერ დროს შეუძლიათ ერთხმად განაცხადონ სამართლებრივი დავის დამთავრების შესახებ, მათ შორის, საკასაციო ინსტანციაშიც (BGH, Beschluss vom 23.10.2018 - VIII ZR 96/16 - juris; BGH, Beschluss vom 24.10.2011 - IX ZR 244/09 - NJW-RR 2012, 688). ხარჯებთან დაკავშირებით გადაწყვეტილება მიიღება § 91a Abs. 1 GER-ZPO-ის შესაბამისად - მაშასადამე, საქმის დამთავრებაზე განცხადების გარეშე, მოსალოდნელი შედეგის გათვალისწინებით (BGHZ 67, 345; BGH, Beschluss vom

30.01.2018 - VIII ZB 74/16 - NJW-RR 2018, 524; BGH, Beschluss vom 07.05.2007 - VI ZR 233/05 - NJW 2007, 3429), ხოლო თუ არ არის განჭვრეტადი, როგორ შეიძლება დასრულდეს საქმე (მტკიცებულებების შეგროვების გარეშე), როგორც წესი, საპროცესო ხარჯების განაწილებით. სამართლიანი შეხედულების მიხედვით, საპროცესო ხარჯებთან დაკავშირებით მისაღები გადაწყვეტილებისთვის საკმარისია სამართლებრივი მდგომარეობის შემოწმება არსებით საკითხებზე შემოფარგვლით (BGH, Beschluss vom 23.10.2018 - VIII ZR 96/16 - juris). თუ მხარე აღიარებს ხარჯების გადახდის ვალდებულებას, მას უნდა დაეკისროს ხარჯების გადახდა საქმის დამატებითი შემოწმების გარეშე (BGH, Beschluss vom 28.10.2014 - XI ZR 395/13 - MDR 2015, 51). ეს სამართლებრივი შედეგები ამით განსხვავდება საქმის წარმოებაში მიღების შემდეგ სარჩელის გამომხმობის სამართლებრივი შედეგებისგან (იხ ზემოთ, ა.ნ. 6).

ვინაიდან მხარეების თანმხვედრი განცხადება საქმის დამთავრებაზე დისპოზიციურობის პრინციპის გამოხატულებაა, ის, განსხვავებით ქვემოთ წარმოდგენილი ცალმხრივი განცხადებისგან საქმის დამთავრებასთან დაკავშირებით (იხ. ქვემოთ ა.ნ. 21 და მომდევნო აბზაცები), არ ითვალისწინებს დამამთავრებელი გარემოების დადგომის წინაპირობას. თუმცა მხარეები საქმის დამთავრების თანმხვედრი განცხადების გზას, უმეტესწილად, მიმართავენ მაშინ, როდესაც თანხმდებიან, რომ სარჩელი, მანამდე არსებული წარმატების პერსპექტივის მიუხედავად, შეცვლილი გარემოებების გამო, სულ მცირე, დროებით მაინც, გახდა სრულად ან ნაწილობრივ (ამ შემთხვევაში: დავის ნაწილობრივ დამთავრების განცხადება) დაუშვებელი ან დაუსაბუთებელი. ამისთვის შეიძლება წარმოვიდგინოთ სხვადასხვა კონსტელაცია. მაგალითის სახით გამოდგება შემდეგი შემთხვევა: შესაბამისი მავალდებულებელი შეგებებული სარჩელის აღძვრით საფუძველი ეცლება სამართლებრივი დაცვის საჭიროებას ნეგატიური აღიარებითი სარჩელისთვის, ისე, რომ ეს სარჩელი ამით დაუშვებელი ხდება. მოსარჩელე აღძრავს სარჩელს გადახდის მოთხოვნით იმ მომენტისთვის, როდესაც მოპასუხეს მოთხოვნა არ მიაჩნია ვადამოსულად; მოპასუხე თანხას გადაიხდის მაშინ, როდესაც, მისი აზრით, დადგება მოთხოვნის ვადამოსულობა. ეს ნიშნავს, რომ, სულ მცირე, გადახდის შემდეგ, სარჩელი ხდება დაუსაბუთებელი. ვინაიდან დავის დამთავრებაზე გაკეთებული მხარეთა თანმხვედრი განცხადება არ არის დაკავშირებული ფაქტობრივ წინაპირობებთან, ის ზოგადად მაშინ გვხვდება, როდესაც მოპასუხე, რა საფუძვლებითაც უნდა მოხდეს ეს, შეასრულებს მოსარჩელის მოთხოვნას სასამართლოში საქმისწარმოების მიმდინარეობისას,

რის შედეგადაც სარჩელი (მისი სხვა წარმატების პერსპექტივისგან და-
მოუკიდებლად), ყველა შემთხვევაში, დაუსაბუთებელი ხდება.

ბ) ძირითადად შესაძლებელი უნდა იყოს იმ პრინციპების საქართვე-
ლოში გამოყენება, რომლებიც საფუძვლად უდევს მხარეთა თანმხვედრ
განცხადებას დავის დამთავრებაზე. ეს პრინციპები - როგორც უკვე აღი-
ნიშნა - გამომდინარეობს დისპოზიციურობის პრინციპიდან, რაც საქა-
რთველოში იმავენაირად მოქმედებს, როგორც გერმანიაში.

3. როგორც კანონით გათვალისწინებული სარჩელის შეცვლის სპეცი-
ფიკური ფორმა (§ 263 GER-ZPO, იხ. 83-ე მუხლის კომენტარი), გერმანი-
აში აღიარებულია მოსარჩელის **ცალმხრივი განცხადება დავის დამთა-
ვრებასთან** დაკავშირებით.

ა) ამით გზა უნდა გაიხსნას შესაბამისი საპროცესო-სამართლებრივი
მოქმედებისთვის იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელის პერსპექტივიდან გა-
მომდინარე, დამატებითი გარემოებების გამო (მაგ.: მოთხოვნის უფლე-
ბის შესრულება ან სამართლებრივი დაცვის საჭიროების საფუძვლის მო-
სპობა), **მოგვიანებით დაუშვებელი ან დაუსაბუთებელი** გახდა სასამა-
რთლო განხილვაში არსებობისას დასაშვები და დასაბუთებული სარჩელი
(შდრ. BGH, Urteil vom 24.07.2018 - VI ZR 330/17 - juris). ცალმხრივი გა-
ნცხადება დავის დამთავრებაზე შინაარსობრივად მიმართულია იმისკენ,
რომ დადგინდეს სარჩელის თავდაპირველი დასაშვებობა და დასაბუთე-
ბულობა, ასევე, მოგვიანებით დამდგარი დაუშვებლობა ან დაუსაბუთე-
ბლობა. ეს არის სარჩელის პრივილეგირებული შეცვლა 264 Nr. 2 GER-
ZPO-ის მიხედვით (იხ. 83-ე მუხლის კომენტარი, ა.ნ. 5), რომლითაც ხდე-
ბა შესრულების მოთხოვნიდან აღიარებით მოთხოვნაზე გადასვლა (BGH,
Urteil vom 24.07.2018 - VI ZR 330/17 – juris; BGH, Urteil vom 01.06.2017 -
VII ZR 277/15 - NJW 2017, 3521; BGH, Urteil vom 19.06.2008 - IX ZR
84/07 - NJW 2008, 2580).

უმაღლესი ფედერალური სასამართლო (Urteil vom 08.02.1989 - IVa
ZR 98/87 - BGHZ 106, 359) დავის დამთავრების ცალმხრივ განცხადება-
სთან დაკავშირებით განმარტავს:

*„თუ მოპასუხე არ დათანხმდება მოსარჩელის განცხადებას დავის და-
მთავრებაზე, სახეზეა მხოლოდ მოსარჩელის ცალმხრივი განცხადება და
სასამართლოს აღარ შეუძლია მიიღოს გადანყვეტილება მოსარჩელის მი-
ერ საქმის ცალმხრივად დამთავრებაზე (შდრ. BGH NJW 1965,
1597...)....უმაღლესი ფედერალური სასამართლოს მუდმივი პრაქტიკის
მიხედვით, მხოლოდ უნდა შემონმდეს, იყო თუ არა სარჩელი დასაშვები
და დასაბუთებული დავის დამთავრების მითითებულ განცხადებამდე და*

ხომ არ გახდა ის დაუშვებელი და დაუსაბუთებელი ამ განცხადების გაკეთების შემდეგ. თუ სახეზეა ეს წინაპირობები, სასამართლო მიიღებს გადაწყვეტილებას, რომლითაც ის დამთავრებულად გამოაცხადებს დავას. თუ ეს არ მოხდება, ვინაიდან სარჩელი ისედაც დაუშვებელი ან დაუსაბუთებელი იყო, სასამართლო არ დააკმაყოფილებს სარჩელს. ეს სასამართლო პრაქტიკა შედის დავის ორივე მხარის ინტერესში: ერთი მხრივ, მოსარჩელეს არ უნდა შეეძლოს მოგვიანებით დავის ცალმხრივად დამთავრების განცხადებით თავდაღწევა თავიდანვე დაუშვებელი ან დაუსაბუთებელი სარჩელის შედეგებისგან, როდესაც ის დაინახავს, რომ მის სარჩელს არ აქვს წარმატების პერსპექტივა; და მეორე მხრივ, მოპასუხეს არ უნდა წარმოემვას პროცესუალური სარგებელი იქიდან, რომ მოცემულ დრომდე დასაშვები და დასაბუთებული სარჩელი უპერსპექტივო გახდა სამართლებრივი დავის მსვლელობისას...“

აქედან გამომდინარე, სასამართლომ, დავის დამთავრების ცალმხრივი განცხადებისას, ერთი მხრივ, უნდა შეამოწმოს, იყო თუ არა სარჩელი (განხილვაში არსებობისას) დასაშვები და დასაბუთებული, და მეორე მხრივ, ხომ არ გახდა ის შეცვლილი გარემოებების გამო (ე.წ. დავის დამთავრების ხელშემწყობი გარემოება) მოგვიანებით დაუშვებელი ან დაუსაბუთებელი (BGH, Urteil vom 19.11.2014 - VIII ZR 191/13 - BGHZ 203, 256; BGH, Urteil vom 24.07.2018 - VI ZR 330/17 - juris). შესაბამისი მაგალითები უკვე წარმოდგენილია დავის დამთავრებაზე თანმხვედრი განცხადების თემასთან დაკავშირებით (იხ. ზემოთ ა.ნ. 19).

თუ სასამართლო დაასკვნის, რომ თავდაპირველად წარმატებული სარჩელი მოგვიანებით გახდა დაუშვებელი და დაუსაბუთებელი, ის გამოიტანს გადაწყვეტილებას, რომლითაც დამთავრებულად გამოაცხადებს სამართლებრივ დავას ძირითად საგანთან დაკავშირებით. ამ ჩვეული სარეზოლუციო ნაწილისას, საქმე ეხება აღიარებით სარჩელზე მიღებულ სადავო გადაწყვეტილებას შემდეგი შინაარსით: სასამართლო თავდაპირველად ადგენს, რომ სარჩელი დაკმაყოფილდება, ხოლო მოგვიანებით, სამართლებრივი დავის მიმდინარეობისას, იგი ასკვნის, რომ სარჩელი წარუმატებელია (მოგვიანებით დამდგარი დაუშვებლობის ან დაუსაბუთებლობის გამო). თუ სასამართლო მივა დასკვნამდე, რომ სარჩელი თავიდანვე ვერ იქნებოდა წარმატებული, ან არ დამდგარა ე.წ. დავის დამთავრების ხელშემწყობი გარემოება (იგულისხმება სარჩელის მოგვიანებითი დაუშვებლობა ან დაუსაბუთებლობა), ის საქმეზე მიიღებს არსებით გადაწყვეტილებას, რომლითაც არ დააკმაყოფილებს სარჩელს (იხ.: BGH, Urteil vom 08.02.1989 - IVa ZR 98/87 - BGHZ 106, 359; BGH, Urteil vom 24.07.2018 - VI ZR 330/17 - juris; BGH, Urteil vom 28.06.2018 - I ZR 257/16

– MDR 2018, 1400). განსხვავებით საპროცესო ხარჯებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებისგან, რომელიც მიიღება დავის დამთავრების თანმხვედრი განცხადების გაკეთების შემდეგ, დავის დამთავრების ხელშემწყობი გარემოების დადგენის ან უარყოფისთვის, ყოველთვის საჭიროა, სასამართლომ შეიქმნას შესაბამისი რწმენა. ეს - მსგავსად ყველა სხვა საქმისწარმოებისა სასამართლოში - უნდა მოხდეს მტკიცებულებების შეგროვების საფუძველზე. აქედან გამომდინარე, მხარის მიერ დავის დამთავრებაზე ცალმხრივი განცხადების გაკეთებისას, სასამართლოსთვის არ არის სახეზე საქმისწარმოების პროცესუალური გამარტივება. პირიქით, სარჩელის თავდაპირველი დასაშვებობისა და დასაბუთებულობის ვალდებულებას შეიძლება დაემატოს ის, რომ მხარეებს შორის ამაზე დავისას, სასამართლოს დამატებით დასჭირდეს დადგენა, ხომ არ დადგა დავის დამთავრების ხელშემწყობი გარემოება.

თუ მოსარჩელეს აქვს გარკვეული ეჭვები დავის დამთავრების ხელშემწყობი გარემოების დადგომაზე, ე.წ. შიდაპროცესუალური პირობების დასაშვებობის ზოგადი პრინციპების მიხედვით (იხ. ზემოთ მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის კომენტარი, ა.ნ. 9 და მომდევნო აბზაცები), მას რჩება შესაძლებლობა, რომ ყოველი შემთხვევისთვის, დამატებითი მოთხოვნის ფარგლებში განახორციელოს პირვანდელი სასარჩელო მოთხოვნა (BGH, Urteil vom 24.07.2018 - VI ZR 330/17 - juris; BGH, Urteil vom 19.11.2014 - VIII ZR 191/13 - BGHZ 203, 256). როგორც წესი, რეკომენდებულია, მან გააკეთოს ეს, რამდენადაც არ არის დარწმუნებული დავის დამთავრების ხელშემწყობი გარემოების დადგომაში. ამისგან განსხვავებით, დაუშვებელია დამატებითი მოთხოვნის ფარგლებში დავის დამთავრებაზე ცალმხრივი განცხადების გაკეთება (BGH, Beschluss vom 30.04.2014 - III ZB 37/12 - SchiedsVZ 2014, 200; BGH, Urteil vom 08.02.2011 - II ZR 206/08 - NJW-RR 2011, 618): ამისთვის, ერთი მხრივ, არ ჩანს სამართლებრივი დაცვის საჭიროება, ხოლო, მეორე მხრივ, ურთიერთსაწინააღმდეგო იქნებოდა, მთავარი მოთხოვნის არდაკმაყოფილების შემდეგ (ამით გამოწვეული) დამატებითი მოთხოვნის საფუძველზე დადგენა, რომ აღარ არსებობს მთავარი მოთხოვნის საფუძველი.

დავის დამთავრებაზე ცალმხრივი განცხადების გაკეთებისას, სამართლებრივი დავისა და სასამართლო გადაწყვეტილების შედეგად მხარისთვის წარმოშობილი ფინანსური ტვირთი, როგორც წესი, მცირდება მოცემულ დრომდე საქმეზე წარმოშობილი ხარჯების ოდენობამდე (BGH, Urteil vom 08.02.1989 - IVa ZR 98/87 - BGHZ 106, 359; BGH, Beschluss vom 13.07.2005 - XII ZR 295/02 - NJW-RR 2005, 1728; BGH, Beschluss

vom 29.06.2017 - III ZR 540/16 - juris). დავის ნაწილობრივ დამთავრებაზე განცხადების გაკეთებისას, სამართლებრივი დავის ღირებულება და მხარისთვის სასამართლო გადაწყვეტილებით წარმოშობილი ფინანსური ტვირთი გამოიანგარიშება დავის საგნის იმ ნაწილის ღირებულებიდან, რომელთან მიმართებითაც მხარეს არ განუცხადებია დავა დამთავრებულად, ასევე, საქმის დამთავრებულად გამოცხადებული ნაწილის ხარჯებიდან (BGH, Beschluss vom 18.09.2018 - VI ZB 26/17 - juris).

ბ) მიუხედავად იმისა, რომ ცალმხრივი განცხადება დავის დამთავრებაზე გერმანულ სასამართლო პრაქტიკასა და სამართალმცოდნეობაში უმეტესწილად განიხილება, როგორც დამოუკიდებელი სამართლის ინსტიტუტი, მასში, საბოლოოდ, უნდა დავინახოთ მხოლოდ სპეციალურად სტრუქტურირებული აღიარებითი სარჩელი. ასე რომ, ამ ინსტიტუტისთვის შეიძლება არსებობდეს ადგილი ქართულ სამოქალაქო პროცესში. მხარის ცალმხრივი განცხადება დავის დამთავრებაზე არ არის ბოლომდე მონესრიგებული გერმანულ სამოქალაქო საპროცესო კოდექსში, ის განავითარა სასამართლო პრაქტიკამ. ქართულ სამართალში პრობლემა შესაძლოა იყოს ის, რომ ცალმხრივი განცხადება დავის დამთავრებაზე მოიაზრება სარჩელის შეცვლად და, აქედან გამომდინარე, შეიძლება დაექვემდებაროს სსკ-ის 83-ე მუხლის მე-2 ნაწილის შეზღუდვას ვადებში.

მუხლი 84. არასათანადო მოსარჩელის შეცვლა

1. სასამართლო, რომელიც საქმის განხილვის დროს დაადგენს, რომ სარჩელი აღძრულია არა იმ პირის მიერ, რომელსაც მოთხოვნის უფლება აქვს, შეუძლია მოსარჩელის თანხმობით საქმის შეუწყვეტლად შეცვალოს თავდაპირველი მოსარჩელე სათანადო მოსარჩელით.

2. თუ ასეთი თანხმობის მიუხედავად, სათანადო მოსარჩელე არ არის თანახმა შეცვალოს არასათანადო მოსარჩელე, სასამართლო საქმის წარმოებას შეწყვეტს იმ მოტივით, რომ არასათანადო მხარემ უარი თქვა მის მიერ აღძრულ სარჩელზე.

3. თუ არასათანადო მოსარჩელე არ არის თანახმა შეიცვალოს სათანადო მოსარჩელით, ეს უკანასკნელი შეიძლება ჩაებას საქმეში მესამე პირად, რომელიც განაცხადებს დამოუკიდებელ მოთხოვნას დავის საგანზე, რის შესახებაც სასამართლო აცნობებს ამ პირს. თუ ეს პირი თანახმაა ჩაებას საქმეში მესამე პირად, სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით უარს ეტყვის არასათანადო მოსარჩელეს სარჩელზე მისი დაუსაბუთებლობის გამო, ხოლო მესამე პირად საქმეში ჩაბმული სათანადო მოსარჩელის მიმართ სარჩელს დააკმაყოფილებს საერთო საფუძველზე.

4. თუ მესამე პირად საქმეში ჩასაბმელად ნავარაუდები სათანადო მოსარჩელე უარს იტყვის ჩაებას ამ საქმეში, სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით უარს ეტყვის არასათანადო მოსარჩელეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

მუხლი 85. არასათანადო მოპასუხის შეცვლა

თუ საქმის განხილვისას სასამართლო დაადგენს, რომ სარჩელი აღძრულია არა იმ პირის წინააღმდეგ, რომელმაც პასუხი უნდა აგოს სარჩელზე, მას შეუძლია მოსარჩელის თანხმობით შეცვალოს თავდაპირველი მოპასუხე სათანადო მოპასუხით. თუ მოსარჩელე არ არის თანახმა თავდაპირველი მოპასუხის სათანადო მოპასუხით შეცვლაზე, სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით უარს ეტყვის მოსარჩელეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

უღრის ჰაბენლონი

84-ე და მომდევნო მუხლი

სსკ-იდან მოყვანილი ნორმები:

- 83¹-ე მუხლი
- 84-ე მუხლი
- 85-ე მუხლი
- 92-ე მუხლი, ა.ნ. 2 და მომდევნო აბზაცები
- 279-ე მუხლი, ა.ნ. 2 და მომდევნო აბზაცები

მხარის შეცვლა/პროცესში მესამე პირად ჩართვა/პროცესის შეწყვეტა

მნიშვნელოვანია, განვასხვაოთ კანონით გათვალისწინებული და ნებაყოფლობითი მხარის შეცვლა.

1. კანონით გათვალისწინებული მხარის შეცვლა სახეზეა სამართლებრივი დავის განმავლობაში დამდგარი სრული სამართალმემკვიდრეობისას. თუმცა, მსგავს შემთხვევებში, მხარე პროცესის მიმდინარეობისას ავტომატურად არ იცვლება, ეს ხდება პროცესის მონაწილეთა დაცვის მიზნითა და სამართლებრივი სტაბილურობის საფუძვლებიდან მომდინარე ორსაფეხურიანი გეგმით: კერძოდ, როგორც წესი, პირველ ეტაპზე პროცესის შეწყვეტით ან გადადებით, ხოლო მოგვიანებით - სამართალმემკვიდრის მიერ პროცესის გაგრძელებით.

§ 239 Abs. 1 GER-ZPO-ის შესაბამისად, მხარის გარდაცვალების შემთხვევაში, როგორც წესი, პროცესი ჩერდება კანონის საფუძველზე. ეს შესაძლებელს ხდის სამართალმემკვიდრის მოძიებას სამართლებრივი დავის ფარგლებს გარეთ; ამასთანავე, სამართალმემკვიდრეს მიეცემა შესაძლებლობა, რომ მოემზადოს კანონით გათვალისწინებული მხარის ცვლილებისთვის (BGH ZIP 2017, 493). იურიდიული პირების „დალუპვისას“, შესაბამისად, გამოიყენება § 239 Abs. 1 GERZPO, რამდენადაც მას შედეგად მოჰყვება არა ლიკვიდაცია, არამედ სრული სამართალმემკვიდრეობა (BGH, Beschluss vom 07.06.2018 - V ZB 252/17 - Grundeigentum 2018, 1400; BGH, Beschluss vom 19.01.2017 - VII ZR 112/14 - ZIP 2017, 493; BGH, Urteil vom 15.03.2004 - II ZR 247/01 - WM 2004, 1138; BGH,

Beschluss vom 18.02.2002 - II ZR 331/00 - NJW 2002, 1207). ანალოგიური მოქმედებს, როდესაც სასამართლოში საკუთარი სახელით სხვისი საქმისწარმოების კანონისმიერი უფლებამოსილების მქონე პირი (იხ. 79-ე და მომდევნო მუხლის კომენტარი, ა.ნ. 18 და მომდევნო აბზაცები) დაკარგავს პროცესის წარმართვის უფლებამოსილებას (BGH, Zwischenurteil vom 29.08.2012 - XII ZR 154/09 - NJW 2012, 3642).

თუ გარდაცვლილი მხარე წარმოდგენილია ადვოკატით, კანონი არ ითვალისწინებს საქმის შეწყვეტას: ამ შემთხვევაში, საქმისწარმოება უნდა გადაიდოს მხოლოდ რწმუნებულის ან საპროცესო მონინაალმდეგის შუამდგომლობის საფუძველზე (§ 246 GER-ZPO). სასამართლო პრაქტიკაში მხარეები მუდმივად აყენებენ მსგავს შუამდგომლობას. შინაარსობრივად იდენტურია პროცესის შეწყვეტისა და გადადების სამართლებრივი შედეგები.

შეწყვეტილი ან გადადებული პროცესი გაგრძელდება § 250 GER-ZPO-ის მიხედვით.

გერმანული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის რელევანტური დებულებებია:

§ 239 GER-ZPO - პროცესის შეწყვეტა მხარის გარდაცვალების გამო

(1) ერთ-ერთი მხარის გარდაცვალების შემთხვევაში, საქმისწარმოება წყდება იქამდე, სანამ სამართალმემკვიდრე არ გააგრძელებს მას.

(2) როდესაც საქმისწარმოება ჭიანჭურდება, მონინაალმდეგე მხარის მოთხოვნის საფუძველზე, სასამართლომ უნდა დაიბაროს გარდაცვლილის სამართალმემკვიდრეები საქმისწარმოების გასაგრძელებლად და, ამავდროულად, საქმის არსებით განხილვაში მონაწილეობისათვის.

(3) ...

(4) ...

(5) სამკვიდროს მიღებამდე, მემკვიდრე არ არის ვალდებული, გააგრძელოს სამართლებრივი დავა.

§ 246 GER-ZPO - პროცესის გადადება რწმუნებულის მიერ წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას

(1) თუ გარდაცვალების, საპროცესო ქმედუნარიანობის დაკარგვის, კანონისმიერი წარმომადგენლობის გაუქმების, სამკვიდროს მმართველის დანიშვნის ან სუბსტიტუციის დადგომის (§§ 239, 241, 242) შემთხვევებში დაინიშნება რწმუნებული, აღარ წყდება საქმისწარმოება; თუმცა საქმის

განმხილველმა სასამართლომ, რწმუნებულის მოთხოვნის საფუძველზე, გარდაცვალების ან სუბსტიტუციის შემთხვევებში, პროცესი უნდა გადადოს მონინალმდეგის მოთხოვნის საფუძველზეც.

§ 250 GER-ZPO - საქმისწარმოების გაგრძელებისა და შეტყობინების ფორმა

შენყვეტილი ან გადადებული პროცესის გაგრძელება და გაგრძელების აქტში მოხსენებული შეტყობინებები ხორციელდება სასამართლოში შესატანი წერილობითი განცხადების ჩაბარებით.

ეს სამართლებრივი სიტუაცია საფუძველების დონეზე შეესაბამება საქართველოში არსებულ შესაბამის სამართლებრივ სიტუაციას (სსკ-ის 92-ე და 279-ე მუხლები).

2. ქართული სამოქალაქო საპროცესო კოდექსისგან განსხვავებით, გერმანულ სამოქალაქო საპროცესო სამართალში არ არსებობს ცალკე რეგულაციები მხარის **ნებაყოფლობით შეცვლასა და პროცესში მესამე პირად ნებაყოფლობით ჩართვასთან** დაკავშირებით. ეს რეგულაციები გაიგება, როგორც სარჩელის შეცვლის სპეციალური ფორმა (§ 263 GER-ZPO – იხ. 83-ე მუხლის კომენტარი). თუმცა სასამართლო პრაქტიკამ გააგრძელა § 263 GER-ZP-სთან მიმართებით შემუშავებული პრინციპების განვითარება, რათა გაეთვალისწინებინა მხარის შეცვლის არსებული თავისებურებები.

ა) მხარის შეცვლისთვის, ან **მოსარჩელის მხარეს** მესამე პირად ჩართვისთვის მოქმედებს შემდეგი პრინციპები:

აა) **მოსარჩელის შეცვლა** გერმანულ სამოქალაქო საპროცესო სამართალში სარჩელის შეცვლის განსაკუთრებული ფორმაა, რაც ნიშნავს, რომ ის - ძირითადად, § 263 GER-ZPO-ის მიხედვით - დასაშვებია მოპასუხის თანხმობით, ან რამდენადაც შედის საქმის განხილვის ინტერესებში (BGH, Urteil vom 14.10.2014 - X ZR 35/11 - GRUR 2015, 159; BGH, Urteil vom 28.06.1994 - X ZR 44/93 - GRUR 1996, 865).

(1) მოსარჩელის შეცვლის წინაპირობაა ის, რომ, როგორც მოსარჩელემ, რომელიც ეთიშება პროცესს, ასევე მისმა უფლებამონაცვლემ, გააკეთონ პროცესუალური განმარტებები ამ ცვლილებასთან დაკავშირებით.

სასამართლო პრაქტიკა მოსარჩელის ცვლილებაში, პროცესს გამოთიშულ მოსარჩელესთან დაკავშირებით, ვერ ხედავს სარჩელის გამოსხმობის მსგავს საპროცესო ქმედებას. აქედან გამომდინარე, არ არის სავალდებულო

ბულო მოპასუხის თანხმობა (BGH, Beschluss vom 07.05.2003 - XII ZB 191/02 – BGHZ 155, 21; BGH, Urteil vom 13.11.1975 - VII ZR 186/73 - BGHZ 65, 264; OLG Hamm, Beschluss vom 14.04.2016 - 6 UF 54/15 - NJW 2016, 2277) საქმის ზეპირი მოსმენის დაწყების შემდეგ 269 Abs. 1 GER-ZPO-ის (იხ. 83¹-ე მუხლის კომენტარი, ა.ნ. 3) ანალოგიურად გამოყენებისას. მოსარჩელის შეცვლის დროს პირველი ინსტანციის სასამართლოში მხოლოდ § 263 GER-ZPO-ის საფუძველზე უნდა გადაწყდეს, დაიშვება თუ არა მასში გათვალისწინებული სარჩელის შეცვლა - როგორც საქმის განხილვისთვის სარგებლის მომტანი - თუ მას არ დაეთანხმება მოპასუხე. აქედან გამომდინარე, ამასთან დაკავშირებით განისაზღვრება Art. 83 Rn. 9 ff.-ში წარმოდგენილი კრიტერიუმები. მსგავსად სარჩელის შეცვლის სხვა შემთხვევებისა, სასამართლო პრაქტიკა საკმაოდ ხელგაშლილია მოსარჩელის შეცვლის შემთხვევებშიც.

(2) სააპელაციო ინსტანციაში საქმისწარმოებისას მოსარჩელის ცვლილება დამატებით საჭიროებს § 533 GER-ZPO-ის წინაპირობების დაცვას (იხ. 83-ე მუხლის კომენტარი, ა.ნ. 12 და მომდევნო აბზაცები).

გარდა ამისა, დაუშვებელია მოსარჩელის მსგავსად შეცვლა უშუალოდ სააპელაციო საჩივრის შეტანის გზით, ვინაიდან სააპელაციო ინსტანციაში სარჩელის შეცვლის წინაპირობაა დასაშვები საჩივრის არსებობა (BGH, Beschluss vom 07.05.2003 - XII ZB 191/02 - BGHZ 155, 21; BGH, Urteil vom 23.02.2011 - XII ZR 59/09 - NJW-RR 2011, 1441; BGH, Beschluss vom 31.05.2010 - II ZB 9/09 - NJW 2010, 3100). ამისთვის საჭიროა, სააპელაციო საჩივარი მიზნად ისახავდეს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადებული ტვირთის, სულ მცირე, ნაწილობრივ მაინც აღმოფხვრას (იხ. 364-ე და მომდევნო მუხლის კომენტარი, ა.ნ. 27 და მომდევნო აბზაცები). თუმცა ეს არ მოხდება, რამდენადაც, სააპელაციო საჩივრის შეტანით განხორციელებული მოსარჩელის ცვლილების შედეგად, აპელანტი ნაწილობრივადაც არ ისწრაფვის პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით შეცვლილი საპროცესო-სამართლებრივი ურთიერთობის შეცვლისკენ (BGH, Beschluss vom 07.05.2003 - XII ZB 191/02 -BGHZ 155, 21; BGH, Urteil vom 23.02.2011 - XII ZR 59/09 - NJW-RR 2011, 1441; BGH, Beschluss vom 21.09.1994 - VIII ZB 22/94 - NJW 1994, 3358).

შედარებით უფრო ხელგაშლილია სასამართლო პრაქტიკა, როდესაც წყვეტს, შედის თუ არა მოსარჩელის შეცვლა სააპელაციო ინსტანციაში საქმის განხილვის ინტერესებში. ამისთვის გასათვალისწინებელია ორივე მხარის ობიექტურად შესაფასებელი ინტერესები, მართლმსაჯულების

ინტერესებთან ერთად. მაშასადამე, მეტად გასათვალისწინებელია საპროცესო ეკონომიის მიზნები. მოპასუხის დაცვის ღირსი ინტერესები, როგორც წესი, არ ირღვევა მოსარჩელის შეცვლის დაშვებით, ვინაიდან შესაძლებელია არსებული საქმის მასალების გამოყენება (BGH, Urteil vom 28.06.1994 - X ZR 44/93 - GRUR 1996, 865). ამრიგად მოპასუხეს არ უნდა ეშინოდეს, რომ „თავიდან დაიწყება“ დავა და ის დაკარგავს უკვე დაკავებულ საპროცესო სამართლებრივ პოზიციებს.

(3) დაუშვებელია მოსარჩელის შეცვლა საკასაციო საქმისწარმოებისას, მსგავსად ნებისმიერი სხვა სარჩელის ცვლილებისა (იხ. 83-ე მუხლის კომენტარი, ა.ნ. 15) (BGH, Zwischenurteil vom 29.08.2012 - XII ZR 154/09 - NJW 2012, 3642; BGH, Beschluss vom 07.02.1990 - VIII ZR 98/89 - NJW-RR 1990, 1213). ამ მიდგომას საფუძვლად უდევს ის, რომ საკასაციო სამართლოს დავასთან დაკავშირებული გარემოებების შეფასება შეუძლია მხოლოდ ისე, როგორც გამომდინარეობს სააპელაციო სასამართლოს გადწყვეტილებიდან ან, შესაბამისად, სხდომის ოქმიდან. რამდენად შესაძლებელია მხარის ნებაყოფლობითი შეცვლის გამონაკლისის სახით დაშვება, როდესაც პროცესის ახალი მონაწილე ჯერ კიდევ ფაქტების დამდგენ ინსტანციაში მესამე პირად ჩაერთვება საქმეში გამოთიშული მხარის ნაცვლად, ეს საკითხი უმაღლეს ფედერალურ სასამართლოს ჯერაც არ გადაუწყვეტია (BGH, Zwischenurteil vom 29.08.2012 - XII ZR 154/09 - NJW 2012, 3642).

(4) დაუშვებელია მოსარჩელის ან სხვა მხარის შეცვლა განსაზღვრული პირობის საფუძველზე (BGH, Urteil vom 21.01.2004 - VIII ZR 209/03 - NJW-RR 2004, 640), ვინაიდან ამ პირობაზე დამოკიდებულებით შეიქმნებოდა საპროცესო სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით (ვინ არის მხარე?) დაუშვებელი არასტაბილურობა სამართლებრივ დავაში (იხ. მე-3 მუხლი მე-2 ნაწილის კომენტარი, ა.ნ. 8 და მომდევნო აბზაცები, განსაკუთრებით, ა.ნ. 35).

(5) მოსარჩელის დასაშვებად შეცვლისას, როგორც უკვე მოკლედ აღინიშნა, ძალაში რჩება და პროცესუალურად გამოყენებადია ყველა მანამდე განხორციელებული ღონისძიება, მაშასადამე, შეგროვებული მტკიცებულებების შედეგად (BGH, Urteil vom 28.06.1994 - X ZR 44/93 - GRUR 1996, 865). თუ დაუშვებელია მოსარჩელის შეცვლა, სამართლებრივი დავა გრძელდება საქმეში მანამდე არსებული მოსარჩელით. თუ საქმეს გამოეთიშება საქმეში მანამდე არსებული მოსარჩელე, მას, § 269 Abs. 3 Satz 2 GERZPO-ის ანალოგიურად გამოყენებით (იხ. 83¹-ე მუხლის კომენტარი, ა.ნ. 6), უნდა დაეკისროს მის მიერ განეული ხარჯების ანაზღაურება (BGH, Urteil vom 14.10.2014 - X ZR 35/11 - GRUR 2015, 159).

ბბ) იგივე პრინციპები მოქმედებს საქმეში დამატებით მოსარჩელედ ჩართვისას, რაც მოითხოვს შესაბამისი პროცესუალური განცხადების გაკეთებას არა მხოლოდ ახალი, დამატებითი მოსარჩელის მიერ, არამედ იმავე დავაში მანამდე არსებული და დარჩენილი მოსარჩელის მხრიდანაც. სააპელაციო ინსტანციაში დამატებით მოსარჩელედ ჩართვა, განსხვავებით მოსარჩელის შეცვლისგან, უნდა განხორციელდეს ჯერ კიდევ სააპელაციო საჩივრის შეტანასთან ერთად, ვინაიდან ეს შემდეგ (გარდა საქმეში უკვე არსებული მოსარჩელის სააპელაციო საჩივრისა) კვლავინდებურად ემსახურება იმას, რომ, სულ მცირე, ნაწილობრივ მაინც აღმოიფხვრას შეცვლებული გადაწყვეტილებით დამდგარი უარყოფითი შედეგები (იხ. ზემოთ ა.ნ. 14).

ბ) მოპასუხის მხარის შეცვლისას მოქმედებს შემდეგი პრინციპები:

აა) მოპასუხის ნებყოფლობით შეცვლა პირველ ინსტანციაში უნდა განიხილებოდეს, როგორც სარჩელის შეცვლა (BGH, Urteil vom 28.06.2016 - X ZR 50/14 - juris; BGH, Urteil vom 10.11.1980 - II ZR 96/80 - NJW 1981, 989).

§ 263 GER-ZPO-ის მიხედვით, ამისთვის აუცილებელია, რომ მოპასუხის შეცვლას დათანხმდეს ახალი მოპასუხე, ან სასამართლომ საქმისთვის სასარგებლოდ მიიჩნიოს ერთი მოპასუხის შეცვლა მეორით. გამოთიშული მოპასუხის კუთხით, მოპასუხის შეცვლისას ივარაუდება სარჩელის გამომხმობის მსგავსი ეფექტის არსებობა. ასე რომ (მიუხედავად სარჩელის შეცვლისა), § 269 Abs. 1 GER-ZPO-ის შესაბამისად გამოყენებით (იხ. 83¹ მუხლის კომენტარი, ა.ნ. 1 და 3) საქმის ზეპირი მოსმენის დაწყების მომენტიდან ყოველთვის საჭიროა გამოთიშული მოპასუხის თანხმობა (BGH, Urteil vom 28.06.2016 - X ZR 50/14 - juris; BGH, Urteil vom 10.11.1980 - II ZR 96/80 - NJW 1981, 989; OLG Hamm, Beschluss vom 10.05.1990 - 21 W 21/90 - NJW-RR 1991, 60). ეს თანხმობა ვერ ჩანაცვლდება არგუმენტით, რომ მოპასუხის შეცვლა საქმისთვის სარგებლის მომტანია.

საქმის სააპელაციო ინსტანციაში განხილვისას, სასამართლო პრაქტიკა, ძირითადად, ითხოვს (§ 533 GER ZPO-ის ტექსტის გარდა) ახალი მოპასუხის თანხმობას (BGH, Urteil vom 18.03.1997 - XI ZR 34/96 - NJW 1997, 2885, დამატებითი მოპასუხით სარჩელის გაზრდასთან დაკავშირებით; BGH, Urteil vom 04.10.1985 - V ZR 136/84 - NJW-RR 1986, 356). ახალი მოპასუხის მსგავსი თანხმობა, გამონაკლისის სახით, ზედმეტია, რამდენადაც თანხმობაზე უარი უნდა შეფასდეს, როგორც უფლების ბორო-

ტად გამოყენება (BGH, Urteil vom 13.07.1956 - VI ZR 32/55 - BGHZ 21, 285; BGH, Urteil vom 18.03.1997 - XI ZR 34/96 - NJW 1997, 2885; BGH, Urteil vom 04.10.1985 - V ZR 136/84 - NJW-RR 1986, 356). უფლების ბოროტად გამოყენება, ძირითადად, მაშინ გვხვდება, როდესაც არ არის სახეზე ახალი მოპასუხის დაცვის ღირსი ინტერესი. მაშასადამე, ამ უკანასკნელს არ უნდა ჰქონდეს შიში, რომ რამენაირი სახით უარეს მდგომარეობაში აღმოჩნდება (BGH, Urteil vom 04.10.1985 - V ZR 136/84 - NJW-RR 1986, 356; OLG Oldenburg, Urteil vom 08.10.1992 - 8 U 34/92 - NdsRpfl 1993, 68).

აგრეთვე გასათვალისწინებელია, რომ მოპასუხე ვერ შეიცვლება მოსარჩელის შეცვლასთან დაკავშირებით წარმოდგენილი საფუძვლებიდან გამომდინარე (იხ. ზემოთ ა.ნ. 14) სააპელაციო საჩივრის შეტანასთან ერთად.

ბბ) მოპასუხის მხარეს მესამე პირად ჩართვასთან დაკავშირებით მოქმედებს ანალოგიური პრინციპები.

გგ) თუ მოპასუხის მხარეს განხორციელდება მხარის დასაშვები შეცვლა, კვლავინდებურად გამოყენებადია ამ დრომდე არსებული პროცესის მიმდინარეობის შედეგები, უპირველეს ყოვლისა, მტკიცებულებათა შეგროვების შედეგები (Landesarbeitsgericht Rheinland-Pfalz, Urteil vom 17.05.2017 - 7 Sa 410/15 - juris). სამეცნიერო ლიტერატურაში ნაწილობრივ მუსირებს მოსაზრება, რომ მტკიცებულებების შეგროვება, განსაკუთრებით, მონმეთა დაკითხვა, სასამართლო მოსმენის უფლებისა და სამართლიანი საქმისწარმოების პრინციპების გათვალისწინებით, ნებისმიერ შემთხვევაში უნდა გამეორდეს მოპასუხის მოთხოვნით (შდრ. §§ 398, 397 Abs. 2 GER-ZPO), თუმცა ეს მოსაზრება სრულიად სამართლიანად არ შეესაბამება არსებულ სასამართლო პრაქტიკას. თუ ახალი მოპასუხე დათანხმდება შეცვლას, მან იცის, რასთან აქვს საქმე; შესაბამისად, შეუძლია დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება, დაუშვებს თუ არა (ნებაყოფლობით) მიმდინარე პროცესის მოქმედებას მის სასარგებლოდ ან სანინააღმდეგოდ. თუ მოპასუხე არ დათანხმდება (მით უფრო სააპელაციო ინსტანციაში) შეცვლას, სასამართლოს მიერ მოპასუხის შეცვლის საქმისთვის მნიშვნელობისა ან უფლების ბოროტად გამოყენების ფარგლებში უნდა შეფასდეს, ეწინააღმდეგება თუ არა ახალი მოპასუხის დაცვის ღირსი ინტერესები მის შებოჭვას შეცვლის მომენტამდე შეგროვებული მტკიცებულების შედეგებით. თუ ასეა, მაშინ არ უნდა დაიშვას მხარის ცვლილება ახალი მოპასუხის თანხმობის გარეშე.

სასამართლო პრაქტიკაში, როგორც წესი, ძველი და ახალი მოპასუხეები ეკონომიკურად და/ან სამართლებრივად მჭიდროდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი და მათ ერთი და იგივე რწმუნებული წარმოადგენს. ამ ფონზე მათ თვითონვე არ აქვთ მტკიცებულებების განმეორებით შეგროვების ინტერესი და, ძირითად შემთხვევებში, ეთანხმებიან მოპასუხის შეცვლას. თუმცა, უკიდურეს შემთხვევებში, საკასაციო სამართლის რისკების თავიდან ასაცილებლად, შეიძლება მიზანშეწონილი იყოს მტკიცებულებების შეგროვების ნაწილობრივ მაინც გამეორება.

3. მხარის შეცვლისგან უნდა განვასხვაოთ ე. წ. გადაწყვეტილების შესავალი ნაწილის შესწორება.

ეს სახეზეა, როდესაც მოსალოდნელი სამართლებრივი ან ფაქტობრივი ურთიერთობები არ ცვლის მხარის სამართლებრივ ვინაობას. შესწორება მოქმედებს არა მარტო სახელის ან კომპანიის სახელწოდების შეცვლისას, არამედ მსგავსი ცვლილებებისას იურიდიული პირთა ორგანიზაციულ მონყობაში, რომელიც არ ახდენს გავლენას სამართლებრივ ვინაობაზე (მაგ.: ფორმის ტრანსფორმაციისას).

გადაწყვეტილების შესავალი ნაწილი შეიძლება შესწორდეს მაშინაც, თუ სათანადოდ არ დასახელებულა დავის ერთ-ერთი მხარე. ეს შეიძლება ეხებოდეს, როგორც მისი სახელის ან კომპანიის სწორ დასახელებას, ასევე კანონიერი წარმომადგენლის ან მისამართის სწორ სახელწოდებებს. თუმცა ამის წინაპირობაა, არსებული მითითებების განმარტებისას (იხ. მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის კომენტარი, ა.ნ. 59) არ გაჩნდეს ეჭვები სამართლებრივი დავის მონაწილე მხარის ვინაობასთან დაკავშირებით.

გადაწყვეტილების შესავალი ნაწილის მსგავსი არაფორმალური შესწორება შესაძლებელია საქმისწარმოების ნებისმიერ ეტაპზე, რამდენადაც დადგენილია სამართლებრივი ვინაობა და მოცემულია შესავალი ნაწილის შესწორების საფუძველი (BGH Urteil vom 29.03.2017 - VIII ZR 11/16 - NJW 2017, 2472; BGH, Urteil vom 01.12.2003 - II ZR 161/02 - NJW 2004, 1528; BGH, Urteil vom 19.02.2002 VI ZR 394/00 - NJW 2002, 1430; vgl. auch BGH, Urteil vom 22.03.2018 - IX ZR 99/17 - NJW 2018, 2193). თუმცა ყოველთვის ეჭვგარეშე როდი შეიძლება ზღვარის გავლება გადაწყვეტილების შესავალი ნაწილის შესწორებასა და მხარის შეცვლას შორის. სასამართლო პრაქტიკა ამ ზღვრის გავლების სფეროში, ძირითადად, მოქმედებს შედარებით უფრო პრაგმატულად, რამდენადაც ის პროცესის მონაწილეთა (როგორც წესი, მისაღები) ურთიერთთანხმობის საფუძველზე ცვლის გადაწყვეტილების შესავალ ნაწილს; ამასთან, არაფერს ამბობს იმის შესახებ, მხოლოდ შესავალი ნაწილის შესწორებაა სახე-

ზე, თუ საბოლოო ჯამში, მხარის შეცვლა პროცესის ყველა მონაწილის თანხმობის საფუძველზე.

უმადლესი ფედერალური სასამართლო (Urteil vom 29.03.2017 - VIII ZR 11/16 - NJW 2017, 2472) შემდეგნაირად აჯამებს ამ თემატიკას:

„თუ ვინ არის მხარე სამოქალაქო სამართლის საქმეში, გამომდინარეობს სარჩელში არჩეული მხარის სახელწოდებიდან, რომელიც სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, ძირითადად, ექვემდებარება განმარტებას, როგორც საპროცესო მოქმედების ნაწილი. ამასთან, განმსაზღვრელია, რა მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ამ საპროცესო განცხადებას მისი შინაარსის ობიექტური შეფასებისას. აქედან გამომდინარე, ობიექტურად არასწორი ან არაერთმნიშვნელოვანი სახელწოდების შემთხვევაში, ძირითადად, ის პირი უნდა ჩაითვალოს მხარედ, რომელსაც ამკარად ეხება არასწორი სახელწოდება (... BGH NJW-RR 2008, 582; BGH NJW-RR 2013, 394; BGH WuM 2013, 695...).

მხარეების დადგენისთვის (მათი სახელწოდების განმარტების გზით), გასათვალისწინებელია არა მხოლოდ სარჩელის შესავალ ნაწილში წარმოდგენილი მონაცემები, არამედ სარჩელის სრული შინაარსი, შესაბამისი დანართების ჩათვლით. ამასთან, მოქმედებს პრინციპი, რომ სარჩელის აღძვრას სინამდვილეში ნაგულისხმევი მხარის მიერ თუ მის წინააღმდეგ, ანდა წარმატებას, რომლის მიღწევასაც მხარე ისახავს მიზნად ამ სარჩელით, არ შეიძლება საფუძველი გამოეცალოს არასწორად მითითებული სახელწოდების გამო, რამდენადაც ეს ნაკლი, შესაბამისი გარემოებების გათვალისწინებით, არ წარმოშობს ეჭვს იმაზე, რისი მიღწევაც ნამდვილად სურდა მხარეს. ეს იმ შემთხვევაშიც მოქმედებს, როდესაც სწორი სახელწოდების ნაცვლად, შეცდომით მიეთითება ფაქტობრივად არსებული (იურიდიული ან ფიზიკური) პირის სახელწოდება, რამდენადაც მხოლოდ სარჩელის/განცხადების შინაარსიდან ან სხვა მასალებიდან ეჭვგარეშე არ არის, თუ რომლი მხარე იგულისხმება სინამდვილეში (...).

მხარის არასწორი დასახელებისგან უნდა განვასხვავოთ არასწორი პირის შეცდომით მხარედ დასახელება, რომელიც არ მონაწილეობს მატერიალურ-სამართლებრივ ურთიერთობაში; აღნიშნული პირი ხდება მხარე, რამდენადაც ეს არსებითად დამოკიდებულია განმცხადებლის მიერ ობიექტურად გამოვლენილ ნებაზე (...).

ამასთან, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ რა დგას განმარტების უკან სასამართლოსა და საპროცესო მონაწილეების, როგორც მიმღების, გადმოსახედიდან (...).“

მუხლი 86. თანამონაწილეობის საფუძვლები

1. სარჩელი შეიძლება წარდგენილ იქნეს ერთად რამდენიმე მოსარჩელის მიერ ან რამდენიმე მოპასუხის წინააღმდეგ, თუ:

- ა) სარჩელის საგანს წარმოადგენს საერთო უფლება;
- ბ) სასარჩელო მოთხოვნები გამომდინარეობს ერთი და იმავე საფუძვლებიდან;
- გ) სასარჩელო მოთხოვნები ერთგვაროვანია, მიუხედავად იმისა, ერთგვაროვანია თუ არა მათი საფუძველი და საგანი.

2. თითოეული მოსარჩელე ან მოპასუხე მეორე მხარის მიმართ პროცესში გამოდის დამოუკიდებლად.

მუხლი 87. თანამონაწილეთა საპროცესო უფლებები

1. თანამონაწილენი სარგებლობენ ყველა იმ საპროცესო უფლებით, რომლებიც ამ კოდექსის თანახმად მინიჭებული აქვთ მხარეებს.

2. თანამონაწილეებს შეუძლიათ საქმის წარმოება ერთ-ერთ თანამონაწილეს მიანდონ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც თანამონაწილე არასრულწლოვანია, ანდა მას ჰყავს მეურვე ან მზრუნველი.

3. საქმის წარმოების მინდობა ერთ-ერთი თანამონაწილისათვის უნდა გაფორმდეს 96-ე მუხლით დადგენილი წესით.

უღრის ჰაბენლონი

86-ე და მომდევნო მუხლი

სსკ-იდან მოყვანილი ნორმები:

- 86-ე მუხლი
- 87-ე მუხლი
- 182-ე მუხლი მე-4 ნაწილის ა.ნ. 22
- 245-ე მუხლი, ა.ნ. 49

საპროცესო თანამონაწილეობა

1. კანონისმიერი რეგულაციები საპროცესო თანამონაწილეობის ნორმის წინაპირობებთან დაკავშირებით, ძირითადი კონცეფციის გათვალისწინებით, მსგავსია ქართულ და გერმანულ მართლწესრიგში. თუმცა სავალდებულო საპროცესო თანამონაწილეობის სამართლებრივი შედეგები გერმანიაში უფრო დეტალურად არის მონესრიგებული, ვიდრე საქართველოში. ამასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანი დებულებებია:

§ 59 GER-ZPO – საპროცესო თანამონაწილეობა საერთო უფლების ან ერთი და იმავე საფუძვლის შემთხვევაში

რამდენიმე პირს, როგორც საპროცესო თანამონაწილეებს, შეუძლიათ, ერთად წარადგინონ სარჩელი ან ერთად იყვნენ მოპასუხეები, რამდენადაც მათ დავის საგანთან დაკავშირებით აქვთ საერთო უფლება ან, ერთი და იმავე ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლიდან გამომდინარე წარმოეშობათ უფლებები და ვალდებულებები.

§ 60 GER-ZPO - საპროცესო თანამონაწილეობა მოთხოვნის უფლებების ერთგვაროვნებისას

რამდენიმე პირს, როგორც საპროცესო თანამონაწილეებს, იმ შემთხვევაშიც შეუძლიათ ერთად წარადგინონ სარჩელი ან ერთდ იყვნენ მოპასუხეები, როდესაც სამართლებრივი დავის საგანია ერთგვაროვანი და, ძირითადად, ერთგვაროვან ფაქტობრივ თუ სამართლებრივ საფუძველზე დაყრდნობილი მოთხოვნის უფლებები ან ვალდებულებები.

§ 61 GER-ZPO - საპროცესო თანამონაწილეობის მოქმედების ძალა

რამდენადაც სამოქალაქო სამართლიდან ან ამ კანონიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს, საპროცესო თანამონაწილეები, როგორც ცალკეული პირები, მოწინააღმდეგის წინაშე წარმოდგენილები არიან იმგვარად, რომ ცალკეული საპროცესო თანამონაწილის ქმედებებს სხვა საპროცესო თანამონაწილისთვის არც სარგებელი მოაქვს და არც ზიანი.

§ 62 GER-ZPO - სავალდებულო საპროცესო თანამონაწილეობა

(1) თუ სადავო სამართლებრივი ურთიერთობა მხოლოდ ერთიანად შეიძლება დადგინდეს ყველა საპროცესო თანამონაწილის მიმართ, ან საპროცესო თანამონაწილეობა სავალდებულოა სხვა საფუძვლიდან გამომდინარე, მაშინ - რამდენადაც ცალკეული საპროცესო თანამონაწილე არ გამოცხადდება სხდომაზე ან გაუშვებს საპროცესო ვადას - ის წარმოდგე-

ნილად ითვლება იმ საპროცესო თანამონაწილის მიერ, რომელიც ესწრება სხდომას, ან რომელსაც არ გაუშვია საპროცესო ვადა.

(2) საპროცესო თანამონაწილეები, რომლებიც არ გამოცხადებიან სასამართლო მოსმენაზე, სასამართლომ უნდა ჩართოს შემდგომ პროცესებში.

§ 63 GER-ZPO - საქმისწარმოება; დაბარება

საქმისწარმოების უფლება აქვს ნებისმიერ საპროცესო თანამონაწილეს; სასამართლომ ყველა ჩანიშნულ სხდომაზე უნდა დაიბაროს ყველა დანარჩენი საპროცესო თანამონაწილე.

§§ 59, 60 GER-ZPO-ის წინაპირობები შეესაბამება სსკ-ის 86-ე მუხლის პირველი ნაწილის წინაპირობებს; განსხვავებულია მხოლოდ ენობრივი ფორმულირებები.

2. სამართლებრივი შედეგების კუთხით, უნდა განვასხვაოთ ჩვეულებრივი და სავალდებულო საპროცესო თანამონაწილეობა. გარდა ამისა, კომპლექსურ სამართლებრივ სიტუაციებში არსებობს განსხვავებები მოსარჩელის მხარეს საპროცესო თანამონაწილეობასა და მოპასუხის მხარეს საპროცესო თანამონაწილეობას შორის.

საპროცესო თანამონაწილეობის სამართალი ერთგვარი ხიდია მატერიალურ სამოქალაქო სამართალსა და სამოქალაქო საპროცესო სამართალს შორის. ამასთან, მატერიალური სამართალი ადგენს, რასთან გვაქვს საქმე - ჩვეულებრივ თუ სავალდებულო საპროცესო თანამონაწილეობასთან; საპროცესო სამართალი პასუხობს, თუ რა შედეგები აქვს ამას საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობისთვის.

ა) მოსარჩელის მხარეს საპროცესო თანამონაწილეობასთან დაკავშირებით:

აა) მატერიალური სამართალი განსაზღვრავს, თუ ვინ უნდა იყოს პროცესის ჯეროვანი მართვისას აქტიური საპროცესო თანამონაწილე § 59 1. Alt. GER-ZPO-ის მიხედვით.

როგორც უკვე აღინიშნა, პროცესის მართვის უფლებამოსილება ძირითადად თანხვდება მოსარჩელედ ყოფნის უფლებამოსილებას (იხ. 79-ე და მომდევნო მუხლის კომენტარი, ა.ნ. 15). აქედან გამომდინარე, უფლების მატერიალური ფლობისა და პროცესის მართვის უფლებამოსილების ურთიერთმიმართება მეტწილად გამორიცხავს სტრუქტურულ უფლებამოსილებებს, როცა ისმის კითხვა, შეუძლია თუ არა მოთხოვნის უფლების განხორციელება ერთ ან რამდენიმე მოსარჩელეს ერთდროულად. თუ მატერიალური სამართლიდან გამომდინარე, მოთხოვნა, როგორც **საე-**

რთო უფლება, ერთდროულად ეკუთვნის რამდენიმე პირს, ჩვეულებრივ, მათ პროცესის წარმართვის უფლებამოსილება აქვთ, როგორც საერთო უფლების მქონე პირებს. ამასთან დაკავშირებით, § 59 1. Alt. GER-ZPO მათ უხსნის შესაძლებლობას, რომ, როგორც საპროცესო თანამონაწილეები, ერთად გამოვიდნენ უფლების დასაშვები განხორციელებისთვის. ამ საპროცესო თანამონაწილეობის შედეგები გამომდინარეობს §§ 61-63 GER-ZPO-დან. საერთო უფლების განხორციელებისას, მატერიალური სამართლისა და საპროცესო სამართლის ეს ერთობლივი მოქმედება ინვევს იმას, რომ საერთო უფლების გარშემო გაერთიანებული პირები ერთად მოქმედებდნენ. შედეგად - ქვემოთ წარმოდგენილი პროცესუალური შედეგების გათვალისწინებით - ისინი არიან სავალდებულო საპროცესო თანამონაწილეები.

თუმცა, მოსარჩელების გადასაწყვეტია, დაუთმობენ თუ არა სოლიდარულ მოთხოვნას (რაც დასაშვებია მატერიალურ-სამართლებრივად) უფლების რამდენიმე მფლობელიდან ერთ-ერთს, ან სულაც მესამე პირს, და ამით არაპირდაპირ გავლენას მოახდენენ პროცესის წარმართვის უფლებამოსილებაზე. ზოგადი წინაპირობების ფარგლებში, შეიძლება უფლების ერთ-ერთ მფლობელს გარიგების საფუძველზე მიენიჭოს სასამართლოში საკუთარი სახელით სხვისი საქმისწარმოების უფლებამოსილება (იხ. 79-ე და მომდევნო მუხლის კომენტარი, ა.ნ. 22 და მომდევნო აბზაცები).

ბბ) საპროცესო თანამონაწილეობის სამართლის დაშვებით, მოსარჩელებს, რომლებიც არ ერთიანდებიან ერთი უფლების გარშემო, იმ შემთხვევაშიც შეუძლიათ გამოვიდნენ საპროცესო თანამონაწილეებად, როცა სასარჩელო მოთხოვნის უფლებები გამომდინარეობს **ერთი და იმავე საფუძვლიდან** ან **ერთგვაროვანია** (§ 59, 60 GER-ZPO; სსკ-ის 86-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები). ამ შემთხვევაში მოსარჩელის მხარეს საპროცესო თანამონაწილეობის დაშვება არაფერს ცვლის იმასთან მიმართებით, რომ ცალკეული მოთხოვნის უფლებები ყოველთვის არსებობს მხოლოდ შესაბამის მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნის უფლების მქონე კრედიტორებსა და მოვალეებს შორის და, უპირველეს ყოვლისა, მხოლოდ მათ შორის შეიძლება ამ უფლებების მინიჭება სასამართლოს გზით. ეს მოითხოვს არა მხოლოდ ზუსტ სამართლებრივ არგუმენტაციას სასამართლო გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში - რომლითაც გაიმიჯნება საპროცესო თანამონაწილეთა ცალკეული მოთხოვნის უფლებები - არამედ, უპირველეს ყოვლისა, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გასაგებად ჩამოყალიბებას. თუ მოთხოვნის უფლებები არ განეკუთვნება მოსარჩელის მხარეს საპროცე-

სო თანამონაწილეთა საერთო მოთხოვნის უფლებას, ყოველ ცალკეულ მოსარჩელეს უნდა მიენიჭოს მხოლოდ ის მოთხოვნა, რომლის კრედიტორიც თვითონ არის. ამან შეიძლება გამოიწვიოს ძალზე კომპლექსური სასამართლო გადაწყვეტილებების მიღება (მაგ.: ავტოსაგზაო შემთხვევიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნისას, როდესაც ავტოსაგზაო შემთხვევას რამდენიმე მონაწილე ჰყავს და სახეზეა განსხვავებული მატერიალური და არამატერიალური ზიანი).

დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, §§ 59, 60 GER-ZPO ემსახურება მიზანშეწონილობასთან დაკავშირებულ მოსაზრებებს და, აქედან გამომდინარე, **ფართოდ უნდა** განიმარტოს (BGH, Beschluss vom 06.05.2013 - X ARZ 65/13 - NJW-RR 2013, 1399). საკმარისია, თუ მოთხოვნის უფლებები შინაგან ფაქტობრივ კავშირშია ერთმანეთთან, რაც მათ წარმოაჩენს ერთგვაროვნად (BGH, Beschluss vom 06.06.2018 - X ARZ 303/18 - NJW 2018, 2200). ეს, უპირველეს ყოვლისა, მაშინ არის სახეზე, როდესაც: ერთიანი განხილვა და გადაწყვეტილება დაკავშირებულია უფრო ნაკლებ ძალისხმევასთან, ვიდრე ცალკე პროცესების გამართვა; ასევე, თუ ამით შეიძლება განსხვავებული გადაწყვეტილებების თავიდან აცილება (OLG Hamm, Beschluss vom 18.05.2015 - 32 SA 13/15 - ZIP 2015, 2247; BayObLG, Beschluss vom 22.02.1990 - AR 1 Z 12/90 - NJW-RR 1990, 742). ამ შემთხვევაში, არ არის საჭირო, ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები თანხვედრად ერთმანეთს (BGH, Beschluss vom 06.06.2018 - X ARZ 303/18 - NJW 2018, 2200; BGH, Beschluss vom 06.05.2013 - X ARZ 65/13 - NJW-RR 2013, 1399, ინვესტირების ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებებთან დაკავშირებით, რომელსაც საფუძვლად უდევს ერთი და იმავე ხარვეზის შემცველი ჩანაწერი ფასიანი ქაღალდების შესახებ; BGH, Beschluss m 03.05.2011 - X ARZ 101/11 - NJW-RR 2011, 1137).

§§ 59, 60 GER-ZPO-ის ასეთი ხელგამლილი გამოყენება არ არღვევს მოპასუხის დაცვის ღირს ინტერესებს, ვინაიდან - როგორც ქვემოთ (ა.ნ. 34) არის წარმოდგენილი უფრო დეტალურად - სამართლებრივად დამოუკიდებელი რჩება ცალკეული საპროცესო-სამართლებრივი ურთიერთობები BGH, Beschluss vom 21.04.2008 - II ZB. 6/07 - BGHZ 176, 170). თუმცა ამის სავალდებულო წინაპირობაა, რომ მოსარჩელის მხარეს საპროცესო თანამონაწილეობის ფარგლებში მოქმედ მოსარჩელეებს ჰყავდეთ, სულ მცირე, ერთი საერთო მოპასუხე BGH, Beschluss vom 19.11.1991 - X ARZ 10/91 - NJW 1992, 981). მაშასადამე, ყველა შემთხვევაში სახეზე უნდა იყოს ერთი საერთო წევრი, რომელიც ერთმანეთთან დააკავშირებს

ყველა საპროცესო-სამართლებრივ ურთიერთობას. თუ, მაგალითად, რამდენიმე საინვესტიციო შუამავლის წინააღმდეგ ინვესტორები ახორციელებენ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებებს ფასიან ქალაქლებთან დაკავშირებული არასწორი ჩანაწერის გამო, ისე, რომ ერთობლივად არ აღძრავენ სარჩელს მესამე პირის, მაგალითად, ემიტენტის წინააღმდეგ (მოპასუხის მხარეს სავარაუდოდ დასაშვები საპროცესო თანამონაწილე), ეს საფუძველს გამოაცლის მოსარჩელის მხარეს საპროცესო თანამონაწილეობას. თუ სარჩელი აღიძვრება ემიტენტის წინააღმდეგაც, ის შეიძლება ამით იქცეს დამაკავშირებელ ელემენტად, რაც ნიშნავს, რომ ცალკეულ ინვესტორს შეეძლება სხვადასხვა საინვესტიციო შუამავლის წინააღმდეგ მოთხოვნის უფლებების განხორციელება ერთი სამართლებრივი დავის ფარგლებში.

გგ) თუ სარჩელს დასაშვებად აღძრავს რამდენიმე მოსარჩელე (ერთობლივი მოთხოვნის უფლებამოსილების ან ნაწილებად დაყოფილი მოთხოვნის არსებობის ვარაუდით) მოსარჩელის მხარეს საპროცესო თანამონაწილეობის ფარგლებში, ხოლო მატერიალურ-სამართლებრივად მხოლოდ ერთ მოსარჩელეს აქვს მოთხოვნის უფლებამოსილება, სასამართლომ არ უნდა დააკმაყოფილოს სხვა მოსარჩელებების სარჩელი; თუ პირიქით, სარჩელს აღძრავს ერთი მოსარჩელე, მიუხედავად იმისა, რომ განხორციელებული უფლება თანაზიარია (მაშასადამე, უნდა განეხორციელებინა უფლების ყველა მფლობელს ერთად, როგორც მოსარჩელის მხარეს საპროცესო თანამონაწილეობა), სარჩელის, როგორც დაუშვებლის ან დაუსაბუთებლის არდაკმაყოფილება დამოკიდებული იქნება სასარჩელო მოთხოვნაზე. სარჩელი პროცესის წარმართვის უფლებამოსილების არარსებობის გამო დაუშვებლად უნდა ცნონ, თუ მოსარჩელე არ მიუთითებს საკუთარი უფლების ფლობაზე და არ არის უფლებამოსილი, რომ განახორციელოს სხვისი უფლება პროცესზე მისთვის კანონით ან გარიგების საფუძველზე მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში (იხ. 79-ე და მომდევნო მუხლის კომენტარი, ა.ნ. 18 და მომდევნო აბზაცები; და ა.ნ. 22 და მომდევნო აბზაცები). თუ პირიქით, მოსარჩელე მიუთითებს, რომ ის არის უფლების ერთადერთი მფლობელი, ხოლო სასამართლო დაასკვნის, რომ მატერიალური სამართლის მიხედვით სახეზეა საერთო უფლების ფლობა რამდენიმე კრედიტორის მიერ, მოსარჩელის სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს დაუსაბუთებლობის გამო. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლო პრაქტიკა არ არის ერთგვაროვანი მსგავს შემთხვევებში. სარჩელს ობიექტურად არსებული საერთო უფლების შემთხვევაში ნაწილობრივ დაუშვებლად ცნობენ მაშინაც, როდესაც მოსა-

რჩელე (თუნდაც ობიექტურად უსამართლოდ) უთითებს მოთხოვნის საკუთარ უფლებამოსილებაზე.

ბ) **საპროცესო თანამონაწილეობა მოპასუხის მხარეს** სასამართლო პრაქტიკაში სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს, ვიდრე საპროცესო თანამონაწილეობა მოსარჩელის მხარეს.

აა) **§§ 59, 60 GER-ZPO**-ის ზოგად წინაპირობებთან დაკავშირებით შეიძლება მიეთითოს მოსარჩელის მხარეს საპროცესო თანამონაწილეობის ზემოთ წარმოდგენილ მსჯელობაზე.

ბბ) კითხვაზე, წარმოეშობა თუ არა რამდენიმე მოვალეს ერთი და იმავე ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლიდან გამომდინარე ვალდებულება - და ამით რამდენად შეიძლება მათ წინააღმდეგ ერთიანი სარჩელის აღძვრა - ერთმანეთს კვეთს გერმანული სასამართლო პრაქტიკის ორი საკმაოდ ხელგაშლილი მიმდინარეობა. როგორც აღინიშნა (ა.ნ. 10), **§§ 59, 60 GER-ZPO** ისედაც ფართოდ უნდა განიმარტოს (BGH, Beschluss vom 06.05.2013 - X ARZ 65/13 - NJW-RR 2013, 1399). ამას ემატება ისიც, რომ სასამართლო პრაქტიკა გერმანიაში მატერიალური სამართლის სოლიდარული ვალდებულების არსებობას (§421 GER-BGB; შინაარსობრივად იდენტურია სკ-ის 463-ე მუხლი), რომელიც ყოველთვის იწვევს მოპასუხის მხარეს საპროცესო თანამონაწილეობის დაშვებას, უყენებს მხოლოდ მოკრძალებულ მოთხოვნებს.

სოლიდარული ვალდებულებისთვის, გერმანულ სამართალში, ძირითადად, საკმარისია ფაქტობრივი ან სამართლებრივი მიზნების ერთობლიობა შესაბამის მოთხოვნებს შორის (BGHZ 155, 265). ამ საფუძვლიდან გამომდინარე, უმაღლესმა ფედერალურმა სასამართლომ ივარაუდა, რომ (ცალ-ცალკე დავალებული) სამშენებლო კომპანიები სოლიდარულად აგებენ პასუხს, თუ მათ მიერ შესრულებული სამუშაოები შეიცავს ნაკლს, რომლის აღმოფხვრაც ეკონომიკური თვალსაზრისით გონივრულად მხოლოდ ერთობლივად არის შესაძლებელი (BGH, Urteil vom 26.06.2003 - VII ZR 126/02 - BGHZ 155, 265). უმაღლესი ფედერალური სასამართლო (BGH, Urteil vom 22.12.2011 - VII ZR 7/11 - BGHZ 192, 182) დაეთანხმა სოლიდარული პასუხისმგებლობის არსებობასაც შემდეგი კონსტელაციისას: ძვირადღირებული ცხენი შეძენმა შეძენამდე, შესაძლო ნაკლოვანებების გამოვლენის კუთხით, შეამონმებინა ვეტერინარს. შემონმებისას ვეტერინარმა ვერ შენიშნა, რომ ცხოველს აღენიშნებოდა ნაკლი. უმაღლესმა ფედერალურმა სასამართლომ ივარაუდა, რომ, ერთი მხრივ, გამყიდველის პასუხისმგებლობა ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებით, ხოლო, მეორე მხრივ, ვე-

ტერინარის პასუხისმგებლობა ნაკლის ვერალმოჩენის გამო, მიუხედავად სამართლებრივად და ფაქტობრივად არსებითად განსხვავებული სახელშეკრულებო ურთიერთობებისა, სოლიდარული პასუხისმგებლობაა, ვინაიდან ორივე მათგანის საერთო შედეგია არასაკმარისად გამოსადეგი ცხენის შეძენა.

ე. ნ. მატერიის ერთგვაროვნება (მოთხოვნის უფლებების შინაარსობრივი იდენტურობის გაგებით) სოლიდარული ვალდებულებისთვის არ არის საჭირო, არც შესრულების ოდენობის და არც შესრულების სახეობის მიხედვით. საკმარისია ერთგვაროვანი შესრულების ინტერესის არსებობა, როგორც, მაგალითად, სამშენებლო შესრულების ერთი და იმავე ნაკლის შემთხვევაში, როცა ეს ეხება, ერთი მხრივ, სამშენებლო კომპანიის პასუხისმგებლობას სამშენებლო ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებით და, მეორე მხრივ, არქიტექტორის პასუხისმგებლობას ზიანის ფულად ანაზღაურებაზე (BGH, Beschluss vom 01.02.1965 - GSZ 1/64 -

BGHZ 43, 227; BGH, Urteil vom 09.03.1972 - VII ZR 178/70 - BGHZ 58, 216). ცალკეულ შემთხვევებში, სასამართლო პრაქტიკა ასევე ვარაუდობს, რომ მართალია, არ არის სახეზე ფაქტობრივი სოლიდარული პასუხისმგებლობა, თუმცა §§ 421 ff. GER-BGB (სოლიდარულ მოვალეებს შორის მოთხოვნების გათანაბრების ჩათვლით, § 426 GER-BGB-ის მიხედვით; სკ-ის 473-ე მუხლი) ანალოგიურად უნდა გამოიყენონ (შდრ. BGH, დაუსწრებელი გადაწყვეტილება 14.03.2014 - V ZR 218/13 - WM 2014, 1445 გამქირავებლის/მესაკუთრის ნივთის დაბრუნების მოთხოვნის უფლებისთვის, ერთი მხრივ, არაკეთილსინდისიერი მოქირავნისა და, მეორე მხრივ, არაკეთილსინდისიერი ქვემოქირავნის საწინააღმდეგოდ).

§ 421 GER-BGB-ის სიტყვა-სიტყვით გაგების გარდა, ამ რეგულაციის მონესრიგების მიზნიდან გამომდინარეობს, რომ სოლიდარული ვალდებულებისთვის სახეზე უნდა ეყოს ე. ნ. ვალდებულებების ერთნაირი იერარქიულობა. მაშასადამე, რომელიმე მოვალემ არ უნდა შეასრულოს სხვა მოვალის ვალდებულება მხოლოდ სუბსიდიურად/მომდევნო რიგითობით, ან დროებით (BGH, Urteil vom 22.12.2011 - VII ZR 7/11 - BGHZ 192, 182; BGH, Urteil vom 28.11.2006 - VI ZR 136/05 - NJW 2007, 1208). მსგავსი თანაბარიერარქიულობა, პირველ რიგში, მაშინ არ არის სახეზე, როდესაც ორივე ვალდებულების სამართლებრივი სტრუქტურიდან გამომდინარე, ერთ-ერთი მათგანი უნდა ემსახურებოდეს მხოლოდ მეორის უზრუნველყოფას და ამით მისი შესრულების მიზანი მეორე ვალდებულებასთან მიმართებით წარმოდგენილია, როგორც დროებითი და/ან სუბსიდიური/მომდევნო რიგითობის (BGH, Urteil vom 28.11.2006 - VI ZR 136/05 - NJW 2007, 1208). მაგალითად, ეს ეხება მზღვეველის პასუხისმგებლობის

განსაზღვრულ ფორმებს (BGH, Urteil vom 28.11.2006 - VI ZR 136/05 - NJW 2007, 1208), თუმცა, უპირველეს ყოვლისა, ძირითად მოვალესა და სოლიდარულ მოვალეს შორის ურთიერთობას. ეს არაფერს ცვლის იმასთან დაკავშირებით, რომ თვით მსგავსი კონსტელაციებისას, მაშასადამე, თანაბარიერარქიულობის არარსებობისას, სახეზეა § 60 GER-ZPO-ის მიხედვით სამართლებრივად გათანაბრებული მოთხოვნის უფლებები და ამით დასაშვებია საპროცესო თანამონაწილეობა (OLG Bamberg, განჩინება 15.12.2014 - 8 SA 25/14 - juris).

გგ) სასამართლო პრაქტიკა მოკრძალებულ წინაპირობებს აყენებს **ფაქტობრივი ერთგვაროვნების** მიმართაც. მაგალითად:

ფაქტობრივი ერთგვაროვნება სახეზეა, თუ პაციენტი ზიანის ანაზღაურებას ითხოვს ორი სხვადასხვა კლინიკის პასუხისმგებელი პირებისგან, რამდენადაც ამ კლინიკებმა პაციენტისთვის სამედიცინო მომსახურების გაწევა - თუნდაც საკუთარი პასუხისმგებლობით - ერთმანეთში შეათანხმეს (OLG Hamm, Beschluss vom 07.05.2015 - 32 SA 4/15 - MDR 2016, 117). გარდა ამისა, შესრულებულად ითვლება § 60 GER-ZPO-ის წინაპირობები, რადგან მოსარჩელე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებებს უკავშირებს იმას, რომ მოპასუხებმა ბევრჯერ მოატყუეს ერთი და იმავე მოქმედებით („მაქინაციით“), თუნდაც სამართლებრივად ერთმანეთისგან გამიჯნული სახით და ნაწილობრივ განსხვავებული დანაშაულის შემადგენლობის პირობებში (BayObLG, Beschluss vom 21.10.1997 - 1 Z AR 72/97 - juris). მიწის ნაკვეთის ნასყიდობის ხელშეკრულების მხარეები, რომლებიც ცალკე ხელშეკრულებების საფუძველზე შევიდნენ სამართლებრივ ურთიერთობებში ერთსა და იმავე მაკლერთან (მიწის ნაკვეთის გაყიდვა ან შესაბამისად ყიდვა), მაკლერის ჰონორარის გადახდის სარჩელში არიან საპროცესო თანამონაწილეები, § 60 GER-ZPO-ის მიხედვით (BGH, განჩინება 23.05.1990 - I ARZ 186/90 - NJW-RR 1991, 381).

დდ) რამდენადაც არ არის სახეზე მოპასუხის მხარეს სავალდებულო საპროცესო თანამონაწილეობა, მოსარჩელეს შეუძლია, დამოუკიდებლად გადაწყვიტოს, სურს თუ არა მოთხოვნის უფლების განხორციელება მოვალის წინააღმდეგ, რომლის მიმართაც, როგორც ჩვეულებრივი საპროცესო თანამონაწილის წინააღმდეგ, შეუძლია პროცესუალურად დასაშვებად აღძრას სარჩელი.

მაშასადამე, ძირითადად მას აქვს არჩევანის უფლება, სასამართლოში მხოლოდ ერთ-ერთი პოტენციური საპროცესო თანამონაწილის წინააღმდეგ შეიტანს სარჩელს, ცალკე დავის ფარგლებში განახორციელებს მოთხოვნის უფლებას მის წინააღმდეგ, თუ ერთი სამართლებრივი დავის

ფარგლებში განახორციელებს მას ყველა საპროცესო თანამონაწილის წინააღმდეგ. მას არ უნდა ეშინოდეს სარჩელის არდაკმაყოფილებისა და უშვებლობის გამო, იმ შემთხვევაშიც კი, თუ გონივრულად არ მოჩანს სამართლებრივი დავების ცალ-ცალკე წარმოება. თუმცა უნდა მოელოდეს, რომ სასამართლომ მსგავსი სახით განცალკევებული დავები შეიძლება გააერთიანოს, § 147 GER-ZPO-ის მიხედვით (რეგულაციის მიზნის გათვალისწინებით, მსგავსია სსკ-ის 182-ე მუხლის მე-4 ნაწილი). უკიდურეს შემთხვევებში, მას შეიძლება მოუწიოს იმ დამატებითი ხარჯების გადახდაც, რომლებიც წარმოიშობა უფლების ბოროტად გამოყენებით გაყოფილი პროცესების შედეგად (BGH, Beschluss vom 20.05.2014 – VI ZB 9/13 - NJW 2014, 2285; BGH, Beschluss vom 20.11.2012 - VI ZB 1/12 - NJW 2013, 1369; BGH, Beschluss vom 20.11.2012 - VI ZB 73/11 - juris; OLG Hamburg, Beschluss vom 29.05.2013 - 8 W 130/12 - NJW-RR 2013, 1404).

განცალკევებით უნდა შეფასდეს, შეუძლია თუ არა მოსარჩელეს მატერიალური სამართლის მიხედვით, საკუთრი შეხედულებისამებრ გადანყვიტოს, რომელი სოლიდარული მოვალის წინააღმდეგ განახორციელებს მოთხოვნის უფლებას და, საჭიროების შემთხვევაში, რა ოდენობით. აქედან გამომდინარე, გერმანიაში ერთსულოვანი სასამართლო პრაქტიკა იმ მიმართულებით მიდის, რომ კრედიტორს მატერიალურ-სამართლებრივადაც შეუძლია დამოუკიდებლად მიიღოს გადანყვიტება იმაზე, რომელი სოლიდარული მოვალის წინააღმდეგ განახორციელებს მოთხოვნის უფლებას (BGH, Urteil vom 16.12.2009 - XII ZR 146/07 - BGHZ 184, 35) - მაშასადამე, ყველას წინააღმდეგ, თუ მხოლოდ ცალკეული სოლიდარული მოვალის მიმართ. განსაკუთრებით არ სჭირდება მას იმის გათვალისწინება, თუ რომელმა სოლიდარულმა მოვალემ უნდა დაფაროს ხარჯები სოლიდარულ მოვალეებს შორის შიდა ურთიერთობის ფარგლებში, ან რომელ სოლიდარულ მოვალეს აქვს გათანაბრების ვალდებულება სოლიდარულ მოვალეებს შორის შიდა ურთიერთობაში (BGH, Urteil vom 16.12.2009 - XII ZR 146/07 - BGHZ 184, 35; BGH, Urteil vom 22.01.1991 - XI ZR 342/89 – NJW 1991, 1289; BGH, Urteil vom 10.12.1982 - V ZR 24/81 - NJW 1983, 1423). თუმცა მოსარჩელის არჩევანის ეს თავისუფლება უსაზღვრო არ არის და მთავრდება იქ, სადაც სახეზეა უფლების ბოროტად გამოყენება, უპირველეს ყოვლისა, ერთ-ერთი სოლიდარული მოვალისთვის ზიანის მიყენების გაკიცხვის ღირსი განზრახვა (BGH, Urteil vom 26.07.2007 - VII ZR 5/06 - NJW-RR 2008, 176; BGH, Beschluss vom 22.05.1984 - III ZR 75/83 – WM 1984, 906; სპეციალური კონსტელაციებისთვის, შიდა გათანაბრების ვალდებულების მქონე სოლიდარული მოვა-

ლის მიმართ უზრუნველყოფის დათმობისას: BGH, Urteil vom 10.12.1982 - V ZR 24/81 - NJW 1983, 1423). იმ შემთხვევაშიც, თუ სახეზეა მსგავსი (ძალზე იშვიათი) განსაკუთრებული სიტუაცია, ეს რჩება მატერიალური სამართლის საკითხად. მაშასადამე, არაფერს ცვლის სარჩელის დასაშვებობასთან დაკავშირებით რამდენიმე პოტენციური საპროცესო თანამონაწილისგან ერთ-ერთის მიმართ.

ამ სამართლებრივი სიტუაციის მიუხედავად, მოსარჩელისთვის, როგორც წესი, სასურველი იქნებოდა, რომ ერთი სარჩელის ფარგლებში უჩივლოს ყველა პოტენციურ მონაწილემდე. ამის სასარგებლოდ მეტყველებს არა მხოლოდ საპროცესო ეკონომიის საფუძვლები - უპირველეს ყოვლისა, შემდგომი პროცესების თავიდან აცილება - არამედ მოთხოვნის გამორიცხვის რისკის შემცირებაც. გარდა ამისა, არსებობს მთელი რიგი ტაქტიკური მოსაზრებები, რომლებიც უპირატესობას ანიჭებს მოთხოვნის უფლებების ერთდროულად განხორციელებას ყველა საპროცესო თანამონაწილის წინააღმდეგ. მაგალითად, მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება შეჩერდეს ან შეწყდეს ხანდაზმულობის ვადა ყველა საპროცესო თანამონაწილის მიმართ (§ 204 Abs. 1 Nr. 1 GER-BGB; Art. 138 GEO-ZGB) და მხოლოდ ამ გზით შეიძლება მატერიალურ-სამართლებრივი ძალის მქონე გადაწყვეტილების მიღება ყველა საპროცესო თანამონაწილის წინააღმდეგ. არცთუ იშვიათად - მოსწონს თუ არა ეს ვინმეს - ამით მოსარჩელეს შესაძლებლობა ეძლევა, რომ გააუარესოს მოპასუხის მდგომარეობა მტკიცებულებების წარმოდგენასთან დაკავშირებით. ამას, მაგალითად, მნიშვნელობა აქვს მაშინ, როდესაც მოსარჩელე, ავტოსაგზაო შემთხვევიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნისას, უჩივლებს არა მხოლოდ (გერმანიაში, შესაბამისად, § 115 Abs. 1 Nr. 1 GER-VVG-ის მიხედვით გარეშე პასუხისმგებლობას დაქვემდებარებულ მონაწილემდე მზღვეველს და) მონაწილემდე ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელს, არამედ მის მძღოლსაც, რათა ეს უკანასკნელი აღარ იყოს მოპასუხე მფლობელის (და მზღვეველის) განკარგულებაში, როგორც მონმე.

დაუშვებელია სარჩელის არდაკმაყოფილება დაუშვებლობის გამო, როდესაც არ არის სახეზე საპროცესო თანამონაწილეობის წინაპირობები. სასამართლომ ამ შემთხვევაში უნდა განაცალკევოს საქმეები § 145 GERZPO-ის მიხედვით (სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილები) და დამოუკიდებელ დავებად განიხილოს (BGH, Urteil vom 21.11.2017 - II ZR 180/15 - NJW 2018, 1259).

3. სავალდებულო საპროცესო თანამონაწილეობისას გერმანიაში განასხვავებენ პროცესუალური (§ 62 Abs. 1 Satz 1 1. Alt. GER-ZPO) და მატერიალურ-სამართლებრივი საფუძვლებიდან (§ 62 Abs. 1 Satz 1 2. Alt. GER-ZPO) გამომდინარე სავალდებულო საპროცესო თანამონაწილეობას. ქართული სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ცალკე არ აწესრიგებს პროცესუალური საფუძვლებიდან გამომდინარე სავალდებულო საპროცესო თანამონაწილეობას.

ა) პროცესუალური საფუძვლებიდან გამომდინარე სავალდებულო საპროცესო თანამონაწილეობის ძირითადი იდეა ეფუძნება სუბიექტური სამართლებრივი ძალის გავრცელების პრინციპებს.

რამდენადაც უფლების განხორციელებისას ცალკეული სამართლებრივი დავების ფარგლებში მიღებული სასამართლო გადაწყვეტილება პირველ სამართლებრივ დავასთან დაკავშირებით გამოიწვევდა სუბიექტური სამართლებრივი ძალის გავრცელებას მომდევნო პროცესზე (იხ. მე-10 მუხლის კომენტარი, ა.ნ. 55 და მომდევნო აბზაცები), ლოგიკურია, რომ მოსამართლემ (ამ მასშტაბურობის) ერთიანი გადაწყვეტილება საქმეზე უნდა მიიღოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოთხოვნის უფლებები ორივე მოვალის წინააღმდეგ ხორციელდება ერთადერთი დავის ფარგლებში (მდრ. BGH, Urteil vom 26.10.1984 - V ZR 67/83 - BGHZ 92, 351; BGH, Urteil vom 15.06.1959 - II ZR 44/58 - BGHZ 30, 195; BGH, Teilurteil vom 03.11.2016 - I ZR 101/15 - MDR 2017, 892). აქედან გამომდინარე, მსგავსი კონსტელაციებისას, საპროცესო თანამონაწილეობი, რომელთა წინააღმდეგაც მოსარჩელე ერთი დავით ახორციელებს მოთხოვნის უფლებებს, უნდა გაერთიანდნენ ერთი სავალდებულო საპროცესო თანამონაწილეობის ფარგლებში, ვინაიდან მხოლოდ ასე შეიძლება, რომ სასამართლომ ერთგვაროვანი გადაწყვეტილება გამოიტანოს მათ წინააღმდეგ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი საქმეები ძალზე იშვიათია სასამართლო პრაქტიკაში. მაგალითად, ეს შეიძლება იყოს საქმისწარმოება პატენტის ბათილობის დადგენის მოთხოვნაზე (BGH, Teilurteil vom 02.02.2016 - X ZR 146/13 - juris); კორპორაციული სამართლის სარჩელები, ვთქვათ, საერთო კრების გადაწყვეტილების წინააღმდეგ და საერთო კრების გადაწყვეტილების ბათილად ცნობაზე (დაახლოებით, მსგავსია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ კანონის 28-ე მუხლის მე-9 ნაწილი - გადაწყვეტილების მოქმედების ძალით, 248 GER AktG-ის შესაბამისად) (BGH, Urteil vom 05.04.1993 - II ZR 238/91 - BGHZ 122, 211; BGH, Urteil vom 16.03.2009 - II ZR 302/06 - NJW-RR 2009, 828; BGH, Beschluss vom 22.09.2008 - II ZB 11/08 - juris). მესამე პირად სავალდებულო ჩართვა საქმისწარმოებაში არ წარმოშობს საპროცესო თანამონაწი-

ლეობის სავალდებულოობას (BGH, Urteil vom 06.07.2018 - V ZR 39/17 - juris).

ბ) სავალდებულო **საპროცესო თანამონაწილეობის** ძირითადი შემთხვევებია **მატერიალურ-სამართლებრივი საფუძვლებიდან გამომდინარე** სავალდებულო საპროცესო თანამონაწილეობა, რომლის დროსაც, ქართულ და გერმანულ კანონებში არსებული ნორმების წინაპირობები ძირითადად ემთხვევა ერთმანეთს.

სავალდებულო საპროცესო თანამონაწილეობისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ სახეზე იყოს მატერიალურ-სამართლებრივი სოლიდარული უფლება. მაშასადამე, უფლებას უნდა ახორციელებდეს რამდენიმე უფლებამოსილი პირი ერთად, ან ვალდებულების მქონე რამდენიმე პირის წინააღმდეგ (BGH, Urteil vom 24.01.2012 - X ZR 94/10 - BGHZ 192, 245; BGH, Urteil vom 06.07.2018 - V ZR 39/17 - juris; BGH, Teilurteil vom 03.11.2016 - I ZR 101/15 - MDR 2017, 892). ამაში შედის, პირველ რიგში, ყველა არსებული **სოლიდარული უფლებამოსილება**, ან ყველა **სოლიდარული ვალდებულება**. თუ როდის არის, ერთი მხრივ, უფლების მფლობელებისა და კრედიტორების, ხოლო, მეორე მხრივ, მოვალეების შეჯგუფება სოლიდარული, დამოკიდებულია შესაბამისი ქვეყნის ეროვნულ მატერიალურ კანონმდებლობაზე. შესაბამისად, ამ თემას უფრო მეტად აღარ ჩავუღრმავებოდი. თუმცა ეს მოქმედებს, როგორც ქართულ, ისე გერმანულ მართლმცოდნეობაში, რამდენადაც საქმე ეხება საზოგადოებას, რომელსაც არ გააჩნია საკუთარი (ნაწილობრივი) უფლებათნარიალობა (BGH, Beschluss vom 24.07.2003 - VII ZR 209/01 - BauR 2003, 1758); ასევე თანამემკვიდრეების შემთხვევაშიც (BGH, Urteil vom 12.01.1996 - V ZR 246/94 - BGHZ 131, 376).

იმისთვის, რომ ივარაუდოს სავალდებულო საპროცესო თანამონაწილეობა სხვა მატერიალურ-სამართლებრივი საფუძვლებიდან გამომდინარე, მაშასადამე, სოლიდარული დაკავშირებულობის გარეშე, საჭიროა განსაზღვრული წინაპირობები. პირველ რიგში, ამისთვის საკმარისი არ არის, რომ ერთიანი გადანყვეტილება სასურველი იყოს ლოგიკის საფუძვლებიდან გამომდინარე, ან განსხვავებული გადანყვეტილებების გამო მოგვიანებით პრობლემების დადგომის ასარიდებლად (BGH, Urteil vom 25.07.2017 - II ZR 235/15 - NJW-RR 2017, 1317; BGH, Urteil vom 04.04.2014 - V ZR 110/13 - NJW-RR 2014, 903; BGH, Urteil vom 14.04.2010 - IV ZR 135/08 - FamRZ 2010, 1068). უმაღლესმა ფედერალურმა სასამართლომ უარყო სავალდებულო საპროცესო თანამონაწილეობა, მათ შორის, პარტნიორის აღიარებით სარჩელზე ერთ-ერთი თანაპა-

რტნიორის საზოგადოებიდან გასვლასთან მიმართებით (BGH, Urteil vom 15.06.1959 - II ZR 44/58 - BGHZ 30, 195), სარჩელზე საზოგადოების გარიცხვის გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ - განსხვავებით გარიცხვასთან დაკავშირებული აღმჭურველი სარჩელისგან, § 140 GER-HGB-ის მიხედვით (BGH, Urteil vom 25.10.2010 - II ZR 115/09 - ZIP 2010, 2444) - და აღიარებით სარჩელზე პარტნიორული საზოგადოების ლიკვიდაციის შესახებ (BGH, Urteil vom 07.04.2008 - II ZR 181/04 - ZIP 2008, 1276). სამაგიეროდ, § 46 GER-WEG-ის მიხედვით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის ყველა სხვა წევრის წინააღმდეგ მიმართული სარჩელისას ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის კრების გადაწყვეტილების წინააღმდეგ (დაახლოებით, მსგავსია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ კანონის 28-ე მუხლის პირველი ნაწილი) ივარაუდება სავალდებულო საპროცესო თანამონაწილეობა (BGH, Urteil vom 23.10.2015 - V ZR 76/14 - NJW 2016, 716; BGH, Urteil vom 11.11.2011 - V ZR 45/11 - NJW 2012, 1224; BGH, Urteil vom 10.02.2012 - V ZR 145/11 - NJW-RR 2012, 780). თუმცა, ეს სამართლებრივი შეფასება ეფუძნება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ გერმანული კანონის მიღების პროცედურებსაც. აქედან გამომდინარე, უპირობოდ ვერ გადმოვიტანთ ქართულ სამართლებრივ წესრიგში.

ზოგადი მოსაზრების მიხედვით, მოქმედებისგან თავშეკავების მოთხოვნის უფლებები, რომლებიც მიმართულია ინტელექტუალური საკუთრების დაცული უფლებების რამდენიმე დამრღვევის, ან კონკურენციის სამართლის შინაარსობრივად იდენტური კანონდარღვევის წინააღმდეგ, არ წარმოშობს სავალდებულო საპროცესო თანამონაწილეობას მოპასუხის მხარეს (BGH, Teilurteil vom 03.11.2016 - I ZR 101/15 - MDR 2017, 892). სავალდებულო საპროცესო თანამონაწილეობა არ არის მოცემული, როდესაც ერთი მემკვიდრე მეორის წინააღმდეგ აღიარებით სარჩელს აღძრავს ანდერძის ბათილად ცნობის (BGH, Urteil vom 09.01.1957 - IV ZR 259/56 - BGHZ 23, 73) ან მემკვიდრის უფლებამოსილებათა აღიარების მოთხოვნით (BGH, Urteil vom 14.04.2010 - IV ZR 135/08 - FamRZ 2010, 1068) - მაშასადამე, როდესაც, ფაქტობრივად, გვაქვს აღიარებითი სარჩელი მემკვიდრედ ცნობაზე.

თანამემკვიდრეების მიერ მოქმედებისგან თავშეკავების მოთხოვნის უფლებები საკუთრების ხელშეშლის გამო ასევე არ იწვევს სავალდებულო საპროცესო თანამონაწილეობის დადგომას (BGH, Urteil vom 26.10.1984 - V ZR 218/83 - BGHZ 92, 351). ამისგან განსხვავებით, მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების გადაცემის მოთხოვნით თანამესაკუთრების წინააღმდეგ სარჩელის აღძვრისას, თანამესაკუთრეები ითვლე-

ბიან სავალდებულო საპროცესო თანამონაწილეებად (BGH, Urteil vom 04.02.1994 - V ZR 277/92 - NJW 1994, 1470; BGH, Urteil vom 08.06.1962 - V ZR 171/61 - NJW 1962, 1722), ვინაიდან საკუთრების გადასვლა საპროცესო თანამონაწილეების ნების შესაბამისად, როგორც წესი, არ უნდა განხორციელდეს თანასაკუთრების ცალკეულ ნაწილებთან დაკავშირებული გადაცემის ქმედებების დაჯამებით (და, შედეგად, თანასაკუთრებაში არსებული წილების შექმნაზე განსხვავებული სასამართლო გადაწყვეტილებებით სხვის თანასაკუთრებაში შეჭრით). საკუთრების უფლების მინიჭების მოთხოვნა თანასაკუთრებაში არსებული წილების ერთობლივი შექმნისას თითქმის ყოველთვის მიმართულია მხოლოდ მთლიან საკუთრებაზე. აზრს მოკლებულია, თუ მოსარჩელისთვის აუცილებელი გზის უფლების მოთხოვნა მიმართული იქნება თანასაკუთრებაში არსებულ ცალკეულ წილზე/წილებზე. სარჩელები აუცილებელი გზის თემის ვალდებულებასთან დაკავშირებით უნდა მიემართებოდეს მთლიან საკუთრებას და ამით მოპასუხე თანამესაკუთრეები (საქმეზე სავალდებულო ერთგვაროვანი გადაწყვეტილების მიღების გამო) იქცევიან სავალდებულო საპროცესო თანამონაწილეებად (BGH, Urteil vom 04.05.1984 - V ZR 82/83 - NJW 1984, 2210).

4. არსებითი პროცესუალური შედეგები მოჰყვება იმას, ჩვეულებრივ საპროცესო თანამონაწილეობასთან გვაქვს საქმე, თუ სავალდებულო-სთან:

ა) ჩვეულებრივი საპროცესო თანამონაწილეობისას საპროცესო-სამართლებრივი ურთიერთობები ერთმანეთთან დაკავშირებულია მხოლოდ იმით, რომ მოქცეულია გარეგნულად ერთგვაროვანი სამართლებრივი დავის ფარგლებში (§ 61 GER-ZPO), თუმცა შინაარსობრივად ისინი დამოუკიდებელია ერთმანეთისგან (BGH, Beschluss vom 21.04.2008 - II ZB 6/07 - BGHZ 176, 170; BGH, Urteil vom 21.11.2017 - II ZR 180/15 - NJW 2018, 1259; BGH, Urteil vom 26.05.1994 - IX ZR 39/93 - ZIP 1994, 1121). ყოველ მხარეს შეუძლია, დამოუკიდებლად გაასაჩივროს სასამართლოს გადაწყვეტილება (BGH, Urteil vom 08.03.2004 - II ZR 175/02 - NJW-RR 2005, 118); ასევე, ყველა სხვა საპროცესო მოქმედება განახორციელოს სხვა საპროცესო თანამონაწილის თანამონაწილეობის გარეშე, საჭიროების შემთხვევაში, მათი ნების საწინააღმდეგოდ.

ამასთან, საპროცესო-სამართლებრივი ურთიერთობების მსგავს დამოუკიდებლობას შედეგად მოჰყვება ის, რომ ნებისმიერ ჩვეულებრივ საპროცესო თანამონაწილეს შეუძლია ავტონომიურად განახორციელოს სასარჩელო მოთხოვნა, სარჩელის აღიარებისა და გამოხმობის ჩათვლით,

რათა: შეტანილი საჩივარი მოქმედებდეს მხოლოდ საჩივრის შემტანი პირისთვის და მისი ვადების დენა ყველა საპროცესო თანამონაწილისთვის ინყებოდეს ცალკე (რაც, ბუნებრივია, მოქმედებს აგრეთვე სავალდებულო საპროცესო თანამონაწილეობისას); ასევე, ფორმალური სამართლებრივი ძალის დადგომა ყოველი საპროცესო თანამონაწილისთვის ცალკე შეფასდეს და გადანყვეტილების მატერიალურ-სამართლებრივი ძალა დადგეს მხოლოდ შესაბამის საპროცესო თანამონაწილესთან არსებული საპროცესო ურთიერთობის ფარგლებში. მაშასადამე, ყველა ჩვეულებრივი საპროცესო თანამონაწილე პროცესუალურად ისე უნდა განიხილოს, თითქოს მარტო წარმართავს პროცესს მონინააღმდეგის წინააღმდეგ (BGH, Urteil vom 21.11.2017 - II ZR 180/15 - NJW 2018, 1259).

თუ სასამართლო გადანყვეტილებას გაასაჩივრებს მხოლოდ ერთი საპროცესო თანამონაწილე, სხვა დარჩენილი ჩვეულებრივი საპროცესო თანამონაწილები არ უნდა ჩაერთონ საჩივართან დაკავშირებულ საქმისწარმოებაში (BGH, Urteil vom 11.07.2003 - V ZR 233/01 - NJW 2003, 3204). მიუხედავად ამისა, გერმანულ სასამართლო პრაქტიკაში მიღებულია, რომ ჩვეულებრივი საპროცესო თანამონაწილე, რომელსაც თვითონ არ შეაქვს საჩივარი, ინფორმირებული იყოს სხვა საპროცესო თანამონაწილის მიერ შეტანილ საჩივართან დაკავშირებით, ასევე იმაზეც, რომ თვითონ ვერ მიიღებს მონაწილეობას ამ საჩივარზე მიმდინარე საქმისწარმოებაში. ეს მიდგომა, სულ მცირე, სასურველია (თუ აუცილებელია არა, სასამართლო მოსმენის უფლებიდან გამომდინარე) იმის გათვალისწინებით, რომ საჩივრის საქმისწარმოებას შესაძლოა არაპირდაპირი (თუნდაც მატერიალურ-სამართლებრივი ძალის არმქონე) უარყოფითი შედეგები ჰქონდეს ჩვეულებრივი საპროცესო თანამონაწილისთვის, რომელიც საქმისწარმოებაში არ მონაწილეობს. ამ შედეგების დადგომა, უპირველეს ყოვლისა, ივარაუდება მაშინ, როდესაც სასამართლო, მეორე (პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამტყუნებული პასიური) საპროცესო თანამონაწილის საჩივრის საფუძველზე, არ დააკმაყოფილებს მის წინააღმდეგ მიმართულ სარჩელს და ამით საფუძველი გამოეცელება პირველი ინსტანციის მიერ დადგენილ სოლიდარულ პასუხისმგებლობას. თუ სხვა ჩვეულებრივი საპროცესო თანამონაწილე, რომელიც თვითონ არ ასაჩივრებს სასამართლო გადანყვეტილებას, სასამართლოს მიერ ინფორმირებული იქნება სხვა საპროცესო თანამონაწილის მიერ შეტანილ საჩივარზე, მას აქვს შესაძლებლობა, საჩივრის განხილვაში ჩაერთოს, როგორც მესამე პირი, დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე (იხ. 89-ე და მომდევნო მუხლების კომენტარი, ა.ნ. 4). თუ პირველი ინსტანციის სასამართლომ გამოიტანა გადანყვეტილება რამდენიმე სოლიდარული

მოპასუხის წინააღმდეგ, მოპასუხეები, რომლებიც თვითონ არ გაასაჩივრებენ სასამართლო გადაწყვეტილებას, უმეტესწილად, გონივრულობიდან გამომდინარე, პროცესში დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე ჩაერთვებიან მესამე პირებად, პირველ ინსტანციაში მათი საპროცესო მონინააღმდეგის, მაშასადამე, მოსარჩელის მხარეს. მათი ეკონომიკური ინტერესი ამის შემდეგ (მათ წინააღმდეგ გამოტანილი კანონიერი ძალის მქონე გადაწყვეტილების გამო), როგორც წესი, მიმართულია იმისკენ, რომ არ დაკმაყოფილდეს პირველ ინსტანციაში მათი საპროცესო თანამონაწილის - მაშასადამე, სხვა მოპასუხის - საჩივარი და ამით შენარჩუნდეს მათი სოლიდარული თანაპასუხისმგებლობა.

ჩვეულებრივი საპროცესო თანამონაწილეობის ფაქტობრივად ერთადერთი - ყველა საპროცესო-სამართლებრივი ურთიერთობის მომცველი - მოქმედება გამოიხატება იმით, რომ საჩივრის განმხილველ ინსტანციაში **საჩივრის ღირებულების** გამოკვლევისას (შდრ. § 511 Abs. 2 GER-ZPO; სსკ-ის 356-ე მუხლი), როგორც წესი, ჯამდება ჩვეულებრივი საპროცესო თანამონაწილეობის უფლებები (BGH, Beschluss vom 23.07.2015 - XI ZR 263/14 - BGHZ 206, 276). ეს მოქმედებს იმ შემთხვევაშიც, როდესაც მოთხოვნის უფლებები არ გამომდინარეობს ერთგვაროვანი დავის საგნიდან (BGH, Beschluss vom 23.07.2015 - XI ZR 263/14 - BGHZ 206, 267; BGH, Beschluss vom 13.03.2006 - I ZR 105/05 - BGHZ 166, 327), ან საჩივარს შეიტანს ერთ-ერთი რამდენიმე საპროცესო თანამონაწილეთაგან და მისი ეკონომიკური ინტერესი დავასთან დაკავშირებით ვერ უტოლდება დავის საგნის ღირებულებას საჩივრის განმხილველ ინსტანციაში (BGH, Beschluss vom 28.10.1980 - VI ZR 303/79 - NJW 1981, 578). ღირებულების მსგავსი დაჯამების სასიკეთოდ მეტყველებს ის მოსაზრებაც, რომ საპროცესო თანამონაწილის საპროცესო მონინააღმდეგის ზარალი (მისი დამარცხების შემთხვევაში) სავალდებულოდ უნდა დაანგარიშდეს ცალკეული მოთხოვნების დაჯამებით. აქედან გამომდინარე, ეს მხარეებისთვის თანაბარი საპროცესო შესაძლებლობების მიცემას ემსახურება, თუკი იგივე მოხდება ჩვეულებრივი საპროცესო თანამონაწილის მხარეს. მოპასუხის წინააღმდეგ მოთხოვნების სოლიდარულად განხორციელების შემთხვევაში, საჩივრის საქმისწარმოების ფარგლებში დავის საგნის ღირებულების დადგენისას, ყოველთვის განმსაზღვრელია ჩვეულებრივი ღირებულება; ის არ შეიძლება გაიზარდოს მოპასუხეთა რაოდენობის პროპორციულად (BGH, Beschluss vom 22.09.1952 - III ZR 367/51 - BGHZ 7, 152; BGH, Beschluss vom 25.11.2003 - VI ZR 418/02 - NJW-RR 2004,

638). ანალოგიური მოქმედებს სოლიდარული კრედიტორების შემთხვევაშიც.

საპროცესო-სამართლებრივი ურთიერთობების დამოუკიდებლობა, ბუნებრივია, არაფერს ცვლის იმასთან დაკავშირებით, რომ საპროცესო თანამონაწილის მიერ გამოყენებული უფლების განმახორციელებელი თუ შემწყვეტი საშუალებები, როგორც წესი, გამოიყენება სხვა საპროცესო თანამონაწილებთან მიმართებითაც (რადგან მათაც ეხება) და პროცესულად მოქმედებს ყველა მათგანისთვის, თუკი ისინი საპირისპიროს არ განაცხადებენ (BGH, Beschluss vom 24.03.2015 - VI ZR 179/13 - NJW 2015, 2125). ეს გამომდინარეობს იქიდან, რომ პროცესის ნებისმიერ მხარეს შეუძლია, შეუერთდეს სხვა საპროცესო თანამონაწილის მიერ გაკეთებულ მისთვის ხელსაყრელ ახსნა-განმარტებას (იხ. მე-3 მუხლის პირველი ნაწილის კომენტარი, ა.ნ. 4) და ეს წესი მოქმედებს არა მხოლოდ საპროცესო მონააღმდეგესთან ურთიერთობის ფარგლებში, არამედ ერთ მხარეს მდგომ საპროცესო თანამონაწილებს შორისაც.

ბ) **სავალდებულო საპროცესო თანამონაწილეობისას** საპროცესო-სამართლებრივი ურთიერთობები, მართალია, სამართლებრივად კვლავინდებურად დამოუკიდებელია (BGH, Urteil vom 12.01.1996 - V ZR 246/94 - BGHZ 131, 376), თუმცა მატერიალურ-სამართლებრივი უფლების გარემო გაერთიანების გამო, შინაარსობრივად ბევრად უფრო მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან, ვიდრე ჩვეულებრივი საპროცესო თანამონაწილეობისას.

აა) § 62 GER-ZPO-ის მიხედვით, პროცესზე გამოცხადებული თანამონაწილეები არიან **გამოუცხადებელი საპროცესო თანამონაწილეები**, რამდენადაც სხდომაზე გამოუცხადებლობა ან საპროცესო ვადის გაშვება ხდება ცალკეული საპროცესო თანამონაწილეების მხრიდან.

ამ წარმომადგენლობითი ფიქციით, უპირველეს ყოვლისა, თავიდან არის აცილებული ის, რომ სასამართლომ ცალკეული გამოუცხადებელი საპროცესო თანამონაწილის წინააღმდეგ მიიღოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება, § 330 f. GER-ZPO-ის მიხედვით (გამოუცხადებლობის კუთხით, მსგავსია სსკ-ის 229-ე და მომდევნო მუხლები) ან დაუსწრებელი გადაწყვეტილება ე.წ. ზეპირი მოსმენის გარეშე მოსამზადებელ სხდომაზე (იხ. 105-ე მუხლის კომენტარი, ა.ნ. 113). ეს კანონისმიერი წარმომადგენლობითი უფლებამოსილება გამოუცხადებელი საპროცესო თანამონაწილისთვის მოიცავს სხვა საპროცესო მოქმედებებსაც (BGH, Urteil vom 23.10.2015 - V ZR 76/14 - NJW 2016, 716), თუმცა, ბუნებრივია, მხოლოდ მათი საპროცესო სამართლებრივი მოქმედების ძალის ფარგლებში. აქედან გამომდინარე, გამოცხადებულ სავალდებულო საპროცესო თანა-

მონაწილეს შეუძლია, გამოუცხადებლის ნაცვლად განახორციელოს ნამდვილი პროცესუალური აღიარება, რაც გერმანულ სამართალში პირწმინდად პროცესუალური მოქმედებაა (იხ. მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის კომენტარი, ა.ნ. 79 და მომდევნო აბზაცი) (BGH, Urteil vom 23.10.2015 - V ZR 76/14 - NJW 2016, 716). სამაგიეროდ, წარმომადგენლობითი უფლებამოსილება არ მოიცავს მორიგების დადებას, ვინაიდან ამას გერმანულ სამართალში ორმაგი ბუნება აქვს (იხ. მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის კომენტარი, ა.ნ. 79 და მომდევნო აბზაცი). თუ სავალდებულო საპროცესო თანამონაწილე არ გამოცხადდება საქმის ზეპირ მოსმენაზე, მას შეუძლია, გამოიხმოს ის საპროცესო მოქმედება, რომელიც მოქმედების ძალის მქონედ განახორციელა პროცესზე გამოცხადებულმა საპროცესო თანამონაწილემ. თუმცა, ეს ძალაშია მანამდე, სანამ სასამართლო არ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე (BGH, Urteil vom 23.10.2015 - V ZR 76/14 - NJW 2016, 716). მსგავსი სპეციალური კონსტელაციისთვის არ მოქმედებს საპროცესო მოქმედებების შეუქცევადობის პრინციპი (იხ. მე-3 მუხლი სმე-2 ნაწილის კომენტარი, ა.ნ. 42 და მომდევნო აბზაცი), ვინაიდან გამოხმობით (რაც შესაძლებელია მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილების მიღებამდე) არ წარმოიშობა გაურკვეველი საპროცესო მდგომარეობა და სხვა საპროცესო თანამონაწილეების განსაკუთრებული დაცვის საჭიროება.

ბ) სავალდებულო საპროცესო თანამონაწილეობის მოქმედების ძალა არ ვრცელდება კანონის მიერ პირდაპირ მონესრიგებულ ამ წარმომადგენლობით ფიქციაზე. მათი არსებობა ასევე მნიშვნელოვანია, როდესაც საქმე ეხება საკითხს, თუ ვის შეუძლია საჩივრის სამართლებრივად ნამდვილად შეტანა და გამოხმობა, როგორ მოქმედებს გადადების საფუძვლები და როდის შედის სასამართლო გადაწყვეტილება ფორმალურ კანონიერ ძალაში.

გერმანულ სასამართლო პრაქტიკაში ამასთან დაკავშირებით შემუშავდა შემდეგი პრინციპები:

(1) **სარჩელის დასაშვებობა** სანყის ეტაპზე ცალკე უნდა შემოწმდეს ყველა სავალდებულო საპროცესო თანამონაწილის შემთხვევაში. თუ აღმოჩნდება, რომ დაუშვებელია ერთ-ერთი საპროცესო თანამონაწილის სარჩელი, ეს იწვევს ყველა სხვა საპროცესო თანამონაწილის მიერ შეტანილი სარჩელის დაუშვებლობასაც, ვინაიდან მათ აქვთ მხოლოდ პროცესის ერთობლივად წარმართვის უფლებამოსილება (საერთო უფლების გამო). თუმცა, მოსამართლემ უნდა მიუთითოს საპროცესო თანამონაწილებს სარჩელის დაუშვებლობაზე, რათა ამით მისცეს შესაძლებლობა,

რომ მაქსიმალურად აღმოფხვრან დასაშვებობასთან დაკავშირებული ხარვეზი.

განცალკევებულად უნდა შეფასდეს საწყის ეტაპზე ნებისმიერი სავალდებულო საპროცესო თანამონაწილის სხვა საპროცესო მოქმედებების ნამდვილობაც. ანალოგიური მოქმედებს მათ ფაქტობრივ მითითებებთან დაკავშირებითაც, რომლებიც შეეხება მონინაალმდევე მხარის მიერ ფაქტობრივი გარემოებების შედავებას ან აღიარებას (BGH, Urteil vom 29.01.2001 - II ZR 331/00 - BGHZ 146, 341; BGH, Urteil vom 12.01.1996 - V ZR 246/94 - BGHZ 131, 376). საპროცესო-სამართლებრივი კუთხით, ეს განსაკუთრებული პრობლემა არ არის, რამდენადაც ერთმანეთისგან განსხვავებული ფაქტობრივი გარემოებების წარმოდგენისას გაირკვევა, რომ (ვითომ) სავალდებულო საპროცესო თანამონაწილეს სინამდვილეში არ აქვს საერთო უფლება და, აქედან გამომდინარე, არ უნდა დაკმაყოფილდეს მის მიერ/წინააღმდეგ აღძრული სარჩელი. თუმცაღა სახეზეა უფრო კომპლექსური საპროცესო სიტუაციები, როდესაც ერთმანეთისგან განსხვავებული ფაქტობრივი გარემოებები ეხება არა საერთო უფლებას, არამედ მატერიალურ უფლებამოსილებას ან ვალდებულებას საერთო მფლობელობაში არსებულ სადავო მოთხოვნასთან დაკავშირებით:

ერთ-ერთი საპროცესო თანამონაწილის მიერ არახელსაყრელი ფაქტების წარმოდგენას პროცესულურად მხოლოდ მის მიმართ აქვს მოქმედების ძალა და ხელს არ უშლის სხვა დანარჩენ საპროცესო თანამონაწილებს, რომ, თავის მხრივ, უფრო სრულყოფილად და წარმატებულად წარმოადგინონ ფაქტობრივი გარემოებები (BGH, Urteil vom 12.01.1996 - V ZR 246/94 - BGHZ 131, 376). სასამართლო პრაქტიკა გერმანიაში შინაარსობრივად ერთგვაროვანი გადანყვეტილებების მიღების გამო იხრება იმისკენ, რომ მტკიცებულებათა შეფასების ფარგლებში (§ 286 GER-ZPO; Art. 105 GEO-ZPO), გაითვალისწინოს ცალკეული სავალდებულო საპროცესო თანამონაწილის მიერ მოყვანილი ურთიერთსაწინააღმდეგო ფაქტობრივი გარემოებები (BGH, Urteil vom 29.01.2001 - II ZR 331/00 - BGHZ 146, 341). თუმცა ამ მხრივ ჯერ კიდევ არ არის გადანყვეტილი ყველა პრობლემური სიტუაცია. ცალკეული საპროცესო თანამონაწილის მიერ წარმოდგენილი ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც ხელსაყრელია სხვა სავალდებულო საპროცესო თანამონაწილისთვის, ჩვეულებრივი საპროცესო თანამონაწილეობის შემთხვევაში, ზემოთ წარმოდგენილი საფუძვლებიდან გამომდინარე (იხ. ზემოთ ა.ნ. 38) ეჭვისას, მოქმედებს ყველა საპროცესო თანამონაწილისთვის.

გამონაკლისის სახით, ზედმეტია საერთო სარჩელი ყველა მოპასუხე სავალდებულო საპროცესო თანამონაწილის წინააღმდეგ, თუ ერთ-ერთმა საპროცესო თანამონაწილემ სარჩელის აღძვრამდე განაცხადა, რომ, თავის მხრივ, გამოთქვამს შესრულების მზადყოფნას (BGH, Urteil vom 06.07.2018 - V ZR 39/17 - juris; BGH, Urteil vom 04.04.2014 - V ZR 110/13 - NJW-RR 2014, 903; BGH, Urteil vom 25.10.2010 - II ZR 115/09 - NJW-RR 2011, 115; BGH, Urteil vom 17.12.2001 - II ZR 31/00 - NJW-RR 2002, 538) და ამას სავალდებულო ძალა აქვს (BGH, Urteil vom 17.12.2001 - II ZR 31/00 - NJW-RR 2002, 538). დასახელებული წინაპირობების გათვალისწინებით, დაუშვებელია ამის მიუხედავად აღძრული სარჩელი შესრულებისთვის მზადყოფი სავალდებულო საპროცესო თანამონაწილის წინააღმდეგ, ვინაიდან არ არის სახეზე სამართლებრივი დაცვის საჭიროება (BGH, Urteil vom 06.07.2018 - V ZR 39/17 – juris).

(2) ნამდვილია სარჩელის გამოსმობა ცალკეული სავალდებულო საპროცესო თანამონაწილის მიერ/წინააღმდეგ, რამდენადაც საპროცესო თანამონაწილეობა ეფუძნება საპროცესო საფუძვლებს. საპროცესო თანამონაწილეობას საფუძვლად უდევს მატერიალურ-სამართლებრივი საფუძვლები, შესაბამისად, ამ შემთხვევაში გამოიყენება პრინციპები, რომლებიც წარმოდგენილია ქვემოთ (ა.ნ. 51 და მომდევნო აბზაცები) სააპელაციო საჩივრის გამოსმობისას (BGH, Urteil vom 27.03.2009 - V ZR 196/08 - NJW 2009, 2132). რამდენადაც გამონაკლისის სახით არ გამოიყენება § 62 Abs. 1 GER-ZPO-ის წარმომადგენლობის ფიქცია (იხ. ზემოთ ა.ნ. 40 და მომდევნო აბზაცი), ცალკეულ სავალდებულო საპროცესო თანამონაწილეს არ შეუძლია სამართლებრივად ნამდვილად განაცხადოს მოთხოვნის აღიარების ან დავის დამთავრების შესახებ; აგრეთვე ნაკლებად შეუძლია სარჩელის შეცვლა.

სავალდებულო საპროცესო თანამონაწილეობისას სასამართლოს არ აქვს უფლება, ცალკეული საპროცესო თანამონაწილის წინააღმდეგ გამოსცეს ნაწილობრივი გადაწყვეტილება, § 301 GER-ZPO-ის მიხედვით (მსგავსია სსკ-ის 245-ე მუხლი) (BGH, Urteil vom 12.01.1996 - V ZR 246/94 - BGHZ 131, 376; BGH, Urteil vom 15.10.1999 - V ZR 141/98 - NJW 2000, 292; BGH, Urteil vom 27.03.2009 - V ZR 196/08 -NJW 1999, 1638). სავალდებულო საპროცესო თანამონაწილეობისას, საქმისწარმოება, საერთო ჯამში, ჩერდება საპროცესო თანამონაწილის სიკვდილით, ან უნდა გადაიდოს (იხ. 84-ე და მომდევნო მუხლის კომენტარი, ა.ნ. 3 და მომდევნო აბზაცები), ვინაიდან საქმეზე სასამართლომ შეიძლება მხოლოდ ერთიანად მიიღოს გადაწყვეტილება, რაც შესაძლებელია მხოლოდ მთლიანად

საქმის შეჩერებით ან გადადებით (BGH, Beschluss vom 21.05.2014 - IV ZR 213/13 - juris).

(3) გადანყვეტილება ან დაუსწრებელი გადანყვეტილება (რომლის მიღებაც შესაძლებელია ყველა სავალდებულო საპროცესო თანამონაწილის გამოუცხადებლობის შემთხვევაში) **ფორმალურ კანონიერ ძალაში** შედის ყველასთვის ერთიანად - იმ მომენტისთვის, როდესაც ის აღარ ექვემდებარება გასაჩივრებას არცერთი საპროცესო თანამონაწილის მხრიდან (BGH, Urteil vom 12.01.1996 - V ZR 246/94 - BGHZ 131, 376; BGH, Urteil vom 06.07.2018 - V ZR 39/17 - juris). თუმცა, ეს არაფერს ცვლის იმასთან დაკავშირებით, რომ ნებისმიერი საპროცესო თანამონაწილის საჩივარი ცალკე უნდა შეფასდეს დასაშვებობის წინაპირობების კუთხით, ვინაიდან, როგორც აღინიშნა (იხ. ზემოთ ა.ნ. 44 და მომდევნო აბზაცები), ყოველი პროცესუალური ურთიერთობა დამოუკიდებელია სამართლებრივად. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ გადანყვეტილება უნდა ჩაბარდეს თითოეულ საპროცესო თანამონაწილეს. განსაკუთრებით, მათ უნდა იცოდნენ, რომ გასაჩივრების ვადების დენა ცალ-ცალკე მიმდინარეობს (ჩაბარების მომენტიდან) ყოველი საპროცესო თანამონაწილის შემთხვევაში (BGH, Urteil vom 06.07.2018 - V ZR 39/17 – juris; vgl. auch BGH, Urteil vom 12.01.1996 - V ZR 246/94 - BGHZ 131, 376).

(4) თუ სავალდებულო საპროცესო თანამონაწილე გამოიხმობს საკუთარ **საჩივარს**, შემდგომი საქმისწარმოებისას ის აღარ არის მომჩივანი, თუმცა რჩება საჩივრის განხილვის მხარედ და უნდა მონაწილეობდეს მასში (BGH, Urteil vom 24.01.2012 - X ZR 94/10 - BGHZ 192, 245; BGH, Urteil vom 27.10.2015 - ZR 11/13 - GRUR 2016, 361; BGH, Beschluss vom 11.10.2010 - II ZR 93/08 - juris). ეს გულისხმობს, რომ სასამართლომ აღნიშნულ პირს უნდა დაუძახოს სხდომებზე და მას შეუძლია, განახორციელოს ყველა საპროცესო მოქმედება. წინა ინსტანციის სასამართლოს გადანყვეტილების შეცვლის ძალა, რომელიც შეიცვალა სხვა სავალდებულო საპროცესო თანამონაწილის საჩივრის საფუძველზე, ვრცელდება საჩივრის გამომხმობი სავალდებულო საპროცესო თანამონაწილის საპროცესო-სამართლებრივ ურთიერთობებზეც. მაშასადამე, სარგებლის მომტანია მისთვის, საქმეზე ერთგვაროვანი გადანყვეტილების მიღების სავალდებულობის გამო (BGH, Urteil vom 27.03.2009 - V ZR 196/08 - NJW 2009, 2132, სარჩელის გამომხმობასთან დაკავშირებით).

თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ერთგვაროვანი უნდა იყოს გადანყვეტილების სარეზოლუციო ნაწილიც. თუ ერთ-ერთ სავალდებულო საპროცესო თანამონაწილეს დასაშვებად არ შეუტანია საჩივარი, ის საჩივრის განმხილველმა სასამართლომ არ უნდა დააკმაყოფილოს, მიუხედავად იმისა,

რომ სხვა საპროცესო თანამონაწილის საჩივრის საფუძველზე მიღებული პირველი ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილების შემცვლელი გადაწყვეტილება მოქმედებს ყველა სავალდებულო საპროცესო თანამონაწილის სასარგებლოდ (BGH, Urteil vom 27.03.2009 - V ZR 196/08 - NJW 2009, 2132). იმ სავალდებულო საპროცესო თანამონაწილეს, რომელიც, თავის მხრივ, არ გაასაჩივრებს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას, ან გამოიხმობს შეტანილ საჩივარს, შეუძლია, კვლავინდებურად (მსგავსად, სარჩელის გამოხმობისა პირველ ინსტანციაში) შეუერთდეს სხვა საპროცესო თანამონაწილის საჩივარს, როგორც ე.წ. საპროცესო თანამონაწილე დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე, § 69 GER-ZPO-ის მიხედვით (BGH, Urteil vom 27.03.2009 - V ZR 196/08 - NJW 2009, 2132) და ამით მიაღწიოს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის პროცესში მესამე პირად ჩართვის სამართლებრივ სტატუსს (§ 64 GER-ZPO; სსკ-ის 88-ე მუხლი). თუმცა მისი, როგორც მხარის სტატუსი მუდმივად დამოკიდებული რჩება სხვა სავალდებულო საპროცესო თანამონაწილის საჩივარზე და მთავრდება იმ მომენტისთვის, როდესაც სასამართლო გადაწყვეტილებას მიიღებს სხვა საპროცესო თანამონაწილის საჩივარზე (BGH, Beschluss vom 28.09.1998 - II ZB 16/98 - NJW-RR 1999, 285), ანდა ეს უკანასკნელი გაიხმობს საკუთარ საჩივარს.

მსგავსი სამართლებრივი დავისას, საჩივრის განმხილველი ინსტანციის გადაწყვეტილების შესავალში მომჩივანი სავალდებულო საპროცესო თანამონაწილე, უმეტესწილად, მოხსენებულისა „მოპასუხედ და აპელანტად“, ხოლო ის სავალდებულო საპროცესო თანამონაწილე, რომელიც საქმის განხილვაში მონაწილეობს არა როგორც საჩივრის ავტორი - „მოპასუხედ“. თუმცა შესაძლებელია გადაწყვეტილების შესავალი ნაწილის სხვაგვარად სტრუქტურირებაც, რამდენადაც ამოცნობადი იქნება საპროცესო თანამონაწილეების ფაქტობრივი სტატუსი.

ერთ-ერთი საპროცესო თანამონაწილისთვის ხელსაყრელი სასამართლო გადაწყვეტილების **წინააღმდეგ** შეტანილი საჩივრისას, ამ გადაწყვეტილების მოწინააღმდეგემ საჩივარი უნდა მიმართოს ყველა სავალდებულო საპროცესო თანამონაწილის წინააღმდეგ (BGH, Urteil vom 11.11.2011 - V ZR 45/11 - NJW 2012, 1224). თუ საჩივრის შემტანი გამოტოვებს ერთ-ერთ მათგანს, ანდა საჩივარი დაუშვებელია ვადის გაშვების საფუძველით, გადაწყვეტილების ერთგვაროვნების სავალდებულოობის გამო, ეს გამოიწვევს მთლიანად საჩივრის დაუშვებლობას (BGH, Urteil vom 11.11.2011 - V ZR 45/11 - NJW 2012, 1224). აქედან გამომდინარე, ამ

შემთხვევაში მოქმედებს იგივე, რაც სარჩელის აღძვრისას სავალდებულო საპროცესო თანამონაწილის წინააღმდეგ (იხ. ზემოთ ა.ნ. 44).

(5) დამატებითი პრობლემური სიტუაციები წარმოიშობა, როდესაც სარჩელი, რომელიც იწვევს სავალდებულო საპროცესო თანამონაწილებას, ექვემდებარება სარჩელის შეტანისთვის კანონით დაწესებულ ვადებს, როგორც, მაგალითად, კორპორაციულ-სამართლებრივი სარჩელები საერთო კრების გადაწყვეტილების წინააღმდეგ (§ 246 Abs. 1 GER-AktG), ან სარჩელები ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის კრების გადაწყვეტილების წინააღმდეგ (§ 48 Abs. 3 GER-WEG). თუმცა, ვინაიდან მსგავსი პრობლემა ამ დროისათვის არ დგას საქართველოში, შემოვიფარგლები მხოლოდ უმაღლესი ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილებაზე მითითებით BGH NJW 2009, 2132 (Urteil vom 27.04.2009 - V ZR 196/08).

გგ) თუ სასამართლო გადაწყვეტილება არღვევს ზემოხსენებულ ან ე.წ. დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე საპროცესო თანამონაწილეობის პრინციპებს, ეს წარმოშობს დამატებით კომპლექსურ კითხვებს (იხ. 89-ე და მომდევნო მუხლების კომენტარი, ა.ნ. 21).

5. საპროცესო თანამონაწილეების ჩართულობამ პროცესში შესაძლოა დღის წესრიგში დააყენოს სასამართლოსთვის ძალზე კომპლექსური **გადაწყვეტილებების მიღება საპროცესო ხარჯებთან** დაკავშირებით. § 100 GER-ZPO-ში წარმოდგენილი ძირითადი წესი გულისხმობს, რომ საპროცესო თანამონაწილეები პასუხს აგებენ თანაბრად. თუ მათი მონაწილეობა სამართლებრივ დავაში არსებითად განსხვავდება ერთმანეთისგან, საჭიროა ხარჯების შესაბამისი კვოტირება. ძირითადი მოთხოვნის სოლიდარულმა მოვალეებმა სოლიდარულად უნდა დაფარონ ხარჯები (§ 100 Abs. 4 GER-ZPO). ეს მეტ-ნაკლებად არ არის პრობლემატური, რამდენადაც ცალკეული საპროცესო თანამონაწილეები განსხვავებულად გამარჯვებულები და დამარცხებულები არ გამოვლენ ამ დავიდან. რამდენადაც განსხვავებულია არსებითი გადაწყვეტილება საქმეზე საპროცესო თანამონაწილეებისთვის, ამან შეიძლება გამოიწვიოს ძალზე კომპლექსური გადაწყვეტილებების მიღება საპროცესო ხარჯების განაწილებასა და დაკისრებაზე (იხ. 83¹-ე მუხლის კომენტარი, ა.ნ. 8).

მუხლი 88. მესამე პირები დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით

1. თითოეულ დაინტერესებულ პირს, რომელიც აცხადებს დამოუკიდებელ მოთხოვნას დავის საგანზე ან მის ნაწილზე, შეუძლია აღძრას სარჩელი ორივე ან ერთ-ერთი მხარის მიმართ მხარეთა პაექრობის დაწყებამდე (მესამე პირები დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით). მესამე პირის სარჩელის მიღება და განხილვა წარმოებს საერთო წესების დაცვით. მესამე პირისა და თავდაპირველი მოსარჩელის სარჩელის გადანყვეტა ხდება ერთდროულად.

2. მესამე პირები დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით სარგებლობენ მოსარჩელის ყველა უფლებით და მათ ეკისრებათ მისი ყველა მოვალეობა.

უღრის ჰაბენლონი

88-ე მუხლი

სსკ-იდან მოყვანილი ნორმები:

- 88-ე მუხლი

მესამე პირები დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით

საქართველოსა და გერმანიაში მოქმედი სამართლებრივი რეგულაციები საქმისწარმოებაში დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით, დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე და ერთ-ერთი მხარის ინიციატივით მესამე პირის ჩაბმაზე, მსგავსია.

დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით ჩართვასთან დაკავშირებით, წინასწარ უნდა აღინიშნოს, რომ მართალია, ეს საინტერესოა სამართლის დოგმატიკის მიხედვით, თუმცა შედარებით ნაკლები პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით მესამე პირად ჩართვა არის ერთგვარი „ჩარევის სარჩელი“. მისი წინაპირობაა მთავარი პროცესის არსებობა, რასაც დამატებითი - სამართლებრივად განცალკევებული - პროცესის სახით ემატება კიდევ ერთი სამართლებრივი დავა. ორივე პროცესი შეიძლება გაერთიანდეს ერთ წარმოებად, § 147 GER-ZPO-ის მიხედვით (მსგავსია სსკ-ის 182-ე მუხლის მე-4 ნაწილი) (BGH, Beschluss vom 16. 07. 2015 - IX ZR 136/14 - juris). ქართული კანონ-

ნმდებლობა არ იცნობს გერმანიაში § 65 GER-ZPO-ის მიერ მინიჭებულ შესაძლებლობას, რაც მოიცავს მთავარი პროცესის შეჩერებასთან დაკავშირებით დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით მესამე პირად ჩართვას გადაწყვეტილების მიღებამდე (სსკ-ის 88-ე მუხლის პირველი ნაწილის მე-3 წინადადება).

დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით მესამე პირად ჩართვის წინაპირობაა, რომ მესამე პირი, რომელიც ერთვება პროცესში, პრეტენზიას გამოთქვამდეს იმ უფლებაზე, რომელსაც ახორციელებს მხარე. მაშასადამე, სახეზე უნდა იყოს სასარჩელო მოთხოვნის შინაარსობრივი იდენტურობა (BAG, Urteil vom 28.09.1983 - 4 AZR 200/83 - BAGE 43, 316). ამ შემთხვევაში, გერმანიაში არ მოითხოვება უფლების განხორციელების იდენტურობა - მაშასადამე, ის, რომ უფლებას პროცესში ჩართული მესამე პირი ახორციელებდეს აღიარებითი ან მავალდებულებელი სარჩელით. დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით მესამე პირად ჩართვის მაგალითებია, როდესაც: მოსარჩელე, მთავარი პროცესის ფარგლებში, თავის საკუთრებაზე დაყრდნობით, მოპასუხისგან ითხოვს ნივთის დაბრუნებას, რომლის მესაკუთრეობაც სურს პროცესში დამოუკიდებელი მოთხოვნით ჩართულ მესამე პირს; ან მოსარჩელე ახორციელებს მოთხოვნას, რომლის ფლობის პრეტენზიაც აქვს პროცესში დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით ჩართულ მესამე პირს. გარდა ამისა, შესაძლებელია დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით პროცესში მესამე პირად ჩაერთოს სამართალმემკვიდრეც, § 265 Abs. 2 Satz 2 GER-ZPO-ის ფარგლებში (იხ. 79-ე და მომდევნო მუხლის კომენტარი, ა.ნ. 20 და მომდევნო აბზაცები). საქმეთა განსაზღვრული კონსტელაციებისას (რომლებსაც მსგავსი ეფექტი აქვს, რაც პროცესში დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით მესამე პირად ჩართვას), შეიძლება მივიღოთ სავალდებულო საპროცესო თანამონაწილის ჩართვა პროცესში, დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე (იხ. 86-ე და მომდევნო მუხლის კომენტარი, ა.ნ. 52). პროცესში დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით მესამე პირად ჩართვა არ წარმოშობს სავალდებულო საპროცესო თანამონაწილეობას (BGH, Urteil vom 06.07.2018 - V ZR 39/17 - juris).

მუხლი 89. მესამე პირები დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე

ყოველ დაინტერესებულ პირს, რომელიც არ აცხადებს დამოუკიდებელ მოთხოვნას დავის საგანზე ან მის ნაწილზე, შეუძლია მიმართოს სასამართლოს განცხადებით, რათა დაუშვას იგი საქმეში მესამე პირად მოსარჩელის ან მოპასუხის მხარეზე, რადგან სასამართლო გადაწყვეტილებას ამ საქმეზე შეუძლია შემდგომში გავლენა მოახდინოს მის უფლებებსა და მოვალეობებზე ერთ-ერთი მხარის მიმართ. მესამე პირად დაშვების საკითხს მხარეთა მოსაზრებების გათვალისწინებით წყვეტს სასამართლო.

მუხლი 90. მესამე პირის ჩაბმა საქმეში ერთ-ერთი მხარის ინიციატივით

1. მესამე პირი დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე შეიძლება ჩაბმულ იქნეს საქმეში ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, რისთვისაც იგი მიმართავს სასამართლოს მოტივირებული განცხადებით. ასეთი განცხადება სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანამდე შეიძლება გაკეთდეს როგორც წერილობითი, ისე ზეპირი ფორმით. ზეპირი განცხადება შეიტანება სასამართლო სხდომის ოქმში. მხარეთა მოსაზრებების გათვალისწინებით სასამართლო გამოიტანს განჩინებას მესამე პირის საქმეში მონაწილეობისათვის ჩაბმის ან ასეთ ჩაბმაზე უარის თქმის შესახებ.

2. მესამე პირის საქმეში ჩაბმაზე უარის თქმის შესახებ სასამართლოს განჩინება გასაჩივრდება გადაწყვეტილებასთან ერთად.

მუხლი 91. მესამე პირების საპროცესო უფლებები

მესამე პირები, რომლებიც არ აცხადებენ დამოუკიდებელ მოთხოვნებს დავის საგანზე, სარგებლობენ მხარეთა საპროცესო უფლებებით და მათ ეკისრებათ მხარეთა საპროცესო მოვალეობები, გარდა უფლებისა, გაადიდონ ან შეამცირონ სასარჩელო მოთხოვნის ოდენობა, შეცვალონ სარჩელის საფუძველი ან საგანი, ცნონ სარჩელი, უარი თქვან სარჩელზე ან მორიგდნენ, აღძრან შეგებებული სარჩელი, მოითხოვონ სასამართლო გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულება.

მუხლი 92. საპროცესო უფლებამონაცვლეობა

1. სადავო ან სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი სამართლებრივი ურთიერთობიდან ერთ-ერთი მხარის გასვლის შემთხვევაში (მოქალაქის გარდაცვალება, იურიდიული პირის რეორგანიზაცია, მოთხოვნის დათმობა, ვალის გადაცემა და სხვა) სასამართლო დაუშვებს ამ მხარის შეცვლას მისი უფლებამონაცვლით. უფლებამონაცვლეობა შესაძლებელია პროცესის ყოველ სტადიაზე.

2. უფლებამონაცვლისათვის პროცესში მის დაშვებამდე შესასრულებელი ყველა მოქმედება სავალდებულოა იმ ოდენობით, რაც სავალდებულო იქნებოდა იმ პირისათვის, რომელიც მან შეცვალა.

3. უფლებამონაცვლეობის შემთხვევაში სასამართლო შეაჩერებს საქმის წარმოებას 279-ე მუხლის შესაბამისად.

4. უფლებამონაცვლით შეცვლის ან ასეთ შეცვლაზე უარის თქმის შესახებ სასამართლოს განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა.

უღრის ჰაბენლონი

89-ე და მომდევნო მუხლები

სსკ-დან მოყვანილი ნორმები:

- 89-ე მუხლი
- 90-ე მუხლი
- 91-ე მუხლი
- 92-ე მუხლი
- 109-ე მუხლი, ა.ნ. 3

პროცესში მესამე პირად ჩაბმა დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე, პროცესში მესამე პირის ჩაბმის მოთხოვნა ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, პროცესში მესამე პირად ჩაბმის მბოჭავი ძალა

1. დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე პროცესში მესამე პირად ჩაბმის სამართალი გერმანიაში ძირითადად საქართველოს მსგა-

ვსადაა სტრუქტურირებული. გაცილებით დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს გერმანიაში ე. წ. საქმეში მესამე პირის ჩაბმას ერთ-ერთი მხარის ინიციატივით (რაც, გარკვეულწილად, შეიძლება შევადაროთ სსკ-ის 90-ე მუხლს). მესამე პირად ჩაბმის მოქმედების ძალა, რომელიც აქვს აგრეთვე საქმეში ერთ-ერთი მხარის ინიციატივით მესამე პირად ჩაბმას გერმანიაში, განსხვავებით ქართული საპროცესო სამართლისგან, ძირითადი პრინციპების დონეზე მაინც, მოწესრიგებულია გერმანულ საპროცესო სამართალში. გარდა ამისა, გერმანიაში არსებობს კიდევ რამდენიმე საკანონმდებლო რეგულაცია სპეციალურ კონსტელაციებთან დაკავშირებით, რომლებსაც ნაკლები პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს და არ იცნობს ქართული საპროცესო სამართალი. აქედან გამომდინარე, ზედმეტად მიმაჩნია უფრო დაწვრილებით მსჯელობა ამ სპეციალურ წესებზე (§§ 75 ff. GER ZPO).

ხსენებულ თემებთან დაკავშირებით, წარმოგიდგენთ გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის არსებით დებულებებს:

§ 66 GER-ZPO - პროცესში მესამე პირად ჩაბმა დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე

(1) თუ ვინმეს აქვს სამართლებრივი ინტერესი, რომ სხვა პირებს შორის წარმოებაში მიღებულ დავაში გაიმარჯვოს კონკრეტულმა მხარემ, შეუძლია, ამ მხარის დასახმარებლად ჩაერთოს პროცესში მესამე პირად.

(2) პროცესში მესამე პირად ჩაბმა დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე შესაძლებელია საქმისწარმოების ნებისმიერ ეტაპზე, ვიდრე სასამართლოს არ მიუღია კანონიერი ძალის მქონე გადაწყვეტილება, აგრეთვე საჩივართან დაკავშირებით.

§ 67 GER-ZPO - დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე პროცესში ჩაბმული მესამე პირის სამართლებრივი სტატუსი

დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე პროცესში ჩაბმული მესამე პირი სამართლებრივ დავას უერთდება იმ სტატუსით, რომელიც აქვს დავაში ჩაბმის მომენტისათვის; ის უფლებამოსილია, სამართლებრივად ნამდვილად განახორციელოს მოთხოვნის უფლების წარმომშობი და შემწყვეტი შესაგებლები და ყველა სხვა საპროცესო მოქმედება, რამდენადაც მისი ახსნა-განმარტებები და მოქმედებები არ ეწინააღმდეგება პროცესის მთავარი მხარის ახსნა-განმარტებებსა და მოქმედებებს.

§ 68 GER-ZPO - დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე პროცესში მესამე პირად ჩაბმის მოქმედება

სასამართლო არ მოუსმენს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე პროცესში ჩართულ მესამე პირს პროცესის მთავარ მხარესთან მიმართებით, როდესაც ის უთითებს, რომ სამართლებრივი დავა, იმ ფორმით, რომლითაც მოსამართლეს წარედგინა, არასწორად გადაწყდა; მას, როდესაც უთითებს, რომ პროცესის მთავარმა მხარემ ნაკლოვანად წარმართა პროცესი, სასამართლო მოუსმენს იმდენად, რამდენადაც სამართლებრივი დავის სიტუაციიდან გამომდინარე, პროცესში ჩაბმის მომენტისთვის, ან პროცესის მთავარი მხარის ახსნა-განმარტებებითა და მოქმედებებით, ხელი შეეშალა უფლების წარმომშობი თუ შემწყვეტი შესაგებლების განხორციელებაში, ანდა პროცესის მთავარ მხარეს განზრახ ან უხეში ბრალეულობით არ განუხორციელებია უფლების წარმომშობი და შემწყვეტი შესაგებლები, რომლებიც პროცესში ჩართული მესამე პირისთვის არ იყო ცნობილი.

§ 71 GER-ZPO - შუალედური დავა პროცესში დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე ჩაბმაზე

(1) პროცესში დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე ჩაბმის არდაკმაყოფილების მოთხოვნაზე სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს მხარეებსა და მესამე პირს შორის წარმოებული ზეპირი მოსმენის შედეგად. მესამე პირი უნდა ჩაებას საქმისწარმოებაში, თუ დამაჯერებლად წარმოადგენს საკუთარი ინტერესის არსებობას საქმესთან დაკავშირებით.

(2) შუალედური გადაწყვეტილების წინააღმდეგ დაიშვება დაუყოვნებელი საჩივარი.

(3) სანამ სასამართლო პროცესში მესამე პირად ჩაბმის მოთხოვნას სამართლებრივი ძალის მქონედ დაუშვებლად არ ცნობს, მესამე პირი ერთვება სასამართლოს მთავარ სხდომაში.

§ 72 GER-ZPO - ერთ-ერთი მხარის ინიციატივით პროცესში მესამე პირის ჩაბმის დასაშვებობა

(1) მხარეს, რომელიც ფიქრობს, რომ თუ სამართლებრივი დავა მის საწინააღმდეგოდ დამთავრდება, მას აქვს მესამე პირის წინააღმდეგ ნაკლის აღმოფხვრის ან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, ან თუ შიშობს, რომ მესამე პირმა შესაძლოა მის წინააღმდეგ განახორციელოს მოთხოვნის უფლება, შეუძლია, მესამე პირის პროცესში ჩართვა სამართლებრივ დავასთან დაკავშირებით კანონიერი ძალის მქონე გადაწყვეტილების მიღებამდე.

(2) ...

(3) ...

§ 74 GER-ZPO - პროცესში მესამე პირად ჩაბმის მოქმედების ძალა

(1) როდესაც მხარე ებმება პროცესში იმ მხარის ინიციატივით, რომელიც მის წინააღმდეგ ახორციელებს მოთხოვნის უფლებას, მისი ურთიერთობა მხარეებთან განისაზღვრება პროცესში დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირად ჩაბმის პრინციპების შესაბამისად.

(2) თუ მესამე პირი უარს განაცხადებს პროცესში ჩართვაზე, ან არ გააკეთებს განცხადებას ამასთან დაკავშირებით, სამართლებრივი დავა გაგრძელდება ამ პირის გაუთვალისწინებლად.

(3) ამ მუხლით გათვალისწინებულ ნებისმიერ შემთხვევაში, მესამე პირის წინააღმდეგ გამოიყენება § 68-ის დებულებები, იმ განსხვავებით, რომ პროცესში მესამე პირად ჩაბმის ნაცვლად, გადამწყვეტია ის მომენტი, რომლის დროსაც შესაძლებელი იყო პროცესში მხარის ინიციატივით ჩაბმა.

2. კანონის ტექსტის მიხედვით, პროცესში დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირად ჩაბმის (რაც გერმანულ სამართალში ხშირად „ინტერვენციადაც“ იწოდება) წინაპირობაა დავის არსებობა წარმოებაში. უმაღლესი ფედერალური სასამართლოს პრაქტიკის თანახმად (Urteil vom 05.12.1996 - VII ZR 108/95 - BGHZ 194, 68; Urteil vom 18.12.2014 - VII ZR 102/14 - BGHZ 204, 12; BGH, Beschluss vom 18.11.2015 - VII ZB 57/12 - BGHZ 207, 378), პროცესში დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირად ჩაბმისთვის არ რჩება სივრცე მტკიცებულების შეგროვების დამოუკიდებელი წარმოების ფარგლებში, §§ 485 ff. GER-ZPO-ის მიხედვით (შდრ. მტკიცებულებების მოპოვების სამართალწარმოებისთვის ქართულ სამართალში 109-ე და მომდევნო მუხლების კომენტარი), და § 688 ff. GER-ZPO-ის მიხედვით (BGH, Beschluss vom 10.01.2006 - VIII ZB 82/05 - BGHZ 165, 358; თუმცა ეს გერმანული მიდგომა საგრძნობლად განსხვავდება შესატყვისი ქართული სამართალწარმოებისგან) - არც დავალიანების გადახდევინების შესახებ საქმის განხილვის გამარტივებული წარმოების ფარგლებში.

ა) პროცესში დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირად ჩაბმა შესაძლებელია არა მხოლოდ გარეშე მესამე პირის, არამედ აგრე-

თვე საპროცესო თანამონაწილის შემთხვევაში (BGH, Urteil vom 18.10.1976 - II ZR 98/75 - BGHZ 68, 85). ეს გამომდინარეობს იქიდან, რომ, ერთი მხრივ, საპროცესო თანამონაწილეობისას სახეზეა სამართლებრივად დამოუკიდებელი საპროცესო ურთიერთობები (იხ. 86-ე და მომდევნო მუხლის კომენტარი, ა.ნ. 34 და მომდევნო აბზაცები და ა.ნ. 39 და მომდევნო აბზაცები), მეორე მხრივ კი საპროცესო თანამონაწილეებს, განსაზღვრული კონსტელაციებისას, სავსებით შესაძლებელია ჰქონდეთ ინტერესი, რომ დაეხმარონ მეორე საპროცესო თანამონაწილეს, საჭიროების შემთხვევაში, საპროცესო მონინაალმდეგესაც თავის საპროცესო ურთიერთობაში სხვა საპროცესო თანამონაწილესთან (BGH, Urteil vom 13.11.1952 — III ZR 72/52 - BGHZ 8, 72).

ეს, მაგალითად, მოქმედებს რამდენიმე საპროცესო დავის საგნის შემთხვევაში ან შესაძლებელი ერთობლივი შეთანხმებული მოქმედებებისას, როდესაც სოლიდარული თავდები შიშობს, რომ ქონების გარეშე დარჩენილმა მოვალემ შესაძლოა მის საზიანოდ ითანამშრომლოს მთავარი მოთხოვნის განმხორციელებელ (ვითომ) კრედიტორთან. მზღვეველისთვის მოქმედებს განსაკუთრებული წესები, რამდენადაც ის, დაზღვევის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ვალდებულია სამოქალაქო პასუხისმგებლობის პროცესში გაითვალისწინოს დამზღვევის ინტერესები (BGH, Urteil vom 30.09.1992 - IV ZR 314/91 - BGHZ 119, 276; BGH, Urteil vom 07.02.2007 - IV ZR 149/03 - BGHZ 171, 56). მზღვეველი არღვევს დაზღვევის ხელშეკრულებისთვის დამახასიათებელ ამ ვალდებულებას, თუ სამართლებრივ დავაში დამზღვევის მხარეს ჩაერთვება მესამე პირად, დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე (OLG Karlsruhe, Beschluss vom 18.11.2016 - 12 W 17/16 - NJW-RR 2017, 91). ეს მოქმედებს იმ შემთხვევაშიც, როდესაც საპროცესო მონინაალმდეგის მხარდაჭერა ხორციელდება დამზღვევის განზრახ ჩადენილი მოქმედების დასადგენად, რათა ამით მზღვეველი გათავისუფლდეს შესრულების ვალდებულებისგან (OLG München, Urteil vom 05.02.2009 - 1 U 1984/08 - VersR 2009, 822).

მონინაალმდეგის სასარგებლოდ პროცესში დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირად ჩაბმა შესაძლებელია, როდესაც ერთ-ერთი სოლიდარული მოვალეთაგანი, სოლიდარულ მოვალეებს შორის შიდა ურთიერთობის ფარგლებში, სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლებულია ვალდებულებისგან. შესაბამისად, სოლიდარულ მოვალეებს შორის მოთხოვნათა გათანაბრების უფლებიდან გამომდინარე, მას აქვს სამართლებრივი ინტერესი, რომ სასამართლომ მიიღოს გამამტყუნებელი გადაწყვეტილება (რაც ყველა შემთხვევაში ასე უნდა მოხდეს) მეორე სა-

პროცესო თანამონაწილის წინააღმდეგაც (იხ. 86-ე და მომდევნო მუხლის კომენტარი, ა.ნ. 36). პირველ ინსტანციაში დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირად ჩაბმა საპროცესო თანამონაწილის მხარეს შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ მესამე პირი, რომელიც ერთვება პროცესში, აღარ მონაწილეობს სააპელაციო ინსტანციაში, როგორც აპელანტი ან აპელაციის მოპასუხე. ეს მოქმედია მაშინაც, როდესაც მისი სააპელაციო საჩივარი ან მის წინააღმდეგ მიმართული საჩივარი უკან არის გამოხმობილი ან არ დაკმაყოფილდა დაუსაბუთებლობის გამო.

ბ) § 66 GER-ZPO პროცესში დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირად ჩაბმის წინაპირობად განსაზღვრავს მესამე პირის **სამართლებრივი ინტერესის** არსებობას.

სამართლებრივი ინტერესის საჭიროება, მუდმივი სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, მართალია, ფართოდ უნდა განიმარტოს (BGH, Beschluss vom 18.11.2015 - VII ZB 57/12 - BGHZ 207, 378; BGH, Beschluss vom 17.01.2006 - X ZR 236/01 - BGHZ 166, 18; BGH, Beschluss vom 03.07.2018 - II ZB 28/16 – NJW 2018, 3016), თუმცა პროცესში დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე ჩაბმისთვის არ კმარა მხოლოდ ეკონომიკური ან ფაქტობრივი ასპექტების არსებობა - ასევე საჭიროა: მესამე პირს, რომელიც ერთვება პროცესში, სამართლებრივი ურთიერთობა აკავშირებდეს მხარესთან, რომელსაც უნევს დახმარებას და რომელ ურთიერთობაზეც პირდაპირ/არაპირდაპირ გავლენას ახდენს სამართლებრივ დავაზე მიღებული გადაწყვეტილება (შინაარსიდან გამომდინარე) ან მისი აღსრულება; ანდა ამ პირს აკავშირებდეს ურთიერთობა დავის საგანთან (BGH, Beschluss vom 18.11.2015 - VII ZB 57/12 - BGHZ 207, 378; BGH, Beschluss vom 17.01.2006 - X ZR 236/01 - BGHZ 166, 18; BGH NJW 2016, 1018; BGH, Beschluss vom 18.11.2015 - VII ZB 57/12 - NJW-RR 2011, 907). აქედან გამომდინარე, არ კმარა, როდესაც მესამე პირი, რომელიც ერთვება პროცესში დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე, მისი ამ ქმედების დასაბუთებლად განაცხადებს, რომ დავის მხარესთან სამართლებრივ ურთიერთობაში ნაწილობრივ არსებობს იგივე ფაქტობრივი კითხვები. აქედან გამომდინარე, ნაწილობრივ რელევანტურია ექსპერტის ის დასკვნები, რომლებიც საკმაოდ ხშირად მიიღება სამშენებლო სამართლის საქმეებზე (BGH, Beschluss vom 18.11.2015 - VII ZB 57/12 – NJW 2016, 1018). აგრეთვე უკმარია არგუმენტი, რომ პასუხგასაცემია იგივე განმარტების ან სხვა სამართლებრივი საკითხები, რომლებიც დგას, მაგალითად, შინაარსობრივად ერთი და იმავე ხელშეკრულების სტანდარტული პირობების „პარალელურად გამო-

ყენებისას“ (BGH, Beschluss vom 10.02.2011 - I ZB 63/09 - NJW-RR 2011, 907). სამართლებრივი ინტერესის მაგალითებია, უპირველეს ყოვლისა, სამართლებრივი დავები იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც უპირატესად უნდა გაირკვეს კონკრეტულ შემთხვევებში, როცა საქმე ეხება: აქცესორულ პასუხისმგებლობას (OLG Hamburg, Urteil vom 22.03.1988 - 12 U 17/87 - ZIP 1988, 663); ხელშეკრულებების ჯაჭვს (განსაკუთრებით, ნაკლის აღმოფხვრის მოთხოვნის უფლებებზე, ან ბრალეულობის შეფარდებაზე ვალდებულების შესრულების დამხმარისთვის); სადაზღვევო უზრუნველყოფის მოთხოვნის უფლებებს სადაზღვევო ხელშეკრულებიდან გამომდინარე (OLG Hamm, Urteil vom 29.04.1996 - 6 U 187/95 - NJW-RR 1997, 157); ან - რაც პრაქტიკაში ხშირია - სხვადასხვა სახის უკუმოთხოვნებს (BGH, Urteil vom 19.01.1983 - VIII ZR 315/81 - BGHZ 86, 272), როგორცაა თავდების უკუმოთხოვნა, სოლიდარულ მოვალეებს შორის გათანაბრების მოთხოვნა, ან ხელშეკრულებიდან გამომდინარე თუ კანონით გათვალისწინებული (მაგ.: ზიანის ანაზღაურების სამართლის) ვალდებულების შესრულებისგან გათავისუფლების მოთხოვნა. საზოგადოების სარჩელებში მესამე პირების (არა პარტნიორების) მიმართ გადახდის მოთხოვნით, პარტნიორს, როგორც წესი, არ აქვს სამართლებრივ დავაში ჩაბმის სამართლებრივი ინტერესი (BGH, Beschluss vom 03.07.2018 - II ZB 28/16 - NJW 2018, 3016). თუმცა პარტნიორების პირადი პასუხისმგებლობის გამო (§ 128 GER-HGB; მენარმეთა შესახებ კანონის მე-3 მუხლის მე-3 ნაწილი), მას შეიძლება ჰქონდეს სამართლებრივი ინტერესი პროცესში დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირად ჩაბმისათვის, რამდენადაც მესამე პირები საზოგადოების წინააღმდეგ ახორციელებენ გადახდის მოთხოვნას (BGH, Beschluss vom 03.07.2018 - II ZB 28/16 - NJW 2018, 3016).

§ 66 GER-ZPO-ით გათვალისწინებული სამართლებრივი ინტერესი შესაძლოა თითქმის სრულად შეესაბამებოდეს სსკ-ის 89-ე მუხლს, რამდენადაც ამ უკანასკნელში გათვალისწინებულია გავლენის შესაძლებლობა. აქედან გამომდინარე, ძირითადად, შესაძლებლად მიმაჩნია გერმანულ სასამართლო პრაქტიკაში § 66 GER-ZPO-თან დაკავშირებით განვითარებული პრინციპების გამოყენება ქართული სამოქალაქო საპროცესო კოდექსისთვის.

გ) დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე პროცესში ჩართული მესამე პირის **საპროცესო უფლებამოსილებები და სტატუსი** გამომდინარეობს § 67 GER-ZPO-დან. ის, ძირითადად, უფლებამოსილია, შეასრულოს ნებისმიერი საპროცესო მოქმედება, რომლებიც არ ეწინააღმდეგება პროცესის მთავარი მხარის უფლებებს.

ეს რეგულაცია შინაარსობრივად ძირითადად ემთხვევა სსკ-ის 91-ე მუხლის შინაარსს. დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე პროცესში ჩართულ მესამე პირს გერმანულ საპროცესო სამართალშიც არ შეუძლია იმ საპროცესო მოქმედებების განხორციელება, რომლებსაც პირდაპირ კრძალავს სსკ-ის 91-ე მუხლი, ვინაიდან ამით დაუშვებელ წინააღმდეგობაში მოვიდოდა პროცესის მთავარ მხარესთან.

არ არის აუცილებელი, მთავარმა მხარემ პირდაპირ განაცხადოს, რომ სადავოდ ხდის პროცესში ჩართული მესამე პირის საპროცესო მოქმედებებს. საკმარისია, თუ ეს ეჭვგარეშე გამომდინარეობს პროცესის მთავარი მხარის ქცევიდან (BGH, Beschluss vom 10.01.2006 - VIII ZB 82/05 - BGHZ 165, 358; BGH, Beschluss vom 23.08.2016 - VIII ZB 96/15 - WM 2016, 1955; BGH, Beschluss vom 21.07.2015 - II ZR 177/14 - juris). მთავარი მხარის მიერ პროცესში ჩართული მესამე პირის მოქმედებების კონკლუდენტურად შედავება, როგორც წესი, ავტომატურად იქიდან არ მოდის, რომ პროცესში დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე ჩართული მესამე პირი სააპელაციო საქმისწარმოებაში გვევლინება აპელანტად. თუმცა ეს არ მოქმედებს, როდესაც სააპელაციო სასამართლოს აქვს ინფორმაცია, რომ პროცესში დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე ჩართული მესამე პირის მიერ დამოუკიდებლად წარმოებული საჩივარი არ შეესაბამება მთავარი მხარის ნებას (მაგ.: ეს უკანასკნელი ამასობაში საპროცესო მონინააღმდეგესთან მორიგდა სასამართლოს გარეთ, ან სხვაგვარად განაცხადა, რომ სურს დავის დამთავრება) (BGH, Beschluss vom 10.01.2006 - VIII ZB 82/05 - BGHZ 165, 358; BGH, Beschluss vom 21.07.2015 - II ZR 177/14 - juris). ვინაიდან მთავარი მხარის შედავება საპროცესო დაბრკოლებაა, მისი არსებობა - მსგავსად სხვა საპროცესო წინაპირობებისა - სასამართლომ უნდა შეამოწმოს საკუთარი ინიციატივით საქმისწარმოების ნებისმიერ ეტაპზე. ამასთან დაკავშირებით არაფერს ცვლის ის ფაქტიც, რომ მთავარი მხარე აღარ მონაწილეობს სამართლებრივ დავაში (BGH, Beschluss vom 23.08.2016 - VIII ZB 96/15 - WM 2016, 1955). ანალოგიური პრინციპები მოქმედებს, როდესაც პროცესში დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე ჩართული მესამე პირი გააგრძელებს საჩივართან დაკავშირებულ საქმისწარმოებას, მთავარი მხარის მიერ საჩივრის გამოხმობის შემდეგ.

თუ პროცესში დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე ჩაბმული მესამე პირი საჩივრის დამოუკიდებლად წარმოებისას დამარცხდება, იმის მიუხედავად, რომ არ არის მხარე პროცესში, უნდა დაფაროს არა მხოლოდ პროცესში ჩაბმის (§ 101 GER-ZPO-ის მიხედვით), არა-

მედ საჩივართან დაკავშირებული საქმისწარმოების მთლიანი ხარჯებიც (BGH, Urteil vom 14.12.1967 - II ZR 30/67 - BGHZ 49, 183).

დ) პროცესში დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე ჩართულ მესამე პირს შეუძლია, პროცესში ჩაებას მხოლოდ ერთ-ერთ მხარეს, ვინაიდან მისი ინტერესი შეიძლება იყოს პროცესის მოგება ან მოსარჩელის, ან მოპასუხის მიერ (შდრ. აგრეთვე KG, Beschluss vom 15.02.1999 - 25 W 6893/98 - NJW-RR 2000, 514). თუმცა, ეს ინტერესი შეიძლება შეიცვალოს დავის მიმდინარეობისას. ამის შემდეგ, პროცესში დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე ჩართული მესამე პირი, როგორც წესი, უფლებამოსილია, გამოიხმოს მისი პროცესში ჩაბმის განცხადება მხარდაჭერილი მხარის სასარგებლოდ; ამავდროულად, განაცხადოს მონინააღმდეგე მხარეს პროცესში დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირად ჩაბმის შესახებ.

ე) დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე პროცესში ჩართულ მესამე პირს არ აქვს უფლება, შეასრულოს საპროცესო მოქმედებები საკუთარი სახელით, მაშასადამე, მონაწილეობდეს პროცესში, როგორც მხარე. ის უფლებამოსილია მხოლოდ სამართლებრივი მოქმედებების განხორციელებაზე მის მიერ მხარდაჭერილი მხარისთვის. ამას შედეგად მოჰყვება ის, რომ მისი საჩივარი არის მის მიერ მხარდაჭერილი მთავარი მხარისთვის შეტანილი საჩივარი და მას შეუძლია მხოლოდ საჩივრის შეტანა პროცესის მთავარი მხარისთვის მოქმედი შესაბამისი ვადის ფარგლებში; ეს იმ შემთხვევაშიც მოქმედებს, თუ მასაც ჩაბარდება გასაჩივრებული გადაწყვეტილება (BGH, Urteil vom 06.07.2018 – V ZR 39/17 - juris; BGH, Beschluss vom 05.06.2014 - V ZB 160/13 - NJW 2014, 3521). საპროცესო მოქმედებების განმარტებასთან დაკავშირებით წარმოდგენილი საფუძვლებიდან გამომდინარე (იხ. მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის კომენტარი, ა.ნ. 52 და მომდევნო აბზაცები), პროცესში დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე ჩართული მესამე პირის საპროცესო განცხადებები უნდა განიმარტოს ფართოდ, ხოლო ეჭვის შემთხვევაში - იმ მიმართულებით, რომ ეს საპროცესო განცხადებები, როგორც პროცესში დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირად ჩაბმის გერმანული ცნება წარმოაჩენს, განხორციელდეს არა საკუთარი სახელით, არამედ მხარდაჭერილი მხარისთვის (BGH, Beschluss vom 23.08.2016 - VIII ZB 96/15 - WM 2016, 1955).

ამ მიდგომას მოჰყვება პრაქტიკული შედეგები გადაწყვეტილების შესავალი და სარეზოლუციო ნაწილების შედგენის დროსაც. თუ, მაშასადამე, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას გაასაჩივრებს მხოლოდ დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე პროცესში ჩა-

რთული მესამე პირი, საჩივრის განმხილველ ინსტანციაში მიღებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი უნდა შეიცავდეს შემდეგს: „დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე პროცესში ჩართული მესამე პირის მიერ მოპასუხის სააპელაციო საჩივრის წარმოების საფუძველზე, სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება პირველი ინსტანციის გადაწყვეტილების შეცვლაზე და“ ან „სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ უარი უთხრას დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე პროცესში ჩართული მესამე პირის მიერ მოსარჩელისთვის შეტანილ საკასაციო საჩივარს დაკმაყოფილებაზე წინააღმდეგ“.

თუ დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე პროცესში ჩაბმულმა მესამე პირმა საჩივარი შეიტანა, როგორც პროცესის მთავარმა მხარემ, ივარაუდება, რომ სახეზეა მხოლოდ ერთი არსებითი საჩივარი (კერძოდ, პროცესის მთავარი მხარის მიერ შეტანილი). ეს ნიშნავს, რომ სასამართლომ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს მხოლოდ ამ საჩივართან დაკავშირებით (BGH, Beschluss vom 24.01.2006 - VI ZB 49/05 - NJW-RR 2006, 644). პროცესში დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე ჩაბმული მესამე პირის მიერ მხარდაჭერილი მთავარი მხარე თვითონაც მონაწილეობს სამართლებრივ დავაში. შესაბამისად, გერმანიაში, ამ შემთხვევაში, პროცესში ჩართული მესამე პირიც შეჰყავთ გადაწყვეტილების შესავალ ნაწილში (მაგ.: „მოსარჩელის მხარეს პროცესში დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე ჩაბმული მესამე პირი“), თუმცა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში ის, როგორც წესი (გარდა § 101 GER-ZPO-ის მიხედვით ხარჯებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებისა, რომელიც მას ეხება), არ არის მოხსენებული.

ვ) პროცესში დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირის ჩაბმისას სასამართლოს მიერ მთავარ პროცესში საკუთარი ინიციატივით განსახორციელებელი შემონმება შემოიფარგლება იმ ზოგადი წინაპირობებით, რომლებიც ამ პირს აძლევს უფლებას, ჩაერთოს პროცესში, მაშასადამე ესენია: მხარედ არსებობის უნარიანობა, საპროცესო ქმედუნარიანობა და (როგორც საქმეში ადვოკატის სავალდებულო მონაწილეობის შედეგი გერმანიის სამხარეო და უმაღლეს სამხარეო სასამართლოებში) ე.წ. პროცესში მოსარჩელედ მოქმედების უნარი. დანარჩენი საპროცესო წინაპირობები, უპირველეს ყოვლისა, სამართლებრივი ინტერესის არსებობა § 66 GER-ZPO-ის მიხედვით, არ უნდა შემონმდეს მოსამართლის ინიციატივით დავის ძირითად საგანთან დაკავშირებული საქმისწარმოების ფარგლებში. ეს მიდგომა ეფუძნება იმას, რომ დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე პროცესში ჩართული მესამე პირი ამით

ერთვება მხოლოდ სხვის პროცესში საკუთარი კონსტიტუციურ-სამართლებრივი სტატუსიდან გამომდინარე. მართალია, მისი მოთხოვნის უფლებები პროცესში მესამე პირად ჩაბმის საფუძველია, თუმცა ეს უფლებები არ მიიღება ნარმოებაში დამოუკიდებლად. პროცესში დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირად ჩაბმის სპეციალურ (დასახელებული ზოგადი საპროცესო წინაპირობების მიღმა) წინაპირობებს მთავარ პროცესზე მხოლოდ იმ შემთხვევაში გადაამონმებს სასამართლო და იღებს გადაწყვეტილებას, როდესაც პროცესის მთავარი მხარე მოითხოვს მესამე პირად ჩაბმის არდაკმაყოფილებას; და ამ შემთხვევაშიც მხოლოდ და მხოლოდ შუალედურ დავასთან დაკავშირებული სპეციალური საქმისნარმოების ფარგლებში, § 71 GER-ZPO-ის მიხედვით (მონესრიგების შინაარსის მიხედვით ძირითადად მსგავსია სსკ-ის 89-ე მუხლის მე-2 წინადადება), მაშასადამე, არა მთავარი პროცესის ფარგლებში (BGH, Beschluss vom 10.01.2006 - VIII ZB 82/05 - BGHZ 165, 358). თუ არ არის დაყენებული მსგავსი შუამდგომლობა (§ 71 GER-ZPO-ის მიხედვით), არ შეიძლება პროცესში დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირად ჩაბმის სპეციალური წინაპირობების მოგვიანებით შემოწმება მომდევნო პროცესის ფარგლებში (OLG Karlsruhe, Beschluss vom 18.11.2016 - 12 W 17/16 - NJW-RR 2017, 91). პროცესის მთავარ მხარეზე ვრცელდება მომდევნო პროცესისას მესამე პირის ჩაბმის მბოჭავი ძალა (იხ. ქვემოთ ა.ნ. 30 და მომდევნო აბზაცები), იმისგან დამოუკიდებლად, სახეზე იყო თუ არა § 66 GER-ZPO-ით მონესრიგებული წინაპირობები დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირად ჩაბმასთან დაკავშირებით.

ზ) პროცესში დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირად ჩაბმის არსებით საკითხებს შემდგენაირად აჯამებს უმაღლესი ფედერალური სასამართლო (Beschluss vom 23.08.2016 - VIII ZB 96/15 - WM 2016, 1955):

„განსხვავებით სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებისგან, პროცესში დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე ჩართულმა მესამე პირმა, მის მიერ ფორმისა და ვადის დაცვით შეტანილ სააპელაციო საჩივართან დაკავშირებულ საქმისნარმოებაში (§§ 517, 519 Abs. 1, 2, § 520 ZPO)....იმთავითვე მონაწილეობა მიიღო არა როგორც სააპელაციო საქმისნარმოების მხარემ, არამედ დასაშვები ფორმით დაეხმარა მოსარჩელეს - სააპელაციო საქმისნარმოების მთავარ მხარეს - როგორც დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე (ჩვეულებრივი) მესამე პირი, ისე, რომ არ გამოკვეთილა მოსარჩელის საწინააღმდეგო ნება ამ სააპელაციო საჩივრის შეტანის მბოჭავი ძალის მიმართ.

ა) ...

აა) პროცესში დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე ჩართული მესამე პირის მიმართება სამართლებრივი დავის მხარეებთან განისაზღვრება § 74 Abs. 1 ZPO-ის მიხედვით განსაზღვრული [პროცესში დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირად ჩაბმის] პრინციპების შესაბამისად (§§ 66 ff. ZPO). ამ დებულების მიხედვით, პროცესში როგორც ჩვეულებრივი, ისე საპროცესო თანამონაწილის სტატუსით ჩართულ მესამე პირს აქვს უფლება, განახორციელოს მოთხოვნის უფლების წარმომშობი და შემაფერხებელი შესაგებლები, სამართლებრივად ნამდვილად განახორციელოს ყველა საპროცესო მოქმედება (§ 67 ZPO) და შეიტანოს საჩივარი (შდრ. § 66 Abs. 2 ZPO).

ბბ) პროცესში დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე ჩართული ჩვეულებრივი მესამე პირის საჩივარი ყოველთვის არის დავის მთავარი მხარისთვის შეტანილი საჩივარი, ისე, რომ საჩივრის შემტანი მესამე პირი არასდროს გამოდის მთავარი მხარის როლში; მის მიერ საჩივრის შეტანის უკან დგას განცხადება, რომ ის ამით ეხმარება პროცესში ჩაბმისას დასახელებული მხარის საჩივარს (BGH VersR 1997, 1088; BGH NJW 1997, 2385; BGH NJW 1995, 198; BGH

NJW 1990, 190). საკუთარ ინტერესებს ის ახორციელებს მხოლოდ იმ მხარის სამართლებრივი დაცვის ინტერესის ხელშეწყობით, რომლის მხარეზეც ერთვება პროცესში მესამე პირად (...).

გგ) განსხვავებით სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებისგან, საპროცესო თანამონაწილის, როგორც მესამე პირის მიერ შეტანილი საჩივარიც (§ 69 ZPO) ... ყოველთვის პროცესის მთავარი მხარისთვის შეტანილი საჩივარია, ისე, რომ საპროცესო თანამონაწილე, როგორც მესამე პირი, არ იქცევა ამით თვითონ დავის მხარედ. ...

(1) § 69 ZPO-ის თანახმად, საპროცესო თანამონაწილის მიერ პროცესში დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირად ჩაბმის წინაპირობაა, სამოქალაქო კოდექსის (ან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის) დებულებების მიხედვით მთავარ პროცესზე მიღებული გადაწყვეტილების მოქმედების ძალა რელევანტური იყოს პროცესში დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე ჩართულ მესამე პირსა და საპროცესო მონააღმდეგეს შორის სამართლებრივი ურთიერთობისთვის (BGH NJW 2014, 3521). გადანყვეტილების ამ ძლიერი გავლენის გათვალისწინებით პროცესში ჩართული მესამე პირის ინტერესებზე, კანონი ამ უკანასკნელს, რომელიც შემდგომ (§ 61 ZPO-ის შესაბამისად) მიიჩნევა დავის მთავარი მხარის საპროცესო თანამონაწილედ, ანიჭებს პროცესის

წარმართვის უფლებამოსილებას, მის მიერ მხარდაჭერილი პროცესის მთავარი მხარის ნებისგან დამოუკიდებლად (BGH NJW 1985, 386). აქედან გამომდინარე, მას შეუძლია, პროცესში დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე ჩართული ჩვეულებრივი მესამე პირისთვის მოქმედი შეზღუდვებისგან დამოუკიდებლად (შდრ. § 67 Halbs. 2 ZPO) განახორციელოს საპროცესო მოქმედებები მაშინაც კი, თუ ამით ეწინააღმდეგება მის მიერ მხარდაჭერილ მხარეს და ამით დამოუკიდებლად შეეცადოს - აგრეთვე საჩივრის შეტანით (შდრ. § 66 Abs. 2 ZPO) - რომ სასამართლომ მისი გადმოსახედიდან სწორი გადანყვეტილება მიიღოს (BGHZ 180, 5; BGHZ 89, 121).

ამისთვის მას მთავარი მხარისგან აქვს მინიჭებული პროცესის წარმართვის დამოუკიდებელი, სუვერენული უფლებამოსილება, რომელიც მიზნად ისახავს მთავარი მხარის მხარდაჭერას პროცესზე (BGH NJW-RR 1999, 285). შესაბამისად, პროცესის მთავარი მხარისა და დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე ჩართული საპროცესო თანამონაწილის მიერ დამოუკიდებლად შეტანილი საჩივრები უნდა განიხილებოდეს - განსხვავებით პროცესში დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე ჩვეულებრივ მესამე პირად ჩაბმისგან (BGH NJW 1993, 2944) - არა როგორც ერთიანი საჩივარი, არამედ განცალკევებულად (BGH NJW 2001, 2638; BGH VersR 1994, 702).

(2) თუმცა ამით პროცესში დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირად ჩართული საპროცესო თანამონაწილე არ იქცევა თავად სამართლებრივი დავის მხარედ - § 69 ZPO-ის მიხედვით, ის მიიჩნევა, როგორც მხოლოდ მთავარი მხარის საპროცესო თანამონაწილე (...). აქედან გამომდინარე, ლოგიკურია, რომ ის წარმართავს არა საკუთარ, არამედ სხვის, კერძოდ, მის მიერ მხარდაჭერილი მთავარი მხარის პროცესს (...). ...

დღ) პროცესში დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე ჩართული მესამე პირი - მიუხედავად იმისა, ჩვეულებრივი მესამე პირია, თუ საპროცესო თანამონაწილის სტატუსით ერთვება - პროცესში მონაწილეობს, მიუხედავად იმისა, რომ საკუთარი სახელით და (საპროცესო) უფლებით მოქმედებს პროცესის მთავარი მხარის გვერდიგვერდ, მისი სტატუსისა და გამოსვლიდან გამომდინარე პროცესუალური განმარტების საფუძველზე, რომ სურს პროცესის მთავარ მხარის მხარდაჭერა უცხო პროცესის ფარგლებში, ისე, რომ თვითონ არ ხდება პროცესის მხარე (BGH NJW 1991, 229; BGH NJW 1995, 198; BGH NJW 2010, 1377). აქედან გამომდინარე, მოცემულ შემთხვევაში პროცესში ჩართული მესამე პირი ჩვეულებრივი მესამე პირად ერთვება პროცესში თუ საპროცესო

თანამონაწილედ, არ წარმოადგენს სააპელაციო საქმისწარმოებაში მისი მხარესთან დაკავშირებული სტატუსის საკითხს: ეს ეხება მხოლოდ მისთვის § 66 Abs. 2, § 67 ZPO-ის მიხედვით მინიჭებული უფლებამოსილებების სახესა და მოცულობას.

ეე)

ბ) სააპელაციო სასამართლო თავდაპირველად მართებულად ეყრდნობოდა იმას, რომ პროცესში ჩართული მესამე პირი უნდა განხილულიყო ჩვეულებრივ მესამე პირად - მაშასადამე, საპროცესო თანამონაწილის სტატუსის გარეშე; ასევე, ის ექვემდებარება § 67 Halbs. 2 BGB-ის შეზღუდვებს, ვინაიდან სასამართლო გადაწყვეტილება მოსარჩელეს, როგორც თავდებს და მოპასუხეს, როგორც კრედიტორს შორის - გარდა § 775 Abs. 1 Nr. 4 BGB-ის შემთხვევაში, რომელიც ჩვენთვის არ არის საინტერესო - არ გავრცელდებოდა გადაწყვეტილების მოქმედების ძალა პროცესში ჩართული მესამე პირის, როგორც მთავარი მოვალის წინააღმდეგ (...). აგრეთვე ეჭვგარეშეა, რომ მოსარჩელე უფლებამოსილი იყო მესამე პირი ჩაერთო პროცესში § 72 Abs. 1 ZPO-ის მიხედვით, როგორც მოცემულ შემთხვევაში მოხდა, თავდების უკუმოთხოვნის უზრუნველსაყოფად (§774 BGB) (...).

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებისგან განსხვავებით, პროცესში დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე ჩართული მესამე პირის სააპელაციო საჩივარი, 67 Halbs. 2 ZPO-ის მიხედვით, დაუშვებელია არა იმიტომ, რომ მოსარჩელე, როგორც პროცესის მთავარი მხარე, მესამე პირის ჩართვით დააფიქსირებდა საკუთარ უარყოფით პოზიციას მესამე პირის მიერ საჩივრის შეტანასთან დაკავშირებით (BGH NJW 1989, 1357; BGH WM 1997, 1576), არამედ ვინაიდან მოსარჩელეს არ გამოუხატავს მსგავსი პრეტენზია.“....

თ) სასამართლოს მიერ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც სავალდებულო საპროცესო თანამონაწილეობისას არღვევს ზემოთ დასახელებულ პრინციპებს, არ არის ბათილი, თუმცა სავალდებულო ძალის მქონეა მხოლოდ სამართლებრივ დავაში მონაწილე საპროცესო თანამონაწილეების წინააღმდეგ (BGH, Urteil vom 04.04.2014 - V ZR 110/13 - NJW-RR 2014, 903; BGH, Urteil vom 21.12.1988 - VIII ZR 277/87 - NJW 1989, 2133). პროცესუალურად შეცდომით სამართლებრივ დავაში ჩართველ სავალდებულო საპროცესო თანამონაწილეს ხსნილი აქვს გზა, რომ განახორციელოს საერთო უფლება ცალკე სამართლებრივი დავის ფარგლებში (BGH, Urteil vom 04.04.2014 - V ZR 110/13 - NJW-RR 2014, 903). თუმცა გერმანულ სასამართლო პრაქტიკაში ჯერ კიდევ არ არის

ამომწურავად გარკვეული, თუ რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს საერთო უფლებასთან დაკავშირებით მიღებულ ურთიერთსაწინააღმდეგო სასამართლო გადაწყვეტილებებს.

3. გერმანული სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ასევე იცნობს საქმეში მესამე პირის ჩაბმას ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, რომელიც მონესრიგებულია §§ 72 ff. GER-ZPO-ით.

ა) ერთ-ერთი მხარის ინიციატივით საქმეში მესამე პირის ჩაბმის გერმანული რეგულაციები საწყის ეტაპზე იზიარებს სსკ-ის 90-ე მუხლის ძირითად არსს. თუმცა, განსხვავებით ქართული სამოქალაქო საპროცესო კოდექსისგან, გერმანიაში ერთ-ერთი მხარის ინიციატივას პროცესში მესამე პირის ჩაბმასთან დაკავშირებით, სასამართლოს მთავარ სხდომაზე შედეგად მოჰყვება პროცესში ჩაბმაზე განცხადების ჩაბარება მხოლოდ ამ პირისთვის. უპირველეს ყოვლისა, განსხვავებით სსკ-ის 90-ე მუხლისგან, სასამართლო არ ამოწმებს პროცესში მესამე პირის ჩაბმის „დასაშვებობას“: კერძოდ, ამ პირის გადასაწყვეტია, სურს თუ არა მიიღოს ჩაბმის განცხადება შესაძლებლობად, რომ დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე ჩაერთოს მთავარ პროცესში (ის შეიძლება პროცესში გამოვიდეს - რაც პრაქტიკაში უმეტესწილად ასეც ხდება - მესამე პირად ჩაბმის განმცხადებლის წინააღმდეგ). გარდა ამისა, პროცესში მესამე პირად ჩაბმა აჩერებს ხანდაზმულობის ვადის დენას, § 204 Abs. 1 Nr. 6 GER-BGB-ის მიხედვით (იხ. BGH, Urteil vom 11.02.2009 - XII ZR 114/06 - BGHZ 179, 361; BGH, Urteil vom 06.12.2007 - IX ZR 143/06 - BGHZ 175, 1; BGH, Urteil vom 07.05.2015 - VII ZR 104/14 - NJW-RR 2015, 1058).

ბ) პროცესში მესამე პირად ჩაბმის განცხადება შეიძლება მიმართული იყოს ნებისმიერი სამართლებრივი დავის მიღმა მდგომი მესამე პირის წინააღმდეგ. თუმცა დაუშვებელია, მომავალში სახელმწიფო ორგანოს პასუხისმგებლობის ან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების მოსამზადებლად, მხარემ მოითხოვოს, რომ პროცესში მესამე პირად ჩაებას მთავარ პროცესზე პასუხისმგებელი მოსამართლე ან სასამართლოს ექსპერტი, ვინაიდან ისინი არ არიან პირები, რომლებიც სამართლებრივი დავის მიღმა დგანან. თუ ერთ-ერთი მხარე მაინც მოითხოვს პროცესში მათ ჩაბმას მესამე პირად, ეს განცხადება იქნება უფლების ბოროტად გამოყენება და არ უნდა ჩაბარდეს ადრესატს (BGH, Beschluss vom 27.07.2006 - VII ZB 16/06 – BGHZ 168, 380). ამით, ფაქტობრივად, თავიდან იცილებენ იმას, რომ მხარეებს შეეძლოთ პროცესში მესამე პირად ჩაბმის შესაძლებლობის გამოყენება მოსამართლესა ან სასამართლოს ექსპერტზე ზენოლისთვის. მესამე პირად ჩაბმის განცხადება ასევე არ უნდა ჩაბარდეს ადრესატს, თუ გაკეთებულია იმ პროცესის ფარგლებში,

სადაც არ უნდა განხორციელებულიყო (ზოგადად) უკვე მხოლოდ მისი სახეობიდან გამომდინარე (BGH, Beschluss vom 19.09.2017 - XI ZB 13/14 - BGHZ 216, 27). თუმცა მსგავსი ქმედება მხოლოდ მაშინ არის გასათვალისწინებელი, როდესაც ერთ-ერთი მხარის ინიციატივით პროცესში მესამე პირად ჩაბმის განცხადების დაუშვებლობა არ იწვევს ეჭვს.

გ) ერთ-ერთი მხარის ინიციატივით პროცესში მესამე პირად ჩაბმა, პირველ რიგში, ემსახურება იმას, რომ თავიდან აიცილონ (ე.წ. მესამე პირად ჩაბმის ინიციატორის ინტერესის გათვალისწინებით) **ერთი და იმავე გარემოების განსხვავებულად შეფასება**. პროცესში მესამე პირის ჩაბმის ინიციატორი, §§ 74, 68 GER-ZPO-ის მბოჭავი ძალის შედეგად, დაცული უნდა იყოს იმისგან, რომ (შესაბამისი განსჯადობის სასამართლოს მიერ განსხვავებული ფაქტობრივი ან სამართლებრივი შეფასებისას), სასამართლომ, როგორც მთავარ, ისე შემდგომ პროცესზე, არ მიიღოს გადაწყვეტილება, რომელიც მას არ აძლევს ხელს, თუმცა, ლოგიკის კანონების მიხედვით, მის სასარგებლოდ უნდა დამთავრდეს, სულ მცირე, ერთ-ერთი სასამართლოს გადაწყვეტილება მაინც (BGH, Urteil vom 18.12.2014 - VII ZR 102/14 – BGHZ 204, 12; BGH, Urteil vom 11.02.2009 - XII ZR 114/06 - BGHZ 179, 361; BGH, Urteil vom 14.11.1991 - I ZR 236/89 - BGHZ 116, 95). მაგალითისთვის, თავიდან უნდა აიცილონ სასამართლოს გამამტყუნებელი გადაწყვეტილება მთავარ პროცესზე მესამე პირის ჩაბმის ინიციატორის წინააღმდეგ, ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დარღვევის გამო, რის შემდეგაც მას, უკვე მომდევნო პროცესზე, როდესაც განხორციელებს უკუმოთხოვნას სოლიდარული მოვალის ან ვალდებულების შესრულებისას დამხმარის წინააღმდეგ (რომლის ბრალეული ქმედების გამოც დაეკისრა ვალდებულების შესრულება მთავარ პროცესზე), არ მოუწევს იმის მოსმენა, რომ საერთოდ არ არის სახეზე ბრალეულობით გამონეული ვალდებულების დარღვევა და, აქედან გამომდინარე, უსაფუძვლოა მისი უკუმოთხოვნა.

§ 72 Abs. 1 GER-ZPO-ის ტექსტის გარდა, ერთ-ერთი მხარის ინიციატივით პროცესში მესამე პირის ჩაბმა დასაშვებია იმ შემთხვევაშიც, როდესაც მესამე პირის წინააღმდეგ არსებული მოთხოვნის უფლება სამართლებრივად ურთიერთგამომრიცხავია (**ალტერნატიული ურთიერთობა**) მთავარ პროცესში მესამე პირის ჩაბმის ინიციატორის მიერ ან მის წინააღმდეგ წარმოდგენილ მოთხოვნის უფლებასთან მიმართებით (BGH, Urteil vom 18.12.2014 - VII ZR 102/14 – BGHZ 204, 12; ; BGH, Urteil vom 28.10.1988 - V ZR 14/87 - BGHZ 106, 1; BGH, Urteil vom 06.05.1982 – VII ZR 172/81 - BauR 1982, 514). ამის მაგალითია, როდესაც სადავო წარმო-

მადგენლობითი უფლებამოსილებისას (ურთიერთგამომრიცხავი) პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს ან მხოლოდ წარმოდგენილ პირს (წარმომადგენლობითი უფლებამოსილების არსებობისას), ან მხოლოდ წარმომადგენელს (წარმომადგენლობითი უფლებამოსილების არარსებობისას). მსგავსი ალტერნატიული ურთიერთმიმართება შეიძლება არსებობდეს ფაქტობრივი საფუძვლებიდან გამომდინარეც (BGH, Urteil vom 18.12.2014 - VII ZR 102/14 - BGHZ 204, 12; BGH, Urteil vom 06.05.1982 - VII ZR 172/81 – BauR 1982, 514 - არქიტექტორის პასუხისმგებლობა იზოლაციის გეგმის არშედგენის გამო, ან მენაშენის პასუხისმგებლობა ნაკლოვანად შესრულებული საიზოლაციო სამუშაოების გამო; BGH, Urteil vom 22.12.1977 - VII ZR 94/76 - BGHZ 70, 187 – დამგეგმარებლის ან, შესაბამისად, მენაშენის ალტერნატიული შეცდომის შემთხვევაში; BGH, Urteil vom 09.10.1975 - VII ZR 130/73 - BGHZ 65, 127 – კომპანია A-ს ალტერნატიული პასუხისმგებლობისას ან კომპანია B-ს პასუხისმგებლობისას სამშენებლო ხარვეზისთვის).

არ არის საჭირო, ალტერნატიული ურთიერთმიმართების არსებობა თავიდანვე პოზიტიურად დადგინდეს. § 72 Abs. 1 ZPO-ის მიხედვით, ერთ-ერთი მხარის ინიციატივით პროცესში მესამე პირის ჩაბმა უკვე მაშინ არის დასაშვები, როდესაც დავის მთავარ მხარეს, პროცესში მესამე პირის ჩაბმის განცხადების მომენტისთვის, ლოგიკური საფუძვლებიდან გამომდინარე სჯერა, რომ შეუძლია ალტერნატიულად მესამე პირის მიმართ განახორციელოს მოთხოვნის უფლება, თუ მთავარ მოთხოვნასთან დაკავშირებული პროცესი მისთვის წარუმატებლად დამთავრდება (BGH, Urteil vom 18.12.2014 - VII ZR 102/14 - BGHZ 204, 12). თუმცა პროცესში მესამე პირის ჩაბმის განცხადება დაუშვებელია, თუ აშკარა არ არის ალტერნატიული ურთიერთმიმართება და სახეზეა კუმულაციური პასუხისმგებლობა, როგორც, მაგალითად, პოტენციური სოლიდარული ვალდებულებებისას. ამ შემთხვევაში, არ შეიძლება, თავიდანვე რელევანტური იყოს მესამე პირის პროცესში შესაძლებელი ჩაბმის ვალდებულებისთვის მთავარ პროცესზე მხარისთვის უარყოფითი შედეგის დადგომა, რომელიც ითხოვს პროცესში მესამე პირის ჩაბმას (BGH, Urteil vom 18.12.2014 - VII ZR 102/14 - BGHZ 204, 12; BGH, Urteil vom 22.12.1977 - VII ZR 94/76 - BGHZ 70, 187).

დ) მოსამართლე მთავარ პროცესზე საკუთარი ინიციატივით იკვლევს მესამე პირის ჩაბმის საპროცესო წინაპირობებს, თუმცა ეს მოკვლევა შემოიფარგლება პროცესში დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირად ჩაბმის ნაწილში წარმოდგენილი გარემოებების მოცულობით (იხ. ზემოთ ა.ნ. 18). ვინაიდან პროცესში დამოუკიდებელი მო-

თხოვნის გარეშე მესამე პირად ჩაბმის გარეშე არ შეიძლება მივიღოთ § 71 GER-ZPO-ის მსგავსი შუალედური წარმოება, საყოველთაო მოსაზრების მიხედვით (განსხვავებით პროცესში მესამე პირის ჩაბმისგან), პროცესში ერთ-ერთი მხარის ინიციატივით მესამე პირის ჩაბმის გაცალკეებულ მოთხოვნისას, რომელიც უშედეგოდ დასრულდება, **შემდგომი პროცესის ფარგლებში, დამატებით უნდა შემოწმდეს**, არსებობდა თუ არა § 72 Abs. 1 GER-ZPO-ის მიხედვით პროცესში მესამე პირის ჩაბმის მოთხოვნის წინაპირობები. თუ ეს წინაპირობები არსებობდა, მივიღებთ ერთ-ერთი მხარის ინიციატივით პროცესში მესამე პირის ჩაბმის მოთხოვნის მბოჭავ ძალას, რომელიც იდენტურია პროცესში დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირის ჩაბმის მბოჭავი ძალისა (BGHZ 204, 12; BGH, Urteil vom 28.10.1988 - V ZR 14/87 - BGHZ 106, 1). უფრო დეტალურად წარმოდგენილია ქვემოთ (ა.ნ. 30 და მომდევნო აბზაცებში).

ე) ეს კანონისმიერი კონცეფცია, ერთი შეხედვით, შედარებით უფრო კომპლექსურად ჟღერს, თუმცა ეფექტიანია სასამართლო პრაქტიკისთვის. მთავარ პროცესზე სულერთია, განაცხადებს თუ არა ერთ-ერთი მხარე პროცესში მესამე პირის ჩაბმის შესახებ. სამართლებრივი დავა გრძელდება პროცესში ჩაბმის განცხადების ადრესატის გარეშე (§ 74 Abs. 2 GER-ZPO), რამდენადაც ადრესატი არ გამოხატავს საკუთარ პოზიციას ამ განცხადებასთან დაკავშირებით, ან არ ჩაებმება პროცესში. შედეგად, ის არ დასახელდება გადანყვეტილების არც შესავალ და არც სამოტივაციო ნაწილში. თუმცა, ისაც არ შეიძლება, რომ საერთოდ არ მოიხსენიონ, რასაც აკეთებს ზოგი გერმანელი მოსამართლე (მართალია, ეს არ არის საზიანო, თუმცა, ვფიქრობ, გადამეტებულია). სასამართლოებისთვის ამ ყველაფერს, უპირველეს ყოვლისა, ერთი დადებითი მხარე აქვს: ერთ-ერთი მხარის ინიციატივით საქმეში მესამე პირის ჩაბმის განცხადებას მართლაც ძალზე იშვიათად მოჰყვება ფაქტობრივი პროცესები განმცხადებელსა და ადრესატს შორის. შესაბამისად, ისინი ზედმეტ ტვირთად არ აწვება სასამართლოებს.

4. ე.წ. **პროცესში მესამე პირის ჩაბმის მბოჭავი ძალა** მნიშვნელოვნად სცდება კანონიერი ძალის მოქმედებას (იხ. მე-10 მუხლის კომენტარი, ა.ნ. 2 და მომდევნო აბზაცები).

ა) § 68 GER-ZPO-ის მიხედვით სამართლებრივად ნამდვილი (და არა § 71 GER-ZPO-ის მიხედვით შუალედური გადანყვეტილებით დაუკმაყოფილებელი) მესამე პირის ჩაბმისას პროცესში, მისი მბოჭავი ძალა ძირითადად ვრცელდება ყველა იმ საფუძველზე, რომელსაც ეფუძნება სასამართლო გადანყვეტილება. ანალოგიური მოქმედებს პროცესში მესამე პი-

რის ჩაბმის მბოჭავი ძალის შინაარსობრივად იდენტური სავალდებულო ძალის შემთხვევაში, როდესაც მესამე პირი ჩაებმება ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით და ეს შეესაბამება აღნიშნული პროცედურის ზემოთ დასახელებულ მიზანს. ამის შედეგად, მოთხოვნის ავტორს განსხვავებული სასამართლო გადაწყვეტილებების შემთხვევაში არ უნდა შეექმნას თავსატეხი, თუ რა ზომას მიმართოს.

პროცესში მესამე პირის ჩაბმის მბოჭავი ძალა მოიცავს ყველა იმ ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძველს, რომლებსაც ეყრდნობა მთავარი პროცესის გადაწყვეტილება (BGH, Beschluss vom 27.11.2003 - V ZB 43/03 – BGHZ 157, 97). მესამე პირის ჩაბმის მბოჭავი ძალა მნიშვნელოვნად იზღუდება იმით, რომ ის აერთიანებს მხოლოდ ისეთ ფაქტობრივ და სამართლებრივ მოსაზრებებს, რომლებიც არსებითი იყო მთავარ პროცესზე გადაწყვეტილების მიღებისთვის - მაშასადამე, არ არის მხოლოდ „დამატებითი საკმაზი“. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ პრაქტიკაში ყოველთვის ვანყდებით გამიჯვნასთან დაკავშირებულ ერთსა და იმავე პრობლემას, რომელიც წარმოიშობა იმის გამო, რომ სასამართლო გადაწყვეტილებები ყოველთვის საკმარისად გასაგებად არ არის დანერგილი. ამ პრობლემებზე ყურადღება უკვე გამახვილდა კანონიერი ძალის მოქმედებაზე მსჯელობისას (იხ. ზემოთ მე-10 მუხლის კომენტარი, ა.ნ. 29 და მომდევნო აბზაცის ნომრები).

უმაღლესი ფედერალური სასამართლო აცხადებს BGHZ 157, 97 (BGH, Beschluss vom 27.11.2003 - V ZB 43/03; siehe auch BGH, Urteil vom 27.01.2015 - VI ZR 467/13 - NJW 2015, 1824):

„სასამართლოს მიერ წინარე პროცესზე დადგენა, რომ მოპასუხე არის მესაკუთრე, არ იწვევს პროცესში მესამე პირის ჩაბმის მბოჭავ ძალას.

ა) ეს მბოჭავი ძალა ეხება არა მხოლოდ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილს, არამედ ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძველებსაც, რომლებსაც ეფუძნება წინარე პროცესზე მიღებული გადაწყვეტილება (BGHZ 85, 252...; BGHZ 103, 275; BGHZ 116, 9...). თუმცა ეს არ მოქმედებს პირველი ინსტანციის სასამართლოს იმ დასკვნებთან მიმართებით, რომლებსაც არ ეყრდნობა ამ სასამართლოს გადაწყვეტილება (ე.წ. არასაჭირო დასკვნები...). განსხვავებულია მოსაზრება საკითხზე, თუ ვინ უნდა აფასებდეს, რამდენად ეფუძნება სასამართლოს გადაწყვეტილება სასამართლოს მიერვე გაკეთებულ დასკვნებს. მიუნხენის უმაღლესი სამხარეო სასამართლო (NJW 1986, 263) ეყრდნობა პირველი ინსტანციის სასამართლოს სუბიექტურ ხედვას. ამისგან განსხვავებით, გაბატონებული მოსაზრების მიხედვით, მნიშვნელოვანია, თუ რას ეფუძნება ობიექ-

ქტურად პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება შესატყვისი სამართლებრივი მოსაზრების მიხედვით (...). ამ მოსაზრებას უერთდება უმაღლესი სამხარეო სასამართლოს საქმის განმხილველი პალატა. პროცესში დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირის ჩაბმის მბოჭავი ძალა ეხება იმ მესამე პირსაც, რომელიც არ ერთვება პროცესში, ვინაიდან შეუძლია გავლენის მოხდენა სამართლებრივ დავაზე. სასამართლოს მიერ პროცესის სწორად წარმართვისას, მესამე პირს შეუძლია, მხოლოდ დავის იმ მატერიაზე მოახდინოს გავლენა, რომელიც რელევანტურია ობიექტური დაკვირვებისას. გადაწყვეტილება, ჩაებმება თუ არა ის დავაში და რომელ მხარეს, მესამე პირს შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღოს (გონივრულობის ფარგლებში), თუ შეუძლია ივარაუდოს, რომ სასამართლო სწორად წარმართავს პროცესს და, აქედან გამომდინარე, გააკეთებს მოსალოდნელ დასკვნებს. თუმცა მესამე პირი აგრეთვე უნდა მოელოდეს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლო აირჩევს დასაბუთების იმ მიდგომას, რომელიც შეიძლება მას არასწორად მიაჩნდეს. დასაბუთების ეს მიდგომა განსაზღვრავს არგუმენტაციის ფარგლებს. ამ ფარგლებში, ობიექტურად საჭირო დასკვნები არ არის ზედმეტი, მხოლოდ იმის გამო, რომ ისინი შესაძლოა არ ყოფილიყო საჭირო სხვა სამართლებრივი მიდგომის არჩევისას (...).

თუ მთავარ პროცესზე მიღებული გადაწყვეტილება ეფუძნება მტკიცების ტვირთის საფუძვლებს (*non liquet*), შემდგომი პროცესისთვის ფაქტობრივად დადგენილია, რომ მთავარ პროცესზე ვერ გამოირკვა მტკიცებასავალდებულო ფაქტები (BGH, Urteil vom 19.03.2014 - I ZR 209/12-NJW-RR 2014, 1379). აქედან გამომდინარე, პროცესში მესამე პირის ჩაბმის განცხადების მბოჭავი ძალა შემდგომ პროცესში ამ განცხადების ადრესატზე მბოჭავად მოქმედებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას ეკისრება მითითებისა და მტკიცების ტვირთი ისეთ ფაქტებთან დაკავშირებით, რომლებიც ვერ გამოარკვია სასამართლომ (BGH, Urteil vom 09.11.1982 - VI ZR 293/79 - BGHZ 85, 252; BGH, Urteil vom 19.03.2014 - I ZR 209/12- NJW-RR 2014, 1379).

ბ) პროცესში მესამე პირად ჩაბმის განცხადების მბოჭავი ძალა, ამ განცხადების მიზნის შესაბამისად, შეიძლება ყოველთვის **მოქმედებდეს ამ განცხადების ადრესატის სასარგებლოდ** და არასდროს განმცხადებლის სასარგებლოდ. უმაღლესი ფედერალური სასამართლო (BGH, Urteil vom 26.03.1987 - VII ZR 122/86 - BGHZ 100, 260) აცხადებს:

„2. ... აქ არსებული ინტერესთა დავა უნდა გადაწყდეს § 74 Abs. 3 ZPO-ის გამოყენებით, მხოლოდ და მხოლოდ ამ დანაწესის ტექსტის შესა-

ბამისად, რაც გულისხმობს, რომ პროცესში მესამე პირად ჩაბმის მბოჭავი ძალა დგება მხოლოდ მესამე პირის მიმართ.

ეს, უპირველეს ყოვლისა, გამომდინარეობს პროცესში მესამე პირის ჩაბმის განცხადების მიზნიდან და ამ შემთხვევებში არსებულ ინტერესთა განსაკუთრებული სიტუაციიდან (...). პროცესში მესამე პირის ჩაბმის განცხადება არის საპროცესო დამხმარე საშუალება, რომელიც, პირველ რიგში, ემსახურება განმცხადებლის ინტერესებს. მისი მდგომარეობა, § 72 ZPO-ით მოცულ შემთხვევებში, გამოსატულია იმით, რომ სხვადასხვა მოვალის წინააღმდეგ მოთხოვნის უფლებების მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთმიმართების გამო, ის იძულებულია, წარმართოს რამდენიმე პროცესი. თუმცა, ამასთან, მიდის რისკზე, რომ შესაძლოა ყველა მათგანი წააგოს, მიუხედავად იმისა, რომ, სულ მცირე, ერთი მაინც უნდა მოეგო. მას შეუძლია, თავი დაიცვას პროცესში მესამე პირად ჩაბმის განცხადებით გამოწვეული მბოჭავი ძალით §§ 74, 68 ZPO-ის მიხედვით.

ამისგან განსხვავებით, პროცესში მესამე პირად ჩაბმის მოწინააღმდეგეს არ ესაჭიროება შესაბამისი დახმარება: ის შეიძლება მოელოდეს მხოლოდ ერთი პროცესის გამართვას. მისი ინტერესი - რაც შეიძლება ადრე დაიცვას თავი მის წინააღმდეგ მიმართული მოთხოვნის უფლებებისგან - დაკმაყოფილდება იმით, თუ მიიღებს შესაძლებლობას, რომ დაეხმაროს განცხადების ავტორს პირველ ინსტანციაში მისი მოწინააღმდეგის მიმართ მოთხოვნის უფლების განხორციელებისას. ამასთან, რამდენადაც მას, § 67 ZPO-ის შეზღუდვების გამო, არ აქვს საკუთარი პოზიციის გამოსატვის შესაძლებლობა, §§ 74, 68 ZPO-ის მბოჭავი ძალა ისედაც არ იქნება საკმარისი (BGH NJW 1982, 281). აქედან გამომდინარე, მას შეუძლია, შეუზღუდავად დაიცვას თავი მომდევნო პროცესზე.

ამისგან განსხვავებით, არ არსებობს გამართლება, რომ ის ვაიძულოთ, გახდეს წინარე პროცესში მიღებული სასამართლო გადაწყვეტილების მბოჭავი ძალის თანამონაწილე მესამე პირის ჩაბმის ინიციატორი მხარის ნების საწინააღმდეგოდ: ეს ტვირთად დაანებოდა განმცხადებელს, რომელიც ველარ განახორციელებს წარმატებით მოთხოვნის უფლებას ვერც ერთი მოწინააღმდეგის მიმართ. ამით, ფაქტობრივად, ვერ შესრულდება პროცესში მესამე პირის ჩაბმის მიზანი, პირიქით: პროცესში მესამე პირის ჩაბმის ინიციატორი მხარე მარტო იმიტომ დარჩება წაგებული საპროცესო მოწინააღმდეგეებთან მიმართებით, რომ მან პირველ ინსტანციაში მოითხოვა პროცესში მესამე პირის ჩაბმა...“

მუხლი 102. მტკიცების ტვირთი. მტკიცებულებათა დასაშვებობა

1. თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს.

2. ამ გარემოებათა დამტკიცება შეიძლება თვით მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებით, ფაქტების კონსტატაციის მასალებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებითა და ექსპერტთა დასკვნებით.

3. საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით.

ულრის ჰაგენლონი	381
102-ე მუხლი	381
ქეთევან მისხიშვილი	420
102-ე მუხლი	420

ულრის ჰაგენლონი

102-ე მუხლი

სსკ-დან მოყვანილი ნორმები:

- 102-ე მუხლი

მტკიცების ტვირთი

1. მტკიცების ტვირთის პრინციპები გერმანულ სამართალში, უმეტესწილად, კანონით მონესრიგებული არ არის. იმთავითვე დაუწერელ ძირითად წესად ითვლებოდა ის, რომ უფლების ნარმომშობ შესაგებლებთან დაკავშირებით მტკიცების ტვირთი კრედიტორზე/მოთხოვნის უფლების განმასხორციელებელზე მოდის, ხოლო უფლების შემწყვეტ, უფლების დამაბრკოლებელ და უფლების შემაფერხებელ შესაგებლებთან დაკავშირებით მტკიცების ტვირთი მოვალეზე/მოთხოვნის უფლების მონინაალმდეგეზე ვრცელდება (BGH, Urteil vom 14.01.1991 - II ZR 190/89 - BGHZ 113, 222; BGH, Urteil vom 30.03.2017 - I ZR 19/16 - NJW 2018, 65; BGH, Urteil vom 19.07.2011 - VI ZR 367/09 - NJW-RR 2011, 1661; BGH, Urteil vom 13.07.1983 - VIII ZR 107/82 - NJW 1983, 2944). აქედან გამო-

მდინარე, სსკ-ის 102-ე მუხლის დანაწესი კანონით აწესრიგებს იმას, რაც გერმანიაში ანალოგიური შინაარსით ისედაც მოქმედებს, როგორც ზოგადი პრინციპი.

უკვე აღინიშნა, რომ (მე-10 მუხლის კომენტარი, ა.ნ. 17) მტკიცების ტვირთი ყოველთვის ფასდება მატერიალური სამართლიდან გამომდინარე **კრედიტორსა და მოვალეს შორის ურთიერთობიდან** და არა პროცესუალურად მოსარჩელე-მოპასუხის კონსტელაციიდან (BGH, Urteil vom 03.04.2001 - XI ZR 120/00 - BGHZ 147, 203). ამდენად, ნეგატიურ აღიარებით სარჩელში მხარეთა „შეცვლილი“ როლები არაფერს ცვლის მატერიალური მტკიცების ტვირთთან დაკავშირებით BGH, Urteil vom 24.02.2016 - XII ZR 5/15 - BGHZ 209, 105; BGH, Urteil vom 22.01.2013 - XI ZR 471/11 - NJW-RR 2013, 948) (იხ. მე-10 მუხლის კომენტარი, ა.ნ. 17). ეს აგრეთვე მოქმედებს მტკიცების ტვირთისას აღსრულების ქვემდებარე სანოტარო აქტების წინააღმდეგ მიმართული შესაგებლების შემთხვევაში, რომელიც გერმანიაში წარმოადგენს სააღსრულებო ფურცელს (§ 794 Abs. 1 Nr. 5 GER-ZPO) და რომლის მატერიალურ-სამართლებრივი სისწორის წინააღმდეგ მოვალეს აღსრულების წინააღმდეგ მიმართული სარჩელის შეტანა შეუძლია §§ 767, 797 Abs. 3 GER-ZPO (იხ. მე-10 მუხლის კომენტარი, ა.ნ. 41 და მომდევნო აბზაცები) (BGH, Urteil vom 03.04.2001 - XI ZR 120/00 - BGHZ 147, 203).

წესისა და ამ წესიდან გამონაკლისის ურთიერთმიმართება ბევრ მატერიალურ-სამართლებრივ დებულებაშია მოწესრიგებული, რაც პირდაპირ აისახება (გერმანიაში ურთიერთმფარავ) მითითებისა და მტკიცების ტვირთზე (ამიტომ შემდეგში, უმეტესწილად, მხოლოდ „მტკიცების ტვირთად“ მოვიხსენიებთ). მსგავსი ე.წ. მტკიცების ტვირთის რეგულაციები კანონისმიერი ფორმულირებებიდან გამომდინარეობს, როგორცაა, მაგალითად: „გარდა იმ შემთხვევისა“, „რამდენადაც არ“, „ანაზღაურების ვალდებულება გამოირიცხება, რამდენადაც“, „ეს არ მოქმედებს, რამდენადაც“, და ა.შ. ახალ კანონებში სულ უფრო მეტად ვხვდებით პირდაპირ რეგულაციებს მტკიცების ტვირთთან დაკავშირებით, უპირველეს ყოვლისა, ვალდებულებების დარღვევის გამო ზიანის დადგომის შემთხვევებში (მაგ. § 84 Abs. 2 GER-AMG (მედიკამენტების შესახებ კანონი) მიზეზ-შედეგობრივი კავშირისას მედიკამენტის მიღებასა და ჯანმრთელობის დაზიანებას შორის; § 1 Abs. 4 GER-ProdHaftG (მწარმოებლის პასუხისმგებლობის შესახებ კანონი) მიზეზ-შედეგობრივი კავშირისას პროდუქტის ხარვეზსა და ზიანის დადგომას შორის; ასევე - § 675w GER-BGB ონლაინ საბანკო ოპერაციებისას გადახდის ავტორიზაციასთან დაკავშირებით (იხ. ა.ნ. 15; §§ 45i, 45j GER-TKG (კანონი ტელეკომუნიკაციების

შესახებ) ანგარიშსწორების სისწორის მტკიცებულებასთან დაკავშირებით სატელეკომუნიკაციო მომსახურების მიღებისას (იხ. ა.ნ. 16).

2. ეს მჭიდრო მიმართება მატერიალურ სამართალთან საფუძველია, აგრეთვე, იმისა, რომ გერმანიაში მტკიცების ტვირთის სამართალი გაიგება როგორც **მატერიალური სამართლის ნაწილი** და არა როგორც საპროცესო სამართლის ნაწილი (BGH, Urteil vom 03.04.2001 - XI ZR 120/00 - BGHZ 147, 203; BGH, Urteil vom 01.03.2014 - X ZR 150/11 - NJW 2014, 2275; BGH, Urteil vom 16.10.1996 - IV ZR 154/95 - NJW-RR 1997, 152). ეს კი არა მხოლოდ სამართლის დოგმატიკის თვალსაზრისით არის მნიშვნელოვანი, არამედ პრაქტიკულად მოქმედებს იმაზეც, რომ მატერიალური სამართლისათვის მისი მიკუთვნებით, მტკიცების ტვირთის სწორად გამოყენება საკასაციო საქმისწარმოების ფარგლებში, დასაშვები საპროცესო საჩივრის შეტანის გარეშე უნდა შემოწმდეს (შდრ. ქართული სამართლის კასაციასთან დაკავშირებით: სსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის მე-2 წინადადება; 396-ე მუხლის პირველი ნაწილის ვ ქვეპუნქტი); მტკიცების ტვირთთან დაკავშირებით არ გამოიყენება ის დებულებები, რომელიც საპროცესო შეცდომებთან დაკავშირებულ საქმისწარმოებას ეხება. მართალია, ქართული სამართალი ფორმალურად აწესრიგებს მტკიცების ტვირთს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ფარგლებში, მაგრამ იმთავითვე დაბრკოლებას არ უნდა წარმოადგენდეს ის, რომ მტკიცების ტვირთის პრინციპები საქართველოში მატერიალური სამართლის ნაწილად იქნეს გაგებული. ეს მიდგომა მითუმეტეს მოქმედია, რადგან საკანონმდებლო რეგულაციის სამართლებრივ ბუნებას თვითონ მისი შინაარსი ადგენს (და არა რეგულაციის განთავსების ადგილი) და სსკ-ის 199-ე მუხლის მე-3 ნაწილის სახით არსებობს კიდევ ერთი დანაწესი, რომელიც, მართალია, ფორმალურად სამოქალაქო საპროცესო კოდექსშია განთავსებული, მაგრამ შინაარსობრივად მატერიალურ სამართალს განეკუთვნება (იხ. 191-ე და მომდევნო მუხლების კომენტარი, ა.ნ. 41).

3. რამდენადაც, ერთი მხრივ, ნათელია მტკიცების სამართლის ზოგადი პრინციპები, იმდენად მრავალფეროვანია ამ პრინციპებისგან გადახვევის შესაძლებლობები გერმანულ სამართალში. ეს შესაძლებლობები ისეთი ფაქტობრივი ასპექტებიდან გამომდინარეობს, როგორცაა: ზოგადი ცხოვრებისეული გამოცდილება (პრეიუდიციული ძალის მქონე ფაქტებთან დაკავშირებით იხ. ქვემოთ ა.ნ. 6 და მომდევნო აბზაცები), მხარეთა თანაბარი საპროცესო შესაძლებლობების პრინციპი (იხ. მე-4 მუხლის კომენტარი, ა.ნ. 2 და მომდევნო აბზაცები) და მოსამართლის ძალი-

სხმევა, რომ მტკიცების ტვირთის განაწილებისას დაცული იყოს მხარეთა სამართლიანი ინტერესები და ეფექტური სამართლებრივი დაცვის პრინციპი. აქედან გამომდინარე, არსებობს სხვადასხვა საფეხურიანი დიფერენცირებული სტრუქტურა, რომელიც მოიცავს ასპექტებს ზომიერი მოთხოვნებით დანყებული მოსამართლის შინაგან რწმენასთან დაკავშირებით (მტკიცების ტვირთის შემსუბუქება), როდესაც მტკიცების ტვირთის მქონე მხარეს მტკიცებულების წარმოდგენა არ შეუძლია (BGH, Beschluss vom 22.11.2017 - VII ZB 67/15 - FamRZ 2018, 281; BGH, Urteil vom 31.05.2017 - VIII ZR 224/16 – NJW 2017, 2285; BGH, Urteil vom 02.11.2006 - III ZR 10/06 - NJW 2007, 603), გაგრძელებული მტკიცების მონინაალმდევე მხარის ე.წ. მეორადი ტვირთით (BGH, Urteil vom 24.03.2010 - XII ZR 175/08 - BGHZ 185, 1; BGH, Urteil vom 19.10.2017 - III ZR 565/16 - NJW-RR 2017, 1520; BGH, Beschluss vom 20.06.2017 - VI ZR 505/16 - ZIP 2017, 1492; BGH, Urteil vom 29.11.2016 - X ZR 122/14 - NZBau 2017, 176) და დამთავრებული მტკიცების ტვირთის სრულად შემობრუნებით (BGH, Urteil vom 24.07.2018 - VI ZR 294/17- juris; BGH, Urteil vom 11.05.2017 - III ZR 92/16 - BGHZ 215, 44; BGH, Urteil vom 10.05.2016 - VI ZR 247/15 - NJW 2016, 2502) (იხ. ქვემოთ ა.ნ. 28 და მომდევნო აბზაცები).

ა) **პრეიუდიციული ძალის მქონე ფაქტების პრინციპები**, რომელიც აგრეთვე „პირველადი ვარაუდის მტკიცებულებად“ იწოდება, აკონკრეტებს საყოველთაო გამოცდილების საფუძველზე აღიარებულ ფაქტებს. ამ პრინციპებს გერმანიაში ჩვეულებითი სამართალი აღიარებს და არსებითი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. პრეიუდიციული ძალის მქონე მტკიცებულების ძირითადი იდეა, უპირველეს ყოვლისა, მაშინ გამოიყენება, როდესაც განსაზღვრული დადგენილი მოცემულობა, საყოველთაო გამოცდილებიდან გამომდინარე, უნდა დავუკავშიროთ განსაზღვრულ მიზეზს და/ან განსაზღვრულ მიზეზთა ჯაჭვს; ან თუ განსაზღვრული გარემოება, საყოველთაოდ აღიარებული გამოცდილებიდან გამომდინარე, შეიძლება, განსაზღვრული შედეგის დადგომას დავუკავშიროთ (BGH, Urteil vom 19.07.2004 - II ZR 218/03 – BGHZ 160, 134; BGH, Beschluss vom 29.08.2018 – VII ZR 195/14 – NJW-RR 2018 1287; BGH, Beschluss vom 12.04.2018 - V ZR 153/17 - juris; BGH, Versäumnisurteil vom 10.04.2014 – VII ZR 254/13 - NJW-RR 2014, 1115). შემოკლებულად, გერმანიაში ხშირად ამბობენ, რომ „პრეიუდიციული ძალის მქონე მტკიცებულება ბრალეულობას მოასწავებს“. ამით ნაგულისხმევია, რომ პრეიუდიციული ძალის მქონე მტკიცებულებიდან გამომდინარე მოვლენათა იმ ფაქტობრივი მიმდინარეობიდან უნდა ამოვიდეთ, როდესაც, საყოველთაო გამოცდი-

ლებიდან გამომდინარე, ერთი შეხედვით ითქმის, რომ მას აუცილებლად ბრალეული ქმედება ედება საფუძვლად. მაშასადამე, საქმე ეხება (ძალზე მარტივად რომ ვთქვათ) მოვლენებს, რომელიც, როგორც წესი, საბედისწერო ან უკონტროლო კი არ არის, არამედ რომელთა შემთხვევაშიც (საყოველთაო ცხოვრებისეული გამოცდილებიდან გამომდინარე) „არასწორად გაკეთდა“ (ანუ ბრალეულობით) ის, რისი თავიდან აცილებაც შეიძლებოდა.

აა) პრეიუდიციული ძალის მქონე მტკიცებულების გამოყენების წინაპირობაა ის, რომ განსაზღვრული გარემოება სადავო არ იყოს ან იყოს დამტკიცებული, რაც საყოველთაო ცხოვრებისეული გამოცდილებიდან გამომდინარე, დიდი ალბათობით, მოვლენათა განსაზღვრულ ჯაჭვს შეიძლება დაუფკავშიროთ. (BGH, Beschluss vom 29.08.2018 - VII ZR 195/14 - NJW-RR 2018 1287; BGH, Versäumnisurteil vom 10.04.2014 - VII ZR 254/13 - NJW-RR 2014, 1115; BGH, Urteil vom 04.05.2012 - V ZR 71/11 - NJW 2012, 2263.

(1) მაგალითები უმაღლესი ფედერალური სასამართლოს აქტუალური პრაქტიკიდან:

- ავტოსაგზაო შემთხვევებისას, როდესაც შეჯახება უკნიდან ხდება, ერთი შეხედვით, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ შემჯახებელმა ბრალეულად გამოიწვია ავტოსაგზაო შემთხვევა (BGH NJW 2017, 1177 - ამონა-რიდების სახით წარმოდგენილია ა.ნ. 27-ში; BGHZ 192, 849). როგორც ა.ნ. 25 და მომდევნო აზრაცებში უფრო დეტალურად იქნება წარმოდგენილი, მსგავსი პრეიუდიციული ძალის მქონე მტკიცებულების წინაპირობა ისაა, რომ, პირველ რიგში, სახეზე იყოს უკნიდან შეჯახებისთვის დამახასიათებელი ავტოსაგზაო სიტუაცია (მდრ. აგრეთვე OLG München, Urteil vom 13.07.2018 - 10 U 1856/17 - juris; OLG München, Urteil vom 28.09.2018 - 10 U 4206/17 - juris, უკნიდან შეჯახებისას მოძრაობის ზოლის შეცვლის შემდეგ; OLG Schleswig, Urteil vom 30.01.2018 - 7 U 100/17 - juris, უკნიდან შეჯახებისას უსაფუძვლოდ დამუხრუჭებისას, ან მოძრაობის ზოლის შეცვლის შემდეგ). უნდა აღინიშნოს, რომ გერმანულ სასამართლო პრაქტიკაში სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს პრეიუდიციული ძალის მქონე მტკიცებულებების პრინციპები ზუსტადაც ავტოსაგზაო შემთხვევების სამართალში.

- მარცხნივ შემხვევისა და საპირისპირო მხრიდან პირდაპირ მოძრავი ავტომანქანების შეჯახებისას პრეიუდიციული ძალის მქონე მტკიცებულება შეიძლება შემხვევის ბრალეულობის სასარგებლოდ მეტყველებდეს (BGH, Urteil vom 13.02.2007 - VI ZR 58/06 – NJWRR 2007, 1077; იხ.

აგრეთვე BGH, Urteil vom 11.01.2005 - VI ZR 352/03 - NJW 2005, 1351; რთული ხილვადობისას ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართულებით პირდაპირ მოძრავი ავტომანქანების შეჯახებისას (ამაღლებული ადგილი მოსახვევში) და საპირისპირო მიმართულებიდან გადაჭარბებული სიჩქარით მოძრავი ავტომანქანისას; OLG Saarbrücken, Urteil vom 19. Oktober 2017 - 4 U 29/17 - juris).

- მარცხნივ შემხვევ ავტომანქანასა და გადამსწრებს შორის შეჯახებისას პრეიუდიციული ძალის მქონე მტკიცებულება შეიძლება მეტყველებდეს შემხვევის ბრალეული ქმედების სასარგებლოდ, რომ მან დაარღვია ე.წ. მეორედ უკან გახედვის ვალდებულება (უშუალოდ მოხვევის მანევრის განხორციელებამდე უკან ხედვის სარკეში ჩახედვის ვალდებულება*), რის გამოც მან ბრალეულად გამოიწვია ავტოსაგზაო შემთხვევის დადგომა (OLG Düsseldorf, Urteil vom 10.04.2018 - 1 U 86/07 - NJW-RR 2018, 1298; OLG Saarbrücken, Urteil vom 01. Dezember 2016 - 4 U 109/15 - juris; KG, Urteil vom 01.08.2005 - 12 U 41/05 - NZV 2006, 309; OLG Naumburg, Urteil vom 12.12.2008 - 6 U 106/08 - NZV 2009, 227). ამასთან დაკავშირებით არაფერს ცვლის აგრეთვე შესაბამის მონაკვეთზე გასწრების აკრძალვის არსებობაც (OLG Düsseldorf, Urteil vom 10.04.2018 - 1 U 86/07 - NJW-RR 2018, 1298). თუმცა პრეიუდიციული ძალის მქონე მტკიცებულება არ გამოიყენება, რამდენადაც გადამსწრები გადასწრების მანევრისას არ გადაადგილდებოდა უდავოდ უშუალოდ მარცხნივ შემხვევის უკან, არამედ მანამდე „ერთბაშად“ რამდენიმე ავტომანქანას გადაასწრო. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ასეთ შემთხვევაში სახეზე აღარ გვაქვს ტიპური ავტოსაგზაო შემთხვევა მარცხნივ შემხვევს/გადამსწრებს შორის (OLG München, Urteil vom 19. Mai 2017 - 10 U 3718/16 - juris).

* § 9 GER-StVO (კანონი საგზაო მოძრაობის შესახებ) - შეხვევა, მობრუნება და უკან სვლა

(1) ... მოძრაობის ზოლის გამოცვლისას და შეხვევისას მძღოლმა უნდა გაითვალისწინოს უკან მოძრავი ავტომობილების გადაადგილების ტრაექტორია; ეს აღარ არის საჭირო შეხვევამდე, რამდენადაც გამორიცხულია საფრთხის შექმნა მის უკან მოძრავი ავტომანქანებისთვის.

- თუ მძღოლი, რომელიც ავტოსადგომზე დაყენებული ავტომანქანის უკუსვლით გამოყვანისას დაეჯახება ავტოსაგზაო შემთხვევის მეორე მონაწილის ავტომანქანას, პრეიუდიციული ძალის მქონე მტკიცებულების პრინციპები ამ უკანასკნელის სასარგებლოდ გამოიყენება (BGH, Urteil vom 26.01.2016 - VI ZR 179/15 - NJW 2016, 1100; BGH, Urteil vom 11.10.2016 - VI ZR 66/16 - NJW 2017, 1175). თუმცა, თუ უდავოა, რომ

ავტოსაგზაო შემთხვევისას ავტოსაგზაო შემთხვევის მონაწილე მეორე ავტომანქანაც მოძრაობდა, ასეთ დროს პრეიუდიციული ძალის მქონე მტკიცებულება არ გამოიყენება, რადგან ავტოსადგომზე მდგომი ავტომანქანის გამოყენებისას ორი თანადროულად მოძრავი ავტომანქანის შემთხვევაში თავიდანვე ატიპიური ავტოსაგზაო სიტუაციაა სახეზე (BGH, Urteil vom 11.10.2016 - VI ZR 66/16 - NJW 2017, 1175) (ამასთან დაკავშირებით უფრო დანვრილებით იხ. ქვემოთ ა.ნ. 25).

- საგზაო უსაფრთხოების ვალდებულების დადგენილი დარღვევისას, მაგალითად, ზამთრის პირობებში ტექნიკური მარლის დაყრის ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში ზიანის დადგომისას, რომელიც, როგორც წესი, საგზაო უსაფრთხოების ვალდებულების დარღვევით აიხსნება, პრეიუდიციული ძალის მქონე მტკიცებულება იმის სასარგებლოდ მეტყველებს, რომ ვალდებულების დარღვევის გარეშე ავტოსაგზაო შემთხვევა არ დადგებოდა (BGH, Urteil vom 20.06.2013 - III ZR 326/12 - VersR 2013, 1322; BGH, Beschluss vom 26.02.2009 - III ZR 225/08 - NJW 2009, 3302; BGH, Urteil vom 14.12.1993 - VI ZR 271/92 - NJW 1994, 945). სპეციფიკური პროფესიული და ორგანიზაციული ვალდებულებების შემთხვევაში უხეში გაუფრთხილებლობით ვალდებულებების დარღვევისას, ზიანის დადგომასთან მათი მიზეზ-შედეგობრივი კავშირიდან გამომდინარე, მტკიცების ტვირთის სრულად შემობრუნება ივარაუდება (იხ. ქვემოთ ა.ნ. 58).

- ამისგან განსხვავებით, სახეზე არ არის პრეიუდიციული ძალის მქონე მტკიცებულება საიმისოდ, რომ მიმღებმა მართლაც მიიღო მისთვის დადასტურებულად გაგზავნილი წერილი (BGH, Urteil vom 27.09.2016 - II ZR 29/15 -BGHZ 212, 104; BGH, Urteil vom 24.04.1996 - VIII ZR 150/95 - NJW 1996, 2033). ეს მოქმედებს დაზღვეული წერილის შემთხვევაშიც, რომელსაც ხელი უნდა მოაწეროს მიმღებმა, როდესაც მიმღები ან წერილის მიღებაზე უფლებამოსილი პირი სახლში არ არის და ფოსტალიონი მიმღებს დაუტოვებს შეტყობინებას, რომ მისთვის განკუთვნილი წერილი ფოსტის მითითებული ფილიალიდან წამოიღოს (BGH, Urteil vom 27.09.2016 - II ZR 29/15 - BGHZ 212, 104; აგრეთვე კითხვასთან დაკავშირებით, ივარაუდება თუ არა ჩაბარება კეთილსინდისიერებიდან გამომდინარე იმ შემთხვევაშიც, რამდენადაც მიმღები განზრახ უარს განაცხადებს წერილის ჩაბარებაზე); აგრეთვე, ფაქსით გაგზავნილი დოკუმენტის გაგზავნის შედეგად მიღებული „OK“ დასტური არ არის პრეიუდიციული ძალის მქონე მტკიცებულება მიმღებთან წერილის ფაქტობრივად მისვლის შესახებ, რადგან „OK“ დასტური მხოლოდ კავშირის

დამყარებას ადასტურებს მიმღებთან და არა მიმღებ აპარატთან სიგნალების წარმატებულ მისვლას (BGH, Beschluss vom 12.04.2016 - VI ZB 7/15 - NJW-RR 2016, 816; BGH, Beschluss vom 14.05.2013 - III ZR 289/12 - NJW 2013, 2514).

- გადახდის საიდენტიფიკაციო ინსტრუმენტის საშუალებით 675w Satz 3

GER-BGB*-ის მიხედვით (online/banking-ით) განხორციელებული გადახდის ოპერაციისას, პრეიუდიციული ძალის მქონე მტკიცებულებების პრინციპების გამოყენების წინაპირობა ისაა, რომ სახეზე იყოს, ერთი მხრივ, აქტუალური ცოდნის საფუძველზე გამოყენებული უსაფრთხოების მექანიზმის პრაქტიკული დაუძლეველობა არაუფლებამოსილი პირის მიერ და მეორე მხრივ, მისი სათანადო გამოყენება და კონკრეტულ ცალკეულ შემთხვევაში უნაკლო ფუნქციონირება (BGH, Urteil vom 26.01.2016 - XI ZR 91/14 - BGHZ 208, 331).

*§ 675w GER-BGB - ავთენტიზაციის დადასტურება

თუ განხორციელებული გადახდის ავტორიზაცია სადავოა, გადახდის სერვისების მომწოდებელმა უნდა დაამტკიცოს, რომ ავთენტიზაცია დადგინდა და ჯეროვნად მოხდა გადახდის პროცედურის ჩაწერა, ანგარიშზე თანხის დასმა და რომ პროცედურის ხარვეზით გამონვეულ ხელშეშლას ადგილი არ ჰქონია. ავთენტიზაცია დადგენილად ითვლება მაშინ, თუკი გადახდის სერვისების მომწოდებელმა, შესაბამისი პროცედურების დახმარებით, შეამოწმა გადახდის ავთენტიზაციის დამდგენი განსაზღვრული ინსტრუმენტის გამოყენება მისი პერსონალიზებული უსაფრთხოების მახასიათებლების ჩათვლით. თუ გადახდა ავთენტიზაციის დამდგენი ინსტრუმენტის მეშვეობით შესრულდა, მაინც საკმარისი არ არის გადახდის სერვისების მომწოდებლის მიერ მხოლოდ გადახდის ავთენტიზაციის დამდგენი ინსტრუმენტის გამოყენების დაფიქსირება, ავთენტიზაციის დადგენის ჩათვლით, იმის დასადასტურებლად, რომ გადამხდელმა:

1. გაიარა გადახდის პროცედურების ავტორიზაცია;
2. მოქმედებდა მოტყუების განზრახვით;
3. დაარღვია ერთი ან რამდენიმე ვალდებულება § 675I-ის მიხედვით;
4. განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით დაარღვია ერთი ან რამდენიმე პირობა გადახდის ავთენტიზაციის დამდგენი ინსტრუმენტის მიჩვენებასთან და გამოყენებასთან დაკავშირებით.

- პრეიუდიციული ძალის მქონე მტკიცებულება სატელეფონო საუბრების ანგარიშსწორების სისწორისათვის გამოიყენება მხოლოდ სერტი-

ფიცირებული დაანგარიშების სისტემის შემთხვევაში (§ 45g Abs. 2 GER-TKG) და კლიენტის დროული შესაგებლის საფუძველზე განხორციელებული ტექნიკური შემონმებისას (§ 45i Abs. 2 Satz 2, Abs. 3 Satz 2 GER-TKG), როდესაც დაშვებულ შეცდომაზე ან შესაძლო მანიპულაციებზე მიიწინება არ გამოვლინდა (BGH, Urteil vom 07.02.2013 - III ZR 200/11 - NJW 2013, 1092).

- თუ რამდენიმე დღის შემდეგ, რაც მენარდემ მოამზადა სპეციალური კონსტრუქცია, რომელზეც მოგვიანებით პარკეტი უნდა დაიგოს, გათბობის მილიდან (რომელიც უშუალოდ ამ კონსტრუქციის ქვეშ გადის) წყალი გაჟონავს და ამის მიზეზი მისილურსმნით გახვრეტა იქნება, პრეიუდიციული ძალის მქონე მტკიცებულება იმაზე მეტყველებს, რომ ზიანი მენარდის მიერ შესრულებული სამუშაოს შედეგად დადგა, რადგან დადგინდა, რომ მან შესაბამისი კონსტრუქციის დასამაგრებლად ლურსმანი გამოიყენა (BGH, Versäumnisurteil vom 10.04.2014 - VII ZR 24/13 - NJW-RR 2014, 1115). თუ გაცხელებით შენებების (მემბრანის დაგება) სამუშაოების შესრულებისას ცეცხლსაშიშ გარემოში (30 წლის ხის სათავსო ადვილად აალებადი საიზოლაციო შრით) ხანძარი გაჩნდება და სახეზე არ იქნება ხანძრის გამომწვევი რამე სხვა ხელმოსაჭიდი გარემოება და მიზეზი, პრეიუდიციული ძალის მქონე მტკიცებულება იმაზე მეტყველებს, რომ ხანძარი გაცხელებით შენებების სამუშაოებმა გამოიწვია (BGH, Urteil vom 01.10.2013 - VI ZR 409/12 - NJW-RR 2014, 270).

- ტრანსპორტირებისა და მითითებული ტვირთის დაკარგვის მტკიცებულება პრეიუდიციული ძალის მქონე მტკიცებულების ფარგლებში ვერ განიხილება. თუ პირი ტვირთის დაკარგვის გამო ზიანის ანაზღაურებას ითხოვს, მან უნდა დასაბუთებულად მიუთითოს და დაამტკიცოს, რომ ტვირთი გადამზიდი კომპანიის მეთვალყურეობის ქვეშ ყოფნისას დაიკარგა (BGH, Beschluss vom 11.01.2017 - IV ZR 74/14 - NJWRR 2017, 738; BGH, Urteil vom 13.09.2012 - I ZR 14/11 - NJW-RR 2013, 813).

(2) გერმანული სასამართლო პრაქტიკა იქიდან ამოდის, რომ, ძირითადად, არ არსებობს ადამიანების საკმარისად საიმედოდ პროგნოზირებადი ქცევა ან მოტივები განსაზღვრულ ცხოვრებისეულ სიტუაციებში (BGH, Urteil vom 19.07.2004 - II ZR 218/03 - BGHZ 160, 134; BGH, Urteil vom 18.03.1987 - Iva 205/85 - BGHZ 100, 214 für Suizid; BGH, Urteil vom 04.06.2007 - II ZR 147/05 - NJW 2008, 76). აქედან გამომდინარე, პრეიუდიციული ძალის მქონე მტკიცებულება არ გამოიყენება ადამიანური **წების გამოვლენისას**, რომელიც თავისი ბუნებით, როგორც წესი, ინდივიდუალური ფაქტორებითაა გაჯერებული.

თუმცაღა, აქვე უნდა ითქვას, რომ ამ მიდგომისგან არსებობს გამონაკლისებიც განმარტებისა და კონსულტაციის ვალდებულებების დარღვევისას, რომელიც შემოკლებით, ასევე, იწოდება, როგორც **კონსულტაციის შესატყვისი ან კონსულტაციის საპირწონე ქცევის** ვარაუდი. დაზარალებულს, ყველა შემთხვევაში, მაშინ შეუძლია დაეყრდნოს ამ ვარაუდს, როდესაც ინტერესთა მდგომარეობის ან სხვა ობიექტური გარემოებების გათვალისწინებით, კონკრეტულ სიტუაციაში და ჯეროვანი კონსულტაციის პირობებში, განსაზღვრული ნების ფორმირება შეუძლია. (BGH, Urteil vom 10.05.2012 - IX ZR 125/10 - BGHZ 193, 193; BGH, Urteil vom 30.09.1993 - IX ZR 73/93 - BGHZ 123, 311; BGH, Urteil vom 17.03.2016 - IX ZR 142/14 - WM 2016, 2091). ეს მიდგომა ხელშეკრულების მიზანთან დაკავშირებით, პირველ რიგში, მოქმედებს ძირითადი ვალდებულების (ანუ არა მარტო დამატებითი სახელშეკრულებო ვალდებულება) სახით ფორმირებული საკონსულტაციო ვალდებულებებისთვის (მაგ. ადვოკატის საკონსულტაციო ვალდებულებებისთვის [BGH, Urteil vom 10.05.2012 - IX ZR 125/10 - BGHZ 193, 193; BGH, Urteil vom 17.03.2016 - IX ZR 142/14 - WM 2016, 2091; BGH, Urteil vom 06.12.2001 - IX ZR 124/00 - NJW 2002, 593]; Steuerberater [BGH, Urteil vom 30.09.1993 - IX ZR 73/93 - BGHZ 123, 311; BGH, Urteil vom 10.07.2014 - IX ZR 197/12 - NJW-RR 2015, 626; BGH, Urteil vom 20.03.2008 - IX ZR 104/05 - NJW 2008, 2647]; Notar [BGH, Urteil vom 13.04.2000 - IX ZR 432/98 - NJW 2000, 2110]). გერმანიის უმაღლესმა ფედერალურმა სასამართლომ ადრინდელ გადანყვეტილებებში მხოლოდ მოკრძალებულად ივარაუდა მსგავსი სიტუაციების არსებობა კაპიტალის დაბანდების საქმეებზე მიღებული გადანყვეტილებებისას. ამ გადანყვეტილებებში იგი ვარაუდობდა, რომ გადანყვეტილება, დააბანდოს თუ არა პირმა საერთოდ კაპიტალი და როგორ უნდა გააკეთოს ეს, ეფუძნება მის ინდივიდუალურ ნებას, რაზეც, თავის მხრივ, გავლენას ახდენს მრავალმხრივი რაციონალური და ირაციონალური ფაქტორები და სპეკულანტური ელემენტები. აქედან გამომდინარე, სასამართლო, ძირითადად, არ უშვებს პრეიუდიციული ძალის მქონე მტკიცებულების გამოყენებას (საბირჟო სამართალთან დაკავშირებული არასწორი ნაუცბათევი გადანყვეტილებებისთვის და არასწორი მონაცემებისთვის ემისიასთან დაკავშირებულ სავაჭრო ცნობარებში: BGH, Urteil vom 19.07.2004 - II ZR 218/03 - BGHZ 160, 134; BGH, Urteil vom 04.06.2007 - II ZR 147/05 - NJW 2008, 76).

მიზეზ-შედეგობრიობის ვარაუდი, უმეტესად, არ გამოიყენება, რამდენადაც ჯეროვანი კონსულტაციის შემთხვევაში მხარე არ განახორციე-

ლებდა განსაზღვრულ ქმედებას ან არ მიიღებდა განსაზღვრულ გადაწყვეტილებას, არამედ ხელშეკრულების მხარე საკუთარ თავთან ე.წ. **გადანწყვეტილების მიღების კონფლიქტში** აღმოჩნდებოდა (BGH, Urteil vom 05.07.2016 - V ZR 168/15 - BGHZ 211, 216; BGH, Urteil vom 01.03.2013 - V ZR 279/11 - NJW 2013, 1873; BGH, Urteil vom 06.04.2001 - V ZR 402/99 - NJW 2001, 2021; BGH, Urteil vom 11.03.1997 - XI ZR 92/96 - NJW 1997, 2171). კაპიტალდაბანდებებისას უმაღლესი ფედერალური სასამართლო ახალ გადაწყვეტილებებში ამოდის იქიდან, რომ კაპიტალდაბანდებასთან დაკავშირებული კონსულტაციის დაცვის მიზნიდან გამომდინარე, მიზეზ-შედეგობრიობის ვარაუდი იმ შემთხვევაშიც კი არსებობს, თუ კონსულტაციის მიმღები კონსულტაციის შედეგადაც ვერ მიიღებს განსაზღვრულ გადაწყვეტილებას და საკუთარ თავთან გადაწყვეტილების მიღების კონფლიქტში აღმოჩნდება (BGH, Urteil vom 08.05.2012 - XI ZR 262/10 - BGHZ 193, 159; BGH, Urteil vom

15.07.2014 - XI ZR 418/13 - NJW 2014, 2951; BGH, Beschluss vom 10.01.2017 - XI ZR 365/14 - juris; siehe auch: BGH, Urteil vom 05.07.2016 - V ZR 168/15 - BGHZ 211, 216). უნდა დაველოდოთ, როგორ განვითარდება ეს სასამართლო პრაქტიკა, რომელიც, როგორც ზემოთ გამოჩნდა, საკმაოდ არაერთგვაროვანია.

ბ) თუ პრეიუდიციული ძალის მქონე მტკიცებულების საფუძვლები სახეზეა, საპროცესო მოწინააღმდეგის ჯერია მათი შერყევა ამას, ნაწილობრივ, **შერყევის** ნაცვლად (რაც ამ შემთხვევაში ერთი და იმავეს გულისხმობს) პრეიუდიციული ძალის მქონე მტკიცებულებისთვის ძალის გამოცლასაც უწოდებენ.

ვინაიდან პრეიუდიციული ძალის მქონე მტკიცებულება წარმოადგენს მტკიცებულების წესს, რომელსაც საფუძვლად მოვლენათა განსაზღვრული მიმდინარეობის ტიპურობა უდევს, ის არ ამართლებს მტკიცების ტვირთის სრულ შებრუნებას. ამდენად, პრეიუდიციული ძალის მქონე მტკიცებულების შერყევისათვის საკმარისია, თუ მხარე, რომლის წინააღმდეგაცაა მიმართული პრეიუდიციული ძალის მქონე მტკიცებულება, სერიოზულად კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებს იმ საყოველთაოდ აღიარებულ ფაქტს, რომელიც ამ მტკიცებულებას უდევს საფუძვლად. ამისთვის აუცილებელია, რომ მოხდეს სხვა მიზეზ-შედეგობრიობის კონკრეტულ შესაძლებლობაზე მითითება და მისი **დამტკიცება** BGH, Urteil vom 30.09.1993 - IX ZR 7/93 - BGHZ 123, 311; BGH, Urteil vom 16.01.2007 - VI ZR 248/05 - NJW-RR 2007, 680; BGH, Urteil vom 13.12.2016 - VI ZR 32/16 - NJW 2017, 1177; ამონარიდების სახით ციტირებულია 27-ე აბზაცში).

მამასადამე, აუცილებელი არ არის სხვა მიზეზ-შედეგობრიობის დამტკიცება, ანუ პრეიუდიციული ძალის მქონე მტკიცებულებით ნავარაუდები შედეგის საპირისპიროს დამტკიცება, არამედ აუცილებელია კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებებზე მითითება და დამტკიცება (მხოლოდ ალბათობაზე აპელირება საკმარისი არ არის), რაც მნიშვნელოვნად განაპირობებს კონკრეტულ შემთხვევაში მოვლენათა ატიპიური განვითარების შესაძლებლობას. პრეიუდიციული ძალის მქონე მტკიცებულების შერყევა ან მისთვის ძალის გამოცლა მხოლოდ მის შედეგებს აღმოფხვრის, ანუ კანონისმიერი ვარაუდი არაფერს ცვლის იმასთან დაკავშირებით, რომ მტკიცების ტვირთის მქონე მხარემ კვლავინდებურად უნდა **ნარმოადგინოს სრული მტკიცებულება** მის მიერ მითითებულ მიზეზ-შედეგობრივ გარემოებებთან დაკავშირებით.

გგ) მიუხედავად იმისა, რომ პრეიუდიციული ძალის მქონე მტკიცებულების პრინციპები დადგენილია სასამართლო პრაქტიკით, მათი გამოყენება, არც თუ იშვიათად, უკავშირდება პრაქტიკულ სირთულეებს. პირველ რიგში, ყოველთვის მარტივი არ არის გამიჯვნა, თუ რომელი ფაქტობრივი გარემოება უნდა შემოწმდეს კითხვასთან დაკავშირებით, სახეზეა თუ არა ზოგადი ცხოვრებისეული გამოცდილებიდან გამომდინარე, საკმარისი ვარაუდის საფუძველი საიმისოდ, რომ კონკრეტულ მიზეზ-შედეგობრივ კავშირზე გავიდეთ. გამოიყენება თუ არა საერთოდ პრეიუდიციული ძალის მქონე მტკიცებულების პრინციპები და რომელი ფაქტობრივი გარემოებები შეიძლება, მეტყველებდეს ტიპური სიტუაციის საწინააღმდეგოდ, ამის განსაზღვრა მხოლოდ მოგვიანებითაა შესაძლებელი, როდესაც საქმე პრეიუდიციული ძალის მქონე მტკიცებულების შერყევაზე მიდგება.

„შემომების სქემა“ ისე მიმდინარეობს, რომ თავდაპირველად უდავო ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე დადგინდეს, სახეზეა თუ არა მოვლენათა ტიპური მიმდინარეობა. თუ ეს ასეა, მაშინ გამოიყენება პრეიუდიციული ძალის მქონე მტკიცებულება და ჯერი უკვე მონინააღმდეგეზეა, შეარყიოს ის, მაგალითად, როგორც ქვემოთ (ა.ნ. 27) დასახელებულ შემთხვევაში უდავო იქნებოდა მხოლოდ უკნიდან შეჯახება წინ მიმავალ ავტომანქანაზე. ხოლო თუ პირიქით, მოცემულ შემთხვევაში უდავო იქნებოდა, რომ ავტოსაგზაო შემთხვევის მონაწილე მეორე ავტომანქანამ უშუალოდ შეჯახებამდე შეიცვალა მოძრაობის ზოლი, უკვე სახეზე აღარ გვექნებოდა „უკნიდან შეჯახების“ ტიპური სიტუაცია და აქედან გამომდინარე, ვერც თავიდანვე გამოვიყენებდით პრეიუდიციული ძალის მქონე მტკიცებულებებს. მსგავსი სიტუაცია გვექნებოდა ზემოთ (ა.ნ. 12) დასახელებულ მაგალითში ავტოსადგომზე მომხდარ შემთხვევასთან და-

კავშირებით. რადგან იმ შემთხვევაში უდავოდ მხოლოდ ერთი ავტომანქანა მოძრაობდა, ეს არის ავტოსადგომის ტიპური შემთხვევა ე.წ. „ავტოსადგომის შემთხვევა“ და იგი მოძრავი ავტომანქანის მძღოლის ბრალეულობაზე მიუთითებს. ამიტომ პრეიუდიციული ძალის მქონე მტკიცებულებაც სწორედ მძღოლმა უნდა შეარყიოს, ან, საჭიროების შემთხვევაში, დაამტკიცოს, რომ შეჯახებისას ინციდენტის მონაწილე მეორე ავტომანქანაც მოძრაობდა (ამით ის ძალას გამოაცლიდა იმ პრეიუდიციული ძალის მქონე მტკიცებულებას, რომელიც მის საწინააღმდეგოდ მოქმედებდა - BGH, Urteil vom 11.10.2016 - VI ZR 66/16 - NJW 2017, 1175). გარდა ამისა, შემთხვევის ამ მონაწილეს, საჭიროების შემთხვევაში, იმის დამტკიცებაც შეუძლია, რომ შემთხვევის მონაწილე მეორე მხარე დაიძრა მის შემდეგ და „პირდაპირ შეასკდა“ მის ავტომანქანას (ამ შემთხვევაში სახეზე იქნება მტკიცებულება შემთხვევის მონაწილე მეორე მხარის ბრალეულობასთან დაკავშირებით). თუ, პირიქით, უდავოა, რომ შეჯახების მომენტისთვის ორივე ავტომანქანა მოძრაობდა (მაგალიდათ, ერთი ავტომანქანის მძღოლი გადაადგილდებოდა წინ, ხოლო მეორე უკან), თავიდანვე სახეზე არ არის ტიპური „ავტოსადგომის შემთხვევა“ და, შესაბამისად, შემთხვევის მონაწილედგის ბრალეულობისთვის მხარემ სრული მტკიცებულება უნდა წარმოადგინოს.

ეს ურთიერთმიმართება ამონარიდების სახით ნაჩვენები იქნება უმაღლესი ფედერალური სასამართლოს ქვემოთ წარმოდგენილ გადაწყვეტილებაში (BGH, Urteil vom 11.10.2016 - VI ZR 66/16 – NJW 2017, 1177). საქმე ეხებოდა ავტოსაგზაო შემთხვევას ავტობანზე, რომლის დროსაც მოტოციკლის მძღოლი (მოსარჩელე) მისაბმელიან ავტოტრანსპორტს დაეჯახა. მოტოციკლის მძღოლი ამტკიცებდა, რომ მისაბმელიანმა ავტოტრანსპორტმა, რომელიც გადასწრების ზოლზე გადაადგილდებოდა, უშუალოდ შეჯახებამდე უცაბედად „ძლიერად“ დაამუხრუჭა, რის შედეგადაც ის უკანა ნაწილით გადმოვიდა მარჯვენა სავალ ზოლზე, რომელზეც მისი მოტოციკლი მოძრაობდა. ამიტომ მას შეჯახების თავიდან აცილება არ შეეძლო. უმაღლესი ფედერალური სასამართლო ამასთან დაკავშირებით აცხადებს:

„ა) უმაღლეს სასამართლო პრაქტიკაში აღიარებულია, რომ ავტოსაგზაო შემთხვევებისას, როდესაც საქმე ეხება უკნიდან შეჯახებას, მაშინაც კი, თუ ეს ავტობანზე ხდება, პრეიუდიციული ძალის მქონე მტკიცებულება შესაძლოა, იმაზე მეტყველებდეს, რომ ის ვინც უკნიდან ეჯახება, ბრალეულად იწვევს ავტოსაგზაო შემთხვევას იმით, რომ ან საჭირო დისტანციას არ იცავს (§ 4 Abs. 1 StVO), ან უყურადღებოდ იყო (§ 1 StVO),

ან კიდევ გზებისა და ხილვადობის მდგომარეობის შეუსაბამო სიჩქარით გადაადგილდებოდა (§ 3 Abs. 1 StVO) (BGHZ 192, 84; BGH NJW 2011, 685; BGH NJW-RR 2007, 680; BGH NJW-RR 1989, 670; BGH NJW 1982, 1595). მძღოლი კი ვალდებულია ისე გადაადგილდეს გზაზე, რომ საჭიროების შემთხვევაში გაჩერება დროულად შეძლოს, თუკი სავალ ნაწილზე დაბრკოლება გაჩნდება (...).

„ძირითადი მოვლენა“ - მოცემულ შემთხვევაში უკნიდან შეჯახება, როგორც ასეთი, პრეიუდიციული ძალის მქონე მტკიცებულების საფუძვლად საკმარისი არ არის, რამდენადაც ცნობილია ავტოსაგზაო შემთხვევის სხვა გარემოებები, რომელიც (მოცემულ შემთხვევაში, შეჯახებამდე განხორციელებული მოძრაობის ზოლის შეცვლა (...)), როგორც განსაკუთრებული გარემოება, მსგავსი კონსტელაციებისას არსებული ტიპურობის წინააღმდეგ მეტყველებს. მთლიანობაში დადგენილი ავტოსაგზაო შემთხვევა, ზოგადი ცხოვრებისეული გამოცდილების შესაბამისად, ტიპური უნდა იყოს იმისათვის, რომ ავტოსაგზაო შემთხვევის იმ მონაწილეს, რომლის საწინააღმდეგოდაც უნდა გამოიყენებოდეს პრეიუდიციული ძალის მქონე მტკიცებულება, ბრალეულობით უნდა ემოქმედა. რამდენად არის ფაქტობრივი გარემოებები ზემოთ თქმულის მიხედვით, ცალკეულ შემთხვევაში, მართლაც ტიპური, შეიძლება შეფასდეს მხოლოდ მთლიანი შემთხვევის ყველა ფაქტობრივი ელემენტის სრულყოფილად გაანალიზების საფუძველზე, რომელიც მხარეთა მიერ გაკეთებული უდავო ახსნა-განმარტებებიდან და ამის საფუძველზე მოსამართლის მიერ გაკეთებული დასკვნებიდან (...) გამომდინარეობს. თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ დადგენილი არ არის, სახეზეა თუ არა (გარდა - ცალკე აღებული ტიპური - ძირითადი შემთხვევისა) გარემოებები, რომელიც არსებობის შემთხვევაში შეენიანააღმდეგებოდა ტიპური შემთხვევის ვარაუდს, მაშინ პრეიუდიციული ძალის მქონე მტკიცებულების გამოყენებას წინ არაფერი უდგას. ვინაიდან, ცხოვრებისეული გამოცდილებიდან გამომდინარე, მთლიანად ავტოსაგზაო შემთხვევა ტიპური უნდა იყოს იმისათვის, რომ ვივარაუდოთ, ავტოსაგზაო შემთხვევის იმ მონაწილემ, რომლის წინააღმდეგაც უნდა იქნეს გამოყენებული პრეიუდიციული ძალის მქონე მტკიცებულება, ბრალეულად იმოქმედა. რამდენად არის ფაქტობრივი გარემოებები ამ გაგებით, ცალკეულ შემთხვევაში, მართლაც ტიპური, შეიძლება მხოლოდ შეფასდეს საქმესთან დაკავშირებით არსებული ყველა ფაქტობრივი გარემოების (რომელიც მხარეთა უდავო ახსნა-განმარტებებიდან და მოსამართლის მიერ გაკეთებული დასკვნებიდან გამომდინარეობს) ყოვლისმომცველი ანალიზის საფუძველზე (...). თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ დადგენილი არ არის, სახეზეა თუ არა (გარდა იმ - ცალკე

აღებულად ტიპური - ძირითადი შემთხვევისა) გარემოებები, რომელიც არსებობის შემთხვევაში შეენინააღმდეგებოდა მომხდარის ტიპურობის ვარაუდს, პრეიუდიციული ძალის მქონე მტკიცებულების გამოყენებისთვის გზა ხსნილია, რადგან ფაქტების დამდგენ მოსამართლეს გადანყვეტილების მიღების საფუძვლად მხოლოდ ტიპური ძირითადი შემთხვევა რჩება, რაც განსაკუთრებული გარემოებების გარეშეც საკმარისია პრეიუდიციული ძალის მქონე მტკიცებულების ვარაუდის საფუძვლად. ანუ თუ უდავოა, აღიარებულია ან პოზიტიურად დადგენილია ფაქტობრივი გარემოებები, რომელსაც პრეიუდიციული ძალის მქონე მტკიცებულების ვარაუდისთვის აუცილებელი ტიპურობა გააჩნია, მაშინ მხარე, რომლის წინააღმდეგაც უნდა იქნეს გამოყენებული პრეიუდიციული ძალის მქონე მტკიცებულება, ვალდებულია, მიუთითოს და საჭიროების შემთხვევაში, დაამტკიცოს კიდევ დამატებითი გარემოებები, რომელიც საფუძველს გამოაცლის დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების ტიპურობას და პრეიუდიციული ძალის მქონე მტკიცებულებას შეარყევს (...).

თუ ამით, იმ ავტომანქანის მძღოლი, რომელიც წინ გადაადგილდებოდა, სადავოდ ხდის უკნიდან შემჯახებლის მტკიცებას, თითქოსდა, მან უშუალოდ შეჯახებამდე შეიცვალა მოძრაობის ზოლი და თუ შემჯახებელს არ შეუძლია დაამტკიცოს წინ მიმავალის მიერ მოძრაობის ზოლის შეცვლა, ამ შემთხვევაში - საქმესთან დაკავშირებით დამატებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინების გარეშე - გვრჩება მხოლოდ უკნიდან შეჯახების შედეგად გამონეული ავტოსაგზაო შემთხვევა, რომელიც, როგორც წესი, უკნიდან შემჯახებლის ბრალეულობითაა გამოწვეული. აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ სწორად ივარაუდა, რომ მსგავს შემთხვევებში წინ მიმავალ მძღოლს, რომელიც პრეიუდიციული ძალის მქონე მტკიცებულებას ეყრდნობა, არ ევალება დაამტკიცოს, რომ მას მოძრაობის ზოლი არ შეუცვლია (...).

ბბ) შედეგად, სააპელაციო სასამართლომ მის მიერ გაკეთებული დასკვნების საფუძველზე დაადგინა, რომ წინამდებარე შემთხვევაში - მოწინააღმდეგის მიერ ვერ შერყეული - პრეიუდიციული ძალის მქონე მტკიცებულება მოსარჩელის ბრალეულობის სასარგებლოდ მეტყველებს, რამაც ავტოსაგზაო შემთხვევა გამოიწვია და იგი მისაბმელიან ავტომანქანას დაეჯახა; ის ფაქტი, რომ მისაბმელიანმა ავტომანქანამ, თითქოსდა, შეჯახებამდე შეიცვალა მოძრაობის ზოლი, ვერ დაადგინა სააპელაციო სასამართლომ; მოსარჩელეს არ მიუთითებია იმ გარემოებებზე, რომელიც

უკნიდან შეჯახების ავტოსაგზაო შემთხვევის ტიპურობას საფუძველს გამოაცლიდა.“

ბ) გარდა პრეიუდიციული ძალის მქონე მტკიცებულების პრინციპებისა, გერმანულ სასამართლო პრაქტიკაში არსებობს მტკიცების ტვირთის ზოგადი პრინციპებისგან გადახვევის მრავალი შესაძლებლობა.

აა) პირველ შესაძლებლობას წარმოადგენს მხარის მითითებისა და მტკიცების ტვირთისთვის **ზომიერი მოთხოვნების** წაყენება იმისათვის, რომ სასამართლომ გაითვალისწინოს მხარის მდგომარეობა **მტკიცებულებების წარმოდგენის შეუძლებლობასთან** დაკავშირებით.

(1) წარმოგიდგენთ მაგალითებს სასამართლო პრაქტიკიდან:

- თუ საჩივრის ვადების დაცვით შეტანილად ან დასაბუთებულად მიჩნევა სასამართლოს შიდა გარემოებებზეა დამოკიდებული (მაგ. საჩივრის შემოსვლისას დასასმელი ბეჭდის სისწორეზე, ან ტელეფაქსის ოქმზე), დაუშვებელია, რომ მოსამართლის მიერ შინაგანი რწმენის შექმნას მომჩივნის მიერ მტკიცებულების წარმოდგენის შეუძლებლობასთან დაკავშირებით გადამეტებული მოთხოვნები დაუწესდეს (BGH, Beschluss vom 22.11.2017 - VII ZB 67/15 - FamRZ 2018, 281; BGH, Urteil vom 31.05.2017 - VIII ZR 224/16 - NJW 2017, 2285; BGH, Beschluss vom 08.10.2013 - VIII ZB 13/13 - NJW-RR 2014, 179).

- სასამართლო **ნივთების** დამზღვევს (მაგ. ბინაში ქურდობის დაზღვევისას, ან სამოგზაურო ნივთების დაზღვევისას) მზღვეველის მიერ შესრულების დაპირებისას, მატერიალური სამართლიდან გამომდინარე, ქურდობასთან დაკავშირებული მტკიცებულებების წარმოდგენისას მტკიცების ტვირთს უმსუბუქებს (BGH, Urteil vom 17.05.1995 - IV ZR 279/94 - BGHZ 130, 1; BGH, Urteil vom 27.11.1980 - IVa ZR 36/80 - BGHZ 79, 54; BGH, Urteil vom 08.04.2015 - IV ZR 171/13 - NJW-RR 2015, 1247). ამ მიდგომას საფუძვლად უდევს მოსაზრება, რომ დანაშაულის ჩამდენი პირი, მაგალითად, ქურდობისას, მაქსიმალურად ცდილობს, შეუმჩნევლად ჩაიდინოს დანაშაული და რაც შეიძლება, ნაკლები კვალი დატოვოს, რის გამოც ხშირად შეუძლებელია მოგვიანებით დანაშაულის მიმდინარეობის კონკრეტულად დადგენა. თუმცა დამზღვევებს, როგორც ეს კარგად იციან მზღვეველებმა და ეთანხმებიან კიდევ ამას, ნივთების დაზღვევით სურთ, თავი დაიცვან მსგავსი შემთხვევებისგან, როდესაც შეუძლებელია ქურდობის გარემოებების დადგენა. აქედან გამომდინარე, ნივთების დაზღვევის ხელშეკრულების მიზანთან თავსებადი არ იქნებოდა, თუ დამზღვევს მოუწევდა, დეტალურად მიეთითებინა და დაემტკიცებინა ქურდობის გარემოებები. ამდენად, ქურდობის დაზღვევისთვის დამახა-

სიათებელია დამზღვევის სასარგებლოდ მტკიცების ტვირთის განსაზღვრული შემსუბუქებები (BGH, Urteil vom 08.04.2015 - IV ZR 171/13 - NJW-RR 2015, 1247; BGH, Beschluss vom 10.11.2010 - IV ZR 122/09 - NJW 2011, 1364), რის გარეშეც ქურდობის დაზღვევის ფასი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგებოდა (BGH, Urteil vom 27.11.1980 - IVa ZR 36/80 - BGHZ 79, 54; BGH, Urteil vom 08.04.2015 - IV ZR 171/13 - NJW-RR 2015, 1247). აქედან გამომდინარე, დამზღვევი ასრულებს მტკიცების ტვირთს, თუ ის დაამტკიცებს ქურდობის გარეგნულ სურათს და ამასთან იმ მინიმალურ ფაქტებზეც მიუთითებს, რომელიც ცხოვრებისეული გამოცდილებიდან გამომდინარე, საკმარისი ალბათობით უშვებს დასკვნას ქურდობის ფაქტთან დაკავშირებით (BGH, Urteil vom 08.04.2015 IV ZR 171/13 - NJW-RR 2015, 1247; BGH, Urteil vom 18.0.2006 - IV ZR 130/05 - NJW 2007, 372). მტკიცების ტვირთის ეს შემსუბუქებები მხოლოდ დამზღვევის სასარგებლოდ მოქმედებს, როდესაც ის სარჩელის შეტანის გზით ითხოვს დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესრულებას და არა მზღვეველის სასარგებლოდ გადახდილი თანხის უკან დაბრუნებასთან დაკავშირებულ საქმისწარმოებას (BGH, Urteil vom 14.07.1993 - IV ZR 179/92 - BGHZ 123, 217; თუ მზღვეველი დამზღვევის მიერ ზემოთ ჩამოთვლილი მოთხოვნების გათვალისწინებით წარმოდგენილი ფაქტების შემდეგ (ქურდობის გარეგნული სურათი) უთითებს, რომ სადაზღვევო შემთხვევა დადგმულია, საკმარისია, თუ მზღვეველი მიუთითებს და თაღლითობის ქმედების დიდ ალბათობას დაამტკიცებს. სრული მტკიცებულების წარმოდგენა სავალდებულო არ არის თაღლითობის ქმედების („სადაზღვევო თაღლითობა“) დასადასტურებლად (BGH, Urteil vom 13.12.2017 - IV ZR 319/17 - VersR 2018, 890; BGH, Urteil vom 16.10.1996 - IV ZR 130705 - NJW-RR 1997, 152).

- თუ მონინაალმდეგისთვის მიზანმიმართული ან დაუდევრობით გამოწვეული ქმედებებით სამართლებრივი დავის მიმდინარეობისას მტკიცებულებების წარმოდგენა გართულდება (BGH, Urteil vom 29.09.2010 - XII ZR 41/09 - NJW 2011, 778; BGH, Urteil vom 23.11.2005 - VIII ZR 43/05 - NJW 2006, 434) ან შესაბამისად უკვე წინასაპროცესო ეტაპზე (BGH, Urteil vom 12.10.2016 - VIII ZR 103/15 - BGHZ 212, 224; BGH, Urteil vom 23.11.2005 - VIII ZR 43/05 - NJW 2006, 434; BGH NJW 2009, 580), მაგალითად, არსებული მტკიცებულებების დაფარვით ან განადგურებით **მტკიცებულებების წარმოდგენის ხელშეშლა** მოხდება, გაითვალისწინება მტკიცების ტვირთის შემსუბუქება, რამაც, თავის მხრივ, საჭიროების შემთხვევაში, თვით მტკიცების ტვირთის შებრუნებამდე შეიძლება მი-

გვიყვანოს (BGH, Urteil vom 12.10.2016 – VIII ZR 103/15 - BGHZ 212, 224; BGH, Urteil vom 29.09.2010 - XII ZR 41/09 - NJW 2011, 778). თუმცა არ ივარაუდება მტკიცებულებების წარმოდგენის ხელშეშლა, რამდენადაც მოწმე - თუნდაც ის მტკიცების მოწინააღმდეგის მხარეზე იყოს - ჩვენების მიცემაზე უარის თქმის საპროცესო უფლებას გამოიყენებს (BGH, Urteil vom 27.07.2017 - I ZR68/16 - NJW 2018, 68).

- თუ რამდენიმე საშიში ნაგებობიდან ემისიების შედეგად § 22 GERWHG-ის მიხედვით (წყლის მოხმარების კანონი) (ძირითადად, მსგავსია სკ-ის 1000-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებისა) გარემოზე მავნე ზემოქმედებას მივიღებთ, მაგალითად, ნავთობის დაღვრის შედეგად ნიადაგის დაბინძურებას, დაზარალებულისგან, მსგავსი ზემოქმედების მტკიცებულების გარდა, დამატებით არ უნდა მოვითხოვოთ (რთული, აგრეთვე მრავალმხრივად შეუძლებელი) მტკიცებულება, რომ კონკრეტულად მისთვის ზიანის მომტანი ნივთიერებები განსაზღვრული ნაგებობიდან მოდის. მტკიცებულების წარმოდგენის შეუძლებლობის გამო, ცალკეული ნაგებობის მფლობელის პასუხისმგებლობისთვის საკმარისი უნდა იყოს ის, რომ ამ ნაგებობიდან მომდინარე ემისიებს მათი სახეობისა და არსებული გარემოებების მიხედვით დამდგარი ზიანის გამონვევა შეეძლო (BGH, Urteil vom 22.07.1999 - III ZR 198/98 - BGHZ 142, 227; BGH, Urteil vom 22.11.1971 - III ZR 112/69 - BGHZ 57, 257).

- განსაკუთრებით რთულია მტკიცებულებების წარმოდგენა, როდესაც ე.წ. **ორ პირს შორის საუბრის** გარემოებები უნდა დადგინდეს (იხ. მე-4 მუხლის კომენტარი, ა.ნ. 3 და მომდევნო აბზაცები, განსკ. ა.ნ. 7). თუმცაღა სასამართლო პრაქტიკა ამ პრობლემის გადაწყვეტას მოსამართლის რწმენისადმი ნაკლები მოთხოვნების წაყენებით არ ცდილობს, არამედ ის უფრო მაღალ მოთხოვნებს უყენებს მოსამართლეს ფაქტების დადგენისა და მტკიცებულებების შეფასების ინტენსიურობაში, მათი დასაბუთების ჩათვლით (BVerfG, Beschluss vom 27.02.2008 - 1 BvR 2588/06 - NJW 2008, 2170; BVerfG, Beschluss vom 21.02.2001 - 2 BvR 140/00 - NJW 2001, 2531; BGH, Urteil vom 08.07.2010 - III ZR 249/09 - BGHZ 186, 152; BGH, Urteil vom 20.07.2017 - III ZR 296/15 - NJW 2017, 3367). მხარეთა **თანაბარი შესაძლებლობების პრინციპი** და აგრეთვე ეფექტური სამართლებრივი დაცვის მოთხოვნა ითვალისწინებს, რომ მხარეს, რომელსაც არ ჰყავს მოწმე გადაწყვეტილების მისაღებად არსებითი მნიშვნელობის მქონე საუბრისათვის, შესაძლებლობა მიეცეს, პროცესზე პირადად წარმოადგინოს იმ მოლაპარაკების მიმდინარეობა, რომელიც მასსა და მოწინააღმდეგე მხარეს შორის გაიმართა და მას პირადად მოუსმინოს

სასამართლომ (შდრ. აგრეთვე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება 27.10.1993 – 37/1992/382/460 - NJW 1995, 1413). გარდა ამისა, მხარის მიერ მტკიცებულების წარმოდგენის მსგავსი შეუძლებლობისას, მოთხოვნები იზრდება მოსამართლის მიერ შექმნილი რწმენის დასაბუთებულობის მიმართ. აქედან გამომდინარე, სასამართლო გადაწყვეტილების საფუძვლებიდან უნდა იკითხებოდეს, რომ მოსამართლემ გაიაზრა მხარის მიერ მტკიცებულების წარმოდგენის შეუძლებლობა და ყოვლისმომცველად და ყოველგვარი ურთიერთინააღმდეგობის გამორიცხვით გააანალიზა საქმეში არსებული გარემოებები და მტკიცებულებების შედეგები (BGH, Beschluss vom 15. August 2012 - VIII ZR 256/11 - juris; BGH, Beschluss vom 8. März 2006 - IV ZR 151/05 - juris; bei Beweisnot allgemein: BGH, Urteil vom 09.03.1990 - V ZR 244/88 - BGHZ 110, 363). ეს პრინციპები მოქმედებს მაშინაც, როდესაც საქმე ეხება სამ პირს შორის გამართულ საუბარს, რომლის დროსაც ერთადერთი მოწმე, რომელიც ამ საუბარს ესწრებოდა, საპროცესო მონააღმდეგის მოწმეა (BGH, Urteil vom 14.05.2013 - VI 325/11 - NJW 2013, 2601; BGH, Beschluss vom 25.09.2003 - III ZR 384/02 - NJW 2003, 3636). სასამართლოს შეუძლია, სამ პირს შორის საუბრისას მხარეთა მსგავსი მოსმენის შედეგს მიანიჭოს უპირატესობა მოწმის ჩვენებებთან შედარებით (BGH, Beschluss vom 25.09.2003 - III ZR 384/02 - NJW 2003, 3636; BGH, Urteil vom 16.07.1998 - I R 32/96 - NJW 1999, 363). სასამართლოს, მით უმეტეს შეუძლია, მოსამართლის მიერ შინაგანი რწმენის შექმნისას (იხ. 105-ე მუხლის კომენტარის, უპირველეს ყოვლისა, ა.ნ. 25 და მომდევნო აბზაცები), ორ პირს შორის გამართული საუბრის შემთხვევაში, ერთ მხარეს დაუჯეროს, ხოლო მეორეს - არა. საპროცესო სამართლებრივად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მხოლოდ იმას, რომ სასამართლომ გაითვალისწინოს მხარის მიერ მტკიცებულებების წარმოდგენის განსაკუთრებული სირთულეები ორ პირს (ან სამ პირს) შორის საუბრებისას და სათანადოდ შეაფასოს ის როგორც საქმისწარმოებისას, ისე გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში (შდრ. მტკიცებულების წარმოდგენის შეუძლებლობის გავლენასთან დაკავშირებით საქარე მინაზე მიმაგრებული ვიდეოკამერით გადაღებული კადრების, როგორც მტკიცებულების დაშვებაზე: 105-ე მუხლის კომენტარი, ა.ნ. 95ა).

(2) გარდა ამისა, გერმანულ სამოქალაქო საპროცესო კოდექსში არსებობს სამართლის პრაქტიკისთვის ძალზე მნიშვნელოვანი რეგულაცია, რომლის მიხედვითაც ზიანის მიმყენებელი გარემოებებისას **ზიანის ოდენობის** მითითებასა (როგორც წესი, ძნელად წარმოსადგენ) და მასთან

დაკავშირებულ მტკიცებულებას მხოლოდ ზომიერი მოთხოვნები უნდა წაეყენოს. ეს დებულება სახელმეკრულეზო მოთხოვნის ოდენობის დადგენისასაც ძალზე მჭიდრო წინაპირობების გათვალისწინებით უშვებს მტკიცების ტვირთის გარკვეულ შემსუბუქებას:

§ 287 GER-ZPO - ზიანის დადგენა; მოთხოვნის ოდენობა

(1) თუ მხარეებს შორის სადავოა, წარმოიშვა თუ არა ზიანი და რა ოდენობისაა იგი ან ის ინტერესი, რომლითაც უნდა მოხდეს მისი კომპენსაცია, ამასთან დაკავშირებით გადანყვეტილებას იღებს სასამართლო, დამოუკიდებლად შექმნილი რწმენის საფუძველზე და საქმესთან დაკავშირებით არსებული ყველა გარემოების შეფასების გათვალისწინებით. უნდა მოხდეს თუ არა და რამდენად ერთ-ერთი მხარის მიერ შუამდგომლობის საფუძველზე მოთხოვნილი მტკიცებულების შეგროვება ან საკუთარი ინიციატივით ექსპერტიზის დანიშვნა, სასამართლოს დისკრეციის საგანს წარმოადგენს....

(2) პირველი ნაწილის პირველი და მე-2 წინადადების დებულებები ქონებრივ-სამართლებრივი დავებისას შესაბამისად უნდა იქნეს გამოყენებული სხვა შემთხვევებშიც, რამდენადაც მხარეებს შორის მოთხოვნის ოდენობა სადავოა და ამის დასადგენად განმსაზღვრელი ყველა გარემოების სრულყოფილი გამოკვლევა უკავშირდება სირთულეებს, რომელიც მოთხოვნის სადავო ნაწილის მნიშვნელობის პროპორციული არ არის.

ეს რეგულაცია მიუღებელი სარგებლის დადგენისას შინაარსობრივად განვრცობილია § 252 GER-BGB-ის მატერიალურ-სამართლებრივი დებულებით:

§ 252 GER-BGB - მიუღებელი სარგებელი

ასანაზღაურებელი ზიანი მოიცავს მიუღებელ სარგებელსაც მოიცავს. მიუღებელია სარგებელი, რომლის მიღებაც, სავარაუდოდ, იქნებოდა მოსალოდნელი საქმის ჩვეული მიმდინარეობის ან განსაკუთრებული გარემოებების გათვალისწინებით, რაშიც, უპირველეს ყოვლისა, შესაბამისად გატარებული ღონისძიებები იგულისხმება.

თავდაპირველად იმას უნდა გაეხვას ხაზი, რომ ეს შემცირებული მოთხოვნები მითითებისა და მტკიცების ტვირთის მოცულობასთან დაკავშირებით, მხოლოდ ზიანის დადგომასა და მის ოდენობას ეხება, მაშასადამე ე.წ. **პასუხისმგებლობის შემავსებელ მიზეზობრიობას** [მიზეზობრიობა სამართლებრივი სიკეთის ხელყოფასა და ზიანის დადგომას შორის] (*haftungsausfüllende Kausalität*) და არა ვალდებულების დარღვევას,

რომელიც მოთხოვნის უფლების საფუძველია, ანუ არა ე.წ. პასუხისმგებლობის წარმომშობ მიზეზობრიობას [მიზეზობრიობა ზიანის მიმყენებლის ქცევასა და სამართლებრივი სიკეთის ხელყოფას შორის] (*haftungsbegründende Kausalität*). ამისთვის, მეტადრე, საჭიროა სრულყოფილი მტკიცებულების წარმოდგენა § 286 GER-ZPO-ით დადგენილი წესის შესაბამისად (BGH, Urteil vom 12.07.2016 - KZR 25/14 - BGHZ 211, 146; BGH, Urteil vom 05.11.2013 - VI ZR 527/12 – NJW 2014, 688; BGH, Urteil vom 12.02.2008 - VI ZR 221/06 - NJW 2008, 1381).

გერმანულ სამართალში (ქართულისგან განსხვავებით) დელიქტიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებების წინაპირობაა ე.წ. აბსოლუტურად დაცული უფლების დარღვევა (განსხვავებით წმინდა ქონებრივი ზიანისგან), მაშასადამე, უპირველეს ყოვლისა, სხეულის, ჯანმრთელობის, საკუთრებისა და თავისუფლების (შდრ. § 823 Abs. 1 GER-BGB), ან ე.წ. დამცავი კანონის დარღვევა § 823 Abs. 2 GER-BGB-ის მიხედვით (უპირველეს ყოვლისა, სისხლისსამართლებრივი რეგულაციები, მაგალითად, თაღლითობა). ამდენად, გერმანიაში, დელიქტიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებებისას სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა ან დამცავი კანონის დარღვევა პასუხისმგებლობის წარმომშობ მიზეზობრიობას განეკუთვნება (BGH, Urteil vom 12.07.2016 - KZR 25/14 - BGHZ 211, 146; BGH, Urteil vom 06.05.2015 - VIII ZR 161/14 - NJW 2015, 2111). თუ ამისგან განსხვავებით, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება აბსოლუტურად დაცული უფლების დარღვევისგან დამოუკიდებლად წარმოიშობა, როგორც ეს ხდება გერმანულ სამართალში ხელშეკრულებიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებებისას (ქართულის მსგავსად), უკვე ზიანის დადგომა, როგორც ასეთი, პასუხისმგებლობის შემავსებელ მიზეზობრიობას უნდა მივაკუთვნოთ (BGH, Urteil vom 12.07.2016 - KZR 25/14 - BGHZ 211, 146; BGH, Urteil vom 15.06.1993 - XI ZR 111/92 - NJW 1993, 3073). ეს მიდგომა, ნაწილობრივ გერმანული დელიქტის სამართლისგან განსხვავებულად მოწესრიგებულ, ქართული დელიქტის სამართალზე რომ გადმოვიტანოთ, ნიშნავს, რომ სავალდებულო იქნებოდა სრული მტკიცებულების წარმოდგენა ბრალეული მართლსაწინააღმდეგო ქმედებისთვის სკ-ის 992-ე მუხლის მიხედვით ზიანის მომტანი ცნობების ბრალეულად განზაურებისთვის სკ-ის 993-ე მუხლის მიხედვით, ან სკ-ის 413-ე მუხლის მე-2 ნაწილის 999-ე მუხლით, 1000-ე მუხლით, 1006-ე მუხლით დასახელებული სამართლებრივი სიკეთეების მართლსაწინააღმდეგოდ ხელყოფისთვის. ამისგან განსხვავებით, დასაშვებია ზიანის შეფასება იმასთან და-

კავშირებით, თუ რამდენად წარმოიშვა, საერთოდ, ამ მოქმედებებით ქონებრივი ზიანი და საჭიროების შემთხვევაში, რამდენად მაღალია იგი.

ზიანის შეფასების ფარგლებში უნდა მოხდეს საპროცესო სამართლისა და მოსამართლის მიერ რწმენის შექმნის პრინციპების შენარჩუნებაც. ამ თემასთან დაკავშირებით ძალზე მოცულობითი გერმანული სასამართლო პრაქტიკიდან მხოლოდ რამდენიმე მნიშვნელოვან პუნქტს მოვიყვანთ:

- მითითებისა და მტკიცების ტვირთის შემსუბუქებები § 252 GER-BGB, § 287 GER-ZPO-ის მიხედვით არაფერს ცვლის იმასთან დაკავშირებით, რომ მიუღებელი შემოსავლისთვის საჭირო პროგნოზის ფარგლებში § 252 Satz 2 GER-BGB-ის მიხედვით, ისევე, როგორც შრომით საქმიანობასთან დაკავშირებით მიმდგარი ზიანის გამოთვლისთვის § 287 GER-ZPO-ის მიხედვით, საჭიროა ამ ზიანთან დაკავშირებული კონკრეტული ფაქტები, რომელზეც დაზარალებულმა უნდა მიუთითოს და სასამართლოს დასარწმუნებლად მტკიცებულებები წარმოადგინოს (BGH, Urteil vom 19.09.2017 - VI ZR 530/16 - NJW 2018, 864). ამასთან, ინდემნარმის მიუღებელი შემოსავლის დადგენისას, როგორც წესი, აუცილებელი და მიღებულია ზიანის დადგომამდე წლების განმავლობაში სამენარმეო საქმიანობის განვითარებისა და შედეგების გათვალისწინება (BGH, Urteil vom 19.09.2017 - VI ZR 530/16 - NJW 2018, 864; BGH NJW 2001, 1640). დაუშვებელია ძალზე მკაცრი მოთხოვნების წაყენება ინდემნარმისთვის მის მიერ წარმოსადგენი სამენარმეო საქმიანობის ჰიპოთეტურ განვითარებასთან დაკავშირებით (BGH, Urteil vom 19.09.2017 - VI ZR 530/16 - NJW 2018, 864).

- თუ წარმოდგენილია ზიანის დადგენასთან დაკავშირებული ფაქტები, თუმცა არასაკმარისად იმისათვის, რომ მოსამართლემ შეფასების საფუძველზე დაადგინოს განხორციელებული მთლიანი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, ამ მოთხოვნის სრული მოცულობით არ დაკმაყოფილება დაუშვებელია. თუ დადგენილია პასუხისმგებლობის საფუძველი და ზიანის დადგომა, როგორც ასეთი, ამის შემდეგ უნდა შემოწმდეს, თუ რა მოცულობით წარმოადგენს მითითებული ფაქტები საკმარის საფუძველს ყველა შემთხვევაში დამდგარი მინიმალური ზიანის დასადგენად (BGH, Urteil vom 12.07.2016 - KZR 25/14 - BGHZ 211, 146; BGH, Urteil vom 16.07.2015 - IX ZR 197/14 - NJW 2015, 3447; BGH, Urteil vom 10.07.2014 - I ZR 249/12 - NJW-RR 2015, 541). მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხელმოსაჭიდი გარემოებების არ არსებობის გამო ვერ ხერხდება მინიმალური ზიანის დასადგენად მეტნაკლებად მყარი საფუძველის მიღება და ამით „ჰაერში იქნებოდა გამოკიდებული“ მოსამართლის დისკრეცია მინიმა-

ლური ზიანის შეფასებასთან დაკავშირებით, ძალაში რჩება წესი, რომელიც გულისხმობს, რომ მოსარჩელეზეა მტკიცების ტვირთი სარჩელის დამაფუძნებელ ფაქტებთან დაკავშირებით, რომლის არ წარმოდგენაც საზიანო იქნებოდა მისთვის (BGH, Urteil vom 21.01.2016 - I ZR 0/14 - GRUR 2016, 860; BGH, Urteil vom 17. Dezember 2014 - VIII ZR 89/13 - juris; BGH, Urteil vom 06.12.2012 - VII ZR 4/10 - NJW 2013, 525; BGH, Versäumnisurteil vom 11.03.2004 - VII ZR 339/02 - NJW-RR 2004, 1023).

- სასამართლოს, როგორც წესი, უფლება აქვს, რომ ზიანის აღმოფხვრისთვის საჭირო ხარჯები ზიანის შეფასების ფარგლებში § 287 GER-ZPO-ის მიხედვით აიღოს ზიანის აღმოფხვრისთვის დაქირავებული მესამე პირის ანგარიშიდან (საბოლოო ანგარიშსწორების თანხიდან) (BGH, Urteil vom 11.02.2014 - VI ZR 225/13 - NJW 2014, 1947; BGH, Urteil vom 15.10.2013 - VI ZR 471/12 - VersR 2013, 1544, შდრ. ექსპერტიზის ხარჯებზე მითითებასთან დაკავშირებით: BGH, Urteil vom 05.06.2018 - VI ZR 171/16 - VersR 2018, 1338). გერმანული ზიანის სამართლის მიხედვით მატერიალურ-სამართლებრივად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს არა მესამე პირისთვის ზიანის აღმოფხვრის ხელშეკრულების საფუძველზე გადასახდელ ხარჯებს, არამედ § 249 Abs. 2 Satz 1 GER-BGB-ის მიხედვით ობიექტურად აუცილებელ ხარჯებს (BGH, Urteil vom 06.11.1973 - VI ZR 27/32 - BGHZ 61, 346; BGH, Urteil vom 11.02.2014 - VI ZR 225/13 - NJW 2014, 1947; BGH, Urteil vom 15.10.2013 - VI ZR 471/12 - VersR 2013, 1544). ხელშეკრულებით შეთანხმებული ან ვალდებულების საფუძველზე გადასახდელი ხარჯები წარმოადგენს § 287 GER-ZPO-ის მიხედვით ზიანის შეფასებისთვის საკმარის არაპირდაპირ მინიშნებას ზიანის აღმოსაფხვრელად ობიექტურად საჭირო ხარჯების ოდენობისთვის, რამდენადაც ეს ხარჯები - დაზარალებულისთვის აშკარად თვალსაჩინოდ - არსებითად არ აღემატება საყოველთაოდ მიღებულ ფასებს. აქედან გამომდინარე, როგორც წესი, საკმარისი არ არის ანგარიშფაქტურის საფუძველზე წარმოდგენილი თანხის შესაბამისობის არაკვალიფიციური შედავება მხარის მიერ იმისათვის, რომ მან კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს განხორციელებული ზიანის ოდენობის მოთხოვნა. განსხვავებულად ხდება, როდესაც მიღწეული შეთანხმებებიდან გამომდინარეობს გარემოებები, რომელიც ანგარიშფაქტურას ართმევს არაპირდაპირი მტკიცებულების მნიშვნელობას ხარჯების სავალდებულოობისათვის (BGH, Urteil vom 07.05.1996 - VI ZR 138/95 - BGHZ 132, 373 დაქირავებული ავტომანქანის ხარჯების ანაზღაურება-უნარიანობასთან დაკავშირებით; BGH, Urteil vom 11.02.2014 - VI ZR 225/13 - NJW 2014, 1947).

(3) ამ თემატურ წრეს განეკუთვნება აგრეთვე სასამართლო პრაქტიკა ე.წ. მითითების მეორად ტვირთთან დაკავშირებული ნეგატიური ფაქტებისა და მხოლოდ მტკიცების მოწინააღმდეგისთვის ცნობილი გარემოებების შემთხვევაში.

(3.1) გერმანულ მტკიცების სამართალში ნეგატიურ ფაქტებად იწოდება გარემოებები, რომლის დროსაც მტკიცებულების წარმოდგენის ვალდებულების მქონე მხარემ - არსებული მიდგომისგან განსხვავებით - არ უნდა მიუთითოს და ამტკიცოს, რომ რაღაც მოხდა, არამედ - ამის საწინააღმდეგო, კერძოდ, კი ის, რომ არ მომხდარა არაფერი. მსგავსი სიტუაცია მტკიცებულების წარმოდგენის ვალდებულების მქონე მხარეს ხშირად განსაკუთრებული პრობლემების წინაშე აყენებს:

მტკიცებულების წარმოდგენის ვალდებულების მქონე მხარემ მის მიერ დასამტკიცებელი პოზიტიური ფაქტისას, როგორც წესი, იცის, თუ როგორ და როდის მოხდა შესაბამისი გარემოება; ამიტომ მისთვის შესაძლებელია, შესაბამის ფაქტობრივ გარემოებებზე მიუთითოს და ეს გარემოებები მტკიცებულებებით გაამყაროს. ე.წ. ნეგატიური მტკიცებულება კი ამისგან განსხვავებით (როგორც ფაქტებთან, ასევე მტკიცებულებებთან დაკავშირებით), უპირველეს ყოვლისა, მაშინ არის განსხვავებული სირთულით წარმოსადგენი, როდესაც საქმე მოკლევადიან კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე მოვლენას კი არ ეხება, არამედ ფაქტობრივი გარემოებები, რომელიც მხარეთა შორის დავის საგანია, გრძელვადიან პერიოდს მოიცავს. ამ შემთხვევაში მტკიცებულების წარმოდგენის ვალდებულების მქონე მხარეს მოუწევდა აღნიშნული პერიოდის ცალკე აღებული ყველა წუთის მითითება და იმის დამტკიცება, რომ კონკრეტული ფაქტი არ დამდგარა. მსგავსი მოთხოვნებით მისთვის, ფაქტობრივად, შეუძლებელი იქნებოდა მტკიცებულებების წარმოდგენა. მტკიცებულებების მსგავსი არსებითი გართულებები სახეზეა, როდესაც მხარემ, საყოველთაო პრინციპების მიხედვით, უნდა დაამტკიცოს, რომ ადგილი არ ჰქონია ხელშეკრულებით ან კანონით გათვალისწინებულ განმარტებას, კონსულტაციას ან ინფორმირებას (BGH, Urteil vom 24.01.2006 - XI ZR 320/04 - BGHZ 166, 56; BGH, Urteil vom 20.07.2017 - III ZR 296/15 VersR 2018, 163; BGH, Urteil vom 04.10.2018 - III ZR 213/17 - WM 2018, 2175; BGH, Urteil vom 14.07.2016 - IX ZR 291/14 - NJW 2016, 3430). ანალოგიური მოქმედებს, როდესაც სარჩოს გადახდის მოთხოვნის უფლების ფარგლებში მხარემ უნდა დაამტკიცოს, რომ ქორწინებით განპირობებული ზიანი არ წარმოშობილა § 1578b GER-BGB-ის მიხედვით (ზიანი, რომელიც წარმოემვა სარჩოს მიღების უფლებამოსილების მქონე პირს იმ გარემოებით, რომლის გამოც მას საკუთარი თავის რჩენაზე ზრუნვა თავად

მოუნევს) (BGH, Urteil vom 24.03.2010 - XII ZR 175/08 – BGHZ 185, 1), ან თუ - როგორც ქვემოთ ა.ნ. 49 უფრო დაწვრილებით განვიხილავთ - უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლება იმაზეა დამოკიდებული რომ ნების გამოვლენასთან ან სამართლებრივი ქმედებების განხორციელებასთან დაკავშირებით ნებართვა არ გაცემულა (BGH, Urteil vom 22.02.2011 - XI ZR 261/09 - NJW 2011, 2130) ან ხელშეკრულების დადებას (BGH, Urteil vom 05.02.2003 – VIII ZR 111/02 - BGHZ 154, 5; BGH, Urteil vom 22.07.2014 - KZR 27/13 - NJW 2014, 3089).

იმისათვის, რომ მსგავს კონსტელაციებში მითითებისა და მტკიცების ტვირთის ობიექტურ განაწილებას მივალწიოთ, გერმანული სასამართლო პრაქტიკა დიფერენცირებულ სამსაფეხურიან მიდგომას ირჩევს. მართალია ეს „საფეხურებრივი მოდელი“ უმაღლესი ფედერალური სასამართლოს გადანყვეტილებებში, თავდაპირველად, მხოლოდ საქმეთა განსაზღვრული კონსტელაციებისთვის შემუშავდა, მაგრამ დღეისათვის იგი უკვე გამოიყენება, როგორც ზოგადად მოქმედი პრინციპი ნეგატიური ფაქტების დასამტკიცებლად:

ამ მიდგომის მიხედვით, ნეგატიური ფაქტის დამტკიცების საჭიროება, საწყის ეტაპზე არ ანაცვლებს საყოველთაო პრინციპებიდან გამომდინარე მითითებისა და მტკიცების ტვირთს. თუმცა იმ შემთხვევაში, თუ კრედიტორისთვის მის მიერ მისათითებელი გარემოებების თანამიმდევრობა ცნობილი არ არის და არც განმსაზღვრელ ფაქტებზე შეიძლება, იცოდეს რამე, ნეგატიურ ფაქტებთან დაკავშირებული სირთულეების დაბალანსება მეტადრე ხდება იმით, რომ მტკიცებულების წარმოდგენის ვალდებულების მქონე მხარემ, თავდაპირველად, მხოლოდ ზოგადად (და არა კვალიფიციურად) უნდა მიუთითოს, რომ არ დამდგარა ნეგატიური ფაქტი. მეორე საფეხურზე კი მეორე მხარის ვალდებულებაა, კვალიფიციურად მიუთითოს, რომ ეს გარემოება საერთოდ დადგა (ანუ მისი მტკიცებით დამდგარი პოზიტიური ფაქტი) და ისიც, თუ როგორ მოხდა ეს მისი გადმოსახედიდან. ამის შემდეგ უკვე მტკიცების მოწინააღმდეგემ უნდა მიუთითოს კვალიფიციურად, თუ როდის და ვინ განახორციელა სადავო კონსულტაცია, ინფორმირება, ან განაცხადა სადავო ნებართვის შესახებ (ე.წ. მეორადი მითითების ტვირთი). თუმცა ამ გარემოების დადგომის დამტკიცება მას არ ევალდება, არამედ უკვე მესამე საფეხურზე, მტკიცებულების წარმოდგენის ვალდებულების მქონე მხარის ვალდებულებაა, კვალიფიციურად მიუთითოს და დაამტკიცოს, რომ სიმართლეს არ შეესაბამება მტკიცების მოწინააღმდეგის მიერ - მისი მეორადი მითითების ტვირთის შესრულების ფარგლებში - გაკეთებული განმარტება

(BGH, Urteil vom 24.01.2006 - XI ZR 320/04 - BGHZ 166, 56; BGH, Urteil vom 20.07.2017 - III ZR 296/15 - VersR 2018, 163; BGH, Urteil vom 14.07.2009 - XI ZR 152/08 - NJW 2009, 3429). სამართლის პრაქტიკული გამოყენებისას ამას შედეგად მოჰყვება ის, რომ მტკიცებულების წარმოდგენის ვალდებულების მქონე მხარემ მხოლოდ იმდენად კვალიფიციურად მიუთითოს და დაამტკიცოს ფაქტები, რამდენადაც მტკიცების მოწინააღმდეგემ მას, მანამდე განხორციელებული კვალიფიციური ახსნა-განმარტებებით გაუხსნა გზა კონკრეტული განმარტებისთვის მტკიცების მოწინააღმდეგის მიერ მითითებულ (და არა მტკიცებასავალდებულო) ფაქტებთან დაკავშირებით.

ამ კონცეფციის მიხედვით, **უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლების** კრედიტორი, რომელმაც ნეგატიური ფაქტები უნდა ამტკიცოს (სამართლებრივი საფუძვლის არ არსებობისთვის სკის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი), ვალდებული არ არის გამორიცხოს ნებისმიერი თეორიულად შესაძლებელი სამართლებრივი საფუძველი განხორციელებულ შესრულებასთან დაკავშირებით. მეტადრე, საკმარისია, თუ იგი მიუთითებს, რომ არ არსებობს სამართლებრივი საფუძველი, რაზეც მტკიცების მოწინააღმდეგე მხარე უთითებს და თავად მიუთითებს და დაამტკიცებს, რომ მტკიცების მოწინააღმდეგის მიერ მითითებული სამართლებრივი საფუძველი სახეზე არ არის (BGH, Urteil vom 05.02.2003 - VIII ZR 111/02 - BGHZ 154, 5; BGH, Urteil vom 20.05.1996 - II ZR 301/95 - NJW-RR 1996, 1211). ამასთან, უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლების მოვალეზეა მის მიერ მითითებულ სამართლებრივ საფუძველთან დაკავშირებით გაფართოებული (მეორადი) მითითების ტვირთი, რამდენადაც კრედიტორი უშუალოდ არ მონაწილეობს პროცესში, რომლის გარემოებებზე მითითებაც მას ევალება. აქედან გამომდინარე, მან არ შეიძლება დეტალურად იცოდეს საქმისთვის განმსაზღვრელი მნიშვნელობის მქონე ფაქტების შესახებ მაშინ, როდესაც თვითონ მოვალესთვის ცნობილია მათ შესახებ და დეტალური ინფორმაციის მონოდება მოეთხოვება მათზე (BGH, Urteil vom 05.02.2003 - VIII ZR 111/02 - BGHZ 154, 5; BGH, Urteil vom 22.07.2014 - KZR 27/13 - NJW 2014, 3089; მსგავსად უსაფუძვლო გამდიდრების სამართლიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლების შემთხვევაში, რომელიც დასახული მიზნის შეუსრულებლობას ეხება: BGH, Urteil vom 18.02.2009 - XII ZR 163/07 - NJW-RR 2009, 1142). განსხვავებულად ხდება, თუ გადახდა მხოლოდ ავანსის სახით განხორციელდა. ამ შემთხვევაში შემსრულებლის მიერ გადახდილი თანხის დაბრუნების მოთხოვნისას, შესრულების მიმღებზეა მითითებისა და მტკიცების ტვირთი

იმასთან დაკავშირებით, რომ მას უფლება აქვს მიღებული შესრულება ავანსის სახით დაიტოვოს (BGH, Urteil vom 29.02.2000 - VI ZR 47/99 - NJW 2000, 1718; BGH, Urteil vom 08.06.1988 - IVb ZR 51/87 - NJW 1989, 161). მსგავს მიდგომას სასამართლო პრაქტიკა ირჩევს მაშინ, როდესაც თავდაპირველად ხელშეკრულებით შეთანხმებული გადახდა (მაგალითად, თავდებობა ან გარანტია) პირველივე მოთხოვნისთანავე განხორციელდა და მხარე გადახდის უკან დაბრუნებას მოგვიანებით ითხოვს (BGH, Urteil vom 12.07.2001 - IX ZR 380/98 - BGHZ 148, 283; BGH, Urteil vom 23.01.1997 - IX ZR 297/95 - NJW 1997, 1435). ამის მიზეზია ის, რომ ავანსებისა და პირველივე მოთხოვნისთანავე გადახდების განხორციელება იმის შემომნების გარეშე ხდება, წარმოიშვა თუ არა მართლაც გადახდის მოთხოვნის უფლება. ამან უნდა დააზღვიოს ლიკვიდურობის მდგომარეობა და, საჭიროების შემთხვევაში, გადახდისუუნარობის რისკი, თუმცა ამით არ უნდა მოხდეს არც მტკიცების ტვირთის გადასვლა და არც ნდობის გაჩენა მიღებული შესრულების დატოვების უფლებასთან დაკავშირებით.

(3.2) ასევე შეიძლება მეორადი მითითების ტვირთის პრინციპების გამოყენება, რამდენადაც მითითებისა და მტკიცების ტვირთის მქონე მხარე უთითებს გარემოებებზე, რომელიც **მტკიცების მონინაალმდევე მხარის აღქმის სფეროში** შედის (BGH, Urteil vom 11.06.2015 - IX ZR 110/13 - NJW-RR 2015, 1182; BGH, Urteil vom 14.06.2012 - IX ZR 145/09 - ZIP 2012, 1422; BGH, Urteil vom 17.07.2008 - IX ZR 148/07 - ZIP 2008, 1593). როგორც უკვე ითქვა, უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლებასთან დაკავშირებით, წინაპირობა ისაა, რომ მტკიცების ტვირთის მქონე მხარე საქმის კურსში არ იყოს პროცესის სავალდებულო გარემოებებთან დაკავშირებით, და აქედან გამომდინარე, შეუძლებელია დეტალური ინფორმაცია ჰქონდეს განმსაზღვრელ ფაქტებზე მაშინ, როდესაც მისგან განსხვავებით, თვითონ მტკიცების მონინაალმდევე იცის ამ ფაქტების შესახებ. ასეთ შემთხვევაში მტკიცების მონინაალმდევეს შეიძლება მოვთხოვოთ (რამდენადაც მას ეს მოეთხოვება), რომ მან არა მარტო სადავო გახადოს მტკიცებულების წარმოდგენის ვალდებულების მქონე მხარის ახსნა-განმარტება, არამედ კვალიფიციურად წარმოადგინოს მის მიერ მითითებული გარემოებები (BGH, Urteil vom 04.10.2018 - III ZR 213/17 - WM 2018, 2175; BGH, Urteil vom 27.06.2018 - IV ZR 203/17 - NJW 2018, 3021 სიცოცხლის დაზღვევიდან გამომდინარე მზღვეველის მიერ გადასახდელი თანხის გამოთვლის კრიტერიუმებთან დაკავშირებით; BGH, Urteil vom 20.03.2018 - X ZR 25/17 - VersR 2018, 1151; BGH,

Urteil vom 11.06.2015 - IX ZR 110/13 - NJW-RR 2015, 1182). ამაში შედის მაგალითად, მტკიცების მოწინააღმდეგის შიდასაწარმოო სამართლებრივი ქმედებების, მისი სამეწარმეო კალკულაციის საფუძვლების ან მისი სამეწარმეო-დოკუმენტაციის ცოდნა, რომელიც პროცესზე ახსნა-განმარტებისა და მტკიცებულებების წარმოდგენისათვის არის საჭირო. ანალოგიური შეიძლება მოქმედებდეს, როდესაც საქმე ეხება იმას, მიმართა თუ არა მტკიცების მოწინააღმდეგე მხარემ მისთვის შესაძლებელ ღონისძიებებს ზიანის შესამცირებლად, მაგალითად: საკმარისად შეეცადა თუ არა შრომითი ან ნარდობის ხელშეკრულების მოშლის შემდეგ გამოენახა დასაქმების სხვა შესაძლებლობა ან მიეღო სანაცვლო შეკვეთები გამოქვითვადი (ზიანის შემამცირებელი) სხვა შემოსავლის მისაღებად. მსგავსი მეორადი მითითების ტვირთის გათვალისწინება შეიძლება მაშინაც, როდესაც სამედიცინო პასუხისმგებლობის საქმეზე პაციენტი მკურნალობისას დაშვებულ შეცდომასთან დაკავშირებით კონკრეტულ ხელმოსაჭიდ გარემოებებს წარმოადგენს, თუმცა დამატებითი კვალიფიციური მითითებისთვის სჭორდება ინფორმაცია, რომელიც საპროცესო მოწინააღმდეგის სფეროს ნაწილია და მისთვის ხელმისაწვდომი არ არის იმ ძალისხმევის ფარგლებში, რომლის განევაც მას, შეიძლება, მოეთხოვებოდეს (BGH, Urteil vom 28.08.2018 - VI ZR 509/17 – juris).

საავტორო უფლებების დარღვევისას ფაილების მართლსაწინააღმდეგოდ გაზიარებით, უმაღლესი ფედერალური სასამართლო გამომდინარეობს მტკიცებულებების შემდეგი პრინციპებიდან (Urteil vom 27.07.2017 - I ZR 68/16 - NJW2018,6):

„საყოველთაო პრინციპების მიხედვით, მოსარჩელეზე, როგორც მოთხოვნის უფლების ავტორზეა მითითებისა და მტკიცების ტვირთი იმასთან დაკავშირებით, რომ შესრულებულია ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით განხორციელებული მოთხოვნის უფლების წინაპირობები. მან უნდა მიუთითოს და შედავების შემთხვევაში დაამტკიცოს, რომ მოპასუხე, როგორც ქმედების ჩამდენი პირი, მოსარჩელის მიერ მითითებული საავტორო უფლებების დარღვევაზეა პასუხისმგებელი (...BGHZ 200, 76; BGH GRUR 2016, 191; BGH GRUR 2016, 1280). თუმცაღა, ფაქტობრივი ვარაუდი იმაზე მეტყველებს, რომ ქმედება ინტერნეტპაკეტის მფლობელმა ჩაიდინა, რამდენადაც სამართალდარღვევის მომენტისათვის სხვა პირებს შემოყვანილი ინტერნეტის გამოყენება არ შეეძლოთ (BGHZ 200, 76; BGH GRUR 2016, 191). ეს ფაქტობრივი ვარაუდი ინტერნეტპაკეტის მფლობელის ქმედებასთან დაკავშირებით მხედველობაში მიიღება იმ შემთხვევაშიც, თუ შემოყვანილი ინტერნეტით - როგორც ეს საოჯახო პაკეტის შემთხვევაშია ხოლმე - რამდენიმე პირი სარგებლობს (BGH GRUR

2016, 191; BGH GRUR 2016, 1280). მესამე პირის მიერ მისი გამოყენების შესაძლებლობა იგულისხმება (რაც ფაქტობრივ ვარაუდს გამორიცხავს) რამდენადაც ინტერნეტის ქსელი უფლების დარღვევის მომენტისთვის საკმარისად უზრუნველყოფილი არ იყო ანდა შეგნებულად გადაეცა სხვა პირებს გამოყენებისთვის. მსგავს შემთხვევებში მეორადი მითითების ტვირთი ინტერნეტის ქსელის მფლობელზეა. ეს არ იწვევს მტკიცების ტვირთის შემობრუნებას ან ინტერნეტპაკეტის მფლობელის პროცესზე სიმართლის თქმისა და განმარტების ტვირთის ვალდებულებების (§ 138 Abs. 1 und 2 ZPO) მიღმა არსებული ვალდებულების დარღვევას, რაც მოთხოვნის უფლების განმახორციელებლისთვის ყველა საჭირო ინფორმაციის მიწოდებას ითვალისწინებს პროცესზე წარმატების მისაღწევად. ინტერნეტპაკეტის მფლობელი მეორადი მითითების ტვირთს, მეტადრე, იმით ასრულებს, რომ უთითებს, ჰქონდათ თუ არა სხვა პირებს დამოუკიდებელი წვდომა ინტერნეტზე და საჭიროების შემთხვევაში იმასაც, თუ ვინ არიან ეს პირები და შეიძლება თუ არა მათი, როგორც სამართალდამრღვევების მხედველობაში მიღება. ინტერნეტპაკეტის მფლობელი, იმის ფარგლებში, რაც მას შეიძლება მოეთხოვებოდეს, ვალდებულია, ამ მოცულობით განახორციელოს დამატებითი კვლევა და ინფორმაციის მიწოდება იმასთან დაკავშირებით, თუ რა იცის მან მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის გარემოებებთან დაკავშირებით ინტერნეტპაკეტის მფლობელმა გასაგებად უნდა ახსნას დაგანმარტოს (მომხმარებლის ქცევიდან, ცოდნიდან, უნარებიდან გამომდინარე და აგრეთვე, დროის თვალსაზრისითაც), რომელ პირებს შეეძლოთ საექვო უფლების დამრღვევი ქმედების ჩადენა ინტერნეტპაკეტის მფლობელის ცოდნისა და დახმარების გარეშე. თუ მოპასუხე წარმატებით გაართმევს თავს მეორადი მითითების ტვირთს, შემდეგ ჯერი ისევ მოსარჩელეზე მიდგება, როგორც მოთხოვნის უფლების განმახორციელებელზე, რომ მიუთითოს და დაამტკიცოს გარემოებები, რომელიც მოპასუხის, როგორც საავტორო უფლების დამრღვევის პასუხისმგებლობას ადასტურებს (BGHZ 200, 76; BGH GRUR 2017, 386; BGH GRUR 2016, 1280...).

თუმცა მეორადი მითითების ტვირთის წინაპირობა ყოველთვის ისაა, რომ საქმე ეხებოდეს გარემოებებს, რომელიც, ნივთის ბუნებიდან გამომდინარე, მხოლოდ ან უპირატესად მტკიცების მოწინააღმდეგე მხარის აღქმისა და განკარგვის სფეროა. იმისთვის, რომ მტკიცების მოწინააღმდეგეს მითითების მეორადი ტვირთი დაეკისროს, საკმარისი არ არის მტკიცებულების წარმოდგენის ზოგადი სირთულე, ან თუნდაც საკუთარი ქცევით გამოწვეული მტკიცებულებების წარმოდგენის შეუძლებლობა.

(3.3) მსგავს პრინციპებს იყენებს უმაღლესი ფედერალური სასამართლო მითითებისა და მტკიცების ტვირთისას მითითებულ **ქრთამის მიცემასთან** დაკავშირებით, რომელიც უცნობია მოსარჩელისთვის მისი განმარტებიდან გამომდინარე (BGH, Urteil vom 18.02.2018 - I ZR 150/15 - NJW 2018, 2412). უმაღლესი ფედერალური სასამართლო უთითებს იმ ფაქტზე, რომ ქრთამის გადახდის მიზანი მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღწეოდა, თუკი იგი ფარულად დარჩებოდა. ეს განსაკუთრებული სირთულეების წინაშე აყენებს მითითების ტვირთთან დაკავშირებით იმ პირს, რომელიც ქრთამის გადახდაზე უთითებს და დაზარალებულად მიიჩნევს თავს, მითუმეტეს, რომ მონაწილეები ქრთამის მიცემის ფაქტის სააშკარაოზე გამოტანით, მათ წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრას რისკავენ. ამის გათვალისწინებით მოსარჩელე აკმაყოფილებს მითითების ტვირთს, რამდენადაც იგი ქრთამის გადახდის ფაქტის დასადასტურებლად საკმარის ხელმოსაჭიდ გარემოებებზე მიუთითებს. ეს მიდგომა, განსაკუთრებული გარემოებების გათვალისწინებით, იმ შემთხვევაშიც მოქმედებს, როცა ქრთამის მიმღები მისი გუნდის წევრია. თუ მოსარჩელე საკმარის ხელმოსაჭიდ გარემოებებს წარმოადგენს, მაშინ უკვე მოპასუხის ჯერია, მეორადი მითითების ტვირთის პრინციპების შესაბამისად, მიუთითოს ფაქტებზე, რომელიც ქრთამის გადახდის შეთანხმების არსებობის წინააღმდეგ მეტყველებს. თუ მოპასუხე შეასრულებს მითითების მეორადი ტვირთის ვალდებულებას, მტკიცების ტვირთი, ზემოთ დასახელებული პრინციპების შესაბამისად, მოსარჩელეზე რჩება.

(3.4) მტკიცებულების წარმოდგენის ვალდებულების მქონე მხარის მიერ მტკიცებულების წარმოდგენის შეუძლებლობისას, ნაწილობრივ მოქმედებს კანონით მონესრიგებული (მატერიალურ-სამართლებრივი) **ინფორმაციის მოთხოვნის უფლებები**. კანონით პირდაპირ გათვალისწინებული რეგულაციების გარდა, გერმანულმა სასამართლო პრაქტიკამ კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე (§ 242 GER-BGB) განავითარა ინფორმაციის ვალდებულებები. ამისთვის აუცილებელია, რომ უფლებამოსილმა პირმა, საპატიო საფუძვლებიდან გამომდინარე, არ იცოდეს მისი უფლების არსებობისა და მოცულობის შესახებ; არ შეეძლოს მისი მოთხოვნის უფლების მომზადებისა და სასამართლოს გზით განხორციელებისთვის საჭირო ინფორმაციის მოძიება მისგან მოსალოდნელი გზით გზით, ხოლო ვალდებულების მქონე პირს - სირთულეების გარეშე, ანუ ისე, რომ ამით ის არასამართლიანად არ დაიტვირთოს, ამ უცოდინრობის აღმოსაფხვრელად აუცილებელი ინფორმაციის მიწოდება არ შეეძლოს (BGH, Urteil vom 20.02.2013 - XII ZR 412/11 - BGHZ 196, 207; BGH, Urteil vom 17.05.1994 - X ZR 82/92 - BGHZ 126, 109; BGH,

Urteil vom 08.02.2018 - III ZR 65/17 - NJW 2018, 2629; BGH, Urteil vom 20.02.2015 - VI ZR 137/14 - NJW 2015, 1525). კეთილსინდისიერების პრინციპზე დაფუძნებული ინფორმაციის მოთხოვნის წინაპირობაა, რომ მანამდე ადგილი ჰქონდა ისეთ სრულ ძალისხმევას, რომელიც კი შეიძლება მოეთხოვებოდეს კონკრეტულ პირს იმისთვის, რომ ინფორმაციის მიღება სხვა გზით შეიძლებოდა (BGH, Urteil vom 08.02.2018 – III ZR 65/17 - NJW 2018, 2629). ამ მოთხოვნების საფუძველზე ხდება უზრუნველყოფა, რომ ინფორმაციის მოთხოვნის უფლებით საფუძველი არ გამოეცალოს მტკიცების ზოგად პრინციპებს (BGH, Urteil vom 17.04.2018 - XI ZR 446/16 - NJW-RR 2018, 1067; BGH, Urteil vom 28.11.1989 - VI ZR 637/89 – NJW 1990, 135). მსგავსი სახელშეკრულებო ინფორმაციის ვალდებულებების წინაპირობები, საერთო ჯამში, გერმანულ სამართალში ერთმნიშვნელოვნად უფრო მკაცრია ვიდრე ქართულში (სკ-ის 318-ე მუხლი). მოთხოვნის მოთხოვნის უფლება, როგორც წესი, გამოირიცხება, რამდენადაც ინფორმაციის მიღების საჭიროება აღარ არსებობს, თუნდაც მთავარი მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის გამო (BGH, Urteil vom 31.10.2018 - IV ZR 313/16 - juris).

ინფორმაციის მოთხოვნის აღნიშნული უფლებები არ მოქმედებს უშუალოდ ზოგად საპროცესო სამართლებრივ მოთხოვნებზე მითითებისა და მტკიცების ტვირთთან დაკავშირებით. გერმანული საპროცესო სამართალი, პირველ რიგში, იმის შესაძლებლობას არ იძლევა, რომ ინფორმაციის მოთხოვნის ეს უფლებები შემთხვევით განხორციელდეს, მთავარი მოთხოვნის უფლების გარდა წარმოებაში არსებული სამართლებრივი დავის ფარგლებში. მით უფრო არ შეიძლება, მტკიცების მოწინააღმდეგეს უშუალოდ დაეკისროს, მისი მატერიალურ-სამართლებრივი ინფორმაციის ვალდებულების გამო, მტკიცების ტვირთის შეტყობინება სავალდებულო გარემოებებთან დაკავშირებით. თუმცა გერმანული სამოქალაქო საპროცესო კოდექსი მოსარჩელეს შესაძლებლობას აძლევს, ინფორმაციის მოთხოვნის უფლება და მთავარი მოთხოვნის უფლება ე.წ. **საფეხურებრივი სარჩელის** საშუალებით განახორციელოს § 254 GER-ZPO-ის მიხედვით, ერთი სასარჩელო წარმოების ფარგლებში, თუნდაც სხვადასხვა საპროცესო სამართლებრივ ეტაპზე (საფეხურზე).

§ 254 GER-ZPO - საფეხურებრივი სარჩელი

თუ ანგარიშის წარმოდგენის ან ქონების აღწერის წარმოდგენის სარჩელთან ერთად, ანდაც ფიცის ძალის მქონე ხელწერილის დადების სარჩელთან ერთად, მხარე იმ ნივთისა თუ სიკეთის დაბრუნების თაობაზეც

შეიტანს სარჩელს, რომელიც მოპასუხეს მართებს მისთვის იმ სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე, რომელიც ამ სარჩელის საფუძველია, მოსარჩელეს შეუძლია იქამდე თქვას უარი განსაზღვრული შესრულებების დასახელებაზე, რომელსაც ის ითხოვს, სანამ წარმოდგენილი არ იქნება ანგარიში, ქონების აღწერა ანდა ფიცის ძალის მქონე ხელწერილი.

მართალია, მოსარჩელე თანადროულად წარმოადგენს რამდენიმე სასარჩელო მოთხოვნას, მაგრამ ეს მოთხოვნები, მათი შინაარსობრივი განსაზღვრულობიდან გამომდინარე, მას დალაგებული აქვს საფეხურებრივად (იხ. 177-ე და მომდევნო მუხლის კომენტარი, ა.ნ. 6 და მომდევნო აბზაცები). ცალკეულ სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით (როგორც წესი, ჯერ ინფორმაციის მიწოდება, შემდეგ, საჭიროების შემთხვევაში, სასარჩელო მოთხოვნა ინფორმაციის სისწორესთან დაკავშირებით ფიცის ძალის მქონე ხელწერილის დადების შესახებ და ბოლოს შესრულების მოთხოვნა) გადაწყვეტილება მიიღება არა ერთდროულად, არამედ ეტაპობრივად (ინფორმაციის მოთხოვნის უფლებასთან დაკავშირებით ნაწილობრივი გადაწყვეტილებით). თუმცაღა, ამასთან, ყველა სასარჩელო მოთხოვნა მაშინვე მიიღება წარმოებაში; აგრეთვე ის სასარჩელო მოთხოვნებიც, რომელთან დაკავშირებითაც გადაწყვეტილება მომდევნო საფეხურებზე იქნება მიღებული (ანუ ინფორმაციის შეტყობინების შემდეგ). საფეხურებრივ სარჩელს მოსარჩელისთვის ის არსებითი დადებითი მხარე აქვს, რომ მას, თავდაპირველად, მთავარი მოთხოვნის უფლებისას - განსაზღვრული მოთხოვნის საპროცესო-სამართლებრივი მოთხოვნისგან გადახვევით (იხ. 177-ე და მომდევნო მუხლის კომენტარი, ა.ნ. 6 და მომდევნო აბზაცები; იხ. აგრეთვე სსკ-ის 178-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტი) - უფლება აქვს დააყენოს განუსაზღვრელი მოთხოვნა, რომლის დაკონკრეტებაც ევალება ინფორმაციის მიღების შემდეგ (საჭიროების შემთხვევაში, ამ ინფორმაციის სისწორესთან დაკავშირებით გაკეთებული ფიცის ძალის მქონე განმარტებით) სასარჩელო მოთხოვნისადმი არსებული ზოგადი მოთხოვნების დაცვით. საფეხურებრივი სარჩელისას მოთხოვნა, დასაშვები ფორმით, თავდაპირველად, შეიძლება, შემდეგნაირად ჟღერდეს:

1. მოპასუხეს დაეკისროს მოსარჩელისთვის ინფორმაციის მიწოდება დაკავშირებით.
2. მოპასუხეს დაეკისროს მოსარჩელისთვის ინფორმაციის მიწოდების შემდეგ სავალდებულო წილის გადახდა მიწოდებული ინფორმაციიდან

გამომდინარე, დადგენილი სავალდებულო წილის კვოტის ოდენობით, პროცენტების ჩათვლით.

მე-2 პუნქტთან დაკავშირებული სასარჩელო მოთხოვნა მოსარჩელემ პირველ პუნქტში მოთხოვნილი ინფორმაციის მოთხოვნის უფლების შესრულების შემდეგ უნდა დააკონკრეტოს.

ბბ) გარდა ამისა, არსებობს მრავალი კონსტელაცია, რომლის დროსაც სასამართლო პრაქტიკა, უპირველეს ყოვლისა, მიზეზობრიობის დამტკიცებისას ირჩევს **მტკიცების ტვირთის შებრუნების** გზას. თუმცა სასამართლო პრაქტიკა ამ სფეროში არა ზოგად საერთო კონცეფციასა და ორიენტირებული, არამედ კონკრეტული კონსტელაციის ტიპიურ შემთხვევებს ითვალისწინებს. უპირველეს ყოვლისა კი გაითვალისწინება ინტერესთა შესაბამისი დაბალანსებისა და სამართლებრივი ურთიერთობის სპეციალური მიზნები. წარმოგიდგინო შესაბამის მაგალითებს სასამართლო პრაქტიკიდან:

- მუდმივი სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, მეთვალყურეობისა და **ზედამხედველობის ვალდებულებების** დარღვევისას (მაგალითად, მეთვალყურეობა საცურაო აუზებზე, ზედამხედველობა ბავშვებზე, წარმოების ზედამხედველობა საფრთხის შემცველ შენობა-ნაგებობებში), ფაქტობრივი ვარაუდი (დადასტურებულად ჩადენილი) ვალდებულების დარღვევის მიზეზობრივ კავშირზე მეტყველებს ზიანის დადგომასთან, რამდენადაც სათანადო ზედამხედველობის ან მეთვალყურეობის პირობებში შესაძლებელი იქნებოდა ზიანის აცილება, ან ზუსტად იმ საფრთხის დადგომისას, რომლის თავიდან აცილებაც ქცევის დარღვეული ვალდებულებით უნდა მომხდარიყო (BGH, Urteil vom 23.11.2017 - III ZR 60/16 - NJW 2018, 301; BGH, Urteil vom 21.10.2004 - III ZR 254/03 - NJW 2005, 68; BGH, Urteil vom 14.12.1993 - VI ZR 271/92 - NJW 1994, 945; siehe auch BGH, Urteil vom 14.07.2016 - III ZR 265/15 - BGHZ 211, 171 სამსახურებრივი ვალდებულების დარღვევისთვის). სპეციალურად ჯანმრთელობასა და სიცოცხლის დაცვასთან დაკავშირებული პროფესიული და საორგანიზაციო ვალდებულებების უხეში გაუფრთხილებლობით დარღვევისას მიზეზობრიობის დონეზე მტკიცების ტვირთის შებრუნება ივარაუდება (BGH, Urteil vom 23.11.2017 - III ZR 60/16 - NJW 2018, 301 აუზზე სპეციალური პროფესიული და საორგანიზაციო ვალდებულებების უხეში გაუფრთხილებლობით დარღვევისთვის; შდრ. აგრეთვე შესაბამისი სასამართლო პრაქტიკა სამედიცინო და მხარდაჭერის სფეროებში - იხ. ქვემოთ ა.ნ. 60 და მომდევნო აბზაცი).

- ინტერნეტის გამოყენებით საავტორო უფლების დარღვევისას, მაგალითად, სიმღერების გაცვლის „უკანონო“ პლატფორმაზე მონაწილეობით, მართალია, ზოგადი პრინციპების მიხედვით მითითებისა და მტკიცების ტვირთი იმასთან დაკავშირებით, რომ მოპასუხე, როგორც ქმედების ჩამდენი, საავტორო უფლების მითითებულ დარღვევაზე პასუხისმგებელი, იმ პირზე მოდის, ვისი უფლებაც დაირღვა (BGH, Urteil vom 08.01.2014 - I ZR 169/12 - BGHZ 200, 76; BGH, Urteil vom 30.03.2017 - I ZR 19/16 - NJW 2018, 65; BGH, Urteil vom 11.06.2015 - I ZR 75/14 - NJW 2016, 953) ან შესაბამისად იმისთვის, რომ მოპასუხემ დაარღვია მისი, როგორც მშობლის მეთვალყურეობის ვალდებულება მისი არასრულწლოვანი ბავშვის მიმართ (BGH, Urteil vom 11.06.2015 - I ZR 7/14 - NJW 2016, 950), თუმცა, ფაქტობრივი ვარაუდი იმაზე მეტყველებს, რომ ქმედება ინტერნეტპლაკეტის მფლობელმა ჩაიდინა, რამდენადაც სამართალდარღვევის მომენტისთვის სხვა პირებს ამ ინტერნეტით სარგებლობა არ შეეძლოთ (BGH, Urteil vom 08.01.2014 - I ZR 169/12 - BGHZ 200, 76; BGH, Urteil vom 30.03.2017 - I ZR 19/16 - NJW 2018, 65; BGH, Urteil vom 11.06.2015 - I ZR 75/14 - NJW 2016, 953; dazu näher oben Rn. 52). ინტერნეტით სარგებლობის შესაძლებლობებთან დაკავშირებით, მეორადი მითითების ტვირთი ინტერნეტპლაკეტის მფლობელზე მოდის (BGH, Urteil vom 11.06.2015 - I ZR 75/14 - NJW 2016, 953).

- ექიმის მიერ მკურნალობისას დაშვებული უხეში შეცდომა, რომელსაც ფაქტობრივად დამდგარი ზიანის გამოწვევა შეუძლია, მედიცინის სფეროში, როგორც წესი, მტკიცების ტვირთის შებრუნებას იწვევს მკურნალობისას დაშვებულ შეცდომასა და ჯანმრთელობის ზიანს შორის მიზეზობრივ კავშირში, რამდენადაც ექიმის მიერ ვალდებულების დარღვევას დამდგარი ზიანის გამოწვევა შეეძლო (BGH, Urteil vom 27.03.2007 - VI ZR 55/05 - BGHZ 172, 1; BGH, Urteil vom 27.04.2004 - VI ZR 34/03 - BGHZ 159, 48; BGH, Beschluss vom 11.05.2017 - VI ZR 92/16 - NJW 2017, 2108; BGH, Urteil vom 08.01.2008 - VI ZR 118/06 - NJW 2008, 490). გარდა ამისა, შესაძლოა, მიზეზობრიობასთან დაკავშირებით სახეზე იყოს მტკიცების ტვირთის შებრუნებაც, თუკი შესწავლილი არ იქნება პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობარაც აუცილებელია მედიცინის გადმოსახედიდან და ექიმის მხრიდან უხეში გაუფრთხილებლობით დაშვებულ შეცდომად ფასდება (BGH, Urteil vom 13.01.1998 - VI ZR 242/96 - BGHZ 138, 1; BGH, Urteil vom 24.02.2015 - VI ZR 106/13 - NJW 2015, 1601; BGH, Urteil vom 21.01.2014 - VI ZR 78/13 - NJW-RR 2014, 1051). სასამართლო პრაქტიკის მიერ განვითარებული ეს პრინციპები კანონმდებელმა ამასობაში კანონში ასახა (§ 630h Abs. 1 GER-BGB) ხელშე-

კრულებიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებებთან დაკავშირებით. მტკიცების ტვირთის შებრუნება მაშინაც შესაძლებელია, თუკი ექიმის მიერ პაციენტის მდგომარეობის გამოკვლევისგან თავის შეკავება უხემ გაუფრთხილებლობად არ შეფასდა. ასე ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც სიმპტომების საჭირო გამოკვლევისას, საკმარისი ალბათობით, დგება შედეგი, რომელიც ექიმისგან შესაბამის რეაქციას მოითხოვდა ან კიდევ მაშინ, როდესაც გამოკვლევის შედეგების ვერ დაანახვამ ანდა რეაგირების გარეშე დატოვებამ ფუნდამენტალური, უხეში შეცდომა გამოიწვია; და, რაც მთავარია, ამ შეცდომებს, ზოგადად, შეეძლო ფაქტობრივად დამდგარი ჯანმრთელობის ზიანის მოტანა (BGH, Urteil vom 27.04.2004 - VI ZR 34/03 - BGHZ 159, 48; BGH, Urteil vom 13.02.1996 - VI ZR 402/94 - BGHZ 132, 47; BGH, Urteil vom 24.02.2015 - VI ZR 106/13 - NJW 2015, 1601).

მტკიცების ეს სამართლებრივი შედეგები უკავშირდება იმას, რომ მკურნალობის ფაქტობრივი პროცესის მოგვიანებით გამოკვლევა, მკურნალობისას დაშვებული შეცდომის განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო, გართულებულია და აქედან გამომდინარე, კეთილსინდისიერების პრინციპის მიხედვით, პაციენტს ვერ მოვთხოვთ მიზეზ-შედეგობრიობის მტკიცებულების წარმოდგენას. მტკიცების ტვირთის შებრუნებით კი პაციენტის მტკიცების მდგომარეობის ერთგვარი დაბალანსება ხდება, რადგან ზიანისთვის გასათვალისწინებელი მიზეზების სპექტრი შეცდომის არსებითი მნიშვნელობის გამო ფართოვდება (BGH, Urteil vom 03.02.1987 - VI ZR 56/86 - BGHZ 99, 391; BGH, Urteil vom 21.09.1982 - VI ZR 302/80 - BGHZ 85, 212; BGH, Urteil vom 06.10.2009 - VI ZR 24/09 - NJW-RR 2010, 831, აგრეთვე სოლიდარულ ვალდებულებათა გაქვითვაზე გავლენასთან დაკავშირებით).

- ეს პრინციპები მოქმედებს ცხოველთა მედიცინის სფეროშიც (BGH, Urteil vom 10.05.2016 - VI ZR 247/15 - BGHZ 210, 197) და სხვა პროფესიული ან საორგანიზაციო ვალდებულებების უხეში დარღვევების დროსაც, რამდენადაც აღნიშნული ვალდებულებები, ექიმის პროფესიის მსგავსად, სხვა ადამიანების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვას ემსახურება. უმაღლესმა ფედერალურმა სასამართლომ (Urteil vom 11.05.2017 - III ZR 92/16 - BGHZ 215, 44), სასწრაფო დახმარების გამოძახების ხელშეკრულებისას გადანყვიტა, რომ ამ ხელშეკრულების მონაწილეები, უმეტესწილად, ხანშიშესული და მონყვლადი პირები არიან, რომლებიც გადაუდებელი დახმარების ხელშეკრულებას, უპირველეს ყოვლისა, იმისათვის დებენ, რომ სამედიცინო გადაუდებელი შემთხვევის დადგომისას სწრაფად

შედლონ დახმარების მიღება. აქედან გამომდინარე, სასწრაფო დახმარების ხელშეკრულების მიზანია, რომ მისი მონაწილეები სხეულისა და ჯანმრთელობისთვის მოსალოდნელი საფრთხეებისგან დაიცვას. ამიტომ უხეში გაუფრთხილებლობით ვალდებულების დარღვევისას, გადაუდებელი დახმარების ხელმძღვანელობამ უნდა დაამტკიცოს, რომ ვალდებულების ჯეროვნად შესრულების შემთხვევაშიც შეუძლებელი იქნებოდა სხეულის დაზიანების თავიდან აცილება.

- რისკებისას, რომელთა თავიდან აცილება შესაძლებელია სათანადო ქცევით (ე.წ. მართვადი რისკები), რისკებზე პასუხისმგებელმა პირმა (ყოველ შემთხვევაში, სამედიცინო სფეროში) უნდა დაამტკიცოს, რომ მან ყველა აუცილებელ საორგანიზაციო და ტექნიკურ ზომას მიმართა დამიუხედავად იმისა, რომ მართვადად იყო კლასიფიცირებული, რისკი მაინც განვითარდა (BGH, Urteil vom 20.03.2007 - VI ZR 158/06 - BGHZ 171, 358, ბაქტერიების დადასტურებულად გადატანასთან დაკავშირებით საავადმყოფოს მომსახურე პერსონალის მიერ; BGH, Urteil vom 24.07.2018 - VI ZR 294/17 - juris, სამაგრი ლენტიტ შეკეთებული კაბელისთვის; BGH, Urteil vom 26.09.2017 - VI ZR 529/16 - NJW-RR 2018, 205, ატიპიური დენით შინაგანი დამწვრობებისთვის, რომელიც ოპერაციაგაკეთებულმა პაციენტმა მიიღო დენის გადამტან ქვეშაგებზე მოთავსების შედეგად). ამის მიხედვით § 630h Abs. 1 GER-BGB (უშუალოდ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებებისთვის) პირდაპირ არის განსაზღვრული, რომ მკურნალის შეცდომა ივარაუდება, როდესაც ადგილი აქვს მკურნალობის ზოგადი რისკის რეალიზებას, რომელიც ბოლომდე ექვემდებარებოდა მკურნალის კონტროლს. ზოგადი ინფექციებისას („საავადმყოფოს ბაქტერიები“) უმაღლესი ფედერალური სასამართლო, პირიქით არ ვარაუდობს მტკიცების ტვირთის შებრუნებას, რადგან ბაქტერიები კონტროლირებადი არ არის ჰიგიენის გასათვალისწინებელი მოთხოვნების დაცვის პირობებშიც კი, თუმცადა სამკურნალო დაწესებულებაზე მოდის მეორადი მითითების ტვირთი ჰიგიენასთან დაკავშირებით გატარებული ღონისძიებების კუთხით (BGH, Beschluss vom 16.08.2016 - VI ZR 634/15 - NJW-RR 2016, 1360). უმაღლესმა ფედერალურმა სასამართლომ მსგავსად გადანყვიტა სამედიცინო რისკების გაკონტროლების შეუძლებლობის გამო საქმე, რომელიც უმნიშვნელო დაგვიანებით განხორციელებულ საკეისრო კვეთას ეხებოდა. (BGH, Urteil vom 28.08.2018 - VI ZR 509/17 - juris).

- ექიმის მიერ განმარტების ვალდებულების დარღვევისას, ვალდებულების დარღვევის მიზეზობრიობაზე მითითებისთვის საკმარისია, თუკი პაციენტი დამაჯერებლად წარმოადგენს, რომ მას, ექიმისგან სათანადო

განმარტების პირობებში, გადაწყვეტილების მიღება გაუჭირდებოდა (BGH, Urteil vom 07.02.1984 - VI ZR 174/2 - BGHZ 90, 103; BGH, Beschluss vom 08.03.2016 - VI ZR 243/14 - GesR 2016, 351; BGH, Urteil vom 17.04.2007 — VI ZR 108/06 - NJW 2007, 2771; BGH, Urteil vom 15.03.2005 - VI ZR 313/03 – NJW 2005, 1718). ეს ხდება პაციენტის თვითგანსაზღვრის უფლების ქმედითად დაცვის უზრუნველსაყოფად; უპირველეს ყოვლისა, კი იმ შემთხვევაში, როდესაც მისი გადაწყვეტილება სამედიცინო თვალსაზრისით გაუმართლებლად მოჩანს. კონფლიქტის მსგავს გარემოებებზე მითითებას არ შეიძლება წაეყენოს მაღალი მოთხოვნები (BGH, Beschluss vom 08.03.2016 - VI ZR 243/14 - GesR 2016, 351), თუმცაღა ექიმს შეუძლია, განმარტების ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში (ე.წ. მართლზომიერი ალტერნატიული ქცევის ზოგადი პრინციპების შესაბამისად) მიუთითოს და დაამტკიცოს, რომ პაციენტი დაეთანხმებოდა მის გადაწყვეტილებას სამედიცინო ღონისძიებასთან დაკავშირებით საკმარისი განმარტების შემთხვევაშიც (BGH, Urteil vom 07.02.1984 - VI ZR 174/82 – BGHZ 90, 103; BGH, Beschluss vom 08.03.2016 - VI ZR 243/14 - GesR 2016, 351; შდრ. მკურნალობის ხელშეკრულებასთან დაკ.: § 630h Abs. 2 GER-BGB).

გგ) გარდა ამისა, გერმანულ სასამართლო პრაქტიკაში არსებობს ტენდენცია, რომ მტკიცების ტვირთის შებრუნება **სახელშეკრულებო ქცევის ვალდებულების ობიექტური დარღვევისას** (ბრალეულობის არ არსებობის შემთხვევაში მოვალე ისედაც არ აგებს პასუხს § 280 Abs. 1 GER-BGB-ის), იმ შემთხვევაში ივარაუდება, როდესაც ზიანის დადგომის მიზეზი **მტკიცების მოწინააღმდეგის საფრთხისა და პასუხისმგებლობის სფეროდან** მომდინარეობს და კონკრეტული გარემოებები გვაიძულებს, დავასკვნათ, რომ მან მასზე დაკისრებული ქცევის ვალდებულებები დაარღვია. ამის შემდეგჯერი უკვე მტკიცების მოწინააღმდეგეზეა, რათა მიუთითოს და დაამტკიცოს, რომ მას ვალდებულება ობიექტურად არ დაურღვევია (BGH, Urteil vom 05.10.2016 - XII ZR 50/14 - NJW-RR 2017, 635; BGH, Urteil vom 12.01.2017 - III ZR 4/16 - NJW-RR 2017, 622; BGH, Urteil vom 22.10.2008 - XII ZR 148/06 - NJW 2009, 142). პრეიუდიციული ძალის მქონე მტკიცებულებისგან განსხვავებით, ამ შემთხვევაში პირველადი წარმოდგენის შერყევა საკმარისი არ არის, არამედ მხარემ სრული საპირისპირო მტკიცებულება უნდა წარმოადგინოს.

ამ კონსტელაციების გამიჯვნა პრეიუდიციული ძალის მქონე მტკიცებულებების კონსტელაციებისგან ყოველთვის ეჭვგარეშედ შესაძლებელი არ არის, არამედ, პირიქით - მათ შორის გადაფარვები არსებობს. სანყის

ეტაპზე გარკვეული განსხვავება იმაშია, რომ სასამართლო პრაქტიკა პრეიუდიციული ძალის მქონე მტკიცებულების ფარგლებში არასახელმწიკრულებო მოთხოვნის უფლებებსაც ხედავს და საბოლოო ჯამში, დელიქტის სამართლის სფეროში განიხილავს მათ. და ეს მაშინ, როდესაც მტკიცების ტვირთის შებრუნებასთან დაკავშირებული სასამართლო პრაქტიკა ზიანის გამომწვევი მიზეზებისას (მტკიცების მოწინააღმდეგის საფრთხისა და კონტროლის სფეროდან) სახელმწიკრულებო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებებს აქცენტების დონეზე მაინც ეხება. გარდა ამისა, პრეიუდიციული ძალის მქონე მტკიცებულების წინაპირობაა ტიპური სიტუაციების არსებობა, რომელიც საყოველთაო ცხოვრებისეული გამოცდილებიდან გამომდინარე უშვებს განსაზღვრული პირველადი დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას მაშინ, როდესაც შესაბამისი ცალკეული შემთხვევიდან გამომდინარე უნდა შეფასდეს, არის თუ არა ზიანის საფუძველი მტკიცების მოწინააღმდეგე მხარის საფრთხისა და პასუხისმგებლობის სფეროში.

გ) გარდა ამისა, გერმანული სასამართლო პრაქტიკა **ხელმწიკრულებების დედნებთან** დაკავშირებით ვარაუდობს, რომ მათში სრულყოფილად და სწორადაა გადმოცემული ხელმწიკრულების მხარეთა განმარტებები გარიგებასთან დაკავშირებით (BGH, Beschluss vom 11. Mai 2017 - I ZB 63/16 - juris; BGH, Urteil vom 10.06.2016 - V ZR 295/14 - MDR 2016, 1371; BGH, Urteil vom 13. Mai 2016 - V ZR 225/15 - juris; BGH, Urteil vom 16.04.2015 - IX ZR 68/14 - ZIP 2015, 1447; BGH, Urteil vom 05.07.2002 - V ZR 13/01 - NJW 2002, 3164).

მხარეს, რომელიც ხელმწიკრულების მხარეთა თანმხვედრ ნებაზე აპელირებს, მაგრამ ეს ნება ხელმწიკრულების დედნის შინაარსისგან განსხვავდება, ამასთან დაკავშირებით მითითებისა და მტკიცების ტვირთი ეკისრება მას (BGH, Beschluss vom 11. Mai 2017 - I ZB 63/16 - WM 2018, 817; BGH, Urteil vom 10.06.2016 - V ZR 295/14 - MDR 2016, 1371; BGH, Urteil vom 13. Mai 2016 - V ZR 225/15 - juris). თუმცა სასურველის სრულყოფილად და სწორად გადმოცემის წინაპირობაა, რომ ხელმწიკრულების დედნის ტექსტი ხელმწიკრულების შინაარსის განსაზღვრის შესაძლებლობას იძლეოდეს. თუ ტექსტი ენობრივად გაუგებარია, იგი არ წარმოშობს ვარაუდს განსაზღვრულ განმარტებასთან დაკავშირებით, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ხელმწიკრულების ტექსტი გასაგები უნდა იყოს იმგვარად, რომ განმარტებისთვის აღარ დარჩეს სივრცე (BGH, Beschluss vom 11. Mai 2017 - I ZB 63/16 - WM 2018, 817; BGH, Urteil vom 05.07.2002 - V ZR 13/01 - NJW 2002, 3164; für Testament: BGH, Beschluss vom 09.04.1981 - Iva ZB 6/80 - BGHZ 80, 246). ვარაუდი, მეტადრე, წარმოიშობა მაშინ, რო-

დესაც ხელშეკრულების ტექსტიდან გამომდინარე, განმარტება გარიგების განსაზღვრულ შინაარსს გადმოსცემს. ამასთან არ გაითვალისწინება ხელშეკრულების მიღმა არსებული განმარტების საშუალებები, ხელშეკრულების დადების თანმდევი გარემოებები, მისი წარმოშობის ისტორია, ხელშეკრულების მიღმა გაკეთებული მხარეთა განმარტებები და ა.შ. ეს ყველაფერი გაითვალისწინება მაშინ, როდესაც ხელშეკრულების ის მხარე, რომლის წინააღმდეგაც მოქმედებს ვარაუდი, მის უარსაყოფად ხელშეკრულების ტექსტისგან განსხვავებული ფაქტობრივი ნების არსებობაზე უთითებს (BGH, Urteil vom 05.07.2002 - V ZR 13/01 - NJW 2002, 3164).

ეს ვარაუდი მხოლოდ მხარეთა შორის ურთიერთობაში მოქმედებს, რადგან მხოლოდ მათ შეუძლიათ გადანყვევტილების მიღება იმის შესახებ, გარიგებასთან დაკავშირებულ ნებას სრულყოფილად ასახავენ ხელშეკრულებაში თუ მხოლოდ ნაწილობრივ (BGH, Urteil vom 29.11.1989 - VIII ZR 228/88 - BGHZ 109, 240; BGH, Urteil vom 05.07.2002 - V ZR 13/01 - NJW 2002, 3164). გარდა ამისა, ხელშეკრულების მხარისთვის შესაძლებელი იქნებოდა, შეგნებულად, არასრულყოფილად ან არასწორად გამოეხატა ფაქტობრივი ნება და ამით ზიანი მიეყენებინა მესამე პირებისთვის.

როგორც უკვე აღინიშნა, ვარაუდი მხოლოდ ხელშეკრულების დედანში გადმოცემულ გარიგებასთან დაკავშირებულ განმარტებებზე ვრცელდება. ამისგან განსხვავებით, ვარაუდის მოქმედების ძალა არ ვრცელდება **ფაქტობრივ დასკვნებზე** ან შინაარსობრივ ინფორმაციაზე (BGH ZIP 2015, 1447; BGH, Beschluss vom 16. Juli 2008 - IV ZR 309/07 - juris; BGH, Urteil vom 05.07.2002 - V ZR 13/01 - NJW 2003, 754). ამდენად, ხელშეკრულების შინაარსს არაპირდაპირი მტკიცებულების მნიშვნელობა მეტ-ნაკლები მოცულობით ენიჭება მტკიცებულებების შეფასების ფარგლებში (BGH, Urteil vom 16.04.2015 - IX ZR 868/14 - ZIP 2015, 1447; BGH, Urteil vom 05.07.2002 - V ZR 13/01 - NJW 2002, 3164; იხ. 105-ე მუხლის კომენტარი, ა.ნ. 88 და მომდევნო აბზაცი). ხელშეკრულების ტექსტი მითუმეტეს არ წარმოშობს ვარაუდის საფუძველს იმასთან დაკავშირებით, ჰქონდა თუ არა ადგილი განმარტებისა და მითითების ვალდებულების შესრულებას.

ქართველ მსახივრე

102-ე მუხლი

1. სასამართლოს როლი მხარეთა მიერ მტკიცებულებათა წარდგენაში

სამოქალაქო საპროცესო სამართალში მოქმედი ზოგადი წესის მიხედვით, ფაქტების მტკიცების ტვირთი მხარეებს ეკისრება.¹ აღნიშნული წესი ნორმატიულადაა განმტკიცებული. სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ადგენს, რომ თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს (სსსკ 102.1). სასამართლოს მხარეთა მიერ მითითებული ფაქტების სისწორეში დასარწმუნებლად ალბათობის მაღალი ხარისხით სარწმუნო მტკიცებულებები სჭირდება². შესაბამისად, მხარეები სარჩელსა, თუ შესაგებელში მარტოოდენ ფაქტების მითითებით, მათთვის სასურველ შედეგს ვერ მიიღებენ, თუ აღნიშნული ფაქტების არსებობა კანონით დაშვებული მტკიცებულებების წარდგენის გზით არ დაამტკიცეს. შესაბამისი მტკიცების გარეშე ფაქტი დადასტურებულად მხოლოდ საგამონაკლისო შემთხვევებში ითვლება, კერძოდ, მაშინ, როდესაც მოსარჩელის მიერ მითითებულ ფაქტს მოპასუხე დაეთანხმება (ფაქტის აღიარება) (სსსკ 131), თუ რალა თქმა უნდა, ფაქტი სპეციალურ მტკიცებას არ საჭიროებს, მაგალითად, როგორცაა, უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლება, დაბადება, გარდაცვალება, რეგისტრირებული ქორწინება და ა. შ. ან როდესაც მოპასუხე შესაგებელს არ წარადგენს, ან სხდომაზე არ გამოცხადდება და მოსარჩელე დაუსწრებელი გადანყვეტილების მიღებას იშუამდგომლებს (სსსკ 230, სსსკ 232). ასეთ ვითარებაში სარჩელში მითითებული ფაქტები, შესაბამისი მტკიცებულებების შემონმების გარეშე, დადასტურებულად ითვლება.

¹ თ. ლილუაშვილი, ვ. ხრუსტალი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბილისი, 2014, გვ. 198

² რ. ციპელიუსი, „იურიდიული მეთოდების მოძღვრება“, მიუნხენი, 2006, გვ. 109

მიუხედავად იმისა, რომ სამართალწარმოება შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე მიმდინარეობს, ეს მოცემულობა არ არის შეუზღუდავი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი შეჯიბრის უფლების შეზღუდვის შესაძლებლობებსაც ითვალისწინებს. მათი უმრავლესობა პირდაპირ, ცალსახად არ გულისხმობს შეჯიბრებითობის პრინციპის მოქმედებაში ჩარევასა და პროცესში ინკვიზიციური მეთოდების შემოტანას, მაგრამ ირიბად მოსამართლეს უფლებას აძლევს, საკუთარი ქმედებებით საქმის მიმდინარეობაზე გავლენა მოახდინოს. საგულისხმოა, რომ არც კანონმდებლობა და არც დოქტრინა განმარტავს, ზოგადი დანაწესის არსებობისას, სად გადის მიჯნა შეჯიბრებითობის პრინციპში არათანაზომიერ ჩარევასა და სამართლიანი სასამართლოს უფლებას შორის.³ თუმცა, სასამართლო პრაქტიკა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ასახული ნორმების, ლოგიკური და შინაარსობრივი ანალიზისა და დოქტრინალურად განმტკიცებული შეჯიბრებითობის კონტექსტის გათვალისწინებით, ადგენს, რომ მოსამართლის როლი მტკიცებულებათა შეგროვების პროცესში მინიმალისტური, თუმცა, არსებითია. სასამართლოს ფუნქცია მხარეთა შეჯიბრის წარმართვაა, თანაც იმგვარად, რომ მხარეებს საპროცესო თავდაცვის თანაბარი შესაძლებლობა ჰქონდეთ. ამ ფარგლებში სასამართლო, სადავო ფაქტების გათვალისწინებით, მტკიცების საგანს განსაზღვრავს და საპროცესო, თუ მატერიალური კანონმდებლობის დანაწესებიდან გამომდინარე, მხარეთა შორის მტკიცების ტვირთს ანაწილებს.⁴ სასამართლო შეზღუდულია მხარეთა მიერ მითითებული ფაქტებით, თუმცა, მითითებული ფაქტების ფარგლებში, უფლებამოსილია, მხარეებს დამატებითი მტკიცებულებების წარმოდგენა შესთავაზოს.⁵ ამასთან, ნიშანდობლივია განიმარტოს, თუ რა იგულისხმება სასამართლოს უფლებაში, მხარეებს დამატებითი მტკიცებულებების წარმოდგენა შესთავაზოს. აღნიშნული გულისხმობს, რომ სასამართლომ მხარეს სარჩელსა, თუ შესაგებებელში მითითებული ფაქტის დამადასტურებელი მტკიცებულების წარმოდგენის წინადადება მისცეს, მაგალითად, თუ მოსარჩელე უთითებს ფაქტს, რომ იგი სადავო უძრავი ქონების მესაკუთრეა, შესთავაზოს საჯარო რეესტრიდან შესაბამისი ამონა-

³ რ. დეკანოსიძე, „შეჯიბრებითობის პრინციპი და მისი შეზღუდვის შემთხვევები ქართულ სამოქალაქო საპროცესო სამართალში“, თანამედროვე სამართლის ჟურნალი, თბილისი, 2017წ., გვ. 128-155

⁴ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 10.11.2017 წლის განჩინება, საქმეზე ას-1004-925-2017

⁵ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 11.11.2013 წლის განჩინება, საქმეზე ას-1485-1401-2012

წერის წარმოდგენა, ან თუ მოპასუხე შესაგებელში ნასყიდობის ფასის უნაღდო (საბანკო გადარიცხვის გზით) ანგარიშსწორებაზე უთითებს, მისცეს წინადადება, რომ საბანკო ამონაწერი წარმოადგინოს და ა. შ. დოქტრინაში გამოთქმული შეხედულების მიხედვით, სასამართლოს უფლება, შესთავაზოს მხარეებს დამატებითი მტკიცებულებების წარმოდგენა, უნდა ემსახუროდეს სიმართლის გარკვევას და არ უნდა გაკეთდეს რომელიმე მხარისათვის დახმარების აღმოჩენის მიზნით,⁶ მით უფრო, არ უნდა მოხდეს ამ გზით მხარეთა შეჯიბრებითობის უფლების ხელყოფა.⁷ აღნიშნული პრინციპი დაცული იქნება, თუ სასამართლო დამატებითი მტკიცებულებების წარმოდგენის შეთავაზებით, მხარეს საქმისათვის მნიშვნელოვან დამატებით ფაქტებს არ განუმარტავს და მხოლოდ უკვე მითითებული ფაქტების დადასტურების წინადადებას მისცემს. ამასთან, **სასამართლომ თავი უნდა შეიკავოს კონკრეტული მტკიცებულების დასახელებისაგან, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ფაქტი სპეციალურ მტკიცებას საჭიროებს, ან თუ მხარე მტკიცებულების სახეზე თავად უთითებს**, მაგალითად, სპეციალურ მტკიცებას საჭიროებს გარემოებები, რომელთა დადასტურება მარტოოდენ კანონით გათვალისწინებული მტკიცებულებებითაა შესაძლებელი, მაგ. საჯარო რეესტრის ამონაწერი, ქორწინების, დაბადების, გარდაცვალების მონმოებები და ა. შ. მხარის მიერ მტკიცებულების დასახელება კი ნიშნავს ისეთ შემთხვევას, როდესაც ფაქტი თავად აღწერს მტკიცებულების სახეობას, მაგალითისათვის, მხარე უთითებს, რომ გადახდა უნაღდო (საბანკო) ანგარიშსწორების წესით განხორციელდა, შესაბამისად, ასეთ ვითარებაში, სასამართლო კი არ განუსაზღვრავს მხარეს, თუ რომელი მტკიცებულებით უნდა დაადასტუროს ესათუის ფაქტი, არამედ აძლევს წინადადებას, მის მიერ მითითებული ფაქტი მის მიერვე მითითებული მტკიცებულებით, მოცემულ შემთხვევაში, საბანკო ამონაწერით, დაამტკიცოს. იგივე წესი ვრცელდება სასამართლოს კიდევ ერთ შესაძლებლობაზე, მხარეებს მტკიცებულებების წარმოდგენის შესაძლებლობა მისცეს, კერძოდ, მთავარ სხდომაზე განხილვისათვის საქმის მოსამზადებლად მოსამართლეს შეუძლია დაავალლოს მხარეებს შეავსონ, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, განმარტონ მათ მიერ წარმოდგენილი წერილობითი მასალები, წინადადება მისცეს

⁶ თ.ლილუაშვილი, ვ.ბრუსტალი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბილისი, 2014, გვ.198

⁷ რ.დეკანოსიძე, „შეჯიბრებითობის პრინციპი და მისი შეზღუდვის შემთხვევები ქართულ სამოქალაქო საპროცესო სამართალში“, თანამედროვე სამართლის ჟურნალი, თბილისი, 2017წ., გვ. 128-155

მათ წარმოადგინონ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ნივთები, თუ დოკუმენტები (203.1.„ა“).⁸

2. მტკიცების ტვირთის განაწილების პროცესუალური სტანდარტი

მტკიცების ტვირთის მხარეთა შორის განაწილების ინსტიტუტი მიუთითებს არა მარტო იმაზე, თუ რომელმა მხარემ რა ფაქტები უნდა დაადგინოს, არამედ იმაზეც, თუ რომელი ფაქტების დადგენის მოვალეობისაგან თავისუფლდება ესა თუ ის მხარე. შესაბამისად, **მოსარჩელემ, როგორც წესი, უნდა დაამტკიცოს ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის წარმოშობის საფუძველს, ხოლო მოპასუხემ კი - ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის წინაპირობას.**⁹ საგულისხმოა ისიც, რომ სამოქალაქო საქმეებზე დასაბუთებული გადანყვეტილების მიღებისა და ზოგადად, მართლმსაჯულების განხორციელების უწინარეს საფუძველს იმის სწორად განსაზღვრა წარმოადგენს, თუ რა სამართლებრივი საფუძველიდან გამომდინარეობს მხარეთა შორის წარმოშობილი დავა. ამ მიზნით, **საქმის განხილველმა სასამართლომ პირველყოვლისა, უნდა დაადგინოს მოთხოვნის მატერიალური საფუძველი, მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმა.** მხოლოდ ამის შემდეგ უნდა გამოარკვიოს მოძიებული ნორმის წინაპირობები, მისი აბსტრაქტული შემადგენლობა და შემოანმოს განხორციელებულია თუ არა განსახილველ საქმეზე ყველა მათგანი. ამ ასპექტში, ფორმალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით, სასამართლო შეზღუდულია სარჩელის ფაქტობრივი გარემოებებით: იგი ამოწმებს რომელ კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებებზე მიუთითებს მოსარჩელე, ქმნიან თუ არა ისინი დამფუძნებელი ნორმის უკლებლივ ყველა წანამძღვარს. ამის შემდეგ მონმდება, მოპასუხის პოზიცია რამდენად აქარწყლებს წარმოშობილ წანამძღვრებს.¹⁰

მტკიცების ტვირთის განაწილების პროცესუალურ სტანდარტს ადგენს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის მიხედვითაც, **თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემო-**

⁸ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 22.06.2012 წლის განჩინება, საქმეზე, ას-750-704-2012

⁹ ბიოლინგი ჰ., ჭანტურია ლ., სამოქალაქო საქმეებზე გადანყვეტილებათა მიღების მეთოდიკა, თბ., 2003, გვ.64.

¹⁰ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 16 ნომბრის განჩინება, საქმეზე Nას-860-860-2018.

ებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებულს. ამრიგად, მტკიცების ტვირთი ერთნაირად ეკისრებათ მხარეებს და ეს ტვირთი თანაბრად ნაწილდება მათ შორის. ამასთან, მტკიცების ტვირთის გადანაწილებას, უმეტესწილად, სადავო ურთიერთობის მომწესრიგებელი **მატერიალურ - სამართლებრივი ნორმა აწესრიგებს**. ზოგადი ანალიზით, მტკიცების საგანში შემავალი ფაქტის მტკიცებას **კანონმდებელი იმ მხარეს ავალებს, რომლისთვისაც ეს უფრო ადვილია**. ამასთან, მხარეებს იმ გარემოების დადასტურება ეკისრებათ, რომლის დადასტურებაც **ობიექტურად შესაძლებელია**. შესაბამისად, მტკიცებას **პოზიტიური ფაქტი ექვემდებარება**. ნეგატიური ფაქტის მტკიცება მტკიცების ტვირთის განაწილების გონიერი სტანდარტის საწინააღმდეგო დებულებად მიიჩნევა, რადგან **ნეგატიური ფაქტის მტკიცება ობიექტურად შეუძლებელია**. მაგალითისათვის, გამსესხებელმა უნდა ამტკიცოს, რომ თანხა მსესხებელს გადასცა, ხოლო მსესხებელმა უნდა ამტკიცოს, რომ მან სესხი გამსესხებელს უკან დაუბრუნა. ვერც გამსესხებელი ვერ დაამტკიცებს, რომ მსესხებელს თანხა მისთვის უკან **არ დაუბრუნებია** და ვერც მსესხებელი შეძლებს იმ ფაქტის დადასტურებას, რომ მას სესხად ალებული თანხა **არ მიუღია**.

მტკიცების ტვირთის განაწილების განსხვავებული სტანდარტი არსებობს სახელშეკრულებო და დელიქტურ სამართალში, ასევე შრომის სამართალსა და დისკრიმინაციის სამართალში, მტკიცების ტვირთის განაწილების თავისებურებით ხასიათდება სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებაში მოქმედი წესები და ა. შ. აღნიშნულ განსხვავებას სამართალურთიერთობის სპეციფიკა, მტკიცების სირთულე და მტკიცებულებათა წარდგენის ობიექტური შესაძლებლობა/შეუძლებლობა განაპირობებს.

ა. მტკიცების ტვირთის განაწილება სახელშეკრულებო სამართალში

ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ვალდებულების შესრულების მოთხოვნისას, ხელშეკრულების დადებისა და მისი მხრიდან ვალდებულების შესრულების ფაქტი მოსარჩელემ უნდა ამტკიცოს, ხოლო მოპასუხემ უნდა ამტკიცოს ვალდებულების შესრულების ფაქტი ან იმ გარემოებათა არსებობა, რომლებიც მის მიერ ვალდებულების შესრულებას გამორიცხავდა^{11/12/13}. ამდენად, მტკიცების ტვირთის სამართლიანი

¹¹ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 26 მარტის განჩინება, საქმეზე Nას-323-309-2012

და ობიექტური გადანაწილების პრინციპებზე დაყრდნობით, სასამართლო პრაქტიკით სახელშეკრულებო სამართალში მტკიცების ტვირთი შემდეგნაირად ნაწილდება: (1) მოსარჩელემ უნდა დაადასტუროს ხელშეკრულების დადება; (2) მოსარჩელემ უნდა დაადასტუროს ვალდებულების შესრულების ვადა, ანუ ვადამოსული ვალდებულების არსებობა;¹⁴ (3) მოსარჩელემ უნდა ამტკიცოს მის მიერ ვალდებულების უფლებამოსილი პირის მიმართ¹⁵ შესრულება ან მოპასუხის ვალდებულება წინმსწრებ რეჟიმში შესრულების მოვალეობის არსებობის შესახებ;¹⁶ (4) მოპასუხემ უნდა ამტკიცოს საპასუხო (ან წინმსწრები) ვალდებულების შესრულების ფაქტი;¹⁷ ან კიდევ (5) მოპასუხემ უნდა ამტკიცოს გარემოებები, რომლებიც მის მიერ ვალდებულების შესრულებას გამორიცხავდა.¹⁸ სახელშეკრულებო ზიანის მოთხოვნის არსებობის პირობებში, (1) ზიანის ფაქტი, (2) ვალდებულების შეუსრულებლობა და (3) მიზეზობრივი კავშირი, ზიანსა და ვალდებულების შესრულებას შორის, ზიანის მოთხოვნაზე უფლებამოსილმა პირმა უნდა ამტკიცოს. მტკიცებას არ ექვემდებარება ისეთი პრეზუმირებული დაკარგული შემოსავალი, როგორცაა ფულის არამართლზომიერი დაკავებით დაკარგული ე.წ. „საანაბრე პროცენტი“.¹⁹

ამდენად, სახელშეკრულებო ურთიერთობის დროს მტკიცების ტვირთის სამართლიანი და ობიექტური გადანაწილების ამოსავალი პრინციპია, **ის რომ მხარეს იმაზე მეტის მტკიცების ვალდებულება არ უნდა დაეკისროს, ვიდრე აღნიშნული ობიექტურად შესაძლებელია.** შესაბამისად, მხარეს ეკისრება ფაქტის არსებობის მტკიცება და არა ფაქტის უარყოფის. ამდენად, მტკიცების ტვირთის გადანაწილე-

¹² იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 11 იანვრის განჩინება, საქმეზე №ას-400-380-2011

¹³ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 15 ნოემბრის განჩინება, საქმეზე №ას-936-974-2011

¹⁴ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 16 ნოემბრის განჩინება საქმეზე №ას- 860-860-2018

¹⁵ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 03 ივლისის განჩინება საქმეზე №ას-548-548-2018

¹⁶ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 16 ნოემბრის განჩინება საქმეზე №ას- 860-860-2018.

¹⁷ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 12 ნოემბრის განჩინება საქმეზე №ას-581-581-2018.

¹⁸ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 18 ივლისის განჩინება, საქმეზე №ას-756-812-2011

¹⁹ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 30 ნოემბრის განჩინება საქმეზე №ას-820-820-2018.

ბის დროს, ყოველთვის უნდა იქნეს გათვალისწინებული მხარეების მიერ მტკიცების პროცესის განხორციელების ობიექტური შესაძლებლობა. რეალურად, ხომ მატერიალურ სამართალში ხანდაზმულობის პრინციპის ამოსავალი წერტილი სწორედ ხანდაზმულ მოთხოვნაზე მტკიცებულებების შეგროვების ობიექტური შეუძლებლობაა.²⁰

მტკიცების თვალსაზრისით გარკვეული თავისებურებით ხასიათდება ისეთი სახელშეკრულებო დავები, რა დროსაც დავის საგანს არა ვალდებულების შესრულება ანდა შეუსრულებლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურება წარმოადგენს, არამედ გარიგების ბათილობა, იმ საფუძვლით, რომ გარიგების დადება ე.წ. „ნების მოდრეკის“ რეჟიმში მოხდა. აღნიშნული კატეგორიის დავებში, თუ ერთ-ერთი მხარე სახელმწიფო, ან სხვა „ძლიერი მხარეა“ და მოსარჩელე ფიზიკური ან ფსიქოლოგიური იძულების ფაქტებზე უთითებს, ამასთან, თუ გარიგების შინაარსი ქმნის იმგვარ შთაბეჭდილებას, რომ „ნებაზე არამართლზომიერი ზემოქმედების“ გარეშე ასეთი გარიგება სხვა შემთხვევაში არ დაიდებოდა,²¹ ასეთ ვითარებაში, ფაქტების ერთობლიობა, *prima facie* ნამდვილი ნების გარეშე გარიგების დადების შთაბეჭდილებას ტოვებს, შესაბამისად, მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტებით შექმნილი იძულების, ზნეობის, ან მორალთან წინააღმდეგობის პრეზუმფცია „ძლიერმა მხარემ“ უნდა გააქარწყლოს. სხვაგვარად თუ ვიტყვით, თუ იმთავითვე ცხადია, რომ „სუსტი მხარე“ ნების მოდრეკის რეჟიმში მოქმედებდა, თუმცა, ნების მოდრეკის პირობებში მისთვის მტკიცებულებების შექმნა ობიექტურად შეუძლებელი იყო, ასეთ ვითარებაში მტკიცების ტვირთი ძლიერ მხარეზე გადადის, რომელმაც გარიგების მართლზომიერება და მხარეთა ნების თავისუფლება უნდა ადასტუროს. სწორედ ამგვარ მყარ პრეზუმფციებს ეფუძნება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო საქმეში „გუზინსკი რუსეთის წინააღმდეგ“, „ნაცვლიშვილი და ტოგონიძე საქართველოს წინააღმდეგ“, „გალსთიანი სასომხეთის წინააღმდეგ“ და ა. შ. ²² არაკეთილსინდისიერებაზე დაყრდნობით გარიგების ბათილობის მოთხოვნა გარიგების ბათილობის მიზნებისათვის საკმარის საფუძველს არ ქმნის, რადგან ივარაუდება, რომ თუ ერთი მხარე არაკეთილსინდისიერი იყო, მეორე მხარე კეთილსინდისიერად მოქმედებდა. შესაბამისად, მხარემ მტკი-

²⁰ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 12 ოქტომბრის განჩინება, საქმე №ას-341-325-2011

²¹ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის განჩინება საქმეზე №ას-1230-2018.

²² იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 28 მარტის განჩინება საქმეზე №ას-1215-2018.

ცების თვალსაზრისით, ორივე მხარის არაკეთილსინდისიერება უნდა ამტკიცოს.²³ რაც შეეხება გარიგების ბათილობას მოჩვენებითობის ან თვალთმაქცურობის საფუძვლით, ასეთ შემთხვევაში მოსარჩელის მტკიცების საგანში ორივე მხარის „ურთიერთშეთანხმებული ნების“ მტკიცება შედის, რომლებიც „საერთო მიზნითა და განზრახვით“ მოქმედებდნენ და რაც „მათ მიერ გარეგანი ნების გამოვლენას არ შეესაბამება“.²⁴ მოტყუების საფუძვლით გარიგების ბათილობის მოთხოვნის დროს მოსარჩელემ ისეთი გარემოებები უნდა ამტკიცოს, რომელიც მოტყუებული პირისათვის იმგვარი ობიექტური ვითარების შექმნის ფაქტს ასახავს, რომელიც ყველა ნორმალურ მოაზროვნე ადამიანში არანამდვილი ნების გამოვლენას იწვევს, ანუ ადამიანს ობიექტური განსჯის შედეგად არ უნდა ჰქონდეს თავისი ნამდვილი ნების გამოვლენის შესაძლებლობა, შესაბამისად, მოტყუების ფაქტი იმდენად თვალსაჩინო და აშკარა უნდა იყოს, რომ ნებისმიერი საშუალო განვითარებისა და აზროვნების ადამიანის მოტყუება უნდა იყოს შესაძლებელი.²⁵ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო გამოვლენილი ნების გაუცნობიერებლობის საფუძვლით გარიგების ბათილობის მოთხოვნა ისეთ მტკიცებას საჭიროებს, რომლითაც უტყუარად დგინდება ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ისეთი პრობლემები, რაც ნების გაცნობიერების ფაქტს ცალსახად გამორიცხავდა. ასეთ შემთხვევაში, ვარაუდზე დაფუძნებული საექსპერტო დასკვნა მხედველობაში არ მიიღება. ამ მიმართებით მტკიცებას ყოველთვის ართულებს ის ფაქტი, თუ აღნიშნული გარიგება ნოტარიულადაა დადასტურებული, რადგან ნოტარიულად დადასტურებული გარიგების პირობებში ივარაუდება, რომ ნოტარიუსმა გარიგების შინაარსის დამოწმებისას, მხარეთა მიერ გამოვლენილი ნების გაცნობიერებული ხასიათი და ნამდვილობა შეამოწმა.^{26/27}

²³ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის პირველი ივლისის განჩინება, საქმეზე № ას-1439-1357-2012

²⁴ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 12 თებერვლის განჩინება საქმეზე №ას-1686-2018.

²⁵ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 13 დეკემბრის განჩინება საქმეზე №ას-1275-2018.

²⁶ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 16 ნოემბრის განჩინება საქმეზე №ას-860-860-2018

²⁷ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 13 ივლისის განჩინება საქმეზე №ას-771-771-2018.

ბ. მტკიცების ტვირთის განაწილება დელიქტურ სამართალში

განსხვავებით სახელშეკრულებო სამართლებრივი ურთიერთობისაგან, დელიქტურ სამართალში მტკიცების ტვირთის განაწილება გარკვეული თავისებურებით ხასიათდება. ამოსავალი პრინციპი იგივეა – მტკიცების ტვირთი ეკისრება მას ვინც ადასტურებს, და არა მას, ვინც უარყოფს. აღნიშნული სტანდარტი მტკიცების ტვირთს დელიქტურ სამართალში შემდეგნაირად ანაწილებს: (1) მოსარჩელემ უნდა დაადასტუროს ზიანის ფაქტი; (2) მოსარჩელემ უნდა დაადასტუროს მოპასუხის ქმედებით გამონვეული ზიანის ფაქტი, ანუ მიზეზობრივი კავშირი მოპასუხის ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის; (3) მოპასუხემ უნდა ამტკიცოს ქმედების მართლზომიერება; (4) მოპასუხემ უნდა ამტკიცოს მისი ბრალეულობის გამომრიცხველი გარემოებების არსებობის ფაქტი.²⁸ აღნიშნული წესი არ ვრცელდება ისეთ შემთხვევებზე, როდესაც პირს პასუხისმგებლობა ბრალის გარეშე ეკისრება, მაგალითად, მომეტებული საფრთხის წყაროს (ავტომობილის) მესაკუთრეს.²⁹ ამასთან, აღსანიშნავია, რომ ერთი მხარის მტკიცების საგანში შემავალი ფაქტების დადგენაში მეორე მხარის მხრიდან განხორციელებული ხელშეშლა მტკიცების ტვირთის შებრუნებას იწვევს, კერძოდ, დამტკიცებულად ითვლება ის ფაქტები, რომლის დასადაგენად მტკიცებულებების მოპოვებაში პირველ მხარეს მეორე მხარემ შეუშალა ხელი (სსსკ 169.4 მუხლი).³⁰

მტკიცების ტვირთის დელიქტური სამართლისათვის დამახასიათებელი წესები მოქმედებს ასევე სამედიცინო შეცდომასთან დაკავშირებულ დავებში სამედიცინო დაწესებულებასა და პაციენტს შორის. ამ მიმართებით სამოქალაქო კოდექსის **1007-ე მუხლი ადგენს მტკიცების ტვირთის განაწილების წესს, რომლის დანაწესი სამედიცინო დაწესებულების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ სამართალწარმოებაში მტკიცების ტვირთს დაზარალებულს აკისრებს. ნორმის აღნიშნული დანაწესის თანახმად, დაზარალებულმა ერთდროულად უნდა დაამტკიცოს ის გარემოებები, როგორიცაა: ა) ზიანი; ბ) ზიანის მიმყენებლის არამართლზომიერი მოქმედება ან უმოქმედობა; ბ) არამა-**

²⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 25 იანვრის განჩინება საქმეზე №ას-477-477-2018.

²⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 22 თებერვლის განჩინება საქმეზე №ას-1350-2018.

³⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 29 მარტის განჩინება საქმეზე №ას-1525-2018.

რთლზომიერ ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირი. სამედიცინო შეცდომით მოქალაქის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების გამო სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის წარმოშობის პირობები იგივეა, როგორც ყველა დელიქტურ ვალდებულებებში: ზიანი, მართლწინააღმდეგობა, ბრალი და მიზეზობრივი კავშირი. ამასთან, თითოეული ამ კომპონენტის თავისებურება სამედიცინო საქმიანობის ხასიათით განისაზღვრება. თითოეული ამ კომპონენტის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ექიმის ან სამედიცინო დაწესებულების მიმართ პაციენტს შეიძლება წარმოემუვას, როგორც ხელშეკრულებიდან, ასევე დელიქტური ნორმებიდან. შეიძლება ექიმს იმ შემთხვევაშიც დაეკისროს პასუხისმგებლობა თუ, მას არანაირი ხელშეკრულება არ გაუფორმებია პაციენტთან, გამომდინარე იქიდან, რომ მკურნალობის დაწყებით ექიმისათვის და არასამედიცინო (დამხმარე) პერსონალისათვისაც წარმოიშობა ვალდებულება, კანონით დადგენილ ფარგლებში დაიცვან და შეინარჩუნონ პაციენტის ჯანმრთელობა. ექიმის მიერ ჩატარებული მცდარი მკურნალობა, როგორც წესი, ხელშეკრულების დარღვევაც არის და დელიქტიც. მოთხოვნის ორივე საფუძველი თანაბარია და შესაბამისად, მოთხოვნის დაფუძნება ორივე საფუძველზე ერთდროულად არის შესაძლებელი. ამასთან, დელიქტური ზიანის ანაზღაურების დაკისრებისას გამოიყენება სახელშეკრულებო ზიანის მომწესრიგებელი ნორმები. სახელშეკრულებო სამართლის მომწესრიგებელი ნორმები სპეციფიკურია და არეგულირებს ვალდებულებით ურთიერთობას სახელშეკრულებო თავისებურებათა გათვალისწინებით. თუმცა, განსხვავებულ შესაძლებლობას გვაძლევს სამოქალაქო კოდექსი 326-ე მუხლი, რომლის ძალითაც წესები სახელშეკრულებო ვალდებულების შესახებ გამოიყენება ასევე სხვა არასახელშეკრულებო ვალდებულებათა მიმართ, თუკი ვალდებულების ხასიათიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს. მითითებული ნორმა წარმატებულადაა გამოყენებული სასამართლო პრაქტიკაში პერსონალისა და სამედიცინო დაწესებულების მიერ პაციენტის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის შედეგად წარმოშობილი დავების სამართლებრივი კვალიფიკაციისას. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებების მიხედვით აღნიშნული ვალდებულება წარმოიშობა დაზარალებულის აბსოლუტური სუბიექტური სამოქალაქო უფლებების დარღვევის შედეგად, ატარებს არასახელშეკრულებო ხასიათს და მიმართულია მიყენებული ქონებრივი ან მორალური ზიანის ანაზღაურებისაკენ³¹. **აღნიშნული კატეგორიის დავებში პა-**

³¹ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 25 მაისის გადაწყვეტილება, სა-

ციენტს ეკისრება, როგორც ფაქტების სრულყოფილად და დამაჯერებლად წარდგენისა და გაცხადების ვალდებულება, აგრეთვე მტკიცების ტვირთი იმის დასადასტურებლად, რომ ადგილი ჰქონდა სამკურნალო შეცდომას. თუ პაციენტის განმარტებები არ დადასტურდება, მაშინ სამკურნალო შეცდომა პაციენტის მოთხოვნის საწინააღმდეგოდ, არ დამტკიცდება. ასევე, პაციენტმა უნდა წარმოადგინოს და დამტკიცოს, რომ დამდგარი ზიანი ეფუძნება სამედიცინო დაწესებულების ვალდებულების დარღვევას.³² თუმცა, არ უნდა დაგვავიწყდეს მტკიცებითი სამართლის ამოსავალი პრინციპი, რომლის მიხედვითაც, თუ მხარისთვის ამათუიმ ფაქტის დამტკიცება ობიექტურად შეუძლებელია, მას ამგვარი ფაქტის მტკიცების ტვირთი არ უნდა დაეკისროს. საწინააღმდეგო დაშვება სამართლიანი სასამართლოს უფლების ხელყოფად განიხილება. შესაბამისად, თუ პაციენტმა ექიმის მიერ დაშვებული შეცდომის დამტკიცება ობიექტურად ვერ შეძლო, ექიმს უნდა დაეკისროს მის მიერ ჩატარებული მკურნალობისა, თუ სხვა სამედიცინო მანიპულაციის მართლზომიერებისა და მისი საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის დადასტურების ვალდებულება.

გ. მტკიცების ტვირთის განაწილება შრომის სამართალში

სამოქალაქო სამართალწარმოებაში მოქმედებს მტკიცების ტვირთის განაწილების ორი ძირითადი წესი: ზოგადი წესი, რომელიც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად ეკისრება თითოეულ მხარეს, და სპეციალური წესი, რომელსაც თავად გამოსაყენებელი მატერიალური ნორმა აწესებს. შრომით-სამართლებრივი დავები მტკიცების ტვირთის განაწილების გარკვეული თავისებურებით ხასიათდება, რასაც მტკიცებულებების წარმოდგენის თვალსაზრისით, დამსაქმებლისა და დასაქმებულის არათანაბარი შესაძლებლობები განაპირობებს და ამდენად, სასამართლო ხელმძღვანელობს მტკიცების ტვირთის განაწილების სპეციალური სტანდარტით, რომლის თანახმად, სწორედ დამსაქმებელია ვალდებული ადასტუროს დასაქმებულის სამსახურიდან გათავისუფლების კანონიერი და საკმარისი საფუძვლის არსებობა. ამგვარი სტანდარტის გამოყენების ნორმატიულ საფუძველს ქმნის ის, რომ დამსაქმებელს გააჩნია მტკიცებითი უპირატესობა, სა-

³² ქმეზე №ას-1268-1526-09
 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 11 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-111-111-2018.

სამართლოს წარუდგინოს მისთვის ხელსაყრელი მტკიცებულებები.^{33/34}

დ. მტკიცების ტვირთის განაწილება დისკრიმინაციის სამართალში

სარჩელის აღძვრისას პირმა სასამართლოს უნდა წარუდგინოს ფაქტები და შესაბამისი მტკიცებულებები, რომლებიც დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების ვარაუდის საფუძველს იძლევა, რის შემდეგაც, მოპასუხეს იმის მტკიცების ტვირთი ეკისრება, რომ დისკრიმინაცია არ განხორციელებულა. იგივე წესს ადგენს არასასამართლო წარმოების დროს „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის მიხედვითაც, პირმა უნდა წარმოადგინოს ფაქტები და შესაბამისი მტკიცებულებები, რომლებიც დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების ვარაუდის საფუძველს იძლევა, რის შემდეგაც სავარაუდო დისკრიმინაციული ქმედების განმხორციელებელ პირს ეკისრება იმის მტკიცების ტვირთი, რომ დისკრიმინაცია არ განხორციელებულა. ამდენად, კანონი ადგენს, რომ სასამართლოს დისკრიმინაციის ფაქტები მხარემ (დისკრიმინაციის სავარაუდო მსხვერპლმა) უნდა დაუსახელოს, რათა *prima facie* დისკრიმინაციის ფაქტის არსებობის პრეზუმფცია შეიქმნას. თუ საქმეში წარდგენილი მტკიცებულებებით დადასტურებულია მოსარჩელის მიმართ, ამათუიმ დაცული ნიშნით, განსხვავებული მოპყრობის ფაქტი, ასეთ ვითარებაში განსხვავებული მოპყრობის მართებულობისა და გონივრულობის დასაბუთების მტკიცების ტვირთი ამ მოპყრობის განმხორციელებელ მხარეს აწევს (იხ. საქმეები: იგივე *IVANOVA V. BULGARIA*; *KIYTUN V. RUSSIA*; *D.H. AND OTHERS V. CEECH REPUBLIC* და სხვა).³⁵ დასახელებული მსჯელობის ნორმატიული საფუძველია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363³-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც, სარჩელის აღძვრისას პირმა სასამართლოს უნდა წარუდგინოს ფაქტები და შესაბამისი მტკიცებულებები, რომლებიც დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების ვარაუდის საფუძველს იძლევა, რის შემდეგაც მოპასუხეს ეკისრება იმის მტკიცების ტვირთი, რომ დისკრიმინაცია არ განხორციელებულა. დასახელებული

³³ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 22 თებერვლის განჩინება საქმეზე №ას-1329-2018.

³⁴ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 25 დეკემბრის განჩინება საქმეზე №ას-1274-2018.

³⁵ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 14 დეკემბრის განჩინება საქმეზე №ას-1170-2018

ბული საპროცესო ნორმა ადგენს დისკრიმინაციული ქმედების სავარაუდო მსხვერპლის ვალდებულებას, სასამართლოს წარუდგინოს მტკიცებულებები და მიუთითოს ფაქტებზე, რომელთა ანალიზი იძლევა გარკვეული ნიშნით პირის მიმართ არათანაბარი მოპყრობის ვარაუდის საფუძველს. სწორედ ამ საპროცესო სტანდარტის დაცვის შემთხვევაში წარმოიშობა მოპასუხის (დისკრიმინაციულად მოძალადის) ვალდებულება: ა) გაამართლოს განსხვავებული მოპყრობა ობიექტური და გონივრული არგუმენტებით, რომლებიც გადაწონის განსხვავებულ მოპყრობას და გაამართლებული იქნება დემოკრატიული ღირებულებებით; ბ) ამტკიცოს განსხვავებული მოპყრობის არარსებობა.³⁶

ე. მტკიცების ტვირთის განაწილება სიტყვისა და გამოსატვის თავისუფლების სამართალში

„სიტყვისა და გამოსატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლი მტკიცების ტვირთის განაწილების სპეციალურ წესს განამტკიცებს, რომლის თანახმად, მტკიცების ტვირთი მთლიანად მოსარჩელეს, სიტყვისა და თავისუფლების შეზღუდვის ინიციატორს ეკისრება.³⁷ კერძო პირის ცილისწამებისათვის პირს მხოლოდ მაშინ ეკისრება სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თუ მოსარჩელე სასამართლოში დაამტკიცებს, რომ მოპასუხის განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს უშუალოდ მოსარჩელის შესახებ და ამ განცხადებით მოსარჩელეს ზიანი მიადგა, ხოლო საჯარო პირის ცილისწამებისათვის პირს მაშინ ეკისრება სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თუ მოსარჩელე სასამართლოში დაამტკიცებს, რომ მოპასუხის განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს უშუალოდ მოსარჩელის შესახებ, ამ განცხადებით მოსარჩელეს ზიანი მიადგა და განცხადებული ფაქტის მცდარობა მოპასუხისათვის წინასწარ იყო ცნობილი ან მოპასუხემ გამოიჩინა აშკარა და უხეში დაუდევრობა, რამაც გამოიწვია არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი განცხადების გავრცელება. ამდენად, კანონი კერძო და საჯარო პირს ცილისწამებისათვის (ორივე შემთხვევაში) მტკიცების ტვირთს იმგვარად ანაწილებს, რომ მოსარჩელემ უნდა დაადასტუროს ფაქტი მასზედ, რომ მის წინააღმდეგ გავრცელებული ინფორმაცია მცდარია და რომ აღნიშნული

³⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 14 დეკემბრის განჩინება საქმეზე №ას-1263-2018.

³⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 07 მაისის განჩინება საქმეზე №ას-1857-2018.

ინფორმაცია მოსარჩელისათვის ზიანის მომტანია. კანონი საჯარო პირისათვის, მისი საჯარო-სამართლებრივი სტატუსიდან გამომდინარე დამატებით მოთხოვნას აწესებს, კერძოდ, მოსარჩელის მტკიცების საგანში შემავალ გარემოებად ასახელებს ასევე მის წინააღმდეგ მცდარი ინფორმაციის **ბრალეულად (განზრახ ან აშკარა ან უხეში გაუფრთხილებლობით) გავრცელებას**, ანუ საჯარო პირის შემთხვევაში, მოსარჩელემ დამატებით უნდა ამტკიცოს ასევე ფაქტი იმის შესახებ, რომ ინფორმაციის გამავრცელებელმა **იცოდა ან უნდა სცოდნოდა, რომ ინფორმაცია, რომელსაც იგი ავრცელებდა, მცდარი იყო. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით**, სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის მტკიცების ტვირთი შეზღუდვის ინიციატორს ეკისრება. თუმცა, ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადანყდეს სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის საწინააღმდეგოდ³⁸.

მიუხედავად იმის, რომ „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონი მოსარჩელეს აკისრებს მის წინააღმდეგ გავრცელებული ინფორმაციის მცდარობის დადასტურების ვალდებულებას, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი პრეცედენტული სამართლის მიხედვით, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ჟურნალისტიკა ვალდებული ამტკიცოს მის მიერ გავრცელებული ინფორმაციის სისწორე ანდა მის მიერ ჟურნალისტური ეთიკის ფარგლებში განხორციელებული ზომები ინფორმაციის გადასამოწმებლად^{39/40}. ამგვარი პრაქტიკა წინააღმდეგობაში მოდის „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონთან, რომლის მიხედვითაც, სიტყვის თავისუფლების შეზღუდვისას მტკიცების ტვირთი ეკისრება შეზღუდვის ინიციატორს. თუმცა, ვინაიდან ამავე კანონის მიხედვით, ამ კანონის ინტერპრეტირება უნდა მოხდეს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისად, ამიტომ სასამართლომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა გადანყვიტოს, თუ რამდენად განხორციელებადია მტკიცების ტვირთი შეზღუდვის ინიციატორის მხრიდან, განსაკუთრებით უარყოფითი ფაქტის მტკიცების კონტექსტში და კანონის ინტერპრეტაციისას უნდა იხელმძღვანელოს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო პრაქტიკით. ამგვარი დასკვნის საფუძველია

³⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 3 აგვისტოს ას-1739-1720-2011 განჩინება

³⁹ *McVicar v UK*, July 8, 2002, ECHR Case N.4611/99

⁴⁰ *Heinisch v Germany*, September 5, 2011, ECHR Case N.28274/08

ასევე პრაქტიკაში არსებული სირთულე იმასთან დაკავშირებით, რომ შეზღუდვის ინიციატორმა უნდა ამტკიცოს, რომ ის ქურდი არ არის, მას თანხა არ მიუთვისებია, მას ეროვნული გმირი არ უცემია, მას დანაშაული არ ჩაუდენია და ა. შ. ასეთ შემთხვევაში, სწორედაც რომ რელევანტურია კანონის ნორმის პრეცედენტისეული განმარტება, რომლის მიხედვითაც, ყურნალისტმა უნდა ადასტუროს გავრცელებული ინფორმაციის სისწორე ანდა მის მიერ მიღებული გონივრული ზომები ინფორმაციის გადამონმების თაობაზე.

ვ. მტკიცების ტვირთის განაწილება სამეზობლო სამართალში

მიწის ნაკვეთის ან სხვა უძრავი ქონების მესაკუთრეს არ შეუძლია აკრძალოს მეზობელი ნაკვეთიდან თავის ნაკვეთზე გაზის, ორთქლის, სუნის, ჭვარტლის, კვამლის, ხმაურის, სითბოს, რყევების ან სხვა მსგავს მოვლენათა ზემოქმედებანი, თუკი ისინი ხელს არ უშლიან მესაკუთრეს თავისი ნაკვეთით სარგებლობაში, ან უმნიშვნელოდ ხელყოფენ მის უფლებას. იმ შემთხვევაში, თუ ხელყოფა არსებითი მნიშვნელობისა, რაც თმენის ვალდებულებას სცილდება ან თმენის ვალდებულების ფარგლებშია, თუმცა, მეზობელს თმენის კომპენსაციის უფლებას წარმოუშობს, ასეთ შემთხვევაში, ხელყოფა, მისი არსებითი ხასიათი და ხელყოფის ზემოქმედების შედეგები მოსარჩელემ უნდა ამტკიცოს. ამ მიმართებით შეიძლება რელევანტურ მტკიცებულებას ექსპერტის დასკვნა წარმოადგენდეს შესაბამისი სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დარღვევის თაობაზე.⁴¹

ზ. მტკიცების ტვირთის განაწილება სამეწარმეო სამართალში

სამეწარმეო სამართალში მოქმედებს „ბიზნეს გადანყვეტილების მართებულობის“ პრეზუმფცია. რომლის მიღმა იგულისხმება, რომ ხელმძღვანელი კეთილგონიერების ფარგლებში მოქმედებს იმ რწმენით, რომ მისი გადანყვეტილება მიღებულია საზოგადოების საუკეთესო ინტერესების დაცვის მიზნით და ამ გადანყვეტილების მიღებისას იგი ინფორმირებული იყო იმ ზომით, რაც მას, მოცემულ ვითარებაში საკმარისად

⁴¹ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 1 ივნისის განჩინება №ას-324-324-2018

მიაჩნდა, ამ გადაწყვეტილების შედეგებისათვის კომპანიის დირექტორი დაცულია პირადი პასუხისმგებლობისაგან.⁴²

კომპანიის დირექტორის პასუხისმგებლობა დაცულია „ბიზნეს გადაწყვეტილების მართებულობის“ პრეზუმფციით, რომლის მიღმა იგულისხმება, რომ ხელმძღვანელი კეთილგონიერების ფარგლებში მოქმედებს იმ რწმენით, რომ მისი გადაწყვეტილება მიღებულია საზოგადოების საუკეთესო ინტერესების დაცვის მიზნით და ამ გადაწყვეტილების მიღებისას იგი ინფორმირებული იყო იმ ზომით, რაც მას, მოცემულ ვითარებაში საკმარისად მიაჩნდა, ამ გადაწყვეტილების შედეგებისათვის კომპანიის დირექტორი დაცულია პირადი პასუხისმგებლობისაგან.⁴³ ასეთ შემთხვევაში, კომპანიის შიდა ურთიერთობებში სწორედ მოსარჩელემ (პარტნიორი, საზოგადოება) უნდა ამტკიცოს დირექტორის მხრიდან ფიდუციური მოვალეობის დარღვევა. იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელე დირექტორის მიერ ფიდუციურ მოვალეობათა ტრიადიდან (ერთგულება, მზრუნველობა, კეთილსინდისიერება), თუნდაც ერთ-ერთი მოვალეობის დარღვევას დაადგენს, ასეთ შემთხვევაში მტკიცების ტვირთი მოპასუხე დირექტორზე გადადის, რომელმაც მის მიერ მიღებული სამენარმეო გადაწყვეტილების მართებულობა უნდა ამტკიცოს, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ დირექტორის მიმართ სარჩელს კრედიტორი დელიქტის საფუძველზე აღძრავს, ასეთ შემთხვევაში, მოსარჩელემ დირექტორის მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული ქმედებით მისთვის ზიანის მიყენების ფაქტი და ამავე ზიანის ოდენობა უნდა დაადასტუროს.⁴⁴

სამენარმეო სამართლებრივ ურთიერთობებში პარტნიორს დივიდენდის მოთხოვნის უფლება აქვს, თუმცა, აღნიშნული მოთხოვნა სასამართლო პრაქტიკით უპირობოდ არ მიიჩნევა. მოთხოვნის მართლზომიერად მიჩნევის მიზნებისათვის მნიშვნელოვანია, რომ მოსარჩელე დივიდენდის მოთხოვნაზე უფლებამოსილი იყოს, კომპანიას მოგება ჰქონდეს და ამავე კომპანიის გადაწყვეტილებით აღნიშნული მოგება, მთლიანად ან ნაწილობრივ, დივიდენდად განაწილებული იყოს.⁴⁵

წილზე საკუთრების უფლება საკუთრების უფლებათა დაცული გარანტიის რეგულირების რეჟიმში ექცევა. შესაბამისად, თუ კომპანია უთი-

⁴² იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 06 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-687-658-2016.

⁴³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 06 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-687-658-2016.

⁴⁴ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 6 მაისის გადაწყვეტილება, საქმეზე №ას-1158-1104-2014

⁴⁵ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 22 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1646-2018.

თებს, რომ მოსარჩელე საზოგადოებიდან ნებაყოფლობით გავიდა, წილი დათმო და ა. შ. მანვე უნდა ადასტუროს მოსარჩელის მიერ წილის დათმობაზე გამოვლენილი ნების ნამდვილობა.⁴⁶

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო პრაქტიკით შემუშავებულია ის ძირეული პრინციპები, რომლის შესაბამისადაც, მტკიცების ტვირთი ნაწილდება. აღნიშნულ საკითხს უაღრესად დიდი მნიშვნელობა გააჩნია მხარეთა უფლებების თანაბარზომიერად დაცვის საქმეში და საქმეზე დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე, სამართლიანი და კანონიერი გადანყვეტილების მიღების მიზნებისათვის. მტკიცების ტვირთის სტანდარტის დარღვევა უპირობოდ იწვევს მხარეთა ყველაზე მნიშვნელოვან საპროცესო სამართლებრივი ღირებულების დარღვევას, რაც სამართლიან გადანყვეტილებასაც კი უკანონოდ აქცევს.

⁴⁶ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 08 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №ას-201-201-2018

მუხლი 103. მტკიცებულებათა შეგროვება

1. მტკიცებულებებს სასამართლოს წარუდგენენ მხარეები. სასამართლოს შეუძლია შესთავაზოს მხარეებს წარმოადგინონ დამატებითი მტკიცებულებები.

2. თუ მხარეებმა ამა თუ იმ მიზეზით ვერ შეძლეს მტკიცებულებების უშუალოდ მიღება და სასამართლოში წარდგენა, მხარეთა შუამდგომლობით სასამართლოს შეუძლია თვითონ გამოითხოვოს მტკიცებულებები, ვისთანაც უნდა იყოს ისინი.

3. კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებებს იურიდიული ძალა არა აქვთ.

4. საქმის მოსამზადებელი ეტაპის დასრულებამდე წარდგენილი მტკიცებულებები საქმეს დაერთვება და მათ განიხილავს და შეამოწმებს სასამართლო ამ კოდექსის 225-ე მუხლით დადგენილი წესით. საქმის მოსამზადებელი ეტაპის დასრულების შემდეგ წარმოდგენილი მტკიცებულებების მიღების საკითხს სასამართლო განიხილავს მხარეთა მოსაზრებების გათვალისწინებით, ზეპირი მოსმენით.

ქართვან მისხიშვილი

103-ე მუხლი

I. ნორმის მიზანი

1. მტკიცებულებათა შეგროვება მხარეთა მიერ

ა. სასამართლოს როლი მხარეთა მიერ ფაქტების მითითებაში

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით, სამართალწარმოება დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე მიმდინარეობს, რაც იმას ნიშნავს, რომ მხარეები თავადვე განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის (განცხადების) სასამართლოში შეტანის შესახებ (**დისპოზიციურობის პრინციპი**). ამასთან, თავად მხარეები იღებენ გადაწყვეტილებას, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძველად მათ მოთხოვნებს, ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები (**შეჯიბრებითობის პრინციპი**). ამდენად, ის პროცესუალური შედეგი, რომელსაც მხარეები იღებენ, დიდწილად მათივე წარდგენილი სარჩელისა და შესაგებლის კვალიფიციურობაზე, ფორმალურ გამართულობასა და დასაბუ-

თებულობაზე არის დამოკიდებული¹. სწორედ მოსარჩელეა პირი, რომელიც სრულყოფილი ფაქტებისა და მტკიცებულებების წარდგენის გზით ქმნის სარჩელის დაკმაყოფილების პერსპექტივას², ამავდროულად, სწორედ მოპასუხეა პირი, რომელიც მოთხოვნის შემაფერხებელი ან მოთხოვნის შემწყვეტი შესაგებლის წარდგენის გზით კვალიფიციურ შედაგებას ახორციელებს და მის წინააღმდეგ აღძრული სარჩელის დაკმაყოფილებას გამორიცხავს³. **აღნიშნულ პროცესში მოსამართლე მიუკერძოებელი არბიტრია, რომელიც იმ სახის სამართალს დაადგენს, რა სახის ფაქტებსაც მიიღებს.** სამოქალაქო საპროცესო სამართალში მოქმედი პრინციპი, „**მომეცი ფაქტები, მოგცემ სამართალს**“ („*da mihi facta, dabo tibi ius*“)⁴ კარგად ასახავს მოსამართლის როლს სამოქალაქო სამართალწარმოებაში, რა დროსაც სასამართლო სამართალწარმოება მხოლოდ მხარეთა მიერ მიცემული ფაქტების სამართლებრივი შეფასებით შემოიფარგლება. შესაბამისად, **სასამართლო მკაცრად შეზღუდულია, მხარეს ფაქტების მითითებაში დაეხმაროს.** სასამართლოს საპირისპირო ქმედება მხარეთა შეჯიბრების პროცესში უხეშ დარღვევად განიხილება. სასამართლო მარტოოდენ მხარეთა წარმოდგენილი ფაქტების შეფასებითა და სამართალშეფარდების (სუბსუმციის) უფლებამოსილებით არის შეზღუდული. შესაბამისად, საპროცესო სამართალი მკაფიოდ მიჯნავს მხარის ვალდებულებას, მისცეს ფაქტები სასამართლოს, სასამართლოს უფლებისაგან, შეაფასოს ფაქტები და მოახდინოს მათი ნორმათშეფარდება. სასამართლოს ჩარევა ფაქტების მოძიება, მითითებაში შეჯიბრებითობის პრინციპის დარღვევაა. მოსამართლე შეზღუდულია მხარეს ფაქტების მითითების, მითითებული ფაქტების ფორმირებასა, თუ დამატებითი ფაქტების მითითებაში დაეხმაროს. ამით, მოსამართლე მხარის ურთიერთშეჯიბრის ფარგლებში იჭრება, რითაც გაცნობიერებულ, თუ გაუცნობიერებელ უპირატესობას ანიჭებს იმ მხარეს, რომელსაც ეხმარება. ასეთ ვითარებაში მოსამართლე დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი არბიტრის სახეს კარგავს, რითაც შეჯიბრებითობის პრინციპს არღვევს. **სასამართლოს როლი ფაქტებთან მიმართებით მინიმალისტურია** და იგი საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტების გამოვლენაში ვლინდება, კერძოდ, **სასამართლო უფლებამოსილია, საქმის გარემოებათა და-**

¹ შ. შმიტი, ჰ. რიჰტერი, „მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესი სამოქალაქო სამართალში“, მოკლე შესავალი რელაციის მეთოდში, თბილისი, 2013, გვ.8

² *ibid.*9

³ *ibid.*14

⁴ ჰ.ბილინგი, ლ.ჭანტურია, „სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდიკა“, თბილისი, 2004, გვ. 42

სადგენად, შეკითხვების დასმის გზით, ხელი შეუწყოს მხარეებს ფაქტების გამოვლენაში. ნიშანდობლივია, რომ მითითებული უფლება სასამართლოს მხოლოდ საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე, მთავარ სხდომაზე აქვს მინიჭებული, კერძოდ, სასამართლო სწორედ მთავარ სხდომაზეა უფლებამოსილი მხარეებს ისეთი შეკითხვები დაუსვას, **რომლებიც ხელს შეუწყობენ საქმის გადანყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა სრულად და ზუსტად განსაზღვრას** (სსსკ 222). **მთავარ სხდომაზე კი მხარეებს ახალი ფაქტების მითითების უფლება აღარ აქვთ** (სსსკ 219.1). არგუმენტი მასზედ, რომ მოსამართლეს აღნიშნული უფლების მართოდ მთავარ სხდომაზე განხორციელების უფლება აქვს, მომდინარეობის შეფიქრებითობის პრინციპის მთავარი დებულებიდან, რომლის მიხედვითაც, ფაქტების მითითება მხარეთა ექსკლუზიური უფლებაა, ვინაიდან ისინი სწორედ ფაქტების მითითების გზით განსაზღვრავენ საჩივრისა, თუ შესაგებლის საფუძვლიანობას. შესაბამისად, სასამართლო, მთავარ სხდომაზე, კითხვების დასმით გზით იმ ფაქტებს გამოავლენს, რომელთაც საქმის გადანყვეტისათვის მნიშვნელობა აქვს. **მთავარ სხდომაზე სასამართლოს აქტიურობის შედეგად კი მხარეები უკვე მითითებულ ფაქტებს ვეღარც დაამატებენ და ვეღარც შეცვლიან**, ან თუ ასეთს ადგილი ექნება, ახალ ფაქტებს, როგორც კანონით დადგენილი წესის დარღვევით მითითებულს, სასამართლო მხედველობაში არ მიიღებს. იგივე წესი ვრცელდება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში ახალი ფაქტის მითითებისა და მტკიცებულებათა წარდგენის მიმართ, კერძოდ, ზემდგომი ინსტანციის სასამართლო უფლებამოსილი არ არის, გაითვალისწინოს ახალი ფაქტი ან მიიღოს ახალი მტკიცებულება, თუ მისი დროულად წარუდგენლობა საპატიო მიზეზით არ არის განპირობებული (სსსკ 380, სსსკ 215), ან თუ ახალი ფაქტები ანდა მტკიცებულებები ქვედა ინსტანციის სასამართლომ დაუსაბუთებლად არ მიიღო, რაზეც მხარემ ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში დასაბუთებული პრეტენზია წარადგინა (სსსკ 377, სსსკ 404). ამგვარი საკანონმდებლო რეგულაციის გზით მოსამართლის პასიური როლიც კი, მხარეთა მხრიდან საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტების დასახელებისა, ანდა უკვე დასახელებული ფაქტების მოდიფიცირების საქმეში, იმთავითვე გამორიცხულია, **რაც შეფიქრებითობის პრინციპის მთავარი გარანტიაა**.

ბ. სასამართლოს როლი მხარეთა მიერ მტკიცებულებათა წარდგენაში

სამოქალაქო საპროცესო სამართალში მოქმედი ზოგადი წესის მიხედვით, ფაქტების მტკიცების ტვირთი მხარეებს ეკისრება⁵. აღნიშნული წესი ნორმატიულადაა განმტკიცებული. სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ადგენს, რომ თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს (სსსკ 102.1). სასამართლოს მხარეთა მიერ მითითებული ფაქტების სისწორეში დასარწმუნებლად ალბათობის მაღალი ხარისხით სარწმუნო მტკიცებულებები სჭირდება⁶. შესაბამისად, მხარეები სარჩელსა, თუ შესაგებელში მარტოოდენ ფაქტების მითითებით, მათთვის სასურველ შედეგს ვერ მიიღებენ, თუ აღნიშნული ფაქტების არსებობა კანონით დაშვებული მტკიცებულებების წარდგენის გზით არ დაამტკიცეს. შესაბამისი მტკიცების გარეშე ფაქტი დადასტურებულად მხოლოდ საგამონაკლისო შემთხვევებში ითვლება, კერძოდ, მაშინ, როდესაც მოსარჩელის მიერ მითითებულ ფაქტს მოპასუხე დაეთანხმება (ფაქტის აღიარება) (სსსკ 131), თუ რაღაც თქმა უნდა, ფაქტი სპეციალურ მტკიცებას არ საჭიროებს, მაგალითად, როგორცაა, უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლება, დაბადება, გარდაცვალება, რეგისტრირებული ქორწინება და ა. შ. ან როდესაც მოპასუხე შესაგებელს არ წარადგენს, ან სხდომაზე არ გამოცხადდება და მოსარჩელე დაუსწრებელი გადანყვებილების მიღებას იშუამდგომლებს (სსსკ 230, სსსკ 232). ასეთ ვითარებაში სარჩელში მითითებული ფაქტები, შესაბამისი მტკიცებულებების შემონმების გარეშე, დადასტურებულად ითვლება.

მიუხედავად იმისა, რომ სამართალწარმოება შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე მიმდინარეობს, ეს მოცემულობა არ არის შეუზღუდავი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი შეჯიბრის უფლების შეზღუდვის შესაძლებლობებსაც ითვალისწინებს. მათი უმრავლესობა პირდაპირ, ცალსახად არ გულისხმობს შეჯიბრებითობის პრინციპის მოქმედებაში ჩარევასა და პროცესში ინკვიზიციური მეთოდების შემოტანას, მაგრამ ირიბად მოსამართლეს უფლებას აძლევს, საკუთარი ქმედებებით საქმის მიმდინარეობაზე გავლენა მოახდინოს. საგულისხმოა, რომ არც კანონმდებლობა და არც დოქტრინა განმარტავს, ზოგადი დანა-

⁵ თ.ლილუაშვილი, ვ.ხრუსტალი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბილისი, 2014, გვ.198

⁶ რ.ციპელიუსი, „იურიდიული მეთოდების მოძღვრება“, მიუნხენი, 2006, გვ.109

წესის არსებობისას, სად გადის მიჯნა შეჯიბრებითობის პრინციპში არათანაზომიერ ჩარევასა და სამართლიანი სასამართლოს უფლებას შორის⁷. თუმცა, სასამართლო პრაქტიკა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ასახული ნორმების, ლოგიკური და შინაარსობრივი ანალიზისა და დოქტრინალურად განმტკიცებული შეჯიბრებითობის კონტექსტის გათვალისწინებით, ადგენს, რომ **მოსამართლის როლი მტკიცებულებათა შეგროვების პროცესში მინიმალისტური, თუმცა, არსებითია**. სასამართლოს ფუნქცია მხარეთა შეჯიბრის წარმართვაა, თანაც იმგვარად, რომ მხარეებს საპროცესო თავდაცვის თანაბარი შესაძლებლობა ჰქონდეთ. ამ ფარგლებში სასამართლო, სადავო ფაქტების გათვალისწინებით, მტკიცების საგანს განსაზღვრავს და საპროცესო, თუ მატერიალური კანონმდებლობის დანაწესებიდან გამომდინარე, მხარეთა შორის მტკიცების ტვირთს ანაწილებს⁸. სასამართლო შეზღუდულია მხარეთა მიერ მითითებული ფაქტებით, თუმცა, მითითებული ფაქტების ფარგლებში, უფლებამოსილია, მხარეებს დამატებითი მტკიცებულებების წარმოდგენა შესთავაზოს⁹. ამასთან, ნიშანდობლივია განიმარტოს, თუ რა იგულისხმება სასამართლოს უფლებაში, მხარეებს დამატებითი მტკიცებულებების წარმოდგენა შესთავაზოს. აღნიშნული გულისხმობს, რომ სასამართლომ მხარეს სარჩელსა, თუ შესაგებელში მითითებული ფაქტის დამადასტურებელი მტკიცებულების წარმოდგენის წინადადება მისცეს, მაგალითად, თუ მოსარჩელე უთითებს ფაქტს, რომ იგი სადავო უძრავი ქონების მესაკუთრეა, შესთავაზოს საჯარო რეესტრიდან შესაბამისი ამონაწერის წარმოდგენა, ან თუ მოპასუხე შესაგებელში ნასყიდობის ფასის უნაღდო (საბანკო გადარიცხვის გზით) ანგარიშსწორებაზე უთითებს, მისცეს წინადადება, რომ საბანკო ამონაწერი წარმოადგინოს და ა. შ. დოქტრინაში გამოთქმული შეხედულების მიხედვით, სასამართლოს უფლება, შესთავაზოს მხარეებს დამატებითი მტკიცებულებების წარმოდგენა, უნდა ემსახურებოდეს სიმართლის გარკვევას და არ უნდა გაკეთდეს რომელიმე მხარისათვის დახმარების აღმოჩენის მიზნით¹⁰, მით უფრო, არ

⁷ რ.დეკანოსიძე, „შეჯიბრებითობის პრინციპი და მისი შეზღუდვის შემთხვევები ქართულ სამოქალაქო საპროცესო სამართალში“, თანამედროვე სამართლის ჟურნალი, თბილისი, 2017წ., გვ. 128-155

⁸ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 10.11.2017 წლის განჩინება, საქმეზე ას-1004-925-2017

⁹ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 11.11.2013 წლის განჩინება, საქმეზე ას-1485-1401-2012

¹⁰ თ.ლილუაშვილი, ვ.ხრუსტალი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბილისი, 2014, გვ.198

უნდა მოხდეს ამ გზით მხარეთა შეჯიბრებითობის უფლების ხელყოფა¹¹. აღნიშნული პრინციპი დაცული იქნება, თუ სასამართლო დამატებითი მტკიცებულებების წარმოდგენის შეთავაზებით, მხარეს საქმისათვის მნიშვნელოვან დამატებით ფაქტებს არ განუმარტავს და მხოლოდ უკვე მითითებული ფაქტების დადასტურების წინადადებას მისცემს. ამასთან, **სასამართლომ თავი უნდა შეიკავოს კონკრეტული მტკიცებულების დასახელებისაგან, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ფაქტი სპეციალურ მტკიცებას საჭიროებს, ან თუ მხარე მტკიცებულების სახეზე თავად უთითებს**, მაგალითად, სპეციალურ მტკიცებას საჭიროებს გარემოებები, რომელთა დადასტურება მარტოოდენ კანონით გათვალისწინებული მტკიცებულებებითაა შესაძლებელი, მაგ. საჯარო რეესტრის ამონაწერი, ქორწინების, დაბადების, გარდაცვალების მოწმობები და ა. შ. მხარის მიერ მტკიცებულების დასახელება კი ნიშნავს ისეთ შემთხვევას, როდესაც ფაქტი თავად აღწერს მტკიცებულების სახეობას, მაგალითისათვის, მხარე უთითებს, რომ გადახდა უნაღლო (საბანკო) ანგარიშსწორების წესით განხორციელდა, შესაბამისად, ასეთ ვითარებაში, სასამართლო კი არ განუსაზღვრავს მხარეს, თუ რომელი მტკიცებულებით უნდა დაადასტუროს ესა თუ ის ფაქტი, არამედ აძლევს წინადადებას, მის მიერ მითითებული ფაქტი მის მიერვე მითითებული მტკიცებულებით, მოცემულ შემთხვევაში, საბანკო ამონაწერით, დაამტკიცოს. იგივე წესი ვრცელდება სასამართლოს კიდევ ერთ შესაძლებლობაზე, მხარეებს მტკიცებულებების წარმოდგენის შესაძლებლობა მისცეს, კერძოდ, მთავარ სხდომაზე განხილვისათვის საქმის მოსამზადებლად მოსამართლეს შეუძლია დაავალლოს მხარეებს შეავსონ, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, განმარტონ მათ მიერ წარმოდგენილი წერილობითი მასალები, წინადადება მისცეს მათ წარმოადგინონ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ნივთები, თუ დოკუმენტები (სსსკ 203.1.„ა“).¹²

¹¹ რ.დეკანოსიძე, „შეჯიბრებითობის პრინციპი და მისი შეზღუდვის შემთხვევები ქართულ სამოქალაქო საპროცესო სამართალში“, თანამედროვე სამართლის ჟურნალი, თბილისი, 2017წ., გვ. 128-155

¹² იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 22.06.2012 წლის განჩინება, საქმეზე, ას-750-704-2012

გ. სასამართლო უფლებამოსილება თავად მოიპოვოს, ანდა გამოითხოვოს მტკიცებულებები

როგორც ზემოთ აღინიშნა, შეჯიბრებითობის პრინციპის გათვალისწინებით, მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს, ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები, რაც იმას ნიშნავს, რომ სასამართლო შეჯიბრებითობის ფარგლებში მხარეთა მიერ მითითებული ფაქტებითა და მტკიცებულებებით შეზღუდულია. იგი უფლებამოსილი არ არის თვითონ განსაზღვროს ფაქტები და მოიპოვოს მტკიცებულებები. თუმცა, შესაძლებელია, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მხარეებს მტკიცებულებათა მოპოვებაში დაეხმაროს, კერძოდ, მტკიცებულებების მოპოვებასთან დაკავშირებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსი გამონაკლის უშვებს იმ კონკრეტულ შემთხვევა-სთან მიმართებით, როდესაც მხარეები მტკიცებულებებს, **ამა თუ იმ მიზეზით, უშუალოდ ვერ იღებენ.** საგულისხმოა, რომ მოსამართლის მხრიდან აღნიშნული უფლებამოსილების განხორციელება **კანონით პირდაპირ გათვალისწინებული წინაპირობების არსებობის შემთხვევაშია შესაძლებელი**, კერძოდ, ამისათვის აუცილებელია: (ა) იმ მხარეთა დასაბუთებული შუამდგომლობა, რომელთაც მტკიცებულების გამოთხოვა სურთ და, ასევე, (ბ) მათი მხრიდან აღნიშნული მტკიცებულების თავად მიღების (მოპოვების) შეუძლებლობა. აქვე აღსანიშნავია, რომ ნებისმიერი საპროცესო წესის ზედმეტი ფორმალიზებით, შესაძლებელია, **მოსამართლის მხრიდან გულმოდგინების ვალდებულება დაირღვეს, რაც დაუშვებელია.** მაგალითისათვის, თუ იმთავითვე ცხადია, რომ მხარე აღნიშნულ მტკიცებულებას თავად ვერ მოიპოვებს, არ არის აუცილებელი, რომ მხარემ ამა თუ იმ უწყებისათვის მიმართვისა და მისთვის აღნიშნული მტკიცებულების გადაცემაზე უარის თქმის ამსახველი მტკიცებულება წარმოადგინოს. საწინააღმდეგოს დაშვებით, საპროცესო ნორმის ფორმალისტურ განმარტებას მივიღებთ, რაც, საბოლოო ჯამში, არცერთი მხარის ინტერესს არ ემსახურება, რადგან ნორმის ამგვარი განმარტება პროცესების დაუსაბუთებელ გაჭიანურებას გამოიწვევს. დაგვიანებული მართლმსაჯულება კი მართლმსაჯულებაზე უარის თქმის ტოლფასოვანი დარღვევაა. **შესაბამისად, როდესაც იმთავითვე ცხადია, რომ მხარე, მცდელობის მიუხედავად, მითითებულ ინფორმაციას ვერ მიიღებდა, მართოდენ მხარის შუამდგომლობა აღნიშნული მტკიცებულების გამოთხოვის თაობაზე, საკმარისია.** მაგალითისათვის, ნორმატიულადაა

განერილი, რომ ერთი პირი მეორე პირის პირადი ინფორმაციის ამსახველ მტკიცებულებას ვერ მიიღებს იმ პირის თანხმობის გარეშე, ვისაც აღნიშნული ინფორმაცია ეხება (სზაკ 44). ასეთ ვითარებაში, მხარისათვის იმის დავალებულება, რომ მან ჯერ მიმართოს სათანადო უწყებას, ინფორმაცია გამოითხოვოს, და მხოლოდ უარის შემთხვევაში მიმართოს სასამართლოს მტკიცებულების გამოთხოვის თაობაზე, არ შეესაბამება სამოქალაქო საპროცესო დანაწესის ნორმების ლოგიკურ და მიზნობრივ განმარტებას¹³.

სასამართლოს, მხარეთა დასაბუთებული შუამდგომლობის პირობებში ინფორმაციის (მტკიცებულების) გამოთხოვის უფლება აქვს **ნებისმიერი პირისაგან**, ვისთანაც არ უნდა იყოს აღნიშნული მტკიცებულება, **იქნება ეს ფიზიკური, თუ იურიდიული პირი**. ამასთან, ადრესატი ვალდებულია, სასამართლოს გამოთხოვილი მტკიცებულება **სასამართლოს მიერვე განსაზღვრულ ვადაში გადასცეს**, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მისთვის მითითებულ ვადაში მტკიცებულების გადაგზავნა შეუძლებელია, ამის თაობაზე სასამართლოს აცნობოს. აღნიშნული წესი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში განმტკიცებულია როგორც **წერილობით (სსსკ 134)**, ასევე **ნივთიერ მტკიცებულებებთან მიმართებით (სსსკ 154)**, კერძოდ, როგორც წერილობითი, ასევე ნივთიერი მტკიცებულება სასამართლოს მხარემ უნდა წარუდგინოს. იმ შემთხვევაში, თუ მხარე აღნიშნული მტკიცებულების მოპოვებას საკუთარი ძალებით ვერ შეძლებს, იგი უფლებამოსილია სასამართლოს წინაშე მათი გამოთხოვის თაობაზე იშუამდგომლოს. აღნიშნული შუამდგომლობის დაკმაყოფილებისათვის, აუცილებელია, **მხარემ სასამართლო, საკუთარი ძალებით მითითებული მტკიცებულების მოპოვების შეუძლებლობაში დაარწმუნოს** და ამავდროულად, დაამტკიცოს, რომ მითითებული მტკიცებულებები, **ალბათობის მაღალი ხარისხით, საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების დადგენის საშუალებას წარმოადგენენ**. ამასთან, აღსანიშნავია, რომ მტკიცებულების სხვა მესამე პირისა, თუ ორგანოს ხელში (მაგ. ფინანსური პოლიცია, აუდიტის სამსახური და ა. შ.) არსებობა, მხარეს მითითებული ფაქტის მტკიცებისაგან მარტოოდენ იმ არგუმენტზე დაყრდნობით, რომ **მტკიცებულება მის ხელთ არ არის**, არ ათავისუფლებს. ასეთ შემთხვევაში, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი მხარის შუამდგომლობის საფუძველზე აღნიშნული მტკიცებულების გამოთხოვის შესაძლებლობას ითვალისწინებს, და თუ მხარე აღნი-

¹³ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 10.02.2015 წლის განჩინება, საქმეზე №ას-872-834-2014

შნული შესაძლებლობით არ ისარგებლებს და სასამართლოს მითითებული შუამდგომლობით არ მიმართავს, მას აღნიშნული მტკიცებულების წარუდგენლობა ან დაგვიანებით წარდგენა, მტკიცების ნაკლად შეერაცხება¹⁴.

როგორც **წერილობითი (სსსკ 136), ასევე ნივთიერი (სსსკ 156) მტკიცებულებების** შემთხვევაში ფიზიკური და იურიდიული პირები ვალდებული არიან, სასამართლოს აცნობონ იმის შესახებ, რომ არ შეუძლიათ წარადგინონ გამოთხოვილი მტკიცებულება ან წარადგინონ იგი სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში. საპატიო მიზეზის არსებობის შემთხვევაში, სასამართლო უფლებამოსილია, ამ ნაწილით გათვალისწინებულ პირებს განუსაზღვროს დამატებითი ვადა მტკიცებულებათა წარმოსადგენად. შეუტყობინებლობისას, აგრეთვე იმ შემთხვევაში, როდესაც ნივთიერი მტკიცებულების წარდგენის შესახებ სასამართლოს მოთხოვნა არასაპატიო მიზეზით არ შესრულდა, **სასამართლო შესაბამის ფიზიკურ პირს ან იურიდიული პირის თანამდებობის პირს 150 ლარით აჯარიმებს.** დაჯარიმება შესაბამის პირს სასამართლოს მიერ გამოთხოვილი მტკიცებულების წარდგენის მოვალეობისაგან არ ათავისუფლებს. მტკიცებულების განმეორებით წარუდგენლობის შემთხვევაში **სასამართლო შესაბამის პირს პირველი ჯარიმის სამმაგი ოდენობით აჯარიმებს.**

განსხვავებულია სამართლებრივი შედეგები, როდესაც ერთი (პირველი) მხარის მტკიცების საგანში შემავალი გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულება **მეორე მხარის ხელთაა და იგი, არ უარყოფს მასთან მტკიცებულების არსებობის ფაქტს.** ასეთ შემთხვევაში, ერთი (პირველი) მხარე სასამართლოს წინაშე მეორე მხარის ხელთ არსებული მტკიცებულების გამოთხოვის თაობაზე შუამდგომლობს. შუამდგომლობის დაკმაყოფილების პირობებში, მეორე მხარეს მტკიცებულების სასამართლოსათვის წარმოდგენის ვალდებულება ეკისრება. მეორე მხარის მიერ მითითებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, პირველი მხარე იმ ფაქტების მტკიცების ვალდებულებისაგან თავისუფლდება, რომელი ფაქტების დადასტურებასაც მეორე მხარის ხელთ არსებული მტკიცებულება ემსახურებოდა (სსსკ 136.5, სსსკ 157). აღნიშნული წესი, დოქტრინალურად, ხშირად, მტკიცების ტვირთის შებრუნების შემთხვევადაც მოიხსენიება. ამ მიმართებით სასამართლო პრაქტიკა ცალსახა და არაორაზროვანია, კერძოდ, საკასაციო პალატის განმარტებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლის

¹⁴ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 20.07.2015 წლის განჩინება, საქმეზე №ას-924-886-2014

მე-5 ნაწილის თანახმად, იმისათვის, რომ სასამართლომ გადააკისროს მტკიცების ტვირთი მხარეს, რომელსაც არ ევალება სადავო ფაქტის დადასტურება, აუცილებელია, არსებობდეს ორი წინაპირობა: პირველი, მხარე არ უნდა უარყოფდეს, რომ მტკიცებულება მის ხელთაა და, მეორე, იგი წერილობითი მტკიცებულების წარდგენაზე არასაპატიო მიზეზით უარს უნდა ამბობდეს. მხოლოდ ამ პირობების არსებობისას შეუძლია სასამართლოს მტკიცებულების გამოთხოვის შესახებ შუამდგომლობის აღმძვრელი პირი გაათავისუფლოს იმ ფაქტის მტკიცების ტვირთისაგან, რომელიც ამ მტკიცებულებით უნდა დაედასტურებინა და ასეთი ტვირთი გადააკისროს მხარეს, რომელიც უარს ამბობს წერილობითი მტკიცებულების წარდგენაზე.¹⁵ ამასთან, მოწინააღმდეგე მხარე შეიძლება უარყოფდეს, ამათუიმ მტკიცებულების მასთან არსებობას, თუმცა, **გარემოებათა ერთობლიობა, შეიძლება ქმნიდეს პრეზუმფციას, რომ მტკიცებულება, მიუხედავად მოწინააღმდეგე მხარის უარყოფისა, მასთან არის, ან, წესით, მასთან უნდა იყოს.** მაგალითისათვის, თუ მოწინააღმდეგე მხარე იურიდიული პირია, იურიდიული პირის ბუღალტრული დოკუმენტაცია, საშტატო ნუსხა და ა. შ. რალა თქმა უნდა, კომპანიაში (და არა გათავისუფლებულ თანამშრომელთან) უნდა ინახებოდეს. ასეთ შემთხვევაში, გამოთხოვილი მტკიცებულების წარუდგენლობის საპატიოდ მიჩნევას მოწინააღმდეგე მხარის მხრიდან სპეციალური მტკიცებულების წარდგენა სჭირდება, რომელიც მასთან მტკიცებულების არსებობის ვარაუდს გააქარწყლებს.¹⁶ იგივე უნდა ითქვას მესაკუთრეზე, რომელთანაც, როგორც წესი, საბინაო მოწმობა, როგორც მუდმივად შესანახი დოკუმენტი, უნდა ინახებოდეს, შესაბამისად, მარტოოდენ, მისი (მესაკუთრის) მითითება, რომ მასთან საბინაო მოწმობა არ ინახება, მას მტკიცებულების წარდგენის ვალდებულებისაგან ვერ გაათავისუფლებს, შესაბამისად, იმუშავებს მტკიცების ტვირთის მოწინააღმდეგე მხარეზე გადატანის დებულება და მოსარჩელე იმ ფაქტის მტკიცებისაგან გათავისუფლდება, რომლის დამადასტურებელი მტკიცებულება **მოწინააღმდეგე მხარეს აქვს ან უნდა ჰქონდეს და, რომლის წარმოუდგენლობის საპატიო მიზეზზე იგი ვერ უთითებს.**¹⁷

¹⁵ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 07.03.2013 განჩინება, საქმეზე №ას-1235-1164-2012

¹⁶ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 07.03.2013 განჩინება, საქმეზე №ას-1235-1164-2012

¹⁷ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 11.06.2015 განჩინება, საქმეზე №ას-1000-957-2013

ამდენად, შეჯიბრებითობის პრინციპის გათვალისწინებით, სასამართლო მტკიცებულებებს საკუთარი ინიციატივით არ გამოითხოვს, რადგან აღნიშნული უფლება ე.წ. „ინკვიზიციური მოსამართლის“ უფლებაა, რაც სამოქალაქო სამართალწარმოებაში მკაცრად შეზღუდულია. თუმცა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს შემთხვევებს, როდესაც ფაქტების კვლევისა და მტკიცებულებათა მოპოვების თვალსაზრისით, მოსამართლეს აქტიური როლი ეკისრება. საოჯახო კატეგორიის დავებთან მიმართებით, სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით განსაზღვროს დასადგენ გარემოებათა წრე და მხარეთა ახსნა-განმარტების შემდეგ თვითონ გამოითხოვოს მტკიცებულებები, რომლებზედაც მხარეებს არ მიუთითებიათ (სსსკ 354.1).¹⁸ სწორედ **სამართალწარმოების განსხვავებული სპეციფიკისა და მოსამართლის ინკვიზიციური როლის გათვალისწინებით**, საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილი საქმეები არ შეიძლება განიხილებოდეს სხვა ხასიათის მოთხოვნების შესახებ აღძრულ საქმეებთან ერთად (სსსკ 354.2).¹⁹ ამ კატეგორიის დავებში მოსამართლის აქტიურ როლზე აპელირებს სასამართლო პრაქტიკაც²⁰, რომლის მიხედვითაც, სასამართლოს, რომელიც კონკრეტულ საოჯახო-სამართლებრივ დავას იხილავს, მინიჭებული აქვს უფლება, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის მე-2 ნაწილისა და 354-ე მუხლი პირველი ნაწილის შესაბამისად, არ დასჯერდეს მხოლოდ მხარეთა მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს და თავისი ინიციატივით განსაზღვროს იმ გარემოებათა წრე, რომელთა დადგენის გარეშე შეუძლებელია საქმის სწორად გადაწყვეტა (მტკიცების საგანი). ამ კატეგორიის საქმეთა განხილვისას სასამართლოს შეუძლია: ა) თავად განსაზღვროს მტკიცების საგანი, ე.ი. იმ გარემოებათა წრე, რომელთა დადგენის გარეშე შეუძლებელია საქმის სწორად გადაწყვეტა; ბ) თავისი ინიციატივით გამოითხოვოს მტკიცებულებები, რომლებზეც მხარეებს არ მიუთითებიათ, მაგრამ საქმისთვის მნიშვნელოვანია. **სასამართლოს აკისრია ვალდებულება, მისცეს მხარეებს განმარტებები, რომლითაც ისინი გადალახავენ დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპებიდან გამომდინარე სიძნელეებს.**²¹ მოსამართლის ინკვი-

¹⁸ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, საქართველოს პარლამენტი 14.11.1997, კონსოლიდირებული ვერსია 22.12.2018

¹⁹ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, საქართველოს პარლამენტი 14.11.1997, კონსოლიდირებული ვერსია 22.12.2018

²⁰ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 06.07.2016 განჩინება, საქმეზე №ას-53-51-2016

²¹ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 06.07.2016 განჩინება, საქმეზე №ას-53-51-2016

ზიციური როლი მხარეთა შეჯიბრების პროცესში განსაკუთრებით გამოკვეთილია მაშინ, როდესაც საქმე ბავშვის (არასრულწლოვანის) ინტერესებს ეხება.²² აქ უპირატესია ბავშვის აღზრდის, მისი განვითარებისა და საზოგადოებაში წარმატებული ადაპტაციისათვის აუცილებელი წინაპირობების გათვალისწინება. შესაბამისად, არასრულწლოვანთან მიმართებით ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტისას, სასამართლოს ამოსავალი წერტილი ბავშვის საუკეთესო ინტერესებია. შესაბამისად, ამ მიმართებით მოსამართლის აქტიური, ე.წ. „ინკვიზიციური“ როლი უკიდურესად გამართლებულია.²³

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეჯიბრებითობის პრინციპი უზრუნველყოფს პროცესში ფაქტობრივი და მტკიცებითი მასალის თავმოყრას, რაც საჭიროა საქმის გარემოებათა დასადგენად.²⁴ სასამართლო არის მტკიცებითი საქმიანობის ის სუბიექტი, რომელიც თანასწორუფლებიანობის საფუძველზე მხარეთა შორის მტკიცების ტვირთს ანაწილებს, მხარეთა მიერ წარმოდგენილ ფაქტებსა და მტკიცებულებებს აფასებს.²⁵ მოსამართლის როლი **ფაქტების მითითებისა და ჩამოყალიბების პროცესში მკაცრად შეზღუდულია**, ხოლო მტკიცებულებათა **მოპოვების საქმეში, კანონით დადგენილ ფარგლებში, დასაშვებია**. ამ მიმართებით, მოსამართლე უფლებამოსილია მხარეებს დამატებითი მტკიცებულებების წარმოდგენა შესთავაზოს (სსსკ 103.1), საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ნივთებისა, თუ დოკუმენტების წარმოდგენის შესაძლებლობა მისცეს (სსსკ 203.1 „ა“). თუმცა, საგულისხმოა, რომ მოსამართლის როლი, თუნდაც, დამატებითი მტკიცებულებების წარმოდგენის შეთავაზების უფლების თვალსაზრისით, შეჯიბრებითობის კონტექსტით შეზღუდულია, რადგან კანონის აღნიშნული დებულება **მოსამართლეს უფლებას არ აძლევს, მხარეს განუმარტოს, თუ კონკრეტულად რომელი მტკიცებულება უნდა იქნეს წარმოდგენილი მის მიერ მითითებული ფაქტების დასადასტურებლად**. აღნიშნული უფლება შეჯიბრებითობის კომპონენტია და მკაცრად მხარეთათვის განკუთვნიანი კატეგორიაა

²² იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 03.06.2015წ. განჩინება, საქმეზე №ას-307-294-2015

²³ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 09.10.2015წ. განჩინება, საქმეზე №ას-476-450-2014

²⁴ რ.დეკანოზიძე, „შეჯიბრებითობის პრინციპი და მისი შეზღუდვის შემთხვევები ქართულ სამოქალაქო საპროცესო სამართალში“, თანამედროვე სამართლის ჟურნალი, თბილისი, 2017წ., გვ. 128-155

²⁵ ი.მერაბაშვილი, „სასამართლოში სამოქალაქო საქმეთა განხილვისას მხარეთა შეჯიბრებითობისა და მოსამართლეთა აქტიურობის პრინციპების მოქმედება“, მართლმსაჯულება და კანონი, №4(23), 2009

(სსსკ 4.1). უფრო მეტიც, სასამართლო პრაქტიკით, დაუშვებელ მტკიცებულებათა კატეგორიას განეკუთვნება **სასამართლოს მიერ ინკვიზიციურად მოპოვებული მტკიცებულება**. სასამართლოს არაერთი განმარტების მიხედვით, აქსიომატურია მხარეთა გამოკვეთილი როლი ფაქტების მითითებისა და აღნიშნული ფაქტების დამადასტურებელი განკუთვნილი მტკიცებულებების წარდგენის პროცესში, **შესაბამისად, სასამართლოს ნებისმიერი აქტიურობა ფაქტების მითითებისა და მტკიცებულებათა მოპოვების პროცესში, თუ ეს კანონით პირდაპირ ნებადართული არ არის, შეჯიბრებითობის პრინციპის დარღვევაა**, ხოლო, ამ გზით მოპოვებული მტკიცებულება, როგორც კანონდარღვევით მოპოვებული - დაუშვებელი მტკიცებულება.²⁶

ამდენად, რადგან **მხარის ვალდებულებაა** სასამართლოსათვის მტკიცებულებებით გამყარებული ფაქტების მიცემა, ამიტომ **სასამართლოს ვალდებულებაა** ფაქტების დადგენის შედეგად სუბსუმციის, ანუ ნორმათშეფარდების პროცესის განხორციელება.²⁷ დავის სამართლებრივი შეფასებისას კი მოსამართლე სრულიად დამოუკიდებელია, განსხვავებით პროცესის ფაქტობრივ საფუძვლებზე მუშაობისაგან და არ არის შეზღუდული დისპოზიციურობის ან შეჯიბრებითობის პრინციპებით. **შესაბამისად, შეჯიბრებითობის პრინციპი მოქმედებს მხოლოდ დავის ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევისა და დადგენის ეტაპებზე, ხოლო ნორმატიული შინაარსის განსაზღვრა უკვე სასამართლოს პრეროგატივაა.**²⁸

2. ფარული ჩანაწერი, როგორც კანონდარღვევით მოპოვებული მტკიცებულება

მტკიცებულებები შეფასებას მხოლოდ იმ შემთხვევაში ექვემდებარება, თუ ისინი კანონის შესაბამისად არის მოპოვებული.²⁹ მითითებული პრინციპი განმტკიცებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლის მე-3 ნაწილში, რომლის მიხედვითაც, კანონ-

²⁶ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 21.04.2017 წლის გადაწყვეტილება, საქმეზე, ას-1018-979-2016

²⁷ რ.ციპელიუსი, „იურიდიული მეთოდების მოძღვრება“, მე-10 გადაამუშავებული გამოცემა, მიუნხენი, 2006, გვ.113

²⁸ რ.დეკანოსიძე, „შეჯიბრებითობის პრინციპი და მისი შეზღუდვის შემთხვევები ქართულ სამოქალაქო საპროცესო სამართალში“, თანამედროვე სამართლის ყურნალი, თბილისი, 2017წ., გვ. 136

²⁹ Thomas/Putzo, Zivilprozessordnung, C.H.Beck, 35 Auflage, 2014, &286, Rn.6

ნის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებებს იურიდიული ძალა არა აქვთ.

ფარულ (აუდიო/ვიდეო) ჩანაწერთან დაკავშირებით საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ცალკე დათქმას არ შეიცავს, ისევე როგორც არცერთი ქვეყნის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ყოველ კონკრეტულ მტკიცებულებასთან მიმართებით ცალკე დათქმებს არ ითვალისწინებს. როგორც წესი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსები ერთმანეთისაგან დასაშვებ და დაუშვებელ მტკიცებულებებს მიჯნავს. ამ მხრივ, არც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსია გამონაკლისი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ განსაზღვრავს, თუ კანონის დარღვევით მოპოვებულ რომელ მტკიცებულებას არ აქვს იურიდიული ძალა. უფრო მეტიც, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არც მტკიცებულებათა მოპოვების რაიმე წესს ადგენს. შესაბამისად, კანონის დარღვევით მოპოვებულად უნდა ჩაითვალოს მტკიცებულება, თუ მისი მოპოვებით ამათუიმ კანონით დადგენილი წესი ირღვევა (**ფორმალურ-პროცედურული დარღვევა**), ან თუ მისი მოპოვებით მხარეთა ან მესამე პირთა უფლებები ილახება (**არსებითი პროცედურულ-შინაარსობრივი დარღვევა**). ამ მხრივ უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ გარემოებას, თუ ვინ მოიპოვებს მტკიცებულებებს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლის მე-3 ნაწილის კონტექსტში კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებათა კატეგორიას არ განეკუთვნება მტკიცებულება, რომელიც უფლებამოსილი ორგანოს (პირის) მიერ არის მოპოვებული (შექმნილი), თუმცა, თავად უფლებამოსილმა ორგანომ (პირმა) მტკიცებულებათა მოპოვების (შექმნის) პროცესში შეცდომა დაუშვა³⁰. მაგალითად, მონმე გამომძიებელმა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესების დარღვევით დაკითხა, ადმინისტრაციულმა ორგანომ წერილობითი მასალა კანონით დადგენილი პროცედურის დაუცველად მოიპოვა და ა. შ. აღნიშნული მტკიცებულებები შეფასებას ექვემდებარება, რაც იმას ნიშნავს, რომ სასამართლო მტკიცებულებათა კვლევის ეტაპზე, მხარეთა პოზიციებს მოისმენს, რა დროსაც მხარეები უფლებამოსილნი არიან, ყველა ის პრეტენზია გამოთქვან, რომელიც მათ მტკიცებულებასთან მიმართებით გააჩნიათ. საბოლოოდ, მხარეთა მხრიდან გაჟღერებულ პრეტენზიებს სასამართლო აფასებს და გამოაქვს დასკვნა, თუ რამდენად შეიძლება ემოქმედა აღნიშნულ დარღვევებს მტკიცებულების შინაა-

³⁰ Thomas/Putzo, Zivilprozessordnung, C.H.Beck, 35 Auflage, 2014, &286, Rn.7

რსობრივ მხარეზე. თუ მტკიცებულების მოპოვების (შექმნის) პროცესში არსებული დარღვევა იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მას მტკიცებულების შინაარსობრივ მხარეზე შეიძლება ემოქმედა, მითითებულ მტკიცებულებას სასამართლო არ გაიზიარებს.

როგორც წესი, შეფასებას არ ექვემდებარება არაუფლებამოსილი ორგანოს (პირის) მიერ კონსტიტუციურ-სამართლებრივი პრინციპების დარღვევით მოპოვებული მტკიცებულება, მაგალითად, საუბრის ფარული ვიდეოგადაღება, სატელეფონო საუბრის ფარული ჩანერა, და ა. შ. მტკიცებულება კანონდარღვევითაა მოპოვებული და როგორც წესი, შეფასებას არ ექვემდებარება, თუ მტკიცებულება პირის კონსტიტუციურ უფლებათა დარღვევის ხარჯზეა მოპოვებული. საგულისხმოა, რომ ასეთ შემთხვევაში განსაკუთრებული აქცენტი ისეთ კონსტიტუციურ-სამართლებრივი უფლებების შელახვაზე კეთდება, როგორცაა, პირადი უფლებები (პირადი ცხოვრება, პირადი საუბარი, პირადი მიმონერა და ა. შ.)³¹. ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ პირადი ცხოვრების ამსახველი დეტალების გახმაურება, პირადი მიმონერისა, თუ საუბრის მტკიცებულების სახით წარდგენა, მითითებულ მტკიცებულებას უკანონოდ არ აქცევს. **მტკიცებულება უკანონოდ მიიჩნევა მისი არამართლზომიერი მოპოვების (შექმნის) გამო, რომელიც როგორც წესი, კონსტიტუციურ-სამართლებრივი პრინციპების დარღვევის გზით ხორციელდება**³². შედარებისათვის, ფოსტის, მეილისა, თუ ფაქსის მეშვეობით მიღებული წერილის მტკიცებულების სახით წარდგენა, თუნდაც, მისი გამომგზავნი პირის თანხმობის გარეშე, კანონის დარღვევით მოპოვებულ და შესაბამისად, დაუშვებელ მტკიცებულებას არ წარმოადგენს, ვინაიდან მხარემ მითითებული მტკიცებულება კანონის სრული დაცვით მოიპოვა³³. თუ წერილი პირადი ცხოვრების ამსახველ დეტალებს შეიცავს, აღნიშნული გარემოება მას, პირადი ცხოვრების ამსახველი დეტალების უნებართვოდ გახმაურების საფუძვლით, სხვა სახის მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნის უფლებას წარმოუშობს და არა მითითებული მტკიცებულების დაუშვებელ მტკიცებულებად მიჩნევის მოთხოვნის საპროცესო-სამართლებრივ უფლებას³⁴. იგივე მაგალითზე დაყრდნობით,

³¹ *Thomas/Putzo, Zivilprozessordnung, C.H.Beck, 35 Auflage, 2014, &286, Rn.7*

³² *BGH NJW 03, 1123 nach Thomas/Putzo, Zivilprozessordnung, C.H.Beck, 35 Auflage, 2014, &286, Rn.7*

³³ *BGH 19, 325 NJW 64, 1139 nach Zöller, Zivilprozessordnung, Verlag Dr.Otto Schmidt, 29 neubearbeitete Auflage, &286, Rn, 15b*

³⁴ *Oldenburg NJW 2008, 3508 nach Zöller, Zivilprozessordnung, Verlag Dr.Otto Schmidt, 29 neubearbeitete Auflage, &286, Rn, 15b*

თუ მხარემ პირადი მიმონერა, სხვისი მეილის, ფოსტის და ა. შ. უნებართვოდ სარგებლობის გზით (უკანონო შეღწევა და ა. შ) მოიპოვა, რაღაც თქმა უნდა, მითითებული მტკიცებულება, როგორც კანონდარღვევით მოპოვებული, უკანონო მტკიცებულებაა და შეფასებას არ ექვემდებარება³⁵. იგივე წესი ვრცელდება ფარულად მოპოვებულ ვიდეოჩანაწერებზე, სადაც საუბარიც ისმის, ანუ აუდიო ეფექტიც აქვს და გამოსახულებაც ჩანს. მტკიცებულება უკანონოდ მოპოვებული არ არის, თუ ვიდეო ან აუდიო ჩანაწერი აპარატურა მხარისათვის შესამჩნევ ადგილზეა დამონტაჟებული ან მართალია, შეუმჩნეველ ადგილზეა დამონტაჟებული, თუმცა, არსებობს მხარისათვის ნათლად აღქმადი ფორმით მინიშნება, იმის თაობაზე, რომ მითითებული სივრცის ვიდეო გადაღება ან აუდიო ჩანაწერა მიმდინარეობს. ამგვარი ფორმით მოპოვებული მტკიცებულება დაუშვებელ მტკიცებულებად არ მიიჩნევა³⁶.

კანონდარღვევით მოპოვებული მტკიცებულება, მხარეთა ორმხრივი თანხმობით, დასაშვები მტკიცებულებაა. ასეთ ვითარებაში, გადამწყვეტი მნიშვნელობა იმ პირის ნებას ენიჭება, რომლის კონსტიტუციურ უფლებათა ხარჯზეც იქნა მოპოვებული მტკიცებულება. მითითებული პირის თანხმობა **მეორე მხარის მიერ განხორციელებულ ნაკლოვან მტკიცებას ასწორებს**³⁷.

მტკიცებულება კანონდარღვევით მოპოვებულად არ მიიჩნევა და შესაბამისად, შეფასებას ექვემდებარება, თუ აუდიო ჩანაწერა, ვიდეო გადაღება, პირადი ნიგნაკიდან (დღიურიდან) მიმონერის ამოღება მხარის თანხმობით ხორციელდება. თანხმობა შეიძლება სხვადასხვა ფორმით იქნეს გამოხატული, მათ შორის, კონკლუდენტური მოქმედება თანხმობად მიიჩნევა, მაგალითისათვის, თანხმობას უთანაბრდება პირის ინფორმირებულობა მისი საუბრის ჩანერის, ვიდეო გადაღებისა, თუ მისი პირადი მიმონერიდან ინფორმაციის მოპოვების თაობაზე, რაზეც მან წინააღმდეგობა არ განია. თუმცა, კონკლუდენტური მოქმედება აუდიო/ვიდეო ჩანაწერის განხორციელების თაობაზე მითითებული ჩანაწერის მტკიცებულებად გამოყენების შესახებ თანხმობას არ გულისხმობს³⁸. კანონდარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებას არ წარმოადგენს იმ მო-

³⁵ Zöller, *Zivilprozessordnung*, Verlag Dr. Otto Schmidt, 29 neubearbeitete Auflage, &286, Rn, 15b

³⁶ Zöller, *Zivilprozessordnung*, Verlag Dr. Otto Schmidt, 29 neubearbeitete Auflage, &286, Rn, 15b

³⁷ Köln, *NJW-RR* 93, 1073 nach Thomas/Putzo, *Zivilprozessordnung*, C.H.Beck, 35 Auflage, 2014, &286, Rn.7

³⁸ *BVerfG NJW* 02, 3619-3623 nach Thomas/Putzo, *Zivilprozessordnung*, C.H.Beck, 35 Auflage, 2014, &286, Rn.7

წმის ჩვენება, რომელიც ორივე მხარის გაცნობიერებული თანხმობით ხმამაღალმოსაუბრის მეშვეობით მხარეთა სატელეფონო საუბარს ისმენდა³⁹. დაუშვებელ მტკიცებულებას არ წარმოადგენს ასევე იმ მოწმის ჩვენება, რომელმაც მხარეთა საუბარი შემთხვევით მოისმინა, ერთ-ერთი მხარის მონაწილეობისა და ხელშეწყობის გარეშე⁴⁰.

ამდენად, კანონდარღვევით მოპოვებული მტკიცებულება იმთავითვე დაუშვებელი მტკიცებულებაა და შეფასებას არ ექვემდებარება. **მტკიცებულების კანონსაწინააღმდეგო ხასიათს მისი მოპოვების არამართლზომიერება განაპირობებს და არა მტკიცებულების შინაარსი.** მოპოვების არამართლზომიერებაში კი, პირველ რიგში, მონაწილემდეგ მხარის უფლებებში უნებართვო ჩარევა იგულისხმება, რითაც მხარის კონსტიტუციურ სამართლებრივი უფლებები ირღვევა. ერთი პირის სამოქალაქო უფლების დაცვა კი მეორე პირის კონსტიტუციით უზრუნველყოფილ გარანტიათა შელახვის ხარჯზე, დაუშვებელია. თუმცა, მითითებული აკრძალვა აბსოლუტურ ხასიათს არ ატარებს. **ორმხრივი ინტერესის აწონდაწონვისა და ურთიერთშეჯერებული ანალიზის შედეგად, კანონდარღვევით მოპოვებული მტკიცებულება შეიძლება დასაშვებ მტკიცებულებადაც იქცეს.** თუმცა, მითითებული დაშვება გამონაკლისია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განმტკიცებული წესიდან, რომლის მიხედვითაც, კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებას იურიდიული ძალა არ აქვს.

იგივე პოზიციას იზიარებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, რომელმაც არაუფლებამოსილ პირთა მიერ ფარული ჩანაწერის განხორციელება და ამ გზით მტკიცებულებათა მოპოვება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევად მიიჩნია და შესაბამისად, მე-8 მუხლის დარღვევა დააფიქსირა^{41 42}.

მითითებული პრაქტიკა განმტკიცებულია არა მხოლოდ კონტინენტური ევროპის ქვეყნებში, არამედ ამერიკის შეერთებულ შტატებშიც. მტკიცებულებათა შეფასების ფედერალური წესების მიხედვით, აუდიო/ვიდეო ჩანაწერის დასაშვებ მტკიცებულებად მიჩნევის მიზნებისათვის, აუცილებელია აღნიშნული ჩანაწერი შემდეგ მოთხოვნებს აკმაყოფილებდეს, კერძოდ, ჩამწერი მონაცემილობა გამართულ მდგომარეობაში უნდა იყოს;

³⁹ BVerfG NJW 03, 2375 nach Thomas/Putzo, Zivilprozessordnung, C.H.Beck, 35 Auflage, 2014, &286, Rn.7

⁴⁰ BAG NJW nach Thomas/Putzo, Zivilprozessordnung, C.H.Beck, 35 Auflage, 2014, &286, Rn.7

⁴¹ Dumitru Popescu v. Romania, 26.04.2007

⁴² Vukota – Bolic v.Switzerland, 18.10.2016

ჩანერა საამისო კომპეტენციის მქონე პირმა უნდა განახორციელოს; ჩანანერი ავთენტური უნდა იყოს; მასზე ყოველგვარი ზემოქმედება, მათ შორის, შეცვლა, ნაშლა, დამატება გამორიცხული უნდა იყოს; საუბრისა და მოსაუბრე პირთა იდენტიფიცირება შესაძლებელი უნდა იყოს; **ჩანერა უნდა განხორციელდეს კეთილსინდისიერად, მხარეთა ინფორმირებული თანხმობის პირობებში და მათ ნებაზე ყოველგვარი პირდაპირი, თუ ირიბი ზემოქმედების გარეშე**⁴³. ამასთან, აღსანიშნავია, რომ მითითებული წესები კუმულატიური ხასიათისაა, რაც იმას ნიშნავს, რომ ყველა პირობის დაცვაა აუცილებელი, იმისათვის, რომ ჩანანერი დასაშვებ მტკიცებულებად ჩაითვალოს. ერთ-ერთი პირობის არარსებობა ან ეჭვი, მისი არარსებობის თაობაზე, მითითებული მტკიცებულების მართლზომიერებას გამორიცხავს და შესაბამისად, მას სასამართლო დასაშვებ მტკიცებულებად არ ცნობს.

ინტერესს მოკლებული არ არის მითითებული საკითხის დანახვა საადვოკატო საქმიანობის პერსპექტივიდანაც. მაგალითისათვის, ამერიკის ადვოკატთა ასოციაციის მიერ შემუშავებული ერთიანი პროფესიული წესები, სხვა პირთა კონსტიტუციური უფლებების ხელყოფის გზით მტკიცებულებათა მოპოვებას, არაეთიკურად მიიჩნევს⁴⁴. საქართველოში არსებული რეგულაციები ადვოკატთა შესახებ, მათი მხრიდან მტკიცებულებათა მოპოვების ხერხებსა და საშუალებებს არ ეხება, თუმცა, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლში საადვოკატო საქმიანობის პრინციპების ჩამონათვალში, პირველ ადგილზე საადვოკატო საქმიანობის კანონიერების პრინციპია განმტკიცებული, შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა მასზედ, რომ ადვოკატის საქმიანობა, ნებისმიერი მიმართულებით, პირველ რიგში, კანონშესაბამისი უნდა იყოს, რაც იმას ნიშნავს, რომ ადვოკატმა მტკიცებულების მოპოვების პროცესი სხვა პირთა უფლებებისა და თავისუფლებების პატივისცემის ხარჯზე უნდა განახორციელოს. ამასთან, მის უკანონო ქმედებას მისი მანდატის ინტერესების დაცვის უპირატესობა კანონშესაბამისად ვერ აქცევს.

⁴³ S.Cain, *Sound Recordings as Evidence in Court Proceeding*, [Http://heinonline.org](http://heinonline.org)

⁴⁴ P.A. Joy&K.C.McMunigal, *To Tape or Not to Tape: Secret Recordings*, [Http://heinonline.org](http://heinonline.org)

3. კანონდარღვევით მოპოვებული მტკიცებულების დასაშვებად ცნობის საგამონაკლისო შემთხვევები

როგორც ზემოთ აღინიშნა, არაუფლებამოსილი ორგანოს (პირის) მიერ კონსტიტუციურ-სამართლებრივი პრინციპების დარღვევით მოპოვებული მტკიცებულება, როგორც წესი, შეფასებას არ ექვემდებარება. აღნიშნული ნიშნავს იმას, რომ გამონაკლის შემთხვევებში, ამგვარი მტკიცებულება შეიძლება დაშვებულ იქნეს და შეფასებას დაექვემდებაროს. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის N1165 რეზოლუციაში „Right to Privacy“ (1998) განმარტებულია, რომ „ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი უნდა დაიცვას ინდივიდის პირადი ცხოვრება არამარტო საჯარო ხელისუფლების, არამედ კერძო პირების მხრიდანაც“. თუმცა, იმისდა მიხედვით, თუ პირადი ცხოვრების რომელ სფეროს შეეხება საქმე, დაცულობის ხარისხი განსხვავებულია. **თუ სახეზეა ინტიმური სფერო, იგი აბსოლუტური დაცვით სარგებლობს, რაც იმას ნიშნავს, რომ მასში ჩარევა არცერთი საფუძვლით არ არის გამართლებული. თუ საქმე ინტიმს არ ეხება, მაშინ იგი აბსოლუტური პრივილეგიით არ სარგებლობს.** მისი შეზღუდვა დასაშვებია, ანუ მასში ჩარევა შესაძლებელია საამისო დაცვის ღირსი ინტერესისა და კანონიერი მიზნის არსებობის პირობებში. შესაბამისად, კერძო სფეროში ჩარევის დროს, ჩარევის მართლზომიერების დადგენის მიზნით, უნდა შეფასდეს, არსებობს, თუ არა, დაცვის ღირსი ისეთი ინტერესი, რომელიც პირადი ცხოვრებისა და პირადი კომუნიკაციის ხელშეუხებლობის კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებაზე უფრო მაღლა დგას. ამდენად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, მხარეთა ორმხრივი ინტერესების აწონდაწონვის შედეგად, სასამართლომ უკანონო გზით მტკიცებულების მოპოვება შეიძლება იმ პატივისაღები ინტერესის გათვალისწინებით გაამართლოს, რამაც მხარეს მტკიცებულების უკანონოდ მოპოვება აიძულა. ეს მხოლოდ ისეთი შემთხვევა შეიძლება იყოს, როდესაც სასამართლო მტკიცებულების მოპოვების გზით სხვის კონსტიტუციურსამართლებრივი უფლებების ხელყოფას, მათ შორის, პირად ცხოვრებაში ჩარევას გაამართლებს⁴⁵, მაგალითისათვის, როდესაც ადგილი აქვს პირის უფლებათა ისეთ ხელყოფას, რომლის დადასტურება, კანონით დასაშვები მტკიცებულებების მოპოვების გზით, შეუძლებელია. მაგალითისათვის, როდესაც პირს გარიგებაზე იძულების ისეთი მეთოდების გამოყენების გზით მოაწერიეს ხე-

⁴⁵ BVerfG NJW 92, 815 nach Thomas/Putzo, Zivilprozessordnung, C.H.Beck, 35 Auflage, 2014, &286, Rn.7

ლი (იარაღით მუქარა, შანტაჟი და ა. შ.), რომელიც ნების გამოხატვის თავისუფლებაზე ზემოქმედებს, თუმცა, განსხვავებით ფიზიკური ზემოქმედებისაგან, ე.წ. „კვალს“ არ ტოვებს. ასეთ ვითარებაში გარიგებაზე ხელმომწერი პირის მიერ ფარული აუდიო (სატელეფონო) ჩანაწერის შექმნა, მტკიცებულების არამართლზომიერად მოპოვებას ამართლებს, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში, იგულისხმება, რომ მხარეს მტკიცებულების „მართლზომიერად მოპოვების“ შესაძლებლობა შეზღუდული აქვს და მტკიცებულების ამ გზით მოპოვება, თვითდახმარების ფარგლებში, გარდაუვალი აუცილებლობით არის განპირობებული. შესაბამისად, ფარული მოსმენის, გადაღებისა და ა. შ. გზით მოპოვებული მტკიცებულება მართლზომიერად მოპოვებულ და დასაშვებ მტკიცებულებად არ მიიჩნევა, თუ მხარეს მტკიცებულების შექმნის სხვა შესაძლებლობა (თავისუფლება) შეზღუდული არ აქვს. ამდენად, **სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე უფლების დადასტურების მიზნით, მტკიცებულების შექმნა სხვისი კონსტიტუციური უფლებების ხელყოფის ხარჯზე, იშვიათი გამონაკლისების გარდა, დაუშვებელია, მაშინაც, როდესაც მხარეს მტკიცებულების სხვა გზით მოპოვება არ შეუძლია**⁴⁶. ამ მიმართებით ნიშანდობლივია, აღინიშნოს, რომ სამოქალაქო ურთიერთობებში, მტკიცებულების შექმნა **სამართალურთიერთობაში შესვლის ეტაპზე ყოველთვის შესაძლებელია**. ასეთ ვითარებაში კი მტკიცებულების არშექმნა **სამოქალაქო-სამართლებრივი დაუდევრობაა**, რომელიც, უფლების სადავოობის შემთხვევაში, მტკიცების ნაკლს განაპირობებს. **აღნიშნული კი მხარის სამოქალაქო-სამართლებრივი რისკია, რომლის დაზღვევა სხვა პირის კონსტიტუციურ უფლებათა შელახვის ხარჯზე დაუშვებელია**.

4. დაუშვებელ მტკიცებულებათა შეფასების საპროცესო-სამართლებრივი ასპექტები

ყველა მტკიცებულება არ ექვემდებარება შეფასებას⁴⁷. მაგალითისათვის, მტკიცებულება, რომელიც კანონის დარღვევითაა მოპოვებული, შეფასებას არ ექვემდებარება. **ფორმულირება მასზედ, რომ მტკიცებულება შეფასებას არ ექვემდებარება სამოქალაქო საპროცესო სამა-**

⁴⁶ BVerfG NJW 02, 3619/3624; BGH NJW 03, 1727; BAG NJW 03, 3436 nach Thomas/Putzo, Zivilprozessordnung, C.H.Beck, 35 Auflage, 2014, &286, Rn.7

⁴⁷ Zöller, ZPO Koommentar, Verlag Dr.Otto Schmidt Köln, 29.neubearbeitete Auflage, 2012, Vor &286, Rn.15a

რთლისათვის უცხოა. ამგვარ ფორმულირებას საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ შეიცავს. შესაბამისად, საინტერესოა მითითებული საკითხის განხილვა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართლის ნორმათა კონტექსტში, რომლის შესაბამისადაც, უნდა დადგინდეს, კანონის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულება არ უნდა იქნეს დაშვებული, როგორც მტკიცებულება, თუ მტკიცებულებათა შეფასების შედეგად უნდა დადგინდეს მისი კანონსაწინააღმდეგო ხასიათი და სასამართლომ მითითებული მტკიცებულება არ უნდა გაიზიაროს. აღნიშნულ კითხვაზე პასუხის გაცემის მიზნით, უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს საპროცესო სამართლის ნორმათა ერთობლივ, შინაარსობრივ და ლოგიკურ ანალიზს, რომლის მიხედვითაც, მხარეები სარჩელისა და შესაგებების წარდგენისთანავე, ვალდებული არიან, სარჩელსა და შესაგებელს მათ მიერ მითითებული მტკიცებულებები დაურთონ ან მათი მოგვიანებით დართვის საპატიოობაზე მიუთითონ და მტკიცებულებათა წარმოდგენის მიზნით გონივრული ვადის თაობაზე იშუამდგომლონ. ამავდროულად, სასამართლოც უფლებამოსილია, მოსამზადებელ სხდომაზე მხარეებს დამატებითი მტკიცებულებების წარმოდგენის მიზნით, წინადადება მისცეს. მთავარ სხდომაზე კი მტკიცებულებათა წარდგენა მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ საქმის მოსამზადებელ სტადიაზე მხარეს მათი წარმოდგენა არ შეეძლო, აგრეთვე, თუ, მათ შესახებ მისთვის ობიექტური მიზეზებით ვერ იქნებოდა ცნობილი.

ამდენად, საქმის მთავარ სხდომაზე განხილვამდე, კანონით დადგენილი წესით წარდგენილი მტკიცებულება, ანუ მტკიცებულება, რომელიც სარჩელს ან შესაგებელს ერთვის, საქმეში იდება და **მითითებულ გარემოებაზე სასამართლო ზეგავლენას ვერ ახდენს.** თუმცა, სასამართლო საქმიდან ამოიღებს მტკიცებულებას, რომელსაც საქმისათვის მნიშვნელობა არა აქვს. ნიშანდობლივია, რომ სასამართლო აღნიშნულ საპროცესო მოქმედებას საკუთარი ინიციატივით ასრულებს, ამასთან, **მითითებული საპროცესო მოქმედების შესრულება სასამართლოს ვალდებულებაა და არა უფლება.** ამგვარი დასკვნის საფუძველს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 104-ე მუხლის პირველი ნაწილის სიტყვასიტყვითი ანალიზი წარმოადგენს, რომლის მიხედვითაც, სასამართლო არ მიიღებს, არ გამოითხოვს ან საქმიდან ამოიღებს მტკიცებულებებს, რომლებსაც საქმისათვის მნიშვნელობა არა აქვთ. იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო საქმესთან შემხებლობაში არარსებული მტკიცებულების საქმიდან ამოღების თაობაზე მის კანონისმიერ მოვალეობას საკუთარი ინიციატივით არ შეასრულებს, რაღა თქმა უნდა, აღნიშნული საპროცესო

მოქმედება მხარის შუამდგომლობის საფუძველზე შეიძლება განხორციელდეს. მითითებული მსჯელობა ეყრდნობა საპროცესო სამართალში განმტკიცებულ პრინციპს, რომლის მიხედვითაც, **სასამართლო სამართალწარმოების ფარგლებში მხოლოდ საქმესთან შემხებლობაში არსებული მტკიცებულებები ფასდება.**

ამდენად, მტკიცებულებას, რომელსაც საქმესთან შემხებლობა არ აქვს, სასამართლო საქმიდან ამოიღებს, ხოლო თუ მტკიცებულება სარჩელს ან შესაგებელს არ ერთვის, მაშინ, სასამართლო ამგვარი მტკიცებულების დართვის თაობაზე შუამდგომლობას არ დააკმაყოფილებს. მართალია, კანონის სიტყვა-სიტყვითი განმარტების შესაბამისად, საქმიდან ამოღებას მხოლოდ საქმესთან შემხებლობის არმქონე მტკიცებულება ექვემდებარება, თუმცა, იგივე წესი უნდა გავრცელდეს კანონდარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებაზე, ვინაიდან კანონის ჩანაწერის მიხედვით, მას მტკიცებულების ძალა არ აქვს. ამასთან, გარდა იმისა, რომ იგი გაზიარებულ არ უნდა იქნეს, მიზანშეწონილია, რომ **იგი სასამართლომ არ მოისმინოს და არ ნახოს, რათა სასამართლოს შინაგანი რწმენა ქვეცნობიერად აღნიშნული მტკიცებულების შთაბეჭდილების ქვეშ არ მოექცეს.** ამდენად, თუ აშკარაა, რომ მხარემ მტკიცებულება ფარულად, კანონდარღვევით მოიპოვა და არ არსებობს მისი საქმეში დატოვების მიმართ მეორე მხარის დაცვის ღირსი ინტერესი, ასეთ ვითარებაში, მითითებულ მტკიცებულებას სასამართლო საქმიდან ამოიღებს, ხოლო თუ ამგვარი მტკიცებულება სარჩელს ან შესაგებელს იმთავითვე არ ერთვის, მაშინ, სასამართლო მას საქმეს, მტკიცებულების სახით, არ დაურთავს. ამასთან, ნიშანდობლივია აღინიშნოს, რომ როგორც საქმიდან მტკიცებულების ამოღება, ასევე მისი საქმეზე დართვა, მხარეთა პოზიციების მოსმენისა და აწონდაწონვის საფუძველზე უნდა მოხდეს, რადროსაც, სასამართლომ მხარეთა ორმხრივი ინტერესის შეფასების საფუძველზე უნდა გააკეთოს დასკვნა მასზედ, მტკიცებულება უკანონოდაა მოპოვებული, თუ არა, და თუ უკანონოდაა მოპოვებული, ხომ არ არსებობს მისი საქმეზე დართვის ან საქმეში დატოვების საგამონაკლისო შემთხვევა. იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ მტკიცებულება კანონდარღვევითაა მოპოვებული და ამასთან, არც მისი კანონდარღვევით შექმნის გამამართლებელი დაცვის ღირსი ინტერესი არსებობს, ასეთ ვითარებაში სასამართლომ მტკიცებულება, როგორც კანონსაწინააღმდეგო, საქმიდან უნდა ამოიღოს ან საქმეში არარსებული მტკიცებულება საქმეს არ უნდა დაურთოს.

ამდენად, კანონდარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებასთან მიმართებით თეორიაში არსებული მიდგომა ცალსახაა - ამგვარი მტკიცე-

ბულება საქმეში არ უნდა იდოს, რათა სასამართლო უკანონო მტკიცებულების ზეგავლენისაგან სრულად გათავისუფლებული იყოს.

5. სასამართლო პრაქტიკა

ამ მიმართებით საინტერესოა, სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა, პირველ რიგში, მისი ისტორიული განვითარების კუთხით. ფარულ ჩანაწერთან, როგორც კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით ყურადსაღებია საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 1 ივნისის განჩინება⁴⁸. მითითებულ საქმეში თბილისის საქალაქო სასამართლო და თბილისის სააპელაციო სასამართლო, სხვა მტკიცებულებებთან ერთად, ფარულ აუდიო ჩანაწერსაც დაეყრდნო, რომელიც მხარეთა შორის დიალოგს ასახავდა. მითითებული ფარული აუდიოჩანაწერით ფულადი ვალდებულების არსებობა და მოპასუხის მხრიდან აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობის ფაქტი დასტურდებოდა. ნიშანდობლივია, რომ მითითებულ საქმეზე ფარული აუდიოჩანაწერის მტკიცებულების სახით გამოყენებას კასატორი სადავოდ ხდიდა და განმარტავდა, რომ სასამართლოებმა საქმე უხეში საპროცესო-სამართლებრივი დარღვევებით განიხილეს, ვინაიდან მტკიცებულების სახით, კანონდარღვევით მოპოვებული ფარული აუდიოჩანაწერი გამოიყენეს. კასატორი საკასაციო პრეტენზიას იმ გარემოებითაც ამყარებდა, რომ მითითებული ფარული აუდიოჩანაწერი სისხლის სამართლის საქმეზე, როგორც კანონდარღვევით მოპოვებული, დაუშვებელ მტკიცებულებად იქნა ცნობილი, რამაც წინასწარი გამოძიების შეწყვეტა განაპირობა. საკასაციო პალატამ იმსჯელა მითითებულ საპროცესო-სამართლებრივ საკითხზე და განმარტა შემდეგი: „სისხლის სამართალი და სამოქალაქო სამართალი სრულიად განსხვავებულ სამართლებრივ ურთიერთობებს აწესრიგებენ და განსხვავებულია მტკიცებულებათა დასაშვებობის კრიტერიუმებიც სისხლის საპროცესო და სამოქალაქო საპროცესო სამართალში. სისხლის სამართალში, სადაც ორივე დაპირისპირებული მხარე კერძო სამართლის სუბიექტი არ არის, გადამწყვეტია, რომ ბრალდების მხარემ ბოროტად არ გამოიყენოს თავისი უფლებამოსილება, არ იმოქმედოს თვითნებურად და არ დაარღვიოს ადამიანის უფლებები, საბოლოოდ, არ დაისაჯოს უდანაშაულო ადამიანი. მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხიც სწორედ ამ მიდგომიდან გამომდინარე წე-

⁴⁸ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 01.06.2010 წლის განჩინება, საქმეზე ას-1154-1416-09

სრიგდება, ამიტომ აქ ბრალდების მხარისათვის დაკისრებული მტკიცების სტანდარტი უფრო მკაცრია, ვიდრე დაცვის მხარისთვის. აღნიშნულის გამონაკლებებაა ისიც, რომ სისხლის საპროცესო სამართალში ერთი და იგივე მტკიცებულება ერთ შემთხვევაში შეიძლება დაუშვებელ მტკიცებულებად ჩაითვალოს, თუკი ბრალდების დასადასტურებლად გამოიყენება, ხოლო მეორე შემთხვევაში - არა, თუკი განსასჯელის გამართლებას ემსახურება. სამოქალაქო საპროცესო სამართალში ასეთი პრობლემატიკა არ დგას, რამდენადაც აქ ურთიერთდაპირისპირებულია კერძო სამართლის სუბიექტები, რომელთაც თანაბარი საპროცესო შესაძლებლობები აქვთ თავის დასაცავად. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, საქართველოს საერთო სამართალოები სამოქალაქო საქმეებს განიხილავენ ამ კოდექსით დადგენილი წესების მიხედვით. სამოქალაქო საქმეს სასამართლო განიხილავს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით, ხოლო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით სამოქალაქო საქმისწარმოება არ ხორციელდება. ამიტომ მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაშიც სადავო აუდიოკასეტის მტკიცებულებად დაშვების საკითხი განსახილველ სამოქალაქო საქმეზე სამოქალაქო პროცესის ნორმების საფუძველზე უნდა გადაწყდეს. კასატორი ვერ ასაბუთებს ამ შემთხვევაში აუდიოჩანაწერის კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებად მიჩნევას (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლის მე-3 ნაწილი). **მოცემული აუდიოჩანაწერი არ შეიცავს მხარეთა პირადი საიდუმლოების შემცველ ინფორმაციას, ისეთ კონფიდენციალურ ფაქტებს, რასაც დაუკავშირებოდა მოსარჩელის სუბიექტური ინტერესი, რომ მისი საუბარი სხვა პირთათვის არ გახდეს ცნობილი.** აუდიოჩანაწერი შეიძლება განიმარტოს, როგორც საქმესთან დაკავშირებული გარემოებების დამტკიცების საშუალება ხმის ან სხვა ხმოვანი სიგნალის სპეციალურ ტექნიკურ საშუალებაზე ფიქსაციის მეშვეობით. სამოქალაქო საპროცესო კოდექსი აუდიოჩანაწერს არ განიხილავს მტკიცებულების დამოუკიდებელ სახედ. მას მოიცავს ნივთიერი მტკიცებულებების ცნება და განიხილება როგორც ნივთიერი მტკიცებულებების ერთ-ერთი სახე. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 154-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ნივთიერი მტკიცებულებებია ის ნივთები, რომლებიც თავისი ხარისხით, თვისებით ან თავისი არსებობით წარმოადგენენ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების დადგენის საშუალებას. მოცემულ შემთხვევაში წარმოდგენილი აუდიოკასეტა, რომელზე არსებული აუდიოჩანაწერის ნამდვილობაც დადგენილია საქმეში არსებული ექსპერტიზის დასკვნებით, პასუხობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 154-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილ მოთხო-

ვნებს. ამდენად, საქმეში არსებული აუდიორჩანაწერი დასაშვები მტკიცებულებაა საქმეზე, რომელიც უნდა შეფასდეს საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში”.⁴⁹

2010 წლის პირველი ივნისიდან, ანუ მას შემდეგ, რაც საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ფარული აუდიორჩანაწერი დასაშვებ მტკიცებულებად მიიჩნია, პირველი ინსტანციისა და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოები, დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, ფარულ ჩანაწერს დასაშვებ მტკიცებულებად მიიჩნევდნენ, ხოლო ასეთ გადაწყვეტილებებს საქართველოს უზენაესი სასამართლო პრაქტიკის შესაბამისად თვლიდა და დაუშვებლობის საფუძვლით, განუხილველად ტოვებდა.^{50/51}

2014 წლის 7 ოქტომბერს თბილისის სააპელაციო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც დამკვიდრებულ სასამართლო პრაქტიკას არ შეესაბამებოდა⁵². მითითებული გადაწყვეტილების მიხედვით, სასამართლომ ფულადი ვალდებულების არსებობის ფაქტი საქმეში არსებულ ფარულ აუდიო ჩანაწერზე დაყრდნობით დასაბუთებულად არ მიიჩნია, ვინაიდან ჩათვალა, რომ მტკიცებულება, კანონდარღვევით იყო მოპოვებული და შესაბამისად, მტკიცებულების ძალა არ ჰქონდა. მითითებულ გადაწყვეტილებაში სასამართლომ განმარტა შემდეგი: „ვინაიდან სატელეფონო საუბარი, მეორე მხარის ნებართვის გარეშე, ფარულად არის ჩანერილი, ამიტომ იგი კანონდარღვევითაა მოპოვებული, რაც იმას ნიშნავს, რომ აღნიშნული ჩანაწერი დაუშვებელ მტკიცებულებად უნდა იქნეს მიჩნეული საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლის კონტექსტში. მითითებული დასკვნის საფუძველს კი წარმოადგენს ის გარემოება, რომ პირადი საუბრის ფარული ჩანერა, ხოლო შემდეგ სასამართლოში მტკიცებულების სახით წარდგენა, ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლით გარანტირებულ პირადი ცხოვრებისა და პირადი კომუნიკაციის ხელშეუვალობას, ასევე კონსტიტუციის მე-16 მუხლს, რომელიც პიროვნების თავისუფალი განვითარების

⁴⁹ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 01.06.2010 წლის განჩინება, საქმეზე ას-1154-1416-09

⁵⁰ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 14 იანვრის №ას-1509-1424-2012 განჩინება

⁵¹ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 12 ივლისის №ას-851-799-2012 განჩინება

⁵² იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 7 ოქტომბრის №2ბ/6800-13 განჩინება

უფლებას ეხება.⁵³ მითითებულ გადანყვეტილებაში სასამართლომ ასევე განმარტა, რომ **სამოქალაქო-სამართლებრივი გარიგების დადასტურების მიზნით მტკიცებულების შესაქმნელად პირად სფეროში ჩარევა და ამით პირადი ცხოვრებისა და პირადი კომუნიკაციის უფლების შეზღუდვა გამართლებული არ არის.** ამგვარი დასკვნა, პირველ რიგში, გამომდინარეობს სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპიდან, რომელიც, თავის მხრივ, სამოქალაქო უფლება-მოვალეობების მიმართ გარკვეულ პასუხისმგებლობას გულისხმობს. სამოქალაქო უფლება-მოვალეობათა მატარებელი სუბიექტები თავისუფალნი არიან სამოქალაქო ურთიერთობებში, შესაბამისად, ისინი ვალდებულნი არიან, გამოიჩინონ შესაბამისი სამოქალაქო სამართლებრივი წინდახედულობა და მტკიცებულება პირთა თანასწორობაზე დამყარებული ურთიერთობის ფარგლებში მოიპოვონ. მხოლოდ იმიტომ, რომ მხარე სათანადოდ არ უზრუნველყოფს სამართალურთიერთობას მტკიცებულებებით, აღნიშნული არ ნიშნავს იმას, რომ **მას, უფლების სადავოობის პირობებში, მითითებული მტკიცებულების შექმნის შესაძლებლობა მეორე მხარის პირად ცხოვრებაში ჩარევის გზით აქვს.** ამგვარი სახით მოპოვებულ მტკიცებულებათა ლეგიტიმაციის პირობებში მივიღებთ არა სამოქალაქო პასუხისმგებლობაზე დამყარებულ საზოგადოებას, არამედ კონსტიტუციურ ღირებულებათა დაუშვებელ ხელყოფას, რა დროსაც, განსაკუთრებით, პირადი ცხოვრებისა და პირადი კომუნიკაციის ხელშეუვალობის უფლება იქნება შეზღუდული, რაც დაუშვებელია. ამგვარი შეზღუდვა (ჩარევა) გამართლებულია მხოლოდ მაშინ, როდესაც **პირი თვითდახმარების ან „თვითდახმარებასთან მიახლოვებულ“ ფარგლებში მოქმედებს.**⁵⁴ მაგალითისათვის, თუ ფარული ჩანანერი ერთადერთი გზაა საკუთარი უფლების დასაცავად, იმის გამო, რომ სხვაგვარად საკუთარ უფლებას ვერ დაიცავს ან არსებობს რეალური საშიშროება ყველა სხვა მტკიცებულების განადგურების, ასეთ ვითარებაში ფარული ჩანანერის გზით მტკიცებულების შექმნა დასაშვებია. ამდენად, თუ პირზე ხორციელდება ზენოლა, მუქარა შანტაჟი, საკუთარი უფლებების დაუშვებელი ხელყოფის თავიდან ასაცილებლად, კონსტიტუციურ ღირებულებათა მრავალმხრივი ანონ-დანონვის შედეგად, შეიძლება გამართლებულად ჩაითვალოს სხვის პირად სფეროში ჩარევა, თუმცა, აღნიშნული დაუშვებელია მაშინ, როდესაც სხვის პირად სფეროში ჩარევა **თვითდახმარებას კი არ ემსახურება,**

⁵³ იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 7 ოქტომბრის №23/6800-13 განჩინება

⁵⁴ BGH NJW 1988,1016

არამედ მეორე მხარისათვის სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებას. პირად სფეროში ჩარევა კი საჭირო გახდა მხოლოდ იმიტომ, რომ უფლება-მოვალეობათა კრედიტორმა თავის დროზე არ იზრუნა შესაბამისი მტკიცებულების (ხელშეკრულების, ხელწერილის, და ა. შ.) შექმნაზე.⁵⁵ ასეთ ვითარებაში, როდესაც გაუმართლებელია ჩარევა პირად სფეროში, ამგვარი გზით მოპოვებული მტკიცებულება, დაუშვებელი მტკიცებულებაა. მისი დაშვება შესაძლებელია მხოლოდ მეორე მხარის თანხმობით, ამასთან, თანხმობა უნდა ეხებოდეს არა მტკიცებულების ფორმალურ დასაშვებობას, არამედ იმას, რომ მტკიცებულების შინაარსი სასამართლომ გადაწყვეტილებას დაუდოს საფუძვლად. ამგვარი თანხმობის არარსებობის პირობებში, დაუშვებელია ფარულ ჩანაწერს გადაწყვეტილება დაეფუძნოს, მაშინაც კი, თუ ფარული ჩანაწერიდან უტყუარად დასტურდება ის გარემოება, რომლის დადასტურების მიზანსაც ფარული ჩანწერა (კერძო სფეროში ჩარევა) ემსახურებოდა.^{56/57}

უახლესი პრაქტიკის ანალიზის თვალსაზრისით, ნიშანდობლივია, აღინიშნოს, რომ საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 2010 წლის მდგომარეობით არსებული პრაქტიკა შეცვალა⁵⁸ და ფარული, კანონდარღვევით მოპოვებული ჩანაწერი დაუშვებელ მტკიცებულებად მიიჩნია⁵⁹. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 4 მაისის განჩინების შემდეგ სასამართლო ამ პრაქტიკით ვითარდება, მაგალითისათვის, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ფარული ჩანაწერი დაუშვებელ მტკიცებულებად ცნო ისეთი გარემოებების დადასტურების მიზნებისათვის, როგორცაა, სასესხო ურთიერთობის არსებობა,^{60/61} ნასყიდობის ხელშეკრულების დადება,⁶² ნასყიდობის ხელშეკრულების მოტყუებით დადება,⁶³ ამხანაგობაში ფულადი შესატანის განხორციელება,⁶⁴ ჩუქების

⁵⁵ BGH NJW 1982, 277; NJW 1988, 1016

⁵⁶ OLG Stuttgart, 18.11.2009

⁵⁷ იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 07.10.2014 წლის განჩინება, საქმეზე, 28/6800-13

⁵⁸ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 01.06.2010 წლის განჩინება, საქმეზე, ას-1154-1416-09

⁵⁹ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 04.05.2015 წლის განჩინება, საქმეზე, ას-1155-1101-2014

⁶⁰ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 17.04.2018 წლის განჩინება, საქმეზე, ას-87-87-2018

⁶¹ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 17.07.2015 წლის განჩინება, საქმეზე, ას-1337-1375-2014

⁶² იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 10.07.2017 წლის განჩინება, საქმეზე, ას-918-884-2016

⁶³ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 20.10.2017 წლის განჩინება, საქმეზე, ას-842-786-2017

ხელშეკრულების ბათილობა და აღნიშნული მიზნით ამორალური ქცევის დადასტურება,⁶⁵ სააღსრულებო ფურცლის ნაწილობრივ გასაუქმებლად სასესხო ურთიერთობის დადგენა,⁶⁶ პედაგოგზე განხორციელებული ზეწოლის ფაქტის დადასტურება⁶⁷ და ა. შ.

⁶⁴ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 05.01.2017 წლის განჩინება, საქმეზე, ას-896-862-2016

⁶⁵ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 25.05.2016 წლის განჩინება, საქმეზე, ას-290-276-2016

⁶⁶ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 03.06.2016 წლის განჩინება, საქმეზე, ას-238-226-2016

⁶⁷ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 15.12.2015 წლის გადაწყვეტილება, საქმეზე, ას-238-226-2016

მუხლი 104. მტკიცებულებათა მიუღებლობა

1. სასამართლო არ მიიღებს, არ გამოითხოვს ან საქმიდან ამოიღებს მტკიცებულებებს, რომლებსაც საქმისათვის მნიშვნელობა არა აქვთ.

1¹. სასამართლო მტკიცებულებად არ მიიღებს სასამართლო მედიაციის პროცესში კონფიდენციალურობის პირობით გამჟღავნებულ ინფორმაციასა და დოკუმენტს, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

1². ამ მუხლის 1¹ ნაწილით გათვალისწინებული წესი არ გამოიყენება, თუ სასამართლო მედიაციის პროცესში კონფიდენციალურობის პირობით გამჟღავნებულ ინფორმაციასა და დოკუმენტს სასამართლოში წარადგენს ის მხარე, რომელმაც გაამჟღავნა იგი, ან თუ ეს ინფორმაცია ან/და დოკუმენტი მეორე მხარეს ჰქონდა ან კანონით გათვალისწინებული სხვა საშუალებებით მიიღო და წარადგინა სასამართლოში.

2. მტკიცებულებათა მიუღებლობის, მათ გამოთხოვაზე უარის თქმის ან საქმიდან მათი ამოღების შესახებ სასამართლოს გამოაქვს განჩინება, რომელიც ცალკე არ გასაჩივრდება.

ქართვან მესხიშვილი

104-ე მუხლი

I. ნორმის მიზანი

1. მტკიცებულებები, რომლებიც შეფასებას არ ექვემდებარება

ა. მტკიცებულებების დასაშვებობისა და შეფასების ურთიერთგამიჯვნა

მტკიცებით სამართალში მოქმედი წესის მიხედვით, ყველა მტკიცებულება არ ექვემდებარება შეფასებას¹. ფორმულირება მასზედ, რომ მტკიცებულება შეფასებას არ ექვემდებარება, სამოქალაქო საპროცე-

¹ Zöller, ZPO Koommentar, Verlag Dr. Otto Schmidt Köln, 29. neubearbeitete Auflage, 2012, Vor & 286, Rn. 15a

სო სამართლისათვის უცხოა. ამგვარ ფორმულირებას არც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი შეიცავს. შესაბამისად, საინტერესოა მითითებული საკითხის განხილვა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართლის ნორმათა კონტექსტში. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 104-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, **სა-სამართლო არ მიიღებს, არ გამოითხოვს ან საქმიდან ამოიღებს მტკიცებულებებს, რომლებსაც საქმისათვის მნიშვნელობა არა აქვთ.** ამდენად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით, მტკიცებულებად არ უნდა იქნეს დაშვებული, ხოლო მხარის მიერ იმთავითვე სარჩელსა, თუ შესაგებელზე დართული მტკიცებულება საქმიდან ამოღებას ექვემდებარება, **თუ მტკიცებულება საქმესთან შემხებლობაში არ არის.** შესაბამისად, ნორმის მოქმედების არეალის განმარტების მიზნებისათვის, უნდა დადგინდეს, თუ როგორი (რომელი) მტკიცებულება ითვლება საქმესთან შემხებლობის არმქონედ.

კანონმდებლის ნება საქმეში მტკიცებულების დატოვების თაობაზე, საქმეში არსებული მტკიცებულების შეფასების შესაძლებლობას უკავშირდება. თუმცა, აღნიშნული არ ნიშნავს იმას, რომ ყველა მტკიცებულება, რომელიც საქმეში დევს, გადანყვეტილების გამოტანას შეიძლება დაედოს საფუძვლად. მტკიცებულების **დასაშვებად მიჩნევის საკითხი უნდა გაიმიჯნოს მისი შეფასებისაგან.**² მტკიცებულება შეიძლება დასაშვები იყოს, საქმეში იდოს, თუმცა, სასამართლო იგი შეფასების შედეგად არასარწმუნოდ ჩათვალოს და გადანყვეტილება აღნიშნულ მტკიცებულებას არ დააფუძნოს. მაგალითისათვის, თუ ექსპერტიზის დასკვნის კვლევითი ნაწილი წინააღმდეგობრივია, სასამართლომ მისი სანდოობა კრიტიკულად უნდა შეაფასოს და თუ მივა დასკვნამდე, რომ დასკვნის კვლევითი და სარეზოლუციო ნაწილი ერთმანეთს არ შეესაბამება, სარჩელის დაკმაყოფილების საფუძვლად აღნიშნული მტკიცებულება არ უნდა გამოიყენოს³. იგივე უნდა ითქვას მოწმის ჩვენებაზეც, კერძოდ, მოწმის ჩვენების შეფასებისას სასამართლო მას იკვლევს, როგორც ინდივიდუალურად, ისე სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში, რა დროსაც, ბუნებრივია, მნიშვნელობა ენიჭება, როგორც სუბიექტურ, ისე ობიექტურ ფაქტორებს, მათ შორისაა მოწმის უნარი, აღიქვას ფაქტები და სწორად გადმოსცეს ისინი⁴. მოწმის ჩვენების შეფასებისას, ყურადღება ექცევა მის შინა-

² იხ. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის კომენტარი

³ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლო 29.08.2018 წლის განჩინება, საქმეზე №ას-878-2018

⁴ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 17.06.2016 განჩინება, საქმეზე ას-62-60-2016

არსსა და იურიდიულ დამაჯერებლობას, რა დროსაც მხედველობაში მიიღება მონმის დამოკიდებულება მხარეებთან, მისი ფიზიკური მდგომარეობა, ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ მონმის ჩვენებაზე,⁵ მის დაინტერესებაზე საქმის შედეგისადმი.⁶ ამდენად, იქამდე, სანამ სასამართლო მტკიცებულებას დაეყრდნობა, მის სანდოობას აფასებს და, ბუნებრივია, შეფასების პროცესულურ საფუძველს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლი წარმოადგენს.⁷

ბ. მტკიცებულებები, რომლებსაც საქმისთვის მნიშვნელობა არ აქვთ

მტკიცებულება საქმის ფაქტობრივი გარემოების დადასტურების კონტექსტში **შეიძლება იყოს პირდაპირი ან ირიბი**. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს პირდაპირი და ირიბი მტკიცებულებების ცნებას. სამოქალაქო საპროცესო კოდექსი მარტოდენ საქმეში ისეთი მტკიცებულების არსებობას კრძალავს, **რომელსაც საქმესთან შემხებლობა არ აქვს**. შესაბამისად, მტკიცებულებას, რომელსაც საქმისათვის **პირდაპირი ან ირიბი შემხებლობა** აქვს, საქმეში შეიძლება იყოს.

ისმის კითხვა, შესაძლებელია, თუ არა სასამართლოს გადანყვეტილება მხოლოდ ირიბ მტკიცებულებ(ებ)ას დაეყრდნოს? აღნიშნულ კითხვაზე პასუხის გასაცემად უნდა აღინიშნოს, რომ კანონი არ იძლევა განმარტებას, თუ როგორ (პირდაპირს, თუ ირიბს) მტკიცებულებას უნდა დაეყრდნოს სასამართლო. სამოქალაქო საპროცესო კოდექსი მხოლოდ მტკიცებულებების ჩამონათვალს ითვალისწინებს. დოქტრინა კი გარდა მტკიცებულებათა ჩამონათვალისა, მტკიცებულებებს ერთმანეთისაგან იმისდა მიხედვითაც მიჯნავს, აღნიშნული მტკიცებულებები მტკიცების საგანში შემავალ ფაქტებს ადასტურებს (პირდაპირი მტკიცებულება), თუ ისეთ გარემოებებს ადგენს, რომლებიც, თავის მხრივ, მტკიცების საგანში შემავალი ფაქტების არსებობა, არარსებობას ამტკიცებს (ირიბი მტკიცებულება). **შესაბამისად, მტკიცებითი სამართალი ორი ტიპის მტკიცებულებას იცნობს, პირდაპირს და ირიბს. მტკიცებულება პირდაპირია,**

⁵ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 06.03.2015 განჩინება, საქმეზე ას-1298-1236-2014

⁶ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 01.07.2013 განჩინება, საქმეზე ას-1585-1488-2012

⁷ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 17.06.2016 განჩინება, საქმეზე ას-62-60-2016

თუ იგი მტკიცების საგანში შემავალი გარემოების არსებობა (არარსებობას) პირდაპირ ადასტურებს. მაგალითისათვის, მოსარჩელე დაობს, რომ მოპასუხემ მას დანით ჭრილობა მიაყენა. მონმის ჩვენება, რომელიც პირადად შეესწრო მოპასუხის მიერ მოსარჩელისათვის ზიანის მიყენებას (დანით თავდასხმას და დაჭრას), პირდაპირი მტკიცებულებაა. **ირიბი მტკიცებულება** ადასტურებს ფაქტებს, რომელიც არ წარმოადგენს მტკიცების საგანში შემავალ ძირითად გარემოებებს, თუმცა, ე.წ. „ემპირიული ფორმულით“, ანუ ცხოვრებისეული გამოცდილებით, უთითებს აღნიშნული გარემოებების (არ)არსებობაზე. ზემოხსენებულ მაგალითში, თუ არ იარსებებს მონმის ჩვენება, რომელიც უშუალოდ შეესწრო მოპასუხის მიერ მოსარჩელისათვის დანით ჭრილობის მიყენებას (პირდაპირი მტკიცებულება), თუმცა, შემთხვევის ადგილიდან ამოღებული იქნება დანა, რომელზეც მოპასუხის სისხლია, ირიბად, თუმცა, მაინც ადასტურებს იგივე გარემოებას (ირიბი მტკიცებულება). შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში დანა და სისხლის კვალის თანხვედრა მოპასუხის სისხლთან, ირიბი მტკიცებულებებია, რომლებიც მტკიცების საგანში შემავალი ფაქტის, მოპასუხის მიერ მოსარჩელის დაჭრის თაობაზე შეიძლება მეტყველებდეს.⁸ ირიბი მტკიცებულებების ერთობლიობა ემპირიული ფორმულით შეიძლება მტკიცების საგანში შემავალი ფაქტის არსებობას ამტკიცებდეს, თუმცა, აღნიშნული მტკიცებულებების არსებობა არ გამორიცხავს პირდაპირი მტკიცებულების დასაშვებად ცნობას, ასეთის არსებობის შემთხვევაში.⁹

მტკიცებით სამართალში ამოსავალი პრინციპია, რომ **სასამართლო მტკიცებულებებზე დაყრდნობით ამა თუ იმ ფაქტობრივი გარემოების არსებობა, არარსებობაში „სრულად უნდა დარწმუნდეს“**.¹⁰ აღნიშნული მიზნით შესაძლებელია როგორც პირდაპირი, ასევე ირიბი (არაპირდაპირი) მტკიცებულებების გამოყენება. მოსამართლის სრულად დასარწმუნებლად აუცილებელი არ არის მათემატიკური სიზუსტის კრიტერიუმის დაცვა, მაგალითად, მოსამართლის 100%, 98%-ით და ა. შ. დარწმუნება, რაც ადამიანური გონის თავისებურების გათვალისწინებით, ობიექტურადაც შეუძლებელია. „მოსამართლის სრულად დარწმუნების“ მიზნის მისაღწევად საკმარისია წარდგენილი მტკიცებულებების გზით ფაქტების არსებობა, არარსებობის თაობაზე სარწმუნოების იმდენად მა-

⁸ O.Jauering, Zivilprozessrecht, 28.Auflage, München, s:200

⁹ Bauer, Grunsky, Zivilprozessrecht, Bielfeld, s.:146

¹⁰ Bauer, Grunsky, Zivilprozessrecht, Bielfeld, s:146

ლალი ხარისხის შექმნა, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით გონივრულად დასაშვები ეჭვი მაქსიმალურად გამოირიცხოს.¹¹

ამდენად, მარტოოდენ ფაქტი მასზედ, მტკიცებულება პირდაპირია, თუ ირიბი, მისი საქმეზე დართვაზე უარის, ან მისი საქმიდან ამოღების საფუძველი არ ხდება. მტკიცებულება შეიძლება იყოს, როგორც პირდაპირი, ასევე ირიბი, თუმცა, აუცილებელია, რომ ორივე ტიპის მტკიცებულება კონკრეტული საქმის ფაქტობრივ გარემოებებს ეხებოდეს და მტკიცების საგანში შემავალ ფაქტებს ასახავდეს, რაც იმას ნიშნავს, რომ კონკრეტული საქმის ფაქტობრივი გარემოებების დამადასტურებელი პირდაპირი, თუ ირიბი მტკიცებულება საქმისათვის მნიშვნელობის მქონეა. შესაბამისად, მათ დართვაზე უარი, ან საქმიდან ამოღება, როგორც საქმესთან შემხებლობაში არარსებული მტკიცებულებისა, მარტოოდენ მის პირდაპირ, თუ ირიბ ბუნებაზე მითითებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 104-ე მუხლის კონტექსტში, არ ხდება. ამასთან აღანიშნავია, რომ მტკიცებულება პირდაპირია, თუ ირიბი, a priori, არ უთითებს მტკიცებულების წონასა და სანდოობის ხარისხზე. მთავარია, რომ როგორც პირდაპირი, ასევე ირიბი მტკიცებულებებით სასამართლო „სრულად დარწმუნდეს“ მტკიცების საგანში შემავალი ფაქტების არსებობა/არარსებობაში¹², აღნიშნული საკითხი კი სცილდება მტკიცებულების დასაშვებობის ფარგლებს და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის რეჟიმში, მტკიცებულებათა შეფასების საგანს წარმოადგენს.

ამდენად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ირიბი მტკიცებულების საქმეში დასაშვებ მტკიცებულებად ცნობას არ გამოირიცხავს, რადგან იგი (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი) საქმეში, იმპერატიულად, მხოლოდ საქმესთან შემხებლობაში არარსებული მტკიცებულების არსებობას კრძალავს. საქმესთან შემხებლობა კი იმ მტკიცებულებას არ აქვს, რომელიც არც პირდაპირ და არც ირიბად იმ ფაქტებს არ ადასტურებს, რაზეც მოსარჩელე მოთხოვნას ამყარებს, ან მოპასუხე შესაგებელს აფუძნებს.

გ. კანონდარღვევით მოპოვებული მტკიცებულებები

მტკიცებულებას, რომელსაც საქმესთან შემხებლობა არ აქვს, სასამართლო საქმიდან ამოიღებს, ხოლო თუ მტკიცებულება სარჩელს ან შე-

¹¹ O.Jauering, Zivilprozessrecht, 28.Auflage, München, s:200

¹² Bauer, Grunsky, Zivilprozessrecht, Bielfeld, s:146

საგებელს არ ერთვის, მაშინ, სასამართლო ამგვარი მტკიცებულების დართვის თაობაზე შუამდგომლობას არ დააკმაყოფილებს. მართალია, კანონის სიტყვა-სიტყვითი განმარტების შესაბამისად, საქმიდან ამოღებას **მხოლოდ საქმესთან შემხებლობის არმქონე მტკიცებულება ექვემდებარება, თუმცა, იგივე წესი უნდა გავრცელდეს კანონდარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებაზე**, ვინაიდან კანონის ჩანაწერის მიხედვით, მას მტკიცებულების ძალა არ აქვს (სსსკ 103.1). ამასთან, გარდა იმისა, რომ იგი გაზიარებულ არ უნდა იქნეს, მიზანშეწონილია, რომ იგი **სასამართლომ არ მოისმინოს და არ ნახოს, რათა სასამართლოს შინაგანი რწმენა ქვეცნობიერად აღნიშნული მტკიცებულების შთაბეჭდილების ქვეშ არ მოექცეს.**

დ. მტკიცებულების დასაშვებობის პროცესუალური წესი

საინტერესოა იმ პროცესუალური წესის მიმოხილვა, რომელზე დაყრდნობითაც, სასამართლო საქმისათვის შემხებლობის არმქონე ან კანონდარღვევით მოპოვებული მტკიცებულებების დასაშვებობაზე მსჯელობს. მტკიცებულების დასაშვებობის პროცედურული წესის განხილვა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართლის ნორმათა კონტექსტში უნდა მოხდეს, კერძოდ, ნორმათა სისტემური განმარტების შედეგად უნდა დადგინდეს, მტკიცებულების საქმესთან შემხებლობის ან მისი კანონდარღვევით მოპოვების საკითხი **ამავე მტკიცებულებების დასაშვებობის ეტაპზე უნდა გადაწყდეს, თუ მტკიცებულებათა შეფასების შედეგად უნდა დადგინდეს.** აღნიშნულ კითხვაზე პასუხის გაცემის მიზნით, უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს საპროცესო სამართლის ნორმათა ერთობლივ, შინაარსობრივ და ლოგიკურ ანალიზს, რომლის მიხედვითაც, მხარეები სარჩელისა და შესაგებლის წარდგენისთანავე, ვალდებულნი არიან, სარჩელსა და შესაგებელს მათ მიერ მითითებული მტკიცებულებები დაურთონ ან მათი მოგვიანებით დართვის საპატიობაზე მიუთითონ და მტკიცებულებათა წარმოდგენის მიზნით გონივრული ვადის თაობაზე იშუამდგომლონ. ამავდროულად, სასამართლოც უფლებამოსილია, მოსამზადებელ სხდომაზე მხარეებს დამატებითი მტკიცებულებების წარმოდგენის მიზნით, წინადადება მისცეს. მთავარ სხდომაზე კი მტკიცებულებათა წარდგენა მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ საქმის მოსამზადებელ სტადიაზე მხარეს მათი წარმოდგენა არ შეეძლო, აგრეთვე, თუ, მათ შესახებ მისთვის ობიექტური მიზეზებით ვერ იქნებოდა ცნობილი.

2018 წლის 7 მარტს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილება განხორციელდა, რომლის მიხედვითაც, 103-ე მუხლს მე-4 ნაწილი დაემატა. აღნიშნული ნაწილის მიხედვით, საქმის მოსამზადებელი ეტაპის დასრულებამდე წარდგენილი მტკიცებულებები საქმეს დაერთვება და მათ განიხილავს და შეამოწმებს სასამართლოს ამ კოდექსის 225-ე მუხლით დადგენილი წესით. საქმის მოსამზადებელი ეტაპის დასრულების შემდეგ წარმოდგენილი მტკიცებულებების მიღების საკითხს სასამართლო განიხილავს მხარეთა მოსაზრებების გათვალისწინებით, ზეპირი მოსმენით

ამდენად, საქმის მთავარ სხდომაზე განხილვამდე, კანონით დადგენილი წესით წარდგენილი მტკიცებულება, ანუ მტკიცებულება, რომელიც სარჩელს ან შესაგებელს ერთვის, საქმეში იდება და **მითითებულ გარემოებაზე სასამართლო ზეგავლენას ვერ ახდენს**. თუმცა, სასამართლო საქმიდან ამოიღებს მტკიცებულებას, რომელსაც საქმისათვის მნიშვნელობა არა აქვს. ნიშანდობლივია, რომ სასამართლო აღნიშნულ საპროცესო მოქმედებას საკუთარი ინიციატივით ასრულებს, ამასთან, **მითითებული საპროცესო მოქმედების შესრულება სასამართლოს ვალდებულებაა და არა უფლება**. ამგვარი დასკვნის საფუძველს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 104-ე მუხლის პირველი ნაწილის სიტყვასიტყვითი ანალიზი წარმოადგენს, რომლის მიხედვითაც, სასამართლო არ მიიღებს, არ გამოითხოვს ან საქმიდან ამოიღებს მტკიცებულებებს, რომლებსაც საქმისათვის მნიშვნელობა არა აქვთ. იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო საქმესთან შემხებლობაში არარსებული მტკიცებულების საქმიდან ამოღების თაობაზე მის კანონისმიერ მოვალეობას საკუთარი ინიციატივით არ შეასრულებს, რაღა თქმა უნდა, აღნიშნული საპროცესო მოქმედება მხარის შუამდგომლობის საფუძველზე შეიძლება განხორციელდეს. მითითებული მსჯელობა ეყრდნობა საპროცესო სამართალში განმტკიცებულ პრინციპს, რომლის მიხედვითაც, **სასამართლო სამართალწარმოების ფარგლებში მხოლოდ საქმესთან შემხებლობაში არსებული მტკიცებულებები ფასდება**.

ამდენად, თუ ამკარაა, რომ მტკიცებულება საქმესთან შემხებლობაში არ არის ან მხარემ მტკიცებულება **ფარულად, კანონდარღვევით მოიპოვა და არ არსებობს მისი საქმეში დატოვების მიმართ მეორე მხარის დაცვის ღირსი ინტერესი**, ასეთ ვითარებაში, მითითებულ მტკიცებულებას სასამართლო საქმიდან ამოიღებს, ხოლო თუ ამგვარი მტკიცებულება სარჩელს ან შესაგებელს იმთავითვე არ ერთვის, მაშინ, სასამართლო მას საქმეს, მტკიცებულების სახით, არ დაურთავს.

ამასთან, ნიშანდობლივია აღინიშნოს, რომ როგორც საქმიდან მტკიცებულების ამოღება, ასევე მისი საქმეზე დართვა, მხარეთა პოზიციების მოსმენისა და ანონდანონვის საფუძველზე უნდა მოხდეს, რა დროსაც, სასამართლომ მხარეთა ორმხრივი ინტერესის შეფასების საფუძველზე უნდა გააკეთოს დასკვნა მასზედ, მტკიცებულება საქმესთან შემხებლობაში არის, თუ არა, ანდა მტკიცებულება უკანონოდაა მოპოვებული, თუ არა, და თუ უკანონოდაა მოპოვებული, ხომ არ არსებობს მისი საქმეზე დართვის ან საქმეში დატოვების საგამონაკლისო შემთხვევა (სსსკ 225.1). იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ მტკიცებულებას საქმესთან შემხებლობა არ აქვს, იგი საქმეს არ უნდა დაურთოს, ხოლო მხარის მიერ სარჩელსა ან შესაგებელზე დართული მტკიცებულება საქმიდან უნდა ამოიღოს. იგივე წესი ვრცელდება კანონდარღვევით მოპოვებული მტკიცებულების მიმართ, კერძოდ, თუ მტკიცებულება კანონდარღვევითაა მოპოვებული და ამასთან, არც მისი კანონდარღვევით შექმნის გამამართლებელი დაცვის ღირსი ინტერესი არსებობს, ასეთ ვითარებაში სასამართლომ მტკიცებულება, როგორც კანონსაწინააღმდეგო, საქმიდან უნდა ამოიღოს ან საქმეში არარსებული მტკიცებულება საქმეს არ უნდა დაურთოს (სსსკ 103.3).

ამდენად, საქმესთან შემხებლობაში არარსებული მტკიცებულება საქმეში არ უნდა იდოს, რადგან შეფასებას მხოლოდ ის მტკიცებულება ექვემდებარება, რომელიც საქმის ფაქტობრივ გარემოებებს მიემართება. იგივე წესი ვრცელდება კანონდარღვევით მოპოვებული მტკიცებულების მიმართაც, თუმცა, არგუმენტი მასზედ, თუ რატომ არ უნდა იდოს კანონდარღვევით მოპოვებული მტკიცებულება საქმეში, მდგომარეობს იმაში, რომ სასამართლო უკანონო მტკიცებულების ზეგავლენისაგან სრულად გათავისუფლებული იყოს და მან იგი სამართალწარმოების არცერთ ეტაპზე არ უნდა შეაფასოს.

2. მედიაციის არსი

დავების გადაწყვეტის სამი ზოგადი მეთოდია ცნობილი: პირველი, როდესაც დავის გადასაჭრელად მხარეები მიმართავენ ძალას ან ძალაუფლებას - ე.წ. „ძალადობრივი“ მეთოდი. მაგალითად, როდესაც ადამიანები ფიზიკურად უსწორდებიან ერთმანეთს (ჩხუბი, ომი). ამ მეთოდის მთავარი მახასიათებელი ის არის, რომ მხარეები იყენებენ ძალას ან ძალაუფლებას, რათა მიაღწიონ სასურველ შედეგს და/ან აიძულონ მეორე მხარე გააკეთოს ის, რაც არ სურს. მეორე, არის ე.წ. „უფლებრივი“ მეთოდი - როდესაც მოდავე მხარეები მიმართავენ მესამე მხარეს, რათა მან დაა-

დგინოს, ვინ არის „მართალი“ და ვის რისი უფლება აქვს. ამის მაგალითია მიმართვა სასამართლოს ან არბიტრაჟისადმი, რათა მოსამართლემ ან არბიტრმა გადაწყვიტოს, ვის რა ეკუთვნის და მესამე, ე.წ. შეთანხმება ინტერესებზე, ანუ მხარეებზე ორიენტირებული მეთოდი, როდესაც მხარეები ცდილობენ მოლაპარაკების გზით მონახონ გამოსავალი, რომელიც მისაღები იქნება თითოეული მათგანისათვის. ამ მიდგომის მაგალითია ინტერესებზე ორიენტირებული მოლაპარაკება, ან მედიაცია.¹³

მედიაციის, როგორც დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმის, ამოცანაა ერთმანეთთან დაახლოოს არა სამართლებრივი პოზიციები, არამედ მოდავე მხარეთა ინტერესები. მედიაციის ფარგლებში არ განიხილება მტყუანი და მართალი, არ ვლინდება გამარჯვებული და დამარცხებული, არ ხდება წარსულში წამოჭრილი უსიამოვნებების განხილვა და განსჯა. **ნაცვლად ამისა, მედიატორი – ნეიტრალური, დამოუკიდებელი და სათანადო უნარებით აღჭურვილი პირი – ეხმარება მოდავე მხარეებს დიალოგის წარმართვაში და ამ გზით ორივესთვის ოპტიმალური და მისაღები შედეგის ძიებაში.** ამრიგად, მედიაცია არის დავის გადაწყვეტა მხარეთა მორიგების გზით, ანუ პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული საშუალება, რომელიც მოდავე მხარეებს ანიჭებს შესაძლებლობას, თავად განსაზღვრონ საკუთარი ინტერესები, პრიორიტეტები და აღმოფხვრან კონფლიქტი მეორე მხარესთან ურთიერთობის „დენგრევის“ გარეშე.¹⁴

მოლაპარაკების მონაწილე მხარეები ნებაყოფლობით თანხმდებიან მედიაციის პროცესს და შეთანხმებას დამოუკიდებლად აღწევენ, ანუ მათი შეთანხმება მთლიანად თვითპასუხისმგებლობაზეა დამყარებული. მედიაციის პროცესის შედეგად მიღწეული შეთანხმების ნებაყოფლობით შესრულება ხელს უწყობს და ინარჩუნებს იმ სოციალურ ურთიერთობებს, რაც მოდავე მხარეთა შორის არსებობს. ხშირ შემთხვევაში, კანონმდებელი მოსამართლეებს უფლებას აძლევს დაავალოს მხარეებს მედიაციის პროცესში ჩართვა, თუ დავის კატეგორია იძლევა ამის შესაძლებლობას, მაგალითისათვის, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 187³-ე მუხლის მიხედვით, **მხარეთა თანხმობის მიუხედავად**, სასამართლო უფლებამოსილია დავა მედიატორს გადასცეს, თუ დავის კატეგორია სამემკვიდრეო -, სამეზობლო - ან საოჯახო სამართლებრივია (გარდა

¹³ ს.ტყემალაძე, „მედიაცია საქართველოში: ტრადიციიდან თანამედროვეობამდე“, ევროკავშირი საქართველოსთვის, თბილისი, 2016 წ.

¹⁴ „მედიაცია - მოაგვარე დავა შეთანხმებით“, ხელმისაწვდომია: http://www.library.court.ge/upload/mediacia_borchure_9_2013.indd.pdf

იმ შემთხვევებისა, როდესაც დავის საგანი შვილად აყვანა, შვილად აყვანის ბათილად ცნობა, შვილად აყვანის გაუქმება, მშობლის უფლების შეზღუდვა, მშობლის უფლების ჩამორთმევა, აგრეთვე ქალთა მიმართ ძალადობა ან/და ოჯახში ძალადობა) და ა. შ. **ყველა სხვა შემთხვევაში, თუ დავა არ შედის 187³ -ე მუხლის ჩამონათალში, სასამართლოს მიერ დავის მედიაციისათვის გადაცემისათვის აუცილებელია მხარეთა თანხმობა (187³).**

ხშირ შემთხვევაში სასამართლოს მიერ დავის გადაწყვეტას შედეგად არ მოსდევს კონფლიქტის აღმოფხვრა, ვინაიდან სასამართლო **დავის კანონის შესაბამის გადაწყვეტაზეა ორიენტირებული და არა მხარეთა შორის კონფლიქტის აღმოფხვრაზე**, გარდა ამისა, სასამართლო პროცედურა შემდგომში მოითხოვს სასამართლო გადაწყვეტილების იძულებით აღსრულებას. ე.ი. ხდება სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოს ჩარევა ორ მხარეს შორის არსებულ კონფლიქტში. მხარეთა მიმართ ნეიტრალური და დამოუკიდებელი მედიატორის მონაწილეობით დავის მოგვარება კი ეფექტურია, რადგან საშუალებას იძლევა კონფლიქტი გადაწყდეს კომპრომისის საფუძველზე, იძულებისა და სასამართლოში საქმის სანარმოებლად საჭირო თანხისა და დროის ზედმეტად ხარჯვის გარეშე. მედიაციის პროცესი განიხილება, როგორც უფრო მეტად სწრაფი, იაფი და პროცედურულად მარტივი მექანიზმი პრობლემის ეფექტურად გადაწყვეტისთვის.¹⁵

2. კონფიდენციალობის ხარისხი და მნიშვნელობა მედიაციაში

გავრცელებული მოსაზრების თანახმად, მედიაცია დავის გადაწყვეტის სხვა საშუალებებთან შედარებით უფრო იაფი, მოქნილი და ნაკლებად გაჭიანურებული პროცედურაა. მედიაციასთან დაკავშირებით არსებობს საყოველთაო კონსესუსი აღნიშნულ მოსაზრებას მრავალი კონტრაგუმენტის დასახელების შემთხვევაშიც კი, არსებობის უფლება აქვს, **თუმცა, საყოველთაო კონსესუსის თანახმად, კონფიდენციალურობა არის ის მთავარი პრინციპი, რომელიც მედიაციას სხვა დავის გადაწყვეტის მექანიზმებისგან განასხვავებს.**

სწორედ ამგვარ დებულებას ითვალისწინებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 104- მუხლი, კერძოდ, 1¹ - 1² ნაწილების თანახმად,¹⁶ სასამა-

¹⁵ დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ცენტრი, „მედიაციის სამართლებრივი რეგულაციის პერსპექტივები“, 2003 წელი.

¹⁶ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, საქართველოს პარლამენტი 14.11.1997, კონსოლიდირებული ვერსია 22.12.2018

რთლო მტკიცებულებად არ მიიღებს სასამართლო მედიაციის პროცესში კონფიდენციალურობის პირობით გამჟღავნებულ ინფორმაციასა და დოკუმენტს, **თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის დადგენილი.** აღნიშნული წესი არ გამოიყენება, თუ სასამართლო მედიაციის პროცესში კონფიდენციალურობის პირობით გამჟღავნებულ ინფორმაციასა და დოკუმენტს სასამართლოში წარადგენს **ის მხარე, რომელმაც გაამჟღავნა იგი, ან თუ ეს ინფორმაცია ან/და დოკუმენტი მეორე მხარეს ჰქონდა ან კანონით გათვალისწინებული სხვა საშუალებებით მიიღო და წარადგინა სასამართლოში.**

რა თქმა უნდა, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ არის ის ერთადერთი სამართლებრივი ინსტრუმენტი, რომელიც მედიაციის პროცესში მოქმედ კონფიდენციალურობის პრინციპზე საუბრობს, ამგვარი რეგულაციები არსებობს ასევე, საერთაშორისო დონეზეც, მაგალითად, მედიაციის უნიფიცირებული აქტი (**Uniform Mediation Act (UMA)**) განსაზღვრავს, რომ ინფორმაციის თავისუფლად გაცვლა და მონაცემთა ლიაობა იმ შემთხვევაში მიიღწევა მხარეთა შორის, თუ მხარეებმა იცინან, რომ მათ მიერ გამხელილი ინფორმაცია შემდგომში სასამართლო ან სხვა სახის წარმოებაში ზიანის მიყენების მიზნით არ იქნება გამოყენებული.¹⁷ **ევროკავშირის დირექტივის თანახმად**, მხარეებს და, მათ შორის, მედიატორსაც მოეთხოვება კონფიდენციალურობის დაცვა და **ეკრძალება მედიაციის პროცესში მიღებული ინფორმაციის სასამართლოში მტკიცებულებად გამოყენება. სწორედ ამ პრინციპს ეხმაურება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დანაწესი იმის შესახებ, რომ საქმიდან მოსამართლის უპირობო აცილების საფუძველია ამავე საქმეში მოსამართლის მედიატორად მონაწილეობა (31.1, „ე“).**¹⁸ თუმცა, საერთაშორისოდ აღიარებული პრაქტიკით, კონფიდენციალურობის პრინციპის დაცვა გაუმართლებელია იმ შემთხვევაში, როცა საფრთხე ექმნება საჯარო წესრიგს, ბავშვის უპირატეს ინტერესებს, ან თუ კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნებლობა საფრთხის ქვეშ აყენებს ადამიანის ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ხელშეუხებლობას. ასევე, კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნება იმ შემთხვევაშიცაა გამართლებული თუ, ეს აუცილებელია მედიაციის პროცესის შედეგად მიღებული შეთანხმების აღსრულებისთვის.¹⁹ თითქმის ანალოგიურ საკანონმდებლო

¹⁷ *Uniform Mediation Act (UMA), 2003 წლის 10 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: <https://www.scmmediation.org/wp-content/uploads/2016/03/UMA.pdf>.*

¹⁸ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, საქართველოს პარლამენტი 14.11.1997, კონსოლიდირებული ვერსია 22.12.2018

¹⁹ ევროპის პარლამენტის 2008 წლის 31 მაისის დირექტივა *Directive 2008/52/EC*.

დათქმას შეიცავს დავის მორიგებით დასრულების უნიფიცირებული წესების (**UNCITRAL CONCILIATION RULES**) მე-9 და მე-14 მუხლები, რომელთა თანახმად, კონფიდენციალურობის პრინციპის დაუცველობა გამართლებულია იმ შემთხვევაში, თუ ის აუცილებელია მედიაციის პროცესის შედეგად მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებისთვის. ამავე სამართლებრივი ინსტრუმენტის თანახმად, კონფიდენციალურობის პრინციპის დარღვევა ასევე გამართლებულია, თუ კი ეს აუცილებელია ადამიანის ჯანმრთელობის შენარჩუნებისა და სიცოცხლის გადასარჩენად. კონფიდენციალურობის პრინციპის დარღვევა იმ შემთხვევაშიცაა გამართლებული, თუ მედიაციის პროცესში გამოვლინდა ისეთი ფაქტები, რაც სისხლის სამართლებრივი დანაშაულის შესახებ ინფორმაციას ასახავს. ამასთან, თუ მხარე, ან მედიატორი, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, დაარღვევს კონფიდენციალურობის პრინციპს, მას სამოქალაქო ან/და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს.²⁰ აშშ-ში მხარეს არ აქვს უფლება თვითონ მოითხოვოს სასამართლოში მედიაციის კონფიდენციალურობის დაცვა, თუ მანამდე ეს ვალდებულება თვითონ დაარღვია.²¹

მედიაციის პროცესში კონფიდენციალურობის ხარისხთან მიმართებით ამოსავალია ის, რომ **მხარეები ინფორმირებულნი უნდა იყვნენ იმის შესახებ, თუ რა ინფორმაცია იქნება კონფიდენციალურობის პრინციპით დაცული მედიაციის პროცესის მიმდინარეობისას.** თუკი მხარეთა წარმომადგენლები (ადვოკატები) ჩათვლიან, რომ ინფორმაციის გარკვეული ნაწილის გაუმჟღავნებლობა საჭიროა საქმისთვის, მაშინ ისინი ვალდებულნი არიან ამის შესახებ გააფრთხილონ მხარეები.²²

აშშ-ში მედიაციის კონფიდენციალურობის დეტალურ სამართლებრივ რეგულირებას გვთავაზობს კალიფორნიის შტატის სამართალი. ნიშანდობლივია, რომ კალიფორნიის სამართალი იცნობს კონფიდენციალურობის პრინციპიდან გარკვეული სახის გამონაკლისებს, რომელთა შეფასების შემდეგ შეიძლება ისიც კი ითქვას, რომ აბსოლუტური კონფიდენ-

²⁰ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოდელური კანონი საერთაშორისო კომერციული მედიაციის შესახებ, 2004 წელი (*UNCITRAL Model Law on international Commercial Conciliation with Guide to Enactment and Use 2002. United Nations, New York, 2004*).

²¹ გიორგი ცერცვაძე, „მედიაცია დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა (ზოგადი მიმოხილვა)“ თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტი, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მეტოდების სამეცნიერო - კვლევითი ინსტიტუტი, თბილისი, 2010 წელი.

²² დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ცენტრი, „მედიაციის სამართლებრივი რეგულაციის პერსპექტივები“, 2003 წელი. Alan, Scott, Rau; Enward, F. Sherman; Scott, Peppet; *Processes of dispute resolution the role of lawyers, fourth edition, 2006.*

ნციალურობა, გარკვეულ შემთხვევებში, დაუშვებელია. ბოლო დროს კალიფორნიის უზენაესი სასამართლოს მიერ განხილული საქმეებიდან შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ მედიაციის კონფიდენციალურობა ყურადღების მიღმა რჩებოდა. მედიაციის პროცესის კონფიდენციალურობა, ერთი მხრივ, სასარგებლოა თავად პროცესისთვის და, მეორე მხრივ, გარკვეულ რისკებსაც შეიცავს იმ თვალსაზრისით, რომ შესაძლოა მხარემ ეს ბოროტად გამოიყენოს.²³

კონფიდენციალურობა, როგორც ინსტიტუტი, სასარგებლო და საინტერესოა მხარეებისთვის, რომელთაც არ სურთ ოჯახის წევრებთან, თანამშრომლებთან თუ პარტნიორებთან არსებული კონფლიქტის საჯარო სივრცეში (სასამართლოში) გატანა. კონფიდენციალურობის დაცვის საკითხი ასევე დიდ გავლენას ახდენს მედიაციის პროცესში შემოქმედებითი გამოსავლის პოვნაზე, აქედან გამომდინარე, მხარეთა რეალური საჭიროებების გაგების მიზნით, სასამართლო მედიაციის ეფექტურად წარმართვისთვის მნიშვნელოვანია, რომ მედიატორს ჰქონდეს შესაძლებლობა შეაგროვოს ყოველგვარი ინფორმაცია, მათ შორის, კონფიდენციალური. საპირისპიროდ, თუ სასამართლო სისტემა ვერ უზრუნველყოფს კონფიდენციალური ინფორმაციის გავრცელების სათანადო დაცვას, ის შესაძლოა, მნიშვნელოვანი ზიანის მომტანი გახდეს მხარეებისთვის. კონფიდენციალური ინფორმაციის სათანადო გარანტიების გარეშე, როგორც წესი, მედიაციის პროცესში მხარეები, მისი გავრცელების შიშით, მათთვის სენსიტიურ ინფორმაციას არ ამხელენ, შესაბამისად, შეუძლებელი ხდება სადავო საკითხთან დაკავშირებით მთლიანი სურათის აღქმა. სწორედ ამიტომ, კონფიდენციალობის დაცვა მედიაციის პროცესის ერთ-ერთი მთავარი საყრდენია და მისი დაცვის უზრუნველყოფის გარეშე მედიაციის ჯეროვანი პროცესის ჩატარება წარმოუდგენელია.²⁴

საინტერესოა, რომ განსხვავებით გერმანიისა (მედიაციის აქტის მე-4 მუხლის მიხედვით, გამონაკლის შემთხვევებში, შეიძლება კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულებისგან მედიატორის გათავისუფლება, კერძოდ, ეს დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ინფორმაციის გახსნა აუცილებელია მორიგების აღსრულების ან საჯარო წესრიგის დასაცავად) და აშშ-ს ზოგიერთი შტატისა (ვისკონსის შტატის კანონმდებლობით, მედიატორებს კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნების

²³ დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ცენტრი, „მედიაციის სამართლებრივი რეგულაციის პერსპექტივები“, 2003 წელი. Cassandra, Franklin; *Mediation's Confidentiality Controversy*, 25.10.2012.

²⁴ ა.წულაძე, „სასამართლო მედიაციის კონცეპტუალური ხედვა“, *სამართლის ჟურნალი N1*, 2016 წ.

უფლებას დახურულ სასამართლო სხდომაზე აძლევს იმ შემთხვევაში, თუ მედიაციის პროცესზე გამხელილ ინფორმაციის კონფიდენციალურად შენახვა აშკარად უკანონობაა) **საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი მედიაციის პროცესში დაცული კონფიდენციალურობის პრინციპის გამჟღავნების არცერთ შემთხვევას არ ითვალისწინებს**, რაც „გარკვეულწილად“ (მხოლოდ იმ ნაწილში, რომ დირექტივა ეგრეთწოდებული **Soft law**-ა, იგი მინიმალური დაცვის სტანდარტებს ადგენს და სახელმწიფოებს ამ სტანდარტების მაქსიმუმის დაწესება შეუძლიათ) თანხვედრაშია, ასევე „სამოქალაქო და კომერციულ საქმეებზე მედიაციის გარკვეული ასპექტების შესახებ“ ევროპულ დირექტივასთანაც, კერძოდ, მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ დირექტივის პრეამბულასა და ტექსტში ხაზი აქვს გასმული კონფიდენციალურობის მნიშვნელობას მედიაციის პროცესისთვის, აქტის მე-7 მუხლის პირველი პუნქტი ითვალისწინებს მისგან გამონაკლის შემთხვევებსაც - თუ კონფიდენციალური ინფორმაცია ქვეყნის საჯარო წესრიგს, კონკრეტულად კი, ბავშვის ინტერესებს ან მორიგების აღსრულებას შეეხება. თუმცა, იმავე მუხლის მეორე პუნქტი ხელშემკვრელ სახელმწიფოებს ანიჭებს უფლებამოსილებას, მიიღონ კიდევ უფრო მკაცრი წესები კონფიდენციალობის დასაცავად, ვიდრე ეს დირექტივითაა განმტკიცებული.²⁵ ამ მიმართებით „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის დანაწესები კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულებასა და მისგან დაშვებული გამონაკლისების თაობაზე სრულ შესაბამისობაშია ზემოგანხილულ საერთაშორისო სტანდარტებთან.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს საკანონმდებლო რეალობა ასეთია: სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 187⁸-ე მუხლის თანახმად, სასამართლო მედიაციის პროცესი კონფიდენციალურია. მედიატორს არ აქვს უფლება, გაამჟღავნოს ის ინფორმაცია, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა მედიატორის მოვალეობის შესრულებისას, **თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის დადგენილი**. მხარეს (წარმომადგენელს) არ აქვს უფლება, გაახმაუროს ის ინფორმაცია, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა სასამართლო მედიაციის პროცესში კონფიდენციალურობის პირობით, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის დადგენილი, ხოლო, ამავე კოდექსის 141-ე მუხლის თანახმად, **მედიატორი - ისეთ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლებიც მისთვის ცნობილი გახდა მედიატორის მოვალეობის შესრულებისას, არ შეიძლება**

²⁵ ა.ნულაძე, „სასამართლო მედიაციის კონცეპტუალური ხედვა“, სამართლის ჟურნალი N1, 2016 წ.

სასამართლო პროცესზე მონმედ იქნეს დაკითხული. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 104-ე მუხლის მიხედვით კი, როდესაც საქმის მასალებში არსებობს მედიაციის პროცესში მოპოვებული მტკიცებულება ანდა მხარე ამგვარი მტკიცებულების დართვის თაობაზე შუამდგომლობს, სასამართლომ არ უნდა დაუშვას ამგვარი მტკიცებულება, ხოლო სარჩელსა, თუ შესაგებებელზე დართული მტკიცებულება საქმიდან უნდა ამოიღოს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც, მხარეთა შორის არსებობდა შეთანხმება მითითებული ინფორმაციის გამჟღავნების თაობაზე, ან სასამართლოში აღნიშნული ინფორმაცია, მტკიცებულების სახით იმ მხარემ წარადგინა, რომელმაც აღნიშნული ინფორმაცია მედიაციის პროცესში თავად წარადგინა. მართალია, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 104-ე მუხლი მითითებას არ აკეთებს, თუმცა, სასამართლომ მედიაციის პროცესში გამჟღავნებული ინფორმაციის კონფიდენციალობის შეფასებისა და მისი, როგორც დასაშვებ მტკიცებულებად მიჩნევის მიზნებისათვის, მხედველობაში უნდა მიიღოს ასევე ის გამონაკლისები, რომელსაც „მედიაციის შესახებ“ კანონი ითვალისწინებს და კანონით გათვალისწინებული წინაპირობების არსებობისას დასაშვებ მტკიცებულებად განიხილოს.

4. განჩინების გასაჩივრების წესი

მტკიცებულებათა მიუღებლობის, მათ გამოთხოვაზე უარის თქმის ან საქმიდან მათი ამოღების შესახებ სასამართლოს გამოაქვს განჩინება, რომელიც ცალკე არ გასაჩივრდება (სსსკ 104.2). განჩინება სასამართლოს სხდომაზე, მხარეთა მოსაზრებების მოსმენის შედეგად გამოაქვს, შესაბამისად, სასამართლომ საოქმო განჩინებაში უნდა ასახოს არგუმენტები, თუ რატომ არ მიიღო მტკიცებულება, რატომ არ გამოითხოვა იგი ან რატომ ამოიღო საქმის მასალებიდან. მართალია, მითითებული საოქმო განჩინება ცალკე არ საჩივრდება, თუმცა, აღნიშნული არ ნიშნავს იმას, რომ მხარე, რომელიც საოქმო განჩინებას არ ეთანხმება, არ აქვს უფლება მისი მართლზომიერება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობის საგნად აქციოს. ნიშანდობლივია აღინიშნოს, რომ იმ შემთხვევებში, როდესაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსი შეიცავს დათქმას მასზედ, რომ **განჩინება ცალკე არ საჩივრდება, მითითებული განჩინებები ძირითად გადაწყვეტილებასთან ერთად გასაჩივრებას ექვემდებარება.** აღნიშნული დანაწესის შემცველია 377-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც, სააპელაციო სასამართლოს განხილვის საგანი შეი-

ძლება იყოს აგრეთვე სასამართლოს ის განჩინებები, რომლებიც გამოტანილია საქმის პირველ ინსტანციაში განხილვასთან დაკავშირებით და რომლებიც წინ უსწრებს სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანას, იმისგან დამოუკიდებლად, დასაშვებია, თუ არა მათ მიმართ კერძო საჩივრის წარდგენა (სსსკ 377.3). იგივე წესი ვრცელდება სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილ შუალედურ (საოქმო) განჩინებებზე, კერძოდ, საკასაციო სასამართლოს განხილვის საგანი შეიძლება იყოს აგრეთვე სასამართლოს ის განჩინებები, რომლებიც წინ უსწრებს სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებას, იმისგან დამოუკიდებლად, დასაშვებია თუ არა მათ მიმართ კერძო საჩივრის შეტანა (სსსკ 404.2). იმისათვის, რომ განჩინება მტკიცებულებების დართვაზე უარის ან მათი საქმიდან ამოღების თაობაზე ზემდგომი ინსტანციის განხილვის საგანი გახდეს, **აუცილებელია ზემდგომ ინსტანციაში შემაჯამებელი გადაწყვეტილება გასაჩივრდეს**. შემაჯამებელი გადაწყვეტილების გასაჩივრებაზე უფლებამოსილი პირი კი ის მხარეა, რომლის წინააღმდეგაც იქნა გადაწყვეტილება გამოტანილი²⁶. შესაბამისად, ის, ვინც შემაჯამებელ გადაწყვეტილებას ასაჩივრებს, უფლებამოსილია წინმსწრები შუალედური განჩინებებიც გაასაჩივროს, თუმცა, ამის თაობაზე სააპელაციო ანდა საკასაციო საჩივარში სახელდებით უნდა მიუთითოს.

²⁶ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 20.07.2015 განჩინება, საქმეზე ას-355-337-2015

მუხლი 105. მტკიცებულებათა შეფასება

1. სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა.

2. სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ.

3. მოსაზრებები, რომლებიც საფუძვლად უდევს სასამართლოს შინაგან რწმენას, უნდა აისახოს გადანყვეტილებაში.

უღრის ჰაბენლონი.....	481
105-ე მუხლი.....	481
ქეთევან მისხიშვილი	539
105-ე მუხლი.....	539

უღრის ჰაბენლონი

105-ე მუხლი

სსკ-დან მოყვანილი ნორმები:

- 105-ე მუხლი
- 128-ე მუხლი, ა. ნ. 64
- 131-ე მუხლი, ა. ნ. 96 და მომდევნო აბზაცები
- 134-ე მუხლი, ა. ნ. 79 და მომდევნო აბზაცები
- 140-ე მუხლი, ა. ნ. 19, 27 და მომდევნო აბზაცები; და 41, 48 და მომდევნო აბზაცები
- 162-ე მუხლი, ა. ნ. 28, 40 და მომდევნო აბზაცები

ფაქტობრივი საფუძვლები, მტკიცებულებების შეფასება, უარი სარჩელის მიღებაზე დაგვიანების გამო

I.

1. მტკიცებულებების შეფასებას ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს სასამართლო პრაქტიკისთვის. სასამართლო პროცესის უდიდესი წილი წყდება მტკიცებულებათა შეფასებისა და მტკიცების ტვირთის დონეზე.

ამასთან, მტკიცებულებების შეფასებასთან დაკავშირებულ კითხვებზე პასუხების პოვნა, ხშირად, უფრო რთულია, ვიდრე სამართლებრივ კითხვებზე, რომლებზეც, ერთხელ გააზრების შემდეგ, უმეტეს შემთხვევაში ცალსახა პასუხები არსებობს.

2. გარდა ამისა, მტკიცებულებების შეფასების ასპექტები ძალიან მნიშვნელოვანია სასამართლო გადაწყვეტილებათა მისაღებობისა და, ამით, მართლმსაჯულების მიმართ მოსახლეობის ნდობისთვის. პროცესის იურიდიული განათლების არმქონე მონაწილეები, როგორც წესი, უპრობლემოდ ვერ პასუხობენ კითხვაზე, თუ რამდენად შეესაბამება სასამართლოს სამართლებრივი სტანდარტები კანონის მოთხოვნებს ან უმაღლესი სასამართლოს პრაქტიკას; თუმცა, იმის შეფასება, თუ რამდენად დამაჯერებელი იყო მოსამართლის მიერ მტკიცებულებების შეფასებისას გათვალისწინებული ასპექტები, მათთვის ბევრად მარტივია. ამიტომაც, მტკიცებულებების ზუსტ შეფასებაზე, რომელიც არ შეიცავს უსარგებლო გადახვევებს და, შეძლებისდაგვარად, კონცენტრირებულია შესაბამისი პროცესის მხოლოდ კონკრეტულ მონაცემებზე, მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ის, თუ რამდენად კარგად გაიგებენ პროცესის მონაწილეები სასამართლოს გადაწყვეტილებას. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მტკიცების ტვირთთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებისას, როცა ისინი შაბლონურად კი არ არის ფორმულირებული, არამედ ზუსტად წარმოაჩენს, რა მეტყველებს წარმოდგენილი გარემოებების სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ და, საბოლოო ჯამში, რატომ არ არის სასამართლოსთვის დამაჯერებელი ან ერთის მართებულობა და ან მეორის.

II.

3. გერმანულ სამოქალაქო საპროცესო სამართალში, ისევე როგორც ქართულში, მოქმედებს **მტკიცებულებათა თავისუფალი შეფასების პრინციპი**. მთავარი საპროცესო-სამართლებრივი ნორმა - არსობრივად, ქართული სსკ-ს 105-ე მუხლის მსგავსად - შემდეგნაირად ჟღერს:

§ 286 GER-ZPO - მტკიცებულებათა თავისუფალი შეფასება

(1) სასამართლომ, საქმის განხილვის მთელი შინაარსისა და შეგროვებული მტკიცებულებების შედეგის გათვალისწინებით, თავისუფალი რწმენის საფუძველზე უნდა გადაწყვიტოს, მართალია თუ არა, გარკვეული ფაქტობრივი მტკიცება. გადაწყვეტილებაში წარმოდგენილი უნდა იყოს საფუძვლები, რომლებმაც გავლენა იქონია მოსამართლის რწმენის ჩამოყალიბებაზე.

(2) კანონით გათვალისწინებული მტკიცებულების წესები სასამართლოსთვის სავალდებულოა მხოლოდ ამ კანონით დადგენილ შემთხვევებში.

4. მოსამართლის რწმენის ჩამოყალიბება, საბოლოო ჯამში, არის ნების ჩამოყალიბების შინაგანი აქტი და, ამდენად, ინდივიდუალური პროცესი. თუმცა, სასამართლოს ფუნქციიდან (გადანყვეტილების მიღება) გამომდინარე, ნების ჩამოყალიბების ეს აქტი მკაცრად სავალდებულოა იმიტომ, რომ აღნიშნული ფუნქცია კანონით დადგენილი პროცედურის ფარგლებში განხორციელდეს. ნების ჩამოყალიბების ამ სამართლებრივი ბოჭვის კონტროლს (ისევე, როგორც მოსამართლის თვითკრიტიკულ ანალიზს) ემსახურება სასამართლოს ვალდებულება, რომ გადანყვეტილების საფუძვლებში მოსამართლის ნების ჩამოყალიბებაზე გავლენის მქონე ასპექტები სათითაოდ და გამჭვირვალედ ასახოს და შეძლებისდაგვარად რაციონალურად შეაფასოს იურიდიული კუთხით.

5. ნების შინაგანი ჩამოყალიბების ამ აქტის სავალდებულობა, პროცესუალური სამართლის თვალსაზრისით, მრავალმხრივ არის უზრუნველყოფილი. პირველ რიგში, მოსამართლეს თავისი რწმენის ჩამოყალიბებისას უფლება აქვს, გამოიყენოს მხოლოდ ის პროცესუალური მასალა, რომელიც მითითების ტვირთის მატარებელმა მხარემ კვალიფიციურად წარმოადგინა სასამართლო დავაში. მხარეთა მხოლოდ ასეთი დონის კვალიფიციურ ახსნა-განმარტებებთან მიმართებით, მას ასევე აქვს მტკიცებულებების შეგროვებისა და შეფასების უფლება. გარდა ამისა, მოსამართლე, საპროცესო სამართლით, ვალდებულია, რომ შეაფასოს გადანყვეტილების მისაღებად მნიშვნელოვანი მთელი (საკმარისად კვალიფიციურად წარმოდგენილი) პროცესუალური მასალა; მას არ აქვს მტკიცებულებათა შეგროვების სავარაუდო შედეგების პროგნოზირების უფლება, მტკიცებულებების შეფასება კი უნდა იყოს შეძლებისდაგვარად რაციონალური და, რაც მთავარია, ითვალისწინებდეს ლოგიკისა და ცხოვრებისეული გამოცდილების ასპექტებს, ისევე, როგორც მტკიცების ტვირთსა და მის შემსუბუქებასთან დაკავშირებით განვითარებულ სამართლებრივ პრინციპებს. მოსამართლის რწმენა უნდა ჩამოყალიბდეს ყველა მნიშვნელოვანი ასპექტის, მათ შორის, მტკიცებულებითი ფაქტების ერთიანი შეფასებით. მოსამართლის რწმენის ჩამოყალიბებისთვის აუცილებელი ალბათობის ხარისხი დადგენილია მართლწესრიგით. და ბოლოს, მთელი ეს რთული პროცესი გამჭვირვალედ და გასაგებად უნდა აისახოს სასამართლო გადანყვეტილების საფუძვლებში.

6. ა) ფაქტობრივი არგუმენტის გათვალისწინებისთვის ძირითადი წინაპირობაა ის, რომ განმარტების ვალდებულების მქონე შესაბამისმა მხარემ **საკმარისად კვალიფიციურად** წარმოადგინოს სამართლებრივ დავაში. თუ გარემოებები, რომლებზეც მხარე ამყარებს თავის მოთხოვნებს, არ არის კვალიფიციური (გამყარებული ფაქტებით), მოსამართლეს არ აქვს მათი გამოკვლევის უფლება. თუმცა, პროცესუალურ-სამართლებრივად ის შეიძლება ვალდებული იყოს, რომ ამ მტკიცებულების

გაუთვალისწინებლად გადაწყვეტილების გამოტანამდე, მიუთითოს მხარეს კვალიფიციურობის ხარვეზზე (იხ. ზემოთ მე-4 მუხლი, ა.ნ.13 და მომდევნო აბზაცები).

7. აა) სასამართლო გადაწყვეტილებებში და, განსაკუთრებით, ადვოკატის მიერ შედგენილ დოკუმენტებში, ხშირად საუბარია იმაზე, რომ გარკვეული საპროცესო მტკიცება არაარსებითია, რადგან **მხოლოდ ვარაუდებზეა (“ins Blaue” aufgestellt) დაფუძნებული**. ამით, აღნიშნულ საქმეში იგულისხმება, რომ მხარის მტკიცება წარმოდგენილია საკმარისი საფუძვლის გარეშე, ვარაუდზე დაყრდნობით, ამიტომ იგი - ჩვენების მიცემისას სიმართლის თქმის საპროცესო ვალდებულების დარღვევის ზღვარზე (იხ. ზემოთ მე-3 მუხლის პირველი ნაწილი, ა. ნ. 16) მყოფი თვითნებური ქცევის გამო - უფლების ბოროტად გამოყენებაა.

8. თუმცა, უფლების ასეთი ბოროტად გამოყენება მხოლოდ ძალიან მოკრძალებულად არის შესაძლებელი (BGH, Urteil vom 08.05.2012 - XI ZR 262/10 - BGHZ 193, 159; BGH, Urteil vom 19.10.2017 - III ZR 585/16 - NJW-RR 2017, 1520; BGH, Urteil vom 22.12.2015 - VI ZR 134/14 - juris). უმაღლესი ფედერალური სასამართლო სწორად მიუთითებს, რომ მხარეს უფლება აქვს, ამტკიცოს ფაქტები, რომელთა შესახებ მისთვის ზუსტად არ არის ცნობილი, მაგრამ, მეორე მხრივ, საქმის ვითარებიდან გამომდინარე, მათი სავარაუდოდ მიჩნევის უფლება აქვს (BGH, Urteil vom 08.05.2012 - XI ZR 262/10 - BGHZ 193, 159; BGH, Urteil vom 21.06.2018 - IX 129/17 - NJW-RR 2018, 1150, auszugsweise abgedruckt unter Rn. 19b; BGH, Urteil vom 19.10.2017 - III ZR 585/16 - NJW-RR 2017, 1520; BGH, Urteil vom 22.12.2015 - VI ZR 134/14 - juris; BGH, Urteil vom 24.06.2014 - VI ZR 560/13 - WM 2014, 1470). ამიტომ, ისეთი ფაქტის მტკიცება, რომელიც სარწმუნოდ არ არის ცნობილი, მხოლოდ მაშინ იქცევა უფლების ბოროტად გამოყენებად, როდესაც ერთი მხარე, მიუხედავად მტკიცებულების არარსებობისა, გარკვეულ გარემოებას თვითნებურად და „ალაღბედზე“ ამტკიცებს (BGH, Urteil vom 22.01.2016 - V ZR 27/14 - BGHZ 208, 316; BGH, Urteil vom 04.10.2018 - III ZR 213/17 - WM 2018, 217; BGH, Urteil vom 21.06.2018 - IX 129/17 - NJW-RR 2018, 1150, auszugsweise abgedruckt unter Rn. 19b; BGH, Urteil vom 19.10.2017 - III ZR 565/16 - NJW-RR 2017, 1520; BGH, Beschluss vom 12.06.2008 - V ZR 223/07 - juris, auszugsweise abgedruckt unter Rn. 21).

9. ამიტომ, არ არის გასაკვირი, რომ უმაღლესმა ფედერალურმა სასამართლომ თითქმის ყველა გადაწყვეტილება გააუქმა, სადაც მხარის ახსნა-განმარტება, სავარაუდოდ, მხოლოდ ვარაუდებზე დაყრდნობით გაკეთებული საპროცესო მტკიცებების გამო, ქვედა ინსტანციის სასამართლომ არ გაითვალისწინა.

10. ბბ) საკმარისად კვალიფიციურად და არაკვალიფიციურად წარმოდგენილი საქმის გარემოებების გამიჯვნა გერმანიაში მნიშვნელოვანი პრაქტიკული სირთულეა. უმაღლესი ფედერალური სასამართლო ხე-

ლმძღვანელობს ქვემოთ წარმოდგენილი პრინციპებით, რომლებიც, რა თქმა უნდა, არ ათავისუფლებს მოსამართლეს ვალდებულებისგან, რომ ცალკეულ შემთხვევაში „რეალისტურად“ მიიღოს გადაწყვეტილება სწორი დონის შესარჩევად.

11. მხარე აკმაყოფილებს მითითების ტვირთს, თუ წარმოადგენს ფაქტებს, რომლებიც სამართლებრივ ნორმასთან კავშირში გამოსადეგია იმისათვის, რომ უფლება, რომელსაც ახორციელებს, წარმოჩნდეს, როგორც მისი პიროვნებისთვის წარმოშობილი. (BGH, Urteil vom 04.10.2018 - III ZR 213/17 - WM 2018, 217; BGH, Beschluss vom 25.09.2018 - VI ZR 234/17 - juris; BGH, Urteil vom 21.06.2018 - IX 129/17 - NJW-RR 2018, 1150, auszugsweise abgedruckt unter Rn. 19b; BGH, Urteil vom 06.12.2017 - VIII ZR 219/16 – NJW-RR 2018, 822; BGH, Urteil vom 19.10.2017 - III ZR 565/16 - NJW-RR 2017, 1520). ამდენად, სასამართლომ მხარის მიერ წარმოდგენილი ახსნა-განმარტებების საფუძველზე უნდა შეძლოს იმის შეფასება, დაკმაყოფილებულია თუ არა ნორმის დისპოზიციური წინაპირობები გარკვეული სამართლებრივი შედეგის დადგომისთვის. თუ მხარის მტკიცება აკმაყოფილებს ამ მოთხოვნებს, სხვა დეტალების წარმოდგენა, როგორცაა, მაგალითად, კონკრეტული მოვლენების ზუსტ მომენტსა და განვითარებასთან დაკავშირებული დეტალები, მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს მოთხოვნილი, როდესაც ეს კონკრეტული პროცესისთვის მნიშვნელოვანია. სხვა შემთხვევაში, მოსამართლემ მხარის მიერ წარმოდგენილი გარემოებები საკმარისად კვალიფიციურად უნდა მიიჩნიოს და, საჭიროების შემთხვევაში, გამოკითხოს მხარეები ან/და მოწმეები მტკიცებულებათა შეგროვების ფარგლებში, კერძოდ, იმ დეტალებზე, რომლებიც, მისი აზრით, აუცილებელია წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობაში დასარწმუნებლად ((BGH, Urteil vom 21.06.2018 - IX 129/17 - NJW-RR 2018, 1150, auszugsweise abgedruckt unter Rn. 19b; BGH, Urteil vom 19.10.2017 - III ZR 565/16 – NJWRR 2017, 1520; BGH, Beschluss vom 12.06.2008 - V ZR 223/07 - juris, auszugsweise abgedruckt unter Rn. 21). პირიქით თუ შევხედავთ, ეს ნიშნავს, რომ წარმოდგენილი ფაქტები მხოლოდ მაშინ არის არაკვალიფიციური, როდესაც მათი სამართლებრივი მნიშვნელობის შეფასება შეუძლებელია. ამასთან, გარკვეული კონტროლის სახით, აქ შეიძლება განხილვა: რამდენად შესაძლებელს ხდის გადმოცემის ტვირთის მატარებელი მხარის ფაქტობრივი არგუმენტი მოწინააღმდეგე მხარისთვის, რომ მან, თავის მხრივ, კვალიფიციურად წარდგენილი შესაგებლით მოახდინოს რეაგირება; ან ხომ არ მოუწია პროცესის მოწინააღმდეგე მხარეს გადმოცემის ტვირთის მატარებელი მხარის დეფიციტური არგუმენტის გამო „ბრმად“ (ფაქტების გარეშე) მოქმედება.

11 ა. გარკვეული მასშტაბით დასაშვებია თანდართულ დოკუმენტებსა თუ გადაწყვეტილებებზე მითითება მხარის მიერ წარმოდგენილი ფაქტების დაკონკრეტების მიზნით. **სისხლის სამართლის საქმეზე გამო-**

ტანილ განაჩენზე მითითების შესახებ, უმაღლესი ფედერალური სასამართლო (Beschluss vom 25.09.2018 - VI ZR 443/16- juris) განმარტავს:

11 ბ. „დაშვებაზე უარის გამო შეტანილ საჩივარში მართებულად არის გამოთქმული პრეტენზია, რომ სააპელაციო სასამართლომ ამ განმარტებებით ზედმეტად დიდი მნიშვნელობა მიანიჭა მოთხოვნებს სისხლის სამართლის პროცესში მიღებული და მოსარჩელის მიერ მითითების სახით გამოყენებული მტკიცებების ეფექტიანი შედავების მიმართ და ამით დაარღვია მოპასუხის სასამართლო მოსმენის უფლება, **Art. 103 Abs. 1 GG-ს** მიხედვით (შდრ. ეფექტიანი შედავების მიმართ გამოსაყენებელი კვალიფიციურობის მოთხოვნებისათვის ზედმეტად დიდი მნიშვნელობის მინიჭება, როგორც სასამართლოს მოსმენის უფლების დარღვევა: **BGH NJW-RR 2014, 830**).

a) თუმცა, სწორად არის აღნიშნული, რომ მოთხოვნის უფლების განმხორციელებელ პირს სამოქალაქო პროცესში თავისი მოთხოვნის ნათლად გადმოცემა შეუძლია დანართის სახით წარმოდგენილ, დანვრილებით დასაბუთებულ, კანონიერ ძალაში შესულ (სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილ) განაჩენზე კონკრეტული მითითების გზით. ზოგადი პრინციპების თანახმად, ამით იზრდება მონინალმდევე მხარის მითითების ტვირთი (...). მაგრამ, ჯერ მხოლოდ სააპელაციო სასამართლოს დაშვება, რომ ასეთ შემთხვევაში აუცილებელია განაჩენში გადმოცემული შინაარსის სიმეტრიულად საქმის სრული გარემოებების დამოუკიდებლად ასახვა, არ არის სწორი. განაჩენის წარმოდგენის შემთხვევაშიც შეუძლია მოპასუხეს, რომ შემოიფარგლოს ცალკეული, მოსარჩელის მიერ განხორციელებული მოთხოვნის გამამყარებელი მტკიცებების ამოკრებით და მათი შეცილებით. საქმის მთელმა გარემოებებმა, რომლებიც არ ყოფილა წარმოდგენილი, შეიძლება მოიპოვოს მნიშვნელობა თავად სამოქალაქო სასამართლოს მიერ მტკიცებულებათა შეფასების ფარგლებში; საქმარისად კვალიფიციური შედავების არსებობისთვის ის არ არის მნიშვნელოვანი.

b) თუ მოთხოვნის უფლების მონინალმდევე მხარის შედავების ნამდვილობა ასეთ შემთხვევაში დამოკიდებული არ არის იმაზე, დაურთავს თუ არა იგი მოთხოვნის უფლების განმხორციელებელი პირის მიერ გამოყენებულ დამოუკიდებელ სისხლისსამართლებრივ დასკვნებს საქმის სრული გარემოებების სიმეტრიულ აღწერას, დავის შემთხვევაში შესაძლებელია, რომ სააპელაციო სასამართლოს ვარაუდის მიუხედავად, არ დავეყრდნოთ იმას, რომ მოპასუხემ მოტყუების მიმართ - რაც სააპელაციო სასამართლოს მიერ [§ 823 Abs. 2 BGB-სა და § 263 StGB-დან (ერთობლიობაში) გამომდინარე] მოთხოვნის უფლების დადასტურების აუცილებელი წინაპირობაა - ეფექტიანად არ განახორციელა შეცილება.

შემდგომი პროცედურისთვის გადაწყვეტილების მიმღები სენატი მიუთითებს იმაზე, რომ საქმის განმხილველ მოსამართლეს ... არ ეკრძალება, თავისი რწმენა, § 286 ZPO-ის გაგებით, დააფუძნოს მხარის ქცევასა და გამონათქვამებს წინა სისხლისსამართლებრივ წარმოებაში, აგრე-

თვე საკუთარ სისხლისსამართლებრივ დასკვნებს. თუმცა, ამ შემთხვევაშიც გაუმართლებელია, თუ არ იქნება გათვალისწინებული საპირისპირო მტკიცებულების სახით შემოთავაზებული მნიშვნელოვანი მტკიცებულებების შეგროვება (vgl. BGH NJW-RR 2004, 1001).

11 გ. გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, უნდა აღინიშნოს, რომ სამოქალაქო საქმის განმხილველ მოსამართლეს, სხვა საქმეზე მანამდე გამოტანილი (სისხლისსამართლებრივი) განაჩენის საფუძველზეც, უნდა ჩამოუყალიბდეს პირველადი, საკუთარ პასუხისმგებლობაზე დამყარებული რწმენა ფაქტობრივად მომხდარის შესახებ. მას შეუძლია - თუ ამით მხარეთა არგუმენტაციას და მტკიცებულებათა წარმოდგენას არ უგულებელყოფს - მთლიანად ან ნაწილობრივ გამოიყენოს სისხლისსამართლებრივ განაჩენში მოყვანილი არგუმენტაცია. ამასთან, გარანტირებული უნდა იყოს, რომ ეს არ იქნება მოსამართლის მხრიდან გაგებული, როგორც სისხლისსამართლებრივი გადაწყვეტილების გარკვეულწილად მოდიფიცირებული სავალდებულობა და მან თავისი რწმენა ჩამოიყალიბა მხოლოდ მტკიცებულებათა ავტონომიური შეფასების შედეგად. საჭიროების შემთხვევაში, ასევე ნათლად უნდა ჩანდეს, რომ სამოქალაქო მოსამართლისთვის ცნობილი იყო ნაწილობრივ განსხვავებული გადმოცემისა და მტკიცების ტვირთის არსებობის შესახებ და ეს გაითვალისწინა კიდევ შეფასების პროცესში.

12. (1) მითითების ტვირთის მიმართ ამ მოთხოვნათა არსებობის შედეგად, მაგალითად, სამართლებრივი დავისას, რომელიც ეხება ნასყიდობის სამართლით გათვალისწინებულ ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე საგარანტიო მოთხოვნის უფლებებს, საკმარისია, რომ კონკრეტული ნივთობრივი ნაკლი დასახელდეს ნაკლოვანებების (ე.წ. „ნაკლის სიმპტომების“) დილექტანტურ დონეზე აღწერით. აღნიშნულის საპირისპიროდ, მყიდველს არ ევალება შეცილებული ნაკლის მიზეზის მითითება ან ტექნიკური მიზეზებისა თუ განმარტებების მოყვანა ((BGH, Urteil vom 18.10.2017 - VIII ZR 242/16 - DAR 2018, 78; BGH, Urteil vom 26.10.2016 - VIII ZR 240/15 - NJW 2017, 153). იგივე წესი მოქმედებს ნარდობის ხელშეკრულებაში ნაკლის არსებობის მტკიცებისას (BGH, Urteil vom 14.12.2017 - VII 217/15 - BauR 2018, 669; BGH, Urteil vom 05.06.2014 - VII ZR 27/13 - NJW-RR 2014, 1204), ასევე, ქირავნობის ხელშეკრულების შემთხვევაში (BGH, Beschluss vom 21.02.2017 - VIII ZR 1/16 - NJW 2017, 1877; BGH, Beschluss vom 05.10.2011 - VIII ZR 125/11 - NJW 2012, 382). თუ ნაკლი, სიმპტომების დილექტანტურ დონეზე აღწერით, საკმარისად დასახელდება, სასამართლომ უნდა შეაგროვოს მისი არსებობის დასადასტურებლად შემოთავაზებული და გადაწყვეტილების მიღებისთვის მნიშვნელოვანი მტკიცებულებები და, ასეთის შემთხვევაში, ექსპერტს წარუდგინოს არსებითი კითხვები მტკიცებულებასთან დაკავშირებით ((BGH, Beschluss vom 21.02.2017 - VIII ZR 1/16 - NJW 2017, 1877). საჭიროების შემთხვევაში, შესრულების იდენტური ობიექტების სიმრავლისას, შესრულების ყველა ობიექტის ნაკლოვანების დამადასტურებელი

ფაქტების საკმარისად მიჩნევისთვის, შეიძლება იკმაროს იმან, რომ მხოლოდ შემთხვევითობის პრინციპით შემონმდა ხელშეკრულებასთან შესაბამისობის დასადგენად, მაგრამ, იმავდროულად, პრაქტიკულად ყველა შემთხვევაში დადგინდა ნაკლი და დავალების მიმცემი/დამკვეთი აქედან ასკვნის შესრულების ყველა ობიექტის ნაკლოვანებას (ე.წ. სიმპტომების თეორია: BGH, Urteil vom 14.12.2017 - VI 217/15 - BauR 2018, 669, პრეტენზიასთან დაკავშირებით, რომ სასტუმროში დამონტაჟებული კონდიციონერების სისტემის ყველა სამშენებლო ნაწილს ერთნაირი სისტემური ხარვეზი აქვს; BGH, Beschluss vom 24.08.2016 – VII ZR 41/14 - BauR 2017,106).

13. (2) გარკვეული სპეციალური თავისებურებები გამომდინარეობს ე.წ. შინაგანი ფაქტებიდან, რომლებიც ეხება ადამიანის ნების ჩამოყალიბებას ან ნების მიმართულებას. აქ იგულისხმება, მაგალითად, განზრახვის არსებობა, მაგრამ, ასევე, პოზიციის ჩამოყალიბება ან შინაგანი დამოკიდებულება.

14. ასეთი შინაგანი პროცესები, თავიანთი თავისებურებიდან გამომდინარე, მესამე პირების მიერ მტკიცებულებების უშუალოდ წარმოდგენისათვის არ არის ხელმისაწვდომი. ამიტომ, არსებითად, საქმეზე საკმარისად კვალიფიციური განმარტებისა და შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენის წინაპირობაა, რომ დასახელდეს ის მტკიცებულებითი ფაქტები, რომლებიც, გადმოცემის ტვირთის მატარებელი მხარის აზრით, გავლენას იქონიებს სხვა პირის ნების შინაგან მიმართულებასა ან ჩამოყალიბებაზე. მხოლოდ ასე შეუძლია სასამართლოს იმის შემონმება, სამართლებრივად დასაბუთებულია თუ არა ასეთი განმარტება, ანუ საკმარისად მყარად იძლევა თუ არა დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას იმ შინაგან ფაქტზე, რომელსაც ამტკიცებს მხარე (BGH, Urteil vom 08.05.2012 - XI ZR 262/10 - BGHZ 193, 159, auszugsweise unter Rn. 16 wiedergegeben; BGH, Beschluss vom 26.04.2010 - II ZR 60/09 - ZIP 2010, 1443; BGH, Urteil vom 30.04.1992 - VII ZR 78/91 - NJW 1992, 2489). თუ პოზიციის ჩამოყალიბება ან ნების მიმართულება გარედან არ არის შესაძენვეი, საკმარისია იმის გადმოცემა, როგორ აღიქმება ეს შინაგანი დამოკიდებულება, რომლის მტკიცებაც მიმდინარეობს; ასეთ შემთხვევაში, აღარ არსებობს შემდგომი მტკიცებულებითი ფაქტების წარმოდგენის საჭიროება (BGH, Beschluss vom 12.06.2008 - V ZR 223/07 - juris; auszugsweise abgedruckt unter Rn. 21). ეს წესი მით უფრო მოქმედა, როდესაც ნების შინაგანი ჩამოყალიბება - როგორც, მაგალითად, გარიგების დასადებად ნების გამოვლენის ყველა შემთხვევაში - ისედაც მხოლოდ მაშინ იძენს მნიშვნელობას, როდესაც გარეგნულად გამოიხატება.

15. უმაღლესი ფედერალური სასამართლო ამ პრინციპებს არაპირდაპირ მტკიცებულებად აჯამებს შინაგანი ფაქტის ფორმით (Auszug aus BGH, Urteil vom 08.05.2012 - XI ZR 262/10 - BGHZ 193, 159; არსებითად, მტკიცებულებად მიღების აუცილებლობასთან დაკავშირებით არაპირდა-

პირი მტკიცებულებების შემთხვევაში, შინაარსობრივად იდენტურია: BGH, Urteil vom 25.10.2012 – I ZR 167/11 - NJW-RR 2013, 743):

16. „კვალიფიციური შუამდგომლობა მონმის დაკითხვის მიზნით მტკიცებულებაზე... არ მოითხოვს წინაპირობას, რომ მისმა წარმომდგენმა გადმოსცეს, რა მტკიცებულებები აქვს მონმისთვის ცნობილი მტკიცებულების სისწორეზე. სასამართლო პრაქტიკა უშვებს ამ პრინციპიდან გამონაკლისს მხოლოდ მაშინ, როდესაც მონმე უნდა დაიკითხოს სხვა პირის შინაგანი პროცესების თაობაზე, რომლებიც ბუნებრივად სცდება მონმის პირდაპირი აღქმის სფეროს. ასეთ დროს, მონმეს შეუძლია, საუკეთესო შემთხვევაში, ინფორმაცია მიაწოდოს გარეგან გარემოებებთან დაკავშირებით, რომლებიც შესაძლებელს ხდის გარკვეული დასკვნების გამოტანას დასამტკიცებელი შინაგანი პროცესების შესახებ. ამ თვალსაზრისით, აქ სახეზეა არაპირდაპირი მტკიცებულება (BGH WM 2009, 739; BGH NJW-RR 1988, 1529). მტკიცებულების თაობაზე ასეთი შუამდგომლობისთვის წარმოდგენილ უნდა იყოს გარეგანი გარემოებები, რომლებიც მტკიცებულებათა შეგროვების უშუალო საგნად უნდა იქცეს (BGH NJW-RR 1988, 1529 ; BGH NJW 1983, 2034).

საქმის განმხილველ მოსამართლეს ევალება და უფლება აქვს, რომ არაპირდაპირი მტკიცებულებები, მტკიცებულებად მიღებამდე, შეამოწმოს და გაარკვიოს, რამდენად დაარწმუნებს ისინი (თუ დავუშვებთ, რომ სწორია) მას მთავარი ფაქტის სიმართლეში, ანუ არაპირდაპირი მტკიცებულების დამაჯერებლობაში (BGH NJW-RR 1993, 443). ამიტომ, პროცესუალური შეცდომა არ არის, როდესაც საქმის განმხილველი მოსამართლე არ გაითვალისწინებს მტკიცებულებად მიღების მოთხოვნას, თუ დამტკიცებული დამხმარე ფაქტები, მისი რწმენით, საკმარისი არ არის მთავარი ფაქტის დასამტკიცებლად (BGHZ 53, 245). როცა წარმოდგენილია რამდენიმე დამხმარე ფაქტი, რომელთაგან, ცალკე აღებული, არცერთი არ იძლევა მთავარ ფაქტთან დაკავშირებით დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას, საქმის განმხილველმა მოსამართლემ ასევე უნდა შეამოწმოს, ხომ არ გამოდგება ეს დამხმარე ფაქტები ერთობლიობაში მის ხელთ არსებულ სხვა საპროცესო მასალასთან მიმართებით, რომ დაარწმუნდეს იმ მტკიცების სისწორეში, რომელიც ამას საჭიროებს (BGHZ 53, 245; BAG NJW 2008, 3658)....“

17. (3) ფაქტების კვალიფიციურად წარმოდგენის მოვალეობის ფარგლებთან დაკავშირებით ასევე გასათვალისწინებელია, თუ რომელი მონაცემების წარმოდგენაა მხარისთვის მისაღები და შესაძლებელი (BGH, Urteil vom 04.10.2018 - III ZR 213/17 - WM 2018, 2175; BGH, Urteil vom 19.10.2017 - III ZR 565/17 - NJW-RR 2017, 1520). ამ თვალსაზრისით, ფაქტებით დამტკიცების მოვალეობის მიმართ მოთხოვნებში ასახულია ის ასპექტები, რომლებიც წარმოდგენილია 102-ე მუხლის ა.ნ. 29 და მო-

მდევნო აბზაცების ქვეშ, მტკიცებულების არმქონე მხარის გადმოცემისა და მტკიცების ტვირთთან დაკავშირებით.

18. (4) ამასთან, შესაძლოა არსებობდეს გარკვეული ურთიერთქმედება ერთი მხარის მიერ წარმოდგენილი ფაქტებისა და მეორე მხარის საპასუხო ფაქტების ინტენსივობას შორის (BGH, Urteil vom 04.04.2014 - V ZR 275/12 - BGHZ 200, 350; BGH, Urteil vom 31.05.2017 - VIII ZR 181/16 - NJW-RR 2017, 842; BGH, Beschluss vom 20.05.2015 - IV ZR 127/14 - VersR 2016, 133). რაც უფრო კვალიფიციურად წარმოადგენს ფაქტობრივ არგუმენტაციას გადმოცემის ტვირთის მქონე მხარე, მით უფრო ნაკლებად აქვს მონინაალმდეგე მხარეს შედავებისა და საპირისპიროს მტკიცების საშუალება (BGH, Urteil vom 11.03.2010 - IX ZR 104/08 - NJW 2010, 1357). თუმცა, კვალიფიციური შესაგებლის მოვალეობის წინაპირობაა, რომ მისი წარმოდგენა მხარისთვის მისაღები და შესაძლებელი იყოს. ეს, ჩვეულებრივ, ივარაუდება, როდესაც გარემოებები, რომლებსაც ამტკიცებს მხარე, მისი აღქმის სფეროში განხორციელდება (BGH, Urteil vom 04.04.2014 - V ZR 275/12 BGHZ 200, 350; BGH, Urteil vom 31.05.2017 - VIII ZR 181/16 - NJW-RR 2017, 842; BGH, Urteil vom 22.10.2014 - VIII ZR 41/14 - NJW 2015, 475). გარდა ამისა, საქმის გარემოებათა კვალიფიციურად წარმოდგენის მოვალეობის ამგვარი ინტენსივიკაციისათვის, საჭიროა, რომ მონინაალმდეგე მხარის შეპასუხებით მანამდე წარმოდგენილი გარემოებები ბუნდოვანი გახდეს და აღარ იძლეოდეს მოთხოვნილი უფლების წარმოშობაზე დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას (BGH, Beschluss vom 12.06.2008 - V ZR 223/07 - juris, auszugsweise abgedruckt unter Rn. 21; BGH, Beschluss vom 01.06.2005 - XII ZR 275/02 - NJW 2005, 2710).

19. ეს პრინციპები მოქმედებს მტკიცებულებათა წარმოდგენის იურიდიული მნიშვნელობის მიმართაც. ადვოკატთა წერილობით დოკუმენტებსა და სასამართლო გადაწყვეტილებებში ხშირად გვხვდება მითითება, რომ წარმოდგენილი მტკიცებულება არ უნდა გამოიკვლიონ, რადგან ის „პირადი ცხოვრების გასარკვევად მიმართული მტკიცებულებაა“. თუმცა, ასეთი დაუშვებელი განაცხადი მტკიცებულებათა წარმოდგენის შესახებ (პრაქტიკაში ხშირად მოიხსენიება, როგორც „პირადი ცხოვრების გასარკვევად მიმართული მტკიცებულება“ (“Ausforschungsbeweis”) სახეზეა მხოლოდ მაშინ, როდესაც საქმეზე გაკეთებული, ვარაუდებზე (“ins Blaue”) დაფუძნებული განმარტების პარალელურად (იხ. ზემოთ ა.ნ. 7 და მომდევნო აბზაცები), მტკიცებულებები თვითნებურად და ალაღბედზე დასახელდა (BGH, Urteil vom 21.06.2018 - IX 129/17 - NJW-RR 2018, 1150, auszugsweise unter Rn. 19b abgedruckt; BGH, Urteil vom 19.10.2017 - III ZR 565/17 - NJW-RR 2017, 1520; BGH, Beschluss vom 10. Januar 2017 - XI ZR 365/14 - juris). მსგავს დაშვებასთან დაკავშირებით სი-

ფრთხილვა საჭირო, მით უმეტეს, რომ მტკიცებულება, არაპირდაპირ მტკიცებულების სახით (indiziell), შეიძლება წარმოდგენილი იყოს **მონმე-თა მიერ „სხვისგან გაგონილი ჩვენებებითაც“** (BGH, Urteil vom 07.06.2006 - VIII ZR 209/05 - BGHZ 168, 79, auszugsweise abgedruckt unter Rn. 67; BGH, Beschluss vom 01.03.2018 - IX ZR 179/17 - NJW-RR 2018, 506; BGH, Urteil vom 02.05.1990 - IV ZR 310/88 - NJW-RR 1990, 1276). ამით, თავად ფაქტი, რომ მონმეს არ შეუძლია უშუალოდ აღქმულის გამოხატვა, არაფერს გვიმტკიცებს იმაზე, რომ იგი ერთ-ერთმა მხარემ ყოველგვარი საფუძვლის გარეშე დაასახელა. სხვისგან გაგონილის შესახებ ჩვენების მიმცემი მონმის დასახელებით არც მტკიცებულებათა გამოკვლევის უშუალოების პრინციპი ირღვევა: მონმის დაკითხვა, რომელსაც თავისი ცოდნის საფუძველზე, მხოლოდ მესამე პირების მიერ გამოხატული, გადაწყვეტილებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტებისა და, ამდენად, არა პირველადი აღქმის გადმოცემა შეუძლია სადავო მტკიცებულებასთან დაკავშირებით, მისი პირადი (თუნდაც მესამე პირებიდან გამომდინარე) ცოდნაა და ამით არსებითად დასაშვებია (BGH, Beschluss vom 01.03.2018 - IX ZR 179/17 - NJW-RR 2018, 506; BGH, Urteil vom 10.05.1984 - III ZR 29/83 - NJW 1984, 2039, BGH Urteil vom 02. 05.1990 - IV ZR 310/88 - NJW-RR 1990, 1276). თუმცა, მტკიცებულებათა შეფასების ფარგლებში გასათვალისწინებელია, რომ მტკიცებულების ამ სახეობისთვის, ჩვეულებრივ, დამახასიათებელია განსაკუთრებული გაურკვევლობა, რომელიც სცდება მონმის მტკიცებულების ზოგადი არასარწმუნოების ფარგლებს ((BGH, Urteil vom 07.06.2006 - VIII ZR 209/05 BGHZ 168, 79, auszugsweise abgedruckt unter Rn. 67; BGH, Beschluss vom 01.03.2018 - IX ZR 179/17 - NJW-RR 2018, 506).

19 ა. ეს პრინციპები უმაღლესმა ფედერალურმა სასამართლომ (BGH, Urteil vom 21.06.2018 - IX 129/17 - NJWRR 2018, 1150) შემდეგნაირად ჩამოაყალიბა:

19 ბ. „b) ..მოთხოვნის დასასაბუთებლად საქმეზე გაკეთებული ახსნა-განმარტება, უმაღლესი ფედერალური სასამართლოს დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, მაშინ არის დამაჯერებელი და არსებითი, როდესაც მხარე ისეთ ფაქტებს გადმოსცემს, რომლებიც სამართლებრივ ნორმასთან კავშირში გამოსადეგი და აუცილებელია: კერძოდ, იმ კუთხით, რომ უფლება, რომელსაც ახორციელებს მხარე, წარმოჩნდეს, როგორც მხარისთვის წარმოშობილი. ამასთან, არ არის არსებითი, თუ რამდენად სავარაუდოა წარმოდგენილი ინფორმაცია და რას ემყარება იგი - საკუთარ ცოდნას თუ არაპირდაპირი მტკიცებულებებიდან გაკეთებულ დასკვნას. უფრო დაწვრილებითი დეტალების გადმოცემა არ არის აუცი-

ლებელი, თუ ისინი სამართლებრივი შედეგებისთვის უმნიშვნელოა. სასამართლომ მხარეთა მიერ გადმოცემული ფაქტობრივი განმარტებების საფუძველზე უნდა გადანყვიტოს, დაკმაყოფილებულია თუ არა კანონისმიერი წინაპირობები იმ უფლების დასადასტურებლად, რომელსაც ახორციელებს მხარე. თუ ეს მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, მაშინ საქმის განმხილველი მოსამართლის მოვალეობაა, დაიწყოს მტკიცებულებათა შეგროვება და, საჭიროების შემთხვევაში, შემდგომი დეტალების შესახებ დაკითხოს დასახელებული მონმეები/დასაკითხი მხარე, ან ექსპერტს წარუდგინოს მტკიცებულებითი მნიშვნელობის სადავო საკითხები (BGH NJW-RR 2016, 129; BGH NJW-RR 2018, 4421).

მოსარჩელის მიერ საქმეზე გაკეთებული განმარტება აკმაყოფილებს ამ მოთხოვნებს. მისგან გამომდინარე, ხელშეკრულების მხარეები შეთანხმდნენ, რომ ვადიანი სესხი გარდაექმნათ უვადოდ. ასევე ჩანს, რომ შეთანხმება დადებული უნდა იყოს დაფარვის მოთხოვნის ვადის დადგომიდან პირველი განაკვეთის გადახდის მომენტამდე, ანუ 2006 წლის 10 ოქტომბრამდე, როდესაც მოთხოვნა ჯერ არ იყო ხანდაზმული. ამით მოსარჩელემ წარმოადგინა ხელშეკრულების ცვლილების დასაბუთებისთვის აუცილებელი ყველა ფაქტი. ამის შემდეგ, საქმის განმხილველი მოსამართლის მოვალეობა უნდა ყოფილიყო მტკიცებულებათა შეგროვება და, საჭიროების შემთხვევაში, დასახელებული მონმეების დაკითხვა შემდგომი დეტალების თაობაზე.

ც) მოსარჩელის მიერ მტკიცებულებებზე გაკეთებული განაცხადი, სააპელაციო სასამართლოს შეხედულების საპირისპიროდ, არ არის არაარსებითი და მხარის პირადი ცხოვრების გასარკვევი მტკიცებულებების შესაგროვებლად გაკეთებული განაცხადი, რომლითაც მოპოვებული უნდა იყოს მოსარჩელისთვის აქამდე უცნობი ფაქტები, უფრო ზუსტი არგუმენტაციის მიზნით (vgl. dazu BGH NJW 2001, 2327; BGH ZIP 2007, 1056). მეტიც, მოსარჩელე ამტკიცებს, რომ მოპასუხესა და მონმესთან თავად დადო ხელშეკრულება ცვლილების შესახებ. შესაბამისად, მისი განმარტების მიხედვით, იგი თავად ესწრებოდა ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანას და საკუთარი ცოდნის საფუძველზე - და არა „ალალბედზე“ თუ „ვარაუდებზე დაყრდნობით“ - იძლევა ჩვენებას. ამიტომ საკითხი, თუ რა წინაპირობებისას აქვს მხარეს მტკიცების უფლება, რომ ფაქტები, რომელთა არსებობასაც იგი მხოლოდ ვარაუდობს, დადგენილია (მდრ. ...BGHZ 193, 159...), აქ გადამწყვეტი არ არის.

ასევე არ იყო საჭირო, მოსარჩელეს წარმოედგინა დამატებითი არგუმენტები, თუ საერთოდ რატომ შეეძლო მის მიერ დასახელებულ მოწმეს მტკიცებულებასთან დაკავშირებულ საკითხზე ჩვენების მიცემა. ამ თვალსაზრისით, სააპელაციო სასამართლომ დასაბუთებისთვის მიუთითა ლიტერატურაზე (...) და ამასობაში გაეპარა ფაქტი, რომ აქ საქმე არაპირდაპირ მტკიცებულებას ეხება. მტკიცებულებათა არაპირდაპირ წარდგენისას სასამართლოს უნდა მიეცეს დასახელებული მტკიცებულებების არსებობისა და გამოსადეგობის წინასწარ შემოწმების შესაძლებლობა, სადაც დასამტკიცებელ მთავარ ფაქტთან ერთად, დამხმარე ფაქტებიც იქნება ჩამოთვლილი. სწორედ ამ ფაქტებიდან უნდა გამოიტანოს სასამართლომ დასკვნა მთავარი ფაქტის შესახებ (მდრ. ასევე ... *BGH WuM 2017, 629*). თუმცა, მოსარჩელის მიზანი არ არის არაპირდაპირი მტკიცებულებების წარდგენა. მის მიერ დასახელებული მოწმე, მხარის სახით, თავად მონაწილეობდა ხელშეკრულების შეცვლაში, რასაც ამტკიცებს მოსარჩელე“.

20. მსგავსი განმარტება გააკეთა უმაღლესმა ფედერალურმა სასამართლომ (*Beschluss vom 12.06.2008 - V ZR 223/07 - juris*) ზეპირად დადებული ხელშეკრულების წარმოდგენასთან დაკავშირებით:

21. „უმაღლესი ფედერალური სასამართლოს დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, მხარე აკმაყოფილებს გადმოცემის ტვირთს, როდესაც გადმოცემული ფაქტები, სამართლებრივ ნორმასთან ერთობლიობაში, გამოსადეგია განხორციელებული უფლების დასაბუთებლად (*BGH NJW 2000, 3286; BGH NJW 1999, 1859; ...*). ... უმაღლესი ფედერალური სასამართლოს შეხედულების საპირისპიროდ, მოსარჩელები არ იყვნენ ვალდებული, რომ ... ხელშეკრულების დადების მიზნით გამართული მოლაპარაკებები დეტალურად გადმოეცათ. განსაკუთრებით არ ევალუბოდათ მითითება, თუ ვინ, როდის, ვის წინაშე და რა თქვა (*BGH NJW-RR 2007, 1483; BGH NJW 2005, 2710*). გარკვეული მოვლენების დროსა და მიმდინარეობასთან დაკავშირებული დეტალების გადმოცემა არ არის აუცილებელი, როდესაც ისინი - როგორც აქ - უმნიშვნელოა სამართლებრივი შედეგისთვის (*BGH NJW 2000, 3286; BGH NJW 1999, 1859; ...*). თუ სასამართლო მათ მნიშვნელობას მიანიჭებს მტკიცების სანდოობისა და სავარაუდოობის თვალსაზრისით, მაშინ მტკიცებულებათა შეგროვებისას ისინი უნდა გამოირკვეს შესაბამისი გამოკითხვის გზით. გადმოცემის ტვირთის მოცულობისთვის საქმის გარემოებათა გადმოცემის სავარაუდოობის დონე, სხვა მხრივ, არ არის გადამწყვეტი (*BGH NJW-RR 2003, 491; BGH NJW-RR 1998, 1409*).

მხარისთვის მის მიერ სამტკიცებელი საქმის გარემოებების დეტალურად გადმოცემა სავალდებულოა არა იმიტომ, რომ მონინალმდეგე მხარე მათ სადავოს ხდის. პრინციპს, რომ გადმოცემის ტვირთის ფარგლები განისაზღვრება მონინალმდეგე მხარის შეპასუხების მიხედვით, საფუძვლად არ უდევს მხარის ვალდებულება - ჭეშმარიტების დადგენისა და პროცესის დაჩქარებისთვის, მონინალმდეგე ისეთ მდგომარეობაში ჩააყენოს, რომ შეძლებისდაგვარად დეტალურად ჩანვდეს მის მტკიცებებს. ამ პრინციპის მიხედვით, მხოლოდ მაშინ, როდესაც მონინალმდეგე მხარის შეპასუხებით წარმოდგენილი ფაქტები ბუნდოვანი გახდება და აღარ იძლევა დასკვნის გამოტანის საშუალებას იმ უფლების წარმოშობაზე, რომელსაც ახორციელებს მხარე, იქმნება დამატებითი ინფორმაციის საჭიროება (BGH NJW 2005, 2710; BGH NJW 1984, 2888). ასევე ყურადსაღებია, რომ მხარეს, ძირითადად, ისეთი ფაქტების მტკიცების უფლება აქვს, რომლებიც მისთვის ზუსტად არ არის ცნობილი, მაგრამ, არსებული გარემოებებიდან გამომდინარე, სავარაუდოდ მიაჩნია. ზღვარი, სადამდეც ეს დასაშვებია, მიღწეულია, როდესაც ყველანაირი ფაქტობრივი არგუმენტის არარსებობა ასაბუთებს ბრალდებას, რომ მტკიცება ვარაუდებზე დაყრდნობით განხორციელდა. შესაბამისად, ის უსაფუძვლოა და ამიტომ უფლების ბოროტად გამოყენებად მიიჩნევა (BGH NJW-RR 2003, 491; BGH NJW 2005, 2710). ...

სააპელაციო სასამართლოს მიერ მოყვანილი სასამართლო პრაქტიკა გადმოცემის მოთხოვნებთან დაკავშირებით შინაგანი ფაქტების მტკიცებისას გამოუსადეგარია. თუმცა, მტკიცება, რომ გარკვეულ სახელშეკრულებო დებულებას საფუძვლად უდევს მხარეთა თანმხვედრი წარმოდგენა, ხშირად შინაგან ფაქტს ეხება. ამ შემთხვევაში - რადგან სხვაგვარად შეუძლებელია მტკიცების არსებობის შემოწმება - წარმოდგენილი უნდა იყოს, თუ რომელი ფაქტების გამოყენებით გამოიხატა შინაგანი ფაქტი გარეგნულად (BGH NJW 2000, 2986; BGH NJW 1996, 1678). მაგრამ აქ აღნიშნულზე არ არის საუბარი. კერძოდ, მოსარჩელებს არ უმტკიცებიათ, რომ მხარეთა შორის არსებობდა მდუმარე (უსიტყვო) შეთანხმება შემძენის სასარგებლოდ ჩამოყალიბებული წესის გარკვეული სახით გაგებაზე. პირიქით, მათ განმარტეს და დაამტკიცეს, რომ საკუთარი შესყიდვის უფლება ... ხელშეკრულების დადების წინ გამართულ საუბრებში მიიღო მოპასუხემ. მაგრამ როდესაც მტკიცების ქვეშ მყოფი შეთანხმებული ნება ეყრდნობა ფაქტს, რომ ხელშეკრულების მხარეებმა ისაუბრეს სადავო დებულების გაგებაზე, საკმარისია ასეთი საუბრის არსებობის მტკიცება.“

22. (5) არის თუ არა საქმეზე გაკეთებული განმარტება **სავარაუდო ან** (მაგ.: სახელშეკრულებო დოკუმენტაციაში საპირისპირო ტექსტის არსებობის გამო) **ნაკლებად სავარაუდო** განმარტების საკმარისად კვალიფი-

ციურად წარმოდგენისათვის და იმის დასადგენად, საჭიროებს თუ არა მტკიცებულებებს, არ არის მნიშვნელოვანი (BGH, Beschluss vom 11.11.2014 - VIII ZR 302/13 - NJW 2015, 409; BGH, Beschluss vom 21.10.2014 - VIII ZR 34/14 NJW-RR 2015, 910; BGH, Beschluss vom 12.03.2013 - VIII ZR 179/12 - juris). შესაბამისად, მხარის კვალიფიციური განმარტება იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლებიც წერილობით ხელშეკრულებაში არ ან მხოლოდ ბუნდოვნად აისახა, წინაპირობის სახით არ ითვალისწინებს გადმოცემის ტვირთის მქონე პირის მხრიდან განმარტებას, თუ რატომ არ შეიტანეს მხარეებმა წერილობით ხელშეკრულებაში ზეპირი (დამატებითი) შეთანხმება, რომლის არსებობასაც ისინი ამტკიცებენ (BGH, Beschluss vom 11.11.2014 - VIII ZR 302/13 - NJW 2015, 409; BGH, Beschluss vom 21.10.2014 - VIII ZR 34/14 - NJW-RR 2015, 910). აღნიშნულისთვის დამაჯერებელ განმარტებას თავდაპირველად მნიშვნელობა ენიჭება სასამართლოს მიერ მიღებული განმარტების შეფასების (BGH, Beschluss vom 21.10.2014 - VIII ZR 34/14 - NJW-RR 2015, 910) ანუ, წერილობითი ხელშეკრულების ტექსტიდან გამომდინარე, აშკარა (უდავო) მტკიცებულების შერყევის ფარგლებში (იხ. ზემოთ მუხლი 102, ა.ნ. 65 და მომდევნო აბზაცები).

23. (6) მხარეს არ ეკრძალება სამართლებრივი დავის პროცესში თავისი ჩვენების შეცვლა, განსაკუთრებით მისი დაზუსტება, შევსება ან შესწორება, მაგრამ, საბოლოო ჯამში, არც თავდაპირველად გაკეთებული განმარტების საპირისპიროს მტკიცება (BGH, Urteil vom 12.05.2016 - I ZR 48/15 - NJW 2017, 78; BGH, Beschluss vom 10.11.2016 - I ZR 235/15 - WuM 2017, 48; BGH, Urteil vom 05.11.2015 - I ZR 50/14 - MDR 2016, 1279). თუ დადგენილი არ არის, რომ ეს გახლავთ ჩვენების მიცემის დროს სიმართლის თქმის საპროცესო ვალდებულების (§ 138 Abs. 1 GER-ZPO [dazu oben Art. 3 Abs. 1 Rn. 16] ან აღიარების ეფექტის [იხ. ქვემოთ Rn. 96 ff.]) დარღვევა (მხოლოდ ძალიან გამონაკლის შემთხვევებში დოკუმენტურად დასადასტურებელი), ასეთი შეცვლილი ჩვენებაც გასათვალისწინებელია პროცესუალურად. თუ ახალი ჩვენება ეწინააღმდეგება ადრინდელს, მაშინ წინასწარ უნდა გაირკვეს: ის ანაცვლებს ძველს, დამხმარე სახით ავსებს, თუ, პირველ რიგში, ახალ ჩვენებას უნდა მიექცეს ყურადღება და ძველი მხოლოდ დამხმარე ინფორმაციის სახით შენარჩუნდეს (შდრ. დამხმარე სარჩელში წარმოდგენილი ჩვენებისა და დამხმარე სასარჩელო განაცხადის შესახებ: იხ. ზემოთ, მუხლი 3, ა.ნ. 2, 9 და მომდევნო აბზაცები). თუ მხარე თავის ადრინდელ ახსნა-განმარტებას ცალსახად არ შორდება, საექვოობის შემთხვევაში, არ უნდა ვივარაუდოთ, რომ მან ამ განმარტებაზე საბოლოოდ თქვა უარი.

24. თუმცა, მხარის მიერ ახსნა-განმარტების ცვლილებით წარმოშობილი წინააღმდეგობები ან შეუსაბამობები გასათვალისწინებელია მტკიცე-

ბულებათა შეფასების ფარგლებში (BGH, Urteil vom 12.05.2016 - I ZR 48/15 - NJW 2017, 78; BGH, Beschluss vom 10.11.2016 - I ZR 235/15 WuM 2017, 48; BGH, Urteil vom 05.11.2015 - I ZR 50/14 - MDR 2016, 1279). ამ დროს გადამწყვეტია, ხომ არ ეხება ეს მხარის აღქმის მიღმა მომხდარ მოვლენებს. ამით მხარის ახსნა-განმარტების ცვლილება, შესაძლოა, აიხსნას იმით, რომ ამასობაში, მესამე პირთა მიერ მოწოდებული ინფორმაციების შედეგად, სხვაგვარი ცოდნა ჩამოყალიბდა. თუ პირიქით, იცვლება ან საპირისპიროდ ყალიბდება ისეთ მოვლენებთან დაკავშირებული ჩვენება, რომლებიც მიცემულია საკუთარი აღქმის საფუძველზე, ცალკეული გარემოებებიდან გამომდინარე, უფრო სავარაუდოა, ეს საპროცესო ტაქტიკური მოქმედების შედეგი იყოს, ანუ როცა შესაბამისი მხარე „ალამის ქარის მოძრაობის მიხედვით ასწორებს“. ასეთი ვარაუდის შემთხვევაშიც კი, საპროცესო ჩვენება (ახსნა-განმარტება), თუ ის სამართლებრივად მნიშვნელოვანია, უნდა გამოიკვლიონ და მას მხოლოდ მტკიცებულებათა შეფასების ფარგლებში მიენიჭოს არაპირდაპირი მტკიცებულების მნიშვნელობა.

25. ბ) გარდა ამისა, მოსამართლე, საპროცესო სამართლის მიხედვით, ვალდებულია, **შეაფასოს გადაწყვეტილების მიღებისთვის მნიშვნელოვანი მთლიანი საპროცესო მასალა**; მას არ აქვს მტკიცებულებათა შეგროვების ნავარაუდები შედეგების წინასწარ ჩამოყალიბების უფლება.

26. აა) წინასწარ უნდა აღინიშნოს, რომ დასაშვებია **მხოლოდ გადაწყვეტილების მიღებისთვის მნიშვნელოვანი ფაქტების მტკიცებულებად მიღება**.

27. ეს არ ნიშნავს, რომ მოსამართლემ წარმოდგენილი მტკიცებულებები ყოველთვის ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა გამოიკვლიოს და მას გადანყვეტილების მისაღებად მნიშვნელოვან ფაქტებზე დასკვნების გაკეთება შეუძლია მხოლოდ ეტაპობრივად, ლოგიკური თანმიმდევრობის დაცვით. პირიქით, მოსამართლის მიერ **პროცესის ავტონომიურ მართვაზე** დამოკიდებული, როგორ მოიქცევა იგი: **ერთ შეხვედრაზე მიიღებს გადაწყვეტილების გამოსატანად მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებულ ყველა მტკიცებულებასა და საპირისპირო მტკიცებულებას, თუ მათ ნელ-ნელა მოამზადებს**. რა თქმა უნდა, სასამართლოს უნდა ახსოვდეს პროცესის სწრაფად წარმართვის მოთხოვნა და ძალიან არ გააჭიანუროს ფაქტების დადგენა. თუმცა არასდროს უნდა მიიღოს მტკიცებულებები ისეთ ფაქტებთან დაკავშირებით, რომლებიც ვერასდროს იქნება მნიშვნელოვანი გადანყვეტილების გამოსატანად.

28. შედარებით ხარჯიანი და მოცულობითი მტკიცებულებების შემთხვევაში, როგორცაა, მაგალითად, სასამართლო **ექსპერტების დასკვნის** მიღება ან ისეთი მონმეების გამოძახება, რომლებიც შორიდან მოდიან, როგორც წესი, რეკომენდებულია, მტკიცებულებები მხოლოდ

მაშინ მიიღონ, როდესაც დადგენილია მათი მნიშვნელობა გადაწყვეტილების მისაღებად. ეს წესი განსაკუთრებით მოქმედებს მაშინ, როდესაც ექსპერტის დასკვნისთვის წინასწარ უნდა დადგინდეს მონმეთა დაკითხვის შედეგად მიღებული სადავო ფაქტები, რომლებიც ქმნის მათზე დასკვნის გამოტანის საფუძველს. ამ ე.წ. დამაკავშირებელი ფაქტების წინასწარი დადგენისა და ექსპერტისთვის შეტყობინების გარეშე, მისი დასკვნები ფაქტობრივ საფუძველთან დაკავშირებით ჰაერში იქნებოდა გამოკიდებული. ასეთ შემთხვევაში, დამაკავშირებელი ფაქტების არცოდნის გამო, ექსპერტს მოუწევდა სხვადასხვა ჰიპოთეზითა და დაშვებით მუშაობა, რაც დასკვნას არა მხოლოდ მნიშვნელოვნად აძვირებს, არამედ აქცევს ნაკლებ გასაგებად და ჩახლართულად. მაგალითად, როდესაც სამშენებლო პროცესში სადავოა, თერმული იზოლაციის რომელი მნიშვნელობა ან ხმაურის იზოლაციის რა მოთხოვნები იყო შეთანხმებული და დაცული, ხელშეკრულების შინაარსთან ანუ თერმული იზოლაციისა თუ ხმაურის იზოლაციის შეთანხმებულ მნიშვნელობებზე მტკიცებულებათა წინასწარი შეგროვების გარეშე, უმრავლეს შემთხვევაში, არავითარი აზრი არ ექნებოდა შეკვეთის მიღებას შესრულების სახელშეკრულებო სამართლიანობის დასკვნის მომზადებაზე. თუ გამოვრიცხავთ ასეთ სპეციალურ შემთხვევებს, სხვა მხრივ არაფერი შეუძლის ხელს ყველა მტკიცებულებისა და კონტრმტკიცებულების ერთდროულად მიღებას (იმის ცოდნის პარალელურად, რომ კონტრმტკიცებულება ტყუილად იქნა მიღებული, როდესაც პირველადი მტკიცებულების წარდგენა იყო წარუმატებელი).

29. თუ, მაგალითად, ნივთის გამყიდველი აცხადებს პრეტენზიას გარკვეულ ფასზე და მყიდველი თავის შესაგებელში ამტკიცებს, რომ არ არსებობს ფასის გადახდის მოთხოვნის უფლება, ვინაიდან:

- ნასყიდობის ხელშეკრულება, ფასზე შეთანხმების მიუღწევლობის გამო, არ დადებულია;
- თითქოს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება, სულ მცირე, ბათილია შეცდომაში განზრახ შეყვანისგან დაცული შეცდილების გამო;
- თითქმის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება, ნასყიდობის საგნის ნაკლის გამო, გარდაიქმნა პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის ურთიერთობად;

მაშინ წინასწარ შეიძლება დადგინდეს მხოლოდ ის, თუ რომელ ფაქტებთან დაკავშირებული მტკიცებები და მტკიცებულების წარდგენები ვერ იქნება გადამწყვეტი მოცემულ სამართლებრივ დავაში. პირიქით, წინასწარ მყარად ვერ დადგინდება, გადაწყვეტილების მიღებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი მტკიცებებიდან და მტკიცებულებათა წარმოდგენიდან რომელი იქნება საბოლოოდ არსებითი გადაწყვეტილების მისა-

ლებად. ისევე, როგორც მოსამართლეს შეუძლია, სარჩელის ასეთი ალტერნატიული დასაბუთებებიდან საკუთარი პასუხისმგებლობით გადანყვიტოს, თუ რომელ ასპექტებზე დაამყარებს თავის გადანყვიტებებს სარჩელზე უარის თქმის შესახებ (იხ. ზემოთ მე-3 მუხლის მე-2 ნაწილი, ა.ნ. 12 და მომდევნო). მისივე გადანყვიტებია, ერთდროულად მიიღებს თუ არა იგი გადანყვიტებების გამოსატანად მნიშვნელოვან ყველა შესაძლო მტკიცებულებასა და კონტრმტკიცებულებას (ნასყიდობის ხელშეკრულების შესახებ შეთანხმებაზე, მისი ნამდვილი შეცვილებისა და ნასყიდობის საგნის ნაკლზე) და, ამასთან, გაითვალისწინებს, რომ შეცვილებასა და ნივთის ნაკლზე წარმოდგენილი მტკიცებულებები უსარგებლო იქნება, თუ უკვე შეუძლებელია თავად ნასყიდობის ხელშეკრულების დადების ფაქტის დამტკიცება.

30. თუ მოსამართლემ ერთდროულად მიიღო მტკიცებულებები და კონტრმტკიცებულებები, მას არაფერი შეუშლის ხელს, რომ კონტრმტკიცებულებებიდან მოპოვებული ინფორმაცია უკვე პირველადი მტკიცებულებების წარმოდგენის საფეხურზე გაითვალისწინოს. ამ თვალსაზრისით (როგორც უკვე განმარტებულია მე-3 მუხლის პირველი ნაწილის ა.ნ. 4-ში), საეჭვოობის შემთხვევაში, მტკიცებულების ტვირთის მატარებელი პირი წინასწარ მიღებული კონტრარგუმენტების მისთვის ხელსაყრელ შედეგს სათავისოდ იყენებს (BGH, Urteil vom 18.01.2018 - I ZR 150/15 - NJW 2018, 49; BGH, Beschluss vom 16.06.2014 - VI ZR 332/14 - VersR 2015, 1293; BGH, Beschluss vom 24.03.2015 - VI ZR 179/13 - NJW 2015, 2125; BGH, Beschluss vom 14.01.2014 - VI ZR 340/13 - NJW-RR 2014, 1147).

31. ბბ) მოსამართლემ თავისი რწმენა უნდა ჩამოაყალიბოს **გადაწყვეტილებისათვის მნიშვნელოვანი ყველა ასპექტის ერთიანი მიმოხილვით**. ეს საპროცესო-სამართლებრივი მოვალეობა გამომდინარეობს არა მხოლოდ § 286 Abs. 1 GER-ZPO-დან, არამედ კონსტიტუციურ-სამართლებრივი სასამართლო მოსმენის პრინციპიდანაც (Art. 103 Abs. 1 GER-GG).

32. (1) Art. 103 Abs. 1 GER-GG პროცესის მონაწილეებს ანიჭებს აზრის გამოხატვის მოთხოვნის უფლებას არა მხოლოდ განსახილველი საქმის გარემოებების, არამედ სამართლებრივი მდგომარეობის შესახებაც. მეტიც, მხარეთა ამ უფლების შეზღუდვით მოვალეობაა, მოსამართლე გაეცნოს პროცესის მონაწილეთა განმარტებებს და გაითვალისწინოს ისინი გადანყვიტებების მიღებისას (BVerfG, Urteil vom 08.07.1997 - 1 BvR 1621/94 - BVerfGE 96, 205; BVerfG, Beschluss vom 13.08.2018 - 2 BvR 745/14 - juris; BVerfG, Beschluss vom 01.08.2017 - 2 BvR 3068/14 - NJW 2017, 3218; BVerfG, Beschluss vom 13.03.2017 - 1 BvR 563/12 -

NJW 2017, 1939; BGH, Beschluss vom 27.09.2017 - XII ZR 54/16 - NJW-RR 2018, 74). თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ სასამართლომ გადაწყვეტილების საფუძვლებში პირდაპირ უნდა გააკეთოს განმარტება ყოველ ჩვენებაზე (BVerfG, Beschluss vom 29.08.2017 - 2 BvR 863/17 - juris; BVerfG, Beschluss vom 23.01.2017 - 2 BvR 2272/16 - StV 2017, 775; BVerfG, Beschluss vom 19. August 2016 - 1 BvR 1283/13 - juris). BGH, Beschluss vom 27.09.2017 - XII ZR 54/16 - NJW-RR 2018, 74). პირიქით, ივარაუდება, რომ სასამართლოები გაეცნენ მხარეთა ახსნა-განმარტებებს (BVerfG, Urteil vom 08.07.1997 - 1 BvR 1621/94 - BVerfGE 96, 205; BVerfG, Beschluss vom 23.01.2017 - 2 BvR 2272/16 - StV 2017, 775; vgl. auch BGH, Beschluss vom 29.08.2018 - VII ZR 195/14 - NJW-RR 2018, 1287). თუმცა, სასამართლო მოსმენის პრინციპის დარღვევაა, როდესაც ცალკეული საქმის განსაკუთრებული გარემოებებიდან გამომდინარე, ნათლად ჩანს, რომ სასამართლო ან საერთოდ არ გაცნობია ჩვენებას, ან არ გაუთვალისწინებია ის. აღნიშნული, სხვათა შორის, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, როდესაც სასამართლოს საერთოდ არ უხსენებია მონაწილის მიერ წარმოდგენილი ფაქტობრივი განმარტების არსებითი ნაწილი ისეთ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია პროცესისათვის და, სასამართლოს იურიდიული პოზიციის თანახმად, უმნიშვნელოდ ან ამკარად არაკვალიფიციურად არ არის მიჩნეული (BGH, Beschluss vom 09.01.2018 - VI ZR 106/17 - NJW 2018, 2730; BGH, Beschluss vom 16.11.2017 - III ZR 407/16 - juris; BGH, Beschluss vom 08.11.2016 - VI ZR 512/15 - VersR 2017, 316).

უმალესი ფედერალური სასამართლო (Beschluss vom 14.09.2016 - 1 BvR 1304/13 – EuGRZ 2016, 694) თავის დამკვიდრებულ სასამართლო პრაქტიკაში აღნიშნავს:

33. „არსებითად, უნდა ვივარაუდოთ, რომ სასამართლო გაეცნო მონაწილეთა განცხადებას და გაითვალისწინა იგი. მხოლოდ მაშინ, როდესაც ცალკეულ შემთხვევაში განსაკუთრებული გარემოებები ნათლად მიუთითებს, რომ სასამართლომ ეს მოვალეობა არ შეასრულა, სახეზეა Art. 103 Abs. 1 GG -ს დარღვევა (შდრ. BVerfGE 25, 137; BVerfGE 85, 386; BVerfGE 96, 205).

სასამართლოს, თავისი გადაწყვეტილების საფუძვლების ჩამოყალიბებისას, აქვს გარკვეული თავისუფლება და შეუძლია შემოიფარგლოს მხოლოდ გადაწყვეტილების მიღებისათვის მნიშვნელოვანი ასპექტებით, ისე, რომ არ დაირღვეს Art. 103 Abs. 1 GG, მაგრამ, თუ მხარის გარკვეული განაცხადი მისი განმარტების ბირთვია და პროცესის შედეგისთვის გადაწყვეტი მნიშვნელოვანია აქვს, სასამართლო ვალდებულია, განიხილოს წარმოდგენილი არგუმენტები (BVerfGE 47, 182; BVerfGE 86, 133). დუმილი

აქ მიუთითებს, რომ პროცესის მხარის განაცხადი არ ან, სულ მცირე, არასაკმარისად იყო გათვალისწინებული. აღნიშნულისგან დაცვას მოიცავს Art. 103 Abs. 1 GG...“

34. როგორც სასამართლო მოსმენის პრინციპი, ისე § 286 Abs. 1 GER-ZPO, განსაკუთრებით ირღვევა, როდესაც არ განიხილება გადანყევტილებისათვის მნიშვნელოვანი მტკიცებულების შემოთავაზება ისე, რომ მტკიცებულების შემოთავაზების უარყოფას საპროცესო სამართალში საყრდენი არ გააჩნია (BVerfG, Beschluss vom 19. 12. 2016 - 2 BvR 1997/15 - juris; BGH, Beschluss vom 25.09.2018 - VI ZR 234/17 - juris; BGH, Beschluss vom 27.09.2017 - XII ZR 54/16 - NJW-RR 2018, 74; BGH, Beschluss vom 21.02.2017 - VIII ZR 1/16 - NJW 2017, 1877). გერმანულ სასამართლო პრაქტიკაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საკითხი, დაუშვებლად ხომ არ უნდა ცნონ საქმეზე გაკეთებული ახსნა-განმარტება ან მტკიცებულებათა წარმოდგენა მათი დაგვიანებით წარმოდგენისა და, § 286 Abs. 1 GER-ZPO-ის მიხედვით, პროცესის გაჭიანურების გამო (იხ. ქვემოთ Rn. 111 ff.). სასამართლო გადანყევტილების დასაბუთების მიმართ არსებულ სხვა მოთხოვნებზე იხ. შემდგომ ჩამოყალიბებული მოსაზრებები ა.ნ. 99-სა და მომდევნო აბზაცებში).

35. (2) მტკიცებულებათა უვარგისობასთან დაკავშირებით, გერმანული სამოქალაქო საპროცესო კოდექსი მკაფიოდ გამოხატულ დებულებებს არ შეიცავს. თუმცა, ერთიანი მოსაზრების თანახმად, ამ თვალსაზრისით, შესაბამისად უნდა გამოიყენონ გერმანული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის დებულებები ((BGH, Urteil vom 22.01.2016 - V ZR 27/14 - BGHZ 208, 316; BGH, Urteil vom 19.09.2012 - IV ZR 177/11 - NJW-RR 2013, 9).

§ 244 GER-StPO - მტკიცებულებათა შეგროვება; ინკვიზიციური პრინციპი; უარი მტკიცებულების შესახებ შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე

... (3) მტკიცებულების შესახებ შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარი უნდა ითქვას, როდესაც დაუშვებელია ამ მტკიცებულების მიღება. სხვა შემთხვევაში, მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც ... მტკიცებულება სრულიად უვარგისი ან მიუწვდომელია ...

36. მტკიცებულების მიუწვდომლად ან უვარგისად მიჩნევის მიმართ გამოყენებული უნდა იყოს მკაცრი მოთხოვნები ((BGH, Urteil vom 22.01.2016 - V ZR 27/14 - BGHZ 208, 316; BGH, Urteil vom 03.05.2006 - XII ZR 195/03 - BGHZ 168, 79; BGH, Urteil vom 19.09.2012 - IV ZR 177/11

- NJWRR 2013, 9; vgl. auch: BVerfG, Beschluss vom 10.02.2009 - 1 BvR 1232/07 - NJW 2009, 1585). ამასთან დაკავშირებით, უმაღლესი ფედერალური სასამართლო (Beschluss vom 19.05.2015 - XI ZR 168/14 - NJW-RR 2015, 1151) განმარტავს:

37. „a) B-ს მონმის სახით დაკითხვა, რომლის ჩვენებაც იყო გადამწყვეტი სააპელაციო სასამართლოს განცხადებით, უყურადღებოდ არ უნდა დატოვებულყო. ის მხოლოდ იმიტომ არ განხორციელდა, რომ მონმე ორჯერ არ გამოცხადდა სასამართლოში. სააპელაციო სასამართლომ არასწორად იმოქმედა, როდესაც მხოლოდ ამის გამო მონმე მიუწვდომლად მიიჩნია. მართალია, § 244 Abs. 3 Satz 2 StPO სამოქალაქო საპროცესო სამართალში შესაბამისად გამოიყენება (BGH VersR 2011, 1563; BGH NJW-RR 2013, 9; BGH IHR 2014, 115), მაგრამ მონმის მიუწვდომლად მიჩნევის მიმართ მკაცრი მოთხოვნები უნდა დაყენდეს. მონმის მიუწვდომლობის გამო მტკიცებულების შესახებ შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა გამართლებულია მხოლოდ მაშინ, როდესაც სასამართლომ, თავისი განმარტების ვალდებულების დაცვით, მტკიცებულების მნიშვნელობისთვის შესაფერისი ყველა ღონე უშედეგოდ იხმარა მონმის დასარწმუნებლად და არავითარი გონივრული პერსპექტივა არ არსებობს ახლო მომავალში ამ მტკიცებულების მოსაპოვებლად (BGHZ 168, 79...). ეს წინაპირობები არ იყო დაკმაყოფილებული. სააპელაციო სასამართლომ არ იზრუნა იმაზე, რომ გამოერკვია, ელო თუ არა საფუძვლად მონმის გამოუცხადებლობას - რომელმაც პირველ გამოძახებაზე გამოუცხადებლობის გასამართლებლად (არაფრისმთქმელი) სამედიცინო ცნობა წარმოადგინა, ხოლო მეორეზე უცხოეთში გამგზავრება მოიმიზეზა - პრინციპული უარი სასამართლოს წინაშე ჩვენების მიცემაზე. გარდა ამისა, მას არც უცდია, მონმე სასამართლოში გამოეცხადებინა ზეპირი განხილვის დასრულებამდე ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების მუქარით, მაშინ, როდესაც სამხარეო სასამართლომ ასეთი ღონისძიებების გამოყენებით, საბოლოო ჯამში, წარმატებით მოახერხა მონმის მოყვანა. ...

b) სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება, რომ მონმის მოყვანისთვის საპროცესო საშუალებების ამომწურავად გამოყენება არ იყო აუცილებელი, რადგან მისგან მაინც არ მოელოდნენ უტყუარი ინფორმაციის მიღებას, თავის მხრივ, არღვევს Art. 103 Abs. 1 GG-ს (BGH NJW-RR 2013, 9; BGH GuT 2012, 270). განსაკუთრებით არ ამყარებს იგი სააპელაციო სასამართლოს შეფასებას, რომ B-ის დაკითხვა უვარგისი მტკიცებულებაა, შესაბამისად გამოსაყენებელი § 244 Abs. 3 Satz 2 StPO-ის ვაგებით. არც ფაქტის და არც მონმის აღქმის ნაკლებსავარაუდოობა არ აძლევს საქმის განმხილველ მოსამართლეს უფლებას, რომ უარი თქვას მტკიცებულება-

თა შეგროვებაზე. განსაკუთრებით დაუშვებელია მტკიცებულების შესახებ შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, როდესაც ამით წინასწარ ფასდება ჯერ კიდევ მიუღებელი მტკიცებულება, რადგან ეს არის მტკიცებულების დაუშვებელი წინასწარგანჭვრეტა (BGHZ 168, 79; BGH NJW-RR 2013, 9). უვარგისი მტკიცებულების არსებობა მხოლოდ მაშინ შეიძლება ვივარაუდოთ, როდესაც კონკრეტულ შემთხვევაში სრულიად გამორიცხული ჩანს მტკიცებულებათა შეგროვების რაიმე სასარგებლო შედეგი. ასეთ რამესთან აქ საქმე არ გვაქვს, რადგან ... გარკვეულ შემთხვევაში, მონმის უფლება ჩვენების მიცემაზე უარის თქმის შესახებ, § 384 Nr. 2 ZPO-ს შესაბამისად, არ იწვევს იმას, რომ იგი თავიდანვე უვარგის ან მიუწვდომელ მტკიცებულებად ჩაითვალოს. საქმის განმხილველი მოსამართლისთვის, § 384 Nr. 2 ZPO-ის მიხედვით ჩვენების მიცემაზე უარის თქმის შემთხვევაში, აკრძალული არ არის, რომ თავისუფალი რწმენის ჩამოყალიბების ფარგლებში შეაფასოს იგი (...).

38. (3) მოსამართლეს არ აქვს უფლება, უარი თქვას მტკიცებულებების შეგროვებაზე იმის გამო, რომ მათი შედეგებიდან რაიმე სასარგებლო ინფორმაციას არ ელოდება (არაპირდაპირი მტკიცებულების შემთხვევაში მტკიცებულების განსაკუთრებულ პრინციპებზე იხ. ზემოთ ა.ნ. 14), ან უკვე **დარწმუნებულია** დასამტკიცებელი ფაქტის **საპირისპირო** პოზიციაში.

39. § 286 Abs. 1 GER-ZPO-ს დარღვევაა, როდესაც მტკიცებულების მიღებაზე უარი დასაბუთებულია იმით, რომ სასამართლო დარწმუნებულია დასამტკიცებელი განაცხადის საპირისპირო პოზიციაში (BVerfG, Beschluss vom 10.02.2009 - 1 BvR 1232/07 - NJW 2009, 1585; BGH NJW-RR 2018, 74; BGH, Beschluss vom 27.09.2017 - II ZR 54/16 - NJW-RR 2017, 175; BGH, Beschluss vom 10.11.2016 - I ZR 235/15 - WuM 2017, 48). მტკიცებულებების ასეთი წინასწარი შეფასება არღვევს არა მხოლოდ პროცესუალურ მოთხოვნებს, არამედ - მტკიცებულებათა წარმოდგენის გვერდის ავლის გამო - სასამართლო მოსმენის საკონსტიტუციო-სამართლებრივ პრინციპსაც (BVerfG, Beschluss vom 10.02.2009 - 1 BvR 1232/07 - NJW 2009, 1585).

40. ამიტომ, სასამართლოს არ აქვს უარის თქმის უფლება **ექსპერტის** დამატებითი გამოკითხვის შესახებ გაკეთებულ შუამდგომლობაზე, იმ არგუმენტით, რომ წერილობითი დასკვნა დამაჯერებელია და არ არსებობს შემდგომი განმარტების აუცილებლობა (BGH, Beschluss vom 26.10.2016 - IV ZR 52/14 - NJW-RR 2017, 22; BGH, Beschluss vom 16.03.2017 - V ZR 170/16 - DWW 2017, 230; BGH, Beschluss vom 28.10.2014 - VI ZR 273/13 - RuS 2015, 44; BGH, Beschluss vom

22.05.2007 - VI ZR 233/06 - NJW-RR 2007, 1294). მოსამართლემ უნდა გაითვალისწინოს შეცილება სასამართლო ექსპერტის დასკვნის წინააღმდეგ და გაეცნოს მისთვის წარმოდგენილ კერძო ექსპერტიზის დასკვნას, თუ ამ უკანასკნელიდან შეიძლება გამომდინარეობდეს სასამართლო ექსპერტიზის დასკვნაში ასახულის საწინააღმდეგო პოზიცია. სასამართლო დასკვნაში არსებული ბუნდოვანებების, ეჭვებისა თუ წინააღმდეგობების განხილვა მას სამსახურებრივად ევალება. თუ სასამართლოს მიერ დანიშნული ექსპერტი თავისი გამოკითხვის ფარგლებში ვერ ახერხებს კერძო დასკვნიდან გამომდინარე შეცილებების განეიტრალებას, მოსამართლემ, საქმის გარემოებათა გარკვევის ვალდებულების ფარგლებში, უნდა გამოითხოვოს კიდევ ერთი დასკვნა (BGH, Beschluss vom 17.05.2017 - VII ZR 36/15 - NJW 2017, 3661; BGH, Beschluss vom 12.01.2011 IV ZR 190/08 - NJW-RR 2011, 609).

40 ა. თუმცა, რა თქმა უნდა, სასამართლომ არ უნდა დაკითხოს დამატებით მონმეები ან შეაგროვოს სხვა დამატებითი მტკიცებულებები, როდესაც დასამტკიცებელი ფაქტის სისწორეში უკვე დარწმუნებულია (BGH, Beschluss vom 26.10.2016 - IV ZR /14 - NJW-RR 2017, 22); ამ თვალსაზრისით, სამოქალაქო საპროცესო სამართალშიც გამოიყენება § 244 Abs. 3 Satz 2 Nr. 3 GER-StPO.

41. მოსამართლეს არ აქვს უფლება, რომ **მონმის** მოსმენის გარეშე საეჭვო გახადოს მისი **დამაჯერებლობა**. განსაკუთრებით არ არსებობს რაიმე ემპირიული პრინციპი, რომლის თანახმად, მონმეები, რომლებიც პროცესის ერთ მხარესთან უფრო ახლო ურთიერთობაში არიან, თავიდანვე მიკერძოებულად და არადამაჯერებლად უნდა ჩაითვალოს და მათი ჩვენებები არსებითად გამოუსადეგარია ((BGH, Urteil vom 09.10.2001 - X ZR 153/99 - BauR 2002, 775; BGH, Urteil vom 18.01.1995 - VIII ZR 23/94 - NJW 1995, 955). მართალია, მონმეთა ახსნა-განმარტებების შეფასებისას გარემოებები, როგორცაა ერთ-ერთ მონაწილესთან ნათესაური ან დასაქმებით ურთიერთობაზე დამყარებული კავშირი, გასათვალისწინებელია (BGH, Urteil vom 09.10.2001 - X ZR 153/99 - BauR 2002, 775; BGH, Urteil vom 03.11.1987 - VI ZR 95/87 - NJW 1988, 566), თუმცა მონმის დამაჯერებლობაზე გადანყვეტილების მიღება, ზოგადად, შესაძლებელია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი დაიკითხება ((BGH, Beschluss vom 23.04.2015 VII ZR 163/141 - BauR 2015, 1325; BGH, Urteil vom 09.10.2001 - X ZR 153/99 - BauR 2002, 775; BGH, Urteil vom 12.10.1998 - II ZR 164/97 - NJW 1999, 143).

42. (4) მოსამართლის რწმენა უნდა ჩამოყალიბდეს ყველა არსებითი ასპექტის, მათ შორის, არაპირდაპირი მტკიცებულებების **ერთიანი შეფასების** საფუძველზე.

43. უმაღლესი ფედერალური სასამართლო ფაქტის დადგენისთვის ითხოვს **მოსამართლის სრულ დარწმუნებულობას** მის სიმართლეში. ამისათვის მოსამართლე უნდა „დაკმაყოფილდეს პრაქტიკული ცხოვრებისთვის გამოსადეგი მტკიცე რწმენის ხარისხით, რომელიც მოითხოვს ეჭვებისგან თავისუფლებას მათი სრულიად გამორიცხვის გარეშე“ (BGH, Urteil vom 17.02.1970 - III ZR 139/67 - BGHZ 53, 245; BGH, Urteil vom 13.09.2018 - III ZR 294/16 - NJW 2018, 3513; BGH, Urteil vom 18.10.2017 - VIII ZR 32/16 - NJW 2018, 150; BGH, Urteil vom 10.12.2015 - I ZR 87/14 - MDR 2016, 469; BGH, Urteil vom 22.05.2014 I ZR 109/13 - MDR 2014, 1455). მტკიცებულებათა შეფასება უნდა ეფუძნებოდეს მყარ ფაქტობრივ საფუძველს; სასამართლოს მიერ გამოტანილი დასკვნები არ უნდა იყოს უბრალო ვარაუდები. ამასთან, მოვლენათა განსხვავებული განვითარების რაიმე შესაძლებლობის (მეცნიერულად დამტკიცების თვალსაზრისით, დეტალურად იხ. ა.ნ. 65) სრულიად გამომრიცხველი რწმენა, რომელიც ველარავინ შეიტანს ეჭვს, საჭირო არ არის (BGH, Urteil vom 18.10.2017 - VIII ZR 32/16 - NJW 2018, 150; BGH, Urteil vom 11.06.2015 - I ZR 19/14 - NJW 2016, 942; BGH, Urteil vom 16.03.2013 - VI ZR 44/12 - NJW 2014, 71).

44. გერმანულ სასამართლო პრაქტიკაში ათეული წლებია სახელმძღვანელო გადანყვეტილებად მიიჩნევა უმაღლესი ფედერალური სასამართლოს 1970 წლის ე.წ. ანასტასიას გადანყვეტილება (Urteil vom 17.02.1970 - III ZR 139/67 - BGHZ 53, 245). ამ პროცესზე მოსარჩელე ახორციელებდა უფლებებს იმის მტკიცებით, რომ იყო რუსეთის დიდი მთავრის, მეფე ნიკოლოზ II-ის უმცროსი ქალიშვილი, ანასტასია რომანოვა. უმაღლესი ფედერალური სასამართლო ამ გადანყვეტილებაში მოსამართლის რწმენის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით აღნიშნავს:

45. „უნდა დავეთანხმოთ კასაციას, რომ სასამართლოს არ აქვს უფლება, დააყენოს „შესასრულებლად შეუძლებელი მოთხოვნები მტკიცებულებების მიმართ“ (BGHZ 7, 116; BVerwG 7, 248) და შემომმებისას მოითხოვოს ურყევი სარწმუნოება, რომ მტკიცება მართალი და დასაბუთებულია. თუმცა, არასწორია მტკიცება, რომლის თანახმადაც, სამოქალაქო პროცესის მოსამართლეს უფლება აქვს, ასეთი სახის საქმეებში დაკმაყოფილდეს უბრალო აღბათობით: § 286 ZPO-მიხედვით, მოსამართლემ მტკიცებულებათა შეგროვების საფუძველზე უნდა გადანყვიტოს, ჭეშმარიტად მიიჩნევს თუ არა გარკვეულ მტკიცებას, ანუ სწორედაც რომ არ აქვს უფლება, უბრალო აღბათობით დაკმაყოფილდეს. სხვა მხრივ, § 286 ZPO-ის შემთხვევაში გადამწყვეტია მხოლოდ ის ფაქტი, დარწმუნდა თუ არა თავად მოსამართლე გარკვეული მტკიცების ჭეშმარიტებაში. ეს პიროვნული რწმენა აუცილებელია გადანყვეტილების მისაღებად. მხოლოდ საქმის განმხილველ მოსამართლეს აქვს უფლება, საკანონმდებლო წესე-

ბის შებოჭვისგან დამოუკიდებლად და თავისი სინდისის კარნახით მიიღოს გადაწყვეტილება, შეუძლია თუ არა, რომ გადალახოს თავისთავად შესაძლო ეჭვები და დარწმუნდეს გარკვეული საქმის გარემოებების ჭეშმარიტებაში. კანონი, წინაპირობის სახით, არ ითხოვს ყოველგვარი ეჭვისგან თავისუფალ რწმენას. გადამწყვეტია საქმეზე გადაწყვეტილების მიმღები მოსამართლის ეს პირადი რწმენა, მაშინაც კი, როდესაც სხვებს ეჭვი ეპარებათ ან სხვა მოსაზრება ჩამოუყალიბდათ. თუმცა მოსამართლეს უფლება აქვს და ევალება, რომ მართლაც საეჭვო შემთხვევებში დაკმაყოფილდეს პრაქტიკული ცხოვრებისთვის გამოსადეგი რწმენის ხარისხით, რომელიც თავისუფალია ეჭვებისგან მათი სრულად გამორიცხვის გარეშე. თუმცა, ეს მრავალგზის არაზუსტად გამოიხატება ისე, თითქოს სასამართლოს უფლება აქვს, დაკმაყოფილდეს დარწმუნებულობასთან მომიჯნავე ალბათობით; ეს არ არის სწორი, თუ გულისხმობს, რომ ამით მოსამართლის პირადი რწმენის ჩამოყალიბებიდან ჭეშმარიტებას აღარ უნდა მიექცეს ყურადღება“.

46. (5) თუ რომელი ასპექტებია გასათვალისწინებელი რწმენის ჩამოყალიბებაში, საბოლოო ჯამში, ყოველი ცალკეული შემთხვევის მიხედვით წყდება.

47. თუ მოსამართლის განკარგულებაშია უშუალო მტკიცებულებები, როგორცაა წერილობითი ხელშეკრულებები ან მონმეები, რომლებსაც შეუძლიათ გარკვეული მოვლენების გადმოცემა საკუთარი აღქმის საფუძველზე, მას შეეძლება, პირველ რიგში მათზე მოახდინოს კონცენტრაცია. არაპირდაპირი მტკიცებულების შემთხვევაში, სხვისგან გაგონილის მომხსენებელი მონმეების დაკითხვის ჩათვლით, ჩვეულებრივ, საჭირო იქნება აშკარად უფრო რთული და კომპლექსური ერთიანი მიმოხილვა.

48. ამასთან, მტკიცებულებათა შეფასებისას გასათვალისწინებელია შემდეგი საკითხი: არ არსებობს რაიმე ემპირიული გამოცდილება, რომ მონმეები სასამართლოს წინაშე სიმართლეს ამბობენ, ან პირიქით, ცრუ ჩვენებებს იძლევიან. ამიტომ, ზოგი გაუგებარი ფორმულირების საპირისპიროდ, სასამართლოს გადაწყვეტილებებში მოსამართლეს არ ეკისრება არავითარი კვალიფიციური დასაბუთების ტვირთი, როდესაც საეჭვოდ მიაჩნია გარკვეული მონმის ჩვენება. პირიქით, მოსამართლემ ობიექტურად უნდა შეაფასოს, რამდენად სათუოდ მიაჩნია მონმის ჩვენების შინაარსი მთლიანი გარემოებებისა და, საჭიროების შემთხვევაში, მტკიცებულებათა შეგროვების სხვა შედეგების გათვალისწინებით, და გადაწყვიტოს, შეუძლია თუ არა, რომ საბოლოოდ დარწმუნდეს მოვლენათა გარკვეულ განვითარებაში.

49. ასევე გასათვალისწინებელია, რომ მონმეებს, მრავალი მიზეზის გამო - განსაკუთრებით, სწრაფი და კომპლექსური მოვლენებისას, როგორცაა, მაგალითად, უბედური შემთხვევები - შეიძლება გაუჭირდეთ

აღქმა; ასევე, მონმეთა მესხიერება დროთა განმავლობაში შეიცვალა, განსაკუთრებით, უფრო სელექციური გახდეს. მონმეთა უმრავლესობას, რომლებიც სასამართლოს წინაშე ობიექტურად შეუზღუდავ და სრულყოფილ ჭეშმარიტებას არ აცხადებენ, სჯერა, რომ საკუთარ (სუბიექტურად ჭეშმარიტად აღქმულ) ჩვენებაში სინამდვილეში მომხდარ ფაქტებს ყველა. ამის გათვალისწინებით, მოსამართლის ძალიან მნიშვნელოვანი ამოცანაა, არა მხოლოდ იცოდეს, არამედ ყურადღება მიაქციოს, მონმეთა დაკითხვისა და ჩვენებების შეფასებისას ხომ არ აქვს საქმე მონმის აღქმის დეფიციტსა და მესხიერების ცვლილებებთან. ილუსტრაციისთვის (გამარტივებულად) მომყავს მაგალითი ავტორის სამუშაო პრაქტიკიდან:

50. *სწორი რელიეფის მქონე უკაცრიელ ტერიტორიაზე, გზაჯვარედინზე, შუალამისას, სამგზავრო ავტობუსი, რომლის მძღოლიც ვალდებული იყო, დაეთმო (შეჩერებულიყო), დაეჯახა უპირატესი უფლების მქონე მოძრავ ავტომანქანას. სამგზავრო ავტობუსის მძღოლი და ყველა მგზავრი (გარდა მგზავრებისა, რომლებსაც ეძინათ) ერთხმად აცხადებს, რომ საკმაოდ დიდი სიჩქარით მომავალი ავტომანქანის ფარები შეჯახებამდე სულ ცოტა ხნით ადრე თითქოს არსაიდან გამოჩნდა. მათი აზრით, ავტომანქანის მძღოლი თავიდან შუქის გარეშე მოძრაობდა და უშუალოდ შეჯახების წინ ჩართო ფარები. არ არსებობს რაიმე სამხილი, რომელიც მიუთითებს, რომ მონმეები ცრუობენ. შემდეგ (თითქმის შემთხვევით) გაიჩინა, რომ სხვა მხრივ, უკაცრიელ ტერიტორიაზე დიდი, დაუსახლებელი სახლი იდგა, რომელმაც ავტობუსის მძღოლს თავიდან ხელი შეუშალა ავტომანქანის მძღოლის დანახვაში. სიბნელეში ეს ცარიელი შენობა ვერცერთმა მონმემ თუ უბედური შემთხვევის მონაწილემ ვერ აღიქვა. მართლაც, სამგზავრო ავტობუსის მძღოლსა და მის მგზავრებზე სიბნელეში ამას ისეთი შთაბეჭდილება უნდა მოეხდინა, თითქოს ავტომანქანის შუქები - მას შემდეგ, რაც ამ შენობას გასცდა - „არსაიდან გაჩნდა“.*

51. (6) გარდა იმისა, რომ მონმეთა ჩვენებები უნდა შეფასდეს ინდივიდუალურად და ვითარებასთან კავშირში, არსებობს რიგი **კრიტერიუმები**, რომლებიც მტკიცებულებათა შეფასებაში მეტ-ნაკლებად გასათვალისწინებელია.

52. (6.1) მათ პირველ რიგში განეკუთვნება **ლოგიკისა და აზროვნების კანონების** ყველა ასპექტი.

53. თუ მონმე ამტკიცებს, რომ სავაჭრო ბრუნვაში წერილი მითითებული თარიღით მოამზადა, მაგრამ აღმოჩნდება, რომ ქალაქდზე დაბეჭდილი ლოგო მხოლოდ მოგვიანებით იქნა გამოყენებული, ან ამ დროისთვის ფორმას ჯერ კიდევ სხვა დასახელება ჰქონდა, უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი უკანა თარიღით მომზადდა. იგივე წესი მოქმედებს, როდესაც წერილში მითითებულია მისამართი, რომელზეც ადრესატი დასახელებული

მომენტისთვის ჯერ არ ცხოვრობდა. თუ რესტორანი იმ დღეს, როდესაც ერთ-ერთი მონაწილის თქმით, ერთმანეთს შეხვდნენ, დაკეტილი იყო, მაშინ არსებობს ამ ჩვენებაში ეჭვის შეტანის საფუძველი. თუ ავტომაგისტრალზე მანქანით მგზავრობის დასადასტურებლად წარმოდგენილი იქნება ბენზინგასამართი სადგურის ქვითარი, მაგრამ შესაბამისი სადგური სინამდვილეში საპირისპირო მიმართულებით მდებარეობს, გაჩნდება განმარტების საჭიროება.

54. რაოდენ ბანალურადაც უნდა ჟღერდეს, ერთი შეხედვით, აუცილებელია ლოგიკის მოსაზრებებისა და აზროვნების კანონების გამოყენება. კერძოდ, მოქმედებს წესი, რომლის თანახმად, უკვე მონმეთა დაკითხვისა და სხვა საპროცესო მასალის შეფასებისას, როგორცაა, მაგალითად, მიმონწერა და წერილობითი ხელშეკრულებები, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ასეთ ასპექტებს. ამდენად, ამ დროს მოსამართლისთვის გადამწყვეტი არ არის კონკრეტულად მტკიცებულებათა შეფასებისას იმ (მართლაც ბანალურ) დასკვნამდე მისვლა, რომ რაღაც შემთხვევა, რომელიც ლოგიკის ასპექტებსა და აზროვნების კანონებთან შეუთავსებელია, ისე ვერ მოხდებოდა, როგორც ამტკიცებენ: მოსამართლის გადამწყვეტი მოქმედება ხდება ერთი საფეხურით ადრე, კერძოდ, მთლიანი ფაქტობრივი არგუმენტაციის ყოვლისმომცველი მიმოხილვისას, რათა, პირველ რიგში, შეძლოს ლოგიკისა და აზროვნების კანონების დარღვევათა ამოცნობა (მაგ.: შეამჩნიოს, რომ წერილზე ლოგო, მისამართი ან ფირმის მონაცემები შესაძლოა სწორი არ იყოს).

55. მონმის დაკითხვის დროსაც, გადამწყვეტი მიმართულებები მტკიცებულებათა ობიექტურად სწორად შეფასებისათვის, უმრავლეს შემთხვევაში, ჯერ კიდევ დაკითხვისას განისაზღვრება. რა თქმა უნდა, ამისათვის არ არსებობს რაიმე დაპატენტებული რეცეპტი და, ბუნებრივია, მოსამართლეს ყოველთვის უნდა ახსოვდეს, რომ ჭეშმარიტების გამოძიების ყველანაირი მცდელობა მონმის დაკითხვისას ფაქტობრივ ზღვარს აწყდება. მიუხედავად ამისა, მონმეთა ჩვენებების სიმართლის ან სიცრუის შემონმება - ყოველ შემთხვევაში, ზოგადად მაინც - შესაძლებელია, თუკი განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ლოგიკისა და აზროვნების კანონებთან შეუთავსებლობას და დაკითხვის მოხერხებული მეთოდის საშუალებით კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება ასეთი ასპექტები. ის მონმეები, რომლებიც ჭეშმარიტებას სერიოზულად არ აღიქვამენ, ხშირად ძალიან ძლიერად არიან ფოკუსირებულნი სასამართლოსთვის იმ ამბის მოყოლაზე, რომელიც წინასწარ თავისთვის ჩამოაყალიბეს. თუ მოსამართლე მოხერხებული ჩაკითხვის გზით „გარშემო მომხდარსაც“ დააზუსტებს, მაშინ მონმეებს, რომლებიც ისეთ შემთხვევას ყვებიან, რომელიც ნამდვილად გადახდათ თავს, ჩვეულებრივ, შესწევთ უნარი, რომ მთლიანობაში ლოგიკური, თანმიმდევრული სურათი აღწერონ; ხოლო ისინი, რომლებიც

ნაკლებად არიან დაინტერესებულნი სიმართლის თქმით, განსაკუთრებით, მოულოდნელ შეკითხვებზე პასუხის გაცემისას, შეუსაბამობებსა და ლოგიკურ წინააღმდეგობებში აღმოჩნდებიან ხოლმე. მოწმეები, რომლებსაც ობიექტურად ბოლომდე სწორი ამბავი არ აქვთ მომზადებული, საბოლოო ლოგიკურ შედეგებში სწორედ ასეთ წვრილმანებს ვერ ითვალისწინებენ; და პირიქით, ხშირად სწორედ ეს სავარაუდო წვრილმანები - კერძოდ, „გარშემო მომხდარის“ თანმიმდევრული აღწერა - მიუთითებს, რომ მოწმე ობიექტურ სიმართლეს უნდა ყვებოდეს.

56. (6.2) მტკიცებულებათა შეფასებისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება **სარწმუნოებას**. განსაკუთრებით, გარიგებითი განმარტებებისას, მოსამართლის რწმენის ჩამოყალიბების არსებითი კრიტერიუმია **მონაწილეთა ინტერესების ობიექტური სიტუაცია**. მართალია, ადამიანები ირაციონალურად ან/და ზოგადი ცხოვრებისეული გამოცდილებიდან თუ გონივრულობიდან განსხვავებულადაც იქცევიან, თუმცა ეს არაფერს ცვლის როდესაც:

57. (6.2.1) პირველ რიგში, არსებობს გარკვეული საწყისი ალბათობა, რომ გადასაწყვეტ პროცესს საფუძვლად უდევს ცხოვრებისეული გამოცდილებისათვის ტიპური და სარწმუნოდ ასახსნელი შემთხვევა, და არა „აცდენა“. ეს რომ სხვაგვარად ყოფილიყო, მაშინ არც უდავო მტკიცებულებასთან დაკავშირებული სასამართლო პრაქტიკის პრინციპები იარსებებდა (იხ. ზემოთ Art. 102 Rn. 6 ff.). მართალია, ადამიანები თავიანთი ქცევებით და გარკვეულ ცხოვრებისეულ მდგომარეობაზე რეაქციებით განსხვავდებიან, თუმცა, მიუხედავად ამისა, მათ აერთიანებთ გარკვეული მსგავსებებიც, როგორცაა, მაგალითად, ის, რომ ხელშეკრულების დასაღებად მოლაპარაკებებისას ისინი **საკუთარი ინტერესების** დაცვას ცდილობენ. მიუხედავად ყველა განსხვავებისა მოლაპარაკებების წარმართვის სტილში, რისკიანობასა თუ სტრატეგიაში, ადამიანები ცდილობენ, გარიგებების სფეროში არ გადადგან ისეთი არაგონივრული ნაბიჯები, რომლებიც ეწინააღმდეგება მათ მოთხოვნილებებს. ამიტომ, სახელშეკრულებო მოლაპარაკებებისას, საჭიროების შემთხვევაში, ნების გადაწყვეტილებაზე დამოკიდებულ სხვა ქცევებთან მიმართებითაც უნდა დაისვას კითხვა, თუ რომელი ქმედება ემსახურებოდა კონკრეტულ ვითარებაში ობიექტურ ინტერესებს და, შესაბამისად, რომელია ლოგიკური და დამაჯერებელი. ასევე არსებობს მთელი რიგი სიტუაციები, რომლებშიც პრაქტიკულად ყველა ადამიანი, მიუხედავად მათთვის დამახასიათებელი მრავალფეროვნებისა, ერთნაირად იქცევა. ასე, მაგალითად, დანამდვილებით ვერ ვიტყვით, რომ ყველა ადამიანი იცავს საგზაო მოძრაობის წესებს, თუმცა საგზაო მოძრაობაში არსებობს გარკვეული მითითებები, რომლებსაც, პრაქტიკულად, ყველა მძღოლი ითვალისწინებს: თუნდაც მხოლოდ საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, საგზაო მოძრაობის

თითქმის ყოველი მონაწილე აანთებს ფარებს ბნელ ღამეში, ყოველ შემთხვევაში, დაუსახლებელ ადგილებში, ან არ გააჩერებს მანქანას ავტომაგისტრალის გასწვრივ ზოლში, თუ ამისთვის არ არსებობს მოძრაობიდან გამომდინარე რაიმე მიზეზი.

58. მეორე მხრივ, ცხოვრებისეული გამოცდილება და სარწმუნოება გულისხმობს ადამიანების გარკვეულ თანმიმდევრულ, ლოგიკურ მოქმედებას, ანუ **თანმიმდევრულ საერთო სურათს**. რაოდენ განსხვავებულებიც უნდა იყვნენ ადამიანები, მაინც მრავალი (მეტ-ნაკლებად გეგმურად მოქმედი) ადამიანი ავლენს გარკვეულ სწორხაზოვნებას და თანმიმდევრულობას თავისი მიზნების განხორციელებისას. ეს ცხოვრებისეული გამოცდილება და სარწმუნოება არსებობს გარკვეული ქმედების ფარგლებში, მიუხედავად იმისა, რამდენად დიდია დასაწყისში მოვლენათა ასეთი განვითარების ალბათობა. საწყისი ალბათობა, რომ ხელშეკრულების დადებისას განხორციელდება თაღლითური ქმედებები, ცხადია, მცირეა, თუმცა ეს არაფერს ცვლის იმასთან მიმართებით, რომ თაღლითებიც, ზოგადი ცხოვრებისეული გამოცდილების მიხედვით, თავიანთი თაღლითური მოქმედებების ფარგლებში ან საერთოდ მათ მიერ შექმნილი თაღლითური სისტემის შიგნითაც, უფრო ლოგიკურად მოქმედებენ. ამიტომ, თანმიმდევრულობისა და შინაგანი „შეთანხმებულობის“ ასპექტები, ანუ „ჭარმონიული, თანმიმდევრული საერთო სურათის“ არსებობა/არარსებობა, ატიპურ მოვლენათა განვითარების შემთხვევებშიც სავსებით გამოსადეგი საშუალებაა მტკიცებულებათა შესაფასებლად.

59. (6.2.2) თუმცა, მოსამართლემ უნდა გაითავისოს, რომ რეალური ცხოვრება შეიძლება ასცდეს მისაღები სარწმუნოების მოსაზრებებს და ისეთი მოვლენები განვითარდეს, რომელთა წარმოდგენა მანამდე თითქმის შეუძლებელი იყო. მიუხედავად ამისა, სარწმუნოების მოსაზრებები, განსაკუთრებით, თანამიმდევრულობა, ანუ „ჭარმონიული საერთო სურათი“, სადაც „ფაზლის“ ნაწილები ერთმანეთს შეესაბამება ან არ შეესაბამება, მაინც რჩება მნიშვნელოვან ინსტრუმენტად, რომ მოსამართლის რწმენის ჩამოყალიბების პროცესი, გადანყვეტილების ინსტიტუტების საფუძველზე მიღების სპონტანურობისა და ემოციურობის დონიდან გადავიდეს იურიდიული რაციონალურობის დონეზე.

60. ეს წესი მოქმედია მით უფრო, რომ სახელშეკრულებო მოლაპარაკებებისას შეიძლება არსებობდეს სხვა ფაქტორები, რომლებსაც მნიშვნელოვანი ღირებულება აქვს, როგორც არაპირდაპირ სამხილებს, და განკუთვნილია იმისთვის, რომ რაციონალურად განავითარონ მოსამართლის რწმენის ჩამოყალიბების პროცესი. ამ დროს პრიორიტეტულია ე.წ. **ხელშეკრულების შემდგომი (მოგვიანებითი) ქცევის** გათვალისწინება, რომელიც, ჩვეულებრივ (სამართლებრივ დავაში მხარის ახსნა-განმარტების ან „მხარესთან დაახლოებული“ მოწმეების განცხადებებისგან

განსხვავებით), ჯერ ვერ იქნება საპროცესო-ტაქტიკური მოსაზრებებით გადატვირთული: როგორც წესი, ის სწორად გადმოსცემს შემდგომში პროცესის მონაწილის იმდროინდელ პოზიციას. მართალია, ხელშეკრულების მხარეთა ხელშეკრულების შემდგომი ქცევა უკვე ველარ იქონიებს გავლენას ხელშეკრულების ობიექტურ შინაარსზე, მაგრამ ზემოთ ხსენებული მიზეზების გამო, მას შეიძლება მიენიჭოს არსებითი მნიშვნელობა, როგორც არაპირდაპირ სამხილს ნამდვილი ნების გამოძიებისა და ხელშეკრულების მხარეთა მიერ მისი ნამდვილი შინაარსის გაგების თვალსაზრისით (BGH, Urteil vom 07.11.2017 - XI ZR 369/16 - NJW-RR 2018, 301; BGH, Urteil vom 22.04.2011 - I ZR 197/07 - NJW 2011, 775; BGH, Urteil vom 06.07.2005 - VIII ZR 136/04 - NJW 2005, 3205). თუ, მაგალითად, მოპასუხე, ხელშეკრულების დადების შემდეგ, რომლის გაფორმებასაც ამტკიცებს მოსარჩელე, იხდის მოსარჩელის მიერ გაცხადებული ფასის „ბე“-ს, ან ატყობინებს მას, რომ იგი ფასს უმოკლეს ვადაში გადაიხდის, მაშინ ის ვალდებული იქნება, გასაგებად განმარტოს, თუ როგორ შეიძლება მისი ასეთი მოქმედება შეთავსდეს იმასთან, რასაც სამართლებრივ დავაში ამტკიცებს - კერძოდ, რომ მათ შორის ჯერ არავითარი ხელშეკრულება არ გაფორმებულა.

61. წინასახელშეკრულებო ქცევასაც შეიძლება ცალკეულ შემთხვევაში გარკვეული სამხილის მნიშვნელობა მიენიჭოს, თუ არსებითი შეუსაბამობები არსებობს, ერთი მხრივ, წინასახელშეკრულებო სტადიაში წარმოდგენილ პოზიციებსა და, მეორე მხრივ, მხარის მიერ გაცხადებულ ხელშეკრულების დადების პირობებთან დაკავშირებით; ასევე, სარწმუნოდ ახსნადი არ არის, თუ რას შეიძლება ეფუძნებოდეს აზრის ასეთი მნიშვნელოვანი ცვლილება. ეს განსაკუთრებით მოქმედებს, როდესაც ხელშეკრულების დადებას ან სხვა ქმედებას წინ უსწრებდა მიმონერა, რომელშიც მონაწილეებმა ერთმანეთს თავიანთი შეხედულებები და წინასწარი პოზიცია შეატყობინეს (vgl. BGH, Urteil vom 07.02.2002 - I ZR 345/99 - BGHZ 150, 32; BGH, Urteil vom 01.10.2013 - XI ZR 28/12 - ZIP 2013, 2250; BGH, Urteil vom 17.01.1997 - V ZR 285/95 - NJW 1997, 1231). ასეთი დასკვნები, ხელშეკრულების დასადებად გამართული მოლაპარაკებებისას არსებული მნიშვნელოვანი გაურკვევლობების გამო, ძალიან ფრთხილად უნდა გაკეთდეს. ამიტომ, ხშირ შემთხვევაში, მხოლოდ მაშინ შეიძლება განიხილონ, თუ ამასობაში გარემოებები არ შეცვლილა (BGH, Urteil vom 07.02.2002 - I ZR 345/99 - BGHZ 150, 32; BGH, Urteil vom 17.01.1997 - V ZR 285/95 - NJW 1997, 1231).

62. მხარე, რომელიც ამტკიცებს, რომ წერილობით ხელშეკრულებაში დოკუმენტირებულ ნებასთან ერთად, შეთანხმდა სხვა საკითხებიც, ვალდებული იქნება, რომ საეჭვოობისას სარწმუნოდ განმარტოს, თუ რატომ არ შეიტანეს ეს შეთანხმებები წერილობით ხელშეკრულებაში (იხ.

ზემოთ, ა.ნ. 22). ჩვეულებრივ, იგივე წესი იმოქმედებს, როდესაც მხარე ისეთ საკითხებს აღწერს, რომლებიც აშკარად ეწინააღმდეგება მის მიერ მანამდე მომზადებულ წერილობით დოკუმენტებს (BGH, Beschluss vom 23.04.2015 VII ZR 163714 - BauR 2015, 1325 მოწმისთვის). მტკიცებულებათა შეფასებისას, ასევე შეიძლება გათვალისწინებული იყოს ცვლილება მხარის ჩვენებაში, რომლის მიზეზი გაუგებარია (იხ. ზემოთ, ა.ნ. 24).

63. (6.2.3) წარმოდგენილი სარწმუნოების შეფასებები ერთნაირად ეხება როგორც მხარეთა მტკიცებებს, ისე **მონმეთა** მიერ გაკეთებულ აღწერას. თუ მონმე პროცესის მსვლელობისას ცვლის თავის ჩვენებას, კითხვის ნიშნის ქვეშ უნდა დადგეს მისი დამაჯერებლობა და დაესვას კითხვა, თუ რომელია სიმართლე მისი გამონათქვამებიდან. თუ მონმის მიერ მომზადებული აღწერა არ შეესაბამება მის მიერ მომზადებულ წერილობით დოკუმენტებს (BGH, Beschluss vom 23.04.2015 - VII ZR 163714 - BauR 2015, 1325), ან (მხარის თანამშრომლის შემთხვევაში) მის ქცევას ხელშეკრულების შემდგომ, მაშინ ეს შეუსაბამობები უნდა შეფასდეს სასამართლოს წინაშე.

64. (6.3) მტკიცებულებათა თავისუფალი შეფასების პრინციპი მოსამართლისგან მოითხოვს, ერთი მხრივ (განსაკუთრებით, არაპირდაპირი მტკიცებულებების შემთხვევაში), ყოვლისმომცველ მთლიან შეფასებას, თუმცა, მეორე მხრივ, ზემოთ წარმოდგენილი კრიტერიუმის ფარგლებში, მას აძლევს ინდივიდუალური შეხედულების ჩამოყალიბების შესაძლებლობას საკუთარი (სამართლით შებოჭილი) პასუხისმგებლობის ქვეშ. მაგალითად, ზოგადად მას (თუ მნიშვნელოვან შუამდგომლობებს მტკიცებულებათა შესახებ უყურადღებოდ არ დატოვებს), საპროცესო-სამართლებრივი თვალსაზრისით არ ეკრძალება, რომ მხოლოდ მხარეთა ახსნა-განმარტებების საფუძველზე და მტკიცებულებათა მიღების გარეშე დაადგინოს, რა მიაჩნია სიმართლედ და რა სიცრუედ (BVerfG, Beschluss vom 01.08.2017 – 2 BvR 3069/14 - NJW 2017, 3218; BGH, Urteil vom 06.10.1981 - X ZR 57/80 - BGHZ 82, 13; BGH, Beschluss vom 27.09.2017 - XII ZR 48/17 - NJW-RR 2018, 280). თუმცა, რა თქმა უნდა, ამის წინაპირობაა, რომ მოსამართლემ თავი არ აარიდოს სამართლებრივად მნიშვნელოვან მტკიცებულებათა წარმოდგენას. ცალკეულ შემთხვევებში, მას შეუძლია, მხარის ჩვენებას უპირატესობაც კი მიანიჭოს მონმის ჩვენებებთან მიმართებით (BGH, Urteil vom 25.03.1993 - IX ZR 192/92 - BGHZ 122, 115; BGH, Beschluss vom 27.09.2017 - XII ZR 48/17 - NJW-RR 2018, 280). ეს წესი იმოქმედებს იმის მიუხედავად, მოსამართლემ მხარე, § 141 GER-ZPO-ს მიხედვით, **მხარეთა მოსმენის** ფარგლებში (დაახლოებით, მსგავსია სსკ-ის 127-ე მუხლის პირველი ნაწილი და 128-ე მუხლი) არაფორმალურად გამოკითხა, თუ ეს იყო (ქართული სამოქალაქო საპროცესო სამართლისთვის ამ ფორმით უცნობი) მხარეთა დაკი-

თხვა §§ 445 ff. GER-ZPO-ის მიხედვით. მართალია, § 141 GER-ZPO-ით გათვალისწინებული მხარეთა მოსმენა (§§ 445 ff. GER-ZPO-ით გათვალისწინებული მხარეთა დაკითხვისგან განსხვავებით) არ არის ფორმალური მტკიცებულება (BGH, Beschluss vom 27.09.2017 - XII ZR 48/17 - NJW-RR 2018, 280), თუმცა, ეს არაფერს ცვლის შემდეგ საკითხთან მიმართებით: არსებულ გარემოებათა გათვალისწინებით, მოსამართლეს, პროცესის შედეგის თავისუფალი შეფასების ფარგლებში, შეუძლია მაშინაც ენდოს ერთ-ერთი მხარის მიერ მოსმენის ფარგლებში წარმოდგენილ მონაცემებს (§ 141 GER-ZPO-ის შესაბამისად), როდესაც მოსმენის გარეშე მისი ჩვენების სისწორის მნიშვნელოვნად დიდი ალბათობა არ იარსებებდა (BGH, Beschluss vom 27.09.2017 - XII ZR 48/17 - NJW-RR 2018, 280; BGH, Urteil vom 07.02.2006 - VI ZR 20/05 - NJW-RR 2006, 672). მხარის ორ პირს შორის საუბრის ფორმატში მოსმენის განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო, გასათვალისწინებელია Art. 4-ის ა.ნ. 7 და Art. 102-ის ა.ნ. 35.

65. უმაღლესი ფედერალური სასამართლო ყოველთვის ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მოსამართლეს არ ევალება, სამეცნიერო უტყუარობით გამოიძიოს გარკვეული შემთხვევის ალბათობის მასშტაბი, რომელიც მისი რწმენის ჩამოყალიბების საფუძველია (იხ. ზემოთ, ა. ნ. 43) (BGH, Urteil vom 12.10.2016 VIII ZR 103/15 - BGHZ 212, 224; BGH, Urteil vom 18.10.2017 - VIII ZR 32/16 - NJW 2018, 150; BGH, Urteil vom 16.04.2013 - VI ZR 44/42 - NJW 2014, 71); ასევე არ ევალება ეკონომიურობის გამონგარიშების სამეცნიერო მეთოდების მთელი წესების (მაგ.: ე.ნ. ბაიესის თეორემის) გამოყენება (BGH, Urteil vom 28.03.1989 - VI ZR 232/88 - NJW 1989, 3161). პირიქით, მოსამართლემ თავისი ნების ჩამოყალიბების ფარგლებში უნდა იცოდეს, რომ მას, ამ პროცესის ძირითადი წინაპირობის სახით, კითხვაზე, შეუძლია თუ არა ფაქტის არსებობაში საპროცესო-სამართლებრივად უსაფრთხოდ დარწმუნება, ესაჭიროება ძალიან მაღალი ალბათობა (იხ. ზემოთ, ა. ნ. 42 და მომდევნო აბზაცები).

66. თუმცა, ბევრად დიდი მნიშვნელობა ენიჭება **ალბათობის გამონგარიშებებს** წარმომავლობასთან დაკავშირებულ პროცესებში (და სისხლის სამართლის პროცესში დანაშაულის კვალის „გენეტიკური თითის ანაბეჭდით“ გაშიფვრისას), რომლებშიც სტატისტიკური ალბათობების გამონგარიშება - სხვა ცხოვრებისეული სფეროებისგან განსხვავებით - შესაძლებელია არა მხოლოდ აბსტრაქტულად, არამედ კონკრეტულად განსახილველ პროცესთან დაკავშირებითაც. ეს არ ნიშნავს, რომ სასამართლო გადაწყვეტილება თავიდანვე მხოლოდ ამ მონაცემებს უნდა დაეყრდნოს. პირიქით, დიდი სტატისტიკური ალბათობის შემთხვევაშიც, შესაძლებელია, რეკომენდებული იყოს სხვა მტკიცებულებების მიღება. მაგალითის სახით წარმოგიდგინთ ამონარიდს უმაღლესი ფედერალური სა-

სამართლოს გადაწყვეტილებიდან (Urteil vom 03.05.2006 - XII ZR 195/03 - BGHZ 168, 79, მითითებულია [შდრ. ასევე დნმ-ის მტკიცებულებითი ღირებულების შესახებ - დასკვნა სისხლის სამართლის პროცესში თანამონაწილეობის დასადგენად: BGH, Urteil vom 21.03.2013 - 3 StR 247/12 - BGHSt 58, 212; BGH, Beschluss vom 28.08.2018 - 5 StR 50/17 - NJW 2018, 3192; BGH, Urteil vom 24.03.2016 - 2StR 112/14 - NStZ 2016, 490]):

67. „1. სააპელაციო სასამართლო თავისი გადაწყვეტილების დასაბუთებაში, პირველ რიგში, მიუთითებს: დნმ-ის დასკვნის შედეგი აუქმებს მოპასუხის მტკიცებას, რომ მას მოსარჩელის დედასთან სქესობრივი კონტაქტი არ ჰქონია, და მოპასუხის მამობის დიდი ალბათობა მიუთითებს, რომ მონმე ო.-ს მამობა უნდა გამოირიცხოს.

მხოლოდ ამ არგუმენტაციით გადაწყვეტილების გასაჩივრება ვერ იქნებოდა საკმარისად მყარი. კერძოდ, საქმის განმხილველმა მოსამართლემ უნდა გაითვალისწინოს, რომ დნმ-ის ანალიზი შეიცავს მხოლოდ სტატისტიკურ განაცხადს, რომელიც სხვა მტკიცებულებითი გარემოებების შეფასებას ზედმეტად არ აქცევს (...).

b) ამასთან, გადაწყვეტილების საფუძვლად არსებული სხვა არგუმენტების საშუალებით, ნათელია, რომ სააპელაციო სასამართლო მტკიცებულებათა შეფასებისას მხოლოდ დასკვნას არ ეყრდნობოდა.

მიუხედავად იმისა, რომ ამაზე არავის უსაუბრია, მხარეთა შორის უდავო ფაქტიდან აშკარად გამომდინარეობს, რომ მოპასუხე და მოსარჩელის დედა ერთმანეთს იცნობდნენ და, სულ მცირე, ერთხელ, ღამის ნაწილი ერთმანეთთან უშუალო ფიზიკურ სიახლოვეში გაატარეს. უკვე დამატებით ამ გარემოების გათვალისწინება, წარმომავლობის შესახებ მიღებულ დასკვნასთან კომბინაციაში, არსებითად საკმარისი იქნებოდა მოსამართლის რწმენის დასასაბუთებლად იმ მამაკაცის მამობაზე, რომლის წინააღმდეგაც არის წარდგენილი სარჩელი.

სქესობრივი თანაცხოვრების შესახებ სხვა მტკიცებულებების დამატებით წარმოდგენა შეიძლება ზედმეტი იყოს, როდესაც ისინი, მამობის დადგენის თანამედროვე საშუალებებით ბავშვის წარმომავლობის გენეტიკური მიკუთვნებისას, დღეისათვის ხელმისაწვდომი ძალიან მაღალი ალბათობის მაჩვენებლების გათვალისწინებით, საქმის განმხილველი მოსამართლის რწმენით ასევე დამტკიცებულად არის მიჩნეული.

2. მაგრამ კასაცია სწორად აკრიტიკებს, რომ სააპელაციო სასამართლოს არ დაუკითხავს მონმე, ექიმი „ა“...

a) კონკრეტული მამაკაცის მამობის პოზიტიური „დადასტურება“ ბიომეტრიული (ბიოსტატისტიკური) მეთოდებით, საბოლოო ჯამში, დამყარე-

ბულია მხოლოდ ალბათობის თეორიაზე. ეს თეორია ბავშვის სხვა წარმომავლობის (მართალია, გარკვეულ შემთხვევებში, უკიდურესად მცირე) შესაძლებლობას აბსოლუტური მათემატიკურ-საბუნებისმეტყველო და მეცნიერული დამაჯერებლობით ვერ გამორიცხავს. ამისათვის საჭირო იქნებოდა მამობის ალბათობის პრაქტიკაში მიუღწეველი მნიშვნელობა - $W=100\%$. ამიტომ, სხვა მტკიცებულებები, რომლებიც თავიანთი ბუნებით ზოგადად გამოსადეგია იმისათვის, რომ გარკვეული ინფორმაცია მოიპოვონ მამობის დასადგენად, კერძოდ (როგორც აქ), უფრო მეტი სქესობრივი ურთიერთობის დასადასტურებლად, თავიდანვე არ უნდა უარყონ გამოუსადეგარობის არგუმენტით. ეს წესი მოქმედებს, ზოგადად, მონმის მტკიცებულების მიმართაც, კერძოდ, მაშინაც, როდესაც ბიოსტატისტიკური მეთოდებით მომზადებული დასკვნიდან შესაძლოა მოპასუხისთვის მამობის დიდი ალბათობა გამომდინარეობდეს (BGH FamRZ 1988, 1037 მამობის 99,9996 %-იანი სარწმუნოების შემთხვევაში; BGH FamRZ 1990, 615).

b) მონმე ექიმი „ა“-ს დაკითხვა ასევე არ იყო გამოსადეგი, რადგან იგი მხოლოდ სხვისგან გაგონილის (მომხსენებელი) მონმეა. ასეთი მონმეც მონმეა, რადგან მან საკუთარი კონკრეტული აღქმა უნდა გადმოსცეს. ამ სახის მტკიცებულება განსაკუთრებული საფრთხის შემცველია, რაც მონმის მტკიცებულების ზოგადი არასაიმედოობის ფარგლებს სცდება, ამიტომ მტკიცებულების შეფასების მიმართ გამოყენებული უნდა იყოს მალალი მოთხოვნები. თუმცა ამით ვერ გამართლდება ასეთი მტკიცებულების დაუშვებლად მიჩნევა (BGH NJW-RR 1990, 1276...).

ყოველ შემთხვევაში, მონმე ექიმი „ა“-ს ჩვენება, რომ მონმე „ო“-მ მასთან აღიარა ბავშვის დედასთან მრავალწლიანი სქესობრივი ურთიერთობები, გამოსადეგი იქნებოდა მონმე „ო“-სა და ბავშვის დედის მნიშვნელოვანი (გადაწყვეტილების მისაღებად) ჩვენებების ძირეულად შეწყვეისათვის (...). ამას გარკვეულ გარემოებებში - კერძოდ, თუ საქმისთვის მნიშვნელოვან ჩასახვის პერიოდს უკავშირდება - უნდა გამოენვია მონმე ო.-ს ჩართვა წარმომავლობის შესახებ გაკეთებულ დასკვნაში.“

68. არაპირდაპირი მტკიცებულების შეგროვების მიმართ არსებულ მოთხოვნებზე მინიშნებულია ზემოთ მოყვანილ განმარტებებში (იხ. ა.ნ. 14 და მომდევნო აბზაცები).

69. (6.4) მონმის ჩვენების შეფასებისთვის - კონკრეტული საქმის ვითარების მიხედვით - შეიძლება განსაკუთრებით გათვალისწინებული იყოს ქვემოთ მოყვანილი კრიტერიუმები (Deiseroth-ზე დაყრდნობით, jurisPR-BVerwG 2/2007 Anm. 4). თუმცა ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ეს

კრიტიკუმიები არავითარ შემთხვევაში არ უნდა „დამუშავდეს“ სქემატურად სასამართლო გადაწყვეტილებაში. პირიქით, მათი მიზანია მხოლოდ იმის ჩვენება, თუ რა მოსაზრებების გათვალისწინება შეიძლება ცალკეული საქმის ვითარებიდან გამომდინარე.

70. - შესაბამისი მოწმის ჩვენების დეტალიზების ხარისხი („დეტალების ავთენტიკური სიმრავლე“): აღწერა კონკრეტულად, უშუალოდ, ნათლად, ცოცხლად, შინაგანად ლოგიკურად; ცნობები უჩვეულო დეტალებისა თუ ისეთი გარემოებების შესახებ, რომლებიც საზოგადოდ ცნობილი არ არის, მაგრამ კონკრეტული შემთხვევისთვის სპეციფიკურია და ამიტომ, სავარაუდოდ, **გადმოსცემს პირადად გამოცდილს;**

71. - „ჩვენების ორიგინალურობა“: მოვლენათა განვითარების აღწერის ინდივიდუალურობა და განსაკუთრებულობა (ანუ არ აქვს „დაზეპირებულის“ ეფექტი); ქმედების შედეგად გამოცდილის სპეციფიკური პირადი დამუშავება; დამაჯერებელი, სპონტანური, ემოციური რეაქციები მოწმის მიერ ჩვენების მიცემისას; შემთხვევის მიმდინარეობაზე დაკვირვებისას სპეციფიკური ორიგინალური დეტალების აღწერა, საკუთარი აღქმის სფეროდან;

72. - ჩვენების „ჰომოგენურობა“: ძირითად ჩვენებებში შინაარსობრივი თანმიმდევრულობა; „საერთო სურათში“ ცალკეული გარემოებების დამატება, მიუხედავად მრავალგვარი ამოსავალი წერტილისა ან/და უსისტემო, უმართავი ან, საერთოდაც, მერყევი გამოხატვის სტილისა (არავითარი მოსამზადებელი „ოფიციალური“ ანგარიშისთვის დამახასიათებელი მკაცრი სტრუქტურა);

73. - ჩვენების მიცემისას ქცევის თანმიმდევრულობა სხვადასხვა დაკითხვაში ძირითად შემთხვევასთან დაკავშირებით; გასწნილობა ჩვენების შემდგომი გაუმჯობესებების ან დაზუსტებების მიმართ; დასმულ კითხვებზე განმეორებითი რეაგირების შესამჩნევი მზაობა; ასევე, შიგადაშიგ მესხიერების ჩავარდნების აღიარების მზაობა;

74. - აღწერის თავსებადობა (ერთი შეხედვით, უმნიშვნელო დეტალებშიც) სხვაგვარად დამტკიცებულ ფაქტებსა ან ობიექტურ გარემოებებთან; სხვა მტკიცებულებების შედეგებთან შესაბამისობა, თუ მათ გარკვეული მტკიცებულების ძალა აქვს;

75. - „დადანაშაულების სურვილის“ არარსებობა (ასეთის შემთხვევაში);

76. - მოწმის დამაჯერებლობა: მოტივაცია (ნათესაური, მეგობრული, კოლეგიალური კავშირი, ეკონომიკური ან სხვა პირადი ინტერესები), ჩვენების მიცემის ვითარება, ან, შესაძლოა, პირადი გულწრფელობა (ყოველ შემთხვევაში, სიფრთხილისკენ მიდრეკილებით).

77. 2. მტკიცებულებათა თავისუფალი შეფასების პრინციპი ირლვევა მტკიცებულებებთან დაკავშირებული გარკვეული წესებისა და მტკიცებულებათა გამოყენების აკრძალვების შემთხვევაში.

78. a) § 286 Abs. 2 GER-ZPO-ს გაგებით, მტკიცებულებებთან დაკავშირებულ მავალდებულებელ საკანონმდებლო წესებს განეკუთვნება:

– § 165 GER-ZPO, რომლის თანახმად, სასამართლო განხილვისას გასათვალისწინებელი ფორმალობების დაცვის დადასტურება შესაძლებელია მხოლოდ ოქმით;

– § 314 GER-ZPO, რომლის თანახმად, გადანყვეტილების ფაქტობრივი შემადგენლობა არის მხარეთა მიერ ზეპირად წარმოდგენილი ჩვენებების მტკიცებულება და მხოლოდ სხდომის ოქმის საშუალებით შეიძლება გამოცხადდეს ძალადაკარგულად;

– §§ 183 Abs. 2, 195 Abs. 2, 174 GER-ZPO, რომელთა თანახმად, ადრესატისთვის უწყების ჩაბარება სასამართლო პროცესში გათვალისწინებული პირობების დაცვით, შეიძლება დადასტურდეს მხოლოდ მიღების აღიარებით.

79. b) გარკვეული პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს დამამტკიცებელი საბუთის (§§ 415 ff. GER-ZPO) მტკიცების წესებს. აქ უნდა განვასხვაოთ საჯარო და კერძო წერილობითი დოკუმენტები. უმნიშვნელოვანესი საკანონმდებლო დებულებები შემდეგი შინაარსისაა:

§ 415 GER-ZPO - საჯარო საბუთების მტკიცებულებითი ძალა განცხადებებთან დაკავშირებით

(1) თუ საბუთები, რომლებიც გასცა საჯარო ორგანომ ან საჯარო ნდობით აღჭურვილმა პირმა მისთვის მინიჭებული სამსახურებრივი უფლებამოსილების ფარგლებში დადგენილი ფორმით (საჯარო საბუთების გზით, არის ამ ორგანოს ან ნოტარიუსის მიერ გაცემული განმარტების სრული მტკიცებულება.

(2) მტკიცებულება, რომ მოვლენა არასწორად დამონმდა, დასაშვებია.

§ 418 GER-ZPO - სხვა შინაარსის მქონე საჯარო საბუთების მტკიცებულებითი ძალა

(1) საჯარო საბუთები, რომლებიც §§ 415,417-ში მითითებული შინაარსისგან განსხვავდება, ქმნის მათში დამონმებული ფაქტების სრულ მტკიცებულებას.

(2) დამონმებული ფაქტების მცდარობის მტკიცებულება დასაშვებია, თუ ის არ არის გამორიცხული ან შეზღუდული მიწის (ლანდის) კანონმდებლობით.

(3) თუ ცნობა არ ეფუძნება ორგანოს ან ნოტარიუსის აღქმას, პირველი აბზაცის დებულების გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც მიწის (ლანდის) კანონებიდან გამომდინარე, ცნობის მტკიცებულებითი ძალა არ არის დამოკიდებული საკუთარ აღქმაზე.

§ 416 GER-ZPO - კერძო საბუთების მტკიცებულებითი ძალა

კერძო საბუთები, თუ ისინი ხელმოწერილია გამცემის მიერ ან ნოტარიულად დამონმებული ხელნაწერი ნიშნის საშუალებით, სრული მტკიცებულებაა, რომ მათში მოცემული განმარტებები მიცემულია ამ საბუთის გამცემთა მიერ.

§440 GER-ZPO - კერძო საბუთების ნამდვილობის მტკიცებულება

(1) თუ კერძო საბუთის ნამდვილობა აღიარებული არ არის, ის უნდა დამტკიცდეს.

(2) თუ პირადი ხელმოწერის ნამდვილობა დადგენილია, ან საბუთის ქვეშ არსებული ხელნაწერი ნიშანი ნოტარიულად დამონმებულია, მაშინ ამ ხელმოწერის ან ნიშნის ზემოთ არსებული ტექსტის მიმართ მოქმედებს ნამდვილობის ვარაუდი.

80. აა) ე.წ. **საჯარო საბუთები** არის დოკუმენტები, რომლებშიც ორგანოს ან საჯარო ნდობით აღჭურვილი პირის (ნოტარიუსები, საკონსულტოს სამსახურში მყოფი მოხელეები) მიერ, თავისი სამსახურებრივი უფლებამოსილების ფარგლებში, კანონით გათვალისწინებული ფორმით არის ასახული მესამე პირების განცხადებები. § 415 GER-ZPO-ს მიხედვით, ისინი სრული (თუმცა, საპირისპიროს დამტკიცების შესაძლებლობის დაშვებით) მტკიცებულებაა დამონმებული მოვლენისთვის. თუმცა, ეს მტკიცებულება შემოიფარგლება იმით, რომ მესამე პირების მიერ განცხადებები გაკეთდა ისე, როგორც დამონმებულია (BGH, Urteil vom 10.06.2016 - V ZR 295/14 - MDR 2016, 1371). საჯარო საბუთის მტკიცებულებითი ტვირთი არ მოიცავს საკითხს, შეესაბამება თუ არა განცხადება ნამდვილ ნებას ან/და შინაარსობრივად სწორია თუ არა იგი (BGH, Urteil vom 10.06.2016 - V ZR 295/14 - MDR 2016, 1371). თუმცა, ამ თვალსაზრისით მოქმედებს უკვე ნახსენები (იხ. ზემოთ, 102-ე მუხლი, ა.ნ. 65 და მომდევნო აბზაცები) ვარაუდი, რომ წერილობით ხელშეკრულებაში

მოცემული ხელშეკრულების მხარეთა გარიგებითი განცხადებები სრულყოფილად და სწორად არის გადმოცემული (BGH, Urteil vom 10.06.2016 - V ZR 295/14 - MDR 2016, 1371).

81. აღნიშნულის საპირისპიროდ, § 418 GER-ZPO-ში დასახელებული საჯარო საბუთები ასახავს მათი გამცემი ორგანოს ან დამმონმებელი თანამდებობის პირის აღქმას. მათ განეკუთვნება ასევე სასამართლოში შეტანის დამადასტურებელი ბეჭდები (BGH, Urteil vom 31.05.2017 - VIII ZR 224/16 - NJW 2017, 2285; BGH, Beschluss vom 08.10.2013 - VIII ZB 13/13 - NJW-RR 2014, 179) ან ოფიციალური ინფორმაციები სასამართლო პროცესებისას. ეს საჯარო საბუთები სრული მტკიცებულებაა დამონმებული შინაარსისათვის, თუ დამონმების უფლების მქონე თანამდებობის პირმა დამონმებულ ფაქტი თავად განახორციელა ან საკუთარი აღქმის საფუძველზე სარწმუნოდ დაადგინა (BVerfG, Beschluss vom 20.02.1992- 2 BvR 884/91 - NJW-RR 1992, 1084; BGH, Beschluss vom 11.07.2018 - XII ZB 138/18 - NJW 2018, 2802; BGH, Beschluss vom 15.09.2009 - XI ZB 29/08 - juris). ამიტომ, უწყების ჩაბარების საბუთის მტკიცებულებითი ძალა არ ვრცელდება იმ ფაქტზე, რომ მიმღები მითითებულ მისამართზე ცხოვრობს, ან პირს, რომელმაც უწყება მიმღებისთვის ჩაიბარა, ამისი უფლებამოსილება ჰქონდა; ყოველ შემთხვევაში, იქმნება მტკიცებულების შესაბამისი მნიშვნელოვანი მინიშნება (BGH, Beschluss vom 11.07.2018 - XII ZB 138/18 - NJW 2018, 2802; BGH, Beschluss vom 06.05.2004 - IX ZB 43/03 - NJW 2004, 2386). სამართლებრივი შეფასების დასკვნებსა თუ შედეგებს თავიდანვე არ ეხება § 418 Abs. 1 GER-ZPO-ის ფორმალური მტკიცებულებითი ეფექტი (BGH, Beschluss vom 15.09.2009 XI ZB 29/08 - juris).

82. ბბ) კერძო წერილობითი საბუთების შემთხვევაში, მტკიცებულებითი ძალა (§ 440 GER-ZPO-ს შესაბამისად, შეცილების შემთხვევაში ხელმოწერის ნამდვილობის დამტკიცებისას) შეზღუდულია იმით, რომ შემდგენის მიერ ხელმოწერილი განცხადება ნამდვილად შემდგენმა გააკეთა (§§ 416, 440 GER-ZPO). თუმცა, ამ თვალსაზრისით, ასევე რჩება კანონით გათვალისწინებული ვარაუდის საწინააღმდეგო მტკიცებულების ან უარყოფის შესაძლებლობა.

83. უმაღლესი ფედერალური სასამართლო (Beschluss vom 12.03.2015 - V ZR 86/14 - NJW-RR 2015, 819) §§ 416, 440 Abs. 2 GER-ZPO-ის ეფექტს შემდგენაირად გადმოგვცემს:

84. „a) ...§ 416 ZPO-ს მიხედვით, კერძო საბუთი ქმნის სრულ მტკიცებულებას, რომ მასში წარმოდგენილი განცხადებები გაკეთებულია მისი შემდგენის მიერ (BGH NJW-RR 1989, 1323; BGH NJW-RR 1993, 1379, 1380). თუმცა, მტკიცებულების წესი არ ვრცელდება განცხადების შინაარსობრივ სისწორეზე. სწორია თუ არა კერძო საბუთში მოცემული მონა-

ცემები, ან ნამდვილად ისე განვითარდა თუ არა მათში დამონმებული ფაქტობრივი მოვლენები - განსაკუთრებით, დაიდო თუ არა გარიგება და რა შინაარსი აქვს მას - საქმის განმხილველი მოსამართლის შესაფასებელია.

b) თუმცა, სააპელაციო სასამართლოს არ გაუთვალისწინებია ფაქტი, რომ საბუთი, § 416 ZPO-ის შესაბამისად, სრული მტკიცებულებაა, რომ მამკვიდრებელმა გააკეთა მასში მოცემული განცხადება, რომლის თანახმად მან... § 416 ZPO შეიცავს კანონით გათვალისწინებულ მტკიცებულების წესს, § 286 Abs. 2 ZPO-ის გაგებით (...). თუ საბუთს საკმარისი მტკიცებულებითი ძალა აქვს, სასამართლოს რწმენა (§ 286 Abs. 1 ZPO) აღარ არის გადამწყვეტი (BGH NJW 1986, 3086; BGHZ 198, 32).“

85. (1) §§ 416, 440 Abs. 2 GER-ZPO-ის გამოყენებისათვის საჭიროა, სახეზე იყოს ხელმოწერა, ანუ მხოლოდ ვიზა (BGH, 19.07.2007-ის დაუსწრებელი გადაწყვეტილება - I ZR 136/05 - NJWRR 2008, 218; BGH, 15.11.2006-ის დაუსწრებელი გადაწყვეტილება - IV ZR 122/05 - NJW-RR 2007, 351).

86. ამასთან, ხელმოწერისთვის საკმარისია ხელმოწერის ინდივიდუალობის ამსახველი ინდივიდუალური კალმის მოსმა (წერილობით), რომელიც ხელმოწერის დამახასიათებელ ნიშნებს სრული სახელით ასახავს და ამით ართულებს მესამე პირის მიერ მიბაძვას. საკმარისია, ვინმეს, ვინც ხელმოწერის სახელსა და მის სხვა ხელმოწერებს იცნობს, შეეძლოს წერილობითი გამოსახულებიდან სახელის ამოკითხვა (BGH [Strafsenat], Beschluss vom 30.08.2018 - 5 StR 183/18 - juris; BGH, Beschluss vom 17.04.2018 - XI ZB 4/17 juris; BGH, Beschluss vom 14.12.2017 - IX ZB 101/15 - ZIP 2018, 333; BGH, Beschluss vom 07.04.2011 - V ZB 207/10 - NJW-RR 2011, 953). ამასთან, გასათვალისწინებელია შეძლებისდაგვარად ფართო მასშტაბი, იმ ფარგლებში, ვიდრე ავტორობა გარანტირებულია (BGH, Beschluss vom 07.04.2011 - V ZB 207/10 - NJW-RR 2011, 953; BGH, 15.11.2006 - IV ZR 122/05-ის დაუსწრებელი გადაწყვეტილება - NJW-RR 2007, 351; BGH, Beschluss vom 27.09.2005 - VIII ZB 105/04 - NJW 2005, 3775).

87. გარდა ამისა, საქმე უნდა ეხებოდეს სახელის წარწერას, რომელიც მანამდე წარმოდგენილ განცხადებებს ასრულებს. ე.წ. ზედა წარწერას (და წერილობით ხელშეკრულებაზე გვერდულად ხელმოწერას - BGH, Urteil vom 21.01.1992 - XI ZR 71/91 - NJW 1992, 829) §§ 416, 440 Abs. 2 GER-ZPO-ით გათვალისწინებული მტკიცებულებითი ძალა არ აქვს (BGH, Urteil vom 20.11.1990 - XI ZR 107/89 - BGHZ 113, 48; BGH, Urteil vom 19.07.2001 - IX ZR 62/00 - NJW 2001, 3190). აღნიშნული ეფუძნება იმას, რომ ხელმოწერა წერილობით ხელშეკრულებას არა მხოლოდ სივრცითი თვალსაზრისით ასრულებს: ჩვეულებრივ, ის მხოლოდ ხელშე-

კრულების დადების შემდეგ თავსდება გამზადებული ტექსტის ქვეშ და ამით დროით კომპონენტსაც მოიცავს. მხოლოდ ეს ემპირიული პრინციპი, რომელიც ტექსტის ზემოთ განთავსებული ხელმოწერისთვის იმავენა-ირად არ მოქმედებს, ქმნის კანონისმიერი ვარაუდის საფუძველს, რომ საბუთის ტექსტი შეესაბამება მისი შემდგენის ნებას. თუმცა, არ შეიძლება ხელმოწერის კატეგორიულად უარყოფა, როდესაც ხელმოწერა განცხადებას, სივრცითი თვალსაზრისით, მთლიანად არ ასრულებს; პირიქით, შესაბამის შემთხვევაში, საჭიროა მთლიანი შეფასება, ცალკეული საქმის ყველა გარემოების გათვალისწინებით (BGH, Urteil vom 18.06.2013 - X ZR 03/11 - juris; თუ წინასწარ მომზადებულ წერილობით ხელშეკრულებაში ხელმოწერის გრაფის შემდეგ ასევე მოცემულია არჩევითი მონიშვნის გზით გასაკეთებელი განცხადება).

88. წერილობითი ხელშეკრულების თარიღი და შედგენის ადგილი, როგორც ფაქტობრივი მონაცემები, §§ 416, 440 Abs. 2 GER-ZPO-ით გათვალისწინებულ მტკიცებულებით ძალაში არ მონაწილეობს (BGH, Urteil vom 21.10.1998 - IV ZR 177/97 - NVersZ 1999, 177; BGH, Urteil vom 05.02.1990 - II ZR 309/88 - NJW-RR 1990, 737; შესაბამისად თარიღისთვის).

89. თუ კერძო წერილობითი საბუთი შეიცავს არა გარიგებით ნების გამოვლენას, არამედ **ფაქტობრივ დასკვნებს** ან გარიგების მსგავს განცხადებებს, გამოიყენება არსებითად იგივე პრინციპები. ეს წესი განსაკუთრებით მოქმედებს ქვითრების ან მათი მსგავსი სხვა განცხადებებისთვის, რომლებითაც გარკვეული მოვლენები მტკიცებულებითი მიზნით უნდა იყოს დოკუმენტირებული. ასეთი წერილობითი დოკუმენტების შემთხვევაშიც ქმნის ხელმოწერა სრულ მტკიცებულებას, რომ მათში წარმოდგენილი განცხადებები შემდგენმა გააკეთა (§§ 416, 440 Abs. 2 GER-ZPO). და პირიქით, ამ განცხადებების შინაარსობრივი სისწორე მოსამართლის თავისუფალი შეფასების საგანია (BGH, Urteil vom 22.05.2014 - I ZR 109/13 - VersR 2015, 341; BGH, Versäumnisurteil vom 15.11.2006 - IV ZR 122/05 - NJW-RR 2007, 351). თუმცა, არსებობს ამ თვალსაზრისით უკუგდებადი ვარაუდიც, რომ ხელმოწერილი განცხადება მასში მოცემულ ფაქტებსა და მოვლენებს სწორად აღწერს (იხ. ზემოთ Art. 102 Rn. 65). ამ ვარაუდის გასაბათილებლად საკმარისია ისეთი ფაქტების დამტკიცება, რომლებიც შეარყევს შინაარსობრივი დასკვნების მტკიცებულებით ძალას ((BGH, Urteil vom 22.05.2014 - I ZR 109/13 - VersR 2015, 341; BGH, 15.11.2006-ის დაუსწრებელი გადაწყვეტილება - IV ZR 122/05 - NJW-RR 2007, 351; BGH, Urteil vom 24.10.2002 - I ZR 104/00 - NJW-RR 2003, 754). ასეთი რამ განიხილება, როდესაც ქვითარი ან მისი მსგავსი განცხადება ისეთ მონაცემებს შეიცავს, რომლებთან დაკავშირებითაც აშკარა ან დამტკიცებულია, რომ მათი დამონმება ხელმო-

მწერს არ შეეძლო (BGH, Urteil vom 22.05.2014 - I ZR 109/13 - VersR 2015, 341; BGH, Urteil vom 07.11.1985 - I ZR 130/83 - NJW-RR 1986, 250), მაგალითად, როდესაც ქვითარი ეხება დალუქულ გზავნილს (BGH, Urteil vom 22.05.2014 - I ZR 109/13 - VersR 2015, 341; BGH, Urteil vom 24.10.2002 - I ZR 104/00 NJW-RR 2003, 754).

90. (2) § 416, 440 Abs. 2 GER-ZPO-ით გათვალისწინებულ მტკიცებულების წესს ექვემდებარება ასევე **ხელმოწერები შეუფასებელ ბლანკზე**, კერძოდ, მაშინაც, როდესაც შემდგენი ბოროტად გამოყენებაზე (ე.წ. ბლანკეტის ბოროტად გამოყენება) აპელირებს ((BGH, Urteil vom 13.04.1988 - VIII ZR 274/87 - BGHZ 104, 172; BGH, Beschluss vom 12.03.2015 - V ZR 86/14 - NJWRR 2015, 819; BGH, Urteil vom 08.03.2006 - IV ZR 145/05 - NJW-RR 2006, 847). აღნიშნული წესი ეფუძნება შემდეგს: ხელმოწერილი ნების გამოვლენისას, ვარაუდი, რომ საბუთის შინაარსი ხელმომწერის ნებას შეესაბამება, არსებობს მაშინაც, როდესაც ხელმომწერის ზემოთ არსებული ტექსტი არც დანერილია ხელმომწერის მიერ და არც რედაქტირებული (BGH, Beschluss vom 12.03.2015 - V ZR 86/14 - NJW-RR 2015, 819; BGH, Urteil vom 08.03.2006 - IV ZR 145/05 - NJW-RR 2006, 847; BGH, Urteil vom 11.05.1989 - III ZR 2/88 - NJW-RR 1989, 1323). ეს წესი ერთნაირად მოქმედებს როგორც საბეჭდ მანქანაზე მომზადებული, ისე ხელნაწერი ტექსტების მიმართ.

91. კანონისმიერი მტკიცებულების წესი ვრცელდება იმაზეც, რომ წერილობითი ნების გამოვლენა შემდგენის მიერ ბოჭვის ნებით **შევიდა ბრუნვაში** (BGH, Urteil vom 08.03.2006 IV ZR 145/05 - NJW-RR 2006, 847). შემდგენს, რომელიც ამტკიცებს, რომ უკვე ხელმოწერილ კერძო წერილობით განცხადებას მონახაზად მიიჩნევდა და შეგნებულად (ჯერ) არ გადასცა ხელშეკრულების პარტნიორს ან მესამე პირს, შეუძლია გამოიყენოს კონტრარგუმენტი, რომ მხოლოდ მონახაზად მიჩნეული საბუთი მას დაეკარგა ან მოპარეს (BGH, Urteil vom 08.03.2006 - IV ZR 145/05 - NJW-RR 2006, 847; BGH, Urteil vom 18.12.2002 - IV ZR 39/02 - NJW-RR 2003, 384).

92. c) მოსამართლის მიერ მტკიცებულებათა თავისუფალი შეფასების კიდევ ერთი ზღვარია **მტკიცებულების გამოყენების აკრძალვები**.

93. გერმანულ სამოქალაქო პროცესში მტკიცებულების გამოყენების აკრძალვა არ მოქმედებს ყველა იმ მტკიცებულების მიმართ, რომლებიც მოპოვებულია საპროცესო სამართლის დარღვევით (BGH, Urteil vom 01.03.2006 - XII ZR 210/04 - BGHZ 166, 283; BGH, Urteil vom 12.01.2005 - XII ZR 227/03 - BGHZ 162, 1; BGH, Urteil vom 15.05.2018 - VI ZR 233/17 - NJW 2018, 2883); განსაკუთრებით, როდესაც სასამართლოს მიერ დაშვებული მტკიცებულება სწორი საპროცესო-სამართლებრივი მოქმედებისას, შესაბამისი პროცესის გაჭიანურების გამო, § 296 Abs. 1 GER-ZPO-ს

მიხედვით, არ უნდა მიღებულიყო განსახილველად (იხ. ქვემოთ, ა.ნ. 111 და მომდევნო აბზაცები) (BGH, Urteil vom 01.03.2006 - XII ZR 210/04 - BGHZ 166, 283; BGH, Beschluss vom 31.05.2017 - VIII ZR 69/16 - NJW 2017, 2288). ეს იქიდან გამომდინარეობს, რომ საპროცესო წესების დარღვევისას, რომლებიც პროცესის დაჩქარებას ემსახურება, ერთხელ ხელიდან გაშვებული რეგულირების მიზნის მიღწევა შეუძლებელი იქნებოდა მაშინაც, თუ მიღებულ მტკიცებულებას არ გავითვალისწინებდით (სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ: მტკიცებულების შეგროვებით დამდგარი გაჭიანურების უკუქცევითად გამოსწორება აღარ არის შესაძლებელი). მაგრამ ასეთ დროს სასამართლო მოსმენისა და სამართლებრივი სახელმწიფოს საპროცესო პრინციპები მოითხოვს მტკიცებულებათა შეგროვების შედეგის გათვალისწინებას, ამიტომაც აქ მტკიცებულების გამოყენების აკრძალვა არ მოქმედებს.

94. უმაღლესი ფედერალური სასამართლოს 2002 წლის ფუნდამენტური გადაწყვეტილების შემდეგ (BVerfG, Beschluss vom 09.10.2002 - 1 BvR 161/96 und 1 BvR 805/98 - BVerfGE 106, 28), **საუბრების ფარულად ჩანერისას** (სატელეფონო საუბრების ჩანაწერების შემთხვევაშიც) პრინციპულად მოქმედებს მტკიცებულების გამოყენების აკრძალვა. საუბრების გამოკვლევა და გამოყენება თანამოსაუბრის ნებართვის გარეშე არის წარმოთქმულ სიტყვაზე თანამოსაუბრის Art. 2 Abs. 1 i.V.m. Art. 1 Abs. 1 GER-GG-ით დაცული უფლების ხელყოფა (BVerfG, Beschluss vom 09.10.2002 - 1 BvR 161/96 und 1 BvR 805/98 - BVerfGE 106, 28; BGH, Urteil vom 17.02.2010 - VIII ZR 70/07 - NJW-RR 2010, 1289; BGH, Urteil vom 18.02.2003 - XI ZR 165/02 - NJW 2003, 1727). მართალია, ამ უფლების ხელყოფას საკონსტიტუციო-სამართალი პრინციპულად შესაძლებლად მიიჩნევს, მაგრამ ეს უნდა განხორციელდეს პიროვნების ზოგადი უფლებების მაღალი მნიშვნელობის გათვალისწინებით. მის გასამართლებლად არ კმარა საზოგადო ინტერესის არსებობა ფუნქციონირებადი მართლმსაჯულების მიმართ. მეტიც, ამას უნდა დაერთოს სხვა ასპექტები, რათა ერთმანეთს დაპირისპირებული უფლებრივი სიკეთეების ურთიერთშეწონვისას, შესაძლებელი იყოს მტკიცებულების მიღებისთვის უპირატესობის მინიჭება პიროვნების უფლების დარღვევასთან მიმართებით. ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო და უმაღლესი ფედერალური სასამართლოს უახლესი პრაქტიკა ამისათვის მოითხოვს აუცილებელი მოგერიების მსგავს შემთხვევებს, როგორცაა, მაგალითად, ფარულად ხმის ჩანერა ანონიმური ზარების განმახორციელებლის (მაგ.: სტალკერი) ან გამომძაღველის დასადგენად, ანდა პროფესიული არსებობის ხელყოფისაგან დასაცავად, როდესაც ამის სხვაგვარად აღმოფხვრა შეუძლებელია (BVerfG, Beschluss vom 09.10.2002 1 BvR 161/96 und 1 BvR 805/98 - BVerfGE 106, 28; BGH, Urteil vom 17.02.2010 - VIII ZR 70/07 NJW-RR

2010, 1289; BGH, Urteil vom 18.02.2003 - XI ZR 165/02 - NJW 2003, 1727).

95. ამავე მოსაზრებებიდან გამომდინარე, არ შეიძლება წარმომავლობის დადგენის პროცესზე ფარულად მოპოვებული **დნმ-ის კერძო დასკვნის** გამოყენება; ასევე შეუძლებელია, მისი წარმოდგენით დასაბუთდეს არადაამაჯერებელი სარჩელი წარმომავლობის დადგენაზე სხვა შემთხვევაში - XII ZR 227/03 - BGHZ 162, 1; BGH, Urteil vom 01.03.2006 - XII ZR 210/04 - NJW 2006, 1657; BGH, Urteil vom 12.01.2005 - XII ZR 227/03 - FamRZ 2005, 342). თუ სასამართლო, (სხვა მხრივ) საპროცესო და სამართლებრივი სახელმწიფოსთვის დასაშვები წესების დაცვით, თავად მოითხოვს დნმ-ის დასკვნას, მისი შედეგის გამოყენება არსებითად მაშინაც შეიძლება, თუ ამ დასკვნის შეკვეთა, სარჩელის არადაამაჯერებლობის გამო, საერთოდ არ იყო დასაშვები (BGH, Urteil vom 01.03.2006 - XII ZR 210/04 BGHZ 166, 283; BGH, Urteil vom 01.03.2006 - XII ZR 210/04 - NJW 2006, 1657). თუკი არ გავითვალისწინებთ ამ განსაკუთრებულ შემთხვევას, გერმანულ სამოქალაქო სასამართლო პრაქტიკაში საბოლოოდ გადაწყვეტილი არ არის, რა წინაპირობების შემთხვევაში უშლის ხელს „მონამლული ხის ნაყოფი“ („fruit-of-the-poisonous-tree“-Doktrin) მიღებული დასკვნების გათვალისწინებას, რომლებიც მტკიცებულებების მართლსაწინააღმდეგო გზით მოპოვების არაპირდაპირი შედეგია (სისხლის სამართლის პროცესთან დაკავშირებით: BVerfG, Beschluss vom 08.12.2005 - 2 BvR 1686/04 - juris; BGH, Urteil vom 06.08.1987 - 4 StR 333/87 - BGHSt 35, 32; EGMR, Urteil vom 06.10.2016 - 33696/11 - NJW 2018, 921; EGMR, Urteil vom 01.06.2010 - 22978/05 - NJW 2010, 3145).

96 ა. ერთმანეთთან დაპირისპირებულ უფლებრივ სიკეთეებს შორის აუცილებელი ურთიერთშენიშნავი განსაკუთრებით ხაზგასმულია გადაწყვეტილებაში, რომელშიც უმაღლესი ფედერალური სასამართლო განიხილავს, რამდენად შესაძლებელია საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა-სთან დაკავშირებულ სამოქალაქო პროცესში ავტომობილის საბორტო კამერით გადაღებული ჩანაწერების გამოყენება, თუ ასეთი გადაღება მონაცემთა დაცვის კანონმდებლობით დაუშვებელი იყო ((BGH, Urteil vom 15.05.2018 - VI ZR 233/17 - NJW 2018, 2883). ამ გადაწყვეტილების გაგებისთვის, წინასწარ უნდა აღინიშნოს, რომ გერმანიის მონაცემთა დაცვის კანონმდებლობის მიხედვით, დაუშვებელია ავტომობილის საბორტო კამერების (როგორც ამ კონკრეტულ შემთხვევაში) პერმანენტულად, ანუ მოკლე შუალედებით მუდმივი გადანერის ან კონკრეტული მიზეზის გარეშე ოპერირება. მაგრამ, სამოქალაქო პროცესში მონაცემთა დაცვის სა-

მართლის დარღვევა თავისთავად არ იწვევს მტკიცებულების გამოყენების აკრძალვას. მეტიც, გადანყვეტილება ამის შესახებ უნდა მიიღონ ინტერესთა და უფლებრივ სიკეთეთა ურთიერთშენიშვნის შედეგად. ამ დროს, მტკიცებულების წარმომდგენი მხარის ინტერესი თავისი სამოქალაქო-სამართლებრივი მოთხოვნის უფლებების რეალიზაციის მხრივ დაცულია კონსტიტუციით გათვალისწინებული სასამართლო მოსმენისა და ეფექტიანი სამოქალაქო მართლმსაჯულების უფლებებით. მას უპირისპირდება მონინალმდეგე მხარის ასევე კონსტიტუციით დაცული პიროვნული უფლება (საინფორმაციო თვითგამორკვევის უფლება, ან, შესაბამის შემთხვევებში, უფლება საკუთარ გამოსახულებაზე). ერთმანეთთან დაპირისპირებული ამ უფლებრივი სიკეთეების ურთიერთშენიშვნის შედეგად, უმაღლესი ფედერალური სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, უპირატესობა ენიჭება სასამართლო მოსმენისა და ეფექტიანი სამოქალაქო მართლმსაჯულების მოთხოვნის უფლებებს. ამისათვის გადამწყვეტია ის, რომ ავტომობილის საბორტო კამერით გადაღებული ჩანაწერი ეხება საჯარო საგზაო სივრცეში მომხდარ შემთხვევას, რომელშიც მოძრაობის მონაწილეები ნებაყოფლობით ერთვებიან და რომელიც შესაძლებელს ხდის მათზე დაკვირვებას და მათ აღქმას მოძრაობის სხვა მონაწილეთა მიერ. ასევე გასათვალისწინებელია საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევებთან დაკავშირებულ პროცესებში არსებული მტკიცებულებათა დეფიციტი, რაც გამოწვეულია მოძრაობასთან დაკავშირებული მოვლენების სისწრაფით. და ბოლოს, უმაღლესი ფედერალური სასამართლო მიუთითებს, რომ გერმანული სისხლის სამართლის კოდექსი უბედური შემთხვევის შედეგად დაზარალებული პირების მტკიცებულებებთან დაკავშირებულ ინტერესებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს § 142 GERStGB-ის (შემთხვევის ადგილიდან მიმალვა) საშუალებით.

96. დ) გარდა ამისა, მოსამართლე ფაქტების დადგენის პროცესში შებოჭილია § 288 GER-ZPO-ით გათვალისწინებული საპროცესო **ალიარე-ბითი ჩვენებებით**. ქართული სამართლისგან (სსკ-ის 131-ე მუხლი) განსხვავებით, მას ამ პროცესში დისკრეციის საშუალება არ აქვს. მეტიც, ის ვალდებულია, თავის გადანყვეტილებას საფუძვლად დაუდოს ალიარე-ბითი ჩვენება, მაშინაც კი, როდესაც მის სისწორეში ეჭვი ეპარება.

§ 288 GER-ZPO - სასამართლო ალიარება

(1) ფაქტები, რომელთა არსებობასაც ამტკიცებს მხარე, არ საჭიროებს რაიმე მტკიცებულებას, თუ სასამართლო დავის მსვლელობის პროცე-

სში მოწინააღმდეგე აღიარებს მათ ზეპირი განხილვისას ან დავალებით აღჭურვილი თუ მოთხოვნილი მოსამართლის ოქმში დასაფიქსირებლად.

(2) სასამართლოში გაკეთებული აღიარების ნამდვილობისთვის მისი მიღება საჭირო არ არის.

§ 289 GER-ZPO - დამატებითი ჩვენებები აღიარებისას

(1) სასამართლოში გაკეთებული აღიარების ნამდვილობას ზიანს ვერ მიაყენებს მისთვის ისეთი მტკიცების დამატება, რომელიც შეიცავს მოთხოვნის უფლების წარმომშობ ან შემწყვეტ დამოუკიდებელ საშუალებას.

(2) თუ რა მოცულობით უნდა ცნონ სასამართლოს წინაშე გაკეთებული განცხადება აღიარებად, მიუხედავად სხვა დამატებითი ან შემზღუდველი მტკიცებებისა, განისაზღვრება ცალკეული შემთხვევის თავისებურებების მიხედვით.

§ 290 GER-ZPO - აღიარების გაქარწყლება

გაქარწყლებას სასამართლო აღიარებაზე გავლენის მოხდენა შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი განმხორციელებელი მხარე დაამტკიცებს, რომ აღიარება არ შეესაბამება სიმართლეს და გამონვეულია შეცდომით. ასეთ დროს აღიარება კარგავს ძალას.

97. § 288 GER-ZPO-ით გათვალისწინებული აღიარება გამოიხატება განცხადებით, რომ ფაქტი, რომელსაც ამტკიცებს მოწინააღმდეგე, შეესაბამება სიმართლეს (BGH, Urteil vom 07.07.1994 - IX ZR 115/93 - NJW 1994, 3109). ამისათვის არ კმარა, მოწინააღმდეგის განმარტება, უბრალოდ, არ იყოს შეცილებული (BGH, Urteil vom 07.03.1983 - VIII ZR 31/81 - NJW 1983, 1497). პირიქით, აუცილებელია, მხარემ ან მკაფიოდ დაადასტუროს მოწინააღმდეგის ფაქტობრივი არგუმენტაცია („უდავოდ გამოაცხადოს“ - BGH, Urteil vom 07.07.1994 - IX ZR 115/93 - NJW 1994, 3109) ან გასაგებად მიანიშნოს, რომ იგი მხარის მტკიცებას შეგნებულად არ უპირისპირდება (BGH, Urteil vom 12.03.1991 - XI ZR 85/90 - NJW 1991, 1683). აღიარების ასეთი ნება, სულ მცირე, კონკლუდენტური სახით უნდა გამოიხატოს გარეგნულად (BGH, Urteil vom 18.02.2015 - VIII ZR 186/14 - NJW 2015, 1239; BGH, Urteil vom 22.05.2001 - VI ZR 74/00 - NJW 2001, 2550).

98. § 288 GER-ZPO მოითხოვს, რომ ფაქტები, რომლებსაც ამტკიცებს მოწინააღმდეგე მხარე, ზეპირი განხილვის დროს აღიარონ, თუმცა, ზეპი-

რი განხილვისას მდუმარე მინიშნება მოსამზადებელ დოკუმენტებზე, საკმარისია ალიარების ეფექტის მისაღებად (BGH, Beschluss vom 09.02.2012 - IX ZR 48/11 - ZInsO 2012, 1264; BGH, Urteil vom 19.01.2012 - IX ZR 2/11 - BGHZ 192, 221; BGH, Urteil vom 18.06.2007 - II ZR 89/06 - NJW-RR 2007, 1563). ალიარების საგანი, უპირატესად, არის ფაქტები, მათ შორის, შინაგანიც - როგორცაა ნების მიმართულება - მაგრამ არა სამართლებრივი შედეგები. გარდა ამისა, ალიარებისთვის შეიძლება ხელმისაწვდომი იყოს მარტივი სამართლებრივი დეფინიციები, რომლებიც სამართლებრივი ბრუნვის ნებისმიერი მონაწილისთვის ღიაა (ე.წ. იურიდიულად შეფუთული ფაქტები), (BGH, Urteil vom 19.01.2012 - IX ZR 2/11 - BGHZ 192, 221, „ნებართვისთვის“; BGH, Urteil vom 18.06.2007 - II ZR 89/06 - NJW-RR 2007, 1563, für საპენსიო უფლებების „დაკარგვის შეუძლებლობა“; BGH, Urteil vom 06.10.2005 - III ZR 367/04 - NJW-RR 2006, 281, საკითხზე, თუ ვინ გახდა ხელშეკრულების პარტნიორი). ამ თვალსაზრისით, დამატებით გასათვალისწინებელია Art. 3 Abs. 1 Rn. 7 f.-ში წარმოდგენილი განმარტებები. განცხადებას, რომელსაც მხარე იძლევა მისი პირადი ინფორმაციული მოსმენისას (იხ. ზემოთ, ა.ნ. 64), არ შეიძლება მიენიჭოს ალიარების ძალა (BGH, Urteil vom 26.02.2009 - I ZR 155/07 - NJW-RR 2009, 1272). აღნიშნული გამომდინარეობს იქიდან, რომ მოსმენა ემსახურება საქმის გარემოებათა გამორკვევას და არა მხარის განმარტებას.

99. 3. მოსამართლემ **გასაგებად უნდა ჩამოაყალიბოს ამ რწმენის შექმნისთვის** არსებითი ასპექტები; ეს წესი მოქმედებს, განსაკუთრებით, არაპირდაპირი მტკიცებულებების შეფასებისას (BGH, Urteil vom 17.02.1970 - III ZR 139/67 - BGHZ 53, 245, unter Rn. 44 f. გადმოცემულია ამონარიდის სახით; BGH, Urteil vom 25.11.1992 - XII ZR 179/91 - NJW-RR 1993, 443). კონსტიტუციით დადგენილი დასაბუთების (მინიმალური) ინტენსივობის მოცულობაზე იხ. 32-ე და მომდევნო აბზაცების განმარტებები.

100. ა) როგორც უკვე ნახსენებია შესავალში (ა.ნ. 1-ის მომდევნო აბზაცი), მტკიცებულებათა გასაგები, ყოვლისმომცველი და თანმიმდევრული შეფასება ასრულებს არა მხოლოდ საპროცესო-სამართლებრივ მოთხოვნებს, არამედ ემსახურება გადაწყვეტილების უმაღლეს არგუმენტაციულ დამაჯერებლობასაც, განსაკუთრებით, მხარეთა წინაშე. გარდა ამისა, არ უნდა დაგვავინყდეს, რომ მტკიცებულებათა დამაჯერებელი შეფასება ხელს უწყობს მოსამართლის თვითკრიტიკულ ანალიზსა და საკუთარი თავის კონტროლს. თუ მოსამართლემ წერილობით უნდა დაასაბუთოს, რატომ არის/არ არის დარწმუნებული გარკვეულ შემთხვევაში, შეუძლია, ამ გადაწყვეტილების გამოტანამდე კიდევ ერთხელ გადაამოწმოს, იქნება თუ არა შესაძლებელი წინასწარ თავის ფიქრებში მიღებული

შედეგების წერილობითი ფორმით დასაბუთება. თუ მოსამართლე წერის ან კარნახის პროცესში რაიმე ადგილზე „გაიჭედება“, ეს არ ნიშნავს, რომ ამ ადგილზე არგუმენტაციის თვალსაზრისით ჯერ ყველაფერი „სრულყოფილი“ არ არის.

101. ბ) გარდა ამ პოზიტიური გვერდითი ეფექტებისა, დასაბუთების მოვალეობის საკანონმდებლო მიზანი, უპირველეს ყოვლისა, არის მტკიცებულებათა შეფასების გამჭვირვალე და კონტროლირებადი სახით ჩამოყალიბება.

102. მხოლოდ დასაბუთების საშუალებით შეიძლება გარკვევა, დაიცვა თუ არა მოსამართლემ ზემოთ წარმოდგენილი საპროცესო-სამართლებრივი მოთხოვნები. ყოველ შემთხვევაში, დასაბუთების ინტენსივობის მოცულობა ძალიან ძლიერად არის დამოკიდებული შესაბამის ცალკეულ შემთხვევაზე. მოსამართლეს ევალება არა თავისი მოსაზრებების, არამედ პრინციპულად მხოლოდ არსებითი ასპექტების ყოველი დეტალის წერილობითი დოკუმენტირება. თუ მტკიცებულებათა შეგროვების შედეგების მიხედვით, შეუძლებელია სერიოზულად დაეჭვება, რომელი ფაქტებია დამტკიცებული და რომელი არა, უმეტეს შემთხვევაში, საკმარისი იქნება უფრო მოკლე დასაბუთება. მეორე მხრივ, მოსამართლე ვალდებულია, უფრო რთულად ან კომპლექსურად შესაფასებელი საკითხების შემთხვევაში - როგორცაა, მაგალითად, მოწმეთა ურთიერთსაპირისპირო ჩვენებები, ან ჩვენებების ობიექტურ სიმართლეში ეჭვის შეტანა - მეტი ყურადღება მიაქციოს შესაბამის ასპექტებს და გასაგებად შეაფასოს ისინი. ეს წესი ასევე მოქმედებს სასამართლოს მიერ მოწვეული ექსპერტის დასკვნასა და კერძო დასკვნას შორის სადავო საკითხების არსებობისას. ასეთ შემთხვევაში, მოსამართლემ გულმოდგინედ უნდა დაასაბუთოს, თუ რატომ ანიჭებს უპირატესობას ერთ-ერთ მათგანს (BGH, Beschluss vom 17.05.2017 - VII ZR 36/15 - NJW 2017, 3661; BGH, Beschluss vom 27.01.2010 - VII ZR 97/08 BauR 2010, 931; BGH, Beschluss vom 12.01.2011 - IV ZR 190/08 - NJW-RR 2011, 609). სასამართლოს მიერ მტკიცებულებათა შეფასების საკმარისი დასაბუთებისათვის ძირითად წინაპირობად რჩება ყოველთვის ის, რომ საჩივრის განმხილველი ზემდგომი ინსტანციის სასამართლოსთვის შესაძლებელი იყოს გადამოწმება, ყოვლისმომცველად და თანმიმდევრულად განიხილა თუ არა მოსამართლემ საპროცესო მასალა და მტკიცებულებათა შედეგები - ანუ ის, რომ მტკიცებულებათა შეფასება სრულყოფილია და სამართლებრივად შესაძლებელი და არ არღვევს ლოგიკის, ბუნებისა და ემპირიულ პრინციპებს (იხ. ქვემოთ, ა.ნ. 105 და მომდევნო აბზაცები).

103. სისხლისსამართლებრივ პრაქტიკაში (BGH, Urteil vom 27.04.2017 - 4 StR 434/16 StraFo 2017, 235) ეს მოთხოვნები შემდეგნაირად არის დაკონკრეტებული:

104. „მოსამართლის რწმენისათვის აუცილებელი პიროვნული რწმენის წინაპირობაა ობიექტური საფუძვლები. ამიტომ, მტკიცებულებათა შეფასება უნდა ეფუძნებოდეს არსებული მტკიცებულებითი მასალის სრულყოფილი ათვისებით მიღებულ მდგრად, ინტელექტუალური თვალსაზრისით გასაგებ ფაქტობრივ საფუძველს. ეს გადანყვეტილების საფუძვლებში შესაბამისი წესით უნდა გადმოიციეს, მტკიცებულებათა შეფასების რაციონალურად ჩანვდომის მიზნით (BGH NStZ-RR 2014, 15). მათგან უნდა გამომდინარეობდეს, რომ ყველა გარემოება, რომლებსაც შეუძლია გადანყვეტილებაზე გავლენის მოხდენა, გათვალისწინებულია მტკიცებულებათა შეფასებისას და გაკეთებული დასკვნები არ არის მხოლოდ ვარაუდები, რომლებისთვისაც არც მყარი ფაქტობრივი საფუძველი არსებობს და არც გარანტირებული ემპირიული პრინციპი....“

105. 4. სააპელაციო წარმოებაში ფაქტების დასადგენად, გერმანიაში სააპელაციო სასამართლოსთვის წინა ინსტანციის მიერ დადგენილი ფაქტების შეფასება შესაძლებელია მხოლოდ § 529 GER-ZPO-ში დასახელებული წინაპირობების შემთხვევებში, საკუთარი პასუხისმგებლობით.

§ 529 GER-ZPO - სააპელაციო სასამართლოს შემონმების ფარგლები

(1) სააპელაციო სასამართლომ თავის განხილვას და გადანყვეტილებას საფუძვლად უნდა დაუდოს:

1. პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტები, თუ კონკრეტული მონაცემები ეჭვქვეშ არ აყენებს გადანყვეტილებისათვის მნიშვნელოვანი დასკვნების სისწორეს ან სრულყოფილებას და ამიტომ ხელახალ დადგენას არ მოითხოვს;
2. ახალი ფაქტები, თუ მათი გათვალისწინება დასაშვებია.

...

106. სააპელაციო სასამართლოს ამ კომპეტენციას, ფაქტების დადგენის ფარგლებში შემონმებასთან დაკავშირებით, უმაღლესი ფედერალური სასამართლო (Urteil vom 14.02.2017 - VI ZR 434/15 - NJW-RR 2017, 725) შემდეგნაირად განსაზღვრავს:

107. „სააპელაციო სასამართლოს შეფასება... უკვე იმიტომ არის მცდარი, რომ მას გამოორჩა შემდეგი საკითხი: სააპელაციო ინსტანცია ... არის მეორე - მართალია, ამ მხრივ შეზღუდული - ფაქტების დამდგენი ინსტანცია, რომლის ამოცანაა ცალკეულ საქმეზე „უშეცდომო და დამაჯერებელი“ და, შესაბამისად, „სწორი“ გადანყვეტილების პოვნა (BGHZ 162, 313; BGHZ 161, 138; BGHZ 160, 83). სააპელაციო სასამართლოს შემონმების კომპეტენცია, პირველი ინსტანციის მიერ ფაქტების დადგენის თვალსაზრისით, არ შემოიფარგლება პროცესუალური შეცდომებით და,

შესაბამისად, იმ მოცულობით, რომელშიც მეორე ინსტანციის მიერ ფაქტების დადგენა ექვემდებარება საკასაციო სასამართლოს კონტროლს (BGHZ 162, 313; BGH VersR 2016, 463). § 529 Abs. 1 Nr. 1 ZPO-ს მიხედვით, ფაქტებზე პროცესუალურად უშეცდომოდ გაკეთებული დასკვნებიც კი არ არის სავალდებულო სააპელაციო სასამართლოსთვის, თუკი არსებობს კონკრეტული საფუძვლები, რომლებიც მიუთითებს, რომ ეს დასკვნები არასრულყოფილი ან არასწორია. ამასთან, გადანყვეტილები-სათვის მნიშვნელოვანი დასკვნების მიმართ არსებული ეჭვები შეიძლება ასევე გამოწვეული იყოს განსხვავებული შეფასების შესაძლებლობით, განსაკუთრებით იმით, რომ სააპელაციო სასამართლო პირველი ინსტანციაში შეგროვებული მტკიცებულებების შედეგს უფრო სხვაგვარად აფასებს, ვიდრე წინა ინსტანციის სასამართლო. თუ არსებობს სააპელაციო სასამართლოსთვის რეკომენდებული გარკვეული შეხედულებიდან გამომდინარე - არა აუცილებლად აბსოლუტური - ალბათობა, რომ მტკიცებულებათა მიღების შემთხვევაში პირველი ინსტანციის დასკვნა აღარ იქნება ვარგისი, მას ევალება ფაქტების ხელახლა დადგენა (BGHZ 162, 313; BGH VersR 2016, 1194).“ (BGHZ 162, 313; BGH VersR 2016, 463).”

108. მტკიცებულებათა შეფასება, ჩვეულებრივ, საქმის განმხილველი მოსამართლის ფუნქციაა, რომლის დასკვნებიც **საკასაციო სასამართლოსთვის**, § 559 Abs. 2 GER-ZPO-ის შესაბამისად, სავალდებულოა. საკასაციო სასამართლოს შეუძლია მხოლოდ გადაამოწმოს, § 286 Abs. 1 GER-ZPO-ს მოთხოვნის შესაბამისად, ყოვლისმომცველად და თანმიმდევრულად განიხილა თუ არა (საქმის განმხილველმა) მოსამართლემ საპროცესო მასალა და მტკიცებულების შედეგები - ანუ ის, რომ მტკიცებულებათა შეფასება სრულყოფილია და სამართლებრივად შესაძლებელი და არ არღვევს ლოგიკის, ბუნების ან ემპირიულ კანონებს (BGH, Urteil vom 24.6.2009 - VIII ZR 150/08 - BGHZ 181, 346; BGH, Beschluss vom 11. Juli 2017 - VIII ZB 20/17 - juris; BGH, Beschluss vom 29.03.2017 - VIII ZR 44/16 NJW 2017, 2819; BGH, Urteil vom 16.03.2017 - I ZR 205/15 - NJW 2017,3304).

109. უმაღლესი ფედერალური სასამართლო (BGH [Strafsenat], Urteil vom 01.02.2017 - 2StR 78/16 - NSTz-RR 2017, 183) ამ პრინციპებს შემდეგნაირად აყალიბებს:

110. „მტკიცებულებათა შეფასება საქმის განმხილველი მოსამართლის საქმეა ... არ არის აუცილებელი, მისი დასკვნები იყოს იმპერატიული, საკმარისია, მათი მიღება შესაძლებელი იყოს (BGH NSTz-RR 2015, 148). გადამწყვეტი არ არის, რამდენად სხვაგვარად შეაფასებდა საკასაციო სასამართლო მიღებულ შედეგებს, ან გააქარწყლებდა თუ არა ეჭვებს. პირიქით, მან საქმის განმხილველი მოსამართლის რწმენა მაშინაც უნდა მიიღოს, როდესაც სხვაგვარი შეფასება უფრო ზუსტი ან დამაჯე-

რებელი იქნებოდა (BGH NStZ-RR 2015, 178). საკასაციო სასამართლოს მიერ შემოწმება შემოიფარგლება მხოლოდ იმით, რომ დაადგინოს, ხომ არ გაეპარა შეცდომები საქმის განმხილველ მოსამართლეს. ფაქტობრივ-სამართლებრივი თვალსაზრისით, ამასთან გვაქვს საქმე, როდესაც მტკიცებულებათა შეფასება წინააღმდეგობრივი, ბუნდოვანი ან არასრულყოფილია, ანდა არღვევს ლოგიკის კანონებსა თუ გარანტირებულ ემპირიულ პრინციპებს (BGH, Urteil vom 1. Juni 2016 - 1 StR 597/15). გადაწყვეტილებიდან უნდა ჩანდეს, რომ მოსამართლემ გამოავლინა ისეთი გარემოებები, რომლებიც გამოსადეგია გადაწყვეტილებაზე ... გავლენის მოსახდენად და თავისი მოსაზრებები ჩართო. გარდა ამისა, გადაწყვეტილების საფუძვლებიდან უნდა გამომდინარეობდეს, რომ ცალკეული მტკიცებულებების შედეგები შეფასდა არა მხოლოდ იზოლირებულად, არამედ ყოვლისმომცველი ერთიანი შეფასების ფარგლებშიც ((BGH NJW 2008, 2792). და ბოლოს, იურიდიულად მცდარია მტკიცებულებათა შეფასება, როდესაც შეფასებისთვის აუცილებელი რწმენის მიმართ წაყენებულია გადამეტებული მოთხოვნები.“

III.

111. გერმანიაში არსებითი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს საკითხს, თუ რა წინაპირობების არსებობისას შეიძლება მხარის ჩვენებების ან წარმოდგენილი მტკიცებულებების განსახილველად არმიღება დაგვიანების გამო. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ამ თვალსაზრისით სამართლებრივი მდგომარეობა განსხვავებულია, მიმაჩნია, რომ ამ თემატიკის მნიშვნელობის, მაგრამ, ასევე, საქართველოში მიმდინარე სამართლებრივ-პოლიტიკური დისკუსიის გათვალისწინებით, რეკომენდებულია გერმანული პრინციპების, სულ მცირე, მოკლედ ჩამოყალიბება.

112. 1. კანონის ამ დებულებების უკეთესად გაგებისათვის, წინასწარ უნდა აღინიშნოს, რომ გერმანულ სამოქალაქო პროცესში მოსამართლეს, სარჩელის ან სააპელაციო საჩივრის შემოსვლის შემდეგ, აქვს არჩევანის შესაძლებლობა პროცესის ორგანიზების ორ ფორმას შორის. მას შეუძლია, დანიშნოს (ძირითადად, საქართველოს მსგავსად) ე.წ. **ადრეული პირველი სხდომა** (§ 275 GER-ZPO), ან (საქართველოსთვის უცნობი) ე.წ. **წერილობითი წინასწარი პროცედურა** (§ 276 GER-ZPO). წერილობითი წინასწარი პროცედურის მიმდინარეობა § 276 GER-ZPO-ში დარეგულირებულია შემდეგნაირად:

§ 276 GER-ZPO - წერილობითი წინასწარი პროცედურა

(1) თუ მოსამართლე არ ნიშნავს ადრეულ პირველ სხდომას ზეპირი განხილვისთვის, მაშინ ის სარჩელის ჩაბარებით მოუწოდებს მოპასუხეს, რომელსაც სარჩელის წინააღმდეგ თავის დაცვა სურს, რომ აღნიშნულის

თაობაზე, სასარჩელო განცხადების ჩაბარებიდან ორი კვირის ვადაში, წერილობით აცნობოს სასამართლოს; მოსარჩელეს უნდა ეცნობოს ამ მოწოდების შესახებ. იმავდროულად, მოპასუხეს უნდა მიეცეს, სულ მცირე, ორკვირიანი ვადა წერილობითი შესაგებლის მოსამზადებლად. თუ სარჩელი საზღვარგარეთ უნდა ჩაბარდეს, მაშინ პირველი წინადადებით გათვალისწინებული ვადა შეადგენს ერთ თვეს. ამ შემთხვევაში, თავმჯდომარეს უფლება აქვს, დაადგინოს უფრო ხანგრძლივი ვადა.

(2) მოწოდებასთან ერთად, მოპასუხეს უნდა განემარტოს პირველი აბზაცის პირველი წინადადებით მისთვის დადგენილი ვადის გაშვების შედეგები, აგრეთვე ის, რომ მას სარჩელთან დაპირისპირების სურვილის თაობაზე განცხადების გაკეთება მხოლოდ დასანიშნი ადვოკატის სამუალებით შეუძლია...

(3) ...

113. თუ მოპასუხე, წერილობითი წინასწარი პროცედურის დანიშვნის შემთხვევაში, გაუშვებს სასამართლოსთვის თავდაცვის მზაობის შესატყობინებლად (ე.წ. განცხადება თავდაცვის შესახებ) § 276 Abs. 1 GER-ZPO-ით გათვალისწინებულ ორკვირიან ვადას, მის წინააღმდეგ შეიძლება (ზეპირი განხილვის გარეშე) გამოიტანონ დაუსწრებელი გადაწყვეტილება:

§ 331 GER-ZPO – დაუსწრებელი გადაწყვეტილება მოპასუხის წინააღმდეგ

...

(3) თუ მოსარჩელე, § 276 Abs. 1 Satz 1, Abs. 2 - ის საპირისპიროდ, დროულად არ განაცხადებს, რომ მას სურს სარჩელის წინააღმდეგ თავის დაცვა, მაშინ მოსარჩელის განცხადებით სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილება ზეპირი განხილვის გარეშე; ეს წესი არ მოქმედებს, თუ მოპასუხის განცხადება მანამდე შემოვა, სანამ მოსამართლეების მიერ ხელმოწერილი გადაწყვეტილება განყოფილებას გადაეცემა. განაცხადი შეიძლება უკვე სასარჩელო განცხადებაში ჩამოყალიბდეს....

სასამართლოს ამ მეთოდის შესაბამისად, ჩვენება, რომელიც სასამართლოს მიერ დადგენილ ვადებში არ შედის სასამართლოში ან არ აკმაყოფილებს პროცესის ხელშეწყობის ზოგად მოვალეობას (§ 282 GER-ZPO), § 296 GER-ZPO-ს დეტალების შესაბამისად, უარყოფილი უნდა იყოს დაგვიანების გამო.

§ 269 GER-ZPO – დაგვიანებული ჩვენების განსახილველად არმიღება

(1) მოთხოვნის უფლების წარმომშობი და შემწყვეტი საშუალებები, რომლებიც მხოლოდ ამისათვის დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ (... § 275 Abs. 1 ..., § 276 Abs. 1 Satz 2...) იქნება წარმოდგენილი, დასაშვებია მხოლოდ მაშინ, თუ სასამართლოს თავისუფალი რწმენის თანახმად, მათი დაშვება არ გააჭიანურებს სამართლებრივი დავის მოგვარებას ან მხარე წარმოადგენს დამაკმაყოფილებელ საპატიო მიზეზს დაგვიანების გასამართლებლად.

(2) მოთხოვნის უფლების წარმომშობი და შემწყვეტი საშუალებები, რომლებიც § 282 Abs. 1-ის საწინააღმდეგოდ დროულად არ არის წარმოდგენილი, ან § 282 Abs. 2-ის საწინააღმდეგოდ დროულად არ არის შეტყობინებული, შეიძლება უარყოფილი იყოს, თუ მათი დაშვება, სასამართლოს თავისუფალი რწმენის თანახმად, გააჭიანურებს სამართლებრივი დავის მოგვარებას და დაგვიანება გამონწვეულია უხეში დაუდევრობით.

(3) დაგვიანებული შეპასუხებები, რომლებიც სარჩელის დასაშვებობას ეხება და რომლებზეც მოპასუხეს უარის თქმა შეუძლია, დასაშვებია მხოლოდ მაშინ, თუ მოპასუხე წარმოადგენს დამაკმაყოფილებელ საპატიო მიზეზს დაგვიანების გასამართლებლად.

(4) ...

§ 275 GER-ZPO – ადრეული პირველი სხდომა

(1) ზეპირი განხილვისთვის ადრეული პირველი სხდომის მოსამზადებლად, თავმჯდომარეს შეუძლია ... მოპასუხეს დაუწესოს ვადა წერილობითი შესაგებლისთვის ...

(2) თუ პროცესი ზეპირ განხილვასთან დაკავშირებული ადრეული პირველი სხდომისას არ დასრულდება, სასამართლო გაატარებს ძირითადი სხდომის მოსამზადებლად საჭირო ყველა დამატებით ღონისძიებას.

(3) ამ სხდომაზე სასამართლო აწესებს ვადას პირველი წერილობითი შესაგებლისთვის, თუ მოპასუხეს სარჩელზე ჯერ არ უპასუხია, ან არასაკმარისად უპასუხა, და მისთვის ჯერ არ დაწესებულა პირველი აბზაცის პირველი წინადადებით გათვალისწინებული ვადა.

(4) სასამართლოს ამ სხდომაზე, ან შესაგებლის შემოსვლის შემდეგ, შეუძლია, მოსარჩელეს დაუწესოს ვადა შესაგებელზე წერილობითი პოზიციის გამოსახატავად ...

§ 282 GER-ZPO – ჩვენების დროულად წარმოდგენა

(1) ზეპირი განხილვისას, ყოველმა მხარემ თავისი მოთხოვნის უფლების წარმომშობი და შემწყვეტი საშუალებები, განსაკუთრებით მტკიცე-

ბები, შედავებები, შეცილებები, მოთხოვნის განხორციელების შემაფერხებელი შესაგებლები, მტკიცებულებები და მათი შემაფერხებელი შესაგებლები უნდა წარმოადგინოს დროულად - ისე, როგორც, პროცესის მდგომარეობიდან გამომდინარე, შეეფერება გულმოდგინე და განხილვის ხელშეწყობაზე ორიენტირებულ პროცესის წარმართვას.

(2) განაცხადები, ასევე, მოთხოვნის უფლების წარმომშობი და შემწყვეტი საშუალებები, რომლებზეც მოწინააღმდეგე მხარეს, სავარაუდოდ, წინასწარ გარკვევის გარეშე განაცხადების გაკეთება არ შეუძლია, ზეპირ განხილვამდე მოსამზადებელი წერილით დროულად უნდა ეცნობოს მას ისე, რომ კიდევ მოახერხოს აუცილებელი ინფორმაციის შეგროვება.

(3) ...

114. სააპელაციო წარმოებისთვის § 531 GER-ZPO დამატებით განსაზღვრავს:

§ 531 GER-ZPO – მოთხოვნის უფლების წარმომშობი და შემწყვეტი უარყოფილი და ახალი საშუალებები

(1) მოთხოვნის უფლების წარმომშობი და შემწყვეტი საშუალებები, რომლებიც პირველი ინსტანციის სასამართლომ მართებულად უარყო, კვლავინდებურად გამორიცხულია.

(2) მოთხოვნის უფლების წარმომშობი და შემწყვეტი ახალი საშუალებები დასაშვებია მხოლოდ მაშინ, თუ ისინი:

1. ეხება საკითხს, რომელიც პირველი ინსტანციის სასამართლოს აშკარად გამოეპარა ან მან უმნიშვნელოდ მიიჩნია;

2. პროცესუალური ხარვეზის შედეგად, პირველი ინსტანციის სასამართლოში არ ყოფილა მოთხოვნილი; ან

3. პირველი ინსტანციის სასამართლოში არ ყოფილა მოთხოვნილი, რაც არ იყო გამოწვეული მხარის დაუდევრობით

115. 2. ეს ე.წ. პრეკლუზიის ნორმები, საკონსტიტუციო-სამართლებრივი სასამართლო მოსმენის პრინციპის (Art. 103 Abs. 1 GER-GG) გათვალისწინებით, უნდა იყოს მკაცრად **გამონაკლისი სახის**, რადგან აუცილებლად უარყოფით გავლენას ახდენს მატერიალურად სწორი გადაწყვეტილების მიღების მცდელობაზე და, ამით, დამრღვევი მხარისთვის გადამწყვეტი შედეგი მოაქვს. ამიტომ, მათი გამოყენებისას განსაკუთრებულად გასათვალისწინებელია სამართლებრივი უსაფრთხოებისა და სი-

ცხადის მოთხოვნები (BVerfG, Beschluss vom 05.05.1897 - 1 BvR 903/85 - BVerfGE 75, 302; BVerfG, Beschluss vom 26.08.1988 - 2 BvR 1437/87 - NJW 1989, 706; BVerfG, Beschluss vom 09.05.2003 1 BvR 2190/00 - juris; BGH, Urteil vom 03.07.2012 - VI 120/11 - NJW 2012, 2808). მხოლოდ პრეკლუზიის მიზანიც კი - მხარეთა მიერ საკუთარი მოვალეობების დარღვევის შედეგად პროცესის გაჭიანურების თავიდან არიდება - საკმარისია საკონსტიტუციო-სამართლებრივი თვალსაზრისით, რომ შეიზღუდოს სასამართლო მოსმენის ძირითადი საპროცესო უფლება (BVerfG, Beschluss vom 26.08.1988 - 2 BvR 1437/87 - NJW 1989, 706; BGH, Urteil vom 03.07.2012 - VI 120/11 - NJW 2012, 2808).

116. 3. ქვემოთ დეტალურად არის წარმოდგენილი § 296 Abs. 1 GER-ZPO-ის მხოლოდ ის შედეგები, რომლებიც სამართლებრივად ყველაზე მწვავეა და პრაქტიკაში ყველაზე მნიშვნელოვანი.

117. ა) § 296 Abs. 1 GER-ZPO-ის მიხედვით, განსახილველად მიღებაზე უარის თქმის წინაპირობა, პირველ რიგში (§ 296 Abs. 2, § 282 GER-ZPO-ით გათვალისწინებული უარის თქმისგან განსხვავებით), არის მხარისათვის ვადის დაწესება სასამართლოს მიერ. ასეთ ვადის დაწესებას § 296 Abs. 1 GER-ZPO-ით გათვალისწინებული სანქციის ეფექტის გამოწვევა შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ადეკვატური ხანგრძლივობის იყო (BGH, Urteil vom 11.11.1993 - VII ZR 54/93 - BGHZ 124, 71). პრინციპულად, § 296 Abs. 1 GER-ZPO-ით გათვალისწინებული პრეკლუზია მაშინაც გამორიცხულია, როდესაც გაჭიანურებაში პროცედურის საპროცესო წესრიგის შეუსაბამოდ წარმართვის გამო სასამართლოსაც მიუძღვის ბრალი (BVerfG, Beschluss vom 26.10.1999 - 2 BvR 1292/96 - NJW 2000, 945; BVerfG, Beschluss vom 22.02.1999 - 1 BvR 2486/97 - NJW-RR 1999, 1079).

118. ბ) გარდა ამისა, § 296 Abs. 1 GER-ZPO ეხება მხოლოდ მოთხოვნის უფლების წარმომშობ და შემწყვეტ **საშუალებებს**, როგორცაა, მაგალითად, წარმოდგენილი ფაქტები და მტკიცებულებები, მაგრამ არა თავად საპროცესო შეტევას. ამიტომ, სარჩელის შეცვლა ან განვრცობა, ანდა შეგებებული სარჩელის შეტანა, არ განეკუთვნება § 296 Abs. 1 GER-ZPO-ით გათვალისწინებულ მოთხოვნის უფლების წარმომშობ და შემწყვეტ საშუალებებს. პირიქით, ეს არის დამოუკიდებელი საპროცესო შეტევა, რომლის დაშვებაც მხოლოდ სარჩელის შეცვლის ან შესაგებლის შეტანის წესებით განისაზღვრება (BGH, Beschluss vom 20.09.2016 - VIII ZR 247/15 - NJW 2017, 491; BGH, Urteil vom 15.01.2001 - II ZR 48/99 - NJW 2001, 1210; BGH, Urteil vom 23.04.1986 - VIII ZR 9/85 - NJW 1986, 2257). შედეგად, ამგვარად გავრცობილ განაცხადთა დასაბუთებისთვის წარმოდგენილი მოთხოვნის უფლების წარმომშობი და შემწყვეტი საშუალებების უარყოფა დაგვიანების საფუძველზე, არ არის შესაძლებელი.

სხვა შემთხვევაში, ფაქტობრივად, ხელი შეეშლებოდა § 296 Abs. 1 GER-ZPO-ის საკანონმდებლო მიზნის ფონზე ახალი მოქმედების - სარჩელის შეცვლის ან შესაგებლის შეტანის - დაშვებას (BGH, Beschluss vom 20.09.2016 - VIII ZR 247/15 - NJW 2017, 491; BGH, Urteil vom 15.12.1994 - VII ZR 13/94 - NJW 1995, 1223). ეს წესი მოქმედებს მაშინაც, როდესაც სარჩელის შეცვლით ან შესაგებლის შეტანით თავიდან უნდა აიცილონ აქამდე წარმოდგენილი მოთხოვნის უფლების წარმომშობი და შემწყვეტი საშუალებების უარყოფა, მათი დაგვიანებით წარმოდგენის გამო (BGH, Beschluss vom 20.09.2016 - VIII ZR 247/15 - NJW 2017, 491). (BGH, Beschluss vom 20.09.2016 - VIII ZR 247/15 - NJW 2017, 491). თუმცა, ამით ბოროტად თავის არიდების გარკვეული შესაძლებლობებიც ჩნდება: მაგალითად, მხარეს, რომელიც დაგვიანების მიზეზით თავისი ჩვენების უარყოფის საფრთხის წინაშე დგას, შეუძლია განავრცოს (არ აქვს მნიშვნელობა, დამაჯერებლად თუ არა) თავისი სარჩელი, ან შეიტანოს შესაგებელი და ამით § 296 Abs. 1 GER-ZPO-ის გამოყენება მოთხოვნის უფლების წარმომშობი და შემწყვეტი ისეთი საშუალებებისთვისაც გამორიცხოს, რომლებიც დაგვიანების გამო უარყოფილი უნდა იყოს.

119. გ) გარდა ამისა, § 296 Abs. 1 GER-ZPO-ის გამოყენება მოითხოვს, რომ ვადის გასვლის შემდეგ წარმოდგენილი მოთხოვნის უფლების წარმომშობი და შემწყვეტი საშუალებების დაშვებამ გააჭიანუროს სამართლებრივი დავის გადანყვეტა.

120. აა) ამ წესის გამონაკლისი ბუნებიდან - რომელიც სასამართლო მოსმენის მოთხოვნას ეფუძნება (იხ. ზემოთ, ა.ნ. 115) - გამომდინარეობს მოსამართლის ვალდებულება, რომ შესაძლებლობის ფარგლებში, თავიდან აირიდოს ვადის გაშვების შედეგები. განსაკუთრებით, იგი ვალდებულია, გაითვალისწინოს დაგვიანებით წარმოდგენილი ჩვენებები ან მტკიცებულებები, თუკი ეს პროცესის გაჭიანურების გარეშე შესაძლებელი და მისაღებია (BVerfG, Beschluss vom 21.02.1990 - 1 BvR 1117/89 - BVerfGE 81, 264; BGH, Urteil vom 02.12.1982 - VII ZR 71/82 - BGHZ 86, 31; BGH, Urteil vom 26.03.1982 - V ZR 149/81 - BGHZ 83, 310). ეს ნიშნავს, რომ მოსამართლე ვალდებულია, არა მხოლოდ გამოიყენოს ვადის გასვლის შემდეგ შეტყობინებული ფაქტობრივი არგუმენტი, თუ ამით არ ჭიანურდება სასამართლოს მიერ გადანყვეტილების გამოტანა (მაგ.: იმიტომ, რომ არგუმენტი უდავო რჩება (BGH, Beschluss vom 06.06.2013 - VII ZR 116/11 - BauR 2013, 1441), არამედ შეძლებისდაგვარად გაითვალისწინოს დაგვიანებით წარმოდგენილი მტკიცებულებებიც (მაგ.: იმიტომ, რომ უკვე დანიშნულ სხდომაზე გამოიძახოს დაგვიანებით დასახელებული მოწმეები). **მოსამართლის მიერ დაგვიანების შედეგების კომპენსაციის ეს მოვალეობა** მით უმეტეს არსებობს, თუ იმ მომენტისთვის, როდესაც დაგვიანებული ჩვენება წარედგინა სასამართლოს, განხილვის თა-

რილი ჯერ დანიშნულიც არ ყოფილა. თუ პირველი ინსტანციის სასამართლო აირჩევს § 275 GER-ZPO-ით გათვალისწინებული ადრეული პირველი სხდომის ალტერნატივას, მაშინ მასზე წარმოდგენილი ფაქტობრივი არგუმენტი, დაგვიანების მიზეზით, არ შეიძლება უარყოფილი იყოს, რადგან ეს შეუთავსებელი იქნებოდა სხდომის ფუნქციასთან (BGH, Urteil vom 03.05.2018 - III ZR 429/16 - juris; BGH, Urteil vom 04.05.2005 - XII ZR 23/03 - NJW-RR 2005, 1007).

121. თუ რა ღონისძიებებია ამ დროს მოსამართლისთვის შესაძლებელი და მისაღები, საბოლოო ჯამში, დამოკიდებულია ცალკეულ შემთხვევაზე (დაგვიანებული ახსნა-განმარტებით გამოწვეული მტკიცებულებათა შეგროვების მოცულობა და სავარაუდო ხანგრძლივობა; შესაბამის დღეს უკვე ჩანიშნული სხვა სხდომების რაოდენობა და „ინტენსივობა“ [ხომ არ გამოიწვევს ეს სხვა სხდომების გადატანას ან მნიშვნელოვანი დაგვიანებით ჩატარებას?]). როგორც წესი, მტკიცებულებათა შეგროვების მისაღები ძალისხმევა - განსაკუთრებით, დაგვიანებით დასახელებული მოწმეების მოგვიანებით დაბარების ან/და დაკითხვისათვის - მით უფრო დიდია, რაც უფრო შორეულ მომავალშია განხილვის თარიღი (BVerfG, Beschluss vom 21.02.1990 - 1 BvR 1117/89 - BVerfGE 81, 264) და რაც მეტ თავისუფალი განკარგვის (დისპოზიციის) შესაძლებლობას ანიჭებს მოსამართლეს. განსაკუთრებული პრობლემები, რომლებზეც აქ დეტალურად არ გავამახვილებ ყურადღებას, ჩნდება მაშინ, როდესაც, იზოლირებულად თუ განვიხილავთ, ჯერ კიდევ შესაძლებელი და მისაღებია დამრღვევი მხარის მიერ დაგვიანებით წარმოდგენილი ახსნა-განმარტებების ან მტკიცებულებების წარდგენის გათვალისწინება განმხილველ სხდომაზე, მაგრამ უკვე შეუძლებელი იქნებოდა საპირისპირო მტკიცებულების სახით წარმოდგენილი მტკიცებულებების მიღება (შდრ. მტკიცებულებათა ორსაფეხურიანი შეგროვების პრინციპულ მიუღებლობასთან დაკავშირებით: BVerfG, Beschluss vom 21.02.1990 - 1 BvR 1117/89 - BVerfGE 81, 264).

122. თუ მოსამართლე მიიჩნევს, რომ ვერ მოახერხებს მისთვის შესაძლებელი ღონისძიებების გზით დაგვიანების შედეგების თავიდან არიდებას, ეს უნდა დაასაბუთოს თავის გადაწყვეტილებაში. იგივე წესი მოქმედებს, როდესაც მისთვის, იზოლირებულად თუ განვიხილავთ, ჯერ კიდევ შესაძლებელი იქნებოდა დაგვიანებით წარმოდგენილი მტკიცებულებების გათვალისწინება, მაგრამ უკვე შეუძლებელი გახდებოდა ამ შემთხვევაში აუცილებლად მისაღები, საპირისპირო მტკიცებულებების განხილვა. ასეთ შემთხვევებში, მას არსებითად უფლება აქვს, რომ უკვე დაგვიანებით წარმოდგენილი მოთხოვნის უფლების წარმომშობი და შემწყვეტი საშუალებები აღარ გაითვალისწინოს, ვინაიდან მისთვის უპრობლემოდ მისაღები არ არის ზეპირი განხილვის ორ სხდომად გახლეჩა

((BVerfG, Beschluss vom 21.02.1990 - 1 BvR 1117/89 - BVerfGE 81, 264), თუმცა, გადანყვეტილებაში გასაგებად უნდა ჩამოაყალიბოს, თუ რატომ მიიჩნია ეს შეუძლებლად.

123. ბბ) გაჭიანურდება თუ არა სამართლებრივი დავა დაგვიანებული ახსნა-განმარტების ან მტკიცებულებათა წარდგენის დაშვებისას, უმაღლესი ფედერალური სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, ძირითადად, წყდება იმის მიხედვით, თუ დაგვიანებული ახსნა-განმარტების დაშვების შემთხვევაში პროცესი უფრო გახანგრძლივდებოდა, ვიდრე მისი უარყოფისას. საპირისპიროდ, ჩვეულებრივ, არ არის მნიშვნელოვანი, რომ სამართლებრივი დავა, დროული ახსნა-განმარტების შემთხვევაში, შესაძლოა იმდენივე ხანს გაგრძელებულიყო, რადგან, მაგალითად, დროული ახსნა-განმარტების შედეგად, აუცილებელი გახდებოდა პროცესის გაჭიანურების გამომწვევი მტკიცებულებების შეგროვება (ე.წ. აბსოლუტური გაჭიანურება; BGH, Urteil vom 13.03.1980 - VII ZR 147/79 - BGHZ 76, 236; BGH, Urteil vom 26.03.1982 - V ZR 149/81 - BGHZ 83, 310; BGH, Urteil vom 02.12.1982 - VII 71/82 - BGHZ 86, 31; BGH, Urteil vom 03.07.2012 - VI ZR 120/11 - NJW 2012, 2808).

124. თუმცა, მოთხოვნის უფლების წარმომშობი და შემწყვეტი საშუალებების პრეკლუზია საკონსტიტუციო-სამართლებრივი თვალსაზრისით საეჭვო იქნებოდა, თუ პროცესი აშკარად დროული ახსნა-განმარტების შემთხვევაშიც გაჭიანურდებოდა (ე.წ. რელატიური გაჭიანურება; BVerfG, Beschluss vom 05.05.1987 - 1 BvR 903/85 BVerfGE 75, 302; BVerfG, Beschluss vom 27.01.1995 - 1 BvR 1430/94 - NJW 1995, 1417; BGH, Urteil vom 03.07.2012 - VI ZR 120/11 - NJW 2012, 2808; BGH, Beschluss vom 10.02.2011 - VII ZR 155/09 - NJW-RR 2011, 526). ეს განსაკუთრებით ეხება კომპლექსურ სამართლებრივ დავებს, რომლებშიც ვრცელი და შრომატევადი მტკიცებულებათა შეგროვების აუცილებლობა თავიდანვე გარდაუვალია და, ამიტომაც, ვადის გასვლის შემდეგ უარი წარმოდგენილი, მოთხოვნის უფლების წარმომშობი და შემწყვეტი საშუალებების განსახილველად მიღებაზე, აშკარად გამოიწვევდა სამართლებრივი დავის ე.წ. ზედმეტად დაჩქარებას (ვადის გაშვების შედეგად, იგი აშკარად უფრო მალე მოგვარდებოდა, ვიდრე ვადის გაშვების გარეშე). ამ შემთხვევებში, პრეკლუზია აშკარად ველარ შეასრულებს თავის მიზანს - მოვალეობის დარღვევით გამოწვეული პროცესის გაჭიანურების თავიდან არიდებას. თუ სასამართლო ასეთ ვითარებაში დაგვიანების მიზეზით მაინც უარს განაცხადებდა ახსნა-განმარტების მიღებაზე, ეს იქნებოდა უფლების ბოროტად გამოყენება და, იმავდროულად, სასამართლო მოსმენის მოთხოვნის უფლების დარღვევა (BVerfG, Beschluss vom 05.05.1987 - 1 BvR 903/85 - BVerfGE 75, 302; BVerfG, Beschluss vom 27.01.1995 - 1 BvR 1430/94 NJW 1995, 1417; BGH, Beschluss vom 12.04.2018 - V ZR 153/17 -

juris; BGH, Urteil vom 03.07.2012 - VI ZR 120/11 - NJW 2012, 2808; BGH, Beschluss vom 10.02.2011 - VII ZR 155/09 - NJW-RR 2011, 526). დაგვიანებული ახსნა-განმარტებების მიღებაზე უარის დებულებათა მიზანი არ არის ერთ-ერთი მხარის საპროცესო დაუდევრობის სანქცირება და, მით უმეტეს, ის, რომ სასამართლოს თავიდან აარიდოს საქმის გარემოებათა გულმოდგინედ გარკვევისათვის ობიექტურად სავალდებულო ძალისხმევა (BGH, Urteil vom 21.10.1986 - VI ZR 107/86 - BGHZ 98, 368; BGH, Urteil vom 03.07.2012 - VI ZR 120/11 - NJW 2012, 2808).

125. დ) სააპელაციო ინსტანციაში, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ უარყოფილი მოთხოვნის უფლების წარმომშობი და შემწყვეტი საშუალებები, § 531 Abs. 1 GER-ZPO-ის დეტალური მითითების შესაბამისად, გაუთვალისწინებელი რჩება.

126. უკვე ამ ნორმის ტექსტიდან გამომდინარე, ეს წესი მოქმედებს მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც მოთხოვნის უფლების წარმომშობი და შემწყვეტი საშუალებები პირველი ინსტანცია მართებულად უარყოფს (BGH, Beschluss vom 31.05.2017 - VIII ZR 69/16 - NJW 2017, 2288); სააპელაციო სასამართლომ ეს უნდა შეამოწმოს შესაბამისი საპროცესო პრეტენზიის პასუხად. თუმცა, § 531 Abs. 1 GER-ZPO-ის სიტყვასიტყვითი რედაქციისა და რეგულირების მიზნიდან ასევე გამომდინარეობს, რომ სააპელაციო სასამართლოს არც წინა ინსტანციის მიერ განუხორციელებელი უარყოფის შემდგომში განხორციელება (აღდგენა) შეუძლია და არც მისი დაფუძნება წინა ინსტანციის მიერ გამოყენებული დაგვიანების ალტერნატივისგან განსხვავებულ რაიმე სხვა ალტერნატივაზე (BGH, Urteil vom 22.02.2006 - IV ZR 56/05 - BGHZ 166, 227; BGH, Beschluss vom 03.05.2018 - III ZR 429/16 - juris; BGH, Beschluss vom 31.05.2017 - VIII ZR 69/16 - NJW 2017, 2288). გამარტივებულად რომ ჩამოვყალიბოთ, ეს ნიშნავს, რომ პირველი ინსტანციის მიერ მოთხოვნის უფლების წარმომშობი და შემწყვეტი საშუალებების მხოლოდ პროცესუალურად დასაბუთებული უარყოფა სააპელაციო სასამართლოშიც იწვევს უარს განსახილველად მიღებაზე. თუ პირველი ინსტანციის სასამართლომ ეს საშუალებები პროცესუალურად მცდარი დასაბუთების საფუძველზე უარყო, ისინი სააპელაციო წარმოებაში მაშინაც კი უნდა გაითვალისწინონ, თუ პირველი ინსტანციის სასამართლოს შეეძლო ამ საშუალებების უარყოფა საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისი სხვა დასაბუთების გამოყენებით. პირველ ინსტანციაში უარყოფილი მოთხოვნის უფლების წარმომშობი და შემწყვეტი საშუალებები სააპელაციო წარმოებაში მაშინაც უნდა იყოს დაშვებული, თუ ისინი, საპროცესო კოდექსის შესაბამისად გამოყენებისას, პირველი ინსტანციის სასამართლოს უნდა უარეყო (იხ. ზემოთ ა.ნ. 93).

ქართვან მესხიშვილი

105-ე მუხლი

1. მტკიცებულებათა წარდგენა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით, სამართალწარმოება დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე მიმდინარეობს, რაც იმას ნიშნავს, რომ მხარეები თავადვე განსაზღვრვენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის (განცხადების) სასამართლოში შეტანის შესახებ (**დისპოზიციურობის პრინციპი**). ამასთან, თავად მხარეები იღებენ გადაწყვეტილებას, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს, ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები (**შეჯიბრებითობის პრინციპი**). ამდენად, ის პროცესუალური შედეგი, რომელსაც მხარეები იღებენ, დიდწილად მათივე წარდგენილი სარჩელისა და შესაგებლის კვალიფიციურობაზე, ფორმალურ გამართულობასა და დასაბუთებულობაზე არის დამოკიდებული¹. სწორედ მოსარჩელეა პირი, რომელიც სრულყოფილი ფაქტებისა და მტკიცებულებების წარდგენის გზით ქმნის სარჩელის დაკმაყოფილების პერსპექტივას², ამავდროულად, სწორედ მოპასუხეა პირი, რომელიც მოთხოვნის შემაფერხებელი ან მოთხოვნის შემწყვეტი შესაგებლის წარდგენის გზით კვალიფიციურ შედავებას ახორციელებს და მის წინააღმდეგ აღძრული სარჩელის დაკმაყოფილებას გამორიცხავს³. **აღნიშნულ პროცესში მოსამართლე მიუკერძოებელი არბიტრია, რომელიც იმ სახის სამართალს დაადგენს, რა სახის ფაქტებსაც მიიღებს.** სამოქალაქო საპროცესო სამართალში მოქმედი პრინციპი, „**მომეცი ფაქტები, მოგცემ სამართალს**“ („da mihi facta, dabo

¹ შ.შმიტი, ჰ.რიჰტერი, „მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესი სამოქალაქო სამართალში“, მოკლე შესავალი რელაციის მეთოდში, თბილისი, 2013, გვ.8

² *ibid.*9

³ *ibid.*14

tibi ius“)⁴ კარგად ასახავს მოსამართლის როლს სამოქალაქო სამართალწარმოებაში, რა დროსაც სასამართლო სამართალწარმოება მხოლოდ მხარეთა მიერ მიცემული ფაქტების სამართლებრივი შეფასებით შემოიფარგლება.

სამოქალაქო საპროცესო სამართალში მოქმედი ზოგადი წესის მიხედვით, ფაქტების მტკიცების ტვირთი მხარეებს ეკისრება⁵. აღნიშნული წესი ნორმატიულადაა განმტკიცებული. სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ადგენს, რომ თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს (102.1)⁶. სასამართლოს მხარეთა მიერ მითითებული ფაქტების სისწორეში დასარწმუნებლად ალბათობის მაღალი ხარისხით სარწმუნო მტკიცებულებები სჭირდება⁷. შესაბამისად, მხარეები სარჩელსა, თუ შესაგებელში მარტოოდენ ფაქტების მითითებით, მათთვის სასურველ შედეგს ვერ მიიღებენ, თუ აღნიშნული ფაქტების არსებობა კანონით დაშვებული მტკიცებულებების წარდგენის გზით არ დაამტკიცეს. შესაბამისი მტკიცების გარეშე ფაქტი დადასტურებულად მხოლოდ საგამონაკლისო შემთხვევებში ითვლება, კერძოდ, მაშინ, როდესაც მოსარჩელის მიერ მითითებულ ფაქტს მოპასუხე დაეთანხმება (ფაქტის აღიარება) (131)⁸, თუ რაღაც თქმა უნდა, ფაქტი სპეციალურ მტკიცებას არ საჭიროებს, მაგალითად, როგორცაა, უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლება, დაბადება, გარდაცვალება, რეგისტრირებული ქორწინება და ა. შ. ან როდესაც მოპასუხე შესაგებელს არ წარადგენს, ან სხდომაზე არ გამოცხადდება და მოსარჩელე დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებას იშუამდგომლებს (230, 232¹)⁹. ასეთ ვითარებაში სარჩელში მითითებული ფაქტები, შესაბამისი მტკიცებულებების შემოწმების გარეშე, დადასტურებულად ითვლება.

მიუხედავად იმისა, რომ სამართალწარმოება შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე მიმდინარეობს, ეს მოცემულობა არ არის შეუზღუდავი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი შეჯიბრის უფლე-

⁴ ჰ.ბოლინგი, *ლ.ჭანტურია*, „სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდიკა“, თბილისი, 2004, გვ.42

⁵ *თ.ლილუაშვილი, ვ.ხრუსტალი*, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბილისი, 2014, გვ.198

⁶ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, საქართველოს პარლამენტი 14.11.1997, კონსოლიდირებული ვერსია 22.12.2018

⁷ *რ.ციბელიუსი*, „იურიდიული მეთოდების მოძღვრება“, მიუნხენი, 2006, გვ.109

⁸ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, საქართველოს პარლამენტი 14.11.1997, კონსოლიდირებული ვერსია 22.12.2018

⁹ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, საქართველოს პარლამენტი 14.11.1997, კონსოლიდირებული ვერსია 22.12.2018

ბის შეზღუდვის შესაძლებლობებსაც ითვალისწინებს. მათი უმრავლესობა პირდაპირ, ცალსახად არ გულისხმობს შეჯიბრებითობის პრინციპის მოქმედებაში ჩარევასა და პროცესში ინკვიზიციური მეთოდების შემოტანას, მაგრამ ირიბად მოსამართლეს უფლებას აძლევს, საკუთარი ქმედებებით საქმის მიმდინარეობაზე გავლენა მოახდინოს. საგულისხმოა, რომ არც კანონმდებლობა და არც დოქტრინა განმარტავს, ზოგადი დანაწესის არსებობისას, სად გადის მიჯნა შეჯიბრებითობის პრინციპში არათანაზომიერ ჩარევასა და სამართლიანი სასამართლოს უფლებას შორის¹⁰. თუმცა, სასამართლო პრაქტიკა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ასახული ნორმების, ლოგიკური და შინაარსობრივი ანალიზისა და დოქტრინალურად განმტკიცებული შეჯიბრებითობის კონტექსტის გათვალისწინებით, ადგენს, რომ მოსამართლის როლი მტკიცებულებათა შეგროვების პროცესში მინიმალისტური, თუმცა, არსებითია. სასამართლოს ფუნქცია მხარეთა შეჯიბრის წარმართვაა, თანაც იმგვარად, რომ მხარეებს საპროცესო თავდაცვის თანაბარი შესაძლებლობა ჰქონდეთ. ამ ფარგლებში სასამართლო, სადავო ფაქტების გათვალისწინებით, მტკიცების საგანს განსაზღვრავს და საპროცესო, თუ მატერიალური კანონმდებლობის დანაწესებიდან გამომდინარე, მხარეთა შორის მტკიცების ტვირთს ანაწილებს¹¹. სასამართლო შეზღუდულია მხარეთა მიერ მითითებული ფაქტებით, თუმცა, მითითებული ფაქტების ფარგლებში, უფლებამოსილია, მხარეებს დამატებითი მტკიცებულებების წარმოდგენა შესთავაზოს¹². ამასთან, ნიშანდობლივია განიმარტოს, თუ რა იგულისხმება სასამართლოს უფლებაში, მხარეებს დამატებითი მტკიცებულებების წარმოდგენა შესთავაზოს. აღნიშნული გულისხმობს, რომ სასამართლომ მხარეს სარჩელსა, თუ შესაგებელში მითითებული ფაქტის დამადასტურებელი მტკიცებულების წარმოდგენის წინადადება მისცეს, მაგალითად, თუ მოსარჩელე უთითებს ფაქტს, რომ იგი სადავო უძრავი ქონების მესაკუთრეა, შესთავაზოს საჯარო რეესტრიდან შესაბამისი ამონაწერის წარმოდგენა, ან თუ მოპასუხე შესაგებელში ნასყიდობის ფასის უნაღდო (საბანკო გადარიცხვის გზით) ანგარიშსწორებაზე უთითებს, მისცეს წინადადება, რომ საბანკო ამონაწერი წარმოადგინოს და ა. შ. დო-

¹⁰ რ. დეკანოსიძე, „შეჯიბრებითობის პრინციპი და მისი შეზღუდვის შემთხვევები ქართულ სამოქალაქო საპროცესო სამართალში“, თანამედროვე სამართლის ჟურნალი, თბილისი, 2017წ., გვ. 128-155

¹¹ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 10.11.2017 წლის განჩინება, საქმეზე ას-1004-925-2017

¹² იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 11.11.2013 წლის განჩინება, საქმეზე ას-1485-1401-2012

ქტრინაში გამოთქმული შეხედულების მიხედვით, სასამართლოს უფლება, შესთავაზოს მხარეებს დამატებითი მტკიცებულებების წარმოდგენა, უნდა ემსახურებოდეს სიმართლის გარკვევას და არ უნდა გაკეთდეს რომელიმე მხარისათვის დახმარების აღმოჩენის მიზნით¹³, მით უფრო, არ უნდა მოხდეს ამ გზით მხარეთა შეჯიბრებითობის უფლების ხელყოფა¹⁴. აღნიშნული პრინციპი დაცული იქნება, თუ სასამართლო დამატებითი მტკიცებულებების წარმოდგენის შეთავაზებით, მხარეს საქმისათვის მნიშვნელოვან დამატებით ფაქტებს არ განუმარტავს და მხოლოდ უკვე მითითებული ფაქტების დადასტურების წინადადებას მისცემს. ამასთან, **სასამართლომ თავი უნდა შეიკავოს კონკრეტული მტკიცებულების დასახელებისაგან, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ფაქტი სპეციალურ მტკიცებას საჭიროებს, ან თუ მხარე მტკიცებულების სახეზე თავად უთითებს**, მაგალითად, სპეციალურ მტკიცებას საჭიროებს გარემოებები, რომელთა დადასტურება მარტოოდენ კანონით გათვალისწინებული მტკიცებულებებითაა შესაძლებელი, მაგ. საჯარო რეესტრის ამონაწერი, ქორწინების, დაბადების, გარდაცვალების მოწმობები და ა. შ. მხარის მიერ მტკიცებულების დასახელება კი ნიშნავს ისეთ შემთხვევას, როდესაც ფაქტი თავად აღწერს მტკიცებულების სახეობას, მაგალითისათვის, მხარე უთითებს, რომ გადახდა უნაღლო (საბანკო) ანგარიშსწორების წესით განხორციელდა, შესაბამისად, ასეთ ვითარებაში, სასამართლო კი არ განუსაზღვრავს მხარეს, თუ რომელი მტკიცებულებით უნდა დაადასტუროს ესათუის ფაქტი, არამედ აძლევს წინადადებას, მის მიერ მითითებული ფაქტი მის მიერვე მითითებული მტკიცებულებით, მოცემულ შემთხვევაში, საბანკო ამონაწერით, დაამტკიცოს. იგივე წესი ვრცელდება სასამართლოს კიდევ ერთ შესაძლებლობაზე, მხარეებს მტკიცებულებების წარმოდგენის შესაძლებლობა მისცეს, კერძოდ, მთავარ სხდომაზე განხილვისათვის საქმის მოსამზადებლად მოსამართლეს შეუძლია დაავალოს მხარეებს შეავსონ, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, განმარტონ მათ მიერ წარმოდგენილი წერილობითი მასალები, წინადადება მისცეს მათ წარმოადგინონ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ნივთები, თუ დოკუმენტები (203.1.„ა“)^{15 16};

¹³ *თ.ლილუაშვილი, ვ.ზრუსტალი*, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბილისი, 2014, გვ. 198

¹⁴ *რ.დეკანოზიძე*, „შეჯიბრებითობის პრინციპი და მისი შეზღუდვის შემთხვევები ქართულ სამოქალაქო საპროცესო სამართალში“, თანამედროვე სამართლის ჟურნალი, თბილისი, 2017წ., გვ. 128-155

¹⁵ *საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, საქართველოს პარლამენტი 14.11.1997, კონსოლიდირებული ვერსია 22.12.2018*

2. მტკიცებულებათა შეფასება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით

ა. მტკიცებულების თავისუფალი შეფასების სტანდარტი

იურიდიულ ლიტერატურაში მოქმედებს მტკიცებულებების თავისუფალი შეფასების პრინციპი. მტკიცებულებათა თავისუფალი შეფასება არ გულისხმობს სამოსამართლო თვითნებობას, სხვაგვარად თუ ვიტყვით, მტკიცებულებების თავისუფალი შეფასების პრინციპის ქვეშ არ იგულისხმება ე.წ. „კადის სამართალი“, ანუ „კადისებური იუსტიცია“, როდესაც მოსამართლე მტკიცებულებების შეფასების საფუძველს თავისთვის ინახავს¹⁷. უფრო მეტიც, მოსამართლემ გადაწყვეტილებაში ის საფუძვლები უნდა მიუთითოს, რაზე დაყრდნობითაც მან მტკიცებულება გაიზიარა, ან მის გაზიარებაზე უარი თქვა. დაუშვებელია მტკიცებულებების შეფასების მიზნით მოსამართლემ ის წყარო გამოიყენოს, რაც საქმეში წარმოდგენილი არ არის¹⁸. მაგალითისათვის, დაუშვებელია მოსამართლემ მედია საშუალებებში გამოყენებული ინფორმაცია, პრესაში დაბეჭდილი წყარო და ა. შ. დაუდოს საფუძვლად მტკიცებულებათა შეფასებას, თუ აღნიშული ინფორმაცია, მტკიცებულების სახით, საქმეში წარმოდგენილი არ არის. უფრო მეტიც, საქმეში არარსებულ ინფორმაციას მოსამართლე არათუ არ უნდა დაეყრდნოს, არამედ შინაგანი რწმენის ჩამოყალიბებას არ უნდა დაუდოს საფუძვლად¹⁹. იგივე წესი ვრცელდება უკანონოდ მოპოვებულ მტკიცებულებაზე²⁰.

მტკიცებულებათა თავისუფალი შეფასების პრინციპი არ ნიშნავს იმას, რომ მოსამართლე ამათუიმ მტკიცებულებით დადასტურებული ფაქტის უტყუარობაში (ნამდვილობაში) ან არანამდვილობაში აუცილებლად უნდა დარწმუნდეს. თუ მოსამართლე საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებით ამათუ იმ ფაქტის არსებობა/არარსებობაში ვერ დარწმუნდა, აღნიშნული გარემოება იმ მხარის საუარესოდ მოქმედებს, რომელი მხარის მტკიცების ტვირთსაც მითითებული ფაქტის მტკიცება წარმოადგენს, სხვაგვარად თუ ვიტყვით, ყოველგვარი ეჭვი იმ მხარის საუარესოდ

¹⁶ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 22.06.2012 წლის განჩინება, საქმეზე, ას-750-704-2012

¹⁷ F.Bauer, W.Gruginsky, Zivilprozessrecht, 2010, S.154, Rn.178

¹⁸ Ibis. 179

¹⁹ Ibis. 179

²⁰ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 4 მაისის №ას-1155-1101-2014 განჩინება

უნდა გადაწყდეს, ვისაც სადავო ფაქტის მტკიცება ეკისრება. მოსამართლემ არ უნდა მიიჩნიოს დადასტურებულად ფაქტები მაშინ, როდესაც აღნიშნული ფაქტების არსებობაში თავად ვერ დარწმუნდა. მოსამართლის საკმარისი დაურწმუნებლობა იმ მხარის საუარესოდ გამოიყენება, რომელმაც აღნიშნული მტკიცების ტვირთი ვერ გასწია.

მოქმედებს პრინციპი, რომლის მიხედვითაც, საქმეში არსებული ყველა მტკიცებულება უნდა შეფასდეს, რაც იმას ნიშნავს, რომ უნდა განიმარტოს მტკიცებულების მნიშვნელობა და დატვირთვა ამათუიმ ფაქტის დადგენისა, თუ არდადგენის საქმეში. მოსამართლის მიერ მტკიცებულების შეფასება შეიძლება კანონით მკაცრად იყოს განერილი, ან სრულად მოსამართლის მიხედულობაზე იყოს დამოკიდებული. რიგ შემთხვევებში, კანონით ამათუიმ მტკიცებულების ძალა წინასწარ არის დადგენილი, ან კანონით პირდაპირ არის განერილი ესათუის ფაქტი, რომელი მტკიცებულებით დასტურდება. ასეთ შემთხვევაში მოსამართლის როლი მტკიცებულებათა შეფასების პროცესში მინიმალისტურია, რადგან იგი მტკიცებულებას ისე აფასებს, როგორც ამას კანონი ამბობს. თუ ფაქტებს მოსამართლეები თავისუფალი შეფასების პრინციპით აფასებენ, მოსამართლის პასუხისმგებლობა მაღალია, ხოლო მისი უფლებამოსილება ფართო, თუმცა, არა განუსაზღვრელი, რადგან, მართალია, მოსამართლე, მტკიცებულებებს თავისუფალი შეფასების პრინციპზე დაყრდნობით ადგენს, თუმცა, საგულისხმოა, რომ მოსამართლის დასკვნა მტკიცებულებაზე დაყრდნობით ამათუიმ ფაქტის დადგენის თაობაზე დასაბუთებას მოითხოვს, ასევე დასაბუთებას საჭიროებს მოსამართლის დასკვნა, როდესაც იგი მტკიცებულებას ამათუიმ ფაქტის დადგენის მიზნებისათვის, არასაკმარისად (არასარწმუნოდ) მიიჩნევს.

ბ. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის²¹ მნიშვნელობა

ქართული კანონმდებლობის მიხედვით, სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არ აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. კანონი არ ახარისხებს მტკიცებულებათა სახეებს სანდოობის ხარისხის მიხედვით. მტკიცებულების ყველა სახე თანაბარი რანგისაა. სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით. თუმცა, შინაგანი რწმენის ჩამოყალიბებას საფუძვლად უნდა ედოს მტკიცებულებათა ობიექტური

²¹ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, საქართველოს პარლამენტი 14.11.1997, კონსოლიდირებული ვერსია 22.12.2018

და სრული განხილვა. შესაბამისად, სასამართლო მტკიცებულებათა ყოველმხრივი შეფასების შედეგად თავად წყვეტს, თუ რომელი მტკიცებულებაა სარწმუნო და რომელ მათგანს უნდა დაეყრდნოს იგი. მტკიცებულების შეფასების მთავარი კრიტერიუმი **ობიექტურობაა**. მტკიცებულება ობიექტურად უნდა ასახავდეს ამათუიმ მოვლენას, ანდა ადასტურებდეს ამათუიმ ფაქტის არსებობას. შესაბამისად, აღნიშნულ მტკიცებულებაზე დაყრდნობით, ობიექტურად, ყოველი გონიერი ადამიანი ერსადაიმავე დასკვნამდე უნდა მიდიოდეს. მტკიცებულების შეფასების მიზნებისათვის უალრესად დიდი მნიშვნელობა მის **სანდოობას (სარწმუნოობას)** ენიჭება. მტკიცებულების სანდოობა განაპირობებს მოსამართლის დარწმუნების ალბათობის ხარისხს. რაც უფრო სანდოა მტკიცებულება, რომელსაც სასამართლო გადაწყვეტილება ეყრდნობა, მით უფრო მაღალია აღნიშნულ მტკიცებულებაზე დაყრდნობით გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილების ლეგიტიმაცია. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ მოსაზრებები, რომლებიც საფუძვლად უდევს მტკიცებულებათა შეფასების შედეგად გამოტანილ გადაწყვეტილებას, აისახოს გადაწყვეტილებაში, რათა სასამართლო გადაწყვეტილების წაკითხვის შედეგად **მხარეებსა და დაინტერესებულ პირებს სანდო და ობიექტურ მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილების შთაბეჭდილება შეექმნათ**, რაც დიდწილად განაპირობებს სასამართლოს მიმართ ნდობას.

სასამართლოს მტკიცებულებებს მხარეები წარუდგენენ. თითოეული მხარის ვალდებულებაა სასამართლოსათვის იმ მტკიცებულებების წარდგენა, რომელსაც იგი თავის მოთხოვნასა, თუ შესაგებელს ამყარებს (102.1)²². ამასთან, სარჩელსა, თუ შესაგებელში მითითებული ფაქტების დასამტკიცებლად მარტოოდენ მტკიცებულებათა წარდგენა საკმარისი არ არის. **მტკიცებულებები უნდა იყოს ობიექტური და სანდო, შესაბამისად, ვარგისი მოსამართლის შინაგანი რწმენის ჩამოსაყალიბებლად**. ქართული კანონმდებლობა არ აკონკრეტებს, თუ რომელი ფაქტის დასადასტურებლად რომელი მტკიცებულებაა ვარგისი. მტკიცებულების ვარგის ხასიათს მისი ობიექტურობა, სანდოობა და ფაქტთან მისი უშუალო მიმართება განაპირობებს. თუმცა, რიგ შემთხვევებში კანონის დანაწესიდან პირდაპირ იკვეთება, თუ რა სახის მტკიცებულებითაა შესაძლებელია ამათუიმ ფაქტის დადასტურება. მაგალითისათვის, უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლება საჯარო რეესტრის ჩანაწერიდან ირკვევა, შესა-

²² საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, საქართველოს პარლამენტი 14.11.1997, კონსოლიდირებული ვერსია 22.12.2018

ბამისად, უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების დადგენის მიზნებისათვის სასამართლო სხვა სახის მტკიცებულებას ვერ დაეყრდნობა, იგივე უნდა ითქვას სხვა რეგისტრაციასავალდებულო ფაქტებზე, როგორცაა, დაბადება, ქორწინება, განქორწინება, წილზე საკუთრების უფლება, საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვა და ა. შ. იგივე წესი ვრცელდება ამათუიმ ფაქტის დასადასტურებლად კანონით აკრძალული მტკიცებულების გამოყენებაზე, მაგალითად, სესხის ხელშეკრულების არსებობა მხოლოდ მონმის ჩვენებაზე დაყრდნობით არ დგინდება. ამდენად, თუ კანონიდან ფაქტის დასადასტურებლად მტკიცებულების სავალდებულო სახეობა არ იკვეთება, ამ გარემოებათა დამტკიცება თვით მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა-განმარტებით, მონმეთა ჩვენებით, ფაქტების კონსტატაციის მასალებით, წერილობითი, თუ ნივთიერი მტკიცებულებებით და ექსპერტთა დასკვნებითაა შესაძლებელი. ასევე არსებობს **მტკიცებულების სახეობის რელევანტური ურთიერთმიმართების თეორია სამტკიცებელ გარემოებასთან**, რაც სასამართლო პრაქტიკაში ხშირად გამოიყენება. აღნიშნული თეორიის მიხედვით, მტკიცებულების სახეს დასამტკიცებელი გარემოების შინააარსი განაპირობებს, მაგალითად, გეოლოგიური სეისმომდეგობა მონმეთა ჩვენებით არ დგინდება, ისევე როგორც შენობის მდგრადობის შესამონმებლად კონსტანტაციის მასალები საკმარისი არ არის, აღნიშნული გარემოებების დასადასტურებლად ექსპერტთა დასკვნების წარდგენაა აუცილებელი, მაშინ, როდესაც სამკვიდრო მასის ფაქტობრივი ფლობით მიღების ფაქტის დასამტკიცებლად სასამართლო ყველაზე ხშირად მონმეთა ჩვენებებს ეყრდნობა. იგივე უნდა ითქვას კანონდარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებებზე. კანონდარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებებს სასამართლო არ ეყრდნობა. ფარული მოსმენით (ჩანერით) შექმნილი მტკიცებულება კანონდარღვევით მოპოვებულ მტკიცებულათა რიგს განეკუთვნება, თუმცა, ამ შემთხვევაშიც გამონაკლისი არსებობს, კერძოდ, თუ ნებაყოფლობითი სამოქალაქო ურთიერთობის დასადასტურებლად ფარული ჩანანერი, როგორც მტკიცებულება არ დაიშვება, იძულების, ან სექსუალური შევიწროების ფაქტის დასამტკიცებლად ფარული ჩანანერი „თვითდახმარების მდგომარეობაში“ შექმნილ ერთადერთ მტკიცებულებად განიხილება, რომელსაც სასამართლო ეყრდნობა.

გარდა ზემოაღნიშნულისა, მტკიცებულებათა ინდივიდუალურად დეტალური შესწავლის პარალელურად, საქმეში არსებული მტკიცებულებე-

ბი შეფასებას ერთობლიობაში საჭიროებს²³. საქმის ფაქტობრივი გარემოებების დადგენას ყოველთვის წინ უძღვის სასამართლოს მიერ **მტკიცებულებათა შეფასება**, რაც მოიცავს მტკიცებულებების შემოწმებას დასაშვებობის, შემხებლობის და უტყუარობის კუთხით, აგრეთვე **მტკიცებულებათა** საკმარისობაზე მსჯელობას და მათ **შეფასებას** ერთობლიობაში²⁴.

მტკიცებულება, ამავედროულად, ე.წ. „**განკუთვნადი**“ უნდა იყოს **კონკრეტული გარემოების დასადასტურებლად**. მტკიცებულებათა განკუთვნადობა, რაც ქართულ სასამართლო პრაქტიკაში ხშირად გამოიყენება, დოქტრინალური ტერმინია და განსაკუთრებით, ამერიკულ მტკიცებით სამართალშია ცნობილი, კერძოდ, ამერიკის შეერთებულ შტატებში 1975 წლიდან, შესაბამისი ცვლილებებით, „მტკიცებულებათა შესახებ ფედერალური წესები“ მოქმედებს. აღნიშნული წესები განიმარტება იმგვარად, რომ ყველა საქმისწარმოება სამართლიანად გადაწყდეს, უსამართლო ხარჯები შემცირდეს, სამართალწარმოება დროში არ გაჭიანურდეს, ხელი შეეწყოს საქმეზე სიმართლის დადგენასა და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებას. აღნიშნული აქტი²⁵ მტკიცებულებას „განკუთვნადად“²⁶ მიიჩნევს, თუ: (1) მას შეუძლია საქმის რომელიმე გარემოება ნაკლებად ან მეტად სავარაუდო გახადოს, ვიდრე იგი წარდგენილი მტკიცებულების არარსებობის პირობებში იქნებოდა. (2) მტკიცებულება, რომელიმე ქმედების არსებობას ან არარსებობას ადასტურებს. თუმცა, განკუთვნადი მტკიცებულება შესაძლებელია სასამართლომ ამორიცხოს საქმიდან²⁷, თუ მისი მტკიცებულებითი ძალა საბოლოოდ გამოიწვევს: (1) უსამართლო შეფასებას; (2) ფაქტების აღრევას; (3) სასამართლოს შეცდომაში შეყვანას; (4) საქმის განხილვის გაჭიანურებას; (4) სხვა მტკიცებულებათა გაუმართლებელი წარმოდგენის საჭიროების შექმნას.²⁸ მტკიცებულებათა „განკუთვნადობის“ თაობაზე ამერიკის უმაღლესმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეში მიუთითა, რომ სასამართლომ მტკიცებულება უნდა შეაფასოს სანდოობისა და განკუთვნადობის მიხედვით. სანდოობის შეფასებისას სასამართლომ უნდა შეამოწმოს მტკიცებულების შედგენის მეთოდი და დასაბუთება, რომელიც მტკიცებულების საფუძველი გახდა,

²³ იხ. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 2019 წლის 17 მაისის განჩინება, საქმეზე №ას-310-2019

²⁴ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 4 აპრილის განჩინება, საქმეზე №ას-1322-2018

²⁵ „მტკიცებულებათა შესახებ ფედერალური წესები“, მუხლი 405, აშშ, 1975

²⁶ საქმისათვის მნიშვნელოვნად

²⁷ „მტკიცებულებათა შესახებ ფედერალური წესები“, მუხლი 403, აშშ, 1975

²⁸ *The Federal Rules of Evidence*, ხელმისაწვდომია: <https://www.rulesofevidence.org/>

მეცნიერულად გამართულია, თუ არა, ასევე შეესაბამება, თუ არა, სადავო შემთხვევაში არსებულ ფაქტობრივ გარემოებებს. ამავე გადანწყვეტილებაში ამერიკის უმაღლესმა სასამართლომ დაასახელა ოთხი ფაქტორი, რომლებიც სასამართლოებმა მტკიცებულებათა სანდოობისა და განკუთვნიადობის შეფასებისას მხედველობაში უნდა მიიღონ, კერძოდ, თუ: (1) მტკიცებულების შესაქმნელად გამოყენებულია თეორია ან ტექნიკა, უნდა შეფასდეს რამდენად შეიძლება მათი გამოცდა, ანდა ხომ არ ყოფილა ის უკვე გამოცდილი; (2) გამოყენებული ტექნიკა ან თეორია გამხდარა თუ არა საჯარო განხილვის საგანი; (3) ხომ არ ყოფილა გამოთქმული კრიტიკა, რომელიც მეთოდოლოგიის რელევანტურობაში ეჭვის შეტანის საფუძველი შეიძლებოდა გამხდარიყო; (4) გამოყენებული მეთოდოლოგიის წარუმატებლობის არსებული ან მოსალოდნელი რისკის ხარისხი.²⁹

გ. ეროვნული სასამართლო პრაქტიკა მტკიცებულებების შეფასების კუთხით

ქართული სასამართლო პრაქტიკა ამ მიმართებით რელევანტურია და ძირითადად, მტკიცებულებათა შეფასების კონტექსტში, თეორიაში განმტკიცებულ შეხედულებებს ასახავს, კერძოდ, ქართული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, მტკიცებულების გამოკვლევა, უპირველესად, მისი შინაარსის სრულყოფილ შესწავლა-ანალიზს გულისხმობს, ხოლო შემდეგ მისი იურიდიული ძალის (ობიექტურობის, დამაჯერებლობის, სარწმუნოობის) შემოწმებას. **ყველა მტკიცებულება უნდა შეფასდეს მათი უტყუარობისა და აგრეთვე, იმ თვალსაზრისით, თუ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე რომელი გარემოების დადასტურებაა ამ მტკიცებულებებით შესაძლებელი.** სასამართლოს მიერ მტკიცებულებების შეფასება გულისხმობს მტკიცებულებათა როგორც ინდივიდუალურად, ასევე ერთობლიობაში შეფასებას, ამასთან, სასამართლო ვალდებულია საქმეში არსებული ყველა მტკიცებულება შეაფასოს მათი შინაარსის და იურიდიული დამაჯერებლობის კუთხით.³⁰

საკასაციო სასამართლომ არაერთ საქმეში მიუთითა, რომ მტკიცებულებათა შეფასების დროს სასამართლო ხელმძღვანელობს თავისი შინაგანი რწმენით. შინაგანი რწმენა საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებების ყოველმხრივი, სრული და ობიექტური განხილვის შედეგად ყალიბდება.

²⁹ *Daubert v merrell Dow Pharmaceuticals, Inc.*, 113 S.t. 2786, 2793 (1193).

³⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 03 ივლისის განჩინება საქმეზე № ას-864-831-2016.

მტკიცებულებათა შეფასება არა სპონტანური და ინტუიციური, არამედ სათანადოდ მოტივირებული და დამაჯერებელი უნდა იყოს. მტკიცებულებათა შეფასების სტანდარტი მიუთითებს სასამართლოსათვის არა სუბიექტურ მოსაზრებებზე დაყრდნობით მტკიცების საგანში შემავალი გარემოებების დადგენილად მიჩნევაზე, არამედ, მოსამართლის შინაგან რწმენაზე, რომელიც შეჯიბრებითობის ფარგლებში მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ შეფასებაზეა დაფუძნებული.³¹

მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს შინაგანი რწმენა განპირობებულია სუბიექტური კრიტერიუმით, აღნიშნული პრინციპი არ არის შეუზღუდავად უზრუნველყოფილი და უნდა ეფუძნებოდეს **მტკიცებულებათა ყოველმხრივ გამოკვლევას.** სასამართლოს შინაგანი რწმენის ჩამოსაყალიბებლად მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული და შეფასებული თითოეული დეტალი, რომელიც არსებობს ამ გარემოების ირგვლივ. ამდენად, შინაგანი რწმენით მტკიცებულებათა შეფასების მეთოდი მოიცავს თითოეული მტკიცებულების მნიშვნელობის განსაზღვრას დამოუკიდებლად.³²

ეროვნული სასამართლოს როლს მტკიცებულებების დასაშვებად ცნობასა და მათი შეფასების ნაწილში ასევე ამყარებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალიც, რომლის თანახმად, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფი **მხოლოდ პროცესუალურ დონეზე მტკიცებულების ადმინისტრირებას მოიცავს.** მტკიცებულების დასაშვებობა ან ის თუ, როგორ უნდა შეფასდეს იგი, პირველ ყოვლისა, ეროვნული სასამართლოების კომპეტენციაა. ეროვნული სასამართლოების ამოცანაა, შეაფასონ მათ წინაშე არსებული მტკიცებულებები. ამრიგად, კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფი ევროსასამართლოს შესაძლებლობას არ აძლევს მხოლოდ მტკიცებულებათა შეფასების მხრივ ეჭვქვეშ დააყენოს სამოქალაქო დავის შედეგის სამართლიანობა.³³ თუმცა, სტრასბურგის სასამართლო მტკიცებულებათა შეფასების კონტექსტში მუდმივად აღნიშნავს, რომ კონვენციის მიზნებიდან გამომდინარე,

³¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 21 აპრილის განჩინება საქმეზე №ას-279-264-17.

³² საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 27 სექტემბრის გადაწყვეტილება №ას-202-191-2017.

³³ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილება საქმეზე „გარსია რუიზი ესპანეთის წინააღმდეგ“, (*García Ruiz v. Spain*) [GC], § 28, ასევე, ამავე სასამართლოს განჩინება საქმეზე „ფარანჟი S.A. საფრანგეთის წინააღმდეგ“, (*Farange S.A. v. France*).

სასამართლოები ვალდებულნი არიან პროცესის სამართლიანობა უზრუნველყონ, რომელიც, ასევე, მოიცავს მტკიცებულებათა მოპოვების პროცესის სამართლიანობის შემონახვას. სხვა მხრივ, მხოლოდ ეროვნული სასამართლოს პრეროგატივაა შეაფასოს მხარეთა არგუმენტები, მტკიცებულებები და საქმის სხვა ფაქტობრივი გარემოებები.³⁴

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არაერთ გადანყვეტილებაში ასევე უთითებს, რომ ეროვნული სასამართლოს გადანყვეტილება უნდა პასუხობდეს მხარის მიერ სამართლებრივ და პროცედურულ საკითხებთან დაკავშირებით წარმოდგენილი არგუმენტების ძირითად ასპექტებს³⁵. შესაბამისად, უფლება მოსმენაზე მოიცავს არა მხოლოდ სასამართლოს წინაშე არგუმენტების წარდგენის შესაძლებლობას, არამედ სასამართლოს ვალდებულებას, გადანყვეტილების დასაბუთებაში მიუთითოს მიზეზები, რომელთა საფუძველზეც გაიზიარა ან უარყო შესაბამისი არგუმენტები. სასამართლომ შეიძლება აუცილებლად არ მიიჩნიოს იმგვარ არგუმენტებზე პასუხის გაცემა, რომლებიც აშკარად არარელევანტური, დაუსაბუთებელი ან სხვაგვარად დაუშვებელია მსგავსი არგუმენტების მიმართ არსებული სამართლებრივი დებულებების ან მყარად დადგენილი სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე, თუმცა, ყველა გადანყვეტილება უნდა იყოს ნათელი და საქმეში მონაწილე მხარეებს შესაძლებლობას უნდა აძლევდეს გაიგონ, თუ რატომ გაითვალისწინა სასამართლომ მხოლოდ კონკრეტული გარემოებები და მტკიცებულებები³⁶. სასამართლოს აქვს ვალდებულება, სათანადოდ იმსჯელოს მხარეთა მიერ წარდგენილ დოკუმენტებზე, არგუმენტებსა და მტკიცებულებებზე³⁷. ამასთან, მხარეებს უნდა ჰქონდეთ არა მხოლოდ იმის შესაძლებლობა, რომ იცოდნენ იმ მტკიცებულებათა შესახებ, რომლებიც მათ სჭირდებათ თავიანთი სარჩელის წარმატებისათვის, არამედ იცოდნენ და ჰქონდეთ კომენტარის გაკეთების საშუალება ყველა იმ მტკიცებულებასთან და მოსაზრებასთან დაკავშირებით, რომლებიც წარდგენი-

³⁴ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის გადანყვეტილება საქმეზე „ელშოლზი გერმანიის წინააღმდეგ“, (*Elsholz v. Germany [GC]*), § 66, ამავე სასამართლოს განჩინება საქმეზე „ვან დე ჰურკი ჰოლანდიის წინააღმდეგ“, (*Van de Hurk v. the Netherlands*), § 59.

³⁵ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადანყვეტილება, საქმეზე *Ruiz Torija v. Spain*, §§ 29-30

³⁶ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადანყვეტილება, საქმეზე *Seryavin and Others v. Ukraine* §§ 55-62

³⁷ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადანყვეტილება, საქმეზე, *Kraska v. Switzerland*, § 30; *Van de Hurk v. the Netherlands*, § 59; *Perez v. France*, § 80

ლია სასამართლოს აზრის ფორმირებაზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით^{38 39}.

3. მტკიცებულებების შეფასება საქართველოს მაგალითზე

ქართული კანონმდებლობის მიხედვით არავითარ მტკიცებულებას არ აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. აღნიშნული კი ნიშნავს იმას, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსი მტკიცებულებათა თავისუფალი შეფასების სტანდარტს აწესებს, რა დროსაც, მტკიცებულებების კვლევა მათი ობიექტურობის, დასაბუთებულობის, სანდოობა/სარწმუნოობისა და განკუთვნიადობის კუთხით ხორციელდება. არ არსებობს მტკიცებულებათა რანგირება. ექსპერტის დასკვნასაც კი მოქმედი კანონმდებლობა რაიმე განსხვავებულ ძალას არ ანიჭებს, იგი ერთ-ერთი რიგითი მტკიცებულებაა, რომლის გაზიარებაც სასამართლოს მხრიდან ამ დასკვნის შინაარსობრივ კვლევაზე, მის დამაჯერებლობასა და იურიდიულ ლეგიტიმაციაზეა დამოკიდებული, ამასთანავე, საექსპერტო კვლევა გამართლებული უნდა იყოს საქმის მასალებით, მათ შორის - მხარეთა განმარტებებით წარმორჩენილი დავის ზოგადი სურათით⁴⁰. შეფასებას, მხოლოდ საქმეში არსებული მტკიცებულებები ექვემდებარება, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მხარეთა ლეგიტიმური მოლოდინი მასზე, რომ შეფასდება, ის რაც საქმეშია. შესაბამისად, მას არამარტო მტკიცებულებების გაცნობის, არამედ მასზე მოსაზრების დაფიქსირებისა და მისი გაქარწყლების შესაძლებლობა მიეცემა⁴¹.

მტკიცებულებათა თავისუფალი შეფასების სტანდარტი არ გულისხმობს სასამართლოს სრულ, უსაზღვრო თავისუფლებას. მოსამართლის შინაგანი რწმენა, რომელიც მტკიცებულებათა შეფასების საზომად გამოიყენება, შეზღუდულია კანონით, რადგან შინაგანი რწმენა საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებების ყოველმხრივი, სრული და ობიექტური განხილვის შედეგად ყალიბდება. მტკიცებულებათა შეფასება არა სპონტანური და ინტუიციური, არამედ სათანადოდ მოტივირებული და

³⁸ იხ.ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმეებზე Milatova and others v. The Czech republic §59; niderost-huber v. Switzerland, § 24; k.s. v. finland § 21.

³⁹ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 14 მაისის გადაწყვეტილება, საქმეზე №ას-1191-1133-2014

⁴⁰ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 29 მარტის განჩინება, საქმეზე №ას-1215-2018

⁴¹ იხ.ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმეებზე Milatova and others v. The Czech republic §59; niderost-huber v. Switzerland, § 24; k.s. v. finland § 21.

დამაჯერებელი უნდა იყოს. მტკიცებულებათა შეფასების სტანდარტი მიუთითებს სასამართლოსათვის არა სუბიექტურ მოსაზრებებზე დაყრდნობით მტკიცების საგანში შემავალი გარემოებების დადგენილად მიჩნევაზე, არამედ მოსამართლის შინაგან რწმენაზე, რომელიც შეჯობრებითობის ფარგლებში მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ შეფასებაზეა დაფუძნებული⁴².

მტკიცებულებათა თავისუფალი (შინაგანი რწმენით) შეფასება არა მტკიცებულებათა შეგროვებას, არამედ მტკიცებულებათა არჩევას და დახარისხებას გულისხმობს.⁴³ მტკიცებულებების თავისუფალი შეფასების პრინციპი რომელიმე კონკრეტული მტკიცებულების გათვალისწინებაზე უარის თქმის გამორიცხვას ნიშნავს. ეს პრინციპი არ გვკარნახობს, თუ როგორ უნდა შეფასდეს სხვადასხვა სახის მტკიცებულებები, არამედ, იგი არსებული მტკიცებულების თავისუფლად, შინაგანი რწმენით შეფასებაზე მიუთითებს.⁴⁴ საერთო სამართალში არსებული მტკიცებულების შეფასების სტანდარტი სწორედ ამით განსხვავდება კონტინენტური სამართლისგან, რადგან მოსამართლე შეფასებისას მის შინაგან რწმენას ეყრდნობა. მტკიცებულებათა თავისუფალი შეფასება შესაძლებელია, როდესაც არ არსებობს კანონის მიერ განწესებული ინსტრუქციები, რეგულაციები, სამართლებრივი გაიდლაინები, თუ როგორ უნდა მოხდეს მტკიცებულების მნიშვნელობისა და ღირებულების შეფასება. ასეთი პრინციპის გამოყენებისას, მტკიცებულებათა შეფასების კონტექსტში, მოსამართლისთვის სავალდებულოდ გასათვალისწინებელი წესები არ არსებობს.⁴⁵ თუ წარდგენილ მტკიცებულებებს შორის წინააღმდეგობაა, თავად მოსამართლეა უფლებამოსილი, თავისუფლად შეაფასოს თითოეული მათგანის მნიშვნელობა.

მტკიცებულებათა თავისუფალი (შინაგანი რწმენით) შეფასების პრინციპი გულისხმობს, რომ საქმის განმხილველი მოსამართლე თავისუფალია მტკიცებულებათა შეფასებისას. იგი ეყრდნობა მის გამოცდილებას, სამართლიანობისა და მიუკერძოებლობის აღქმას.⁴⁶ თუმცა, თავისუფლება, მხოლოდ სამართლებრივი რეგულაციებისგან დამოუკიდებლობას გულისხმობს. მოსამართლე ვალდებულია დაემორჩილოს ზოგად სამართლებრივ ლოგიკას, ფსიქოლოგიას, მეცნიერებას და ზოგად გამოცდი-

⁴² იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 20 ივნისის განჩინება, საქმეზე №ა-285-285-2018

⁴³ Fasching, *Zivilprozeßrecht*, section 717.

⁴⁴ Lindell, *Evidence in Sweden*, 427.

⁴⁵ Baumgärtel, *Beweislastpraxis im Privatrecht*, section 40.

⁴⁶ Bonchovski, *Bulgarian national report*, www.acj.si., 19.

ლებას.⁴⁷ აღნიშნული პრინციპის მიხედვით, სასამართლო მტკიცებულების ძალასა და სანდოობას საკუთარი შეხედულებისამებრ განსაზღვრავს.⁴⁸

მტკიცებულებათა თავისუფალი, შინაგანი რწმენის საფუძველზე შეფასების პრინციპის მთავარი გამოწვევა მოსამართლის მიერ მისი შეფასების დასაბუთებაა. დასაბუთება უნდა იყოს ლოგიკური და არგუმენტირებულად თანმიმდევრული. მტკიცებულებათა თავისუფალი შეფასება ზემდგომი ინსტანციების კონტროლს ექვემდებარება. შინაგანი რწმენის საფუძველზე მინიჭებული უფლებამოსილება, ის თავისუფლებაა, რითაც სამოსამართლო სამართალი იქმნება და რაშიც მოსამართლის კეთილსინდისიერებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

⁴⁷ S. Aras Kramar, *Evidence in Civil Law – Croatia (Maribor: Institute for Local Self-Government and Public Procurement in Maribor, 2015)*, 16.

⁴⁸ N. Mallandrich Miret, *Evidence in Civil Law - Spain (Maribor: Institute for Local Self-Government and Public Procurement in Maribor, 2015)*, 11. E. Bylander, *Evidence in Civil Law – Sweden (Maribor: Institute for Local Self-Government and Public Procurement in Maribor, 2015)*, 8 and 9. See also Swedish CCP, Ch. 35, Article 1.

მუხლი 106. ფაქტები, რომლებიც არ საჭიროებენ მტკიცებას

მხარეები თავისუფლდებიან მტკიცებულებათა წარმოდგენისაგან ისეთი ფაქტების დასადასტურებლად, რომლებსაც თუმცა ემყარება მათი მოთხოვნები, თუ შესაგებელი, მაგრამ დამტკიცებას არ საჭიროებენ. ესენია:

ა) ფაქტები, რომლებსაც სასამართლო საყოველთაოდ ცნობილად მიიჩნევს;

ბ) ფაქტები, რომლებიც დადგენილია ერთ სამოქალაქო საქმეზე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, თუ სხვა სამოქალაქო საქმეების განხილვისას იგივე მხარეები მონაწილეობენ.

ქმთევან მესხიშვილი

106-ე მუხლი

1. პრეზუმფციისა და პრეიუდიციის ურთიერთმიმართება

სამოქალაქო სამართალწარმოების ფარგლებში სასამართლოს ფაქტები მხარეებმა უნდა მისცენ, მათვე უნდა წარადგინონ აღნიშნული ფაქტების დამადასტურებელი მტკიცებულებები. ფაქტი, რომელიც სპეციალურ მტკიცებას არ საჭიროებს, მაგალითად, პირის დაბადება, გარდაცვალება, უძრავი ქონების რეგისტრაცია და ა. შ. დადასტურებულად ითვლება მაშინაც, თუ მას მეორე მხარე დაეთანხმა. აქვე აღსანიშნავია, რომ ყველა ფაქტი არ საჭიროებს მტკიცებას. არსებობს ფაქტები, რომლებიც პრეზუმირდება, ანუ სხვაგვარად თუ ვიტყვით „დადასტურებულად ივარაუდება“, თუმცა მისი გაქარწყლება შესაძლებელია. პრეზუმფციისაგან კი განსხვავდება ე.წ. პრეიუდიცია, ანუ ფაქტი, რომელიც მტკიცებას არ საჭიროებს, იგი მტკიცებულების წარდგენის გარეშე დადასტურებულად ითვლება და პრეზუმფციისაგან განსხვავებით, არც გაქარწყლებას ექვემდებარება. სწორედ აღნიშნული აზრი განავითარა საქართველოს უზენაესმა სასამართლომ, როდესაც განმარტა, რომ **პრეზუმირებული ფაქტები ერთმნიშვნელოვნად განაპირობებს იმას, რომ მხარე, რომელიც თავის მოთხოვნას, თუ შესაგებელს ასეთ ფაქტებზე აფუძნებს, თავისუფლდება მტკიცების ტვირთისგან და იგი უბრუნდება მონაწილედმდევე მხარეს, რომელსაც მისი გაქარწყლება ევალება, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც დავის იმავე მხარეებს შორის სხვა სამოქალაქო**

საქმეზე პრეიუდიციული ფაქტები სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებითაა დადგენილი, ის შესაძლებელია გაქარწყლდეს (ბათილად გამოცხადდეს) მხოლოდ პროცესუალური საფუძვლით საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-423-ე მუხლებზე დაყრდნობით. მოხმობილი ნორმები ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლებას ითვალისწინებს. აღნიშნული საფუძვლით სრულებით შესაძლებელია, რომ პრეიუდიციული მნიშვნელობის მქონე ფაქტები, რომლებსაც გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი დაეფუძნა, სხვაგვარად წარმოჩინდნენ/შეფასდნენ და კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ბათილად ცნობა განაპირობოს¹.

ამდენად, სამოქალაქო სამართალწარმოების ფარგლებში პრეზუმფციისა და პრეიუდიციის ურთიერთგამიჯვნას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს.

ა. პრეზუმფციის არსი და მისი გაქარწყლების თეორიულ პრაქტიკული ასპექტები

ვარაუდი – ეს არის ობიექტური სინამდვილის აღქმის ერთ-ერთი საშუალება. საერთო ლოგიკური ვარაუდები საზოგადოებრივი საქმიანობის ყველა სფეროში გამოიყენება, როგორც ქვემარტივებამდე მისასვლელი გზა. სამართალში ვარაუდს განსაკუთრებული დატვირთვა გააჩნია. მით უფრო, სამართლის ყველაზე უფრო „საზოგადოებრივ სფეროში“ – სამოქალაქო სამართალში.

ფილოსოფიური ენციკლოპედიის მიხედვით, **პრეზუმფცია** გულისხმობს სინამდვილის, რეალობის ვარაუდს. პრეზუმფციის, როგორც სამართლებრივი კატეგორიის, უკეთესად აღქმის მიზნებისათვის, ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს **ვარაუდი და პრეზუმფცია**. ვარაუდი არის ფაქტისადმი დამოკიდებულება, რომელიც, დროებით, მტკიცებულებების მოპოვებამდე, ითვლება ნამდვილად, ხოლო **პრეზუმფცია, ე.წ. დადასტურებული ვარაუდია და არსებობს იქამდე, სანამ საწინააღმდეგო არ დამტკიცდება**. პრეზუმფცია, თავისი ლოგიკური არსით, ინდუქციურ დასკვნას ემყარება, რაც იმას ნიშნავს, რომ აღნიშნული წარმოადგენს კონკრეტული შემთხვევების (ფაქტების) განზოგადებულ დასკვნას. ინდუქციური დასკვნისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ფაქტის განმეორე-

¹ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილება, საქმეზე №ას-1255-1175-2017

ბადობას პრაქტიკაში, რასაც ლოგიკურ შედეგამდე მივყავართ. მაგალითისათვის, ერთი და იგივე ფაქტი, თუ დიდი ხნის განმავლობაში ერთსა და იმავე შედეგს იძლევა, აღნიშნული გულისხმობს იმას, რომ ფაქტს ლოგიკურად აღნიშნული შედეგი მოყვება. შესაბამისად, **პრაქტიკაში ხშირად განმეორებადი ფაქტი იძლევა იმ შედეგის პრეზუმფციას, რა შედეგიც აღნიშნულ ფაქტს პრაქტიკაში სდევდა თან.** უნდა აღინიშნოს, რომ სამოქალაქო სამართლის მატერიალური ნორმების დისპოზიცია, უმეტესწილად, პრეზუმფციებს ეფუძნება, ანუ ფაქტების ნორმალური განვითარების ლოგიკურ შედეგს. მაგალითისათვის, შეიძლება განხილულ იქნეს რამდენიმე შემთხვევა და, შესაბამისად, ის ნორმა, რომელიც აღნიშნული ფაქტობრივი შემადგენლობის სუბსუმციისათვის გამოიყენება.

დაკვირვების შედეგად, მეუღლეთა თანაცხოვრება, ერთობლივი მეურნეობის წარმართვა, საოჯახო საკითხების ერთობლივად გადაწყვეტა წარმოადგენს **იმგვარი ვარაუდის საფუძველს, რომ ერთ-ერთი მეუღლის მიერ ქონების გასხვისების თაობაზე მეორე მეუღლე ინფორმირებულია.** შესაბამისად, როდესაც ერთ-ერთი მეუღლე ასხვისებს ქონებას, არსებობს პრეზუმფცია იმისა, რომ მეორე მეუღლე ქონების განკარგვას ეთანხმება. აღნიშნული პრეზუმფციის ლოგიკური გამონახტულებაა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1160-ე მუხლი, კერძოდ, აღნიშნული მუხლის შესაბამისად, იმ ქონების განკარგვა, რომელიც მეუღლეთა თანასაკუთრებაშია, ხდება მეუღლეთა შეთანხმებით, მიუხედავად იმისა, თუ რომელი მეუღლე განკარგავს ამ ქონებას. მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონების განკარგვასთან დაკავშირებით ერთის მიერ დადებული გარიგება ვერ იქნება ბათილად ცნობილი მეორის მოთხოვნით იმ საფუძველზე, რომ მან არ იცოდა გარიგების შესახებ ან ის არ ეთანხმებოდა გარიგებას.

იგივე შეიძლება ითქვას იმ შემთხვევაზე, როდესაც ბავშვის დაბადებამდე ქალისა და მამაკაცის ერთად ცხოვრება, საერთო მეურნეობის წარმოება, ან კიდევ **მათი მხრიდან ბავშვის ერთად რჩენა და აღზრდა ქმნის იმის პრეზუმფციას, რომ აღნიშნულ პირთაგან მამაკაცი, ბავშვის ბიოლოგიური მამაა.** იგივე დანაწესს შეიცავს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1190-ე მუხლის მე-4 ნაწილი, რომლის მიხედვითაც, სასამართლო მხედველობაში იღებს ბავშვის დედისა და მამობის დადგენის შესახებ განმცხადებელი პირის (განცხადებაში მითითებული პირის) ერთად ცხოვრებასა და საე-

რთო მეურნეობის წარმოებას ბავშვის დაბადებამდე, ან/და მათ მიერ ბავშვის ერთად აღზრდის, ან/და რჩენის ფაქტებს, ანდა სხვა დამამტკიცებელ საბუთებს, ან/და გარემოებებს, რომლებიც სავსებით ადასტურებს განცხადებაში მითითებული პირის მიერ ბავშვის მამობის აღიარებას.

ამდენად, პრეზუმფციების ძირითადი წინაპირობაა ცხოვრებისეული პროცესების განმეორებადობა და მათი ურთიერთკავშირი. თუმცა, ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ კავშირის არსებობა საკმარისი არ არის და აუცილებელია, რომ კავშირი ლოგიკური, გონივრული, მდგრადი და აუცილებლობით განპირობებული იყოს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა ითქვას, რომ თეორიაში გამოთქმული მოსაზრების შესაბამისად, პრეზუმფციებში ასახულია **რეალობასთან გათანაბრებული ლოგიკური ქვეშარიტება**. თუმცა, თუ ვინმემდღვანელებთ თვით პრეზუმფციების არსით, ამგვარი დასკვნა შეიძლება კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს ისეთ შემთხვევებში, როდესაც სახელმწიფო პრეზუმფციას საჯარო წესრიგის უზრუნველსაყოფად უშვებს. მაგალითისათვის, ამ კუთხით, აღსანიშნავია უდანაშაულობის პრეზუმფცია. როგორც ცნობილია, დანაშაულის ჩამდენი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე უდანაშაულოდ ითვლება. განსასჯელთა უმეტესობის წინააღმდეგ კი, საბოლოო ჯამში, გამამტყუნებელი განაჩენი გამოდის. იგივე შეიძლება ითქვას იმ პირებზე, რომლებიც არ თავისუფლდებიან სამოქალაქო - სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან იმ საფუძველით, რომ მათ კანონი არ იცოდნენ, ვინაიდან კანონის ცოდნის პრეზუმფცია მოქმედებს და მისი არცოდნა პირს პასუხისმგებლობისაგან არ ათავისუფლებს. შესაბამისად, სამოქალაქო სამართალურთიერთობაში, უმეტესწილად, პასუხისმგებლობის განმაპირობებელ გარემოებას საფუძველად კანონის არცოდნა ან არასათანადო გაგება უდევს. თუმცა, ამგვარი პრეზუმფციების სიმცირის გამო, აღნიშნული განხილულ უნდა იქნეს გამონაკლისად წესიდან და არა წესად, ვინაიდან ამგვარი სახის პრეზუმფციები არ უკარგავს პრეზუმფციების არსს რეალობის მაღალ ხარისხს და არ აქცევს მას ფიქციად. ხშირად, ასეთ პრეზუმფციებს, კანონმდებელი მიზანმიმართულად იყენებს, რათა დაცულ იქნეს **საყოველთაო სამართლიანობა და თავისუფალი სამოქალაქო ბრუნვა**. დასახელებული შემთხვევები, როგორც გამონაკლისი, პრეზუმფციის რეალური არსიდან, მიჩნეულ უნდა იქნეს, როგორც კანონ-

ნმდებლის მიერ შემუშავებული და დადგენილი პრეზუმფცია და არა პრეზუმფცია, რომელიც დროთა განმავლობაში, რეალური ფაქტების ლოგიკური, სამართლიანი, მდგრადი კავშირის შედეგად ყალიბდება. ამდენად, ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს, ერთი მხრივ, **პრეზუმფცია, რომელიც დროთა განმავლობაში ყალიბდება, ფაქტების განვითარების ემპირიული დაკვირვების შედეგად ვლინდება და გამოხატულებას გამონათქვამში „როგორც წესი“ პოულობს** და, მეორე მხრივ, პრეზუმფცია, რომელიც ე.წ. **„დადგენილ წესად“, ანუ პრეზუმფციად ნორმატიული რეგულაციის შედეგად იქცევა.** როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ნორმატიულად დადგენილ პრეზუმფციას, უმეტეს შემთხვევაში, წინ უსწრებს კანონმდებლის ნება, განპირობებული თანამედროვე რეალობით, ბოროტად არ იქნეს გამოყენებული ესა თუ ის უფლება. ზემოაღნიშნული ნორმატიულად დადგენილი პრეზუმფციის გამოხატულება კონსტიტუციური დებულება, რომლის შესაბამისადაც, ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით. ასევე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ერთ-ერთი მთავარი პრინციპი, რომლის მიხედვითაც, კანონის არცოდნა ან მისი არასათანადოდ გაგება არ შეიძლება იყოს კანონის გამოყენებლობის ანდა ამ კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველი.

როგორც ზემოთ აღინიშნა, **პრეზუმფციების ჩამოყალიბება ფაქტების ინდუქციური ანალიზის შედეგია.** პრეზუმფცია, მით უფრო ახლოს არის რეალობასთან, რაც უფრო სრულია ინდუქციური ანალიზი. თავის მხრივ, ინდუქციას ორი სახესხვაობა გააჩნია, **პოპულარული და მეცნიერული ინდუქცია.** პოპულარული ინდუქცია ეფუძნება ფაქტების განმეორებადობის მარტივ გაანგარიშებას, ხოლო სამეცნიერო ინდუქციის დროს, პრეზუმფციის ჩამოყალიბება დამოკიდებულია არა მხოლოდ განმეორებადი ფაქტების მარტივ გაანგარიშებაზე, არამედ ფაქტების კვლევისა და ანალიზზე. ინდუქციის პროცესის წარმართვისა და შესაბამისი პრეზუმფციის ჩამოყალიბებისათვის, მნიშვნელოვანია, რომ ფაქტი ერთსა და იმავე შედეგს იძლეოდეს. თუ ყველა ფაქტს ერთი და იგივე თავისებურება არ გააჩნია, ანუ ყველ ფაქტი თუ ერთიან შედეგამდე არ მიდის, მაშინ ინდუქციის პროცესი წყდება და პრეზუმფცია არ ყალიბდება.

ბ. პრეზუმფციის მნიშვნელობა მტკიცების ტვირთის განაწილებისას

სამართალწარმოებაში პრეზუმციების არსებობა იმითაა განპირობებული, რომ ფაქტების გარკვეული ნაწილი მტკიცებას არ საჭიროებს. სამოქალაქო პროცესში მონაწილეობს ორი ერთმანეთისადმი დაპირისპირებული მხარე - მოსარჩელე და მოპასუხე. შესაბამისად, ერთი ნაწილი მტკიცების საგანში შემავალი ფაქტებისა ივარაუდება მოსარჩელის სასარგებლოდ, ხოლო დანარჩენი ნაწილი - მოპასუხის სასარგებლოდ. **ის, რაც მოსარჩელის სასარგებლოდ ივარაუდება (პრეზუმირდება) მოპასუხემ უნდა გააქარწყლოს, ხოლო ის, რაც მოპასუხის სასარგებლოდ ივარაუდება (პრეზუმირდება) პირიქით, მოსარჩელემ უნდა გააქარწყლოს.** ეს იმას ნიშნავს, რომ პრეზუმფციები მხარეებს მტკიცების მოვალეობისაგან კი არ ათავისუფლებს, არამედ **მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების წესს ადგენს.** მოსარჩელე ვალდებულია დაამტკიცოს მტკიცების საგანში შემავალი გარკვეული ფაქტების ნაწილი, ხოლო ამ ფაქტების მეორე ნაწილი ვალდებულია დაამტკიცოს მოპასუხემ. ნორმები, რომლებიც შეიცავს პრეზუმფციებს, წარმოადგენენ კანონის პირდაპირ მითითებას იმის შესახებ, თუ რომელმა მხარემ კონკრეტულად რა ფაქტები უნდა დაამტკიცოს. სხვაგვარად თუ ვიტყვით, პრეზუმფციების მეშვეობით კანონმდებელი მხარეთა შორის მტკიცების ტვირთს ანაწილებს. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ პრეზუმფციები მატერიალური სამართლით განმტკიცებული მტკიცების ტვირთის განაწილების ყველაზე სრულყოფილი და პრაქტიკულად ხელმისაწვდომი ფორმაა². უმეტეს შემთხვევაში, სწორედ მატერიალური სამართალი ადგენს პრეზუმფციას და შესაბამისად, ანაწილებს მტკიცების ტვირთს. ვინაიდან, ასეთ შემთხვევაში, მტკიცების ტვირთი მასზეა, ვინც მატერიალური სამართლით დაშვებული პრეზუმფციის საწინააღმდეგოს ამტკიცებს. მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის 158-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ივარაუდება, რომ **ნივთის მფლობელი არის მისი მესაკუთრე.** აღნიშნული ნორმის დანაწესი ვრცელდება მხოლოდ მოძრავ ნივთებზე, ასევე, ფულსა და ფასიან ქალაქებზე. საკასაციო პალატის განმარტებით, სამოქალაქო კოდექსის 158-ე მუხლით გათვალისწინებულია კანონისმიერი ვარაუდი (*praesumptio juris*). აღნიშნული ვარაუდის უარყოფა კი საწინააღმდეგოს დამტკიცებით არის შესაძლებელი. აღნიშნული მატერიალური ნორმით დაშვებული პრეზუმფცია ნივთის მფლობელის მტკი-

² იხ. თ.ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ., 2005, გვ. 230, ნანახია ნანახია საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 26 ოქტომბრის განჩინებაში, საქმეზე №ას-533-509-2016.

ცების ტვირთს ამსუბუქებს. ნივთის მფლობელმა მარტოოდენ ნივთზე მფლობელობის მოპოვების ფაქტობრივი გარემოებები უნდა დაამტკიცოს და არა საკუთრების წარმოშობისათვის აუცილებელი წინაპირობები, მაგალითად, გამსხვიებლის უფლებამოსილება. შესაბამისად, პრეზუმფციის უარყოფა უნდა მოხდეს მოწინააღმდეგე მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე. სამოქალაქო კოდექსის 158-ე მუხლის დანაწესი შეიცავს არა მტკიცების წესს, არამედ მხარეებს შორის მტკიცების ტვირთის განაწილების სტანდარტს. იგი მხარეებს შორის მტკიცების ტვირთის ცვლილებას იწვევს, რადგან მფლობელმა პრეზუმფციის ბაზისი (მფლობელობა) უნდა დაამტკიცოს და არა სამართლის ნორმის ფაქტობრივი შემადგენლობა, რომელიც სამართლებრივ შედეგებს იწვევს³. შესაბამისად, **თუ მფლობელი მოძრავ ნივთზე მფლობელობას დაადასტურებს, იგი მოძრავი ნივთის მესაკუთრედ ითვლება (პრეზუმფცია)**. აღნიშნული პრეზუმფციის გამაქარწყლებელი გარემოებები კი, მაგალითად, გამსხვიებლის უფლებამოსილება, მოწინააღმდეგე მხარემ უნდა ამტკიცოს.

კიდევ ერთი სანივთო სამართლებრივი პრეზუმფცია დაკავშირებულია უძრავ ნივთზე (ნივთში) განთავსებულ მოძრავ ნივთებზე, რომელსაც სასამართლო პრაქტიკა საკუთვნებლად მოიხსენიებს და **უშვებს პრეზუმფციას, რომ უძრავ ქონებაში განთავსებული მოძრავი ნივთები უძრავი ქონების მესაკუთრეს ეკუთვნის და მასზე, როგორც საკუთვნებელზე, უძრავი ქონების მესაკუთრის საკუთრების უფლება ვრცელდება**. აღნიშნულთან დაკავშირებით დაშვებულ საკანონმდებლო პრეზუმფციაზე სასამართლო განმარტავს, რომ შესაძლებელია საკუთვნებელის სახით არსებული გარკვეული ნივთი წარმოადგენდეს ცალკე სანივთო უფლების ობიექტს, თუმცა, ის, რომ მოსარჩელის საკუთრებად რიცხულ ბინაში განთავსებული მოძრავი ქონება წარმოადგენს არა მოსარჩელის (უძრავი ქონების მესაკუთრის), არამედ - მოვალის საკუთრებას, მოპასუხეს (კრედიტორს) სათანადო მტკიცებულებებით უნდა დაედასტურებინა.⁴

იგივე წესი ვრცელდება სახელშეკრულებო ვალდებულებათა მიმართაც, მაგალითად, **სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე სესხის დაბრუნებაზე ვალდებული სუბიექტი ივარაუდება (პრეზუმირდება),**

³ იხ. ლ. თოთლაძე, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნივნი II, მუხლი 158, ველი 6., თბილისი, 2018, ნანახია საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 26 ოქტომბრის განჩინებაში, საქმეზე №ას-533-509-2016.

⁴ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 15 ივნისის განჩინება საქმეზე №ას-357-357-2018

რომ მსესხებელია. იდენტური რეგულირება მოქმედებს საოჯახო სამართალშიც. სესხის დაბრუნება მსესხებელი მეუღლის ვალდებულებაა და იგი, აღნიშნული სესხის ფარგლებში, საკუთარი ქონებით აგებს პასუხს. შესაბამისად, საოჯახო სამართალში, რეგისტრირებული ქორწინების პირობებში, იმ გარემოების მტკიცების ტვირთი, რომ ერთ-ერთი მეუღლის მიერ ვალდებულების ფარგლებში მიღებული ფულადი თანხა ოჯახის საერთო ინტერესებს მოხმარდა, კრედიტორს ეკისრება, რომელიც აღნიშნული ფულადი თანხის გადახდევინებას მეორე მეუღლის კუთვნილი წილიდან ითხოვს. ვიდრე მოსარჩელე არ დაადასტურებს მითითებული ფაქტობრივი გარემოებების არსებობას, მიიჩნევა (პრეზუმირდება), რომ კრედიტორის წინაშე პასუხისმგებელი მხოლოდ ფულადი თანხის მიმღები მოვალე მეუღლეა.⁵

მტკიცების ტვირთის გადანაწილების პრეზუმირებულ წესს ადგენს სამოქალაქო კოდექსის **429-ე მუხლის მე-2 ნაწილიც**, რომლის მიხედვითაც, ვალის მიღების შესახებ შედგენილი დოკუმენტი, რომელშიც არაფერია ნათქვამი პროცენტის შესახებ, გულისხმობს (პრეზუმფციას უშვებს), რომ პროცენტიც გადახდილია და ფულადი ვალდებულებაც მთლიანად შეწყვეტილია.⁶

თეორისა და სასამართლო პრაქტიკაში დაშვებული ერთ-ერთი ცნობილი ნორმატიული პრეზუმფცია გათვალისწინებულია **სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლით, რომლის მიხედვითაც, ყოველი შესრულება გულისხმობს ვალდებულების არსებობას.** აღნიშნული დებულების სასამართლო პრაქტიკისეული განმარტების მიზნებისათვის უნდა აღინიშნოს, რომ იმ შემთხვევაში, თუ შემსრულებელი შესრულებას, კერძოდ, მოცემულ შემთხვევაში, თანხის გადახდას დაადასტურებს, მიმღებმა უნდა ამტკიცოს ვალდებულება, რომლის შესრულების მიზნითაც მან აღნიშნული შესრულება მიიღო, წინააღმდეგ შემთხვევაში, შესრულება (თანხის გადახდა) იმთავითვე უსაფუძვლოდ ჩაითვლება და გადახდილი თანხა დაბრუნებას დაექვემდებარება. თუმცა, აღნიშნული ფაქტობრივი ვითარება სახეზეა მაშინ, როდესაც შემსრულებელი (თანხის გადამხდელი) თავიდანვე (სარჩელში) უთითებს, რომ მან აღნიშნული შესრულება საფუძვლის გარეშე განახორციელა ან საფუძვლით განახორციელა, თუმცა, შემდგომ ეს საფუძველი შეწყდა. სწორედ ასეთ ვითარებაში გადადის შე-

⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 22 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1646-2018

⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 22 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1298-2018.

სრულების საფუძვლიანობის, ანუ შესრულების მიღების სამართლებრივი საფუძვლის მტკიცების მოვალეობა მოპასუხეზე. **თუ მოპასუხე დაადასტურებს რაიმე საფუძვლის არსებობას, რის გამოც მან შესრულება მიიღო (მაგ: ნარდობის, ნასყიდობის საფასური, ჩუქება და ა. შ.), ასეთ ვითარებაში თანხა, როგორც უსაფუძვლოდ გადაცემული, დაბრუნებას არ დაექვემდებარება.** სხვაგვარ პროცესუალურ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როდესაც მოსარჩელის მტკიცებით, **მან თანხა კონკრეტული სამართლებრივი საფუძვლით გადასცა მოპასუხეს, მაგალითად, სესხის საფუძველზე და ითხოვს სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებას.** ასეთ შემთხვევაში თანხის გადაცემის ფაქტიც და შესაბამისი სახელშეკრულებო საფუძველიც მოსარჩელემ უნდა ამტკიცოს. გავრცელებული შეხედულებისა და სასამართლო პრაქტიკის მიხედვით მიიჩნევა, რომ სასარჩელო მოთხოვნა (თანხის დაბრუნება) შემონმებულ უნდა იქნას სამართლებრივი საფუძვლების კონკურენციის პირობებში, კერძოდ, თუ მოსარჩელემ დაამტკიცა თანხის გადაცემა, თუმცა, სესხის არსებობა ვერ დაადასტურა, სასამართლო უფლებამოსილია გადაცემული თანხა უსაფუძვლო გამდიდრების წესებიდან გამომდინარე დააბრუნოს⁷. განსხვავებული წესი ვრცელდება ისეთ შემთხვევებზე, როდესაც მოსარჩელე თანხის დაბრუნებას სესხის ხელშეკრულების საფუძველზე ითხოვს, თანხის გადაცემას ადასტურებს, თუმცა, სესხის ხელშეკრულების არსებობას ვერ ამტკიცებს, **ხოლო მოპასუხე ამ მიმართებით აბსოლუტურად არაკვალიფიციურ შესაგებულს წარმოადგენს.** ასეთ ვითარებაში, მოპასუხის არაკვალიფიციური შესაგებლის გამო, გადახდილი თანხა სესხად პრეზუმირდება და მოწინააღმდეგე მხარეს მისი გადახდა სახელშეკრულები ვალდებულებიდან გამომდინარე ეკისრება და არა უსაფუძვლო გამდიდრების ნორმებზე დაყრდნობით.⁸

ნორმიდან გამომდინარე პრეზუმფციის ნათელი დადასტურებაა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 35-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის მიხედვითაც, თუ სარეგისტრაციო დოკუმენტაციით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ხელმძღვანელობითი უფლებამოსილება გულისხმობს წარმომადგენლობით უფლებამოსილებასაც. **ამდენად, საწინააღმდეგოს დადასტურებამდე ნორმატიულ წყაროზე დაყრდნობით, იგულისხმება, რომ**

⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 25.05.2016 წლის გადაწყვეტილება, საქმეზე ას-74-71-2016.

⁸ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 19.02.2018 წლის გადაწყვეტილება, საქმეზე ას-1062-1022-2016.

არასამენარმეო იურიდიული პირის ხელმძღვანელს წარმომადგენლობითი უფლებამოსილებაც აქვს. საწინააღმდეგო მოწინააღმდეგე მხარემ უნდა ამტკიცოს.

გარდა პრეზუმფციების ნორმატიული წყაროსი, არსებობს პრეზუმფციის სასამართლოსეული დაშვებები, რაც ფაქტების განმეორებადობის ინდუქციური ანალიზიდან მომდინარეობს. მაგალითად, ამ მიმართებით აღსანიშნავია სასამართლო პრაქტიკა ქონების ფაქტობრივი ფლობით მიღებასთან დაკავშირებით, როდესაც მემკვიდრე მამკვიდრებლის გარდაცვალების ეტაპზე, ანუ სამკვიდროს გახსნის დროს სავალდებულო სამხედრო სამსახურში ან საპატიმრო დაწესებულებაში იმყოფებოდა. ასეთ შემთხვევაში, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მემკვიდრის ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის დადგენას სავალდებულო სამხედრო სამსახურში განვევამდე ან კიდევ თავისუფლების აღკვეთამდე. ასეთ შემთხვევაში, თუ მემკვიდრის ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი ემთხვევა მამკვიდრებლის დანაშთი (სადავო) ქონების ადგილსამყოფელს, ეს ნიშნავს იმას, რომ მან ქონება ფაქტობრივი ფლობით მიიღო, ვინაიდან არსებობს პრეზუმფცია, რომ იგი იქ იცხოვრებდა, რომ არა თავისუფლების აღკვეთა ან სავალდებულო სამხედრო სამსახურში განვევა.⁹

ხშირად განმეორებადი ფაქტების ინდუქციური დასკვნიდან გამომდინარე ჩამოყალიბებული პრეზუმფციის თვალსაჩინო მაგალითია დანაშაულის შედეგად, ახლობლის გარდაცვალების გამო, მორალური ზიანის მიყენების ფაქტი. თეორიაში გამოთქმული მოსაზრების მიხედვით, ახლობლის გარდაცვალების დროს არსებობს პრეზუმფცია იმისა, რომ გარდაცვლილის ახლო ნათესავს მორალური ზიანი მიადგა, საწინააღმდეგო დანაშაულის მიმყენებელმა უნდა ამტკიცოს. თბილისის სააპელაციო პალატამ ერთ-ერთ საქმეზე განმარტა შემდეგი: „ზიანის ანაზღაურებისას გადამწყვეტ როლს ასრულებს ზიანის სიმძიმე. მსუბუქი სულიერი განცდები, მსგავსად მსუბუქი ფიზიკური ტკივილისა, მხედველობაში არ მიიღება, ხოლო როდესაც ადგილი აქვს ისეთ ზიანს, რომლის დროსაც, როგორც წესი, მოსალოდნელია მძიმე ფსიქიკური განცდები, სულიერი ტანჯვა, და ა. შ. როგორცაა ახლობელი ადამიანის (მეუღლის, შვილის, დედის, მამის, დის, ძმის) გარდა-

⁹ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილება, საქმეზე *ნას-483-794-09*

ცვალება, მოქმედებს ე.წ. „მორალური ზიანის პრეზუმფცია“ და ზიანის მიმყენებლის მიერ საწინააღმდეგოს დადასტურებამდე ივარაუდება, რომ აღნიშნულმა პირმა ახლობლის გარდაცვალებით მძიმე სულიერი ტკივილი განიცადა.¹⁰ მითითებული გადაწყვეტილება საკასაციო წესით არ გასაჩივრებულა, შესაბამისად, იგი მსგავსი კატეგორიის დავებზე არსებულ სასამართლო პრაქტიკად ვერ მიიჩნევა. ამგვარი პრეზუმფციის დაშვებით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს უახლესი პრაქტიკა ახლობლის გარდაცვალებისათვის მორალური ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობას გამოიციხავს.¹¹ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე „სარიშვილი ბოლქვაძე საქართველოს წინააღმდეგ“ მორალური ზიანის ანაზღაურების საკითხზე იმსჯელა და შვილის გარდაცვალებით დედისთვის მორალური ზიანის მიყენების პრეზუმფცია დაუშვა.¹²

2. 106-ე მუხლის ისტორიული ანალიზი

2010 წლის 24 სექტემბერს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში საკანონმდებლო ცვლილებები განხორციელდა, რომლითაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტი გაუქმდა, კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილ ფაქტებს პრეიუდიციული ძალა აღარ აქვს, როცა საქმეს სასამართლო იმ პირის მოქმედების სამოქალაქო-სამართლებრივი შედეგების შესახებ იხილავს, ვის მიმართაც გამოტანილია განაჩენი, თუმცა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 309²⁰-ე მუხლის ფორმულირებით, დანაშაულის მიყენების ფაქტი პრეიუდიციის რანგშია აყვანილი, ანუ მიჩნეულია ფაქტად, რომელიც მტკიცებას არ საჭიროებს. აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო პალატამ განმარტა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლზე მითითება ამავე კოდექსის 309²⁰-ე მუხლის მეორე ნაწილის გაუთვალისწინებლად არ შეიძლება. მართალია, 106-ე მუხლის „გ“

¹⁰ იხ. თბილისის სააპელაციო პალატის 2012 წლის 17 იანვრის გადაწყვეტილება. საქმეზე N23/4187-11

¹¹ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილება, საქმეზე Nას-593-568-2016, ამავე სასამართლოს 2019 წლის 25 იანვრის გადაწყვეტილება, საქმეზე Nას-1268-2018

¹² იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2018 წლის 19 ივლისის გადაწყვეტილება, საქმეზე „სარიშვილი ბოლქვაძე საქართველოს წინააღმდეგ“ (Sarishvili – Bolkvadze v. Georgia, N58240/08)

ქვეპუნქტი („ფაქტები იმის შესახებ, განხორციელდა თუ არა მოქმედება და ჩაიდინა თუ არა ეს მოქმედება ამ პირმა, რაც დადგენილია სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი, კანონიერ ძალაში შესული საბოლოო შემაჯამებელი გადაწყვეტილებით, როცა საქმეს იხილავს სასამართლო იმ პირის მოქმედების სამოქალაქოსამართლებრივი შედეგების შესახებ, რომლის მიმართაც გამოტანილია საბოლოო შემაჯამებელი გადაწყვეტილება“) 2010 წლის 24 სექტემბერს განხორციელებული ცვლილების შედეგად ამოღებულ იქნა, მაგრამ იმავე წლის 15 დეკემბრის კანონით¹³ განხორციელებული ცვლილებით დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნების განხილვისას მოქმედებს განსხვავებული წესი, რაც იმას გულისხმობს, რომ კანონიერ ძალაში შესულ განაჩენში მითითებული სამართლებრივად მნიშვნელოვანი ფაქტები ხელახლა არ დგინდება, ანუ ისინი დადგენილად მიიჩნევა (სსსკ-ის XXXIV თავი)¹⁴. ამ მიმართებით საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს ცალკეული დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელის განხილვის გამარტივებული წესი, დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე წარდგენილი სარჩელის ჩვეულებრივი წარმოებისაგან. კანონით მინიჭებული შესაძლებლობა, საქმე განხილულ იქნას გამარტივებული წესით, შემჭიდროვებულ ვადებში, მოსარჩელე მხარის დისპოზიციური უფლებაა და მას საერთო საფუძველზე სარჩელის წარდგენა არ ეკრძალება. გამარტივებული წარმოებით საქმის განსახილველად კი, მოსარჩელეს კანონი ვალდებულებას აკისრებს, სარჩელს თან დაურთოს კანონიერ ძალაში შესული სასამართლო განაჩენი (თუ დანაშაული გვაქვს სახეზე) ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განმხილველი ორგანოს/თანამდებობის პირის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რითაც სასამართლო დადგენილად მიიჩნევა ზიანის მიყენების ფაქტს (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 309¹⁷ მუხლის 1-ლი ნაწილი). რაც შეეხება განსხვავებას დელიქტით მიყენებული ზიანის გამარტივებული და ჩვეულებრივი სასარჩელო წესით განხილვას შორის, აღნიშნულთან მიმართებით, აღსანიშნავია, რომ გამარტივებული წესით საქმის განხილვის დროს სახეზეა კანონიერ ძალაში არსებული განაჩენი, რომლითაც უტყუარად დასტურდება ზიანის ფაქტი

¹³ №4075.სსმ1, №76

¹⁴ შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 22 აპრილის განჩინება. საქმეზე №ას-638-605-2014

და მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის, შესაბამისად, სასამართლო აღარ იკვლევს აღნიშნულ საკითხებს და დამატებითი მტკიცებულებების წარმოდგენის გარეშე დადასტურებულად მიიჩნევს მათ. სასამართლო კვლევისა და შეფასების საგანია მხოლოდ ზიანის ოდენობა იმ შემთხვევაში, როდესაც განაჩენით/ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე გამოცემული ადმინისტრაციული აქტით იგი არ არის დადგენილი. ასეთ დროს ზიანის ოდენობის დამადასტურებელი მტკიცებულება მოსამარჩელემ უნდა წარადგინოს. ჩვეულებრივი სასარჩელო წესით დელიქტის შედეგად მიყენებული ზიანის შესახებ სარჩელის განხილვის დროს კი, მხარეები სასამართლოს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე და 103-ე მუხლების შესაბამისად წარუდგენენ, როგორც მართლსაწინააღმდეგო ქმედების, ასევე ზიანის ფაქტის, მიზეზობრივი კავშირისა და ზიანის ოდენობის ამსახველ მტკიცებულებებს, ხოლო სასამართლო წარმოდგენილ მტკიცებულებებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის შესაბამისად აფასებს¹⁵. ამ მიმართებით საინტერესოა, ფაქტი მასზედ, რომ გამარტივებული წარმოების ფარგლებში ბაჟი დანაშაულით მიყენებული მატერიალური ზიანის ნაწილში მოსარჩელეს არ ეკისრება, დელიქტით სასარჩელო წარმოების ფარგლებში კი, რადგან დანაშაული ჯერ დადასტურებული არ არის, მოსარჩელე მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიზნებისათვის სახელმწიფოს სასარგებლოდ ბაჟს იხდის, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სარჩელი დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით, აგრეთვე მარჩენალის სიკვდილით მიყენებული ზიანის ანაზღაურებას ეხება.¹⁶

დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე წარდგენილ სარჩელებთან ერთად კიდევ ერთი საკითხი უნდა იქნეს განხილული კომპლექსურად, კერძოდ, **სასარჩელო მოთხოვნა, თავისი არსით, წარმოადგენს თუ არა დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნას**, ვინაიდან ძალიან ხშირად, მოსარჩელები სარჩელის საფუძვლად მართლსაწინააღმდეგო ქმედებაზე აპელირებენ. როგორც ზემოთ უკვე არაერთგზის აღინიშნა, მართლსაწინააღმდეგო ქმედების არსებობა – არ არსებობის ფაქტი სასამართლოს შესაფასებელია და

¹⁵ ქ. მესხიშვილი, „მართლსაწინააღმდეგო ქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე წარდგენილი სარჩელების სასამართლოს წესით განხილვის ზოგიერთი თავისებურების პრაქტიკული ანალიზი“, სტუდენტურ-სამართლებრივი ჟურნალი, GIZ, თბილისი, 2012

¹⁶ *ibid.*

აღნიშნული საკითხი საქმის არსებითად განხილვის შედეგად უნდა გადაწყდეს. შესაბამისად, ამგვარი სასარჩელო მოთხოვნა ბაჟის გადახდისაგან არ თავისუფლდება. რაც შეეხება უშუალოდ დანაშაულით მიყენებულ ზიანს, ხშირ შემთხვევაში, სასარჩელო მოთხოვნა დანაშაულით მიყენებული მატერიალური ზიანის ფულადი ანაზღაურებაა, თუმცა, არცთუ იშვიათად, მოთხოვნა პირვანდელი მდგომარეობის აღდგენისკენაც არის მიმართული, მაგალითისათვის, თუ დოკუმენტების გაყალბების გზით დაზარალებულმა ბინა დაკარგა, ხშირ შემთხვევაში, იგი ითხოვს არა ფულად კომპენსაციას მსჯავრდებულისაგან, არამედ პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას – ბინის დაბრუნებას, მიუხედავად იმისა, აღნიშნული ბინა გასხვისებულია თუ არა მესამე პირებზე. თუ ბინა მესამე პირზეა გასხვისებული, ასეთ შემთხვევაში, სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლად მითითებულია ასევე უძრავი ქონების არამართლზომიერად განკარგვის თაობაზე დადებული გარიგების ბათილობა. საკითხი დგება ასე, უძრავი ქონების დაბრუნების თაობაზე წარდგენილი მოთხოვნები განხილულ უნდა იქნეს თუ არა ზიანის ანაზღაურების კონტექსტში და სასარჩელო მოთხოვნა გათავისუფლებულ უნდა იქნეს თუ არა ბაჟისაგან. აღნიშნულ საკითხთან მიმართებით პრაქტიკაში, ბოლო პერიოდში, შემუშავებულ იქნა ერთიანი პოზიცია, რომლის შესაბამისადაც, აღნიშნული კატეგორიის დავები, თუ, რა თქმა უნდა, საქმეში მოიპოვება კანონიერ ძალაში შესული განაჩენი, დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე წარდგენილ სარჩელებად მიიჩნევა. ერთ-ერთ საქმეზე სააპელაციო სასამართლო, რომელიც სარჩელის მიღებაზე უარის თქმის თაობაზე წარდგენილ კერძო საჩივრებთან დაკავშირებით, საბოლოო ინსტანციის სასამართლოა, დაეყრდნო მატერიალური სამართლის ნორმებს, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე, 326-ე, 408-ე, 409-ე მუხლებს და განმარტა, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც სახეზეა დანაშაულით მიყენებული ზიანი, დაზარალებული უფლებამოსილია ზიანის ანაზღაურება პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის გზით მოითხოვოს, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელი იქნება პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა, დაზარალებულს უფლება ექნება მოითხოვოს ზიანის ფულადი კომპენსაცია, რაც იმას ნიშნავს, რომ მოსარჩელის მოთხოვნა უძრავ ქონებაზე მისი საკუთრების უფლების აღდგენის თაობაზე სხვა არაფერია, თუ არა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის გზით, ანუ ნატურით, ხოლო რაც შეეხება ხელშეკრულების ბათილობის თაობაზე წარმოდგენილ მოთხოვნას, აღნიშნული წარმოდგენს მოთხოვნის საფუძველს. სწორედ ამიტომ, მოსარჩელის მიერ წარმოდგე-

ნილი სარჩელი ემსახურება მისთვის დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურებას, პირვანდელი მდგომარეობის ნატურით აღდგენას, შესაბამისად, მისი მოთხოვნა ექცევა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის რეგულირების რეჟიმში, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელე აღნიშნული გზით ვერ დაიკმაყოფილებს თავის უფლებას, მას ზიანის ფულადი კომპენსაციის მოთხოვნის უფლება რჩება, რაც ასევე თავისუფლდება ბაჟის გადახდის ვალდებულებისაგან იმავე საკანონმდებლო რეგულაციაზე დაყრდნობით. ამდენად, პალატამ დასკვნის სახით მიუთითა, რომ მიუხედავად იმისა, თუ რა გზით ითხოვს დაზარალებული შელახული უფლების აღდგენას, პირვანდელი მდგომარეობის აღდგენით, თუ ზიანის ფულადი კომპენსაციით, ორივე შემთხვევაში, სახეზეა დანაშაულით მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, რაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, ბაჟის გადახდის ვალდებულებისაგან თავისუფლდება. აქვე აღსანიშნავია, რომ ასეთი რეგულირება არ ვრცელდება ისეთ შემთხვევებზე, როდესაც განაჩენში, მართალია, მხარე დაზარალებულად არის მითითებული, თუმცა, **სამოქალაქო სამართლებრივი მოთხოვნა მიმართულია არა უშუალოდ დანაშაულით მიყენებული, არამედ აღნიშნულ დანაშაულთან მჭიდროდ დაკავშირებული სამართალურთიერთობიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურებისაკენ.** მაგალითისათვის, როდესაც მინდობილმა პირმა ბოროტად გამოიყენა მიმდობის უფლებამოსილება, მას ისეთ გარიგებებზე მოაწერინა ხელი, რომლითაც მიმდობს ის ვალდებულებები წარმოეშვა, რაც მას გაცნობიერებული არ ჰქონდა. ასეთ შემთხვევაში, უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება, თუ რა წარმოადგენს მოთხოვნის საფუძველს, ვინაიდან ამგვარი კატეგორიის დავებში მოთხოვნის საფუძველი, ხშირ შემთხვევაში, სამოქალაქო სამართლებრივი რისკია და არა დანაშაული. ამ უკანასკნელი შემთხვევის ნათელი მაგალითია, მოსარჩელის მოთხოვნა მის მიერ გაცემული მინდობილობისა და მინდობილობის საფუძველზე დადებული გარიგებების ბათილობა, იმ მოტივით, რომ იგი ვერ აცნობიერებდა აღნიშნულ გარიგებათა სამართლებრივ შედეგებს, ან სხვა რამეს პირდებოდა მინდობილი პირი და ა. შ. მოცემულ შემთხვევაში, მინდობილობებისა და გარიგებების ბათილობა არ წარმოადგენს დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე წარდგენილ მოთხოვნას და შესაბამისად, აღნიშნული არც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXXIV თავითა

და არც ამავე კოდექსის 46-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით რეგულირების რეჟიმში ექცევა.¹⁷ შესაბამისად, უნდა აღინიშნოს, რომ განაჩენით დადგენილი ფაქტები სამოქალაქო საქმეებში ყოველთვის არ წარმოადგენს პრეიუდიციულ ფაქტებს. აღნიშნულ საკითხთან მიმართებით საკასაციო პალატამ განმარტა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, სისხლის სამართლის საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, გამოკვლევის გარეშე, არ შეიძლება ჩაითვალოს უტყუარად დამტკიცებულად. სასამართლოს განაჩენი სისხლის სამართლის საქმეზე სამოქალაქო საქმის განხილვის დროს წარმოადგენს მხოლოდ ერთ-ერთ მტკიცებულებას, რომელიც შეფასებას სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში საჭიროებს.¹⁸ ამდენად, თუ სამოქალაქო საქმე უშუალოდ განაჩენით მიყენებული ზიანის ანაზღაურებას ეხება, აღნიშნული საქმე, როგორც წესი, გამარტივებული წესით განიხილება, რა დროსაც განაჩენით დადგენილ ფაქტებს პრეიუდიციული მნიშვნელობა ენიჭება, რაც იმას ნიშნავს, რომ განაჩენის საფუძვლად არსებული ფაქტები დადასტურებულად მიიჩნევა და სხვა სამართალწარმოებაში გაქარწყლებას აღარ ექვემდებარება, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ სამოქალაქო საქმე უშუალოდ დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურებას არ ეხება, არამედ დანაშაული, როგორც მართლსაწინააღმდეგო ქმედება სამოქალაქო სამართლებრივი გარიგებების კონტექსტშია შესაფასებელი, ასეთი საქმე გამარტივებული წესით განსახილველ საქმეთა კატეგორიას არ განეკუთვნება, ხოლო საქმეში არსებული განაჩენით დადასტურებული ფაქტები სხვა მტკიცებულებათა ერთობლიობაში განიხილება.

3. საყოველთაოდ ცნობილი ფაქტები

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის თანახმად, მხარეები თავისუფლდებიან მტკიცებულებათა წარმოდგენისაგან ისეთი ფაქტების დასადასტურებლად, რომლებსაც თუმცა ემყარება მათი მოთხოვნები, თუ შესაგებელი, მაგრამ დამტკიცებას არ საჭიროებს. ერთ-ერთ ასეთ ფაქტად სასამართლომ საქართველოს საბანკო სექტორ-

¹⁷ ქ. მესხიშვილი, „მართლსაწინააღმდეგო ქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე წარდგენილი სარჩელების სასამართლოს წესით განხილვის ზოგიერთი თავისებურების პრაქტიკული ანალიზი“, სტუდენტურ-სამართლებრივი ჟურნალი, GIZ, თბილისი, 2012

¹⁸ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 6 მაისის განჩინება, საქმეზე *ნას-1158-1104-2014*

რში სესხის წლიური საპროცენტო განაკვეთის საშუალო ოდენობა მიიჩნია, რაც იმ პერიოდისათვის წლიურ 18%-ს, ხოლო თვეში 1,5%-ს შეადგენდა¹⁹. დიდი პალატის გადაწყვეტილებით, საყოველთაოდ ცნობილ ფაქტად მიჩნეულ იქნა ასევე ფიზიკური პირის მიმართ განხორციელებული იძულების ფაქტი, რომელიც საჯაროდ არაერთხელ გაცხადდა და აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის 2009 წლის ანგარიშშიც აისახა. 2009 წლის 21 აპრილს მოსარჩელეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისგან პოლიტიკური თავშესაფარი მიენიჭა, ხოლო 2012 წლის 5 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა ის პოლიტიკური ნიშნით დევნილად ცნო.²⁰ ამავე სასამართლოს განმარტებით, იძულების ფაქტის საყოველთაოდ ცნობილად მისაჩნევად აღმასრულებელი ხელისუფლებისა და პროკურატურის წარმომადგენლების მიერ გაკეთებული საჯარო განცხადებები საკმარისი არ არის, რადგან ფაქტი მიუთითებს დანაშაულებზე, რომლებიც დადასტურებული უნდა იყოს სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი სასამართლო განაჩენებით. ამავე დროს, კიდევ, რომ საყოველთაოდ ცნობილი იყოს ფაქტი, რომ მოპასუხე სხვადასხვა პირთა მიმართ კანონსაწინააღმდეგო ქმედებებს ჩადიოდა, ეს საყოველთაობას არ ანიჭებს მეორე ფაქტს - რომ მოსარჩელეც ასეთი ქმედების მსხვერპლი იყო.²¹ სასამართლომ საყოველთაოდ ცნობილი ფაქტების კატეგორიას მიაკუთვნა უქმე დღეები,²² 2008 წლის აგვისტოს ომი,²³ ქართული და რუსული ანბანის წარმოშობისა და გრაფიკული გამოსახულების სხვაობა²⁴ და ა. შ. აღნიშნულის საწინააღმდეგოდ, ამათუიმ იურიდიული პირის მიმართ სასამართლო დავების არსებობა, თავისთავად არ მიუთითებს იმაზე, რომ აღნიშნული გარემოება საწარმოს მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია.²⁵ საყოველთაოდ ცნობილ ფაქტად არ მიიჩნია სასამართლომ ასევე ფაქტი მასზედ, რომ ცნო-

¹⁹ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 18 მაისის გადაწყვეტილება, საქმეზე №ას-1262-1182-2017

²⁰ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 2 მარტის გადაწყვეტილება, საქმეზე ას-664-635-2016

²¹ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 27 ივლისის განჩინება, საქმეზე № ას-548-511-2017

²² იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 28 ივლისის განჩინება, საქმეზე ას-596-564-2015

²³ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 4 აპრილის განჩინება, საქმეზე №ას-523-497-2013

²⁴ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 19 ნოემბრის განჩინება, საქმეზე №ას-1030-965-2012

²⁵ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 31 ოქტომბრის განჩინება, საქმეზე №ას-1501-1509-2011

ბილ ადვოკატს, რომელიც ბელორუსიაში დააკავეს და აღნიშნული ინფორმაცია მასობრივი საშუალებებით გადმოსცეს, სადავო წერილის დედანი თან ჰქონდა.²⁶ ამდენად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, მხარეები თავისუფლდებიან მტკიცებულებათა წარმოდგენისაგან ისეთი ფაქტების დასადასტურებლად, რომლებსაც თუმცა მათი მოთხოვნები, თუ შესაგებელი ემყარება, მაგრამ დამტკიცებას არ საჭიროებენ. ამგვარად მიიჩნევა ფაქტები, რომლებსაც სასამართლო საყოველთაოდ ცნობილად მიიჩნევს. **აღნიშნული მუხლის მიზნებისათვის ფაქტის საყოველთაოდ ცნობადობა სუბიექტური შეფასების საგანი არაა. ფაქტი საყოველთაოდ ცნობილად უნდა ჩაითვალოს იმ შემთხვევაში, თუ, ობიექტური გარემოებების შედეგად, მის შესახებ პირთა ძალიან დიდი წრეა ინფორმირებული, რაც იმას ნიშნავს, რომ ფაქტის საყოველთაოდ ცნობადობის გასაზომად სუბიექტური ფაქტორი საკმარისი არ არის. ამ მიმართებით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, თუ რამდენად ფლობს ნებისმიერი მესამე აღნიშნული გარემოებით სუბიექტურად დაუინტერესებელი პირი სადავო ფაქტის თაობაზე ინფორმაციას.**

4. სხვა საქმეზე კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებები

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, წინასწარ დადგენილი ძალის მქონე ფაქტებად კანონმდებელი განიხილავს კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებით დადგენილ ფაქტებს და მხარეს მათ დასადასტურებლად მტკიცებულებათა წარდგენის ვალდებულებისაგან ათავისუფლებს იმ შემთხვევაში, თუ სხვა სამოქალაქო საქმის განხილვისას იგივე მხარეები მონაწილეობენ, ანუ პრეიუდიციული ძალის მქონედ ფაქტობრივი გარემოების მიჩნევისათვის, სავალდებულოა, არსებობდეს სამოქალაქო საქმეზე მიღებული, კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება და ამ გადაწყვეტილების სუბიექტები **სხვა სამოქალაქო საქმის მხარეებად უნდა გვევლინებოდნენ.** ამასთან, აღსანიშნავია, რომ თუ სამოქალაქო სამართალწარმოებაში **სხვა პირიც მონაწილეობს**, მისთვის არცერთ ფაქტს პრეიუდიციული მნიშვნელობა არ ენიჭება, თუ აღნიშნული ფაქტის დადგენის დროს გამართულ სამართალწარმოებაში **იგი არ**

²⁶ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 03 აგვისტოს განჩინება, საქმეზე №ას-967-1246-09

მონაწილეობდა.²⁷ თავად პრეიუდიციულ ფაქტებში იგულისხმება ისეთი იურიდიულად მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები, რომლებითაც განსაზღვრულია მხარეთა მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობით გათვალისწინებული უფლებები და ვალდებულებები, რაც საფუძვლად დაედო გადაწყვეტილების გამოტანას. პრეიუდიციულობის შემოწმების დროს მნიშვნელობა ენიჭება როგორც იმ პროცესუალურ-სამართლებრივ კრიტერიუმებს, რომლითაც განისაზღვრება კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ფორმალური მოთხოვნები, ასევე ამ გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოების შინაარსს. მოქმედი კანონმდებლობით დადგენილია ასევე სასამართლო გადაწყვეტილების მატერიალური კანონიერი ძალა, რომელიც უზრუნველყოფს გადაწყვეტილების საბოლოო ხასიათსა და სავალდებულობას, არა მარტო კონკრეტული პროცესისათვის, არამედ მის ფარგლებს გარეთაც, კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 266-ე მუხლის შესაბამისად, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ მხარეებს, აგრეთვე, მათ უფლებამონაცვლეებს არ შეუძლიათ ხელახლა განაცხადონ სასამართლოში იგივე სასარჩელო მოთხოვნები იმავე საფუძველზე, აგრეთვე, სადავო გახადონ სხვა პროცესში გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები და სამართლებრივი ურთიერთობანი.^{28/29}

სასამართლო გადაწყვეტილების პრეიუდიციული ფარგლების თაობაზე სასამართლო პრაქტიკაში არაერთგზის განიმარტა, რომ პრეიუდიციული ძალის მქონე არ არის გადაწყვეტილების/განჩინების **სამოტივაციო ნაწილით დადგენილი ყველა გარემოება. პრეიუდიციული ძალა შეიძლება მიენიჭოს გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში დადგენილ იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც მტკიცების საგანში შედიოდა და რომლებიც სარეზოლუციო ნაწილის დადგენის მიზნებს უშუალოდ მიემართებოდა.** ეს საკითხი უნდა განისაზღვროს იმის მიხედვით, თუ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში მითითებული, **სასამართლოს მიერ დადგენილი რომელი ფაქტები ამართლებს სარეზოლუციო ნაწილში ჩამოყალიბებულ დასკვნებს.** შესაბამისად, ფაქტების პრეიუდიციულობის შემოწმების დროს მნიშვნელობა ენიჭება არა მარტო იმ პროცესუალურ-სამართლებრივ კრიტერიუმებს, რომლითაც განისა-

²⁷ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 1 მაისის განჩინება, საქმეზე №ას-1484-1404-2017

²⁸ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 13 ნოემბრის განჩინება, საქმეზე №ას-827-791-2014

²⁹ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 26 თებერვლის განჩინება, საქმეზე №ას-58-56-2016

ზღვრება კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ფორმალური მოთხოვნები (კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოება თუ სხვა სამოქალაქო საქმეების განხილვისას იგივე მხარეები მონაწილეობენ), არამედ ამ გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოების შინაარსს.³⁰ აღსანიშნავია, რომ **პრეიუდიციული ძალა ასევე არ ვრცელდება ამ ფაქტების სამართლებრივ შეფასებაზე**. ამდენად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, დავაში მონაწილე მხარეების მიმართ სხვა სამოქალაქო საქმეზე მიღებულ, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილით დადგენილი ფაქტისათვის პრეიუდიციული ძალის მინიჭების საკითხის გადაწყვეტისას, სასამართლო უნდა დარწმუნდეს, რომ **კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი ეფუძნება იმ ფაქტს, რომელიც იურიდიულად ამართლებს მას**.³¹ წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს ფაქტი არ შეიძლება მიჩნეულ იქნას პრეიუდიციულად და ის უნდა იქნას შეყვანილი მტკიცების საგანში.^{32/ 33/34/35}

გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილით დადგენილი ფაქტებისათვის პრეიუდიციული ძალის მინიჭების თვალსაზრისით ერთ-ერთ **პრაქტიკულ პრობლემას წარმოადგენს ის გარემოება, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში გასაჩივრებას მხოლოდ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი, კერძოდ, გადაწყვეტილების აღსასრულებელი ნაწილი ექვემდებარება, რაც იმას ნიშნავს, რომ მხარე, რომლის სასარგებლოდაც დასრულდება დავა, მოკლებულია შესაძლებლობას, აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო ან საკასაციო წესით გაასაჩივროს, მაშინაც, თუ მის სასარგებლოდ გამოტანილი გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში დადგენილია ფაქტები და განვითარება**

³⁰ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 13 ნოემბრის განჩინება, საქმეზე №ას-827-791-2014

³¹ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 27 მარტის განჩინება, საქმეზე №ას-1281-2018

³² იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 3 დეკემბრის განჩინება, საქმეზე №ას-455-769-09

³³ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 12 ივლისის განჩინება, საქმეზე №ას-146-140-2012

³⁴ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 27 თებერვლის განჩინება, საქმეზე №ას-74-68-2015

³⁵ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 5 ივნისის განჩინება, საქმეზე №ას-323-2019

რებულია მსჯელობა, რომელსაც მხარე არ ეთანხმება.³⁶ თუმცა, სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, ერთი შეხედვით, გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის გასაჩივრების აკრძალვამ შეიძლება მხარის უფლებების დარღვევა გამოიწვიოს სამომავლო დავაში, რადგანაც სამოტივაციო ნაწილით დადგენილი ფაქტი შესაძლოა მის წინააღმდეგ მოქმედებდეს და ფაქტის პრეიუდიციულობიდან გამომდინარე, მას მტკიცების საშუალება წაერთვას, თუმცა, საკასაციო სასამართლოს განმარტებით, ეს ასე არ არის, რადგან თავად პრეიუდიციულ ფაქტებში იგულისხმება ისეთი იურიდიულად მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები, რომლებითაც განსაზღვრულია მხარეთა მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობით გათვალისწინებული უფლებები და ვალდებულებები, რაც საფუძვლად დაედო გადაწყვეტილების გამოტანას. ამავე სასამართლოს განმარტებით, პრეიუდიციული მნიშვნელობის შემონმების დროს მნიშვნელობა ენიჭება როგორც იმ პროცესუალურ-სამართლებრივ კრიტერიუმებს, რომლითაც განისაზღვრება კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ფორმალური მოთხოვნები, ასევე, ამ გადაწყვეტილებით დადგენილ ფაქტობრივი გარემოების შინაარსს. კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტებისათვის პრეიუდიციული მნიშვნელობის მინიჭებისას უნდა შეფასდეს თავად ამ გადაწყვეტილების ფარგლებში სასარჩელო მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმა. ნორმით განსაზღვრული შედეგის განმაპირობებელი აბსტრაქტული ელემენტები და ამ ელემენტების შესაბამისად, დადგენილი ნორმის წინაპირობები (ფაქტობრივი გარემოებები). თუკი კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, სასამართლო გასცდება ნორმის შემადგენლობას და დაადგენს იმგვარ ფაქტობრივ გარემოებას, რომელსაც სამართლებრივი შედეგისათვის მნიშვნელობა არ აქვს, ბუნებრივია, არც ამ და არც სხვა პროცესში იმგვარ ფაქტს სამართლებრივი ძალა არ მიენიჭება და სხვა, ახალი დავის წამოწყების შემთხვევაში, ის მტკიცების საგანში შემავალი გარემოება იქნება.³⁷ ამდენად, გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში დადგენილ ყველა ფაქტობრივ გარემოებას არ უნდა მიენიჭოს პრეიუდიციული მნიშვნელობა, არამედ მხოლოდ იმ ფაქტებს, რომელთა დადგენა აღნიშნული დავის ფარგლებში მტკიცების საგანში შემავალ გარემოებას წარმოადგენდა და რაც, თავის მხრივ, სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება/არდაკმაყოფილების კანონიერ

³⁶ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 1 მარტის განჩინება, საქმეზე №ას-1293-2018

³⁷ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 01 მარტის განჩინება, საქმეზე №ას-1293-2018

მიზანს მიემართებოდა. რალა თქმა უნდა მხედველობის მიღმა არ უნდა დარჩეს ის გარემოება, რომ ფაქტი პრეიუდიციულად მიიჩნევა მარტოოდენ იმ შემთხვევაში, **თუ გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული და სხვადასხვა სამოქალაქო სამართალწარმოების ფარგლებში ერთი-დაიმავე მხარეები მონაწილეობენ.** ამ მიმართებით აღსანიშნავია, რომ პრეიუდიციული მნიშვნელობა მარტოოდენ კანონიერ ძალაში შესული დაუსწრებელი გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილს უნდა მიენიჭოს, და არა სამოტივაციო ნაწილში დადგენილად მიჩნეულ ფაქტობრივ გარემოებებს, რადგან დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების წინაპირობას მხარეთა მიერ წარმოდგენილი ფაქტების კვლევა არ წარმოადგენს, არამედ მხარეთა მიერ მითითებული ფაქტები დადასტურებულად მიიჩნევა. აღსანიშნავია, რომ განვითარებული მსჯელობის საწინააღმდეგოდ არსებობს მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, დაუსწრებელი გადაწყვეტილება ისეთივე სასამართლოს მიერ მიღებული კანონიერი აქტია, როგორც მხარეთა დასწრებით მიღებული გადაწყვეტილება, შესაბამისად, ფაქტებისათვის პრეიუდიციული ძალის მინიჭების თვალსაზრისით, მათ შორის განხვავება დაუშვებელია. ფაქტებისათვის პრეიუდიციული ძალის მინიჭების თაობაზე დავას იწვევს კიდევ ერთი საკითხი, კერძოდ, შესაძლებელია, თუ არა, პრეიუდიციული ძალა გავრცელდეს არა სასარჩელო წარმოების შედეგად მიღებულ შემაჯამებელ გადაწყვეტილებებზე, არამედ ასევე ისეთ პროცესუალური ხასიათის განჩინებებზე, როგორცაა, მაგალითისათვის უფლებამონაცვლეობის დადგენა და ა. შ. ამ მიმართებით ცალსახად უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება (განჩინება), რომლითაც დადგენილია მტკიცების საგანში შემავალი ფაქტი, თუ ის კანონიერ ძალაშია შესული, მას პრეიუდიციული ძალა უნდა მიენიჭოს და იგივე მხარეებს შორის მიმდინარე სამოქალაქო დავაში ხელახლა სადავოდ აღარ უნდა გახდეს.

ამდენად, სასამართლო პრაქტიკა ერთმანეთისაგან განასხვავებს **პრეზუმირებულ და პრეიუდიციულ ფაქტებს**, კერძოდ, პრეზუმირებული ფაქტები ერთმნიშვნელოვნად განაპირობებებს იმას, რომ მხარე, რომელიც თავის მოთხოვნას, თუ შესაგებელს ასეთ ფაქტებზე აფუძნებს, მტკიცების ტვირთისგან თავისუფლდება და იგი მონაწილე მხარეს უბრუნდება, რომელსაც მისი გაქარწყლება ევალება, ხოლო თუ მხარეებს შორის სხვა სამოქალაქო საქმეზე ფაქტები სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებითაა დადგენილი, აღნიშნული ფაქტები პრეიუდიციულად მიიჩნევა და ის შესაძლებელია მხოლოდ ბათილობის პროცესუალური საფუძვლით (სსსკ-ის 421-423-ე მუხლები) გაქარწყლდეს. მოხმო-

ბილი ნორმები ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლებას ითვალისწინებს, რაც იმას ნიშნავს, რომ აღნიშნული საფუძვლით სრულებით შესაძლებელია, რომ პრეიუდიციული მნიშვნელობის მქონე ფაქტები, რომლებსაც გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი დაეფუძნა, სხვაგვარად წარმოჩინდნენ/შეფასდნენ და კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ბათილად ცნობა განაპირობოს.³⁸

³⁸ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 28 დეკემბრის განჩინება, საქმე-ზე №ას-1255-1175-2017

მუხლი 109. შუამდგომლობა მტკიცებულებათა უზრუნველყოფის შესახებ

1. იმ პირს, რომელსაც საფუძველი აქვს იფიქროს, რომ მისთვის საჭირო მტკიცებულებათა წარდგენა შემდგომში შეუძლებელი ან ძნელი გახდება, შეუძლია სთხოვოს სასამართლოს ამ მტკიცებულებათა უზრუნველყოფა.

2. მტკიცებულებათა უზრუნველყოფა დასაშვებია სასამართლოში საქმის აღძვრამდეც.

მუხლი 110. მტკიცებულებათა უზრუნველყოფა სასამართლოში საქმის აღძვრამდე

მტკიცებულებათა უზრუნველყოფას სასამართლოში საქმის აღძვრამდე ახდენს იმ რაიონის (ქალაქის) მოსამართლე ან მაგისტრატი მოსამართლე, რომლის ტერიტორიაზედაც უნდა შესრულდეს საპროცესო მოქმედება უზრუნველყოფის მიზნით (მოწმის დაკითხვა, ნივთიერ მტკიცებულებათა დათვალიერება და ა.შ.).

მუხლი 116. მტკიცებულებათა უზრუნველყოფის წესით შეკრებილი მასალების სასამართლოში გადაგზავნა

1. ოქმები და მტკიცებულებათა უზრუნველყოფის წესით შეკრებილი ყველა მასალა გაეგზავნება საქმის განმხილველ სასამართლოს.

2. თუ მტკიცებულებათა უზრუნველყოფა მოხდა სასამართლოში საქმის აღძვრამდე, უზრუნველყოფის დროს შედგენილი ოქმი და სხვა მასალები შეინახება სასამართლოში, რომლებიც შემდგომ, მხარეთა თხოვნით ან თვით სასამართლოს ინიციატივით, გადაეგზავნება იმ სასამართლოს, რომელიც განიხილავს საქმეს.

უღრის ჰაბენლონი

109-ე და მომდევნო მუხლები

სსკ-დან მოყვანილი ნორმები:

- სსკ-ის 109-ე მუხლი
- სსკ-ის 116-ე მუხლი

მტკიცებულებათა უზრუნველყოფა

1. ქართული სამართლის მტკიცებულებათა უზრუნველყოფის პროცედურას (სსკ-ის 109-ე და მომდევნო მუხლები) შეესაბამება გერმანიაში მტკიცებულებათა წარდგენის დამოუკიდებელი პროცედურის გარკვეული ნაწილები (განსაკუთრებით, § 485 Abs. 1 GER-ZPO). მტკიცებულებათა წარდგენის დამოუკიდებელი პროცედურის დებულებებმა 01.04.1991-იდან ჩაანაცვლა მტკიცებულებათა უზრუნველყოფის მანამდე მოქმედი დებულებები, რომლებიც დიდწილად შეესაბამებოდა ქართულ სამართალს.

გერმანიის არსებითი დებულებები შემდეგნაირად ჟღერს:

§ 485 GER-ZPO - დასაშვებობა

(1) სადავო წარმოებისას ან მის მიღმა, მხარის თხოვნით, შეიძლება დაინიშნოს ადგილის დათვალიერება, მონმეთა დაკითხვა ან ექსპერტიზა, თუ მონინააღმდეგე მხარე თანახმაა, ანდა არსებობს საფრთხე, რომ მტკიცებულება დაიკარგება ან მისი გამოყენება გართულდება.

(2) თუ სამართლებრივი დავა ჯერ არ განიხილება, მხარეს შეუძლია, მოითხოვოს ექსპერტის წერილობითი დასკვნა, როდესაც მას აქვს სამართლებრივი ინტერესი, რომ დადგინდეს:

1. პირის მდგომარეობა, ან ნივთის მდგომარეობა და ღირებულება;
2. პირისათვის მიყენებული ზიანის, ქონებრივი ზარალის, ან ნივთობრივი ნაკლის მიზეზი;

3. პირისათვის მიყენებული ზიანის, ქონებრივი ზარალის, ან ნივთობრივი ნაკლის აღმოფხვრისთვის საჭირო ხარჯი.

სამართლებრივი ინტერესი ივარაუდება, როდესაც დადგენა შეიძლება ემსახურებოდეს სამართლებრივი დავის თავიდან აცილებას.

§ 486 GER-ZPO - კომპეტენტური სასამართლო

(1) თუ სამართლებრივი დავა უკვე განიხილება, მაშინ განაცხადი შეტანილი უნდა იყოს ამ საქმის განმხილველ სასამართლოში.

(2) თუ სამართლებრივი დავა ჯერ არ განიხილება, მაშინ განაცხადი შეტანილი უნდა იყოს იმ სასამართლოში, რომელიც განცხადების წარმდგენის განმარტებით დაინიშნებოდა საქმის არსებითად განსახილველად.

...

§ 487 GER-ZPO - განაცხადის შინაარსი

განაცხადში წარმოდგენილი უნდა იყოს:

1. მონინალმდეგე მხარის დასახელება;
2. ფაქტები, რომელთა შესახებაც უნდა მიიღონ მტკიცებულება;
3. მოწმეები ან § 485-ის მიხედვით დასაშვები სხვა მტკიცებულებები;
4. იმ მტკიცებულებათა საკმარისი დასაბუთება, რომლებსაც უნდა დაეფუძნოს მტკიცებულებათა წარდგენის დამოუკიდებელი პროცედურის დასაშვებობა და სასამართლოს განსჯადობა.

§ 493 GER-ZPO - პროცესზე გამოყენება

(1) თუ მხარე პროცესზე ისეთ ფაქტებს იშველიებს, რომლებზეც მიღებულია დამოუკიდებელი მტკიცებულება, მაშინ ეს [მტკიცებულების დამოუკიდებლად მიღება] უთანაბრდება საქმის განმხილველი სასამართლოს წინაშე მტკიცებულებათა შეგროვებას.

(2) თუ მონინალმდეგე არ გამოცხადდება მტკიცებულებათა წარდგენის დამოუკიდებელი პროცედურის განმხილველ სხდომაზე, მაშინ შედეგი შეიძლება გამოყენებული იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მონინალმდეგე დროულად იყო მონვეული.

§ 494 GER-ZPO - უცნობი მონინალმდეგე

(1) თუ მტკიცებულების წარმდგენ პირს არ დაუსახელებია მონინალმდეგე, მისი განაცხადი დასაშვებია მხოლოდ მაშინ, თუ ეს პირი დამაჯერებლად დაასაბუთებს, რომ მონინალმდეგე ვერ დაასახელა მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო.

(2) თუ განაცხადი დამკაყოფილდება, სასამართლოს შეუძლია, უცნობ მონინალმდეგეს დაუნიშნოს წარმომადგენელი მტკიცებულებათა შეგროვებისას მისი უფლებების განსახორციელებლად.

2. ქართული სამართლის მტკიცებულებათა უზრუნველყოფის პროცედურისგან განსხვავებით, § 485 Abs. 2 GER-ZPO-ს მიხედვით მტკიცებულებათა წარდგენის დამოუკიდებელი პროცედურის განხორციელება შეიძლება ექსპერტის დასკვნის მოპოვების გზით (მაგრამ არა სხვა მტკიცებულებათა საშუალებით), როდესაც ეს (კანონით უფრო დეტალურად განსაზღვრული წინაპირობების გათვალისწინებით) **სამართლებრივი დავის თავიდან აცილებას** ემსახურება. აღნიშნული წესი ეხება ისეთ შემთხვევებს, რომლებშიც, უნინარეს ყოვლისა, დავა მიმდინარეობს ფაქტებთან დაკავშირებულ საკითხებზე (BGH, Beschluss vom 14.03.2018 - V ZB 131/17 - NJW 2018, 1749). § 485 Abs. 2 GER-ZPO-ით გათვალისწინებული „სამართლებრივი ინტერესის“ ცნება ფართოდ უნდა იყოს გაგებული. § 485 Abs. 2 GER-ZPO-ს მიხედვით გათვალისწინებული მტკიცებულებათა წარმოდგენის დამოუკიდებელი პროცედურის ფარგლებში, სასამართლოს არ აქვს უფლება, შეამოწმოს დამაჯერებლობა ან შესაბამისობა (BGH, Beschluss vom 20.10.2009 - VI ZB 53/08 - NJW-RR 2010, 946; BGH, Beschluss vom 28.07.2006 - III ZB 14/06 - NJW-RR 2006, 1454; BGH, Beschluss vom 16.09.2004 - III ZB 33/04 - NJW 2004, 3488). სხვაგვარი წესი მოქმედებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც აშკარაა, რომ მოთხოვნა, რომელსაც აცხადებს პირი, ვერავითარ შემთხვევაში ვერ იარსებებს. ამ საკანონმდებლო დანაწესის მიზეზია ის, რომ კანონმდებლის შეხედულებით, სასამართლოს მიერ ექსპერტის შერჩევა („სასამართლო ექსპერტი“) მტკიცებულების შედეგების უფრო მაღალი მისაღებობის შანსს იძლევა, ვიდრე ეს იქნებოდა მხარის მიერ შემოთავაზებული - ხშირ შემთხვევაში, მიკერძოებულად მიჩნეული - ექსპერტის („მხარის ექსპერტი“) შემთხვევაში (BGH, Beschluss vom 14.03.2018 - V ZB 131/17 - NJW 2018, 1749; BGH, Beschluss vom 27.11.2013 - III ZB 38/13 - NJW-RR 2014, 180). ამდენად, § 485 Abs. 2 GER-ZPO-ზე დაფუძნებული მტკიცებულებათა წარდგენის დამოუკიდებელი პროცედურისთვის არ არის აუცილებელი, არსებობდეს მტკიცებულებათა დაკარგვის ან გამოყენების გართულების საფრთხე. ვინაიდან საქართველოში არ არსებობს შესაბამისი დანაწესი, ამ საკითხს დეტალურად აღარ განვიხილავ.

3. მტკიცებულებათა წარდგენის დამოუკიდებელი პროცედურის უფლება § 485 Abs. 1 GER-ZPO-ის რეგულირების სფეროს ფარგლებში (რომელიც შეესაბამება ქართული სამართლის მტკიცებულებათა უზრუნველყოფას), საქმის არსებით განხილვამდე (სასარჩელო წარმოებამდე) ან მის დასრულებამდე **მტკიცებულებებს** (ფაქტების დადგენას) **იცავს შესაძლო დაკარგვისგან**. მისი მეშვეობით ხდება მტკიცებულებათა წინასწარ მიღება მოგვიანებით აუცილებლად საჭირო პროცესის ან სასამართლოს წარმოებაში არსებული სამართლებრივი დავისთვის (vgl. BGH, Beschluss vom 14.03. 2018 - V ZB 131/17 NJW 2018, 1749; BGH, Beschluss vom 08.10.2009 - V ZB 84/09 - NJW-RR 2010, 233). მტკიცებულებათა წარდგენის დამოუკიდებელი პროცედურა გამორჩეულ მნიშვნელობას იძენს გერმანიის სამშენებლო სამართლის სფეროში, განსაკუთრებით, იმ მხრივ, რომ გაკეთდეს დასკვნები განუღებ სამშენებლო მომსახურებასთან დაკავშირებით, რომლის გაცხადებული ნაკლოვანებები მშენებლობის შემდგომი მიმდინარეობისას შეიძლება შეიცვალოს/დაიფაროს ან აღმოიფხვრას (მაგ.: როცა სამშენებლო პროექტის განხორციელებისას საყრდენ ნაწილში ჩნდება ბზარები და ამიტომ იგი სასწრაფოდ უნდა შეიცვალოს). როდესაც სადავოა, რა არის ამ ნაკლის მიზეზი - მონოდებული მასალის ხარვეზი თუ სამუშაოს შესრულებისას დაშვებული შეცდომა - ამ მიზეზების დადგენაც ხარვეზის აღმოფხვრამდე უფრო სარწმუნოდ შეიძლება, ვიდრე მას შემდეგ. მაგრამ წარდგენასთან დაკავშირებული შესრულების მრავალი სხვა ნაკლის შემთხვევაში (მაგ.: არის თუ არა სამშენებლო პროექტის ფილა საკმარისად დაცული ტენიანობის შეღწევისგან), ან შესრულების მოცულობის დადგენისას (მაგ.: რამდენად მოცულობითი იყო ნიადაგის ჩანაცვლება სამშენებლო პროექტისათვის საკმარისად დაცული საძირკვლის მოსამზადებლად), მოვლენათა შემდგომი განვითარების გამო, ხშირად, ფაქტების დადგენა მნიშვნელოვნად რთულდება.

ა) როცა მოწინააღმდეგე მხარე განაცხადზე არ თანხმდება, მისი დასაშვებობის უმნიშვნელოვანესი კრიტერიუმია, თუ რამდენად არსებობს საფრთხე, რომ მტკიცებულებათა წარდგენის დამოუკიდებელი პროცედურის განხორციელების გარეშე მტკიცებულებები დაიკარგება ან მათი გამოყენება გართულდება (§ 485 Abs. 1 GER-ZPO; შდრ.: სსკ-ის 109-ე მუხლის პირველი ნაწილი).

აა) მტკიცებულების დაკარგვის ან მისი გამოყენების გართულების საფრთხის დასამტკიცებლად, საკმარისი არ არის ზოგადი რისკის არსებო-

ბა, რომელიც მტკიცებულებათა შეგროვების ნებისმიერ გაჭიანურებას ახლავს (მაგ.: როგორიცაა მოწმის მახსოვრობის უნარი, რომელიც, ჩვეულებრივ, სულ უფრო სუსტდება, ან მისი გარდაცვალების ზოგადი რისკი): ასევე აუცილებელია, გართულების საფრთხე ობიექტურად არსებობდეს, ან განმცხადებლის მიერ დამაჯერებლად იყოს წარმოდგენილი. აღნიშნულის მიუხედავად, საფრთხის არსებობის მიმართ მხოლოდ ზომიერი მოთხოვნები უნდა იყოს წაყენებული. ეს საკითხი განსაკუთრებულ პრაქტიკულ მნიშვნელობას იძენს, როდესაც ჯერ კიდევ დაუსრულებელი სამშენებლო პროექტის ან ნაკლიანი ნასყიდობის საგნის შემთხვევაში, მტკიცებულებათა მოგვიანებით შეგროვებისას წარმოქმნილი გართულებები შემთხვევითი არ არის: ისინი გამონვეულია იმით, რომ ხელშეკრულების მხარეს ნაკლის აღმოფხვრა სურს, რათა განაგრძოს სამშენებლო პროექტზე მუშაობა, ან გამოსაყენებლად გამოსადეგად აქციოს ნასყიდობის საგანი. აღნიშნულთან დაკავშირებით, კიოლნის უმაღლესი სამხარეო სასამართლო (OLG Köln) (Beschluss vom 20.09.1993 - 11 W 44/93 - MDR 1994, 94) განმარტავს:

„თუ განაცხადის წარმდგენს არ აქვს შესაძლებლობა, რომ ხელი შეუშალოს მტკიცებულების ცვლილებას ან განადგურებას, მტკიცებულებათა წარმდგენის დამოუკიდებელი პროცედურა, ყოველგვარი სხვა წინაპირობის გარეშე, დასაშვებია. თუ განმცხადებელს განზრახული აქვს - როგორც აქ - რომ ნაკლი მესამე პირს (სხვა სანარმოს) აღმოაფხვრევინოს, მის თავისუფალ გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული არსებული მდგომარეობის ცვლილება. ფაქტი, რომ განმცხადებელს სათანადო ღონისძიებების ან ცვლილებათა განხორციელებაზე უარის თქმის საშუალებით შეუძლია მტკიცებულების მიღება, ჯერ კიდევ არ აქცევს დაუშვებლად სასამართლოს მიერ მტკიცებულებათა უზრუნველყოფის განცხადებას. მეტიც, ამ თვალსაზრისით, გადამწყვეტია მხოლოდ მტკიცებულებათა მიღების შესაძლებლობის (მისაღებობის) საკითხი (...). ამასთან, მისაღებობის ფარგლები განსხვავებულად განისაზღვრება. ასე, მაგალითად, ერთი შეხედულების თანახმად, მტკიცებულებათა უზრუნველყოფის განცხადება მაშინ არის დაუშვებელი, როდესაც არსებული მდგომარეობის გარკვეული დროით უცვლელად დატოვება განმცხადებლისთვის არ წარმოშობს არც ხარჯებს, არც შემდგომ ზარალს და არც დაბრკოლებებს. სხვა შეხედულების თანახმად, მისაღებობის მოთხოვნის ფართო ინტერპრეტაცია მოითხოვება იმ გაგებით, რომ, საბოლოო ჯამში, განაცხადის დაუშვებლობას იწვევს უფლების ცალსახად ბოროტად გამოყენება (...).

უპირატესობა უნდა მიენიჭოს ამ უკანასკნელ შეხედულებას ...

ასევე არ არსებობს მოწინააღმდეგის განსაკუთრებული, დაცვის ღირსი ინტერესი, რომ თავიდან აიცილოს მტკიცებულებათა უზრუნველყოფის პროცედურა. მისი ინტერესები საკმარისად არის დაცული შესაბამისი საპროცესო სამართლით (...).

საპირისპიროდ, თუ განმცხადებელი იძულებული გახდებოდა, დალოდებოდა მტკიცებულებათა შეგროვებას მთავარ პროცესზე ან, საერთოდ, პროცესის დასასრულს - ისე, რომ მანამდე არ ჰქონოდა მტკიცებულებათა უზრუნველყოფის შესაძლებლობა - და მხოლოდ შემდეგ აღმოეფხვრევინებინა არსებული ნაკლები, მას უფრო ხანგრძლივი დროით მოუწევდა, სულ მცირე, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მტკიცებულებათა შეგროვებამდე, ხელშეკრულების დარღვევის შედეგად არსებული მდგომარეობის ატანა. აღნიშნული - მიუხედავად გაცხადებული ნაკლების რაოდენობის, მოცულობის და მნიშვნელობისა ობიექტის გამოყენებისთვის - ვერ ჩაითვლება მისაღებად (...).

ცოტა არათანმიმდევრულად პასუხობს გერმანული სასამართლო პრაქტიკა კითხვას, არის თუ არა საკმარისი მოწმის დიდი ასაკი ან მისი აშკარად გართულებული ჯანმრთელობის მდგომარეობა მტკიცებულებათა წარდგენის დამოუკიდებელი პროცედურის განხორციელებისთვის.

ბბ) § 485 Abs. 1 GER-ZPO-ით გათვალისწინებულ პროცედურაში სასამართლოს ევალება, რომ შეამოწმოს მხოლოდ პროცესის ზოგადი წინაპირობები, მაგრამ არა მოთხოვნის ლოგიკურობა ან მტკიცებულების მნიშვნელობა გადაწყვეტილების მიღებისთვის. მართალია, ასეთი გადაწყვეტილება გერმანულ სასამართლო პრაქტიკაში, საბოლოო ჯამში, მიღებულია მხოლოდ § 485 Abs. 2 GER-ZPO-სთან დაკავშირებით (იხ. ზემოთ, ა.ნ. 3), მაგრამ იგი ასევე მოქმედებს § 485 Abs. 1 GER-ZPO-თვისაც (შდრ. OLG Koblenz, Beschluss vom 07.09.2012 - 1 W 429/12 - juris). მით უმეტეს არ უნდა შეფასდეს მტკიცებულებები მათი წარდგენის დამოუკიდებელი პროცედურისას (OLG Zweibrücken, Beschluss vom 12.10.2012 - 3 W 139/12 - NJW-RR 2013, 383). ზაარბრიუკენის უმაღლესი სამხარეო სასამართლო (Beschluss vom 13.09.2004 - 4 W 166/04 - juris) აღნიშნულთან დაკავშირებით თვალსაჩინოდ აყალიბებს:

„სწორი შეხედულების მიხედვით, მტკიცებულებათა წარდგენის დამოუკიდებელი პროცედურის დაწყება დამოკიდებული არ არის მტკიცების ლოგიკურობაზე, ან დასამტკიცებელ ფაქტზე დაფუძნებული შესაძლო პროცესის წარმატების შანსებზე. ვინაიდან მტკიცებულებათა წარდგე-

ნის დამოუკიდებელი პროცედურის ამოცანა ვერ იქნება ის, რომ, გათვალისწინებული სასამართლო ინსტანციის გვერდის ავლით, წინასწარ განჭვრიტოს, თუ როგორ გადაწყდება მხარეთა შორის წარმოშობილი სამართლებრივი საკითხი. შესაბამისად, საპროცესო-ეკონომიური მოქმედების მოთხოვნის გათვალისწინებით, მტკიცებულებათა დამოუკიდებლად მიღებაზე წვდომის შეზღუდვა მაშინ განიხილება, როდესაც ზედაპირული გადამონმების ფარგლებში, გარკვეულწილად, აშკარად საგრძნობია, რომ მოთხოვნის უფლება, რომელიც უნდა დამტკიცდეს, ვერავითარ შემთხვევაში ვერ იარსებებს, რადგან მხოლოდ მაშინ, როდესაც სამართლებრივი დევნის წარუმატებლობა ნებისმიერი გონიერი დამკვირვებლისთვის აშკარად ნათელია, სასამართლომ, რესურსების დაზოგვის მიზნით, თავი უნდა შეიკავოს მტკიცებულებათა უაზროდ მიღებისგან (OLG Celle NJW-RR 2000, 1100; OLG Köln NJW-RR 1996, 573; OLG Bamberg NJW-RR 1995, 893...).

ბ) როგორც უკვე აღვნიშნეთ, მტკიცებულებათა წარდგენის დამოუკიდებელი პროცედურისას შესაძლებელია ასევე განხილული იყოს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის არმქონე მესამე პირების ჩაბმა, მათ შორის, ერთ-ერთი მხარის ინიციატივით (იხ. 89-ე და მომდევნო მუხლი, ა.ნ. 3). სასამართლოში საქმის არსებითად განხილვისთვის არბიტრაჟზე შეთანხმების არსებობა არ უშლის ხელს მტკიცებულებათა წარდგენის დამოუკიდებელი პროცედურის განხორციელებას (OLG Köln, Beschluss vom 04.02.2002 - 17 W 24/02 - BauR 2002, 1120). თუ რამდენად უშლის ხელს მომრიგებელ ექსპერტთა შეთანხმება მტკიცებულებათა წარდგენის დამოუკიდებელი პროცედურის განხორციელებას, დამოკიდებულია ცალკეული შემთხვევის გარემოებებზე. მაგრამ სამართლებრივი დაცვის მოთხოვნა, ყოველ შემთხვევაში, მაშინ არსებობს, როდესაც არბიტრაჟის ფარგლებში შეთანხმებული ექსპერტის დასკვნის მოპოვება არ ხდება (OLG Karlsruhe, Beschluss vom 17.08.2015 - 9 W 30/15 - MDR 2015, 1201).

გ) მტკიცებულებასთან დაკავშირებულ შეკითხვებს ექსკლუზიურად მხოლოდ განმცხადებელი ადგენს. ამასთან, სასამართლო მტკიცებულებათა წარდგენის დამოუკიდებელი პროცედურის ფარგლებშიც ვალდებულია, შემოიფარგლოს განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ფაქტებით, მაშინაც კი, როდესაც განაცხადის მოწინააღმდეგე მხარე მათ სადავოს ხდის (BGH, Beschluss vom 04.11.1999 - VII ZB 19/99 - NJW 2000, 960). თუმცა, ამ მხარეს შეუძლია, ე.წ. **საწინააღმდეგო განაცხადის** საშუალებით

ბით ჩართოს თავისი მტკიცებულებასთან დაკავშირებული საკითხები მტკიცებულებათა წარდგენის დამოუკიდებელ პროცედურაში (BGH, Beschluss vom 21.01.2003 - VI ZB 51/02 - BGHZ 153, 302; BGH, Beschluss vom 04.11.1999 - VII ZB 19/99 - NJW 2000, 960).

მტკიცებულებათა წარდგენის დამოუკიდებელი პროცედურის (მისი ფუნქციის - როგორც სავარაუდოდ საჭირო მტკიცებულებათა შეგროვების - შესაბამისად) **მტკიცების საგნის ობიექტი** შეიძლება იყოს მხოლოდ ის, რაც სადავო წარმოებისას შეიძლება გახდეს მტკიცებულებათა შეგროვების საგანი, ანუ ფაქტების დადგენა, და არა სამართლებრივ საკითხებზე პასუხის გაცემა (BGH, Beschluss vom 08.10.2009 - V ZB 84/09 - NJW-RR 2010, 233). არსებითი განსხვავება გამომდინარეობს მხოლოდ იქიდან, რომ სადავო წარმოებისას მტკიცებულებები შეიძლება შეგროვდეს ექსკლუზიურად მხოლოდ (სასამართლოს შეხედულებით) მტკიცებულებისთვის მნიშვნელოვან ფაქტებზე, მაშინ, როდესაც სასამართლოს - როგორც უკვე აღინიშნა - მტკიცებულებათა წარდგენის დამოუკიდებელი პროცედურის ფარგლებში, პრინციპულად არ ევალება გადაწყვეტილებისთვის მისი არსებითობის დადგენა.

4. მტკიცებულებათა წარდგენის დამოუკიდებელი პროცედურის გადამწყვეტი შედეგია ის, რომ მის დროს დასაშვებად მიღებული **მტკიცებულებები, § 493 GER-ZPO-ის შესაბამისად, საქმის არსებითი განხილვისას გამოყენებული იქნება ისე, როგორც საქმის არსებითი განხილვისას მოპოვებული** (vgl. BGH, Beschluss vom 14.03.2018 V ZB 131/17 - NJW 2018, 1749; BGH, Beschluss vom 08.10.2009 - V ZB 84/09 - NJW-RR 2010, 233).

ეს ნიშნავს, რომ ისინი, ერთი მხრივ, საქმის არსებითი განხილვისას უშუალოდ მიღებულ მტკიცებულებებს არ ჩამოუვარდება საპროცესო-სამართლებრივი თვალსაზრისით, მაგრამ, მეორე მხრივ, მათ პირველად ხსენებულ მტკიცებულებებზე ძლიერი ეფექტი არ გააჩნიათ. ამიტომაც ევალება სასამართლოს საქმის არსებითი განხილვისას მტკიცებულებათა წარდგენის დამოუკიდებელი პროცედურით მიღებული შედეგების საკუთარი პასუხისმგებლობით შეფასება; განსაკუთრებით, ის, რომ ხელახლა დაკითხოს მოწმეები, თუ მტკიცებულებათა წარდგენის დამოუკიდებელი პროცედურის შედეგის მიხედვით, მათი დამაჯერებლობის საკმარისად შეფასება არ შეუძლია, ან ამ პროცედურის შედეგად, მათ ობიექტურ შინაარსთან მიმართებით არსებობს (შესაძლოა გამოსწორებადი) ეჭვის საფუძველი, ბუნდოვანებები და ხარვეზები. ასევე ევალება სასამა-

რთლოს, რომ ზოგადი საპროცესო-სამართლებრივი პრინციპების შესაბამისად, პირადად მოუსმინოს პროცესზე ექსპერტს, ან გამოითხოვოს ექსპერტიზის დამატებითი დასკვნა, თუ მტკიცებულებათა წარდგენის დამოუკიდებელი პროცედურის ფარგლებში მოპოვებული დასკვნა ვერ იძლევა პროცედურულად შესაფერისი და საკმარისად მტკიცე საფუძვლის შექმნის შესაძლებლობას (იხ. 105-ე მუხლის ა.ნ. 40 და მომდევნო აბზაცები; ასევე, BGH, Beschluss vom 17.05.2017 - VII ZR 36/15 - NJW 2017, 3661; BGH, Beschluss vom 22.05.2007 - VI ZR 233/06 - NJWRR 2007, 1294). განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ამ ასპექტს მაშინ, როდესაც მტკიცებულებათა წარდგენის დამოუკიდებელ პროცედურაზე, შემდგომში საქმის არსებითად განმხილველი მოსამართლისგან განსხვავებით, სხვა მოსამართლე იყო პასუხისმგებელი, რადან ასეთი განვითარებისას არ არის დაცული მტკიცებულებათა გამოკვლევის უშუალოების (მტკიცებულების მიმღები მოსამართლისა და მისი შემფასებელი მოსამართლის იდენტიურობა) ზოგადი საპროცესო-სამართლებრივი პრინციპი.

მუხლი 177. საქმის აღძვრა

1. საქმე პირველი ინსტანციის სასამართლოში აღიძვრება სარჩელით, ხოლო ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში – განცხადებით.

2. სარჩელი (განცხადება) შედგენილი უნდა იყოს წერილობითი ფორმით, როგორც წესი, ნაბეჭდი სახით.

3. სარჩელი უნდა უპასუხებდეს ამ კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული ფორმის ნიმუშს და შედგენილი უნდა იყოს ამ ნიმუშში მითითებული წესების დაცვით. სარჩელში სრულყოფილად და თანამიმდევრობით უნდა იყოს ასახული მოსარჩელის მოსაზრებები საქმის თითოეულ ფაქტობრივ გარემოებასა და მტკიცებულებასთან დაკავშირებით.

მუხლი 178. სარჩელის შინაარსი

1. სარჩელში უნდა აღინიშნოს:

ა) სასამართლოს დასახელება, რომელშიც შეაქვთ სარჩელი;

ბ) მოსარჩელის, მისი წარმომადგენლის (თუ სარჩელი შეაქვს წარმომადგენელს), მოპასუხის, მოწმის, სხდომაზე მოსაწვევი სხვა პირის სახელი, გვარი (სახელწოდება), ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი), აგრეთვე არსებობის შემთხვევაში ალტერნატიული მისამართი, სამუშაო ადგილის მისამართი, ტელეფონის ნომერი, მათ შორის, მობილურის, ელექტრონული ფოსტის მისამართი, ფაქსი. სარჩელში შესაძლოა მოსარჩელემ ან მისმა წარმომადგენელმა ასევე მიუთითოს საკონტაქტო პირის მონაცემები. თუ სარჩელი შეაქვს იურიდიულ პირს, ინდივიდუალურ მენარმეს ან წარმომადგენელს (გარდა კანონიერი წარმომადგენლისა), იგი ვალდებულია მიუთითოს ელექტრონული ფოსტის მისამართი და ტელეფონის ნომერი;

გ) დავის საგანი;

დ) სარჩელის ფასი;

ე) კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნებს;

ვ) მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს მოსარჩელის მიერ მითითებულ გარემოებებს;

ზ) მოსარჩელის მოთხოვნა;

თ) სამართლებრივი საფუძვლები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნებს;

ი) არსებობის შემთხვევაში, მოსარჩელის შუამდგომლობები:

ი.ა) სასამართლომ დაავალოს მოპასუხეს იმ მტკიცებულებათა წარმოდგენა, რომლებიც მასთან ინახება და რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნებს;

ი.ბ) სასამართლომ მისცეს მითითება შესაბამის დანესებულებებს, რათა მათ წარუდგინონ სასამართლოს ყველა ის წერილობითი თუ ნივთიერი საბუთი და მასალა, რომლებსაც შეუძლიათ დაადასტურონ სარჩელში აღნიშნული გარემოებები და რომელთა გაცემაზედაც არამართლობიერად უთხრეს უარი მოსარჩელეს;

ი.გ) სასამართლომ დროულად შეატყობინოს და სასამართლო სხდომაზე გამოიძახოს მონაშენები, რომლებსაც შეუძლიათ დაადასტურონ სარჩელში აღნიშნული გარემოებები;

ი.დ) ვინ შეიძლება ჩაებას პროცესში თანამონაწილედ ან მესამე პირად;

ი.ე) სხვა სახის შუამდგომლობები;

კ) სარჩელისათვის დართული დოკუმენტების ნუსხა;

ლ) ამ კოდექსის 180-ე მუხლით გათვალისწინებული იურიდიული ინტერესი, თუ აღძრულია აღიარებითი სარჩელი;

მ) მოსარჩელის მოსაზრება საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის თაობაზე;

ნ) მოსარჩელის მოსაზრება დავის სასამართლო მედიაციის გზით განხილვის თაობაზე.

2. სარჩელს უნდა დაერთოს წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, თუ სარჩელი სასამართლოში შეაქვს წარმომადგენელს.

2¹. სარჩელს უნდა ერთოდეს სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი (დედანი).

3. მოსარჩელე ვალდებულია, სარჩელს დაურთოს მასში მითითებული ყველა მტკიცებულება. თუ მოსარჩელეს საპატიო მიზეზით არ შეუძლია სარჩელთან ერთად მტკიცებულებათა წარდგენა, იგი ვალდებულია, ამის შესახებ მიუთითოს სარჩელში. მოსარჩელე უფლებამოსილია, მტკიცებულებათა წარდგენისათვის მოითხოვოს გონივრული ვადა.

3¹. სასამართლოს უნდა წარედგინოს სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების იმდენი ასლი, რამდენიც მოპასუხეა.

4. მოსარჩელე, მისი წარმომადგენელი (თუ სარჩელი შეაქვს წარმომადგენელს) ვალდებულია, ზუსტად მიუთითოს სარჩელში

საკუთარი, მოპასუხის, მონმის, ასევე სხდომაზე მოსაწვევი სხვა პირის მისამართები.

5. სარჩელს ხელს აწერს მოსარჩელე ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენელი.

ულრის ჰაგენლოხი	590
177-ე და მომდევნო მუხლი.....	590
გზია თოდუა.....	608
177-ე მუხლი.....	608

უღრის ჰაბენლოხი

177-ე და მომდევნო მუხლი

სსკ-დან მოყვანილი სამართლებრივი ნორმები:

- სსკ-ის 177-ე მუხლი
- სსკ-ის 178-ე მუხლი
- სსკ-ის 181-ე მუხლი, ა.ნ. 32 და მომდევნო აბზაცები

სასარჩელო განცხადება, სამართლებრივი დაცვის მოთხოვნა, სარჩელი სასამართლო გადაწყვეტილების შეცვლის მოთხოვნით, სარჩელი ვალდებულებების მომავალში შესრულების შესახებ

1. სსკ-ის 117-ე, 178-ე მუხლების შესაბამისი დებულება გერმანულ სამოქალაქო საპროცესო კოდექსში შემდეგნაირად არის ჩამოყალიბებული:

§ 253 GER-ZPO - სასარჩელო განცხადება

(1) სარჩელი აღიძვრება წერილობითი დოკუმენტის (სასარჩელო განცხადების) ჩაბარებით.

(2) სასარჩელო განცხადებაში მითითებული უნდა იყოს:

1. მხარეთა და სასამართლოს დასახელება;
2. აღძრული მოთხოვნის კონკრეტული საგანი და საფუძველი, ასევე, გარკვეული განაცხადი.

(3) სასარჩელო განცხადებაში დამატებით მითითებული უნდა იყოს:

1. უძლოდა თუ არა წინ სარჩელის აღძვრას მედიაციის ან სასამართლოს გარეშე დავის მოგვარების სხვა მცდელობა; ასევე, არსებობს თუ არა ამ პროცედურის ხელშემშლელი საფუძველები;

2. დავის საგნის ფასი, როდესაც მასზეა დამოკიდებული სასამართლოს განსჯადობა და დავის საგანი არ არის გარკვეული ფულადი თანხა;

3. არსებობს თუ არა საქმის ერთპიროვნულად განმხილველი მოსამართლის მიერ გადაწყვეტის ხელშემშლელი საფუძველები

1. ამით, საქართველოსგან განსხვავებით, სამართლებრივი განმარტებები არ განეკუთვნება სასარჩელო განცხადების სავალდებულოდ მისათითებელ მონაცემებს (§ 253 Abs. 2 GER-ZPO). მიუხედავად ამისა, ადვოკატები მათ მიერ მომზადებულ სასარჩელო განცხადებებში, როგორც წესი, რთავენ სამართლებრივ განმარტებებს - სულ მცირე, მაშინ, როდესაც სამართლებრივი მდგომარეობა უეჭველი არ არის ან/და როდესაც საქმის განხილვისას განსაკუთრებით სადავოა სამართლებრივი საკითხები.

2. § 253 Abs. 2 Nr. 2 GER-ZPO-ით, მოთხოვნის საგანსა და საფუძველთან დაკავშირებით მოთხოვნილი მონაცემები ემსახურება **დავის საგნის საპროცესო ინდივიდუალიზაციას** (იხ. ზემოთ, მე-3 მუხლის, პირველი ნაწილი, ა.ნ. 19 და მომდევნო აბზაცები). დებულების ეს მიზანი განსაზღვრავს გადმოცემის ვალდებულების არეალსაც (BGH, Urteil vom 21.11.2017 - II ZR 18/15 - NJW 2018, 1259; BGH, Beschluss vom 07.04.2009 - KZR 42/08 - GRUR-RR 2009, 319; BGH, Urteil vom 11.02.2004 - VIII ZR 127/03 - NJW-RR 2005, 216). ამიტომ, სარჩელის საგანი (ფაბულა) და საფუძველი ისე უნდა დასახელდეს, რომ შესაძლებელი იყოს დავის საგნის განსაზღვრა.

3. ა) **მოთხოვნის საფუძველი** გულისხმობს არა სამართლებრივ განმარტებებს, არამედ სამართლებრივ მიზანს, რამდენადაც ეს აუცილებელია საპროცესო დავის საგნის ინდივიდუალიზაციისათვის. თუ, მაგალითად, მოსარჩელის მოთხოვნა ეხება ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე გადახდის მოთხოვნებს, მაშინ ნათლად უნდა ჩანდეს, რას გულისხმობს ეს - ნასყიდობის ფასის ანუ შესრულების მოთხოვნას, თუ ვალდებულების შეუსრულებლობით გამონვეული ზიანის ანაზღაურების ან ნასყიდობის საგნის ნაკლით გამონვეული შედეგობრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას.

4. ბ) კითხვაზე, თუ რა მოთხოვნები უნდა წამოყენდეს **კონკრეტული საგნის** მიმართ, პასუხი ასევე გამომდინარეობს ამ დებულების ფუნქციიდან - კერძოდ იმის მიხედვით, თუ რამდენად კონკრეტულად უნდა დასახელდეს სასარჩელო განცხადების საფუძველად არსებული ფაბულა, რომ შესაძლებელი გახდეს საპროცესო დავის საგნის დადგენა (იხ. ზემოთ, მე-3 მუხლის, პირველი ნაწილის, ა.ნ. 19 და მომდევნო აბზაცები; განსაკუთრებით, ა.ნ. 29 და მომდევნო აბზაცები). ამიტომ, ზოგადი წინაპირობების განსაზღვრა შესაძლებელია მხოლოდ შეზღუდულად; მეტიც, ცალკეულ შემთხვევაში, ყურადღება უნდა მივაქციოთ მის ურთიერთქმედებას

საპროცესო დავის საგანთან. თუმცა, § 253 Abs. 2 Nr. 2 GER-ZPO-ის გაგებით, განსაზღვრული საგნის მითითებისთვის არ არის აუცილებელი, რომ შესაბამისი ფაბულა სასარჩელო განცხადებაში სრულად აღინეროს, ან სასარჩელო მოთხოვნა ლოგიკურად და კვალიფიციურად გადმოიცეს. ამიტომ, როდესაც მოთხოვნა იდენტიფიცირებადია, საკმარისია, შესაძლებელი იყოს მისი გამიჯვნა სხვა მოთხოვნებისგან (BGH, Urteil vom 21.03.2018 - VIII ZR 84/17 - NJW 2018, 575; BGH, Versäumnisurteil vom 16.11.2016 - VIII ZR 297/15 - NJW-RR 2017, 380; BGH, Urteil vom 26.06.2013 - IV ZR 39/10 - NJW 2013, 3580). საჭიროების შემთხვევაში, სასარჩელო განცხადებაში წარმოდგენილი შინაარსობრივი ფორმულირებებიდან განმარტების გზით უნდა გამოიტანონ დასკვნა, თუ რა კონკრეტულ მოთხოვნას ახორციელებს მოსარჩელე (BGH, Urteil vom 08.05.2014 - I ZR 217/12 - BGHZ 201, 129; BGH, Urteil vom 24.04.2018 XI ZR 207/17 - NJW 2018, 3098; BGH, Beschluss vom 17.01.2017 - XI ZR 170/16 - juris). თუ რამდენად კვალიფიციურად არის წარმოდგენილი საქმის გარემოებები, ამის დადგენა არა სარჩელის დასაშვებობის, არამედ მისი დასაბუთებულობის საკითხია (BGH, Beschluss vom 07.04.2009 - KZR 42/08 - GRUR-RR 2009, 319; BGH, Urteil vom 11.02.2004 - VIII ZR 127/03 - NJW-RR 2005, 216).

5. გ) სასარჩელო განცხადების განსაზღვრულობის მიზანია საპროცესო დავის საგნის კონკრეტიზაცია. ამასთან, განსაზღვრული სასარჩელო განცხადებით, იმავდროულად, იქმნება აღსრულებადი გადაწყვეტილების გამოტანის წინაპირობა (BGH, Urteil vom 21.03.2018 - VIII ZR 68/17 NJW 2018, 3448; BGH, Urteil vom 22.03.2018 - I ZR 118/16 - MDR 2018, 1330; BGH, Urteil vom 14.12.1998 - II ZR 330/97 - NJW 1999, 954) და მოპასუხეს ეძლევა თავის ადეკვატურად და ამომწურავად დაცვის შესაძლებლობა (BGH, Urteil vom 21.03.2018 - VIII ZR 68/17 - NJW 2018, 3448; BGH, Urteil vom 22.03.2018 - I ZR 118/16 - MDR 2018, 1330).

6. აა) თუ რა მოთხოვნები უნდა წამოყენდეს სასარჩელო განცხადების განსაზღვრულობის მიმართ, ასევე დამოკიდებულია გამოსაყენებელი მატერიალური სამართლის სახეობასა და ცალკეული შემთხვევის გარემოებებზე (BGH, Urteil vom 28.11.2002 - I ZR 168/00 - BGHZ 153, 69). ამასთან, ერთი მხრივ, გასათვალისწინებელია, რომ მოპასუხეს სარჩელის წინააღმდეგ თავის ადეკვატურად და ამომწურავად დაცვა შეუძლია მხოლოდ მაშინ, როდესაც იცის, თუ რა კონკრეტულ სასარჩელო მოთხოვნას ახორციელებს მოსარჩელე. ამასთან, გადაწყვეტილების აღსრულებადო-

ბასთან დაკავშირებით, შეძლებისდაგვარად უნდა იყოს გათვალისწინებული იურიდიული სიცხადისა და სამართლებრივი უსაფრთხოების მოთხოვნა; მეორე მხრივ, თავიდან უნდა აირიდონ ის, რომ განსაზღვრულობის მიმართ გადამეტებული მოთხოვნების გამო, მოსარჩელეს ხელი შეეშალოს ეფექტიანი სამართლებრივი დაცვით სარგებლობაში (შდრ. ურთიერთშენიშვნასთან დაკავშირებით, ასევე: BGH, Urteil vom 28.11.2002 - I ZR 168/00 - BGHZ 153, 69).

7. ერთგვარ პირველ საკონტროლო მოსაზრებად შეიძლება გამოგვადგეს, ეცოდინებოდა თუ არა აღსრულების ორგანოს - რომელიც არ იცნობს სამართლებრივი დავის წინაპირობებს ან სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძვლებს - სასარჩელო განცხადების შესაბამისად გამოტანილი გადაწყვეტილებით, თუ რისი აღსრულება ევალება მას. მეორე საკონტროლო მოსაზრება, საჭიროების შემთხვევაში, შეიძლება მიემართებოდეს საკითხს, რომ სასარჩელო განცხადებისა და წარმოდგენილი საქმის გარემოებების ერთიანად განხილვის შედეგად, უდავოა, სასარჩელო განცხადებაზე გამოტანილი გადაწყვეტილებით რის შესახებ არის მიღებული დასკვნა და რის შესახებ - არა, ან, შესაბამისად, შეუძლია თუ არა მოპასუხეს სასარჩელო განცხადებიდან გაგება, თუ რისგან უნდა დაიცვას თავი საკუთარი ინტერესების განსახორციელებლად. გარკვეული მოქმედებისგან თავშეკავების ან თმენის შესახებ განცხადებისას, დამატებითი საკონტროლო მოსაზრების სახით ასევე განიხილება საკითხი, ეცოდინებოდა თუ არა მოქმედებისგან თავშეკავების ან თმენის მოთხოვნის მოვალეს სასარჩელო განცხადებაზე გამოტანილი გადაწყვეტილებით, თუ რისი გაკეთება ეკრძალება (ან, შესაბამისად, რისი თმენა ევალება) მას და რისი - არა. თუმცა, ყოველთვის გასათვალისწინებელია, რომ მოსარჩელეს არ უნდა შეეშალოს ხელი უფლების ეფექტიან განხორციელებაში, კერძოდ, იმით, რომ სასარჩელო განცხადების განსაზღვრულობის მიმართ წაყენებულია ისეთი მოთხოვნები, რომელთა შესრულებაც მას კონკრეტულ ვითარებაში საერთოდ არ შეუძლია.

8. ბბ) ამასთან დაკავშირებით, სასამართლო პრაქტიკაში შემდეგი თემები წარმოიჭრება:

9. (1) როგორც უკვე აღვნიშნე, **გარკვეული მოქმედებისგან თავშეკავების ან თმენის შესახებ განცხადება** - და, § 313 Abs. 1 Nr. 4 GER-ZPO-ის მიხედვით, მასზე დაფუძნებული გადაწყვეტილება - არ შეიძლება ჩამოყალიბდეს ისე ბუნდოვნად, რომ დავის საგანი, ისევე, როგორც სასამართლოს შემონიშნებისა და გადაწყვეტილების უფლებამოსილების არეა-

ლი, ნათლად არ იყოს მოხაზული (იხ. ზემოთ ა.ნ. 6). თუმცა, ზოგადი ცნებების გამოყენება სასარჩელო განცხადებაში არ არის პრობლემა, თუ გამოყენებული ცნებების შინაარსი უდავოა და ამით განცხადებისა და დაწყვეტილების არეალი დადგენილია ((BGH, Urteil vom 10.02.2011 - I ZR 136/09 BGHZ 188, 326; BGH, Urteil vom 06.10.2016 - I ZR 25/15 - MDR 2017, 533). თუ მხარეთა შორის არსებობს დავა ზოგადი ცნებების მნიშვნელობაზე, მოსარჩელემ ეს ცნებები საკმარისად კონკრეტულად უნდა აღწეროს და, საჭიროების შემთხვევაში, მაგალითებიც დაურთოს, ანდა თავის მოთხოვნას საფუძვლად დაუდოს ზიანის მიყენების კონკრეტული ქმედება (BGH, Urteil vom 06.10.2016 - I ZR 25/15 - MDR 2017, 533).

10. ამ თვალსაზრისით, გამორჩეულად პრობლემატურია გერმანულ პრაქტიკაში არცთუ იშვიათი, ე.წ. „განსაკუთრებით“ განაცხადები, რომელთა შემთხვევაშიც, თავიდან უფრო ზოგადად ჩამოყალიბებული სასარჩელო მოთხოვნა ივსება ისეთი მოქმედებების დასახელებით, რომელთა განხორციელებისგან თავშეკავებას ან თმენას „განსაკუთრებით“ ითხოვს განმცხადებელი. ასეთმა გადაბმება შეიძლება გამოიწვიოს მთელი სასარჩელო განცხადების განუსაზღვრელობა, თუ ნათლად არ იკვეთება, როგორ დამოკიდებულებაში უნდა იყოს ეს მოთხოვნები ერთმანეთთან. ერთი მხრივ, შეიძლება, რომ მოქმედებისგან თავშეკავების განცხადების ნაწილის დაწყება სიტყვით - „განსაკუთრებით“ - უბრალოდ იმას ემსახურებოდეს, რომ მაგალითის სახით დაკონკრეტდეს მოთხოვნილი აბსტრაქტული აკრძალვა; მაგრამ, მეორე მხრივ, შეიძლება, მოსარჩელეს თავისი განცხადების „განსაკუთრებით“ ნაწილით სურდეს იმის გამოსატყვევება, რომ თუ ვერ მოახერხებს თავისი ზოგადად ჩამოყალიბებული განცხადების ნაწილით მიზნის მიღწევას, ყოველ შემთხვევაში, მოითხოვს „განსაკუთრებით“ ამ ქცევისაგან თავშეკავებას. საქმის ასეთი ვითარებისას, ფაქტობრივი მოთხოვნა სასამართლოს მიერ განმარტების გზით უნდა დადგინდეს (აღიარებითი სარჩელისთვის, იხ: BGH, Beschluss vom 09.01.2018 - II ZB 14/16 - NJW-RR 2018, 578; BGH, Beschluss vom 19.09.2017 - XI ZB 17/15 - NJW 2017, 3777). თუ ამ თვალსაზრისით კიდევ რჩება გაურკვეველობები მოსარჩელის ფაქტობრივი ნების თაობაზე, სასამართლომ უნდა გამოარკვიოს ისინი. თუ მოსარჩელე, მიუხედავად მოსამართლის მითითებისა, არ გააკეთებს განმარტებას, შეიძლება, რომ განცხადების ზოგად ნაწილსა და სიტყვით - „განსაკუთრებით“ - დაწყებულ ნაწილს შორის გაურკვეველი ურთიერთდამოკიდებულების გამო სარჩელის მიღებაზე უარი ითქვას დაუშვებლობის მიზეზით. დამატებით უნდა

აღინიშნოს, რომ განცხადების ეს ე.წ. „განსაკუთრებით“ ნაწილები სამართლებრივად არ არის შუამდგომლობის მოთხოვნები (BGH, Urteil vom 05.11.2015 - I ZR 50/14 - MDR 2016, 1279; BGH, Urteil vom 02.02.2012 - I ZR 81/10 - MDR 2012, 1185), ვინაიდან ისინი შინაარსობრივად უფრო შორს მიმავალ ზოგადად ჩამოყალიბებულ სასარჩელო მოთხოვნაში გვხვდება.

11. დამატებით წარმოგიდგინთ შემდეგ მაგალითებს სასამართლო პრაქტიკიდან: სარჩელი, რომელიც მიმართულია დაუშვებელი ჩალრმავებისგან თავშეკავებისკენ („აუცილებელი საყრდენი“) არ მოითხოვს საფრთხის ქვეშ მყოფი მიწის ნაკვეთის ნიადაგის სიმტკიცის მითითებას (BGH, Urteil vom 29.05.2009 - V ZR 15/08 - NJW 2009, 2528). როცა სარჩელი ეხება საცხოვრებელი ფართის ქირავნობის ფარგლებში მოდერნიზების სამუშაოების თმენას, საკმარისია, რომ სასურველი თმენის შედეგი, ისევე, როგორც მოსათმენი სამუშაოების მოცულობა, თავის არსებითი მონახაზებითა და ნაბიჯებით, აღწერილი იყოს განცხადებაში (BGH, Urteil vom 28.09.2011 - VIII ZR 242/10 - NJW 2012, 63). ამით მოვალეს, ერთი მხრივ, საკმარისი შესაძლებლობა ეძლევა იმის გასაცნობად, თუ რა სახის ქმედებების მოთმენას ითხოვენ მისგან; მეორე მხრივ კი კრედიტორის იძულებითი აღსრულების შესაძლებლობები მიუღებლად არ რთულდება.

12. (2) გამიჯვნის პრობლემებს ვანყდებით მაშინაც, როდესაც დასადგენია, საკმარისად განსაზღვრულია თუ არა **მიმდინარე გადახდების დასრულების დრო**. ასე, მაგალითად, სასამართლო პრაქტიკამ საკმარისად განსაზღვრულად მიიჩნია განცხადება ნივთის გაცემამდე დადგენილი თვიური განაკვეთების გადახდის, მაგრამ არა მუშაობის სრული უნარის აღდგენამდე განსაზღვრული თვიური განაკვეთების გადახდაზე (BGH, Urteil vom 14.12.1998 - II ZR 330/97 - NJW 1999, 954).

13. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს: გერმანულ სამოქალაქო საპროცესო სამართალში ისედაც არ არის რეკომენდებული, რომ მიმდინარე გადახდის ვალდებულებები, რომელთა დასრულების მომენტი არ არის ცნობილი, მეტ-ნაკლებად აბსტრაქტული ფორმულირების საშუალებით, გამოყენებული იყოს სასარჩელო განცხადების საგნად. კრედიტორისთვის არსებითად უფრო გონივრულია, რომ ასეთ ვითარებაში სასარჩელო განცხადება დროში შეზღუდვის გარეშე წარადგინოს და შემდეგ დაელოდოს მოვალის საპროცესო გააქტიურებას, თუკი მიაჩნია, რომ მისი მიმდინარე გადახდის ვალდებულება, შეცვლილი ურთიერთობების გა-

მო, მთლიანად ან ნაწილობრივ გაუქმებულია. ამისათვის, განმეორებადი მომსახურებების შემთხვევაში (როგორცაა, მაგალითად, დელიქტიდან გამომდინარე სარჩოს ან პენსიის გადახდები), მას შეუძლია, გამოიყენოს § 323 GER-ZPO-ით გათვალისწინებული **სარჩელი სასამართლო გადაწყველების შეცვლის მოთხოვნით.**

§ 323 GER-ZPO - გადაწყვეტილებების შეცვლა

(1) თუ გადაწყვეტილება შეიცავს ვალდებულებას განმეორებადი მომსახურებების შესახებ, რომელთა შესრულების ვადა მომავალში დადგება, ნებისმიერ მხარეს შეუძლია მოითხოვოს მისი შეცვლა. სარჩელი დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როცა მოსარჩელე წარმოადგენს ფაქტებს, რომლებიდანაც გამომდინარეობს გადაწყვეტილების საფუძვლად არსებული ფაქტობრივი ან სამართლებრივი ურთიერთობების არსებითი ცვლილება.

(2) სარჩელი შეიძლება დაეყრდნოს მხოლოდ ისეთ საფუძვლებს, რომლებიც წარმოიშვა წინა სასამართლო პროცესზე ფაქტების განხილვის დასრულების შემდეგ და რომელთა განხორციელება საჩივრის საშუალებით შეუძლებელი იყო ან არის.

(3) შეცვლა დასაშვებია სარჩელის წარმოებაში მიღების მომენტიდან.

(4) თუ სახეზეა ფაქტობრივი ან სამართლებრივი ურთიერთობის არსებითი ცვლილება, გადაწყვეტილება უნდა მოერგოს მისი საფუძვლების შენარჩუნებით.

14. ამასთან, ისევე, როგორც § 767 Abs. 2 GER-ZPO (იხ. ზემოთ მე-10 მუხლის ა.ნ. 42), § 323 Abs. 2 და 3 GER-ZPO-ც ემსახურება საწყისი გადაწყვეტილების მატერიალური სამართლებრივი ძალის ეფექტის უზრუნველყოფას.

15. (3) რამდენიმე სამართლებრივად დამოუკიდებელი დავის საგნისგან შემდგარი ნაწილობრივი სარჩელებისას, მოსარჩელემ ან სათითაოდ უნდა მიუთითოს, როგორ სურს მოთხოვნილი მთლიანი თანხის ციფრობრივად სხვადასხვა მოთხოვნაზე განაწილება, ან მიუთითოს რიგითობა, რომლის მიხედვითაც ხორციელდება მისი მოთხოვნები მითითებულ მთლიან თანხამდე (BGH, Urteil vom 10.07.2012 - VI ZR 341/10 - BGHZ 194, 26; BGH, Beschluss vom 02.05.2017 - VI ZR 85/16 - NJW 2017, 2623; იხ. ზემოთ, მე-3 მუხლის, მე-2 ნაწილი, ა.ნ. 10 და მომდევნო აბზაცები). თუმცა, ეს წესი არ მოქმედებს, როდესაც საქმის გარემოებე-

ბი, რომლებიდანაც გამომდინარეობს მოსარჩელის მიერ ნაწილობრივი სარჩელით განხორციელებული მოთხოვნები, პროცესუალურად ერთიან დავის საგანს ქმნის (იხ. ზემოთ, მე-3 მუხლის, მე-2 ნაწილი, ა.ნ. 10 და მომდევნო აბზაცები; და მე-3 მუხლის პირველი ნაწილი, ა.ნ. 19 და მომდევნო აბზაცები).

16. (4) როცა **სარჩელი შეეხება ნივთის უკან გამოთხოვას**, შესაბამისი საგანი კონკრეტულ შემთხვევაში მაქსიმალურად ზუსტად უნდა დასახელდეს, რომ იძულებითი აღსრულებისას შესაძლებელი იყოს მისი ინდივიდუალიზება. ამასთან, ეფექტიანი სამართლებრივი დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე, იძულებითი აღსრულებისას უნდა მიიღონ გარკვეული სირთულეები, თუ ისინი გარდაუვალია (BGH, Urteil vom 30.11.1989 - III ZR 112/88 - BGHZ 109, 260). ეს ნიშნავს, რომ მოსარჩელემ უნდა მოახდინოს მისთვის ცალკეულ შემთხვევაში შესაძლებელი კონკრეტიზაცია, მაგრამ მას არ შეუძლია, მოითხოვოს იმაზე მეტი, ვიდრე შესაძლებელია, რადგან სხვა შემთხვევაში ის ფაქტობრივად ვერ მიიღებდა თავისი უფლებების განხორციელების ეფექტიან შესაძლებლობას. ეს განსაკუთრებით ნათლად ჩანს ე.წ. გვაროვნული ნივთების ყიდვა-გაყიდვისას, რომლის დროსაც ნასყიდობის საგნის კონკრეტიზაცია მატერიალურ-სამართლებრივად გამყიდველის მოვალეობაა და ამიტომ სასარჩელო განცხადება იმდენად ზოგადად უნდა ჩამოყალიბდეს, რომ კონკრეტიზაციის საშუალება ჯერ გამყიდველს მიეცეს და მხოლოდ აღსრულების შემთხვევაში გადავიდეს მყიდველზე (შდრ. Touissant, in Herberger/Martinek/Rüßmann/Weth/ Würdinger, jurisPK-BGB, 8. Aufl. 2017, § 243 BGB Rn. 15).

17. (5) **ხელშეშლის აღმოფხვრის** მოთხოვნისას, საკმარისია მოთხოვნილი შედეგის მითითება, ვინაიდან მატერიალურ-სამართლებრივად მოვალის გადასაწყვეტია, თუ რა გზით დააკმაყოფილებს ამ მოთხოვნას (BGH, Urteil vom 22.10.1976 - V ZR 36/75 - BGHZ 67, 252; BGH, Urteil vom 17.12.1982 - V ZR 55/82 - MDR 1983, 476; BGH, Urteil vom 26.11.2004 - V ZR 83/04 NZM 2005, 318).

18. (6) **ვალდებულებისგან გათავისუფლების** მოთხოვნისთვის მოქმედებს შესრულების სარჩელების განსაზღვრულობის მიმართ არსებული ზოგადი მოთხოვნები.

19. გათავისუფლება არის ქმედება, რომლის საშუალებითაც მოთხოვნის ადრესატმა კრედიტორის ვალი უნდა დაფაროს. მას განეკუთვნება, მაგალითად, § 775 GER-BGB-დან გამომდინარე, თავდების მოთხოვნის

უფლება გათავისუფლებაზე (შინაარსობრივად მეტნილად სსკ-ის 904-ე მუხლის იდენტურია) ან, ზიანის ანაზღაურების უფლებიდან გამომდინარე, გათავისუფლების მოთხოვნის უფლება, რომლის საშუალებითაც დამაზიანებელი ქმედების შედეგად გამონვეული ვალდებულებით დატვირთვისას, ქონებრივი ზიანი ამ ვალდებულებისგან გათავისუფლებით კომპენსირდება, თუ ის ჯერ კიდევ არ არის შესრულებული (BGH, Urteil vom 28.01.2016 - VII ZR 266/14 - BGHZ 208, 372; BGH, Urteil vom 13.09.2018 - III ZR 294/16 - NJW 2018, 3513; BGH, Urteil vom 16.11.2006 - I ZR 257/03 - NJW 2007, 1809). შესაბამისად, გათავისუფლების გადაწყვეტილებაში მოთხოვნა ისე ზუსტად უნდა იყოს აღწერილი, რომ აუცილებლობისას შესაძლებელი იყოს მოპასუხისაგან იძულებითი აღსრულების გზით მესამე მხარის - კრედიტორის დაკმაყოფილება (BGH, Urteil vom 04.12.1980 - IVa ZR 32/80 - BGHZ 79, 76; BGH, Urteil vom 04.10.2000 - VIII ZR 109/90 - NJW 2001, 155). იძულებითი აღსრულებისთვის აუცილებელ განსაზღვრულობას ვალდებულებისგან გათავისუფლებაზე მიმართული, აღსრულების ქვემდებარე აქტი ასახავს მხოლოდ მაშინ, როდესაც გადახდის ვალდებულების ოდენობა, რომლისგანაც უნდა მოხდეს გათავისუფლება, ცალსახად გამომდინარეობს ამ აქტიდან (BGH, Urteil vom 29.11.2013 - LwZR 8/12 - juris; BGH, Urteil vom 22.05.2012 - II ZR 14/10 - NJW 2013, 155).

20. ეს ნიშნავს, რომ მოთხოვნა გათავისუფლების შესახებ ისევე განსაზღვრულად უნდა დასახელდეს, როგორც გადახდის ან სხვა მავალდებულებელი სარჩელის გზით განხორციელების შემთხვევაში. თუ გათავისუფლების მოთხოვნის საკმარისად განსაზღვრა შეუძლებელია, მოსარჩელეს მხოლოდ ისლა რჩება, რომ აღძრას სარჩელი გათავისუფლების ვალდებულების დადგენაზე (BGH, Urteil vom 22.05.2012 - II ZR 14/10 - NJW 2013, 155; BGH, Urteil vom 22.03.2010 - II ZR 66/08 - NJW-RR 2010, 576). ეს განსაკუთრებით ეხება შემთხვევებს, როდესაც იმ მოთხოვნის ციფრობრივად განსაზღვრა, რომელსაც ეხება გათავისუფლების მოთხოვნა, ჯერ შეუძლებელია ან ეჭვგარეშე დადგენილი არ არის.

21. (7) განსაზღვრული განცხადების მოთხოვნა ასევე მოქმედებს § 256 GER-ZPO-ით გათვალისწინებული **აღიარებითი სარჩელის მიმართ** (იხ. ქვემოთ Art. 180). ამიტომ, მოსარჩელემ თავის განცხადებაში სამართლებრივი ურთიერთობა, რომლის არსებობაც უნდა დადგინდეს, იმდენად ზუსტად უნდა აღწეროს, რომ გამოირიცხოს ყოველგვარი გაურკვევლობა მისი იდენტურობის და, შესაბამისად, სასურველი აღიარებითი

მოთხოვნის კუთხით (BGH, Urteil vom 08.05.2014 - I ZR 217/12 - BGHZ 201, 129; BGH, Versäumnisurteil vom 16.11.2016 - VIII ZR 297/15 - NJW-RR 2017, 380). „განსაკუთრებით“ განცხადებების განმარტებასთან დაკავშირებით, იხ. ა.ნ. 11.

22. (8) პირობითი სასარჩელო განცხადებების დასაშვებობაზე იხ. მე-3 მუხლის მე-2 ნაწილი, ა.ნ. 9; ასევე, ა.ნ. 34 და მომდევნო აბზაცები.

23. (9) გარკვეულ თავისებურებებთან გვაქვს საქმე, როდესაც განცხადება გადახდის შესახებ, §253 GER-ZPO-ით განსაზღვრული ძირითადი პრინციპის საწინააღმდეგოდ, გამონაკლისის სახით, არ საჭიროებს ციფრობრივად გამონატვას. ამ საკითხთან დაკავშირებით, გასათვალისწინებელია მე-3 მუხლის პირველი ნაწილის ა.ნ. 41-სა და მომდევნო აბზაცებში გაკეთებული განმარტებები.

24. (10) თუ მოსარჩელისთვის (ჯერ) შეუძლებელია მავალდებულებელი სარჩელის აღძვრა GER-ZPO § 253 Abs. 2 Nr. 2-ის მოთხოვნების შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში, მას შეუძლია, გამოიყენოს § 256 GER-ZPO-ით გათვალისწინებული აღიარებითი სარჩელი. ეს წესი მოქმედებს განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მოსარჩელეს თავისი ზიანის ციფრობრივად წარმოდგენა ჯერ ან სრულყოფილად არ შეუძლია (იხ. ქვემოთ, 180-ე მუხლი, ა.ნ. 9 და მომდევნო აბზაცები).

25. 3. გერმანიაში, ჩვეულებრივ, მიღებულია, რომ სასარჩელო განცხადება (ასევე, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილიც) ყოველგვარი შინაარსობრივი დასაბუთების გარეშე შემოიფარგლოს სამართლებრივი დაცვის უბრალო მოთხოვნის არსებობით. ამდენად, მაგალითად, მოსარჩელე განცხადებით ითხოვს მხოლოდ იმას, რომ „მოპასუხეს დაეკისროს მოსარჩელისთვის 1000 ევროს გადახდა ... პროცენტის ჩათვლით“. საკითხი, თუ რა სამართლებრივ საფუძველს ეფუძნება ეს მოთხოვნა (მაგ.: ნასყიდობის ხელშეკრულებას, უსაფუძვლო გამდიდრების სამართალს თუ დელიქტს) მითითებული იქნება მხოლოდ სარჩელის დასაბუთებაში, მაგრამ არა სასარჩელო განცხადებაში.

26. 4. ყველა სარჩელს დასაშვებობისთვის ესაჭიროება **სამართლებრივი დაცვის მოთხოვნა.**

27. ა) მავალდებულებელი სარჩელის შემთხვევაში, სამართლებრივი დაცვის მოთხოვნა, როგორც წესი, უკვე იქიდან გამომდინარეობს, რომ მოვალემ გაცხადებული ვადამოსული მოთხოვნა არ შეასრულა (BGH, Urteil vom 22.08.2018 - VIII ZR 99/17 - NJW-RR 2018, 1285; BGH, Urteil

vom 21.09.2017 - I ZR 58/16 - MDR 2018, 46; BGH, Urteil vom 21.04.2016 - I ZR 100/15 - NJW 2017, 171). საპროცესო პრობლემები, მავალდებულებელი სარჩელის შემთხვევაში, გერმანიაში უმეტესად მხოლოდ მაშინ წარმოიქმნება, როდესაც მოსარჩელისთვის უფლების განხორციელების უფრო მარტივი გზა არსებობს, ან მოითხოვება ისეთი შესრულებები, რომლებიც სამომავლო და ამ დროისთვის ჯერ ვადამოსული არ არის.

28. აა) სამართლებრივი დაცვის მოთხოვნა მავალდებულებელი სარჩელის შემთხვევაში გამონაკლისის სახით არ არსებობს, თუ ეს ობიექტურად აბსოლუტურად უაზროა, ანუ მოსარჩელე თავისი საპროცესო მოთხოვნით ვერავითარ შემთხვევაში ვერ მოიპოვებს დაცვის ღირს უპირატესობას (BGH, Urteil vom 21.09.2017 - I ZR 58/16 - MDR 2018, 46; BGH, Beschluss vom 10.02.2016 - IV AR (VZ) 8/15 - NJWR 2016, 445). თუმცა, საქმე უნდა ეხებოდეს განსაკუთრებულ გამონაკლის შემთხვევას, რომელიც მოქმედებისგან თავშეკავების მოთხოვნის ფარგლებს გარეთ პრაქტიკულად არ გვხვდება (იხ. ქვემოთ ა.ნ. 35). ზოგადად, სამართლის მაძიებელ პირებს აქვთ უფლება, რომ სახელმწიფო სასამართლოებმა მათი მოთხოვნა არსებითად შეამონმონ და გადანყვიტონ (BGH, Urteil vom 21.09.2017 - I ZR 58/16 - MDR 2018, 46; BGH, Beschluss vom 10.02.2016 - IV AR (VZ) 8/15 - NJWR 2016, 445), კერძოდ, მაშინაც კი, როდესაც მოთხოვნა შეიძლება ძალიან დაუსაბუთებელი ჩანდეს.

29. სარჩელის ნაჩქარევად აღძვრისგან მოპასუხე იმით არის დაცული, რომ სამართლებრივი დავის ხარჯები, § 93 GER-ZPO-ს შესაბამისად, მოსარჩელეს უნდა დაეკისროს, თუკი მოპასუხეს, ერთი მხრივ, სარჩელის აღძვრისთვის არავითარი მიზეზი არ მიუცია და, მეორე მხრივ, სამართლებრივი დავისას სასარჩელო მოთხოვნას დაუყოვნებლივ აღიარებს. ასეთ, ე.წ. **დაუყოვნებლივ აღიარებასთან** საქმე გვაქვს, როდესაც მოპასუხე უკვე სარჩელის აღძვრისას მიაწინებს, რომ შესრულებისგან მხოლოდ ერთდროულად შესასრულებელი შეგებებული მოთხოვნის გამო იკავებს თავს, ეს შეგებებული მოთხოვნა ობიექტურად არსებობს და მოპასუხე, სარჩელის აღძვრის შემდეგ, მოთხოვნას დაუყოვნებლივ აღიარებს ერთდროულად შეგებებული შესრულების სანაცვლოდ (BGH, Beschluss vom 22.10.2015 - V ZB 93/13 - NJW 2016, 572). იგივე წესი მოქმედებს, ჩვეულებრივ, როდესაც მოსარჩელემ სარჩელის აღძვრამდე თავი შეიკავა შესრულების მოწოდებისგან. ცალკეული შემთხვევის გარემოებებზეა დამოკიდებული, უნდა შეიცავდეს თუ არა შესრულების მოწოდება მოთხოვნის შინაარსობრივ განმარტებას და, საჭიროების შემთხვევა-

ში, უნდა დაინყოს თუ არა განხილვის გონივრული ვადის დენა, რათა თავიდან აიცილონ §93 GER-ZPO-ის ხარჯებთან დაკავშირებული სამართლებრივი შედეგები. აღნიშნულთან საქმე გვაქვს, როდესაც მოვალემ მოთხოვნის უფლების არსებობის შესახებ არ იცის (ან მარტივად ვერ ეცოდინება), კრედიტორი კი მაინც აღძრავს სარჩელს ისე, რომ მანამდე მოთხოვნის უფლების საფუძველი, სულ მცირე, ზოგადადაც არ განუმარტავს და მოვალისთვის შემონმების გონივრული ვადაც კი არ მიუცია (შდრ. BGH, Urteil vom 22.01.2015 - I ZR 5/14 - NJW 2015, 3244; OLG Stuttgart, Beschluss vom 02.05.2012 - 13 W 16/12 NJW-RR 2012).

30. ბბ) მავალდებულებელი სარჩელისთვის სამართლებრივი დაცვის ინტერესი არ არსებობს, როდესაც სამართლებრივი დაცვის იმავე მიზნის მისაღწევად არსებობს ასევე უეჭველი, მაგრამ უფრო მარტივი ან იაფი საპროცესო გზა (BGH, Urteil vom 18.04.2013 - III ZR 156/12 - BGHZ 197, 144; BGH, Beschluss vom 10.02.2016 - IV AR (VZ) 8/15 - NJW-RR 2016, 445). ამ გზის არსებობა განისაზღვრება შესაბამისი ეროვნული სამართლით, ამიტომ ამ საკითხს აქ მხოლოდ მოკლედ შევხებით. გერმანიაში მას ვაწყდებით, მაგალითად, შემდეგი საკითხების განხილვისას: რამდენად შეუძლია მოსარჩელეს სამართალმემკვიდრეობის შემთხვევაში თავისი უფლებების უფრო მარტივად განხორციელება § 727 GER-ZPO-ით გათვალისწინებული ე.წ. სამართლებრივი საფუძვლის საკუთარ თავზე გადაწერით (Titelumschreibung), ან § 731 GER-ZPO-ით გათვალისწინებული სააღსრულებო წარწერის მინიჭების სარჩელით (იხ. ზემოთ მე-10 მუხლი, ა.ნ. 56 და მომდევნო აბზაცები); ანდა რომელი გზით უფრო მარტივად განახორციელებს იგი ხარჯების ანაზღაურების უფლებებს, §§ 103 ff. GER-ZPO-ით გათვალისწინებული ხარჯების განსაზღვრის პროცედურით, თუ განცალკევებული სარჩელით გადახდის თაობაზე (იხ. ზემოთ Art. 831-ე მუხლი, ა.ნ. 7 და მომდევნო აბზაცები, განსაკუთრებით, ა.ნ. 15). თუმცა, ამ დროს მოდავე მხარისთვის პროცესუალურად ნაკლებად გარანტირებულ გზაზე მითითება დაუშვებელია.

31. გგ) **სარჩელები ვალდებულებათა მომავალში შესრულების შესახებ** §§ 257-259 GER-ZPO-ის შესაბამისად, დასაშვებია. ასეთი სარჩელებისთვის საკანონმდებლო ჩარჩო გერმანიაში უფრო ფართოა, ვიდრე საქართველოში (სსკ-ის 181-ე მუხლი).

§ 257 GER-ZPO - სარჩელი მომავალში გადახდის ან შენობის გამოთავისუფლების შესახებ

თუ ფულადი მოთხოვნის, რომელიც არ არის დამოკიდებული საპასუხო შესრულებაზე, ან არასაცხოვრებელი მიზნით გამოყენებული მიწის ნაკვეთის/(შენობის) ფართის გამოთავისუფლების მოთხოვნის განხორციელება დაკავშირებულია სასარჩელო განცხადების შეტანასთან, შესაძლებელია სარჩელის აღძვრა მომავალში გადახდის ან გამოთავისუფლების შესახებ.

§ 258 GER-ZPO - სარჩელი რეგულარული შესრულების შესახებ

პერიოდული შესრულებების შემთხვევაში, მომავალში დაფარვის შესახებ სარჩელის აღძვრა ასევე შესაძლებელია ისეთ შესრულებასთან დაკავშირებით, რომლის ვადა მხოლოდ გადანყვეტილების გამოტანის შემდეგ დგება.

§ 259 GER-ZPO - სარჩელი ვადის გადაცილებით შესრულების ეჭვის გამო

ვალდებულების მომავალში შესრულების შესახებ სარჩელის აღძვრა, §§ 257, 258-ის გარდა, ასევე შესაძლებელია, როდესაც გარემოებების მიხედვით, გამართლებულია ეჭვი, რომ მოვალე თავს აარიდებს დროულად შესრულებას.

32. §§ 257, 258 GER-ZPO-ის გამოყენების სფეროში, ვალდებულების მომავალში შესრულების სარჩელის დასაშვებობისათვის - § 259 GER-ZPO-გან განსხვავებით - არ არის აუცილებელი სამართლებრივი დაცვის კვალიფიციური მოთხოვნის, ანუ მომავალში შეუსრულებლობის ეჭვის არსებობა. თუმცა, მოსარჩელისთვის, რომელიც §§ 257-258 GER-ZPO-ის შემთხვევებში, შეუსრულებლობის ეჭვის გარეშე აღძრავს სარჩელს სამომავლოდ შესასრულებელ ვალდებულებებზე, იქმნება საფრთხე, რომ მოპასუხემ დაუყოვნებლივ აღიაროს სასარჩელო მოთხოვნა და შემდეგ სამართლებრივი დავის ხარჯები დაეკისროს მოპასუხეს, § 93 GER-ZPO-ის შესაბამისად (იხ. ზემოთ ა.ნ. 30).

33. §§ 257, 259 GER-ZPO-ით გათვალისწინებულ სარჩელებს სასამართლო პრაქტიკაში ნაკლები მნიშვნელობა აქვს. მათგან განსხვავებით, § 258 GER-ZPO-ით გათვალისწინებული სარჩელები, განსაკუთრებით, სარჩოს მიღების მარეგულირებელი სამართლისა და დელიქტებიდან გამო-

მდინარე ზიანისთვის პენსიების დანიშვნის შემთხვევებში, საკმაოდ ხშირია.

34. დდ) გარკვეული მოქმედებისგან თავშეკავების მოთხოვნის უფლებისთვის სამართლებრივი დაცვის მოთხოვნისას გასათვალისწინებელია რიგი თავისებურებები.

35. გარკვეული მოქმედებისგან თავშეკავების მოთხოვნის უფლება სასამართლოში ხორციელდება მავალდებულებელი სარჩელის გზით, ისე, რომ მათი დასაშვებობისთვის (როგორც ყველა სხვა მავალდებულებელი სარჩელის შემთხვევაში) საჭიროა სამართლებრივი დაცვის ზოგადი მოთხოვნის არსებობა, მაგრამ წინაპირობის სახით, დამატებით, არ ითვალისწინებს გამეორების ან უფლების პირველად დარღვევის საფრთხეს (BGH, Urteil vom 18.03.2010 - I ZR 158/07 - BGHZ 185, 11).

36. (1) უმაღლესი სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, გამეორების ან კანონის პირველად დარღვევის საფრთხეები უფრო გარკვეული მოქმედებისგან თავშეკავების მოთხოვნის პირწმინდად მატერიალურ-სამართლებრივი წინაპირობაა, ანუ არ არის სამართლებრივი დაცვის მოთხოვნის ნაწილი. გამეორების საფრთხე ივარაუდება მოპასუხის მიერ უფლების დარღვევის შემდეგ (BGH, Urteil vom 12.09.2017 - XI ZR 590/15 - BGHZ 215, 359; BGH, Urteil vom 15.09.2015 - VI ZR 17/14 - BGHZ 206, 347; BGH, Urteil vom 04.04.2017 - VI ZR 123/16 - NJW 2017, 2029). საპირისპიროდ, უფლების პირველად დარღვევის საფრთხეზე დაყრდნობილი გარკვეული მოქმედებისგან თავშეკავების პრევენციული უფლების წინაპირობაა, არსებობდეს სერიოზული და ხელშესახები ფაქტობრივი მტკიცებულებები უახლოეს მომავალში უფლების დარღვევის კონკრეტული საფრთხის შესახებ (BGH, Beschluss vom 21.09.2017 - I ZR 230/16 - juris; BGH, Urteil vom 11.05.2017 - I ZR 60/16 MDR 2017, 1434).

37. თუმცა, გარკვეული მოქმედებისგან თავშეკავების მოთხოვნისას, უფრო ხშირად, ვიდრე სხვა მავალდებულებელი სარჩელების შემთხვევაში, მოსალოდნელია საქმის ისეთი განვითარება, როცა არ არის საჭირო სამართლებრივი დაცვის ზოგადი მოთხოვნის არსებობა, რადგან აბსოლუტურად გამორიცხულია, მოსარჩელეს შეეძლოს მოქმედებისგან თავშეკავების მოთხოვნიდან რაიმე სახის დაცვის ღირსი უპირატესობის მიღება. გარდა ამისა, მოპასუხე სარჩელის ნაჩქარევად აღძვრისგან იმითაც არის დაცული, რომ GER-ZPO-ის § 93-ის უკვე წარმოდგენილი წინაპირობების მიხედვით, დაუყოვნებლივი აღიარების შემთხვევაში, მოსა-

რჩელეს უნდა დაეკისროს სამართლებრივი დავის ხარჯები (იხ. ზემოთ, ა.ნ. 38).

38. (2) თუმცა, სამართლებრივი დაცვის მოთხოვნა გარკვეული მოქმედებისგან თავშეკავების უფლებისათვის არ არსებობს, თუ მისი საშუალებით მოხდებოდა ჩარევა **სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის შესაბამისად რეგულირებულ პროცესში** (BGH, Urteil vom 27.02.2018 - VI ZR 86/16 - NJW 2018, 2489; BGH, Urteil vom 15.11.2012 - I ZR 128/11 MDR 2013, 736; BGH, Urteil vom 19.07.2012 - I ZR 105/11 - VersR 2013, 601). განსაკუთრებულად მოქნილი მაგალითია, როდესაც გარკვეული მოქმედებისგან თავშეკავების სარჩელით, მოწმეს უნდა აეკრძალოს სასამართლო პროცესზე გარკვეული (მოსარჩელის შეხედულებით, ცრუ) ფაქტის გამჟღავნება. სასამართლო პრაქტიკის ეს პრინციპები არ შემოიფარგლება სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის შესაბამისად ორგანიზებული სასამართლო და ადმინისტრაციული პროცესით - მათ აქვთ გარკვეული წინასწარი ეფექტი. თუმცა, ამ თვალსაზრისით, დეტალები გერმანულ სასამართლო პრაქტიკაში ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია. ამ სასამართლო პრაქტიკის ზოგადი პრინციპები უმაღლესმა ფედერალურმა სასამართლომ (BGH, Urteil vom 19.07.2012 - I ZR 105/11 - VersR 2013, 601) ასე დაასაბუთა:

39. „სარჩელს ისეთი გამონათქვამებისგან თავშეკავების ან აღმოფხვრის შესახებ, რომლებიც ემსახურება უფლების განხორციელებას ან დაცვას სასამართლო ან ადმინისტრაციულ პროცესზე, სამართლებრივი დაცვის მოთხოვნა არ აქვს. ამის საფუძველია მოსაზრება, რომ სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის შესაბამისად ორგანიზებულ პროცესზე გავლენის მოხდენა და მისი შედეგის წინასწარ გადანიშნულება დაუშვებელია ამ პროცესის ერთ-ერთი მონაწილისთვის, მოქმედებისგან თავშეკავების ან აღმოფხვრის მოთხოვნის საშუალებით, გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის გზით. ჭეშმარიტი და არსებითია თუ არა განცხადება, უნდა გაირკვეს მხოლოდ ძირითადი განხილვის დროს, მისთვის დადგენილი წესების შესაბამისად (BGH GRUR 1998, 587; BGHZ 183, 309).

ეს ასევე მოიცავს გამონათქვამებს სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის შესაბამისად ორგანიზებულ პროცესზე, რომლებიც პროცესში მონაწილე მესამე პირების უფლებებს ეხება, თუკი ისინი პროცესთან მჭიდრო კავშირშია (BGH GRUR 1973, 550). როცა მესამე პირს არ შეუძლია შესაბამის პროცესზე ამ გამონათქვამებისგან თავდაცვა, საპირისპირო ინტერესების ურთიერთშეწონვისას, საჭიროა განსაკუთრებით

გულდასმით შემონმდეს, უნდა ითმინოს თუ არა მესამე პირმა ეს გამონათქვამები (BGH NJW 2008, 996; BGHZ 183, 309).

ამასთან, არ უნდა დაგვაინყდეს, რომ სახელმწიფოებრივად რეგულირებული პროცესის შეუფერხებელ წარმართვას მასში მონაწილეთა - მაგრამ ასევე საჯარო - ინტერესების გათვალისწინებით, იმაზე მეტად არ უნდა შეეშალოს ხელი, ვიდრე აუცილებელია. პროცესის მონაწილეებს უნდა შეეძლოთ (თუ ამას არ ეწინააღმდეგება სავალდებულო სამართლებრივი შეზღუდვები), რომ განმარტონ, რა მიაჩნიათ აუცილებლად უფლების განხორციელების ან დაცვისთვის. ამასთან, თუ პროცესის საგანი ამის საშუალებას იძლევა, მათ უნდა შეეძლოთ თავიანთი განმარტების შინაარსში ისეთი ფაქტობრივი მტკიცებებისა და შეფასებების ჩართვა, რომლებიც ეხება პროცესის არამონაწილე მესამე პირებს. შემდეგ მხოლოდ პროცესში გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს ამოცანაა, რომ შეაფასოს შესაბამისი განმარტების არსებითობა და სისწორე თავისი გადაწყვეტილებისთვის. მხოლოდ ასე შეიძლება პროცესის წარმართვა სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის შესაბამისად. მიუღებელია აბსოლუტურად აუცილებელზე მეტი ზეგავლენა გარედან, როდესაც მესამე პირები, პროცესის მონაწილისკენ მიმართული მოქმედებისგან თავშეკავების სასამართლო მოთხოვნებით, ძირითადი განხილვის მიღმა იძლევიან მითითებებს, თუ რა უნდა გააცხადონ და იქცეს შესაბამისი გადაწყვეტილების საგნად (...). ეს, ზოგადად, არ გამორიცხავს მესამე პირების ინდივიდუალური მოთხოვნის უფლებების განხორციელებას პროცესის მონაწილეთა განცხადებებით დარღვეული უფლებების დასაცავად. თუ ნათლად არ ჩანს ძირითად განხილვასთან ისეთი გამონათქვამების კავშირი, რომლებიც მესამე პირებს ეხება, მაშინ ისინი აშკარად მცდარია, ან ეს არის დაუშვებელი ლანძღვა, რომლის მიზანიც გახლავთ არა საქმის განხილვა, არამედ მესამე პირის მიმართ ცილისწამება. ასეთ შემთხვევაში, გამონაკლისის სახით, შესაძლოა დასაშვები იყოს მოქმედებისგან თავშეკავების ან გაუქმების შესახებ განცალკევებული სარჩელის აღძვრა (შდრ. ასევე BVerfG NJW-RR 2007, 840)....

კასაციის შეხედულების საპირისპიროდ, განაცხადი გარკვეული მოქმედებისგან თავშეკავების შესახებ იმ თვალსაზრისითაც დაუშვებელია, რომ იგი ეხება მოპასუხის სასამართლოს გარეთ დასარეგულირებელ ქცევას.

უმაღლესი ფედერალური სასამართლოს პრაქტიკაში აღიარებულია, რომ სამართლებრივი დაცვის მოთხოვნა გარკვეული მოქმედებისგან თავ-

ვმეკავების შესახებ სარჩელისათვის საჭირო არ არის არა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა გამონათქვამების გაკეთება უნდა აიკრძალოს სასამართლო პროცესზე. ძირითადად, პრივილეგირებულია ის გამონათქვამები, რომლებიც ემსახურება უფლების განხორციელებას ან დაცვას ადმინისტრაციული პროცედურის ფარგლებში ან კეთდება სასამართლო განხილვის წინ (BGH NJW 1977, 1681; BGH NJW 1981, 2117; vgl. auch BGH NJW 2005, 279).“

40. (3) ამასთან, გამონაკლისის სახით, გარკვეული მოქმედებისგან თავშეკავების შესახებ სარჩელისთვის სამართლებრივი დაცვის მოთხოვნა შესაძლოა არ არსებობდეს, თუ მოსარჩელემ უკვე მოიპოვა სასამართლოს განჩინება (§§ 935, 940 GER-ZPO; იხ. ქვემოთ, 191-ე და მომდევნო მუხლები) და მოპასუხემ, შესაბამისად, გააკეთა დამამთავრებელი განცხადება, რომლითაც სასამართლოს განჩინებაში მოცემული დანაწესი, როგორც საბოლოო გადაწყვეტილება, თავის საწინააღმდეგოდ აღიარა (BGH, Urteil vom 02.07.2009 - I ZR 146/07 - BGHZ 181, 373).

41. ბ) აღიარებითი სარჩელის აღძვრაში სამართლებრივი დაცვის ღირსი ინტერესების თვალსაზრისით, იხ. 180-ე მუხლის ა.ნ. 3-სა და მომდევნო აბზაცებში წარმოდგენილი განმარტებები.

42. 5. §253 Abs. 2 Nr. 1 GER-ZPO-ში მხარეთა დასახელებასთან დაკავშირებით მოთხოვნილი მონაცემების წინაპირობაა **მხარეთა მისამართი, რომელიც ვარგისია სასამართლო უწყების ჩასაბარებლად** და, პრინციპულად, მოსარჩელის მისამართსაც მოიცავს. თუ მოსარჩელე, უბრალოდ ან არასაკმარისი საფუძვლით, უარს ამბობს ამ მონაცემის წარმოდგენაზე, მაშინ სარჩელი დაუშვებელია (BGH, Urteil vom 09.12.1987 - IVb ZR 4/87 - BGHZ 102, 332; BGH, Urteil vom 28.06.2018 - I ZR 257/16 - MDR 2018, 1400). ეს წესი მოქმედებს მაშინაც, როდესაც მოსარჩელეს საპროცესო წარმომადგენელი ჰყავს. სასამართლო უწყების ჩასაბარებლად ვარგისი მისამართის მითითებით, მოსარჩელე ახდენს თავისი მზაობის დოკუმენტირებას, რომ პროცესის შესაძლო უარყოფით შედეგებს - განსაკუთრებით, ხარჯების დაფარვის ვალდებულებას - არ გაექცევა. ამიტომ, სარჩელის წესების დაცვით აღძვრისთვის, მოსარჩელეს სასამართლო უწყების ჩასაბარებლად ვარგისი მისამართის მითითება აუცილებლად მოეთხოვება მაშინ, თუ ეს მარტივად შესაძლებელია (BGH, Urteil vom 09.12.1987 - IVb ZR 4/87 - BGHZ 102, 332; BGH, Urteil vom 28.06.2018 - I ZR 257/16 - MDR 2018, 1400). თუმცა, მოსარჩელის მიერ სასამართლოს უწყების ჩასაბარებლად ვარგისი მისამართის მითითება არ არის სარჩე-

ლის დასაშვებობის უგამონაკლისო წინაპირობა, ამიტომ ცალკეულ შემთხვევებში მასზე შეიძლება უარი ითქვას (BVerfG, Beschluss vom 02.02.1996 - 1 BvR 2211/94 - NJW 1996, 1272; BGH, Urteil vom 09.12.1987 - IVb ZR 4/87 - BGHZ 102, 332). ამგვარი გამონაკლისისთვის, საჭიროა არსებობდეს საპატიო მიზეზი, როგორცაა, რთულად დასაძლევნი წინააღმდეგობები ან საიდუმლოდ შენახვის დაცვის ღირსი ინტერესები (BGH, Urteil vom 09.12.1987 - IVb ZR 4/87 - BGHZ 102, 332; BGH, Urteil vom 28.06.2018 - I ZR 257/16 - MDR 2018, 1400; BGH, Urteil vom 17.03.2004 - VIII ZR 107/02 - NJW-RR 2004, 1503), მაგალითად, ინკოგნიტოდ შვილად აყვანის ან სხვა ექსტრემალურ შემთხვევებში (LG Wuppertal, Urteil vom 05.02.2013 - 16 O 95/12 - VersR 2013, 591, für minderjähriges Opfer einer Geiselnahme mit äußerst schwerwiegenden Sexualstraftaten).

მზია თოდუა

177-ე მუხლი

I. შესავალი (სარჩელის ცნება, წერილობითი ფორმის სავალდებულობა

ყოველი პირი, რომლის სუბიექტური უფლება¹ სადავო ან დარღვეულია, უფლებამოსილია, თავისი უფლების დასაცავად მიმართოს სასამართლოს (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, შემდგომში სსსკ-ის 2.1 მუხლი). „სასამართლოსთვის სარჩელის წარდგენის უფლება არ არის თეორიული უფლება და არ უზრუნველყოფს მხოლოდ უფლების აღიარებას საბოლოო გადაწყვეტილების მეშვეობით, არამედ ასევე შეიცავს ლეგიტიმურ მოლოდინს, რომ გადაწყვეტილება აღსრულდება“ (იხ. საქმე „აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ“ (საჩივარი n o 40765/02).

პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმეთა უმეტესი ნაწილი სასარჩელო წარმოების წესით განიხილება. შესაბამისად, სასამართლოში საქმის აღძვრის ერთ-ერთი ძირითადი საფუძველია წერილობითი ფორმით შედგენილი სარჩელი. სარჩელი სუბიექტური უფლების დაცვის საშუალებაა. მისი სრულყოფილი და უნივერსალური დეფინიცია საკანონმდებლო დონეზე არ არსებობს, მაგრამ იურიდიულ დოქტრინაში ის განიმარტება, როგორც „დარღვეული, ან სადავოდ გამხდარი სუბიექტური უფლების ან კანონიერი ინტერესის დასაცავად დაინტერესებული პირის წერილობითი მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნა იმ პირის წინააღმდეგ, რომელმაც პასუხი უნდა აგოს სარჩელზე“.

სამოქალაქო სამართალწარმოების ამოცანაა, განიხილოს და გადაწყვიტოს სამოქალაქო საქმე საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესების მიხედვით. მართალია, მოსარჩელე თვითონ განსაზღვრავს დავის

¹ საზოგადოებრივი ურთიერთობების სამოქალაქო-სამართლებრივი რეგულირების პროცესში მისი მონაწილეების აღჭურვა განსაზღვრული სუბიექტური უფლებებითა და მოვალეობებით, განაპირობებენ შემდგომში მათ ქცევას არსებული სამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში. **სუბიექტური უფლება გულისხმობს უფლებამოსილი პირის შესაძლო ქცევის სამართლებრივად უზრუნველყოფილ საშუალებას**, ხოლო სუბიექტური ვალდებულება - ვალდებული პირის სამართლებრივად განპირობებული აუცილებელი ქცევა კონკრეტული სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში.

საგანს და თვითონვე იღებს გადაწყვეტილებას სარჩელის შეტანის შესახებ (დისპოზიციურობის პრინციპი, სსსკ-ის მე-3 მუხლი), მაგრამ საქმისწარმოების ინიცირების მომენტიდან, ის იბოჭება საპროცესო სამართლის ნორმებით დადგენილი წესებით. მან საქმისწარმოების დასაწყებად ზედმინევნიტ მკაცრად უნდა დაიცვას სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრული წესები (სსსკ-ის 177-ე და მომდევნო მუხლები). აქედან გამომდინარე, მის მიერ წარდგენილი სარჩელის შინაარსი უნდა აკმაყოფილებდეს სსსკ-ის 178-ე მუხლის მოთხოვნებს.

სარჩელს აქვს პროცესუალურ-სამართლებრივი და მატერიალურ-სამართლებრივი მხარეები. დარღვეული უფლების დასაცავად სასამართლოსთვის მიმართვა სარჩელის პროცესუალურ-სამართლებრივი გამოვლინებაა, ხოლო მოპასუხისადმი მოსარჩელის მოთხოვნა - სარჩელის მატერიალურ-სამართლებრივ მხარე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სარჩელს პროცესუალური თვალსაზრისით არ ექნება წარმატება, თუ მატერიალურ-სამართლებრივი კუთხით მოთხოვნა არ იქნება ნამდვილი, ან განხორციელებადი.²

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდგომში სსკ) 316-ე მუხლის პირველი ნაწილის გავრცობილი - და არა სიტყვასიტყვითი - განმარტების მიხედვით, **მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნის უფლება** არის ერთი ან რამდენიმე პირის (კრედიტორ(ებ)ი) უფლება, ხელშეკრულების ან კანონის ვალდებულების ძალით, მეორე პირისგან/პირებისგან (მოვალე(ები)) მოითხოვოს გარკვეული ქმედების (მოქმედება/უმოქმედობა, მოქმედებისაგან თავშეკავება) განხორციელება. შესაბამისად, მოსარჩელე ჯერ კიდევ სარჩელის აღძვრამდე უნდა დარწმუნდეს, რომ მას მატერიალურ-სამართლებრივი გაგებით აქვს მოთხოვნის უფლება, ანუ კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ნორმ(ებ)იდან გამომდინარეობს სწორედ ის შედეგი, რომლის მიღწევაც სურს.

წერილობითი სარჩელი უნდა წარედგინოს საქმის განმხილველ სასამართლოს. ამასთან, სარჩელის წარდგენამდე მოდავე მხარემ ჯერ უნდა შეამოწმოს, დავის განხილვა ხომ არ შედის სხვა უწყების კომპეტენციაში (სსსკ-ის მე-11 მუხლი, უწყებრივი ქვემდებარეობა), ან ხომ არ არსებობს კანონით გათვალისწინებული სარჩელის აღძვრის გამომრიცხავი გარე-

² „თუ მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები და გარემოებები ვერ ექცევა, სულ მცირე, ერთი ნორმის (მოთხოვნის საფუძვლის) აბსტრაქტული დისპოზიციის ქვეშ, მისი სარჩელი გაუმართავია (დაუსაბუთებელია). ასეთ შემთხვევებში, მას მოპასუხე მხარის ყველანაირი რეაგირების (შესაგებლის) გარეშე უნდა ეთქვას უარი“. (იხ. შ. შმიტი, ჰ. რიჰტერი „მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესი სამოქალაქო სამართალში“, გვ.9)

მოებები (სსსკ-ის 272-ე და 272¹-ე მუხლები) და მხოლოდ ამის შემდეგ განსაზღვროს მისი განსჯადი სასამართლო.

განსჯადი სასამართლოს განსაზღვრა - საქართველოში მოქმედებს ერთიანი საერთო სასამართლოების სისტემა. პირველი ინსტანციის წესით, უწყებრივად დაქვემდებარებულ საქმეებს განიხილავენ რაიონული (საქალაქო) სასამართლოები. ამ სასამართლოების შემადგენლობაში შეიძლება შედიოდეს მაგისტრატი მოსამართლე, რომელიც განიხილავს: ა) ქონებრივ დავებს, თუ სარჩელის ფასი არ აღემატება 5000 ლარს; ბ) უდავო და გამარტივებული წარმოების საქმეებს, გარდა შვილად აყვანის, გამარტივებული წესით ზიანის ანაზღაურების და ქონების უპატრონოდ ცნობის საქმეებისა, თუ მოთხოვნის ან ქონების ღირებულება აღემატება 5000 ლარს; გ) საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე დავებს, გარდა შვილად აყვანის, მშობლის უფლების ჩამორთმევის, მამობის დადგენის და განქორწინების საქმეებისა, თუ მეუღლეებს შორის არსებობს დავა ბავშვის მიკუთვნების შესახებ, სამოქმედო ტერიტორიაზე არსებულ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში (სსსკ-ის მე-13 და მომდევნო მუხლები).

II. სარჩელის შინაარსი, სახეები

სარჩელის აღძვრის შემდეგ სამართლებრივი შედეგის განმაპირობებელი ფაქტებს იკვლევს და ადგენს პროცესის წარმართვის ფუნქციის მქონე სასამართლო. იგი ზუსტად და სწორად განსაზღვრავს იმ სამართლის ნორმას/ნორმებს, საიდანაც შეიძლება გამომდინარეობდეს მსგავსი შედეგი, მაგრამ ეს არ ათავისუფლებს მოსარჩელეს, რომ სრულყოფილად და თანმიმდევრულად ასახოს თავისი მოსაზრებები საქმის თითოეულ ფაქტობრივ გარემოებასა და მტკიცებულებაზე და მიუთითოს ის სამართლებრივი საფუძველი, რომელზეც ამყარებს საკუთარ მოთხოვნას.³

დაინტერესებული პირის (მოსარჩელის) ცნების ქვეშ კანონმდებელი მოიაზრებს, როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირებს, თუმცა კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში, სასამართლოში მოსარჩელეებად შეიძლება ასევე გამოვიდნენ ორგანიზაციები, რომლებიც არ არიან იურიდიული პირები (სსსკ-ის 79-ე მუხლი).

სარჩელი სტრუქტურულად შედგება ორი ელემენტისგან: სარჩელის საგანი და სარჩელის საფუძველი.

ა) სარჩელის საგანი არის კონკრეტული სახელშეკრულებო ან კანონი-

³ შდრ. საქმეები # ას-553-524-2105, 10.03.2016, ას-201-201-18, 8.10.18

სმიერი მოთხოვნა, რომლის დადგენასა და დადასტურებასაც მოსარჩელე სასამართლოსგან მოითხოვს. მოსარჩელის მიერ მკაფიოდ და გასაგებად ჩამოყალიბებული მოთხოვნა ზუსტად უნდა ასახავდეს ე.წ. „კონდიციონალური პროგრამის“ შემცველი სამართლის ნორმ(ებ)ით გათვალისწინებულ სამართლებრივ შედეგს.

ბ) სარჩელის საფუძველი კი არის იმ იურიდიული ფაქტების, ანუ მოთხოვნის საფუძვლის შემცველი სამართლის ნორმ(ებ)ით გათვალისწინებული ფაქტობრივი გარემოებების ერთობლიობა, რომლებზე დაყრდნობითაც სასამართლომ უნდა დაადგინოს, რამდენად დასაბუთებული/დაუსაბუთებელია მოსარჩელის მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნა.

სარჩელების კლასიფიკაცია შესაძლებელია მატერიალურ-სამართლებრივი (ვინდიკაციური, პოსესორული, პეტიტორული, ნეგატორული, სახელშეკრულებო, დელიქტური, კონდიქციური და ა.შ.) და პროცესუალური ნიშნით. პროცესუალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით - იმის მიხედვით, რა სახის გადაწყვეტილებას ითხოვს მოსარჩელე - სარჩელის რამდენიმე სახეს განასხვავებენ. ესენია: მიკუთვნებითი (აღსრულებითი), გარდაქმნითი, ანუ მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობის გარდამქმნელი, და აღიარებითი (უფლების დამდგენი).⁴

სარჩელის სახეებად დაყოფას პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. ამგვარი დაყოფა განპირობებულია საპროცესო ეკონომიურობით. ეს გულისხმობს, რომ: მტკიცებულებები უნდა შეგროვდეს მხოლოდ იმ ფაქტების დასადასტურებლად, რომლებზეც დამოკიდებულია საქმის გადაწყვეტა; გარდა ამისა, დარღვეული უფლების აღდგენასა და სამართლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებას პირმა მიაღწიოს ერთი და არა რამდენიმე პროცესის მეშვეობით. ევროსასამართლოს პრეცედენტული პრაქტიკა, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლოს უფლების ფართო განმარტებით, ადგენს, რომ მართლმსაჯულების განხორციელება არ უნდა ატარებდეს ფორმალურ ხასიათს: სამართალწარმოების მიზანი ორიენტირებული უნდა იყოს დარღვეული უფლების ეფექტიან და რეალურ დაცვაზე,

⁴ სამეცნიერო წრეებსა და პრაქტიკაში მეოთხე სახედ ე.წ. „დერივატიულ“ (ნაწარმოებ) სარჩელებს განიხილავენ. მათი თავისებურება ის არის, რომ მოსარჩელეები, იცავენ რა თავიანთ ინტერესებს, ამას აკეთებენ არა პირდაპირ, არამედ ირიბად (მაგ.: „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 53-ე მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით დასახელებული ნორმის წინაპირობებისას, აქციონერს უფლება აქვს, სააქციო საზოგადოების ინტერესების დასაცავად აღძრას სარჩელი).

რაც მიანიშნებს ეროვნული სასამართლოს მიერ საკითხის ამომწურავ გადამწყვეტაზე და არა ფორმალურ სამართალწარმოებაზე, რომელსაც შედეგად არ მოჰყვება დავის აღმოფხვრა (შდრ. სუსგ №ას-302-285-2017, 16.06.2017).

მიკუთვნებითი სარჩელი - ამ სახის სარჩელებს შემდეგი ნიშნები ახასიათებს:

ა) მოპასუხისაგან მატერიალური და არამატერიალური დაკმაყოფილების მიღება;

ბ) სუბიექტური უფლების იძულების გზით აღსრულების შესაძლებლობა;

ამ სახის სარჩელი მიმართულია პირის სუბიექტური (სამოქალაქო) უფლების იძულებით განხორციელებაზე⁵, უფრო ზუსტად, იმ მოთხოვნების დადგენაზე, რომლებიც დაავალდებულებს მოპასუხეს შესრულებას, ან მისაგან თავის შეკავებას. მაგალითად, ნივთის პირდაპირ მფლობელობაში გადაცემა, ვალის გადახდა, ზიანის ანაზღაურება, სამუშაოს შესრულება და ა.შ. - როგორც წესი, ამ სახის სარჩელებზე მიღებულ, კანონიერ ძალაში შესულ გადანყვეტილებებზე⁶ სასამართლო გასცემს სააღსრულებო ფურცელს. ამიტომაც ამ ტიპის სარჩელებს **აღსრულებად სარჩელებადაც** მოიხსენიებენ. პროცესუალური თვალსაზრისით, ამ სახის სარჩელი სარჩელის ყველაზე მნიშვნელოვანი სახეა.

გარდაქმნითი სარჩელი მიმართულია მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ. როგორც წესი, სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილეები იურიდიულ ურთიერთობას ცვლიან, გარდაქმნიან და წყვეტენ ურთიერთშეთანხმებით, ანუ სასამართლო

⁵ პირის სამართლებრივი ძალაუფლების შინაარსის მიხედვით, განასხვავებენ შემდეგი სახის უფლებებს:

- პირადი უფლებები, რომლებიც სამართლის სუბიექტს, როგორც პირს ეკუთვნის (მაგ.: მე-18 მუხლი);
- ბატონობის უფლებები, რომლებიც უფლებამოსილ პირს განსაზღვრულ საგანზე ანიჭებს აბსოლუტურ და უშუალო ბატონობის ძალაუფლებას. მათ მიეკუთვნება საკუთრების უფლება, როგორც ნივთზე ბატონობის ყველაზე ფართო უფლება, შეზღუდული სანივთო უფლებები, ინტელექტუალური საკუთრების უფლებები;
- მოთხოვნის უფლებები, რომლებიც პირს ანიჭებს უფლებამოსილებას, სხვა განსაზღვრული პირისაგან მოითხოვოს მოქმედების შესრულება ან მისგან თავშეკავება (316-ე მუხლის პირველი ნაწილი);
- უფლებრივი მდგომარეობის შეცვლის უფლებები, რომლებიც უფლებამოსილ პირს ანიჭებს უფლებამოსილებას, დამოუკიდებლად მოახდინოს ზეგავლენა არსებულ უფლებრივ მდგომარეობაზე [მაგ.: ხელშეკრულებიდან გასვლა].

⁶ გამონაკლისი გათვალისწინებულია სსსკ-ის 268-ე მუხლით.

რთლოს გარეშე; თუმცა, ზოგჯერ ეს არ შეუძლიათ სასამართლო კონტროლის გარეშე. მაგალითად, განქორწინება, ჩვეულებრივ, ხდება სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში, მაგრამ მეუღლეებს შორის დავის არსებობისას ეს პროცედურა სრულდება სასამართლო წესით (სსკ 1123 მუხლი).

ალიარებითი სარჩელი - ამ სახის სარჩელით პირს შეუძლია, მოითხოვოს მოპასუხესთან სადავო უფლების ან მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა/არარსებობის აღიარება (დადასტურება) (დანვრილებით იხ. 180-ე მუხლის კომენტარი).

III. სარჩელის აღძვრის წინაპირობების დახასიათება ცალკეული კატეგორიის საქმეების მაგალითზე

- სარჩელი დელიქტური ზიანის ანაზღაურების შესახებ. უწყებრივი ქვემდებარეობა, განსჯადობა, პროცესუალური დაბრკოლებების არარსებობა;

- დერივატიული სარჩელი. უწყებრივი ქვემდებარეობა, განსჯადობა, პროცესუალური დაბრკოლებების არარსებობა.

დელიქტური ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელის უწყებრივი ქვემდებარეობა, განსჯადობა, პროცესუალური დაბრკოლებების არ არსებობა;

- კრედიტორს (მოსარჩელეს) დელიქტიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლება წარმოეშობა მაშინ, როდესაც მისი სამართლებრივი სიკეთის უკანონო (არამართლზომიერი) ხელყოფის შედეგად, ზიანი მიადგება. დაცულ სამართლებრივ სიკეთეს განეკუთვნება: სიცოცხლე, სხეული, ჯანმრთელობა, თავისუფლება, საკუთრებისა და სხვა უფლებები (საწარმოო და პირადი უფლებები). პირი, რომელმაც პასუხი უნდა აგოს ამ სახის სარჩელზე, არის ზიანის მიმყენებელი. კრედიტორს შეუძლია, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა წაუყენოს არა მარტო ზიანის მიმყენებელს, არამედ მის დამყოლიებელს ან ხელშემწყობსაც, ასევე, ვინც შეგნებულად ისარგებლა სხვისთვის მიყენებული ზიანით (სამოქალაქო კოდექსის 998.2 მუხლი).

- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში სსსკ) მიხედვით, ზიანის ანაზღაურების სარჩელი უწყებრივად საერთო სასამართლოს ექვემდებარება. ზოგადი წესის მიხედვით, ამ სახის სარჩელი წარედგინება რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, მაგრამ თუ მოპასუხე იურიდიული პი-

რია, მაშინ ამ პირის იურიდიული ადგილსამყოფელის მიხედვით (სსსკ-ის 15.1 მუხლი). როცა მოპასუხეს არა აქვს საცხოვრებელი ადგილი, სარჩელი სასამართლოში განიხილება საქართველოს ტერიტორიაზე მისი ადგილსამყოფლის მიხედვით, ხოლო თუ მოპასუხის ადგილსამყოფელი უცნობია, სარჩელი შეიძლება აღიძრას მისი უკანასკნელი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით (სსსკ-ის 15.3 მუხლი).

- ამ ზოგადი წესიდან არსებობს გამონაკლისი. კერძოდ, სსსკ ითვალისწინებს ცალკეული დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების სარჩელის განხილვას გამარტივებული წესით (თავი XXXIV³, 309¹⁶-309²¹ მუხლები). იგულისხმება სარჩელი დანაშაულის ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე. დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურების სარჩელების სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განხილვისას, გამოიყენება სსსკ-ის XXXIV³ თავით დადგენილი ნორმები. ამ კატეგორიის საქმეების განხილვის თავისებურება ის არის, რომ კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილ ფაქტებს პრეიუდიციული მნიშვნელობა აქვს (სსსკ-ის 309²⁰-ე მუხლის მეორე ნაწილი). ეს გულისხმობს, რომ დამტკიცებულად და განხორციელებულად მიიჩნევა დელიქტური სამართლის მთავარი ნორმის, სსკ-ის 992-ე მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის განმაპირობებელი ყველა სამართლებრივი ნანამძღვარი: ქმედების მართლსაწინააღმდეგობა, ზიანი, ადეკვატური მიზეზობრივი კავშირი და ბრალი („ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელის განხილვისას სასამართლო დადგენილად მიიჩნევა ზიანის მიყენების ფაქტს, რომელიც დასტურდება კანონიერ ძალაში შესული სასამართლო განაჩენით ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განმხილველი ორგანოს/თანამდებობის პირის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით“). საკასაციო სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე⁷ ამ სახის სარჩელების განხილვისადმი ქვედა ინსტანციის სასამართლოს მიდგომა არასწორად მიიჩნია და აღნიშნა, რომ „დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნების განხილვისას მოქმედებს განსხვავებული წესი, რაც გულისხმობს, რომ კანონიერ ძალაში შესულ განაჩენში მითითებული სამართლებრივად მნიშვნელოვანი ფაქტები ხელახლა არ დგინდება, ანუ ისინი დადგენილად მიიჩნევა“.

- ამრიგად, აღნიშნული წესით აღძრულ სარჩელს უნდა დაერთოს კანონიერ ძალაში შესული სასამართლო განაჩენი ან ადმინისტრაციული

⁷ საქმე # ას-ას-866-833-16, 28.02.17.

სამართალდარღვევის საქმის განმხილველი ორგანოს/თანამდებობის პირის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომლითაც დასტურდება ზიანის მიყენების ფაქტი. თუ კანონიერ ძალაში შესული სასამართლო განაჩენი ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განმხილველი ორგანოს/თანამდებობის პირის მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არ შეიცავს მიყენებული ზიანის გაანგარიშებას, ზიანის ანაზღაურების სარჩელს შეიძლება ასევე დაერთოს უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ შედგენილი დოკუმენტი, რომელშიც განსაზღვრულია მიყენებული ზიანის ოდენობა. შესაბამისად, კრედიტორს მხოლოდ იმის დამტკიცება მოუწევს, თუ რა სახის (ქონებრივი თუ არაქონებრივი) და ოდენობის ზიანი მიადგა დანაშაულის შედეგად.

- ამ სახის სარჩელების წარმოებაში მიღების, განხილვისა თუ გასაჩივრების წესი და ვადა განსხვავდება საერთო წესით განსახილველი საქმის ვადისგან. მოსამართლე ზიანის ანაზღაურების სარჩელის მიღების საკითხს განიხილავს შეტანიდან 3 დღეში (სსსკ-ის, 186.1), ნაცვლად 5 დღისა. ცალკეული დელიქტური ზიანის ანაზღაურების სარჩელის მიღების შემდეგ, მოპასუხეს ამ კოდექსის 201-ე მუხლით დადგენილი წესით, დაუყოვნებლივ ეგზავნება სარჩელი და თანდართული დოკუმენტების ასლები, და შესაგებლის წარსადგენად განესაზღვრება ვადა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 7 დღეს, მაშინ, როდესაც ზოგადი წესის მიხედვით, ეს ვადა 14 დღეს არ უნდა აღემატებოდეს (სსსკ-ის 201.1 მუხლი). ზიანის ანაზღაურების სარჩელს სასამართლო განიხილავს წარმოებაში მიღებიდან 1 თვის ვადაში, ნაცვლად 2 თვისა (სსსკ-ის 59.2). ზიანის ანაზღაურების შესახებ სასამართლო გადაწყვეტილება, ნაცვლად 14 დღისა (სსსკ-ის 369-ე მუხლი), 7 დღის ვადაში საჩივრდება სააპელაციო სასამართლოში.

- ზემოაღნიშნული გამონაკლისის გარდა, ყველა სხვა სახის დელიქტური ზიანის ანაზღაურებაზე სარჩელის აღძვრისას, კრედიტორმა (მოსარჩელემ) უნდა გაითვალისწინოს, რომ:

სამართლის ნორმები, რომლებიც ამ სახის დავის მოსაწესრიგებლად გამოიყენება, განსხვავდება ერთმანეთისაგან ფუნქციური დანიშნულები-სა და შედეგების მიხედვით. ნაწილი ნორმებისა შეიცავს მოთხოვნის საფუძველს, ანუ განეკუთვნება სამართლებრივი შედეგის განმსაზღვრელ ნორმათა რიცხვს და პასუხს იძლევა კითხვაზე: ვინ ვის რას სთხოვს და რის საფუძველზე? აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელე ვალდებულია, მკაფიოდ და გასაგებად ჩამოაყალიბოს, რომელ ფაქტებზე და-

ყრდნობით და რომელი სამართლებრივი საფუძვლით ითხოვს მოპასუხი-საგან ზიანის ანაზღაურებას. სარჩელის წარმატება დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რამდენად ზუსტად და სამართლის ნორმ(ებ)ით განსაზღვრული თანმიმდევრობით დაამტკიცებს ის სამართლებრივად მნიშვნელოვან ფაქტებს, რომლებიც განაპირობებს ამ შედეგს. „სამართლის ნორმათა ძირითად ტიპებში ქმედების აბსტრაქტული შემადგენლობა სამართლებრივ შედეგს უკავშირდება. თავის მხრივ, ქმედების შემადგენლობა შეიცავს რამდენიმე ცალკეულ ნიშანს, რომელთა განხორციელება ერთმანეთის მიყოლებით უნდა შემოწმდეს. როცა ყველა ეს ნიშანი შესრულებულია, მხოლოდ მაშინ შეიძლება დადგეს სამართლებრივი შედეგი. თუ ქმედების შემადგენლობის ერთ-ერთი ნიშანი მაინც არ არის შესრულებული, სამართლებრივი შედეგი არ დადგება“.⁸ სასამართლო სწორედ მხარის მიერ მითითებული მოთხოვნის ფარგლებში ეძებს იმ სამართლებრივ ნორმას/ნორმებს, რომელიც/რომლებიც იმ შედეგს ითვალისწინებს, რისი მიღწევაც მას სურს. ამასთან, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად განხილული ნორმა/ნორმები შეიცავს იმ აღწერილობას (ფაქტობრივ შემადგენლობას), რომლის შემოწმებაც სასამართლოს პრეროგატივაა და რომელიც უნდა განხორციელდეს ლოგიკური მეთოდების გამოყენებით: სასამართლომ უნდა დაადგინოს, ნორმაში მოყვანილი აბსტრაქტული აღწერილობა რამდენად შეესაბამება კონკრეტულ ცხოვრებისეულ სიტუაციას და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები. მხარე, რომელსაც აქვს მოთხოვნა მეორე მხარისადმი, სულ მცირე, უნდა უთითებდეს იმ ფაქტობრივ შემადგენლობაზე, რომელსაც სამართლის ნორმა გვთავაზობს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის რომელიმე ფაქტობრივი ნაწი-მძღვრის (სამართლებრივი წინაპირობის) არარსებობა გამორიცხავს მხარისათვის სასურველი სამართლებრივი შედეგის დადგომას (შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2017 წლის 2 მარტის გადაწყვეტილება, საქმეზე # ას-664-635-2016, პუნქტი 187).

ზოგადად, ზიანის ანაზღაურების სამართლის (მათ შორის, დელიქტური ზიანის ანაზღაურების) განმსაზღვრელი პრინციპია მისი ნატურით და სრულად ანაზღაურება (“ანაზღაურდება ყველაფერი ან არაფერი”). ეს გამომდინარეობს სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის პირველი ნაწილის დანაწესიდან, რომლის მიხედვითაც: „იმ პირმა, რომელიც ვალდებულია, აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს მდგომარეობა, რომელიც ია-

⁸ რ.ციპელიუსი- „იურიდიული მეთოდების მოძღვრება, მეათე გადამუშავებული გამოცემა, მიუნხენი -2006 წელი, გვ.38.

რსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება.“

დელიქტური ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას ადგენს დელიქტური პასუხისმგებლობის განმსაზღვრელი მოთხოვნის საფუძვლის შემცველი სამართლის ნორმები. სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, დელიქტური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას შეიცავს მუხლები: 992, 993.1, 994.2, 994.3, 995.1, 996 (მეორე წინადადება), 997, 999.1, 1000.1, 1000.2, 1000.4, 1001, 1003, 1004, 1005.1, 1005.3, 1006 და 1007. ეს ნორმები ადგენს ვალდებულ პირის პასუხისმგებლობის საფუძვლებს, რასაც ემატება ზიანის ანაზღაურების სამართლის ნორმები (408-ე და მომდევნო მუხლები);

მაგალითისა და მეტი სიცხადისათვის, ყურადღება გამახვილდება ჩამოთვლილთაგან ზოგიერთი სახის სარჩელის წარდგენისათვის აუცილებელ წინაპირობებზე:

მუხლი 992: „პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგოდ, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია, აუნაზღაუროს მას ეს ზიანი“.

დელიქტური ვალდებულების ზოგადი კონცეფციის თანახმად, მართლსაწინააღმდეგოდ მოქმედი პირი, დელიქტორი, თავისი მოქმედების განხორციელებამდე ჯერ არ არის სამართლებრივ ურთიერთობაში მასთან, ვისაც ზიანს აყენებს.

აღნიშნული თეორიიდან გამომდინარე, დელიქტორი, უპირველეს ყოვლისა, არის ის, ვინც ზიანი უშუალოდ მიაყენა.⁹

თუმცა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 998-ე მუხლი აფართოებს პასუხისმგებელ პირთა წრეს და მიუთითებს, რომ დელიქტურ ვალდებულებებზე პასუხისმგებელი სუბიექტი არის არა მხოლოდ შემსრულებელი (ვინც ზიანი უშუალოდ მიაყენა), არამედ მისი დამყოლიებული და ხელშემწყობიც, ასევე, ვინც სხვისთვის მიყენებული ზიანით შეგნებულად ისარგებლა.

შემსრულებელთან ერთად წამქეზებლებისა და დამხმარე პირების დელიქტურ პასუხისმგებლობას გერმანული სამოქალაქო კოდექსიც იცნობს (გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, § 830, მე-2 ნაწილი).

⁹ მსგავს დანაწესს ითვალისწინებს, მაგალითად, საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი, რომლის 1382-ე და 1383-ე მუხლების თანახმად, ადამიანის ნებისმიერი მოქმედების შედეგად მიყენებული ზიანი უნდა აანაზღაუროს უშუალოდ ზიანის მიმყენებელმა. ყოველი პირი აგებს პასუხს ზიანისათვის, რომელიც მიაყენა სხვას თავისი განზრახი, გაუფრთხილებელი ან დაუდევარი მოქმედებით.

თუმცა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 998-ე მუხლი უფრო შორს მიდის და შემსრულებელთან ერთად პასუხისმგებლობას აკისრებს იმასაც, ვინც სხვისთვის მიყენებული ზიანით შეგნებულად ისარგებლა. ამით სამოქალაქო კოდექსის 998-ე მუხლის მე-2 ნაწილი განსხვავდება გერმანული¹⁰ და ფრანგული რეგულაციებისგან და შესაძლებელია, ქმნიდეს ერთგვარ გამონაკლისს დელიქტურ ვალდებულებათა ზოგადი წესიდან, რომლითაც უზრუნველყოფილია ვალდებულების უფრო მაღალი სტანდარტი “alterum non laedere” (არ მიაყენო ზიანი სხვას). აბსოლუტური დაცვის სისტემამ უფლებებთან ერთად მოიცვა ფასეულობებიც, რომლებიც ეკუთვნის უფლებათა დაცვის სფეროს. ეს სფერო მოიცავს პირის უფლებას და, შესაბამისად, მესამე პირის ვალდებულებას, არ იყოს სხვისთვის ზიანის მიყენების „პასიური მეთვალყურე“ და არ ისარგებლოს აღნიშნული ზიანით, თუნდაც ამის თაობაზე მისთვის მოგვიანებით გახდეს ცნობილი.¹¹

როგორც წესი, ამ სახის ვალდებულების წარმოშობა მხარეთა სახელშეკრულებო ურთიერთობას არ უკავშირდება. თუმცა, დელიქტური ვალდებულება შეიძლება სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებშიც წარმოიშვას (მაგ.: „მონათხოვრეს არ შეუძლია, ნათხოვარი ნივთით სხვაგვარად ისარგებლოს, ვიდრე ეს ხელშეკრულებით არის განსაზღვრული“: ანუ ის უნდა მოუფრთხილდეს დროებით სარგებლობაში არსებულ ნათხოვარ ნივთს და არ დააზიანოს ის; სსკ-ის 618-ე მუხლი).

მითითებული ნორმა შეიცავს დელიქტური სამართლის ზოგად დათქმას. ის არ ჩამოთვლის კანონით დასაცავ სამართლებრივ სიკეთეებსა და უფლებებს, თუმცა სასამართლო პრაქტიკა მისი გავრცობილი განმარტებით მოიაზრებს: პირის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, თავისუფლებას, საკუთრების უფლებას, აბსოლუტური უფლებრივი მდგომარეობის უფლებებს (შეზღუდული და აქცესორული სანივთო უფლებები, სახელის

¹⁰ დელიქტური პასუხისმგებლობის კონტექსტში საყურადღებოა გერმანიის სამოქალაქო კოდექსის § 992, რომელიც განსაზღვრავს დელიქტის ჩამდენი მფლობელის პასუხისმგებლობას. აღნიშნული ნორმის თანახმად, დელიქტის ჩამდენად ითვლება მფლობელი, რომელმაც მფლობელობა მოიპოვა აკრძალული თვითნებობის ან დანაშაულის ჩადენის გზით. ასეთი მფლობელი მესაკუთრის წინაშე პასუხს აგებს დელიქტის ნორმების თანახმად. თავის მხრივ, აკრძალული თვითნებობა გულისხმობს მოქმედებას, რომლითაც პირი მფლობელს ამ უკანასკნელის ნების გარეშე ართმევს მფლობელობას, ან ხელს უშლის მფლობელობაში (გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, § 858). აკრძალული თვითნებობის შედეგად შექმნილი მფლობელობა ხარვეზიანია. მფლობელის უფლებამონაცვლემ უნდა დაუშვას მის მიმართ პრეტენზიის წარდგენა, თუ იგი მფლობელის მემკვიდრეა, ან მფლობელობის შექმნისას იცის მისი წინამორბედის მფლობელობის ხარვეზიანობის შესახებ (იქვე, § 858, მე-2 ნაწილი).

¹¹ სუსგ საქმე #ას-857-821-2014, 21.122015 წელი.

უფლება, უფლება საკუთარ გამოსახულებაზე), პირად არაქონებრივ უფლებებს, საწარმოო სფეროში დაცულ უფლებებს (საავტორო, სავაჭრო, საპატენტო და მსგავსი უფლებები), სამომავლო უფლების მიღების უფლებებს და ა.შ.

ამ ტიპის სარჩელებზე **მოსარჩელები, ანუ დაზარალებულები**, შეიძლება იყვნენ როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირები, ასევე, ორგანიზაციები, რომლებიც არ არიან იურიდიული პირები. სახელმწიფო ამ სახის მოთხოვნის უფლებას ახორციელებს უფლებამოსილი ორგანოების მეშვეობით. მოპასუხეები არიან ის პირები, რომელთა ბრალეული ქმედებითაც მიყენებულია ზიანი.

ნორმის გამოყენების სამართლებრივი წინაპირობები, ანუ იმ ფაქტების ჩამონათვალი, რომლებიც სარჩელში სრულყოფილად და თანმიმდევრულად უნდა აისახოს. ამასთან, სარჩელში გასაგებად და დამაჯერებლად მიეთითოს მოსარჩელის მოსაზრებები საქმის თითოეულ ფაქტობრივ გარემოებასა და მტკიცებულებაზე. სახელდობრ:

ა) სახეზე უნდა იყოს ზიანის მიმყენებლის **ქმედება**, რომელიც გულისხმობს როგორც მოქმედებას, ისე უმოქმედობას. მოქმედების ქვეშ მოაზრება რაიმე ცნობიერი ან სურვილით მოტივირებული ქმედება. რაც შეეხება რეფლექსებს და არაცნობიერ ქმედებებს, ისინი მოქმედების ცნებას არ მოიცავს;

ბ) სადავო ქმედება უნდა იყოს **მართლსაწინააღმდეგო**, ანუ კანონით გათვალისწინებული აკრძალვის საწინააღმდეგო; ან არღვევდეს სხვა მოვალეობას, განსაკუთრებით, ხელშეკრულებებიდან გამომდინარე; ანდა ზიანს აყენებდეს ე.წ. აბსოლუტურად დაცულ უფლებებს (სიცოცხლე, ფიზიკური ხელშეუხებლობა, ჯანმრთელობის უფლება, საკუთრება, სხვა პიროვნული უფლებები). ამ უფლებების დარღვევის შემთხვევებში, მოქმედება, როგორც წესი, თავისთავად დელიქტურად ითვლება. ამასთან, არ უნდა არსებობდეს ქმედების მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავი გარემოებები (სსკ-ის 116-ე, 117.1-ე, 118-ე მუხლები);

გ) ზიანის მიმყენებლის ქმედება **ბრალეული** უნდა იყოს, ანუ სახეზე იყოს განზრახვა ან გაუფრთხილებლობა. იურიდიულ დოქტრინასა და სასამართლო პრაქტიკაში განზრახვი მოქმედება გულისხმობს ზიანის მიმყენებლის მხრიდან მართლსაწინააღმდეგოდ მოქმედების სურვილსა და მოსალოდნელი შედეგის გაცნობიერებას.¹² ვინც არღვევს სამოქალაქო ბრუნვისათვის დამახასიათებელ აუცილებელ ყურადღებიანობას, სჩადის

¹² ბ. ზოიძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, თბილისი 2001 წელი, გვ. 382.

გაუფრთხილებელ ქმედებას;¹³

დ) **კაუზალური ზიანი** - ზიანის არსებობის გარეშე არ არსებობს დელიქტური მოთხოვნის უფლება. ის გულისხმობს არა მარტო მატერიალურ, არამედ არამატერიალურ ზიანსაც. ზიანი უნდა გამომდინარეობდეს ხელმყოფი ქმედების მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ბუნებიდან. შესაბამისად, სახეზე უნდა იყოს არა ნებისმიერი სახის, არამედ პირდაპირი (ადეკვატური) მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და შედეგს შორის. ეს ნიშნავს, რომ კანონის ან სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა აუცილებელი პირობა უნდა იყოს ზიანის დადგომისათვის.

მოსარჩელემ არა მარტო გასაგებად და მკაფიოდ უნდა ჩამოაყალიბოს სსკ-ის 992-ე მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის ნინაპირობათაგან სამის (ზიანის მიმყენებლის ქმედება, მართლწინააღმდეგობა და ზიანი) დამადასტურებელი ფაქტები, არამედ სარჩელს დაურთოს შესაბამისი მტკიცებულებებიც. ეს გამომდინარეობს ამ სახის დავებზე მტკიცების ტვირთის განაწილების პრინციპიდან. ზოგადი წესის მიხედვით, მტკიცების საგანში შემავალი გარემოებებიდან ერთი ნაწილი უნდა დაამტკიცოს მოსარჩელემ, მეორე კი – მოპასუხემ. ამასთან, მტკიცების ტვირთის განაწილების საფუძველზე, მოსარჩელე თავისუფლდება იმ ფაქტების დადგენისაგან, რომლებიც მოპასუხემ უნდა დაამტკიცოს; და პირიქით, მოპასუხე თავისუფლდება იმ ფაქტების დადგენისაგან, რომლებიც მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს. მტკიცების ტვირთის მხარეთა შორის განაწილების ინსტიტუტი მიუთითებს არა მარტო იმაზე, თუ რომელმა მხარემ რა ფაქტები უნდა დაამტკიცოს, არამედ იმაზეც, რომელი ფაქტების დამტკიცების მოვალეობისაგან თავისუფლდება ესა თუ ის მხარე. შესაბამისად, მოსარჩელემ, როგორც წესი, უნდა დაამტკიცოს ყველა გარემოება, რომლებიც მოთხოვნის წარმოშობის საფუძველია, ხოლო მოპასუხემ – ყველა გარემოება, რომლებიც მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია.¹⁴ თუმცა, დელიქტურ სამართალში მტკიცების ტვირთის განაწილება თავისებურებით ხასიათდება: „მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების პრინციპიდან გამომდინარე, მოსარჩელე ვალდებულია, დაამტკიცოს ზიანის არსებობა და მოცულობა, ასევე, მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის: ანუ მოვალის მოქმედება უნდა იყოს არა მარტო ბრალეული, არამედ ზიანის გამომწვევიც. თავის მხრივ, ზიანის მიმყენებელმა უნდა დაამტკიცოს

¹³ ბ. ზოიძე, იქვე გვ. 384.

¹⁴ ჰ. ბოელინგი, ლ, ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდოლოგია, თბ., 2003, გვ. 64.

მის ქმედებაში მართლწინააღმდეგობისა და ბრალის არარსებობა“ **(მდრ.საქმე სუსგ #ას-153-2019, 8.05.2019).**

ამრიგად, მოსარჩელემ არა მარტო გასაგებად და მკაფიოდ უნდა ჩამოაყალიბოს სსკ-ის 992-ე მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის წინაპირობათაგან ორის (ზიანი და მისი დადგომა მოპასუხის ქმედების შედეგად) დამადასტურებელი ფაქტები, არამედ სარჩელს დაურთოს შესაბამისი მტკიცებულებებიც. ეს გამომდინარეობს ამ სახის დავებზე მტკიცების ტვირთის განაწილების პრინციპიდან.

მუხლი 993.1- პირი, რომელიც განზრახ ან გაუფრთხილებლად ავრცელებს ან ახმაურებს სხვა პირისათვის ქონებრივი ზიანის მომტანი ფაქტებს, ვალდებულია, აანაზღაუროს აქედან წარმოშობილი ზიანი, თუ ეს ფაქტები აშკარად არასწორია.

ამ ნორმის საფუძველზე, კრედიტორი უფლებამოსილია, პირს, რომელიც მის შესახებ ფინანსურად წამგებიან ინფორმაციას მართლწინააღმდეგოდ და ბრალეულად ავრცელებს ან ახმაურებს, მოსთხოვოს მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურება. დამრღვევის მოქმედების მართლწინააღმდეგო ბუნება განსაზღვრული ნორმის მე-2 ნაწილიდან გამომდინარეობს. ამ ნაწილით მოთხოვნა გამოირიცხება ისეთი გამონათქვამებისას, რომლებიც ემსახურება კანონიერი საზოგადოებრივი ინტერესების დაცვას. ქონებრივი ზიანის მომტანი ცნობების „გავრცელება“ და „საჯაროდ გამოცხადება“, თავისთავად, გულისხმობს, რომ მესამე პირებს შესაძლებლობა აქვთ, შეიტყონ/ან გაეცნონ ამ ინფორმაციას. თუ პირი მხოლოდ უშუალოდ დაზარალებულს აცნობს ამ სახის ინფორმაციას, ამ უკანასკნელს 993.1-ე მუხლის საფუძველზე მოთხოვნის უფლება არ წარმოეშობა.

მოსარჩელემ, ამ ნორმაზე დაყრდნობით სარჩელის აღძვრისას, დამაჯერებლად უნდა დაასაბუთოს არა მარტო ქონებრივი ზიანის მიყენება, არამედ მიუთითოს ხელმყოფის მიერ გავრცელებულ სინამდვილესთან შეუსაბამო ფაქტებზეც. როგორც წესი, აზრები და ფაქტები ერთმანეთს მჭიდროდ უკავშირდება და მათი გამიჯვნა რთულია. ეს განპირობებულია იმით, რომ გამოთქმის ორივე ფორმა იშვიათად გვხვდება სუფთა სახით. უმთავრესად, ჭარბობს სწორედ ისეთი გამონათქვამები, რომლებშიც თავს იყრის როგორც შეფასებითი, ასევე ფაქტობრივი ელემენტები. თუ გამონათქვამი მეტწილად შეიცავს პიროვნების სუბიექტურ დამოკიდებულებას, რომელიც გამოიხატება მისი პირადი აზრის, ფიქრის ან ვარაუდის სახით, და რეალურ ფაქტებს მოკლებულია, მაშინ ასეთი გამონათქვამი სუბიექტურ შეფასებას უთმობს ადგილს და საკუთარი აზრი-

ს/თვალსაზრისის თავისუფალი გამოხატვა; თუ გამონათქვამი, ძირითადად, გვანდის ინფორმაციას ობიექტურად მომხდარის შესახებ და გამოდგება საიმისოდ, რომ ადრესატებს წარმოდგენა შეუქმნას ობიექტურად მომხდარ ფაქტზე, ასევე, შესაძლებელია მისი გადამონმებაც, საუბარია ფაქტის გამჟღავნებაზე.¹⁵ „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის „ბ“ პუნქტის შესაბამისად, „აზრი“ განიმარტება, როგორც „შეფასებითი მსჯელობა, თვალსაზრისი, კომენტარი, აგრეთვე, ნებისმიერი სახით ისეთი შეხედულების გამოხატვა, რომელიც ასახავს რომელიმე პიროვნების, მოვლენის ან საგნის მიმართ დამოკიდებულებას და არ შეიცავს დადასტურებად ან უარყოფად ფაქტს“. ამავე კანონის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, „აზრის ან ფაქტის სტატუსის მინიჭების საკითხის განხილვისას, ყოველგვარი გონივრული ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს განცხადებაში მოყვანილი ცნობებისათვის აზრის სტატუსის მინიჭების სასარგებლოდ“.

გარდა ამისა, მსგავსი მოთხოვნის დაყენებისას, მოსარჩელემ აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს როგორც უზენაესი სასამართლოს, ისე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი ზოგადად გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებით.¹⁶

ნორმის გამოყენების სამართლებრივი წინაპირობები, ანუ იმ ფაქტების ჩამონათვალი რომლებიც სარჩელში სრულყოფილად და თანმიმდევრულად უნდა აისახოს. ამასთან, სარჩელში გასაგებად და დამაჯერებლად მიეთითოს მოსარჩელის მოსაზრებები საქმის თითოეულ ფაქტობრივ გარემოებასა და მტკიცებულებაზე. სახელდობრ:

ა) მოპასუხემ მოსარჩელის შესახებ მესამე პირთან გაავრცელა ან გაანმაურა ფაქტები;

ბ) გავრცელებული ან გახმაურებული ფაქტები აშკარად არასწორია (არსებითად მცდარია); არსებითად მცდარი ფაქტების გავრცელების ან გახმაურების მართლწინააღმდეგობის მტკიცებისას, მოსარჩელემ უნდა გაითვალისწინოს, რომ ფაქტების გავრცელების თავისუფლებაც ადამიან-

¹⁵ შდრ. სუსგ საქმე #ას-569-540-2014, 11.03.2016, GTZ- დელიქტური სამართლის პრობლემატიკა, სემინარი, წყალტუბო 2011 წელი.

¹⁶ სუსგ საქმე #ას-790-739-2017, 17.01.2018; საქმე #625-593-2014, 20.05.2016, *Handyside v. the United Kingdom* (7 December 1976, Series A no. 24), *Stoll v. Switzerland* ([GC] no. 69698/01, § 101, ECHR 2007-V); *Animal Defenders International v. the United Kingdom* [GC], no. 48876/08, § 100, ECHR 2013; *Morice v. France* [GC], no. 29369/10, § 124, 23 April 2015). *Lingens v. Austria*, 8 July 1986, §46, Series A no. 10) და ა.შ.

ნის ძირითადი უფლებაა და ისევე დაცულია კონსტიტუციურად, როგორც სსკ-ის მე-18 მუხლით გათვალისწინებული სიკეთეები (საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლი, ნაწილი 2). ამიტომ, ყველა შეფასებითი მსჯელობა, თვალსაზრისი, კომენტარი, აგრეთვე, ისეთი შეხედულების გამოხატვა (ნებისმიერი სახით), რომელიც ასახავს რომელიმე პიროვნების, მოვლენის ან საგნის მიმართ დამოკიდებულებას და არ შეიცავს დადასტურებად ან უარყოფად ფაქტს, არ შეიძლება იყოს ზიანის ანაზღაურების საფუძველი;

გ) გავრცელებული ან გახმაურებული ფაქტების გამო მოსარჩელემ განიცადა ქონებრივი დანაკლისი (ზიანი); ქონებრივი, ანუ მატერიალური ზიანი სახეზე იქნება, როდესაც მოსარჩელის ქონება, აშკარად არასწორად გავრცელებული ან გახმაურებული ფაქტების გამო, იმაზე ნაკლები გახდა, ვიდრე მანამდე იყო. შესაბამისად, მოსარჩელეს უფლება აქვს, მოითხოვოს პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა (სსკ-ის 408.1-ე მუხლი); თუ ეს შეუძლებელია, მას უფლება აქვს, მოითხოვოს კომპენსაცია (409-ე მუხლი);

დ) მოპასუხემ იცოდა ან უნდა სცოდნოდა, რომ მის მიერ გავრცელებული ან გახმაურებული ფაქტები არ შეესაბამებოდა სინამდვილეს. თუ მოპასუხემ არ იცოდა და არც შეიძლებოდა, სცოდნოდა, რომ ფაქტები არასწორი იყო, მისი პასუხისმგებლობა გამოირიცხება. ამ გარემოების მტკიცების ტვირთი სწორედ მოპასუხეს აწევს. მან უნდა დაასაბუთოს, რომ არ იცოდა ან, უკიდურეს შემთხვევაში, არც შეეძლო სცოდნოდა, რომ მის მიერ გამჟღავნებული ფაქტი მცდარი იყო. ამასთან, კანონით მას ენიჭება **კვალიფიციური პრეზიუმეცია** არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი განცხადებისათვის, თუ: „მან მიიღო გონივრული ზომები ფაქტის სისწორის გადასამოწმებლად, მაგრამ ვერ შეძლო შეცდომის თავიდან აცილება და გაატარა ქმედითი ღონისძიებები ცილისწამებით დაზიანებული პირის რეპუტაციის აღსადგენად; იგი მიზნად ისახავდა საზოგადოების კანონიერი ინტერესების დაცვას და დაცული სიკეთე აღემატება მიყენებულ ზიანს; მან განცხადება გააკეთა მოსარჩელის თანხმობით; მისი განცხადება წარმოადგენდა მოსარჩელის მიერ მის წინააღმდეგ გაკეთებულ განცხადებაზე თანაზომიერ პასუხს; მისი განცხადება წარმოადგენდა სამართლიან და ზუსტ რეპორტაჟს იმ მოვლენასთან დაკავშირებით, რომლისკენაც მიმართულია საზოგადოებრივი ყურადღება“ (საქართველოს კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“, მუხლი 15).

ამრიგად, მოსარჩელემ არა მარტო გასაგებად და მკაფიოდ უნდა ჩამოაყალიბოს სსკ-ის 993.1 მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის წინაპირობათაგან ორის („ა“ და „ბ“) დამადასტურებელი ფაქტები, არამედ სარჩელს დაურთოს შესაბამისი მტკიცებულებებიც. ეს გამომდინარეობს ამ სახის დავებზე მტკიცების ტვირთის განაწილების პრინციპიდან.

მუხლი 999.1 - მგზავრების გადაყვანისა და ტვირთების გადაზიდვის სთვის გათვალისწინებული სატრანსპორტო საშუალების მფლობელი, თუ მისი სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციას მოჰყვა ადამიანის სიკვდილი, დასახიჩრება ან ჯანმრთელობის მოშლა, ანდა ნივთის დაზიანება, ვალდებულია, დაზარალებულს აუნაზღაუროს აქედან წარმოშობილი ზიანი.

სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლის პირველი ნაწილი სამოქალაქო სამართლის ზოგადი პრინციპიდან („მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობა პირს ეკისრება მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედების ჩადენის შემთხვევაში“, იხ. სსკ-ის 992-ე მუხლის კომენტარი) განსხვავებულ წესს ადგენს. როგორც წესი, სატრანსპორტო საშუალების იურიდიული მფლობელი, მიუხედავად იმისა, მართავს თუ არა ამ საშუალებას, პასუხს აგებს დაზარალებულის წინაშე, თუ ზიანი მისი სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგია. ამ გამონაკლისს საფუძვლად უდევს გარემოება, რომ სატრანსპორტო საშუალება პოტენციური საფრთხის წყაროა და მისი გამოყენება განაპირობებს უფრო მაღალი ხარისხის საზიანო შედეგებს, ვიდრე სხვა ჩვეულებრივი საქმიანობა. ამგვარი თვისების გამო, ავტოსატრანსპორტო საშუალება მომეტებული საფრთხის წყაროდაა მიჩნეული და, მიუხედავად იმისა, რომ მისი მოხმარება სამართლებრივად ნებადართულია, პასუხისმგებლობა მომეტებული საფრთხის წყაროდან მომდინარე ზიანისათვის, ჩვეულებრივ სამოქალაქო-სამართლებრივ პასუხისმგებლობასთან შედარებით, უფრო მკაცრია: ზიანის ანაზღაურების ვალდებულება მომეტებული საფრთხის წყაროს მფლობელს ბრალის მიუხედავად ეკისრება. ეს გამოწვეულია იმ მატერიალური ობიექტების ფლობითა და სარგებლობით (ექსპლუატაციით ან ნებისმიერი ფორმით გამოყენებით), რომელსაც განსაკუთრებული ხარისხობრივი თვისება აქვს და ადამიანის მხრიდან მასზე სრული კონტროლის დამყარება შეუძლებელია.¹⁷

ამ ნორმის საფუძველზე ზიანის ანაზღაურების შესახებ კრედიტორის

¹⁷ სუსგ №ას-494-463-2010, 9 ნოემბერი, 2010 წელი, #ას-594-652, 6 ნოემბერი 2015 წელი.

(მოსარჩელის) მოთხოვნის ადრესატი სატრანსპორტო საშუალების იურიდიული მფლობელია. მოპასუხის სამართლებრივი სტატუსის სწორად განსაზღვრას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოპასუხის სათანადოობის დადგენისა (სსსკ-ის 85-ე მუხლი) და შემდგომში დადგენილი ყველა ფაქტობრივი წანამძღვრის სწორი სამართლებრივი შეფასებისათვის.

ამ ნორმის საფუძველზე მოთხოვნის წარდგენისას, მოსარჩელემ უნდა გაითვალისწინოს ის, რომ პასუხისმგებლობა ზიანისათვის ყოველთვის ეკისრება სატრანსპორტო საშუალების მფლობელს, მიუხედავად იმისა, ვინ იყო ზიანის უშუალო მიმყენებელი. სატრანსპორტო საშუალების მფლობელი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი, რომელიც კანონიერი საფუძველებით ფლობს სატრანსპორტო საშუალებას. სატრანსპორტო საშუალების მფლობელად არ ჩაითვლება პირი, რომელიც მართავს სატრანსპორტო საშუალებას მფლობელის ნებართვის გარეშე ან შრომითი ურთიერთობის საფუძველზე (მძღოლები, მემანქანეები და სხვა), ანდა, ეს სატრანსპორტო საშუალება მას გადაცემული ჰქონდა მფლობელისაგან.

ან ნორმის მიზნებისათვის, სატრანსპორტო საშუალებაა: ავტომობილი, საზღვაო და საჰაერო ხომალდები, სარკინიგზო შემადგენლობა, სამდინარო ტრანსპორტი - ყველა ძრავიანი სატრანსპორტო საშუალება ან მათი შეწყვილებული კომბინაცია, რომლის დანიშნულებაც არის ადამიანების ან რაიმე სახის საქონლის ტრანსპორტირება.

ნორმის გამოყენების სამართლებრივი წინაპირობები, ანუ იმ ფაქტების ჩამონათვალი რომლებიც სარჩელში სრულყოფილად და თანმიმდევრულად უნდა აისახოს. ამასთან, სარჩელში გასაგებად და დამაჯერებლად მიეთითოს მოსარჩელის მოსაზრებები საქმის თითოეულ ფაქტობრივ გარემოებასა და მტკიცებულებაზე. სახელდობრ:

ა) სატრანსპორტო საშუალება დაქოქილ მდგომარეობაში უნდა მონაწილეობდეს სატრანსპორტო მოძრაობაში (ექსპლუატაცია);

ბ) მოპასუხე უნდა იყოს სატრანსპორტო საშუალების იურიდიული მფლობელი;

გ) სახეზე უნდა იყოს სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლის პირველი აბზაცით დაცული სამართლებრივი სიკეთის დაზიანება (ადამიანის სიკვდილი, დასახიჩრება, ან ჯანმრთელობის მოშლა, ანდა ნივთის დაზიანება).

დ) ზიანი უნდა უკავშირდებოდეს სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციას. ჯანმრთელობისათვის ვნების შემთხვევაში, მოსარჩელეს შეუძლია მოითხოვოს ანაზღაურება არა მარტო მატერიალური (ქო-

ნებრივი), არამედ არამატერიალური ზიანისთვისაც (სსკ-ის 413.2 მუხლი). თუ სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციას მოჰყვა დაზარალებულის სიკვდილი, მოსარჩელეს სსკ-ის 1006-ე მუხლის საფუძველზე შეუძლია, მოპასუხეს მოსთხოვოს ზიანის ანაზღაურება სარჩოს დაწესებით (იმ პირებისათვის, რომელთა რჩენაც დაზარალებულს ევალებოდა) ან, სარჩოს სანაცვლოდ, მოითხოვოს ერთჯერადი ანაზღაურება, თუკი არსებობს ამის მნიშვნელოვანი საფუძველი.

სსკ-ის 1006-ე მუხლი პირდაპირ არ ითვალისწინებს მორალური ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობას. ეს ნიშნავს, რომ გარდაცვლილის კმაყოფაზე მყოფ პირებს, ამ ნორმის საფუძველზე, არ შეუძლიათ, მოითხოვონ მორალური ზიანის ანაზღაურება ოჯახის ახლობელი ადამიანის გარდაცვალებით გამოწვეული სულიერი ტკივილისათვის. ასეთი დარდი, გულისტკივილი, შინაგანი ცხოვრების რიტმის დარღვევა, გლოვა და დეპრესია, საკმარისი წინაპირობა არ არის გარდაცვლილის ოჯახის ახლობელი ადამიანებისათვის მორალური ზიანის ასანაზღაურებლად. მსგავს შემთხვევებში, მორალური ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, გამონაკლისის სახით, დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც ხანგრძლივი დროის განმავლობაში მიმდინარეობს მძიმე ფსიქოპათოლოგიური დარღვევები, რომლებიც არსებითად სცილდება უბედური შემთხვევის გამო ჯანმრთელობისთვის სულიერი ტკივილით მიყენებულ ზიანს (ვნებებს) და, ამის გამო, შეიძლება გავაიგივოთ სხეულის ან ჯანმრთელობის დაზიანებასთან.¹⁸

ამასთან, მოსარჩელემ უნდა გაითვალისწინოს, რომ მხოლოდ ამ გარემოებების მითითება და დამტკიცება შეიძლება არ იყოს საკმარისი მფლობელისათვის პასუხისმგებლობის დასაკისრებლად, რადგანაც სასამართლო მოპასუხის შესაგებლის შემონმებისას სათანადოდ იკვლევს სსკ-ის 999-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილებით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობის გამომრიცხავ გარემოებებს (ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების მოვალეობა არ გამოიყენება, როცა: „ა. ზიანდება გადასაზიდი ტვირთი, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მგზავრს ეს ტვირთი თან მიაქვს; ბ. ზიანდება სატრანსპორტო საშუალების მფლობელის მიერ შესანახად მიღებული ნივთი. 3. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების მოვალეობა არ გამოიყენება, როცა ზიანი გამომწვეულია დაუძლეველი ძალით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ზიანი წარმოიშვა საავიაციო ტრანსპორტის ექსპლუატაციის დროს“), და რომელიმე მათგანის არსებობის

¹⁸ სუსგ საქმე #ას-1185-1105-2017, 15.02.2018.

შემთხვევაში, სარჩელი წარუმატებელი იქნება.

ბ) დერივატიული (ნაწარმოები, ირიბი) სარჩელის აღძვრის წინაპირობები

სამართლის მეცნიერებაში ამ სახის სარჩელებს უწოდებენ საზოგადოების აქციონერის/პარტნიორის მიერ ინიცირებულ მოთხოვნას, რომელსაც იგი წარადგენს კორპორაციის სასარგებლოდ და მისი ხელმძღვანელების წინააღმდეგ. კორპორაციული მართვის პრინციპებით სარჩელის წარდგენის შესაძლებლობის აღიარება ინვესტორთა რწმენის გაზრდის საფუძველია და აღიქმება აქციონერთა უფლებების დაცვის რეალურ მექანიზმად. ეს უზრუნველყოფს მცირე აქციონერთა/მინორიტარ პარტნიორთა ჩართულობას ზოგადად კორპორაციულ მართვაში და აისახება ეფექტიანი კორპორაციული მართვის მოდელის ჩამოყალიბებაზეც.¹⁹

დერივატიული სარჩელის წარდგენის უფლება წარმოშობილია საწარმოში აქციონერის/პარტნიორის წილზე არსებული საკუთრების უფლებისაგან.

როგორც წესი, ამ სახის სარჩელის საგანია კომპანიისათვის მესამე პირთა ქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება. მესამე პირებში მოაზრებიან როგორც კომპანიის ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირები და სამეთვალყურეო საბჭოს წევრები, ისე ის პირებიც (კონტრაგენტები/ან სარგებლის მიმღები სხვა პირები), რომლებიც მონაწილეობდნენ კომპანიისათვის ზიანის მიყენებაში.

დერივატიული სარჩელი დირექტორთა კორპორაციული ანგარიშვალდებულების მექანიზმია, რომელიც უზრუნველყოფს დირექტორის არამართლზომიერი ქმედებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებას კომპანიისათვის, რისთვისაც კომპანიის სახელით მოქმედი აქციონერი (პარტნიორი) მიმართავს სასამართლოს. ასეთი სარჩელი, ერთი მხრივ, დირექტორის მხრიდან გადაცდომის ერთგვარი პრევენციაა, როდესაც მას გააზრებული აქვს, რომ აქციონერი (პარტნიორი) უფლებამოსილია, დირექტორატის გვერდის ავლით დამოუკიდებლად აღძრას სარჩელი კომპანიის სახელით და მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება. დერივატიული სარჩელი უნდა აღიძრას ყოველი კონკრეტული საქმის გარემოებების გათვალისწინებით (case-by-case). თუ საზოგადოებისთვის ზიანის მიყენების შე-

¹⁹ იხ. მაჭავარიანი ს. დისერტაცია: კორპორაციული ჯგუფების მართვა გერმანიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში და მართვის პრინციპების ინტეგრაცია ქართულ კერძო სამართალში, თბილისი, 2015, გვ. 143, 144.

დეგად შემცირდება მათი ქონება, ამის პროპორციულად შემცირდება პარტნიორთა საზოგადოების აქტივებში მონაწილეობის ხვედრითი წილიც. შესაბამისად, დერივატიული სარჩელის წარდგენისას, პარტნიორი/აქციონერი გამოდის საწარმოს წარმომადგენლად. „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 46-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, „თუ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებამ არ განახორციელა საკუთარი მოთხოვნა მესამე პირის მიმართ, პარტნიორს შეუძლია, საზოგადოების ნაცვლად და მის სასარგებლოდ, თავისი სახელით შეიტანოს სარჩელი ამ მოთხოვნის განსახორციელებლად.“²⁰

დერივატიული სარჩელის წარდგენისას, მოსარჩელემ უნდა გაითვალისწინოს, რომ მტკიცების თვალსაზრისით, მის ვალდებულებაა ზიანის ფაქტის დამტკიცება. მან უნდა მიუთითოს და წარადგინოს საწარმოს მატერიალური დანაკლისის მტკიცებულებები, რაც დირექტორის/ან სხვა მესამე ბრალეული ქმედების შედეგია, ხოლო საწარმოს ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი ვალდებულია, გააქარწყლოს ეს გარემოება და დაასაბუთოს, რომ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობებს და, თუნდაც მატერიალური დანაკლისის შემთხვევაში, ეს მდგომარეობა არ არის დირექტორის ბრალეული ქმედების შედეგი.

პარტნიორს/აქციონერს შეუძლია, დერივატიული სარჩელი აღძრას „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9, 46.5 და 53.5 მუხლების საფუძველზე. თუმცა, ამ ნორმებით გათვალისწინებული შედეგი მიიღწევა სხვა ნორმებით განსაზღვრულ ფაქტობრივ წინაპირობებთან შეჯერებით. კანონის დანაწესის მიხედვით, საზოგადოების დირექტორთან ურთიერთობები რეგულირდება „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით, საზოგადოების წესდებითა და მასთან დადებული სასამსახურო-ხელშეკრულებით (მენარმეთა შესახებ კანონის 9.7 მუხლი). შესაბამისად, განსახილველ დავაზე მსჯელობისას, მენარმეთა შესახებ კანონის ნორმებთან ერთად, გამოყენებული უნდა იყოს დავალების ხელშეკრულებისა და მიყენებული სახელშეკრულებო ზიანის მომწესრიგებელი ნორმებიც (სსკ-ის 709-ე და მომდევნო მუხლები, ასევე 394.1 და 408.1 მუხლები).

„მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 46.5 და 53.5 მუხლების საფუძველზე (თუ შპს-მ ან სააქციო საზოგადოებამ „არ განახორციელა

²⁰ შდრ. სუსკ №ას-687-658-2016, 06.11.2018.

საკუთარი მოთხოვნა მესამე პირის მიმართ, პარტნიორს/აქციონერს შეუძლია, საზოგადოების ნაცვლად და მის სასარგებლოდ, თავისი სახელით შეიტანოს სარჩელი აღნიშნული მოთხოვნის განსახორციელებლად“) წარსადგენი დერივატიული სარჩელის **სამართლებრივი წინაპირობები, ანუ იმ ფაქტების ჩამონათვალი რომლებიც სარჩელში სრულყოფილად და თანმიმდევრულად უნდა აისახოს.** სახელდობრ:

ა) მოსარჩელემ პირველ რიგში უნდა დაასაბუთოს, რომ მას აქვს დერივატიული სარჩელის აღძვრის უფლება, ანუ წარმოადგენს შპს-ის პარტნიორს, ან სს-ის აქციონერს;

ბ) მან უნდა მიუთითოს ფაქტებზე, რომლებიც ადასტურებს კომპანიისათვის ზიანის მიყენებას მესამე პირ(ებ)ის ქმედებით - მაგალითად, ინტერესთა კონფლიქტის წესების ან საზოგადოების კეთილსინდისიერად გაძლოლის ვალდებულების დარღვევით, ანდა პირადი სარგებლის მიზნით საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის გამოყენებით (მენარმეთა შესახებ კანონის მე-9 მუხლი);

გ) მან ასევე უნდა დაასაბუთოს კომპანიის უფლება ზიანის ანაზღაურებაზე და გარემოება, რომ მოთხოვნის განსახორციელებლად მიმართა კომპანიას კანონით დადგენილი წესით, რასაც შედეგი არ მოჰყოლია. თუ მას აღნიშნული მოქმედება არ შეუსრულებია, დამაჯერებლად უნდა დაასაბუთოს, რომ ასეთ მიმართვას არავითარი შედეგი არ მოჰყვებოდა;²¹

დ) მან სარჩელში არა მარტო უნდა მიუთითოს, არამედ დაამტკიცოს კიდევ კომპანიისთვის ზიანის მიყენება.

²¹ ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო სასამართლომ აღნიშნა: „სამეცნიერო დოქტრინაში ჩამოყალიბებულია მოსაზრება, რომ თუ აქციონერი საერთო კრებას მიმართავს და მიიღებს უარს სარჩელის წარდგენაზე, ეს აქციონერს სარჩელის წარდგენის უფლებას შეიძლება საერთოდ ართმევდეს. ამიტომაც, საერთო კრებისათვის მიმართვა არ უნდა იყოს სარჩელის დასაშვებობის წინაპირობა, თუ მისთვის წინასწარ სავარაუდო იყო, რომ ამას შედეგი არ მოჰყვებოდა“; საქმე #687-658-2016, 06.11.2018 წელი.

IV. საპროცესო მოქმედებები დაუშვებელი სარჩელის შემთხვევაში

კანონი განასხვავებს სარჩელის მიღებაზე უარის თქმის ორ ეტაპს (სსსკ-ის 183-ე და 185-ე მუხლები).

პირველი ეტაპი

პირველი ინსტანციის სასამართლოს კანცელარია არ დაარეგისტრირებს სარჩელს, თუ ის არ აკმაყოფილებს შემდეგ ფორმალურ (და არა შინაარსობრივ) მოთხოვნებს:

- თუ სარჩელი არ არის შეტანილი საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული ფორმით;

- თუ ფორმაში არ არის დასახელებული სასამართლო, სადაც შეაქვს სარჩელი; მოსარჩელის, მისი წარმომადგენლის (თუ სარჩელი შეაქვს წარმომადგენელს), მოპასუხის, მოწმის, სხდომაზე მოსაწვევი სხვა პირის სახელი, გვარი (სახელწოდება), ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი), აგრეთვე, არსებობის შემთხვევაში, ალტერნატიული მისამართი, სამუშაო ადგილის მისამართი, ტელეფონის ნომერი, მათ შორის, მობილურის ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, ფაქსი. თუ სარჩელი შეაქვს იურიდიულ პირს, ინდივიდუალურ მენარმეს ან წარმომადგენელს (გარდა კანონიერი წარმომადგენლისა), იგი ვალდებულია, მიუთითოს ელექტრონული ფოსტის მისამართი და ტელეფონის ნომერი;

- თუ არ არის მითითებული: დავის საგანი, სარჩელის ფასი, მოსარჩელის მოთხოვნა, ან სარჩელისათვის დართული დოკუმენტების ნუსხა;

- მოსარჩელის მოსაზრება საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვაზე (სსსკ-ის 178-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“–„დ“, „ზ“, „კ“ და „მ“ ქვეპუნქტები);

- თუ სარჩელს არ ერთვის: სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი (დედანი) (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შუამდგომლობების გრაფაში მითითებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების, გადახდის გადავადების ან ოდენობის შემცირების შესახებ შუამდგომლობა); თანდართული დოკუმენტების ნუსხაში მითითებული ყველა დოკუმენტი; წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, თუ სარჩელი (განცხადება) შეაქვს წარმომადგენელს; ხელმოწერა;

- თუ არ არის წარდგენილი სარჩელის (განცხადების) და თანდართული დოკუმენტების იმდენი ასლი, რამდენი მოპასუხეც არის.

მეორე ეტაპი

თუ სარჩელი აკმაყოფილებს აღძვრის ფორმალურ წინაპირობებს და კანცელარიამ დაარეგისტრირა, მოსამართლე, რომელსაც სარჩელი საქმეთა ელექტრონული განაწილების სისტემით გადაეცა განსახილველად, ხუთი დღის ვადაში წყვეტს სარჩელის წარმოებაში მიღების საკითხს. თუ სარჩელის დაუშვებლობის რომელიმე წინაპირობა გამოვლინდება, იგი დასაბუთებული განჩინებით არ მიიღებს სარჩელს, რაც შემოტანილ დოკუმენტებთან ერთად ჩაბარდება მოსარჩელეს, რომელსაც 12 დღის ვადაში შეუძლია, ზემდგომ (სააპელაციო) სასამართლოში გაასაჩივროს უარის თქმის განჩინება.²² გამოსწორებადი საფუძვლით უარის თქმის განჩინებაში მოსამართლემ აუცილებლად მკაფიოდ და გასაგებად უნდა მიუთითოს, თუ როგორ უნდა აღმოიფხვრას საქმის აღძვრის დამაბრკოლებელი გარემოებები. თავის მხრივ, მოსარჩელეს შეუძლია გამოსწორებადი საფუძვლის²³ არსებობის შემთხვევაში, ხელმეორედ წარადგინოს იგივე სარჩელი იმავე სასამართლოში.

ამასთან, მოსარჩელეს არ შეუძლია ხელმეორედ მიმართოს სასამართლოს იმავე სარჩელით, თუ მას მიღებაზე უარის ეთქვა იმის გამო რომ:

- სარჩელი არ ექვემდებარება სასამართლო უწყებას (დანვრილებით იხ. მე-11 და და 186-ე მუხლების კომენტარი);
- არსებობს სასამართლოს გადაწყვეტილება ან განჩინება მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმის, მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობის ან მხარეთა მორიგების დამტკიცების შესახებ (დანვრილებით იხ. მუხლი 3-ის კომენტარი);
- არსებობს სანოტარო მედიაციის ფარგლებში სანოტარო წესით დადასტურებული მორიგების აქტი;
- არსებობს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის ბრძანება დავალიანების გადახდევინების შესახებ, ან მორიგების პირობების დამტკიცების თაობაზე იმავე საქმესთან დაკავშირებით;

²² ამ ვადის გაგრძელება ან აღდგენა დაუშვებელია. იგი იწყება მხარისათვის განჩინების გადაცემის მომენტიდან.

²³ სსსკ-ის 186-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“, „ზ“ და „თ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლებით მოსამართლის მიერ სარჩელის მიღებაზე უარის თქმა ხელს არ უშლის პირს, რომ განმეორებით მიმართოს სასამართლოს იმავე სარჩელით, თუ აცილებული იქნება დაშვებული დარღვევა.

- ამ ან სხვა სასამართლოს წარმოებაშია დავა იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით;

- საქმე ამ სასამართლოს განსჯადი არ არის (დანვრილებით იხ. მე-13 და მომდევნო მუხლების კომენტარები). ამ შემთხვევაში მოსამართლე ვალდებულია, თავის განჩინებაში მიუთითოს, თუ რომელ სასამართლოს უნდა მიმართოს მოსარჩელემ.

თუ სარჩელის მიღებაზე უარის თქმის საფუძველი გამოვლინდება სარჩელის წარმოებაში მიღების შემდეგ, მაშინ, იმის მიხედვით, თუ როგორია ეს საფუძველი, სასამართლო შეწყვეტს საქმისწარმოებას ან სარჩელს განუხილველად დატოვებს (სსსკ-ის 272-ე და 275-ე მუხლები).

მუხლი 180. აღიარებითი სარჩელი

სარჩელი შეიძლება აღიძრას უფლებისა თუ სამართლებრივი ურთიერთობების არსებობა-არარსებობის დადგენის, დოკუმენტების ნამდვილობის აღიარების ან დოკუმენტების სიყალბის დადგენის შესახებ, თუ მოსარჩელეს აქვს იმის იურიდიული ინტერესი, რომ ასეთი აღიარება სასამართლოს გადანყვეტილებით მოხდეს.

ულრის ჰაგენლონი	633
180-ე მუხლი	633
მზია თოდუა	642
180-ე მუხლი	642

ულრის ჰაგენლონი

180-ე მუხლი

ქართული სსკ-დან მოყვანილი ნორმები:

- სსკ-ის 180-ე მუხლი

აღიარებითი სარჩელი

1. როგორც უკვე განხილულია მე-10 მუხლის ა.ნ. 15-ში, გერმანულ სამოქალაქო საპროცესო სამართალში, ქართული სამოქალაქო საპროცესო კოდექსისგან განსხვავებით, აღიარებითი სარჩელი (§ 256 Abs. 1 GER-ZPO) უნდა ეხებოდეს **სამართლებრივ ურთიერთობას**. აქედან გამომდინარე, აღიარებითი გადანყვეტილების საგანიც შეიძლება იყოს მხოლოდ სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა ან არარსებობა.

§ 256 GER-ZPO - აღიარებითი სარჩელი

(1) სარჩელი შეიძლება აღიძრას სამართლებრივი ურთიერთობის არსებობის ან არარსებობის დადგენის, დოკუმენტის აღიარების ან ყალბად ცნობის მიზნით, თუ მოსარჩელეს აქვს კანონიერი ინტერესი, რომ სამართლებრივი ურთიერთობა ანდა დოკუმენტის უტყუარობა თუ სიყალბე სწრაფად იქნას აღიარებული სასამართლოს გადანყვეტილებით.

(2) იმ ზეპირი განხილვის დასრულებამდე, რომელზეც გამოდის გადანყვეტილება, მოსარჩელეს სასარჩელო განცხადების გაფართოების, ხო-

ლო მოპასუხეს - შევებებული სარჩელის აღძვრის გზით, შეუძლია მოითხოვოს, რომ პროცესის მიმდინარეობისას სადავო სამართლებრივი ურთიერთობა, რომლის არსებობასა თუ არარსებობაზე მთლიანად ან ნაწილობრივ დამოკიდებულია სამართლებრივი დავის გადანყვეტა, დადგინდეს (აღიარებულ იქნას) სასამართლოს გადანყვეტილებით.

2. § 256 Abs. 2 GER-ZPO-ით მოწესრიგებულ (პრაქტიკაში არც ისე მნიშვნელოვან) შუალედურ აღიარებით სარჩელს მე-10 მუხლის ა.ნ. 25-ში შევებები. სხვა მხრივ, აღიარებით სარჩელთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს:

3. 1. როგორც ნებისმიერი სხვა სარჩელის, ისე აღიარებითი სარჩელის დასაშვებობისთვისაც აუცილებელია **სამართლებრივი დაცვის მოთხოვნა**. თუმცა, ზოგადი მავალდებულებელი სარჩელისგან განსხვავებით (იხ. ზემოთ, 177-ე და მომდევნო მუხლი, ა.ნ. 28), აღიარებითი სარჩელის შემთხვევაში ეს თავისთავად ცხადი არ არის.

4. ა) დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკის თანახმად, § 256 Abs. 1 GER-ZPO-ით გათვალისწინებული აღიარებითი სარჩელის აღძვრა, როგორც წესი, არ განიხილება, თუ შესაძლებელია მავალდებულებელი სარჩელის გამოყენება, რომელიც მოსარჩელის სამართლებრივი დაცვის ინტერესს ასევე იცავს (BGH, Urteil vom 11.12.1996 - VIII ZR 154/95 - BGHZ 134, 201; BGH, 21.02.2017-ის დაუსწრებელი გადანყვეტილება - XI ZR 467/15 - NJW 2017, 1823; BGH, Urteil vom 04.12.2015 - V ZR 22/15 - MDR 2016, 512; BGH, Urteil vom 17.06.1994 - V ZR 34/92 - NJW-RR 1994, 1272). **აღიარებითი სარჩელის ამ ე.წ. სუბსიდიურობის** მიზეზი ის არის, რომ აღიარებითი გადანყვეტილებების საფუძველზე აღსრულება შეუძლებელია და, ამიტომ, მოსარჩელეს მოუწევდა, მისთვის წარმატებული აღიარებითი სარჩელის შემდეგ, დამატებით, მავალდებულებელი სარჩელის აღძვრა სააღსრულებო ფურცლის მოსაპოვებლად (BGH, Urteil vom 11.12.1996 - VIII ZR 154/95 - BGHZ 134, 20; BGH, Urteil vom 04.12.2015 - V ZR 22/15 - MDR 2016, 512).

4. ა. თუმცა, აღიარებითი სარჩელის სუბსიდიურობის წინაპირობაა, მოსარჩელეს მავალდებულებელი სარჩელით შეეძლოს თავისი სამართლებრივი დაცვის მოთხოვნის სრულყოფილად განხორციელება. თუ ასე არ არის, მაშინ სამართლებრივი დაცვის იმ მიზანთან დაკავშირებით, რომლის მიღწევაც შესაძლებელია მავალდებულებელი სარჩელის გამოყენებით, ასეთი სარჩელი უნდა აღიძრას, მაგრამ უფრო შორს მიმავალ (მავალდებულებელი სარჩელით მიუღწევლად) სამართლებრივი დაცვის მოთხოვნასთან დაკავშირებით, აღიარებითი სარჩელის აღძვრა შესაძლებელია.

ბელი რჩება. შემდეგ, მოსარჩელეს შეუძლია, სარჩელთა გაერთიანების გზით, ორივე განაცხადის ერთი სამართლებრივი დავის ფარგლებში განხორციელება. თუ გამქირავებელი თვლის, რომ დამქირავებლის მიერ ქირავნობის ხელშეკრულების მოშლა ბათილია, მაშინ მან, თავისი აზრით ვადამოსული ქირის გადახდის მოთხოვნების გამო, მავალდებულებელი სარჩელი უნდა აღძრას. მაგრამ, მატერიალური კანონიერი ძალის ეფექტთან დაკავშირებით გერმანიაში მოქმედი პრინციპების მიხედვით (იხ. მე-10 მუხლის ა.ნ. 4 და მომდევნო აბზაცები და ა.ნ. 10 და მომდევნო აბზაცები), სასამართლოს მიერ ქირის გადახდის ვალდებულების დაკისრება არ გამოიწვევდა ქირავნობის ურთიერთობის გაგრძელების კანონიერი ძალის მქონედ აღიარებას. ამიტომ, გამქირავებელს რჩება შესაძლებლობა, რომ (საჭიროების შემთხვევაში, სამართლებრივ დავაში გადახდის შესახებ სარჩელით) მოითხოვოს ქირავნობის ურთიერთობის გაგრძელების აღიარება (შდრ. BGH, Urteil vom 03.07.2002 XII ZR 234/99 - NJW-RR 2002, 1377). თუმცა, სხვაგვარი წესი მოქმედებს ჯერ კიდევ დაუსრულებელი (პროგრესირებადი) ზარალის შემთხვევაში, ვინაიდან ასეთ დროს დაზარალებულს ვერ დაეკისრება მისი ზარალის უკვე დაკონკრეტებულ ნაწილთან თავისი განაცხადის მუდმივად მისადაგების ვალდებულება (იხ. ქვემოთ ა.ნ. 10).

5. აა) სამართლებრივი დოგმატიკის თვალსაზრისით, ეს თემა უარყოფითი აღიარებითი სარჩელისას ისევე წარმოიჭრება, როგორც პოზიტიური აღიარებითი სარჩელის შემთხვევაში, მაგრამ პრაქტიკაში ნეგატიური აღიარებითი სარჩელის სამართლებრივი დაცვის მოთხოვნის გადმოცემა მავალდებულებელი სარჩელით, ხშირად, შეუძლებელია, ან არასრულყოფილად არის შესაძლებელი. ამიტომ (უარყოფითი აღიარებითი სარჩელის) მოსარჩელეს, ჩვეულებრივ, არ შეიძლება მიეთითოს მასზე.

6. თუ მყიდველი სადავოს ხდის ნასყიდობის ხელშეკრულების არსებობას, მას, როგორც მოსარჩელეს, მავალდებულებელი სარჩელით თავისი სამართლებრივი დაცვის მოთხოვნის სრულყოფილად განხორციელება მხოლოდ მაშინ შეუძლია, თუ სავარაუდოდ შესასრულებელი ვალდებულებები უკვე შესრულებული აქვს და ამიტომ შეუძლია, მავალდებულებელი სარჩელით განახორციელოს ნასყიდობის ფასის დაბრუნების მოთხოვნის უფლება. თუ მას ჯერ არ შეუსრულებია საკუთარი ვალდებულება, მავალდებულებელი სარჩელის გამოყენების შესაძლებლობა მისთვის, როგორც წესი, თავიდანვე გამორიცხულია. ეს წესი მოქმედებს, საბოლოო ჯამში, ნაწილობრივ შესრულებული ვალდებულებების შემთხვევა-

შიც, ვინაიდან მათი დაბრუნებისკენ მიმართული მავალდებულებელი სარჩელი გერმანულ სამართალში არ იძლევა მატერიალური კანონიერი ძალის მქონე გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობას, რომ მოპასუხეს არ ეკუთვნის არავითარი სხვა მოთხოვნის უფლება (შდრ. ასევე, BGH, Urteil vom 16.05.2017 - XI ZR 586/15 - NJW 2017, 2340; ნაწილობრივი სარჩელების მატერიალური სამართლებრივი ძალის შესახებ, შდრ. ასევე მე-10 მუხლი, ა.ნ. 19 და მომდევნო აბზაცები).

7. ბ) თუმცა, გამონაკლისის სახით, შეიძლება, რომ მიუხედავად შესაძლო მავალდებულებელი სარჩელისა, აღიარებითი სარჩელი დასაშვები იყოს, თუ ამით შესაძლებელია, მხარეთა შორის არსებულ დავაზე საბოლოო და საპროცესო ეკონომიის თვალსაზრისით, გონივრული გადაწყვეტილების გამოტანა (BGH, Urteil vom 27.06.1995 - XI ZR 8/94 - BGHZ 130, 115; BGH, Urteil vom 24.01.2017 - XI ZR 183/15 - NJW-RR 2017, 815; ფარგლებთან დაკავშირებით: BGH, Urteil vom 17.04.2018 - XI ZR 446/16 - NJW-RR 2018, 1067; BGH, Urteil 24.01.2017 - XI ZR 183/15 - NJW-RR 2017, 587; BGH, Urteil vom 04.12.2015 - V ZR 22/15 MDR 2016, 512). აღსანიშნავია, რომ აქ საუბარია აშკარად გამონაკლის შემთხვევებზე. ამიტომ, მოსარჩელისთვის რეკომენდებულია, აირჩიოს მავალდებულებელი სარჩელის უსაფრთხო გზა. ეს კიდევ უფრო მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებით, რომ უმაღლესი ფედერალური სასამართლო ბოლო პერიოდში ასეთ გამონაკლისებს თითქმის საერთოდ აღარ უშვებს.

8. გგ) თუ მოსარჩელისთვის (ჯერ) არ არის შესაძლებელი მავალდებულებელი სარჩელის § 253 Abs. 2 Abs. 2 GER-ZPO-ს შესაბამისად განსაზღვრა (იხ. ზემოთ 177-ე მუხლი, ნრ. 9 და 25), მაშინ აღიარებითი სარჩელის სუბსიდიურობა აღარ იმოქმედებს. თუმცა, ამ შემთხვევაშიც, სამართლებრივი დაცვის მოთხოვნის წინაპირობაა ის, რომ, ერთი მხრივ, მოსარჩელის უფლებას რეალური საფრთხე ან გაურკვევლობა ემუქრება, ანუ მას აქვს დაუყოვნებლივ გარკვევის ინტერესი და, მეორე მხრივ, მოთხოვნილი გადაწყვეტილება გამოსადეგია ამ საფრთხის ან გაურკვევლობის აღმოსაფხვრელად (BGH, Urteil vom 30.04.2015 - I ZR 127/14 - NJW 2016, 66; BGH, Urteil vom 25.02.2010 - VII ZR 187/08 - NJW-RR 2010, 750). ამასთან, ნეგატიური აღიარებითი სარჩელის სამართლებრივი დაცვის მოთხოვნისთვის საკმარისია, რომ მოპასუხე მოსარჩელისათვის დამაზიანებელ სამართლებრივ მდგომარეობაზე აპელირებს; ზოგადად, აუცილებელი არ არის, ის ამ დროისთვის უკვე განხორციელებად უფლებას ამტკიცებდეს (BGH, Urteil vom 02.10.2018 - X ZR 62/16 juris; BGH, Urteil vom 12.07.2011 - X ZR 56/09 - GRUR 2011, 995). მთლიანობაში, სასამართლო პრაქტიკა უფრო გულუხვია, როდესაც საქმე ეხება სა-

კითხს, შეიძლება თუ არა, რომ მოსარჩელეს მოეთხოვოს წარმოშობილი აზრთა სხვადასხვაობის გარკვევის გადადება იქამდე, ვიდრე შესაძლებელი გახდება მავალდებულებელი სარჩელის აღძვრა. ეს განსაკუთრებით მოქმედია, როდესაც სხვა მხრივ არსებობს ხანდაზმულობის ვადის გასვლის საფრთხე, ან გარკვეული ეკონომიკური დისპოზიციები თუ სხვა გადანყვეტილებები უკვე (ახლა) დამოკიდებულია სამართლებრივი ურთიერთობის სადავო შინაარსზე. ასე, მაგალითად, თუ დაზღვეულს აქვს სამართლებრივი ინტერესი, რომ სადაზღვევო შემთხვევის დადგომამდე გაარკვიოს მისი ოჯახის წევრის უზრუნველყოფის საკითხი და დეტალები თავისი გარდაცვალების შემთხვევაში, რათა დროულად აღმოაჩინოს შესაძლო ხარვეზები და, თუ საჭიროა, შეძლოს მათი გათვალისწინება (BGH, Urteil vom 26.04.2017 - IV ZR 126/16 - NJW 2017, 2191).

9. ამგვარ შემთხვევებს არსებითი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს **ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებების** შემთხვევაში, რომელთა ციფრებში გამოხატვა ჯერ შეუძლებელია ან/და რომელთა ზიანი ჯერ ისევ ფორმირების პროცესშია. ეს განსაკუთრებით მოქმედია, როდესაც მოსარჩელეს აქვს კანონიერი ინტერესი, რომ ზიანის ციფრებში გამოხატვამდე ან/და მისი ფორმირების დასრულებამდე, სულ მცირე, გარკვეული იყოს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის მიზეზში და შექმნას მყარი საფუძველი თავისი შემდგომი დისპოზიციებისთვის; ან როდესაც საუბარია არსებით დამაზიანებელ შედეგებზე, რომ შეიქმნას წარმოდგენა არსებულ სამართლებრივ მდგომარეობაზე. თუმცა, დადგენის ინტერესის წინაპირობაა, დამაზიანებელი ქმედების შედეგად დამდგარი (და არა დაკმაყოფილებული ან, შესაბამისად, გადახდის მოთხოვნით გათვალისწინებული) ზიანი, სულ მცირე, სავარაუდო იყოს. ამ ალბათობის გადმოცემისა და მტკიცების ტვირთი ეკისრება დაზარალებულს (BGH, Urteil vom 04.12.2014 - III/ZR 51/13 - BGHZ 203, 312; BGH, Urteil vom 24.01.2016 - XI ZR 384/03 - BGHZ 166, 84; BGH, Urteil vom 26.07.2018 - I ZR 274/16 - NJW-RR 2018, 1301).

10. თუ სარჩელის აღძვრისას ზიანის ფორმირება ჯერ არ არის დასრულებული, მოსარჩელეს შეუძლია, სრული მოცულობით მოითხოვოს ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დადგენა (შდრ. ა.ნ. 4). ასეთ შემთხვევაში, მას უკვე ციფრებში გამოხატული (ნაწილობრივი) ზიანის გამო არ უნდა მიეთითოს მავალდებულებელ სარჩელზე (BGH, Urteil vom 19.04.2016 - VI ZR 506/14 - NJW-RR 2016, 759; BGH, Urteil vom 08.07.2003 - VI ZR 304/02 - NJW 2003, 2827); ასევე, არ უნდა დაევალოს კერძო დასკვნის მოპოვება, რომ შესაძლებელი იყოს ჯერ კიდევ ფორმი-

რების პროცესში მყოფი ზიანის პროგნოზირება (BGH, Urteil vom 12.07.2005 - VI ZR 83/04 - BGHZ 163, 351; BGH, 21.02.2017-ის დაუსწრებელი გადაწყვეტილება - XI ZR 467/15 - NJW 2017, 1823). აღნიშნულის მიუხედავად, დაზარალებულს, რა თქმა უნდა, შეუძლია თავისი ზიანის ციფრებში გამოხატული ნაწილის ანაზღაურების მოთხოვნა გადახდის შესახებ სარჩელით და აღიარებითი სარჩელის შემოფარგვლა სამომავლო ზიანით, რომლის ციფრებით გამოხატვაც ჯერ შეუძლებელია. ასეთი საპროცესო ქცევა გერმანიაში, განსაკუთრებით, არსებითი ზიანის შემთხვევებში და პირისთვის მიყენებული ზიანისას, დამკვიდრებულიც არის. თუმცა, ამ შემთხვევაშიც რჩება წესი, რომლის თანახმად, დაზარალებულს არ ევალება თავისი განაცხადის მუდმივად მისადაგება ზიანის იმ ნაწილთან, რომლის ციფრებში გამოხატვა სამართლებრივი დავის მიმდინარეობისას შიგადაშიგ შესაძლებელი ხდება; თუმცა, მას ამის გაკეთება - თუკი სურვილი აქვს - პროცესუალურად, სარჩელის შეცვლითაც შეუძლია.

11. დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებისას, სასამართლო პრაქტიკა აღიარებითი სარჩელის დასაშვებობისთვის საკმარისად მიიჩნევს ვალდებულების დარღვევით გამოწვეული ზიანის დადგომის უბრალო შესაძლებლობას ან, შესაბამისად, ასეთი ზიანის დადგომის საფრთხეს; აღიარების ინტერესი მხოლოდ იმ შემთხვევაში არ არსებობს, როდესაც არ არსებობს საფუძველი, რომ ზიანის დადგომა, სულ მცირე, სავარაუდოდ ჩაითვალოს (BGH, Urteil vom 02.04.2014 - VIII ZR 19/13 NJW-RR 2014, 840; BGH, Beschluss vom 09.01.2007 - VI ZR 13/06 - NJW-RR 2007, 601; BGH, Urteil vom 20.01.2001 - VI ZR 325/99 - NJW 2001, 3414). წმინდა ქონებრივი ზიანის შემთხვევაში, აღიარებითი სარჩელის დასაშვებობა დამოკიდებულია დამაზიანებელი მოქმედებით გამოწვეული ზიანის დადგომის საკმარის ალბათობაზე (BGH, Urteil vom 24.01.2006 - XI ZR 384/03 - BGHZ 166, 84; BGH, Urteil vom 25.10.2001 - IX ZR 427/98 - NJW 2002, 1346). ეს (მართალია, მხოლოდ თანდათანობითი) განსხვავებული მოთხოვნები ემყარება იმას, რომ გერმანიაში დელიქტური სამართლის სფეროში საქართველოსგან ნაწილობრივ განსხვავებული პასუხისმგებლობის სისტემა მოქმედებს (იხ. ზემოთ, Art. 102 Rn. 39).

12. დდ) თუ მავალდებულებელი სარჩელის უპირატესობის გამო, აღიარებითი სარჩელისთვის სამართლებრივი დაცვის მოთხოვნა არ არსებობს, მაშინ დაუშვებლობის გამო მასზე უარის შემცველ გადაწყვეტილებას, § 139 GER-ZPO-ს შესაბამისად, უნდა მოჰყვეს სამართლებრივი მითითება (იხ. ზემოთ, მე-4 მუხლი, ა.ნ. 8 და მომდევნო აბზაცები), რათა

მოსარჩელეს მიეცეს შესაძლებლობა, რომ მანამდე არსებული აღიარებითი სარჩელი, § 264 Nr. 2 GER-ZPO-ის მიხედვით (იხ. ზემოთ, 83-ე მუხლი, ა.ნ. 1), დასაშვები გზით გადააკეთოს მავალდებულებელ სარჩელად (BGH, Urteil vom 12.07.2005 - VI ZR 83/04 - BGHZ 163, 351; BGH, Versäumnisurteil vom 21.02.2017 - XI ZR 467/15 - NJW 2017, 1823; BGH, Urteil vom 14.03.2017 - XI ZR 442/16 - NJW-RR 2017, 812).

13. ბ) გერმანულ სამართალში აღიარებითი სარჩელის საგანი პრინციპულად შეიძლება იყოს მხოლოდ **მიმდინარე სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა ან არარსებობა**.

14. განვლილი სამართლებრივი ურთიერთობის დადგენის დაცვის ღირსი ინტერესი არ განიხილება, ვინაიდან - თუ არ არსებობს რაიმე ამჟამინდელი ეფექტი - სასამართლოს ამოცანა არ არის მონაწილისთვის უფლების არსებობის ან არარსებობის დადასტურება მომხდარის შემდგომ (BGH, Urteil vom 17.06.2016 - V ZR 272/15 - NJW-RR 2016, 1404; BAG Beschluss vom 20.01.2015 - 1 ABR 1/14 - NZA 2015, 765). თუმცა, ცალკეულ შემთხვევებში შეიძლება, რომ ფორმალურად დასრულებულ სამართლებრივ ურთიერთობას აწმყოსა და მომავლისთვის ჰქონდეს სამართლებრივი შედეგები (BGH, Urteil vom 17.06.2016 - V ZR 272/15 - NJW-RR 2016, 1404; BAG, Beschluss vom 20.01.2015 - 1 ABR 1/14 - NZA 2015, 765). მათ განეკუთვნება, განსაკუთრებით, განვლილი სამართლებრივი ურთიერთობები, რომელთა შემთხვევაშიც ეფექტიანი სამართლებრივი დაცვის განხორციელება მოითხოვს, რომ **დისკრიმინაციული შედეგების** გაგრძელების გამო, აღიარებული იყოს რეაბილიტაციის (ამჟამად არსებული) მოთხოვნის უფლება (BGH, Urteil vom 15.12.2006 - I ZR 63/15 - BGHZ 213, 179; BGH, Urteil vom 17.06.2016 - V ZR 272/15 - NJW-RR 2016, 1404; BGH, Urteil vom 30.10.2009 - V ZR 253/08 - NJW 2010, 534, საფეხბურთო სტადიონისთვის [ვადაგასული] „სტადიონის აკრძალვის“ მართლწინააღმდეგობის აღიარების მიზნით). თუმცა, ამისთვის ძალიან მაღალი წინაპირობები არსებობს. გადამწყვეტია ის, რომ ობიექტური და გონივრული დაკვირვებისას, დასრულებული დამაზიანებელი მოქმედების მავნე შედეგები გრძელდება და მათთან ეფექტიანი დაპირისპირება შესაძლებელია მათი მართლწინააღმდეგობის სასამართლო გზით აღიარებით (BGH, Urteil vom 15.12.2006 - I ZR 63/15 - BGHZ 213, 179; BGH, Urteil vom 17.06.2016 - V ZR 272/15 - NJW-RR 2016, 1404).

15. 2. § 256 Abs. 1 GER-ZPO-ის შესაბამისად, აღიარებითი სარჩელი მიმართული უნდა იყოს **სამართლებრივი ურთიერთობის არსებობის ან არარსებობის დადგენისკენ**. სამართლებრივი ურთიერთობა მაშინაც სა-

ხეზეა, როდესაც ვალდებულება ჯერ არ არის წარმოშობილი, მაგრამ მისთვის საფუძველი უკვე ჩაიყარა - ანუ ვალდებულების წარმოშობა დამოკიდებულია მხოლოდ სხვა მოვლენების (უეჭველ) დადგომაზე ან დროის გასვლაზე (BGH, Urteil vom 26.04.2017 IV ZR 16/16 - NJW 2017, 2191; BGH, Urteil vom 05.03.2014 - IV ZR 102/13 - juris). ასეთის შემთხვევაში, აღიარებითი სარჩელის დასაშვები საგანი შეიძლება იყოს ცალკეული უფლებები და მოვალეობები, რომლებიც სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარეობს (BGH, Urteil vom 26.04.2017 - IV ZR 16/16 - NJW 2017, 2191; BGH, Versäumnisurteil vom 27.03.2015 - V ZR 296/13 - NJW-RR 2015, 915). საპირისპიროდ, უმაღლესი ფედერალური სასამართლოს დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, აღიარებითი სარჩელის საგანი ვერ იქნება სამართლებრივი ურთიერთობის უბრალო ელემენტები ან წინასწარი საკითხები, ისევე, როგორც წმინდა ფაქტობრივი ურთიერთობები, ნების გამოვლენის ნამდვილობა ან, შესაბამისად, გარკვეული ქცევის მართლსაწინააღმდეგობა (BGH, Urteil vom 03.05.1977 - VI ZR 36/74 - BGHZ 68, 331; BGH, Urteil vom 15.12.2006 - I ZR 63/15 - BGHZ 213, 179; BGH, Urteil vom 10.07.2018 - XI ZR 674/16 - juris; BGH, 27.03.2015-ის დაუსწრებელი გადაწყვეტილება - V ZR 296/13 - NJW-RR 2015, 915). წარმოგიდგენთ მაგალითს სასამართლო პრაქტიკიდან (BGH, Urteil vom 01.08.2017 - XI ZR 469/16 - NJW-RR 2017, 1260):

16. „ ხელშეკრულების მოშლის განცხადების იურიდიული ძალა არ შეიძლება იყოს § 256 Abs. 1 GER-ZPO-ით გათვალისწინებული აღიარებითი სარჩელის საგანი (მითითება: სსკ-ის 180-ე მუხლთან შესაბამისობაში), ვინაიდან ის წარმოადგენს მხოლოდ წინასწარ შეკითხვას, კვლავინდებურად არსებობს თუ არა სამართლებრივი ურთიერთობა, რომლის დადგენაც შესაძლებელია (შდრ. BGH WM 2000, 53; BGH NJW 2008, 1303). ამ ვითარებაში, § 256 Abs. 1 GER-ZPO-ით გათვალისწინებული აღიარებითი სარჩელის დავის საგანია ის, პრინციპულად აგრძელებს თუ არა არსებობას ინდივიდუალური მშენებლობისთვის ბანკთან დადებული ხელშეკრულება. ამიტომ, თუ (როგორც აქ) სადავო სამართლებრივი ურთიერთობის კვლავინდებურად არსებობის დადგენის განაცხადთან ერთად, მოთხოვნის საგანია ასევე ხელშეკრულების მოშლის ბათილობის დადგენა, მაშინ ამ უკანასკნელს დამოუკიდებელი მნიშვნელობა არ ენიჭება. თუ მოსარჩელე იზოლირებულად ითხოვს ხელშეკრულების მოშლის ბათილობის დადგენას, ასეთი სასარჩელო განცხადება, როგორც წესი, უნდა განიმარტოს ისე, რომ დასადგენი იყოს სახელშეკრულებო ურთიერთობის კვლავინდებურად არსებობა (...).

17. სასარჩელო განცხადების განმარტებისთვის ამ გადაწყვეტილებაში შემუშავებული პრინციპები ასევე მოქმედებს აღიარებითი გადაწყვეტილების განმარტების მიმართაც. მის სარეზოლუციო ნაწილში, დასაუბრებელი სამართლებრივი ურთიერთობის გვერდით (ზემოთ წარმოდგენილ მაგალითში: ინდივიდუალური მშენებლობისთვის ბანკთან დადებული ხელშეკრულების იურიდიული ძალა) - ობიექტურად, პროცესუალურად არასწორად - ასევე დგინდება შემადგენლობის ცალკეული ელემენტის (ზემოთ მოყვანილ შემთხვევაში: ხელშეკრულების მოშლა) ნამდვილობა.

18. 3. აღიარებითი სარჩელის კანონიერი ძალის ეფექტთან, ასევე, ნეგატიური აღიარებითი სარჩელის შემთხვევაში გადმოცემისა და მტკიცების ტვირთთან დაკავშირებით, იხ. მე-10 მუხლის ა.ნ. 14-სა და მომდევნო აბზაცებში წარმოდგენილი განმარტებები.

მზია თოდუა

180-ე მუხლი

I. აღიარებითი სარჩელის სამართლებრივი ბუნება, დასაშვებობის წინაპირობები

1. ამ სახის სარჩელებს, მიკუთვნებითი სარჩელებისაგან განსხვავებით, სამოქალაქო სამართალწარმოებაში დიდი მნიშვნელობა არ ენიჭება, რადგანაც, უმეტეს შემთხვევაში, მოსარჩელის ინტერესი უკავშირდება არა მოპასუხესთან სადავო უფლების ან სადავო მატერიალური სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა/არარსებობის ფაქტის აღიარებას (დადასტურებას), არამედ კონკრეტული სამართლებრივი შედეგის დადგომას. ეს გულისხმობს, რომ დავის მონაწილე ერთ-ერთი მხარე წერილობით (სარჩელით) მიმართავს სასამართლოს, რათა სამართლებრივად დადგინდეს, რომ იგი უფლებამოსილია, დავის მეორე მხარის მიმართ დააყენოს მოთხოვნა გარკვეული მოქმედების შესრულების ან შესრულებისაგან თავშეკავების თაობაზე. მხოლოდ ამ სახის გადაწყვეტილების საფუძველზე შეიძლება სამართლებრივად დადგენილი მოთხოვნის იძულებითი წესით აღსრულება.

სსსკ-ის 180-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარეობს აღიარებითი სარჩელის იურიდიული ინტერესის განმსაზღვრელი შემდეგი კრიტერიუმები:

- ა) მოსარჩელეს უნდა ედავებოდნენ უფლებაში;
- ბ) დავის არსებობა უნდა ქმნიდეს მოსარჩელის უფლების მომავალში დარღვევის რეალურ საშიშროებას;
- გ) აღიარებითი სარჩელის გადაწყვეტა დავის გადაწყვეტის საუკეთესო საშუალება უნდა იყოს, რაც გულისხმობს, რომ გადაწყვეტილების შედეგად სრულად გარკვეული შედეგი დგებოდეს მხარისათვის.

აღიარებითი სარჩელის დაკმაყოფილებით უნდა განისაზღვროს ის უფლება თუ ურთიერთობა, რაც მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის წარმოშობილი დავის გამო ირღვევა.¹

შესაბამისად, თუ მხარე აღძრავს აღიარებით სარჩელს, რომელსაც შედეგად არ მოჰყვება მისი ინტერესის დაკმაყოფილება, სასამართლომ ის

¹ შდრ.სუსგ # ას-838-802-2014, 19.03.2015წ., #ას-932-872-2017, 17.10. 2017.

არ უნდა განიხილოს. ამასთან დაკავშირებით ყურადსაღებია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიდგომა, რომლის მე-6 მუხლით რეგულირებულია სამართლიანი სასამართლოს პრინციპი. კონვენციის ეს დათქმა, ევროსასამართლოს პრეცედენტული პრაქტიკის თანახმად, ფართო განიმარტება და მოიცავს საქმის არა მხოლოდ მიუკერძოებელ განხილვას, არამედ სამართლიან გადანყევეტასაც. ეს, თავისთავად, მიუთითებს, რომ მართლმსაჯულების განხორციელება არ უნდა ატარებდეს ფორმალურ ხასიათს: სამართალწარმოების მიზანი ორიენტირებული უნდა იყოს დარღვეული უფლების ეფექტიან და რეალურ დაცვაზე, რაც მიანიშნებს ეროვნული სასამართლოს მიერ საკითხის ამომწურავ გადანყევეტაზე და არა ფორმალურ სამართალწარმოებაზე, რომელსაც შედეგად არ მოჰყვება დავის აღმოფხვრა.² საქმეებზე **Apostol v. Georgia (§ 37)**, ასევე, **Hornsby v. Greece (§ 40)**, ევროსასამართლომ განმარტა, რომ საერთო სასამართლოებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ აღძრული სარჩელისადმი მოსარჩელის იურიდიულ ინტერესზე, ასევე, საკითხზე, რამდენად შესაძლებელია, აღიარებითი სარჩელის ნაცვლად, მიკუთვნებითი მოთხოვნის წაყენება მოპასუხისადმი. ეს, იმავდროულად, გადანყვეტილების აღსრულებაუნარიანობის საკითხსაც უკავშირდება: რადგან გადანყვეტილების აღსრულება მხარისათვის გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს განუყოფელი ნაწილია, ნებისმიერი სასამართლოს მიერ გამოტანილი გადანყვეტილების აღსრულება „სასამართლო პროცესის“ განუყოფელ ნაწილად უნდა განიხილებოდეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მიზნებიდან გამომდინარე (იხ. ასევე: **IZA Ltd and Makrakhidze v. Georgia, §42; Burdov v. Russia, §34; Hornsby v. Greece, §40.**)

2. აღიარებითი სარჩელის დასაშვებობისა და დასაბუთებულობის საკითხის შემოწმება სამართლის საკითხია. აქედან გამომდინარე, სასამართლომ პროცესის მონაწილე მხარის პრეტენზიის არარსებობის პირობებშიც, საკუთარი ინიციატივით უნდა შეამოწმოს სარჩელის დასაშვებობა საქმისწარმოების ნებისმიერ ეტაპზე. როგორც წესი, მოსარჩელის ინტერესი განსაზღვრული სამართლებრივი შედეგის მიღწევას უკავშირდება (მაგ.: ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება, ქონების დაბრუნება, პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა, ზიანის ანაზღაურება და ა.შ), რომელიც მხოლოდ მიკუთვნებითი სარჩელით მიიღწევა და, ასეთ შემთხვევაში, აღიარებითი სარჩელის აღძვრა დაუშვებელია. აღიარებითი სარჩელის დაკმაყოფილებას მოსარჩელისათვის სასარგებლო შედეგი

² შდრ. სუსგ №ას-302-285-2017, 16.06. 2017.

უნდა მოჰქონდეს და მიკუთვნებითი სარჩელის აღძვრის საჭიროება აღარ არსებობდეს. კანონის დანაწესიდან გამომდინარე, აღიარებითი მოთხოვნა დასაშვებია, „თუ იკვეთება მოსარჩელის იურიდიული ინტერესი, რომ ასეთი აღიარება სასამართლოს გადანყვეტილებით მოხდეს“ (მაგ.: მამად ცნობა, მამობის დადგენა, ქორწინების ბათილად ცნობა, ლიტერატურული ნაწარმოების ავტორად აღიარება და ა.შ). ამ სახის სარჩელების მიზანია არა სუბიექტური უფლების მიკუთვნება, არამედ უფლების სადავობის აღმოფხვრა. ამ დროს სულაც არ არის აუცილებელი, პირის უფლება დარღვეული იყოს, მაგრამ ვარაუდი, რომ მომავალში შეიძლება დაირღვეს, წარმოადგენს პირის იურიდიულ ინტერესს. ამიტომაც, ამ ტიპის სარჩელებს „უფლების დამდგენ“ სარჩელებსაც უწოდებენ. მიკუთვნებითი სარჩელებისგან განსხვავებით, აღიარებითი სარჩელის დავის საგანია თვით მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობა, რომელიც სუბსიდიურია და იურიდიული ინტერესის არსებობა გამორიცხებულია, თუ შესაძლებელია მოპასუხის მიმართ მიკუთვნებითი მოთხოვნის წარდგენა.³

II. საპროცესო მოქმედებები დაუშვებელი აღიარებითი სარჩელის შემთხვევაში

3. თუ მხარე აღძრავს ისეთ აღიარებით სარჩელს, რომლის აღძვრის იურიდიული ინტერესი მას არ შეიძლება ჰქონდეს, ან მისი ინტერესის დაკმაყოფილება მიკუთვნებითი სარჩელით მიიღწევა, სასამართლო ასრულებს შემდეგ საპროცესო მოქმედებებს:

3.1. პირველი ინსტანციის მოსამართლეს/სასამართლოს სარჩელის ჩაბარებიდან 5 დღის ვადაში, სსსკ-ის 178-ე მუხლის პირველი ნაწილის „ლ“ და 186-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქ/პუნქტებზე დაყრდნობით, გამოაქვს განჩინება სარჩელის მიღებაზე უარის თქმისა და სარჩელის უკან დაბრუნების შესახებ, რომელიც საჩივრდება კერძო საჩივრით ზემდგომ სასამართლოში, განჩინების მოსარჩელისათვის ჩაბარებიდან 12 დღის ვა-

³ შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადანყვეტილებას საქმეზე # ას-664-635-2016, 02.03.2017წ.; ასევე, სუსგ-ებს: # ას-437-409-17 29.09.17, #-ას 916—857-17 12.09.17, #ას-302-285-17, 16.06.17, #ას-244-232-17 19.05.17 #ას-937-887-2015, 10.11.2015წ.; # ას- 17-14-2015, 01.07.2015წ.; # ას-1069-1008-2015, 16.12.2015წ.; # ას-869-819-2015, 11.12.2015წ.; # ას- 773-730-2015, 08.09.2015წ.; # ას-181-174-2016, 06.05.2016წ.; # ას-1025-967-2015, 23.12.2015წ.; # ას- 323-308, 2016, 03.06.2016წ.; #ას-407-390-2016, 10.6.2016წ.; # ას-375-359-2016, 17.06.2016წ. იხ. ჰ. ბიოლინგი, ლადო ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე გადანყვეტილების მიღება, თბილისი, 2004, გვ.106-107.

დაში (სსსკ-ის 414-ე და მომდევნო მუხლები).

3.2. თუ ასეთი სარჩელი სასამართლომ მაინც მიიღო წარმოებაში და დასაშვებია სხვა სახის სარჩელის აღძვრა (მიკუთვნებითი/გარდაქმნითი), მოსარჩელეს მოსამზადებელ სხდომაზე (სსსკ-ის მე-200 და მომდევნო მუხლები) სასამართლომ უნდა დაუნიშნოს დამატებითი საპროცესო ვადა აღიარებითი სარჩელის აღსრულებითი სარჩელით შესაცვლელად და განმარტოს ამ სახის სარჩელის უპირატესობა. თუ მოსარჩელემ შეცვალა სარჩელი, მაშინ მოპასუხესაც უნდა მიეცეს შესაძლებლობა, რომ შეცვლილ სარჩელში მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებზე წარმოადგინოს თავისი წერილობითი მოსაზრებები. თუ მოსარჩელემ არ შეცვალა სარჩელი, მაშინ სასამართლომ სარჩელი უნდა დატოვოს განუხილველად, სსსკ-ის 7.2 (ანალოგია) და 275-276 მუხლებზე დაყრდნობით.

3.3. სააპელაციო ინსტანციაში საქმე განიხილება იმ წესების დაცვით, რომლებიც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის (სსსკ-ის 372-ე მუხლი), ანუ საქმე ხელმეორედ განიხილება არსებითად. შესაბამისად, სარჩელის დაუშვებლობის საფუძვლის სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში გამოვლენის შემთხვევაში, საპროცესო ეკონომიის პრინციპიდან გამომდინარე, საქმის განხილვის ამ ეტაპზეც უნდა დადგინდეს პროცესუალური წინაპირობები, ანუ შემონმდეს სარჩელის გამართულობა (დასაბუთებულობა). გამართულობის შემონმებისას პასუხი უნდა გაეცეს კითხვას, თუ რა სურს მოსარჩელეს. შესაბამისად, სასამართლომ მოსარჩელეს უნდა დაუნიშნოს ვადა და მისცეს სარჩელში მითითებული გარემოებების დაზუსტებისა და სასარჩელო მოთხოვნის დაკონკრეტების საშუალება (სსსკ-ის 83-ე მუხლის მე-4 ნაწილი). თუ მოსარჩელე არ შეასრულებს ამ საპროცესო მოქმედებას, სააპელაციო სასამართლო აუქმებს გადანყვეტილებას და სსსკ-ის 7.2 (ანალოგია) და 275-276 მუხლებზე დაყრდნობით, სარჩელს განუხილველად ტოვებს.⁴

3.4. თუ აღიარებითი სარჩელის დაუშვებლობის საფუძველი საკასაციო სასამართლოში გამოვლინდება და არ იარსებებს საქმის სააპელაციო სასამართლოში დაბრუნების საფუძველი (ხელახლა განსახილველად), სასამართლო ხელმძღვანელობს სსსკ-ის 399-ე და 372-ე მუხლებითა და 187-ე მუხლის მე-2 ნაწილით: 275-ე მუხლის ანალოგიით, გააუქმებს საქმეზე გამოტანილ გადანყვეტილებას და სარჩელს განუხილველად დატოვებს.⁵

⁴ შდრ. საქმე #ას-1219-1139-2017, 12.01.2018.

⁵ შდრ.სუსგ-ები №ას-302-285-2017, 16 ივნისი, 2017; №ას-551-522-2015, 14 აგვისტო, 2015, #1136-1056-2018, 17.05.2019, 1230-1150-2017, 13.11. 2018.

მუხლი 188. შეგებებული სარჩელის აღძვრა

1. მოპასუხეს უფლება აქვს მისთვის სარჩელის ასლის ჩაბარების დღიდან საქმის ზეპირი განხილვისათვის წინასწარი მომზადების დამთავრებამდე აღძრას მოსარჩელის მიმართ შეგებებული სარჩელი პირვანდელ სარჩელთან ერთად განსახილველად.

2. ამ ვადის გაშვების შემდეგ მოპასუხეს შეუძლია აღძრას შეგებებული სარჩელი სასამართლო პაექრობის დაწყებამდე, თუ საქმის ზეპირი განხილვისათვის წინასწარი მომზადების დამთავრებამდე შეგებებული სარჩელის წარდგენა ვერ მოხდა საპატიო მიზეზით. საპატიო მიზეზად ჩაითვლება ამ კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილში მითითებული გარემოებები.

მუხლი 189. შეგებებული სარჩელის მიღების პირობები

1. შეგებებული სარჩელის წარდგენა შეიძლება სარჩელის წარდგენის შესახებ არსებული წესების დაცვით.

2. მოსამართლე მიიღებს შეგებებულ სარჩელს, თუ:

ა) შეგებებული სარჩელის მოთხოვნა მიმართულია პირვანდელი მოთხოვნის ჩასათვლელად;

ბ) შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება მთლიანად ან ნაწილობრივ გამორიცხავს პირვანდელი სარჩელის დაკმაყოფილების შესაძლებლობას;

გ) შეგებებულ სარჩელსა და პირვანდელ სარჩელს შორის არის ურთიერთკავშირი და მათი ერთად განხილვის შედეგად აღძრული დავა უფრო სწრაფად და სწორად გადაწყდება.

3. პირვანდელი და შეგებებული სარჩელის ერთად განხილვის შედეგად სასამართლოს გამოაქვს ერთობლივი გადაწყვეტილება, გარდა 245-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

უღრის ჰაგენლონი

188-ე და მომდევნო მუხლი

ქართული სსკ-დან მოყვანილი ნორმები:

- სსკ-ის 188-ე მუხლი
- სსკ-ის 189-ე მუხლი

შეგებებული სარჩელი

1. მთლიანობაში, გერმანული სამართლით გათვალისწინებული შეგებებული სარჩელის უფლება მნიშვნელოვნად განსხვავდება სსკ-ის 188-ე და მომდევნო მუხლებისგან.

2. შეგებებულ სარჩელს გერმანიაში კანონი პირდაპირ მხოლოდ ნაწილობრივ არეგულირებს. შესაბამისი დებულება § 33 GER-ZPO-ში შემდგენიარად არის ჩამოყალიბებული:

§ 33 GER-ZPO - შეგებებული სარჩელის განსაკუთრებული განსჯადობა

(1) სარჩელის აღძვრის სასამართლოში შეგებებული სარჩელის შეტანა შეიძლება, თუ შეგებებული მოთხოვნა დაკავშირებულია სარჩელით წაყენებულ მოთხოვნასა ან მის წინააღმდეგ წარმოდგენილ თავდაცვის საშუალებებთან.

(2) ეს წესი არ მოქმედებს, როდესაც სარჩელისთვის შეგებებული მოთხოვნის გამო შეთანხმება სასამართლოს განსჯადობის შესახებ, § 40-ის მე-2 აბზაცის თანახმად, დაუშვებელია.

3. თუმცა, კანონის ეს ნორმა მხოლოდ განსაკუთრებულ განსჯადობას ადგენს. შესაბამისად, ის კი არ არეგულირებს შეგებებული სარჩელის დასაშვებობას, არამედ წინაპირობად მოიაზრებს. § 33 Abs. 1 GER-ZPO-ში განსაკუთრებული განსჯადობის დაფუძნებისთვის არსებულ მოთხოვნებში გადმოცემულია, თუ რა არის აუცილებელი - ზოგადი პრინციპების თანახმად - შეგებებული სარჩელის დასაშვებობისთვის. ამიტომ, სასამართლო პრაქტიკა მათ იყენებს შეგებებული სარჩელის წინაპირობების გამოსაკვლევად.

4. 2. ზოგად საპროცესო წინაპირობებთან ერთად, შეგებებული სარჩელის დასაშვებობა მოითხოვს, რომ სარჩელის აღძვრის მომენტში სამართალწარმოებაში მიღებული იყოს კიდევ ერთი სარჩელი (BGH, Urteil vom 17.10.1963 - II ZR 77/61 - BGHZ 40, 185; BGH, Urteil vom 18.04.2000 - VI ZR 359/98 - NJW-RR 2001, 60). ამასთან, აუცილებელია, შეგებებული სარჩელით წაყენებული შეგებებული მოთხოვნა **კავშირში** იყოს სასარჩელო მოთხოვნასა ან მის წინააღმდეგ წარმოდგენილ თავდაცვით საშუალებებთან (BGH, Urteil vom 17.10.1963 - II ZR 77/61 - BGHZ 40, 185).

5. ა) სასამართლო პრაქტიკაში ყოველთვის აბსოლუტური სიზუსტით არ ხდება დიფერენცირება, შეგებებული სარჩელის დასაშვებობისთვის (ისევე, როგორც § 33 GER-ZPO-ით გათვალისწინებული განსაკუთრებული განსჯადობისთვის) საჭიროა სამართლებრივი კავშირი (BGH, Urteil vom 17.10.1963 - II ZR 77/61 - BGHZ 40, 185), თუ საკმარისია ზოგადი საგნობრივი ურთიერთკავშირი. თუმცა, პრაქტიკული თვალსაზრისით, ეს საკითხი არ არის მნიშვნელოვანი, ვინაიდან შეგებებული სარჩელის დასაშვებობის წინაპირობები გერმანულ სამართალში ისედაც საკმაოდ ლიბერალურად აღიქმება, რის გამოც ის, ხშირ შემთხვევაში, დასაშვებია. წარმოდგენილ თავდაცვის საშუალებებთან ურთიერთკავშირი თითქმის ყოველთვის არსებობს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სარჩელს და შეგებებულ სარჩელს ერთმანეთთან ფაქტობრივად არავითარი კავშირი არ აქვს. სწორედ ეს არის იმის მიზეზი, რომ გერმანულ გადაწყვეტილებებში შეგებებული სარჩელის დასაშვებობა, უმეტესწილად, თავისთავად ცხადად მიიჩნევა. ამიტომ მის შესახებ არაფერი იწერება, ან რაც იწერება, არაფრისმთქმელია.

6. ამ ძალიან ლიბერალური მოპყრობის მიზეზი, უწინარეს ყოვლისა, საპროცესო ეკონომიის მოსაზრებებიდან გამომდინარეობს. შესაძლებელი უნდა გახდეს ურთიერთდაკავშირებული მოთხოვნების ერთიანად განხილვა და გადანყვეტა, რათა თავიდან აიცილონ როგორც ერთ საქმეზე პროცესების დუბლირება ან ფრაგმენტაცია, ისე ურთიერთსაპირისპირო გადაწყვეტილებების არსებობის საფრთხე (BGH, Urteil vom 17.10.1963 - II ZR 77/61 - BGHZ 40, 85; BGH, Beschluss vom 30.09.2010 - Xa ARZ 208/10 - juris). ამიტომ, ურთიერთკავშირისთვის საკმარისია, რომ სარჩელითა და შეგებებული სარჩელით განხორციელებული მოთხოვნები ერთი საერთო სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარეობდეს, ისე, რომ უშუალო სამართლებრივი საფუძვლის მითითება არ იყოს აუცილებელი. ამისთვის ბუნებრივი ეკონომიკური კავშირი ისევე კმარა, როგორც სამართლებრივი კავშირი ფართო გაგებით (OLG Schleswig, Beschluss vom 20.03.2015 - 10 UF 18/15 - NJW 2015, 3107).

7. ბ) ქართული სამოქალაქო საპროცესო სამართლისგან განსხვავებით, ასევე არ აქვს მნიშვნელობა, არსებობს თუ არა რაიმე ურთიერთქმედება სარჩელისა და შეგებებული სარჩელის შედეგებს შორის და ხომ არ გამოიწვევს შეგებებული სარჩელი სამართლებრივი დავის გაჭიანურებას. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ შეგებებული სარჩელის აღძვრის მიმართ არ ვრცელდება დაგვიანებული განაცხადების განსახილველად არმიღების საკანონმდებლო რეგულაციები (იხ. ზემოთ, 105-ე მუხლი, ა.ნ. 118).

8. გ) შეგებებული სარჩელი, მისი დასაშვებად აღძვრის მომენტიდან, განიხილება დამოუკიდებელ სარჩელად; მისი შემდგომი არსებობა ამიერიდან აღარ არის დამოკიდებული სარჩელის უწყვეტად სასამართლო წარმოებაში ყოფნაზე (BGH, Urteil vom 17.10.1963 - II ZR 77/61 - BGHZ 40, 185). ამის შედეგია ის, რომ შეგებებულის შეგებებული სარჩელის აღძვრაც დასაშვებია, თუ შეგებებული სარჩელი ჯერ ისევე სასამართლო განხილვის პროცესშია (BGH, Urteil vom 16.10.2008 - III ZR 253/07 - NJW 2009, 148). საპროცესო-სამართლებრივად, ეს შეიძლება საინტერესო იყოს მაშინ, როდესაც სარჩელი უკვე აღარ არის წარმოებაში და სარჩელის გავრცობა მისი შეცვლის გზით აღარ არის შესაძლებელი.

9. თუ მოპასუხეს გადახდის მოთხოვნის წინააღმდეგ მსგავსი შეგებებული მოთხოვნა ეკუთვნის, მისი გადასაწყვეტია (თუ გაქვითვის აკრძალვა არ მოქმედებს), გაქვითვის გზით იმოქმედებს, ანუ სასარჩელო მოთხოვნას მატერიალურ-სამართლებრივად შეწყვეტს, თუ შეგებებულ სარჩელს აღძრავს. თუმცა, მისთვის რეკომენდებულია გაქვითვის გზით მოქმედება, ვინაიდან მხოლოდ ამ შემთხვევაში შეძლებს, მიაღწიოს სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას. შეგებებული სარჩელის აღძვრა მისთვის სარისკო იქნებოდა (და ნორმალურ შემთხვევაში გამოიწვევდა ადვოკატის პასუხისმგებლობასაც), ვინაიდან მაშინ სარჩელთან დაკავშირებით გამოტანილი აღსრულების ქვემდებარე გადაწყვეტილების კანონიერი ძალის ეფექტი შემდგომში გაქვითვას იმ შემთხვევაშიც გამორიცხავდა, თუ შეგებებულ სარჩელთან მიმართებითაც იარსებებდა მატერიალური და ფორმალური კანონიერი ძალის მქონე აღსრულების ქვემდებარე გადაწყვეტილება (იხ. ზემოთ მე-10 მუხლი, ა.ნ. 42). ამდენად, მოპასუხე საფრთხის წინაშე აღმოჩნდებოდა, თუ, ერთი მხრივ, იძულებული გახდებოდა, შეესრულებინა სასარჩელო მოთხოვნა და, მეორე მხრივ (მიუხედავად თავიდან არსებული, შეგებებული სასარჩელო მოთხოვნის სააღსრულებო ფურცლიდან გამომდინარე გაქვითვის მდგომარეობისა), ვერ შეძლებდა წარმატებით აღსრულებას, ან, სულ მცირე, მო-

უნევდა ტიტულირებული შეგებებული სასარჩელო მოთხოვნის განხორციელების ტვირთის საკუთარ თავზე აღება.

10. მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის ა.ნ. 9-სა და მომდევნო აბზაცებში, განსაკუთრებით, ა.ნ. 25-სა და მომდევნო აბზაცებში დეტალურად არის გადმოცემული, რომ შეგებებული სარჩელის აღძვრა, პირობითი სასარჩელო განცხადების ზოგადი წინაპირობების შესაბამისად, შესაძლებელია **დამხმარე შეგებებული სარჩელის** სახითაც.

11. 3. გარკვეული წინაპირობების არსებობისას, გერმანიაში ასევე აღიარებულია ე.წ. **შეგებებული სარჩელი მესამე პირის მიმართ**.

12. ეს უკანასკნელი არის შეგებებული სარჩელი, მიმართული შეგებებული სარჩელის მოპასუხის წინააღმდეგ, რომელიც აქამდე სამართლებრივ დავაში არ მონაწილეობდა. აქ უნდა განვასხვაოთ შეგებებული სარჩელი მესამე პირისადმი, რომელიც მიმართულია არა მხოლოდ მესამე პირის, არამედ, იმავდროულად, მოსარჩელის (ან ერთ-ერთი მოსარჩელის) წინააღმდეგაც, და ე.წ. იზოლირებული შეგებებული სარჩელი მესამე პირისადმი, მიმართული მხოლოდ იმ მესამე პირის წინააღმდეგ, რომელიც აქამდე სამართლებრივ დავაში არ მონაწილეობდა.

13. ასეთ შემთხვევებთან განსაკუთრებით ხშირად გვაქვს საქმე საგზაო-სატრანსპორტო სამართლის სფეროში. ერთი მხრივ, ეს გვხვდება მაშინ, როდესაც, სულ მცირე, შემთხვევის მონაწილე ერთი ავტომანქანის მძღოლი და მფლობელი სხვადასხვა პიროვნებაა; და მეორე მხრივ, როდესაც გერმანიაში მოქმედი მექანიკური სატრანსპორტო საშუალების სამოქალაქო პასუხისმგებლობის დამზღვევისადმი პირდაპირი მოთხოვნის უფლების შედეგად (§ 124 GER-VVG), შეგებებული სარჩელი მის წინააღმდეგაც აღძვრება. თუ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის შედეგად დაზიანებული ავტომანქანის მესაკუთრე აღძრავს სარჩელს შემთხვევაში მონაწილე მეორე ავტომანქანის მძღოლის, მეპატრონის და მზღვეველის მიმართ, ამ ავტომანქანის მესაკუთრეს/მფლობელს შეუძლია, მოსარჩელის, მისი ავტომანქანის მძღოლისა და სამოქალაქო პასუხისმგებლობის მზღვეველის წინააღმდეგ აღძრას შეგებებული სარჩელი. ამ შემთხვევაში, მძღოლი და სამოქალაქო პასუხისმგებლობის მზღვეველი იქცევიან შეგებებული სარჩელის მოპასუხე მესამე პირებად. მესამე პირების მიმართ შეგებებული სარჩელები ასევე ხშირად გვხვდება მშენებლობასთან დაკავშირებულ პროცესებში (მაგ.: როდესაც მოსარჩელე, როგორც მშენებელი, ითხოვს ნარდობის ხელშეკრულებით შეთანხმებული საზღაურის გადახდას და მოპასუხე, შესრულებული მშენებლობის ხარვეზების გამო, შეგებებულ სარჩელს აღძრავს მოსარჩელის და მშენებლობის დამგეგმავი

ან/და მის ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი არქიტექტორის წინააღმდეგ).

14. მესამე პირის მიმართ ასეთი შეგებებული სარჩელის დასაშვებობისთვის, უმაღლესი ფედერალური სასამართლო (Beschluss vom 30.09.2010 - Xa ARZ 191/10 - BGHZ 187, 112) შემდეგ მოთხოვნებს აყენებს:

15. „a) თუ მოპასუხე სარჩელთან სამართლებრივად დაკავშირებულ შეგებებულ სარჩელს აღძრავს როგორც მოსარჩელის, ასევე სამართლებრივ დავაში აქამდე არამონაწილე მესამე პირის, როგორც თანამონაწილის მიმართ (§§ 59, 60 ZPO-ის ვაგებით), მაშინ მესამე პირის წინააღმდეგ ასეთი თანამონაწილეობრივი შეგებებული სარჩელი დასაშვებია, სარჩელის შეცვლად მიჩნეული, პროცესში მესამე პირად ჩართვის პირობით (BGHZ 40, 185; BGHZ 131, 76; BGH NJW 1991, 2838). ამ გზით, თავიდან უნდა აიცილონ პროცესების დუბლირება და ფრაგმენტაცია და ერთიანად განიხილონ და გადაწყდეს ერთმანეთთან დაკავშირებული მოთხოვნები (BGHZ 40, 185).

b) საპირისპიროდ, უმაღლესი ფედერალური სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, მესამე პირის მიმართ შეგებებული სარჩელი არსებითად დაუშვებელია, როდესაც იგი მიმართულია მხოლოდ პროცესში აქამდე არამონაწილე მესამე პირის წინააღმდეგ (BGH NJW 1971, 466 f.). თუმცა, შეგებებული სარჩელის საპროცესო ეკონომიის მიზნის გათვალისწინებით (ერთ ფაქტობრივ მდგომარეობაზე პროცესების დუბლირებისა და ფრაგმენტაციის და ამით გამონვეული ურთიერთსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებების საფრთხის თავიდან არიდება, ასევე, ურთიერთდაკავშირებული მოთხოვნების ერთიანი განხილვისა და გადაწყვეტის შესაძლებლობის მინიჭება), უმაღლესმა ფედერალურმა სასამართლომ ამ პრინციპიდან გამონაკლისები დაუშვა. მესამე პირის მიმართ იზოლირებული შეგებებული სარჩელი უმაღლესი ფედერალური სასამართლოს პრაქტიკაში *inter alia* მაშინ არის დასაშვები, როდესაც იგი მიმართულია სასარჩელო მოთხოვნის ცედენტის წინააღმდეგ და სარჩელისა და შეგებებული სარჩელის საგნები ფაქტობრივად და სამართლებრივად არის ურთიერთდაკავშირებული. იზოლირებულად, პროცესში აქამდე არამონაწილე ცედენტის წინააღმდეგ აღძრული შეგებებული სარჩელი მესამე პირის მიმართ მაშინაც დასაშვებია, როდესაც მისი საგანი ემთხვევა ცესიონერის სარჩელის წინააღმდეგ გაქვითვის მიზნით, დამხმარე სახით წაყენებული მოთხოვნის საგანს (BGHZ 147, 220), ან დათმობილი სასარჩელო მოთხოვნა და მესამე პირის მიმართ შეგებებული სარჩელით განხორციელებული

მოთხოვნა ზიანის მიყენების ერთი და იმავე ფაქტიდან გამომდინარეობს (BGH NJW 2007, 1753). და ბოლოს, იგი მაშინაც დაიშვება, როდესაც მის მიზანია იმ ფაქტის აღიარება, რომ ცედენტს არ გააჩნია მოთხოვნის უფლებები (BGH NJW 2008, 2852). შესაბამისად, ყოველთვის გადამწყვეტია, რომ სარჩელისა და მესამე პირის მიმართ შეგებებული სარჩელის განხილვის საგნები, ფაქტობრივად და სამართლებრივად, მჭიდროდ იყოს ურთიერთდაკავშირებული და, მესამე პირის მიმართ შეგებებული სარჩელის მოპასუხის სამართლებრივ დავაში ჩაბმით, არ ილახებოდეს მისი დაცვის ღირსი ინტერესები.

16. მომდევნო ორ გადაწყვეტილებაში უმაღლესმა ფედერალურმა სამართლომ ეს პრაქტიკა დააკონკრეტა იმით, რომ იზოლირებული შეგებებული სარჩელი მესამე პირის მიმართ დაუშვებლად მიიჩნია ცალკეული სახელშეკრულებო ურთიერთობებიდან გამომდინარე მოთხოვნების განხორციელებისას (BGH, Urteil vom 07.11.2013 - VII ZR 105/13 - NJW 2014, 1670; BGH, Beschluss vom 07.02.2013 - IX ZR 186/11 - juris): მაგალითად, როდესაც გენერალური დამპროექტებელი, რომლისგანაც ითხოვს ზიანის ანაზღაურებას მშენებლობის დამკვეთი, თავის მხრივ, მის მიერ დაქირავებული დამპროექტებლისგან ითხოვს მესამე პირის მიმართ შეგებებული სარჩელით, რომ გაათავისუფლოს მშენებლობის დამკვეთის მიერ წაყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნებისგან (BGH, Urteil vom 07.11.2013 - VII ZR 105/13 - NJW 2014, 1670).

17. 4. 83-ე მუხლის ა.ნ. 2-ის ქვეშ ციტირებული § 533 GER-ZPO-ის დებულების თანახმად, შეგებებული სარჩელის აღძვრის მიმართ სააპელაციო ინსტანციაში გარკვეული ფარგლები არსებობს. ამ თვალსაზრისით, 83-ე მუხლის ა.ნ. 12-სა და მომდევნო აბზაცებში სარჩელის შეცვლისთვის წარმოდგენილი კრიტერიუმები შესაბამისად მოქმედებს შეგებებული სარჩელის აღძვრის მიმართ. ამდენად, აუცილებელი გამოსადეგობისთვის გადამწყვეტია საპროცესო ეკონომიის მოსაზრებები, განსაკუთრებით კი საკითხი, მოჰყვება თუ არა შეგებებული სარჩელის დაშვებას დავის სათანადო და საბოლოო მოგვარება და რამდენად შესაძლებელი გახდება ამით სხვა, მოსალოდნელი სამართლებრივი დავების თავიდან არიდება (BGH, Urteil vom 19.03.1992 - IX ZR 14/91 - NJW-RR 1992, 733). დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ მეორე ინსტანციაში აღძრული შეგებებული სარჩელი შეიძლება ისეთ ფაქტობრივ მასალებსაც დაეყრდნოს, რომლებიც პირველ ინსტანციაში წარმოდგენილი იყო, მაგრამ სარჩელზე გადაწყვეტილების მიღებისთვის არაარსებითი აღმოჩნდა (BGH, Urteil vom 13.01.2012 - V ZR 183/10 - NJW-RR 2012, 429). § 533 Nr. 2 GER-ZPO შეგებებული სარჩელის აღძვრას არც იმ შემთხვევებში ეწინააღმდე-

გება, როდესაც შეგებებულ სარჩელთან დაკავშირებით წარმოდგენილი ფაქტები უდავოა (BGH, Urteil vom 06.12.2004 - II ZR 394/02 - NJW-RR 2005, 437). გადანყვეტილება შეგებებული სარჩელის დაშვებაზე საკასაციო სასამართლომ შეიძლება შეამონმოს მხოლოდ იმ კუთხით, ხომ არ გადაამეტა წინა ინსტანციის მოსამართლემ მისთვის მინიჭებული დისკრეციის ფარგლებს, განსაკუთრებით, ხომ არ გამოორჩა გამოსადეგობის მოთხოვნა (BGH, Urteil vom 19.03.1992 - IX ZR 14/91 - NJW-RR 1992, 733).

მუხლი 191. განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ

1. მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით, რომელშიც მითითებული უნდა იყოს გარემოებები, რომელთა გამოც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოუყენებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, დარღვეული ან სადავო უფლებების განხორციელებას, გამოიწვევს გამოუსწორებელ და პირდაპირ ზიანს ან ისეთ ზიანს, რომელიც კომპენსირებული ვერ იქნება მოპასუხისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრებით. ეს განცხადება ასევე უნდა შეიცავდეს დასაბუთებას, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გამოყენება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად. რომელიმე ზემოაღნიშნული გარემოების არსებობის შემთხვევაში სასამართლოს გამოაქვს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინება. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ემყარება სასამართლოს ვარაუდს, რომ სარჩელი შეიძლება დაკმაყოფილდეს. სასამართლოს მსჯელობა სარჩელის მატერიალურ და საპროცესო წინაპირობებზე გავლენას არ ახდენს სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებაზე.

2. განცხადებას, რომლითაც პირი ითხოვს უძრავ ქონებაზე ყადაღის დადებას, უნდა დაერთოს ცნობა საჯარო რეესტრიდან ან შესაბამისი დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება უძრავ ქონებაზე მოპასუხის საკუთრების უფლება.

3. თუ სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებას არ ახლავს ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ცნობა საჯარო რეესტრიდან ან შესაბამისი დოკუმენტი, ანდა სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლოს გამოაქვს განჩინება ხარვეზის თაობაზე და განმცხადებელს აძლევს ვადას მის შესავსებად. დანიშნულ ვადაში ხარვეზის შეუვსებლობის შემთხვევაში სასამართლო თავისი განჩინებით განცხადებას განუხილველად დატოვებს, რაც გასაჩივრდება საჩივრით.

4. ამ თავით გათვალისწინებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები არ ვრცელდება „ფინანსური გირავნობის, ურთიერთგაქვითვისა და დერივატივების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ფინანსურ გირავნობაზე (ფინანსური გირავნობის საგანზე) და „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სისტემის მონაწილის ანგარიშსწორების ანგარიშზე.

5. ამ თავით გათვალისწინებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები არ ვრცელდება „ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მონყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „კ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ საპრიზო ფონდზე.

6. ამ თავით გათვალისწინებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები არ ვრცელდება „საქართველოს ტერიტორიაზე მოძრავი უცხო სახელმწიფოში რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებულ ცენტრის კუთვნილ განცალკევებულ ანგარიშზე.

7. ამ თავით გათვალისწინებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები არ ვრცელდება „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის 161 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ სადაზღვევო ბროკერის კუთვნილ მომხმარებლის ანგარიშზე.

8. საქართველოს ეროვნული ბანკის მიმართვის საფუძველზე ამ თავით გათვალისწინებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები არ გამოიყენება, ხოლო გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები ჩერდება „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად რეზოლუციის რეჟიმში მყოფი კომერციული ბანკის მიმართ საქართველოს ეროვნული ბანკის მიმართვაში განსაზღვრული ვადით, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 90 დღეს. მოსამართლე განჩინებას გამოიტანს საქართველოს ეროვნული ბანკის მიმართვიდან 1 დღის განმავლობაში. თუ რეზოლუციის რეჟიმი განჩინებაში განსაზღვრულ ვადაზე ადრე დასრულდება, საქართველოს ეროვნული ბანკი ვალდებულია ამის შესახებ შეატყობინოს სასამართლოს, რომელიც გააუქმებს შეჩერების შესახებ განჩინების მოქმედებას.

მუხლი 196. სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის შეცვლა მეორით

1. მხარეთა თხოვნით დასაშვებია სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორით შეცვლა.

2. სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორით შეცვლის საკითხის განხილვა დასაშვებია საქმის ყველა სტადიაზე. სარჩელის

უზრუნველყოფის ერთი სახის მეორით შეცვლის საკითხი განიხილება ზეპირი მოსმენის გარეშე. სასამართლოს შეუძლია დაადგინოს ზეპირი განხილვაც, თუ ეს საჭიროა და ხელს უწყობს საქმის გარემოებების გარკვევას. ზეპირი განხილვის შემთხვევაში მხარეებს ეცნობებათ სხდომის ჩატარების დრო და ადგილი, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა ვერ დააბრკოლებს სასამართლოს მიერ საკითხის განხილვასა და გადაწყვეტას.

3. ფულადი თანხების გადახდევინების შესახებ სარჩელის უზრუნველყოფისას მოპასუხეს შეუძლია მიღებულ უზრუნველყოფის ღონისძიებათა ნაცვლად მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი თანხა შეიტანოს სასამართლოს სადეპოზიტო ანგარიშზე.

მუხლი 198. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები

1. საკითხს იმის შესახებ, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიება უნდა იქნეს გამოყენებული, წყვეტს სასამართლო მოსარჩელის განცხადების შესაბამისად.

2. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები შეიძლება იყოს:

ა) ყადაღის დადება ქონებაზე, ფასიან ქალაქებსა თუ ფულად სახსრებზე, რომლებიც მოპასუხეს ეკუთვნის და არის მასთან ან სხვა პირთან;

ბ) მოპასუხისათვის გარკვეული მოქმედების შესრულების აკრძალვა;

გ) მოპასუხის დავალდებულება, გადასცეს მის მფლობელობაში არსებული ნივთი აღმასრულებელს სეკვესტრის (ქონების იძულებითი მართვა) სახით; (ძალადაკარგულია „გ“ ქვეპუნქტის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც სარჩელის/გადაწყვეტილების უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებას ითვალისწინებს იმ პირობებში, როდესაც ამ ღონისძიების შედეგად დაცული სიკეთე არ აღემატება უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შედეგად მონინააღმდეგე მხარისთვის მიყენებულ ზიანს)

(ძალადაკარგულია „გ“ ქვეპუნქტის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც უშვებს დროებითი მმართველისთვის მასობრივი ინფორმაციის საშუალების სარედაქციო პოლიტიკის განსაზღვრის უფლებამოსილებების მინიჭებას) - საქართველოს საკონსტიტუციო სასამა-

როლოს 2016 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილება №1/5/675,681 - ვებგვერდი, 11.10.2016წ.

დ) სხვა პირებისათვის აკრძალვა იმისა, რომ მოპასუხეს გადასცენ ქონება ან შეასრულონ მის მიმართ რაიმე ვალდებულება;

ე) ყადაღისაგან ქონების განთავისუფლების შესახებ სარჩელის აღძვრის შემთხვევაში ქონების რეალიზაციის შეჩერება, გარდა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 70-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა;

ვ) სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, ორგანიზაციის ან თანამდებობის პირის სადავო აქტის მოქმედების შეჩერება;

ზ) (ამოღებულია);

თ) (ამოღებულია);

ი) სააღსრულებო საბუთის აღსრულების შეჩერება ისეთ საქმეებზე, რომლებიც აღძრულია „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისა წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე ან რომლებზედაც შეტანილია განცხადება საქმის წარმოების განახლების შესახებ.

3. სასამართლოს შეუძლია გამოიყენოს სხვა ღონისძიებებიც, თუ ეს აუცილებელია სარჩელის უზრუნველყოფისათვის . აუცილებლობის შემთხვევაში შეიძლება დაშვებულ იქნეს სარჩელის უზრუნველყოფის რამდენიმე სახე. (ძალადაკარგულია მე-3 ნაწილის პირველი წინადადების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც სარჩელის/გადაწყვეტილების უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებას ითვალისწინებს იმ პირობებში, როდესაც ამ ღონისძიების შედეგად დაცული სიკეთე არ აღემატება უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შედეგად მოწინააღმდეგე მხარისთვის მიყენებულ ზიანს)

(ძალადაკარგულია მე-3 ნაწილის პირველი წინადადების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც უშვებს დროებითი მმართველისთვის მასობრივი ინფორმაციის საშუალების სარედაქციო პოლიტიკის განსაზღვრის უფლებამოსილებების მინიჭებას) - საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილება №1/5/675,681 - ვებგვერდი, 11.10.2016წ.

4. კომერციული ბანკის ლიკვიდატორი ან სპეციალური მმართველი უფლებამოსილია ყადაღადადებული ანგარიშები „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად სხვა კომერციულ ბანკში ან/და საქართველოს ეროვნულ ბანკში გადაიტანოს.

მუხლი 199. სარჩელის უზრუნველყოფით გამონვეული ზარალის ანაზღაურება

1. თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით მოპასუხეს შეიძლება მიადგეს ზარალი, მას შეუძლია გამოიყენოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება და იმავდროულად მოსთხოვოს პირს, რომელმაც მიმართა სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ, მეორე მხარისათვის მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა. უზრუნველყოფის გარანტია სასამართლომ შეიძლება ასევე გამოიყენოს მონინააღმდეგე მხარის განცხადების საფუძველზე.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში პირი, რომელმაც მიმართა სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ, ვალდებულია უზრუნველყოს მოპასუხისათვის მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურება სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 30 დღეს. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო დაუყოვნებლივ გამოიტანს განჩინებას სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების შესახებ, რომელიც ექვემდებარება საჩივრის ფორმით გასაჩივრებას. განჩინების გასაჩივრების ვადა 5 დღეა. ამ ვადის გაგრძელება დაუშვებელია.

3. თუ სარჩელის უზრუნველსაყოფად გამოყენებული ღონისძიება გაუმართლებელი გამოდგა იმის გამო, რომ მოსარჩელეს უარი ეთქვა სარჩელზე და გადანყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში, ანდა იმის გამო, რომ სასამართლომ ამ კოდექსის 192-ე მუხლის მე-2 ნაწილის ან 36330 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად გააუქმა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, მაშინ ის მხარე, რომლის სასარგებლოდაც მოხდა უზრუნველყოფა, ვალდებულია აუნაზღაუროს მეორე მხარეს ზარალი, რომელიც მას მიადგა სარჩელის უზრუნველსაყოფად გამოყენებული ღონისძიების შედეგად.

ულრის ჰაბენლონი.....	659
191-ე და მომდევნო მუხლები.....	659
დინანა ბერეკაშვილი / პაატა ქათამაძე.....	684
191-ე მუხლი.....	684
196-ე და 199-ე მუხლები.....	719

ულრის ჰაბენლონი

191-ე და მომდევნო მუხლები

ქართული სსკ-დან მოყვანილი ნორმები:

- 191-ე მუხლი
- 198-ე მუხლი
- 199-ე მუხლი, ა.ნ. 40 და მომდევნო აბზაცები

სარჩელის უზრუნველყოფა

1. გერმანული სამოქალაქო საპროცესო სამართალი არ იცნობს ქართული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის „სარჩელის უზრუნველყოფის“ ცნებას. მსგავსი ფუნქციები სანივთო ყადაღას (პრაქტიკაში შემოკლებულად მხოლოდ „ყადაღად“ წოდებული) და დროებით განკარგულებას (§§ 916 ff. GER-ZPO) აქვს. ორივე საპროცესო მოქმედებას, გამარტივებულად, „დაჩქარებულ წარმოებასაც“ უწოდებენ. ამასთან დაკავშირებით ძირითადი დებულებებია:

§ 916 GER-ZPO - ყადაღის მოთხოვნის უფლება

(1) ყადაღის დადება იძულებითი აღსრულების უზრუნველსაყოფად ხდება მოძრავ ან უძრავ ქონებაზე, ფულადი მოთხოვნის ან იმ მოთხოვნის უფლების გამო, რომელიც შეიძლება ფულად მოთხოვნად იქცეს.

§ 917 GER-ZPO - ყადაღის საფუძველი სანივთო ყადაღისას

(1) სანივთო ყადაღა გამოიყენება როდესაც არსებობს ეჭვი, რომ მის გარეშე ან საერთოდ ვერ აღსრულდება სასამართლო გადანაცვეტილება, ან არსებითად გართულდება მისი აღსრულება.

(2) ყადაღისათვის საკმარისი საფუძველია, თუ გადანყვეტილება საზღვარგარეთ უნდა აღსრულდეს და ორმხრივობა გარანტირებული არის.

§ 920 GER-ZPO - ყადაღის მოთხოვნა

...

(2) დამაჯერებლად უნდა იყოს წარმოდგენილი მოთხოვნის უფლება და ყადაღის დადების საფუძველი.

§ 935 GER-ZPO - დროებითი განკარგულება დავის საგანთან დაკავშირებით

დროებითი განკარგულებები დავის საგანთან დაკავშირებით დასაშვებია იმ შემთხვევაში, როცა არსებობს საფრთხე, რომ არსებული მდგომარეობის შეცვლით ველარ განხორციელდება მხარის უფლება, ან შესაძლოა, მას არსებითი საფრთხე შეექმნას.

§ 936 GER-ZPO - ყადაღის რეგულაციების გამოყენება

დროებითი განკარგულებებისას და მასთან დაკავშირებული საქმისწარმოებისას, შესაბამისად, გამოიყენება ყადაღის დადების ბრძანების გაცემისა და ყადაღის პროცედურებთან დაკავშირებული რეგულაციები.

§ 938 GER-ZPO - დროებითი განკარგულების შინაარსი

(1) სასამართლო თავისუფალი დისკრეციის ფარგლებში განსაზღვრავს, თუ რომელი განკარგულებებია საჭირო მიზნის მისაღწევად.

(2) დროებითი განკარგულება შეიძლება, აგრეთვე, მდგომარეობდეს სეკვესტრაციაში ან მონინაალმდეგისთვის მოქმედების შესრულების მონოდებასა და აკრძალვაში.

940 GER-ZPO - დროებითი განკარგულება დროებითი მდგომარეობის დასარეგულირებლად

დროებითი განკარგულებები დაიშვება სადავო სამართლებრივ ურთიერთობასთან მიმართებაშიც დროებითი მდგომარეობის დასარეგულირებლად, რამდენადაც ეს დარეგულირება (განსაკუთრებით, ხანგრძლივი სამართლებრივი ურთიერთობებისას) არსებითი უარყოფითი შედეგების და მოსალოდნელი საფრთხის თავიდან ასაცილებლად, ან სხვა საფუძვლებიდან გამომდინარე ხდება საჭირო.

§ 940a GER-ZPO - საცხოვრებელი სადგომის დაცლა

(1) დროებითი განკარგულების გამოცემით საცხოვრებელი სადგომის დაცლა დასაშვებია მხოლოდ აკრძალული თვითნებობის, ან სხეულისა დასიცოცხლისათვის კონკრეტული საფრთხის არსებობის შემთხვევაში.

(2) საცხოვრებელი სადგომის დაცლა დროებითი განკარგულების საფუძველზე შეიძლება, განხორციელდეს მესამე პირის მიმართაც, რომლის მფლობელობაშიც არის ქირავნობის საგანი, რამდენადაც მოქირავნის წინააღმდეგ გამოიცა საცხოვრებელი სადგომის დაცლასთან დაკავშირებით სააღსრულებო ფურცელი და გამქირავებელმა მესამე პირის მიერ მფლობელობის შექენის შესახებ ინფორმაცია მხოლოდ საქმის ზეპირი მოსმენის დასრულების შემდეგ მიიღო.

....

§ 945 GER-ZPO - ზიანის ანაზღაურების ვალდებულება

თუ აღმოჩნდება, რომ ყადაღა ან დროებითი განკარგულება იმთავითვე დაუსაბუთებელი იყო, ან თუ გაუქმდება გამოყენებული ღონისძიება § 926 Abs. 2 oder des § 942 Abs. 3-ის საფუძველზე, მხარე, რომელმაც ამ განკარგულების მიღება გამოიწვია, ვალდებულია აუნაზღაუროს მოწინააღმდეგეს ზიანი, რომელიც ამ უკანასკნელს აღნიშნული განკარგულების აღსრულებით მიადგა, ან - იმით, რომ ის უზრუნველყოფს აღსრულების თავიდან აცილებას ან განკარგულების გაუქმებას.

დაჩქარებული წესით საქმის განხილვის გერმანული რეგულაციები არსებითად განსხვავდება ქართული სამართლის სარჩელის უზრუნველყოფის რეგულაციებისგან. გერმანული სასამართლო პრაქტიკა ყადაღის საფუძვლის არსებობისთვის § 917 GER-ZPO გაცილებით მკაცრ მოთხოვნებს აყენებს, ვიდრე ქართული სასამართლო პრაქტიკა - სსკ-ის 191-ე მუხლის პირველი ნაწილის მე-2 და მე-3 წინადადების წინაპირობების არსებობისთვის.

2. **სანივთო ყადაღა** (და მოვალის პირადი უზრუნველყოფის ყადაღა § 918 GER-ZPO, რაც პრაქტიკაში თითქმის არ გამოიყენება) § 916 GER-ZPO-ის მიხედვით, **ფულადი მოთხოვნების უზრუნველყოფას** ემსახურება.

სანივთო ყადაღის დადებისთვის (ე.წ. **ყადაღის საფუძველი**), ერთგვაროვანი გერმანული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, საკმარისია, თუ მოვალის ქონებრივი მდგომარეობა ცუდია და აქედან გამომდინარე, არსებობს რისკი აღსრულებასთან დაკავშირებით (BGH, Urteil vom

19.10.1995 - IX ZR 82/94 - BGHZ 131, 95). აგრეთვე, ნაკლებად ნარმოშობს ყადაღის საფუძველს ის, რომ განმცხადებლის გარდა მოვალეს სხვა კრედიტორებიც ჰყავს (BGH, Urteil vom 19.10.1995 - IX ZR 82/94 - BGHZ 131, 95; OLG Bamberg, Beschluss vom 28.07.2017 - 3 W 28/17 - MDR 2017, 1387; OLG Frankfurt, Beschluss vom 13.03.2014 - 4 W 12/14 - ZWH 2014, 325). ეს მაშინაც მოქმედებს, როცა სხვა კრედიტორებთან ამ კონკურენციის ან მოვალის ქონებრივი მდგომარეობის ზოგადი გაუარესების გათვალისწინებით, არსებობს საფრთხე, რომ კრედიტორი, სანივთო ყადაღის დადების გარეშე ვერ აღასრულებს საკუთარ მოთხოვნებს მის სასარგებლოდ მიღებული არსებითი გადაწყვეტილებიდან. სანივთო ყადაღის დადება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუკი არსებობს საფრთხე, რომ მოვალის არაკეთილსინდისიერი მოქმედებებით ქონებრივი მდგომარეობა გაუარესდება. სხვაგვარად რომ ვთქვათ: სანივთო ყადაღა გერმანიაში არ ნიშნავს შეჯიბრს კრედიტორებს შორის, რომ, რაც შეიძლება სწრაფად მიიღონ სააღსრულებო ფურცელი, არამედ ის არის მხოლოდ დაცვის საშუალება მოვალის მიმართ, რომელიც **არაკეთილსინდისიერი ქცევით** ცდილობს, ხელი შეუშალოს აღსრულებას ან გაართულოს ის. ამასთან, აუცილებელია, რომ, ერთი მხრივ, უშუალოდ ახლოვდებოდეს არახელსაყრელი ცვლილება, ხოლო, მეორე მხრივ, ის ჯერ დასრულებული არ იყოს (OLG München, Urteil vom 23.02.2017 - 23 U 047/16 – ZinsO 2017, 847).

სანივთო ყადაღის საკანონმდებლო რეგულაციების ამ შემზღუდველი განმარტების მიზეზიცალკეული კრედიტორისათვის უპირატესობის მინიჭების თავიდან აცილებაა; ასევე - სანივთო ყადაღის მოკრძალებულად გამოყენებაც, რომლის უკან თანაზომიერების პრინციპი დგას, რადგან სანივთო ყადაღა არსებითად არასახარბიელო მდგომარეობაში აყენებს მოვალეს იმის მიუხედავად, თუ როგორ დასრულდება დავის ძირითად საგანთან დაკავშირებული საქმისწარმოება. ამის გამართლება შეიძლება მხოლოდ იმდენად, რამდენადაც კრედიტორის დაცვის ღირსი ინტერესები უფრო მაღლა დგას, ვიდრე მოვალისა და თანაც მოვალის ეკონომიკური მოქმედების თავისუფლება სანივთო ყადაღის განკარგულებით (BVerfG, Beschluss vom 05.05.2004 – 2 BvR 1012/02 - NJW 2004, 2443) არსებითად იზღუდება. ნაწილობრივ არ ექვემდებარება გამოსწორებას არაპირდაპირი ფაქტობრივი ხელშეშლა, მაგალითად, პროფესიასა და კრედიტუნარიანობასთან დაკავშირებით (BVerfG, Beschluss vom 05.05.2004 - 2BvR 1012/02 - NJW 2004, 2443), რაც, ყოველ შემთხვევაში, ქონებრივად უნდა ანაზღაურდეს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის

უფლების საფუძველზე § 945 GER-ZPO (მსგავსი რეგულაციაა სსკ-ის 199- ე მუხლი მე-3 ნაწილის; ამასთან დაკავშირებით იხ. ქვემოთ ა.ნ. 40).

ყადაღის საფუძველი, ძირითადად, შეიძლება იყოს არსებითი აქტივების მოსალოდნელი ან დამდგარი გასხვისება, მაგალითად, მინის ნაკვეთის, მნიშვნელოვანი ქონებრივი ნაწილების უკომპენსაციოდ (სათანადო საპირისპირო შესრულების გარეშე) გადაცემა მესამე პირისთვის, ქონების გადატანა საზღვარგარეთ, ქონების დამალვა, საცხოვრებელი ადგილის დატოვება და საცხოვრებლად საზღვარგარეთ გადასვლის განზრახვა (OLG Bremen, Beschluss vom 07.05.2015 - 4 WF 52/15 - FamRZ 2016, 129; OLG Celle, Beschluss vom 31.03.2014 - 15 UF 186/13 - FamRZ 2015, 160; OLG Frankfurt, Beschluss vom 13.03.2014 - 4 W 12/14 - juris; OLG Köln, Beschluss vom 05.06. 2014 - 19 W 14/14 - juris).

ცალკეულ შემთხვევაზეა დამოკიდებული, რამდენად საფრთხის შემცველია, კრედიტორის საზიანოდ, წარსულში განზრახ ჩადენილი ვალდებულების დარღვევიდან გამომდინარე, რომ მოვალე მომავალშიც თავს დააღწევს აღსრულებას. მსგავსი ვარაუდისთვის, სასამართლო პრაქტიკა საკმარისად არ მიიჩნევს, ხელშეკრულების ფარგლებში, ბოროტი განზრახვით ჩადენილ ქმედებას; არამედ, ამას უნდა ემატებოდეს კონკრეტული ხელმოსაჭიდი გარემოებები, რომ მოვალე მისი ქონების ხელმისაწვდომობას უშლის ხელს (BGH, Beschluss vom 24.03.1983 - III ZR 116/82 - WM 1983, 614; OLG München, Urteil vom 23.02.2017 - 23 U 047/16 - ZInsO 2017, 847). ამისგან განსხვავებით, ცოტა სხვაგვარია სასამართლო პრაქტიკა კრედიტორის წინააღმდეგ **განზრახ** ჩადენილი ქონებრივ-სამართლებრივი სახის **დანაშაულისას**, როგორცაა, მაგალითად, თაღლითობა ან მითვისება. მართალია, ყადაღის საფუძველი უკვე ავტომატურად არ არის მოცემული, როდესაც ყადაღის მოთხოვნის უფლება კრედიტორის წინააღმდეგ მოვალის მიერ განზრახ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებიდან გამომდინარეობს (BGH, Beschluss vom 03.06.2014 - KRB2/14 - NJW 2014, 3258; OLG München, Urteil vom 23.02.2017 - 23 U 047/16 - ZInsO 2017, 847; OLG Bamberg, Beschluss vom 28.07.2017 - 3 W 28/17 - MDR 2017, 1387). ყველა შემთხვევაში, მაშინ, როდესაც ყადაღის მოთხოვნის უფლება (როგორც, დავუშვათ, საინვესტიციო კაპიტალთან დაკავშირებული თაღლითობისას) გამომდინარეობს კრედიტორის ქონების წინააღმდეგ მიმართული განსაზღვრული წონისა და მოცულობის დანაშაულებრივი ქმედებისგან, ყადაღის საფუძვლის არსებობა § 917 Abs. 1 GER-ZPO-ის მიხედვით, როგორც წესი, იმაზე არ არის დამოკიდებული, რომ დანაშაულის გახსნის შემდეგ, მოვა-

ლესთან დაკავშირებით გაჩნდა ახალი, დამატებითი გარემოებები, რომელიც არსებულ ეჭვებს ზრდის. ისიც საკმარისია, რომ მოვალის შემდგომი ქცევისგან არ გამომდინარეობდეს შემამსუბუქებელი გარემოებები, რომელიც საკმარისად სარწმუნოა საიმისოდ, რომ, გამონაკლისის სახით, კრედიტორის უზრუნველსაყოფად გამოირიცხოს ის საჭიროები, რომელიც მასიურად განზრახ ჩადენილი ქონებრივი დელიქტების შედეგად დადგინდა (OLG Bamberg, Beschluss vom 28.07.2017 - 3 W 28/17 - MDR 2017, 1387; OLG München, Beschluss vom 13.10.2016 - 15 W 1709/16 - MDR 2017, 174; OLG Bamberg, Urteil vom 12.11.2012 4 U 168/12 - WM 2013, 649).

ერთი მხრივ, ქართული სამართლის სარჩელის უზრუნველყოფის ფუნქციის, ხოლო, მეორე მხრივ, გერმანული სანივთო ყადაღის ეს განსხვავებული გაგება განაპირობებს, რომ სანივთო ყადაღას გერმანიაში საკმაოდ მოკრძალებული მნიშვნელობა აქვს, რასაც ვერ ვიტყვით სარჩელის უზრუნველყოფაზე საქართველოში, რომელიც ძალიან გამოყენებადი სამართლებრივი ინსტრუმენტია.

სანივთო ყადაღის დადების გადაწყვეტილების მიღების სხვა წინაპირობების გამო, განსაკუთრებით, სამართლებრივი შემოწმების მასშტაბთან და დამაჯერებლობასთან დაკავშირებით, იხილეთ ქვემოთ წარმოდგენილი მსჯელობა დროებითი განკარგულების შესახებ.

3. დროებითი განკარგულების მეშვეობით შეიძლება დაჩქარებული ნესით უფლების დაცვის უზრუნველყოფა იმ უფლებებისთვის, რომელიც ფულად მოთხოვნებზე არ არის მიმართული (მდრ. ძალზე მჭიდრო გამონაკლისებთან დაკავშირებით ე.წ. ვალდებულების შესრულების განკარგულებისას ა.ნ. 36). დროებით განკარგულებას გერმანულ სასამართლო პრაქტიკაში გაცილებით მეტი მნიშვნელობა ენიჭება, ვიდრე სანივთო ყადაღას. განსაკუთრებით იმ საქმეების შემთხვევაში, რომელიც მისი ხასიათიდან გამომდინარე დროშია შეზღუდული, ეფექტური სამართლებრივი დაცვის მინიჭება ხშირად დროებითი განკარგულების საქმისწარმოების ფარგლებში შეიძლება. ეს ეხება მაგალითად, არაკეთილსინდისიერი კონკურენციის სამართლისა და პრესის სამართლის ფართო სფეროებს და ასევე, სამეზობლო სამართლისა და სამოქალაქო-სამართლებრივი ემისიისგან დაცვის სფეროთა ნაწილებს. უპირველეს ყოვლისა, არაკეთილსინდისიერი კონკურენციის სამართლისა და პრესის სამართალში არსებული დავების უმრავლესობაში საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილება ფაქტობრივად დროებითი განკარგულების საქმისწარმოების ფარგლებში მიიღება.

დროებითი განკარგულების სამართლებრივი საფუძველი (ე.წ. განკარგულების საფუძველი) შეიძლება გამომდინარეობდეს როგორც § 935 GER-ZPO-დან (ე.წ. უზრუნველყოფის განკარგულება), ასევე § 940 GER-ZPO-დან (ე.წ. რეგულირების განკარგულება). სასამართლო პრაქტიკამ, გარდა ამისა, როგორც დროებითი განკარგულების ქვეფორმა, შემოიღო ე.წ. ვალდებულების შესრულების განკარგულება, რომელიც განსაკუთრებული წინაპირობების არსებობის შემთხვევაში უზრუნველყოფს კრედიტორის დაკმაყოფილებას.

ა) **უზრუნველყოფის განკარგულების** მონესრიგების მიზანი § 935 GER-ZPO-ის მიხედვით სანივთო ყადაღის მონესრიგების მიზანს შეესაბამება § 917 GER-ZPO-ის მიხედვით.

სახეზეა თუ არა დროებითი განკარგულებისთვის სავალდებულო **განკარგულების საფუძველი**, საბოლოო ჯამში, კონკრეტული შემთხვევის საკითხია. როგორც წესი, არ არსებობს უზრუნველყოფის განკარგულების გადაუდებლობის ვარაუდი § 935 GER-ZPO-ის მიხედვით. თუმცა არაკეთილსინდისიერი კონკურენციის სამართალში გადაუდებლობის არსებობა კანონით ივარაუდება (§ 12 Abs. 2 GER-UWG - „ამ კანონში დასახელებული მოქმედებისგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლებების უზრუნველყოფისთვის დროებითი განკარგულებების გამოყენება შესაძლებელია აგრეთვე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის §§ 935 და 940 დასახელებული წინაპირობების მითითებისა და დამაჯერებლად წარმოდგენის გარეშე.“) ამასთან სასამართლო პრაქტიკა ამოდის იქიდან, რომ კანონისმიერი დაცვის რეგულაციებს აკრძალული თვითნებობის გზით მფლობელობის ხელშეშლასთან დაკავშირებით §§ 858, 861, 862 GER-BGB-ის მიხედვით (იხ. ქვემოთ ა.ნ. 38) საფუძველად უდევს გადაუდებლობის ვარაუდი.

მეორე მხრივ, სასამართლო პრაქტიკა, განსაზღვრული კონსტელაციებისას, გადაუდებლობის უარყოფისკენ იხრება ე.წ. თვითგამორიცხვის გამო, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც განმცხადებელი კანონდარღვევის შესახებ ინფორმაციის მიღების შემდეგაც გააჭიანურებს დროებითი განკარგულების თაობაზე სასამართლოსთვის განცხადებით მიმართვას (OLG Nürnberg, Beschluss vom 13.11.2018 - 3 W 2064/18 - juris; OLG Stuttgart, Urteil vom 08. Februar 2017 - 4 U 166/16 - juris; OLG Stuttgart, Urteil vom 23.09.2015 - 4 U 101/15 - NJW-RR 2016, 932; შდრ. აგრეთვე BGH, Beschluss vom 01.07.1999 - I ZB 7/99 - NJW-RR 2000, 209, პირველი ინსტანციის გადაწყვეტილების მისაღებად ხანგრძლივი ლოდინისთვის). თვითგამორიცხვა, ნაწილობრივ, ივარაუდება აგრეთვე, როდესაც

საც განმცხადებელი სასამართლო სხდომის გადადებას ითხოვს (თუმცა საკმაოდ საეჭვო საფუძვლით), ან, თუ პირველ ინსტანციაში დამარცხებული განმცხადებელი სააპელაციო სასამართლოს არსებითად გააგრძელებინებს გადაწყვეტილების დასაბუთების ვადას (OLG Dresden, Beschluss vom 06.03.2018 - 4 U 1675/17 - NJW-RR 2018, 1135; OLG Celle, Beschluss vom 17.09.2015 - 13 U 72/15 - juris; OLG Hamm, Urteil vom 15.03.2011 - 4 U 200/10 - juris).

ბ) რეგულირების განკარგულება, § 940 GER-ZPO-ის მიხედვით, სასამართლოს გზით დროებითი მდგომარეობის დადგენას ემსახურება. რეგულირების განკარგულებით სამოქალაქო სამართლის მოსამართლე მისთვის უჩვეულო - ნაკლებად დავის გადაწყვეტის და მეტადრე (დროებით) სამართლებრივი მდგომარეობის შემცვლელ ფუნქციას ირგებს. რეგულირების განკარგულებისთვის, § 940 GER-ZPO-ის მიხედვით, ფულადი მოთხოვნების უზრუნველყოფას, მაშასადამე, ყადაღას, როგორც წესი, სხვა შესატყვისი ანალოგი არ აქვს.

ძალზე მრავალფეროვანია რეგულირების განკარგულების გამოყენების სფეროები. მიუხედავად ამისა, ის, უმეტესწილად, ზემოთ დასახელებულ სფეროებში გამოიყენება, უპირველეს ყოვლისა, კი არაკეთილსინდისიერი კონკურენციისა და ინტელექტუალური საკუთრების დაცვის, აგრეთვე - პრესის სამართლისა და პიროვნული უფლების დაცვის სფეროებში. § 16 Abs. 2 GER-HGB-ის მიხედვით განცხადების სავაჭრო რეესტრში რეგისტრაციის ხელშეშლა იმ შემთხვევაში შეიძლება, რამდენადაც რეგისტრაცია არ დაიშვა ცნობილი საპროცესო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული ან აღსრულებადი გადაწყვეტილებით და ასევე - დროებითი განკარგულებით (იხ.: BVerfG, Beschluss vom 13.10.2004 – 1 BvR 2303/00 - WM 2004, 2354; OLG München, Urteil vom 13.09.2006 - 7 U 2912/06 – ZIP 2007,152). განსაკუთრებული საჭიროებისას, სასამართლომ რეგულირების განკარგულება შეიძლება, კორპორაციულ სამართალსა და კავშირების სამართალშიც გამოსცეს, მაგ. დირექტორის უფლებამოსილებების დროებით აკრძალვა (OLG Jena, Urteil vom 09.09.2015 - 2 U 219/15 - GmbHR 2015, 1267; OLG Naumburg, Urteil vom 21.11.2013 - 1 U 105/13 – GmbHR 2014, 714; OLG Stuttgart, Urteil vom 26.10.2005 - 14 U 50/05 - GmbHR 2006, 1258), პარტნიორთა შეცვლილი სიის მიწოდების აკრძალვა (§ 16 GER-GmbHG) შპს-ს შემთხვევაში (BGH, Urteil vom 17.12.2013 - II ZR 21/12 - MDR 2014, 231), პარტნიორთა კრებაზე დაშვება (OLG Dresden, Urteil vom 25.08.2016 - 8 U 347/16 - NJW-RR 2016, 1374), განსაკუთრებული კონსტელაციებისას, საჭიროების შე-

მთხვევაში, აგრეთვე პარტნიორთა კრებაზე ხმის უფლების კონკრეტული ფორმით განხორციელების ვალდებულებით (OLG Hamburg, Urteil vom 28.06.1991 - 11 U 65/91 - GmbHR 1991, 467), ბრძანებით, რომ განმცხადებელი დროებით განიხილებოდეს როგორც კავშირის წევრი (OLG Düsseldorf, Urteil vom 11.10.2017 - U (Kart) 9/17 – WuW 2018, 46, ამონარიდების სახით წარმოდგენილია ა.ნ. 35), ან კავშირის წევრთა ყრილობის გადაწყვეტილებების აღსრულების აკრძალვით (KG, Urteil vom 07.02.2011 - 24 U 156/10 - GRUR-RR 2011, 280). თუმცა, ამასთან ხაზგასასმელია ისიც, რომ დაუშვებელია, წესად იქცეს მსგავსი დროებითი განკარგულებების მიღება, არამედ მათი მიღების გამართლებისთვის განსაკუთრებული საფუძვლები უნდა არსებობდეს. დროებითი განკარგულების მსგავსი შინაარსის წინაპირობაა ის, რომ საექსტოდ მოჩანდეს მატერიალურ-სამართლებრივი მდგომარეობა და პრაქტიკულად ყველაფერი უფლების მოსალოდნელი არსებითი დარღვევის სასარგებლოდ მეტყველებდეს. მსგავსი ღონისძიების მასიური გავლენის გამო, თითქმის გამოირიცხება, რომ დროებითი განკარგულებით განმცხადებელს საზოგადოების მართვის ან წარმომადგენლობითი უფლებამოსილებები მიენიჭოს (KG, Urteil vom 10.12.2015 - 23 U 99/15 – GmbHR 2016, 416). ურთიერთშეფარდების გზით მისაღები გადაწყვეტილებისთვის წაყენებულ ზოგად მოთხოვნებთან დაკავშირებით დამატებით იხილეთ ა.ნ. 27.

განსხვავებული სამართლის-დოგმატიკური მიდგომის მიუხედავად, სასამართლო პრაქტიკაში § 935 GER-ZPO და § 940 GER-ZPO რეგულაციის სფეროების საკმაოდ დაახლოებაც შეიძლება. სამართლებრივი ურთიერთობის დროებით მონესრიგება, უმეტესწილად, მითითებული უფლების უზრუნველყოფაზე აისახება; უფლების უზრუნველსაყოფად დროებითი განკარგულების მიღებას, უმეტესწილად, ასევე დროებითი მონესრიგების ეფექტი ექნება. არც თუ იშვიათად § 935 GER-ZPO და § 940 GER-ZPO გამოყენების სფეროები იმდენად მჭიდროდ უახლოვდება ერთმანეთს, რომ პრაქტიკაში მათ შორის განსხვავება აღარ არის. მსგავსი ფაქტობრივი კონსტელაციებისას სასამართლო გადაწყვეტილებები, ძირითადად, განსხვავების გარეშე ეფუძნება ხოლმე § 935, 940 GER-ZPO.

გ) დამაჯერებლად უნდა იყოს წარმოდგენილი §§ 935, 940 GER-ZPO-ის ფაქტობრივი წინაპირობების შესრულება §§ 936, 922 GER-ZPO-ის მიხედვით.

აა) დამაჯერებლობისთვის (შდრ. § 294 GER-ZPO) აუცილებელი არ არის, მოსამართლემ სრული შინაგანი რწმენა შეიქმნას § 286 GER-ZPO-

ის შესაბამისად (ძირითადად, მსგავსია სსკ-ის 105-ე მუხლის), მომეტებული ალბათობაც საკმარისია განკარგულების მიღების მოთხოვნის უფლებისა და განკარგულების საფუძვლის არსებობისთვის (დამაჯერებლობასთან დაკავშირებით იხ.: BGH, Beschluss vom 11.09.2003 - IX ZB 37/03 - BGHZ 156, 139; BGH, Beschluss vom 30.03.2017 - III ZB 50/16 - juris; BGH, Beschluss vom 10.09.2015 - III ZB 56/14 - NJW 2015, 3517). ეს წინაპირობები შესრულებულია, თუ კონკრეტული საქმის სავალდებულო ყოვლისმომცველი შეფასებისას შესაბამისი გარემოებების არსებობაზე უფრო მეტი რამ მეტყველებს, ვიდრე ამ გარემოებების არსებობის წინააღმდეგ (BGH, Beschluss vom 30.03.2017 - III ZB 50/16 - juris; BGH, Beschluss vom 01.12.2015 - II ZB 7/15 - juris; BGH, Beschluss vom 14.07.2015 - II ZB 27/14 - FamRZ 2015, 1715).

დამაჯერებლობისთვის განმცხადებელს უფლება აქვს, ნებისმიერი მტკიცებულება გამოიყენოს, ფიცის ძალის მქონე წერილობითი დასტურის ჩათვლით (§ 294 GER-ZPO). ვინაიდან დამაჯერებლობისას მტკიცებულების შეგროვება, § 294 Abs. 2 GER-ZPO-ის მიხედვით, მხოლოდ დაუყოვნებლივ შეიძლება მოხდეს (ე.წ. წარმოდგენილი მტკიცებულებები), ფიცის ძალის მქონე წერილობითი დასტური სასამართლო პრაქტიკაში თითქმის ყოველთვის ანაცვლებს მოწმის დაკითხვას. აქედან გამომდინარე, სანივთო ყადაღასა და დროებით განკარგულებასთან დაკავშირებული საქმისწარმოებისას ის ყველაზე მნიშვნელოვანი მტკიცებულებაა.

ბბ) მითითებისა და მტკიცების ტვირთისთვის (OLG Düsseldorf, Urteil vom 29.06.2017 - 15 U 4/17 - GRUR-RR 2017, 477) და საქმისწარმოებისთვის, დროებითი განკარგულებისას, ძირითადად, მოქმედებს სასამართლოში დავის წარმოების ზოგადი პრინციპები.

დაჩქარებული წესით უფლების დაცვის ფუნქციის შესაბამისად, გადანყვეტილების მიღებამდე, შეიძლება, გამონაკლისის სახით, უარი ეთქვას მხარეს სასამართლო მოსმენის უფლების განხორციელებაზე რამდენადაც, წინააღმდეგ შემთხვევაში, ვერ შესრულდებოდა სასამართლო გადანყვეტილების მიზანი (შდრ. BVerfG, Beschluss vom 30.09.2018 – 1 BvR 1783/17 - NJW 2018, 3631, ამონარიდების სახით წარმოდგენილია მე-4 მუხლის კომენტარი, ა.ნ. 3ბ; BVerfG NJW 2006, 1048; BVerfG, Beschluss vom 19.01.2006 - 2 BvR 1075/05 - NJW 2004, 2443; zu Haftbefehl: BVerfG, Beschluss vom 08.01.1959 - 1 BvR 396/55 - BVerfGE 9, 89). ამის გათვალისწინება, ერთი მხრივ, შეიძლება, თუ სასამართლო, აღსრულების მოსალოდნელი წარუმატებლობის შემთხვევაში, მოვალეს სასამართლო მოსმენის უფლების ფარგლებში გააფრთხილებდა; ხოლო მეორე მხრივ,

არსებობს კონსტიტუციები, რა დროსაც, სასამართლო მოსმენის უფლების მინიჭებისთვის საჭირო დრო უფლების ფაქტობრივად სრულად დაკარგვას გამოიწვევდა, მაგალითად, როცა დროებითი განკარგულება უშუალოდ მოახლოებულ მოვლენებს ეხება.

რამდენადაც ეს შესაძლებელია რეგულირების განკარგულების შინაარსის მიხედვით, სასამართლომ აუცილებლად დაუყოვნებლივ უნდა მოუსმინოს მხარეს მოგვიანებით, იმ შემთხვევებში, როდესაც სასამართლო მოსმენის გარეშე მიღებული გადაწყვეტილება მხოლოდ არსებითი შემოიფარგლება, როდესაც ის თავდაპირველად ძალზე მოკლე პერიოდით მოქმედებს. თუ, მაგალითად, სამეზობლო სამართლიდან გამომდინარე ემისიისგან დაცვის საქმისწარმოებისას საქმე ეხება იმას, თუ ხმაურის რა სტანდარტები უნდა დაიცვას ორგანიზატორმა ერთკვირიანი ღია ცის ქვეშ გასამართი კონცერტისას, მოსამართლეს უფლება აქვს, რამდენადაც სახეზეა აშკარა სამართალდარღვევა, მოსმენის გარეშე, პირველ ღამეს, განსაკუთრებული საფუძვლების არსებობის შემთხვევაში, აკრძალოს ხმაურის ერთმნიშვნელოვნად უკანონო სიმძლავრე (და არა სხვა რამ). თუმცა დარჩენილ დღეებთან დაკავშირებით მან დაუყოვნებლივ უნდა მოუსმინოს მხარეს და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღოს გადაწყვეტილება შემოსულ განცხადებასთან დაკავშირებით.

გგ) გერმანული სასამართლო პრაქტიკა ბოლომდე ერთსულოვანი არ არის იმასთან დაკავშირებით, მცირდება თუ არა **აუცილებელი სამართლებრივი შემონმების ინტენსიურობა** საქმის დაჩქარებული წესით განხილვისას; რამდენად არის მსგავს შემთხვევებში საკმარისი ზოგადი სამართლებრივი შემონმება, თუ სამართლებრივ კითხვებს პასუხი საქმის არსებითი განხილვისას უნდა გაეცეს. განსაზღვრული (სამართლებრივად შესატყვისი) ტენდენცია იკვეთება იმ მიმართულებით, რომ სამართლებრივი საკითხები ისე დასაბუთებულად უნდა გადაწყდეს, რამდენადაც ეს კონკრეტულ საქმეზეა შესაძლებელი - განსაკუთრებით, განკარგვაში არსებული დროის კუთხით (in diese Richtung etwa: BVerfG, Beschluss vom 20.11.2018 - 2 BvR 80/18 - juris, ამონარიდების სახით წარმოდგენილია ა.ნ. 24ბ; BVerfG, Beschluss vom 19.12.2016 - 1 BvR 1221/12 - juris; OLG Karlsruhe, Urteil vom 23.09.2015 - 6 U 52/15 - GRUR-RR 2015, 509) და რომ სამართლებრივი მდგომარეობა მით უფრო ინტენსიურადაა შესასწავლი, რაც უფრო გრძელვადიანად იჭრება დაჩქარებული წესით გატარებული ღონისძიება პროცესის მონაწილეების უფლებებში. აქედან გამომდინარე, განსაკუთრებით, პრესის სამართლის სფეროში, პიროვნული უფლებების დაცვის სფეროში და ასევე არაკეთილსინდის-

სიერი კონკურენციისა და ინტელექტუალური საკუთრების დაცვის მთლიან სფეროებში, დროებითი განკარგულების მიღებასთან დაკავშირებული საქმისწარმოებისას მიიღება კომპლექსური სამართლებრივ ინტერესთა ურთიერთშეფარდებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები.

ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ შემდეგნაირად შეაფასა (*Beschluss vom 20.11.2018 - 2 BvR 80/18 – juris*) კონსტიტუციურ-სამართლებრივი მინიმალური მოთხოვნები (რომელსაც ბევრი სამოქალაქო სამართლის სასამართლო სცილდება საკუთარ სასამართლო პრაქტიკაში):

„1. ა) ეფექტური სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფა, როგორც წესი, საქმის დაჩქარებული წესით განხილვის შესაძლებლობას ითხოვს, თუ სხვა შემთხვევაში მოსალოდნელია, რომ არსებითად და ყოვლისმომცველად დაირღვევა დაინტერესებული პირის უფლებები, რაც ვეღარ აღმოიფხვრება არსებითი გადაწყვეტილების მიღებით დავის ძირითად საგანთან დაკავშირებით (*vgl. BVerfGE 79, 69; BVerfGE 93, 1*). ამასთან დასაშვებია, რომ გადაწყვეტილებებს, ძირითადად, საფუძვლად დაედოს როგორც ურთიერთშეფარდებიდან გამომდინარე შედეგები, ასევე, წარმატების პერსპექტივის არსებითით შემოფარგლული შემონიშნება დავის ძირითად საგანთან დაკავშირებით (*vgl. BVerfG NVwZ-RR 1999, 217*). უფრო მკაცრი მოთხოვნები მოქმედებს, რამდენადაც დროებითი სამართლებრივი დაცვის მინიჭების გარეშე შეიძლება წარმოიშვას მძიმე და შეუსაბამო, სხვაგვარად თავიდან აუცილებადი ხელშეშლა, რომელიც მთავარ სხდომაზე ვეღარ აღმოიფხვრებოდა. თუ სასამართლოები, მსგავს შემთხვევებში, დავის ძირითადი საგნის წარმატების პერსპექტივის შეფასებაზე იქნებიან ორიენტირებული, მაშინ მათ საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი მდგომარეობა მხოლოდ არსებითზე შემოფარგვლით კი არ უნდა შეამოწმონ, არამედ ამომწურავად (*vgl. BVerfGK 5, 237; BVerfG NJW 2003, 1236*).

მსგავსი ამომწურავი შემონიშნება გაითვალისწინება მხოლოდ მაშინ, როცა შესაძლებელია საქმის დაჩქარებული წესით განხილვის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი სიტუაციის სრულყოფილად გამოკვლევა; წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლომ გადაწყვეტილება შედეგების ურთიერთშეფარდების საფუძველზე (*vgl. BVerfGK 5, 237*) უნდა მიიღოს. თუ სამართლებრივი დავისას რთული და გაურკვეველი სამართლებრივი კითხვები წარმოიშობა, ან ისეთი კითხვები, რომელიც საქმეზე გადაწყვეტილების მისაღებად ძალზე სადავოა მოცემული მომენტისთვის, ეს მდგომარეობა, ცალკე აღებულად, არ აფერხებს საქმის

ამომწურავ შეფასებას საქმის დაჩქარებული წესით განხილვის ფარგლებში. თუმცა, ამასთან, სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს, რომ მსგავსი შემონმება საქმის დაჩქარებული წესით განხილვისას, გავლენას ახდენს სამართლებრივი დაცვის მაძიებლის შესაძლებლობებზე და დავის ძირითად საგანთან დაკავშირებული წარმოების ფარგლებში გადანყვეტილების მიღებაზე, ასევე - საპროცესო-სამართლებრივად გათვალისწინებული საჩივრის განხილვის წარმოებაზე.

დღ) დროებითი განკარგულების წინაპირობებთან დაკავშირებით შეიძლება შემაჯამებლად მოვიხმოთ დიუსელდორფის უმაღლესი სამხარეო სასამართლოს გადანყვეტილება (Urteil vom 29.06.2017 - 15 U 4/17 - GRUR-RR 2017, 477), რომელსაც, მართალია, საპატენტო სამართლის დავა უდევს საფუძვლად, თუმცა შინაარსობრივი მსჯელობა შეიძლება განზოგადებულად გამოვიყენოთ.

„...დროებითი განკარგულების მიღების წინაპირობა §§ 935, 940 ZPO-ის მიხედვით, არის მისი საჭიროება, რათა თავიდან ავიცილოთ უფლების განხორციელების ხელშეშლა ან არსებითად გართულება; ან კიდევ - განმცხადებლის არსებითად არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩაყენება. კონკურენციის საქმეებისგან განსხვავებით, საპატენტო საქმეებზე შეუქცევადად ივარაუდება განკარგულების საფუძველის არსებობა.... აქედან გამომდინარე, პოზიტიურად უნდა დადგინდეს განსაკუთრებული გარემოებები, რომელიც დაჩქარებული წესით გატარებულ ღონისძიებას გაამართლებს; ამასთან განმცხადებელზეა მითითებისა და გარემოებების სარწმუნოდ წარმოდგენის ტვირთი ზოგადი პრინციპების შესაბამისად.

განკარგულების საფუძვლის არსებობისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, თუ რამდენად მოსალოდნელია განმცხადებლისგან, საქმის არსებით განხილვას და შემდეგ სააღსრულებო ფურცლის მიღებას დაელოდოს. ეს იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, როცა გადაუდებელია მხარის მოთხოვნა, საკმარისად უზრუნველყოფილია პატენტის სამართლებრივი მდგომარეობა და ყველა გარემოების გათვალისწინებით განმცხადებლის სასარგებლოდ დამთავრდება მხარეთა სხვა დაცვის ღირსი ინტერესების ურთიერთშეჯერება (OLG Düsseldorf InstGE 10, 124; OLG Karlsruhe GRUR-RR 2009, 442; OLG Karlsruhe GRUR-RR 2015, 509...).

გადაუდებლობა მოითხოვს, რომ განმცხადებელს დროებითი განკარგულების საქმისწარმოების დანყებისას არ უნდა მოეცადა შეუსაბამოდ დიდხანს და ამით ეჩვენებინა, რომ ის საკუთარ უფლებებს მხოლოდ გაჭიანურებულად ახორციელებს და სასამართლოს მხრიდან დაუყოვნე-

ბლივ აკრძალვით ღონისძიებას ფაქტობრივად არ საჭიროებს (BGH GRUR 2000, 151; ...OLG Hamburg GRUR-RR 2010, 57; OLG Düsseldorf GRUR-RR 2013, 236; OLG Köln GRUR-RR 2014, 127...)....“

დ) დროებითი განკარგულების შინაარსი § 938 Abs. 1 GER-ZPO-ის მიხედვით, მოსამართლის ვალდებულებების შესაბამის (კანონს დაქვემდებარებულ) დისკრეციაში შედის. უზრუნველყოფის საშუალების ფუნქციის შესაბამისად უზრუნველყოფის ღონისძიებები, ძირითადად, **არ უნდა სცილდებოდეს უზრუნველყოფის მიზანს**, მაშასადამე, როგორც წესი, ამ ღონისძიებებს არ უნდა ჰქონდეს ფაქტობრივი შესრულების ეფექტი. აქედან გამომდინარე, § 938 Abs. 2 GER-ZPO-ში ნივთის უკან გამოთხოვის უფლების უზრუნველყოფისთვის, მაგალითად, დასახელებულია სექვესტრაცია, ანუ ქონების გადაცემა მესამე პირისთვის, აღნიშნული ქონების მართვის მინდობით. ქონების კრედიტორისთვის გადაცემას ექნებოდა მოთხოვნის შესრულების მსგავსი ეფექტი, რაც იმას ნიშნავს, რომ მსგავსი განკარგულების მიღება დაუშვებელია (გამონაკლისს წარმოადგენს აკრძალული თვითნებობა, იხ. ა.ნ. 38) -

აა) დროებითი განკარგულების შინაარსი საპროცესო მონაწილეების **ურთიერთმფარავი ინტერესების ურთიერთშეჯერებას** მოითხოვს (შდრ. OLG Karlsruhe, Urteil vom 23.09.2015 - 6 U 52/15 – GRURRR 2015, 509; OLG Karlsruhe, Urteil vom 08.07.2009 - 6 U 61/09 - GRUR-RR 2009, 442). ეს განსაკუთრებით მოქმედებს, როდესაც დროებითი განკარგულებით ხდება საპროცესო მონაწილეების ძირითადი უფლებების სფეროებში ჩარევა, ან თუ ამას საპროცესო მონაწილეებთან დაკავშირებით სხვა გრძელვადიანი სამართლებრივი შედეგები ექნება (შდრ. აგრეთვე BVerfG, Beschluss vom 30. 04. 2008 - 2 BvR 396/08 - juris). ამასთან განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს როგორც თანაზომიერების პრინციპს (OLG Dresden, Urteil vom 25.08.2016 - 8 U 347/16 - NJW-RR 2016, 1374; OLG Stuttgart, Beschluss vom 07.03.1997 - 20 W 1/97 - MDR 1997, 1137), ასევე - ეფექტური სამართლებრივი დაცვის მოთხოვნებს (OVG Münster, Beschluss vom 17.10. 2017 - 4 B 786/17 - juris).

აქედან გამომდინარეობს აგრეთვე, რომ დროებითი განკარგულება არავითარ შემთხვევაში არ გამოიცეს ავტომატურად, რამდენადაც დამაჯერებლად იქნება წარმოდგენილი §§ 935, 940 GER-ZPO-ის ზოგადი წინაპირობები, არამედ ის მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა მივიღოთ, როდესაც ურთიერთმფარავი ინტერესების ურთიერთშეჯერებისას, კრედიტორის დროებითი განკარგულების მიღების ინტერესი გადაწონის. ინტერესთა ამ ურთიერთშეჯერების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილება

დროებითი განკარგულების გამოცემის ან არ გამოცემის შესახებ, შესაბამისი ეფექტების გარდა ასევე უნდა შეიცავდეს ინფორმაციას, თუ რამდენად ეჭვგარეშე დგინდება მატერიალურ-სამართლებრივი მდგომარეობა დროებითი განკარგულების საქმისწარმოებისას (მდრ. ა.ნ. 31 ამონარიდების სახით ციტირებული ბერლინის უმაღლესი სამხარეო სასამართლოს გადაწყვეტილება). დროებითი განკარგულების კონკრეტული შინაარსობრივი სტრუქტურირებისას მოსამართლემ იდეალურად უნდა დააბალანსოს საპროცესო მონაწილეების კონფლიქტური, სამართლებრივი დაცვის ღირსი ინტერესები. მარტივად რომ ითქვას, ეს ნიშნავს: მოსამართლის განკარგულება საჭიროა იმდენად, რამდენადაც ის ემსახურება უფლების ეფექტურ განხორციელებას ურთიერთმფარავი ინტერესების ურთიერთშეჯერების გათვალისწინებით, თუმცა ყოველთვის თავშეკავებულად, რამდენადაც ეს შესაძლებელია ურთიერთმფარავი ინტერესების ურთიერთშეჯერებისას. ამასთან, მოსამართლე ყოველთვის ექვემდებარება მოთხოვნის მბოჭაობის საზღვრებს § 308 GER-ZPO-ის მიხედვით (OLG Düsseldorf, Urteil vom 28.05.2015 - 2 U 4/15 - juris; OLG Hamm, Urteil vom 24.09.2009 - 4 U 104/09 - juris). ამასთან დაკავშირებით იხილეთ მე-3 მუხლის პირველი ნაწილის ა.ნ. 18 და მომდევნო აბზაცებში წარმოდგენილი მსჯელობა.

გაბატონებული მოსაზრებით, დროებითი განკარგულება არ შეიძლება ავალდებულებდეს ხელშეკრულების მხარეს ხელშეკრულების შესრულებას და მას ხელშეკრულების საგნის ხელშეკრულების სანინაალმდევოდ განკარგვას, ანუ ნასყიდობის საგნის სხვაგვარ გასხვისებას ან ქირავნობის ნივთზე სარგებლობის უფლების სხვაგვარად გადაცემას უკრძალავდეს. მსგავსი დროებითი განკარგულება გაბატონებული (თუმცა, სადავო) გერმანული სამართლებრივი მოსაზრების მიხედვით (ნასყიდობის სამართლის კუთხით მატერიალურ-სამართლებრივად ნაწილობრივ განსხვავდება ქართული სკ-ის 485-ე მუხლისგან) კერძო ავტონომიაში ჩარევა იქნებოდა. ამასთან დაკავშირებით მაგალითის სახით გავაცნობთ ბერლინის უმაღლესი სამხარეო სასამართლოს გადაწყვეტილებას (Beschluss vom 07.09.2017 - 8 W 47/17 – NJWRR 2018, 139):

„...გარდა ამისა გასათვალისწინებელია, რომ უმაღლესი სამხარეო სასამართლოების გადაწყვეტილებებში წარმოდგენილი გაბატონებული მოსაზრების მიხედვით, მოქირავნეს, ორმაგი გაქირავების შემთხვევაში, არ შეუძლია დროებითი განკარგულების მიღებით უზრუნველყოს მფლობელობაში გადაცემის მოთხოვნის უფლება გამქირავებლის მიმართ, როგორ-

რც პირველმა მოქირავნემ (KG NZM 2007, 518; OLG Koblenz MDR 2008,18; OLG Hamm NJWRR 2004,521...).

ორმაგი გაქირავების შემთხვევაში, კითხვასთან დაკავშირებით, თუ ვის უნდა გადასცეს გამქირავებელმა ქირავნობის ნივთი, ქირავნობის ხელშეკრულების დადების უპირატესობის პრინციპი არ მოქმედებს. გამქირავებელს უფლება აქვს თვითონ გადანყვიტოს, თუ რომელ ხელშეკრულებას შეასრულებს და რომელ მოქირავნეს აუნაზღაურებს, საჭიროების შემთხვევაში, ზიანს. ეს თანხვედრაშია კერძო ავტონომიის პრინციპთან, რომელსაც, თავის მხრივ, საფუძვლად უდევს საკუთარ ინტერესებთან დაკავშირებით, საკუთარი პასუხისმგებლობის საფუძველზე თვითგანსაზღვრის უფლება. გამქირავებელი, რომელიც ქირავნობის ხელშეკრულებას დებს, ამით ჯერ კიდევ არ ამბობს უარს საკუთარ უფლებაზე, ქირავნობის ნივთი ხელახლა მიაქირავოს მესამე პირს. გამქირავებელს, როგორც მოვალეს, შეუძლია იძულებით აღსრულებამდე გადანყვიტოს, თუ ვის მიმართ სურს შესრულების განხორციელება; არჩევანის ეს უფლება წარმოადგენს დაცვის ღირს უფლებას, როგორც ხელშეკრულების დადების თავისუფლების გამოხატულება (...). გამქირავებელს, პირველი ხელშეკრულების დადებით, თავი არ შეუბოჭია იმგვარად, რომ მას ამით შეზღუდვოდა სხვა ანალოგიური მოქმედების ძალის მქონე ხელშეკრულებების დადებისა და მათი შესრულების უფლება და შესაძლებლობა. ამ სიტუაციაში დაცვის ღირსია არა გამქირავებელი, არამედ მისი კერძო ავტონომია (OLG Hamm NJW-RR 2004, 521).“

ბბ) განსაკუთრებული პრობლემა ჩნდება მაშინ, როდესაც ეფექტური სამართლებრივი დაცვის მინიჭება კონკრეტულ საქმეზე მხოლოდ იმგვარი ღონისძიებით შეიძლება, რომელსაც **ფაქტობრივად მოთხოვნის შესრულების ეფექტი** აქვს.

თუ, მაგალითად, გასარკვევია, აქვს თუ არა უფლება სპორტსმენს, მონაწილეობა მიიღოს რბოლაში, ეს შეიძლება მხოლოდ მის სასიკეთოდ ან საზიანოდ გადანყვიტოს, მაშასადამე, მას ან ექნება ამის უფლება ან - არა. თუ პირს სურს, გაფრინდეს კონკრეტული რეისით, ის ან გაფრინდება ან - არა. ამ შემთხვევაში, მსგავსი სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე გამოირიცხება მხოლოდ „უზრუნველმყოფელი“ ან „დროებითი“ ღონისძიება ან მხოლოდ „ნახევარი მანძილი“. მართალია, პერიოდულად გვესმის, რომ დროებითი განკარგულების საქმისწარმოებისას დაუშვებელია დავის ძირითად საგანთან დაკავშირებით წინმსწრები გადანყვიტულების მიღება, მაგრამ ეს მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, როდესაც მოთხოვნის უფლების მიხედვით შეიძლება უზრუნველყოფა ან

სრულყოფილი შესრულების თამასის დაბლა არსებული სხვა უზრუნველყოფის ღონისძიების გატარება - მათ შორის დროებითი აკრძალვა. თუმცა ცხოვრებაში საკმაოდ ხშირია „ან სრულად ან საერთოდ არა“ კონსტელაციები, რა დროსაც მოსამართლე ალტერნატივის წინაშე დგას: ან საერთოდ არ უზრუნველყოს მხარის ეფექტური პირველადი სამართლებრივი დაცვა და კრედიტორს, საჭიროების შემთხვევაში, მეორადი დამატებითი სამართლებრივი დაცვის შესაძლებლობაზე მიუთითოს (მაგალითად, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებაზე), ან, ფაქტობრივად, დროებითი განკარგულების საქმისწარმოებისას, პირველადი სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფით, წინასწარ მიღოს გადაწყვეტილება დავის ძირითად საგანთან დაკავშირებით. სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს მავალდებულებელი განკარგულებები სოციალურ მედიაში გამოქვეყნებული ინფორმაციის ნაშლის თაობაზე (OLG Stuttgart, Beschluss vom 06.09.2018 - 4 W 63/128 - juris; OLG München, Beschluss vom 17.07.2018 - 18 W 858/18 - MDR 2018, 760).

დიუსელდორფის უმაღლესი სამხარეო სასამართლო ე.წ. **მავალდებულებელ განკარგულებებთან** დაკავშირებით არსებულ სასამართლო პრაქტიკას (Urteil vom 11.10.2017 - U (Kart) 9/17 - WuW 2018, 46) ასე აფასებს:

„მავალდებულებელი განკარგულება (დაკმაყოფილების განკარგულება) - ვინაიდან ის არ იწვევს გადაწყვეტილების წინასწარ მიღებას დავის ძირითად საგანთან დაკავშირებით, რაც კანონით არც არის გათვალისწინებული - დასაშვებია მხოლოდ მჭიდროდ შეზღუდულ გამონაკლის შემთხვევებში. პალატის მუდმივი სასამართლო პრაქტიკისა (...) და სხვა უმაღლესი სამხარეო სასამართლოების მუდმივი პრაქტიკის მიხედვით (OLG Celle NJW 2015, 711; OLG Köln, Urteil vom 17. Mai 2013 - 19 U 38/13 - juris; OLG Koblenz VersR 2014, 96; OLG München, Urteil vom 26. September 2012 - 7 U 3821/11 - juris; OLG Jena MDR 2012, 488) საკმარისი არ არის, რომ დროებითი განკარგულების არ მიღებით შესაძლებელი გახდება განმცხადებლის მოთხოვნის უფლების განხორციელებისათვის ხელშეშლა ან არსებითად გართულება (§ 935 ZPO); ან, რომ მოთხოვნილი დროებითი სამართლებრივი დაცვა იმისათვის არის საჭიროა, რომ თავიდან ავიცილოთ არსებითი უარყოფითი შედეგები (§ 940 ZPO). მავალდებულებელი განკარგულება მხოლოდ განმცხადებლის არსებული, ან, სულ მცირე, მოსალოდნელი უკიდურესი მდგომარეობისას გაითვალისწინება. განმცხადებელი იმდენად გადაუდებლად უნდა იყოს დამოკიდებული განხორციელებული მოთხოვნის უფლების შესრულებაზე, ან მოსალოდნე-

ლი უნდა იყოს მისთვის არსებითი ეკონომიკური ზიანის მიყენება, რომ შეუძლებელია მისგან მოველოდეთ მოთხოვნის უფლების განხორციელების გადადებას ან მოგვიანებით, უკვე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებების განხორციელებას. განმცხადებელი მხარის ინტერესს, მავალდებულებელი განკარგულების მიღებით ეფექტური სამართლებრივი დაცვის მინიჭების შესახებ, უნდა დაეუპირისპიროთ ამ განკარგულების მოპასუხე მხარის დაცვის ღირსი ინტერესები, საქმისწარმოების მხოლოდ იმ არსებით საკითხებზე შემოფარგვლით, რომელზეც გადანყვებილებების მიღება მხოლოდ შეზღუდულად შეიძლება და მის წინააღმდეგ განხორციელებული მოთხოვნის უფლების შესრულებას ვერ მოსთხოვენ. ორმხრივი ინტერესების სავალდებულო ურთიერთშეჯერებისას გასათვალისწინებელია, ასევე, განკარგულების მიღების მოთხოვნის წარმატების პერსპექტივა. თუ აშკარაა სამართლებრივი მდგომარეობა და ეჭვგარეშედ დგინდება უფლებამოსილება მოთხოვნის უფლების განხორციელებასთან დაკავშირებით, მაშინ მოწინააღმდეგე მხარე ნაკლებად არის დაცვის ღირსი და ეჭვის შემთხვევაში, განმცხადებლის ინტერესი მისი მოთხოვნის უფლების აღიარებასთან დაკავშირებით, დროებითი განკარგულების საქმისწარმოებისას მოწინააღმდეგე მხარის ინტერესს გადანონის. ამასთან, შეფასების წარმოდგენილი კრიტერიუმები ერთმანეთთან ურთიერთმიმართებაშია. თუ აშკარაა განხორციელებული მოთხოვნის უფლების განხორციელების უფლებამოსილების არსებობა და/ან თუ მავალდებულებელი განკარგულების არ მიღება გამოიწვევდა უფლების განხორციელებაზე საბოლოოდ უარის თქმას, ამ შემთხვევაში, ნაკლები მოთხოვნები უნდა წაეყენოს უკიდურესი ეკონომიკური მდგომარეობის არსებობას; და პირიქით - უკიდურესი მდგომარეობის არსებობის წინაპირობის თამასა უფრო მაღლა უნდა აინიოს, რამეთუ სამართლებრივი მდგომარეობა ბოლომდე ეჭვგარეშედ ვერ დგინდება განმცხადებლის სასარგებლოდ და/ან განმცხადებელს არ მიადგებოდა ზიანი, თუ ის მოგვიანებით განახორციელებდა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას.“

მსგავსი მავალდებულებელი განკარგულება, გამოწვევის სახით, იმ შემთხვევაშიც დაიშვება, როცა კრედიტორი გადაუდებლად არის დამოკიდებული მოთხოვნის დაუყოვნებლივ შესრულებაზე და მოვალეს, არსებული გარემოებების ბოლომდე გათვალისწინების პირობებში, შეეძლება ბოდა სამართლებრივი მდგომარეობის სრულად გამორკვევამდე მისი შესრულება. ეს უკანასკნელი, განსაკუთრებით, იმ შემთხვევაში შეიძლება გავითვალისწინოთ, როდესაც თავიდან უნდა ავიცილოთ კრედიტორის არსებობასთან დაკავშირებული საფრთხე, ან შესაბამისად უკიდურესი

მდგომარეობა. მაგალითად, განსაზღვრული დროით კლიენტისთვის ენერჯის მინოდება ენერგომომმარაგებლის მიერ, შეიძლება, ძირითადად, მავალდებულებელი განკარგულების საგანი იყოს. ამ განკარგულების გამოცემა კი, გაბატონებული მოსაზრებით, იმის წინაპირობას აყენებს, რომ კრედიტორს დაუყოვნებლივ სჭირდება ენერჯია თავისთვის (Brandenburgisches Oberlandesgericht, Beschluss vom 10.08.2010 - 3 W 26/10 - juris; იხ. აგრეთვე OLG Frankfurt, Urteil vom 21.12.2010 - 11 U 132/10 (Kart) - juris). არსებობისთვის საფრთხის შესაქმნელად, როგორც წესი, საკმარისი არ არის, რომ ფიზიკური პირების შემთხვევაში, მავალდებულებელი განკარგულების გარეშე, მათი გადახდისუუნარობა იქნებოდა მოსალოდნელი, ყოველ შემთხვევაში, გერმანიაში არსებული სოციალური დაცვის სისტემების გათვალისწინებით (OLG Koblenz, Urteil vom 03.02.2012 - 10 U 610/11 - NJW-RR 2913,23). ანალოგიურად ხდება, პრინციპში, იურიდიულ პირებთან მიმართებითაც, თუკი ის გადახდისუუნარობის შემთხვევაში არა მხოლოდ გადახდისუუნარო იქნება, არამედ შესაძლოა, მის სამართლებრივ არსებობასაც შეექმნას საფრთხე (OLG München, Urteil vom 20.06.2018 - 7 U 1079/18 - GmbHR 2018, 976). ამ მიდგომას საფუძვლად უდევს ის, რომ გერმანული მართლწესრიგი იურიდიული პირების არსებობის უფლებამოსილებას მხოლოდ იმ შემთხვევაში აღიარებს, თუ მათ საკუთარი ძალით შეუძლიათ საკუთარი მიზნებისა და დავალებების შესრულება. კანონისმიერი გამონაკლისი რეგულაციები არსებობს საოჯახო სამართალში, დროებითი განკარგულების საფუძველზე, სარჩოს გადახდის შესაძლო ვალდებულებასთან დაკავშირებით (§ 246 GER-FamFG). გარდა ამისა, § 940a GER-ZPO (წარმოდგენილია ა.ნ. 1) განსაზღვრულია, თუ რომელი წინაპირობების არსებობისას შეუძლია მხარეს, დროებითი განკარგულების ფარგლებში, ბინის დაცლა მოითხოვოს. ბერლინის უმაღლესმა ადმინისტრაციულმა სასამართლომ (Urteil vom 05.12.2017 - 21 U 109/17 - MDR 2018, 270) მავალდებულებელი განკარგულების პრინციპები მენაშენის მიერ ბინის გადაცემაზეც გამოიყენა და ამასთან დაკავშირებით განმარტა:

„ბინის შემძენისთვის, მენაშენის ხელშეკრულებიდან [ნასყიდობისა და სამშენებლო ხელშეკრულებების შერეული ფორმა] გამომდინარე, არსებითი ხელშეშლაა ის, როდესაც მას არ გადაეცემა საცხოვრებლად დასრულებული ბინა, არადა ბინაში შესვლა სავარაუდოდ შეთანხმებულ დროს ჰქონდა დაგეგმილი. რა თქმა უნდა, მისთვის დროებით შესაძლებელია სხვა ბინაში, საოჯახო სასტუმროში ან სასტუმროში ცხოვრება, თუმცა ამით მას დამატებითი ხარჯები წარმოეშობა, რომელიც დროთა გა-

ნმავლობაში საკმაოდ გაიზრდება და შესაძლოა, მენაშენესთან დავის დასრულების შემდეგ, მენაშენის ფინანსური მდგომარეობიდან გამომდინარე, არც აუნაზღაურდეს. მენაშენის დაუსაბუთებელი უარის შემთხვევაში კი ბინის შემძენს, სავარაუდოდ, მხოლოდ ერთი შესაძლებლობა რჩება - ხელშეკრულების შეწყვეტა ან ხელშეკრულებიდან გასვლა, რაც სულაც არ არის ადეკვატური კომპენსაცია მისთვის მსგავსი ნაბიჯის ან ხარჯების ფინანსური შედეგების გათვალისწინებით, რომელიც გამონვეულია სხვა ბინის შეძენით (შდრ. *Kammergericht, Urteil vom 4. Oktober 2017, 21 U 79/17*).... „წინასწარი გადანყვეტილების მიღების აკრძალვა დავის ძირითად საგანთან დაკავშირებით“ არ ეწინააღმდეგებოდა თავდაპირველად მოთხოვნილი დროებითი განკარგულების გამოცემას. სასამართლოების უპირატესი მოვალეობა არა გადანყვეტილებების გადანევა, არამედ, ზუსტად პირიქით, ეფექტური, მაშასადამე, სწრაფი სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფაა. დავის ძირითად საგანთან დაკავშირებით წინასწარი გადანყვეტილების მიღების აკრძალვის ერთადერთი გამართლება დაჩქარებული წესით მიღებული არასწორი გადანყვეტილების შედეგად დამდგარი შეუქცევადი ფაქტების თავიდან აცილებაა, ვინაიდან უფრო მნიშვნელოვანია სასამართლო გადანყვეტილების სისწორე, ვიდრე სასამართლო გადანყვეტილების სიჩქარე. აქედან გამომდინარე, დავის ძირითად საგანთან დაკავშირებით გადანყვეტილების წინასწარ მიღება ნებადართულია მაშინ, როდესაც თუნდაც დროებითი სამართლებრივი დაცვის შეზღუდული შემეცნების შესაძლებლობების პირობებში, საიმედოდ დგინდება, რომ მატერიალური სამართლის მიხედვით, სახეზეა განხორციელებული მოთხოვნის უფლების უცილობლად არსებობა და ის, რომ მხარე დაუსაბუთებლად აცხადებს უარს შესრულებაზე (*Kammergericht, Urteil vom 4. Oktober 2017, 21 U 79/17*). იმ შემთხვევაშიც კი, თუ დროებითი განკარგულების აღსრულება „შეუქცევად ფაქტებს“ გამოიწვევდა, ეს ფაქტები ყველა შემთხვევაში შეესაბამება სამართლებრივ სიტუაციას. შედეგად, ამ პირობის გათვალისწინებით, ეფექტური სამართლებრივი დაცვის კონსტიტუციური მოთხოვნა უპირატესობით უნდა სარგებლობდეს ვალდებულების შესრულების ვადის დამრღვევი მოვალის ინტერესის მიმართ....“

აკრძალული თვითნებობის გზით მფლობელობის ხელშეშლას ან მფლობელობის ჩამორთმევას §§ 858, 861, 862 GER-BGB გარკვეული თავისებურებები ახასიათებს (მართალია, ძირითადად, მსგავსია ქართული სკ-ის 160-ე მუხლისა, თუმცა, მსგავსება სახეზეა განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც საქმე ეხება მფლობელის მომეტებულ დაცვას

აკრძალული თვითნებობის შედეგად მფლობელობის ხელშეშლისას). ზოგადი მოსაზრებით, მფლობელობის დაცვის მოთხოვნის უფლებების რეგულირების მიზანი აკრძალული თვითნებობისას, დროებითი განკარგულებით ნივთის ჩამორთმევას (სანამ დამატებით გაირკვევა მატერიალური ფლობის უფლებები) და პირვანდელი მფლობელისათვის გადაცემას (OLG München, Beschluss vom 12.12.2017) ითხოვს.

- 32 W1939/17 - MDR 2018, 427; OLG Dresden, Urteil vom 29.11.2017 - 5 U 1337/17 - MDR 2018, 204; OLG Koblenz, Beschluss vom 30.01.2014 - 5 W 64/14 - MDR 2014, 493).

გგ) თუ დროებითი განკარგულების გზით გამოცემული მოქმედებისგან თავის შეკავების, რეგულირების ან თმენის ბრძანება არა ერთჯერად მოვლენაზე, არამედ ხანგრძლივ სამართლებრივ ურთიერთობაზეა მიმართული, სასამართლო პრაქტიკა ამოდის იქიდან, რომ ის არ იწვევს დავის წინასწარ გადაწყვეტას, რადგან დროებითი განკარგულება მხოლოდ სასამართლოს მიერ საქმის გადამონმების მომენტამდე მოქმედებს. მართალია, ეს შეესაბამება სიმართლეს, მაგრამ არაფერს ცვლის იმასთან დაკავშირებით, რომ მიღებული განკარგულების მოქმედების ნამდვილობისთვის შეუქცევადი ფაქტები იქმნება და ეს მოსამართლემ ინტერესთა ურთიერთშეჯერების საფუძველზე გადაწყვეტილების მიღებისას უნდა გაითვალისწინოს.

4. თუ აღმოჩნდება, რომ სანივთო ყადაღის დადებისა და დროებითი განკარგულებები დაუსაბუთებელია § 945 GER-ZPO-ის შინაარსის შესაბამისად (ძირითადად, მსგავსია ქართული სსკ-ის 199 მე-3 ნაწილის), ეს **ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას** წარმოშობს.

ა) ამასთან საქმე ეხება - რაც ძალზე უჩვეულოა - ზიანის ანაზღაურების მატერიალურ ნორმას საპროცესო უფლებასთან დაკავშირებული კანონის ფარგლებში. § 945 GER-ZPO-ს საფუძველად უდევს ზოგადი სამართლებრივი მოსაზრება, რომ არასაბოლოო აღსრულების ქვემდებარე აქტიდან აღსრულება კრედიტორის რისკის ფასად ხორციელდება (BGH, Urteil vom 04.12.1973 - VI ZR 213/71 - BGHZ 62, 7; BGH, Urteil vom 23.05.1985 - IX ZR 132/84 - BGHZ 95, 14; BGH, Beschluss vom 22.01.2009 - I ZB 115/07 - BGHZ 180, 72; BGH NJW 2017, 1600). ამ რეგულაციის მიზნის გათვალისწინებით § 945 GER-ZPO ბრალეულობის წინაპირობას არ აყენებს, არამედ წარმოშობს წმინდა, რისკთან დაკავშირებულ პასუხისმგებლობას (BGH, Urteil vom 13.10.2016 - IX ZR 149/15 - NJW 2017, 1600). უმაღლესი ფედერალური სასამართლო (BGH, Urteil

vom 04.12.1973 - VI ZR 213/71 - BGHZ 62, 7) ამასთან დაკავშირებით განმარტავს:

„§ 945 ZPO ეფუძნება ზოგად სამართლებრივ მოსაზრებას, რომ არასაბოლოო აღსრულების ქვემდებარე აქტიდან აღსრულება კრედიტორის რისკის ფასად ხორციელდება, რამდენადაც კანონი მას აღსრულების უფლებას აძლევს, სანამ საბოლოოდ დადგინდებოდეს მისი უფლებამოსილება. ეს შეესაბამება რისკების ობიექტურ და სასურველ განაწილებას, რომ მხარე ატარებს მისი სამართლებრივი დაცვის მოთხოვნის დაუსაბუთებლობის მატერიალურ-სამართლებრივ რისკს. მოვალე ვალდებულება, სასამართლო განკარგულების საფუძველზე, ითმინოს მისი მოქმედებისა და ქონებრივ სფეროში ჩარევა, რომლის დაუსაბუთებლობაც შემდგომი შემონგების შედეგად გამოვლინდება.... ის, თუ რომელი საფუძვლებიდან გამომდინარეობს საბოლოოდ მისი დროებით მინიჭებული უფლების დაუსაბუთებლობა, სამართლებრივად, პრინციპში, ირელევანტურია. გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ კრედიტორმა აღასრულა არასაბოლოო აღსრულების ქვემდებარე აქტიდან.“

უმალლესმა ფედერალურმა სასამართლომ საკმაოდ გასაგებად განმარტა მის მიერ განხილულ ერთ საქმესთან დაკავშირებით, რომ (Urteil vom 26.05.1970 - VI ZR 199/68 - BGHZ 54, 76): „სრულ შესაბამისობაშია რისკების სასურველ განაწილებასთან, როდესაც ის მხარე იღებს საკუთარ თავზე მსგავსი ნებადართული, თუმცა სარისკო უფლების განხორციელების შედეგად დამდგარ ზიანს, რომელიც სხვის ხარჯზე ახორციელებს საკუთარ ინტერესებს. რამდენადაც ერთ-ერთმა მხარემ - კრედიტორი ან მოვალე - საკუთარ თავზე უნდა აიღოს ზიანი, სამართლიანი იქნებოდა, რომ ეს იყოს ის მხარე, რომელმაც ამ ზიანის დადგომა გამოიწვია...“

გარდა ამისა, გერმანიაში ძალზე მჭიდროდ ივარაუდება მოთხოვნის უფლებათა კონკურენცია ზოგად დელიქტურ-სამართლებრივ მოთხოვნის უფლებებთან. თუმცა ამას გერმანულ სასამართლო პრაქტიკაში თითქმის არ აქვს პრაქტიკული მნიშვნელობა, მით უმეტეს, რომ დელიქტური მოთხოვნის უფლებების წინაპირობაა ბრალეულობა, რომლის არსებობის დადასტურებაც რთული იქნება სასამართლოს მიერ სამართლებრივი დაცვის მინიჭების წარმატებით გამოყენებისას (ამასთან დაკავშირებით შდრ.: BGH, Beschluss vom 15.07.2005 - GSZ 1/04 - BGHZ 164, 1; BGH, Urteil vom 21.12.2005 - X ZR 72/04 - BGHZ 165, 311).

ბ) ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების შინაარსობრივი წინაპირობაა, რომ დაჩქარებული წესით მიღებული სასამართლო გადაწყვეტილება იმთავითვე შეუსაბამო იყოს (BGH, Urteil vom 19.03.1992 - IX ZR

14/91 - NJW-RR 1992, 733). მაშასადამე, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ობიექტურ მატერიალურ-სამართლებრივ მდგომარეობას დაჩქარებული წესით გადაწყვეტილების მიღების მომენტისთვის (BGH, Urteil vom 28.11.1991 | ZR 297/89 - NJW-RR 1992, 1001; იხ. აგრეთვე BGH, Urteil vom 20.07.2006 - IX ZR 94/03 - BGHZ 168, 352).

ასანაზღაურებელი ზიანის ოდენობა განისაზღვრება **ზიანის ანაზღაურების სამართლის ზოგადი პრინციპების შესაბამისად**. ამის მიხედვით, უნდა ანაზღაურდეს აღსრულების შედეგად ადეკვატურად და მიზეზ-შედეგობრივად პირდაპირ და არაპირდაპირ გამოწვეული სრული ქონებრივი ზიანი (BGH, Urteil vom 01.04.1993 - I ZR 70/91 - BGHZ 122, 179; BGH, Urteil vom 13.10.2016 - IX ZR 149/15 - NJW 2017, 1600). შედეგობრივი ზიანის მიკუთვნებისთვის საკმარისია ე.წ. „აღსრულების წნეხი“ (BGH, Urteil vom 10.07.2014 | ZR 249/12 - NJW-RR 2015, 541), რომლის ქვეშაც დგას მოვალე, როდესაც მას სურს დაასწროს განცხადებულ აღსრულებას მისი თავიდან ასაცილებლად (არა მთავარი მოთხოვნის შესრულების მიზნით) განხორციელებული ღონისძიებით. ეს მიდგომა შესაბამისობაშია ზიანის სამართლის მიკუთვნების ზოგად პრინციპებთან, რომლის მიხედვითაც ზიანის მიკუთვნებისთვის საკმარისია, რომ დაზარალებულის ზიანის მომტანი ქმედება ზიანის მიმყენებელმა „გამოიწვია“ (BGH, Urteil vom 14.06.2012 – IX ZR 145/11 - BGHZ 193, 297; BGH, Urteil vom 13.10.2016 - IX ZR 149/15 - NJW 2017, 1600). ამით მიკუთვნების კონტექსტი მხოლოდ იმ შემთხვევაში არ არის სახეზე, თუ თვითონ დაზარალებული ძალზე უჩვეულოდ და შეუსაბამოდ ჩაერეოდა პროცესში (BGH, Urteil vom 13.10.2016 - IX ZR 149/15 - NJW 2017, 1600) და ამით, საკუთარი ქმედებით, გადამეტებული რეაქციით, თვითონვე იქნებოდა საკუთარი ზიანის დადგომის გადამწყვეტი მიზეზი. § 945 GER-ZPO-ის მიხედვით ასანაზღაურებელი ზიანი მიუღებელ სარგებელსაც მოიცავს (BGH, Urteil vom 20.07.2006 - IX ZR 94/03 - BGHZ 168, 352; BGH, Urteil vom 13.10.2016 - IX ZR 149/15 – NJW 2017, 1600). გაბატონებული მოსაზრებით, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება შეიძლება, საქმის დაჩქარებული წესით განხილვის ხარჯებზეც გავრცელდეს (აქტუალურ მოსაზრებასთან დაკ. შდრ.: BGH, Urteil vom 19.03.1992 - IX ZR 14/91 - NJW-RR 1992, 733; სასამართლოს გარეშე ხარჯებთან დაკ.: BGH, Urteil vom 01.04.1993 - I ZR 70/91 - BGHZ 122, 175).

§ 945 GER-ZPO-ის მიხედვით, ანაზღაურებას დაქვემდებარებული ზიანი არ წარმოშობილა, თუ მართალია, დროებითი განკარგულება (მაგ. საპროცესო-სამართლებრივი საფუძვლებიდან გამომდინარე) უსამა-

რთლოდ იქნა მიღებული, მაგრამ მიუხედავად ამისა, მოვალე მატერიალურ-სამართლებრივად ვალდებული იქნებოდა, თავი შეეკავებინა მისთვის დროებითი განკარგულებით აკრძალული ქცევისგან (BGH, Urteil vom 20.07.2006 - IX ZR 94/03 - BGHZ 168, 352; BGH, Urteil vom 07.07.1994 - I ZR 63/92 - BGHZ 126, 368; BGH, Urteil vom 30.07.2015 - I ZR 250/12 - NJW-RR 2016, 485; BGH, Urteil vom 19.11.2015 - I ZR 109/14 - GRUR 2016, 720). მსგავს შემთხვევაში, მართალია არ გამოირიცხება მიზეზ-შედეგობრიობა დროებითი განკარგულების აღსრულებასა და ამით მოვალისთვის აკრძალული ქცევის შეწყვეტას შორის (BGH, Urteil vom 20.07.2006 - IX ZR 94/03 - BGHZ 168, 352), თუმცა მოვალეს, § 945 GER-ZPO-ის მოწესრიგების მიზნით, ვერ აუნაზღაურდება ქონებრივი ზიანი, რომელიც მას მართლზომიერი ქცევის შემთხვევაშიც მიადგებოდა (BGH, Urteil vom 30.07.2015 - I ZR 250/12 - NJW-RR 2016, 485; BGH, Urteil vom 19.11.2015 - I ZR 109/14 - GRUR 2016, 720).

არ არსებობს თანხვედრი პოზიცია იმასთან დაკავშირებით, არის თუ არა შებოჭილი მოსამართლე, რომელიც გადაწყვეტილებას იღებს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებასთან დაკავშირებით, მატერიალურ-სამართლებრივი მდგომარეობის შეფასებისას, საქმის დაჩქარებული წესით განხილვისას მიღებული გადაწყვეტილებით (ასეთია, ძირითადად, უმაღლესი ფედერალური სასამართლოს პრაქტიკა: BGH, Urteil vom 07.07.1994 - I ZR 63/92 - BGHZ 126, 368; BGH, Urteil vom 15.01.1998 - I ZR 282/95 - NJW-RR 1998, 1652), თუ ვალდებულია, რომ მატერიალურ-სამართლებრივი მდგომარეობა საკუთარი პასუხისმგებლობით შეაფასოს (ამ საკითხზე აქტუალურ მოსაზრებებთან დაკავშირებით დანვრილებით შდრ.: OLG Braunschweig, Urteil vom 09.11.2018 - 5 U 5/17 - juris). თუ გამოტანილია კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, დროებითი განკარგულების შემდეგ გასამართი საქმის არსებითი განხილვის შედეგად, მოსამართლე, რომელმაც ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება უნდა მიიღოს, ზოგადი მოსაზრების მიხედვით, შებოჭილია საქმის არსებით განხილვაზე განხორციელებული სამართლებრივი მდგომარეობის შეფასებით, მატერიალურ-სამართლებრივი ძალის მოქმედების მოცულობით (იხ. მე-10 მუხლის კომენტარი, ა.ნ. 9 და მომდევნო აბზაცები) (BGH, Urteil vom 01.04.1993 - I ZR 70/91 - BGHZ 122, 175; BGH, Urteil vom 07.06.1988 - IX ZR 278/87 - NJW 1988, 3268; BGH, Urteil vom 28.11.1991 - I ZR 297/89 - NJW-RR 1992, 999). თუმცა, ცოტა არაერთგვაროვნად, - პასუხობს გერმანული სასამართლო პრაქტიკა ამ საკითხთან დაკავშირებულ დეტალებს.

§ 945 GER-ZPO-ის მოთხოვნის უფლებები უნდა განხორციელდეს ცალკე სამართლებრივი დავის ფარგლებში, რომლისთვისაც მოქმედებს დავის წარმოების ზოგადი სამოქალაქო საპროცესო პრინციპები. მოთხოვნის ეს უფლება არ შეიძლება განხორციელდეს საქმის დაჩქარებული წესით წარმოების ფარგლებში.

5. კასაცია არ დაიშვება ყადაღისა და დროებითი განკარგულების საქმეებთან დაკავშირებით (§ 542 Abs. 2 GER-ZPO). ეს აჩვენებს აგრეთვე, თუ რატომ არკვევენ საბოლოოდ საპროცესო-სამართლებრივ საკითხებს, ძირითადად, უმაღლესი სამხარეო სასამართლოები და არა უმაღლესი ფედერალური სასამართლო. § 945 GER-ZPO-დან გამომდინარე, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებებისას, მხარეს შეუძლია სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივროს უმაღლეს ფედერალურ სასამართლოში, ვინაიდან მოთხოვნის ეს უფლებები - როგორც ზემოთ ითქვა - დავასთან დაკავშირებით „ჩვეულებრივი“ საქმისწარმოების ფარგლებში უნდა განხორციელდეს და ამით, ზოგადი პრინციპების მიხედვით, საკასაციო წესით განხილვას ექვემდებარება.

დიანა ბერეკაშვილი
პაატა ქათამაძე

191-ე მუხლი

I. შესავალი. სარჩელის უზრუნველყოფა

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-8 მუხლის თანახმად: „ყოველ ადამიანს აქვს უფლება, ეფექტიანად იქნეს აღდგენილი უფლებებში კომპეტენტური ნაციონალური სასამართლოს მიერ იმ შემთხვევაში, როცა დარღვეულია მისთვის კონსტიტუციით თუ კანონით მინიჭებული უფლებები.“ დარღვეულ უფლებაში აღდგენას ემსახურება მართლმსაჯულება, სასამართლოს მთელი საქმიანობა - დანყებული სარჩელის მიღებიდან, დამთავრებული საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანამდე - სწორედ ამ უმნიშვნელოვანესი მიზნისკენ არის მიმართული. როგორი ეფექტური და მოქნილიც არ უნდა იყოს კანონი, როგორი სამართლიანი და კანონიერიც არ უნდა იყოს სასამართლო გადაწყვეტილება, მართლმსაჯულების წარმოების მიზნები და ამოცანები განუხორციელებელი დარჩება, თუკი მიღებული გადაწყვეტილება არ აღსრულდება. კანონმდებლის ნება - უზრუნველყოფილი იქნეს გადაწყვეტილება, რომელიც დაუყოვნებლივ აღსასრულებლად არ არის მიქცეული, ანუ შესაბამისი წინაპირობების არსებობისას, დასაშვებია ნებისმიერი გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველსაყოფად, გამონაკლისი მხოლოდ დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცეული გადაწყვეტილებაა. კანონის ამგვარი განმარტება დასახელებული ნორმის მიზნებიდან გამომდინარეობს, რამდენადაც სასამართლო გადაწყვეტილებით დადგენილი სამართლებრივი მართლწესრიგის აღსრულებამდე, სავალდებულოა კრედიტორის ინტერესების გონივრულ ფარგლებში დაცვა, რათა სამართალწარმოება ფორმალური არ გახდეს.¹

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე განმარტა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავის უფლებათა და

¹ სუსგ # ას -69-63-2015, 19.03.2015.

თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს”. აღნიშნული კონსტიტუციური დებულებით განმტკიცებულია სამართლებრივი სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი ელემენტი, სამართლიანი სასამართლოს უფლება, რომლის მთავარი მიზანიც კონსტიტუციური უფლებების ეფექტური რეალიზაციის ხელშეწყობა და უფლებაში გაუმართლებელი ჩარევისაგან დაცვის ქმედითი მექანიზმების შექმნაა. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების მიზანია გადაწყვეტილების აღსრულების შეფერხების პრევენცია. იგი ქმნის მხარის მოლოდინს, რომ მის სასარგებლოდ გამოტანილ სასამართლო გადაწყვეტილებას შესაბამისი ეფექტი ექნება და არ დაბრკოლდება მისი აღსრულება. საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, სამართლიანი სასამართლოს უფლება, როგორც ინსტრუმენტული უფლება, არამხოლოდ სასამართლოსადმი ფორმალურად მიმართვას მოიცავს, არამედ სასამართლოს შესაძლებლობასაც - უფლების დარღვევის ფაქტზე ეფექტიანად რეაგირება მოახდინოს. სამართლიანი სასამართლოს უფლება თავის თავში გულისხმობს სახელმწიფოს მხრიდან იმგვარი რეგულაციის შექმნის ვალდებულებას, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილების ეფექტიან აღსრულებას უზრუნველყოფს. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით: „საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტით გარანტირებული სასამართლოსადმი მიმართვის უფლება... უნდა იყოს არა ილუზორული, არამედ ქმნიდეს პირის უფლებებში ჯეროვნად აღდგენის რეალურ შესაძლებლობას და წარმოადგენდეს უფლების დაცვის ეფექტიან საშუალებას. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება ქმნის სამართლიანი სასამართლოს უფლებით ეფექტიანად სარგებლობის ერთ-ერთ საპროცესო გარანტიას და შესაბამისად, წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტით დაცული სფეროს ნაწილს“.²

პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როცა უზრუნველყოფის ამა თუ იმ ღონისძიების გამოყენების გარეშე მოსარჩელე არათუ ვერ აღდგება თავის უფლებასა და კანონიერ ინტერესებში, არამედ მისთვის ამგვარი გადაწყვეტილების დადგომაც კი კარგავს ინტერესს. სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტი კი მხოლოდ ერთ მიზანს ემსახურება, დაიცვას დარღვეული და სადავოდ ქცეული უფლება და კანონიერი ინტერესი, ეფექტიანი და ნამდვილი გახადოს სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება. იგი ხელს უწყობს სასამართლოს მიერ ქვეყნის სახელით მი-

² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის გადაწყვეტილება №2/6/746

ღებული გადაწყვეტილებით დადგენილი სიკეთით კრედიტორის სარგებლობას, რათა გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დროისათვის, არ შეიღახოს მისი ინტერესი მოვალის არაკეთილსინდისიერების გამო, ხოლო მართლმსაჯულება ფორმალური ხასიათის მატარებელი არ გახდეს. სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტი მატერიალური კანონმდებლობით დაცული უფლებებისა და კანონიერი ინტერესების რეალური განხორციელების სწრაფი და ეფექტიანი საპროცესო-სამართლებრივი გარანტიაა.

სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის დაწესებით კანონმდებელმა აუცილებელ საჭიროებად მიიჩნია მოსარჩელის მატერიალური უფლებების რეალური განხორციელების უზრუნველყოფა სასამართლო პროცესის დასრულებამდე, რაც სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობასა და სასამართლო გადაწყვეტილებათა ეფექტიანი და დაუბრკოლებელი აღსრულების საჯარო ინტერესის დაცვის მიზანს ემსახურება. ეს უდავოდ მნიშვნელოვანია სამართლებრივი სახელმწიფოს ფუნქციონირებისთვის და დემოკრატიული ინსტიტუტების ქმედითობას უწყობს ხელს. საპროცესო კანონში სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის გათვალისწინება გულისხმობს აღნიშნული ინსტიტუტის გამოყენებას ისეთი შემთხვევებისთვის, როდესაც იგი გამართლებულია, ხოლო არის თუ არა გამართლებული, ამის შესახებ გადაწყვეტილება სასამართლომ უნდა მიიღოს. ასეთი გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლომ უნდა დაადგინოს, რომ უზრუნველყოფის ღონისძიება სასამართლო გადაწყვეტილების ეფექტიანი და დაუბრკოლებელი აღსრულების აუცილებელი და ერთადერთი საშუალებაა.³

მხარეთა ეფექტიანი დაცვა და კანონიერების აღდგენა კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ვალდებულებასაც გულისხმობს. წინააღმდეგ შემთხვევაში მოთხოვნის უზრუნველყოფის ინსტიტუტის სხვაგვარად განმარტება საფრთხის ქვეშ დააყენებს მოსარჩელის უფლებებს, რომელიც მართლმსაჯულების განხორციელების მიუხედავად, ვერ მიაღწევს გადაწყვეტილების აღსრულებასა და თავის კანონიერ უფლებებსა და ინტერესებში აღდგენას. ეს, თავის მხრივ, ხელყოფს საქართველოს კონსტიტუციითა და ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენციით გარანტირებულ ფუნდამენტალურ უფლებას - საქმის სამართლიან სასამართლოზე მოსმენას.

³ სუსკ №ას-113-106-2015, 30.04.2015წ.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო თავის არაერთ გადაწყვეტილებაში ხაზს უსვამს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების მნიშვნელობას. მაგალითად, საქმეში - შპს „იზა“ და მაკრახიძე საქართველოს წინააღმდეგ,⁴ სასამართლომ აღნიშნა, რომ სამართლიანი განხილვის უფლება მოიცავს ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების უფლებას. სასამართლო შეახსენებს, რომ კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებული სასამართლოსთვის მიმართვის უფლება ილუზორული იქნებოდა, თუკი კონვენციის ხელმომწერი სახელმწიფოს შიდა კანონმდებლობა ხელს შეუწყობდა იმას, რომ სასამართლოს საბოლოო, სავალდებულო გადაწყვეტილება დარჩებოდა აღუსრულებელი ერთი მხარის საზიანოდ სასამართლო იმეორებს, რომ სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება მოიცავს ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების უფლებას. ეს უფლება არარეალური იქნებოდა, თუ მაღალი ხელშემკვრელი მხარის ეროვნული სამართლებრივი სისტემა შესაძლებელს გახდიდა, ძალაში შესული საბოლოო გადაწყვეტილება ერთი მხარის საზიანოდ არაქმედითი დარჩენილიყო. კონვენციის მე-6 მუხლის მიზნებიდან გამომდინარე, ნებისმიერი სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულება „სასამართლო პროცესის“ განუყოფელ ნაწილად უნდა განიხილებოდეს.⁵

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, ასევე, საქმეში - „აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ“⁶ მიუთითებს რომ სინამდვილეში, ხალხისათვის, საზოგადოებისათვის მთავარია, არა თავისთავად აღებული კანონები, სხვა იურიდიული დოკუმენტები, ამ იურიდიულ დოკუმენტებში არსებული ნორმები და არც ვალდებულებების, აკრძალვების ჯამი, არამედ ის გადამწყვეტი გარემოებები, რასაც იურიდიულად, რეალურად აძლევს მას ეს ნორმები. სასამართლო შეგვახსენებს, რომ მე-6 (§1) მუხლი ნებისმიერ პირს აძლევს შესაძლებლობას, სასამართლოს წარუდგინოს თავის სამოქალაქო უფლებებთან და მოვალეობებთან დაკავშირებული საჩივარი. სასამართლოსთვის საჩივრის წარდგენის უფლება არ არის თეორიული უფლება და საბოლოო გადაწყვეტილების მეშვეობით მხოლოდ უფლების აღიარებას არ უზრუნველყოფს, არამედ ის შეიცავს

⁴ შპს „იზა“ და მაკრახიძე საქართველოს წინააღმდეგ;

⁵ შეად. Burdov v. Russia, no. 59498/00, §34, ECHR 2002-III; Hornsby v. Greece, judgment of 19 March 1997, Reports of Judgments and Decisions 1997-II, p. 510, §40

⁶ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო - აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ (განაცხადის ნომერი: 40765/02),

ლეგიტიმურ მოლოდინს, რომ ეს გადაწყვეტილება აღსრულდება. მხარეთა ეფექტიანი დაცვა და კანონიერების აღდგენა კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ვალდებულებას გულისხმობს.⁷

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში „დადიანი და მაჩაბელი საქართველოს წინააღმდეგ“⁸ განმარტა, რომ: პირს, რომელსაც გააჩნია სასამართლოს მიერ, მის სასარგებლოდ, სახელმწიფოს წინააღმდეგ გამოტანილი გადაწყვეტილება, რომელიც სავალდებულო აღსრულებას ექვემდებარება, არ შეიძლება დაეკისროს მოთხოვნათა იძულებით დაკმაყოფილება ან სხვა მსგავსი მოქმედებები გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით. მოსარჩელე მხარის ეფექტიანი დაცვა და კანონიერების აღდგენა გულისხმობს ადმინისტრაციული ორგანოების ვალდებულებას, აღასრულონ შიდა სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება. თუ ადმინისტრაციული ორგანოები უარს აცხადებენ, ვერ ახერხებენ, ან აჭიანურებენ ამ ვალდებულების შესრულებას, მოსარჩელე მხარისთვის სამართალწარმოების პროცესში მე-6 მუხლით მინიჭებული გარანტია აზრს კარგავს.⁹

მოსარჩელის მოთხოვნების აღსრულების მიზნებისთვის პროცედურული ღონისძიებების, მათ შორის, სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენებას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო სახელმწიფოს ვალდებულებადაც აცხადებს. სტრასბურგის სასამართლომ განმარტა, რომ ყადაღის ბრძანება, რომელიც დროებითი და პრევენციული ხასიათის იყო, მოსარჩელის სარჩელის აღსრულების უზრუნველსაყოფად იყო მიმართული. იგი მიზნად იმ რისკების აღმოფხვრას ისახავდა, რომლებიც აფერხებდა ან ხელს უშლიდა კრედიტორის მოთხოვნების დაკმაყოფილებას. უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფოებს სამართალწარმოების სათანადოდ განხორციელების ვალდებულება აკისრიათ. სახელმწიფოს ვალდებულება - უზრუნველყოს სასამართლო სამართალწარმოების სათანადოდ განხორციელება, მათ შორის, მოსარჩელის მოთხოვნების აღსრულება, ლეგიტიმურ მიზანს ემსახურება. სასამართლო მიუთითებს, რომ ქონების დროებითი დაყადაღება შეესაბამება საზოგადოების ინტერესს,

⁷ შეად *Golder c. Royaume-Uni*, 21 février 1975, §§ 28-36, série A no 18

⁸ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო - “დადიანი და მაჩაბელი საქართველოს წინააღმდეგ” (საჩივარი № 8252/08)

⁹ შეად. *Mutishev and Others v. Bulgaria*, 18967/03, §129, 3 December 2009; *Antonetto v. Italy*, no. 15918/89, §28, 20 July 2000

თუ ის მონოდებულია, უზრუნველყოს კრედიტორის დაკმაყოფილება. აღნიშნულიდან გამომდინარე, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოუყენებლობა, როდესაც სახეზეა მისი გამოყენებისთვის კანონით გათვალისწინებული წინაპირობები, მხარეს სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებას უზღუდავს და ქმნის უფლების მხოლოდ დეკლარაციულ დონეზე აღიარების საფრთხეს. ამით კი საბოლოოდ ხელყოფს მართლმსაჯულების განხორციელების მიზნებს და არღვევს სახელმწიფოს მიერ საერთაშორისო დონეზე აღებულ სამართალწარმოების ეფექტურობის ვალდებულებას.¹⁰

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ იგივე გაიმეორა საქმეზე *Golder v. the United Kingdom*, სადაც განმარტა, რომ კონვენციის მე-6 მუხლის პირველი ნაწილი ყველა პირისათვის უზრუნველყოფს სასამართლოსთვის მიმართვის უფლებას, რომელიც მათ სამოქალაქო უფლებებსა და ვალდებულებებს უკავშირდება. სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებული სასამართლო განხილვის უფლების განუყოფელი ნაწილია. სასამართლოსთვის მიმართვის უფლება, არ არის მხოლოდ თეორიული უფლება, რომელიც უფლების აღიარებას მხოლოდ საბოლოო გადაწყვეტილების მეშვეობით უზრუნველყოფს, არამედ მოიცავს ლეგიტიმურ მოლოდინს, რომ მიღებული გადაწყვეტილება აღსრულდება. მოდავე მხარეთა უფლებების ეფექტიანი დაცვა და კანონიერების აღდგენა კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ვალდებულებას გულისხმობს.¹¹ ამგვარი გარანტიების შექმნისათვის კი არსებობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლი, რაც პროცესუალურად იმასაც ითვალისწინებს, რომ სასამართლოს შეუძლია შეარჩიოს საჭირო და ადეკვატური უზრუნველყოფის ღონისძიება.

II. სარჩელი, როგორც გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის ელემენტი

სარჩელის უზრუნველყოფის არსიდან გამომდინარე, სასამართლო იყენებს უზრუნველყოფის ღონისძიებას სასარჩელო მოთხოვნის ხასიათისა და მოცულობის შესაბამისად. საქართველოს სამოქალაქო

¹⁰ შეად. JGK STATYBA LTD AND GUSELNIKOVAS v. LITHUANIA, 2013

¹¹ ადამიანის უფლებათა ევროული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე *Golder v. the United Kingdom*

საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად ყოველი პირისათვის უზრუნველყოფილია უფლების სასამართლო წესით დაცვა. საქმის განხილვას სასამართლო იმ პირის განცხადებით შეუდგება, რომელიც მას თავისი უფლების ან კანონით გათვალისწინებული ინტერესების დასაცავად მიმართავს. საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი ნაწილის და მე-4 მუხლის თანახმად, სასამართლოს უპირველესი ამოცანა სამოქალაქო უფლების მართლზომიერად განხორციელების უზრუნველყოფაში მდგომარეობს. ნებისმიერი დავის განხილვისას, როგორც წესი, სასამართლო ამონმებს უფლების გამოყენებისა და ვალდებულების შესრულების მართლზომიერების საკითხს და მის საფუძველზე აფასებს მხარეთა მიერ სასამართლოს წინაშე დაყენებულ მოთხოვნათა მართებულობას. უფლების გამოყენების მართლზომიერების შესაფასებლად კი აუცილებელია მისი გამოყენების განმაპირობებელ გარემოებათა მართლზომიერების შეფასება. მოსარჩელეს უნდა გააჩნდეს უფლება, რის დასაცავადაც იგი მიმართავს სასამართლოს, ხოლო, თუ არ არსებობს ასეთი უფლება, არც იმის საშიშროებაა, რომ იგი დაირღვევა. სარჩელის საფუძვლიანობის შემოწმებისას სასამართლოსთვის ცნობილი უნდა იყოს, თუ კონკრეტულად რომელი მატერიალური უფლების დაცვის თაობაზე აღიძრა სარჩელი. სარჩელში ნათლად და გარკვევით უნდა იყოს მითითებული სარჩელის საგანი, ანუ მოსარჩელის მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნა მოპასუხისადმი. თუ არ არსებობს მატერიალური მოთხოვნა - დავის საგანი, რაც სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში გადანყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში უნდა აისახოს, შეუძლებელია სარჩელის საფუძვლიანობის სრულყოფილად შემოწმება, ეს კისასამართლოს მიერ სარჩელის დაკმაყოფილების შესაძლებლობას გამორიცხავს. სასარჩელო მოთხოვნის ზუსტად და მკაფიოდ ჩამოყალიბება მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისითაც, რომ სარჩელის სრულად თუ ნაწილობრივ დაკმაყოფილების შემთხვევაში იგი გადანყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში აისახოს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს უფლება არა აქვს, თავისი გადანყვეტილებით მხარეს მიაკუთვნოს ის, რაც მას არ მოუთხოვია, ან იმაზე მეტი, ვიდრე ის ითხოვდა. მოთხოვნაში კონკრეტულად უნდა იყოს მითითებული, რას მოითხოვს მოსარჩელე და ვის მიმართ აქვს ჩამოყალიბებული ეს მოთხოვნა, რადგან მისი შინაარსის დადგენა „დავის ფაქტობრივი გარემოებებიდან“ თუ „დავის არსის მოკლე მიმოხილვიდან“ არ უნდა ხდებოდეს. სარჩელის უფლება თავის თავში ორ კომპონენტს მოიცავს: სარჩელის

აღძვრასა და სარჩელის დაკმაყოფილებას. სარჩელის აღძვრის უფლება, რომელსაც ხშირად სარჩელის პროცესუალურ უფლებას უწოდებენ, არის პირის უფლება, სასამართლოსაგან დავის განხილვა და მისი დადგენილი პროცედურის შესაბამისად გადაწყვეტა მოითხოვოს. სარჩელის შეტანის გზით პირი იცავს თავის უფლებას და შელახულ ინტერესებს, სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება კი იმავდროულად ინვესტის მისი პრეტენზიის აღმოფხვრას, რადგან სადავოდ მიჩნეული უფლება მოდავე პირის სასარგებლოდაა დაცული და, ამდენად, მხარის იურიდიული ინტერესიც დაკმაყოფილებულია. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საკითხი პირდაპირ კავშირშია და მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულიც სწორად შედგენილი სარჩელისა და მკაფიოდ განსაზღვრული სასარჩელო მოთხოვნების წარდგენაზე.¹²

სარჩელის უზრუნველყოფის წინაპირობაა საფუძვლიანი ეჭვი იმისა, რომ გადაწყვეტილება აღუსრულებელი დარჩება ან აღსრულება მნიშვნელოვნად გაძნელება უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების გარეშე. ნიშანდობლივია, რომ მხოლოდ დარღვეულ უფლებასა თუ კანონიერ ინტერესზე აპელირება არ არის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საფუძველი. ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ ვალდებულების შეუსრულებლობის ფაქტი ან დასაბუთებული ეჭვი ვალდებულების მომავალში შეუსრულებლობასთან დაკავშირებით სარჩელის აღძვრის საფუძველია სასამართლოში, ხოლო სარჩელის უზრუნველყოფის ფაქტობრივი და სამართლებრივი წინამძღვრები გადაწყვეტილების აღსრულებლობის, ან მისი აღსრულების გაძნელების დასაბუთებაში უნდა მდგომარეობდეს. ვალდებულების დროულად შეუსრულებლობა ყოველთვის ქმნის ვალდებულების მომავალშიც შეუსრულებლობის პრეზუმფციას და სწორედ უფლებათა და კანონით დაცულ თავისუფლებათა ამგვარი ხელყოფისგან იცავს ფიზიკურ და იურიდიულ პირებს სასამართლოსათვის მიმართვის უფლებაც და ყველა ის ბერკეტიც, რასაც „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონი ითვალისწინებს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებისთვის. სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადება უნდა შეიცავდეს მითითებას ისეთ ფაქტობრივ გარემოებებზე, რომლებზე დაყრდნობითაც, სასამართლო აღნიშნული ბერკეტების უმოქმედობასა და უუნარობაში დარწმუნდება. საწინააღმდეგოს დაშვების შემთხვევაში კი ყვე-

¹² თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება საქმე საქმე №2ბ/4906-18

ლა სარჩელი წინასწარ უნდა იყოს უზრუნველყოფილი, რითაც აზრი დაეკარგება გადაწყვეტილების აღსრულების კანონისმიერი მექანიზმების არსებობას. თუმცა, სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე წარდგენილი განცხადების დასაბუთების მოთხოვნა ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მომთხოვნი პირი ვალდებულია, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობა უტყუარი მტკიცებულებების წარმოდგენით დაამტკიცოს. ამას არც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლი და არც სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის მარეგულირებელი სხვა ნორმები ითხოვს. სასამართლოს დასარწმუნებლად საკმარისია, ალბათობის მაღალი ხარისხით, იმ გარემოებების არსებობის ვარაუდზე მითითება, რომელსაც მოსარჩელის მოთხოვნა ემყარება სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენების აუცილებლობის შესახებ, ანუ სხვაგვარად თუ ვიტყვით, აღნიშნული გარემოებების არსებობის ალბათობა მისი არარსებობის შესახებ ვარაუდს უნდა გადასწონიდეს.¹³

1. სარჩელის უზრუნველყოფის საგნისა და სარჩელის საგნის ურთიერთმიმართება

სსსკ 191-ე მუხლის თანახმად: სარჩელის უზრუნველყოფის განცხადება უნდა შეიცავდეს დასაბუთებას, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გამოყენება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ემყარება სასამართლოს ვარაუდს, რომ სარჩელი შეიძლება დაკმაყოფილდეს. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება ყოველი კონკრეტული დავის სამართლებრივი თავისებურებების გათვალისწინებით გამოიყენება და მიმართულია კონკრეტული მოთხოვნით (მოთხოვნებით) აღძრულ სარჩელზე მიღებული საბოლოო გადაწყვეტილების აღსრულების ხელის შესაწყობად. უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების საკითხის გადაწყვეტისას სასამართლომ ყოველთვის უნდა შეაფასოს, უზრუნველსაყოფად მის მიერ შერჩეული ღონისძიება შეესაბამება თუ არა მოსარჩელის იმ მოთხოვნას, რომლის უზრუნველყოფასაც ემსახურება იგი.¹⁴

¹³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 3 დეკემბრის განჩინება №ას-1461-1379-2012

¹⁴ სუს საქმე ას-382-366-2016

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე მსჯელობისას ყურადღება, პირველ რიგში, სარჩელის/აღსაძრავი სარჩელის დავის საგანზე უნდა გამახვილდეს; ამასთან, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება ისე უნდა შეირჩეს, რომ, ერთი მხრივ, მივალნივით სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების ინსტიტუტის მიზანს - სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებას და, მეორე მხრივ, სამართლიანი ბალანსი დავიცვავთ მოდავე მხარეებს შორის, რათა იმაზე მეტად არ შეზღუდოს მოპასუხე, ვიდრე ეს აუცილებელია გადაწყვეტილების აღსრულებისთვის. სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის არსი იმაში მდგომარეობს, რომ მან პირის მატერიალური კანონმდებლობით დაცული უფლებებისა და კანონიერი ინტერესების რეალური განხორციელების სამართლებრივი გარანტიები შექმნას. მართალია, სსსკ-ის 191-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, მოსარჩელეს შეუძლია სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით მიმართოს და მოპასუხისთვის გარკვეული სახის შეზღუდვების დაწესება მოითხოვოს, მაგრამ მან სათანადოდ უნდა დაასაბუთოს ასეთი შეზღუდვის აუცილებლობა. წარმოდგენილი/ან მომავალში მის მიერ წარმოსადგენი სარჩელის შინაარსი მაღალი ალბათობით უნდა ქმნიდეს იმის ვარაუდის შესაძლებლობას, რომ მხარის სასარჩელო მოთხოვნას პერსპექტივა აქვს და მასში მითითებული ფაქტობრივი წინაპირობების განხორციელების (შესრულების) შემთხვევაში, სწორედ ის სამართლებრივი შედეგი დადგება, რისი ინტერესიც მოსარჩელეს გააჩნია, ანუ მხარის მოთხოვნის დაკმაყოფილება შესაძლებელია. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ემყარება სასამართლოს ვარაუდს, რომ მხარის სასარჩელო მოთხოვნა შეიძლება დაკმაყოფილდეს. მართალია, ასეთი ვარაუდი სასამართლოს შემდგომ გადაწყვეტილებაზე არ მოქმედებს, მაგრამ თუკი წარდგენილი სარჩელი მინიმალური სტანდარტითაც არ იძლევა ასეთი ვარაუდის შესაძლებლობას, შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე უარყოფილი უნდა იქნას.¹⁵

სასამართლომ მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა გამოიყენოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, თუ დასაბუთებული ვარაუდი გაუჩნდება, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას. სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენების თაობაზე მოთხოვნის დაკმაყოფილება ინდივიდუალურად

¹⁵ სასამართლოს უზენაესი სასამართლოს განჩინება #ას-759-718-2015.

ლურად, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე უნდა გადაწყდეს. ყველა საქმეში უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე მსჯელობისას სასამართლომ, პირველ რიგში, ყურადღება სარჩელის უზრუნველყოფის საფუძველზე უნდა გაამახვილოს, კერძოდ, კი სამომავლოდ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების გაძნელების ან აღსრულების შეუძლებლობის საშიშროებაზე; ასევე იმაზეც, თუ რამდენად გამართლებულია იურიდიულად სასარჩელო მოთხოვნა, ანუ გამოკვეთილი უნდა იყოს სასარჩელო მოთხოვნის იურიდიული დასაბუთება. სასარჩელო მოთხოვნის იურიდიული მართებულობა სარჩელის დაკმაყოფილების ერთ-ერთი აუცილებელი საფუძველია, რომელსაც მნიშვნელობა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების მისაღებად აქვს. ამდენად, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების, როგორც საპროცესო-სამართლებრივი ინსტიტუტის მიმართ, ფორმალურ-სამართლებრივი მიდგომა სარჩელის უზრუნველყოფის მიზნებიდან არ მოდის და იგი სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზანშეწონილობაზეა დამოკიდებული. ამასთან, ეს ყველაფერი ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს სასამართლო ვალდებულია, სარჩელის უზრუნველყოფის საკითხის გადაწყვეტისას, სასარჩელო მოთხოვნის დასაბუთებაზეც იმსჯელოს და გადაწყვიტოს, დააკმაყოფილებს თუ არა მომავალში მას. სასარჩელო მოთხოვნის იურიდიული გამართლების შეფასება სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენებაზე მსჯელობისას მხოლოდ იმის გამოა საჭირო, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საფუძველს წარმოადგენს ვარაუდი, რომ მომავალში, სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, გართულდება ან შეუძლებელი გახდება გადაწყვეტილების აღსრულება. სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენების საფუძველი ასევე მოიცავს ვარაუდს, რომ მოსარჩელის მოთხოვნა შეიძლება დაკმაყოფილდეს, ხოლო თუ ეს გამორიცხებულია, მაშინ არც სარჩელის უზრუნველყოფის საფუძველი არსებობს. აღნიშნული საფუძვლის შემოწმებისას სასარჩელო მოთხოვნის შემოწმება იმისათვის არის საჭირო, რომ სარჩელის შესაძლო დაკმაყოფილების შესახებ ვარაუდის საფუძვლიანობა დადგინდეს. გაუმართლებელია იმ უფლების უზრუნველყოფა, რომელიც არ არსებობს და ეს იმთავითვე ნათელია სასამართლოსათვის. ხოლო თუ არ არსებობს უფლება, არც იმის საშიშროებაა, რომ იგი დაირღვევა სარჩელის უზრუნველყოფის მიუღებლობით. ამდენად, სარჩელის უზრუნველყოფის საფუძვლის შემოწმებისას სასამართლომ უნდა იცოდეს, თუ კონკრეტულად რომელი მატერიალური უფლების დაცვის უზრუნველსაყოფად არის

აღძრული, ან მომავალში აღიძვრება სარჩელი. სარჩელის უზრუნველყოფა თავისი არსით სწორედ მატერიალური კანონმდებლობით დაცული უფლებებისა და კანონიერი ინტერესების რეალიზაციის სწრაფ და ეფექტიან უზრუნველყოფას ემსახურება სასამართლო პროცესის დასრულებამდე, ანუ გადანაცვეტილების გამოტანამდე. შესაბამისად, სარჩელში, ნათლად და გარკვევით უნდა მიეთითოს სარჩელის საგანი. სარჩელის საგანი არის მოსარჩელის მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნა მოპასუხისადმი, ანუ მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსი. იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებელი მკაფიოდ არ უთითებს სარჩელის საგანს ან ბუნდოვანი და გაურკვეველია სასარჩელო მოთხოვნა, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება დაუშვებელია. ასეთ დროს შეუძლებელია, სასამართლოს გაუჩნდეს დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადანაცვეტილების აღსრულებას. სასამართლოს გადანაცვეტილება მოსარჩელის მოთხოვნის ფარგლებში გამოაქვს, ხოლო, თუ მოსარჩელის მოთხოვნა გაურკვეველი ან საერთოდ უცნობია, შესაბამისად, გაურკვეველი იქნება, თუ რა სამართლებრივი შედეგი შეიძლება დადგეს მხარეებისთვის სასამართლოს გადანაცვეტილებით.

პრაქტიკაში ხშირია ისეთი შემთხვევები, როცა სარჩელის უზრუნველყოფის საგანი და სარჩელის საგანი ერთიდაიგივეა. ასეთ დროს კიდევ უფრო დიდია ვარაუდი იმისა, რომ თუ არსებობს სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი და სარჩელი დაკმაყოფილდება, სასამართლო გადანაცვეტილების აღსრულება არათუ დაბრკოლდება, არამედ ასეთმა აღსრულებამ შესაძლოა მხარისთვის აზრიც კი დაკარგოს საერთოდ. შესაბამისად, ამგვარ სასარჩელო მოთხოვნებზე მნიშვნელოვნად ეფექტიანი და მიზანშეწონილია სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება. მაგალითად, სარჩელით აღძრული მოთხოვნაა უკანონოდ შეწყვეტილი მფლობელობის აღდგენა, რომელსაც მცირეწლოვან შვილებთან ერთად მეუღლის მიერ სახლიდან მუქართა და ძალადობის შედეგად გამოგდებული მეუღლე ითხოვს. ბინა, რომლიდანაც ის გამოაძევეს, მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაშია შექენილი. შესაბამისად, სარჩელით აღძრული მოთხოვნაა მფლობელობის აღდგენა და ბინაში შესახლება, იგივეა სარჩელის უზრუნველყოფის საგანიც. მოსარჩელე სასარჩელო წარმოების შედეგად მიღებულ გადანაცვეტილებას ვერ დაელოდება, მას თავის მცირეწლოვან შვილებთან ერთად გადაუდებელი სამართლებრივი დახმარება სჭირდება. ამიტომ სარჩელის აღძვრამდე, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით, ბინაში შესვლის შესაძლე-

ბლობასა და მფლობელობის დაუყოვნებლივ დაუბრუნებას ითხოვს. მსგავსი შემთხვევისათვის სამართალი ადგენს შემდეგ წესს: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 192-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 191-ე მუხლის საფუძველზე, განმცხადებელი უფლებამოსილია, გადაუდებელ შემთხვევაში, სასამართლოში შეიტანოს განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე სარჩელის აღძვრამდე. ამ ნორმათა შესაბამისად, დასაშვებია, რომ სასამართლომ გადაუდებელი ღონისძიებები დაადგინოს, თუ მათი განხორციელება აუცილებელია მხარის მოთხოვნის შესაძლო საფრთხისაგან დასაცავად. ეს ყველა სახის მოსალოდნელ საფრთხეზე ვრცელდება და არა მხოლოდ ისეთ შემთხვევაზე, როდესაც მოვალის მოქმედებით საფრთხე შეიძლება ფულადი ვალდებულების შესრულებას ან თუ მოვალემ გადააცილა, ვალდებულების შესრულებისათვის დადგენილ ვადას მიადგეს. აღნიშნული გამომდინარეობს სსკ-ის 198-ე მუხლში მოცემული ამომწურავი ნუსხიდან და ამავე მუხლის მე-3 პუნქტიდან. მოცემული შემთხვევა სწორედ ზემოთ აღწერილ შემთხვევებს განეკუთვნება, რადგან სასამართლოს დაუყოვნებელი დახმარების გარეშე განმცხადებელი შესაძლოა უსახლკაროდ დარჩეს. თუმცა, სასამართლოს მიერ განმცხადებლისთვის მფლობელობის უკან დაბრუნება პრობლემატურია, რადგან ამ ღონისძიების გატარების შედეგად არა მხოლოდ სარჩელის უზრუნველყოფა, არამედ ფაქტობრივად მისი გადასინჯვა ხდება. ცნობილია ისიც, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც ეფექტიანი სამართლებრივი დაცვა მხოლოდ დავის საგნის მონესრიგების შემდეგ არის შესაძლებელი, გამონაკლისის სახით, შეიძლება მოთხოვნის შესრულების ვალდებულება დადგინდეს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საუბარია სარჩელის უზრუნველსაყოფად გატარებულ, მხოლოდ დროებით ღონისძიებაზე და არა საქმეზე საბოლოოდ გამოტანილ გადაწყვეტილებაზე მაშინაც კი, თუ გამონაკლისის სახით, გადაუდებელ შემთხვევაში, ამგვარი გადაწყვეტილება სასარჩელო წარმოების დროს გამოიტანეს. ეს თავისებურება უკვე დაწყებული ძირითადი სასარჩელო წარმოების დროს შეიძლება განპირობებული იყოს განმცხადებლის მოთხოვნით, რომ მოწინააღმდეგე მხარემ არ წაართვას მას მოპოვებული ბინათმფლობელობა ან ხელი არ შეუშალოს სარგებლობისას. უახლოეს მომავალში საქმის განხილვის შედეგად სასამართლო გამოიტანს საბოლოო გადაწყვეტილებას, რომელიც მხარეთა უფლებებსა და მოვალეობებს დაადგენს. რაც შეეხება გარდამავალ პერიოდს, მოწინააღმდეგე მხარე საკმარისად არის დაცული განმცხადებლისათვის იმ ზიანის ანაზღაურების მოვალეობის დაკისრებით, რომელიც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყე-

ნებას შეიძლება მოჰყვეს შედეგად.¹⁶ ასეთი უზრუნველყოფის დაკმაყოფილების შედეგად გამოდის, რომ სარჩელი დროებით, მაგრამ კმაყოფილდება უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით. ამგვარი ფაქტობრივი შედეგის მიუხედავად, დაუშვებელია სასარჩელო მოთხოვნის საგნისა და სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენების მოთხოვნის საგნის გაიგივება, რადგან მათ სრულიად განსხვავებული სამართლებრივი საფუძვლები აქვთ. სარჩელის უზრუნველყოფა დროებითი ხასიათის ღონისძიებაა, რომელიც სასამართლოს მიერ სასარჩელო სამართალწარმოების წესით დადგენილი უფლების რეალიზებას უწყობს ხელს, იგი სასარჩელო მოთხოვნის დაცვასა და ეფექტიანად განხორციელებას ისახავს მიზნად. თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, სასამართლო უზრუნველყოფის ღონისძიებას იმ შემთხვევაშიც კი იყენებს, თუ უზრუნველყოფის საგანი და სარჩელის საგანი ერთმანეთს ემთხვევა და ეს არამც და არამც არ გულისხმობს წინასწარი გადაწყვეტილების გამოტანას.

2. მოსარჩელის მიერ მტკიცებითი ტვირთის მინიმალური სტანდარტის დაცვა

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის რეგულირებისთვის კანონმდებელი არ ადგენს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლით დადგენილ მტკიცების სტანდარტს. ის, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების მომთხოვნი პირი ვალდებულია უტყუარი მტკიცებულებების წარმოდგენით სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობა დაამტკიცოს, არ გამომდინარეობს არც სსსკ 191-ე და არც სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის მარეგულირებელი სხვა ნორმებიდან. სასამართლოს დასარწმუნებლად საკმარისია მხოლოდ ალბათობის მაღალი ხარისხით იმ გარემოებების არსებობის ვარაუდი, რომელსაც სარჩელის (გადაწყვეტილების) უზრუნველყოფის გამოყენების აუცილებლობის შესახებ მოთხოვნა ემყარება. მოცემულ შემთხვევაში, იმ გარემოების არსებობის ალბათობა, რომ მოწინააღმდეგე მხარემ შეიძლება სადავო ქონება გაასხვისოს, გადასწონის ვარაუდს მისი არარსებობისა, ანუ იმის შესახებ, რომ იგი არ გაასხვისებს მას.

¹⁶ ჰაინ ბოელინგი, ლადო ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდთა, 2003

სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების დროს მონინაალმდევე მხარეები ხშირად იმაზე აპელირებენ, რომ სარჩელის დაუსაბუთებლობის გამო არ არსებობდა უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების წინაპირობები. სარჩელის უზრუნველყოფის ეტაპზე სარჩელის საფუძვლიანობა-უსაფუძვლობაზე მსჯელობა უკავშირდება მხოლოდ ვარაუდს აღნიშნულის თაობაზე და არა მტკიცებულებების შეფასებას. სარჩელის უზრუნველყოფის ეტაპზე საქმეში მოპასუხის მიერ წარმოდგენილ/მითითებულ მტკიცებულებებზე და გარემოებებზე მსჯელობა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის დარღვევაა. სარჩელის უზრუნველყოფაზე მსჯელობისას სარჩელის საფუძვლიანობის შეფასება არ ხდება. სარჩელის საფუძვლიანობის შესახებ საბოლოო დასკვნა მტკიცებულებათა გამოკვლევის შედეგად დადგენილ ფაქტობრივ გარემოებათა სამართლებრივი შეფასების შედეგია. სამოქალაქო პროცესი დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე კანონით დადგენილი პროცედურებისა და ეტაპების დაცვით მიმდინარეობს. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას, სასამართლო ემყარება ვარაუდს, რომ შესაძლოა სარჩელი დაკმაყოფილდეს. მოცემული ნორმის დანაწესიდან არ გამომდინარეობს დასკვნა იმის შესახებ, რომ სარჩელის საფუძვლიანობა უზრუნველყოფის ეტაპზე შემონმდეს. უზრუნველყოფის საკითხის გადაწყვეტისას სასამართლო არ ეხება საქმის არსებით მხარეს, როგორცაა მოთხოვნის დასაბუთებულობა, ხანდაზმულობა, საქმისწარმოების შეწყვეტა და არ იკვლევს მტკიცებულებებს. სასამართლო მხოლოდ იმის გარკვევით შემოიფარგლება, სათანადო გარემოებების დადასტურების პირობებში აქვს თუ არა სარჩელს მატერიალურ-სამართლებრივი გამართლება და რამდენად არსებობს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საფუძველი. სასამართლო შუამდგომლობის განხილვისას ვარაუდის ფარგლებში მოქმედებს. სარჩელის დასაშვებობის ეტაპზე, მის დასაბუთებულობასთან დაკავშირებით სასამართლო დასკვნის გაკეთება დაუშვებელია იმ მიზეზით, რომ საქმის წინასწარი სასამართლო განხილვისათვის მომზადების დამთავრებამდე შესაძლებელია სარჩელის საფუძვლის შეცვლა, სარჩელში მითითებული გარემოებებისა და მტკიცებულებების შევსება და სხვა საპროცესო მოქმედებების განხორციელება, რამაც შესაძლოა სარჩელის დაკმაყოფილებაზე იქონიოს გავლენა. აქედან გამომდინარე, სასამართლოს ვარაუდი სარჩელის შესაძლო დაკმაყოფილების შესახებ, უნდა ემყარებოდეს არა მტკიცებულებათა კვლევას, არამედ შემონმებას, რამდენად აქვს მოთხოვნას სამართლებ-

ბრივი საფუძველი. ასე, რომ სარჩელის უსაფუძვლობას სასამართლო საქმის არსებითი განხილვის შედეგად ამოწმებს. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მსჯელობისას კი სასამართლო არ იკვლევს სარჩელის საფუძვლიანობასა და მის დასაბუთებულობას, არამედ ხელმძღვანელობს სამართლებრივი დასკვნით, რომ სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება შესაძლებელია.¹⁷ ეს ისე არ უნდა გავიგოთ, რომ მოსარჩელე მხოლოდ იმგვარ მტკიცებულებებზე ამყარებს მოთხოვნას, რომლითაც ვერ დადგინდება საქმისთვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოება სსსკ 102-ე მუხლის შესაბამე ნაწილის თანახმად, ან მის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები დაუშვებელია სსსკ 103-ე მუხლის შესაბამე ნაწილის თანახმად. თუ სარჩელის უზრუნველყოფის განცხადებაში მოსარჩელემ მტკიცებითი ტვირთის მინიმალური სტანდარტით ვერ დაადასტურა მასში მითითებული ფაქტები და გარემოებები, სასამართლო ვერ შეიქმნის იმის გონივრულ ვარაუდს, რომ მომავალში სარჩელი დაკმაყოფილდება და მიღებული გადაწყვეტილების აღსრულება გართულდება ან შეუძლებელი გახდება.¹⁸

ამდენად, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისთვის სარჩელის იურიდიულ მართებულებასთან ერთად სასამართლო იმაშიც უნდა დარწმუნდეს, რომ მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმის ქვეშ სუბსუმირებად ფაქტობრივ გარემოებებს მოსარჩელე ამ ეტაპზე წარმოდგენილი მტკიცებითი ტვირთის მინიმალური სტანდარტის დაცვით ამტკიცებს.¹⁹

3. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება სარჩელის აღძვრამდე

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 192-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ სასამართლოში განცხადების შეტანა, გადაუდებელ შემთხვევაში, სარჩელის აღძვრამდე შეიძლება. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისთვის, სარჩელის იურიდიულ მართებულებასთან ერთად, სასამართლო იმაშიც უნდა დარწმუნდეს, რომ მოსარჩელე მტკიცებითი ტვირთის მინიმალური

¹⁷ სუსგ საქმე #ას-16-354-09

¹⁸ თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება საქმე №2ბ/5042-17

¹⁹ თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება საქმე საქმე №2ბ/2462-17

სტანდარტის დაცვით ადასტურებს სარჩელში მითითებულ გარემოებებს. ეს საკითხი უფრო რთულად დგას სარჩელის აღძვრამდე უზრუნველყოფის ღონისძიების დროს. კანონმდებელი შესაძლებლობას აძლევს მოსარჩელეს, საკუთარი კანონიერი უფლებების დასაცავად, ჯერ არააღრუღ სარჩელზე მოითხოვოს სამომავლო გადაწყვეტილების უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება. პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც ამგვარი შუამდგომლობის დროს მოსარჩელე მხოლოდ ზედაპირულად, ყოველგვარი მტკიცებულებებისა თუ იურიდიული მართლებულობის დასაბუთების გარეშე ითხოვს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებას, ასევე ისიც გაურკვეველია, თუ ვის წინააღმდეგ და რა შინაარსის სარჩელის აღძვრას აპირებს მომავალში. ამდენად, ზემოთმოყვანილი უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების პროცესუალური წინაპირობების შემონიშნება ასეთ ვითარებაში შეუძლებელია, შესაბამისად, სასამართლოსთვის რთული გადასაწყვეტია, არსებობს თუ არა სარჩელის დაკმაყოფილებისა და მისი აღსრულების გართულების გონივრული ვარაუდი. ასე, რომ არა მხოლოდ წარმოდგენილი, არამედ მომავალში წარმოსადგენი სარჩელიც - თავისი შინაარსით, იურიდიული მართლებულობითა და მტკიცებითი ტვირთის მინიმალური სტანდარტის დაცვით, მკაფიოდ ჩამოყალიბებული სამომავლო მოთხოვნით, უფლების დარღვევაზე პასუხისმგებელ პირთა განსაზღვრით - მაღალი ალბათობით უნდა იძლეოდეს იმის ვარაუდის შესაძლებლობას, რომ მხარის სასარჩელო მოთხოვნას პერსპექტივა აქვს და მასში მითითებული ფაქტობრივი წინაპირობების განხორციელების (შესრულების) შემთხვევაში, სწორედ ის სამართლებრივი შედეგი დადგება, რაც მოსარჩელის ინტერესშია, ანუ მხარის მოთხოვნა შეიძლება, დაკმაყოფილდეს. ხოლო თუ ჯერ არააღრუღ სარჩელი ამგვარი ვარაუდის საფუძველს არ იძლევა, მოსარჩელის შუამდგომლობას უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე უარი უნდა ეთქვას.²⁰

სარჩელის აღძვრამდე უზრუნველყოფის ღონისძიების გამოსაყენებლად აუცილებელია, არსებობდეს მთავარი პირობა - გადაუდებელი შემთხვევა, რამაც ასეთი განცხადების წარმოდგენა განაპირობა. სარჩელის აღძვრამდე უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე წარმოდგენილ განცხადებაში დასაბუთებული უნდა იყოს სარჩელის აღძვრამდე უზრუნველყოფის ღონისძიების მოთხოვნის გარდაუვალი აუ-

²⁰ თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება საქმე საქმე №2ბ/672-17

ცილებლობა, რომლის მტკიცების ტვირთი შუამდგომლობის ავტორს ეკისრება; ასევე, დასაბუთებული უნდა იყოს აღნიშნული ეტაპისათვის სარჩელის აღძვრის შეუძლებლობა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მითითებული მოთხოვნები სარჩელის აღძვრამდე უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების კანონისმიერი წინაპირობებია და სასამართლოს, შესაბამისი კანონით გათვალისწინებული წინაპირობების არარსებობის შემთხვევაში სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების უფლება არ აქვს.

სარჩელის აღძვრამდე მისი უზრუნველყოფის შესახებ განცხადების მთავარი წინაპირობაა - შემთხვევის გადაუდებლობა. სარჩელის აღძვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების სამართლებრივი არსი იმაში მდგომარეობს, რომ სასამართლოსთვის მიმართვის დროს არსებობს დასაბუთებული ვარაუდი და რეალური საშიშროება, რომ სარჩელის აღძვრამდე უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების გარეშე გადაწყვეტილება ვერ აღსრულდება. ანუ კანონმდებლობით იქნა გათვალისწინებული მხარის ინტერესი, საფრთხისა და შესაბამისი დასაბუთებული ვარაუდის არსებობის შემთხვევაში, სარჩელის აღძვრამდე, მისგან დამოუკიდებლად, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ განცხადებით მიმართოს სასამართლოს. ამ გარემოების არსებობა სარჩელის აღძვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების სამართლებრივი საფუძველია. საბოლოოდ, კი საკითხს იმის შესახებ, თუ უზრუნველყოფის რომელი ღონისძიება გამოიყენოს და შეიძლება თუ არა საერთოდ მისი გამოყენება, სასამართლო მოთხოვნის ხასიათისა და მისი შინაარსიდან გამომდინარე წყვეტს. განმცხადებლის მიერ მხოლოდ მითითება, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების მიუღებლობის შემთხვევაში გადაწყვეტილების აღსრულება გართულდება, საკმარისი არ არის. სასამართლოს უნდა გაუჩნდეს დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობა სახეზეა. ამასთან განმცხადებელს ეკისრება უზრუნველყოფის ღონისძიების გადაუდებელი, სარჩელის აღძვრამდე გამოყენების აუცილებლობის, დარღვეული ან სადაო უფლების განუხორციელებლობის, გამოუსწორებელი და პირდაპირი ზიანის დადგომის შესაძლებლობის დასაბუთება, რაც კომპენსირებული ვერ იქნება მოპასუხისთვის ზიანის ანაზღაურების დაკისრებით. თუ შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძი-

ების გამოყენების შესახებ ზემოაღნიშნული წინაპირობების დასაბუთებას არ შეიცავს, იგი უნდა იქნას უარყოფილი.²¹

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 192-ე მუხლის თანახმად, სარჩელის აღძვრამდე მისი უზრუნველყოფის განცხადების სასამართლოს მიერ დაკმაყოფილების შემთხვევაში, სარჩელი სასამართლოში განჩინების მიღებიდან 10 დღის ვადაში უნდა შევიდეს. 10 დღიანი ვადის ათვლა მოსარჩელისთვის განჩინების ჩაბარების დღიდან იწყება. ე.ი. იმ დროიდან, როდესაც მისთვის ცნობილი გახდა შუამდგომლობის შედეგი და კანონით გათვალისწინებული სარჩელის შეტანის საფუძვლები წარმოიშვა. თუ ამ ვადაში სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების შემტანი პირი სარჩელს არ აღძრავს, სასამართლო თავისი ინიციატივით ან მოწინააღმდეგე მხარის შუამდგომლობის საფუძველზე სარჩელის უზრუნველსაყოფად გამოიტანს განჩინებას მის მიერ მიღებული ღონისძიებების გაუქმების შესახებ. სასამართლო, ასევე, გააუქმებს უზრუნველყოფის ღონისძიების თაობაზე მიღებულ განჩინებას, თუ მოსარჩელემ ამ საქმეზე სარჩელი ათი დღის შემდეგ, ვადის დარღვევით აღძრა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით, სსსკ 192-ე მუხლი ისეთ გამონაკლის შემთხვევას ითვალისწინებს, როდესაც სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების შეტანა სარჩელის აღძვრამდეა დასაშვები. ეს შესაძლებელია სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების ზოგადი წანამძღვრების არსებობისას, თუმცა საგულისხმოა, რომ კანონის იმპერატიული ხასიათის დანაწესი ამგვარი საპროცესო ღონისძიების გატარების შემდეგ სარჩელის მაქსიმალურად უმოკლეს ვადაში აღძვრას ითხოვს. ეს ხდება იმიტომ, რომ არ დაირღვეს ბალანსი გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების საჭიროებასა და იმ მხარის უფლებებს შორის, რომლის წინააღმდეგაც გამოიყენეს იგი, რადგან სარჩელის უზრუნველყოფა თუ ერთი მხარისათვის თავისი უფლებების დაცვის გარანტიაა, მეორე მხარეს კანონიერი უფლებების განხორციელების შესაძლებლობას უზღუდავს. სწორედ ამიტოა განპირობებული სსსკ-ის 192-ე მუხლით განმცხადებლისთვის საკმაოდ შემჭიდროვებული ვადის განსაზღვრა, ანუ განმცხადებელი ვალდებულია, სარჩელი სასამართლოში მისი წინასწარი უზრუნველყოფიდან 10 დღის ვადაში წარადგინოს. როგორც საკასაციო სასამართლო განმარტავს საპროცესო ვადებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს სამოქალაქო სამართალწა-

²¹ თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება საქმე №22/2462-17

რმოებაში, ვინაიდან სამართალწარმოების მიზანია არა მხოლოდ პირის დარღვეული ან სადავოდ ქცეული უფლების დაცვა, არამედ ამისგონივრულ ვადებში განხორციელება. გარკვეულ შემთხვევებში კანონმდებელი პირდაპირ არ აწესებს რაიმე კონკრეტულ პერიოდს და შესაძლებლობას აძლევს სასამართლოს, თავად განუსაზღვროს მხარეს საპროცესო ვადა ამა თუ იმ საპროცესო მოქმედების შესასრულებლად. ასევე ხდება თუნდაც საჩივრის ავტორის მიერ მითითებული შესაგებლის წარდგენისათვის საპროცესო ვადის დაწესებისას და სხვა შემთხვევებში. ასეთ დროს მხარეს საპროცესო ვადის გაგრძელების მოთხოვნაც შეუძლია ობიექტური საჭიროების შემთხვევაში და, თავის მხრივ, სასამართლოსაც გააჩნია უფლებამოსილება, საპროცესო ვადა გონივრულ ფარგლებში გაუგრძელოს მხარეს (სსსკ-ის 64-ე მუხლი). სასამართლოს მიერ დასადგენი ვადებისგან განსხვავდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსით იმპერატიულად განსაზღვრული ვადები. ძირითადი განსხვავება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ კანონით დადგენილი ვადის გაგრძელება ან აღდგენა დაუშვებელია. შესაბამისად, საპროცესო მოქმედება უნდა შესრულდეს მკაცრად მითითებული დროის პერიოდში. წინააღმდეგ შემთხვევაში მის შეუსრულებლობას ნორმის ადრესატი მხარისათვის არახელსაყრელი სამართლებრივი შედეგი მოჰყვება. ასეთ ვადათა რიცხვს განეკუთვნება სსსკ-ის 192-ე მუხლით დადგენილი 10-დღიანი ვადაც. ამდენად, განმცხადებელი ვალდებული იყო, სარჩელის აღძვრამდე მისი უზრუნველყოფის მომენტიდან 10 დღეში აღეძრა სარჩელი. და ამ ნორმის დაცვის აუცილებლობაზე ვერც ის გარემოება იმოქმედებს, განუმარტა თუ არა სასამართლომ მხარეს 10-დღიანი ვადის არსებობისა და ამ ვადაში სარჩელის აღძვრის ვალდებულების შესახებ. საგულისხმოა, რომ სარჩელის აღძვრამდე მისი უზრუნველყოფის შესახებ განცხადების სამართლებრივი საფუძველი სსსკ-ის 192-ე მუხლია, შესაბამისად, ცხადია, რომ განმცხადებელი გაეცნო ნორმის შინაარსსა და მოთხოვნებს. ამასთან, გონივრული განსჯის შედეგად, სასამართლოსთვის ამგვარი განცხადებით მიმართვას თან უნდა სდევდეს სარჩელის წარდგენაც. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ განმცხადებელს არა მხოლოდ შესაძლებლობა, არამედ ვალდებულება აქვს კანონის დანაწესის გათვალისწინებისა. კანონის არცოდნა ან მისი არასათანადოდ გაგება კი არ შეი-

ძლება კანონის გამოუყენებლობის, ანდა ამ კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძველი იყოს.²²

III. სარჩელის უზრუნველყოფის წინაპირობა გადანყვეტილების აღსრულების გართულება ან შეუძლებლობა

სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შესახებ განცხადება, რომელსაც მხარე აღძრავს, უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადანყვეტილების აღსრულებას. კანონმდებელი არ მიუთითებს, თუ კონკრეტულად რა გარემოებები აქვს მხედველობაში, რაც მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობების სიმრავლით არის განპირობებული. ყველა ამ ურთიერთობის მანიშნებელი ელემენტების თავისებურებების გათვალისწინებით ხდება გადანყვეტილების აღსრულების დამაბრკოლებელი გარემოებების შეფასება. ყველა კონკრეტულ შემთხვევაში სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების დროს, სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს ის სამართლებრივი მხარეები, რომლებიც მის მიერ აღნიშნულ საქმეზე განსახილველ საკითხებს უკავშირდება. გადანყვეტილების აღსრულების გართულებასა და შეუძლებლობაში ის გარემოებები და ფაქტები იგულისხმება, რომელმაც შეიძლება სასამართლო გადანყვეტილების საფუძველზე მოსარჩელის სასარგებლოდ გარკვეული მოქმედებების განხორციელება შეაფერხოს. აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს გარემოებები მომავალში წარმოშობილი ისეთი იურიდიული ფაქტების არსებობას უკავშირდება, რომელთა შედეგი გამოირიცხავს, შეუძლებელს ხდის ან აძნელებს გადანყვეტილების აღსრულებას. ეს გარემოებები საქმის განხილვის დროს უნდა არსებობდეს და მათ არსებობას მოსარჩელე უნდა ასაბუთებდეს. ასევე უნდა არსებობდეს ის სიკეთე, რომელზედაც მიმართულია პროცესუალური უზრუნველყოფა და თავისთავად ის უფლებაც, რომლის დაცვა იძულების ინსტიტუტის გამოყენებით შესაძლებელია. გადანყვეტილების აღსრულების გართულებასა ან შეუძლებლობაში კი ისეთი კონკრეტული, მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობით გათვალისწინებული, იურიდიული ფაქტების შედეგი იგულისხმება, რომლის დამაბრკოლებელი ხასიათი მხოლოდ

²² სუსგ საქმე ას-108-101-2017

სასამართლოში კონკრეტული განსახილველი სამართალურთიერთობისთვის დამახასიათებელი თავისებურებების გათვალისწინებით ვლინდება. შესაბამისად, უზრუნველყოფის კონკრეტული ღონისძიების განსაზღვრისას ისეთი გადაწყვეტილების გამოტანა ივარაუდება, რომელიც მის საფუძველზე გარკვეული მოქმედებების განხორციელებას ითვალისწინებს. ეს არის ის სუბიექტური და ობიექტური გარემოებები, რომლებიც აბრკოლებენ გადაწყვეტილების აღსრულებას; ის სიკეთე ან საშუალებები, რომლითაც ხდება უზრუნველყოფა; ასევე, უზრუნველყოფის მოცულობისა და შინაარსის დადგენა.

სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის მიზანი მოსარჩელის მატერიალური უფლებების რეალური განხორციელებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნა და სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფაა. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე მსჯელობისას, სასამართლომ სარჩელის უზრუნველყოფის საფუძველზე უნდა გაამახვილოს ყურადღება, კერძოდ, კი სამომავლოდ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების გაძნელების ან აღუსრულებლობის საშიშროებაზე. ამასთან, სარჩელის უზრუნველყოფის მომთხოვნმა პირმა უნდა დაასაბუთოს, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების განხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას. მან უნდა მიუთითოს იმ კონკრეტულ გარემოებებზე, რომლებიც დაადასტურებს ვარაუდს, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას. ერთ-ერთ საქმეზე გადაწყვეტილების უზრუნველყოფაზე უარის თქმის საფუძველად სააპელაციო სასამართლომ იმ გარემოებაზე მიუთითა, რომ ისეთი ფინანსური ინსტიტუტის საბანკო ანგარიშების დაყადაღება, როგორც კომპანიაა, მის საქმიანობას სერიოზულად დააბრკოლებს და უამრავ მომხმარებელს დააზარალებს. საკასაციო სასამართლო არ დაეთანხმა სააპელაციო სასამართლოს ამ მოსაზრებას და განმარტა რომ, ყადაღის დაწესებით კანონმდებელმა აუცილებელ საჭიროებად მიიჩნია მოსარჩელის მატერიალური უფლებების რეალური განხორციელების უზრუნველყოფა სასამართლო პროცესის დასრულებამდე, რაც სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობისა და სასამართლო გადაწყვეტილებათა ეფექტური და დაუბრკოლებელი აღსრულების საჯარო ინტერესის დაცვას ემსახურება. ეს კი უდავოდ მნიშვნელოვანია სამართლებრივი სახელმწიფოს ფუნქციონირებისთვის და დემოკრატიული ინსტიტუტების ქმედითობას უწყობს ხელს. შესაბამისად, საკუთრების უფლების შეზღუდვისას ამგვარი მიზნის მითითება ლეგიტიმურია. საპროცესო

კანონში სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის გათვალისწინება აღნიშნული ინსტიტუტის გამოყენების დაწესებას ისეთი შემთხვევებისთვის გულისხმობს, როდესაც ეს გამართლებულია, ხოლო არის თუ არა გამართლებული, ეს სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს. ასეთი გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლომ უნდა დაადგინოს, რომ მოვალის ქონებაზე ყადაღის დადება სასამართლო გადაწყვეტილების ეფექტური და დაუბრკოლებელი აღსრულების აუცილებელი და ერთადერთი საშუალებაა. მოცემულ შემთხვევაში, განმცხადებლის მიერ მითითებული იმ გარემოებების გათვალისწინებით, რომ მოპასუხეს დიდი ოდენობით ვადა მოსული ვალდებულებები აქვს და ამასთან, მის სახელზე არ ირიცხება არანაირი უძრავი ქონება, ხოლო - ნილები დაყადაღებულია, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ სათანადოდ უნდა დაასაბუთოს, თუ რატომ არ წარმოადგენს გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის აუცილებელ საშუალებას მოპასუხის საბანკო ანგარიშებზე ყადაღის დადება მოსარჩელის მოთხოვნის ფარგლებში.²³

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების საკითხზე მსჯელობისას, პირველ რიგში, უნდა გაირკვეს განსახილველი დავის საგანი (სარჩელის მოთხოვნა), დარღვეული ან სადავო უფლება, მათი კავშირი სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით მოთხოვნილ ღონისძიებასთან და საკითხი იმის შესახებ, რამდენად უზრუნველყოფს ამ ღონისძიების გამოყენება მოსარჩელის სასარგებლოდ გამოტანილი გადაწყვეტილების დაცვას აღსრულებლობის ან აღსრულების გაძნელების საფრთხისგან, ასევე - დარღვეული ან სადავო უფლების განხორციელებას. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების არჩევა დამოკიდებულია არა მხოლოდ მხარეზე, რომელიც ამ პროცესში დისპოზიციურობის დაცვით მიუთითებს სასამართლოს იმ სახის ღონისძიების გამოყენებაზე, რომლითაც სარჩელის უზრუნველყოფა სურს, არამედ სასამართლოს შეფასებაზე, მის არჩევანზე, თუ რომელი ღონისძიებითაა შესაძლებელი სასურველი შედეგის მიღწევა – სამომავლოდ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების გარანტირება. სასამართლოს ამგვარი უპირატესობა განპირობებულია იმით, რომ, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, უზრუნველყოფის ღონისძიებით არ დაირღვეს სამართლიანი ბალანსი მხარეთა ინტერესების დაცვას, ასევე, დასაცავ სიკეთესა და უზრუნველყოფის შედეგად მხარის უფლების შეზღუდვას შორის.²⁴

²³ სუსგ საქმე ას-113-106-2015

²⁴ სუსგ საქმე ას-958-923-2016

სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის გამოყენებაზე გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლომ უნდა დაადგინოს, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება, მაგალითად, მოვალის ქონებაზე ყადაღის დადება სასამართლო გადაწყვეტილების ეფექტიანი და დაუბრკოლებელი აღსრულების აუცილებელი და ერთადერთი საშუალებაა; ანუ, როცა სადავო არაა, რომ ყადაღადადებული ქონება მოვალის ერთადერთი აქტივია, რომელზეც გადაწყვეტილების აღსრულების მიქცევა შეიძლება მოხდეს. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ თავად საჩივრის ავტორის განმარტებით, მას სურს საბანკო კრედიტის უზრუნველყოფის მიზნით იპოთეკით დატვირთოს ეს ქონება, რაც, ცხადია, ზრდის იმის საშიშროებას, რომ საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მოვალის ქონების რეალიზაცია ბანკის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად მოხდეს. ასეთ ვითარებაში, საკასაციო პალატის მოსაზრებით, გამართლებულია მოპასუხის ქონების მიმართ გასაჩივრებული განჩინებით გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება და მისი გაუქმების საფუძველი არ არსებობს.²⁵

ერთ-ერთ საქმეზე, სადაც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით სასამართლომ პარტნიორის წილი დააყადაღა, თბილისის სააპელაციო სასამართლომ განმარტა რომ, პარტნიორს, წილზე ყადაღის არსებობის მიუხედავად, გააჩნია საზოგადოების საკუთრებაში არსებული ქონების მართვის და განკარგვის თაობაზე გადაწყვეტილებების მიღების უფლება, რაც შეიძლება სადავო წილის გაუფასურებისაკენ მიმართოს. საზოგადოების მიერ მის სახელზე რიცხული ქონების გასხვისების ან უფლებრივი დატვირთვის შემთხვევაში კი ადგილი ექნება უზრუნველყოფის საგნისათვის ფასის დაკარგვას. გარდა ამისა, განმცხდებლები მიუთითებდნენ იმ გარემოებაზე, რომ საზოგადოების წესდების თანახმად, საზოგადოების საკუთრებაში არსებული ქონების გასხვისების უფლებამოსილება მინიჭებული აქვს საზოგადოების დირექტორატს, რის გამოც, საზოგადოების დირექტორატმა საზოგადოების ქონება შესაძლოა, ისე გაასხვისოს, რომ საჭირო არ გახდეს აღნიშნულზე პარტნიორთა მხრიდან შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება. ამგვარი შედეგის თავიდან ასაცილებლად, განცხადებლებმა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დირექტორატისათვის საზოგადოების ქონების განკარგვისა და უფლებრივი დატვირთვის აკრძალვა მოითხოვეს, პარტნიორების მიმართ

²⁵ სუსგ საქმე №ას-511-488-2016

კი - შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღების უფლების აკრძალვა. პალატამ განმარტა, რომ განცხადებისა და საჩივრის შინაარსიდან გამომდინარე, განმცხადებელთა ინტერესს საზოგადოებაში არსებული წილის მაღალი ღირებულების სრულად შენარჩუნება წარმოადგენს, ხოლო მხოლოდ წილზე ყადაღის დადება არ ზღუდავს წილის მფლობელს პარტნიორის უფლებამოსილებებიდან გამომდინარე გადაწყვეტილების მიღებაში. მაგალითისთვის, იმ პირობებში, თუ სადავო საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტამდე საზოგადოების ქონების გასხვისება მოხდება, ეს გამოიწვევს დასაბრუნებელი წილის ღირებულების შემცირებას, ანდა გაუფასურებას, რაც შესაბამისად, გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებას, მოსარჩელის მოთხოვნის ექვივალენტური წილის დაბრუნების შეუძლებლობის გამო. სასამართლომ განმარტა, რომ თითოეული პარტნიორი, განურჩევლად იმისა, თუ ვის რა ოდენობის წილი აქვს საწარმოში, ვალდებულია, მოქმედებდეს საწარმოსა და საზოგადოების ინტერესების სასარგებლოდ. სწორედ ამ ვალდებულების დარღვევისაგან თავდაცვის მექანიზმს წარმოადგენს „მწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-8 პუნქტი, სადაც საუბარია დომინანტი პარტნიორის მიერ დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებასა და მის სამართლებრივ შედეგებზე. განსახილველ შემთხვევაში შესაძლოა, განმცხადებლებს, სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, მისი აღუსრულებლობის საფრთხე დაემუქროს. სარჩელის დადებითად გადაწყვეტის მოლოდინში კი შესაძლოა, შპს-ს გაუჩნდეს მოტივაცია, ისარგებლოს დომინანტური მდგომარეობით, როგორც შპს-ს პარტნიორმა და ისეთი მოქმედებები განახორციელოს, რაც შპს-ს ქონების გასხვისებით სარგებელს მოუტანს მას. თავის მხრივ, ამ სახის მოქმედებათა განხორციელება ზიანს მიაყენებს საწარმოს - შპს-ს, რომლის დამფუძნებელ საზოგადოებაში პარტნიორად აღდგენასაც მოითხოვენ სამომავლო მოსარჩელები. პალატამ, განმცხადებელთა მიერ მოთხოვნილ, დირექტორატის უფლებრივ შეზღუდვასთან დაკავშირებით შემდეგი განმარტა: საქმეში წარმოდგენილი წესდების შესაბამისად, საქართველოს სამეწარმეო კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად, ნებისმიერ სხვა საკითხზე, გადაწყვეტილებას ღებულობს საზოგადოების დირექტორატი. წესდების თანახმად, საზოგადოების წესდების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს საქმეში წარმოდგენილი ხელშეკრულება ერთობლივი საწარმოს შექმნის შესახებ. როგორც წესდება, ისე ხელშეკრულება შეიცავს საზოგადოების მმართველობასა და ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი ორგანოების (პარტნიორთა კრება და დირექტორატი) კომპეტე-

ნციას. აღსანიშნავია, რომ საზოგადოების ქონების გასხვისებისა და უფლებრივი დატვირთვის შესახებ გადაწყვეტილებების მიღება პარტნიორთა კრების უფლებამოსილებათა ჩამონათვალში არ შედის, თუმცა წესდება, ამ მხრივ, არ შეიცავს პარტნიორთა უფლებამოსილების აკრძალვის ან შეზღუდვის თაობაზე დებულებას. ამგვარ უფლებამოსილებაზე და არც შეზღუდვაზე არ საუბრობს არც ხელშეკრულება ერთობლივი საწარმოს შექმნის შესახებ. ამდენად, წარმოდგენილი ორივე დოკუმენტის შინაარსიდან გამომდინარეობს დასკვნა, რომ წესდების საფუძველზე, საზოგადოების საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვა-უფლებრივი დატვირთვის უფლება შპს-ს დირექტორატსაც გააჩნია. სსსკ 198-ე მუხლის შესაბამისად, საბოლოოდ, საკითხს, თუ უზრუნველყოფის რომელი ღონისძიება უნდა გამოიყენოს, სასამართლო მოთხოვნის ხასიათისა და მისი შინაარსიდან გამომდინარე წყვეტს. სსსკ 198-ე მუხლის მე-2 ნაწილში სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა სახეების ჩამონათვალია მოცემული. კანონი არ აწესრიგებს, თუ რომელ კონკრეტულ შემთხვევაში რომელი ღონისძიება უნდა გამოიყენოს სასამართლომ. ეს საკითხი სასამართლომ იმისდა მიხედვით უნდა გადაწყვიტოს, თუ როგორია სასარჩელო მოთხოვნის, ისევე, როგორც სამომავლო სარჩელის ხასიათი და შინაარსი. განსახილველი დავის სპეციფიკიდან გამომდინარე, როდესაც ჯერ კიდევ არსებობს წილზე გადამწყვეტი ხმის მქონე პარტნიორის მიერ გადაწყვეტილებათა შეზღუდვად მიღების უფლება, ასევე არსებობს დირექტორატის მხრიდან საზოგადოების ქონებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების წესდებით განსაზღვრული საშუალება. ასეთ ვითარებაში პალატამ მიიჩნია, რომ სარჩელის უზრუნველსაყოფად მოპასუხეს, დავის საბოლოო განხილვამდე, უნდა აეკრძალოს შპს-ს პარტნიორთა წილიდან გამომდინარე უფლებამოსილება, კერძოდ: საწარმოს სარეგისტრაციო განცხადების მონაცემებსა და წესდებაში ცვლილებების განხორციელება; ფილიალების შექმნა და ლიკვიდაცია; საზოგადოების სახელზე რიცხული არსებული ქონების გასხვისება და უფლებრივად დატვირთვა; საზოგადოების სახელით ვალდებულებების აღება; პროკურის გაცემა; წლიური შედეგების დამტკიცება; საზოგადოების რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია; ასევე, შპს-ს დირექტორატისათვის საზოგადოების საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვა-უფლებრივად დატვირთვა. სასამართლომ მიიჩნია, რომ განცხადებით მოთხოვნილი ღონისძიებები სამომავლო მოსარჩელეთა უფლებების დაცვის გარანტიასა მოპასუხის სავარაუდო ან შესაძლო არაკეთილსინდისიერების შემთხვევაში, რაც შეიძლება გამოიხატოს მათ საკუთრებაში არსებული ქო-

ნების ან მისი ნაწილის მესამე პირთათვის გადაცემაში ნებისმიერი სახითა და ფორმით, ასევე, ქონების ღირებულების გაუფასურებაში დავის სასამართლოში მიმდინარეობის დროსაც კი, რაც სასამართლო გადაწყვეტილებას აღუსრულებელს გახდის.²⁶

თუმცა სულ სხვა ფაქტობრივი გარემოების შემთხვევაში, როდესაც დავა ზიანის ანაზღაურებას ეხებოდა, საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ: სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლი ამ ვითარებაში არ შეიძლება 198-ე მუხლისგან დამოუკიდებლად განიმარტოს. მოსარჩელის მიერ წარდგენილი განცხადება ფორმალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით შეეხება მოპასუხის ქონებრივი მდგრალობის შენარჩუნებას (მოპასუხისათვის გარკვეული ქმედების აკრძალვას), თუმცა საკითხის მხოლოდ ფორმალურად შეფასება არ ემსახურება უზრუნველყოფის მიზანს. გამოყენებული ზომა იჭრება არა მოპასუხის, როგორც ფიზიკური პირის ქონებრივ სფეროში, არამედ მისი, როგორც მენარმე სუბიექტის (სანარმოს 100%-იანი დამფუძნებლის) სამენარმეო უფლებამოსილებაში, რაც, რეალურად ადგენს არაპროპორციულ ჩარევას იურიდიული პირის მმართველობაში და, ფაქტობრივად, კრძალავს სანარმოს საქმიანობას.²⁷

თბილისის საქალაქო სასამართლომ უარი უთხრა მოსარჩელეს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე. სასამართლოს დასკვნები შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის შესახებ ეფუძნებოდა იმას, რომ შუამდგომლობაში მითითებული გარემოებების საფუძველზე სასამართლოს არ შეექმნა ვარაუდი იმისა, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების გარეშე შეუძლებელი იქნება მოსარჩელის სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულება და „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ბერკეტები უმოქმედო აღმოჩნდება კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებისას. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნებს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის მიზნებთან დაკავშირებით, თუმცა, ამავდროულად, განმარტა, რომ, ამავე კანონის მე-17 მუხლის მე-5 ნაწილის ა და ა “ა” ქვეპუნქტის თანახმად, იძულებითი აღსრულების პირობებში, აღმასრულებელი უფლებამოსილია, გადაახდევინოს მოვალეს ქონებაზე ყადაღის დადებით და ქონების

²⁶ თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება საქმე საქმე №2ბ/1340-13.

²⁷ სუსგ საქმე #ას 1215-1140-2015.

გაციდვით. შესაბამისად, აღმასრულებელი ამ ღონისძიებებს იმ შემთხვევაში ატარებს, თუ მოვალის საკუთრებაში რამე ქონება აღმოჩნდება; ასეთის არარსებობის შემთხვევაში კი მითითებული კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები არაეფექტურია. სწორედ ამიტომ, ჯერ კიდევ მიუღებელი გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველსაყოფად, მხარეთა ეფექტიანი დაცვისა და კანონიერების აღდგენის გარანტიების შექმნისთვის, ეროვნულ საკანონმდებლო სივრცეში არსებობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-198 მუხლები.²⁸

მოსარჩელის მოთხოვნა, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით მოპასუხისთვის მშენებლობის გაგრძელების აკრძალვის შესახებ, სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე დასაბუთებულად მიიჩნია, რადგან სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება პირდაპირ უკავშირდებოდა დავის საგანს. სამოქალაქო საქმეთა პალატამ განმარტა, რომ იმ გარემოებების გათვალისწინებით, რომლის მიხედვითაც სასამართლოში საქმის განხილვა დაკავშირებულია გარკვეულ ვადებთან, რომელთა გასვლამდეც მოპასუხეს შეუძლია გააგრძელოს მშენებლობა, რაც ზიანს მიაყენებს მოსარჩელეს, დასაბუთებულია ვარაუდი, რომ სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, იგი გაართულებს მოსარჩელის სასარგებლოდ მიღებული სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებას და მოსარჩელის სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილება ველარ აღსრულდება. ასეთ ვითარებაში კი წარმოდგენილი სარჩელის განხილვა და დადებითად გადაწყვეტა დაკარგავს ყოველგვარ ფაქტობრივ და სამართლებრივ მნიშვნელობას და იმ იურიდიულ შედეგებს ვერ გამოიწვევს, რომლებიც საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებას თან უნდა მოჰყვეს. პალატამ მიუთითა, რომ მოცემულ დავაზე მოპასუხის სასარგებლო გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში გადაწყვეტილების აღსრულება ისეთ მნიშვნელოვან ხარჯებს დაუკავშირდება, როგორცაა უნებართვო ნაგებობების დემონტაჟი, მოშლა და ა.შ. პალატის აზრით, ეს არის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191 და 198-ე მუხლების მიხედვით, სასარჩელო მოთხოვნის ხასიათისა და შინაარსის გათვალისწინებით, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისა და გადაწყვეტილების აღსრულების დაბრკოლების უზრუნველყოფის აუცილებელი წინაპირობა, რაც ასევე გამოიწვევს გამოუსწორებელ და პირდაპირ ზიანს. სასამართლო ითვალისწინებს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების როლსა და მნი-

²⁸ თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება საქმე №2ბ/31388-18.

შენელობას სასამართლოს მიერ სამომავლოდ შესაძლოდ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებით და მოცემული საკითხის შეფასებისთვის უმთავრესად მიიჩნევს გარემოებას, რომ საჩივრის დაკმაყოფილების შემთხვევაში მოსარჩელე სამომავლო უფლების რეალიზაციის ისეთი მყარი და სტაბილური გარანტიის გარეშე რჩება, როგორც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით მშენებლობის შეჩერებაა. ზემოაღნიშნული საფუძვლების გამო ეს არის ქმედითი და ეფექტური სავარაუდო გადაწყვეტილების აღსასრულებლად.²⁹

IV. სარჩელის უზრუნველყოფის სუბიექტი და ობიექტი

1. მხარეები, როგორც სარჩელის უზრუნველყოფის სუბიექტები

სარჩელის უზრუნველყოფის ერთ-ერთი საფუძველი არის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ, რომელიც შეიძლება შეიტანოს მხოლოდ მოსარჩელემ. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს, იგი ძირითადი სარჩელით მოსარჩელეა, შეგებებული სარჩელით მოსარჩელე თუ მესამე პირი დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით. სარჩელის უზრუნველყოფა სასამართლოს ინიციატივით დაუშვებელია. ე.ი. პროცესუალური სუბიექტების სახეების მიხედვით სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების შეტანის ინიციატორი უნდა იყოს მოსარჩელე, მესამე პირი დამოუკიდებელი მოთხოვნით და მოპასუხე, რომელმაც შეგებებული სარჩელი აღძრა.

შესაძლებელია თუ არა ქონებაზე ყადაღის დადების უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება იმ შემთხვევაში, როდესაც განმცხადებელს შეტანილი აქვს განცხადება გადაწყვეტილების ბათილად ცნობის და საქმისწარმოების განახლების შესახებ? ერთ-ერთ საქმეზე განმცხადებელი, რომელიც ითხოვდა კანონიერ ძალაში შესული დაუსწრებელი გადაწყვეტილების ბათილად ცნობას, საქმისწარმოების განახლებას და სადავო ქონებაზე ყადაღის დადებას, განმარტავდა, რომ მისი მოთხოვნით სადავო ქონებას სასამართლო განჩინებით ედო ყადაღა, ასეთ ვითარებაში კი მოსარჩელე ა-მ სასამართლოში სარჩელი შეიტანა მოპასუხე ბ-ს წინააღმდეგ სადავო ქონების მესაკუთრედ ცნობის შესახებ. მოპასუხის მიერ შესაგებლის წარმოუდგენლობის გამო, სასამართლო დაუსწრებელი გა-

²⁹ თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება საქმე №2ბ/6177-16.

დანყვეტილებით სადავო ქონება საკუთრებაში გადაეცა ა-ს და საჯარო რეესტრის ჩანაწერებით მის სახელზე ირიცხება (ანუ გადაწყვეტილება უკვე აღსრულებული იყო). ამის გამო განმცხადებელმა გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და სადავო ქონებაზე ყადაღის დადება ითხოვა, რამეთუ ქონების გასხვისების შემთხვევაში გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და საქმისწარმოების განახლების იურიდიული ინტერესი ვეღარ იარსებებდა. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ განმარტა, რომ სამოქალაქო კოდექსის 208-ე მუხლითა და „საჯარო რეესტრის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 15 იანვრის #4 ბრძანების მე-19 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ მორიგებას და სარჩელის ცნობას, სამართლებრივი შედეგების თვალსაზრისით, უთანაბრდება მხარეთა მხრიდან სარჩელსა და შესაგებელში მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებზე სრულად დათანხმება, გადაწყვეტილების გასაჩივრებაზე უარის თქმა და რაც მთავარია, შესაგებლის წარუდგენლობა. თავისი პროცესუალური მნიშვნელობით ეს მხარის დისპოზიციური უფლების განკარგვის ყველაზე ეფექტური საშუალებაა, რამეთუ მოპასუხის მხრიდან შესაგებლის წარუდგენლობა სწორედ იმას ნიშნავს, რომ იგი პრეზუმირებულად ეთანხმება სარჩელში მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებს, ანუ ცნობს სარჩელს. აღნიშნული საპროცესო მოქმედებები ერთობლიობაში ისეთი დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას იძლევა, რომ მხარეები სასამართლო გადაწყვეტილების ამგვარ სამართლებრივ შედეგზე იმთავითვე მორიგებულები იყვნენ. ასეთ პირობებში, შესაბამისად, აუცილებელია სასამართლო სამართალწარმოებაში იმ მესამე პირის ჩაბმა, რომლის მოთხოვნის უზრუნველსაყოფადაც გამოიყენეს უზრუნველყოფის ღონისძიება. რაც შეეხება საჩივრის ავტორის მოსაზრებას, გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ფარგლებში, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე, პალატამ განმარტა, რომ, მართალია, მოცემულ შემთხვევაში შუამდგომლობის ავტორი არ არის (საქმისწარმოების განახლების შემთხვევაშიც არ იქნება) მოსარჩელე, რომელიც სარჩელის აღძვრამდე, ან მის შემდგომ მოითხოვდა გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფას, მაგრამ ის შუამდგომლობის აღმძვრელი პირია, რომელიც გადაწყვეტილების ბათილად ცნობასა და საქმისწარმოების განახლებას მოითხოვს. ამ მოთხოვნას უზრუნველყოფა სჭირდება, რადგან სადავო უძრავი ნივთის გასხვისების შემთხვევაში მოსარჩელის საკუთრებაში აღარ იქნება ქონება, რის გამოც გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ასეთ შემთხვევაში დავის განახლების იუ-

რიდიული ინტერესი აღარ იარსებებს. შესაბამისად, სასამართლოს შეუძლია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-7 და 198-ე მუხლების თანახმად უზრუნველყოფის ღონისძიება გამოიყენოს.³⁰

მოსარჩელეს, რომელსაც წარმოდგენილი ჰქონდა განცხადება სასამართლო გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილი გარემოებების გამო საქმისწარმოების განახლების თაობაზე, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების შესახებ მისი მოთხოვნა საკასაციო სასამართლომ დაუსაბუთებლად მიიჩნია და განმარტა, რომ იგი მოკლებულია პროცესუალურ-სამართლებრივ საფუძველებს. სსსკ 191-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოსარჩელეს შეუძლია, სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით მიმართოს სასამართლოს. განცხადებაში მითითებული უნდა იყოს გარემოებები, რომელთა გამოც უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას და ასევე - შესაბამისი დასაბუთებაც, უზრუნველყოფის რომელი ღონისძიება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად. თუ სასამართლოს გაუჩნდება დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, იგი გამოიტანს განჩინებას სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება ემყარება მოსამართლის ვარაუდს, რომ მხარის სასარჩელო მოთხოვნა შესაძლოა, დაკმაყოფილდეს. ასეთი ვარაუდი გავლენას არ ახდენს სასამართლოს მიერ შემდგომი გადაწყვეტილების გამოტანაზე. როგორც საკასაციო სასამართლომ განმარტა, სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის მიზანი სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფაა და, ამდენად, იგი, თავისი არსით, მოსარჩელის უფლებების დაცვას ემსახურება. შესაბამისად, განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ შეიძლება შეიტანოს მოსარჩელემ. დამსაქმებლის მოთხოვნა მის წინააღმდეგ გამოტანილი, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერებასა და დასაქმებულის პირად ანგარიშებზე, საქართველოში არსებულ ყველა საბანკო დაწესებულებაში თანხის დაყადაღების თაობაზე, რომელიც ეფუძნება მოპასუხის არგუმენტს, რომ მას წარმოდგენილი აქვს განცხადება სასამართლო გადაწყვეტილების/განჩინებების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმისწარმოების განახლების თა-

³⁰ თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება საქმე N2ბ/5708-18

ობაზე, ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძვლებს მოკლებულია. დამსაქმებელი თავად არის მის წინააღმდეგ აღძრულ სარჩელში პროცესუალური მონინააღმდეგე მხარე - მოპასუხე, სარჩელი დაკმაყოფილებულია და გადანყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული. სწორედ ამ უკანასკნელი გადანყვეტილების ბათილად ცნობას ითხოვს დამსაქმებელი. შესაბამისად, მისი მოთხოვნა სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადანყვეტილების აღსრულების ხელშეწყობისკენ მიმართული ქმედება კი არ არის, რაც სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის მიზანია, არამედ, პირიქით - მოპასუხის მოთხოვნა აღსრულების პროცესის შეჩერებას ეხება, მიმართულია სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადანყვეტილებით მოსარჩელის სასარგებლოდ დაკმაყოფილებული გადანყვეტილების წინააღმდეგ და, ამდენად, შეუძლებელია მისი განხილვა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებად. შესაბამისად, დამსაქმებლის მოთხოვნა სარჩელის უზრუნველყოფის მარეგულირებელი საპროცესო ნორმებით ვერ დარეგულირდება (სსსკ 191-1991 მ მუხლები).³¹

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები პროცესუალური ვალდებულებებია, რომლებიც მიმართულია მოპასუხის ან სხვა პირის მიმართ და რომლითაც გარკვეული დროითა და მოცულობით იზღუდება სადავო საკითხთან დაკავშირებულ პროცესუალურ სუბიექტთა მატერიალურ-სამართლებრივი უფლებები. მისი მიზანია, დავის საგნის მოპასუხის არაკეთილსინდისიერი ქმედებისგან (მათ შორის კეთილსინდისიერი მესამე პირების მართლზომიერი ქმედებისგან) დაცვა. უზრუნველყოფის ობიექტი არცერთ შემთხვევაში არ შეიძლება იყოს სხვა პირის მატერიალური და/ან არამატერიალური სიკეთე, აქედან გამომდინარე, მოპასუხეების, როგორც სარჩელის უზრუნველყოფის სუბიექტების მიხედვით, უზრუნველყოფის ღონისძიებები შეიძლება ორ ჯგუფად დავყოთ:

1. უზრუნველყოფის ღონისძიებები, რომლებიც მიმართულია უშუალოდ მოპასუხის მიმართ, ესენია: ყადაღის დადება ქონებაზე, ფასიან ქალღებებსა თუ ფულად სახსრებზე, რომელიც მოპასუხეს ეკუთვნის და არის მასთან ან სხვა პირთან; მოპასუხისათვის გარკვეული მოქმედებების შესრულების აკრძალვა.

2. უზრუნველყოფის ღონისძიებები, რომლებიც მიმართულია სხვა პირების მიმართ, ესენია: სხვა პირისათვის აკრძალვა იმისა, რომ მოპასუხეს გადასცეს ქონება ან შეასრულოს მის მიმართ რაიმე ვალდებულება;

³¹ სუსგ საქმე №ა-1222-ბ-10-2015

სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოს, ორგანიზაციის ან თანამდებობის პირის სადავო აქტების მოქმედების შეჩერება; ყადაღისაგან ქონების გათავისუფლების შესახებ სარჩელის აღძვრის შემთხვევაში ქონების რეალიზაციის შეჩერება.

2. სასამართლო გადაწყვეტილება, როგორც სარჩელის უზრუნველყოფის ობიექტი

სარჩელის უზრუნველყოფის ობიექტს წარმოადგენს მომავალში სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკმაყოფილებული მოთხოვნა, ხოლო სარჩელის უზრუნველყოფაში იგულისხმება სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ შეტანილი სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა. პროცესუალური თვალსაზრისით, სარჩელის უზრუნველყოფა შეიძლება იყოს უფრო ეფექტური საშუალება მოსარჩელის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად, ვიდრე სარჩელი. პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როცა უზრუნველყოფის ამა თუ იმ ღონისძიების გამოყენების გარეშე მოსარჩელე არათუ ვერ დაიკმაყოფილებს თავის უფლებას და კანონიერ ინტერესებს გადაწყვეტილების რეალიზაციის მშვეობით, არამედ ამგვარი გადაწყვეტილების დადგომაც კი ინტერესს კარგავს მისთვის. სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტი კი მხოლოდ ერთ მიზანს ემსახურება - დაიცვას დარღვეული და სადავოდ ქცეული უფლება და კანონიერი ინტერესი, ეფექტური და ნამდვილი გახადოს გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილება.

იმისათვის, რომ გადაწყდეს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების ან არგამოყენების საკითხი, უნდა გაირკვეს, რომელი სახის გადაწყვეტილების უზრუნველყოფაა შესაძლებელი. ჩვენ ცალკე განვიხილეთ სარჩელის, როგორც უზრუნველყოფის ელემენტის საკითხები, სადაც სარჩელით აღძრული მოთხოვნების იურიდიულ დასაბუთებულობასა და, აქედან გამომდინარე, უზრუნველყოფის კონკრეტული ღონისძიებების გამოყენების საკითხებს შევხებით. ამიტომ, ამჯერად, მხოლოდ ზოგიერთი კატეგორიის გადაწყვეტილებების აღსრულების უზრუნველყოფის შესაძლებლობებს განვიხილავთ. იმისათვის, რომ უზრუნველყოფის ღონისძიება გამოვიყენოთ, თავად გადაწყვეტილება (სამომავლო სავარაუდო გადაწყვეტილება) უნდა იყოს აღსრულებადი. სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებაში არ იგულისხმება მხოლოდ სახელმწიფო იძულების აპარატის მეშვეობით აღსრულებადი გადაწყვეტილებები. ნები-

სმიერ სასამართლო გადაწყვეტილებას მოსდევს იურიდიული შედეგი, რომელიც უნდა აღსრულდეს და მას იძულებითი იმპერატიული ხასიათი აქვს. ეს, უპირველეს ყოვლისა, ვლინდება ყველა პირის ვალდებულებაში - ხელი არ შეუშალონ გადაწყვეტილების აღსრულებას. დღემდე პრაქტიკაში სადააო აღიარებითი სარჩელის აღსრულების ინსტიტუტი და უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების პრობლემები აღიარებითი სარჩელების დროს. უფლება სარჩელზე შეიძლება რეალიზებული იყოს იმ შემთხვევაშიც, როცა უფლება დაირღვა და მაშინაც, როცა მისი დარღვევის რეალური საშიშროება არსებობს. აღიარებითი სარჩელის დაკმაყოფილებით უზრუნველყოფილია მოსარჩელის უფლებებისა და მოპასუხის ვალდებულებების განსაზღვრულობა, რასაც შეიძლება, პრეიუდიციული მნიშვნელობა ჰქონდეს სხვა საქმის განხილვის დროს.

იურიდიულ ლიტერატურაში არსებობს მოსაზრება, რომ აღიარებითი სარჩელების უზრუნველყოფა შესაძლებელია. მაგალითად, სარჩელის უზრუნველყოფა შეიძლება აუცილებელიც კი გახდეს ავტორობის უფლების აღიარების შესახებ სარჩელზე და მოცემულ შემთხვევაში მოპასუხეს აეკრძალოს ლიტერატურული ნაწარმოების გამოქვეყნება მანამდე, სანამ არ გადაწყდება სადავო ლიტერატურულ ნაწარმოებზე ავტორობის უფლების საკითხი.³² ერთ-ერთ საქმეზე სარჩელის საგანს წარმოადგენს მოსარჩელის სახელზე რეგისტრირებული დიზაინით დამზადებული პროდუქციის რეალიზაციის აკრძალვა და პროდუქციის განადგურება. მოსარჩელე აღნიშნავს, რომ მის სახელზე რეგისტრირებული დიზაინის გამოყენებით შპს „ა“ დამზადებული პროდუქციის იმპორტს ეწევა. აღნიშნულიდან გამომდინარე, განმცხადებელი ყადაღის დადებას ითხოვს მოპასუხე შპს „ა“-ს მიერ შემოტანილ საქონელზე, რომლის შეფუთვაც, მოსარჩელის მოსაზრებით, უკანონოა და დამზადებული მოსარჩელის კუთვნილი დიზაინით. სასამართლოს დასკვნები უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე იმ დასაბუთებას დაეფუძნა, რომ მოპასუხის მიერ პროდუქციის სამოქალაქო ბრუნვაში გაშვებისა და რეალიზაციის შემთხვევაში, მისი განადგურება შეუძლებელი გახდება, რითაც განმცხადებელს მიადგება მნიშვნელოვანი ზიანი. სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში კი შეუძლებელი გახდება გადაწყვეტილების აღსრულება, რადგან

³² შ. ქურდაძე, სამოქალაქო საქმეთა განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოში. თბ. 2006 წ.

უზრუნველყოფის ღონისძიების გარეშე გადანყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის მომენტისათვის აღსრულების საგანი აღარ იარსებებს.³³

საქართველოს სასამართლოების პრაქტიკაში აღიარებით სარჩელე-ბთან დაკავშირებით საინტერესოა უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციები, სადაც აღნიშნულია, რომ „სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება, აღიარებითი სარჩელის გამოყენების დროს, ისევე შესაძლებელია, როგორც მიკუთვნებითი სარჩელის არსებობის შემთხვევაში. აღიარებითი სარჩელის დროს სამართალური თეროების აქტიური ცენტრი გადატანილია უფლებაზე, მხარე ითხოვს თავისი უფლების დაცვას, რათა მომავალში არ დაირღვეს ის. იმ აღიარებითი გადანყვეტილებით მხარე იძენს გარკვეული მოქმედებების განხორციელების შესაძლებლობას და ამდენად, მას აქვს პატივსადები მიზეზი, რომ სასამართლოს თავისი სამომავლო მოქმედებების განხორციელების შესაძლებლობის უზრუნველყოფა მოსთხოვოს.“³⁴

³³ თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება საქმე საქმე №2ბ/3987-17.

³⁴ რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე 2007.

დიანა ბერიკაშვილი პაატა ქათამაძე

196-ე და 199-ე მუხლები

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით მიყენებული ზიანის თავიდან აცილების საპროცესო-სამართლებრივი საშუალებები

1. მუხლი 196. სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის შეცვლა მეორით

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებით ზიანის დადგომის თავიდან აცილების ერთ-ერთი ეფექტური საპროცესო საშუალება სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორით შეცვლაა. ეს გულისხმობს როგორც საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრული ერთი უზრუნველყოფის ღონისძიების მეორეთი ჩანაცვლებას, ასევე უზრუნველყოფის საგნის შეცვლასაც, რამეთუ საპროცესო კანონმდებლობა ცალკე უზრუნველყოფის საგნის ჩანაცვლებას (ერთი ქონების ნაცვლად სხვა ქონებაზე ყადაღის დადება) არ არეგულირებს და ამგვარი შემთხვევაც მითითებული ნორმის საფუძველზე უნდა მოხდეს, რაც მოსარჩელის მოთხოვნასა და მოპასუხის ინტერესებს შორის გონივრული ბალანსის დაცვით არის ნაკარნახევი.

კანონმდებელი სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორით შეცვლას საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე მიიჩნევს დასაშვებად როგორც მოსარჩელის, ისე მოპასუხე მხარის მოთხოვნით და ამის სამართლებრივი საფუძველი სამოქალაქო პროცესის სუბიექტთა ინტერესების სრულყოფილი დაცვა და მოსალოდნელი ზიანის თავიდან აცილებაა. სამოქალაქო ბრუნვის თავისებურებიდან გამომდინარე, კანონმდებელი გონივრულად ვარაუდობს, რომ უკვე გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების შესაძლო უარყოფითი შედეგები, დასაშვებია, საქმის განხილვის ამა თუ იმ ეტაპზე გამოვლინდეს. კანონი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებასთან დაკავშირებით ითვალისწინებს მოპასუხის საფუძვლიან შიშს უზრუნველყოფის ღონისძიების შესაძლო უმართებულობაზე (სარჩელის დაუკმაყოფილებლობა) და მოპასუხის ინტერესების და-

ცვის სხვადასხვა სამართლებრივ ბერკეტებს (მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფა) ადგენს, მათ შორის მოპასუხეს აძლევს შესაძლებლობას, სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორით შეცვლა მოითხოვოს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლით განმტკიცებული დისპოზიციურობის პრინციპის მსგავსად, მხარე თავად წყვეტს, როდის მოითხოვოს აღნიშნული ცვლილების განხორციელება სასამართლოს მიერ. მიუხედავად იმისა, ადგება თუ არა ზიანი უზრუნველყოფის თავდაპირველი ღონისძიების დაწესების ეტაპზევე, მას ამ ღონისძიების შეცვლის მოთხოვნის უფლება საკუთარი დისკრეციის ფარგლებში ენიჭება, როდესაც საჭიროდ ჩათვლის. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 196-ე მუხლის პირველი ნაწილის დათქმა მხარეთა თხოვნით სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორით შეცვლის თაობაზე, არ შეიძლება მხოლოდ ორივე მხარის თხოვნის აუცილებლობით განიმარტოს, რადგან გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის თანმდევი ტვირთი და რისკი ორივე მხარეს აქვს. შესაბამისად, თუკი ესა თუ ის მხარე კონკრეტულ საქმეში გამოყენებული უზრუნველყოფის უპერსპექტივობას ასაბუთებს, მაგალითად, ღირებულების დაკარგვის ან პირიქით, მის სასარჩელო მოთხოვნასთან შეუსაბამობით, მას მონინაალმდევე მხარის თანხმობის გარეშე შეუძლია მოსთხოვოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შეცვლა.¹

მითითებული ნორმით გათვალისწინებული შესაძლებლობა მაშინ გამოიყენება, როდესაც მხარე სარწმუნოდ დაასაბუთებს, რომ ამგვარი ცვლილების განხორციელებით საშიშროება არ დაემუქრება არც სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებას და არც მონინაალმდევე მხარის კანონიერ ინტერესებს.² განმცხადებელმა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლით დაკისრებული მტკიცების ტვირთის რეალიზებით, ასევე, უნდა დაადასტუროს, რაში გამოიხატება თავდაპირველად გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებით მისთვის მიყენებული ზიანი და შემოთავაზებული ცვლილების მეშვეობით, როგორ აარიდებს თავს ასეთ ზიანს.³ ამრიგად, საქმის განხილვის მოცემულ ეტაპზე სა-

¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 13 ნოემბრის განჩინება №ას-1185-1114-2012

² საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 25 ნოემბრის განჩინება №ას-1165-1095-2015

³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 29 მარტის განჩინება ას-274-261-2016

სამართლო ამონშებს, რამდენად საფუძვლიანია მოპასუხის მიერ წარდგენილი შუამდგომლობა გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების შეცვლის თაობაზე და ხომ არ შეუშლის ხელს მოთხოვნილი ცვლილების განხორციელება მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებას; ან მისი განუხორციელებლობით მიადგება თუ არა ზიანი მხარის კანონიერ ინტერესებს.⁴ დავის არსიდან, საქმის მასალებისა და მხარის არგუმენტების ანალიზის საფუძველზე სასამართლოს უნდა შეექმნას დასაბუთებული ვარაუდი იმისა, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებაში ცვლილების შეტანა გამართლებულია და გადაწყვეტილების აღსრულების შეფერხების, თუ შეუძლებლობის საფრთხე არ დასტურდება. აღნიშნულის გადაწყვეტის წინაპირობა უზრუნველყოფის ღონისძიების მართებულობის, მხარეთა ინტერესების შესაძლო შელახვისა და სარჩელის საფუძვლიანობის წინაპირობების ურთიერთშეჯერება და ერთობლივად განხილვა-გადაწყვეტაა. ვინაიდან სარჩლის უზრუნველყოფის ღონისძიება ემსახურება საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებას, უზრუნველყოფის ღონისძიებისა თუ მისი საგნის ჩანაცვლების შემთხვევაშიც კი იგი დავის საგანთან მიმართებით უნდა იყოს ადეკვატური. მაგალითად, თუკი მოსარჩელე კონკრეტულ უძრავ ნივთზე ითხოვს მესაკუთრედ ცნობას და სადავო ნივთზე ყადაღის დადებით სამომავლო გადაწყვეტილების უზრუნველყოფა ხდება, ბუნებრივია, მისი საგნის ან უზრუნველყოფის ერთი ღონისძიების სხვა სახის ღონისძიებით ჩანაცვლება ეფექტიანი ვერ იქნება და გადაწყვეტილების აღსრულებას ვერ უზრუნველყოფს. სსსკ 196-ე მუხლით გათვალისწინებულ შუამდგომლობას მოპასუხე, უმეტესწილად, მაშინ მიმართავს, როდესაც დავა ფულადი ვალდებულების შესრულებას ეხება. როდესაც მოპასუხის ეკონომიკურ ინტერესშია ყადაღისაგან გაათავისუფლოს ქონება, რომელზეც, შესაძლოა, აღსრულებაც მოხდეს და მას ზიანი მიადგეს, ასეთ დროს მან სასამართლოს და მოსარჩელეს უნდა შესთავაზოს სხვა ქონება, რომლის გამოყენებაც ასევე ეფექტიანად შეიძლება გადაწყვეტილების აღსასრულებლად იმავე ფარგლებში, როგორც ჩასანაცვლებელი ქონება. მოპასუხემ შუამდგომლობის ფარგლებში უნდა წარმოადგინოს ზემოაღნიშნული გარემოების დამადასტურებელი რელევანტური მტკიცებულებები (მაგალითად, აუდიტორული დასკვნა და ა.შ.). სასამართლო დააკმაყოფილებს შუამდგომლობას, თუ დარწმუნდება,

⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 17 ნოემბრის განჩინება ას-1113-1033-2017

რომ დავის საგნის ღირებულებისა და სანაცვლოდ შემოთავაზებული დასაყადებელი ქონების სავარაუდო საბაზრო ღირებულების გათვალისწინებით, სარჩელის უზრუნველყოფის საგნის შეცვლა ადეკვატურია. სასამართლოს ასეთი დასკვნა ობიექტური მდგომარეობით - ყადაღის საგნის შეფასების დამადასტურებელი დოკუმენტით - და არა მოსამართლის მიხედვლებით უნდა დადგინდეს.

ერთ-ერთ საქმეზე პირველი ინსტანციის სასამართლომ არ დააკმაყოფილა მოპასუხის შუამდგომლობა უზრუნველყოფის საგნის შეცვლასთან დაკავშირებით და განმარტა, რომ ვინაიდან ავტომობილების ღირებულება, რომელთა ჩანაცვლებასაც ითხოვდა მოპასუხე უძრავი ქონებით და რომლებიც გამოყენებულია უზრუნველყოფის საშუალებად, არის 67 000 აშშ დოლარი, ხოლო სარჩელის უზრუნველყოფის ჩასანაცვლებელი საგნის - უძრავი ქონების ღირებულება 97 000 ლარია, აშაკრათა, რომ შემოთავაზებული უძრავი ქონების ღირებულება ბევრად ნაკლებია და არა ადეკვატური უზრუნველყოფის საგნის (ავტომობილების) ღირებულები-სა, რაც შუამდგომლობაზე უარის თქმის საფუძველი გახდა. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ ამ პოზიციის სანინააღმდეგოდ განმარტა, რომ ადეკვატური და ტოლფასი უნდა იყოს არა დაყადებული ქონება და ჩასანაცვლებლად შემოთავაზებული ქონება (ღირებულებები), ისინი შესაძლოა, არც იყოს ტოლფასი (და სწორედ ამით ილახებოდეს მოპასუხის ლეგიტიმური ინტერესები), არამედ სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის მიზნებიდან გამომდინარე, მოპასუხის მიერ შემოთავაზებული უზრუნველყოფის საგანი, რომელიც სხვა საგნით უნდა შეიცვალოს, სასარჩელო მოთხოვნათა ფარგლებში, სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებას უნდა უზრუნველყოფდეს.⁵

სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორეთი შეცვლით მოპასუხეს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებით დაკისრებული ტვირთის შემსუბუქება შეუძლია იმ პირობებში, როდესაც მოსარჩელის სარჩელი მისი მოთხოვნის ფარგლებშია უზრუნველყოფილი და კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებას ეჭვქვეშ არ აყენებს. სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორით შეცვლა სასამართლოს უფლებამოსილებაა და არა ვალდებულება, რომელიც განპირობებული უნდა იყოს მნიშვნელოვნად შეცვლილი გარემოებებით და

⁵ თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება საქმე საქმე №2ზ/855-17

მიზანშეწონილობით.⁶ მოპასუხის აპელაცია და, შესაბამისად, სასამართლოს დასკვნები სარჩელის უზრუნველყოფის შეცვლასთან დაკავშირებით უნდა ემყარებოდეს ამგვარი ჩანაცვლებით აღსრულების ეფექტური მექანიზმების შენარჩუნებას. როდესაც მოპასუხე ითხოვს სარჩელის უზრუნველყოფის სახით უძრავ ქონებაზე ყადაღის მოხსნას და სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის ღონისძიების მეორეთი შეცვლას, მაგალითად, საზოგადოებაში წილის გასხვისებისა და უფლებრივად დატვირთვის აკრძალვით, სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების როლსა და მნიშვნელობას სასამართლოს მიერ სამომავლოდ შესაძლოდ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებასთან მიმართებით და მოცემული საკითხის შეფასებისათვის უმთავრესად უნდა მიიჩნიოს ის გარემოება, რომ განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში მოსარჩელე რჩება მისი სამომავლო უფლების რეალიზაციის ისეთი მყარი და სტაბილური გარანტიის გარეშე, როგორსაც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით უძრავ ნივთზე ყადაღის დადება წარმოადგენს. უდავოა, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებებიდან ერთ-ერთი ყველაზე ქმედითი და ეფექტიანი სწორედ უძრავი ქონების მიმართ აღსრულების მიქცევაა. მაგალითად, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების წილის ღირებულება უამრავ გარეშე ფაქტორზე დამოკიდებული და არასტაბილურია, შესაბამისად, სარჩელის უზრუნველყოფისათვის, შეიძლება, საკმარისი არ იყოს საზოგადოების წილის მიმართ განხორციელებული არა თუ ყადაღა, არამედ წილის გასხვისებისა და უფლებრივად დატვირთვის აკრძალვაც კი.⁷

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 196-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ფულადი თანხების გადახდევინების შესახებ სარჩელის უზრუნველყოფისას მოპასუხეს შეუძლია მიღებულ უზრუნველყოფის ღონისძიებათა ნაცვლად მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი თანხა სასამართლოს სადეპოზიტო ანგარიშზე შეიტანოს. აღნიშნული ნორმა ითვალისწინებს მოპასუხის მხრიდან სასამართლოს სადეპოზიტო ანგარიშზე მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი თანხის და არა საკუთარი შეხედულებისამებრ განსაზღვრული თანხის განთავსებას. ასეთ დროს მოპასუხემ უნდა წარმოადგინოს მტკიცებულება, რომ მან უკვე განათავსა მოსარჩელის სა-

⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 28 ივლისი განჩინება საქმე №ას-498-478-2016

⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 29 მარტის განჩინება ას-274-261-2016

სარგებლოდ გადაწყვეტილების უზრუნველსაყოფად შესაბამისი თანხა სადეპოზიტო ანგარიშზე, რაც იმას ნიშნავს, რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დაკმაყოფილებული სასარჩელო მოთხოვნის ტოლფასი ღირებულების უზრუნველყოფის სახით შეიძლება უკვე გამოყენებული უზრუნველყოფის ერთი სახის ღონისძიების მეორეთი შეცვლა, თუკი ეს სრულად დააკმაყოფილებს კრედიტორის ინტერესს.⁸ იგივე პრინციპი გამოიყენება სასამართლოს სადეპოზიტო ანგარიშზე თანხის განთავსების ნაცვლად მოპასუხის მხრიდან მისი საბანკო ანგარიშების მოთხოვნის ფარგლებში დაყადაღების ან საბანკო გარანტიის შეთავაზებისას. მოპასუხის მიერ ამგვარი შეთავაზების განხორციელების დროს, მან უნდა წარმოადგინოს მის პირად საბანკო ანგარიშებზე სადავო თანხის განთავსების მტკიცებულება. ამასთან, სასამართლო გააუქმებს წინა უზრუნველყოფის ღონისძიებას, როდესაც დარწმუნდება, რომ მოპასუხის მიერ წარმოდგენილ საბანკო ანგარიშებზე არსებული თანხები დაყადაღდა და უზრუნველყოფის შეცვლის განჩინება აღსრულდა. საბანკო გარანტიაც, ასეთის გამოყენების შემთხვევაში, ასევე, გაცემული უნდა იყოს მოსარჩელის მიერ მოთხოვნილ თანხაზე,⁹ როდესაც მოპასუხე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას, მისი შეცვლის მოთხოვნის დროს განმარტავს, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების ცვლილება გამართლებულია და საბანკო გარანტიის გამოყენებით სარჩელის უზრუნველყოფა შესაძლებელია. ზემოთ აღინიშნა, რომ მოპასუხის მიერ შემოთავაზებული უზრუნველყოფის სახე უკვე გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების ტოლფასი უნდა იყოს, რაშიც იგულისხმება არა მარტო შემოთავაზებული უზრუნველყოფის მოცულობა, არამედ მისი ეფექტურობაც - უზრუნველყოფის გადაწყვეტილების აღსრულება მისი გაძნელების, გაჭიანურების და სხვა გარემოებების თავიდან აცილების გზით. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სარჩელის უზრუნველსაყოფად ისეთი ღონისძიება უნდა გამოვიყენოთ, რომელიც მოსარჩელეს შესაძლებლობას მისცემს, მოპასუხის მიერ გადაწყვეტილების აღსრულებლობის შემთხვევაში, იძულებითი აღსრულების პროცედურები დაიწყოს და გადაწყვეტილების აღსრულების შესაძლებლობა დამოკიდებული არ იყოს მესამე პირთა მხრიდან ვალდებულების შესრულებაზე. თუ იმ გარემოება-

⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 14 დეკემბერი განჩინება №ას-778-727-2017

⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 19 ივლისი განჩინება ას-454-436-2016

საც გავითვალისწინებთ, რომ დღეს სასამართლო პრაქტიკაში საბანკო გარანტიით თანხების მიღებასთან დაკავშირებით ბევრია სადავო, ამ ღონისძიების გამოყენებისას სასამართლომ განსაკუთრებული სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს, რადგან, შესაძლოა, წარმოდგენილი საბანკო გარანტიები გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის ასეთ შესაძლებლობას არც იძლეოდეს. ბენეფიციარის მიერ მოთხოვნის წარდგენის შემთხვევაშიც კი, გადაწყვეტილების აღსრულება, შეიძლება, დამოკიდებული გახდეს გარანტის ნებაზე და ბენეფიციარს (მოსარჩელეს) თანხების მისაღებად და კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსასრულებლად ცალკე დავების წამოწყება დასჭირდეს, რაც ცალსახად ეწინააღმდეგება სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის მიზანს. გარდა ამისა, საბანკო გარანტიები მოქმედებს ამავე გარანტიებით განსაზღვრული ვადით, რამაც, ასევე, შესაძლებელია დააბრკოლოს ან საერთოდ შეუძლებელი გახადოს გადაწყვეტილების აღსრულება, რადგან ძნელია განჭვრეტა, რა ვადაში დასრულდება საქმე, რომლის უზრუნველსაყოფადაც საბანკო გარანტიაა გაცემული.¹⁰ ამდენად, სასამართლომ არ უნდა შეცვალოს უკვე გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება მხარის მიერ შემოთავაზებული იმგვარი სახით, თუ სამომავლო შესაძლო გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობის თვალსაზრისით, აღნიშნული ცვლილება მოსარჩელის მდგომარეობას აუარესებს და ახალი დავების პროვოცირებას ახდენს. საკასაციო სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე არ დააკმაყოფილა მხარის შუამდგომლობა უზრუნველყოფის ღონისძიების ერთი სახის მეორით შეცვლის შესახებ და მიუთითა: „მოცემულ შემთხვევაში, მხარეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების ბალანსის გონივრულად შეფასებისას, სასამართლოსთვის ამოსავალი პრინციპია გადაწყვეტილების აღსრულებადობა, რაც რეალური უნდა იყოს. მოპასუხის შეთავაზება ეხება არა არსებულ ფაქტს - სადეპოზიტო ანგარიშზე თანხის შეტანას, არამედ მომავალ მოქმედებას, რაც უზრუნველყოფილი გადაწყვეტილების აღსრულებას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს.¹¹ სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორით შეცვლა სასამართლოს უფლება-მოსილებაა და არა ვალდებულება და იგი მნიშვნელოვნად შეცვლილი გარემოებებითა და მიზანშეწონილობით უნდა იყოს განპირობებული.¹²

¹⁰ თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება საქმე №2ბ/3363-16

¹¹ სუსგ # ას-498-478-2016, 28.07.2016წ.

¹² სუსგ # ას-1165-1095-2015, 25.11.2015წ.

2. მუხლი 199. სარჩელის უზრუნველყოფით გამონვეული ზარალის ანაზღაურება

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით მიყენებული ზიანის თავიდან აცილების ერთ-ერთი ეფექტური საპროცესო-სამართლებრივი საშუალება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ დასაბუთებული განცხადების წარდგენის ვალდებულებაა, თუმცა, ადეკვატური სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მიუხედავად, გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება შეიძლება ზიანს აყენებდეს მოპასუხეს. ზიანის ცნების ქვეშ, რა თქმა უნდა, არ იგულისხმება უფლების დროებით შეზღუდვა, ვინაიდან უზრუნველყოფის ღონისძიების დანიშნულებაა სწორედ რომ უფლების დროებითი შეზღუდვა (გასხვისების აკრძალვა, ქმედების განხორციელების აკრძალვა, ნივთობრივი უფლებით დატვირთვის აკრძალვა და ა. შ). სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებით ზიანის მიყენება უფლების დაუშვებელ ხელყოფას გულისხმობს, როგორცაა, მაგალითად, ფაქტობრივი ზიანის დადგომა ან შემოსავლის დაკარგვა. ასეთ შემთხვევაში მოპასუხე უფლებამოსილია, მოსალოდნელი ზარალის უზრუნველყოფა მოითხოვოს, ანუ ე.წ. უზრუნველყოფის შებრუნება. მართალია, სარჩელის უზრუნველყოფის შებრუნება, ანუ მოსალოდნელი ზიანის უზრუნველყოფის მოთხოვნა, მოპასუხის უფლებაა და დაკმაყოფილებას მხოლოდ მოსალოდნელი ზიანის დასაბუთების პირობებში ექვემდებარება, მაგრამ უზრუნველყოფის ღონისძიების შებრუნების გამოყენება ასევე შესაძლებელია სასამართლოს ინიციატივითაც, როდესაც ზიანის დადგომა გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიებით აშკარა და თვალსაჩინოა.

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით, თავისთავად ცხადია, რომ მოვალის უფლებები იზღუდება, თუმცა, ეს კანონით გათვალისწინებული საშუალებაა - სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება აღუსრულებლობის საფრთხისგან იყოს დაცული. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებას სასამართლო ვარაუდის საფუძველზე იღებს, ხოლო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების გამო მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილება უფრო მაღალ სტანდარტს ეფუძნება. შესაბამისად, მხარემ, რომელიც სარჩელის უზრუნველყოფით გამონვეული ზარალის ანაზღაურებას ითხოვს, იმ მოსალოდნელ ზიანზე უნდა მიუთითოს, რომელიც, შეიძლე-

ბა, რეალურად მოჰყვეს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებას და თავისი მოსაზრებაც სათანადოდ სარწმუნოდ უნდა დაასაბუთოს. იმ ფაქტობრივი გარემოებების დამტკიცება, რომელიც მოსარჩელისგან შესაბამისი გარანტიის წარდგენის აუცილებლობის ვარაუდს ადასტურებს, სსსკ-ის 102-ე მუხლის მიხედვით, განმცხადებელს ეკისრება.¹³

სსსკ-ის 199-ე მუხლის პირველი ნაწილისა და ამავე კოდექსის მე-5 მუხლის თანახმად, მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის მომთხოვნმა მოპასუხემ უზრუნველყოფის გარანტიის გამოყენების აუცილებლობა უნდა დაასაბუთოს. ამასთან, დასაბუთება უნდა იყოს საფუძვლიანი, რადგან დასაბუთებული ვარაუდი გულისხმობს გადაწყვეტილების მიღებას არა მხოლოდ ეჭვის ან ფორმალური ანალიზის საფუძველზე, არამედ მტკიცებულებებზე დაყრდნობით და ლოგიკურ დასკვნას მოთხოვნის საფუძვლიანობის შესახებ. მოხმობილი ნორმით გათვალისწინებული საპასუხო უზრუნველყოფა მოპასუხის ინტერესების სამართლებრივი დაცვის საშუალებაა, რომელიც გაუმართლებელი ღონისძიებით მიყენებული ზარალის ანაზღაურებას უზრუნველყოფს. სასამართლო უფლებამოსილია, სარჩელის უზრუნველყოფის გარანტირება მოახდინოს როგორც თავისი ინიციატივით, ასევე მოპასუხე მხარის განცხადების საფუძველზე. ამასთან, ორივე შემთხვევაში, მისი გამოყენება დამოკიდებულია მოსალოდნელ, შესაძლო ზიანის წარმოშობის საფრთხეზე. ასეთი საფრთხის ვარაუდს უნდა ქმნიდეს ისეთი ფაქტობრივი გარემოებები, რომლებმაც, შესაძლოა, ზიანი მიაყენოს მხარეს. ამდენად, მოპასუხისთვის მიყენებული ზიანის უზრუნველყოფის გარანტიების შექმნის საჭიროება მაშინ დგება, როდესაც განმცხადებელი დაადასტურებს, რომ სახეზეა ზიანი, რომელიც მოპასუხეს უზრუნველყოფის ღონისძიებით ადგება ან შეიძლება მიადგეს. კანონის მითითებული დანაწესი ითვალისწინებს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისგან მოპასუხის თავდასაცავ მექანიზმს ისეთი შემთხვევისათვის, როდესაც სარჩელის უზრუნველყოფის ამა თუ იმ სახის ღონისძიების გამოყენების შედეგი მოპასუხისთვის ზიანის მომტანია. ასეთ დროს დასაშვებია, რომ მოსარჩელეს ობიექტურად სავარაუდო ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა მოეთხოვოს.

¹³ სუსგ საქმე ას-1470-1390

ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ: სსსკ-ის 199-ე მუხლის პირველი ნაწილის ბოლო წინადადებით მოპასუხისთვის განსაზღვრულია უფლებამოსილება, სასამართლოსგან განცხადებით მოითხოვოს მისი უზრუნველყოფის გარანტია. თუმცა მისი გამოყენების აუცილებლობა მოპასუხის (მოვალის) მტკიცების ტვირთია [სსსკ-ის 102-ე მუხლი], ვინაიდან ზიანის უზრუნველყოფის გარანტიების შექმნის საჭიროება დგება მაშინ, როდესაც სასამართლოს დასაბუთებული ეჭვი აქვს, რომ უზრუნველყოფის ღონისძიება შეიძლება გაუმართლებელი აღმოჩნდეს; გარდა ამისა, სახეზეა ზიანი, რომელიც მოპასუხეს უზრუნველყოფის ღონისძიებით ადგება ან შეიძლება, მიადგეს. სასამართლოს მიერ საკუთარი ინიციატივით ზიანის უზრუნველყოფის გამოუყენებლობის შემთხვევაში, ზიანი მოპასუხის მტკიცების საგანში შემავალი გარემოება ხდება და მან უნდა ამტკიცოს, რომ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიებით დაუშვებლად ილახება მისი უფლებები და ზიანი ადგება, ანდა მისთვის ზიანის მიყენება გარდაუვალია.¹⁴

მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის განჩინება არ საჩივრდება და მოსარჩელე ვალდებულია, უზრუნველყოფის გარანტია ამ განჩინების ჩაბარებიდან სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადამდე წარადგინოს. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო დაუყოვნებლივ გამოიტანს განჩინებას სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების შესახებ. ამგვარი განჩინების გასაჩივრება აზრს დაუკარგავდა გარანტიის გამოყენების მიზანსა და დანიშნულებას, მყისიერად განხორციელდეს მოპასუხის ინტერესების დაცვა ზიანის შემთხვევაში. თუმცა მოსარჩელეს უფლება აქვს, გაასაჩივროს უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების განჩინება, რომელიც სწორედ გარანტიით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის საფუძველი გახდა, ასეთ ვითარებაში მოსარჩელის საჩივარი, ბუნებრივია, სწორედ გარანტიის გამოყენების შესახებ სასამართლოს დასკვნებზე აპელაციას დაეფუძნება.¹⁵

¹⁴ სუსგ ას-450-422-2017, 11.04.2017 წ

¹⁵ შეადრ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის გადაწყვეტილება №2/6/746

3. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები და მოპასუხის უფლებების პროპორციული შეზღუდვა, მხარეთა ინტერესებს შორის ბალანსის დაცვა

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები შეიძლება იყოს ყადაღის დადება ქონებაზე, ფასიან ქალაქებსა თუ ფულად სახსრებზე, რომლებიც მოპასუხეს ეკუთვნის და არის მასთან ან სხვა პირთან.

1. საქართველოს კონსტიტუციის 62-ე მუხლის მე-5 პუნქტი ადგენს, რომ სამართალწარმოება ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე. დავის არსებითად გადაწყვეტამდე, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას, მოდავე მხარეთა ინტერესებს შორის ბალანსის დაცვა სასამართლომ უნდა უზრუნველყოს. უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მაქსიმალურად გასათვალისწინებელია ორივე მხარის კანონიერი ინტერესი. სარჩელის უზრუნველყოფის და დავის საგნის დაცვის აუცილებლობიდან გამომდინარე, რითაც ხდება მოსარჩელის კანონიერი ინტერესის რეალიზაცია და მისი სარჩელის უზრუნველყოფა, მოპასუხე მხარის კანონიერი ინტერესი უპირობოდ და ცალსახად კი არ უნდა შეილახოს, არამედ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება მოპასუხე მხარის კანონიერი ინტერესის გონივრულ ფარგლებში შეზღუდვა-შევიწროებით უნდა განხორციელდეს და თანაც იმ ოდენობით, რაც მოსარჩელის კანონიერი ინტერესის დაცულობისათვის არის აუცილებელი. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მხარეთა ინტერესების დასაბალანსებლად უნდა გამოირიცხოს არაადეკვატური და არათანაზომიერი უზრუნველყოფის ღონისძიება.

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება მოსარჩელის ინტერესების დაცვის ქმედითი, თუმცა დროებითი ზომია, რომელიც განცხადებაში მითითებული გარემოებების, ასევე, სარჩელის საფუძვლიანობის ფორმალურ კვლევას ემყარება. უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების კუთხით გაკეთებული სასამართლოს დასკვნები საქმის არსებითად განხილვისას ჩამოყალიბებულ შედეგზე გავლენას არ ახდენს. უზრუნველყოფის ინსტიტუტის გამოყენებისას, ბუნებრივია, შეფასების ობიექტი იმ სამომავლო სიკეთის დაცვაა, რომელიც მართლმსაჯულების განხორციელებას უნდა მოჰყვეს შედეგად, თუმცა, ამავდროულად, გასათვალისწინებელია პროპორცია ამ სიკეთესა და მოპასუხის ინტერესის შეზღუ-

დვას შორის; ანუ სასამართლო უნდა მივიდეს დასკვნამდე, რომ არსებობს სარჩელის უზრუნველყოფის აუცილებელი წინაპირობები და ამის პარალელურად მოპასუხისთვის დაწესებული შეზღუდვაც პროპორციული უნდა იყოს.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე განმარტა, რომ წინასწარი სამართალწარმოება [სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება] ევროსასამართლოს განმარტებით, რიგ შემთხვევაში, ექცევა კიდევაც ადამიანის უფლებათა ევროკონვენციის მე-6 მუხლით დაცულ სფეროში. საქმეზე - „მიქალეფიმალტის წინააღმდეგ“ (საჩივარი N 17056/06) ევროსასამართლოს დიდმა პალატამ განმარტა შემდეგი: იმისათვის, რომ მე-6 მუხლი, მისი „სამოქალაქო“ ნაწილის მხრივ იყოს გამოყენებული, უნდა არსებობდეს დავა სამოქალაქო უფლების ირგვლივ, რომელიც, თუნდაც სადავო საფუძვლებზე, აღიარებული უნდა იყოს ეროვნული კანონმდებლობით, მიუხედავად იმისა, დაცულია თუ არა იგი კონვენციის მიერ. დავა უნდა იყოს ნამდვილი და სერიოზული; იგი შესაძლებელია, ეხებოდეს უფლების არა მარტო რეალურ არსებობას, არამედ მის მასშტაბსა და განხორციელების საშუალებასაც; დაბოლოს, სამართალწარმოების შედეგი უნდა იყოს უშუალოდ გადამწყვეტი განსახილველი უფლებისათვის. უფრო უმნიშვნელო კავშირი ან ზოგადი შედეგები საკმარისი არ არის მე-6 მუხლის 1 ნაწილის გამოსაყენებლად *inter alia*, *Mennitto v. Italy [GC]*, no. 33804/96, § 23, ECHR 2000 X; და *Gülmez v. Turkey*, no. 16330/02, § 28, 20 მაისი 2008).

იმ კანონმდებლობის ბუნება, რომელიც საკითხის განხილვას აწესრიგებს (სამოქალაქო, სავაჭრო, ადმინისტრაციული თუ სხვა კანონით), ისევე, როგორც ორგანო, რომელსაც განხილვის უფლებამოსილება აკისრია (საერთო სასამართლო, ადმინისტრაციული ორგანო თუ სხვა) ნაკლები მნიშვნელობისაა (იხ. *J.S. and A.S. v. Poland*, no. 40732/98, § 46, 24 მაისი 2005). წინასწარი სამართალწარმოება, დროებითი ღონისძიებების მსგავსად (მაგალითად, შემაკავებელი ორდერი), ჩვეულებრივ, არ ითვლება სამოქალაქო უფლებებისა და მოვალეობების განმსაზღვრელად და, შესაბამისად, მე-6 მუხლის დაცვის ქვეშ არ ხვდება ხოლმე (იხ. *inter alia*, *Wiot v. France*, (dec.), no. 43722/98, 15 მარტი 2001; *APIS a.s. v. Slovakia*, (dec.), no. 39794/98, 13 იანვარი 2002; *Verlagsgruppe News GMBH v Austria*, (dec.), no. 62763/00, 16 იანვარი 2003; და *Libert v Belgium*, (dec.), no. 44734/98, 8 ივლისი 2004). აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ სასამართლო მე-6 მუხლს იყენებს მხოლოდ საქმის არსებითი მხარის განხილვისას და არა ამგვარი ღონისძიებების პირველადი მოთხოვნის მომე-

ნტიდან (იხ. *Jaffredou v. France (dec.)*, no. 39843/98, 15 დეკემბერი 1998, და *Kress v. France [GC]*, no. 39594/98, § 90, ECHR, 2001-VI). ამის მიუხედავად, რიგ საქმეებში სასამართლოს გამოუყენებია მე-6 მუხლი წინასწარი სამართალწარმოების დროსაც, კერძოდ, კი მათი გადამწყვეტი მნიშვნელობის გამო მომჩივნის სამოქალაქო უფლებების განსაზღვრაზე (იხ. *Aerts v. Belgium*, 30 ივლისი 1998, Reports 1998-V, და *Boca v. Belgium*, no. 50615/99, ECHR 2002-IX). უფრო მეტიც, ევროსასამართლომ დაადგინა, რომ პრინციპიდან, რომლის შესაბამისადაც მე-6 მუხლი წინასწარი სამართალწარმოებისას არ გამოიყენება, გამონაკლისი უნდა გაკეთდეს, როდესაც დროებითი განჩინება, გამონაკლისის სახით, განსხვავებულ მიდგომას მოითხოვს, რადგანაც მოთხოვნილი ზომა რადიკალურია და სათანადო ხარისხის არმქონე; ასევე, მაშინაც, თუ აპელაციისას, მისი გაუქმების გარეშე, მხარეებზე იგი მნიშვნელოვანი დროის განმავლობაში იქონიებს ზეგავლენას (იხ. *Markass Car Hire Ltd v. Cyprus, (dec.)*, no. 51591/99, 23 ოქტომბერი, 2001).¹⁶

4. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება - ყადაღის დადება მოპასუხის ქონებაზე

პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც დავის საგანია ფულადი ან სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულება და მოსარჩელის შუამდგომლობა მიმართულია მოპასუხის ქონებაზე ყადაღის დადებისკენ. მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევის პირობებში, არსებობს ალბათობის მაღალი ხარისხი, რომ იგი კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადასტურებელი ვალდებულებების ნებაყოფლობით შესრულებასაც აარიდებს თავს; ხოლო იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულების პირობებში არ იარსებებს ქონება, საიდანაც შეიძლება მოხდეს იძულებითი აღსრულება, გადაწყვეტილება აღუსრულებელი დარჩება. თუმცა ზოგჯერ ამგვარი სარჩელის უზრუნველსაყოფად საკმარისია მოპასუხისთვის გარკვეული შეზღუდვების დაწესებაც. ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო პალატამ განმარტა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის პირველი ნაწილის დათქმა უზრუნველყოფის ღონისძიების სახის განსაზღვრის თაობაზე, მხარის მოთხოვნის მიუხედავად, საბოლოოდ, სასამართლოს პრეროგატივაა, რომელიც მან გო-

¹⁶ სუსგ საქმე №ას-157-157-2018

ნიერულობის პრინციპით უნდა შეარჩიოს. ამ შემთხვევაში, შეფასების საგანს წარმოადგენს, როგორც სამომავლოდ მისაღები გადანყვეტილების აღსრულებისათვის შესაბამისი გარანტიის შექმნა, ისე - მოწინააღმდეგე მხარის ინტერესების შეძლებისდაგვარად მინიმალურად შეზღუდვა. ამავ ე ნორმის მე-2 ნაწილი ადგენს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა ჩამონათვალს და ამ ღონისძიებათაგან ყველაზე მკაცრი სწორედ ქონებაზე ყადაღის დადებაა, რამდენადაც „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 631-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, უძრავ ქონებაზე ყადაღის დადება ნიშნავს ქონების აღწერას და მე-საკუთრისთვის მისი განკარგვის – ნებისმიერი ფორმით გასხვისების, იპოთეკით, უზურფრუქტით, სერვიტუტით ან აღნაგობით დატვირთვის, მასზე თხოვების, ქირავნობის ან/და იჯარის ხელშეკრულების დადების – აკრძალვას. რეგისტრაციას დაქვემდებარებულ ქონებას ყადაღა დაედება აღსრულების ეროვნული ბიუროს მიმართვის, ხოლო უძრავ ქონებაში განთავსებულ მოძრავ ნივთებს – ქონების აღწერისა და დაყადაღების აქტის საფუძველზე. უძრავ ქონებაზე ყადაღის დადება ხდება მოძრავ ქონებაზე ყადაღის დადებისათვის დადგენილი წესით. ყადაღის დადების ან გაუქმების აქტი/მიმართვა დაუყოვნებლივ ეგზავნება შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოს. როგორც მოსარჩელეთა ინტერესების დაცვის, ისე - მოპასუხეთა უფლებების შეზღუდვის პროპორციულ ზომას სარჩელის საგნიდან გამომდინარე (მაგალითად, ფულადი ვალდებულების შესრულების დავებზე), შესაძლოა, წარმოადგენდეს არა ქონებაზე ყადაღის დადება, არამედ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი, რომლის საფუძველზეც მოპასუხეებს შეიძლება, აეკრძალოთ ყადაღადადებული უძრავი ქონების გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა.¹⁷

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 196¹-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ყადაღადადებული ქონების ღირებულება არსებითად არ უნდა აღემატებოდეს სარჩელის ფასს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მოპასუხე ერთადერთი ნივთის მესაკუთრეა. ამდენად, კანონმდებელმა დაუშვა დაყადაღებული ქონების ღირებულება და სარჩელის ფასს შორის არსებითი განსხვავება, როცა ეს ქონება მოპასუხეთა ერთადერთი საკუთრებაა. ე.ი. ასეთ დროს გადანყვეტილების აღსრულების ინტერესის დაცვა მიიჩნია პრიორიტეტულად. ამდენად, ამ ნორმით

¹⁷ სუსგ საქმე №ას-157-157-2018

უზრუნველყოფაზე უარის თქმის დროს, ეს საკითხიც უნდა გამოიკვლიოს და მისი შეფასების საფუძველზე გაკეთდეს დასკვნა. თუ მოსარჩელე ითხოვს, რომ მოპასუხეს საკუთრებაში რიცხული უძრავი ქონების გასხვისება/იპოთეკით დატვირთვა აეკრძალოს, მან შესაბამისი ორგანოდან (მაგალითად, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო) უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ მოპასუხის საკუთრებაში რაიმე ქონება არ გააჩნია. მოსარჩელის მიერ მისი უფლებამოსილების (შესაძლებლობის) ფარგლებში წარმოდგენილი ამგვარი რელევანტური მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა მოპასუხის საკუთრებაში არსებული ქონების შესახებ ინფორმაციას, მოხმობილი ნორმის გამოყენების წინაპირობებს ქმნის.

სსსკ-ის 191-ე მუხლი შესაძლებლობას აძლევს მოსარჩელე მხარეს, მხოლოდ საკუთარი კანონიერი უფლებების დაცვის მიზნით, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება მოითხოვოს. ამისათვის მოსარჩელემ სარწმუნოდ უნდა დაასაბუთოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საჭიროება, რათა სასამართლოს შეუქმნას რწმენა, კონკრეტულ გარემოებათა საფუძველზე, გადაწყვეტილების უზრუნველყოფის აუცილებლობის შესახებ. გადაწყვეტილების უზრუნველყოფის საკითხის გადაწყვეტისას და ერთ-ერთი მხარის უფლებების, თუნდაც კანონისმიერ ფარგლებში, შეზღუდვისას სასამართლო უნდა ემყარებოდეს დასაბუთებულ ვარაუდს, რომ აღნიშნული საპროცესო ღონისძიების გატარების გარეშე, ობიექტურად შეუძლებელი გახდება ან მნიშვნელოვნად გართულდება საქმის განხილვის სამართლებრივი შედეგის – სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება. საკუთრების ნებისმიერი შეზღუდვის შემთხვევაში, შეზღუდვა უნდა განხორციელდეს მხარეთა ინტერესებს შორის სამართლიანი ბალანსისა და პროპორციულობის პრინციპის გათვალისწინებით. საკუთრების უფლებაში ჩარევა უნდა პასუხობდეს დასახულ მიზანს და იმდენად უნდა იწვევდეს მესაკუთრის უფლებების შეზღუდვას, რამდენადაც ეს აუცილებელია ამ მიზნის მისაღწევად. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებას კანონმდებელი, ასევე, უკავშირებს სარჩელის სამართლებრივ პერსპექტიულობას და აფასებს, თუ რამდენად მოსალოდნელია სარჩელის დაკმაყოფილება, თუმცა აღნიშნული დავის სამართლებრივ ბედზე გავლენას ვერ მოახდენს. სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის მიზანია მოსარჩელის მატერიალური უფლებების რეალური განხორციელებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნა, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა. თუმცა, მხედველობაშია მისაღები, რომ სამოქალაქო

პროცესი თანაბარ მდგომარეობაში აყენებს პროცესის ორივე მხარეს – მოსარჩელესა და მოპასუხეს, შესაბამისად, მხარეთა თანასწორობის უმნიშვნელოვანესი პრინციპიდან გამომდინარე, სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის შეფასება უნდა მოხდეს როგორც მოსარჩელის, ისე მოპასუხის პოზიციიდან. ამგვარი შეფასებისას გასათვალისწინებელია, რომ დაცული იყოს თანაზომიერების პრინციპი, კერძოდ, მოსარჩელის მოთხოვნის უზრუნველსაყოფად გამოყენებული ღონისძიება ამ მოთხოვნის (სარჩელის საგნის) პროპორციული (ადეკვატური) უნდა იყოს და აშკარა შეუსაბამობა არ უნდა იკვეთებოდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენება ვერ გაამართლებს სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის მიზანს. ამიტომ სასამართლომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების საკითხის გადაწყვეტისას, ყოველთვის უნდა შეაფასოს, სარჩელის უზრუნველსაყოფად მის მიერ შერჩეული ღონისძიება არის თუ არა შესაბამისობაში მოსარჩელის მოთხოვნასთან, რომლის უზრუნველყოფასაც იგი ემსახურება.¹⁸ ბუნებრივია, თუკი სასარჩელო მოთხოვნა მიმართულია სადავო უძრავი ქონების მესაკუთრედ ცნობისკენ, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება ვერ იქნება მასზე შეზღუდვების დაწესება. არამედ უნდა მოხდეს სადავო ქონების დაყადაღება, რადგან მოპასუხის მიერ მისი კუთვნილი ქონების გასხვისების შემთხვევაში, შესაძლებელია, მოპასუხის საკუთრებაში აღარ აღმოჩნდეს ქონება, რომლის დაბრუნება მოსარჩელისთვის და ასევე, სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება შეუძლებელი იქნება. შეუზღუდავია მესაკუთრის ნება, განახორციელოს საკუთარი ქონების მიმართ სამართლებრივი შედეგის მქონე მოქმედებები, მაგალითად, გაყიდვა, გაჩუქება; შესაძლოა, უძრავი ქონება მესამე, კეთილსინდისიერ პირთა მფლობელობაში აღმოჩნდეს. ასეთ შემთხვევაში, თუკი გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის მომენტისთვის არ იარსებებს ქონება, რომელზეც მოსარჩელე პრეტენზიებს აცხადებს, გადაწყვეტილებააღსრულებლად იქცევა, ხოლო სარჩელის მიზანი ვერ მიიღწევა.

სარჩელის უზრუნველყოფის ზოგიერთი ღონისძიების გამოყენება, მაგალითად, ქონებაზე ყადაღის დადება თავისთავად უკავშირდება მოპასუხის მნიშვნელოვან კონსტიტუციურ უფლებას, კერძოდ, საკუთრების უფლებას. ყადაღის დაწესება წარმოადგენს კანონმდებლის ჩარევას ადამიანის ძირითადი უფლების კონსტიტუციით დაცულ სფეროში, ამგვარი

¹⁸ სუს საქმე №ას-1409-1329-2017

ჩარევა (შეზღუდვის) კი უნდა გამართლდეს თანაზომიერების პრინციპის გამოყენებით სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის საჯარო მიზნისა და საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული კერძო ინტერესის ურთიერთშეჯერების საფუძველზე. ყადაღის დაწესებით, კანონმდებელმა აუცილებელ საჭიროებად მიიჩნია მოსარჩელის მატერიალურ უფლებათა რეალური განხორციელების უზრუნველყოფა სასამართლო პროცესის დასრულებამდე, რაც სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობისა და სასამართლო გადაწყვეტილებათა ეფექტური და დაუბრკოლებელი აღსრულების საჯარო ინტერესის დაცვის მიზანს ემსახურება. ეს კი უდავოდ მნიშვნელოვანია სამართლებრივი სახელმწიფოს ფუნქციონირებისთვის და დემოკრატიული ინსტიტუტების ქმედითობას უწყობს ხელს.¹⁹

5. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება - ყადაღის დადება მოპასუხის საბანკო ანგარიშებზე

განსაკუთრებით სენსიტიურია უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება, როდესაც საქმე იურიდიული პირის საბანკო ანგარიშების დაყადაღებას ეხება. სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტი ერთნაირად იცავს როგორც მოსარჩელის, ისე - მოპასუხის ინტერესებს, ანუ მოსარჩელის ინტერესების უზრუნველყოფა არ ხდება მოპასუხის ინტერესების გაუთვალისწინებლად. სწორედ აღნიშნული პრინციპი უდევს საფუძველად იმ გარემოებას, როცა კანონმდებელი უშვებს სასამართლოს მიერ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობას და არა მის სავალდებულოობას. შესაბამისად. ისევე. როგორც უზრუნველყოფის სხვა ღონისძიება, იურიდიული პირის საბანკო ანგარიშებზე ყადაღის დადების საკითხიც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალურად უნდა გადაწყდეს; ასეთი გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლო უნდა დარწმუნდეს, რომ მოვალის საბანკო ანგარიშებზე ყადაღის დადება სასამართლო გადაწყვეტილების ეფექტიანი და დაუბრკოლებელი აღსრულების აუცილებელი და ერთადერთი საშუალებაა.²⁰

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება გონივრული უნდა იყოს, სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე, ემსახურებოდეს როგორც პირველადი, ასევე მეორადი მოთხოვნების შესრულებისთვის გარანტიების შექმნას. მენარმე სუბიექტის ანგარიშებზე ყადაღის დადებით,

¹⁹ სუს საქმე №ას-1249-2018

²⁰ სუს საქმე №ას-1249-2018

ხშირ შემთხვევებში, არათუ ხელი შეეწყო გადაწყვეტილების აღსრულებას, არამედ, შეიძლება, ხელი შეეშალოს მოვალის, როგორც მენარმე სუბიექტის გადახდის უნარიანობას და მის ფინანსურ შესაძლებლობას, შეასრულოს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადასტურებული ვალდებულებები. ამდენად, იურიდიული პირის ანგარიშებზე ყადაღის დადება, კრედიტორი შეიძლება ისეთ სამართლებრივ ვითარებაში აღმოჩნდეს, როდესაც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საფუძველზე, მენარმე სუბიექტის სამენარმეო საქმიანობის შეფერხების შედეგად, მოვალემ ვერც ნებაყოფლობით და ველარც „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მექანიზმების გამოყენებით, ველარ შეძლოს კრედიტორის წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შესრულება. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ სხვა საპროცესო უზრუნველყოფის გამოყენების შეუძლებლობის შემთხვევაში, ანგარიშზე ყადაღის დადება დაუშვებელია. მოსარჩელისა და მოპასუხის უფლებების თანაზომიერად დაცვის მიზნით, მოსარჩელემ ყველა ზომა უნდა მიიღოს მოპასუხის ქონების მოსაძიებლად, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ აღმოჩნდა, რომ მოპასუხეს არავითარი სხვა ქონება არ აქვს, სწორედ ასეთ ვითარებაში შეიძლება დადგეს მენარმე სუბიექტის ანგარიშზე არსებულ თანხაზე ყადაღის სახით, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობა. თუმცა, რაღა თქმა უნდა, ეს უნდა მოხდეს უზრუნველსაყოფი მოთხოვნის ოდენობის გათვალისწინებით და არა ანგარიშზე არსებულ მთლიან თანხაზე. ამასთან, აღსანიშნავია, რომ მოპასუხეს, თუ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების მიზნით, ანგარიშზე არსებულ თანხაზე ყადაღის დადებათ ზიანი ადგება, ასეთ ვითარებაში მოპასუხემ საჩივრის განხილვის ეტაპზე ზიანის მიყენების ფაქტი უნდა დაადასტუროს და მტკიცებულებებით დადასტურებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შებრუნება ან გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების სხვა სახის ღონისძიებით შეცვლა უნდა მოითხოვოს.

მართალია, მენარმე სუბიექტის საბანკო ანგარიშებზე არსებულ ფულად სახსრებზე ყადაღის დადება სარჩელის უზრუნველყოფის სახით, როგორც ყველაზე მკაცრი ღონისძიების გამოყენება მენარმე სუბიექტისთვის, უკიდურეს შემთხვევაში, შესაძლებელია, მაგრამ ეს არ გამოორიცხავს უზრუნველყოფის ღონისძიების ამ სახის გამოყენებას მენარმე სუბიექტების მიმართ. ასეთი გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლომ უნდა დაადგინოს, რომ მოვალის ანგარიშებზე ყადაღის დადება სასამართლო გადაწყვეტილების ეფექტიანი და დაუბრკოლებელი

აღსრულების აუცილებელი და ერთადერთი საშუალებაა და რომ მენარმე სუბიექტის ანგარიშებზე ფულადი სახსრების დაყადაღება სარჩელის უზრუნველსაყოფად გამართლებულია, როცა უზრუნველყოფის სხვა ღონისძიების გამოყენება ვერ ხერხდება. ერთ-ერთ საქმეზე მოსარჩელე უზრუნველყოფის შესახებ განცხადებაში უზრუნველყოფის ამ ღონისძიების გამოყენების აუცილებლობის საფუძველად იმ გარემოებას მიუთითებდა, რომ სანარმოს სხვა უძრავ-მოდრავი ქონება, რაც შეიძლებოდა, უზრუნველყოფის საგნად გამოყენებულიყო, არ გააჩნია; ასევე, არც მონინაალმდეგის საჩივარი შეიცავდა იმის სათანადო დასაბუთებას, თუ რატომ არ იყო მიზანშეწონილი გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველსაყოფად განმცხადებლის მიერ მითითებული გარემოებები; ანუ რატომ არ იქმნებოდა საფუძველი იმ ვარაუდისთვის, რომ მოცემულ საქმეზე მიღებული სასამართლო გადაწყვეტილება შეიძლება, ვერ აღსრულდეს ან აღსრულება მნიშვნელოვნად დაბრკოლდეს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების გარეშე. საჩივრის ავტორს არც თავად წარმოუდგენია, სსსკ 102-ე მუხლის თანახმად, იმ გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ მას აქვს სხვა უძრავ-მოდრავი ქონება, საიდანაც გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა შეიძლება. შესაბამისად, სასამართლომ დააკმაყოფილა მოსარჩელის შუამდგომლობა საბანკო ანგარიშებზე, სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებში, ყადაღის დადების თაობაზე.²¹

ისევე, როგორც, ზოგადად, უზრუნველყოფის ღონისძიება, მოპასუხის საბანკო ანგარიშებზე ყადაღის დანესება არის კანონმდებლის ჩარევა მხარის ძირითადი უფლების კონსტიტუციით დაცულ სფეროში. ამგვარი ჩარევა (შეზღუდვის) თანაზომიერების პრინციპის გამოყენებით უნდა გამართლდეს, რაც სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის საჯარო მიზნისა და საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული კერძო ინტერესის ურთიერთშეჯერების საფუძველზე ხდება. ერთ-ერთ საქმეზე, სადაც ყადაღა დაედო სამედიცინო დანესებულების (საავადმყოფოს, რომელიც დიალიზით ემსახურება პაციენტებს) საბანკო ანგარიშებს, სასამართლომ არ მიიჩნია მიზანშეწონილად უზრუნველყოფის ღონისძიების შენარჩუნება და განმარტა შემდეგი: მოპასუხე, გარდა იმისა, რომ სამენარმეო იურიდიული პირია, წარმოადგენს სამედიცინო დანესებულებას, რომელიც ეწევა სამედიცინო მომსახურებას შესაბამისი სანებართვო და სალიცე-

²¹ თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება საქმე №2ზ/33-18

ნზიო პირობების საფუძველზე; ამდენად, აკისრია სამედიცინო მომსახურების უწყვეტად განწესის ვალდებულებები, ჩართულია სახელმწიფო, მათ შორის დიალიზის პროგრამაში. ისეთ ვითარებაში, როდესაც სასწორზე დევს, ერთი მხრივ, მოსარჩელის ლეგიტიმური ინტერესი - აღსრულდეს კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება და, მეორე მხრივ - სამედიცინო დანესებულების, როგორც განსაკუთრებული საქმიანობის მქონე იურიდიული პირის საქმიანობის შემაფერხებელი შეზღუდვები - პალატის მოსაზრებით, ღირებულებათა კონკურენციის პირობებში, დადგენილი აკრძალვა ვერ იქნება ლეგიტიმური მიზნის პროპორციული. პალატის მოსაზრებით, სამედიცინო დანესებულების ანგარიშების დაყადაღებით მოპასუხე, შეიძლება, ისეთ სამართლებრივ ვითარებაში აღმოჩნდეს, როდესაც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საფუძველზე, მენარმე სუბიექტის სამენარმეო საქმიანობის შეფერხების შედეგად, გამოუსწორებელი ზიანი მიადგება არა მხოლოდ მოპასუხეს, არამედ სამკურნალო დანესებულების პაციენტებს, რომლებიც ვერ მიიღებენ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან სამედიცინო მომსახურებას. შესაბამისად, ასეთ ვითარებაში გამოყენებული აკრძალვა ვერ შეფასდება მხარის ინტერესთა შორის სამართლიანი ბალანსისა და პროპორციულობის პრინციპის გათვალისწინებულ შეზღუდვად. პალატამ განმარტა, რომ სასამართლო გადაწყვეტილებათა ეფექტიანი და დაუბრკოლებელი აღსრულების საჯარო ინტერესს ასეთ შემთხვევაში უპირისპირდება საქართველოს კონსტიტუციითა და პაციენტის უფლებათა შესახებ საქართველოს კანონით (მეხუთე მუხლი) გათვალისწინებული სამედიცინო მომსახურების მიღების უფლება. ამ ვითარებაში, საჯარო ინტერესთა კონკურენციის პირობებში დადგენილი აკრძალვა, სამედიცინო მომსახურების შეფერხება ლეგიტიმური მიზნის, გადაწყვეტილების აღსრულების საჯარო ინტერესის პროპორციული ვერ იქნება.²²

6. ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე იძულებით აღსრულების შეჩერება

ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე იძულებით აღსრულება მიზნად ისახავს კრედიტორის მიერ საკუთარი მოთხოვნის ეფექტიან დაკმაყოფილებას. ამიტომ ამ ტიპის სარჩელებთან

²² თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება საქმე №23/4526-19

დაკავშირებით სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების საკითხის გადანიშნულებისას (როგორც წესი, მოთხოვნა არის სააღსრულებო წარმოების შეჩერება) სასამართლომ გადანიშნულებას უნდა მიიღოს საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების, ამ ეტაპზე წარმოდგენილი მტკიცებულებების ყოველმხრივი შეფასების საფუძველზე ორივე მხარის უფლებებისა და ინტერესების გათვალისწინებით. საკითხის მხოლოდ ფორმალური ნიშნით გადანიშნულება და ნებისმიერი შედეგებისას, ყველა შემთხვევაში, სააღსრულებო წარმოების შეჩერება რისკის ქვეშ დააყენებს ამ ინსტიტუტის დანიშნულებას. სასამართლომ უარი უნდა უთხრას მოსარჩელეს აღსრულების შეჩერებაზე, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები, ფაქტები და მტკიცებულებები საკმარის საფუძველს არ იძლევა სარჩელის უზრუნველყოფის წინაპირობების არსებობის შესახებ დასკვნის გასაკეთებლად. ასეთ პირობებში სასამართლომ გაუმართლებლად უნდა მიიჩნიოს ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის შეჩერება. ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის შეჩერება ისეთ შემთხვევებშია დაშვებული, როდესაც მოვალე კონკრეტული გარემოებებით, ამ ეტაპზე წარმოდგენილი მტკიცებულებებითა და სარწმუნოების მაღალი ხარისხით ასაბუთებს სააღსრულებო ფურცლით განსაზღვრული ვალდებულების არამართებულობას (ვალდებულების შეწყვეტას, ბათილობას და ა.შ.). საკითხის სხვაგვარი განმარტება, როგორც ზემოთ ითქვა, რისკის ქვეშ დააყენებს ამ ინსტიტუტის დანიშნულებას. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ შესაძლო უფლების დარღვევის შემთხვევაში, მოვალე სამართლებრივი დაცვის საშუალების გარეშე უნდა დარჩეს. იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელე თავისი პოზიციის მართებულობას დაასაბუთებს, შესაძლებლობა ექნება კრედიტორისგან უსაფუძვლოდ მიღებული თანხები გამოითხოვოს. ზემოთ მოცემული მსჯელობა არ გულისხმობს, რომ დავის არსებითი განხილვის შედეგად სარჩელის დაკმაყოფილება არ შეიძლება. ამ ეტაპზე სარჩელში მითითებული გარემოებები და წარმოდგენილი მტკიცებულებები, იურიდიული მართებულობის თვალსაზრისით, მოთხოვნილი უზრუნველყოფის გატარების საფუძველს უნდა ქმნიდნენ. მოსარჩელემ სარჩელის უზრუნველყოფის განცხადებაში მტკიცებითი ტვირთის მინიმალური სტანდარტით უნდა უზრუნველყოს მასში მითითებული ფაქტებისა და გარემოებების დადასტურება. წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლოს ვერ შეექმნება მომავალში სარჩელის და-

კმაცოფილების გონივრული ვარაუდი და მიღებული გადანაცვტილების
აღსრულება გართულდება/შეუძლებელი გახდება.²³

²³ თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება საქმე №23/1368-19

მუხლი 201. მოპასუხის პასუხი (შესაგებელი)

1. მოპასუხე ვალდებულია სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლების მიღების შემდეგ, სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში წარუდგინოს სასამართლოს თავისი პასუხი (შესაგებელი) სარჩელზე და მასში დასმულ საკითხებზე, აგრეთვე თავისი მოსაზრებები სარჩელისათვის დართული დოკუმენტების შესახებ და მოსარჩელისათვის პასუხის (შესაგებლის) და თანდართული დოკუმენტების ასლების გაგზავნის დამადასტურებელი დოკუმენტი. სასამართლოს მიერ განსაზღვრული ვადა არ უნდა აღემატებოდეს 14 დღეს, ხოლო რთული კატეგორიის საქმეებზე – 21 დღეს. ამ ვადის გაგრძელება დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს საპატიო მიზეზი. პასუხი (შესაგებელი) უნდა უპასუხებდეს ამ კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით დადგენილ მოთხოვნებს.

2. მოპასუხის წერილობით პასუხში მითითებული უნდა იყოს:

ა) სასამართლოს დასახელება, რომელშიც მას შეაქვს პასუხი;

ბ) მოპასუხის, მისი წარმომადგენლის (თუ პასუხი (შესაგებელი) შეაქვს წარმომადგენელს), მონმის, სხდომაზე მოსაწვევი სხვა პირის სახელი, გვარი (სახელწოდება), ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი), აგრეთვე არსებობის შემთხვევაში ალტერნატიული მისამართი, სამუშაო ადგილის მისამართი, ტელეფონის ნომერი, მათ შორის, მობილურის, ელექტრონული ფოსტის მისამართი, ფაქსი. პასუხში (შესაგებელში) შესაძლოა მოპასუხემ ან მისმა წარმომადგენელმა ასევე მიუთითოს საკონტაქტო პირის მონაცემები. თუ მოპასუხე იურიდიული პირია ან ინდივიდუალური მენარმეა – თავად მოპასუხე, ხოლო თუ მას ჰყავს წარმომადგენელი (გარდა კანონიერი წარმომადგენლისა) – მისი წარმომადგენელი ვალდებულია მიუთითოს ელექტრონული ფოსტის მისამართი და ტელეფონის ნომერი;

გ) ცნობს თუ არა მოპასუხე სარჩელს და რა ნაწილში;

დ) თუ მოპასუხე სარჩელს არ ცნობს, რა კონკრეტულ ფაქტებსა და გარემოებებს ემყარება მისი შესაგებელი სარჩელის წინააღმდეგ;

ე) მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს მოპასუხის მიერ მითითებულ გარემოებებს;

ვ) რა საპროცესო საშუალებებით აპირებს მოპასუხე სარჩელისაგან თავის დაცვას, კერძოდ, ხომ არ აპირებს შეგებებული სარჩელის აღძვრას, ხომ არ უარყოფს სარჩელის დასაშვებობას;

ზ) არსებობის შემთხვევაში, მოპასუხის შუამდგომლობები;

ზ.ა) ხომ არ ექნება აცილება სასამართლოს ან მოსამართლის მიმართ და ა. შ.;

ზ.ბ) ვინ შეიძლება ჩაებას პროცესში თანამონაწილედ ან მესამე პირად;

ზ.გ) რომელი მოწმე უნდა იქნეს გამოძახებული სასამართლო სხდომაზე;

ზ.დ) სხვა სახის შუამდგომლობები;

თ) პასუხისათვის დართული დოკუმენტების ნუსხა;

ი) მოპასუხის მოსაზრება საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის თაობაზე;

კ) მოპასუხის მოსაზრება დავის სასამართლო მედიაციის გზით განხილვის თაობაზე.

3. პასუხს უნდა დაერთოს წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, თუ პასუხი სასამართლოში შეაქვს წარმომადგენელს.

4. პასუხში (შესაგებელში) სრულყოფილად და თანამიმდევრობით უნდა იყოს ასახული მოპასუხის მოსაზრებები სარჩელში მითითებულ თითოეულ ფაქტობრივ გარემოებასა და მტკიცებულებასთან დაკავშირებით. თუ მოპასუხე არ ეთანხმება სარჩელში მოყვანილ რომელიმე გარემოებას, იგი ვალდებულია მიუთითოს ამის მიზეზი და დაასაბუთოს შესაბამისი არგუმენტაციით; წინააღმდეგ შემთხვევაში მას ერთმევა უფლება, შეასრულოს ასეთი მოქმედება საქმის არსებითად განხილვის დროს.

5. მოპასუხე ვალდებულია, პასუხს დაურთოს მასში მითითებული ყველა მტკიცებულება. თუ მოპასუხეს საპატიო მიზეზით არ შეუძლია პასუხთან ერთად მტკიცებულებათა წარდგენა, იგი ვალდებულია, ამის შესახებ მიუთითოს პასუხში. წინააღმდეგ შემთხვევაში მოპასუხეს ერთმევა უფლება, შემდგომში წარადგინოს მტკიცებულებები. მოპასუხე უფლებამოსილია, მტკიცებულებათა წარდგენისათვის მოითხოვოს გონივრული ვადა.

6. (ამოღებულია – 28.12.2011, №5667).

7. სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში შესაგებლის არასაპატიო მიზეზით წარუდგენლობის შემთხვევაში მოსამართლეს გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება ამ კოდექსის XXVI თავით დადგენილი წესით.

8. მოპასუხეს შეუძლია პასუხის შეტანისას განაცხადოს, რომ თანახმაა, წერილობითი მასალები მიიღოს ელექტრონული ფოსტით.

ასეთ შემთხვევაში სასამართლო, როგორც წესი, მოპასუხეს მასალებს უგზავნის ელექტრონული ფოსტით.

9. პასუხს ხელს აწერს მოპასუხე ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენელი.

ბესარიონ ალავეცი

201-ე მუხლი

I. შესავალი

1. შესაგებლის ინსტიტუტი

შესაგებელი, როგორც მოპასუხის საპროცესო თავდაცვის საშუალება, მნიშვნელოვანი ინსტიტუტია სამოქალაქო სამართალწარმოებაში. სწორედ მასში ვლინდება წერილობითი შეჯიბრებითობის პრინციპი. იგი ასევე დისპოზიციურობის პრინციპის (სსსკ-ის მე-3 მუხლი) ერთგვარი გამოხატულებაა, რომელიც უზრუნველყოფს მხარეთა საპროცესო უფლებების ავტონომიურად განკარგვის შესაძლებლობას. საპროცესო ავტონომიის ფარგლებში მოპასუხის გადასაწყვეტია, ცნობს თუ არა სარჩელს, დაასრულებს თუ არა საქმეს მორიგებით, ან რა სახის საპროცესო თავდაცვის საშუალებას გამოიყენებს, რაც, გარკვეულწილად, დავაში ჩართვას და სარჩელში მითითებულ გარემოებებზე პასუხის გაცემას გულისხმობს. შესაბამისად, სარჩელის წარმატება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად კვალიფიციურად დაიცავს თავს მოპასუხე. ვიდრე საქმის არსებითად განხილვა დაიწყება სასამართლოში, მოსამართლემ უნდა მოამზადოს საქმე, რაც მოიცავს მხარეთა წერილობითი პოზიციების გაცვლასაც. სწორედ ამ მიზანს ემსახურება, ერთი მხრივ, სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლების მოპასუხისათვის ჩაბარება, ხოლო, მეორე მხრივ, შესაგებლისა და თანდართული დოკუმენტების ასლების მოსარჩელისთვის ჩაბარება. სასამართლომ მკაცრად უნდა გააკონტროლოს ამ კონტექსტში მხარეთა საპროცესო უფლებების დაცვა (წერილობითი დოკუმენტაციის სრულყოფილად მიღება და პასუხის გასაცემად გონივრული ვადის დადგენა). წინააღმდეგ შემთხვევაში, დაირღვევა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 6.1 მუხლით გარანტირე-

ბული სამართლიანი სასამართლოს უფლება. მოპასუხეს მისთვის გზავნილის (სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლები) ჩაბარების შემდეგ წარმოეშობა შესაგებლის წარდგენის ვალდებულება. შესაგებელი, ისევე როგორც სარჩელი, ყველა შემთხვევაში წერილობითი ფორმით (როგორც წესი, ნაბეჭდი სახით) უნდა იყოს შედგენილი.¹ კანონმდებლის ამგვარი მოთხოვნა გამომდინარეობს წერილობითი სამართალწარმოების პრინციპიდან, რაც ზეპირი სამართალწარმოების წინა ეტაპია და ვერ ჩანაცვლდება მხარეთა მოსმენის პრინციპით. ასეთ შემთხვევაში, სასამართლო პროცესი დაკარგავდა განსაზღვრულობას და მივიღებდით საპროცესო მოქმედებათა ქაოსს. მხარეს უფლება აქვს, წინასწარ - საქმის არსებითი განხილვის დაწყებამდე - იცოდეს, რაზე აფუძნებს მეორე მხარე თავის მოთხოვნას, ან რა საპროცესო საშუალებებით აპირებს თავდაცვას. მხარეებს უნდა მიეცეთ ეფექტიანი სამართლებრივი დაცვის საშუალება, რათა დაიცვან საკუთარი სამოქალაქო უფლებები, კერძოდ, სამართლიანი სასამართლოს უფლება.² ამგვარი მიდგომა სრულად შეესაბამება სამართლებრივი სიცხადის პრინციპს. ამიტომაცაა კანონმდებელი ასეთი მკაცრი მოპასუხის მხრიდან საპროცესო მოვალეობის დარღვევის მიმართ და სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში შესაგებლის წარუდგენლობის შედეგს უკავშირებს არა სამართალწარმოების გაგრძელებას, არამედ ზეპირი მოსმენის გარეშე დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას. ამ თვალსაზრისით, სასამართლო პრაქტიკასა თუ დოქტრინაში შესაგებლის წარუდგენლობა სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობას უთანაბრდება (ივარაუდება, რომ მხარემ დაკარგა იურიდიული ინტერესი დავის მიმართ)³, ანუ სამართლებრივი შედეგი იგივეა, რაც მოპასუხის სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობისას: მოსამართლე სარჩელში მითითებულ, დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვან ფაქტებს შეუდავებლად (დამტკიცებულად) მიიჩნევს. ამასთან, თუ სარჩელში მითითებული ფაქტები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას, სარჩელი დაკმაყოფილდება.⁴ წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსამა-

¹ იხ. სსსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილი. შესაგებლის ელექტრონული ვერსია ხელმისაწვდომია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე: hcoj.gov.ge, ასევე, ნებისმიერი სასამართლოს ვებგვერდზე.

² იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: *ბელესი და სხვები ჩეხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ*.

³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინებები: 2009 წლის 23 თებერვლის, №ას705-925-08; 2015 წლის 3 ივნისის, №ას356-338-2015; 2019 წლის 27 დეკემბრის, №ას852-816-2014. www.supremecourt.ge.

⁴ შდრ. სსსკ-ის 230-ე და 232¹ მუხლები.

რთლე ნიშნავს სხდომას, ხოლო სხდომის ჩატარების შემთხვევაში, მოპასუხე ვერ განახორციელებს ფაქტობრივ შედავებას, მათ შორის, მტკიცებულებათა წარდგენას (სსსკ-ის 232¹ მუხლი). შესაბამისად, მოპასუხეს მხოლოდ სამართლებრივი შედავების უფლება რჩება. ვინაიდან საქმის განხილვისა და დავის გადანყვეტის მთავარი ფიგურანტი მოსამართლეა, მას ჯერ კიდევ წერილობითი ფორმით წარდგენილი სარჩელიდან და შესაგებლიდან უნდა შეექმნას წარმოდგენა დავის სურათზე (ფაბულა), მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველზე (სარჩელით მოთხოვნილი შედეგის განმსაზღვრელი ნორმა), მოთხოვნის წინაპირობებზე (ნორმის შემადგენლობა), მტკიცების საგანსა (სადავო გარემოება, რომელიც უნდა დამტკიცდეს) და სარჩელის პერსპექტიულობაზე. იმის მიხედვით, რამდენად აკმაყოფილებს სარჩელი და შესაგებელი ფორმალური დასაბუთებულობის (გამართულობის) მოთხოვნებს, მოსამართლე ნიშნავს მოსამზადებელ ან მთავარ სხდომას. შესაბამისად, თუ მოსამართლე დანიშნავს მოსამზადებელ სხდომას, აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს მხარეთა საპროცესო უფლებები, რომ დააზუსტონ/დააკონკრეტონ/შეავსონ სარჩელში/შესაგებელში მითითებული გარემოებები (სსსკ-ის 83-ე მუხლი). შესაგებელი თავის მნიშვნელობას იძენს მას შემდეგ, რაც სარჩელი დააკმაყოფილებს ფორმალურ-სამართლებრივი დასაბუთებულობის (გამართულობის) მოთხოვნებს.⁵ ეს ნიშნავს, რომ შესაგებლის არარსებობის პირობებში, სარჩელი დაკმაყოფილებადი უნდა იყოს - მასში გადმოცემული ფაქტები ქმნიდეს თუნდაც ერთი მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის (მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი) წინაპირობებს. დასაბუთებულობის მოთხოვნა გამოიყენება შესაგებელთან მიმართებითაც. ამ დროს მოწმდება, როგორი შესაგებელი წარადგინა მოპასუხემ (მოთხოვნის შემწყვეტი, შემაფერხებელი თუ გამომრიცხავი). შესაგებლის შინაარსიდან უნდა მიხვდეს მოსამართლე, რომელია უდავო და რომელია სადავო, მტკიცების საგანში შემავალი ფაქტები. შესაგებლის ინსტიტუტი, სარჩელის ინსტიტუტთან ერთად, ერთგვარი გზამკვლევა მტკიცების სტადიისა, რომელზე გადასვლაც არ ხდება ვიდრე არ ამოიწურება მხარეთა პოზიციების (სარჩელი; შესაგებელი; მოპასუხის მხრიდან არსებითი შედავების შემთხვევაში, მოსარჩელის პასუხი და ა.შ.) ურთიერთგაცვლა და უდავო გარემოებების იდენტიფიცირება. მხოლოდ მას შემდეგ, რაც მხარეთა შორის შეუდავებელი ფაქტები ნათლად გამოიკვეთება, სა-

⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 2 ოქტომბრის #ას-1068-1021-2014 განჩინება; www.supremecourt.ge.

რჩელსა და შესაგებელზე დართული მტკიცებულებები თავის მნიშვნელობას კარგავს. შესაბამისად, ისინი მოსამართლემ უნდა ამოიღოს საქმიდან და დაუბრუნოს წარმომდგენთ, ვინაიდან შეუდავებელი ფაქტები არ ექვემდებარება მტკიცებას.⁶ სასამართლო პრაქტიკაში ხშირად ასე არ ხდება, რაც, ბუნებრივია, ზრდის საქმის მოცულობას, საბოლოოდ კი უარყოფითად აისახება საქმის დამუშავებაზე. მოსამართლემ კარგად უნდა იცოდეს, რომ საქმის მომზადების მთავარი ხაზი გადის დავის გადასაწყვეტად აუცილებელი ფაქტების სწორად განსაზღვრაზე და არა მტკიცებულებათა შეგროვებაზე. სხვანაირად რომ წარმოვიდგინოთ, მოსამართლე არ ითვალისწინებს მტკიცებულებებს, ვიდრე არ ბოლომდე არ შექმნის დავის ფაქტობრივ სურათს. მოსამართლის პასუხისმგებლობა ფაქტების შერჩევის პროცესში მაღალია: მისი გადასაწყვეტია, თუ რა ფაქტობრივი აღწერილობა (ფაბულა) უნდა დაუდოს საფუძვლად საკუთარ მსჯელობას. თავის მხრივ, მთავარ როლს ფაბულის შექმნაში მხარეები ასრულებენ, რაც სრულად პასუხობს შეჯიბრებითობის პრინციპის მოთხოვნებს. ერთი მხრივ, რელევანტური ფაქტები დახარისხდება სამართლის ნორმის მიხედვით, ხოლო მეორე მხრივ, ფაქტები განსაზღვრავს, რომელია მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმა. აქედან გამომდინარე, სარჩელთან ერთად შესაგებლის, როგორც საპროცესო ინსტიტუტის როლი დავის გადაწყვეტაში უაღრესად დიდია.

2. შესაგებლის სახეები

ჩვენ პირველ პარაგრაფში ზოგადად ვახსენეთ, რომ ფორმალური დასაბუთებულობის (გამართულობის) მოთხოვნა ვრცელდება შესაგებელზეც. ამ დროს მოწმდება, თუ რომელი ტიპის შესაგებელი წარადგინა მოპასუხემ (მოთხოვნის შემწყვეტი, შემაფერხებელი, გამომრიცხავი და ა.შ.). შესაგებლის კლასიფიკაციას არ ვხვდებით საპროცესო ნორმებში, თუმცა, ამას გვთავაზობს იურიდიული დოქტრინა⁷ და სასამართლო პრაქტიკა. შესაგებლის ზოგადი კლასიფიკაცია ასეთია: მატერიალური და საპროცესო შესაგებელი; აბსტრაქტული (ზოგადი) და კონკრეტული შესაგებელი; მარტივი და კვალიფიციური (არსებითი) შესაგებელი. რა ტიპის

⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 1 ივნისის #ას-1341-1379-2014 განჩინება; www.supremecourt.ge.

⁷ მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესი სამოქალაქო სამართალში, შ.შმიტი, ჰ.რიჰტერი, (GIZ), 2013წ., გვ.14-22.

შესაგებელს წარადგენს მოპასუხე, სრულად თავსდება ამ უკანაკნელის ნების ავტონომიის ფარგლებში. გენერალური მიდგომაა, რომ აბსტრაქტული შესაგებლის წარდგენა დაუშვებელია (ეს უტოლდება შესაგებლის წარუდგენლობას). ასეთივე მიდგომაა შესაგებლის შეუვსებელი (ცარიელი) ფორმის მიმართაც.⁸ კონკრეტული შესაგებლის წარდგენის ვალდებულება გამომდინარეობს 201-ე მუხლის მე-4 ნაწილის შინაარსიდან (ივარაუდება, რომ შედავებული უნდა იყოს დავის გადასაწყვეტად მნიშვნელოვანი ფაქტები და არა სამართლებრივი მოსაზრებები, ე.ი. ფაქტები, რომელთა არსებობა წარმოშობს მოთხოვნას. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები დამტკიცებულად ითვლება)⁹. ერთ-ერთ საქმეზე საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ჩათვალა, რომ მოპასუხის მიერ წარდგენილი იყო ზოგადი შესაგებელი, ვინაიდან იგი არ შეიცავდა სარჩელში მითითებულ ძირითადი ფაქტობრივი გარემოებების უარყოფის შესაბამის მიზეზებსა და არგუმენტებს.¹⁰ შესაგებლის ფორმის მიმართ ნაყენებული მოთხოვნები (სსსკ-ის 177(2)(3) მუხლი) მოსამართლეებმა განსაკუთრებით მკაცრად არ უნდა განმარტონ ყველა შემთხვევაში, ვინაიდან შესაძლოა ამით მოპასუხეს წაერთვას სასამართლოზე ხელმისაწვდომობის უფლება. ერთ-ერთ საქმეზე, სადაც დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების მოტივად მხარე უთითებდა, რომ არ გადასცეს შესაგებელი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული ფორმით, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ არ გაიზიარა. ამასთან, საკასაციო სასამართლოს განმარტებით, შესაგებელი შეიძლება იყოს ჩვეულებრივ წერილობითი სახითაც წარდგენილიყო, სადაც აღნიშნული იქნებოდა მხარის პოზიცია, დამოკიდებულება სარჩელის მიმართ.¹¹ ბუნებრივია, შესაგებლის კონკრეტულობის ხარისხი სარჩელის სრულყოფის ხარისხზეა დამოკიდებული. აქედან გამომდინარე, მოსამართლემ, მხარეთა თანასწორობის პრინციპის დაცვით, მოსარჩელის პოზიციის დაკონკრეტების/სრულყოფის პროპორციულად უნდა მისცეს შესაძლებლობა მოპასუხეს, რომ დააკონკრეტოს შესაგებელი. კონკრეტულობის მოთხოვნა მოიაზრებს თანმიმდევრულობასაც (სსსკ-ის 201-ე მუ-

⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 20 აპრილის #ას-127-127-2018 განჩინება; www.supremecourt.ge.

⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2017 წლის 2 მარტის #ას-664-635-2016 გადაწყვეტილება; www.supremecourt.ge.

¹⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 23 აგვისტოს #ას-236-236-2018 განჩინება; www.supremecourt.ge.

¹¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 16 ოქტომბრის #ას-319-639-09 განჩინება; www.supremecourt.ge

ხლის მე-4 ნაწილის პირველი წინადადება ასე იწყება: „პასუხში (შესაგებებელში) სრულყოფილად და თანმიმდევრობით უნდა იყოს ასახული...“), ანუ მოვლენათა გადმოცემას არა ქაოტურად, არამედ ქრონოლოგიურად, ერთმანეთთან ურთიერთკავშირში. საპროცესო შესაგებელი, განსხვავებით მატერიალური შესაგებლისაგან, შესაძლოა კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდეს მოპასუხის, როგორც სათანადო საპროცესო სუბიექტის საკითხს (სსსკ-ის 85-ე მუხლი) ან საერთოდ გამორიცხავდეს სარჩელის დასაშვებობას.¹² ერთ-ერთ საქმეში საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხეს წარდგენილი ჰქონდა არა მხოლოდ მატერიალური შესაგებელი (მოპასუხე სადავოდ ხდიდა მოსარჩელის საკუთრების უფლების ნამდვილობას), არამედ საპროცესო შესაგებელიც. კერძოდ, ის ითხოვდა საქმისწარმოების შეწყვეტას, ვინაიდან არსებობდა სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომელიც გამოტანილი იყო დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით.¹³ მოსამართლემ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს, პირველ რიგში, საპროცესო, ხოლო შემდეგ მატერიალურ შესაგებელს. მაგალითად, თუ პარალელურ რეჟიმში სხვა სასამართლოში მიმდინარეობს დავა იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით და სასამართლო განიხილავს საქმეს, თეორიულად შესაძლებელია ერთდროულად ორი ურთიერთსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების გამოტანა. ეს ნიშნავს, რომ პრაქტიკულად ვერცერთი გადაწყვეტილება ვერ აღსრულდება - ამით ირღვევა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 6.1 მუხლით გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს უფლება (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებების მიხედვით, სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულება სასამართლო პროცესის განუყოფელი ნაწილია¹⁴). მატერიალური შედადება მიმართულია სარჩელის მატერიალურ-სამართლებრივი შედეგის მიღწევის წინააღმდეგ, რაც გულისხმობს მოპასუხის მხრიდან ისეთ ფაქტებზე (წინაპირობებზე) მითითებას, რომლებიც გამორიცხავს, წყვეტს ან აფერხებს (განუხორციელებელს ხდის) სარჩელით მოთხოვნილი შედეგის დადგომას. სამოქალაქო კოდექსის მატერიალური ნორმები პირობითად შეიძლება დავყოთ დეფინიციურ (გამოიყენება სხვა ნორმებთან კა-

¹² იხ. სსსკ-ის 186-ე და 187-ე მუხლები.

¹³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 4 მაისის #ას-144-137-2013 განჩინება; www.supremecourt.ge.

¹⁴ იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე – *Apostol v. Georgia; Hornsby v. Greece; Burdov v. Russia*.

ვშირში; მაგ.: სსკ-ის 50-ე მუხლი), უფლების დამდგენ (მაგ.: სსკ-ის 394-ე მუხლი), უფლების გამომრიცხავ (მაგ.: სსკ-ის 495.1 მუხლი), უფლების განხორციელების შემაფერხებელ (მაგ.: სსკ-ის 129-ე მუხლი) და უფლების შემწყვეტ (მაგ.: სსკ-ის 427-ე მუხლი) ნორმებად. ამ კონტექსტში, იურიდიულ დოქტრინასა და სასამართლო პრაქტიკაში ვხვდებით შესაგებელის ასეთივე პირობით დაყოფას: მოთხოვნის შემწყვეტი, შემაფერხებელი ან გამომრიცხავი შესაგებელი. მატერიალური შედაგება, სხვა სიტყვებით, არის სამართლებრივი შედაგება - ანუ ასეთი შედაგებისას მოსამართლემ უნდა მოიძიოს და შეამოწმოს იმ მატერიალურ სამართლებრივი ნორმის წინაპირობები, რომლებიც შესაგებელს ამართლებს და, საბოლოოდ, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას განაპირობებს.

მოთხოვნის შემწყვეტი შესაგებელი – ამ ტიპის შეპასუხების წარდგენის დროს მოპასუხე სადავოდ არ ხდის მოთხოვნის წარმოშობის წინაპირობებს: იგი ფაქტობრივად ეთანხმება მოსარჩელეს ვალდებულების წარმოშობის საფუძვლებში, თუმცა, მიიჩნევს, რომ სარჩელი უსაფუძვლოა მისი მხრიდან ვალდებულების ბოლომდე შესრულების გამო. ასეთი მოცემულობის პირობებში, მტკიცების საგანში შედის მხოლოდ ერთი გარემოება – „ვალდებულების შესრულება“. მოსარჩელემ უნდა მიუთითოს, რომ ვალდებულება არ შესრულებულა (მითითების ტვირთი), რისი გაქარწყლება და დამტკიცებაც მოპასუხეს ეკისრება. **მაგალითი (კაზუსი 1):** მოსარჩელე „ა“ ითხოვს მოპასუხე „ბ“-სგან 4000 ლარის ანაზღაურებას. სარჩელის საფუძვლად მოსარჩელე უთითებს, რომ: მოპასუხეს 2008 წლის 5 მარტს, სამი თვით და უკან დაბრუნების პირობით, გადასცა მოთხოვნილი თანხა, რომელიც მოპასუხეს არ დაუბრუნებია (სსკ-ის 623-ე მუხლი). მოპასუხის განმარტებით, მან სადავო თანხა დააბრუნა 2011 წლის თებერვალში (სსკ-ის 427-ე მუხლი) - კერძოდ, მოსარჩელის თანხმობით, თანხა გადასცა „გ“-ს (სსკ-ის 373.2 და 709-ე მუხლები). მოცემულ კაზუსში მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმაა სსკ-ის 623-ე მუხლი. სსკ-ის 373.2 და 427-ე მუხლები ადგენენ ვალდებულების შეწყვეტის საფუძვლებს, ერთ შემთხვევაში, მესამე პირის, ხოლო მეორე შემთხვევაში - კრედიტორის სასარგებლოდ შესრულებით. რაც შეეხება სსკ-ის 709-ე მუხლის შემოწმების აუცილებლობას, ეს დამოკიდებულია იმის დაზუსტებაზე, მოსარჩელის მხრიდან თანხმობა წინასწარ, ვალდებულების შესრულებამდე გაიცა, თუ შესრულების შემდეგ (შემდგომი თანხმობა (მოწონება)). ერთ-ერთ საქმეზე საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხეს წარდგენილი ჰქონდა მოთხოვნის შემწყვეტი შესაგებელი იმ საფუძვლით, რომ 2011 წლის 16 მარტს კომპანიის კუთვნილი ქონების

იძულებითი რეალიზაციის გზით, განაჩენის თანახმად დადგენილი ზიანი სრულად ანაზღაურდა.¹⁵

მოთხოვნის შემაფერხებელი შესაგებელი – ამ ტიპის შედავების ნარდგენისას მოპასუხე შესაძლოა ეთანხმებოდეს სარჩელში გაჟღერებულ მხარეთა შორის წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობას (სადავოდ არ ხდიდეს სარჩელში მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებს); ასევე, ეთანხმებოდეს ვალდებულების არსებობას და აღიარებდეს მისი მხრიდან ვალდებულების შეუსრულებლობას, თუმცა უარს აცხადებდეს მის შესრულებაზე, რადგან მოთხოვნას ხანდაზმულად მიიჩნევს (სსკ-ის 144-ე მუხლი).¹⁶ ასევე მოთხოვნის შემაფერხებელ შესაგებელთან გვაქვს საქმე, როდესაც მოპასუხე უთითებს მოსარჩელის მხრიდან საპასუხო მოქმედების შესრულებაზე (სსკ-ის 369-ე მუხლი)¹⁷, შესრულების ვადის დაუდგომლობაზე (სსკ-ის 361.2 მუხლი). ხანდაზმულობა სამართალში ფაქტის საკითხია. შესაბამისად, თუ ამის თაობაზე მოპასუხეს არ მიუთითებია შესაგებელში, ან მოსამზადებელ სხდომაზე მაინც, იგი ვერ გახდება სასამართლოს განხილვის საგანი.¹⁸

მოთხოვნის გამორიცხავი შესაგებელი – ამ ტიპის შეპასუხების დროს მოპასუხე არ ეთანხმება მოთხოვნის საფუძვლად მითითებულ (მტკიცების საგანში შემავალ) ფაქტებს. შესაბამისად, თუ მოსარჩელე ვერ დაამტკიცებს სადავო (დავის გადაწყვეტისათვის არსებითად მნიშვნელოვან) გარემოებებს, სარჩელი არ დაკმაყოფილდება. სარჩელის წარმატება დამოკიდებულია მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის (დამფუძნებელი ნორმა) წინაპირობების მითითება/დადასტურებაზე. ასეთი შედავებისას მოპასუხე სადავოდ ხდის სწორედ მოთხოვნის წარმოშობ წინაპირობებს და უთითებს ისეთ გარემოებებზე, რომლებიც მოთხოვნის არსებობას გამორიცხავს. საკმარისია მოპასუხის მხრიდან თუნდაც ერთი წინაპირობის გამორიცხვა, რომ სარჩელის წარმატებას საფრთხე შეექმნას. **მაგალითი (კაზუსი 2):** „ა“-მ სარჩელი აღძრა „ბ“-ს წინააღმდეგ და მოითხოვა მოპასუხისათვის თანხის დაკისრება. მოსარჩელის განმარტე-

¹⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 4 ოქტომბრის #ას-176-163-2015 განჩინება; www.supremecourt.ge.

¹⁶ მოთხოვნის შემაფერხებელი შესაგებლის წარდგენის კუთხით, იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები: 2015 წლის 20 ნოემბრის #ას-471-450-2015; 2017 წლის 30 მაისის #ას-118-110-2017; 2017 წლის 6 ივნისის #ას-398-371-2017.

¹⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 20 აპრილის #ას-220-209-2017 განჩინება; www.supremecourt.ge.

¹⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 27 აპრილის #ას-182-169-2015 განჩინება; www.supremecourt.ge.

ბით, 2014 წლის 6 სექტემბერს მან მოპასუხეს, ზეპირი ხელშეკრულების საფუძველზე, ასესხა 70 000 ლარი, 1 წლის ვადით. მიუხედავად დათქმული ვადის გასვლისა, მოპასუხეს თანხა არ დაუბრუნებია (სსკ-ის 623-ე მუხლი). მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და აღნიშნა, რომ მხარეთა შორის სესხის ხელშეკრულება არ დადებულა და მოპასუხეს მოსარჩელისგან არავითარი თანხა არ მიუღია (მარტივი შედავება). მოცემულ კაზუსში მოპასუხე საერთოდ გამორიცხავს მხარეთა შორის სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობას (ხელშეკრულების არსებობას). როგორც ამ მაგალითიდან ჩანს, მოსარჩელე მოთხოვნას აყენებს სახელშეკრულებო ურთიერთობიდან (სესხი) გამომდინარე. მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმაა სსკ-ის 623-ე მუხლი, რომლის თანახმადაც, გამსესხებელი საკუთრებაში გადასცემს მსესხებელს ფულს ან სხვა გვაროვნულ ნივთს, ხოლო მსესხებელი კისრულობს, დააბრუნოს იმავე სახის, ხარისხისა და რაოდენობის ნივთი. მსგავსი კატეგორიის დავისას გასათვალისწინებელია შემდეგი საკითხები: ვინაიდან სესხის ხელშეკრულება სამართლის თეორიაში რეალურ ხელშეკრულებებს მიეკუთვნება, მოსარჩელემ სარჩელში უნდა მიუთითოს მოპასუხისთვის თანხის გადაცემა, თანხის ოდენობა და დაბრუნების ვადა. როგორც მოპასუხის შესაგებლიდან ირკვევა, მან უარყო მოსარჩელისაგან თანხის მიღება. შესაბამისად, თუ მტკიცების სტადიაზე მოსარჩელე ვერ დაამტკიცებს თანხის გადაცემის (ხელშეკრულების დადების) ფაქტს, სარჩელის დაკმაყოფილება გამოირიცხება. ერთ-ერთ საქმეში მოსარჩელე, სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევის გამო (მოპასუხემ, როგორც სამშენებლო ღირებულების შემცენმა, მოსარჩელის, როგორც გამსხვისებლის ტერიტორიიდან დროულად არ გაიტანა ნასყიდობის საგანი), ითხოვდა მოპასუხისათვის პირგასამტეხლოს დაკისრებას. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხეს წარდგენილი ჰქონდა მოთხოვნის გამომრიცხავი შესაგებელი. კერძოდ, მოპასუხე განმარტავდა, რომ პირგასამტეხლოს ცალკე მოთხოვნა დაუშვებელია, ვინაიდან იგი უკავშირდება ძირითადი ვალდებულების შესრულებას. თუკი ასეთი არ არსებობს, შეუძლებელია პირგასამტეხლოს დამოუკიდებელი მოთხოვნა. ხელშეკრულებით დაუდგენელი იყო, თუ რა მოცულობის ღირებულება უნდა გაეტანა მოპასუხეს; გარდა ამისა, ღირებულების გატანას ხელი შეუშალა დაუძლეველმა ძალამ.¹⁹

¹⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 20 იანვრის #ას-656-627-2016 განჩინება; www.supremecourt.ge.

შესაგებლის სახეებიდან განსაკუთრებული დატვირთვა აქვს კვალიფიციურ შედავებას. კვალიფიციური შედავება იურიდიულ დოქტრინაში განმარტებულია შემდეგნაირად: „მოპასუხე, მოსარჩელის მოხსენების ნაცვლად, წარმოადგენს მოვლენათა განვითარების მისეულ, განსხვავებულ ვერსიას, რომელიც ცალკეულ საკითხებში სადავოს ხდის მოსარჩელის მოხსენებას“.²⁰ კვალიფიციურ შედავებას არსებით შედავებადაც მოიხსენიებენ. ამგვარი შედავება, ერთი მხრივ, შეიძლება გამორიცხავდეს სარჩელის დაკმაყოფილებას უსაფუძვლობის გამო, ხოლო მეორე მხრივ, ცვლიდეს მოსარჩელის მიერ შემოთავაზებული სამართლებრივი ურთიერთობის კვალიფიკაციას, საიდანაც მოსარჩელეს დამატებითი მოხსენების (ფაქტების მითითების) გარეშე გაუჭირდება იმ შედეგის მიღწევა, რომელიც სარჩელით აქვს მოთხოვნილი. კვალიფიციური (არსებითი) შედავება მოსამართლეს ცალკეულ შემთხვევაში ავალდებულებს, რომ მოიძიოს მოთხოვნის სხვა დამფუძნებელი ნორმა, ასევე, შეამოწმოს საგამონაკლისო ნორმები. **მაგალითი (კაზუსი 3):** „ა“-მ სარჩელი აღძრა „ბ“-ს წინააღმდეგ და ითხოვს მოპასუხის უკანონო მფლობელობიდან მოძრავი ნივთის (ავტომანქანის) გამოთხოვას. მოსარჩელის განმარტებით, იგი სადავო ნივთის მესაკუთრეა, მოპასუხე კი, ყოველგვარი საფუძვლის გარეშე, მისი ნების საწინააღმდეგოდ სარგებლობს ნივთით. მოპასუხე აღნიშნავს, რომ ავტომანქანა მოსარჩელის თანხმობით ითხოვა მოსარჩელის მეუღლე „გ“-სგან, მას ავტომანქანა სჭირდება ტვირთის გადასაზიდად და გადაზიდვის დასრულების შემდეგ დააბრუნებს ნივთს. მოცემულ მაგალითში მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმაა სსკ-ის 172.1 მუხლი.

სარჩელის წარმატებისთვის მოსარჩელეს მითითებული აქვს ნორმით გათვალისწინებული სამივე ელემენტი: იგი მესაკუთრეა; მოპასუხე ფლობს ნივთს; ფლობას არ აქვს სამართლებრივი საფუძველი. მოპასუხეს წარდგენილი აქვს მოთხოვნის გამომრიცხავი, იმავდროულად, კვალიფიციური (არსებითი) შესაგებელი. კერძოდ, მართალია, მოპასუხე სადავოდ არ ხდის ნივთზე მოსარჩელის საკუთრების უფლებას, მაგრამ მიიჩნევს, რომ ნივთის მართლზომიერი მფლობელია. თუკი ეს გარემოება დადასტურდება, სარჩელის დაკმაყოფილება გამორიცხულია. ამასთან, მოპასუხის მიერ შემოთავაზებული მოვლენათა განვითარების განსხვავებული ვერსია სასამართლოს ავალდებულებს, შეამოწმოს თხოვნების ხელშეკრულების ნორმები (სსკ-ის 615-ე მუხლი). მოპასუხე არ უთითებს თხოვნების ხელშე-

²⁰ მოსამართლის მიერ გადანყვეტილების მიღების პროცესი სამოქალაქო სამართალში, შ.შმიტი, ჰ.რიჰტერი, (GIZ), 2013წ., გვ.19.

კრულებით დადგენილ ვადაზე, რის გამოც დამატებით შესამოწმებელი იქნება სსკ-ის 621.2 მუხლის წინაპირობები. ვინაიდან მოპასუხე უთითებს არაუფლებამოსილ პირთან (მოსარჩელის მეუღლესთან) გარიგების დადებაზე, რომელზეც, მისივე განმარტებით, თანხმობა გასცა მოსარჩელემ, შესაგებლის დასაბუთებულობის (გამართულობის) დასადგენად, ასევე უნდა შემოწმდეს სსკ-ის 99-102 მუხლები. მოცემული კაზუსი კვალიფიციური შედავების ტიპის წარმოჩენას ემსახურება, ამიტომ შეგნებულად არ ვუღრმავდებით მეტად (კერძოდ, მოსარჩელის პასუხს მოპასუხის არსებით შედავებაზე).

მარტივი შედავების დროს მოპასუხე ფაქტების უარყოფით შემოიფარგლება. ამასთან, მთავარი განსხვავება ზოგად (აბსტრაქტულ) შედავებასა და მარტივ შედავებას შორის არის ის, რომ მარტივი შედავება ცალკეული, ინდივიდუალური ფაქტების უარყოფას ეხება. თუ მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტობრივი აღწერილობა ერთმანეთთან დაკავშირებულ რამდენიმე მოვლენას გადმოსცემს, პასუხი „არ ვეთანხმები“ ზოგადი იქნება, ვიდრე მოპასუხე არ დააკონკრეტებს, რას არ ეთანხმება (მაგ.: მოსარჩელე აცხადებს, რომ მოპასუხეს მიაწოდა 100 ბოთლი ღვინო, თითო 7 ლარად. მოცემული კონსტელაცია მოსარჩელემ წარმოაჩინა, როგორც ერთი გარემოება. შესაბამისად, მოპასუხე ვალდებულია, დააკონკრეტოს, საერთოდ ხელშეკრულების დადებას არ ეთანხმება, თუ მის რომელიმე არსებით პირობას. როდესაც მოპასუხე სადავოდ ხდის მოსარჩელესთან სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობას, არ შეიძლება დამატებით მოეთხოვოს ხელშეკრულების არსებით პირობებზე შედავება: ეს ისედაც იგულისხმება; იურიდიულ დოქტრინაში მას კონკლუდენტურ შედავებას უწოდებენ.²¹

3. შესაგებელი და შეგებებული სარჩელი

მიუხედავად იმისა, რომ თეორიული თვალსაზრისით ამ ორ ინსტიტუტს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებაა, სასამართლო პრაქტიკაში ეს საკითხი მკვეთრად გამოკვეთილი არ არის: ხშირად ჭირს გამიჯვნა, სარჩელის მთლიანად/ნაწილობრივ გამორიცხვა შესაგებლით უნდა განხორციელდეს, თუ შეგებებული სარჩელით. ზოგჯერ სასამართლოები წარმოებაში იღებენ შეგებებულ სარჩელს, თუმცა თავისი არსით, საქმე გვაქვს

²¹ მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესი სამოქალაქო სამართალში, შ.შმიტი, ჰ.რიჰტერი, (GIZ), 2013წ., გვ.19.

არსებით (კვალიფიციურ) შედაგებასთან. ამ კუთხით, ბოლო პერიოდის სასამართლო პრაქტიკას უფრო მეტი სიცხადე შეაქვს საკითხის გადანყვეტაში. თეორიული გამიჯვნის თვალსაზრისით უნდა აღინიშნოს, რომ შესაგებელი არ შეიცავს დამოუკიდებელი მოთხოვნის ელემენტს, რაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განმასხვავებელი ნიშანია შეგებებული სარჩელისაგან. შეგებებული სარჩელის შემთხვევაში საქმე გვაქვს არა მხოლოდ უბრალოდ სარჩელზე პასუხთან, არამედ ახალ ფაქტებთან, დამოუკიდებელი მოთხოვნით. შეგებებული სარჩელი პრაქტიკულად იმავე ფუნქციას ასრულებს, რასაც სარჩელი²², მაშინ, როდესაც შესაგებლის ძირითადი ფუნქციაა სარჩელში გადმოცემული ფაქტების აღიარება ან უარყოფა. თუ მოპასუხის ინტერესი არ შემოიფარგლება მხოლოდ მის წინააღმდეგ აღძრული სასარჩელო მოთხოვნის უარყოფით და პარალელურად იგი თავის დამოუკიდებელი უფლებების დაცვასაც მოითხოვს, მაშინ მან უნდა აღძრას შეგებებული სარჩელი.²³ შეგებებული სარჩელი, ისევე, როგორც შესაგებელი, საპროცესო თავდაცვის საშუალებაა და მისი განხილვა ძირითად სარჩელთან ერთად საპროცესო ეკონომიისა და უფლებების ეფექტიანად დაცვის პრინციპს ემსახურება. შეგებებული სარჩელი დასაშვებია, თუ: მოთხოვნა მიმართულია პირვანდელი მოთხოვნის ჩასათვლელად; მისი დაკმაყოფილება მთლიანად ან ნაწილობრივ გამოორიცხავს პირვანდელი სარჩელის დაკმაყოფილების შესაძლებლობას; შეგებებულ სარჩელსა და პირვანდელ სარჩელს შორის არის ურთიერთკავშირი და მათი ერთად განხილვის შედეგად აღძრული დავა უფრო სწრაფად და სწორად გადაწყდება (სსსკ-ის 189.2 მუხლი). დასაშვებია, სარჩელზე პასუხი და შეგებებული სარჩელი ერთ დოკუმენტში იყოს წარმოდგენილი, თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ იუსტიციის უმაღლეს საბჭოს ასეთი უნივერსალური ფორმა არ აქვს შემუშავებული, მიზანშეწონილია, სარჩელზე პასუხი და შეგებებული სარჩელი ცალ-ცალკე ფორმებით იყოს წარმოდგენილი. ეს, თავის მხრივ, მოსარჩელესა და სასამართლოს უფრო მეტად დაეხმარება საქმის მომზადებაში. თუ მოპასუხე აღძრავს შეგებებულ სარჩელს, მოსარჩელე ასევე ვალდებულია, მოპასუხის როლში უპასუხოს შეგებებულ სარჩელში მითითებულ თითოეულ ფაქტობრივ გარემოებას (ამ დროს ზედმინევენით გამოიყენება სსსკ-ის 201-ე მუხლის დანა-

²² სსსკ-ის 189-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, შეგებებული სარჩელის წარდგენა შეიძლება სარჩელის წარდგენის შესახებ არსებული წესების დაცვით.

²³ სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თ. ლილუაშვილი, გამომცემლობა ჯისიაი, თბილისი, 2005, II გამოცემა, გვ. 317.

წესი). შეგებებული სარჩელის არარსებობის პირობებში, მოსარჩელეს პასუხის ვალდებულება აქვს მოპასუხის მხრიდან სამართლებრივი (კვალიფიციური) შედავებისას.

ერთ-ერთ საქმეზე საქართველოს უზენაესმა სასამართლომ საინტერესო განმარტება გააკეთა შესაგებლისა და შეგებებული სარჩელის გამიჯვნასთან დაკავშირებით. კერძოდ, საკასაციო პალატამ განმარტა, რომ „გაქვითვა წარმოადგენს პირის მატერიალურ-სამართლებრივ აღმჭურველ უფლებას და ამ უფლების რეალიზაციას ერთ-ერთი მხარე მეორე მხარისათვის შეტყობინებით ახდენს. შესაბამისად მხარეს ამ უფლების განსახორციელებლად არ სჭირდება სასამართლოსათვის დამოუკიდებელი სარჩელით მიმართვა ან დაწყებულ პროცესში შეგებებული სარჩელის აღძვრა და ზედმეტი სასამართლო ხარჯების გაწევა. პროცესუალური თვალსაზრისით, მას შეუძლია წარადგინოს მოთხოვნის მომსპობი შესაგებელი.“²⁴ მართალია, ამ დავაში მოპასუხემ გამოიყენა გაქვითვის უფლება, თუმცა შეგებებული სარჩელი მაინც დაიშვა, ვინაიდან გაქვითვის შემდეგ მოპასუხეს დარჩა მოთხოვნა მოსარჩელის მიმართ. წინააღმდეგ შემთხვევაში, საკმარისი იქნებოდა მოთხოვნის შემწყვეტი შესაგებლის წარდგენა (სსკ-ის 442-ე მუხლი). ამისაგან განსხვავებით, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე მოპასუხის შეგებებული სარჩელი დოკუმენტის სიყალბის აღიარებისა და სამართლებრივი ურთიერთობის არარსებობის დადგენაზე განუხილველად დატოვა.²⁵ საკასაციო სასამართლოს დასაბუთება ძირითადად იმ მოსაზრებებს ემყარებოდა, რომ მოპასუხის მხრიდან მოთხოვნის გამომრიცხავი შესაგებლის წარდგენა საკმარისი საშუალება იყო სარჩელისაგან თავდასაცავად.

ზემოთ მოყვანილი მსჯელობიდან გამომდინარე, მოსამართლის შესაფასებელია, მოპასუხის შედავება სცდება თუ არა შესაგებლის ინსტიტუტის ფარგლებს, ხოლო ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტისას, მოსამართლემ სათანადო განმარტება უნდა მისცეს მხარეებს. მოსამართლის მხრიდან ამ საკითხის განმარტებას შესაძლოა გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს მხარის უფლებების დაცვისთვის. **მაგალითი (კაზუსი 4):** „ა“-მ სარჩელი აღძრა „ბ“-ს წინააღმდეგ და მოითხოვა უძრავი ნივთის გა-

²⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 27 იანვრის #ას-708-678-2016 გადაწყვეტილება, www.supremecourt.ge.

²⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 15 მაისის #ას-367-348-2015 გადაწყვეტილება, www.supremecourt.ge

მოთხოვა „ბ“-ს უკანონო მფლობელობიდან. „ბ“ შესაგებელში „ა“-ს პასუხობს, რომ მან ბათილი გარიგების საფუძველზე მოიპოვა ნივთზე საკუთრების უფლება. კერძოდ, მოსარჩელემ იძულებით დაათმობინა (დაემუქრა სიცოცხლის მოსპობით მას და მისი ოჯახის წევრებს) მოპასუხეს ნივთი, რის გამოც მოსარჩელე არ არის ნამდვილი მესაკუთრე. მოცემულ მაგალითში მოპასუხეს მითითებული აქვს ისეთი ფაქტები, რომლებიც ნივთზე საკუთრების უფლების დაბრუნებას განაპირობებს, თუმცა, ფორმალურად მოთხოვნა „საკუთრების უფლების დაბრუნებაზე“ არ აქვს ჩამოყალიბებული. ასეთ ვითარებაში მოსამართლის მხრიდან იძულებაზე მსჯელობა აზრს მოკლებულია, თუკი ნივთს არ მიაკუთვნებს მოპასუხეს. ამასთან, დამოუკიდებელი დავის დანყების შემთხვევაში, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილ ფაქტებს („ა“ სადავო ნივთის მესაკუთრეა) ექნება პრეიუდიციული ძალა მიკუთვნებითი მოთხოვნით აღძრულ დავაში (სსსკ-ის 266-ე მუხლი), რაც იმთავითვე მიუთითებს დამოუკიდებელი სარჩელის წარუმატებლობას. ერთ-ერთ საქმეზე საქართველოს უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ მართლმსაჯულების ეფექტიანობა მისი საპროცესო ეკონომიითაც გამოიხატება. სწორედ ამ პრინციპიდან გამომდინარე, სასამართლოს მოსარჩელისათვის შეკითხვების მეშვეობით უნდა მიეცა სასარჩელო მოთხოვნის დაკონკრეტების (დაზუსტების) შესაძლებლობა (სსსკ-ის 83-ე მუხლის მე-4 ნაწილი), რადგანაც ამ შემთხვევაში კრების ოქმის ბათილობა, სავარაუდოდ, იმის წინაპირობაა, რისი მიღწევაც სურს მოსარჩელეს.²⁶

სამართლის თეორიაში აღიარებულია სავალდებულო და არასავალდებულო შეგებებული სარჩელის ინსტიტუტი. თეორიული გაგებით, სავალდებულო შეგებებული სარჩელის წარდგენის ვალდებულება არსებობს, თუ იგი წარმოიშობა იმავე დავის საგნიდან (ტრანზაქციიდან ან მოვლენიდან) და მიმართულია ძირითადი მოსარჩელის და არა მესამე პირის წინააღმდეგ. სავალდებულო შეგებებული სარჩელის დამოუკიდებლად წარდგენა, როგორც წესი დაუშვებელია. სავალდებულო შეგებებული სარჩელის ინსტიტუტი განერილია ამერიკის შეერთებული შტატების სამოქალაქო პროცესის ფედერალური წესების 13(a) მუხლში.²⁷ პარალელი რომ გავავლოთ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 189.2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტთან (შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება

²⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 2 მარტის #ას-1509-1429-2017 განჩინება; www.supremecourt.ge.

²⁷ <https://www.law.cornell.edu/rules/frcp>

მთლიანად ან ნაწილობრივ გამორიცხავს პირვანდელი სარჩელის დაკმაყოფილების შესაძლებლობას) და ზემოთ მოყვანილ მაგალითთან (**კაზუსი4**), აუცილებლად მივალთ ლოგიკურ დასკვნამდე, რომ საქმე გვაქვს სავალდებულო შეგებებულ სარჩელთან, განსხვავებით ამავე მუხლის „გ“ ქვეპუნქტისაგან (შეგებებულ სარჩელსა და პირვანდელ სარჩელს შორის არის ურთიერთკავშირი და მათი ერთად განხილვის შედეგად აღძრული დავა უფრო სწრაფად და სწორად გადაწყდება), სადაც წარმოდგენილია სხვადასხვა დავის საგანი (მაგ.: „ა“-მ სარჩელი აღძრა „ბ“-ს წინააღმდეგ და მოითხოვა „ბ“-ს უკანონო მფლობელობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვა, იმ საფუძვლით, რომ მოპასუხემ თვითნებურად დაიკავა მოსარჩელის საკუთრება და, მისი არაერთი მოთხოვნის მიუხედავად, არ ათავისუფლებს ნივთს. „ბ“-ს მფლობელობის პერიოდში ნივთზე განეული აქვს ხარჯები, რაც მისთვის თეორიულად წარმოშობს ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას მესაკუთრის მიმართ, თუ ნივთის მესაკუთრისათვის დაბრუნებას ამ უკანასკნელის გამდიდრება მოჰყვება შედეგად. აქედან გამომდინარე, „ბ“-ს შეუძლია, მაგრამ ვალდებული არ არის, აღძრას შეგებებული სარჩელი ძირითად სარჩელთან ერთად, რაც ხელს შეუწყობს ამ ორი დავის სწრაფად და ეფექტიანად გადაწყვეტას).

II. შესაგებლისათვის წაყენებული მოთხოვნები

1. შესაგებლის წარდგენის ვადა

შესაგებლის წარდგენა ყოველთვის ვადით არის შემოფარგლული, რომელსაც განსაზღვრავს სასამართლო, სარჩელის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით. ამასთან, 201-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სასამართლოს მიერ განსაზღვრული ვადა არ უნდა აღემატებოდეს 14 დღეს, ხოლო რთული კატეგორიის საქმეებზე – 21 დღეს. ცალკეული დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელის გამარტივებული წესით განხილვისას, შესაგებლის წარსადგენად განსაზღვრული ვადა არ უნდა აღემატებოდეს 7 დღეს. შესაგებლის წარდგენისათვის ვადის დანესება, მით უფრო კანონმდებლის მიერ მაქსიმალური ვადის შემოღება, ემსახურება დროული და ეფექტიანი მართლმსაჯულების განხორციელების მიზანს. ამავე ნორმით სასამართლოს მიერ დადგენილი ვადის გაგრძელება დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს საპატიო მიზეზი (იხ. სსსკ-ის 64-ე და 215-ე მუხლები). შესაგებლის წარდგენისათვის ვადის განსაზღვრა მნიშვნელოვანია

იმდენად, რამდენადაც ამ ვადის უშედეგოდ გასვლას მოჰყვება მოპასუხისათვის ისეთი ნეგატიური რეზულტატი, როგორცაა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა და ფაქტობრივი შედავების უფლების დაკარგვა (სსსკ-ის 232¹ მუხლი). შესაგებლის წარდგენისათვის ვადის გონივრულობის საკითხი ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ინდივიდუალურად უნდა გადაწყდეს. მოსამართლემ არაგონივრული ვადის დაწესებით შეიძლება მხარეს შეუზღუდოს სასამართლო ხელმისაწვდომობის უფლება. ამიტომ, როგორც ვადის განსაზღვრა, ასევე მისი გაგრძელება, დიდ სიფრთხილეს მოითხოვს, რათა დაუსაბუთებლად არ შეილახოს მხარეთა საპროცესო უფლებები. ერთ-ერთ საქმეში საქართველოს უზენაესმა სასამართლომ შესაგებლის წარდგენისათვის 5-დღიანი ვადის განსაზღვრა არ მიიჩნია არაგონივრულად.²⁸ შესაგებლის წარდგენისათვის კანადაში დაწესებულია 21-დღიანი ვადა,²⁹ დიდ ბრიტანეთში კი -14 და 28-დღიანი.³⁰

2. სარჩელისა და შესაგებლის ურთიერთმიმართება

გადაწყვეტილების მიღებამდე მოსამართლე ვადის რამდენიმე ეტაპს. მათ შორის მთავარია ორი ეტაპი: წერილობითი მასალების შეგროვება და დახარისხება; და მხარეთა მოსმენა. პირველ ეტაპზე მნიშვნელოვანია სარჩელისა და შესაგებლის დეტალურად შესწავლა და ანალიზი. მართალია, მოსარჩელის სტადია წინ უძღვის მოპასუხის სტადიას და შესაგებელი მონმდება სარჩელის გამართულობის შემოწმების შემდეგ, თუმცა ხშირ შემთხვევაში შესაგებელი ავსებს და აზუსტებს სარჩელის ფაბულას, ასევე, დღის წესრიგში აყენებს საპროცესო საკითხებს, როგორცაა, მაგალითად, სათანადო მხარის ან სარჩელის დასაშვებობა. ამ მსჯელობიდან გამომდინარე, მოსამართლემ აუცილებლად უნდა ჩაიხედოს შესაგებელში, მიუხედავად იმისა, რომ მოსარჩელის სტადიაზე მხოლოდ სარჩელის გამართულობა მონმდება. სარჩელისა და შესაგებლის ურთიერთმიმართება განსაკუთრებით აქტუალურია იმ დროს, როდესაც მოსა-

²⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 5 თებერვლის #ას-1250-1172-2015 განჩინება; www.supremecourt.ge.

²⁹ <https://www.supremecourtbc.ca/sites/default/files/web/Defending-an-Action-Started-by-a-Notice-of-Civil-Claim.pdf>

³⁰ <https://www.justice.gov.uk/courts/procedure-rules/civil/rules/part15#15.4>

მართლე რელაციის ტექნიკის³¹ გამოყენებით სისტემურად ალაგებს მხარეთა მიერ მოხსენებულ და წარმოდგენილ საქმის ფაქტობრივ გარემოებებს. ეს ნიშნავს ყველა მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინებას და უმნიშვნელო გარემოებების გამორიცხვას. ჩვენ მიერ ნახსენები მხარეთა მოსმენის ეტაპი, განსაკუთრებით, მოსამზადებელი სხდომა, ეხმარება მოსამართლეს დავის ფაბულის სრულყოფასა და ბუნდოვან ფაქტებში მეტი სიცხადის შეტანაში. იმის გარკვევა, თუ რომელი ფაქტებია რელევანტური, რა თქმა უნდა, რთულია და სწორედ ამაში ვლინდება მოსამართლის მიერ სამუშაო მეთოდების ფლობის უნარი. უმთავრესად ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელ ნორმას მიიჩნევს მოსამართლე მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად.

რელაციის ტექნიკის გამოყენებით საქმე შემდეგი წესით მუშავდება:

ა) პირველ რიგში, მოსამართლემ დადასტურებულად უნდა მიიჩნიოს სარჩელში გადმოცემული ყველა ფაქტი;

ბ) ამის შემდეგ მოსამართლემ, სარჩელის ფაბულის გათვალისწინებით, უნდა მოიძიოს მოთხოვნის სავარაუდო სამართლებრივი საფუძველი. ასეთი შეიძლება იყოს რამდენიმე, თუმცა, ნორმათა კონკურენციის პირობებში, მოსამართლემ სწორად უნდა განსაზღვროს, რომელ მათგანს უნდა მიენიჭოს უპირატესობა (სახელშეკრულებო მოთხოვნის საფუძველს უპირატესობა ენიჭება კანონისმიერ მოთხოვნის საფუძველთან შედარებით). რამდენიმე მოთხოვნის საფუძვლის არსებობისას შესაძლებელია, მოთხოვნები განხორციელდეს ერთმანეთის პარალელურად, ან მათ შორის არსებობდეს რანგთა სხვადასხვაობა.³² მოსამართლემ უნდა შეამოწმოს ყველა გასათვალისწინებელი მოთხოვნის საფუძველი, თუ ერთ-ერთი მათგანი საერთოდ (ან არასრულყოფილად) ვერ მიუახლოვდება მოსარჩელის მიერ დასახულ და სასურველ შედეგს. იგივე ევალება მას, როცა რომელიმე მოთხოვნის საფუძვლის წინაპირობა სადავო ხდება და, აქედან გამომდინარე, საჭიროებს მტკიცებულებების მიღებას, მაშინ, როცა სხვა მოთხოვნის საფუძვლის განხილვის შემთხვევაში, ეს არ იქნე-

³¹ სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადანყვეტილებათა მიღების მეთოდის, ჰაინ ბოელინგი, ლადო ჭანტურია, ნაწილი პირველი, გვ.1.

³² საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი, ჰაინ ბოელინგი, პეტერ ლუტრინგჰაუსი, გამომცემლობა „სიესტა“, 2009, თბილისი, გვ. 18.

ბოდა საჭირო, რადგან მისი წინაპირობები არ არის სადავო.³³ თუ მოთხოვნის ვერცერთი საფუძველი ვერ იქნება მოძიებული, ეს ნიშნავს, რომ მოსარჩელეს არ აქვს მოთხოვნის უფლება;

გ) მოთხოვნის დამფუძნებელი ყველა ნორმა შედგება ორი ნაწილისაგან: აღწერილობითი ნაწილი, რომელშიც გადმოცემულია ნორმის ფაქტობრივი შემადგენლობა (აბსტრაქტული ელემენტები), და სამართლებრივი შედეგი. ნორმის აღწერილობითი ნაწილიდან აბსტრაქტული ელემენტების გამოყოფის შემდეგ, მოსამართლემ მათ უნდა მიუსადაგოს მოსარჩელის განმარტებები (სუბსუმცია). სწორედ ამ გზით გაიმიჯნება რელევანტური ფაქტები არასაჭირო ფაქტებისაგან. თუკი მისათითებელი ფაქტები არ იქნება სარჩელში სრულად გადმოცემული, სარჩელი თავშივე უსაფუძვლოა.³⁴ მოპასუხეს ასეთ პირობებში შეუძლია წარადგინოს მართივი შესაგებელი სარჩელის უსაფუძვლობაზე, ხოლო თუ შესაგებელი საერთოდ არ იქნება წარდგენილი, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დაუშვებელია. მისათითებელი ფაქტების დამატების/დაზუსტების შემთხვევაში, მოპასუხეს აუცილებლად უნდა მიეცეს საპროცესო თავდაცვის სრულფასოვნად განხორციელების შესაძლებლობა. სსსკ-ის 4.1 მუხლის მიხედვით, მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს. ამავე კოდექსის 178.1 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად კი, სარჩელში უნდა აღინიშნოს კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზეც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნებს. მოხმობილი ნორმები განსაზღვრავს მხარეთა ტვირთს ფაქტების მითითების თაობაზე. თუკი მტკიცების ტვირთს მოსამართლე აქტიურად ხელმძღვანელობს და მხარეებს კარნახობს, თუ ვინ უნდა ამტკიცოს მტკიცების საგანში შემავალი ფაქტი, ფაქტების მითითებისას იგი პასიურია. ეს ნიშნავს, რომ მოსამართლე ვერ დაეხმარება მხარეს სარჩელის/შესაგებლის ფაქტობრივი დასაბუთების შედგენაში. მოსამართლეს დავის გადასაწყვეტად სჭირდება რელევანტური ფაქტები, რომელთა წარდგენაზეც სრული პასუხისმგებლობა ეკისრებათ მხარეებს. თუკი მხარეთა პასუხისმგებლობა ფაქტების მითითებაში ვლინდება, მო-

³³ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი, ჰაინ ბილინგი, პეტერ ლუტრინგჰაუსი, გამომცემლობა „სიესტა“, 2009, თბილისი, გვ. 54.

³⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 2 ივნისის #ას-1079-1036-2016 განჩინება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 22 ივლისის #ას-127-119-2015 გადაწყვეტილება; www.supremecourt.ge.

სამართლის პასუხისმგებლობა ფაქტების სწორად შერჩევას. ამ თვალსაზრისით, მთავარი, რაც მოსამართლემ უნდა გააკეთოს, არის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის მართებულად განსაზღვრა და ამის შესახებ მხარეების ინფორმირება საქმის არსებითი განხილვის დაწყებამდე, რათა მხარეებმა შეძლონ ფაქტობრივი ელემენტების შევსება;

დ) მას შემდეგ, რაც მოსამართლე მოიძიებს მოთხოვნის დამფუძნებელ ნორმას, განსაზღვრავს ნორმის ფაქტობრივ ელემენტებს (წინაპირობებს), ამ წინაპირობებს მიუსადაგებს მოსარჩელის მიერ მოხსენებულ ფაქტებს და თითოეულ წინაპირობაზე გასცემს დადებით პასუხს (დაუსვამს პლიუსის ნიშანს), იგი ამონმებს, რომელ ფაქტებს ხდის მოპასუხე სადავოდ (მოპასუხის სტადია). თუ მოპასუხეს არ აქვს წარდგენილი კვალიფიციური (არსებითი) შედავება და მხოლოდ სამართლებრივად მნიშვნელოვანი ფაქტების უარყოფით შემოიფარგლება, მოსამართლე გადადის მტკიცების სტადიაზე, რაც ნიშნავს სადავო ფაქტების დადგენას. მოპასუხის მხრიდან არსებითი შედავების შემთხვევაში, მოსამართლემ ასევე უნდა მოიძიოს სამართლებრივი ნორმა, რომელიც გამორიცხავს, წყვეტს ან აფერხებს მოთხოვნის განხორციელებას, ხოლო ნორმის წინაპირობები იმავე წესით მონმდება, როგორც გადმოცემულია „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებში. აქაც მნიშვნელოვანია, რას პასუხობს მოსარჩელე მოპასუხის არსებით შედავებას. არ არის გამორიცხული, მოსარჩელემაც კვალიფიციური პასუხი გასცეს მოპასუხის ამგვარ განმარტებას. ამდენად, მოსამართლე ასე უწყვეტად გადადის მოსარჩელის სტადიიდან მოპასუხის სტადიაზე და, პირიქით, ვიდრე არ დასრულდება მხარეთა განმარტებების ურთიერთგაცვლის პროცესი, რომლის შედეგადაც უნდა გაირკვეს უდავო და სადავო (მტკიცების საგანში შემავალი) ფაქტები.

3. შესაგებლის შინაარსობრივი მხარე:

შესაგებელი შინაარსობრივად უნდა შეიცავს შემდეგ მონაცემებს:

ა) სასამართლოს დასახელებას; ბ) მოპასუხის, მისი წარმომადგენლის (თუ პასუხი (შესაგებელი) შეაქვს წარმომადგენელს), მონმის, სხდომაზე მოსაწვევი სხვა პირის მაიდენტიფიცირებელ და საკონტაქტო მონაცემებს, ასევე მისამართს. მისამართის და საკონტაქტო მონაცემების სწორად მითითება მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც სსსკ-ის 71-ე და 73-ე მუხლების თანახმად, თუ მოპასუხეს მის მიერ მითითებულ მისამართზე უწყება ვერ ჩაბარდება კანონით დადგენილი წესით (თუ უწყების ადრესატისთვის ჩაბარება ვერ ხერხდება, იგი დასაბარებელ პირს უნდა გაეგზავნოს).

ვნოს დამატებით (ერთხელ მაინც) იმავე ან სასამართლოსთვის ცნობილ სხვა მისამართზე), უწყება ჩაბარებულად ჩაითვლება; გ) ცნობს თუ არა მოპასუხე სარჩელს და რა ნაწილში; დ) თუ მოპასუხე სარჩელს არ ცნობს, რა კონკრეტულ ფაქტებსა და გარემოებებს ემყარება მისი შესაგებელი სარჩელის წინააღმდეგ; ე) არსებობის შემთხვევაში, მოპასუხის შუამდგომლობებს; ვ) მოპასუხის მოსაზრება საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვაზე. წინა პარაგრაფებში არაერთგზის აღვნიშნეთ, რომ მოპასუხეს, გარდა მატერიალური შედავებისა, შეუძლია წარადგინოს საპროცესო შედავება (201.2 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტი). ისევე, როგორც სარჩელის შემთხვევაში (სსსკ-ის 178.3 მუხლი), შესაგებელს უნდა დაერთოს მტკიცებულებები (სსსკ-ის 201.5 მუხლი), რომლებიც ადასტურებენ მოპასუხის მიერ მითითებულ გარემოებებს. კანონი ორივე მხარეს ავალდებულებს, რომ სარჩელს და შესაგებელს დაურთონ მტკიცებულებები, თუმცა, მხარეთა წერილობითი პოზიციების გაცვლის ეტაპზე მოსამართლე არ უნდა იყოს გადაჭარბებულად მკაცრი ამ მოთხოვნის მიმართ, ვინაიდან მისი ამოცანაა, თავდაპირველად განსაზღვროს, რომელი ფაქტებია მხარეთა მოხსენებებიდან რელევანტური და რომელს არ ხდის სადავოდ. როგორც მოსარჩელისთვის, ასევე სასამართლოსთვის, წინასწარ უცნობია, რა სახის შესაგებელს წარადგენს მოპასუხე. ამიტომ მტკიცებულებათა წინასწარ შეკრება მხოლოდ ზედმეტი შრომაა. იგივე ითქმის მოპასუხის მხრიდან არსებითი შედავებისას.

მოპასუხის მიერ საპროცესო უფლებების განკარგვის თვალსაზრისით, ყველაზე მნიშვნელოვანია სარჩელის ცნობის ინსტიტუტი. სარჩელის ცნობა ნიშნავს მოსარჩელის მოთხოვნის აღიარებას, რაც სარჩელის დაკმაყოფილების უპირობო საფუძველია. მოსამართლე ასეთ შემთხვევაში არ ადგენს დასაბუთებულ გადანყვეტილებას და შემოიფარგლება მხოლოდ იმაზე მითითებით, რომ მოპასუხემ ცნო სარჩელი. ერთ-ერთ საქმეზე საქართველოს უზენაესმა სასამართლომ განმარტა: „მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობა უფლების განმკარგავი აქტია, რომელიც შეიძლება განხილულ იქნას მხოლოდ მის სამართლებრივ შედეგთან ერთიანობაში. სარჩელის ცნობა შეუქცევადია და მას ამ ნაწილში გადანყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოჰყვება შედეგად, იმდენად, რამდენადაც სარჩელის ცნობას საფუძვლად ედება პრეზუმფცია, რომ მოპასუხე აღიარ-

რებს მის მიმართ წარდგენილ პრეტენზიას და არ აპირებს მოთხოვნისაგან თავდაცვის საპროცესო საშუალების გამოყენებას.³⁵

შესაგებლის სრულყოფილად შევსების ვალდებულება გამომდინარეობს სსსკ-ის 201-ე მუხლის მე-4 ნაწილის პირველი წინადადების დათქმიდან: პასუხში (შესაგებელში) სრულყოფილად უნდა იყოს ასახული მოპასუხის მოსაზრებები სარჩელში მითითებულ თითოეულ ფაქტობრივ გარემოებასა და მტკიცებულებაზე. მოპასუხემ არ უნდა მიმართოს საპროცესო თავდაცვის ისეთ ტაქტიკას, როგორცაა შესაგებლის ფორმალურად (არასრულყოფილად) წარდგენა და სხდომაზე (თუნდაც მოსამზადებელზე) ისეთი ფაქტების გაჟღერება, რომლებიც არ ყოფილა შესაგებელში თავის დროზე წარმოდგენილი, ვინაიდან ზეპირ მოსმენას სხვა დატვირთვა აქვს. სამოქალაქო სამართლის დავების უმრავლესობა წყდება მითითების ტვირთის, მტკიცების ტვირთისა და მტკიცებულების შეფასების ეტაპზე.³⁶ აქედან გამომდინარე, თუ შესაგებლის წარდგენისათვის სასამართლოს მიერ განსაზღვრული ვადა გონივრულია, მოპასუხემ უნდა უპასუხოს სარჩელში მითითებულ თითოეულ ფაქტობრივ გარემოებას. თუ მოპასუხე არ ეთანხმება რომელიმე მათგანს, ვალდებულია, მიუთითოს ამის მიზეზი და დაასაბუთოს შესაბამისი არგუმენტაციით; წინააღმდეგ შემთხვევაში, მას ერთმევა უფლება, შეასრულოს ასეთი მოქმედება საქმის არსებითი განხილვისას. ეს, ერთი მხრივ, ემსახურება მოსარჩელის უფლებების უკეთ რეალიზაციას, ხოლო მეორე მხრივ, სასამართლოს ეხმარება დავის სწრაფად გადაწყვეტაში.

შესაგებლის შინაარსობრივი მხარე, განსაკუთრებით, ფაქტობრივი ნაწილი, გავლენას ახდენს მტკიცების ტვირთზე. სსსკ-ის 102.1 მუხლის ზოგადი დათქმაა, რომ თითოეულმა მხარემ დაამტკიცოს გარემოებები, რომლებზეც ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ამ გენერალური დათქმიდან გამომდინარე, უფლების შემწყვეტი, შემაფერხებელი და გამომრიცხავი შესაგებლის მტკიცების ტვირთი მოდის მოპასუხეზე. თუ მოპასუხე არ წარადგენს სამართლებრივ შესაგებელს და მხოლოდ სარჩელში მითითებული გარემოებების უარყოფით შემოიფარგლება, მტკიცების ტვირთი მოსარჩელეზეა. მითითების ტვირთი და მტკიცების ტვირთი შეიძლება ყოველთვის არ ემთხვეოდეს ერთმანეთს. შესაბამისად, მხა-

³⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 8 აპრილის #ას-64-58-2015 გადაწყვეტილება; www.supremecourt.ge.

³⁶ „მტკიცების ტვირთი გერმანულ საპროცესო სამართალში“, ულრიხ ჰაგენლოხი, მოხსენება ილიას უნივერსიტეტში, 21 ივნისი, 2018 წ.

რეს, რომელსაც მხოლოდ მითითების ტვირთი ეკისრება, არ უნდა მოეთხოვოს მტკიცებულების წარდგენა. ეს რთული საკითხები მოსამართლემ უნდა გადაწყვიტოს არა სარჩელისა და შესაგებლის წარდგენის, არამედ მხარეთა პოზიციების რელაციის ტექნიკით დამუშავების ეტაპზე. ამ ეტაპზე მოსამართლე არკვევს, არის თუ არა სარჩელი/შესაგებელი საკმარისად დასაბუთებული და მხოლოდ მას შემდეგ გადადის მტკიცების სტადიაზე, რაც მხარეები გადალახავენ საკუთარი პოზიციების ფორმალური დასაბუთებულობის (გამართულობის) მოთხოვნებს.

III. შესაგებლის წარუდგენლობის სამართლებრივი შედეგები

სსსკ-ის 201.7 მუხლის მიხედვით, სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში შესაგებლის არასაპატიო მიზეზით წარუდგენლობის შემთხვევაში მოსამართლეს გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება, ამ კოდექსის XXVI თავით დადგენილი წესით. მოცემული ნორმა მითითებითი შინაარსისაა, ამიტომ უფრო დანვრილებით შესაგებლის წარუდგენლობის გამო დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის წინაპირობები განხილულია სსსკ-ის 232¹ მუხლის კომენტარში.

მუხლი 203. მოქმედება, რომელსაც ასრულებს მოსამართლე საქმის მომზადების მიზნით

1. სასამართლოს მთავარ სხდომაზე განხილვისათვის საქმის მოსამზადებლად მოსამართლეს შეუძლია:

ა) დაავალოს მხარეებს შეავსონ, ხოლო საჭიროების შემთხვევაში განმარტონ მათ მიერ წარმოდგენილი წერილობითი მასალები, წინადადება მისცეს მათ წარმოადგინონ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ნივთები თუ დოკუმენტები;

ბ) გამოითხოვოს მხარეთა თხოვნით მტკიცებულებანი სხვადასხვა დაწესებულებებიდან თუ მოქალაქეებისაგან, რომელთა მიღებაც თავად მხარეებმა ვერ შეძლეს;

გ) გადაწყვიტოს სასამართლო პროცესში მესამე პირებისა და თანამონაწილეების დაშვების საკითხი;

დ) შეამოწმოს მტკიცებულებები, თუ ეს სასამართლოში საქმის არსებითად განხილვისას ძნელი იქნება ან გააჭიანურებს საქმის განხილვას;

ე) ჩაატაროს ადგილზე დათვალიერება;

ვ) მისცეს სასამართლო დავალებები;

ზ) მოახდინოს სარჩელის უზრუნველყოფა;

თ) დანიშნოს ექსპერტიზა, გადაწყვიტოს ექსპერტის მოწვევის საკითხი;

ი) გადაწყვიტოს სპეციალისტის მოწვევის საკითხი;

კ) დაიბაროს მოწმეები, აგრეთვე ექსპერტები და სპეციალისტები სასამართლო სხდომის დღისათვის.

2. მოსამართლეს შეუძლია სხვა მოქმედებების შესრულებაც, რომლებიც ხელს შეუწყობენ სასამართლოს მთავარ სხდომაზე განსახილველად საქმის მომზადებას.

ბესარიონ ალავეიძე

203-ე მუხლი

I. ზოგადი დებულებები

მთავარ სხდომაზე საქმის არსებითი განხილვის დაწყებამდე, მოსამართლე დარწმუნებული უნდა იყოს, რომ საქმე სათანადოდ არის მომზად-

დებული. თუ რა იგულისხმება საქმის სათანადოდ მომზადებაში, ქვემოთ გვექნება მსჯელობა. სსსკ-ის მე-200 მუხლის მიხედვით, საქმის მომზადების მიზანია მისი გაჭიანურების თავიდან აცილება და ერთ სასამართლო სხდომაზე განხილვის დამთავრება. შეიძლება ვინმეს არარეალური ჰგონია ერთ სხდომაზე საქმის დასრულება, თუმცა ეს სავსებით რეალურია, თუ არსებით განხილვამდე მოსამართლე გამოიყენებს მის ხელთ არსებულ ყველა საპროცესო ინსტრუმენტს და კარგად ფლობს დავის გადანყვეტის სამუშაო მეთოდებს. საქმის მომზადების ეტაპი ყოველთვის წინ უსწრებს მთავარ სხდომას და სწორედ ამ ეტაპზე უნდა შესრულდეს გარკვეული საპროცესო მოქმედებები (შესაგებლის წარმოდგენა, მტკიცებულებათა შეგროვება, შუამდგომლობების დაყენება/დაკმაყოფილება და ა.შ.), რაც საქმის არსებითი განხილვისას დაუშვებელია, კანონით დადგენილი გამონაკლისების გარდა (სსსკ-ის 215-ე მუხლი). სასამართლო პრაქტიკაში ხშირად ასე არ ხდება და, როგორც საქმის მომზადებას, ისე არსებით განხილვას, არაერთი სხდომა ეძღვნება, რაც შესაძლებელია საქმის სირთულით ან, ზოგიერთ შემთხვევაში, მოუმზადებლობით იყოს გამოწვეული.

სამოქალაქო სამართალწარმოებაში პარალელურად არსებობს მართლმსაჯულებისა და მხარის ინტერესები. მართლმსაჯულების ინტერესია დავის სწორად და დროულად გადანყვეტა, ხოლო მხარის – აღსრულებადი გადანყვეტილების დროულად მიღება. ზედმეტი საპროცესო მოქმედებები ხელყოფს ორივე ინტერესს. ამ თვალსაზრისით, კანონმდებლის მიდგომა მკაცრია. კერძოდ, საპროცესო კოდექსის 216-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საქმის განხილვის გადადება დასაშვებია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, გონივრული ვადით, თუ საქმის სრულყოფილად გამოკვლევა და დამთავრება შეუძლებელია იმავე სხდომაზე. ამგვარი მიდგომა ნაკარნახევია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 6.1 მუხლით – „საქმის გონივრულ ვადაში სამართლიანი განხილვის უფლება“, რაც ასევე კონსტიტუციურ-სამართლებრივი პრინციპია (საქართველოს კონსტიტუციის 31.1 მუხლი). ერთ-ერთ საქმეზე საქართველოს უზენაესმა სასამართლომ განმარტა: „სსსკ-ის 216-ე მუხლის დანაწესი გულისხმობს, რომ სასამართლო უფლებამოსილია, სხვა დროისათვის გადადოს სასამართლო სხდომა, თუ არსებობს ისეთი ობიექტური გარემოება, რომელიც ამართლებს საქმის განხილვის ვადის დახანებას და არ ემსახურება მის გაჭიანურებას. მხარემ,

სსსკ-ის 102-ე მუხლის შესაბამისად, სარწმუნოდ უნდა დაასაბუთოს საკუთარი მოტივების საფუძვლიანობა.¹ მხარეთა ამგვარი შეზღუდვა, ბუნებრივია, გამართლებულია, თუ სასამართლოს ზედმინევენით აქვს შესრულებული საკუთარი საპროცესო მოვალეობები და მხარეებს სრულყოფილად მიეცათ თავიანთი უფლებების რეალიზაციის შესაძლებლობა.

საქმის მომზადება, როგორც დავის გადაწყვეტის გენერალური ეტაპი, რამდენიმე პირობითი ქვეეტაპისაგან შედგება. ესენია: წერილობითი პოზიციების გაცვლა; სარჩელის/შესაგებლის ფორმალური დასაბუთებულობის/გამართულობის შემოწმება; მხარეთა განმარტებების შევსება/დაზუსტება; მოთხოვნის/შესაგებლის დამფუძნებელი ნორმის მოძიება და მტკიცების საგნის განსაზღვრა; მტკიცების ტვირთის მხარეთა შორის განაწილება და მტკიცებულებათა შეგროვება. თითოეულ შემთხვევაში მოსამართლის აქტიურობა ხორციელდება სამოქალაქო სამართალწარმოებაში დამკვიდრებული პრინციპების დაცვით (დისპოზიციურობა, შეჯიბრებითობა, თანასწორობა, მხარეთა მოსმენა, პოზიციების წერილობით გამოხატვა).

საქმის მომზადება სარჩელის (განცხადების) წარმოებაში მიღების შემდეგ მოპასუხისათვის სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების გაგზავნით იწყება. მოპასუხე ვალდებულია, სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში წარუდგინოს სასამართლოს შესაგებელი, ასევე, მოსარჩელისათვის პასუხისა და თანდართული დოკუმენტების ასლების გაგზავნის დამადასტურებელი დოკუმენტები (სსსკ-ის 201.1 მუხლი). აღნიშნული საპროცესო მოქმედებები წერილობითი შეჯიბრებითობის პრინციპის გამოხატულებათა, რაც, იმავდროულად, მხარეთა უფლებების დაცვას ემსახურება, რათა წინასწარი წარმოდგენა ჰქონდეთ მიმდინარე დავაზე. ამ კონტექსტში, მოსამართლემ უნდა განუმარტოს მხარეებს მათი მხრიდან მოვალეობათა შეუსრულებლობის ნეგატიური შედეგები და დაუნესოს გონივრული ვადა საპროცესო მოქმედების განსახორციელებლად. მხარეებს კარგად უნდა ესმოდეთ, რომ წერილობითი შეჯიბრებითობის უფლების გამოუყენებლობა მათ უკარგავს ფაქტების სხდომაზე გაჟღერების შანსს. მართალია, საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის პირველი ნაწილით მხარეებს უფლება აქვთ, სასამართლოს მისცენ ზეპირი და წერილობითი ახსნა-განმარტებანი, თუმცა ეს არ უნდა გავიგოთ

¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 1 მარტის #ას-48-44-2017 განჩინება; www.supremecourt.ge.

ალტერნატივად. ზეპირი განმარტება უნდა შეესაბამებოდეს, ავსებდეს და აკონკრეტებდეს ნერილობით განმარტებას, რომელიც წინ უძღვის მას, და ემსახურებოდეს ფაქტებში სიცხადის შეტანას. მოსამართლემ არ უნდა დაუშვას, რომ მხარეებმა საქმის არსებითი განხილვისას სრულიად განსხვავებული ფაბულა წარმოადგინონ, რომელიც წინააღმდეგობაში იქნება თავდაპირველად გადმოცემულ ფაბულასთან.

ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინების უმთავრესი წინაპირობაა, რომ მათი წარმოდგენის ვალდებულების მქონე მხარემ ისინი საკმარისად დასაბუთებულად წარმოადგინოს სამართლებრივი დავისას. მოსამართლეს არ აქვს უფლება, შეამონმოს დაუსაბუთებელი ფაქტობრივი გარემოებები, რაც მისთვის, ასე ვთქვათ, სამართლებრივად არარსებულია.² სარჩელის/შესაგებლის ფორმალური დასაბუთებულობა/გამართულობის შემონმება მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც, თუ სარჩელი ვერ აკმაყოფილებს ამ მოთხოვნას, შესაგებელი არ მოწმდება და სარჩელი თავშივე უსაფუძვლოა (სარჩელის ფორმალური გამართულობის წარმატებით გავლის შემდეგ, იმავე კრიტერიუმებით მოწმდება შესაგებელი). შესაბამისად, საქმის მომზადება არ მოითხოვს მოსამართლის მხრიდან დამატებით მოქმედებებს (მტკიცების საგნის განსაზღვრა და მტკიცებულებათა შეგროვება). ასევე მარტივადაა საქმე, თუ მოპასუხის სტადიაზე გადასვლისას აღმოჩნდება, რომ მოპასუხე არ ედავება ფაქტებს ან ცნობს სარჩელს. მეტი ძალისხმევაა საჭირო მაშინ, როდესაც მოპასუხე წარადგენს კვალიფიციურ/სამართლებრივ შედავებას, ვინაიდან მოსამართლეს უნევს მტკიცების საგნის განსაზღვრა მოძიებული ნორმის შესაბამისად და ფაქტების დადგენა, რაც, თავის მხრივ, დაკავშირებულია ისეთ საპროცესო მოქმედებებთან, როგორცაა მტკიცებულებათა მიღება/გამოთხოვა/საქმიდან ამოღება, მათი დასაშვებობის/განკუთვნადობის შემონმება, შეფასება.

სსსკ-ის 83-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, მოსარჩელეს უფლება აქვს, საქმის წინასწარი განხილვისთვის მომზადების დამთავრებამდე, შეავსოს სარჩელში მითითებული გარემოებები, რის შესახებაც სასამართლომ უნდა აცნობოს მოპასუხეს, რათა მას არ შეეზღუდოს დაცვის უფლება. ფაქტების შევსება/დაზუსტება შესაძლებელია მხარეთა ნებით, ან სასამართლოს ინიციატივით, თუკი ისინი არასრულად/ზუნდოვნად

² „მტკიცების ტვირთი გერმანულ საპროცესო სამართალში“, მოხსენება ილიას უნივერსიტეტში, ულრის ჰაგენლოხი, 21 ივნისი, 2018, გვ. 19;
http://lawlibrary.info/ge/books/2018GIZ-GE-Comparative-Research-Onus_of_Proof.pdf

არის წარმოდგენილი. სარჩელის/შესაგებლის შევსება/დაზუსტება შესაძლებელია როგორც სასამართლოსათვის წერილობითი ფორმით წარდგენით, ასევე მოსამზადებელ სხდომაზე. საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის მე-2 ნაწილი მოსამართლეს ანიჭებს უფლებას, საქმის გარემოებათა გასარკვევად, თავისი ინიციატივით მიმართოს ამ კოდექსში გათვალისწინებულ ღონისძიებებს. ასეთ ღონისძიებებში მოიაზრება სსსკ-ის 128-ე და 203-ე მუხლებით მოწესრიგებული საკითხებიც. 128-ე მუხლი გვთავაზობს დიალოგის ფორმატს მოსამართლესა და მხარეებს შორის, სადაც, ერთი მხრივ, მოსამართლე მხარეებს აწვდის ინფორმაციას სამართლებრივი საკითხების შესახებ, ხოლო მეორე მხრივ, მხარეებს შესაძლებლობა აქვთ, სრულად და ზუსტად მიუთითონ საქმის გადანყვეტიისთვის მნიშვნელოვან გარემოებებზე. პრაქტიკული თვალსაზრისით, მოსამართლე არ უნდა იყოს შეზღუდული, სხდომის ჩატარებამდე დაავალოს მხარეებს სასამართლოსთვის დამატებითი ინფორმაციის მიწოდება ფაქტობრივი გარემოებების შესახებ და მათი წერილობითი პოზიციების შევსება ფაქტობრივ ნაწილში. ეს ყველაფერი მოსამართლეს სჭირდება იმისთვის, რომ შექმნას სრულყოფილი ფაბულა და შედარებით მარტივად მოიძიოს მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი. მიიჩნევა, რომ მხარემ შეასრულა მითითების ტვირთით დაკისრებული ვალდებულება, რამდენადაც სასამართლოს შეუძლია, მხარის ახსნა-განმარტების საფუძველზე შეაფასოს, არსებობს თუ არა განსაზღვრული სამართლებრივი შედეგის დადგომისათვის აუცილებელი ნორმის წინაპირობები. თუ მხარის ახსნა-განმარტება აკმაყოფილებს ამ მოთხოვნებს, მაშინ, როგორც წესი, აღარ არის საჭირო მისგან დამატებითი დეტალების წარმოდგენა.³

იურიდიულ დოქტრინასა თუ სასამართლო პრაქტიკაში არაერთხელ განიმარტა, რომ სამართალწარმოების მიზნის მისაღწევად უმთავრესია, სასამართლომ სწორად განსაზღვროს საძიებელი ფაქტები (მტკიცების საგანში შემავალი გარემოებები) და მხარეთა შორის სწორად გაანაწილოს მტკიცების ტვირთი. ამისთვის ამოსავალია, პასუხი გაეცეს შემდეგ კითხვებს: ვინ, ვისგან, რას და რის საფუძველზე ითხოვს. პირველი ორი კითხვა სათანადო მხარესთან მიმართებით იძლევა პასუხს, მესამე – მოთხოვნასთან მიმართებით, ხოლო მეოთხე – მოთხოვნის საფუძველთან მიმართებით.

³ „მტკიცების ტვირთი გერმანულ საპროცესო სამართალში“, მოხსენება ილიას უნივერსიტეტში, ულრიხ ჰაგენლოხი, 21 ივნისი, 2018, გვ. 20-21;
http://lawlibrary.info/ge/books/2018GIZ-GE-Comparative-Research-Onus_of_Proof.pdf

სამართალში მოქმედებს შემდეგი პრინციპი: სასამართლო იცის კანონი (*jura novit curia*), რაც არ ნიშნავს, რომ მხარეებს არ აქვთ უფლება, მიუთითონ დავის გადაწყვეტის სამართლებრივი გზების შესახებ, თუმცა, სასამართლო არ არის შეზღუდული მხარის სამართლებრივი მოსაზრებებით. სამართლის ნორმის ძიებისას მოსამართლე მარტო რჩება საკუთარ თავთან. მას შეუძლია, მხარეებთან ერთად განიხილოს სამართლებრივი საკითხები, თუმცა ეს მოსამართლის უფლებაა და არა ვალდებულება. მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი ერთგვარი გზამკვლევა მტკიცების საგნის ჩამოყალიბებისა და მთლიანად მტკიცებითი საქმიანობისათვის. სასამართლო არა მარტო უფლებამოსილია, არამედ ვალდებულიც, განსაზღვროს, აქვს თუ არა მხარეთა მიერ მითითებულ ფაქტებს მნიშვნელობა სასარჩელო მოთხოვნისა თუ შესაგებლის დასაბუთება-გამართლებისათვის. ეს შესაძლებელი იქნება მხოლოდ ამ ფაქტების სამართლებრივი შეფასების შედეგად. თანაც ასეთი შეფასება უნდა განხორციელდეს სარჩელსა და შესაგებელთან მიმართებით. თუ ასეთი შეფასების შედეგად აღმოჩნდება, რომ მხარეთა მიერ მითითებულ ფაქტებს არ შეუძლია დაასაბუთოს (გაამართლოს) მათი მოთხოვნები (შესაგებელი), სასამართლომ არც უნდა შეიტანოს ისინი მტკიცების საგანში; აქედან გამომდინარე, არ მიიღოს და დაურთოს საქმეს, არ შეამონმოს და შეაფასოს მტკიცებულებები, რომლებიც მიმართულია ისეთი ფაქტების დადგენისკენ, რომლებსაც ამ საქმის სწორად გადაწყვეტისათვის არანაირი მნიშვნელობა არ აქვს.⁴ ივარაუდება, რომ სარჩელის საფუძველად მითითებული დავის გადასაწყვეტად, ყველა მნიშვნელოვანი ფაქტი უდავოა (არ შედის მტკიცების საგანში), ვიდრე შესაგებელი არ წარმოუდგენია მოპასუხეს. მათი მტკიცების საგნად ქცევა დამოკიდებულია იმაზე, გახდის თუ არა მოპასუხე მათ სადავოდ. ამდენად, მტკიცების საგანს შეადგენს მხარეთა მიერ მითითებული და სასამართლოს მიერ ფორმირებული მხარეთა შორის არსებული სადავო ფაქტები, რომელთა დადასტურებასაც მოჰყვება საბოლოო მატერიალურ-სამართლებრივი შედეგი, ან ისინი უშუალო გავლენას ახდენს ამ შედეგზე.⁵ მტკიცების საგნის შეცდომით განსაზღვრას, როგორც წესი, არასწორი გადაწყვეტილების მიღება მოჰყვება შედეგად. ეს შეცდომა შესაძლოა, ერთი მხრივ, გა-

⁴ სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თენგიზ ლილუაშვილი, II გამოცემა, თბილისი, 2005, გამომცემლობა „ჯისიი“, გვ. 326-327.

⁵ ფაქტობრივი გარემოებების მნიშვნელობა საკასაციო სასამართლოში, თეიმურაზ თოდრია, თბილისი, 2011, გვ.161-162.

ნპირობებული იყოს სამართლებრივი შედეგის განმსაზღვრელი მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად მოძიებით, ხოლო მეორე მხრივ, სწორად მოძიებული ნორმის დისპოზიციიდან აბსტრაქტული ელემენტების არასრულყოფილად გამოყოფით. ორივე შემთხვევაში სახეზეა სამართლებრივად მნიშვნელოვანი ფაქტებისთვის გვერდის ავლა, რომელთა გათვალისწინების გარეშეც დასაბუთებული გადანყვეტილების მიღება შეუძლებელია. მოსამართლის მიერ საქმის ფაქტობრივი გარემოებების დადგენისას დაშვებული უზუსტობის გამოსწორება სამართლებრივი შეფასების ხარჯზე დაუშვებელია. თუ გადანყვეტილებას საქმის არასწორი ფაქტობრივი გარემოებები უდევს საფუძვლად, მოსამართლის მიერ მომზადებული სამართლებრივი შეფასება არ დაემთხვევა მხარეთა მიერ მოხსენებულ შემთხვევას.⁶ ერთ-ერთ საქმეში საქართველოს უზენაესმა სასამართლომ გაიზიარა კასატორის არგუმენტი გასაჩივრებული გადანყვეტილებით მტკიცების საგანში შემავალი ფაქტების არასწორად განსაზღვრაზე, ასევე, მათი დამადასტურებელი მტკიცებულებების არასწორად შეფასებაზე, რის გამოც გასაჩივრებული გადანყვეტილების სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელი იყო. ამავე საქმეში საკასაციო სასამართლომ შემდეგი განმარტება გააკეთა: „სამოქალაქო დავის სწორად გადანყვეტას მნიშვნელოვნად განაპირობებს მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის ზუსტად განსაზღვრა, რაც სასამართლოს პრეროგატივაა, თუმცა, ასევე არანაკლებ მნიშვნელოვანია, სასამართლომ მართებულად დაადგინოს დავის გადანყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტების (მტკიცების საგანში შემავალი ფაქტების) ამომწურავი ჩამონათვალი, რათა მას არ მოუწიოს იმ გარემოებათა დადგენა, რომლებსაც საქმისათვის არანაირი მნიშვნელობა არ აქვს და მთელი სამართალწარმოება საძიებელ ფაქტებზე იყოს ორიენტირებული. სამართალწარმოების ამ ამოცანის მიღწევა შესაძლებელია იმგვარად, რომ სასამართლომ მოძებნოს სამართლის ნორმა, რომელიც მიესადაგება განსახილველ შემთხვევას. მოთხოვნის მარეგულირებელი ნორმის აღწერილობით ნაწილში მოცემული აბსტრაქტული წანამძღვრები წარმოადგენს მტკიცების საგანში შემავალი ფაქტების ამომწურავ ჩამონათვალს. ამ გზით სასამართლომ უნდა შეამოწმოს სარჩელის დასაბუთებულობა, კერძოდ, პასუხობს თუ არა მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები გამოსაყენებელი ნორმის ელემენტებს (შემადგე-

⁶ სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადანყვეტილებათა მიღების მეთოდთა, ჰაინ ბოელინგი, ლადო ჭანტურია, ნაწილი პირველი, გვ. 4.

ნლობას). სარჩელის ფორმალური დასაბუთების დადგენის შემთხვევაში, სასამართლო ასევე ამოწმებს მოპასუხის შესაგებელს და, საბოლოოდ, მტკიცების ეტაპზე, მტკიცების ტვირთის სამართლიანად განაწილების გზით, მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების შემოწმება-გამოკვლევისას გამოაქვს დასკვნა დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი ფაქტების არსებობა-არარსებობის შესახებ.⁷

ამდენად, საქმე სათანადოდ არის მომზადებული, თუ: მოსამართლეს მოძიებული აქვს მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმა; განსაზღვრული აქვს დავის გადასაწყვეტად სამართლებრივად მნიშვნელოვანი ფაქტები (ამ კონტექსტში დაძლეული უნდა იყოს მითითების ტვირთი); სწორი წარმოდგენა აქვს იმაზე, თუ რომელმა მხარემ უნდა ამტკიცოს მტკიცების საგანში შემავალი გარემოება (მტკიცების ტვირთი); და, შესაბამისად, შეკრებილი აქვს მტკიცებულებები.

II. მოქმედებები, რომლებსაც ასრულებს მოსამართლე საქმის მომზადების მიზნით

203-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, „მოსამართლეს შეუძლია, დაავალოს მხარეებს, შეავსონ, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, განმარტონ მათ მიერ წარმოდგენილი წერილობითი მასალები, წინადადება მისცეს, მათ წარმოადგინონ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ნივთები თუ დოკუმენტები“. მოცემული წესები არ უნდა განიმარტოს ვიწროდ და აქ უნდა ვიგულისხმოთ არა მხოლოდ დოკუმენტების, არამედ ფაქტების შევსება/განმარტებაც. ნორმის შინაარსი აღნიშნული მოქმედებების შესრულებისათვის არ მოითხოვს სხდომის (მოსამზადებელი) ჩატარების აუცილებლობას. ერთ-ერთ საქმეში საქართველოს უზენაესმა სასამართლომ განმარტა შემდეგი: „საპროცესო კოდექსის 203-ე-206-ე მუხლები ადგენს იმ საპროცესო ბერკეტებს, რომლებიც უნდა განკარგოს მოსამართლემ, რათა საქმის არსებითად განხილვის ეტაპზე ეფექტიანად განხორციელდეს მართლმსაჯულება. თუკი სარჩელი ფორმალურად გაუმართავია, სასამართლო ვალდებულია, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 203-ე მუხლის შესაბამისად, დააზუსტებინოს მხარეებს ფაქტები, მიიღოს მათი შემავსებელი განმარტებები და სხვა, ვინაიდან ამგვარი საპროცესო მოქმედებების განუხორციელებლობა, ამავე კოდექსის 83.3, 201.4 და 219.1

⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 25 მაისის #ას-122-116-2014 განჩინება; www.supremecourt.ge.

მუხლების შესაბამისად, საქმის არსებითად განხილვის ეტაპზე მხარეებს ართმევს დამატებითი გარემოებების წარდგენის უფლებას⁸. საკითხს ანალოგიურად აწესრიგებს გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 139-ე პარაგრაფი, რომლის მიხედვითაც, მოსამართლე ვალდებულია, მხარეებთან ერთად განიხილოს საქმის ყველა ფაქტობრივი ასპექტი. მოსამართლემ უნდა მისცეს მხარეებს შესაძლებლობა, რომ თავის დროზე (მთავარ სხდომამდე) სრულყოფილად განმარტონ ყველა მნიშვნელოვანი ფაქტი.

ფაქტების შევსების/განმარტების შესახებ მხარეთათვის წინადადების მიცემის დროს მოსამართლემ არ უნდა დაარღვიოს შეჯიბრებითობის პრინციპი და არ გახდეს ინკვიზიტორი (ამ საერთო წესიდან გამონაკლისს ადგენს მხოლოდ საოჯახო საქმეთა მარეგულირებელი საპროცესო წესები (სსსკ-ის XLIII თავი)), რაც პირდაპირ უკავშირდება მოსამართლის მხრიდან მიუკერძოებლობის დაცვას. თუ, მაგალითად, მოპასუხე შესაგებელში არ აყენებს ხანდაზმულობის საკითხს (ხანდაზმულობა განიხილება, როგორც ფაქტი), მოსამართლემ არ უნდა ჰკითხოს, ხომ არ აპირებს საპროცესო თავდაცვის ამ საშუალებით სარგებლობას. რაც მთავარია, მოსამართლე უნდა დაელოდოს პირველი რიგში შესაგებლის წარდგენას და მხოლოდ ამის შემდეგ მიმართოს ფაქტების შევსება/დაზუსტების საპროცესო ინსტიტუტს.

203-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, მოსამართლეს შეუძლია, გამოითხოვოს მხარეთა თხოვნით მტკიცებულებანი სხვადასხვა დაწესებულებიდან თუ მოქალაქეებისაგან, რომელთა მიღებაც თავად მხარეებმა ვერ შეძლეს. იმავე დანაწესს შეიცავს სსსკ-ის 103.2 მუხლი: „თუ მხარეებმა ამა თუ იმ მიზეზით ვერ შეძლეს მტკიცებულებების უშუალოდ მიღება და სასამართლოში წარდგენა, მხარეთა შუამდგომლობით, სასამართლოს შეუძლია, თვითონ გამოითხოვოს მტკიცებულებები, ვისთანაც უნდა იყოს ისინი“. ამ შემთხვევაში ივარაუდება, რომ შუამდგომლობის ავტორს ეკისრება საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტის დამტკიცების ვალდებულება. ამასთან, მოსამართლე დარწმუნებული უნდა იყოს, რომ გამოსათხოვი მტკიცებულების საქმეზე დართვა ემსახურება რელევანტური ფაქტის დადგენას. მტკიცებულების გამოთხოვაში სასამართლოს ჩარევა, როდესაც მხარის ყოველგვარი მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა, არ არღვევს საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლით განმტკიცებულ შეჯიბრე-

⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 8 თებერვლის #ას-1004-2018 განჩინება; www.supremecourt.ge.

ბითობის პრინციპს, თუმცა, ამ საპროცესო მოქმედებამდე, მოსამართლემ არ უნდა დაუშვას შეცდომა მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილებაში. ასევე, არ უნდა მიიღოს მტკიცებულება იმ მხარისაგან, რომელსაც არ ეკისრება მტკიცების ტვირთი. ზოგადად, ასეთ მხარეს, რომელიც გათავისუფლებულია მტკიცების ტვირთისაგან, შეუძლია, სასამართლოს შესთავაზოს ე.წ. „გამაქარწყლებელი მტკიცებულება“, მაგრამ სასამართლო ვერ დაავალებს მას გამაქარწყლებელი მტკიცებულების წარდგენას, თუ ფაქტების მიმთითებელი მხარე არ შეასრულებს მტკიცების კუთხით დაკისრებულ მოვალეობას.

პირები, რომელთაც სასამართლომ დაავალა მტკიცებულებათა სასამართლოში წარდგენა, ვალდებულნი არიან, შეასრულონ სასამართლოს დავალებები. სსსკ-ის 206-ე მუხლის თანახმად, მხარეები ვალდებულნი არიან, საქმის მომზადების მიზნით, შეასრულონ მოსამართლის მითითებები. არასაპატიო მიზეზით წერილობითი მასალების წარუდგენლობა ან სხვა მოქმედების შეუსრულებლობა ართმევს მხარეს უფლებას, შეასრულოს ასეთი მოქმედება ამ საქმის არსებითად განხილვისას.

203-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, მოსამართლეს შეუძლია, გადაწყვიტოს სასამართლო პროცესში მესამე პირებისა და თანამონაწილეების დაშვების საკითხი. საქმეში მესამე პირების ჩაბმას არეგულირებს საპროცესო კოდექსის 88-90 მუხლები, ხოლო საპროცესო თანამონაწილეობას – 86-87 მუხლები. საპროცესო თანამონაწილეობის ინსტიტუტიდან ყველაზე მნიშვნელოვანია სავალდებულო თანამონაწილეობის საკითხი, რომელსაც არეგულირებს საპროცესო კოდექსის 86-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტი, როდესაც სარჩელის საგანია საერთო უფლება. ამ შემთხვევაში, მოსამართლემ თავისი ინიციატივით უნდა ჩართოს საქმეში პირი, მიუხედავად იმისა, მხარე უთითებს თუ არა სარჩელს ან შესაგებელში. მითითებული წესის დარღვევა ზემდგომი ინსტანციის სასამართლოსათვის გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია (სსსკ-ის 394-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი). აქედან გამომდინარე, როგორც მესამე პირების, ასევე თანამონაწილეობის საკითხები უნდა გადაწყდეს პირველი ინსტანციის სასამართლოში (დამოუკიდებელი მოთხოვნით მესამე პირების ჩაბმა დასაშვებია პაექრობის დაწყებამდე). ერთ-ერთ საქმეში საქართველოს უზენაესმა სასამართლომ განმარტა შემდეგი: სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 86.1 „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სარჩელი შიძლება წარდგენილი იყოს ერთად რამდენიმე მოსარჩელის მიერ ან რამდენიმე მოპასუხის წინააღმდეგ. თანამონაწილეობის მიზანია საქმის განხილვისა და გადაწყვეტის დაჩქარება, საქმის განხილვის

ხარჯების შემცირება, სასამართლო სხდომების რაოდენობათა შემცირება და ერთმანეთის სანინალმდეგო ან შეუსაბამო გადაწყვეტილებათა თავიდან აცილება. სამოქალაქო კოდექსის 956-ე მუხლის თანახმად, საზიარო საგანს მონაწილეები მართავენ ერთობლივად, ხოლო ამავე კოდექსის 959-ე მუხლის თანახმად, საგნის განკარგვა ერთობლივად ხდება. ასეთი და ამგვარი ურთიერთობებიდან წარმოშობილი დავების განხილვისას, დაუშვებელია საქმის განხილვა ყველა თანამესაკუთრის პროცესში ჩაბმის გარეშე, რადგან გადაწყვეტილებამ შეიძლება განსაზღვროს საქმეში ჩაუბმელი პირის უფლებები და მოვალეობები მხარეების მიმართ. თუ სასამართლო ასეთ პირს არ ჩააბამს პროცესში, მას უნდა მიეცეს უფლება, გაასაჩივროს გადაწყვეტილება სააპელაციო და საკასაციო წესით, ვინაიდან ამ გადაწყვეტილებამ იგი აქცია ერთ-ერთ მხარედ (მოსარჩელედ, მოპასუხედ, მესამე პირად დამოუკიდებელი მოთხოვნით). თუ ასეთი გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში, ასეთ პირს შეუძლია, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მიმართოს სასამართლოს გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და საქმისწარმოების განახლების მოთხოვნით.⁹ რაც შეეხება არასავალდებულო (ფაკულტატიურ) თანამონაწილეობას (სსსკ-ის 86.1 მუხლის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები), ამ დროს პირთა სიმრავლე განპირობებულია სასარჩელო მოთხოვნის საერთო საფუძვლებიდან ან ერთგვაროვანი მოთხოვნებიდან, მიუხედავად იმისა, ერთგვაროვანია თუ არა მათი საფუძველი და საგანი. აქაც საპროცესო ეკონომიის მიზნები დგას წინა ხაზზე.

როდესაც საუბარია მტკიცებულებათა შემოწმებაზე, გასათვალისწინებელია ფაქტი, რომ მოსამართლემ უნდა დაადგინოს მტკიცების საგანში შემავალი სამართლებრივად მნიშვნელოვანი ფაქტები. ამ მხრივ მხარეებს წარდგენილი აქვთ მათი მოსაზრებით დასაშვები, განკუთვნილი და სარწმუნო მტკიცებულებები, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ასე ფიქრობს მონინალმდეგე მხარე ან სასამართლო. მოსამართლე მტკიცებულებებს ამოწმებს მხარის შუამდგომლობით ან საკუთარი ინიციატივით. როგორც მხარეს, ასევე მოსამართლეს, შესაძლოა კითხვები ჰქონდეს მტკიცებულების შინაარსობრივი, ნამდვილობის და განკუთვნილობის კუთხით. სსსკ-ის 225-ე მუხლის მიხედვით, წერილობითი მტკიცებულების განხილვა და შემოწმება არ გულისხმობს მისი შინაარსის სასამართლო სხდომაზე გამოქვეყნებასა და წაკითხვას - სასამართლო მიმართავს მხა-

⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2002 წლის 21 ივნისის #3კ-716-02 განჩინება; www.supremecourt.ge.

რეებს, რომ წარმოადგინონ საკუთარი მოსაზრებები სადავო მტკიცებულებასა ან მასში მითითებულ ყველა იმ გარემოებაზე, რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს საქმისთვის. ამდენად, მტკიცებულებათა შემოწმება ფორმალური არ უნდა იყოს. მტკიცებულებათა შემოწმება განსხვავდება მტკიცებულებათა მიღებისგან. როგორც წესი, მხარეები ვალდებული არიან, სარჩელს/შესაგებელს დაურთონ მასში მითითებული ყველა მტკიცებულება, ან სასამართლოს მოგვიანებით, საქმის მომზადების დასრულებამდე მიმართონ განცხადებით (შუამდგომლობით) მტკიცებულების დართვის ან გამოთხოვის მოთხოვნით.

მტკიცებულებათა შემოწმება ხორციელდება სასამართლოს მთავარ სხდომაზე, მხარეთა პაექრობის დაწყებამდე. სსსკ-ის 104.1 მუხლის მიხედვით, სასამართლო საქმიდან ამოიღებს მტკიცებულებებს, რომლებსაც საქმისათვის მნიშვნელობა არ აქვთ. მტკიცებულებათა განხილვისა და შემოწმების დასრულების შემდეგ სასამართლო საქმის გამოკვლევას და მთავრებულად აცხადებს (სსსკ-ის 226-ე მუხლი). ეს ნიშნავს, რომ მოსამართლემ მტკიცებულებათა შეფასების პროცესი დასაბუთებულ გადაწყვეტილებაში უნდა ასახოს (სსსკ-ის 249-ე მუხლის მე-3 ნაწილი: მოსამართლემ გადაწყვეტილებაში უნდა ასახოს „მტკიცებულებანი, რომლებსაც ემყარება სასამართლოს დასკვნები, მოსაზრებანი, რომლებითაც სასამართლო უარყოფს ამა თუ იმ მტკიცებულებას“).

203-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტი მოსამართლეს ანიჭებს უფლებას, შეამოწმოს მტკიცებულებები მომზადების ეტაპზე, თუ ეს სასამართლოში საქმის არსებითად განხილვისას ძნელი იქნება ან გააჭიანურებს განხილვას. მითითებული წინაპირობებისას, სასამართლომ უნდა დაიცვას მხარეთა მოსმენის პრინციპი და, მათთან ერთად, მოსამზადებელ სხდომაზე განახორციელოს აღნიშნული საპროცესო მოქმედება.

203-ე მუხლის მიხედვით, საქმის მოსამზადებლად მოსამართლეს ასევე შეუძლია: ჩაატაროს ადგილზე დათვალიერება („ე“ ქვეპუნქტი); დანიშნოს ექსპერტიზა („თ“ ქვეპუნქტი); დაიბაროს მონმეები, ექსპერტები და სპეციალისტები სასამართლო სხდომისთვის („კ“ ქვეპუნქტი). მითითებული საპროცესო მოქმედებების განხორციელება სასამართლოს შეუძლია როგორც მხარეთა შუამდგომლობით, ასევე საკუთარი ინიციატივითაც (სსსკ-ის 4.2, 103.1, 120, 162.1 მუხლები). შესაბამისად, ისმის ლეგიტიმური კითხვა: ხომ არ ეწინააღმდეგება ეს მოქმედებები შეჯიბრებითობის პრინციპს? პასუხის გასაცემად გასათვალისწინებელია, ერთი მხრივ, მართლმსაჯულების ინტერესი, რომლის მიხედვითაც მოსამართლემ უნდა გამოიყენოს კანონით განსაზღვრული ყველა ინსტრუმენტი, რათა უკეთ

გაერკვეს ფაქტებში; მეორე მხრივ კი თვით ფაქტების სადავოობა განაპირობებს მტკიცებულებათა განხილვა/შემონმების აუცილებლობას. ამ მსჯელობიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ზემოთ ჩამოთვლილი მოქმედებების სასამართლოს ინიციატივით განხორციელება არ არღვევს შეფიბრებითობის პრინციპს.

203-ე მუხლის მე-2 ნაწილში კანონმდებელი აკეთებს ზოგად დათქმას, რომ მოსამართლეს შეუძლია სხვა მოქმედებების შესრულებაც, რომლებიც ხელს შეუწყობს საქმის მომზადებას სასამართლოს მთავარ სხდომაზე განსახილველად.

მუხლი 205. მოსამზადებელი სხდომის დანიშვნა

1. თუ წარმოდგენილი წერილობითი მასალები მოსამართლეს აძლევს ვარაუდის საფუძველს, რომ შეიძლება მხარეებმა საქმე მორიგებით დაამთავრონ, მოპასუხემ ცნოს სარჩელი ან მოსარჩელემ უარი თქვას სარჩელზე, აგრეთვე თუ, მოსამართლის აზრით, სასამართლო განხილვისათვის საქმის სათანადოდ მომზადების ინტერესები ამას მოითხოვს, მოსამართლე უფლებამოსილია მხარეთა წერილობითი მასალების მიღებიდან 5 დღის განმავლობაში დანიშნოს მოსამზადებელი სხდომა ან მხარეებთან სატელეფონო გასაუბრება ან ვიდეოკონფერენცია, რის შესახებაც განჩინების მიღებიდან 3 დღის ვადაში ეცნობებათ მხარეებს. მოსამართლესთან სატელეფონო გასაუბრება ან ვიდეოკონფერენცია ხორციელდება სატელეფონო ხაზზე მხარეების ან მათი წარმომადგენლების ერთდროულად ჩართვით და ფიქსირდება ოქმის სახით. თუ მხარეები კანონით დადგენილი წესით გაფრთხილებული არიან სატელეფონო გასაუბრების ან ვიდეოკონფერენციის შესახებ და ვერ ხერხდება ერთ-ერთ მხარესთან ან მის წარმომადგენელთან დაკავშირება, სასამართლო უფლებამოსილია გაესაუბროს მხოლოდ მეორე მხარეს ან მის წარმომადგენელს.

1¹. თუ ამ კოდექსის 178-ე მუხლის პირველი ნაწილით/201-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული სარჩელის/შესაგებლის შედგენისას მოსარჩელემ/მოპასუხემ უარი თქვა დავის სასამართლო მედიაციის გზით განხილვაზე, მოსამართლე ვალდებულია მოსამზადებელ სხდომაზე ან მხარეებთან სატელეფონო გასაუბრებისას ანდა ვიდეოკონფერენციის დროს გამოარკვიოს ამ უარის მიზეზი და განუმარტოს მხარეს/მხარეებს დავის სასამართლო მედიაციის გზით განხილვის დადებითი მხარეები და სამართლებრივი შედეგები.

1². თუ ამ კოდექსის 178-ე მუხლის პირველი ნაწილით/201-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული სარჩელის/შესაგებლის შედგენისას მხარეებმა თანხმობა განაცხადეს დავის სასამართლო მედიაციის გზით განხილვაზე, საქმე დაუყოვნებლივ, „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი წესით გადაეცემა მედიატორს.

2. თუ არსებობს სასამართლოს მთავარი სხდომის გამართვის წინაპირობები, მოსამართლე უფლებამოსილია მოსამზადებელი სხდომა გადაზარდოს მთავარ სხდომაში.

ბესარიონ ალავეცი

205-ე მუხლი

I. ზოგადი დებულებები

1. საქართველოს კონსტიტუციის 31.1 მუხლით განმტკიცებულია კონსტიტუციურ-სამართლებრივი პრინციპი სასამართლო ხელმისაწვდომობაზე. ამ პრინციპის თანახმად, საქმის სამართლიანი და დროული განხილვის უფლება უზრუნველყოფილია. ასევე, კონსტიტუციური ნესრიგი სამართალწარმოების ფარგლებში მოითხოვს, რომ სასამართლოში საქმე განიხილონ სხდომაზე (საქართველოს კონსტიტუციის 62.3 მუხლი). საქმის გონივრულ ვადაში სამართლიანი და საქვეყნო განხილვის უფლება გარანტირებულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლითაც.

2. ზოგადი პრინციპია, რომ მხარეებს აქვთ საჯარო განხილვის უფლება (მოუსმინოს მოსამართლემ). აღნიშნული უფლება იცავს მათ მართლმსაჯულების ფარულად, საზოგადოებრივი კონტროლის გარეშე განხორციელებისაგან. მიუხედავად იმისა, რომ ეს უფლება კონსტიტუციურია, იგი არ არის აბსოლუტური, ვინაიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ცალკეული ნორმებით (სსსკ-ის 376¹ მუხლის პირველი და მე-3 ნაწილები; 408-ე მუხლის მე-3 ნაწილი) დადგენილია სასამართლოს შეხედულებით საქმის განხილვა და გადაწყვეტა საჯარო განხილვის (ზეპირი მოსმენის) გარეშე, რაც არ უნდა გავიგოთ, როგორც მხარის ფუნდამენტური უფლების დარღვევა.

3. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებების მიხედვით, საჯარო განხილვის უფლება, რომელიც გარანტირებულია კონვენციის 6.1 მუხლით, გულისხმობს ზეპირი განხილვის უფლებას. მიუხედავად ამისა, ზეპირი განხილვის ვალდებულება არ არის უდავო მოთხოვნა. მსგავსი განხილვის არარსებობა შესაძლოა შეესაბამებოდეს კონვენციის მე-6 მუხლის სულისკვეთებას, როდესაც გადასაწყვეტი საკითხი არ იწვევს ეჭვს იმ ფაქტსა თუ სამართალთან დაკავშირებით, რომლის ადეკვატურად გადაჭრა შეუძლებელია მხარეთა დაკვირვების გარეშე. ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ პირველი და ერთადერთი ინსტანციის სასამართლოს მიერ განხილვისას, ჩვეულებ-

ბრივ, არსებობს ზეპირი განხილვის უფლება, თუმცა ზეპირი განხილვის არარსებობა მეორე და მესამე ინსტანციაზე შეიძლება განპირობებული იყოს საქმის განხილვასთან დაკავშირებული კონკრეტული თავისებურებებით, თუ ზეპირი განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოში ჩატარდა.¹ გადანყვეტილებაში საქმეზე ვილიო ესკელინენი და სხვები ფინეთის წინააღმდეგ (დიდი პალატა)² სტრასბურგის სასამართლომ, საჯარო განხილვის ჩაუტარებლობის საფუძველზე, კონვენციის 6.1 მუხლის დარღვევა არ დაადგინა. სასამართლომ გაითვალისწინა, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა მიუთითეს საჯარო განხილვის ჩაუტარებლობის მიზეზები და მომჩივნებს ჰქონდათ შესაძლებლობა, წერილობით დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია, ასევე, კომენტარი გაეკეთებინათ მეორე მხარის მიერ წარდგენილ არგუმენტებზე.

4. ამდენად თუ არ არსებობს ზეპირი მოსმენის ჩაუტარებლობის გამამართლებელი განსაკუთრებული გარემოებები (მაგ.: საქმე ეხება შეზღუდულ იურიდიულ საკითხებს), კონვენციის 6.1 მუხლით უზრუნველყოფილი საჯარო განხილვის უფლება გულისხმობს ზეპირ მოსმენას, სულ მცირე, პირველი ინსტანციის წინაშე. ეს განპირობებულია იმ პრინციპით, რომ პირველი ინსტანციის სასამართლო ფაქტების დამდგენი სასამართლოა.

5. სტრასბურგის პრეცედენტული გადანყვეტილებების მიხედვით, ზეპირი მოსმენა აუცილებლად მიიჩნევა, როდესაც, მაგალითად, სასამართლოს იურისდიქცია ვრცელდება როგორც სამართლის საკითხებზე, აგრეთვე მნიშვნელოვან ფაქტობრივ გარემოებებზე (ფიშერი ავსტრიის წინააღმდეგ, § 44), განსაკუთრებით, იმ პირობებში, რომლებიც სასამართლოსგან მოითხოვს, განმცხადებლებზე შეექმნას პირადი შთაბეჭდილება და მისთვის უზრუნველყოს საკუთარი არგუმენტების პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით წარმოდგენის უფლება.³

6. მიუხედავად იმისა, რომ მოსამზადებელი სხდომა პრინციპულად განსხვავდება საქმის არსებითი განხილვისაგან (მთავარ სხდომაზე დაუშვებელია სარჩელის საფუძვლის ან საგნის შეცვლა, სარჩელში/შესაგებელში

¹ იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადანყვეტილებები საქმეებზე: რიუჰაძე საქართველოს წინააღმდეგ, 31.07.2007, განაცხადი #2745/03, § 35, 36; ჰაკანსონი და სტურესონი შვედეთის წინააღმდეგ, 31.02.1990, #171-ა, § 64; ჰელმერსი შვედეთის წინააღმდეგ, 29.10.1991, #212-ა, § 36; ფიშერი ავსტრიის წინააღმდეგ, 26.04.1995, #312, § 44.

² #63235/00, § 74.

³ მილერი შვედეთის წინააღმდეგ, 8.02.2005, #55853/00, §34; ანდერსონი შვედეთის წინააღმდეგ, 7.12.2010, #17202/04, § 57.

მითითებული გარემოებების შევსება/დაზუსტება, სასარჩელო მოთხოვნის გაზრდა, მტკიცებულებების მიღება, გარდა იმ გამონაკლისი შემთხვევისა, როდესაც არსებობს მოპასუხის წინასწარი თანხმობა), 205-ე მუხლმა სამართალწარმოებაში კომპლექსური მნიშვნელობა შეიძინა. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც საქართველოს 2010 წლის 15 დეკემბრის #4037 კანონით (სსმ I, #75, 27.12.2010, მუხლი 480) საპროცესო კოდექსის 229-ე-230-ე მუხლებში განხორციელდა ცვლილებები, რომელთა თანახმადაც დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა შესაძლებელია მხარის მოსამზადებელ სხდომაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაშიც. საპროცესო ეკონომიისა და საქმის დროულად განხილვის თვალსაზრისით, ასევე საინტერესოა 2006 წლის 13 ივლისის #3435 კანონით 205-ე მუხლში განხორციელებული დამატება (მე-2 ნაწილი), რომ მოსამზადებელი სხდომა შეიძლება გადაიზარდოს მთავარ სხდომაში (სსმ I, #32, 31.07.2006, მუხლი 243).

7. ერთ-ერთ საქმეზე საქართველოს უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ გარკვეული წინაპირობებისას მოსამზადებელი სხდომის დანიშვნა სასამართლოს უფლებაა და არა მოვალეობა, რაც უშუალოდ საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით უნდა გადაწყდეს. შესაბამისად, არ გაიზიარა საჩივრის ავტორის მოსაზრება, რომ სასამართლო ვალდებული იყო, მთავარი სხდომის დანიშვნამდე ჩაეტარებინა მოსამზადებელი სხდომა.⁴

II. მოსამზადებელი სხდომის ჩატარების წინაპირობები

1. მხარეთა შესაძლო მორიგება

8. მოსამართლემ მოსამზადებელი სხდომა შეიძლება დანიშნოს დავის მორიგებით დასრულების მიზნით. სსსკ-ის 218.1 მუხლის მიხედვით, სასამართლომ ყოველნაირად უნდა შეუწყოს ხელი და მიიღოს კანონით გათვალისწინებული ყველა ზომა, რათა მხარეებმა საქმე მორიგებით დაასრულონ. მორიგების სურვილი შესაძლოა თავად მხარეებისგანაც მომდინარეობდეს, ამიტომ სასამართლომ ხელიდან არ უნდა გაუშვას ასეთი შანსი, ვინაიდან დავის არსებითად გადაწყვეტა მეტ სირთულეებს უკა-

⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 6 ივლისის #ას-463-775-09 განჩინება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 4 ივნისის #ას-1660-1648-2011 განჩინება; www.supremecourt.ge.

ვშირდება. ზოგჯერ არის შემთხვევები, როდესაც მხარეები არსებით გარემოებებზე თანხმდებიან და მხოლოდ მცირე მნიშვნელობის საკითხებია შეუთანხმებელი. ასეთი ვითარებაში კიდევ უფრო დიდია მხარეთა მორიგების ალბათობა.

2. მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობა/მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმა

9. თუკი წერილობითი მასალები მოსამართლეს აძლევს ვარაუდის საფუძველს, რომ მოპასუხე ცნობს სარჩელს ან მოსარჩელე უარს იტყვის სარჩელზე, მოსამართლეს შეუძლია, დანიშნოს მოსამზადებელი სხდომა. მოსამზადებელი სხდომის დანიშვნა ამ შემთხვევაში ერთ მიზანს უნდა ემსახურებოდეს - მოსამართლე დარწმუნდეს მხარის დისპოზიციური ნების განკარგვაში.

3. სასამართლო განხილვისათვის საქმის სათანადოდ მომზადების ინტერესები

10. მოსამართლემ მოსამზადებელი სხდომა შეიძლება დანიშნოს საქმის სათანადოდ მომზადების ინტერესებიდან გამომდინარე. ისმის ლეგიტიმური კითხვა: რა იგულისხმება საქმის სათანადოდ მომზადების ინტერესებში? ერთი შეხედვით, პასუხი მარტივია, თუ ვიტყვით, რომ მხოლოდ წერილობითი შეჯიბრი ყველა შემთხვევაში არ კმარა საქმის სათანადოდ მომზადებისთვის. სამართალწარმოების ამოსავალი პრინციპია, რომ სასამართლო გადაწყვეტილება მხარისათვის იყოს არა მოულოდნელი სიურპრიზი, არამედ ლოგიკური შედეგი იმ მოქმედებებისა, რომლებსაც ახორცილებენ, ერთი მხრივ, თვითონ და, მეორე მხრივ, სასამართლო. მხარეებს აქვთ მოლოდინი, რომ მათთან ერთად განიხილება არა მხოლოდ ფაქტობრივი, არამედ სამართლებრივი საკითხებიც. აქედან გამომდინარე, მოსამზადებელ სხდომაზე მოსამართლემ მხარეებს უნდა აცნობოს, სავარაუდოდ, რომელი სამართლებრივი კონსტრუქციები განიხილება და სარჩელის/შესაგებლის რომელ ფაქტობრივ საფუძველებს გამოიყენებს სასამართლო გადაწყვეტილების მიღებისას. ეს უდავოდ დაეხმარება მხარეებს, რომ უკეთ მოემზადონ ზეპირი შეჯიბრისთვის.

11. მოსამზადებელ სხდომაზე მოსამართლემ კიდევ ერთხელ უნდა დააზუსტოს მხარეებთან, უჭერენ თუ არა მხარს წერილობით გამოხატულ მოსაზრებებს; ასევე, მოსამართლეს უფლება აქვს, დაავალოს მათ, რომ

სასამართლოს წარმოუდგინონ დამატებითი ინფორმაცია საქმის ფაქტობრივი გარემოებების შესახებ. მოსამართლის ასეთი აქტიურობა არ არღვევს შეფიქრებითობის პრინციპს, ასევე არ განიხილება ინკვიზიციად (სსსკ-ის 4.2 მუხლის თანახმად, საქმის გარემოებათა გასარკვევად სასამართლოს შეუძლია, თავისი ინიციატივით მიმართოს ამ კოდექსში გათვალისწინებულ ღონისძიებებს).

III. მოსამზადებელი სხდომის ნაცვლად, მხარეებთან სატელეფონო გასაუბრება ან ვიდეოკონფერენცია

12. როგორც წესი, მრავალ ქვეყანაში ვიდეოკონფერენცია აპრობირებულია სისხლის სამართლის საქმეებზე, როდესაც პირი იმყოფება საპატიმრო დაწესებულებაში და ვერ ხერხდება სასამართლო სხდომაზე მისი გამოცხადება; ასევე, სისხლის ან სამოქალაქო საქმეებზე მოწმეთა დაკითხვისას, როდესაც ისინი იმყოფებიან უცხო ქვეყანაში. შვეიცარიაში, მაგალითად, ვიდეოკონფერენცია გამოიყენება იმ შემთხვევაშიც, თუ პირის გამოცხადება სასამართლოში დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული.

13. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 205-ე მუხლის პირველი ნაწილი მოსამართლეს აღჭურავს უფლებით, რომ საქმის მოსამზადებლად მხარეები არ მოიწვიოს სხდომაზე და მათთან ჩაატაროს სატელეფონო გასაუბრება ან ვიდეოკონფერენცია; ამასთან, მოსამართლის მიუკერძოებლობის დაცვის მაღალი სტანდარტიდან გამომდინარე, სატელეფონო გასაუბრება ან ვიდეოკონფერენცია ტარდება პროცესში მხარეების ან მათი წარმომადგენლების ერთდროულად ჩართვით და ფიქსირდება ოქმის სახით. თუ მხარეები კანონით დადგენილი წესით გაფრთხილებულნი არიან სატელეფონო გასაუბრების ან ვიდეოკონფერენციის შესახებ და ვერ ხერხდება ერთ-ერთ მხარეს ან მის წარმომადგენელთან დაკავშირება, სასამართლო უფლებამოსილია, გაესაუბროს მხოლოდ მეორე მხარეს ან მის წარმომადგენელს.

IV. მოსამზადებელი სხდომის გადაზრდა მთავარ სხდომაში

14. სსსკ-ის 205-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ არსებობს სასამართლოს მთავარი სხდომის გამართვის წინაპირობები, მოსამართლე უფლებამოსილია მოსამზადებელი სხდომა გადაზარდოს მთავარ სხდომაში. ნორმის მიზანია საპროცესო ეკონომიის პრინციპის დაცვა და ერთ სასამართლო სხდომაზე საქმის განხილვის დასრულება. იმისათვის, რომ

მოსამზადებელი სხდომა მთავარ სხდომაში გადაზარდოს, მოსამართლე დარწმუნებული უნდა იყოს, რომ საქმე სათანადოდ არის მომზადებული; ამასთან, ამის შესახებ წინასწარ აცნობოს მხარეებს.

მუხლი 207. განჩინება საქმის სასამართლოს მთავარ სხდომაზე განხილვის შესახებ

1. მოსამართლე მხარეთა წერილობითი მასალების მიღებიდან 5 დღის განმავლობაში ნიშნავს სასამართლოს მთავარ სხდომას საქმის არსებითი განხილვისათვის, რის შესახებაც განჩინების მიღებიდან 3 დღის ვადაში ეცნობებათ მხარეებს. საქმის სასამართლოს მთავარ სხდომაზე განხილვის დღეს მოსამართლე ნიშნავს იმ ვარაუდით, რომ მხარეებს შესაძლებლობა ჰქონდეთ, მოემზადონ ზეპირი შეჯიბრებისათვის.

2. საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვაზე მხარეთა თანხმობის შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე, რის შესახებაც გამოაქვს მოტივირებული განჩინება. საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის თაობაზე სასამართლომ წინასწარ უნდა აცნობოს მხარეებს.

3. მხარეთა თანხმობის შემთხვევაში სასამართლოს სხდომა შესაძლებელია ჩატარდეს, მათ შორის, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი გამოცხადდეს, ვიდეოკონფერენციის მეშვეობით.

ბესარიონ ალავეიძე

207-ე მუხლი

1. სამოქალაქო სამართალწარმოების მთავარი პრინციპია, რომ ფაქტები, ასევე წერილობითი მტკიცებულებები, მხარეებმა სასამართლოს წარუდგინონ მთავარ სხდომამდე. ეს ემსახურება, ერთი მხრივ, საქმის მომზადებას, ხოლო მეორე მხრივ, საქმის განხილვის გაჭიანურების თავიდან აცილებას. ნებისმიერი ასეთი მოქმედება საქმის არსებითად მოსმენის ეტაპზე მოსამართლემ უნდა უარყოს. მსგავსი შეზღუდვა არ ვრცელდება სამართლებრივ მოსაზრებებზე და მხარეებს თავისუფლად შეუძლიათ, შეცვალონ თავდაპირველად წარდგენილი სამართლებრივი დასაბუთება. მართალია, საქმის მომზადებისათვის საპროცესო ნორმებით არ არის სპეციალური ვადა დადგენილი, თუმცა ივარაუდება, რომ საქმის განხილვის საერთო ვადაში მომზადებას უნდა დაეთმოს გონივრული დრო. მაგალითად, ნორვეგიაში საქმის მომზადება უნდა დასრულდეს მთავარი სხდომის დაწყებამდე ორი კვირით ადრე, თუ მოსამართლე სხვაგვარად არ გადაწყვეტს.

2. მას შემდეგ, რაც საქმის მომზადება დასრულდება, მოსამართლე ნიშნავს მთავარ სხდომას, ან მოსამზადებელ სხდომას გადაზრდის მთავარ სხდომაში (სსსკ-ის 205.2 მუხლი). მთავარი სხდომა, ჩვეულებრივ, წარიმართება ვერბალურად, თუმცა მოსამართლეს, მხარეთა თანხმობით, შეუძლია გადანყვეტილება დააფუძნოს წერილობით სამართალწარმოებას, ან ორივეს ერთად. ამის დასტურია 207-ე მუხლის მე-2 ნაწილი. ზეპირი მოსმენის პრინციპიდან გადახვევა უცხო არ არის, მაგალითად, გერმანული სამართალწარმოებისათვის.

3. სამართალწარმოებას ხელმძღვანელობს მოსამართლე, რომელმაც საპროცესო ნორმებით გათვალისწინებული ყველა ინსტრუმენტი უნდა გამოიყენოს, რათა შესრულდეს სწრაფი მართლმსაჯულების მიზანი. საქმის მთავარ სხდომაზე განხილვის დღე მოსამართლემ უნდა დანიშნოს იმ ვარაუდით, რომ მხარეებს შესაძლებლობა ჰქონდეთ, მოემზადონ ზეპირი შეჯიბრისათვის. სრულყოფილად ჩატარებული მთავარი სხდომის შემდეგ, მოსამართლემ უნდა შეძლოს საქმის განხილვის დასრულება. ამ კუთხით, მხარეთა ვალდებულებაა, ხელი შეუწყონ საქმის განხილვას, რაც გამოიხატება იმით, რომ მთავარ სხდომაზე არ გააკეთონ ისეთი განცხადებები, რომლებიც გამოიწვევს საქმის განხილვის ხელოვნურად გადადებას.

ზურაბ კლიერიშვილი

დაუსწრებელი გადაწყვეტილების ცნება და ზოგადი დახასიათება

შესავალი

სამოქალაქო პროცესში (**სასარჩელო წარმოებაში**) ყოველთვის მონაწილეობს ორი ურთიერთდაპირისპირებული ინტერესის მქონე მხარე – მოსარჩელე და მოპასუხე. ამ ორი მხარის აქტიური მონაწილეობა საქმის განხილვაში უზრუნველყოფილია მათი ინტერესებით: მოსარჩელის ინტერესია, სასამართლომ დააკმაყოფილოს სარჩელი და გამოიტანოს მისთვის სასურველი გადაწყვეტილება, მოპასუხის ინტერესი კი არის სასამართლოს მიერ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოსარჩელისთვის.

ამ ინტერესების რეალიზაციისათვის მხარეებს მინიჭებული აქვთ შესაბამისი საპროცესო უფლებები. სამოქალაქო პროცესის ერთ-ერთი თავისებურება ის არის, რომ საპროცესო უფლებების გამოუყენლობას შეიძლება მოჰყვეს არახელსაყრელი შედეგი იმ მხარისათვის, რომელმაც ეს უფლება არ გამოიყენა. მაგალითად, მხარის ერთ-ერთი საპროცესო უფლებაა, მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში. ამ უფლებას შეესაბამება სასამართლოს მოვალეობა, შეატყობინოს მხარეს საქმის განხილვის დროისა და ადგილის შესახებ, სსსკ 70–78 მუხლებით დადგენილი წესით. საქმის განხილვა და გადაწყვეტა მხარის შეუტყობინებლად უნდა დაკვალიფიცირდეს, როგორც საქმის განხილვა მხარის მონაწილეობის გარეშე, მის დაუსწრებლად, რაც გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველი (სსკ 394-ე მუხლი) და საქმისწარმოების განახლების საფუძველია (სსსკ-ის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი).

ორივე მხარის მონაწილეობას პროცესში აქვს მრავალმხრივი მნიშვნელობა, მათ შორის, იმ თვალსაზრისითაც, რომ სასამართლოს საშუალებას აძლევს, შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვით, დაადგინოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები.

მაგრამ რა უნდა მოიმოქმედოს სასამართლომ, როცა საქმის განხილვაზე არ ცხადდება ერთ-ერთი მხარე (რომელსაც კანონით დადგენილი წესით ეცნობა საქმის განხილვის დროისა და ადგილის შესახებ) და არც არაფერი აცნობა სასამართლოს გამოუცხადებლობის მიზეზებზე? არ შეიძლება საქმის განხილვა და ამ საქმეზე მრთლმსაჯულების განხორციე-

ლება დამოკიდებული იყოს ერთ–ერთი მხარის ნება-სურვილზე. ამიტომ, სასამართლომ საქმე უნდა განიხილოს და გადაწყვიტოს გამოუცხადებული მხარის მონაწილეობის გარეშე.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობების ზრდის გამო საჭირო ხდება კერძო-სამართლებრივი დავების ეფექტიანი და სწრაფი გადაწყვეტა სასამართლოს მიერ, საქმის სწარმოების გაჭიანურების გარეშე. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა დასაშვებად მიიჩნევს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას იმ მხარის წინააღმდეგ, რომელიც არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდა საქმის განხილვაზე.

დაუსწრებელი წარმოების დროს საქმის განხილვაში არ მონაწილეობს ერთ–ერთი მხარე – მოსარჩელე ან მოპასუხე, რომლებიც გაფრთხილებულები იყვნენ განხილვის შესახებ კანონით დადგენილი წესით. საქმის დაუსწრებელი წარმოების მნიშვნელობა მთლიანად განპირობებულია საქმეზე მართლმსაჯულების განხორციელებისა და ამ საქმის განხილვის დამთავრების ინტერესებით.

დაუსწრებელი წარმოებისა და გადაწყვეტილების ინსტიტუტი არის შეჯიბრებითობის პრინციპის განხორციელების, თავიანთი მოქმედებების (უმოქმედობის) გამო მხარეთა პასუხისმგებლობის დონის ამაღლების დამატებითი გარანტია, რომელიც ხელს უწყობს დავების გადაწყვეტის დაჩქარებას და განტვირთავს სასამართლოებს (**იხ.** ქურდაძე/ზუნაშვილი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მეორე გამოცემა, თბილისი, 2015, 632) იურიდიულ ლიტერატურაში დაუსწრებელ წარმოებას უწოდებენ “გამარტივებულ პროცედურას”. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსმა ეს ორი ცნება ერთმანეთისაგან განასხვავა. მართალია, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა თავისებურად გამარტივებული წესით ხდება, მაგრამ ამ ორი ცნების გაიგივება არ შეიძლება (**იხ.** ყურუა, დაუსწრებელი გადაწყვეტილება, თბილისი, 2000, 48).

ცხადია, როცა სასამართლო პროცესზე ესწრება მხოლოდ ერთი მხარე, საქმის გარემოებების სრულად და სწორად დადგენა თითქმის შეუძლებელია, რადგან არ გვყავს მოწინააღმდეგე, რომელსაც შეეძლო, თავისი ინტერესებიდან გამომდინარე, გაექარწყლებინა ამ მხარის მტკიცებულებები და მოსაზრებები, მიეთითებინა ფაქტები, წარედგინა თავისი მტკიცებულებები და აშ. ამ თვალსაზრისით, დაუსწრებელი გადაწყვეტილება შორს არის სრულყოფისაგან, მაგრამ უაღრესად საჭირო ქმედითი ინსტრუმენტია იმ არაკეთილსინდისიერ მხარესთან მიმართებით, რომელიც ცდილობს საქმის განხილვის გაჭიანურებას.

გარკვეული თვალსაზრისით, დაუსწრებელი გადაწყვეტილება არის სა-
 ნეცია არაკეთილსინდისიერებისათვის და ნახალისება კეთილსინდისიერ-
 რებისათვის, რაზეც ნათლად მიუთითებს კანონის მოთხოვნა, რომ დაუ-
 სწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის განახლებისათვის
 სრულებითაც არ კმარა წაგებული მხარის უბრალო პროტესტი (საჩივარ-
 რი). ამისათვის აუცილებელია, დადასტურდეს არამართო გამოუცხადე-
 ბლობის მიზეზების საპატიობა, არამედ ისიც, რომ მას არ შეეძლო დრო-
 ულად (დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანამდე) ეცნობებინა სა-
 სამართლოსათვის ამ მიზეზების შესახებ (იხ. ლილუაშვილი, სამოქალაქო
 საპროცესო სამართალი, თბილისი, 2005, 394).

I. საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების წინაპირობები

1. დაუსწრებელი გადაწყვეტილების ცნება

დაუსწრებელი გადაწყვეტილება არის სასამართლოს **როგორც
 მოსამზადებელ, ასევე მთავარ სხდომაზე** გამოუცხადებელი მხარის წი-
 ნაალმდეგ გამოტანილი გადაწყვეტილება, რომელიც ემყარება მხოლოდ
 გამოუცხადებლობას და არა საქმის მასალებს. დაუსწრებელი გადაწყვე-
 ტილების გამოტანას საფუძვლად უდევს ვარაუდი, რომ გამოუცხადებე-
 ლი მხარე უარს ამბობს თავის მოთხოვნაზე მონინაალმდეგე მხარის მიმა-
 რთ (როცა მოსარჩელე არ გამოცხადდა) ან აღიარებს (ცნობს) ფაქტო-
 ბრივ გარემოებებს, რომლებიც საფუძვლად უდევს სასარჩელო მოთხო-
 ვნას (როცა არ ცხადდება მოპასუხე).

დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა, როგორც წესი, დაკავში-
 რებულია სასამართლოს მიერ არაერთი მოქმედების შესრულებასთან
 (გადაწყვეტილების მომზადება, მხარისთვის ჩაბარება, საჩივრის დასა-
 შვებობის შემოწმება, საჩივრის განხილვა და ა.შ). იმისათვის, რომ სასა-
 მართლოს მიერ განხორციელებული საპროცესო მოქმედებები არ გამო-
 დგეს გაუმართლებელი და რესურსები მართლზომიერად იყოს გამოყენე-
 ბული, მხარე ვალდებულია, დროულად აცნობოს სასამართლოს, რომ ვერ
 ახერხებს სასამართლოში გამოცხადებას და დაასაბუთოს გამოუცხადე-
 ბლობის საპატიობა. მსგავსი განცხადების არსებობისა და გამოუცხა-
 დებლობის მიზეზის საპატიობის დამადასტურებელი მტკიცებულების
 წარდგენისას, სასამართლო უარს განაცხადებს დაუსწრებელი გადაწყვე-
 ტილების გამოტანაზე. საპროცესო ეკონომიის მიზნებიდან გამომდინა-

რე, მსგავსი მოქმედებების განხორციელება შედის არა მხოლოდ სასამართლოს, არამედ მხარის ინტერესებშიც.

მხარის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობა სასამართლო სხდომაზე აღიქმება, როგორც სასამართლოს უპატივცემულობა, რა დროსაც მხარე უგულვებელყოფს სასამართლოს დროის რესურსსა და მართლმსაჯულების დროული განხორციელების მიზნებს (სასამართლოს მიერ მინიმალური საპროცესო მექანიზმების დაზოგვა და რიგი პროცედურების თავიდან აცილება; ასევე, მხარეთა ფუნდამენტური უფლების დაცვა – მართლმსაჯულების დროული და სწრაფი განხორციელება). მხარის დავა-ლდებულება, რომ სხდომის დაწყებამდე აცნობოს სასამართლოს მისი გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზი, რაც უნდა დასტურდებოდეს შესაბამისი მტკიცებულებით, სწრაფი და ეფექტიანი მართლმსაჯულების განხორციელების საშუალებაა. მისი მეშვეობით აცილებული იქნება დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა, ასევე, დაიზოგება სასამართლოს დრო და საპროცესო მექანიზმები.

საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში ძალზე იშვიათად გვხვდება ისეთი „დაუსწრებელი გადაწყვეტილებები“, რომლებიც გამოტანილია საქმის მასალების მიხედვით და იმ მხარის სანინაალმდეგოდ, რომელიც გამოცხადდა და მონაწილეობა მიიღო საქმის განხილვაში. ასეთ გადაწყვეტილება არ შეიძლება მივაკუთვნოთ დაუსწრებელი გადაწყვეტილების კატეგორიას. მათი გასაჩივრების წესი განსხვავებული იქნება დაუსწრებელი გასაჩივრების წესისაგან. ასეთი „დაუსწრებელი“ გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო (საკასაციო) წესით.

II. სასამართლოს მიერ დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებს ზოგადი წინაპირობები

დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების წინაპირობები როგორც მოსარჩელის, ისე მოპასუხის მიმართ, საერთოა, გარდა ზოგიერთი გამო-ნაკლისისა.

1. წინაპირობები, რომლებიც არსებობს საქმის სასამართლო სხდომაზე განხილვის დაწყებამდე

ა) გამოუცხადებელი მხარე მონვეული იყო საქმის განხილვაში და მას დროულად და კანონით დადგენილი წესით ეცნობა სასამართლო სხდომის დღე (სსსკ-ის 233–ე მუხლის „ა“ პუნქტი).

მონვეულად ითვლება მხარე, რომელსაც უწყება გაეგზავნა და ჩაბარდა 70–78 მუხლებით დადგენილი წესით. მხარეთა შეტყობინებას ამ წესების დაცვით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება: კანონით დადგენილი წესით სარჩელის განხილვა და გადაწყვეტა მხარის შეუტყობინებლად, უნდა შეფასდეს, როგორც საქმის განხილვა მხარის მონაწილეობის გარეშე, რაც გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია (სსსკ 394–ე მუხლი).

ბ) ადგილი არ აქვს რაიმე დაუძლეველ ძალას ან სხვა ისეთ მოვლენებს, რომლებსაც შეეძლო, ხელი შეეშალა სასამართლოში მხარის დროულად გამოცხადებისათვის (სსსკ-ის 233–ე მუხლის „ბ“ პუნქტი).

მხარის გამოცხადებისათვის ხელშემშლელი ამ გარემოებების არსებობა ცნობილი უნდა იყოს საქმის განმხილველი სასამართლოსათვის. მნიშვნელობა არ აქვს, რომელი წყაროებიდან მიიღებს სასამართლო ამ ცნობებს - უშუალო აღქმით (მაგ.: მიწისძვრა, წყალდიდობა და ა.შ.), პრესის, რადიოსა და ტელევიზიის მეშვეობით, თუ გამოუცხადებელი მხარისაგან. მთავარია, საქმის განმხილველ სასამართლოს ჰქონდეს ინფორმაცია ამ მოვლენების შესახებ.

გ) გამოუცხადებელ მხარეს დროულად ეცნობა საქმის ფაქტობრივი გარემოებების შესახებ (სსსკ-ის 233–ე მუხლის „გ“ პუნქტი).

საქართველოს კანონმდებლობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მხარეებისთვის საქმის ფაქტობრივ გარემოებებზე ცნობების დროულად მიწოდებას. კერძოდ, სსსკ-ის 184-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით, მოპასუხეს დროულად უნდა გაეგზავნოს სარჩელისა და თანდართული საბუთების ასლები, აგრეთვე, ყველა სხვა მასალა, რომლებიც შეიცავს ინფორმაციას იმ ფაქტობრივი გარემოებების შესახებ, რომლებიც მის წინააღმდეგ წამოაყენა მოსარჩელემ. თავის მხრივ, მოსარჩელეს უნდა გადაეგზავნოს მოპასუხის მიერ წარმოდგენილი წერილობითი შესაგებელი და სხვა მასალები (სსსკ-ის 201, 203–ე მუხლები). „დროულად ეცნობოს“ ნიშნავს, რომ მხარემ ასეთი ინფორმაცია უნდა მიიღოს საქმის მომზადების სტადიაზე, ხოლო გამონაკლის შემთხვევაში, ამ სტადიის დამთავრების შემდეგ, მაგრამ იმ გონივრული ვარაუდით, რომ მან შეძლოს სასამართლოს სხდომისთვის მომზადება.

დ) არსებობს სარჩელის აღძვრის ყველა წინაპირობა და იგი მიღებულია სწორად (სსსკ-ის 233–ე მუხლის „დ“ პუნქტი). სარჩელის აღძვრის წინაპირობები ჩამოთვლილია სსსკ-ის 186–ე მუხლში. აღსანიშნავია, რომ თუ ეს წინაპირობები არ არსებობს, სასამართლომ არ უნდა მიიღოს სარჩელი განსახილველად. მაგრამ თუ სარჩელი შეცდომით არის მიღებული

ლი, სასამართლომ უნდა შეწყვიტოს საქმისწარმოება (სსსკ-ის 272-ე მუხლი), ან დატოვოს სარჩელი განუხილველად (სსსკ-ის 275-ე მუხლი), იმის მიხედვით, სარჩელის აღძვრის რომელი წინაპირობა არ არსებობს (სსსკ-ის 187-ე მუხლი).

2. წინაპირობები, რომლებიც წარმოშვება საქმის სასამართლო სხდომაზე განხილვისას

ა) სასამართლო სხდომაზე გამოცხადებული მხარე უარს ამბობს მონაწილეობაზე საქმის განხილვაში (სსსკ-ის 232-ე მუხლი). პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც მხარე გამოცხადდა სასამართლო სხდომაზე, მაგრამ არა იმ განზრახვით, რომ მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში. ასეთი მხარე ითვლება გამოუცხადებელ მხარედ და მის მიმართ სასამართლომ შეიძლება გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

ბ) სასამართლო სხდომის თვითნებურად მიტოვება (სსსკ-ის 212-ე მუხლის მე-2 ნაწილი). პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც გამოცხადებული მხარე უარს არ ამბობს საქმის განხილვაში მონაწილეობაზე, სასამართლოს წინაშე აცხადებს ამა თუ იმ შუამდგომლობას, და როდესაც სასამართლო უარს ეუბნება მის დაკმაყოფილებაზე, პროტესტის ნიშნად ტოვებს სხდომას.

ასეთ შემთხვევაში, სასამართლოს შეუძლია, გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება ერთი აუცილებელი პირობის დაცვით - ყოველი საქმის განხილვის დაწყების წინ (სსსკ-ის 217-ე მუხლი, სსსკ-ის 212-ე მუხლის მე-2 ნაწილი)) სასამართლომ უნდა გააფრთხილოს მხარეები, რომ საქმის განხილვაში მონაწილეობის მიუღებლობა ან სხდომის მიტოვება სასამართლოს ნებართვის გარეშე, მიჩნეული იქნება, როგორც გამოუცხადებლობა და მათ მიმართ გამოიტანენ დაუსწრებელ გადაწყვეტილებას.

გ) მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები იურიდიულად ამართლებს მის მოთხოვნას (სსკ 230-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

არ არის გამორიცხული, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის წინაპირობები ობიექტურად არსებობდა (მაგ.: მხარეს მოუხდა ავტოსაგზაო შემთხვევა, ის ავადაა და სხვა), მაგრამ არ იყო ცნობილი სასამართლოსათვის და ამიტომაც გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ასეთ შემთხვევაში, დაუსწრებელი გადაწყვეტილება შეიძლება კანონით დადგენილი წესით გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს.

მუხლი 229. მოსარჩელის გამოუცხადებლობა

1. თუ სასამართლოს სხდომაზე არ გამოცხადდება მოსარჩელე, რომელსაც გაეგზავნა შეტყობინება ამ კოდექსის 70-ე–78-ე მუხლებით დადგენილი წესით, მოპასუხის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

2. თუ მოპასუხე არ მოითხოვს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ, რასაც უკავშირდება 276–278-ე მუხლებით გათვალისწინებული შედეგები. თუ მოპასუხე სარჩელის განუხილველად დატოვების წინააღმდეგია, სასამართლო გადადებს საქმის განხილვას. მოსარჩელის განმეორებით გამოუცხადებლობის შემთხვევაში სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას.

მუხლი 230. მოპასუხის გამოუცხადებლობა

1. თუ სასამართლოს სხდომაზე არ გამოცხადდება მოპასუხე, რომელსაც გაეგზავნა შეტყობინება ამ კოდექსის 70-ე–78-ე მუხლებით დადგენილი წესით, და მოსარჩელე შუამდგომლობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე, მაშინ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები დამტკიცებულად ითვლება.

2. თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას, სარჩელი დაკმაყოფილდება. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო უარს ეტყვის მოსარჩელეს მის დაკმაყოფილებაზე.

მუხლი 232. სასამართლო სხდომაზე გამოცხადებული მხარის უარი, მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში

გამოუცხადებლად ითვლება მხარე, რომელიც, თუმცა სასამართლო სხდომაზე დანიშნულ დროს გამოცხადდა, მაგრამ უარს ამბობს საქმის განხილვაში მონაწილეობაზე.

მუხლი 232¹. მოპასუხის მიერ პასუხის (შესაგებლის) წარუდგენლობის შედეგები

მოპასუხის მიერ ამ კოდექსის 201-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილ ვადაში პასუხის (შესაგებლის) წარუდგენლობისას, თუ ეს გამონვეულია არასაპატიო მიზეზით, მოსამართლეს ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ამასთანავე, მოსამართლე დააკმაყოფილებს სარჩელს, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას; წინააღმდეგ შემთხვევაში მოსამართლე ნიშნავს სხდომას, რის შესახებაც ეცნობებათ მხარეებს ამ კოდექსის 70-ე–78-ე მუხლებით დადგენილი წესით. სხდომის ჩატარების შემთხვევაში მოპასუხისაგან მტკიცებულებათა მიღება არ ხდება და სასამართლო მოისმენს მოპასუხის მხოლოდ სამართლებრივ მოსაზრებებს სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით.

მუხლი 233. სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დაუშვებლობა

1. მხარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დაუშვებელია, თუ:

ა) გამოუცხადებელი მხარე მოწვეული არ იყო ამ კოდექსის 70-ე–78-ე მუხლებით დადგენილი წესით;

ბ) სასამართლოსათვის ცნობილი გახდა, რომ ადგილი ჰქონდა დაუძლეველ ძალას ან სხვა მოვლენებს, რომელსაც (რომლებსაც) შეეძლო ხელი შეეშალა სასამართლოში მხარის დროულად გამოცხადებისათვის;

გ) გამოუცხადებელ მხარეს დროულად არ ეცნობა საქმის ფაქტობრივი გარემოებები;

დ) არ არსებობს სარჩელის აღძვრის წინაპირობები.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებში მითითებული ერთ-ერთი გარემოების არსებობისას სასამართლო საქმის განხილვას სხვა დროისათვის ნიშნავს, რის შესახებაც ატყობინებს გამოუცხადებელ მხარეს და საქმეში მონაწილე სხვა პირებს, ხოლო „დ“ ქვეპუნქტში მითითებული სარჩელის აღძვრის წინაპირობების არარსებობისას სასამართლო შეწყვეტს საქმის წარმოებას 272-ე მუხლის შესაბამისად.

3. მოპასუხის მიერ პასუხის (შესაგებლის) წარუდგენლობის შემთხვევაში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დაუშვებელია ამ მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებში მითითებული ერთ-ერთი გარემოების არსებობისას.

მუხლი 241. დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლები

დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს, თუ არსებობს 233-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, ან თუ მხარის გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო სხვა საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის.

მუხლი 242. განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილება

1. მხარეს არა აქვს უფლება, საჩივარი შეიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნით, თუ მის მიმართ ერთხელ უკვე გამოტანილია დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

2. სასამართლოს განმეორებით დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე შეიძლება მხოლოდ სააპელაციო საჩივრის შეტანა.

უღრის ჰაბენლუსი	796
229-ე და მომდევნო მუხლები	796
ზურაბ ძლიერიშვილი	812
229-ე მუხლი	812
230-ე მუხლი	831
232 ¹ -ე მუხლი	843
233-ე მუხლი	861
241-ე მუხლი	879
242-ე მუხლი	915

უღრის ჰაბენლონი

229-ე და მომდევნო მუხლები

ქართული სსკ-დან მოყვანილი ნორმები:

- სსკ-ის 229-ე მუხლი
- სსკ-ის 230-ე მუხლი
- სსკ-ის 232-ე მუხლი
- სსკ-ის 233-ე მუხლი
- სსკ-ის 241-ე მუხლი
- სსკ-ის 242-ე მუხლი
- სსკ-ის 302-ე მუხლი, ა.ნ. 13 და მომდევნო აბზაცები
- სსკ-ის 309-ე მუხლი, ა.ნ. 14

დაუსწრებელი გადაწყვეტილება

1. მხარის მიერ სასამართლო განხილვაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის წინაპირობები ქართულ და გერმანულ სამართალში მსგავსია. თუმცა, სსკ-ის 232¹ მუხლის პირველი წინადადების მსგავს დებულებას გერმანული სამოქალაქო საპროცესო სამართალი არ იცნობს. აღნიშნულის ნაცვლად, დაუსწრებელი გადაწყვეტილება შეიძლება გამოიტანონ, როდესაც წინასწარი წერილობითი პროცედურის დანიშვნისას (იხ. ზემოთ 105-ე მუხლი, ა.ნ. 112 და მომდევნო აბზაცები) გაშვებულია ე.წ. თავდაცვითი განცხადების (და არა შესაგებლის) წარდგენის ვადა. მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილების შედეგები ორივე სამართლებრივ სისტემაში მსგავსია. მნიშვნელოვანი განსხვავებებია პირველი დაუსწრებელი გადაწყვეტილების შედეგების თვალსაზრისით. გერმანულ სამოქალაქო საპროცესო სამართალში დასაშვები საჩივრით პროცესი მარტივად, ანუ ყოველგვარი სხვა მოთხოვნის გარეშე ბრუნდება დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანამდე არსებულ მდგომარეობაში (იხ. ქვემოთ, ა.ნ. 4). ქართულ სამოქალაქო საპროცესო სამართალში კი მატერიალური სამართლებრივი მდგომარეობის შინაარსობრივი შემოწმება შესაძლებელია მხოლოდ სსკ-ის 241-ე მუხლის უფრო ვიწრო წინაპირობების დაცვით. ეს მაშინ განიხილება, როდესაც დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა, სსკ-ის 233-ე მუხლის

შესაბამისად, თავიდანვე დაუშვებელი იყო. მეორე მხრივ, ვადის უდანაშაულოდ გაშვება, რაც, თავისი მოთხოვნებით, გერმანულ სამართალში არსებულ პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის მსგავსია (იხ. ქვემოთ 264-ე მუხლი, ა.ნ. 19 და მომდევნო აბზაცები), იწვევს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებას. ამით, დაუსწრებელ გადაწყვეტილებას ქართულ სამართალში ბევრად უფრო გადამწყვეტი სამართლებრივი შედეგები აქვს, ვიდრე გერმანიაში. პრეკლუზიის ეს მკაცრი ეფექტი გერმანული საკონსტიტუციო სამართლის პერსპექტივიდან არც თუ ისე უპრობლემოდ მიმაჩნია; ყოველ შემთხვევაში, გერმანული სამართლის პოზიციიდან აუცილებელია, რომ სამართლის პრაქტიკაში გამოყენებისას „საპატიო“ მიზეზების არსებობის მიმართ მხოლოდ ზომიერი მოთხოვნები წაყენდეს (*მდრ. გერმანული საკონსტიტუციო სამართლის საფუძვლებთან დაკავშირებით: 105-ე მუხლი, ა.ნ. 115 და მომდევნო აბზაცები*). კიდევ ერთი სამართლებრივ-დოგმატური განსხვავება ვლინდება შემდეგ საკითხში: მართალია, გერმანიაში დასაშვებ საჩივარს ფაქტობრივ და სამართლებრივ გარემოებათა სრულიად ახალი შემოწმება მოჰყვება შედეგად, მაგრამ დაუსწრებელი გადაწყვეტილება ძალაში რჩება, თუ დადგინდება, რომ იგი გამოტანილია სწორად (სამართლებრივ შედეგებზე იხ. ქვემოთ, ა.ნ. 22). ქართული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით პირიქით ხდება: თუ დასაშვები საჩივრის შემთხვევაში დაკმაყოფილებულია სსკ-ის 241-ე მუხლის წინაპირობები, დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს მაშინაც, როცა ის საქმეზე გამოტანილია სწორად. განსაკუთრებული წინაპირობების შემთხვევაში, გერმანიაში შესაძლებელია, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების ნაცვლად, სასამართლომ, გამოცხადებული მხარის განცხადების საფუძველზე, გადაწყვეტილება გამოიტანოს დოკუმენტებზე დაყრდნობით (§§ 331 a, 251 a GER-ZPO).

1. ა. დაუსწრებელი გადაწყვეტილების საკანონმდებლო მიზანი უმაღლესმა ფედერალურმა სასამართლომ (*Beschluss vom 07.12.2017 - IX ZR 81/17 - WM 2018, 445*) შემდეგნაირად ჩამოაყალიბა:

1. ბ. „დაუსწრებელი გადაწყვეტილება ზეპირობისა და შეჯიბრებითობის პრინციპების შედეგია. მხარეს შეუძლია პროცესის გაგრძელების დაბლოკვა, თუ სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდება ან არ მიიღებს მონაწილეობას საქმის განხილვაში. ამიტომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსი სასამართლოში გამოუცხადებლობას უკავშირებს უარყოფით სამართლებრივ შედეგებს. პირველი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება მხოლოდ საჩივრის საშუალებითაც არის შესაძლებელი. თუმცა,

საჩივრის „პროცესების გაჭიანურების მოსახერხებელ საშუალებად“ გადაქცევის თავიდან ასარიდებლად, ისტორიულმა კანონმდებელმა მისი განმეორებითი დასაშვებობა შეზღუდა. თუ მხარე (პირველი) დაუსწრებელი გადაწყვეტილების წინააღმდეგ დროულად შეტანილი საჩივრის შემდეგ კვლავინდებურად არ გამოცხადდება საჩივრის ზეპირ განხილვაზე, ან გამოცხადდება, მაგრამ არ არის წარმოდგენილი წესების დაცვით, ანდა არ მონაწილეობს განხილვაში, სასამართლოს ისლა რჩება, რომ შეამოწმოს განმეორებითი გამოუცხადებლობის, განსაკუთრებით, სხდომაზე წესების დაცვით გამოძახების სისწორე, მანამ, სანამ იგი საჩივარს (მეორე) დაუსწრებელი გადაწყვეტილებით გააუქმებს (§ 345 ZPO). შემდგომი გასაჩივრება არ ხდება (BGH FamRZ 2012, 27; BGHZ 208, 75). (მეორე) დაუსწრებელი გადაწყვეტილების წინააღმდეგ სააპელაციო საჩივრის შეტანა შეიძლება დაეფუძნოს მხოლოდ იმას, რომ გამოუცხადებლობის შემთხვევა არ იყო ბრალეული (§ 514 Abs. 2 Satz 1 ZPO).“

2. გერმანული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის არსებითი დებულებები ასეთი შინაარსისაა:

§ 330 GER-ZPO - დაუსწრებელი გადაწყვეტილება მოსარჩელის წინააღმდეგ

თუ მოსარჩელე ზეპირი განხილვის სხდომაზე არ გამოცხადდება, მაშინ განცხადების საფუძველზე სასამართლომ უნდა გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომლითაც მოსარჩელეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარს ეტყვის.

§ 331 GER-ZPO - დაუსწრებელი გადაწყვეტილება მოპასუხის წინააღმდეგ

(1) თუ მოსარჩელე განცხადებით მოითხოვს ზეპირი განხილვის სხდომაზე გამოუცხადებელი მოპასუხის მიმართ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას, მაშინ მოსარჩელის მიერ ფაქტებთან დაკავშირებით მიცემული ზეპირი ჩვენება აღიარებულად უნდა ჩაითვალოს. ეს წესი არ მოქმედებს ჩვენებისთვის, რომელიც ეხება სასამართლოს განსჯადობას, § 29 (2)-ისა და § 38-ის მიხედვით.

(2) რამდენად დასაბუთებულს ხდის ეს სასარჩელო განცხადებას, უნდა განისაზღვროს განცხადების მიხედვით; თუ ასე არ არის, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარი უნდა ითქვას.

(3) თუ მოპასუხემ, § 276 Abs. 1 Satz 1, Abs. 2*-ის საპირისპიროდ, დროულად არ განაცხადა, რომ სურს სარჩელისგან თავის დაცვა, სასამართლო, მოსარჩელის განცხადების საფუძველზე, ზეპირი განხილვის გარეშე იღებს გადაწყვეტილებას; ეს წესი არ მოქმედებს, თუ მოპასუხის განმარტება მანამდე შემოვა, სანამ მოსამართლეების მიერ ხელმონერილი გადაწყვეტილება სასამართლოს რეგისტრატურას გადაეგზავნება... ზეპირი განხილვის გარეშე გადაწყვეტილების მიღება დასაშვებია იმ შემთხვევაშიც, როდესაც მოსარჩელის ჩვენება არ ასაბუთებს სარჩელს დამატებით მოთხოვნასთან დაკავშირებით, თუ მოსარჩელეს გადაწყვეტილების გამოტანამდე ეცნობა ასეთი შესაძლებლობის შესახებ.

§ 331a GER-ZPO - დოკუმენტების საფუძველზე გამოტანილი გადაწყვეტილება

ზეპირი განხილვის სხდომაზე ერთ-ერთი მხარის გამოუცხადებლობისას, მონინალმდევე მხარეს შეუძლია, დაუსწრებელი გადაწყვეტილების ნაცვლად, განცხადებით მოითხოვოს გადაწყვეტილების გამოტანა დოკუმენტების საფუძველზე; განცხადება უნდა დაკმაყოფილდეს, თუ საქმის გარემოებები ასეთი გადაწყვეტილების გამოსატანად საკმარისად გარკვეულად მიიჩნევა. შესაბამისად მოქმედებს § 251a-ის მე-2 აბზაცი*.

§ 251 a GER-ZPO - ორივე მხარის გამოუცხადებლობა; დოკუმენტების საფუძველზე გამოტანილი გადაწყვეტილება

(1) თუ საქმის განხილვაზე არც ერთი მხარე არ გამოცხადდება, ან არც ერთი მათგანი არ მიიღებს მონაწილეობას განხილვაში, სასამართლოს შეუძლია, გამოიტანოს გადაწყვეტილება დოკუმენტების საფუძველზე.

(2) დოკუმენტების საფუძველზე გადაწყვეტილების გამოტანა შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ ადრინდელ სასამართლო სხდომაზე ჩატარდა ზეპირი განხილვა. მისი გამოცხადება შეიძლება არაუადრეს ორი კვირისა ...

* წერილობითი წინასწარი პროცედურის დროს (§ 331 Abs. 3 GER-ZPO) დაუსწრებელი გადაწყვეტილების შესახებ დამატებით იხ. 105-ე მუხლის ა.ნ. 112-ში ციტირებული § 276 GER-ZPO-ის დანაწესი.

§ 333 GER-ZPO - გამოცხადებული მხარის ჩაურთველობა განხილვაში

გამოუცხადებლად უნდა ჩაითვალოს ის მხარეც, რომელიც გამოცხადდა სასამართლოს სხდომაზე, მაგრამ განხილვაში არ მონაწილეობს.

§ 335 GER-ZPO - დაუსწრებელი გადაწყვეტილების დაუშვებლობა

(1) განცხადებას დაუსწრებელი გადაწყვეტილების ან დოკუმენტების საფუძველზე გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ უარი უნდა ეთქვას:

1. ...

2. თუ მხარე, რომელიც არ გამოცხადდა, მოწვეული არ იყო დადგენილი წესით, განსაკუთრებით, დროულად;

3. თუ მხარეს, რომელიც დროულად არ გამოცხადდა, წერილობითი ფორმით არ ეცნობა ფაქტობრივი ზეპირი ჩვენება ან მოთხოვნა.

§ 338 GER-ZPO - საჩივარი

მხარეს, რომლის წინააღმდეგაც გამოტანილია დაუსწრებელი გადაწყვეტილება, აქვს ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგ საჩივრის შეტანის უფლება.

§ 339 GER-ZPO - საჩივრის ვადა

(1) საჩივრის შეტანის ვადა შეადგენს ორ კვირას; იგი ... იწყება დაუსწრებელი გადაწყვეტილების ჩაბარების მომენტიდან.

§ 340 GER-ZPO - საჩივრის ტექსტი

(1) საჩივრის შეტანა ხორციელდება საჩივრის ტექსტის საქმის განმხილველ სასამართლოში შეტანით.

....

(3) საჩივრის ტექსტში მხარემ უნდა წარმოადგინოს თავისი მოთხოვნის უფლების წარმომშობი და შემწყვეტი შესაგებლები ისე, როგორც, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, შეესაბამება პროცესის წარმართვას გულმოდგინედ და განხილვის ხელშეწყობაზე ორიენტირებულად. მან ასევე უნდა წარმოადგინოს შეპასუხება სარჩელის დასაშვებობასთან დაკავშირებით...

§ 340 GER-ZPO - დასაშვები საჩივრის მოქმედება

თუ საჩივარი დასაშვებია, პროცესი, რამდენადაც საჩივარი ამის საშუალებას იძლევა, უნდა დაბრუნდეს იმ მდგომარეობაში, რომელიც არსე-

ბობდა სასამართლოში მხარის გამოუცხადებლობის ფაქტის დადგომამდე.

§ 344 GER-ZPO - სასამართლოში მხარის გამოუცხადებლობის ხარჯები

თუ დაუსწრებელი გადაწყვეტილება გამოტანილია კანონის შესაბამისად, მაშინ სასამართლოში მხარის გამოუცხადებლობით გამონვეული ხარჯები, როცა ისინი წარმოშობილია მონინალმდეგის დაუსაბუთებელი შედეგების შედეგად, უნდა დაეკისროს მხარეს, რომელიც არ გამოცხადებულა სასამართლოში, თუკი საჩივრის შედეგად გამოტანილი იქნება შეცვლილი გადაწყვეტილება.

§ 345 GER-ZPO - მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება

თუ მხარე, რომელმაც შეიტანა საჩივარი, მაგრამ არ გამოცხადდა ზეპირი განხილვისთვის დანიშნულ სხდომაზე - ან იმ სხდომაზე, რომლისთვისაც გადაიდო საქმის განხილვა - ანდა თუ იგი არ მონაწილეობს საქმის არსებით განხილვაში, მაშინ მას არ აქვს კიდევ ერთო საჩივრის შეტანის უფლება დაუსწრებელი გადაწყვეტილების წინააღმდეგ, რომლითაც ხდება საჩივრის უარყოფა.

§ 514 GER-ZPO - დაუსწრებელი გადაწყვეტილებები

(1) დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრება სააპელაციო საჩივრით ან შეგებებული სააპელაციო საჩივრით იმ მხარის მიერ, რომლის წინააღმდეგაც იგი გამოტანილია, არ არის შესაძლებელი.

(2) დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომლის წინააღმდეგაც საჩივარი არ არის დასაშვები, ექვემდებარება სააპელაციო ან შეგებებულ სააპელაციო გასაჩივრებას, თუ იგი ეფუძნება იმას, რომ სასამართლოს სხდომაზე გამოუცხადებლობა არ იყო ბრალეული

3. ქართული სამართლის მსგავსად, გერმანიაშიც, § 330 GER-ZPO-ს შესაბამისად, გამოუცხადებელი, მაგრამ დადგენილი წესით მოწვეული მოსარჩელის მიმართ გამოდის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის შემცველი დაუსწრებელი გადაწყვეტილება, იმის მიუხედავად, სარჩელი დამაჯერებელი იყო თუ არა. დადგენილი წესით მოწვეული მოპასუხის მიმართ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის წინაპირობა, § 331 Abs. 2 GER-ZPO-ის მიხედვით (შინაარსობრივად შეესაბამება სსკ-ის 230-ე მუხლის პირველი აბზაცი), არის სასარჩელო განცხადების დამაჯერებლობა. თუ ეს პირობა დაუკმაყოფილებელია, მაშინ სარჩელის დაკმაყოფილება

ფილებაზე უარი უნდა ითქვას სადავო წარმოების შედეგად (ნაწილობრივ, ორაზროვნად) გამოტანილი გადაწყვეტილებით (რომელიც მოიხსენიება „მოჩვენებით დაუსწრებელ გადაწყვეტილებად“). ასეთი გადაწყვეტილების წინააღმდეგ - ქართულ სამართლის მსგავსად - დასაშვებია არა საჩივარი, არამედ მხოლოდ სადავო წარმოების შედეგად მიღებული (კონტრადიქტორული) გადაწყვეტილებებისთვის დანესებული გასაჩივრების საშუალება (აპელაცია ან კასაცია).

4. ქართული სამართლისგან ძირითადი განმასხვავებელია ის, რომ გერმანულ სამოქალაქო საპროცესო სამართალში არათუ საჩივრის ტექსტს არ მოეთხოვება სასამართლოს სხდომაზე გამოუცხადებლობის მიზეზების განმარტება, არამედ (რაც განსაკუთრებით აღსანიშნავია) საჩივრის § 342 GER-ZPO-ში აღწერილი შედეგი დგება იმის მიუხედავად, ბრალეულად არ გამოცხადდა მხარე სასამართლო განხილვაზე თუ არაბრალეულად, ანდა წარმოადგინა თუ არა განცხადება თავდაცვის განზრახვის შესახებ. ამდენად, ფორმისა და ვადების დაცვით განხორციელებული საჩივარი თავისთავად აბრუნებს პროცესს იმ მდგომარეობაში, რომელიც დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანამდე არსებობდა. კანონის შესაბამისია თუ არა დაუსწრებელი გადაწყვეტილება, დასაშვები საჩივრის შემთხვევაში მნიშვნელოვანია მხოლოდ § 344 GER-ZPO-ზე დაფუძნებული, ხარჯებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებისთვის. თუმცა ეს ასევე ნიშნავს, რომ (პირველი) დაუსწრებელი გადაწყვეტილების შედეგებს სასამართლოს სხდომაზე გამოუცხადებელი მოპასუხისთვის გერმანიაში ბევრად ნაკლები მნიშვნელობა ენიჭება, ვიდრე საქართველოში. უფლების სრულად დაკარგვის საფრთხის გამო, რომელიც სხვა შემთხვევაში იარსებებდა, მხარის სასამართლო განხილვაზე ერთჯერადი გამოუცხადებლობა - საბოლოო ჯამში, საკონსტიტუციო-სამართლებრივი მოსაზრებებიდან გამომდინარე - არ იქნება გათვალისწინებული, თუ იგი დაუსწრებელი გადაწყვეტილების ჩაბარების და შესაბამისი უფლებამოვალეობების ხელახალი გაცნობის შედეგად, თავისი საპროცესო მდგომარეობის სერიოზულობას გაიაზრებს და დაუსწრებელი გადაწყვეტილების წინააღმდეგ ორი კვირის ვადაში საჩივარს შეიტანს.

5. § 331a, 251a GER-ZPO-ის შესაბამისად, დაუსწრებელი გადაწყვეტილების ნაცვლად, გამოცხადებული მხარის განცხადების საშუალებით, სასამართლომ შეიძლება გამოიტანოს **გადაწყვეტილება დოკუმენტების საფუძველზე**, ანუ სადავო წარმოების შედეგად გამოტანილი „ნორმალური“ გადაწყვეტილება. ამისათვის საჭიროა ორი წინაპირობის კუმულაცი-

ურად არსებობა: პირველ რიგში, საქმის გარემოებები ასეთი გადაწყვეტილებისთვის საკმარისად გარკვეული უნდა იყოს; მეორე მხრივ, იგი - § 251a Abs. 2 GER-ZPO-ზე მითითებიდან გამომდინარეც - წინა სასამართლო სხდომაზე ზეპირად უნდა იყოს განხილული. ლიტერატურის მიხედვით, გაბატონებული მოსაზრების თანახმად, ამისათვის საკმარისი არ არის განხილვა საქმის მოსამზადებელ სხდომაზე, ასევე აუცილებელია განცხადების წარდგენა სადავო წარმოების ფარგლებში (Hessisches Landesarbeitsgericht, Urteil vom 10. 11.2015 - 15 Sa 476/15 - juris; OLG Frankfurt, Urteil vom 08. 05. 2013 - 2 U 231/12 - juris). დოკუმენტების საფუძველზე გამოტანილი გადაწყვეტილების ფაქტობრივი შემადგენლობით გათვალისწინებული წინაპირობები უფრო იშვიათად გვხვდება, ამიტომ მათი პრაქტიკული მნიშვნელობაც შესაბამისია. თუ წინაპირობები დაკმაყოფილებულია, დოკუმენტების საფუძველზე გამოტანილი გადაწყვეტილება გამოცხადებული მხარისთვის, ჩვეულებრივ, მიმზიდველია საპროცესო ტაქტიკის თვალსაზრისით, ვინაიდან მოწინააღმდეგე მხარეს არ შეუძლია ასეთი გადაწყვეტილების წინააღმდეგ საჩივრის შეტანა, მას მხოლოდ გასაჩივრების ზოგადი საშუალებების გამოყენების უფლება აქვს (აპელაცია, კასაცია). ეს, უპირველეს ყოველისა, აფერხებს პროცესის შემდგომ გაჭიანურებას.

6. ერთ-ერთი მხარის დაუსწრებლად ჩატარებული სასამართლო პროცესის სამართალში ხშირად ვხვდებით შემთხვევებს, როდესაც სასამართლოები, პროცესუალურად აუცილებელი წესით, არ განასხვავებენ, ერთი მხრივ, სასამართლოს სხდომაზე გამოუცხადებლობის გამო გამოტანილ გადაწყვეტილებას, რომელიც უნდა მიიღონ დაუსწრებელი გადაწყვეტილების ფორმით, და მეორე მხრივ, გადაწყვეტილებას, რომელიც არ ეფუძნება სხდომაზე გამოუცხადებლობას და ამიტომ უნდა ჰქონდეს სადავო წარმოების შედეგად გამოტანილი გადაწყვეტილების სახე. აღნიშნულთან დაკავშირებით, გერმანულმა სასამართლო პრაქტიკამ შემდეგი პრინციპები განავითარა:

7. ა) თუ რომელი გადაწყვეტილებაა სახეზე, დაუსწრებელი თუ კონტრადიქტორული, დამოკიდებულია (როგორც სხვა შემთხვევებში) არა სახელწოდებაზე, არამედ გადაწყვეტილების შინაარსზე (BGH, Beschluss vom 03.11.1998 - VI ZB 29/98 - NJW 1999, 583; BGH, Beschluss vom 03.02.1988 - Ivb 4/88 - FamRZ 1988, 945; KG, Beschluss vom 07.08.2015 - 8 U 244/14 - MDR 2015, 1439). თუმცა, გავრცელებული მოსაზრების თანახმად, სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპებიდან გამომდინარე, დაუშვებელია, რომ სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების არასწორი

ფორმით ჩამოყალიბების გამო მხარეებს რაიმე ზიანი მიადგეთ. ამიტომ, მათ პრინციპულად აქვთ უფლება, ისარგებლონ ორივე სახის გასაჩივრებით: (1) რომელიც დასაშვებია გამოტანილი გადაწყვეტილების შინაარსის გამო, და (2) რომელიც დასაშვებია იქნებოდა გამოტანილი გადაწყვეტილების გარეგანი ფორმის მიხედვით (BGH, Urteil vom 17.10.1986 - V ZR 169/85 - BGHZ 98, 362; BGH, Beschluss vom 24.01.1984 - IX ZR 6/82 - BGHZ 90, 1; BGH NJW 1999, 583; BGH, Beschluss vom 17.12.2008 - XII ZB 125/06 - MDR 2009, 1000; ე.წ. **დათქმა უმეტესი ხელშეწყობის შესახებ**).

8. ამ სასამართლო პრაქტიკის საფუძვლად არსებული დამცავი იდეის მიზანია დაზარალებული მხარის დაცვა მხოლოდ ისეთი ზიანისგან, რომელიც გამოწვეულია გადაწყვეტილების არასწორი ფორმით მიღებით, ანუ სასამართლოს შეცდომით; თუმცა, მოსამართლის სწორად მუშაობისადმი არსებული დაცული ნდობის გამო, მხარეს არ უნდა მიენიჭოს უპირატესობები, რომლებიც გადაწყვეტილების სწორი ფორმით მიღების შემთხვევაში არ შეექმნებოდა. შედეგად, გადაწყვეტილების არასწორი ფორმის შესაბამისი გასაჩივრება მხოლოდ მაშინ არის დასაშვები, როდესაც ფორმალურად სწორი გადაწყვეტილების მიმართ ზოგადად შესაძლებელია (თუნდაც სხვაგვარი) გასაჩივრების გამოყენება (BGH, Beschluss vom 17.07.2017 - IX ZR 189/16 - juris; BGH, Beschluss vom 08.05.2006 - II ZB 10/05 - NJW-RR 2006, 1184).

9. თუ სასამართლომ, მოპასუხის სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის გამო, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის გადაწყვეტილება არადაამაჯერებლობის მოტივით (§ 331 Abs. 2 GER-ZPO; სსკ-ის 230-ე მუხლის პირველი აბზაცი), შეცდომით, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გარეგნული ფორმით გამოიტანა (მიუხედავად იმისა, რომ საქმე ეხებოდა კონტრაქტორულ გადაწყვეტილებას), მაშინ მოსარჩელეს, უმეტესი ხელშეწყობის პრინციპის მიხედვით, აპელაციასთან ერთად გასაჩივრების უფლებაც აქვს; თუმცა, საჩივარი გამორიცხულია, როდესაც § 511 GER-ZPO-ით გათვალისწინებული სააპელაციო თანხა (600.- €) გადამეტებული არ არის, რითაც აპელაცია დაუშვებელი იქნებოდა, ანუ ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგ მოსამართლის ფორმალურად სწორი მოქმედების შემთხვევაშიც გამორიცხული იქნებოდა საჩივრის შეტანის ან ზემდგომ ინსტანციაში გასაჩივრების შესაძლებლობა. იგივე პრინციპები მოქმედებს, შინაარსობრივად მეორე დაუსწრებელ გადაწყვეტილებად (იხ. ქვემოთ, ა.ნ. 16) მისაჩივრება გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან მიმართებით, რომელიც სასამართლომ, პროცესის დარღვევით, პირველი დაუ-

სწრებელი გადაწყვეტილების ფორმით ჩამოაყალიბა. მართალია, გამოუცხადებელ მხარეს შეუძლია ამის წინააღმდეგ საჩივრის შეტანა, მაგრამ მხოლოდ იმ საფუძვლებზე დაყრდნობით, რომელთა გამოყენების უფლება მას, § 514 GER-ZPO-ის შესაბამისად, ექნებოდა აპელაციის (მოსამართლის სწორი მოქმედებისას კანონით დასაშვები ერთადერთი საშუალების) შემთხვევაშიც (OLG Brandenburg, Beschluss vom 14.03.2013 - 6 U 1/13 - juris).

10. ბ) თუ წინა ინსტანციის სასამართლო საპროცესო-სამართლებრივად მცდარ გზას დაადგება, უმეტესი ხელშეწყობის პრინციპი არ მოითხოვს, რომ ზემდგომ ინსტანციაში გასაჩივრების პროცესი ამ გზით გაგრძელდეს. პირიქით, ზემდგომი ინსტანციის სასამართლომ, რომელშიც შეტანილია საჩივარი (ზემდგომ ინსტანციაში შეტანილ, უმეტესი ხელშეწყობის პრინციპის შესაბამისად დასაშვებ საჩივარზე) პროცესი ისევე გააგრძელოს, როგორც წინა ინსტანციის მიერ ფორმალურად სწორი გადაწყვეტილებისა და მისი შემდგომი (ზემდგომ ინსტანციაში) გასაჩივრების შემთხვევაში (BGH, Beschluss vom 29.06.2017 - IX ZB 98/16-BGHZ 215, 139; BGH, Beschluss vom 02.09.2015 - XII ZB 75/13 - NJW-RR 2016, 67). გერმანიაში ეს საკითხი, შეცილების სხვადასხვა შესაძლებლობის და ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავებული საპროცესო-სამართლებრივი წესების გამო, განსაკუთრებით მაშინ იჩენს თავს, როდესაც წინა ინსტანციის სასამართლო საოჯახო-სამართლებრივ საქმეს ზოგადი სამოქალაქო-საპროცესო დავის ფორმით განიხილავს, ან პირიქით, დავას წყვეტს, როგორც საოჯახო-სამართლებრივ საქმეს. თუმცა, საქართველოში ამ საკითხს ისეთივე მნიშვნელობა ვერ ექნება, ვინაიდან აქ საოჯახო-სამართლებრივი საქმეები სადავო სამოქალაქო პროცესის საფუძველზე წყდება და შეცილების შესაძლებლობები არ განსხვავდება ერთმანეთისგან.

11. თუ მხარე დროულად არ ცხადდება დანიშნულ განხილვაზე, გერმანიაში მიღებულია დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანამდე დალოდება, დაახლოებით, 15 წუთის განმავლობაში. ცალსახად გარკვეული არ არის, ეს შესტი თავაზიანობის აქტია, თუ ჩვეულებითი სამართლის. ლიტერატურაში გაბატონებული მოსაზრების თანახმად, უნდა ვივარაუდოთ, რომ **ლოდინის დროის** დაცვა უფრო ჩვეულებითი სამართლის აქტია (OLG Naumburg, Beschluss vom 11.06.2014 - 10 W 60/13 (Abl) - juris; OLG München, Beschluss vom 31.01.2007 - 19 W 729/07 - OLGR 2007, 186; OLG Rostock, Urteil vom 28.04.2006 - 3 U 163/05 - OLGR 2006, 628). ამიტომ, ამ დროის გასვლამდე გამოტანილი დაუსწრე-

ბელი გადაწყვეტილება არ ჩაითვლება კანონის შესაბამისად. თუმცა, ამაზე მეტი მნიშვნელობა ამ საკითხს არ ენიჭება (გარდა § 344 GER-ZPO-ით გათვალისწინებული, ხარჯებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებისა).

11. ა. თუ მხარე განხილვაზე არ გამოჩნდება ან არ მიიღებს მონაწილეობას განხილვაში, ის უკვე მიიჩნევა სასამართლო განხილვაზე გამოუცხადებლად (§ 333 GERZPO; შინაარსობრივად იდენტურია სსკ-ის 232-ე მუხლი). § 220 Abs. 2 GER-ZPO-დან გამომდინარე, რომლის თანახმად, მხარე სასამართლოს განხილვაზე გამოცხადებულად არ ითვლება, თუ განხილვის „დასრულებამდე“ არ მონაწილეობს მასში, გერმანული სასამართლო პრაქტიკა ასკვნის, რომ გამოუცხადებელ მხარეს სასამართლო განხილვის დასრულებამდე აქვს საშუალება, რომ მონაწილეობა მიიღოს მასში, დაასრულოს განხილვაზე გამოუცხადებლობა და, შესაბამისად, თავიდან აირიდოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა მის მიმართ (BGH, Urteil vom 15.12.1992 - VI ZR 85/92 - NJW 1993, 861).

12. დაუსწრებელი გადაწყვეტილების პროცედურაზე გავლენის მქონე თავისებურება გერმანულ სამოქალაქო საპროცესო სამართალში გამომდინარეობს **გადახდის ბრძანების საფუძველზე გამოცემული სააღსრულებო ფურცლიდან.**

13. GER-ZPO-ის §688 და მომდევნო აბზაცების დეტალების შესაბამისად, ფულადი ვალდებულების კრედიტორს შეუძლია, მოვალის მიმართ **დავალიანების გადახდევინების საქმის განსახილველად გამოიყენოს გამარტივებული სასამართლო პროცედურა.** მისი განხორციელების კომპეტენცია, ფედერალური მასშტაბით, აქვს (ამჟამად 11) ცენტრალიზებულ საერთო სასამართლოს, რომელიც ამისათვის ავტომატიზებულ პროცედურას იყენებს. დავალიანების გადახდევინების საქმის განხილვის გამარტივებული სასამართლო პროცედურის წინაპირობები მეტწილად შეესაბამება სსკ-ის 302-ე მუხლით გათვალისწინებულ პირობებს. ქართული სამართლის მსგავსად, მოვალეს ორი კვირის ვადაში შეუძლია შედავაება გადახდის ბრძანების წინააღმდეგ. ასეთ შემთხვევაში, §§ 696, 697 GER-ZPO-ის დეტალური დანაწესის შესაბამისად, კრედიტორმა უნდა უზრუნველყოს საქმის გადაცემა სადავო წარმოებაზე უფლებამოსილი სასამართლოსთვის. ე.წ. მოთხოვნის უფლების დასასაბუთებელი დოკუმენტის შეტანის მომენტიდან, რომელიც თავისი ფუნქციით § 253 GER-ZPO-ით გათვალისწინებულ სარჩელს შეესაბამება (იხ. ზემოთ Art 177 და მომდევნო აბზაცი), სამართლებრივი დავა შემდგომ ისევე მიმდინარეობს, როგორც სარჩელის შეტანის შემთხვევაში (§ 697 Abs. 2 Satz 1 GER-ZPO).

14. თუ შედაგება დროულად არ განხორციელდება, მაშინ კრედიტორის განცხადების საფუძველზე გამოდის გადახდის ბრძანების შესაბამისად გაცემული სააღსრულებო ფურცელი (§ 699 GER-ZPO), რომელიც თავისი მოქმედებით მსგავსია სსკ-ის 309-ე მუხლით გათვალისწინებული გადახდის ბრძანების სააღსრულებო ფურცლისა. გადახდის ბრძანების შესაბამისად გაცემული ეს სააღსრულებო ფურცელი (სწორედ ეს არის აქ გადამწყვეტი საკითხი § 700 Abs. 1 GER-ZPO-ის მიხედვით) დროებით აღსრულებადად გამოცხადებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების ეკვივალენტურია. თუ პირი გადახდის ბრძანების შესაბამისად გაცემული სააღსრულებო ფურცლის წინააღმდეგ შეიტანს საჩივარს და შემდეგ პროცედურა დავის გადანყვეტაზე უფლებამოსილ სასამართლოს გადაეცემა, მაშინ § 700 Abs. 1 GER-ZPO-ის შედეგად, მოვალის/მოპასუხის სასამართლო განხილვაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში გვაქვს § 345 GER-ZPO-ით გათვალისწინებული ფორმალური წინაპირობები მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისთვის (იხ. შემდგომ ა.ნ. 16), მიუხედავად იმისა, რომ მანამდე ჩატარებულ სასამართლო განხილვაზე მოვალის/მოპასუხის გამოუცხადებლობა არ დაფიქსირებულა.

15. მართალია, გადახდის ბრძანების შესაბამისად სააღსრულებო ფურცლის გამოცემისას დამაჯერებლობა არ მოწმდება, მაგრამ § 700 Abs. 6 GER-ZPO ადგენს, რომ ასეთი სააღსრულებო ფურცლის დაუსწრებელი გადაწყვეტილების საშუალებით გაუქმება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაკმაყოფილებულია დაუსწრებელი გადაწყვეტილებისთვის § 331 Abs. 1 და 2 GER-ZPO-ით გათვალისწინებული წინაპირობები, ანუ სარჩელი დამაჯერებელია. თუ იგი არ არის დამაჯერებელი, მაშინ გადახდის ბრძანების შესაბამისად გამოცემული სააღსრულებო ფურცელი უნდა გაუქმდეს და სარჩელის დაკმაყოფილებაზე სადავო წარმოების შედეგად გამოტანილი გადაწყვეტილებით უარი ეთქვას. ეს წესი უზრუნველყოფს, რომ სასამართლო პროცესის განმავლობაში დამაჯერებლობა ერთხელ მაინც შეამოწმოს მოსამართლემ.

16. მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება §§ 345, 514 GER-ZPO-ში სსკ-ის 242-ე მუხლის მსგავსად არის დარეგულირებული. თუ § 345 GER-ZPO-ის მიხედვით საჩივარი არ არის დასაშვები, მაშინ, § 514 GER-ZPO-ის თანახმად, მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება საჩივრდება აპელაციის წესით ან, §§ 514, 565 GER-ZPO-ის თანახმად, კასაციის წესით.

17. ა) მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის წინაპირობა, გავრცელებული მოსაზრების თანახმად, არის ის, რომ პირველი დაუ-

სწრებელი გადაწყვეტილება გამოტანილია იმ სასამართლო განხილვაზე, რომელიც ამჯერად გამოტოვებულ სასამართლო განხილვას უშუალოდ **წინ უსწრებდა**. ამდენად, მხარე ორჯერ ზედიზედ (ან გადახდის ბრძანების შესაბამისად გაცემული სააღსრულებო ფურცლის წინააღმდეგ შეტანილი საჩივრის პირველ განხილვაზე) არ გამოცხადდა. თუ პირველი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის ან გადახდის ბრძანების შესაბამისად სააღსრულებო ფურცლის გაცემის შემდეგ, შუალედში ჩატარდა განხილვა სადავო წარმოებით და მხარე შემდეგ განხილვაზე ისევ არ გამოცხადდა, მის წინააღმდეგ შეიძლება მხოლოდ პირველი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა (OLG Frankfurt, Urteil vom 10.08.2010 - 9 U 61/08 - NJW-RR 2011, 216; Landesarbeitsgericht amm, Urteil vom 05.10.2010 - 19 Sa 803/10 - juris).

18. ბ) ნაწილობრივ სადავოა, **შემონმების როგორი კომპეტენცია** აქვს მოსამართლეს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილების შემთხვევაში. ამ დისკუსიას ართულებს ის, რომ მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამომტან მოსამართლეს თავისთავად არ ევალება წერილობითი დასაბუთება, თუ რა შეამონმა ფაქტობრივად კიდევ ერთხელ მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის წინ. ამიტომაც, სამართლებრივი დისკუსია შედარებით აქტიურად მიმდინარეობს ლიტერატურაში.

19. სადავოა, კიდევ ერთხელ უნდა შეამონმოს თუ არა მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიმღებმა მოსამართლემ, პროცესუალურად რამდენად სწორად არის გამოტანილი პირველი დაუსწრებელი გადაწყვეტილება, განსაკუთრებით, მართლაც არაბრალეული ხომ არ იყო გამოუცხადებლობა განხილვაზე, რომელზეც გამოტანილია პირველი დაუსწრებელი გადაწყვეტილება. აღნიშნულთან დაკავშირებით, უმაღლესი ფედერალური სასამართლო ხელმძღვანელობს შემდეგი პრინციპებით: § 514 GER-ZPO-ს თანახმად, მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილების წინააღმდეგ ზემდგომ ინსტანციაში შეტანილი საჩივარი არ შეიძლება დაეფუძნოს იმას, რომ პირველი დაუსწრებელი გადაწყვეტილება გამოტანილია პროცესუალურად მცდარად (BGH, Beschluss vom 06.05.1999 - V ZB 1/99 - BGHZ 141, 351; BGH, Beschluss vom 07.12.2017 - IX ZR 81/17 - WM 2018, 445; BGH, Beschluss vom 16.04.1986 - VIII ZB 26/85 - BGHZ 97, 341; BGH, Beschluss vom 08.03.2017 - III ZR 39/17 - juris). ეს არსებითად იმით არის დასაბუთებული, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების საპროცესო-სამართლებრივი წინაპირობები მის გამოტანამდე შეამონმა მოსამართლემ და ამით დაცული იყო სასამართლო მოსმენის საკონსტიტუციო-სამართლებრივი მოთხოვნა. ამასთან, მხარეს, რომლის წინაა-

ლმდეგაც უკვე გამოტანილია დაუსწრებელი გადაწყვეტილება, მოეთხოვება პროცესის განსაკუთრებულად ფრთხილად წარმართვა. მაგრამ აქვითა მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილების წინააღმდეგ, რომელიც უკუაგდება მოვალის/მოპასუხის საჩივარს გადახდის ბრძანების შესაბამისად გამოცემული სააღსრულებო ფურცლის წინააღმდეგ, მაშინ შეიძლება დასაბუთდეს საპროცესო-სამართლებრივი დაუშვებლობით, როდესაც ასეთი სააღსრულებო ფურცელი დროულად შედავების მიუხედავად გამოიცემა (BGH, Urteil vom 07.12.1978 - III ZR 35/77 - BGHZ 73, 87; ebenso OLG Frankfurt, Urteil vom 13.06.1995 - 10 U 320/93 - OLG 1995, 152). ეს დიფერენცირება ეფუძნება იმას, რომ პირველი დაუსწრებელი გადაწყვეტილების საპროცესო-სამართლებრივ დასაშვებობას ამონიშნავს მოსამართლე, მაშინ, როდესაც გადახდის ბრძანების შესაბამისი სააღსრულებო ფურცლის გამოცემა გერმანიაში ევალემა მოსამართლის ფუნქციებით აღჭურვილ სასამართლო მოხელეს (ობიექტურად დამოუკიდებელ, გადაწყვეტილების მიმღებ იუსტიციის მოხელეს, რომელსაც არ აქვს მოსამართლის სტატუსი; შდრ. GER-RPflG – Rechtspflegergesetz). ამით, საკონსტიტუციო-სამართლებრივად გარანტირებული წვდომა მოსამართლის ობიექტურ გადაწყვეტილებაზე და, ერთი მხრივ, მოსამართლის მიერ უზრუნველსაყოფ მოსმენაზე, კრიტიკულად გართულდებოდა მოსამართლის იმ ვალდებულების გარეშე, რომ მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანამდე შეემონებინა, საპროცესო წესების დაცვით გამოსცა თუ არა გადახდის ბრძანების შესაბამისი სააღსრულებო ფურცელი სასამართლო მოხელემ.

20. ასევე სადავოა, მოპასუხის წინააღმდეგ მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანამდე, კიდევ ერთხელ უნდა შეამოწმოს თუ არა მოსამართლემ სარჩელის დამაჯერებლობა. ეს საკითხი § 700 Abs. 6 GER-ZPO-ში ცალსახად არის განსაზღვრული იმ შემთხვევისთვის, როდესაც მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის საფუძველია გადახდის ბრძანების შესაბამისად გამოცემული სააღსრულებო ფურცელი (იხ. ზემოთ ა.ნ. 12 და მომდევნო აბზაცები). აქედან უმაღლესი ფედერალური სასამართლო ასკენის, რომ ამ შემთხვევაში დამაჯერებლობა სააპელაციო წარმოებისას უნდა შემოწმდეს, ვინაიდან შემოწმების ფარგლები მოსამართლისთვის პირველ და მეორე ინსტანციაში ერთნაირი უნდა იყოს; თუ პირიქით, მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილების საფუძველია პირველი დაუსწრებელი გადაწყვეტილება, მაშინ უმაღლესი სასამართლოს გავრცელებული პრაქტიკის თანახმად, ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში გასაჩივრებისას დამაჯერებლობა აღარ მოწმდება (BGH,

Beschluss vom 06.05.1999 - V ZB 1/99 - BGHZ 141, 351; KG, Urteil vom 18.10.1999 - 12 U 6654/98 - MDR 2000, 293; OLG München, Beschluss vom 21.03.2011 - 7 U 117/11 - juris). უმაღლესი ფედერალური სასამართლო, § 514 GER-ZPO-სა და § 345 GER-ZPO-ის სინქრონული მოქმედების ფონზე, ამას უნდა აღიქვამდეს ისე, რომ არც მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტან პირველი ინსტანციის მოსამართლეს ევალება დამაჯერებლობის თავიდან შემონახვა, თუმცა პირიქით ხდება: იგი ხელმძღვანელობს იმით, რომ ამ მოსამართლემ დამაჯერებლობა ხელახლა უნდა შეამონხოს და მხოლოდ ზემდგომ ინსტანციაში გასაჩივრება არ შეიძლება დაეფუძნოს ამ მოვალეობის დარღვევას, 514 GER-ZPO-ის შესაბამისად (BAG, Urteil vom 02.02.1994 - 10 ARZ 113/93 BAGE 75, 343). ეს საკითხები ჯერ საბოლოოდ გარკვეული არ არის.

20. ა. მით უმეტეს არ შეიძლება მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილების წინააღმდეგ მიმართულ, ზემდგომ ინსტანციაში გასაჩივრების პროცესში *inter alia* იმის შემონახვა, საპროცესო წესების დარღვევით ხომ არ თქვა უარი წინა ინსტანციამ აცილების შუამდგომლობაზე (BGH, Beschluss vom 07.12.2017 - IX ZR 81/17 - WM 2018, 445).

21. მარტივი ან სავალდებულო **საპროცესო თანამონაწილეობის შემთხვევაში**, ერთ-ერთი მხარის დაუსწრებლად ჩატარებულ სასამართლო პროცესთან დაკავშირებით, იხ. 86-ე და მომდევნო მუხლი, ა.ნ. 34 და მომდევნო აბზაცები და ა.ნ. 40 და მომდევნო აბზაცები.

22. დაუსწრებელი გადაწყვეტილების წინააღმდეგ საჩივრის შეტანის შემდეგ, მისი სრულად ან ნაწილობრივ დამადასტურებელი სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანისას გასათვალისწინებელია, რომ არ არის საჭირო ახალი სასამართლო გადაწყვეტილების მიღება სასარჩელო განცხადებაზე: დაუსწრებელი გადაწყვეტილება, § 343 GER-ZPO-ის შესაბამისად, მთლიანად ან (მისი შინაარსობრივად დადასტურების ფარგლებში) ნაწილობრივ უნდა შენარჩუნდეს (და სხვა შემთხვევაში, უფრო შორს მიმავალი სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმით გაუქმდეს). აღნიშნული ასევე თანმიმდევრულად უნდა იყოს გათვალისწინებული სარეზოლუციო ნაწილის ჩამოყალიბებისას, ვინაიდან სხვა შემთხვევაში, დაუსწრებელი გადაწყვეტილების შედეგად უკვე განხორციელებული აღსრულებიდან აღსრულების ქვემდებარე აქტი ამოვარდებოდა და აღსრულების ღონისძიება გასაუქმებელი გახდებოდა. ამიტომ, სააპელაციო გადაწყვეტილება წინა ინსტანციის მიერ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის შემცველი გადაწყვეტილებისა და მანამდე გამოცემული დაუსწრებელი გადაწყვეტილების შემდეგ შეიძლება შემდეგნაირად ჟღერდეს:

1. მოსარჩელის სააპელაციო საჩივრის შედეგად, დრეზდენის სამხარეო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პირველი პალატის 15.08.2017-ის გადაწყვეტილება, სარეგისტრაციო ნომერი: ... შეიცვალოს ისე, რომ სარჩელის დაკმაყოფილებაზე, 8.000 €-ს ოდენობით, ... პროცენტთან ერთად, უარი ითქვას 02.04.2017-ის დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებით.

2. ამ ცვლილების ფარგლებში, დრეზდენის სამხარეო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პირველი პალატის 02.04.2017-ის გადაწყვეტილება, სარეგისტრაციო ნომერი: ... შენარჩუნდეს.

3. მოსარჩელის უფრო შორს მიმავალი სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე, დრეზდენის სამხარეო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პირველი პალატის 15.08.2017-ის გადაწყვეტილება, სარეგისტრაციო ნომერი: ... უარი ითქვას.

* ამდენად, სარეზოლუციო ნაწილში არ უნდა აღინიშნოს: მოპასუხეს დაეკისროს მოსარჩელის მიმართ 8.000 €-ს, ... პროცენტთან ერთად, გადახდა. ეს უფრო გამომდინარეობს ამ თვალსაზრისით განხორციელებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების შენარჩუნებიდან.

23. სარეზოლუციო ნაწილის შედგენის ამ თავისებურებებისგან და, საჭიროების შემთხვევაში, ხარჯების შესახებ გადაწყვეტილებისგან დამოუკიდებლად, მანამდე გამოტანილი დაუსწრებელი გადაწყვეტილება, დასაშვები საჩივრის შემდეგ, გავლენას აღარ ახდენს სასამართლო პროცესის შემდგომ მიმდინარეობასა და მასზე გამოტანილი გადაწყვეტილების შინაარსზე. ეს იმას ეფუძნება, რომ დასაშვები საჩივარი პროცესს, § 342 GER-ZPO-ის შესაბამისად, იმ მდგომარეობაში აბრუნებს, რომელშიც სასამართლო განხილვაზე გამოუცხადებლობამდე იმყოფებოდა (იხ. ზემოთ, ა.ნ. 4).

24. იგივე პრინციპები უნდა იყოს გათვალისწინებული სარეზოლუციო ნაწილის ჩამოყალიბებისას, როდესაც პროცესში, გადახდის ბრძანების შესაბამისად, გამოცემულია სააღსრულებო ფურცელი. ეს უკანასკნელი, § 700 Abs. 1 GER-ZPO-ის შესაბამისად, გათანაბრებულია დროებით აღსრულებადად გამოცხადებულ დაუსწრებელ გადაწყვეტილებასთან (იხ. ზემოთ, ა.ნ. 14), რაც გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის ჩამოყალიბებაზეც აისახება.

ზურაბ ძლიერიშვილი

229-ე მუხლი

მიზანი

დაუსწრებელი გადაწყვეტილება თავისი შინაარსით არის საქმის განხილვაში ერთ-ერთი მხარის მონაწილეობის გარეშე მიღებული გადაწყვეტილება. დაუსწრებელი გადაწყვეტილების ინსტიტუტის მიზანია: სასამართლოს ეფექტიანი საქმიანობა; სასამართლო დავების სწრაფად და გაჭიანურების გარეშე გადაწყვეტა; მხარეთა „იძულება“, განახორციელონ საპროცესო კანონით მინიჭებული უფლებები - საქმის განხილვაში მიიღონ აქტიური მონაწილეობა და ხელი შეუწყონ სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანაში. დაუსწრებელი გადაწყვეტილება თავისი იურიდიული ბუნებით არის სანქცია იმ მხარისათვის, რომელიც არ ცხადდება საქმის განხილვაზე (სსკ-ის 229-ე, 230-ე, 231-ე, 232-ე მუხლები), ანდა არ ახორციელებს თავის საპროცესო უფლებებს (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232¹ მუხლი), რითაც ქმნის ვარაუდს, რომ დაკარგა ინტერესი, შეენიანაღმდეგოს მის მიმართ აღძრულ სარჩელს (პრეზუმფცია). ასეთ შემთხვევაში, სასამართლო გადაწყვეტილებას არ იღებს საქმეში არსებული მტკიცებულებების გამოკვლევისა და შეფასების საფუძველზე: იგი სარჩელში მითითებულ ფაქტებს უპირობოდ დადასტურებულად მიიჩნევს და თუ მათი ერთობლიობა, თეორიულად, სარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობას იძლევა, გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება (**შდრ. სუსგ №ას-1158-1113-2016, 10 თებერვალი, 2017 ; იხ. სუსგ №ას-121-117-2016, 17 მარტი, 2016; № ას-589-564-2016, 16 ნოემბერი, 2016**).

თავი I. დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღება სასამართლო სხდომაზე მოსარჩელის გამოუცხადებლობის გამო

სსკ-ის 229-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ სასამართლოს სხდომაზე არ გამოცხადდება მოსარჩელე, რომელსაც გაეგზავნა შეტყობინება ამ კოდექსის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, მოპასუხის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს შეუძლია, გამოიტანოს და-

უსწრებელი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. აღნიშნული ნორმის დანაწესი განსაზღვრავს წინაპირობებს, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც, სასამართლო უფლებამოსილია, მიიღოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება, კერძოდ: 1. სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდა მოსარჩელე (მისი წარმომადგენელი); 2. მოსარჩელეს ან მის წარმომადგენელს კანონის მოთხოვნათა დაცვით ეცნობა სასამართლოს სხდომის დანიშვნის თაობაზე; 3. მოსარჩელემ არ აცნობა სასამართლოს თავისი გამოუცხადებლობის შესახებ; 4. მოსარჩელის გამოუცხადებლობა და ამის სასამართლოსთვის შეუტყობინებლობა განპირობებული არ იყო საპატიო მიზეზით; 5. მოპასუხემ მოითხოვა დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღება (ეს შუამდგომლობა უნდა აისახოს ოქმში ან დაერთოს საქმეს, თუ წერილობით იყო წარმოდგენილი), რათა სასამართლომ გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება გამოუცხადებელი მოსარჩელის წინააღმდეგ, ანუ არ დააკმაყოფილოს სარჩელი (**შდრ. სუსგ №ას-37-37-2018, 16 მარტი, 2018; №ას-1109-1029-2017, 18 ოქტომბერი, 2017; №ას- 156-152-2016, 08 აპრილი, 2016**).

დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღება გარკვეულწილად მხარისთვის სასამართლო ხელმისაწვდომობის უფლების შეზღუდვის ლეგიტიმური მექანიზმია. მას უკავშირდება იმ მხარისათვის არასასურველი სამართლებრივი შედეგები, რომლის მიმართაც გამოტანილია დაუსწრებელი გადაწყვეტილება. სწორედ ამით არის განპირობებული კანონმდებლის მიერ მკაცრად განერილი სავალდებულო წინაპირობების დაწესება, რაც დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებას უძღვის წინ. ერთ-ერთი ასეთი წინაპირობაა იმ ფაქტის დადგენა, რომ მხარის მიერ საპროცესო ვალდებულების შეუსრულებლობა - ამ შემთხვევაში პროცესზე გამოუცხადებლობა - გამონვეულია არასაპატიო მიზეზით (**შდრ. სუსგ №ას-1078-998-2017, 25. ნოემბერი, 2017; №ას-358-358-2017, 20 ოქტომბერი, 2017; №ას-397-523-2017, 16 ივნისი, 2017**).

სასამართლომ აღნიშნა, რომ მხარეებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით ეცნობათ **მოსამზადებელი სხდომის თარიღის თაობაზე**, თუმცა, მოსარჩელე არ გამოცხადდა, ხოლო მოპასუხემ იშუამდგომლა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. სასამართლომ იხელმძღვანელა სსსკ-ის 70, 74, 229 და 233 მუხლებით და განმარტა, რომ მოსარჩელე მოსამზადებელ სხდომაზე არ გამოცხადდა და არც გამოუცხადებლობის მიზეზები უცნობებია სასამართლოსთვის. შესაბამისად, მისი გამოუცხადებლობა არასაპატიო იყო. ასევე არ არსე-

ბობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დამაბრკოლებელი გარემოებები **(შდრ. სუსგ №ას-385-358-2017, 20 ოქტომბერი, 2017)**.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 229-ე მუხლის პირველი ნაწილით და დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელე კანონით გათვალისწინებული წესით გაფრთხილებული იყო სხდომის თაობაზე, თუმცა იგი სხდომაზე არ გამოცხადდა და არც გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზი უცნობებია სასამართლოსათვის. აქედან გამომდინარე, საქალაქო სასამართლომ გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ **(შდრ. სუსგ №ას-358-358-2017, 20 ოქტომბერი, 2017; №ას-397-370-2017, 30 ივნისი, 2017; №ას-397-523-2017, 16 ივნისი, 2017)**.

თავი II. სარჩელის განუხილველად დატოვება სასამართლო სხდომაზე მოსარჩელის გამოუცხადებლობის გამო

სსსკ-ის 229-ე მუხლის მე-2 ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, მოსარჩელის გამოუცხადებლობისას, თუ მოპასუხე არ მოითხოვს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ, რასაც უკავშირდება 276-278-ე მუხლებით გათვალისწინებული შედეგები. ანალოგიური შინაარსისაა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 275-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი. თუმცა იმისათვის, რომ სასამართლომ გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განუხილველად დატოვოს სარჩელი, ნორმის ფორმალური წინაპირობების გარდა, უნდა შემომწმდეს ზემოხსენებული საპროცესო ინსტიტუტების გამომრიცხავი წინაპირობების არსებობაც (სსსკ-ის 233.1 მუხლი) **(შდრ. სუსგ №ას-1529-1449-2017, 28 თებერვალი, 2018; №ას- 687-641-2017, 28 ივლისი, 2017; № ას-1277-1197-2017, 01 დეკემბერი, 2017; № ას-193-184-2016, 22 აპრილი, 2016)**.

დადგენილად მიიჩნევა ის, რომ აპელანტის წარმომადგენელს უწყება გაეგზავნა რწმუნებულება და სააპელაციო საჩივრებში მითითებულ მისამართზე, მაგრამ ვერ ჩაბარდა მისამართის შეცვლის გამო. სსსკ-ის 76-ე მუხლის შესაბამისად, მხარეები და მათი წარმომადგენლები მოვალენი არიან, აცნობონ სასამართლოს საქმისწარმოების განმავლობაში მისამართის შეცვლის შესახებ. ასეთი ცნობის უქონლობისას, უწყება გაიგზავნება სასამართლოსათვის ცნობილ უკანასკნელ მისამართზე და ჩაბარებულად ითვლება, თუნდაც ადრესატი ამ მისამართზე აღარ ცხო-

ვრობდეს. საქმის მასალებით დასტურდება, რომ წარმომადგენელს სასამართლოსათვის არ უცნობებია მისამართის შეცვლის შესახებ და, სსსკ-ის 76-ე მუხლის შესაბამისად, მისთვის უწყება ჩაბარებულად ითვლება. ამავე კოდექსის 70-ე მუხლის მეორე წინადადების შესაბამისად, უწყება ჩაბარებულად ითვლება აპელანტისთვისაც. შესაბამისად, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ სასამართლოს განჩინება სრულად შეესაბამებოდა სსსკ-ის 229-ე მუხლის მეორე ნაწილის დანაწესებს (**შდრ. სუსგ №ას-1133-1066-2015, 15 დეკემბერი, 2015**).

თავი III. საქმის განხილვის გადადება სასამართლო სხდომაზე მოსარჩელის გამოუცხადებლობის გამო

საქმის განხილვის გადადება გულისხმობს მისი განხილვისათვის სასამართლო სხდომის სხვა დროს დანიშვნას, რაც დასაშვებია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. ერთ-ერთი ასეთი შემთხვევაა სსსკ-ის 229-ე მუხლის მე-2 ნაწილის დანაწესით გათვალისწინებული მოწესრიგება: კერძოდ, თუ სასამართლო სხდომაზე გამოცხადებული მოპასუხე დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის, ან სარჩელის განუხილველად დატოვების წინააღმდეგია, სასამართლო ვერ გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას და ვერც სარჩელს დატოვებს განუხილველად. ასეთ შემთხვევაში, სასამართლო გადადებს საქმის განხილვას სხვა დროისათვის (სსსკ-ის 216-ე მუხლი).

საქმის განხილვის გადადების შემთხვევაში, სასამართლოს გამოაქვს განჩინება. იგი ვალდებულია, იმავე განჩინებით, რომლითაც გადადო საქმის განხილვა, დანიშნოს ახალი სხდომის დღე და ამის შესახებ აცნობოს სხდომაზე გამოუცხადებელ მოსარჩელეს, სსსკ-ის 70-78-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით, სხდომაზე გამოცხადებული მოპასუხე კი გააფრთხილოს ხელწერილით ახალი სასამართლო სხდომის თარიღის შესახებ. საქმის განხილვის გადადების განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანა დაუშვებელია.

საჩივრის ავტორის მოსაზრება, რომ სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას არ ჰყავდა წარმომადგენელი და, საქმის სირთულის გათვალისწინებით, არ შეეძლო უშუალოდ წარმოედგინა თავისი ინტერესები სასამართლოში, საკასაციო პალატამ არ გაიზიარა შემდეგი გარემოებების გამო: მან დადგენილად მიიჩნია, რომ აპელანტის/მოპასუხის ინტერესებს პირველი ინსტანციის სასამართლოში იცავდა ადვოკატი. აპელანტს სასამართლო სხდომის თაობაზე უწყება ჩაბარდა 2015 წლის

22 ოქტომბერს - საქმის სასამართლო სხდომაზე განხილვამდე ორი თვით ადრე. ამდენად, აპელანტს ჰქონდა გონივრული ვადა თავისი საპროცესო უფლებების რეალიზაციისთვის; ხოლო არგუმენტი, თითქოს 2015 წლის 22 ოქტომბრიდან 22 დეკემბრამდე აპელანტმა საახალწლო სამზადისის, ჰონორარის წინასწარ ანაზღაურების აუცილებლობისა თუ სხვა მიზეზთა გამო ვერ მოახერხა წარმომადგენელთან დაკავშირება, უსაფუძვლოა: კერძოდ, იქიდან გამომდინარე, რომ მხარის უფლება, მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში პირადად ან საქმე აწარმოოს წარმომადგენლის მეშვეობით, დისპოზიციურია, რაც, თავის მხრივ, უკავშირდება წარმომადგენლის დახმარებისათვის საჭირო ხარჯებს. გარდა ამისა, აპელანტს შეეძლო თავადაც გამოცხადებულიყო სასამართლოში. შესაბამისად, აპელანტის არგუმენტი, რომ **არსებობდა საქმის განხილვის გადადების საფუძველი**, დაირღვა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპი და მას არ მიეცა პროცესუალური შესაძლებლობა, ესარგებლა წარმომადგენლის აუცილებელი დახმარებით, სამართლებრივად მნიშვნელოვანი ვერ იქნება იმის დასასაბუთებლად, რომ გასაჩივრებული განჩინების მიღებისას დარღვეული იყო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 4, 5, 215 (3), 216, 229 (2) და 387 მუხლებით დადგენილი მოთხოვნები (**შდრ. სუსგ №ას-83-79-2016, 23, თებერვალი, 2016**).

თავი IV. დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღება სასამართლო სხდომაზე მოსარჩელის განმეორებითი გამოუცხადებლობის გამო

პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს კითხვას: თუ სსსკ-ის 229-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 216-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით საქმის განხილვის სხვა დროისათვის გადადების შემდეგ, დანიშნულ სასამართლო სხდომაზე კვლავ არ გამოცხადდება მოსარჩელე, რომლისთვისაც კანონით დადგენილი წესით ცნობილი იყო საქმის განხილვის ადგილისა და დროის შესახებ, ხოლო ამ სხდომაზე გამოცხადებული მოპასუხე კვლავ არ მოითხოვს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას, შეუძლია თუ არა სასამართლოს, მაინც გამოიტანოს ის? ამ კითხვაზე დადებითად უნდა ვუპასუხოთ: სსსკ-ის 229-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, მოსარჩელის განმეორებითი გამოუცხადებლობის შემთხვევაში, სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას. ეს ნიშნავს, რომ მოპასუხის თანხმობა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე, მოსარჩელის განმეორებით გამოუცხადებლობის შემთხვევაში, სავალდებულო არ არის. ხომ არ შელახავს ეს მოპასუხის ინტერესებს? დაუსწრებელი გადა-

წყვეტილება ყოველთვის არახელსაყრელია გამოუცხადებელი მხარისთვის და ხელსაყრელია გამოცხადებული მხარისთვის. ამიტომ, მისი გამოტანით ვერ შეილახება სასამართლოს პროცესზე დამსწრე მხარის ინტერესები (იხ. ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბილისი, 2005, 399).

თავი V. დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა სარჩელების სუბიექტური გაერთიანების (საპროცესო თანამონაწილეობა) შემთხვევაში

პრაქტიკული მნიშვნელობის საკითხია, რა უნდა მოიმოქმედოს სასამართლომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თვალსაზრისით, როდესაც საქმეში მონაწილეობს რამდენიმე მოსარჩელე ან მოპასუხე და სასამართლო სხდომაზე ერთ-ერთი ან ყველა მათგანი არ გამოცხადდა.

ერთ საქმეში მოსარჩელის, მოპასუხის ან ორივე მხარეს ერთდროულად რამდენიმე პირის მონაწილეობას ეწოდება საპროცესო თანამონაწილეობა. თანამონაწილეობას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც ერთი მოსარჩელე აღძრავს სარჩელს რამდენიმე მოპასუხის წინააღმდეგ, ან რამდენიმე მოსარჩელე აღძრავს სარჩელს ერთი მოპასუხის წინააღმდეგ, ანდა რამდენიმე მოსარჩელე აღძრავს სარჩელს რამდენიმე მოპასუხის წინააღმდეგ.

ცხადია, რომ ერთ მხარეს მყოფი თანამონაწილეების ინტერესები ეწინააღმდეგება მეორე მხარის თანამონაწილეების ინტერესებს, მაგრამ ერთი მხარის თანამონაწილეთა ინტერესები არ შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს ერთმანეთს. ასეთი თანამონაწილეობა და შინაარსი განასხვავებს მას დამოუკიდებელი მოთხოვნის მქონე მესამე პირისაგან, რომლის ინტერესებიც ეწინააღმდეგება როგორც მოსარჩელის, ისე მოპასუხის ინტერესებს. ასეთი მესამე პირი აცხადებს თავის მოთხოვნას საგანზე, რომელზეც დავობენ მოსარჩელე და მოპასუხე. თანამონაწილეობის მიზანია საქმის განხილვისა და გადაწყვეტის დაჩქარება, საპროცესო ხარჯების შემცირება, ერთმანეთის საწინააღმდეგო ან შეუსაბამო გადაწყვეტილებათა გამოტანის თავიდან აცილება (იხ. ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბილისი, 2005, 122).

თანამონაწილეობისაგან უნდა განვასხვაოთ რამდენიმე სასარჩელო მოთხოვნის ერთ სარჩელში გაერთიანება (სარჩელების ობიექტური გაერთიანება), სსსკ-ის 182-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.

თანამონაწილეობა შეიძლება იყოს სავალდებულო და ფაკულტატური (არასავალდებულო). თანამონაწილეობა სავალდებულოა, თუ მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე, შეუძლებელია საქმის განხილვა ამ ურთიერთობის ყველა სუბიექტის მონაწილეობის გარეშე, კერძოდ, როდესაც სარჩელის საგანია საერთო უფლება (შდრ. სსსკ-ის 86-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი).

სავალდებულო თანამონაწილეობის დროს ერთ-ერთი თანამონაწილის გამოცხადება სასამართლო სხდომაზე ნიშნავს ყველა თანამონაწილის გამოცხადებას. თუ სასამართლო სხდომაზე გამოცხადდა ერთ-ერთი სავალდებულო თანამონაწილე, სასამართლომ უნდა გამოიტანოს არა დაუსწრებელი, არამედ ჩვეულებრივი გადაწყვეტილება, საქმის მასალების მიხედვით; თუ არ გამოცხადდა არცერთი სავალდებულო თანამონაწილე (თანამოსარჩელე ან თანამოპასუხე), სასამართლოს შეუძლია, გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება, სსსკ-ის 229-230-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით; ხოლო თუ სასამართლო სხდომაზე არცერთი მხარე (თანამოსარჩელე და თანამოპასუხე) არ გამოცხადდა, სასამართლომ სარჩელი განუხილველად უნდა დატოვოს, სსსკ-ის 231-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.

არასავალდებულო (ფაკულტატური) თანამონაწილეობა შეიძლება განპირობებული იყოს იმით, რომ სასარჩელო მოთხოვნები გამომდინარეობს ერთი და იმავე საფუძვლებიდან, ანდა სასარჩელო მოთხოვნები ერთგვაროვანია, მიუხედავად იმისა, ერთგვაროვანია თუ არა მათი საფუძველი და საგანი (შდრ. სსსკ-ის 86-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები). არასავალდებულო თანამონაწილეობის დროს სასამართლო განხილვაზე ერთ-ერთი თანამონაწილის გამოცხადება არ ნიშნავს ყველა თანამონაწილის გამოცხადებას.

არასავალდებულო თანამონაწილეობის დროს, თუ სასამართლო განხილვაზე არ გამოცხადდა ერთ-ერთი მხარის არცერთი თანამონაწილე, სასამართლოს, სსსკ-ის 229-230-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით, შეუძლია გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება, გამოუცხადებელი მხარის ყველა თანამონაწილის საწინააღმდეგოდ. ხოლო თუ სასამართლო განხილვაზე გამოცხადდა ერთი მხარის არა ყველა, არამედ მხოლოდ ერთი ან რამდენიმე თანამონაწილე, სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება მხოლოდ გამოუცხადებელ თანამონაწილეთა მიმართ, ხოლო გამოცხადებული თანამონაწილის მიმართ კი გამოიტანს ჩვეულებრივ გადაწყვეტილებას, საქმის მასალების მიხედვით.

საკასაციო პალატამ არ გაიზიარა კასატორის პრეტენზია იმ ნაწილში, რომ მატერიალური სამართლის ნორმაზე დაყრდნობით, სასამართლომ არასწორად გააუქმა ყველა სოლიდარული მოვალის მიმართ დაუსწრებელი გადაწყვეტილება. სამოქალაქო კოდექსის 466-ე მუხლით განსაზღვრული მატერიალურ-სამართლებრივი შესაგებელი არ არის საპროცესო კოდექსის 232¹ მუხლის მიზნებისათვის სარჩელისაგან სოლიდარულ მოვალეთა თავდაცვის საპროცესო საშუალება. იგი იმგვარი მატერიალურ-სამართლებრივი ინსტრუმენტია, რომელიც ვალდებულებაზე ზემოქმედების საშუალებას იძლევა და სოლიდარულ მოვალეს ანიჭებს შესაძლებლობას, კრედიტორის მოთხოვნისაგან დაიცვას თავი. მატერიალური სამართლის ნორმები დავის გადაწყვეტის ფუნდამენტია, ამა თუ იმ ურთიერთობის რეგულირების აბსტრაქტული შემადგენლობით. სასარჩელო მოთხოვნის წარდგენისას სასამართლოს მოვალეობაა, საპროცესო წესების დაცვით (შეჯიბრებითობა, მტკიცების ტვირთის განაწილება და სხვა) დაადგინოს მატერიალური ნორმის შემადგენლობა - იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტები - და ამ გზით გადაწყვიტოს დავა. რაც შეეხება საპროცესო ურთიერთობის მიზნებისთვის თანამონაწილეობის საკითხს, იგი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 86-ე მუხლით რეგულირდება და ნორმის პირველი ნაწილით კანონმდებელი გვთავაზობს თანამონაწილეობის საფუძვლებს. თეორიაში დამკვიდრებული შეხედულების თანახმად, ის დაყოფილია სავალდებულო და ფაკულტატურ თანამონაწილეობად. სავალდებულო თანამონაწილეობა სახეზეა მაშინ, როდესაც სარჩელის საგანია საერთო უფლება (სსსკ-ის 86.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი), თუმცა, საგულისხმოა, რომ 86-ე მუხლის მე-2 ნაწილის ძალით, თითოეული მოსარჩელე ან მოპასუხე მეორე მხარის მიმართ პროცესში გამოდის დამოუკიდებლად. საკასაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზეც, რომ განსახილველი დავის ფარგლებში შესაფასებელი იყო მესამე პირის მოთხოვნის საფუძვლიანობა სოლიდარული მოვალეების მიმართ (სკ-ის 937.1 მუხლის პირველი წინადადებით განსაზღვრული სოლიდარული პასუხისმგებლობა და არა ამხანაგობის ნევრთა ურთიერთვალდებულება). ამდენად, სარჩელის მატერიალური უფლების მარეგულირებლად, საპროცესო წესებთან ერთად, გვევლინება სამოქალაქო კოდექსის 465-ე და 469-ე მუხლები. მითითებული ნორმების თანახმად, კრედიტორს შეუძლია, სურვილისამებრ, შესრულება მოსთხოვოს ნებისმიერ მოვალეს, როგორც მთლიანად, ასევე ნაწილობრივ. მთლიანად შესრულებამდე, დანარჩენი მოვალეების ვალდებულება ძალაში რჩება. სარჩელის შეტანა ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის მიმართ კრედიტორს

არ ართმევს უფლებას, რომ შეიტანოს სარჩელი დანარჩენ მოვალეთა მიმართაც. მითითებულ ნორმათა ანალიზიდან გამომდინარე, პალატა მივიდა დასკვნამდე, რომ თუკი ერთ-ერთი მოპასუხის საჩივარი საფუძვლიანი იქნებოდა, ის დანარჩენი მოპასუხეების მიმართ გამოტანილი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი მაინც ვერ გახდებოდა. ამ თვალსაზრისით, გასათვალისწინებელია, რომ არც საქმის მასალებით ირკვეოდა და არც ქვემდგომ სასამართლოებს დაუდგენიათ საჩივრის ავტორის სახელზე სხვა თანამოპასუხეების მხრიდან წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მინიჭების საკითხი (სსსკ-ის 87-ე და 98-ე მუხლები). ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სახეზე იყო გასაჩივრებული აქტების გაუქმებისა და დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების სამართლებრივი საფუძვლები (**შდრ. სუსგ № ას-555-526-2015, 23 ოქტომბერი, 2015**).

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ, მართალია, მოცემულ შემთხვევაში სახეზეა მოპასუხეთა საპროცესო თანამონაწილეობა (სსსკ-ის 86.1 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი), თუმცა, საქმის მასალებით არ დგინდება ფაქტობრივი გარემოება, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 87-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების თანახმად, თანამონაწილეებს ერთ-ერთი მათგანისათვის მინდობილი ჰქონდათ საქმისწარმოება სასამართლოში. აქვე გასათვალისწინებელია, რომ ამავე კოდექსის 86-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 87-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თითოეული მოსარჩელე ან მოპასუხე მეორე მხარის მიმართ პროცესში გამოდის დამოუკიდებლად. თანამონაწილენი სარგებლობენ ყველა იმ საპროცესო უფლებით, რომლებიც ამ კოდექსის თანახმად მინიჭებული აქვთ მხარეებს (**შდრ. სუსგ №ას-687-641-2017, 28 ივლისი, 2017**).

თავი VI. სააპელაციო სასამართლოში საჩივრის განხილვისას მხარის (მხარეთა) გამოუცხადებლობის სამართლებრივი შედეგები

1. სააპელაციო სასამართლოს მიერ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლი არის სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის მარეგულირებელი სპეციალური ნორმა, რომელიც ადგენს სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე მხარის გამოუცხადებლობის შედეგებს. კერძოდ, ნორმის პირველი და მე-2 ნაწილებით განსაზღვრულია აპელანტის ან მოწინააღმდეგე მხარის გა-

მოუცხადებლობის სამართლებრივი შედეგები, ხოლო მე-3 ნაწილით დადგენილია დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის მარეგულირებელი ყველა იმ წესის გამოყენების აუცილებლობა, რაც სპეციალურ მონესრიგებას (სსსკ-ის 387-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები) არ ეწინააღმდეგება. იმისათვის, რომ სააპელაციო სასამართლოში აპელანტის მონინააღმდეგე მხარის გამოუცხადებლობისას გამოტანილი იყოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება, უნდა შემოწმდეს, არსებობს თუ არა 387-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი წინაპირობები: ა) საქმის ზეპირ განხილვაზე არ უნდა გამოცხადდეს აპელანტის მონინააღმდეგე მხარე; ბ) გამოცხადებული აპელანტი უნდა შუამდგომლობდეს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანით სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების თაობაზე. ამ გარემოებათა კუმულაციურად არსებობა დაუსწრებელი გადაწყვეტილების ფორმალური წინაპირობაა. 387-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული წინაპირობების დადგენის შემდეგ, ამავე ნორმის მე-3 ნაწილის დათქმიდან გამომდინარე, სასამართლო ვალდებულია, შეამოწმოს, სახეზე ხომ არ არის დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დამაბრკოლებელი გარემოებები, კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევა (**შდრ. სუსგ №ას- 1111-1068-2016, 27 იანვარი, 2017; №ას-531-497-2017, 11 ოქტომბერი, 2017**).

სსსკ-ის 387-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო სასამართლო უფლება-მოსილია, მიიღოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება, თუ აპელანტი, რომელსაც საქმის განხილვის დრო კანონით დადგენილი წესით ეცნობა, არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდა სასამართლო სხდომაზე და არც გამოუცხადებლობის თაობაზე აცნობა სააპელაციო პალატას. სასამართლოში მხარის არასაპატიო გამოუცხადებლობას კანონმდებელი უკავშირებს მის მიერ საქმის განხილვისადმი ინტერესის დაკარგვას. ასეთ შემთხვევაში, სასამართლო, მონინააღმდეგე მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, დაუსწრებელი გადაწყვეტილებით არ დააკმაყოფილებს სააპელაციო საჩივარს: მისი მიღებისათვის უნდა არსებობდეს 387-ე მუხლის პირველი ნაწილის ყველა ელემენტი.

განსახილველ შემთხვევაში დადგენილია და კასატორიც ადასტურებს, რომ სასამართლოს მთავარი სხდომის დანიშვნაზე მოსამართლის თანაშემწემ სატელეფონო შეტყობინება ჩააბარა აპელანტს, სააპელაციო საჩივარში მითითებულ ტელეფონის ნომერზე, და მას სრულიად საკმარისი დრო ჰქონდა პროცესისთვის მოსამზადებლად. შესაბამისად, არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის სამართლებრივი საფუ-

ძვლები (**შდრ.სუსგ № ას-1105-1025-2017, 26 ოქტომბერი, 2018; № ას-94-90-2016, 12 ივლისი, 2016; №ას-351-334-2015, 10 ივნისი, 2015**).

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ საქმის განხილვაზე მონინაალმდევე მხარე არ გამოცხადდება, სააპელაციო საჩივრის შემტანი პირის თხოვნით, სააპელაციო სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას, რომელიც შეიძლება დაემყაროს მომჩივნის ახსნა-განმარტებას. დასახელებული ნორმიდან გამომდინარე, მონინაალმდევე მხარის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობისას სააპელაციო სასამართლო დაემყარება მომჩივნის ახსნა-განმარტებას. აღნიშნული ნიშნავს არა სარჩელში მითითებული გარემოებების ავტომატურად დადგენილად მიჩნევას, არამედ იმის შემონმებას, სააპელაციო საჩივარში გადმოცემული აპელანტის განმარტებებით (დადგენილად მიჩნევით), გაქარწყლდება თუ არა გასაჩივრებული გადაწყვეტილების ან მისი სადავო ნაწილის დასკვნები, რომლებიც მიმართულია აპელანტის წინააღმდეგ. ანუ სააპელაციო სასამართლომ, აპელანტის მონინაალმდევე მხარის გამოუცხადებლობის მოტივით დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისას, უნდა გაითვალისწინოს აპელანტის ახსნა-განმარტება (რომელიც შეიძლება არც იყოს მოსარჩელე), ხოლო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და 230-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის გზით აპელანტის მოთხოვნა შეიძლება დაკმაყოფილდეს, თუ სააპელაციო საჩივარში გადმოცემული აპელანტის განმარტებები მოთხოვნას იურიდიულად ამართლებს (ანუ აპელანტი მიუთითებს მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის მატერიალური ნორმის შემადგენელ ელემენტებზე) (**შდრ. სუსგ №ას- 872-822-2015, 12 თებერვალი, 2016; №ას-1046-1003-2014, 16 თებერვალი, 2015**).

2. სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვება აპელანტის გამოუცხადებლობის გამო

სსსკ-ის 387-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების თანახმად, თუ სააპელაციო საჩივრის აღმძვრელი პირი არ გამოცხადდება საქმის ზეპირ განხილვაზე, მონინაალმდევე მხარის თხოვნით, სააპელაციო სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. ყველა სხვა შემთხვევაში გამოიყენება ამ კოდექსში ჩამოყალიბებული ნორმები პირველი ინსტანციის სასამართლოში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესა-

ხეხ. სსსკ-ის 229.1 მუხლის პირველი წინადადების მიხედვით, თუ მოპასუხე არ მოითხოვს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ. ამავე კოდექსის 275.1 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, სასამართლო, მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით, განუხილველად დატოვებს სარჩელს, თუ სასამართლო სხდომაზე მოსარჩელე არ გამოცხადებულა, ხოლო მოპასუხე თანახმაა, სარჩელი განუხილველი დარჩეს.

ზემოაღნიშნულ ნორმათა მიხედვით, სააპელაციო სასამართლოში საქმის ზეპირ განხილვაზე აპელანტის გამოუცხადებლობისას, სასამართლო უფლებამოსილია, სსსკ-ის 229-ე მუხლის პირობების დაცვით არა მარტო დაუსწრებელი გადაწყვეტილება გამოიტანოს, არამედ განუხილველად დატოვოს სააპელაციო საჩივარი, თუ მოწინააღმდეგე მხარე ამის წინააღმდეგი არ არის, აპელანტი კანონით დადგენილი წესით იყო მიწვეული საქმის განხილვაზე და არ გამოცხადდა არასაპატიო მიზეზით.

სააპელაციო სასამართლომ სააპელაციო საჩივარი შეიძლება დატოვოს განუხილველად, თუ: 1. არ გამოცხადდება აპელანტი (მისი წარმომადგენელი); 2. აპელანტის მოწინააღმდეგე მხარე შუამდგომლობს სასამართლოს წინაშე სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ; 3. არ არსებობს სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების დამაბრკოლებელი გარემოებები (**შდრ. სუსგ №ას-109-2019, 01 მარტი, 2019**).

დადგენილია, რომ აპელანტი (სააპელაციო მოსარჩელე) დანიშნულ დროს სხდომაზე არ გამოცხადებულა და არც გამოუცხადებლობის მიზეზების შესახებ უცნობებია სასამართლოსათვის. სასამართლო სხდომაზე გამოცხადებულმა აპელანტის მოწინააღმდეგე მხარემ (სააპელაციო მოპასუხემ) მოითხოვა არა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა, არამედ აპელანტის სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვება. სასამართლომ დააკმაყოფილა მოწინააღმდეგე მხარის მოთხოვნა და განუხილველად დატოვა აპელანტის სააპელაციო საჩივარი, რისი უფლებაც ჰქონდა სსსკ-ის 229.2 მუხლისა და 275.1 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე (**შდრ. სუსგ №ას- 1529-1449-2017, 28 თებერვალი, 2018; №ას-1528-1448-2017, 27 თებერვალი, 2018; №ას - 759-710-2017, 03 მარტი, 2017; №ას-979-943-2016, 31 იანვარი, 2017**).

სსსკ-ის 372-ე და 387.3 მუხლების დათქმიდან სრულიად ნათელია, რომ კანონმდებელი შესაძლებლობას აძლევს სააპელაციო სასამართლოს, იხელმძღვანელოს საქმის პირველ ინსტანციაში განხილვისათვის განსაზღვრული წესებით, თუ სადავო ურთიერთობა სცდება კანონ

ნმდებლის მიერ სააპელაციო სასამართლოსათვის სპეციალურად დადგენილი ნორმების რეგულირების სფეროს. კერძო საჩივრის ავტორი გასაჩივრებული განჩინების გაუქმებას მოითხოვდა ერთადერთი საფუძვლით: კერძოდ, მისი მოსაზრებით, სსსკ-ის 372-ე და 387-ე მუხლების დანაწესებიდან გამომდინარე, სასამართლოს არ უნდა მიეღო განჩინება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვებაზე; კანონით დადგენილი წესით, მას საქმე ზეპირი მოსმენის გარეშე უნდა განეხილა, ან გამოეტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება. საკასაციო სასამართლომ საჩივრის ავტორის ეს არგუმენტი უსაფუძვლოდ მიიჩნია და აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად იხელმძღვანელა სსსკ-ის 387.3, 229.2 და 275.1 „გ“ მუხლებით და მართებულად დატოვა განუხილველად მოპასუხის სააპელაციო საჩივარი, რასაც უკავშირდება 276-278-ე მუხლებით გათვალისწინებული შედეგები (**შდრ. სუსგ №ას-1337-1257-2017, 30 იანვარი, 2018**).

აღსანიშნავია, რომ სსსკ-ის 387-ე მუხლის მეორე ნაწილი არ შეიცავს დათქმას და განსხვავებულ რეგულაციას, იმის მიხედვით, აპელანტის მონინაალმდევე მხარე საქმეში მოსარჩელის სტატუსით მონაწილეობს, თუ მოპასუხეა. დასახელებული ნორმა იძლევა ზუსტ მითითებას, რა უნდა გამოიკვლიოს და შეაფასოს სააპელაციო პალატამ: კერძოდ, უპირველესად დაადგინოს მხარის გამოუცხადებლობის მართლობიერება და, თუ დადასტურდება მისი არასაპატიოობა, შემდგომი გამოკვლევის გარეშე გაიზიაროს სააპელაციო საჩივარში მითითებული ფაქტები; ასევე, განსაზღვროს, იურიდული თვალსაზრისით ამართლებს თუ არა აპელანტის მიერ მოყვანილი გარემოებები მის მოთხოვნას. საუბარია სააპელაციო საჩივარში და არა სარჩელში მოყვანილ გარემოებებსა და აპელანტის მოთხოვნაზე (**შდრ. სუსგ №ას-1017-978-2016, 25 იანვარი, 2017**).

ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ: აპელანტს კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით ეცნობა საქმის განხილვის შესახებ; იგი არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდა პროცესზე; და გამოუცხადებლობის მიზეზი არ აცნობა სასამართლოს. შესაბამისად, სააპელაციო პალატის განჩინება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ კანონიერია და უცვლელი უნდა დარჩეს (**შდრ. სუსგ № ას-546-546-2018, 12 ივნისი, 2018; იხ. აგრეთვე სუსგ-ები: №ას-1312-1232-2017, 24 ნოემბერი, 2017; № ას-633-591-2017, 21 სექტემბერი, 2017; № ას-48-44-2017, 01 მარტი, 2017; №ას-759-710-2017, 03 ივლისი, 2017**).

სასამართლომ მიუთითა სსსკ-ის 275.1 მუხლის „გ“ ქვეპუნქტზე, ასევე, 70, 73.1, 215.3 მუხლებზე და მიიჩნია, რომ მოპასუხის სააპელაციო საჩივარი განუხილველად უნდა დარჩენილიყო, ვინაიდან არ არსებობდა სასამართლო სხდომის სხვა დროისთვის გადადების 215-ე მუხლით გათვალისწინებული საპატიო მიზეზი (**შდრ. სუსგ №ას-738-738-2018, 30 ნოემბერი, 2018**).

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ მოცემული კატეგორიის დავაზე წარმომადგენლობა არ იყო სავალდებულო, მაგრამ როდესაც მხარე ითხოვდა სასამართლო პროცესის გადადებას იმ საფუძველით, რომ მისი წარმომადგენელი ობიექტური მიზეზით ვერ დაესწრებოდა სხდომას და ეს უზღუდავდა დაცვის უფლებას, სასამართლოს უნდა განეხილა აღნიშნული მოთხოვნა და ეპასუხა შუამდგომლობის ავტორისათვის. „რამდენად აუცილებელია სამართლიანი სამართალწარმოებისთვის ადვოკატის დახმარება, განხილული უნდა იყოს თითოეული საქმის კონკრეტული ფაქტებიდან გამომდინარე (მაგ.: რა სამართლებრივი სიკეთე დგას სამართალწარმოებაში მომჩივნისთვის საფრთხის ქვეშ); აგრეთვე გასათვალისწინებელია შესაბამისი კანონმდებლობისა და სამართალწარმოების კომპლექსურობა, მომჩივნის შესაძლებლობა, ეფექტიანად წარადგინოს საკუთარი პოზიცია (იხ. *mutatis mutandis*, *სტილი და მორისი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, §61, და *ნ.ჯ.დ.ბ. გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (N.J.D.B. v. the United Kingdom)*, №76760/12, § 73, 27 ოქტომბერი 2015). ამ კონტექსტში უნდა დადგინდეს, ადვოკატის გარეშე ეფექტიანად წარდგებოდა თუ არა მომჩივანი სასამართლოების წინაშე; კერძოდ, შეძლებდა თუ არა ის საქმის სათანადოდ და დამაკმაყოფილებლად წარმოდგენას (იხ. *mutatis mutandis*, *აირი ირლანდიის წინააღმდეგ (Airey v. Ireland)*, 9 ოქტომბერი 1979, § 24, სერია ა №32). საკასაციო პალატის განმარტებით, პირველ რიგში, სასამართლო უნდა დარწმუნდეს, რომ გამოუცხადებელი მხარე მიწვეული იყო საქმის განხილვაზე და მას დროულად და კანონით დადგენილი წესით ეცნობა სასამართლო სხდომის შესახებ. მიწვეულად მიიჩნევა მხარე, რომელსაც სასამართლო უწყება გაეგზავნა და ჩაბარდა სსსკ-ის 70-78-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით. ამასთან, სასამართლომ გამოცხადებული მხარის (აპელანტის მოწინააღმდეგე მხარის) შუამდგომლობის საფუძველზე, სააპელაციო საჩივარი განუხილველად უნდა დატოვოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაადგენს, რომ აპელანტისთვის სასამართლო სხდომის თარიღის შეტყობინების მიუხედავად, იგი სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდა არასაპატიო მიზეზით. განსახილველ შემთხვევაში, იკვეთებოდა ისეთი გარე-

მოება, რომელსაც შეეძლო, ხელი შეეშალა სასამართლოში მხარის დროული გამოცხადებისათვის. კერძოდ, აპელანტი სადავო პერიოდში მონაწილეობდა სხვა სასამართლოს წარმოებაში არსებულ საქმის განხილვაში. ამგვარად, ის მოკლებული იყო შესაძლებლობას, იმავდროულად თბილისის სააპელაციო სასამართლოში გამოცხადებულიყო. ამასთან, აპელანტმა სასამართლოს წინასწარ შეატყობინა სასამართლო სხდომაზე მისი გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის შესახებ. შესაბამისად, სასამართლომ გაიზიარა კერძო საჩივრის ავტორის პრეტენზია, რომ ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს სააპელაციო საჩივარი განუხილველი არ უნდა დაეტოვებინა (*შდრ. სუსგ № 704-704-2018, 05 ივლისი, 2018; იხ. აგრეთვე სუსგ-ები №ას-853-797-2017, 28 ივლისი, 2017; №ას-955-917-2014, 24 ივლისი, 2015; №ას-187-179-2016, 06 მაისი, 2016*).

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ სასამართლო სხდომაზე აპელანტის გამოუცხადებლობის გამო სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ განჩინება უნდა შემოწმდეს და საქმე განახლდეს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია დაუსწრებელი გადაწყვეტილების შემოწმების მიმართ (*შდრ. სუსგ №ას-1529-1449-2018, 28 თებერვალი, 2018 ; №ას-803-803-2018, 27 სექტემბერი, 2018; № ას-1312-1232-2017, 24 ნოემბერი, 2017; № ას-633-591-2017, 21 სექტემბერი, 2017; № ას-48-44-2017, 01 მარტი, 2017; № ას-880-830-2015, 21 ოქტომბერი, 2015*).

თავი VII. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა დაუსწრებელ გადაწყვეტილებასთან მიმართებით

დაუსწრებელ გადაწყვეტილებასთან მიმართებით მნიშვნელოვანი დებულებებია ასახული ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებში. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის თანახმად, „სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრისას, ან წარდგენილი ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას, ყველას აქვს გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნო განხილვის უფლება კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ“.

მხარეთა თანასწორობის პრინციპი, რომელიც სამართლიანი სასამართლოს ფართო კონცეფციის ერთ-ერთი ელემენტია, თითოეული მხარისთვის მოითხოვს გონივრულ შესაძლებლობას, რომ წარმოადგინოს საკუ-

თარი საქმე ისეთ პირობებში, რომელიც არ ჩააყენებს მნიშვნელოვნად არახელსაყრელ მდგომარეობაში, მონინაალმდევე მხარესთან მიმართებით (იხ. *Nideröst-Huber v Switzerland*, 18/02/1997, § 23; *Kress v France* (დიდი პალატა), no.39594/98, § 72, ECHR 2001-VI; *Yvon v France*, no 44962/98, § 31, ECHR 2003-V; *Gorraiz Lizarraga and Others v Spain*, no. 62543/00, § 56, ECHR 2004-III. „სამართლიანი სასამართლოს უფლების ზოგადი კონცეფცია“ მოიცავს შეჯიბრებითი სამართალწარმოების ფუნდამენტურ პრინციპს (იხ. *Ruiz-Mateos V Spain*, 23/06/1993, § 63, ECHR, Series A, no.262; *Lobo Machado v Portugal*, 20/02/1996, § 31, 1996-I). სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებმა უნდა დაიცვან „სამართლიანი სასამართლო განხილვის“ მოთხოვნები თითოეულ ინდივიდუალურ საქმეში (იხ. *Dombo Beheer B.V. v. the Netherlands*, 27.10.1993, § 33, სერია A no. 274).

აღნიშნული პრინციპი ასევე გულისხმობს, რომ პირი ინფორმირებული იყოს მის წინააღმდეგ სამართალწარმოების შესახებ (იხ. *Dilipak and Karakaya v Turkey*, no. 7942/05 და 24838/05, 04/03/2014, § 77). თუ სასამართლო დოკუმენტები, მათ შორის, სასამართლო სხდომის უწყებები მხარეს არ ჩაბარდება, მას შეიძლება ხელი შეეშალოს სამართალწარმოებისას საკუთარი თავის დაცვაში (იხ. *Ozgur-Karaduman v Germany*, no. 4769/02, 26/06/2007; *Weber v Germany*, no. 30203/03, 02/10/2007; *Zavodnik v Slovenia*, no.53723/13, 21/05.2015, § 70).

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი მოითხოვს და საშუალებას აძლევს მონანილე სახელმწიფოებს, მათი სამართლებრივი სისტემები მოაწყონ იმგვარად, რომ ხელი შეეწყოს სწრაფ და ეფექტიან სამართალწარმოებას, მათ შორის, დაუსწრებელი გადანყვეტილების მიღების კუთხით (იხ. *Aždajić v. Slovenia*, no. 71872/12, 08/10/2015, § 49; *Gankin and Oters v Russia*, no. 12938/12. 31/05/2016, § 26); თუმცა ეს არ უნდა განხორციელდეს სხვა პროცედურული გარანტიების, განსაკუთრებით, მხარეთა თანასწორობის პრინციპის ხარჯზე.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე გახარია საქართველოს წინააღმდეგ (*Gakharia v Georgia*, no. 30459/13, 06/12/2016) მიიჩნია, რომ სასამართლოს უნდა შეესწავლა ორი ძირითადი საკითხი: (1) გამოიჩინა თუ არა საქართველოს სახელმწიფომ საკმარისი გულმოდგინება ყველა საჭირო ზომის მიღებით, რათა ეცნობებინა მომჩივნისათვის (განმცხადებლისათვის) საქმისწარმოების დაწყება მისთვის მშობლის უფლების შესაძლო შეზღუდვაზე; ასევე, ამასთან დაკავშირებით, განაცხადა თუ არა მომჩივანმა (განმცხადებელმა) უარი საკუთარ

უფლებაზე, წარმდგარიყო სასამართლოს წინაშე და დაეცვა თავი; (2) უზრუნველყო თუ არა ეროვნულმა კანონმდებლობამ მომჩივანი (განმცხადებელი) შესაბამისი სამართლებრივი საშუალებებით, რათა დაცული ყოფილიყო შეჯიბრებითობის პრინციპი ახალ სასამართლო სხდომაზე, როდესაც მან შეიტყო მის წინააღმდეგ დაუსწრებლად გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილების შესახებ (§ 38). ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა: სასამართლო არ გამორიცხავს შესაძლებლობას, რომ სასამართლო უწყებებისა და გადაწყვეტილებების ჩაბარება მათი მედიაში გამოქვეყნების საშუალებით შეიძლება ემსახურებოდეს კანონიერ მიზანს - საქმისწარმოების სისწრაფესა და ეფექტიანობას, თუმცა ამ პროცედურის გამოყენება არ შეიძლება სხვა პროცედურული გარანტიების, განსაკუთრებით, მხარეთა თანასწორობის პრინციპის საზიანოდ. შესაბამის პერიოდში მოქმედი საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, სასამართლო უწყებების ჩაბარება მათი გამოქვეყნების გზით უნდა გამოყენებულიყო სათანადო გულისხმიერებით და უკიდურესი ღონისძიების სახით (იხ. სსსკ-ის 71-ე მუხლის მე-3 ნაწილი და 78-ე მუხლის 1-ლი ნაწილი (ასევე იხ. საქმე *Miholapa v Latvia*, no. 61655/00, 31.05.2007, § 28). სასამართლოს მოსაზრებით, ამ წესის ხისტი გამოყენებამ მოცემულ საქმეში შეამცირა მომჩივნის (განმცხადებლის) შესაძლებლობა, მონაწილეობა მიეღო საქმისწარმოებაში და დაეცვა თავისი ინტერესები (§ 44).

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა: არაფერი მიუთითებს, რომ მომჩივანმა უარი განაცხადა შესაბამის საქმისწარმოებაში მონაწილეობის უფლებაზე; ასევე ვერ დამტკიცდა, რომ მომჩივანს მიღებული ჰქონდა ინფორმაცია საქმისწარმოების შესახებ სხვა რომელიმე წყაროდან. უფლებაზე უარის თქმის მთავარი პირობა ის არის, რომ დაინტერესებულმა პირმა იცოდეს შესაბამისი უფლების არსებობის და მასთან დაკავშირებული საქმისწარმოების შესახებ. ეს არ იყო მომჩივნის (განმცხადებლის) მხრიდან უმოქმედობა, რადგან მან უბრალოდ არ იცოდა ყოფილი მეუღლის მიერ დაწყებული საქმისწარმოების შესახებ (§ 45) (შედარებისათვის იხ. *Perihan and Mezopotamya Basin Yayin A.S v. Turkey*, no. 21377/03, 21/01/ 2014, § 38-39). ეროვნული სასამართლოების მხრიდან არ ყოფილა რაიმე მცდელობა, რომ სასამართლო უწყებების ჩასაბარებლად მიემართათ ადგილობრივი ხელისუფლების ან პოლიციისათვის. პირველი ინსტანციის ეროვნული სასამართლოს უმოქმედობა კიდევ უფრო საეჭვოა იმის გათვალისწინებით, რომ მინსკის კონვენციის თანახმად, მას შეეძლო, მოეთხოვა იურიდიული დახმარება შესაბამისი

მონაწილე სახელმწიფოსგან (ამ შემთხვევაში რუსეთისაგან), რადგან, როგორც საქმის მასალებიდან ჩანს, მომჩივანი (განმცხადებელი) იმყოფებოდა რუსეთში და მოსარჩელემ იცოდა ამის შესახებ. ეს ინფორმაცია ცნობილი გახდა საქმის განმხილველი პირველი ინსტანციის სასამართლოსთვისაც, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მეშვეობით. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიუთითა განსახილველი დავის მგრძობიარე ბუნებაზე, კერძოდ, მშობლის უფლებების შესაძლო შეზღუდვაზე, და დაასკვნა, რომ ეროვნულ სასამართლოებს უნდა ემოქმედათ განსაკუთრებული გულისხმიერებით, რაც მათ აშკარად ვერ მოახერხეს. შესაბამისად, ეროვნული სასამართლოების ფორმალური მიდგომა სასამართლო დოკუმენტების ჩაბარების წესების ინტერპრეტაციისადმი არაგონივრული იყო, საქმეში არსებული გარემოებების გათვალისწინებით.

ევროპულმა სასამართლომ ასევე მიიჩნია, რომ ეროვნული სასამართლოების გულისხმიერების ნაკლებობა დაუსწრებელი საქმისწარმოებისას განაპირობებდა იმას, რომ მომჩივანს (განმცხადებელს) უნდა ჰქონოდა შესაძლებლობა, მიეღწია მისი მონაწილეობით საქმის ხელახალი განხილვისათვის. შესაბამისად, საქმეზე დაირღვა კონვენციის 6-ე მუხლი (***Gakharia v Georgia, no. 30459/13, 06.12.2016, § 49-51***).

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე, რომელშიც ერთი მხარე იყო მოხალისე ადვოკატებით წარმოდგენილი ფიზიკური პირი, ხოლო მეორე მხარე - გამოცდილი ადვოკატებით წარმოდგენილი საერთაშორისო მასშტაბის კომპანია, აღნიშნა, რომ მხარეთა თანასწორობის კუთხით სამართლებრივი დახმარების დონეებს შორის უთანასწორობა ისეთი ხარისხის იყო, რომ უთუოდ წარმოშობდა უსამართლობას. სასამართლომ მიიჩნია, რომ ვერც მოხალისე ადვოკატების არარეგულარული დახმარება და ვერც მოსამართლეთა მხრიდან მოსარჩელეთათვის (როგორც მოდავე მხარისათვის) განუული ხელშეწყობა და შეღავათები, ვერ ჩაანაცვლებდა საქმეში კარგად გარკვეული და სამართლის მცოდნე გამოცდილი ადვოკატების კომპეტენტურ და განუწყვეტელ წარმომადგენლობას. საქმეთა სამართლიანი სასამართლო განხილვის კონცეფციისთვის მთავარი საკითხია, მოდავე მხარეს ჰქონდეს სრული შესაძლებლობა, ეფექტიანად წარმოადგინოს თავისი საქმე სასამართლოს წინაშე და თანასწორი შესაძლებლობებით სარგებლობდეს მეორე მხარესთან მიმართებით (***Steel and Morris v. the United Kingdom***).

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ როდესაც საკითხი ეხება სამართლებრივი სიცხადის პრინციპს (**Legal**

certainty), ეს არის არა უბრალოდ სამართლებრივი ნორმის ინტერპრეტაციის, არამედ პროცედურული მოთხოვნის არაგონივრული კონსტრუქციის პრობლემა, რაც არღვევს ეფექტიანი სასამართლო დაცვის უფლებას. მხარეებს უნდა შეეძლოთ გასაჩივრების უფლების გამოყენება იმ მომენტიდან, როცა ძალუძთ, ეფექტიანად შეაფასონ ტვირთი, რომელსაც აკისრებთ სასამართლო გადაწყვეტილება. ეროვნული სასამართლოების მიერ პროცედურული წესის განსაკუთრებით მკაცრმა ინტერპრეტაციამ არასწორად ჩამოართვა მომჩივნებს თავიანთი საჩივრების განხილვისათვის სასამართლოზე წვდომის უფლება (იხ. **Mirigall Escolano and Others v. Spain, 38366/97, § 33, 2000, ECHR**).

ზურაბ ძლიერიშვილი

230-ე მუხლი

მიზანი

სსსკ-ის 230-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდება მოპასუხე, რომელსაც გაეგზავნა შეტყობინება 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, და მოსარჩელე შუამდგომლობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე, სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები დამტკიცებულად ითვლება. ამავე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას, სარჩელი დაკმაყოფილდება; წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლო უარს ეტყვის მოსარჩელეს მის დაკმაყოფილებაზე. ზემოაღნიშნული კანონის დანაწესის საფუძველზე დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებისათვის, უნდა დადასტურდეს შემდეგი წინაპირობები: 1. მოპასუხეს საქმის განხილვის შესახებ კანონის მოთხოვნათა დაცვით ეცნობოს; 2. სასამართლო სხდომაზე მისი გამოუცხადებლობა არ იყოს განპირობებული საპატიო მიზეზით; 3. მოსარჩელე შუამდგომლობდეს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე; 4. სარჩელში მითითებული გარემოებები (ფაქტები) იურიდიულად ამართლებდეს სასარჩელო მოთხოვნას.

მითითებული საფუძვლების კუმულაციურად არსებობა ქმნის დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის ფორმალურ წინაპირობას. თუმცა, იმისათვის, რომ სასამართლომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანით დააკმაყოფილოს სარჩელი, მოსამართლე ვალდებულია, გამოარკვიოს, რამდენად ამართლებს კანონის ძალით დადგენილად მიჩნეული ფაქტობრივი გარემოებები იურიდიულ მოთხოვნას. მოთხოვნის იურიდიული მართებულობის კვლევა მოიაზრებს დამფუძნებელი ნორმების სწორად მოძიებას სასამართლოს მხრიდან, რაც დავის გადაწყვეტის ფუნდამენტია და იძლევა ამა თუ იმ ურთიერთობის რეგულირების აბსტრაქტულ შემადგენლობას. ნორმის მოძიების შემდგომ სასამართლო ადგენს, აკმაყოფილებს თუ არა სარჩელში მითითებული იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტები დამფუძნებელი ნორმის აბსტრაქტულ აღწერილობას, რაც დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის გზით სარჩე-

ლის წარმატების საფუძველია **(შდრ. სუსგ №ას-1468-1388-2017, 11 მაისი, 2018).**

მოპასუხის გამოუცხადებლობის შემთხვევაში, სასამართლო არ იხედება საქმეში, ასევე, არ ამონმებს და აფასებს მტკიცებულებებს, რადგან გადანყვეტილებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტები დამტკიცებულად ითვლება, თუმცა „იხედება კანონში,“ რათა ეს ფაქტები იურიდიულად შეაფასოს. თუ ასეთი შეფასების შედეგად, აღნიშნული ფაქტები ამართლებს მოსარჩელის მოთხოვნას შესაბამისი კანონის თანახმად, სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადანყვეტილებას სარჩელის დაკმაყოფილებაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, მან უნდა გამოიტანოს ჩვეულებრივი გადანყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ (იხ. თ. ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბილისი, 2005, 400).

თავი I. დაუსწრებელი გადანყვეტილება მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო

მოპასუხე მხარის სასამართლო სხდომაზე არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობისას, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის კონტექსტში დადგენილად მიიჩნევა დავის ფაქტობრივი გარემოებები. ეს ნიშნავს, რომ სასამართლო დადგენილად თვლის არა მხარის მოსაზრებებს, არამედ იურიდიული მნიშვნელობის მქონე იმ ფაქტებს, რომლებიც ქმნის მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმის შემადგენლობას. მხარის მიერ განვითარებული სხვადასხვა მოსაზრება სასამართლოს შეფასების საგანია, რა დროსაც საქმის განმხილველი შემადგენლობა ამონმებს ამ ფაქტებს მატერიალური სამართლის დანაწესებთან მიმართებით. თავის მხრივ, უნდა აღინიშნოს, რომ მართლმსაჯულების აქტი, მიუხედავად იმისა, მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპით არის მიღებული თუ ერთ-ერთი მხარის გამოუცხადებლობის შედეგად, ყოველთვის უნდა ემყარებოდეს მატერიალური სამართლის ნორმას. საქმის განხილვაზე ერთ-ერთი მხარის გამოუცხადებლობისას, თუნდაც არასაპატიო მიზეზით, სასამართლოს არ აქვს უფლებამოსილება, გადანყვეტილებას მხოლოდ სამართლებრივი სანქციის ფუნქცია შესძინოს და იურიდიული შეფასების გარეშე დააკმაყოფილოს გამოცხადებული მხარის ყველა პრეტენზია. სწორედ ამგვარი თვითნებობის თავიდან აცილებას ემსახურება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის მე-2 ნაწილის დათქმა **(შდრ. სუსგ № 408-381-2017, 30 ივნისი, 2017).**

საკასაციო პალატამ არ გაიზიარა საჩივრის ავტორის მითითება, რომ აპელანტის მოთხოვნა იურიდიულად გამართლებული არ იყო, რაც გამო-რიცხავდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობას. პალატის აზრით, გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება შეი-ცავდა საკმარის მითითებას იმ ფაქტებსა და სამართლებრივ ნორმებზე, რომელთა გამოც სააპელაციო მოთხოვნა იურიდიულად მართებულად ჩაითვალა, ხოლო სსსკ-ის 234-ე მუხლის თანახმად, დასაბუთებული მო-ტივაციის ჩამოყალიბების ვალდებულება სასამართლოს არ აქვს. საკასა-ციო პალატამ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოში მონინააღმდეგე მხარის წარმომადგენლის გამოუცხადებლობა სხდომაზე არ მიეკუთვნე-ბა სსსკ-ის 233-ე მუხლით გათვალისწინებულ გარემოებებს; ასევე არ არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დამაბრკოლე-ბელი სხვა გარემოებები, რაც გამორიცხავს საჩივრის დაკმაყოფილებისა და დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების შესაძლებლობას. დაუსა-ბუთებლად ჩაითვალა კასატორის მითითება, რომ სააპელაციო საჩივა-რში აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები მოთხოვნას იურიდიულად არ ამართლებდა და სააპელაციო სასამართლოს ამ საკითხზე არ უმსჯე-ლია (*მდრ. სუსგ №ას-631-589-2017, 11 ოქტომბერი, 2017*).

საკასაციო პალატამ არ გაიზიარა კასატორის პრეტენზია და განმა-რტა, რომ სსსკ-ის 230-ე მუხლის კონტექსტში დადგენილად მიიჩნევა და-ვის ფაქტობრივი გარემოებები. ეს ნიშნავს, რომ სასამართლო დადგენი-ლად თვლის იურიდიული მნიშვნელობის მქონე იმ ფაქტებს, რომლებიც ქმნის მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმის შემადგენლობას. დაუსწრებე-ლი გადაწყვეტილების გამოტანისას, სასამართლო არ ეყრდნობა საქმეში არსებული მტკიცებულებების გამოკვლევასა და შეფასებას: იგი სარჩე-ლში მითითებულ ფაქტებს უპირობოდ დადასტურებულად მიიჩნევს და თუ მათი ერთობლიობა, თეორიულად, სარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფი-ლების შესაძლებლობას იძლევა, გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილე-ბა (*მდრ. სუსგ №ას-356-338-2015, 03 ივნისი, 2015; №ას-1431-1351-2018, 12 იანვარი, 2018; №ას-1270-2018*).

დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისას სასამართლო არ განი-ხილავს მტკიცებულებებს და მათ არსებითად არ იკვლევს; იგი მსჯელო-ბს მხოლოდ სარჩელში მითითებულ ფაქტებზე და, მისი შინაარსიდან გა-მომდინარე, დაუსწრებელი გადაწყვეტილება გამოაქვს, თუკი სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასა-რჩელო მოთხოვნას. ამ შემთხვევაში მხარემ ვერ დაადასტურა ის გარე-მოება, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისას არსებობდა

სსსკ-ის 233-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევები, რისი მტკიცების ტვირთიც, ამავე კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად, ეკისრებოდა თავად საჩივრის ავტორს (**შდრ. სუსგ №ას-500-468-2017, 30 ივნისი, 2017; №ას-1159-1114-2016, 24 მარტი, 2017**).

სასამართლომ, სსსკ-ის 387-ე მუხლზე მითითებით, დამტკიცებულად მიიჩნია მოსარჩელის სააპელაციო საჩივარსა და სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები და აღნიშნა, რომ სსკ-ის 31-ე, 32-ე მუხლების საფუძველზე, დამტკიცებულად მიჩნეული გარემოებები იურიდიულად ამართლებდა სააპელაციო საჩივრის მოთხოვნას. შესაბამისად, სსსკ-ის 230-ე მუხლზე დაყრდნობით, სახეზე იყო დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის პროცესუალური საფუძველი (**შდრ. სუსგ №ას-849-799-2015, 24 ივნისი, 2016**).

ამ შემთხვევაში დადგინდა, რომ მოპასუხე, კანონით გათვალისწინებული წესით, გაფრთხილებული იყო სხდომის დანიშვნის შესახებ, თუმცა სასამართლოს მიერ განსაზღვრულ დროს მოპასუხე საქმის განხილვაზე არ გამოცხადდა. შესაბამისად, არსებობდა სსსკ-ის 230-ე მუხლით გათვალისწინებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის წინაპირობები (**იხ. სუსგ №ას-496-2019, 03 მაისი, 2019**).

კასატორის (მოპასუხე) ერთ-ერთი ძირითადი პრეტენზია იყო ის, რომ მოსარჩელემ სასამართლოს არასწორად მიუთითა მოპასუხის მისამართი. საკასაციო პალატამ ეს არ გაიზიარა და განმარტა, რომ მოპასუხემ სასამართლოსთან წერილობითი კომუნიკაციისას არაერთხელ მიუთითა საკუთარი მისამართი, სადაც ეგზავნებოდა სასამართლო უწყება, ასევე, იმგვარ საპროცესო საშუალებათა განკარგვის აუცილებლობა, როგორცაა პოლიციისათვის გზავნილის ჩაბარების დავალდებულება (**სსსკ-ის 73.7 მუხლი**) თუ საჯარო შეტყობინების (**სსსკ-ის 78-ე მუხლი**) აუცილებლობა არ არსებობდა, რამდენადაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მოპასუხისათვის უწყება ჩაბარებულად ითვლება, როცა პასუხში (**შესაგებელში**) მითითებულ მისამართზე გაეგზავნება ორჯერ. საკასაციო პალატამ აგრეთვე გაიზიარა ქვემდგომი სასამართლოების დასკვნა, რომ არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის წინაპირობები, გათვალისწინებული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლით: კერძოდ, მოპასუხის არასაპატიო გამოუცხადებლობით, რომელსაც ეცნობა სხდომის შესახებ, თავის მხრივ, დადგენილად მიიჩნევა სარჩელში მითითებული ფაქტები. გარდა ამისა, მოსარჩელის უფლება ნივთზე დადასტურებულია საჯარო რეესტრის ამონაწერით და კანონის ძალით დადასტურებულად ცნობილი ფა-

ქტები ამართლებს ვინდიკაციურ სარჩელს (სკ-ის 170-ე და 172-ე მუხლების თანახმად, სარჩელის დაკმაყოფილებისათვის მოსარჩელე უნდა მიუთითებდეს, რომ: ა) არის ქონების მესაკუთრე; ბ) მოპასუხე ფლობს ქონებას; გ) მფლობელს არ აქვს სადავო ქონებაზე ფაქტობრივი ბატონობის მართლზომიერი საფუძველი (სკ-ის 159-ე და 162-ე მუხლები) **(იხ. სუსგ №ას-1021-2018, 22 ნოემბერი, 2018).**

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლით და 74-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადებით და დაადგინა, რომ მოპასუხეები არიან ერთი ოჯახის წევრები, კერძოდ: კასატორ მოპასუხეთა შვილები, რძალი და შვილიშვილები, რომლებიც ერთ ოჯახში ცხოვრობენ. სასამართლო უწყება დანარჩენი მოპასუხეებისათვის გადასაცემად ჩაბარდათ კასატორ მოპასუხეებს, რაც ნიშნავს, რომ უწყება ჩაბარდათ დანარჩენ მოპასუხეებსაც **(შდრ. სუსგ საქმე №აას-1270-2018, 02.11.18).**

საკასაციო პალატამ დადასტურებულად მიიჩნია ის, რომ განსახილველ შემთხვევაში არსებობდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის შემადგენლობის ყველა ელემენტი. ამასთან, არ იკვეთებოდა ხსენებული მუხლის მეორე ნაწილით განსაზღვრული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის განმეპირობებელი გარემოება **(იხ. სუსგ №ას-749-749-2018, 23 იანვარი, 2019; შდრ. სუსგ №ას-175-175-2018, 19 ივლისი, 2018; №ას-152-148-2016, 3 ივნისი, 2016 წელი).**

საკასაციო პალატამ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა, რომ სსსკ-ის 387-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებისა და 230-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო სხდომაზე მონაწილემდეგე მხარის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის გამო გამოტანილი დაუსწრებელი გადაწყვეტილებით, დადგენილად ჩაითვალა აპელანტის მიერ სააპელაციო საჩივარსა და ახსნა-განმარტებაში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები, რომ მოპასუხის ბრალეული ქმედებით გამოწვეული ავტოსაგზაო შემთხვევის გამო, დაზიანდა სადაზღვევო კომპანიაში დაზღვეული ავტომანქანა და მის აღსადგენად მოსარჩელემ განია ხარჯი. შესაბამისად, დამტკიცებულად მიჩნეული ეს ფაქტობრივი გარემოებები იურიდიულად ამართლებდა აპელანტის მოთხოვნას **(იხ. სუსგ №ას-717-717-2018, 14 იანვარი, 2019).**

საკასაციო სასამართლო დათანხმდა სააპელაციო სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივ მსჯელობას. მან მიუთითა სსსკ-ის 70-ე მუხლის პირველი ნაწილზე, 71-ე მუხლის პირველი ნაწილსა და 73-ე მუხლის მე-8 ნაწილზე და განმარტა, რომ კანონის თანახმად, საპროცესო სამა-

რთლით დადგენილი წესები, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ფართო განმარტების შესაძლებლობას არ იძლევა, რადგანაც ეს სამართლებრივი ნორმების ერთიანობას დაარღვევს და შეეწინააღმდეგება პროცესუალური ფორმალიზმის პრინციპს. ამ პრინციპის არსი კი ის არის, რომ ყოველი საპროცესო მოქმედება სრულდება კანონით დადგენილი წესებისა და ფორმალობების ზედმინწევით დაცვით. საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ სასამართლო უწყება მოსარჩელეს გაეგზავნა მის მიერ სარჩელში მითითებულ მისამართზე და ჩაბარდა მოსარჩელე კომპანიის ოფისმენეჯერს. მხარეს სადავოდ არ გაუხდია ის გარემოება, რომ მითითებული მისამართი არის მოსარჩელე კომპანიის ადგილსამყოფელი. კასატორის პრეტენზიის პასუხად, რომლის თანახმადაც კომპანიის ოფისმენეჯერისათვის უწყების ჩაბარება არ მიიჩნევა კომპეტენტური პირისთვის უწყების ჩაბარებად, საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ კომპანიის ოფისმენეჯერი, ზოგადი განმარტების თანახმად, ოფისის მმართველს ნიშნავს. ეს მათ შორის გულისხმობს კომპანიის სახელზე შესული კორესპონდენციის როგორც ჩაბარების, ისე შესაბამისი პირისა თუ სამსახურისათვის გადაცემის ვალდებულებასაც, დამატებითი უფლებამოსილების (მინდობილობის) მინიჭების გარეშე. შესაბამისად, ოფისმენეჯერისათვის უწყების ჩაბარება ნიშნავს კომპანიისათვის უწყების ჩაბარებას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ამ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ დაადგინა ყველა ის ფაქტობრივი წანამძღვარი, რომლებიც განაპირობებს სსსკ-ის 230-ე მუხლით გათვალისწინებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას (**იხ. სუსგ №ას-1290-2018, 06 თებერვალი, 2019; შდრ. სუსგ-ები: №ას-766-733-2014, 22 სექტემბერი, 2014, №ას-1707-1601-2012, 04 თებერვალი, 2013**).

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე და 387-ე მუხლების დისპოზიციიდან გამომდინარე, მოწინააღმდეგე მხარის გამოუცხადებლობისას დადგენილად მიიჩნევა სარჩელში/სააპელაციო საჩივარში მითითებული ფაქტები და აპელანტის ახსნა-განმარტება, რომელთა სუბსუმირება მოთხოვნის დამფუძნებელ ნორმასთან სასამართლოს ვალდებულებაა. ამასთანავე, დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებისას განსახილველ შემთხვევაში სახეზეა მტკიცების ტვირთის კონკურენცია: „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლი ადგენს დიფამაციური სარჩელების განხილვის მტკიცების ტვირთს, რომელიც, სიტყვის თავისუფლების საყოველთაო იდეის გათვალისწინებით, უფრო მეტად ორიენტირებულია ამ უფლების დაცვაზე, და არა შეზღუ-

დვაზე. შესაბამისად, სტანდარტი ითვალისწინებს შეზღუდვის უტყუარ მტკიცებულებებზე დამყარებას, ხოლო მტკიცების ტვირთს აკისრებს შეზღუდვის ინიციატორს (მას შემდეგ, რაც მოსარჩელე დაძღვეს კანონით დაკისრებულ ზემოხსენებულ ვალდებულებას, ბუნებრივია, მათი გაქარწყლების საშუალება სადავო განმცხადებლის ავტორს ეძლევა. *McVicar*-ის საქმეზე ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მე-10 მუხლთან პრინციპულად შეუთავსებელი არ იყო ცილისწამების საქმეებზე მოპასუხისათვის დიფამაციური განცხადებების სიმართლის მტკიცების დაკისრება). თუმცა, როდესაც მოწინააღმდეგე მხარე არ ცხადდება საქმის განხილვაზე, მოქმედებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის დებულება, რომ სარჩელში/სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები დადასტურებულად მიიჩნევა. ამდენად, მოწინააღმდეგე მხარის გამოუცხადებლობის გამო, სააპელაციო პალატამ სავსებით მართებულად გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება (*შდრ. სუსგ №ას-438-410-2017, 30 მარტი, 2018*).

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის გზით სარჩელის დაკმაყოფილება დასაშვებია, თუ სახეზეა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლით გათვალისწინებული წინაპირობები. ამ გარემოებათა კუმულაციურად არსებობა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის ფორმალური წინაპირობაა. სასამართლო ვალდებულია, შეამოწმოს, სახეზე ხომ არ არის დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დამაბრკოლებელი გარემოებები, კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევა. საქმის მასალებით ირკვევა, რომ ბანკის სხვა წარმომადგენელთა უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხი მოპასუხემ სასამართლოს მხოლოდ საჩივრის განხილვის ეტაპზე აცნობა და მათ მიმართ გაცემული მინდობილობები ძალაში იყო. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 99-ე მუხლი, მსგავსად დავალების ხელშეკრულების შეწყვეტის მარეგულირებელი მატერიალური სამართლის ნორმისა (სკ-ის 720-ე მუხლი), მარწმუნებელს ყოველთვის აძლევს უფლებას, საქმისწარმოების ყველა სტადიაზე გააუქმოს მის მიერ გაცემული მინდობილობა და შეწყვიტოს წარმომადგენლის უფლებამოსილება; თუმცა, საპროცესო მიზნებიდან გამომდინარე, წარმომადგენლობის შეწყვეტის ნამდვილობისათვის, ეს გარემოება წერილობით უნდა ეცნობოს სასამართლოს. დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისას სასამართლოსთვის უცნობი იყო სხვა წარმომადგენელთა მიმართ გაცემული მინდობილობების გაუქმების ფაქტი (თანამდებობის შეცვლა თუ

სხვა ორგანიზაციაში დასაქმება). მარწმუნებლის ამ ნებას, საპროცესო თვალსაზრისით, ძალა მას შემდეგ მიენიჭა, რაც მხარემ მასზე აცნობა სასამართლოს. გარდა აღნიშნულისა, საკასაციო სასამართლოს არაერთი განმარტების თანახმად, იურიდიული პირის (მით უფრო, სამეწარმეო საზოგადოების) წარმომადგენლის საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობისას, დაუსწრებელი გადაწყვეტილების ყველა შემთხვევაში გაუქმება დაუშვებელია: კერძო სამართლის იურიდიულმა პირმა ისე უნდა წარმართოს თავისი საქმიანობა (ამ შემთხვევაში იურიდიული სამსახურის მუშაობა), რომ ამა თუ იმ თანამშრომლის მივლინებაში ყოფნამ/ავადმყოფობამ არ შეაფერხოს იურიდიული პირის ნორმალური ფუნქციონირება. სათანადო მენეჯმენტის არქონა, საკასაციო პალატის მოსაზრებით, განსაკუთრებულ ობიექტურ გარემოებად ვერ მიიჩნევა და, ცხადია, არ ათავისუფლებს იურიდიულ პირს კანონის ან სასამართლოს მიერ დადგენილი საპროცესო მოქმედების შესრულების ვალდებულებისგან (**შდრ. სუსგ №ას-152-148-2016, 03 ივნისი, 2016. იხ. აგრეთვე : სუსგ №ას-800-854-2011, 17 ოქტომბერი, 2011 წელი; №ას-132-127-2012, 23 მარტი, 2012 წელი; №ას-269-257-2015, 20 ივლისი, 2015 წელი; №ას-604-572-2014, 4 მაისი, 2015 წელი**).

თავი II. სასამართლო სხდომაზე მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დაუშვებლობა

თუ სასამართლო სხდომაზე მოსარჩელე გამოცხადდა, მაგრამ მოპასუხე - არა, სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები ითვლება დამტკიცებულად, მაგრამ მოსარჩელის სასარგებლოდ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისათვის აუცილებელია ამ ფაქტების იურიდიული შეფასება. თუ ასეთი შეფასების შედეგად აღმოჩნდება, რომ ეს ფაქტები იურიდიულად ასაბუთებს (ამართლებს) მოთხოვნას, სასამართლო დაუსწრებელ გადაწყვეტილებას გამოიტანს მოსარჩელის სასარგებლოდ. სხვა შემთხვევაში, სასამართლო გადაწყვეტილებას გამოიტანს გამოცხადებული მოსარჩელის სანინააღმდეგოდ, რომლითაც სხდომაზე გამოცხადებულ მოსარჩელეს უარს ეტყვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე. ეს იქნება არა დაუსწრებელი, არამედ ჩვეულებრივი გადაწყვეტილება, რომელიც შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო (საკასაციო) წესით.

სსსკ-ის 230-ე მუხლის მიხედვით, სარჩელში მითითებული გარემოებების დადასტურებულად მიჩნევა მიუთითებს, რომ მოსარჩელე სარჩელში აღნიშნულ ფაქტებს ცნობს კანონის ძალით დადგენილად. საკასაციო პა-

ლატამ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს დასკვნა, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისას სასამართლო არ ეყრდნობა საქმეში არსებული მტკიცებულებების გამოკვლევასა და შეფასებას: იგი დადგენილად მიიჩნევს და აფასებს იურიდიული მნიშვნელობის მქონე იმ ფაქტებს, რომლებიც ქმნის მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმის შემადგენლობას (**შდრ. სუსგ №ას-847-847-2018,25 სექტემბერი, 2018**). მითითებული ნორმიდან გამომდინარე, საქმის განხილვაზე მოპასუხე მხარის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობა თავისთავად არ გამოიწვევს დაუსწრებელი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებას, ვინაიდან ამ შემთხვევაშიც სასამართლო ვალდებულია, სამართლებრივად შეაფასოს სარჩელში მითითებული, დადასტურებულად ცნობილი გარემოებები და გამოარკვიოს, შეესაბამება თუ არა მოსარჩელის მოთხოვნა ამ ტიპის ურთიერთობათა მომწესრიგებელი საკანონმდებლო ნორმების დანაწესს. თუ აღმოჩნდება, რომ მოსარჩელის მოთხოვნა უკანონოა, სასამართლო სარჩელს არ დააკმაყოფილებს (**შდრ. სუსგ №ას-1078-998-2017, 25 ნოემბერი, 2017; იხ. სუსგ №ას-531-497-2017, 11 ოქტომბერი, 2017; №ას-1111-1068-2016, 27 იანვარი, 2017; №ას-697-663-2015, 15 დეკემბერი, 2015**).

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ სარჩელსა და სააპელაციო საჩივარში მითითებული და დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები იურიდიულად არ ამართლებდა მოთხოვნას განაცდურის ანაზღაურებაზე (სსკ-ის 230.2 მუხლი; „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტი), რაც გასაჩივრებული სასამართლო აქტების გაუქმებისა და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია (**შდრ. სუსგ №ას-589-564-2016, 16 ნოემბერი, 2016**).

სააპელაციო სასამართლოს დასკვნა, რომ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები იურიდიულად ამართლებდა სააპელაციო საჩივარს, საკასაციო პალატის მოსაზრებით, მოკლებული იყო დამაჯერებელ სამართლებრივ არგუმენტაციას. საკასაციო პალატამ გაიზიარა კასატორის მოსაზრება, რომ როდესაც მხარეთა შორის არსებული ვალდებულება შეწყდა შესრულებით (სსკ-ის 427-ე მუხლი) და მოწინააღმდეგე მხარემ ვადის გადაცილებისათვის ზიანიც აანაზღაურა (გადაიხადა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლო), მოთხოვნა არ იყო სამართლებრივად დასაბუთებული სსსკ-ის 230-ე მუხლის მეორე ნაწილის დანაწესის შესაბამისად (**შდრ. სუსგ № 872-822-2015, 12 თებერვალი, 2016**).

საკასაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა გარემოებაზე, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას ასაჩივრებდა არა ის მხარე, რომლის წინააღმდეგაც გამოტანილია ის სხდომაზე გამოუცხადებლობის გამო (დაუსწრებელი გადაწყვეტილების ნაწილში), არამედ სხდომაზე გამოცხადებული მხარე. თუმცა, სასამართლომ ჩათვალა, რომ კანონის ძალით დადგენილად მიჩნეული ფაქტები იურიდიულად არ ამართლებდა მოთხოვნას (სსსკ-ის 230.2 მუხლი). შესაბამისად, საკასაციო საჩივრის განსახილველად დაშვებისთვის, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391(5) მუხლის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული წინაპირობა არ არსებობდა, რაც საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველი გახდა (*შდრ. სუსგ № 408-381-2017, 30 ივნისი, 2017*).

თავი III. გადაწყვეტილება - დაუსწრებელი გადაწყვეტილება

პრაქტიკაში არ არის გამორიცხული ისეთი შემთხვევებიც, როდესაც სასამართლო სხდომაზე მოპასუხის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობისას, სარჩელში მითითებული და დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები მხოლოდ ნაწილობრივ ამართლებს იურიდიულად მოსარჩელის მოთხოვნებს. ასეთ შემთხვევაში, სასამართლომ უნდა მიიღოს ერთი საპროცესო დოკუმენტი „გადაწყვეტილება - დაუსწრებელი გადაწყვეტილება“, სადაც მითითებული იქნება, რა ნაწილში დაკმაყოფილდა სარჩელი და რა ნაწილში ეთქვა უარი (*შდრ. სუსგ № 408-381-2017, 30 ივნისი, 2017*).

სასარჩელო მოთხოვნები, რომელთა დაკმაყოფილებაზეც უარი ეთქვა სასამართლო სხდომაზე გამოცხადებულ მოსარჩელეს, აისახება ერთიანი საპროცესო დოკუმენტის იმ ნაწილში, რომელსაც „გადაწყვეტილება“ ეწოდება; ხოლო სასამართლო სხდომაზე არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებელი მოპასუხის მიმართ დაკმაყოფილებული სასარჩელო მოთხოვნები აისახება ერთიანი საპროცესო დოკუმენტის იმ ნაწილში, რომელსაც „დაუსწრებელი გადაწყვეტილება“ ეწოდება.

თუ სარჩელს რამდენიმე მოსარჩელე წარადგენს იმის გამო, რომ მისი საგანია საერთო უფლება (სავალდებულო თანამონაწილეობა, სსსკ-ის 86-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი), სასამართლო სხდომაზე კი გამოცხადდება მხოლოდ ერთი თანამოსარჩელე და არ გამოცხადდება-/გამოცხადებიან მოპასუხე(ები), გამოცხადებული თანამოსარჩელის მოთხოვნით, სასამართლომ უნდა გამოიტანოს ერთი დაუსწრებელი გადა-

წყვეტილება ყველა თანამოსარჩელის და არა მხოლოდ სხდომაზე გამოცხადებულის სასარგებლოდ.

სსსკ-ის 182-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, როდესაც ერთ სარჩელში გაერთიანებულია სხვადასხვა მოსარჩელის სხვადასხვა მოთხოვნა სხვადასხვა ან ერთი მოპასუხის მიმართ და სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდება/გამოცხადებიან მოპასუხე(ები), თუმცა მივა ყველა მოსარჩელე, სასამართლომ უნდა გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება ყველა მოსარჩელის სასარგებლოდ; თუ გამოცხადდება არა ყველა, არამედ ერთი ან რამდენიმე მოსარჩელე და არ მივა/მივლენ მოპასუხე(ები), ასეთ შემთხვევაში სასამართლო გამოცხადებული მოსარჩელის/მოსარჩელების სასარგებლოდ გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას, ხოლო გამოუცხადებელი მოსარჩელეების მოთხოვნათა მიმართ, სსსკ-ის 231-ე მუხლის დანაწესების შესაბამისად, სარჩელი განუხილველად დარჩება.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებით/დაუსწრებელი გადაწყვეტილებით მოსარჩელე აპელანტის გამოუცხადებლობის გამო, მის მიმართ მიღებულია **ნაწილობრივი დაუსწრებელი გადაწყვეტილება**. სასამართლომ მიიჩნია, რომ შეგებებული სააპელაციო საჩივრის ავტორის გამოუცხადებლობის გამო, არსებობდა საფუძველი, ნაწილობრივ დაკმაყოფილებულიყო დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე მოპასუხის წარმომადგენლის შუამდგომლობა, და უარი ეთქვათ შეგებებული სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე. სსსკ-ის 372, 387 და 229(1) მუხლების შინაარსიდან გამომდინარე, სასამართლო ვალდებულია, შეამოწმოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის წინაპირობების არსებობა. პალატამ აღნიშნა, რომ მოწინააღმდეგე მხარის გამოუცხადებლობის გამო, მოპასუხე აპელანტის სასარგებლოდ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოსატანად, მხარის არასაპატიო გამოუცხადებლობის გარდა, საჭიროა კიდევ ერთი წინაპირობის არსებობა: კერძოდ, მოპასუხე აპელანტის მიერ სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები იურიდიულად უნდა ამართლებდეს (ასაბუთებდეს) აპელანტის მოთხოვნას. სასამართლომ განმარტა, რომ ამ შემთხვევაში, სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები არ საჭიროებდა მტკიცებას, ისინი მიიჩნევა დადგენილად. ამდენად, სასამართლო არ იკვლევს და არ აფასებს მტკიცებულებებს, რომლებითაც დასტურდება სააპელაციო საჩივარში აღნიშნული გარემოებები და მიუთითებს ამ გარემოების დამტკიცებულად ცნობის პრეზუმფციაზე. თუმცა, პრეზუმფცია აქ არ ნიშნავს, რომ სასამართლომ იურიდიულად არ უნდა შეაფასოს დამტკიცებულად ცნობილი

ფაქტობრივ გარემოებები. პალატამ დაასკვნა, რომ კონკრეტულ შემთხვევაში სააპელაციო საჩივარი არ შეიცავდა იმგვარ ფაქტობრივ გარემოებებს, რომელთა დადასტურებულად მიჩნევა დაუსწრებელი გადაწყვეტილების ფარგლებში, განაპირობებდა სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებას და გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებას **(მდრ. სუსგ №1017-978-2016, 25 იანვარი, 2017)**.

ზურაბ კლიერიშვილი

232¹-ე მუხლი

მიზანი

მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპებიდან გამომდინარე, მხარეები სამოქალაქო პროცესში სარგებლობენ თანასწორი საპროცესო უფლებებით. კერძოდ, ნებისმიერ დაინტერესებულ პირს აქვს უფლება, მიმართოს სასამართლოს სარჩელით დარღვეული თუ სადავოდ ქცეული უფლების დასაცავად, ხოლო პირს, რომლის წინააღმდეგაც აღძრულია სარჩელი, შეუძლია თავი დაიცვას მისაგან. ამასთან, სარჩელის აღძვრა და ამ სარჩელისაგან თავდაცვა მიმდინარეობს კანონით განსაზღვრული წესითა და საშუალებების გამოყენებით.

სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს სარჩელისაგან მოპასუხის თავდაცვის ისეთ საშუალებას, როგორცაა შესაგებელი. მოპასუხის შესაგებელი წარმოდგენილი უნდა იყოს წერილობით. ერთმანეთისაგან განასხვავებენ პროცესუალურ-სამართლებრივ და მატერიალურ-სამართლებრივ შესაგებელს.

პროცესუალურ-სამართლებრივი შესაგებელი არის მოპასუხის მიერ ისეთ ფაქტობრივ გარემოებებზე მითითება, რომლებსაც სამოქალაქო საპროცესო სამართლის ნორმები უკავშირებს სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმას, საქმისწარმოების შეწყვეტას, სარჩელის განუხილველად დატოვებას ან საქმის დროებით შეჩერებას.

მატერიალურ-სამართლებრივი შესაგებელი არის სარჩელისაგან მოპასუხის თავდაცვის საშუალება ისეთ ფაქტებზე მითითებით, რომლებსაც მატერიალური სამართალი უკავშირებს სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე მთლიანად ან ნაწილობრივ უარის თქმას (**მოპასუხის შესაგებლის შესახებ, იხ. სსსკ-ის 201-ე მუხლის კომენტარი**).

თავი I. დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღება მოპასუხის მიერ შესაგებლის წარუდგენლობის გამო

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 და 102-ე მუხლები ითვალისწინებს სამართალწარმოებას მხოლოდ მხარეთა ინიციატივისა და პროცესუალური აქტიურობის საფუძველზე. ამ პრინციპის კონკრეტული გამოვლენაა მოპასუხის მიერ შესაგებლის წარმოდგენის სავალდებულო-

ბა. სანქცია ამ პროცესუალური ვალდებულების შეუსრულებლობისთვის გულისხმობს მხარის წინააღმდეგ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას.

შესაგებლის წარუდგენლობისას დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის ინსტიტუტს საფუძველი ჩაეყარა **2007 წლის 28 დეკემბერს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილებებით. სახელდობრ, კოდექსს დაემატა 232¹ მუხლი, რომლის პირველი წინადადების თანახმად, „მოპასუხის მიერ ამ კოდექსის 201-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილ ვადაში პასუხის (შესაგებლის) წარუდგენლობისას, თუ ეს გამონვეულია არასაპატიო მიზეზით, მოსამართლეს ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება“. ამდენად, კოდექსში ამ ცვლილებების შემდეგ, მოპასუხის მიერ პასუხის (შესაგებლის) წარმოდგენა სავალდებულო ხასიათს ატარებს (საქართველოს 28.12.2007 წლის კანონი N5669-სსმ). ეს გამოიხატება იმით, რომ მოპასუხის მიერ აღნიშნული საპროცესო ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მის მიმართ დგება არასასურველი საპროცესო-სამართლებრივი შედეგი, კერძოდ, საქმის განმხილველ მოსამართლეს ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება.**

ამასთან, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის ერთ-ერთ წინაპირობად კანონმდებელი არ ითვალისწინებს მოსარჩელის შუამდგომლობის არსებობას, როგორც განსაზღვრულია ამავე კოდექსის 230-ე მუხლის პირველი ნაწილით. **დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისათვის საკმარისია ისეთი პროცესუალური ნიშნების არსებობა, როგორცაა: სარჩელისა და თანდართული დოკუმენტაციის მოპასუხისათვის ჩაბარება სსსკ-ის 70-78-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით; და სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში მოპასუხის მიერ პასუხის (შესაგებლის) წარმოდგენლობა არასაპატიო მიზეზით. ამ ფაქტობრივი წინაპირობების კუმულაციურად არსებობა ქმნის დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის ფორმალურ წინაპირობას, ხოლო სარჩელის დაკმაყოფილების მიზნებისათვის, სახეზე უნდა იყოს ერთი დამატებითი პირობაც - სასარჩელო მოთხოვნის იურიდიული მართებულობა.**

ამ თვალსაზრისით, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის ვალდებულება შესაგებლის წარუდგენლობისა და საქმის ზეპირ განხილვაზე/სასამართლო სხდომაზე მოპასუხის გამოუცხადებლობისას, განსხვავდება ერთმანეთისგან. მეორე შემთხვევაში, სასამართლო ხელმძღვანელობს მოსარჩელის მითითებებით და მოპასუხის პირველ ჯერზე გამოუ-

ცხადებლობისას მხოლოდ მოსარჩელის შუამდგომლობის საფუძველზე გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

დაუსწრებელი გადაწყვეტილება თავისი იურიდიული ბუნებით არის სანქცია იმ მხარისათვის, რომელიც არ ცხადდება საქმის განხილვაზე (სსკ-ის 229-ე, 230-ე, 231-ე, 232-ე მუხლები) ანდა არ ახორციელებს თავის საპროცესო უფლებებს (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232¹ მუხლი), რითაც ქმნის ვარაუდს, რომ მან დაკარგა ინტერესი, შეენიანა-აღმდეგოს მის მიმართ აღძრულ სარჩელს (პრეზუმფცია). ასეთ შემთხვევაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XLVI თავში მოცემული წესით საქმის განხილვისას, სასამართლო მტკიცებულებებს არ იკვლევს: კანონის ძალით სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები ყოველგვარი კვლევისა და შემონმების გარეშე მიიჩნევა დადასტურებულად, და თუ მათი ერთობლიობა იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას, სარჩელი დაკმაყოფილდება. როცა სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად არ ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას, მოსამართლე ნიშნავს სხდომას, რის შესახებაც ეცნობებათ მხარეებს, ამ კოდექსის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით. სხდომის ჩატარების შემთხვევაში, მოპასუხისაგან მტკიცებულებათა მიღების გარეშე, სასამართლო მოისმენს მის მხოლოდ სამართლებრივ მოსაზრებებს სასარჩელო მოთხოვნაზე. „შესაგებლის წარუდგენლობა და საპროცესო მოქმედებათა შესასრულებლად გათვალისწინებული ვადის დარღვევა ... იწვევს პროცესის გაჭიანურებასა და ხარჯების გაზრდას. საქმის განხილვის დაჩქარება კი მნიშვნელოვანია საქმეთა დროულად განხილვისა და გადაწყვეტისთვის. მოპასუხემ დროულად უნდა შეასრულოს საპროცესო მოქმედებები, სწორედ კოდექსის 232¹ მუხლის საშუალებით” (მდრ. სუსგ №ას-357-333-2010, 04 ნოემბერი, 2010).

სსსკ-ის 232¹ მუხლით გათვალისწინებული შესაგებლის წარუდგენლობა მოპასუხის მიერ ერთგვარ პრეზუმციას ეფუძნება. ეს ნიშნავს, რომ შესაგებლის არასაპატიო მიზეზით წარუდგენლობისას არსებობს ვარაუდი, რომ მოპასუხემ აღიარა სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები. ასეთ დროს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა ზეპირი მოსმენის გარეშე არ ეწინააღმდეგება შეჯიბრებითობისა და მხარეთა თანასწორობის პრინციპებს, რადგან მოპასუხეს სრული შესაძლებლობა ჰქონდა, თანდართული მასალებით სარჩელის ჩაბარებისას საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში შესაგებლით გაექარწყლე-

ბინა მოსარჩელის მიერ მის მიმართ წაყენებული მოთხოვნები. მოპასუხეს ასევე შეეძლო, გონივრული ვადა მოეთხოვა შესაგებლისა და მტკიცებულებათა წარდგენისთვის, საპატიო მიზეზის არსებობის შემთხვევაში.

შესაგებლის წარუდგენლობის გამო დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა განპირობებულია საპროცესო ეკონომიის პრინციპით, რაც გულისხმობს საქმის დროულად, გაჭიანურების გარეშე გადაწყვეტას. ასეთ შემთხვევაში, გადაწყვეტილება, თუ არ გასაჩივრებულა, მალე შედის კანონიერ ძალაში და უმოკლეს ვადაში აღსრულდება. „სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232¹ მუხლი არის სანქცია მხარის მიერ საპროცესო უფლების განუხორციელებლობისათვის, მაგრამ უფრო მეტად, ამ ნორმით სასამართლო, დიდი ალბათობით, ვარაუდობს, რომ მოპასუხე ცნობს სასარჩელო მოთხოვნას, ან არა აქვს ინტერესი, შეენინა აღმდგოს სასარჩელო“ (*მდრ. სუსგ №ას-654-961-2009, 28 დეკემბერი, 2009*).

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ სსსკ-ის 230-ე მუხლი ითვალისწინებს შემთხვევას, როდესაც სასამართლო სხდომაზე მოპასუხის გამოუცხადებლობის შემთხვევაში, თუკი მოსარჩელე შუამდგომლობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას, ის დაკმაყოფილდება. ასეთ შემთხვევაში, უნდა შემოწმდეს სსსკ-ის 233-ე მუხლით გათვალისწინებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების დამაბრკოლებელი გარემოებების არსებობა. სსსკ არ შეიცავს რაიმე მითითებას, რომ მოპასუხის მიერ შესაგებლის წარდგენა და სარჩელის უარყოფა დააბრკოლებს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას სასამართლო სხდომაზე. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ განსახილველი შემთხვევა განსხვავდება დიდი პალატის მიერ განხილული საქმისაგან, რადგან ამ საქმეში დაუსწრებელი გადაწყვეტილება სააპელაციო ინსტანციას არ მიუღია და ის არც შესაგებლის წარუდგენლობით იყო განპირობებული. შესაბამისად, კასატორის პრეტენზია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოში წარადგინა შესაგებელი, რაც დავის მიმართ მოპასუხის იურიდიული ინტერესის არსებობაზე მიუთითებდა, სასამართლომ არ გაიზიარა. ასევე არ გაიზიარა კასატორის შუამდგომლობა საქმეზე ზეპირი მოსმენის აუცილებლობის შესახებაც. საკასაციო პალატამ მიუთითა ერთ-ერთ პრეცედენტულ გადაწყვეტილებაზე, რომელშიც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განიხილა განმცხადებლის პრეტენზია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმითა (საკუთრების უფლება) და მე-6 მუხლით მინიჭებულ (სამართლიანი სასამართლოს უფლება) უფლებათა დარღვევაზე (იხ. *Fredin v. Sweden, 18.02.1991*, განაცხადი N12033/86). განმცხადებლის პრეტენზია ეფუძნებოდა არგუმე-

ნტს, რომ იგი მოკლებული იყო საქმის განხილვაში მონაწილეობის საპროცესო სამართლებრივ შესაძლებლობას, ხოლო სამოქალაქო უფლებათა სრულყოფილად რეალიზების მიზნით, ყველასათვის ხელმისაწვდომი უნდა ყოფილიყო ზეპირი მოხსენების შესაძლებლობა და, შესაბამისად, საქმის მხარეთა დასწრებით განხილვა. ამ საქმეზე ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დადგინა: ვინაიდან მატერიალური თვალსაზრისით განმცხადებლის მოთხოვნა შეეხებოდა საკუთრების უფლებას, რომელიც სამართლებრივი ბუნებით „სამოქალაქო“ იყო, კონვენციის მე-6 მუხლით მინიჭებული უფლების დარღვევის საკითხიც სამოქალაქო ქრილში უნდა განხილულიყო. ეს ყოველივე ნათელს ჰფენდა იმას, რომ „წრფელი და ღრმავაროვანი“ კამათი (შეჯიბრი) მხარეთა შორის და საქმის განმხილველი სასამართლოს წინაშე, გადამწყვეტი იყო თითოეულის უფლებათა დასადგენად. თუმცა, სასამართლოს მოსაზრებით, მოცემული დავის სწორად გადაწყვეტისათვის საკვანძო საკითხი სწორედ ის იყო, რომ სავალდებულო მოთხოვნა „წრფელ და ღრმავაროვან“ ზეპირ განხილვაზე არ ვრცელდებოდა ზემდგომი და საბოლოო ინსტანციის სასამართლოში. ამ შემთხვევაში განიხილებოდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების კანონიერების საკითხი, რომელზეც ნამსჯელი ჰქონდა როგორც პირველი ინსტანციის სასამართლოს (საჩივრის ფარგლებში ზეპირი მოსმენით), ისე სააპელაციო სასამართლოს (მხარეთა დასწრებით). ამდენად, მხარეთა კონსტიტუციური უფლება მათივე მონაწილეობით საქმის განხილვაზე დაცულია: მხარეებმა სრულად ისარგებლეს შეჯიბრებითობის ეტაპზე მონაწილეობის უფლებით და საკასაციო ინსტანციის სასამართლოში ზეპირი მოსმენის გამართვის აუცილებლობა არ იკვეთებოდა (**მდრ. სუსგ №ას-577-577-2018, 22 ივნისი, 2018**).

სსსკ-ის 201-ე მუხლის მე-7 ნაწილის მიხედვით, სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში შესაგებლის არასაპატიო მიზეზით წარუდგენლობის შემთხვევაში, მოსამართლეს გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება ამ კოდექსის XXVI თავით დადგენილი წესით. სსსკ-ის 232¹-ე მუხლის თანახმად, მოპასუხის მიერ ამავე კოდექსის 201-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილ ვადაში პასუხის (შესაგებლის) წარუდგენლობისას, თუ ეს გამონვეულია არასაპატიო მიზეზით, მოსამართლეს ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ამასთანავე, მოსამართლე დააკმაყოფილებს სარჩელს, თუ მასში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას; წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსამართლე ნიშნავს სხდომას, რის შესახებაც ეცნობებათ მხარეებს ამ კოდექსის 70-ე–78-ე მუხლებით და-

დგენილი წესით. სხდომის ჩატარების შემთხვევაში, მოპასუხისაგან მტკიცებულებათა მიღების გარეშე, სასამართლო მოისმენს მის მხოლოდ სამართლებრივ მოსაზრებებს სასარჩელო მოთხოვნაზე. კასატორის წარმომადგენლის პრეტენზია, რომ 8 წელია, უნივერსიტეტს იურიდიულ მომსახურებას უწევს, რის გამოც, მისი განმარტებით, თავად იყო ვალდებული შესაგებლის წარდგენაზე, უსაფუძვლო და დაუსაბუთებელია. მოპასუხეს, როგორც იურიდიულ პირს, შეეძლო და ვალდებულიც იყო საკუთარი ინტერესების დასაცავად სასამართლოში წარმომადგენელი ჰყოლოდა, რომელიც უნივერსიტეტის წინააღმდეგ აღძრულ სარჩელზე შესაგებელს წარადგენდა სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში და დამსაქმებელს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანით სარჩელის დაკმაყოფილების საფრთხის წინაშე არ დააყენებდა. ის გარემოება, რომ აპელანტის წარმომადგენელი თავის მარწმუნებელს 8 წლის განმავლობაში უწევდა იურიდიულ მომსახურებას, ქმნის დასაბუთებულ ვარაუდს, რომ მოპასუხისათვის იმთავითვე ცნობილი იყო შესაგებლის წარდგენის სავალდებულობა სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში, ასევე, წარუდგენლობის სამართლებრივი შედეგებიც. აქედან გამომდინარე, ყოველგვარ სამართლებრივ საფუძველს მოკლებულია კასატორის წარმომადგენლის განმარტება, რომ სარჩელის ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში შესაგებლის წარდგენის ვალდებულება განჩინებით/გადაწყვეტილებით არ უცნობებიათ მისთვის, სასამართლოს შესაბამისი მოხელის მიერ შედგენილი აქტი კი ამისთვის საკმარისი არ იყო. საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ უნივერსიტეტის 8-წლიანი გამოცდილების მქონე წარმომადგენლისათვის, რომელიც, იმავდროულად, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრია და მისთვის განსახილველი საქმე პირველი არ იყო, ცნობილი უნდა ყოფილიყო სასამართლო პრაქტიკის შესახებ, რომ მოპასუხეს სარჩელსა და თანდართულ დოკუმენტებთან ერთად ეგზავნება სასამართლოს შესაბამისი მოხელის მიერ შედგენილი შეტყობინება, სადაც მითითებულია, რომ მოპასუხემ შესაგებელი სარჩელის ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში უნდა წარადგინოს; წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლო დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის საკითხს განიხილავს. დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, შესაგებლის წარდგენისათვის სასამართლო, როგორც წესი, 10-დღიან ვადას განსაზღვრავს (სსსკ-ის 201.1-ე მუხლი). ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოპასუხეს არ წარმოუდგენია არცერთი სამართლებრივად ვარგისი მტკიცებულება (სსსკ-ის 215.3-ე მუხლი), რომელიც გამორიცხავდა სასამართლოს მიერ დაუსწრებელი გა-

დანყვეტილების გამოტანას სსსკ-ის 233.3 მუხლის შესაბამისად (**შდრ. სუსგ №ას-14-14-2018, 04 მაისი, 2018**).

იმისათვის, რომ სასამართლომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანით დააკმაყოფილოს სარჩელი, მოსამართლე ვალდებულია, გამოარკვიოს, ამართლებს თუ არა კანონის ძალით დადგენილად მიჩნეული ფაქტობრივი გარემოებები მოთხოვნას იურიდიული თვალსაზრისით. მოთხოვნის იურიდიული მართებულობის კვლევა მოიაზრებს სასამართლოს მხრიდან დამფუძნებელი ნორმების სწორად მოძიებას, რომლებიც დავის გადაწყვეტის ფუნდამენტია და იძლევა ამა თუ იმ ურთიერთობის სამართლებრივი მონესრიგების აბსტრაქტულ შემადგენლობას. ნორმის მოძიების შემდგომ, სასამართლო ადგენს, აკმაყოფილებს თუ არა სარჩელში მითითებული იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტები დამფუძნებელი ნორმის აბსტრაქტულ აღწერილობას, რაც დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანით სარჩელის წარმატების საფუძველია. განსახილველ შემთხვევაში, სასამართლომ მიიჩნია, რომ სარჩელი იურიდიულად გამართლებული იყო; ამასთან, კასატორს სარჩელის იურიდიულ გამართულობაზე არანაირი პრეტენზია არ წარუდგენია და მოპასუხის მიერ შესაგებლის წარუდგენლობას სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში დაუკავშირდა სსსკ-ის 201-ე მუხლით გათვალისწინებული იურიდიული შედეგი (**იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-664-635-2016, 02 მარტი, 2017**).

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ამ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია ყველა ის ფაქტობრივი ნანამძღვარი, რომლებიც სსსკ-ის 232¹-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას განაპირობებს. საქმის მასალებით დადგინდა, რომ მოვალეს კრედიტორის სარჩელი სსსკ-ის 70-78-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით ჩაბარდა, რასაც თავად კასატორიც ადასტურებს და სადავოდ არ ხდის. მას შესაგებლის წარსადგენად 10-დღიანი ვადა განესაზღვრა, თუმცა, ამ დროში შესაგებელი არ წარუდგენია. **აღნიშნულს თავადაც ადასტურებს და განმარტავს, რომ შესაგებლის წარუდგენლობა გამოიწვია პროცესუალური საკითხების უცოდინრობამ და მოსარჩელის წარმომადგენლის მიერ მხარის (მოპასუხის) შეცდომაში შეყვანამ.** საკასაციო სასამართლომ უნდა დაადგინოს, რამდენად მართებულად შეაფასა სააპელაციო სასამართლომ რაიონული სასამართლოს მიერ დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების საპროცესო-სამართლებრივი წინაპირობები და არსებობდა თუ არა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების სსსკ-ით გათვალისწინებული საფუძვლები.

სსსკ-ის 233-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მოპასუხის მიერ პასუხის (შესაგებლის) წარუდგენლობის შემთხვევაში, დაუსწრებელი გადაწყვეტილებების გამოტანა დაუშვებელია, თუ სასამართლოსთვის ცნობილი გახდა დაუძლეველ ძალასა ან სხვა მოვლენებზე, რომლებსაც შეეძლო, ხელი შეეშალა სასამართლოში მხარის დროულად გამოცხადებისათვის; გამოუცხადებელ მხარეს დროულად არ ეცნობა საქმის ფაქტობრივი გარემოებები. სსსკ-ის 232¹-ე მუხლის თანახმად შესაგებლის წარუდგენლობის გამო, სასამართლოს გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება და სარჩელს დააკმაყოფილებს, თუ მასში მითითებული გარემოებები სასარჩელო მოთხოვნას იურიდიულად ამართლებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლო ნიშნავს სხდომას, თუმცა მოპასუხისაგან მტკიცებულებათა მიღების გარეშე მოისმენს მის მხოლოდ სამართლებრივ მოსაზრებებს სასარჩელო მოთხოვნაზე. განსახილველ შემთხვევაში, კასატორი სადავოდ ხდის არა იმ გარემოებას, რომ საპატიო მიზეზით ვერ წარადგინა შესაგებელი, არამედ იმას, რომ კრედიტორის წინაშე ნაკისრი ფულადი ვალდებულება ნაწილობრივ შეასრულა, რის გამოც სარჩელი მხოლოდ ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს. მოპასუხემ მასზე დაკისრებული საპროცესო ვალდებულება - შესაგებლის წარდგენა - დაარღვია; ამასთან, იგი საამისო საპატიო მიზეზს ვერ ასაბუთებს. ის გარემოება, რომ მოპასუხე და მისი მეუღლე იურისტები არ არიან, შესაგებლის წარუდგენლობით გამონვეულ სამართლებრივ შედეგებს ვერ შეუშუსუბუქებს მხარეს, რადგან საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესები ყველასთვის საერთოა. გარდა ამისა, სასამართლომ მოპასუხეს განუმარტა სარჩელის ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში შესაგებლის წარდგენის სავალდებულობის შესახებ და ისიც აცნობა, თუ რა სამართლებრივი შედეგი მოჰყვებოდა ამ ვადაში შესაგებლის წარუდგენლობას. ამას კასატორიც ადასტურებს, თუმცა აღნიშნავს, რომ სასამართლოს მითითება ვადის გასვლის შემდეგ აღმოაჩინა, რაც დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი ვერ გახდება. კასატორის პრეტენზიაზე, რომ მისთვის საკანონმდებლო მონესრიგება უცნობი იყო, შეიძლება მაშინ ემსჯელოთ, თუ სასამართლო თავის ვალდებულებას დაარღვევდა და მხარეს სათანადოდ არ გააფრთხილებდა. ეს განსახილველ შემთხვევაში არ გამოვლენილა. აქედან გამომდინარე, კასატორის მტკიცება, რომ შესაგებლის წარდგენის სავალდებულობის შესახებ არ იცოდა, იურისტი არ იყო და მოსარჩელის წარმომადგენელმა შეცდომაში შეიყვანა, უსაფუძვლოა და კანონსაწინააღმდეგო; შესაბამისად, საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა (**მდრ. სუსგ №ას-629-629-2018, 13 ივლისი, 2018**).

სსსკ-ის 232¹-ე მუხლის თანახმად, მოპასუხე, რომელიც სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში შესაგებელს არასაპატიო მიზეზით არ წარადგენს, კარგავს უფლებას, რომ მტკიცებულებებით მიმართოს სასამართლოს. მას მხოლოდ სამართლებრივი მოსაზრების გამოთქმის უფლება რჩება, ისიც მაშინ, თუ სასამართლო სარჩელს იურიდიულად გამართლებულად არ მიიჩნევს და სხდომას დანიშნავს (*მდრ. სუსგ №ას-629-629-2018, 13 ივლისი, 2018; იხ. აგრეთვე: სუსგ №ას-341-319-2017, 23 ივნისი, 2017; №ას-1250-1172-2015, 05 თებერვალი, 2016; №ას-317-302-2015, 17 ივნისი, 2015 ; №ას-1082-1032-2014, 30 ივლისი, 2015 ; №ას-535-509-2013, 24 მარტი, 2014*).

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232¹ მუხლის თანახმად, მოპასუხის მიერ ამ კოდექსის 201-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილ ვადაში პასუხის (შესაგებლის) წარუდგენლობისას, თუ ეს გამონეუულია არასაპატიო მიზეზით, მოსამართლეს ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ამასთანავე, იგი დააკმაყოფილებს სარჩელს, თუ მასში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსამართლე ნიშნავს სხდომას, რის შესახებაც ეცნობებათ მხარეებს ამ კოდექსის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით. სხდომის ჩატარების შემთხვევაში, მოპასუხისაგან მტკიცებულებათა მიღების გარეშე, სასამართლო მოისმენს მოპასუხის მხოლოდ სამართლებრივ მოსაზრებებს სასარჩელო მოთხოვნაზე. ზემოაღნიშნული ნორმის მიზნებისათვის, შესაგებლის შეუტანლობის მოტივით დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისათვის უნდა არსებობდეს კანონმდებლობით გათვალისწინებული წინაპირობები. მათგან თუნდაც ერთ-ერთის არარსებობა იწვევს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე უარის თქმას და მხარეთა დაბარებას სასამართლო სხდომაზე. ასეთ შემთხვევაში, განსხვავებულია მოპასუხის უფლებრივი მდგომარეობა. კერძოდ, მოპასუხისაგან მტკიცებულებები არ მიიღება და სამართლებრივი ბალანსი იმგვარია, რომ მას უფლება მხოლოდ სამართლებრივი შესაგებლის წარდგენაზე აქვს, ანუ თავდაცვის საპროცესო საშუალება მხოლოდ მოთხოვნასთან მიმართებით მისი სამართლებრივი მოსაზრებით შემოიფარგლება (*იხ. სუსგ №ას-1250-1172-2015, 5 თებერვალი, 2016 წელი*).

განსახილველ შემთხვევაში დადგინდა და არც კასატორებისთვის არის სადავო ის გარემოება, რომ სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში მოპასუხეებს სარჩელზე შესაგებელი არ წარუდგენიათ. საკასაციო სასამართლომ გაიზიარა სააპელაციო პალატის დასკვნა, რომ შესაგებლის წა-

რუდგენლობის საპატიო მიზეზად არ შეიძლება ჩაითვალოს მოპასუხეთა მიერ იმ გარემოების მითითება, რომ საპროცესო ვადის დარღვევა გამოიწვია გზავნილის შინაარსში გაურკვეველობამ. სასამართლო, საქმეში არსებული მასალების საფუძველზე, დადასტურებულად მიიჩნევს, რომ გზავნილში, რომელიც ჩაბარდათ მოპასუხეებს, ნათლად და გარკვევით არის განმარტებული სარჩელზე შესაგებლის წარუდგენლობის შედეგები. ამასთან, საკასაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის მე-3 მუხლის მეორე ნაწილზე, რომლის შესაბამისად, დადგენილია, რომ კანონის არცოდნა ან მისი არასათანადოდ გაგება არ შეიძლება იყოს კანონის გამოუყენებლობის ანდა ამ კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველი. შესაბამისად, კასატორთა ზემოაღნიშნული პრეტენზია, როგორც დაუსაბუთებელი და უსაფუძვლო, არ შეიძლება გახდეს მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმისწარმოების განახლების საფუძველი (*იხ. სუსგ №ას-473-441-2017, 03 ივლისი, 2017 წელი*).

კასატორი დაუსწრებელ გადაწყვეტილებას სადავოდ ხდიდა იმ საფუძველითაც, რომ მის მიერ შესაგებლის დაგვიანებით წარდგენა გამოიწვია სარჩელისა და თანდართული საბუთების არაუფლებამოსილი პირისათვის ჩაბარებამ: კერძოდ, გზავნილი ჩაიბარა ორგანიზაციის ოპერატორმა, რომელმაც გვიან გადასცა იგი ხელმძღვანელობას. ამ შემთხვევაში, საკასაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია და არც კასატორს წარმოდგენია საწინააღმდეგო პრეტენზია (შედავება), რომ გზავნილის მიმღები პირი იყო ორგანიზაციის ოპერატორი, რომელიც, როგორც წესი, იბარებდა კომპანიაში შესულ კორესპონდენციას. თუმცა კონკრეტულ შემთხვევაში მან დააგვიანა კორესპონდენციის გადაცემა საწარმოს დირექტორისთვის, რაც შესაგებლის დაგვიანებით წარდგენის მიზეზი გახდა. საკასაციო სასამართლომ გაიზიარა სააპელაციო პალატის მსჯელობა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232¹ მუხლის შესაბამისად, არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის საფუძველი. ამგვარად, მხარემ ვერ წარადგინა დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმისწარმოების განახლების წინაპირობაა (*იხ. სუსგ №ას-697-668-2016, 09 თებერვალი, 2017*).

საკასაციო პალატამ დაუდასტურებლად მიიჩნია საჩივარსა და საკასაციო საჩივარში მითითებული გარემოებები, კერძოდ, მოპასუხის მიერ შესაგებლის დადგენილ ვადაში წარუდგენლობის საპატიო მიზეზის თაო-

ბაზე. კასატორის (საჩივრის ავტორის) მითითება, რომ სასამართლოს მიერ შესაგებლის წარდგენისათვის განსაზღვრულ ვადაში იგი, შვილის ავადმყოფობის გამო, იმყოფებოდა სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის შესაბამისად, რაიმე მტკიცებულებით გამყარებული არ არის. საკასაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ მოპასუხეს სარჩელი თანდართული მასალებით გაეგზავნა და პირადად ჩაბარდა, ხოლო წერილობითი პასუხის (შესაგებლის) სასამართლოში წარმოდგენის 10-დღიანი ვადა ისე ამოიწურა, რომ მოპასუხეს შესაგებელი არ წარუდგენია და არც ამის საპატიო მიზეზები უცნობებია სასამართლოსთვის. შესაბამისად, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოცემულ საქმეზე საქალაქო სასამართლომ მართებულად მიიღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რაც ასევე მართებულად დარჩა ძალაში სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინებით, ხოლო მხარემ კი ვერ წარადგინა დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია, რაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ამ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმისწარმოების განახლების წინაპირობა გახდებოდა (იხ. სუსგ №ას-1165-1085-2017, 07 მარტი, 2018).

თავი II. სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში მოწინააღმდეგე მხარის მიერ შესაგებლის წარუდგენლობისა და დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დაუშვებლობა

ყურადღება გასამახვილებელია შესაგებლისთვის დამახასიათებელ თავისებურებებზე, რომლებიც განპირობებულია უშუალოდ სააპელაციო საჩივრის ინსტიტუტისა და, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს ქართული მოდელის განსხვავებულობით. განარჩევენ აპელაციის ორ ძირითად სახეს: **სრული (შეუზღუდავი) აპელაცია და არასრული (შეზღუდული) აპელაცია**. (იხ. დამატებით: თ. ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბილისი, 2005, გვ. 456-458).

სრული (შეუზღუდავი) აპელაციის შემთხვევაში, მხარეებს შეუზღუდავად შეუძლიათ, მიუთითონ ახალი ფაქტობრივი გარემოებები და წარმოადგინონ ახალი მტკიცებულებები, რომლებიც არ ჰქონდათ საქმის განხილვისას პირველი ინსტანციის სასამართლოში. სრული აპელაციის დროს სააპელაციო სასამართლო ხელმეორედ განიხილავს საქმეს და, როგორც წესი, არასდროს არ აბრუნებს მას ხელახლა განსახილველად პირველი ინსტანციის სასამართლოში. სრული აპელაცია უარყოფით გავლენას

ახდენს პირველი ინსტანციის სასამართლოზე, რომელმაც არ იცის, რას მოიმოქმედებენ მხარეები სააპელაციო სასამართლოში, რომელ ახალ ფაქტებსა და მტკიცებულებებს წარუდგენენ სააპელაციო სასამართლოს და რა სამართლებრივი ბედი ეწევა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას. ამ სახის აპელაცია უზრუნველყოფს მხარეთა აქტიურობას სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას, მაგრამ ამას ვერ ახერხებს პირველი ინსტანციის სასამართლოში, რადგან სრული (შეუზღუდავი) აპელაციის დროს მხარეები მთელ თავის იმედებს ამყარებენ სააპელაციო სასამართლოზე. ამიტომ, ხშირად, ტაქტიკური თუ სხვა მოსაზრებებით, არ უთითებენ საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვან ფაქტებზე, არ წარუდგენენ პირველი ინსტანციის სასამართლოს მათ ხელთ არსებულ მტკიცებულებებს და ა.შ. ასეთი ვითარება, საბოლოო ჯამში, იწვევს როგორც პირველი ინსტანციის სასამართლოს ფუნქციის შესუსტებას, ასევე, საქმის გადაწყვეტის უზომოდ გაჭიანურებას. შესაბამისად, სრული (შეუზღუდავი) აპელაცია არის პირველი ინსტანციის სასამართლოს გამეორება და არა გაგრძელება.

არასრული (შეზღუდული) აპელაციის შემთხვევაში, ახალი ფაქტებისა და მტკიცებულებების წარდგენა დასაშვებია მხოლოდ კანონით გათვალისწინებული პირობების არსებობისას (საპატიო მიზეზები).

სააპელაციო ინსტანციაში შესაგებლის წარუდგენლობის გამო, დაუსწრებელი გადაწყვეტილების **გამოტანის დაუშვებლობასთან მიმართებით**, საჭიროა გაანალიზდეს სააპელაციო ინსტანციაში წარსადგენი შესაგებლის არსი, სააპელაციო სასამართლოს სამართლებრივ ბუნებასთან კავშირში.

სსსკ-ის 387-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილები ითვალისწინებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობას, თუ საქმის ზეპირ განხილვაზე არ გამოცხადდება აპელანტი ან მისი მოწინააღმდეგე მხარე, ხოლო, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ყველა სხვა შემთხვევაში გამოიყენება ამ კოდექსში ჩამოყალიბებული ნორმები პირველი ინსტანციის სასამართლოში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ. აუცილებელია, დადგინდეს მიზანი, რომელიც სამართლის ნორმის საფუძველია (სსსკ-ის 387-ე მუხლის მე-3 ნაწილი). არ შეიძლება სამართლის ნორმის იმგვარი განმარტება, რომელიც შეენიანაღმდეგება კანონის ნებას და იმ მიზნებს, რომელთა მიღწევასაც უზრუნველყოფს გამოსაყენებელი სამართლებრივი ნორმა. ხშირ შემთხვევაში, ამ მიზნის დადგენა მოითხოვს მის ნაკითხვას

სხვა ნორმებთან კავშირში, რომლებთან ერთადაც ის ქმნის სამართლებრივი მოწესრიგების მექანიზმს.

სააპელაციო სამართალწარმოებაში ძირითადად მოქმედებს სპეციალური საპროცესო ნორმები, რომლებიც მიზნად ისახავს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების (განჩინების) სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრებასთან დაკავშირებული ურთიერთობების მოწესრიგებას. ამის გათვალისწინებით, სსსკ-ის 387-ე მუხლის მე-3 ნაწილის განმარტება შეუძლებელია იმ ნორმებისაგან განცალკევებულად, რომლებიც განსაზღვრავს სააპელაციო სასამართლოს ინსტანციურ თავისებურებებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, პირველი ინსტანციის სასამართლოსათვის დადგენილი ნორმების ფართოდ გამოყენებას შესაძლებელია მოჰყვეს პირველი ინსტანციის გამეორება სააპელაციო სასამართლოში, რაც ეწინააღმდეგება სააპელაციო სასამართლოს ქართული მოდელის არსს.

სააპელაციო სასამართლო განიხილავს მხარეთა მიერ სადავოდ მიჩნეული პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერებასა და დასაბუთებულობას. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი განსაზღვრავს სააპელაციო წარმოების წესსა და ფარგლებს. ამავე დროს, იმპერატიულად ადგენს, რომ სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილია, სააპელაციო საჩივრის დასაბუთება შეამოწმოს მხოლოდ იმ ფაქტობრივი გარემოებებისა და იმ მტკიცებულებების მიხედვით, რომლებიც წარდგენილი იყო და შემოწმდა პირველი ინსტანციის სასამართლოში. ახალი ფაქტებისა და მტკიცებულებების წარდგენა სააპელაციო სასამართლოში დასაშვებია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ გამონაკლის შემთხვევებში.

შესაბამისად, მხარეთა აქტიურობა უფლებებისა და ინტერესების დასაცავად უზრუნველყოფილი და ეფექტიანია საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოში განხილვისას, ხოლო სააპელაციო სასამართლოში ის შეზღუდულია თვით სააპელაციო სამართალწარმოების შეზღუდვის გამო. ამ მოსაზრების ნათელი დადასტურებაა სსსკ-ის 377, 380, 381, 382, 384 მუხლები, რომლებიც, ფაქტობრივად, გამორიცხავს სააპელაციო სასამართლოში საქმის ხელმეორედ განხილვის შესაძლებლობას და განხილვისთვის ადგენს მკაცრად შეზღუდულ ფარგლებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საყურადღებოა სსსკ-ის 372-ე მუხლი. ამ ნორმის თანახმად, საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარიმართება იმ წესების დაცვით, რომლებიც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, ასევე, სააპელაციო სასა-

მართლოს საქმისწარმოების თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით. ამდენად, ამ ნორმაში გათვალისწინებული ტერმინები - „ცვლილებებითა“ და „დამატებებით“ - მიუთითებს სააპელაციო სასამართლოს ინსტანციურ თავისებურებებზე, რომელთა შეცვლაც დაუშვებელია და მხოლოდ მათი გათვალისწინებით (და არა უგულებელყოფით) შეიძლება პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისთვის დადგენილი წესების დაცვა.

სსსკ-ის 372-ე მუხლი განსაზღვრავს პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის დადგენილი წესების გამოყენების ფარგლებს. ამ წესების გამოყენება შეზღუდულია სააპელაციო სასამართლოს მიზნებით და საქმისწარმოების თავისებურებებით. მაშასადამე, სსსკ-ის 387-ე მუხლის 3-ე ნაწილს სისტემური ლოგიკური კავშირში აქვს სსსკ-ის 372-ე მუხლთან.

სსსკ-ის 387-ე მუხლის მე-3 ნაწილი შეიძლება ორ კომპონენტად დაიყოს: ფაქტობრივი ნაწილი, რომელიც ივარაუდება ამ ნორმით; და სამართლებრივი შედეგი, რომელიც მოჰყვება ფაქტობრივ ქცევას. განსახილველ მუხლში მოცემულია პირობა, რომლის არსებობისას შესაძლებელია დადგეს იურიდიული შედეგი - დაუსწრებელი გადაწყვეტილება. დაუსწრებელი გადაწყვეტილების შესაძლო გამოტანისთვის უნდა არსებობდეს შემდეგი პირობები: საქმის ზეპირ განხილვაზე მხარის (აპელანტი, მისი მონინალმდეგე) გამოუცხადებლობა; და გამოცხადებული მხარის (აპელანტი, მისი მონინალმდეგე) სასამართლოსთვის მიმართვა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თხოვნით. სსსკ-ის 387-ე მუხლის მე-3 ნაწილი ავსებს და არ „აუქმებს“ პირველი და მეორე ნაწილებით დადგენილ წესს. პირველი და მეორე ნაწილებით დადგენილი გარემოებები (საქმის ზეპირ განხილვაზე მხარის გამოუცხადებლობა და ა.შ.) ნაგულისხმევია სსსკ-ის 387-ე მუხლის მე-3 ნაწილით, ხოლო ამ ნორმაში მითითებული სიტყვები „სხვა შემთხვევაში“ უნდა გავიგოთ, როგორც ზუსტად ის შემთხვევები, რომლებიც საქმის ზეპირ განხილვაზე მხარის გამოუცხადებლობასთან ერთად, იწვევს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას, რაც არ არის მითითებული სსსკ-ის 387-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით (მაგ.: დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს მოთხოვნას; ორივე მხარის გამოუცხადებლობის შედეგები; დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი და ა.შ.). აღნიშნული ნორმების ანალიზიდან გამომდინარე, ნათელია, რომ შესაგებლის წარუდგენლობა და საქმის ზეპირ განხილვაზე გამოუცხადებლობა სხვადასხვა პირობე-

ბია, რომლებიც გათვალისწინებულია სამართალწარმოების სხვადასხვა სტადიაზე. რაკი სსსკ-ის 387-ე მუხლი სპეციალურია, მის მე-3 ნაწილში მითითებული სიტყვების „სხვა შემთხვევაში“ ფართო განმარტება არ შეიძლება იმ შემთხვევების გათვალისწინებლად, რომლებიც დადგენილია სსსკ-ის 372-ე მუხლით.

სსსკ-ის 380-ე მუხლიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლო იშვიათად არის ფაქტების დამდგენი ინსტანცია, იმის გათვალისწინებით, რომ ახალი ფაქტებისა და მტკიცებულებების წარდგენა სააპელაციო სასამართლოში დაიშვება მხოლოდ კანონით განსაზღვრულ გამონაკლის შემთხვევაში. ზემოაღნიშნულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ სააპელაციო საჩივარზე შესაგებლის წარუდგენლობა ხელს არ უშლის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანაში, ვინაიდან პირველი ინსტანციის სასამართლოში მხარეები სარგებლობენ ფართო საპროცესო უფლებებით და წარადგენენ საქმისთვის საჭირო ყველა იმ მტკიცებულებას, რომლებსაც მნიშვნელოვნად მიიჩნევენ თავიანთი მოთხოვნისა თუ შესაგებლის დასაცავად. შესაბამისად, სარჩელსა თუ შესაგებელში, ასევე, კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით, ნათლად გამოხატავენ საკუთარ პოზიციას, რაც სრულად მოცემულია საქმის მასალებში.

მტკიცებითი საქმიანობა სააპელაციო სასამართლოში შეზღუდულია. შესაბამისად, ამ მხრივ პროცესუალური შესაძლებლობა სააპელაციო სასამართლოში შესაგებელია. სააპელაციო სასამართლოში მტკიცებულებითი საქმიანობის თავისებურებათა გათვალისწინებლად, შეუძლებელი იქნება სააპელაციო საჩივრის წინააღმდეგ წარსადგენი შესაგებლის ინსტიტუტის სწორად შეფასება და, შესაბამისად, მისი წარმოუდგენლობის შედეგების სწორად განსაზღვრა. მისი არსებობა ნაკარნახევია სააპელაციო საჩივრის ინსტიტუტით, რომელიც დამახასიათებელია სააპელაციო სასამართლოს ქართული მოდელისათვის. იმის გათვალისწინებით, რომ სააპელაციო საჩივრის წინააღმდეგ მიმართული შესაგებელი უკავშირდება მტკიცებულებით საქმიანობას პირველი ინსტანციის სასამართლოში, დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და მათ სამართლებრივ კვალიფიკაციას, ე.ი. **წარსულში უკვე შედავებულ და გამოკვლეულ ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძვლებს, აპელანტის მოწინააღმდეგე მხარის მიერ სააპელაციო სასამართლოში შესაგებლის წარუდგენლობას არ მოჰყვება პირველ ინსტანციის სასამართლოში შესაგებლის წარუდგენლობის შედეგები - ანუ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა.** ამ ტიპის შესაგებლის წარუდგენლობა არ შეიძლება გახდეს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის საფუძველი, რა-

დგან დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისას მოქმედებს პრეზუმფცია, რომელიც ეხება ფაქტს, მტკიცების წესს და არა სამართალს. შესაბამისად, სსსკ-ის 387-ე მუხლის მე-3 ნაწილის ფართო განმარტება (ნორმის გავრცელება ისეთ ფაქტობრივ გარემოებებზე, რომლებიც უცხოა სააპელაციო სამართალწარმოებისათვის) დაუშვებელია.

სააპელაციო შესაგებელი, როგორც მტკიცებითი საქმიანობის საპროცესო საშუალება, არ შეიძლება გაიგივდეს სარჩელის წინააღმდეგ მიმართულ შესაგებელთან. სსსკ-ის 201-ე მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინებული შესაგებლის წარუდგენლობის ფაქტი თავისთავად განსაზღვრავს მტკიცების საგანს, რადგან სარჩელში მითითებული ფაქტების მტკიცებისაგან თავისუფლდება მოსარჩელე. აღნიშნული ფაქტი შეიძლება იყოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის წინაპირობა. შესაბამისად, სააპელაციო შესაგებლის წარუდგენლობას საქმის მომზადების ეტაპზე, როგორც იურიდიულ ფაქტს, არ შეიძლება მოჰყვეს ისეთივე შედეგები, რადგან აპელაციაში მტკიცებითი საქმიანობის თავისებურებიდან გამომდინარე, განიხილება იგივე სადავო მატერიალურ-სამართლებრივი ფაქტები და მტკიცებულებები, ხოლო ამ სტადიაზე შესაგებლის წარუდგენლობით არ განისაზღვრება პირველ ინსტანციაში შესაგებლის წარუდგენლობის მსგავსად მტკიცების საგანი.

სააპელაციო საქმისწარმოების მომწესრიგებელი ნორმებით შესაგებლის წარუდგენლობისას დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუთვალისწინებლობა ნიშნავს ე.წ. კანონმდებლის კვალიფიციურ დუმისს. ზუსტად ეს პრინციპები უნდა გავითვალისწინოთ სსსკ-ის 387-ე მუხლის მე-3 ნაწილის განმარტებისას, რომელიც მოიცავს არა დისკრეციულ, არამედ ნორმატიულ ფაქტობრივ შემადგენლობას. ეს, თავისთავად, ითვალისწინებს არა პირველ ინსტანციის სასამართლოში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის წესების უპირობოდ „გადმოღებას“, არამედ, მისი ნორმატიული ბუნების გათვალისწინებით, დაუსწრებელი გადაწყვეტილების წინაპირობების სწორ დიფერენცირებას სააპელაციო საქმისწარმოების შეფასებით.

დიდმა პალატამ აღნიშნა, რომ სსსკ-ის 387-ე მუხლს (1997 წლის 14 ნოემბრის რედაქცია) არ შეეხებია არც 2007 და არც 2010 წლის საკანონმდებლო ცვლილებები და მისი გავრცელება დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის სპეციალურ საფუძველზე - შესაგებლის წარუდგენლობაზე - საკანონმდებლო ტექნიკითაც, სპეციალური დათქმის გარეშე, დაუშვებელია. დიდმა პალატამ მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოში საქმისწარმოებისას სსსკ-ის 232¹ მუხლით გათვალისწინებული დანაწე-

სის გამოყენებაზე დათქმის არარსებობა კანონის ხარვეზს არ წარმოადგენს და ამით კანონმდებელმა სწორად და საფუძვლიანად გააანალიზა სააპელაციო სასამართლოში საქმეთა განხილვის სპეციფიკა და დაუსწრებელი გადაწყვეტილების არსი. განსაკუთრებით გასათვალისწინებელია გარემოება, რომ აპელანტის მონინალმდეგე მხარის პოზიცია, გარდა პირველ ინსტანციაში მის მიერ წარდგენილი მტკიცებულებებისა და ეფექტიანად გამოყენებული უფლების დაცვის საშუალებებისა, გამყარებულია პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით - უფლების დაცვის შესახებ მიღებული მართლმსაჯულების აქტით. სასამართლო გადაწყვეტილების მიმართ მხარეთა კანონიერი ნდობა ბუნებრივად განაპირობებს საქმეში მონაწილე მხარეთა რწმენას გადაწყვეტილების სამართლებრივ დასაბუთებულობასა და კანონიერებაზე. ასეთ პირობებში, მხარე, რომელიც ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების ფაქტობრივ და სამართლებრივ დასაბუთებას, ლოგიკურად და მართებულადაც ასკვნის, რომ სასამართლოს მიერ მის სასარგებლოდ გამოტანილი გადაწყვეტილების მოტივაცია საკმარისი უნდა იყოს სააპელაციო სასამართლოში მისი უფლებების დასაცავად და პოზიციის გამოსახატავად. დიდმა პალატამ დაასკვნა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს სააპელაციო ინსტანციაში სამოქალაქო საქმისწარმოებისას სააპელაციო საჩივარზე აპელანტის მონინალმდეგე მხარის მიერ შესაგებლის წარუდგენლობის გამო დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობას. შესაბამისად, შესაგებლის წარმოუდგენლობის გამო, სააპელაციო სასამართლოში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა მიზანშეუწონელია **(მდრ. სუს-ს დიდი პალატის განჩინება საქმეზე №ას-121-117-2016, 17 მარტი, 2016).**

საკასაციო პალატამ არ გაიზიარა კასატორის პრეტენზია, რომ მონინალმდეგე მხარის მიერ შესაგებლის წარუდგენლობის გამო, სააპელაციო სასამართლოს უნდა გამოეტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება. მან მიუთითა უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის განჩინებაზე, რომელმაც დაუშვებლად მიიჩნია შესაგებლის წარუდგენლობის გამო სააპელაციო სასამართლოში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა. კერძოდ, დიდმა პალატამ განმარტა: „იმის გათვალისწინებით, რომ სააპელაციო საჩივრის წინააღმდეგ მიმართული შესაგებელი უკავშირდება პირველი ინსტანციის სასამართლოში განხორციელებულ მტკიცებულებით საქმიანობას, დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებსა და ამ ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივ კვალიფიკაციას, ე.ი. წარსულში უკვე შე-

დავებულ და გამოკვლეულ ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძვლებს, აპელანტის მონინალმდეგე მხარის მიერ სააპელაციო სასამართლოში შესაგებლის წარუდგენლობას არ მოჰყვება პირველ ინსტანციის სასამართლოში შესაგებლის წარუდგენლობის შედეგები - ანუ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა. ამ ტიპის შესაგებლის წარუდგენლობა არ შეიძლება გახდეს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის საფუძველი, რადგან დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისას მოქმედებს პრეზუმფცია, რომელიც ეხება ფაქტს, მტკიცების წესს, და არა სამართალს. შესაბამისად, სსსკ-ის 387-ე მუხლის მე-3 ნაწილის ფართო განმარტება, ნორმის გავრცელება ისეთ ფაქტობრივ გარემოებებზე, რომლებიც უცხოა სააპელაციო სამართალწარმოებისათვის, დაუშვებელია“ (შდრ. სუსგ №ას-441-423-2016, 28 ივლისი, 2016; იხ.სუსგ №ას-138-130-2017, 05 მაისი, 2017).

ზურაბ ძლიერიშვილი

233-ე მუხლი

მიზანი

სასამართლო სხდომაზე მხარის გამოუცხადებლობის მიუხედავად, საქართველოს საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს იმ შემთხვევებშიც, სადაც დაუშვებელია დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა სხდომაზე გამოუცხადებელი მხარის წინააღმდეგ. ეს ნიშნავს, რომ თუ სასამართლოსათვის ცნობილი გახდება დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის ერთ-ერთი წინაპირობის არსებობა, იგი გამოიტანს განჩინებას საქმის განხილვის სხვა დროისთვის გადადებაზე.

არ არის გამორიცხული, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის წინაპირობები ობიექტურადაც არსებობდეს (მაგ.: მხარის ავტოსაგზაო შემთხვევა, ავად ყოფნა და სხვა), მაგრამ არ იყოს ცნობილი სასამართლოსათვის და ამიტომაც გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ასეთ შემთხვევაში, დაუსწრებელი გადაწყვეტილება შეიძლება კანონით დადგენილი წესით გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს.

თავი I. დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დაუშვებლობა სსსკ-ის 70-78-ე მუხლების მოთხოვნათა დარღვევის შემთხვევაში

მხარის ერთ-ერთი ფუნდამენტური საპროცესო უფლებაა მონაწილეობა საქმის განხილვაში. ამ უფლებას შეესაბამება სასამართლოს მოვალეობა, შეატყობინოს მხარეს საქმის განხილვის დროისა და ადგილის შესახებ, სსსკ 70–78-ე მუხლებით დადგენილი წესით. საქმის განხილვა და გადაწყვეტა მხარის შეუტყობინებლად, უნდა დაკვალიფიცირდეს, როგორც საქმის განხილვა მხარის მონაწილეობის გარეშე, მის დაუსწრებლად, რაც გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველი (სსკ 394-ე მუხლი) და საქმისწარმოების განახლების საფუძველია (სსსკ-ის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი). (იხ. თ. ლილუაშვილი, სამოქალაქო საქმეთა წარმოება სასამართლოში, პრაქტიკული სახელმძღვანელო, თბილისი, 2001, 182-183).

რამდენადაც პროცედურული წესები მოდავე მხარეთათვის თანაბარ უფლება-მოვალეობებს ითვალისწინებს, სასამართლოს მიერ მათი ზედმინევი დაცვა აუცილებელია, რაც ნორმის განსაკუთრებით მკაცრ განმარტებად არ უნდა შეფასდეს. ამგვარი მიდგომა განმტკიცებულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლითაც: მხარეთა თანასწორობის პრინციპი, რომელიც საქმის სამართლიანი სასამართლო განხილვის უფრო ფართო ცნების ერთ-ერთი ელემენტია, მოითხოვს, რომ თითოეულ მხარეს მიეცეს გონივრული შესაძლებლობა, წარმოადგინოს მისი საქმე ისეთ პირობებში, რომლებიც მას არ აყენებს არსებითად არამომგებიან პოზიციაში თავის ოპონენტთან შედარებით (*Nideröst-Huber v. Switzerland; Kress v. France; Gorraiz Lizarraga and Others v. Spain*). ამასთან, ევროპული სასამართლოს განმარტებით, კონვენციის მე-6 მუხლი მოითხოვს და საშუალებას აძლევს სახელმწიფოებს, მოაწყონ თავიანთი სამართლებრივი სისტემები იმგვარად, რომ ხელი შეუწყონ სწრაფ და ეფექტიან საქმისწარმოებას, გადაწყვეტილებების დაუსწრებლად გამოტანის შესაძლებლობის ჩათვლით (*Aždajić v. Slovenia*); თუმცა ეს არ შეიძლება განხორციელდეს სხვა სამართლებრივი გარანტიების, განსაკუთრებით, მხარეთა თანასწორობის პრინციპის ხარჯზე (*შდრ. სუსგ №ას-930-888-2013, 19 ივნისი, 2015*).

სსსკ-ის 70-ე მუხლის პირველ ნაწილის თანახმად, მხარეს ან მის წარმომადგენელს სასამართლო უწყებით ეცნობება სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი. უწყება მხარისა და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი მიეწოდება ერთ-ერთ მათგანს, ან ამ კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტებს (ჩაბარების განსხვავებულ, გონივრულ წესზე მხარეთა შეთანხმების არსებობისას – ამ შეთანხმებით გათვალისწინებული წესით). წარმომადგენელი ვალდებულია, უწყების ჩაბარების შესახებ აცნობოს მხარეს. სასამართლო უწყებით სასამართლოში იბარებენ აგრეთვე მოწმეებს, ექსპერტებს, სპეციალისტებსა და თარჯიმნებს. ამავე მუხლის მე-3 ნაწილით, მხარეები, მათი წარმომადგენლები, მოწმეები, ექსპერტები, სპეციალისტები და თარჯიმნები შეიძლება დაიბარონ ტელეფონით, ფაქსით და სხვა ტექნიკური საშუალებით, ანდა მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული ჩაბარების განსხვავებული წესით. ტექნიკური საშუალებით დაბარებისას მიეთითება ამ კოდექსის 72-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული საკითხები, ხოლო 73-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში, აგრეთვე დგება აქტი, რომელიც ჩაიკერება საქმეში. აქტს ადგენს სასამართლოს

შესაბამისი მოხელე. ამავე კოდექსის 72-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, უწყება უნდა შეიცავდეს: ა) სასამართლოს სახელწოდებასა და ზუსტ მისამართს; ბ) მითითებას გამოცხადების დროისა და ადგილის შესახებ, ხოლო თუ უწყება ეგზავნება წარმომადგენელს – აგრეთვე მითითებას, რომ იგი ვალდებულია, აცნობოს ამის შესახებ მხარეს, რომლის წარმომადგენელიც არის; გ) საქმის დასახელებას, რომლის გამოც იბარებენ ამა თუ იმ პირს, და მითითებას დავის საგნის შესახებ; დ) სასამართლოში დასაბარებელი პირის ვინაობას, აგრეთვე, რა სტატუსით არის იგი დაბარებული, და მითითებას არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში მის მიმართ გამოსაყენებელი ზომების შესახებ; ე) წინადადებას მხარეების მიმართ, წარმოადგინონ მათთან არსებული ყველა მტკიცებულება; ვ) მითითებას, რომ ადრესატის არყოფნისას უწყების მიმღები პირი ვალდებულია, პირველი შესაძლებლობისთანავე ჩააბაროს უწყება ადრესატს; ზ) მითითებას გამოუცხადებლობის შედეგებზე და ვალდებულებას, აცნობოს სასამართლოს გამოუცხადებლობის მიზეზები.

უწყების ჩაბარების კანონით დადგენილი წესი ითვალისწინებს შემდეგ გარემოებებს: უწყება უნდა ჩაბარდეს ადრესატს იმ გონივრულ ვადაში, რა დროშიც შეძლებს სხდომაზე გამოცხადებასა და სხდომისათვის მომზადებას; უწყება ისე უნდა იყოს შედგენილი, რომ შეესაბამებოდეს კანონის მოთხოვნებს, ანუ ირკვეოდეს მისი შინაარსი, დრო და გამოუცხადებლობის შედეგები. თუ უწყება არ პასუხობს სსსკ-ის 72-ე მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნებს და გამოუცხადებელი მხარის მიმართ გამოიჩინენ დაუსწრებელ გადანყვეტილებას, ეს იქნება ამ გადანყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველი.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ საპროცესო ვალდებულებების არსებობა შეჯიბრებით პროცესში მხარეთა უფლებების დაცვის, საპროცესო ეკონომიის პრინციპისა და, საბოლოოდ, სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის გარანტია. შეჯიბრებითობის საფუძველზე საქმისწარმოებისას კი სასამართლოა გარანტი, რომ მხარეები დაიცავენ სასამართლო პროცესთან დაკავშირებულ წესებს, რათა უსაფუძვლოდ და უკანონოდ არ შეიღახოს რომელიმე მათგანის უფლება. შესაბამისად, იმ პირობებში, როდესაც მოსარჩელე მხარე საჩივარში უთითებდა, რომ კანონით დადგენილი წესით არ მიუწვევიათ სასამართლო განხილვაზე, სასამართლო თავად იყო ვალდებული, შეემონებინა, ხომ არ დაირღვა მხარის უფლება მისი სასამართლო განხილვაზე არასათანადო წესით მონვევის გამო. ეს გულისხმობს უწყების იმგვარად ჩაბარებასაც, რომ მხარისათვის ცნობი-

ლი იყოს როგორც მისი შინაარსი, ისე გამოუცხადებლობის შედეგები **(შდრ. სუსგ №ას-930-888-2013, 19 ივნისი, 2015).**

სსსკ-ის 71-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სასამართლო უწყება ადრესატს ბარდება მხარის მიერ მითითებული ძირითადი მისამართის (ფაქტობრივი ადგილსამყოფელის), ალტერნატიული მისამართის, სამუშაო ადგილის, სასამართლოსთვის ცნობილი სხვა მისამართის, ან მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული განსხვავებული წესის მიხედვით. სსსკ-ის 73-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო უწყება იგზავნება ამ კოდექსის 70-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ტექნიკური საშუალებით, ფოსტით, ან კურიერის მეშვეობით. სასამართლო თვითონ იღებს გადაწყვეტილებას, უწყების გაგზავნის რომელ ფორმას გამოიყენებს და რომელ მისამართზე გაგზავნის მას, და არ არის ვალდებული, დაიცვას თანმიმდევრობა. სასამართლომ დასაბარებელ პირს უწყება შეიძლება ჩააბაროს სასამართლოს შენობაშიც. 73-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, „ტექნიკური საშუალებით გაგზავნილი სასამართლო უწყების ჩაბარება დასტურდება: ტელეფონის შემთხვევაში – ტექნიკური საშუალებით დაბარების შესახებ შედგენილი აქტით“ **(შდრ. სუსგ № ას-546-546-2018, 12 ივნისი, 2018; შდრ. სუსგ №ას -1188-1148-2016, 24 ივლისი, 2017).**

სსსკ-ის 73-ე მუხლი არეგულირებს ორგანიზაციისათვის სასამართლო უწყების გაგზავნისა და ჩაბარების წესს. დასახელებული ნორმის მეორე ნაწილის შესაბამისად, ორგანიზაციისათვის გაგზავნილი უწყება უნდა ჩაბარდეს კანცელარიას ან ამგვარი დანიშნულების სტრუქტურულ ერთეულსა თუ პირს, ხოლო ასეთის არარსებობის შემთხვევაში – ორგანიზაციის შესაბამის უფლებამოსილ პირს, რომელიც უწყებას ადრესატს გადასცემს. მოქალაქეს ან ორგანიზაციას სასამართლო უწყება შესაძლოა გადაეცეს მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული ჩაბარების განსხვავებული წესითაც. ამ ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში, უწყების ჩაბარება დასტურდება მის მეორე ეგზემპლარზე უწყების მიმღების ხელმოწერით. საპროცესო სამართლით დადგენილი წესები, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ფართო განმარტების შესაძლებლობას არ იძლევა, რადგანაც ეს დაარღვევდა სამართლებრივი ნორმების ერთიანობას და შეენიწააღმდეგებოდა პროცესუალური ფორმალიზმის პრინციპს. ამ პრინციპის არსი კი ის არის, რომ ყოველი საპროცესო მოქმედება სრულდება კანონით დადგენილი წესებისა და ფორმალობების მკაცრად დაცვით **(შდრ. სსსკ-ის პირველი მუხლის პირველი ნაწილი)**. ამ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ უწყების მიმღებსა და საწარმოს წარმომადგენე-

ლს (დირექტორს) შორის ბიოლოგიური კავშირი არსებობს (ისინი დედაშვილი არიან), კანონის გაგებით, იგი (დედა) არ არის ორგანიზაციის უფლებამოსილი პირი, რომელიც ვალდებული იქნებოდა, უწყება ადრესატისათვის გადაეცა. აქედან გამომდინარე, საკასაციო პალატამ არ გაიზიარა სააპელაციო პალატის დასკვნა, რომ მოწინააღმდეგე მხარეს სასამართლოს მთავარი სხდომის თაობაზე ეცნობა სსსკ-ის 70-78 მუხლებით დადგენილი წესით (**შდრ. სუსგ № 374-374-2018, 13 აპრილი, 2018; სუსგ № 872-822-2015, 12 თებერვალი, 2016.**)

სსსკ-ის 74-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ სასამართლო უწყების ჩამბარებელმა სასამართლოში გამოსაძახებელი პირი ვერ ნახა მხარის მიერ მითითებულ მისამართზე, იგი უწყებას აბარებს მასთან მცხოვრებ ოჯახის რომელიმე ქმედუნაირან წევრს. უწყების მიმღები ვალდებულია, მის მეორე ეგზემპლარზე აღნიშნოს თავისი სახელი და გვარი, ადრესატთან დამოკიდებულება და დაკავებული თანამდებობა. უწყების ამ ნაწილით გათვალისწინებული ჩაბარება ჩაითვლება უწყების ადრესატისთვის ჩაბარებად, რაც დასტურდება უწყების მიმღების ხელმოწერით მის მეორე ეგზემპლარზე. შესაბამისად, სასამართლოს დაუსწრებელი გადანყვეტილების გამოტანა დაუშვებელია, თუ გამოუცხადებელი მხარე მოწვეული არ იყო ამ კოდექსის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით (**შდრ. სუსგ № 914-876-2014, 19 თებერვალი, 2014, № 1243-1166-2015, 09 მარტი, 2016.**)

განსახილველ შემთხვევაში, საქმის მასალებით დადგენილად ჩაითვალა, რომ აპელანტს სააპელაციო სასამართლოში დანიშნული სასამართლო სხდომის უწყება გაეგზავნა მის მიერ სააპელაციო საჩივარში მითითებულ მისამართზე და ჩაბარდა ადრესატის ძმას, რომელიც შეტყობინების ბარათზე უთითებს, რომ გზავნილი ჩაიბარა გადასაცემად (**შდრ. სუსგ № 1540-1460-2017, 07 მარტი, 2018.**)

სასამართლომ დაუსწრებელი გადანყვეტილების გამოტანის საპროცესო-სამართლებრივ წინაპირობებზე იმსჯელა და, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 74-ე მუხლის პირველი ნაწილის მოწესრიგებაზე მითითებით, დაასკვნა, რომ არ არსებობდა სსსკ-ის 233-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევა, რაც გამორიცხავდა დაუსწრებელი გადანყვეტილების გამოტანის შესაძლებლობას (**შდრ. სუსგ № 381-354-2017, 13 ნოემბერი, 2017.**)

სსსკ-ის 71-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, თუ მოსარჩელეს მის მიერ მითითებულ მისამართზე უწყება ვერ ჩაბარდა ამ კოდექსის 73-ე

მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით, უწყება ჩაბარებულად ჩაითვლება. ეს წესი მოპასუხის მიმართ გამოიყენება მის პასუხში (შესაგებელში) მითითებულ მისამართზე უწყების გაგზავნის შემთხვევაში. სსსკ-ის 73-ე მუხლის პირველი ნაწილის ბოლო წინადადების თანახმად, თუ პირველად გაგზავნისას უწყების ადრესატისათვის ჩაბარება ვერ ხერხდება, იგი დასაბარებელ პირს უნდა გაეგზავნოს დამატებით (ერთხელ მაინც) იმავე ან სასამართლოსთვის ცნობილ სხვა მისამართზე. მითითებული ნორმების შინაარსიდან გამომდინარე, მოპასუხე შპს-ს სასამართლო უწყება მის მიერ შესაგებელში მითითებულ მისამართზე ორჯერ გაიგზავნა, რაც უთანაბრდება მხარისათვის სასამართლო უწყების ჩაბარებას. შესაბამისად, კასატორის პოზიცია აღნიშნულთან დაკავშირებით დაუსაბუთებლად ჩაითვალა (**შდრ.სუსგ №ას-1105-1025-2017, 26 ოქტომბერი, 2018.**)

სასამართლომ მიუთითა, რომ მოპასუხეს ჰყავდა როგორც კანონისმიერი, ისე გარიგებითი (სახელშეკრულებო) წარმომადგენელი. ორივე მათგანისათვის ცნობილი იყო სასამართლოს სხდომის ჩატარების დრო და ადგილი. თუ კანონისმიერი წარმომადგენელი (დირექტორი) ავადმყოფობის მიზეზით ვერ ცხადდებოდა სასამართლო სხდომაზე, მაშინ სხდომაზე უნდა გამოცხადებულიყო გარიგებითი წარმომადგენელი. მისი გამოუცხადებლობის მიზეზი კი სასამართლოსათვის ცნობილი არ არის. შესაბამისად, არ არსებობდა მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დამაბრკოლებელი გარემოებები (სსსკ-ის 230-ე, 233-ე მუხლები) (**შდრ. სუსგ №ას-1120-1054-2015, 15 დეკემბერი, 2015.**)

პალატამ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოში მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენლის გამოუცხადებლობა სხდომაზე არ მიეკუთვნება სსსკ-ის 233-ე მუხლით გათვალისწინებულ გარემოებას; ასევე, არ არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დამაბრკოლებელი სხვა გარემოებები (**შდრ. სუსგ №ას-631-589-2017, 11 ოქტომბერი, 2017.**)

პალატამ იხელმძღვანელა სსსკ-ის 230-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით, 74-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადებით და დაადგინა, რომ მოპასუხეები არიან ერთი ოჯახის წევრები, რომლებიც ერთ ოჯახში ცხოვრობენ. სასამართლო უწყება დანარჩენი მოპასუხეებისათვის გადასაცემად ჩაბარდათ კასატორ მოპასუხეებს. შესაბამისად, ეს ნიშნავს, რომ უწყება ჩაბარდათ დანარჩენ მოპასუხეებსაც, ამიტომაც არ

არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების დამაბრკოლებელი გარემოებები (**შდრ. სუსგ №ას-1270-2018, 02 ნოემბერი, 2018**).

საკასაციო პალატა არ დაეთანხმა სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ მოსარჩელე კანონით დადგენილი წესით იყო მოწვეული საქმის განხილვაზე და გაიზიარა კასატორის პრეტენზია სასამართლო სხდომაზე მისი მოწვევისას კანონის დარღვევის შესახებ, კერძოდ, შემდეგ გარემოებათა გამო: **სააპელაციო სასამართლომ სატელეფონო შეტყობინების საერთო შინაარსისა და იმის გათვალისწინებით, რომ ადრესატი ადვოკატი იყო** (რომლისთვისაც სასამართლო სხდომაზე არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შედეგები ცნობილი უნდა ყოფილიყო), უწყება კანონით დადგენილი წესით ჩაბარებულად მიიჩნია. საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა ეს მსჯელობა და განმარტა, რომ საპროცესო ნორმები, როგორც ფორმალურ წესთა ერთობლიობა, იმ სავალდებულო მოთხოვნებს ადგენს, რომელთა შეცვლა ან განსხვავებული განმარტება არ არის დამოკიდებული არც სასამართლოს და არც მხარეთა შეხედულებაზე. **სამოქალაქო საპროცესო კოდექსი მხარისა და ადვოკატისათვის** სასამართლო უწყების ჩაბარების განსხვავებულ წესს არ ითვალისწინებს. შესაბამისად, ნორმის განმარტება იმგვარად, რომ ადვოკატმა ისედაც იცის სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის შედეგები და აღარ უნდა ეცნობოს, არ არის მართებული. საპროცესო ნორმის ამგვარი განმარტება არასწორია იმიტომაც, რომ მძიმე ტვირთად დააწვებოდა თავად მხარეს. მხარეებს, ისევე, როგორც მათ წარმომადგენლებს, უწყება უნდა ჩაბარდეთ დადგენილი ფორმით, რა დროსაც დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს სიზუსტეს. სასამართლო ვალდებულია, შეამოწმოს, რამდენად სწორად ჩაბარდა წერილობით შედგენილი თუ ტელეფონით გადაცემული უწყება, ანუ რამდენად შეესაბამება უწყების შინაარსი სსსკ-ის 72.1 მუხლის მოთხოვნებს. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ პროცედურული წესის არასწორმა განმარტებამ მოსარჩელეს ჩამოართვა სარჩელის განხილვის უფლება, რითაც შეილახა მისი სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება. შესაბამისად, რადგან მოსარჩელე მხარე არ იყო სათანადოდ ინფორმირებული სასამართლო განხილვის შესახებ, მას უწყება კანონით დადგენილი წესით არ ჩაბარებია. იმიტომაც მის მიმართ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა ეწინააღმდეგებოდა სსსკ-ის 233-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნას (დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დაუშვებელია, თუ გამოუცხადებელი მხარე მოწვეული არ იყო ამ კოდექსის 70-78-ე მუხლებზე).

ბით დადგენილი წესით) (შდრ. სუსგ №ას-930-888-2013, 19 ივნისი, 2015).

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ სსსკ-ის 233-ე მუხლის პირველ ნაწილში მოცემულია იმ შემთხვევების ჩამონათვალი, რომელთა არსებობისას დაუშვებელია დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა. ნორმაში აღწერილ შემთხვევათაგან ერთ-ერთის არსებობისას, სასამართლო არ არის უფლებამოსილი, გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება. თუ ასეთი გადაწყვეტილება მაინც მიიღება, იგი უნდა გაუქმდეს. იგივე უნდა ითქვას სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევაზეც, ცხადია, დაუსწრებელი გადაწყვეტილების ინსტიტუტის თავისებურებათა გათვალისწინებით. ზოგადად, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა არ მიიჩნევა სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევად, თუმცა ასეთი გადაწყვეტილება სასამართლომ უნდა გამოიტანოს სამართლიანი პროცედურების დაცვით. მისი ვალდებულება, შეჯიბრებითობის საფუძველზე წარმართოს საქმისწარმოება, რათა უსაფუძვლოდ და უკანონოდ არ შეილახოს რომელიმე მხარის უფლება, გულისხმობს თითოეული მხარის უფლებისა და ინტერესისადმი გულისხმიერ დამოკიდებულებასაც. ამ შემთხვევაში, ეს ვალდებულება დაირღვა იმით, რომ სააპელაციო პალატამ სასამართლო სხდომამდე არ განიხილა აპელანტის შუამდგომლობა, რის შედეგადაც მხარეს დროულად არ ეცნობა ფაქტი, რომ მას სამართლებრივი დახმარების გარეშე მოუწევდა პროცესზე საკუთარი სამართლებრივი პოზიციის დაცვა. ამასთან, არ გადადო სასამართლო პროცესი მაშინ, როდესაც აპელანტი ამის თაობაზე შუამდგომლობდა და არსებითად უთანასწორო პირობებში აღმოჩნდა მონინაალმდეგე მხარესთან შედარებით. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მხარეთა თანასწორობა ვერ დაიცვა. აქედან გამომდინარე, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოსარჩელის წინააღმდეგ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანით, მისი სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის კონსტიტუციით გარანტირებული უფლება არასამართლიანად და დაუსაბუთებლად შეიზღუდა. მის წინააღმდეგ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა, მოცემული საქმის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლსაც (საქმის სამართლიანი განხილვის უფლება) (იხ. სუსგ №ას-1033-953-2017, 31 იანვარი, 2018).

საკასაციო სასამართლომ გაიზიარა საქმეში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები და მიიჩნია, რომ საქმის მასალებით არ დასტურდებ-

ბოდა სსსკ-ის 233-ე მუხლით გათვალისწინებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დამაბრკოლებელი გარემოებები, ასევე, ფაქტი, რომ სასამართლო სხდომაზე მოპასუხის გამოუცხადებლობა გამონვეული იყო სხვა საპატიო მიზეზით (*იხ. სუსგ №ას-577-577-2018, 22 ივნისი, 2018*).

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ ზემდგომი ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერებას ამოწმებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლების კონტექსტში. მათაგან პირველი დამოკიდებულია მხარის პრეტენზიის დასაბუთებულობაზე, ანუ საკასაციო საჩივრის წარმატებას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის კონტექსტში განაპირობებს მხარის პრეტენზიის საფუძვლიანობა; რაც შეეხება მეორე საფუძველს, თავად ნორმას კანონმდებელი მოიხსენიებს გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძვლად და, მიუხედავად მხარის მითითებისა, საქმის განმხილველი სასამართლო ყოველთვის ვალდებულია, გამორიცხოს ნორმის წინაპირობების არსებობა. შეიძლება ითქვას, რომ გადაწყვეტილების კანონიერებას სასამართლო იკვლევს ჯერ 394-ე, ხოლო შემდგომ 393-ე მუხლის შესაბამისად. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში არა არსებობდა სსსკ-ის 233-ე მუხლით გათვალისწინებული რომელიმე საფუძველი (*იხ. სუსგ №ას-1262-1182-2018, 18 მაისი, 2018; შდრ. სუსგ №ას-68-62-2015, 29 აპრილი, 2015*).

თავი II. დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დაუშვებლობა დაუძლეველი ძალის ან სხვა ობიექტური გარემოებების არსებობის შემთხვევაში

სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებელი მხარის წინააღმდეგ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დაუშვებელია მაშინაც, როცა სასამართლო უწყება კანონით დადგენილი წესით გაიგზავნა და ჩაბარდა გამოუცხადებლ მხარეს, მაგრამ სასამართლოსათვის ცნობილი გახდა ისეთი გარემოებების შესახებ, რომლებსაც შეეძლო, ხელი შეეშალა მხარის სასამართლოში დროულად გამოცხადებისათვის (მაგ.: სტიქიური მოვლენები, მხარის ავადმყოფობა და ა.შ.). სამართლებრივად მნიშვნელოვანი არ არის, თუ რომელი წყაროებიდან გახდა სასამართლოსათვის ცნობილი ამ გარემოებების შესახებ (თვითონ გამოუცხადებელი მხარისაგან, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით და ა.შ.)

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ სსსკ-ის 233-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ პუნქტში მითითებული გარემოებების ჩამონათვალი არ არის ამომწურავი. გამოუცხადებელ მხარეს, რომლის წინააღმდეგაც გამოტანილია დაუსწრებელი გადაწყვეტილება, შეუძლია მიუთითოს ფორსმაჟორულ სიტუაციასა ან სხვა მოვლენებზეც, რომლებიც სასამართლო სხდომაზე მისი გამოუცხადებლობის მიზეზი გახდა და რომელთა შესახებაც მას არ შეეძლო, დროულად ეცნობინებინა სასამართლოსათვის. ამასთან, კანონმდებელი ავალდებულებს მხარეს, წინასწარ აცნობოს სასამართლოს სხდომაზე გამოუცხადებლობისა და მისი მიზეზის შესახებ, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ასეთი შეტყობინების სხდომამდე გაკეთება შეუძლებელია. იმ გარემოებათა მტკიცების ტვირთი, რომლებზეც მიუთითებს მხარე თავის საჩივარში გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზად, ეკისრება მომჩივანს, ხოლო შეფასება, რამდენად საპატიოა მხარის გამოუცხადებლობა, სასამართლოს უფლებამოსილებაა **(შდრ. სუსგ № 1440-1360-2017, 26 ოქტომბერი, 2018)**.

სსსკ-ის 233-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე მხარის გამოუცხადებლობა მხოლოდ იმ შემთხვევაში გამორიცხავს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას, როდესაც მხარეს ხელს უშლის დაუძლეველი ძალა ან სხვა რაიმე ისეთი ობიექტური გარემოება, რომელიც პროცესის დღეს ან უახლოეს წარსულში წარმოიშვა და შეუძლებელს ხდის მხარის ან მისი წარმომადგენლის გამოცხადებას, ასევე სასამართლოს დროულად ინფორმირებას, სხვა დროს ჩანიშნოს პროცესი **(შდრ. სუსგ №ას-806-806-2018, 20 ივლისი, 2018)**.

სსსკ-ის 233-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის ანალიზი ცხადყოფს, რომ კანონმდებელი არ აზუსტებს, თუ რა დაუძლეველ ძალას ან „სხვა მოვლენებს“ გულისხმობს, რომლებსაც შეიძლება ხელი შეეშალა მხარისთვის სასამართლოში დროულად გამოცხადების მხრივ, და ამ საკითხის შეფასებას - სამართლიანობის პრინციპებზე დაყრდნობით - სასამართლოს ანდობს **(შდრ. სუსგ №ას -37-37-2018, 16 მარტი, 2018)**.

მოსარჩელის მიერ მითითებული გარემოება ჩაითვალა იმ მოვლენად, რომელსაც მხარის გამოცხადებისათვის ხელის შეშლა შეეძლო და, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სხდომაზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზადაც **(შდრ. სუსგ №ას- 156-152-2016, 08 აპრილი, 2016)**.

საკასაციო პალატამ უარყო კასატორის პრეტენზია სააპელაციო სასამართლოს მხრიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის პი-

რველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის არასწორად განმარტების შესახებ და ყურადღება გაამახვილა შემდეგზე: პირველი ინსტანციის წესით საქმის განხილვისას, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის საკითხს არეგულირებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXVI თავი, კერძოდ: სასამართლო სხდომაზე მოპასუხის გამოუცხადებლობისას მის მიმართ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისათვის უნდა გვექონდეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლით გათვალისწინებული წინაპირობები, რომელთა კუმულაციურად არსებობა ქმნის დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის ფორმალურ წინაპირობას; თუმცა, იმისათვის, რომ სასამართლო დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის გზით დააკმაყოფილოს სარჩელი, მოსამართლე ვალდებულია, გამოარკვიოს, კანონის ძალით დადგენილად მიჩნეული ფაქტობრივი გარემოებები ამართლებს თუ არა მოთხოვნას იურიდიული თვალსაზრისით. მოთხოვნის იურიდიული მართებულობის კვლევა მოიაზრებს სასამართლოს მხრიდან დამფუძნებელი ნორმების სწორად მოძიებას, რომლებიც დავის გადაწყვეტის ფუნდამენტია და იძლევა ამა თუ იმ ურთიერთობის რეგულირების აბსტრაქტულ შემადგენლობას. ნორმის მოძიების შემდგომ, სასამართლო ადგენს, აკმაყოფილებს თუ არა სარჩელში მითითებული იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტები დამფუძნებელი ნორმის აბსტრაქტულ აღწერილობას, რაც დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის გზით სარჩელის წარმატების საფუძველია. ამ შემთხვევაში, პალატამ მიიჩნია, რომ სარჩელი ფორმალურად გამართულია, რაც დაუსწრებელი გადაწყვეტილების ფორმატში სარჩელის წარმატებულობაზე მეტყველებს. **(იხ. სუსგ №ას-1855-2018, 15 თებერვალი, 2019).**

საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისას, სასამართლო ყოველთვის ვალდებულია, შეამოწმოს, ხომ არ არსებობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დამაბრკოლებელი გარემოებები. მოპასუხე სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზად უთითებდა მგზავრობისას შექმნილ პრობლემებს, თუმცა აღნიშნული გარემოების დასადასტურებლად რაიმე მტკიცებულება, გარდა მონმის ჩვენებისა, არ წარუდგენია. საკასაციო სასამართლომ გაიზიარა სააპელაციო პალატის მითითება, რომ იმ პირობებში, როდესაც მონინააღმდეგ მხარე სადავოდ ხდის საპატიო მიზეზის არსებობას, მხოლოდ მონმის ჩვენება (რომელიც, ამავედროულად, პირველი მოპასუხის ნათესავი და მეგობარია) დაუძლეველი ძალის დასადასტურებლად არ კმარა, მითუმეტეს, რომ პირველი ინსტანციის სასამა-

რთლოში მოწმედ დაკითხული პირის ჩვენება ეწინააღმდეგება მოპასუხის მიერ დაუსწრებელი გადანყვეტილების გასაუქმებლად წარდგენილ საჩივარში მითითებულ ფაქტობრივ გარემოებას. შესაბამისად, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ განსახილველ საქმეზე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლით გათვალისწინებული დაუსწრებელი გადანყვეტილების გამოტანის დამაბრკოლებელი არცერთი გარემოება არ დადგენილა (*იხ. სუსგ №ას-175-175-2018, 19 ივლისი, 2018*).

თავი III. დაუსწრებელი გადანყვეტილების გამოტანის დაუშვებლობა გამოუცხადებელი მხარისათვის საქმის ფაქტობრივი გარემოებების შეუტყობინებლობის შემთხვევაში

მოპასუხეს სსსკ-ის 184-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით დროულად უნდა გაეგზავნოს სარჩელისა და თანდართული საბუთების ასლები, აგრეთვე, ყველა სხვა მასალა, რომლებიც შეიცავს ინფორმაციას იმ ფაქტობრივი გარემოებების შესახებ, რომლებიც მის წინააღმდეგ მოსარჩელემ წამოაყენა. თავის მხრივ, მოსარჩელეს უნდა გადაეგზავნოს მოპასუხის მიერ წარმოდგენილი წერილობითი შესაგებელი და სხვა მასალები (სსსკ-ის 201-ე და 203-ე მუხლები). „დროულად ეცნობოს“ ნიშნავს, რომ მხარემ ასეთი ინფორმაცია უნდა მიიღოს საქმის მომზადების სტადიაზე, ხოლო გამონაკლის შემთხვევაში, ამ სტადიის დამთავრების შემდეგ, მაგრამ იმ გონივრული ვარაუდით, რომ შეძლოს სასამართლოს სხდომისთვის მომზადება.

მოპასუხე მხარე სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებას სადავოდ ხდიდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით. საკასაციო პალატამ არ გაზიარა საჩივრის ავტორთა პოზიცია, რომ დროულად არ ეცნობათ საქმის ფაქტობრივი გარემოებები (*იხ. სუსგ №ას-1741-2018, 24 დეკემბერი, 2018; შდრ. სუსგ №ას-1365-1285-2017, 11 მაისი, 2018*).

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, დაუსწრებელი გადანყვეტილება შეიძლება გაუქმდეს იმ შემთხვევაში, თუ სასამართლომ დაარღვია თავისი ვალდებულება და დროულად არ აცნობა გამოუცხადებელ მხარეს საქმის ფაქტობრივი გარემოებები. ნორმით რეგულირებული ურთიერთობა ეხება მხოლოდ სასამართლოს ვალდებულებას, დროულად აცნობოს მხარეს ფაქტობრივი გარემოებების შესახებ, რაც ამ შემთხვევაში დაცული იყო. საკასაციო სასამართლოს მსჯელობი-

სა და შეფასების საგანი გახლდათ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის არსებობა-არარსებობის პირობები: კერძოდ, იყო თუ არა აპელანტის მონინაალმდეგე მხარე დროულად ინფორმირებული საქმის განხილვის შესახებ. ამასთან მიმართებით, საკასაციო პალატამ მიუთითა კასატორის პრეტენზიაზე - რომ მან და მისი ოჯახის წევრებმა არ იციან ქართული ენა - და აღნიშნა, რომ ეს პრეტენზია ვერ ჩაითვლება ვერც საპატიო მიზეზად და ვერც მხარის არადროულ ინფორმირებად. საყურადღებოა, რომ კასატორმა წინამდებარე საკასაციო საჩივრით დაადასტურა ფაქტობრივი გარემოება, რომ შეტყობინების მიღებისთანავე დაუკავშირდა ადვოკატს, რაც უდავოდ ადასტურებს მხარის შესაძლებლობას, სახელმწიფო ენის არცოდნის შემთხვევაშიც გასცნობოდა სასამართლო შეტყობინების შინაარსს. თუმცა მხოლოდ ეს არ განაპირობებს უარს მხარის მოსაზრების გაზიარებაზე, რადგანაც, საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, საქართველოს სახელმწიფო ენა არის ქართული. ქვეყნის უზენაესი კანონით რეგლამენტირებული აღნიშნული დებულება, ბუნებრივია, ასახულია საპროცესო კანონმდებლობაშიც. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სამართალწარმოება ხორციელდება სახელმწიფო ენაზე, სახელმწიფო ენის არმცოდნე პირს კი მიეჩინება თარჯიმანი. ამ ნორმის განმარტებით დასტურდება, რომ სამართალწარმოების ენა არის სახელმწიფო ენა და სასამართლოს არ აქვს რაიმე უფლება ან ვალდებულება, სახელმწიფო ენის არმცოდნე საქართველოს მოქალაქეს შეტყობინება არასახელმწიფო ენაზე გაუგზავნოს. კანონის დათქმა, რომ სახელმწიფო ენის არმცოდნე პირს მიეჩინება თარჯიმანი, ვრცელდება საქმის სასამართლო სხდომაზე განხილვის და არა განსახილველად მომზადების ეტაპზე. ამ მსჯელობის საწინააღმდეგო დანაწესს მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს. განსახილველ შემთხვევაში, მხარე სახელმწიფო ენის არცოდნას მიიჩნევდა საპატიო მიზეზად და დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველად, მაშინ, როდესაც სსსკ-ის 233-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტი მიუთითებს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების ისეთ საფუძველზე, როგორცაა გამოუცხადებელი მხარის არადროული ინფორმირება საქმის ფაქტობრივი გარემოებებზე. სააპელაციო პალატამ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი დაუკავშირა მხოლოდ სასამართლოს მიერ მხარის ინფორმირების წესის დარღვევას, თუმცა საკასაციო პალატამ განმარტა, რომ ამ ნორმის მოქმედება ვრცელდება მაშინაც, როდესაც სასამართლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით გაუგზავნის მხარეს შეტყობინებას საქმის ფაქტობრივ გა-

რემოებებზე, მაგრამ ადრესატს ის არ ჩაბარდება სხვა რაიმე ფაქტობრივი საფუძვლით. მოცემულ შემთხვევაში, ეს საქმის მასალებით არ დასტურდება. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის კონტექსტში, საკასაციო სასამართლომ ასევე არ გაიზიარა კასატორის პრეტენზია, რომ შეტყობინება ჩაბარდა არა მხარეს, არამედ მისი ოჯახის ქმედუნარიან წევრს (*იხ. სუსგ №ას-102-97-2013, 07 მაისი, 2013*).

საკასაციო პალატამ არ გაიზიარა კერძო საჩივრის არგუმენტები, რომ: დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისას აპელანტის მოწინააღმდეგე მხარე არასწორად მიიჩნიეს გამოუცხადებლად; სასამართლომ არ გაითვალისწინა მის მიერ სააპელაციო შესაგებლის წარდგენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232¹ მუხლის შესაბამისად; და ამავე კოდექსის 233-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის საწინააღმდეგოდ, არ შეფასდა სასარჩელო მოთხოვნისა და დადგენილად მიჩნეული გარემოებების ურთიერთიმართებულობა, რადგანაც აღნიშნული პრეტენზიები, თავის შინაარსით, არის დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებაზე წარსადგენი საჩივრის საფუძვლები (*იხ. სუსგ №ას-198-191-2013, 18 მარტი, 2013*).

საკასაციო პალატა დაეთანხმა სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ განსახილველ შემთხვევაში არსებობდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის „გ“ პუნქტითა და ამავე კოდექსის 241-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, რის გამოც პირველი ინსტანციის სასამართლოს სხდომაზე მხარის გამოუცხადებლობა საპატიოდ უნდა მიჩნეულიყო (*იხ. სუსგ №ას-310-297-2015, 20 ივლისი, 2015*).

კერძო საჩივრის ავტორმა მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტზე და განმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში მას არ ჰქონდა ინფორმაცია შეგებებულ სააპელაციო საჩივარზე შემხვედრი სააპელაციო შესაგებლის წარმოდგენის შესახებ; შესაბამისად, არც აღნიშნული შესაგებელი ჩაბარებია. საკასაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 376-ე მუხლზე, რომლის თანახმადაც, სააპელაციო საჩივრის განსახილველად მიღების შესახებ განჩინებით, სასამართლო განსაზღვრავს საქმის ზეპირი განხილვის დროს და მას მხარეებს ატყობინებს განჩინების მიღებიდან 3 დღის განმავლობაში. აღნიშნული ნორმა უშუალოდ ადგენს სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში საქმისწარმოების წესს და სასამართლოს ავალდებულებს, სააპელაციო საჩივრის მიღების შესახებ განჩინებით დანიშნოს სხდომა საქმის ზეპირი განხილვისათვის. მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ სააპელაციო

სასამართლოს განჩინებით არ განუსაზღვრავს შეგებებულ სააპელაციო საჩივარზე საქმის ზეპირი განხილვის დრო. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 376-ე მუხლით დადგენილი წესი. ამასთან, საკასაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზეც, რომ საქმის მასალებში არ არის წარმოდგენილი რაიმე მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებს აპელანტისთვის უწყების გაგზავნას ან/და ჩაბარებას შეგებებული სააპელაციო საჩივრის განსახილველი სასამართლო სხდომის შესახებ. საკასაციო პალატა იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მსჯელობას, რომ მოცემულ შემთხვევაში მას დროულად არ ეცნობა საქმის ფაქტობრივი გარემოებები, რაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, იყო დაუსწრებელი გადაწყვეტილების (სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ განჩინების) გამოტანის დამაბრკოლებელი გარემოება (*იხ. სუსგ №ას-1068-1027-2016, 30 იანვარი, 2017*).

თავი IV. დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დაუშვებლობა სარჩელის აღძვრის წინაპირობების არარსებობის შემთხვევაში

თუ სარჩელის აღძვრის კანონმდებლობით გათვალისწინებული წინაპირობები არ არსებობს, სასამართლომ არ უნდა მიიღოს სარჩელი განსახილველად; მაგრამ თუ სარჩელი მიღებულია შეცდომით, სასამართლომ უნდა შეწყვიტოს საქმისწარმოება (სსსკ-ის 272-ე მუხლი), ან სარჩელი დატოვოს განუხილველად (სსსკ-ის 275-ე მუხლი), იმის მიხედვით, სარჩელის აღძვრის რომელი წინაპირობა არ არსებობს (სსსკ-ის 187-ე მუხლი).

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არსებობდა გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების **სსსკ-ის 233-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძველი**. კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ არ შეუმომხმებია სარჩელის აღძვრის წინაპირობები. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელეს აღძრული ჰქონდა აღიარებითი სარჩელი, თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ მას არ მიუთითებია სსსკ-ის 180-ე მუხლით გათვალისწინებული იურიდიული ინტერესი და არც ის გარკვეულა, შესაძლებელი იყო თუ არა მიკუთვნებითი სარჩელის აღძვრა, სააპელაციო სასამართლომ მაინც გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება მოპასუხის წინააღმდეგ. საკასაციო პალატის მოსაზრებით, ეს ეწინააღმდეგება სსსკ-ის 233-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნას (დაუ-

სწრებელი გადანყვეტილების გამოტანა დაუშვებელია, თუ არ არსებობს სარჩელის აღძვრის წინაპირობები). შესაბამისად სახეზე იყო გასაჩივრებული დაუსწრებელი გადანყვეტილების გაუქმების საფუძველი (სსსკ-ის 394-ე მუხლის „ე“¹ ქვეპუნქტი) **(მდრ. სუსგ №914-876-2014, 19 თებერვალი, 2016.)**

სააპელაციო პალატამ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტზე და, ვინაიდან სახეზე იყო მოსარჩელის სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან კანონით გათვალისწინებული საფუძველი, აღნიშნა, რომ რაიონული სასამართლო არ იყო უფლებამოსილი, ასეთ ვითარებაში სარჩელის მიღებაზე ეთქვა უარი. შესაბამისად, სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ განსახილველ შემთხვევაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის მე-4 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დაუსწრებელი გადანყვეტილების გამოტანის ამკრძალავი წინაპირობა არ არსებობდა. სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების მეორე არგუმენტად აპელანტი მიუთითებდა, რომ სარჩელი და თანდართული დოკუმენტები არ ჩაბარებია და ხელმოწერა მას არ ეკუთვნოდა (გაყალბებული იყო). აქედან გამომდინარე, სახეზე იყო სამოქალაქო კოდექსის 233-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევა. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოპასუხეს არგუმენტი პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას არ მიუთითებია, რის გამოც მისი მოხმობა სააპელაციო სასამართლოში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 219-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, დაუშვებელი იყო. თუმცა, საქმის მასალების მიხედვით დადგენილად ჩაითვალა, რომ აპელანტმა პირადად ჩააბარა სარჩელი და თანდართული მასალები, რაც დასტურდებოდა საქმეში წარმოდგენილი ხელწერილით **(იხ. სუსგ №ას-691-661-2014, 05 ივნისი, 2015).**

საკასაციო პალატის განჩინებით, მოპასუხის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გაუქმდა სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის დაუსწრებელი გადანყვეტილება მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, ასევე, ამავე სასამართლოს განჩინება დაუსწრებელი გადანყვეტილების ძალაში დატოვებაზე, და საქმე იმავე სასამართლოს დაუბრუნდა ხელახლა განსახილველად. **საკასაციო პალატის განჩინების თანახმად, ქვემდგომ სასამართლოს უნდა შეემოწმებინა, არსებობდა თუ არა სარჩელის აღძვრის წინაპირობები (სსსკ-ის 233.1 მუხლის „დ“ ქვეპუნქტი).** საკასაციო პალატამ მიუთითა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაზე,

რომლის მე-6 მუხლით რეგულირებულია სამართლიანი სასამართლოს კონცეფცია. კონვენციის ეს დათქმა, ევროპული სასამართლოს პრეცედენტული პრაქტიკის თანახმად, ფართოდ განიმარტება და მოიცავს არა მხოლოდ საქმის მიუკერძოებელ განხილვას, არამედ სამართლიან გადაწყვეტასაც. ეს, თავისთავად, მიაჩნება, რომ მართლმსაჯულების განხორციელებას არ უნდა ჰქონდეს ფორმალური ხასიათი: სამართალწარმოების მიზანი ორიენტირებული უნდა იყოს დარღვეული უფლების ეფექტიან და რეალურ დაცვაზე, რაც მიაჩნება ეროვნული სასამართლოს მიერ საკითხის ამომწურავ გადაწყვეტაზე და არა ფორმალური სამართალწარმოებაზე, რომელსაც დავის აღმოფხვრა შედეგად არ მოჰყვება. (საქმეზე: *Apostol v. Georgia*; §37; ასევე, *Hornsby v. Greece*, § 40 ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ საერთო სასამართლოებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ აღძრული სარჩელისადმი მოსარჩელის იურიდიულ ინტერესზე, ასევე, საკითხზე, შესაძლებელია თუ არა აღიარებითი სარჩელის ნაცვლად მიკუთვნებითი მოთხოვნის ნაყენება მოპასუხისადმი, რაც, იმავდროულად, გადაწყვეტილების აღსრულებაუნარიანობის საკითხსაც უკავშირდება. გადაწყვეტილების აღსრულება მხარისათვის გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს განუყოფელი ნაწილია. შესაბამისად, ნებისმიერი სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულება „სასამართლო პროცესის“ განუყოფელ ნაწილად უნდა განიხილებოდეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მიზნებიდან გამომდინარე (იხ. ასევე: *IZA Ltd and Makrakhidze v. Georgia*, §42; *Burdov v. Russia*, §34; *Hornsby v. Greece*, §40). (შდრ. სუსგ №ას-1489-1409-2017, 14 მაისი, 2018).

თავი V. სსსკ-ის 233-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული გარემოებების სამართლებრივი შედეგები

სსსკ-ის 233-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებში მითითებული ერთ-ერთი გარემოების არსებობისას, სასამართლო ვერ გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას: ის განჩინებით სხვა დროისათვის ნიშნავს საქმის განხილვას, რის შესახებაც ატყობინებს გამოუცხადებელ მხარეს და საქმეში მონაწილე სხვა პირებს.

საქმის განხილვის გადადება გულისხმობს მისი განხილვისთვის სასამართლო სხდომის სხვა დროს დანიშვნას, რაც დასაშვებია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. ერთ-ერთი ასეთი შემთხვევაა სსსკ-ის 233-ე მუხლის პირველი ნაწილის დანაწესით გათვალისწინებული

მონესრიგება. ასეთ შემთხვევაში სასამართლო გადადებს საქმის განხილვას სხვა დროისათვის (სსსკ-ის 216-ე მუხლი). საქმის განხილვის გადადებისას, სასამართლოს გამოაქვს განჩინება. იგი ვალდებულია, იმავე განჩინებით, რომლითაც გადადო საქმის განხილვა, დანიშნოს ახალი სხდომის დღე და ამის შესახებ აცნობოს მხარეებს კანონით დადგენილი წესით. საქმის განხილვის გადადების შესახებ განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანა დაუშვებელია.

სსსკ-ის 233-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტში მითითებული სარჩელის აღძვრის წინაპირობებისას, სასამართლო ვერ გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას, ასევე, ვერ გადადებს საქმის განხილვას: იგი შეწყვეტს საქმისწარმოებას სსსკ-ის 272-ე მუხლის შესაბამისად.

რაც შეეხება მოპასუხის მიერ პასუხის (შესაგებლის) წარუდგენლობას, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დაუშვებელია სსსკ-ის 233-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებში მითითებული ერთ-ერთი გარემოების არსებობისას.

ზურაბ ძლიერიშვილი

241-ე მუხლი

შესავალი

1. საჩივარი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებასა და საქმის განხილვის განახლებაზე (საჩივარი დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე) თავისი შინაარსით განსხვავდება როგორც სააპელაციო, ისე საკასაციო და კერძო საჩივრებისაგან. მთავარი განსხვავება ის არის, რომ საჩივარი დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე შეიძლება ემყარებოდეს მხოლოდ და მხოლოდ იმას, რომ სასამართლო სხდომაზე მხარის გამოუცხადებლობას ჰქონდა საპატიო მიზეზი. საჩივარი დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე არ შეიძლება ეფუძნებოდეს გარემოებებს, რომლებიც არსებითად ასაბუთებს მის არამართებულობას და შეუსაბამობას საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან, რადგან დაუსწრებელი გადაწყვეტილება მიიღება არა საქმის მასალების მიხედვით, არამედ მხარის გამოუცხადებლობის გამო. ამიტომ, გამართლებული და ახსნილი უნდა იყოს ის, რასაც ეს საჩივარი ეფუძნება - კერძოდ, გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზი (სსკ 238-ე მუხლის „გ“ პუნქტი). სააპელაციო და საკასაციო საჩივრისაგან დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე საჩივარი იმითაც განსხვავდება, რომ მას განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს ის სასამართლო, რომელმაც გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ამ მხრივ, გამონაკლისია მეორე (განმეორებითი) დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

2. დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე და 241-ე მუხლების თანახმად, დაიშვება, თუ მხარე, რომელის წინააღმდეგაც გამოტანილია ეს გადაწყვეტილება, დაამტკიცებს, რომ: ა) გამოუცხადებელი მხარე მონვეული არ იყო ამ კოდექსის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით; ბ) სასამართლოსათვის ცნობილი გახდა, რომ არსებობდა დაუძლეველი ძალა ან სხვა მოვლენები, რომელსაც (რომლებსაც) შეეძლო, ხელი შეეშალა სასამართლოში მხარის დროულად გამოცხადებისათვის; გ) გამოუცხადებელ მხარეს დროულად არ ეცნობა საქმის ფაქტობრივი გარემოებები; დ) არ არსებობს სარჩელის აღძვრის

წინაპირობები. ე) არსებობს საპატიო მიზეზი, რის გამოც მხარე ვერ გამოცხადდა სასამართლოში და, ამავდროულად, ვერ შეძლო სასამართლოს წინასწარ ინფორმირება. შესაბამისად, გამოუცხადებელ მხარეს, რომლის წინააღმდეგაც გამოტანილია დაუსწრებელი გადაწყვეტილება, შეუძლია, გააქარწყლოს ვარაუდი, რომელიც საფუძვლად უდევს ამ გადაწყვეტილებას; ასევე, მოითხოვოს მისი გაუქმება და საქმის განხილვის განახლება, თუ დაამტკიცებს, რომ არ არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის წინაპირობები.

3. სსსკ-ის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილია, რა განიხილება სამოქალაქო სამართალწარმოების მიზნებისათვის საპატიო მიზეზად: კერძოდ, „მხარის მიერ შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენის შეუძლებლობა, რაც გამონვეულია ავადმყოფობით, ახლო ნათესავის გარდაცვალებით ან სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოებით, რომელიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის სასამართლო პროცესზე გამოცხადებას ან/და შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენას“.

4. გამოუცხადებელ მხარეს, რომლის წინააღმდეგაც გამოტანილია დაუსწრებელი გადაწყვეტილება, შეუძლია, გააქარწყლოს ვარაუდი, რომელიც საფუძვლად უდევს ამ გადაწყვეტილებას; ასევე, მოითხოვოს მისი გაუქმება და საქმის განახლება, თუ დაამტკიცებს, რომ არ არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის წინაპირობები (**მდრ.ს.უსგ №ას-914-876-2014, 19 თებერვალი, 2014; №ას-1243-1166-2015, 09 მარტი, 2016.**)

თავი I. დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებაზე საჩივრის დასაშვებობის შემოწმება

1. პირველი მოქმედება, რომელიც უნდა შეასრულოს სასამართლომ საჩივრის მიღების შემდეგ, არის მისი დასაშვებობის შემოწმება. ამისთვის სასამართლომ უნდა გამოარკვიოს, არსებობს თუ არა საჩივრის დასაშვებობის პირობები, კერძოდ:

ა) დაცულია თუ არა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა. ეს ვადა არის 10 დღე და მისი ათვლა იწყება იმ დღიდან, როდესაც მხარეს ჩაბარდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლი სსსკ 70–78-ე მუხლებით დადგენილი წესით. 10-დღიანი ვადის გასვლის შემდეგ, დაუსწრებელი გადაწყვეტილება შედის კანონიერ ძალაში და იგი შეიძლება აღსრულდეს იძულებითი წესით. ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეი-

ძლება (სსსკ-ის 237, 59 IV-ე მუხლები); ბ) შეიტანა თუ არა საჩივარი უფლებამოსილმა პირმა. სსსკ-ის 236-ე მუხლი განსაზღვრავს, თუ ვის შეუძლია გასაჩივროს დაუსწრებელი გადაწყვეტილება და რომელ სასამართლოში შეიძლება მისი გასაჩივრება (იგულისხმება პირველი დაუსწრებელი გადაწყვეტილება). ამ მუხლის თანახმად, დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე საჩივრის შეტანა შეუძლია მხარეს, რომლის წინააღმდეგაც ის გამოტანილია. ეს გადაწყვეტილება უნდა გასაჩივრდეს იმ სასამართლოში, რომელმაც იგი გამოიტანა. გ) პასუხობს თუ არა საჩივრის შინაარსი კანონის მოთხოვნებს (სსსკ-ის 238-ე მუხლი). დ) გადახდილია თუ არა სახელმწიფო ბაჟი.

2. ასეთი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებასა და საქმის განხილვის განახლებაზე საჩივრის დასაშვებობის პირობები. თუ ამ პირობების შემონშების შედეგად აღმოჩნდება, რომ საჩივარი არ არის დასაშვები, სასამართლო გამოიტანს განჩინებას მის მიღებაზე უარის თქმის შესახებ (სსსკ-ის 239-ე მუხლის მე-3 ნაწილის), რაზეც შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა. თუ აღმოჩნდება, რომ დასაშვებობის ყველა პირობა არსებობს, სასამართლო გამოიტანს განჩინებას საჩივრის განსახილველად მიღების შესახებ. მასში უნდა აღინიშნოს განხილვის დღე, რომელსაც სასამართლო ატყობინებს მხარეებს.

3. კანონმდებელი ავალდებულებს მხარეს, წინასწარ აცნობოს სასამართლოს სხდომაზე მისი გამოცხადების შეუძლებლობის და მიზეზები, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ასეთი შეტყობინება სხდომამდე შეუძლებელია. იმ გარემოებათა მტკიცების ტვირთი, რომლებზეც მიუთითებს მხარე თავის საჩივარში, როგორც გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზზე, ეკისრება მომჩივანს, ხოლო შეფასება, რამდენად საპატიოა მხარის გამოუცხადებლობა, სასამართლოს უფლებამოსილებაა (**შდრ. სუსგ საქმე №ას-1270-2018, 02 ნოემბერი, 18; იხ. აგრეთვე სუსგ-ები: №ას-738-738-2018, 30 ნოემბერი, 2018; № ას-1312-1232-2017, 24 ნოემბერი, 2017; № ას-633-591-2017, 21 სექტემბერი, 2017; № ას-48-44-2017, 01 მარტი, 2017; №ას -1243-1166-2015, 09 მარტი, 2016 № ას-880-830-2015, 21 ოქტომბერი, 2015; სუსგ საქმე №ას-914-876-2014, 19 თებერვალი, 2014).**

თავი II. დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება

1. დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება სსსკ-ის 233-ე მუხლის მოთხოვნათა დარღვევის გამო

1. სსსკ-ის 233-ე მუხლის პირველ ნაწილში მოცემულია იმ შემთხვევების ჩამონათვალი, რომელთა არსებობის დროს დაუშვებელია დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა. ნორმაში აღწერილ შემთხვევათაგან ერთ-ერთის არსებობისას, სასამართლო არ არის უფლებამოსილი, გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება, ხოლო თუ ასეთი გადაწყვეტილება მაინც მიიღება, იგი უნდა გაუქმდეს. ამასთან, სსსკ-ის 241-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, ეს ჩამონათვალი არ არის ამომწურავი. შესაბამისად, დაუსწრებელი გადაწყვეტილება შეიძლება გაუქმდეს სხვა შემთხვევებშიც (მაგ.: თუ დაუსწრებელი გადაწყვეტილებით დაკმაყოფილება სარჩელი, რომელშიც მითითებული გარემოებები იურიდიულად არ ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას). ასეთი დასკვნა გამომდინარეობს სსსკ-ის 230-ე მუხლის შინაარსიდან, თუმცა ამის თაობაზე პირდაპირ არ არის მითითებული სსსკ-ის 233-ე მუხლის ჩამონათვალი. იგივე უნდა ითქვას სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევაზეც, ცხადია, დაუსწრებელი გადაწყვეტილების ინსტიტუტის თავისებურებათა გათვალისწინებით. ზოგადად, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა არ მიიჩნევა სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევად, თუმცა ეს სამართლიანი პროცედურების დაცვით უნდა განხორციელდეს.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სასამართლო უწყების სატელეფონო კომუნიკაციის საშუალებით ჩაბარებისას, უწყების შინაარსი უნდა გადმოიცეს იმგვარად, როგორც წერილობითი კომუნიკაციის შემთხვევაში. კერძოდ, უწყება უნდა შეიცავდეს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 72-ე მუხლით გათვალისწინებულ ინფორმაციას, მათ შორის, მითითებას მხარის გამოუცხადებლობის შედეგებზე და მხარის ვალდებულებას, აცნობოს სასამართლოს გამოუცხადებლობის მიზეზები. საქმეში წარმოდგენილი სატელეფონო შეტყობინების აუდიოჩანაწერით სააპელაციო სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია, რომ გამოუცხადებელ მხარეს არასრულად ეცნობა სასამართლო უწყების შინაარსი: კერძოდ, სატელეფონო შეტყობინება არ შეიცავდა მითითებას არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობისას მხარის მიმართ გამოსაყენებელ ზომებზე, გამოუცხადებლობის შედეგებზე, ასევე, ვალდებულებაზე, აცნობოს სასამართლოს გამოუცხადებლობის მიზეზები. პალატამ ყოველივე აღნი-

შნულზე დაყრდნობით, მართებულად დაადგინა, რომ გამოუცხადებელი მხარე სასამართლო სხდომაზე არ იყო მიწვეული საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, რაც დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია (**შდრ. სუსგ №ას-894-844-2015, 04 დეკემბერი, 2015**).

2. საკასაციო სასამართლოს მიერ საქმის მასალებში არსებული აქტის აუდიოვერსიის მოსმენის შედეგად, დადასტურდა, რომ სხდომის თარიღის, საათის, მხარეების, მოსამართლის ვინაობისა და სხდომის დარბაზის შესახებ საქალაქო სასამართლოს შესაბამისი მოხელის მიერ შედგენილი აქტი არ შეიცავდა სსსკ-ის 72.1. მუხლით დადგენილ სავალდებულო რეკვიზიტებს: კერძოდ, მხარისათვის მითითებას არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობისას მის მიმართ გამოსაყენებელ ზომებზე, გამოუცხადებლობის შედეგებზე, ასევე, ვალდებულებაზე, აცნობოს სასამართლოს გამოუცხადებლობის მიზეზები. საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ საპროცესო ნორმები, როგორც ფორმალურ წესთა ერთობლიობა, იმ სავალდებულო მოთხოვნებს ადგენს, რომელთა შეცვლა არ არის დამოკიდებული არც სასამართლოს და არც მხარეთა მიხედულებაზე. შესაბამისად, სსსკ-ის 70-78-ე მუხლებით დადგენილი მონესრიგების ფარგლებში, მხარისათვის სასამართლო უწყების ჩაბარების წესის შემოწმება სასამართლოს ვალდებულებაა, ხოლო იმ პირობებში, როდესაც მოპასუხე უთითებს, რომ დარღვეულია საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნა, ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა და დასაბუთება, რომ თავად მხარემ არასწორად მოინიშნა სხდომის თარიღი, არ არის გამართლებული, რადგან, უპირველესად, შესამოწმებელია, რამდენად დაიცვა სასამართლოს მოხელემ მხარისათვის შეტყობინების ჩაბარებისას საპროცესო კოდექსით დადგენილი მოთხოვნები. ეს საკითხი არ არის იმგვარი ფორმალობა, რომელიც სასამართლოს განმარტების საგანია, რადგან სსსკ-ის 72.1 მუხლით ამომწურავად არის დადგენილი სასამართლო უწყების შინაარსი და, მისი რომელიმე ელემენტის არარსებობის შემთხვევაში, სასამართლო უწყება არასრულად და კანონშესაბამოდ ჩაბარებულად უნდა ჩაითვალოს. ზემოხსენებული ფაქტობრივ-სამართლებრივი მოტივაციით დაკმაყოფილდა საკასაციო საჩივარი, გაუქმდა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს (**შდრ. სუსგ № ას- 1188-1148-2016, 24 ივლისი, 2017**).

ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო პალატამ განმარტა, რომ საპროცესო ნორმები, როგორც ფორმალურ წესთა ერთობლიობა, იმ სავალდებუ-

ლო მოთხოვნებს ადგენს, რომელთა შეცვლა ან განსხვავებული განმარტება არ არის დამოკიდებული არც სასამართლოს და არც მხარეთა-შეხედულებაზე. **სამოქალაქო საპროცესო კოდექსი მხარისა და ადვოკატისათვის სასამართლო უწყების ჩაბარების განსხვავებულ წესს არ ითვალისწინებს. შესაბამისად, ნორმის განმარტება იმგვარად, რომ ადვოკატმა ისედაც იცის სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის შედეგები და აღარ უნდა ეცნობოს, არ არის მართებული. საპროცესო ნორმის ამგვარი ინტერპრეტაცია არასწორია იმიტომაც, რომ მძიმე ტვირთად დაანებოდა თავად მხარეს. მხარეებს, ისევე, როგორც მათ წარმომადგენლებს, უწყება უნდა ჩაბარდეთ დადგენილი ფორმით, რა დროსაც დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს სიზუსტეს. სასამართლო ვალდებულია, შეამოწმოს რამდენად სწორად არის ჩაბარებული წერილობითი ფორმით შედგენილი თუ ტელეფონით გადაცემული უწყება, ანუ რამდენად შეესაბამება მისი შინაარსი სსსკ-ის 72.1 მუხლის მოთხოვნებს (*შდრ. სუსგ № ას- 930-888-2013, 19 ივნისი, 2015*).**

საკასაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა საქმეში წარმოდგენილი ოთხ უკუგზავნილზე, რომლებიც ურთიერთგამომრიცხავ მონაცემებს შეიცავს. მან მიუთითა, რომ აღნიშნულ შეტყობინებებში დაკონკრეტებული არ არის, რომელ ორგანიზაციაზეა საუბარი და, აქედან გამომდინარე, ბარათებზე ხელმოწერი ფიზიკური პირები არიან თუ არა საწარმოს უფლებამოსილი პირები. აღსანიშნავია ისიც, რომ მოცემული მტკიცებულებები არ გამოუკვლევია ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს. ამდენად, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ აღნიშნული მტკიცებულებები სააპელაციო სასამართლომ სათანადოდ უნდა გამოიკვლიოს, შეაფასოს სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება. ამგვარად, სსსკ-ის 241-ე მუხლის საფუძველზე, გაუქმდა გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება (*შდრ. სუსგ № ას- 1108-1065-2016, 18 აპრილი, 2017*).

3. საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, საკასაციო სასამართლო არის მესამე ინსტანციის (საბოლოო ინსტანცია) სასამართლო, რომელიც ამოწმებს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებათა სისწორეს სამართლებრივი კუთხით. ის არ არის ფაქტების დამდგენი სასამართლო, ამიტომ ახალი ფაქტებისა და მტკიცებულებების წარდგენა საკასაციო სასამართლოში პრინციპულად დაუშვებელია. ერთადერთი გამონაკლისია სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას საპროცესო სამართლებრივი ნორმების ისეთი დარღვევა, რომლის შედეგად, საქმეზე გამოტანილია არასწორი გადაწყვეტილება. საკასაციო სასამა-

რთლო ასევე შებოჭილია საკასაციო საჩივრის ფარგლებით. ეს ნიშნავს, რომ იგი ვერ გააუქმებს გადაწყვეტილებას იმ ნაწილში, რომელშიც არ იყო გასაჩივრებული. საკასაციო სასამართლოში სამართალწარმოება შეიძლება დაიწყოს მხოლოდ საკასაციო საჩივრის (სსსკ-ით გათვალისწინებულ ცალკეულ შემთხვევებში - კერძო საჩივრის) საფუძველზე. საკასაციო საჩივრის შეტანა შეუძლია მხარეს, რომელსაც აქვს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების იურიდიული ინტერესი. საკასაციო სასამართლო არსებობს იმისათვის, რომ განიხილოს საკასაციო საჩივარი და პასუხი გასცეს ამ საჩივრით წამოყენებულ კასატორის მოთხოვნას. ამრიგად, რომ არა წაგებული მხარის საკასაციო საჩივარი, საკასაციო წარმოება ვერ აღიძვრებოდა და სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების (განჩინების) კანონიერება ვერ შემოწმდებოდა. **გადაწყვეტილების საკასაციო წესით გასაჩივრების შესაძლებლობა არის რეალური სამართლებრივი საშუალება, რომ კიდევ ერთხელ შემოწმდეს გადაწყვეტილების სისწორე სამართლებრივი დასაბუთებულობის თვალსაზრისით. ეს იმის საფუძველია, რომ თუ სააპელაციო სასამართლომ სამართლებრივ დასაბუთებულობაში შეცდომა დაუშვა, გადაწყვეტილება გასწორდეს.** გასაჩივრებულ განჩინებას მხარე იმ საფუძველით შეედავა, რომ სასამართლო სხდომაზე არ იყო მიწვეული კანონით დადგენილი წესით. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 72-ე მუხლის პირველი ნაწილი ადგენს იმ სავალდებულო წინაპირობებს, რომლებსაც უწყება უნდა შეიცავდეს. მათ შორისაა „ბ“ ქვეპუნქტით იმპერატიულად განსაზღვრული მითითება გამოცხადების დროისა და ადგილის შესახებ. მოცემულ შემთხვევაში, სასამართლომ სხდომა დანიშნა 12:00 საათზე, ხოლო მხარეებს აცნობა, რომ იგი განიხილებოდა 18:01 საათზე. ამდენად, საკასაციო პალატამ დაასკვნა, რომ იკვეთება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული წინაპირობა (მხარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დაუშვებელია, თუ გამოუცხადებელი მხარე მონვეული არ იყო ამ კოდექსის 70-ე–78-ე მუხლებით დადგენილი წესით). შესაბამისად, საჩივრის ავტორის მოთხოვნა საფუძველიანია და, ამავე კოდექსის 241-ე მუხლის მიხედვით, არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების ფაქტობრივ-სამართლებრივი წინაპირობები (**მდრ. სუსგ №ას-237-237-2018, 04 მაისი, 2018**).

4. სსსკ-ის 233-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის ანალიზი ცხადყოფს, რომ კანონმდებელი არ აზუსტებს, რა დაუძლეველ ძალას ან „სხვა მოვლენებს“ გულისხმობს, რომლებსაც შეიძლება, ხელი შეეშალა

მხარისათვის სასამართლოში დროულად გამოცხადების მხრივ, და ამ საკითხის შეფასებას - სამართლიანობის პრინციპებზე დაყრდნობით - სასამართლოს ანდობს (**შდრ. სუსგ №ას -37-37-2018, 16 მარტი, 2018**).

5. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოსარჩელის წინააღმდეგ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანით, მისი სასამართლოზე ხელმისაწვდომობის კონსტიტუციით გარანტირებული უფლება არასამართლიანად და დაუსაბუთებლად შეიზღუდა. მის წინააღმდეგ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა, საქმის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლსაც (საქმის სამართლიანი განხილვის უფლება) (**შდრ. სუსგ №ას -1033-953-2017, 31 იანვარი, 2018**).

2. დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება სსსკ-ის 215-ე მუხლის მესამე ნაწილით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას

1. დაუსწრებელი გადაწყვეტილება ერთგვარი სანქციაა გამოუცხადებელი მხარის წინააღმდეგ, რომელსაც ჩაბარდა უწყება სასამართლო სხდომაზე მოწვევის შესახებ და სათანადო წესით ეცნობა გამოუცხადებლობის შედეგები, თუმცა არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდა სასამართლო სხდომაზე. არის თუ არა მხარის გამოუცხადებლობა საპატიო, კონკრეტული მტკიცებულებისა და გარემოებების ურთიერთშეჯერებისა და ერთობლივი ანალიზის საფუძველზე უნდა გადაწყდეს;

2. სსსკ-ის 215-ე მუხლის მესამე ნაწილი ადგენს, რომ სასამართლო უფლებამოსილია, მხარის მიერ კონკრეტული საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობა ჩათვალოს საპატიოდ, თუკი მას ვერ შეასრულებს ავადმყოფობის გამო. ამ შემთხვევაში, ისევე, როგორც ზოგადად სამოქალაქო სამართალწარმოებისას, მხარეს ეკისრება სადავო გარემოების მტკიცების ტვირთი. მეტიც, კანონის ზემოაღნიშნული დანაწესი პირდაპირ განსაზღვრავს, თუ რა მტკიცებულებით უნდა დადასტურდეს მხარის ავადმყოფობის ფაქტი და ასეთად მიიჩნევს სამედიცინო დოკუმენტს, რომელიც: ა) ხელმოწერილია სამედიცინო დანესებულების ხელმძღვანელის მიერ; ბ) პირდაპირ მიუთითებს მხარის შეუძლოდ ყოფნაზე კონკრეტული დროის მონაკვეთში (რომლის განმავლობაშიც უნდა შესრულებულიყო სადავო საპროცესო მოქმედება); გ) ასახავს პაციენტის ჯანმრთელობის იმგვარ გაუარესებას, რაც გამორიცხავს საპროცესო მოქმედების შესრულების შესაძლებლობას.

3. სსსკ-ის 215-ე მუხლის მესამე ნაწილი განიმარტება შემდეგნაირად: მხარეს საპროცესო მოქმედების შესრულება საპატიოდ ეთვლება, როდესაც მის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულება ადასტურებს მისგან დამოუკიდებელი ფაქტორების არსებობას, რომლებმაც ობიექტურად შეუშალა ხელი სადავო საპროცესო მოქმედების შესრულებაში. მართალია, სსსკ-ის 215-ე მუხლის მესამე ნაწილის განმარტებასთან დაკავშირებით, მეტად მნიშვნელოვანია სასამართლო პრაქტიკის გათვალისწინება, თუმცა კონკრეტული ურთიერთობის დარეგულირებისას სასამართლო ეფუძნება მოცემული დავის ფაქტობრივ გარემოებებს, რაც, ცხადია, ყველა შემთხვევაში განსხვავებულია. სასამართლოს მიერ დადგენილი სამართლებრივი შედეგიც გამომდინარეობს კონკრეტული გარემოებების შეფასებიდან.

4. საკასაციო პალატამ სამედიცინო ცნობაზე ხელმოწერი პირის ვინაობასთან მიმართებით აღნიშნა: *„მხოლოდ ის გარემოება, რომ იგი სამედიცინო დანესებულების ხელმძღვანელის მიერ არაა ხელმოწერილი (მით უფრო, როდესაც ხელმოწერილია მკურნალი ექიმის მიერ და დადასტურებულია სამედიცინო დანესებულების ბეჭდით), არ შეიძლება მასში მოცემული ინფორმაციის გაზიარებაზე უარის თქმის საფუძველი გახდეს.“* აქედან გამომდინარე, სსსკ-ის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, მხარის გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის შესაფასებლად, განსახილველ შემთხვევაში, კანონით დადგენილი წინაპირობების ერთობლიობა სახეზე იყო, რაც საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველია (**მდრ. სუსგ № ას-865-807-2017, 22 დეკემბერი, 2017; სუსგ № ას-187-179-2016, 06 მაისი, 2016წ; სუსგ №ას-955-917-2014, 24 ივლისი, 2015**). კანონის აღნიშნული დანაწესი ადგენს, რომ სასამართლო უფლებამოსილია, მხარის მიერ კონკრეტული საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობა ჩათვალოს საპატიოდ, თუკი ეს მოქმედება მან ვერ შეასრულა საპატიო მიზეზების გამო. ამ შემთხვევაში, ისევე, როგორც ზოგადად სამოქალაქო სამართალწარმოებისას, მხარეს ეკისრება სადავო გარემოების მტკიცების ტვირთი, სსსკ-ის 102-ე მუხლის შესაბამისად (**მდრ. სუსგ №ას-1410-1330-2017, 30 იანვარი, 2018; №ას-1078-998-2017, 25 ნოემბერი, 2017; №ას-801-754-2012, 18 ივნისი, 2012; №ას-1445-1459-2011, 31 ოქტომბერი, 2011**).

5. განსახილველ შემთხვევაში საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი პაციენტის სამედიცინო ბარათით ირკვეოდა, რომ სასამართლო სხდომამდე ერთი საათით ადრე სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადამ გაუწია მედიკამენტოზური მკურნალობა, რაც მითითებულია

საქმეში წარმოდგენილ სამედიცინო ბარათში. ამრიგად, გარემოებები, რომლებშიც სასამართლო სხდომის ჩატარების დღეს მოსარჩელის ჯანმრთელობის მდგომარეობა იმგვარად გაუარესდა, რომ დასჭირდა მედიკამენტოზური ჩარევა დიაზეპამით, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, ქმნიდა დასაბუთებულ საფუძველს ვარაუდისათვის, რომ მოსარჩელეს არ ჰქონდა შესაძლებლობა, გამოცხადებულიყო სასამართლო პროცესზე, ან წინასწარ ეცნობებინა სასამართლოსთვის მისი გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის (ჯანმრთელობის გაუარესების) თაობაზე. მხოლოდ ის, რომ აღნიშნულ დოკუმენტში პირდაპირ არ იყო მითითებული მხარის სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობის შესახებ, არ შეიძლება გამხდარიყო მასში მოცემული ინფორმაციის გაზიარებაზე უარის თქმის საფუძველი. საკასაციო პალატამ ჩათვალა, რომ საჩივრის ავტორის მიერ წარდგენილი მტკიცებულება აკმაყოფილებდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, რაც, სსსკ-ის 241-ე მუხლის მიხედვით, გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი იყო (**შდრ. სუსგ №ას-354-336-2015, 29 იანვარი, 2016**).

6. სსსკ-ის 215-ე მუხლის მესამე ნაწილით დადგენილი სტანდარტის შესაბამისად მტკიცებულების შეფასებისას, სასამართლომ დაასკვნა, რომ „მოსარჩელეთა წარმომადგენელმა საჩივრის განხილვის ეტაპზე უზრუნველყო მისი საპატიო მიზეზით სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის დადასტურება“ (**შდრ. სუსგ. №ას- 961-926, 17 თებერვალი, 2017**).

7. სამედიცინო ცნობაში გასაგებად უნდა იკითხებოდეს მხარის ჯანმრთელობის ისეთი მძიმე მდგომარეობა კონკრეტულად სადავო საპროცესო მოქმედების შესრულების პერიოდში, რომელიც რეალურად შეუძლების ხელს გადაადგილებასა და სასამართლოსთან კომუნიკაციაში. „აღნიშნული ეჭვს არ იწვევს, როდესაც დგინდება მხარისათვის სტაციონარული სამედიცინო მომსახურების განევის ფაქტი ან მკურნალი ექიმის რეკომენდაცია წოლითი რეჟიმის დაცვის თაობაზე“ (**შდრ. სუსგ № ას-1147-1103-2016, 15 თებერვალი, 2017**).

6. მოპასუხემ სასამართლოს სხდომაზე თავისი გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის - ავადმყოფობის - დასადასტურებლად წარადგინა კანონის მოთხოვნათა დაცვით შედგენილი დოკუმენტი, სადაც პირდაპირ იყო მითითებული ექიმის რეკომენდაცია პაციენტისათვის წოლითი რეჟიმის დანიშვნაზე. ცნობა გაიცა კონკრეტულად სხდომის დღეს და ასახავდა მოპასუხის ჯანმრთელობის არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობას

სწორედ სადავო მომენტისათვის. საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა სააპელაციო პალატის მსჯელობა მოპასუხის დიაგნოზთან დაკავშირებით და მიიჩნია, რომ მხარის განმეორებითი შუამდგომლობა მისი ავადმყოფობის მოტივით, რაც ნათლად არის დადასტურებული სათანადო მტკიცებულებით, ვერ ჩაითვლება საქმის განხილვის გაჭიანურების მცდელობად. შესაბამისად, არსებობდა სსსკ-ის 241-ე მუხლით გათვალისწინებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი (**შდრ. სუსგ № ას-1078-998-2017, 256ოქტომბერი, 2017; №ას- 327-309-2017, 21 აპრილი, 2017**).

7. საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღება გარკვეულწილად არის მხარისათვის სასამართლო ხელმისაწვდომობის უფლების შეზღუდვის ლეგიტიმური მექანიზმი, რასაც უკავშირდება იმ მხარისათვის არასასურველი სამართლებრივი შედეგები, რომლის მიმართაც გამოტანილია დაუსწრებელი გადაწყვეტილება. სწორედ ამით არის განპირობებული კანონმდებლის მიერ იმ მკაცრად განწერილი სავალდებულო წინაპირობების დანესება, რაც დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებას უძღვის წინ. ერთ-ერთი ასეთი წინაპირობაა იმ ფაქტის დადგენა, რომ მხარის მიერ საპროცესო ვალდებულების შეუსრულებლობა - ამ შემთხვევაში პროცესზე გამოუცხადებლობა - გამოწვეულია არასაპატიო მიზეზით. შესაბამისად, საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა სააპელაციო პალატის მსჯელობა მოპასუხის დიაგნოზთან დაკავშირებით და მიიჩნია, რომ მხარის განმეორებითი შუამდგომლობა მისი ავადმყოფობის მოტივით, რაც ნათლად არის დადასტურებული სათანადო მტკიცებულებით, ვერ ჩაითვლება საქმის განხილვის გაჭიანურების მცდელობად (**შდრ. სუსგ №ას-1078-998-2017, 25 ნოემბერი, 2017**).

8. სასამართლო სხდომაზე მხარის გამოუცხადებლობის გამო მიღებული განჩინების საფუძვლიანობა საკასაციო პალატამ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლის იმ კონტექსტში შეაფასა, რომელიც გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზზე მიუთითებს და მიიჩნია, რომ არსებობდა გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და საქმის იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის გათვალისწინებული წინაპირობები (**შდრ. სუსგ №ას- 687-641-2017, 28 ივლისი, 2017; №ას-955-917-2014, 24 ივლისი, 2015 წელი; №ას-187-179-2016, 6 მაისი, 2016 წელი**).

9. გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას საფუძვლად დაედო ის გარემოება, რომ სხდომაზე გამოცხადებულმა აპელანტმა დატოვა სასამართლო სხდომა, სასამართლოს მიერ მოსალოდნე-

ლი სამართლებრივი შედეგების შესახებ განმარტების მიუხედავად. კასაციონის მოსაზრებით, მის წინააღმდეგ არ უნდა გამოსულიყო დაუსწრებელი გადაწყვეტილება, ვინაიდან სასამართლომ იგი კვალიფიციური იურიდიული დახმარების გარეშე დატოვა ისეთ მონინააღმდეგესთან, რომელსაც რამდენიმე ადვოკატი იცავდა. შესაბამისად, იგი იძულებული გახდა, უარი ეთქვა საქმის განხილვაში მონაწილეობაზე. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ განსახილველ საქმეში სასამართლო ხელმისაწვდომობის უფლება მოსარჩელესთან მიმართებით არაპროპორციულად შეიზღუდა. ამის თავიდან ასაცილებლად სასამართლოს სხდომა სხვა დროისათვის უნდა გადაედო. შესაბამისად, იმავე სხდომაზე მოსარჩელის წინააღმდეგ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დაუშვებელი იყო (*შდრ. სუსგ №ას-1033-953-2017, 31 იანვარი, 2018*).

10. საქმის განხილვის კონკრეტულ ეტაპზე არ დგინდებოდა მხარის სასამართლო პროცესზე გამოცხადების დამაბრკოლებელი წინაპირობები; ამასთან, რადგან გამოცხადებული მონინააღმდეგე მხარე, მოსარჩელის (მოპასუხე შეგებებულ სარჩელში) გამოუცხადებლობის გამო, მოითხოვდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას, სასამართლომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 229-ე მუხლის პირველი ნაწილის სწორად განმარტების გზით, მართებულად გამოიტანა ეს გადაწყვეტილება; თუმცა საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ საჩივრის განხილვის ეტაპზე არ არსებობდა ამ დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების წინაპირობები (*შდრ. სუსგ №ას-354-336-2015, 29 იანვარი, 2016*).

3. მხარის წარმომადგენლის გამოუცხადებლობის გამო გამოტანილი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება

1. სწრაფი, ეკონომიური და ეფექტიანი მართლმსაჯულების განხორციელება როგორც სასამართლო ხელისუფლების, ისე სამართალწარმოების მონაწილე პირთა პასუხისმგებლობაა და საამისოდ საჭიროა ყველა ლეგიტიმური შესაძლებლობის გამოყენება, რომლებიც უზრუნველყოფს მხარეთა თანასწორობას საქმის განხილვის ყველა ეტაპზე და აგვარიდებს სასამართლოში საქმეთა განხილვის გაჭიანურებას. სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დამკვიდრებულია პრინციპი, რომლის თანახმად, მხარეებს (ფიზიკურ თუ იურიდიულ პირებს) შეუძლიათ საქმე აწარმოონ სასამართლოში როგორც პირადად, აგრეთვე წარმომადგენლის მეშვეობით. სასამართლო წარმომადგენლობა არის კანონით გარანტირებული შესაძლებლობა, რომ მხარემ აწარმოოს საქმე სასამართლოში წა-

რმომადგენლის მეშვეობით. სასამართლო წარმომადგენელი არის პირი, რომელიც მარწმუნებლის სახელით და მისი ინტერესების შესაბამისად ასრულებს სასამართლოში ყველა იმ საპროცესო მოქმედებას, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და მარწმუნებლის მიერ გაცემული მინდობილობით. სასამართლო წარმომადგენლობა დაიშვება უკლებლივ ყველა საქმეზე, რომლებიც სასამართლოს ექვემდებარება უწყებრივად. წარმოშობის საფუძვლების მიხედვით, განასხვავებენ: ა) ნებაყოფლობით ანუ სახელშეკრულებო წარმომადგენლობას; ბ) იურიდიული პირის წარმომადგენლობას; გ) კანონისმიერ წარმომადგენლობას. ნებაყოფლობითი (სახელშეკრულებო) წარმომადგენლობა წარმოიშობა მხარეთა თავისუფალი ნების საფუძველზე დავალების ხელშეკრულების დადებით (სსკ-ის 709-ე მუხლი). სსსკ-ის 96-ე მუხლი ითვალისწინებს წარმომადგენლის უფლებამოსილების გაფორმების პროცედურებს, ხოლო სსსკ-ის 98-ე მუხლი კი - წარმომადგენლის უფლებამოსილების ფარგლებს (იხ. ზ. ძლიერიშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, ნაწილი I, ავტორთა კოლექტივი, თბილისი, 2014, გვ.180-199).

2. სსსკ-ის 93-ე მუხლის თანახმად, მოქალაქეებს შეუძლიათ, სასამართლოში საქმე აწარმოონ პირადად, ხოლო იურიდიულ პირებს ან სხვა ორგანიზაციებს - იმ თანამდებობის პირის მეშვეობით, რომელსაც წესდებით ან დებულებით შეუძლია ამ იურიდიული პირისა თუ ორგანიზაციის სახელით იმოქმედოს. მხარეებს შეუძლიათ, სასამართლოში საქმე აწარმოონ წარმომადგენლის მეშვეობითაც. საქმისწარმოება წარმომადგენლის მეშვეობით არ ართმევს უფლებას მხარეებს, რომ პირადადაც მიიღონ მონაწილეობა საქმეში. საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებული ერთგვაროვანი პრაქტიკის თანახმად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 93-ე მუხლის მე-2 ნაწილი არ არის იმპერატიული და მხარეს აღჭურავს უფლებით, თავადაც მიიღოს მონაწილეობა საქმის განხილვაში, მაშინაც კი, თუ წარმომადგენელი ჰყავს. როდესაც მხარე მისი უფლების დაცვის შესაძლებლობას წარმომადგენელს მიანიჭებს და ეს უკანასკნელი მინიჭებულ უფლებამოსილებას კეთილსინდისიერად ახორციელებს, წარმომადგენლის საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობა არ შეიძლება გახდეს მხარისათვის არახელსაყრელი შედეგის დადგომის წინაპირობა, რადგანაც მას ამ ურთიერთობის მიმართ კანონიერი ნდობა აქვს და იგი ორიენტირებულია ადვოკატის მიერ მარწმუნებლის უფლების კვალიფიციურად დაცვაზე.

3. სსსკ-ის 440-ე მუხლის შესაბამისად, „პირს, რომელსაც არ ჩაუბარებია ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა და არ განწევრებულა საქა-

რთველოს ადვოკატთა ასოციაციაში, ეკრძალება წარმომადგენლის უფლებამოსილების განხორციელება სააპელაციო და საკასაციო ინსტანციების სასამართლოებში, გარდა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, ორგანიზაციის თანამშრომლისა - ამ ორგანოს, ორგანიზაციის საქმეზე“. მითითებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოებში მხარის ინტერესების დაცვის უფლებას კანონმდებელი ანიჭებს მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრები არიან. საკასაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზეც, რომ „აპელანტის ინტერესებს პირველი ინსტანციის სასამართლოში იცავდა წარმომადგენელი, რომლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი კვლავ ძალაშია, თუმცა რწმუნებული პირის საქართველოს ადვოკატთა ერთიან სიაში რეგისტრაციის ფაქტი არ დასტურდება (www.gba.ge). სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 440-ე მუხლის დანაწესიდან გამომდინარე, ეს პირი სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში წარმომადგენლობას ვერ განეკუთვნება“ (**მდრ. სუსგ №ას-187-179-2016, 06 მაის, 2016**).

4. პრაქტიკული მნიშვნელობის საკითხია, გაირკვეს ადვოკატის უფლებამოსილების მოცულობა (ფარგლები) იმ შემთხვევაში, როდესაც იგი საქმის განხილვაში მონაწილეობს მხოლოდ ადვოკატის ორდერის საფუძველზე. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 94.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სასამართლოში მხარეების წარმომადგენლებად შეიძლება იყვნენ ადვოკატები. ამავე კოდექსის 96.3 მუხლის მიხედვით, ადვოკატის უფლებამოსილება დასტურდება შესაბამისი კანონმდებლობით დადგენილი წესით. საქართველოში საადვოკატო საქმიანობის წესსა და პირობებს განსაზღვრავს კანონი „ადვოკატთა შესახებ“. მითითებული კანონის 1.1 მუხლის მიხედვით, საქართველოში საადვოკატო საქმიანობას ახორციელებს ადვოკატი. ამავე კანონის მე-2 მუხლის მიხედვით, **საადვოკატო საქმიანობა მოიცავს:** ადვოკატის მიერ იურიდიული რჩევის მიცემას იმ პირისათვის, რომელმაც მას დახმარებისათვის მიმართა (კლიენტი); **კლიენტის წარმომადგენლობას საკონსტიტუციო დავის, სისხლის, სამოქალაქო ან ადმინისტრაციული სამართლის საქმეზე სასამართლოში, არბიტრაჟში, დაკავების, გამოძიების ორგანოებში;** მესამე პირის მიმართ სამართლებრივი დოკუმენტების მომზადებას და კლიენტის სახელით ნებისმიერი დოკუმენტაციის წარდგენას; ისეთი იურიდიული დახმარების განეკუთვნებას, რომელიც არ უკავშირდება მესამე პირის წინაშე წარმომადგენლობას. ზემოხსენებული კანონის მე-4 მუხლი განსაზღვრავს ადვოკა-

ტის უფლებებს. კერძოდ, მითითებული მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, **ადვოკატს უფლება აქვს, წარმოადგინოს და დაიცვას კლიენტი, მისი უფლებები და თავისუფლებები საკონსტიტუციო, უზენაეს და საერთო სასამართლოებში, არბიტრაჟსა და გამოძიების ორგანოებში, სხვა ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან.** ამავე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ადვოკატს უფლება აქვს ისარგებლოს საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებებით. ზემოაღნიშნული ნორმებიდან ცალსახად გამომდინარეობს ადვოკატის უფლებამოსილება - წარმოადგინოს და დაიცვას კლიენტის ინტერესები სასამართლოში.

5. „ადვოკატთა შესახებ“ კანონის მე-19 მუხლი განსაზღვრავს საადვოკატო საქმიანობის საფუძველს. კერძოდ, მითითებული მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ადვოკატი საადვოკატო საქმიანობას ახორციელებს ხელშეკრულების საფუძველზე. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, გამოძიების ორგანოებში ან **საქმის სასამართლოში განხილვისას ადვოკატი ვალდებულია, საადვოკატო საქმიანობის უფლების დამადასტურებელ მონმობასთან ერთად წარადგინოს დადგენილი წესით კლიენტის მიერ მასზე გაცემული დოკუმენტი - მინდობილობა ან ორდერი,** ხოლო ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, ადვოკატის ორდერის ნიმუშს შეიმუშავენ და ამტკიცებენ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო. ზემოაღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, სასამართლოში საქმის განხილვისას ადვოკატი უფლებამოსილია, კლიენტის ინტერესები წარმოადგინოს და დაიცვას როგორც მინდობილობის, ასევე ორდერის საფუძველზე. ამასთან, ორივე შემთხვევაში ადვოკატმა სასამართლოს უნდა წარუდგინოს საადვოკატო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი მონმობაც. მინდობილობის გაცემის წესს ადგენს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 96-ე მუხლი, ხოლო, ადვოკატის ორდერის ნიმუშს შეიმუშავენ და ამტკიცებენ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო („ადვოკატთა შესახებ“ კანონის 19.3 მუხლი). საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადანყვეტილებით, დადგენილია ადვოკატთა ასოციაციის წევრის ორდერის სავალდებულო მოთხოვნები.

6. კანონის მოთხოვნათა დაცვით შედგენილი და გაცემული ორდერი უფლებას ანიჭებს ადვოკატს, რომ წარმოადგინოს და დაიცვას კლიენტის ინტერესები სასამართლოში. ასეთივე უფლებამოსილებას ადვოკატს ანიჭებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 96-ე მუხლის შესაბამისად გაცემული და გაფორმებული მინდობილობაც. აქედან გამომდინარე, შესა-

ძლებელია დავასკვნათ, რომ ადვოკატის ორდერი, ისევე როგორც მინდობილობა, არის სასამართლოში საქმისწარმოების შესახებ ადვოკატის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც უფლებას აძლევს ადვოკატს, მარნმუნებლის სახელით შეასრულოს ყველა საპროცესო მოქმედება, **გარდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლში ჩამოთვლილი საპროცესო მოქმედებებისა**. მითითებული ნორმის მიხედვით, უფლებამოსილება სასამართლოში საქმისწარმოების შესახებ „უფლებას აძლევს წარმომადგენელს, მარნმუნებლის სახელით შეასრულოს ყველა საპროცესო მოქმედება, გარდა სარჩელის აღძვრისა, არბიტრაჟისათვის საქმის გადაცემისა, სასარჩელო მოთხოვნაზე მთლიანად ან ნაწილობრივ უარის თქმისა, სარჩელის ცნობისა, სარჩელის საგნის შეცვლისა, მორიგებისა, სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრებისა, საალსრულებო ფურცლის გადასახდევინებლად წარდგენისა, მიკუთვნებული ქონების ან ფულის მიღებისა. წარმომადგენლის უფლებამოსილება ამ მუხლში აღნიშნული თითოეული მოქმედების შესრულებისათვის სპეციალურად უნდა მიეთითოს მარნმუნებლის მიერ გაცემულ მინდობილობაში.

7. სსსკ-ის 98-ე მუხლი ადგენს იმ საპროცესო მოქმედებების ამომწურავ ჩამონათვალს, რომელთა შესრულების უფლებაც არა აქვს წარმომადგენელს სპეციალური მინდობილობის გარეშე. იმის მიუხედავად, რომელი დოკუმენტის (მინდობილობის თუ ორდერის) საფუძველზე ახორციელებს ადვოკატი წარმომადგენლობას, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლში მითითებულ მოქმედებათა შესრულება მას შეუძლია მხოლოდ მაშინ, როდესაც მარნმუნებლის მიერ გაცემულ მინდობილობაში სპეციალურად არის აღნიშნული ამ მოქმედებათა შესრულების უფლებამოსილების მინიჭება. ეს საპროცესო მოქმედებები უკავშირდება მარნმუნებლის მიერ თავისი მატერიალურ-სამართლებრივი უფლების განკარგვას. ამიტომ, მათ შესახებ სპეციალურად უნდა იყოს აღნიშნული მინდობილობაში. ეს ნიშნავს, რომ ორდერის საფუძველზე ადვოკატს შეუძლია, შეასრულოს ყველა საპროცესო მოქმედება, რომლებიც არ არის მითითებული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლში და რომელთა შესრულება შეუძლია თვითონ მარნმუნებელს. ცხადია, ადვოკატის მიერ ასეთი საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობა გამოიწვევს კანონით გათვალისწინებული და მხარისათვის არასასურველი საპროცესო შედეგის დადგომას.

8. განსახილველ შემთხვევაში, დადგენილად ჩაითვალა, რომ სააპელაციო საჩივარში ხარვეზის შევსების ვადის გაგრძელების შესახებ განჩინე-

ბა გაეგზავნა და ჩაბარდა ადვოკატს, რომელიც აპელანტს წარმოადგენდა ადვოკატის ორდერის საფუძველზე. მითითებული ორდერი უფლებას ანიჭებდა მას, რომ წარმოედგინა და დაეცვა მარწმუნებლის ინტერესები ნებისმიერი ინსტანციის სასამართლოში. ორდერის საფუძველზე ადვოკატს შეუძლია, შეასრულოს მხოლოდ ის საპროცესო მოქმედებები, რომლებიც არ არის მითითებული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლში. ამ ნორმის მიხედვით, ადვოკატს გადაწყვეტილების გასაჩივრება შეუძლია მხოლოდ სპეციალური უფლებამოსილების საფუძველზე. სააპელაციო საჩივრის შეტანის დროს ადვოკატი ასეთი უფლებამოსილებით აღჭურვილი არ იყო. ამიტომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368.3 მუხლის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ აპელანტს მართებულად დაუდგინა ხარვეზი და დაავალა მარწმუნებლის მიერ ადვოკატის სახელზე გაცემული მინდობილობის წარმოდგენა, რომელშიც სპეციალურად იქნებოდა აღნიშნული ამ უკანასკნელისათვის სააპელაციო საჩივრის შეტანის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ. აღნიშნული განჩინება სააპელაციო სასამართლომ გაუგზავნა არა მხარეს (მარწმუნებელს), არამედ ადვოკატს და მისთვის ჩაბარება მიიჩნია აპელანტისათვის (მხარისათვის) ჩაბარებად, რაც საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა შემდეგ გარემოებათა გამო: დადგენილია, რომ ადვოკატს გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრების უფლება არ ჰქონდა მინიჭებული, რაც საფუძველად დაედო აპელანტისათვის ხარვეზის დადგენას. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ხარვეზი უკავშირდებოდა წარმომადგენლის (ადვოკატის) მხრიდან ისეთი საპროცესო მოქმედების შესრულებას (სააპელაციო საჩივრის შეტანას), რომელსაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლის მიხედვით, სპეციალური უფლებამოსილება სჭირდებოდა. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ასეთი შინაარსის ხარვეზზე განჩინება კანონით დადგენილი წესით უნდა გაგზავნოდა და ჩაბარებოდა უშუალოდ მხარეს, ვინაიდან გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების არმქონე პირი არ იყო უფლებამოსილი, შეესრულებინა ის საპროცესო მოქმედება, რომელიც პირდაპირ უკავშირდებოდა სწორედ მისი უფლებამოსილების არქონას. შესაბამისად, საკასაციო პალატამ, იურიდიულად დაუსაბუთებლობის გამო, გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნა სააპელაციო სასამართლოს (**მდრ. სუსგ №ას-1614-1608-2011, 21 მაისი, 2012**).

9. საკასაციო სასამართლომ გაიზიარა კასატორის პრეტენზია, რომ საწარმოს დირექტორის კანონმდებლობით მინიჭებული წარმომადგე-

ნლობითი უფლებამოსილების ფარგლებში მონაწილეობის სავალდებულოობა არ გამომდინარეობს არც კანონმდებლობიდან და არც სასამართლო პრაქტიკიდან. ამის დასტურია ისიც, რომ კანონით დადგენილი წესით, სააპელაციო და საკასაციო სამართალწარმოების ეტაპებზე მხარის წარმომადგენელი აუცილებლად უნდა იყოს ადვოკატთა ასოციაციის ერთიან რეესტრში კონკრეტული სპეციალიზაციის მიხედვით ადვოკატად რეგისტრირებული პირი ან ორგანიზაციის თანამშრომელი (იხ. სსსკ-ის 93-94-ე მუხლები). სანარმოს დირექტორის გამოუცხადებლობის შესახებ საკასაციო პალატამ განმარტა, რომ არც ეს გარემოება იყო დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების წინაპირობა, რადგან სანარმოს წარმომადგენელი არის იურიდიული პირის თანამდებობის პირი, რომელსაც წესდებით ან დებულებით შეუძლია და არ არის ვალდებული, იმოქმედოს სამეწარმეო საზოგადოების სახელით, თანახმად სსსკ-ის 93-ე მუხლის პირველი ნაწილისა, ხოლო იმავე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად: „მხარეებს შეუძლიათ, აგრეთვე საქმე აწარმოონ სასამართლოში წარმომადგენლის მეშვეობით. საქმისწარმოება წარმომადგენლის მეშვეობით არ ართმევს უფლებას მხარეებს, თვითონაც პირადად მიიღონ მონაწილეობა საქმეში“ (შდრ. სუსგ №ას-381-354-2017, 13 ნოემბერი, 2017; №ას-849-799-2015, 24 ივნისი, 2016).

9. მართალია, სსსკ-ის 93-ე მუხლის მე-2 ნაწილის ბოლო წინადადება უფლებას ანიჭებს მხარეს, თავადაც მიიღოს მონაწილეობა საქმის განხილვაში, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ავადმყოფობის ან საზღვარგარეთ ყოფნის გამო, ან რაიმე სხვა მიზეზით, მხარის სხდომაზე გამოცხადების შეუძლებლობის შემთხვევაში, მისი წარმომადგენელი არ არის ვალდებული, გამოცხადდეს საქმის განხილვაზე. თუ თავად წარმომადგენელს არ აქვს სხდომაზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზი, იგი ვალდებულია, გამოცხადდეს სასამართლოში და მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში. ამ საკითხის სხვაგვარად გადაწყვეტა აზრს დაუკარგავდა საპროცესო წარმომადგენლობის ინსტიტუტის არსებობას (შდრ. სუსგ №ას-1666-1654-2011, 8 დეკემბერი, 2011 წელი; №ას-227-214-2015, 16 მარტი, 2015 წელი; სუსგ №ას - 678-649-2016, 16 დეკემბერი, 2016).

10. საჩივრის ავტორები გასაჩივრებული განჩინების გაუქმებას მოითხოვდნენ იმ საფუძველით, რომ სხდომის თარიღი ეცნობა მოსარჩელეთა პირველ წარმომადგენელს, რომელიც მათ ინტერესებს მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოში იცავდა, სააპელაციო ინსტანციაში დაცვის უფლებამოსილება კი არ ჰქონდა ადვოკატის უფლებამოსილების შეწყვეტის გამო. შესაბამისად, ამ უკანასკნელისათვის შეტყობინების ჩა-

ბარება კანონით დადგენილი წესით ჩაბარებად ვერ მიიჩნევა. განსახილველ შემთხვევაში, დადგენილია, რომ მოსარჩელეთა პირველ წარმომადგენელს შეტყობინების ჩაბარებისას, შეწყვეტილი ჰქონდა ადვოკატის უფლებამოსილება. აქედან გამომდინარე, საჩივრის ავტორთა ზემოხსენებული პრეტენზიის მართებულობის შესამოწმებლად, საკასაციო პალატამ პასუხი გასცა კითხვას - იქონიებდა თუ არა ეს გარემოება გავლენას მოსარჩელეთა პირველი წარმომადგენლისათვის უწყების ჩაბარების მართლზომიერებაზე ისეთ ვითარებაში, როცა სასამართლომ ადვოკატის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ არაფერი იცოდა, ხოლო მიწოდებულია კი ძალაში იყო. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ასეთ შემთხვევაში, სასამართლომ, სსსკ-ის 7.2. მუხლის საფუძველზე („თუ არ არსებობს სამოქალაქო საპროცესო ნორმა, რომელიც არეგულირებს სასამართლო წარმოების დროს წარმოშობილ ურთიერთობას, სასამართლო იყენებს საპროცესო სამართლის იმ ნორმას, რომელიც აწესრიგებს მსგავს ურთიერთობას (კანონის ანალოგია), ხოლო, თუ ასეთი ნორმაც არ არსებობს, სასამართლო ემყარება სამოქალაქო საპროცესო სამართლის ზოგად პრინციპებს (სამართლის ანალოგია)“), უნდა იხელმძღვანელოს ამავე კოდექსის მე-100 მუხლის („წარმომადგენელს უფლება აქვს, საქმისწარმოების ყველა სტადიაზე უარი თქვას თავის უფლებამოსილებაზე, რის შესახებაც დროულად უნდა აცნობოს როგორც სასამართლოს, ისე მის მარწმუნებელს, რათა ამ უკანასკნელმა შეძლოს, თვითონ მიიღოს მონაწილეობა პროცესში და აიყვანოს ახალი წარმომადგენელი. ამის გათვალისწინებით სასამართლო დანიშნავს დროს, როცა წარმომადგენელს უფლება აქვს, შეწყვიტოს პროცესში მონაწილეობა“) ანალოგიით. მითითებული ნორმა ადვოკატს ავალდებულებს, საადვოკატო უფლებამოსილების შეწყვეტა აცნობოს როგორც სასამართლოს, ასევე მხარეს. ამ ვალდებულების შეუსრულებლობა განაპირობებს მისთვის სასამართლო შეტყობინების ჩაბარებულად მიჩნევას. მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებით დასტურდება, რომ კანონით დადგენილი წესით, სატელეფონო შეტყობინებით, სასამართლო სხდომის შესახებ ეცნობა მოსარჩელეთა პირველ წარმომადგენელს, რა დროსაც საადვოკატო უფლებამოსილების შეწყვეტაზე მას სასამართლოსათვის არ უცნობებია. საჩივრის ავტორთა განმარტება, რომ უფლებამოსილების შეწყვეტა პირველმა წარმომადგენელმა უწყების ჩაბარებისას აცნობა სასამართლოს, არ იქნა გაზიარებული, ვინაიდან არ დასტურდებოდა შესაბამისი მტკიცებულებებით. მეტიც, სააპელაციო საჩივარზე წარდგენილ შესაგებელში პირველი წარმომადგენელი მითითებულია, როგორც

მონინალმდევე მხარის/მოსარჩელების წარმომადგენელი და მას არც ამ შემთხვევაში უცნობებია სასამართლოსათვის საადვოკატო უფლებამოსილების შეწყვეტა. ეს ნიშნავს, რომ პირველმა წარმომადგენელმა სასამართლოს დაუდასტურა მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარების კანონიერება. შესაბამისად, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ არ არსებობდა სსსკ-ის 241-ე მუხლიდან გამომდინარე გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძვლები (**მდრ. სუსგ №ას-803-803-2018, 27 სექტემბერი, 2018**).

11. საკასაციო პალატამ არ გაიზიარა საჩივრის ავტორის მითითება, რომ სააპელაციო სასამართლოში დანიშნული სხდომის დროს აპელანტის მიერ მის წარმომადგენელზე გაცემული მინდობილობა გაუქმებული იყო, რადგან საქმის მასალებით არ დადასტურდა რწმუნებულების გაუქმება; არც საჩივრის ავტორს წარმოუდგენია მისი გაუქმების დამადასტურებელი დოკუმენტი, რაც საშუალებას მისცემდა სასამართლოს, ემსჯელა აპელანტის წარმომადგენლის სასამართლოს სხდომაზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის შესახებ. სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია, რომ სხდომის დღეს აპელანტის ინტერესებს იცავდა მისი უფლებამოსილი წარმომადგენელი. საკასაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-71-ე მუხლების პირველ ნაწილებზე და საქმის მასალებით დადგენილად მიიჩნია, რომ სასამართლო უწყება ჩაბარდა აპელანტის იმ უფლებამოსილ წარმომადგენელს, რომელსაც შეტანილი ჰქონდა სააპელაციო საჩივარი მარწმუნებლის სახელით. ამიტომაც საჩივრი არ დაკმაყოფილდა (**მდრ. სუსგ № ას-149-149-2018, 23 აპრილი, 2018**).

12. საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლით, ასევე, 74-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადებით, და დაადგინა, რომ მოპასუხეები არიან ერთი ოჯახის წევრები, კერძოდ, კასატორ მოპასუხეთა შვილები, რძალი და შვილიშვილები, რომლებიც ერთ ოჯახში ცხოვრობენ. სასამართლო უწყება დანარჩენი მოპასუხეებისათვის გადასაცემად ჩაბარდათ კასატორ მოპასუხეებს. ეს ნიშნავს, რომ უწყება ჩაბარდათ დანარჩენ მოპასუხეებსაც. შესაბამისად, კასატორებმა ვერ მიუთითეს ვერანაირ საპატიო გარემოებაზე, რომელიც სადავო საქმის განხილვის დღეს მათ სასამართლოში გამოცხადებასა და ამის შესახებ სასამართლოსათვის წინასწარ შეტყობინებას ობიექტურად ხელს შეუშლიდა, რაც გამორიცხავს მოცემული საკასაციო საჩივრის დასაშვებად ცნობის შესაძლებლობას (**მდრ. სუსგ №ას-1270-2018, 02 ნოემბერი, 2018**).

13. სააპელაციო სასამართლომ სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვებას საფუძვლად დაუდო აპელანტის გამოუცხადებლობა, ხოლო მისი წარმომადგენლის სხდომაზე დასწრება არ მიიჩნია სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების დამაბრკოლებელ გარემოებად, იმის გამო, რომ უფლებამოსილების დამადასტურებელ დოკუმენტს ვადა ჰქონდა გასული. საკასაციო პალატამ არ გაიზიარა ქვემდგომი სასამართლოს შეფასება, **რადგანაც ამ შემთხვევაში სახეზე არ იყო დაუსწრებელი გადაწყვეტილების/სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების უმთავრესი წინაპირობა: პრეზუმფცია, რომ აპელანტმა დაკარგა ინტერესი დავის მიმართ და/ან იჩინა უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას სამართალწარმოებისადმი. საკასაციო სასამართლოს მიერ დამკვიდრებული ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის თანახმად, მხარე გამოცხადებულად მიიჩნევა იმ შემთხვევაშიც, თუ სასამართლოს სხდომაზე წარდგენილი იქნება წარმომადგენლის მეშვეობით, რომლის უფლებამოსილებასაც შეიძლება ჰქონდეს გარკვეული ნაკლი.** ასეთ შემთხვევაში, წარმომადგენლის გამოცხადება მიაჩნდება დავის მიმართ მხარის ინტერესის არსებობაზე, რის გამოც სასამართლომ გონივრული ვადა უნდა მისცეს არსებული ხარვეზის გამოსასწორებლად და შესაბამისი უფლებამოსილების მიმნიჭებელი მინდობილობის წარმოსადგენად. ამდენად, სასამართლოს სხდომაზე აპელანტის წარმომადგენლის გამოცხადება, მიუხედავად იმისა, რომ უფლებამოსილებას ამონურული ჰქონდა ვადა, არ შეიძლებოდა საფუძვლად დასდებოდა სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვებას (**შდრ. სუსგ №ას-193-184-2016, 22 აპრილი, 2016; №ას-953-1259-07, 31 მარტი, 2008 წელი; №ას-677-644-2014, 12 თებერვალი, 2015 წელი**).

14. საკასაციო სასამართლოს აზრით, მოსარჩელის წარმომადგენლის მიერ სასამართლოს სხდომის წინა დღეს წარდგენილი ცნობა ადასტურებდა, რომ სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის საპატიო საფუძველი ჰქონდა ადვოკატს და საპირისპირო დასკვნა ამ დოკუმენტიდან არ გამომდინარეობდა (**შდრ. სუსგ № ას-865-807-2017, 22 დეკემბერი, 2017**).

15. ერთ-ერთ საქმეზე დასაბუთებულად ჩაითვალა გასაჩივრებული განჩინების მსჯელობა, რომ მოსარჩელე აპელანტს გონივრული ვადა მიეცა სასამართლო პროცესისთვის მოსამზადებლად, მათ შორის, ადვოკატის მეშვეობით საკუთარი ინტერესების დასაცავად (**შდრ. სუსგ №ას-420-393-2017, 05 მაისი, 2017**).

16. კასატორმა მიუთითა, რომ მისი წარმომადგენელი, ჯანმრთელობის პრობლემების გამო, მოკლებული იყო შესაძლებლობას, განცხადებაზე დაერთო გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის დამადასტურებელი შესაბამისი მტკიცებულებები. ამასთან დაკავშირებით, საკასაციო პალატამ განმარტა, რომ წარმომადგენელს შეეძლო, სსსკ-ის 233-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული წინაპირობების შემთხვევაში, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ წარდგენილ საჩივარზე დაერთო გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის დამადასტურებელი კანონით გათვალისწინებული მტკიცებულება, რაც მას არ გაუკეთებია (**მდრ. სუსგ საქმე №ას-847-847-2018, 25 სექტემბერი, 2018**).

17. მოპასუხის წარმომადგენლის შუამდგომლობის საფუძველზე, სასამართლო სხდომის სხვა დროისათვის გადადება ერთი და იმავე დასაბუთებით /ადვოკატის სხვა სხდომაში მონაწილეობა/ იყო მოთხოვნილი, რაც სააპელაციო პალატამ არასაპატიოდ და სასამართლო განხილვის გაჭიანურებად ჩათვალა. საკასაციო პალატამ, საქმის მასალებიდან გამომდინარე, არ გაიზიარა სააპელაციო პალატის მოსაზრება და მიიჩნია, რომ არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების სსსკ-ის 241-ე მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი საფუძველები (**მდრ. სუსგ № ას- 849-799-2015, 24 ივნისი, 2016; სუსგ № ას- 961-926-2016, 17 თებერვალი, 2017; სუსგ №ას-1277-1197-2017, 01 დეკემბერი, 2017**).

18. საჩივრის ავტორი გასაჩივრებული განჩინების გაუქმებას მოითხოვდა იმ საფუძველით, რომ სააპელაციო სასამართლოში აპელანტის წარმომადგენლის გამოუცხადებლობა გამონვეული იყო საპატიო მიზეზით: კერძოდ, სააპელაციო სხდომის დროს ეს უკანასკნელი მონაწილეობდა სხვა სასამართლოში მიმდინარე სისხლის სამართლის საქმის განხილვაში, რის გამოც სააპელაციო ინსტანციაში ამავე დღეს დანიშნულ სხდომაში მონაწილეობას ვერ მიიღებდა. საკასაციო სასამართლომ ყურადღება მიაქცია გარემოებას, რომ საჩივარი არ შეიცავდა დასაბუთებას, თუ რატომ ვერ აცნობა აპელანტმა (ან მისმა წარმომადგენელმა) დროულად სააპელაციო სასამართლოს საპატიო მიზეზის თაობაზე. საგულისხმოა, რომ აპელანტმა ერთი თვით ადრე იცოდა სააპელაციო სასამართლოში დანიშნული სხდომის თაობაზე. საკასაციო პალატამ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებასაც, რომ მოცემული საქმის განხილვა ორჯერ გადაიდო და ორივეჯერ აპელანტის მიზეზით (მათ შორის, ერთხელ იმის გამო, რომ აპელანტის წარმომადგენელს სხვა საქმეზე დანიშნულ სხდომაში უნევდა მონაწილეობა). შესაბამისად, საკასაციო პალატამ ჩათვალა, რომ საჩი-

ვრის ავტორის მიერ წარდგენილი მტკიცებულება არ აკმაყოფილებდა სა-
მოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალის-
წინებულ მოთხოვნებს, რაც სსსკ-ის 241-ე მუხლის საფუძველზე, იყო
გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებაზე უარის
თქმის საფუძველი (**შდრ. სუსგ №ას-446-425-2015, 28 ივლისი, 2015**).

19. გაითვალისწინა რა ის გარემოებები, რომ მხარე 21 დღით ადრე
იყო ინფორმირებული დანიშნული სასამართლო სხდომის თაობაზე,
სხდომის გადადების შესახებ შუამდგომლობის ავტორისთვის - მხარის
წარმომადგენლისათვის - გონივრულ ვადაში ცნობილი იყო საზღვარგა-
რეთ მისი ვიზიტის თაობაზე, და აპელანტს, ამ წარმომადგენლის გარდა,
სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვაში მონაწილე-
ობაზე უფლებამოსილი კიდეც რამდენიმე წარმომადგენელი ჰყავდა, საკა-
საციო პალატამ მიიჩნია, რომ არ არსებობდა გასაჩივრებული დაუსწრე-
ბელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი (**შდრ. სუსგ №ას- 806-
806-2018, 20 ივლისი, 2018**).

20. მხარის გამოუცხადებლობის გამო მიღებული განჩინების საფუ-
ძვლიანობა საკასაციო პალატამ სსსკ-ის 241-ე მუხლის კონტექსტში შეა-
ფასა, რომელიც გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზზე მიუთითებს. ამ
თვალსაზრისით, მნიშვნელოვანად ჩაითვალა საჩივარზე დართული ცნო-
ბა, რომლის თანახმადაც, სასამართლოს სხდომის დღეს მხარის წარმომა-
დგენელმა ამოიღო სამი კბილი. საკასაციო პალატამ, შეაფასა რა მითი-
თებული მტკიცებულება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუ-
ხლით დადგენილი წესით, გაიზიარა საჩივრის ავტორის განმარტება,
რომ ამ ვითარებაში იგი ვერ შეძლებდა სილნალიდან (წარმომადგენლის
მისამართი) თბილისში გადაადგილებას და სასამართლოს წინასწარ
ინფორმირებას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამა-
რთლომ მიიჩნია, რომ საჩივრის ავტორმა გასაჩივრებული განჩინების
წინააღმდეგ წარმოადგინა დასაბუთებული შედაგება (სსსკ-ის 393.3 მუ-
ხლი), რაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველია (**შდრ.
სუსგ №ას-1277-1197-2017, 01 დეკემბერი, 2017**).

21. საკასაციო პალატამ დაუსაბუთებელად მიიჩნია სააპელაციო პა-
ლატის მითითება, რომ სასამართლოს სხდომაზე დანიშნულ დროს არ გა-
მოცხადდა არა მხოლოდ მხარე (მოპასუხე), არამედ მოპასუხის წარმომა-
დგენელიც, ვინაიდან სააპელაციო შესაგებელში მოპასუხემ დააფიქსირა,
რომ სააპელაციო ინსტანციაში მას წარმომადგენელი არ ჰყავდა. შესაბა-
მისად, არსებობდა სსსკ-ის 241-ე მუხლით გათვალისწინებული დაუსწრე-

ბელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი (**შდრ. სუსგ № ას-1078-998-2017, 25ნოემბერი, 2017**).

22. საქმის მასალებშია სააპელაციო სასამართლოს სხდომის წინა დღეს წარდგენილი შუამდგომლობა (განცხადება) სხდომის გადადების შესახებ, რომელსაც ერთვის მოპასუხის წარმომადგენლის სხვა სასამართლო სხდომაზე მონაწილეობის დამადასტურებელი მტკიცებულების - სასამართლო უწყების დედანი (*სსსკ-ის 105-ე მუხლი, 215-ე მუხლის მე-3 ნაწილი*), რაც უტყუარად ადასტურებს საწარმოს წარმომადგენელი ადვოკატის სხდომაზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზს (**შდრ. სუსგ № ას-849-799-2015, 24 ივნისი, 2016**).

23. საჩივრის ავტორი - აპელანტის წარმომადგენელი - გასაჩივრებულ განჩინებას სადავოდ ხდიდა სააპელაციო სასამართლოში დანიშნულ სხდომაზე მისი საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის საფუძველით: კერძოდ, იგი არ იმყოფებოდა საქართველოში, რის თაობაზეც სხდომამდე რამდენიმე დღით ადრე განცხადების მეშვეობით აცნობა სასამართლოს. საკასაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა სსსკ-ის 215-ე მუხლის მესამე ნაწილის, ასევე, მე-4 და 102-ე მუხლების დანაწესებზე და აღნიშნა, რომ მართალია, ამ შემთხვევაში განმცხადებელი სასამართლო სხდომის გადადების შუამდგომლობაში მიუთითებდა პროცესის დღეს საქართველოში არყოფნის შესახებ, თუმცა ეს რაიმე მტკიცებულებით გამყარებული არ არის; არც საჩივარს ერთვის რაიმე დოკუმენტი (მაგ.: ავიაბილეთი; მოქალაქის პასპორტის ასლი, სადაც მითითებული იქნებოდა ინფორმაცია საზღვრის გადაკვეთის თაობაზე და სხვა), რომელიც შესაძლებლობას მისცემდა სასამართლოს, შეეფასებინა სხდომაზე წარმომადგენლის გამოუცხადებლობის საპატიოობა. ამასთან, საქმის მასალებით დასტურდება, რომ გარდა აპელანტის წარმომადგენლისა, დადგენილია თავად აპელანტის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის ფაქტიც, რაც საჩივრით სადავოდ არ არის გამხდარი. ამიტომაც საჩივრი არ დაკმაყოფილდა (**შდრ. სუსგ № ას-188-188-2018, 23 აპრილი, 2018**).

24. სსსკ-ის 241, 215 (3), 102, 103 და 105 მუხლების საფუძველზე, სასამართლომ არ გაიზიარა საჩივრის ავტორის მითითება, რომ გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო ობიექტური გარემოებით: კერძოდ, ის მარწმუნებელმა შეიყვანა შეცდომაში და სხდომის თარიღი არასწორად აცნობა. საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ გამოუცხადებლობის მიზეზად მითითებული გარემოება სსსკ-ის 233-ე მუხლით გათვალისწინებულ საპატიო გარემოებას არ მიეკუთვნება. შესაბამისად, გამორიცხა საჩი-

ვრის დაკმაყოფილებისა და დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების შესაძლებლობა (**შდრ. სუსგ № ას-1440-1360-2017, 26.10.2018**).

25. საკასაციო სასამართლომ საჩივრის ავტორთა არც ის პრეტენზია გაიზიარა, რომ უწყება აუცილებლად მოსარჩელეთა მეორე წარმომადგენელსაც უნდა ჩაბარებოდა. სსსკ-ის 70.1 მუხლის საფუძველზე, უწყების ჩაბარება ერთ-ერთი წარმომადგენლისთვის ნიშნავს მხარისა და მისი სხვა წარმომადგენლისთვის ჩაბარებასაც. ამავე მუხლით დადგენილია, რომ წარმომადგენელი ვალდებულია, უწყების ჩაბარების შესახებ აცნობოს მხარეს. ამ ვალდებულების შეუსრულებლობა უწყების ჩაბარების მართლზომიერებაზე გავლენას ვერ იქონიებს. იგი შეიძლება გახდეს მარწმუნებელსა და რწმუნებულს შორის დავალების ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავის საგანი (**შდრ. სუსგ №ას-803-803-2018, 27 სექტემბერი, 2018**).

26. საკასაციო პალატამ გაიზიარა გასაჩივრებული განჩინების მსჯელობა, რომ მოსარჩელის წარმომადგენლის მიერ წარმოდგენილი არცერთი სამედიცინო ცნობა არ აკმაყოფილებდა სსსკ-ის 215-ე მუხლის მოთხოვნებს და არ შეიცავდა პირდაპირ მითითებას, რომ მოსარჩელის წარმომადგენელს, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო, ობიექტურად არ შეეძლო სასამართლო სხდომაზე საქმის განხილვაზე გამოცხადება (**შდრ. სუსგ №ას-37-37-2018, 16 მარტი, 2018**).

თავი III. უარი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ საჩივრის დაკმაყოფილებაზე

1. სამოქალაქო საპროცესო სამართალწარმოებაში დაუსწრებელი გადაწყვეტილების ინსტიტუტი უზრუნველყოფს მხარეთა პატივისცემას საპროცესო ვალდებულებების შესრულებისადმი, ასევე, მათი პასუხისმგებლობის გაზრდას. ის ემსახურება საპროცესო დისციპლინის განმტკიცებას და პროცესის გამარტივებას. აქედან გამომდინარე, ამ ინსტიტუტის მიზანია სსსკ-ის მე-3 და მე-4 მუხლებით განმტკიცებული სამართალწარმოების ფუნდამენტური პრინციპების რეალიზაცია. თუ დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებისას კანონით გათვალისწინებული წინაპირობები დაცულია, მისი გაუქმება სათანადო დასაბუთების გარეშე დაუშვებელია (**შდრ. სუსგ №ას-964-929-16, 06 მარტი, 2017**).

2. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლით განმტკიცებული დისპოზიციურობის პრინციპი მოიცავს მხარის არჩევანს არა მხოლოდ დავის დაწყებისა თუ სხვა საპროცესო უფლებების განკარგვის თაობაზე:

ის ასევე თავად წყვეტს თავდაცვის საპროცესო სტრატეგიას და ამ მიზნის მისაღწევად განკარგავს რესურსებს, რომლებიც სამოქალაქო საპროცესო კოდექსით აქვს მინიჭებული. „მოცემულ შემთხვევაში, საჩივრის ავტორს არ მიუმართავს სასამართლოსათვის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 280-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული უფლების რეალიზაციის მიზნით. მეტიც, მას საქმისწარმოება არც სხვა თანამონაწილეებისათვის მიუხდია (სსსკ-ის 87.2 მუხლი) და არც წარმომადგენლის მეშვეობით უცდია საკუთარი უფლებების დაცვა (სსსკ-ის 93-ე მუხლი). შესაბამისად, საკასაციო პალატამ დაასკვნა, რომ გასაჩივრებული განჩინება კანონიერია და არ არსებობს მისი გაუქმების წინაპირობები“ (**მდრ. სუსგ №ას- 183-183-2018, 04 მაისი, 2018**).

3. საკასაციო პალატამ არ გაიზიარა ქვემდგომი სასამართლოების შეფასება, რომ მოცემულ შემთხვევაში არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმისწარმოების განახლებისათვის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძველი, ვინაიდან თითოეული მოპასუხე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით იყო ინფორმირებული (მით უფრო, იმ პირობებში, რომ პირებს, რომლებსაც უშუალოდ/ოჯახის წევრის მეშვეობით ჩაბარდათ სარჩელი და თანდართული მასალები, საჩივარი არ წარუდგენიათ და ამ გზით სადავოდ არ გაუხდიათ საკუთარი ინფორმირების ფაქტი) (**მდრ. სუსგ № 555-526-2015, 23 ოქტომბერი, 2015**).

4. მხარე სააპელაციო საჩივარში მიუთითებდა, რომ მისი გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო საპატიო მიზეზით – ავადმყოფობით, რის შესახებაც სხდომამდე აცნობა მოსამართლის თანაშემწეს, თუმცა შესაბამისი ცნობა ვერ წარადგინა, რადგან ექიმის გამოძახებისათვის საჭირო ფინანსური შესაძლებლობა არ ჰქონდა. საკასაციო საჩივრის საფუძველად მოპასუხემ მიიჩნია პირველი ინსტანციის სასამართლოს სხდომის ოქმის არარსებობა, რაც, სსსკ-ის 394-ე მუხლის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო ამონიშნებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ მართალია, განსახილველ შემთხვევაში პირველი ინსტანციის სასამართლოს 2017 წლის 14 თებერვლის სხდომის ოქმი მატერიალური სახით საქმეს არ ერთვოდა ტექნიკური ხარვეზის გამო, თუმცა ის ელექტრონულად იყო ატვირთული და მატერიალური სახით გადაეგზავნა სააპელაციო პალატას მასალებზე დასართავად. შესაბამისად,

არ არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი **(შდრ. სუსგ №ას-1431-1351-2017, 12 იანვარი, 2018).**

5. საკასაციო პალატამ არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს შეფასება, რომ მოცემულ შემთხვევაში არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმისწარმოების განახლებისათვის სსსკ-ის 233-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძველი, ვინაიდან სსსკ-ის 241-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, არ დასტურდებოდა დაუძლეველი ძალის ან სხვა მოვლენის არსებობა, რამაც მხარის სასამართლოში დროულად გამოცხადებას ხელი შეუშალა. საჩივრის ავტორი უთითებდა გარემოებაზე, რომ მან და მისმა წარმომადგენელმა სხდომაზე გამოცხადება ვერ შეძლეს დაუძლეველი ძალის გამო, რაც მანქანის მოცურებითა და ტალახში ჩაფლვით გამოიხატა. საკასაციო სასამართლომ სსსკ-ის 102-ე მუხლის დანაწესის საფუძველზე აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში საჩივრის ავტორს არ წარუდგენია დაუძლეველი ძალის დამადასტურებელი არც ერთი მტკიცებულება, გარდა საკუთარი ახსნა-განმარტებისა, რის გამოც მოსარჩელის მითითება დადასტურებულად ვერ მიიჩნეოდა **(შდრ. სუსგ №ას-555-526-2015, 23 ოქტომბერი, 2015; სუსგ №ას-385-358-2017, 20 ოქტომბერი, 2017).**

6. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის კონტექსტში, საკასაციო პალატამ არ გაიზიარა საჩივრის არგუმენტი, რომ გამოუცხადებელი მხარე საპროცესო წესების დაცვით არ იყო მონვეული საქმის განხილვაზე **(შდრ. სუსგ №ას-383-356-2017, 09 ივნისი, 2017).**

7. საჩივრის ავტორი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებას მოითხოვდა იმ საფუძველით, რომ სასამართლო სხდომაზე მონვეული არ იყო სსსკ-ის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით. განსახილველ შემთხვევაში საქმის მასალებით დადასტურებულია სააპელაციო სასამართლოს მიერ უწყების გაგზავნა და ჩაბარება საჩივრის ავტორისათვის. შესაბამისად, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში მოქმედი მტკიცების სტანდარტის მიხედვით, სწორედ მომჩივანს ეკისრება თავისი პოზიციის საფუძველად მითითებული იმ გარემოების მტკიცება, რომ სასამართლო უწყება არ ჩაბარებია. საკუთარი ზეპირი განმარტების გარდა, მხარემ ზემოთ დასახელებული ფაქტი რაიმე სარწმუნო გზით ვერ დაადასტურა **(შდრ. სუსგ №ას-531-497-2017, 11 ოქტომბერი, 2017).**

8. სსსკ-ის 241-ე მუხლის „ბ“ პუნქტის, 215-ე მუხლის მესამე ნაწილის, 233-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების და 102-ე მუ-

ხლის პირველი და მესამე ნაწილების თანახმად, სასამართლომ მიუთითა, რომ საქმეში წარმოდგენილი წერილობითი მტკიცებულებების, სასამართლო მოხელის მიერ შედგენილი უწყების ასლისა და საფოსტო დაწესებულების უკუგზავნილის საფუძველზე, არსებობს პრეზუმფცია, რომ მონინაალმდევე მხარეს გაეგზავნა და ჩაბარდა უწყება სასამართლოს სხდომაზე მოწვევის შესახებ. ასეთ შემთხვევაში, საწინააღმდეგოს მტკიცების ტვირთი გადადის საჩივრის ავტორის მხარეს, რომელმაც ვერ დაამტკიცა გარემოება, რომ უწყება არ ჩაბარებია (**მდრ. სუსგ 631-589-2017, 11 ოქტომბერი, 2017 წელი**).

9. საჩივრის ავტორის განმარტებით, მისი გამოუცხადებლობა სასამართლო სხდომაზე გამონვეული იყო მეზობლისა და ახლო მეგობრის გარდაცვალებით. სასამართლომ, სსსკ-ის 241-ე, 233-ე, 215.3 და 102-ე მუხლებზე დაყრდნობით, განმარტა, რომ შუამდგომლობის წარდგენისა თუ ამის შეუძლებლობის საკანონმდებლო რეგლამენტაცია, ერთი მხრივ, მიუთითებს განსაკუთრებული ობიექტური გარემოების აუცილებლობაზე, ხოლო, მეორე მხრივ, ადგენს მხარის ობიექტურ შეუძლებლობას, ამ გარემოების თაობაზე წინასწარ აცნობოს სასამართლოს. ნორმის ამ ელემენტთაგან ერთ-ერთის არარსებობა მხარისათვის არახელსაყრელი შედეგის მომტანია. მოსარჩელემ ვერ დაამტკიცა, რომ კონკრეტულად სასამართლო სხდომის დღეს ის ობიექტურად იყო მოკლებული შესაძლებლობას, გამოცხადებულიყო სასამართლოში ან/და ეცნობებინა სასამართლოსთვის, რომ საპატიო მიზეზის გამო ვერ დაესწრებოდა სხდომას (**მდრ. №ას-397-370-2017, 30 ივნისი, 2017 წელი**).

10. საკასაციო პალატამ არ გაიზიარა კასატორის არგუმენტი, რომ დანიშნულ დროს მისი სასამართლოში გამოუცხადებლობა გამონვეული იყო საპატიო მიზეზით. ამ არგუმენტს მხარე ორ გარემოებაზე ამყარებდა: ჯანმრთელობის მდგომარეობის გამწვავება (მაღალი არტერიული წნევა); ტაქსის მძღოლმა, რომელიც მარნეულში დაიქირავა, არ იცოდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს მისამართი, რის გამოც კასატორი ჯერ თბილისის საქალაქო სასამართლოში მიიყვანა. რაიმე მტკიცებულება, რაც გამოუცხადებელი მხარის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების ფაქტს დაადასტურებდა, საქმეში არ მოიპოვება, ხოლო ის გარემოება, რომ ტაქსის მძღოლმა არ იცოდა სააპელაციო სასამართლოს მისამართი, ვერ დაედება საფუძვლად დაუსწრებელი გადანყვეტილების გაუქმებას, რამდენადაც სასამართლო სხდომაზე გამოცხადების სავალდებულობიდან გამომდინარე, მხარემ უნდა მიიღოს წინდახედულობის ყველა ზომა და თავიდან აიცილოს მის მიმართ არასასურველი შედეგის

დადგომა. შესაბამისად, საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა (**შდრ. სუსგ №ას-1159-1114-2016, 24 მარტი, 2017 წელი**).

11. მხარემ, მიუთითა რა გამოუცხადებლობის საპატიოობაზე, საჩივარში ფორმალურადაც კი არ გადმოსცა, რა მიზეზით იყო განპირობებული გამოუცხადებლობა და ამის თაობაზე სააპელაციო სასამართლოს წინასწარი ინფორმირების შეუძლებლობა; ასევე არ წარმოუდგენია რაიმე მტკიცებულება, რომლის შეფასებაც სასამართლოს საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილის წინაპირობების არსებობაში დაარწმუნებდა (**შდრ. №ას-564-523-2017, 16 ივნისი, 2017 წელი**).

12. სასამართლომ არ გაიზიარა კასატორის პოზიცია, რომ მხარე საპატიო მიზეზის გამო ვერ გამოცხადდა დროულად სასამართლოში. შესაბამისად, მხარემ ვერ დაამტკიცა, რომ არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლით გათვალისწინებული წინაპირობები (**შდრ. №ას-1468-1388-2017, 11 მაისი, 2018**).

13. კასატორის ერთ-ერთი ძირითადი პრეტენზია იყო ის, რომ მოსარჩელემ სასამართლოს არასწორად მიუთითა მისი მისამართი. პალატამ ეს არ გაიზიარა და აღნიშნა, რომ მოპასუხემ სასამართლოსთან წერილობითი კომუნიკაციისას არაერთხელ მიუთითა საკუთარი მისამართი, სადაც ეგზავნებოდა სასამართლო უწყება, ასევე, იმგვარ საპროცესო საშუალებათა განკარგვის აუცილებლობა, როგორცაა პოლიციისათვის გზავნილის ჩაბარების დავალდებულება (*სსსკ-ის 73.7 მუხლი*) თუ საჯარო შეტყობინების განხორციელების (*სსსკ-ის 78-ე მუხლი*) აუცილებლობა არც არსებობდა, რამდენადაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მოპასუხისათვის უწყება ჩაბარებულად ითვლება იმ შემთხვევაში, თუ პასუხში (*შესაგებელში*) მითითებულ მისამართზე გაეგზავნება (**შდრ. სუსგ №ას-1021-2018, 22 ნოემბერი, 2018**).

14. საკასაციო პალატამ არ გაიზიარა კასატორის პოზიცია, რომ იგი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით არ იყო მოწვეული საქმის განხილვაზე: დანიშნული სხდომის თაობაზე აპელანტის მოწინააღმდეგე მხარეს სააპელაციო შესაგებელში მითითებულ მისამართზე უწყება გაეგზავნა ფოსტით (*იხ. სსკ-ის 73.1. მუხლი*) და ჩაბარდა მისი ოჯახის ქმედუნარიან წევრს, დედას, რაც ამავე კოდექსის 74-ე მუხლის თანახმად, მხარის ჯეროვან ინფორმირებად განიხილება და სასამართლოს აძლევს სრულ შესაძლებლობას, შეუდგეს საქმის განხილვას. პალატამ ასევე არ გაიზიარა მხარის მოსაზრება, რომ

უნყება უნდა ჩაბარებოდა წარმომადგენელს, რადგანაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის პირველი ნაწილი (*მხარეს ან მის წარმომადგენელს სასამართლო უწყებით ეცნობება სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი. უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაბარდება ერთ-ერთ მათგანს ან ამ კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტებს*) სასამართლოს ამგვარ ვალდებულებას არ უდგენს. შესაბამისად, ნორმის სუბიექტთაგან ერთ-ერთის (*მათ შორის, ამ კოდექსის 74-ე მუხლის სუბიექტის*) ინფორმირება სრულად შეესაბამება კანონმდებლის ნებას. შესაბამისად, მხარემ ვერ დაადასტურა ის გარემოება, რომ სახეზეა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლით გათვალისწინებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების წინაპირობები (*შდრ. სუსგ №ას-438-410-2017, 30 მარტი, 2018*).

15. საქმეში წარმოდგენილი სამედიცინო დოკუმენტი არ ადასტურებდა საქმის განხილვის დღეს აპელანტის ისეთი ავადმყოფობის ფაქტს, რომელიც მხარეს თავისი საპროცესო მოვალეობის შესრულებაში შეუშლიდა ხელს. საკასაციო პალატამ დამატებით მიუთითა, რომ საქმეში წარმოდგენილია კანონის მოთხოვნათა დაცვით გაცემული რწმუნებულება, რომლითაც მოპასუხემ (აპელანტმა) წარმომადგენელს მინიჭა საქართველოს ყველა ინსტანციის სასამართლოში საქმისწარმოების უფლებამოსილება. სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის დროს მინდობილობა ძალაში იყო. აქედან გამომდინარე, თუნდაც აპელანტს ვერ მოეხერხებინა სასამართლო სხდომაზე გამოცხადება ავადმყოფობის გამო, მის წარმომადგენელს შეეძლო დასწრება და საქმის განხილვაში მონაწილეობა. ამ უკანასკნელის გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზზე საჩივრის ავტორი არ უთითებს. ხსენებული გარემოება, საკასაციო პალატის მოსაზრებით, უშუალოდ აპელანტის საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაშიც კი, გასაჩივრებული განჩინების უცვლელად დატოვების დამატებითი არგუმენტია (*შდრ. სუსგ №ას-1529-1449-2017, 28 თებერვალი, 2017*).

16. საჩივრის ავტორი მიუთითებდა, რომ გასაჩივრებული განჩინების გამოტანისას დაირღვა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლების მოთხოვნები, რადგანაც უწყების მიმღები არის არა აპელანტის ოჯახის წევრი, არამედ მასთან დაახლოებული პირი. შესაბამისად, არ შეიძლება სასამართლოს მხარე ჯეროვნად ინფორმირებულად მიეჩნია. პროცესის თაობაზე აპელანტის წარმომადგენელმა შეიტყო მოსამა-

რთლის თანაშემწისგან. საკასაციო პალატამ არ გაიზიარა საჩივრის ავტორის არგუმენტი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის დარღვევაზე და განმარტა, რომ მხარის მიერ მითითებულ მისამართზე სასამართლო შეტყობინების იმ პირისათვის ჩაბარება, რომელიც ადასტურებს, რომ არის ადრესატის ოჯახის ქმედუნარიანი წევრი, **სწორედ იმ პრეზუმფციის დაშვების საფუძველია, რომ შეტყობინება ბარდება მხარეს და ეს გარემოება საპროცესო მოქმედების შესრულების საკმარისი წინაპირობაა.** ამგვარი პრეზუმფციის დაშვების საფუძველია როგორც მითითებული საპროცესო ნორმის, ისე სსსკ-ის 72-ე მუხლის მე-2 ნაწილის დათქმა, რომლის თანახმადაც, მხარეს ეკისრება საკუთარი მისამართის სწორად მითითება და ჩაუბარებლობის რისკს კანონმდებელი მასვე აკისრებს. ამგვარად შეიძლება განიმარტოს სსსკ-ის 74-ე მუხლის დებულება, რამდენადაც მხარის მიერ მითითებულ მისამართზე გაგზავნილ შეტყობინებას იბარებს პირი, რომელიც გამოთქვამს მზაობას შეტყობინების ადრესატისათვის გადაცემის შესახებ და ადასტურებს, რომ ადრესატის ოჯახის ქმედუნარიანი წევრია (**შდრ. სუსგ №ას-193-184-2016, 22 აპრილი, 2016**).

17. საჩივრის ავტორმა მიუთითა, რომ სასამართლო სხდომამდე სამი კვირით ადრე მიიღო ტრავმა, მკურნალობდა ბინაზე, წოლითი რეჟიმის პირობებში და შეექმნა რთული ფინანსური მდგომარეობა. ამის გამო მან ვერ შეძლო სასამართლო სხდომაზე გამოცხადება და წარმომადგენელთან დაკავშირება, რათა მისი მეშვეობით დაეცვა საკუთარი ინტერესები. მხარემ საჩივარს დაურთო ექიმის დანიშნულება, კარდიოგრამა და ნაშლის რეცეპტი. საკასაციო სასამართლო დაეთანხმა სააპელაციო პალატის მსჯელობას, რომ აღნიშნული დოკუმენტები ვერ გამოდგება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლით დადგენილ მტკიცებულებად და ისეთი ავადმყოფობის დამადასტურებლად, რომელიც სასამართლო სხდომაზე მისი გამოუცხადებლობის მიზეზი გახდებოდა. საჩივრის ავტორმა ასევე ვერ დაადასტურა, რატომ ვერ შეძლო თავისი ავადმყოფობის შესახებ დროულად ეცნობებინა სასამართლოსათვის. შესაბამისად, სადავო დაუსწრებელი გადანყვეტილება მიღებულია კანონის მოთხოვნათა დაცვით და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლით დადგენილი მისი გაუქმების წინაპირობების არსებობა კასატორმა ვერ დაამტკიცა (**შდრ. სუსგ №ას-351-334-2015, 10 ივნისი, 2015; №ას-1529-1449-2017, 28 თებერვალი, 2018**).

18. სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის საპატიოობას ერთ-ერთი მოპასუხე იმით ამტკიცებდა, რომ სასწავლებლად იმყოფებოდა სა-

ზღვარგარეთ და წარმოდგენილი ჰქონდა მონაკოს უნივერსიტეტის სერტიფიკატის ასლი. საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ ეს მტკიცებულება თავისთავად არ ადასტურებს სასამართლო სხდომის დროისათვის საზღვრის კვეთის ფაქტს (სსსკ-ის 102.3 მუხლით არ არის განკუთვნილი). მეტიც, როგორც სააპელაციო, ისე კერძო საჩივარს და მოგვიანებით წარმოდგენილ შუამდგომლობას საქმისწარმოების შეჩერებაზე ხელს აწერს მოპასუხე, რამაც საკასაციო პალატას შეუქმნა შინაგანი რწმენა, რომ მოპასუხე მხარე სააპელაციო სასამართლოში გამართული სხდომის დღეს საქართველოში იმყოფებოდა. საკასაციო პალატამ დამატებით განმარტა: მართალია, მოცემულ შემთხვევაში სახეზეა მოპასუხეთა საპროცესო თანამონაწილეობა (სსსკ-ის 86.1 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი), თუმცა საქმის მასალებით არ დგინდება ფაქტობრივი გარემოება, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 87-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების თანახმად, თანამონაწილეებს ერთ-ერთი მათგანისათვის მინდობილი ჰქონდათ საქმისწარმოება სასამართლოში. შესაბამისად, საკასაციო პალატამ დაასკვნა, რომ საჩივრის ავტორის მიმართ მიღებული განჩინება კანონიერია და არსებობის მისი ძალაში დატოვების სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული საფუძვლები (**მდრ. სუსგ №ა- 687-641-2017, 28 ივლისი, 2017**).

19. საჩივრის ავტორის განმარტებით, მან ვერ შეძლო სასამართლო სხდომაზე გამოცხადება, ვინაიდან 2015 წლის 14 ივნისს თბილისში მომხდარი საყოველთაოდ ცნობილი სტიქიური უბედურების გამო, ოჯახთან ერთად იმყოფებოდა დ.-ის რაიონში, სადაც საცხოვრებელი სახლი აქვს. სასამართლომ იხელმძღვანელა სსსკ-ის 241-ე მუხლის „ბ“ პუნქტით, 215-ე მუხლის მესამე ნაწილით, 233-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით, 102-ე, 103-ე, 105-ე მუხლებით და არ გაიზიარა საჩივრის ავტორის მითითება, რომ, სსსკ-ის 233-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, არ არსებობდა 2015 წლის 17 ივნისს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის საფუძველი. პალატამ აღნიშნა: საყოველთაოდ ცნობილია, რომ 2015 წლის 14 ივნისის ღამით თბილისში, ვერეს ხეობაში მოხდა დამანგრეველი წყალდიდობა, თუმცა საქმის მასალებით არ ირკვევა, ამ მოვლენის გამო, რატომ გახდა შეუძლებელია 17 ივნისს მხარის წარმომადგენლის გამოცხადება ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში, მით უფრო, რომ წარმომადგენელი ამ დროს არ იმყოფებოდა თბილისში. გარდა ამისა, მხარეს შეეძლო, გამოეცხადებოდა მიზეზები, თუნდაც სატელეფონო შეტყობინებით, სხდომის დღის თარიღამდე ეცნობებინა სასამართლოსთვის, რაც არ გაუკეთებია. პალატამ იმა-

ვდროულად აღნიშნა, რომ მოპასუხის წარმომადგენელს სასამართლო სხდომის თარიღი ეცნობა 9 დღით ადრე. თუკი პირადად ვერ ახერხებდა, სასამართლო სხდომაზე შეიძლება გამოცხადებულიყო თავად აპელანტი, რომლის საცხოვრებელი ადგილია ტყიბული. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატამ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლო სხდომაზე მოპასუხისა და მისი წარმომადგენლის გამოუცხადებლობა არ მიეკუთვნება სსსკ-ის 233-ე მუხლით გათვალისწინებულ გარემოებას, რაც გამორიცხავს საჩივრის დაკმაყოფილებისა და დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების შესაძლებლობას (*შდრ. სუსგ №ას-953-903-2015, 06 მაისი, 2016*).

20. დადგენილად ჩაითვალა, რომ სააპელაციო სასამართლოს მთავარ სხდომაზე მონვევის, ასევე, გამოუცხადებლობის სამართლებრივი შედეგების თაობაზე აპელანტს სხდომამდე ერთი თვით ადრე ეცნობა სასამართლო უწყების მეშვეობით, რომელიც გაეგზავნა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდგომში – სსსკ) 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით. დანიშნულ სხდომაზე არ გამოცხადდა აპელანტი მხარის წარმომადგენელი, რომელმაც სხდომის დაწყებამდე სასამართლოში წარადგინა განცხადება და მოითხოვა მისი გადადება იმ მოტივით, რომ წარმომადგენელი მივლინებული იყო თბილისში, სწავლებაზე (ტრენინგზე), და ვერ მიიღებდა მონაწილეობას პროცესში. პალატამ იხელმძღვანელა სსსკ-ის 241-ე მუხლის „ბ“ პუნქტით, 215-ე მუხლის მესამე ნაწილით, 233-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით, ასევე, 102-ე, 103-ე და 105-ე მუხლებით, და არ გაიზიარა საჩივრის ავტორის მითითება, რომ გამოუცხადებლობა გამონვეული იყო ობიექტური გარემოებით, ვინაიდან მითითებული ფაქტი სათანადო მტკიცებულებით არ დადასტურებულა. ასევე, მას საკმარისი საკადრო რესურსი ჰქონდა პროცესზე წარმომადგენლობის უზრუნველსაყოფად, რადგან კიდევ სამი იურისტი ჰყავდა. ამიტომაც, არ არსებობდა სადავო დაუსწრებელი გადაწყვეტილებისა და განჩინების გაუქმების ამავ ე კოდექსის 241-ე მუხლით განსაზღვრული სამართლებრივი წინაპირობა (*შდრ. სუსგ №ას-1266-1186-2017, 20 დეკემბერი, 2017*).

21. საკასაციო სასამართლომ გაიზიარა გასაჩივრებული განჩინების დასაბუთება, რომ საქმის განხილვაზე გამოუცხადებლობის საპატიოდ შეფასების დამადასტურებელი მტკიცებულება კასატორმა ვერ წარმოადგინა. მხარე ასეთად მიიჩნევს მის მიერ საქმის განხილვის თარიღის არასწორად ჩანიშვნას. საკასაციო სასამართლოს დასკვნით, საქმის განხილვის თარიღის არასწორად ჩანიშვნა არ არის ისეთი ობიექტური გა-

რემოება, რომელიც სსსკ-ის 215-ე მუხლის რეგულირების სფეროში ექცევა და სადავო საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობას – სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობას გაამართლებს; კასატორის მიერ მითითებული საფუძველი კი მეტად სუბიექტურია და დამოკიდებულია პირის მიერ მისთვის მიწოდებული ინფორმაციის აღქმაზე. შესაბამისად, სასამართლოს მხრიდან შეუძლებელია შემონმება, ამგვარი ფაქტი რეალურად მოხდა თუ არა (**შდრ. სუსგ № ას-1440-1360-2017, 26.10.2018**).

22. საკასაციო პალატამ დაუსაბუთებლად მიიჩნია და არ გაიზიარა კასატორის პოზიცია, რომ **ვერ შეძლო სასამართლო სხდომაზე დროულად გამოცხადება ცუდი ამინდის გამო**. პალატამ განმარტა, რომ კასატორს შეეძლო, წინასწარ ეცნობებინა სასამართლოსთვის მოსალოდნელი დაგვიანების შესახებ *სსსკ-ის 241-ე მუხლის ბოლო წინადადება*; ასევე, სსსკ-ის 233-ე მუხლის „ა“, „ბ“, „გ“ პუნქტებით განსაზღვრული წინაპირობების შემთხვევაში, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ წარდგენილ საჩივარში მიეთითებინა გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზი, რაც მას არ გაუკეთებია. შესაბამისად, საკასაციო საჩივარი არ შეიცავდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების პროცესუალურ და მატერიალურ სამართლებრივ საფუძვლებს, ანუ იმ საპატიო გარემოებათა აღწერას, რაც აპელანტის სხდომაზე გამოუცხადებლობის პირობებში, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას გამორიცხავდა (**შდრ. სუსგ №ას-310-295-2016, 04 ოქტომბერი, 2016**).

23. კასატორის მტკიცება, რომ არ არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის ნანამძღვრები, დაუსაბუთებლად ჩაითვალა, რადგან უტყუარად დადგინდა, რომ მხარეს გამოუცხადებლობისთვის არ ჰქონდა საპატიო მიზეზი. სააპელაციო სასამართლომ სწორად შეაფასა საქმის გარემოებები და დაასკვნა, რომ სხდომის თარიღისა და ადგილის შესახებ, ასევე, გამოუცხადებლობის სამართლებრივ შედეგებზე, კასატორის წარმომადგენელს კანონით დადგენილი წესით ეცნობა სხდომის ჩატარებამდე დიდი ხნით ადრე. ეს კი, კანონის დანაწესიდან გამომდინარე, გულისხმობს, რომ აღნიშნულის შესახებ ეცნობა კასატორსაც *სსსკ-ის 70-ე მუხლის პირველი ნაწილი*. კასატორის არგუმენტი, რომ მის გამოუცხადებლობას საპატიო მიზეზი ჰქონდა - კერძოდ, გაუგებრობა, რომელიც მოსამართლის თანაშემწესთან სხდომის ჩატარების დროის დამონმებამ გამოიწვია - მოკლებულია დამაჯერებლობას. ამ გარემოების დამადასტურებელი ობიექტური მტკიცებულება მხარემ ვერ წარუდგინა სასამართლოს. მისი განმარტების ანალიზი კი მხოლოდ იმას მოწმობს, რომ ყურადღებით არ გაეცნო მისთვის ჩაბარებულ უწყებაში მითითე-

ბულ ინფორმაციას სხდომის გამართვის დროის შესახებ, რაც განსაკუთრებულ ობიექტურ გარემოებად ვერ შეფასდება. ასევე უსაფუძვლოდ ჩაითვალა კასატორის პრეტენზია, რომ სასამართლომ სათანადო საფუძვლის გარეშე გამოიყენა სსსკ-ის 229-ე მუხლი და არ დაეყრდნო იმავე კოდექსის 233-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ და „გ“ ქ/პუნქტებს, ასევე 241-ე მუხლს (**შდრ. სუსგ №ას-94-90-2016, 12 ივლისი, 2016**).

24. საკასაციო პალატამ განმარტა, რომ საქმის განხილვის გადადება დასაშვებია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში [სსსკ-ის 216-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადება]. რასაკვირველია, მხარეს/მის წარმომადგენელს უფლება აქვს, საქმის განხილვის გადადების შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს; ამასთან, ისინი ვალდებული არიან, სათანადოდ დაასაბუთონ გადადების მოთხოვნა. წინააღმდეგ შემთხვევაში, შუამდგომლობა შეიძლება პროცესის გაჭიანურების მცდელობას ემსახურებოდეს. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო პალატას დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებისას არ დაურღვევია კანონი. ამიტომაც, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ საკასაციო საჩივარს უარი ეთქვა დაკმაყოფილებაზე (**შდრ. სუსგ №ას-675-641-2015, 22 სექტემბერი, 2015; №ას-1147-1103-2016, 15 თებერვალი, 2017**).

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდგომში – სსსკ) 372-ე მუხლისა და 241-ე მუხლის თანახმად, გამოუცხადებელ მხარეს შეუძლია, გააქარწყლოს ვარაუდი, რომელიც საფუძვლად უდევს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას, მოითხოვოს მისი გაუქმება და საქმის განხილვის განახლება, თუ დაამტკიცებს, რომ ის სათანადო წესით მიწვეული არ ყოფილა სასამართლოში საქმის განხილვაზე. საქმეში წარმოდგენილი უკუგზავნილით დასტურდება, რომ წერილობითი კორექსპონდენცია – განჩინება, უწყება, სააპელაციო საჩივარი - ჩაბარდა საჩივრის ავტორის (მოპასუხის) მეუღლეს მოპასუხის მიერ მითითებულ მისამართზე. უკუგზავნილზე დაფიქსირებულია როგორც ადრესატის მეუღლის ხელმოწერა, ისე მისი პირადი ნომერი. სათანადო მტკიცებულებების არარსებობის გამო, პალატამ არ გაიზიარა საჩივრის ავტორის მტკიცება, რომ იგი მრავალი წელია კორექსპონდენციის გაგზავნის მისამართზე არ ცხოვრობს და უკუგზავნილზე მისი მეუღლის ხელმოწერა გაყალბებულია. შესაბამისად, პალატამ მიიჩნია, რომ საჩივარი უსაფუძვლობის გამო არ უნდა დაკმაყოფილებულიყო (**შდრ. სუსგ №ას-483-451-2017, 31 ივლისი, 2017**).

სასამართლო უწყებისა და დაუსწრებელი გადაწყვეტილების მხარისათვის გაგზავნასთან მიმართებით, საკასაციო სასამართლომ გაიზიარა სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინების მსჯელობა და მიუთითა, რომ სასამართლო გზავნილის/უწყების ჩაბარება მნიშვნელოვანი პროცესუალურ-სამართლებრივი ინსტიტუტია, რადგან მიღებული გადაწყვეტილების ლეგიტიმურობა დიდწილად დამოკიდებულია უწყების კანონით დადგენილი წესით ჩაბარებაზე. წინამდებარე შემთხვევაში დადგინდა, რომ სააპელაციო სასამართლოს საპროცესო მოქმედებები კანონიერი და დასაბუთებული. შესაბამისად, არ არსებობს სამართლებრივი საფუძველი, რომ გაუქმდეს განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების ბათილად ცნობაზე უარის თქმის შესახებ. საკასაციო სასამართლომ დამატებით განმარტა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების შესაძლებლობის სპეციალურ წესს, რაც განერილია იმავე კოდექსის 236-ე (**„მხარეს, რომელიც არ გამოცხადებულა სასამართლო სხდომაზე, რის გამოც მის წინააღმდეგ გამოტანილია დაუსწრებელი გადაწყვეტილება.... ..შეუძლია, ასეთი გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოში შეიტანოს საჩივრის დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის განახლების შესახებ“**) და 237-ე (**„დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადაა 10 დღე. ამ ვადის ათვლა დაიწყება იმ დღიდან, როდესაც მხარეს ამ კოდექსის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით ჩაბარდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლი. ამ ვადის გასვლის შემდეგ დაუსწრებელი გადაწყვეტილება შედის კანონიერ ძალაში“**) მუხლებში. საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ადრესატს კანონით დადგენილი წესით ჩაბარდა უწყება სასამართლო სხდომის თაობაზე, აგრეთვე - დაუსწრებელი გადაწყვეტილება. მოპასუხემ კანონით დადგენილ ვადაში შესაბამისი წესით ვერ გაასაჩივრა დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რაც მისი განცხადებების განუხილველად დატოვების საფუძველია (**იხ. სუსგ №ას-1522-1442-2017, 16 მაისი, 2018**).

ზურაბ ძლიერიშვილი

242-ე მუხლი

მიზანი

პრაქტიკაში არ არის გამორიცხული შემთხვევები, რომ მხარე, რომელმაც შეიტანა საჩივარი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის განახლების შესახებ, კვლავ არ გამოცხადდეს დანიშნულ დროს იმ სასამართლო სხდომაზე, რომელზეც პირველი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების შემდეგ საქმე განიხილება არსებითად. ასეთ შემთხვევაში სასამართლო გამოიტანს მის მიმართ განმეორებით (მეორე) დაუსწრებელ გადაწყვეტილებას.

განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილება არის გადაწყვეტილება, რომელიც მეორედაა გამოტანილი ერთი და იმავე პირის (მხარე) სასამართლო სხდომაზე დაუსწრებლობის გამო. ამიტომ, დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომელიც თუმცა მეორედ გამოაქვს სასამართლოს, მაგრამ არა იმ პირის მიმართ, ვის მიმართაც იყო გამოტანილი პირველი დაუსწრებელი გადაწყვეტილება, არ იქნება განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილება და იგი შეიძლება გასაჩივრდეს, როგორც პირველი დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

საჩივარი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის განახლების შესახებ (საჩივარი დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე) თავისი შინაარსით განსხვავდება როგორც სააპელაციო, ისე საკასაციო და კერძო საჩივრისაგან. მთავარი განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ საჩივარი დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე შეიძლება ემყარებოდეს მხოლოდ და მხოლოდ იმას, რომ სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობა გამონვეული იყო საპატიო მიზეზებით. ამრიგად, საჩივარი დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე არ შეიძლება ემყარებოდეს გარემოებებს, რომლებიც ასაბუთებენ მის უსწორობას არსებითად, მის შეუსაბამობას საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან, რადგან დაუსწრებელი გადაწყვეტილება მიიღება არა საქმის მასალების საფუძველზე, არამედ მხარის გამოუცხადებლობის გამო. ამიტომ გამართლებული და ახსნილი უნდა იქნეს ის, რასაც ეს გადაწყვეტილება ეფუძნება - გამოუცხადებლობა, კერძოდ გა-

მოუცხადებლობის საპატიოა. სააპელაციო და საკასაციო საჩივრისგან დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე საჩივარი იმითაც განსხვავდება, რომ ამ საჩივარს იხილავს და გადაწყვეტილებას იღებს ის სასამართლო, რომელმაც გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ამ მხრივ გამონაკლისია მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომელიც გათვალისწინებულია სსსკ-ის 242-ე მუხლით. (**შდრ. სუსგ № ას-1380-1397-2011, 14 დეკემბერი, 2011**).

თავი I. განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების წინაპირობები

განმეორებითი (მეორე) დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის წინაპირობებია:

1. იმავე პირის მიმართ, რომელმაც შეიტანა საჩივარი დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე, უკვე არსებობს ერთი დაუსწრებელი გადაწყვეტილება. აქედან გამომდინარე, დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომელიც თუმცა მეორედ გამოაქვს სასამართლოს, მაგრამ არა იმ პირის მიმართ, ვიზეც ადრე იყო გამოტანილი პირველი დაუსწრებელი გადაწყვეტილება - არ იქნება მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ამასთან მნიშვნელობა არა აქვს ეს პირველი დაუსწრებელი გადაწყვეტილება გაუქმებულია თუ არა. 2. მიმდინარეობს სასამართლო სხდომა არა საჩივრის დასაშვებობის შემონმების მიზნით, არამედ ამ საჩივრის საფუძვლიანობის შემონმების მიზნით, ან სხდომა, რომელზეც დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების შემდეგ განიხილება საქმე არსებითად. 3. არსებობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების ყველა წინაპირობა ანუ არ არსებობს მისი გამოტანისათვის კანონით გათვალისწინებული ხელის შემშლელი გარემოებები (სსსკ-ის 233-ე მუხლი). (**იხ. დამატებით: თ. ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ., 2005, გვ. 407**).

საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა; მოპასუხის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვილ იქნა მოსარჩელის კუთვნილი უძრავი ქონება და ამ უკანასკნელს გადაეცა გამოთავისუფლებულ მდგომარეობაში. განმეორებით დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა მოპასუხემ, რომელმაც მოითხოვა განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება. სააპელაციო პალატის განჩინებით მოპასუხის სააპელა-

ციო საჩივარი დარჩა განუხილველად აპელანტის გამოუცხადებლობის გამო. საკასაციო პალატამ არ გაიზიარა კასატორის პრეტენზია იმის შესახებ, რომ იგი საქმის განხილვაში არ ყოფილა მონვეული კანონით დადგენილი წესით. საქმეში წარმოდგენილი სასამართლო უწყების ასლითა და ამ უწყების ჩაბარების ხელნერილით დასტურდება, რომ აპელანტს პირდაპირ ჩაბარდა უწყება. ამავ უწყებით, აპელანტს განემარტა სასამართლოში გამოუცხადებლობის შედეგებზე და ვალდებულებაზე, აცნობოს სასამართლოს გამოუცხადებლობის მიზეზები გაზიარებული არ იქნა პრეტენზია იმის თაობაზეც, რომ უწყებაზე შესრულებული ხელმოწერა საჩივრის ავტორს არ ეკუთვნოდა. სსსკ-ის 102.1 და 103.1 მუხლების მიხედვით, აპელანტი ვალდებული იყო წარმოედგინა მტკიცებულებები, რაც მის მიერ მითითებულ გარემოებას დაადასტურებდა, აპელანტმა კი საკუთარი ახსნა-განმარტების გარდა, სასამართლოს რაიმე მტკიცებულება ვერ წარმოუდგინა. სსსკ-ის 387.3 მუხლის საფუძველზე, სააპელაციო სასამართლოს, აპელანტის გამოუცხადებლობისას დაუსწრებელი გადაწყვეტილება გამოაქვს იმ შემთხვევაში, თუ ამას მოითხოვს აპელანტის მონინაალმდეგე მხარე (სააპელაციო მოპასუხე), ან, თუ აპელანტი განმეორებით არ გამოცხადდება საქმის განხილვაზე. მოცემულ შემთხვევაში, არც ერთ შემთხვევას ადგილი არ ჰქონია, შესაბამისად, სასამართლომ მართებულად არ გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება. **(შდრ. სუსგ № ას-1540-1460-2017, 07 მარტი, 2018.)**

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 229-ე, 242-ე მუხლების, 387-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილების შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მონინაალმდეგე მხარის გამოუცხადებლობის გამო, ერთხელ უკვე მიღებულ იქნა დაუსწრებელი გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების შესახებ. მითითებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება გაუქმდა მონინაალმდეგე მხარის საჩივრის საფუძველზე და საქმის განხილვა განახლდა. სასამართლოს სხდომა არაერთგზის გადაიდო მხარეთა მორიგების მიზეზით. მხარეთა მოსაზრებები მოსმენილი არ ყოფილა. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ, მონინაალმდეგე მხარის გამოუცხადებლობის გამო, მიღებულ უნდა ყოფილიყო განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების შესახებ. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში არ არსებობდა განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების ერთ-ერთი წინაპირობა, კერძოდ, მოპასუხის სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებანი სააპელაციო საჩივრის მოთხოვნას იურიდიულად არ ამართლებდა. ყოველივე ზემოაღნი-

შნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არსებობდა სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის იმავე სასამართლოსათვის არსებითად განსახილველად დაუბრუნების საფუძველი. **(მდრ. სუსკ № ას-378-378-2018, 31 მაისი, 2018.)**

თავი II. განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრების თავისებურებები

სსსკ-ის 242-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, პირველი ინსტანციის სასამართლოს განმეორებით დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე შეიძლება მხოლოდ სააპელაციო საჩივრის შეტანა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობას ითვალისწინებს არა მარტო პირველ ინსტანციაში, არამედ სააპელაციო სასამართლოშიც. დაუსწრებელი წარმოება სააპელაციო ინსტანციაში ხასიათდება მნიშვნელოვანი თავისებურებებით. დაუსწრებელი წარმოების ერთ-ერთ თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ სსსკ-ის 366-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, არ დაიშვება დაუსწრებელი გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრება იმ მხარის მიერ, რომლის წინააღმდეგაც არის იგი გამოტანილი. სააპელაციო საჩივარი დასაშვებია მხოლოდ ისეთი დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიმართ, რომელიც გამოტანილია განმეორებით დაუსწრებლობის შემდეგ, რის გამოც იგი აღარ შეიძლება გასაჩივრდეს ამ გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოში. ასეთი გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ იმ საფუძველით, რომ არ არსებობდა განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილებისათვის შესაბამისი სამართლებრივი წინამძღვრები. **(იხ. დამატებით: ნ. ყურუა, დაუსწრებელი გადაწყვეტილება, თბ., 2000, გვ.92).**

სააპელაციო საჩივარი უნდა პასუხობდეს სსსკ-ის 368-ე მუხლით დადგებილ მოთხოვნებს, მხარემ უნდა დაიცვას სააპელაციო საჩივრის შეტანის 14 დღიანი ვადა. (განსხვავებით პირველი დაუსწრებელი გადაწყვეტილებისაგან, რომელიც სსსკ-ის 237-ე მუხლის შესაბამისად, საჩივრდება 10 დღის ვადაში მის გამომტან სასამართლოში). ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. ვადის გასვლის შემდეგ იგი განუხილველად იქნება დატოვებული და დაუბრუნდება საჩივრის შემტან პირს.

საკასაციო სასამართლომ კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნია, რომ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილებულიყო, ხოლო სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება უნდა დარჩენილიყო უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო: სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 242-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, სასამართლოს განმეორებით დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე შეიძლება მხოლოდ სააპელაციო საჩივრის შეტანა. ამავე კოდექსის 369-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა შეადგენს 14 დღეს. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება მხარისთვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისთვის ჩაბარება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად. მითითებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ სააპელაციო საჩივარი შეტანილ უნდა იქნეს პირველი ინსტანციის სასამართლოს განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის გადაცემის მომენტიდან 14 დღის განმავლობაში. აღნიშნული ვადა იმპერატიულადაა დადგენილი და მისი გასვლის შემდეგ შეტანილი სააპელაციო საჩივარი დარჩება განუხილველად. საკასაციო სასამართლომ გაიზიარა სააპელაციო პალატის მოსაზრება სააპელაციო საჩივრის დაუშვებლობის თაობაზე, რადგან აღნიშნული სააპელაციო საჩივრით მხარემ სასამართლოს მიმართა განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებიდან 14 დღის გასვლის შემდეგ, რის გამოც გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველი არ არსებობდა. **(შდრ. სუსგ №-ას-85-80-2010, 01 მარტი, 2010).**

რაიონული სასამართლოს განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა. რაიონული სასამართლოს განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოვალემ, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნება. სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით (საოქმო), სასამართლო სხდომაზე აპელანტის გამოუცხადებლობის გამო, სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად. **(შდრ. სუსგ №-ას-564-523-2017, 16 ივნისი, 2017) .**

სააპელაციო საჩივრის შესვლის შემდეგ პირველი ინსტანციის სასამართლო დაუყოვნებლივ, მაგრამ არა უგვიანეს 5 დღისა, გადაუგზავნის სააპელაციო სასამართლოს მთლიანად საქმეს, აგრეთვე დამატებით შემოსულ ყველა მასალას. სააპელაციო საჩივრის შეტანა იწვევს გარკვეულ

იურიდიულ შედეგებს, რაც გათვალისწინებულია სსსკ-ის 375-ე მუხლით, კერძოდ, თუ არსებობს სააპელაციო საჩივრის ყველა წინაპირობა და იგი მიღებულია სააპელაციო სასამართლოს მიერ, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლა შეჩერდება იმ ნაწილში, რომელიც გასაჩივრებულია.

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, პირველი ინსტანციის სასამართლოს განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ შეტანილ სააპელაციო საჩივარში, ყურადღება უნდა მიექცეს სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის მიზეზების საპატიოობის არგუმენტაციას, შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენით და გამოუცხადებლობის შესახებ სასამართლოსათვის შეუტყობინებლობის მიზეზებზე მითითებით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციის საქმეთა განხილვისათვის, ამ თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით. აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლო ვალდებულია საქმის განხილვისას იხელმძღვანელოს პირველ ინსტანციაში საქმეთა განხილვის მომწესრიგებელი ნორმებით, თუ საპროცესო კოდექსი სააპელაციო სასამართლოში საქმის წარმოებისათვის სპეციალურ ნორმებს არ ადგენს ამ ინსტანციაში საქმეთა განხილვის თავისებურებებიდან გამომდინარე. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის სახით არსებობს ნორმა, რომლითაც განისაზღვრება სააპელაციო სასამართლოში სასამართლოს სხდომაზე მხარის (მხარეთა) გამოუცხადებლობის შედეგები.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა. საქალაქო სასამართლოს განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ და მოითხოვა მისი გაუქმება. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა აპელანტმა და მოითხოვა მისი გაუქმება. საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების ანალიზის, საქმის მასალების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობდა კერძო საჩივარი დაკმაყოფილების საფუძველი. **(შდრ. სუსგ №-ას-194-183-2017, 07 აპრილი, 2017).**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილებით სარჩელი უფლებამონაცვლის დადგენისა და მესაკუთრედ ცნობის შესახებ დაკმაყოფილდა. საქალაქო სასამართლოს განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილება საპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით მოწინააღმდეგე მხარის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა და სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად შემდეგი დასაბუთებით: პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ აპელანტს სასამართლო უწყება გაეგზავნა და შეტყობინება ჩაბარდა კანონით დადგენილი წესით, მას არ მიუმართავს სასამართლოსათვის განცხადებით სხდომის გადადების თაობაზე და არც უცნობებია გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზი. აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე, 387-ე მუხლებით, 275-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტით, 70-ე მუხლის პირველი ნაწილით და მიიჩნია, რომ აპელანტის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის გამო, მოწინააღმდეგე მხარის შუამდგომლობა საფუძვლიანი იყო და უნდა დაკმაყოფილებულიყო. **(მდრ. სუსგ №-ას-287-275-2015, 16 აპრილი, 2015).**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით სარჩელი, თანხის დაკისრების თაობაზე, არ დაკმაყოფილდა. დასახელებულ დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე საჩივარი წარადგინა მოსარჩელემ, მოითხოვა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება. სასამართლო სხდომაზე, გაუქმდა დაუსწრებელი გადაწყვეტილება და განახლდა საქმის წარმოება. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ მოსარჩელის განმეორებითი სხდომაზე გამოუცხადებლობის გამო, მოპასუხე მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, მიღებულ იქნა განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომლითაც სარჩელი არ დაკმაყოფილდა. განმეორებით დაუსწრებელი გადაწყვეტილების ნაწილში მოსარჩელემ წარადგინა სააპელაციო საჩივარი, მოითხოვა გასაჩივრებული განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის დაკმაყოფილება. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი. აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა მოსარჩელე აპელანტმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სააპელაციო საჩივრის განხილვა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს

სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით კერძო საჩივრის ავტორს დაუდგინდა ხარვეზი, რომლის შეუფასებლობის გამო, კერძო საჩივარი განუხილველად იქნა დატოვებული. **(შდრ. სუსგ №-ას-801-801-2018, 08 ოქტომბერი, 2018).**

მეორე დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე შეტანილი სააპელაციო საჩივარი შეიძლება ემყარებოდეს მხოლოდ იმას, რომ არ არსებობდა განმეორებით დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისათვის შესაბამისი სამართლებრივი ნაწამძღვრები. სსსკ-ის 385-ე მუხლის მიხედვით, სააპელაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს უბრუნებს პირველი ინსტანციის სასამართლოს ხელახლა განსახილველად, თუ გასაჩივრებული გადაწყვეტილება არასწორად გამოტანილი განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილებაა.

საკასაციო გასაჩივრების ობიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ სააპელაციო სასამართლოს კანონიერ ძალაში შეუსვლელი გადაწყვეტილება. ამასთან, კანონმდებლობით გათვალისწინებულია ცალკეული გამონაკლისი შემთხვევა (აკრძალვა), როცა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრება არ დაიშვება საკასაციო წესით. კერძოდ, დაუშვებელია სააპელაციო სასამართლოს პირველი დაუსწრებელი გადაწყვეტილების საკასაციო წესით გასაჩივრება (სსსკ-ის 392-ე მუხლის 1-ლი ნაწილი). საკასაციო წესით დასაშვებია მხოლოდ სააპელაციო სასამართლოს ისეთი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრება, რომელიც გამოტანილია განმეორებით დაუსწრებლობის შემდეგ. ასეთი გადაწყვეტილება შეიძლება კასაციის წესით გასაჩივრდეს მხოლოდ იმ საფუძვლით, რომ არსებობდა სათანადო სამართლებრივი ნაწამძღვრები. **(სსსკ-ის 392-ე მუხლის მე-2 ნაწილი).**

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა არ ცნობს დაუსწრებელი წარმოებას საკასაციო ინსტანციის სასამართლოში. უნდა აღინიშნოს, რომ ეს წესი თითქმის ანალოგიურადაა გადაწყვეტილი სხვა ქვეყნების კანონმდებლობებშიც.

სააპელაციო სასამართლოს განმეორებით დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე მოპასუხე აპელანტი შეიტანა საკასაციო საჩივარი, მოითხოვა გასაჩივრებული განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება სააპელაციო სასამართლოში. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით საკასაციო საჩივარს დაუდგინდა ხარვეზი, რომლის გამოუსწორებლობის გამოც, საკასაციო საჩივარი დარჩა განუხილველად. **(შდრ. სუსგ №-ას-232-219-2015, 02 აპრილი, 2015; სუსგ №-**

ას-811-769-2013, 01 ნოემბერი, 2013).

“საქალაქო სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილებით სარჩელი რეგისტრირებული ქორწინების შეწყვეტის შესახებ დაკმაყოფილდა. მოპასუხე მხარის წარმომადგენელმა საჩივარი შეიტანა საქალაქო სასამართლოში, რომლითაც მოითხოვა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის განხილვის განახლება, რაც დაკმაყოფილდა. საქალაქო სასამართლოს მიერ სასამართლო სხდომაზე საქმის ხელახალი განხილვისას, მოპასუხის გამუცხადებლობის გამო, მიღებული იქნა განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც, მხარეთა შორის რეგისტრირებული ქორწინება შეწყდა. განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის დაბრუნება საქალაქო სასამართლოში ხელახლა განსახილველად. სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით, მოპასუხის სააპელაციო საჩივარი, რომლითაც ის მოითხოვდა განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებას, დაკმაყოფილდა და საქმე არსებითი განხილვისთვის დაუბრუნდა საქალაქო სასამართლოს (სსსკ-ის 385-ე მუხლი). აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ, გასაჩივრებული განჩინების სამოტივაციო და აღწერილობითი ნაწილის შეცვლის მოთხოვნით, იმ საფუძველზე, რომ არასწორია მითითება, თითქოს მოსარჩელესა და მოპასუხეს წლებია შეწყვეტილი აქვთ ურთიერთობა. საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საკასაციო საჩივრის ობიექტს წარმოადგენს სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს მხოლოდ ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც აპელანტის წინააღმდეგ არის გამოტანილი. საკასაციო საჩივრით კასატორი მიზნად უნდა ისახავდეს კონკრეტული სამართლებრივი შედეგის მიღწევას და ეს შედეგი მისი საჩივრის დაკმაყოფილების შემთხვევაში მიღწევადი და მისთვის სასარგებლო უნდა იყოს. საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ სსსკ-ით დადგენილია გადაწყვეტილების ფორმალური (სსსკ-ის 264-ე მუხლი) და მატერიალური (სსსკ-ის 266-ე მუხლი) კანონიერი ძალა, რომელიც პირველ შემთხვევაში გულისხმობს მიმდინარე პროცესში დავის განხილვის დამთავრებას, ხოლო მატერიალური კანონიერი ძალა უზრუნველყოფს გადაწყვეტილების საბოლოო ხასიათსა და სავალდებულოობას არა მარტო კონკრეტული პროცესისათვის, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. კერძოდ სსსკ-ის 266-ე მუხლის შესაბამისად, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ მხარეებს, აგრეთვე, მათ უფლებამონაცვლევებს არ შეუძლიათ ხელახლა განაცხა-

დონ სასამართლოში იგივე სასარჩელო მოთხოვნები იმავე საფუძველზე, აგრეთვე, სადავო გახადონ სხვა პროცესში გადანყვეტილებით დადგენილი ფაქტები და სამართლებრივი ურთიერთობანი. მითითებული ნორმის ანალიზი იძლევა შემდეგი დასკვნის საფუძველსაც: გადანყვეტილების კანონიერ ძალას გააჩნია კანონით განსაზღვრული სუბიექტური და ობიექტური ფარგლები, რომელიც აზუსტებს გადანყვეტილების მოქმედების საზღვრებს. გადანყვეტილების კანონიერი ძალა ვრცელდება საქმის განხილვაში მონაწილე პირთა წრეზე (სუბიექტური ფარგლები) და გადანყვეტილების სარეზოლუციო ნაწილზე (ობიექტური ფარგლები). შესაბამისად, გასაჩივრებას ექვემდებარება გადანყვეტილება, თუ სადავოა მისი სარეზოლუციო ნაწილით და არა აღწერილობითი ან სამოტივაციო ნაწილით დადგენილი ფაქტი (*იხ. სუსგ-ებები №ას-1075-1033-2016 3 თებერვალი, 2017 წელი; №ას-1334-1254-2017, 13 ნოემბერი, 2017 წელი; №ას-710-1011-09, 7 სექტემბერი, 2009 წელი*). საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ გადანყვეტილების კანონიერი ძალა ვრცელდება მის სარეზოლუციო ნაწილზე. გადანყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი, თავისი არსით, წარმოადგენს პირდაპირ და ზუსტ პასუხს სარჩელზე. გადანყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი უნდა შეიცავდეს სასამართლოს დასკვნას სარჩელის დაკმაყოფილების ან სარჩელზე მთლიანად ან ნაწილობრივ უარის თქმის შესახებ (სსსკ-ის 249-ე მუხლის მეხუთე ნაწილი). ამდენად, პირი, სარჩელის შეტანის გზით იცავს რა თავის უფლებას და შელახულ ინტერესებს, სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება იმავდროულად იწვევს მისი პრეტენზიის აღმოფხვრას, ვინაიდან სადავოდ მიჩნეული უფლება მოდავე პირის სასარგებლოდაა დაცული და, შესაბამისად, მხარის იურიდიული ინტერესიც დაკმაყოფილებულია. ამდენად, აღნიშნული ნორმების შინაარსიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დარჩენილიყო განუხილველად, ვინაიდან სააპელაციო მოთხოვნიდან გამომდინარე, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინების სარეზოლუციო ნაწილით, კასატორის მიმართ დადგა მისთვის სასურველი შედეგი, შესაბამისად, ეს უკანასკნელი არ წარმოადგენდა საკასაციო საჩივრის სუბიექტს. (*მდრ. სუსგ №ას-1642-2018, 31 ოქტომბერი, 2018*).”

სააპელაციო სასამართლოს დააუსწრებელ გადანყვეტილებაზე მოპასუხემ წარადგინა საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის განხილვის განახლება. სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით მოპასუხის წარმომადგენლის საჩივარი დაკმაყოფი-

ლდა, გაუქმდა სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და საქმის წარმოება განახლდა. აპელანტის მოითხოვნით სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა მონინაალმდეგე მხარის (მოპასუხის) გამოუცხადებლობის გამო; სააპელაციო სასამართლოს განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილება მოპასუხემ გაასაჩივრა საკასაციო წესით და მოითხოვა მისი გაუქმება. საკასაციო პალატამ საქმის მასალების შემოწმების შედეგად მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო სამართალწარმოების ეტაპზე დაშვებულმა მნიშვნელოვანმა საპროცესო დარღვევამ, არსებითად იმოქმედა საქმის განხილვის შედეგზე, რაც მოპასუხის საკასაციო განაცხადის დაკმაყოფილებისა და გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების დასაბუთებული სამართლებრივი საფუძველია, შესაბამისად, სსსკ-ის 412-ე მუხლის საფუძველზე, საქმე ხელახლა განსახილველად იქნა დაუბრუნებული იმავე სააპელაციო სასამართლოსათვის. **(მდრ. სუსგ №-ას-553-528-2016, 04 აპრილი, 2017).**

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით მეორე თავდების საჩივარი დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება გაუქმდა და აპელანტის სააპელაციო საჩივარზე მესამე მოპასუხის მიმართ საქმის წარმოება განახლდა. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილებით მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და მესამე მოპასუხეს, პირველ და მეორე მოპასუხეებთან ერთად, მოსარჩელის სასარგებლოდ, სოლიდარულად გადახდა დაეკისრა თანხის გადახდა. მეორე თავდებმა (მესამე მოპასუხემ) საკასაციო წესით გაასაჩივრა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილება, მისი გაუქმებისა და საქმის არსებითად განსახილველად სასამართლოს იმავე შემადგენლობისათვის დაბრუნების მოთხოვნით; საკასაციო პალატა საქმის მასალების შემოწმების შედეგად მივიდა დასკვნამდე, რომ მესამე მოპასუხის (მეორე თავდების) საკასაციო განაცხადი დასაბუთებული იყო და იგი უნდა დაკმაყოფილებულიყო. **(მდრ. სუსგ №-ას-1471-1391-2017, 22 თებერვალი, 2019).**

მუხლი 243. საბოლოო გადაწყვეტილება

1. პირველი ინსტანციის სასამართლოს დადგენილება, რომლითაც საქმე წყდება არსებითად, სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილების ფორმით.

2. თუ გადაწყვეტილება გამოაქვს კოლეგიურ სასამართლოს, იგი დადგენილ უნდა იქნეს ხმების უმრავლესობით. არც ერთ მოსამართლეს არა აქვს უფლება თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან. თავმჯდომარე ხმას აძლევს მოსამართლეების შემდეგ. მოსამართლეს, რომელიც არ ეთანხმება უმრავლესობას, შეუძლია წერილობით ჩამოაყალიბოს თავისი განსხვავებული აზრი. განსხვავებული აზრი დაერთვის საქმეს, მაგრამ სასამართლო სხდომის დარბაზში არ გამოცხადდება. მოსამართლეებს უფლება არა აქვთ გაახმაურონ თათბირის დროს გამართული მსჯელობა.

3. თუ გადაწყვეტილება გამოაქვს კოლეგიურ სასამართლოს, გადაწყვეტილებას აყალიბებს ამ სასამართლოს თავმჯდომარე ან ერთ-ერთი მოსამართლე, ხოლო ხელს აწერს ყველა მოსამართლე, რომლებიც მის დადგენაში მონაწილეობდნენ, მათ შორის, განსხვავებული აზრის მქონე მოსამართლე. გადაწყვეტილებაში შეტანილ შესწორებას მოსამართლეთა ხელმოწერების წინ უნდა გაუკეთდეს შენიშვნა.

უღრის ჰაბენლუსი

243-ე მუხლი

ქართული სსკ-დან მოყვანილი ნორმები:

- სსკ-ის 243-ე მუხლი

საბოლოო გადაწყვეტილება, მოსამართლეთა და სასამართლოების განსჯადობა

1. სსკ-ის 243-ე მუხლში მოცემული წესები, მთლიანობაში, შეესაბამება გერმანულ სამართლებრივ ვითარებას. ყველაზე დიდი განსხვავება ის არის, რომ მოსამართლეებს გერმანიაში არ აქვთ განსხვავებული აზრის ჩამოყალიბების უფლება. თუმცა, § 30 Abs. 2 GER-BverfGG-ში (კანონი

ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ) არსებობს გამო-
ნაკლისი წესი, რომლის თანახმად, ფედერალურ საკონსტიტუციო სასამა-
რთლოში მოსამართლეს უფლება აქვს, განსხვავებული სახით ჩამოაყა-
ლობოს თათბირზე გადანყვეტილებას ან მის დასაბუთებასთან დაკავში-
რებით გამოხატული განსხვავებული აზრი და ჩართოს გადანყვეტილება-
ში. ასევე, უმაღლესი ფედერალური სასამართლოს გადანყვეტილებების
შემთხვევაში - ყველა სხვა სასამართლო გადანყვეტილებისგან განსხვა-
ვებით - დასაშვებია ხმათა გადანაწილების შეტყობინება.

2. თათბირის მიმდინარეობასა და საიდუმლოებასთან დაკავშირებით
მოქმედი ქართული წესები მეტწილად შეესაბამება გერმანულს. თუმცა,
გერმანიაში შესაბამისი დებულებები მოცემული არ არის სამოქალაქო
საპროცესო კოდექსში: თათბირის საიდუმლოსთან დაკავშირებულ დებუ-
ლებებს ითვალისწინებს გერმანული კანონი მოსამართლეთა შესახებ (§
43 GER-DRIG), ხოლო თათბირის მიმდინარეობასა და ხმათა აუცილებე-
ლი უმრავლესობის დადგენასთან დაკავშირებულ დებულებებს კი - კანო-
ნი სასამართლო სისტემის შესახებ (§§ 196 f. GER-GVG), რომლის ფუ-
ნეცია, დაახლოებით, შეესაბამება საერთო სასამართლოების შესახებ სა-
ქართველოს ორგანული კანონის როლს. ამ თვალსაზრისით, საქართვე-
ლოსთვის შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს, თუ როგორ დგინდება გერმა-
ნიაში კოლეგიების უმრავლესობა, რომლებიც სამზე მეტი მოსამართლი-
სგან შედგება, განსაკუთრებით, უმაღლესი ფედერალური სასამართლოე-
ბის შემთხვევაში.

§196 GER-GVG

*(1) თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, სასამართლო გადა-
წყვეტილებას იღებს ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით.*

*(2) თუ იმ თანხებთან დაკავშირებით, რომლებზეც უნდა მიიღონ გადა-
წყვეტილება, ორზე მეტი აზრი არსებობს და არცერთს არ გააჩნია უმრა-
ვლესობა, უფრო დიდი თანხის სასარგებლოდ მიცემული ხმები იმდენ ხა-
ნს მიემატება თავდაპირველად უფრო მცირე თანხის სასარგებლოდ მი-
ცემულ ხმებს, ვიდრე არ მიიღება უმრავლესობა.*

*(3) თუ სისხლის სამართლის საქმეზე, ბრალის საკითხისგან დამოუკი-
დებლად, ორზე მეტი აზრი არსებობს, რომელთაგან არცერთს არ გააჩნია
აუცილებელი უმრავლესობა, ბრალდებულისთვის საზიანო ხმები თავდა-
პირველად ნაკლებ საზიანოს უნდა დაემატოს მანამ, სანამ არ წარმოი-
ქმნება აუცილებელი უმრავლესობა. თუ სისხლის სამართლის საქმეზე
ორი აზრი არსებობს ისე, რომ არცერთს არ გააჩნია აუცილებელი უმრა-
ვლესობა, მაშინ მოქმედებს ის, რომელიც ნაკლებად მკაცრია...*

3. წინასწარ უნდა აღინიშნოს, რომ გერმანიის **კოლეგიურ სასამართლოებს** საქართველოსგან **განსხვავებული სტრუქტურა** აქვს. ეს მნიშვნელოვანი განსხვავება ეხება არა საპროცესო-სამართლებრივ, არამედ სასამართლო სისტემის სამართლის საკითხს, თუმცა იგი გავლენას ახდენს სამოქალაქო პროცესების მიმდინარეობაზე. ამიტომ, მოკლედ უნდა იყოს წარმოდგენილი გერმანული სასამართლო სისტემის სამართლის ზოგად დახასიათებასთან ერთად. ამ საკითხზე დამატებით აღსანიშნავია, რომ სასამართლო სისტემის შესახებ კანონის ინგლისურენოვანი თარგმანი ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: https://www.gesetze-im-internet.de/englisch_gvg/index.html

4. ა) გერმანულ **საერთო სასამართლოში**, ისევე როგორც საქართველოს საქალაქო, რაიონულ და საოლქო სასამართლოებში, სამოქალაქო საქმეებზე გადანყევტილება მოსამართლეს ერთპიროვნულად გამოაქვს (§ 22 GER-GVG). სამოქალაქო სამართლის სფეროში საერთო სასამართლოების განსჯად საქმეებს არსებითად განეკუთვნება პირველი ინსტანციის ყველა საოჯახო-სამართლებრივი საქმე, საცხოვრებელი ფართის ქირავნობის სამართლიდან გამომდინარე დავები, განსაკუთრებით, ზოგადი სამოქალაქო-სამართლებრივი დავები, რომელთა დავის საგნის ღირებულება 5.000 €-ს არ აღემატება (§ 23 GER-GVG), გარდა სახელმწიფო ორგანოს (მატერიალურ) პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული პროცესებისა. ამასთან, საპროცესო-სამართლებრივი თვალსაზრისით უნდა აღინიშნოს, რომ საოჯახო საქმეებში პროცესი ეფუძნება არა სამოქალაქო საპროცესო კოდექსს, არამედ კანონს საოჯახო სამართლისა და ნებაყოფლობითი მართლმსაჯულების საქმეებზე (GER-FamFG; თარგმანი ინგლისურ ენაზე: https://www.gesetze-iminternet.de/englisch_famfg/index.html). § 111 GER-FamFG-ს მიხედვით, **საოჯახო სამართლის საქმეებს** განეკუთვნება, განსაკუთრებით, ქორწინებასთან დაკავშირებული საქმეები (უპირველეს ყოვლისა, განქორწინება და განქორწინების გარკვეული შედეგები); სასამართლო საქმეები ბავშვსა და მშობელს შორის სამართალურთიერთობის დადგენის შესახებ (განსაკუთრებით, მშობლების ზრუნვა შვილებზე; მათი უფლება, იქონიონ ურთიერთობა თავიანთ შვილებთან და პირიქით); წარმომავლობასთან დაკავშირებული, შვილად აყვანის, ასევე, ოჯახის საცხოვრებელსა და საოჯახო საქმეების წარმართვასთან დაკავშირებული საქმეები; ძალადობისგან დაცვის საქმეები (პროცესი ძალადობისა და დანაშაულებრივი ადევნებისგან სამოქალაქო-სამართლებრივი დაცვის შესახებ კანონის საფუძველზე); განქორწინების შემთხვევაში, მეუღლეებს შორის საპენსიო უზრუნველყოფის მოთხოვნათა გაყოფის საქმეები (ქორწინების პერიოდში მეუღლეების მიერ შექმნილი სამომავლო უფლების მიღების მოლოდინთა

კომპენსაცია სავალდებულო საპენსიო დაზღვევიდან, საჯარო მოხელეთა უზრუნველყოფიდან, სანარმოო საპენსიო სქემიდან და პენსიის საფუძველზე სიცოცხლის კერძო დაზღვევიდან); სარჩოსთან, ქონებრივ უფლებებსა და სამოქალაქო პარტნიორობასთან დაკავშირებული საქმეები (პროცედურა, რეგისტრირებული სამოქალაქო პარტნიორობის შესახებ კანონის შესაბამისად). გარდა ამისა, პირველ ინსტანციაში საერთო სასამართლოების განსჯადია ე.წ. „ნებაყოფლობითი“ (იგულისხმება არაკონტრადიქტორული გაგებით) მართლმსაჯულება (ინგლისურად: **non-contentious jurisdiction**). ამ **ნებაყოფლობით მართლმსაჯულებას** განეკუთვნება, უპირველეს ყოვლისა, მზრუნველობის საქმეები, სამკურნალო დაწესებულებაში მოთავსების (თავისუფლების აღმკვეთი ღონისძიებები მზრუნველობის ქვეშ მყოფი პირის მიმართ), სამკვიდროსთან დაკავშირებული (სამკვიდრო მონაბო, ანდერძის აღსრულება და ა. შ.), რეესტრთან დაკავშირებული (სავაჭრო რეესტრი, კავშირის რეესტრი და ა. შ.) და საჯარო გამოძახების საქმეები. გარდა ამისა, საერთო სასამართლოების კომპეტენციას განეკუთვნება საჯარო რეესტრთან დაკავშირებული საქმეები. მათი პროცედურა საჯარო რეესტრის შესახებ წესდებაში (**GER-GBO**) ცალკეა დარეგულირებული. ნებაყოფლობითი მართლმსაჯულებისა და საჯარო რეესტრის შესახებ წესდების საქმეებს, მეტწილად, მოსამართლის ფუნქციით აღჭურვილი საჯარო მოხელე ახორციელებს (ამ უკანასკნელთან დაკავშირებით, იხ: 229-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 19).

5. სამხარეო სასამართლოები პირველ ინსტანციაში ძირითადად განიხილავენ სამოქალაქო დავის საქმეებს, რომელთა დავის საგნის ღირებულება **5.000 €**-ს აღემატება (გარდა საცხოვრებელი ფართის ქირავნობასთან დაკავშირებული საქმეებისა), აგრეთვე, სახელმწიფო ორგანოს მატერიალური პასუხისმგებლობის ყველა მოთხოვნას (§ 71 GER-GVG). ისინი წარმოადგენენ აპელაციისა და გასაჩივრების ინსტანციას საერთო სასამართლოების მიერ პირველ ინსტანციაში განხილული სამოქალაქო დავის საქმეებზე (§ 72 GER-GVG).

6. უმაღლესი სამხარეო სასამართლოები ქმნიან აპელაციისა და გასაჩივრების ინსტანციას სამხარეო სასამართლოების მიერ პირველ ინსტანციაში განხილულ სამოქალაქო დავის საქმეებზე და გასაჩივრების ინსტანციას საერთო სასამართლოების მიერ განხილულ საოჯახო სამართლის საქმეებზე (§ 119 GER-GVG).

7. უმაღლესი ფედერალური სასამართლო არის ზოგადი საკასაციო ინსტანცია სამოქალაქო დავის საქმეებზე, სამხარეო სასამართლოებისა და უმაღლესი სამხარეო სასამართლოების სააპელაციო გადაწყვეტილებებისთვის (§ 133 GER-GVG). მაგრამ კასაცია დასაშვებია, თუ მასზე გაცემულია ნებართვა (§ 543 Abs. 1, § 542 Abs. 1 GER-ZPO). ამ ნებართვას

გაცემს უმაღლესი ფედერალური სასამართლო, როცა საქმე ფუნდამენტური მნიშვნელობისა ან სამართლის განვითარება თუ ერთიანი სასამართლო პრაქტიკის უზრუნველყოფა მოითხოვს საკასაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანას (§ 543 Abs. 2 GER-ZPO). თუ უმაღლესი ფედერალური სასამართლოს ნებართვა არ არსებობს, დავის საგნის ღირებულება უნდა აღემატებოდეს 20.000 €-ს. აღნიშნულის წინააღმდეგ შედავაება შესაძლებელია ე.წ. საჩივრის დაშვებაზე უარის თქმის გასაჩივრებით (§ 544 GER-ZPO; § 26 Nr. 8 des Einführungsgesetzes zur Zivilprozessordnung (GER-EGZPO)). საჩივრის დაშვებაზე უარის თქმის გასაჩივრების შემთხვევაში, ფედერალურმა უმაღლესმა სასამართლომ, პირველ რიგში, უნდა შეამოწმოს, დაკმაყოფილებულია თუ არა კასაციის ნებართვისთვის სავალდებულო წინაპირობები. ასეთის არარსებობისას, იგი უარს ამბობს სარჩელის დაშვებაზე უარის თქმის წინააღმდეგ შეტანილი საჩივრის დაკმაყოფილებაზე. თუ ეს წინაპირობები სახეზეა, იგი გაცემს ნებართვას კასაციაზე და შემდეგ საქმეზე გამოაქვს გადაწყვეტილება. ამასთან, უმაღლესი ფედერალური სასამართლოს განსჯადია გარკვეული საჩივრები (§ 133 GER-GVG, § 574 GER-ZPO). ყადაღისა და სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ სასამართლოს განჩინების პროცედურისას, კასაცია, ჩვეულებრივ, არ ხდება (§ 542 Abs. 2 GER-ZPO). საოჯახო სამართლის საქმეებზე უმაღლესი ფედერალური სასამართლო განიხილავს უმაღლესი სამხარეო სასამართლოების გადაწყვეტილებათა წინააღმდეგ შეტანილ საჩივრებს (§ 70 GER-FamFG).

8. ბ) როგორც უკვე აღინიშნა, სამხარეო სასამართლოებსა და უმაღლეს სამხარეო სასამართლოებში სამოქალაქო დავების დროს ძირითადად აუცილებელია **წარმომადგენლობა ადვოკატების მიერ** (§ 78 Abs. 1 Satz 1 GER-ZPO; ე.წ. საქმის წარმართვა ადვოკატის სავალდებულო მონაწილეობით). უმაღლეს ფედერალურ სასამართლოში აუცილებელია ადვოკატის სპეციალური ლიცენზია (§ 78 Abs. 1 Satz 3 GER-ZPO), რომელსაც ადვოკატთა საქმიანობის შესახებ ფედერალურ კანონში მონესრიგებული შერჩევის პროცედურის შესაბამისად (§§ 164 ff. GER-BRAO), ადვოკატთა მხოლოდ ძალიან მცირე რაოდენობა იღებს (2018 წლის დეკემბრის მდგომარეობით - 43). უმაღლეს ფედერალურ სასამართლოში დაშვებული ადვოკატთა რაოდენობის ეს შეზღუდვა პოლიტიკურ-სამართლებრივია და - პროფესიის არჩევის თავისუფლების ფონზე - საკონსტიტუციო-სამართლებრივად სადავოა. თუმცა, მას ეთანხმება ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო (BVerfG, Beschluss vom 31.10.2002 - 1 BvR 819/02 - BVerfGE 106, 216; BVerfG, Beschluss vom 13.06.2017 - 1 BvR 1370/16 - NJW 2017, 2670): მისი აზრით, ეს, ძლიერი და საკასაციო საქმეებში განსაკუთრებულად კვალიფიციური ადვოკატების საშუალებით, მართლმსაჯულების განხორციელების გაუმჯობესებას

ემსახურება. მოდავე მხარეები ამით საკასაციო წარმოებაში კომპეტენტიურ რჩევებს მიიღებენ და შეძლებენ, ზედა ინსტანციაში უპერსპექტივო გასაჩივრებაზე წინასწარ უარის თქმას, რითაც თავიდან აიცილებენ ზედმეტ ხარჯებს. იმავდროულად, უმაღლესი ფედერალური სასამართლო გათავისუფლდება დაუშვებელი საჩივრებისგან.

9. გ) სამხარეო სასამართლოები, უმაღლესი სამხარეო სასამართლოები და უმაღლესი ფედერალური სასამართლო კოლეგიური სასამართლოების სახით ფუნქციონირებს. შესაბამის სამოსამართლო კომისიებს, რომლებსაც კრებისთანავე ხშირად მოიხსენიებენ საშინელი სახელწოდებით - „გადაწყვეტილების გამომტანი ორგანო“, სამხარეო სასამართლოებში პალატები ეწოდება (სამოქალაქო პალატა, სავაჭრო საქმეთა პალატა - §§ 60, 93 GER-GVG), უმაღლეს სამხარეო სასამართლოებსა და უმაღლეს ფედერალურ სასამართლოში - სენატები (სამოქალაქო სენატები - § 116 GER-GVG უმაღლესი სამხარეო სასამართლოებისთვის, § 130 GER-GVG უმაღლესი ფედერალური სასამართლოსთვის).

10. უმაღლესი ფედერალური სასამართლო სამოქალაქო საქმეებზე გადაწყვეტილებებს იღებს 5 მოსამართლის შემადგენლობით (§ 139 Abs. 1 GER-GVG); უმაღლესი სამხარეო სასამართლოების სამოქალაქო სენატები - სამი მოსამართლის შემადგენლობით, თუ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებების მიხედვით, გადაწყვეტილება მოსამართლემ ერთპიროვნულად არ უნდა მიიღოს (§ 122 Abs. 1 GER-GVG). იგივე წესი მოქმედებს § 75 GER-GVG-ს მიხედვით სამხარეო სასამართლოების სამოქალაქო პალატებისთვის.

11. სასამართლო სისტემის შესახებ კანონში მითითებულ წესები ერთპიროვნული გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების მქონე მოსამართლის განსჯადობასთან დაკავშირებით, სამხარეო სასამართლოში შემდეგნაირად უღერს:

§ 348 GER-ZPO - გადაწყვეტილების ერთპიროვნულად მიმღები თავდაპირველი მოსამართლე

(1) სამოქალაქო პალატას გადაწყვეტილება გამოაქვს თავისი ერთ-ერთი წევრის, როგორც საქმის ერთპიროვნულად განმხილველი მოსამართლის საშუალებით. ეს წესი არ მოქმედებს, როდესაც:

1. ეს წევრი გამოსაცდელი ვადით დანიშნული მოსამართლეა და ჯერ წელიწადი არ არის, რაც, საქმის განაწილების გეგმის შესაბამისად, სამოქალაქო-სამართლებრივ დავებზე მართლმსაჯულებას ახორციელებს, ან

2. ... პალატის განსჯადობა, სამართლებრივი დავის ქვემოთ ჩამოთვლილი სფეროებისთვის კუთვნილების გამო, გამართლებულია (მითი-

თება: მოჰყვება სამართლის მრავალი სფეროს ჩამონათვალი - ასლი არ არის გათვალისწინებული)...

(2) პირველი აბზაცის წინაპირობების საეჭვოობისას, პალატა გადაწყვეტილებას იღებს განჩინებით, რომლის შეცვლა არ არის შესაძლებელი.

(3) საქმის ერთპიროვნულად განმხილველი მოსამართლე წარუდგენს დავას სამოქალაქო პალატას მისი გადაბარების თაობაზე გადანყვეტილების მისაღებად, თუ:

1. საქმე განსაკუთრებულ ფაქტობრივ ან სამართლებრივ სირთულეებს შეიცავს;

2. საქმეს ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს, ან

3. მხარეები ამას ერთსულოვნად მოითხოვენ.

პალატა გადაიბარებს სამართლებრივ დავას, თუ სახეზეა პირველი წინადადების Nr.1-ით ან 2-ით გათვალისწინებული წინაპირობები. იგი აღნიშნულზე გადანყვეტილებას იღებს განჩინებით. გამორიცხულია საქმის ხელახლა გადაბარება ერთპიროვნულად განმხილველ მოსამართლეზე.

(4) ზემდგომ ინსტანციაში გასაჩივრება არ შეიძლება დაეფუძნოს განხორციელებულ ან განუხორციელებელ წარდგენას ან გადაცემას.

§ 348 a GER-ZPO - მოსამართლე, რომელსაც დაევალა გადანყვეტილების ერთპიროვნულად მიღება

(1) თუ § 348 Abs. 1-ით გათვალისწინებული საქმის ერთპიროვნულად განხილვის თავდაპირველი განსჯადობა არ წარმოიშვება, სამოქალაქო პალატა საქმეს განჩინებით ერთპიროვნულად განსახილველად გადასცემს თავის ერთ-ერთ წევრს, თუ:

1. საქმე განსაკუთრებულ ფაქტობრივ ან სამართლებრივ სირთულეებს არ შეიცავს;

2. . საქმე არ არის ფუნდამენტური მნიშვნელობის; და

3. სასამართლოს მთავარ სხდომაზე, სამოქალაქო პალატის წინაშე საქმის არსებითად განხილვა ჯერ არ ჩატარებულა, თუ ამასობაში არ გამოტანილა პირობადებული, ნაწილობრივი ან შუალედური სასამართლო გადანყვეტილება.

(2) საქმის ერთპიროვნულად განმხილველი მოსამართლე დავას, მისი გადაბარების თაობაზე გადანყვეტილების მისაღებად, წარუდგენს სამოქალაქო პალატას, თუ:

1. პროცესის გარემოებების არსებითი ცვლილებიდან გამომდინარეობს საქმის ფაქტობრივი ან სამართლებრივი სირთულე ან ფუნდამენტური მნიშვნელობა; ან

2. მხარეები ამას ერთსულოვნად მოითხოვენ.

პალატა გადაიბარებს სამართლებრივ დავას, თუ დაკმაყოფილებულია პირველი წინადადების **Nr.1-** ით გათვალისწინებული წინაპირობები....

12. მარტივად რომ ვთქვათ, სამხარეო სასამართლოში - არსებითად, სამართლის დარგის მიხედვით - სამოქალაქო სამართალწარმოების ერთი ნაწილი თავდაპირველად საქმის ერთპიროვნულად განმხილველ მოსამართლესთან ხვდება (§ 348 GER-ZPO). საქმის ერთპიროვნულად განმხილველ მოსამართლეს შეუძლია, ეს პროცესები, განსაკუთრებული სირთულის ან ფუნდამენტური მნიშვნელობის გამო, გადააბაროს სამი მოსამართლისგან შემდგარ კოლეგიას (სამოქალაქო პალატას). პროცესების სხვა ნაწილი თავდაპირველად სამოქალაქო პალატაში ხვდება (§ 348a GER-ZPO) და მან უნდა გადააბაროს საქმის ერთპიროვნულად განმხილველ მოსამართლეს, თუ (საქმის ერთპიროვნულად განმხილველი მოსამართლიდან სამოქალაქო პალატისთვის გადაბარების შეზღუდული ვარიანტი) საქმე განსაკუთრებულ სირთულეებს არ შეიცავს და მას ფუნდამენტური მნიშვნელობა არ აქვს.

13. უმაღლეს სამხარეო სასამართლოში სააპელაციო პროცედურაზე თავდაპირველად პასუხისმგებელია სამი მოსამართლისგან შემდგარი სამოქალაქო სენატი. ამ უკანასკნელს შეუძლია იგი, § 526 GER-ZPO-ის შესაბამისად, გადააბაროს საქმის ერთპიროვნულად განმხილველ მოსამართლეს. ასეთ შემთხვევაში მოქმედებს კანონის იგივე წინაპირობები, რაც, § 348a GER-GVG-ის მიხედვით, სამხარეო სასამართლოში. საჩივრის განხილვისას, § 568 GER-ZPO-ის თანახმად, გადანყვეტილებას თავდაპირველად იღებს საქმის ერთპიროვნულად განმხილველი მოსამართლე, თუ შეცილებული გადანყვეტილება გამოტანილია ერთპიროვნულად განმხილველი მოსამართლის მიერ. სამოქალაქო სენატისთვის წარდგენა ხდება იმავე წინაპირობებით, რომლებიც აპელაციისას მოქმედებს.

14. დ) ქართული სამართლისგან არსებითად განსხვავებულია სამოქალაქო პალატებისა და სენატების **შიდა ორგანიზაცია**.

15. აა) გერმანულ კოლეგიურ სასამართლოებში, ქართულისგან განსხვავებით, არ არსებობს განყოფილებების სტრუქტურა, შესაბამისი ხელმძღვანელებით. პირიქით, იქმნება ცალკეული სამოქალაქო პალატების ან სენატების აუცილებელი რაოდენობა, შესაბამისად, 3-5, ხოლო უმაღლეს ფედერალურ სასამართლოში, უმეტესწილად, 7-9 მოსამართლით.

16. რომელი მოსამართლეები განაწილდებიან ამ სამოქალაქო პალატება და სენატებში და რომელ პროცესებზე იქნებიან ისინი უფლებამოსილი, განსაზღვრავს პრეზიდიუმი, **სასამართლოში საქმის განაწილების გეგმით (§ 21e GER-GVG)**. ამ დროს პროცესები უნდა განაწილდეს აბსტრაქტული კრიტერიუმების მიხედვით. ამ კრიტერიუმების განსაზღვრა პრეზიდიუმის ავტონომიური გადაწყვეტილებაა. ხარისხის მაღალი სტანდარტისა და ეფექტიანობის, აგრეთვე, ერთიანი სასამართლო პრაქტიკის უზრუნველსაყოფად, განსაკუთრებით, უმაღლესი ფედერალური და სამხარეო სასამართლოების შემთხვევაში, განაწილება, უმეტესწილად, გარკვეული სამართლის დარგების **(სპეციალიზაციის)** მიხედვით ხორციელდება.

17. უმაღლეს ფედერალური სასამართლოში პროცესები მხოლოდ გარკვეული სამართლის დარგების მიხედვით (2018 წლის დეკემბრის მდგომარეობით - 12) სამოქალაქო სენატზე ნაწილდება. სასამართლოში საქმის განაწილების გეგმის თანახმად, ეს სამოქალაქო სენატები არსებითად პასუხისმგებელი არიან შემდეგ საქმეებზე (დეტალები აქ არ არის გადმოცემული):

I სამოქალაქო სენატი	საავტორო სამართალი, ინტელექტუალური საკუთრების დაცვა, ტვირთის გადაზიდვის, დასაწყობების და ჩარტერის სამართალი, სამკლერო სამართალი
II სამოქალაქო სენატი	კორპორატიული სამართალი, კავშირების სამართალი
III სამოქალაქო სენატი	მიყენებულ ზიანზე სახელმწიფოს პასუხისმგებლობის სამართალი, სანოტარო პასუხისმგებლობა, ფონდების სამართალი, დავალების სამართალი, შრომითი ხელშეკრულების სამართალი
IV სამოქალაქო სენატი	მემკვიდრეობის სამართალი, დაზღვევის ხელშეკრულების სამართალი
V სამოქალაქო სენატი	უფლება მიწის ნაკვეთზე, სამეზობლო სამართალი, ბინაზე საკუთრების სამართალი, თავისუფლების აღკვეთის საქმეები
VI სამოქალაქო სენატი	დელიქტური სამართალი (მაგ.: საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების საქმეები), მწარმოებლის პასუხისმგებლობა პროდუქტზე, ექიმის პასუხისმგებლობა

VII სამოქალაქო სენატი	ნარდობის ხელშეკრულების სამართალი, არქიტექტურული სამართალი, იძულებითი აღსრულების სამართალი
VIII სამოქალაქო სენატი	ნასყიდობის სამართალი, საცხოვრებელი ფართის ქირავნობის სამართალი
IX სამოქალაქო სენატი	გაკოტრების სამართალი, ადვოკატების პასუხისმგებლობა, საგადასახადო კონსულტანტების პასუხისმგებლობა
X სამოქალაქო სენატი	საპატენტო უფლება, სახელმწიფო შესყიდვების სამართალი, ტური-სტული ხელშეკრულების სამართალი, ჩუქების სამართალი
XI სამოქალაქო სენატი	საბანკო სამართალი, კაპიტალის ბაზრების სამართალი
XII სამოქალაქო სენატი	საოჯახო სამართალი, სამენარმეო ქირავნობის სამართალი

18. პრეზიდიუმი (არ უნდა შეგვეშალოს პრეზიდიუმის საბჭოში - მოსამართლეებთან დაკავშირებული საკადრო გადანყვეტილებების მიღებაზე უფლებამოსილ თვითმმართველ ორგანოში; §§ 74, 49 Nr. 2 GER-DRiG), რომელიც იღებს გადანყვეტილებას სასამართლოში საქმის განაწილების გეგმაზე, ყველა სასამართლოში უნდა ჩამოყალიბდეს. მასში შედის სასამართლოს თავმჯდომარე, როგორც ხელმძღვანელი, და მოსამართლეების მიერ არჩეული 4-10 წევრი (შდრ. დანვრილებით, §§ 21a ff. GER-GVG). პრეზიდიუმის მიერ მიღებული საქმის განაწილების გეგმა ქვეყნდება (შდრ. დაახლოებით: https://www.justiz.sachsen.de/olg/download/Ri_2018-01-01.pdf).

19. ბბ) ყოველ სამოქალაქო პალატას და სენატს ხელმძღვანელობს თავმჯდომარე მოსამართლე (§ 21f GER-GVG), რომელსაც ეს თანამდებობა დანიშნაურების აქტით გადაეცემა (მითითება: ეს თავმჯდომარე მოსამართლე [presiding judge] არ უნდა აგვერიოს ქართული სასამართლოების თავმჯდომარეში [chairman], ანუ სასამართლოს ხელმძღვანელში/დირექტორში. მათ გერმანიაში პრეზიდენტებს ან დირექტორებს უწოდებენ). ამდენად, გერმანიაში თავმჯდომარე მოსამართლის სახელწოდება არ გულისხმობს მხოლოდ იმ მოსამართლის ფუნქციის დასახელებას, რომელსაც შესაბამის პროცესში საქმის განხილვის თავმჯდომარეობა ევალება. პირიქით, კოლეგიური სასამართლოს თავმჯდომარე მოსამა-

როტლეს შესაბამისი სამოსამართლო სტატუსი აქვს მინიჭებული (თავმჯდომარე მოსამართლე სამხარეო სასამართლოში, თავმჯდომარე მოსამართლე უმაღლეს სამხარეო სასამართლოში, თავმჯდომარე მოსამართლე უმაღლეს ფედერალურ სასამართლოში) (§ 19a GER-DRiG). ამიტომ, მან საკუთარ თავზე უნდა აიღოს შესაბამისი სამოქალაქო პალატის ან სენატის მართვა, განსაკუთრებით, საქმის განხილვებისა და სხვა პროცედურების ხელმძღვანელობა. ამით პალატებისა და სენატების მართვა უნდა მიენდოს იმ მოსამართლეებს, რომლებიც თავიანთი განსაკუთრებული არჩევანის წყალობით და სახელმძღვანელო პალატებისა და სენატების საშუალებით, განსაკუთრებულად დაიცავენ სასამართლო პრაქტიკის ღირსებებსა და ერთგვაროვნებას (BGH, Beschluss vom 11.07.1985 - VII ZB 6/85 - BGHZ 95, 246; BGH, Urteil vom 5.10.2016 - XII ZR 50/14 - NJW-RR 2017, 635; BGH, Urteil vom 2.03.2015 - VII ZR 173/13 - NJW 015, 1685). იმ შემთხვევისთვის, თუ თავმჯდომარე მოსამართლე ვერ შეძლებს საკუთარი ფუნქციის შესრულებას, პრეზიდიუმი განსაზღვრავს მოადგილეს.

20. ამ სამოქალაქო პალატებსა და სენატებს, ერთმანეთისგან მარტივად განსხვავების მიზნით, ენიჭებათ უწყვეტი ნუმერაცია, რაიმე სამართლებრივი შედეგის გარეშე.

21. გგ) შემდეგ, ამ სამოქალაქო პალატებისა და სენატების შიგნით (პრეზიდიუმის დადგენილებით), მათი წევრი მოსამართლეების შემადგენლობა ადგენს სასამართლოში საქმეების ე.წ. პალატებსა და **სენატებსშიდა განაწილების გეგმას** (§ 21g GER-GVG). მასში აბსტრაქტული კრიტერიუმების მიხედვით განისაზღვრება, თუ რომელ განხილვაში მიიღებს მონაწილეობას სამოქალაქო პალატის ან სენატის კონკრეტული მოსამართლე.

22. დდ) პრეზიდიუმის წევრების მიერ სამოსამართლო დამოუკიდებლობის ფარგლებში (ასევე, სამოსამართლო დამოუკიდებლობის პრინციპით) მიღებული სასამართლოში საქმეების განაწილების გეგმის ურთიერთქმედება პალატებსა და სენატებსშიდა განაწილების გეგმასთან, შესაძლებლობას იძლევა, რომ სამოსამართლო საქმეთა განაწილება და, შესაბამისად, კონკრეტულ სასამართლო განხილვაში მონაწილეობისთვის გამოძახებული მოსამართლეების გადანაწილებები თავად მოსამართლეთა ხელში იყოს. ამ დროს გამოსაყენებელ აბსტრაქტულ კრიტერიუმებთან კავშირში (vgl. BVerfG, Beschluss vom 08.04.1997 - 1 PwU 1/95 - BVerfGE 95,322; BGH [Strafsenat], Beschluss vom 19.07.2018 - 4 StR 186/18 - juris; BGH [Strafsenat], Beschluss vom 04.05.2016 - 3 StR 358/15 - StV 2016, 626), რომლებიც გამჭვირვალეა და, შემადგენლობაზე პრეტენზიის შემთხვევაში, სასამართლო განხილვის სხდომაზეც უნდა იყოს წარმოდგენილი, გამოირიცხება მოსამართლეთა შორის საქმეების

განაწილებაზე გარეგანი ზეგავლენის შესაძლებლობა და გათვალისწინებულია საკონსტიტუციო-სამართლებრივი მოთხოვნა, რომ საქმე განიხილოს კანონით განსაზღვრული პროცედურის შესაბამისად დანიშნულმა მოსამართლემ (Art. 101 Abs. 1 GER-GG). აღნიშნულ ფონზე, ამ საკითხთან დაკავშირებით საქართველოში მიმდინარე დისკუსიას, მსგავსი ფორმით გერმანიაში არ იცნობენ. ასევე არ აჩენს ეს გერმანიაში კითხვას, აუცილებელია თუ არა საქმეების ელექტრონული განაწილება არასათანადო ზემოქმედების წინასწარვე თავიდან ასაცილებლად. ამ მიდგომის კიდევ ერთი უპირატესობაა ის, რომ ერთი მხრივ, იგი მოსამართლის დამოუკიდებლობას აძლიერებს, მეორე მხრივ კი მარტივდება სპეციალიზაციები და განსაკუთრებით შრომატევადი პროცედურების სათანადო შეფასება.

23. ეე) განხილვაში მონაწილეობისთვის საქმეთა განაწილების ამ ორივე გეგმის მიხედვით დანიშნული მოსამართლეებიდან ერთ-ერთი სასამართლოში განისაზღვრება **მომხსენებელ მოსამართლედ**. მისი მოვალეობაა - ისევე, როგორც საქართველოში - საქმის განხილვის ხელმძღვანელობა (მაგ.: საქმის განხილვის ან გადანყვეტილების პროექტის მომზადების გზით). მაგრამ მომხსენებელი მოსამართლის ეს ფუნქცია არ გულისხმობს რაიმე გამორჩეული სამოსამართლო პოზიციის მინიჭებას. მისი დანიშვნა მხოლოდ შრომის განაწილებაზე შიდა მოლაპარაკებების შედეგია. კანონი არ განსაზღვრავს, თუ ვინ შეიძლება იყოს მომხსენებელი მოსამართლე, ვინაიდან ეს პოზიცია პირწმინდად ფაქტობრივი საკითხია. თუმცა, ყველა მოსამართლის თანაბარი დატვირთვის ინტერესებიდან გამომდინარე, მომხსენებელი მოსამართლე, აბსტრაქტული კრიტერიუმების მიხედვით, ხშირად განსაზღვრულია პალატის ან სენატს შიდა განაწილების გეგმაში; მაგრამ ეს აუცილებელი არ არის. ასევე, ნებისმიერ დროს შესაძლებელია მომხსენებელი მოსამართლის შეცვლა, ვინაიდან ამას არავითარი სამართლებრივი შედეგი არ მოაქვს სხდომისთვის, რომელსაც ხელმძღვანელობს საქმის განხილვის თავმჯდომარე მოსამართლე, ან - თუ მისთვის შეუძლებელია ამ ფუნქციის შესრულება - მისი მოადგილე. სამართლებრივი თვალსაზრისით, აუცილებელი არც არის მოსამართლისთვის მომხსენებელი მოსამართლის მოვალეობის მინდობა. საქმის განხილვა შესაძლებელია სრულად მოამზადოს განხილვაში მონაწილეობის მოვალეობის მქონე მოსამართლეთა 3-5-კაციანმა ჯგუფმა.

24. უმაღლეს ფედერალურ და სამხარეო სასამართლოთა უმრავლესობაში მიღებულია, რომ მომხსენებელი მოსამართლე კონსულტაციებისა და საქმის განხილვის მოსამზადებლად ე.წ. **ვოტუმს** ამზადებს, თუმცა ეს არსად არ არის დარეგულირებული და არც სამართლებრივად სავალდებულოა. ვოტუმში წერილობით (ნაწილობრივ, უკვე გადანყვეტილების პროექტის ფორმითაც) დაწვრილებით არის ფორმულირებული პრო-

ბლემები და მათი გადაჭრის გზები (ან, საჭიროების შემთხვევაში, ალტერნატიული გზები). ვოტუმის ფორმა და მოცულობა ძალიან განსხვავებულია. გადამწყვეტია საქმის განხილვის სირთულე და კომპლექსურობა, აგრეთვე, შესაბამის სენატებში (უმალლეს სამხარეო სასამართლოებში საკმაოდ არაერთგვაროვნად) დამკვიდრებული პრაქტიკა.

შესაბამის სამოქალაქო პალატებსა და სენატებს შიგნით არსებულ პრაქტიკაზე ძალიან დამოკიდებულია ის, თუ რა ინტენსივობით უნდა შეათანხმოს მომხსენებელმა მოსამართლემ საქმის განხილვის მომზადებისას ცალკეული ნაბიჯები თავმჯდომარე მოსამართლესა ან საქმის განხილვაში მონაწილეობისთვის დანიშნულ სხვა მოსამართლეებთან, და რამდენად უნდა მიენიჭოს მას გადაწყვეტილების პროექტის მომზადებისას, ენობრივი რედაქციის თვალსაზრისით, „მომხსენებელი მოსამართლის გარკვეული პრივილეგია“. პირნმინდად სამართლებრივად, სასამართლოს გადაწყვეტილების ყოველი დეტალი, მათ შორის, ენობრივი რედაქცია, ნყდება საქმეზე დანიშნული ყველა მოსამართლის უმრავლესობით. თუმცა, მუშაობის ასეთ ფორმას თავისი საზღვრები აქვს, ამიტომ მომხსენებელ მოსამართლეებს გადაწყვეტილების მიზეზების კონკრეტულად ჩამოყალიბებისას, ხშირ შემთხვევაში, გარკვეული თავისუფლება ენიჭებათ.

მუხლი 245. ნაწილობრივი გადანაცვეტილება

1. თუ ერთ სარჩელში გაერთიანებული რამდენიმე მოთხოვნიდან, აგრეთვე რამდენიმე მოსარჩელის მიერ ან რამდენიმე მოპასუხის მიმართ წარდგენილი მოთხოვნებიდან ერთ-ერთი გარკვეულია და მომზადებულია გადანაცვეტილების გამოსატანად, სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით გამოიტანოს ნაწილობრივი გადანაცვეტილება ამ მოთხოვნის მიმართ.

2. ნაწილობრივი გადანაცვეტილება, დაინტერესებული მხარის თხოვნით, სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს იმ შემთხვევაშიც, როდესაც აღძრული იყო შეგებებული სარჩელი, გარკვეულია და გადანაცვეტილების გამოსატანად მომზადებულია ერთ-ერთი – სარჩელი ან შეგებებული სარჩელი.

უღრის ჰაბენლოსი

245-ე მუხლი

ქართული სსკ-დან მოყვანილი ნორმები:

- სსკ-ის 245-ე მუხლი

ნაწილობრივი გადანაცვეტილება

1. ნაწილობრივ გადანაცვეტილებასთან დაკავშირებით საქართველოსა და გერმანიაში მოქმედი კანონის დებულებები, მეტწილად, შეესაბამება ერთმანეთს.

§ 301 GER-ZPO - ნაწილობრივი გადანაცვეტილება

(1) თუ ერთ სარჩელში გაერთიანებული რამდენიმე მოთხოვნიდან გადანაცვეტილების მისაღებად გარკვეული და მომზადებულია მხოლოდ ერთი ან მოთხოვნის მხოლოდ ნაწილი, ან, შეგებებული სარჩელის შემთხვევაში, მხოლოდ სარჩელი ან შეგებებული სარჩელი, სასამართლომ მათზე უნდა გამოიტანოს საბოლოო გადანაცვეტილება (ნაწილობრივი გადანაცვეტილება). ერთიანი მოთხოვნის ნაწილის, რომლის საფუძველი ან ოდენობაც სადავოა, ნაწილობრივი გადანაცვეტილებით გადანაცვეტა შე-

საძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იმავდროულად ძირითადი გადაწყვეტილება მოთხოვნის დანარჩენ ნაწილზეც გამოდის.

(2) ნაწილობრივი გადაწყვეტილება შეიძლება არ გამოითქვას სასამართლომ, თუ საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, ამას არავინ ვერ უნდა მიიჩნევს.

2. ეს ნორმა, ერთი შეხედვით, უვნებელი და გონივრული ჩანს, მაგრამ დიდი საფრთხეების შემცველია. თითქმის არ არსებობს რაიმე სხვა საპროცესო დანაწესი, რომლის შეცდომით გამოყენებასაც გერმანულ სასამართლო პრაქტიკაში მსგავსი სიხშირით მოჰყოლია გამაუქმებელი გადაწყვეტილებები, ზემდგომ ინსტანციებში გასაჩივრების შედეგად.

ა) ძირითადი პრობლემა ის არის, რომ უმაღლესი ფედერალური სასამართლოს დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, ნაწილობრივი გადაწყვეტილების გამოტანა არ შეიძლება, როდესაც არსებობს **წინააღმდეგობრივი გადაწყვეტილებების გამოტანის საფრთხე** BGH, Urteil vom 12.04.2016 - XI ZR 305/14 - BGHZ 210, 30; BGH, Urteil vom 15.11.2018 - III ZR 69/17 - juris; BGH, Urteil vom 11.04.2017 - VI ZR 576/15 - NJW 2018, 621).

კანონმდებელმა ამ პრობლემას პროცესუალურად ერთიანი დავის საგნის შემთხვევაში მიაკვლია (იხ. ზემოთ, Art. 3 Abs. 1 Rn. 19 ff., insb. Rn. 29 ff.) და ამიტომ სსკ-ის § 301-ის პირველი აბზაცის მე-2 წინადადება პირდაპირ ადგენს, რომ სამართლებრივად ერთიანი დავის საგნის შესახებ ნაწილობრივი გადაწყვეტილების გამოტანა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ, იმავდროულად, დავის საგნის დანარჩენ ნაწილზე გამოდის ძირითადი გადაწყვეტილება (ამ საკითხზე, ასევე: BGH, Urteil vom 01.03.2016 - VI ZR 437/14 - BGHZ 209, 157; BGH, Urteil vom 11.04.2017 - VI ZR 576/15 - NJW 2018, 621). მაგრამ ამით საკითხზე საპროცესო-სამართლებრივი დისკუსია არ დასრულებულა, ვინაიდან განცალკევებული საპროცესო დავის საგნების შემთხვევაშიც, ძალიან ხშირად არსებობს მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთქმედება ცალკეულ მოთხოვნებს შორის. ეს მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ ასეთი ურთიერთქმედებისთვის საკმარისია, ის გადაწყვეტილების უბრალო ელემენტებიდან (გადაწყვეტილების დასაბუთების ნაწილებიდან) გამომდინარეობდეს; არ არის საჭირო, მათ მატერიალური იურიდიული ძალა შეიძინონ (იხ. მე-10 მუხლის ა.ნ. 4 და მომდევნო აბზაცები და ა.ნ. 9 და მომდევნო აბზაცები) ან § 308 GER-ZPO-ით გათვალისწინებულ (იხ. მუხლის ა.ნ. 6 და მომდევნო აბზაცები) მავალდებულებელ ძალას დაექვემდებარონ (BGH, Urteil

vom 01.03.2016 - VI ZR 437/14 - BGHZ 209, 157). ამიტომ, საჭიროა დიდი იურიდიული შემოქმედებითობა, რათა დამაჯერებლად გამოირიცხოს ასეთი შესაძლო სამომავლო წინააღმდეგობრიობის გამომწვევი ურთიერთქმედებები სამართლებრივი დავის იმ ნაწილს, რომელსაც ეხება ნაწილობრივი გადაწყვეტილება, და დანარჩენ ნაწილს შორის. ჯერ მხოლოდ ნაწილობრივ გადაწყვეტილებაში ამის დასაბუთების ვალდებულებამ (და ამ დროს შესაძლო ურთიერთქმედების გამოპარვის შესაძლებლობამ) უნდა უბიძგოს მოსამართლეს, რომ ნაწილობრივი გადაწყვეტილების გამოტანამდე, საკუთარ თავს კრიტიკულად ჩაეკითხოს, ნამდვილად გონივრულია თუ არა საპროცესო მოქმედების ეს გზა. ამას ართულებს ისიც, რომ შესაძლო წინააღმდეგობრიობის საკითხისათვის გადამწყვეტი არ არის ნაწილობრივ გადაწყვეტილებაზე მომუშავე მოსამართლის შეხედულება: ნაწილობრივი გადაწყვეტილების დაუშვებლობისთვის საკმარისია, ასეთი წინააღმდეგობრიობა წარმოიშვას, მაგალითად, ზემდგომ ინსტანციაში საჩივრის განმხილველი მოსამართლის ან, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის შემთხვევაში, სხვა მოსამართლის მიერ მატერიალური სამართლებრივი მდგომარეობის სხვაგვარად შეფასებისას (BGH, Urteil vom 12.04.2016 - XI ZR 305/14 - BGHZ 210, 30; BGH, Urteil vom 21.11.2017 - VI ZR 36/18 - NJW 2018, 623; BGH, Urteil vom 11.04.2017 - VI ZR 576/15 - NJW 2018, 621).

ეს პრინციპები მოქმედებს რამდენიმე მარტივი **საპროცესო თანამონაწილის** წინააღმდეგ გამოტანილი ნაწილობრივი გადაწყვეტილების შემთხვევაშიც (BGH, Urteil vom 15.11.2018 - III ZR 69/17 - juris; BGH, Urteil vom 21.11.2017 - VI ZR 436/18 - NJW 2018, 623; BGH, Urteil vom 24.02.2015 - VI ZR 279/14 - NJW 2015, 2429). მარტივი საპროცესო თანამონაწილეობისას ზოგადად, სავალდებულო არ არის ერთიანი გადაწყვეტილების მიღება, თუმცა ნაწილობრივი გადაწყვეტილება მხოლოდ მაშინ არის დასაშვები, როცა იგი დამოუკიდებელია დანარჩენი საპროცესო დავის საგანზე მიღებული გადაწყვეტილებისგან. ეს ხდება, დაახლოებით, მაშინ, როდესაც ნაწილობრივი გადაწყვეტილება მხოლოდ ისეთ მიზეზებს ეფუძნება, რომლებიც მხოლოდ ამ საპროცესო თანამონაწილეს ეხება (BGH, Urteil vom 15.11.2018 - III ZR 69/17 - juris; BGH, Urteil vom 21.11.2017 - VI ZR 436/18 - NJW 2018, 623; BGH, Urteil vom 20.12.2016 - VI ZR 95/15 - NJW 2017, 455): მაგალითად, მხოლოდ ამ საპროცესო თანამონაწილის მიერ ხელშეკრულების შეცილებისას ან სადავო სამართლებრივ ურთიერთობაში მისი არმონაწილეობის შემთხვევაში.

ამასთან, წინააღმდეგობრივი გადაწყვეტილების საფრთხე არსებობს მაშინაც, როდესაც სააპელაციო სასამართლოს არ გამოაქვს ფორმალური ნაწილობრივი გადაწყვეტილება, მაგრამ მოთხოვნების ნაწილს გადაწყვეტილების მიღებისთვის გარკვეულად და მომწიფებულად მიიჩნევს, ხოლო დანარჩენ ნაწილს - არა, და საქმეს ამ ნაწილში ხელახალი განხილვისთვის ქვედა ინსტანციას უბრუნებს (BGH, Urteil vom 12.04.2016 - XI ZR 305/14 - BGHZ 210, 30; BGH, Urteil vom 15.11.2018 - III ZR 69/17 - juris). ასეთ გადაწყვეტილებას ისეთივე ეფექტი აქვს, რაც ნაწილობრივ გადაწყვეტილებას, ამიტომ მისი გამოტანა დასაშვებია მხოლოდ § 301 GER-ZPO-ის წინაპირობების გათვალისწინებით (BGH, Urteil vom 12.04.2016 - XI ZR 305/14 - BGHZ 210, 30; BGH, Urteil vom 01.03.2016 - VI ZR 437/14 - BGHZ 209, 157; BGH, Urteil vom 15.11.2018 - III ZR 69/17 - juris).

ბ) ეფექტიანი სამართლებრივი დაცვის უზრუნველსაყოფად, ამ პრინციპიდან დაშვებულია **გამონაკლისები**, როდესაც სამართლებრივი დავა რამდენიმე საპროცესო თანამონაწილიდან ერთ-ერთის მიმართ წყდება (იხ. ქვემოთ, ა.ნ. 9, უმაღლესი ფედერალური სასამართლოს ნაწყვეტებად ციტირებული გადაწყვეტილება).

გ) შეჯამების სახით, სამართლებრივი მდგომარეობის თაობაზე მოვიშველიებ უმაღლესი ფედერალური სასამართლოს შემდეგ გადაწყვეტილებას (Urteil vom 11.05.2011 - VIII ZR42/10 - BGHZ 189, 356):

„1. უმაღლესი ფედერალური სასამართლოს დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, იმ შემთხვევაშიც, როდესაც დავის საგნის გაყოფა შესაძლებელია, ნაწილობრივი გადაწყვეტილების (§ 301 ZPO) გამოტანა დასაშვებია მხოლოდ მაშინ, თუ წინააღმდეგობრივი გადაწყვეტილებების საფრთხე - საჩივარზე ზემდგომი სასამართლო ინსტანციის მიერ განსხვავებული შეფასების დროსაც - გამორიცხულია. წინააღმდეგობრივი გადაწყვეტილებების საფრთხე მაშინ არსებობს, როდესაც ნაწილობრივი გადაწყვეტილება გამოტანილია ისეთ საკითხზე, რომელიც სხვა მოთხოვნების ან მოთხოვნის ნაწილების შესახებ საქმის შემდგომი განხილვისას ისევ დადგება, ან შეიძლება დადგეს. ეს იმ შემთხვევაშიც მოქმედებს, როდესაც საკითხი ეხება გადაწყვეტილების ისეთი უბრალო ელემენტების განსხვავებულად შეფასების შესაძლებლობას, რომლებიც არც იურიდიულ ძალას იძენს და არც სასამართლოს მიმართ აქვს § 318-ით გათვალისწინებული მავალდებულებელი ძალა (BGHZ 107, 236; ...BGH NJW 2004, 1452; BGH NJW 2007, 156; BGH NJW-RR 2009, 494; BGH MDR 2010, 944).

ასეთი საფრთხე არსებობს დამოუკიდებელი საპროცესო მოთხოვნების სიმრავლის შემთხვევაშიც, როდესაც პროცესუალურად დამოუკიდებელ მოთხოვნებს შორის მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთქმედებაა, ან მოთხოვნები პროცესუალურად ერთმანეთზეა დამოკიდებული (BGHZ 157, 133...).

სწორედ ამასთან გვაქვს აქ საქმე. ჯერ კიდევ საოლქო სასამართლოს სამართლებრივ განხილვაში არსებული დავის ნაწილის მოგვიანებით წარმოებაში მიღებისას, თავიდან იქნება გადასაწყვეტი საკითხი... ამ თვალსაზრისით არსებობს საფრთხე, რომ სასამართლო შემდგომი გადაწყვეტილების მიღებისას - ახალი ფაქტების წარმოდგენის თუ სამართლებრივი პროზიციის შეცვლის საფუძველზე (BGH NJW 2000, 1405) - ამ საკითხის შესახებ განსხვავებულ გადაწყვეტილებას მიიღებს.

2. ნაწილობრივი გადაწყვეტილების დაუშვებლობა არც მაშინ აღმოიფხვრება, როდესაც საოლქო სასამართლოს, ჯერ კიდევ მის განხილვაში არსებული დავის ნაწილზე ნაწილობრივი გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ, მხარეთა ერთსულოვანი განაცხადის საფუძველზე გამოაქვს განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ.

ა) მოცემულ ვითარებაში საქმე გვაქვს არა გამონაკლის შემთხვევა-სთან, რომელშიც განსხვავებული გადაწყვეტილების გამოტანის საფრთხის მიუხედავად, ნაწილობრივი გადაწყვეტილება დასაშვები იქნებოდა. ასეთი გამონაკლისი უმაღლესი ფედერალური სასამართლოს პრაქტიკაში აღიარებულია გაკოტრების, გადახდისუუნარობის ან უბრალო საპროცესო თანამონაწილის გარდაცვალების გამო საქმეზე წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში (BGHZ 148, 214; BGH NJW 1987, 2367; BGH NJW 1988, 2113; BGH NJW-RR 2003, 1002; BGH NJW 2007, 156). თუმცა, ეს გამონაკლისი გამართლებულია იმით, რომ საქმეზე წარმოების - თავისი ხანგრძლივობის თვალსაზრისით, არაპროგნოზირებადი - შეწყვეტა იწვევს სამართლებრივი დავის გაყოფას და ამიტომ პროცესის დანარჩენი მონაწილეების ეფექტიანი სამართლებრივი დაცვის მოთხოვნასთან შეუსაბამო იქნებოდა, თუ პროცესის შეწყვეტა გადაწყვეტილების გამოტანას მხოლოდ იმიტომ გააჭიანურებდა დიდი ხნით, რომ საქმისწარმოებაში სავარაუდოდ მიღების შემთხვევაში, არსებობს წინააღმდეგობრივი გადაწყვეტილების გამოტანის აბსტრაქტული საფრთხე (...).

3. გავრცელებული მოსაზრების თანახმად, გერმანულ სამართალში ნაწილობრივი გადაწყვეტილება არ შეიძლება შეიცავდეს **გადაწყვეტილებას ხარჯების შესახებ**. მეტიც, წინააღმდეგობების თავიდან ასაცილებლად, იგი დასკვნით გადაწყვეტილებაში უნდა აისახოს.

გამონაკლისი აღიარებულია იმ მარტივი საპროცესო თანამონაწილის სასამართლოსგარე ხარჯებისთვის (ადვოკატის ან მგზავრობის ხარჯები და ა. შ.), რომელიც ნაწილობრივი გადანყვეტილებით ეთიშება სამართლებრივ დავას, ვინაიდან ხარჯების ამ ნაწილის შესახებ გადანყვეტილებაზე სამართლებრივი დავის შემდგომი განვითარება გავლენას ვეღარ იქონიებს (BGH, *Teilurteil vom 02.02.2016 - X ZR 146/13 - juris*; OLG Celle, *Beschluss vom 20.01.2014 - 9 W 2/14 - juris*). ამასთან, გამონაკლისის სახით, ხარჯების ნაწილზე გადანყვეტილება დასაშვებია, როდესაც სამართლებრივი დავა რამდენიმე უბრალო საპროცესო თანამონაწილიდან ერთ-ერთის მიმართ შეწყვეტილია და, ა. ნ. 7-ში დასახელებული მიზეზების გამო, ეფექტიანი სამართლებრივი დაცვის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად საჭიროა ნაწილობრივი გადანყვეტილების მიღება (OLG Frankfurt, *Teilurteil vom 07.04.2016 - 6 U 4/15 - GRUR 2016, 817*; KG, *Beschluss vom 21.08.2013 - 5 W 170/13 - juris*).

4. მსგავსად, როგორც მოსარჩელეს ევალეზა **განსაზღვრულობის მოთხოვნის** დაცვა სამართლებრივად დამოუკიდებელი დავის საგნიდან გამომდინარე ნაწილობრივი სარჩელებისას, ასევე ნაწილობრივი გადანყვეტილებიდანაც ეჭვგარეშედ უნდა ჩანდეს, დავის საგნის რომელი ნაწილის შესახებ არის გამოტანილი. აღნიშნულთან დაკავშირებით, (ნაწილობრივი) გადანყვეტილებისთვის შესაბამისად მოქმედებს ის, რაც 177-ე და მომდევნო მუხლების ა.ნ. 16-ში ჩამოყალიბებულია სასარჩელო განცხადებისთვის.

5. ნაწილობრივი გადანყვეტილების **იურიდიულ ძალაზე** იხ. მე-10 მუხლის ა.ნ. 19-სა და მომდევნო აბზაცებში მოცემული განმარტებები.

6. ქვემოთ, 81-ე მუხლის ა.ნ. 11-სა და მომდევნო აბზაცებში დეტალურად არის წარმოდგენილი, რომ ზოგადი საპროცესო წინაპირობების, მათ შორის, ნაწილობრივი გადანყვეტილების გამოტანისთვის მოქმედი საპროცესო-სამართლებრივი მოთხოვნების შემონმება სააპელაციო სასამართლოს ყოველთვის ევალეზა სამსახურებრივად (BGH, *Urteil vom 07.06.2016 - KZR 6/15 - BGHZ 210, 30*; BGH, *Urteil vom 13.07.2011 - VIII ZR 342/09 - NJW 2011, 2800*).

მუხლი 246. წინასწარი (შუალედური) გადაწყვეტილება

1. თუ სადავოა სასარჩელო მოთხოვნის როგორც ფაქტობრივი საფუძველი, ასევე ამ მოთხოვნის მოცულობა (ოდენობა), სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს წინასწარი გადაწყვეტილება სასარჩელო მოთხოვნის ფაქტობრივი საფუძვლის შესახებ.

2. ასეთი წინასწარი გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს აპელაციის წესით. კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ მას ექნება პრეიუდიციული ძალა სასამართლოს მეორე გადაწყვეტილებებისათვის, რომელიც მოთხოვნის მოცულობას განსაზღვრავს.

უღრის ჰაბენლოხი

246-ე მუხლი

ქართული სსკ-დან მოყვანილი ნორმები:

- სსკ-ის 246-ე მუხლი

შუალედური გადაწყვეტილება სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლის შესახებ

წინასწარი (შუალედური) გადაწყვეტილება

1. ქართული სსკ-ის 246-ე მუხლის შესაბამისი დებულება გერმანულ სამოქალაქო საპროცესო კოდექსში შემდეგნაირად არის ჩამოყალიბებული:

§ 304 GER-ZPO - შუალედური გადაწყვეტილება საფუძვლის შესახებ

(1) თუ სასარჩელო მოთხოვნა სადავოა მის საფუძველსა ან ოდენობასთან მიმართებით, სასამართლოს შეუძლია, წინასწარ გამოიტანოს გადაწყვეტილება საფუძვლის შესახებ.

(2) ეს გადაწყვეტილება, გასაჩივრებასთან დაკავშირებით, უნდა ჩაითვალოს საბოლოოდ; თუმცა, სასამართლოს შეუძლია, როდესაც მოთხო-

ვნა დასაბუთებულად არის გამოცხადებული, შუამდგომლობის საფუძველზე დაადგინოს, რომ ოდენობის შესახებ გაიმართოს განხილვა.

ნაწილობრივ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებული წესების მსგავსად (იხ. ზემოთ, 245-ე მუხლი, ა.ნ. 2), სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლის შესახებ შუალედური გადაწყვეტილების წესებიც, ერთი შეხედვით, უპრობლემოდ მოქმედებს. თუმცა, საჩივრის განმხილველი ზემდგომი სასამართლო ინსტანციები ხშირად აუქმებენ ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს. ამის მიზეზი, განსაკუთრებით, ის არის, რომ ერთი მხრივ, მოთხოვნის საფუძველსა და მის ოდენობას შორის გამიჯვნა თანმიმდევრულად არ ხორციელდება და, მეორე მხრივ, მრავალი საპროცესო დავის საგნის არსებობისას (იხ. ზემოთ მე-3 მუხლის პირველი ნაწილი, ა.ნ. 19 და მომდევნო აბზაცები და ა.ნ. 29 და მომდევნო აბზაცები), ყოველ ცალკეულ დავის საგანთან დაკავშირებით არ არის წარმოდგენილი საკმარისად მყარი განმარტებები მოთხოვნის საფუძვლის შესახებ.

2. GER-ZPO-ის § 304 ეფუძნება იდეას, რომ, ჩვეულებრივ, მოთხოვნის საფუძვლის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისთვის სხვა ფაქტობრივი თუ სამართლებრივი საკითხები განიხილება და მოთხოვნის ოდენობაზე გადაწყვეტილების მიღებისთვის - სხვა (BGH, Urteil vom 28.06.2016 - VI ZR 559/14 - NJW 2016, 3244). როგორც წესი, ეს ეხება პროცესებს ზიანის ანაზღაურების შესახებ, რომლებშიც, ჩვეულებრივ, კითხვას - დაირღვა თუ არა ზიანის ანაზღაურების გამომწვევი ვალდებულება - არავითარი შინაგანი კავშირი არ აქვს კითხვასთან, თუ რა ქონებრივი ზიანი გამოიწვია რაიმე ვალდებულების დარღვევამ. ამიტომ, ამისათვის შესაფერის პროცესებში სამართლებრივი დავების ობიექტური და სწრაფი მოგვარების ხელშეწყობა შესაძლებელია, როდესაც მოთხოვნის საფუძვლის შესახებ გადაწყვეტილება გამოტანილია მანამდე. ამიტომ, კანონის დებულება სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლის შესახებ შუალედური გადაწყვეტილების თაობაზე, **საპროცესო ეკონომიის მიზნებიდან** გამომდინარეობს. მისი გამოყენებისას, უწინარეს ყოვლისა, გასათვალისწინებელია საპროცესო ეკონომიის მოთხოვნები (BGH, Urteil vom 28.06.2016 - VI ZR 559/14 - NJW 2016, 3244).

საქმის განმხილველი მოსამართლის მოვალეობის ფარგლებში, დიდწილად მის შეხედულებაზეა დამოკიდებული, საპროცესო ეკონომიის საფუძვლებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიიჩნევს თუ არა სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლის შესახებ შუალედური გადაწყვეტილების გა-

მოტანას (BGH, Urteil vom 28.06.2016 - VI ZR 559/14 - NJW 2016, 3244). საჩივრის განმხილველი ზემდგომი სასამართლო ინსტანციის მიერ მოსადავებელი საპროცესო შეცდომა სახეზეა მხოლოდ მაშინ, როდესაც სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლის შესახებ შუალედური გადაწყვეტილების გამოტანა საპროცესო ეკონომიის მიზანს ნათლად ეწინააღმდეგება და აშკარად იწვევს პროცესის გახანგრძლივებასა და გაძვირებას. საჩივრის განმხილველი სასამართლო ისედაც მხოლოდ გამონაკლისის სახით თუ შეძლებდა საპროცესო ეკონომიის ასპექტების დარღვევის გამო სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლის შესახებ შუალედური გადაწყვეტილების გაუქმებას და საქმის ქვემდგომ ინსტანციაში დაბრუნებას, რადგან ეს, ჩვეულებრივ, კიდევ უფრო მეტად გააჭიანურებდა და გააძვირებდა საქმეს.

3. სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლის შესახებ შუალედური გადაწყვეტილების გამოტანა შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც მოთხოვნის **საფუძველი ან ოდენობა სადავოა** და ძირითადად ყველა კითხვაზე, რომლებიც მოთხოვნის საფუძველს ეხება, პასუხი გაცემულია სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლის შესახებ შუალედურ გადაწყვეტილებაში, ასევე, საქმის და დავის ვითარებიდან გამომდინარე, სულ მცირე, სავარაუდოა, რომ **რალაც ოდენობის მოთხოვნა არსებობს** (BGH, Urteil vom 13.08.2015 - VII ZR 90/14 - BGHZ 206, 332; BGH, Urteil vom 25.10.2013 - V ZR 230/12 - BGHZ 198, 327; BGH, Urteil vom 08.09.2016 - VII ZR 168/15 - NJW 2017, 265).

ა) საფუძვლის განმხილველ და ოდენობის განმხილველ პროცესებად გაყოფის წინაპირობაა მოთხოვნის არსებობა, რომელიც მიმართულია ფულის გადახდის ან შენაცვლებადი - ოდენობის თვალსაზრისით, თანხობრივად განსაზღვრული - ნივთებით შესრულებისკენ BGH, Urteil vom 10.01.2017 - II ZR 94/15 - BGHZ 213, 224; BGH, Urteil vom 04.12.2012 - II ZR 159/10 - NJW-RR 2013, 363; BGH, Urteil vom 27.01.2000 - IX ZR 45/98 - NJW 2000, 1572). აგრეთვე, ფულადი ვალდებულებისგან გათავისუფლების შესახებ მავალდებულებელი სარჩელით წარმოდგენილი ციფრობრივად გამოსატული მოთხოვნისას (იხ. ზემოთ 177-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 19 და მომდევნო აბზაცები), შესაძლებელია სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლის შესახებ შუალედური გადაწყვეტილების გამოტანა (BGH Urteil vom 14.02.1985 - IX ZR 14/83 - BGHZ 94, 18).

საპირისპიროდ, საფუძვლის შესახებ შუალედური გადაწყვეტილება საგნის უკან დაბრუნების მოთხოვნასა - მაშინაც კი, თუ იგი, როგორც

ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, მიმართულია პირვანდელი მდგომარეობის აღდგენისკენ (Naturalrestitution) - და ნების გამოვლენის ვალდებულებაზე, დაუშვებელია (BGH, Urteil vom 18.01.1991 - V ZR 11/90 - BGHZ 113, 232; BGH, Urteil vom 04.12.2012 - II ZR 159/10 - NJW-RR 2013, 363; BGH, Urteil vom 28.09.1984 - V ZR 135/83 - NJW 1985, 1464). იგივე წესი მოქმედებს საფუძვლის შესახებ შუალედური გადანყვეტილების მიმართ, რომელიც უკავშირდება **განაცხადს აღიარების (დადგენის) თაობაზე (Feststellungsangrag)** ((BGH, Urteil vom 10.01.2017 - II ZR 94/15 - BGHZ 213, 224; BGH, Urteil vom 27.01.2000 - IX ZR 45/98 - NJW 2000, 1572). თუმცა, გამონაკლისის სახით, შეიძლება, რომ საფუძვლის შესახებ შუალედური გადანყვეტილება გამოტანილი იყოს აღიარებით სარჩელთან დაკავშირებით, როდესაც იგი ასევე შეიცავს თხოვნას მოთხოვნის ოდენობის შესახებ გადანყვეტილების მიღებაზე (BGH, Urteil vom 10.01.2017 - II ZR 94/15 - BGHZ 213, 224; BGH, Urteil vom 27.01.2000 - IX ZR 45/98 - NJW 2000, 1572).

არაქონებრივი ზიანის ფულადი ანაზღაურების შესახებ მოთხოვნისას, გაბატონებული მოსაზრება უშვებს საფუძვლის შესახებ შუალედურ გადანყვეტილებას თანაბრალეულობის არსებობის შემთხვევაშიც. თუმცა, ამ დროს არ შეიძლება, რომ არაქონებრივი ზიანის ფულადი ანაზღაურების გაანგარიშებისთვის რეკომენდებული ერთიანი მიმოხილვის გამო (თანაბრალეულობა გერმანულ სამართალში არ იწვევს თანაბრალეულობის გარეშე შესაფერისი თანხის ოდენობის არითმეტიკულ/მათემატიკურ განაწილებას - ის უბრალო გაანგარიშების ფაქტორის სახით უნდა იყოს გათვალისწინებული), მოთხოვნა პასუხისმგებლობის გარკვეული წილის მითითებით განაწილდეს (BayObLG, Urteil vom 17.10.1994 - 1Z RR 442/93 - BayObLGZ 1995, 276). მეტიც, გადანყვეტილებაში უნდა ჩამოყალიბდეს, რომ არაქონებრივი ზიანის სათანადო ფულადი ანაზღაურების შესახებ მოთხოვნა, თანაბრალეულობის გათვალისწინებით, გარკვეული პროცენტული განაკვეთის ოდენობით არსებობს ((OLG Köln, Urteil vom 07.08.1974 - 6 U 137/73 - MDR 1975, 148).

ბ) მოთხოვნის საფუძველს ასევე განეკუთვნება არსებითად **ყველა შესაგებელი**, რომლებიც ეხება სასარჩელო მოთხოვნის **არსებობას** და მის **იურიდიულ ძალას** (განხორციელებადობას).

აა) ამიტომ, საფუძვლის შესახებ შუალედური გადანყვეტილების გამოტანა სასამართლოს შეუძლია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი არა მხოლოდ შესაგებლების არსებობას უარყოფს, რომლებიც მოთხოვნას მთლიანად აბრკოლებს ან ანადგურებს, არამედ, მაგალითად, მოპასუხის მიერ

ხანდაზმულობის თაობაზე წარმოდგენილ შესაგებელს არასაკმარისად მიიჩნევს (BGH, Urteil vom 13.08.2015 - VII ZR 90/14 - BGHZ 206, 332).

ბბ) თუმცა, ამ მოთხოვნების დაცვა არ არის საჭირო, თუ შესაგებლები ან ხანდაზმულობაზე წარმოდგენილი მოთხოვნის შემაფერხებელი შესაგებელი მიმართულია სამართლებრივად ერთიანი სასარჩელო მოთხოვნის მხოლოდ ერთი ნაწილის წინააღმდეგ და, დანარჩენი ნაწილის თვალსაზრისით, აკმაყოფილებს მოთხოვნას, რომ თანხის შესახებ პროცესში, სავარაუდოდ, რაღაც მაინც მიეკუთვნება მოსარჩელეს (BGH, Urteil vom 13.08.2015 - VII ZR 90/14 - BGHZ 206, 332).

ამდენად, დაუშვებელია, სამართლებრივად ერთიანი დავის საგნის ფარგლებში, ცალკეული მოთხოვნის საფუძველს მიკუთვნებული საკითხების გამოყოფა საფუძვლის შესახებ შუალედურ გადანყვეტილებაში და მათი გარკვევის გადაბარება ოდენობასთან დაკავშირებული პროცესისთვის, თუ (მიუხედავად გამოყოფილ საკითხზე პასუხის გაცემისა) მოსალოდნელია, რომ ოდენობაზე გამართულ პროცესში, მოპასუხე, გარკვეულწილად, დამარცხდება (BGH, Urteil vom 13.08.2015 - VII ZR 90/14 - BGHZ 206, 332; BGH, Urteil vom 31.01.1996 - VIII ZR 243/94 - NJW-RR 1996, 700). ასეთი გადანყვეტილების მავალდებულებელი ეფექტის დადგენისთვის აუცილებელი წინაპირობაა, რომ გადანყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში ან, სულ მცირე, საფუძვლებში, **გასაგებად იყოს წარმოდგენილი**, პასუხისმგებლობის საფუძველთან დაკავშირებული რომელი საკითხები გადაიჭრა ამ გადანყვეტილებით და რომელი არა (BGH, Urteil vom 31.01.1996 - VIII ZR 243/94 - NJW-RR 1996, 700).

პრაქტიკულ მნიშვნელობას ეს საკითხი, განსაკუთრებით, **თანაბრალეულობისა და** საპასუხო მოთხოვნით **ჩათვლისას** იძენს. აღიარებით სარჩელზე მიღებული სასამართლო გადანყვეტილებისგან განსხვავებით (dazu: BGH, Urteil vom 08.12.2011 - VII ZR 12/09 - NJW-RR 2012, 880; BGH, Urteil vom 10.07.2003 - IX ZR 5/00 - NJW 2003, 2986), საფუძვლის შესახებ შუალედურ გადანყვეტილებაში დასაშვებია თანაბრალეულობის საკითხის დატოვება ოდენობის შესახებ პროცესზე განხილვისთვის, თუ (რაც გადანყვეტილებაში უნდა დასაბუთდეს) დადგენილია, რომ თანაბრალეულობა არ იწვევს მთლიანი მოთხოვნის გაუქმებას ((BGH, Urteil vom 31.01.1990 - VIII ZR 28088 - BGHZ 110, 196; vgl. auch: BGH, Urteil vom 25.03.1980 - VI ZR 61/79 - BGHZ 76, 397). თუ ჩათვლა სასარჩელო მოთხოვნის გაქვითვით ხორციელდება, შეიძლება გასაქვითი მოთხოვნა ოდენობის შესახებ პროცესზე განსახილველად დატოვონ, თუ საფუძვლის შესახებ შუალედურ გადანყვეტილებაში დადგენილია, რომ ოდე-

ნობის შესახებ პროცესზე სასარჩელო მოთხოვნის მოსალოდნელი ოდენობა, სავარაუდოდ, გადააჭარბებს გასაქვითი მოთხოვნის ოდენობას (BGH, Urteil vom 24.06.1998 - IV ZR 159/97 - BGHZ 139, 116; BGH, Urteil vom 18.10.2017 - VIII ZR 86/16 - NJW 2018, 291). თუმცა, შეესაბამება თუ არა, ჩვეულებრივ, ასეთი პროცესუალური მოქმედება საპროცესო ეკონომიის მოთხოვნებს, საეჭვოა.

ამასთან, **სამართლებრივად ერთიანი მოთხოვნის იმ ნაწილზე**, რომელიც საფუძვლისა და ოდენობის თვალსაზრისით სადავოა, გადაწყვეტილების გამოტანა საფუძვლის შესახებ (ნაწილობრივი) შუალედური გადაწყვეტილებით შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლოს, იმავდროულად, მოთხოვნის დანარჩენ ნაწილზეც გამოაქვს გადაწყვეტილება (vgl. § 301 Abs. 1 Satz 2 GER-ZPO [იხ. ზემოთ, 245-ე მუხლი, ა.ნ. 4]).

4. სასარჩელო მოთხოვნის შემთხვევაში, რომელიც (დამხმარე სახითაც) რამდენიმე **სამართლებრივად დამოუკიდებელი ნაწილობრივი მოთხოვნისგან** შედგება, საფუძვლის შესახებ ერთიანი შუალედური გადაწყვეტილების გამოტანა მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ დადგენილია, რომ ყოველი ნაწილობრივი მოთხოვნა, საფუძვლის თვალსაზრისით, მართებულია (BGH, Beschluss vom 17.09.2015 - IX ZR 63/13 - NJW 2015, 3453; BGH, Urteil vom 29.07.2003 - X ZR 160/01 - BauR 2003, 1884). თუ გარკვეული ნაწილობრივი მოთხოვნები დამხმარე სახით ხორციელდება, მაშინ (იხ. ზემოთ მე-3 მუხლის მე-2 ნაწილი, ა.ნ. 18 და მომდევნო აბზაცები) ასევე გასათვალისწინებელია, რა მონაცემები წარმოადგინა მოსარჩელემ სამართლებრივად დამოუკიდებელი ნაწილობრივი მოთხოვნების თანმიმდევრობასა და არითმეტიკულ გაყოფასთან დაკავშირებით. შესაბამისად, მხოლოდ დამხმარე სახით წარმოდგენილ მოთხოვნებზე საფუძვლის შესახებ შუალედური გადაწყვეტილების გამოტანა დასაშვებია მაშინ, როცა დადგენილია, რომ პირველ რიგში წარმოდგენილი (უპირატესი) მოთხოვნები გამოუსადეგარია სარჩელის მთლიანად დაფარვისთვის (BGH, Urteil vom 29.07.2003 - X ZR 160/01 - BauR 2003, 1884). სხვა საკითხია, რამდენად გონივრულია საპროცესო ეკონომიის თვალსაზრისით ასეთი გადაწყვეტილების გამოტანა, რომელიც მნიშვნელოვან საპროცესო რისკებსაც შეიცავს.

5. საფუძვლის შესახებ შუალედური გადაწყვეტილების **მავალდებულებელი ძალა** გამომდინარეობს (იხ. ზემოთ, 107-ე მუხლი, ა.ნ. 7) GER-ZPO-ის § 318-დან (BGH, Urteil vom 20.05.2014 - VI ZR 187/13 - NJW-RR 2014, 1118; BGH, Urteil vom 14.07.2011 - VII ZR 142/09 - NJW 2011,

3242). მისი ფარგლები განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ რის შესახებ მიიღო სასამართლომ რეალურად საფუძვლის შესახებ შუალედური გადაწყვეტილება. ეს უნდა განისაზღვროს გადაწყვეტილების სარეზოლუციო და სამოტივაციო ნაწილების განმარტებით (BGH, Urteil vom 20.05.2014 - VI ZR 187/13 - NJW-RR 2014, 1118; BGH, Urteil vom 18.12.2012 - VI ZR 55/12 - NJW 2013, 1163). შესაბამისად, საფუძვლის შესახებ შუალედური გადაწყვეტილების კონკრეტული შინაარსის საშუალებით, ასევე მიეთითება, თუ რომელი გარემოებებია ოდენობის შესახებ გადაწყვეტილებისთვის უკვე მავალდებულებად გარკვეული და რომელი - არა (BGH, Urteil vom 20.05.2014 - VI ZR 187/13 - NJW-RR 2014, 1118; BGH, Urteil vom 30.10.2009 - V ZR 17/09 - NJW 2010, 451). ეს მავალდებულებელი ეფექტი, იმავდროულად, ხაზს უსვამს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია, საფუძვლის შესახებ შუალედურ გადაწყვეტილებაში არაორაზროვნად ჩამოყალიბდეს, რაზეა მიღებული გადაწყვეტილება და რაზე - არა. თუ საფუძვლის შესახებ შუალედური გადაწყვეტილება მოსარჩელისთვის არახელსაყრელ მითითებებსაც შეიცავს მოთხოვნის ოდენობის განსაზღვრის მხრივ, მოსარჩელე ასეთი გადაწყვეტილებით იმ შემთხვევაშიც დამძიმებულია, როდესაც მისი ტექსტის მიხედვით, სასარჩელო მოთხოვნა არსებითად დასაბუთებულად მიიჩნევა (იხ. 364-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 32).

6. საფუძვლის შესახებ შუალედური გადაწყვეტილება **საკასაციო სასამართლომ** დამოუკიდებლად უნდა განმარტოს (BGH, Urteil vom 20.05.2014 - VI ZR 187/13 - NJW-RR 2014, 1118). მან - როგორც საქმეზე გადაწყვეტილების მიღებისთვის მნიშვნელოვანი ყველა სხვა წინაპირობის შემთხვევაში - თანამდებობრივადაც (*ex officio*) უნდა შეამოწმოს, დაკმაყოფილებულია თუ არა საერთოდ საფუძვლის შესახებ შუალედური გადაწყვეტილების გამოტანისთვის მოქმედი საპროცესო წინაპირობები (BGH, Urteil vom 08.09.2016 - VIII ZR 168/15 - NJW 2017, 265; BGH, Urteil vom 04.12.2012 - II ZR 159/10 - NJW-RR 2013, 363).

მუხლი 249. გადაწყვეტილების შინაარსი

1. გადაწყვეტილება შედგება შესავალი, აღწერილობითი, სამოტივაციო და სარეზოლუციო ნაწილებისაგან.

2. გადაწყვეტილების შესავალ ნაწილში აღინიშნება მისი გამოტანის დრო და ადგილი, გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლოს დასახელება და შემადგენლობა, სასამართლო სხდომის მდივანი, მხარეები, წარმომადგენლები, დავის საგანი.

3. გადაწყვეტილების აღწერილობით ნაწილში მოკლედ უნდა მიეთითოს მოსარჩელის მოთხოვნა, მოპასუხის პოზიცია მოსარჩელის მოთხოვნასთან დაკავშირებით, სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოებანი, მტკიცებულებანი, რომლებსაც ემყარება სასამართლოს დასკვნები, მოსაზრებანი, რომლებითაც სასამართლო უარყოფს ამა თუ იმ მტკიცებულებას.

4. გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში უნდა აღინიშნოს სამართლებრივი შეფასება და კანონები, რომლებითაც სასამართლო ხელმძღვანელობდა.

5. გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი უნდა შეიცავდეს სასამართლოს დასკვნას სარჩელის დაკმაყოფილების ან სარჩელზე მთლიანად ან ნაწილობრივ უარის თქმის შესახებ, მითითებას სასამართლო ხარჯების განაწილების თაობაზე, აგრეთვე მითითებას გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადასა და წესზე.

უღრის ჰაბენლონი

249-ე მუხლი

ქართული სსკ-დან მოყვანილი ნორმები:

- სსკ-ის 249-ე მუხლი

გადაწყვეტილების შინაარსი

1. საქართველოს სსკ-ის 249-ე მუხლის შესაბამისი ნორმა გერმანულ სამოქალაქო საპროცესო სამართალში შემდეგნაირად არის ჩამოყალიბებული:

§ 313 GER-ZPO - გადანყვეტილების ფორმა და შინაარსი

(1) გადანყვეტილებაში წარმოდგენილია:

1. მხარეების, მათი კანონიერი წარმომადგენლებისა და საპროცესო წარმომადგენლების დასახელება;
2. სასამართლოს სახელწოდება და იმ მოსამართლეების სახელები, რომლებიც მონაწილეობდნენ გადანყვეტილების მიღებაში;
3. ზეპირი განხილვის დასრულების დღე;
4. გადანყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი;
5. საქმის ფაქტობრივი შემადგენლობა;
6. გადანყვეტილების სამოტივაციო ნაწილი.

(2) საქმის ფაქტობრივ გარემოებებში მოთხოვნები და მათთან დაკავშირებით გამოყენებული შეტყვისა და დაცვის საშუალებები, გაკეთებულ განაცხადებზე ხაზგასმით, მხოლოდ თავიანთი არსებითი შინაარსის მიხედვით უნდა იყოს წარმოდგენილი. საქმის და დავის ვითარების დეტალების მხრივ მითითებები უნდა გაკეთდეს დოკუმენტებზე, ოქმებსა და სხვა საბუთებზე.

(3) გადანყვეტილების სამოტივაციო ნაწილი მოკლედ მიმოიხილავს იმ მოსაზრებებს, რომლებსაც ეფუძნება გადანყვეტილება ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით.

2. არსებითი მახასიათებლების მიხედვით, გადანყვეტილებების შინაარსობრივი კონსტრუქცია საქართველოსა და გერმანიაში მსგავსია. განსხვავებულია გამოხატვის ფორმა იმ თვალსაზრისით, რომ გერმანიაში გადანყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი (Tenor) მოსდევს გადანყვეტილების შესავალს (ე.წ. Rubrum) (მონაცემები GER-ZPO-ის § 313-ის Abs. 1 Nrn. 1-bis 3.-თან დაკავშირებით), მაშინ, როდესაც საქართველოში სარეზოლუციო ნაწილი წარმოდგენილია გადანყვეტილების სამოტივაციო ნაწილის შემდეგ. გარკვეული განსხვავებები არსებობს იმ მხრივაც, რომ გერმანიაში, ჩვეულებრივ, სასამართლოს მიერ დადგენილი საქმის გარემოებების სპეციალური (შემაჯამებელი) ფორმულირება არ ხდება. მეტიც, გერმანულ სამოქალაქო გადანყვეტილებებში (სხვაგვარადაა სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი გადანყვეტილების (განაჩენის) შემთხვევაში) მტკიცებულებების შეფასება და მასთან დაკავშირებული ფაქტები ან, შესაბამისად, მტკიცების ტვირთის შესახებ გადანყვეტილების შედეგები წარმოდგენილია იმ ადგილზე, სადაც შესაბამისი თემა შინაარსობრივად განიხილება.

3. გერმანიაში სასამართლო გადაწყვეტილებების ჩამოყალიბებისას, საქმის ფაქტობრივად განმხილველი სასამართლო ინსტანციები, დაახლოებით, ქვემოთ ჩამოყალიბებულ კონცეფციას იყენებენ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს ზოგადი მონახაზი ძალიან მოქნილად გამოიყენება და ყოველთვის კონკრეტული საქმის მიხედვით განისაზღვრება. რა თქმა უნდა, ყოველ მოსამართლეს ისედაც შეუძლია, საკუთარი პასუხისმგებლობით გადაწყვიტოს, თუ როგორ დაასაბუთებს თავის გადაწყვეტილებას კანონით დადგენილ ფარგლებში.

გადაწყვეტილების სტრუქტურის ზოგადი მონახაზი:

შესავალი (მონაწილეთა დასახელება).

სარეზოლუციო ნაწილი (დაახლოებით):

- სარჩელი არ დაკმაყოფილდეს.
- აშერსლებენის საერთო სასამართლოს 02.05.2017-ის (სარეგისტრაციო ნომერი:...) მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცელი 2000 €-ს ოდენობით ... საპროცენტო დანარიცხთან ერთად შენარჩუნდეს. სხვა მხრივ, სააღსრულებო ფურცელი გაუქმდეს და სარჩელი არ დაკმაყოფილდეს.

- დრეზდენის საოლქო სასამართლოს მე-5 სამოქალაქო პალატის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების წინააღმდეგ მოსარჩელის 05.05.2017-ის (სარეგისტრაციო ნომერი: 5 O 31/16) სააპელაციო საჩივარი განუხილველად დარჩეს.

- მოპასუხეს დაეკისროს მოსარჩელისთვის 2000 €-ს გადახდა 01.01.2014-დან, 4%-იან საპროცენტო დანარიცხთან ერთად. სხვა მხრივ სარჩელი არ დაკმაყოფილდეს.

საქართველოსგან განსხვავებით, მოსამართლე წევრებს ხარჯების საკითხს მხოლოდ წილის ფორმით, მაგალითად:

- სამართლებრივი დავის ხარჯები დაეკისროს მოსარჩელეს.
- სამართლებრივი დავის ხარჯების 1/3 დაეკისროს მოსარჩელეს და 2/3 მოპასუხეებს, როგორც სოლიდარულ მოვალეებს.

I. საქმის ფაქტობრივი შემადგენლობა/საქმის ფაქტობრივი გარემოებების აღწერა

საქმის ფაქტობრივი შემადგენლობა¹:

1. ერთი ან რამდენიმე წინადადებისგან შემდგარი მოკლე შესავალი, რომელშიც გადმოცემულია, რას ეხება პროცესი, მაგალითად:

მოსარჩელე ახორციელებს თავის მოთხოვნებს ხე-ტყის სახერხი ქარხნის სამშენებლო პროექტიდან გამომდინარე, ნარდობის ხელშეკრულებით შეთანხმებული ანაზღაურების შესახებ. მხარეები დავობენ, განსაკუთრებით, იმაზე, შეთანხმებული ერთიანი საზღაურის გადახდის შედეგად, შესრულება სრულად დაიფარა, თუ განუვლია დამატებით ასანაზღაურებელი სპეციალური მომსახურება. ამასთან, მოპასუხე პრეტენზიას აცხადებს უამრავ ნაკლზე და, სამუშაოების დაგვიანებით შესრულების გამო, მიმართავს გამოქვითვას ზიანის ანაზღაურების მოთხოვნებით, ან:

მოსარჩელე ახორციელებს ავტოსაგზაო შემთხვევიდან მიღებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნებს. განსაკუთრებით სადავოა შემთხვევის დადგომაში მხარეთა წვლილის მასშტაბი და მოსარჩელის ავტომანქანის შეკეთების ხარჯების ოდენობა.

2. მხარის უდავო ახსნა-განმარტება.

მხარის უდავო ახსნა-განმარტების ფარგლებში (ზომიერად) უკვე შეიძლება მხარეთა სადავო განმარტებების ან სამართლებრივი ანალიზის მოშველიება, თუ ეს გაამარტივებს გაგებას. მაგალითად:

მხარეებმა 10.10.2014-ში მოამზადეს წერილობითი ხელშეკრულება მსუბუქი ავტომანქანის შეძენის თაობაზე... მოპასუხის სახელით ამ დროს მოქმედებდა თანამშრომელი X., რომლის წარმომადგენლობითი უფლება-მოსილებაც სადავოა.

3. მოსარჩელის სადავო ჩვენება.

4. მხარეთა შუამდგომლობები.

¹ საქმის ფაქტობრივ შემადგენლობაში გადმოცემულია შესაბამისი ფაქტობრივი გარემოებები. სასამართლოს სამართლებრივი ან მტკიცებულებათა შეფასება საქმის ფაქტობრივ შემადგენლობაში დაუშვებელია. საქმის გარემოებები, ძირითადად აღწერილია იმ მასშტაბით, რომელიც აუცილებელია მათი სამართლებრივი შეფასებების გასაგებად. მხარეთა სამართლებრივი განმარტებები მხოლოდ იმ მოცულობით არის გადმოცემული, რომელიც აუცილებელია პროცესის საერთო გასაგებობისათვის. ეს განსაკუთრებით ეხება იმ შემთხვევებს, როდესაც, ძირითადად, სამართლებრივი საკითხებია გადასაწყვეტი. ისეთი გადაწყვეტილებების მიღებისას, რომელთა შეცლილება არ არის შესაძლებელი, ფაქტობრივი შემადგენლობა, ჩვეულებრივ, გამოტოვებულია.

5. მოპასუხის სადავო ჩვენება.

6. გამონაკლისის სახით, მოსარჩელის შესაგებელი (თუ მოსარჩელის ჩვენების გაგება შესაძლებელია მხოლოდ მოპასუხის ახსნა-განმარტების ცოდნის შემდეგ. უმეტესწილად, უფრო დახვეწილია, როდესაც ე.წ. რეპლიკა (შესაგებელი), უდავო საქმის გარემოებების შემთხვევაში, თავიდან არის არიდებული პოზიციის გამართულად გადმოცემით; იხ. ზემოთ (2.) სადავო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მაგალითი).

7. მითითება აქტებსა და მიღებულ მტკიცებულებებზე (მონმეები, ექსპერტთა დასკვნები). როგორც წესი, მიეთითება მხოლოდ მიღებული მტკიცებულებები, და არა ის, თუ რა წარმოადგინეს მონმეებმა ან ექსპერტებმა. ეს ხდება მხოლოდ შუალედურად, გადანყვეტილების სამოტივაციო ნაწილში, შესაბამისი მტკიცებულების შეფასებასთან მიმართებით.

8. სააპელაციო გადანყვეტილებებში 7-ის ნაცვლად:

9. აპელაციის მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნა (შეტევა) (სასარჩელო მოთხოვნის (შეტევის) მოცულობა და არსებითი დასაბუთება).

გადმოცემა, უმეტესწილად, მოკლეა, განსაკუთრებით, როდესაც არსებითად მხოლოდ პირველი ინსტანციის ჩვენება მეორდება. ასეთ შემთხვევაში, სავსებით საკმარისია მხოლოდ შემდეგი სახის გადმოცემა:

თავისი სააპელაციო განაცხადით, მოსარჩელე საოლქო სასამართლოს გადანყვეტილებას იმ თვალსაზრისით ასაჩივრებს, რომ მას უარი ეთქვა ნარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე საზღაურის გადახდის შესახებ სარჩელის დაკმაყოფილებაზე: კერძოდ, იმ ანაზღაურებასთან დაკავშირებით, რომელიც აღემატება ავტოფარების კარის ჩაშენებისთვის აღიარებულ თანხას. აღნიშნულთან მიმართებით, იგი ადასტურებს თავის ჩვენებას პირველ ინსტანციაში;

ან:

განსაკუთრებით მიუთითებს იმაზე, რომ მოპასუხემ შემდგომში გამოხატული სპეციალური სურვილებით მოითხოვა უკვე ჩაშენებულ კარში ცვლილებების შეტანა.

10. სააპელაციო შუამდგომლობები.

11. სააპელაციო წარმოების მოპასუხის ჩვენება (უმეტესწილად, ძალიან მოკლე).

შესაძლებელია ასევე მე-10 და მე-11 პუნქტების ნაწილობრივ გაერთიანება, მაგალითად:

მოპასუხე იცავს გასაჩივრებულ გადანყვეტილებას და ითხოვს, რომ მოსარჩელეს უარი ეთქვას სააპელაციო საჩივრის განსახილველად მიღებაზე.

12. მითითება აქტებსა და მიღებულ მტკიცებულებებზე.

II. სამართლებრივი განმარტებები (გადანყვეტილების საფუძვლები)

კონსტრუქციის პრინციპი:

1. დასაშვებობის საკითხები (სარჩელის ან აპელაციის დასაშვებობა). თუმცა, ეს საკითხები წამოიჭრება მხოლოდ მაშინ, თუ ისინი პრობლემური ან არასტანდარტულია (მაგ.: შეგებებული სარჩელი მესამე პირის მიმართ). სხვა შემთხვევაში, მათზე არაფერი იწერება, ან ძალიან მოკლედ აღინერება. მაგალითად:

სარჩელი დასაშვები, მაგრამ დაუსაბუთებელია.

სხვა პროცესუალური საკითხები (ანუ რომლებიც არ ეხება სარჩელის ან საჩივრის დასაშვებობას) განიხილება არა წინასწარ, არამედ როცა მნიშვნელოვანია.

მაგალითად:

მოსარჩელემ მის მიერ წარმოსადგენი მტკიცებულება, რომ მხარეები ... -ის შეთანხმების გაუქმებაზე შეთანხმდნენ, არ წარმოადგინა. ერთმანეთთან გაგზავნილი მიმოწერიდან და მონმე X-ის დაკითხვიდან ასეთი დასკვნის გაკეთება შეუძლებელია...- (აღწერილი იქნება სათითაოდ). თუ მოსარჩელე ...-ის მიერ გაკეთებულ სატელეფონო საუბრის ჩანაწერზე მიუთითებს, ეს მტკიცებულება არ არის დასაშვები, რადგანაც ამ ჩანაწერის გაკეთებაზე მოსარჩელისთვის არ იყო ცნობილი. ამით იგი, არსებული ვითარების გათვალისწინებით, ექვემდებარება მტკიცებულებათა გამოყენების აკრძალვას (შემდგომში სათითაოდ ჩამოყალიბებულია ქვემოთ).

2. დასაბუთებულობის საკითხები

ძირითადად:

გერმანულ გადანყვეტილებებში ყოველთვის წინასწარ არის ჩამოყალიბებული შედეგი ან შუალედური შედეგი; შემდეგ ისინი სრულად თანმიმდევრულია „ზემოდან ქვემოთ“. გრაფიკულად ეს შეიძლება შევადაროთ უწყების ან დიდი სანარმოს ორგანიზაციულ დიაგრამას; არგუმენტაცია იწყება შედეგით (ორგანიზაციულ დიაგრამაში უწყების ხელმძღვანელით) და თანდათან სულ უფრო განშტოვდება (ასე ვთქვათ, უწყების განყოფილებებად, ქვეგანყოფილებებად და რეფერატებად). გერმანიაში ამას თვალსაჩინოებისთვის უწოდებენ: „დასკვნა წანამძღვრა-

მდე“. ტიპური ფორმულირება გერმანულ გადაწყვეტილებებში ასეთია: „იმის გამო, რომ; რადგან, ვინაიდან, კერძოდ“.

ამასთან, ეს სამუშაო ყოველთვის ხორციელდება ძალიან მკაცრად, შესაბამისი მოთხოვნის წარდგენის კონკრეტული ფაქტობრივი წინაპირობებისა და (საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო პრაქტიკის მიერ შემუშავებული) სამართლებრივი პარამეტრების გათვალისწინებით. გადაწყვეტილებაში, იდეალურ შემთხვევაში, ნებისმიერ ადგილზე ნათელი უნდა იყოს, რა არის მისი მიღებისთვის მნიშვნელოვანი და რა არა. მხოლოდ ეს სამართლებრივად მნიშვნელოვანი ასპექტები - მაგრამ უკვე სრულყოფილად და არგუმენტაციულად ზუსტად - უნდა განიხილონ ლოგიკური თანმიმდევრობით. ამდენად, ყოველ მოსაზრებას თავისი მყარი, ფაქტობრივი წინაპირობებით და ლოგიკური შემონმების სქემით უნდა მიეჩინოს ადგილი.

დეტალებსა და პრაქტიკულ განხორციელებაზე ქვემოთ მოყვანილია „სანიმუშო“ გადაწყვეტილება (მხოლოდ სამართლებრივი განმარტებები, საქმის/ფაქტობრივი გარემოებების გარეშე):

ამონარიდი „სანიმუშო“ გადაწყვეტილების სამართლებრივი განმარტებებიდან

(მიზნებიდან გამომდინარე, არ არის არჩეული თავდაპირველი პროცესი)

I.

სარჩელი 9.000 €-ს ოდენობით, ...-დან მოყოლებული ... %-თან ერთად დასაბუთებულია, ვინაიდან მოსარჩელემ დაამტკიცა 10.000 €-ს ოდენობის ნასყიდობის ფასზე განხორციელებული მოთხოვნის წარმოშობა (ქვემოთ, პუნქტი 1), რომელიც, ყოველ შემთხვევაში, 1.000 €-ს ოდენობით, მოპასუხის მიერ გამოცხადებული დამხმარე გაქვითვით, დაფარულია (ქვემოთ, პუნქტი 2).

1. მოსარჩელეს BGB-ის § 433-ის მე-2 აბზაციდან (რომელიც შეესაბამება ქართული სსკ-ის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილს) წარმოეშვა 10.000 €-ს ოდენობის ნასყიდობის ფასის მოთხოვნის უფლება², რადგან მოსარჩე-

² აქ მიზანმიმართულად არ წერია: მოსარჩელეს ეკუთვნის ... 10.000 €-ს ოდენობით ნასყიდობის საფასურის გადახდის მოთხოვნის უფლება. ეს იმიტომ არ იქნებოდა სწორი, რომ ნასყიდობის საფასურის 1.000 €-ს ოდენობის მოთხოვნა გაქვითვის გზით უკვე შეწყვეტილია. ამიტომ, ასარჩევია ისეთი ფორმულირება, რომლიდანაც ნათლად ჩანს, რომ აქ

ლე და მოპასუხის სახელით მოქმედი მისი შვილი, X, იურიდიულად ნამდვილად შეთანხმდნენ (a) ქვეპუნქტში; მსუბუქი ავტომანქანის ნასყიდობის ხელშეკრულების დადებაზე, 10.000 €-ს ოდენობით შეთანხმებული ნასყიდობის ფასი, გაცხადებული ნაკლის გამო, შემდგომში არ შემცირებულია (b) ქვეპუნქტში; ნასყიდობის გარიგების საფუძველი არც იმის გამო გაუქმებულა, რომ ავტომანქანის ტარება, ამასობაში ქალაქ ლაიფციგის ეკოლოგიურ ზონად გამოცხადების შედეგად, მის ცენტრში არ არის ნებადართული (c) ქვეპუნქტში.

a) მხარეებმა დადეს იურიდიულად ნამდვილი ნასყიდობის ხელშეკრულება, 11.11.2016-ის წერილობით ხელშეკრულებაში ჩამოყალიბებული პირობებით.

არ არის მნიშვნელოვანი, აღნიშნულის გადმოცემის ტვირთის მატარებელმა მოსარჩელემ³ ფაქტებით საკმარისად გაამყარა თუ არა ის, რომ, როგორც მოპასუხე ამტკიცებს⁴, მის შვილს, X-ს, 11.11.2016-ში ჰქონდა არა მხოლოდ ავტომანქანის დათვალელების, არამედ ნასყიდობის ხელშეკრულების დადების უფლებამოსილებაც.⁵ ყოველ შემთხვევაში, მოპასუხემ, თავისი შვილის, X-ის, დაფუძვით, უფლებამოსილების გარეშე მოქმედება, BGB-ს §184-ის პირველი აბზაცის შესაბამისად (რომელიც შეესაბამება საქართველოს სსკ-ის 101-ე მუხლს), იმით მოიწონა, რომ იგი - იცოდა რა, რომ მისმა შვილმა 11.11.2016-ში ხელი მოაწერა ნასყიდობის ხელშეკრულებას - მეორე დღეს მოსარჩელესთან გამოცხადდა და ავტომანქანა წაიყვანა. ამას მოპასუხე არც უარყოფს.

b) მოპასუხემ ვერ შეასრულა მასზე დაკისრებული მტკიცებულების წარმოდგენის ვალდებულება იმის დასადასტურებლად, რომ: მისი შვილი - X - და მოსარჩელე, ბორბლის საკიდრის ნაკლზე 02.02.2017-ის მოლაპარაკებით, ნასყიდობის ფასის 2.000 ევროთი შემცირებაზე შეთანხმდნენ;

საუბარია მოთხოვნის უფლების წარმოშობაზე და არა მის ჯერ კიდევ დარჩენილ ნაწილზე.

³ მართალია, გადმოცემის ტვირთს უნდა შეეხებოთ, მაგრამ ის აქ არ არის პრობლემა, ამიტომაც მხოლოდ „გაკვრით“ არის ნახსენები.

⁴ აქ, შესაბამის ადგილზე, დავის უკეთ გაგების მიზნით მოყვანილია მხარის მტკიცებები.

⁵ ვინაიდან შემდგომში, ყოველ შემთხვევაში, მოსალოდნელია მოწონება, აქ საბოლოო ჯამში, გადამწყვეტია, საკმარისად იყო თუ არა ფაქტებით გამყარებული მტკიცება წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შესახებ. ასეც რომ იყოს, (შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენის შემთხვევაში) მოსამართლის რწმენა მხოლოდ მტკიცებულებათა შეგროვების შემდეგ უნდა ჩამოყალიბდეს. თუმცა, ეს არ იქნებოდა გადანყვევტილების მიღებისთვის არსებითი - და ამით პროცესულურად მცდარი - რადგან (რაც მტკიცებულებათა შეგროვების გარეშე უნდა დადგინდეს), სულ მცირე, ერთი მოწონება სავარაუდოა.

ან რომ ნასყიდობის ფასი ავტომანქანის ბორბლის საკიდრის ნაკლის გამო უნდა შემცირდეს. ასევე წარუმატებელია მის მიერ წარმოდგენილი მოთხოვნა ფასის შემცირებაზე, რომელსაც იგი იმას აფუძნებს, რომ ავტომანქანა, წინა მფლობელის მიერ გაცხადებული ქურდობის გამო, შენგენის ქვეყნების უსაფრთხოების ორგანოთა ნივთების ავტომატიზებული ძიების სისტემაში (SIS-Sachfahndung) იყო შეტანილი.

aa) ნასყიდობის ფასის შესამცირებლად დადებული მორიგების შეთანხმების არსებობა და დამხმარე სახით ფასის შემცირება მოპასუხემ, ბორბლის საკიდარზე გაცხადებულ ნაკლთან დაკავშირებით, ვერ დაამტკიცა.

(1) მონმის სახით დაკითხულმა მოპასუხის შვილმა - X-მა - განაცხადა, რომ იგი, როგორც მოპასუხის წარმომადგენელი, 02.02.2017-ს ზეპირად შეუთანხმდა მოსარჩელეს ნასყიდობის ფასის 2.000 ევროთი შემცირებაზე, რათა ამით მორიგების გზით აენაზღაურებინა ის, რაც უდავოა - 22.11.2016-ში ბორბლის საკიდარი წინა მარჯვენა მხარეს გატეხილია; თუმცა, სასამართლოს დარწმუნება თავისი ნათქვამის სისწორეში ვერ შეძლო.

მონმე X-მა ლოგიკურად ვერ ახსნა, რას შეეძლო, მოსარჩელე ეიძულებინა, რომ დაედო მისი ინტერესების აშკარად საწინააღმდეგო შეთანხმება. 02.02.2017-ის მოლაპარაკებამდე, მოპასუხემ 02.01.2017-ის წერილით უარი განაცხადა ნებისმიერ პასუხისმგებლობაზე გატეხილი ბორბლის საკიდრისთვის. მან ამ წერილში მიუთითა, რომ, ერთი მხრივ, 11.11.2016-ის ნასყიდობის ხელშეკრულებით, იურიდიულად ნამდვილად გამორიცხული იყო ნებისმიერი გარანტია ნახმარი ავტომანქანისათვის და, მეორე მხრივ, ბორბლის საკიდრის გატეხა არ იყო გამონწვეული ნაკლით. პირიქით, მისი მტკიცებით, მიზეზი იყო ის, რომ მონმე X, 22.11.2016-ში ზედმეტად მაღალი სიჩქარით მოძრაობისას, გრიმმასა და ნაუნჰოფს შორის მდებარე ქუჩაზე 20 სმ-ს სიღრმის ორმოში ჩავარდა.

ამ ფონზე, მონმე X-მა, რომელმაც აღიარა ზიანის გამომწვევი მოვლენის აღწერილი მიმდინარეობა, ვერ შეძლო ნათლად ახსნა, თუ რა ინტერესი უნდა ჰქონოდა მოსარჩელეს 02.02.2017-ში სრულიად საპირისპირო პოზიციის დასაჭერად. მონმე X-მა განაცხადა, რომ მოსარჩელეს გამოხატული ჰქონდა ამ საქმის „ჯენტლმენტურად“ მოგვარების სურვილი, თუმცა ამით მაინც არ იქნებოდა შესაძლებელი იმის გონივრულად ახსნა, რომ თანამოსაუბრეები თავიანთ ყოფილ პოზიციებს შორის არ შეჯერებულან: მოსარჩელე მზად იყო, ნასყიდობის ფასი იმ ოდენობით შეემცირებინა, რომელიც შეესაბამებოდა პრაქტიკულად უდავო 2.070 €-ს ოდე-

ნობის შეკეთების მთელ ხარჯს. ლოგიკურად, მოსარჩელისთვის ეს კიდევ უფრო ნაკლებ საინტერესო გახლდათ, ვინაიდან მოლაპარაკებისას მომგებიან პოზიციაში იმყოფებოდა, რაც შეუძლებელია მოწმე X-ისთვისაც არ ყოფილიყო ცნობილი (გარანტიის გამორიცხვის და ზიანის გამომწვევი მოვლენის გათვალისწინებით, რომელიც ასე მარტივად არ იძლევა ავტომანქანის ნაკლის არსებობაზე დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას).

ამასთან, აღსანიშნავია, რომ მოწმე X-მა ლაიფციგის რაიონის - როგორც საგზაო მშენებლობის ტვირთის მატარებლის - წინააღმდეგ 15.02.2017-ის წერილით განახორციელა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნები მოპასუხის სახელით - კერძოდ, გზაზე არსებული ორმოთი გამომწვეული 2.070 €-ს ოდენობის ზიანის შემთხვევის გამო - ისე, რომ არც უხსენებია 02.02.2017-ის მოლაპარაკება ზიანის ოდენობის შემცირებაზე, რომლის არსებობასაც იგი ამტკიცებდა. ამ მითითების არარსებობას, როგორც შემდგომ ქცევას, არსებითი მტკიცებულებითი მნიშვნელობა აქვს (შდრ. BGH MDR 2013, 1419; BGH NJW 2011, 775; BGH NJW 2005, 3205) დასადასტურებლად, რომ მოსარჩელესთან ხსენებული მოლაპარაკება არ შემდგარა; მით უმეტეს, რომ მოწმე X სასამართლოს მიერ ამ ფაქტის წამოჭრის შედეგად ძალიან დაბნეული იყო და შემდეგ - ფორმის თვალსაზრისით ძალიან მიკიბულ-მოკიბულად და შინაარსობრივად არცთუ დამაჯერებლად - აღიარა, რომ ზიანზე განაცხადის შეტანისას ამის ხსენება გამორჩა.

(2) დამხმარე სახით განხორციელებული ფასის შემცირების მოთხოვნის უფლება (BGB-ს §§ 441, 437 Nr. 2) მოპასუხეს ჯერ მხოლოდ იმიტომ არ გააჩნია, რომ ნივთის ნაკლისთვის გარანტიის მოთხოვნები, წერილობითი ხელშეკრულების 7.1 პუნქტით, იურიდიულად ნამდვილად გამორიცხულია და კონკრეტული ნაკლის (შდრ. BGB-ს §§ 444) მოტყუების მიზნით დამალვა არც რაიმე სახით ყოფილა წარმოდგენილი და არც საქმის გარემოებებიდან იკვეთება.

bb) მოპასუხეს არც ის უხსენებია⁶, რომ 3.000 €-ს ოდენობით ფასის შემცირების მოთხოვნის უფლება ჰქონდა იმის გამო, რომ ავტომანქანა იტალიის ორგანოებს გატაცებულად ჰქონდათ რეგისტრირებული SIS-Sachfahndung-ში და მასზე ევროპის მასშტაბით ძიება იყო გამოცხადებული.

⁶ მართალია, გადმოცემის ტვირთს უნდა შეეხებოთ, მაგრამ ის აქ არ არის პრობლემა, ამიტომაც მხოლოდ „გაკვრიო“ არის ნახსენები.

(1) თუმცა, ფასის შემცირების მოთხოვნის უფლება არ ქრება მხოლოდ იმის გამო, რომ ხელშეკრულებით გამორიცხულია გარანტია.⁷ ნასყიდობის ხელშეკრულების 7.1. პუნქტში ჩამოყალიბებულია, რომ ავტომანქანა ხელშეკრულების დადებამდე დაათვალიერა მოპასუხის შვილმა, X-მა, რომელიც მოქმედებდა როგორც მისი წარმომადგენელი, და რომ იგი ყოველგვარი გარანტიის გამორიცხვით სხვისდება; თუმცა, 7.2 პუნქტში წარმოდგენილი მოსარჩელის განმარტება, რომლის თანახმად, მესამე პირთა უფლებები ნასყიდობის საგანზე არ არსებობს, იწვევს იმას, რომ გარანტიის გამორიცხვა არ ვრცელდება SIS-Sachfahndung-ში გატაცებულად რეგისტრირებით გამოწვეულ სამართლებრივ ნაკლზე, BGB-ის § 435-ის გაგებით (დაახლოებით, შეიძლება შევადაროთ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 489-ე მუხლს).

(1.1) რისკის გადასვლისას არსებული და 10.02.2017-ის ფასის შემცირების მოთხოვნის გაცხადებისას ისევ მოქმედი ავტომობილის რეგისტრაცია SIS-Sachfahndung-ში, სამართლებრივი ნაკლია.

სამართლებრივი ნაკლი ასევე შეიძლება იყოს არა მხოლოდ სამოქალაქო სამართლიდან გამომდინარე მესამე პირის სანივთო ან სახელშეკრულებო უფლებები, არამედ საჯარო სამართალზე დაფუძნებული ჩარევის უფლებამოსილებები, შეზღუდვები და ვალდებულებებიც, რომლებიც ნასყიდობის საგნით სარგებლობას ხელს უშლის (BGH NJW 2017, 1666). ეს ნესი - ნივთობრივ ნაკლზე პასუხისმგებლობისთვის მისაკუთვნიებული საქმეებისგან განსხვავებით (§ 434 BGB) (დაახლოებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 488-ე მუხლის მსგავსია) - მოქმედებს განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საჯარო-სამართლებრივი ნორმების მოქმედება არ არის ნასყიდობის საგნის ნივთობრივ ნაკლზე დაფუძნებული ისეთი თავისებურება, როგორცაა, მაგალითად, საგზაო მოძრაობისთვის საფრთხის შექმნა ავტომანქანით, რომელიც არ აკმაყოფილებს უსაფრთხოების მოთხოვნებს (შდრ. BGHZ 190, 272; BGHZ 113, 106; BGHZ 67, 134; BGH NJW 2017, 1666; BGH NJW 2004, 1802). აქედან გამომდინარე, SIS-

⁷ ეს საკითხი შეიძლება თავისთავად ღიად დარჩენილიყო, მე-2 პუნქტში წარმოდგენილი ინფორმაციის გათვალისწინებით, მაგრამ ვინაიდან ეს კითხვა გაქვითვის მოთხოვნის ფარგლებში (ქვემოთ იხ. პუნქტი 2) სამართლებრივად მნიშვნელოვანია, გარკვეულწილად უცნაური იქნებოდა მისი აქ ღიად დატოვება და შემდეგ, მე-2 პუნქტში პასუხის გაცემა. ამიტომ იგი აქ არის გადმოტანილი. თუ გაქვითვის მოთხოვნის საკითხი არ იარსებებდა, უფრო „დახვეწილი“ იქნებოდა, დაგვეწერა მხოლოდ ასე: „საკითხი - მოპასუხის მიერ განხორციელებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნები იმის გამო ხომ არ ჩაიშლება, რომ შეთანხმებულია გარანტიის გამორიცხვა - აქ არ არის მნიშვნელოვანი; ყოველ შემთხვევაში, შემდეგ, შინაარსობრივად გრძელდება, როგორც მე-2 პუნქტში“.

Sachfahndung-ში რეგისტრაცია მიეკუთვნება სამართლებრივი ნაკლისთვის პასუხისმგებლობის რეგულირების სფეროს, რადგან იგი ემსახურება არა იმ საფრთხის თავიდან აცილებას, რომელიც საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების მხრივ მანქანის ნაკლიდან მომდინარეობს, არამედ გატაცებული ავტომანქანების იდენტიფიცირებასა და, საჭიროების შემთხვევაში, დაყადაღებას ეფექტიანი სისხლისსამართლებრივი დევნის მიზნით, ასევე, დანაშაულის შედეგად დაზარალებულთა ინტერესების დასაკმაყოფილებლად.

მოსარჩელის შეხედულების საპირისპიროდ⁸, **SIS-Sachfahndung**-ში მხოლოდ ძიების შედეგად ნაპოვნი ავტომობილის დაყადაღება კი არ არის სამართლებრივი ნაკლი, არამედ მისი ასეთად შეტანაც საძიებო სიაში. შენგენის საინფორმაციო სისტემა არის მხოლოდ შენგენის ზონის უსაფრთხოების ორგანოების შიდა მონაცემთა ბაზა, რომელსაც - უწყებების მიერ უკვე განხორციელებული კონფისკაციის ან დაყადაღების შემთხვევებისგან განსხვავებით - ჯერ კიდევ არ უკავშირდება უშუალო ჩარევა ნივთის ჩამორთმევის ფორმით; თუმცა უკვე რეგისტრაციის შემთხვევაშიც არსებობს საფრთხე, რომ პოლიციის კონტროლის შედეგად, ეს დადგინდება და ავტომანქანა დალადაღდება ან ჩამოერთმევა შესაბამისი ორგანოს მიერ. ფაქტობრივად, ეს მუდმივად არსებული რისკი უკვე სამართლებრივი ნაკლის წარმოშობის საფუძველია, ვინაიდან იწვევს არსებულ და განგრძობად - და არა მხოლოდ ყადაღის შედეგად წარმოქმნილ - ტვირთს, რომელსაც შესწევს უნარი, მყიდველს ხელი შეუშალოს მესაკუთრის სამართლებრივი პოზიციის დაუბრკოლებლად განხორციელებაში (BGH NJW 2017, 3292; BGH NJW 2017, 1666).

(1.2) ნივთობრივი ნაკლის შემთხვევებისგან განსხვავებით, წერილობით ხელშეკრულებაში ამ სამართლებრივი ნაკლისთვის გარანტია არ არის გამორიცხული.

მართალია, 7.1 პუნქტი სამართლებრივ ნაკლსაც მოიცავს, მაგრამ 7.2 პუნქტში მოცემული განმარტება, ორივე პუნქტის ერთობლივად ნაკითხვის შემთხვევაში (შდრ BGHZ 170, 86; BGH NJW 2017, 3292), გულისხმობს, რომ გარანტიის გამორიცხვა არ ვრცელდება სამართლებრივ ნაკლზე BGB-ის § 435-ის გაგებით.

7.1. პუნქტის ტექსტით გათვალისწინებულ გარანტიის სრულ გამორიცხვას შედეგად მოჰყვებოდა ის, რომ 7.2. პუნქტში მოსარჩელის მიერ სამართლებრივი ნაკლის არარსებობაზე გაკეთებული განცხადებები სამა-

⁸ აქ, შესაბამის ადგილზე, დავის უკეთ გაგების მიზნით მოყვანილია მხარის მტკიცება.

როტლებრივად უმნიშვნელო დარჩებოდა და, ამით, მოპასუხისთვის აზრსა და ფასს დაკარგავდა (BGHZ170, 86; BGH NJW 2017, 3292). ამიტომ, ყოველ შემთხვევაში, მაშინ, როდესაც ხელშეკრულების მხარეები (როგორც აქ), გარანტიის გამორიცხვასთან ერთად, შეთანხმების საგნად აქცევენ უშუალოდ ნასყიდობის საგნის სამართლებრივი ნაკლის არარსებობასაც, ხელშეკრულების ორივე დებულების ერთობლიობაში განმარტებამ ორივე მხარის ინტერესების შესაბამისად (მდრ. BGHZ 170, 86; BGHZ 152, 153; BGH, Urteil vom 06. Dezember 2017 – VIII ZR 219/16 - juris; BGH NZKart 2017, 245), შეიძლება გამოიწვიოს მხოლოდ ის, რომ პასუხისმგებლობა არ გამოირიცხოს სამართლებრივი ნაკლის მიმართ (BGHZ 207, 349). ეს წესი მით უმეტეს მოქმედია, რადგან ხელშეკრულებაში პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებაზე არსებული დამატებითი შენიშვნები (Freizeichnungsklauseln) - როგორც გამონაკლისები პოზიტიური სამართლიდან გამომდინარე პასუხისმგებლობიდან - ძირითადად, ისედაც ვინროდ უნდა განიმარტოს (BGHZ 158, 354; BGH NJW 2017, 1666; BGH NJW 2016, 2495).

(1.3) 7.2 პუნქტის ინტერესების შესაბამისი განმარტების შემთხვევაში, იქ არჩეული ფორმულირება - „მესამე პირთა უფლებები“ - მოიცავს მესამე პირთა არა მხოლოდ სამოქალაქო სამართლებრივ მოთხოვნებს, არამედ (როგორც აქ) სუვერენულ ლონისძიებებსაც, როგორცაა, მაგალითად, ჩამორთმევის ან დაყადალების საფრთხე. კერძოდ, ისინი შემძენის პოზიციიდან ისევე ზღუდავს ავტომანქანაზე განკარგვის უფლებამოსილებას, როგორც სამოქალაქო-სამართლებრივი უფლებები და, თავიანთი მოქმედების თვალსაზრისით, შემძენისთვის დიდწილად იგივეა. პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების ასეთი ინტერპრეტაცია ხელშეკრულების პარტნიორთა ორმხრივი ინტერესების სათანადოდ შეფასებისას, მით უფრო რეკომენდებულია, რომ ავტომანქანის შემძენს ასეთი სუვერენული ჩარევების საფრთხის დანახვა ისევე არ შეუძლია, როგორც უპირატესობის მქონე სამოქალაქო-სამართლებრივი მოთხოვნებისა; SIS-Sachfahndung-ში რეგისტრაციაც, საბოლოო ჯამში, მხოლოდ სუვერენული წინასწარი ეფექტია, რათა უზრუნველყოფილი იყოს გატაცებული ავტომანქანის მესაკუთრის (ასევე) სამოქალაქო-სამართლებრივი მოთხოვნები.

(2) თუმცა, ფასის შემცირებას ხელს უშლის ის, რომ ავტომანქანის დაყადალების ან ჩამორთმევის საფრთხე წარსულში რეალიზებული არ არის და SIS-Sachfahndung-ში რეგისტრაციაც, ლაიფციგის პროკურატურის მიერ 02.05.2017-ში მონოდედული ოფიციალური ინფორმაციის თანა-

ხმად, 21.04.2017-ში გაუქმდა. ამ ოფიციალური შეტყობინების შესაბამისად, იტალიის სისხლის სამართლის ორგანოებმა ისევე, როგორც კასკო მზღვეველებმა, განაცხადეს, რომ ავტომანქანა, ყოფილი იტალიელი მესაკუთრის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის საპირისპიროდ, არ არის გატაცებული: ამ უკანასკნელმა სადაზღვევო თაღლითობა ჩაიდინა იმით, რომ ავტომანქანა მოსარჩელეს მიჰყიდა, შემდეგ მისი გატაცების თაობაზე განაცხადი შეიტანა და კასკოს მზღვევლისგან უკანონოდ მიიღო ქურდობისაგან დაზღვევით გათვალისწინებული მომსახურება.

სარგებლობის განგრძობადი ხელშეშლა არც იქიდან გამომდინარეობს, რომ მოპასუხე ვალდებული იყო, ავტომანქანის შესაძლო შემდგომი გასხვისების შემთხვევაში, გაემჟღავნებინა ინფორმაცია SIS-Sachfahndung-ში ადრინდელი რეგისტრაციის შესახებ, რითაც შესაძლოა, შემცირებულიყო ავტომანქანის საბაზრო ღირებულება. ვიდრე ავტომანქანა ამ რეესტრიდან - რა მიზეზითაც უნდა იყოს - ჯერ არ არის ამოშლილი, გამჟღავნების ვალდებულება, ისევე, როგორც ჯერ ისევ არსებული ღირებულების შემცირება, სახეზეა (BGH NJW 2017, 1666), მაგრამ ორივე ქარწყლდება, როდესაც (როგორც აქ) ქურდობის ფაქტი უნდა გამოირიცხოს და ამით ახალი რეგისტრაციის საკითხი აღარ განიხილება.

c) მოპასუხეს არც BGB-ის § 313-ის მე-3 აბზაცის შესაბამისად გარეგნის საფუძვლის ცვლილების შემთხვევაში (დაახლოებით, შეესაბამება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლის მე-3 ნაწილს) აქვს უფლება, რომ უარი თქვას ნასყიდობის ხელშეკრულებაზე.

ამასობაში, ქალაქ ლაიფციგის მიერ ეკოლოგიური ზონის შექმნის გამო, ნაყიდი მსუბუქი ავტომანქანის ტარება, რომელიც მისთვის მინიჭებული ნიშნის⁹ შესაბამისად, მანვე ნივთიერებების გამოყოფის მესამე ჯგუფს განეკუთვნება, ლაიფციგის ცენტრში აღარ არის ნებადართული. თუმცა, ამით ნასყიდობის ხელშეკრულების გარიგების საფუძველი არ შეცვლილა.

aa) BGB-ის § 313-ის თანახმად, ხელშეკრულების მისადაგება რეკომენდებულია და, საჭიროების შემთხვევაში, მასზე უარის თქმაც შესაძლებელია, თუ არსებითი წარმოდგენები, რომლებიც იქცა ხელშეკრულების საფუძვლად, არასწორი აღმოჩნდება.

⁹ აქ საუბარია წითელ, ყვითელ ან მწვანე ნიშნებზე ციფრებით 2, 3, ან 4, რომლებიც გერმანიიდან საქართველოში იმპორტირებულ მეორად ავტომანქანებზეც გვხვდება ქარსარიდი მინების მარჯვენა ქვედა მხარეს.

ხელშეკრულებაში გარიგების საფუძველს ქმნის ორივე ან ერთი მხარის წარმოდგენები გარკვეული გარემოებების არსებობასა ან მომავალში დადგომაზე, რომლებიც გარიგების მოწინააღმდეგე მხარისთვის თვალსაჩინოა და მათ მიმართ პრეტენზია არ გააჩნია; ასევე, რომლებიც მხარეთა მიერ გარიგების დადების ნების არსებობისას, ამ წარმოდგენას ეფუძნება (შდრ. BGHZ190, 212; BGHZ 196, 299; BGH NJW 2017, 2191). თუმცა, BGB-ის § 313 ნასყიდობის სამართლის ნივთობრივი ნაკლის შემთხვევების მიმართ არ გამოიყენება, რადგან ეს გამოიწვევდა BGB-ის 437-ე და მომდევნო პარაგრაფების დებულებების საფუძველად არსებული რისკების განაწილების ცვლილებას (შდრ. BGHZ 191, 139; BGH 117, 159).¹⁰ ამასთან, BGB-ის § 313 არ გამოიყენება, როდესაც გარიგების საფუძველის შეცვლის ან აღმოფხვრის გამო, ხდება იმ რისკის რეალიზება, რომელიც სახელშეკრულებო შეთანხმებებით, ერთ-ერთი მხარის რისკის სფეროს განეკუთვნება (შდრ. BGH NJW 2012, 373; BGH NJW 2006, 899).

bb) აღნიშნულიდან გამომდინარე, გარიგების საფუძველი არ არის გაუქმებული, ვინაიდან, ჩვეულებრივ, საკითხი, შეძლებს თუ არა მოპასუხე თავისი წარმოდგენების შესაბამისად ისარგებლოს ნასყიდობის საგნით, მისი, როგორც მყიდველის მიერ სატარებელი რისკია (შდრ. BGH NJW 2004, 2301; ქირავნობის საგნის გამოყენების შესახებ: BGH NJW 2012, 373; BGH NJW 2006, 899). ასევე არ არსებობს რაიმე საფუძველი ვარაუდისათვის, რომ მოსარჩელემ, გამონაკლისის სახით, მოპასუხისგან მის მიერ განზრახული სარგებლობის ტიპი თავის გარიგების ნებაშიც გადაიყოლა. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ხელშეკრულების დადებისას მოსარჩელეს ეცოდინებოდა, რომ გრიმმაში მცხოვრები მოპასუხე ქალაქ ლაიფციგის ცენტრში მუშაობს, მაინც მხოლოდ მოპასუხის ექსკლუზიური რისკის სფეროში დარჩებოდა საკითხი, რამდენად შეძლებდა იგი შექმნილი ავტომანქანით ლაიფციგის ცენტრში მოძრაობას ხანგრძლივი დროის განმავლობაში. ეს წესი მით უმეტეს მოქმედია იმის გამო, რომ აღნიშნული თემა საერთოდ არ იყო სახელშეკრულებო მოლაპარაკებების განხილვის საგანი და მოსარჩელეს, ამ საკითხზე პრესაში მრავალმხრივ გაშუქებული ინფორმაციიდან გამომდინარე, შეეძლო, ევარაუდა, რომ ეკოლოგიური ზონის შექმნის ამბავი მოპასუხისა და მისი შვილის, X-სთვის უცნობი არ იყო.

¹⁰ ეს წინადადება პრაქტიკაში ალბათ ამოვარდებოდა, რადგან ნივთობრივი ნაკლის არარსებობის გამო, აქ არავითარი მნიშვნელობა არ გააჩნია.

2. ნასყიდობის ფასის მოთხოვნა, 1.000 €-ს ოდენობის ზიანის ანაზღაურებით, მოპასუხის მიერ (დასაშვებად) გამოცხადებული დამხმარე გაქვითვის შედეგად, პროპორციულად დაიფარა (BGB-ის § 389), ვინაიდან მას მოსარჩელისგან იმ ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნა შეუძლია, რომლებიც ადვოკატი C-ს დაქირავებისთვის განია, რათა ლაიფციგის პროკურატურაში გაერკვია SIS-Sachfahndung-ში რეგისტრაციის შედეგები და შეძლებისდაგვარად მოეგვარებინა ეს საკითხი.

a) 1. b) bb) ქვეპუნქტში წარმოდგენილი განმარტებებიდან გამომდინარე, მოპასუხის მიერ შეძენილ ავტომანქანას ჰქონდა სამართლებრივი ნაკლი, რომლის მიმართაც შეთანხმებული გარანტიის გამორიცხვა არ მოქმედებდა. შედეგად, მოპასუხე ვალდებულია, აანაზღაუროს მიყენებული ზიანი BGB-ის 435, 437, 440 და 280(1) პარაგრაფების საფუძველზე (მსგავსია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 494-ე მუხლის პირველი ნაწილი, 394-ე მუხლის პირველი ნაწილი). მისთვის BGB-ის § 280-ის პირველი აბზაცის მე-2 წინადადების შესაბამისად (შინაარსობრივად იგივეა, რაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 394-ე მუხლის პირველი ნაწილის მე-2 წინადადება) დაკისრებული პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებაზე (შდრ. BGH WM 2018, 24) მოსარჩელეს არაფერი წარმოუდგენია.

b) ავტომანქანის დაყადაღებასა და ჩამორთმევასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი შეფერხებებისა და არცთუ მარტივად გადასაწყვეტი სამართლებრივი საკითხების გათვალისწინებით, რომლებიც გამონვეულია ნივთების ავტომატიზებული ძიების სისტემაში (SIS-Sachfahndung) რეგისტრაციით, მოსარჩელეს ზიანის ანაზღაურების სამართლის მიხედვით უნდა შეერაცხოს ის, რომ მოპასუხეს ადვოკატის მომსახურება დასჭირდა. ასეთი შერაცხვისთვის საკმარისია, მისი ქცევა არ წარმოადგენდეს გადამეტებულ რეაგირებას, რაც აშკარაა, განსაკუთრებით, იმ მხრივ, რომ მოპასუხე სრულიად უჩვეულო ან გაუმართლებელი გზით არ ჩარეულა მოვლენათა განვითარებაში და ამით თავად არ შეუქმნია გადამწყვეტი მიზეზი ადვოკატის ჰონორარის წარმოშობისთვის (BGHZ 193, 297; BGH NJW 2017, 1600; BGH WM 2007, 567; BGH NJW 1997, 250).

c) ადვოკატის მომსახურების ქვითრის ოდენობაზე განაცხადი არ არის შემოტანილი. სხვა მხრივ კი იგი, ადვოკატის საქმიანობის სირთულისა და მოცულობის გათვალისწინებით, გონივრულია.

მუხლი 264. სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლა

1. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება შედის კანონიერ ძალაში:

ა) გამოცხადებისთანავე, თუ დაუშვებელია სააპელაციო წესით გასაჩივრება;

ბ) სააპელაციო წესით გასაჩივრების ვადის გასვლის შემდეგ, როდესაც დასაშვებია გადაწყვეტილების სააპელაციო გასაჩივრება, თუ იგი არ იყო ამ წესით გასაჩივრებული;

გ) სააპელაციო სასამართლოს განჩინების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილება უცვლელი დატოვა;

დ) თუ გადაწყვეტილების გამოცხადების შემდეგ მხარეები წერილობითი ფორმით განაცხადებენ უარს მის სააპელაციო წესით გასაჩივრებაზე.

2. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება (განჩინება), თუ იგი არ გასაჩივრებულა, კანონიერ ძალაში შედის მისი საკასაციო წესით გასაჩივრების ვადის გასვლის შემდეგ, ხოლო თუ იყო გასაჩივრებული – საკასაციო წესით საქმის განხილვის შემდეგ, თუკი სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება (განჩინება) არ გაუქმებულა. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება (განჩინება) კანონიერ ძალაში ასევე შედის, თუ გადაწყვეტილების (განჩინების) გამოცხადების შემდეგ მხარეები წერილობითი ფორმით განაცხადებენ უარს მის საკასაციო წესით გასაჩივრებაზე.

3. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება (განჩინება) კანონიერ ძალაში შედის დაუყოვნებლივ, მისი გამოცხადებისთანავე.

ულრის ჰაგენლოხი

264-ე მუხლი

ქართული სსკ-დან მოყვანილი ნორმები:

- სსკ-ის 65-ე მუხლი
- სსკ-ის 71-ე მუხლი, ა.ნ. 9 და მომდევნო აბზაცები
- სსკ-ის 76-ე მუხლი, ა.ნ. 11
- სსკ-ის 78-ე მუხლი, ა.ნ. 11
- სსკ-ის 264-ე მუხლი
- სსკ-ის 276-ე მუხლი, ა.ნ. 16 და მომდევნო აბზაცი

ფორმალური კანონიერი ძალა, სასამართლო უწყების ჩაბარება, პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა, კონსტიტუციური სარჩელი

1. ფორმალური კანონიერი ძალა გერმანულ სამოქალაქო საპროცესო კოდექსში შემდეგნაირად რეგულირდება:

§ 705 GER-ZPO - ფორმალური კანონიერი ძალა

გადაწყვეტილებები კანონიერ ძალას მხოლოდ გასაჩივრების დასაშვები საშუალების ან დასაშვები საჩივრის წარდგენისთვის დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ იძენს. კანონიერ ძალაში შესვლისთვის დადგენილი ვადის დენა გასაჩივრების საშუალების ან საჩივრის დროულად წარდგენის შემთხვევაში ჩერდება.

2. ფორმალურ კანონიერ ძალას პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებით იმ თვალსაზრისით, რომ მისი დადგომის შემდეგ გასაჩივრების საშუალებები უკვე აღარ არის დასაშვები და სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებადობის მიმართ (აღნიშნულთან დაკავშირებით იხილეთ ქვემოთ ა.ნ. 16 და მომდევნო აბზაცები) აღარავითარი შეზღუდვები აღარ მოქმედებს. გარდა ამისა, ფორმალური კანონიერი ძალის დადგომა, GER-ZPO-ს § 586-ის შესაბამისად, ვადის დენაზე აისახება ბათილობის და რესტიტუციის სარჩელებისთვის.

3. აღსრულების პროცედურისას, კანონიერი ძალის არსებობა **კანონიერი (საბოლოო) ვადის დამადასტურებელი ცნობით (Notfrist-**

zeugnis) მტკიცდება, რომელშიც, GER-ZPO-ს § 706-ის დეტალური პირობების შესაბამისად, სასამართლოს კანცელარიის მიერ არის დადასტურებული კანონიერი ძალა ან შესაბამისად, გასაჩივრების საშუალების არ გამოყენების ფაქტი.

4. უმაღლესი ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილებები ფორმალურ კანონიერ ძალას მათი გამოცხადებისთანავე იძენს. ყველა სხვა გადაწყვეტილება ფორმალურ კანონიერ ძალაში ან **გასაჩივრებისთვის დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ** შედის ან კიდევ გასაჩივრების შესახებ ფორმალური კანონიერი ძალის მქონე გადაწყვეტილებით; აგრეთვე, როდესაც პირი გასაჩივრების საშუალების გამოყენებაზე, სამართლებრივად ნამდვილად, უარს აცხადებს.

5. ა) სასამართლო გადაწყვეტილებებს გერმანიაში მხოლოდ იმ შემთხვევაში ენიჭებათ კანონიერი ძალა მონაწილეთათვის მათი გამოცხადებით ან, შესაბამისად, უწყების ჩაბარებით ან სხვაგვარად შეტყობინებით, როდესაც გადაწყვეტილების გასაჩივრება თავიდანვე დაუშვებელია (BGH, Beschluss vom 06.08.2008 - XII ZB 25/07 - BGHZ 178, 47; ფედერაციის უმაღლესი სასამართლოების ერთობლივი სენატი [GmS], Beschluss vom 24.10.1983 - GmS-OGB 1/83 - BGHZ 88, 353). გასაჩივრების **შეუძლებლობა (Unstatthaftigkeit)** ნიშნავს იმას, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება კანონის ძალით არ ექვემდებარება გასაჩივრებას, ანუ იმას, რომ მისი გასაჩივრების შესაძლებლობა მოსამართლეზე და მის რაიმე სახის შეფასებაზე თუ გადაწყვეტილებაზე არ არის დამოკიდებული (BGH, Beschluss vom 06.08.2008 - XII ZB 25/07 - BGHZ 178, 47; GmS, Beschluss vom 24.10.1983 - GmS-OGB 1/83 - BGHZ 88, 353). ამგვარად, გასაჩივრების შეუძლებლობასთან კი არ გვაქვს საქმე, არამედ გადაწყვეტილება არ ექვემდებარება გასაჩივრებას იმის გამო, რომ გასაჩივრების საშუალება დაშვებული არ არის, ან მისი დასაშვებობა (**Zulässigkeit**) საჩივრის თანხაზეა დამოკიდებული, რომელიც გარკვეულ დადგენილ ოდენობას უნდა აღემატებოდეს. იმის გამო, რომ დაშვების ან საჩივრის თანხის ოდენობის განსაზღვრის გადაწყვეტილებაც სამოსამართლო მართლმსაჯულების აქტია (BGH, Beschluss vom 06.08.2008 - XII ZB 25/07 - BGHZ 178, 47; GmS, Beschluss vom 24.10.1983 - GmS-OGB 1/83 - BGHZ 88, 353), ამიტომ, ასეთი გადაწყვეტილებების შემთხვევაშიც, ფორმალური კანონიერი ძალა მათ მაშინ ენიჭებათ, როცა უკვე გასულია გასაჩივრების ვადა და ამ ვადის განმავლობაში საჩივარი არ შეტანილა; ან პირმა უარი განაცხადა გასაჩივრებაზე ან (დაუშვებლად შეტანილი) გასაჩივრების საშუალების თაობაზე და, თავის მხრივ, ფორმალურად სამართლებრივად ნამდვილად

იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება. თუ გადაწყვეტილების საგანი რამდენიმე საპროცესო მოთხოვნაა, მაშინ დავის ერთ საგანთან დაკავშირებით გამოყენებული გასაჩივრების საშუალება (თუ გამონაკლისის სახით, პირს უარი არ ჰქონდა ნათქვამი გასაჩივრების საშუალებაზე [აღნიშნულის თაობაზე იხილეთ ა.ნ. 6]) მთელი გადაწყვეტილების ფორმალური კანონიერი ძალის ამოქმედებას აჩერებს (BGH, Urteil vom 12.05.1992 - VI ZR 118/91 - NJW 1992, 2296; BGH, Beschluss vom 04.07.1988 - II ZR 334/87 - NJW 1989, 170). თუ მოსარჩელე, რომელსაც გადახდის შესახებ სარჩელის ან აღიარებითი სარჩელის დაკმაყოფილებაზე წინა ინსტანციაში მთლიანად უარი ეთქვა და ამჯერად უარს მხოლოდ გადახდის შესახებ სარჩელის დაკმაყოფილებაზე ასაჩივრებს, მაშინ მას გასაჩივრების საშუალების პროცედურისას, ყოველ შემთხვევაში ფორმალური კანონიერი ძალის ასპექტები, ხელს არ შეუშლის წინა ინსტანციაში აღიარებითი სარჩელით გათვალისწინებული მოთხოვნის უკვე (სარჩელის შეცვლის გზით) გადახდის შესახებ განაცხადთან ერთად განხორციელებაში (BGH, Urteil vom 12.05.1992 - VI ZR 118/91 - NJW 1992, 2296).

6. ბ) სასამართლოს წინაშე გაკეთებული განცხადებით, იურიდიულად ნამდვილი უარი სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრებაზე, შესაბამისი გადაწყვეტილების ფორმალურ კანონიერ ძალაში შესვლას იწვევს (BGH, Beschluss vom 24.10.2017 - X ARZ 326/17 - NJW-RR 2018, 250; BGH, Beschluss vom 04.07.1988 - II ZR 334/87 NJW 1989, 170) და თანამდებობიდან გამომდინარე (ex officio) უნდა იქნეს გათვალისწინებული (BGH, Beschluss vom 24.10.2017 - X ARZ 326/17 - NJW-RR 2018, 250; BGH, Urteil vom 12.03.2002 - VI ZR 379/01 - NJW 2002, 2108). თუ სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებაზე ყველა მხარის უარი - რაც შესაძლებელია პრინციპში - უკვე გადაწყვეტილების გამოტანამდე წინასწარ იქნა იურიდიულად ნამდვილად განცხადებული, მაშინ გადაწყვეტილება კანონიერ ძალას მისი გამოტანისთანავე იძენს (BGH, Beschluss vom 24.10.2017 - X ARZ 326/17 - NJW-RR 2018, 250). თუმცა, სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებაზე უარი მხოლოდ ცალსახა განცხადების საფუძველზე, შეიძლება, ვივარაუდოთ (BGH, Beschluss vom 19.04.2018 - IX ZB 62/17 - NJW-RR 2018, 1265; BGH, Beschluss vom 04.07.1988 - II ZR 334/87 NJW 1989, 170). ამიტომ, შეტყობინებიდან გასაჩივრების საშუალებების შეზღუდული განაცხადების თაობაზე, თავისთავად არ უნდა დავასკვნათ, რომ ზოგადად ითქვა უარი გასაჩივრების საშუალებაზე (BGH, Urteil vom 19.11.1957 - VI ZR 249/56 - NJW 1958, 343; BGH, Urteil vom 12.05.1992 - VI ZR 118/91 - NJW 1992, 2296).

7. გ) უმაღლესი ფედერალური სასამართლოს მიერ გამოცხადებული გადაწყვეტილებების გარდა, ის გადაწყვეტილებები, რომლებიც გასაჩივრების საშუალებების გამოყენებით გასაჩივრებას არ ექვემდებარება, ფორმალურ კანონიერ ძალას მათი გამოტანისთანავე არ იძენს, არამედ მხოლოდ მხარეთათვის მათი **ჩაბარების შემდეგ** (კასაციის მიუღებლობასთან დაკავშირებით: BGH, Urteil vom 19.10.2005 - VIII ZR 217/04 - BGHZ 164, 347).

8. დ) აუცილებელი საპროცესო თანამონაწილეობისას ფორმალური კანონიერი ძალის შექენასთან დაკავშირებით, განმარტებები **86-ე** და მომდევნო მუხლების ა.ნ. 50-შია მოცემული.

9. 4. თუ **იურიდიულად ნამდვილი ჩაბარება** არ განხორციელებულა, მაშინ გასაჩივრების საშუალებებისთვის დადგენილი ვადის დენა არ იწყება და შესაბამისად, გადაწყვეტილებაც ფორმალურ კანონიერ ძალას ჯერ ვერ შეიძენს.

10. ა) იურიდიულად ნამდვილი ჩაბარების წინაპირობაა ის, რომ დაცული იყოს ჩაბარების არსებითი წესები, რადგან თუ ეს წესები დარღვეულია და ჩაბარება ბათილია, მისი საშუალებით ვერ დაიწყება კანონით დადგენილი ვადის დენა (BVerfG, Beschluss vom 16.07.2016 - 2 BvR 1614/14 - NJW 2017, 318; BGH, Beschluss vom 10.03.1998 - X ZB 31/97 - BGHZ 138, 166; BGH, Beschluss vom 04.07.2017 - VIII ZB 85/17 - NJWR 2017, 1086).

11. თუ საცხოვრებელი ან იურიდიული მისამართის დადგენა შეუძლებელია ან საცხოვრებელი თუ იურიდიული მისამართის ცვლილების თაობაზე სასამართლოსთვის არ უცნობებიათ, არ შეიძლება, ყოფილ საცხოვრებელ ან იურიდიულ მისამართზე განხორციელებული შეტყობინება, ჩაბარებისთვის განზრახ თავის არიდების გამო, პირდაპირ განხორციელებულად მივიჩნიოთ (BGH, Beschluss vom 07.10.2010 - V ZB 37/10 - NJW-RR 2011, 233.). თუ საცხოვრებელი ადგილის დადგენის ან ჩაბარების ყველა სხვა შესაძლებელი ფორმა წარუმატებელი აღმოჩნდა, მაშინ უკიდურეს ზომად მხოლოდ GER-ZPO-ს § 185-ით გათვალისწინებული, საჯარო ჩაბარების გზა რჩება (შეადარეთ, ქართული სსკ-ს 78-ე მუხლი.).

12. თუმცა, ბათილობის სარჩელის ფორმიდან, რომლის წინაპირობა ასეთ ვითარებაში იურიდიულად ნამდვილი ჩაბარებაა, და სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპიდან გამომდინარე, უმაღლესი ფედერალური სასამართლო ასკვნის, რომ საპროცესო ქმედუნარიანობის არმქონე მხარისთვის ჩაბარება, რომელიც სამართლებრივ დავაში საპროცესო ქმედუნარიანობის მქონედ განიხილებოდა (ე.წ. არალიარებული პროცესუ-

ნარო მხარე), გამონაკლისის სახით, საჩივრის შეტანის ან გასაჩივრების საშუალებების გამოყენების ვადის დენას ინვევს (BGH, Urteil vom 15.01.2014 - VIII ZR 100/13 - BGHZ 200, 9; BGH, Urteil vom 19.03.2008 - VIII ZR 68/07 - BGHZ 176, 74). თუმცა, ეს წესი არ მოქმედებს, როდესაც სხვა შემთხვევებში, GER-ZPO-ს § 170-ის პირველი აბზაცის დარღვევით, შეტყობინება საპროცესო ქმედუნარიანობის არმქონე მხარეს ჩაბარდა და არა მის კანონიერ წარმომადგენელს (BGH, Urteil vom 15.01.2014 - VIII ZR 100/13 - BGHZ 200, 9). თუ დავა საპროცესო ქმედუნარიანობას ეხება, მაშინ შესაბამის სამართლებრივ დავაში ისედაც ივარაუდება ასეთი საპროცესო ქმედუნარიანობის არსებობა (აღნიშნულის თაობაზე იხილეთ ზემოთ, 81-ე მუხლის ა.ნ. 11 და მომდევნო აბზაცები).

13. ჩაბარებასთან დაკავშირებული ხარვეზები, რომლებიც ჩასაბარებელი წერილობითი დოკუმენტის დეფიციტებით (მაგალითად, არასრულყოფილი ასლები ან დაუმონმებელი დოკუმენტები) კი არ არის გამოწვეული, არამედ - ჩაბარების განხორციელებით (მაგალითად, მიღების უფლების არმქონე პირისთვის ჩაბარება ან შეცდომა დეპონირებით ჩაბარებისას), GER-ZPO-ს § 189-ის შესაბამისად, გამოსწორებულად ჩაითვლება იმ მომენტიდან (ex nunc ეფექტით), როდესაც ჩაბარების სწორმა ადრესატმა ჩასაბარებელი დოკუმენტის შესახებ შეიტყო და ეს გამყარებულია მტკიცებულებებითაც.

GER-ZPO-ს § 189 - ჩაბარების ნაკლის გამოსწორება

თუ საბუთის ფორმის დაცვით ჩაბარების დამტკიცება შეუძლებელია ან საბუთი ჩაბარების სავალდებულო წესების დარღვევით არის მისული, მაშინ იგი ჩაბარებულად იმ მომენტიდან ითვლება, როდესაც ეს საბუთი ნამდვილად მიუვა პირს, რომელსაც უნდა ჩაბარებოდა ან შეიძლებოდა, ჩაბარებოდა იგი კანონის შესაბამისად.

13. ა ასეთი გამოსწორების წინაპირობა ისაა, რომ სასამართლოსმიერი ჩაბარების ნება სწორ მიმღებს ეხება (და არა მესამე პირს) (BGH, Urteil vom 29.03.2017 - VIII ZR 11/16 - BGHZ 216, 294). ასეთი გამოსწორება შესაძლებელია მაშინაც, როდესაც ადვოკატი საპროცესო წარმომადგენლად მხოლოდ შეცდომით განხორციელებული ჩაბარების შემდეგ დაინიშნა და იგი ამით, სულ მცირე, ერთდროულად ხდება ჩასაბარებელი დოკუმენტის მფლობელი (BGH, Urteil vom 20.04.2018 - V ZR 202/16 - NJW-RR 2018, 970). ამ წესის მიზანს და გამოსწორების მიმართ მოქმედ

არსებით მოთხოვნებს უმაღლესი ფედერალური სასამართლო (Urteil vom 29.03.2017 VIII ZR 11/16 - BGHZ 216, 294) შემდეგნაირად აფასებს:

13. ბ „aa) სასამართლო პრაქტიკასა და ლიტერატურაში არსებული ერთსულოვანი მოსაზრების თანახმად, ZPO-ს § 189-ის შესაბამისი გამოსწორების წინაპირობას წარმოადგენს ის, რომ სასამართლოს ფორმალური ჩაბარების განხორციელება ჩაბარების განზრახვით სურდა (...). ეს უკვე ZPO-ს § 189-ის სიტყვასიტყვითი რედაქციიდანაც გამომდინარეობს, რომლის თანახმად, საქმე უნდა ეხებოდეს საბუთს, რომელიც მიუვიდა „პირს, რომლისკენაც იყო ან შეიძლებოდა ყოფილიყო მიმართული, კანონის შესაბამისად, ეს ჩაბარება.“ ...

bb) ამასთან, ჩაბარების თაობაზე სასამართლოს ეს განზრახვა, ZPO-ს § 189-ის ფარგლებში, გარკვეულ ადრესატს უნდა ეხებოდეს, - მრავალი ადრესატის შემთხვევაში - ყველა ადრესატს (...).

სამართლებრივი საკითხი იმის თაობაზე, რომ ZPO-ს § 189-ით გათვალისწინებული გამოსწორება მხოლოდ ჩაბარების ხარვეზების შემთხვევაში განიხილება, რომლებიც ჩაბარებისთვის გათვალისწინებული ადრესატისთვის ჩაბარებას ეხება, და ამიტომ იგი მესამე პირებისთვის ჩაბარებას ვერ ჩაანაცვლებს, როგორც ჩანს, უმაღლეს ფედერალურ სასამართლოში ჯერ გარკვეული არ არის. ზემოთ ხსენებული თვალსაზრისით, სენატი ამჟამად გადაწყვეტილებებს ისე იღებს, რომ ჩაბარების განზრახვა იმ პირისაკენ იყოს მიმართული, რომლისთვისაც უნდა ამოქმედდეს გამოსწორება ZPO-ს § 189-ის მიხედვით. ასეთი გამოსწორებისთვის, პირიქით, საკმარისი არ არის, როდესაც ამ პირს, ისე, რომ სასამართლოს მისთვის არ უნდა ჩაებარებინა, ფაქტობრივად მიუვა ასეთი საბუთი. ეს ნესი აქ წარმოდგენილ, სარჩელის ჩაბარების შემთხვევაში მაშინაც მოქმედებს, როდესაც იგი განმარტების გზით, მიმღებისგანაც მოითხოვს, რომ მოპასუხე იყოს. ამ მიზეზით სასამართლო (მხოლოდ) განხორციელებული ჩაბარების შემდეგ ცვლის სასამართლო გადაწყვეტილების შესავალ ნაწილს (Rubrum).

(1) ყოველ შემთხვევაში, ZPO-ს § 189-ი, უმაღლესი ფედერალური სასამართლოს დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, ფართოდ უნდა იყოს განმარტებული (...BGHZ 204, 268...). ჩაბარების მიზანი ადრესატისთვის საბუთის გაცნობის სათანადო შესაძლებლობის შექმნა და შეტყობინების მომენტის დოკუმენტირებაა (...). ამასთან, ZPO-ს § 189-ის ზოგადი მიზანია ის, რომ ჩაბარების ფორმალური დებულებების თვითმიზნად არ იქცეს მათი მოუქნელად გამოყენება, არამედ ჩაბარება მაშინაც განხორციელებულად ჩაითვალოს, როდესაც ჩაბარების მიზანი

სხვაგვარად, მაგალითად, ფაქტობრივი მისვლით არის მიღწეული (...). ამით, ZPO-ს § 189-ს საფუძვლად მიზნის მიღწევის პრინციპი უდევს. თუ ჩასაბარებელი საბუთი სათანადო მიმღებთან მოხვდება, ამით ჩაბარების მიზანი - *ex nunc* ეფექტით - შესრულებულია. (შეადარეთ, BGHZ 204, 268).“

14. ბ) თუ ობიექტურად ფორმალურ კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, ჩაბარების ინიცირება (რა საფუძვლითაც არ უნდა იყოს) ისევ მოხდება, ეს არ გამოიწვევს უკვე გასული ვადის ხელახალ ათვლას (BGH, Urteil vom 15. 01. 2013 - VI ZR 103/12 - juris; BGH, Versäumnisurteil vom 15.12.2010 - XII ZR 27/09 - NJW 2011, 522; BGH, Beschluss vom 20.10.2005 - IX ZB 147/01 - NJWR 2006, 563). ამ ხელახალი ჩაბარების შემდეგ შეტანილ გასაჩივრების საშუალებას სასამართლოს გადაწყვეტილების უკვე დამდგარი კანონიერი ძალის გაბათილება არ შეუძლია.

15. გ) თუ ნამდვილი ჩაბარება სახეზე არ არის, მაშინ ყოველ შემთხვევაში, ყურადღება იმაზე უნდა გამახვილდეს, რომ GER-ZPO-ს § 517-ის ან შესაბამისად, GER-ZPO-ს §548-ის მიხედვით, აპელაციის ან შესაბამისად, კასაციის ვადის დენა გამოცხადებიდან 5 თვის ვადის გასვლის შემდეგ იწყება. ამიტომ, აპელაციის ან კასაციის ვადის გათვალისწინებით, ნამდვილად გამოცხადებული გადაწყვეტილებები ნამდვილი ჩაბარების გარეშეც, გამოცხადებიდან 6 თვის მერე ფორმალურად იურიდიულ ძალას იძენს, თუ მანამდე გასაჩივრება არ მოხდა. ამიტომ, ჩაბარების ადრესატს, გასაჩივრების საშუალების ვადის გადაცილების შემთხვევაში, შეუძლია (ოღონდ, GER-ZPO-ს §§ 233 და მომდევნო პარაგრაფების წინაპირობების გათვალისწინებით), განაცხადი პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის მოთხოვნით შეიტანოს (აღნიშნულთან დაკავშირებით იხილეთ ა.ნ. 19 და მომდევნო აბზაცები).

16. **აღსრულებადობასთან დაკავშირებით**, GER-ZPO-ს § 704 ადგენს, რომ იძულებითი აღსრულება (ფორმალური) კანონიერი ძალის მქონე და **დროებით აღსრულებადად გამოცხადებული გადაწყვეტილებებიდან** გამომდინარე ხორციელდება.

17. ამ დროებით აღსრულებადობასთან დაკავშირებით, გერმანული სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ფილიგრანულად დიფერენცირებულ - რეალისტურად თუ შევაფასებთ, ზედმეტად სრულყოფილ - რეგულირების სტრუქტურას შეიცავს (GER-ZPO-ს §§ 708 და მომდევნო პარაგრაფები). ძალიან მარტივად რომ განვმარტოთ, ისეთი გადაწყვეტილებების შემთხვევაში, რომლებიც გარკვეული შესრულებისკენ (გადახდა, გაცემა, მოქმედებისგან თავის შეკავება) არის მიმართული, დროებითი აღსრუ-

ლებადობა, ძირითადად, შესაძლებელია. თუმცა, შესაბამისი პროცესის ვითარებაზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული, უნდა განახორციელოს თუ არა კრედიტორმა აღსრულებამდე გარკვეული უზრუნველყოფა და რამდენად შეუძლია მოვალეს, დროებითი აღსრულებადობა თავად განხორციელებული უზრუნველყოფის გზით აირიდოს, თუ კრედიტორს ასეთი უზრუნველყოფა აღსრულებამდე არ განუხორციელებია. სასამართლო პრაქტიკაში, კანონით გათვალისწინებული უზრუნველყოფის საშუალებებთან (GER-BGB § 232), განსაკუთრებით ფულისა და ფასიანი ქაღალდების შესანახად მიბარებასთან ერთად, ყველა შემთხვევაში უზრუნველყოფის სახით (დეტალებში მსუბუქად განსხვავებული ფორმულირებით) დასაშვებია საკრედიტო ინსტიტუტის ან საკრედიტო მზღვევლის უპირობო და უვადო თავდებობა.

18. თუ აღსრულება დროებით აღსრულებადად გამოცხადებული გადაწყვეტილებიდან ხორციელდება და ეს გადანყვეტილება მოგვიანებით უქმდება ან იცვლება, მაშინ აღსრულების განმხორციელებელ კრედიტორს ბრალისგან დამოუკიდებელი **ზიანის ანაზღაურების მოვალეობა** (GER-ZPO-ს §717-ის მე-2 აბზაცი) ეკისრება. მის საფუძვლად არსებული იდეები შეესაბამება GER-ZPO-ს § 945-დან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების მოვალეობას (აღნიშნულთან დაკავშირებით, იხილეთ ზემოთ 191-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 40 და მომდევნო აბზაციები). ხოლო თუ გასაჩივრების საშუალების პროცედურისას მხოლოდ ნაწილობრივი ცვლილება ხდება, მაშინ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა მხოლოდ ამით გამოწვეული ქონებრივი ზიანით შემოიფარგლება (BGH, Urteil vom 25.06.2015 - VII ZR 220/14 - MDR 2015, 999; BGH, Versäumnisurteil vom 08.03.2007 - VII ZR 101/05 - NJW-RR 2007, 1029).

19. ისევე როგორც საქართველოში (შეადარეთ, საქართველოს სსკ-ს 65-ე და მომდევნო მუხლები), გერმანიაშიც ფორმალური კანონიერი ძალა **პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის (Wiedereinsetzung in den vorigen Stand)** უფლების მინიჭებით (გერმანიაში ხშირად შემოკლებით, - "Wiedereinsetzung") ირღვევა. შესაბამისი დებულებები შემდეგნაირად უღერს:

§ 233 GER-ZPO – პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა

თუ მხარეს, თავისი ბრალის გარეშე, კანონიერი ვადის ან აპელაციის, კასაციის, საჩივრის დაშვებაზე უარის თქმის გასაჩივრების ან საჩივრის დასაბუთებისთვის გათვალისწინებული ვადის ან § 234-ის პირველი აბზაციით გათვალისწინებული ვადის დაცვაში ხელი შეეშალა, მაშინ მას, გა-

ნცხადების საფუძველზე, პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის უფლება უნდა მიენიჭოს. ბრალის არარსებობა იმ შემთხვევაში ივარაუდება, როდესაც გასაჩივრების წესის შესახებ განმარტება არ გაკეთებულა ან შეცდომით განხორციელდა.

§ 234 GER-ZPO – პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის ვადა

(1) განაცხადი, პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის შესახებ, ორი კვირის ვადაში უნდა შევიდეს. მაგრამ თუ მხარეს ხელი შეეშალა აპელაციის, კასაციის, საჩივრის დაშვებაზე უარის თქმის გასაჩივრების ან საჩივრის დასაბუთებისათვის გათვალისწინებული ვადის დაცვაში, ეს ვადა ერთ თვემდე შეიძლება გაგრძელდეს.

(2) ასეთ შემთხვევაში ვადის ათვლა იმ დღეს იწყება, როდესაც ხელის შემშლელი გარემოება აღმოიფხვრება.

(3) გაშვებული ვადის დასრულებიდან ერთი წლის გასვლის შემდეგ, პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის მოთხოვნა აღარ შეიძლება.

§ 236 GER-ZPO – განაცხადი პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის შესახებ

(1) პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის შესახებ განაცხადის ფორმა გაშვებული საპროცესო მოქმედებისთვის გათვალისწინებული დებულებების მიხედვით განისაზღვრება.

(2) განაცხადი უნდა შეიცავდეს მითითებას პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის დასაბუთებისთვის საჭირო ფაქტებზე; ისინი განცხადების წარდგენის ან განცხადების თაობაზე პროცესის დროს, დამაჯერებლად უნდა იყოს წარმოდგენილი. განცხადების წარდგენისთვის დადგენილ ვადაში გაშვებული საპროცესო მოქმედება უნდა შესრულდეს; თუ ეს მოხდა, მაშინ პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის უფლების მინიჭება განცხადების გარეშეც შესაძლებელია.

20. ა) პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის შესახებ დებულებები GER-ZPO-ს § 85-ის მე-2 აბზაცთან კავშირში უნდა ნაწილობრივ იყოს, რომლის თანახმად, უფლებამოსილი პირის (ადვოკატი) ბრალი მხარის ბრალთანაა გათანაბრებული. თუმცა, ამ დროს გასათვალისწინებელია, რომ ხდება უფლებამოსილი პირის მხოლოდ საკუთარი ბრალის შერაცხვა, მაგრამ არა ვალდებულების შესრულებისას მისი დამხმარის, მაგალითად, სამსახურის უფროსის ან ადვოკატის მდივნის ბრალისა. უცხო პირთა მოქმედების შერაცხვის შესახებ მოქმედი მატერიალურ-სამართლებრივი დებუ-

ლებები (GER-BGB-ს § 278; საქართველოს სსკ-ს 396-ე მუხლი) ამ საპროცესო წესის მიმართ, შესაბამისად, არ გამოიყენება.

21. აა) ადვოკატს ეკისრება, ასევე, **ორგანიზებისა და კონტროლის** მკაცრი მოვალეობები (იხილეთ ქვემოთ წარმოდგენილი მაგალითები). თუ იგი ერთ-ერთ ასეთ მოვალეობას დაარღვევს, ხოლო ვალდებულების ასეთი დარღვევა ვადის გაშვების მიზეზი გახდება, მაშინ ეს ადვოკატის საკუთარი ბრალის სახით, GER-ZPO-ს §85-ის მე-2 აბზაცის შესაბამისად, მხარეს შეერაცხება. აღნიშნულის არაპირდაპირი შედეგია ადვოკატის მოვალეობა მხარისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე, თუ ვადის დაცვით განხორციელებულ საპროცესო მოქმედებას, მაგალითად, სააპელაციო საჩივრის დროულად შეტანას, ობიექტური სამართლებრივი ვითარების თანახმად (BGH, Urteil vom 09.11.2017 - IX ZR 270/16 - NJW 2018, 541; BGH, Urteil vom 24.09.2015 - IX ZR 206/14 - NJW 2015, 682), ანუ არა გასაჩივრების საშუალების განმხილველი სასამართლოს სავარაუდო გადაწყვეტილების მიხედვით, სამართლებრივი დავის მხარისთვის უფრო ხელსაყრელი შედეგი უნდა მოჰყოლოდა.

22. ბბ) ადვოკატის ორგანიზებისა და კონტროლის მოვალეობებთან დაკავშირებით წარმოგიდგენთ შემდეგ მაგალითებს უკვე თითქმის თვალუნვდენელი, გერმანული სასამართლო პრაქტიკიდან:

23. - BGH, Beschluss vom 13.09.2018 - V ZB 227/17 - MDR 2018, 1457; BGH, Beschluss vom 12.06.2018 - II ZB 23/17 - NJW 2018, 2895; BGH, Beschluss vom 19.09.2017 - VI ZB 40/16 - NJWRR 2018, 58; BGH, Beschluss vom 29.06.2017 - III ZB 95/16 - juris; BGH, Beschluss vom 13.01.2015 - VI ZB 46/14 - NJW-RR 2015, 441: ადვოკატმა გასაჩივრების საშუალების ვადა საკუთარი პასუხისმგებლობით უნდა იანგარიშოს ან თავად უნდა შეამოწმოს სამსახურის პერსონალის მიერ განხორციელებული გაანგარიშება. ამასთან, სამსახურის სათანადო ორგანიზებას განეკუთვნება ცალსახა მითითება ვადების შეტანისა ე.წ. (ცენტრალურად სანარმოებელ) ვადების კალენდარში მანამ, სანამ ადვოკატის შესაბამის ფაილში ვადის ჩანერის შესახებ შენიშვნა ჩაინიშნება. ამასთან, ადვოკატმა ზოგადი მითითებით უნდა უზრუნველყოს, რომ გასაჩივრების საშუალების დასაბუთების ვადის კალენდარში შეტანამდე, საკმარისი წინასწარი ვადა შევიდეს იმისათვის, რომ გასაჩივრების საშუალების წერილობითი დასაბუთების მოსამზადებლად (ე.წ. **ვადის კონტროლი**) საკმარისი დრო დარჩეს.

24. - BGH, Beschluss vom 19.12.2017 - XI ZB 16/17 - FamRZ 2018, 610; BGH, Beschluss vom 27.06.2017 - VI ZB 32/16 - NJW-RR 2017, 1139;

BGH, Beschluss vom 30.05.2017 - VI ZB 54/16 NJW-RR 2017, 1532; BGH, Beschluss vom 23.05.2017 - II ZB 19/16 - NJW-RR 2017, 1140: ადვოკატმა უნდა უზრუნველყოს, რომ წერილობითი დოკუმენტი მიმდინარე ვადის დაცვით შევიდეს შესაბამის სასამართლოში, განსჯადობის მიხედვით. ამასთან, გასვლის ეფექტურ კონტროლს განეკუთვნება ადვოკატის მითითება, რომ ვადებთან დაკავშირებული საკითხების მოგვარება ყოველი სამუშაო დღის საღამოს, ვადების კალენდრის საფუძველზე, დამოუკიდებლად უნდა შეამოწმოს ამისათვის დანიშნულმა თანამშრომელმა. ტელეფაქსით გადაგზავნისას, გაგზავნის ოქმის საშუალებით უნდა გაკონტროლდეს, რამდენად სრულყოფილად იქნა გადაგზავნილი დოკუმენტი შესაბამის კომპეტენტურ სასამართლოში. თუმცა, შემდგომი შინაარსობრივი კონტროლი აუცილებელი არ არის (ე.წ. **გასვლის კონტროლი**).

25. - BGH, Beschluss vom 13.07.2017 - IX ZB 110/16 - NJW-RR 2017, 1142: ადვოკატმა თავისი, ორგანიზების მოვალეობის ფარგლებში, პრიციპულად უნდა იზრუნოს იმაზე, რომ მისი არყოფნის შემთხვევაში, აუცილებელი საპროცესო მოქმედებების განხორციელება წარმომადგენელმა გადაიბაროს.

26. - BGH, Beschluss vom 29.08.2017 - VI ZB 49/18 - NJW-RR 2018, 56: ადვოკატმა წერილობითი დოკუმენტის ხელმოწერამდე უნდა შეამოწმოს, სწორია თუ არა (მანამდე, უმეტესწილად, სამსახურის პერსონალის მიერ მოძიებული) სასამართლოს მისამართი და დასახელება.

27. - BGH, Beschluss vom 30.03.2017 - III ZB 43/16 – juris: ადვოკატს, ბრალის სახით, არ შეიძლება შეერაცხოს ფოსტის მიერ წერილის გაგზავნისას დაშვებული შეცდომა. მის პასუხისმგებლობას განეკუთვნება მხოლოდ ის, რომ წერილი იმდენად დროულად და სწორად ჩააბაროს, რომ ფოსტის საორგანიზაციო და სანარმოო ადმინისტრირების შესაბამისად, წერილმა მიმღებამდე სათანადო ვადაში მიაღწიოს.

28. - BGH, Beschluss vom 12.06.2018 - II ZB 23/17 - NJW 2018, 2895; BGH, Beschluss vom 19.09.2017 - VI ZB 40/16 - NJW-RR 2018, 58: ადვოკატმა გულმოდგინედ უნდა შეარჩიოს თავისი პერსონალი, სწორად მოამზადოს იგი და მონიტორინგი (ყოველ შემთხვევაში, შერჩევითი სინჯების გზით) განახორციელოს. გარკვეული საქმიანობა მხოლოდ პროფესიული გამოცდილების მქონე პერსონალს შეიძლება დაეკისროს, ისიც საკუთარი პასუხისმგებლობით.

28. ა) - BGH, Beschluss vom 08.03.2017 - III ZR 39/17 - juris: თუ პროცესის მხარე აცხადებს, რომ მას ან, შესაბამისად, მის საპროცესო წარმომადგენელს განხილვისთვის დანიშნულ სხდომაზე გამოცხადებაში

ხელი შეეშალა, რადგან სასამართლოში მისვლა რკინიგზის გადაკეტივის გამო შეუძლებელი იყო, ვადის გაშვებისთვის ეს საკამარისი გამართლება არ არის, რადგან არ ჩანს, შესაძლებელი იყო თუ არა განხილვის დღეს სხვა სატრანსპორტო საშუალებებით ან სხვა რკინიგზით სასამართლოში მოხვედრა.

29. ბ) ასევე, იმ საკითხთან დაკავშირებით, თუ როდის მიუძღვის თავად მხარეს ბრალი ვადის გაშვებაში, გერმანიაში საკმაოდ ვრცელი სასამართლო პრაქტიკა არსებობს, რომელსაც აქ მხოლოდ პუნქტობრივად შევეხებით.

30. მხარის შემთხვევაში, ხშირად, საკითხი ეხება იმას, თუ რა ზომები უნდა მიიღოს მან, რათა დროულად გაიგოს დეპონირების ან ისეთი ჩაბარების შესახებ, რომელიც დოკუმენტის უშუალოდ მისთვის გადაცემით არ განხორციელდა. წინასწარ აღსანიშნავია, რომ ეს საკითხი მხოლოდ მაშინ დაისმის, როდესაც ადგილი, რომელზეც დეპონირება ან ისეთი ჩაბარება მოხდა, რომელიც უშუალოდ ადრესატისთვის დოკუმენტის გადაცემით არ განხორციელებულა, ობიექტურად საერთოდ არ წარმოაგენდა საცხოვრებელ ადგილს. თუ საცხოვრებელი ადგილი არ გვაქვს, მაშინ ჩაბარება არსებითი ნაკლის შემცველია და იგი მხოლოდ მაშინ გახდება ნამდვილი, როდესაც ეს ნაკლი ფაქტობრივი შეტყობის გზით გამოსწორდება (აღნიშნულის თაობაზე იხილეთ ზემოთ, ა.ნ. 13 და მომდევნო აბზაცები).

31. იმ წინასწარ ზომებთან დაკავშირებით, რომლებიც ადგილზე არყოფნის შემთხვევაშია მისაღები, მაგალითის სახით წარმოგიდგინთ შემდეგ გადანყევტილებას (OLG Koblenz, Beschluss vom 03.07. 2013 - 3 W 296/13 - juris):

32. „უმაღლესი სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, მოქალაქეს პირვანდელი მდგომარეობის აღდენის უფლების გამომრიცხავ გარემოებად არ შეერაცხება ის, თუ მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე მხოლოდ დროებითი არყოფნის გამო მას საბუთის შესაძლო ჩაბარებასთან დაკავშირებით განსაკუთრებული ზომები არ მიუღია. ამასთან, მნიშვნელობა არ აქვს, შვებულების მიზნით არყოფნა საყოველთაო არდადეგების პერიოდს თუ წლის რომელიმე სხვა დროს ემთხვევა (BVerfG NJW 2013, 592; ...). დროებით არყოფნად, ჩვეულებრივ, ყველაზე ხანგრძლივი, 6 თვემდე არყოფნის პერიოდი შეიძლება ვივარაუდოთ (BVerfG NJW 2013, 592; ...). სენატი არ იზიარებს სასამართლო პრაქტიკაში ნაწილობრივ წარმოდგენილ შეხედულებას იმაზე, რომ მოვალის რამდენიმეთვიანი არყოფნის შემთხვევაში, პირმა გარკვეული ზომები არ მიიღოს იმისათვის, რომ სასა-

მართლოს მიერ მისთვის საბუთის ჩაბარება, საჭიროების შემთხვევაში, დასვენების ადგილზე იყოს შესაძლებელი (OLG Braunschweig, OLGR 1997, 146; ...).

მოპასუხემ, მე-5 პუნქტთან დაკავშირებით, დაცვის თაობაზე განაცხადის წარდგენის ვადა ბრალეულად გაუშვა, ასევე, იმიტომაც, რომ მას სასამართლო დოკუმენტის ჩაბარების მოლოდინი უნდა ჰქონოდა (vgl. BVerfG NJW 2007, 3486; BVerfGE 41, 332; ...).“

33. გ) ზოგადად, აღსანიშნავია, რომ პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის უფლების მინიჭების მიმართ არსებული მოთხოვნები, საკონსტიტუციო-სამართლებრივი მიზეზებიდან გამომდინარე, **ზედმეტად მკაცრი არ უნდა იყოს.**

34. ეფექტური სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფის (პროცესუალური) ძირითადი უფლება და სასამართლო მოსმენის პრინციპი მოითხოვს, რომ მხარეს, რომელიც პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას ითხოვს, უარი არ ეთქვას ისეთი მოთხოვნების გამო, რომლებიც მხარეებს საპროცესო კოდექსით განსაზღვრულ ინსტანციაზე წვდომას, მიუღებლად, ობიექტური მიზეზებით გაუმართლებლად ურთულებს (BVerfG, Beschluss vom 25.08.2015 - 1 BvR 1528/14 - NZA 2016, 122; BVerfG, Beschluss vom 08.12.2009 - 2 BvR 758/07 - BVerfGE 125, 104; BGH, Beschluss vom 21.08.2018 - VIII ZB 22/18 - NJW-RR 2018, 1271; BGH, Beschluss vom 19.09.2017 - VI ZB 40/16 - NJW-RR 2018, 58).

35. ამ მიზეზით, გერმანული საკონსტიტუციო სამართლის პერსპექტივიდან, ასევე, საეჭვო იქნებოდა, რომ პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის უფლების მინიჭება (როგორც ეს საქართველოში, საქართველოს სსკ-ს 215-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 65-ე და 66-ე მუხლების მიხედვით არის აუცილებელი) საპატიო მიზეზების არსებობაზე ყოფილიყო დამოკიდებული. თუმცა, ყოველ შემთხვევაში, (გერმანული საკონსტიტუციო სამართლის მითითებების გათვალისწინებით) ეფექტური სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფისთვის აუცილებელია, რომ საქართველოს სსკ-ს 215-ე მუხლის მე-3 ნაწილი, 65-ე და 66-ე მუხლები ძალიან შეზღუდულად განიმარტოს.

36. გერმანიაში სააპელაციო სასამართლოებსა და უმაღლეს ფედერალურ სასამართლოში სავალდებულო იურიდიული წარმომადგენლობის გათვალისწინებით (აღნიშნულის თაობაზე იხილეთ ზემოთ, 243-ე მუხლის ა.ნ. 8), ამ საკითხს განსაკუთრებით პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს მაშინ, როდესაც მხარე თავისი ეკონომიკური უნარობის გამო გასაჩივრებასა და დასაბუთებისთვის კანონით დადგენილი ვადების დაცვას

ვერ ახერხებს. ასეთ ვითარებაში, სასამართლო პრაქტიკა ხელმძღვანელობს შეხედულებით, რომ ვადის გადაცილება ბრალის გარეშე მოხდა, რადგან ვადის დაცვით შესასრულებელი მოქმედება დროულად იმის გამო ვერ განხორციელდა, რომ მხარემ იურიდიული წარმომადგენლობისთვის საჭირო ხარჯების განწვევა ვერ შეძლო. მაგრამ ამის წინაპირობა ის არის, რომ მხარეს ვადის გასვლამდე შეტანილი ჰქონდეს კანონის მოთხოვნების შესაბამისი განაცხადი **სასამართლოს მიერ საპროცესო ხარჯებისგან გათავისუფლების თაობაზე** (აღნიშნულის შესახებ იხილეთ ზემოთ, 47-ე მუხლი) და თავისი შესაძლებლობის ფარგლებში, ყველაფერი ჰქონდეს გაკეთებული იმისათვის, რომ განაცხადზე ობიექტური გადამწყვეტილების მიღება გაჭიანურების გარეშე მოხდეს (BGH, Beschluss vom 16.11.2017 - IX ZA 21/17 - NJW-RR 2018, 190; BGH, Beschluss vom 25.10.2017 - IV ZB 22/16 - NJW-RR 2018, 61; BGH, Beschluss vom 25.10.2017 - XII ZB 251/17 - NJW-RR 2018, 6). საპროცესო ხარჯებისგან გათავისუფლებაზე სასამართლოს თანხმობით უქმდება ეკონომიკური უუნარობით გამონვეული დაბრკოლება, რაც პირვანდელი მდგომარეობის აღდგენისთვის § 234-ის მე-2 აბზაცით გათვალისწინებული ვადის ათვლას იწვევს. პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის შესახებ განაცხადთან დაკავშირებული საჩივარი მხარემ მის გასვლამდე უნდა შეიტანოს ((BGH, Beschluss vom 19.06.2007 - XI/ZB 40/06 - BGHZ 173, 14; BGH, Beschluss vom 30.04.2014 - III ZB 86/13 – NJW 2014, 2442). თუმცა, თუ მხარემ თავისი თხოვნა სასამართლოს მიერ საპროცესო ხარჯებისგან გათავისუფლების თაობაზე, ვადის დაცვით და უპირობოდ შეტანილ სააპელაციო საჩივართან (აღნიშნულის შესახებ იხილეთ ზემოთ, მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის ა.ნ. 32) დააკავშირა, მაშინ პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის პროცედურა საჭირო აღარ იქნება. ამის მიუხედავად, შეტანილი განაცხადი, პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის შესახებ, უსაფუძვლოა (BGH, Beschluss vom 30.05.2017 - III ZB 15/17 - juris).

37. თუ მხარეს სასამართლომ საპროცესო ხარჯებისგან გათავისუფლებაზე უარი უთხრა, მაშინ მას პირვანდელი მდგომარეობის აღდგენაზე უნდა მიეცეს თანხმობა, თუკი მან თავისი შესაძლებლობის ფარგლებში, ყველაფერი გააკეთა საპროცესო ხარჯებისგან გათავისუფლების მისაღებად და გონივრული შეფასებით, ამაზე უარის მიღების მოლოდინი არ უნდა ჰქონოდა. შემდეგ, მას უნდა მიეცეს შესაძლებლობა, რომ გასაჩივრების საშუალებასთან დაკავშირებული პროცედურა საკუთარი ხარჯებით აწარმოოს (BGH, Beschluss vom 28.08.2018 - VI ZB 44/17 - NJW-RR 2018, 1270; BGH, Beschluss vom 04.07.2018 - IV ZR 3/17 - VersR

2018, 1149; BGH, Beschluss vom 16.11.2017 - IX ZA 21/17 - NJW-RR 2018, 190). ამასთან, მხარე, საპროცესო ხარჯებისგან გათავისუფლებაზე თანხმობისთვის საჭირო წინაპირობების არარსებობის შესახებ, ჩვეულებრივ, საპროცესო ხარჯებისგან გათავისუფლებაზე უარის განჩინებით იგებს. თუმცა, თუ მხარისთვის, სასამართლოს მინიშნებიდან გამომდინარე, მოსალოდნელია საპროცესო ხარჯებისგან გათავისუფლებაზე უარია, მაშინ პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის ვადის ათვლა ამ მინიშნების მიღების მომენტიდან იწყება ((BGH, Beschluss vom 22.09.2016 - IX ZB 84/15 - MDR 2017, 482;

37. ა. დ) საჭიროების შემთხვევაში, პირვანდელი მდგომარეობის აღდგენაზე თანხმობა უნდა ითქვას მაშინაც, როდესაც ვადის გაშვება, სხვასთან ერთად, სასამართლოს შეცდომებით, განსაკუთრებით, **სასამართლო მზრუნველობის ვალდებულების** დარღვევითაც არის გამოწვეული.

37. ბ. აღნიშნულთან შეიძლება გვეკონდეს საქმე, მაგალითად, როდესაც სასამართლო, კანონით დადგენილი ვადის გასვლამდე აღმოაჩინეს ხარვეზებს წერილობით დოკუმენტში ან როდესაც ეს ხარვეზები (როგორც არის, მაგალითად, ხელმოწერის არქონა) ადვილად შესამჩნევი იყო. აღნიშნულ საკითხზე უმაღლესი ფედერალური სასამართლო (Beschluss vom 20.06.2012 – IV ZB 18/11 - NJW-RR 2012,129) განმარტავს:

37. გ. „*მხოლოდ განსაკუთრებული გარემოებების შემთხვევაში შეიძლება იყოს სასამართლო ვალდებული, რომ ხელი შეუშალოს მხარის მიერ მოსალოდნელი ვადის გაშვებას. ასე, მაგალითად, მას არ აქვს უფლება, მოსალოდნელ საფრთხეს ხედავდეს და მანამდე ელოდოს, სანამ მხარეს სამართლებრივი ზიანი არ მიადგება (BGH VersR 2005, 13). აქ ასეთ შემთხვევასთან არ გვაქვს საქმე. სააპელაციო სასამართლოს, აპელაციის დასაბუთებისთვის დადგენილი ვადის გასვლამდე არ შეუძენია, რომ აპელაციის დასაბუთება წესის დაცვით არ იყო ხელმონერილი, ამიტომ, ვერ ვიტყვით, რომ იგი ხედავდა მოსალოდნელ საფრთხეს და აპელაციის დასაბუთების ვადის გაშვება მაინც დაუშვა. იმით, რომ სააპელაციო სასამართლომ 2011 წლის 28 აპრილს აპელაციის დასაბუთებაზე შესაგებლის მოსამზადებლად მოპასუხეს ვადა დაუნესა და მხარეთა საპროცესო წარმომადგენლებს შეატყობინა, რომ იგი 2011 წლის 24 ივნისს აღნიშნულ საკითხს განიხილავდა, მას არ შეუქმნია მოპასუხისთვის იმის მოლოდინი, რომ, სულ მცირე, პროცესის წინაპირობები მაინც იყო წესრიგში.*

სხვა, განსახილველი საქმეების რაოდენობის გათვალისწინებით, დასაძრახი არ არის, რომ მოსამართლე მხოლოდ საქმის დამუშავების და ამით ვადების გასვლის შემდეგ ამონმებს აპელაციის დასაშვებობას და იმავდროულად, ფორმის დაცვის საკითხს (...). მაგრამ სასამართლო მზრუნველობის მოვალეობა მოითხოვს, რომ მხარეს ფორმის ისეთი ნაკლის არსებობაზე მიეთითოს, რომელიც ადვილად შესამჩნევია. მაგალითად, როდესაც საერთოდ არ არის ხელმოწერა, რომელიც აუცილებელია ვადის დაცვისთვის - ასეთ შემთხვევაში მას ვადის ფარგლებში შეცდომის გამოსწორების შესაძლებლობა უნდა მიეცეს (vgl. BGH VersR 2009, 699; BVerfG VersR 2004, 1585). აქ განსახილველი ხელმოწერა „ი.ა.“, არ არის აშკარა ფორმალური ნაკლი, რადგან სრულიად არარსებული ხელმოწერისგან განსხვავებით, ის მაშინვე თვალში საცემი არ იყო და ამასთან, შესაძლებელი იყო სხვა ასპექტებიც, - როგორც არის, მაგალითად, მიეკუთვნებოდა თუ არა ხელმომწერი პირი ამხანაგობას.“

37. დ. თუ დოკუმენტი არაგანსჯად სასამართლოშია შეტანილი, სასამართლოს ევალება, რომ იგი განსჯადში გადაამისამართოს. თუ სასამართლო თავის მოვალეობას არ შეასრულებს, მაშინ ვადის გამშვებ მხარეს შეიძლება პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის უფლება მიეცეს, რამეთუ სასამართლოს მიერ თავისი მოვალეობის შესრულების შემთხვევაში, ეს დოკუმენტი განსჯად სასამართლოში დროულად შევიდოდა. ამასთან დაკავშირებით, უმაღლესი ფედერალური სასამართლო (Beschluss vom 19.09.2017 - VI ZB 37/16 - NJW-RR 2018, 173) განმარტავს:

37. ე. „ უმაღლესი ფედერალური სასამართლოს პრაქტიკაში აღიარებულია, რომ არაგანსჯადი სასამართლო ... ვალდებულია, გასაჩივრების საშუალებებთან დაკავშირებული პროცედურებისთვის განკუთვნილი, ვადებით შეზღუდული წერილობითი დოკუმენტები, რომლებიც მასთან არის შემოტანილი, საქმის წარმოების სტანდარტული გზით გადაამისამართოს გასაჩივრების საშუალების განმხილველ განსჯად სასამართლოში. თუ ეს ასე არ მოხდა, მაშინ მხარეს პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის უფლება უნდა მიეცეს იმის მიუხედავად, თუ რა მიზეზებით იყო გამოწვეული დოკუმენტის შეცდომით შეტანა. წერილობითი დოკუმენტის გადასვლით გადაამისამართების ვალდებულების მქონე სასამართლოს პასუხისმგებლობის სფეროში, მხარის ან მისი საპროცესო წარმომადგენლის ნებისმიერი ბრალი ძალას კარგავს (... BVerfGE 93, 99; ...BGH NJW-RR 2016, 1340...). მაგრამ ამის წინაპირობაა ის, რომ წერილობითი დოკუმენტის ვადის დაცვით გადაამისამართება შესაბამისი სასამართლოს საქმის წარმოების სტანდარტული გზით შესაძლებელი და, ამდენად, მოსალო-

დნელი იყო (...), რაც მხარემ პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის შესახებ თავის თხოვნაში უნდა გადმოსცეს და დამაჯერებლად წარმოადგინოს (BGH, Beschlüsse vom 12.05.2016 - IX ZB 75/15 - NJOZ 2016, 1582... und vom 16.01.2014 - XII ZB 571/12 - NJW-RR 2014, 699).“

38. 7. პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა უკუქცევითად ასწორებს მხარისთვის ვადის გაშვებით გამოწვეულ სამართლებრივ ზიანს (BGH, Beschluss vom 08.10.1986 - VIII ZB 41/86 - BGHZ 98, 325). განჩინებები, რომლებითაც გასაჩივრების საშუალება ან საჩივარი ვადის გაშვების გამო პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის უფლების მინიჭებამდე დაიწუნეს, უსაფუძვლო ხდება (BGH, Beschluss vom 13.09.2018 - V ZB 227/17 - MDR 2018, 1457; BGH, Beschluss vom 28.09.2017 - V ZB 109/16 - NJW 2018, 164; BGH, Beschluss vom 09.02.2005 - XII ZB 225/04 - FamRZ 2005, 791). ასეთი გადაწყვეტილებები მხოლოდ სიცხადის შეტანის მიზნით უქმდება (BGH, Beschluss vom 13.09.2018 - V ZB 227/17 - MDR 2018, 1457; BGH, Beschluss vom 28.09.2017 - V ZB 109/16 - NJW 2018, 164).

39. პირველადი მდგომარეობის აღდგენის უფლების მინიჭებით იმის სიმულირება ხდება, რომ დაგვიანებული ან შესაბამისად, გაშვებული და შემდეგ გამოსწორებული საპროცესო მოქმედება დროულად განხორციელდა (BGH, Beschluss vom 08.10.1986 - VIII ZB 41/86 - BGHZ 98, 325; BGH, Urteil vom 08.01.1953 - IV ZR 125/52 - BGHZ 8, 284). თუ პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა გასაჩივრების საშუალებისთვის დადგენილი ვადის გაშვებას უკავშირდება, მაშინ, პირველ რიგში, უკუქცევითი ძალით უქმდება გასაჩივრებული გადაწყვეტილების შექმნილი კანონიერი ძალა; ანუ, გასაჩივრებული გადაწყვეტილება თავიდანვე ფორმალური კანონიერი ძალის არმქონედ მიიჩნევა (BGH, Beschluss vom 08.10.1986 - VIII ZB 41/86 - BGHZ 98, 325). საფრთხეები, რომლებიც აქედან გამომდინარე ექმნება სამართლებრივ უსაფრთხოებას, იმის გათვალისწინებით უნდა დავუშვათ, რომ პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა სასამართლო წესით უფლების დაცვის ეფექტური უზრუნველყოფისა და სასამართლო მოსმენის დაცვას ემსახურება და ამით, თავისი არსით, საკონსტიტუციოსამართლებრივად გარანტირებულია (იხილეთ ზემოთ, ა.ნ. 34).

40. 8. მოსმენაზე პრეტენზიასთან დაკავშირებული პროცედურით (GER-ZPO-ს §321a) ფორმალური კანონიერი ძალის შერყევებთან დაკავშირებით, რომლებიც სასამართლოს მიერ მოსმენის საკონსტიტუციოსამართლებრივი მოთხოვნის უფლების დარღვევისას მას თვითკორექტი-

რების შესაძლებლობას ანიჭებს, გასათვალისწინებელია მე-10 მუხლის ა.ნ. 8-ში წარმოდგენილი განმარტებები.

41. 9. ამასთან, გერმანიაში GER-GG-ს 93-ე მუხლის პირველი აბზაცის Nr. 4a-ისა და 4b-ის და GER-BverfGG-ს §§ 90-სა და მომდევნო პარაგრაფების შესაბამისად, ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს (უმეტეს ფედერალურ მიწებზე, ასევე, მათი საკონსტიტუციო სასამართლოების) მოვალეობაა, **კონსტიტუციურ სარჩელზე** რეაგირების სახით, არაკონსტიტუციური სასამართლო გადაწყვეტილებების გაუქმება და ამით, მათი ფორმალური კანონიერი ძალის გაბათილება.

42. კონსტიტუციური სარჩელის შეტანა ნებისმიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს შეუძლია, რომელიც ამტკიცებს, რომ გერმანული საჯარო ანუ სასამართლო ხელისუფლების მიერ მისი ძირითადი უფლებები დარღვეულია (შეადარეთ, GER-GG-ს პირველიდან მე-19-მდე მუხლები) ან გარკვეულ ძირითად უფლებებთან გათანაბრებული უფლებები, მათ შორის, ასევე GER-GG-ს 103-ე მუხლის პირველი აბზაცით გათვალისწინებული, სასამართლო მოსმენის უფლება.

43. თუმცა, კონსტიტუციური სარჩელი, ძირითადად, მხოლოდ მაშინ არის დასაშვები, თუ მანამდე გამოყენებული საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული გასაჩივრების საშუალებები წარუმატებელი აღმოჩნდა (ე.წ. **სასამართლო დაცვის საშუალებების ამონურვა**). გარდა ამისა, გამოყენებული უნდა იყოს სამოქალაქო-საპროცესო კოდექსით მინიჭებული ყველა სხვა შესაძლებლობა იმისათვის, რომ კონსტიტუციის დარღვევასთან დაკავშირებით გამოხატული პრეტენზიის კორექტირება ან თავიდან არიდება ჯერ სპეციალიზებულ (სამოქალაქო) სასამართლო პროცესზე მოხდეს (ე.წ. **კონსტიტუციური სარჩელის სუბსიდიურობა**). თუ წარმოდგენილია პრეტენზია სასამართლო მოსმენის დარღვევასთან დაკავშირებით (GER-GG -ს 103-ე მუხლის პირველი აბზაცი), ეს იმას ნიშნავს, რომ მანამდე ეს პრეტენზია (GER-ZPO-ს § 321 a) შესაბამის სპეციალიზებულ, განსჯად სასამართლოში არ დაკმაყოფილდა (აღნიშნულთან დაკავშირებით იხილეთ მე-10 მუხლის ა.ნ. 8).

44. პრაქტიკაში, სასამართლო მოსმენის დარღვევასთან ერთად, კონსტიტუციური სარჩელისთვის ყველაზე ხშირად წარმატებულ საფუძვლებს განეკუთვნება თანასწორობის პრინციპიდან (GER-GG-ს მე-3 მუხლის პირველი აბზაცი) მიღებული თვითნებობის აკრძალვა (აღნიშნულთან დაკავშირებით იხილეთ ზემოთ, 23-ე და მომდევნო მუხლის ა.ნ. 5). თვითნებობის აკრძალვის დარღვევის შემთხვევებისას, უმაღლესი ფედერალური სასამართლო, დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკის მიხედ-

დვით, შემდეგი პრინციპებით ხელმძღვანელობს (აქ ციტირებულია, BVerfG, Beschluss vom 04.10. 2017 - 2 BvR 821/16 – juris-დან):

45. „კანონის განმარტება და მისი გამოყენება კონკრეტული საქმის მიმართ კომპეტენტური სასამართლოების საქმეა და ამიტომ პრინციპულად არ ექვემდებარება უმაღლესი ფედერალური სასამართლოს მიერ გადამოწმებას; სპეციალიზებული სასამართლოების გადანყვეტილებების მიმართ კონსტიტუციურ-სამართლებრივი ჩარევა მხოლოდ იშვიათ გამოწვევის შემთხვევებში განიხილება თანასწორობის პრინციპის დარღვევის კონტექსტში (GG-ს მე-3 მუხლის პირველი აბზაცი) მისი, როგორც თვითნებობის აკრძალვის მნიშვნელობიდან გამომდინარე (შეადარეთ, BVerfGE 74, 102...). მოსამართლის გადანყვეტილება მაშინ კი არ არღვევს ობიექტური თვითნებობის აკრძალვას, როდესაც სამართლის გამოყენება, რომლის მიმართაც პრეტენზიაა გამოთქმული ან აღნიშნულთან დაკავშირებით წარმოებული პროცედურა მცდარია, არამედ ამას უნდა დაემატოს ისიც, რომ სამართლის გამოყენება ან პროცედურა, არავითარი შესაძლო ასპექტით სამართლებრივად გამართლებული არ არის და მოითხოვს დასკვნას, რომ გადანყვეტილება არაობიექტურ და ამით, თვითნებურ მოსაზრებებს ეფუძნება (vgl. BVerfGE 80, 48; BVerfGE 83, 82; BVerfGE 86, 59). სწორედ ამასთან გვაქვს საქმე, როდესაც გადანყვეტილება სამართლის გამოყენებასთან დაკავშირებულ ისეთ მძიმე შეცდომებს ემყარება, როგორცაა ცალსახად მოქმედი ნორმის არგამოყენება ან ნორმის აშკარად არასწორი ინტერპრეტაცია (შეადარეთ, BVerfGE 87, 273).

... ამასთან, არ შეიძლება, ნორმის თვითნებურ, არასწორ ინტერპრეტაციად მივიჩნიოთ, თუკი სასამართლომ დეტალურად შეისწავლა სამართლებრივი მდგომარეობა და მისი მოსაზრება ყოველგვარ ობიექტურ საფუძველს მოკლებული არ არის (შეადარეთ, BVerfGE 87, 273...).“

46. თუმცა, ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო უფრო მკაცრი შემოწმების მასშტაბს აწესებს, როდესაც მან ფორმის, ვადის ან პრეკლუზიის შესახებ სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული, სასამართლო მოსმენის შემზღუდველი დებულებების საკონსტიტუციო-სამართლებრივი კონტროლი უნდა განახორციელოს. ასეთ შემთხვევებში, ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო კონსტიტუციის დარღვევას არა მხოლოდ სპეციალიზებული სასამართლოების თვითნებური გადანყვეტილებების შემთხვევაში ვარაუდობს, არამედ (ნაწილობრივ, ოდნავ განსხვავებული სიტყვიერი რედაქციით) უკვე მაშინ, როდესაც სამართლის გამოყენება აშკარად არასწორია ან შესაბამისად, კონკრეტული

საკონსტიტუციო უფლება დაირღვა (BVerfG, Beschluss vom 05.05.1987 - 1 BvR 903/85 - BVerfGE 75, 302; BVerfG, Beschluss vom 22.05.2012 - 2 BvR 1352/10 - juris; BVerfG, Beschluss vom 05.11.2008 - 1 BvR 1822/08 - juris).

მუხლი 266. გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შედეგები

გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ მხარეებს, აგრეთვე მათ უფლებამონაცვლებს არ შეუძლიათ ხელახლა განაცხადონ სასამართლოში იგივე სასარჩელო მოთხოვნები იმავე საფუძველზე, აგრეთვე სადავო გახადონ სხვა პროცესში გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები და სამართლებრივი ურთიერთობანი.

პაატა ქატიამაძე

266-ე მუხლი

I. შესავალი

სასამართლო გადაწყვეტილების, როგორც მართლმსაჯულების აქტის დანიშნულებაა მატერიალური სამართლებრივი ურთიერთობების მონაწილეთა შორის დავების გადაწყვეტა. გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ იგი საბოლოო, სავალდებულო და შეუქცევად ხასიათს იძენს.

სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერი ძალა იურიდიული წესრიგის სიმტკიცეს უზრუნველყოფს, ანუ სასამართლოს მიერ საბოლოოდ და შეუცვლელად დადასტურებული ფაქტებისა და სამართლებრივი ურთიერთობების, ასევე, მათგან გამომდინარე სუბიექტური უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების, სტაბილურობასა და მდგრადობას, შესაბამისად, სასამართლოს მიერ მათ რეალურ დაცვას.

სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლა ორ პრინციპს უკავშირდება: პირველი ეს არის „დავა გადაწყვეტილია“ (*Res Juticata*), რომელიც მართლმსაჯულების ფუნდამენტური პრინციპია და ყველა სამართლებრივ სახელმწიფოში მოქმედებს და მეორე - ფაქტების პრეიუდიცია (*collateral estoppel, issue preclusion*), რომელიც საერთო სამა-

რთლის (ანგლოსაქსონური) პრინციპია, თუმცა კონტინენტურ სამართლებრივ სისტემაში უფრო შეზღუდულად გამოიყენება.¹

დოქტრინა - „დავა გადაწყვეტილია“ ერთხელ უკვე განხილული სარჩელის ხელახალ განხილვას გამორიცხავს. სასამართლოს მიერ უკვე განხილულ და გადაწყვეტილ დავაზე სამართალწარმოება აღარ გაიმართება, სარჩელი აღარ მიიღება არსებითად განსახილველად სწორედ იმიტომ, რომ სასამართლომ ამ საკითხზე უკვე მიიღო საბოლოო და შესასრულებლად სავალდებულო გადაწყვეტილება. მეორე პროცესუალურ-სამართლებრივი პრინციპი - პრეიუდიცია სასამართლოს მიერ ერთ საქმეზე უკვე განხილული საკითხის ხელახალ განხილვას კრძალავს, კერძოდ, გამორიცხავს იმ ფაქტების ხელახალ დადგენას, რაც დამტკიცებულია სხვა საქმეზე მიღებული, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით.

უნდა აღინიშნოს, რომ დოქტრინა „დავა გადაწყვეტილია“ საერთო სამართლის ქვეყნებში უფრო ფართოდ განიმარტება და, ხშირად, მასში ორივე პრინციპი მოიაზრება - როგორც განხილული სარჩელის, ისე დადგენილი ფაქტის ხელახლა განხილვის დაუშვებლობა. რაც შეეხება გერმანულ მოდელს, ის ჰგავს ანგლოამერიკულს, თუმცა ამ დოქტრინის ფარგლები და ეფექტი გარკვეულწილად განსხვავებულია, რადგან კონცეფცია გერმანულ საპროცესო სამართალში ისეთივე ფართო არ არის, როგორც ანგლოამერიკულში². ძირითადი წესი ისაა, რომ გადაწყვეტილება ბოჭავს მხარეებს იმავე დავის საგანზე, რაც დამტკიცებული და გადაწყვეტილია, მაგრამ მხარეები შებოჭილი არ არიან მიმდინარე და პონტენციურ სარჩელებზე, კერძოდ, მხოჭავი ეფექტი მხოლოდ იმავე შემთხვევიდან წარმოშობილ სარჩელებზე ვრცელდება. როდესაც *Res Juticata*-ს საკითხი წამოიჭრება, სასამართლო ამონმებს სარჩელის ფორმალურ გამართულობას - მოთხოვნასა და სარჩელში მითითებულ ფაქტობრივ ელემენტებს და მათ უკვე გადაწყვეტილ საქმეს ადარებს. ახალი საქმე არ დარჩება განუხილველად, თუ სასამართლო სამართლებრივი შედეგის განმმაპირობებელ ფაქტობრივ გარემოებებს შორის განსხვავებას დაინახავს.³

¹ Arthur T. von Mehren & Donald T. Trautman, *Recognition of Foreign Adjudications: A Survey and a Suggested Approach*, 81 HARV. L. REV. 1601, 1676 (1968) ("It follows a fortiori that the German system does not recognize any collateral estoppels effects whatsoever.").

² *Res Judicata*-ს გერმანულ წესებთან დაკავშირებით იხ. Peter L.Murray & Rolf Stuner, *German Civil Justice* 355-66 (2004)

³ Peter L.Murray & Rolf Stuner, *German Civil Justice*, 364 (2004)

სსსკ-ის 266-ე მუხლით მონესრიგებული მეორე საკითხია ძალაში შესული გადაწყვეტილების ეფექტი მომდევნო სარჩელზე, კერძოდ - კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებით დადგენილ ფაქტებსა და სამართლებრივ ურთიერთობებს იმავე მხარეებს შორის სხვა საფუძვლით დავის მიმდინარეობისას ვერც მხარეები გახდიან სადავოდ და ვერც სასამართლო დაადგენს ხელმეორედ. პრეიუდიციისათვის ორი კუმულატიური წინაპირობა უნდა არსებობდეს: სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება და იმავე მხარეთა მონაწილეობა სხვა საქმეზე. აღსანიშნავია, რომ ანგლოამერიკულ მოდელში პრეიუდიციას სასამართლო თავისი ინიციატივით არ იკვლევს, მასზე მხარემ უნდა მიუთითოს, ხოლო კონტინენტური ევროპის მოდელში სწორედ სასამართლო ამონებს მას.⁴

სსსკ-ის 266-ე მუხლი განამტკიცებს როგორც *Res Juticata*-ს, ისე პრეიუდიციის პრინციპს, რაზეც დაწვრილებით ვისაუბრებთ ქვემოთ.

II. გადაწყვეტილების მატერიალური კანონიერი ძალა

1. გადაწყვეტილების განსაკუთრებულობა (საბოლოობა)

დოქტრინა „დავა გადაწყვეტილია“ ერთხელ უკვე განხილული საქმის ხელმეორედ განხილვას გამორიცხავს. კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების ეს თვისება, კერძოდ, მისი საბოლოობა სსსკ-ის 266-ე მუხლის შემდეგ დანაწესში ვლინდება - **გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ მხარეებს, აგრეთვე მათ უფლებამონაცვლებს, არ შეუძლიათ ხელახლა განაცხადონ სასამართლოში იგივე სასარჩელო მოთხოვნები იმავე საფუძველზე**. ამდენად, კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების არსებობა დაინტერესებული პირის იგივე მოთხოვნით სასამართლოსთვის განმეორებით მიმართვას და სასამართლოს მიერ მის ხელმეორედ განხილვასა და გადაწყვეტას გამორიცხავს. შესაბამისად, კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების განსაკუთრებულობა ორმხრივად სავალდებულო აკრძალვას და იგიროგორც საქმეში მონაწილე პირებს, ასევე სასამართლოს ეხება.

⁴ Robert Wyness Millar, *The Premises of Judgment as Res Judicata in Continental and Anglo-American Law*, 39 MICH. L. REV. 1, 8 (1940)

გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის არსი სწორედ მისი „საბოლოობაა“. თავის მხრივ, საბოლოობის პრინციპი გადაწყვეტილების გასაჩივრებისა თუ გადასინჯვის, შესაბამისად, შეცვლის შეუძლებლობასა (კანონმდებლობით დადგენილი გამონაკლისის გარდა) და მისი შედეგების შეუქცევადობას გულისხმობს. ამ კონსტიტუციურ პრინციპს როგორც საჯარო, ისე - კერძოსამართლებრივი ფუნქცია აქვს. ის ისეთ საჯარო-სამართლებრივ ინტერესებს ემსახურება, როგორცაა: სამართლებრივი განსაზღვრულობა, სამართლებრივი უსაფრთხოება, სტაბილურობა და მართლმსაჯულებისადმი სანდოობა. ბუნებრივია, დუბლირებული სამართალწარმოება საფრთხეს მთლიანად სამართლებრივ წესრიგს შეუქმნიდა. საჯარო ინტერესებს შორის ეკონომიკური ინტერესიც დევს, რომ არ გაიფლანგოს სასამართლო რესურსი. ამასთან, გადაწყვეტილების საბოლოობის პრინციპი პირის კერძო ინტერესსა და უფლებას ემსახურება, რომ განმეორებითი სამართალწარმოებისგან იყოს დაცული.

ამდენად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება სამართლებრივი ბარიერია ხელახალი სამართალწარმოებისთვის, თუმცა იმისათვის, რომ სასამართლომ ამ საფუძვლით სარჩელის მიღებაზე თქვას უარი, გარკვეული წინაპირობები უნდა არსებობდეს. პრეცედენტული სამართლის ქვეყნებში, სადაც **Res Juticata** ფართოდ განიმარტება, ამ დოქტრინის ასამოქმედებლად ნაკლები წინაპირობა არსებობს,⁵ კონტინენტური ევროპის ქვეყნებისგან განსხვავებით.

გადაწყვეტილების მატერიალური კანონიერი ძალის ამ ნიშნის კონკრეტული გამოვლინებაა სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით განმტკიცებული წესი, რომლის თანახმად, სასამართლო სარჩელს არ მიიღებს, თუ არსებობს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, გამოტანილი დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით (სსსკ-ის 186.1 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი), ხოლო, თუ სასამართლო წარმოებაში მიიღებს ასეთ სარჩელს და შემდგომ აღმოაჩენს, რომ უკვე არსებობს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ან გა-

⁵ მაგ. აშშ-ში **Res Juticata**-ს პრინციპი იმ პირთა მიმართაც შეიძლება გავრცელდეს, რომლებიც პირველ დავაში მხარეებად არ მონაწილეობდნენ, მაგრამ მათი მოთხოვნა იმავე შემთხვევიდან გამომდინარეობს, რომელსაც უკვე განხილული სასარჩელო მოთხოვნა ემყარებოდა. ამ საკითხზე დაწვრილებით იხილეთ: **Andrew Tulumello and Dallas associate Mark Whitburn "Res Judicata and Collateral Estoppel Issues in Class Litigation," A Practitioner's Guide to Class Actions, Chapter 23. 2010.**

ნჩინება, რომელიც გამოტანილია დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით, სასამართლო მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით, საქმისწარმოებას შეწყვეტს (სსსკ-ის 187.2 მუხლი და 272-ე მუხლის „ბ“ პუნქტი).

ზემოხსენებული ნორმებით დადგენილი წესის ასამოქმედებლად აუცილებელია, შემდეგი წინაპირობები არსებობდეს: სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება,⁶ რომელიც გამოტანილია იმავე მხარეებს შორის, და ასევე - დავის საგნისა და სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლის იგივეობა.

Res Juticata-ს პრინციპს კანონით დადგენილი გამონაკლისი აქვს, კერძოდ, ასეთია სსსკ-ის 421.1 მუხლით დადგენილი წესი, რომლის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის (422-ე მუხლი) ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ (423-ე მუხლი) განცხადების ნანამძღვრები.

2. გადაწყვეტილების პრეიუდიციულობა (წინასწარ განსაზღვრულობა)

კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების პრეიუდიციულობა სსსკ-ის 266-ე მუხლის შემდეგ დანაწესში ვლინდება: **გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ მხარეებს, აგრეთვე მათ უფლებამონაცვლეებს, არ შეუძლიათ, სადავო გახადონ სხვა პროცესში გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები და სამართლებრივი ურთიერთობები.** გადაწყვეტილების პრეიუდიციული ძალის შესახებ მითითებულია სსსკ-ის 246-ე მუხლშიც (თუ სადავოა სასარჩელო მოთხოვნის როგორც ფაქტობრივი საფუძველი, ასევე ამ მოთხოვნის მოცულობა (ოდენობა), სასამართლოს შეუძლია, წინასწარი გადაწყვეტილება გამოიტანოს სასარჩელო მოთხოვნის ფაქტობრივი საფუძვლის შესახებ. კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ ამ გადაწყვეტილებას ექნება პრეიუდიციული ძალა სასამართლოს მეორე გადაწყვეტილები-

⁶ უნდა აღინიშნოს, რომ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლა აუცილებელი წინაპირობა არ არის სარჩელის მიღებაზე უარისათვის იმ შემთხვევაში, თუ სასამართლოს წარმოებაშია საქმე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით დავაზე (სსსკ-ის 186.1 „გ“ მუხლი).

სათვის, რომელიც მოთხოვნის მოცულობას განსაზღვრავს). კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტების პრეიუდიციაზე საუბარია, ასევე, სსსკ-ის 106-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტშიც. ამ ნორმის მიხედვით, **დამტკიცებას არ საჭიროებს ფაქტები, რომლებიც დადგენილია ერთ სამოქალაქო საქმეზე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, თუ სხვა სამოქალაქო საქმეების განხილვისას იგივე მხარეები მონაწილეობენ.**

გადაწყვეტილების პრეიუდიციულობა ორმხრივ სავალდებულო აკრძალვას გულისხმობს, რომელიც კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებით დადგენილი და დადასტურებული ფაქტების სხვაგვარად შეფასებას უკრძალავს სასამართლოს, ხოლო საქმეში მონაწილე პირებს - ამავე გადაწყვეტილებით დადგენილ ფაქტებთან და სამართლებრივ ურთიერთობებთან შედავებას, თუ სხვა საქმეში იგივე პირები ან მათი უფლებამონაცვლეები მონაწილეობენ.

სამოქალაქო საქმეზე კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილ ფაქტებს პრეიუდიციული მნიშვნელობა აქვთ და ისინი ხელახლა აღარ უნდა დამტკიცდეს სხვა სამოქალაქო საქმის განხილვის დროს, რომელშიც იგივე მხარეები მონაწილეობენ. იგივე მხარეებში იგულისხმებიან კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დასრულებულ საქმეში მონაწილე პირები, მიუხედავად იმისა, თუ რა სტატუსით მონაწილეობენ ისინი სხვა სამოქალაქო საქმის განხილვაში (მაგ. ახალ დავაში მოსარჩელე შეიძლება მოპასუხე იყოს, ეს უკანასკნელი კი, პირიქით - მოსარჩელე). მთავარია, რომ სხვა სამოქალაქო საქმის განხილვისას იგივე სუბიექტები მონაწილეობდნენ.

აქედან გამომდინარე, თუ ერთ-ერთი მხარე მაინც სხვა პირია, გადაწყვეტილებას პრეიუდიციული ძალა ვერ ექნება და ვერც ამ გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები დაედება საფუძვლად სხვა საქმეზე ადრე გამოტანილ გადაწყვეტილებას. ეს იმას ნიშნავს, რომ, ასეთ შემთხვევაში, იგივე ფაქტები, რაც დადგენილია სხვა საქმეზე ადრე გამოტანილი გადაწყვეტილებით, ხელმეორედ უნდა დადგინდეს და დადასტურდეს.⁷

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ გააუქმა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოს დაუბრუნა იმ საფუძვლით, რომ სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებულ გადაწყვეტი-

⁷ თ. ლილუაშვილი, ვ.ხრუსტალი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, გამომცემლობა „სანი“ 2004, გვ. 205

ლებას საფუძვლად დაუდო თბილისის საქალაქო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომლის კანონიერი ძალა, საკასაციო პალატის მითითებით, ამ კონკრეტულ დავაში მონაწილე მხარეებზე, სსსკ-ის 266-ე მუხლის დანაწესიდან გამომდინარე, ვერ გავრცელდებოდა. უზენაესმა სასამართლომ მიუთითა, რომ გადაწყვეტილების მატერიალურ კანონიერ ძალას კანონით განსაზღვრული სუბიექტური და ობიექტური ფარგლები აქვს, რომელიც გადაწყვეტილების მოქმედების საზღვრებს აზუსტებს. გადაწყვეტილების კანონიერი ძალა საქმის განხილვაში მონაწილე პირთა წრეზე (სუბიექტური ფარგლები) ვრცელდება. წინასწარ დადგენილი ძალის მქონე ფაქტებად კანონმდებელი კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებით დადგენილ ფაქტებს განიხილავს და მათ დასადასტურებლად მხარეს მტკიცებულებათა წარდგენის ვალდებულებისგან ათავისუფლებს იმ შემთხვევაში, თუ სამოქალაქო საქმის განხილვისას იგივე მხარეები მონაწილეობენ. ამდენად, პრეიუდიციული ძალის მქონედ ფაქტობრივი გარემოების მისაჩვენად, სავალდებულოა, არსებობდეს სამოქალაქო საქმეზე მიღებული, კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება და ამ გადაწყვეტილების სუბიექტები სხვა სამოქალაქო საქმის მხარეებად უნდა გვევლინებოდნენ. განსახილველ შემთხვევაში, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების მოსარჩელე იყო საკუთრების მიმნდობი პირი, რომელიც ამ დავაში აღარ მონაწილეობს, ხოლო მოპასუხეებს განსახილველი დავის მონაწილეები წარმოადგენდნენ. აქედან გამომდინარე, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტებისა და სამართლებრივი ურთიერთობების მოცემული საქმისათვის უდავოდ მიჩნევა არასწორია.⁸

პრეიუდიციულად დადგენილი ფაქტები მტკიცებას არ მოითხოვს იმიტომ, რომ ისინი უკვე დადგენილია სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით და, შესაბამისად, მათ ხელახლა დასადგენად არავითარი აუცილებლობა აღარ არსებობს, ე.ი. არ შეიძლება, ეს ფაქტები საექვო გახდეს.⁹ იგივეს ადგენს საკასაციო სასამართლოს პრაქტიკაც. მაგალითად, ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო პალატამ განმარტა, რომ პრეიუდიციული მნიშვნელობის ფაქტები შეუდავებელი ფაქტებია და სასამართლო უფლებამოსილი არ არის, ამ ფაქტების წინააღმდეგ წარდგენილი

⁸ იხ. სუსგ №ას-508-475-2017, 12 სექტემბერი, 2017 წელი; შდრ: სუსგ №ას-827-791-2014, 13.11.2015 წ. №ას-58-56-2016, 26.02.2016წ.

⁹ შ. ქურდაძე, ნ. ხუნაშვილი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მეორე გამოცემა, გამომცემლობა „მერიდიანი“ 2015, გვ. 277

შედავება სხვა დავაში მიიღოს მხედველობაში.¹⁰ სხვა საქმეში კი საკასაციო პალატამ მიუთითა: ისეთ ვითარებაში, როდესაც ერთმა მხარემ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება წარმოადგინა, ხოლო მეორე მხარემ - მტკიცებულება, რომელიც ამ გადაწყვეტილებით დადგენილი პრეიუდიციული ფაქტის არსებობას გამორიცხავს, პრიორიტეტი პრეიუდიციულ ფაქტს უნდა მიენიჭოს, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს უკანასკნელი მტკიცებების საგანში არ უნდა შევიდეს.¹¹

მტკიცების ტვირთისგან მხარის გათავისუფლების სსსკ-ის 106-ე მუხლში მოცემულ საფუძველში პრეიუდიციულობა ვლინდება, როგორც სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერი ძალის თვისება. სასამართლო გადაწყვეტილებისთვის პრეიუდიციული მნიშვნელობის მინიჭების მიზანი ამ გადაწყვეტილების კანონიერი ძალის მოქმედების, მისი სავალდებულოობისა და სტაბილურობის უზრუნველყოფაა და, ასევე - სასამართლოს სხვადასხვა აქტებს შორის შესაძლო კონფლიქტის გამორიცხვა.¹²

III. გადაწყვეტილების კანონიერი ძალის ობიექტური ფარგლები

1. სამოქალაქო საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებების კანონიერი ძალის ობიექტური ფარგლები

ა) მხარეთა მონაწილეობით მიღებული გადაწყვეტილებების კანონიერი ძალის ობიექტური ფარგლები

ორივე მხარის მონაწილეობით მიღებულ გადაწყვეტილებებს კონტრაქტორულ (დავის შედეგად მიღებულ) გადაწყვეტილებებს უწოდებენ. ამ ქვეთავში სწორედ ასეთი გადაწყვეტილებების კანონიერ ძალაზე ვისაუბრებთ. რაც შეეხება მხოლოდ ერთი მხარის მონაწილეობით მიღებულ გადაწყვეტილებებს (ე.წ. უდავო გადაწყვეტილებებს), მათზე საუბარი მომდევნო ქვეთავში გვექნება.

სსსკ-ის 243.1 მუხლის მიხედვით, გადაწყვეტილების სახით სასამართლოს ისეთი დადგენილება ფორმდება, რომლითაც საქმე არსებითად

¹⁰ სუსგ #ას-547-510-2017, 04.05.2018

¹¹ სუსგ №ას-144-137-2013; 4 მაისი, 2015 წელი

¹² შ. ქურდაძე, ნ. ხუნაშვილი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მეორე გამოცემა, გამომცემლობა „მერიდიანი“ 2015, გვ. 277-278

წყდება. ასეთი გადაწყვეტილების შინაარსს სსსკ-ის 249-ე მუხლი ადგენს. ამ ნორმის პირველი ნაწილის მიხედვით, გადაწყვეტილება შესავალი, აღწერილობითი, სამოტივაციო და სარეზოლუციო ნაწილებისგან შედგება. აქედან გამომდინარე, პრაქტიკული მნიშვნელობისაა, გაირკვეს, კანონიერი ძალა მთლიანად გადაწყვეტილებაზე ვრცელდება, თუ მხოლოდ მის ერთ რომელიმე ელემენტზე. სამოქალაქო საპროცესო სამართლის თეორიაში გავრცელებული შეხედულებით, რომელიც გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობას ემყარება, გადაწყვეტილების კანონიერი ძალა მხოლოდ ამ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილზე ვრცელდება. საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სამართლის თეორიაში გავრცელებულ ზემოხსენებულ მოსაზრებას და მიიჩნევს, რომ გადაწყვეტილების კანონიერი ძალა მთლიანად გადაწყვეტილებაზე ვრცელდება და მათ შორის, გადაწყვეტილების იმ ნაწილზეც, რომლითაც ფაქტები და სამართლებრივი ურთიერთობებია დადგენილი. ასეთი პრაქტიკა, უპირველესად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე და 266-ე მუხლების ანალიზს ეფუძნება, სადაც გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტებისა და სამართლებრივი ურთიერთობების პრეიუდიციაზეა მითითებული. სსსკ-ის 249-ე მუხლის მესამე და მეოთხე ნაწილების მიხედვით, გადაწყვეტილების აღწერილობით ნაწილში მოსარჩელის მოთხოვნა, ამ მოთხოვნასთან დაკავშირებით მოპასუხის პოზიცია, სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოებები, მტკიცებულებები მიეთითება, რომლებსაც სასამართლოს დასკვნები და მოსაზრებები ემყარება, ხოლო სამოტივაციო ნაწილში ის სამართლებრივი შეფასება და კანონებია ასახულია, რომლებითაც სასამართლო ხელმძღვანელობდა.

ზემოხსენებულ ნორმათა ანალიზიდან გამომდინარეობს, რომ კანონიერი ძალა და, შესაბამისად, პრეიუდიცია არ ვრცელდება კანონებზე, რომლებითაც სასამართლო ხელმძღვანელობდა; აგრეთვე სასამართლოს მოსაზრებებზე და სამართლებრივ შეფასებებზე, მაგრამ ვრცელდება ამ შეფასებების შედეგად დადგენილ ფაქტებზე და სამართლებრივ ურთიერთობებზე, რომლებიც გადაწყვეტილების აღწერილობით და სამოტივაციო ნაწილებში აისახება და, რომლებიც ამ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის საფუძველს (ფუნდამენტს) წარმოადგენს.

სასამართლო პრაქტიკაში კიდევ ერთი პრაქტიკული საკითხი არსებობს, კერძოდ, ვრცელდება თუ არა კანონიერი ძალა გადაწყვეტილებით დადგენილ ყველა ფაქტსა და სამართლებრივ ურთიერთობაზე?

კანონიერ ძალაში შედის გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილით დადგენილი მხოლოდ ის ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად ასაბუთებენ, ამართლებენ სარეზოლუციო ნაწილს.¹³ იგივე ითქმის სასამართლოს მიერ დადგენილ სამართლებრივ ურთიერთობებზეც. ამდენად, კანონიერი ძალა გადაწყვეტილებით დადგენილ არა ყველა ფაქტსა და სამართლებრივ ურთიერთობაზე ვრცელდება, არამედ მხოლოდ მათზე, რომლებიც ამ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის საფუძველია. ასეთივეა საკასაციო სასამართლოს პრაქტიკაც. როგორც ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო პალატამ განმარტა: ფაქტის პრეიუდიციულობის შემონღმებისას უნდა შეფასდეს არა მხოლოდ ფორმალურ-პროცესუალური წინაპირობები (*კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების არსებობა, რომლის სუბიექტებიც სხვა სამოქალაქო საქმის განხილვაში მონაწილეობენ*), არამედ, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოების შინაარსიც (ამ დროს ეს მნიშვნელოვანია). კერძოდ, დადგენილი ფაქტები უნდა ამართლებდეს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილს და განსაზღვრავდეს მხარის მატერიალურ-სამართლებრივ უფლებებსა და ვალდებულებებს, რაც გადაწყვეტილების გამოტანის საფუძველი გახდა.¹⁴ სხვა საქმეში საკასაციო პალატამ განმარტა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, დავაში მონაწილე მხარეთა მიმართ სხვა სამოქალაქო საქმეზე მიღებული, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილით დადგენილი ფაქტისათვის პრეიუდიციული ძალის მინიჭების საკითხის გადაწყვეტისას სასამართლო უნდა დარწმუნდეს, რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი იმ ფაქტს ეფუძნება, რომელიც მას იურიდიულად ამართლებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს ფაქტი არ შეიძლება პრეიუდიციულად მივიჩნიოთ და ის მტკიცების საგანში უნდა შევიდეს¹⁵. მნიშვნელოვანია საკასაციო სასამართლოს შემდეგი განმარტებაც: კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტებისათვის პრეიუდიციული მნიშვნელობის მინიჭებისას უნდა შეფასდეს თავად ამ გადაწყვეტილების ფარგლებში სასარჩელო მიოთხოვნის დამფუძნებელი ნორმა, რომლის აღწერილობით ნაწილში ნორმით განსაზღვრული შედეგის განმაპირობებელი აბსტრაქტული ელემენტებია გადმოცემული . . .

¹³ ვ.ხრუსტალი, ნაშრომი დასაზუსტებელია

¹⁴ სუსგ #ას-547-510-2017, 04.05.2018

¹⁵ სუსგ #ას-74-68-2015, 27.02.2015

თუკი კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, სასამართლო ნორმის შემადგენლობას გასცდება და იმგვარ ფაქტობრივ გარემოებას დაადგენს, რომელსაც სამართლებრივი შედეგისთვის მნიშვნელობა არ აქვს, ბუნებრივია, არც ამ და არც სხვა პროცესში ამგვარ ფაქტს სამართლებრივი ძალა არ მიენიჭება და სხვა, ახალი დავის წამოწყების შემთხვევაში, ის მტკიცების საგანში შემავალი გარემოება იქნება.¹⁶

პრაქტიკული მნიშვნელობისაა შემდეგი საკითხიც - შესაძლებელია თუ არა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილისაგან დამოუკიდებლად გადაწყვეტილების სხვა ნაწილის გასაჩივრება? უფრო ზუსტად, დასაშვებია თუ არა გადაწყვეტილების აღწერილობითი და სამოტივაციო ნაწილებით დადგენილი ფაქტებისა და სამართლებრივი ურთიერთობების გასაჩივრება ისე, რომ ამ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი არ გასაჩივრდეს.

სასამართლო პრაქტიკაში ასეთი საჩივრის შეტანას მხარეები შემდეგი არგუმენტებით ასაბუთებენ: რაკი გადაწყვეტილების აღწერილობითი და სამოტივაციო ნაწილებით დადგენილ ფაქტებთან და სამართლებრივ ურთიერთობებთან შედავება დაუშვებელია სხვა პროცესში, რომელშიც იგივე მხარეები მონაწილეობენ, მხარეს, რომლის სასარგებლოდაცაა გამოტანილი გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი, მაგრამ არაა ხელსაყრელი ამ გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები, გადაწყვეტილების ამ ნაწილის გასაჩივრება და მისი გაუქმების (შეცვლის) მოთხოვნა ისე უნდა შეეძლოს, რომ სარეზოლუციო ნაწილი უცვლელი დარჩეს.

ზემოხსენებულ არგუმენტებს იურიდიული დოქტრინა¹⁷ და სასამართლო პრაქტიკა¹⁸ არ იზიარებს შემდეგი მოსაზრებების გამო:

- სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერი ძალის ობიექტური ფარგლები ამ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილზე ვრცელდება, რომელიც სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, ან მასზე უარის თქმის შესახებ შეიცავს სასამართლოს დასკვნას. კანონიერი ძალა ვრცელდება, აგრეთვე, სასამართლოს მიერ დადგენილ იმ ფაქტებსა და სამართლებრივ ურთიერთობებზე, რომლებიც სარეზოლუციო ნაწილის საფუძველი გახდა, ანუ - გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილზე;

¹⁶ სუსგ #ას-1293-2018, 01.03.2019

¹⁷ თ. ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, გამომცემლობა „ჯისიაი“, 2005 წელი, გვ. 380-381

¹⁸ სუსგ #ას-710-1011-09, 07.09.2009; სუსგ #ას-74-68-2015, 27.02.2015; სუსგ №ას-58-56-2016, 26.02.2016; სუსგ #ას-1293-2018, 01.03.2019

- გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი, როგორც ამ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის საფუძველი და მასთან ორგანულად დაკავშირებული, არ შეიძლება, სარეზოლუციო ნაწილისგან დამოუკიდებლად გასაჩივრდეს, რადგან მისი გაუქმებით სარეზოლუციო ნაწილს გამოეცლება საფუძველი და მის ფაქტობრივ გაუქმებას გამოიწვევს. კერძოდ, თუ საჩივრის საფუძველზე, ზემდგომი ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილების მხოლოდ სამოტივაციო ნაწილს გააუქმებს, მან სხვა ისეთი ფაქტები და სამართლებრივი ურთიერთობები უნდა დაადგინოს, რომლებიც გადაწყვეტილების უცვლელად დატოვებული სარეზოლუციო ნაწილის დასაბუთება-გამართლებას ემსახურება. მაგრამ თუ ეს ვერ მოხერხდა იმის გამო, რომ ეს სხვა ფაქტები ვერ დადასტურდა, მაშინ გადაწყვეტილება სამოტივაციო ნაწილის გარეშე რჩება, შესაბამისად, იგი აღარ პასუხობს კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, კარგავს სასამართლო გადაწყვეტილების მნიშვნელობას და მისი აღსრულება აღარ შეიძლება.

იურიდიულ ლიტერატურაში არსებობს მოსაზრება, რომ ფაქტებისათვის პრეიუდიციული მნიშვნელობის მინიჭება ენინაალმდეგება შეჯიბრებითობის პრინციპს, რადგან მხარეებს უფლებას ართმევს, თავიანთ მოთხოვნებსა თუ შესაგებელს მათთვის სასურველი ფაქტები დაუდონ საფუძველად; ენინაალმდეგება ასევე - მოსამართლის მიერ მტკიცებულებათა შინაგანი რწმენის საფუძველზე შეფასების პრინციპს¹⁹, თუმცა ფაქტების პრეიუდიციასთან დაკავშირებული ძირითადი პრობლემა, რომელიც პრაქტიკაში გვხვდება, უკავშირდება არასწორად დადგენილი ფაქტობრივი გარემოების გამო მოგებული მხარის მიერ გადაწყვეტილების გასაჩივრების შეუძლებლობას, რამდენადაც პრეიუდიციულად დადგენილი გარემოება, შესაძლოა, არახელსაყრელი აღმოჩნდეს მისთვის ახალ დავაში, მხოლოდ სამოტივაციო ნაწილს კი მოგებული მხარე ვერ გაასაჩივრებს.

პრეიუდიციის ამ უარყოფით მხარეს აღნიშნული პრინციპის მთავარი არსი უპირისპირდება. ჯერ ერთი, არსებობს პრეზუმფცია, რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით საკითხი მხარეთა შორის სწორად გადაწყდა და ისინი ამ საკითხთან, უფლებასთან, სიკეთესთან, ქონებასთან დაკავშირებით შემდგომ სამართლებრივ ურთიერთობებს გააგრძე-

¹⁹ მ. სულხანიშვილი, *პრეიუდიციის განმაპირობებელი ფაქტორები და მათი მნიშვნელობა სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების დროს*, მართლმსაჯულება და კანონი, N3(42), 44

ლებენ გადაწყვეტილებით დადგენილი სინამდვილის გათვალისწინებით, მასზე დაყრდნობით ან მისგან გამომდინარე.²⁰ აღნიშნულს ეხმიანება თავად პრინციპის სახელწოდებაც, რომელიც ლათინური სიტყვიდან - „praejudicio“ მომდინარეობს და „წინასწარ გადაწყვეტას“, „წინასწარ დადგენას“ ნიშნავს, ე.ი. მართლზომიერად გადაწყვეტილი საკითხი, რომელიც შემდგომი სასამართლო გადაწყვეტილებაა დამოკიდებული.²¹ ამდენად, მიიჩნევა, რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ფაქტი დადგენილია სწორად, მიუხედავად იმისა, ხელსაყრელია თუ არა ის მხარისათვის; მეორეც, აღნიშნული პრინციპი გამორიცხავს სასამართლოს გადაწყვეტილებათა ურთიერთწინააღმდეგობას, რაც, თავის მხრივ, სასამართლოსადმი ნდობასა და მართლმსაჯულების განჭვრეტადობას უზრუნველყოფს. ერთი და იმავე ფაქტის ხელმეორედ განხილვის დაუშვებლობა ხელს უწყობს ეფექტურ, ობიექტურ და სამართლიან მართლმსაჯულებას და სასამართლო რესურსს ზედმეტად ან ბოროტად გამოყენებისგან იცავს. ეს საჯარო-სამართლებრივი ინტერესები პრეიუდიციის იმ უარყოფით მხარეს გადანონის, რომელმაც, ცალკეულ შემთხვევებში, შესაძლოა, მოგებული მხარის საწინააღმდეგოდ იმოქმედოს.

უზენაესი სასამართლოს განმარტებით, სსსკ-ის 266-ე მუხლის დათქმა მართლმსაჯულების განხორციელებისას მიღებული სასამართლო აქტის სავალდებულო ძალის, ასევე, ამ აქტისადმი სანდოობის პრინციპის შენარჩუნებას ემსახურება. ივარაუდება, რომ იმ სასამართლომ, რომელმაც მხარეებს შორის არსებულ სამართალური თვითობაზე ერთხელ უკვე იმსჯელა და გარკვეული ფაქტები დაადგინა, სასამართლოს დასკვნები ამ ფაქტებთან მიმართებით მტკიცებულებათა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური შემოწმების შედეგს ემყარება. შესაბამისად, თუ იგივე ფაქტები მათი შეფასება-დადგენის კუთხით კვლავ გახდებოდა სხვა სასამართლოს მიერ სხვა სამართალწარმოების პროცესში მსჯელობის საგანი, ამით სერიოზული საფრთხე შეექმნებოდა ზემოაღნიშნული პრინციპების დაცვას და, ზოგადად, მართლმსაჯულების სტაბილურობას.²²

²⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის გადაწყვეტილება, №3/1/531, 2013 წლის 5 ნოემბერი

²¹ შ. ქურდაძე, ნ. ხუნაშვილი „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი“, თბილისი, 2012

²² იხ. სუსგ №ას-144-137-2013; 04.05.2015

ბ) დაუსწრებელი და უდავო წარმოების შედეგად მიღებული გადაწყვეტილებების კანონიერი ძალის თავისებურებანი

დაუსწრებელი გადაწყვეტილების არსი, მნიშვნელობა, დამახასიათებელი თვისებებიც თითქმის იგივეა, რაც სასამართლო გადაწყვეტილებისა, მიუხედავად დაუსწრებელი წარმოების გამარტივებულობისა და, ასევე იმის მიუხედავად, რომ კანონი უშვებს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გადასინჯვის შესაძლებლობას მისი გამომტანი სასამართლოს მიერვე. დაუსწრებელი გადაწყვეტილებაც მართლმსაჯულების აქტია . . . და დაუსწრებელი გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შედეგებიც ისეთივეა, როგორც ჩვეულებრივი გადაწყვეტილებისა.²³

სსსკ-ის 234-ე მუხლის მიხედვით, დაუსწრებელი გადაწყვეტილება საპროცესო ნაწილის გარეშეც შეიძლება ჩამოყალიბდეს, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილება დასაბუთებას არ უნდა შეიცავდეს. დასაბუთების აუცილებლობა თვალსაჩინოა მაშინ, როდესაც სასამართლოს მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო დაუსწრებელი გადაწყვეტილება გამოაქვს სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ. სსსკ-ის 230-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, თუ სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდება მოპასუხე, რომელიც კანონით დადგენილი წესით მონვეული იყო საქმის განხილვაში, სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები დამტკიცებულად ითვლება. ამავე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით კი, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას, სარჩელი დაკმაყოფილდება. იგივე წესია დადგენილი მოპასუხის მიერ სსსკ-ის 201-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილ ვადაში პასუხის (შესაგებლის) წარუდგენლობისას დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამომტანის მიმართ (სსსკ-ის 232¹ მუხლი).

მითითებულ ნორმათა შინაარსიდან გამომდინარე, სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამომტანისას, სასამართლო ვალდებულია, გამოარკვიოს, სარჩელში მითითებული და დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები ამართლებენ თუ არა იურიდიული თვალსაზრისით მოთხოვნას. მოსარჩელის მოთხოვნის იურიდიული მართებულობის კვლევა კი, სასამართლოს მიერ მოთხოვნის დამფუძნებელი მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის სწორად მოძიე-

²³ შ. ქურდაძე, ნ. ხუნაშვილი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მეორე გამოცემა, გამომცემლობა „მერიდიანი“ 2015, გვ. 588

ბას მოიაზრებს. ამის შემდეგ სასამართლო ადგენს, სარჩელში მითითებული და კანონის ძალით დადგენილად მიჩნეული იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტები აკმაყოფილებენ თუ არა დამფუძნებელი ნორმის აბსტრაქტულ აღწერილობას, რაც დაუსწრებელი გადანყვეტილების გამოტანით სარჩელის დაკმაყოფილების აუცილებელი წინაპირობაა.

ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, როგორც სასამართლო სხდომაზე მოპასუხის გამოუცხადებლობის, ასევე მის მიერ შესაგებლის წარუდგენლობის გამო სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ გამოტანილ დაუსწრებელ გადანყვეტილებაში უნდა აისახოს: პირველი, სარჩელში მითითებული და დამტკიცებულად ცნობილი ფაქტები და, მეორე, მოთხოვნის დამფუძნებელი მატერიალურ-სამართლებრივი ნორმა/ნორმები, რომელიც მოსარჩელის მოთხოვნას იურიდიულად ამართლებს. ამდენად, ასეთ დაუსწრებელ გადანყვეტილებას აქვს როგორც აღწერილობითი ნაწილი (კანონის ძალით დადგენილად მიჩნეულ ფაქტებზე მითითება), ისე სამოტივაციო ნაწილი (კანონის ძალით დადგენილად მიჩნეული ფაქტების სამართლებრივი შეფასება). შესაბამისად, ამ გადანყვეტილებას დადგენილად მიჩნეული ფაქტების ნაწილში პრეიუდიციული ძალა გააჩნია სხვა სამოქალაქო საქმის განხილვისას, სადაც იგივე მხარეები მონაწილეობენ.

განსხვავებული ვითარებაა ისეთი დაუსწრებელი გადანყვეტილების შემთხვევაში, რომლითაც სარჩელი არ დაკმაყოფილდა სასამართლო სხდომაზე მოსარჩელის გამოუცხადებლობის გამო. ასეთი დაუსწრებელი გადანყვეტილება მხოლოდ იმის გამო მიიღება, რომ მოსარჩელე სასამართლო პროცესზე არ ცხადდება. მოსარჩელის გამოუცხადებლობის შემთხვევაში, სასამართლო „არ იხედება არც კანონში და არც საქმეში“. მას დაუსწრებელი გადანყვეტილება გამოაქვს მთლიანად სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ²⁴. შესაბამისად, ასეთი დაუსწრებელი გადანყვეტილება მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით დასაბუთებას არ შეიცავს, კერძოდ, კი სასამართლო არ იკვლევს სარჩელში მითითებულ გარემოებებს და იურიდიული თვალსაზრისით არ აფასებს მათ, უფრო მეტიც, სასამართლოს საერთოდ არ აინტერესებს, თუ რა ფაქტებია მითითებული სარჩელში. ამ დროს სასამართლო სხდომაზე მოსარჩელის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობა საკმარისია მის წინააღმდეგ დაუსწრებელი გადანყვეტილების მისაღებად. აქედან გამომდინარე

²⁴ თ. ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, გამომცემლობა „ჯისიაი“, 2005 წელი, გვ. 399

რე, რაკი მოსარჩელის წინააღმდეგ გამოტანილი დაუსწრებელი გადაწყვეტილება ფაქტებზე მითითებას არ შეიცავს, ცხადია, მას პრეიუდიციული ძალა ვერ ექნება. ამასთან, ასეთ დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზეც ვრცელდება გადაწყვეტილების კანონიერი ძალის ის თვისება, რომელიც საქმის განმეორებით განხილვას კრძალავს.

2. ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებების კანონიერი ძალის ობიექტური ფარგლები

სსსკ-ის 106-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის სიტყვასიტყვითი მნიშვნელობიდან გამომდინარე, ურთიერთპრეიუდიციულობით დაკავშირებულია მხოლოდ სამოქალაქო საქმეებზე მიღებული სასამართლოს გადაწყვეტილებები. მითითებული ნორმის ძველი რედაქციის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, პრეიუდიციული ძალა სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი და კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილ ფაქტებსაც გააჩნდა, როცა სასამართლო იმ პირის სამოქალაქო-სამართლებრივი შედეგების შესახებ იხილავდა საქმეს, ვის მიმართაც განაჩენი იყო გამოტანილი. 24.09.2010 წლის საკანონმდებლო ცვლილებით (**კანონი #3619-სსმ1, #51, 29.09.2010წ., მუხ. 332**), ეს ნორმა კოდექსიდან ამოიღეს, თუმცა მოგვიანებით, კერძოდ, 15.12.2010 წლის საკანონმდებლო ცვლილებით (**კანონი #4075-სსმ1, #76, 29.12.2010წ., მუხ. 505**), სამოქალაქო საპროცესო კოდექსს დაემატა XXXIV³ თავი, რომელმაც ცალკეული დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელის განხილვის გამარტივებული წესი დაადგინა. კერძოდ, სსსკ-ის 309¹⁶ მუხლის მიხედვით, ამ თავით დადგენილი წესით შეიძლება განიხილოს სარჩელი დანაშაულის ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ. განხორციელებული ცვლილების შედეგად, ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებებით დადგენილ ფაქტებს პრეიუდიციული ძალა მიენიჭათ იმ სამოქალაქო საქმეებისთვის, სადაც ცალკეული დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელები განიხილება. კერძოდ, სსსკ-ის 309¹⁷ და 309^{20.2} მუხლების შინაარსიდან გამომდინარე, **პრეიუდიციული მნიშვნელობისაა ზიანის მიყენების ფაქტი და ზიანის ოდენობა, რომელიც დასტურდება კანონიერ ძალაში შესული სასამართლო განაჩენით ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განმხილველი ორგანოს/თანამდებობის პირის მიერ ადმინისტრაციული სამა-**

რთლდარღვევის საქმეზე გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

არსებობს მოსაზრება, რომ პრეიუდიციული მნიშვნელობისაა მხოლოდ განაჩენით ან ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი ზიანის მიყენების ფაქტი, ამავე გადაწყვეტილებებით დადგენილი ზიანის ოდენობა კი, დადასტურებულად არ მიიჩნევა და სასამართლო მათ სსსკ-ის 105-ე მუხლის შესაბამისად²⁵ აფასებს. ასეთი დასკვნა არ გამომდინარეობს სსსკ-ის 309¹⁷ მუხლის მეორე ნაწილის დანაწესიდან. ამ ნორმის მიხედვით, თუ კანონიერ ძალაში შესული სასამართლო განაჩენი ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განმხილველი ორგანოს/თანამდებობის პირის მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მიყენებული ზიანის გაანგარიშებას არ შეიცავს, ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელს შეიძლება, უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ შედგენილი დოკუმენტიც დაერთოს, რომელშიც მიყენებული ზიანის ოდენობა იქნება განსაზღვრული. ამდენად, თუ განაჩენი ან ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მიყენებული ზიანის გაანგარიშებას შეიცავს, ანუ, თუ ზიანის ოდენობა დადგენილია, ამ ფაქტს პრეიუდიციული მნიშვნელობა აქვს და შესაბამის სამოქალაქო საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანისას გამოიყენება. ზიანის ოდენობის განმსაზღვრელი ექსპერტიზის დასკვნა ან უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ შედგენილი დოკუმენტი კი მხედველობაში მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღება, როდესაც განაჩენი ან ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მიყენებული ზიანის გაანგარიშებას არ შეიცავს.

უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი ეთგვაროვანი პრაქტიკის თანახმად, დანაშაულით ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელების განხილვისას, სსსკ-ის XXXIV³ დადგენილი ნორმები გამოიყენება. ამ კატეგორიის საქმეების განხილვის თავისებურება ისაა, რომ კანონიერ ძალაში შესული განაჩენით ან ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილ ფაქტებს (ზიანის მიყენებისა და ზიანის ოდენობის შესახებ) პრეიუდიციული მნიშვნელობა აქვთ. ეს იმას გულისხმობს, რომ დამტკიცებულად და განხორციელებულად ითვლება დელიქტური სამართლის მთავა-

²⁵ ქ. მესხიშვილი, *მართლსაწინააღმდეგო ქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე წარდგენილი სარჩელების სასამართლოს წესით განხილვის ზოგიერთი თავისებურების პრაქტიკული ანალიზი*, სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი, თბილისი, 2012, გვ. 94

რი ნორმის, სსკ-ის 992-ე მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის განმაპირობებელი ყველა სამართლებრივი წანამძღვარი: ქმედების მართლწინააღმდეგობა, ზიანი, ადექვატური მიზეზობრივი კავშირი და ბრალი.²⁶

IV. გადაწყვეტილების კანონიერი ძალის სუბიექტური ფარგლები

1. მხარეები და მათი უფლებამონაცვლები

გადაწყვეტილების კანონიერი ძალის სუბიექტური ფარგლები იმ პირთა წრეს გულისხმობს, რომლებზეც გადაწყვეტილების კანონიერი ძალა ვრცელდება.²⁷

იმ სუბიექტებს კი, რომლებზეც გადაწყვეტილების კანონიერი ძალა ვრცელდება, მიეკუთვნებიან მხარეები (მოსარჩელე/თანამოსარჩელე, მოპასუხე/თანამოპასუხე) და დავის საგანზე დამოუკიდებელი მოთხოვნის მქონე მესამე პირები.

საქმის განხილვაში მონაწილეობა, მხარეებზე და მესამე პირებზე დამოუკიდებელი მოთხოვნით, გადაწყვეტილების კანონიერი ძალის მოქმედების გავრცელების სავალდებულო პირობაა.²⁸ ითვლება, რომ მხარე (მესამე პირი) მონაწილეობდა საქმის განხილვაში, თუ მას ან მის წარმომადგენელს სსსკ-ის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, შეტყობინება გაეგზავნა საქმის განხილვაში მონაწილეობის შესახებ, მიუხედავად იმისა, გამოცხადდნენ თუ არა ისინი სხდომაზე.

გადაწყვეტილების კანონიერი ძალა მხარეთა უფლებამონაცვლებზეც ვრცელდება. ამის შესახებ პირდაპირაა მითითებული სსსკ-ის 266-ე მუხლში (**გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ მხარეებს, აგრეთვე მათ უფლებამონაცვლებს არ შეუძლიათ . . .**). სსსკ-ის 92-ე მუხლის მიხედვით, უფლებამონაცვლეობა პროცესის ნებისმიერ სტადიაზეა დასაშვები, მათ შორის, აღსრულების სტადიაზეც. თუ უფლებამონაცვლეობის საფუძველები სასამართლოში საქმის წარმოების დროს წარმოიშვა, სასამართლო ვალდებულია, საქმის წარმოება უფლებამონაცვლის დადგენამდე შეაჩეროს, ხოლო ამ უკანასკნელის დადგენის შე-

²⁶ სუსგ №ა-866-833-2016, 28.02.2017; სუსგ №ა-769-737-2016, 20.06.2018

²⁷ თ.ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, გამომცემლობა „ჯისიაი“, 2005 წელი, გვ. 382

²⁸ თ.ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, გამომცემლობა „ჯისიაი“, 2005 წელი, გვ. 382

მდეგ, დაინტერესებული მხარის განცხადების საფუძველზე, საქმეში ჩააბას იგი (სსსკ-ის 92-ე მუხლი, 279-ე მუხლის „ა“ ქვენქტი). ამა თუ იმ მხარის უფლებამონაცვლედ საქმეში დაშვების შემდეგ, უფლებამონაცვლე საქმის განხილვაში მონაწილეობას აგრძელებს და, ცხადია, გადაწყვეტილების კანონიერი ძალა მასზე ვრცელდება.

უფლებამონაცვლეობის საფუძველები გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ - აღსრულების სტადიაზეც შეიძლება წარმოიშვას. რაკი უფლებამონაცვლეობა ამ სტადიაზეც დასაშვებია, გადაწყვეტილების კანონიერი ძალა ამ სტადიაზე დაშვებული უფლებამონაცვლეობის მიმართაც ვრცელდება, მიუხედავად იმისა, რომ ისინი საქმის განხილვაში არ მონაწილეობდნენ. ასეთი დასკვნა არა მარტო ზემოხსენებული საპროცესო ნორმების ანალიზიდან გამომდინარეობს, არამედ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის დანაწესიდანაც, რომლის თანახმად, სააღსრულებო ფურცელი შეიძლება გაიცეს გადაწყვეტილებაში დასახელებული კრედიტორის უფლებამონაცვლე პირის სასარგებლოდ ან მოვალის უფლებამონაცვლე პირის საწინააღმდეგოდ, თუ უფლებამონაცვლეობა ნათელია ან ამის დამადასტურებელი დოკუმენტი სათანადოდ უფლებამოსილმა ორგანომ შეადგინა ან ნოტარიუსმა დაამოწმა. თუ სათანადოდ უფლებამოსილი ორგანოს მიერ შედგენილი ან ნოტარიუსის მიერ დამოწმებული დოკუმენტის საშუალებით საჭირო დადასტურება ვერ ხერხდება, მაშინ კრედიტორმა ან მისმა უფლებამონაცვლე პირმა უფლებამონაცვლეობის დადგენისა და სააღსრულებო ფურცლის გაცემის თაობაზე გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს უნდა მიმართოს. მითითებული ნორმის ანალიზით ირკვევა, რომ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ (აღსრულების სტადიაზე) სააღსრულებო ფურცელი შეიძლება ამ გადაწყვეტილებაში დასახელებული კრედიტორის უფლებამონაცვლე პირის სასარგებლოდ ან მოვალის უფლებამონაცვლე პირის საწინააღმდეგოდ გაიცეს, რაც იმას ნიშნავს, რომ კრედიტორისა და მოვალის უფლებამონაცვლე პირებზე ვრცელდება სსსკ-ის 266-ე მუხლის დანაწესი, რომლის მიხედვით ისინი შებოჭილი არიან როგორც კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საბოლოობით, ისე მისი პრეიუდიციულობით.

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის გამოყენებისას, ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო პალატამ განმარტა: დასახელებული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ შესაძლებელია, სასამართლომ სააღსრულებო ფურცელი გასცეს არა უშუალოდ იმ მხარის მიმართ, რომლის წინააღმდეგაც გამოტანილია გადაწყვეტილება, არამედ

მისი უფლებამონაცვლის მიმართაც. კანონის აღნიშნული დანაწესი გათვალისწინებულია ისეთი შემთხვევისათვის, როდესაც მოვალის უფლებამონაცვლე სასამართლოს მიერ საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ დგინდება და სასამართლო გადაწყვეტილების ჯეროვან და ეფექტურ აღსრულებას ემსახურება. ამასთან, აღსანიშნავია, რომ დასახელებული ნორმა სასამართლო გადაწყვეტილებაზე სააღსრულებო ფურცლის ამონერის შემდეგ მოვალის მისი უფლებამონაცვლით შეცვლის შესაძლებლობას არ კრძალავს.²⁹

ზემოხსენებული კანონის ნორმა უფლებამონაცველებობის საკითხს ე.წ. აღსრულებითი გადაწყვეტილებების მიმართ აწესრიგებს. რაც შეეხება აღიარებით და გარდაქმნით გადაწყვეტილებებს, არც ამ გადაწყვეტილებებით დადგენილი ფაქტები და სამართლებრივი ურთიერთობები აღარ შეიძლება, მხარეებმა და მათმა უფლებამონაცვლეებმა სადავო გახადონ. ასეთი გადაწყვეტილებების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ კი, რაკი მათზე სააღსრულებო ფურცელი არ გაიცემა, უფლებამონაცველებობის საკითხი შეიძლება, გადაწყვეტილების განმარტების წესით (სსსკ-ის 262-ე მუხლის ანალოგიით) მოგვარდეს.

2. მესამე პირები დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე

სსსკ-ის 106-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტისა და 266-ე მუხლის სიტყვასიტყვითი განმარტებით, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების პრეიუდიციულობა მხოლოდ მხარეებსა და მათ უფლებამონაცვლეებზე ვრცელდება. იურიდიულ დოქტრინაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ეს ნორმები უფრო ფართოდ უნდა განიმარტოს და გადაწყვეტილების პრეიუდიციულობა საქმეში მონაწილე ყველა პირსა და მათ უფლებამონაცვლეზე უნდა გავრცელდეს.³⁰

მსგავსი მსჯელობაა განვითარებული, ასევე, სხვა ავტორის მიერ, კერძოდ, მისი მოსაზრებით, ფაქტების დადგენის ნაწილში გადაწყვეტილების კანონიერი ძალა მესამე პირებზე დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე ვრცელდება იმ პირობით, თუ ისინი ჩაბმული იყვნენ საქმის განხილვაში.³¹

²⁹ სუსგ ას-189-454-08, 19.05.2008

³⁰ შ.ქურდაძე, ნ.ხუნაშვილი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მეორე გამოცემა, გამომცემლობა „მერიდიანი“ 2015, გვ. 277

³¹ თ.ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, გამომცემლობა „ჯისიი“, 2005 წელი, გვ. 384

ზემოხსენებული მოსაზრებებიდან შემდეგი დასკვნა გამომდინარეობს: მესამე პირებზე დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე ვრცელდება სსსკ-ის 266-ე მუხლის მხოლოდ ის დათქმა, რომლის ძალითაც მათ არ შეუძლიათ, სადავო გახადონ სხვა პროცესში გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები და სამართლებრივი ურთიერთობანი. რაც შეეხება ამავე მუხლით დადგენილ საქმის განმეორებით განხილვის აკრძალვას, ის მხოლოდ მხარეებზე, დამოუკიდებელი მოთხოვნის მქონე მესამე პირებზე და მათ უფლებამონაცვლეებზე ვრცელდება. დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირების მიმართ კი, ადრე განხილულ სარჩელთან ახალი სარჩელის იგივეობრიობის საკითხი ვერ დაისმება, რადგან მესამე პირი მხარე არ არის და არ შეიძლება მას რაიმე მოქმედების შესრულება დაეკისროს რომელიმე მხარის მიმართ ან რაიმე მიეკუთვნოს რომელიმე მხარისგან.

მიიჩნევა, რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების პრეიუდიციულობა, როგორც წესი, ე.წ. რეგრესული სარჩელის განხილვისას გამოიყენება, რომელიც დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე აღძრული მესამე პირის მიმართ, რომელიც ამ სტატუსით ზიანის ანაზღაურების შესახებ ძირითადი სარჩელის განხილვაში იყო ჩაბმული.

პრეიუდიციულობის დამდგენ ნორმათა ფართოდ განმარტებისა და დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირებზე მათი გავრცელების შემთხვევაში რამდენიმე პრაქტიკული მნიშვნელობის საკითხი წამოიჭრება, კერძოდ: უნდა გავრცელდეს თუ არა მესამე პირებზე გადაწყვეტილების კანონიერი ძალა იმ შემთხვევებში, თუ მოპასუხემ, რომლის მხარეზეც მესამე პირია ჩაბმული, სარჩელი სცნო, ან კიდევ მის წინააღმდეგ გამოტანილი გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება არ გამოიყენა. მართალია, მესამე პირებს დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მნიშვნელოვანი საპროცესო უფლებები აქვთ (სსსკ-ის 91-ე მუხლი), მაგრამ მათ გადაწყვეტილების გასაჩივრება არ შეუძლიათ. შესაბამისად, თუ მოპასუხე არ გაასაჩივრებს გადაწყვეტილებას, რომელსაც არ ეთანხმება მესამე პირი, გაუგებარია, როგორ უნდა დაიცვას თავი ამ უკანასკნელმა მოსალოდენელი რეგრესული სარჩელისგან. ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში, მოპასუხის წინააღმდეგ გამოტანილი გადაწყვეტილების კანონიერი ძალა მესამე პირზე არ უნდა გავრცელდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, საქმის განხილვაში ჩაბმის მიუხედავად, დაირღვევა მისი უფლება, შეედავოს გადაწყვეტილებას და ამტკიცოს, რომ მოპასუხისთვის ზიანის დაკისრების საფუძველი არ არსებობს. იმ შემთხვევაში კი, თუ მოპასუხე და მის მხარეზე საქმეში ჩაბმული მესამე პირი კანონით მინიჭებული ყველა უფლე-

ბით ისარგებლებენ, მაგრამ საქმეს მაინც წააგებენ, გადანყვეტილების კანონიერი ძალა მესამე პირზეც უნდა გავრცელდეს. სხვაგვარად, საქმეში მის ჩაბმას აზრი დაეკარგება.

მუხლი 364. სააპელაციო საჩივრის შეტანა

სასამართლოს პირველი ინსტანციით გამოტანილი გადაწყვეტილება მხარეებმა და მესამე პირებმა დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით შეიძლება კანონით დადგენილ ვადაში გაასაჩივრონ სააპელაციო სასამართლოში.

მუხლი 365. სააპელაციო საჩივრის ღირებულება

სააპელაციო საჩივარი ქონებრივ-სამართლებრივ დავაში დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ დავის საგნის ღირებულება აღემატება 2 000 ლარს. ეს ღირებულება განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ გასაჩივრებული გადაწყვეტილების რა ზომით შეცვლაზე შეაქვს საჩივარი მხარეს.

მუხლი 368. სააპელაციო საჩივრის შინაარსი

1. სააპელაციო საჩივარი უნდა შეიცავდეს:

ა) იმ სასამართლოს დასახელებას, რომლის სახელზედაც არის შედგენილი საჩივარი;

ბ) იმ პირის დასახელებასა და მისამართს, რომელსაც შეაქვს საჩივარი;

გ) გასაჩივრებული გადაწყვეტილების ზუსტ დასახელებასა და მითითებას ამ გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოზე;

დ) მითითებას იმის თაობაზე, თუ გადაწყვეტილების რა ნაწილია გასაჩივრებული;

ე) მითითებას, თუ რაში მდგომარეობს გადაწყვეტილების უსწორობა და კონკრეტულად რას მოითხოვს სააპელაციო საჩივრის შემტანი პირი;

ვ) მითითებას გარემოებებზე, რომლებიც ასაბუთებენ სააპელაციო საჩივარს, და მტკიცებულებებზე, რომლებიც ადასტურებენ ამ გარემოებებს;

ზ) სააპელაციო საჩივარზე დართული წერილობითი მასალების ნუსხას;

თ) მითითებას, ხომ არ სურს სააპელაციო საჩივრის წარმდგენს საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვა;

ი) მითითებას, ხომ არ სურს სააპელაციო საჩივრის წარმდგენს დავის სასამართლო მედიაციის გზით განხილვა.

2. სააპელაციო საჩივარი, აგრეთვე დამატებით შემოსული მასალები სასამართლოს წარედგინება იმდენი ასლის დართვით, რამდენი მონაწილეც არის საქმეში.

3. სააპელაციო საჩივარს ხელს აწერს მისი შემტანი პირი ან წარმომადგენელი.

4. თუ უფლებამოსილების დამადასტურებელი საბუთი საქმეში არ არის, წარმომადგენლის მიერ შეტანილ სააპელაციო საჩივარს უნდა დაერთოს სააპელაციო საჩივრის შეტანაზე მისი უფლებამოსილების დამადასტურებელი მინდობილობა.

5. თუ სააპელაციო საჩივარი არ უპასუხებს ზემოჩამოთვლილ მოთხოვნებს ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას ვადას უნიშნავს. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, სააპელაციო საჩივარი აღარ მიიღება.

6. სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილია სააპელაციო საჩივარზე დადგენილი ხარვეზის შესახებ შეტყობინება მხარეებს (მათ წარმომადგენლებს) აცნობოს ტელეფონით, თუ ხარვეზი შეეხება ამ მუხლის პირველი ნაწილის „ა“-„გ“ და „ზ“-„ი“ ქვეპუნქტებითა და მე-2-მე-4 ნაწილებით გათვალისწინებულ სააპელაციო საჩივრის ფორმალურ (და არა შინაარსობრივ) მხარეს ან სააპელაციო საჩივარს არ ერთვის სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი. ასეთი წესით ინფორმირების შემთხვევაში ხარვეზის შესახებ განჩინება სატელეფონო შეტყობინების განხორციელების დღეს ჩაბარებულიად ითვლება.

7. სააპელაციო საჩივარზე ხარვეზის შესავსებად სააპელაციო სასამართლოს მიერ დანიშნული ვადა სასამართლომ შეიძლება გააგრძელოს მხოლოდ მხარეთა თხოვნით.

მუხლი 379. შეგებებული სააპელაციო საჩივარი

მონინალმდევე მხარეს შეუძლია სააპელაციო საჩივრის გადაცე-
მიდან 10 დღის ვადაში წარადგინოს შეგებებული სააპელაციო საჩივა-
რი, მიუხედავად იმისა, განცხადებული აქვს თუ არა უარი სააპელა-
ციო საჩივრის შეტანაზე. სააპელაციო საჩივარზე უარის თქმის ან მი-
სი განუხილველად დატოვების შემთხვევაში შეგებებული სააპელა-
ციო საჩივარი არ განიხილება.

მუხლი 380. ახალი ფაქტები და მტკიცებულებები

1. სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას შეიძლება მო-
ყვანილ იქნეს ახალი ფაქტები და წარდგენილ იქნეს ახალი მტკიცებუ-
ლებები.

2. სააპელაციო სასამართლო არ მიიღებს ახალ ფაქტებსა და მტკი-
ცებულებებს, რომლებიც მხარეს შეეძლო წარედგინა პირველი ინსტა-
ნციის სასამართლოში საქმის განხილვისას, მაგრამ არასაპატიო მი-
ზეზით არ წარადგინა.

მუხლი 384. გადაწყვეტილების შეცვლის ფარგლები

სააპელაციო ინსტანციის სასამართლო უფლებამოსილია შეცვა-
ლოს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება მხოლოდ
იმ ფარგლებში, რასაც მხარეები მოითხოვენ.

**მუხლი 385. გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის უკან დაბრუ-
ნება ხელახლა განსახილველად**

1. სააპელაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს
უბრუნებს პირველი ინსტანციის სასამართლოს ხელახლა განსახი-
ლველად, თუ:

ა) ადგილი აქვს 394-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებს;

ბ) გასაჩივრებული სასამართლო გადაწყვეტილებით არასწორად ეთქვა უარი დაუსწრებელი გადაწყვეტილების თაობაზე შეტანილი საჩივრის დაშვებაზე;

გ) გასაჩივრებული გადაწყვეტილება შეეხება მხოლოდ სარჩელის დასაშვებობას;

დ) გასაჩივრებული გადაწყვეტილება არასწორად გამოტანილი განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილებაა.

2. სააპელაციო სასამართლოს შეუძლია არ გადააგზავნოს საქმე უკან და თვითონ გადაწყვიტოს იგი.

ულრის ჰაგენლოხი

364-ე და მომდევნო მუხლები

364-ე და მომდევნო მუხლები

ქართული სსკ-დან მოყვანილი ნორმები:

- სსკ-ის 364-ე მუხლი, ა.ნ. 27 და მომდევნო აბზაცები
- სსკ-ის 365-ე მუხლი, ა.ნ. 13 და მომდევნო აბზაცები
- სსკ-ის 368-ე მუხლი
- სსკ-ის 379-ე მუხლი, ა.ნ. 89 და მომდევნო აბზაცები
- სსკ-ის 380-ე მუხლი, ა.ნ. 73 და მომდევნო აბზაცები
- სსკ-ის 384-ე მუხლი, ა.ნ. 92 და მომდევნო აბზაცები
- სსკ-ის 385-ე მუხლი, ა.ნ. 81 და მომდევნო აბზაცები

გერმანული სააპელაციო წარმოების ძირითადი მახასიათებლები

1. გერმანული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის სააპელაციო წარმოება შესამჩნევად განსხვავდება ქართული სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული აპელაციისგან. ამიტომ, გერმანული სააპელაციო წარმოების საფუძვლები მხოლოდ მოკლე მონახაზის სახით არის წარმოდგენილი ქვემოთ და განხილულია ის გარკვეული საკითხები, რომლებიც საქართველოს სააპელაციო წარმოებისთვისაც, შეიძლება, საინტერესო იყოს.

2. 1. გერმანიაში, GER-ZPO-ს § 511-ის შესაბამისად, აპელაცია დასაშვებია პირველი ინსტანციის სასამართლოების საბოლოო გადაწყვეტილებების მიმართ, როდესაც ან **საჩივრის საგნის ღირებულება აღემატება 600.- €-ს** ან თუ 600.- €-ზე ნაკლები ღირებულების საჩივრის შემთხვევაში, პირველი ინსტანციის სასამართლომ აპელაცია დაუშვა სადავო საკითხის ფუნდამენტური მნიშვნელობის ან სამართლის განვითარების ან ერთიანი სასამართლო პრაქტიკის უზრუნველყოფის გამო.

3. ა) გერმანიაში სააპელაციო საჩივარი უშუალოდ სააპელაციო სასამართლოში უნდა შევიდეს. საქართველოსგან განსხვავებით, გერმანიაში განასხვავებენ სააპელაციო საჩივარს და სააპელაციო საჩივრის წერილობით დასაბუთებას. სააპელაციო საჩივარი **აპელაციისთვის** დადგენილი ერთთვიანი ვადის (შეადარეთ, ვადის დენის დანყებასთან დაკავშირებით, გამოცხადების ხარვეზების არსებობისას: 399-ე და მომდევნო მუხლები ა.ნ. 78) ფარგლებში უნდა შევიდეს; იგი, GER-ZPO-ს § 519-ის შესაბამისად, უნდა შეიცავდეს იმ გადაწყვეტილების დასახელებას, რომლის წინააღმდეგაც არის აპელაცია მიმართული და განმარტებას, რომ ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგ ხდება სააპელაციო საჩივრის შეტანა. აპელაციისთვის დადგენილი ვადის დენა სრულყოფილი ფორმით შედგენილი გადაწყვეტილების ჩაბარებიდან იწყება, მაგრამ გადაწყვეტილების გამოცხადებიდან, არაუგვიანეს, 5 თვის გასვლისა (აღნიშნულის თაობაზე იხილეთ ზემოთ, 264-ე მუხლი ა.ნ. 15). სააპელაციო საჩივარი და სააპელაციო საჩივრის წერილობითი დასაბუთება, შეიძლება, ერთ წერილობით დოკუმენტში იყოს გაერთიანებული, რაც პრაქტიკაში იშვიათია.

4. სააპელაციო საჩივრის წერილობით დასაბუთებასთან დაკავშირებით, კანონი ადგენს:

§ 520 GER-ZPO - სააპელაციო საჩივრის წერილობითი დასაბუთება

(1) აპელაციის მოსარჩელემ უნდა დაასაბუთოს სააპელაციო საჩივარი.

(2) სააპელაციო საჩივრის დასაბუთების ვადაა ორი თვე და იწყება სრულყოფილი ფორმით შედგენილი გადაწყვეტილების ჩაბარებით, მისი გამოცხადებიდან, არაუგვიანეს, ხუთი თვის გასვლისა. თავმჯდომარეს შეუძლია განაცხადის საფუძველზე გააგრძელოს ვადა, თუ მონინააღმდეგე მხარე ამაზე თანახმა იქნება. თანხმობის გარეშე შესაძლებელია ვადის ერთ თვემდე გაგრძელება, როდესაც თავმჯდომარის თავისუფალი რწმენით, სასამართლო დავა გაგრძელებით არ გაჭიანურდება ან როდესაც აპელაციის მოსარჩელე არსებით მიზეზებს წარადგენს.

(3) სააპელაციო საჩივრის წერილობითი დასაბუთება, თუ იგი უკვე სააპელაციო საჩივარში არ არის წარმოდგენილი, წერილობითი სახით უნდა შევიდეს სააპელაციო სასამართლოში. სააპელაციო საჩივრის წერილობითი დასაბუთება უნდა შეიცავდეს:

1. განმარტებას, თუ რამდენად ხდება გადაწყვეტილების გასაჩივრება და გადაწყვეტილების რა ცვლილებებია მოთხოვნილი (სააპელაციო განაცხადები);

2. იმ გარემოებათა მითითებას, რომლებიდანაც გამომდინარეობს სამართლის დარღვევა და მათი არსებითობა გასაჩივრებული გადაწყვეტილებისთვის;

3. კონკრეტული მტკიცებულებების დასახელებას, რომლებიც ეჭვებს იწვევს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში დადგენილი ფაქტების სინსწორის ან სრულყოფილების მიმართ და ამიტომ საჭიროებს ხელახალ დადგენას;

4. შეტყვის ან დაცვის ახალი საშუალებების, აგრეთვე, იმ ფაქტების დასახელებას, რომელთა საფუძველზეც უნდა იქნეს დაშვებული, § 531-ის მე-2 აბზაცის მიხედვით, შეტყვის ან დაცვის ახალი საშუალებები.

(4) გარდა ამისა, სააპელაციო საჩივრის წერილობითი დასაბუთება უნდა შეიცავდეს:

1. საჩივრის საგნის ღირებულების მითითებას, რომელიც გამოხატული არ არის გარკვეული ფულადი თანხით, როდესაც მასზეა დამოკიდებული აპელაციის დასაშვებობა;

2. განცხადებას იმასთან დაკავშირებით, ხომ არ არსებობს რაიმე მიზეზები მოსამართლის მიერ საქმის ერთპიროვნულად გადაწყვეტის წინააღმდეგ.

(5) ზოგადი წესები მოსამზადებელი წერილობითი დოკუმენტების შესახებ სააპელაციო საჩივრის წერილობითი დასაბუთების მიმართაც გამოიყენება

5. სააპელაციო საჩივრისთვის დადგენილი ერთთვიანი ვადისგან განსხვავებით, **სააპელაციო საჩივრის წერილობითი დასაბუთებისთვის** სასამართლოსგან ორთვიანი ვადის მოთხოვნაც შეიძლება. სასამართლო პრაქტიკა, ამ თვალსაზრისით, გულუხვია და შესაბამისი განაცხადის საფუძველზე, როგორც წესი, აგრძელებს მას.

6. ბ) აპელაცია GER-ZPO-ს § 513-ის შესაბამისად, შეიძლება მხოლოდ იმას დაეფუძნოს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება გამოტანილია კანონის დარღვევით ან რომ GER-ZPO-ს

§ 529-ის მიხედვით, აპელაციის საფუძვლად გამოსაყენებელი ფაქტები იმაზე მიუთითებს, რომ სხვაგვარი გადაწყვეტილება უნდა გამოტანილიყო.

§ 529 GER-ZPO - სააპელაციო სასამართლოს მიერ შემონმების ფარგლები

(1) სააპელაციო სასამართლომ საქმის განხილვასა და გადაწყვეტილების მიღებას საფუძვლად უნდა დაუდოს:

1. პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტები, თუ არ არსებობს კონკრეტული მტკიცებულებები, რომლებიც გადაწყვეტილების მიღებისთვის მნიშვნელოვანი დასკვნების სისწორეში ან სრულყოფილებაში ეჭვის შეტანის საფუძველს იძლევა და ამიტომ ხელახალი დასკვნების გაკეთებას მოითხოვს;

2. ახალი ფაქტები, თუ მათი გათვალისწინება დასაშვებია.

(2) პროცესის ნაკლზე, რომელიც თანამდებობის მიხედვით (*ex officio*) გათვალისწინებას არ მოითხოვს, გასაჩივრებული გადაწყვეტილება მხოლოდ იმ შემთხვევაში მონმდება, თუ მასზე პრეტენზია § 520-ის მე-3 აბზაცის მიხედვითაა წარდგენილი. სხვა მხრივ, სააპელაციო სასამართლო სააპელაციო საჩივარში წარმოდგენილი პრეტენზიებით შეზღუდული არ არის.

7. საქართველოსგან განსხვავებით, სააპელაციო საჩივრის დასაბუთება არ შეიძლება იმით, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ თავისი განსჯადობა არასწორად ივარაუდა (GER-ZPO-ს § 513-ის მე-2 აბზაცი).

8. გ) გერმანული სამოქალაქო საპროცესო კოდექსი შესაძლებლობას იძლევა, რომ გარკვეული წინაპირობების არსებობისას, აპელაციაზე უარი განჩინებით ანუ ზეპირი განხილვის გარეშე ეთქვას (GER-ZPO-ს § 522-ის მე-2 აბზაცი). იმავე ნორმის პირველ აბზაცში დარეგულირებულია პროცედურა დაუშვებელი აპელაციისას:

§ 522 GER-ZPO - დასაშვებობის შემონმება; განჩინება განხილვაზე უარის თქმის შესახებ

(1) სააპელაციო სასამართლომ თანამდებობის მიხედვით (*ex officio*) უნდა შეამონმოს, არის თუ არა სააპელაციო საჩივრის შეტანა, როგორც ასეთი, შესაძლებელი და არის თუ არა იგი კანონით დადგენილი ფორმისა და ვადის დაცვით წარდგენილი და დასაბუთებული. თუ ამ მოთხოვნათა-

გან რომელიმე სახეზე არ არის, მაშინ სააპელაციო საჩივარი, დაუშვებლობის გამო უარყოფილი უნდა იყოს. გადაწყვეტილების გამოტანა განჩინების სახით შეიძლება. განჩინების წინააღმდეგ საჩივარი გამოიყენება (*Rechtsbeschwerde*).

(2) სააპელაციო სასამართლომ განჩინებით, დაუყოვნებლივ, უნდა თქვას უარი სააპელაციო საჩივრის განხილვაზე, თუ ის ერთხმად დარწმუნებულია იმაში, რომ:

1. სააპელაციო საჩივარს აშკარად არ აქვს წარმატების შანსი;
2. სამართლებრივ საკითხს არავითარი ფუნდამენტური მნიშვნელობა არ აქვს;
3. სამართლის განვითარების ან ერთიანი სასამართლო პრაქტიკის უზრუნველყოფისთვის აუცილებელი არ არის სააპელაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანა;
4. ზეპირი განხილვა რეკომენდებული არ არის.

სააპელაციო სასამართლო ან თავმჯდომარე მოვალეა, რომ ასეთი განჩინების გამოტანამდე მხარეებს სააპელაციო საჩივარის მიღებაზე უარის თქმის განზრახვასა და მის მიზეზებზე მიუთითოს და საშუალება მისცეს სააპელაციო საჩივრის შემტანს, თავისი პოზიცია მითითებული ვადის ფარგლებში გამოხატოს. პირველი წინადადებით გათვალისწინებული განჩინება უნდა დასაბუთდეს, თუ საჩივრის განხილვაზე უარის მიზეზები უკვე შესული არ არის მე-2 წინადადებით გათვალისწინებულ მითითებაში. გარდა ამისა, განჩინება, რომლის გასაჩივრებაც შესაძლებელია, მითითებას უნდა შეიცავდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივ დასკვნებზე, შესაძლო ცვილებებისა და დამატებების ასახვასთან ერთად.

(3) მე-2 აბზაცის პირველი წინადადებით გათვალისწინებული განჩინების წინააღმდეგ, სააპელაციო საჩივრის შემტანს შეუძლია, გამოიყენოს გასაჩივრების საშუალება, რომელიც დასაშვები იქნებოდა გადაწყვეტილების გამოტანის გზით საქმის გადაწყვეტისას.

9. დ) სარჩელის შეცვლის და შეგებებული სარჩელის თაობაზე, საქართველოსგან განსხვავებულ დებულებებთან დაკავშირებით, იხილეთ 83-ე მუხლის ა.ნ. 12-სა და მომდევნო აბზაცებში და 188-ე და მომდევნო მუხლების ა.ნ. 17-ში წარმოდგენილი განმარტებები. სააპელაციო სასამართლოს მიერ საჩივრის განსახილველად მიღებაზე ნაწილობრივი უარის გზით პროცესის გაყოფის ფარგლებთან დაკავშირებით, იხილეთ 245-ე მუხლის ა.ნ. 6-ში წარმოდგენილი განმარტებები.

10. 2. საქართველოს სასამართლო პრაქტიკისთვის, შეიძლება, მნიშვნელოვანი იყოს გერმანული სააპელაციო პროცესის შემდეგი პრობლემური სფეროები:

11. ა) სააპელაციო განაცხადიდან **საკმარისი სიზუსტით უნდა** იყოს იდენტიფიცირებული გასაჩივრებული გადაწყვეტილება, აგრეთვე აპელაციის მოპასუხე და მოსარჩელე (GER-ZPO-ს § 519-ის მე-2 აბზაცი; შინაარსობრივად, მეტწილად, შეესაბამება ქართული სსკ-ს 368-ე მუხლის lit. ა)-დან გ)-მდე). გონივრული შეფასებისას, სააპელაციო პროცესის მონაწილეთა პიროვნებასთან და გასაჩივრებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებული ყოველგვარი ეჭვი უნდა გამოირიცხოს (BGH, Beschluss vom 08.08.2017 - X ZB 9/15 - MDR 2017, 1318; BGH, Urteil vom 21.07.2017 - V ZR 72/16 - NZM 2017, 853). შესაძლო ხარვეზების გამოსწორება მხოლოდ აპელაციისთვის დადგენილი ერთთვიანი ვადის ფარგლებში შეიძლება (შეადარეთ, BGH, Beschluss vom 08.08.2017 - X ZB 9/15 - MDR 2017, 1328; BGH, Beschluss vom 22.04.2009 - IV ZB 34/08 - NJW 2009, 3162). თუმცა, ასეთის არსებობის შემთხვევაში, შესაძლებელია პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის უფლების მინიჭება, როდესაც ხარვეზის დროული გამოსწორება სასამართლოს მზრუნველობის მოვალეობის დარღვევას ეფუძნება (აღნიშნულის თაობაზე იხილეთ 264-ე მუხლის ა.ნ. 31ა და მომდევნო აბზაცები).

12. თუმცა, სააპელაციო განაცხადის მიმართ არსებული ეს მოთხოვნები თვითმიზანი არ არის, ამიტომ მათი დაცვა სავალდებულოა არა მხოლოდ სიტყვასიტყვითი და სხვა შინაარსობრივი თვალსაზრისით, არამედ აუცილებელი მონაცემების მოპოვება სხვა, ხელმისაწვდომი საბუთებიდანაც შეიძლება, როგორცაა, მაგალითად, თანდართული გადაწყვეტილება ((BGH, Urteil vom 21.07.2017 - V ZR 72/16 - NZM 2017, 853; BGH, Beschluss vom 24.07.2013 - XII ZB 56/13 - NJW-RR 2013, 1278; BGH, Beschluss vom 14.05.2003 - XII ZB 154/01 - FamRZ 2003, 1176). ამასთან, მნიშვნელოვანწილად გადამწყვეტია, რომ შესაბამისი მონაცემები აპელაციისთვის დადგენილი ვადის გასვლამდე, ყოველგვარი ეჭვის გამომრიცხავი სახით გახდეს იდენტიფიცირებული სააპელაციო სასამართლოსთვის (BGH, Urteil vom 21.07.2017 - V ZR 72/16 - NZM 2017, 853; BGH, Beschluss vom 08.08.2017 - X ZB 9/15 - MDR 2017, 1318; BGH, Beschluss vom 11.05.2010 - VIII ZB 93/09 - NJW-RR 2011, 281). მიუხედავად, პრინციპული საპროცესო-სამართლებრივი სიმკაცრისა, წერილობითი აპელაციის განმარტებისას, GER-ZPO-ს §519-ის მე-2 აბზაცით რეკომენდებულ ფორმალზიმზე უარი უნდა ითქვას; სხვა შემთხვევაში, საპრო-

ცესო-სამართლებრივად ინსტანციების მიმართ გახსნილი ხელმისაწვდომობა, საკონსტიტუციო-სამართლებრივად დაუშვებლად გართულდებოდა (იხილეთ ზემოთ, მე-3 მუხლის მე-2 ნაწილი, ა.ნ. 57).

13. ბ) უამრავი გადაწყვეტილება არსებობს იმ საკითხთან დაკავშირებით, თუ როგორ გამოვიყვანოთ აპელაციის დასაშვებობისთვის აუცილებელი **საჩივრის ღირებულება**, რომელიც 600.- €-ს უნდა აღემატებოდეს.

14. დასაწყისში, საჩივარი გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლის მიმართ აპელაციის მოსარჩელის ინტერესის მიხედვით იზომება; ეს ინტერესი ეკონომიკური თვალსაზრისით უნდა შეფასდეს. ამასთან, გადამწყვეტი უნდა იყოს მხოლოდ აპელაციის მოსარჩელის პიროვნება, მის მიმართ არსებული ეკონომიკური ეფექტი და მისი ინტერესი ცვლილების განხორციელების მიმართ (BGH, Beschluss vom 28.09.2017 - V ZB 63/16 - NJW-RR 2018, 331; BGH, Beschluss vom 09.02.2012 - V ZB 211/11 - NZM 2012, 838). ამიტომ, შეიძლება (მართალია, უფრო იშვიათად; აღნიშნულის შესახებ იხილეთ ზემოთ, ა.ნ. 16 და მომდევნო აბზაცები) ისე მოხდეს, რომ მოსარჩელეს, სარჩელის განხილვაზე უარის შემცველი გადაწყვეტილების შედეგად, სხვა ოდენობის ფინანსური ტვირთი დაანვეს, ვიდრე მოპასუხეს სარჩელის დაშვების შესახებ გადაწყვეტილებით. საჩივრის საგნის ღირებულების გაზომვისას, მხოლოდ გასაჩივრებული გადაწყვეტილებიდან უშუალოდ მომავალი სამართლებრივი ზიანია გასათვალისწინებელი; აღნიშნულის საპირისპიროდ, მესამე პირებისთვის დამდგარი არაპირდაპირი შედეგები ან ეფექტი მხედველობაში არ უნდა მივიღოთ (BGH, Beschluss vom 28.09.2010 - VI ZB 85/08 - VersR 2011, 236; BGH, Beschluss vom 30.09.2008 - VIII ZR 248/06 - WuM 2008, 681). თუ ეკონომიკური ეფექტის დადგენა, ცალკეულ შემთხვევაში, შეუძლებელია, მაშინ ფინანსური ტვირთი სასამართლომ სააპელაციო საჩივრის წარმდგენი პირის მიერ გადმოცემული ფაქტების გამოყენებით, საკუთარი გამოცდილებისა და საკითხის ცოდნის საფუძველზე, GER-ZPO-ს §§ 3 და მომდევნო პარაგრაფების შესაბამისად, თავისუფალი დისკრეციით უნდა შეაფასოს; ასე, მაგალითად, როდესაც ბინაზე საკუთრების პროცესის ფარგლებში, დავა მიმდინარეობს ფასადის საღებავისთვის არჩეული (გასაჩივრების ინიციატორის მიერ ოპტიკურად დამაზიანებლად აღქმული) ფერის თაობაზე (BGH, Beschluss vom 21.06.2018 - V ZB 254/17 - MDR 2018, 983).

15. გარდა უკვე განხილული ღირებულების გამოთვლისა საპროცესო თანამონაწილეობისას (აღნიშნულის თაობაზე იხილეთ ზემოთ, 86-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 37), განსაკუთრებით პრობლემურია საჩივრის

ღირებულების განსაზღვრა ინფორმაციის მიღების თაობაზე სარჩელების, სასამართლოს გადანყვეტილებით ერთდროულად შესრულების დაკისრების, გაქვითვის და მრავალი სასარჩელო განაცხადის, შუამდგომლობების ან შეგებებული სარჩელების შემთხვევებში.

16. აა) საჩივრის ღირებულების განსაზღვრისას **ინფორმაციის მიღების თაობაზე სარჩელების** შემთხვევაში, დიფერენცირება იმის მიხედვით ხდება, სააპელაციო საჩივრის წარმდგენი პირი პირველი ინსტანციის წარმოების მოსარჩელეა თუ მოპასუხე.

17. თუ ინფორმაციის მიღების თაობაზე სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარი ითქვა, მაშინ მოსარჩელის ფინანსური ტვირთი მის მიერ პირველი ინსტანციის წარმოებაში გამოხატულ სასარჩელო ინტერესს შეესაბამება. ამდენად, ის იმ ეკონომიკური ინტერესით განისაზღვრება, რომელიც მოსარჩელეს ინფორმაციის მიღების მიმართ აქვს. ამასთან, იგი ჩვეულებრივ დგინდება ვალდებულების შესრულების შესახებ იმ მოთხოვნის სავარაუდო (მიახლოებითი) ეკონომიკური ღირებულების 1/4 -სა და (პრაქტიკაში, უმეტესწილად) 1/10-ს შორის ფარგლებში, რომლის განხორციელებისთვისაც არის საჭირო მოთხოვნილი ინფორმაცია (შეადარეთ, BGH, Beschluss vom 17.11.2015 - II ZB 28/14 - MDR 2016, 348; BGH, Beschluss vom 04.02.2014 - III ZB 75/13 - juris). და პირიქით, თუ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მოპასუხეს ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება დაეკისრა და მას სააპელაციო საჩივარი აღნიშნულის წინააღმდეგ შეაქვს, მაშინ მისი ფინანსური ტვირთი არა სარჩელში მითითებული ინფორმაციის მიღების მოთხოვნით განისაზღვრება, არამედ იმ ინტერესით, რომელიც მოპასუხეს აქვს - არ მიაწოდოს ეს ინფორმაცია. ამასთან, პრინციპში გადამწყვეტია, დროისა და თანხების დანახარჯი, რომელსაც მისგან ამ ინფორმაციის მიწოდება მოითხოვს (BGH, Beschluss vom 07.11.2017 - II ZB 4/17 - MDR 2018, 286; BGH, Beschluss vom 27.07.2017 - III ZB 37/16 - NJW-RR 2017, 1407). თუმცა, ეს წესი არ მოქმედებს, როდესაც მოპასუხეს დაცვის ღირსი ინტერესი გააჩნია იმაში, რომ საიდუმლოდ შეინახოს გარკვეული ფაქტები, მაგალითად, კომერციული საიდუმლოება (კალკულაციის საფუძვლები; მოგების მარჟები და ა. შ.), რომლებსაც ინფორმაციის მიღების მოთხოვნა ეხება. ასეთ შემთხვევებში, მოპასუხის ფინანსური ტვირთის განსაზღვრისას, ა საიდუმლოდ შენახვის ინტერესიც უნდა გავითვალისწინოთ (BGH, Beschluss vom 12.09.2018 - XII ZB 588/17 - NJW-RR 2018, 1347; BGH, Beschluss vom 07.11.2017 - II ZB 4/17 - MDR 2018, 286).

18. ბბ) თუ მოპასუხეს სააპელაციო საჩივარი იმის წინააღმდეგ შეაქვს, რომ მის მიერ უპირობოდ შეტანილი სასარჩელო განაცხადი პირველ ინსტანციაში სასამართლო გადაწყვეტილებით მხოლოდ ერთდროულად შესრულების დაკისრების სანაცვლოდ დაკმაყოფილდა, მაშინ მისი ფინანსური ტვირთი, როგორც წესი, იმ დროისა და ფულადი დანახარჯებით განისაზღვრება, რომელიც მას ერთდროულად შესასრულებელი შეგებებული მოთხოვნის შესრულებისთვის წარმოეშობა (BGH, Beschluss vom 06.07.2010 - XI ZB 49/09 - NJW-RR 2010, 1295; BGH, Beschluss vom 16.12.1998 - XII ZB 15/97 - NJW 1999, 72). მოპასუხისთვის ფინანსური ტვირთი იმ ოდენობით განისაზღვრება, რამდენადაც აწევს მას ეს სასარჩელო მოთხოვნა ფინანსურ ტვირთად, ანუ დავის საგნის შესაბამისი შესრულების მოთხოვნის ღირებულებით (გადახდა, გაცემა და ა. შ.). მისი ფინანსური ტვირთი არც იმით შემსუბუქდება, რომ სასარჩელო მოთხოვნა, გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიხედვით, ერთდროულად შესრულების დათქმას ითვალისწინებს და არც იმის გამო დამძიმდება, თუ გასაჩივრებული გადაწყვეტილების საფუძვლებში მის მიერ მოთხოვნილი ერთდროულად შესრულების დათქმა, მოთხოვნის არარსებობის გამო, დაუსაბუთებლად მიიჩნევა (BGH, Beschluss vom 27.07.2017 - III ZB 37/16 - NJW-RR 2017, 1407). ეს უკანასკნელი იქიდან გამომდინარეობს, რომ ამით არ ხდება ამ მოთხოვნის, მატერიალური თვალსაზრისით, იურიდიულად ნამდვილი ჩამორთმევა (აღნიშნულის თაობაზე ზემოთ, მე-10 მუხლის ა.ნ. 50).

19. გგ) თუ მოპასუხე უდავო სასარჩელო მოთხოვნას თანხობრივად უფრო დიდი, შეგებებული მოთხოვნით გაქვითავს და წინა ინსტანციის სასამართლო **გაქვითვის მოთხოვნის** არარსებობის გამო სარჩელს დაუშვებს, მაშინ მოპასუხე მხოლოდ იმ თანხის ოდენობით დაიტვირთება ფინანსურად, რომლის გადახდაც მას სასამართლოს გადაწყვეტილებით დაეკისრა (BGH, Beschluss vom 24.11.1971 - VIII ZR 80/71 – BGHZ 57, 301; BGH, Beschluss vom 30.06.2004 - XII ZB 21/03 - FamRZ 2004, 1714; BGH, Beschluss vom 17.05.1990 - IX ZR 276/89 - juris). აღნიშნული არ იცვლება იმის გამო, რომ სასამართლო ერთ ასეთ საქმეზე გადაწყვეტილებას, ფორმალურად, ორი მოთხოვნის შესახებ იღებს. რეკომენდებული ეკონომიკური მიდგომისას, მხარეთა შორის არსებული დავა, უდავო სასარჩელო მოთხოვნის გათვალისწინებით, გაქვითვის მოთხოვნის მხოლოდ იმ ოდენობით არსებობას ეხება, რომელიც სასარჩელო მოთხოვნას არ აღემატება (BGH, Beschluss vom 24.11.1971 - VIII ZR 80/71 - BGHZ 57, 301; BGH, Beschluss vom 17.05.1990 - IX ZR 276/89 - juris). აღნიშნულით შემოიფარ-

რგლება GER-ZPO-ს § 322-ის მე-2 აბზაცის შესაბამისად, ასევე, გადანყვეტილების იურიდიული ძალა ისე, რომ მოპასუხე გაქვითვის მოთხოვნის გადაჭარბებული ოდენობით, სასამართლოს გადანყვეტილებით ფინანსურად დატვირთული არ არის (აღნიშნულის თაობაზე იხილეთ ზემოთ, მე-10 მუხლის ა.ნ. 48 და მომდევნო აბზაცები).

20. რა თქმა უნდა, სხვაგვარია ვითარება, როდესაც როგორც სასარჩელო მოთხოვნა, ისე შუამდგომლობის სახით განხორციელებული გაქვითვის მოთხოვნა, სადავოა და წინა ინსტანციის სასამართლომ, მისი აზრით, არსებული სასარჩელო მოთხოვნის გათვალისწინებით, გადანყვეტილება შუამდგომლობის სახით წარდგენილი გაქვითვის მოთხოვნის შესახებ მიიღო. ასეთ შემთხვევაში არა მხოლოდ GER-ZPO-ს § 322-ის მე-2 აბზაცის შესაბამისად, მატერიალურად ძალაში შესვლის ეფექტით ხდება როგორც სასარჩელო მოთხოვნის, ისე გაქვითვის მოთხოვნის შესახებ გადანყვეტილების მიღება, არამედ ეკონომიკური თვალსაზრისითაც და, დავა სამართლებრივად დამოუკიდებელ დავის ორ საგანთან დაკავშირებით გვარდება. თუ სასამართლო, ასეთი კონფიგურაციის შემთხვევაში, როგორც სასარჩელო, ისე გაქვითვის მოთხოვნასაც დასაბუთებულად მიიჩნევს და, შესაბამისად, სარჩელის დაკმაყოფილებაზე იტყვის უარს, მაშინ სასარჩელო მოთხოვნის ოდენობის ფინანსური ტვირთის მატარებელი ორივე მხარეა (მოსარჩელე - გაქვითვის მოთხოვნის არსებობის გამო; მოპასუხე - სასარჩელო მოთხოვნის არსებობის გამო). თუ სასამართლო დამხმარე სახით წარმოდგენილ გაქვითვის მოთხოვნას დაუსაბუთებლად მიიჩნევს და მოპასუხეს განაცხადის შესაბამისად დააკისრებს ვალდებულებას, მაშინ მისი ფინანსური ტვირთი სასარჩელო მოთხოვნის ორმაგი ოდენობით განისაზღვრება (ერთხელ - იურიდიულ ძალაში შესული გადანყვეტილებით მიკუთვნებული სასარჩელო მოთხოვნისთვის; ხოლო მეორედ - გაქვითვის მოთხოვნისთვის, რომელზეც ამ ოდენობით (იურიდიულად) ნამდვილად ეთქვა უარი) (BGH, Beschluss vom 25.07.2002 - VII ZR 458/01 - ZfBR 2004, 159; BGH, Beschluss vom 30.09.1999 - VII ZR 457/98 NJW-RR 2000, 285).

21. დდ) ფინანსური ტვირთის (და დავის ღირებულების) განსაზღვრად მრავალი სასარჩელო განაცხადის, შუამდგომლობებისა და შეგებებული სარჩელების შემთხვევაში, გერმანიაში ძალიან ფართო სასამართლო პრაქტიკა არსებობს, რომელიც აქ მხოლოდ მოკლედაა წარმოდგენილი. ზოგადი წესის სახით შეიძლება მოქმედებდეს ის, რომ ცალკეული მოთხოვნებით გათვალისწინებული ფინანსური ტვირთი შეიკრიბოს, როდესაც ცალკეული სასარჩელო და შეგებებული სასარჩელო განა-

ცხადების საგანი ეკონომიკურად დამოუკიდებელი მოთხოვნებია, (ანუ არ არსებობს ეკონომიკური იგივეობა) და როდესაც, იმავდროულად, მათზე (რაც განსაკუთრებით, შუამდგომლობების შემთხვევაშია მნიშვნელოვანი) სასამართლო გადაწყვეტილება გამოიტანეს (BGH, Beschluss vom 08.08.2018 - X Z 101/16 - NJW-RR 2017, 1453). სასამართლო პრაქტიკაში განვითარებული „იგივეობის ფორმულის“ (Identitätsformel) მიხედვით (BGH, Beschluss vom 08.08.2018 - X ZR 101/16 - NJW-RR 2017, 1453; BGH, Beschluss vom 06.10.2004 - IV ZR 287/03 - NJW-RR 2005, 506) ძირითად განაცხადსა და დამხმარე განაცხადს შორის სახეზეა ასეთი ეკონომიკური იგივეობა, როდესაც ორივეს (განაცხადის წარდგენით წარმოქმნილ არაპირდაპირ ურთიერთკავშირს თუ არ მივაქცევთ ყურადღებას) ერთდროულად დაშვება არ იყო შესაძლებელი, ანუ ერთ განაცხადზე გადაწყვეტილების მიღება, მეორეზე უარის თქმას გამოიწვევდა.

22. თუ ცალკეულ მოთხოვნებს შორის ეკონომიკური იგივეობა არსებობს, გადამწყვეტი წარდგენილი მოთხოვნებიდან უმაღლესის ღირებულებაა. ეს წესი მაშინაც მოქმედებს, როდესაც მოსარჩელე, რომელიც ნივთის გაცემისკენ, აგრეთვე (ვადის უნაყოფოდ გასვლის შემთხვევაში) ზიანის ანაზღაურებისკენ მიმართული თავისი სასარჩელო განაცხადებით პირველ ინსტანციაში, ჯამში, წაგებულ პოზიციაშია (მაგალითად, განაცხადი უსაფრთხოების გასაღების გაცემის შესახებ; ვადის დარღვევით გაცემისას, ზიანის ანაზღაურება უსაფრთხოების საკეტის შეცვლით გამონვეული ხარჯების ასანაზღაურებლად), თავისი მოთხოვნების განხორციელებას აპელაციაში აგრძელებს. ამდენად, მისი ფინანსური ტვირთი არა გასაღების ღირებულების მიხედვით განისაზღვრება, არამედ საკეტის გამოცვლით გამონვეული ხარჯებით (BGH, Beschluss vom 28.09.2017 - V ZB 63/16 - NJW-RR 2018, 331). თუ ერთი განაცხადი, მიუხედავად პრინციპული იდენტურობისა, უფრო მაღალი ეკონომიკური ინტერესის შემცველია, მაშინ ისიც უნდა მიემატოს. თუმცა, შესაბამისი გამიჯვნა ყოველთვის მარტივი და ცალსახა არ არის.

23. შუამდგომლობების (დამხმარე განაცხადების) შემთხვევაშიც, გასაჩივრების საშუალების მოსარჩელის ფინანსური ტვირთი გასაჩივრებული გადაწყვეტილების შინაარსზეა დამოკიდებული (BGH, Beschluss vom 28.09.2010 - VI ZB 85/08 - VersR 2011, 236). მათთვის გადამწყვეტია მხოლოდ პირველი ინსტანციის წარმოებისას გამოტანილი გადაწყვეტილების მოცულობა. აღნიშნულში არაფერს ცვლის არც ის, რომ შუამდგომლობა, რომელზეც მოსარჩელეს პირველ ინსტანციაში ძირითადი განაცხადის აღიარების გამო უარი ეთქვა, მოპასუხის მიერ გასაჩივრების საშუალებ-

ბის გამოყენების გზით, სააპელაციო ინსტანციაში აღმოჩნდება; და, კერძოდ, მაშინაც კი, როდესაც ეს შუამდგომლობა ძირითადი განაცხადის ეკონომიკურ ღირებულებას აღემატება (BGH, Beschluss vom 28.09.2010 - VI ZB 85/08 - VersR 2011, 236).

24. გ) დაუშვებელი ძირითადი სააპელაციო საჩივრისთვის სხვაგვარი განმარტების მინიჭების შედეგად მისი დასაშვებ შეგებებულ სააპელაციო საჩივრად გადაქცევასთან დაკავშირებული განმარტებები ა.ნ. 90-შია წარმოდგენილი.

25. დ) როგორც ეს 81-ე მუხლის ა.ნ. 11-სა და მომდევნო აბზაცებშია დეტალურად ნაჩვენები, საპროცესო ან მხარედ არსებობის უნარიანობის თაობაზე მიმდინარე დავისას, სააპელაციო წარმოების დროს ივარაუდება, რომ იგი სახეზეა. ზოგადი საპროცესო წინაპირობების არსებობა სააპელაციო სასამართლომ ყოველთვის თანამდებობიდან გამომდინარე (ex officio) უნდა შეამოწმოს (აღნიშნულის თაობაზე ზემოთ, 81-ე მუხლის ა.ნ. 17). იგივე წესი მოქმედებს სხვა, ე.წ. არსებითი გადაწყვეტილების წინაპირობების მიმართაც, როგორც არის, მაგალითად, სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლის შესახებ შუალედური გადაწყვეტილების გამოტანის (აღნიშნულის თაობაზე ზემოთ, 246-ე მუხლი, ა.ნ. 17) ან ნაწილობრივი გადაწყვეტილების გამოტანისთვის (აღნიშნულის თაობაზე ზემოთ, 245-ე მუხლი, ა.ნ. 14), მაგრამ, ასევე, პირის მიერ გასაჩივრების საშუალებაზე იურიდიულად ნამდვილი უარის გათვალისწინებისთვის მოქმედი წინაპირობები.

26. ე) სააპელაციო სასამართლოს მიმართ მოქმედ, მოსამართლის მიერ გასაცემი მითითებების მოვალეობასთან დაკავშირებით იხილეთ მე-4 მუხლის ა.ნ. 12 და მომდევნო აბზაცები, განსაკუთრებით ა.ნ. 22 და მომდევნო აბზაცები.

27. 3. აპელაცია დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი გასაჩივრებული გადაწყვეტილებით გამონვეული **ფინანსური ტვირთის**, სულ მცირე, **ნაწილობრივი აღმოფხვრისკენ** არის მიმართული (BGH, Urteil vom 05.05.2015 - XI ZR 406/13 BGHZ 205, 249; BGH, Beschluss vom 07.05.2003 - XII ZB 191/02 - BGHZ 155, 21). აღნიშნულში არაფერს ცვლის ის, რომ ეს აპელაცია წინა ინსტანციის სასამართლომ დაუშვა (შეადარეთ, BGH, Beschluss vom 16.11.2016 - VII ZB 59/14 - NJW-RR 2017, 1040).

28. ა) ამიტომ, როგორც ქვემოთ, 84-ე და მომდევნო მუხლების ა.ნ. 14-შია განმარტებული, აპელაცია დაუშვებელია, როდესაც მისი საშუალებით თავიდანვე სრულიად ახალი სასარჩელო განაცხადების წარდგენა

ხორციელდება (BGH, Urteil vom 05.05.2015 - XI ZR 406/13 - BGHZ 205, 249). ორნაწილიანი დავის საგნის ცნების გათვალისწინებით (აღნიშნულის თაობაზე იხილეთ ზემოთ, მე-3 მუხლის პირველი ნაწილის ა.ნ. 19 და მომდევნო აბზაცები), ეს წესი მაშინაც მოქმედებს, როდესაც სააპელაციო განცხადება საქმის მხოლოდ ერთ გარემოებას ეყრდნობა, რომელიც პირველი ინსტანციის წარმოებაში არ წარმოდგენილა და პროცესუალური თვალსაზრისით (იდენტური განაცხადის შემთხვევაშიც კი) სხვა დავის საგანს წარმოადგენს.

29. ამიტომ, აპელაცია, რომელიც პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას კითხვის ნიშნის ქვეშ არ აყენებს და რომელსაც მხოლოდ ახალი - მანამდე განუხორციელებელი - დავის საგანი შემოაქვს, დაუშვებელია (BGH, Beschluss vom 29.09.2011 - IX ZB 106/11 - NJW 2011, 3653; BGH, Urteil vom 22.11.1990 - IX ZR 73/90 - NJW-RR 1991, 1279). თუ, მაგალითად, ადვოკატის წინააღმდეგ მიმართული, პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული სარჩელი პირველი ინსტანციის სასამართლოში მხოლოდ იმას ეფუძნებოდა, რომ წინა პროცესი ადვოკატის მიერ მოვალეობის დარღვევით წარმოებული პროცესის გამო წააგეს, ხოლო სარჩელის მიღებაზე უარის შემცველი გადაწყვეტილების წინააღმდეგ შეტანილი სააპელაციო საჩივარი იმით არის დასაბუთებული, რომ ადვოკატს სასამართლოს გზით წარმატების შანსების არარსებობის შესახებ, უკვე წინა პროცესის ნამოწყებამდე უნდა ერჩია გადაფიქრება, მაშინ მიზანშეწონილი ბუნებრივი მიდგომის თანახმად, სახეზეა განცალკევებული დავის საგნები (აღნიშნულის თაობაზე იხილეთ ზემოთ მე-3 მუხლის პირველი აბზაცის ა.ნ. 30). ამის შედეგია ის, რომ ამგვარი აპელაცია სადავოდ არ ხდის პირველი ინსტანციის შედეგად წარმოშობილ ფინანსურ ტვირთს და ამიტომ დაუშვებელია (BGH, Beschluss vom 29.09.2011 - IX ZB 106/11 - NJW 2011, 3653).

30. თუმცა, თუ პირველი ინსტანციის წარმოებისას არსებული სამართლებრივი დაცვის მიზნის, სულ მცირე, ერთი ნაწილი მაინც საჩივრდება, მაშინ სასამართლო პრაქტიკა, ძირითადად, დასაშვებად მიიჩნევს, როდესაც მოპასუხე (რა თქმა უნდა, იმავე საქმეზე) სააპელაციო საჩივრის შეტანისას აღიარებითი ან ინფორმაციის მიღების შესახებ განაცხადიდან მავალდებულებელზე გადადის (BGH, Beschluss vom 02.06.1969 - II ZB 5/68 - BGHZ 52, 169; BGH, Urteil vom 03.05.1996 - LwZR 9/95 - NJW-RR 1996, 1020). ეს სასამართლო პრაქტიკა, საბოლოო ჯამში, GER-ZPO-ს §264-ის რეგულირების შინაარსსა (აღნიშნულის შესახებ დეტალურად იხილეთ: 83-ე მუხლის ა.ნ. 3 და მომდევნო აბზაცები) და (ნაწილო-

ბრივ ჰარმონიული გადასვლისას) საპროცესო ეკონომიის მოსაზრებებს ეფუძნება და აღნიშნული ინტერესებიდან გამომდინარე უშვებს, რომ ასეთ ვითარებაში, მკაცრად ფორმალური მიდგომისას, (სხვა განაცხადის შეტანის გამო) აპელაციის პროცესში თავიდანვე დავის სხვა საგანი შე-
მოდის.

31. აღნიშნულისგან დამოუკიდებლად ფასდება სააპელაციო ინსტანციაში სარჩელის ცვლილებების დასაშვებობის მიმართ მოქმედი ზოგადი მოთხოვნების მიხედვით (აღნიშნულის თაობაზე იხილეთ ზემოთ, 83-ე მუხლის ა.ნ. 12 და მომდევნო აბზაცები, 84-ე მუხლის ა.ნ. 13 და მომდევნო აბზაცები) საკითხი იმის თაობაზე, რომ თუ შეიძლება დასაშვებად შეტანილი სააპელაციო საჩივარი სააპელაციო პროცესის მიმდინარეობისას ისე შეიცვალოს, რომ ბოლოს წარდგენილი განაცხადებიდან არც ერთი არ იყოს მიმართული შედავებული გადაწყვეტილებით გათვალისწინებული ფინანსური ტვირთის, სულ მცირე, ნაწილობრივი აღმოფხვრისკენ. თავიდან დასაშვებად შეტანილი სააპელაციო საჩივარი, ამით, მაშინაც კი არ იქცევა დაუშვებლად, თუ შესაბამისი სააპელაციო საჩივრის პირდაპირ შეტანა დაუშვებელი იქნებოდა.

32. ბ) **მოსარჩელე** გასაჩივრებული გადაწყვეტილებით მხოლოდ მაშინ არის დატვირთული, თუ ეს გადაწყვეტილება მის მიერ წინა ინსტანციაში წარდგენილი განაცხადისგან, მის საზიანოდ, განსხვავდება, ანუ თუ იგი მის მიერ წინა ინსტანციის წარმოებაში გამოხატულ სამართლებრივი დაცვის ინტერესს სრულად არ შეესაბამება (ე.წ. **ფორმალური ფინანსური ტვირთი**) BGH, Urteil vom 02.02.1999 - VI ZR 25/98 - BGHZ 140, 335; BGH, Beschluss vom 21.08.2018 - VIII ZB 1/18 - juris; BGH, Urteil vom 17.02.2017 - V ZR 147/16 - NJW-RR 2017, 1040). თუმცა, სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლის შესახებ შუალედური გადაწყვეტილების შემთხვევაში საკმარისია, როდესაც ეს უკანასკნელი თავის საფუძვლებში, მოთხოვნის ოდენობის განსასაზღვრად მოსარჩელისთვის არახელსაყრელ მითითებებს შეიცავს (აღნიშნულის შესახებ იხილეთ 246-ე მუხლის ა.ნ. 12 და მომდევნო აბზაცები) და ისინი GER-ZPO-ს § 318-ის შესაბამისად, კომპენსაციის თანხის დადგენასთან დაკავშირებული პროცესისათვის სავალდებულოა (BGH, Urteil vom 30.10.2009 - V ZR 17/09 - NJW 2010, 131). აღნიშნულის საპირისპიროდ, **მოპასუხის** სააპელაციო საჩივრის დასაშვებობისთვის მხოლოდ ე.წ. **მატერიალური ფინანსური ტვირთია** საჭირო.

33. აა) მოპასუხის ამ **მატერიალური ფინანსური ტვირთისთვის** გადამწყვეტი არ არის, თუ როგორ გამოხატა მან თავისი პოზიცია პირველ

ინსტანციაში სასარჩელო განაცხადთან დაკავშირებით. პირიქით, საკმარისია, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება შინაარსობრივად საზიანო იყოს მისთვის ((BGH, Beschluss vom 11.03.2015 - XII ZB 553/14 - NJW-RR 2015, 1203; BGH, Beschluss vom 05.06.2014 - V ZB 16/14 - NJW-RR 2014, 1279). ამიტომ, შესაძლებელია, მაგალითად, რომ მოპასუხის აღიარების საფუძველზე გამოცემული გადაწყვეტილების (Anerkenntnisurteil) წინააღმდეგ მის მიერვე შეტანილი სააპელაციო საჩივარი დასაშვები იყოს (BGH, Beschluss vom 11.03.2015 - XII ZB 553/14 - NJW-RR 2015, 1203; BGH, Beschluss vom 15.01.1992 - XII ZR 135/91 - NJW 1992, 1513). თუმცა, ყოველთვის აუცილებელია, რომ მოპასუხის სააპელაციო განაცხადის მიზანი გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში მოცემული ფინანსური ტვირთის, სულ მცირე, ნაწილობრივი აღმოფხვრა იყოს (BGH, Urteil vom 20.10.1982 - IVb 318/81 - BGHZ 85, 140).

34. მოპასუხის სააპელაციო საჩივარი მასზე დაკისრებული ფინანსური ტვირთის აღმოფხვრისკენ მიმართულია მაშინაც, როდესაც მას გასაჩივრების საშუალებით სურს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით, დაუშვებლობის გამო განუხილველად დატოვებული სარჩელი, გასაჩივრების საშუალების პროცესში არსებითი გადაწყვეტილებით იყოს უარყოფილი დაუსაბუთებლობის გამო. ეს წესი ეფუძნება იმას, რომ სარჩელის დასაშვებობის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილებას (Prozessurteil) მხოლოდ დასაშვებობის საკითხით შემოფარგლული მატერიალური კანონიერი ძალის ეფექტი აქვს (აღნიშნულის თაობაზე იხილეთ ზემოთ, მე-10 მუხლის ა.ნ. 35) მაშინ, როდესაც არსებითი გადაწყვეტილების (Sachurteil) მატერიალური კანონიერი ძალა დავის საგნის მატერიალურ-სამართლებრივ ნაწილზეც ვრცელდება (BGH, Urteil vom 18.11.1958 - VIII ZR 131/57 - BGHZ 28, 349; vgl. Auch BGH, Urteil vom 04.05.2000 - VII ZR 53/99 - BGHZ 144, 242). იგივე წესი მოქმედებს, განსხვავებული კანონიერი ძალის ეფექტის გათვალისწინებით (აღნიშნულის თაობაზე იხილეთ ზემოთ, მე-10 მუხლის ა.ნ. 36), როდესაც წინა ინსტანციაში სარჩელი მოთხოვნის ვადამოსულობის არარსებობის გამო, დაუსაბუთებლობის მიზეზით არ დაკმაყოფილდა მხოლოდ ამ მომენტი-სთვის და მოპასუხე სარჩელის დაკმაყოფილებაზე საბოლოო უარს ითხოვს (BGH, Urteil vom 04.05.2000 - VII ZR 53/99 - BGHZ 144, 242).

35. ბბ) მატერიალური კანონიერი ძალის განსხვავებული ეფექტის გამო, (აღნიშნულის თაობაზე იხილეთ ზემოთ მე-10 მუხლის ა.ნ. 9 და მომდევნო აბზაცები, განსაკუთრებით ა.ნ. 35) მოსარჩელის **ფორმალური ფინანსური ტვირთისთვის** საკმარისია, რომ მისი სააპელაციო საჩივრის

მიზანი იყოს, სააპელაციო სასამართლოს დაუშვებლობის მოტივით უარი ათქმევინოს პირველ ინსტანციაში დაუსაბუთებლობის გამო უარყოფილ სარჩელზე (BGH, Beschluss vom 15.03.2011 - II ZR 141/10 - juris; BGH, Beschluss vom 10.01.2001 - XII ZB 119/00 - NJW-RR 2001, 929).

36. ვინაიდან დავის საგნის განსაზღვრისთვის მატერიალურ-სამართლებრივი კლასიფიკაცია მნიშვნელოვანი არ არის (აღნიშნულის თაობაზე იხილეთ ზემოთ, მე-3 მუხლის პირველი ნაწილის ა.ნ. 31), სამართლებრივად ერთიანი დავის საგნის შემთხვევაში, აპელაცია, პირველი ინსტანციის გადანყვეტილებიდან გამომდინარე, ფინანსური ტვირთის აღმოფხვრისკენ არის მიმართული მაშინაც კი, როდესაც მოთხოვნის უფლების სამართლებრივი არგუმენტაცია სააპელაციო საჩივარში სრულიად სხვაგვარადააწარმოდგენილი; განსაკუთრებით, როდესაც გამოყენებულია მოთხოვნის უფლების სრულიად სხვა მატერიალურ-სამართლებრივი საფუძვლები, ვიდრე პირველ ინსტანციაში (BGH, Beschluss vom 29.06.2006 - III ZB 36/06 - NJW-RR 2006, 1502). ეს მიზანშეწონილია იმიტომაც, რომ აღნიშნული, სხვა მხრივ, ყველა მოთხოვნასთან დაკავშირებით დავის საგნის ერთიანობის გამო, მატერიალური თვალსაზრისით კანონიერი ძალის მქონე უარს გამოიწვევდა სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

37. **ციფრების მითითების გარეშე წარმოდგენილი სასარჩელო განაცხადების** შემთხვევაში (აღნიშნულის თაობაზე იხილეთ ზემოთ, მე-10 მუხლის ა.ნ. 22-ის მომდევნო აბზაცი), ოდენობასთან დაკავშირებით მოსარჩელის მიერ გამოხატული წარმოდგენა ქმნის საფუძველს ფინანსური ტვირთის გამოთვლისათვის (BGH, Urteil vom 02.02.1999 - VI ZR 25/98 - BGHZ 140, 335; BGH, Beschluss vom 24.03.2016 - III ZR 52/15 - MDR 2016, 867). თუ მოსარჩელე მინიმალურ ოდენობას უთითებს (არ არის აუცილებელი, რომ ეს თავად სასარჩელო განაცხადში განხორციელდეს), მაშინ მოსარჩელის ფინანსური ტვირთის გამომანგარიშებისთვის ამ მინიმალური ოდენობით უნდა ვიხელმძღვანელოთ. ამდენად, ფინანსური ტვირთი არსებობს იმდენად, რამდენადაც ამ მინიმალურ ოდენობას ვერ მიაღწია (BGH, Urteil vom 02.02.1999 - VI ZR 25/98 - BGHZ 140, 335; BGH, Beschluss vom 31.10.2018 - XII ZR 90/17 - juris). შესაბამისად, სარჩელის დაკმაყოფილებაზე სრული უარის შემთხვევაში, მოსარჩელე გამოხატული მინიმალური ოდენობის სრული მოცულობით იტვირთება (BGH, Beschluss vom 24.03.2016 - III ZR 52/15 - MDR 2016, 867; BGH, Beschluss vom 30.09.2003 - VI ZR 78/03 - NJW-RR 2004, 102).

38. გ) როგორც ეს საჩივრის ღირებულებასთან დაკავშირებული განმარტებებიდან (ზემოთ, ა.ნ. 19-ის მომდევნო აბზაციები) გამომდინარეო-

ბს, მოპასუხის ფინანსური ტვირთი მაშინაც არსებობს, როდესაც სარჩელი მხოლოდ გასაჩივრებული სასარჩელო მოთხოვნის მიმართ გამოცხადებული **დამხმარე გაქვითვის** გამო არ დაკმაყოფილდა. ეს წესი მოქმედებს მაშინაც კი, როდესაც წინა ინსტანციის სასამართლომ, შეცდომით, გაქვითვის მოთხოვნა ანუ ორი სამართლებრივად განცალკევებული დავის საგანი ივარაუდა იმის მიუხედავად, რომ სავარაუდო გაქვითვის მოთხოვნა, ობიექტურად, მხოლოდ სამართლებრივად დამოკიდებულ საანგარიშო პუნქტს წარმოადგენდა სამართლებრივად ერთიანი დავის საგნის ფარგლებში (აღნიშნულის შესახებ იხილეთ ზემოთ, Art. 3 Abs. 1 Rn. 32; BGH, Urteil vom 13.12.2001 - VII ZR 148/01 - NJW 2002, 900).

39. დ) ფინანსური ტვირთი ყოველთვის თავად გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში უნდა მდგომარეობდეს. საზიანო შედეგები, რომლებიც მხოლოდ სხვა გარემოებებიდან გამომდინარეობს საკმარისი არ არის (BGH, Beschluss vom 11.03.2015 - XII ZB 553/14 - NJW-RR 2015, 1203; BGH, Beschluss vom 16.04.1996 - XI ZR 302/95 - NJW-RR 1996, 828). ამიტომ, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის შემცველი სასამართლოს გადაწყვეტილების წინააღმდეგ შეტანილი სააპელაციო საჩივარი დაუშვებელია, როდესაც მოპასუხეს სურს, რომ გადაწყვეტილება პირველი ინსტანციის წარმოებისას მიიღონ მის მიერ გაკეთებული აღიარების შესაბამისად (რას არ გაიგებს კაცი), იმისათვის, რომ ამით (მისი მტკიცებით) მესამე პირების მიმართ არსებული უფლებები უკეთ განახორციელოს (BGH, Beschluss vom 11.03.2015 - XII ZB 553/14 - NJW-RR 2015, 1203).

40. ე) მით უმეტეს, დაუშვებელია სააპელაციო საჩივარი, როდესაც მისი საშუალებით არა გადაწყვეტილების შედეგის, არამედ მხოლოდ (გასაჩივრების საშუალების წარმდგენის პოზიციიდან, არახელსაყრელი) **დასაბუთების** ცალკეული ელემენტების შედავება ხდება.

41. ამდენად, ეს მკაცრად ფორმალური მიდგომა მაშინაც კი არ იცვლება, როდესაც გადაწყვეტილება დასაბუთების ისეთ ელემენტებს შეიცავს, რომლებიც მოგებული (და ამით, ზემოთ ხსენებული კრიტერიუმების მიხედვით, გადაწყვეტილებით დაუტვირთავი) მხარისთვის არახელსაყრელია. ამასთან არ აქვს მნიშვნელობა, დასაბუთების ეს ელემენტები სასამართლო გადაწყვეტილებისთვის არსებითია თუ არაარსებითი, ანუ - ზედმეტი. თუ მაგალითად, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარი იმ მიზეზით ითქვა, რომ მოპასუხემ მართალია ჩაიდინა თაღლითური ქმედება, მაგრამ სასარჩელო მოთხოვნა ხანდაზმულია, მაშინ მოპასუხეს არ შეუძლია სააპელაციო საჩივრის შეტანა იმ მიზნით, რომ სარჩელის დაკმა-

ყოფილებაზე უარს იმ დასაბუთებით მიაღწიოს, რომ დამაზიანებელი თაღლითური ქმედება უკვე აღარ არსებობს.

42. ეს შედეგები გერმანიაში საყოველთაოდ აღიარებულ სამართლებრივ შეხედულებას შეესაბამება (შეადარეთ, BVerfG, Beschluss vom 29.03.2010 - 1 BvR 1373/08 - FamRZ 2010, 797; BVerfG, Beschluss vom 30.05.2012 - 2 BvR 800/12 - juris). ფაქტის დამტკიცების შეუძლებლობით გამონვეული გამამართლებელი განაჩენის შემთხვევაშიც კი, ანუ არა „დამტკიცებული უდანაშაულობის გამო“, სისხლის სამართლის პროცესში დამკვიდრებული საერთო შეხედულებით, საჩივრის უფლებამოსილებაზე უარი ითქმის (BGH, Urteil vom 18.01.1955 - 5 StR 499/54 - BGHSt 7, 153). საკონსტიტუციო სარჩელისთვისაც (აღნიშნულის თაობაზე იხილეთ ზემოთ 264-ე მუხლის ა.ნ. 38-ის მომდევნო აბზაცები) ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო ხაზს უსვამს, რომ ტვირთი, ყველა შემთხვევაში, მხოლოდ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილიდან შეიძლება გამოდინარეობდეს. მხოლოდ იგი განსაზღვრავს (საჭიროების შემთხვევაში, გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის ჩართვით) სავალდებულოდ, თუ რა შედეგები დგება დადგენილი საქმის გარემოებების საფუძველზე ისე, რომ სამოტივაციო ნაწილში წარმოდგენილი საზიანო განმარტებები, ძირითადად, არ წარმოშობს ტვირთს (BVerfG, Beschluss vom 30.05.2012 - 2 BvR 800/12 - juris; BVerfG, Beschluss vom 29.03.2010 - 1 BvR 1373/08 - FamRZ 2010, 797).

43. თუმცა, საკონსტიტუციო სარჩელის სპეციფიური ფუნქციიდან ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო ასკვნის, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში მოცემული საზიანო განმარტებები მაშინ შეიძლება იყოს ძირითადი უფლებების დამოუკიდებელი დარღვევის შემცველი, როდესაც ისინი პროცესის მონაწილისათვის მიუღებელ, არსებით დარღვევებს შეიცავს, რომლებიც მისთვის ხელსაყრელი საბოლოო შედეგით არ კომპენსირდება (BVerfG, Beschluss vom 14.04.1970 - 1 BvR 33/68 - BVerfGE 28, 151; BVerfG, Beschluss vom 30.05.2012 - 2 BvR 800/12 - juris; BVerfG, Beschluss vom 29.03.2010 - 1 BvR 1373/08 - FamRZ 2010, 797). ამასთან, საქმე უნდა ეხებოდეს ექსტრემალურ შემთხვევებს, რაც უკვე იქიდან ჩანს, რომ აქამდე (რამდენადაც ამის დადგენა შესაძლებელია) ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მხოლოდ ორი გადაწყვეტილება არსებობს, რომლებშიც (BVerfG, Beschluss vom 14.04.1970 - 1 BvR 33/68 - BVerfGE 28, 151; BVerfG, Beschluss vom 08.10.1956 - 1 BvR 205/56 - BVerfGE 6, 7) სასამართლოს გადაწყვეტილების დასაბუთებით გამონვეული ძირითადი უფლებების შე-

საძლო დარღვევის გამო დამოუკიდებელი ტვირთის არსებობა ალიარე-ბული; და ამ ორ პროცესშიც კი საკონსტიტუციო სარჩელი არსებითად წარუმატებელი დარჩა. ასევე, უნდა დავაზუსტოთ, რომ ეს უფლებამოსი-ლება გერმანიაში მხოლოდ საკონსტიტუციო სარჩელით არის ხელმისა-წვდომი და არა სპეციალიზებული სასამართლოების გასაჩივრების საშუ-ალეებით, როგორცაა, მაგალითად, სააპელაციო საჩივარი.

44. 4. თუ **სააპელაციო საჩივრის წერილობითი დასაბუთება GER-ZPO-ს § 520-ის მე-3 აბზაცით** გათვალისწინებულ მოთხოვნებს არ აკმა-ყოფილებს, მაშინ სააპელაციო საჩივარი დაუშვებელია. GER-ZPO-ს § 520-ის მე-3 აბზაცით გათვალისწინებული მოთხოვნები **სააპელაციო სა-ჩივრის წერილობითი დასაბუთებისთვის დადგენილ ვადებში უნდა და-კმაყოფილდეს**. მათი ამონურვის შემდეგ დასაბუთების ხარვეზების გამო-სწორება შეუძლებელია (BGH, Beschluss vom 07.06.2018 – I ZB 57/17 - NJW 2018, 2894; BGH, Beschluss vom 29.11.2017 - XII ZR 414/17 - NJW-RR 2018, 386).

45. GER-ZPO-ს § 520-ის მე-3 აბზაცში მოცემული მითითებები უზრუ-ნველყოფს, რომ სამართლებრივი დავა სააპელაციო ინსტანციისთვის სა-კმარისად იყოს მომზადებული. ამდენად, ეს დებულება პროცესის კონცე-ნტრაციას ემსახურება და ამ გადასახედიდან (მიუხედავად მათი შემაფე-რხებელი მოქმედებისა სააპელაციო სასამართლოს არსებით გადაწყვე-ტილებაზე წვდომის მიმართ), საკონსტიტუციო-სამართლებრივი თვა-ლსაზრისით, ობიექტურად გამართლებულია (BVerfG, Beschluss vom 03.07.2001 - 2 BvR 1008/01 - NJW-RR 2002, 135). ეს მიზანი სამართლის განმარტებისა და პრაქტიკული გამოყენებისას უნდა გავითვალისწინოთ, რათა მოთხოვნებით, რომლებიც უკვე აღარ ემსახურება ნორმის მიზანს, ეფექტური სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფა იმაზე მეტად არ შეფერხდეს, ვიდრე ეს საჭიროა საქმის გარემოებიდან გამომდინარე (აღნიშნულის თაობაზე იხილეთ ზემოთ, მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის ა.ნ. 55 და მომდევნო აბზაცები).

46. გერმანიის სასამართლო პრაქტიკაში იშვიათია აპელაციის დაუ-შვებლად მიჩნევა სააპელაციო საჩივრის წერილობითი დასაბუთების ში-ნაარსობრივი დეფიციტების საფუძველზე. ერთი მხრივ, საკმაოდ ბევრი სამოქალაქო პროცესი ისეა აგებული, რომ ქვემოთ მოყვანილ კრიტერიუ-მებთან შედარებისას, ფაქტობრივად, საკმარისია GER-ZPO-ს § 520-ის მე-3 აბზაცის ნომერი 2-დან 4-მდე ჩამონათვალში მოცემულ აპელაციის ერთ-ერთ მიზეზთან დაკავშირებით გაკეთებული, საკმარისი ახსნა-განმა-რტება, რათა შესაძლებელი იყოს პირველი ინსტანციის სასამართლოს

მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების, შესაბამის დავის საგანთან დაკავშირებით, მთლიანობაში, სამართლებრივად ნამდვილი შედავება. მეორე მხრივ, სასამართლო პრაქტიკა დასაბუთების ინტენსივობის მიმართ უფრო ზომიერ მოთხოვნებს აყენებს იმისათვის, რომ ეფექტური სამართლებრივი დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე, საქმეზე გამოტანილ სასამართლო გადაწყვეტილებაზე წვდომას - და ამით, საბოლოო ჯამში, მატერიალური სამართლიანობის განხორციელებას - შეუსაბამოდ არ შეეშალოს ხელი. ამასთან, გერმანიაში სამოქალაქო-საპროცესო აპელაციის პროცესში ყოველთვის აუცილებელია ადვოკატის მიერ წარმომადგენლობა (აღნიშნულის თაობაზე ზემოთ იხილეთ 243-ე მუხლის ა.ნ. 8), რაც უდავოდ ხელს უწყობს სააპელაციო საჩივრის წერილობითი დასაბუთების იურიდიული ხარისხის ამაღლებას.

47. დეტალურად:

48. ა) GER-ZPO-ს § 520-ის მე-3 აბზაცის ნომერ 1-ში მოთხოვნილი **სააპელაციო განაცხადის** მითითება, კანონმდებლის მიერ დასახული მიზნის მიხედვით, გარკვევით უნდა განხორციელდეს. ყოველ შემთხვევაში, სასამართლო პრაქტიკა სააპელაციო საჩივრის დასაშვებობას გარკვევით მითითებული სააპელაციო განაცხადის არარსებობის გამო არ ჩააგდებს, როდესაც შინაარსობრივი განმარტებებიდან ეჭვგარეშე გამომდინარეობს, სამართლებრივი დაცვის რა ინტერესს ახორციელებს აპელაციით, გასაჩივრების საშუალების ინიციატორი (BGH, Beschluss vom 20.10.2015 - VI ZB 18/15 - NJW-RR 2015, 1532; BGH, Versäumnisurteil vom 22.03.2006 - VIII ZR 212/04 - NJW 2006, 2705). განსაკუთრებით, ნათელი სამართლებრივი დავების შემთხვევაში, რომელთა დავის საგნის გონივრულად გაყოფა ფაქტობრივად შეუძლებელია, სააპელაციო საჩივრის წერილობითი დასაბუთების ასეთი განმარტება (განმარტების კრიტერიუმებთან დაკავშირებით: ზემოთ მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის ა.ნ. 52 და მომდევნო აბზაცები), ხშირად შესაძლებელს ხდის იმის ეჭვგარეშე დადგენას, რომ პირველი ინსტანციის განაცხადი სააპელაციო წარმოების პროცესშიც შეუზღუდავად უნდა რეალიზდეს.

49. ბ) GER-ZPO-ს § 520-ის მე-3 აბზაცის ნომერი 2-ის (GER-ZPO-ს § 545-ის პირველ აბზაცთან ერთობლიობაში) გაგებით, **უფლების დარღვევზე** შეპასუხებისთვის საკმარისია, როდესაც სააპელაციო საჩივრის წარმდგენი, თავის მხრივ, გასაგებად წარმოადგენს სამართლებრივი ხასიათის იმ პუნქტებს, რომლებიც მისი გადასახედიდან, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაში არასწორად გადაწყდა. ამდენად, სიმცდარის დასამტკიცებლად აუცილებელი არ არის შეკრული

(სრულყოფილი) სამართლებრივი მსჯელობის წარდგენა. მეტიც, საკმარისია მხოლოდ იმ გარემოებათა შეტყობინება, რომლებიც გასაჩივრებულ გადანყვეტილებას, სააპელაციო საჩივრის წარმდგენის აზრით, კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს. განსაკუთრებული შინაარსობრივი მოთხოვნები არ არსებობს. სააპელაციო საჩივრის დასაშვებობისთვის განსაკუთრებით უმნიშვნელოა, ეს განმარტებები, თავის მხრივ, ლოგიკური ან სამართლებრივად მყარია თუ არა (BGH, Beschluss vom 10.03.2015 - VI ZB 28/14 - BGHZ 204, 251; BGH, Beschluss vom 29.11.2017 - XII ZB 414/17 - NJWR 2018, 386; BGH, Beschluss vom 13. 06.2017 - VIII ZB 7/16 - juris).

50. ყოველ შემთხვევაში, საკმარისი არ არის, როდესაც სააპელაციო საჩივრის წარმდგენი გასაჩივრებულ გადანყვეტილებას კი არ ეხება, არამედ მხოლოდ, ზოგადად, ცარიელ ფრაზებს იშველიებს, მაგალითად, იმას, რომ იგი გასაჩივრებულ გადანყვეტილებას „სრული მოცულობით“ გადასამონმებლად წარადგენს და „პირველი ინსტანციის მთელ ახსნა-განმარტებებზე“ მიუთითებს. სააპელაციო საჩივრის წერილობითი დასაბუთება უფრო მორგებული უნდა იყოს კონკრეტულ სადავო საქმეზე, ანუ (რამდენადაც ეს, გასაჩივრებულ გადანყვეტილებაში წარმოდგენილი განმარტებებიდან გამომდინარეა რეკომენდებული) პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი გადანყვეტილების არგუმენტაციას ეხებოდეს (BGH, Beschluss vom 15.05.2018 - II ZB 10/17 - juris; BGH, Beschluss vom 11.10.2016 - XI ZB 31/15 - NJW-RR 2017, 365; BGH, Beschluss vom 20.10.2015 - VI/ZB 18/15 - NJW-RR 2015, 1533). თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ სააპელაციო საჩივრის წერილობით დასაბუთებაში მხოლოდ იმ სამართლებრივი ასპექტების გამეორება, რომლებიც წინა ინსტანციის მიერ განხილვისას იყო წარმოდგენილი, ყველა შემთხვევაში არასაკმარისი იქნება (BGH, Beschluss vom 07.06.2018 - I ZB 57/17 - NJW 2018, 2894). საბოლოო ჯამში, უფრო ცალკეულ შემთხვევაზე, განსაკუთრებით კი კონკრეტული გასაჩივრებული პუნქტის სამართლებრივ ან ფაქტობრივ სირთულეზე, აგრეთვე წინა ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადანყვეტილების დასაბუთების ხერხსა და მის ინტენსივობაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად ღრმა არგუმენტაციითა და საქმესთან დაკავშირებული როგორი სპეციფიკით უნდა იქნეს შედავებული პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადანყვეტილება.

51. აა) თუ სამართლებრივ დავას ერთიანი დავის საგანი უდევს საფუძვლად, მაშინ აპელაციის მოსარჩელეს, პრინციპში, არ ევალდება, მისთვის უარყოფითად შეფასებულ ყველა სადავო საკითხთან დაკავშირე-

ბით თავისი პოზიცია დააფიქსიროს სააპელაციო საჩივრის წერილობით დასაბუთებაში, როდესაც უკვე ერთი საკითხის წინააღმდეგ, - დავუშვათ, წარმატებულად - განხორციელებული სააპელაციო შედავება გამოსადეგია იმისათვის, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთებას გამოაცალოს საფუძველი (BGH, Beschluss vom 10.03.2015 - VI ZB 28/14 - BGHZ 204, 251; BGH, Beschluss vom 21.07.2016 - IX ZB 88/15 - NJW-RR 2016, 1267). თუმცა, ასევე გასათვალისწინებელია, რომ ეს წესი არ მოქმედებს, როდესაც სამართლებრივად ერთიანი დავის საგნის ფარგლებში დამოკიდებული პუნქტები არსებობს და მათთან დაკავშირებით, წინა ინსტანციის სასამართლოს სამართლებრივად განსხვავებული არგუმენტაცია ჰქონდა (მაგალითად, შეკეთების ხარჯები, დაქირავებული ავტომანქანის ხარჯები, მიუღებელი შემოსავალი და ა. შ. ავტოსაგზაო შემთხვევისას) ან როდესაც გასაჩივრებული გადაწყვეტილება მრავალ, სამართლებრივად დამოუკიდებელ მიზეზს ეფუძნება (აღნიშნულის თაობაზე დეტალურად იხილეთ ა.ნ. 54 და მომდევნო აბზაცები).

52. თუ პირველი ინსტანციის სასამართლომ ნასყიდობის ფასის შესახებ სარჩელი იმ არგუმენტაციით მიიღო, რომ მოპასუხის შეცილება ნასყიდობის ხელშეკრულების წინააღმდეგ ნამდვილი არ იყო, მოპასუხეს უფლება არ ჰქონდა მის მიერ წარდგენილ საგარანტიო მოთხოვნებზე და ნასყიდობის ფასის შესახებ მოთხოვნა არ იყო ხანდაზმული, მაშინ სააპელაციო საჩივრის წერილობითი დასაბუთება უკვე იმ შემთხვევაში შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, როდესაც მასში ნაჩვენებია, თუ რატომ იყო, სააპელაციო საჩივრის წარმდგენის გადმოსახედიდან, ნასყიდობის ხელშეკრულების შეცილება ნამდვილი. თუ ეს შედავება დასაბუთებული იქნებოდა, მაშინ პირველი ინსტანციის სასამართლომ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში სააპელაციო საჩივრის წარმდგენის საზიანოდ გადაჭრილი სხვა საკითხები გადამწყვეტი აღარ იქნებოდა და ამით, ამ გადაწყვეტილებას სამართლებრივი საფუძველი გამოეცლებოდა. ამიტომ, მისი სააპელაციო საჩივარი მაშინაც დასაშვები იქნება, თუ იგი სხვა, ანუ საგარანტიო უფლებასთან და ხანდაზმულობის ვადასთან დაკავშირებულ განმარტებებს განცალკევებულად სადავოს არ ხდის.

53. ვინაიდან გადაწყვეტილების მხოლოდ საყრდენი საფუძვლები უნდა იქნეს შედავებული, საკმარისია, რომ მოსარჩელემ, რომლის სარჩელიც პირველი ინსტანციის სასამართლომ მხოლოდ სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის გამო უარყო, სააპელაციო საჩივარში დაასაბუთოს, თუ რატომ არ იყო ხანდაზმული, მისი აზრით, სასარჩელო მოთხოვნა (BGH, Urteil vom 10.03.2015 - VI ZR 215/14 - NJW 2015, 1684). ეს,

ცხადია, არაფერს ცვლის იმაში, რომ პრინციპში გონივრულია, სააპელაციო საჩივარი აპელაციის ყველა სერიოზულად განსახილველ მიზეზს დაეყრდნოს. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადვოკატისთვის, რომლისგანაც სასამართლო პრაქტიკა გერმანიაში პრინციპულად მოითხოვს, რომ მან პროცესის წარმართვისას „ყველაზე უსაფრთხო გზა“ აირჩიოს, ანუ თავიდან აირიდოს ყველა ის საპროცესო რისკი, რომლის არიდებაც შეიძლება (BGH, Urteil vom 07.09.2017 - IX ZR 71/16 - NJW-RR 2017, 1459; BGH, Beschluss vom 12.07.2016 - VIII ZB 25/15 - NJW 2016, 3248; BGH, Beschluss vom 08.05.2012 - VI ZB 1/11 und VI ZB 2/11 - NJW 2012, 2523).

54. თუმცა, თუ პირველი ინსტანციის სასამართლომ თავისი გადაწყვეტილება ერთმანეთისგან დამოუკიდებელ (შესაბამისად, დამოუკიდებლად გამამყარებელ) რამდენიმე სამართლებრივ მოსაზრებაზე დაყრდნობით გამოიტანა, მაშინ სააპელაციო საჩივრის წარმდგენმა თითოეული ამ მოსაზრებისთვის სააპელაციო საჩივრის დასაბუთებაში უნდა განმარტოს, თუ რატომ ვერ ამყარებს, მისი აზრით, ეს მოსაზრება გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას. სხვა შემთხვევაში, გასაჩივრების საშუალება მთლიანად დაუშვებელია (BGH, Beschluss vom 10.03.2015 - VI ZB 28/14 - BGHZ 204, 251; BGH, Beschluss vom 29.11.2018 - III ZB 19/18 - juris; BGH, Urteil vom 18.01.2018 - IX ZR 31/15 - MDR 2018, 766; BGH, Beschluss vom 11.10.2016 - XI ZB 31/15 - NJW-RR 2017, 365). ამდენად, თუ - ზემოთ განხილული მაგალითის საპირისპიროდ - სასამართლომ პირველი ინსტანციის გადაწყვეტილებით უარი თქვა ნასყიდობის ფასის შესახებ სარჩელის დაკმაყოფილებაზე და ეს კუმულაციურად (სამართლებრივად, შესაბამისად, დამოუკიდებლად გამამყარებლად) იმით დაასაბუთა, რომ ნასყიდობის ხელშეკრულების შეცილება იურიდიულად ნამდვილი იყო, მაგრამ ყოველ შემთხვევაში (იმ შემთხვევისთვის, თუ შეცილება არ იქნებოდა ნამდვილი) მოპასუხემ ნასყიდობის საგნის ნაკლის გამო ნასყიდობის ხელშეკრულებაზე უარი თქვა, მაგრამ რაიმე სახის ნასყიდობის ფასის გადახდის მოთხოვნას, სულ მცირე, ხელს უშლის ხანდაზმულობის ვადის გასვლასთან დაკავშირებული შესაგებელი, მაშინ მოსარჩელემ აღნიშნულის წინააღმდეგ მიმართულ სააპელაციო საჩივარში თითოეული ამ პუნქტის წინააღმდეგ იურიდიულად ნამდვილად უნდა წარმოადგინოს თავისი პოზიცია. ამდენად, მან GER-ZPO-ს § 520-ის მე-3 აბზაცის ნომერი 2-4-ით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად, განმარტებები უნდა წარმოადგინოს როგორც შეცილებასთან, ისე ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების არსებობასთან და ხანდაზმულობა-

სთან დაკავშირებით. თუმცა, საკმარისია ერთადერთი, წარმოდგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მყოფი სააპელაციო შედაგება, თუ მას პირველი ინსტანციის გადანყვეტილების ყველა საყრდენი ასპექტის გაბათილება შეუძლია (BGH, Urteil vom 17.11.2010 - VIII ZR 277/09 - BGHZ 187, 311; BGH, Urteil vom 18.01.2018 - IX ZR 31/15 - MDR 2018, 766). ამდენად, თუ ზემოთ მოყვანილ მაგალითში მოსარჩელე დამატებით ამტკიცებდა, რომ მოპასუხემ ნასყიდობის ფასი იურიდიულად ნამდვილად აღიარა, მაშინ სააპელაციო საჩივრის დასაბუთება, რომელიც მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოში აღიარების უარყოფას ასაჩივრებს, დასაშვები იქნებოდა, რადგან იურიდიულად ნამდვილი აღიარებისას სარჩელზე უარის შემცველ გადანყვეტილებას მთლიანობაში საფუძველი გამოეცლებოდა.

55. ბბ) რამდენიმე დავის საგნის შემთხვევაში ან სხვადასხვა ელემენტის შემცველი გაყოფადი დავის საგნის შემთხვევაში, სააპელაციო საჩივრის დასაბუთებამ გასაჩივრებული გადანყვეტილების ყველა ნაწილი უნდა მოიცვას, რომელთან დაკავშირებითაც განაცხადით არის ცვლილება მოთხოვნილი; სხვა შემთხვევაში, გასაჩივრების საშუალება დაუსაბუთებელი ნაწილისთვის დაუშვებელია (BGH, Beschluss vom 29.11.2017 - XII ZB 414/17 - NJW-RR 2018, 386; BGH, Urteil vom 23.06.2015 - II ZR 166/14 - NJW 2015, 3040). თუმცა, რა თქმა უნდა, წარმოდგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მყოფი ერთადერთი სააპელაციო შედაგება მაშინაც შეიძლება იყოს საკმარისი, როდესაც იგი გამოსადეგია იმისათვის, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადანყვეტილება გააბათილოს სამართლებრივად დამოუკიდებელ ყველა დავის საგანთან დაკავშირებით. აღნიშნულთან გვაქვს საქმე, მაგალითად, როდესაც მოსარჩელე ნასყიდობის ფასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს 2016 და 2017 წლების სამართლებრივად დამოუკიდებელი რამდენიმე ნასყიდობის ხელშეკრულებიდან ახორციელებს, ხოლო მოპასუხე (რომელმაც პირველი ინსტანციის პროცესი წააგო) თავის სააპელაციო საჩივარში განმარტავს, რომ იგი მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ქმედუუნარო იყო ან რომ ყველა ეს ხელშეკრულება იმ პირის მიერ დაიდო, რომელსაც წარმომადგენლის უფლებამოსილება არ ჰქონდა.

56. იგივე წესი მოქმედებს, როდესაც, მართალია, დავის საგანი სამართლებრივად ერთიანია, მაგრამ პირველი ინსტანციის გადანყვეტილებაში, შინაარსობრივად გაყოფადი დავის საგნის არსებობისას, სამართლებრივად დამოკიდებულ (სამართლებრივად, შესაბამისად, დამოუკიდებლად გამამყარებელ) ცალკეულ ელემენტთან დაკავშირებით, გადანყვე-

ტილება განსხვავებული არგუმენტაციით მიიღეს. ამდენად, თუ პირველი ინსტანციის სასამართლომ ავტო-საგზაო შემთხვევიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებულ პროცესზე მოთხოვნილი შეკეთების ხარჯების დაკისრებაზე იმ არგუმენტით თქვა უარი, რომ წარმოდგენილი ანგარიში ყალბია და რომ მოსარჩელეს შეკეთება საერთოდ არ განუხორციელებია, ხოლო მოთხოვნილი დაქირავებული ავტომანქანის ხარჯების ანაზღაურებაზე უარი იმით დაასაბუთა, რომ ავტომანქანის დაქირავება ზიანის სამართლებრივად შერაცხადი შედეგი არ არის, მაშინ სააპელაციო საჩივრის წარმდგენმა, სამართლებრივად ერთიანი დავის საგნის მიუხედავად, თითოეულ ამ პუნქტთან დაკავშირებით თავისი პოზიცია ცალ-ცალკე უნდა დააფიქსიროს. თუ ეს ასე არ მოხდა, მაშინ მისი სააპელაციო საჩივარი, ყოველ შემთხვევაში მთლიანად დავის საგანთან დაკავშირებით კი არ იქნება დაუშვებელი, არამედ მხოლოდ იმ ელემენტთან დაკავშირებით, რომლის მიმართაც შედავება იურიდიულად ნამდვილად არ განხორციელებულა.

57. გ) თუ GER-ZPO-ს § 520-ის მე-3 აბზაცის ნომერი 2 მოითხოვს, რომ შედავებული უფლების დარღვევის **სამართლებრივი არსებითობა** წარმოჩინდეს, სასამართლო პრაქტიკა, ზემოთ ხსენებული ნორმის მიზნის შედეგად, აღნიშნულის მიმართ მხოლოდ ზომიერ მოთხოვნებს აყენებს. განსაკუთრებით, არ ხდება იმის ზოგადად მოთხოვნა, რომ სააპელაციო საჩივრის წერილობით დასაბუთებაში მიზეზობრივი კავშირი ცალსახად იყოს წარმოდგენილი. მეტიც, საკმარისია, რომ გადანყვეტილების არსებითობა უშუალოდ გასაჩივრებული გადანყვეტილებიდან (მის წინააღმდეგ მიმართულ, აპელაციის სხვა შედავებებთან ერთობლიობაში) გამომდინარეობდეს (BGH, Beschluss vom 10.03.2015 - VI ZB 28/14 - BGHZ 204, 251; BGH, Beschluss vom 13.09.2012 - III ZB 24/12 - NJW 2012, 3581). ხშირად ეს (შესაძლო) მიზეზობრივი კავშირი იმდენად ნათელია, რომ მასთან დაკავშირებით ცალსახა განმარტებები წმინდა ფორმალის იქნებოდა და ამიტომ მათი მოთხოვნა შეუძლებელია (შეადარეთ, მაგალითად, (BGH, Beschluss vom 10.03.2015 - VI ZB 28/14 - BGHZ 204, 251; BGH, Beschluss vom 13.09.2012 - III ZB 24/12 - NJW 2012, 3581).

58. დ) სააპელაციო შედავება, რომლითაც სააპელაციო საჩივრის წარმდგენი პირველი ინსტანციის პროცესისგან განსხვავებულ **მტკიცებულებათა შეფასებას მოითხოვს**, GER-ZPO-ს §§ 520-ის მე-3 აბზაცის ნომერი 3-ის, 529-ის საპროცესო წინაპირობებს უნდა დაეყრდნოს. ამიტომ, სააპელაციო საჩივრის წარმდგენმა უნდა განმარტოს, თუ რატომ არ უნდა იყოს, მისი აზრით, სავალდებულო სააპელაციო სასამართლო-

სთვის, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტები - GER-ZPO-ს § 529-ის მოთხოვნების საზომიდან გამომდინარე (BGH, Beschluss vom 11.03.2014 - VI ZB 22/13 - NJW-RR 2014, 760; BGH, Beschluss vom 28.05.2003 - XII ZB 165/02 - NJW 2003, 2531).

59. აა) კონკრეტული მტკიცებულებები, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტების სისწორისა თუ სრულყოფილების საეჭვოობისთვის, რაც სააპელაციო სასამართლოსთვის მათ სავალდებულოობას გამორიცხავს, უწინარეს ყოვლისა, საპროცესო შეცდომებიდან გამომდინარეობს, რომლებიც პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმის გარემოებათა დადგენისას დაუშვეს (BGH, Urteil vom 12.03.2004 - V ZR 57/03 – BGHZ 158, 269; BGH, Beschluss vom 11.03.2014 - VI ZB 22/13 - NJW-RR 2014, 760). ასეთი საპროცესო შეცდომაა, მაგალითად, როდესაც მტკიცებულებათა შეფასება პირველი ინსტანციის სასამართლოს გადანყვეტილებაში არ შეესაბამება იმ მოთხოვნებს, რომლებიც სასამართლო პრაქტიკამ განავითარა GER-ZPO-ს § 286-ის პირველ აბზაცთან დაკავშირებით (აღნიშნულის თაობაზე იხილეთ ზემოთ 105-ე მუხლის ა.ნ. 25 და მომდევნო აბზაცები) (BGH, Urteil vom 12.03.2004 - V ZR 57/03 - BGHZ 158, 269; BGH, Urteil vom 19.03.2004 - V ZR 104/03 - BGHZ 158, 295).

60. თუმცა, GER-ZPO-ს §§ 520-ის მე-3 აბზაცის ნომერი 3-ის, 529-ის მიხედვით დასაშვები შეპასუხების წინაპირობას თავისთავად არ წარმოადგენს საპროცესო სამართლის დარღვევა (BGH, Urteil vom 09.03.2005 - VIII ZR 266/03 – BGHZ 162, 313), არამედ რჩება გარკვეული დიაპაზონი, რომლის ფარგლებშიც წინა ინსტანციის მიერ განხორციელებული მტკიცებულებების შეფასება მართალია არა GER-ZPO-ს § 286-ის პირველ აბზაცს არღვევს, ანუ საპროცესო შეცდომის შემცველი კი არ არის, მაგრამ აპელაციის მოსარჩელის შესაბამისი შეპასუხების შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს მიერ ფაქტების ხელახლა დადგენის საფუძველს იძლევა. ეს გამომდინარეობს იქიდან, რომ სააპელაციო ინსტანციამ, როგორც მეორე - მართალია, შეზღუდულმა - ფაქტების დამდგენმა ინსტანციამ, დამაჯერებელი და ამით „სწორი“, ანუ ცაკლეულ საქმეზე მატერიალური სამართლიანობის შესაბამისი გადანყვეტილება უნდა მიიღოს (BGH, Urteil vom 09.03.2005 - VIII ZR 266/03 - BGHZ 162, 313; BGH, Urteil vom 18.11.2004 - IX ZR 229/03 - BGHZ 161, 138; BGH, Beschluss vom 11.10.2016 - VIII ZR 300/15 - NJW-RR 2017, 75). ამიტომ, საკმარისია, როდესაც სააპელაციო საჩივრის წარმდგენის განმარტებიდან პირველი ინსტანციის მტკიცებულებათა შეგროვების განსხვავებული შეფასე-

ბის შესაძლებლობა გამომდინარეობს (BGH, Beschluss vom 11.10.2016 - VIII ZR 300/15 - NJW-RR 2017, 75). ნაწილობრივ, ასევე, მოითხოვება (თვალშისაცემად უფრო ფორმულირებაში განსხვავებული, ვიდრე შინაარსში) გარკვეული - არა აუცილებლად უფრო დიდი - ალბათობა იმისა, რომ ფაქტების ხელახალი დადგენის შემთხვევაში, პირველი ინსტანციის მტკიცებულებათა შეფასებას არავითარი საფუძველი არ ექნება (BGH, Urteil vom 09.03.2005 - VIII ZR 266/03 - BGHZ 162, 313; BGH, Beschluss vom 21.03.2018 - VII ZR 170/17 - NJW-RR 2018, 651).

61. აღნიშნულთან, შეიძლება, გვექონდეს საქმე, მაგალითად, როდესაც გარკვეულ შემთხვევას მონმეები განსახვავებულად აღწერენ და სააპელაციო სასამართლოსთვის პირველი ინსტანციის მტკიცებულებათა შეფასების საფუძველზე (აუცილებელი არ არის, რომ ამიტომ ის საპროცესო შეცდომის შემცველი იყოს) დამაჯერებელი სურათის შექმნა შეუძლებელია. იგივე, შეიძლება, განვიხილოთ, როდესაც სასამართლო ექსპერტი გარკვეულ მოვლენათა განვითარებას ვარაუდობდა, მაგრამ წარმოდგენილი კერძო დასკვნა მიუთითებს, რომ ამის დანახვა სხვაგვარადაც შეიძლება (აღნიშნულის თაობაზე იხილეთ ქვემოთაც, ა.ნ. 67). თუმცა, GER-ZPO-ს § 520-ის მე-3 აბზაცის ნომერი 3-ით, 529-ით გათვალისწინებული დასაბუთების აუცილებლობის გამო, საკმარისი არ არის, რომ წინა ინსტანციის მტკიცებულებათა შეფასებისგან განსხვავებული ასეთი ხედვა ობიექტურადაც შესაძლებლად მივიჩნიოთ; მეტიც, აპელაციის მოსარჩელის მოვალეობაა, რომ მან ეს სააპელაციო საჩივრის წერილობით დასაბუთებაშიც ასახოს. შებრუნებული ფორმულირებით ეს იმას ნიშნავს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტები სავალდებულოა მანამ, სანამ სააპელაციო საჩივრის წარმდგენი არ განმარტავს, თუ რის საფუძველზე უნდა მოვიჩნიოთ პირველი ინსტანციის მტკიცებულებათა შეფასება არასრულყოფილად და არადამაჯერებლად (BGH, Urteil vom 09.03.2005 – VIII ZR 266/03 - BGHZ 162, 313).

62. ბბ) ფაქტების ხელახლა დადგენის აუცილებლობა არ გულისხმობს, რომ ამიტომ **მტკიცებულებათა შეგროვება** სააპელაციო სასამართლომ **განმეორებით** უნდა განახორციელოს.

63. GER-ZPO-ს § 520-ის მე-3 აბზაცის ნომერი 3-ის, 529-ის მოთხოვნების დამაკმაყოფილებელი შედავების შედეგია მხოლოდ ის, რომ სააპელაციო სასამართლომ პირველადად, საკუთარი პასუხისმგებლობით უნდა დაადგინოს (ახალი) ფაქტები (BGH, Urteil vom 16.03.2017 - I ZR 205/15 - NJW 2017, 3304). აღნიშნულისგან განცალკევებულად, პასუხი უნდა გაეცეს კითხვას, შესაძლებელია თუ არა და დადებითი პასუხის შე-

მთხვევაში, რამდენად არის შესაძლებელი, რომ ეს პირველი ინსტანციის მიერ შეგროვებული მტკიცებულებების საფუძველზე განხორციელდეს ან ხომ არ არის სააპელაციო სასამართლო ვალდებული, რომ მტკიცებულებათა შეგროვება ხელახლა განახორციელოს.

64. მართალია, აღნიშნულის თაობაზე გადანყვეტილება სააპელაციო სასამართლოს დისკრეციას წარმოადგენს (BGH, Urteil vom 16.03.2017 - I ZR 205/15 - NJW 2017, 3304; BGH, Beschluss vom 19.02.2013 - II ZR 119/11 - juris); მაგრამ არსებობს ისეთი საქმეები, რომელთა შემთხვევაშიც სასამართლო მოსმენის პრინციპებიდან გამომდინარე, მტკიცებულებათა შეგროვების (საჭიროების შემთხვევაში, ნაწილობრივ) განმეორება აუცილებელია. აღნიშნული მოქმედებს როგორც წესი მაშინ, როდესაც სააპელაციო სასამართლოს **მონმის** ჩვენებისთვის სხვა დიაპაზონის ან სხვა მნიშვნელობის მინიჭება სურს, ვიდრე ეს პირველი ინსტანციის სასამართლომ გააკეთა (BGH, Beschluss vom 18.10.2017 - I ZR 255/16 - juris; BGH, Urteil vom 16.03.2017 - I ZR 205/15 - NJW 2017, 3304; BGH, Beschluss vom 11.06.2015 - I ZR 21714 - NJW-RR 2016, 175; BGH, Beschluss vom 14.07.2009 - VIII ZR 3/09 - NJW-RR 2009, 1291; dazu auch oben Art. 105 Rn. 41). თუ სააპელაციო სასამართლო ჩვენების სხვაგვარად შეფასებამდე მაინც თავად არ მოუსმენს მონმეს, ამით იგი, პრინციპში, არღვევს წაგებული მხარის მოთხოვნის უფლებას სასამართლო მოსმენაზე (BVerfG, Beschluss vom 22.11.2004 - 1 BvR 1935/03 - NJW 2005, 1487; BGH, Beschluss vom 07.11.2018 - IV ZR 189/17 - juris; BGH, Beschluss vom 21.03.2018 - IV ZR 248/17 - NJW 2018, 2334).

65. სააპელაციო სასამართლოს, ასევე, არ შეუძლია მხოლოდ ერთი მონმის დაკითხვის, როგორც მტკიცებულებათა ერთიანი შეფასების გარკვეულწილად იზოლირებული ელემენტის, მოგვიანებით განხორციელება და პირველი ინსტანციით დადგენილი ფაქტების სავალდებულოობის ამით აღდგენა (BGH, Urteil vom 16.03.2017 - I ZR 205/15 - NJW 2017, 3304). პირიქით, მან მტკიცებულებები შემაჯამებლად ხელახლა უნდა შეაფასოს. თუმცა, ეს თავისთავად იმას არ გულისხმობს, რომ სააპელაციო სასამართლო ვალდებულია, ყოველთვის სრულად განახორციელოს მტკიცებულებათა ხელახალი შეგროვება, როდესაც მას ზემოთ ხსენებული მიზეზების გამო, ყოველ შემთხვევაში, მტკიცებულებათა შეგროვების გარკვეული ნაწილების განმეორება ევალდება. თუ, მაგალითად, სააპელაციო სასამართლო პირველად სააპელაციო ინსტანციაში დაკითხავს მონმეს და მის ჩვენებას უსარგებლოდ მიიჩნევს, მაშინ ის პრინციპულად უფლებამოსილია, შეგროვებული მტკიცებულებები წინა ინსტანციის და-

კითხვის ოქმების საფუძველზე დამოუკიდებლად შეაფასოს და მათი შეფასება პირდაპირ თავის თავზე აიღოს (BGH, Urteil vom 16.03.2017 - I ZR 205/15 - NJW 2017, 3304; BGH, Urteil vom 25.10.2013 - V ZR 147/12 - NJW 2014, 550).

66. გამონაკლისის სახით, შეიძლება, რომ მოწმის ხელახალი დაკითხვა არ მოხდეს, როდესაც სააპელაციო სასამართლო მოწმის ჩვენების პირველი ინსტანციის გადაწყვეტილებისგან განსხვავებულ შეფასებას მხოლოდ იმ გარემოებებზე ამყარებს, რომლებიც არც მოწმის განსჯის უნარს, მის მეხსიერებას ან უტყუარობას, ანუ დამაჯერებლობას, და არც მისი ჩვენების სრულყოფილებას ან თანმიმდევრულობას, ანუ დასაბუთებულობას ეხება (BGH, Beschluss vom 11.06.2015 - I ZR 7/14 - NJW-RR 2016, 175; BGH, Beschluss vom 21.03.2012 - XII ZR 18/11 - NJW-RR 2012, 704; BGH, Beschluss vom 14.07.2009 - VIII ZR 3/09 - NJW-RR 2009, 1291). თუმცა, ასეთი გამონაკლისი შემთხვევები პრაქტიკაში თითქმის არ გვხვდება, ამიტომ სააპელაციო სასამართლო ძალიან დიდ საპროცესო რისკზე მიდის, როდესაც იგი მოწმის ჩვენებას პირველი ინსტანციის სასამართლოსგან განსხვავებულად ისე აფასებს, რომ მას საკუთარი შთაბეჭდილება მოწმეზე არ ჩამოჰყალიბებია. იგივე ეხება მანამდე მოყვანილ შემთხვევასაც, როდესაც სააპელაციო სასამართლო მხოლოდ ერთ მოწმეს (ან ცალკეულ მოწმეებს) ხელახლა კითხავს თვითონ და სხვა მხრივ, მტკიცებულებათა შეფასებას პირველი ინსტანციის დაკითხვის ოქმების საფუძველზე ახორციელებს. ამიტომ, სააპელაციო სასამართლომ ასეთი საქმეების შემთხვევაში საკუთარ თავს უნდა ჰკითხოს, ხომ არ არის ნაკლებად სარისკო და მონაწილეებისთვისაც უფრო მართებული, რომ მან მტკიცებულებათა შეგროვების სრულად განმეორების გარანტირებული გზა აირჩიოს.

67. გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლოსთვის არსებობს საპროცესო-სამართლებრივი ვალდებულება, რომ მან თავად (წერილობით ან ზეპირად) ხელახლა მოუსმინოს **ექსპერტს** ან სხვა საექსპერტო დასკვნა მოითხოვოს, როდესაც დასკვნა ბუნდოვანი ან არათანმიმდევრულია, ან მხარის მიერ წარმოდგენილი კერძო დასკვნის არგუმენტებთან მიმართებაში - გაუგებარი (BGH, Beschluss vom 17.05.2017 - VII ZR 36/15 - NJW 2017, 3661; dazu auch oben Art. 105 Rn. 40). ასეთ ვითარებაში სააპელაციო სასამართლო თავის გადაწყვეტილებაში ზედმინევნით და კრიტიკულად უნდა შეეხოს ექსპერტის დასკვნასა და კერძო დასკვნას შორის არსებულ სადავო პუნქტებს და განსხვავებული პოზიციები შეაფასოს. განსაკუთრებით საჭიროა დასაბუთება, თუ რატომ მიენიჭა სასამარ-

რთლოს დასკვნას უპირატესობა კერძო დასკვნასთან შედარებით (BGH, Beschluss vom 17.05.2017 - VII ZR 36/15 - NJW 2017, 3661; BGH, Beschluss vom 27.01.2010 - VII ZR 97/08 - BauR 2010, 931). ექსპერტის ხელახალი მოსმენა, მით უმეტეს, აუცილებელია, როდესაც ექსპერტის განმარტებები სააპელაციო სასამართლოს წინა ინსტანციის სასამართლოსგან განსხვავებულად ესმის (BGH, Beschluss vom 18.07.2018 - VII ZR 30/16 - NJW-RR 2018, 1173).

68. ამ მოვალეობების დარღვევის, ისევე, როგორც სხვა საპროცესო შეცდომის წინააღმდეგ საკასაციო ინსტანციაში საჩივრის შეტანა შესაძლებელია.

69. გგ) ახალი ფაქტების დაშვებასთან დაკავშირებით, იხილეთ ქვემოთ, ა.ნ. 77 და მომდევნო აბზაცებში წარმოდგენილი განმარტებები.

70. ე) GER-ZPO-ს § 529-ის მე-2 აბზაცის შესაბამისად, **პროცესის ნაკლი**, რომელიც - პროცესის ზოგადი წინაპირობების (აღნიშნულის თაობაზე იხილეთ ზემოთ 81-ე მუხლის ა.ნ. 17) ან არსებითი გადანყვეტილების სხვა წინაპირობებისგან (იხილეთ ასევე, 399-ე და მომდევნო მუხლების ა.ნ. 9) განსხვავებით - თანამდებობიდან გამომდინარე (*ex officio*) არ უნდა გავითვალისწინოთ, მხოლოდ მაშინ მოწმდება, როდესაც იგი GER-ZPO-ს § 520-ის მე-3 აბზაცის მოთხოვნების დაკმაყოფილებით სამართლებრივად ნამდვილად გასაჩივრებულია.

71. ვ) თუმცა, სხვა მხრივ, სააპელაციო სასამართლო საჩივრით წარმოდგენილი **აპელაციის საფუძვლებით შებოჭილი არ არის**. აქედან გამომდინარეობს, რომ შესაბამისი საპროცესო დავის საგნის (ან შესაბამისი, განცალკევებულად დასაბუთებული ელემენტის) თვალსაზრისით დასაშვებად შეტანილი სააპელაციო საჩივრის საფუძველზე, სააპელაციო სასამართლომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი გადანყვეტილება სრული მოცულობით უნდა შეამოწმოს სამართლებრივი შეცდომების შემცველობაზე, ანუ ფაქტობრივად, მატერიალური სამართლებრივი მდგომარეობის სრულიად დამოუკიდებელი და საკუთარ პასუხისმგებლობაზე დაფუძნებული ახალი შემოწმება უნდა ჩაატაროს. ამის წინაპირობა მხოლოდ ის არის, რომ სააპელაციო საჩივრის შემტანმა **GER-ZPO-ს § 520-ის მე-3 აბზაცის მოთხოვნების დამაკმაყოფილებელი აპელაციის ერთადერთი საფუძველი** წარმოადგინოს.

72. ზ) ამაში მდგომარეობს იმის მიზეზიც, რომ გერმანიაში **სააპელაციო გადანყვეტილებების აგებულება** გადანყვეტილების სამოტივაციო ნაწილში (ასეთის არსებობის შემთხვევაში, აპელაციის დასაშვებობის დამატებით საჭირო შემოწმების მიუხედავად) სტრუქტურირებულია იმის

მსგავსად, როგორც ეს ზემოთ 249-ე მუხლის ა.ნ. 3-ში პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებისთვის იყო ნაჩვენები. მხოლოდ კონკრეტული შინაარსობრივი ჩამოყალიბებისას ხდება - კონკრეტული პროცესის ვითარებიდან გამომდინარე, ხან მეტად და ხან ნაკლებად - არგუმენტაციულად უფრო ღრმად, იმ ასპექტების განხილვა, რომლებიც პირველი ინსტანციის სასამართლოსთვის წინა პლანზე იყო წამოწეული ან განსაკუთრებულად განხილული სააპელაციო პროცესის მხარეთა მიერ.

73. 5. წარმოდგენილი ფაქტები, რომლებიც პირველ ინსტანციაში, დაგვიანების გამო, მართებულად იქნა უარყოფილი, GER-ZPO-ს § 531-ის პირველი აბზაცის თანახმად, სააპელაციო ინსტანციაშიც გამორიცხული რჩება (აღნიშნულის თაობაზე, ზემოთ 105-ე მუხლის ა.ნ. 125 და მომდევნო აბზაცები). ახალი ჩვენების დასაშვებობა სააპელაციო ინსტანციაში GER-ZPO-ს § 531-ის მე-2 აბზაცით რეგულირდება (ტექსტი გადმოცემულია 105-ე მუხლის ა.ნ. 114-ში).

74. ა) თუ ახლად წარმოდგენილი ფაქტები უდავო რჩება, მაშინ სააპელაციო სასამართლოს უფლება არ აქვს, მათ მიღებაზე GER-ZPO-ს § 531-ის მე-2 აბზაცით უარი თქვას, რადგან უდავო ფაქტები ზოგადი სამოქალაქო-საპროცესო პრინციპების თანახმად, ყოველთვის გასათვალისწინებელია. ეს წესი მაშინაც კი მოქმედებს, როდესაც წარმოდგენილი უდავო ფაქტი მასზე დამოკიდებულ შემდგომ კითხვებს იწვევს და მათთან დაკავშირებით მტკიცებულებათა შეგროვებას მოითხოვს (BGH, Urteil vom 18.11.2004 - IX ZR 229/03 - BGHZ 161, 138; BGH, Beschluss vom 08.05.2018 - XI ZR 53/17 - NJW 2018, 2269; BGH, Urteil vom 16.10.2008 - IX ZR 135/07 - NJW 2009, 685). თუ მაგალითად, მოსარჩელე პირველად სააპელაციო პროცესზე ამტკიცებს, რომ მოპასუხემ ხელშეკრულება, რომელიც წინა ინსტანციის სასამართლომ, მოპასუხის წარმომადგენლის მინდობილობის გარეშე მოქმედების გამო ბათილად სცნო, სატელეფონო საუბარში მოიწონა და ამ სატელეფონო საუბრის შინაარსი უდავოა, მაშინ ეს ჩვენება უნდა დაიშვას. აღნიშნულში არც ის ცვლის რამეს, რომ სააპელაციო სასამართლომ ამის შედეგად ნამდვილად დადებული ხელშეკრულების არსებობა ივარუდოს. ამის გამო კი (როდესაც ხდება ნაკლის არსებობის მტკიცება) მას დიდი მოცულობით მტკიცებულებათა შეგროვება უწევს ხელშეკრულების შესაბამისი შესრულების დასადგენად, რაც მნიშვნელოვნად აჭიანურებს პროცესს.

75. ბ) GER-ZPO-ს § 531-ის მე-2 აბზაცის პირველი წინადადების ნომერი 1 ახალი ჩვენების უფლებას იძლევა იმ ასპექტებთან დაკავშირე-

ბით, რომლებიც პირველი ინსტანციის სასამართლოს გამორჩა ან უმნიშვნელოდ მიიჩნია და ამიტომ, სასამართლოს მიზეზით ისინი პირველ ინსტანციაში არ გამოიყენეს (BGH, Urteil vom 19.03.2004 - V ZR 104/03 - BGHZ 158, 295; BGH, Beschluss vom 29.05.2018 VI ZR 370/17 - NJW 2018, 3652; BGH, Urteil vom 01.07.2015 - VIII ZR 226/14 - NJW 2015, 3455). ასეთი რამ განსაკუთრებით განიხილება მაშინ, როდესაც სააპელაციო სასამართლოს სამართლებრივი შეხედულების საფუძველზე, უკვე პირველი ინსტანციით, GER-ZPO-ს § 139-ის შესაბამისად, სავალდებულო იქნებოდა სამართლებრივი მითითება (აღნიშნულის თაობაზე იხილეთ ზემოთ, მე-4 მუხლის ა.ნ. 8 და მომდევნო), რომელიც პირველი ინსტანციის სასამართლომ - მართალია, მის მიერ მატერიალური სამართლებრივი მდგომარეობის განსხვავებული შეფასებიდან გამომდინარე, ლოგიკურად - არ განახორციელა. ახალი ჩვენების დაშვება, GER-ZPO-ს § 531-ის მე-2 მუხლის პირველი წინადადების ნომერი 1-ის თანახმად, სასამართლოს შეცდომის გამო დამდგარი ასეთი ვითარებისას არც იმით გამოირიცხება, რომ მხარემ, თავისი დაუდევრობით, პირველ ინსტანციაში საკმარისი ახსნა-განმარტება ვერ წარმოადგინა (BGH, Urteil vom 19.03.2004 - V ZR 104/03 - BGHZ 158, 295; BGH, Beschluss vom 29.05.2018 - VI ZR 370/17 - NJW 2018, 3652; BGH, Urteil vom 01.07.2015 - VIII ZR 226/14 - NJW 2015, 3455; BGH, Beschluss vom 03.03.2015 - VI ZR 490/13 - NJW-RR 2015, 1278).

76. გ) GER-ZPO-ს § 531-ის მე-2 აბზაცის პირველი წინადადების ნომერი 2 განსაკუთრებით ისეთ შემთხვევას ეხება, როდესაც პირველი ინსტანციის სასამართლოს, პროცესის დარღვევით, GER-ZPO-ს § 139-ის შესაბამისად საჭირო მითითების გაკეთება გამორჩა (BGH, Urteil vom 19.03.2004 - V ZR 104/03 - BGHZ 158, 295; BGH, Beschluss vom 11.04.2018 - VII ZR 177/17 - NJW 2018, 2202; BGH, Urteil vom 19.02.2004 - III ZR 147/03 - NJW-RR 2004, 927). ამდენად, GER-ZPO-ს § 531-ის მე-2 მუხლის პირველი წინადადების ნომერი 1-ის საპირისპიროდ, ეს წესი ისეთ ჩვენებას არ ეხება, რომელიც პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი შეხედულების თანახმად, უმნიშვნელო იყო და მნიშვნელოვანი უკვე სააპელაციო სასამართლოს პერსპექტივიდან გახდა. პირიქით, ეს წესი ეხება ისეთ შემთხვევებს, რომლებშიც პირველი ინსტანციის სასამართლოს სამართლებრივი შეხედულებითაც, პირველად სააპელაციო წამოებაში წარმოდგენილი ფაქტები გადამწყვეტი იქნებოდა და პირველი ინსტანციის სასამართლომ ამის მი-

უხედავად, საჭირო სამართლებრივი მითითება არ გააკეთა. მხარის დაუდევრობა მასზე გავლენას არც ამ შემთხვევაში იქონიებს.

77. დ) GER-ZPO-ს § 531-ის მე-2 აბზაცის პირველი წინადადების ნომერი 3 ისეთი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებას გამოირიცხავს, რომლებიც პირველ ინსტანციაში წარმოდგენილი არ იყო, მიუხედავად იმისა, რომ როგორც მათი ფაქტობრივი არსებობა, ისე სამართლებრივი დავის შედეგისთვის მათი მნიშვნელობა, მხარისთვის პირველი ინსტანციის სასამართლოში ზეპირი განხილვის დასრულებამდე იყო ცნობილი ან ყოველ შემთხვევაში, ცნობილი უნდა ყოფილიყო (BGH, Urteil vom 19.03.2004 - V ZR 104/03 - BGHZ 158, 295). ასეთ დროს რწმუნებულის ბრალი, GER-ZPO-ს § 85-ის მე-2 აბზაცის შესაბამისად, მხარეს შეე-რაცხება.

78. ყოველ შემთხვევაში, ახლად არ ითვლება ისეთი ფაქტების მტკიცება, რომელთა საშუალებითაც უკვე დამაჯერებელი პირველი ინსტანციის ჩვენების მხოლოდ დაკონკრეტება, უფრო ნათლად წარმოდგენა ან განმარტება ხდება (BGH, Urteil vom 21.03.2018 - VIII ZR 68/17 - NJW 2018, 3448; BGH, Urteil vom 18.10.2005 - I ZR 270/04 - BGHZ 164, 330; BGH, Beschluss vom 06.04.2016 - VII ZR 40/15 - BauR 2016, 1209; BGH, Beschluss vom 06.05.2015 - VII ZR 53/13 - NJW-RR 2015, 1109). თუ სააპელაციო სასამართლო ასეთ მხოლოდ დამაკონკრეტებელ ახალ ფაქტობრივ მტკიცებებს მნიშვნელოვნად მიიჩნევს გადაწყვეტილებისთვის, მაგალითად, იმიტომ, რომ მისთვის აქამდე წარმოდგენილი ფაქტობრივი გარემოებები, მიუხედავად არსებული დამაჯერებლობისა, არასაკმარისია საკუთარი რწმენის ჩამოსაყალიბებლად, მაშინ მან (საჭიროების შემთხვევაში, მტკიცებულებათა შეგროვების გზით) უნდა გაითვალისწინოს ისინი. ამიტომ, GER-ZPO-ს §531-ის მე-2 აბზაცის პირველი წინადადების ნომერი 3-ით გათვალისწინებული პრეკლუზიის წინაპირობაა ის, რომ პირველად ახალი ჩვენება საქმის დამაჯერებლად გადმოცემის შესაძლებლობას იძლევა.

79. თუ შეტევის ან დაცვის საშუალება პირველად პირველი ინსტანციის ზეპირი განხილვის დასრულების შემდეგ წარმოიშვა, მაშინ ბუნებრივია, რომ GER-ZPO-ს § 531-ის მე-2 მუხლის პირველი წინადადების ნომერი 3-ით გათვალისწინებული დაუდევრობა გამოირიცხება ისე, რომ იგი ყოველთვის იქნება დასაშვები (BGH, Beschluss vom 14.07.2016 - V ZR 258/15 - NJW 2017, 736; BGH, Beschluss vom 17.05.2011 - X ZR 77/10 - NJW-RR 2012, 110; BGH, Beschluss vom 22.04.2010 - I ZR 17/09 - NJW-RR 2010, 1478). იგივე წესი ვრცელდება, ძირითადად, როდესაც აღმჭუ-

რველი უფლება პირველ ინსტანციაში პირველად ზეპირი განხილვის დასრულების შემდეგ განხორციელდა (BGH, Urteil vom 17.10.2018 - VIII ZR 212/17 - WM 2018, 296). ყოველი აღმჭურველი უფლებისთვის იმანენტურია, რომ (მატერიალური სამართლის მიერ დადგენილი დროის ზღვრების ფარგლებში) უფლებამოსილი პირის შეხედულებაზეა დამოკიდებული, გამოიყენებს თუ არა და როდის გამოიყენებს იგი მას. უფლებამოსილი პირისთვის მატერიალური სამართლის თანახმად მინიჭებული ეს დისპოზიციის უფლება GER-ZPO-ს § 531-ის მე-2 აბზაცით არ შეიძლება, შეიზღუდოს. საპროცესო სამართლის დებულებები ხომ იმას ემსახურება, რომ მატერიალური სამართალი განხორციელდეს, და არა იმას, რომ ხელი შეუშალოს მის განხორციელებას, როდესაც ამის თავიდან არიდებაა შესაძლებელი (BGH, Urteil vom 17.10.2018 - VIII ZR 212/17 - WM 2018, 296). სხვა მხრივ, ცალკეული საქმის გარემოებებზეა დამოკიდებული, თუ რამდენად ბრალით არის გამონეული ის, რომ შესაბამისი მტკიცებულებები პირველ ინსტანციაშივე არ წარმოადგენს. ყოველ შემთხვევაში, კონცენტრირებული პროცესის წარმოების მოვალეობიდან გამომდინარე, მხარეს ევალება, რომ ინფორმაცია მისთვის ცნობილ და სავარაუდოდ, სამართლებრივი დავის გადაწყვეტისთვის მნიშვნელოვან ყველა გარემოებასთან დაკავშირებით თავიდანვე გადმოსცეს. ამიტომ, მხარე, პრინციპში არღვევს პროცესის ხელშეწყობის ზოგად მოვალეობას (აღნიშნულის თაობაზე იხილეთ ზემოთ, მე-3 მუხლის პირველი აბზაცის ა.ნ. 15-ის მომდევნო აბზაცი), როდესაც იგი გადაწყვეტილების გამოტანისთვის, სავარაუდოდ, მნიშვნელოვან ჩვენებას საპროცესო-ტაქტიკური მოსაზრებებიდან გამომდინარე არ ამჟღავნებს (BGH, Beschluss vom 16.06.2016 - V ZR 238/15 juris; BGH, Beschluss vom 10.06.2010 - Xa ZR 110/09 - NJW-RR 2011, 211). თუ ასეთ ჩვენებას იგი პირველად სააპელაციო ინსტანციაში წარმოადგენს, ეს მის ბრალეულობას გამოიწვევს.

80. თუმცა, ჯერ იმ ფაქტობრივი გარემოებების დადგენის მოვალეობა, რომლებიც მხარისთვის ცნობილი არ არის, პროცესის ხელშეწყობის ზოგადი მოვალეობიდან არ გამომდინარეობს პრინციპში (BGH, Beschluss vom 16.06.2016 - V ZR 238/15 - juris; BGH, Beschluss vom 30.10.2013 - VII 339/12 NJW-RR 2014, 85; BGH, Beschluss vom 10.06.2010 - Xa ZR 110/09 - NJW-RR 2011, 211). ასე, მაგალითად, ექიმის პასუხისმგებლობასთან დაკავშირებულ პროცესზე პაციენტსა და მის წარმომადგენელს, დადგენილი წესით პროცესის წარმართვის მიზნით, სამედიცინო ცოდნის შექმნა არ ევალებათ (BGH, Urteil vom 08.06.2004 - VI ZR 199/03 - BGHZ 159, 245; BGH, Beschluss vom 01.03.2016 - VI ZR

49/15 - NJW 2016, 1328). ასევე, მხარე პრინციპში ნაკლებადაა ვალდებული, რომ უკვე პირველ ინსტანციაში წარმოდგენილ სასამართლო ექსპერტიზის დასკვნას კერძო ექსპერტის ჩართვით დაუპირისპირდეს (BGH, Beschluss vom 06.05.2015 - VII ZR 53/15 - NJW-RR 2015, 1109).

81. 6. GER-ZPO-ს § 538-ში უფრო დეტალურად ჩამოყალიბებული წინაპირობების თანახმად, სააპელაციო სასამართლოს უფლება აქვს, რომ საქმე გადაწყვეტილებისა და პროცესის გაუქმებით **დაუბრუნოს** პირველი ინსტანციის სასამართლოს. მაგრამ ამისათვის საჭიროა, რომ პირველი ინსტანციის წარმოებას არსებითი ნაკლი გააჩნდეს და ამ ნაკლის გამო ვრცელი და კომპლექსურ მტკიცებულებათა შეგროვება იყოს აუცილებელი (აღნიშნულთან დაკავშირებით: BGH, Urteil vom 12.04.2018 - III ZR 105/17 - MDR 2018, 759).

82. ა) საკითხი იმის თაობაზე, სახეზეა თუ არა **არსებითი საპროცესო ნაკლი**, მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოს მატერიალურ-სამართლებრივი პოზიციის საფუძველზე უნდა შეფასდეს. ამაში ვერაფერს შეცვლის ის ფაქტი, რომ სააპელაციო სასამართლო წინა ინსტანციის სასამართლოს მატერიალურ-სამართლებრივ შეფასებას აშკარად მცდარად მიიჩნევს (BGH, Urteil vom 26.04.2018 - I ZR 169/16 - juris; BGH, Teilurteil vom 15.02.2017 - VIII ZR 284/15 - MDR 2017, 597; BGH, Urteil vom 22.01.2016 - V ZR 16/14 - NJW 2016, 2274). თუ დაფუძვლილ, პირველი ინსტანციის სასამართლომ სარჩელის განხილვაზე უარი სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო თქვა ან გადმოცემის ან მტკიცების ტვირთი (აღნიშნულის თაობაზე იხილეთ 102-ე მუხლის ა.ნ. 4) არასწორად გაიგო, მაშინ ეს (ყოველ შემთხვევაში, ცალკე აღებული) საპროცესო შეცდომა არ არის და სარჩელის განხილვაზე უარის თქმას იმ შემთხვევაშიც კი არ ამართლებს, როდესაც ამით სააპელაციო სასამართლომ ჯერ მტკიცებულებათა ფართომასშტაბიანი შეგროვება უნდა განახორციელოს. იგივე წესი მოქმედებს, როდესაც პირველი ინსტანციის სასამართლოს, სახელშეკრულებო დებულებათა განმარტებისას, განმარტების საყოველთაოდ აღიარებული (მატერიალური სამართლის სფეროს მიკუთვნებული) პრინციპები არ გაუთვალისწინებია (BGH, Teilurteil vom 15.02.2017 - VIII ZR 284/15 - MDR 2017, 597). აღნიშნულის საპირისპიროდ, სწორედ საპროცესო შეცდომასთან გვაქვს საქმე, როდესაც მტკიცებულებათა შეფასება პირველი ინსტანციის გადაწყვეტილებაში სასამართლო პრაქტიკის მიერ GER-ZPO-ს § 286-ის პირველ აბზაცთან დაკავშირებით შემუშავებულ მოთხოვნებს არ აკმაყოფილებს (BGH, Urteil vom 12.03.2004 - V ZR 257/03 - BGHZ 158, 269). ამ საკი-

თხთან დაკავშირებული დეტალები 105-ე მუხლის ა.ნ. 25-ის მომდევნო აბზაცებსა და 399-ე და მომდევნო მუხლების ა.ნ. 55-ის მომდევნო აბზაცებში წარმოდგენილ განმარტებებში იხილეთ.

83. ბ) თუმცა, აქ გასათვალისწინებელია, რომ არაგანსჯადი სასამართლოს მიმართ პრეტენზიის გარეშე მხარის პროცესში მონაწილეობით, ანუ განაცხადის უპირობოდ შეტანით (§§ 297, 137 Abs. 1 GER-ZPO), GER-ZPO-ს § 295-ის შესაბამისად, გარკვეულ საპროცესო ნაკლოვანებათა გამოსწორება ხდება.

§ 295 GER-ZPO - საპროცესო პრეტენზია (Verfahrensrügen)

(1) პროცედურასთან და განსაკუთრებით, საპროცესო მოქმედების ფორმასთან დაკავშირებული დებულების დარღვევის გამო პრეტენზიის წარდგენა უკვე აღარაა შესაძლებელი, როდესაც მხარე უარს იტყვის ამ დებულების დაცვაზე ან როდესაც იგი შემდეგი ზეპირი განხილვისას (რომელიც შესაბამისი პროცედურის საფუძველზე განხორციელდა ან რომელზეც ეს დებულება მოიხსენიეს), ნაკლთან დაკავშირებით პრეტენზიას არ განაცხადებს, მიუხედავად იმისა, რომ მხარე გამოცხადდა და ნაკლის შესახებ ცნობილი იყო მისთვის ან ცნობილი უნდა ყოფილიყო.

(2) ზემოთ მოცემული დებულება არ გამოიყენება, როდესაც დარღვეულია დებულებები, რომელთა დაცვაზე სამართლებრივად ნამდვილი უარის თქმა მხარეს არ შეუძლია.

84. აა) GER-ZPO-ს § 295-ის მე-2 აბზაცის შესაბამისად, ეს გამოსწორება ისეთი საპროცესო დებულებების დარღვევის მიმართ არ ვრცელდება, რომლებიც საჯარო ინტერესებშია და რომელთა დაცვაზე უარის თქმა მხარეებს ამიტომაც არ შეუძლიათ, მაგალითად: კანონის შესაბამისად დანიშნული მოსამართლის შენარჩუნებაზე (BGH, Urteil vom 15.10.2013 - II ZR 112/11 - juris; BGH, Urteil vom 16.10.2008 - IX ZR 183/06 - NJW 2009, 1351) ან სასამართლო სისტემის შესახებ კანონში სასამართლო განხილვის საჯაროობასთან ან შესაბამისად, არასაჯაროობასთან დაკავშირებით მოცემული რეგულაციების გათვალისწინებაზე (OLG Köln, Urteil vom 07.11.1984 - 16 U 102/84 - NJW-RR 1986, 560). განსხვავებული წესი მოქმედებს ზეპირი განხილვის გარეთ მტკიცებულებების შეგროვებისას ე.წ. მხარეთა საჯაროობის პრინციპების გათვალისწინების მიმართ, განსაკუთრებით ადგილის დათვალიერების ან სამართლებრივი დახმარების ფარგლებში მონმეთა დაკითხვისას, ვინაიდან მხარეთა საჯაროობა მხარეთა ინტერესებს ემსახურება მხოლოდ (BGH,

Beschluss vom 22.03.2012 - I ZR 192/10 - juris; BVerwG, Beschluss vom 21.09.2000 - 2 C 5/99 - NJW 2001, 1878).

85. აქედან გამომდინარე, საპროცესო-სამართლებრივი წესების უმეტესი ნაწილი, განსაკუთრებით კი, სამოქალაქო საროცესო კოდექსის, უშუალოდ პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებული ყველა დებულების დაცვა არასავალდებულო წესებს წარმოადგენს. შესაძლო საპროცესო შეცდომების სწორედ ამის გამო შესაძლებელი გამოსწორება გადამწყვეტი მიზეზია იმისა, რომ სამოქალაქო საქმეებზე (სხვაგვარადაა საქმე სისხლის სამართლის საქმეებთან დაკავშირებით) საჩივრის განმხილველი გერმანული სასამართლოების გადანწყვეტილებებში მხოლოდ იშვიათად შეიძლება შეხვდეთ განმარტებებს იმის თაობაზე, იყო თუ არა შესაბამისობაში უშუალოდ გადანწყვეტილების გამოტანამდე ჩატარებული წინა ინსტანციის პროცესი სამოქალაქო-საპროცესო მოთხოვნებთან.

86. ბბ) GER-ZPO-ს § 295-ით გათვალისწინებული გამოსწორება ბუნებრივად გამორიცხულია, როდესაც წინა ინსტანციაში მომხდარი პროცესის დარღვევა მხოლოდ თავად გადანწყვეტილებაშია გამოაშკარეებული, ანუ ისეთ მომენტში, რომელშიც საპროცესო პრეტენზიის წარდგენა პირველი ინსტანციის წარმოებით უკვე შეუძლებელი იქნებოდა (BGH, Urteil vom 12.03.1992 - III ZR 133/90 - MDR 1992, 777). ეს განსაკუთრებით მაშინ ხდება მნიშვნელოვანი, როდესაც მოსამართლის მიერ მითითების მოვალეობების დარღვევასა და მტკიცებულებათა პროცესუალურად მცდარ შეფასებას აქვს ადგილი.

87. GER-ZPO-ს § 139-ით გათვალისწინებული, მოსამართლის მიერ მითითების ვალდებულების, ან შესაბამისად, სასამართლო მოსმენის მოთხოვნის (GER-GG-ს 103-ე მუხლის პირველი აბზაცი) დარღვევისას (აღნიშნულის თაობაზე იხილეთ ზემოთ, მე-4 მუხლის ა.ნ. 8 და მომდინარე აბზაციები) გამოსწორება, როგორც წესი, ვერ იქნება განხილული, რადგან ასეთი საპროცესო შეცდომა, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, პროცესის მონაწილეებისთვის, უმეტესწილად, მხოლოდ პირველი ინსტანციის გადანწყვეტილების შინაარსიდან ვლინდება. მაგრამ თუ საპროცესო დარღვევა, გამონაკლისის სახით, უკვე ადრე ხდება შესამჩნევი, აქაც მოქმედებს, რომ მხარეს GER-ZPO-ს § 139-ის, GER-GG-ს 103-ე მუხლის პირველი აბზაციის დარღვევის თაობაზე პრეტენზიის წარდგენის უფლება უკვე აღარ გააჩნია, თუ მან დარღვევის აღმოჩენის შემდეგ მის ხელთ არსებული და პროცესთან დაკავშირებული პრეტენზიის წარდგენის შესაძლებლობა არ გამოიყენა (BGH, Beschluss vom 26.09.2017 - VI ZR 81/17 - NJW-RR 2018, 404; BGH, Beschluss vom 17.03.2016 - IX ZR

211/14 - NJW-RR 2016, 699). ამასთან, იმავდროულად, სასამართლო მოსმენის საკონსტიტუციო-სამართლებრივი პრინციპის დარღვევისას, ეს, ასევე, გამომდინარეობს (მათ შორის სამოქალაქო პროცესისთვისაც) საკონსტიტუციო-სამართლებრივი სუბსიდიურობის პრინციპიდან, რომლის თანახმად მონაწილემ სპეციალიზებული სასამართლო პროცესის საპროცესო შესაძლებლობები ბოლომდე უნდა ამონჟროს, რათა მის მიერ განცხადებული ძირითადი უფლების დარღვევის შესწორებას მიაღწიოს ან ძირითადი უფლების დარღვევას შეუშალოს ხელი (BGH, Beschluss vom 26.09.2017 - VI ZR 81/17 - NJW-RR 2018, 404; BGH, Beschluss vom 17.03.2016 - IX ZR 211/14 - NJW-RR 2016, 699; zur Verfassungsbeschwerde oben Art. 264 Rn. 43).

88. თუ მტკიცებულებათა შეფასება პროცესუალურად მცდარად განხორციელდა, ეს მხოლოდ თავად გადანყვეტილების დასაბუთებაში უნდა ინახოს. ამდენად, ამ თვალსაზრისით გამოსწორება თავისთავად გამორიცხულია.

89. 7. ისევე, როგორც ქართული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შეგებებული სააპელაციო საჩივარი (საქართველოს სსკ-ს 379-ე მუხლი), გერმანული სამოქალაქო საპროცესო კოდექსიც იცნობს შეგებებულ სააპელაციო საჩივარს (**Anschlussberufung**).

§ 524 GER-ZPO - შეგებებული სააპელაციო საჩივარი

(1) აპელაციის მოპასუხეს შეუძლია, შეუერთდეს აპელაციას. ეს შეერთება სააპელაციო სასამართლოსადმი წერილობითი შეგებებული სააპელაციო საჩივრის წარდგენის გზით ხორციელდება.

(2) შეერთება ასევე მისაღებია, როდესაც აპელაციის მოპასუხემ აპელაციაზე უარი თქვა ან გასულია აპელაციის ვადა. იგი აპელაციის მოპასუხისთვის დასაშვებია აპელაციის შესაგებლისთვის დადგენილი ვადის გასვლამდე. ეს ვადა არ მოქმედებს, როდესაც შეერთების საგანია მსჯავრდება, რომელიც ისეთ რეგულარულ შესრულებებს აკისრებს, რომლებიც მომავალში გახდება გადასახდელი.

(3) შეგებებული სააპელაციო საჩივარი დასაბუთებულ უნდა იყოს შეგებებული სააპელაციო საჩივრის განაცხადში. შესაბამისად მოქმედებს § 519-ის მე-2, მე-4 აბზაცების დებულებები და § 520-ის მე-3 აბზაცი, აგრეთვე § 521.

(4) შეერთება კარგავს თავის მოქმედებას, როდესაც სააპელაციო საჩივრის გამოთხოვა, უარყოფა ან მის დაკმაყოფილებაზე განჩინებით უარის თქმა ხდება.

90. გარდა უშუალოდ კანონის სიტყვასიტყვითი რედაქციიდან გამომდინარე სიტუაციებისა, შეგებებული სააპელაციო საჩივარი სამართლებრივ მნიშვნელობას იძენს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ერთი შეხედვით, „ნორმალური“ სააპელაციო საჩივრის სახით წარდგენილი საჩივარი საპროცესო-სამართლებრივი მიზეზებიდან გამომდინარე დაუშვებელია, მაგალითად, იმიტომ, რომ სააპელაციო საჩივრის წარმოდგენის სამართლებრივი მდგომარეობა არ გაუარესებულა ან რადგან მან სააპელაციო საჩივრის წარდგენის ვადა გაუშვა. ასეთ შემთხვევებში, სააპელაციო საჩივარზე, დაუშვებლობის გამო, უარის შემცველი გადაწყვეტილების გამოტანამდე უნდა შემოწმდეს, ხომ არ არის შესაძლებელი **სხვაგვარი განმარტების მინიჭების შედეგად**, მისი მიჩნევა შეგებებულ სააპელაციო საჩივრად და ამით მისი, როგორც ასეთის, შენარჩუნება (BGH, Beschluss vom 02.02.2016 - VI ZB 33/15 - NJW-RR 2016, 445). GER-BGB-ს § 140-ზე დაყრდნობით (შეესაბამება ქართული სამოქალაქო კოდექსის მე-60 მუხლს) განსახორციელებელი, ასეთი სხვაგვარი განმარტების მინიჭებისთვის საკმარისია, როდესაც ამასთან დაკავშირებით მხარის ნების არსებობა სავარაუდოა. ეს ყველა შემთხვევაში უნდა ივარაუდებოდეს (BGH, Urteil vom 06.05.1987 - IVb ZR 51/86 - BGHZ 100, 383; BGH, Beschluss vom 02.02.2016 - VI ZB 33/15 - NJW-RR 2016, 445; BGH, Beschluss vom 16.10.2014 - VII ZB 15/14 - NJW-RR 2015, 700).

91. ამასთან, უმაღლესი ფედერალური სასამართლოს პრაქტიკაში აღიარებულია, რომ შეგებებული სააპელაციო საჩივარი, მისი წარდგენისთვის GER-ZPO-ს § 524-ის მე-2 აბზაცის მე-2 წინადადებით გათვალისწინებული ვადის გასვლის შემდეგ, შეიძლება გაფართოვდეს, თუ შეგებებული სააპელაციო საჩივრის, ვადის დაცვით წარდგენილი, დასაბუთება ასეთ გაფართოებას ითვალისწინებს (BGH, Versäumnisurteil vom 06.07.2005 - XII ZR 293/03 - BGHZ 163, 324; BGH, Urteil vom 22.03.2016 - VI ZR 168/14 - NJW 2016, 1963). ეს დასაბუთებულია საპროცესო თანასწორობის პრინციპით (აღნიშნულის თაობაზე იხილეთ ზემოთ, მე-4 მუხლის ა.ნ. 2 და მომდევნო აბზაცი). მისი პირობაა ის, რომ აპელაციის მოპასუხეს მოწინააღმდეგე მხარის გაფართოებულ სააპელაციო საჩივრზე რეაგირების შესაძლებლობა ჰქონდეს (BGH, Versäumnisurteil vom 06.07.2005 - XII ZR 293/03 - BGHZ 163, 324). თუმცა, სააპელაციო პროცესის სხვაგვარი ორგანიზების გათვალისწინებით, საეჭვოა, რომ ამ მოსაზრებების ქართულ სამართლებრივ მდგომარეობაზე მორგება შესაძლებელი იყოს.

92. 8. გაუარესების აკრძალვა (reformatio in peius) GER-ZPO-ს § 528-ში, შინაარსობრივად საქართველოს სსკ-ს 384-ე მუხლის მსგავსად არის დარეგულირებული.

93. GER-ZPO-ს § 528-ის მე-2 აბზაცის მიხედვით, შედავებული გადაწყვეტილების შეცვლა სააპელაციო სასამართლოს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია, თუ ცვლილება მოთხოვნილია განაცხადით. აქედან გამომდინარეობს ის, რომ აპელაციის მოპასუხის საზიანოდ ცვლილების შემცველი გადაწყვეტილება, პრინციპულად, მხოლოდ შეგებებული სააპელაციო საჩივრის (აღნიშნულის თაობაზე იხილეთ ზემოთ, ა.ნ. 89 და მომდევნო აბზაცები) საფუძველზეა დასაშვები (BGH, Urteil vom 30.11.2012 - V ZR 245/11 - NJW 2013, 1009).

94. ა) გაუარესების აკრძალვასთან დაკავშირებით, შედარებით მოცულობითი, გერმანული სასამართლო პრაქტიკა შეიძლება ისე შეჯამდეს, რომ იგი აპელაციის წარმდგენის საზიანოდ აფერხებს არა მხოლოდ ისეთ ცვლილებას, რომელიც გასაჩივრებული გადაწყვეტილების სიტყვასიტყვით მნიშვნელობას სცდება, არამედ, ძირითადად, ყოველ გადაწყვეტილებას, რომელიც მისთვის (შეუცვლელად გამოტანილი გადაწყვეტილების შემთხვევაში) უფრო არახელსაყრელი მატერიალური კანონიერი ძალის მოქმედების გამო, საზიანოა. მატერიალური კანონიერი ძალის მოქმედებასთან ასეთი ურთიერთქმედების გათვალისწინებით (აღნიშნულის თაობაზე იხილეთ ზემოთ, მე-10 მუხლის ა.ნ. 9 და მომდევნო აბზაცები), გაუარესების აკრძალვა არა მხოლოდ აპელაციის მოსარჩელეს იცავს, არამედ იმავე ზომით - აპელაციის მოპასუხესაც. გამარტივებული ფორმულირებით, გაუარესების აკრძალვის დარღვევა, ძირითადად, სახეზეა, როდესაც პირველი ინსტანციის გადაწყვეტილების მატერიალური კანონიერი ძალის მოქმედებასთან დაპირისპირებისას, აპელაციის გადაწყვეტილება ერთი მხარის საზიანოდ ისე იცვლება, რომ მის საპროცესო მონინაალმდეგეს ამ ცვლილებისკენ მიმართული საკუთარი გასაჩივრების საშუალება არ წარმოუდგენია.

95. ბ) გერმანულ სასამართლო პრაქტიკაში ამ პრინციპიდან ორი გამონაკლისი არსებობს.

96. აა) თუ სარჩელის დაკმაყოფილებაზე პირველი ინსტანციის წარმოებისას ვადამოსულობის არარსებობის გამო უარი ითქვა, მაშინ მისი აპელაციისას სარჩელის დაკმაყოფილებაზე გამოტანილი საბოლოო უარი (მიუხედავად საზიანო მატერიალური კანონიერი ძალის მოქმედებისა; აღნიშნულის თაობაზე ასევე იხილეთ ზემოთ, ა.ნ. 34) გაუარესების აკრძალვასთან წინააღმდეგობაში არ მოდის. ეს დასაბუთებულია იმით,

რომ მოსარჩელე გასაჩივრებული გადაწყვეტილებით, ამ თვალსაზრისით, ჯერ არ იმყოფება დაცვის ღირს მდგომარეობაში (BGH, Urteil vom 21.04.1988 – VII ZR 372/86 - BGHZ 104, 212; OLG Köln, Urteil vom 02.04.2015 - 24 U 175/14 - juris).

97. ბბ) ამასთან, დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, გასაჩივრების საშუალების განმხილველ სასამართლოს უფლება აქვს, რომ სასარჩელო განაცხადზე, რომლის მიღებაზეც წინა ინსტანციის სასამართლომ **საპროცესო გადაწყვეტილებით** დაუშვებლობის გამო თქვა უარი, მოსარჩელის სააპელაციო საჩივრის საფუძველზე, **საქმეზე არსებითი გადაწყვეტილებით**, დაუსაბუთებლობის მოტივით თქვას უარი, როდესაც იგი ამ სარჩელს, მართალია, დასაშვებად, მაგრამ ამ საქმეში უშედეგოდ მიიჩნევს. მოსარჩელის დაცვის საჭიროების არარსებობის გამო (მიუხედავად საზიანო მატერიალური კანონიერი ძალის მოქმედებისა; აღნიშნულის თაობაზე ასევე იხილეთ ზემოთ, ა.ნ. 34) გასაჩივრების საშუალების წარმდგენის უარეს მდგომარეობაში ჩაყენების აკრძალვა ამასაც არ უშლის ხელს (BGH, Urteil vom 06.04.2016 - VIII ZR 79/15 - BGHZ 209, 337; BGH, Beschluss vom 26.09.1995 - KVR 25/94 - BGHZ 130, 390; BGH, Urteil vom 13.07.2017 - I ZR 64/16 - NJW 2018, 235).

98. გგ) მაგრამ საპროცესო სამართლიანობის (ასეთის არსებობის შემთხვევაში, ასევე სასამართლო მოსმენის) მოთხოვნა ისაა, რომ მატერიალური კანონიერი ძალის მოქმედების გაუარესების გამომწვევი გადაწყვეტილების გამოტანამდე, საპროცესო რეაგირების, მაგალითად, საკუთარი გასაჩივრების საშუალების გამოთხოვის შესაძლებლობა მიეცეს.

99. გ) ძალიან ვინრო წინაპირობების არსებობის შემთხვევაში, სასამართლო პრაქტიკა წინა ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების **ნაწილობრივი გასაჩივრებისას** უფლებას იძლევა, რომ გაუარესების აკრძალვამ სხვა საპროცესო პრინციპების ფონზე უკან დაიხიოს.

100. თუ მხოლოდ ნაწილობრივ გასაჩივრებული გადაწყვეტილება მთლიანობაში, ანუ მისი გაუსაჩივრებელი ნაწილის თვალსაზრისითაც გამოუსწორებელ, თანამდებობიდან გამომდინარე გასათვალისწინებელ საპროცესო ნაკლს შეიცავს, მაშინ უმაღლესი ფედერალური სასამართლოს პრაქტიკის თანახმად უნდა შეფასდეს, დარღვეული საპროცესო ნორმა უფრო მნიშვნელოვანია თუ გაუარესების აკრძალვა (BGH, Urteil vom 30.11.2012 - V ZR 245/11 - NJW 2013, 1009; BGH, Beschluss vom 11.09.2007 - XII ZB 177/04 - NJW 2008, 153 BGH, Beschluss vom 18.12.1985 - IVb ZB 677/81 - NJW 1986, 1494). თუმცა, აქ საქმე მხოლოდ იშვიათ გამონაკლის შემთხვევებთან გვაქვს, ამიტომ ამ თემას უფრო მე-

ტად აღარ ჩაეუღრმავდებით. პრაქტიკაში, უფრო მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით, რომელიც ნაწილობრივი გადაწყვეტილების ნაწილობრივ გასაჩივრებას ეხება, რომელიც მთლიანობაში ნაწილობრივი და საბოლოო გადაწყვეტილების თანმიმდევრულობის პრინციპს არღვევს (აღნიშნულის თაობაზე იხილეთ ზემოთ, 245-ე მუხლის ა.ნ. 3 და მომდევნო აბზაცები), უმაღლესმა ფედერალურმა სასამართლომ გადაწყვიტა, რომ ამ (გამოუსწორებელ და თანამდებობიდან გამომდინარე, გასათვალისწინებელ) საპროცესო შეცდომაზე დაყრდნობით განხორციელებული მთლიანი ნაწილობრივი გადაწყვეტილების გაუქმებას ეწინააღმდეგება აკრძალვა - *reformatio in peius* (BGH, Urteil vom 30.11.2012 - V ZR 245/11 - NJW 2013, 1009), ანუ საპროცესო შეცდომამ, შეფასების შედეგად, GER-ZPO-ს § 528-ით გათვალისწინებული მოთხოვნის ფონზე, უკან უნდა დაიხიოს.

101. 9. აპელაციის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილს, განსაკუთრებით რთულ სამართლებრივ დავებში და „მღელვარე საპროცესო ისტორიის“ მქონე წარმოებაში, საკმაოდ მნიშვნელოვანი სირთულეების შექმნა შეუძლია. ამ დროს უმთავრესი პრინციპი ის უნდა იყოს, რომ, ერთი მხრივ, გადაწყვეტილება ყველაფერზეა მისაღები, ანუ გასაჩივრების ყოველ საშუალებასა და სასარჩელო განაცხადზე და მეორე მხრივ, ეს მხოლოდ ერთხელ ხდება. რა მარტივადაც უნდა ჟღერდეს, ეს ყოველთვის მარტივი არ არის, განსაკუთრებით ორმხრივი გასაჩივრების საშუალებებისას, შუამდგომლობების მოთხოვნისას, გასაჩივრების საშუალებების განსხვავებული შედეგებისას ან საკასაციო ინსტანციის მიერ საქმის (განსაკუთრებით ნაწილობრივ) ხელახლა განსახილველად წინა ინსტანციაში დაბრუნებისას.

102. შუამდგომლობების მოთხოვნებთან დაკავშირებით, აქვე მივუთითებთ მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის ა.ნ. 39 და მომდევნო აბზაცებზე. ამასთან, ჯერ კიდევ დაუსწრებელი გადაწყვეტილებისას მითითებული საფუძვლებიდან (აღნიშნულის თაობაზე იხილეთ ზემოთ, 229-ე და მომდევნო მუხლების ა.ნ. 22) გამომდინარე, გასათვალისწინებელია, რომ წინა ინსტანციის გადაწყვეტილების შეცვლა მხოლოდ გასაჩივრების საშუალების შედეგის ფარგლებში ხორციელდება (ანუ არ ხდება სასარჩელო განაცხადის შესახებ ამ ფარგლებს მიღმა „ახალი“ გადაწყვეტილების მიღება) იმისათვის, რომ უკვე წინა ინსტანციის გადაწყვეტილების საფუძველზე განხორციელებულ აღსრულებას საფუძველი იმაზე მეტად არ გამოეცალოს, ვიდრე ეს გასაჩივრების საშუალების ნაწილობრივი შედეგითაა გათვალისწინებული. ყურადღება უნდა მიექცეს იმასაც, ხომ არ

არსებობდა უკვე პროცესში აღსრულების შესახებ განჩინება ან დაუსრულებელი გადანყვეტილება, ვინაიდან ისინი თავიანთი შინაარსობრივი შემადგენლობის ფარგლებში უნდა შენარჩუნდეს (აღნიშნულის თაობაზე იხილეთ ზემოთ, 229-ე და მომდევნო მუხლების ა.ნ. 22 სარეზოლუციო ნაწილის შესახებ მოყვანილ მაგალითთან ერთად). მაგალითების სახით (შესაბამისად, ხარჯებისა და დროებითი აღსრულებადობის შესახებ გადანყვეტილების გარეშე) შეიძლება, წარმოვადგინოთ:

1. მოპასუხეს სააპელაციო საჩივარზე დრეზდენის სამხარეო სასამართლოს პირველი სამოქალაქო პალატის 02.06.2017 (სააქტო ნიშანი: ...) გადანყვეტილების წინააღმდეგ პუნქტ 1.-თან დაკავშირებით, უარი ეთქვას.

2. მოპასუხის სააპელაციო საჩივარზე პუნქტ 2.-თან დაკავშირებით, დრეზდენის სამხარეო სასამართლოს სამოქალაქო პალატის 02.06.2017-ის (სააქტო ნიშანი: ...) გადანყვეტილება შეიცვალოს იმგვარად, რომ მოპასუხეს პუნქტ 2.-თან დაკავშირებით დაეკისროს მოსარჩელისთვის იმ თანხის გადახდა, რომელიც აღემატება 5.000.-€-ს პროცენტებთან ერთად... . ცვლილების მოცულობით, მოსარჩელეს სარჩელზე უარი ეთქვას. უფრო შორს მიმავალ სააპელაციო საჩივარზე პუნქტ 2.-თან დაკავშირებით, მოსარჩელეს უარი ეთქვას.

ან

1. მოსარჩელის სააპელაციო საჩივარზე პუნქტ 1.-თან დაკავშირებით, მოპასუხეს პუნქტ 1.-თან დაკავშირებით, დრეზდენის სამხარეო სასამართლოს პირველი სამოქალაქო პალატის 02.06.2017-ის (სააქტო ნიშანი: ...) გადანყვეტილების ამ თვალსაზრისით განხორციელებული ცვლილების ფარგლებში, დაეკისროს მოსარჩელისთვის 1. 5.000.- €-ს პროცენტებთან ერთად... გადახდა. მოსარჩელეს პუნქტ 1.-თან დაკავშირებით უფრო შორს მიმავალ სააპელაციო საჩივარზე უარი ეთქვას.

2. პუნქტ 2.-თან დაკავშირებით მოპასუხის სააპელაციო საჩივრის პასუხად, მოსარჩელეს, პუნქტ 1.-თან დაკავშირებით მოპასუხის წინააღმდეგ შეტანილ სარჩელზე, ამ თვალსაზრისით განსახორციელებელი დრეზდენის სამხარეო სასამართლოს სამოქალაქო პალატის 02.06.2017-ის (სააქტო ნიშანი: ...) გადანყვეტილების ცვლილების ფარგლებში, უარი ეთქვას.

3. მოსარჩელეს მის სააპელაციო საჩივარზე პუნქტ 2.-თან დაკავშირებით, დრეზდენის სამხარეო სასამართლოს სამოქალაქო პალატის 02.06.2017-ის (სააქტო ნიშანი: ...) გადანყვეტილების წინააღმდეგ, უარი ეთქვას.

103. ნაწილობრივ გარკვეულწილად განსხვავებული მიდგომაც არსებობს. ასე, მაგალითად, შესაძლებელია, გარკვეულ გარემოებებში უფრო მარტივი იყოს, რომ წინა ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება თანხის ოდენობის თვალსაზრისით ციფრებში კი არ გამოისახოს, არამედ მიეთითოს, რომ მისი შეცვლა ხდება იმიტომ, რომ იგი გასაჩივრების საშუალების წარმდგენი მხარის საზიანოდ გამოიტანეს. შესაბამისი მაგალითები კასაციის ნაწილშია წარმოდგენილი 399-ე და მომდევნო მუხლების ა.ნ. 117-ში. ასევე, უფრო რთული გადაწყვეტილებების გამოცხადებისას შეიძლება მიზანშეწონილი იყოს, წინა ინსტანციის სასამართლოს ნაწილობრივ შეცვლილი გადაწყვეტილების დაზუსტების მიზნით, მისი მთლიანად ხელახლა ჩამოყალიბება. თუმცა, ამ დროს, ა.ნ. 102-ში წარმოდგენილი მიზეზებიდან გამომდინარე, ყურადღება აუცილებლად იმას უნდა მიექცეს, რომ წინა ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების ის ნაწილი, რომელიც გასაჩივრების საშუალებების გამოყენების შედეგად არ შეცვლილა, შენარჩუნდეს და რომ მისი შეჯამება მთელი გადაწყვეტილების შინაარსის უკეთ გაგებას ემსახურებოდეს მხოლოდ. ამის მაგალითია (კასაციისთვის) 399-ე და მომდევნო მუხლების ა.ნ. 117-ში წარმოდგენილი უმაღლესი ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილება 19.12.2017 - VI ZR 128/16 - juris (NJW 2018, 1751). ასევე, ენობრივი თვალსაზრისით, შესაძლებელია მხარეთა მიერ წარმოდგენილ (ასეთის არსებობის შემთხვევაში, უფრო შორს მიმავალ) გასაჩივრების საშუალებებზე უარისა და უფრო შორს მიმავალი სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის შეჯამება. ასე, მაგალითად, შესაძლებელია, რომ მანამდე დასახელებულ მე-2 მაგალითში, სარეზოლუციო ნაწილი, ასევე, შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს:

I. მოსარჩელის სააპელაციო საჩივარზე პუნქტ 1.-თან დაკავშირებით და მოპასუხის სააპელაციო საჩივარზე პუნქტ 2.-თან დაკავშირებით, დრეზდენის სამხარეო სასამართლოს სამოქალაქო პალატის 02.06.2017-ის (სააქტო ნიშანი: ...) გადაწყვეტილება ნაწილობრივ შეიცვალოს და მთლიანობაში (დაზუსტების მიზნით) შემდეგნაირად ახლად ჩამოყალიბდეს:

1. მოპასუხეს პუნქტ 1.-თან დაკავშირებით დაეკისროს, მოსარჩელისთვის პუნქტ 1.-თან დაკავშირებით 5. 000. - €-ს ... პროცენტთან ერთად გადახდა.

სხვა მხრივ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარი ეთქვას.

II. მოსარჩელეს სააპელაციო საჩივარზე პუნქტ 2.-თან დაკავშირებით და მოსარჩელის უფრო შორს მიმავალ სააპელაციო საჩივარზე პუნქტ 1.-

თან დაკავშირებით, დრეზდენის სამხარეო სასამართლოს სამოქალაქო პალატის 02.06.2017-ის (სააქტო ნიშანი: ...) გადაწყვეტილების წინააღმდეგ, უარი ეთქვას.

104. ეს ვარიანტი (არსებობს, ასევე, მრავალფეროვანი შუალედური ფორმები) თავისთავად უფრო ნათლად ასახავს, თუ რა საბოლოო (შეჯამებულ) გადაწყვეტილებამდე მივიდა სააპელაციო სასამართლო. ყოველ შემთხვევაში, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის ამ ფორმიდან (ზემოთ მოყვანილ მაგალითში უფრო ნაკლებად, ვიდრე რთული საქმის ვითარებისას) ხანდახან ნაკლებად ნათლად ჩანს, თუ რა მოცულობით გამოდგა შესაბამისი გასაჩივრების საშუალებები წარმატებული და რამდენად შენარჩუნდა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება. ასეთ შემთხვევაში, ამის გასარჩევად უფრო ინტენსიურად უნდა გამოვიყენოთ - და განსაკუთრებით, შესაბამისად, ნათლად ჩამოყალიბდეს - გადაწყვეტილების საფუძვლები. ამდენად, საბოლოო ჯამში, (სხვადასხვა შესაძლო გზის არსებობისას) ცალკეულ შემთხვევაზე და რა თქმა უნდა, შესაბამისი მოსამართლის გემოვნებაზეა დამოკიდებული, თუ რომელი ვარიანტია შესაბამისად უფრო ხელსაყრელი. თუმცა, რაც მუდამ რჩება, არის პრინციპი, რომლის თანახმად, ერთი მხრივ, გადაწყვეტილება ყველაფერზეა მისაღები და მეორე მხრივ, გადაწყვეტილების დუბლირება არაფერზე არ უნდა ხდებოდეს.

105. ამ მაგალითებიდან ასევე, შეიძლება, დავინახოთ, რომ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის სიტყვასიტყვითი რედაქციიდან ყოველთვის არ ჩანს, თუ რა კონკრეტული შინაარსი ენიჭება გადაწყვეტილებაში წარმოდგენილ მოსაზრებებს გასაჩივრების საშუალების განმხილველ პროცესში. მეტიც, გარკვეულ ვითარებაში პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ასევე, გადახდის ბრძანების საფუძველზე გამოცემული სააღსრულებო ფურცლის ან დაუსწრებელი გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი იმისათვის უნდა დაემატოს, რომ გასაგები იყოს, თუ ვინ რა და ვისგან უნდა მოითხოვოს და ვისი რა ინტერესი არ დაკმაყოფილდა.

მუხლი 399. ზოგადი დებულებანი

საქმის განხილვა საკასაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რომლებიც დადგენილია სააპელაციო სასამართლოში საქმეთა განხილვისათვის, გარდა იმ გამონაკლისებისა, რომელთაც ეს თავი შეიცავს.

მუხლი 404. გადაწყვეტილების შემოწმების ფარგლები

1. საკასაციო სასამართლო ამონმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია თავისი ინიციატივით შეამოწმოს საპროცესო დარღვევები, გარდა 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტებისა.

2. საკასაციო სასამართლოს განხილვის საგანი შეიძლება იყოს აგრეთვე სასამართლოს ის განჩინებები, რომლებიც წინ უსწრებს სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებას, იმისგან დამოუკიდებლად, დასაშვებია თუ არა მათ მიმართ კერძო საჩივრის შეტანა.

3. საკასაციო სასამართლომ უნდა შეამოწმოს, ექვემდებარება თუ არა საქმე სასამართლოს უწყებრივად და აქვს თუ არა მას მოცემულ კონკრეტულ საქმეზე საერთაშორისო კომპეტენცია. პირველი ინსტანციის სასამართლოს ტერიტორიულ და საგნობრივ განსჯადობას საკასაციო სასამართლო შეამოწმებს მხოლოდ მოპასუხის მოთხოვნით. ასეთი მოთხოვნა დასაშვებია, თუ იგი საქმის სააპელაციო სასამართლოში განხილვისას იყო წამოყენებული მოპასუხის მიერ, ან თუ არსებობს საპატიო მიზეზი, რის გამოც ასეთი მოთხოვნა ვერ იქნა წამოყენებული სააპელაციო სასამართლოში.

მუხლი 405. შეგებებული საკასაციო საჩივარი

მონინააღმდეგე მხარეს შეუძლია საკასაციო საჩივრის გადაცემიდან 10 დღის განმავლობაში წარადგინოს შეგებებული საკასაციო საჩივარი, მიუხედავად იმისა, აქვს თუ არა ნათქვამი უარი საკასაციო საჩივრის შეტანაზე.

მუხლი 409. გადაწყვეტილების შეცვლის ფარგლები

საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია შეცვალოს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება მხოლოდ იმ ფარგლებში, რასაც მხარეები მოითხოვენ.

მუხლი 410. საკასაციო საჩივარზე უარის თქმა

საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ:

- ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი;
- ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა;
- გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

მუხლი 411. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება

საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები.

მუხლი 412. სააპელაციო სასამართლოში საქმის დაბრუნება ხელახლა განსახილველად

1. საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ:

- ა) საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა;

ბ) არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებას საკასაციო სასამართლომ საფუძვლად უნდა დაუდოს სამართლებრივი შეფასება, რომელიც სავალდებულოა სააპელაციო სასამართლოსათვის. საქმე ხელახლა განსახილველად შეიძლება დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს იმავე ან სხვა შემადგენლობას.

ულრის ჰაგენლოხი

399-ე და მომდევნო მუხლები

ქართული სსკ-დან მოყვანილი ნორმები:

- სსკ-ის 399-ე მუხლი
- სსკ-ის 404-ე მუხლი
- სსკ-ის 405-ე მუხლი, ა.ნ. 7
- სსკ-ის 409-ე მუხლი, ა.ნ. 114
- სსკ-ის 410-ე მუხლი, ა.ნ. 73 და მომდევნო აბზაცები
- სსკ-ის 411-ე მუხლი, ა.ნ. 75 და მომდევნო აბზაცები
- სსკ-ის 412-ე მუხლი, ა.ნ. 75 და მომდევნო აბზაცები

საკასაციო წარმოების ძირითადი მახასიათებლები

1. ქართული და გერმანული სამართლის საკასაციო წარმოება, პროცესის მიმდინარეობის თვალსაზრისით ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. თუმცა, შემონმების უფლებამოსილებები, მრავალი ცალკეული საპროცესო-სამართლებრივი საკითხი და გადაწყვეტილების შესაძლო შინაარსები ერთმანეთთან ძლიერ მიახლოებულია.

2. პროცესის არსებითი მიმდინარეობა 243-ე მუხლის ა.ნ. 7-ში შემაჯამებლადაა უკვე აღწერილი. კანონის შესაბამისი დებულებები დროთა განმავლობაში მრავალჯერ შეიცვალა იმის უზრუნველსაყოფად, რომ უმაღლესმა ფედერალურმა სასამართლომ, ძლიერი დატვირთვის მიუხედავად, თავისი ძირითადი ამოცანების, განსაკუთრებით კი ერთიანი სასამართლო პრაქტიკის უზრუნველყოფისა და სამართლის განვითარების, შესრულება კვლავინდებურად ეფექტიანად შეძლოს. ამ პერსპექტივიდან

შესაძლებელია, რომ კასაციის პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებული გერმანული დებულებები, საქართველოში სამართლებრივ-პოლიტიკური განხილვებისთვისაც საინტერესო იყოს. ისინი, სხვა დებულებებთან ერთად, შემდეგნაირად არის ჩამოყალიბებული:

§ 542 GER-ZPO - საკასაციო საჩივრის მისაღება

(1) კასაციას ადგილი აქვს სააპელაციო ინსტანციაში გამოტანილი საბოლოო გადაწყვეტილებების წინააღმდეგ შემდეგი დებულებების შესაბამისად ...

§ 543 GER-ZPO - დასაშვებობის საკასაციო შემონმება

(1) კასაციას ადგილი აქვს მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი:

1. სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილებაში, ან
2. საკასაციო სასამართლომ დასაშვებობაზე უარის წინააღმდეგ შეტანილი საჩივრის საფუძველზე დაუშვა.

(2) საკასაციო საჩივარი დასაშვებია, როდესაც

1. განსახილველ საქმეს ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს, ან
2. სამართლის განვითარება ან ერთიანი სასამართლო პრაქტიკის უზრუნველყოფა საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას მოითხოვს.

საკასაციო სასამართლოსთვის სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის დაშვება სავალდებულოა.

§ 544 GER-ZPO - საჩივარი დაშვებაზე უარის წინააღმდეგ

(1) სააპელაციო სასამართლოს მიერ საკასაციო საჩივრის დაშვებაზე უარი გასაჩივრებას (საჩივარი დაშვებაზე უარის წინააღმდეგ) ექვემდებარება. საჩივარი საკასაციო სასამართლოში სრულყოფილი ფორმით ჩამოყალიბებული გადაწყვეტილების ჩაბარებიდან ერთთვიანი კანონიერი ვადის ფარგლებში უნდა შევიდეს, მაგრამ საკასაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოცხადებიდან არაუგვიანეს 6 თვისა. წერილობით საჩივართან ერთად წარმოდგენილი უნდა იყოს იმ გადაწყვეტილების ორიგინალი ან დამოწმებული ასლი, რომლის წინააღმდეგაც შედის საკასაციო საჩივარი.

(2) საჩივარი სრულყოფილი ფორმით ჩამოყალიბებული გადაწყვეტილების ჩაბარებიდან ორთვიანი კანონიერი ვადის ფარგლებში უნდა იყოს დასაბუთებული, მაგრამ არაუგვიანეს 7 თვისა გადაწყვეტილების გამო-

ცხადებიდან დასაბუთებაში დაშვების საფუძვლები უნდა იყოს გადმოცემული (§ 543-ის მე-2 აბზაცი).

(3) ...

(4) საკასაციო სასამართლო საჩივრის შესახებ გადაწყვეტილებას განიხილებით იღებს, რომელიც მოკლედ უნდა დასაბუთდეს; დასაბუთებაზე უარი იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ იგი წინაპირობების გასარკვევად არ გამოდგება ან თუ საჩივარს მიიღებენ. საჩივრის შესახებ გადაწყვეტილება მხარეებს უნდა ჩაბარდეს.

(5) საჩივრის შეტანა აჩერებს გადაწყვეტილების კანონიერ ძალას საკასაციო სასამართლოს მიერ საჩივარზე უარით კი გადაწყვეტილება კანონიერ ძალას იძენს.

(6) თუ საჩივარი კასაციის დაშვებაზე უარის წინააღმდეგ იქნება მიღებული, მაშინ საჩივრის განხილვის წარმოება საკასაციო წარმოების სახით გაგრძელდება. ამ შემთხვევაში, დაშვებაზე უარის შესახებ საჩივრის ფორმისა და ვადის დაცვით შეტანა, საკასაციო საჩივრის შეტანად მიიჩნევა.

(7) თუ სააპელაციო სასამართლომ, სასამართლო მოსმენაზე საჩივრის წარმდგენის მოთხოვნის უფლება ისე დაარღვია, რომ ამან გადაწყვეტილების მიღებაზე არსებითი გავლენა იქონია, მაშინ საკასაციო სასამართლოს შეუძლია, მე-6 აბზაციდან განსხვავებით, საჩივრის მიღების შესახებ განჩინებაში გააუქმოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და სამართლებრივი დავა სააპელაციო სასამართლოს ხელახლა განხილვისა და გადაწყვეტილების მისაღებად დაუბრუნოს.

§ 26 GER-EGZPO

...

Nr. 8. ZPO-ს § 544 ... 2018 წლის 30 ივნისის ჩათვლით (ავტორის დამატებითი მითითება: სავარაუდოდ, მოსალოდნელია ამ ვადის გაგრძელება) იმ პირობით უნდა გამოვყენოთ, რომ სააპელაციო სასამართლოს საშუალებით კასაციის დაუშვებლობის წინააღმდეგ საჩივარი მხოლოდ მაშინ იყოს დასაშვები, როდესაც კასაციით გასასაჩივრებელი ფინანსური ტვირთის ღირებულება ოც ათას ევროს აღემატება. ეს წესი არ მოქმედებს, თუ სააპელაციო სასამართლომ სააპელაციო საჩივარი არ დააკმაყოფილა.

§ 545 GER-ZPO - კასაციის საფუძვლები

(1) საკასაციო საჩივარი შეიძლება დაეყრდნოს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება სამართლის დარღვევას ეფუძნება.

(2) საკასაციო საჩივარი არ შეიძლება დაეყრდნოს იმას, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ თავისი განსჯადობის არსებობა ან არარსებობა არასწორად ივარაუდა.

§ 547 GER-ZPO - კასაციის აბსოლუტური საფუძვლები

გადანყვეტილება ყოველთვის სამართლის დარღვევაზე დამყარებულია უნდა მიიჩნეოდეს,

1. როდესაც გადანყვეტილების მიმღები სასამართლო წესების დაცვით არ იყო დაკომპლექტებული;
2. როდესაც გადანყვეტილების მიღებაში მონაწილეობდა მოსამართლე, რომლის მიერ მოსამართლის ფუნქციის განხორციელება კანონით იყო გამორიცხული, თუ ეს დაბრკოლება აცილების შუამდგომლობით წარუმატებლად არ ყოფილა გასაჩივრებული;
3. როდესაც გადანყვეტილების მიღებაში მონაწილეობდა მოსამართლე, მიუხედავად იმისა, რომ მიკერძოებულობის ეჭვის გამო მისი აცილება იყო მოთხოვნილი და ეს მოთხოვნა დასაბუთებულად სცნეს;
4. თუ მხარე პროცესზე კანონის მოთხოვნათა დაცვით არ იყო წარმოდგენილი, თუკი მას პირდაპირ ან დუმილით არ განუცხადებია თანხმობა პროცესის წარმოებაზე;
5. თუ გადანყვეტილება ზეპირი განხილვის საფუძველზე გამოიტანეს, რომლის დროსაც დარღვეული იყო დებულებები პროცესის საჯაროობის შესახებ;
6. როდესაც გადანყვეტილებაში, ამ კანონის დებულებათა საწინააღმდეგოდ, წარმოდგენილი არ არის საფუძვლები.

§ 548 GER-ZPO - საკასაციო საჩივრის შეტანის ვადა

საკასაციო საჩივრის შეტანის ვადა (საკასაციო საჩივრის ვადა) ერთ თვეს შეადგენს; ეს არის კანონიერი ვადა და მისი დენა იწყება სრულყოფილი ფორმით ჩამოყალიბებული სააპელაციო გადანყვეტილების ჩაბარებიდან, მაგრამ არაუგვიანეს გამოცხადებიდან 5 თვის ვასვლისა.

§ 549 GER-ZPO - საკასაციო საჩივრის შეტანა

(1) საკასაციო საჩივრის შეტანა წერილობითი საკასაციო საჩივრის საკასაციო სასამართლოში წარდგენით ხორციელდება. წერილობითი საკასაციო საჩივარი უნდა შეიცავდეს:

1. გადანყვეტილების დასახელებას, რომლის წინააღმდეგაც მიმართულია საკასაციო საჩივარი;

2. განცხადებას, რომ საკასაციო საჩივრი ამ გადანყვეტილების წინააღმდეგაა წარდგენილი;

§ 544-ის მე-6 აბზაცის მე-2 წინადადება უცვლელი რჩება.

(2) ზოგადი დებულებები მოსამზადებელი აქტების შესახებ, საკასაციო აქტების მიმართაც გამოიყენება.

§ 551 GER-ZPO - საკასაციო საჩივრის დასაბუთება

(1) კასაციის მოსარჩელემ საკასაციო საჩივრის წარდგენის მიზეზი უნდა დაასაბუთოს.

(2) საკასაციო საჩივრის დასაბუთება, თუ იგი უკვე წერილობით საკასაციო საჩივარში არ არის შეტანილი, საკასაციო სასამართლოში წერილობითი სახით უნდა წარმოადგინონ. საკასაციო საჩივრის დასაბუთების ვადა ორი თვეა. იგი სრულყოფილი ფორმით ჩამოყალიბებული გადანყვეტილების ჩაბარებით იწყება, მაგრამ არაუგვიანეს მისი გამოცხადებიდან ხუთი თვის გასვლისა. § 544-ის მე-6 აბზაცის მე-3 წინადადება უცვლელი რჩება. ეს ვადა შუამდგომლობის საფუძველზე შეიძლება თავმჯდომარემ გააგრძელოს, თუ მონინააღმდეგე მხარე თანახმა იქნება. თანხმობის გარეშე კი ვადის ორ თვემდე გაგრძელება შეიძლება, თუ თავმჯდომარის თავისუფალი რწმენით, სამართლებრივი დავა ამის შედეგად არ გაჭიანურდება, ან თუ კასაციის მოსარჩელე მნიშვნელოვან მიზეზებს წარმოადგენს...

(3) კასაციის დასაბუთება უნდა შეიცავდეს:

1. განმარტებას, თუ რა მოცულობით ხდება გადანყვეტილების გასაჩივრება და მისი გაუქმების მოთხოვნა (საკასაციო განაცხადები);

2. კასაციის საფუძველების მითითებას, და კერძოდ:

ა) იმ მიზეზების კონკრეტულად დასახელებას, რომლიდანაც გამომდინარეობს სამართლის დარღვევა;

ბ) თუ კასაცია იმას ეფუძნება, რომ კანონი პროცესთან დაკავშირებით დაირღვა, იმ გარემოებების დასახელებას, რომლებიც ამ ნაკლს ასახავს.

თუ საკასაციო საჩივარი დასაშვებობაზე უარის წინააღმდეგ შეტანილი საჩივრის საფუძველზეა დაშვებული, მაშინ, საკასაციო საჩივრის დასაბუთებისთვის შეიძლება დასაშვებობაზე უარის წინააღმდეგ შეტანილი საჩივრის დასაბუთება მოვიშველიოთ.

(4) ...

§ 552 GER-ZPO - დასაშვებობის შემონმება

(1) საკასაციო სასამართლო მოვალეა, საკუთარი ინიციატივით შეამოწმოს, არის თუ არა საკასაციო საჩივარი, როგორც ასეთი, მისაღები და შეტანილი და დასაბუთებულია თუ არა იგი კანონით დადგენილი ფორმისა და ვადის შესაბამისად.

(2) გადაწყვეტილების გამოტანა განჩინების სახით შეიძლება.

§ 552a GER-ZPO - განჩინება უარის თქმის თაობაზე

საკასაციო სასამართლო სააპელაციო სასამართლოს მიერ დაშვებულ საკასაციო საჩივარს ერთხმად მიღებული განჩინების საფუძველზე უარყოფს, თუ იგი დარწმუნებულია, რომ საკასაციო საჩივრის დაშვებისთვის არსებული წინაპირობები სახეზე არ არის და საკასაციო საჩივარს წარმატების შანსი არ გააჩნია. § 522-ის მე-2 აბზაცის მე-2 და მე-3* წინადადება შესაბამისად მოქმედებს.

* ასლი წარმოდგენილია 364-ე და მომდევნო მუხლების ა.ნ. 1-ში.

§ 556 GER-ZPO - პრეტენზიის უფლების დაკარგვა

სააპელაციო ინსტანციის პროცედურასთან დაკავშირებული წესის დარღვევის შესახებ პრეტენზიის წარდგენა საკასაციო ინსტანციაში აღარ შეიძლება, თუ მხარემ პრეტენზიის წარდგენის უფლება უკვე სააპელაციო ინსტანციაში, § 295-ის დებულების თანახმად, დაკარგა.

§ 557 GER-ZPO - საკასაციო შემონმების ფარგლები

(1) საკასაციო სასამართლოს შემონმებას მხოლოდ მხარეთა მიერ წარდგენილი განაცხადები ექვემდებარება.

(2) საკასაციო სასამართლოს შეფასებას ის გადაწყვეტილებებიც ექვემდებარება, რომლებიც საბოლოო გადაწყვეტილებამდე გამოიტანეს, თუ მათი გასაჩივრება ამ კანონის დებულებათა მიხედვით არ არის შეუძლებელი.

(3) საკასაციო სასამართლო საჩივარში წარდგენილი კასაციის საფუძვლებით შებოჭილი არ არის. პროცესის ნაკლის არსებობაზე, რომელიც თანამდებობიდან გამომდინარე არ არის გასათვალისწინებელი, გასაჩივრებული გადაწყვეტილების შემონმება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ ნაკლის თაობაზე პრეტენზია §§ 551 და 554-ის მე-3 აბზაცის მიხედვითაა წარდგენილი.

§ 559 GER-ZPO - დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეზღუდული შემოწმება

(1) საკასაციო სასამართლოს შეფასებას მხარის მხოლოდ ის ჩვენება ექვემდებარება, რომელიც სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილებიდან ან სხდომის ოქმიდან ჩანს. გარდა ამისა, შესაძლებელია მხოლოდ § 551-ის მე-3 აბზაცის ნომერი 2-ის ბ-ში ნახსენები ფაქტების გათვალისწინება.

(2) თუ სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ ფაქტობრივი მტკიცება მართალია ან არ არის მართალი, მაშინ ეს გადანყვეტილება საკასაციო სასამართლოსთვის სავალდებულოა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამ გადანყვეტილებასთან დაკავშირებით განხორციელებულია დასაშვები და დასაბუთებული საკასაციო შედავება.

§ 566 GER-ZPO - ნახტომისებრი კასაცია

(1) პირველი ინსტანციის წარმოებაში გამოტანილი საბოლოო გადანყვეტილებების წინააღმდეგ, რომლებიც აპელაციას დაშვების გარეშე ექვემდებარება, განაცხადის საფუძველზე, სააპელაციო ინსტანციის გვერდის ავლით, უშუალოდ შეიძლება განხორციელდეს კასაცია (ნახტომისებრი კასაცია), როდესაც:

1. მოწინააღმდეგე მხარე სააპელაციო ინსტანციის გვერდის ავლაზე თანხმობას განაცხადებს და

2. საკასაციო სასამართლო ნახტომისებრ კასაციას დაუშვებს.

ნახტომისებრი კასაციის დაშვების თაობაზე განაცხადი, აგრეთვე თანხმობის შესახებ განაცხადება აპელაციით გასაჩივრების საშუალებაზე უარის თქმად მიიჩნევა...

3. საკასაციო პროცედურისთვის არსებითი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს იმას, რომ უმაღლეს ფედერალურ სასამართლოს, GER-ZPO-ს § 544-ის მე-4 აბზაცის მიხედვით, კასაციის დასაშვებობაზე უარის შესახებ ქვედა ინსტანციის სასამართლოს გადანყვეტილებების წინააღმდეგ შეტანილი საჩივრების თაობაზე, დასაბუთების გარეშე ან მოკლე დასაბუთებით, გადანყვეტილების გამოტანა შეუძლია. მით უმეტეს, საჭირო არ არის რაიმე დასაბუთება, როდესაც უმაღლესი ფედერალური სასამართლო საჩივარს არ მიიღებს და დასაბუთება ვერ გამოდგებოდა იმ წინაპირობების განსამარტად, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც კასაცია დასაშვები იქნებოდა. უმაღლეს ფედერალურ სასამართლოს, GER-ZPO-ს § 552a-ში დასახელებული წინაპირობების არსებობისას, განჩინებით, ანუ ზეპირი განხილვის გარეშე, ასევე შეუძლია, უარი თქვას დაშვებული სა-

კასაციო საჩივრების მიღებაზე. უმაღლესი ფედერალური სასამართლოს დატვირთვის შემსუბუქებას ემსახურება ისიც, რომ GER-ZPO-ს § 564-ის მიხედვით, იმ გადაწყვეტილებების ფარგლებშიც კი, რომლებიც სხვა შემთხვევაში დასაბუთებას მოითხოვს (როგორც არის, მაგალითად, ზეპირი განხილვის საფუძველზე გამოტანილი გადაწყვეტილებები), დასაბუთებაზე უარი იმ შემთხვევაში შეიძლება ითქვას, თუ პროცესის ნაკლოვანებებთან დაკავშირებით წარდგენილია პრეტენზია და საკასაციო სასამართლომ ეს პრეტენზიები - გარდა GER-ZPO-ს § 547-ით გათვალისწინებული, ე.წ. კასაციის აბსოლუტური საფუძვლებისა - გადამწყვეტად არ მიიჩნია. ეს წესი, განსაკუთრებით, ფაქტობრივი ხასიათის მრავალი სადავო საკითხით დატვირთული, ძალიან მასშტაბური პროცესების დროს (როგორც არის, ჩვეულებრივ, კომპლექსური სამშენებლო პროექტებისგან შემდგარი სამშენებლო პროცესები, კორპორატიულ-სამართლებრივი დავები, ანგარიშსწორება სავაჭრო წარმომადგენლების ჰონორართან დაკავშირებულ მოთხოვნებზე ან თვითდასაქმებული პირის დაკარგული მოგების დადგენა) საგრძნობლად უმსუბუქებს საქმეს საკასაციო სასამართლოს.

4. უმაღლესი ფედერალური სასამართლოს საქმიანობის 2017 წლის სტატისტიკაში (http://www.bundesgerichtshof.de/SharedDocs/Downloads/DE/Service/StatistikZivil/jahresstatistikZivilsenate2017.pdf?__blob=publicationFile) ასახულია, თუ შემსუბუქების რა ეფექტებია დაკავშირებული, განსაკუთრებით, GER-ZPO-ს § 544-ის მე-4 აბზაცით გათვალისწინებული განჩინების მიღების შესაძლებლობასთან. ამ წელიწადს ჯამში გადაწყვეტილი 4623 საკასაციო პროცესიდან და დაშვებაზე უარის შესახებ საჩივრიდან, 2356, ანუ დაახლოებით ნახევარი, დაშვებაზე უარით დასრულდა (ანუ კანონის თანახმად, დასაბუთების გარეშე ან მოკლე დასაბუთებით) და 543 - გადაწყვეტილებით. 1484 პროცესი კი დასრულებულია გასაჩივრების საშუალების გამოხმობით ან მისი უკუგდებით, ხოლო 48 პროცესი - GER-ZPO-ს § 522a-ს თანახმად, განჩინების გამოტანის გზით. დანარჩენი პროცესები სხვა გზით მოგვარდა.

5. საკასაციო საჩივრის **დასაშვებობა** მეტწილად იმავე კრიტერიუმებით ფასდება, როგორც სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა.

6. თუმცა, განსხვავებაა იმ თვალსაზრისით, რომ საკასაციო სასამართლო ფაქტების დამდგენი ინსტანცია არ არის, რაც ქვედა ინსტანციის მიერ მტკიცებულებათა შეფასებასთან დაკავშირებით დასაშვები პრეტენზიის მიმართ დასაყენებელ მოთხოვნებზე მოქმედებს. სააპელაციო პროცესში - როგორც უკვე წარმოდგენილია (აღნიშნულის თაობაზე იხილეთ ზემოთ, 364-ე და მომდევნო მუხლების ა.ნ. 59 და მომდევნო აბზაცები) - საკმარისია, რომ სააპელაციო საჩივრის წარმდგენმა პირმა კონკრეტული მტკიცებულებების საფუძველზე დაასაბუთოს, თუ რატომ

არ უნდა მიიჩნეოდეს დამაჯერებლად პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და რატომ შეიძლება ამის გამო, პირველი ინსტანციის მიერ შეგროვებული მტკიცებულებები განსხვავებულად შეფასდეს. აღნიშნულის საპირისპიროდ, საკასაციო სასამართლოს მიერ მტკიცებულებათა შეფასება დასაშვებია, როდესაც ის GER-ZPO-ს § 286-ის პირველი აბზაციდან გამომდინარე საპროცესო პრინციპების (აღნიშნულის თაობაზე იხილეთ ზემოთ, 105-ე მუხლის ა.ნ. 3 და მომდევნო აბზაციები) ან სხვა საპროცესო დარღვევას ეფუძნება. ეს იწვევს იმას, რომ კასაციის მოსარჩელემ, მისი აზრით, ფაქტების დადგენისას გაპარულ სამართლებრივ შეცდომაზე და განსაკუთრებით, საპროცესო დარღვევაზე პრეტენზია განაცხადოს.

7. თუმცა, ამ (უფრო საფეხურებრივი) განსხვავების მიუხედავად, შესაძლებელია, რომ საკასაციო საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებით სააპელაციო საჩივრისა და შეგებებული სააპელაციო საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებით გაკეთებული შესაბამისი განმარტებები მოვიშველიოთ (აღნიშნულის თაობაზე იხილეთ ზემოთ, 364-ე და მომდევნო მუხლების ა.ნ. 10 და მომდევნო [სააპელაციო განაცხადი/საკასაციო განაცხადი, საჩივრის ღირებულება], ა.ნ. 27 და მომდევნო [ფინანსური ტვირთი], ა.ნ. 44 და მომდევნო [სააპელაციო საჩივრის წერილობითი დასაბუთება/საკასაციო საჩივრის წერილობითი დასაბუთება] და ა.ნ. 89 და მომდევნო [შეგებებული სააპელაციო საჩივარი/შეგებებული საკასაციო საჩივარი]).

8. სააპელაციო წარმოების პროცესში არსებულ საკითხებს მიღმა, საკასაციო პროცესის სპეციფიური გამოწვევები გვხვდება - თუკი, შემდგომში ვივარაუდებთ კასაციის დასაშვებობას - განსაკუთრებით, საკასაციო-სამართლებრივი შემონმების კომპეტენციის დადგენასა და მისგან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილების შინაარსში.

9. ა) ისევე, როგორც ნებისმიერ სხვა სასამართლოს, თანამდებობიდან გამომდინარე საკასაციო სასამართლოსაც ევალება, რომ პროცესის ყოველ ფაზაში (აღნიშნულის თაობაზე იხილეთ ზემოთ, 81-ე მუხლის ა.ნ.17) **ზოგადი საპროცესო წინაპირობების** არსებობა შეამოწმოს (შეადარეთ, GER-ZPO-ს § 56). იგივე წესი მოქმედებს სხვა, ე.წ. **საქმეზე გადაწყვეტილების მიღებისთვის არსებითი წინაპირობების** მიმართაც, როგორც არის, მაგალითად, სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლის შესახებ შუალედური გადაწყვეტილების (Grundurteil) (აღნიშნულის თაობაზე იხილეთ ზემოთ, 246-ე მუხლის ა.ნ. 17) ან ნაწილობრივი გადაწყვეტილების გამოტანისთვის მოქმედი წინაპირობები (BGH, Urteil vom 12.04.2016 - XI ZR 305/14 - BGHZ 210, 30; BGH, Urteil vom 13.07.2011 - VIII ZR 342/09 - NJW 2011, 2800) ისევე, როგორც გასაჩივრების საშუალების გა-

მოყენებაზე სამართლებრივად ნამდვილი უარის გათვალისწინებისთვის მოქმედი წინაპირობები.

10. ბ) საკასაციო სასამართლოს ძირითად ამოცანებში შედის ქვედა ინსტანციის სასამართლოს მიერ ნორმატიული **მატერიალურ-სამართლებრივი წესების გამოყენების შემონმება** და მის სამართლებრივ შეხედულებებზე ყოველგვარი დამოკიდებულების გარეშე მატერიალური სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ გადანყვეტილების მიღება. ასეთებს გერმანიაში - როგორც უკვე აღინიშნა - განეკუთვნება გადმოცემისა და მტკიცების ტვირთთან დაკავშირებით მოქმედი პრინციპები (აღნიშნულის თაობაზე იხილეთ ზემოთ, 102-ე მუხლის ა.ნ.4).

11. საკასაციო სასამართლოს შემონმების კომპეტენცია **შეფასებითი ხასიათის** მატერიალურ-სამართლებრივი **სამართლის ნორმების** გამოყენებისას შეზღუდულია, ანუ განსაკუთრებით, უფლების განხორციელების დროს მოსამართლისთვის მინიჭებული დისკრეციისას (ასე, მაგალითად, GER-BGB-ს § 847-ით გათვალისწინებული მორალური ზიანის ფულადი ანაზღაურებისას; შეადარეთ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლი) და კეთილსინდისიერების პრინციპის შესაბამისად, უფლების განხორციელების შინაარსობრივი ფორმულირებისას (GER-BGB-ს § 242; შეადარეთ ასევე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის მე-2 ნაწილი) დადგენილი ზღვრებით. იგივე მოქმედებს თანაბრალეულობის დროს ბრალის შესაბამისი წილის ურთიერთშეწონისას (GER-BGB-ს § 254; შეადარეთ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 415-ე მუხლი) ან საფრთხის გამონვევისთვის პასუხისმგებლობის სფეროში ბრალეულობის წილის ურთიერთშეწონისას. აღნიშნულის საპირისპიროდ, უმაღლესი ფედერალური სასამართლო ამორალურობისა და მევახშეობის კონკრეტული ზღვრების დადგენას წმინდა სამართლებრივ საკითხად მიიჩნევს ისე, რომ ამ თვალსაზრისით, მხოლოდ შეფასების ფაქტობრივი საფუძვლების დადგენა წარმოადგენს უპირატესად ფაქტების დამდგენი ინსტანციის მოსამართლეების მოვალეობას. თუმცა, თავად შეფასების პროცესი, საკასაციო-სამართლებრივად სრულად შემონმებადია. დეტალურად:

12. **მორალური ზიანის ფულადი ანაზღაურების მოთხოვნათა** გაზომვას უმაღლესი ფედერალური სასამართლო, ძირითადად, ფაქტების დამდგენი ინსტანციის მოსამართლეთა ამოცანად მიიჩნევს. ამიტომ იგი მორალური ზიანის ფულადი ანაზღაურების დადგენას მხოლოდ იმის გასარკვევად ამონმებს, შეიცავს თუ არა სამართლებრივ შეცდომებს (BGH, Beschluss vom 16.09.2016 – VGS 1/16 - BGHZ 212, 48; BGH, Urteil vom 12.05.1998 - VI ZR 182/97- BGHZ 138, 388), განსაკუთრებით იმას, თუ რამდენად საკმარისად გაითვალისწინა ქვედა ინსტანციის სასამართლომ მორალური ზიანის ფულადი ანაზღაურების ოდენობის დასადგენად

არსებითი გარემოებები (BGH, Urteil vom 12.05.1998 - VI ZR 182/97 - BGHZ 138, 388; BGH, Urteil vom 24.05.1988 - VI ZR 159/87 - NJW 1989, 773). ამასთან, საკასაციო სასამართლო აკონტროლებს, შეეცადა თუ არა ქვედა ინსტანციის მოსამართლე, რომ ჯეროვნად შეეფასებინა კომპენსაცია და განსაკუთრებით იმას, გაითვალისწინა თუ არა მან ზიანის სახეობა და ხანგრძლივობა BGH, Urteil vom 12.05.1998 - VI ZR 182/97 - BGHZ 138, 388; BGH, Urteil vom 15.01.1991 - VI ZR 163/90 - NJW 1991, 1544).

13. გადანყვეტილება, **კეთილსინდისიერების** პრინციპიდან გამოყვანილი უფლებების შინაარსობრივი შეზღუდვის შესახებ, ჩვეულებრივ, მხოლოდ ცალკეული შემთხვევის ყველა გარემოების ყოვლისმომცველი შეფასების საფუძველზე, კერძოდ ყველა მონაწილის ინტერესის გათვალისწინებით უნდა მივიღოთ (BGH, Urteil vom 12.07.2016 - XI ZR 501/15 - BGHZ 211, 105; BGH, Beschluss vom 23.01.2018 - XI ZR 298/17 - NJW 2018, 1390). ასეთი ურთიერთშენონა, მისი შეფასებითი კომპონენტებიდან გამომდინარე, პრინციპულად, ფაქტების დამდგენი ინსტანციების მოვალეობაა. ამის შესაბამისად, საკასაციო ინსტანციაში შეიძლება მხოლოდ ისეთი საკითხები შემოწმდეს, როგორც არის: ემყარება თუ არა შეფასება მტკიცე ფაქტობრივ საფუძველს, გათვალისწინებულია თუ არა ყველა არსებითი ასპექტი, ხომ არ დაირღვა აზროვნების კანონები ან ემპირიული გამოცდილება ან შეფასების მცდარი მასშტაბი ხომ არ გამოიყენეს საფუძვლად (BGH, Urteil vom 12.07.2016 - XI ZR 501/15 - BGHZ 211, 105; BGH, Versäumnisurteil vom 01.12.2010 - VIII ZR 310/09 - NJW 2011, 1590).

14. ასევე, ზიანის მიმყენებელსა და დაზარალებულს შორის **პასუხისმგებლობის ურთიერთშენონაც**, განსაკუთრებით თანაბრალეულობისას, პრინციპულად, ფაქტების დამდგენი ინსტანციის საქმეა. საკასაციო სასამართლო მხოლოდ იმას ამოწმებს, სწორად და სრულყოფილად გაითვალისწინა თუ არა მან ეს განსახილველი გარემოებები, აგრეთვე სამართლებრივად დასაშვები მოსაზრებები თუ დაუდო მან საფუძვლად ურთიერთშენონას (BGH, Urteil vom 08.07.1986 - VI ZR 47/85 - BGHZ 98, 148; BGH, Urteil vom 25.09.2018 - VI ZR 65/18 - juris; BGH, Urteil vom 19.12.2017 - VI ZR 28/16 - NJW 2018, 1751; BGH, Urteil vom 07.02.2017 - VI ZR 182/16 - NJW 2017, 2182).

15. თუ შესრულების შინაარსი ხელშეკრულების მხარემ **სამართლიანი შეფასებით** უნდა განსაზღვროს (მაგალითად, GER-BGB-ს § 315; შეადარეთ, ასევე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 325-ე მუხლი), მაშინ სასამართლო პრაქტიკის მიხედვით მოქმედებს შემდეგი (ამონარიდი გადანყვეტილებიდან: BGH, Urteil vom 05.12.2012 - IV ZR 111/10 - juris:

16. „(1) საქმის არსებითად განმხილველი მოსამართლის განმარტებები BGB-ს § 315-ის გამოყენებასთან დაკავშირებით, საკასაციო სასამარ-

რთლომ მხოლოდ იმის დასადგენად შეიძლება შეამონშოს, სააპელაციო სასამართლომ არასაკმარისად ხომ არ გაითვალისწინა სამართლიანობის ცნება ან ხომ არ გადაამეტა მან თავისი დისკრეციის, კანონით დადგენილ ფარგლებს; ხომ არ გამოიყენა მან დისკრეცია თავისი უფლებამოსილების მიზანთან შეუსაბამოდ და ხომ არ დაეყრდნო სამართლებრივად არასწორ მიდგომას, რამაც მის მიერ დისკრეციის უშეცდომოდ განხორციელებას შეუშალა ხელი (BGHZ 172, 315).

(2) სააპელაციო სასამართლომ სამართლიანი შეხედულების ცნება საკმარისად გაითვალისწინა. სამართლიანობა, BGB-ს § 315-ის გაგებით, აღნიშნავს დისკრეციის ფარგლებს, რომლებიც იმისათვის უნდა დავიცვათ, რომ მიღებული გადაწყვეტილება განსაზღვრის განცხადების მიმღებისთვის სავალდებულო იყოს. საჭიროა ორივე მხარის ინტერესების ერთმანეთის მიმართ ობიექტური ურთიერთშენონა. სამართლიანი შეფასება შეიძლება სასამართლო წესით შემონმდეს იმის დასადგენად, იყო თუ არა დაცული დისკრეციის ფარგლები და არარელევანტური ან თვითნებური მოტივები ხომ არ იყო გადამწყვეტი ამ განსაზღვრისთვის (...). ამიტომ, სააპელაციო სასამართლომ სწორად ივარაუდა, რომ გადაწყვეტილების კონტროლი არ შეიძლება მხოლოდ შედეგის კონტროლზე დავიდეს, არამედ, ასევე, მნიშვნელოვანია დისკრეციის სუბიექტურად მცდარი გამოყენება, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი დისკრეციის შეცდომის მოძღვრებაზე დაყრდნობით (...). ამდენად, სააპელაციო სასამართლომ სწორად შეამონმა, ხომ არ შეეძლო ადმინისტრაციულ საბჭოს, გადაწყვეტილების მიღებისას დისკრეცია მცდარად გამოეყენებინა იმის გამო, რომ იგი საქმის არასწორ არსს დაეყრდნო, ზედმეტად გადაჭარბებული, კონვერტაციით გამონვეული დაფინანსების საჭიროების სახით. კასაციის შეხედულების საპირისპიროდ, მნიშვნელოვანი არ არის ის, რომ ადმინისტრაციულ საბჭოს, მოსარჩელის ჩვენების შედეგად, იგივე პროცენტული განაკვეთის სხვა დასაბუთებით დადგენა შეეძლო.

17. **ამორალურობის** შემთხვევაში (იგივე მოქმედებს მევახშეობის მიმართაც), შემონმების კომპეტენციასთან დაკავშირებით, უმაღლესი ფედერალური სასამართლო განმარტავს (ამონარიდი გადაწყვეტილებიდან: BGH, Urteil vom 20.07.2017 - IX ZR 310/14 - NJW 2017, 2613; ebenso; BGH, Urteil vom 18.04.2018 - XII ZR 76/17 - NJW-RR 2018, 906):

18. „ქცევა ამორალურია, როდესაც იგი ეწინააღმდეგება ყველა სამართლიანად მოაზროვნე ადამიანის წესიერების განცდას (...). ამ სამართლებრივ შეფასებაში ასევე უნდა შევიდეს კითხვა, არის თუ არა იგი თავისი შინაარსის, მოტივისა და მიზნის ერთობლიობიდან გამომდინარე,

საერთო ხასიათით, თავსებადი ზნეობის ნორმებთან (BGHZ 160, 149; BGHZ 141, 357...). ამორალურობის ვარაუდისთვის, ზოგადად, საკმარისი არ არის ის, რომ მოქმედების განმხორციელებელი სახელშეკრულებო მოვალეობებს ან კანონს არღვევს ან სხვისი ქონებრივი ზიანის დადგომას იწვევს (BGH NJW 2014, 1380). უმოქმედობა ზნეობის ნორმებს მხოლოდ მაშინ არღვევს, როდესაც მოთხოვნილი მოქმედება ზნეობის მოთხოვნას შეესაბამება. ამისათვის ზოგადი სამართლებრივი მოვალეობის, ისევე, როგორც სახელშეკრულებო მოვალეობის შეუსრულებლობა საკმარისი არ არის. აღნიშნულს უნდა დაემატოს განსაკუთრებული გარემოებები, რომლებიც დამაზიანებელ ქცევას თავისი მიზნით ან გამოყენებული საშუალების ან ამ დროს გამოხატული დამოკიდებულების გათვალისწინებით, ზოგადი საქმიანი მორალის მასშტაბებისა და იმის მიხედვით, რაც „ნესიერად“ არის მიჩნეული, გასაკიცხად აქცევს (BGH WM 2012, 2377...).

ქცევის ამორალურად შეფასება სამართლის საკითხია და საკასაციო სასამართლოს მიერ შეუზღუდავ გადამონმებას ექვემდებარება (BGHZ 154, 269; BGH NJW 2014, 1098...). აღნიშნულის საპირისპიროდ, დასკვნები - გარეგან და შინაგან - ფაქტებთან დაკავშირებით, რომლებიც ქცევის ამორალურად შეფასებას უდევს საფუძვლად, მხოლოდ შეზღუდულ საკასაციო-სამართლებრივ შემონმებას ექვემდებარება. ისინი მხოლოდ იმის დასადგენად უნდა შემონმდეს, სრულყოფილად გაითვალისწინა თუ არა საქმის არსებითად განმხილველმა მოსამართლემ ყველა გარემოება და ხომ არ დაარღვია აზროვნების კანონები და ემპირიული გამოცდილება (BGH ZIP 2013, 1429), როგორც ხდება ხოლმე, მაგალითად, როდესაც საქმის არსებითად განმხილველი მოსამართლე ისეთი მტკიცებულების ძალას ანიჭებს ფაქტებს, რომელიც მათ ვერ ექნებათ ...“.

19. ზიანის დადგენა საკასაციო-სამართლებრივად მხოლოდ იმის გასარკვევად უნდა შემონმდეს, გაუთვალისწინებლად ხომ არ დატოვა ქვედა ინსტანციის სასამართლომ მხარეთა მნიშვნელოვანი ჩვენება; არასათანადოდ ხომ არ შეაფასა ზიანის გაანგარიშების სამართლებრივი პრინციპები; ხომ არ გამორჩა გამოთვლის მნიშვნელოვანი ფაქტორები ან ხომ არ დაუდო თავის შეფასებას საფუძვლად არასწორი მასშტაბები? (BGH, Urteil vom 25.09.2018 - VI ZR 65/18 - VersR 2019, 120; BGH, Urteil vom 07.02.2017 - VI ZR 182/16 - NJW 2017, 2182; BGH Urteil vom 11.07.2017 - VI ZR 90/17 - NJW 2017, 3527, ქვემოთ ა.ნ. 99-ში მოცემულია ამონარიდების სახით). თუმცა, ზიანის დადგენისას საქმის არსებითად განმხილველი მოსამართლის ამ, განსაკუთრებით ფართო, დისკრეციის შედეგი გერმანელი მოსამართლისთვის GER-ZPO-ს § 287-ით მინიჭებული ზიანის შეფასების უფლებაა (აღნიშნულის თაობაზე იხილეთ ზემოთ, 102-ე მუხლის ა.ნ. 36 და მომდევნო აბზაცები).

20. გ) საკასაციო სასამართლოს ასევე ევალება, შეამოწმოს **ნების გამოვლენების განმარტება**, სამართლებრივი შეცდომების არსებობის გამოსარიცხად. აქ უმაღლესი ფედერალური სასამართლო დიფერენცირებას იმისდა მიხედვით ახდენს, თუ რასთან გვაქვს საქმე - ინდივიდუალურ ნების გამოვლენებთან თუ ე.წ. ნორმის მსგავსად (სამართლებრივი ნორმის მსგავსად) მოქმედ ნების გამოვლენებთან, როგორცაა, მაგალითად, წესდებები ან ხელშეკრულების სტანდარტული პირობები.

21. აა) **ხელშეკრულების სტანდარტული პირობების, წესდებებისა** და სხვა საწესდებო ან ნორმის მსგავსი წესებისათვის უმაღლესი ფედერალური სასამართლო დაამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკა მიიჩნევს, რომ ისინი სამართლებრივი ნორმებივით უნდა განიმარტოს, ანუ ნების გამოვლენის ობიექტური შინაარსის მიხედვით და არა მათი შემდგენის ნების მიხედვით. განმარტების შესაბამის პრინციპებს უმაღლესი ფედერალური სასამართლო შემდეგნაირად აყალიბებს (ამონარიდი გადაწყვეტილებიდან: BGH, Urteil vom 06.12.2017 - VIII ZR 246/16 - NJW 2018, 1957):

22. „ხელშეკრულების სტანდარტული პირობები თავიანთი ობიექტური შინაარსისა და ტიპური არსის მიხედვით, ერთიანად ისე უნდა განიმარტოს, როგორც იქნებოდა ისინი გაგებული, ჩვეულებრივ, მონაწილე წრეების ინტერესთა ბალანსის გათვალისწინებით, ხელშეკრულების ინფორმირებული და კეთილსინდისიერი პარტნიორების მიერ (BGHZ 200, 362; BGH NJW-RR 2016, 526).“

ამოსავალი წერტილი ფორმულარული პირობებისას რეკომენდებული, ობიექტური განმარტებისთვის, რომელიც ხელშეკრულების კონკრეტული პარტნიორის ნებაზე არ უნდა იყოს ორიენტირებული, პირველ რიგში, მისი სიტყვასიტყვითი რედაქციაა (BGH NJW-RR 2016, 526; BGH NJW 2013, 1805;...). თუ განმარტების ყველა, განსახილველი შესაძლებლობის ამოწურვის შემდეგ, ისევ რჩება ეჭვები და სამართლებრივად მისაღები, სულ მცირე, განმარტების ორი შედეგია, მაშინ გამოიყენება BGB-ს §305c-ს მე-2 აბზაცით გათვალისწინებული, პირობის შემთავაზებლის საზიანოდ მოქმედი ბუნდოვანების წესი (BGHZ 185, 310; BGH NJW-RR 2016, 526;...). თუმცა, აქ გაუთვალისწინებელი რჩება გაგების ისეთი შესაძლებლობები, რომლებიც მართალია, თეორიულად შესაძლებელია, მაგრამ პრაქტიკულად წარმოუდგენელია და, ჩვეულებრივ, ასეთ გარიგებებში მონაწილე პირების მიერ სერიოზულად არ განიხილება (BGHZ 194, 121; BGHZ 152, 262; BGH NJW-RR 2016, 526)“

23. ნორმის მსგავსი განმარტების ასეთ პრინციპებს შეესაბამება საკასაციო სასამართლოს ნორმის მსგავსი შემოწმების კომპეტენცია, ვინაი-

დან ნორმის მსგავსად მოქმედი ნების გამოვლენებისას - როგორც სამართლებრივი ნორმებისას - ერთიანი მოპყრობისა და განმარტების ობიექტური მოთხოვნილება არსებობს (BGH, Urteil vom 12.05.2016 - VII ZR 171/15 - BGHZ 210, 206; BGH, Urteil vom 24.10.2017 - VI ZR 504/16 - NJW 2018, 455; BGH, Urteil vom 12.05.2016 - VII ZR 171/15 - NJW 2016, 2878). იგივე წესი მოქმედებს საზოგადოებებისა და კავშირების, ისევე, როგორც კორპორაციებისა და დაწესებულებების წესდებების განმარტებისას (BGH, Urteil vom 29.07.2014 - II ZR 243/13 - BGHZ 202, 202; BGH, Beschluss vom 24.04.2012 - II ZB 8/10 - ZIP 2012, 1097). იმავე მიზეზებიდან გამომდინარე, ნორმის მსგავსად უნდა იყოს ინტერპრეტირებული, ასევე, სუვერენული ხასიათის მქონე სხვა ნების გამოვლენები (BGH, Urteil vom 09.12.1982 - III ZR 106/81 - BGHZ 86, 104; BGH, Urteil vom 01.10.2013 - XI ZR 28/12 - ZIP 2013, 2250). იგივე წესი მოქმედებს, როდესაც საქმე ეხება ტიპური ხელშეკრულების ჩამოყალიბებას, რომელიც, ჩვეულებრივ, სავაჭრო ბრუნვაში ერთი და იმავე შინაარსით გამოიყენება (BGH, Urteil vom 17.05.2018 - VII ZR 157/17 - NJW 2018, 2469, სავაჭრო-სამართლებრივ ბრუნვაში ზოგადად მიღებული ბრუნვის საგადასახადო-სამართლებრივი მითითებისთვის; BGH, Urteil vom 07.11.2012 - XII ZR 41/11 - MDR 2013, 82, ფართოდ გამოყენებადი ფასის მისადაგების პირობისთვის); ასევე, ბინაზე საკუთრების შესახებ კანონის § 8-ით გათვალისწინებული, გაყოფის შესახებ ნების გამოვლენებიც (დაახლოებით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ კანონის 23-ე მუხლით გათვალისწინებული ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წესდების მსგავსია) მოქმედებს ნორმის მსგავსად და ამიტომაც, საკასაციო სასამართლოს მიერ საკუთარი პასუხისმგებლობით უნდა განიმარტოს (BGH, Urteil vom 21.10.2016 - V ZR 78/16 - NJW-RR 2017, 712).

24. საპროცესო მოქმედებებიც, ასევე, უნდა განიმარტოს ნების გამოვლენის ობიექტური შინაარსის მიხედვით (აღნიშნულის თაობაზე იხილეთ ზემოთ, მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის ა.ნ. 52) ისე, რომ ისინი საკასაციო სასამართლოს მიერ საკუთარი პასუხისმგებლობით იყოს ინტერპრეტირებული (BGH, Beschluss vom 03.05.2018 - IX ZB 72/17 - juris; BGH, Urteil vom 10.10.2017 - II ZR 353/15 - MDR 2018, 76; BGH, Beschluss vom 12.10.2017 - I ZR 267/16 - NJW 2018, 1006; BGH, Beschluss vom 19.09.2017 - XI ZB/17/15 - NJW 2017, 3777). ამასთან, საკასაციო სასამართლოს შეუზღუდავი განმარტების უფლებამოსილებას ექვემდებარება **გადაწყვეტილებების (Urteile) შეფასება,** რომლებიც ნაწილობრივი გადაწყვეტილებების ან სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლის შესახებ შუალედური გადაწყვეტილებების მბოჭავ მოქმედებას ეხება (BGH, Urteil vom 20.05.2014 - VI ZR 87/13 - NJW-RR 2014, 1118) ან მატერიალური კანონიერი ძალის მოქმედებას (BGH, Urteil vom 13.06.2006 - IX ZR 15/04 -

BGHZ 168, 112; BGH, Urteil vom 11.07.2001 - XII ZR 270/99 - NJW-RR 2002, 136).

25. სადავოა, თუ რამდენად ინვესს საპროცესო მორიგების ორმაგი ბუნება (აღნიშნულის თაობაზე იხილეთ ზემოთ, მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის ა.ნ. 63) შედეგად იმას, რომ საკასაციო სასამართლოს, საპროცესო მორიგების განმარტება, მისი მატერიალურ-სამართლებრივი ნაწილის თვალსაზრისითაც, დამოუკიდებლად შეუძლია; ან მის მიერ გაკეთებული განმარტება საკასაციო წარმოებაში მხოლოდ ინდივიდუალური ნების გამოვლინების ზოგადი კრიტერიუმების (აღნიშნულის თაობაზე იხილეთ ქვემოთ ა.ნ. 26 და მომდევნო აბზაცები) მიხედვით ხომ არ უნდა შემოწმდეს (შეადარეთ, მოქმედ მოსაზრებასთან დაკავშირებით: BGH, Beschluss vom 14.02.2017 - VI ZB 24/16 - NJW 2017, 1887).

26. ბბ) სხვა ნების გამოვლინებისას ან ინდივიდუალური ხელშეკრულებებისას, საქმის არსებითად განმხილველი მოსამართლის განმარტება საკასაციო-სამართლებრივად მხოლოდ იმის დასადგენად შეიძლება შემოწმდეს, რომ გაირკვეს, ადგილი ხომ არ ჰქონდა კანონით გათვალისწინებული განმარტების წესების, განმარტების აღიარებული პრინციპების, სხვა ემპირიული პრინციპების ან აზროვნების კანონების დარღვევას; ან ხომ არ ეფუძნება განმარტება საპროცესო შეცდომებს (BGH, Beschluss vom 14.11.2018 - NJW 2019, 600; BGH, Urteil vom 18.04.2018 - XII ZR 76/17 - NJW-RR 2018, 906; BGH, Urteil vom 14.11.2017 - VII ZR 65/14 - NJW 2018, 391). ამ კრიტერიუმების საშუალებით საკასაციო სასამართლოს - ისე, რომ იგი ამით საქმის არსებითად განმხილველ ინსტანციად არ იქცეს - მნიშვნელოვანი მოცულობით შეუძლია ფაქტების დამდგენი სასამართლოს მიერ გაკეთებული განმარტების შემოწმება.

27. (1) კანონით გათვალისწინებული განმარტების წესების ქვეშ არა მხოლოდ ის სამართლებრივი ნორმები იგულისხმება, რომლებიც პირდაპირ ნების გამოვლენის განმარტებას ეხება, როგორც არის, მაგალითად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 52-ე, მე-60, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 62-ე მუხლების შესაბამისი გერმანული სამოქალაქო სამართლის დებულებები (GER-BGB-ს §§133, 157), მათში შედის, ასევე, სამოქალაქო კოდექსის ყველა დისპოზიციური დებულება, რომელიც მხარეთა ერთობლივი ნების გამოხატულებას წარმოადგენს, მაგალითად (ამ ტიპის უამრავი დებულებიდან მხოლოდ პუნქტობრივად ამოღებული და საქართველოს სამოქალაქო სამართალზე გადმოტანილი): საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 478-დან 484-მდე მუხლები. ამასთან გადამწყვეტია არა ის, რომ შესაბამისი სამართლებრივი ნორმა ნების გამოვლენის განმარტავ სასამართლო გადაწყვეტილებაში დასახელებულია პირდაპირ (რაც, რა თქმა უნდა, მაინც სასურველი იქნებოდა), არამედ ისიც,

რომ იგი თავისი ძირითადი არსით არის მიგნებული და გათვალისწინებული.

28. ეს თავისთავად არ გულისხმობს იმას, რომ მოსამართლე გადაწყვეტილების მიღებისას, რაიმე სახით იყოს შებოჭილი კანონით გათვალისწინებული განმარტების წესებით; ნების გამოვლენის ან ხელშეკრულების შინაარსის დადგენისთვის, რა თქმა უნდა, მონაწილეთა ნამდვილი ნება ყოველთვის გადამწყვეტად რჩება. თუმცა, საკასაციო სასამართლოსთვის მნიშვნელოვანია, რომ კანონით გათვალისწინებულ განმარტების წესებში გამოიხატოს, თუ რას მიიჩნევს კანონმდებელი, ჩვეულებრივ, ინტერესების შესაბამისად და რა სურდათ ამით, სავარაუდოდ, ხელშეკრულების მხარეებს.

29. თუ, მაგალითად, ხელშეკრულების დადების შემდეგ, მყიდველის საცხოვრებელი ადგილი იცვლება და ამას შედეგად დამატებითი ხარჯები მოჰყვება, მაშინ განმარტების ცალსახა შეცდომასთან გვექნებოდა საქმე, თუ მოსამართლე ზედმეტად წარმოშობილი ხარჯების ანაზღაურების შესახებ მოთხოვნაზე იმ დასაბუთებით იტყოდა უარს, რომ ნასყიდობის ფასი ფიქსირებულად შეთანხმდა და წერილობით ხელშეკრულებაში არაფერია ნათქვამი იმის თაობაზე, რომ მოგვიანებით, მყიდველის მიერ საცხოვრებელი ადგილის შეცვლის შემთხვევაში, ტრანსპორტირების დამატებითი ხარჯი მას უნდა დაეკისროს. პირიქით, მოსამართლემ უნდა გაითვალისწინოს, რომ (ქართულ სამართალზე თუ გადავიტანთ) საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 363-ე მუხლი ასეთი შემთხვევისთვის შეიცავს კანონისმიერ განმარტების წესს, რომელიც ეფუძნება იდეას, რომ ვალდებულების შესრულების გართულება მხოლოდ მყიდველის პასუხისმგებლობის სფეროდან გამომდინარეობს და ამიტომ, ჩვეულებრივ, ინტერესებთან სამართლიან შესაბამისობაში იქნება, რომ ამით გამოწვეული ზედმეტი ხარჯი მას დაეკისროს. თუ მოსამართლე ვერ მიაგნებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 363-ე მუხლით გათვალისწინებულ განმარტების კანონისმიერ წესს, მაგრამ ეს საკითხი მის გადაწყვეტილებაში წარმოდგენილი, ინტერესთა ძირითადი ვითარებიდან გამომდინარე, გასაგებად და სწორად არის დამუშავებული, მაშინ, მიუხედავად იმისა, რომ იურიდიული თვალსაზრისით, ლამაზი არ არის, საკასაციო-სამართლებრივი თვალსაზრისით ეს უფნებელია.

30. ამის მიუხედავად, საკასაციო სასამართლომ ქვედა ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო-სამართლებრივად „ხელშეუხებელი“ დასაბუთებისას მაშინაც კი უნდა მიიღოს, როდესაც მას შედეგი ან/და მისი დასაბუთება განსაკუთრებულად დამაჯერებლად არ ეჩვენება. თუ ქვედა ინსტანციის მოსამართლემ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 363-ე მუხლის კანონისმიერი განმარტების წესის ან ყოველ შემთხვევაში, მასში ნაგულისხმევი ინტერესთა ძირითადი ვითარების შეფა-

სება შეიძლო (და ეს თავის გადაწყვეტილებაში ასახა), მაგრამ კონკრეტული საქმის გარემოებათა ერთიანად შეფასების, აგრეთვე განმარტებისა და საპროცესო სამართლის სხვა პრინციპების გათვალისწინების შედეგად, მას ხელშეკრულების მხარეთა საპირისპირო ნების არსებობის რწმენა ჩამოუყალიბდა, მაშინ საკასაციო სასამართლოსთვის ამას მხოლოდ ძალა გააჩნია; მიუხედავად იმისა, საბოლოო ფაქტში, მას ეს შედეგი მოსწონს თუ არა.

31. თუმცა, გაუგებრობების თავიდან ასარიდებლად უნდა აღინიშნოს, რომ ამით საკასაციო სასამართლოს არ ერთმევა შესაძლებლობა, რომ „გაუმართლებელი“ განმარტება საკასაციო-სამართლებრივად სადავო გახადოს. იმიტომ, რომ აშკარად არასწორი განმარტების შედეგს, ყოველთვის ექნება საკასაციო-სამართლებრივად არსებითი რაიმე ნაკლი - სულ მცირე, მტკიცებულებათა შეფასების ზოგადი პრინციპების დარღვევა (GER-ZPO-ს § 286-ის პირველი აბზაცი; აღნიშნულის თაობაზე იხილეთ ზემოთ, 105-ე მუხლის ა.ნ. 108 და მომდევნო აბზაცები).

32. (2) **განმარტების ზოგად პრინციპებს** განეკუთვნება სასამართლო პრაქტიკაში გარკვეული გარემოებებისთვის შემუშავებული, განმარტების კრიტერიუმები, რომლებიც თავიანთი ძირითადი კონცეფციიდან გამომდინარე, კანონისმიერი განმარტების წესებს ჰგვანან; აგრეთვე - განმარტების „კლასიკური“ მეთოდები, როგორც არის ტექსტი, სისტემატიკა, ინტერესებთან სამართლიანი შესაბამისობა და რეგულირების მიზანი (BGH, Urteil vom 14.11.2018 - VIII ZR 109/18 - MDR 2019, 154; BGH, Urteil vom 18.04.2018 - XII ZR 76/17 - NJW-RR 2018, 906; BGH, Urteil vom 27.09.2017 - VIII ZR 271/16 - NJW 2018, 146).

33. (2.1) გერმანულმა სასამართლო პრაქტიკამ გარკვეული შემთხვევებისთვის განმარტების პრინციპები შეიმუშავა, რომელთა საშუალებითაც ტიპური ინტერესები (და ამით, ჩვეულებრივ, მხარის სავარაუდო ნება) უნდა გავითვალისწინოთ. მაგალითების სახით შეიძლება გამოდგეს:

34. - ხელშეკრულების პირობები, რომლებიც მიმართულია პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებისკენ, როგორც გამონაკლისი დისპოზიციური სამართლიდან გამომდინარე პასუხისმგებლობიდან, ძირითადად, ვინროდ უნდა განიმარტოს (BGH, Urteil vom 02.04.2004 - V ZR 267/03 - BGHZ 158, 354; BGH, Urteil vom 26.04.2017 - VIII ZR 233/15 - NJW 2017, 3292; BGH, Urteil vom 06.04.2016 - VIII ZR 261/14 - NJW 2016, 2495). შესრულების გარანტიის გამორიცხვა, როგორც წესი, არ ეხება საგნის მდგომარეობას, რომელიც მხარეთა ხელშეკრულებით შეთანხმდა, ვინაიდან მაშინ საგნის მდგომარეობის შესახებ შეთანხმებას აზრი აღარ ექნებოდა (BGH, Urteil vom 29.11.2006 - VIII ZR 92/06 - BGHZ 170, 86; BGH, Urteil vom 26.04.2017 - VIII ZR 233/15 - NJW 2017, 3292). ეს ასევე ეხება ისეთ შემთხვევებს, როდესაც ნასყიდობის საგნის განსაზღვრული მდგომ-

მარეობა არა პირდაპირ, არამედ მხოლოდ კონკლუდენტურად იყო შეთანხმებული (BGH, Urteil vom 06.11.2015 – V ZR 78/14 - BGHZ 207, 349).

35. - საექვოობისას, ხელშეკრულების მხარეები ნამდვილი შეთანხმების დადებისკენ მიიღწვიან. ამიტომ, ასეთ დროს ხელშეკრულებები ისე უნდა განიმარტოს, რომ გარიგების ბათილობა ან ხელშეკრულების მიზნის საფრთხეში ჩაგდება თავიდან ავირიდოთ (BGH, Urteil vom 26.09.2002 - I ZR 44/00 - BGHZ 152, 153; BGH, Urteil vom 21.10.2016 - V ZR 78/16 - NJW-RR 2017, 712; BGH, Urteil 16.12.1999 - IX ZR 117/99 - NJW 2000, 1333). იმავე მიზეზით, საექვოობისას, წინარე სახელშეკრულებო განაცხადი ხელშეკრულების საგნის მდგომარეობის შესახებ, რომელიც ფორმალურად ნერილობითი გარიგების ტექსტში არ შევიდა, გარიგებითი ნების ნაწილად არ იქცევა (BGH, Urteil vom 06.11.2015 - V ZR 78/14 - BGHZ 207, 349).

36. - თუ ნასყიდობის ხელშეკრულების მხარეები შეთანხმებიან, რომ ნასყიდობის საფასურის ვალის დასაფარად გადახდის მომსახურება PayPal-ი გამოიყენონ, მაშინ ისინი პრინციპში თავიანთ სახელშეკრულებო ურთიერთობაში PayPal-ის სტანდარტულ პირობებს რთავენ, განსაკუთრებით კი მყიდველთა დაცვის დირექტივას (BGH, Urteil vom 22.11.2017 - VIII ZR 83/16 - NJW 2018, 537). იგივე წესი მოქმედებს ნასყიდობის ხელშეკრულების მიმართაც, რომელიც ინტერნეტ-პლატფორმის საშუალებით დაიდო (eBay-ს ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებთან დაკავშირებით: BGH, Urteil vom 24.08.2016 - VIII ZR 100/15 - BGHZ 211, 331; BGH, Urteil vom 15.02.2017 - VIII ZR 59/16 - NJW 2017, 1660).

37. - თუ ნების გამოვლენის განმარტების შედეგად, ხელშეკრულების მხარეს, შეიძლება, ცალმხრივად გაუუარესდეს სამართლებრივი მდგომარეობა, მაშინ ასეთი ნების ვარაუდის მიმართ მკაცრი მოთხოვნები უნდა დაწესდეს. როგორც წესი, ასეთ ვითარებაში აუცილებელია ცალსახა ნების გამოვლენა, რადგან მხარის მიერ უფლებაზე უარის თქმა არასდროს ივარაუდება (BGH, Urteil vom 15.10.2014 - XII ZR 111/12 – MDR 2015, 141; BGH, Urteil vom 22.06.1995 - VII ZR 118/94 - NJW-RR 1996, 237; BGH, Urteil vom 20.12.1983 - VI ZR 9/82 - NJW 1994, 379).

38. - ჩართულ იქნება თუ არა მესამე პირი ხელშეკრულების დაცვის სფეროში (ე.წ. მესამე პირთა დაცვის მიზნით დადებული ხელშეკრულება), ანუ უნდა იყოს თუ არა იგი ისევე დაცული, როგორც ხელშეკრულების მხარე, მხარეთა ნებაზეა დამოკიდებული. თუმცა, იმისათვის, რომ მოვალის პასუხისმგებლობა უსაზღვროდ არ გაფართოვდეს, ხელშეკრულების დაცვის სფეროში მესამე პირთა ჩართვის მიმართ, როგორც ეს გერმანიაში, მაგალითად, დამქირავებლის მეუღლისთვის არის აღიარებული (BGH, Urteil vom 21.02.2018 - VIII ZR 255/16 - NJW-RR 2018, 726),

მოთხოვნები მკაცრი უნდა იყოს. (BGH, Urteil vom 07.12.2017 - VII ZR 204/14 - NJW 2018, 1537; BGH, Urteil vom 17.11.2016 - III ZR 139/14 - NJW-RR 2017, 888).

39. განმარტების წესებს განეკუთვნება, ასევე, უკვე განხილული ვარაუდი იმის შესახებ, რომ წერილობითი ხელშეკრულება ნებას სრულად და სწორად ასახავს (აღნიშნულის თაობაზე იხილეთ ზემოთ, 102-ე მუხლის ა.ნ. 65 და მომდევნო აბზაცები).

40. განმარტების კიდევ ერთი, მართალია, სამართლებრივ საფუძვლებზე (და არა ტიპური, ინტერესებთან სამართლიანი შესაბამისობის ასპექტებზე) დამყარებული, მაგრამ მნიშვნელოვანი წესი ადგენს, რომ **ფორმასავალდებულო გარიგებისას**, გარემოებები, რომლებიც წერილობით ხელშეკრულებაში ასახული არ არის, შეიძლება, მხოლოდ იმ შემთხვევაში გავითვალისწინოთ, თუ ისინი წერილობით ხელშეკრულებაში, სულ მცირე, ირიბად, ანუ „მინიშნებით“ მაინც არის გამოხატული (BGH, Urteil vom 25.03.1983 - V ZR 268/81 - BGHZ 87, 150; BGH, Beschluss vom 14.11.2018 - XII ZB 107/18 - juris; BGH, Urteil vom 11.02.2010 - VII ZR 18/08 - NJW-RR 2010, 821). სხვა შემთხვევაში, ეს საბოლოოდ შეასუსტებდა ფორმის შესახებ კანონის დებულებებს.

41. საბოლოოდ, ყველა გარემოების ერთობლიობაში შეფასების რეკომენდაციის გათვალისწინებით (BGH, Urteil vom 06.12.2017 - VIII ZR 219/16 - NJW-RR 2018, 822, ამონარიდების სახით ასახულია, Rn. 44; BGH, Urteil vom 13.04.2016 - VIII ZR 198/15 - NJW-RR 2016, 1032), განმარტებაზე **ხელშეკრულებისშემდგომი ქცევაც მოქმედებს**, ასეთის არსებობის შემთხვევაში. აღნიშნულ საკითხზე იხილეთ 105-ე მუხლის ა.ნ. 60-ში წარმოდგენილი განმარტებები.

42. (2.2) მატერიალური სამართლიდან გამომდინარე განმარტების სხვა, „კლასიკურ“ მეთოდებს, ანუ ტექსტს, სისტემატიკას, ინტერესებთან სამართლიან შესაბამისობასა და რეგულირების მიზანს (ტელეოლოგიური ინტერპრეტაცია), მოცემული ნაშრომის საპროცესო-სამართლებრივი სპეციფიკის გათვალისწინებით, აქ დეტალურად არ შევხებით. თუმცა ისინი, ყოველ შემთხვევაში ნაწილობრივ, გამომდინარეობს ქვემოთ, ამონარიდების სახით წარმოდგენილი უმაღლესი ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილებებიდან. საკასაციო-სამართლებრივი შემონიშნების კომპეტენციის გათვალისწინებით, დამატებით ისიც უნდა აღინიშნოს, რომ უმაღლესი ფედერალური სასამართლო ნების გამოვლინების (განსაკუთრებით წერილობით) **ტექსტს** განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს და ხაზს უსვამს, რომ ნებისმიერი განმარტება ტექსტს უნდა დაეყრდნოს ((BGH, Urteil vom 07.02.2002 - I ZR 304/99 - BGHZ 150, 32; BGH, Urteil vom 13.04.2016 - VIII ZR 198/15 - NJW-RR 2016, 1032); ოღონდ, რა თქმა უნდა ისე, რომ მასზე არ გაჩერდეს ან, მით უმეტეს, შებოჭილი არ

იყოს მისით (შეადარეთ, BGH, Urteil vom 15.10.2014 - XII ZR 111/12 - MDR 2015, 141, ამონარიდების სახით წარმოდგენილია, ა.ნ. 49-ში).

43. (2.3) მაგალითის სახით, ქვემოთ წარმოდგენილია უმაღლესი ფედერალური სასამართლოს შემონმების კომპეტენცია და მის მიერ გამოყენებული მეთოდი, გადანყვეტილებიდან მოყვანილი ამონარიდის საფუძველზე (BGH, Urteil vom 06.12.2017 - VIII ZR 219/16 – NJWRR 2018, 822):

44. „aa) ყოველ შემთხვევაში, საქმის არსებითად განმხილველი მოსამართლის მიერ ინდივიდუალური შეთანხმების, - როგორც აქ, მხარეთა ხელშეკრულების, - განმარტება მის საფუძველად არსებული პროდუქტების ბროშურისა და ტექნიკური სამახსოვრო ფურცლის ჩათვლით, საკასაციო სასამართლოს მიერ მხოლოდ შეზღუდულად შეიძლება შემოწმდეს, რათა დადგინდეს, ხომ არ დარღვეულა განმარტების კანონისმიერი ან, ზოგადად, აღიარებული წესები, აზროვნების კანონები ან ზოგადი ემპირიული გამოცდილება; უყურადღებოდ ხომ არ დარჩენილა განმარტების არსებითი მასალა ან ხომ არ ეფუძნება განმარტება კასაციის გზით გასაჩივრებულ საპროცესო შეცდომებს (BGHZ 212, 248; BGH NZM 2016, 673; BGH NJW 2015, 2324...). თუმცა, ასეთი სამართლებრივი შეცდომები აქ სააპელაციო სასამართლოს ეკისრება ტვირთად.

bb) სააპელაციო სასამართლოს არც მხარეთა შორის მიღებული შეთანხმების შინაარსი ამოუწურავს სრულყოფილად და არც დავის ყველა გარემოება გაუთვალისწინებია. ამასთან, მან დაარღვია ორივე მხარის ინტერესებთან სამართლიანი შესაბამისობით განმარტების პრინციპი.

(1) მართალია, მხარეთა შეთანხმების განმარტებისას სააპელაციო სასამართლომ გარკვეულწილად სწორად იგულისხმა, რომ აღიარებული პრინციპების თანახმად, ინდივიდუალური შეთანხმების განმარტებისთვის შეთანხმების ტექსტი BGB-ს §§133, 157-ის მიხედვით განსახორციელებელი განმარტების საწყისია, მაგრამ ამასთან, იმავდროულად მოქმედებს წესი, რომლის თანახმადაც მხარეთა თანმხვედრ ნებას უპირატესობა გააჩნია ტექსტსა და ნებისმიერ სხვა განმარტებასთან შედარებით მაშინაც კი, როდესაც იგი ნების გამოვლენის შინაარსში საერთოდ არ ან მხოლოდ არასრულყოფილად აისახა (BGH NJW 2015, 409). ამ თვალსაზრისით, მხარეთა თანმხვედრი ნების გარკვევის მიზნით, სააპელაციო სასამართლომ სწორად მოიშველია წერილობით ხელშეკრულებასთან ერთად, ასევე, მოსარჩელის პროდუქტების ბროშურა და ტექნიკური სამახსოვრო ფურცელი.

თუმცა, მას ზემოთ ხსენებული, ყველა წერილობითი დოკუმენტის შეფასებისას მათი შინაარსი სრულად არ ამოუწურავს. ამასთან, სააპელა-

ციო სასამართლომ ამ შეფასებისას განმარტების სხვა, აღიარებული პრინციპები დაარღვია, რომელთა თანახმად, განმარტებისას დამატებით, ასევე, უნდა გავითვალისწინოთ საერთო გარემოებები (BGH NZM 2016, 673;...) და ის მიზანი, რომლის მისაღწევადაც ეს შეთანხმება დაიდო (BGH NZM 2016, 673) და რომ განმარტება ორივე მხარის ინტერესების სამართლიანად გათვალისწინებით უნდა გაკეთებულიყო (BGH, Urteil vom 7. März 2017 - EnZR 56/15 – juris; BGH WM 2012, 2061).

ამით, სააპელაციო სასამართლოს განმარტების შედეგი სენატისთვის სავალდებულო არ არის და ვინაიდან ამ თვალსაზრისით, სხვა ფაქტობრივი დასკვნები მოსალოდნელი არ არის, მას შეუძლია, რომ განმარტება თავად გააკეთოს (BGH NZM 2016, 673; ...).

(2) სააპელაციო სასამართლოს პოზიციის საპირისპიროდ, უკვე თავად ხელშეკრულების ტექსტი მეტყველებს იმაზე, რომ ხელშეკრულების პირობით გათვალისწინებული გამოყენება (BGB-ს §434-ის პირველი აბზაცის მე-2 წინადადების ნომერი 1) შეზღუდული არ არის - როგორც ეს სააპელაციო სასამართლომ სამართლებრივად მცდარად იგარაუდა - იმით, რომ დანამატი, როგორც ცალკე აღებული, ისე მოპასუხის საღებავში, ანტიმიკრობული თვალსაზრისით სრულიად არაეფექტური არ არის, არამედ პირიქით, გამიზნულია იმისათვის, რომ მოპასუხის საღებავში მუდმივ, ყოველ შემთხვევაში, მრავალწლიან ანტიმიკრობულ ეფექტს მიაღწიოს. ხელშეკრულების საგნის აღწერაში (პუნქტი 1.1) წარმოდგენილი მონაცემი, - რომლის თანახმად, მოპასუხის „განსაკუთრებით მდგრადი“ შიგა ნაგებობების საღებავის საფუძველზე, მოსარჩელის „ანტიმიკრობულად მოქმედ“ დანამატთან კომბინაციაში, რომელიც „თავის თვისებებს მასალის გადამუშავების შემდეგაც განსაზღვრული სახით ინარჩუნებს“, უნდა შემუშავდეს, ინარჩუნოს და გაიყიდოს „ანტიმიკრობულად მოქმედი საღებავი ჰიგიენურად განსაკუთრებით პრეტენზიული გამოყენების სფეროებისთვის“; - კონკრეტული დროის მითითების გარეშეც სხვაგვარად ვერ იქნება გაგებული, თუ არა ისე, რომ მიღწეული უნდა ყოფილიყო ნაგებობის ასეთი შიგა საღებავით განხორციელებული კედლის შეღებვის ნორმალური გამოსადეგობის ვადაზე ორიენტირებული - ამიტომ, სულ მცირე მრავალწლიანი - ანტიმიკრობული მოქმედების ეფექტი.

(3) ხელშეკრულების წინაპირობის სახით დადგენილი ეს გამოყენება გამყარებულია ხელშეკრულების განმარტების ფარგლებში გასათვალისწინებელი საერთო გარემოებებით, კერძოდ, მოსარჩელის პროდუქტის ბროშურის შინაარსით და ტექნიკური სამახსოვრო ფურცლით. სენატის

წინაშე, ზეპირ განხილვაში საკასაციო შესაგებლით წარმოდგენილი შეხედულებების საპირისპიროდ, ეს საბუთები მაშინაც კი უნდა გათვალისწინებულყო, თუ ისინი - როგორც საკასაციო შესაგებელი გულისხმობს - ხელშეკრულების საგანი არ უნდა გამხდარიყო. რადგან BGB-ს §343-ის პირველი აბზაცის მე-2 წინადადების ნომერი 1-ის ფარგლებში არა მხოლოდ ხელშეკრულების შინაარსი, არამედ ყველა გარემოება უნდა გავითვალისწინოთ, რომელსაც შეუძლია ნათელი მოჭფინოს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ გამოყენებას.

ზემოთ ხსენებულ ორივე საბუთში, რომელიც მოსარჩელემ მოპასუხეს ხელშეკრულების დადებამდე უდავოდ გადასცა, ხაზგასმულია მასალაში დანამატის შერევით მიღებული მრავალწლიანი ან შესაბამისად, მუდმივი ანტიმიკრობული მოქმედების ეფექტი. ეს მონაცემები, რომლებიც მოსარჩელის დანამატის მოქმედების დეტალური აღწერის ნაწილია, სააპელაციო სასამართლოს შეხედულების საპირისპიროდ, არა, უბრალოდ, არასავალდებულო ფორმით სარეკლამო ქებაა (BGHZ 87, 302; BGH NJW 2007, 3057), არამედ ფაქტების შეტყობინება, რომლის მიმართაც მოპასუხეს, როგორც მყიდველს (მიუხედავად იმისა, შეთანხმდნენ თუ არა მხარეები მოსარჩელის პროდუქტის ბროშურაში დამატებით ნახსენები ხარისხის ნიშნის გამოყენებაზე) შეიძლებოდა, ნდობა ჰქონოდა და რომელიც ობიექტურად აისახა მხარეთა თანმხედრ სახელშეკრულებო ნებაში, მათ მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული გამოყენების პირობის ფორმით.

(4) ამ ასპექტების გაუთვალისწინებლად განხორციელებული სააპელაციო სასამართლოს განმარტება ორივე მხარის ინტერესის სამართლიანად გათვალისწინების საფუძველზე არღვევს განმარტების პრინციპს. იმის დაშვებით, რომ მოპასუხის ვალდებულება ხელშეკრულებაში შეთანხმებული მინიმალური ოდენობების აღების (მიღების) თაობაზე მხოლოდ დროს უკავშირდება და სხვა არავითარ წინაპირობაზე დამოკიდებული არ არის, თუ დანამატი სრულიად უვარგისი არ არის და ამ დანამატით შესაძლებელი იქნებოდა, ბაზარზე მეტ-ნაკლებად გაყიდვადი პროდუქტის წარმოება, სააპელაციო სასამართლომ, ერთი მხრივ, მხოლოდ მოსარჩელის ინტერესები გაითვალისწინა, ხოლო მოპასუხის ინტერესი კი, პირიქით, გამოეპარა. რადგან ობიექტური შეფასებისას, არ შეინიშნება რაიმე გონივრული საფუძველი იმისათვის, თუ რატომ უნდა იყოს ვალდებულებული მოპასუხე, საკმაოდ დიდი რაოდენობის სადავო დანამატი აიღოს, საკმაოდ დიდი ფულადი თანხის გადახდის სანაცვლოდ, მიუხედა-

ვად იმისა, ეს დანამატი ნაგებობის შიგა საღებავთან შერევისას ხანგრძლივი დროის განმავლობაში იძლევა ანტიმიკრობული მოქმედების ეფექტს თუ მხოლოდ მოკლე ვადით (რასთანაცსაქმე გვაქვს მოპასუხის მტკიცებით). მოპასუხისთვის ასეთი, ქვედა ინსტანციების მიერ სამართლებრივად მცდარად დაშვებული ცალმხრივი რისკის დაკისრება, სააპელაციო სასამართლოს შეხედულების საპირისპიროდ, იმ არგუმენტაციითაც ვერ იქნება მიჩნეული ინტერესების სამართლიანად გათვალისწინებად, თითქოს მოპასუხის მიერ მინიმალური ოდენობის აღების ვალდებულების ეკვივალენტს გასაღების ექსკლუზიური უფლების გადაცემა წარმოადგენს და არა ხელშეკრულების შედეგი. ...

cc) მოსარჩელის მიერ საკასაციო-სამართლებრივად საფუძვლის სახით წარმოსადგენი ჩვენების თანახმად, დანამატი, რომლის აღებასა და საფასურის გადახდასაც მისგან მოსარჩელე ითხოვს, ვარგისი არ არის ხელშეკრულებით გათვალისწინებული გამოყენებისთვის, რომელიც მოპასუხის შიგა ნაგებობების საღებავში მუდმივი, სულ მცირე, კი მრავალწლიანი ანტიმიკრობული მოქმედების ეფექტის გამონწვევას გულისხმობს.... “

45. (2.4) ხელშეკრულების განმარტებისას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ისიც იძენს, რომ საკასაციო სასამართლოს შეუძლია გადაამოწმოს, იცოდა თუ არა ქვედა ინსტანციის სასამართლომ, ასეთის შემთხვევაში, **ხელშეკრულების განვრცობითი განმარტების** შესაძლებლობის შესახებ და განახორციელა თუ არა მან იგი სამართლის აღიარებული პრინციპების შესაბამისად (BGH, Urteil vom 14.03.2017 - XI ZR 508/15 - NJW-RR 2017, 942; BGH, Urteil vom 15.10.2014 - XII ZR 111/12 - MDR 2015, 141, ამონარიდების სახით წარმოდგენილია ა.ნ. 49-ში).

46. ამდენად, საკასაციო სასამართლომ უნდა შეამოწმოს, სცნო თუ არა ქვედა ინსტანციამ, რომ ხელშეკრულების განვრცობითი განმარტების წინაპირობას რეგულირების მოულოდნელი ხარვეზის არსებობა წარმოადგენს და ასეთის დაშვება შეიძლება მხოლოდ - მაგრამ ამ შემთხვევაში იგი უკვე გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში უნდა იყოს გათვალისწინებული, - როდესაც მხარეებს, მათ მიერ მიღებული წესებით, გარკვეული მიზნის მიღწევა სურდათ, მაგრამ ეს, შეთანხმებული წესების ნაკლოვანებების გამო, არ გამოუვიდათ (BGH, Urteil vom 30.06.2017 - V ZR 248/16 - NJW-RR 2018, 53; BGH, Urteil vom 23.05.2014 - V ZR 208/12 - NJW 2014, 3439). ასევე, საკასაციო სასამართლოს შემოწმების კომპეტენციაა იმის დადგენაც, გაითვალისწინა თუ არა ქვედა ინსტანციის სასამართლომ, რომ ხელშეკრულების განვრცობითი განმარტება არ შეიძლება იმისთვის გამოვიყენოთ, რომ ხელშეკრულებას, სამართლიანობის მი-

ზეზებიდან გამომდინარე, რეგულირების ისეთი შინაარსი შეუქმნას, რომლის შეთანხმებაც მხარეებს ობიექტურად არ სურდათ (BGH, Urteil vom 30.06.2017 - V ZR 248/16 - NJW-RR 2018, 53).

47. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ საკასაციო სასამართლოს შეუძლია ხელშეკრულების განვრცობითი განმარტების ობიექტური შედეგის შესახებ თავისი შეხედულების ჩასმა საქმის არსებითად განმხილველი სასამართლოს განმარტების ადგილზე. თუმცა მას უფლება აქვს და ევალება კიდევ, რომ შეამოწმოს, მიაკვლია თუ არა ამ უკანასკნელმა განმარტების შესაბამის კრიტერიუმებს და სამართლის დარღვევის გარეშე გამოიყენა თუ არა ისინი (ხელშეკრულების რეგულირების შინაარსის ლოგიკური, ბოლომდე გააზრებული ფიქრის გაგებით [BGH, Urteil vom 05.07.2011 - II ZR 208/10 - juris]).

48. (2.5) ქვემოთ, ამონარიდების სახით (მხოლოდ ზოგად შტრიხებში, მაგრამ არა ცალკეულ დასაბუთებებში) წარმოდგენილი გადაწყვეტილების საფუძველზე (BGH, Urteil vom 15.10.2014 - XII ZR 111/12 - MDR 2015, 141), შეჯამების სახით მოცემულია, თუ რა პირობების არსებობისას არის განმარტება საკასაციო სასამართლოსთვის მბოჭავი და რა პირობებში - არა.

49. „I. მოპასუხის საკასაციო საჩივარი

1. ... უმაღლესი ფედერალური სასამართლოს დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, ინდივიდუალური შეთანხმებების განმარტება, ძირითადად, საქმის არსებითად განმხილველი მოსამართლის საქმეს განეკუთვნება. მისი განმარტება მხოლოდ შეზღუდულ საკასაციო-სამართლებრივ შემონმებას ექვემდებარება იმის დასადგენად, სრულად გაითვალისწინეს თუ არა განმარტებას დაქვემდებარებული მასალა და ხომ არ დარღვეულა განმარტების კანონისმიერი ან საყოველთაოდ აღიარებული წესები, სხვა ემპირიული გამოცდილება ან აზროვნების კანონები; ან კიდევ - ხომ არ ეფუძნება განმარტება საპროცესო შეცდომებს (BGHZ 194, 301; BGH NJW-RR 2010, 1508). აღნიშნულის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ საიჯარო ხელშეკრულების § 3-ის a) პუნქტის, აგრეთვე, 2010 წლის 25 მარტის მორიგების შეთანხმების განმარტების მიმართ, სამართლებრივი საფუძვლებიდან გამომდინარე, მოსადავებელი არაფერია.

... 3. მორიგების შეთანხმების მე-13 პუნქტით გათვალისწინებული კომპენსაციის დათქმის, სააპელაციო სასამართლოს მიერ განხორციელებული განმარტების მიმართ, სამართლებრივი საფუძვლებიდან გამომდინარე, ასევე, არაფერია მოსადავებელი.

a) სააპელაციო სასამართლომ უკვე გადმოცემული, განმარტების აღიარებული ნესების გათვალისწინებით, სრულად და გულმოდგინედ გააანალიზა მხარეთა მიერ მორიგების შეთანხმების მე-13 პუნქტში შერჩეული რეგულირების სისტემატიკა და მივიდა - მოპასუხის საკასაციო საჩივრით, ასევე, მისაღებად დაშვებულ - განმარტების შედეგად, რომ მორიგების შეთანხმების 13.2.4 პუნქტში ასახული წესი მხოლოდ იმ შესაძლო მოთხოვნებზე ვრცელდება, მოპასუხის და ... - საფინანსო სამსახურის მიერ უკვე გადახდისუუნარობის რეესტრთან დაკავშირებით გაცხადებული ბრუნვის გადასახადის გამო, 2009 წლის მარტიდან ივნისის თვემდე პერიოდთან დაკავშირებით. სააპელაციო სასამართლოსგან განსხვავებით, მოპასუხის საკასაციო საჩივრით აქედან გაკეთებულია დასკვნა, რომ მოსარჩელის, დავის საგანთან დაკავშირებულ მოთხოვნის უფლებებს, მორიგების შეთანხმების 13.1 პუნქტში მოცემული კომპენსაციის ზოგადი დათქმა ითვალისწინებს....

b) სააპელაციო სასამართლოს განმარტების მოტივები ასეთი პრეტენზიების წინაშეც ურყევეია.

მართალია, შეიძლება, რომ მორიგების შეთანხმების 13.1 პუნქტის წესის ტექსტი მოსარჩელის მიერ გასაჩივრებულ მოთხოვნებსაც მოიცავდეს (რითაც ისინი ასევე დაკმაყოფილებული შეიძლება იყოს), თუმცა, სააპელაციო სასამართლომ თავისი განმარტების მოტივებში შეთანხმებაში მოცემული სხვა ნესებიც მართებულად მიიღო მხედველობაში. იმის ფონზე, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ გაკეთებული დასკვნების მიხედვით, მორიგების შეთანხმების დადების მომენტისთვის მხოლოდ ბრუნვის გადასახადი 2009 წლის მარტიდან ივნისამდე პერიოდისთვის საფინანსო სამსახურის მიერ ახლად გაანგარიშებული იყო და ამიტომ ნათელი არ იყო, ხელშეკრულების მხარეებს იგი დაეკისრებოდათ თუ არა, ბრუნვის გადასახადთან დაკავშირებული შერწყმის (Organschaft) არაღიარების გამო, ასევე წინა პერიოდებისთვის ბრუნვის გადასახადთან დაკავშირებული სხვა მოთხოვნები, ამიტომ სააპელაციო სასამართლოს მიერ ნაპოვნი განმარტების შედეგის მიმართ მოსადავებელი არაფერია.

ბოლოს და ბოლოს, სააპელაციო სასამართლომ განმარტებისას მხარეთა მიერ დასახული მიზანიც გაითვალისწინა, რომელიც იმაში მდგომარეობდა, რომ შეძლებისდაგვარად საბოლოო გაყოფა მომხდარიყო და მათ შორის ღიად დარჩენილი ყველა საკითხი მოგვარებულიყო.

c) სააპელაციო სასამართლოს განმარტებების მიმართ მოპასუხის საკასაციო საჩივრით გათვალისწინებული პრეტენზიები, რომელთა მიხე-

დვით პირველ ინსტანციაში განხორციელებული მტკიცებულებათა შეგროვება იმ „პოზიტიურ დასკვნასაც“ კი ამართლებს, რომ შესაბამისი მოთხოვნის უფლებების მიმართ მხარეთა „სწორედ რომ არავითარი კონსენსუსი“ არ არსებობს, ასევე ვერ გამოიღებს რაიმე შედეგს. სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილება უკვე დაფუძნებულია ხელშეკრულების განმარტების სამართლებრივად უშეცდომო მოსაზრებებსა და პირველი ინსტანციის - საკასაციო საჩივრით გაუპროტესტებელ - მტკიცებულებათა შეგროვებაზე. საკასაციო საჩივრით შედავებული განმარტებები ამკარად სააპელაციო სასამართლოს მიერ შემუშავებული დამხმარე მოსაზრებებია, რომლებმაც განმარტების შედეგი მხოლოდ დამატებით უნდა გაამყარონ.

d) იგივე ვრცელდება, მოსარჩელის მიერ სასარჩელო მოთხოვნის დათმობის (უარის) გადახდის უუნარობის პროცედურის მიზანთან შეუსაბამობასთან დაკავშირებითაც, სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოთქმული მოსაზრებების მიმართ, რომლებიც მოპასუხის საკასაციო საჩივრით გაპროტესტდა. ამ თვალსაზრისითაც, საქმე მხოლოდ ალტერნატიულ მოსაზრებებს („ამისგან დამოუკიდებლად“) ეხება სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილებაში, რომლებსაც იგი არ ეყრდნობა, რადგან უკვე ხელშეკრულების განმარტებასთან დაკავშირებულ მოსაზრებებს ეფუძნება.

II. მოსარჩელის საკასაციო საჩივარი

მოსარჩელე თავისი საკასაციო საჩივრით სწორად უპირისპირდება სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის თაობაზე, თითქოს ხელშეკრულების განვრცობითი განმარტების შედეგად, საიჯარო ხელშეკრულების § 3-ის a) პუნქტიდან გამომდინარეობდეს მოპასუხის მიერ კომპენსაციის მოთხოვნის უფლება, სამრეწველო სანარმოს ბრუნვის გადასახადის დავალიანებისთვის მისი პარტნიორების პასუხისმგებლობის გამო..., რომლითაც მას დაბრუნებული ბრუნვის გადასახადის (პროცენტთან ერთად) გადახდის შესახებ მოსარჩელის მოთხოვნის მიმართ გაქვითვაც შეუძლია ...

1. ...

2. ... მოპასუხეს მოსარჩელის მიმართ გაქვითვადი საპასუხო მოთხოვნის უფლება არ ეკუთვნის, რადგან სააპელაციო სასამართლოს დაშვება იმის თაობაზე, თითქოს ხელშეკრულების განვრცობითი განმარტების შედეგად საიჯარო ხელშეკრულების § 3-ის a) პუნქტიდან გამომდინარეობდეს მოსარჩელის მიმართ მოპასუხის მოთხოვნის უფლება იმ თანხის გადახდაზე, რომლის ოდენობითაც უნდა აგონ პასუხი პასუხისმგებლობის შესახებ გადანყვეტილებით ... მოპასუხის პარტნიორებმა, სამართლებრივად უშეცდომო არ არის.

a) მართალია, სააპელაციო სასამართლოს განმარტება ამ თვალსაზრისითაც ექვემდებარება მხოლოდ შეზღუდულ საკასაციო-სამართლებრივ გადამონმებას (BGHZ 194, 301; BGH NJW 2012, 844...), თუმცა, სააპელაციო სასამართლოს ვარაუდი იმის თაობაზე, რომ თითქოს საიჯარო ხე-

ლმეკრულების § 3-ის a) პუნქტი იჯარის პროცენტთან დაკავშირებით, მოპასუხის პარტნიორთა პასუხისმგებლობის თვალსაზრისით ... საფინანსო სამსახურის მიერ წაყენებული სამრეწველო სანარმოს ბრუნვის გადასახადის მოთხოვნებისათვის, წარმოადგენს რეგულირების ხარვეზს, რომელიც გამოსწორებას მოითხოვს და ხელშეკრულების განვრცობითი განმარტების გზით უნდა გამოსწორდეს, სამართლებრივად უკიდურესად საეჭვოა; რადგან მას არსებითი განსამარტი მასალა საკმარისად არ გაუთვალისწინებია და ხელშეკრულების განვრცობითი განმარტებისთვის არსებული წინაპირობებიც არასწორად გამოიყენა. ამ თვალსაზრისით, გადანყვეტილება საკასაციო სასამართლოს კონტროლს ექვემდებარება (BGH NJW-RR 2010, 1508).

b) სააპელაციო სასამართლო უკვე თავისი განმარტების მოტივებისას დაეყრდნო არასწორ ვარაუდს იმასთან დაკავშირებით, რომ პარტნიორების პასუხისმგებლობა, რომელთა მიმართაც საფინანსო სამსახურს მოთხოვნები ჰქონდა წაყენებული, მხოლოდ სამრეწველო სანარმოს განკარგულებაში არსებული მიწის ნაკვეთებითა და მოპასუხის საკუთრებაში არსებული სამრეწველო დანადგარებით შემოიფარგლება და ამიტომ, ფაქტობრივად, ეს უკანასკნელი (მოპასუხე) პასუხისმგებლობის შესახებ გადანყვეტილებებით წაყენებული საგადასახადო მოთხოვნების მოვალეს წარმოადგენს. ამ თვალსაზრისით, სააპელაციო სასამართლომ სრული მოცულობით ვერ შეაფასა AO-ს § 74-იდან გამომდინარე სამართლებრივი შედეგები და ამით, არსებითი განსამარტი მასალა გაუთვალისწინებელი დარჩა....

c) ამასთან, მოსარჩელის საკასაციო საჩივარი სწორად ხდის სადავოს იმ ფაქტს, რომ საიჯარო ხელშეკრულება არც რეგულირების მოულოდნელ ხარვეზს შეიცავს, რომელიც ხელშეკრულების განვრცობითი განმარტების გზით უნდა გამოსწორდეს.

aa) ხელშეკრულების განვრცობითი განმარტების წინაპირობაა რეგულირების ხარვეზის, ანუ გარიგების დებულებების მოულოდნელი არასრულყოფილების არსებობა (BGHZ 90, 69), რომლის სათანადოდ გამოსწორება დისპოზიციური სამართლის ნორმების გამოყენებით შეუძლებელია (BGHZ 137, 153). მხოლოდ ის გარემოება, რომ ხელშეკრულება გარკვეული შემთხვევებისთვის რაიმე წესს არ შეიცავს, არ ნიშნავს იმას, რომ სახეზეა მოულოდნელი არასრულყოფილება. მოულოდნელ არასრულყოფილებაზე საუბარი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, როდესაც ხელშეკრულებას აკლია დებულება, რომელიც აუცილებელია მის საფუძვლად არსებული, მხარეთა რეგულირების გეგმის განსახორციელებლად, ამიტომ ხელშეკრულების სრულყოფის გარეშე გონივრული, ინტერესების შესაბამისი გამოსავლის მიღწევა შეუძლებელი იქნებოდა (BGH NJW 2012, 844). ხელშეკრულების განვრცობითი განმარტება, როგორც სავალდებულო და თავისთავად ცხადი შედეგი, შეთანხმებულის საერთო კონტექსტიდან უნდა გამომდინარეობდეს ისე, რომ განხორციელებული განვრცობის გარეშე, შედეგი აშკარა წინააღმდეგობაში ყოფილიყო ხე-

ლშეკრულების შინაარსის მიხედვით რეალურად შეთანხმებულთან. ამასთან, დაუშვებელია, რომ ხელშეკრულების განვრცობითი განმარტება ხელშეკრულების შინაარსის არსებით განვრცობას იწვევდეს (BGHZ 40, 91).

bb) ამ სამართლებრივ საფუძველზე დაყრდნობით, სააპელაციო სასამართლოს ვარაუდი იმის თაობაზე, თითქოს საიჯარო ხელშეკრულების § 3-ის **a)** პუნქტი, სამრეწველო საწარმოს წინააღმდეგ მიმართული ბრუნვის გადასახადის მოთხოვნებისთვის მოპასუხის პარტნიორების პასუხისმგებლობის თვალსაზრისით, რეგულირების ისეთ ხარვეზებს შეიცავს, რომლებიც უნდა გამოსწორდეს, სამართლებრივად უკიდურესად საეჭვოა; რადგან ხელშეკრულების მხარეთა მიერ საიჯარო ხელშეკრულების დადებით დასახული რეგულირების გეგმის განსახორციელებლად აუცილებელი არ არის, რომ საიჯარო ხელშეკრულების § 3-ის **a)** პუნქტში მოცემული შეთანხმება საიჯარო პროცენტთან დაკავშირებით, მოპასუხის შესაძლო კომპენსაციის მოთხოვნებზე გავრცელდეს, სამრეწველო საწარმოს ბრუნვის გადასახადთან დაკავშირებული დავალიანების გამო მისი პარტნიორების საგადასახადო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის მიმართ.

50. (2.6) ზემოთ წარმოდგენილი საკასაციო-სამართლებრივი შემოწმების კომპეტენციიდან, სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეებისთვის გამომდინარეობს, რომ მათ განსაკუთრებული ყურადღება ნათელ, განმარტების აღიარებულ კრიტერიუმებზე ორიენტირებულ - და განსაკუთრებით, გადანყვებილებაში გასაგებად ასახულ - განმარტებას უნდა მიაქციონ. ეს განსაკუთრებით სიტყვების ზუსტ განმარტებას ეხება, მაგრამ ასეთის არსებობის შემთხვევაში - ასევე სისტემურ განმარტებას, მონაწილეთა შესაბამისი ინტერესების მდგომარეობისა და ხელშეკრულების კონკრეტული მიზნის გადმოცემას, აგრეთვე აღნიშნულზე ორიენტირებულ (ორივე მხარის, აღიარების ღირსი ინტერესების ურთიერთშეფარდებით), ინტერესების სამართლიანად გათვალისწინებით განხორციელებულ განმარტებას. ყურადღაღებია ისიც, რომ არ დაგვავიწყდეს რეკომენდებული, ყველა გარემოების საერთო შეფასება. რა თქმა უნდა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ეს ასპექტები კვაზი სქემატურად უნდა დამუშავდეს. პირიქით, როგორც წესი, საკმარისია, როდესაც საქმის არსებითად განმხილველი ინსტანციების მოსამართლეები ამ ასპექტებს მხოლოდ იმდენად ჩაუღრმავდებიან, რამდენადაც ამას კონკრეტულად განსახორციელებელი განმარტება მოითხოვს.

51. (3) მართალია, აზროვნების კანონების დარღვევა ხშირად სახელდება, როგორც საკასაციო-სამართლებრივი შემოწმების კომპეტენციის განცალკევებული კრიტერიუმი განმარტების საკითხებში, მაგრამ საბოლოო ჯამში, აზროვნების კანონების დარღვევას განცალკევებული მნიშვნელობა არ ენიჭება, რადგან მისი არსებობისას დარღვეულია როგორც

განმარტების ზოგადი პრინციპები (რთულად წარმოსადგენია, რომ ლოგის პრინციპების დარღვევით განხორციელებული განმარტება სამართლიანად ითვალისწინებდეს ინტერესებს და ამით მხარეთა სავარაუდო ნებას შეესაბამებოდას), ასევე სახეზეა საპროცესო შეცდომა (აღნიშნულის თაობაზე იხილეთ ქვემოთ, ა.ნ. 54 და მომდევნო აბზაცები) მტკიცებულებათა შეფასების ზოგადი პრინციპების დარღვევის გამო (§ 286 Abs. 1 GER-ZPO). შესაბამისად, აზროვნების კანონების დარღვევა, სასამართლოს გადაწყვეტილებებში, მხოლოდ ძალიან იშვიათად მოწმდება განცალკევებული ასპექტის სახით.

52. (4) საპროცესო შეცდომის არსებობის დასადგენად ნების გამოვლენების განმარტებისას იგივე ასპექტები მოქმედებს, რაც სხვა ფაქტობრივი გარემოებების დადგენისას. ამიტომ, აღნიშნულთან დაკავშირებით, იხილეთ ქვემოთ, ა.ნ. 54-სა და მომდევნო აბზაცებში წარმოდგენილი განმარტებები.

53. თუ ქვედა ინსტანციის სასამართლო საერთოდ არ გაითვალისწინებს ხელშეკრულების დებულებებს, რომლამდეც იგი მისი მატერიალურ-სამართლებრივი პოზიციიდან გამომდინარეც მივიდოდა, მაშინ ეს სასამართლოს მოსმენის მოთხოვნის, ანუ საპროცესო სამართლის, დარღვევა იქნება. შესაბამისი წესი მოქმედებს, როდესაც წინა ინსტანციის სასამართლო მხოლოდ შეთანხმების ტექსტს ეყრდნობა და განმარტების ყველა სხვა ასპექტს უყურადღებოდ ტოვებს. ამის საპირისპიროდ, სახეზეა მატერიალურ-სამართლებრივი სამართლის დარღვევა, როდესაც ქვედა ინსტანციის სასამართლო ხელშეკრულების დებულებას თავისი სამართლებრივი შეხედულებიდან გამომდინარე არასწორად, უმნიშვნელოდ მიიჩნევს ან როდესაც იგი ხელშეკრულების დებულებებს დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად არ განმარტავს (იხილეთ: BGH, Urteil vom 19.03.1998 - VII ZR 116/97 - BGHZ 138, 176; BGH, Urteil vom 15.02.2017 - VIII ZR 284/15 - MDR 2017, 597; BGH, Beschluss vom 30.04.2014 - XII ZR 124/12 - juris). თუმცა, ვინაიდან ეს სამართლებრივ-დოგმატური საკითხი, უმეტეს შემთხვევაში, პრაქტიკული ეფექტის გარეშე რჩება, სასამართლო პრაქტიკაში ის შედარებით იშვიათად წამოიჭრება (საბოლოო ჯამში, გადამწყვეტი არ არის, სავარაუდოდ, შეტანილი საპროცესო საჩივარი, როდესაც სულ მცირე, რაიმე მატერიალური სამართლებრივი შეცდომა მაინც არის დასაშვებად გასაჩივრებული; ამიტომ, საკითხი მნიშვნელოვანი ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც საქმე ხელახალი განხილვისთვის უბრუნდება ქვედა ინსტანციას - აღნიშნულის თაობაზე იხილეთ: 364-ე მუხლი და მომდევნო აბზაცები ა.ნ. 81 და მომდევნო აბზაცები).

54. დ) შინაარსობრივად, გერმანიაში - ისევე, როგორც საქართველოში - საკასაციო-სამართლებრივ კონტროლს არა მხოლოდ თავად სასამართლოს გადაწყვეტილებებისთვის დამახასიათებელი **საპროცესო შე-**

ცდომები ექვემდებარება, არამედ გადაწყვეტილების მიღების საფუძვლად არსებული პროცესის შეცდომებიც (§ 557 Abs. 2 GER-ZPO; ძირითადად, შეესაბამება საქართველოს სსკ-ს 404-ე მუხლის მე-2 ნაწილს). თუმცა, ამ თვალსაზრისით ყურადსაღებია, რომ გერმანულ პრაქტიკაში ამ შეცდომების უდიდესი ნაწილი GER-ZPO-ს §§ 295, 556-ის მიხედვით, შედავების გარეშე განხილვით **სწორდება** (აღნიშნულის თაობაზე ზემოთ, 364-ე და მომდ. მუხლების ა.ნ. 83 და მომდ.). ამიტომ ამ საპროცესო შეცდომებს - რაოდენ მრავალფეროვანიც არ უნდა იყოს ისინი სახეობების მიხედვით, - საკასაციო-სამართლებრივად მხოლოდ ზომიერი მნიშვნელობა აქვთ.

55. აა) საკითხი, სახეზეა თუ არა საპროცესო შეცდომა, - როგორც უკვე 364-ე და შემდგომი მუხლების ა.ნ. 82-შია გადმოცემული - **ქვედა ინსტანციის სასამართლოს მატერიალურ-სამართლებრივი შეხედულების** საფუძველზე უნდა შეფასდეს (BGH, Urteil vom 15.02.2017 - VIII ZR 284/15 - MDR 2017, 597; BGH, Urteil vom 22.01.2016 - V ZR 196/14 - NJW 2016, 2274; BGH, Urteil vom 14.05.2013 - VI ZR 325/11 – NJW 2013, 2601).

56. საკასაციო-სამართლებრივად ეს მნიშვნელოვანია, მაგალითად, სამართლებრივი მითითების ვალდებულებებთან კავშირში (აღნიშნულის თაობაზე იხილეთ ზემოთ, მე-4 მუხლის ა.ნ. 8 და მომდ. და 364-ე და მომდ. მუხლების ა.ნ. 87). ისინი შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში დაირღვეს, თუ უკვე ქვედა ინსტანციის სამართლებრივი შეხედულების საფუძველზე, სამართლებრივი მითითება სავალდებულო იქნებოდა. პირიქით, თუ მხოლოდ საკასაციო სასამართლოს სამართლებრივი შეფასება მოითხოვს სამართლებრივ მითითებას, მაშინ ქვედა ინსტანციის სასამართლოს საპროცესო შეცდომა ვერ მიენერება (BGH, Urteil vom 14.03.2012 - XII ZR 164/09 - NJW-RR 2012, 516). ასეთ შემთხვევაში, სასამართლო მოსმენის მოთხოვნა გამოიწვევს იმას, რომ საკასაციო სასამართლო საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილებას ვერ გამოიტანს, არამედ მოუწევს, რომ საქმის ხელახლა განსახილველად ქვედა ინსტანციაში დაბრუნებით, მხარეებს დამატებითი ჩვენებების წარდგენის შესაძლებლობა მისცეს (აღნიშნულის თაობაზე იხილეთ ქვემოთ, ა.ნ. 90 და მომდევნო აბზაცები).

57. ქვედა ინსტანციის სასამართლომ საპროცესო სამართალი არც იმით დაარღვია, რომ მან ფაქტობრივ მტკიცებებთან დაკავშირებით არ შეაგროვა მტკიცებულებები, რომლებიც მისი სამართლებრივი შეხედულებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი არ იყო. იგივე წესი მოქმედებს, როდესაც მას ხელშეკრულების დებულებები ან სხვა წესის გამოვლენები არ განუმარტავს, რომლებიც მისი სამართლებრივი გადაწყვეტის მიდგომის თანახმად უმნიშვნელო იყო. თუმცა, ეს არაფერს ცვლის იმასთან და-

კავშირებით, რომ ასეთ შემთხვევებში პროცესი, როგორც წესი, საკასაციო სასამართლოს მიერ არსებითი გადაწყვეტილების მიღებისთვის მომნიშვნელოვანი კი არ არის, არამედ საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს ქვედა ინსტანციას, რათა მას აქამდე (შესაბამისად) გამოიყენოს განმარტების შესაძლებლობა მიეცეს (აღნიშნულის თაობაზე იხილეთ ქვემოთ ა.ნ. 92-ში). ამასთან, საქმის არსებითად განმხილველი ინსტანციის მოსამართლეებიც კმაყოფილი რჩებიან, როდესაც საკასაციო სასამართლო საქმის ქვედა ინსტანციაში დაბრუნების შესახებ გადაწყვეტილებაში განმარტავს, რომ დაბრუნება ქვედა ინსტანციაში დაშვებული საპროცესო შეცდომით კი არ არის გამოწვეული, არამედ სამართლებრივი მდგომარეობის სხვა შეფასებიდან გამომდინარეობს. პრაქტიკაში ეს დაახლოებით ასე ხდება (ამონარიდი გადაწყვეტილებიდან: BGH, Urteil vom 18.10.2017 - VIII ZR 86/16 - NJW 2018, 291):

58. „გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლოს - თავისი პოზიციიდან გამომდინარე, ლოგიკურად - არ გაუკეთებია დასკვნები მოსარჩელის სახელმწიფოებო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებისთვის BGB-ს §280-ის პირველი აბზაცის მე-2 წინადადების მიხედვით საჭირო, მოპასუხის ბრალთან დაკავშირებით. შესაბამისად, ასეთის არსებობის შემთხვევაში იგი უფრო დეტალურ დასკვნებსაც მოითხოვს მოპასუხის მიერ წარმოდგენილ, პასუხისმგებლობისგან გამათავისუფლებელ მტკიცებულებასთან დაკავშირებით.....“

59. ბბ) საკასაციო-სამართლებრივ პრაქტიკაში წარმატებულად გასაჩივრებულ **საპროცესო შეცდომებს** შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა გერმანიაში სასამართლო მოსმენის მოთხოვნის დარღვევას ენიჭება. ეს, სხვათა შორის, გამოწვეულია იმითაც, რომ გერმანული სასამართლო პრაქტიკა ამ მოთხოვნის დაცვის ფარგლებს დღეს უფრო ფართოდ აღიქვამს, ვიდრე წარსულში და ასევე მას მიაკუთვნებს პროცესის დარღვევებს, რომლებიც ადრე, უფრო წმინდა მარტივ-სამართლებრივ დონეს მიეკუთვნებოდა. ამასთან, მნიშვნელოვანი ადგილი დასაბუთების მოვალეობის მიმართ არსებული მოთხოვნების დარღვევებს უკავია (აღნიშნულის თაობაზე იხილეთ ზემოთ, 105-ე მუხლის ა.ნ. 6 და მომდ.).

60. (1) **ფაქტების დადგენისას**, საკასაციო-სამართლებრივი შემოწმების მასშტაბის თვალსაზრისით, დიფერენცირებული უნდა იყოს, უშუალოდ, მტკიცებულებათა შეფასების პროცესს, ანუ მოსამართლის მიერ განხორციელებული შეფასების შედეგის სახით მიღებულ ფაქტების დადგენასა და მტკიცებულებათა შეფასების საფუძვლად არსებულ პროცედურას შორის.

61. როგორც უკვე, 105-ე მუხლის ა.ნ. 108-სა და მომდევნო აბზაცებში დეტალურადაა განხილული, საკასაციო სასამართლო, GER-ZPO-ს

§ 559-ის მე-2 აბზაცის შესაბამისად, დადგენილი ფაქტებით პრინციპულად შებოჭილია. მას მხოლოდ იმის გადამოწმება შეუძლია, GER-ZPO-ს § 286-ის პირველი აბზაცის მოთხოვნის შესაბამისად, ყოვლისმომცველად და თანმიმდევრულად შეისწავლა თუ არა საქმის არსებითად განმხილველმა ინსტანციამ საპროცესო მასალა? ანუ სრულყოფილი და სამართლებრივად შესაძლებელია თუ არა მტკიცებულებათა შეფასება და ხომ არ ეწინააღმდეგება იგი აზროვნების, ბუნების ან ემპირიული გამოცდილების კანონებს? ((BGH, Urteil vom 24.06.2009 - VIII ZR 150/08 - BGHZ 181, 346; BGH, Beschluss vom 14.11.2018 - XII ZB 107/18 - NJW 2019, 600; BGH, Urteil vom 14.11.2018 - VIII ZR 109/18 - MDR 2019, 154; BGH, Urteil vom 29.03.2017 - VIII ZR 44/16 - NJW 2017, 2819). იგივე პრინციპები მოქმედებს, როდესაც კონკურენციასთან დაკავშირებულ პროცესებსა ან სხვა სამართლებრივ დავებში, საკითხი ეხება იმას, თუ როგორ საერთო შთაბეჭდილებას ახდენს ქმედება ან გარემოება საზოგადოების შესაბამის წრეებზე, ანუ ე.წ. საქმიანი ბრუნვის შეხედულების დადგენას (BGH, Versäumnisurteil vom 21.09.2017 - I ZR 53716 - MDR 2018, 353; BGH, Urteil vom 21.04.2016 - I ZR 151/15 - NJW-RR 2017, 234).

62. მიუხედავად ამისა, GER-ZPO-ს § 286-ის პირველი აბზაცი საკასაციო სასამართლოს, ფაქტობრივად, შემოწმების აშკარად უფრო ინტენსიურ უფლებამოსილებას ანიჭებს, ვიდრე ეს სამართლებრივ-დოგმატური მიდგომისა და აბსტრაქტული კრიტერიუმებიდან გამომდინარე, შეიძლება, ერთი შეხედვით ჩანდეს. ასე, რომ ამით, არაპირდაპირ, ხდება საკასაციო-სამართლებრივი შემოწმებისთვის იმ კრიტერიუმების მიკუთვნება, რომლებიც GER-ZPO-ს § 286-ის პირველი აბზაცის ფარგლებში შემუშავდა (აღნიშნულის თაობაზე სათითაოდ იხილეთ ზემოთ, 105-ე მუხლის ა.ნ. 51 და მომდ.).

63. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ საკასაციო სასამართლოს, საქმის არსებითად განმხილველი სასამართლოს მსგავსად, პირველადი, საკუთარი შეფასების განხორციელების ან საქმის არსებითად განმხილველი ინსტანციის მიერ მისაღები შეფასების საკუთარი შეფასებით შეცვლის უფლება აქვს. ასევე, შეუძლებელია, საკასაციო სასამართლოს ამ შეფასების კომპეტენციიდან ისეთი დასკვნის გაკეთება, რომ: საქმის არსებითად განმხილველი ინსტანციის მოსამართლე თავის გადაწყვეტილებაში გამოკვეთილად უნდა შეხებოდა მტკიცებულებების შეფასებასთან დაკავშირებით ჩამოყალიბებულ ყველა ასპექტს, ანუ, რომ კვაზი „სქემატურად უნდა დაემუშავებინა“ ისინი რათა გადაწყვეტილება წარმატებული საკასაციო ჩარევისგან დაეცვა. რა თქმა უნდა, აქ სიფრთხილის შენარჩუნება მნიშვნელოვანია და - ეს დიდწილად ცალკეულ კონკრეტულ შემთხვევაზეა დამოკიდებული - ჩაინეროს მხოლოდ კრიტერიუმები, რომელსაც ეს კონკრეტული პროცესი მოითხოვს.

64. (2) ფაქტების დადგენისას არსებული ამ თავისებურების მიუხედავად, შესაბამისი საჩივრების მიმართ შინაარსობრივად შეუზღუდავ საკასაციო კონტროლს ექვემდებარება საკითხი იმის თაობაზე, ხომ არ გაეპარა ქვედა ინსტანციას (გამოუსწორებელი) საპროცესო შეცდომები (BGH, Urteil vom 02.10.2003 - I ZR 150/01 - BGHZ 156, 250; BGH, Urteil vom 16.04.2015 - I ZR 225/12 - MDR 2016, 225).

65. 4. საქართველოს მსგავსად, გერმანიაშიც არსებობს კასაციის აბსოლუტური და პირობითი საფუძვლები.

66. ა) კასაციის (პრაქტიკაში საკმაოდ იშვიათი) აბსოლუტური საფუძვლები GER-ZPO-ს § 547-ში ამომწურავად არის ჩამოთვლილი. თუ ისინი სახეზეა, მაშინ სავალდებულოა ქვედა ინსტანციის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება მისთვის. შემდეგ კი, პროცესუალური დარღვევის სიმძიმის გამო, გადამწყვეტი აღარაა საკითხი იმის თაობაზე, შესაძლებელია თუ არა, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების შედეგი საპროცესო შეცდომას ეფუძნებოდეს.

67. საქართველოს სსკ-ს 394-ე მუხლის lit. ა)-დან დ)-მდე ქვეპუნქტებში წარმოდგენილი კასაციის აბსოლუტური საფუძვლები, გერმანული სამოქალაქო საპროცესო სამართლის მსგავსად ან იდენტურად არის დარეგულირებული. ამასთან, კანონის შესაბამისი სასამართლო შემადგენლობის მოთხოვნის დარღვევად (GER-ZPO-ს §547-ის ნომერი 1; რეგულირების მიზნის თვალსაზრისით, საქართველოს სსკ-ს 394-ე მუხლის lit. ა)-ს მსგავსია), გერმანული სამართლებრივი გაგებით, ითვლება ასევე, როდესაც GER-ZPO-ს §309-ის საპირისპიროდ, სასამართლო შემადგენლობა საქმის განხილვისას სწორად იყო დაკომპლექტებული, მაგრამ (გერმანიაში, უმეტესწილად, მხოლოდ მოგვიანებითი თარიღით გამოცხადებული) გადაწყვეტილება იმ მოსამართლის მიერ ან იმ მოსამართლესთან ერთად იქნა მიღებული, რომელსაც გადაწყვეტილების საფუძვლად არსებულ სასამართლო განხილვაში მონაწილეობა არ მიუღია ((BGH, Urteil vom 13.10.2015 - II ZR 281/14 - NJW 2016, 1083; BGH, Urteil vom 21.04.2015 - II ZR 255/13 - WM 2015, 1241).

68. საქართველოს სსკ-ს 394-ე მუხლის lit. ე¹)-ის მსგავს საკანონმდებლო დანაწესს გერმანული სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ იცნობს. თუმცა, უმაღლესმა ფედერალურმა სასამართლომ გადაწყვიტა, რომ სამართლებრივი შეფასება, რომელიც წინააღმდეგობრივ დასკვნებს ემყარება, საკასაციო სასამართლოს საქმის გარემოებების საიმედო შეფასების საშუალებას არ აძლევს და პირველი ინსტანციის ასეთი გადაწყვეტილება, უკვე ამ ხარვეზის გამო, უნდა გაუქმდეს. ასეთ შემთხვევაში, ქვედა ინსტანციის სასამართლოს, მისთვის საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნებით, თანმიმდევრული დასკვნების გაკეთების შესა-

ძლებლობა უნდა მიეცეს (BGH, Urteil vom 14. Januar 2010 - I ZR 4/08 - juris). შედეგის თვალსაზრისით, ეს საკანონმდებლო პრაქტიკა ახლოსაა საქართველოს სსკ-ს 394-ე მუხლის lit. ე¹)-ს რეგულირების შინაარსთან.

69. საქართველოს სსკ-ს 394-ე მუხლის lit. ე)-ით გათვალისწინებული კასაციის აბსოლუტური საფუძველი გერმანიაში, ყოველ შემთხვევაში ენობრივად, იმ თვალსაზრისით არის განსხვავებულად ჩამოყალიბებული, რომ GER-ZPO-ს §547-ის ნომერი 6-ის შესაბამისად, კასაციის აბსოლუტური საფუძველი მხოლოდ ისეთ გადაწყვეტილებებს ახასიათებს, რომელშიც **საფუძვლები (მოტივები) მითითებული არ არის**. ყოველ შემთხვევაში, სასამართლო პრაქტიკა საფუძვლების არსებობისთვის ნებისმიერ შინაარსობრივ განმარტებას საკმარისად არ მიიჩნევს. პირიქით, ამ წესის მიზნის გათვალისწინებით, აუცილებელია, რომ (რაც ასევე, პრინციპში, შესაძლებელია აქტების შინაარსებზე საკმარისად ნათელი მითითებების საშუალებით) გადმოცემული იყოს შესაბამისი გარემოებები და ნათლად ჩანდეს დავის საგანი და განაცხადები (BGH, Urteil vom 22.12.2003 - VIII ZR 122/03 - NJW-RR 2004, 494; für Rechtsbeschwerde: BGH, Beschluss vom 06.02.2018 - VI ZB 12/17 - juris; BGH, Beschluss vom 13.06.2017 - VIII ZB 7/16 - juris). თუმცა, სამართლებრივი შეფასების არსებობა აქ მნიშვნელოვანი არ არის, თუკი შესაძლებელია, რომ ის საკასაციო სასამართლომ თავად განახორციელოს, მისთვის მიწოდებული საქმის გარემოებებისა და განაცხადების საფუძველზე.

70. მიუხედავად ამისა, გერმანული სასამართლო პრაქტიკა, ქვედა ინსტანციის გადაწყვეტილების დეფიციტური საფუძვლების შემთხვევაში, უმეტესად, არ ირჩევს GER-ZPO-ს §547-ის ნომერი 6-ით გათვალისწინებულ, კასაციის აბსოლუტური საფუძვლების, შედარებით დიდ დაბრკოლებებთან დაკავშირებულ გზას. ნაცვლად ამისა, გამაუქმებელი გადაწყვეტილება, უმეტესწილად, კასაციის პირობით საფუძველს ეფუძნება, ანუ დასაბუთებულია იმით, რომ ქვედა ინსტანციის გადაწყვეტილება მის მიმართ მოქმედ კანონის მოთხოვნებს არ აკმაყოფილებს (როგორც არის, მაგალითად, GER-ZPO-ს § 540 სააპელაციო გადაწყვეტილებებისთვის; საქართველოს სსკ-ს 385-ე მუხლის მსგავსია) (BGH, Urteil vom 10.02.2004 - VI ZR 94/03 - BGHZ 158, 60; BGH, Urteil vom 18.10.2017 - VIII ZR 242/16 - juris; BGH, Urteil vom 19.07.2017 - VIII ZR 3/17 - MDR 2017, 1116). ამასთან, უმაღლესი ფედერალური სასამართლოსთვის მასშტაბს წარმოადგენს, არის თუ არა შესაძლებელი, რომ ქვედა ინსტანციის გადაწყვეტილების ფაქტობრივი საფუძვლებიდან გაკეთდეს დასკვნა, რომ საკასაციო გადამოწმება შესაძლებელია (BGH, Urteil vom 18.10.2017 - VIII ZR 242/16 - juris; BGH, Urteil vom 21.02.2017 - VI ZR 22/16 - NJW 2017, 3449). გარდა ამისა, ქვედა ინსტანციის გადაწყვეტილებიდან უნდა ჩანდეს, თუ საქმის და დავის რა ვითარებას ეყრდნობოდა ქვედა ინსტა-

ნციის სასამართლო; განაცხადები, რომლებიც მხარეებმა წარადგინეს, სულ მცირე, აზრობრივად მაინც უნდა იყოს მკაფიო (BGH, Urteil vom 18.10.2017 - VIII ZR 242/16 - juris; BGH, Urteil vom 10.11.2011 - III ZR 77/11 - MDR 2012, 36).

71. გადანყვეტილებას, რომელსაც ყველა მოსამართლის ხელმოწერა არ აქვს, სასამართლო პრაქტიკა, GER-ZPO-ს §547-ის ნომერი 6-ის გაგებით, მოტივირებულად არ მიიჩნევს, თუ ხელმოწერის არქონა ხელის შეშლით არ არის გამონვეული (შვებულება, ავადმყოფობა, სამსახურიდან გადადგომა). ხელის შეშლისას დაუშვებელია გადანყვეტილების (კვაზი წარმომადგენლობა) ხელმოწერა სხვა მოსამართლის მიერ იმ მოსამართლის ნაცვლად, რომელმაც გამოცხადება ვერ შეძლო. პირიქით, GER-ZPO-ს § 315-ის პირველი აბზაცის თანახმად, თავმჯდომარეს (თუ მას ეშლება ხელი, მაშინ ყველაზე ასაკოვან კოლეგიის წევრ მოსამართლეს) ევალება, რომ ხელის შეშლის ფაქტი, შესაბამისი მიზეზის მითითებით, ასახოს გადანყვეტილებაში. ერთპიროვნული გადანყვეტილების მიმღები მოსამართლის შემთხვევაში, ეს მეთოდი ბუნებრივად გამორიცხულია, რადგან მაშინ გადანყვეტილებას, საერთოდ, აღარ ექნებოდა ხელმოწერა. საპროცესო შეცდომის შედეგად განუხორციელებელი ხელმოწერის გამოსწორება, მართალია, პრინციპში შესაძლებელია, მაგრამ, არაუგვიანეს GER-ZPO-ს §548-ე მუხლის წინადადების მე-2 ნახევრით გათვალისწინებული 5-თვიანი ვადის გასვლისა (Gemeinsamer Senat der obersten Gerichtshöfe des Bundes [GmS], Beschluss vom 27.04.1993 - GmS-OGB 1/92 - BVerwGE 92, 367). სხვა სასამართლო კოლეგიაში გადასვლა ერთი სასამართლოს შიგნით ხელის შეშლად არ მიიჩნევა (BGH, Beschluss vom 21.01.2016 - I ZR 90/14 - GRUR 2016, 860). ამიტომ, სახეზეა კასაციის აბსოლუტური საფუძველი, როდესაც მოსამართლეს, რომელმაც ერთი სასამართლოს ფარგლებში კოლეგია შეიცვალა, გადანყვეტილებაზე ხელი არ მოუწერია.

72. კასაციის აბსოლუტური საფუძველები კანონით ამომწურავად არის დარეგულირებული. სამართლის განვითარების გზით მათი განვრცობა შეუძლებელია ((BGH [Strafsenat], Urteil vom 23.07.2015 - 3 StR 470/14 - NJW 2016, 513).

73. ბ) თუ სახეზეა კასაციის პირობითი საფუძველები, მაშინ ქვედა ინსტანციის გადანყვეტილება მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა გაუქმდეს, თუ იგი საკასაციო სასამართლოს მიერ დადგენილ სამართლებრივ შეცდომას ეფუძნება (§ 545 Abs. 1 GER-ZPO; საქართველოს სსკ-ს 410-ე მუხლის lit. ბ) და გ)-ს მსგავსად). ასეთ შემთხვევებში, სამართლებრივი დოგმატიკის თვალსაზრისით, მატერიალურ-სამართლებრივ შეცდომებსა და საპროცესო შეცდომებს განასხვავებენ. მატერიალური სამართლის დარღვევას ქვედა ინსტანციის სასამართლოს გადანყვეტილება მხოლოდ

იმ შემთხვევაში ეფუძნება, თუ იგი კანონის დარღვევის გარეშე, შედეგად, კასაციის მოსარჩელისთვის უფრო **ხელსაყრელი** იქნებოდა. აღნიშნულის საპირისპიროდ, **საპროცესო წესების** დარღვევისთვის საკმარისია უკვე იმის **შესაძლებლობა**, რომ ქვედა ინსტანციის სასამართლო, საპროცესო შეცდომის გარეშე, **სხვა დასკვნამდე მივიდოდა** (BGH, Urteil vom 24.09.2014 - VIII ZR 394/12 - BGHZ 202, 258; BGH, Beschluss vom 17.04.2018 - VI ZR 140/17 - NJW 2018, 3315; BGH, Beschluss vom 08.11.2016 - VI ZR 512/15 - MDR 2017, 275; BGH, Beschluss vom 22.10.2015 - V ZR 146/14 - NJW-RR 2016, 210).

74. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს განსხვავება უფრო სამართლებრივ-დოგმატური მნიშვნელობისაა, ვიდრე პრაქტიკული. მატერიალურ-სამართლებრივი საკითხების შემთხვევაში, საკასაციო-სამართლებრივი პერსპექტივიდან, სამართლის გამოყენების ერთადერთი, კერძოდ კი - „სწორად“ გამოყენების შესაძლებლობა არსებობს. თუ ქვედა ინსტანციის სასამართლოს, მატერიალური სამართლის გამოყენებისას შეცდომა გაეპარა, მაშინ საკასაციო სასამართლომ, დადგენილი საქმის გარემოებების შემთხვევაში, ყოველთვის „ცალსახად“ უნდა უპასუხოს, გასაჩივრებული გადაწყვეტილება ამ შეცდომას ეფუძნება, თუ (რადგან იგი სხვა სამართლებრივი საფუძვლებიდან გამომდინარე, საბოლოო ჯამში, სწორია) - არა. თუ საკასაციო სასამართლო ამის დადგენას მაინც ვერ შეძლებს, მაშინ ამის მიზეზი აუცილებლად იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ მას ქვედა ინსტანციის მიერ არასაკმარისად დადგენილი ფაქტების გამო, მყარი ფაქტობრივი საფუძველი არ გააჩნია. მაგრამ ასეთ შემთხვევაში, როგორც ეს ქვემოთ უფრო დეტალურადაა განმარტებული, შედავებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს იმისათვის, რომ საქმის არსებითად განმხილველმა ინსტანციამ შესაბამისი ფაქტობრივი დასკვნების გაკეთება შეძლოს (ა.ნ. 89 და მომდევნო აბზაცები). ამიტომ, წმინდა ფაქტობრივად, სხვა სამართლებრივ-დოგმატური მიდგომის მიუხედავად, მატერიალურ-სამართლებრივი შეცდომების შემთხვევაშიც ქვედა ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება უკვე მაშინ უნდა გაუქმდეს, როდესაც შესაძლოა, რომ იგი (საკასაციო სასამართლოს მიერ საქმეზე არსებითად გადაწყვეტილების გამოსატანად არასაკმარისად მყარი ფაქტობრივი საფუძვლის გამო) მატერიალურ-სამართლებრივ შეცდომას ემყარებოდეს.

75. ქვედა ინსტანციის სამართლებრივი შეცდომების საპროცესო-სამართლებრივ შედეგებთან, ანუ საკასაციო სასამართლოს **გადაწყვეტილების აღტერნატივებთან** დაკავშირებით, გერმანულ სამოქალაქო-საპროცესო კოდექსში (ძირითადად, საქართველოს სსკ-ს 412-ე მუხლის მსგავსად), მათ შორის, დადგენილია:

GER-ZPO-ს § 563 - საქმის დაბრუნება ქვედა ინსტანციაში ხელახალი განხილვისთვის; საქმეზე საკუთარი არსებითი გადაწყვეტილება

(1) გადაწყვეტილების გაუქმების შემთხვევაში, საქმე ხელახალი განხილვისა და მასზე გადაწყვეტილების მიღებისთვის უნდა დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს. საქმე, შეიძლება, დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს სხვა კოლეგიას.

(2) სააპელაციო სასამართლომ გაუქმების საფუძვლად არსებული სამართლებრივი შეფასება, ასევე, საფუძვლად უნდა დაუდოს თავის გადაწყვეტილებას.

(3) თუმცა, საკასაციო სასამართლომ საქმეზე გადაწყვეტილება თვითონ უნდა მიიღოს, როდესაც გადაწყვეტილების გაუქმება მხოლოდ დადგენილი სამართლებრივი ურთიერთობის მიმართ კანონის გამოყენებისას დაშვებულ სამართლის დარღვევას ეფუძნება, და ამის ფონზე, საქმე გადაწყვეტილების მისაღებად მომნიშობებულია ...

76. აა) **საპროცესო სამართლის** დარღვევებისას, გადაწყვეტილება იმის თაობაზე, ეფუძნება თუ არა ქვედა ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება საპროცესო შეცდომებს, ცალკეული შემთხვევის გარემოებებზეა დამოკიდებული (für Strafprozess: BGH [Strafsenat], Urteil vom 11.05.2011 - 2 StR 590/10 - BGHSt 56, 235; BGH [Strafsenat], Urteil vom 23.07.2015 - 3 StR 470/14 - NJW 2016, 513). თუმცა, რადგან სადავო გადაწყვეტილება მხოლოდ მაშინ არ ეფუძნება საპროცესო შეცდომას, როდესაც მიზეზობრივი კავშირის გამორიცხვა უეჭველად შესაძლებელია, სამოქალაქო-საპროცესო სასამართლო პრაქტიკაში ძალიან იშვიათად გვხვდება ისეთი შემთხვევები, როდესაც გადაწყვეტილების მიღებისთვის საპროცესო შეცდომის სავარაუდო არსებობის უარყოფა შეიძლება. ეს მით უმეტეს მოქმედებს მაშინ, როდესაც საპროცესო შეცდომები, რომლებიც გადაწყვეტილების შინაარსზე გავლენას არ ახდენს, ისედაც, უმეტეს შემთხვევაში GER-ZPO-ს §§295, 556-ის თანახმად, გამოსწორებულია (აღნიშნულის თაობაზე იხილეთ ზემოთ, ა.ნ. 54 და 364-ე და მომდევნო მუხლების ა.ნ. 83 და მომდევნო აბზაცები) და ამით, მათი წარმატებით გასაჩივრება თვითდასრულდება.

77. (1) საპროცესო სამართლის დარღვევებისგან უნდა განვასხვავოთ **ადმინისტრაციული წესების** დარღვევები. საკასაციო-სამართლებრივად მათი გადამოწმება შეუძლებელია; მათი დარღვევა, სხვა მხრივაც, პროცესუალურად უშედეგო რჩება.

78. როგორც წესი, კანონის დებულებები, რომლებიც სასამართლო ღონისძიების განხორციელების მხოლოდ სახეობას და მეთოდს ეხება და სამართლებრივი სახელმწიფოს მიზნის რაიმე გამოსატყულება არ არის, ანუ შინაარსობრივად „ღირებულების თვალსაზრისით ნეიტრალურად“ შეიძლება შეფასდეს, უფრო ადმინისტრაციულ წესებს განეკუთვნება. კი-

დევე ერთ პუნქტს წარმოადგენს საკითხი, ხომ არ არის კანონის დებულების ენობრივი რედაქციის საშუალებით, მაგალითად, სიტყვა „უნდა“-ს გამოყენებით, გამობატული, რომ კანონმდებელს, საბოლოო ჯამში, მხოლოდ მისთვის მნიშვნელოვნად მიჩნეული ქცევისთვის ნიმუშის შექმნა სურდა და არა სასამართლოსთვის რაიმე სავალდებულო მითითებების მიცემა (შეადარეთ, მაგალითად, სასამართლო ექსპერტის შერჩევა GER-ZPO-ს §404-ის მე-2 აბზაცი: BFH, Beschluss vom 06.05.2011 - V B 8/11 - juris; OLG Hamm, Urteil vom 07.06.2010 - 6 U 213/08 - juris). თუმცა, ასეთი კავშირი სიტყვა „უნდა“-ს (ან მსგავსი ფორმულირებების) გამოყენებასთან, სავალდებულო არ არის. ასე მაგალითად, GER-ZPO-ს §130-ის ნომერი 6, რომლის მიხედვითაც მოსამზადებელი წერილობითი დოკუმენტი მასზე პასუხისმგებელი პირის ხელმოწერას „უნდა“ შეიცავდეს, წერილობითი დოკუმენტის ავტორობის რეგულირების მიზნისა და შინაარსობრივი მნიშვნელობის გამო, დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკის თანახმად, უსარგებლო საპროცესო დებულებად ითვლება (BGH, Beschluss vom 14.01.2010 - VII ZB 112/08 - BGHZ 184, 75). მეორე მხრივ, ოქმის შესწორებისთვის დადგენილი გარკვეული ფორმალური მოთხოვნები (GER-ZPO-ს § 164), მიუხედავად, თითქოს სავალდებულო სიტყვასიტყვითი რედაქციისა, წმინდა ადმინისტრაციულ წესებად მიიჩნევა (BGH, Urteil vom 13.10.2015 - II ZR 281/14 - NJW 2016, 1083). ეს გამიჯვნა **სასამართლო გადაწყვეტილების** გამოტანის, ან შესაბამისად, **გამოცხადების** მიმართ მოქმედი მოთხოვნებისას განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. თუ გადაწყვეტილების საჯაროდ გამოცხადების მიმართ მოქმედი მინიმალური მოთხოვნები დაცულია, მაშინ უმაღლესი ფედერალური სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, ფორმის მიმართ მოქმედი სავალდებულო მოთხოვნების დარღვევა იურიდიულად ნამდვილი გადაწყვეტილების ჩამოყალიბებას ხელს ვერ შეუშლის. მინიმალურ მოთხოვნებს განეკუთვნება ის, რომ საჯარო გამოცხადება სასამართლოს განზრახვა იყო ან შესაძლოა, მხარეებმა გაიგეს ასე, რომ გადაწყვეტილების გამოცემისა და მისი შინაარსის შესახებ მხარეებს შეატყობინეს (BGH, Urteil vom 31.05.2007 - X ZR 172/04 - BGHZ 172, 298; BGH, Beschluss vom 05.12.2017 - VIII ZR 204/16 - NJW-RR 2018, 127; BGH, Beschluss vom 08.02.2012 - XII ZB 165/11 - NJW 2012, 1591; BGH, Beschluss vom 29.09.1998 - KZB 11/98 - NJW 1999, 143 § 310 Abs. 1 Satz 2 GER-ZPO-ს მიხედვით, გადაწყვეტილების გამოცხადებისთვის დადგენილი სტანდარტული ვადის დარღვევის შესახებ). თუ ეს მინიმალური მოთხოვნები დაცულია, მაშინ ფორმასთან დაკავშირებული სხვა დებულებების დარღვევაც არაფერს ცვლის იმაში, რომ **გასაჩივრების ვადის დენა** დაინდოს (BGH, Urteil vom 31.05.2007 - X ZR 172/04 - BGHZ 172, 298; BGH, Beschluss vom 05.12.2017 - VIII ZR 204/16 - NJW-RR 2018, 127).

79. შეიმჩნევა ტენდენცია, რომ უმაღლესი ფედერალური სასამართლო, სამოქალაქო-საპროცესო სფეროში უბრალო ადმინისტრაციული დებულებების დაშვების საკითხში (აქ არ იგულისხმება წმინდა გარეგან ფორმალობებთან დაკავშირებული დებულებები), საკმაოდ თავშეკავებულია. სამოქალაქო-საპროცესო პრაქტიკაში (სისხლის სამართლის პროცესისგან განსხვავებით) გამიჯვნას წმინდა ადმინისტრაციულ დებულებასა და გასაჩივრებად, საპროცესო შეცდომას შორის, ასევე უფრო მცირე მნიშვნელობა ენიჭება, რადგან - როგორც უკვე ვახსენეთ - ამ სფეროში, შესაძლო საპროცესო შეცდომები გერმანიაში თითქმის არ საჩივრდება და ისინი ამით, GER-ZPO-ს §§295, 556-ის მიხედვით, ისედაც სწორდება (აღნიშნულის თაობაზე იხილეთ ზემოთ, 364-ე და მომდევნო მუხლები ა.ნ. 83 და მომდევნო აბზაცები).

80. (2) თუ სახეზეა გასაჩივრებადი საპროცესო დარღვევა, მაშინ სამოქალაქო-საპროცესო საკასაციო წარმოებაში, მოყვანილი მიზეზების გამო, ჩვეულებრივ არ არის გამორიცხული, რომ სადავო გადაწყვეტილება შესაძლოა საპროცესო შეცდომას ეფუძნებოდეს. ასეთ დროსაც, როგორც წესი, გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმე ხელახალი განხილვისთვის ქვედა ინსტანციას დაუბრუნდეს. პრობლემურია, განსაკუთრებით, შემდეგი ვითარებები:

81. (2.1.) თუ კასაციის ინიციატორი მხარე ასაჩივრებს, რომ მისი სასამართლო მოსმენის მოთხოვნის უფლება, მისთვის **სამართლებრივი მითითების არ მიცემის გამო** (აღნიშნულის თაობაზე იხილეთ ზემოთ, მე-4 მუხლის ა.ნ. 8 და მომდევნო აბზაცები) დარღვეულია, მაშინ განსხვავებული გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობის წინაპირობაა ის, რომ მას ასეთ მითითებაზე რეაგირების საშუალება უნდა ჰქონოდა, რასაც სავარაუდოდ, შეიძლებოდა, სხვა საბოლოო შედეგი მოჰყოლოდა.

82. ამასთან, სასამართლო პრაქტიკა საკმარისად ნათლად არ პასუხობს, უნდა განაცხადოს თუ არა და როდის, კასაციის ინიციატორმა, მკაფიოდ, თუ რა რეაგირებას მოახდენდა იგი ასეთ მითითებაზე. სასამართლო პრაქტიკაში არის ტენდენცია, რომ მკაფიოდ გამოხატული განმარტებები, ყოველ შემთხვევაში, მაშინ არის ზედმეტი, როდესაც საკასაციო საჩივრის ერთიანი კონტექსტიდან შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, თუ დაახლოებით, რა ჩვენებას მისცემდა მხარე (რომელიც მისი სასამართლო მოსმენის უფლების დარღვევას ასაჩივრებს) იმ შემთხვევაში, თუ ის მიიღებდა სამართლებრივ მითითებას, რომელიც არ განხორციელებულა. ხშირად ეს იმდენად ნათელია, რომ მკაფიო ჩვენებების მოთხოვნა წმინდა ფორმალობა იქნებოდა. მართალია, არსებობს გადაწყვეტილებები, რომლებშიც გადამწყვეტია, რომ კასაციის მოსარჩელემ კონკრეტულად შეატყობინოს, თუ რა ჩვენებას მისცემდა იგი ამ მითითების საფუძველზე, მაგრამ აქედან არ უნდა გამოვიტანოთ საპირისპირო დასკვნა, რომ შესა-

ბამისი განმარტებების გარეშე შესაძლო მიზეზობრივი კავშირის წარმოდგენა შეუძლებელი იქნებოდა (შეადარეთ, მაგალითად: BGH, Beschluss vom 11.05.2017 – V ZR 235/16 - juris; BGH, Beschluss vom 29.04.2014 - VI ZR 530/12 - juris; für Verfassungsbeschwerde: BVerfG, Beschluss vom 25.01.2018 - 2 BvR 1362/16 - juris). ყოველ შემთხვევაში, კასაციის მოსარჩელეს უნდა მიეცეს რჩევა, რომ მისთვის გაკეთებულ მითითებაზე თავისი სავარაუდო რეაქცია მაინც წინასწარ და მკაფიოდ დააფიქსიროს, რაც, ჩვეულებრივ, გერმანულ პრაქტიკაში, ძირითადად, ასეც ხდება.

83. თუ შეტანილი საჩივარი დაშვებულია, მიზეზობრივი კავშირისთვის საკმარისია, რომ (რაც პრაქტიკულად ყოველთვის ასე ხდება) გადაწყვეტილება, წმინდა სამართლებრივ მითითებაზე განხორციელებული რეაგირების გათვალისწინებით (მაგალითად, საქმეზე დამატებით ახსნა-განმარტების მიცემა ან მტკიცებულებების წარდგენა), შესაძლოა სხვაგვარად გამოტანილიყო. ხშირად, ეს შესაძლო კაუზალობა იმდენად ცხადია, რომ უმაღლესი ფედერალური სასამართლო თავის გადაწყვეტილებებში მასზე ან არაფერს წერს ან მხოლოდ აპოდიქტიკურად, დაახლოებით შემდეგნაირად აყალიბებს (Auszug aus BGH, Beschluss vom 29.03.2017 - IV ZR 510/15 - NJW-RR 2017, 672):

84. „ სენატს არ შეუძლია გამოიცილოს, რომ სააპელაციო სასამართლო ხელშეკრულებიდან გასვლის თვალსაზრისით სხვა შედეგს მიიღებდა, მოსარჩელისთვის რომ მიეთითებინა, რომ მას ეკისრებოდა გადმოცემისა და მტკიცების ტვირთი, ბრონქიტსა და მომიზეზებულ შრომისუნარობას შორის მიზეზობრივი კავშირის არარსებობის დასადასტურებლად და რომ ამ თვალსაზრისით, როგორც ეს საჩივარშია ასახული, მას უნდა მოეთხოვა ექსპერტის დასკვნა.“

85. (2.2) რა თქმა უნდა, მიუხედავად ქვედა ინსტანციის გადაწყვეტილებაში გაპარული საპროცესო შეცდომისა, ეს არ გამოიწვევს საქმის დაბრუნებას ხელახლა განსახილველად, როდესაც, მართალია, მას შეუძლია საფუძველი გამოაცალოს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას, მაგრამ საკასაციო სასამართლოს შეხედულებით, ქვედა ინსტანციის მიერ პროცესუალურად შეცდომით პასუხგაცემული კითხვა საერთოდ არ არის მნიშვნელოვანი. ასე მაგალითად, ქვედა ინსტანციის გადაწყვეტილება მის მიერ გაშვებულ საპროცესო შეცდომებს არ ეფუძნება, როდესაც მოვლენა, რომელსაც იგი ეხება საკასაციო სასამართლოს შეხედულებით სამართლებრივად უმნიშვნელოა, მაგალითად იმიტომ, რომ სასარჩელო მოთხოვნა, ყველა შემთხვევაში, ხანდაზმულია.

86. (2.3) საპროცესო ეკონომიის მიზეზებიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს შეუძლია, რომ ქვედა ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც საპროცესო შეცდომაზეა დაფუძნებული, გამონაკლისის სახით, საქმეზე არსებითად გამოტანილი საკუთარი გადა-

წყვეტილებით ჩაანაცვლოს, თუ, ერთი მხრივ, გამორიცხულია, რომ ქვედა ინსტანციამ, მისთვის საქმის დაბრუნების შემთხვევაში, ხელახლა შეძლოს სასამართლო გადაწყვეტილებით საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანა და თუ, მეორე მხრივ, საკასაციო პროცესში სამართლებრივი დავა საქმის არსებითი გადაწყვეტისთვის მომნიშვნელოვანია.

87. ასეთ შემთხვევებს, განსაკუთრებით მაშინ, შეიძლება, ჰქონდეს ადგილი, როდესაც ქვედა ინსტანცია სააპელაციო საჩივრის შეტანის ან სააპელაციო საჩივრის დასაბუთების ვადის გაშვების გამო პროცესუალურად მცდარად, უარს ამბობს პირვანდელი მდგომარეობის აღდგენაზე (აღნიშნულის თაობაზე ზემოთ, 264-ე მუხლის ა.ნ. 19 და მომდევნო აბზაცები) და ამიტომ სააპელაციო საჩივარს, ვადის გაშვების გამო, დაუშვებლად მიიჩნევს. ასეთ შემთხვევაში, უმაღლესი ფედერალური სასამართლო თავად წყვეტს, თუკი საქმის შინაარსის მიხედვით პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის უფლება უპრობლემოდ შეიძლება მიენიჭოს და პროცესი ამ საქმეზე გადაწყვეტილებისთვის მომნიშვნელოვანია (BGH, Beschluss vom 06.12.2017 - XII ZB 107/17 - NJW-RR 2018, 641; BGH, Urteil vom 20.05.2014 - VI ZR 384/13 - NJW-RR 2014, 1532). დაბოლოს, საკასაციო სასამართლოს მაშინ შეუძლია საქმეზე გადაწყვეტილების მიღება, როდესაც გასაჩივრების საშუალების შესახებ გადაწყვეტილება მატერიალურ-სამართლებრივად იმავე შედეგს გამოიწვევს, როგორცაა უარი პირვანდელი მდგომარეობის აღდგენაზე, რადგან ამ შემთხვევაში პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა შეიძლება, ვივარაუდოთ (BGH, Urteil vom 20.05.2014 - VI ZR 384/13 - NJW-RR 2014, 1532).

88. ბ) მატერიალურ-სამართლებრივი იურიდიული შეცდომისას საკასაციო სასამართლომ შეუზღუდავად უნდა გადაამოწმოს, ხომ არ ეფუძნება მას ქვედა ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ან ხომ არ არის იგი საბოლოო ჯამში (თუნდაც სხვა მიზეზთა გამო) სწორი. ამ პროცესში, საკასაციო სასამართლოსთვის შესაძლებელია, შემდეგი ვითარებები წარმოიშვას:

89. (1) გასაჩივრებული გადაწყვეტილების შედეგის დადასტურება (სულ მცირე, ქვედა ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტების საფუძველზე) არავითარი სხვა სამართლებრივი ასპექტიდან გამომდინარე არ არის შესაძლებელი.

90. მაშინ, საკასაციო სასამართლო სადავო გადაწყვეტილებას ცვლის და გამოაქვს საკუთარი საბოლოო გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, თუ სამართლებრივი დავა ამისთვის მომნიშვნელოვანია (§ 563 Abs. 3 GER-ZPO). თუმცა, ასეთი მომნიშვნელოვანობის წინაპირობა ისაა, რომ, ერთი მხრივ, საკასაციო სასამართლოს სამართლებრივი შეხედულებით, ყველა არსებითი ფაქტობრივი დასკვნა გამოტანილია (ამ დროს უნდა ვივარაუდოთ, რომ მხარის სადავო ჩვენება, რომელიც ქვედა ინსტანციის

სასამართლოს მიერ დადგენილი არ არის, საკასაციო პროცესში, შესაბამისად, სწორია) და რომ, მეორე მხრივ, საკასაციო სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება მხარის სასამართლო მოსმენის უფლებას არ არღვევს (ამის თაობაზე იხილეთ ზემოთ, მე-4 მუხლის ა.ნ. 8 და მომდევნო აბზაცები). ამდენად, საკასაციო სასამართლოს უფლება არა აქვს, ქვედა ინსტანციის გადაწყვეტილების შემცვლელი საკუთარი არსებითი გადაწყვეტილების მიღებისას, ფაქტობრივი გარემოებები გაითვალისწინოს (სამართლებრივ ასპექტებთან დაკავშირებით შესაძლებელია საკასაციო წარმოებაში, მაგალითად, საქმის განხილვისას, სასამართლო მოსმენის უფლების მინიჭება), რომელთა არსებობის ან არარსებობის შესახებ სამართლებრივი მითითება მანამდე უნდა გაკეთებულიყო. მეტიც, მხარეებს შესაძლებლობა უნდა მიეცეთ, რომ ასეთ სამართლებრივ მითითებაზე, ფაქტობრივი თვალსაზრისით, თავიანთი პოზიცია დამატებით გამოხატონ (რაც მხოლოდ საქმის არსებითად განმხილველ ინსტანციაში შეიძლება მოხდეს) და ასეთის არსებობის შემთხვევაში, დამატებითი მტკიცებულებები წარმოადგინონ.

91. ასეთი მიდგომა აუცილებელია არა მხოლოდ მაშინ, როდესაც საკასაციო სასამართლო მნიშვნელოვნად მიიჩნევს ფაქტობრივ მოსაზრებებს, რომელთა მნიშვნელობას მხარეები აქამდე არ შეხებიან, არამედ იგივე წესი მოქმედებს მაშინაც, როდესაც საკასაციო ინსტანციაში წინა პლანზე ისეთი გარემოებები გამოდის, რომლებიც მართალია, იყო წარმოდგენილი, მაგრამ სამართლებრივი დავის მიმდინარეობისას უკანა პლანზე აღმოჩნდა (აღნიშნულის თაობაზე იხილეთ ზემოთ, მე-4 მუხლის ა.ნ. 19). ამიტომ, საკასაციო სასამართლომ ქვედა ინსტანციის გადაწყვეტილება ასეთ შემთხვევებშიც უნდა გააუქმოს და საქმე ხელახალი განხილვისთვის დაუბრუნოს მას.

92. გარდა ამისა, საქმის ხელახალი განხილვისთვის დაბრუნება აუცილებელია მაშინაც, როდესაც საქმე ვინრო გაგებით ფაქტების დადგენას კი არა, შეფასებებს ეხება, რომლებიც უპირატესად საქმის არსებითად განმხილველმა სასამართლომუნდა განახორციელოს. ასეთებს განეკუთვნება ნების გამოვლენების განმარტება, თუ ამის შეუზღუდავად განხორციელება საკასაციო სასამართლოს მიერ შესაძლებელი არ არის (აღნიშნულის თაობაზე იხილეთ ზემოთ, ა.ნ. 26 და მომდევნო აბზაცები), მაგრამ ასევე შეფასებითი ხასიათის სამართლებრივი ნორმების გამოყენება, როგორც არის, მაგალითად, სამართლიანი შეხედულების განსაზღვრა, აგრეთვე თანაბრალეულობის ან კეთილსინდისიერების შეფასება (აღნიშნულის თაობაზე იხილეთ ზემოთ, ა.ნ. 11 და მომდევნო აბზაცები). მაგრამ თუ ქვედა ინსტანციის მხრიდან ადგილი აქვს ხელშეკრულების სტანდარტული პირობების, წესდებების ან სხვა ნორმის მსგავსი წესების განმარტებისგან თავის შეკავებას ან მცდარად განმარტებას, მაშინ საკა-

საციო სასამართლოს უფლება ენიჭება, განმარტება თავად განახორციელოს (აღნიშნულის თაობაზე იხილეთ ზემოთ, ა.ნ. 21 და მომდევნო აბზაცები).

93. (2) სადავო გადაწყვეტილება, **სხვა მიზეზებიდან გამომდინარე, შედეგად სწორი აღმოჩნდება** ან ყოველ შემთხვევაში, შეიძლება, რომ შედეგად სწორი აღმოჩნდეს. ასეთ შემთხვევაშიც, შესაბამისი დიფერენცირება აუცილებელია:

94. თუ, საკასაციო სასამართლოს პერსპექტივიდან გამომდინარე, ყველა მნიშვნელოვანი ფაქტი დადგენილია და გადაწყვეტილებისთვის მნიშვნელოვან ყველა ფაქტობრივ და სამართლებრივ ასპექტთან დაკავშირებით სასამართლო მოსმენის უფლება მინიჭებული (რაც ხშირად თავისთავად იგულისხმება და მაშინ საკასაციო სასამართლოს მიერაც, უმეტეს შემთხვევაში, განსაკუთრებულად არ საბუთდება), მაშინ საკასაციო სასამართლო ვალდებულია, საქმეზე არსებითი გადაწყვეტილება გამოიტანოს და საკასაციო საჩივარი არ დააკმაყოფილოს (§563 Abs. 3 GER-ZPO). თუმცა, ამის წინაპირობას ის წარმოადგენს, რომ საკასაციო სასამართლოს შეუძლია ივარაუდოს - ფაქტები, რომელთაც ამტკიცებს მხარე, მაგრამ, რომლებიც საქმის არსებითად განმხილველი ინსტანციების მიერ (მათი შეხედულებით, მართებულად) არ დადგენილა, სწორია და ისინიც ვერაფერს შეცვლიან იმაში, რომ საკასაციო სასამართლოს შეხედულებით, ქვედა ინსტანციის გადაწყვეტილება, ყოველ შემთხვევაში, საბოლოო ჯამში, არასწორია. ამ თვალსაზრისით, შესაბამისად მოქმედებს, რაც უკვე ა.ნ. 89-სა და მომდევნო აბზაცებში შებრუნებულ შემთხვევასთან დაკავშირებით იყო მოყვანილი.

95. თუ საქმე ასეთ შემთხვევასთან არ გვაქვს, მაშინ საკასაციო სასამართლომ ქვედა ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა გააუქმოს და საქმეხელახლა განსახილველად დაუბრუნოს მას, რათა ქვედა ინსტანციის სასამართლოს, აუცილებელი ფაქტობრივი დასკვნების გამოტანის, ან/და შესაბამის მხარეს, სამართლებრივ მითითებასთან დაკავშირებით დამატებითი ახსნა-განმარტების წარმოდგენის შესაძლებლობა მისცეს. ამ თვალსაზრისითაც, შეიძლება, შესაბამისად გამოვიყენოთ ა.ნ. 89 და მომდევნო აბზაცებში წარმოდგენილი განმარტებები.

96. (3) თუმცა, გამონაკლისის სახით, შეიძლება, საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება არ მოხდეს, როდესაც საკასაციო სასამართლო დარწმუნდება, რომ ხელახალი განხილვიდან გადაწყვეტილების მიღებისთვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი დასკვნები მოსალოდნელი არ არის, ანუ (რადგან პროცესი ამჟამად ყველა შესაძლო თვალსაზრისით, მხარეთა მიერ „სრულად არის განერილი“) ფაქტობრივი საფუძველი აღარ შეიცვლება (BGH, Urteil vom 20.07.2017 - IX ZR 310/14 – NJW 2017, 2613: „*დამატებითი ფაქტობრივი დასკვნები აღარ არის მოსალოდნელი. ყველა*

შესაძლო გარემოება, რომლიდანაც შეიძლება, გამომდინარეობდეს სადავო საქმეში მოპასუხის ქცევის უზნეობა წინა პროცესის წარმართვასთან დაკავშირებით, უკვე წარმოადგენდა სააპელაციო პროცესში განხილვის საგანს. მოსარჩელეს არ წარმოუდგენია დამატებითი ასპექტები, რომლებიც პირველი ინსტანციის შეფასების კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენებას შეიძლებდნენ“). თუ გასაჩივრებული გადაწყვეტილება განმარტების შეცდომას შეიცავს და ყველა შესაბამისი ფაქტი დადგენილია, მაშინ უმაღლესი ფედერალური სასამართლო თავად განახორციელებს განმარტებას, თუ ნებისმიერი სხვა შედეგი განმარტების ზოგად პრინციპებთან შეუსაბამო იქნებოდა ((BGH, Urteil vom 06.12.2017 - VIII ZR 219/16 - NJW-RR 2018, 822; BGH, Urteil vom 13.04.2016 - VIII ZR 198/15 - NJW-RR 2016, 1032; BGH, Urteil vom 09.10.2013 - VIII ZR 22/13 - NJW-RR 2014, 76).

97. გვ) ეს მეთოდი ქვემოთ, გადაწყვეტილებებიდან აღებული რიგი ამონარიდების საფუძველზეა ნაჩვენები.

98. (1) მაგალითის სახით, გადაწყვეტილების კონცეფციისთვის, რომელიც სააპელაციო სასამართლოს მიერ დასახელებული მიზეზებისგან განსხვავებული საფუძვლებით **დასტურდება**, წარმოგიდგენთ ამონარიდს გადაწყვეტილებიდან - BGH NJW 2017, 3527 (Urteil vom 11.07.2017 - VI ZR 90/17 -):

99. „საკასაციო საჩივარი წარუმატებელია. მართალია, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო საჩივრის პრეტენზიებს ვერ უძლებს, მაგრამ გადაწყვეტილება სხვა მიზეზების გამო არის სწორი, ZPO-ს § 561. შედეგად, მოსარჩელეს არ ეკუთვნის მის მიერ მოთხოვნილი, ადვოკატის მომსახურების სასამართლომდელი ხარჯების ანაზღაურების უფლება, BGB-ს § 249-ის პირველი აბზაცი.

1. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ოდენობის განსაზღვრა, პირველ რიგში, ZPO-ს § 287-ით განსაკუთრებული თავისუფლების მქონე, საქმის არსებითად განმხილველი მოსამართლის საქმეა. საკასაციო-სამართლებრივად მისი შემონმება მხოლოდ იმის გასარკვევად შეიძლება, ხომ არ გამორჩა საქმის არსებითად განმხილველ მოსამართლეს ზიანის შეფასების სამართლებრივი პრინციპები, უყურადღებოდ ხომ არ დატოვა შეფასების არსებითი ფაქტორები ან თავის შეფასებას არასწორი მასშტაბები ხომ არ დაუდო საფუძვლად (BGH DAR 2012, 387; BGH VersR 2014, 1100). ერთ-ერთ ასეთ სამართლებრივ შეცდომას აწყობს კასაცია. სააპელაციო სასამართლოს ზიანის შეფასების სამართლებრივი პრინციპები გამორჩა.

a) მართალია, იგი თავიდან სწორად ეყრდნობა იმას, რომ ადვოკატის დახმარების გამოყენება სატრანსპორტო საშუალების მზღვეველთან ზი-

ანის შესახებ განაცხადის შეტანისას, მოსარჩელის ავტორიტეტული შეხედულებით, აუცილებელი არ იყო (BGB-ს §249-ის პირველი მუხლი).

aa) დაზარალებულის ხარჯებს, რომელთა ანაზღაურებაც სავალდებულოა, ძირითადად, უფლების განხორციელების ხარჯები განეკუთვნება, რომელთა განწევა აუცილებელი გახდა და რომლებიც ადეკვატურად განაპირობა ზარალის გამომწვევმა შემთხვევამ (BGH NJW 2006, 1065). ზარალის ანაზღაურების პროცედურის ნაწილია იმის თაობაზე გადაწყვეტილებაც, რომ ზარალის დადგომის ფაქტი მზღვეველთან გაცხადდეს. ამიტომ, საკუთარ მზღვეველთან სადაზღვევო შემთხვევის დადგომის განცხადებისთვის წარმოშობილი უფლების განხორციელების ხარჯები შეიძლება ანაზღაურებადი იყოს, თუ ისინი ადეკვატურად კაუზალურად არის გამოწვეული სადაზღვევო (ზარალის გამომწვევი) შემთხვევით და ადვოკატის დახმარების გამოყენება, შემთხვევის გარემოებებიდან გამომდინარე, დაზარალებულის ავტორიტეტული შეხედულებითა და მისი სპეციალური ვითარების გათვალისწინებით, მისი უფლებების განხორციელებისთვის აუცილებელი და მიზანშეწონილი იყო (BGH DAR 2012, 387; BGH NJW 2006, 1065).

bb) კასაცია წარუმატებლად ეწინააღმდეგება სააპელაციო სასამართლოს მიერ აღნიშნულის საფუძველზე განხორციელებულ შეფასებას იმის თაობაზე, რომ მოსარჩელეს თავადაც შეეძლო, შესრულება თავისი სატრანსპორტო საშუალების მზღვეველისგან მოეთხოვა

b) მაგრამ კასაცია სწორად აცხადებს, რომ სააპელაციო სასამართლოს დაშვება სამართლებრივად მცდარია, რამდენადაც სატრანსპორტო საშუალების მზღვეველთან ვრცელი კორესპონდენციის გათვალისწინებით, ადვოკატის მიერ წარმომადგენლობის აუცილებლობა შეიძლება შემდგომში განიხილოს, მოსარჩელეს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება არ ეკუთვნის, რადგან მოთხოვნა გადასახადების თაობაზე, რწმუნებულის, უკვე პირველი - არააუცილებელი - წერილით, სრულად წარმოიშვა. ის გარემოება, რომ მოსარჩელემ თავისი რწმუნებული უკვე ზარალის განცხადებისას, ანუ ზედმეტად ადრე, ჩააბა საქმეში, - ცალკე აღებული - არ იწვევს ZPO-ს § 287-ის შესაბამისად დისკრეციით შესაფასებელი, უფლების განხორციელების ხარჯების გამო მოსარჩელისთვის წარმოშობილი ზარალის, ყოველ შემთხვევაში, სრულად გამორიცხვას....

2. თუ რა სამართლებრივი შედეგები მოჰყვება ამ შეცდომას, აქ შეიძლება, ღიად დავტოვოთ, რადგან სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება სხვა მიზეზებიდან გამომდინარე, სწორია, ZPO-ს § 561. მოსა-

რჩელეს უკვე იმის გამო არ აქვს ადვოკატის სადავო ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, რომ მათი მოპასუხისთვის შერაცხვა შესაძლებელი არ არის.

a) თუ დაზარალებული მზღვეველის მიმართ მოთხოვნას დააყენებს, რომელიც, მართალია, დაზღვევის პირობების თანახმად დასაბუთებულია, მაგრამ ზიანის მიმყენებელი პირის მიერ არ უნდა ანაზღაურდეს, მაშინ უნდა შემონმდეს, თუ რამდენად შესაძლებელია, რომ განაცხადის შეტანით გამოწვეული ადვოკატის ხარჯები ზიანის მიმყენებელს შეერაცხოს, მისი ქმედების შედეგის სახით (BGH NJW 2006, 1065 ...). ამასთან, შედეგად, აქაც იგივე პრინციპები მოქმედებს, რაც დაზარალებულის ანაზღაურების მოთხოვნის ოდენობასთან დაკავშირებით, რომელიც გამომწვეულია ზარალის მიმყენებლის მიმართ მისი მოთხოვნების წარდგენის შედეგად წარმოშობილი ადვოკატის ხარჯებით. ამ თვალსაზრისით, ანაზღაურების მოთხოვნას ზარალის მიმყენებელთან ურთიერთობაში, პრინციპულად, საფუძვლად უნდა დაედოს საგნის ღირებულება, რომელიც, საბოლოო ჯამში, დადგენილ და უდავოდ ქცეულ ზარალის ოდენობას შეესაბამება (BGH WuM 2008, 97...).

b) ამ პრინციპების თანახმად, შეუძლებელია, რომ სატრანსპორტო საშუალების მზღვეველის მიმართ მოთხოვნის წაყენებით წარმოშობილი ხარჯები მოპასუხეს შეერაცხოს.

aa) სენატის, 2005 წლის 18 იანვრის და 2006 წლის 10 იანვრის ზემოთ ციტირებული გადაწყვეტილებების ... საფუძვლად არსებული შემთხვევებისგან განსხვავებით, მოპასუხეს, წარმოდგენილ შემთხვევაში, სრული პასუხისმგებლობა არ ეკისრება. სააპელაციო სასამართლოს დასკვნების თანახმად, როგორც მოპასუხეს, ისე მოსარჩელეს 1. საკითხთან დაკავშირებით, უბედური შემთხვევის გამომწვევაში თანაბრად მიუძღვით ბრალი, ამიტომ მოპასუხე მოსარჩელის მიმართ 50%-იანი თანაფარდობით აგებს პასუხს ... (ავტორის მითითება: ახლა ვრცლად იქნება დასაბუთებული, თუ რატომ არ რჩება საბოლოოდ არავითარი მოთხოვნის უფლება)“.

100. (2) უმაღლესმა ფედერალურმა სასამართლომ, ქვემოთ მოყვანილ ნაწყვეტში (BGH, Urteil vom 11.02.2014 - VI ZR 225/13 - NJW 2014, 1947) დაასაბუთა ქვედა ინსტანციაში ხელახლა განხილვისთვის საქმის დაბრუნების მიზეზები, რაც **სასამართლო მოსმენის უფლების** მინიჭებისთვის იყო აუცილებელი:

101. „ვინაიდან სააპელაციო სასამართლომ ივარაუდა, რომ მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი ექსპერტის ხარჯები უკვე სრული მოცულობით

„აუცილებელი“ არ იყო, BGB-ს § 249-ის მე-2 აბზაცის პირველი წინადადების გაგებით, ამიტომ მოპასუხეს აქამდე არავითარი საფუძველი არ ჰქონდა იმისათვის, რომ ზიანის შემცირების მოვალეობის (Schadensminderungspflicht) დარღვევის საკითხთან დაკავშირებით განმარტება გაეკეთებინა. ამის შესაძლებლობა მას, მისი სასამართლო მოსმენის უფლების დაცვის მიზნით უნდა მიეცეს. ამიტომ, გასაჩივრებული გადაწყვეტილება, ZPO-ს §562-ის პირველი აბზაცის, § 563-ის პირველი აბზაცის პირველი წინადადების შესაბამისად, ექსპერტის ხარჯებთან დაკავშირებით უნდა გაუქმდეს და საქმე ამ თვალსაზრისით ხელახალი განხილვისა და გადაწყვეტილების მისაღებად სააპელაციო სასამართლოს დაუბრუნდეს. ხელახალი განხილვისას ამ უკანასკნელს შესაძლებლობა მიეცემა, მხარეთა მიერ საკასაციო ინსტანციაში წარმოდგენილი სხვა ორმხრივი არგუმენტები გაითვალისწინოს.“

102. (3) დამატებითი ფაქტების დადგენის აუცილებლობისას უმაღლესი ფედერალური სასამართლო, მაგალითის სახით, შემდეგი ტიპის ფორმულირებას იყენებს (BGH, Urteil vom 25. Juli 2017 - II ZR 235/15 - juris [NJW-RR 2017, 1317]):

103. „3. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არც სხვა საფუძველებით შეიძლება სწორად იქნეს მიჩნეული (ZPO-ს § 561).

სააპელაციო სასამართლო დეტალურად არ შეეხო სააქციო საზოგადოებათა შესახებ კანონის (AktG)* § 76-ის პირველი აბზაცის შესაძლო დარღვევებს და მხოლოდ გამოხატა, რომ იგი სამხარეო სასამართლოს სამართლებრივი შეხედულებისკენ იხრება, რომელმაც შეთანხმება მთლიანად ბათილად მიიჩნია, რადგან მოპასუხე თავის საქმიანობაში, როგორც სააქციო საზოგადოება E.AG-ს გამგეობის თავმჯდომარე, დაუშვებლად შეზღუდული იქნებოდა.

სენატს, სააპელაციო სასამართლოს მიერ აქამდე გაკეთებული დასკვნების საფუძველზე არ შეუძლია თავად შეაფასოს, დაირღვა თუ არა AktG-ს § 76-ის პირველი აბზაცის მოთხოვნა და შეიძლება თუ არა, რომ ამან მთლიანად შეთანხმებების ბათილობა გამოიწვიოს. დასაწყისშივე გამორჩენილია სააპელაციო სასამართლოს დასკვნები კითხვაზე, რომელზეც საქმის არსებითად განმხილველ მოსამართლეს, ხელშეკრულების განმარტების გზით უნდა გაეცა პასუხი, კერძოდ, ეხება თუ არა და ასეთის არსებობის შემთხვევაში, რამდენად, სამხარეო სასამართლოს მიერ AktG-ს § 76-ის პირველი აბზაცის გათვალისწინებით შეცილებული ხელშეკრულების დებულებები მოპასუხის, როგორც E.AG-ს გამგეობის თავმჯდომარის ფუნქციის შემსრულებლის, მოქმედებას“

*§ 76 GER-AktG - სააქციო საზოგადოების მართვა

(1) გამგეობის თავმჯდომარემ საზოგადოება საკუთარი პასუხისმგებლობით უნდა მართოს.

104. (4) როდესაც საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია, **შეფასებითი ხასიათის სამართლებრივ კითხვებზე** საბოლოო პასუხი გასცეს, მაშინ უმაღლესი ფედერალური სასამართლო საქმის დაბრუნების მიზეზს, დაახლოებით, ქვემოთ მოყვანილის მსგავსად ასაბუთებს (ამონარიდი გადაწყვეტილებიდან: BGH, Urteil vom 21.11.2017 - XI ZR 106/16 - NJW-RR 2018, 303):

105. „თუ სააპელაციო სასამართლომ „წინსწრებით გადახდის ჯარიმა-სთან“ დაკავშირებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ სამხარეო სასამართლოს გადაწყვეტილება დაადასტურა, მაშინ საქმე გადაწყვეტილების გამოსატანად მზად არ არის (ZPO-ს § 563-ე მუხლის პირველი აბზაცის პირველი წინადადება). განსაკუთრებით არ შეუძლია სენატს, რომ BGB-ს § 242-ის შესაბამისად (ავტორის მითითება: კეთილსინდისიერება), წინასწარ გადაწყვიტოს კონკრეტული გარემოებების შეფასების საკითხი, რისი მოვალეობაც, უწინარეს ყოვლისა, საქმის არსებითად განმხილველ მოსამართლეს ეკისრება.

106. გ) თუ გამაუქმებელი გადაწყვეტილება გამოაქვს, მაშინ საკასაციო სასამართლო, ზოგჯერ იყენებს შესაძლებლობას, ქვედა ინსტანციის სასამართლოს დამატებითი - მაგრამ არა სამართლებრივად სავალდებულო - **წინადადებები** მიანდოს, საქმის შემდგომ განხილვასთან დაკავშირებით. ამ წინადადებებს, სალაპარაკო ენაზე „სანაოსნო მითითებებს“ უწოდებენ; მათ გარკვეული დახმარება უნდა გაუწიონ იმისათვის, რომ ქვედა ინსტანციამ, მეორე ცდაზე (მეტაფორულად, რომ განვადრძოთ) თავისი ნავი ღია ზღვაში ყველა სამართლებრივ რიფს აარიდოს და უსაფრთხოდ მიიყვანოს პორტში. მაგრამ, ასეთი „სანაოსნო მითითებები“ საკასაციო სასამართლოსგან გარკვეულ სიფაქიზეს მოითხოვს. მაგალითების სახით, შეიძლება, გამოვიყენოთ:

107. უმაღლესი ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილება: BGH, Urteil vom 06.05.1999 - VII ZR 132/97 - BGHZ 141, 357:

108. „აღნიშნულის შედეგად, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების შენარჩუნება შეუძლებელია, ის უნდა გაუქმდეს. საქმის ხელახლა განხილვისა და მასზე გადაწყვეტილების მიღებისას, სააპელაციო სასამართლოს დაფიქრება მოუწევს იმაზე, რომ შესაძლოა, მოპასუხის მაშინდელმა დირექტორმა, მოსარჩელისთვის შესამჩნევად, ბოროტად გამოიყენა თავისი წარმომადგენლობითი უფლებამოსილება (შეადარეთ, BGH NJW 1994, 2082; BGH NJW 1984, 1461). საექვოობისას, დირექტორს არ გააჩნია უფლებამოსილება, რომ მისი მარნმუნებლის წინასწარი ინფორმირების გარეშე, ხელშეკრულება დადოს მისთვის მოლაპარაკების მხარესთან, რომელმაც ეს დირექტორი ახლა მოქრთამა. აქედან შეიძლე-

ბა გამომდინარეობდეს, რომ არქიტექტურული ხელშეკრულება BGB-ს § 177-ის პირველი აბზაცის შესაბამისად, მერყევად ბათილია და ამით მოპასუხეს შესაძლებლობა ეძლევა, გარიგება მოიწონოს (...). მოწონების შემთხვევაშიც, მოპასუხის უფლება განსაკუთრებული საფუძვლით ხელშეკრულების მოშლასთან დაკავშირებით, ხელშეუხებელი დარჩებოდა.“

109. BGH, Beschluss vom 14.11.2017 - VI ZR 92/17 - NJW 2018, 866:

110. „განხილვისა და გადაწყვეტილების ხელახლა მიღებისას, სააპელაციო სასამართლოს შესაძლებლობა ექნება, რომ საქმის გარემოებების საგულდაგულოდ გამოძიებაზე იზრუნოს. მას იმის გათვალისწინება მოუწევს, რომ მოპასუხის სამართლებრივ წინამორბედს მოსარჩელისთვის ანაზღაურებული აქვს დაკარგული მოგება 2005 წლამდე. გარდა ამისა, მან ისიც უნდა გაითვალისწინოს, რომ :

1. სენატის სასამართლო პრაქტიკის მიხედვით (BGH NJW-RR 1991, 854; BGH NJW 1991, 3275), მართალია, შესაძლოა არ არსებობდეს საგარანტიო ვალდებულებისთვის აუცილებელი ვალდებულებით-სამართლებრივი კავშირი საფრთხის სფეროსთან, რომელიც ზიანის მიმყენებელმა დაცული სიკეთის დაზიანებით ხელმისაწვდომი გახადა დაზარალებულისთვის, როდესაც ეს უკანასკნელი საკუთარი ნების საფუძველზე თავად ჩაერია მოვლენათა განვითარებაში და ამით თავადვე აღმოჩნდა იმ ზარალის გამომწვევი, რომლის ანაზღაურებასაც იგი ითხოვს. საქმის ასეთი ვითარებისას, შესაძლოა, შეფასებითა დამოკიდებულებამ ისეთ შედეგამდე მიგვიყვანოს, რომ ამით გამომწვეული ზიანი მხოლოდ დაზარალებულის საკუთარი სიცოცხლის რისკს მიეკუთვნება. ამ დასაბუთებით, აქ შესაფასებელი შემთხვევისთვისაც, როდესაც უბედური შემთხვევისას დაზარალებული სხვა პროფესიას ეჭიდება და ამით გავლენას ახდენს ზიანის განვითარებაზე, სენატი ზიანის მიმყენებლის პასუხისმგებლობისთვის მისაკუთრებული საფრთხეების სფეროსგან ზიანის შემდგომი შედეგების იზოლირებას იმ პირობით ეთანხმება, რომ პროფესიული მიმართულების შეცვლაზე დაზარალებულის დამოუკიდებელმა გადაწყვეტილებამ იმხელა გავლენა იქონია, რომ უბედური შემთხვევა ასეთი განვითარებისთვის მხოლოდ გარეგან მიზეზს წარმოადგენდა (...).

მაგრამ სენატმა განაცხადა, რომ ასეთი გამონაკლისი შემთხვევის დაშვების მიმართ მოთხოვნები მკაცრი უნდა იყოს. ზარალის ანაზღაურების სამართალში მოქმედი სრული რესტიტუციის პრინციპი მოითხოვს, რომ ასეთი შეფასებები მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში გაკეთდეს. აუცილებელია მკაფიო ცეზურები, რომელიც გარეგნულადაც ნათელს გახდის, რომ დაზარალებულმა პროფესიული მიზნის შეცვლის შესახებ თავისი

გადანყვეტილებით, პროფესიული განვითარება, საკუთარი პასუხისმგებლობით, პირადი სიცოცხლის რისკად აქცია (...).

(2) ამ პრინციპების მიხედვით, სახეზე არ გვაქვს მოთხოვნილი, მკაფიო ცეზურა დაზარალებულის (საკუთარი) პასუხისმგებლობით მიღებული გადანყვეტილების სახით, როდესაც დაზარალებული გაუქმების შეთანხმებას დებს, რადგან მისთვის თავისი დამსაქმებლის მიერ სანარმოო რეორგანიზაციის ფარგლებში შემოთავაზებული ახალი, მის მიერ აქამდე განხორციელებული საქმიანობისგან ძალიან განსხვავებული და ამასთან საერთაშორისო მივლინებების მოთხოვნასთან დაკავშირებული დასაქმების შესაძლებლობა, ყველა გარემოების გათვალისწინებით, მიუღებელია და სხვა ადეკვატური სამუშაო ადგილის გამოჩენის შემდეგ, ზარალის მიმყენებლის ინტერესსაც წარმოადგენს, რომ სხვა შემთხვევაში მოსალოდნელი სამუშაო ადგილის დაკარგვა, შემდგომში გასათვალისწინებელი შტატების შეკვეცის შედეგად, თავიდან აირიდოს.

ამდენად, მოსარჩელის ჩვენების საფუძველზე, აქ სახეზეა

3. მტკიცებულებათა განაწილების ძირითადი პრინციპის მიხედვით (...) სხვა მხრივ, სააპელაციო სასამართლოს შეხედულების საპირისპიროდ, აქ არა მოსარჩელემ, არამედ მოპასუხემ უნდა გადმოსცეს და დაამტკიცოს, რომ სახეზეა ცეზურის წინაპირობები, რომლებიც თავიდან არსებულ შერაცხვის კონტექსტს სამომავლოდ ისევ გააქარწყლებს. ამ თვალსაზრისით, მოსარჩელეს, უკიდურეს შემთხვევაში, ეკისრება გადმოცემის მეორადი ტვირთი (BGH NZBau 2016, 630).“

111. დ) ეს „სანაოსნო მითითებები“, თავიანთი მიზნობრიობის თვალსაზრისით, **obiter dictum**-ისგან უნდა განვასხვავოთ. „სანაოსნო მითითებები“ ერთი კონკრეტული შემთხვევის განხილვას ეხება და გამიზნულად აწვდის ქვედა ინსტანციას იდეებს შემდგომი მოქმედებისთვის - „პორტში სწორად ნაოსნობისთვის“. ამის საპირისპიროდ, **obiter dictum**-ის ფუნქციას, სამართლებრივი უსაფრთხოების ან სამართლის განვითარების ინტერესებიდან გამომდინარე, გარკვეულ საკითხზე საკასაციო სასამართლოს სამართლებრივი შეხედულების ცნობება, რომელიც მართალია, ამ კონკრეტული პროცესისთვის გადამწყვეტი არ არის, მაგრამ აქ განხილულ სამართლებრივ ასპექტებთან მჭიდრო კავშირშია. თუმცა, „სანაოსნო მითითებისა“ და **obiter dictum**-სთვის საერთოა ის, რომ გადანყვეტილება მათ არ ემყარება და ამიტომ ხელახლა განსახილველად დაბრუნების შედეგად, ქვედა ინსტანციის სასამართლოსთვის GER-ZPO-ს § 563-ის მე-2 აბზაცისგან განსხვავებით (შეადარეთ, საქართველოს სსკ-ს

412-ე მუხლის მე-2 ნაწილი), სავალდებულო არ არის (obiter dictum-ისთვის, BGH, Urteil vom 20.03.2008 - IX ZR 236/06 - juris).

112. მავალდებულებელი ძალის არეალთან დაკავშირებით, უმაღლესი ფედერალური სასამართლო, დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, განმარტავს (ამონარიდი გადაწყვეტილებიდან: BGH, Urteil vom 01.06.2017 - IX ZR 204/15 - NJW-RR 2017, 1020):

113. „სააპელაციო სასამართლოსთვის მავალდებულებელი ძალა გააჩნია ... მხოლოდ იმ სამართლებრივ შეფასებას, რომელსაც უშუალოდ ეფუძნება გაუქმება (BGHZ 3, 321; BGHZ 145, 316; BGHZ 163, 223...) და რომელიც საკასაციო-სამართლებრივი გადაწყვეტილებიდან გამომდინარეობს (...). მავალდებულებელი ძალის შეზღუდვა გაუქმების უშუალო საფუძვლებით აუცილებელია იმისთვის, რომ მკაფიო ზღვარი გაეგლოს და თავიდან ავირიდოთ გაურკვეველობა იმის თაობაზე, არის თუ არა საკასაციო სასამართლოს მიერ ასევე განხილული, საბოლოო გადაწყვეტილებისთვის მნიშვნელოვანი, მაგრამ გაუქმებისთვის უმნიშვნელო ასპექტი ან ლოგიკურად წინმსწრები და დადებითად გადაწყვეტილი ან მოუხსენიებლად დატოვებული საკითხი მავალდებულებლად გადაწყვეტილი (BGHZ 22, 370). სააპელაციო სასამართლომ არ უნდა გაიმეოროს ის შეცდომა, რომელმაც მისი გადაწყვეტილების გაუქმება გამოიწვია; სხვა მხრივ კი იგი გადაწყვეტილების მიღებისას თავისუფალი უნდა იყოს და არ შეიზღუდოს სამართლიანი გადაწყვეტილების ძიების პროცესში (BGHZ 3, 321).“

114. 5. გაუარესების აკრძალვა (reformatio in peius) გერმანულ საკასაციო წარმოებაში, შინაარსობრივად, ქართული სამართლის მსგავსად არის დარეგულირებული (§ 557 GER-ZPO; სსკ-ს 409-ე მუხლი). ამ თვალსაზრისით, იდენტური სამართლებრივი ვითარების გამო, გთხოვთ იხილოთ სააპელაციო წარმოებასთან დაკავშირებით გაკეთებული განმარტებები (აღნიშნულის თაობაზე იხილეთ ზემოთ, 364-ე და მომდევნო მუხლები ა.ნ. 92 და მომდევნო აბზაცები).

115. 6. შუამდგომლობის მოთხოვნების შემთხვევაში გამოსაყენებელ მეთოდთან დაკავშირებით, გთხოვთ, იხილოთ მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის ა.ნ. 38-სა და მომდევნო აბზაცებში წარმოდგენილი განმარტებები.

116. 7. საკასაციო გადაწყვეტილებების სარეზოლუციო ნაწილში ის კრიტერიუმები უნდა იყოს გათვალისწინებული, რომლებიც უკვე წარმოდგენილია სააპელაციო გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით (აღნიშნულის თაობაზე იხილეთ ზემოთ, 364-ე და მომდევნო მუხლების ა.ნ. 101). გთავაზობთ ცალკეულ (ხარჯების შესახებ გადაწყვეტილების გარეშე) მაგალითებს გადაწყვეტილებების შესაძლო რედაქციების მრავალფეროვანი არჩევანიდან:

117. უმაღლესი ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილება - BGH, Urteil vom 25.01.2018 - VII ZR 219/14 - NJW-RR 2018, 337, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების ნაწილობრივი გასაჩივრებისა და წარმატებული კასაციისას:

118. „მოსარჩელის საკასაციო საჩივრის საფუძველზე, მიუნხენის უმაღლესი სამხარეო სასამართლოს მე-9 სამხარეო სენატის 2014 წლის 20 აგვისტოს განჩინება გაუქმდეს ხარჯების ნაწილში და იმასთან დაკავშირებით, რომ მოსარჩელეს სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე, რომელიც 208.267, 11 €-ს პროცენტთან ერთად გადახდას ეხებოდა, უარი ეთქვა.

მოსარჩელის სააპელაციო საჩივრის საფუძველზე, მიუნხენის სამხარეო სასამართლოს 2014 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილება ნაწილობრივ შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მოპასუხებს, როგორც სოლიდარულ მოვალეებს, დაეკისროთ მოსარჩელისთვის 208.267, 11 €-ს გადახდა, მასზე, 2012 წლის 30 მაისიდან დარიცხულ პროცენტთან ერთად, რომელიც განისაზღვრება შესაბამის საბაზისო საპროცენტო განაკვეთზე 8 საპროცენტო პუნქტის დამატებით; სხვა მხრივ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარი ეთქვას“.

119. უმაღლესი ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილება - BGH, Urteil vom 19.12.2017 - VI ZR 128/16 - NJW 2018, 1751, ორივე მხარის მიერ კასაციისადმი მიმართვისა და მოსარჩელის საკასაციო საჩივრის წარმატების შემთხვევაში:

120. „I. მოსარჩელის საკასაციო საჩივრის საფუძველზე, კიოლნის უმაღლესი სამხარეო სასამართლოს მე-7 სამოქალაქო სენატის 2016 წლის 17 მარტის გადაწყვეტილება გაუქმდეს ხარჯების ნაწილში და იმასთან დაკავშირებით, რომ მოსარჩელეს სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარი ეთქვა.

მოსარჩელის სააპელაციო საჩივრის საფუძველზე ბონის სამხარეო სასამართლოს მე-3 სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 19 ივნისის გადაწყვეტილება ნაწილობრივ შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მოპასუხეს დაეკისროს მოსარჩელისთვის 95.824, 02 €-ს გადახდა, მასზე 2009 წლის 29 ივლისიდან დარიცხულ პროცენტთან ერთად, რომელიც განისაზღვრება შესაბამის საბაზისო საპროცენტო განაკვეთზე 5 საპროცენტო პუნქტის დამატებით.

სარჩელის სხვა მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე, რომლებიც ამ მოთხოვნის ფარგლებს სცდება, უარი ეთქვას.“

121. უმაღლესი ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილება - BGH, Urteil vom 21.11.2017 - VI ZR 436/16 - NJW 2018, 623, სამხარეო სასამართლოს მიერ შეცდომით გამოტანილი ნაწილობრივი გადაწყვეტილების წარმატებული კასაციის შემთხვევაში:

122. „მოსარჩელის გასაჩივრების საშუალებების * საფუძველზე, გაუქმდეს როსტოკის უმაღლესი სამხარეო სასამართლოს მე-5 სამოქალაქო სენატის 2016 წლის 2 სექტემბრის გადაწყვეტილება და როსტოკის სამხარეო სასამართლოს მე-10 სამოქალაქო პალატის 2013 წლის 6 ნოემბრის ნაწილობრივი გადაწყვეტილება, რამდენადაც მოპასუხის მიმართ სარჩელზე, მე-3 პუნქტთან დაკავშირებით, გადაწყვეტილება მიღებულია.

გაუქმების ფარგლებში საქმე ხელახალი განხილვისა და გადაწყვეტილების მიღებისთვის, მათ შორის გამოყენებულ გასაჩივრების საშუალებებთან დაკავშირებული ხარჯების თაობაზე, დაუბრუნდეს სამხარეო სასამართლოს.“

* აქ იგულისხმება სააპელაციო საჩივარი სამხარეო სასამართლოს გადაწყვეტილების წინააღმდეგ და საკასაციო საჩივარი უმაღლესი სამხარეო სასამართლოს წინააღმდეგ.

123. უმაღლესი ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილება - BGH, Urteil vom 28.06.2016 - VI ZR 536/15 - NJW 2017, 250, რამდენიმე მხარის მიერ ნაწილობრივი გასაჩივრების, აგრეთვე ნაწილობრივი გაუქმებისა და ქვედა ინსტანციისთვის ხელახლა განსახილველად დაბრუნებისას:

124. „მოპასუხის საკასაციო საჩივრის საფუძველზე ბერლინის უმაღლესი სამხარეო სასამართლოს მე-2 სამოქალაქო სენატის 2015 წლის 27 აგვისტოს გადაწყვეტილება გაუქმდეს ხარჯების ნაწილში და იმასთან დაკავშირებით, რომ გადაწყვეტილება მოპასუხის საზიანოდაა გამოტანილი.

22-თან დაკავშირებით, მოსარჩელის შეგებებული კასაციის საფუძველზე, ზემოთ ხსენებული გადაწყვეტილება, ასევე, გაუქმდეს იმის გამო, რომ მას უარი ეთქვა მის მიერ სარჩელის ცვლილებით სააპელაციო ინსტანციაში შეტანილი გადახდის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, რომელიც 9.881, 37 ევროს ოდენობის თანხის ნაწილის გადახდას ეხებოდა, მასზე 2012 წლის 11 ოქტომბრიდან დარიცხულ პროცენტთან ერთად, რომელიც შესაბამის საბაზისო საპროცენტო განაკვეთზე 5 საპროცენტო პუნქტის დამატებით განისაზღვრება. სხვა მხრივ, მოსარჩელეს, 22-ე პუნქტთან დაკავშირებით, შეგებებული საკასაციო საჩივარის დაკმაყოფილებაზე უარი ეთქვას.

მოსარჩელეს, მე-16 პუნქტთან დაკავშირებით, შეგებებული საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარი ეთქვას.

გაუქმების ფარგლებში, საქმე ხელახალი განხილვისა და გადაწყვეტილების მიღებისთვის, მათ შორის გამოყენებული საკასაციო წარმოების ხარჯების თაობაზე, დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს.“

მუხლი 414. კერძო საჩივრის შეტანა

1. კერძო საჩივრის შეტანა შეიძლება სასამართლოს მიერ გამოტანილ განჩინებებზე, მხოლოდ ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

2. კერძო საჩივრის შეტანა შეუძლიათ მხარეებს, რომელთა მიმართაც გამოტანილია განჩინება, აგრეთვე იმ პირებსაც, რომლებსაც უშუალოდ ეხებათ ეს განჩინება.

მუხლი 419. გადაწყვეტილება კერძო საჩივრის თაობაზე

1. კერძო საჩივრის თაობაზე განჩინება გამოაქვს ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კერძო საჩივრის მიღებიდან 2 თვის ვადაში.

2. განჩინება გამოიტანება საქმის ზეპირი განხილვის გარეშე. სასამართლოს შეუძლია დაადგინოს კერძო საჩივრის ზეპირი განხილვაც, თუ ეს საჭიროა და ხელს უწყობს საქმის გარემოებების გარკვევას. საქმის ზეპირი განხილვის შემთხვევაში მოსამართლე უფლებამოსილია, განჩინება გამოიტანოს სათათბირო ოთახში გაუსვლელად.

3. ზემდგომი სასამართლოს განჩინება კერძო საჩივრის თაობაზე არ გასაჩივრდება.

უღრის ჰაბენლოხი

414-ე და მომდევნო მუხლები

ქართული სსკ-დან მოყვანილი ნორმები:

- სსკ-ის 414-ე მუხლი
- სსკ-ის 419-ე მუხლი

დაუყოვნებელი (კერძო) საჩივარი, სამართლებრივი საჩივარი

1. დაუყოვნებელი კერძო საჩივრის გერმანული სამოქალაქო საპროცესო სამართალი ქართული კერძო საჩივრის სამართლისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. ამიტომაც, მხოლოდ კანონის არსებითი დებულებები იქნება წარმოდგენილი.

2. თუ არ გავითვალისწინებთ იმას, რომ საჩივრის პროცედურისას გადანყვეტილებები ზეპირი განხილვის გარეშე მიიღება, შეიძლება, უხეშად დავასკვნათ, რომ სამართლებრივი საჩივრის პროცედურა, განსაკუთრებით ფინანსური ტვირთისა და სამართლებრივი საჩივრის განმხილველი სასამართლოს შემონმების კომპეტენციის საკითხებისას, ძალიან მიახლოებულია კასაციის პროცესთან. დაუყოვნებელი (კერძო) საჩივრის პროცედურის მიმართ სააპელაციო პროცესის ძალიან ბევრი პროცესუალური პრინციპის გამოყენება შეიძლება.

§ 567 GER-ZPO - დაუყოვნებელი (კერძო) საჩივარი

(1) დაუყოვნებელ კერძო საჩივარს ადგილი აქვს პირველი ინსტანციის საერთო სასამართლოს ან მიწის სასამართლოს მიერ გამოტანილი გადანყვეტილებების წინააღმდეგ, როდესაც:

1. ეს კანონით პირდაპირ არის განსაზღვრული; ან
2. როდესაც საქმე ეხება ზეპირი განხილვის საჭიროების არმქონე ისეთ გადანყვეტილებებს, რომლითაც პროცესთან დაკავშირებული შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა.

(2) ხარჯების შესახებ გადანყვეტილებების წინააღმდეგ საჩივარი მხოლოდ იმ შემთხვევაშია დასაშვები, თუ საჩივრის საგნის ღირებულება 200 ევროს აღემატება....

§ 569 GER-ZPO - ვადა და ფორმა

(1) თუ სხვა ვადა განსაზღვრული არ არის, დაუყოვნებელი კერძო საჩივარი, კანონით დადგენილი 2 კვირის ვადაში უნდა შევიდეს იმ სასამართლოში, რომლის გადანყვეტილებაც საჩივრდება ან საჩივრის განმხილველ სასამართლოში. თუ სხვა რამ არ არის განსაზღვრული, კანონით დადგენილი ვადის დენა გადანყვეტილების ჩაბარებით იწყება, გადანყვეტილების გამოტანიდან არაუგვიანეს ხუთი თვის გასვლისა. ...

(2) საჩივრის შეტანა წერილობითი საჩივრის წარდგენით ხორციელდება. წერილობითი საჩივარი უნდა შეიცავდეს გასაჩივრებული გადანყვეტილების დასახელებას და განცხადებას იმის თაობაზე, რომ საჩივარი ამ გადანყვეტილების წინააღმდეგ შედის.

§ 572 GER-ZPO - საჩივრის პროცედურის მიმდინარეობა

(1) თუ სასამართლო ან თავმჯდომარე, რომლის გადანყვეტილებაც საჩივრდება, საჩივარს დასაბუთებულად მიიჩნევს, მაშინ მან უნდა დაა-

კმაყოფილოს იგი; სხვა შემთხვევაში, საჩივარი დაუყოვნებლივ უნდა წარდგეს საჩივრის განმხილველ სასამართლოში. ...

(2) საჩივრის განმხილველმა სასამართლომ, სამსახურებრივად უნდა შეამოწმოს, მისაღებია თუ არა საჩივარი, როგორც ასეთი, და შეტანილია თუ არა იგი კანონით დადგენილი ფორმისა და ვადის დაცვით. თუ ერთ-ერთი ამ მოთხოვნათაგანი დაკმაყოფილებული არ არის, მაშინ საჩივარი, დაუშვებლობის გამო უნდა იყოს უარყოფილი.

(3)...

(4) გადაწყვეტილება საჩივრის თაობაზე, მიიღება განჩინებით.

§ 574 GER-ZPO - სამართლებრივი საჩივარი ...

(1) განჩინების წინააღმდეგ სამართლებრივი საჩივარი მისაღებია, როდესაც:

1. ეს კანონით პირდაპირ არის განსაზღვრული; ან
2. საჩივრის განმხილველმა სასამართლომ, სააპელაციო სასამართლომ ან უმაღლესმა სამხარეო სასამართლომ პირველი ინსტანციის წარმოებისას იგი განჩინებით დასაშვებად მიიჩნია. ...

(2) პირველი აბზაცის ნომერი 1-ის შემთხვევებში, სამართლებრივი საჩივარი დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც:

1. სადავო საქმე ფუნდამენტალური მნიშვნელობისაა; ან
2. სამართლის განვითარება ან ერთიანი სასამართლო პრაქტიკის უზრუნველყოფა სამართლებრივი საჩივრის განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებას მოითხოვს.

(3) პირველი აბზაცის ნომერი 2-ის შემთხვევებში, სამართლებრივი საჩივარი უნდა დაიშვას, როდესაც სახეზეა მე-2 აბზაცის წინაპირობები. სამართლებრივი საჩივრის განმხილველი სასამართლოსთვის ეს დაშვება სავალდებულოა.

§ 575 GER-ZPO - სამართლებრივი საჩივრის ვადა, ფორმა და დასაბუთება

(1) სამართლებრივი საჩივარი, განჩინების ჩაბარებიდან კანონით დადგენილ ერთთვიან ვადაში, წერილობითი საჩივრის საშუალებით უნდა შევიდეს საჩივრის განმხილველ სასამართლოში. ... (მითითება: შემდეგ მოდის განმარტებები, რომელთა საშუალებითაც სამართლებრივი საჩივრის დასაბუთების მიმართ საკასაციო საჩივრისთვის არსებული მოთხოვნების მსგავსი მოთხოვნებია გათვალისწინებული).

§ 576 GER-ZPO - სამართლებრივი საჩივრის საფუძვლები

(1) სამართლებრივი საჩივარი, შეიძლება, მხოლოდ იმას დაეყრდნოს, რომ გადანყვეტილება ფედერალური კანონის ან ისეთი დებულების დარღვევას ეფუძნება, რომლის მოქმედების სფეროც უმაღლესი სამხარეო სასამართლოს ტერიტორიული მოქმედების ფარგლებს სცილდება. ...

მუხლი 421. საქმის წარმოების განახლების სახეები

1. კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის (422-ე მუხლი) ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ (423-ე მუხლი) განცხადების წანამძღვრები.

2. თუ სასამართლოში შემოსულია განცხადებები როგორც ერთი და იმავე, ასევე ორივე მხარის მიერ ერთდროულად გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ, სასამართლომ უნდა შეაჩეროს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების შესახებ განცხადების განხილვა, ვიდრე არ იქნება განხილული განცხადება გადაწყვეტილების (განჩინების) ბათილად ცნობის შესახებ.

მუხლი 422. განცხადება გადაწყვეტილების (განჩინების) ბათილად ცნობის შესახებ

1. კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება დაინტერესებული პირის განცხადებით შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი, თუ:

ა) გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობდა მოსამართლე, რომელსაც კანონის თანახმად უფლება არ ჰქონდა, მონაწილეობა მიეღო ამ გადაწყვეტილების მიღებაში;

ბ) ერთ-ერთი მხარე ან მისი კანონიერი წარმომადგენელი (თუ მას ასეთი წარმომადგენელი სჭირდება) არ იყო მონაწილე საქმის განხილვაზე;

გ) პირი, რომლის უფლებებსა და კანონით გათვალისწინებულ ინტერესებს უშუალოდ ეხება მიღებული გადაწყვეტილება, არ იყო მონაწილე საქმის განხილვაზე.

2. აღნიშნული საფუძვლებით გადაწყვეტილების ბათილად ცნობა არ შეიძლება, თუ მხარეს შეეძლო ამ საფუძვლების წამოყენება საქმის განხილვისას, შესაბამისად პირველი ინსტანციის, სააპელაციო ან საკასაციო ინსტანციის სასამართლოში.

მუხლი 423. განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ

1. კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით, თუ:

ა) აღმოჩნდება, რომ დოკუმენტი, რომელსაც გადაწყვეტილება ემყარება, ყალბია;

ბ) დადგენილია მონმის შეგნებულად ცრუ ჩვენება, ექსპერტის შეგნებულად ყალბი დასკვნა, შეგნებულად არასწორი თარგმანი, რასაც მოჰყვა უკანონო ან დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების მიღება;

გ) დადგენილია ამ საქმეზე მხარეთა და მათ წარმომადგენელთა დანაშაულებრივი ქმედება ან მოსამართლის დანაშაულებრივი ქმედება;

დ) სასამართლო განაჩენი, გადაწყვეტილება, განჩინება ან სხვა ორგანოს დადგენილება, რომელიც საფუძვლად დაედო ამ გადაწყვეტილებას, გაუქმდა;

ე) მხარე წარუდგენს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებას, რომელიც გამოტანილია იმავე სარჩელის მიმართ;

ვ) მხარისათვის ცნობილი გახდა ისეთი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც, ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას;

ზ) არსებობს ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება (განჩინება), რომელმაც დაადგინა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის ან/და მისი დამატებითი ოქმების დარღვევა ამ საქმესთან დაკავშირებით, და დადგენილი დარღვევა გადასასინჯი გადაწყვეტილებიდან გამომდინარეობს;

თ) არსებობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა კომიტეტის, ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტის, ბავშვის უფლებათა კომიტეტის, წამების წინააღმდეგ კომიტეტის ან რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის (შემდგომ – კომიტეტი) გადაწყვეტილება, რომლითაც ამ საქმესთან დაკავშირებით დადგენილ იქნა კომიტეტის დამაარსებელი კონვენციის დარღვევა, და გადასასინჯი გადაწყვეტილება ამ დარღვევას ეფუძნება.

2. ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოება განახლდება ამ მუხლის პირველი ნაწილის „ა“-„გ“ ქვეპუნქტებში აღნიშნული საფუძვლებით, თუ არსებობს სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული განაჩენი.

3. ამ მუხლის პირველი ნაწილის „ე“-„ვ“ ქვეპუნქტებში აღნიშნული საფუძვლებით საქმის განახლება დასაშვებია, თუ მხარეს თავისი ბრალის გარეშე არ ჰქონდა შესაძლებლობა საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების დროს წარმოედგინა კანონიერ ძალაში შესული და იმავე სარჩელზე გამოტანილი გადაწყვეტილება, ან მიეთითებინა ახალ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე.

4. ამ მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტში აღნიშნული საფუძვლით საქმის წარმოების განახლების შემთხვევაში სასამართლო განიხილავს მოსარჩელე მხარისათვის შესაბამისი კომპენსაციის მიკუთვნების საკითხს, თუ მესამე პირების მიერ უფლებათა კეთილსინდისიერად მიღების გამო შეუძლებელია გადაწყვეტილების შეცვლა.

მუხლი 426. განცხადების შეტანის ვადა

1. განცხადება გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ შეტანილ უნდა იქნეს ერთი თვის განმავლობაში და ამ ვადის გაგრძელება არ დაიშვება.

2. ვადის დენა იწყება იმ დღიდან, როდესაც მხარისათვის ცნობილი გახდა გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საფუძვლების არსებობა.

2¹. ამ კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტში აღნიშნული საფუძვლის არსებობისას ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადება შეტანილი უნდა იქნეს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების (განჩინების) კანონიერ ძალაში შესვლიდან 3 თვის ვადაში, ხოლო ამ კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტში აღნიშნული საფუძვლის არსებობისას – შესაბამისი კომიტეტის გადაწყვეტილების მიღებიდან 6 თვის ვადაში.

3. თუ გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ განცხადება ამ კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტს ემყარება,

განცხადების შეტანის ვადა იწყება იმ დღიდან, როცა გადაწყვეტილება ეცნობა მხარეს, თუ იგი ქმედუუნაროა – მის კანონიერ წარმომადგენელს, ხოლო თუ იგი არის მხარდაჭერის მიმღები, რომელსაც დაუნესდა მხარდაჭერა საპროცესო წარმომადგენლობის განსახორციელებლად, – მას ან მის მხარდამჭერს. აღნიშნული ვადის ათვლა იწყება უფრო გვიან ჩაბარებული გადაწყვეტილების ჩაბარების დღიდან.

4. გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების შეტანა დაუშვებელია გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 5 წლის გასვლის შემდეგ, გარდა ამ კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და 423-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ და „თ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

ულრიხ ჰაგენლოხი

421-ე და მომდევნო მუხლები

ქართული სსკ-დან მოყვანილი ნორმები:

- სსკ-ს 421-ე მუხლი
- სსკ-ს 422-ე მუხლი
- სსკ-ს 423-ე მუხლი
- სსკ-ს 426-ე მუხლი

საქმის წარმოების განახლება

1. სამოქალაქო-საპროცესო წარმოების განახლებას გერმანიაში აშკარად უფრო ნაკლები მნიშვნელობა აქვს, ვიდრე საქართველოში. ავტორს მხოლოდ ერთადერთი განახლებული წარმოება ახსენდება, რომელთანაც თავისი პროფესიული საქმიანობის პროცესში შეხება ჰქონია. ამას, ძირითადად, ორი მიზეზი აქვს:

2. ა) როგორც უკვე განიმარტა, გერმანულ სამოქალაქო-საპროცესო სამართალში საკითხი იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა განიხილებოდეს საპროცესო-სამართლებრივად ფაქტები, რომლებიც წინასწარ პროცესში ზეპირი განხილვის დასრულების შემდეგ წარმოიშვა, მხოლოდ შეზღუდუ-

ლი მატერიალური კანონიერი ძალის საშუალებით წყდება (აღნიშნულის თაობაზე იხილეთ ზემოთ, მე-10 მუხლის ა.ნ. 35 და მომდევნო აბზაცები).

3. ეს იმას ნიშნავს, რომ ახალი (ფაქტების დამდგენ ინსტანციაში ზეპირი განხილვის დასრულების შემდეგ წარმოშობილი) ფაქტების წარმოშობისას, რომლებითაც სარჩელის დასაბუთება ხდება, მანამდე სამართლებრივად ნამდვილად უარყოფილი სასარჩელო მოთხოვნა, ანუ (სამართლებრივად უფრო ზუსტი ფორმულირებით) ადრინდელი საპროცესო დავის საგანი, „ჩვეულებრივ“ სამოქალაქო-საპროცესო წარმოებაში შეიძლება ხელახლა იყოს მოთხოვნილი. ამას ხელს არ უშლის ძალაში შესული გადაწყვეტილების მატერიალური კანონიერი ძალის მოქმედება (აღნიშნულის თაობაზე იხილეთ ზემოთ, მე-10 მუხლის ა.ნ. 35 და მომდევნო აბზაცები). თუ წინასწარ პროცესზე სარჩელი განსახილველად მიიღეს, მატერიალური კანონიერი ძალის თვალსაზრისით იგივე მოქმედებს, როდესაც ახალი გარემოებები მატერიალურ-სამართლებრივად ისეთი მოთხოვნის გაუქმებას იწვევს, რომელზეც აღსრულების ქვემდებარე დოკუმენტია გამოტანილი. თუმცა, სამართლებრივი უსაფრთხოების მიზეზებიდან გამომდინარე, შემდგომში წარმოშობილი მოთხოვნის შემწყვეტი შესაგებელი მხოლოდ ე.წ. იძულებითი აღსრულების წინააღმდეგ სარჩელით უნდა იყოს რეალიზებული. იგი (ქართულ სამოქალაქო-საპროცესო კოდექსში ამ ფორმით გათვალისწინებული არ არის) წარმოადგენს სამართლებრივი მდგომარეობის შეცვლის პროცესუალურ სარჩელს, რომლითაც წინასწარ პროცესზე სარჩელის განსახილველად მიღების თაობაზე გამოტანილი გადაწყვეტილება უქმდება (აღნიშნულის თაობაზე იხილეთ ზემოთ, მე-10 მუხლის ა.ნ. 41 და მომდევნო აბზაცები). თუმცა, ამ სარჩელს იძულებითი აღსრულების წინააღმდეგ, სამართლებრივი დოგმატიკის თვალსაზრისით, არაფერი აქვს საერთო საქმის წარმოების განახლების პროცედურასთან, ვინაიდან მას არ შეუძლია წინასწარ პროცესზე გამოტანილი გადაწყვეტილების გაუქმება. ის უფრო არის სარჩელის სპეციფიური ფორმა, რომლითაც წინასწარ პროცესზე გამოტანილი გადაწყვეტილების შემდგომი აღსრულება, ამასობაში მომხდარი მატერიალური კანონიერი მდგომარეობის ცვლილების გამო, დაუშვებლად ცხადდება.

4. როგორც შემდგომში (აღნიშნულის თაობაზე იხილეთ ქვემოთ, ა.ნ. 31) უფრო დეტალურად არის განმარტებული, განხილვის ღირსად მიმაჩნია, რომ საქართველოშიც ახალი გარემოებებისადმი პროცესუალური მოპყრობის საკითხი მატერიალური კანონიერი ძალის მოქმედების დონეზე გადაწყდეს, ანუ ახალი გარემოების შედეგად უპირატეს მდგომარეობაში მყოფ მხარეს არ შესთავაზონ საქმის წარმოების განახლების გზის გამოყენება.

5. ბ) მეორე მნიშვნელოვანი განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ გერმანიაში, ყოველ შემთხვევაში, სამოქალაქო საპროცესო სამართლის

სფეროში, გადაწყვეტილებები, რომლებშიც ადამიანის უფლებების დაცვის ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის ან მისი დამატებითი ოქმების დარღვევა, იშვიათია. ამისი ძირითადი მიზეზია ის, რომ გერმანიაში, - როგორც უკვე განვმარტეთ - არსებობს ინდივიდუალური საკონსტიტუციო საჩივარი ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოში და (ფედერალურ მინათა უმრავლესობაში) მინების საკონსტიტუციო სასამართლოებში (აღნიშნულის თაობაზე იხილეთ ზემოთ, 264-ე მუხლის ა.ნ. 41 და მომდევნო აბზაცები). ეს საკონსტიტუციო საჩივარი განეკუთვნება ეროვნულ წარმოებას, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის 35-ე მუხლის პირველი აბზაცის გაგებით. თუმცა, ამ საშუალების გამოყენებამდე, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის 35-ე მუხლის პირველი აბზაცის თანახმად, ადამიანის უფლებების დაცვის ევროპულ სასამართლოში ინდივიდუალური საკონსტიტუციო საჩივრის შეტანა დასაშვებია არ არის. ამით, ინდივიდუალურ საკონსტიტუციო საჩივარს გერმანიაში, გამოკვეთილად, ფილტრის ეფექტი გააჩნია, რომლის საშუალებითაც სამოქალაქო-საპროცესო სფეროში წარმატებული ინდივიდუალური საჩივრები ადამიანის უფლებების დაცვის ევროპულ სასამართლოში უფრო იშვიათ ხასიათს იძენს.

6. აქ ავტორი მიზანშეწონილად მიიჩნევს, სამოქალაქო-სამართლებრივი თვალსაზრისით, მოკლე დაცვითი სიტყვით გამოსვლას, საქართველოში ინდივიდუალური საკონსტიტუციო საჩივრის შემოღების სასარგებლოდ. სამოქალაქო მართლმსაჯულების მიმართ ნდობისთვის და ევროპულ დონეზე მისი შეფასებისთვის სინამდვილეში საკმაოდ მარგებელია, როდესაც ეროვნული სამართალი შესაძლებლობებს იძლევა იმისათვის, რომ სავარაუდოდ, ადამიანის უფლებათა სანინააღმდეგო გადაწყვეტილებები გაუქმდეს და ამით, შემცირდეს ადამიანის უფლებების დაცვის ევროპულ სასამართლოში წარმატებული ინდივიდუალური საჩივრების რაოდენობა.

7. GER-ZPO-ს §578-ის შესაბამისად, გერმანიაში კანონიერ ძალაში შესვლით დასრულებული პროცესების საქმის წარმოების განახლები-სას განახლავებენ ბათილობის სარჩელსა (GER-ZPO-ს § 579) და რესტიტუციურ სარჩელს (GER-ZPO-ს §580). რესტიტუციური სარჩელი ბათილობის სარჩელთან მიმართებაში სუბსიდიურ როლს ასრულებს და ამიტომ GER-ZPO-ს § 578-ის მე-2 აბზაცის შესაბამისად, მასთან დაკავშირებით განხილვა და გადაწყვეტილების მიღება უნდა შეჩერდეს, როდესაც (რაც მართალია, ძალზე იშვიათია) წარდგენილია როგორც ბათილობის, ისე რესტიტუციური სარჩელები. ამ თვალსაზრისით, გერმანული სამა-

რთლებრივი მდგომარეობა სრულად შეესაბამება ქართულს (საქართველოს სსკ-ს 421-ე მუხლი).

8. ა) თუმცა, ბათილობის სარჩელის საფუძვლები GER-ZPO-ს § 579-ში, ნაწილობრივ, საქართველოს სსკ-ს 422-ე მუხლისგან განსხვავებით არის დარეგულირებული.

9. აა) არსებითად, ბათილობის სარჩელისთვის მოქმედი წინაპირობები (განსხვავებული ენობრივი რედაქციის მიუხედავად) შესაბამისობაშია იმ თვალსაზრისით, რომ ისინი იმ **მოსამართლის მონაწილეობას** ემყარება, რომელსაც მონაწილეობის უფლება არ გააჩნდა.

10. თუ ობიექტური სამართლებრივი მდგომარეობიდან გამომდინარე, მონაწილეობის უფლების არმქონე მოსამართლის მონაწილეობა სამოსამართლო საქმეთა განაწილების შესახებ წესების მცდარად გამოყენებიდან გამომდინარეობს (აღნიშნულის თაობაზე იხილეთ ზემოთ, 243-ე მუხლის ა.ნ. 14 და მომდევნო აბზაცები), მაშინ უმაღლესი ფედერალური სამართლოს პრაქტიკის თანახმად, მხოლოდ მძიმე შეცდომა შეიძლება იყოს გამოსადეგი GER-ZPO-ს § 579-ის პირველი აბზაცის ნომერი 1-ის შესაბამისად, ბათილობის სარჩელის დასასაბუთებლად. უმაღლესი ფედერალური სასამართლო (Urteil vom 22.11.1994 - X ZR 51/92 - NJW 1995, 332) აღნიშნულის შესახებ განმარტავს:

11. „როგორც ეს გაერთიანებული სენატების (NJW 1994, 1735) დადგენილებაში დეტალურად არის განმარტებული, მონაწილე სასამართლო პერსონალის განსაზღვრისას დაშვებული ყოველი შეცდომა არ იწვევს GER-ZPO-ს § 579-ის პირველი აბზაცის ნომერი 1-ის გაგებით, სამართლოს შემადგენლობის შეუსაბამობას მოქმედ წესთან. თუ ეს ეფუძნება კანონის დებულების, საბოლოო ჯამში, მცდარ, მაგრამ მისაღებ განმარტებას, მაშინ შესაძლებელია, რომ საპროცესო დარღვევის არსებობა უარყოფილ იქნეს (...); სასამართლოში საქმეთა განაწილების გეგმიდან, შეცდომის საფუძველზე უბრალო გადახვევას, კასაციის დასაბუთების უნარი არ შესწევს (BGHSt 11, 106). აღნიშნულზე დაყრდნობით, შემადგენლობასთან დაკავშირებული პრეტენზიის გათვალისწინებისთვის სასამართლო პრაქტიკა, ზოგადად, მოითხოვს, რომ კანონის დარღვევა ნათლად იყოს წარმოდგენილი, იყოს მძიმე ან „კვალიფიციური“, ანუ ეფუძნებოდეს მიუღებელ სამართლებრივ შეხედულებას და ამით, საბოლოო ჯამში, ობიექტურ თვითნებობას (...).“

12. მით უმეტეს, არ იწვევს მცდარად ჩამოყალიბებული შემადგენლობები ან მოსამართლეთა დანიშვნაზე პასუხისმგებელი კომისიების სხვა საპროცესო შეცდომები (აქ: მოსამართლეთა შერჩევის გერმანული კომისია; საქართველოში ფუნქციონალურად: იუსტიციის უმაღლესი საბჭო) იმას, რომ მათ მიერ დანიშნული მოსამართლეები კანონიერ მოსამა-

რთლებს არ წარმოადგენდნენ (BGH, Beschluss vom 26.04.2005 - X ZB 17/04 – NJW 2005, 2317).

13. ქართული სამართლებრივი მდგომარეობისთვის, სავარაუდოდ, შეიძლება, ასევე, საინტერესო იყოს ის, რომ უმაღლესი ფედერალური სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, მხოლოდ, GER-ZPO-ს § 579-ის პირველი აბზაცის ნომერი 3-ის გაგებით, წარმატებით აცილებული მოსამართლებების მონაწილეობაა გამორიცხული. აღნიშნულის საპირისპიროდ, ეს დებულება არ გამოიყენება, როდესაც მოსამართლე აცილების შუამდგომლობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე საქმეზე არსებითად მიიღებს გადაწყვეტილებას, მიუხედავად იმისა, რომ მას GER-ZPO-ს § 47-ის მიხედვით, ამ ფაზაში მხოლოდ გადაუდებელი სამოსამართლეო ღონისძიებების უფლებამოსილება გააჩნია (BGH, Urteil vom 15.09.2016 - III ZR 461/15 - NJW-RR 2016, 1406). (BGH, Urteil vom 15.09.2016 - III ZR 461/15 - NJW-RR 2016, 1406). მით უმეტეს, შეუძლებელია ბათილობის სარჩელის დაფუძნება იმაზე, რომ უარი, აცილების თაობაზე შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე, უსამართლო იყო (BGH, Beschluss vom 26.11.2015 - VI ZR 488/14 - BGHZ 208, 75 für zweites Versäumnisurteil).

14. თუმცა, GER-ZPO-ს § 579-ის მე-2 აბზაცის შესაბამისად, ბათილობის სარჩელი მისაღებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ბათილობის მოთხოვნა გასაჩივრების საშუალების გამოყენების გზით შესაძლებელი არ იყო. ამ თვალსაზრისით, ეს დებულება შინაარსობრივად შეესაბამება საქართველოს სსკ-ს 422-ე მუხლის მე-2 ნაწილს.

15. ბბ) წინასწარ პროცესში კანონის მოთხოვნებთან შეუსაბამო წარმომადგენლობისას, გერმანული სამართლებრივი მდგომარეობა, ყოველ შემთხვევაში, კანონის დებულების სიტყვასიტყვითი რედაქციის მიხედვით (GER-ZPO-ს § 579-ის პირველი აბზაცის ნომერი 4), განსხვავდება საქართველოს სსკ-ს 422-ე მუხლის პირველი ნაწილის lit. ბ) და გ)-სგან.

16. თუ ქართულ სამართალში გადამწყვეტია სასამართლოს სხდომაზე დაბარების ნაკლი, გერმანული სამართალი ეყრდნობა იმას, რომ მხარე, ერთი მხრივ, ზეპირი განხილვისას კანონის შესაბამისად არ ყოფილა წარმოდგენილი და, მეორე მხრივ, იმას, რომ პროცესის წარმართვაზე მას პირდაპირ ან დუმილით, არც შემდეგ მიუცია ნებართვა. კანონის ეს კონცეფცია ლოგიკურია იმ თვალსაზრისით, რომ, ერთი მხრივ, გერმანულ სამოქალაქო-საპროცესო სამართალში სასამართლოს სხდომაზე დაბარების ნაკლი სწორდება გამოცხადებული მხარის მიერ, შედავების გარეშე, განხილვაში მონაწილეობის საშუალებით (აღნიშნულის თაობაზე იხილეთ ზემოთ, 364-ე და მომდევნო მუხლების ა.ნ. 83 და მომდევნო აბზაცები), ხოლო მეორე მხრივ, პროცესზე წარმომადგენლობისას არსებული საპროცესო-სამართლებრივი დეფიციტები, 81-ე მუხლის ა.ნ. 18-სა და მომდევნო აბზაცებში მოცემული უფრო დეტალური განმარტებების

თანახმად, შეიძლება იყოს ნებადართული. ამ ფონზე, გერმანიაში GER-ZPO-ს § 579-ის პირველი აბზაცის ნომერი 4-ით გათვალისწინებული ბათილობის სარჩელით გათვალისწინებული კითხვები, განსაკუთრებით მაშინ ჩნდება, როდესაც სახეზეა მხარის **შეუმჩნეველი პროცესუნარობა**.

17. (1) როგორც უკვე აღინიშნა, უწყების ჩაბარება **შეუმჩნეველად პროცესუნარო მხარისათვის** ნამდვილია, ამიტომ მის საზიანოდ გამოტანილი გადაწყვეტილება შეიძლება ფორმალურად კანონიერი ძალის მქონე იყოს (აღნიშნულის თაობაზე იხილეთ ზემოთ, 264-ე მუხლის ა.ნ. 12, 81-ე მუხლის ა.ნ. 26). თუმცა, პროცესუნარო მხარის დასაცავად, ამაზე დასაშვებია ბათილობის სარჩელის გამოყენება; და კერძოდ, მაშინაც კი, როდესაც მას ბათილობის საფუძვლის გასაჩივრება, გასაჩივრების სხვა საშუალებითაც შეეძლო, ან ეს განახორციელა. უმაღლესი ფედერალური სასამართლო (BGH, Urteil vom 15.01.2014 - VIII ZR 100/13 – BGHZ 200, 9) აღნიშნულ საკითხზე განმარტავს:

18. „ამასთან, კასაცია ნარუმატებლად განაგრძობს იმაზე მითითებას, რომ ყოველ შემთხვევაში, სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპის მოთხოვნაა, მხარეს, რომელიც პროცესზე იურიდიულად ნამდვილად არ არის წარმოდგენილი და რომელმაც გამოტანილი გადაწყვეტილების წინააღმდეგ ამისთვის გათვალისწინებული გასაჩივრების საშუალება - უკვე იურიდიულად ნამდვილი წარმომადგენლობის საშუალებით - გამოიყენა, მაგრამ მოგვიანებით უკან გამოიხმო იგი, უარი ეთქვას ბათილობის სარჩელზე. კასაცია ამ დროს სწორად ვერ აფასებს სამართლებრივი უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის პრინციპების შინაარსობრივ მნიშვნელობას. იგი მიმართულია იმისკენ, რომ სამართლებრივი დავები, რაც შეიძლება, სწრაფად დასრულდეს გამოტანილი გადაწყვეტილების (BGHZ 104, 109) ფორმალურად კანონიერ ძალაში შესვლის გზით (შეადარეთ, § 705 ZPO). პირიქით, მისგან არ გამომდინარეობს მოთხოვნა, რომ ბათილობის სარჩელები, შეძლებისდაგვარად, მაქსიმალურად გამოირიცხოს და პროცესუნარო მხარეს, რომელმაც (უკვე სამართლებრივად ნამდვილი წარმომადგენლობით) გასაჩივრების საშუალება ან საჩივარი გამოიყენა, მაგრამ მერე უკან გამოიხმო, § 578-ის პირველი აბზაციით, § 579-ის პირველი აბზაცის ნომერი 4-ით გათვალისწინებული ბათილობის სარჩელის შეტანის შესაძლებლობა ჩამოერთვას. აღნიშნულს უკვე ზემოთ ხსენებული დებულებების კონცეფციაც კი ეწინააღმდეგება. GER-ZPO-ს § 578-ის პირველი აბზაცი ბათილობის სარჩელის მისაღებობას მხოლოდ სანყისი გადაწყვეტილების კანონიერ ძალაზე დამოკიდებულს ხდის და იმის მიხედვით არ განასხვავებს, თუ როგორ შეიძინა მან კანონიერი ძალა (გასაჩივრების საშუალების / საჩივრის გამოხმოება, უკუგდება თუ განსახილველად არ მიღება ან შესაბამისად, მასზე უარის

თქმა) (§ 578 Abs. 1 ZPO). გარდა ამისა, ... ნაკლის მქონე წარმომადგენლობის ბათილობის საფუძველი, ბათილობის ერთადერთი დისპოზიცი-აა, რომლის მიმართაც არ მოქმედებს GER-ZPO-ს § 579-ის პირველი აბზაცის ნომერ 2-ში, მე-2 აბზაცში წარმოდგენილი შეზღუდვები, რასაც შედეგად მოჰყვება ის, რომ პროცესუუნარო მხარის წინააღმდეგ არ შეიძლება არგუმენტად ის იყოს გამოყენებული, რომ მას საპროცესო ნაკლი გასაჩივრების საშუალების გამოყენებით უნდა გაესაჩივრებინა ... ამასთან არავითარი განსხვავება არ არის იმაში, მხარემ თავიდანვე არ გაითვალისწინა გასაჩივრების საშუალება თუ თავდაპირველად შეტანილი გასაჩივრების საშუალება მან შემდგომ უკან გამოიხმო.“

19. გერმანულ სამოქალაქო-საპროცესო სამართალში, შეუმჩნევლად პროცესუუნარო მხარეს ამით, გარკვეულ გარემოებებში ორი გზა აქვს მის წინააღმდეგ გამოტანილ, ფორმალურად კანონიერი ძალის მქონე გადაწყვეტილებას დაუპირისპირდეს. თუ აღნიშნულის წინააღმდეგ გასაჩივრების საშუალება მისაღებია, მაშინ, ასეთის შემთხვევაში, მას შეუძლია გასაჩივრების საშუალების შეტანის ვადის გაშვების გამო, პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა განაცხადით მოითხოვოს და გასაჩივრების საშუალება შეიტანოს (აღნიშნულის თაობაზე იხილეთ ზემოთ, 81-ე მუხლის ა.ნ. 24). ამისგან დამოუკიდებლად, მას ბათილობის სარჩელის გამოყენებაც შეუძლია.

20. პროცესუუნარობის მიზეზები მნიშვნელოვანი არ არის. ამით, ბათილობის სარჩელი შესაძლებელია არა მხოლოდ მაშინ, როდესაც ფიზიკური პირი ქმედუუნაროა, არამედ მაშინაც, როდესაც იურიდიულ პირს ორგანიზაციის წარმომადგენლობის უფლებამოსილების მქონე პირი არ ჰყავს. ეს წესი იმ შემთხვევაშიც მოქმედებს, როდესაც ზეპირ განხილვაში მონაწილეობს ორგანიზაციის წარმომადგენელი, რომელსაც შეუძლია, მოიშველიოს დანიშვნის აქტი და ასეთის არსებობის შემთხვევაში მისი რეგისტრაციაც - შესაბამის რეესტრში (მაგალითად, სავაჭრო რეესტრი ან კავშირის რეესტრი). შემდეგ ეს დანიშვნის აქტი, მომავალში სასამართლო გადაწყვეტილებით, მაგალითად, საერთო კრების გადაწყვეტილების წინააღმდეგ შეტანილი კორპორატიულ-სამართლებრივი სარჩელის ფარგლებში, გაბათილდება ((BGH, Urteil vom 25.10.2010 - II ZR 115/09 - ZIP 2010, 2444).

21. უწყების ოფიციალური ჩაბარებისას შესამჩნევი საპროცესო შეცდომები, უმაღლესი ფედერალური სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, GER-ZPO-ს §579-ის პირველი აბზაცის ნომერი 4-ის შესაბამისად გამოყენებისას, ბათილობის საფუძველს არ ქმნიან. მეტიც, ასეთ შემთხვევაში GER-ZPO-ს §188-ით გათვალისწინებული, უწყების ჩაბარების ფიქციაც არ მოქმედებს. უმაღლესი ფედერალური სასამართლო (BGH, Urteil vom 06.10.2006 - V ZR 282/05 - NJW 2007, 303) არსებითად შემდეგნაირად

მსჯელობს (შეადარეთ, ასევე BGH, Urteil vom 08.12.2016 - III ZR 89/15 - NJW 2017, 1735):

22. „ZPO-ს §185-ის დარღვევით განხორციელებული უწყების ოფიციალური ჩაბარება, უმაღლესი ფედერალური სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, არ იწვევს ... ZPO-ს §188-ით გათვალისწინებული უწყების ჩაბარების ფიქციის ამოქმედებას და ამით ვადის დენის დაწყებას (BGHZ 149, 311...). ყოველ შემთხვევაში, ეს წესი მოქმედებს მაშინ, როდესაც უწყების ოფიციალური ჩაბარება, არ უნდა დანიშნულიყო, საბუთების გულმოდგინედ შემოწმებისას, ანუ მისი მცდარობა სასამართლოსთვის ცხადი იყო (...). ისეთ შემთხვევაში, რომელსაც აქ უმაღლესი ფედერალური სასამართლო გულისხმობს, პროცესი რეალურად არ სრულდება. იგი შეცდომის აღმოჩენის შემთხვევაში უნდა გაგრძელდეს ისე, რომ ამისათვის პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა საჭირო აღარ იყოს (BGHZ 149, 311). ბათილობის სარჩელი, ამით, საფუძველს მოკლებულია...

23. შედეგად, ეს იმას ნიშნავს..., რომ ZPO-ს §185-ის აშკარად მცდარად გამოყენებით გამოტანილი გადაწყვეტილება უწყების ოფიციალურად ჩაბარების შესახებ მხოლოდ იმას იწვევს, რომ ვადის დენა არ იწყება, სხვა მხრივ კი იგი, თავისი იურიდიული მოქმედების თვალსაზრისით, ხელშეუხებელია. ZPO-ს §188-ის ასეთი შემზღუდავი განმარტება ობიექტურადაც მიზანშეწონილია, რადგან ZPO-ს §185-ის გამოყენებისას, სასამართლოს შეცდომებისგან ეფექტური სამართლებრივი დაცვის მოთხოვნისა და სასამართლო მოსმენის მოთხოვნის უფრო მიზანმიმართულად და სისტემასთან თავსებადად დაცვა შეუძლებელია.

24. ბ) რესტიტუციის საფუძვლები GER-ZPO-ს § 580-ში აშკარად უფრო შემზღუდველად არის ჩამოყალიბებული, ვიდრე საქართველოს სსკ-ს 423-ე მუხლში. ამის მიზეზია ის, რომ გერმანული საპროცესო სამართალი სასამართლო გადაწყვეტილების მატერიალურ და ფორმალურ კანონიერ ძალას, სამართლებრივი უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის მიზნებიდან გამომდინარე, უფრო ძლიერად იცავს, ვიდრე ქართული სამოქალაქო საპროცესო სამართალი. გერმანული საპროცესო სამართალი რესტიტუციას მხოლოდ მაშინ ითვალისწინებს, როდესაც წინა სასამართლო პროცესი ან წინასწარ პროცესზე გამოტანილი გადაწყვეტილება ისეთ სერიოზულ ნაკლს შეიცავს, რომ სამართლებრივმა უსაფრთხოებამ მატერიალური სამართლიანობის პრინციპის წინაშე უკან უნდა დაიხიოს. მისი მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ შესაძლებელი გახადოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებების სასამართლო გადამოწმება, როდესაც მათი საფუძველი ყველასთვის ცხადად, ზოგადი სამართლიანობის განცდისთვის მიუღებლად, შერყეულია (BGH, Urteil vom 21.01.1988 - III ZR 252/86 - BGHZ 103, 121).

25. აა) საქართველოს სსკ-ს 423-ე მუხლის პირველი ნაწილის lit. ა)-დან ბ)-მდე და ზ)-ს რესტიტუციის საფუძვლები (ნაწილობრივ, ენობრივად მსუბუქად მოდიფიცირებული რედაქციით) ასევე გვხვდება GER-ZPO-ს § 580-ში. საქართველოს სსკ-ს 423-ე მუხლის მე-2 აბზაცში მოცემული დებულებაც, შინაარსობრივად, დიდწილად შეესაბამება GER-ZPO-ს § 581-ის პირველ აბზაცს. საქართველოს სსკ-ს 423-ე მუხლის პირველი ნაწილის lit. ე) და ვ)-ში მოცემული დებულებები გერმანულ სამართალში ნაწილობრივ სხვაგვარად არის ჩამოყალიბებული ან უცნობია.

26. ქართულში, ისევე როგორც გერმანულ სამართალში, რესტიტუციის საფუძვლებთან დაკავშირებით ისმის კითხვა, თუ რა წინაპირობების შემთხვევაში „ეფუძნება“ მათ წინასწარ პროცესზე გამოტანილი გადაწყვეტილება ან შესაბამისად, - როგორც ეს გერმანულ სამოქალაქო-საპროცესო კოდექსშია ფორმულირებული - რა შემთხვევაშია იგი „დაფუძნებული“ რესტიტუციის საფუძველზე ან რა შემთხვევაში გამოინვევდა იგი „უფრო ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას“. ამისი ზოგადი წინაპირობა ისაა, რომ რესტიტუციის საფუძველსა და წინა გადაწყვეტილებას შორის მიზეზობრივი კავშირი უნდა არსებობდეს (BGH, Urteil vom 21.02.1988 – III ZR 252/86 - BGHZ 103, 121). დოკუმენტის შემდგომში აღმოჩენის თაობაზე (ქართული სსკ-ს 423-ე მუხლის პირველი ნაწილის lit. ვ-ით გათვალისწინებული რესტიტუციის დამატებითი საფუძვლები გერმანულ სამართალში ცნობილი არ არის) უმაღლესი ფედერალური სამართლო (Urteil vom 28.02.2007 - II ZR 95/04 – BGHZ 171, 232), სხვათა შორის, განმარტავს:

27. „კანონიერ ძალაში შესული საბოლოო გადაწყვეტილებით დასრულებული საქმის წარმოების განახლება, ZPO-ს § 580-ის ნომერი 7-ის lit. ბ-ს მიხედვით, მხოლოდ იმ შემთხვევაშია დასაშვები, თუ შემდგომში აღმოჩნდება საბუთი, რომელსაც წარმოების განახლების მოსარჩელისთვის წინა პროცესზე უფრო ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანა მოჰყვებოდა შედეგად. რესტიტუციის პროცესის მოსამართლემ უნდა ჰკითხოთ საკუთარ თავს, როგორ გადაწყდებოდა წინასწარი პროცესი მაშინ, თუ გარდა მთელი საპროცესო მასალისა, რომელიც მას ბოლო ზეპირი განხილვის მომენტში წინასწარ პროცესზე გააჩნდა, ახლა წარმოდგენილი საბუთიც ექნებოდა გათვალისწინებული? (BGHZ 6, 354).

აქედან დასკვნა, რომ იმის შესამოწმებლად, მოჰყვებოდა თუ არა შემდგომში აღმოჩენილ საბუთს მხარისთვის „უფრო ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანა“ შედეგად, პრინციპში, შეიძლება, პირველი პროცესის საპროცესო მასალა ამ საბუთთან, ანუ ამ საბუთში ასახულ შინაარსთან ერთად გამოვიყენოთ და მისი, როგორც საბუთის, მტკიცებულებით ღირებულებასთან კომბინაციაში განვიხილოთ (BGHZ 38, 333; vgl.

auch BGHZ 6, 354). ამიტომ, გარემოებები, რომლებიც გადანყვეტილების გამოტანის მომენტში უკვე უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი, მაგრამ მხოლოდ საბუთის აღმოჩენის შედეგად გამოაშკარავდა შეიძლება მაშინაც კი არ გაითვალისწინონ, თუ მათ რესტიტუციის მოპასუხე დაუშვებს. საქმის წარმოების განახლების თაობაზე განაცხადის წარმატებისთვის გადამწყვეტი არ არის, თუ რა პოზიციას გამოხატავს მოპასუხე რესტიტუციის მოსარჩელის მიერ უკვე დოკუმენტური მტკიცებულებით წარმოდგენილ მტკიცებებთან დაკავშირებით; პირიქით, რესტიტუციური სარჩელი რესტიტუციის მოპასუხის საპროცესო ქცევისგან განცალკევებულად უნდა დასაბუთდეს.

თუმცა, ეს პრინციპები იქ შეიძლება შეიზღუდოს, სადაც ეს აუცილებელი ჩანს იმისათვის, რომ რესტიტუციის მოსამართლეს იმის გააზრებულად შემონგების შესაძლებლობა მიეცეს, შეიძლებოდა თუ არა, შემდგომში აღმოჩენილ საბუთს შედეგადნინა პროცესის განსხვავებული გადანყვეტილება მოჰყოლოდა...“

28. სხვა გადანყვეტილებაში უმაღლესმა ფედერალურმა სასამართლომ (Urteil vom 21.10.2004 – IX ZR 59/04 - BGHZ 161, 1) ეს პრინციპები ისე დააკონკრეტა, რომ რესტიტუციის საფუძველი მაშინაც არსებობს, როდესაც სწორედ შემდგომში აღმოჩენილი გადანყვეტილება უბიძგებს რესტიტუციის მოსარჩელეს, რომ წინასწარი პროცესის საწინააღმდეგო მოსაზრება სადავო გახადოს. GER-ZPO-ს § 580-ის პირველი აბზაცის lit. a)-დან c)-მდე (საქართველოს სსკ-ს 423-ე მუხლის პირველი ნაწილის lit. ა) და ბ)-ს მსგავსია) ჩამოყალიბებული რესტიტუციის საფუძველებისას, სამოქალაქო სასამართლო სისხლის სამართლის პროცესზე გამოტანილი, ძალაში შესული განაჩენით შებოჭილი კი არ არის, არამედ ვალდებულია, თავად დარწმუნდეს დასჯადი ქმედების არსებობაში (BGH, Urteil vom 22.09.1982 - IVb ZR 576/80 - BGHZ 85, 32).

29. ბბ) საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ რესტიტუციის ცალკეულ საფუძველებთან დაკავშირებით, გერმანიის პერსპექტივიდან, აღსანიშნავია:

30. (1) საქართველოს სსკ-ს 423-ე მუხლის პირველი ნაწილის lit. ე)-სგან არსებითი განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ GER-ZPO-ს § 580-ის ნომერი 7-ის lit. a)-ს თანახმად, რესტიტუციური სარჩელის შეტანის შესაძლებლობა მხოლოდ იმ შემთხვევაში არსებობს, თუ სხვა **გადანყვეტილება უფრო ადრეა ძალაში შესული**. სამართლებრივი დოგმატიკის თვალსაზრისით, ეს ლოგიკურია იმდენად, რამდენადაც მხოლოდ წინასწარ პროცესზე გამოტანილი გადანყვეტილება შეიძლება იყოს წინააღმდეგობაში მანამდე ძალაში შესული გადანყვეტილების მატერიალური კანონი-

რი ძალის მოქმედებასთან და ამით, ობიექტურად შეიცავდეს სერიოზულ საპროცესო შეცდომას.

31. ქართული სამოქალაქო-საპროცესო კოდექსი, სსკ-ს 423-ე მუხლის პირველი ნაწილის lit. ე)-ს სიტყვასიტყვითი რედაქციის მიხედვით, ასეთ შეზღუდვას, ანუ მანამდე ძალაში შესული გადაწყვეტილების წარდგენას, არ ითვალისწინებს. თუმცა, ბევრი რამ მიუთითებს იმაზე, რომ ქართული სამოქალაქო საპროცესო სამართალიც ამგვარად უნდა იყოს გაგებული. ერთი მხრივ, ასეთი გაგება, ყოველ შემთხვევაში, გერმანული პერსპექტივიდან, იმიტომ არის სამართლებრივი დოგმატიკის თვალსაზრისით ლოგიკური, რომ მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, გამოტანილი გადაწყვეტილება მანამდე ფორმალურად ძალაში შესული გადაწყვეტილების მატერიალურ კანონიერ ძალასთან წინააღმდეგობაში იყოს და ამით - სერიოზული საპროცესო შეცდომის შემცველიც. მეორე მხრივ, კი ქართული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის სიტყვასიტყვითი რედაქცია, შეიძლება, ისეც გავიგოთ, თითქოს მატერიალური კანონიერი ძალის მოქმედების თვალსაზრისით, ერთმანეთთან წინააღმდეგობაში მყოფი ორივე გადაწყვეტილების წინააღმდეგ რესტიტუციის პროცედურის წარმოება შეიძლებოდეს. თუმცა, ეს აზრს იქნებოდა მოკლებული, რადგან ობიექტურად თავიდანვე ცხადია, რომ ჯერ ფორმალურად კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების მატერიალური კანონიერი ძალის ეფექტი უნდა დადგეს. ამიტომ, ლოგიკურია, რომ რესტიტუციის პროცესი თავიდანვე მხოლოდ იმ გადაწყვეტილების მიმართ გაითვალისწინონ, რომელსაც სხვა გადაწყვეტილების მატერიალური კანონიერი ძალის მოქმედების დარღვევა შეუძლია, ანუ იმ გადაწყვეტილების მიმართ, რომელმაც ფორმალურად კანონიერი ძალა უფრო გვიან შეიძინა.

32. (2) ქართული სამოქალაქო-საპროცესო კოდექსის სიტყვასიტყვითი რედაქციის მიხედვით, უფრო ძირეული ჩანს განსხვავებები, რომლებიც **გადაწყვეტილების გამოტანისთვის მნიშვნელოვანი ახალი გარემოებების** მიმართ მოქმედ, საპროცესო-სამართლებრივ მიდგომაში არსებობს. როგორც უკვე დეტალურად განიმარტა (აღნიშნულის თაობაზე იხილეთ ზემოთ, ა.ნ. 2 და მომდევნო და მე-10 მუხლის ა.ნ. 35 და მომდევნო აბზაცები), გერმანულ სამოქალაქო საპროცესო სამართალში ყველა გარემოება, რომელიც ობიექტურად ზეპირი განხილვის დასრულებამდეა წარმოსობილი, მატერიალური კანონიერი ძალის ეფექტით გამორიცხულია. ეს წესი მოქმედებს მიუხედავად იმისა, შეეძლო თუ არა მათ შესახებ სცოდნოდა ამ გარემოებებიდან სარგებლის მიმღებ მხარეს. ზეპირი განხილვის დასრულების შემდეგ ფაქტების დამდგენ ინსტანციაში წარმოსობილი „ახალი“ ფაქტები კი, გერმანულ სამოქალაქო საპროცესო სამართალში, პირიქით, მატერიალური კანონიერი ძალის მოქმედებაში თავი-

დანვე არ მონაწილეობს (აღნიშნულის თაობაზე იხილეთ ზემოთ, ა.ნ. 2 და მომდევნო და მე-10 მუხლის ა.ნ. 35 და მომდევნო აბზაცები).

33. აღნიშნულის საპირისპიროდ, ქართული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის სიტყვასიტყვითი რედაქციის მიხედვით, ასეთ ვითარებაში რესტიტუციური სარჩელის შეტანა, შეიძლება, დასაშვებია იყოს. გერმანული პერსპექტივიდან, ასეთი საკანონმდებლო კონცეფცია, ცხადია, შეუთავსებელია მატერიალური კანონიერი ძალის მოქმედების ფუნქციასა და რესტიტუციური სარჩელის არსთან. ყოველ შემთხვევაში, როდესაც „ახალი“ ფაქტი წინასწარ პროცესზე გამოტანილი გადაწყვეტილებიდან მხოლოდ ხუთი წლის გასვლის შემდეგ არის წარმოშობილი, სავარაუდოა, რომ კანონის ასეთი დებულება, იმავდროულად, საკონსტიტუციო-სამართლებრივი თვალსაზრისითაც უკიდურესად საეჭვო იყოს, ვინაიდან ამ შემთხვევაში რესტიტუციური სარჩელი, საქართველოს სსკ-ის 426-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, დაუშვებელი იქნებოდა. ეფექტური სამართლებრივი დაცვის საკონსტიტუციო-სამართლებრივი პრინციპისა და განსაკუთრებით, საკონსტიტუციო-სამართლებრივი საკუთრების გარანტიის, აღნიშნულთან დაკავშირებული, დარღვევა, ყოველ შემთხვევაში გერმანული საკონსტიტუციო სამართლის პერსპექტივიდან, ობიექტურად გაუმართლებელი იქნებოდა.

34. ამიტომ, ბევრი რამ მიუთითებს იმაზე, რომ ბუნდოვანი სიტყვასიტყვითი რედაქციის მიუხედავად, საქართველოს სსკ-ს 423-ე მუხლის პირველი ნაწილის lit. ფ)-ს გაგებით, „ახლად“ მხოლოდ ის ფაქტები და მტკიცებულებები მიიჩნევა, რომლებიც ობიექტურად უკვე წინა პროცესის ზეპირი განხილვის დასრულებამდე არსებობდა, მაგრამ მტკიცების ტვირთის მატარებელი მხარისთვის არაბრალეულად იყო უცნობი. „ახალი“ იქნებოდა მაშინ არა ობიექტურად ახლად წარმოშობილი, არამედ „ახლად“ აღმოჩენილი ფაქტები და მტკიცებულებები. ასეთი განმარტების სასარგებლოდ მეტყველებს ასევე საკანონმდებლო სისტემატიკის თვალსაზრისით, საქართველოს სსკ-ს 423-ე მუხლის მე-3 ნაწილი. კერძოდ, მასში განხილული ბრალის საკითხი, უცილობლად, მხოლოდ ობიექტურად უკვე არსებულ ფაქტებსა და მტკიცებულებებს შეიძლება ეხებოდეს. იმ გარემოებების თვალსაზრისით, რომლებიც მხოლოდ მომავალში წარმოიშობა, ეს საკითხი თავიდანვე არ დგება.

35. (3) მიუხედავად არსებითად მსგავსი ფაქტობრივი წინაპირობებისა, საქართველოს სსკ-ს 423-ე მუხლის პირველი ნაწილის lit. დ)-სა და გერმანულ სამართლებრივ მდგომარეობას შორისაც მნიშვნელოვანი განსხვავება არსებობს, რადგან გერმანული სამართლისთვის საქართველოს სსკ-ს 426-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული გამორიცხვის ვადა უცნობია. აქვე (ა.ნ. 33-ში) წარმოდგენილი მიზეზების გამო, საკონსტიტუციო-სამართლებრივი თვალსაზრისით, თუ უკიდურესად სა-

ეჭვო იქნებოდა, რომ ქართულ სამოქალაქო-საპროცესო სამართალს ახლად წარმოშობილი ფაქტების გათვალისწინებლობა არ დაეშვა, როგორც კი ამოინურებოდა საქართველოს სსკ-ს 426-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული ხუთწლიანი ვადა, ფორმალური კანონიერი ძალის დიდი მნიშვნელობის, მისი განსაკუთრებით სამართლებრივი მშვიდობისა და სამართლებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფი ფუნქციის გათვალისწინებით, სავარაუდოა, რომ გამორიცხვის ვადის კონსტიტუციურობასთან დაკავშირებით ეჭვები უფრო არ იარსებებს. ეს მით უმეტეს მოქმედებს, რადგან ამ დებულებით სავარაუდოდ წარმოშობილი სამართლიანობის დეფიციტები, გარკვეული საქმეებისთვის, ქართული სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საშუალებით შემცირდება.

36. მაგრამ, სხვა მხრივ, საქართველოს სსკ-ს 423-ე მუხლის პირველი ნაწილის lit. დ) და მისი შესაბამისი დებულებები (GER-ZPO-ს § 580-ის ნომერი 6) გერმანულ სამართალში, ძირითადად, მსგავსია. აღნიშნულზე დაფუძნებული რესტიტუციის საფუძველი სახეზეა მაგალითად, როდესაც პატენტის დარღვევის შედეგად ზიანის ანაზღაურების თაობაზე კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების შემდეგ, გადაწყვეტილების საფუძველი ბათილობის პროცესზე პატენტის ბათილად ცნობის გამო, აღარ არსებობს (BGH, Urteil vom 10.01.2017 – X ZR 17/13 - BGHZ 213, 238; BGH, Beschluss vom 17.07.2018 - KZR 35/17 - WuW 2018, 535). ინტელექტუალური საკუთრების დაცვისა და (პრაქტიკაში იშვიათი) პრეიუდიციული ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობის გარდა (შეადარეთ, მაგ. BAG, Urteil vom 17.06.1998 - 2 AZR 519/97 - juris), ეს დებულება გერმანიაში საკმაოდ უმნიშვნელოა. განსაკუთრებით, სამოქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებას (გარდა დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების მხოლოდ ეფექტის განსაკუთრებული შემთხვევებისა [აღნიშნულის თაობაზე იხილეთ მე-10 მუხლის ა.ნ. 46]), არ შეუძლია, რომ სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილ განაჩენს დაეყრდნოს, რადგან სამოქალაქო მოსამართლემ, თავისი რწმენა გერმანიაში ფაქტობრივად მომხდარი შემთხვევის შესახებ, სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილ განაჩენში წარმოდგენილი შეფასებებისგან დამოუკიდებლად უნდა ჩამოიყალიბოს.

37. (4) რესტიტუციური სარჩელი **მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილების** წინააღმდეგ არ შეიძლება, თუკი ამით კანონმდებლის მიერ GER-ZPO-ს § § 345, 514-ით ან შესაბამისად, საქართველოს სსკ-ს 242-ე მუხლით დასახულ მიზანს (აღნიშნულის თაობაზე იხილეთ 229-ე და მომდევნო მუხლების ა.ნ. 16 და მომდევნო აბზაცები) ზიანი მიადგება (BGH, Urteil vom 06.10.2011 - IX ZB 148/11 - NJW-RR 2011, 1692 für das Auffinden einer neuen Urkunde; § 580 Nr. 7b GER-ZPO).

ანბანური საძიებელი (გერმანულ-ქართული)

Abänderungsklage სარჩელი სასამართლო გადაწყვეტილების შეცვლის მოთხოვნით	177-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 14
Ablehnung, siehe Befangenheit აცילה, იხ. მიკერძოებულობა	
Actio pro socio	79-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 16
Akzessorietät, Rechtskraftwirkung აქცესორულობა, კანონიერი ძალის მოქმედება	მე-10 მუხლი, ა.ნ. 60 და მომდევნო აბზაცები
Amtsgericht საერთო სასამართლო	243-ე მუხლი, ა.ნ. 4
Anerkenntnisurteil სასამართლოს გადაწყვეტილება მოპასუხის მიერ სარჩელის აღიარების საფუძველზე - Kostenentscheidung bei sofortigem Anerkenntnis სასამართლო გადაწყვეტილება საპროცესო ხარჯების განაწილებისა და გადახდევინების შესახებ, მოპასუხის მიერ სარჩელის აღიარების საფუძველზე დაუყოვნებლივ მიღებული გადაწყვეტილებისას	მე-3 მუხლის მე-2 ნაწილი, ა.ნ. 79 და მომდევნო აბზაცები 177-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 30
Anhörungsrüge საყვედური მოსმენის თაობაზე	მე-10 მუხლი, ა.ნ. 8
Anscheinsbeweis, siehe Beweislast აშკარა (უდავო) მტკიცება, იხ. მტკიცების ტვირთი	
Anschlussberufung შეგებებული სააპელაციო საჩივარი	364-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 89
Anschlussrevision შეგებებული საკასაციო საჩივარი	399-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 7

Appellation, siehe Berufung

აპელაცია, იხ. სააპელაციო საჩივარი

Arrest, siehe auch einstweilige Verfügung

ყადალა, იხ. ასევე, დროებითი განკარგულება

- Arrestgrund

ყადალის საფუძველი

- bei vorsätzlicher Straftat

განზრახ ჩადენილი დანაშაულისას

- restriktives Verständnis

შეზღუდული გაგება

- unlauteres Verhalten

არაკეთილსინდისიერი ქცევა

- Geldforderungen

ფულადი მოთხოვნები

191-ე და მომდევნო მუხლები

191-ე და მომდევნო მუხლები,

ა.ნ. 4 და მომდევნო აბზაცები

191-ე და მომდევნო მუხლები,

ა.ნ. 7

191-ე და მომდევნო მუხლები,

ა.ნ. 4 და მომდევნო აბზაცები

191-ე და მომდევნო მუხლები,

ა.ნ. 4

191-ე და მომდევნო მუხლები,

ა.ნ. 3

Aufrechnung

გაქვითვა

- Beschwerdewert

საჩივრის ღირებულება

- keine Rechtshängigkeit

საქმის სასამართლო წარმოებაში არარსებობა

- Rechtskraftwirkung

კანონიერი ძალის მოქმედება

- Verhältnis zur Widerklage

დამოკიდებულება შეგებებულ სარჩელთან

364-ე და მომდევნო მუხლები,

ა.ნ. 19 და მომდევნო აბზაცები

მე-3 მუხლის მე-2 ნაწილი, ა.ნ.

24

მე-10 მუხლი, ა.ნ. 48 და

მომდევნო აბზაცები

188-ე და მომდევნო მუხლები,

ა.ნ. 9

Auskunftsansprüche

ინფორმაციის მოთხოვნის უფლებები

- Beschwer

ფინანსური ტვირთი

102-ე მუხლი, ა.ნ. 54 და

მომდევნო აბზაცები

364-ე და მომდევნო მუხლები,

ა.ნ. 16 და მომდევნო აბზაცები

Auslegung von Prozesshandlungen

საპროცესო მოქმედებების განმარტება

მე-3 მუხლის მე-2 ნაწილი, ა.ნ.

52 და მომდევნო აბზაცები

Auslegung des Urteils

გადანყვეტილების განმარტება

მე-10 მუხლი, ა.ნ. 29 და

მომდევნო აბზაცები

Ausschluss vom Richteramt

მოსამართლის ჩამოცილება

Aussetzung, siehe Unterbrechung

გადადება, იხ. ასევე, შეწყვეტა

29-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ.

2 და მომდევნო აბზაცები

Bedingungsfeindlichkeit von Prozesshandlungen

საპროცესო მოქმედებების უპირობობა

- Bewirkungshandlungen

მე-3 მუხლის მე-2 ნაწილი, ა.ნ. 5

და მომდევნო აბზაცები

მე-3 მუხლის მე-2 ნაწილი, ა.ნ. 4,

სამართლებრივი ეფექტის გამომწვევი საპროცესო მოქმედებები	30 და მომდევნო აბზაცები
- Erwirkungshandlungen საპროცესო მოქმედებები, რომელთა მიზანია სასამართლო გადანწყვეტილების მიღება	მე-3 მუხლის მე-2 ნაწილი, ა.ნ. 4
Befangenheit მიკერძოებულობა	29-ე და მომდევნო მუხლები
- Ablehnungsbefugnis აცილების უფლებამოსილება	29-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 5 და მომდევნო აბზაცები
- Befangenheitsgründe მიკერძოებულობის საფუძვლები	29-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 14 და მომდევნო აბზაცები
- bestimmter Richter განსაზღვრული მოსამართლე	29-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 9 და მომდევნო აბზაცები
- Selbstanzeige მოსამართლის თვითაცილება	29-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 30 და მომდევნო აბზაცები
- Zuständigkeit განსჯადობა	29-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 11 და მომდევნო აბზაცები
Behauptung ins Blaue მტკიცება ვარაუდებზე დაყრდნობით	105-ე მუხლი, ა.ნ. 7 და მომდევნო აბზაცები
Beibringungsgrundsatz შეჯიბრებითობის პრინციპი	მე-3 მუხლის 1-ლი ნაწილი, ა.ნ. 3 და მომდევნო აბზაცები
- Rechtsbegriffe სამართლებრივი ცნებები	მე-3 მუხლის 1-ლი ნაწილი, ა.ნ. 7 და მომდევნო აბზაცები
Beklagtenwechsel მოპასუხის შეცვლა	84-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 21 და მომდევნო აბზაცები; ა.ნ. 26 და მომდევნო აბზაცები
Beklagtenerweiterung მოპასუხის მხარეს მესამე პირად ჩართვა	84-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 25 და მომდევნო აბზაცები
Beratung, richterliche თათბირი (მოსამართლეთა)	243-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 1 და მომდევნო აბზაცები
beratungsgerechtes Verhalten კონსულტაციის შესატყვისი ქცევა	102-ე მუხლი, ა.ნ. 20 და მომდევნო აბზაცები
Berichterstatter მომხსენებელი	243-ე მუხლი, ა.ნ. 23
Berichtigung des Rubrums გადაწყვეტილების შესავალი ნაწილის შესწორება	84-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 28 და მომდევნო აბზაცები

Bevollmächtigte, Verschuldenszurechnung

უფლებამოსილი პირი, ბრალის შერაცხვა

264-ე მუხლი, ა.ნ. 20 და

მომდევნო აბზაცები

Berufung

აპელაცია

- Anschlussberufung
შეგებებული სააპელაციო საჩივარი
- Behandlung von Hilfsanträgen
შუამდგომლობის მოთხოვნების განხილვა
- Berufungsbegründungsschrift
სააპელაციო საჩივრის წერილობითი დასაბუთება

- Berufungsantrag
სააპელაციო განაცხადი
- Beweiswürdigung
მტკიცებულებათა შეფასება
- Rüge der Rechtsverletzung
შეპასუხება უფლების დარღვევაზე
- einheitlicher Streitgegenstand
ერთიანი დავის საგანი
- mehrere Streitgegenstände
რამდენიმე დავის საგანი
- Rechtserheblichkeit der Rechtsverletzung
უფლების დარღვევის სამართლებრივი არსი
- Verfahrensfehler
საპროცესო შეცდომა
- Berufungsgründe
აპელაციის საფუძვლები
- Bindung an die Berufungsgründe
აპელაციის საფუძვლებით შეზღუდვა
- Berufungsschrift
სააპელაციო განაცხადი
- Beschwer
ფინანსური ტვირთი
- Begründungselemente
დასაბუთების ელემენტები
- formelle Beschwer
ფორმალური ფინანსური ტვირთი
- materielle Beschwer
მატერიალური ფინანსური ტვირთი
- unbezifferte Klageanträge
ციფრების მითითების გარეშე წარმოდგენილი სასარჩელო განცხადებები
- Beschwerdewert
საჩივრის ღირებულება
- Aufrechnungsforderung

364-ე და მომდევნო მუხლები

- 364-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 89 და მომდევნო აბზაცები
- მე-3 მუხლის მე-2 ნაწილი, ა.ნ. 38 და მომდევნო აბზაცები
- 364-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 4, 44 და მომდევნო აბზაცები
- 364-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 48
- 364-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 58 და მომდევნო აბზაცები
- 364-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 49 და მომდევნო აბზაცები
- 364-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 51 და მომდევნო აბზაცები
- 364-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 55 და მომდევნო აბზაცები
- 364-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 57
- 364-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 70
- 364-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 6 და მომდევნო აბზაცები
- 364-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 71
- 364-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 11 და მომდევნო აბზაცები
- 364-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 27 და მომდევნო აბზაცები
- 364-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 40 და მომდევნო აბზაცები
- 364-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 35 და მომდევნო აბზაცები
- 364-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 33 და მომდევნო აბზაცები
- 364-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 37

- 364-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 13 და მომდევნო აბზაცები
- 364-ე და მომდევნო მუხლები,

- გაქვითვის მოთხოვნა
- **Auskunftsklagen**
სარჩელები ინფორმაციის მიღების თაობაზე
 - **Hilfsantrag**
შუამდგომლობა
 - **Klagehäufung**
სარჩელთა გაერთიანება
 - **Widerklage**
შეგებებული სარჩელი
 - **Zug-um-Zug Verurteilung**
ერთდროულად შესრულების დაკისრება
 - **Fristversäumnis, siehe Wiedereinsetzung**
ვადის გაშვება, იხ. პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენა
 - **Hinweispflicht**
მითითების მოვალეობა
 - **Klägerwechsel**
მოსარჩელის შეცვლა
 - **Klageänderung**
სარჩელის შეცვლა
 - **neuer Tatsachenvortrag**
ახალი ახსნა-განმარტება ფაქტებთან დაკავშირებით
 - **Rechtsmittelverzicht**
მხარის უარი სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრებაზე
 - **Verfahrensfehler**
საპროცესო შეცდომა
 - **Widerklage**
შეგებებული სარჩელი
 - **Überprüfung der Tatsachenfeststellung**
ფაქტებთან დაკავშირებული დასკვნების შემოწმება
 - **Tenorierungsbeispiele**
გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მაგალითები
 - **Verfahrensablauf**
საქმის განხილვის მიმდინარეობა
 - **Verschlechterungsverbot**
გაუარესების აკრძალვა
 - **Zulässigkeit**
დასაშვებობა
 - **Zurückverweisung an Vorinstanz**
საქმის ქვედა ინსტანციისთვის დაბრუნება
 - **Zurückweisung verspäteten Vorbringens**
უარი დაგვიანებული ჩვენების მიღებაზე
- ა.ნ. 19 და მომდევნო აბზაცები
364-ე და მომდევნო მუხლები,
ა.ნ. 16 და მომდევნო აბზაცები
364-ე და მომდევნო მუხლები,
ა.ნ. 21 და მომდევნო აბზაცები
364-ე და მომდევნო მუხლები,
ა.ნ. 21 და მომდევნო აბზაცები
364-ე და მომდევნო მუხლები,
ა.ნ. 21 და მომდევნო აბზაცები
364-ე და მომდევნო მუხლები,
ა.ნ. 18
- მე-4 მუხლი, ა.ნ. 22 და
მომდევნო აბზაცები
84-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ.
13 და მომდევნო აბზაცები
83-ე მუხლი, ა.ნ. 12 და
მომდევნო აბზაცები
364-ე და მომდევნო მუხლები,
ა.ნ. 81 და მომდევნო აბზაცები
246-ე მუხლი, ა.ნ. 6
- 364-ე და მომდევნო მუხლები,
ა.ნ. 81 და მომდევნო აბზაცები
188-ე და მომდევნო მუხლები,
ა.ნ. 17
105-ე მუხლი, ა.ნ. 105 და
მომდევნო აბზაცები
364-ე და მომდევნო მუხლები,
ა.ნ. 101 და მომდევნო აბზაცები
- 364-ე და მომდევნო მუხლები,
ა.ნ. 2 და მომდევნო აბზაცები
364-ე და მომდევნო მუხლები,
ა.ნ. 92 და მომდევნო აბზაცები
364-ე და მომდევნო მუხლები,
ა.ნ. 10 და მომდევნო აბზაცები
364-ე და მომდევნო მუხლები,
ა.ნ. 81 და მომდევნო აბზაცები
105-ე მუხლი, ა.ნ. 125 და
მომდევნო აბზაცები

Beschwer

ფინანსური ტვირთი

- Beschwerdewert
საჩივრის ღირებულება

364-ე და მომდევნო მუხლები,
ა.ნ. 27 და მომდევნო აბზაცები
364-ე და მომდევნო მუხლები,
ა.ნ. 13 და მომდევნო აბზაცები

Beschwerde, sofortige

დაუყოვნებლივი საჩივარი

414-ე და მომდევნო მუხლები

Beweisantritt

მტკიცებულების წარმოდგენა

- Ausforschungsbeweis
მხარის პირადი ცხოვრების გასარკვევად
მიმართული მტკიცებულება
- Beweisantritt für Vertragsschluss
ხელშეკრულების დადების დამადასტურებელ
მტკიცებულებათა წარმოდგენა
- Beweisantritt ins Blaue
მტკიცებულებათა წარმოდგენა „ვარაუდზე“
დაყრდნობით
- Hinweispflicht
მითითების მოვალეობა
- ungeeignetes Beweismittel
გამოუსადეგარი მტკიცებულებები
- Zurückweisung des Beweisantritts
უარი შემოთავაზებული მტკიცებულებების
მიღებაზე

105-ე მუხლი, ა.ნ. 19

105-ე მუხლი, ა.ნ. 20 და
მომდევნო აბზაცები

105-ე მუხლი, ა.ნ. 19

მე-4 მუხლი, ა.ნ. 15

105-ე მუხლი, ა.ნ. 35 და
მომდევნო აბზაცები

105-ე მუხლი, ა.ნ. 34

Beweislast

მტკიცების ტვირთი

- Anscheinsbeweis
პრეიუდიციული ძალის მქონე ფაქტების
პრინციპები
 - allgemeine Lebenserfahrung
საყოველთაო ცხოვრებისეული გამოცდილება
 - Entkräftung/Erschütterung
ძალის გამოცლა/ შეწყვეტა
 - Prüfschema
შემოწმების სქემა
 - Willensentschließungen
ნების გამოვლენები
- Auskunftsansprüche
ინფორმაციის მოთხოვნის უფლებები
- beratungsgerechtes Verhalten
კონსულტაციის შესატყვისი ქცევა
- Bereicherungsrecht
უსაფუძვლო გამდიდრების სამართალი

102-ე მუხლი

102-ე მუხლი, ა.ნ. 6 და
მომდევნო აბზაცები

102-ე მუხლი, ა.ნ. 7 და
მომდევნო აბზაცები

102-ე მუხლი, ა.ნ.22 და
მომდევნო აბზაცები

102-ე მუხლი, ა.ნ. 25

102-ე მუხლი, ა.ნ. 19 და
მომდევნო აბზაცები

102-ე მუხლი, ა.ნ. 54 და
მომდევნო აბზაცები

102-ე მუხლი, ა.ნ. 20 და
მომდევნო აბზაცები

102-ე მუხლი, ა.ნ. 49

- Beweislastumkehr
მტკიცების ტვირთის შებრუნება
- **medizinischer Bereich**
სამედიცინო სფერო
- **Verantwortungsbereich des Beweisgegners**
მტკიცების მოწინააღმდეგის
პასუხისმგებლობის სფერო
- **Vertragsurkunden**
ხელშეკრულების დედნები
- **Überwachungspflichten**
ზედამხედველობის ვალდებულებები
- **Beweisnot**
მტკიცებულების წარმოდგენის შეუძლებლობა
- **Beweisvereitelung**
მტკიცებულების წარმოდგენის ხელშეშლა
- **gesetzliche Regelungen**
კანონის დებულებები
- **Grundprinzip**
ზოგადი პრინციპი
- **materielles Recht**
მატერიალური სამართალი
- **Indizienbeweis**
არაპირდაპირი მტკიცებულება
- **negative Feststellungsklage**
ნეგატიური აღიარებითი სარჩელი
- **negative Tatsachen**
ნეგატიური ფაქტები
- **Schadensschätzung**
ზიანის შეფასება
- **Schmiergeldabrede**
მორიგება ქრთამის მიცემაზე
- **sekundäre Darlegungslast**
მითითების მეორადი ტვირთი
- **Versicherungsvertragsrecht**
დაზღვევის ხელშეკრულების სამართალი
- **Vertragsurkunden**
წერილობითი ხელშეკრულებები
- **Vier-Augen-Gespräch**
ორ პირს შორის საუბარი
- **Waffengleichheit**
თანასწორი შესაძლებლობების პრინციპი
- **Wahrnehmungsbereich des Beweisgegners**
მტკიცების მოწინააღმდეგე მხარის აღქმის სფერო

102-ე მუხლი, ა.ნ. 57 და მომდევნო აბზაცები
102-ე მუხლი, ა.ნ. 60 და მომდევნო აბზაცები
102-ე მუხლი, ა.ნ. 63 და მომდევნო აბზაცები
102-ე მუხლი, ა.ნ. 65 და მომდევნო აბზაცები
102-ე მუხლი, ა.ნ. 58
მე-4 მუხლი, ა.ნ. 7; 102-ე მუხლი, ა.ნ. 29 და მომდევნო აბზაცები
102-ე მუხლი, ა.ნ. 33
102-ე მუხლი, ა.ნ. 1
102-ე მუხლი, ა.ნ. 1
102-ე მუხლი, ა.ნ. 2
105-ე მუხლი, ა.ნ. 14 და მომდევნო აბზაცები
მე-10 მუხლი, ა.ნ. 17
102-ე მუხლი, ა.ნ. 45 და მომდევნო აბზაცები
102-ე მუხლი, ა.ნ. 36 და მომდევნო აბზაცები
102-ე მუხლი, ა.ნ. 53ა
102-ე მუხლი, ა.ნ. 44 და მომდევნო აბზაცები
102-ე მუხლი, ა.ნ. 32
102-ე მუხლი, ა.ნ. 65 და მომდევნო აბზაცები
102-ე მუხლი, ა.ნ. 35
102-ე მუხლი, ა.ნ. 35
102-ე მუხლი, ა.ნ. 50 და მომდევნო აბზაცები

Beweissicherungsverfahren 109-ე და მომდევნო მუხლები
მტკიცებულებათა უზრუნველყოფის პროცედურა

Beweisverwertungsverbot

მტკიცებულების გამოყენების აკრძალვა

105-ე მუხლი, ა.ნ. 92 და
მომდევნო აბზაცები

Beweiswürdigung

მტკიცებულებათა შეფასება

105-ე მუხლი

- Änderung des Parteivortrages

105-ე მუხლი, ა.ნ. 23

მხარის ჩვენების შეცვლა

- Antizipation des Beweisergebnisses

105-ე მუხლი, ა.ნ. 38 და

მტკიცებულების შედეგის წინასწარგანჭვრეტა

მომდევნო აბზაცები

- Auslegung von Willenserklärungen

399-ე მუხლი, ა.ნ. 20 და

ნების გამოვლენის განმარტება

მომდევნო აბზაცები

- Begründung der Beweiswürdigung

105-ე მუხლი, ა.ნ. 99 და

მტკიცებულებათა შეფასების დასაბუთება

მომდევნო აბზაცები

- Behauptung ins Blaue

105-ე მუხლი, ა.ნ. 7

„ვარაუდზე“ დაფუძნებული მტკიცება

- Berufungsinstanz

105-ე მუხლი, ა.ნ. 105 და

სააპელაციო ინსტანცია

მომდევნო აბზაცები; 364-ე და

მომდევნო მუხლები, ა.ნ. 58 და

მომდევნო აბზაცები

- Beweisnot

მე-4 მუხლი, ა.ნ. 7; 102-ე მუხლი,

მტკიცებულების წარდგენის შეუძლებლობა

ა.ნ. 29 და მომდევნო აბზაცები

- Beweisregeln

105-ე მუხლი, ა.ნ. 78 და

მტკიცებულებებთან დაკავშირებული წესები

მომდევნო აბზაცები

- Beweisverwertungsverbot, siehe dort

მტკიცებულების გამოყენების აკრძალვა, იხ. იქვე

- Darlegungslast

105-ე მუხლი, ა.ნ. 10 და

გადმოცემის ტვირთი

მომდევნო აბზაცები

- Gesamtschau

105-ე მუხლი, ა.ნ. 31 და

ერთიანი მიმოხილვა

მომდევნო აბზაცები

- Einzelheiten

105-ე მუხლი, ა.ნ. 42 და

დეტალები

მომდევნო აბზაცები

- Geständnis

105-ე მუხლი, ა.ნ. 96 და

ალიარება

მომდევნო აბზაცები

- Glaubwürdigkeit des Zeugen

105-ე მუხლი, ა.ნ. 41

მონმის დამაჯერებლობა

- Grundsatz freier Beweiswürdigung

105-ე მუხლი, ა.ნ. 3 და

მტკიცებულებათა თავისუფალი შეფასების

მომდევნო აბზაცები

პრინციპი

- Durchbrechungen dieses Grundsatzes

105-ე მუხლი, ა.ნ. 77 და

ამ პრინციპის დარღვევა

მომდევნო აბზაცები

- Indizienbeweis

105-ე მუხლი, ა.ნ. 14 და

არაპირდაპირი მტკიცებულება

მომდევნო აბზაცები

- innere Tatsachen

105-ე მუხლი, ა.ნ. 13 და

შინაგანი ფაქტები

მომდევნო აბზაცები

- Kriterien für Beweiswürdigung

105-ე მუხლი, ა.ნ. 51 და

მტკიცებულებათა შეფასების კრიტერიუმები

მომდევნო აბზაცები

- **Interessenlage der Beteiligten**
მონაწილის ინტერესთა ობიექტური სიტუაცია 105-ე მუხლი, ა.ნ. 56 და მომდევნო აბზაცები
- **Logik und Denkgesetze**
ლოგიკა და აზროვნების კანონები 105-ე მუხლი, ა.ნ. 52 და მომდევნო აბზაცები
- **nachvertragliches Verhalten**
ხელშეკრულების შემდგომი ქცევა 105-ე მუხლი, ა.ნ. 60
- **vorvertragliches Verhalten**
ხელშეკრულებამდელი ქცევა 105-ე მუხლი, ა.ნ. 61 და მომდევნო აბზაცები
- **Plausibilität**
სარწმუნოობა 105-ე მუხლი, ა.ნ. 56 და მომდევნო აბზაცები
- **schlüssiges Gesamtbild**
თანმიმდევრული საერთო სურათი 105-ე მუხლი, ა.ნ. 58
- **Zeugensbeweis**
მონმეთა მტკიცებულება 105-ე მუხლი, ა.ნ. 63 და მომდევნო აბზაცები
- **Einzelheiten**
დეტალები 105-ე მუხლი, ა.ნ. 69 და მომდევნო აბზაცები
- **Revisionsinstanz**
საკასაციო ინსტანცია 105-ე მუხლი, ა.ნ. 20 და მომდევნო აბზაცები; ა.ნ. 60 და მომდევნო აბზაცები
- **richterliche Überzeugungsbildung**
მოსამართლის რწმენის ჩამოყალიბება 105-ე მუხლი, ა.ნ. 1 და მომდევნო აბზაცები
- **Einzelheiten**
დეტალები 105-ე მუხლი, ა.ნ. 42 და მომდევნო აბზაცები; ა.ნ. 64 და მომდევნო აბზაცები
- **Sachverständigengutachten**
ექსპერტის დასკვნა 105-ე მუხლი, ა.ნ. 40
- **Strafurteil, Auswirkungen eines**
განაჩენი, მისი მოქმედება 105-ე მუხლი, ა.ნ. 11ა და მომდევნო აბზაცები
- **Urkundsbeweis**
დოკუმენტური მტკიცებულება 105-ე მუხლი, ა.ნ. 79 და მომდევნო აბზაცები
- **Wahrscheinlichkeit, Grad an**
ალბათობა, ხარისხი 105-ე მუხლი, ა.ნ. 43 და მომდევნო აბზაცები; ა.ნ. 64 და მომდევნო აბზაცები
- **Wahrscheinlichkeitsberechnungen**
ალბათობის გამოანგარიშებები 105-ე მუხლი, ა.ნ. 65 და მომდევნო აბზაცები

Bindung an Parteianträge მე-3 მუხლის პირველი ნაწილი, ა.ნ. 18 და მომდევნო აბზაცები
მხარეთა განცხადებების სავალდებულოობა

Bindungswirkung von Urteilen მე-10 მუხლი, ა.ნ. 6 და მომდევნო აბზაცები
გადაწყვეტილებების სავალდებულო ძალა

Bundesgerichtshof 243-ე მუხლი, ა.ნ. 7
უმაღლესი ფედერალური სასამართლო

Chancengleichheit

თანასწორი შესაძლებლობები

მე-4 მუხლი, ა.ნ. 2 და მომდევნო აბზაცები; 102-ე მუხლი, ა.ნ. 35

Darlegungslast, siehe auch Beweislast

გადმოცემის ტვირთი, იხ. ასევე, მტკიცების ტვირთი

105-ე მუხლი ა.ნ. 6 და მომდევნო აბზაცები; ა.ნ. 10 და მომდევნო აბზაცები
105-ე მუხლი, ა.ნ. 12

- Gewährleistungsansprüche

შესრულების საგარანტიო მოთხოვნები

- Maß der Substantiierung

ფაქტების კვალიფიციურად წარმოდგენის ფარგლები

105-ე მუხლი, ა.ნ. 17 და მომდევნო აბზაცები

- Indiztatsachen

მტკიცებულებითი ფაქტები

105-ე მუხლი, ა.ნ. 14 და მომდევნო აბზაცები

- innere Tatsachen

შინაგანი ფაქტები

105-ე მუხლი, ა.ნ. 13 და მომდევნო აბზაცები

- Wahrscheinlichkeit des Parteivortrages

მხარის განმარტების სავარაუდოობა

105-ე მუხლი ა.ნ. 22

Dispositionsmaxime

დისპოზიციურობის პრინციპი

მე-3 მუხლის 1-ლი ნაწილი, ა.ნ. 1 და მომდევნო აბზაცები
მე-3 მუხლის 1-ლი ნაწილი, ა.ნ. 11 და მომდევნო აბზაცები

- nicht bei Verfahrensablauf

არა პროცესის მსვლელობისას

einfache Streitgenossenschaft, siehe Streitgenossenschaft

მარტივი საპროცესო თანამონაწილეობა, იხ. საპროცესო თანამონაწილეობა

einstweilige Verfügung,

დროებითი განკარგულება

- allgemeine Anforderungen

ზოგადი მოთხოვნები

191-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 10 და მომდევნო აბზაცები
191-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 25 და მომდევნო აბზაცები
191-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 19 და მომდევნო აბზაცები
191-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 27 და მომდევნო აბზაცები
191-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 28 და მომდევნო აბზაცები
191-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 30

- Glaubhaftmachung

საკმარისი დასაბუთება

- Inhalt der einstweiligen Verfügung

დროებითი განკარგულების შინაარსი

- Abwägung der Belange

ინტერესების ურთიერთშეჯერება

- keine Vertragserfüllung

ხელშეკრულების შესრულების გამორიცხვა

- Verhältnismäßigkeitsgrundsatz

თანაზომიერების პრინციპი

- Vorwegnahme der Hauptsache

გადანყვეტილების წინასწარ მიღება დავის ძირითად საგანზე

191-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 28 და მომდევნო აბზაცები
191-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 32 და მომდევნო აბზაცები

- Leistungsverfügung

191-ე და მომდევნო მუხლები,

ვალდებულების შესრულების განკარგულება	ა.ნ. 32 და მომდევნო აბზაცები
- allgemeine Voraussetzungen ზოგადი წინაპირობები	191-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 32 და მომდევნო აბზაცები
- Besitzstörung მფლობელობის ხელშეშლა	191-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 38
- Existenzgefährdung არსებობისთვის საფრთხის შექმნა	191-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 36 და მომდევნო აბზაცები
- rechtlicher Prüfungsmaßstab სამართლებრივი შემონმების მასშტაბი	191-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 24
- Regelungsverfügung რეგულირების განკარგულება	191-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 15 და მომდევნო აბზაცები
- Anwendungsbereich გამოყენების სფერო	191-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 16
- Schadenersatzpflicht ზიანის ანაზღაურების ვალდებულება	191-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 40 და მომდევნო აბზაცები
- materielle Schadenersatznorm ზიანის ანაზღაურების მატერიალური ნორმა	191-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 41
- Schadenszurechnung ზიანის მიკუთვნება	191-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 45 და მომდევნო აბზაცები
- Voraussetzungen წინაპირობები	191-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 45 და მომდევნო აბზაცები
- Sicherungsverfügung უზრუნველყოფის განკარგულება	191-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 12 და მომდევნო აბზაცები
- Sicherungszweck უზრუნველყოფის მიზანი	191-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 27 და მომდევნო აბზაცები
- summarische Prüfung ზოგადი სამართლებრივი შემონმება	191-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 24
- Verfahrensgrundsätze საპროცესო პრინციპები	191-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 21 და მომდევნო აბზაცები
- Verfügungsgrund განკარგულების საფუძველი	191-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 10 და მომდევნო აბზაცები

Einzelrichter

ერთპიროვნული გადაწყვეტილების მიღების უფლების მქონე მოსამართლე

243-ე მუხლი, ა.ნ. 21 და მომდევნო აბზაცები

Erledigungserklärung, einseitige

განცხადება დავის დამთავრებასთან დაკავშირებით (ცალმხრივი)

83¹-ე მუხლი, ა.ნ. 22 და მომდევნო აბზაცები

- Zweck und Voraussetzungen
მიზანი და წინაპირობები

83¹-ე მუხლი, ა.ნ. 18

Erledigungserklärung, übereinstimmende

განცხადება დავის დამთავრებასთან დაკავშირებით (თანმხვედრი)

83¹-ე მუხლი, ა.ნ. 17 და მომდევნო აბზაცები

- Wegfall der Rechtshängigkeit

83¹-ე მუხლი, ა.ნ. 18

საქმისწარმოების დასრულება დავის ძირითად საგანზე

Familienachen

243-ე მუხლი, ა.ნ. 4

საოჯახო საქმეები

Feststellungsklage/Feststellungsurteil

180-ე მუხლი

აღიარებითი სარჩელი/აღიარებითი

გადანყვეტილება

- Rechtskraftwirkung

კანონიერი ძალის მოქმედება

მე-10 მუხლი, ა.ნ. 14 და
მომდევნო აბზაცები

- Rechtsschutzbedürfnis

სამართლებრივი დაცვის მოთხოვნილება

180-ე მუხლი, ა.ნ. 3 და

- fehlende Bestimmbarkeit der Leistungsklage

მავალდებულებელი სარჩელის განსაზღვრის შეუძლებლობა

მომდევნო აბზაცები

180-ე მუხლი, ა.ნ. 8 და

მომდევნო აბზაცები

- gegenwärtiges Rechtsverhältnis

მიმდინარე სამართლებრივი ურთიერთობა

180-ე მუხლი, ა.ნ. 13 და

მომდევნო აბზაცები

- negative Feststellungsklage

ნეგატიური აღიარებითი სარჩელი

180-ე მუხლი, ა.ნ. 5 და

მომდევნო აბზაცები

- rechtlicher Hinweis

სამართლებრივი მითითება

180-ე მუხლი, ა.ნ. 12 და

მომდევნო აბზაცები

- Rehabilitierungsinteresse

რეაბილიტაციის ინტერესი

180-ე მუხლი, ა.ნ. 14

- Schadenersatzansprüche

ზიანის ანაზღაურების მოთხოვნები

180-ე მუხლი, ა.ნ. 9

- Subsidiarität

სუბსიდიურობა

180-ე მუხლი, ა.ნ. 4 და

მომდევნო აბზაცები

- Rechtsverhältnis

სამართლებრივი ურთიერთობა

180-ე მუხლი, ა.ნ. 15 და

მომდევნო აბზაცები

- Zwischenfeststellungsklage

შუალედური აღიარებითი სარჩელი

მე-10 მუხლი, ა.ნ. 25

formelle Rechtskraft

264-ე მუხლი, ა.ნ. 1 და

ფორმალური კანონიერი ძალა

მომდევნო აბზაცები

- Anhörungsrüge

საყვედური მოსმენის თაობაზე

მე-10 მუხლი, ა.ნ. 8; 264-ე

მუხლი, ა.ნ. 40

- Eintritt der formellen Rechtskraft

ფორმალური კანონიერი ძალის დადგომა

264-ე მუხლი, ა.ნ. 4 და

მომდევნო აბზაცები

- Notfristzeugnis/Rechtskraftzeugnis

კანონიერი ვადის დამადასტურებელი

ცნობა/კანონიერი ძალის დამადასტურებელი ცნობა

264-ე მუხლი, ა.ნ. 3

- notwendige Streitgenossenschaft

სავალდებულო საპროცესო თანამონაწილეობა

86-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ.

50

- Verfassungsbeschwerde

კონსტიტუციური სარჩელი

264-ე მუხლი, ა.ნ. 41 და

მომდევნო აბზაცები

Freibeweis bei Prozessvoraussetzungen
თავისუფალი მტკიცებულება საპროცესო
წინაპირობებისას

81-ე და მომდევნო მუხლები,
ა.ნ.17

freiwillige Gerichtsbarkeit
ნებაყოფლობითი მართლმსაჯულება

243-ე მუხლი, ა.ნ. 4

Gegenvorstellung
საპირისპირო მოსაზრება

მე-10 მუხლი, ა.ნ. 8ა და
მომდევნო აბზაცები

Genehmigung von Prozesshandlungen
საპროცესო მოქმედებების ნებართვა

81-ე მუხლი, ა.ნ. 18 და
მომდევნო აბზაცები

Gerichtsstand

სასამართლო განსჯადობა

- allgemeiner

საერთო

მე-15 მუხლი

- besonderer

სპეციალური

მე-16 და მომდევნო მუხლები

- Gerichtsstandsvereinbarung

შეთანხმება განსჯადობის შესახებ

21-ე მუხლი, ა.ნ. 1 და მომდევნო
აბზაცები

- rügeloses Verhandeln

განხილვაში მონაწილეობა მანამდე პროტესტის
განცხადების გარეშე

21-ე მუხლი, ა.ნ. 13 და
მომდევნო აბზაცები

- Verweisung

საქმის სხვა სასამართლოსთვის გადაცემა

23-ე და მომდევნო მუხლები

- Wahlrecht

სასამართლოს არჩევის უფლება

მე-20 მუხლი

- Zuständigkeitsbestimmung

განსჯადობის განსაზღვრა

მე-16 და მომდევნო მუხლები,
ა.ნ. 3

Gesamtschuld, Gesamthand, siehe
Streitgenossenschaft

სოლიდარული ვალდებულება, თანაზიარობა, იხ.
საპროცესო თანამონაწილეობა

Geschäftsverteilung, richterliche
საქმის განაწილება, მოსამართლეებს შორის

243-ე მუხლი, ა.ნ. 14 და
მომდევნო აბზაცები

Geständnis
აღიარება

105-ე მუხლი, ა.ნ. 96 და
მომდევნო აბზაცები

Gestaltungsurteil
აღმჭურველი გადაწყვეტილება

Rechtskraftwirkung

კანონიერი ძალის მოქმედება

მე-10 მუხლი, ა.ნ. 18

Glaubhaftmachung

საკმარისი დასაბუთება

191-ე და მომდევნო მუხლები,
ა.ნ. 19 და მომდევნო აბზაცები

Grundurteil

შუალედური გადაწყვეტილება სასარჩელო

მოთხოვნის საფუძვლის შესახებ

246-ე მუხლი

- Bindungswirkung des Grundurteils

246-ე მუხლი, ა.ნ. 16

სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლის შესახებ

შუალედური გადაწყვეტილების მავალდებულებელი
ძალა

- rechtlich selbstständige Teilansprüche

246-ე მუხლი, ა.ნ. 15

სამართლებრივად დამოუკიდებელი ნაწილობრივი
მოთხოვნები

- revisionsinstanzliche Prüfungskompetenz

246-ე მუხლი, ა.ნ. 17

საკასაციო ინსტანციის შემოწმების კომპეტენცია

- Streit über Grund und Höhe

246-ე მუხლი, ა.ნ. 5 და
მომდევნო აბზაცები

დავა საფუძვლისა და ოდენობის შესახებ

- Voraussetzungen

246-ე მუხლი, ა.ნ. 5 და

წინაპირობები

მომდევნო აბზაცები

- Zielsetzung

246-ე მუხლი, ა.ნ. 3 და

მიზანი

მომდევნო აბზაცები

Hauptintervention

მესამე პირების სავალდებულო ჩართვა წარმოებაში

88-ე მუხლი

Heilung

გამოსწორება

- von Verfahrensfehlern

364-ე და მომდევნო მუხლები,
ა.ნ. 83 და მომდევნო აბზაცები

საპროცესო შეცდომების

- von Zustellungsmängel

264-ე მუხლი, ა.ნ. 13

დოკუმენტის ჩაბარების ნაკლი

Hilfsanträge

შუამდგომლობის მოთხოვნები

- Behandlung in Rechtsmittelinstanz

მე-3 მუხლი, მე-2 ნაწილი, ა.ნ. 7
და მომდევნო აბზაცები

განხილვა გასაჩივრების საშუალების განმხილველ
ინსტანციაში

მე-3 მუხლი, მე-2 ნაწილი, ა.ნ. 38
და მომდევნო აბზაცები

- Beschwerdewert

364-ე და მომდევნო მუხლები,

საჩივრის ღირებულება

ა.ნ. 23

Hilfsaufrechnung

დამატებითი გაქვითვა

მე-3 მუხლი, მე-2 ნაწილი, ა.ნ. 21 და მომდევნო აბზაცები

Hilfsbegründung

სარჩელის დამატებითი დასაბუთება

მე-3 მუხლი, მე-2 ნაწილი, ა.ნ. 11 და მომდევნო აბზაცები

Hilfswiderklage

დამატებითი შეგებებული სარჩელი

მე-3 მუხლი, მე-2 ნაწილი, ა.ნ. 25 და მომდევნო

Hinweispflichten

მითითების ვალდებულებები

- anwaltliche Vertretung

წარმომადგენლობა ადვოკატის მიერ

- Einzelfragen

ცალკეული საკითხები

- Georgien

საქართველო

- Grenzen der Hinweispflicht

მითითების ვალდებულების ფარგლები

- Zeitpunkt und Art des Hinweises

მითითების დრო და ადგილი

მე-4 მუხლი, ა.ნ. 8 და მომდევნო აბზაცები

მე-4 მუხლი, ა.ნ.29 და მომდევნო აბზაცები

მე-4 მუხლი, ა.ნ.11 და მომდევნო აბზაცები

მე-4 მუხლი, ა.ნ. 36 და მომდევნო აბზაცები

მე-4 მუხლი, ა.ნ. 33 და მომდევნო აბზაცები

მე-4 მუხლი, ა.ნ. 25 და მომდევნო აბზაცები

Indizienbeweis

არაპირდაპირი მტკიცებულება

- Zeuge vom Hörensagen

სხვისგან გაგონილის (მომხსენებელი) მოწმე

105-ე მუხლი, ა.ნ. 14 და მომდევნო აბზაცები

105-ე მუხლი, ა.ნ. 19

In-sich-Prozess

პროცესი საკუთარ თავთან

79-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 13

Kassation, siehe Revision

კასაცია

Klägerbeitritt

საქმეში დამატებით მოსარჩელედ ჩართვა

84-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 19

Klägerwechsel

მოსარჩელის შეცვლა

84-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 10 და მომდევნო აბზაცები

Klageänderung

სარჩელის შეცვლა

83-ე მუხლი

Klagerücknahme

სარჩელის გამოხმობა

83¹ -ე მუხლი

Klageschrift

სასარჩელო განცხადება

- Bestimmtheit des Klageantrags
 - სასარჩელო განცხადების განსაზღვრულობა
 - allgemeine Anforderungen
 - ზოგადი მოთხოვნები
 - bedingter Klageantrag
 - პირობითი სასარჩელო განცხადება
 - Beseitigung einer Störung
 - ხელშეშლის აღმოფხვრა
 - Duldungs- und Unterlassungsantrag
 - თმენის და მოქმედებისგან თავშეკავების განცხადებები
 - Feststellungsklage
 - აღიარებითი სარჩელი
 - Freistellungsanspruch
 - გათავისუფლების მოთხოვნა
 - Herausgabeklage
 - სარჩელი ნივთის უკან გამოთხოვის შესახებ
 - laufende Zahlungen
 - მიმდინარე გადახდები
 - Teilklage
 - ნაწილობრივი სარჩელი
 - unbezifferter Klageantrag
 - ციფრების მითითების გარეშე წარმოდგენილი სასარჩელო განცხადება
- bestimmter Gegenstand
 - კონკრეტული საგანი
- Grund des Anspruchs
 - მოთხოვნის საფუძველი
- hilfsweise Klageerhebung
 - დამატებითი სარჩელის აღძვრა
- Individualisierung des Streitgegenstands
 - დავის საგნის ინდივიდუალიზაცია

Klagesicherung, siehe Arrest und einstweilige Verfügung

სარჩელის უზრუნველყოფა, იხ. ყადაღა და დროებითი განკარგულება

Kollegialgerichte

კოლეგიური სასამართლოები

Kostenerstattungsanspruch, materiell-rechtlicher
ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნა (მატერიალურ-სამართლებრივი)

177-ე და მომდევნო მუხლები

177-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 6 და მომდევნო აბზაცები 177-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 7

მე-3 მუხლის მე-2 ნაწილი, ა.ნ. 9 და მომდევნო აბზაცები; ა.ნ. 34 და მომდევნო აბზაცები 177-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 18

177-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 10 და მომდევნო აბზაცები

177-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 22

177-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 19 და მომდევნო აბზაცები 177-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 17

177-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 14 და მომდევნო აბზაცები 177-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 16

მე-3 მუხლი, 1-ლი ნაწილი, ა.ნ. 41; მე-10 მუხლი, ა.ნ. 22 და მომდევნო აბზაცები

177-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 5

177-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 4

მე-3 მუხლი, მე-2 ნაწილი, ა.ნ. 34 და მომდევნო აბზაცები

177-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 3 და მომდევნო აბზაცები

243-ე მუხლი, ა.ნ. 9 და მომდევნო აბზაცები

83¹-ე მუხლი, ა.ნ. 10 და მომდევნო აბზაცები

<p>Kostenerstattungsanspruch, prozessualer ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნა (საპროცესო-სამართლებრივი)</p>	<p>83¹-ე მუხლი, ა.ნ. 7 და მომდევნო აბზაცები; ა.ნ. 12 და მომდევნო აბზაცები</p>
<p>Kostenfestsetzungsverfahren ხარჯების ოდენობის დადგენის პროცედურა</p>	<p>83¹-ე მუხლი, ა.ნ. 9</p>
<p>künftige Leistung, Klage auf სარჩელი მომავალში შესასრულებელი ვალდებულებების შესახებ</p>	<p>177-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 32 და მომდევნო აბზაცები</p>
<p>ladungsfähige Anschrift მისამართი, რომელიც ვარგისია სასამართლო უწყების ჩასაბარებლად</p>	<p>177-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 43</p>
<p>Landgericht სამხარეო სასამართლო</p>	<p>243-ე მუხლი, ა.ნ. 5, 8 და მომდევნო აბზაცები</p>
<p>Mahnverfahren დავალიანების გადახდევინების შესახებ საქმის განხილვის გამარტივებული პროცედურა</p>	<p>229-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 12 და მომდევნო აბზაცები</p>
<p>materielle Rechtskraftwirkung მატერიალური კანონიერი ძალის მოქმედება</p>	<p>მე-10 მუხლი, ა.ნ. 1, 4 და მომდევნო აბზაცები</p>
<p>- Akzessorietät აქცესორულობა</p> <p>- Durchbrechung bei sittenwidriger Schädigung კანონიერი ძალის გამორიცხვა ზნეობის საწინააღმდეგო ქმედებით ზიანის გამო</p>	<p>მე-10 მუხლი, ა.ნ. 60 და მომდევნო აბზაცები</p> <p>მე-10 მუხლი, ა.ნ. 51 და მომდევნო აბზაცები</p>
<p>- Einwendung des Beklagten მოპასუხის შესაგებელი</p>	<p>მე-10 მუხლი, ა.ნ. 50</p>
<p>- Feststellungsklage აღიარებითი სარჩელი</p>	<p>მე-10 მუხლი, ა.ნ. 14 და მომდევნო აბზაცები</p>
<p>- Leistungsklage მიკუთვნებითი სარჩელი</p>	<p>მე-10 მუხლი, ა.ნ. 13</p>
<p>- Musterverfahren სანიმუშო პროცესები</p>	<p>მე-10 მუხლი, ა.ნ. 66 და მომდევნო აბზაცები</p>
<p>- negative Prozessvoraussetzung ნეგატიური საპროცესო წინაპირობები</p>	<p>მე-10 მუხლი, ა.ნ. 34</p>
<p>- Parteivereinbarungen მხარეთა შეთანხმებები</p>	<p>მე-10 მუხლი, ა.ნ. 69</p>
<p>- Präklusion von Tatsachenvortrag ფაქტების მოყვანის გამორიცხვა</p>	<p>მე-10 მუხლი, ა.ნ. 38 და მომდევნო აბზაცები</p>
<p>- Prozessurteile საპროცესო გადაწყვეტილებები</p>	<p>მე-10 მუხლი, ა.ნ. 35</p>

- rechtliche Einordnung
სამართლებრივი კლასიფიკაცია
- Versicherungsvertragsrecht
სადაზღვევო ხელშეკრულების სამართალი
- voregreifliche Rechtsverhältnisse
წინარესამართლებრივი ურთიერთობები
- Schmerzensgeld
მორალური ზიანის ფულადი ანაზღაურება
- Streitgegenstand
დავის საგანი

მე-10 მუხლი, ა.ნ. 26 და მომდევნო აბზაცები
მე-10 მუხლი, ა.ნ. 63 და მომდევნო აბზაცები
მე-10 მუხლი, ა.ნ. 24 და მომდევნო აბზაცები
მე-10 მუხლი, ა.ნ. 22 და მომდევნო აბზაცები
მე-10 მუხლი, ა.ნ. 10

Meistbegünstigungsgrundsatz

უმეტესი ხელშეწყობის პრინციპი

229-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 7 და მომდევნო აბზაცები

Musterverfahren

სანიმუშო პროცესი

მე-10 მუხლი, ა.ნ. 66 და მომდევნო აბზაცები

Nebenintervention

მესამე პირის ჩაბმა საქმეში დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე

89-ე და მომდევნო მუხლები

- Antragsbefugnis
განაცხადის შეტანის უფლებამოსილება
- Anwendungsbereich
გამოყენების სფერო
- prozessuale Stellung des Nebenintervenienten
დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირის საპროცესო სტატუსი
- Prüfung der Voraussetzungen
წინაპირობების შემოწმება
- Rechtsfolgen
სამართლებრივი შედეგები
- rechtliches
სამართლებრივი
- Vornahme von Prozesshandlungen
საპროცესო მოქმედებების შესრულება

89-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 4 და მომდევნო აბზაცები
89-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 4 და მომდევნო აბზაცები
89-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 10 და მომდევნო აბზაცები, ა.ნ. 20
89-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 18
89-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 30 და მომდევნო აბზაცები
89-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 7 და მომდევნო აბზაცები
89-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 15 და მომდევნო აბზაცები, ა.ნ. 20

negative Feststellungsklage

ნეგატიური აღიარებითი სარჩელი

- Beweislast
მტკიცების ტვირთი
- Rechtskraftwirkung
კანონიერი ძალის მოქმედება
- Rechtsschutzbedürfnis
სამართლებრივი დაცვის მოთხოვნილება

მე-10 მუხლი, ა.ნ. 17

მე-10 მუხლი, ა.ნ. 17

180-ე მუხლი, ა.ნ. 5 და მომდევნო აბზაცები

Nichtigkeitsklage

ბათილობის სარჩელი

421-ე და მომდევნო მუხლები,
განსაკუთრებით ა.ნ. 8 და
მომდევნო აბზაცები**notwendige Streitgenossenschaft**

სავალდებულო საპროცესო თანამონაწილეობა

86-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ.
3 და მომდევნო, ა.ნ. 25 და
მომდევნო აბზაცები**- aus materiell-rechtlichen Gründen**მატერიალურ-სამართლებრივი საფუძვლებიდან
გამომდინარე86-ე და მომდევნო მუხლები,
ა.ნ. 28 და მომდევნო აბზაცები**- aus prozessualen Gründen**

პროცესუალური საფუძვლებიდან გამომდინარე

86-ე და მომდევნო მუხლები,
ა.ნ. 26 და მომდევნო აბზაცები**- formelle Rechtskraft**

ფორმალური კანონიერი ძალა

86-ე და მომდევნო მუხლები,
ა.ნ. 50**- Klagerücknahme**

სარჩელის გამოსმობა

86-ე და მომდევნო მუხლები,
ა.ნ. 48**- Prozesshandlungen, Wirkung von**

საპროცესო მოქმედებები, მათი მოქმედება

86-ე და მომდევნო მუხლები,
ა.ნ. 39 და მომდევნო აბზაცები,
ა.ნ. 45**- Rechtsmittel**

გასაჩივრება

86-ე და მომდევნო მუხლები,
ა.ნ. 50 და მომდევნო აბზაცები**- Rücknahme des Rechtsmittel**

საჩივრის გამოსმობა

86-ე და მომდევნო მუხლები,
ა.ნ. 51**- sonstige Rechtsfolgen**

სხვა სამართლებრივი შედეგები

86-ე და მომდევნო მუხლები,
ა.ნ. 43 და მომდევნო აბზაცები**- Tatsachenvortrag anderer Streitgenossen**დანარჩენი საპროცესო თანამონაწილის ფაქტობრივი
მითითებები86-ე და მომდევნო მუხლები,
ა.ნ. 46**- Teilurteil**

ნაწილობრივი გადაწყვეტილება

86-ე და მომდევნო მუხლები,
ა.ნ. 49**- Vertretungsfiktion bei Säumnis**

წარმომადგენლობის ფიქცია გამოუცხადებლობისას

86-ე და მომდევნო მუხლები,
ა.ნ. 40 და მომდევნო აბზაცები**- Zulässigkeit der Klage**

სარჩელის დასაშვებობა

86-ე და მომდევნო მუხლები,
ა.ნ. 44**Oberlandesgericht**

უმაღლესი სამხარეო სასამართლო

243-ე მუხლი, ა.ნ. 6, ა.ნ. 9 და
მომდევნო აბზაცები**obiter dictum**

„სხვათაშორის ნათქვამი“

399-ე და მომდევნო მუხლები,
ა.ნ. 111**Ordnungsvorschriften**

ადმინისტრაციული წესები

399-ე და მომდევნო მუხლები,
ა.ნ. 77 და მომდევნო აბზაცები**Parteianhörung**

მხარეთა მოსმენა

105-ე მუხლი, ა.ნ. 64

Parteiانträge, Bindung an

მხარეთა განცხადებები

მე-3 მუხლის 1-ლი ნაწილი, ა.ნ.

18 და მომდევნო აბზაცები

Parteierweiterung, s. Klägerbeitritt,

Beklagtenenerweiterung

პროცესში მესამე პირად ჩართვა, იხ. საქმეში

დამატებით მოსარჩელედ ჩართვა, პროცესში

მოპასუხედ ჩართვა

Parteifähigkeit, siehe auch Prozessfähigkeit

მხარედ არსებობის უნარიანობა, იხ. ასევე საპროცესო
ქმედუნარიანობა

79-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ.

2 და მომდევნო აბზაცები

Parteiwechsel, gesetzlicher

მხარის შეცვლა, კანონის საფუძველზე

84-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ.

2 და მომდევნო აბზაცები

Parteiwechsel, gewillkürter

მხარის შეცვლა, ნებაყოფლობითი

84-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ.

8 და მომდევნო აბზაცები

Präklusion

გამორიცხვა

- wegen Rechtskraftwirkung

კანონიერი ძალის მოქმედების გამო

- wegen verspäteten Vorbringens

ჩვენებების ან მტკიცებულებების დაგვიანებით
წარმოდგენის გამო

- Angriffs- und Verteidigungsmittel

უფლების წარმომშობი და შემწყვეტი საშუალებები

- in Berufungsinstanz

სააპელაციო ინსტანციაში

- gerichtliche Fehler

სასამართლოს შეცდომები

- richterliche Kompensationspflicht

მოსამართლის კომპენსაციის ვალდებულება

- verfassungsrechtliche Grenzen

კონსტიტუციურ-სამართლებრივი ფარგლები

- Verzögerung

გაჭიანურება

მე-10 მუხლი, ა.ნ. 38 და

მომდევნო აბზაცები

105-ე მუხლი, ა.ნ. 111 და

მომდევნო აბზაცები

105-ე მუხლი, ა.ნ. 118

105-ე მუხლი, ა.ნ. 125 და

მომდევნო აბზაცები

105-ე მუხლი, ა.ნ. 117

105-ე მუხლი, ა.ნ. 120 და

მომდევნო აბზაცები

105-ე მუხლი, ა.ნ. 115

105-ე მუხლი, ა.ნ. 119, ა.ნ. 123

და მომდევნო აბზაცები

Prozessfähigkeit

საპროცესო ქმედუნარიანობა

- allgemeine Voraussetzungen

ზოგადი წინაპირობები

- Existenz der Partei

მხარის არსებობა

- fingierte Prozessfähigkeit

81-ე მუხლი

81-ე მუხლი, ა.ნ. 6 და მომდევნო
აბზაცები

81-ე მუხლი, ა.ნ. 12 და

მომდევნო აბზაცები

81-ე მუხლი, ა.ნ. 10 და

- საპროცესო ქმედუნარიანობის მოჩვენება
- **Freibeweis**
თავისუფალი მტკიცებულება
- **Genehmigung von Prozesshandlungen**
საპროცესო მოქმედებების ნებართვა
- **Prozesspfleger**
საპროცესო მზრუნველი
- **Prüfung von Amts wegen**
საკუთარი ინიციატივით შემოწმება
- **organschaftliche Vertretung**
იურიდიული პირების წარმომადგენლობა შესაბამისი ორგანოების მიერ

- მომდევნო აბზაცები
- 81-ე მუხლი, ა.ნ. 17
- 81-ე მუხლი, ა.ნ. 18 და მომდევნო აბზაცები
- 81-ე მუხლი, ა.ნ. 3 და მომდევნო აბზაცები
- 81-ე მუხლი, ა.ნ. 17
- 81-ე მუხლი, ა.ნ. 15 და მომდევნო აბზაცები

Prozessförderungspflicht
პროცესის ხელშეწყობის მოვალეობა

- 364-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 79 მომდევნო და მე-3 მუხლის 1-ლი ნაწილი, ა.ნ. 15 და მომდევნო აბზაცები

Prozessführungsbefugnis
პროცესის წარმართვის უფლებამოსილება

- **gesetzliche Prozessstandschaft**
სასამართლოში საკუთარი სახელით სხვისი საქმისწარმოების კანონით გათვალისწინებული უფლებამოსილება
- **gewillkürte Prozessstandschaft**
გარიგების საფუძველზე სასამართლოში საკუთარი სახელით სხვისი საქმისწარმოების შესაძლებლობა

- 79-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 15 და მომდევნო აბზაცები
- 79-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 18 და მომდევნო აბზაცები
- 79-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 22 და მომდევნო აბზაცები

Prozesshandlungen
საპროცესო მოქმედებები

- **Auslegung**
განმარტება
- **Bedingungsfeindlichkeit**
უპირობობა
- **Genehmigung unwirksamer Prozesshandlungen**
ბათილი საპროცესო მოქმედებების ნებართვა
- **Unanfechtbarkeit**
გაუსაჩივრებადობა
- **Unwiderruflichkeit**
შეუქცევადობა
- **Wirksamkeit**
ნამდვილობა

- მე-3 მუხლი, მე-2 ნაწილი
- მე-3 მუხლი, მე-2 ნაწილი, ა.ნ. 52 და მომდევნო აბზაცები
- მე-3 მუხლი, მე-2 ნაწილი, ა.ნ. 4 და მომდევნო, ა.ნ. 7 და მომდევნო აბზაცები
- 81-ე მუხლი, ა.ნ. 18 და მომდევნო აბზაცები
- მე-3 მუხლი, მე-2 ნაწილი, ა.ნ. 4 და მომდევნო, ა.ნ. 42 და მომდევნო აბზაცები
- მე-3 მუხლი, მე-2 ნაწილი, ა.ნ. 4 და მომდევნო, ა.ნ. 42 და მომდევნო აბზაცები
- მე-3 მუხლი, მე-2 ნაწილი, ა.ნ. 52 და მომდევნო აბზაცები

Prozesskostenhilfe

**საპროცესო ხარჯების გადახდისგან
გათავისუფლება სასამართლოს მიერ**

- anzurechnendes Einkommen und Vermögen

დარიცხული შემოსავალი და ქონება

- Beiordnung eines Rechtsanwalts

სახაზინო ადვოკატის დანიშვნა

- Erfolgsaussicht

წარმატების პერსპექტივა

- Mutwilligkeit

უგუნური ქმედება

- juristische Personen

იურიდიული პირები

- Prozessstandschaft

სასამართლოში საკუთარი სახელით სხვისი
საქმისწარმოების უფლებამოსილება

- Rechtsfolgen

სამართლებრივი შედეგები

- verfassungsrechtliche Funktion

კონსტიტუციურ-სამართლებრივი ფუნქცია

47-ე მუხლი

47-ე მუხლი, ა.ნ. 1 და
მომდევნო, ა.ნ. 5 და მომდევნო
აბზაცები

47-ე მუხლი, ა.ნ. 22 და
მომდევნო აბზაცები

47-ე მუხლი, ა.ნ. 16 და
მომდევნო აბზაცები

47-ე მუხლი, ა.ნ. 19 და
მომდევნო აბზაცები

47-ე მუხლი, ა.ნ. 10 და
მომდევნო აბზაცები

47-ე მუხლი, ა.ნ. 14 და
მომდევნო აბზაცები

47-ე მუხლი, ა.ნ. 29

47-ე მუხლი, ა.ნ. 16 და
მომდევნო აბზაცები

Prozessleitung, aktive

პროცესის მართვა, აქტიური

Prozesspfleger

პროცესის მზრუნველი

მე-3 მუხლი, 1-ლი ნაწილი, ა.ნ. 9
და მომდევნო, ა.ნ. 15 და
მომდევნო აბზაცები

81-ე მუხლი, ა.ნ. 3 და მომდევნო
აბზაცები

Prozessstandschaft

სასამართლოში საკუთარი სახელით სხვისი
საქმისწარმოების უფლებამოსილება

- subjektive Rechtskraftwirkung

სუბიექტური კანონიერი ძალის მოქმედება

- gesetzliche Prozessstandschaft

სასამართლოში საკუთარი სახელით სხვისი
საქმისწარმოების კანონით მინიჭებული
უფლებამოსილება

- gewillkürte Prozessstandschaft

გარიგების საფუძველზე სასამართლოში საკუთარი
სახელით სხვისი საქმისწარმოების შესაძლებლობა

მე-10 მუხლი, ა.ნ. 55 და
მომდევნო აბზაცები

79-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ.
18 და მომდევნო აბზაცები

79-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ.
22 და მომდევნო აბზაცები

Prozessvergleich

საპროცესო მორიგება

- Bindungswirkung für Rechtsnachfolger

მბოჭავი ძალა სამართალმემკვიდრისთვის

მე-3 მუხლი, მე-2 ნაწილი, ა.ნ. 61
და მომდევნო აბზაცები

მე-10 მუხლი, ა.ნ. 58ა და
მომდევნო აბზაცები

- **Doppelnatur**
ორმაგი ბუნება
- **Streit um Wirksamkeit**
დავა ნამდვილობის თაობაზე
- **Vollstreckungstitel**
აღსრულების ქვემდებარე აქტი
- **Widerrufsvorbehalt**
გაუქმების დათქმა

მე-3 მუხლი, მე-2 ნაწილი, ა.ნ. 63 და მომდევნო აბზაცები
 მე-3 მუხლი, მე-2 ნაწილი, ა.ნ. 66 და მომდევნო აბზაცები
 მე-3 მუხლი, მე-2 ნაწილი, ნრ. ა.ნ. 77
 მე-3 მუხლი, მე-2 ნაწილი, ნრ. ა.ნ. 75 და მომდევნო აბზაცები

Prozessvoraussetzungen, Prüfung von Amts wegen
საპროცესო წინაპირობები, საკუთარი ინიციატივით შემოწმება

81-ე მუხლი, ნრ. ა.ნ. 17

Rechtsanwälte

ადვოკატები

- **Organisationspflichten**
ორგანიზების მოვალეობები
- **Verschuldenszurechnung**
ბრალის შერაცხვა
- **Vertretung durch**
წარმომადგენლობა

264-ე მუხლი, ა.ნ. 21 და მომდევნო აბზაცები
 264-ე მუხლი, ა.ნ. 20 და მომდევნო აბზაცები
 243-ე მუხლი, ა.ნ. 8

Rechtsbeschwerde

სამართლებრივი საჩივარი

414-ე და მომდევნო მუხლები

Rechtskraft

კანონიერი ძალა

- **Aufrechnungsforderung**
გაქვითვის მოთხოვნა
- **formelle, siehe auch formelle Rechtskraft**
ფორმალური, იხ. ასევე ფორმალური კანონიერი ძალა
- **bei notwendiger Streitgenossenschaft**
სავალდებულო საპროცესო თანამონაწილეობა
- **materielle**
მატერიალური
- **subjektive**
სუბიექტური

მე-10 მუხლი, ა.ნ. 48 და მომდევნო აბზაცები
 264-ე მუხლი, ა.ნ. 1 და მომდევნო აბზაცები
 86-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 50
 მე-10 მუხლი, ა.ნ. 4 და მომდევნო, ა.ნ. 9 და მომდევნო აბზაცები
 მე-10 მუხლი, ა.ნ. 4 და მომდევნო, ა.ნ. 55 და მომდევნო აბზაცები

rechtliches Gehör

სასამართლო მოსმენა

მე-4 მუხლი, ა.ნ. 3 და მომდევნო, 105-მუხლი, ა.ნ. 31 და მომდევნო და 191-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 22

Rechtsmittelverzicht

264-ე მუხლი, ა.ნ. 6

მხარის უარი გასაჩივრების საშუალების გამოყენებაზე

Rechtsnachfolge nach Rechtshängigkeit

მე-10 მუხლი, ა.ნ. 55 და 79-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ 20 და მომდევნო აბზაცების

სამართალმემკვიდრეობა სარჩელის წარმოებაში მიღების შემდეგ

Rechtsschutzbedürfnis

177-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 27 და მომდევნო აბზაცები 177-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 28 და მომდევნო აბზაცები 177-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 31 177-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 39 და მომდევნო აბზაცები 177-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 32 და მომდევნო აბზაცები 177-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 35 და მომდევნო აბზაცები

სამართლებრივი დაცვის მოთხოვნის და

- Leistungsklage

მავალდებულებელი სარჩელი

- einfacherer Weg

მარტივი გზა

- Eingriff in anderes Verfahren

სხვა სასამართლო წარმოებაში ჩარევა

- künftige Leistung

ვალდებულებების შესრულება მომავალში

- Unterlassungsantrag

განაცხადი მოქმედებისაგან თავის შეკავების შესახებ

- Feststellungsklage, siehe dort

აღიარებითი სარჩელი, იხ. აქ

reformatio in peius

364-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 92 და მომდევნო აბზაცები

გაუარესების აკრძალვა

Restitutionsklage

421-ე და მომდევნო მუხლები, განსაკუთრებით ა.ნ. 24 და მომდევნო აბზაცები

რესტიტუციური სარჩელი

Rekurs

414-ე და მომდევნო მუხლები

კერძო საჩივარი

Revision, siehe auch Berufung

კასაცია, იხ. ასევე, აპელაცია

399-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 20 და მომდევნო აბზაცები 399-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 21 და მომდევნო აბზაცები 399-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 45 და მომდევნო აბზაცები 399-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 26 და მომდევნო აბზაცები 399-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 24 და მომდევნო აბზაცები

- Auslegung von Willenserklärungen

ნების გამოვლენის განმარტება

- Allgemeine Geschäftsbedingungen u.a.

ხელშეკრულების სტანდარტული პირობები და ა.შ.

- ergänzende Vertragsauslegung

ხელშეკრულების განვრცობითი განმარტება

- Individualerklärungen

ინდივიდუალური ნების გამოვლენები

- Auslegung von Prozesshandlungen

საპროცესო მოქმედებების განმარტება

- **Behandlung von Hilfsanträgen**
შუამდგომლობის მოთხოვნების განხილვა მე-3 მუხლი, მე-2 ნაწილი, ა.ნ. 38
- **Beruhens der Entscheidung (materieller Rechtsfehler)**
გადაწყვეტილების საფუძველი (მატერიალური იურიდიული შეცდომა) 399-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 88 და მომდევნო აბზაცები
- **Beruhens der Entscheidung (Verfahrensfehler)**
გადაწყვეტილების საფუძველი (საპროცესო შეცდომა) 399-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 76 და მომდევნო აბზაცები
- **Beweislast, Prüfungsumfang**
მტკიცების ტვირთი, შემონმების ფარგლები 102-ე მუხლი, ა.ნ. 4
- **Beweiswürdigung, Prüfungsumfang**
მტკიცებულებათა შეფასება, შემონმების ფარგლები 105-ე მუხლი, ა.ნ. 108 და მომდევნო აბზაცები
- **Bindungswirkung**
მბოჭავი მოქმედება 399-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 112 და მომდევნო აბზაცები
- **Entscheidungserheblichkeit des Rechtsfehlers**
სამართლებრივი შეცდომის არსებითობა გადაწყვეტილებისთვის 399-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 73 და მომდევნო აბზაცები
- **materielle Rechtsfehler**
მატერიალური იურიდიული შეცდომა 399-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 88 და მომდევნო აბზაცები
- **Verfahrensfehler**
საპროცესო შეცდომა 399-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 76 და მომდევნო აბზაცები
- **Entscheidungsmöglichkeiten**
გადაწყვეტის შესაძლებლობები 399-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 73 და მომდევნო აბზაცები
- **Beispiele**
მაგალითები 399-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 97 და მომდევნო აბზაცები
- **Hilfsanträge**
შუამდგომლობის მოთხოვნები მე-3 მუხლი, მე-2 ნაწილი, ა.ნ. 38 და მომდევნო აბზაცები
- **Klägerwechsel**
მოსარჩელის შეცვლა 84-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 16
- **Klageänderung**
სარჩელის შეცვლა 83-ე მუხლი, ა.ნ. 15
- **obiter dictum**
„სხვათა შორის ნათქვამი“ 399-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 111
- **Prüfung des materiellen Rechts**
მატერიალური სამართლის შემოწმება 399-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 10 და მომდევნო აბზაცები
- **Prüfung der Prozessvoraussetzungen**
საპროცესო წინაპირობების შემოწმება 81-ე მუხლი, ა.ნ. 17 და 399-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 9
- **Revisionsgründe**
კასაციის საფუძველები 399-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 65 და მომდევნო აბზაცები
- **absolute Revisionsgründe**
კასაციის აბსოლუტური საფუძველები 399-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 66 და მომდევნო აბზაცები
- **relative Revisionsgründe**
კასაციის პირობითი საფუძველები 399-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 73 და მომდევნო აბზაცები
- **Verfahrensablauf**
პროცესის მიმდინარეობა 243-ე მუხლი, ა.ნ. 7 და 399-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 20 და მომდევნო მუხლები. ა.ნ. 2 და

- Verfahrensfehler საპროცესო შეცდომა	მომდევნო აბზაცები 399-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 54 და მომდევნო, ა.ნ. 73 და მომდევნო აბზაცები
- Entscheidungserheblichkeit გადაწყვეტილებისთვის არსებითობა	399-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 73 და მომდევნო აბზაცები
- Heilung von Verfahrensfehler საპროცესო შეცდომების გამოსწორება	399-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 83 და მომდევნო აბზაცები
- bei Tatsachenfeststellung ფაქტების დადგენისას	399-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 60 და მომდევნო აბზაცები
- Verschlechterungsverbot გაუარესების აკრძალვა	399-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 114
- Tenorierungsbeispiele სარეზოლუციო ნაწილის მაგალითები	399-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 116
- „Segelanweisungen“ „სანაოსნო მითითებები“	399-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 106 და მომდევნო აბზაცები
- Zulässigkeit დასაშვებობა	399-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 5 და მომდევნო მუხლები
- Zurückverweisung საქმის დაბრუნება ქვედა ინსტანციაში ხელახალი განხილვისთვის	399-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 75 და მომდევნო მუხლები
Rubrumserichtigung გადაწყვეტილების შესავალი ნაწილის შესწორება	84-ე და მომდევნო მუხლი ა.ნ. 28 და მომდევნო აბზაცები
Sachverständigengutachten ექსპერტის დასკვნა	105-ე მუხლი, ა.ნ. 40
Sachurteilsvoraussetzungen საქმეზე არსებითად გადაწყვეტილების მიღების წინაპირობები	399-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 9
Schadenersatzpflicht, bei Klagesicherung ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, სარჩელის უზრუნველყოფისას	191-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 40 და მომდევნო აბზაცები
Schadenschätzung ზიანის ოდენობის შეფასება	102-ე მუხლი, ა.ნ. 36 და მომდევნო აბზაცები
schriftliches Vorverfahren წერილობითი წინასწარი პროცედურა	105-ე მუხლი, ა.ნ. 112 და მომდევნო აბზაცები
sekundäre Darlegungslast მითითების მეორადი ტვირთი	102-ე მუხლი, ა.ნ. 44 და მომდევნო აბზაცები
sittenwidrige Schädigung durch Urteil	მე-10 მუხლი, ა.ნ. 51 და

ზნეობის სანინალმდეგო ქმედებით ზიანის მიყენება, გადანყვეტილების საშუალებით

მომდევნო აბზაცები

sofortiges Anerkenntnis
დაუყოვნებლივ აღიარება

მე-177 და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 30

Sondervotum
განსხვავებული აზრი

243-ე მუხლი, ა.ნ.1

Spezialisierung
სპეციალიზაცია

243-ე მუხლი, ა.ნ. 16 და მომდევნო აბზაცები

Streitgegenstand
დავის საგანი

მე-3 მუხლი, 1-ლი ნაწილი, ა.ნ. 19 და მომდევნო აბზაცები

- Antrag
განაცხადი
- Lebenssachverhalt
ფაქტობრივი გარემოებები
- Beispiele
მაგალითები
- materiell-rechtlicher Anspruch
მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნა
- natürliche Betrachtungsweise
ბუნებრივი დაკვირვება
- unbezifferter Klageantrag
სასარჩელო განცხადება, რომელიც ციფრებში მითითებას არ ითხოვს
- zweigliedriger Streitgegenstandsbegriff
ორნაწილიანი დავის საგნის ცნება

მე-3 მუხლი, 1-ლი ნაწილი, ა.ნ. 19 და მომდევნო აბზაცები
მე-3 მუხლი, 1-ლი ნაწილი, ა.ნ. 19 და მომდევნო აბზაცები
მე-3 მუხლი, 1-ლი ნაწილი, ა.ნ. 29 და მომდევნო აბზაცები
მე-3 მუხლი, 1-ლი ნაწილი, ა.ნ. 34
მე-3 მუხლი, 1-ლი ნაწილი, ა.ნ. 31
მე-3 მუხლი, 1-ლი ნაწილი, ა.ნ. 30
მე-3 მუხლი, 1-ლი ნაწილი, ა.ნ. 41 და მომდევნო აბზაცები
მე-3 მუხლი, 1-ლი ნაწილი, ა.ნ. 19

Streitgenossenschaft
საპროცესო თანამონაწილეობა

86-ე და მომდევნო მუხლები

- aktive Streitgenossenschaft
აქტიური საპროცესო თანამონაწილეობა
- Beschwerdewert
საჩივრის ღირებულება
- einfache Streitgenossenschaft
მარტივი საპროცესო თანამონაწილეობა
- Gesamthand
თანაზიარობა
- Gesamtschuld
სოლიდარული ვალდებულება
- Gleichartigkeit
ერთგვაროვნება

86-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 5 და მომდევნო აბზაცები
86-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 37
86-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 1, ა.ნ. 34 და მომდევნო აბზაცები
86-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 29
86-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 16 და მომდევნო აბზაცები
86-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 9 და მომდევნო, ა.ნ. 19 და მომდევნო აბზაცები

- **Kostenentscheidung** 86-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 57
გადაწყვეტილება ხარჯების თაობაზე
- **notwendige Streitgenossenschaft, siehe dort**
სავალდებულო საპროცესო თანამონაწილეობა იხ. იქვე
- **passive Streitgenossenschaft** 86-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 13
პასიური საპროცესო თანამონაწილეობა
- **Rechtsgemeinschaft** 86-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 7
საერთო უფლება
- **Teilurteil** 245-ე მუხლი, ა.ნ. 5 და
ნაწილობრივი გადაწყვეტილება მომდევნო აბზაცები
- **Wahlrecht bei Gesamtschuld** 86-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 21
არჩევანის უფლება სოლიდარული ვალდებულებისას

Streitverkündung

პროცესში მესამე პირის ჩაბმის მოთხოვნა ერთ-ერთი მხარის ინიციატივით

- **Alternativverhältnis** 89-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 26
ალტერნატიული ურთიერთობა
- **Prüfung der Voraussetzungen** 89-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 28
წინაპირობების შემოწმება
- **Voraussetzungen** 89-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 23
წინაპირობები
- **Wirkung** 89-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 30
მბოჭავი ძალა
- **Zulässigkeit** 89-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 23
დასაშვებობა
- **Zweck** 89-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 25
მიზანი

Stufenklage

საფეხურებრივი სარჩელი

102-ე მუხლი, ა.ნ. 55 და მომდევნო აბზაცები

subjektive Rechtskraft

სუბიექტური კანონიერი ძალა

მე-10 მუხლი, ა.ნ. 55 და მომდევნო აბზაცები

- **bei Prozessstandschaft** მე-10 მუხლი, ა.ნ. 59

სასამართლოში საკუთარი სახელით სხვისი საქმისწარმოების უფლებამოსილებისას

- **Titelumschreibung** მე-10 მუხლი, ა.ნ. 56

აღსრულების ქვემდებარე აქტის გადასვლა

Substantiierung

ფაქტების კვალიფიციურად წარმოდგენა

105-ე მუხლი, ა.ნ. 6 და მომდევნო აბზაცები

- **Anforderungen an** 105-ე მუხლი, ა.ნ. 10 და მომდევნო აბზაცები

მოთხოვნები მის მიმართ

- Behauptung ins Blaue მტკიცება „ვარაუდზე დაყრდნობით“	105-ე მუხლი, ა.ნ. 7 და მომდევნო აბზაცები
- Maß der Substantiierung ფაქტების კვალიფიციურად წარმოდგენის ფარგლები	105-ე მუხლი, ა.ნ. 17 და მომდევნო აბზაცები
- Hinweispflicht მითითების ვალდებულება	მე-4 მუხლი, ა.ნ. 13 და მომდევნო აბზაცები
- Wahrscheinlichkeit des Parteivortrages მხარის განმარტების სავარაუდოობა	105-ე მუხლი, ა.ნ. 22
- Wechselwirkungen mit gegnerischem Vortrag ურთიერთქმედება მოწინააღმდეგე მხარის განმარტებასთან	105-ე მუხლი, ა.ნ. 18
Strafurteil , Auswirkungen eines განაჩენი, მისი მოქმედება	105-ე მუხლი, ა.ნ. 11ა და მომდევნო აბზაცები
Tatbestandswirkung დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების მბოჭავი ეფექტი	მე-10 მუხლი, ა.ნ. 46
Teilurteil ნაწილობრივი გადაწყვეტილება	245-ე მუხლი
- Bestimmtheitsgebot განსაზღვრულობის მოთხოვნა	245-ე მუხლი, ა.ნ. 12
- einfache Streitgenossenschaft მარტივი საპროცესო თანამონაწილეობა	245-ე მუხლი, ა.ნ. 5
- Gefahr widersprechender Entscheidungen წინააღმდეგობრივი გადაწყვეტილებების საფრთხე	245-ე მუხლი, ა.ნ. 3 და მომდევნო, ა.ნ. 8 და მომდევნო აბზაცები
- Ausnahmen გამონაკლისები	245-ე მუხლი, ა.ნ. 7, ა.ნ. 9
- keine Kostenentscheidung ხარჯების შესახებ გადაწყვეტილების გამორიცხვა	245-ე მუხლი, ა.ნ. 10 და მომდევნო აბზაცები
- notwendige Streitgenossenschaft სავალდებულო საპროცესო თანამონაწილეობა	86-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 49
- Rechtskraftwirkung კანონიერი ძალის მოქმედება	მე-10 მუხლი, ა.ნ. 19 და მომდევნო აბზაცები
Titelumschreibung აღსრულების ქვემდებარე აქტის გადასვლა	მე-10 მუხლი, ა.ნ. 56
Überraschungsentscheidung მოულოდნელი გადაწყვეტილება	მე-4 მუხლი, ა.ნ. 19
unbezifferter Klageantrag ციფრების მითითების გარეშე წარმოდგენილი სასარჩელო განცხადება	მე-3 მუხლი, 1-ლი ნაწილი, ა.ნ. 41 და მომდევნო და მე-10 მუხლი, ა.ნ. 22 და მომდევნო

	აბზაცები
ungeeignetes Beweismittel გამოუსადეგარი მტკიცებულება	105-ე მუხლი, ა.ნ. 35 და მომდევნო აბზაცები
Unstatthaftigkeit von Rechtsmitteln გასაჩივრების შეუძლებლობა	264-ე მუხლი, ა.ნ. 5
Unterbrechung შენწყვეტა	
- notwendige Streitgenossenschaft სავალდებულო საპროცესო თანამონაწილეობა	86-ე მუხლი, ა.ნ. 49
- Tod oder Untergang einer juristischen Person გარდაცვალება ან იურიდიული პირის „დალუპვა“	84-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 3 და მომდევნო აბზაცები
Unwiderruflichkeit von Prozesshandlungen საპროცესო მოქმედებების საბოლოობა	მე-3 მუხლი, მე-2 ნაწილი, ა.ნ. 5, განსაკუთრებით, ა.ნ. 42 და მომდევნო აბზაცები
Urkundsbeweis დოკუმენტური მტკიცებულება	105-ე მუხლი, ა.ნ. 79 და მომდევნო აბზაცები
- Beweiskraft öffentliche Urkunden საჯარო საბუთების მტკიცებულებითი ძალა	105-ე მუხლი, ა.ნ. 80 და მომდევნო აბზაცები
- Beweiskraft privater Urkunden კერძო საბუთების მტკიცებულებითი ძალა	105-ე მუხლი, ა.ნ. 82 და მომდევნო აბზაცები
- Blankettmissbrauch, Blankounterschriften ბლანკის ბოროტად გამოყენება, ხელმოწერები შეუვსებელ ბლანკზე	105-ე მუხლი, ა.ნ. 90
- tatsächliche Feststellungen ფაქტობრივი დასკვნები	105-ე მუხლი, ა.ნ. 89
- Unterschrift ხელმოწერა	105-ე მუხლი, ა.ნ. 85 და მომდევნო აბზაცები
- Vermutung bei Vertragsurkunden ვარაუდი ხელშეკრულების დედნებთან დაკავშირებით	102-ე მუხლი, ა.ნ. 65 და მომდევნო აბზაცები
Urteil გადანწყვეტილება	
- Aufbau in erster Instanz აგებულება პირველ ინსტანციაში	249-ე მუხლი, ა.ნ. 2 და მომდევნო აბზაცები
- Aufbau in Berufungsinstanz აგებულება სააპელაციო ინსტანციაში	249-ე მუხლი, ა.ნ. 2 და მომდევნო და 364-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 72
- Auslegung des Urteils გადანწყვეტილების განმარტება	მე-10 მუხლი, ა.ნ. 29 და მომდევნო აბზაცები
- Begründung der Beweiswürdigung	105-ე მუხლი, ა.ნ. 99 და

- მტკიცებულებათა შეფასების დასაბუთება
- **Gesamtdarstellung**
საერთო სურათი
- **Gestaltungswirkung**
ალმჭურველი ეფექტი
- **Inhalt**
შინაარსი
- **Rechtskraftwirkung**
კანონიერი ძალის მოქმედება
- **Statuswirkung**
ბავშვსა და მშობელს შორის სამართლებრივი ურთიერთობის დამდგენი ეფექტი
- **Tatbestandswirkung**
ფაქტობრივი გარემოებების მბოჭავი ეფექტი
- **Verkündungsmängel**
სასამართლო გადაწყვეტილების გამოცხადების ნაკლი

მომდევნო აბზაცები
249-ე მუხლი, ა.ნ. 1 და
მომდევნო აბზაცები
მე-10 მუხლი, ა.ნ. 2 და
მომდევნო აბზაცები
249-ე მუხლი, ა.ნ. 1 და
მომდევნო აბზაცები
მე-10 მუხლი, ა.ნ. 2 და
მომდევნო აბზაცები
მე-10 მუხლი, ა.ნ. 46

მე-10 მუხლი, ა.ნ. 46

399-ე მუხლი, ა.ნ. 78

Urteil nach Lage der Akten
გადაწყვეტილება დოკუმენტების საფუძველზე

229-ე და მომდევნო მუხლები,
ა.ნ. 5

Verfahrensgang, Verfahrensvorbereitung
სასამართლოში საქმის განხილვის მიმდინარეობა,
საქმის განხილვის მომზადება

105 მუხლი, ა.ნ. 112 და
მომდევნო და 243-ე მუხლი

Verfahrensfehler
საპროცესო შეცდომა
- Heilung
გამოსწორება

364-ე და მომდევნო მუხლები,
ა.ნ. 82 და მომდევნო აბზაცები
364-ე და მომდევნო მუხლები,
ა.ნ. 83 და მომდევნო აბზაცები

Verfahrenskostenhilfe, siehe Prozesskostenhilfe
საქმის განხილვასთან დაკავშირებული
ხარჯებისგან გათავისუფლება სასამართლოს მიერ,
იხ. ასევე, საპროცესო ხარჯების გადახდისგან
გათავისუფლება სასამართლოს მიერ

Verfassungsbeschwerde
კონსტიტუციური სარჩელი

264-ე მუხლი, ა.ნ. 41 და
მომდევნო და 421-ე და
მომდევნო მუხლები, ა.ნ. 5
364-ე და მომდევნო მუხლები,
ა.ნ. 42 და მომდევნო აბზაცები

- **Beschwer**
ფინანსური ტვირთი

Vergleich, siehe Prozessvergleich
მორიგება, იხ. საპროცესო მორიგება

Verhandlungsgrundsatz

შეჯიბრებითობის პრინციპი

მე-3 მუხლი, 1-ლიაბზაცი, ა.ნ. 3
და მომდევნო აბზაცები

Verhandlungstermin

სასამართლო სხდომის დრო (თარიღი)

105-ე მუხლი, ა.ნ. 112 და
მომდევნო აბზაცები

Versäumnisurteil

დაუსრულებელი გადაწყვეტილება

- Einspruch, Wirkung

საჩივარი, ეფექტი

- gegen Beklagten

მოპასუხის წინააღმდეგ

- gegen Kläger

მოსარჩელის წინააღმდეგ

- Meistbegünstigungsgrundsatz

უმეტესი ხელშეწყობის პრინციპი

- notwendige Streitgenossenschaft

სავალდებულო საპროცესო თანამონაწილეობა

- Schlüssigkeit

დამაჯერებლობა

- schriftliches Vorverfahren

წერილობითი წინასწარი პროცედურა

- Urteil nach Lage der Akten

გადაწყვეტილება დოკუმენტების საფუძველზე

- Verfahren nach Vollstreckungsbescheid

პროცედურა გადახდის ბრძანების საფუძველზე

გამოცემული სააღსრულებო ფურცლის მიხედვით

- Wartefrist

ლოდინის ვადა

- zweites Versäumnisurteil

მეორე დაუსრულებელი გადაწყვეტილება

- richterlicher Prüfungsumfang

მოსამართლის მიერ შემოწმების ფარგლები

- zweite Säumnis in Folge

ზედიზედ მეორე გამოუცხადებლობა

229-ე და მომდევნო მუხლები

229-ე და მომდევნო მუხლები,

ა.ნ. 3 და მომდევნო აბზაცები

229-ე და მომდევნო მუხლები,

ა.ნ. 2 და მომდევნო აბზაცები

229-ე და მომდევნო მუხლები,

ა.ნ. 2 და მომდევნო აბზაცები

229-ე და მომდევნო მუხლები,

ა.ნ. 4 და მომდევნო აბზაცები

86-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ.

40 და მომდევნო აბზაცები

229-ე და მომდევნო მუხლები,

ა.ნ. 3

105-ე მუხლი, ა.ნ. 112 და

მომდევნო აბზაცები

229-ე და მომდევნო მუხლები,

ა.ნ. 5

229-ე და მომდევნო მუხლები,

ა.ნ. 12 და მომდევნო აბზაცები

229-ე და მომდევნო მუხლები,

ა.ნ. 11

229-ე და მომდევნო მუხლები,

ა.ნ. 16 და მომდევნო აბზაცები

229-ე და მომდევნო მუხლები,

ა.ნ. 18 და მომდევნო აბზაცები

229-ე და მომდევნო მუხლები,

ა.ნ. 17

Verschlechterungsverbot

გაუარესების აკრძალვა

364-ე და მომდევნო მუხლები,

ა.ნ. 92 და მომდევნო და 399-ე

და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 114

Verspätetes Vorbringen, siehe Präklusion

დაგვიანებული ჩვენება, იხ. გამორიცხვა

23-ე და მომდევნო მუხლები

Verweisung

საქმის სხვა სასამართლოსთვის გადაცემა

- Bindungswirkung

მბოჭავი მოქმედება

23-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ.

2 და მომდევნო აბზაცები

- Hilfsantrag შუამდგომლობის მოთხოვნა	მე-3 მუხლი, მე-2 ნაწილი, ა.ნ. 28 და მომდევნო აბზაცები
Verzichtsurtel გადანევეტილება სარჩელზე უარის თქმასთან დაკავშირებით Verzögerung , siehe Präklusion გაჭიანურება, იხ. გამორიცხვა	მე-3 მუხლი, მე-2 ნაწილი, ა.ნ. 81
Vier-Augen-Gespräch ორ პირს შორის საუბარი	მე-4 მუხლი, ა.ნ. 7 და 102-ე მუხლი, ა.ნ. 35
Vollstreckungsabwehrklage სარჩელი იძულებითი აღსრულების წინააღმდეგ	მე-10 მუხლი, ა.ნ. 41 და მომდევნო აბზაცები
Vollstreckbarkeit აღსრულებადობა	264-ე მუხლი, ა.ნ. 16 და მომდევნო აბზაცები
Vollstreckungsbescheid გადახდის ბრძანების საფუძველზე გაცემული სააღსრულებო ფურცელი	229-ე მუხლი, ა.ნ. 12 და მომდევნო აბზაცები
Vorsitzender Richter თავმჯდომარე მოსამართლე	243-ე მუხლი, ა.ნ. 19
Votum ვოტუმი	243-ე მუხლი, ა.ნ. 24
Wahrheitspflicht სიმართლის თქმის ვალდებულება	მე-3 მუხლი, 1-ლი ნაწილი, ა.ნ. 16
Waffengleichheit თანაბარი შესაძლებლობების პრინციპი	მე-4 მუხლი, ა.ნ. 2 და მომდევნო და 102-ე მუხლი, ა.ნ. 35
Widerklage შეგებებული სარჩელი	188-ე და მომდევნო მუხლები
- Aufrechnung, Verhältnis zur გაქვითვა, დამოკიდებულება მის მიმართ	188-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 9
- Berufungsinstanz სააპელაციო ინსტანცია	188-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 17
- Beschwerdewert საჩივრის ღირებულება	364-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 21 და მომდევნო აბზაცები
- Dritt-Widerklage შეგებებული სარჩელი მესამე პირის მიმართ	188-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 11 და მომდევნო აბზაცები
- Eigenständigkeit დამოუკიდებლობა	188-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 8

- Hilfswiderklage მეორადი/დამატებითი სარჩელი	მე-3 მუხლი, მე-2 ნაწილი, ა.ნ. 9 და მომდევნო, განსაკ. ა.ნ. 25 და მომდევნო აბზაცები
- Zusammenhang mit Klage კავშირი სარჩელთან	188-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 4 და მომდევნო აბზაცები
Wiederaufnahme საქმისწარმოების განახლება	421-ე და მომდევნო მუხლები
Wiedereinsetzung in den vorigen Stand პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა	264-ე მუხლი, ა.ნ. 19 და მომდევნო აბზაცები
- gerichtliche Fürsorgepflicht სასამართლო მზრუნველობის ვალდებულება	264-ე მუხლი, ა.ნ. 37ა და მომდევნო აბზაცები
- Rechtsfolgen სამართლებრივი შედეგები	264-ე მუხლი, ა.ნ. 38 და მომდევნო აბზაცები
- Verschulden ბრალი	264-ე მუხლი, ა.ნ. 20 და მომდევნო აბზაცები
wiederkehrende Leistungen განმეორებითი შესრულებები	მე-10 მუხლი, ა.ნ. 20
Zeuge vom Hörensagen სხვისგან გაგონილის (მომხსენებელი) მოწმე	105-ე მუხლი, ა.ნ. 19
Zeugenbeweis მოწმის მტკიცებულება	
- Antizipation des Beweisergebnisses მტკიცებულების შედეგის წინასწარი განჭვრეტა	105-ე მუხლი, ა.ნ. 38 და მომდევნო აბზაცები
- Glaubwürdigkeit des Zeugen მოწმის დამაჯერებლობა	105-ე მუხლი, ა.ნ. 41
- Kriterien für Beweiswürdigung allgemein მტკიცებულებათა შეფასების ზოგადი კრიტერიუმები	105-ე მუხლი, ა.ნ. 63, ა.ნ. 69 და მომდევნო აბზაცები
- Kriterienkatalog კრიტერიუმების კატალოგი	105-ე მუხლი, ა.ნ. 69 და მომდევნო აბზაცები
Zug-um-Zug Einrede ხელი-ხელში შესრულებასთან დაკავშირებით განხორციელებული მოთხოვნის უფლების შემაფერხებელი შესაგებელი	
- materielle Rechtskraftwirkung მატერიალური კანონიერი ძალის მოქმედება	მე-10 მუხლი, ა.ნ. 50
Zu-Eigen-Machen სათავისოდ გამოყენება	მე-3 მუხლი, 1-ლი ნაწილი, ა.ნ. 4
- gegnerischer Vortrag მოწინააღმდეგე მხარის მიერ წარმოდგენილი	მე-3 მუხლი, 1-ლი ნაწილი, ა.ნ. 4

ფაქტები - Beweisergebnisse მტკიცებულებებზე გაკეთებული დასკვნები	105 მუხლი, ა.ნ. 30
Zurückweisung , siehe Präklusion განსახილველად არ მიღება, იხ. პრეკლუზია	
Zuständigkeitsbestimmung განსჯადობის რეგულაციები	მე-16 და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 3
Zustellung ჩაბარება - Heilung von Zustellungsmängel ჩაბარების ნაკლის გამოსწორება	264-ე მუხლი, ა.ნ. 9 და მომდევნო აბზაცები 264-ე მუხლი, ა.ნ. 13
zweites Versäumnisurteil , siehe Versäumnisurteil მეორე დაუსწრებელი გადანყვეტილება, იხ. დაუსწრებელი გადანყვეტილება	
Zwischenfeststellungsklage შუალედური აღიარებითი სარჩელი	მე-10 მუხლი, ა.ნ. 25
Zwischenurteil შუალედური გადანყვეტილება	79-ე და მომდევნო მუხლები, ა.ნ. 42